ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის
ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი

წერილები
სტამბოლის ქართული
საკანიდან

BATUMI SHOTA RUSTAVELI STATE UNIVERSITY
NIKO BERDZENISHVILI INSTITUTE

Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul

Batumi
2017

წიგნი ეძღვნება სტამბოლის ქართული სავანის ამაგდარი პიროვნებების მამა-შვილ ***პავლე*** *და* ***სიმონ ზაზაძეების*** *ხსოვნას.*

Dedicated to ***Simon*** *and* ***Paul Zazadze****, great caretakers of the Georgian Sanctuary in Istanbul.*

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი

Shota Rustaveli National Science Foundation

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის (გრანტი N57/05) ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს/ავტორებს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant N 57/05). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself".

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

კრებული – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“**, I–შექმნილია **რუსთაველის ეროვნული ფონ-დის** მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტის–**„სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მე-მუარული მემკვიდრეობა“**–განხორციელების საფუძველზე. კრებული შედგება შვიდი კარისაგან. წარმოდ-გენილია ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის (სტამბოლის ქართული სავანის) ბიბლიო-თეკასა და არქივში დაცული **პუბლიცისტური** და **კერძო** (ურთიერთმიმოწერის) წერილები, **მემუარული** ჩანაწერები, ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის საქმიანობის ამსახველი მასალები, სხვადასხვა შინაარსისა და დანიშნულების მქონე ისტორიული წყაროები. კრებულის პირველ კარში მოცემუ-ლია საგრანტო პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომები და სტამბოლის ქართული სავანის ახალ-გაზრდა მეცნიერ-მკვლევართა – **პაულა** და **პავლე ზაზაძეების** – თანაავტორობით შესრულებული ის სტა-ტიები, რომლებიც მათ მიერ წაკითხულ იქნა **ვატიკანში** გამართულ, **პეტრე ხარისჭირაშვილის დაბადებიდან 200 წლისთავისადმი** მიძღვნილ, სამეცნიერო კონფერენციაზე.

კრებულში წარმოდგენილი საზღვარგარეთ, **თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლში,** შემონახული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შესანიშნავი ნიმუშები მხოლოდ მცირე ნაწილია იმ სულიერი საუნჯისა, რომელიც დაცულია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბ-ლიოთეკასა და არქივში.

წინამდებარე კრებული–„**წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან**“, I – საინტერესო წიგნი იქნება მკითხველთა ფართო წრისათვის. იგი ბევრ ახალ ცნობას მიაწვდის **ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერე-ბის (დიალექტოლოგიის), ლიტერატურისმცოდნეობის, თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთო-ბის უახლესი ისტორიის** საკითხებით დაინტერესებულ მკვლევარებსა და მკითხველ საზოგადოებას.

წიგნის ავტორები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი ემერიტუს-პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე**, პროფესორი **როინ მალაყმაძე**, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **თამილა ლომთათიძე**, პროფესორი **ელზა ფუტკარაძე**, პროფესორი **ნაილა ჩელებაძე,** დოქტორანტი **შორენა ფუტკარაძე.**

სარედაქციო საბჭო: ემერიტუს-პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე** (თავმჯდომარე), პროფესორი **როინ მალაყმაძე** (თავმჯდომარის მოადგილე, საგრანტო პროექტის მენეჯერი). ემერიტუს-პროფესორი **ბიჭიკო დიასამიძე** (კონსულტანტი), მთავარი მეცნიერი თანამშრომელი **ნოდარ კახიძე** (კონსულტანტი), უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **თამილა ლომთათიძე,** პროფესორი **ელზა ფუტკარაძე**, პროფესორი **ნაილა ჩელებაძე**, უფროსი მეცნიერი თანამშრომელი **ნარგიზ ახვლედიანი,** მეცნიერი თანამშრომელი **ციალა ნარაკიძე,** დოქტორანტი **შორენა ფუტკარაძე.**

რედაქტორი: ემერიტუს-პროფესორი **შუშანა ფუტკარაძე**

რეცენზენტები: პროფესორები: **იზა ჩანტლაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი**

რეზიუმისა და სტატიების თარგმანი პროფესორ **თამარ სირაძისა**

ს ა რ ჩ ე ვ ი

წინათქმა 15

Foreword 26

კარი პირველი

შესავლის მაგიერ

შუშანა ფუტკარაძე, პაულა ზაზაძე - პეტრე ხარისჭირაშვილი–ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო კერების ფუძემდებელი უცხოეთში 34

Shushana Putkaradze, Paula Zazadze - Fr Petre Kharischirashvili – the Founder of the Georgian Catholic Monastery in Istanbul 41

შუშანა ფუტკარაძე, პავლე ზაზაძე - გევონდ ალიშანი–სტამბოლის ქართული სავანის მოამაგე 46

Shushana Putkaradze, Paul Zazadze - Ghevond Alishan – Contributor to the Georgian Center in Istanbul 53

როინ მალაყმაძე - სტამბოლის ქართული სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში 59

თამილა ლომთათიძე - „ერთგული ერისა და სამშობლოსი“ 70

ელზა ფუტკარაძე - სტამბულის ქართული სავანის საარქივო მასალები ათონის მთის შესახებ 77

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე - ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით) 84

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე - ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე (სტამბოლის ქართულ სავანეში დაცული პრესის მონაცემების მიხედვით) 89

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე, ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე - ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში (სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით) 95

შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე - სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში დაცული ერთი წერილის ისტორია 108

მერაბ ხალვაში, როინ მალაყმაძე, შუშანა ფუტკარაძე, ბიჭიკო დიასამიძე, ნოდარ კახიძე - სახელი მისი მარად დარჩება (სიმონ ზაზაძის გარდაცვალების გამო) 112

როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე - „მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი“ 119

შუშანა ფუტკარაძე, შორენა ფუტკარაძე - სტამბოლის ქართული სავანის მოამაგენი 124

კარი მეორე

ა) სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, სამშობლოს მოსიყვარულე სასულიერო პირების პუბლიცისტური წერილები

მემედ ბეგ-აბაშიძე, კიდევ ეროვნული შეგნების შესახებ 134

მემედ ბეგ-აბაშიძე, მუსლიმან ქართველებს (ღვიძლო ძმებო!) 136

მემედ ბეგ-აბაშიძე, ბალშევიკები და პატარა ერები (გაგრძელება) 139

მემედ ბეგ-აბაშიძე, პროვოკაცია 141

მემედ ბეგ-აბაშიძე, კვლავ მდგომარეობის შესახებ 144

მემედ ბეგ-აბაშიძე, ოსმალეთში. ისლამი და ბალშევიზმი 146

მემედ ბეგ-აბაშიძე, ნუ ვაყოვნებთ 147
მემედ ბეგ-აბაშიძე, სისხლიანი აბანო 149
მემედ ბეგ-აბაშიძე, ოსმალეთი და საქართველო 151
მემედ ბეგ-აბაშიძე, დენიკინელები და აფხაზეთის რეაქციონერები 153
მემედ ბეგ-აბაშიძე, ყარსის ავანტურისტები შავშეთში 155
მემედ ბეგ-აბაშიძე, საქართველო და მოკავშირენი 157
მემედ ბეგ-აბაშიძე, სამშვიდობო კონფერენცია 159
მემედ ბეგ-აბაშიძე, პოლკოვნიკ როლანდსტონის პროკლამაციის გამო 161
მემედ ბეგ-აბაშიძე, მორიგი გამარჯვება 163
მემედ ბეგ-აბაშიძე, ოსმალეთის საქართველო 164
მემედ ბეგ-აბაშიძე, კადირ-ბეგ შერვაშიძე 167
მემედ ბეგ-აბაშიძე, ექიმი ირაკლი სურგულაძე 168
მემედ ბეგ-აბაშიძე, პეტრე სურგულაძე 169
შინაური (მიხაკო წერეთელი), ოსმალეთის ქართველები 171
ხიმშიაშვილი თახსიმ, კიდევ ფაშების აგენტებზე 172
სოლომონ ასლანიკაშვილი (ბავრელი), მღვდ. მიხეილ თამარაშვილი (ბიოგრაფიული ცნობანი) 174
ს. ბავრელი (ასლანიკაშვილი), ველელები (როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა 176
ს. ბავრელი (ასლანიკაშვილი), ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია 179
ბათმანაშვილი შიო, მივხედოთ ჩვენს მოძმეებს 180
გამყრელიძე გიორგი, შოთას „ვეფხისტყაოსანზე“ და მის მკვლევარებზე 182
გვათუა ავქსენტი, წერილი სტამბოლიდან (საკომერციო სასწავლებელი) 191
მესხი (კ. გვარამაძე), მესხეთის ქართველ კათოლიკეთა უნუგეშო მდგომარეობა (წერილი ახალციხიდან) 193
გოზალიშვილი ლაზარე, მ. თამარაშვილის გარდაცვალების გამო 194
გურგენიძე პავლე, მესხეთის ქართველი კათოლიკენი 197
გურგენიძე პავლე, მესხეთის ქართველი კათოლიკენი (დასასრული) 201
დეკანოზიშვილი გიორგი, მგზავრის წერილები რომიდან-V 203
დიდიმამიშვილი ზაქარია, საქართველოს მთავრობისა და ქართველ კათოლიკეთა კომიტეტების საყურადღებოდ 207
დიდიმამიშვილი ზაქარია, კიდევ ქართველ კათოლიკეთა საკითხის გარშემო 209
დიდიმამიშვილი ზაქარია, საქართველოს მთავრობისა და ქართველ კათოლიკეთა კომიტეტის საყურადღებოდ, II 211
ვარდიძე შალვა, ქართველი კათოლიკენი, I 214
ვარდიძე შალვა, ქართველი კათოლიკენი 218
ვარდიძე შალვა, ქართველი კათოლიკენი 221
ვარდიძე შალვა, კათოლიკე ქართველთა მონასტერი, ნაწილი II 226
ზალდასტანიშვილი გიორგი, სამი თარიღი 231
თარხნიშვილი მიხეილ, ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გადაღმა, I,II 234
თარხნიშვილი მიხეილ, ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გადაღმა 238
თარხნიშვილი მიხეილ, ერთ-ერთი ქართველთა მხედართმთავართაგანი ბიზანტიაში 239
თარხნიშვილი მიხეილ, ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წიგნსაცავებში. B. პროპაგანდის არქივი, V, VI 242
თარხნიშვილი მიხეილ, მთვარის ღმერთი არმაზი და ლეონტი მროველის თხზულება, I, II, III 245
თარხნიშვილი მიხეილ, ქრისტიანობა საქართველოში (დასასრული) 250

იზაშვილი, ქართველ კათოლიკეთა შესახებ 254
იზაშვილი, ქართველ კათოლიკეთა შესახებ (დასასრული) 259
ინგილო რაფიელ (ივანიცკი), სტამბოლის სავანის ავკარგი 264
ვარდიძე შალვა, სტამბოლის მონასტერი და რ. ინგილო (დასასრული) 266
ინგილო რაფიელ (ივანიცკი), წერილი რედაქციის მიმართ 269
ნადარეიშვილი გერასიმე, ათონის მონასტერი, ბერძნული წყაროების ცნობები 271
იასე რაჭველის (მეხუზლას) ხელნაწერი წერილები: პერა. კათოლიკები საქართველოდან კონსტანტინეპოლში, რევოლუცია ოსმალეთში 274
იასე რაჭველი (მეხუზლა), ოსმალეთი და საქართველო 284
იასე რაჭველი (მეხუზლა), სხვადასხვა 296
იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილი რედაქციის მიმართ 298
იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილი სტამბოლიდან 299
შ.ბ. (შაქრო ბაქრაძე), ქართული ტიპიკონი და სტამბოლის ქართველობა 302
დამსწრე (შალვა აბდუშელი), წერილი სტამბოლიდან, სტამბოლში 304
იასე რაჭველი (მეხუზლა), წერილი კონსტანტინეპოლიდან 305
რ. (არსენიძე რაჟდენ), წერილი კონსტანტინეპოლიდგან (ახალგაზრდა ოსმალები და პოეტი მიცკევიჩი) 306
ავთანდილი (ურუშაძე ავთანდილ), კერძო წერილიდან 307
ჩიქოვანი დავით, ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში 308
ჩიქოვანი დავით, ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში 310
ჩიქოვანი დავით, ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში 312
ჩიქოვანი დავით, ოსმალეთის საქართველო 315
ვარდიძე შალვა, სამძიმრის წერილი 318
ყიფშიძე გრიგოლ, მღვდელი მიქელ თამარაშვილი 319
წერეთელი გიორგი, პატრი დონ დიმიტრი თუმანიშვილი 323
ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე), აკაკის იუბილეი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან) 325
გადახვეწილი (მიხაკო წერეთელი), აკაკი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან) 330
ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე), ნინოობა სტამბოლში 331
უნაღვლელი (მიხაკო წერეთელი) წერილი სტამბოლიდან 337
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები (ბათუმიდან სტამბოლამდე) 342
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები 348
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები 352
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები! III. სტამბოლი და მისი ელემენტები 355
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები! IV. ოსმალეთის პარლამენტის გახსნა 361
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები. ქართველი დიდკაცობა სტამბოლში 365
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები (გაგრძელება). ქართველი დიდკაცობა სტამბოლში 369
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები. ქართველი დიდკაცობა სტამბოლში (გაგრძელება) 374
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები. ბათუმიდან სტამბოლამდე. I 379
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები (საკუთარი კორესპონდენტისაგან). V 382
უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი), მგზავრის შენიშვნები (საკუთარი კორესპონდენტისაგან). V 386
მ. წერეთელი, აღდგომა 390
მიხეილ წერეთელი, მიხ. წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს 1907 წელს 392

მ. წერეთელი, ძვირფასი მეგობრის ხსოვნას 397
მ. წერეთელი, სიტყვა თქმული ბ-ნ მ. წერეთლის მიერ ქართულ-გერმანულ საზოგადოების საღამოზე, რომელიც გაიმართა ბერლინში („ესპლანადოს“ სასტუმროში, 27 მაის, 1919 წ. საქართველოს დელეგაციის პატივსაცემად 400
ჭიჭინაძე ზაქარია, ისტორიული მიმოხილვა 408
ზაქარია ჭიჭინაძის მიერ სოფელ ხიზაბავრაში ნანახი დღიური–ქართველი კათოლიკენი გურია-სამეგრელო-იმერეთში 415
ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველი კათოლიკენი როგორ გაასომხეს მხითარისტებმა 421
ჭიჭინაძე ზაქარია, რომის პაპის დელეგატათ ნუნციონის მოსვლის გამო 423
ჭიჭინაძე ზაქარია, ქართველ კათოლიკეთა შესახებ 425
ხახანაშვილი ალექსანდრე, არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი? 427
ხახანაშვილი ალექსანდრე, არიან თუ არა ქართველი კათოლიკენი? (პასუხი ბ. სარუხანის) (გაგრძელება) 430
ჯაჯანაშვილი არნ., ქართველი კათოლიკენი; იტალია და საქართველო; საქართველოს გარშემო 433
ულმობელი (ვასილ წერეთელი), მეორე რომი 436
„კვალი“ (კვალიაშვილი მიხეილი), ქართველი ფრანგების საქმე 439
მოკეთე (ილიკო აბაშიძე), დაუჯერებელი ამბავი 440

ბ) უავტორო და ფსევდონიმიანი პუბლიცისტური წერილები

ქრისტიანი ქართველები ოსმალეთში 442
ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში 443
სტამბოლიდგან წერილი 445
ირ-დი, უცხოეთის ქართველთათვის 447
„დ“, კონსტანტინე აფხაზი 448
ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები 450
ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები 456
ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები 464
ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები 471
ფარსმან მაძევარი, ოსმალელი ქართველები (დასასრული) 478
ბათომელი, წერილები სტამბოლიდან 485
ბათომელი, წერილები სტამბოლიდან 487
ემილ-ეფენდი, ქართველი მაჰმადიანები 489
იმმა, სტამბოლიდან 491
ოდისევსს, პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი ახალი თხზულება 493
„კლდე“ ქართველ კათოლიკეთა ტიპიკონი; 499
სტამბოლელი (უცნობი ფსევდონიმი), წმიდა ნინო და ქართველი კათოლიკენი 500
მარანელი, წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში; 501
ძალად სომეხ-კათოლიკე მესხნი, ღია წერილი; 504
ვინმე ინტელიგენტი, გაუგებარი ამბავი 506
ზარიფ ბეი, კიდევ ქართველ კათოლიკეთა შესახებ 507
მესხი-კათოლიკე, რა მოგვიტანა რომის პაპის დელეგატმა ანტონი დელფუშიმ ახალციხის ქართველ კათოლიკებს? (I-II, III) 511
მესხი კათოლიკე, პასუხად რომის პაპის ლეგატს, მამა ანტონი დელფუშეს. 525
განდეგილი (უცნობი ფსევდონიმი), ალექსანდრე სოლომონის ძე ხახანაშვილი 530

კარი მესამე

სტამბულის ქართულ სავანეში შემონახული მიმოწერის ბარათები

ა) საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, ცნობილი პიროვნებების პირადი წერილები

აკაკი წერეთელი, მამა იოსებ მერაბიშვილს (მერაბს) 533
კონსტანტინეპოლი. ნოემბერი, აკაკი წერეთლის იუბილეს მოლოდინში 534
ვლადიმერ წერეთელი, ქართველის სულის მესაიდუმლევ, ჩვენი ერის უდიდებულესო პოეტო აკაკი 535
ივ. ჯავახიშვილის წერილი პეტერბურგითგან 537
ივ. ჯავახიშვილის წერილი პეტერბურგითგან 538
კონსტანტინე გამსახურდიას წერილი აკაკი ხოშტარიას 539
კონსტანტინე გამსახურდიას წერილი აკაკი ხოშტარიას 541
აკაკი ხოშტარიას წერილი კონსტანტინე გამსახურდიას 544
სიმონ ზაზაძის ბარათი მამა შალვა ვარდიძეს 545
კალე (კალისტრატე) სალიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს 546
კალისტრატე სალიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს 547
ნინო სალიას წერილი პავლე ადგულაძეს (აკობაშვილს) 548
ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს 549
ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს 550
ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს 551
ირაკლი ბატონიშვილი წერილი მამა შალვა ვარდიძეს 552
ირაკლი ბატონიშვილი წერილი მამა შალვა ვარდიძეს 553
ირაკლი ბატონიშვილი წერილი მამა შალვა ვარდიძეს 554
ფარსადან ტატიშვილის წერილები მამა შალვა ვარდიძეს 555
პრინცესა მარიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს 561
ბებია ნინოს წერილები მამა შალვა ვარდიძეს 562
დობილ ქეთოს წერილები მამა შალვა ვარდიძეს 571
სიმონ ფეიქრიშვილის წერილი პავლე ადგულაძეს 574
მიხაკო წერეთლის, გიორგი გვაზავას, ვ. მუსხელიშვილის, სტუდენტ იპ. ქობალავას, პეტრე კიზირიას, ძმების–გიორგი და ალექსანდრე ნატროშვილების, ჭიჭიკო ასათიანის წერილები აკაკი ხოშტარიას 576
დემურიასა და ჭიჭიკო ასათიანის წერილები მინადორა ხოშტარიას 585
აჰმედ ოზქან (მელაშვილის) ღია ბარათი პავლე ადგულაძეს (აკობაშვილს) 588
ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ია კარგარეთელის წერილები მამა კონსტანტინეს (საფარაშვილს, ეკლესია-მონასტრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს) 589
გიორგი მაჩაბლის წერილი ლეონიდე I-ს 594
გრიგოლ ვოლსკის წერილი იასე რაჭველს 596
სერგეი მესხის წერილი გასპარ სპანდაროს 597

ბ) ემიგრანტი ქართველების მიმოწერის ბარათები

სანდრო მენაღარიშვილის წერილი ხ. შავიშვილს 599
შალვა ბერიშვილი წერილი დათიკოს 600
ჰაიდარ ჯაფარიძის წერილები მამა ანტონს 603
ხუსეინ ხინიკაძის წერილები სიმონს, მაროს, მიშელს და ავთანდილ ურუშაძეს 605
ხუსეინ ხინიკაძის წერილები მამა შალვა ვარდიძეს 615
ხუსეინ ხინიკაძის მონათხრობი (ცნობა 1, 2, 3 ცნობისათვის) 624

კარი მეოთხე
სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული სასულიერო პირების
(ამ სასულიერო ცენტრთან დაკავშირებული ახლობლების)
მიმოწერის ბარათები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის კირიონ II-ის მიმართვა უწმინდესა
და უნეტარეს მამაოს (ადრესატი არაა მითითებული) 630
მიხეილ თამარაშვილის წერილი მამა პიო ბალიძეს და პატრი ბერნარდერს 632
ბენედიქტე ვარდიძის წერილი მამა სტეფანეს 635
დომინიკე მუღაშვის წერილი მამა სტეფანეს 636
პატრი ლეონ აფრიამოვის წერილი მამა სტეფანე გიორგიძეს 638
მამა სტეფანე გიორგიძე დონ ივანეს 641
მამა ბენედიქტე ვარდიძე მამა ალიოზს 645
მონთობანიდან გამოგზავნილი წერილი მამა კირილეს 647
მამა შალვა ვარდიძის წერილი მამა კონსტანტინეს 649
პატრი ემინ ვარდიძის წერილები მამა შიო (ალიოზ) ბათმანაშვილს 650
პიო ბალიძის წერილი მამა მერაბს (იოსებ მერაბიშვილს) 657
აგვისტინე კიკნაძის წერილი მამა მერაბს (იოსებ მერაბიშვილს) 658
მიხეილ თამარათის (თამარაშვილის) წერილები მამა ბენედიქტეს (ვარდიძეს ანუ ჩილინგაროვს) 659
ალფონს ხითაროვის წერილები მამა ბენედიქტეს 674
დომინიკე მუღაშვის წერილი მამა ბენედიქტეს 677
ალიოზ ამირხანოვის (ამირხანაშვილის) წერილი მამა ბენედიქტეს 678
ქრისტესია გვარამაძის წერილი მამა ბენედიქტეს 681
სტეფანე გიორგიძის წერილები მამა ბენედიქტეს 682
სტეფანე ტატალოვის (ტატალაშვილის) წერილი მამა ბენედიქტეს 687
მამა ივანეს წერილი მამა ბენედიქტეს 689
პავლე ბალთის წერილი მამა ბენედიქტეს 690
ანდრია წინამძღვრიშვილის წერილი მამა ბენედიქტეს 691
შიო ბათმანაშვილის წერილები მამა ბენედიქტეს 692
სიმონ ჩილაშვილის წერილები მამა ბენედიქტეს 695
ანტონოვის წერილები მამა ბენედიქტეს 700
ანსელმა მღებრიშვილის წერილი მამა ბენედიქტეს 727
ანტონის წერილები მამა ბენედიქტეს 728
ალიოზ ჩილინგაროვის წერილები მამა ბენედიქტეს 730
პავლე ბალოშვილისა და პავლე კალაიჯოვის წერილები მამა ბენედიქტესადმი 758
მეთილდა და როზა ჩილინგაროვების წერილები მამა ბენედიქტესპდმი 763
იოსება ვარდიძის წერილი მამა ბენედიქტესადმი 779
პავლე ჩილინგაროვის წერილები მამა ბენედიქტესადმი 780
პავლე ნადიროვისა და დედის ბარათი მამა ბენედიქტესადმი 785
სტანისლავა შიხინაშვილის წერილი მამა ბენედიქტეს 787
ალფონსო შეშაბერიძის და ვასო სადათიერაშვილის აღთქმის ბარათები 790
მიქელ თარხნიშვილისა და ვასილ (ვასო) სადათიერაშვილის მიერ მამა პიო ბალაძისათვის
გაგზავნილი ბარათები 792

კარი მეხუთე

სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალები ათონის მთაზე არსებული ქართული სალოცავების მდგომარეობის შესახებ

ილია ფანცულაიას წერილი მამა მელეტს. მინაწერი ფანცულაიას წერილზე 795
ილია ფანცულაია მღვდელ ანდრეა წინამძღვრიშვილს 801
მონაზონ იოანე დიქტეს უსათაურო წერილი 804
იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სასახლის მოძღვრის ილარიონ ყანჩაველის მოღვაწეობა წმინდა ათონის მთაზედ 808
ივერიის მონასტერი 812
ივერიის სკიტე წმ. წინამორბედისა 817
ათანასე ბაქრაძე ბერისაგან გადმოწერილი ერთი რაჭველი დეკანოზის ხელთ ნაწერიდგან 818
მონაზონ იონეს ბარათი მამა ერმილეს 820
მასალები ათონის მთის შესახებ დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის მოგზაურობის წიგნიდან 822

კარი მეექვსე

მემუარები სტამბოლის ქართული სავანიდან

მოგონებანი ავთანდილ არსენის ძე ურუშაძისა 828
იოსებ შეშაბერიძის მოგონებანი 873
ლეონ გიგოლაშვილის „მოგზაურობა უდიდან კონსტანტინეპოლში“ 879
პეტრე ტატალაშვილის მოგონებანი მოთხრობა „არალი“ 883
სტეფანე იაკობის ძე ველიჯანოვის (სააკიანის) მოგონებანი: ხიზაბავრა. მგზავრობა საქართველოდამ კონსტანტინეპოლში. 885
სტეფანე ველიჯანოვის ნაწარმოების – „განწირული ოჯახი“–გაშლილი ოჯახი 891
მუშა ბოქულაძე 894
პეტრე ტატალაშვილის „თავ-გადასავალი“; უმანკო ჩასახების დღეზე; აღდგომა; სიცილს ტირილი მოჰყვება; უნებლიედ ბანება 896
ვასო სადათიერაშვილის მოგონებანი 908
ვასო სადათიერაშვილის დღიური. I. ასპინძის (აბანო); კონსტანტინეპოლში II. ქუთაისი, ახალციხე. მგზავრობა საქართველოდან კონსტანტინოპოლში 918
ფრანჩისკე ბეგიძის მოგონებანი: ახალციხე; მგზავრობა საქართველოდამ კონსტანტინეპოლში 936
გაბრიელ შავთვალათი – პაშტა მოთხრობა ჩემი გარდასვლისა ბათუმიდან კონსტანტინეპოლს 939

კარი მეშვიდე

სტამბოლის ქართული სავანის საარქივო მასალები სხვადასხვა თემაზე:

1914 წ. მუსლიმანი ქართველების თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი 948
მოკლე მოხსენება კონსტანტინეპოლის ქართველთა ძმობის მონასტერზე ამხანაგს სანდრო სააკაშვილს 950
ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი პირების (ნოე ჟორდანიას, გენერალური კონსულის, ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის, ა.ალიხანოვის, პეტრე სურგულაძის, საქართველოს მთავრობის წარმომადგენლის კ.გვარჯალაძის) მიმართვის ბარათები მონასტრის წინამძღვრის მამა პიო ბალიძისადმი; გენერალ გ. კვინიტაძის ბრძანება. 955
კონსტანტინეპოლში, მონთობანსა და ვენეციაში გამოქვეყნებული ქართული წიგნები. 961
კონგრეგაციონის სტატისტიკა (სია). წარმოდგენილია დედათა მონასტრის მონაზონთა სახელგვარი 965

პარიზელი ქართველი სტუდენტების წერილი გაგზავნილი სტამბოლის ქართულ სავანეში 967
სტამბის ქართული ასოების ჩივილი პეტრეს 968
სტამბოლის ქართული სავანის მოწოდება საქართველოდან გადმოხვეწილ დამშეულ ნიჭიერ მოწაფეთათვის თავშესაფრის მოსაწყობად 969
შემოწირულობა დამშეულ მოწაფეთა თავშესაფრისათვის 1922 წელს 970
სტამბოლში საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული 972
წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში 973

ბ) სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შემონახული სასულიერო და საერო პოეზიის ნიმუშები

სიმონათი ანდრია (წინამძღვრიშვილი), ვედრება მამულისათვის 974
ხალხური წმ. მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი 975
სტეფანე გიორგიძე, რვა დეკემბერს 1913 წელს უმანკო ჩასახებათ ქალწული მარიამისა: ლექსი ქებისა978
შალვა ვარდიძე, წმინდა ნინოს 981
სტეფანე გიორგიძე, შესხმა პირველ-მოწამე წმიდა სტეფანესი, 26 დეკემბერს, 1913 წელს 983
სიტყვა თქმული ლექსად კონსტანტინეპოლის კათოლიკე მონასტერში ისე რაჭველისაგან, ახალ წელს, 1889-ს. 985
ერმილო ბერა (რომელიღაც ლექსის ნაწყვეტი; ეხება ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს. 987

გ) ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

ღამბაშიძე ვლადიმერ, მიხეილ თამარაშვილი 989
პეტრე ტატალაშვილი, სტამბოლი, აპრილის 6-სსა, 1920 წ-სა (ლუკა ჩიტაშვილის გახსენება) 991
პეტრე ტატალაშვილი, სტამბოლი, აპრილის 6-სსა, 1920 წ-სა (მიხეილ ხითაროვის გახსენება) 992
უავტორო, სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი † მიქელ თამარაშვილი 994
უავტორო, მ. მიხ. თამარაშვილის გვამის საქართველოში გადმოსვენების გამო 996
უავტორო (ერთი პატივისმცემელთაგანი) † მღვდელი მიქაელ თამარაშვილი 997
უავტორო, † იასონ ივანეს ძე ნათაძე, ნეკროლოგი 999

დ) „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რადიორეპორტიორის ოთარ კეთილაძის დღიური „ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში“. 1001

პირთა საძიებელი 1012

პირთა ფოტომასალის სარჩევი 1031

წ ი ნ ა თ ქ მ ა

ჩვენი სახელოვანი წინაპრები უხსოვარი დროიდან მოყოლებული ისწრაფოდნენ ქართველი ერის კულტურისა და განათლების მიღწევების ქვეყნის გარეთ გასატანად, ცდილობდნენ სამყაროს მოწინავე ხალხებისათვის გაეცნოთ ჩვენი ერის მონაპოვარი, შორს გაეთქვათ საქართველოს სახელი.

წინარეისტორიულ ხანაში ამ მიმართულებით ნაღვაწი თითქმის დავიწყებას მიეცა, ჩვენს თვალსაწიერს მიეფარა. საქართველოს ისტორიის მეხსიერება წვდება მხოლოდ ქართული ქრისტიანული კულტურის სათავეებს. ყოველი ჩვენგანისათვის რაოდენ საამაყოა იმის შეგნება, რომ მსოფლიო ცივილიზაციის შენებაში თხუთმეტი საუკუნის მანძილზე მოკრძალებული წვლილი შეჰქონდათ ქართველი ერის სახელოვან შვილებს. ბევრის ჩამოთვლა არცაა საჭირო, მარტოოდენ **პეტრე იბერისა** და **გიორგი მთაწმინდელის** ღვაწლიც იკმარებს საამისოდ.

ღვთისა და სამშობლოს სიყვარულით გულანთებული ჩვენი დიდი წინაპრები შინ და გარეთ არ იშურებდნენ ძალასა და სახსარს მამულის სამსახურში; მიდიოდნენ შორს მამულიშვილური საქმიანობის საწარმოებლად, განათლების მისაღებად. მაშინ უცხოეთში წასული განათლებული ქართველები სახლდებოდნენ ხოლმე **მსოფლიო ცივილიზაციის ოაზისებში** მხოლოდ იმისთვის, რომ იქ **ქართული კულტურისა და განათლების კერები** შეექმნათ, ქართული ეკლესია–მონასტრები დაეფუძნებინათ, უცხო ქვეყნებისა და ხალხების კულტურისა და განათლების მიღწევები ქართველი ერის სამსახურში ჩაეყენებინათ. ასეთი საქმიანობით ხდებოდა სხვადასხვა ხალხის სულიერ ფასეულობათა გაცვლა–გამოცვლა. ამ მხრივ ფასდაუდებელია **ათონის ივერიონის, იერუსალიმის ჯვრის მონასტრის, სინასა და შავი მთის, ანტიოქიის, პეტრიწონის** – ქართული კულტურისა და განათლების ამ უშესანიშნავესი ტაძრების– ღვაწლი.

სამწუხაროდ, ჯერ კიდევ შესასწავლია საზღვარგარეთ არსებული რამდენიმე მსგავსი კერის საგანძური. მათ შორის აღსანიშნავია ქალაქ ბეირუთთან ახლოს მდებარე **ლიბანის მთის ქრისტიანული კერები**. ასევე საყურადღებოა **იზმირში** არსებული ქართული მონასტრის საქმიანობაც. ცნობილი ქართველი ისტორიკოსის **პლატონ იოსელიანის** ცნობით, 1849 წლისათვის აქ მოღვაწეობდნენ ქართველი სასულიერო პირები. მათ შორის იყვნენ აჭარიდან გადახვეწილნიც. ერთი მათგანი მონასტრის წინამძღვარიც კი გახლდათ მე–19 საუკუნის პირველ მეოთხედში, 1822 წელს ქრისტიანობისათვის წამებით რომ აღესრულა და 2002 წლის 17 ნოემბერს წმიდანად შეირაცხა საქართველოს საპატრიარქოს წმიდა სინოდის გადაწყვეტილებით. ეს ბრძანდება **წმიდა თეოდორე აჭარელი**. ამავე ტაძარში მოღვაწეობდა წმიდანის ძმისშვილი–**მამა ნეოფიტე,** რომელიც შეხვდა პლატონ იოსელიანს და მოუთხრო თავისი ბიძის წამებით აღსრულების შესახებ. ნეოფიტე განათლებული პიროვნება, მწერალი ყოფილა. ამ ტაძარს მდიდარი ბიბლიოთეკა ჰქონია. დღემდე შეუსწავლელია ქართული კულტურის ამ კერის ისტორიაც. საგულისხმო და აღსანიშნავია ისიც,

რომ ლიბანის მთისა და იზმირის ქართული სავანეების შესახებ ცნობებს ინახავს მხოლოდ სტამბოლის ქართული სავანე, მისი მდიდარი არქივი.

კულტურულ–საგანმანათლებლო საქმიანობით, აგრეთვე, გამოირჩეოდა მე–19 საუკუნის ბოლო მეოთხედში მამა **პეტრე ხარისჭირაშვილის** მიერ სამხრეთ საფრანგეთში, ქალაქ **მონ-თობანში** დაარსებული ეკლესია–მონასტერი სტამბით, ბიბლიოთეკითა და საღვთისმეტყველო-ფილოსოფიური პროფილის სემინარიით. დასანანი და თანაც გასაკვირია ის, რომ ემიგრაციაში მყოფი საქართველოს ეროვნული მთავრობის თითქმის თვალწინ, პარიზიდან არცთუ ისე შორს, მონთობანში, ეს ცენტრი უკვალოდ გაქრა, დაიკარგა მე–20 საუკუნის პირველ ნახევარში. დღეს ქალაქ მონთობანის არქივშიც კი ვერ ჰპოულობენ მკვლევარები ქართული კულტურის ამ ცენტრის არსებობის დამადასტურებელ ცნობებს. საკვლევი ობიექტის მისამართი შემორჩა მხოლოდ სტამბოლის ქართულ სავანეში მონთობანიდან გამოგზავნილ საფოსტო ბარათებს.

მეტად დასანანია, სამწუხაროა ის გარემოება, რომ ქართველმა ხალხმა საუკუნეთა განმავლობაში ჩვენი წინაპრების მიერ საზღვარგარეთ ნაშენები ქართული კულტურის თითქმის ყველა კერა დაკარგა; გაიბნა, უმთავრესად განადგურდა, ამ ტაძრებში შექმნილი ხელნაწერი წიგნების დიდი ნაწილი; გასხვისდა ათონის ივერიონი, იერუსალიმის ჯვრის მონასტერი; შავი და სინას მთის, ანტიოქიის ქართული კერების კვალი თითქმის წაიშალა; ამასთანავე, ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერების ერთი ნაწილი დღემდე ელოდება ქართველ მკვლევარს...

საიმედოდ დაცული და შენახულია მხოლოდ **სტამბოლში არსებული ქართული კულ-ტურის კერა**. აქ შემონახული საგანძური – **ეკლესია-მონასტერი, მდიდარი ბიბლიოთეკა, ძვირფასი არქივი,** საინტერესო **სამუზეუმო ექსპონატები–შეგვინახა თურქმა ხალხმა, თურ-ქეთის რესპუბლიკამ,** რაც განსაკუთრებით აღსანიშნავი, საგულისხმო და დასაფასებელია, სიმბოლოა თურქი და ქართველი ხალხის მრავალსაუკუნოვანი კეთილმეზობლური ურთიერთობისა, ქართული კულტურული მემკვიდრეობის მიმართ გამოჩენილი გულისხმიერი, ფაქიზი დამოკიდებულებისა. განსაკუთრებული მადლიერების გრძნობით გვინდა აღვნიშნოთ, აგრეთვე, **სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის**, მამა–შვილ **პავლე** და **სიმონ ზაზაძეების** ფასდაუდებელი ღვაწლი ამ საგანძურის მოვლა–შენახვის საქმეში.

სტამბოლი (ძვ. **კონსტანტინეპოლი**)–ევროპისა და აზიის შემაკავშირებელი ხიდი, კა-ცობრიობის კულტურისა და განათლების ერთ–ერთი მნიშვნელოვანი კერა, უხსოვარი დროიდანვე იზიდავდა ქართველებს. საუკუნეთა განმავლობაში საქართველოში სწორედ ამ გზით შემოდიოდა **ევროპული ცივილიზაცია**.

ქართული კულტურისა და განათლების კვალი სტამბოლში ისტორიის სათავეებშია საძიებელი. წერილობით წყაროები მათ შესახებ ჯერჯერობით ძირითადად მხოლოდ მე–9 საუკუნიდან მოგვეპოვება. ეს ცნობები დაცულია ძველ **ქართულ, ბერძნულ, ლათინურ, ფრანგულ, არაბულ, ებრაულ წყაროებში**.

სტამბოლში წლების განმავლობაში ცხოვრობდნენ და მოღვაწეობდნენ დიდი ქართველი ფილოსოფოსები, მთარგმნელები, გამოჩენილი სასულიერო პირები, წმიდანები. მათ შორის აღსანიშნავია **წმიდანები–ილარიონ ქართველი და გიორგი მთაწმინდელი**. სტამბოლში ჩვიდმეტი თვე ცხოვრობდა დიდი მამულიშვილი **სულხან–საბა ორბელიანი** და,

შემოქმედებით საქმიანობასთან ერთად, ეძიებდა გზებს საქართველოს გადასარჩენად. სტამ-ბოლში, გალათას უბანში, 1626 წლის შემოდგომაზე თავისი ამალით დასახლდა დიდი მოურავი **გიორგი სააკაძე**. სტამბოლის შვიდკოშკიანი ციხე დღესაც აღძრავს ხოლმე მწარე მოგონებებს შავბნელი წარსულის შესახებ და არ გვავიწყებს **სვიმონ მეფის** (1537–1611 წ.წ.) ტრაგიკული სიცოცხლის დასასრულს. სტამბოლში შექმნა მნიშვნელოვანი შრომა სვიმონ მეფის ძმამ **დავით XI-მ** (დაუთ–ხანმა)– "**იადგარ–დაუდი**"–სამკურნალო წიგნი. მან 1578 წელს სტამბოლს შეაფარა თავი; იქვე გარდაიცვალა კიდეც.

სტამბოლის ერთ–ერთ უბანში, **გალათაში**, უძველესი დროიდანვე არსებობდა ქართ-ველთა ახალშენი (დასახლება). 1453 წლიდან ოსმალებმა ამ ადგილს უწოდეს **„გურჯუ ქაფუ" ("ქართველთა კარი")** და დღემდე ასეა ცნობილი. გალათაში ქართველებს ჰქონდათ თავიანთი სალოცავი, საყდარი (როგორც აქაურები უწოდებენ ხოლმე)– **წმ. პეტრეს სახე-ლობის ეკლესია**. აქაური ქართველები უმეტესად მესხეთ–ჯავახეთიდან გადმოსახლებული კათოლიკები იყვნენ.

ქართველთა უძველესი სავანე იყო აგრეთვე ძველი კონსტანტინეპოლის გარეუბანში, რომანა ხევის იმ ადგილას, რომელსაც ეწოდებოდა "**სოსთენი**". ტაძარს ერქვა "**ჰრომანა**". იგი ააშენა ბიზანტიის იმპერატორმა **ბასილი მაკედონმა** (866–886 წ.წ.) ულუმბოს (ოლიმპის) მთიდან აქ გადმოყვანილი ქართველი ბერებისათვის (იგულისხმება „ტროადისა ოლიმპო... მთასა მას თურქნი **ქეშიშტაღსა** უწოდებენ. იხ. მოხილჳა წმინდათა და სხჳათა აღმოსავლეთისა ადგილთა, ტიმოთესაგან ქართლისა მთავარ-ეპისკოპოსისა, დაბეჭდილი ტფილისს, 1852 წ; გვ. 118-119). სწორედ მათ მიანდო იმპერატორმა თავისი შვილების–ლეონისა და ალექსანდრეს აღზრდა. იმპერატორის სიტყვები დაცულია ერთ ძველ ქართულ ხელნაწერში: **"ლოცვა ჰყავთ ამათთვის, წმიდაო მამანო, და ასწავეთ წიგნი და ენაი თქუენი, რათა იყვნენ ეგე შვილნი ლოცვისა თქჳენისანი"** (იხ. ათონის ივერთა მონასტრის 1074 წლის ხელნაწერი აღაპებით, თბ., 1901 წ. გვ. 102). ეს არცაა გასაკვირი, რადგან მაშინ ქართულ ენაზე შექმნილ ძველ ქრისტიანულ მწერლობას მსოფლიო მნიშვნელობა ჰქონდა. უმაღლესი სასულიერო განათლების ცენტრებში დიდი ინტერესით ეცნობოდნენ ქართული ჰაგიოგრაფიის შედევრებს.

882 წლის 19 ნოემბერს თესალონიკში გარდაიცვალა დიდი სასულიერო მოღვაწე, სასწაულთმოქმედი, **წმიდა ილარიონ ქართველი**. იგი იქვე არსებულ უძველეს ქართულ მონასტერში დაკრძალეს. მაგრამ იმდენად ცნობილი და საპატიო იყო ამ წმიდანის პი-როვნება, რომ იმპერატორმა ბასილი მაკედონმა იგი კონსტანტინეპოლში გადმოასვენებინა და დააკრძალვინა **ქართველთა** „**ჰრომანა**" **მონასტერში**. ამიერიდან ეს მონასტერი, როგორც მოგვითხრობენ უძველესი წყაროები, ზიარეთად და სამკურნალო ადგილად გადაიქცა. წმ. ილარიონ ქართველის საფლავიდან ღვთიური მადლი გადმოდიოდა და ჰკურნავდა ადამიანებს. სამწუხაროდ, დღემდე მიუკვლეველია ეს ადგილი–**„ჰრომანა"** ტაძრის მდებარეობა. თესალონიკში, **წმ. დიმიტრის სახელობის ტაძრის** კედელზე, დღემდე შემორ-ჩენილია წმიდა **ილარიონის ფრესკა**. მეჩეთად გადაკეთებულ ტაძარში მუსლიმანებსაც კი არ წაუშლიათ ამ წმიდანის ხატი.

სტამბოლში ქართველთა სალოცავი მდგარა, აგრეთვე, იმ ადგილას, სადაც 1573 წელს **ფიალი ფაშის** მეჩეთი აიგო. ამაზე მეტყველებს სტამბოლის ერთ–ერთი უძველესი გეგმა

(იხ. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921 წ. გვ. 25) .ე.ი. **ფიალი ფაშის მეჩეთი** დგას ქართველთა სალოცავის ბალავარზე. გადმოცემის მიხედვით, ფიალი ფაშა წარმოშობით ქართველი ყოფილა. იგი ამ მეჩეთის ეზოშია დაკრძალული, მაშასადამე, უძველესი ქართული სალოცავის ეზოში.

ყოველი ეკლესია–მონასტერი, როგორც ცნობილია, კულტურისა და განათლების კერა იყო ოდითგანვე, რადგან მე–6 მსოფლიო კრების გადაწყვეტილებით (პარაგრაფები–19,64), ეპისკოპოსებს ევალებოდათ სწავლა–განათლების უფასოდ გავრცელება თავიანთ სამწყსოში. ცხადია, ასეთივე მდგომარეობა იყო კონსტანტინეპოლის ქართულ ეკლესიებშიც. აღნიშ-ნული ტაძრები ასრულებდა კულტურის კერის ფუნქციას. ამიტომაც კონსტანტინეპოლი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული მწიგნობრიობის ერთ-ერთი კერა. ჯერ კიდევ IX საუკუნეში აქ არსებულ კულტურის კერებს საქართველოდან ეწვივნენ **გრიგოლ ხანძთელი** და **ილარიონ ქართველი** იქაური სამონასტრო ცხოვრების შესასწავლად. **სტამბოლის ქართველობა ოდითგანვე მოსახლეობის განათლებულ ფენას წარმოადგენდა. ამიტომაც კონსტან-ტინეპოლი საუკუნეთა მანძილზე იყო ქართული მწიგნობრიობის ერთ-ერთი კერა. ჯერ კიდევ ადრე** კონსტანტინეპოლის აკადემიებში ბევრი ქართველი სწავლობდა. მაგალითად, ცნობილ **მანგანის აკადემიაში** უმაღლესი სასულიერო განათლება და სამეცნიერო ხარისხი მიიღო ბევრმა სახელოვანმა ქართველმა. მათ შორის იყვნენ წარჩინებული **პიროვნებანი–პეტრე იბერი, იოანე გრძელიძე, ილარიონ თუალელი, საბა თუხარელი, გიორგი მთაწმინდელი, იოანე პეტრიწი, არსენ იყალთოელი, ექვთიმე ათონელი, ეფრემ მცირე, გიორგი ოლთისელი, ბასილ და იოანე ხახულარები** და მრავალი სხვა.

XI საუკუნიდან ქართველები მოღვაწეობდნენ კონსტანტინეპოლის რამდენიმე სავანეში, კერძოდ: **ხორაში, აგიაპატსა** და **ტრიანდაფლივში** (იხ. ლ.მენაბდე, ძველი ქართული მწერ-ლობის კერები, II, თბ., 1980, გვ. 248-249). 1031 წელს **ხორას** მონასტერში **ბასილს** დაუმზადებია **„მცირე სჯულის კანონი“,** გრიგოლ მთაწმინდელის დავალებით, რის შესახებაც მოგვითხრობს ამ ხელნაწერის (A N96) მინაწერი. ბასილი ცნობილი მწერალი ყოფილა. მას რამდენიმე ხელ-ნაწერი დაუმზადებია, აგრეთვე, მამამთავარ **ზაქარია ვალაშკერტელის** (ბანელის) დავა-ლებითაც. მწერალ **ისაკს** კი ხელნაწერები დაუმზადებია **აგიაპატის** მონასტერში.

ქართველი სასულიერო პირები მოღვაწეობდნენ, აგრეთვე, ტრიანდაფლივის მონასტერში. სექტემბრის თვის წმინდანების ცხოვრებათა კრებულში (A+h.N20) მოცემულია ანდერძი, რომლის საშუალებითაც ვეცნობით „მონასტერსა შინა ყოვლად შუერიერსა ტრიანდაფლივს“ მოღვაწე ქართველ მწიგნობართა ჯგუფის ლიტერატურულ საქმიანობას. აქ მოღვაწეთა შორის გამოირჩევა **თეოფილე ხუცესმონაზონი** და მღვდელი **საბა**, რომლებმაც ბერძნულიდან ქართულად თარგმნეს **მეტაფრასი** და 1081 წელს დაამზადეს ხელნაწერი.

საუკუნეთა მანძილზე ქართველები ისწრაფოდნენ კონსტანტინეპოლის არა მარტო სასულიერო დაწესებულებებისაკენ, არამედ ცდილობდნენ განათლება მიეღოთ აქაურ საერო სასწავლებლებშიც. როგორც ცნობილია, ჯერ კიდევ **გიორგი მთაწმინდელმა** საქართველოდან იქ სასწავლებლად, აღსაზრდელად წაიყვანა 80 ბავშვი; მოგვიანებით კი **დავით აღმაშენებელმა** იქაურ სკოლებში განათლების მისაღებად გაგზავნა 40 ახალგაზრდა. სახელგანთქმული იყო კონსტანტინეპოლის უმაღლესი სკოლები. მათგან გამორჩეული იყო **კონსტანტინე IX მონამახის მიერ** 1044-1047 წლებში დაარსებული მნიშვნელოვანი სასწავლო-სამეცნიერო დაწესებულება –

მანგანის აკადემია, რომელიც რენესანსის მძლავრ კერად იქცა და დიდი როლი შეასრულა ბიზანტიის კულტურის ისტორიაში. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველები მანგანის აკადემიაში არა მარტო სწავლობდნენ, არამედ ნაყოფიერ ლიტერატურულ საქმიანობასაც ეწეოდნენ.

ამ მხრივ სანიმუშოა **არსენ იყალთოელის** მოღვაწეობა. მან ბერძნულიდან ქართულად თარგმნა მნიშვნელოვანი ნაშრომები. მათგან განსაკუთრებით ფასეულია მეშვიდე საუკუნის მწერლის **ანასტასი სინელის** ნაწარმოები „**წინამძღვარი**".

ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა კონსტანტინეპოლში საუკუნეთა განმავლობაში უწყვეტად გრძელდებოდა; ბიზანტიის იმპერიის დაცემის შემდეგაც არ შეწყვეტილა ეს ურთიერთობა. სხვადასხვა დროს მსოფლიო ცივილიზაციის ამ სახელგანთქმულ ცენტრში, სტამბოლში, უცხოვრიათ და მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა უწარმოებიათ გამოჩენილ ქართველებს.

მეთექვსმეტე საუკუნის სახელგანთქმული წერილობითი ძეგლი, საექიმო წიგნი–კარაბადინი **„იადიგარ დაუდი"** შესრულებულია სტამბოლში გახიზნული საქართველოს მეფის **დავით ბაგრატიონის (დაუთ ხანის)** მიერ. იგი იყო მეფე **ლუარსაბ პირველის** (1534-1558) შვილი. საქართველოში იმეფა ცხრა წელიწადს – 1569-1578 წლებში. მძიმე პოლიტიკური ვითარების გამო, იგი იძულებული გახდა 1579 წელს ოსმალეთში გახიზნულიყო. საექიმო წიგნი **„იადიგარ დაუდი",** მკვლევართა აზრით, მას შეუსრულებია 1579-1585 წლებში ოსმალეთის სულთნის **მურად მესამის** სამეფო კარზე ყოფნის დროს. საგულისხმოა ისიც, რომ მას მფარველობდა სულთნის დედა, წარმოშობით ქართველი, **ნურბან დედოფალი.** დაუთ ხანს კარგად შეუსწავლია თურქულ ენაზე შექმნილი ძველი კარაბადინები, ბევრი რამ იქიდან აუღია და გაუმდიდრებია საქართველოდან წაღებული ხელნაწერი ნაშრომი.

აღსანიშნავია, აგრეთვე, **სულხან-საბა ორბელიანის, დომენტი ბაგრატიონის, იესე ტლაშაძის, ტიმოთე გაბაშვილის, ივანე გედევანიშვილის, გიორგი ავალიშვილის** მიერ სტამბოლში შექმნილი ნაშრომები.

სულხან-საბა ორბელიანმა, როგორც ცნობილია, „იქ იწყო წერად ლექსიკონი ესე აგვისტოს ათსა და ქრონიკონს ჩღივ (1716), იანვრის ოცს გაასრულა". ე.ი. **„სიტყვის კონას"** ეს ხელნაწერი, რომელზედაც სულხან-საბა 1715 წლის ათი აგვისტოდან 1716 წლის 20 იანვრამდე მუშაობდა, შეიცავს იმ ტექსტს, რომელიც სამეცნიერო ლიტერატურაში მეორე რედაქციის სახელითაა ცნობილი. მისმა შესწავლამ ნათელყო, რომ კონსტანტინეპოლში ყოფნისას სულხან-საბამ თავისი ლექსიკონი შეავსო, განავრცო, დახვეწა და სრულყო, როგორც ნათქვამია სამეცნიერო ლიტერატურაში.

სტამბოლში ყოფნისას სულხან-საბა ორბელიანი მუშაობდა ნაწარმოებზე **„მოგზაურობა ევროპაში".** დიდმა მამულიშვილმა იქ ყოფნისას შეკრიბა საინტერესო ცნობები კონსტანტინეპოლზე და მოკლე აღწერილობით შეავსო ქართული სამოგზაურო-მემუარული ლიტერატურის ეს შედევრი.

ისტორიული წყაროები მოგვითხრობენ მე-18 საუკუნეში სტამბოლში მიმდინარე ლიტერატურულ საქმიანობაზეც. კერძოდ, ეს უკავშირდება **ვახტანგ VI**-ის ძმის **დომენტი ბაგრატიონის** ცხოვრების ეპიზოდებს. იგი იყო ქართლის კათალიკოსი. თავისი პოლიტიკური შეხედულებების გამო 1724-1738 წლებში გადასახლებულ იქნა სტამბულთან ახლოს მდებარე

კუნძულ **ტენედოზე** (ახლანდელი ბოჰჩა ადა). მიუხედავად მძიმე პირობებისა, იგი გადასახლებაშიც ახერხებდა ლიტერატურულ საქმიანობას. მას თან ახლდა მწიგნობარი **ელისე საგინაშვილი,** რომელსაც გადააწერინა სასულიერო შინაარსის მოზრდილი კრებული. მეორე მხლებელმა – პოეტმა **იესე ტლაშაძემ** გადასახლებაში ყოფნისას შეთხზა პოემა „**კათალიკოს-ბაქარიანი**“, სადაც აღწერა აღმოსავლეთ საქართველოში შექმნილი მძიმე სოციალურ-პოლიტიკური მდგომარეობა და პატრიარქის ტრაგიკული თავგადასავალი. 1756-1757 წლებში სტამბოლში ყოფნის დროს **ტიმოთე გაბაშვილმა** დაასრულა მოგზაურული ჟანრის ნაწარმოები– „მოხილუა წმინდათა და სხუათა აღმოსავლეთისა ადგილთა“, რომელშიც კარგად არის აღწერილი კონსტანტინეპოლის ისტორიული და საუცხოო ადგილები, ბუნება და ხალხის ყოფა-ცხოვრება (ტიმ. გაბაშ. 1852, გვ. 113-114). ქართველთა მწიგნობრულ-ლიტერატურული საქმიანობა კონსტანტინეპოლში (სტამბოლში) გრძელდებოდა XIX საუკუნეშიც.

სტამბოლი, როგორც განათლებისა და კულტურის კერა, მე–16 საუკუნიდან ერთნაირად იზიდავდა ქრისტიან და **მაჰმადიან** ქართველობას. უმაღლესი მუსლიმანური სასულიერო განათლების მიღება მაშინ მხოლოდ სტამბოლში, **ფათიჰის** ცნობილ მეჩეთთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში, შეიძლებოდა. აქ ბევრი მაჰმადიანი ქართველი სწავლობდა **ყურანის ფილოსოფიას**. ბევრმა დაამთავრა, აგრეთვე, სტამბოლის უნივერსიტეტის იურიდიული და საღვთისმეტყველო ფაკულტეტები, სამხატვრო და მუსიკალური სასწავლებლები; ბევრიც სამხედრო და საზღვაო აკადემიებში დაეუფლა პროფესიულ განათლებას. მათ შესახებ საინტერესო ცნობები მოცემულია თურქი ისტორიკოსის **მურათ ქასაბის** მონოგრაფიაში **„ოსმალეთის ქართველები“** (სტამბოლი, 2012 წელი).

ქართველთა რიცხვმა სტამბოლში განსაკუთრებით იმატა 1828–1829 წლებისა და 1877–1878 წლების რუსეთ–ოსმალეთის ომების შემდეგ, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის პერიოდში. ისტორიული ზემო ქართლის (მესხეთ–ჯავახეთი, აჭარა, ტაო–კლარჯეთი) მოსახლეობის დიდი ნაწილი, ომის შედეგებით შეწუხებული, ლტოლვილად იქცა, ოსმალეთში იძულებით გაიხიზნა. ისინი უმეტესად დასახლდნენ მარმარილოს ზღვის ნაპირებში, სტამბოლსა და მის გარეუბნებში. გადახვეწილი ქართველობა სამეცნიერო ლიტერატურიდან ცნობილია **„მუჰაჯირი ქართველების”–ჩვენებურების** სახელწოდებით.

ამ ხანებში სტამბოლში მომძლავრდა ქართველთა ახალი ახალშენი **ნური ოსმანიეს** დიდ ბაზართან ახლოს, რომელსაც ეწოდა „**ვეზირხანი**”. აქ უმთავრესად ქართველი ვაჭრები ცხოვრობდნენ ოჯახებით და ქართული კათოლიკური ტაძრების მრევლს წარმოადგენდნენ.

დიდი **ივანე ჯავახიშვილი** სამართლიანად აღნიშნავდა: **“საზღვარგარეთ მყოფ ქართველთა სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვისაც თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმალვე სწვდებოდა ხოლმე იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების – მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით”.**

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ **ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის სავანე–წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია–მონასტერი, ქართული სტამბითა და მდიდარი ბიბლიოთეკით**. ამ სასულიერო და კულტურულ–საგანმანათლებლო ცენტრის დამფუძნებელი იყო ახალციხელი **მამა პეტრე ხარისჭირაშვილი**. მისი თავდაუზოგავი ზრუნვის შედეგად, სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში–**ფერიქოიში (ანგელზთა სოფელში)** 1861 წელს აშენდა კათოლიკური **ეკლესია** და დაფუძნდა **დედათა და მამათა მონასტრები**. 1870 წლისათვის აქ უკვე მუშაობდა **ქართული სტამბა,** სადაც იბეჭდებოდა ქართული წიგნები. მოგვიანებით იბეჭდებოდა ფრანგულ ენაზედაც.

ქართული კულტურის კვალი სტამბოლის ბევრ უბანში – **გალათაში, სოსთენეში, ვეზირხანში, უსკუდარში, პერაზე**, **ფაფაზსქვეფრში** – დროთა სვლამ წაშალა. ბედნიერ ფეხზე აშენებული დარჩა მხოლოდ **ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი–ქართული კულტურის საყდარი, ქართველთა სავანე**.

ფერიქოის ეკლესია-მონასტერთან 1875 წლიდან ჩამოყალიბდა **ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები**. ფერიქოის სავანეში 1908 წელს გაიხსნა **აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა,** სადაც დღემდე დაცულია უნიკალური ქართული გამოცემები, დაბეჭდილი როგორც საქართველოში, ისე საზღვარგარეთის ქვეყნებში ქართულ და სხვა ენებზე არსებულ სტამბებში. წლების განმავლობაში ევროპისა და ამერიკის სხვადასხვა ქვეყნიდან აქ იგზავნებოდა ქართული ემიგრანტული ლიტერატურა. ბიბლიოთეკაში შენახულია ჩვიდმეტ ენაზე შესრულებული წიგნები და ჟურნალ–გაზეთები, სულ 70 000-ზე მეტი ერთეული.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში ბევრი საინტერესო მასალაა დაცული თურქეთ-საქართველოს კულტურული, კეთილმეზობლური ურთიერთობის უახლესი ისტორიის შესასწავლად.

ღვთის შეწევნითა და ნებით შესაძლებლობა მომეცა 1989 წლის მაისიდან ნელ-ნელა (პერიოდულად) გავცნობოდი ამ მდიდარ საგანძურს, რომელიც განთავსებული იყო წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ 1908 წელს გახსნილ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში. ჩემი მონოგრაფიის პირველ ტომზე მუშაობისას („ჩვენებურების ქართული“, I, 1993, ბათუმი, 720 გვ.) საშუალება მქონდა მესარგებლა ამ სავანეში დაცული ისტორიული წყაროებითა და საჭირო ლიტერატურით. ეს შესაძლებლობა მომცა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან შექმნილი ფონდის პრეზიდენტის, სულმნათი პიროვნების, დიდი ქართველის **პავლე ზაზაძის** მიერ ჩემს სახელზე დაწერილმა ანდერძმა, რომელიც ამ სავანეში სამეცნიერო მუშაობის უფლებას მანიჭებდა.

2000 წელს სტამბოლში ჩამოყალიბდა **თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდი**. ფონდი დაფუძნდა თურქეთის რესპუბლიკაში ცნობილი ბიზნესმენებისა და საზოგადო მოღვაწეების (წარმოშობით ქართველი) მონაწილეობით. ფონდის პრეზიდენტი გახლდათ ცნობილი **პიროვნება ნიჰათ გოქიითი (გოგიტიძე)**, ვიცე-პრეზიდენტები – **ისმეთ აჯარი (ვაჭარიძე)** და **სიმონ ზაზაძე**; გენერალური დირექტორია **მევლუდ ართვინლი (გოგლიძე)**. სამი წლის მანძილზე ჩემი ხელმძღვანელობით ეს ფონდი აფინანსებდასავანის

ბიბლიოთეკისა და არქივის ექსპონატების საუკუნოვანი მტვრისაგან გაწმენდისა და აღწერის პროცესთან დაკავშირებულ საქმიანობას. მუშაობა პერიოდულად, ხანგამოშვებით მიმდინარეობდა. ჯანმრთელობისათვის საშიშ პირობებში მუშაობისას სავანეში დასაქმებულებს ყურადღებას არ გვაკლებდნენ ექიმები–ცნობილი კარდიოლოგი პროფესორი **ისმეთ დინდარი (მიქელაძე)** და მისი მეუღლე ექიმი **ულქერ დინდარი (მიქელაძე)**.

მონასტრის ძველი, ნესტიანი შენობიდან წიგნები და ხელნაწერები 2000 წლის ივლის-აგვისტოში გადატანილ იქნა მონასტრის გვერდით მდებარე **სიმონ ზაზაძის** კერძო ლიცეუმის – „ოზელ ბილგი კოლეჯის"–შენობაში. გაწმენდითი, აღწერითი საქმიანობა დასრულდა 2006 წლის ზაფხულში. წიგნები და ხელნაწერები განთავსდა ქაღალდის ყუთებში, დაილუქა და საიმედოდ შენახულ იქნა უშუალოდ ბატონ სიმონ ზაზაძის მეთვალყურეობით. 2006–2015 წლებში ეს საუნჯე ინახებოდა აღნიშნულ ყუთებში. ამჟამად განთავსებულია ეკლესია-მონასტრის ყოფილ ბაღში აშენებული ახალი შენობის პირველ სართულში მდებარე საცავში, სადაც დაცულია ბიბლიოთეკისა და საარქივო მასალის მოვლა-შენახვისათვის აუცილებლად საჭირო პირობები (ტემპერატურა, ვენტილაცია...).

1989 წლიდან დღემდე ჩემ მიერ ბევრი წერილი, სტატია, წიგნი დაიწერა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებული ბიბლიოთეკისა და არქივის მდგომარეობისა და მისი მნიშვნელობის შესახებ. ქართველ მკითხველს პერიოდულად ვაწვდიდით ინფორმაციას ამ სავანეში მიმდინარე საქმიანობაზე (იხ. ჩემი მონოგრაფიები–**„სტამბოლის ქართული სავანე",** გამომცემლობა „არტანუჯი", 2012 წელი; „Istanbul Gücü Ocaği" (თურქ. ენაზე, იგივე გამომცემლობა, 2012; საგაზეთო სტატიები „ლიტერატურულ საქართველოში", „საქართველოს რესპუბლიკაში", „აჭარაში"...). სავანეში მუშაობის პერიოდში საქართველოს უმაღლესი სასწავლებლების-უნივერსიტეტების მეცნიერი თანამშრომლები, პროფესორები, ჟურნალისტები სტუმრობდნენ ხოლმე ბატონ სიმონ ზაზაძის ოჯახს, ეცნობოდნენ სავანეში დაცულ წყაროებს და ქმნიდნენ ნაშრომებს. მათ შორის აღსანიშნავია პროფესორების – **ტარიელ ფუტკარაძის, ავთანდილ ნიკოლეიშვილის, ციური ლაფაჩის, ნატო ყრუაშვილის** ნაშრომები; ჟურნალისტების–**მარადი ანასაშვილისა** და **ლალი მესხის** საგაზეთო სტატიები. სტამბოლის ქართული სავანის შესახებ ტელესიუჟეტებს გადასცემდა ქართული და თურქული სატელევიზიო არხები: „პირველი არხი", „რუსთავი 2", „იმედი", „საპატრიარქოს ტელევიზია", „აჭარის ტელევიზია", „ზამანი", „TV show"...

სტამბოლის სავანესთან დაკავშირებული საკითხების მიმართ განსაკუთრებული ყურადღებით გამოირჩეოდნენ: საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა (დირექტორი **გ. კეკელიძე,** განყოფილებების ხელმძღვანელები–**მ. ხოსიტაშვილი, ლ. თაქთაქიშვილი, ჟ. ქვათაძე),** საქართველოს ცენტრალური არქივი, ხელნაწერთა ეროვნული ცენტრი (დირექტორი **ზ. აბაშიძე**), საქართველოს საპატრიარქო, ბათუმის კათოლიკური ეკლესია (მამა **გაბრიელე ბრაგანტინი** და ბათუმელი **კათოლიკე თენგიზ პარმაქსიზიშვილი**), ბათუმის, ქუთაისისა და ახალციხის უნივერსიტეტები (რექტორები: **ნ. ვერძაძე, აზ. ახვლედიანი, ა. ბაკურიძე, მ. ხალვაში, შ. ზაზაშვილი, მ. ბერიძე, გ. ონიანი**).

სტამბოლის ქართულ სავანეში მუშაობისას მცირეოდენ ფინანსურ დახმარებას ვიღებდით სახელმწიფო და კერძო დაწესებულებებისაგან. კერძოდ,ასეთი დახმარება გაუწევიათ: აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობას (**ასლან აბაშიძის, ედუარდ ფუტკარაძის** ინიცია-

ტივით), საქართველოს საპატრიარქოს (**შორენა თეთრუაშვილის** დახმარებით), თიბისი ბანკს (**ირაკლი კოპლატაძის** თაოსნობით), გამომცემლობა „არტანუჯს“ (**ბუბა კუდავას** შემწეობით). ცხადია, ძირითადი დამფინანსებელი იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე, ცნობილი ბიზნესმენი, საზოგადო მოღვაწე, ქველმოქმედი ბატონი **სიმონ ზაზაძე.** მისი ლამაზი ოჯახის თითოეული წევრი თავიანთი გულისხმიერი დამოკიდებულებითა და მზრუნველობით გვიმსუბუქებდნენ საკმაოდ მძიმე პირობებში მიმდინარე სამუშაო პროცესს, 100-120 წლის მანძილზე დაკეტილ მონაზონთა კელიებში შენახული წიგნებისა და ხელნაწერების დასუფთავება-აღწერასთან დაკავშირებულ, ჯანმრთელობისათვის საშიშ სამუშაოს შესრულებისას (კერძოდ, ჩემი მარჯვენა ხელის შუა თითი ლამის მოსაკვეთი გახდა; წიგნის მტვერმა დამიზიანა მხედველობა).

სტამბოლის ქართულ სავანეში 1861 წლიდან 1982 წლამდე ნაგროვები ქართული კულტურული მემკვიდრეობის ძვირფასი ნიმუშების დასუფთავება-აღწერის სამუშაოს შესრულებაში მონაწილეობდნენ ჩემი ოჯახის წევრები, ახლობლები და ნდობით აღჭურვილი პირები: **ელზა, შორენა, იამზე, თეონა, რუსუდან ფუტკარაძეები; გიორგი გოგიტიძე, გოჩა აბაშიძე, ციალა მაისურაძე, ციალა ნარაკიძე, ნარგიზ ახვლედიანი.**

1989 წლიდან დღემდე საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა რამდენჯერმე შეიცვალა. ჩვენ ყველა დროის ხელისუფლების მაღალი რანგის წარმომადგენლებს ვთხოვდით ხოლმე სტამბოლის ქართული სავანის მიმართ სათანადო ყურადღების გამოჩენას, მისი საფუძვლიანი შესწავლის მიზნით დაინტერესებას. სამწუხაროდ, ჩვენი თხოვნა „უდაბნოსა შინა ღაღადად“ რჩებოდა უმეტესად. ღვთის შეწევნით, ჩვენმა „სანთელ-საკმეველმა“ თავის საწადელს მიაღწია. **ამ საქმეს გვირგვინი დაადგა რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა**. 2013 წელს დაფინანსდა შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის საგრანტო პროექტი– **„სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობ**ა“. ამ საგრანტო პროექტის წევრების (როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე, თამილა ლომთათიძე, ნაილა ჩელებაძე, შორენა ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე) მეშვეობით განხორციელდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის საუნჯის განთავსება ახალ შენობაში. **ასე ჩამოყალიბდა სტამბოლის ქართული სავანის ახალი ბიბლიოთეკა**, რომელიც, როგორც განთავსების ხასიათით, (სანახაობრივად, ვიზუალურად) ისე შინაარსობრივად, მოწონებას იმსახურებს და დღითიდღე იზიდავს მეცნიერ-მკვლევარებს როგორც საქართველოდან, ისე სხვადასხვა ქვეყნიდან, რადგან ამ ბიბლიოთეკაში დაცულია უნიკალური ლიტერატურა მსოფლიოს 17 ენაზე. **ამ საგრანტო პროექტის დაფინანსებით რუსთაველის ეროვნულმა ფონდმა გააკეთა დიდი საშვილიშვილო, ეროვნული საქმე როგორც საქართველოსათვის, ასევე იმ ბევრი ქვეყნისთვის, რომელთა მშობლიურ ენაზე შექმნილ უძველეს წიგნებს სწორედ ეს ბიბლიოთეკა ინახავს**.

წინამდებარე წიგნი **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“** არის რუსთაველის ეროვნული ფონდის მიერ დაფინანსებული საგრანტო პროექტით გათვალისწინებული ნაშრომი. იგი შედგება შვიდი კარისაგან.

კარი პირველი–„შესავლის მაგიერ“. აქ წარმოდგენილია საგრანტო პროექტის ფარგლებში შესრულებული ნაშრომები, რომლებიც მოხსენდა სამეცნიერო კონფერენციების მსმენელებს,

როგორც საქართველოში, ასევე საზღვარგარეთ. ამავე კარშია მოქცეული სამგლოვიარო-ნეკროლოგიური ხასიათის სტატიები, დაკავშირებული სტამბოლის ქართული სავანის ერთგული ქომაგის ბატონ **სიმონ ზაზაძის გარდაცვალებასთან**.

მეორე კარში მოცემულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში დაცული **პუბლიცისტური წერილები**, რომელთა ავტორები არიან ცნობილი საზოგადო მოღვაწეები, ღირსეული მამულიშვილები. მათი დიდი ნაწილი ხშირად სტუმრობდა ხოლმე სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერს. ბევრისთვის ეს სავანე პოლიტიკური თავშესაფარი იყო. კერძოდ, **მემედ აბაშიძის** 19 პუბლიცისტური წერილი მხოლოდ ამ სავანის არქივმა შემოგვინახა და ქვეყნდება პირველად.

მესამე კარში მოთავსებულია საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, ცნობილი პიროვნებების **პირადი (კერძო) წერილები**. მათ შორისაა **აკაკი წერეთლის** პატარა წერილიც კი. აქვეა **ივ. ჯავახიშვილის, კ. გამსახურდიას, ა. ხოშტარიას, კალისტრატე** და **ნინო სალიების**, ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ია კარგარეთელის, ირაკლი ბაგრატიონის და სხვათა წერილები.

მეოთხე კარში თავმოყრილია სასულიერო პირების მიმოწერის ბარათები.

მეხუთე კარი ეძღვნება სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ ათონის მთის მასალებს.

მეექვსე კარი გვაცნობს სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ მემუარულ ჩანაწერებს.

მეშვიდე კარი მკითხველს სთავაზობს სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ სხვადასხვა თემაზე შექმნილ ხელნაწერ მასალას. მათ შორისაა **„ამერიკის ხმის“** ქართული რედაქციის რადიორეპორტიორის **ოთარ კეთილაძის** დღიური – **„ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში“**.

წიგნს ერთვის პირთა საძიებელი.

საგრანტო პროექტის მონაწილეთა სახელით უგულითადეს მადლობას მოვახსენებთ რუსთაველის ეროვნულ ფონდს საგრანტო პროექტის – **„სტამბოლის ქართული სავანის ეპისტოლური და მემუარული მემკვიდრეობა“**–დაფინანსებისათვის, რომლის საშუალებითაც შეიქმნა სქელტანიანი ნაშრომი **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“;** ახალ შენობაში განთავსდა 1908 წელს სტამბოლის ქართულ სავანეში შექმნილი **აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა** და 1861-1982 წლების განმავლობაში ნაგროვები **საარქივო მასალა.** აქვე გვინდა აღვნიშნოთ ისიც, რომ აქ დაუნჯებული **საარქივო მასალის დიდი ნაწილი დაუმუშავებელია;** საჭიროა მისი საფუძვლიანი აღწერა, საზოგადოების წინაშე წარმოჩენა, რათა მკვლევართათვის გახდეს ხელმისაწვდომი. **აქ დაცული ისტორიული წყაროები ერთ ლამაზ ფურცელს ჩასწერს თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლეს ისტორიაში.**

მეტად სამწუხაროა, რომ სტამბოლის ქართული სავანის უანგარო ქომაგი, წინაპართა ტრადიციების პატივისმცემელი დიდი პიროვნება, მშობელი ქვეყნის ერთგული, მის სამსახურში მუხლჩაუხრელი მშრომელი, ბატონი **სიმონ ზაზაძე** ვეღარ მოესწრო ამ წიგნის გამოცემას. საქართველოს საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენით დაჯილდოვებული, ბათუმის, ქუთაისის, თბილისის ივ. ჯავახიშვილის, ახალციხის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, ყოველდღიურ მზრუნველობას სათანადო ყურადღებას არ აკლებდა ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვან საუნჯეს - ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკასა და არქივს. გვჯერა, ბატონ სიმონ ზაზაძის ლამაზი ოჯახი, მისი ძვირფასი

შთამომავლობა ერთგულად გააგრძელებს ამ საქმეს. სიმონ ზაზაძის ვაჟი, ბატონი პავლე ზაზაძე გვწამს, რომ ერთგულად გააგრძელებს მამის მიერ დაწყებულ საქმეს და ქართულ-თურქული კულტურული ურთიერთობის კერას ამ მდიდარ ბიბლიოთეკასა და არქივს არ მოაკლებს მზრუნველობას, კიდევ უფრო წარმოაჩენს მის მნიშვნელობას ორი ქვეყნის კულტურის ისტორიაში.

რუსთაველის ეროვნული ფონდის საგრანტო პროექტით დაფინანსებული წინამდებარე წიგნი – **„წერილები სტამბოლის ქართული სავანიდან“**–მკითხველ საზოგადოებას აწვდის ფასეულ ისტორიულ წყაროებს, აცნობს ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის სასულიერო პირებისა და მრევლის მაღალ ეროვნულ სულისკვეთებას. მკითხველი დაგვერწმუნება, რომ ეს სავანე ჩვეულებრივი სასულიერო დაწესებულება (ეკლესია-მონასტერი) როდი იყო, არამედ გახლდათ ქართული კულტურის მნიშვნელოვანი ცენტრი, ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ურთიერთსიყვარულისა და ძმობის კერა, „პატარა საქართველო“ მრავალმილიონიან სტამბოლში.

წიგნი მოემსახურება თურქეთ-საქართველოს ურთიერთობის ისტორიის, ეთნოგრაფიის, ენათმეცნიერების, ლიტერატურისმცოდნეობის საკითხებით დაინტერესებულ მკითხველ საზოგადოებას.

მე-13 საუკუნის სასულიერო მოღვაწე **არსენ ამარტოლი** წერდა: **„ყოველი წერილი ძეგლი არს მეტყველი, გამომაჩინებელი აღმწერელისაჲ საუკუნოდ“...** ვისურვოთ, რომ სამომავლოდ, მართლაც, საუკუნოდ წარმოსაჩენი ბევრი წერილობითი ძეგლი შეექმნას კიდევ ჩვენს ბრძენ ხალხს; თავისი კუთვნილი სიტყვა ეთქვას მსოფლიოს ხალხთა სულიერი კულტურის წინსვლაში.

ჩვენო მკითხველო, ამ წიგნის წინათქმას დავასრულებ ქართველი ხალხის საყვარელი მეფის **„პატარა კახად“** წოდებული **ერეკლე მეორის** (1720-1798) სიტყვებით: **„ხელი მწერლისაჲ ლპების საფლავსა შინა, ხოლო ნაწერი თითთა მისთა ჰგიებს საუკუნოდ“**.

საგრანტო პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი ფილოლოგიის მეცნიერებათა
დოქტორი, ემერიტუსი პროფესორი შუშანა ფუტკარაძე.
ბათუმი, 2017 წლის 7 იანვარი.

FOREWORD

Since the ancient times our prominent ancestors strived to take the cultural and educational achievements of the Georgian nation outside the country and tried to acquaint the leading peoples of the world with attainments of our nation, make the name of Georgia famous worldwide.

All the achievements and endeavors of the prehistoric period have fallen to oblivion, passed our horizon. The memory of the history of Georgia can only reach the beginnings of the Georgian Christian culture. We are proud to realize that the outstanding people of the Georgian nation made their humble contribution to the development of the world civilization for fifteen centuries suffice it to mention the names of **Petre Iberi** and *Giorgi Mtatsmindeli.*

The hearts of our great ancestors were blazed with love of God and the motherland. They never spared might and energy in serving their country; they often left their motherland and went far away to conduct patriotic activities or get good education. In those times educated Georgians living abroad used to settle down in the oasis of the world civilizations with only one goal – to found the centers of Georgian culture and education there as well as Georgian churches and monasteries and bring the cultural and educational achievements of foreign countries and nations to the service of the Georgian nation. This was the way how spiritual values of different nations used to be exchanged. In this aspect, the contribution and merit of outstanding monasteries – **Iveroni on Mount Athos, monastery of the Cross in Jerusalem, Sinai, Antioch, Petritsoni,** etc.

Regretfully, the treasuries of several centers functioning abroad are still to be studied, including the Christian centers of Mount Lebanon in the vicinities of the city of Beirut. The activities of the Georgian monastery in Izmir is also worth attention, according to the Georgian historian **Platon Ioseliani**, a number of Georgian clergymen had served there by 1849, including those exiled from Ajara. One of them appeared to be the prior of the monastery in the first quarter of the 19th century, was martyred for Christianity in 1822 and was sanctioned as a saint on 17 November, 2002 by the decision of Holy Synod of the Georgian Patriarchate. This person was St **Teodore Achareli**. His nephew – **Father Neophyte** used to serve in the same church as well. He happened to meet Platon Ioseliani and tell him about the martyrdom of his uncle. Neophyte used to be a writer and a very educated person. This church used to have a very rich library. The history of this center of Georgian culture is not studied to this day either. It is also remarkable that the information about the Georgian centers on Mount Lebanon and in Izmir is kept only in the rich library of the Georgian Center in Istanbul.

The church in the city of Montauban, South France, with a printing press, library and theological seminary, established by **Father Petre Kharischirashvili** in the last quarter of the 19th century was also distinguished by cultural-educational activities. It is regrettable and surprising at the same time that this center disappeared right in front of the Georgian National Government in exile in France, disappeared without a trace in Montauban, near Paris in the first half of the 20th century. Today not a single document verifying the existence of this center of the Georgian culture can be found in the archive of the city of Montauban either. Only the address of the center survives on the postcards sent from Montauban to the Georgian Center in Istanbul.

Unfortunately, the Georgian people lost almost all the centers of Georgian culture established and nourished abroad by our ancestors for centuries. Most part of the manuscripts created in those churches and centers has been destroyed or lost and the centers on Mount Athos, Sinai, Antioch and Jerusalem have been alienated. The surviving part of the Georgian centers abroad is still awaiting its Georgian researchers and scholars…

Only the Georgian cultural center in Istanbul has been reliably preserved and protected to this day. It is especially remarkable that the treasury preserved here – the church, rich library, valuable archive, interesting museum exhibits – has been kept by the Turkish people and the Republic of Turkey, and can be regarded as the symbol of longtime friendly and neighborly relations between the Turkish and Georgian nations and their tactful and tender attitude towards Georgian cultural heritage. The contribution of the family of **Zazadze** in Istanbul – father and son **Simon and Paul Zazadze** – in the preservation of the treasury is of special significance.

Istanbul (former Constantinople) - a bridge between Europe and Asia, one of the important cultural and educational centers, has always attracted Georgians since ancient times. During the centuries the European civilization used to reach Georgia through this road.

The traces of Georgian culture and education in Istanbul should be sought at the beginnings of history. The written sources about them are found since the 9th century so far. The information is preserved in the Georgian, Greek, Latin, French, Arabic and Hebrew sources.

Great Georgian philosophers, translators, prominent clergymen and saints used to live and work in Istanbul for years. Among them distinguished are the saints – **Ilarion Kartveli** and **Giorgi Mtatsmindeli**. A great countryman **Sulkhan-Saba Orbeliani** lived in Istanbul for seventeen months. Apart from creative activities, he strove to find the ways of Georgia's salvation. In autumn of 1626, a great Georgian commander **Giorgi Saakadze** settled in Galata district in Istanbul together with his army. The seven-tower fortress in Istanbul still arouses bitter memories about the desperate past and never lets to forget the tragic end of **King Svimon's** life (1537-1611). King Svimo's brother **David XI (Daut-Khan**) wrote his famous medicinal work "Iadigar-Daudi" in Istanbul. He had escaped to Istanbul in 1578 and died there.

In Galata, one of the districts of Istanbul, a Georgian settlement existed from ancient times. From 1453 the Ottomans called this place "***Gurju qapu"*** ("The Georgians' Gate"). It is till known with this name. In Galata Georgians used to have their own chapel – St. Peter's Church. The Georgians of Istanbul were comprised generally with the Catholics exiled from Meskheti-Javakheti.

One of the ancient abodes for Georgians in the historical times was in the outskirts of Constantinople, on Romanakhevi place called "Sosten". The church was called "Hromana". it was built by the Byzantine emperor Basil of Macedon (866-886) for the Georgian monks transferred from Mount Olympus. They were privileged to teach and educate emperor's sons Leon and Alexander. The emperor's words are preserved in the Georgian manuscript of 1074 in the Iveroni monastery on Mount Athos. It is not surprising inasmuch as the old Christian literature written in Georgian used to have universal worldwide importance in those days. Moreover, in the higher education centers of theological studies the masterpieces of Georgian hagiography had been studied with great interest.

On 19 November 882 a great religious figure and wonder-worker **St Ilarion Kartveli** died in Thessaloniki. He was buried in an old Georgian monastery there. However, the saint was so famous and

honorable that the emperor Basil of Macedon had him reburied in the Georgian monastery of Hromana". Since then the monastery became the place of cure and pilgrimage as the divine grace exposed from the saint's grave used to cure people. Unfortunately, the location of the "Hromana" monastery is unknown today. In Thessaloniki, on the wall of the church of St. Demetrius, the fresco of St Ilarion is still preserved to this day. In the temple turned into a mosque even the Muslims have not erased the icon of the famous saint.

A Georgian chapel had stood in Istanbul on the place where in 1573 the Fiali Pasha mosque was built. It is verified by one of the oldest plans of Istanbul (see **Evgeni Dalegio Dalesio,** The Georgians in Constantinople, Istanbul, 1921, p.25). It means that the Fiali Pasha mosque stands of the foundation of the Georgian chapel. According to the oral tradition, Fiali Pasha was Georgian. He is buried in the mosque yard, i.e. in the yard of an old Georgian chapel.

As it is known, every church and monastery was a cultural and educational center from ancient times owing to the decision of the 6th Ecumenical Council (paragraphs 19, 64) by which bishops were ordered to disseminate education and literacy for free in their parishes. Obviously, this was the situation in the Georgian churches in Constantinople too. These churches functioned as the educational centers as well. Therefore, Constantinople used to be one of the centers of Georgian literacy for centuries. As early as in the 9th century the cultural centers here were visited by Grigol Khandzteli and Ilarion Kartveli for the study of the monastic life. Georgians of Istanbul represented the educated part of the population. Many Georgians used to study at the academies in Constantinople in the old times. For example, many famous Georgians obtained theological education and were awarded academic degrees at the famous Mangan Academy. Among them were the following: **Petre Iberi, Ioane Grdzelidze, Ilarion Tualeli, Saba Tukhareli, Giorgi Mtatsmindeli, Ioane Petritsi, Arsen Ikaltoeli, Ekvtime Atoneli, Efrem Mtsire, Giorgi Oltiseli, Basil and Ioane Khakhulari**, and many others.

From the 11th century Georgians conducted creative activities in several centers in Constantinople, namely in Khora, Agiapat and Triandapliv (see L. Menabde, Centers of Old Georgian Literature, II, Tb., 1980, pp. 248-249). In 1031 by Grigol Mtasmindeli's order, Basil prepared "A Concise Divine Law" at the Khora monastery. He had also made several manuscripts by Zakaria Valashkerteli's (Baneli) order. The scrivener Isaac had made several manuscripts too in the Agiapat monastery.

Georgian priests also served at Treandapliv monastery. The literary activities of the group of Georgian clergy are depicted in the will included in the collection of September month saints (A+h.N20). Among these figures the activities of monk Theofile and priest Saba should be singled out who translated metaphrasis from Greek into Georgia and made a manuscript in 1081.

Georgians aspired to Constantinople not only for theological institutions but to secular ones as well in order to get education. **Giorgi Mtatsmindeli** took 80 children with him for giving them education abroad; later **Davit Aghmashenebeli** sent 40 students to schools there. Higher educational institutions were also very popular in Constantinople in those times where Georgians used to study and conduct literary activities at the same time. **Arsen Ikaltoeli's** contribution is significant in this aspect. He translated many important works from Greek into Georgian, including Anastasios of Sinai's "Viae Dux".

Literary activities of Georgians did not cease and continued after the fall of the Byzantine Empire. The activities and contribution of **Sulkhan-Saba Orbeliani, Domenti Bagrationi, Iese Tlashadze, Timote**

Gabashvili, Ivane Gedevanishvili, Giorgi Avalishvili should be mentioned here who created significant portion of their works in Istanbul. While being in Constantinople, **Sulkhan-Saba Orbeliani** improved and completed his "Dictionary", as well as worked on his "Voyage in Europe" in which he gathered interesting information about Constantinople and contributed a very useful work to the memoir genre of Georgian literature.

Literary activities of the 18th century are connected to the names of **Domenti Bagrationi**, brother to the **King Vakhtang VI**. He was the Catholicos of Kartli wno was exiled to the isle of Tenedo (present Bokhcha Ada) near Istanbul in 1724-1738 due to his political beliefs. He was accompanied by two assistants – **Elise Saginashvili and Iese Tlashadze** – who helped him to make copies of significant religious works as well as created their own literary collections. While being in Istanbul in 1756-1757, **Timote Gabashvili** completed his work ***"Visiting Sacred and Other Places in the East"*** of the travel genre in which he skillfully describes historical and marvelous sights of Constantinople, its nature and everyday life (Tim. Gabashvili, 1852, pp. 113-114).

Literary and educational activities of the Georgian continued in Istanbul in the 19th century as well.

As a center of culture and education, Istanbul has attracted Christian and Muslim Georgian ever since the 16th century. Many of them acquired education and studied philosophy of Koran at the famous **Fatih mosque**. Others studied law, theology, music and art at Istanbul University and other educational institutions. Famous Turkish Historian **Murat Kasab** provides interesting information about them in his monograph "The Ottoman Georgians" (Istanbul, 2012).

The number of the Georgians increased in Istanbul after Russian-Turkish wars in 1828–1829 and 1877–1878 as well as due to the exile of the Georgians from Meskhet-Javakheti, Ajara and Tao-Klarjeti to Turkey where they mostly settled along the Marmara Sea coastline, Istanbul and its vicinities. The exiled Georgians are known in the scholarly literature as "Muhajir Georgians" or "Chveneburebi".

In that time a new settlement called "Vezirkhan" evolved near the Osmaniye Bazaar mostly resided with Georgian merchants and their families who represented the parish of the local Georgian Catholic churches.

Great **Ivane Javakhishvili** justly remarked that "the cultural significance of the Georgian centers abroad was valuable indeed. Apart from the rich cultural heritage preserved there during the centuries, the centers were important in other aspects as well. Through the monasteries abroad, Georgia was able to track every success of cultural development of the educated countries of those times. Everything new and important created or written at the Georgian centers established abroad immediately reached Georgia through the assistance of the Georgian writers, scientists and artists working in those places."

For centuries such type of institution was **"The Georgian Sanctuary in Istanbul"** - the Georgian Catholic Monastery of the Virgin Mary, with Georgian printing press and rich library. The founder of this religious and cultural-educational center was a catholic priest from Akhaltsikhe, **Petre Kharischirashvili**. It was with his painstaking endeavor that in 1861 a Catholic Church was built in one of the beautiful districts of Istanbul – Ferikoy – "village of angels" and a cloister and monastery were founded very soon. By 1870 a Georgian printing press had already being functioning there and books were printed in Georgian and French languages. Georgian Sanctuary in Istanbul – the church, cloisters and monasteries, Georgian printing press, Akaki Tsereteli library with archive, Georgian-French and

Georgian-Greek Girls' and Boys' schools – was a great cultural-educational and spiritual center for over a century. The **Akaki Tsereteli Library** preserves unique Georgian publications printed in Georgia as well as abroad. For years emigrant literature had been sent to this center from different countries of Europe and America. The library preserves over 70 000 units of books, newspapers and journals in seventeen languages.

I have been honored to have gained permission to work at the Akaki Tsereteli Library by the official will of a great Georgian countryman and public figure **Simon Zazadze**, endowing me the right of working in the library and use the materials preserved in the Sanctuary in my monograph ("Chveneburebi's Georgian", I, 1993, Batumi, 720 p.).

In 2000 a Turkish-Georgian Educational and Cultural Fund was established in Istanbul with participation of famous Turkish (originally Georgian) businessmen and public figures. The President of the Fund was **Nihat Goqiit (Gogitidze**), Vice-Presidents – **Ismet Ajari (Vacharidze)** and **Simon Zazadze**; Director General – **Mevlud Artvinli (Goglidze**). For three years this Fund financed and conducted registration and cleaning process of the library under my supervision. Due to unhealthy and dangerous conditions of working we were under constant care and attention from famous local doctors – cardiologist professor **Ismet Dindari (Mikeladze)** and his wife, also physician **Ulker Dindari (Mikeladze**).

In July-August of 2000 the books and manuscripts were transferred from the library next to the monastery - to the Simon Zazadze's private "Ozel Bilgi College" building. The cleaning and registering works were completed in the summer of 2006. Today the materials are kept in the reserve stock on the first floor of the new building in the relevant conditions (temperature, ventilation…) suitable for library and archive materials.

Numerous materials – letters, articles or books – have been written by me about the state and importance of the Georgian Catholic center, library and archive, periodically providing the Georgian readers with the information about the activities taking place in the Sanctuary (see my monographs "Georgian Abode in Istanbul", Artanuji publishing, 2012; „Istanbul Gücü Ocaği" – in Turkish, the same publishing house, 2012; newspaper article in "Literaturuli Sakartvelo", "Sakartvelos Respublika", "Achara", etc.). Many scholars, professors, researchers from different higher educational and research centers of Georgia as well as journalists visited Mr Simon Zazadze's family while getting acquainted with the materials of the Georgian Catholic Center in Istanbul. Among them were **Tariel Putkaradze, Avtandil Nikoleishvili, Tsiuri Lapachi, Nato Kruashvili, Maradi Anasashvili and Lali Meskhi**. A number of Georgian and Turkish TV channels covered materials about the Abode – "PIrveli Arkhi", "Rustavi 2", "Imedi", "Sapatriarko's Television", "Ajara TV", "Zaman", "TV Show", etc.

The following organizations and persons can be singled out who have expressed special attention and consideration towards the Georgian Sanctuary during these years: National Parliamentary Library of Georgia (General Director **G. Kekelidze**, Deputy General Director **M. Khositashvili**, Department heads – **L. Taktakishvili, Zh. Kvatadze**), Central Archive of Georgia, Georgian National Center of Manuscripts (Director Z**. Abashidze**), Patriarchate of Georgia, Batumi Catholic Church (**Padre Gabriele Bragantini** and a Catholic from Batumi **Tengiz Parmaksizishvili**), universities of Batumi, Kutaisi and Akhaltsikhe (Rectors: **N. Verdzadze, Az. Akhvlediani, A. Bakuridze, M. Khalvashi, Sh. Zazashvili, M. Beridze, G. Oniani.).**

During the work at the Georgian Sanctuary in Istanbul considerable support has been granted by several private or state institutions, namely: Government of Ajara Autonomous Republic (**Aslan Abashidze and Eduard Putkaradze**), Patriarchate of Georgia (**Shorena Tetruashvili)**, and TBC Bank (**Irakli Koplatadze**), *Artanuji* publishing (**Buba Kudava**). However, the main supporter was a famous businessman and philanthropist, Honorary Citizen of Georgia, public figure **Simon Zazadze**, together with the members of his splendid family.

We should particularly mention here those who participated in the registration and cleaning process of the Georgian cultural heritage accumulated in the Georgian Sanctuary in Istanbul from 1861 to 1982. These are the members of my family, close acquaintance and trustworthy personalities: **Elza, Shorena, Iamze, Teona, Rusudan Putkaradze; Giorgi Gogitidze, Gocha Abashidze, Tsiala Maisuradze, Tsiala Narakidze, Nargiz Akhvlediani**.

Since 1989 the Georgian government has been changed several times. We have asked almost all of them to render certain attention to the heritage of the Georgian culture but mostly without success. Fortunately, our efforts have been crowned by the **Shota Rustaveli National Science Foundation.** In 2013 the Foundation sponsored the grant project of the Niko Berdzenishvili Research Institute of Batumi Shota Rustaveli State University **–"Epistolary and Memoir Heritage of the Georgian Sanctuary in Istanbul".** Participants of the project (Roin Malakmadze, Elza Putkaradze, Tamila Lomtatidze, Naila Chelebadze, Shorena Putkaradze, Shushana Putkaradze) accomplished the task of transfer of the books and manuscripts of the library in a new building. This is how the new library originated with renovated visual and contextual character, attracting scholars from Georgia and many other foreign countries. By financing this grant project the Rustaveli National Science Foundation has accomplished a glorious deed of national importance for the Georgians as well as other countries inasmuch as the library contains and preserves ancient unique books in the native languages of many other countries as well.

The present book – **"Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul"** is a scholarly work accomplished within the frames of a grant project financed by the Shota Rustaveli National Science Foundation. It consists of seven chapters.

Chapter One – "Instead of Introduction", deals with the articles and papers presented at different conferences in Georgia as well as abroad. It also comprises obituaries to the devoted caretaker of the Sanctuary Mr Simon Zazadze.

Chapter Two – presents publicist and journalistic letters preserved at the library and archive of the Georgian Sanctuary in Istanbul the authors of which are famous public figures and respectable countrymen. Majority of them often visited the Georgian Catholic Monastery in Istanbul. The Sanctuary was a political shelter for many of them. Namely, 19 publicist letters written by Memed Abashidze have been preserved only in the archive of this Sanctuary and are published for the first time.

Chapter Three – contains private letters and correspondence of public figures and outstanding personalities including a short letter written by great Akaki Tsereteli. Here are letters written by Iv. Javakhishvili, K. Gamsakhurdia, A. Khoshtaria, Kalistrate and Nino Salia, Zakaria Paliashvili, Ia Kargareteli, Irakli Bagrationi and others.

Chapter Four – comprises the correspondence of the clergy.

Chapter Five – is dedicated to the materials of Mount Athos preserved at the Georgian Sanctuary in Istanbul.

Chapter Six – introduces memoir writings kept at the Georgian Sanctuary in Istanbul.

Chapter Seven – offers to the readers the manuscripts on different topics that are preserved at the Georgian Sanctuary in Istanbul. Among the materials is the diary titled "Georgian Catholic Monastery in Constantinople" - written by **Otar Ketiladze**, radio-reporter of "The Voice of America" Georgian edition.

The book is provided with the index of names.

We would like to express our gratitude on behalf of the grant participants to the Shota Rustaveli National Science Foundation for financing the grant project –"Epistolary and Memoir Heritage of the Georgian Sanctuary in Istanbul", on the basis of which the present book -"Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul" has been accomplished; also, Akaki Tsereteli Library, established at the Georgian Sanctuary in Istanbul in 1908, has moved in a new building. It should also be noted here that most part of the materials preserved in the archive and library have not been studied so far and are still awaiting researchers. We strongly believe that the study of the historical sources and materials preserved here will contribute a significant page into the history of Turkish-Georgian cultural relations.

Regretfully, the devoted caretaker and protector of the Georgian Sanctuary in Istanbul, great respecter of ancestors' traditions, painstaking and hard-working philanthropist, Mr Simon Zazadze could not live to the publication of the present book. This generous person, honorary citizen of Georgia, owner of the Order of Merit, Honorary Doctor of the Universities of Tbilisi, Batumi, Kutaisi and Akhaltsikhe took care of the Sanctuary, library and archive every single day. We hope his respectable family will continue his traditions in the same way, especially his son, Mr Paul Zazadze, and foster further friendly relations in the cultural history of the two nations.

The present book - "Letters from the Georgian Sanctuary in Istanbul" offers the readers valuable historical sources, introducing the lives and high national aspirations of the clergy and parish of the Georgian Catholic Monastery in Istanbul. Readers will be convinced that this monastery was not only an ordinary religious institution but a significant center of Georgian culture, the center of mutual love and friendship of Christian and Muslim Georgians, "a small Georgia" in multi-million Istanbul.

The book can serve the readers interested in history, ethnography, linguistics and literary studies issues of Turkish-Georgian relations.

Dear reader, I would like to end this Foreword with the words by **King Erekle II** (1720-1798), called by his beloved nation as "Patara Kakhi": "***The author's hand will finally decay in the grave, while the writings fulfilled by his fingers will survive centuries***".

Shushana Putkaradze
Scientific supervisor of the grant project
Doctor of Philological Sciences,
Professor Emeritus
7 January, 2017
Batumi

კარი პირველი
შესავლის მაგივრ

შუშანა ფუტკარაძე
პაულა ზაზაძე

პეტრე ხარისჭირაშვილი ქართული კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო კერების ფუძემდებელი უცხოეთში

ქართველთა სავანეები–ქართული კულტურის კერები ისტორიულად საზღვარგარეთის ბევრ ქვეყანაში არსებობდა. მათ შორის საყოველთაოდ ცნობილია, იერუსალიმის ჯვრის, ათონის ივერიონის, პეტრიწონის, სინასა და შავი მთის, ანტიოქიის... ეკლესია–მონასტრების, როგორც ქართული კულტურის ცენტრების, საქმიანობა. საუკუნეთა განმავლობაში აღნიშნულ ადგილებში არსებულ ქართულ სავანეებზე საკუთრების უფლება, სამწუხაროდ, ადრევე დავკარგეთ. მე–19 საუკუნის მეორე ნახევრისთვის საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის თითქმის ყველა ცენტრი უკვე გასხვისებული იყო. ქართველი ხალხის ისტორიის, მისი კულტურის მიღწევების საზღვარგარეთ გატანისთვის, მისი პოპულარიზაციისათვის აუცილებელი იყო ახალი კერების დაფუძნება. ეს საქმე მიზნად დაისახა დიდმა მამული-შვილმა, სამშობლოს ნათელი მომავლისთვის დაუღალავმა მებრძოლმა, ახალციხელმა მღვდელმა **პეტრე ხარისჭირაშვილმა.**

პეტრა (ლუკა) ხარისჭირაშვილი დაიბადა ახალციხეში (რაბათში) 1818 წლის 20 აპრილს. წერა-კითხვა შეასწავლა ნათლიამ, იმ დროისათვის მეტად განათლებულმა პიროვნებამ–სტეფანე აბინაშვილმა. სწავლის გაგრძელება მოახერხა რომში, ვატიკანში. 1840 წელს დაბრუნ-და სამშობლოში. ამ პერიოდში ქართველ კათოლიკებს მძიმე ჟამი დაუდგათ. კათოლიკური აღმსარებლობის მქონე ქართველებს სასტიკად სდევნიდნენ, უარჰყოფდნენ მათ არსებობას საქართველოში და ცდილობდნენ ქართველი კათოლიკების გასომხებას; ყოველგვარ ხერხებს მიმართავდნენ ოათა ისინი მოექციათ სომხურენოვანი ტიპიკონის ქვეშ. კათოლიკურ ტაძრებში იკრძალებოდა ქართულად წირვა–ლოცვა. ახალდაბადებულებს ნათლავდნენ სომხებად, არქმევდნენ სომხურ სახელებსა და გვარებს: ყოველივე ამას შორს გამიზნული პოლიტიკა ასაზრდოებდა; ახალციხის მაზრაში მუსლიმან ქართველებს აზერბაიჯანლებად ასაღებდნენ, კათოლიკე ქართველებს კი სომხებად სწერდნენ. გვარებსა და სახელებს შესაბამისად აძლევდ-ნენ (ბეჟანოვი, ჩილინგაროვი, აზარიანი, შაყულიანი, მამედოვი...) . ეს რუსეთის საიმპერატორო კარის შავბნელი ძალების მიერ შემუშავებული გეგმით ხორციელდებოდა და მიმართული იყო ქართველი ერის წინააღმდეგ; მესხეთ–ჯავახეთის გასომხების მიზანს ემსახურებოდა. სამშობლოში შექმნილი ასეთი მდგომარეობა გულს უკლავდა პეტრე ხარისჭირაშვილს ახალგაზრდობიდანვე.

1840 წელს ვატიკანიდან დაბრუნებული პეტრე ახალციხეში არქიმანდრიტმა **პავლე ჭილიმუზაშვილმა (შაჰყულიანთმა)** თავის შემწედ აიყვანა და მალე პეტერბურგში მღვდლად საკურთხებლად გაგზავნა. მან იქ დაირქვა პეტრე. პავლე შაჰყულიანთი–ჭილიმუზაშვილი ეროვნული სულისკვეთებისაგან შორს იდგა. ყველანაირად ცდილობდა ქართველი კათო-ლიკების მოქცევას სომხურენოვანი ტიპიკონის ქვეშ; კრძალავდა ქართულად წირვა–ლოცვას,

ქადაგებას; ე.ი. ხელისუფლების მზაკვრული მიზნების ერთგული შემსრულებელი გახლდათ. ამიტომაც იყო, რომ ცნობილი სასულიერო მოღვაწე, პოეტი, მთარგმნელი, ისტორიკოსი, სამშობლოს ერთგული შვილი მღვდელი **შალვა ვარდიძე** 1914 წელს გაზეთ „ერში" დაბეჭდილ სტატიაში ასე ახასიათებდა ამ ჭილიმუზაშვილს: იგი იყო „ჩვენი ეროვნული მისწრაფებების დაბრკოლებისა და დაცემის ცოცხალი სურათი" (იხ. N25). შ.ლომსაძე კი ასე წერს: „მასში კერძომ სძლია საზოგადოს–ზოგად–ეროვნულს" (იხ. შ.ლომსაძე, მესხები, 1997, გვ.101). ამიტომაც პეტერბურგიდან მობრუნებულმა პეტრე ხარისჭირაშვილმა ვერ შესძლო ახალციხეში არსებულ კათოლიკურ ეკლესიებში ქართული სულის შეტანა, ქართულად წირვა–ლოცვის წარმართვა. იგი დაუპირისპირდა პავლე შაჰყულიანთს და იძულებული გახდა გაცლოდა ახალციხეს.

მე–19 საუკუნის 40–45–იან წლებში განსაკუთრებით მძიმე სურათი შეიქმნა ჯავახეთში. მთელი ჯავახეთი მოაქციეს სომხურენოვან ტიპიკონზე, დაიწყეს ჯავახეთის გასომხებისათვის დაუღალავი საქმიანობა. გამუსლიმანებული ჯავახების უმეტესობა გადაასახლეს ოსმალეთში; ყარსისა და ერზრუმის მხარეებიდან კი ჯავახეთში ჩამოასახლეს სომხები. ჯავახი ქართველი კათოლიკენი მოაქციეს სომხურენოვან ტიპიკონზე. აი, ამ მძიმე ჟამს პეტრე ხარისჭირაშვილი სასულიერო მოღვაწეობას განაგრძობს ჯავახეთის გამორჩეულ სოფელ **ხიზაბავრაში**. წლების განმავლობაში მთელს ჯავახეთს სწორედ ამ სოფლიდან ეფინებოდა ეროვნული სულისკვეთება, რომლის სულისჩამდგმელი იყო პეტრე ხარისჭირაშვილი. ასეთივე ღვაწლი დასდო მან სოფელ **ვალესაც**, სადაც თავისი საქმიანობით შეძლო აქაურ მოსახლეობაში მიძინებული ეროვნული გრძნობების გამოღვიძება და ქართული სულის გაცოცხლება.

პეტრე ხარისჭირაშვილი ხედავდა, რომ ანტიქართული პოლიტიკის წინააღმდეგ ბრძოლაში თითქმის მარტოდ იყო; როგორც ნათქვამია, ერთი მერცხალი გაზაფხულს ვერ მოიყვანდა. საჭირო იყო ქართულ ტიპიკონზე ეროვნული სულისკვეთების მქონე მღვდლების მომზადება. ამასთანავე, აუცილებელი იყო სასულიერო და საერო ხასიათის წიგნების ბეჭდვა, მოსახლეობის განათლებისათვის ზრუნვა. იმასაც კარგად ხედავდა, რომ ამ მიზნებს საქართველოში ვერ განახორციელებდა. მას ბევრი ვინმე აღუდგებოდა წინ. ამიტომაც გადაწყვიტა, საზღვარგარეთ წასულიყო და იქ ეკეთებინა ქართული საქმე. ამ ჩანაფიქრის განხორციელებაში პ.ხარისჭირაშვილს დაეხმარნენ იტალიაში სწავლის დროს შეძენილი ნაცნობ–მეგობრები. ესენი ძირითადად იყვნენ სომეხ სწავლულთა ძმობის–"კონგრეგაციის" წევრები, მხითარისტები.

სომეხ კათოლიკეთა სასულიერო პირმა ვინმე **მხითარმა** ვენეციაში, ლაზარეს კუნძულზე, დაარსა ეს ძმობა. მათ დიდი ფინანსური დახმარება მიიღეს ევროპის სახელმწიფოებიდან, რის საშუალებითაც გახსნეს სასწავლებლები, სტამბები, დაიწყეს სომხური წიგნებისა და გაზეთების ბეჭდვა, სომხეთის ისტორიის კვლევა. მხითარისტებმა ასეთი საქმიანობით მთელს მსოფლიოს გააცნეს სომხეთის კულტურის ისტორია, წარმოაჩინეს სომეხი ერის ღირსება. ამიტომაც სომეხ კათოლიკებს დიდად აფასებდნენ ოსმალეთის იმპერიაშიც კი. მე–19 საუკუნის 50–იან წლებში სტამბოლში მომრავლდა სომეხ კათოლიკეთა რიცხვი. ამათ დაემატა მესხეთ–ჯავახეთიდან გადასახლებულ იმ ქართველ კათოლიკეთა რაოდენობაც, რომლებიც სომხურ ტიპიკონზე იყვნენ ჩაწერილნი, ე.ი. გასომხებული ქართველები. მათი რიცხვი ათი ათასზე მეტი იყო. ზ.ჭიჭინაძე ასახელებს ასეთი გადაგვარებული ქართველების გვარებს: ზაქარიანცები–ზაქარიაძეები, აზარიანცები–აზარიშვილები, ზურაბიანცები–ზურაბიშვილები, მჭედლიშვილი –მჭედლიანცი, წამალაშვილი–წამალიანცი და სხვა მრავალი...

პ.ხარისჭირაშვილი კარგად იცნობდა სტამბოლისა და ვენეციის სომეხ კათოლიკებს, მხითარისტებს. 1855 წელს პეტრე გაემგზავრა საზღვარგარეთ. იგი ცოტა ხანს სტამბოლში დარჩა; იქიდან კი ვენეციაში ჩავიდა და მხითარისტებთან დაიდო ბინა. ისინი დაარწმუნა, რომ არიან ქართველი კათოლიკენიც და მათ სჭირდებათ სწავლა–განათლება ქართულად და არა სომხურად. პეტრე ხარისჭირაშვილმა და **ივანე მამულაშვილმა** ქართულ ენაზე თარგმნეს იტალიურიდან და სომხურიდან საერო და სასულიერო ხასიათის წიგნები და მოამზადეს დასაბეჭდად. მხითარისტების დახმარებით პეტრემ დაამზადებინა ქართული ასოები და **ვენეციაში** გახსნა **ქართული სტამბა**. ამ სტამბაში დაიბეჭდა როგორც სასულიერო, ისე საერო ხასიათის ნაწარმოებები. პეტრეს უანგარო ხასიათისა და გულწრფელი დამოკიდებულების გამო, დიდად აფასებდნენ მხითარისტები. ზ.ჭიჭინაძის ცნობით, ვენეციაში მხითარისტების სასწავლებელში 1895 წლისთვისაც კი ყოფილა ცალკე გამოყოფილი დიდი ოთახი ქართველი კათოლიკებისათვის; ამ ოთახს რქმევია **„პეტრე ხარისჭირაშვილის ოთახი".**

ვენეციიდან პეტრე გაემგზავრა ევროპაში; შეხვდა ამ ქვეყნების უმაღლეს ხელისუფალთ, აუხსნა საქართველოს მძიმე მდგომარეობა. დახმარება სთხოვა თავის საქმეში. შემდეგ იგი ჩავიდა რომში, ვატიკანში და წარსდგა პაპის წინაშე ვრცელი მოხსენებით საქართველოსა და ქართველ კათოლიკეთა ისტორიის შესახებ. პაპს აუხსნა ქართველთა გაკათოლიკების მიზეზები. დაარწმუნა იგი, რომ საქართველოში არიან ქართველი კათოლიკები და მათ უფლება უნდა ჰქონდეთ თავიანთ მშობლიურ ქართულ ენაზე ილოცონ. როგორ შეიძლება ადამიანმა ღმერთი ადიდოს იმ ენით, კერძოდ, სომხურით, რომელიც მას არ ესმის; ამასთანავე, არავის არ უნდა ჰქონდეს იმის უფლება, რომ ხალხს აუკრძალოს თავის მშობლიურ ენაზე ღვთის დიდება. პ.ხარისჭირაშვილმა პაპს დაუმტკიცა, რომ ქართველი კათოლიკების სამშობლო არის დიდი ისტორიის მქონე ქვეყანა–საქართველო, რომ ქართველებს აქვთ თავიანთი ენა–ქართული და ამ ენაზე შექმნილია თხუთმეტსაუკუნოვანი მწერლობა, უძველესი დამწერლობა–ქართული ანბანი. "და, აი, მეც, თვით ამ ერის ერთი წევრთაგანი ვდგევარ თქვენს უწმინდესობის წინაშე და ვითხოვ მფარველობას, რომ ქართველთ არ წაერთვათ თავიანთი დედაენა" (იხ. ზ.ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895 წ. გვ. 49). მან პაპს გააცნო ამ უძველესი ენის დამსახურება კაცობრიობის წინაშე, რომ კაცობრიობის კულტურის ისტორიაში ამ ენამაც შეიტანა გარკვეული წვლილი თავისი მწიგნობრიობით: ქართველს უნდა შერჩეს თავისი სამშობლო ენა, ძველი დაბრძნილი ენა, რომელ ენაზე ლაპარაკი მაცხოვრის რამდენიმე მოციქულმაც იცოდა" (იქვე). ასე, რომ ამ დიდებულმა პიროვნებამ ვატიკანს კარგად გააცნო საქართველო, იქ შექმნილი პირობები. მან თავისი მჭერმეტყველებით მოხიბლა პაპი და თანაგრძნობაც დაიმსახურა. მიიღო ნებართვა ქართულად ქადაგებისა.

პაპის ბრძანებით იგი გარკვეული დროით გაამწესეს რომის ერთ დიდ ეკლესიაში თანამწირველად. ეს დიდი აღიარება და პატივისცემა გახლდათ. პეტრე კარგად ფლობდა იტალიურს, პოლონურს, ფრანგულს. ამ ენებზე ქადაგებდა საუცხოოდ. მისი ქადაგება უკავშირდებოდა საქართველოსა და მის ისტორიას. პაპი და კარდინალები იმდენად მოიხიბლნენ პეტრეს პიროვნებით, რომ მისცეს უფლება და აღმოუჩინეს დახმარება სასწავლებლების დაარსებისა და ქართულ ენაზე მოძღვართა გამოზრდისა, ქართველი ერის ისტორიის წარმოჩენისა. ამ აღიარების შემდეგ იგი გაემგზავრა ევროპის ქვეყნებში და იქაურ მრევლსაც გააცნო

საქართველო თავისი ქადაგებით, თანაც ევროპის სახელმწიფოებისგან მიიღო ფინანსური დახმარება.

პეტრე ხარისჭირაშვილის მოგზაურობამ ევროპის ქვეყნებში და იქ გაშლილმა საქმიანობამ სხვაგვარი ნაყოფიც გამოიღო. ბევრი მეცნიერი დაინტერესდა საქართველოს ისტორიით. მაგალითისათვის საკმარისია ერთ–ერთი უმაღლესი სასულიერო პირის **ოგუსტ დარასის** ღვაწლიც. მან ბევრი ისტორიული წყარო თარგმნა ქართულიდან ფრანგულად, საქართველოს შესახებ ბევრი სტატია დაბეჭდა ფრანგულენოვან ჟურნალებში და რაც მთავარია, მან **ფრანგულად დაწერა წმ.ნინოს ცხოვრება** და 1874 წელს ცალკე წიგნად გამოაქვეყნა. ტრაპიზონში მყოფმა იტალიის ვიცე–კონსულმა **მარენგომ** 1885 წელს რომის გაზეთ "ვეს მისიონ დე კოლეჟში" დაბეჭდა საქართველოს მოკლე ისტორიული მიმოხილვა. თვით პეტრე ხომ სულ ბეჭდავდა ევროპულ ჟურნალ–გაზეთებში სტატიებს საქართველოს შესახებ. ასეთი საქმიანობით მან შორს გაიტანა საქართველოს სახელი.

პ. ხარისჭირაშვილმა რომში დაარსა ქართული მონასტერი, სახელწოდებით "ივერიის ღვთის მშობელი, უმანკო შთასახებისა". მაგრამ რომში საქმიანობას გულს მაინც ვერ უდებდა ჩვენი მოძღვარი. მას გული კონსტანტინეპოლისაკენ მოუწევდა. ოსმალეთში გადახვეწილი მილიონობით ქართველის ბედი ადარდებდა. დღენიადაგ ზრუნავდა მათი კეთილდღეობისთვის, მათში ქართული სულისკვეთების შენარჩუნებისათვის. ამიტომ იგი 1859 წელს გადასახლდა სტამბოლში. სტამბოლში მაშინ ბევრი ქართველი ცხოვრობდა. მათი უმეტესობა სამცხე–ჯავახეთიდან, აჭარიდან, ტაო–კლარჯეთიდან იყვნენ გადმოსულნი. ისინი სიხარულით შეეგებნენ პ.ხარისჭირაშვილს. მათი ფინანსური დახმარებით პეტრემ სტამბოლის მაშინდელ გარეუბანში–**ფერი ქოიში** (ანგელოზის სოფელში) შეიძინა რამდენიმე ჰექტარი მიწა და დაიწყო ეკლესია–მონასტრის მშენებლობა. 1861 წელს ეკლესია გაიხსნა, მონასტერი დაარსდა. ეკლესია–მონასტერთან შეიქმნა ქართულ–ფრანგული და ქართულ–ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები. აქაურ დედათა და მამათა მონსტრებში იყვნენ მესხეთ–ჯავახეთიდან მოსულები, ერთმანეთის ნათესავები. ამ სკოლებში მოსწავლეები მრავალმხრივ განათლებას იღებდნენ. მათ სამედიცინო საქმეს, წამლის მომზადება–გამოყენებასაც კი ასწავლიდნენ; ე.ი. სულიერად და ფიზიკურად მკურნალ მოძღვრებს ამზადებდნენ ამ სასწავლებლებში. ბევრი მათგანი ცნობილი ექიმი, მეცნიერი გახდა. მაგალითად, აქ აღიზარდა საქვეყნოდ აღიარებული ექიმი, მეცნიერი **პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი)**, რომელმაც უმაღლესი სამედიცინო განათლება, სამეცნიერო ხარისხი პარიზში მოიპოვა და გახდა ეთიოპიის მეფის **მენელიქ მეორის** მკურნალი ექიმი. 1876 წელს აქაურ სასწავლებლებში აღზრდილმა თოთხმეტმა ქართველმა კათოლიკე მოძღვარმა დაამთავრა ევროპის ქვეყნების მოწინავე უმაღლესი სასულიერო სასწავლებელი. მათ, საღმრთო საგნებს გარდა, შესწავლილი ჰქონდათ ექიმობა, ფარმაცია, ენები, პედაგოგობა. ისინი აღზრდილნი იყვნენ პეტრე ხარისჭირაშვილის ეროვნული სულისკვეთებით, ნამდვილ ქართველებად.

პეტრე ხარისჭირაშვილმა კარგად იცოდა, რომ ქართულ ენაზე წიგნები ნაკლებად იბეჭდებოდა, რომ ქართულ სკოლებს სასკოლო სახელმძღვანელოები თითქმის არ ჰქონდა. ამ მიზნით მან 1870 წელს მონასტერთან გახსნა სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. ამასთანავე, მონასტერი, სტამბა, სასულიერო სასწავლებელი დაარსა სამხრეთ საფრანგეთში,

ქ.მონთოობანში. ამ მონასტერთან შექმნა უმაღლესი კურსები საღვთისმეტყველო და საფილოსოფიო განხრით. სტამბოლისა და მონთოობანის სტამბებში დაიბეჭდა ბევრი საინტერესო წიგნი, რომელთა დიდი ნაწილის ავტორი გახლავთ მამა პეტრე, მაგრამ უმრავლეს შემთხვევაში იგი თავის თავს არ მიუთითებდა, რადგან უყვარდა დიდი საქმის უხმაუროდ, უჩუმრად კეთება. დავასახელებთ რამდენიმეს: „გზა ცხოვრებისა", „გვირგვინი წამებულთა", „ყვავილის კონა ყრმათა", „წინამძღვარი ზეცისა", „ბრძენი კაცი", „მოკლე რიტორიკა, გინა მჭერმეტყველობა", „მოკლე ფილოსოგია, გინა სიბრძნის მოყვარეობა", „მოკლე ქართული ღრამმატიკა", „მოკლე ქართულ–ფრანგული ღრამმატიკა", „საქრისტიანო მოძღვრება", „წალკოტი ლოცვათა", „ისტორია საზოგადო", „მოკლე გეოგრაფია", „მზა პასუხი სომხურ გაზეთ „მშაკის" შესახებ" და ა.შ.

პ.ხარისჭირაშვილს სურდა, რომ ეს წიგნები, საქართველოს გარდა, ოსმალეთის მაჰმადიან ქართველებშიც შეეტანათ და გაევრცელებინათ. ქართულ ენაზე დაწერილი წიგნები ოსმალეთის ქართველობას გულზედ მალამოდ დაედებაო, ამბობდა თურმე. იგი ბევრ წერილს აქვეყნებდა ევროპულ პრესაში ქართველთა გამაჰმადიანების მიზეზების შესახებ. ამ წერილების გაცნობის შემდეგ ბევრი ევროპელი მეცნიერი მოდიოდა ოსმალოს საქართველოში და სწავლობდა აქაურ ქართველთა ყოფასა და ისტორიას. ცნობილი მეცნიერები–**მარი ბროსე, სენ მარტენი** დიდი ინტერესით კითხულობდნენ აღნიშნულ სტატიებს და ეხმაურებოდნენ კიდეც. მარი ბროსეს რამდენჯერმე უთხოვია პ.ხარისჭირაშვილის მიერ გამოცემული წიგნები.

პ.ხარისჭირაშვილი მწვავედ განიცდიდა მაშინდელ საქართველოში შექმნილ მძიმე სოციალურ–ეკონომიურ მდგომარეობას. განსაკუთრებით ადარდებდა ის, რომ ქართველი მებატონეები შეუბრალებლად ჰყიდდნენ ქართველ გოგო–ბიჭებს ოსმალთა ვაჭრებზე, რომლებსაც სპეციალური ბაზრები ჰქონდათ მოწყობილი ტრაპიზონსა და კონსტანტინეპოლში. მამა პეტრეს ბევრჯერ დაუხსნია ისინი, გამოუსყიდია საკუთარი ფულით და მონასტერში მოუყვანია აღსაზრდელად. პ.ხარისჭირაშვილი ასეთი თავადების წინააღმდეგ მკაცრ წერილებს აგზავნიდა ხოლმე სტამბოლიდან საქართველოში, ჟურნალ „ცისკრის" რედაქციაში; მაგრამ ჟურნალის რედაქტორი **ივანე კერესელიძე** ვერ აქვეყნებდა თურმე ამ ბოროტი თავადების შიშით. საქართველოში შექმნილი ასეთი მძიმე მდგომარეობით, პეტრე ძალიან გულგატეხილი ყოფილა. ერთი მხრით, გამაჰმადიანებული ქართველების დაკარგვას გლოვობდა; მეორე მხრით, ქართველი გოგო–ბიჭებით ვაჭრობა უკლავდა გულს. თვალები ხშირად ცრემლებით სავსე ჰქონდა თურმე, რადგან მის გონებას არ სცილდებოდა ეს მწარე ფიქრები. **ზ.ჭიჭინაძე** წერს, რომ „სტამბოლში როცა ვინმე საქართველოდან ჩამოსული ესტუმრებოდა, იგი სტუმრის წინ ჯერ მწარედ იტირებდა და მერე გამოჰკითხავდა ხოლმე საქართველოს ამბებს, ასევე ექნა იმ დროს, როცა **ბ.დიმიტრი ბაქრაძე** პ.ხარისჭირაშვილს ესტუმრა. მან ჯერ მწარედ იტირა და მერე დაუწყო საუბარი საქართველოს ისტორიაზე. ძალიან გულგატეხილი ყოფილა საქართველოს ერზე და ნამეტურ მასზე, რომ ამდენი ქართველი მაჰმადიანობა უპატრონოდ არის დაშთენილი, ამოდენა ხალხი უნდა მოეგლიჯოს საქართველოს, ქართულ ენას და გვარტომობასო, რადგანაც დღეის შემდეგ ქართველობა ამისთვის ვეღარ მოიცლისო" (დასახელებული ნაშრომი, გვ. 79). ჩვენდა საუბედუროდ, ისტორია მეორდება დღეს. მამა პეტრეს დღევანდელი ვითარებაც აატირებდა, ცოცხალი რომ ყოფილიყო, ასე განუკითხავად რომ მიედინება ქართული გენი საქართველოდან და უცხო ქვეყნებს ეკედლება ხოლმე.

პეტრე ხარისჭირაშვილი, წუთისოფლისაგან დაღლილი და გულგატეხილი, გარდაიცვალა 1890 წელს. იგი დაკრძალულია მის მიერ აგებული ეკლესიის შიგნით, შუაგულში, რომელ-ზედაც ყოველდღე დააბიჯებს მრევლი, რაც მეტად სიმბოლურია. მისი გული კი, სპირტიან ქილაში მოთავსებული, ობლად დარჩენილი მონასტრის ერთ ოთახში ინახება და დღესაც ელოდება საქართველოდან მოსულ ჭირისუფალს.

ვენეციის, მონთობანისა და კონსტანტინეპოლის ქართველთა სავანეებისა და სტამბების დამაარსებლის მიზნების დიდი ნაწილი განუხორციელებული დარჩა. საუბედუროდ, ვენე-ციასა და მონთობანში დაიკარგა ქართული კერების კვალი. სტამბოლის (კონსტანტინეპოლის) ქართველთა სავანეც კარგა ხანია ობლადაა და ყოველ დღეს ელოდება მშველელს, კარის გამღებს. იქნებ ახალმა ხელისუფლებამ შეძლოს მისი გაცოცხლება და **ახალ გიორგი მთაწ-მინდელად წოდებულ მამა პეტრე ხარისჭირაშვილის** მიზნებს შეასხას ფრთები. სტამბოლის ქართველთა ეკლესიაში დღეს უცხოელი მღვდელი მოღვაწეობს, უცხო მრევლი ტრიალებს. იმ ჩაბნელებულ მონასტერში კი მხოლოდ მამა პეტრეს გული ფეთქავს თითქოს, და საშველად გვიხმობს. ქართველ მკითხველს კი ელოდება მონასტრის ჩაბნელებულ ოთახებში დაცული სიძველეთსაცავი, ძვირფასი სამუზეუმო ექსპონატებით, საარქივო მასალებითა და მდიდარი ბიბლიოთეკით; ეკლესიის საკურთხევლიდან კი გვეხმაურება მამა პეტრეს დროინდელი შთამბეჭდავი წარწერა: **„მარიამ ღვთისმშობელო, ივერიის მოციქულო, მეოხ მეყავნ, ჩვენ, ცოდვილთა ქართველთა".**

მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა მთელი თავისი ცხოვრება უანგაროდ მოახმარა ქართველი ერის ღირსების წარმოჩენის, მისი განათლების ამაღლების კეთილშობილურ საქმეს. იცხოვრა უმწიკვლოდ, სახარებისეული მორალით, მოყვასის სიყვარულით და დაგვიტოვა დიდი სულიერი საგანძური და ჰექტრობით მიწა სტამბოლის შუაგულში მშვენიერი ბაღითა და ეკლესია–მონასტრის კარმიდამოთი. დღეს ეს დიდი სიმდიდრეა. მას ჯეროვანი ყურადღება სჭირდება. ჩვენდა საბედნიეროდ, დღესდღეობით ამ საუნჯეს წმ. ექვთიმე თაყაიშვილისეული რუდუნებით ჰპატრონობს, უვლის საქართველოს საპატიო მოქალაქე, თბილისის, ახალციხის, ქუთაისისა და ბათუმის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი, პროფესორი, ქართველი ერის საამაყო შვილი, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი, ცნობილი საზოგადო მოღვაწე ბატონი **სიმონ ზაზაძე** თავის ვაჟთან **პავლე ზაზაძესთან** ერთად. სავანის მომავალზე, მათთან ერთად, დღევანდელმა ჩვენმა ხელისუფლებამაც უნდა იზრუნოს.

დასასრულს, მომავლის იმედით, მოვიშველიებთ საქართველოზე უზომოდ შეყვარებული ერთი იტალიელი დიპლომატის (სტამბოლში საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენ-ლობის **მუშაკის) ევგენი დალეჯიო დალესიოს სიტყვებს წიგნიდან „ქართველები კონსტან-ტინეპოლში"** (სტამბოლი, 1921 წ.): **„უცხოეთში გადმოხვეწილო ქართველო, რა რწმენისა და მისწრაფებისა გინდა იყო, მოდი ამ სავანეში და ილოცე... სულით განახლებული წადი და ჩაები ჩვენი ცხოვრების ტალღებში... შენ თუ არა, შენი შვილი ან შვილიშვილი მაინც ნახავს ბრწყინვალე ხანას საქართველოსას და ქართველი ხალხისას"**.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. გაზეთი „ერი“, N25, 1914 წელი;
2. ლომსაძე შ., მესხები, გვ. 101, 1997 წელი;
3. ჭიჭინაძე ზ., აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895 წელი;
4. დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921 წელი;
5. ფუტკარაძე შ., სტამბოლის ქართული სავანე, თბილისი, 2016 წელი.

ShuShana Putkaradze
Paula Zazadze

FR PETRE KHARISCHIRASHVILI – THE FOUNDER OF THE GEORGIAN CATHOLIC MONASTERY IN ISTANBUL

The Georgian nation is counted among the nations creating the world civilization. The origin of the Georgian culture takes its beginning in the pre-Christian era. During the centuries the outstanding Georgian ancestors used to make humble contribution to building up the world civilization. They constantly strived to export the achievements in Georgian culture and education outside the country borders; tried to acquaint the leading peoples of the world with the successful performance of the Georgian culture and make their country famous. Educated Georgians gone abroad, used to settle down in the centers of the world civilization where they created centers of Georgian culture and education, founded churches and monasteries, got acquainted with the cultural and educational achievements of the leading countries of the world. This was the activity through which the spiritual values of different nations were interchanged. The contribution of the Holy Monastery of Iviron on Mount Athos, Monastery of the Cross in Jerusalem, Mount Sinai and Black Mountain, Petritsoni Monastery – these prominent centers of Georgian culture and education are invaluable as most of the ancient Georgian sources and masterpieces of Georgian Christian culture had been created in these places. The fifteen-century-old history of the Georgian culture originated and developed within the realms of the creations of the prominent Georgians conducting their activities in cultural-educational centers within and outside Georgia. One of the sections of this long history is enriched with interesting and diverse episodes by the Georgian Catholic Monastery of the Virgin in Istanbul. The founder of this spiritual and cultural-educational center was Father Petre Kharischirashvili.

Petre Kharischirashvili was a Georgian religious and public figure, writer, translator, philosopher, theologian, connoisseur of various cultural and scientific fields and a brilliant teacher. He was born in Akhaltsikhe in 1804 (according to some versions 1818). He got the primary education at Akhaltsikhe St John the Baptist congregational school. Then his parents sent him to a Theological Seminary in Alexanderpole. After graduating from the seminary Peter went to Italy and entered a higher educational institution in Rome. There he learnt French, Italian, German, Greek, Polish and Turkish languages perfectly well. In 1842 Petre Kharischirashvili returned to his native Akhaltsikhe where he was ordained as a priest. He became famous quite soon. Numerous parish members listened to his sermons with great interest and pleasure. He was endowed with a rare gift of persuasion and preaching. “He was as eloquent speaker and rhetorician” – he contemporaries used to say about him. He was also distinguished by pleasant appearance and warm voice. A famous scholar Zakaria Chichinadze wrote: “Petre Kharischirashvili used to pass his time in monastic life. He was definitely a hermit monk; good-looking; his visage gave light to every viewer… his voice was a sound of organ. There were no fathers like him in all Russia…” And, indeed, his handsome face was lit with divine radiance. He had firmly decided to devote his life to the service of God. He lived a life of a saint during all his life. During his service as a priest in the villages of Akhaltsikhe and Meskheti – Khizabavra and Vale – he appeared as a real guardian angel and protector to the local peasantry. Local peasants loved his as he always served kindness, justice, honesty and charity in word and in deeds. He was an exemplary and beloved confessor for everyone.

In 1856 Petre Kharischarashvili went to Italy. He arrived in Venice and contacted Armenian *Mekhitarist* brotherhood. At that time a famous son of the Armenians, great religious and public figure, writer and scholar **Gevond Alishan** was working there. Petre made friends with Alishan. Apart from the

religious activities, their aim was a devoted service to their motherland, promotion of Georgian and Armenian cultural and educational achievements to the advanced European society. With this purpose in mind, Petre began printing books together with his friend Ivane Mamulashvili. He wanted to make his contribution in the cultural and educational development of the Georgian people.

With his self-denying and painstaking activities Petre Kharischirashvili soon deserved the attention and favor of Vatican cardinals. As it is known, Petre Kharischirashvili managed to meet the **Pope in Vatican**. He delivered a long speech on the history of Georgia and Georgian Catholics. With the reference to the historical sources, the speech reflected the history of dissemination of the Catholic faith among the Georgians, that it took its origins from 13th century. He also spoke about the episodes of correspondence between the Georgian kings and Roman Popes. The speech also contained information about the Georgian printing press established in Rome as well as the first Georgian book about the Italian missionaries travelling in Georgia printed there in 1626.

It is also known that the Pope listened to Petre Kharischirashvili with great attention and rendered his a considerable assistance. Petre was respected by the Cardinals as well. Then he was temporarily assigned to one of the big churches where he was often giving service together with the highest clergy in Rome. Such incidents were rather unusual for the Georgian priest. It was God's great grace bestowed on Petre Kharischirashvili.

He was given the right to preach in the churches of Rome and he often preached during the liturgies about Georgia in Italian, Polish and French languages. Petre Kharischirashvili spoke eight languages fluently (Georgian, Italian, French, German, Russian, Polish, Greek and Ottoman). He could preach in eight languages in eloquent and expressive language. The clergy used to listen to Petre's sermons with great pleasure and got acquainted with the history of Georgia.

Petre Kharischirashvili soon became famous among the believers and gained their respect and love. The Pope and Cardinals blessed him and gave support. After that he travelled to the European countries. In accordance with the Pope's permission, he was given a chance to meet higher religious figures and statesmen and explain to them the situation in Georgia. He was given permission to preach and conduct service of liturgy almost everywhere. At the same time, he published a great deal of information about Georgia in the European press and introduced Georgia to almost entire Europe. It was then that he met Father August Darras who translated much information about Georgia from Georgian into French. With Petre's advice, Darras wrote "The Life of St Nino" in French and published it in 1874.

The books printed in the Georgian printing press opened in Venice by Petre Kharischirashvili were well-known and respectively estimated by the prominent scholars of that time – Orientalists of the University of Paris San Martin and Mari Brose, the member of the Russian Academy of Sciences Davit Chubinashvili, a Swiss scholar Dubois de Monpere, vice-consul of Italy in Trabzon Marengo… Among the books printed in Venice the following should be singled out: "The Story of Old and New Testaments", "Lives of the Saints", "Fables by Aesop the Philosopher", "Geography"… In those days the French and Italian press often printed the articles by Petre and his followers about the Georgian Catholics. Their activities promoted the popularization of the history of ancient Georgian culture throughout the world.

Petre Kharischirashvili founded a Georgian monastery first in Italy. It was the monastery of Most Holy Virgin, Immaculate Conception", which received great donation from various higher religious figures. There was also a Brotherhood of the same name founded by the Italian Missionaries earlier in Rome in XVII-XVIII centuries. This is the Brotherhood with the aegis of whom the first Georgian books were printed in Rome. The then Padre Tulukaant Davit also mentions the Brotherhood in the postscript to the books printed in that period – "The Immaculate Conception Brotherhood of the Georgian Catholics". He same was written on the Book of Confession printed in Georgian in 1737.

Petre Kharischirashvili knew that there were over 2000 Georgian families living in Istanbul at that time. His mission and calling was to serve the Georgians living in Istanbul; he decided to care for maintenance of the Georgian identity in the Georgians exiled to the Ottoman Empire. Therefore, he asked for the Popes blessing and moved to Istanbul. He intended to establish a monastery and open a printing press and a school. He was given permission to found a congregation of Georgian Catholics in Istanbul. Soon Petre founded "The Georgian Brotherhood" and conducted liturgy in Georgian. With the support of the Georgian nobility living in Istanbul he managed to establish close contacts with the Ottoman imperial court – the Sultan Palace. The then padishahs – Sultan Abdul Mejid and Sultan Abdul Aziz were of half-Georgian blood, Georgians by their mothers.Sultan Abdul Mejid's mother – Bezmialem Valide Sultan was Georgian Shushani Tavdgiridze by origin and she assisted the Georgians as much as she could. Sultan Aziz's mother was also a Georgian – Fertevnial Sultan (her Georgian surname has not been known so far). The news about Petre Kharischirashvili's intention had already reached the Ottoman palace. Sultan Abdul Mejid (1839-1861) agreed to give Petre Kharischirashvili permission for purchasing a plot of land in one of the finest districts of Istanbul – Feriqoi (the District of Angels) for constructing a church there. Unfortunately, he died on 25 June, 1861 and was not able to officially sign the order.

The permission for establishing a church was granted by Sultan Abdul Aziz (1861-1876). The foundation of the church was laid on 28 August, 1861 on the holiday celebrating the Most Holy Virgin's day (commemoration day of the Virgin Mary). Soon the conditions were prepared for the construction of the church. In 1865 he founded a monastery as well with a Boy's school attached to it. In connection to this fact Petre addressed the population of Samtskhe-Javakheti with a special letter and appealed to the local youth to get education in Istanbul.

The complete four-storied building of the monastery was built in 1894. The amount of 300 gold was paid for the construction by the Embassy of France in the Ottoman Empire. The monastery soon turned into the cultural and educational center for Christian and Muslim Georgians. Even during the life of Petre Kharischirashvili the Orthodox, Catholic and Muslim Georgian listened to Petre's interesting sermons on Sundays with great pleasure and attended festive events.

The Boys' School opened at the monastery had over 100 pupils in the very first year of admission. The teachers were Georgian Catholic priests who had received education in different higher religious institutions throughout Europe. At the initial stages of teaching the subjects were taught in Georgian whereas at the upper stages different languages were also taught including French, Italian, Greek, Latin, Armenian and Ottoman languages. The following subjects were also taught at the school: Georgian Literature, History of Georgia, World History, Grammar, Rhetoric, Aesthetics, Chanting, Geography, Astronomy, Theology, Medical subjects, Mathematics…

Next to the monastery Petre Kharischirashvili established a **convent** where the sisters and close relatives of the monks living in the monastery were registered as nuns. At the convent soon the **Girls' Georgian-French School** was opened the director of which for over 30 years was **Elisabeth (Ana) Bezhanidze (Bezhanishvili),** a nun distinguished by her intelligence and purity. She was mother's aunt to honorable **Simon (Alexander) Zazadze**, the present President of the Georgian Catholics Foundation in Istanbul.

In 1870 Petre Kharischirashvili opened a printing press in the monastery. Many interesting books had been printed there. Among them we should mention "Alphonsus Liguori's Sermons" translated from German by Petre himself and published in 1878 under the title "The Way of Life". The following books were also printed there: **"The Martyrs' Crown", "Bunch of Flowers", "The Divine Prior", "A Wise Man", "A Concise Rhetoric", "French-Georgian Grammar", "A Brief Christian Teaching", "The garden of Prayer", "The Ready Answer"…**

Petre Kharischirashvili opened Georgian Catholic churches in other districts of Istanbul as well, namely: in Pera the church of St. Josef, in Uskudar, Dardanel… He also opened a church-monastery and a Georgian printing press in the city of Montauban in South France. Among the books printed in the Montauban Georgian printing press we should mention **"Human Wisdom" (1877), "A Concise Geography", "A Concise Textbook for Learning French", "General Gistory" (1877)…**

Much was written about Petre Kharischirashvili's activities and merits during his lifetime in the European, Turkish and Georgian printed media in the last quarter of XIX century. Especially much information is placed on the pages of such famous newspapers of those days as **"Droeba", "Iveria", "Indépendante Belgique", "La Türk", etc.**

Great lover of his homeland, selfless guardian of Georgians, splendid popularizer of the Georgian culture, great enlightener, constant preacher of friendship among the peoples, votary of Turkish and Georgian culture and education, a man with a pure heart, **the great Georgian priest Petre Kharischirashvili** died in 1892. He was buried in the church founded by him.

In a beautiful district of Istanbul – Periqoi – in Georgian "The Angels' Village" the church founded by Petre Kharischirashvili still stands. Many prominent religious and public figures have been educated in the temple blessed by the Pope and Petre as well – Ivane Gvaramadze, Andria Tsinamdzghvrishvili, Stepane Giorgidze, Ioseb and Petre Merabishvili, Pio Balidze, Shalva Vardidze, Elisabeth Bezhanidze, Petre Tatalashvili, Alphons Khitarishvili, Pavle Zazadze, Mikheil Tamarashvili, Michel Tarkhnishvili… with their gift and virtuous pen, Petre Kharischirashvili's pupils and pupils' pupils made certain contribution in the development of the Georgian culture, purity of the people educated in this temple as well as strengthening friendship between the nations. The library opened in the church in 1908 under the name of the great Georgian poet Akaki Tsereteli has still been preserved to this day. Today the library is located in a new comfortable apartment equipped with modern equipment; corresponding conditions and climate are provided for book preservation. The library is quite rich. The literature is on 15 languages. The age of books starts from 1523. The number of books including journals and magazines is 83.000 units. The library preserves books, newspapers and journals published in the printing presses of European, Asian and American countries. There are also interesting archive materials. This library is one of the linking bridges in the Georgian-Turkish cultural relations, a kind of treasury of cultural heritage.

Today the devoted guardian and keeper of the famous religious and cultural-educational center - Georgian Catholic Monastery of the Virgin Mary – is Mr Simon Zazadze, the president of the Georgian Catholics Foundation in Istanbul, outstanding personality, Honorary Citizen of Georgia, Honorary Doctor of Tbilisi State University, Batumi Shota Rustaveli State University, Akhaltsikhe Teaching University, Honorary Professor of Kutaisi State University, a great philanthropist, and together with him – the prominent family of the Zazadzeebi in Istanbul. It is with the striving and care of this family and patronage of the Turkish state that this beautiful church and the cultural heritage preserved there was rescued from destruction. We are sure that Petre Kharischirashvili's soul is still dwelling in the temple blessing and strengthening the Zazadzeebis' marvelous family in order to preserve this glorious religious and cultural-educational center for the future generations of the Turkish and Georgian nations in one of the beautiful districts of Istanbul.

May the soul of Fr Petre Kharischirashvili rest in peace.

Thank you for attention.

Istanbul, 21 October, 2015

Reference:

1. Zakaria Chichinadze, Padre Petre Kharischirashvili, Tpilisi, 1895;
2. **Şuşana Putkaradze**, İstanbul Gürcü ocağı, Tbilisi, 2012;
3. **Mümin Yıldıztaş**, Osmanlı Arşiv kayıtlarında Gürcistan ve Gürcüler, İstanbul, 2012;
4. **Murat Kasap**, Osmanlı Gürcüleri, İstanbul, 2010;
5. **Abdülkadir Dedeoğlu**, Osmanlılar Albümü, İstanbul, 1976;
6. **Evgeni Dalegio Dalesio,** The Georgians in Constantinople, translated from French by Shalva Vardidze, Istanbul, printing press of the Georgian Catholics Abode, 1921;
7. **Mikheil Tamarashvili**, History of Catholicism among Georgians, 1902 Translated by Tamar Siradze, Professor, Batumi Shota Rustaveli State University

შუშანა ფუტკარაძე
პავლე ზაზაძე

გევონდ ალიშანი–სტამბოლის ქართული სავანის მოამაგე

დიდი ივანე ჯავახიშვილი სამართლიანად აღნიშნავდა, რომ „საზღვარგარეთ მყოფ ქართული სავანეების კულტურული მნიშვნელობა ფრიად ფასეული იყო. იმ მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის გარდა, რომელიც საქართველოს წარსული საუკუნეების განმავლობაში იქ დაუნჯებული ჰქონდა, სხვა მხრივაც გახლდათ მეტად დასაფასებელი. უცხოეთში მყოფი მონასტრების საშუალებით საქართველოს შეეძლო მაშინდელი განათლებული ქვეყნების კულტურული განვითარების ყოველი წარმატებისთვის თვალყური ედევნებინა. ყველაფერი, რაც კი უცხოეთში დაარსებულს ქართველთა სავანეებში ახალი და მნიშვნელოვანი იწერებოდა, ანდა კეთდებოდა, საქართველოს უმალვე სწვდებოდა იქ მომუშავე ქართველი მოღვაწეების – მწერლების, მეცნიერებისა და ხელოვანთა წყალობით“.

საუკუნეზე მეტი ხნის მანძილზე ამგვარი დანიშნულების დაწესებულება გახლდათ ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერი, რომელიც მოკლედ ასე იწოდებოდა – **„სტამბოლის ქართული სავანე“**. ეს სამონასტრო კომპლექსი მდებარეობს სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში – ფერიქოიში–ანგელოზთა სოფელში (თურქ. ფერია–ანგელოზი, ქოი-სოფელი). იქ დღესაც ლამაზად გამოიყურება წმ. მარიამ ღვთისმშობლის სახელობის ეკლესია და ოთხსართულიანი მონასტერი, რომელიც, სამწუხაროდ, ამჟამად ცარიელია.

სტამბოლის ქართული სავანე – ეკლესია, მამათა და დედათა მონსტრები, ქართული სტამბა, აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკა არქივით, ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლებით–ას წელზე მეტი ხნის განმავლობაში იყო დიდი კულტურულ-საგანმანათლებლო და სასულიერო ცენტრი, საქართველოს–განმათავისუფლებელი მოძრაობის მხურვალე კერა. იგი დაარსა ახალციხელმა კათოლიკე მღვდელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა. ეს სახელოვანი პიროვნება მთელი სიცოცხლის მანძილზე იღვწოდა საქართველოს ნათელი მომავლისათვის, იღვწოდა იმისთვის, რომ ქართველს ქართული ენა არ დაეკარგა არა მარტო ისტორიულ-მესხეთ-ჯავახეთში, არამედ თურქეთშიც.

სტამბოლის სავანის მადლი მთელი საუკუნის მანძილზე სულში ეღვრებოდა სამშობლოდან იძულებით გადახვეწილ, ოსმალეთის მთა-ბარს შეხიზნულ, თუ საქართველოს საზღვრის იქით დარჩენილ ქართულ მიწებზე ბინადარ მილიონობით ქართველს. ამ სავანემ მთელი საუკუნის მანძილზე თავდადებით იღვაწა ქართველი მუსლიმანების ეროვნული თვითშეგნების ამაღლებისათვის. ამ სავანეში მოღვაწე დიდი მამულიშვილების – პეტრე ხარისჭირაშვილის, ალფონს ხითარიშვილის, ანდრია წინამძღვრიშვილის, სტეფანე გიორგიძის, იოსებ და პეტრე მერაბიშვილების, შალვა ვარდიძის, პიო ბალიძის, პეტრე ტატალაშვილის, პავლე ადგულაძის, პავლე ზაზაძის–დიდი მამულიშვილური საქმიანობით. მართლაც, სამშობლოდაკარგულ ქართველებში აღორძინდა ეროვნული სული. ეს ნაპერწკალი დღესაც ნაღვერდალივით ღვივის და ქართული ენის ფესვებს, ქართული სისხლის ყივილს აცოცხლებს დედის კალთას დანატრებულ ქართველებში. ამ საშვილიშვილო საქმეში, სხვა მრავალ წყაროსთან

ერთად, სტამბოლის სავანის ღვაწლიცაა ხელშესახები და სამუდამოდ დასამახსოვრებელი. 1981-1921 წლებში აჭარისა და ისტორიული ტაო-კლარჯეთის სხვა მხარეების დედასამშობ-ლოსთან დაბრუნების საკითხი სწორედ ამ სავანეში წყდებოდა. აქაური ეროვნული სულიე-რებით იმოძღვრებოდნენ ამ სავანის სტუმრები – **მემედ და ჰაიდარ აბაშიძეები, ისკენდერ ცივაძე, ჯემალ ხიმშიაშვილი, ასლან ბეჟანიძე** და სხვები. ამ სავანეში შეისწავლა ქართული წერა-კითხვა და საქართველოს ისტორია თურქეთის ქართველთა **ილია ჭავჭავაძეზედ** წოდებულმა დიდმა ქართველმა ახმედ მელაშვილმა. პირველი მსოფლიო ომის დროს – 1914-1919 წლებში საქართველოდან ლტოლვილ ქართველებისთვის შექმნილ საქველმოქმედო საზოგადოებას აფინანსებდა ამ სავანეში აღზრდილი საფრანგეთში ცნობილი ექიმი **პეტრე მერაბიშვილი,** რომელიც იმ წლებში იყო აბისინიის (ეთიოპიის) მეფის **მენელიქ მეორის** პირადი ექიმი. ეს საქველმოქმედო საზოგადოება ასაზრდოებდა რამდენიმე ხნის მანძილზე საქართველოდან გახიზნულ **ნოე ჟორდანიას** მთავრობასა და მის მრავალრიცხოვან ამალას. საარქივო მასალა იუწყება, რომ ამ საქველმოქმედო საზოგადოების ამარად იყო დარჩენილი ცნობილი საზოგადო მოღვაწის **გიორგი ყაზბეგის** სტამბოლში გახიზნული ოჯახიც კი. ასე, რომ განსაკუთრებით მე-20 საუკუნის I მეოთხედში დიდი მამულიშვილური ტვირთის ზიდვა არგუნა ბედმა სტამბოლის ქართველთა სავანეს.

სტამბოლის ქართული სავანის დაუვიწყარ ღვაწლზე მიგვითითებს, აგრეთვე, ქართული ემიგრაციის ერთ-ერთი თვალსაჩინო წარმომადგენელი **გივი ზალდასტანიშვილი**. 1970 წელს იგი ამერიკიდან სტამბოლში სპეციალურად ჩავიდა და მონასტრის საქმიანობას გაეცნო. ნიუ-იორკში გამომავალ ქართულ გაზეთში –„ქართული აზრი“ – იგი ასე წერდა: „სტამბულის მონასტერს – ჩვენი კულტურის სავანეს–საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში დი-დი მონაწილეობა მიუღია. თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისთავის განსა-კუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით, უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმო-შობისაა“ (იხ. N85).

ამ მნიშვნელოვანი კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრის დამაარსებელმა მამა **პეტრე ხარისჭირაშვილმა** 1861 წლამდე, ე.ი. ეკლესია-მონასტრის, სტამბის დაფუძნებამდე, ცხოვრების მეტად საინტერესო და საქმისთვის სასარგებლო გზა გაიარა. მოგეხსენებათ, წინა კაცი უკანა კაცის ხიდიაო, ამბობს ხალხური სიბრძნე. ასე იყო მაშინაც, როცა პეტრე ხარისჭირაშვილი სტამბოლში ქართული სავანის დაარსებაზე ოცნებობდა. ყველასათვის ისიც ცნობილია, რომ ორი უძველესი და უგანათლებულესი ერის – სომხებისა და ქართველების–კარის მეზობლობა ბიბლიური ჰაოს-ქართლოსის ეპოქიდან იწყება. საუკუნეთა მანძილზე ამ ორ მეზობელ ხალხს ბევრჯერ ერთად უბრძოლია საერთო მტრის წინააღმდეგ, ბევრჯერ ურთიერთმხარდაჭერით შეუნარჩუნებია მშობელი მიწის თავისუფლება, დამოუკიდებლობა. სტამბოლის ქართული სავანის დამაარსებელმა პეტრე ხარისჭირაშვილმა სწორედ სომეხი ერის შვილებისაგან მიიღო მხარდაჭერა და დახმარება თავისი მიზნების შესასრულებლად.

პეტერბურგში სწავლის დამთავრების შემდეგ პ.ხარისჭირაშვილი გაემგზავრა რომში და ვატიკანთან არსებულ უმაღლეს სასულიერო სასწავლებელში შევიდა. იგი აქ საღვთისმეტყვე-ლო საგნებთან ერთად კარგად დაეწაფა უცხო ენებს – ლათინურს, გერმანულს, იტალიურს, პოლონურს, ფრანგულს, თურქულსა და ბერძნულს. მღვდლად კურთხევის შემდეგ იგი

რომიდან გადადის ვენეციაში, სადაც სომეხი ერის შვილებს – სომეხ კათოლიკებს დაარსებული ჰქონდათ დიდი სასულიერო და კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი. რომის სამღვდელოების მიბაძვითა და მითითებით, ისინი სომხურ ენაზე ბეჭდავდნენ წიგნებს, თარგმნიდნენ უცხო ენებიდან. მათ დაარსებული ჰქონდათ ძმობა – „კონგრეგაცია“. ამ ძმობას ეწოდებოდა **მხითარისტები**. ეს იყო სასულიერო და სამეცნიერო ხასიათის საზოგადოება. მისი დამაარსებელი იყო სომეხი კათოლიკე მხითარი. მათი სავანე მდებარეობდა ვენეციაში, ლაზარეს კუნძულზე. ამ კონგრეგაციას ეხმარებოდნენ ევროპის სახელმწიფოები, რის გამოც ეს ძმობა ძალიან ძლიერი იყო ფინანსურადაც და სულიერების თვალსაზრისითაც. მათი მთავარი მიზანი იყო სომეხი ერის სულიერების გაძლიერებისათვის თავდაუზოგავი ზრუნვა. მხითა-რისტებმა სომხურ ენაზე დაარსეს სასწავლებლები სხვადასხვა ქვეყანაში, გახსნეს სტამბები, გააძლიერეს წიგნების ბეჭდვის საქმე. განსაკუთრებული ყურადღება მიაქციეს სომხეთის ძველი ისტორიის წარმოჩენის საკითხს. ბევრი წიგნი დაიბეჭდა მაშინ ძველი სომხეთის ისტორიის შესახებ, ახალი სომხეთის მწერლობაზე და ა.შ. მაშინ იქ მოღვაწეობდა სომხეთის სახელოვანი შვილი **გევონდ ალიშანი.**

გევონდ ალიშანი დაიბადა 1820 წელს კონსტანტინეპოლში, მეცნიერ-ნუმიზმატიკის ოჯახში. მან პირველდაწყებითი განათლება მიიღო კონსტანტინეპოლის სომხურ კათოლიკურ სკოლაში. სწავლის გასაგრძელებლად ალიშანი გადადის ქ. ვენეციაში მხითარისტების **მურად-რაფაელიანის** სახელობის სკოლაში. აქ იგი საფუძვლიანად სწავლობს ძველ სომხურ ენას-გრაბარს, აგრეთვე, ეწაფება იტალიურ, ფრანგულ, გერმანულ ენებს და დიდ ცოდნას იძენს ისტორიის, გეოგრაფიისა და ფილოლოგიის დარგებში. 14 წლის ალიშანი გადაწყვეტს ატაროს სომეხი ხალხის 451 წლის ეროვნულ-გამათავისუფლებელი მოძრაობის გმირის–„**გევონდის“** სახელი. იგი მოსწავლეობის პერიოდიდანვე გახდა სომხთმცოდნეობის კონგრეგაციის – **„მხითარისტების“** აქტიური წევრი. სწავლის დამთავრების შემდეგ იგი იწყებს პედაგოგიურ მოღვაწეობას თავის მშობლიურ სკოლაში და სიკვდილამდე მასწავლებლობდა ვენეციასა და პარიზში. 1849-1855 წლებში იგი რედაქტრობდა მხითარისტების ჟურნალს „**ბაზმავეპს“**.

1850 წლიდან იგი იწყებს კვლევით საქმიანობას ბიბლიოთეკებში, მუზეუმებსა და არქივებში სომხეთმცოდნეობის მიზნით. სწავლობს აქ დაცულ ძველ სომხურ ხელნაწერებს და ცდილობს წარმოაჩინოს სომეხი ხალხის ისტორიის, უძველესი კულტურის ამსახველი წყაროე-ბი. იგი არის ავტორი ბევრი მნიშვნელოვანი ნაშრომისა, რომლებიც ეხება სომეხი ხალხის ისტორიას, ეთნოგრაფიას, კულტურას. მათი უმრავლესობა თარგმნილია იტალიურ, ინგლი-სურ, ფრანგულ, გერმანულ ენებზე. გევონდ ალიშანი იყო შესანიშნავი პოეტი. იგი ლექსებს წერდა ძველ სომხურ ენაზე–გრაბაზე. წერდა პროზაულ ნაწარმოებებსაც. დიდი აღიარება მოიპოვა მისმა რომანმა **„მოგონებები სომეხთა სამშობლოზე“.** იგი გარდაიცვალა 1901 წელს ვენეციაში წმ. ლაზარეს კუნძულზე და იქვეა დაკრძალული.

ცნობილია, რომ პარიზის ორიენტალისტთა საზოგადოების აქტიურმა წევრმა არმენისტმა **სენ მარტენმა** წინადადება მისცა მხითარისტებს, რომ სომხურ ისტორიასთან ერთად ეკვლიათ საქართველოს ისტორიაც, ეწერათ წერილები საქართველოს ისტორიის შესახებაც უცხოურ ენებზე. სენ მარტენი ნამყოფი იყო საქართველოში. ბევრ საინტერესო მასალას ინახავს მისი საქართველოში მოგზაურობის ამსახველი დღიურები. მან კარგად იცოდა ქართველი ხალხის

დიდი წარსულის ამსახველი მასალები. მართლაც მხითარისტებმა კარგად შეისწავლეს დასავ-ლეთი საქართველო, განსაკუთრებით აჭარა, **ლაზეთი,** ისტორიული ტაო-კლარჯეთის სხვა მხარეებიც – **არტაანი, კოლა, ტაოსკარი, კლარჯეთი, ლივანა, ერუშეთი, შავშეთი.** ამ მხარეების შესახებ მხითარისტებმა სომხურ ენაზე გამოაქვეყნეს წერილები ვენეციაში, რომელსაც მრავალი ორიენტალისტი (აღმოსავლეთმცოდნე) დიდი ინტერესით დაეწაფა. კერძოდ, საქართველოს აქედან გაეცნო შვეიცარიელი სწავლული **დებუა დე მონპერი**. მხითარისტებმა კარგად აღწერეს **იშხნის, ხახულის, პარხლის** ტაძრები. ამ აღწერებით ისარგებლა დიდმა სწავლულმა **გევონდ ალიშანმა.** მან თავისი საინტერესო ნაშრომში –**„კილიკიის ვრცელ ისტორიაში“** ჩაურთო ამ ტაძრების სურათები და მასალები. სენ მარტენმა და მარი ბროსემ მხითარისტებს ქართული ენის შესწავლაც კი დაავალეს; მოთხოვეს მოპოვებული მასალების ქართულ ენაზე თარგმნა და ქართულად წიგნების ბეჭდვაც. სწორედ ამ პერიოდს ემთხვევა პეტრე ხარისჭირაშვილის ყოფნა ვენეციაში მხითარისტებთან. მას აქ ბევრი თანამოაზრე ჰყავდა. მათ შორის იყო **გევონდ ალიშანიც**.

პეტრე ხარისჭირაშვილი მხითარისტებს უმტკიცებდა, რომ ქართველთა შორისაც იყვნენ კათოლიკები, რომ ქართველი კათოლიკები ეროვნებით იყვნენ ქართველები და არა სომხები, როგორც ამას ადრე თვლიდნენ; რომ ქართველი კათოლიკების მშობლიური ენა იყო არა სომხური, არამედ–ქართული, რომ წირვა-ლოცვა საქართველოს კათოლიკურ ეკლესიებში უნდა ჩატარებულიყო არა სომხურად, არამედ ქართულად. ამრიგად, პეტრე ხარისჭირაშვილი გამოდიოდა ქართული ენის, ქართველი ერის ინტერესების დამცველად. პეტრემ მხითარის-ტებს შორის გაიჩინა რა თანამოაზრეები, **ვენეციაში დაარსდა ქართული სტამბა**. იგი ვენეციიდან გაემგზავრა ევროპის სხვადასხვა ქვეყანაში და დაიწყო კათოლიკურ ტაძრებში ქართველთა შესახებ ქადაგება. შემდეგ იგი რომს ეწვია და პაპს წარუდგინა ვრცელი ისტორიული მოხსენება საქართველოს შესახებ. ამის შემდეგ მან მიიღო **სტამბოლში ქართველ კათოლიკეთა ეკლესიისა და მონასტრის დაარსების ნებართვა,** ცხადია, ოსმალეთის მაშინდელი მმართველის სულთან აბდულ აზიზის ბრძანების საფუძველზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ქართველ კათოლიკეთა ეკლესია–მონასტრის სტამბოლში დაარსებისათვის ზრუნვა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა რამდენიმე წლით ადრე დაიწყო. ჯერ კიდევ სულთან აბდულ მეჯიდის სიცოცხლეში ოსმალეთის სამეფო კარზე დაისვა ეს საკითხი და სულთნის დედის-ბეზმიალემ ვალიდე სულთნის დახმარებით მომხრე პირები გაიჩინა სულთნის მრჩეველთა შორის. ეს ბუნებრივიც იყო, რადგან აბდულ მეჯიდის დედა ტომით ქართველი იყო, ქობულეთელი თავადის თავდგირიძის ასული–შუშანი თავდგირიძე (მისი მშობლები გადმოცემის თანახმად, დაიღუპნენ 1808 წელს რუსებთან შებრძოლების დროს). სწორედ, 1861 წლამდე, სულთან აბდულ მეჯიდის სიცოცხლეში შეიძინა მამა პეტრე ხარისჭირაშვილმა ფერიქოის უბანში ეკლესია-მონასტრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთი (აბლულ მეჯიდი გარდაიცვალა 1861 წლის 25 ივნისს). საგულისხმოა ისიც, რომ ეკლესია-მონასტრის დაარსების ბრძანება გამოსცა ისევ დედით ქართველმა ოსმალეთის სულთანმა აბდულ აზიზმა (მისი დედა იყო სამტრედიელი ქუთათელაძის ქალიშვილი. სახელი არაა ცნობილი). **ასე ჩაეყარა საფუძველი სტამბოლის ქართული სავანის დაარსებას**.

სტამბოლის ქართული სავანის დაფუძნებაში დიდი როლი მიუძღვით სომეხ მხითა-რისტებსა და მათ სულიერ მოძღვარს, დიდ სწავლულ პიროვნებას **გევონდ ალიშანს**. სწორედ

მხითარისტებს შორის ყოფნამ გამოაწრთო პეტრე ხარისჭირაშვილის პიროვნება, ვენეციაში მათთან ყოფნის დროს ჩაისახა ეს იდეა, მათ მაგალითს მიბაძა მამა პეტრემ და მთელი თავისი ცხოვრება, სიცოცხლე შეალია ქართველი ერის მიმართ ზრუნვას. 1895 წელს (პეტრეს გარდაცვალების შემდეგ. იგი გარდაიცვალა 1890 წელს) ცნობილი საზოგადო მოღვაწე **ზაქარია ჭიჭინაძე** წერდა თავის წიგნში – **„აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი“**–რომ „მხითარისტებში პ. ხარისჭირაშვილმა იქამდინ აიმაღლა სახელი, რომ დღევანდელამდის მხითარისტების სასწავ-ლებელში არის ერთი ოთახი, სადაც აწყვია მხითარისტების ბიბლიოთეკის წიგნები და დღესაც მთელი „კონგრეგაცია“ პეტრე ხარისჭირაშვილის ოთახს უწოდებენ ამ ოთახსაო“. ეს ოთახი გადაიქცა იტალიაში ჩასული ქართველების სასტუმროდ. აქ ღამე აქვს გათენებული ბევრ ქართველს. მათ შორის აღსანიშნავია ქართველი ერის ორი სახელოვანი შვილი– **მიხეილ თამარაშვილი და მიქელ თარხნიშვილი.** ისინი რომში იმაღლებდნენ თავიანთი ცოდნის დონეს და ხშირად სტუმრობდნენ ვენეციელ მხითარისტებს–თავიანთი სამშობლოს ერთგულ მსახურებს, რომელთა საქმიანობა ორ გამორჩეულ ქართველ ჭაბუკში კიდევ უფრო აძლიერებ-და სამშობლოს სიყვარულს და ასწავლიდა მათ მშობელი ერის მიმართ ერთგულ სამსახურს.

პეტრე ხარისჭირაშვილის მიერ სტამბოლში დაარსებულ ქართველთა სავანის გვერდით მდებარეობდა სომეხ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი, სტამბითა და ბიბლიოთეკით აღჭურ-ვილი. ამ ორი ერის შვილები სტამბოლში გვერდიგვერდ მდგარ ტაძრებში, ფერიქორის ლამაზ უბანში, ლოცულობდნენ თავიანთი ქვეყნების **–საქართველოსა და სომხეთის** – უკვდავები-სათვის; მათ ერთმანეთთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდათ. პეტრე ხარისჭირაშვილის ოცნება იყო თურქეთს შეხიზნული ყოველი **სომეხი სომეხად** დარჩენილიყო, **ქართველი–ქართველად**, რომ უცხო ქვეყანაში მცხოვრები სომხები და ქართველები არ გადაგვარებულიყვ-ნენ და შეენაჩუნებინათ თავიანთი მეობა. სწორედ ამ მიზნით იქნა დაარსებული სომხური და ქართული სტამბები საზღვარგარეთ. კერძოდ, 1858 წლიდან მხითარისტების დახმარებით ვენეციაში დაარსდა ქართული სტამბა და დაიწყო ქართული წიგნების ბეჭდვა. აქ დაიბეჭდა **„სიბრძნის წიგნი“** (ფილოსოფიური ხასიათისა), **„წმინდანების ცხოვრება“, „ეზოპეს იგავნი“, „გეოგრაფია“, „გზა ცხოვრებისა“, „გვირგვინი წამებულთა“, „ყვავილის კონა ყრმათა“** და სხვა მრავალი. ქართული სტამბები პეტრემ დაარსა, აგრეთვე **სტამბოლში** და **მონთოზანში, საფრანგეთში,** სადაც მრავალი წიგნი დაიბეჭდა ქართულ და ფრანგულ ენებზე. სტამბოლში ქართული სტამბა მუშაობდა 1877 წლიდან 1950 წლამდე.

სომეხი მხითარისტების მიერ დაწერილი წერილები საქართველოს წარსულის შესახებ ვენეციაში იბეჭდებოდა სომხურად და ფრანგულად. მას ეცნობოდა მთელი ევროპის განათლებული საზოგადოება. მაგალითად, კათოლიკე სასულიერო პირმა **ოგუსტ დარასმა** სწორედ ამის საფუძველზე ბევრი წერილი დაწერა საქართველოს წარსულზე, ბევრი წყარო თარგმნა ქართულიდან ფრანგულად. მან ფრანგულად შეასრულა მეტად საინტერესო ნაშრომი **„წმ. ნინოს ცხოვრება“**, სადაც საქართველოს წარსულის ეპიზოდები კარგადაა წარმოჩენილი.

პეტრე ხარისჭირაშვილი, გევონდ ალიშანის მსგავსად, უსაზღვროდ იყო შეყვარებული თავის სამშობლოზე, დღენიადაგ ზრუნავდა ქართველი ერის განათლებაზე, გრძნობდა, რომ ქართული სკოლები სასწავლო წიგნებით არ იყო სათანადოდ მომარაგებული. ამიტომ **სტამ-ბოლში** და **მონთოზანში** (საფრანგეთი) გახსნილ სტამბებში ბეჭდავდა სასკოლო სახელმძღვა-ნელოებს, ძირითადად თვითონ ამზადებდა ასეთ სასკოლო სახელმძღვანელოებს თითქმის

ყველა საგანში. იგი ფილოსოფოსიც იყო, გრამატიკოსიც, ისტორიკოსიცა და გეოგრაფიის სპეციალისტიც, და რაც ყველაზე მეტად აღსანიშნავია, იყო შესანიშნავი პედაგოგი, ორატორი, თეოლოგი და, მეტად გულკეთილი მოძღვარი, სამშობლოზე უზმოდ შეყვარებული ადამიანი.

1895 წელს ზაქარია ჭიჭინაძე გულდაწყვეტით წერდა: „ქართველ ერს თითო-ოროლა მოღვაწეები ჰყვანდნენ, რომლებმაც საკმარისად იღვაწეს ქართველთა გვარის სასარგებლოდ; ამ მოღვაწე პირებმა ბევრი რამ შექმნეს და აღადგინეს ქართველთათვის; თვითონ ეს მოღვაწე პირები – კი ისე წყნარად და ჩუმად ცხოვრობდნენ, რომ მათი მოქმედების ცნობებს ქართველობა სრულებით ვერ იცნობდა. ეს მოღვაწე პირები ისე დაიხოცნენ, რომ მათ შესახებ არსად კრინტი, სიტყვაც არ დაძრულა. ამის მიზეზი ის იყო, რომ ქართველები ვერ იცნობდნენ ამ მოღვაწე პირებს და თვითონ ეს პირებიც არ ნდომობდნენ ამ ცნობას. ერთ ასეთ მოღვაწე პირად ჩვენ მიგვაჩნია აბატი **პეტრე ხარისჭირაშვილი,** რომელმაც მთელი თავისი ცხოვრება ისე წყნარად და საიდუმლოდ გაატარა, რომ ქართველები არამც თუ მისი ცხოვრების ცნობებს, არამედ თვით მის სახელსაც არ იცნობდნენ“-ო.

მართლაც, მეტად დასანანია დიდი ქართველის პეტრე ხარისჭირაშვილის მიმართ ქართველი ერისმიერ დღემდე გამოხატული ასეთი გულგრილობა, მისაბაძი კი ნამდვილად არის სომეხი ერის მიერ გამოჩენილი მადლიერება დიდი სომეხი მოაზროვნის – **გევონდ ალიშანის** ღვაწლის მიმართ. მისი ხსოვნის უკვდავსაყოფად დაწესებულია **საპატიო მედალიც** კი. წინამდებარე სტატიის ერთ-ერთი შემსრულებელი – ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე არის ამ საპატიო მედლის მფლობელი. ჟურნალმა „**ჰაოს-ქართლოსმა“** ხალხთა შორის მეგობრობის განმტკიცების საქმეში შეტანილი წვლილისათვის იგი დააჯილდოვა ამ საპატიო მედლით. ეს სიმბოლურიც არის, რადგან შუშანა ფუტკარაძე ორი წელი და ოთხი თვე ექსპედიციის წევრებთან ერთად, აწარმოებდა სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკისა და არქივის აღწერას, იმ ქართული სავანისას, რომლის დაფუძნებას დიდი ამაგი დასდო დიდმა სწავლულმა გევონდ ალიშანმა.

პეტრე ხარისჭირაშვილისა და **გევონდ ალიშანის** იდეებმა ფრთები შეისხა, რეალობად იქცა ოსმალეთის იმპერიის დედაქალაქში–სტამბოლში. ორი სულთნის-სულთან აბდულ მეჯიდისა და სულთან აბდულ აზიზის თანადგომით განხორციელდა ქართველი და სომეხი ხალხის სასახელო შვილების – პეტრე ხარისჭირაშვილისა და გევონდ ალიშანის ჩანაფიქრი: სტამბოლის ერთ ლამაზ უბანში–ფერიქოიში აშენდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი, ამუშავდა ქართული სტამბა, შეიქმნა მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი. 120 წელზე მეტი ხნის მანძილზე ეს სასულიერო დაწესებულება ემსახურებოდა დიდ კულტურულ-საგანმანათლებლო საქმეს. მუშაობდა ქართულ-ფრანგული და ქართულ-ბერძნული ქალთა და ვაჟთა სასწავლებლები, იბეჭდებოდა წიგნები და ჟურნალები, მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებიდან იგზავნებოდა საინტერესო ლიტერატურა მეცნიერების ყველა დარგში და ამდიდრებდა 1908 წელს დაარსებულ აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკას.

სტამბოლის ქართული სავანე–სასულიერო და საერო დანიშნულების დაწესებულება 155 წლისაა და დღესაც მოქმედია. ეს შეგვინახა თურქეთის (ჯერ ოსმალეთის) სახელმწიფომ, თურქმა ხალხმა. განსაკუთრებით დიდია ამ საქმეში სტამბოლელი ზაზაძეების ოჯახის დამსახურება. მამა-შვილი–პავლე და სიმონ ზაზაძეები საკუთარ სახლივით უვლიდნენ, პატრონობდნენ ამ დაწესებულებას–სტამბოლის ქართულ სავანეს, რადგან იგი ამ ხნის მანძილზე იყო

თურქი და ქართველი ხალხის მეგობრობის სიმბოლო, თურქეთ-საქართველოს მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის დამადასტურებელი მაგალითი.

ვიმედოვნებთ, რომ ეს დაწესებულება მომავალშიც გაჰყვება ჩვენი წინაპრების მიერ არჩეულ გზას და თავის წვლილს შეიტანს თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის წინსვლის საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ზ. ჭიჭინაძე, აბატი პეტრე ხარისჭირაშვილი, ტფილისი, 1895
2. შ. ფუტკარაძე, პ. ზაზაძე, ქართული კულტურის კერა სტამბოლის სავანეში ლინგვოკულტუროლოგიური ძიებანი, ტ. ბათუმი, 2011
3. უ. ბლუაშვილი, მესხეთის სახელოვანი შვილები, თბილისი, 2008
4. ევგენი დალეჯიო დალესიო, ქართველები კონსტანტინეპოლში, სტამბოლი, 1921
5. Поэзия Армении. Народная – средневековая – новая в пер. рус. поэтов, 1966.
6. შ. ფუტკარაძე, ISTANBUL Gürcü Ocağı, TBILISI, 2012.

Shushana Putkaradze
Paul Zazadze

GHEVOND ALISHAN – CONTRIBUTOR TO THE GEORGIAN CENTER IN ISTANBU

Great Ivane Javakhishvili justly remarked that "the cultural significance of the Georgian centers abroad was valuable indeed. Apart from the rich cultural heritage preserved there during the centuries, the centers were important in other aspects as well. Through the monasteries abroad, Georgia was able to track every success of cultural development of the educated countries of those times. Everything new and important created or written at the Georgian centers established abroad immediately reached Georgia through the assistance of the Georgian writers, scientists and artists working in those places."

For centuries such type of institution was the Georgian Catholics Monastery, briefly called **"The Georgian Abode in Istanbul".**This monastic complex is located in one of the beautiful districts of Istanbul – Ferikoy – village of angels (Turk. *Feria* – angel; *koy* – village). The Virgin Mary Church and a four-storied monastery still look beautiful, though, unfortunately, empty, today.

Georgian Abode in Istanbul –the church, cloisters and monasteries, Georgian printing press, Akaki Tsereteli library with archive, Georgian-French and Georgian-Greek Girls' and Boys' schools –was a great cultural-educational and spiritual center for over a century as well as a fervent center for national-liberation movement. It was founded by a catholic priest from Akhaltsikhe Petre Kharischirashvili. This outstanding person worked painstakingly all his life for the glorious future of Georgia, strove for preservation of the Georgian language by the Georgians living not only in historical Meskhet-Javakheti but in Turkey as well.

The grace of the Istanbul Abode for hundreds of years caressed the souls of millions of Georgians forcefully exiled to foreign lands or remained in the Georgian lands occupied by the Ottomans. The Abode devotionally functioned for a century for raising national awareness in Georgian Muslims. With great patriotic activities of famous devoted countrymen – Petre Kharischirashvili, Alfons Khitarishvili, Andria Tsinamdzgvrishvili, Stafane Giorgidze, Ioseb and Petre Merabishvili, ShalvaVardidze, Pio Balidze, Petre Tatalashvili, Pavle Adguladze, Pavle Zazadze – the national spirit was revived in the Georgians deprived of their motherland. This spark still burns like embers to this day and revives the roots f the Georgian language as well as the call of the Georgian blood in the Georgians longing for the motherland care. Among numerous other sources, the merit and contribution of the Georgian Abode in Istanbul is quite remarkable and outstanding. In 1918-1921 the issue of reunion of Ajara and other parts of historical Tao-Klarjeti with the motherland of Georgia was discussed and debated in this very center. Many guests of the Abode used to be taught and edified here including **Memed and HaidarAbashidze, IskenderTsivadze, Jemal Khimshiashvili, Aslan Bezhanidze** and others. It was in this Abode that Akhmed Melashvili, a great Georgian called the **Ilia Chavchavadze** of the Georgians of Turkey studied Georgian reading, writing and History of Georgia. The charity society created for the

refugee Georgians during the World War I – 1914-1919, was financed by the famous Georgian doctor in France **Petre Merabishvili** who was brought up in the Abode. In those times he used to serve as a private doctor to the king of Abyssinia (Ethiopia) **Menelik II**. This charity organization sustained **Noe Zhordania's** government and his numerous members exiled from Georgia for certain period. The archive materials show that this charity society was the last and only supporter of the family of famous public figure **Giorgi Kazbegi**, exiled to Istanbul. All in all, the Georgian Abode in Istanbul was destined to bear heavy patriotic burden, especially in the first quarter of the twentieth century.

One of the outstanding representatives of the Georgian emigration **Givi Zaldastanishvili** also points to the unforgettable contribution of the Georgian Abode in Istanbul. In 1970 he specially travelled to Istanbul from America to get acquainted to the activities of the monastery. In the Georgian newspaper published in New York – "Kartuli Azri" ("Georgian Opinion") – he wrote: "The Istanbul monastery – the center of our culture – took great part in the struggle of Georgia for eternity. The existence of such center in Turkey is of particular importance for our nation, and in the light of other centers, deserves to gain priority if we consider that one part of the Turkish population is of Georgian origin" (see N85).

The founder of this important cultural-educational center Father **Petre Kharischirashvili** led an interesting and useful way of life up to 1861, i.e. before the foundation of the monastery and the printing press. As folk wisdom states, the forerunner is the bridge for the follower. This was the case when Petre Kharischirashvili dreamed about establishing a Georgian center in Istanbul. It is also well-known for everybody that friendship and neighboring of the two ancient and most educated nations – Armenians and Georgians – begins from the biblical Haos-Kartlos period. During the centuries these two neighboring nations used to fight side by side many times against common enemies or maintained freedom and independence through mutual support. It was from the representatives of the Armenian nation that Petre Kharischirashvili found the first support and assistance in achieving his goal.

After finishing studies in St Petersburg, P. Kharischirashvili traveled to Rome and entered a higher theological institution at Vatican. Together with theological subjects he learnt foreign languages there too – Latin, German, Italian, Polish, French, Turkish and Greek. After ordaining into priesthood he moves to Venice from Rome where the sons of the Armenian nation – Armenian Catholics had established a large religious and cultural-educational center. With the imitation and instruction of the Roman clergy they printed and published books in Armenian, translated from foreign languages. They had established a brotherhood there – "Congregation". The brotherhood was called the **Mkhitarists**. It was a religious and at the same time scholarly society. The founder was an Armenian Catholic Mekhitar of Sebaste. Their center was located in Venice, San Lazzaro. The Congregation was supported by the European countries; accordingly the brotherhood was strong financially as well as spiritually. Their goal was to work relentlessly for strengthening Armenian people's spirituality. The Mkhitarists founded Armenian schools in different countries, opened printing houses, increased publication activities. They also paid particular attention to the issue of promoting ancient history of Armenia. Many books were printed on Armenian history, modern Armenian literature, etc. at that time the great son of the Armenian nation – **Ghevond Alishan** – used to work there.

Ghevond Alishan was born in Constantinople in 1820, in the family of a scientist-numismatist. He received primary education in an Armenian Catholic School in Constantinople. For continuation of his

studies Alishan moved to Venice, to **Murad Raphaelyan** School of the Mkhitarists. Here he thoroughly studies the old Armenian language – Grabar, as well as other languages and subjects – Italian, French, German, history, geography and philology. 14-year-old Alishan decides to wear the name of the hero of the national-liberation movement in 451 – **"Ghevond".** From the period of studies he became an active member of the **Mkhitrist** Congregation of Armenian Studies. After finishing school he began teaching activities in his native school and worked as a teacher in Venice and Paris till the end of his days. In 1849-1855 he was the editor of the Mkhitarist academic journal **"Bazmavep".**

From 1850 he begins research activity in libraries, museums and archives for the purpose of Armenian Studies. He studies old Armenian manuscripts preserved there and strives to reveal sources reflecting old Armenian history and culture. He is the author of many significant works concerning history, ethnography, culture of the Armenians. Majority of them is translated into Italian, English, German, French languages. Ghevond Alishan was a splendid poet. He wrote poems on Grabar – old Armenian language. He also wrote prose. His novel **"Memories on Armenians' Motherland"** won high acclaim. He died in 1901 in Venice, San Lazzaro and is buried there.

It is a well-known fact that the Armenist **San Marten**, active member of the Parisian Oriental Society, proposed the Mkhitarists to study the history of Georgia apart from the history of Armenia and write articles on Georgian history in foreign languages. San Marten had visited Georgia. His diaries on visiting Georgia keep many interesting materials about Georgia. He was well acquainted with great past of the Georgian people. And indeed, the Mkhitarists studied well Western Georgia, especially **Ajara**, **Lazika**, and other parts of historical **Tao-Klarjeti** – **Artaani, Kola, Taoskari, Klarjeti, Livana, Erusheti, Shavsheti**. They published articles in Venice in the Armenian language and many Oriental scholars got interested in them. Namely, a Swiss scholar **Dubois de Montperreux** learnt about Georgia from these letters. The Mkhitarists described the **Ishkhani, Khakhuli** and **Parkhali** monasteries very well. The great scholar **Ghevond Alishan** used these descriptions and included the pictures and materials about them into his interesting work – "**History of Cilicia"**. San Marten and Marie Brosset even commissioned the Mkhitarists to learn the Georgian language; they demanded from them to translated the obtained materials into Georgian and publish books in Georgian as well. This period coincided with Petre Kharischirashvili's stay in Venice with the Mkhitarists. He used to have many followers there, including **Ghevond Alishan**.

Petre Kharischirashvili claimed to the Mkhitarists that Catholics were among the Georgians as well and that Georgian Catholics were Georgians in nationality and not Armenians, as it was thought before; that the native language of the Georgian Catholics was Georgian and not Armenian, that divine liturgy in the Georgian Catholic churches had to be served in Georgian and not n Armenian. Thus, Petre Kharischirashvili was the protector of the Georgian language and Georgian nation's interests. Petre acquired many followers and supporters among the Mkhitarists and managed to **establish a printing house in Venice**. He traveled from Venice to different countries in Europe and began preaching about the Georgians in Catholic churches. After this he visited Rome and presented to the Pope a vast historical paper about Georgia. Eventually he got a permission **to found Georgian Catholics Monastery in Istanbul**, obviously, on the basis of the order of the Ottoman governor of that period, sultan Abdul Aziz. It is also remarkable that Padre Petre Kharischirashvili began activities for founding the Georgian

Catholics Monastery in Istanbul long before. As early as during the sultan Abdulmejid the issue had risen on the Ottoman court and acquired supporters among the sultan counselors with the help of the mother-sultan Bezmialem Valide. It was natural as Abdulmejid's mother was Georgian by origin, the daughter of a nobleman Tavdgiridze from Kobuleti – Shushani Tavdgiridze (her parents died in 1808 during the battles against the Russians). It was during the reign of sultan Abdulmejid, before the year 1861 that padre Petre Kharischirashvili purchased a plot of land in the Ferikoy district of Istanbul to build a monastery (Abdulmejid died on 25 June, 1861). It is also important to know that the order on establishing the monastery was issued by the Ottoman sultan Abdul Aziz whose mother was also Georgian by origin (his mother was Kutateladze from Samtredia, first name is unknown). **This is how the foundation was laid for the establishment of the Georgian monastery in Istanbul**.

Particularly significant in the foundation of the Georgian centre in Istanbul was the role played by the Mkhitarists and their spiritual leader, great scholar and person **Ghevond Alishan**. The personality of Petre Kharischirashvili was formed while staying with the Mkhitarists. The idea was conceived while being with them in Venice, Pardre Petre followed their example and since then dedicated his life to the service of the Georgian nation. In 1895 (after Petre's death; he died in 1890) a famous Georgian public figure **Zakaria Chichinadze** wrote in his book **"Abbot Petre Kharischirashvili"** that "P. Kharischirashvili became so popular among the Mkhitarists that even to this day there still exists a room in the Mkhitarist school with books from the Mkhitarist library which is still called by the "Congregation" as Petre Kharischirashvili's room". This room turned into a hotel for the Georgians visiting Italy. Many Georgians spent the night in this room, including two prominent sons of the Georgian nation – **Mikheil Tamarashvili and Mikel Tarkhnishvili**. They raise their qualification and knowledge in Rome and often visited Venetian Mkhitarists – devoted servants of their country, whose activities and deeds further strengthened patriotic feelings and in two distinguished Georgian fellows and taught them faithful service to the motherland.

Next to the Georgian Abode founded by Petre Kharischirashvili in Istanbul was an Armenian Catholic Monastery equipped with a printing house and a library. Representatives of these two neighboring countries prayed for their countries – **Georgia and Armenia** – in the temples erected side-by-side in a beautiful district of Ferikoy in Istanbul. They had friendly relations between each other. Petre Kharischirashvili's dream was that **Armenians** exiled to Turkey remained **Armenians**, and **Georgians** remained **Georgians**; that Armenians and Georgians living in a foreign country never degenerated but preserved their identity. This was the reason for establishing Georgian and Armenian printing houses abroad. In particular, in 1858 with the help of the Mkhitarists a Georgian printing house was founded in Venice and since that time Georgian books began to be published. The following books were printed there: **"A Book of Wisdom"** (philosophical), **"The Lives of the Saints", "Aesop's Fables", "Life Road", "Martyrs' Crowns", "Youngsters' Bouquets"** and many others. Petre also founded Georgian printing houses in **Istanbul** and **Montauban, France** where numerous books were printed in Georgian and French languages. Georgian printing house was functioning in Istanbul from 1877 to 1950.

The letters and article written by Armenian Mkhitarists about the history of Georgia were printed in Venice in Armenian and French. The entire educated European society got acquainted with these works. For instance, a catholic clergyman **Ogust Darras** wrote many letters about the past of Georgia

according to these materials as well as translated many sources from Georgian into French. He performed a very interesting work in French – **"St. Nino's Life"** with depiction of historical episodes from the past of Georgia in a very interesting manner.

Like Ghevond Alishan, Petre Kharischirashvili was greatly in love with his motherland and permanently cared about education of the Georgian nation; he felt that Georgian schools were not sufficiently supplied with books. Therefore, he printed school textbooks in the printing houses established in **Istanbul and Montauban** (France). The textbooks were mostly prepared and complied by him in almost every subject. He was a philosopher, historian, grammarian, and geographer, and what is more, he was a splendid teacher, orator, theologian and a kind spiritual father, ardent patriot.

In 1895 Zakaria Chichinadze regrettably remarked: "Georgian nation had very few figures who sufficiently contributed to the favor of the Georgians; these personalities created and restored much for the Georgians; these persons themselves lived and worked so quietly and silently that the countrymen knew not about their deeds. They died in a quiet way, without a word of mention about them. The reason was that the Georgians did not know these great figures and these persons never wanted their names to be glorified. Among such figures I would mention Abbot **Petre Kharischirashvili** who spent all his life in secret and silence so that nobody knew about his life and even his name".

Indeed, it is regrettable that the Georgian nation showed such indifference and negligence towards Petre Kharischirashvili, and on the other hand, the gratitude of the Armenian nation towards their great thinker **Ghevond Alishan** is really worthy and remarkable. Even an **honorary medal** has been introduced to commemorate his name. One of the authors of this article – Doctor of Philological Sciences, Professor Shushana Putkaradze is the holder of this medal. The journal **"Haos-Kartlos"** awarded her with this honorary medal for her contribution to the strengthening of friendship between these nations. It is also symbolic inasmuch as Shushana Putkaradze registered and made an inventory of the library and archive of the Georgian Abode in Istanbul for two years and four months together with other members of the expedition – of the Georgian center for the establishment of which the great scholar Ghevond Alishan made a valuable contribution.

The ideas of **Petre Kharischirashvili and Ghevond Alishan** came true; they became real in the capital of the Ottoman Empire – Istanbul. The plan of the two famous sons of the Georgian and Armenian nations - Petre Kharischirashvili and Ghevond Alishan was implemented through the assistance of the two sultans – sultan Abdulmejid and sultan Abdul Aziz: in a beautiful district of Istanbul – Ferikoy – a Georgian Catholic monastery was built, a Georgian printing house began functioning and a rich library and archive was founded. For over 120 years this religious and spiritual institution served to the glorious pursuit of educational and cultural significance: Georgian-French and Georgian-Greek Girls' and Boys' schools were functioning, books and journals were published, interesting literature in all the fields was sent from different countries of the world and enriched the Akaki Tsereteli library established in 1908.

The Georgian Abode in Istanbul, a religious and secular institution, is 155 years old and still functions to this day. It has been preserved by the government of Turkish Republic (former Ottoman Empire), as well as the Turkish people. Especially great in this respect is the role and merit of the Zazadze family in Istanbul. Father and son – Simon and Paul Zazadzes looked after this institution like

their home. It has been a symbol place for the friendship between Turkish and Georgian peoples for all this period, evidence verifying century-old Turkish-Georgian cultural relations.

We hope that this center will further follow the path chosen by our ancestors and make its contribution to the development and strengthening of Turkish-Georgian cultural relations.

Reference:

1. Zakaria Chichinadze, Padre Petre Kharischirashvili, Tiflis, 1895
2. Sh. Putkaradze, P. Zazadze, Georgian Cultural Center in Istanbul Abode, Linguo-Cultural Studies, Batumi, 2011
3. U. Bluashvili, Famous Sons of Meskheti, Tbilisi, 2008
4. Evgeni Dalegio Dalesio, The Georgians in Constantinople, Istanbul, 1921
5. Armenian Poetry. Folk-Medieval-Modern, in translation of Russian poets, 1966
6. Sh. Putkaradze, Istanbul Gürcü Ocağı, Tbilisi, 2012

Translated by

Tamar Siradze

Professor, Batumi Shota Rustaveli State University

როინ მალაყმაძე

სტამბოლის ქართული სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში

დიდია სტამბოლის ქართული სავანის დანიშნულება; მისი როლი მხოლოდ ღვთისმსახურებით როდი შემოიფარგლებოდა. ის იყო ცენტრი, რომელიც ხელს უწყობდა ეროვნული ცნობიერების, ეროვნული სულისკვეთების გაძლიერებას. ამასთანავე, სავანე მნიშვნელოვანი ქართველოლოგიური კერა იყო და შესაბამისად, ჩქეფდა კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა. სავანის საქმიანობის შესახებ ცნობები შემოგვინახა მე-20 საუკუნის პირველი ნახევრის პრესამ, სავანის არქივში დაცულმა მემუარულმა ბარათებმა. კერძოდ, სავანის კულტურული საქმიანობის თაობაზე წერილები გვხდება ისეთ ჟურნალ-გაზეთებში, როგორიცაა: „ივერია“, „დროება“, „საქართველოს რესპუბლიკა“, „შინაური საქმეები“, „ სახალხო საქმე“, „სახალხო გაზეთი“, „თემი“ და სხვა. აღნიშნული ჟურნალ-გაზეთები დაცულია სტამბოლის ქართულ სავანის ბიბლიოთეკაში. თამამად შეიძლება ითქვას, რომ სავანის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა მაღალ დონეზე იდგა. ეს ბუნებრივიცაა, რადგან სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერი მხოლოდ სასულიერო დაწესებულება არ იყო. ის პატრიოტული სულისკვეთებით გამსჭვალულ პირთა ერთგვარ კერას, საქართველოდან გადახვეწილ მამულიშვილთა პოლიტიკურ თავშესაფარს წარმოადგენდა.

სავანე სამშობლო ქვეყნის მაჯისცემის ფხიზელი მოყურადე იყო და ამიტომაცაა, რომ არაერთი კულტურული საქმიანობის განმახორციელებლად გვევლინებოდა. სტამბოლის სავანეში 1908 წლის 26 აპრილს აღინიშნა დიდებული მგოსნის აკაკი წერეთლის იუბილე. სტამბოლის სავანის არქივში დაცულია ორი ხელნაწერი, რომელიც აკაკი წერეთლის იუბილეს აღნიშვნას უკავშირდება. ერთი ხელნაწერი, რომლის ტექსტი სრულყოფილად არაა შემონახული, შედარებით მცირეა, მას წელი არა აქვს მინიშნებული. ჩანს, რომ წერილი ნოემბერის თვეში სტამბოლშია დაწერილი. ხელნაწერიდან ირკვევა, რომ სტამბოლის ქართულ საზოგადოებას გადაუწყვეტია ა. წერეთლის მოღვაწეობის 50 წლის იუბილის აღნიშნვა. ისინი სამართლიანად მიიჩნევენ მგოსნის იუბილეს დიდ ეროვნულ დღესასწაულად. წერილის თანახმად, 6 ნოემბერს სტამბოლის ქართველობას ჩაუტარებია საზოგადო კრება. ამ კრებაზე სიტყვით დამსწრე საზოგადოებისათვის მიუმართავს **ვლადიმერ წერეთელს**. ხელნაწერს შემოუნახავს ვ. წერეთლის მიერ წარმოთქმული სიტყვა. ის საუბრობს აკაკის დამსახურებაზე, მის ღვაწლზე და განსაკუთრებით ხაზს უსვამს იმას, რომ აკაკი თავდადებით ემსახურება სამშობლოს და ლიტერატურას. მისი შემოქმედებით ის ხალხის, ერის სამსახურში იდგა და მისი ჩანგი ერის ჭირ–ვარამს აჟღერებდა. ამასთანავე, გამოკვეთს, რომ აკაკი წერეთელი ის მწერალია, რომლის სახელი მთელმა საქართველომ იცის და მისი ლექსები ის ლექსებია, რომლებიც სიმღერადაა ქცეული: „ორმოცდაათი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს დიდებულმა შვილმა აკაკი წერეთელმა დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მას აქეთ თავდადებულად ემსახურება სამშობლო ქვეყანას და ლიტერატურას. ბევრი სიმწარე, ბევრი ტანჯვაც და შევიწროებაც გამოიარა ამ ხნის

განმავლობაში, მაგრამ მგოსანმა გული არ გაიტეხა, არ უღალატა თავის მოწოდებას და იმ ქარცეცხლშიაც მხნეთ აწარმოვა ქართული ლიტერატურის სვე–ბედი. არც მუქთად ჩაიარა შრომამ: მის ხელში ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა აყვავდა და გაიფურჩქნა. მისი ჩანგის სიმები იმ დღიდამ აქამომდე მუდამ ხალხის გულთან იყო გადაბმული, ერის ჭირ–ვარამის გარშემო ჟღერდა. ამიტომ იგი შეიქმნა ხალხის საყვარელი პოეტი: საქართველოში არ მოიძებნება იმისთანა კაცი, რომ ცოტაოდენი რამ გაეგებოდეს და არ იცოდეს, ვინ არი და რა არი აკაკი. მისი ტკბილი ლექსები, ბევრი სიმღერად გადაკეთებული, დღეს ყველგან გაიგონება. ამ ნოემბრის დამლევს მთელი საქართველო დღესასწაულობს მისი მოღვაწეობის ორმოცდაათის წლის თავს. კუთხე არ არი ჩვენი ქვეყნისა, რომ დიდებული პოეტის საიუბილეოდ არ ემზადებოდეს და ჩვენც სტამბოლელი ქართველები...“ ამით მთავრდება ხელნაწერი.

სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში შენახულია გაზეთ „დროების“ ნომრები. მათ შორისაა 1908 წლის 25 ნოემბრის №6, რომელშიც მივაკვლიეთ აღნიშნული ხელნაწერის სრულ ტექსტს. ტექსტი ასე გრძელდება: „...და ჩვენც, სტამბოლელი ქართველები, შევუერთდეთ ჩვენს სამშობლოს; გამოვარკვიოთ, რა სახით მივიღოთ მონაწილეობა აკაკის იუბილეში და რით აღვნიშნოთ იგი.“

ვლადიმერ წერეთლის სიტყვის შემდეგ გაიმართა კამათი. ბევრი რამ გამოსთქვეს; სთქვეს ისიც, რომ სასურველია, ერთი მასწავლებელი ვიყოლიოთ ქართული ენისა, თორემ ჩვენი შვილები ქართულს ივიწყებენო (წერილის სრული ტექსტი იხ. აქვე, კარი მესამე. ავტორია ნიკოლოზ (ფსევდონიმი). „აკაკის იუბილეი სტამბოლში“, გაზეთი „დროება“, 25 ნოემბერი, 1908, №6).

არქივში მოპოვებული მასალებიდან ირკვევა, რომ სტამბოლში შექმნილა აკაკის საიუ-ბილეო კომიტეტი. სწორედ, ამ კომიტეტის გადაწყვეტილების თანახმად უნდა გახსნილიყო სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკა, რომლისთვისაც ა. წერეთლის სახელი მიუნი-ჭებიათ. **აკაკის სახელობის ბიბლიოთეკის** დასაარსებლად საზოგადოებას შეძლებისდაგვარად შეუკრებია თანხა. შეგროვილი თანხით მგოსნისათვის მისალოცი დეპეშა და მილოცვა გაუგზავნიათ. ასევე, თანხის ნაწილი გაუგზავნიათ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგა-დოების წიგნის მაღაზიაში აკაკისა და სხვა მწერლების სურათებისა და წიგნების გამოსაწერად.

სტამბულის ქართული სავანის არქივში დაცულია სტამბოლის ქართველთა ერთსულოვ-ნებით დაწერილი აკაკის საიუბილეო კომიტეტის განცხადების ხელნაწერი. აღნიშნულ ხელნაწერში მოცემულია მგოსნის შემოქმედების შეფასება; იგი ქართველი ერის მესაიდუმ-ლედ, ერის უდიდებულეს პოეტადაა მიჩნეული. მისი ნაღვაწის მთავარ დამსახურებად იმას თვლიან, რომ ქვეყნის წარსული, მომავალი და აწმყო იკითხება მის ლექსებსა თუ პოემებში და რაც მთავარია, ქართული ეროვნული სულითაა ნასაზრდოები მისი შემოქმედება. ხელნაწერიდან ჩანს, რომ პოეტის სიტყვა არ დაკარგულა. ის ხვდება ქართველის გულს. მის შემოქმედებაში გაცოცხლებული გმირების ვაჟკაცობა კი მაგალითი უნდა იყოს ქართველისათვის. მწერლის ღირსებად მიიჩნევენ იმასაც, რომ მან პირუთვნელად დაგმო და გაკიცხა ჩვენი ცხოვრების მანკიერი მხარეები. ამასთანავე, იმედიც დაუსახა მთელს ერს: „თქვენ იყავით ჩვენ ახალ პოეტთა შორის უპირველესი, უნიჭიერესი. თქვენ გამოჰხატეთ მშვენიერება ლექსებში და პოემებში საქართველოს წარსული, მომავალი და აწმყო, თქვენ

შთაბერეთ ნამდვილი ქართული, ეროვნული და თავისებური სული იმ მშვენიერსა და დიდებულ ნაწარმოებებში, რომელიც ამშვენებს დღეს ქართულ ლიტერატურასა. თქვენ ჰგავდით ჩვენს დიდებულ წარსულსა და ამ გოდებაში მართლაც ისმოდა ქართველის იმ მწარე კვნესა, რომელიც სწორედ თქვენის წყალობით სხვაცა სწვდება ქართველის გულსა, აგლოვინებს მამულის სიყვარულსა და დაკარგულ ბედზედ ატირებს. თქვენ აღწერეთ, აგრეთვე, ჩვენი გმირები, რომელთა ვაჟკაცობა მაგალითად უნდა დაედვას ყოველ დღევანდელ ქართველსა, დაფი და ნაღარა დაეძებს გმირებს ყოველთვის, რომ კვლავ გაიღვიძოს, ჯერ კიდევ ცოცხალმა, მხოლოდ დროებით მიძინებულმა საქართველომ. თქვენ პირუთვნელად დაჰგმეთ და აღშფოთებით გაკიცხეთ ის ცუდი მხარეები ჩვენის ცხოვრების, რომელიც აღორძინდა ჩვენს ჩაგრულს ქვეყანაში ამ უკანასკნელის მონობის დროსა. თქვენ სამაგიეროდ გული არ გაიტეხეთ დაჩაგრულ და შეურაცხყოფილ, გასრესილ და დაცემულ საქართველოზედაც და გმირულადაც შესძახეთ საქართველოს, – მოვა დრო და ჯაჭვს გაიხსნის, თავს აიშვებს გმირთა გმირი, – და ამით გულს იმედი დაუსახეთ მთელს ერსა“, - ნათქვამია საიუბილეო კომიტეტის განაცხადში.

ასევე, სამართლიანად მიჩნეულია მგოსანი ქართული ენის გამამშვენიერებლად: „თქვენ განამშვენიერეთ ქართული ენა, თქვენ აღადგინეთ იგი დაცემისაგან, თქვენ დაუბრუნეთ ერს დიდი საუნჯე, რომელიც მან მასალად გათხოვათ,–გამშვენიერებული და გასპეტაკებული სახით, როგორც ხელოვნება, – უდიდესი ხელოვნება მეტყველებისა“.

ხელნაწერიდან ნათლად ჩანს გულწრფელი სიყვარული და პატივისცემა დიდებული მგოსნის მიმართ. მათი აზრით, აკაკისთანა პოეტი ერის დამამშვენებელია და უკვდავების სახელის მომხვეჭია. გულისტკივილითაა აღნიშნული ისიც, რომ ბევრჯერ აკაკისთანა დიდებულ ადამიანს ძირ–მწარით გაუმასპინძლდნენ. თუმცა იმედოვნებენ მგოსნის დიდსულოვნებით, რომ პოეტი თავის საყვარელ ერს აპატიებს: „იმ მწერლებს, იმ პოეტებს, რომელთაც ეპოქა შეუქმნიათ ერის ცხოვრებაში, მის ლიტერატურაში, რომელსაც გამოუხატავთ მთელი სული ერისა, მისი სრული სახე,–გენიოსები ჰქვია და გენიოსთა დაფასება კი რამდენიმე შთამომავლობის ხანგრძლივ მუშაობას თუ ძალუძს. ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რომ აკაკისთანა პოეტი, რომელიც გინდათ დიდებულ ერს დაამშვენებდა და უკვდავების სახელს მოუხვეჭდა, ჩვენ ისიც ვიცით, რომ დიდებული ერი მას დაფნის გვირგვინით შეუმკობდა შუბლსა და ეცდებოდა, რაც შეიძლება მეტი სიტკბოება ესმია მის მეტყველ ბაგეთათვის; ჩვენ კი ძლიერ ბევრჯერ ძირ–მწარით გაუმასპინძლდით ჩვენს დიდებულ ადამიანსა, მაგრამ დიდსულოვანი პოეტი იმედია აპატიებს ამას იმ ერს, რომელიც მას უყვარდა, უყვარს და ერთად–ერთი საგანია მისი მღერისა, მის ცეცხლ–მომკიდებელი ტრფობისა“...

მგოსანს უდიდესი მოკრძალებითა და დიდი სიყვარულით ულოცავენ 50 წლის მოღვაწეობას, მის დაუღალავ შრომას შორეულ ქვეყანაში–ბიზანტიის ძველ სატახტო ქალაქში მცხოვრები ქართველები: „ჩვენც, შორეულ ქვეყანაში გადარჩენილნი გულწრფელ სალამს გიძღვნით, გილოცავთ თქვენის ნახევრის საუკუნის შრომის იუბილესა, იმედი გვაქვს, რომ ის ერი, რომლის სამსახურს თქვენ თავი შესწირეთ, რომელმაც დიდი აკაკი წარმოშვა, არ დაიღუპება არასდროს, შეიძლება აღარც კი სძინავდეს და უკვე გაიღვიძა და ბიზანტიის ძველი სატახტო ქალაქიდან, რომელიც იმავე დროს ახალ გაღვიძებულ ოსმალეთის სატახ-

ტო ქალაქია,–ჩვენც ჩვენის სუსტის, მაგრამ წრფელი გულიდან ამონაღები ხმით ვიბარებთ: გაუმარჯოს აკაკის, დიდებულ მგოსანსა და მის 50 წლის დაუღალავ შრომას, გაუმარჯოს მისი სიყვარულის საგანს, მის ვარდს, ვინაიდან მუდამ ვარდზედ მჯდომარე შეყვარებული ბულბულია, გაუმარჯოს საქართველოს!“

ხელნაწერი მთავრდება ისევ გულწრფელი მილოცვით. სტამბოლში მცხოვრები ქართველები იმედოვნებენ, რომ მათი მცირედი საქმით უკვდავყოფენ დიდებული მგოსნის სახელს და პოეტის მოღვაწეობა ისევ და ისევ საქართველოს, ერის მსახურებას მიეძღვნება: „დღეს, შორიდან, ყველა სჯულისა და რწმენის ქართველობა გილოცავთ ბრწყინვალე იუბილესა, დღეს, ყველანი ჩვენ, შეერთებულის ძალით, ვსცდილობთ მცირე საქმითაც აქ უკვდავყოთ სახელი შენი და შენთან ერთად შევძახოთ, – გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს, გაუმარჯოს მის ისეთ ბრწყინვალე მომავალსა, ... რომლის უპირველესი შემოქმედი თქვენა ხართ და თქვენ იქმნებით უკანასკნელ წუთამდე. ღმერთს ვსთხოვ, რომ სიკვდილამდე გაგეგრძოთ თქვენი ბრწყინვალე მოღვაწეობა საქართველოს აღდგინებისათვის და უკვდავებისათვის“.

ამ საკითხით დაინტერესებულმა მკითხველმა უნდა იცოდეს, რომ სხვადასხვა მიზეზთა გამო, აკაკის იუბილის გადახდა მაშინ, 1908 წლის ნოემბრის თვეში, სამწუხაროდ, ვერ მოხერხდა, რის გამოც სტამბოლელ ქართველობას, მართალია, დაგვიანებით, მაგრამ მაინც ღირსეულად ჩაუტარებიათ ეს ეროვნული დღესასწაული.

1909 წლის 26 აპრილს სტამბოლში, ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იმართება აკაკისადმი მიძღვნილი საღამო. დაწვრილებით ცნობებს ამის შესახებ გვაწვდის იმდროინდელი ქართული პრესა (აქვე, კარი მესამე: იხ. ქართველიშვილი, აკაკის იუბილეი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან), გაზეთი „დროება“, 9 მაისი, 1909, №101,გვ.3); „სტამბოლში განზრახული აკაკის იუბილეი თავის დროზე ვერ იქნა გადახდილი. მიზეზი იყო დაგვიანება საქართველოდამ დაბარებულ წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათებისა; ჩვენი სურვილი იყო, იუბილესათვის მზათა გვქონოდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალწინ ჰქონოდათ სამშობლოს მოსაგონრად ქართველი ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები.

დაბარებული ნივთები მოგვივიდა დიდი მარხვის ბოლო კვირეებში და საქმის მოთავეებმა დიდად იმეცადინეს და ყველაფრით გაემზადნენ ამ დღისთვის. საიუბილეო კომიტეტმა მოსაწვევი ბარათები დაუგზავნა საზოგადოებას, მაგრამ, ოსმალეთის უკანასკნელი ამბების გამო, კვლავ შეფერხდა საქმე. თუმცა არც ეხლაა სრული მშვიდობიანობა, სამხედრო წესი მოქმედებს და აქაური მაჰმადიანი ქართველები, მეტ წილად სამსახურში ან ახალგაზრდა ოსმალთა წრეებში მყოფნი, გართულნი არიან საქმეებში და ზოგმა მოცდა ითხოვა, მაგრამ გვეფიქრიანა, შემდეგ უფრო მეტი დაბრკოლება არ შეგვხვედროდა და **26 აპრილისათვის დავნიშნეთ დღესასწაული.**

ვინც 26 აპრილს ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო. იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უმცროსი ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული საკმაოდ მოზრდილი ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზე ზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: **„აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და**

სარგის თმოგველი“. გული გვეთანაღვრებოდა: დროება მძიმეა და ვაითუ ხალხი სულ ცოტა მოვიდესო, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. ორ საათზე ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავის ოჯახებით. დაესწრო, სხვათა შორის, სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გამოძევებული და დღეს აქ მყოფი რუსული გაზეთების კორესპოდენტი **ი. ამირეჯიბი.** მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენდა სასიამოვნოდ, **მაჰმადიანი ქართველებიც, მაღალი ჩინის მატარებელნიც კი.** მართალია, ისინი რიცხვით მცირენი იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ სტამბოლში შექმნილი მძიმე პოლიტიკური მდგომარეობის გამო იყო; გული მწყდება, რომ **ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს,** მაგრამ, ვინ იცის, სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა და ვერ შეძლო მოსვლა, ვერ ეზიარა ამ დღესასწაულს...“

დღის სამ საათზე აკაკი წერეთლის სახელზე პარაკლისი გადაუხდია მონასტრის წინამძღვრის მოადგილეს მღვდელ **სტეფანე გიორგისძეს** ქართული საგალობლით. მასვე წარმოუთქვამს აკაკისადმი მიძღვნილი გულმხურვალე სიტყვა. მისასალმებელი სიტყვებით დამსწრე საზოგადოება გაუხარებიათ **იასე რაჭველს (მეხუზლას)**, საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარეს **ვლადიმერ წერეთელს**, თბილისიდან ჩასულ **პატრს დომინიკე მუღაშაშვილს**... გაზეთში ვკითხულობთ, რომ „სიტყვებს ზედ მოჰყვა მუსიკა; უკრავდნენ წმ. იოსების სკოლის მოსწავლეები ამავე სკოლის დირექტორის მამა **ანდრია წინამძღვრიშვილის** ხელმძღვანელობით. მათ სპეციალურად ამ დღისთვის შეესწავლათ ქართული **„მრავალჟამიერი“**. „კარგ სიტყვებთან მოსწავლეთა მხიარული მუსიკაც მშვენიერი დამატება იყო; ძლიერ ისიამოვნა საზოგადოებამ.

შემდეგ მონასტრის ეზოში დამსწრეთ საერთო სურათი გადაიღეს.

ნამდვილი ლხინი გაიმართა ბიბლიოთეკის გახსნაზე. დაათვალიერეს წიგნების შკაფი, რომლის თავთა შვენოდა საქართველოს ღერბი; ხოლო, რაც ზედმეტი წიგნი იყო, იქვე დაურიგდა დამსწრეთ, ვისაც რა შეხვდა.

უკვე საღამოს შვიდი საათი თავდებოდა, ხალხი რომ დაიშალა დიდად კმაყოფილი...“ (წერილის სრული ტექსტი იხ. აქვე, კარი მესამე: ქართველიშვილი (ხუნდაძე რაჟდენი), „აკაკის იუბილეი სტამბოლში“ (წერილი სტამბოლიდან), გაზეთი „დროება“, 9 მაისი, 1909 წელი, №101, გვ.3).

სტამბოლში **1909 წლის 26 აპრილს აკაკი წერეთლის იუბილე**, მართალია, პოეტის მონაწილეობის გარეშე ჩატარდა, მაგრამ სულ რაღაც ორიოდე თვის შემდეგ, ბედნიერი შემთხვევის წყალობით, სტამბოლელ ქართველებს შესაძლებლობა მიეცათ საკუთარი თვალით ეხილათ დიდი მგოსანი და პირადად მიელოცათ მისთვის სახელოვანი იუბილე.

1909 წლის 14 ივლისს ბათომიდან სტამბოლზე გავლით აკაკი მიემგზავრება საფრანგეთში მყოფ ცოლშვილთან. სტამბოლამდე მგზავრობისას აკაკი შეივლის **ტრაპიზონში**, სადაც ნახულობს იმერეთის უკანასკნელი მეფის **სოლომონ მეორის** საფლავს და გადმოიწერს **ეპიტაფიას**. საბედნიეროდ, ყოველივე ეს თვითონ აქვს მოთხრობილი აკაკის თავის „მგზავრის შენიშვნებში“(იხ. აკაკი „ტრაპიზონი“(მგზავრის შენიშვნები), ჟურნალი „განათლება“, 1910 წელი, № 7; შდრ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 14, თბ; 1961, გვ. 363-364); გ. შარაძე, აკაკის იუბილე, თბ., 2006, გვ.274).

ტრაპიზონის შემდეგ აკაკი გემით მიემგზავრება **სტამბოლისაკენ**, სადაც იქაური ქართველობა ერთი დღით შეჩერებულ საყვარელ პოეტს უწყობს საზეიმო შეხვედრას. ქალაქისა და მისი ღირშესანიშნაობების დათვალიერების შემდეგ აკაკიმ მოინახულა **ქართველ კათოლიკეთა მონასტერი** და ესაუბრა ქართველ სასულიერო პირებს, შესახვედრად მოსულ საზოგადოებას. ამ შეხვედრის შესახებ მოგვითხრობს 1909 წლის 20 აგვისტოს გაზეთი „დროება“ (იხ.№ 184) „გადახვეწილის“ ფსევდონიმით გამოქვეყნებულ წერილში **„აკაკი სტამბოლში“**. გაზეთში ვკითხულობთ: „აქ გაიარა ევროპაში მიმავალმა აკაკი წერეთელმა. აქაურ ქართველობას აკაკის მოლოდინი არა ჰქონდა, რადგან მისი განზრახული მოგზაურობა წინდაწინ არვინ იცოდა. მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბატონმა **ვლადიმერ ჯიბოს ძე წერეთელმა** მიიღო წინა დღეს კერძო დეპეშა და მთელი საზოგადოება მიიწვია აკაკის დასახვედრად. იმ დღეს დილაადრიან სტამბოლის ნავსადგურში თავი მოიყარა იქაურ ქართველთა პატარა ოჯახმა. ყველას საქმისთვის თავი დაენებებინა. ლაპარაკი აკაკის სახელის გარშემო ტრიალებდა. ყველა მოუთმენლის სიხარულით ელოდა **ჰაკეს** გემს, რომელსაც ჩვენი სასიქადულო სტუმარი უნდა მოეყვანა...

...პირველად აკაკიმ მოისურვა ენახა ქართველ კათოლიკეთა ფერიქოის მონასტერი, სადაც ებაასა ქართველ პატარებს და შეკრებილ ხალხს. ყველა გულდადებით ისმენდა საყვარელი მგოსნის თითოეულ სიტყვას. ბალღები, რომელნიც აკაკის თავს დასტრიალებდნენ, დაკვირვებულნი უსმენდნენ, თითქოს სცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ ძია აკაკის აზრებს...სადილის შემდეგ მგოსანმა მოისურვა შესანიშნავ ადგილების დათვალიერება. სხვათა შორის, დაათვალიერა **აია-სოფია და პარლამენტი**, სადაც მას შეეგებნენ **ქართველი მუსლიმანი დეპუტატები**.

საღამოს სტამბოლის ქართველობა გულდაწყვეტილი გამოემშვიდობა საყვარელ მგოსანს“ (წერილის სრული ტექსტი იხ. აქვე, კარი მესამე: გადახვეწილი, „აკაკი სტამბოლში“, გაზეთი „დროება“, 20 აგვისტო, 1909 წელი, №184, გვ.1-2). სტამბოლის შემდეგ აკაკიმ გეზი საფრანგეთისაკენ აიღო.

ევროპაში მიმავალი აკაკი, როგორც ცნობილია, თბილისიდან 1909 წლის 12 ივლისს გასულა. ბათუმში ჩასულმა აკაკიმ **ჰაკეს სავაჭრო გემით** გეზი სტამბოლისაკენ აიღო. სტამბოლიდან (სადაც ქართველობამ შესანიშნავი დახვედრა მოუწყო) აკაკი საბერძნეთისა და იტალიის გავლით 1909 წლის 29 ივლისს პირდაპირ **მარსელში** ჩავიდა. იქ ვაჟიშვილი ალექსი დაუხვდა და მასთან ერთად **პარიზისაკენ** გაემგზავრა. პარიზიდან აკაკი **იაკობ გოგებაშვილს** წერდა: „...ზღვა კარგი იყო, მაგრამ გემში ფრანცუზებისა და ინგლისელების მეტი არავინ იყო და მე ჩემი დამტვრეული ფრანცუზით შორს ვერ წავედი...გემი, როგორც სავაჭრო, ყოველ ქალაქში ჩერდებოდა ზღვის პირად და მეც ძალაუნებურად შემოვიარე სათათრეთი, საბერძნეთი, იტალია და სხვანი...მარსელში შვილი დამიხვდა; არ ვიცი, მე მომეგება თუ ჩემ ჯიბეს; თუ ჯიბეს-შემცდარა, რადგანაც მე ყოველთვის და ყველგან კნიაზური ჯიბით დავდივარ“ (იხ. აკაკი წერეთელი, თხზულებათა სრული კრებული, ტ. 15, თბ., 1963, გვ. 121; გ. შარაძე, აკაკის იუბილე, თბ., 2006, გვ. 278).

პარიზში აკაკის იქაურმა ქართველებმა გულთბილი შეხვედრა მოუწყვეს. პარიზელი ქართველებისათვის გახსნეს აკაკის სახელობის ბიბლიოთეკა. დიდი პოეტის პარიზში ყოფნას გამოეხმაურა ფრანგული პრესა. მაგრამ შორ გზაზე მგზავრობით დაქანცული პოეტი პარიზში შეუძლოდ გამხდარა. იაკობ გოგებაშვილს პარიზიდან ატყობინებდა: „მას უკან აქა ვარ პარიზში,

მაგრამ ჯერ ოთახიდან არ გამოვსულვარ. ვერა ვარ კარგად და ექიმის საშუალებაც არა მაქვს. **უშარი** (დოქტორია) მარტო გასასინჯავს იღებს სამას ფრანკს და მერე კიდევ საკურორტო სხვა იქნებაო. მე სულ სამასი მანეთით წამოვედი მანდედან და იქიდანაც ნახევარი გზის ქირად დამეხარჯა. დამრჩა სულ თხუთმეტი თუმანი და ისიც მალე შემომეხარჯება ღვთით. ასე რომ, რომ ვიექიმო, საშუალება არ არის, და ღმერთთან სწორი სჯობს, არცა ვღირვარ. ის აღარა ვარ, რაც ვიყავი. გუშინ გავათავე პოემა **„ვარანცოვი“** და შევატყვე თავს, რომ ძალინ შორს ჩამოვგორებულვარ თავდაღმართში“(იქვე).

პარიზიდან აკაკის მიმოწერა ჰქონდა რომში მოღვაწე **მიხეილ თამარაშვილთან**. იქ ჩასვლა სურდა და იტალიურსაც ამიტომ სწავლობდა. რომშიც ემზადებოდნენ იქაური ქართველები საყვარელ პოეტთან შესახვედრად. სტამბოლელი ქართველებიც ფიქრობდნენ, რომ პარიზიდან რომში ჩასული აკაკი სტამბოლში გამოივლიდა და ერთხელ კიდევ მოეფერებოდნენ მას. მაგრამ აკაკის ხელმოკლეობამ და ჯანგატეხილობამ გადააფიქრებინა **პარიზიდან რომი-სტამბოლის** გზით უკან დაბრუნება და სამშობლოში სულ სხვა მარშრუტით-**გერმანიაზე** გავლით გადაწყვიტა წამოსვლა. სწორედ მაშინ უნდა მოეწერა მღვდელ **იოსებ მერაბიშვილისათვის** წერილი აკაკის. ეს წერილია შენახული სტამბოლის ქართულ სავანეში. წერილი ნაჩქარევად დაწერილს ჰგავს. მასზე თარიღიც არაა მითითებული. აკაკის ეს პატარა ბარათი პირველად იბეჭდება წინამდებარე წიგნში (იხ. კარი მეოთხე). მკითხველს აქვე ვთავაზობთ ძვირფასი მგოსნის ამ პატარა ბარათს, რომელშიც მოცემული მცირე ინფორმაცია ბიოგრაფიული ხასიათისაა: „კონსტანტინეპოლში გამოვლა, როგორც ვხედავ, აღარ მომიხდება, მაგრამ რომში კი ვფიქრობ წასვლას ამ თვის დამლევს, თუ მოვახერხე. იქ მე, რასაკვირველია, უცხო ვიქნები, მაგრამ თამარაშვილის იმედი მაქვს, თუ იქ იქმნა... **სტამბოლის ქართველობამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე**. ბევრი მქონდა მოსალაპარაკებელი, მაგრამ, ვიფიქრე, ამ მოკლე ხანში რაღას მოვასწრებ მეთქი და სამერმისოდ გადავხედავ. **ახლა კი ვსწუხარ, რომ არ დავრჩი, რამდენიმე ხნით**. მე ვერა ვარ კარგად და დიდი მოწყენილიც ვიქნებოდი, რომ წერით არ ვიყო გართული. ამას გარდაც, იტალიანური სახელმძღვანელო მიშოვნა აქ შვილმა. იმას შევუდექი ამ სიბერის დროს. იმედი მაქვს ცოტაოდენი მაინც შევისწავლო. **დავშთები მარად თქვენი ბედნიერების მოსურნე აკაკი**“.

1910 წლის 29 იანვარს მგოსანი აკაკი წერეთელი თბილისში ჩამოდის. იუწყებოდა გაზეთი „დროება“ („დროება“, 1910, № 22).

სტამბოლის ქართულ სავანეში ტრადიციულად ყოველწლიურად აღინიშნებოდა **ნინოობის დღესასწაული.** ამ დღესასწაულს ორმხრივი დანიშნულება ჰქონდა. ერთი რომ წირვა-ლოცვა აღევლინებოდა ფერიქოის უმანკო ჩასახების სავანეში 14 იანვარს და მეორე, იქ მყოფი ქართველობა სწორედ ამ დღეს თითქმის უკლებლივ იკრიბებოდნენ. ბუნებრივია, რომ ეს ღონისძიება აისახებოდა პრესის ფურცლებზე. იმავე 1909 წლის „დროებაში“ დაბეჭდილია ქართველიშვილის (ხუნდაძე რაჟდენის) წერილი **„ნინოობა სტამბოლში“**. აქ დეტალურად აღწერილია ნინოობის დღესასწაული. ასევე, ვგებულობთ, რომ წირვის შემდეგ იქაური ქართული საზოგადოება შეიკრიბა საქველმოქმედო მიზნით. კრებას დაესწრნენ მონასტრის იმჟამინდელი უფროსი -წინამძღვარი **ბენედიქტე ვარდიძე (ჩილინგარაშვილი)**, მამა **ანდრია წინამძღვრიშვილი** და **პატრი მერაბი (იოსებ მერაბიშვილი)**. სწორედ ამ კრებაზე **ვლ. წერეთელმა** წარადგინა აკაკის საიუბილეო კომიტეტი. მანვე ფაქტიურად, იქ შეკრებილებს

ქართველთა საზოგადოების ანგარიში წარუდგინა. ილიას მკვლელობის ამბებთან დაკავშირებით მის სახელზე გაუხსნიათ ფონდი და თანხა გაუგზავნიათ „**ისრის**“ რედაქციაში 1907 წლის 18 ოქტომბერს. მათ სურვილი გამოუთქვამთ, რომ ჩამოყალიბდეს **სტამბოლელ ქართველთა გამაერთიანებელი საზოგადოება-„ერთობა“,** რათა შეკავშირდნენ და საერთო ძალით სწიონ **ეროვნული უღელი.** საზოგადოების საქველმოქმედო საქმიანობის დასტურია კასის დაარსება, საიდანაც დახმარება უნდა მიეღოთ სტამბოლში მყოფ უმწეოდ დარჩენილ და ეკონომიურად გაჭირვებულ ქართველობას.

წერილიდან ირკვევა, რომ კრებას სიტყვით მიმართა პატრმა ბენედიქტემ და ისაუბრა, თუ როგორი უნდა ყოფილიყო მათი ერთობის საქმიანობა. საზოგადოების მოწონება დაუმსახურებია პატრი მერაბის სიტყვას. წერილში სრულადაა წარმოდგენილი მისი სიტყვა. პატრი მერაბი განსაკუთრებით მადლობას უხდის პატრ ანდრიას, რომელსაც არ გაუთვალისწინებია კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსის რჩევა და პასუხისგებაში მიუცემია გაზეთი **„პრია“** და მისი პატრონი **კარიდი**, რომელიც გაზეთის ფუნქციებზე უსაფუძვლოდ აკრიტიკებდა ქართველ კათოლიკეთა **წმ. იოსების სახელობის სკოლასა** და იქ მომუშავე მასწავლებლებს, სასულიერო პირებს. კარიდი გამტყუნებულა და დაკისრებული ჯარიმაც გადაუხდია 8 დღიან პატიმრობასთან ერთად („დროება“, 1909, №25, გვ.2-3, ქართველიშვილი, ნინოობა სტამბოლში). აი, ასეთი მებრძოლი და ეროვნული სულისკვეთების მატარებელნი იყვნენ სავანის მკვიდრნი.

სტამბოლის ქართული სავანის საქმიანობაში ბუნებრივია, რთული დღეებიც მდგარა. განსაკუთრებული გულისტკივილი კი გამოუწვევია იმას, რომ თანდათან ქართული ტიპიკონით აღარ აღევლინებოდა წირვა-ლოცვა. აღნიშნულზეა საუბარი 1913 წლის „შინაურ საქმეებში“, № 4; შ.ბ. ავტორობით დაბეჭდილ წერილში-„ქართული ტიპიკონი და სტამბოლელი ქართველობა“, საიდანაც ვგებულობთ, რომ ქართველ ბერ-მონაზვნებს თხოვნით მიუმართავთ **პაპის პიო X-თვის**, რათა ნინოობა ქართული ტიპიკონისამებრ გადაიხადონ. თხოვნა გაუთვალისწინებია პაპს და მღვდელ **პიო ბალიძეს** გადაუხდია ეს წირვა ქართულად. წირვის შემდეგ სიტყვაც წარმოუთქვამს: “თუ ქართული ტიპიკონი განსაცდელშია, დამნაშავეს შორს ნუ დავეძებთ, ციხე შიგნიდან გატყდებაო. თვითეულმა აღიაროს: დამნაშავე მე ვარო“. წერილიდან ირკვევა, რომ წირვის შემდეგ პაპისათვის სამადლობელო წერილიც გაუგზავნიათ („შინაური საქმეები“, 1913. №4. გვ.11-12. შ.ბ., „ქართული ტიპიკონი და სტამბოლელი ქართველობა“).

ამავე საკითხს ეხება „მარანელი“ წერილში-წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში („შინაური საქმეები“, 1913წ., №2, გვ.6-7). ჩანს, რომ პ. ბალიძეს და შ. ვარდიძეს თანამწირველობით შესრულდა 14 იანვარს ნინოობის ლიტურღია უმანკო ჩასახების სავანეში **ქართულ ენაზე.** გამოთქმულია გულისტკივილი, რომ სავანის დამაარსებლის სიკვდილის შემდეგ ქართულმა ტიპიკონმა დაკარგა მფარველი. ქართულ ტიპიკონს ერთი წარმომადგენელი ჰყავს, მამა პეტრესვე დროს ნაკურთხი მოხუცი მღვდელი **გრიგოლ ათოშვილი.** მას სიბერის და სნეულების გამო წირვა არ შეუძლია. ასეთია სავანის მდგომარეობა. მარანელი აღშფოთებულია სავანის ამ მდგომარეობით-„რამ მოიტანა ეს მოვლენა, რა არის ამის მიზეზი? ვის რა დაუშავა ქართულმა წირვა-ლოცვამ? რატომ აღარ ისმის ტკბილი ქართული ლათინურ წირვასთან ერთად?“-კითხულობს ავტორი. მიზეზად ზოგიერთი ბერს მიიჩნევს. მამა პიოს დამსახურებად თვლის, რომ მოიპოვა ქართული წირვის უფლება.

როგორც აღვნიშნეთ, სტამბოლის ქართული სავანე არასდროს გულგრილი არ დარჩენილა ეროვნული საქმეების მიმართ. 1919 წელს „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდილი ცნობით ვგებულობთ, რომ **26 მაისს** იქაურმა ქართველობამ უმანკო ჩასახების სავანეს ძმობის მეთაურობით **იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავი** („საქართველოს რესპუბლიკა“,1919წ, №161. გვ.1). ანალოგიურ ინფორმაციას გვაწვდის „სახალხო საქმე“ („სახალხო საქმე“,1919, № 582,გვ. 2).

სტამბოლის სავანე დიდ ყურადღებას აქცევდა, აგრეთვე საგანმანათლებლო საქმიანობას. 1897წ. იასე რაჭველი „ივერიაში“ ბეჭდავს წერილს (უსათაუროდ), რომელიც მოგვითხრობს, რომ წინა წელს (1896წ) **სტამბოლში დაარსებულა ქართული - ფრანგული სკოლა პატრი სტეფანეს თაოსნობით,** სადაც ათამდის მესხი ყმაწვილი სწავლობდა. ავტორი მადლობას უხდის ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას და ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ, რომ სკოლისათვის გამოუგზავნიათ სახელმძღვანელო წიგნები და ჟურნალ-გაზეთები.

განსაკუთრებით საინტერესოა სავანეში მოღვაწე პირის-სავანის წინამძღვრის- **შიო ბათმანაშვილის** წერილი „მივხედოთ ჩვენს მოძმეებს“, რომელიც დაიბეჭდა გაზეთში „თემი“. სტატიაში (იხ. გაზეთი „თემი“, 1913 წელი, №116) საუბარია, რომ პატრონობა უნდა **გამაჰმადიანებულ ძმებს, რათა სრულიად არ დაგვეკარგონ.** სტამბოლში მყოფ ქართველებს გადაუწყვეტიათ ოსმალეთის სხვადასხვა კუთხეში მცხოვრებ ქართველობაში გაავრცელონ წერა-კითხვა და ამრიგად, სამშობლოს დაუბრუნონ გადხვეწილნი. წუხილია, რომ ქართველები აქ- იქ შერეულ ქორწინებაში არიან, თათრებზე თხოვდებიან, მათაც მოჰყავთ თურქი ცოლები. აქამდე ეს იშვიათი იყო. თათრის ქალებს კი ქართული ენა სძულთ. თვითონ არ სწავლობენ, შვილებსაც უშლიან ქართულად ლაპარაკს. ბათმანაშვილის აზრით, მედგარი მუშაობაა საჭირო, რომ ქართველობა არ ამოწყდეს. იგი წერს, ქართული საზოგადოება ემზადება დღესასწაული გადაუხადოს თავის **გენიოს მგოსანს აკაკი წერეთელს,** მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ეს მოსაწონიცაა და საჭიროც. მაგრამ ჩვენ უნდა „სხვანაირი ცოცხალი ძეგლი დავუდგათ უკვდავებას. **შევხედოთ მესხებს...იმათ შორის დავანთოთ მეცნიერების ლამპარი, ამაზედ უკეთესად ვერაფერი გაანათებს შოთას სულს**.“ უსაჭიროეს მოთხოვნად მიიჩნევს, რომ **რუსთველის სახელობის ერთი სასწავლებელი** ან სტამბოლში, ან ბურსას მახლობელ ადგილებში გაიხსნას, სადაც სწავლა მხოლოდ ქართულ ენაზე უნდა წარმოებდეს. იმედოვნებს, რომ შეძლებული ქართველობა ხელს შეუწყობს ამ საქმეს.

ქართული სავანე და იქაური ქართველობა საქველმოქმედო საქმიანობას ყოველთვის ეწეოდა. **სტამბოლელი ქართველები რუსთველის ძეგლის შესაქმნელი ფონდისთვის** შეგროვილ ფულსა და სიას უგზავნიან „ივერიის“ რედაქციას („ივერია“, 1893, №281, გვ.2, იასე რაჭველი, წერილი რედაქციის მიმართ). ავტორი აღნიშნავს, რომ მართალია, იქაური ქართველობა არაა დალხინებული ეკონომიურად, მაგრამ საქვეყნო საქმისათვის უკან არ იხევენო. სტამბოლის ქართული საზოგადოების ეკონომიკურ სიდუხჭირეზეა საუბარი იასე რაჭველის კიდევ ერთ წერილში - „წერილი სტამბულიდან“, რომელიც „ივერიის“ 1894 წლის 146-ე ნომერში დაიბეჭდა. ავტორი აქვე საუბრობს სტამბოლის ქართული სავანესა და მის დამაარსებელზე, რომელიც მუდამ ცდილობდა ძლიერი ქართული სასწავლებელი ჰქონოდა. **პ. ხარისჭირაშვილი** გარდაიცვალა და საზოგადოება ახლა იმედის თვალით უყურებს პატრი

სტეფანე გიორგიძესო., რომლის მიზანია სულიერად და ხორციელად იქაურ ქართველთა მდგომარეობის გაუმჯობესებაო, წერს ავტორი.

ამრიგად, სტამბოლის ქართული სავანე დაარსებისთანავე ქართული სულიერების, ეროვნული ცნობიერების, ქართული სულისკვეთების გაძლიერებისა და გადარჩენის ქომაგი იყო. იქ განხორციელებული კულტურულ-საგანმანთლებლო საქმიანობა ამის უტყუარი დადასტურებაა.

გამოყენებული ლიტერატურა

1. გადახვეწილი (მ. წერეთელი), აკაკი სტამბოლში, გაზეთი „დროება“, № 184, გვ. 2, 1909 ;
2. ქართველიშვილი, ნინოობა სტამბოლში, გაზეთი „დროება“, №25, გვ. 2-3, 1909;
3. ქართველიშვილი, აკაკის იუბილეი სტამბოლში, გაზეთი „დროება“, №101, 1909;
4. ქართული ტიპიკონი და სტამბოლელი ქართველობა, ავტორია შ.ბ (ფსევდონიმით) გაზეთი „შინაური საქმეები“, №4, გვ.11-12, 1913 ;
5. მარანელი, წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში, „შინაური საქმეები“, №2, გვ. 6-7, 1913;
6. გაზეთი „საქართველოს რესპუბლიკა“, №161, გვ.1, 1919;
7. გაზეთი „სახალხო საქმე“, № 582, გვ.2, 1919;
8. გაზეთი „ივერია“, № 281, გვ.2, 1893;
9. იასე რაჭველი, წერილი სტამბოლიდან, გაზეთი „ივერია“, №146, გვ.3, 1894;
10. შიო ბათმანაშვილი, მივხედოთ ჩვენს მოძმეებს, გაზეთი „თემი“, №116, 1913;
11. შარაძე გ., აკაკის იუბილე, თბ., 2006.

Roin Malakhmadze

Cultural-educational activity of Georgian cloister in Istanbul in the first quarter of the twentieth century

Resume

The importance of Georgian cloister in Istanbul is too great, because its role was not confined only by divine service. It was also the Georgian hearth, where cultural- educational activity had been conducting. The information about this was preserved by the press,memoires of the first half of the twentieth century, kept in the archive of the cloister. The letters about the cultural activity of the cloister is represented in the following newspapers and magazines: “Iveria”, “Droeba”,”The Georgian Republic”, “ShinauriSaqmeebi”. “sakhalkhoSaqme” “SakhalkhoGazeti”, “Temi” and etc. The mentioned newspapers and magazines are preserved in the library of Istanbuli Georgian cloister. It is due to mention that, the cultural-educational activity was on the high level. Matter of course, Istanbul Georgian catholic monastery was not only aecclesiastical institution. It was the refugee of the people with patriotic spirit.

In the cloister of Istanbul the jubilee dedicated to the Georgian poet AkakiTsereteli was celebrated. A t the same year the library named after the poet was opened. Every year the holiday Ninooba took place here. Also the day of the independence of Georgia was held on the 26 th of May.

The cloister paid a great attention to the educational and charity activity. In 1896 the case of mutual aid, from which the Georgians lived in Istanbul, who lived in poverty and economical need were assisted.

თამილა ლომთათიძე

„ერთგული ერისა და სამშობლოსი"

სტამბულს ქართული სავანის არქივი საინტერესოა არა მხოლოდ იმით, რომ საქართველოს ისტორიის ბევრი ცნობილი თუ უცნობი მივლენის ამსახველ დოკუმენტს ინახავს, არამედ იმითაც, რომ ამ მასალებმა წარმოაჩინა მრავალი ადამიანის სახელი, რომლებიც ჩუმად, უხმაუროდ აკეთებდნენ ქართულ საქმეს და მთელ ცხოვრებას საქართველოზე ფიქრსა და ზრუნვაში ატარებდნენ, პატარა საქმეების კეთებით დიდ, საერთოქართულ საქმეს ემსახურებოდნენ და თავის წილ საქართველოს ჰპატრონობდნენ. სწორედ ასეთი ადამიანის – **ნინო დადიანის** რამდენიმე წერილი შემოინახა სტამბულის ქართული სავანის არქივმა და მრავალი საინტერესო ასპექტით წარმოაჩინა არა მხოლოდ თავად ეს ბრწყინვალე ქალბატონი, არამედ XX საუკუნის ქართული ემიგრაციის მრავალი პოლიტიკური თუ საზოგადო მოღვაწე და მოვლენა.

ჩვენს ხელთაა 1954 წელს ნინო დადიანის მიერ მამა **შალვა ვარდიძისათვის** ჟენევიდან გამოგზავნილი ოთხი წერილი, რომლებიც გასული საუკუნის 50-იან წლებში ქართული ემიგრაციის ცხოვრებისა და საქმიანობის საინტერესო ფაქტებს ინახავს და თავად ნინო დადიანზეც საკმაოდ ნათელ წარმოდგენას გვიქმნის.

სამწუხაროდ, ჩვენთვის ცოტა რამაა ცნობილი მის ცხოვრებაზე. ის ძალზე მწირი ცნობებიც ამ წერილებმა შემოგვინახა, მაგრამ მათში კარგად ჩანს, რომ ნინო დადიანი ძალიან ამაყობდა თავისი წარმომავლობით და ჰქონდა კიდეც საამაყო. დედის მხრივ მისი წინაპრები ყოფილან სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს თურქთა დაპყრობის შემდეგ გამაჰმადიანებული **სულხანიშვილები**. როგორც თავად წერს, „დიდედა ჩემი იყო ასული **სულხან ბეგისა** და დაი **ფეიზულასი**, გამაჰმადიანებულნი დაპყრობის შემდეგ. სულხანიშვილნი, კვლავ საქართველოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ მოინათლნენ. დიდედა ჩემი მონათლეს და შეაუღლეს პაპა ჩემს **იოსებ ყიფიანს**". იოსებ ყიფიანი იყო **დიმიტრი ყიფიანის** ძმა. იოსებს სამი ვაჟი და ორი ქალი ჰყოლია, დიმიტრის - კი ორი ვაჟი. ბავშვები ფეხადგმულები იყვნენ, როცა იოსებს მესამე გოგონა შესძენია და ძმის თხოვნით იგი უშვილებია დიმიტრი ყიფიანისათვის, რომელსაც ვაჟიშვილები ჰყავდა. „დაბადებისთანავე პაპა დიმიტრიმ ხოჭიჭით წაიღო დედა ჩემი და მონათლა მის სახელზე (მართა-მათიკო)"-ო, წერს **ბებია ნინო** თავის ერთ-ერთ წერილში. ამგვარად, დედის მხრიდან ბებია ნინო იყო დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი.

მამის მხრიდან ნინო იყო შვილიშვილი მოწამეობრივად აღსრულებული დეკანოზის ჩარკვიანისა, რომელიც იყო დ.ერისთავის პიესის „სამშობლო"-ს ერთ-ერთი გმირის გოგია დიაკონის პროტოტიპი. 1954 წლისათვის ნინო დადიანი იყო 76 წლის, მაგრამ როგორც თვითონ აღნიშნავს „შესაფერ სამოცდა თექვსმეტი წლის ხნოვანებისა, გახლავარ მხნედ (45-50 წლისასი)". მართლაც, მისი აქტიური საზოგადოებრივი საქმიანობიდან კარგად ჩანს, რომ ასაკის მიუხედავად, იგი თავისი ცხოვრების არც ერთ წუთს არ კარგავდა უქმად და მთელ თავის ენერგიას სხვებზე ზრუნვას ანდომებდა. იგი იყო „საპატიო მზრუნველი

დედაკაცი ომში დასახიჩრებულთა, ტყვეთა და ავადმყოფ ქართველთა". ჰქონდა სათანადო მოწმობები, ასე გასინჯეთ, ე.წ. „ყოფილი მთავრობისაც" კი. თუმცა პარიზსა და ჟენევაში მას ბებია ნინოს სახელით მოიხსენიებდნენ და ამ სახელს იგი აფასებდა „ყველა „ტიტულებზე" მეტად და პატივით", რადგან „ეს სახელწოდება მაქვს ნაწოდები გაჭირებასა შინა მყოფთ და მომაკვდავ თანამემამულეთა მიერ". როგორც თავად აღნიშნავს, „არასდროს და არც დღეს არა ვარ წევრი არცერთი „პოლიტიკური პარტიისა", თუმცა ბევრ გამოცდილ პოლიტიკოსზე უკეთ შეეძლო როგორც პოლიტიკური სიტუაციის შეფასება, ისე სამომავლო გზების დასახვა. ეს წერილები საინტერესო ცნობებს ინახავს **ალექსანდრე მანველიშვილის**[1] მიერ 1954 წლის იანვარში პარიზში დაარსებული „საქართველოს ეროვნულ გამანთავისუფლებელი ლიგის" შესახებ.

თუ რამდენად მნიშვნელოვანი იყო ნინო დადიანის აზრი და მონაწილეობა პოლიტიკურ პროცესებში, ჩანს იქედანაც, რომ ამ „ლიგის" დაარსებისთანავე, მის თავმჯდომარეს - ალექსანდრე მანველიშვილს გადაუგზავნია ბებია ნინოსათვის ლიგის წევრების სია და დამაარსებელთა ჯგუფში მონაწილეობაც უთხოვია. ამ მოვლენის შეფასებისას, 1954 წლის 17 აპრილით დათარიღებულ, მამა შალვა ვარდიძისადმი გაგზავნილ წერილში, კარგად ჩანს საოცარი პოლიტიკური ალღო, რომელიც ამ მხცოვან ქალბატონს ჰქონდა. იგი გულისტკივილით აღნიშნავს, რომ ამ ორგანიზაციის არც დამაარსებელთა და არც წევრთა შორის არ არის „სახელი მცოდნესი ან გამოცდილი პირისა" და წერს ალექსანდრე მანველიშვილს, რომელსაც თავის შვილობილს უწოდებს: „ცხვარი რო ცხვარია, იმასაც ერკემალი უძღვის. ერკემალია იგივე ცხვართაგანი, მხოლოდ აღჭურვილი გამოცდილებით, ჭკვიანი და წინდახედული, ღონიერი ყველაზე მეტად ყოველ მხრივ. ნუ მიწყენ, ჩემო შვილო, აღიარე, შენ ბევრი ღირსება გაქვს, უამრავი კარგი თვისებანი, მხოლოდ გაკლია ზოგადად ცოდნა და ძალიან გამოცდილება. მაშასადამე „ცხვარის" დონეს ბევრად არა ხარ ამაღლებული. სხვა ორ დაჯგუფებაში კი დაბერძიგნებული ერკემლები კი არა, ყოჩები არიან, გამოცდილები პოლიტიკურ მუშაობაში; მოხედვას ვერ მოასწრებ, რო ჩაგყლაპამენ და გაგანიორწყალებენ.

უპირველეს ყოვლისა ამ შენ „ლიგას" ესაჭიროება გამოცდილი და განაცადი „ერკემალი" და როცა ლიგა ფეხს მოიდგამს და ფესვებს გაიღებს, ამასობაში შენც გამოიცდები და დაუდგები სათავეში მეთქი და ურჩიე ერთი შესაფერი პირი საამისოდ".

ნინო დადიანი, ზოგადად, ძალიან რეალურად და სწორად აფასებდა 50-იან წლებში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხით მსოფლიოს დიდი ქვეყნების დაინტერესებას და კარგად ხედავდა, რომ ევროპაში „ქართული საკითხი ეხლა არავის ეპრიანება. პირველი იმიტომ, რომ ეხლა „მათ" (იგულისხმება საბჭოთა ხელისუფლება) ეკეკლუცებიან და მეორე ბ.**შავიშვილმა**[2] დათვის სამსახური გაგვიწია და განაგრძობს.

---

[1] ალექსანდრე მანველიშვილი იყო ემიგრანტი, ნინო დადიანის შვილობილი, **ორგანიზაცია «თეთრი გიორგის» ერთ-ერთი ლიდერი და იდეოლოგი, ქართული ემიგრანტული ჟურნალისტიკის თვალსაჩინო წარმომადგენელი, ემიგრაციული გამოცემების - «მომავალი», «ერის დიდება», «**L'Action Georgienne**» დამაარსებელი და რედაქტორ-გამომცემელი, პუბლიცისტი.**

[2] ხარიტონ შავიშვილი იყო ემიგრანტი, რევოლუციონერი, დიპლომატი, პუბლიცისტი. ერთა ლიგაში საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის წარმომადგენელი. ჟენევაში დააარსა „ქართველ ემიგრანტთა წარმომადგენლობა".

თანაც ეს „konference Asiatique", რომელიც არ დამთავრებულა და **მოლოტოვი** თავს დაყივა.

ეს ინდო-ჩინეთისა და საფრანგეთის შუა მოლაპარაკება ზავის შესახებ (რომელიც წარმოებს ბერნში). მსოფლიოს ყურადღება ამათზეა მიპყრობილი! ვინ რას აქნევს ბეღურასოდენა საქართველოს! ესეც რო არ იყოს, ამ საკითხს ჯერ ჩვენს შინ უნდა დამუშავება".

სწორედ „შინ" მოუწესრიგებელ ურთიერთობებში ხედავდა ბებია ნინო ქართული საქმის შეფერხების სათავეს. სამწუხაროდ, მამა **შალვა ვარდიძის** მიერ მისთვის გაგზავნილი წერილი არ მოგვეპოვება, მაგრამ ნინო დადიანის პასუხიდან ჩანს, რომ შალვა ვარდიძეც, რომელიც ამ დროს ბეირუთში იმყოფებოდა, დაინტერესებული იყო ქართული ემიგრაციის საქმიანობით და წარმატების საწინდრად მათ ერთიანობას მიიჩნევდა. სწორედ მისი თხოვნის პასუხად აღწერს ნინო დადიანი ქართული ემიგრაციის იმდროინდელ მოღვაწეობას:

„ერთობას" ხელს უშლის ორი მოვლენა: პირველი ისა, რომ აქ მყოფი ქართველობა ვართ გაყოფილი სამ განსაკუთრებულ დაჯგუფებად: ა) ყოფილნი (და განაგრძობენ) члены Всеросийской партии социаловъ; ბ) ისინი, ვინც დაუკავშირდნენ მაჰმადიანებს მთიულების სახით და გ) ჩვენა, რომლებიც ვდგავართ მიღმა, ზემო ორივე დაჯგუფებისა. სამივენი მსჯელობენ, განიცდიან და აზროვნებენ სხვა და სხვანაირად.

ერთი დიდი ნაკლი და მოშლა ერთობისა ისიც არის, რომ ყველას პირველობა გვინდა. ამის გამო ვინც კი გამოიჩენს ოდნავ უნარს, გამჭრიახობას და ნიჭსა, „მეორეები" კალთას ჩამოახევენ და უკან დაახევინებენ, „ვაი რო არ წაგვასწროსო".

ნინო დადიანი არა მხოლოდ ხედავს ემიგრაციის დაქსასულობის დამღუპველ შედეგებს, არამედ სწორად აფასებს სიტუაციას, ამ „ერთობის" მოშლის მიზეზებს და მიიჩნევს, რომ „მთავარი ხელისშემშლელი ერთობისა გახლავს ისა, რომ ის „მთავარი", რაც აკავშირებდა ქართველებს, თან და თან გვეცლება ხელიდგან. სავალალოდ ამის მთავარი მიზეზი ვართ დედაკაცები.

სხვა უამრავ დამსახურებასთან, აქ (დევნილობაში) დედაკაცები გამოვდექით სუსტები.

ეს „მთავარი" იყო ოჯახი და ეკლესია, რწმენა, ღვთის მოსაობა! ეს ორივე თანდათან იშლება, სუსტდება. სულ პატარა, თითოეულისათვის მაგალითია ისა, რომ არა თუ მოზარდმა თაობამ, არამედ ნორჩმაც კი, რომელიც დედის უბეში ზის, არ იცის საკმარის კარგად, და ხშირად სრულებითაც, **სამშობლო ენა, არც ისტორია, მაშინაც კი როცა ის დაიწერა ფრანგულ ენაზე. არ იცის დედა ენაზე ლოცვები კი არა, „მამაო ჩვენო"-ც კი**". ამიტომაც, „არა თუ „ერთობა", არამედ კომლად, ცალკეულად აღარ ვართ გამოსადეგი.

ეს გახლავთ ღვთის წყრომა, საცრემლო და სავალალო".

მხოლოდ ემიგრაციის პოლიტიკურ საქმიანობაში მონაწილეობით არ შემოიფარგლებოდა ბებია ნინოს საქმიანობა საზღვარგარეთ. შალვა ვარდიძისადმი გაგზავნილ ერთ წერილში იგი აღნიშნავს, რომ იმჟამად დაკავებულია სამი საკითხით:

„1. ახლად აღმოჩენილი ეკლესია და მონასტერი ბეთლემში.

2. ბერმონაზონთა და სასულიერო პირთა მოვლა, მიგნება და პირობების გაუმჯობესება, თუ ასეთები იმყოფებიან მანდ. კერძოდ, თქვენი, საამაყო მამულიშვილო, მამაო ჩვენო.

3. სტამბოლში მყოფ ქართველ მონაზონთა, „რომელთა პირობები შეიცვალაო", მამცნეს რომიდან".

განსაკუთრებით აღელვებდა მას ბეთლემში აღმოჩენილი ქართული მონასტრის[3] საკითხი. ბებია ნინო სთხოვდა შალვა ვარდიძეს, დაეზუსტებინა:

„1) ვინ ითვლება პატრონად უძრავს და მოძრავ განძეულობათა, აღმოჩენილთ ბეთლემში.

2) მიგაჩნიათ თუ არა შესაძლოდ ჩვენს მიერ აღძვრა საკითხის ჩვენი უფლებების შესახებ და რა სახით!

3) შესაძლოა აღდგენა? თუ შეკეთება? თუ ახლად შენება მცირე შენობისა, სადაც თავს შეაფარებენ ქართველნი ბერმონაზონნი, უკეთესის მოლოდინში, და სადაც შესრულდება წირვა-ლოცვა ჩვენს დედა ენაზე?"

ბებია ნინოს განსაკუთრებული ზრუნვის საგანს წარმოადგენდა სტამბულის ქართველთა სავანე. ამ საკითხებზე მას აქტიური მიმოწერა ჰქონდა მამა შალვასთან. იგი ზრუნავდა სავანის მონაზონთა მდგომარეობის გაუმჯობესებაზე, სთხოვდა მამა შალვას გაეგზავნა მონაცემები მონაზონთა რაოდენობის, ხნოვანების, რწმენის სიღრმის, სიდარბაისლის, საქმიანობის, „მოუცილებელი საჭიროებების" შესახებ, რადგან შეწუხებული იყო იმით, რომ როგორც ჩანს, მონაზვნების „შესანახავ საშუალებას „ბეტცის" მონაზონები ღებულობდნენ ვატიკანისგან. იმავე დროს მათ ამუშავებდნენ. ეხლა, როცა საცოდავები დაუძლურდნენ, აღარ წარმოადგენენ ძველებურ ნუკბარებას და .... აიღეს მათზე ხელი". ამით შეშფოთებულ ბებია ნინოს სავანის მონაზვნებისათვის დახმარების გაწევის თხოვნით მიუმართავს სტამბოლში მყოფი **მენაღარიშვილისა**[4] და საგარეო საქმეთა მინისტრის მეუღლისათვის, რათა მათ მოენახულებინათ სავანე და მონაზვნებისათვის დახმარება გაეწიათ.

განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა ბებია ნინოს მამა შალვა ვარდიძის მიმართ. ჩვენს ხელთ არსებული წერილებიდან ჩანს, რომ იგი პირადად არ იცნობდა მამა შალვას, მაგრამ თავის სულიერ მამად და მოძღვრად მიაჩნდა, უდიდეს პატივს სცემდა და დიდად აფასებდა მის ღვაწლს ქართველი ხალხის წინაშე. ყველა წერილი სავსეა მიმართვებით: „გამოგთხოვ ლოცვა კურთხევას თქვენი მადლიანი ხელითა და გულით. გთხოვთ, მორჩილებით, მიბოძეთ პასუხი და ახსნაგანმარტება და რჩევა შემდეგ შეკითხვებზე ..."; „გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდღეოთ..."; „მე ნუ მომაკლებთ თქვენი მადლიანი ხელით დალოცვას და მიგულეთ მუდამ მზა თქვედა სამსახურად..."; „გთხოვთ ინებეთ ჩემგან მორჩილი და მამულიშვილური სალამი და წრფელი და უხვი სურვილი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა" და სხვ.

ეს იყო მოძღვრისა და სულიერი შვილის სამაგალითო ურთიერთობა. ბებია ნინო არა მხოლოდ სიტყვიერად აფასებდა შალვა ვარდიძის საქმიანობას, არამედ ცდილობდა მისი შეჭირვებული მდგომარეობის („თქვენზე მეტი საზრუნავი ტყვე, დასახიჩრებული და ავად

---

[3] ლაპარაკია 1952-53 წლებში იტალიელი არქეოლოგის **ვირჯილიო კორბოს** მიერ პალესტინაში, ბეთლემში აღმოჩენილ თეოდორე ტირონის სახელობის ქართველთა მონასტერსა და სამ ქართულ მოზაიკურ წარწერაზე (VI-VII სს.). მოგვიანებით (1955 წ.) ეს წარწერები პირველად ამოიკითხა, ლათინურად თარგმნა და კომენტარები დაურთო **მიქელ თარხნიშვილმა**.

[4] **სარდიონ (სანდრო) მენაღარიშვილი (მენაღარი)** - მეწშევიკი, საზღვარგარეთ ანტისაბჭოთა საქმიანობის ერთ-ერთი წამყვანი ფიგურა, საქართველოს ეროვნული გათავისუფლების ორგანოს - სტამბოლის კომიტეტის ხელმძღვანელი, პუბლიცისტი.

მყოფი ომის გამო, ვინღა არის?!") გაუმჯობესებას და კურთხევას არქიელად, მაშასადამე გადმოსახლებას პარიზში და უზრუნველყოფას. ამისთვის იგი ცდილობდა პარიზში დაარსებულიყო ქართული კათოლიკური ეკლესია.

ბებია ნინოს წერილებში კიდევ ერთი საინტერესო კუთხით წარმოჩნდა მამა შალვა ვარდიძე - როგორც შესანიშნავი მექართულე: „დიდსა და უდიდეს მადლობას მოგახსენებ დარბაისელი და მამაპაპური საუბრისათვის თქვენმიერ მონაწერი წერილის საშუალებით. ასეთსა და ამნაირს, ყოველ შემთხვევაში მე მოკლებული გახლავარ. ღვთის მადლით წერილები უამრავი მომდის, მხოლოდ წაკითხვისას დაკვირვება მიხდება. არეულია ხოლმე ილიას ენა სხვა და სხვა ენების ე.წ. „ციზმებთან".

თანაც რა მშვენიერი ხელი გაქვთ! თითოეული ასო ამოჭრილია და პირველი პწკარის სიმშვენიერე არ განსხვავდება, ექვსი გვერდის შემდეგ, უკანასკნელისაგან" – ასე აფასებდა შალვა ვარდიძის ქართულს ნინო დადიანი, რომლის წერილებიც თავადაა დარბაისლური და თავანკარა ქართულის ნიმუში.

ნინო დადიანი იყო არა მხოლოდ დიდი პატრიოტი, არამედ ენერგიული და მოქმედი მამულიშვილი. მთელი ცხოვრება იგი სრულიად უცნობ ადამიანებს უწევდა დახმარებას, ზრუნავდა მათ დაბინავებაზე, საზრდოზე, ტანსაცმელზე, ექიმზე, წამალზე და სხვ. წერდა წერილებს საჭირო პირებს, განუმარტავდა გასაჭირში მყოფთა მდგომარეობას, ითხოვდა ამა თუ იმ საქმის დაჩქარებას. რამდენად მნიშვნელოვანი და ანგარიშგასაწევი ფიგურა იყო ბებია ნინო, ჩანს წერილებში მოხსენიებულ მისი ნაცნობების წრიდან. იგი მეგობრობდა **კარდინალ ტისერანთან**, ბეირუთის ვიკარიატის ადმინისტრატორთან, საერთაშორისო წითელი ჯვრის გენერალურ მდივანთან **ქ-ნ ვერნერთან,** თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრთან და სხვა, რომ არაფერი ვთქვათ ქართველ ემიგრანტებზე. ბებია ნინოს შვილობილი იყო **ალექსანდრე მანველიშვილი,** იგი მეგობრობდა და დახმარებას უწევდა **გრიგოლ რობაქიძესა** და **კალისტრატე** და **ნინო სალიებს, ევგენი გეგეჭკორსა** და **დავით საღირაშვილს** და სხვ., მაგრამ ყველაზე უკეთ თავად ბებია ნინო აფასებს თავის საქმიანობას მისსავე წერილში: „მე გახლავარ სულ პაწია მნიშვნელობით, ვინმე დედაკაცი, მისავე ღვთისა, ერთგული ჩვენი ერისა და სამშობლოსი და გულითად თანამგრძნობი ჩვენთა თანამემამულეთა". სწორედ ასეთი ღირსეული და მგზნებარე მამულიშვილის, ქართული ემიგრაციის თვალსაჩინო ფიგურის სახელი და საქმეები შემოგვინახა სტამბულის ქართველთა სავანის ეპისტოლურმა მემკვიდრეობამ.

ნინო დადიანისა, როგორც **სანდრო ფანჩულიძის**[5] მოგონებებიდან ჩანს, გარდაცვლილა 1962 წლის შემდეგ. ს.ფანჩულიძეს 1962 წლის 19 ნოემბერს მისგან მიუღია გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შესახებ დეპეშა: „სანდრო, შვილო, გრიგოლი გარდაიცვალა, ჩამოდი". 1962 წლის 22 ნოემბერს **გრიგოლ რობაქიძის** დაკრძალვას ესწრებოდა **ნინო დადიანიც,** ხოლო სულ მალე დაწერილ ამ მოგონებაში, ს.ფანჩულიძე მოიხსენიებს მას, როგორც „აწ განსვენებულ ნინო დადიანს". სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მივაკვლიეთ მის ვერც

[5] **სანდრო ფანჩულიძე** იყო **გრიგოლ რობაქიძის** მამიდაშვილის შვილი, მისი ერთადერთი სისხლით ნათესავი საზღვარგარეთ, რომელსაც ხშირი და ახლო ურთიერთობა ჰქონდა ჟენევაში მცხოვრებ გრიგოლ რობაქიძესთან. სიცოცხლის უკანასკნელ წლებში იგი ჩადიოდა მასთან პარიზიდან, დიდ მორალურ და მატერიალურ დახმარებას უწევდა მარტოხელა მწერალს, თუმცა, გრიგოლ რობაქიძის გარდაცვალების შემდეგ, ვერ შეძლო გამხდარიყო მისი მემკვიდრე და დაკარგვას გადაერჩინა მისი არქივი.

ერთ ფოტოს და ვერც მისი მეუღლის ვინაობა დავადგინეთ. არც ისაა ცნობილი ჰყავდა თუ არა შვილები. თავის ერთ-ერთ წერილში (1954 წლის 17 მაისი) წერს: „ბინა გამომიცვალეს. ვცხოვრობ ჩემს დიდი ხნის ნაცნობთან. ღვთის მოსავეა; კეთილი და კულტურული ადამიანია. იქნებ შევეგუო და შემიგუოს". როგორც ჩანს, სიცოცხლის უკანასკნელი წელი ოჯახის გარეშე გაუტარებია. ასე, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამაა საკვლევი და დასაზუსტებელი, მაგრამ ამ პროექტის არსიც ხომ ესაა: სამეცნიერო მიმოქცევაში შემოიტანოს სრულიად ახალი მასალა, რომელიც საფიქრალსა და საკვლევს მისცემს მეცნიერთა არაერთ თაობას.

გამოყენებული ლიტერატურა

1. ნინო დადიანი (ზეზია), პირადი მიმოწერა (ინახება სტამბულის ქართველთა სავანის არქივში)
2. სანდრო ფანჩულიძე, გრიგოლ რობაქიძის - ჩვენი მწერლისა და მოაზროვნის დაბადების 120 წლისთავი, ჟ. მებრძოლი საქართველო, პარიზი, 2001, N29(47)
3. შუშანა ფუტკარაძე, სტამბულის ქართული სავანე, თბ., 2012
4. გურამ შარაძე, ამერიკელი ქართველები თვალის ერთი გადავლებით, თბილისი, 1992
5. http://www.kvirispalitra.ge
6. http://www.nplg.gov.ge

Тамила Ломтатидзе

«Верная нации и стране»

(Резюме)

В архиве Стамбульского грузинского католического монастыря хранятся не только материалы об истории Грузии, но и личная переписка многих, ранее неизвестных личностей, которые незаметно, молча, трудились во благо Грузии и беспокоились о его будущем. В архиве сохранились письма одной из них – Нино Дадиани, которая была известна в эмиграции под псевдонимом Нино Бебиа. С её именем связанны многие политические и общественные события грузинской эмиграции XX века. Мало что известно о её личной жизни, но из ее письем ясно, что Нино Бебия активно принимала участье в многочисленных политических событиах и благотворительних акциях, культурно-просветительной жизни грузинской Эмиграции, духовно и материально помогала нуждающимся эмигрантам, заботилась о Стамбульском грузинском католическом монастыре. Она сотрудничала с важными представителями грузинской эмиграции в Европе, правильно оценивала политическую ситуацию, как в эмиграции, так и в Грузии. Она до конца своей жизни всей верой и правдой служила своей родине. Письма Нино Дадиани содержит интересный материал о жизни и деятельности грузинской эмиграции в Европе.

Tamila Lomtatidze

"Faithful to the nation and country"

Summary

In the archive of the Istanbul Georgian Catholic monastery are stored not only materials about the history of Georgia, but also personal correspondence many previously unknown personalities who quietly, worked for the benefit of Georgia and worried about his future. The archive contains the letters of one of them - Nino Dadiani, which was known in exile under the pseudonym Nino Bebia. With her name linked many of the political and social events of the Georgian emigration of XX century. Little is known about her personal life, but it Letters from clear that Nino Bebia actively participated in numerous political events and charity events, cultural life Georgian Emigration, spiritually and materially helped the needy immigrants, took care of the Istanbul Georgian Catholic convent. She has collaborated with important representatives of the Georgian emigration in Europe, correctly assessed the political situation, both in exile and in Georgia. It is up to the end of his life all faithfully served his country. Letters Nino Dadiani contains interesting material about the life and activities of Georgian emigration in Europe.

ელზა ფუტკარაძე

სტამბოლის ქართული სავანის საარქივო მასალები ათონის მთის შესახებ

ათონი საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის უმნიშვნელოვანეს კერას წარმოადგენდა. იქ მოღვაწე სასულიერო პირების მწიგნობრულ-საგანმანათლებლო საქმიანობამ ბევრი ლამაზი ფურცელი შეჰმატა ერის კულტურულ წარსულს. მათმა საქმიანობამ საქართველოს ფართოდ გაუთქვა სახელი: „ათონის ივერთა მონასტერი გადაიქცა წყაროდ, საიდანაც ჩვენში უხვად მოდიოდა მოწინავე კულტურის ნაკადი... სადაც თავმოყრილი იყო ქართველთა საუკეთესო კულტურული ძალები... აქ, ათონზე შეიქმნა და ჩამოყალიბდა განსაკუთრებული სალიტერატურო, საგრამატიკო, საკალიგრაფიო სკოლა, რომელმაც წარუშლელი კვალი დატოვა ჩვენს წარსულში. უიმისოდ ჩვენი კულტურის ისტორიას, შეიძლება, სხვა სახე და ხასიათი მიეღო“ [კეკელიძე, 1975:101].

მართლაც, ათონი საუკუნეების განმავლობაში ღვთისმსახურებისა და მწიგნობრული საქმიანობის მამოძრავებელ ძარღვს წარმოადგენდა, მაგრამ მანაც გაიზიარა ჩვენი ერის ისტორიული გამოძახილი და მძიმე წლები დაუდგა. როგორც ცნობილია, მესამე წინამძღვრის– გიორგი ვარაზვაჩეს დროიდან დაიწყო თითო-ოროლა ბერძნის მიღება– მენავედ, მებოსტნედ, შემდეგ იმატა მათმა რიცხვმა. კონსტანტინეპოლის პატრიარქის კალისტრატეს დადგენილებით მე-14 საუკუნეში მონასტერში წინამძღვრად და სხვა პასუხსაგებ თანამდებობებზე ქართველებს აღარ ნიშნავდნენ: „ქართველთა ძლიერ სიმცირისა და უსწავლელობის გამო მათ არ შეეძლოთ მონასტრის მოვლა. მათი თანხმობით ქართველებს ჩამოვართვი წინამძღვრობა და ეკონომისობა და დიდი საკრებულო ჩავაბარე ბერძნებს. ქართველებს ჩავაბარე პორტაიტის ტაძარი და სხვა ყოველივე საერთოდ“ [კანდელაკი, 1980:12].

სამწუხაროდ, აი, ასეთი მიზანმიმართული დამოკიდებულებით თანდათანობით ქართველმა ერმა დაკარგა კულტურის უძლიერესი კერები ათონზე. ბერძნები ყველანაირ ღონეს ხმარობდნენ ქართული სავანეების დასაპატრონებლად. მე-13 საუკუნიდან მათ აქტიურად დაიწყეს ქართველი სასულიერო პირების შევიწროება. შენელდა მწიგნობრული საქმიანობა. ბერძნებმა თანდათან ხელთ იგდეს ათონის ქართული მონასტრები. XIX საუკუნეში კი მთლიანად დაეპატრონენ მას.

ყოველივე ამან განაპირობა ის, რომ ათონზე იკლო სასულიერო პირების რიცხვმა. თუკი XVI საუკუნეში ათონის მთის ისტორიის კულმინაციის ხანაში, აქაურ სენაკებში ცხოვრობდა 40000 ბერი, „დღეს მათი რიცხვი უახლოვდება 1500-ს და ყოველწლიურად კლებულობს“– წერდა ალ. ალექსიძე [ალექსიძე, 1982:9].

ათონზე ქართველი სასულიერო პირების მდგომარეობა განსაკუთრებით გაუარესდა XIX საუკუნიდან, 1866 წლიდან. ეს უკვე ის პერიოდია, როცა ბერძნებმა აკრძალეს ქართველების მიღება ათონზე. მათ გაანადგურეს ქართველების საკუთრების დამადასტურებელი აქტები. მაშინ ქართველებმა გადაწყვიტეს ახალი სავანის დაარსება. 1869 წელს ააშენეს ახალი მონასტერი–ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანე. ამ სავანეში ორმოცამდე ბერი მოღვაწეობდა,

მაგრამ ბერძნებმა აქაც დაიწყეს შევიწროება. მოითხოვეს მონასტერში მხოლოდ სამი ბერის დარჩენა. ამან დიდი უკმაყოფილება გამოიწვია. ქართველების საჩივარმა რუსეთის იმპერა-ტორამდეც მიაღწია, მაგრამ ბერძნებთან შეთანხმება მაინც არ მოხერხდა. ქართველი ბერები უკიდურესად შეავიწროეს. მოხუცი ბერმონაზვნები აუტანელ პირობებში ჩავარდნენ და თანდათან დაიხოცნენ [მენაბდე, 1980:198].

ყოველივე ზემოთქმულმა განაპირობა ის, რომ ქართველებმა დაკარგეს ეს უმნიშვ-ნელოვანესი კერა, სადაც ერთ დროს კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა ჩქეფდა. დაიკარგა სავანე, სადაც ღამეებს ათენებდნენ თარგმნასა თუ ორიგინალური თხზულებების შესაქმნელად იოანე, ექვთიმე, გიორგი და სხვა მთაწმინდელი მწიგნობარნი და ქართველი ერისათვის ქმნიდნენ სულიერ საზრდოს. სამწუხაროდ, ჯერ ერთი რომ, მონასტერს ვალები დაედვა, მეორეც, ბერძნების მიერ შევიწროებული ქართველი ბერები კუთვნილი სავანეებიდან ბარბაროსულად გამოყარეს.

ათონის მთაზე მოღვაწე ქართველი ბერები ბერძნებმა ძალიან შეავიწროვეს 1919 წლისათვის. ქართველი ბერმონაზვნები სავანეებიდან გამოყარეს თებერვლის ცივ ზამთარში. მათ აიძულებდნენ დაეტოვებინათ ათონის მთა. სამი ბერმონაზონი იონას (ფანცულაია) მეთაურობით სტამბოლში ჩავიდა მსოფლიო პატრიარქთან საჩივლელად. ღამის გასათევად ისინი მივიდნენ სტამბოლის ქართულ სავანეში. მათ მიერ ათონის მთიდან სტამბოლში ჩამოტანილი საარქივო მასალები, მოხსენებითი ბარათები და სხვა ისტორიული წყაროები დღემდე ინახება სტამბოლის ქართული სავანის არქივში. ეს მასალები უცნობია ან ნაკლებადაა ცნობილი, რომლებიც საინტერესო ფურცელს შეჰმატებს ათონის ივერის მონასტრის ისტორიას. ილია ფანცულაია წლების მანძილზე მოღვაწეობდა ათონის მთაზე და მისი წერილები უტყუარი მემატიანეა ათონის მთაზე შექმნილი უმძიმესი მდგომარეობისა. 1920 წელს მას სხვა ქართველ ბერებთან ერთად მოუხდა ათონიდან სამშობლოში დაბრუნება. ცნობილია, რომ მღვდელმონაზონმა ილიამ ქართველებისაგან დაცარიელებული ათონის ივერთა მონასტრი-დან საქართველოში ჩამოიტანა რამდენიმე ქართული ხელნაწერი (A. -110, A.-1103,A.-1104, A.-1105). გამოქვეყნებულია მისი მიმოწერა მოსე ჯანაშვილთან ამ ხელნაწერების გარშემო [ლიტ. მატ. 1985-1986:166]. სწორედ სტამბოლის სავანის არქივში დაცული მასალების მიხედვით წარმოვადგენთ ათონის ისტორიის ზოგიერთ საკითხს.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული ივერიის მონასტრის ისტორიასთან დაკავშირებული მასალები არის ხელნაწერი წერილები. ისინი შესრულებულია ბერძნულ და ქართულ ენებზე. მნიშვნელოვანია ქართული ხელნაწერები. კერძოდ, დაცულია მღვდელ-მონაზონ ილია ფანცულაიას ერთ-ერთი წერილი, რომელიც დათარიღებულია 1919 წ. 28 მარტით. წერილის ადრესატი არის მამა მელეტი. მას მღვდელმონაზონი ილია წერილით აცნობს იმ უბედურებას, რაც თებერვალში დაატყდათ თავს. წერილში აღწერილია თებერვლის თვის ყოველდღიური ის მძიმე და აუტანელი ყოფა, რაც ქართველმა სასულიერო პირებმა იწვნიეს. დეტალური აღწერაა იმ უწყალო და ბარბაროსული დამოკიდებულებისა, რაც გადაიტანეს ივირონის ქართველმა ბერებმა. ვეცნობით, თუ როგორ უშედეგოდ დადიან პორტა-ში თხოვნით, რათა ვადა გაუხანგრძლივდეთ და ქართულ სავანეში, მათ საკუთარ ტაძარში დროებით მაინც დარჩნენ. წერილიდან ჩანს, რომ 27 თებერვალს იბარებენ ქართველი ბერების წარმომადგენლებს, რათა მათი აზრი გაიგონ: „ჩვენ ისევ ვადა ვსთხოვეთ, ახლა მარხვაა და ნუ

წაგვამწარებთ ამ მარხვას, როგორც ბერები და ღვთის მლოცველი კაცები და ნააღმდგომევს რამეს ვიზამთ, ან დაგმორჩილდებით, ანაც წავალთო, მაგრამ მათ არ ქმნეს... ხვალ 2 ბერი უნდა გამოვგზავნოთ, უნდა ჩავიბაროთ და ორი ოთახი გაამზადეთ, ამათ უნდა მოუარონ კელიას“-ო, –იყო პასუხი და მოთხოვნაც.

ბუნებრივია, რომ ივირონის მონასტრის ბერები ძალ-ღონეს არ იშურებენ და თავდაუზოგავად იღწვიან ქართული კერის შესანარჩუნებლად. 28 თებერვალს ისევ მიდიან მოსალაპარაკებლად–მოძღვარი მამა სიმონი, მ. გაბრიელი და მ. ივანე. ილია თან ახლავთ. წერილში ვკითხულობთ: „მივედით სინოდიკაში, მაგრამ ისე გამხეცებულიყვნენ, ქაფი სდიოდათ პირიდამ... ჩვენ მუხლმოდრეკით ვსთხოვეთ, რამეფრად აღდგომამდის გვადროვეო და აღდგომის მერე კვირიაკამდე დავცლით კელიასო და ხელწერილიც იყოს ამ პირობაზე, მაგრამ მათ ეს არ ქმნეს“.

წერილიდან ჩანს, რომ ყოველგვარი ცდა ამაოა. ვეცნობით, ბერძნები ბერები როგორ სახლდებიან ქართული კულტურის სავანეში. უკვე 1 მარტს, დღის 2 საათზე ბერძნები მიდიან სავანეში: „კარები ყველგან დაკეტილი გვქონდა და ძმები განკრძალული იყვნენ და დარაჯი დაყენებული გვყავდა, აბა როდის მოვლენო. როგორც მოვიდნენ და კარები დაკეტილი ნახეს, ჯერ ხვეწნა დაიწყეს, ნუ შვრებითო მაგას, შემოგვიშვითო, მაგრამ ზევით მოაჯირიდამ გიორგი მორჩილი გადმოდგა და უთხრა, რა გინდათ, მამებო, ამ დიდ მარხვაში ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე სინანულშია და თქვენ თავზე გვესხმებით და ასაწიოკებლად მოდიხართ. არა გრცხვენიათ, ბერები ხართ თუ მხეცები, გვაცალეთ ეს მარხვა და მერე წავალთო“.

აი, როგორ მდგომარეობაში არიან ქართველი ბერები. ისინი საკუთარ, ეროვნულ კულტურულ კერას იძულებით ტოვებენ. აღწერილია, ადგილობრივმა ადმინისტრაციამ როგორ გამოაგზავნა ჟანდარმი სავანის დასასაკუთრებლად: „იყო უშნო ხმაურობა და ღრიალი“. ორ მარტს ქართულ სავანეში ცხრა ბერძენი სასულიერო პირი გაამწესეს. თუმცა მხოლოდ ამით არ დამთავრებულა ქართველი სასულიერო პირებისადმი დამოკიდებულება. სამწუხარო რეალობის წინაშე აღმოჩნდნენ ქართველი ბერები: „მერმე ყველა ბერები ერთად დაგვამწყვდიეს და მთელი სავანე გაჩხრიკეს, არაფერი დაუტოვებიათ ისე. ბერები მთელი სამი საათის განმავლობაში იყვნენ დამწყვდეულნი და ყველას ჯიბეები და უბე დაუჩხრიკეს. სახლის ჩხრეკის დროს მამა არჩილის ლივერივერი რომ ქონდა მიბარებული, ოფიცერმა რომ აჩუქა ის და ის ნახეს და თვით წაიღო ჟანდარმა; რაც რომ მოეწონათ ბერების ოთახებში ზოგი თხოვნით და ზოგი მოტაცებით წაიღეს. უმფროს ჟანდარმს მათეს სახლში საათი ენახა და მოსწონებოდა... მეორე დღეს პროიღუმენი ათანასე და ის ჟანდარმი ერთად შევიდნენ მათესთან და დაუწყო თხოვნა, მაგრამ მათემ უთხრა, ეგ მე სამშობლოდან მაქვს მოტანილი და სახსოვრად მაჩუქა მეგობარმა კაცმა და ამის მიცემა არავისზე შემიძლია... შერცხვა იღუმენი ათანასეს და უთხრა: თავი დაანებე, ჩვენ გვაქვს ბევრი მონასტერში და მოგცემთო. მეორე დღეს ჟანდარმა დურბინდი და ნიკოლოზის სარკე და ჯოხი მოიტაცა და წაიღო“.

წერილით ვეცნობით ქართველი ბერების ყოველდღიურ თავგადასავალს. დამწერი ამ ამბების უშუალო მონაწილეა. გულისტკივილით აგვიღწერს როგორ ეპყრობიან ბერების ქონებას. გასაცოდავებულ, უმწეო, შეურაცმყოფელ მდგომარეობაში არიან ისინი: „მერმეთ შევიდნენ ისევ ეკლესიაში და რაც სამოსლები იყო, ყველა გამოიტანეს და ერთ ოთახში დააწყეს და დაბეჭდეს მათი და ჩვენი ბეჭდებით. ნიკოლოზის ზანდუკი და სამსონის ჩამადანი,

რადგანაც ვერ გააღეს, იქ შეიტანეს და დაწვეს. მოუთმენელი იყო ჩვენი ტირილი და მწუხარება ამ დღეს, ისე მხეცურად აგვაწიოკეს, თვითონ მოიტანეს მონასტრიდამ ღვინო, საჭმელი, დათვრნენ და იმღერეს: ავიღეთ კელთაო და ბერძნის დროშა აღმართეს. მეორე დღეს, 3 მარტს, დიდმარხვის ორ კვირიაკეს თვითონ სწირეს. სახლების ჩხრეკის დროს ჩვენი არხივი და რაც საქმის ქაღალდები რომ იყო, ყველა წაიღეს“.

რამდენადაც სავალალო და აუტანელი იყო ქართველი ბერების ყოფა, იმდენად ამაზრზენია ბერძენთა საქციელი. ოთხ მარტს ქართველების სანოვაგეს ეპატრონებიან და ისაკუთრებენ: „რამოდენი ხორბალი იყო, ზეთი და ღვინო, სპილენძეულობა და რაც ცოტა შაქარი გვქონდა, ის რომ ნახეს, დაესივნენ ყველა ამას, რადგანაც ათონს შაქარი აღარ იყო... რაც იმგენმა ჩაიდინეს, ენისგან გამოუთქმელია, ჟანდრები ცალკე იტაცებდნენ, რაც მოეწონებოდათ და ბერები-ცალკე. ეკლესიაში ხატების აღწერის დროს ღვთისმშობლის ხატს ჯვრები და ძველი ფულები რომ ეკიდა, პროიღუმენი ამფილოქემ აგლიჯა და ჯიბეში ჩაიდო. ჩვენ ყოლი-ფერის კილტები ჩამოგვართვეს და თვითონ წაიღეს, ზეთი და ღვინო რავდენი უნდოდათ გაიტანეს, ზოგი ცხადათ და ზოგი ქურდულად, გამოიტანეს საზედაშე ღვინო და იწყეს მთვრალობა და ოხრობა, მოუთმენელი იყო ამისი ყურება ჩვენთვის, მაგრამ რა უნდა გვექმნა“.

მღვდელმონაზონი ილიას სიტყვით ენისგან გამოუთქმელია, „მოუთმენელია“ მათი საქციელი, მაგრამ ვერაფერი შეცვალეს ქართველმა ბერებმა. ფაქტიურად ვერაფერი გამოიტანეს სავანიდან: „რაც რომ კარგი იყო და მოეწონათ, თვითო დაიტაცეს, ე.ი. საათები, შანდლები, ზოგს საბნები საზაფხულო, ზოგს შაქარი ქონდა თვიური ულუფა და ისიც წაართვეს, ზოგსა გვცემეს, ვინც არ დაანება თავის ხაბაკი მოსატაცებლად, წარმოუდგენელი იყო ჩვენი მდგომარეობა, არავითარი თათარი და ბარბაროსი არ უზამდა კაცს, რაც იმათა გვიყვეს ამ დღეს“.

წერილიდან ირკვევა ერთი კიდევ უფრო შემაზრზენი, არაადამიანური ფაქტი. უძლური და მოხუცი ქართველი ბერები უმოწყალოდ დატოვეს სიცივეში ღამით მინდორში: „სხვა ბერების ბარგები ისე დარჩა მინდვრად, ბერები, რომელთაც შეეძლოთ სიარული, აქეთ-იქით წავიდნენ რუსებთან, ხოლო სხვები, რომელთაც ვერ შეძლეს სიარული, უძლური და მოხუცებულები, ისე დარჩნენ მინდორში საცოდავათ, ეხვეწენ, სიცივეა და გადახურულში მაინც შეგვიშვითო, მაგრამ არაფერი გზით არ შეიწყნარეს“.

წერილით ვეცნობით 14 მარტის არანაკლებ შეურაცხმყოფელ კიდევ ერთ ფაქტს. მღვდელ-მონაზონი ილია მიდის ბერების სანახავად. ხარება მოახლოებული ყოფილა და თან თევზი წაუღო ბერებს: „ხოლო ჟანდარმა სალმის მაგივრად აქ მოდი, აქო და წამიყვანა ერთს გავსრილს ოთახში, სადაც კაცს არც შეესუნებოდა და მთელი ერთი ნახევრის საათს ვიყავი იქ ჩაკეტილი, შემდეგ შემოვიდა და დამიწყო ცინება... ეს ყოვლად უსირცხვილო ჟანდარი ჩემი ნაცობი იყო, ჩემი ექსორიობის დროს მონასტერში მოვიდა და რაც შემეძლო კერძოდ პატივი ვეცი, მაგრამ მან ასე გადამიხადა მაგიერი“.

ქართველი სასულიერო პირები ისე გამოდევნეს სავანიდან, რომ ვერაფერი გამოიტანეს. გარდა აღნიშნულისა, ფიზიკურადაც შეურაცხყოფდნენ: „ბართლომეს კიდევაც სცემეს“–გვიყ-ვება მღვდელმონაზონი.

წერილის საშუალებით ერთი საყურადღებო დეტალიც ირკვევა: „წიგნები ჯერეთ არაფერი წაგვიღია და არ ვიცით მოგვცემენ თუ არა... გვინდა ვთხოვოთ ღვთისმშობლის ხატი და სხვა რამები, თუ მოგვცეს“.

აი, ასე უნუგეშო ყოფაში არიან დარჩენილი ათონის მთის ქართველი ბერები. არავინ პატრონობს მათ, არც საქართველოს იმედი აქვთ, ჩვენი სამშობლოც განსაცდელშია და ვერ მფარველობს მათ. ბუნებრივია, რომ სასოწარკვეთილებაში არიან ისინი. სხვაგვარად ვერც იქნებოდნენ, რადგან „ძაღლივით გვაგინებენ და გვემუქრებიან“–წუხან ისინი.

არანაკლებ საინტერესოა სტამბოლის სავანის არქივში დაცული უავტორო წერილი– „ივირონის მონასტერი და ათონის მთის ქართველი ბერები“. წერილი 1920 წლის 1 იანვრით თარიღდება. წერილში საუბარია ივირონის მონასტრის წარსულ დიდებაზე, მამა ექვთიმესა და გიორგის დაუღალავ ღვაწლზე. განსაკუთრებით გ.მთაწმინდელის დიდ დამსახურებაზეა საუბარი, რომ 82 მოწაფე მიიყვანა მთაწმინდაში. გამოხატულია გულისტკივილი იმასთან დაკავშირებით, რომ კონსტანტინეპოლის დაცემის შემდეგ ეს კულტურული კერა ჩაქრა, ქართველი ბერების რიცხვმა იკლო, მათ ბერძნის ბერებს, როგორც დამხმარეებს, ისე გაუღეს კარი, თუმცა სამწუხარო რეალობაა, კაცთმოყვარეობით შეწყნარებულმა ბერძნის ბერებმა გამოდევნეს მცირე რიცხვი ქართველი ბერებისა.

წერილში ისმის მოკრძალებული სამდურავი, რომ ქართველ ბერებს არავინ უპატრონა, არც კონსტანტინეპოლის პატრიარქმა, რომლის განკარგულებაში იყო მთაწმინდა. პირიქით, დაეპატრონა იმ „აუარებელ მამულებს საქართველოში, რომელნიც შეადგენდნენ აღაპს ივირონის მონასტრისას“. გამოთქმულია გულისტკივილი, რომ „უპატრონოდ დარჩენილი ივირონის ქართველობა ბერძნებმა თავიანთი უკანასკნელი ბინიდამ უწყალოდ გამოდევნეს და არ მისცეს საშვალი მოძრავი ქონების გამოტანისაც კი“.

ავტორის აზრით, ეს სამარცხვინო ისტორიული ფურცელია ბერძნული ეკლესიისათვის. წერილი საყურადღებოა იმითაც, რომ ვეცნობით ზოგიერთი სასულიერო პირის ბედს. ჩანს, რომ შვიდი ბერი მღვდელმონაზონ ილია ფანცულაიას წინამძღოლობით საქართველოში წამოსულა. დანარჩენები ათონის სხვადასხვა მონასტერში გადასულან. აშკარაა, რომ ათონის ბერებს ურთიერთობა ჰქონიათ სტამბოლის სავანესთან. აღნიშნული წერილი ამის დასტურია.

1920 წელს მამა ილია თავისი ამხანაგი ბერებით სტუმრობს კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკე მამებს. სწორედ ამ სტუმრობის დროს მ. ილიამ ქართველ კათოლიკეთა მონასტერს სამახსოვროდ დაუტოვა წიგნი **„საქართველოს სამოთხე“** მისივე წარწერით. წერილში წარწერა სიტყვა-სიტყვითაა მოტანილი: „ეს წიგნი ბატონი ავტორისაგან ნაბოძები აქვს **მამა მაკარის მთაწმიდელს,** რომელიც იყო ივერიის მონასტრის ქართველი ძმათაგანი და ცხოვრობდა **წმიდა ილიას ეკლესიაში 38 წელიწადს**, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა განთქმული იყო მთელ მთაწმინდაში, გარდაიცვალა 1919 წელს 11 ნოემბერს, ხოლო მე მღვდელმონაზონმა ილია, სიტყვით მოწაფემან მისმან და არა საქმით, რამეთუ ვითარცა შორავს ცაი ქვეყანასა, ეგრეთვე შორს ვარ მე სათნოებისა და მოღვაწეობისა მისისაგან. **შევსწირე წიგნი ესე ქართველთა კათოლიკეთა მონასტერსა კონსტანტინეპოლში, ოდეს ბერძენთაგან აწიოკებული და გაძარცული საქართველოში ვბრუნდებოდით 6 ძმათათანა და მოვიწიენით მონასტერსა ამას და შეგვიწყნარეს მამათა ამის მონასტრისათა, დიდითა პატივითა და არა მცირედი კაცთმოყვა-**

რეობა აჩვენეს ჩვენზედა და დიდად ნუგეშინისცეს დამწუხრებულს გულსა ჩვენსა, რომლი-სათვის უგულითადეს მადლობას უძღვნი ყოველთა ძმათა ამის მონასტრისასა. რამეთუ ამ მონასტრის მამები, არა მარტო თავის იდეებს ემსახურებიან, არამედ დიდ სამსახურს უწევენ ჩვენ სამშობლოს ინტერესებსაც, ამისთვის დიდი მადლობის ღირსნი არიან, ვინც ეს ამა მონასტერს წაართვას და მოსტაცოს, ღმერთი რისხამს და აქა წერილნი წმიდანი. 1920 წელსა 15 მაისსა. ძველი ათონელი მღვდელმონაზონი ილია (ფანცულაია)".

მინაწერი მრავალმხრივ არის საინტერესო. ვგებულობთ დაახლოებით როდის დატოვეს ქართველებმა ათონი და მეორეც, მღვდელმონაზონი ილია მადლიერებით მოიხსენიებს სტამბოლის სავანის მკვიდრთ და ხაზგასმით აღნიშნავს იმ უდიდეს როლს, რასაც სავანე ასრულებდა. სტამბოლის სავანე ეროვნული ცნობიერების დაცვა-შენარჩუნებასა და ეროვნული სულიკვეთების გაძლიერების დარაჯად ედგა იქაურ ქართველობას.

წერილში არაერთ პრობლემურ საკითხზეა საუბარი. ისმის აქტუალური და სამართლიანი კითხვები: „რა დაემართათ ათონზე დაბნეულ ქართველ ბერებს? რა იქნენ ისინი, რომელნიც დაბრუნდნენ სამშობლოში?... რა იქნა მისი ძვირფასი ქართული ბიბლიოთეკა? რა იქნენ ის აუარებელი ქართული ხელნაწერები? რა უყვეს ძველ ქართულ არხივებს? რა უყვეს იმ ოქრობეჭედს (ხრიხოფულებს), რომელნიც ამტკიცებენ, რო ივირონის მონასტერი ქართველი ერის კუთვნილებაა და არა ბერძნებისა... ბერძნებს იმდენი საყვედური აღარ ეთქმოდა, რო მაინც ხელუხლებლათ დაეცვათ ეს ნაშტნი, მაგრამ ვიცით, რო ველურად მოიქცნენ".

წერილის ზეაწეული ტონი მთავრდება ბერძენთა მიმართ საყვედურით და მოურიდებელი მხილებით: „სირცხვილი ბერძნის ერს, მის მთავრობას და ეკლესიას. ეს სამარცხვინო ფურცელი არ უნდა წახოცონ ბერძნებმა და **დაუბრუნონ საქართველოს ივირონის მონასტერი თავისი ქონებით, რომელსაც უწოდეს ზვირონ, რათა დაავიწყონ ქართული სახელწოდება**, ანდა საქვეყნოდ ითქვას მისი ავაზაკური საქციელი. ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს და მოითხოვოს თავისი ძალადობით გატაცული ქონება, როდესაც შეეძლება".

წერილი მკაცრი შეფასებითი ლექსიკითაა დაწერილი და ბუნებრივია, რომ სამართლიანი საყვედურებით. შემთხვევითი არ იყო ის, რომ საზღვარგარეთ არსებული ქართული სავანის დამფუძნებლები ტიპიკონით განსაზღვრავდნენ – ბერძენი არ დაეშვათ სავანეში. ასე ძალმომ-რეობა-ძალდატანებით და ბარბაროსული დამოკიდებულებით დაიკარგა ათონის ქართული კულტურის კერა, სადაც იოანე, ექვთიმე, გიორგი მთაწმინდელნლებმა ურიცხვი წიგნი დაწერეს და თარგმნეს. იოანემ შვილს შეახსენა, რომ „ქართლისა ქვეყანაᲂ დიდად ნაკლულევან არს წიგნთაგან და მრავალნი წიგნნი აკლნ", მანვე მოუწოდა შვილს შემოქმედებითი საქმიანო-ბისაკენ. ასეთი გულისხმიერებითა და სიყვარულით შეიქმნა იქ განათლების კერა. სამწუ-ხაროდ, ათონი, საქართველოს საზღვრებს გარეთ არსებულ სხვა სავანეებთან ერთად, დაკარ-გული განძია ქართველი ერისათვის.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცულია მცირე ბარათი, 1920 წლის 2 იანვრით დათარიღებული. ავტორი ისევ ძველ ათონის ქართველ ბერმონაზონთა რწმუნებული მღვდელმონაზონი ილიაა. ბარათი სამადლობელს წარმოადგენს სტამბოლის სავანისას. განსაკუთრებული პატივით და მადლობით მოიხსენიებს მონასტრის წინამძღოლს **მამა პიო ბალიძეს.** კონსტანტინეპოლში საჩივლელად ჩამოსულ ბერძნებისგან დარბეულ და აწიოკებულ ათონელ ბერძნებს დიდი პატივით ღებულობენ მონასტერში. მადლობას უხდის ყველა მამას და

უფალს ავედრებს მათ თავს, ასწილად მიგებას თხოვს მათ მიერ გაწეული სიკეთისათვის. რომელთა ერთი ნაწილი წინამდებარე წიგნის მეექვსე კარშია მოცემული ამ საკითხით დაინტერესებულ მკითხველთათვის.

ამგვარად, ფასეულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალები. ისინი მნიშვნელოვან, უტყუარ ინფორმაციას გვაწვდიან ათონის მთის ისტორიის არაერთ საკითხთან დაკავშირებით. ძირითადად კი, საარქივო მასალა ასახავს ათონის მთის 1919-1920 წლის ამბებს. კერძოდ, გვაცნობს როგორ გამოდევნეს ქართველი სასულიერო პირები ათონიდან.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. ალექსიძე ალ., ათონი ათასწლოვანი, თბ., 1982.
2. კანდელაკი ბ., ათონი, ჯვარი, პეტრიწონი, თბ., 1980
3. კეკელიძე კ., ქართული ლიტერატურის ისტორია, თბ., 1975
4. მენაბდე ლ., ძველი ქართული მწერლობის კერები, II, თბ., 1980
5. სტამბოლის ქართული სავანის არქივის მასალები.
6. ფანცულაია ილია, ლიტერატურის მატიანე, თბ., 1985-1986 (წერილები მოსე ჯანაშვილისადმი მის მიერ საქართველოში ჩამოტანილ XI ს-ს პერგამენტზე ნაწერ ხელნაწერის შესახებ).

Elza Putkaradze

Archive Materials about Mount Athos in Istanbul Georgian Depository

The fact that Georgian monks on Holy Mount Athos were pursuited by Greeks is not a secret. The monks made a decision to visit the Ecumenical Patriarch with a list of abusements. They stayed overnight at Istanbul depository. The archive materials, report cards, and other historical documents, which were brought by the monks from Mount Athos, are still preserved in the archive of the Georgian Depository. These materials are not widely known, or unknown at all, for the scientific circles. They can enrich the history of Mount Athos Monastery with a lot of interesting details. These materials mainly reflect the events of 1919-1920, in particular, the details of Georgian monks expell from Mount Athos.The work represents the data of materials of Istanbul Depository, which concern to the above mentioned issues.

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე
ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე

ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობა 1897 წელს

(სტამბულის ქართველთა სავანეში დაცული მასალების მიხედვით)

1897 წელს ბათუმი ახალდაბრუნებული იყო დედა-სამშობლოსთან და ჯერ კიდევ უამრავი პრობლემა ჰქონდა ქალაქის თვითთმართველობას მის ახალ ყაიდაზე მოსაწყობად, მაგრამ ქალაქისათვის მნიშვნელოვან სხვა საჭირბოროტო საკითხებთან (სახელმწიფო ბანკის ბათომის ფილიალისათვის მიწის გამოყოფა, სხვადასხვა პროდუქციაზე სახელმწიფოს მიერ ნიხრის დაწესება, ზრუნვა ახალი საავადმყოფოს დასაარსებლად, შავ ჭირთან საბრძოლველად ქალაქის სანავთსადგურო თანხიდან ფულის გამოყოფა და სხვ.) ერთად, ქალაქის საბჭო ძალ-ღონეს არ იშურებდა ქალაქის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების მოწესრიგებისათვის. ეს საკითხები ასახვას ჰპოულობდა იმდროინდელ ჟურნალ-გაზეთებში. ამ ღონისძიებათა შესახებ საინტერესო მონაცემებია შენახული გაზეთ „ცნობის ფურცლის" არაერთ ნომერში, რომლებიც ინახება სტამბულის ქართველთა სავანის არქივსა და ბიბლიოთეკაში. ჩვენ, ამჯერად, მხოლოდ 1897 წლის გამოცემებზე შევაჩერებთ ყურადღებას, რადგან ეს წელი საკმაოდ ნაყოფიერი გამოდგა ბათუმის თვითმმართველობის კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობისათვის და გაზეთმაც მეტი ინფორმაცია შემოგვინახა მისი მოღვაწეობის შესახებ. აღნიშნულია კიდეც „ცნობის ფურცლის" 167-ე ნომერში, რომ „ქალაქის თვითმმართველობა ამ ბოლო დროს ფხიზლად ეკიდება ქალაქის წარმატების საქმეს და იმედიც უნდა ვიქონიოთ, ბევრ ხეირსა და სარგებლობას მოუტონს ქალაქს, თუ, რასაკვირველია, მომავალშიც არ მოაკლო სიბეჯითე" („ცნობის ფურცელი" №167, 1897:3).

ბათუმი იმ დროსათვის უკვე იქცა რუსეთის იმპერიის მნიშვნელოვან სამრეწველო ქალაქად. აქ მოქმედი ქარხნების მუშებისათვის მეტად საჭირბოროტო საკითხად იქცა უფასო ბიბლიოთეკის დაარსება. ბათუმელ მუშა-მოსამსახურეებს ბევრი უკიჟინებდა, რომ „ბათომში მეტისმეტად გავრცელდა ბანქოს და ნარდის მოტრფიალენიო", მაგრამ სტატიის - „სამკითხველოს გამო"- ავტორი კონტი აღნიშნავს: „აბა, დაუარსეთ სამკითხველო, მოუპოვეთ წიგნები, ჟურნალ-გაზეთები და მაშინ ნახეთ, თუ დღევანდელი ნარდის მოთამაშეები ერთი-ათად არ შემცირდეს... ხოლო, თუ ჩვენ მოვუპოვებთ გონების საზრდოს - წიგნებს და გაზეთებს, მაშინ ამ უკანასკნელს მიჰყოფს ხელს". მით უმეტეს, რომ ავტორს ეგულება ქალაქში ისეთი შეძლებული ქართველები, რომლებიც ამ კეთილი საქმისათვის არ დაზოგავენ თავიანთ წვლილს და სამკითხველო ბიბლიოთეკას დიდ დახმარებას გაუწევენ". ამასთანავე, ავტორს მნიშვნელოვნად მიაჩნია სამკითხველოსათვის ადგილის სწორად შერჩევა. მისი აზრით, მეტი უპირატესობა უნდა მიეცეს იმ მხარეს, სადაც ქარხნების მუშებს და ნოქრებს ხელი მიუწვდებათ; ასეთ ადგილად კი ბარცხანას თვლის („ცნობის ფურცელი" №133, 1897:.2-3).

ქალაქში ბიბლიოთეკის დაარსების აუცილებლობაზე წერდნენ თავად მუშებიც. ერთ-ერთ წერილში - „მუშა ხალხის საჭიროება" - გაზეთი გადმოგვცემს მუშების წუხილს ამის გამო: „ჩვენთვის არ არის არც სამკითხველო, არც წიგნსაცავი". ისინი გამოთქვამენ სურვილს, რომ „ერთი სამკითხველო დავიარსოთ, რომლის წყალობითაც შეიძლება ყველაფერს უბედურებას ავცდეთ და გავიგოთ რამე ქვეყნის ავ-კარგიანობისა". ამასთანავე, მუშები გამოთქვამენ მზადყოფნას, რომ თითოეულმა გაიღოს ერთი მანეთი და ამით კარგი სამკითხველო გაიმართოს მუშებისათვის, რაც განაპირობებს მათთვის სულიერი საზრდოს მიწოდებას („ცნობის ფურცელი" №174, 1897:2).

ბევრი წერა გაზეთმა „ცნობის ფურცელმა" ბათუმში სახალხო სამკითხველოს გახსნის შესახებ, მაგრამ როგორც გაზეთი აღნიშნავს, „უფასო სამკითხველოს გახსნის საქმემ განისვენა წიაღსა შინა აბრაამისასა". თუმცა ქალაქის ინტელიგენცია თავისი ძალებით ცდილობდა ამ საქმის მოგვარებას. ერთ მანდილოსანს მუშებისაგან შეუკრებია 210 მანეთი და მრავალი წიგნიც, რომ გადაეცა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისათვის, მაგრამ ამ საქმიდან არაფერი გამოსულა („ცნობის ფურცელი" №150, 1897:.2).

საბოლოოდ ამ საქმეს ქალაქის თვითმმართველობამ მოჰკიდა ხელი და „18 მარტს დაარსდა სახალხო ბიბლიოთეკა ბათომის სამოქალაქო სასწავლებელთან. „ეს ბიბლიოთეკა იქნება ღია საზოგადოებისათვის კვირაში ოთხჯერ: სამშაბათობით, ხუთშაბათობით, შაბათობით და კვირაობით 5-დან ვიდრე 9 საათამდე" („ცნობის ფურცელი" №178, 1897:.2-3).

ბათუმის ქალაქის საბჭოს ინიციატივით 1897 წელს ბათუმში არაერთი საგანმანათლებლო დაწესებულება გაიხსნა. მათგან უმნიშვნელოვანესი იყო ბათუმის გიმნაზიის დაარსება. ბათუმში ფუნქციონირებდა სკოლა, რომლისთვისაც ქალაქის თვითმმართველობის დახმარებით აუგიათ მოზრდილი შენობა, რომელშიც ყოფილა „ოთხი ზალა", რომელთაგან სკოლას მხოლოდ ორი გამოუყენებია. გაზეთი კრიტიკულად უდგება იმ საკითხს, რომ ორი დარბაზი გამოუყენებელია და სკოლამ ვერ გაამართლა ქალაქის საზოგადოების იმედი; ელოდნენ, რომ აქ გაიხსნებოდა საქალებო სკოლა, საკვირაო სკოლა, ბიბლიოთეკა, გაიმართებოდა საღამოები, კონცერტები, წარმოდგენები. გაზეთში იმედია გამოთქმული, რომ სკოლა შეძლებს შეასრულოს თავისი ერთ-ერთი უმთავრესი ფუნქცია – ქართული წერა-კითხვა ასწავლოს ხანშიშესულ ქართველ მუსლიმებს და მათ შვილებს, რომლებსაც ამის დიდი სურვილი აქვთ. კორესპოდენტი მადლიერებით აღნიშნავს, რომ ქალაქის თვითმმართველობამ არ გაიზიარა იმათი აზრი, ვინც თვლიდა, რომ უფასო სწავლება სკოლაში მძიმე ტვირთად აწვა ქალაქის ბიუჯეტს და არ შეცვალა უფასო სწავლება ფასიანით („ცნობის ფურცელი" №171, 1897:2-3). მაგრამ ასეთი უფასო სკოლის არსებობაც ვერ ცვლიდა ქალაქში გიმნაზიის დაარსების საჭიროებას.

9 აპრილს ბათუმში ჩამოსულა კავკასიის სამოქალაქო ოლქის მზრუნველის მინდობილობით **ალექსანდრე ილიას ძე სტოიანოვი,** რომელსაც დაუთვალიერებია დროებითი სახლი გიმნაზიისათვის და სამუდამო შენობისათვის მონიშნული რამოდენიმე ადგილი. გიმნაზიის დროებით განსათავსებლად შეირჩა ბათუმის ქართული სკოლის სახლი, მაგრამ სტოიანოვმა ჩათვალა, რომ ეს არ იქნებოდა საკმარისი და საჭიროდ მიიჩნია „ბერძენთა სკოლის" შენობის დამატებაც. ერთ-ერთი ადგილი, რაც ქალაქის თვითმმართველობამ შესთავაზა სტოიანოვს გიმნაზიის მუდმივი შენობის ასაგებად, იყო სატუსაღოს მახლობ-

ლად მდებარე ადგილი, სადაც ამჟამად დგას დღევანდელი უნივერსიტეტის შენობა. როგორც ცნობილია, ქალაქის თვითმმართველობამ ვაჟთა გიმნაზიის შენობისათვის ზღვის სანაპიროსთან გამოყო 2 623, 95 კვ. საჟენი მიწის ფართი. გიმნაზიის შენობის გეგმა შეადგინა სამხედრო ინჟინერმა **სედელნიკოვმა**. მაგრამ სატუსაღოსთან სიახლოვის გამო, გადამდები სენის გავრცელების საშიშროებიდან გამომდინარე და პედაგოგიური თვალსაზრისით, სტოიანოვს დაუწუნებია ეს ადგილი. საკითხი იმდენად მნიშვნელოვანი იყო, რომ ამ საკითხზე ქალაქის საბჭოს სპეციალური სხდომაც კი გაიმართა, რომელზეც მოიწვიეს ექიმები **მ.ი.ფენსტერი** და **დ.ა.ნაზაროვი**, რომლებიც ხაზს უსვამდნენ გადამდები სენის გავრცელების გამო შიშის უსაფუძვლობას. რადგან ქალაქს არ გააჩნდა ახალი ადგილის გამოყოფის შესაძლებლობა, ქალაქის საბჭომ სთხოვა სტოიანოვს, ამ ადგილს დასჯერებოდა იმ პირობით, რომ შენობას შემოარტყამდნენ გალავანს და შიგ ბაღსაც გააშენებდნენ. ამაზე სტოიანოვი დათანხმებულა. სტოიანოვს ამავე სხდომაზე გამოუთქვამს სურვილი, რომ გიმნაზიაში პანსიონიც გამართულიყო („ცნობის ფურცელი" №170, 1897:1-2).

ახალშემოერთებულ ბათუმში გიმნაზიის გახსნა მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო, რადგან ჯერ კიდევ რუსეთის ბევრი ქალქიც კი ვერ დაიკვეხნიდა ასეთი სასწავლებლების არსებობას და „თუ ბათუმის სინორჩეს მივიღებთ მხედველობაში, მას ამ მხრივ უკანასკნელი ადგილიც არ უჭირავს" – აღნიშნავდა „ცნობის ფურცელი" („ცნობის ფურცელი", №316, 1897). **დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის ძეც** გამოეხმაურა ამ ამბავს დეპეშით: „თქვენთან ერთად მეც გულით მოხარული ვარ და ვულოცავ ყველა ბათომელთ გიმნაზიის დაარსებას. ბედნიერი ვარ, რომ თქვენი დიდი ხნის სურვილი ეგრე მალე განხორციელდა". საპასუხო დეპეშაში ქალაქის თავმა **ლუკა ასათიანმა** მადლობა გადაუხადა დიდ მთავარს „უზენაესის ყურადღებისათვის".

„ცნობის ფურცლის" ერთ-ერთ ნომერში („ცნობის ფურცელი" №315, 1897) დაწვრილებითაა აღწერილი გიმნაზიის კურთხევის ცერემონიალი, რომელიც გაიმართა კვირას, 14 ენკენისთვეს (სექტემბერს). კლასიკური სავაჟო გიმნაზიის გახსნაში უამრავ ადამიანს მიუღია მონაწილეობა: ბათუმის საპატიო მოქალაქეებს, როგორც სამხედრო, ისე სამოქალაქო პირებს, საკრედიტო დაწესებულებათა წარმომადგენლებს, მანდილოსნებს, სამღვდელოებას. საგანგებოდ ყოფილან მოწვეული სტუმრები ქუთაისიდან. ქუთაისის სამხედრო გუბერნატორს და კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს დეპეშებიც გამოუგზავნიათ. დეკანოზ **მ.რალცევიჩს** გადაუხდია პარაკლისი და უქადაგია. გრძნობით სავსე სიტყვა წარმოუთქვამს ქალაქის მოურავს **ლუკა ასათიანს**: „ბათომელთა დიდი ხნის ნატვრა მათდა სასიხარულოდ დაგვირგვინდა. ბათომში დაარსდა გიმნაზია და ეს არის აკურთხეს კიდეც. გიმნაზიის ბედ-იღბალი ჩაბარდა გამოცდილსა და მხნე პირს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ გიმნაზიის საქმე სასურველ ნიადაგზე იქმნება დაყენებული. სულ 19 წელიწადია, რაც ბათომი რუსეთს შემოუერთდა და იმპერატორის მოწყალებით, ბათომი შესანიშნავად გადიდდა, გამშვენიერდა და აი, გიმნაზიაც მოგვენიჭა. ეს გარემოება განუსაზღვრელ მოწყალებად უნდა ჩავთვალოთ, რადგან ჯერ არც ერთს სხვა ქალაქს, რუსეთთან ასე მცირე ხნით შემოერთებულს, არ ღირსებია ასეთი უმაღლესი ყურადღება". ლ.ასათიანის შემდგომ სიტყვით გამოსულა გიმნაზიის დირექტორი **ა.ი.სტოიანოვი**, რომელმაც აღნიშნა, რომ არ დაიშურებდა არც გამოცდილებას, არც სწავლა-ცოდნასა და ძალ-ღონეს გიმნაზიის წარმა-

ტებისათვის. მან გამოთქვა იმედი, რომ საზოგადოებაც აქტიურ მონაწილეობას მიიღებდა გიმნაზიის ცხოვრებაში. სტოიანოვს ჰქონდა საინტერესო მიდგომა სასწავლო პროგრამების შედგენის მიმართ. ის თვლიდა, რომ საგნების სწავლების საკითხი, ამა თუ იმ საგნის შერჩევა უნდა გადაწყვეტილიყო მშობლებთან ერთად („ცნობის ფურცელი" №316, 1897).

კურთხევის შემდეგ გაიმართა სადილი, რომელზეც, სხვებთან ერთად, სიტყვა წარმოუთქვამს გიმნაზიის მასწავლებელს **ბოგოსლოვსკის**. მან დამსწრეთ მისცა წინადადება, რომ დაარსდეს საზოგადოება „შეგირდთა მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის", რომლის დანიშნულებაც იქნება: შეგირდთათვის ცხელი საუზმის მოზადება გიმნაზიაში; სეირნობის და მოგზაურობის გამართვა; შესაფერი ბიბლიოთეკის გახსნა; შეგირდთა ფიზიკური ვარჯიშობა. ამ წინადადებას იქვე გამოხმაურებია დამსწრე საზოგადოება და შეუკრებიათ კიდეც ათას მანეთამდე ამ კეთილშობილური საქმისთვის.

ბათუმის გიმნაზიის კურთხევის სადილზე მეტად საგულისხმო სიტყვა უთქვამს ბათუმის გამგეობის წევრს **გრიგოლ ვოლსკის**. მას აღუნიშნავს ახალი გიმნაზიის დაარსებაში ქალაქის თვითმმართველობის დამსახურების შესახებ. გაზეთი გვაუწყებს, რომ ამ საქმეში დიდი ღვაწლი მიუძღვის **ივანე მესხს** - ქალაქის გამგეობის მდივანს: „პირველი ქვა" საძირკველისა მისი ჩაგდებულიაო" („ცნობის ფურცელი" №316, 1897).

ქალაქის საგანმანათლებლო დაწესებულებებზე ზრუნვა ამ საკითხის მოგვარებით არ ამოუწურავს ქალაქის თვითმმართველობას. 10 ნოემბერს გამართულ ქალაქის საბჭოს სხდომაზე განუხილავთ ხმოსნის, **ნ.ა. დუმბაძის** შუამდგომლობა - მარიამის დედათა სასწავლებლის ექვსკლასიან პროგიმნაზიად გადაკეთების შესახებ. გაზეთი წერს: „დაწვრილებით ამ საკითხის გამოკვლევა და გეგმის შედგენა საბჭომ მიანდო გამგეობის წევრს გრიგოლ ვოლსკის" („ცნობის ფურცელი" №373, 1897:2).

გაზეთ „ცნობის ფურცლის" ეს მონაცემები ცხადყოფს: 1897 წლისათვის, ქალაქ ბათუმის სათათბიროს პირველი არჩევნებიდან (1894წ.) და ქალაქის თავად ლუკა ასათიანის არჩევიდან (1895 წ.), თუმცა არც ისე დიდი დრო იყო გასული, მაგრამ იმთავითვე ქალაქის თვითმმართველობის მუდმივი ზრუნვის საგანს წარმოადგენდა აჭარაში კულტურულ-საგანმანათლებლო სისტემის დაფუძნება და შემდგომი განვითარება. როგორც გაზეთი „ცნობის ფურცრლი" მოგვითხრობს, ამ მიმართულებით ქალაქ ბათუმის თვითმმართველობამ 1897 წელს მნიშვნელოვანი ღონისძიებანი გაატარა. სხვაგვარად არც წარიმართებოდა ქალაქის თვითმმართველობის საქმიანობა, რადგან ამ ორგანოს მუშაობას ხელმძღვანელობდა ორი დიდი მამულიშვილი – **ლუკა ასათიანი** და **გრიგოლ ვოლსკი**. მათი საქმიანობა სამაგალითოა ამჟამინდელი და მომავალი თაობებისათვის.

დასასრულს, მკვლევართა ჯგუფი მადლიერების გრძნობით მოიხსენიებს სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებს, რომლებმაც შემოინახეს ქართული კულტურული მემკვიდრეობის მნიშვნელოვანი წყაროები; საშუალება მოგვცეს გადაგვეფურცლა ჩვენი მშობლიური ქალაქის – ბათუმის 1897 წლის კულტურულ-საგანმანათლებლო ცხოვრების ისტორიის ფურცლები.

ლიტერატურა:

1. გაზ. „ცნობის ფურცელი” №133, 1897წ.
2. გაზ. „ცნობის ფურცელი” №150, 1897წ.
3. გაზ. „ცნობის ფურცელი” №167, 1897წ.
4. გაზ. „ცნობის ფურცელი” №170, 1897წ.
5. გაზ. „ცნობის ფურცელი” №171, 1897წ
6. გაზ. „ცნობის ფურცელი” №174, 1897წ.
7. გაზ. „ცნობის ფურცელი” №178, 1897წ.
8. გაზ. „ცნობის ფურცელი” №315, 1897წ.
9. გაზ. „ცნობის ფურცელი” №316, 1897წ.
10. გაზ. „ცნობის ფურცელი” №373, 1897წ.

Шушана Путкарадзе, Роин Малакмадзе,
Наила Челебадзе, Тамила Ломтатидзе,
Эльза Путкарадзе, Шорена Путкарадзе
(Батуми, Грузия)

Культурно-просветительская деятельность Батумского самоуправления в 1897 году (по материалам, хранящимся в Стамбульской грузинской обители)

Резюме

В библиотеке Стамбульского грузинского католического монастыря (открылась в 1908 году) хранятся ценные материалы культурного наследия на 17 языках. Особенно много источников сохранилось на грузинском языке, о Грузии.

Группа исследователей из института имени Нико Бердзенишвили в мае 2015 года во время работы в библиотеке обнаружила интересные материалы, освещающие культурно-просветительскую жизнь г. Батуми в 1897 году, о которой повествуют сохранившиеся в этой библиотеке номера газеты «Цнобис пурцели» (Страница новостей) за тот же год.

Газета сообщает, что российские власти уделяют особое внимание обустройству недавно присоединённого к Российской империи города Батуми, в котором открываются библиотеки, школы, гимназии, культурно-просветительские учреждения.

Контроль за выполнением работ российские власти поручили Александру Стоянову. Под его руководством на берегу моря было подобрано место для строительства мужской гимназии. Именно в построенном здесь здании сегодня располагается главный корпус Батумского государственного университета. С открытием в городе гимназии батумцев телеграммой поздравил великий князь Михаил Николаевич.

Газета «Цнобис пурцели» знакомит нас также с деятельностью городского главы Луки Асатиани и членов городского самоуправления Григола Вольского и Иванэ Месхи, вклад которых в дело развития города Батуми неоценим. Их жизнь и деятельность должна стать примером для будущих поколений.

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე
ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე

ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ცხოვრება XIX-XX საუკუნეების მიჯნაზე

(სტამბულის ქართულ სავანეში დაცული პრესის მონაცემების მიხედვით)

სტამბოლის ქართული სავანე საუკუნეზე მეტი ხნის (1861-1982) მანძილზე წარმოადგენდა თურქეთში მცხოვრები ქართველების განათლებისა და კულტურის ცენტრს, საქართველოდან ლტოლვილი მოსახლეობის თავშესაფარს. ამ ხნის მანძილზე სტამბოლის ქართული სავანე საქართველოდან და საზღვარგარეთის მრავალი ქვეყნის კულტურული ცენტრიდან მარაგდებოდა სამეცნიერო და მხატვრული ლიტერატურით. მის არქივში დაცულია ბევრი სახელოვანი ადამიანის მიმოწერის ბარათი, მემუარული მემკვიდრეობა, XIX-XX საუკუნეების დიდძალი ქართული და უცხოენოვანი ჟურნალ-გაზეთები. მათში ხშირად გვხვდება ცნობები ბათუმის ისტორიის, ეკონომიკის, კულტურის, განათლებისა და საზოგადოებრივ-პოლიტიკური ცხოვრების შესახებ. მათ შორის არის ბათუმის საზოგადოებრივ-კულტურული ყოფის ამსახველი, დღემდე უცნობი მასალები.

ქვეყნის ცხოვრებაში საზოგადოების კულტურულ მოღვაწეობას დიდი მნიშვნელობა მიენიჭა აჭარის დედა-სამშობლოსთან დაბრუნების შემდეგ. ქართულ ჟურნალ-გაზეთებში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობოდა ყველა იმ, თუნდაც ძალზე მცირე ღონისძიებას, რომელიც ხალხის წიაღიდან მოდიოდა, რადგან იმდროინდელ საზოგადო მოღვაწეებს მიაჩნდათ, რომ სწორედ ასეთი, ბათუმის საზოგადოების მიერ გაწეული პატარ-პატარა საქმეები, ხელს შეუწყობდა აჭარაში ქართული ყოფისა და კულტურის აღორძინებას: „ამისთანა საქმეები, კიდევ უფრო ღირსია ყურადღების, რადგან ყოველი საერო და საქვეყნო საქმე უფრო საიმედოა, როცა ქვემოდან იწყება, როცა იგი შედეგია ხალხში გავრცელებულის არსისა, რომელიც ხალხს გრძნობად გადაჰქცევია. ამიტომ მკითხველი ნუ დაგვემდურება, თუ იმ თვალ-საჩინო საქმესთან ერთად, რომელსაც მთელის საზოგადოების ყურადღება მიუპყრია და ბაასი გამოუწვევია, აღვნიშნავთ იმისთანა საქმეებსაც, რომელთაც არავისი ყურადღება არ დაუმსახურებიათ და მხოლოდ მცირე ადგილი დაუჭერიათ გაზეთის წვრილმან ამბებში" - წერდა „მოამბე" 1895 წლის №12-ში. ჟურნალი ამ „შინაურ", „პატარა საქმეთაგან" განსაკუთრებულ ყურადღებას უთმობს ორ მოვლენას, რომელსაც ბათუმის ქართველობამ საფუძველი დაუდო 1895 წლის 19 ნოემბერს: „ქართველთა შორის წერა-კითხვის საზოგადოების" სკოლის შენობისა და ეკლესიის საძირკვლის კურთხევას.

ბათუმის ქართული სკოლა „წერა-კითხვის საზოგადოებამ" საზოგადოების დაარსებისთანავე გახსნა, მაგრამ მისი შენახვა საზოგადოებას იმდენად ძვირი უჯდებოდა, რომ დღის წესრიგში დადგა მისი დახურვის საკითხი. მაშინ ეს საქმე თავის ხელში აიღო ბათუმის ქართველობამ და თავისი ხარჯით სკოლის შენობის აგება და საკუთარი ძალებით მისი

შენახვა გადაწყვიტა. წერილში გაოცებაა გამოხატული იმის გამო, რომ ბათუმის საზოგადოებამ დასძლია ქართველთათვის დამახასიათებელი სენი – საქმის გაჭიანურება, გამოიჩინა „არაჩვეულებრივი მხნეობა და სიცოცხლე" და შეძლო უმოკლეს ვადაში შეეგროვებინა საჭირო სახსრები სკოლის ასაგებად. იმედია გამოთქმული, რომ „ბათუმის ქართველობა შემდეგში მეტს მხნეობას თუ გამოიჩენს, თორემ ნაკლებს არა და უეჭველად შესძლებს სრულიად უზრუნველჰყოს თავისი სკოლა, ეს პირმშო შვილი მისის თვითმოქმედებისა".

სკოლის შენობის პარალელურად, ბათუმელებმა გადაწყვიტეს ეკლესიის აგება და იმავე დღეს მისი შენობის საფუძველიც ჩაყარეს. ეს საკმაოდ შრომატევადი და დიდ თან-ხებთან დაკავშირებული საქმე იყო, მაგრამ რადგან „ბათუმელებმა გაჰბედეს ამ საქმის დაწყება, სჩნას მათ იმედი აქვთ თავის თავისა და საქმეს კიდეც დააგვირგვინებენ" – წერს ჟურნალი.

ეს მშენებლობები მიმდინარეობდა იმ დროს, როცა სახელმწიფოს ამ ხარჯების გაწევის საშუალება არ ჰქონდა და საერთო ქართული საქმისათვის ეს მისია საზოგადოებას უნდა ეკისრა. „ბარაქალა, ბათუმელ ქართველობას, რომ ეს ვითარება შეიგნო და მის კვალობაზე მედგრად იღწვის" – ასე აფასებს "მოამბე" ბათუმის ქართველობის ღვაწლს ამ დიდ საქმეში. ("მოამბე", 1895, №12)

აქაურთა ერთსულოვნებითა და ძმური მოქმედებით აღფრთოვანებულია გაზეთ „ივერიის" კორესპონდენტი, რომელიც დასწრებია ამ ამბებს: „უნდა გამოვსტყდეთ და ვსთქვათ, რომ ბათუმელი ქართველები სრულიად არ გვანან სხვა ქართველებს, ე.ი. იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ შიდა საქართველოში ... იქ ორს ინტელიგენტს ვერ იპოვი, რომ ერთმანეთის შურსა და იძულებაში არ ამოსდიოდეს სული; აქ, ბათუმში კი, რაღაცა ძალას გაუსულ-ერთხორცებია საქართველოს სხვა-და-სხვა კუთხეებიდან თავ-მოყრილი ქართველობა: ქართლ-კახელი ტეტია, ზრდილი იმერი, მკვირცხლი გურული და მეგრელი, გამაჰმადიანებული ქართველი, - ყველა ესენი მტკიცედ შეკავშირებულან, ძმურად გადაუჭდიათ ყელი ყელსა, ხელი ხელსა და შესდგომიან წარმატების გზასა. აი, ამ ძმურისა და გაერთიანებულის ძალით ააგეს ბათუმელმა ქართველებმა ტაძარი სწავლა-მეცნიერებისა, აი, ამ ძალითვე შეუდგნენ ღვთის ტაძრის აშენებასაცა" („ივერია", 1895, №260)

ქართველთა ოცნებას წარმოადგენდა ბათუმში არა მხოლოს სკოლის, არამედ ქართული წიგნის ბეჭდვაც. **ზაქარია ჭიჭინაძემ** გაზეთ „ივერიის" 1902 წლის №174-ში ამ საკითხს მიუძღვნა სპეციალური წერილი „ქართული მწიგნობრობის საქმე ბათომში". იგი წერდა: „საჭიროა ბათუმში გვქონდეს წიგნის სავაჭრო და გვყავდეს დამტარებელი. სხვა ქალაქების მსგავსად, უნდა გაკეთდეს კიოსკი და ამაზედ ზრუნვა უნდა იკისროს ბათუმის ქართველმა ინტელიგენციამ". დიდი მოღვაწის ეს ნატვრა აასრულა ორმა ქართველმა – **ბესარიონ და გერონტი კალანდაძეებმა**. მათ გააკეთეს პავილიონი, შეკრიბეს ყველა ქართული წიგნი, რომლებსაც ავრცელებდნენ ხელოსნებში, ქარხნის მუშებში, ვაჭრებში და მოხელეებში. „მათ მწიგნობრობის საქმე ჩინებულად მიჰყავდათ და მარტო ჩვენის წარჩინებულის მწერლების ნაწერებს ასობით და ორასობით ასაღებდნენ ... მათ პავილიონში თითქმის ყველა ქართულ წიგნს ნახავდით. ამათ უმთავრეს ღირსებას ერთი ისიც შეადგენდა, რომ იგინი ქართული წიგნების ფულს გამომცემლებს და მწერლებს მალე უსწორდებოდნენ, სუფთად, თავანკარად და მასთან ზომიერ სარგებელსაც იღებდნენ" („ივერია", 1902 წ., №174).

ცოტა ხნის შემდეგ, ბათუმში გადმოსულა ცნობილი მესტამბე და გამომცემელი **კოწია თავართქილაძე**, რომელმაც არა მხოლოდ მაღაზია, არამედ სტამბაც გახსნა. მისი სტამბა ქართული წიგნების გამომცემლობის პირველი მაგალითი იყო ბათუმში. სწორედ აქ გამოიცა პირველი ქართული წიგნი - **ფ.ხუსკივაძის** მოთხრობა. ზ.ჭიჭინაძის შეფასებით: „ბათუმში დაბეჭდილი ქართული წიგნების ხილვა ყველას აძლიერებდა, ახარებდა, ყველას ემჩნეოდა სიამოვნება, რომ აქამდე თუ ქართველთ სტამბა გვქონდეს თბილისსა და ქუთაისში, ახლა ბათუმშიაც დაგვიარსდაო. ეს უკანასკნელი ამბავი კი, მით იყო სანუკვარი, რომ აქაურ სტამბის შემწეობით მოველოდით, რომ იგი დასავლეთ საქართველოშიაც შეიტანდა განათლებას, აქაურ ქართველობის ოჯახებშიაც შეაშუქებდა ნათელს სხივს, ცხოვრების გამაცისკროვნებელ ძალას, დიად მოქალაქეობის განმტკიცების ნია-დაგს, ქართველების და საქართველოს ცნობას, მის მერმისის და ჭეშმარიტ სიყვარულის აღდგენას" („ივერია", 1902, №174)

ბათუმში სისხლსავსე კულტურული ცხოვრების არსებობაზე მიუთითებს აქ გამართული მუსიკალური საღამოები. XIX საუკუნის ბოლოს ბათუმის მუსიკალური ცხოვრების მიმოხილვა გვხვდება გაზ. „ივერიის" 1889 წლის №136-ში, „ბათუმელის" ფსევდონიმით გამოქვეყნებულ სტატიაში „დაბა და სოფელი (მოწერილი ამბები)". ამ მასალების მიხედვით, ბათუმში შექმნილა „ქართველ მემუსიკეთა ხორო", რომლის დამაარსებელი და ხელმძღვანელი ყოფილა წარმოშობით ჩეხი, აქაური ბატალიონის სამუსიკო დასის ლოტბარი ბ-ნი **პეხარი**. ხორო ბათუმში მართავდა სამუსიკო საღამოებს და მოკლე დროში ბათუმის საზოგადოების სიყვარული და თანადგომა დაიმსახურა. ამავე პერიოდში ბათუმში მუსაკალურ საღამოებს მართავდნენ ჩამოსული მსახიობებიც. ორი კონცერტი გაუმართავს აქ ბ-ნ **ბალანჩივაძეს**. პირველში მონაწილეობა მიუღიათ ქ-ნ **ძნელაძეს** და ბ-ნებს **ქორიძეს** და **ჟღენტს**, მაგრამ საგაზეთო მასალის მიხედვით, ამ კონცერტს ვერ დაუმსახურებია დიდი მოწონება ბათუმის საზოგადოებაში, რადგან მხოლოდ ევროპული რეპერტუარი წარმოუდგენიათ, მაგრამ მეორე კონცერტი, რომელშიც 14 ქართველი ყმაწვილი მუსიკოსი მონაწილეობდა, ძალზე მოწონებიათ აქაურებს, რადგან ერთი კვირის განმავლობაში ბალანჩივაძის ლოტბარობით შეუსწავლიათ **რატილის** მიერ ნოტებზე გადაღებული ქართული მელოდიები და ამ რეპერტუარს მაყურებელიც არ მოკლებია („ივერია", 1889, №136).

აღსანიშნავია, რომ 1894 წელს თავად **რატილის**[6] ხოროც სწვევია ბათუმს და 10-13 ივლისს ორი კონცერტიც გაუმართავს. გაზეთი „ივერია" (1894, №162) განსაკუთრებით უსვამს ხაზს II კონცერტს, რადგან ეს საქველმოქმედო კონცერტი იყო და შემოსავლის ნაწილი განკუთვნილი იყო ქუთაისის ერთი ღარიბი ოჯახისათვის. ბათუმელებს შესაშური აქტიურობა გამოუჩენიათ და დიდძალი ხალხი დასწრებია ამ კონცერტს. ბათუმის საზოგადოებას რატილისათვის საჩუქარიც მიურთმევია და ვახშამიც გაუმართავს, რადგან

---

[6] **იოსებ რატილი** (1840–1912) - ჩეხი მომღერალი (ტენორი), ლოტბარი. 1885 წელს რატილი სათავეში ჩაუდგა **ლ.აღნიაშვილის** მიერ შექმნილ ხალხური სიმღერის გუნდს. 1890 წელს მან ცალკე გუნდი შეადგინა, რომელთან ერთადაც პროპაგანდას უწევდა ქართულ სიმღერას. ჩაიწერა და დაამუშავა, ასევე, რამდენიმე ქართული ხალხური სიმღერაც.

ბათუმელები ძალზე ნასიამოვნები დარჩენილან კონცერტის ქართული ხასიათით. ამ საღამოზე, თავის სამადლობელ სიტყვაში, რატილს აღუნიშნავს: „ის ერი ერობს, ის ხალხი ხალხოსნობს, რომელსაც შეულახავად შეურჩენია თავისი ენა, ჰანგი და კილო. კაცისთვის უუძვირფასესი საუნჯე დედა ენაა, სამშობლოს საგალობლები და ჰანგებია. გარდაქმნა, გადაგვარება იმ ხალხისა, რომელსაც მდიდარი ენა, ხმები და ჰანგები აქვს, შეუძლებელია". ვახშმის შემდგომ საუბარი ჩამოვარდნილა ქართული სამუსიკო საზოგადოების შექმნის აუცილებლობის შესახებ. რატილს აღუნიშნავს, რომ ქართული საგალობლების მოძიება და მათი ნოტებზე გადატანა უსახსრობის გამო ფერხდება. მაშინ ბათუმის საზოგადოების წარმომადგენლებს გამოუთქვამთ მზადყოფნა ამ საშვილიშვილო საქმის ხარჯებში მონაწილეობის მიღებაზე („ივერია", 1894, №162).

გარდა ამ ცნობილი ხოროებისა, ბათუმში კონცერტებს მართავდნენ საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან ჩამოსული გუნდებიც. მაგალითად, 1898 წელს ბათუმში გურულ-მეგრული სიმღერების კონცერტი გაუმართავს მეგრულ ხოროსაც ბ-ნ **ლოლუას** ლოტბარობით („ცნობის ფურცელი", 1898, №503).

ბათუმის საზოგადოება ხშირად აწყობდა საქველმოქმედო საღამოებს სხვადასხვა მიზნით. მაგალითად, 1920 წელს, როცა გორის მაზრა ძალზე დაზარალდა მიწისძვრისაგან, დაზარალებულთა დასახმარებლად შემოწირულობის შეგროვების მიზნით ბათუმში დაარსდა კომიტეტი („სახალხო საქმე", 1920, №781). ამავე მიზნით 1920 წლის 6 მარტს „ქართულმა კლუბმა" გამართა დიდი საზეიმო საღამო, შეკვეთილი მაგიდებით და შემოსავალი გადასცა გორის მაზრის დაზარალებულებს („სახალხო საქმე" 1920, №767).

საღამოები იმართებოდა სხვადასხვა საზოგადოებრივი დაწესებულებების სასარგებლოდაც. 1894 წლიდან სისტემატურად იმართებოდა ქართული საღამოები ბათუმის სკოლის სასარგებლოდ. 1896 წლის 14 იანვარს ასეთი საღამო გაიმართა ბათუმის კლუბში „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების მიერ". საღამოს პროგრამა შედგებოდა 2 განყოფილებისაგან: სასიმღერო და სცენების კითხვისაგან. გაზეთის ცნობით: „საღამომ, საზოგადოდ, ჩინებულად ჩაიარა. განსაკუთრებით დიდად ასიამოვნა საზოგადოება ქ-ნ მ.**ძნელაძის** სიმღერამ „ნანა, შვილო, ნანინა", **კოტე მესხის** იმერულმა სცენებმა და გურულთა მომღერალმა გუნდმა... აგრეთვე, საუცხოოდ შეასრულეს რუსული „ოპერეტიდან" სცენა ოპერის ტანსაცმელშივე გამოწყობილმა ქ-მა **სოღორაშვილისამ** და ბ-ნ **სედელნიკოვმა**. დასასრული აღარ მიეცა ლეკურ ცეკვას და ევროპიულ „ტანცს". გაზეთი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ ამგვარ საქველმოქმედო საღამოებში დიდ თანაგრძნობას იჩენდა ბათუმის საზოგადოება: „ტევა აღარ იყო აქაური კლუბის ყველა ოთახებში და დიდ დარბაზში. საღამოს გამართვის მეთაურნი მანდილოსნები იყვნენ" („კვალი" 1896 წელი №4).

ასეთივე საღამო გამართულა 1897 წლის 14 იანვარს ბათუმის საკრებულო დარბაზში. საღამოს გამგე-დიასახლისობა გაუწევია კნეინა ბ.**ვაჩნაძისას**. საღამოზე წაკითხული იქნა ილიასა და აკაკის ლექსები, შესრულდა ქართული სიმღერები რატილისა და ქალთა ხოროსი. საღამოსათვის სპეციალურად დაუმზადებიათ მოწვევის ბარათები და პროგრამები („ცნობის ფურცელი" 1897, №77).

ბათუმში, პრესის მონაცემებით, იმართებოდა არა მხოლოდ საქველმოქმედო, არამედ ტრადიციული ქართული საღამოებიც. ერთ-ერთი ასეთი ღონისძიება – ნინოობა ჩატარებულა 1920 წლის 27 იანვარს. საღამოში მონაწილეობა მიუღიათ იმ დროს ძალზე პოპულარულ დებს, **თარხნიშვილებს, ვანო სარაჯიშვილსა** და **ინაშვილს**. საღამოზე მოწვეული ყოფილა, აგრეთვე, **იოსებ გრიშაშვილი**. საღამოზე განასახიერეს ე.წ. „ცოცხალი სურათებიც" („საქართველო", 1920, №19).

ამ სტატიების მიხედვით ჩანს, რომ XIX-XX საუკუნეების მიჯნის ბათუმის საზოგადოება აქტიურად იყო ჩაბმული ქვეყნის კულტურულ ცხოვრებაში, ბათუმს ხშირად სტუმრობდნენ ცნობილი ადამიანები, მწერლები, მხატვრები, მუსიკოსები. აქ ეწყობოდა საქველმოქმედო საღამოები, ლიტერატურული შეხვედრები, საგანმანათლებლო ღონისძიებები, მუსიკალურ-თეატრალური სანახაობები. „ყოველი ასეთი საქმე, როცა იწყება, რაც უნდა პატარა იყოს იგი, იმედს გვაძლევს, რომ ქართველობა ძალას იკრებს. როდესაც კი ასეთი საქმე სისრულეში მოდის, დროს განმავლობაში ძლიერდება და საზოგადოებაში ფეხს მაგრად იკიდებს, მაშინ გაბედულად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ იგი უტყუარი ნიშანია ჩვენის ძალ-ღონისა. მართალია, ზოგიერთი ამ საქმეთაგანი დასაწყისში, პირველ შეხედვაზე მეტად მცირე რამეა, იგი არ იზიდავს საყოველყთაო ყურადღებას, რადგან არ ჰყვირის და ზიზილ-პიპილებით არ არის შემკული" (მოამბე, 1845, №12), მაგრამ ამ საქმიანობას მაინც დიდი მნიშვნელობა ქონდა, რადგან ეს აქცევდა ბათუმს სრულიად საქართველოს სისხლხორცეულ ნაწილად. ამგვარად, XIX-XX საუკუნეების პრესის მასალა კარგად წარმოაჩენს ბათუმის ქართული საზოგადოების როლს საერთო ქართულ საქმეში.

გამოყენებული ლიტერატურა:

1. "მოამბე", 1845 წ., №12; 1895 წ., №12
2. „ივერია", 1889 წ., №136; 1894 წ., №162; 1895 წ., №260; 1902 წ., №174
3. „კვალი" 1896 წ., №4
4. „ცნობის ფურცელი", 1897 წ., №77; 1898 წ., №503
5. „სახალხო საქმე", 1920 წ., №767, №781
6. „საქართველო", 1920 წ., №19

Shushana Putkaradze, Roin Malakmadze, Naila Chelebadze,
Elza Putkaradze, Tamila Lomtatidze, Shorena Putkaradze
(Batumi, Georgia)

Social-Cultural Life in Batumi at the Border of XIX- XX Centuries

Summary

The Georgian tabernacle in Istanbul has been the center of education and culture for the Georgians living in Turkey and the shelter for the refugees from Georgia for more than a century (1861-1982). Its archive contains a great deal of Georgian and foreign printed press (newspapers and magazines). You can also find the statements about history of Batumi, as well as its economical, cultural, educational and social-political life, including the still unknown materials describing the social-cultural life of Batumi.

According to the article it is obvious that at the beginning of the XX century Batumi was actively involved in the cultural life of Georgia, the city was often visited by the famous people – writers, artists, musicians. The charitable arrangements, literary soirees, educational activities, musical-theatrical shows were frequently organized. At the result of intensive activity of the Georgian society Batumi lived with saturated cultural life, which supported the revival of Georgian lifestyle and culture in the newly rejoined Adjara to the motherland.

შუშანა ფუტკარაძე, როინ მალაყმაძე,
ნაილა ჩელებაძე, ელზა ფუტკარაძე,
თამილა ლომთათიძე, შორენა ფუტკარაძე

ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლა XX საუკუნის 10-იან წლებში

(სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული ავთანდილ ურუშაძის მემუარების მიხედვით)

მე-19 საუკუნის 10-იანი წლების ბათუმისა და მისი შემოგარენის ისტორიის შესახებ საკმაოდ მდიდარი საარქივო და მემუარული მემკვიდრეობა არსებობს (**პ. სურგულაძე, ვ. რცხილაძე, ვ. ნოზაძე, გ. მაზნიაშვილი** და სხვ.), რომელთა საფუძველზე არაერთი საყურადღებო სამეცნიერო ნაშრომი არის შექმნილი. მასალების სიახლითა და მრავალფეროვნებით აღსანიშნავია სტამბულის ქართველთა სავანის არქივში დაცული ემიგრანტ **ავთანდილ ურუშაძის** ჩანაწერები. აღწერილობათა სიზუსტე და თანმიმდევრობა გვაფიქრებინებს, რომ მას ავტორი დიდი ხნის მანძილზე წერდა დღიურების სახით, რომელიც 1945 წელს დაასრულა პარიზში, ემიგრაციაში ყოფნის პერიოდში. ავტობიოგრაფიული ხასიათის ჩანაწერებში ავთანდილ ურუშაძე საერთაშორისო ვითარების ფონზე ვრცლად საუბრობს ქვეყანაში შექმნილ საზოგადოებრივ-პოლიტიკურ მდგომარეობაზე, ცალკეული საზოგადო მოღვაწისა და დღემდე უცნობი პოლიტიკური პიროვნებების შესახებ.

აღნიშნული მემუარების ავტორი **ავთანდილ არსენის ძე ურუშაძე** დაიბადა 1890 წლის 10 აგვისტოს ქ. ლანჩხუთში. მამა - **არსენ ურუშაძე** იყო ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი და გურიაში გაზეთ „ივერია“-ს გამავრცელებელი. განათლების მიღებაში და, საერთოდ, ავთანდილ ურუშაძის პოლიტიკური მსოფლმხედველობის ჩამოყალიბებაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანეს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და პირველი რესპუბლიკის დაცვა-განმტკიცებისათვის მებრძოლმა ადამიანებმა - **გრიშა ურატაძემ, არსენ წითლიძემ** და სხვებმა (ურუშაძე, 1945:1-2). ავთანდილ ურუშაძე 1910 წლიდან სიცოცხლის ბოლომდე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის წევრი, რომელიც აქტიურად თანამშრომლობდა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტში. როგორც მენშევიკური პარტიის წევრი, ურუშაძე იყო ყველა იმ უმთავრესი მოვლენების მომსწრე და მონაწილე, რომელიც მე-20 საუკუნის პირველ მეოთხედში საქართველოს სოციალურ-პოლიტიკურ ცხოვრებაში ხდებოდა: 1905-1907 წლების პირველი სოციალ-დემოკრატიული რევოლუცია, პირველი მსოფლიო ომი, საქართველოს დამოუკიდებლობისათვის და შემდგომ მისი დაცვა-აღდგენისათვის ბრძოლა და სხვა.

ავთანდილ ურუშაძე ლანჩხუთის სამოქალაქო სასწავლებლის დამთავრების შემდეგ, 1910 წელს გაიწვიეს სამხედრო სამსახურში. სამხედრო სკოლის დამთავრებისთანავე იგი პირველი მსოფლიო ომის ფრონტზეა, რომლის დროსაც 1916 წელს, ბელიკლუჩში უნტერ-ოფიცრების სკოლა დაასრულა და მაშინვე მიიღო რუსეთის არმიის კავალერიის უნტერ-ოფიცრის ხარისხი.

გამოჩენილი სიმამაცისთვის ავთ. ურუშაძემ დაიმსახურა წმ. გიორგის ორი ჯვარი და რამდენიმე მედალი (ურუშაძის ბიოგრაფია:ინტერნეტ-რესურსი).

ავთანდილ ურუშაძე 1918 წლის ზაფხულში დემობილიზებულ იქნა და ივლისის შუა რიცხვებში სამშობლოში დაბრუნდა, სადაც აქტიური მონაწილეობა მიიღო საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის სახალხო გვარდიის ჩამოყალიბებაში (ურუშაძე, 1945:27). ავთ. ურუშაძე იყო ქართული ლეგიონის აქტიური წევრი (**სიორიძე,** 1998:71; **სულაძე**, 2010). იგი არჩეული იყო სახალხო გვარდიის მთავარი შტაბის წევრად და ლანჩხუთის სარაიონო შტაბის თავმჯდომარედ. იმავდროულად, ურუშაძე იყო სოციალ-დემოკრატიული პარტიის გურიის სამხარეო ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. ამის შემდეგ ლანჩხუთის გვარდია მისი მეთაურობით აქტიურად მონაწილეობდა თითქმის ყველა მნიშვნელოვან სამხედრო ოპერაციაში.

1921 წელს, საბჭოთა რუსეთის მიერ საქართველოს ოკუპაციის შემდეგ, ურუშაძე ეწეოდა აქტიურ პარტიზანულ საქმიანობას გურიაში და **სერგო მათითაიშვილთან** ერთად სათავეში ედგა საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის -„პარიტეტული კომიტეტის“ დაქვემდებარებაში მყოფ გურიის რაზმს, ხოლო 1924 წლის აგვისტოს აჯანყებაში წინააღმდეგობას უწევდა წითელ არმიას. აჯანყების დამარცხების შემდეგ მან თანამებრძოლთა ჯგუფთან ერთად დატოვა საქართველო (ურუშაძე, 1945:49).

1924 წლის დამლევიდან 1941 წლამდე ურუშაძე საფრანგეთში ცხოვრობდა, სადაც აქტიურად განაგრძობდა საქმიანობას ოდენკურში და იყო საფრანგეთში ქართველთა სათვისტომოს გამგეობის წევრი. ასევე, შედიოდა საქართველოს სოციალ-დემოკრატიული პარტიის საზღვარგარეთულ ბიუროში.

მეორე მსოფლიო ომის დროს, საბჭოთა კავშირზე თავდასხმის შემდეგ, 1941 წლიდან ურუშაძე გადავიდა გერმანიაში, სადაც მონაწილეობდა „ქართული სამოკავშირეო კომიტეტის“ განკარგულებაში და გახდა გერმანიის „ვერმახტის „ქართული ლეგიონი“-ს წევრი. იქ ქართველებმა სახიფათო კურსი აიღეს გერმანიასთან თანამშრომლობაზე, რადგან ვარაუდობდნენ, რომ გერმანიის საბჭოთა კავშირზე წარმატებული ლაშქრობის პირობებში შესაძლებელი იქნებოდა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა (ურუშაძე, 1945:98). ურუშაძის თაოსნობითა და აქტიური მონაწილეობით 1941-1942 წლებში გერმანული საკონცენტრაციო ბანაკებიდან გათავისუფლდა 300-მდე ქართველი სამხედრო ტყვე. 1942 წლის დამლევს ლეგიონის სარდლობისა და ქართული სამოკავშირეო კომიტეტის ხელმძღვანელობის საგანგებო დავალებით, ჯგუფთან ერთად, თურქეთის მხრიდან ეწეოდა საქართველოში შესვლას. ჯგუფს ევალებოდა ვერმახტის ქართული ლეგიონისა და ქართული პოლიტიკური ემიგრაციის მიზნების გასაცნობად მოსახლეობაში აგიტაციისა და ახსნა-განმარტებითი საქმიანობის გაშლა. ამ მისიით ურუშაძე ჩავიდა სტამბოლში, მაგრამ ეს გეგმა ჩაიშალა. ურუშაძე იქვე დარჩა და **სანდრო მენაღართან (მენაღარიშვილი)** ერთად ხელმძღვანელობდა თურქეთის ქართულ სათვისტომოს. იგი აქტიურად იღვწოდა თურქეთის ქართველებში ეროვნული სულისკვეთების გაღვივებისათვის. ავთანდილ ურუშაძე გარდაიცვალა 1955 წლის 21 მაისს სტამბოლში და დაკრძალულია იქვე, შიშლის ბერძნულ სასაფლაოზე.

აქტიური პოლიტიკური საქმიანობისა და შექმნილი ვითარების გამო ვეღარ აეწყო ავთ. ურუშაძის პირადი ცხოვრებაც. მემუარებიდან ჩანს, რომ ავთანდილ ურუშაძე 1914 წლის

სექტემბერში დაქორწინებულა. მას ჰყავდა მეუღლე **ვარვარე (გოგუცა) ჩხაიძე** და სამი შვილი. 1917 წლის მაისში ფრონტიდან დაბრუნებულ ა. ურუშაძეს პირველი შვილი მცირეწლოვანი კუკური, (სხვა ცნობით ვახტანგი) ცოცხალი აღარ დახვედრია (ურუშაძე, 1945:11). ასევე მას ჰყავდა ორი ვაჟი ტარიელი (1922-1972) და ფრიდონი (პაწიკო) (1924-2010). 1951-1953 წლებში მისი ოჯახი, რომელიც საბჭოთა კავშირში დარჩა, შუა აზიაში გადაასახლეს (ურუშაძის ბიოგრაფია:ინტერნეტ-რესურსი).

ავთანდილ ურუშაძის ბიოგრაფიის მნიშვნელოვანი ეტაპი იყო აქტიური მონაწილეობა პირველი მსოფლიო ომის კავკასიის ფრონტის საბრძოლო ბატალიებში. მეომარ მხარეთა კოლონიური კონფრონტაციის გააქტიურებით ბათუმს დიდი საფრთხე დაემუქრა ყველა მხრიდან - როგორც ზღვიდან, ისე მეზობელი რაიონებიდანაც. ამის გამო, ომის დაწყებისთანავე, 1914 წელს **მურღულთან** ბრძოლაში რუსეთის დამარცხებით შეიქმნა აჭარის დატოვების საფრთხე. სწორედ, ამიტომ ბათუმისა და მისი შემოგარენის დასაცავად ძალზედ დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა მოსაზღვრე რეგიონებში - ტრაპიზონში, ზემო აჭარა-სამცხის საზღვარსა თუ მეზობელ გურიაში- წარმოებულ ბრძოლებს, მაგრამ მოხერხდა ფრონტის აღდგენა და ვითარება სტაბილური გახდა. აღნიშნულ საომარ მოქმედებებში აქტიურად მონაწილეობდა ავთ. ურუშაძე, რომელმაც რთული და მძიმე საბრძოლო გზა გაიარა 1917 წლის 20 მაისიდან 1918 წლის უკანასკნელ ბრძოლამდე.

როგორც ცნობილია, რუსების მე-3 არმიის სარდლობის შტაბი იყო ქ. ერზერუმში. რუსეთმა მტერს დაასწრო და საჭიროდ ჩათვალა ტრაპიზონის აღება, რომელიც წარმოადგენდა სტამბოლთან მე-3 არმიის დაკავშირებისა და მომარაგების ძირითად საზღვაო პუნქტს. ამ მიზნით რუსეთმა 1916 წლის 5-7 აპრილს ტრაპიზონში ნოვოროსიისკიდან ზღვით გადმოიყვანა მნიშვნელოვანი სამხედრო ძალები (სდს, 2008:367).

ტრაპიზონზე ერთიანი შეტევა რუსეთმა დაიწყო 1(14) აპრილს და 5(18) აპრილს აიღო. ამის შემდეგ რუსები შეუდგნენ ტრაპიზონის პორტის მოწყობას, საავტომობილო გზის გაყვანას, 1916 წ. ივლისიდან კი ბათუმ-ტრაპიზონის რკინიგზის მშენებლობას. აღნიშნულ პერიოდში ბათუმში უმძიმესი ვითარება შეიქმნა. მოსახლეობის რაოდენობამ იკლო, რაც გამოიწვია ქალაქის სამხედრო ყაიდაზე გადაყვანამ. 1916 წლის დასაწყისიდან ოსმალეთიდან დაბრუნდა ლტოლვილი მოსახლეობის მნიშვნელოვანი ნაწილი. შიგაპოლიტიკურმა აშლილობამ, წარუმატებლობამ ფრონტის ხაზზე, ერთგვარად იჩინა თავი შავიზღვისპირეთის ფრონტებზე, კერძოდ, ბათუმში, სადაც ადგილობრივთა მიმართ, 1918 წლის 26 იანვრის დადგენილებამდე, იყო გაჩაღებული ცილისმწამებლური კამპანია. ამ უმძიმეს პერიოდში, 1916 წელს, თბილისში იმყოფებოდა აჭარის მოწინავე ადამიანთა დეპუტაცია, რამაც დადებითი შედეგი გამოიღო.

ავთ. ურუშაძის მემუარებიდან ირკვევა, რომ 1916 წლის აგვისტოში, ომის ფრონტზე გართულებული მძიმე ვითარების გამო, მოხდა დამატებითი მობილიზაცია, რომელიც შეეხო 18-დან 43 წლამდე ასაკის ყველა მამაკაცს, როგორც თეთრ, ისე მწვანე ბილეთიანსაც (ურუშაძე, 1945: 9).

ბათუმში ჩასვლისთანავე ავთანდილ ურუშაძე 221-ე სათადარიგო პოლკში ჩაირიცხა, სადაც 1917 წლის იანვარში შეხვედრია ბათუმის სათადარიგო ჯარში მყოფ **ნიკიტა იმნაიშვილს** (ურუშაძე,1945: 11), რომელიც შემდეგ ფოთში გაუმწესებიათ.

საქართველოს ბრძოლა დამოუკიდებლობისათვის განსაკუთრებით გააქტიურდა I მსოფლიო ომის პერიოდში. ქართული ინტელიგენცია ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, რეაქციის გაძლიერების პერიოდში, მის მძვინვარებას არ ეპუებოდა, რისთვისაც 1906-1910 წლებში ბევრი ქართველი მოღვაწე გადაიხვეწა უცხოეთში. რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში მყოფი ქვეყნის განთავისუფლება არა მარტო საქართველოში, არამედ მის ფარგლებს გარეთაც იგეგმებოდა და ვითარდებოდა. ამ მიზნით, როგორც ცნობილია, 1913 წელს ჟენევაში ჩამოყალიბდა ჯგუფი **„თავისუფალი საქართველო“** (**მ. წერეთელი, ჩერქეზიშვილი, გ. მაჩაბელი**). პირველი მსოფლიო ომის შედეგად შექმნილ ვითარებაში მისი წევრები გერმანიის დახმარებით აპირებდნენ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას.

აღნიშნულ პერიოდში ქართულ პოლიტიკურ აზროვნებაში, პრორუსულისა და პროგერმანულის გარდა, გამოიკვეთა მესამე ორიენტაცია - მსოფლიო ომის სამოქალაქო ომად გადაქცევის ორიენტაცია. როგორც ცნობილია, ბევრი ქართველი იბრძოდა რუსეთის არმიის შემადგენლობაში, თუმცა ეროვნულმა ძალებმა ვერ გაბედეს ანტირუსული გამოსვლის ორგანიზება. ცალკეული პარტიის დამოკიდებულება ომის მიმართ არაერთგვაროვანი იყო. ბოლშევიკებს სურდათ ომის სამოქალაქო ომად გადაქცევა. ნაწილი სოციალ-ფედერალისტებისა და ეროვნულ-დემოკრატიული პარტიისა კი საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას უკავშირებდნენ ომში გერმანიისა და ოსმალეთის გამარჯვებას. მენშევიკები კი ფიქრობდნენ, რომ თუკი ოსმალები ამიერკავკასიაში შემოსვლით საქართველოს არ დაარბევდნენ, მაშინ მათ წინააღმდეგ არ გამოვიდოდნენ. ამასთან დაკავშირებით, საქართველოში ჩამოსულ **გ. მაჩაბლის** ლიდერებთან შეხვედრისას **ნ. ჟორდანიას** განუცხადებია: „ვიბრძოლებთ რუსეთის სოციალ-დემოკრატებთან ერთადო“.

1916 წლისთვის პოლიტიკურ ძალთა თანაფარდობა ბათუმში აშკარად არ იხრებოდა ბოლშევიკების სასარგებლოდ. 1917 წლის მარტში შეიქმნა ბათუმის სოციალ-დემოკრატიული კომიტეტი, რომელიც აერთიანებდა 1200 წევრს და მას უშუალო კავშირი ჰქონდა პეტერბურგის **„ბრძოლის კავშირთან“** (სიჭინავა, 1958:209). კომიტეტის თავ-რე იყო **გრ. სოღორაშვილი**. მალე ბოლშევიკებმა გაზეთ „პრავდა“-ს საშუალებით ფართო სააგიტაციო საქმიანობა ძირითადად გააჩაღეს სამხედრო პირთა შორის, რომელთა რაოდენობა ბათუმში **ტრაპიზონის** ფრონტის დაშლის შემდეგ ყოველდღე იზრდებოდა. შეიქმნა ბოლშევიკური ორგანიზაცია, რომელმაც ხელი შეუწყო აქ ფრონტის დასუსტებას, რათა სამხედრო ძალა იქედან გამოეყვანათ და მოემზადებინათ ნიადაგი სახელმწიფო გადატრიალებისათვის.

1917 წლის რუსეთის თებერვლის რევოლუციის შედეგად ორხელისუფლებიანობა დამყარდა საქართველოშიც. შეიქმნა ოზაკომი ანუ ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტი, რომელსაც სათავეში ედგა **აკაკი ჩხენკელი.** მემუარების მიხედვით ვგებულობთ, რომ აღნიშნულ პერიოდში ავთანდილ ურუშაძე შვებულებით იმყოფებოდა მშობლიურ ლანჩხუთში, სადაც მისი მონაწილეობით მოახდინეს ადგილობრივი ხელისუფლების განიარაღება.

რუსეთში პოლიტიკური ვითარება უფრო დაიძაბა, რითაც ფრონტზე წარუმატებლობამ იმატა. ვითარების განსამუხტად, მოქმედების ერთიანი პროგრამის შემუშავების მიზნით, 1917 წლის აგვისტოში შეიქმნა „ინტერპარტიული საბჭო“, რომელშიც გაერთიანდნენ საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული, სოციალ-დემოკრატიული და ფედერალისტური პარტიები. იმავე წელს პეტროგრადში გამართულ შეხვედრაზე ამიერკავკასიის განსაკუთრებული კომიტეტის

(ოზაკომის) მეთაურმა, დელეგაციის ხელ-მა **აკაკი ჩხენკელმა** მოითხოვა 1783 წლის გეორ-გიევსკის ტრაქტატის პირობების აღდგენა.

საქართველოს დამოუკიდებლობისათვის შეიქმნა არაერთი კომიტეტი, გაერთიანებული დამკომი და ა. შ. დამოუკიდებლობის კომიტეტის საჯარისო ფორმირება იყო **ქართული ლე-გიონი**, რომელიც 1914-1918 წლებში თურქეთში ჩამოყალიბდა (**სურგულაძე ა., სურგულაძე კ.,** 1994:3-4; **სულაძე,** 2010:174-175; **გრძელიძე**, 1995). ავთანდილ ურუშაძის ამ პერიოდის მემუა-რებში აღწერილია ის საფრთხე, რაც საქართველოს დაემუქრა თურქეთის მხრიდან.

განსაკუთრებით მძიმე მდგომარეობაში აღმოჩნდა ბათუმი და მისი შემოგარენი. მონათხ-რობიდან ირკვევა, რომ ურუშაძე 8 თვით ადრე, დაახლოებით 1916 წლის სექტემბერში, გაურკვეველი მისიით **ტრაპიზონში** ყოფილა. შესაძლოა ურუშაძე ტრაპიზონის მისადგომებ-თან იყო როგორც ლეგიონერი, რადგან იმ პერიოდში იქ იყო დამკომის ფილიალიც და ლეგიო-ნიც. რეალურად ქართული ლეგიონი გერმანიის სარდლობის კომპეტენციაში იმყოფებოდა, ხოლო სამხედრო თვალსაზრისით კი ფორმალურად ექვემდებარებოდა ტრაპიზონის ვალს (გუბერნატორს), რომელსაც არ მოსწონდა ლეგიონერები (**სიორიძე**, 1998:74;77;79). შემდგომ 1917 წლიდან ურუშაძე ტრაპიზონის ფრონტზეა, სადაც ხანგრძლივი საუბარი ჰქონდა თავის ძველ მეგობარ **ბიკტორ ჭედიასთან.** ავთ. ურუშაძე ფრონტის სხვადასხვა ხაზზე იბრძოდა ერზინჯანთან ახლოს თურქესტანის მე-14 პოლკის პირველ როტაში. ურუშაძის ცნობით, იქ ადრე ყოფილა ენერგიული ოფიცერი, კაპიტანი **გრიგოლ უჩაძე,** რომელსაც მოგვიანებით ურუშაძე ემიგრაციის პერიოდში საფრანგეთში შეხვედრია. იქედან მებრძოლები ერზინჯანში წასულან (ურუშაძის თქმით ეზერჟანისკენ), სადაც მას რამდენიმე ძველი მეგობარიც უნახავს: **ნიტიფო ღლონტი, ესეფი წილოსანი,** პორუჩიკები - **პეტრე კასრაძე** და **იაკობ შელია,** ასევე პრაპორშჩიკი **ბალანჩივაძე.**

მემუარებში აღწერილია 1917 წლისათვის ერზინჯანის პოლკში არსებული ვითარება, დახასიათებულია პოლკის სტრუქტურა, რომელიც შედგებოდა პოლკისა და როტის კომი-ტეტებისაგან. როგორც მენშევიკური პარტიის წევრი, ავთ. ურუშაძე ნათლად წარმოაჩენს მენშევიკური პარტიის დამოკიდებულებას ფრონტის მიმართ. მაგალითად, პოლკის კომიტე-ტის თავ-რის ბოლშევიკ **ნიკოლოზ ოკუჯავასგან** გაუგია, რომ იქ ქუთაისიდან საჩუქრებით ჩასულა მენშევიკი **სარდიონ მენაღარიშვილი** და განსხვავებული პარტიული შეხედულებების მიუხედავად, ერთმანეთში საერთო ენაც გამოუნახავთ. სავარაუდოთ, ეს შეხვედრა უნდა შემდგარიყო მანამ, სანამ სოციალ-დემოკრატიული პარტიის ფრაქციებს შორის მკვეთრი გამიჯვნა არ მოხდებოდა.

როგორც ცნობილია, დროებითმა მთავრობამ პოლიტიკურ პარტიებს მიანიჭა პოლიტიკუ-რი საქმიანობის სრული თავისუფლება. ამ ვითარების ამსახველი უნდა ყოფილიყო ის ფაქტიც, რომ 1917 წლის სექტემბერში ბოლშევიკების სააგიტაციო საქმიანობის გასააქტიურებლად თბილისიდან ბუკლეტების ჩამოტანა დაევალა მენშევიკ ავთ. ურუშაძეს (ურუშაძე, 1945:12). ამის შემდეგ პოლკში ჩაატარეს არჩევნები, რომელმაც აჩვენა, რომ ამ დროს ბოლშევიკების გავლენა უმნიშვნელო იყო, რადგან ხმების უმრავლესობა მიიღეს ესერებმა, მეორე ადგილას კი მენშევიკები გავიდნენ. თუკი 1917 წ. ზაფხულისათვის **ართვინსა** და **ტრაპიზონში** სუსტი იყო სოციალ-დემოკრატების პოზიცია, სამაგიეროდ, ისინი ძლიერად იყვნენ **ბათუმში.** ტრაპი-ზონის ფრონტზე მყოფ პოლკში სრული წესრიგი ყოფილა. ვითარება შეცვლილა ლენინისა და

მისი თანამებრძოლების გამოჩენისთანავე, რადგან ლოზუნგმა - „ძირს ომი, მიწა გლეხებს“, და, ასევე, ჯარისკაცების უარყოფითმა დამოკიდებულებამ გაჭიანურებული ომის მიმართ დიდი არეულობა გამოიწვია და განაპირობა ფრონტის თვითნებურად მიტოვება. ამას ხელი შეუწყო, აგრეთვე, ბოლშევიკების უცხოეთის სპეცსამსახურებთან თანამშრომლობამ, რომლის შედეგადაც მოხდა მათი გაძლიერება ფრონტისპირა ტრაპიზონში. ამის გამო 1917 წლის დეკემბერში ბოლშევიკებმა შეძლეს ტრაპიზონის დეპუტატთა საბჭოს ხელმძღვანელობაში უპირატესობის მოპოვება, რომლის თავ-რე გახდა **ბესარიონ კვირკველია,** სამხედრო რევოლუციური კომიტეტის თავ-რე კი - **დათიკო ნასარიძე** (სდს, 2008:408).

ბოლშევიკების განსაკუთრებული გაძლიერება გამოიხატა იმაშიც, რომ მათ შეძლეს ტრაპიზონში დიდძალ იარაღის კონტროლზე უფლების მოპოვება. ტრაპიზონიდან პრაქტიკულად იარაღის გამოტანა უზრუნველყო ბათუმში ბოლშევიკების მიერ შექმნილმა „საზღვაო ასეულმა“, რომელიც პარტიული ხაზით მათ ემორჩილებოდა, ხოლო სამხედრო ხაზით კი - ხელმძღვანელ შტაბს. სწორედ ამიტომ ჩაშალა სამხედრო რევკომის თავ-რე **დ. ნასარიძემ** ტრაპიზონის იარაღით ამიერკავკასიის კომისარიატის მიერ ახალი არმიის შეიარაღების მცდელობა. ეს მაშინ, როდესაც ამ მიზნით იქ 150 კაციანი რაზმი იქნა გაგზავნილი **ს. დადიანის** ხელით. იგი შესაძლოა ლეგიონერი **თავადი დადიანი** იყო (**სდს**,2008:410; **სიორიძე**, 1998:72).

აღნიშნულ პერიოდში ბათუმში ოფიციალური ხელისუფლებისგან დანიშნული კომისარიატების პარალელურად ოლქის ყოველ ადმინისტრაციულ ერთეულში შეიქმნა არჩევითი ორგანო აღმ. კომიტეტის სახით, რომლის თავ-რე იყო **ე. კრინიცკი,** ხოლო ქალაქის თავი კი **კონსტანტინე საბახტარაშვილი.** 1917 წლის ივლისისათვის ბათუმის თვითმმართველობის არჩევნებში უმრავლესობას წარმოადგენდა სოციალ-დემოკრატებისა და ესერთა პარტიის წევრები. იმავე წლის დამლევს შეიქმნა „ბათუმის ოლქის ქართველ მუსლიმანთა კომიტეტი“ **მემედ აბაშიძის** თავ-ით, ასევე საქველმოქმედო ორგანიზაცია თურქოფილების წინააღმდეგ. მალე ეროვნული ინტერპარტიული საბჭოს ინიციატივით 1917 წლის 19 ნოემბერს ჩატარდა საქართველოს ეროვნული ყრილობა და მასთან შეიქმნა **სამაჰმადიანო საქართველოს საქმეთა სექცია,** რათა განხილულიყო ოსმალური გავლენისაგან ბათუმის ოლქის, ლაზეთის, სამცხე-ჯავახეთისა და სხვა კუთხეების მოსახლეობის განთავისუფლების ღონისძიებები.

1917 წლის ოქტომბერში რუსეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ ბოლშევიკებს არ ჰქონდათ საერთაშორისო მხარდაჭერა და ამიტომ მათ ომიდან გამოსვლა აწყობდათ. ბათუმში ყველა პარტიათა საფუძველზე შეიქმნა „საზოგადოებრივი უშიშროების კომიტეტი“, რომელმაც ომში ჩაურევლობა გამოაცხადა. დაითხოვეს ოზაკომიც. 15 ნოემბერს შეიქმნა ახალი მთავრობა, როგორც დროებითი მთავრობა - „ამიერკავკასიის კომიტეტი“, რომლის თავ-რე გახდა **ევგენი გეგეჭკორი.**

დაუძლურებული ოსმალეთი შეეცადა მეორე ფრონტის ლიკვიდაციას. ამიტომ მან 1917 წლის 30 ნოემბერს ამიერკავკასიის კომისარიატს შესთავაზა დროებითი ზავი, რითაც მან დრო მოიგო ახალი შეტევისათვის. ეს მოლაპარაკება შედგა ერზინჯანში, სადაც რუსეთის ჯარი იმყოფებოდა. 18 დეკემბერს ხელშეკრულება გაფორმდა და შეწყდა ფრონტზე სამარი მოქმედება, რის შედეგადაც დაწესდა სადემარკაციო ხაზი. ამ ზავმა დააჩქარა ფრონტის რღვევა. ამის გამო საერთაშორისო მხარდაჭერის მოპოვებას შეეცადა დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი

კომიტეტი, რომლის წევრები იტყობინებოდნენ, რომ გერმანიას უნდა ეცნო საქართველოს დამოუკიდებლობა.

ფრონტზე კი მდგომარეობა სულ უფრო მძიმდებოდა. ერზინჯანიდან პოლკი ტრაპი-ზონისაკენ მიიწევდა. როდესაც **არდასას** მიუახლოვდნენ, მებრძოლებთან მიირბინეს ქართველმა ჯარისკაცებმა თხოვნით, რათა **გენერალ ართმელაძეს,** რომელიც ძლივს იცავდა თავს რუსი ჯარისკაცებისაგან, სასწრაფოდ მიშველებოდნენ. ძლიერ აღელვებული და დათრგუნვილი გენერალი გაათავისუფლეს. პოლკი 1918 წლის 1 იანვარს ტრაპიზონში შევიდა. **ბიკტორ ჭედიას** დახმარებით **გენერალი ართმელაძე** 1918 წლის 2 იანვარს ბათუმში გაამგზავრეს. იგი იყო ბათუმში I ქართული პოლკის მეთაური (სიორიძე, 2002:217). თუ რამდენად მძიმე მდგომარეობა იყო ამ დროს ტრაპიზონში, ამაზე მიუთითებს ავთანდილ ურუშაძის დანახვაზე ბიკტორ ჭედიას გაოცება - „ბიჭო, შენ ხომ ხარ ჭკუაზედო, . .რამოდენიმე ათასი კაცი აქ . . . ყველა გაგიჟებულია არც ერთან არ ილაპარაკება, ქართველებიც მათ შორის არიანო“ (ურუშაძე, 1945:14). მოგვიანებით, 1919 წელს **ბ. ჭედიამ** ბათუმში ყოფნის დროს ავთ. ურუშაძეს გააცნო **ბესარიონ ჟღენტი,** შემდგომ ემიგრაციაში **გოგიტაურად** წოდებული (ურუშაძე, 1945:49).

ტრაპიზონში ჩასული ჯარისკაცები III ქართულ პოლკში ჩარიცხეს, რომლის დროებით უფროსად კაპიტანი **კაპანაძე** დაინიშნა. როგორც ცნობილია, ქართული პოლკების დაარსება ჯერ კიდევ 1917 წლის 18 აგვისტოს სხდომაზე ინტერპარტიულმა ბიურომ გადაწყვიტა, რათა მომხდარიყო ქართული ჯარის ნაციონალიზაცია.

მალე **ბიკტორ ჭედიას** მონდომებით შედგა ქართული სამხედრო საბჭო, რომლის თავმჯდომარედაც თავად იქნა არჩეული, ხოლო მის „ამხანაგად“ კი **ცაგარელი**, რომელიც „**კარლ-კაროლის**“ გემის აღების დროს მოკლეს (ურუშაძე,1945:14). მენშევიკებმა თავდაცვის რაზმი შეადგინეს ფელთვებელ **გამრეკელის** ხელმძღვანელობით, რომელიც მოგვიანებით სომხეთის ფრონტზე დაიღუპა.

გარდა ამისა, ტრაპიზონში არსებობდა მუშათა და ჯარისკაცთა საბჭო, რომლის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა ბოლშევიკი **ბესარიონ კვირკველია,** ხოლო წევრად **მამია ორახელაშვილი**. ტრაპიზონში ომის პერიოდში ჩავიდნენ **ბუდუ მდივანი** და **კოტე ცინცაძე.** ამდენად, ტრაპიზონში არსებობდა მენშევიკური და ბოლშევიკური საბჭოები, რომელთა შორის სულ უფრო ღვივდებოდა შუღლი. მდგომარეობას განსაკუთრებით ბოლშევიკები ამწვავებდნენ, რომლებიც აკრიტიკებდნენ როგორც ქართულ სამხედრო საბჭოს, ისე ამიერკავკასიის კომი-სარიატს, როგორც კონტრრევოლუციურ ძალებს. ისინი ყველა ღონეს ხმარობდნენ მათი მოწი-ნააღმდეგე ძალების გადასაბირებლად, რისთვისაც ძალადობასაც მიმართავდნენ (ურუშაძე, 1945:15).

სამხრეთ-აღმოსავლეთ შავი ზღვის კომისრად დაინიშნა **კოტე ცინცაძე,** რომელიც განაგებ-და არა მარტო იქაურ, არამედ რუსეთის პორტებიდან ჩასულ ყველა გემს. მას მიემხრო მატრო-სების უმრავლესობა, დაიჭირეს პრისტანი (სავარაუდოთ, რუსული ენიდან შემოსული ლექსი-კური ბარბარიზმია, რაც ვაკე ადგილს ნიშნავს); მენშევიკები გამოაცხადეს კონტრრევოლუ-ციონერებად და მათ არ დაუთმეს გემი ბათუმში უკან დასაბრუნებლად. მათთან სამხედრო საბჭოში მივიდა პოლკოვნიკი **ყარალაშვილი**, რომელმაც ორი ქართული პოლკი შეადგინა და მათ განუცხადა, რომ პოლკთან ერთად ფეხით აპირებდა ბათუმში წასვლას. იგი **ბიკტორ ჭედიამ** შეაჩერა და ვითარების გასარკვევად ბათუმში წავიდა **ავთანდილ ურუშაძესთან** ერთად.

მაგრამ უფრო სავალალო მდგომარეობა დახვდათ ბათუმში, რადგან იქ საფრთხეს მოელოდნენ როგორც ტრაპიზონის მხრიდან, ისე თბილისიდანაც (ურუშაძე,1945:16).

ტრაპიზონის ფრონტზე ვითარება დამძიმდა. იქედან იარაღს იტაცებდნენ თურქები და ქართველ ჯარისკაცებსაც აიარაღებდნენ. ამასთან, ბოლშევიკებმა იქ დიდი მიტინგი მოაწყვეს და გაილაშქრეს ამიერკავკასიის კომისარიატის, ბათუმის საბჭოსა და ქართული სამხედრო საბჭოს წინააღმდეგ. ბოლშევიკები ე.წ. პაგრომებს აწყობდნენ ადგილობრივ მოსახლეობაზე და მათ ძარცვავდნენ. ისინი ყოველ ღონეს ხმარობდნენ იმისათვის, რათა უფრო მეტად გაეღრმავებინათ დაპირისპირება მენშევიკებთან. ამ მიზნით ერთ დღეს, როდესაც მენშევიკებს საწყობიდან იარაღი გამოჰქონდათ და პრისტანთან აწყობდნენ, ბოლშევიკებმა მათ მისალმებაზე დაცინვით უპასუხეს და კონტრრევოლუციონერები უწოდეს. ამაზე გაეპასუხა **გამრეკელი**, შემდეგ მეზღვაურებიც ჩაერთნენ ბრძოლაში, რასაც ბოლშევიკები არ ელოდნენ. საბოლოოდ მორიგდნენ. ამასთან დაკავშირებით საინტერესოა შემდეგი ფაქტი: როდესაც **ცინცაძეს** წართმეული მაუზერი დაუბრუნეს, მან იგი გადატეხა, რადგან მისი ტარების ღირსად თავი აღარ მიუჩნევია. საბოლოოდ, მოლაპარაკების შედეგად, ბათუმში გასამგზავრებლად მენშევიკებს ორი გემი დაუთმეს. წასაღები საქონლის შერჩევაში მენშევიკებისათვის ფრონტის ლაზარეთების გამგის-**თიკანაძის** მოადგილეს - ექიმ **მამია ორახელაშვილს** მნიშვნელოვანი დახმარება გაუწევია (ურუშაძე,1945:18). საუბედუროდ, ტრაპიზონიდან გამომგზავრებამდე გაურკვეველი მიზეზის გამო იარაღის საწყობში მოხდა დიდი აფეთქება, რამაც 18 ადამიანის სიცოცხლე იმსხვერპლა.

ფრონტზე არსებული მდგომარეობა ამიერკავკასიის ჯარების ზურგში ამოქმედებულმა ქურთებისა და ჩეთეს რაზმებმა კიდევ უფრო დაამძიმა. ვერ მოხერხდა ტრანსპორტისა და არტილერიის ევაკუაციაც. ამას დაერთო ყინვები და სულიერი დეპრესია ჯარში. ასეთ ვითარებაში ოსმალეთმა 1918 წ. 13 თებერვალს ზავით დრო მოიგო და დაიკავა **ერზინჯანი**, შემდეგ **გიუმუშხანე, ბაიბურთი** და **ტრაპიზონი**, 12 მარტს დაეცა **ერზერუმი**, ხოლო 19 მარტს - **არტაანი,** რითაც ოსმალებმა გადმოლახეს 1914 წლის საზღვარი. უმძიმესი ვითარება შეიქმნა ბათუმში. ტრაპიზონის ფრონტის დაცლამ ბათუმი ჭრელი ხალხით აავსო. იმის გამო, რომ 1917-1918 წლებში ბათუმის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს არჩევნებში ბოლშევიკები დამარცხდნენ, მათში წარმოიშვა საბჭოთა ხელისუფლების შეიარაღებული გზით დამყარების იდეა, რაშიც მთავარ დასაყრდენად ესახებოდათ „საზღვაო ასეული“, რომელიც 1917 წლის დეკემბერში შეიქმნა და განთავსებულ იქნა ბათუმის პორტის ტერიტორიაზე. მათ დაეკისრათ ასევე ტრაპიზონელ თანამოაზრეებთან მჭიდრო კავშირის დამყარება ბოლშევიკების პოზიციების გამყარების მიზნით, თუმცა მთლად ვერ გაართვეს თავი ამ მისიას (სიორიძე, 2011:236).

ბოლშევიკებმა პოზიციების გასაძლიერებლად დაგეგმეს შავი ზღვის ფლოტის მეთაურებთან დაკავშირება. სწორედ მატროსების ხელში მოხვდა ტრაპიზონის სამხედრო ქონების მნიშვნელოვანი ნაწილი, რითაც ისინი თვით თურქებთანაც ვაჭრობდნენ. ამით გამოირჩეოდა კრეისერი **„კაროლ კარლი“** და ნაღმოსანი „**სარატოვის**“ ეკიპაჟები. მატროსები განსაკუთრებით ბათუმში მეკობრეობდნენ (სდს, 2008:413).

ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკების პარალელურად, ბათუმის თავდაცვის ერთიანი ფრონტის შექმნის მიზნით, 1918 წლის 17 მარტს **ნოე ჟორდანიამ** გარდაუვალად ჩათვალა სხვადასხვა პარტიებისა და ორგანიზაციების გაერთიანებული სხდომის ჩატარება. დაარსდა

ერთიანი რევკომი. საღამოს სხდომაზე ჩავიდა ამიერკავკასიის ეროვნებათაშორისი სამხედრო საბჭოს თავმჯდომარე **ნოე რამიშვილი.** მისი ხელმძღვანელობით 250 მეზღვაური დააპატიმრეს, გაანეიტრალეს საზღვაო ასეულიც, მაგრამ ბოლშევიკებისა და მენშევიკების მოთხოვნით ისინი გაათავისუფლეს, რომლებიც მალე რუმინეთში გაიქცნენ. ამან ბათუმის დამცველთა საბრძოლო სულისკვეთება დასცა, რამაც სხვა პოლიტიკურ გარემოებებთან ერთად განაპირობა ბათუმის თითქმის უბრძოლველად დათმობა მოწინააღმდეგისათვის. ოსმალეთი ითხოვდა ზავით მიღებული ოლქების ჩაბარებას.

საქართველოს ეროვნული საბჭოს მოწოდებით სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს დასაცავად ბათუმისაკენ ბევრი მოხალისე გაეშურა საქართველოს სხვადასხვა კუთხიდან. **ავთ. ურუშაძეს** თავის მემუარებში აღწერილი აქვს **რაფიელ ჩიხლაძის** ლანჩხუთში ჩასვლისა და მოხალისეთა რაზმის შეკრებასთან დაკავშირებული პრობლემა, რადგან მებრძოლებს უარი უთქვამთ - „აწი სხვებმა იბრძოლონო“. საქმე მას შემდეგ გამოსწორებულა, როდესაც **მოხალისეებად მოხუცები ჩაწერილან.** ამავე მიზნით ბათუმში სპეციალურად ჩასულა **ევგენი გეგეჭკორი**. ავთ. ურუშაძე ჩაეწერა მე-2 პოლკის I ბატალიონში, რომელიც გააგზავნეს ჩაქვის თავზედ. პოლკის უფროსი იყო **ყარალაშვილი**, ბატალიონს კი მეთაურობდა რუსი კაპიტანი **იუვკოვი**, რომელიც რუსეთიდან ჩამოყოლია **ირაკლი წერეთელს.** პოლკის როტის უფროსები, ახალგაზრდა ქართველი ოფიცრები, არსებული მდგომარეობის გამო ძალიან დაშინებულნი ყოფილან. რამდენიმე დღეში შეტაკება მოხდა ოსმალებთან და შეძლეს მტრის მოგერიება, რომლის დროსაც დაიღუპა **კოდრათი ორაგველიძე** და დაიჭრა რამდენიმე მებრძოლი.

ფრონტზე არსებული ვითარება გამწვავდა 1918 წლის 12 თებერვალს, როდესაც ოსმალეთმა დაარღვია საზავო ხელშეკრულება. 8 მარტს ამიერკავკასიის საზავო დელეგაცია ტრაპიზონში ჩავიდა კრეისერით. ტრაპიზონის საზავო მოლაპარაკება მიმდინარეობდა 1918 წლის 12 მარტიდან 5 აპრილამდე. ფაქტიურად იქაური ბოლშევიკური აღმასკომის ხელშეწყობით ტრაპიზონი უბრძოლველად გადავიდა ოსმალთა ხელში. დელეგაციის ხელ-ი **აკ. ჩხენკელი** (იგი იყო ამიერკავკასიის კომისარიატის შინაგან საქმეთა მინისტრი, 1918 წლის აპრილიდან კი ამიერკავკასიის დემოკრატიული ფედერაციული რესპუბლიკის მთავრობის მეთაური), ოსმალთაგან კი I რანგის კაპიტანი **ჰუსეინ რაუფ-ბეი-აფხაზი,** ჩხენკელის მეზობელი სოფ-ლიდან. ამ პერიოდში მოხდა ბერძენი და სომეხი მოსახლეობის აწიოკება, ოსმალთა მიერ **არტაანისა** და სხვა პუნქტების დაკავება და მზადება ბათუმსა და **ყარსზე** შეტევისათვის. ტრაპიზონში 2 აპრილს ჩავიდა კავკასიის ფრონტის მთავარსარდალი **ვეხიბ-ფაშა** შტაბითურთ. მისი ბრძანებით 4 აპრილს გაუფრთხილებლად მოხდა ბათუმის ოლქის საზღვრებამდე 10 კმ-ით მიახლოება. 5 აპრილს კონფერენციაზე დათანხმდნენ ყველაფრის დათმობას **(ყარსის, ოლთისისა** და ა. შ.), მაგრამ არავითარ შემთხვევაში **ბათუმისა**. წამოვიდა ულტიმატუმები ამის გამო. **ჩხენკელმა** ბრესტის ზავი ნაწილობრივ სცნო. 14 აპრილს დელეგაცია ტრაპიზონიდან წამოვიდა და ოსმალები იმავე დღეს დაეუფლნენ **ბათუმს**, შეუტიეს **ოზურგეთისა** და **ყარსის** მიმართულებით. ოსმალეთი დაეუფლა **ბათუმ-ყარს-არტაანს** და დაარღვია საერთაშორისო სამართლის ნორმები.

ურუშაძის შეფასებით, ბათუმის დასაცავად ჯარისკაცები სათანადო სიმაღლეზე ვერ აღ-მოჩნდნენ, რადგან ისინი მტრის პირველივე შემოტევაზე გაქცეულან, ნაწილი კი ტყვედ

ჩავარდნილა. ქართული ჯარი ახალორგანიზებული იყო და ამიტომაც თითქმის **უბრძოლველად მოხდა ბათუმის დატოვება.** მიუხედავად ამისა სახალხო გვარდიას შეეძლო მტრის შეჩერება, მაგრამ ბოლშევიკების გამო ეს ვერ მოხერხდა და **14 აპრილს ოსმალეთმა ბათუმი დაიკავა.** ამ მოვლენას სხვადასხვაგვარად ათარიღებენ ომის მონაწილეები: **გ. მაზნიაშვილის** მიხედვით, 31 მარტია (მაზნიაშვილი,1990:25), გ. შარაძე, ბათუმის დაცემის თარიღად, აკ. ჩხენკელის მოგონებების მიხედვით, 1 აპრილს ასახელებს (შარაძე,1991:77), ხოლო ავთ. ურუშაძის მიხედვით კი 3 აპრილია. როდესაც ბათუმიდან გამოქცეული მებრძოლები გაყვიროდნენ - „გაგვყიდესო“, მათ **ნოე ჟორდანია** და **ირაკლი წერეთელი** შეხვედრიათ და ამ უკანასკნელს მათთვის მიუძახია: „თქვენ გლახებო, თქვენში ვინ დახარჯავს ფულსო“ (ურუშაძე, 1945:20).

მემუარების მიხედვით, ბათუმის დაცემის შემდეგ, 3 აპრილს ოსმალები მოიგერიეს **ჩაქვში**, მაგრამ „პარლამენტიორები“ გამოუგზავნიათ და ჩაბარება უთხოვიათ. ბათუმში პოლკის უფროსი იყო **ყარალაშვილი** (ურუშაძე,1945:20) - მე-2 ქართული ლეგიონის უფროსი, რომლის ლეგიონი ტრაპიზონში ნამსახური 500-მდე მებრძოლისგან შედგებოდა (მაზნიაშვილი, 2014:33). **ყარალაშვილი** დილით მებრძოლებთან მისულა, სადაც მას 3 ბატალიონი ჰყავდა და მათ გამოუცხადა უკანდახევისა და ქალაქიდან გასვლის შესახებ, მაგრამ ჯარისკაცები გაქცეულან. ისინი ჯავშნოსნის შიშითა და მუქარით უკან მიუბრუნებია **ვალოდია გოგუაძეს** (სიორიძე, 2002:222). რაზმს, რომელშიც ავთ. ურუშაძე იბრძოდა, ჩაქვში უკანდახევის დროს გზა ორჯერ შეუკრეს, თუმცა შეძლეს მისი გარღვევა და დაუახლოვდნენ სად. **ჩაქვს**, სადაც „ბრონევიკმა“ **ვალოდია გოგუაძემ ჩაქვის წყალთან** ოსმალებს ცეცხლი გაუხსნა და მტერი დიდი ზარალით უკუაგდო. მალე, 1918 წლის 13 აპრილს, მენშევიკებმა ვ. გოგუაძე ეროვნულ გმირად აღიარეს (შარაძე,1993:156).

გენერალ **მაზნიაშვილს** დაევალა 30 მარტს სადგურ ჩაქვიდან გაევლო ხეობა და ხელი შეეშალა ოსმალეთისათვის, რათა მათ არ დაეჭირათ სამების ფორტი (მაზნიაშვილი,2014:26). ასე ჩავიდნენ სად. ჩაქვში, შემდეგ კი მატარებლით ქობულეთში, სადაც ურუშაძის ცნობით, დახვდათ გენერალი **მაზნიაშვილი** რამდენიმე ხაშურელ ჯარისკაცთან ერთად (ურუშაძე, 1945:21), მაზნიაშვილის ცნობით ხაშურელ **ნიკიფორე იმნაიშვილს** 1300-მდე მებრძოლი შეუგროვებია (მაზნიაშვილი, 2014:38), თუმცა, შესაძლოა, გენერალი ქობულეთის სადგურთან მხოლოდ რამდენიმე მებრძოლის თანხლებით ყოფილიყო. როგორც ცნობილია, მაზნიაშვილს მიღებული ჰქონდა დავალება, რათა ოსმალები ჩოლოქს არ გამოცილებოდნენ (მაზნიაშვილი, 2014:31;38;43).

მეორე დღეს პარტიზანულმა რაზმმა პირნათლად შეასრულა ბრძანება და ჩოლოქის ხიდთან დაწყებული სანგრების კეთება ორ დღეში დაასრულა (მაზნიაშვილი,2014:43). ბრძოლის ხმა **ოზურგეთიდანაც** ისმოდა. მესამე დღეს **ნატანებში** გადავიდნენ და მატარებლით სადგურ **სუფსაში** მივიდნენ, საიდანაც ერთი დღით **ლანჩხუთში** გადასულან, შემდეგ **აკეთში** და იქედან კი **ნაგომარში**, სადაც მე-4 პოლკის ოფიცრებს შეხვედრიან.

გენერალ მაზნიაშვილის ცნობით, მე-4 ლეგიონმა, რომლის უფროსი იყო **პოლკოვნიკი წერეთელი**, არ მოისურვა არც **ბათუმში**, არც **ოზურგეთში** ბრძოლა. რამდენიმე დღეში **ნატანებში** შეხვდნენ ფედერალისტების რაზმს **გედევანიშვილის** მეთაურობით (ურუშაძე,1945:21), რომელიც ბათუმის ფორტების საერთო ხელმძღვანელი გენერალი **ა. გედევანიშვილი** უნდა

ყოფილიყო (სიორიძე,2002:217). მათთან ერთად ბრძოლა გამართეს **ვაშნარში,** საიდანაც შეძლეს მტრის მოგერიება, თუმცა ორივე მხარეს დიდი ზარალი განუცდია.

მაშინ, როდესაც ძალიან დიდი საფრთხე არსებობდა ოსმალეთის მხრიდან, ბათუმისა და ტრაპიზონის მიმართულებით ბოლშევიკებმა შიდაპოლიტიკური დესტაბილიზაციით ისარ-გებლეს და 1918 წლის მარტში უზრუნველყვეს „საბჭოთა აჯანყება“ **სამეგრელოში, აფხაზეთსა** და **ოსეთში,** ურუშაძის მიხედვით ასევე **დუშეთსა** და **ლეჩხუმში** (ურუშაძე,1945: 22).

ქართულ ჯარში ანტიბოლშევიკურ განწყობაზე დიდად იმოქმედა **ისიდორე რამიშვილისა** და **ანანია სალუქვაძის,** განსაკუთრებით კი **ზოსიმე ფირცხალაიშვილის** მისვლამ, რომელსაც ჯარისკაცებისთვის უჩვენებია ბოლშევიკების პროკლამაცია მოწოდებით, რათა ჯარისკაცებს დაეტოვებინათ ფრონტი და დახმარებოდნენ სამეგრელოსა და ლეჩხუმის აჯანყებულებს. ურუშაძის თქმით, ამ პროკლამაციით მაშინ ბევრს აეხილა თვალი. რამდენიმე ხანში ფრონტის ვითარება შეამოწმა **ნოე ჟორდანიამ.** მალე შეიქმნა ქართული ჯარი.

1918 წლის 22 აპრილს ამიერკავკასიის სეიმმა გამოაცხადა დამოუკიდებლობა. სეიმის თავ-რემ **აკაკი ჩხენკელმა** აცნობა ოსმალეთს, რათა გაგრძელებულიყო ტრაპიზონის მოლაპარაკება, მაგრამ ამაოდ. მტერმა 25 აპრილს აიღო **ყარსი.**

გერმანიის დაწოლით, თურქები დათანხმდნენ ტრაპიზონში შეწყვეტილი საზავო მოლაპარაკების ბათუმში განახლებას (სიორიძე, 2002:228), რომელიც მიმდინარეობდა მაის-ივნისში (11-26 მაისი; 31 მაისი-4 ივნისი).

ბათუმის კონფერენციას ესწრებოდნენ **აკ. ჩხენკელი, ნ. ნიკოლაძე** და სხვები, ხოლო ოსმალეთიდან -**ჰალილ-ბეი** და გენერალი **ვეხიბ-ფაშა.** როგორც ცნობილია, გერმანიას არ მოსწონდა მისი მოკავშირის - ოსმალეთის მიერ დიდი თურანის შექმნის გეგმა, რადგან ამიერკავკასიაში ლიდერობისთვის მათი ინტერესები ერთმანეთს შეეჯახა. ამიტომ გერმანია შეეცადა, რჩევა მიეცა ნ. ჟორდანიასთვის დამოუკიდებლობის გამოცხადების შესახებ. **ვ. ნოზაძის** შეფასებით, ბათუმის ხელშეკრულებით დასრულდა ომი ოსმალეთსა და საქართ-ველოს შორის, რომლის შედეგადაც საქართველომ დაკარგა მესხეთი (**ნოზაძე**, 1989:34).

წამყვან სახელმწიფოთა შორის არსებული წინააღმდეგობებისა და დაპირისპირებების გამოყენებას ცდილობდა საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის დიპლომატია. მენშევიკებმა ზავი დადეს ოსმალეთთან, თანახმად ბრესტ-ლიტოვსკის ზავისა, რომლის შედეგად თურქეთმა მიიღო **ბათუმის, ყარსისა** და **არდაგანის** ოლქები. ქართული დიპლომა-ტიის ცნობით, 1918 წლის 4 ივნისს გაფორმდა ამიერკავკასიის ცალკეული რესპუბლიკის საზავო ხელშეკრულება, რომელიც მოხდა ოსმალთა ხიშტების ძალდატანებით (ნოზაძე, 1989:37).

როდესაც 1918 წლის 26 მაისს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა, ბათუმისათ-ვის ბრძოლა გრძელდებოდა. ამ დროს **ავთ. ურუშაძე** თანამებრძოლებთან ერთად **ჩოლოქის** პირას იმყოფებოდა. შემდეგ იგი იბრძოდა **იმერეთში,** კერძოდ, **ბაღდადში, აბასთუმნის** მიმართულებით აჭარა-სამცხის საზღვარზე (ზეკარის ხეობა, რკინის ჯვარი), სადაც მე-12 პოლკის მეთაური იყო **სრესელი.**

1918 წლის ზაფხულში ბათუმში მომრავლდნენ თურქოფილები. ტრაპიზონი გამოიკვეთა, როგორც ბათუმზე შეტევის მოქმედების ბაზა. ამ დროს მიმდინარეობდა ქართული ჯარის ფორმირების პროცესი და ძალები მიმოფანტული იყო. **ბათუმის ზავით** ოსმალეთმა მიიღო

სამხრეთ-დასავლეთი საქართველო. სწორედ ამ უმძიმეს ვითარებაში შეიქმნა **„სამაჰმადიანო საქართველოს განთავისუფლების კომიტეტი“**, რომელსაც სათავეში ჩაუდგა **მემედ აბაშიძე.**

„ქართველ მაჰმადიანთა კომიტეტმა“ დაიწყო შეიარაღებული რაზმის შექმნა ადგილობრივებისაგან. მარტის თვიდან ბათუმი საომარ ყაიდაზე გადავიდა. გამოცხადდა 60 წლამდე ასაკის მამაკაცთა მობილიზაცია. ბათუმში თავი მოიყარა გენერალ **გ. მდივნის** ხელმძღვანელობით მნიშვნელოვანმა ძალებმა.

1918 წლის ნოემბერში გერმანიამ წააგო ომი და დაუზავდა ანტანტას. **მუდროსის ზავით** თურქეთმა დათმო საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიები. **ინგლისმა დაიკავა ბათუმი და აჭარა.** ზავის ყველაზე მნიშვნელოვანი მეშვიდე მუხლის თანახმად, „ანტანტის ქვეყნებს მათი უსაფრთხოებისათვის საფრთხის შექმნის შემთხვევაში ნებისმიერი სტრატეგიული ადგილის დაკავების უფლება ეძლეოდათ“. ქვეყნის დამანგრეველი ამ ხელშეკრულების ხელმოწერისთანავე ანტანტის ქვეყნებმა ანატოლიის ტერიტორიის დაკავება დაიწყეს (**პერტაია,** ინტერნეტ-რესურსი). ინგლისელებმა ბათუმში ადგილობრივ რუსულ პარტიასთან დაიწყეს თანამშრომლობა, ხოლო გერმანია საქართველოს „მფარველად“ ითვლებოდა.

1918 წლის ნოემბრის ბოლოს, მას შემდეგ რაც ანტანტამ გაიმარჯვა, ოსმალეთი განდევნეს. პარიზის საზავო ხელშეკრულება დაიდო 1919 წლის 14 მარტს. საქართველოს დელეგაცია ითხოვდა იურისდიქციას თბილისისა და ქუთაისის გუბერნიებზე, **ბათუმის, სოხუმისა და ზაქათალის ოლქებზე, ყარსის ოლქისა და ტრაპიზონის ვილაიეთის გარკვეულ ნაწილზე**. რუსეთმა და თურქეთმა გაინაწილეს გავლენის სფეროები ამიერკავკასიაში, რაც საბოლოოდ დასრულდა 1921 წლის 16 მარტის ხელშეკრულებით. ამის შედეგად თურქებს გადაეცა საქართველოს ისტორიული ოლქები **ართვინი, ოლთისი, არტაანი,** ასევე ოსმალეთმა უარი თქვა ბათუმსა და მის ოლქზე.

1921 წლის 18 მარტს საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობამ დატოვა საქართველო და ემიგრაციაში წავიდა. 1924 წლის აგვისტოს აჯანყების დამარცხების შემდეგ **ავთ. ურუშაძემ** თანამებრძოლთა ჯგუფთან ერთად დატოვა საქართველო.

ამრიგად, სტამბოლის ქართველთა სავანეში დაცული **ავთანდილ ურუშაძის მემუარები** შეიცავს არაერთ საყურადღებო ცნობას XX საუკუნის 10-იან წლებში ბათუმისა და მისი შემოგარენისათვის ბრძოლის შესახებ. ავტორის ინფორმაცია ძირითადად ემთხვევა ქართულ ისტორიოგრაფიაში აღიარებულ დასკვნებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

გამოყენებული წყაროები და სამეცნიერო ლიტერატურა:

1. გრძელიძე, 1995: - გრძელიძე რ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი (1914-1918), თბილისი.
2. მაზნიაშვილი, 1990: მაზნიაშვილი გ., მოგონებანი (1917-1925), ბათუმი.
3. მაზნიაშვილი, 2014: მაზნიაშვილი გ., მოგონებანი, თბილისი.
4. ნოზაძე, 1989: ნოზაძე ვ., საქართველოს აღდგენისათვის ბრძოლა მესხეთის გამო. თბილისი.
5. სდს, 2008:სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, აჭარა, ბათუმი.
6. სიორიძე, 1998: სიორიძე მ., საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტი, ბათუმი.

7. სიორიძე, 2002:სიორიძე მ., სამხრეთ-დასავლეთ საქართველო 1914-1918 წლებში, ბათუმი.

8. სიორიძე, 2011:სიორიძე მ., ნარკვევები ბათუმის ისტორიიდან, I, თბილისი.

9. სულაძე, 2010.: სულაძე გ., ქართული ანტისაბჭოთა ემიგრაცია და სპეცსამსახურები (1918-1953 წწ.), თბილისი.

10. ურუშაძე, 1945: ურუშაძე ავთ., მოგონებანი, პარიზი.

11. ურუშაძე, 2011: ურუშაძე ლ.ზ., როგორ არ უნდა იწერებოდეს ისტორია, თბილისი.

12. შარაძე, 1991: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 1, თბილისი.

13. შარაძე, 1993: შარაძე გ., უცხოეთის ცის ქვეშ, წ. 2, თბილისი.

14. პერტია:https://matiane.wordpress.com/2010/02/15/independent-georgia-and-english-french-ships /დ. პერტაია, დამოუკიდებელი საქართველო და ინგლის-საფრანგეთის გეგმები (1918-1921 წწ.).

15. ურუშაძის ბიოგრაფია:

16. https://ka.wikipedia.org/wiki/%E1%83%90%E1%83%95%E1%83%97%E1%83%90%E1%83%9C%E1%83%93%E1%83%98%E1%83%9A_%E1%83%A3%E1%83%A0%E1%83%A3%E1%83%A8%E1%83%90%E1%83%AB%E1%83%94

Shushana Putkaradze, Roin Malakmadze,
Tamila Lomtatidze, Naila Chelebadze,
Elza Putkaradze, Shorena Putkaradze
(Batumi, Georgia)

Fighting for Batumi and its suburbs in the 10 –s of of the XX th century
(According to the memoirsby Avtandil Urushadze preserved Istanbul)

Summary

Among the memories preserved in Georgian catholic priory important place is given to the heritage by Avtandil Urushadze., which contains many essential information about the battle for the suburbs of Batumi in the 10-ths of the XX th century. The author talks about the social and political situation existing in the country, about the each statesman and the political persons unknown until today.

The information given by the author coincides to the information admitted in Georgian historiography connected to the mentioned subjects.

The existence and the sequence of the descriptions makes us think that the author had been writing the diary about the sunject for a long time and finished writing in 1945 in Paris while being in emigration.

შუშანა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე,
ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე

სტამბოლის ქართული კულტურის სავანეში დაცული ერთი წერილის ისტორია

ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის ფოლკლორის, დიალექტოლოგიისა და ემიგრანტული ლიტერატურის კვლევის განყოფილების წევრები: ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი შუშანა ფუტკარაძე, ფილოლოგიის დოქტორი ნარგიზ ახვლედიანი, განყოფილების მეცნიერი თანამშრომელი ციალა ნარაკიძე და მოწვეული სპეციალისტი, დოქტორანტი შორენა ფუტკარაძე 2014 წლის 7 ნოემბრიდან 3 დეკემბრის ჩათვლით ვიმყოფებოდით სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის ფონდთან შექმნილ ბიბლიოთეკასა და არქივში, სადაც აღვრიცხეთ და ენობრივი მონაცემების მიხედვით დავალაგეთ 5 000-ზე მეტი წიგნი (სულ 5135 წიგნი).

ექსპედიციის წევრები ასევე ვაგროვებდით ფოლკლორულ და დიალექტოლოგიურ მასალებს ქართველი მუჰაჯირების შთამომავლებთან. სამეცნიერო ექსპედიცია სტამბოლის ქართულ სავანეში ბათუმის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ამ უნივერსიტეტის საპატიო დოქტორის, ბატონ სიმონ ზაზაძისა და მისი ოჯახის ფინანსური მხარდაჭერით განხორციელდა. სწორედ სავანის ბიბლიოთეკაში დაცულ „პერიოდიკაში“ მივაკვლიეთ 1897 წელს გაზეთ „ივერიაში“ გამოქვეყნებულ სტატიას: „წერილი ბათუმიდან“, რომელიც ეძღვნება სულმნათ პოეტს – **აკაკი წერეთელს** (სიმბოლურია, რომ წელს სწორედ მისი საიუბილეო წელია საქართველოში და სტამბოლის ქართული კულტურის სავანის ბიბლიოთეკაც აკაკი წერეთლის სახელობისაა). აქვე უცვლელად წარმოგიდგენთ მცირე ამონარიდს ამ წერილიდან და ვფიქრობთ რომ ამ სიტყვებს დღესაც არ გასვლია ყავლი.

„14-ს იანვარს, ნინოობას, დანიშნულმა საღამომ ჩვეულებრივ საუცხოვოდ ჩაიარა... მხიარულება და დროსგატარება წმინდა ქართული იყო. აკაკიმ წაიკითხა თავისი ახალი, დღესასწაულის შესაფერისი ლექსი, რომელმაც აღტაცებაში მოიყვანა საზოგადოება... აკაკი დარჩა კიდევ ცოტახნის სტუმრად ბათუმში. ამისმა პატივისმცემლებმა ისარგებლეს ამ შემთხვევით და გაუმართეს სასიქადულო სტუმარს ვახშამი, რომელზედაც წარმოსთქვეს მოკლე სიტყვა უგანათლებულესმა თავადმა **გიორგი შარვაშიძემ** და **გრ. ვოლსკიმ**. აკაკიმაც წარმოსთქვა სიტყვა. აი, ეს სიტყვა სრულად და შეუცვლელად.

„ბატონებო!

ნება მიბოძეთ, რომ გულითადი მადლობა შემოგწიროთ საერთოდ ამ უზომო პატივისცემისათვის. მოხარული ვარ, აქა გხედავთ ერთად, და ბედნიერი, მით უფრო, რომ მიზეზი მე გავხდი თქვენი აქ შეკრებისა. ისე უგნური და თავხედი არ გახლავართ, რომ ის, რაც დღეს აქ წარმოითქვა ჩემ შესახებ, დავიჯერო და საკუთრად ჩემ თავზე მივიწერო. თუ მცირეოდენი წილიც-კი მიძევს, მაშინაც საკმაოდ ბედნიერად ვთვლი ჩემს თავს, და გული სამხიარულოდ გაიშალოს მზად არის... გახსნილ გულს ყოველთვის თან ახლავს აშვებული

ენაც, და ამიტომ ნუ გაგიკვირდებათ, თუ იმისთანა რამ წამომცდეს დღეს, რომელიც აქამდე ჩემგან არ გაგიგონიათ! მოგახსენებთ ერთ ძველ ამბავს. ჩვენ უკანასკნელ მეფეების დროს, სხვათა შორის, **დათუნა გოცირიძეც** შესამჩნევ ვაჟკაცად იხსენიებოდა ხოლმე. მთელი მისი სიცოცხლე მტრებთან ბრძოლაში გაატარა, და მის ერთგულებას სიბერემდე არა დაჰკლებია-რა. როდესაც დაუძლურდა, მაშინ მოაგონდა **მეფე სოლომონს** და უწყალობა შესანიშნავი ხმალი. მოხუცმა მოწიწებით მიიღო ბატონის წყალობა, მაგრამ გულში-კი სთქვა: „რაღა დროს? სანამდი სურვილს ძალღონეც შესტანდა, მაშინ უბრალო, ბლაგვ-ხმალს ვიქნევდი აქეთ-იქით მტრის მოსაგერებლად და დღეს-კი, როდესაც სურვილის მეტი აღარა შემრჩა-რა სიბერით, როგორ გამოვიყენოო? პირადად აღარას მარგებს და თუ ჩემ შვილებს გადავეცი, არც ის ივარგებსო: ისინი, ჩემდა საუბედუროდ, ვერ არიან ერთმანეთში კარგად და ვაი თუ ერთმანეთს დაუშინონო!.. უმჯობესია, საყდარში შევიტანო, ხატის წინ დავდვა, – მე ვილოცო, და, როდესაც ჩემი შვილები გონს მოვლენ ღვთის წყალობით, გამოიტანონ და მოიხმარონ მტრის მოსაგერებლადო! აიღო ის ხმალი და ნიკოლოოზ-წმიდას (ანუ, როგორც მდაბიოდ ეძახიან, ნიკოწმინდას) შესწირა...

მეც, სწორედ, ამ დათუნას დღეში ვარ. სანამ ახალგაზრდა ვიყავ, ძალღონით ავსილი, მაგ თანაგრძნობას მოკლებული ვიყავ. ჩემი ერთგულება პირ-იქით, სიძულვილს იწვევდა. მართალია, მტრები გამირბოდნენ, მაგრამ მოყვრებსაც ვერ ვხედავდი ჩემ სიახლოვეს, და დღეს-კი, როდესაც „ის ველარ ვარ, რაც ვიყავ“, ქვეყნის თანაგრძნობა დათუნას ხმალივით უდროვოდ მომეწყალობა. პირადად ჩემთვის აღარაფერი გამოსადეგია და, არ ვიცი, რომელ „ნიკოწმინდას“ შევწირო, რომელ ტრაპეზზე დავდვა? სხვებს რომ გადავცე, ისიც საეჭვოა, რადგანაც დღევანდელი ჩვენი ინტელიგენცია, ჩვენი საზოგადო მოღვაწეები, ცოტა არ იყოს, წაჰგვანან დათუნას შვილებს. უცხოელებს ერთი ანდაზა აქვსთ: „ჭკუა კარგია და ორი კიდევ უკეთესიო!“ ეს ანდაზა ჩვენში საუკუღმართოა: „ჭკუა კარგია და ორი კი უბედუ-რება“. დღეს ჩვენ ბევრი ნიჭიერი ახალგაზრდები გვყავს, საკმაოდ მომზადებული. თვითეუ-ლი მათგანი, თავის-თავად, სადაც, უნდა იყოს, რომელ სარბიელზედაც ძალაა, მაგრამ, თუ გვერდში სხვა მისივე ტოლი ძალა ამოუდგა... მშვიდობით!.. აღარა გაკეთდება-რა!.. ეს ძალები ეხლებიან ერთმანეთს და ბატის კვერცხებივით ერთმანეთს ალაყებენ.

ეს არის ჩვენი დღევანდელი ჭირი, თუმცა მემკვიდრეობითი-კი, და ამ მხრით ჩვენ ძალიან დაქვეითებული ვართ, მაშინ, როდესაც პირუტყვებმაც-კი იციან ერთმანეთის მიმხრობა გაჭირვების დროს!.. მეცხვარის ძაღლებს რომ ჩხუბი მოუდით ხოლმე და ერთ-მანეთსა ჰგლეჯენ, მაშინ იმათი გაზავება აღარაფრით ხერხდება, აღარც კეტით, აღარც ქვით და აღარც ცივი წყლის გადასხმით; მაგრამ იმ გაგიჟებისა და გაბრაზების დროსაც, ერთი თუ ვინმემ დაიძახა: „მგელი! მგელიო!“ ძაღლები ერთმანეთში ჩხუბს თავს ანებებენ და ერთად გარბიან მგლის მოსაგერებლად. ჩვენ კი... **ჩვენ ჯერაც ვერ გაგვიცალცაკეებია საპირადო და საზოგადო!!..** გაწვრთნა გვაკლია და გაუწვრთნელი ხარიც არ გაიბმის უღელში; ვეცადოთ, რომ ამ სენს როგორმე თავი დავახწიოთ, თორემ უამისოთ ყოლიფერი უქმია და უნაყოფო: სადღეგრძელოცა, მრავალჟამიერებაც და ამგვარი თანა-გრძნობაც, რომელსაც მე დღეს მიცხადებთ, დათუნას „ხმალივით გამოუსადეგარს“ ***[“ივერია”, №10, 1897: 2-3].***

1897 წლის 14 იანვარს ბათუმის საზოგადოების წინაშე წარმოთქმული აკაკი წერეთლის სიტყვა ქართველი ხალხის სულიერების გაჯანსაღებას ემსახურება; ერთგვარი გაკვეთილია, სარკეა პოეტის სიტყვებით დანახული ჩვენი სამშობლოს სინამდვილისა. ეს ბრძნული დარიგებაა ჩვენი ერისათვის დამახასიათებელი ნაკლოვანი მხარეების გამოსასწორებლად. ამიტომაც გამოვიტანეთ სამსჯელოდ, დღევანდელი და მომავალი თაობების ქართული ხასიათის საწვრთნელად. როგორც ვხედავთ, ამ სიტყვების წარმოთქმის შემდეგ გავიდა თითქმის ასოცი წელი, მაგრამ ქართველი კაცის ხასიათში ჯერ კიდევ შეინიშნება ნაკლოვანი მხარეები. სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე სასულიერო პირებმაც, ალბათ, იმიტომ შეინახეს გაზეთ „ივერიის“ ეს ნომერი, რომ სავანის ბიბლიოთეკაში მოსულ ქართველებს წაეკითხათ დიდი მამულიშვილის, „საქართველოს ბულბულის“ – აკაკი წერეთლის ეს გულსატკენი სიტყვები და ყოველმხრივ კეთილშობილ, ურთიერთ მოსიყვარულე თანამემამულეებად ქცეულიყვნენ. „მოყვარეს პირში უძრახე და მტერს პირს უკანაო“, უთქვამთ ჩვენს წინაპრებს. ამასვე ემსახურება დიდი აკაკის მიერ წარმოთქმული სამადლობელი სიტყვაც.

სამეცნიერო მივლინებაში მყოფი თითოეული ჩვენგანი მადლიერების გრძნობით კითხულობს დიდი პოეტის შთამაგონებელ სიტყვებს; მადლობას მოახსენებს სტამბოლის ქართულ სავანეში მოღვაწე დიდებული სასულიერო პირების ნათელ სულს ამ სავანის ბიბლიოთეკაში შემონახული ქართული კულტურული მემკვიდრეობის შექმნისათვის. უფალმა ნათელში ამყოფოს მათი სათუთი სული. სავანის ამჟამინდელი პატრონი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბათუმის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი ბატონი სიმონ ზაზაძე კი ღმერთმა ჯანმრთელად და დღეგრძელად ამყოფოს ჩვენი სამშობლოს, თურქი და ქართველი ხალხის კულტურული ურთიერთობის წინსვლის სამსახურში.

გამოყენებული ლიტერატურა:

“ივერია”, №10, 1897: – წერილი ბათუმიდან, გაზეთი “ივერია”, 1897 წლის №10.

Шушана Путкарадзе, Циала Наракидзе,
Наргиз Ахвледиани, Шорена Путкарадзе
(Батуми, Грузия)

В гостях в Стамбульской обители грузинской культуры

Резюме

Члены отделения фольклористики, диалектологи и исследования эмигрантской литературы института имени Нико Бердзенишвили Батумского государственного университета Шота Руставели: доктор филологических наук, профессор Шушана Путкарадзе, доктор филологии Наргиз Ахвледиани, научный сотрудник отделения Циала Наракидзе и приглашённый специалист Шорена Путкарадзе – с 7 ноября до 3 декабря 2014 года находилась в библиотеке и архиве, созданном при фонде Стамбульской грузинской католической церкви, где описали и разложили по языковым данным более 5000 книг (всего 5135 книг).

მერაბ ხალვაში, როინ მალაყმაძე,
შუშანა ფუტკარაძე, ბიჭიკო დიასამიძე,
ნოდარ კახიძე

სახელი მისი მარად დარჩება

(სიმონ ზაზაძის გარდაცვალების გამო)

თურქეთში მცხოვრებმა ქართველობამ, მისმა სათაყვანებელმა საქართველომ, განსაკუთრებით კი მისმა მშობლიურმა მესხეთმა, აჭარამ დიდი და აუნაზღაურებელი დანაკლისი განიცადა. 2016 წლის 5 ოქტომბერს, 86 წლის ასაკში ჟენევაში გარდაიცვალა საქართველოს დიდი მეგობარი და თაყვანისმცემელი, საქართველოს საპატიო მოქალაქე, ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის სახელმწიფო უნივერსიტეტების საპატიო დოქტორი და პროფესორი, სტამბოლის ქართული სავანის კომანდატორი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე, ბიზნესმენი და მეცენატი, მსოფლიოში ცნობილი კომპანიის „ზაზა ჰოლდინგის“ მფლობელი, თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის ვიცეპრეზიდენტი, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი **სიმონ პავლეს ძე ზაზაძე.**

სიმონ ზაზაძე დაიბადა 1930 წელს სტამბოლში, ცნობილი ბიზნესმენის პავლე ზაზაძის ოჯახში. სიმონის მამა-პავლე ზაზაძე წარმოშობით საქართველოდან (ადიგენის რაიონი, სოფელი უდე) იყო. იგი 1913 წელს, 14-15 წლის ასაკში, სტამბოლში ჩაიყვანა სოფელ არალის (ადიგენის რაიონი) მღვდელმა, შემდეგში ფართოდ ცნობილმა საზოგადო და სასულიერო მოღვაწემ და პედაგოგმა, ბეირუთის ფრანგული უნივერსიტეტის პროფესორმა, შალვა ვარდიძემ, რომელიც პავლეს ბიძა იყო დედის მხრიდან.

პავლე ზაზაძეს სწავლის გაგრძელება სურდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ ვაჟთა სასულიერო სასწავლებელში. მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. მალე პირველი მსოფლიო ომი დაიწყო და ვითარება შეიცვალა. ცხოვრება სტამბოლშიც აირია, სკოლები დაიხურა. ბევრი მოსწავლე გერმანიასა და პოლონეთში გაიხიზნა. პავლე კი მისი ნათესავების რჩევით სტამბოლში დარჩა და სამუშაო იშოვა, მისი ბიძა **შალვა ვარდიძე** ამ დროს სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის მღვდელი იყო. მაშინ სტამბოლში ბევრი კათოლიკე მესხი ცხოვრობდა; უმეტესობა ვაჭრობას მისდევდა. პავლემ ორი წელიწადი ნათესავთან იმუშავა, ვაჭრობა ისწავლა დ ფულის დაგროვებაც შეძლო. მალე სავაჭრო ადგილიც შეიძინა და აქტიურ ვაჭრობას შეუდგა. თანდათან ხელი მოემართა, დაწინაურდა და სტამბოლში ერთ-ერთი ცნობილი პიროვნება გახდა. მიუხედავად ამისა, პავლე ძლიერ განიცდიდა, რომ მშობლიურ საქართველოს მოსცილდა და სულ სამშობლოში დაბრუნების იმედით ცხოვრობდა, ნატრობდა მშობლებისა და ნათესავების ნახვას. იგი უდელი აზნაურის სიმონ ზაზაძის ვაჟი იყო. დედა კი, როგორც ითქვა, ცნობილი საზოგადო მოღვაწისა და სასულიერო პირის – შალვა ვარდიძის და გახლდათ, სოფელ არალიდან უდეში გამოთხოვილი. მშობლებს რვა ვაჟი შეძენიათ, რომელთაგან სამი პატარა დაღუპულა, ხუთი კი – სტეფანე, ლევანი, ალიოზი, კაკულა და პავლე მშობლებმა გაზარდეს. ამათგან მხოლოდ პავლე გაგზავნეს

სტამბოლში, რათა განათლება მიეღო და სამშობლოს განათლებული პიროვნება დაბრუნებოდა. მაგრამ მას სამშობლოში დაბრუნება არ ეღირსა. სიცოცხლის ბოლომდე სტამბოლში მოღვაწეობდა. აქვე დაუახლოვდა ჩილინგარიშვილების ცნობილ ოჯახს და ცოლად შეირთო ამ გვარის წარმომადგენელი **მარი (მარიამ) ჩილინგარიშვილი,** რომელიც დედით ბათუმელი ბეჟანიძე იყო. ჩილინგარიშვილებიც ბათუმიდან გადასახლებული კათოლიკები იყვნენ. მალე პავლესა და მარიამს ქალ-ვაჟი შეეძინათ. ვაჟს პავლემ მამის სახელი **სიმონი** დაარქვა, ქალიშვილს კი **ანიტა**.

პავლეს ძალზე ახლო ურთიერთობა ჰქონდა სტამბოლის ქართველთა სავანესთან, აქ არსებულ დედათა და მამათა მონასტრების მესვეურებთან; მამათა მონასტრის მღვდელი იყო ცნობილი ლიტერატურათმცოდნე, მწერალი **შალვა ვარდიძე,** მისი ბიძა; დედათა მონასტრის წინამძღვარი კი იყო მეუღლის დეიდა **ანა (ელისაბედ) ბეჟანიძე,** ბათუმელი. ამ დროს მონასტერსაც უჭირდა ცხოვრება, მცირდებოდა ბერ-მონაზვნების რიცხვი. უიმედო აღმოჩნდა მონასტრის წინამძღვართა ცდაც ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ლტოლვილ კათოლიკე ემიგრანტთა მხრივ მხარდაჭერასა და დახმარებაზე. მონასტრის მეთვალყურეობა და მზრუნველობა მხოლოდ **პავლე ზაზაძემ** და საქართველოს დამოუკიდებლობის კომიტეტის სტამბოლის ბიუროს ხელმძღვანელმა **სანდრო მენაღარმა** (მენაღარიშვილმა) იკისრეს. ეს უკანასკნელი საქართველოს ყოფილი საგარეო საქმეთა მინისტრის ბატონ ირაკლი მენაღარიშვილის მკვიდრი ბიძა იყო.

პავლე ზაზაძე 1989 წლის აგვისტომდე ერთგულად დარაჯობდა სტამბოლის ქართველთა სავანეს. იგი 1964-1989 წლებში გახლდათ სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი. ამავდროულად მისი გულისყური საქართველოსკენ იყო მიპყრობილი და ნატრობდა, რომ ერთხელ მაინც ენახა მშობლიური სოფელი **უდე**. სამშობლოს ნოსტალგია მას კიდევ უფრო გაუძლიერდა ხანდაზმულობის ჟამს. 1988 წელს სარფის სასაზღვრო კარის გახსნამ პავლეს იმედი ჩაუსახა, რომ უდეს ნახავდა, მაგრამ ოცნება არ აუსრულდა, 1989 წლის აგვისტოს თვეში იგი ჯანგატეხილი გარდაიცვალა. მისი თვითმხილველების თქმით, სიცოცხლის ბოლომდე, ლოგინად ჩავარდნამდე, თითქმის ყოველდღე ტაძარში დადიოდა, ლოცულობდა, სანთლებს ანთებდა. ეამაყებოდა, რომ **ექვთიმე თაყაიშვილის** მსგავსად, ერთგულად დარაჯობდა უცხოეთის ცის ქვეშ შენახულ ქართულ საუნჯეს. იგი სიამაყით ათვალიერებდა ახალციხის სოფლებიდან ჩამოტანილ ხეხილის ნერგებით შემოსილ მონასტრის ბაღს და ეს მას ნუგეშს აძლევდა. მისი გარდაცვალების შემდეგ კი სტამბოლის ქართული ტაძრის ნამდვილ პატრონად, ვინც ამ ტაძარს აძლიერებდა და ტაძრის გარშემო სტამბოლში თუ საერთოდ, თურქეთში მცხოვრებ სხვადასხვა აღმსარებლობის მატარებელ ქართველობას ერთმანეთთან აკავშირებდა, მათ მზრუნველობასა და დახმარებას უწევდა, იყო პავლე ზაზაძის საამაყო შვილი **სიმონ ზაზაძე**, დასახელებული ფონდის პრეზიდენტი (1989-2016 წ.წ.).

1990 წლიდან იწყება ბატონ სიმონის დამოუკიდებელი აქტიური და დაუღალავი მუშაობა სტამბოლის ქართველთა სავანეში. იგი სიცოცხლის ბოლომდე ერთგულ დარაჯად ედგა სავანეს, მის მეტად მდიდარ ბიბლიოთეკასა და სიძველთსაცავს, რომელმაც მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა ურთიერთობისა და დაახლოების საქმეში. დღეს რომ სავანეს დაარსების 155 წლისთავი უსრულდება (გაიხსნა 1861 წელს) და მისი

მიღწევებიც ალბათ ფართოდ აღინიშნება, ამაში სიმონის წვლილიც დიდია. ბატონ სიმონის დამსახურებაა, რომ სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანში ლამაზად მოვლილი და დამშვენებული ქართველ კათოლიკეთა წმინდა ტაძარი დგას და წარმატებითაც ასრულებს იგი თავის ტრადიციულ ფუნქციას. სიმონის დამსახურებაა, რომ ხელუხლებადაა შენარჩუნებული და დაცული სავანის მდიდარი და ძვირფასი ბიბლიოთეკა. როდესაც 1970-იან წლებში სტამბოლის ქართველთა მონასტერი და სასწავლებლები დახურვის პირას დადგა და მის ძველ შენობებს, ქართველთა წმინდა სალოცავებს, საფრთხე დაემუქრა, სიმონის წყალობით გადარჩა ისინი, არადა, შესაძლებელია მთლიანად წაშლილიყო ქართველთა კვალი ამ მიდამოებში. უფრო მეტიც, ადგილობრივ ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით და სიმონის ხელმძღვანელობით მონასტრის ძველი სასწავლებლის ადგილას აშენდა ცოდნის ახალი კერა სკოლა-ლიცეუმის სახით, რომელსაც „ოზელ ბილგი კოლეჯი“ ეწოდა. ამიტომაც, სიმონ ზაზაძის დამსახურება დიდია სტამბოლის ქართველთა სავანის ისტორიაში. ამიერიდან, ს. ზაზაძის საქმეს, ცხადია, წარმატებით გააგრძელებს მისი შთამომავლობა, კერძოდ, სიმონ **ზაზაძის მეუღლე** და შვილები, და-ძმანი, **ნატალი, პავლე და პაულა ზაზაძეები.**

სტამბოლის ქართული სავანე (მდიდარი ბიბლიოთეკა და არქივი) დღეისათვის **ერთადერთი ქართული კულტურის კერა გახლავთ საზღვარგარეთ**. ისტორიულად მოქმედი ქართული კულტურის საზღვარგარეთული კერები ზოგი განადგურდა, დიდი ნაწილი კი გასხვისდა. **მხოლოდ თურქეთის რესპუბლიკამ შემოგვინახა ქართული კულტურული მემკვიდრეობის მდიდარი საუნჯე ზაზაძეების გულისხმიერი დამოკიდებულებით, სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის წყალობით**.

ამიტომაც საჭირო და აუცილებელია მკითხველმა იცოდეს ბატონ სიმონის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ისტორია, რომელიც სამუდამოდ აღიბეჭდება არა მარტო სტამბოლის, არამედ მთელი თურქეთის ქრისტიან და მუსლიმ ქართველთა ურთიერთდამოკიდებულებაში, სტამბოლის ქართველთა მონასტრის ცხოვრებაში, **საქართველო-თურქეთის მრავალსაუკუნოვანი კულტურული ურთიერთობის ისტორიაში**.

სიმონ ზაზაძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. სამი წლის ასაკში თავისუფლად ლაპარაკობდა სამ ენაზე – ქართულ, ფრანგულ და თურქულ ენებზე. ოთხი წლის ასაკში კი კარგად კითხულობდა ფრანგულ და თურქულ გაზეთებს. ფრანგულს და თურქულს მას ასწავლიდა დედა **მარი (მარიამი) ჩილინგარიშვილი,** ქართულს კი **შალვა ვარდიძე,** რომელიც ერთხანს ბეირუთის უნივერსიტეტში პროფესორად მუშაობდა. პატარაობიდანვე იტაცებდა სიმონს სხვადასხვა ენები. ხანში შესული სიმონი კი ნამდვილი პოლიგლოტი იყო. სრულყოფილად ფლობდა თურქულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ბერძნულს, იტალიურს, ლათინურს, ესპანურს და ბუნებრივია, ქართულს. თავისუფლად წერდა და კითხულობდა ამ ენებზე. ენების ცოდნით ზაზაძეების ოჯახი საერთოდ გამოირჩეოდა. შვილები და შვილიშვილები სიმონს ბაძავენ – თითქმის ყველა მათგანმა იცის 4-5 ენა.

პატარა სიმონი დედათა მონასტერთან არსებულ ბავშვთა ბაღში დადიოდა. აქ აჩვევდნენ მას თავისი აღმზრდელ-მასწავლებლები ღვთისმოყვარეობას და ღვთისმსახურებას, უფროს-უმცროსთა პატივისცემას. ოთხი წლის სიმონი შემდეგ გერმანულ დაწყებით სკოლაში გადაუყვანიათ, მაგრამ მეორე მსოფლიო ომის წინ ეს სკოლა დაუხურავთ და სწავლა ინგლისურ სკო-

ლაში, ცნობილ „რობერტ კოლეჯში“ გაუგრძელებია, სადაც, სხვა მოსწავლეებისაგან განსხვავებით, გამოირჩეოდა თავისი სიბეჯითით, აკადემიური მოსწრებით. თურქეთის მაშინდელი კანონების თანახმად, ყველა მოსწავლე ვალდებული იყო თურქული ლიცეუმი დაემთავრებია. ამიტომ მას კარგად მოუმზადებია თურქული ლიცეუმის პროგრამა, ექსტერნად ჩაუბარებია გამოცდები და ეს ლიცეუმიც, წარჩინებით დაუმთავრებია.

ლიცეუმის შემდეგ სიმონს სტამბოლის უნივერსიტეტშიც წარჩინებით ჩაუბარებია გამოცდები (40 შესაძლებელი ქულიდან 40 მოუგროვებია) და ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გამხდარა. ამავდროულად მას თურმე ექიმობის პროფესიაც იტაცებდა და ამავე უნივერსიტეტის საღამოს განყოფილების სამკურნალო ფაკულტეტზეც სწავლობდა. აქაც წარჩინებული სტუდენტი ყოფილა. თუმცა, მამის დაჟინებითი თხოვნით, სამკურნალო ფაკულტეტი შემდეგ მიუტოვებია, მეოთხე კურსიდან გამოსულა. მან ეკონომიკური ფაკულტეტი წარჩინებით დაამთავრა. სპეციალობის კარგად დასაუფლებლად ლონდონში წავიდა და იქვე დაიცვა სადოქტორო დისერტაცია ეკონომიკის საკითხებზე. სიმონი იგონებდა, რომ მამის სურვილი ყოფილა საკუთარი წარმოება გაეხსნა და თავიდანაც ამისთვის ამზადებდა შვილს. მამამისმა – პავლემ, მართლაც, ჩაუყარა საფუძველი საპნის, ტექსტილის, კოსმეტიკის საფაბრიკო წარმოებას, რომელთა ბაზაზე შექმნილია მსოფლიო მნიშვნელობის გაერთიანება–„**ზაზა–ჰოლდინგი**“. მას მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში საწარმოები-ფაბრიკები აქვს გახსნილი. აქედან მიღებული შემოსავლის დიდი ნაწილი ზაზაძეების ქველმოქმედებას ხმარდება. სიმონის მოღვაწეობა ამ მხრივაც ყოველთვის გამორჩეული, მისაბაძი იყო.

ბატონი სიმონ ზაზაძე ერთხანს სამეცნიერო მუშაობითაც ყოფილა გატაცებული. ბეირუთის ფრანგული უნივერსიტეტშიც კი ლექციების წასაკითხავად მიუწვევიათ. სწორედ, აქ ყოფნის დროს გაუცვნია მას ბეირუთელი ქალიშვილი, წარმოშობით ფინიკიელი **ქლაუდე (ქლოდ) ინჯეა,** რომელიც შემდეგში მისი მეუღლე გახდა. იგი დღეს **ზაზაძის** გვარს ატარებს და ხასიათდება კეთილშობილური თვისებებით, როგორც განათლებული და სათნო პიროვნება. მას ბეირუთის წმ. იოსების უნივერსიტეტი დაუმთავრებია. კარგად ფლობს 5 ენას (თურქული, არაბული და სამი ევროპული).

ბატონი სიმონი მუსიკაშიც ავლენდა ნიჭიერებას. მისი დედაც მუსიკის მოყვარული ყოფილა. თავის შვილებს–სიმონსა და ანიტას მან ჩაუნერგა მუსიკისადმი სიყვარული და ამ საქმეშიც მისცა შვილებს სათანადო განათლება. ბავშვობაში სიმონი კარგად უკრავდა ვიოლინოზე კლასიკური მუსიკის ნიმუშებს. მას განსაკუთრებით ჰყვარებია მოცარტისა და პაგანინის მუსიკა. როგორც თავად იგონებდა საუბარში, 5 წლიდან 17 წლამდე კარგად უკრავდა ვიოლინოზე და წარმატებებითაც გამოდიოდა ბავშვთა და მოსწავლეთა კონცერტებზე.

სიმონ ზაზაძე მისაბაძი მამა და ბაბუა იყო. მას ფინიკიელ ქალბატონ ქლაუდეასაგან სამი შვილი დარჩა – **ნათალი** (ნატალია), **პაულა** და **პავლე** (პოლი). **პავლე ბაბუას სეხნიაა** ისე, როგორც თვითონ **სიმონი იყო თავისი ბაბუას სეხნია.**

ნათალი ზაზაძე იურისტია. უმაღლესი განათლება მან შვეიცარიაში მიიღო. იცის ქართული და უყვარს საქართველო. მისი მეუღლეა სტამბოლელი ბერძენი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი **აქსპენდიოს ქალანგოსი.** ცოლ-ქმარი ამჟამად ცხოვრობს ჟენევაში. მათ ჰყავთ ორი ვაჟი–**კონსტანტინე და ალექსანდრე.** ქალანგოსი ჟენევის უნივერსიტეტის სამედიცინო ფაკულტეტის კლინიკური საავადმყოფოს დირექტორია. **არის მსოფლიო ჰუმანიტარული**

საზოგადოების პრეზიდენტი და ცნობილი კარდიოქირურგი. სიმონ ზაზაძის თხოვნით, სიძემ თბილისი საყვარელ ქალაქად გაიხადა და აქ, კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში, გახსნა კარდიოქირურგიის კლინიკა, რომლის სახელია „ღია გული“. ყოველწლიურად ჩამოდიოდა თბილისში და უსასყიდლოდ აკეთებდა გულის ურთულეს ოპერაციებს. ამ კლინიკაშია ამჟამად გახსნილი სიმონ ზაზაძის მშობლების–**პავლე და მარიამ ზაზაძეების სახელობის კაბინეტი**. დასაფასებელია, რომ შვეიცარიელმა პროფესორმა, სიმონის სიძემ, სწორედ, თბილისში გახსნა აღნიშნული კლინიკა.

სიკვდილის წინ სიმონიც სწორედ შვეიცარიაში, ჟენევის კლინიკაში ჩავიდა კარდიოქირურგ სიძესთან გულის ოპერაციის გასაკეთებლად. მაგრამ ბედმა უმტყუნა და ოპერაციამდე გარდაიცვალა.

მამის პროფესიას გაჰყვნენ **პაულა** და **პავლე ზაზაძეები. პაულა** ძალიან განათლებული ქალია. დაამთავრა ორი უნივერსიტეტი. უყვარს საქართველო და ხშირად ჩამოდის სტუმრად. **პავლემ** კი სტამბოლის ცნობილი „რობერტ კოლეჯი“ დაამთავრა; საშუალო და უმაღლესი განათლება ამერიკაში მიიღო. **დაამთავრა ჰარვარდის უნივერსიტეტის ბიზნესის ფაკულტეტი** და ამ დარგში უმაღლესი ხარისხიც აქვს მიღებული.

ამრიგად, ზაზაძეების ოჯახი ცნობილია არა მარტო თურქეთში, არამედ ევროპისა და აზიის მრავალ ქვეყანაში, ისტორიულ სამშობლოშიც, საქართველოში. ამიტომაც, ბატონ სიმონს როგორც თურქეთის, ისე სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან მიღებული ჰქონდა სხვადასხვა ჯილდოები. მას ჰქონდა ფაბრიკები ბულგარეთში, საფრანგეთში, ერაყში და ყველგან პატივისცემით სარგებლობდა. დაკავშირებული იყო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ ქართველ ემიგრანტებთან; შეძლებისდაგვარად ფინანსურადაც ეხმარებოდა იქ დაარსებულ ქართული კულტურის კერებს. მეგობრობდა **ნინო და კალისტრატე სალიებთან, გივი ზალდასტანიშვილთან, ჯონ მალხაზ შალიკაშვილთან** და სხვებთან. 1962-1982 წლების განმავლობაში აფინანსებდა ჟურნალ **„ბედი ქართლისას“** ქართულ და ფრანგულენოვან გამოცემებს პარიზში. მამასთან ერთად ეხმარებოდა საზღვარგარეთ არსებულ სხვა გამოცემებსაც (**„კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუშაგი“, „საქართველოს გუშაგი“, „თეთრი გიორგი“, „ბრძოლა“, „საქართველო“** და სხვ.). აღსანიშნავია ისიც, რომ იგი აფინანსებდა სტამბულში გამომავალ ჟურნალებს „**ჩვენებურსა**“ და „**ფიროსმანს**“.

სიმონ ზაზაძე უანგაროდ ზრუნავდა საქართველოს წიგნთსაცავების გამდიდრებისათვის. 1996 წელს მან პარიზსა და რომში არსებულ ბუკინისტურ მაღაზიებში საქართველოსათვის შეიძინა ძვირადღირებული წიგნები: **1712 წელს ვახტანგ VI-ის სტამბაში დაბეჭდილი „ვეფხისტყაოსანი“** და 15 ცალი აგიოგრაფიული შინაარსის მქონე ასომთავრული და ნუსხახუცური ხელით შესრულებული **XVI-XVII საუკუნეების ხელნაწერი წიგნები.** ამავე წლის ოქტომბერში ეს ძვირფასი საუნჯე საჩუქრად გადასცა **თბილისის ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრს.**

ბატონ სიმონის დიდი ხნის ოცნება იყო ენახა მისი წინაპრების სამშობლო – საქართველო, სოფელი უდე, სამცხის დიდებული სანახაობანი, მისი წარმტაცი ბუნება, წინაპართა სასაფლაო. ჯერ კიდევ 11 წლის სიმონი თავის საყვარელ მასწავლებელს შალვა ვარდიძეს მისი დაბადების დღეს 1941 წლის 14 მაისს მისალოც ბარათს უგზავნის, სადაც წერდა: „მე ვარ პატარა ქართველი,

მეც ვარ თქვენი მოწაფე და მეც მინდა მოგილოცოთ ჩვენებურად თქვენი დღეობა... მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს“...

სიმონს 2006 წლის გაზაფხულზე აუსრულდა სამშობლოს მონახულების დიდი ნატვრა, იგი მამის მშობლიურ სოფელ უდეს ესტუმრა, მოინახულა ის მიდამოები, სადაც მისმა მამამ ბავშვობა გაატარა. სიმონი ახალციხესაც ესტუმრა და აქაურ უნივერსიტეტში საპატიო დოქტორად აირჩიეს; **მისი ახალციხეში სტუმრობა საერთო-სახალხო ზეიმად გადაიქცა**. ამ დროს, იგი ახალციხის საპატიო მოქალაქედ აირჩიეს. სიმონი არჩეულია, აგრეთვე, ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს წმინდა თამარ მეფის სახელობის უნივერსიტეტისა და ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორად, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის უნივერსიტეტის საპატიო პროფესორად. სიმონი როგორც საქართველოსა და მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყანაში მცხოვრებ მილიონობით ქართველთა მეგობარი, სტამბოლის სავანეში დაცული ქართული კულტურული მემკვიდრეობის დამცველი და უანგარო მსახური, 2007 წელს– **პავლე ზაზაძესთან - შვილთან ერთად დაჯილდოებულ იქნა ღირსების ორდენით**.

ბატონი სიმონ ზაზაძე უფრო ადრე, 1998 წელს ბათუმს ესტუმრა. ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტში მაშინ მიმდინარე სარემონტო სამუშაოებისათვის მან **10 000 ამერიკული დოლარი გაიღო.** მისი სურვილი იყო ბათუმს მეორეჯერაც სტუმრებოდა, მისი სახელობის კაბინეტის გახსნაზე ბათუმის შოთა რუსთაველის სახელობის უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში (რუსთაველის ქუჩა N23, III სართული). მაგრამ მას არ დასცალდა.

სიმონს განსაკუთრებით ახარებდა რომ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტი აპირებდა **სტამბოლის ქართული სავანის დაარსების 155 წლის იუბილეს აღნიშვნას, რომელიც მისი სახელობის კაბინეტის გახსნას უნდა დამთხვეოდა.** ეს კაბინეტი უკვე მზადაა. ამჟამად აქ გამოფენილია მხოლოდ სტამბოლის ქართველთა სავანეში მოღვაწეთა სურათები. მალე კაბინეტში ბინას დაიდებს ის მასალები, რომლებიც ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ თანამშრომელთა მიერ მოპოვებულია შოთა **რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტის ფარგლებში** სტამბოლის ქართველი სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში.

ბატონ სიმონს ისიც ძალზე ახარებდა, რომ ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები აქტიურად იყვნენ ჩართული სტამბულის ქართული სავანის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობის (აქ დაცულია 1861 წლიდან 1980 წლამდე პერიოდში რამდენიმე ენაზე დაწერილი დღემდე ნაკლებად ცნობილი თუ სრულიად უცნობი 80 ათასზე მეტი წიგნი, ჟურნალი, გაზეთი) მდიდარი საგანძურის ინვენტარიზაციასა და მის მეცნიერულ შესწავლაში. ამ საქმეში ფასდაუდებელია ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორის, ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მთავარი მეცნიერი თანამშრომლის, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის ქალბატონ **შუშანა ფუტკარაძის** წვლილი. პირველად სწორედ მან გააცნო საქართველოს სტამბოლის ქართული სავანის დამსახურება თურქეთ-საქართველოს კულტურული ურთიერთობის უახლეს ისტორიაში. იგი ჯერ კიდევ გასული საუკუნის 90-იან წლებში, 1989 წლის მაისში, სტუმრობდა სტამბოლის ქართულ სავანეს,

პირადად იცნობდა სავანის მეპატრონეს, აწ განსვენებულ სიმონ ზაზაძეს და მის ოჯახს. სწორედ ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძე** იყო ერთ-ერთი საიმედო პირი ბატონ სიმონ ზაზაძისათვის, რომელმაც მას სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულ მასალებზე მუშაობის ექსკლუზიური უფლება მიანიჭა. პროფესორ შუშანა ფუტკარაძის მონაწილეობით შემდეგაც ორჯერ ეწვია ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფი (**ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, თამილა ლომთათიძე, ნარგიზ ახვლედიანი, შორენა ფუტკარაძე, ციალა ნარაკიძე, როინ მალაყმაძე**). მათივე ხელით გაიწმინდა ასწლოვანი მტვერისაგან სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში დაცული წიგნები, ჟურნალ-გაზეთები, სხვა დოკუმენტები. ბატონი სიმონი უზომოდ კმაყოფილი იყო, რომ დაიძრა ის საქმე, რომლისთვისაც იგი სავანის თავკაცობის პერიოდში მიისწრაფოდა–მეცნიერულად შესწავლილიყო ამ სავანის მდიდარი კულტურული მემკვიდრეობა. ამ საქმეში კი იგი ინსტიტუტის მეცნიერთა ჯგუფს ყოველგვარ პირობებს უქმნიდა, რომ დაწყებული მუშაობა ბოლომდე მისულიყო. თავადაც ხომ დიდი სიყვარულითა და მოკრძალებით იცავდა ამ მემკვიდრეობას, რომ მას საფრთხე არ დამუქრებოდა.

იმედია, ამ საშვილიშვილო და კეთილ საქმეს მისი მემკვიდრეები–შვილები და შვილიშვილები გააგრძელებენ. განსაკუთრებით იმედის მომცემია სიმონის ვაჟიშვილის **პავლეს ზაზაძის** ოპტიმისტური განწყობა, რომ იგი და ზაზაძეების მთელი ოჯახი მამის გარდაცვალების შემდეგ ძალღონეს არ დაიშურებენ სტამბოლის ქართული სავანის, მისი უაღრესად ძვირფასი და დიდმნიშვნელოვანი კულტურული საგანძურის მოვლა-პატრონობისა და გადარჩენისათვის, მისი მეცნიერული შესწავლისა და პოპულარიზაციისათვის, სტამბოლისა და თურქეთის სხვა ქალაქებში მცხოვრები ქართველი ქრისტიანი და მუსლიმი მოსახლეობის ურთიერთობის განვითარებისა და განმტკიცებისათვის.

იმედს არ ვკარგავთ, რომ სიმონის გარდაცვალების შემდეგ, კვლავაც გაგრძელდება ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის, მთლიანად შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს სხვა სამეცნიერო ცენტრების კონტაქტები სტამბოლის ქართულ სავანეში დაუნჯებული კულტურული საგანძურის მეცნიერული შესწავლისათვის.

სტამბოლის ქართული სავანის კულტურული მემკვიდრეობის მეცნიერული შესწავლა ბატონ **სიმონ ზაზაძის** დიდი ხსოვნის ნანატრი ოცნების აღსრულებაც იქნება.

ვწუხვართ, რომ ბატონი სიმონი ვერ მოესწრო მისი სახელობის კაბინეტის გახსნას ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტში. ეს კაბინეტი უახლოეს პერიოდში გაიხსნება და ამით პატივს მივაგებთ მის ნათელ ხსოვნას, მის განუზომლად დიდ ღვაწლს სტამბოლის ქართულ სავანეში არსებული კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-შენარჩუნებასა და შესწავლაში.

ბატონ სიმონ ზაზაძის ხსოვნა მარად დარჩება სტამბოლსა და თურქეთის სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველ ქრისტიანთა და ქართველ მუსლიმთა შორის, ყველა იმათ გულში, ვინც მას იცნობდა და აფასებდა, მარად დარჩება მისი სახელი საქართველოსა და თურქეთის კულტურული ურთიერთობის ისტორიაში.

როინ მალაყმაძე, ელზა ფუტკარაძე

„მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი“

ქართველი ერის ისტორიას არაერთი ღირსეული მამულიშვილის სახელი ამშვენებს. ერთ-ერთი ასეთი გამორჩეულია თურქეთში ქართული ემიგრაციის წარმომადგენელი **სიმონ პავლეს ძე ზაზაძე.** სამწუხაროდ, საქართველომ, თურქეთის ქართველობამ უდიდესი დანაკლისი განიცადა მისი გარდაცვალებით. არიან ადამიანები, რომელნიც თავიანთი გარდაცვალებით აკლდებიან მთელ ერს. ასეთი გახლდათ ბატონი სიმონი.

სიმონ ზაზაძე დაიბადა თურქეთში მოღვაწე ქართველი მეცენატის **პავლე ზაზაძის** ოჯახში, სადაც ის გამოიწრთო სამშობლოს უსაზღვრო სიყვარულის გრძნობით. ის მამასთან ერთად ერთგულ დარაჯად ედგა სტამბოლის ქართულ კერას, მის მდიდარ ბიბლიოთეკასა და სიძველეთსაცავს; დარაჯად ედგა იმ სავანეს, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნული სულისკვეთების აღორძინებას, ეროვნული თვითშეგნების გამოფხიზლებას ხელს უწყობდა. დღეს სტამბოლის ცენტრალურ უბანში – ფერიქოიში რომ დგას ქართული სავანე, მისი ბიბლიოთეკა რომ ხელუხლებლადაა შენახული ბატონ სიმონ ზაზაძის დამსახურებაა.

სიმონ ზაზაძის ცხოვრების გზა მისაბაძი და სამაგალითოა. ამიტომაც ვცდილობთ თვალი გადავავლოთ მას. მონასტრის არქივში ინახება 8 წლის **სიმონ ზაზაძის** ბარათი თავისი მას-წავლებლის **შალვა ვარდიძისთვის** დაწერილი. ბარათი სამშობლოს სიყვარულითაა გამთბარი: „მე ვარ პატარა ქართველი... მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილამაზის სიყვარულს თქვენ მასწავლით... დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზარდო, დედ-მამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალით ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო, რასაც დღეს წიგნში მაკითხამ და მაშინ ნახავთ ჩემს ქართ-ველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვას, ჩემს მამულიშვილობას... თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც“. ამას 1941 წლის 14 ივნისს წერს და აუხდა ნატვრა. კიდეც მოინახულა სათაყვანებელი სამშობლო, კიდეც იყო ჭეშმარიტი მამულიშვილი, დიდი ქართველი.

ზაზაძეების ოჯახი, მათი საქმიანობა არა მხოლოდ საქართველოში, არამედ ევროპის წამყვან ქვეყნებშია ცნობილი. ბატონი სიმონი სტამბოლიდან სამშობლო ქვეყნის მაჯისცემის მოყურადეა. ბატონი სიმონის დამსახურებაა, რომ თბილისში ხშირად ჩამოდის და ურთულეს ოპერაციებს აკეთებს მსოფლიოში ცნობილი კარდიოქირურგი, პროფესორი **აქსფენდიოს ქალანგოსი,** შვეიცარიის მოქალაქე, სიმონ ზაზაძის სიძე. სწორედ სიმონ ზაზაძის დაინტე-რესებით მოხერხდა თბილისში კ. ერისთავის სახელობის ქირურგიის ეროვნულ ცენტრში კარდიოქირურგიის კლინიკის **„ღია გულის“** გახსნა.

ბატონი სიმონი ქართული კულტურის მოამაგე და ქომაგი იყო არა მარტო სტამბოლში, არამედ მისი მზრუნველი ხელი სწვდებოდა ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ემიგრანტ ქართველთა მიერ დაარსებულ კულტურის კერებსაც. წლების განმავლობაში აფინანსებდა „ბედი ქართლისას“ ქართულ და ფრანგულენოვან ნომრებს. მამა-შვილი პავლე და სიმონ

ზაზაძეები, ეხმარებოდნენ საზღვარგარეთ არსებულ სხვა პერიოდულ გამოცემებსაც–„კავკასიონი“, „პრომეთე“, „გუშაგი“, „საქათველოს გუშაგი“, „თეთრი გიორგი“, „თავისუფალი საქართველო“ და სხვა. ბატონი სიმონი ფინანსურად ხშირად ეხმარებოდა, აგრეთვე, სტამბოლში გამომავალ ჟურნალებს–„ჩვენებურებსა“ და „ფიროსმანს“.

2006 წელს, თავის ისტორიულ სამშობლოში სტუმრობისას, ახალციხის უნივერსიტეტმა ის აირჩია საპატიო დოქტორად, ხოლო ახალციხის მხარემ-საპატიო მოქალაქედ. ბატონი სიმონის სტუმრობა ახალციხეში გადაიქცა საერთო-სახალხო ზეიმად. სიმონ ზაზაძე არჩეული იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის უნივერსიტეტის, აგრეთვე, ბათუმისა და ქუთაისის უნივერსიტეტების საპატიო დოქტორად. იყო საქართველოს საპატიო მოქალაქე და ღირსების ორდენით დაჯილდოებული.

ჩვენ წილად გვხვდა ბედნიერება, რომ პირადად ვიცნობდით ამ დიდ ადამიანს, ქველმოქმედს, საქართველოს მოსიყვარულე-მოამაგეს. სიბრძნით გამორჩეული ბრძანდებოდა ბატონი სიმონი. მისი სიბრძნე აშკარად გამოსჭვივოდა უდიდეს თავმდაბლობასა და მოკრძალებაში. ამ მართლაცდა რკინისებური პიროვნების მიღმა უდიდესი რიდი და უბრალოება იმალებოდა. ამაშიც კიდევ ერთხელ ხაზგასმით ჩანდა მისი დიდი ადამიანობა. მის იერსახეს უდიდესი სათნოება ამშვენებდა. ის სულიერი თვისებებით გამორჩეული პიროვნება გახლდათ.. ფაქიზი, მოწესრიგებული, ღრმა აზრიანი სულიერი სამყაროთი მდიდარი ქართველი. იგი კეთილი, გულმოწყალე კაცის სახელით დააბიჯებდა მრავალმილიონიანი ქალაქის ყოველდღიურობაში. ცხადია, რთულია, რომ ატარო კარგი ადამიანის სახელი. დიახ, მისი მისამართით თამამად იტყვიან ნაცნობ-მეგობრები, რომ ნამდვილად იყო გამორჩეული და დიდბუნებოვანი. მსოფლიოს ბევრ ქვეყანაში ცნობილ ბიზნესმენს, ჰქონდა ეკონომიკის დარგში დოქტორის სამეცნიერო ხარისხი, მაგრამ ეს არაფრად ჩანდა იმ დიდ ღირსეულ და რთულ პროფესიასთან, რომელსაც ბატონი სიმონი დაუფლებოდა–ეს პროფესია მისი დიდი ადამიანობა გახლდათ. ის ადამიანთა სულის შემსწავლელი დიდი ხელოვნების მფლობელიც ბრძანდებოდა. ეს ხელოვნებაც ისევ და ისევ ჭეშმარიტი ადამიანობა იყო. მისი ადამიანობით, კეთილი გულით სხვასაც ათბობდა, უანგაროდ გასცემდა სითბოს გარშემომყოფებს, აძლიერებდა მათ და ეხმარებოდა. იმაზე მშვენიერი და ამაღლებული რა უნდა იყოს, რომ მრავალ ადამიანს მიანიჭო ბედნიერება. ბევრს ძალუძს სხვისთვის სიხარულის მინიჭება, ხელის გაწვდენა, მაგრამ არ აკეთებენ ამას. ბატონი სიმონი კი ყველასათვის იყო მხსნელი, მშველელი, დროზე მისწრებული მალამო. სხვისი სიხარულით ტკბობის უნარი ბედნიერს ხდიდა. **უფალი ერთეულებს დაანათლებს ხოლმე ასეთ რჩეულობას.**

ბევრის მთქმელი იყო მისი სიტყვა, ქცევა და საქმე. მისი მოქმედებით ბევრის სწავლა შეიძლებოდა. მის მდუმარებაშიც რაღაც უიშვიათესი სიდიადე ჩანდა. ბევრს ისწავლიდა კაცი მისგან. ნათქვამი იქნებ ვინმეს გადაჭარბებული შექება მოეჩვენოს, მაგრამ არა იმას, ვინც იცნობდა ბატონ სიმონს. **ის ცხოვრებისეული წიგნი იყო, რომელიც უნდა წაგვეკითხა და მთავარია, სწორად გაგვეგო.**

მშობლიური კუთხის სიყვარულით სავსე ჯიქანმა ისე გამოკვება, რომ ყოველივე კეთილი დასადგურებულიყო მასში. მას შეეძლო სხვისთვის სიხარული ეჩუქებინა, გაეთბო სხვათა გულები. ეს ხომ დიდი ადამიანური ბუნების მქონეთა ხვედრია. ხელეწიფებოდა კეთილი

საქმეების გაკეთება და არ იშურვებდა ამას. ამიტომაც სიყვარულითა და თბილი ღიმილით ხვდებოდნენ მას.

წლების სიმძიმეს არ ეპუებოდა. აქტიური ყოველდღიურობით ცოცხლობდა. ალიონს ასწრებდა გაღვიძებას. **მისი სამუშაო დღე 5 საათიდან იწყებოდა.** შრომის სიყვარული, შრომის მადლი და გარჯა მშობლებისაგან მიეღო.

მშობლები იყვნენ მისთვის მაგალითის მიმცემნი. შრომას მიჩვეული სხვისგანაც ბოლომდე გახარჯვას ითხოვდა. სტამბოლის ქართულ სავანეში ექსპედიციის ყოფნისას ყოველდღე დილაადრიან მოგვინახულებდა, მოგვიკითხავდა, მრავალგზის გაგვიმეორებდა–რამე ხომ არ გინდათო. შემდეგ ჩქარობდა, საყდარში მივდივარო. ყოველი დილის 8 საათზე მოკრძალებით შეაბიჯებდა საყდარში (ამ ძველ ქართულ სიტყვას იყენებდა მუდამ), აანთებდა სანთელს, ილოცებდა და ისე მიდიოდა სამსახურში. მამისგან ნაანდერძევი ჰქონია ეს ჩვევაც. ჩქარობდა მოხუცი, საყდრისკენ მიიჩქაროდა. იქ ხომ მამის სახე ცოცხლდებოდა მის წარმოსახვაში. მამის, პავლე ზაზაძის სიცოცხლის ბოლო პერიოდზე აი რას ყვებიან: **ლოგინად ჩავარდნამდე თითქმის ყოველდღე მიდიოდა ტაძარში, ლოცულობდა, დაობლებული, დაცარიელებული მონასტრის კარებს კრძალვით შეაღებდა, მონაზონთა საცხოვრებელ ოთახებში შეიხედავდა, სავანის ბიბლიოთეკაში ჩამოჯდებოდა თავის შვილიშვილთან პავლე (პოლ) ზაზაძესთან ერთად და საქართველოს შესახებ ესაუბრებოდა. იქიდან ნაღვლიანი თვალებით გადახედავდა ფერიქოის. ეამაყებოდა ისიც, რომ წმ. ექვთიმეს მსგავსად ერთგულად სდარაჯობდა უცხოეთში შენახულ ქართულ საუნჯეს. სიამაყით გადახედავდა ხოლმე ახალციხის სოფლებიდან ჩამოტანილი ხეხილის ნერგებით შემოსილ მონასტრის ბაღს. აი, კიდევ რატომ ჩქარობდა ყოველდღიურად საყდრისაკენ ბატონი სიმონი. იქ თავადაც ოცნებით მამის სულს გაესაუბ-რებოდა:. ამით ივსებოდა, ისრუტავდა ძალას, მშობლიურ ფესვებთან სიახლოვეს უცხო ქვეყანაში ამით ახერხებდა და ეს აძლიერებდა ბატონ სიმონს.**

მამა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი, ყველაზე კარგი გაკვეთილი იყო. ბევრი იმუშავე და ცოტა ილაპარაკეო"–მეტყოდა მამაჩემიო. ამას ხშირად იხსენებდა ბატონი სიმონი უდიდესი მოკრძალებით. იგი განსაკუთრებით დავალებული იყო მამისგან, მისგან ბევრი რამ უსწავლია. მათ შორის სიმართლისმოყვარეობა, სიცრუის სიძულვილი. ბატონი სიმონი მუდამ იხსენებდა მამის დარიგებას: ტყუილი არ თქვაო. ამ თითს ხედავ?–მაჩვენებდა ხოლმე საჩვენებელ თითს მამაო. **როგორც ამ თითს უკან ვერ დაემალები, ისე ტყუილსაც ვერ გაექცევი, გამტყუნდები, სირცხვილს ჭამ, შერცხვებიო.** მამა ძალიან გონიერი, მოხერხებული, გამბედავი, სიმართლის-მოყვარე, თავაზიანი, წესრიგიანი, შრომისმოყვარე, ნამდვილი ქართველი იყოო.–უდიდესი სიყვარულით ყვებოდა ლამაზ მოგონებებს ბატონი სიმონი მამაზე. ვინც ბატონ სიმონს სამუშაო ოთახში სწვევია, სამუშაო მაგიდის მოპირდაპირე მხარეს მამის სურათს შეამჩნევდა. ესეც აძლიერებდა, ნუგეშს, იმედს აძლევდა ბატონ სიმონს, მომავლის გზას უჩვენებდა.

ბატონი სიმონი გულთბილი მასპინძელი, თანამშრომლობაში საოცრად თბილი და უანგარო ბრძანდებოდა; ასე დაგვამახსოვრდა სიმონი ნიკო ბერძენიშვილის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომლებს. ქალბატონი **შუშანა ფუტკარაძე** მისთვის ის ერთადერთი პიროვნება და მეცნიერი იყო, ვისაც მამის ანდერძის თანახმად, ანდო ქართული სავანის წიგნთსაცავის შესწავლა. ქალბატონი შუშანას ხელმძღვანელობით წლების განმავლობაში ყოველწლიურად ჩავდიოდით სტამბოლში ბატონ სიმონთან ქართული საქმის საკეთებლად. სწორედ ქალბატონი

შუშანას თაოსნობით ასწლოვანი მტვერისგან განთავისუფლდა ბიბლიოთეკის საგანძური და თანამედროვე დონეზე მოეწყო ბიბლიოთეკა. ამ თანამშრომლობას ხომ მასთან სტამბოლის უკიდეგანო სივრცეში ჩაჰქონდა მშობლიური სურნელი.

დღეს, სამგლოვიარო დღეებში, თვალწინ ცოცხლდება თუ როგორი სიყვარულით, სათუთად და მოკრძალებით ელოლიავებოდა წიგნთსაცავის თითოეულ ფურცელს ბატონი სიმონი. თითოეული ფურცელი მოგონებებად ცოცხლდებოდა მის ცნობიერებაში,. პატარაობიდანვე იქ ტრიალებდა ბატონი სიმონი. იგი საუბრებში ხშირად იგონებდა იქაურ პირობებს: როგორ აჩვევდნენ წესრიგს, სიფაქიზეს, ზრდილობას. ახსოვდა აღმზრდელ-მასწავლებლები, ეკლესია-მონასტრის ირგვლივ დიდი ყანები, ბაღები იყოო. ქათმები, ბატები, ინდაურები ჰყავდათ მონაზვნებსო.–იგონებდა ბატონი სიმონი. ხანდახან პატარა წიწილებს ჩუქნიდნენ თურმე. მისი ყოველდღიურობა, ცხოვრების ნაწილი იყო სავანე. ამასთანავე, **უცხო ქვეყნის ცის ქვეშ ერთგვარი ნავსაყუდელიც იყო, სულის საოხად იქ მიდიოდა. იქ მსუბუქად ადგამდა ფეხს, თითქოს შორიდან ქართული მიწის მოფერებას იქ გრძნობდა, მონასტრის ცივი კედლები სამშობლოს სიყვარულზე იქ ჩურჩულებოდნენ, ქართული სიტყვა იქ, სავანეში ესმოდა, ეროვნული სულისკვეთებით იქ იმსჭვალებოდა.**

ჩვენი საქმიანობა დიდ და ლამაზ ურთიერთობაში გადაიზარდა. ბატონი სიმონი ხშირად გვმასპინძლობდა თავის ლამაზ ოჯახში. **ჩვენ იქ პატარა საქართველო ვიყავით მისთვის,** ჩვენით ხარობდა, აცნობდა ჩვენს თავს საზოგადოებას და ხარობდა მოხუცის გული. განსაკუთრებული და ძმური სიყვარულით და უდიდესი სითბოთი ხვდებოდა ქალბატონ შუშანას. ულამაზესი იყო ეს ურთიერთობანი. რამდენჯერ ვმსხდარვართ მისი სასახლის აყვავებულ ეზოში, **თბილ საუბარსა და მოგონებებში საათები წამივით იპარებოდა,** ვერ ველეოდით ერთმანეთს. მასთან ერთად ხარობდა მისი უკეთილშობილესი მეუღლე **ქალბატონი ქლაუდე.** ეს ეხლა ლამაზ მოგონებებად რჩება, ერთგვარ ნუგეშად, **სამშობლოს გულწრფელი სიყვარულის მაგალითად..**

ბატონი სიმონი ღირსეული მამის ღირსეული შვილი იყო, წინაპართა ტრადიციების გამგრძელებელი, საქართველოდან ჩასულთა მასპინძელი. გვწამს, მის საქმეს ასევე ღირსეულად გააგრძელებს მისი შვილი **პავლე ზაზაძე** და სტამბოლის ამ უბანში ისევ შენარჩუნდება **„პატარა საქართველოს“ თბილი კერა.**

ბატონი სიმონი ის ქართველთაგანია, რომელიც **ისტორიულ ბედუკუღმართობას მოუწყვეტია მშობლიური კუთხისათვის, მამაპაპისეული ბუდიდან სხვაგან დაფრთიანებულა, მაგრამ ქართულ ფესვებს, ქართულ გენს, ქართულ სისხლს მაინც თავისი გაუტანია. აქ ისტორიული სამშობლოს ფესვები ძალუმად იზიდავდა და სამშობლოს მონატრების გრძნობით მოძრაობდა მისი სისხლი. მამაპაპისეული, წინაპართა საძვლეების მიწა ეძახდა, ფესვები ითხოვდა, სისხლი უყიოდა, ფიქრობდა სამშობლოზე, დიდებულ ახალციხეზე და ამბობდა კიდეც: „მე ქართველი ვარ, საქართველოსთვის ვარ, ამის მეტი არაფერი ვიცი“.**

სიმონ ზაზაძის პიროვნებაში განცხადდა ქართული გენის სიძლიერე, მისი უკვდავება. ზაზაძეების ოჯახმა თავისი ეროვნული მეობა და მრწამსი ვაჟკაცურად გამოატარა წუთისოფლის ქარტეხილებს; უცვლელად, თავდაუზოგავად შეინარჩუნა ლამაზი გვარსახელი – **ზაზაძე** და თავისი სულიერება. **ვინ იცის, ეს გზა როგორი ეკლიანი იყო;** მაგრამ ყოველივეს გაუძლო, დაძლია და დღეს მთელმა თურქეთმა იცის ამ მისაბაძი პიროვნების ქართული გვარი – **ზაზაძე.** ამიტომაცაა დასაფასებელი და სათაყვანო მისი პიროვნება, მისი დიდი ქართველობა. მტკიცედ

გვჯერა, რომ მამის კვალს გაჰყვება მისი ოჯახი, მისი ძვირფასი ვაჟი ბატონი **პავლე (პოლ) ზაზაძე** და გააგრძელებს სიცოცხლეს ქართული გვარსახელი – **ზაზაძე** მრავალმილიონიან დიდ ქვეყანაში, ჩვენს კარისმეზობელ თურქეთის რესპუბლიკაში, თურქი და ქართველი ხალხის კეთილმეზობლური, მეგობრული ურთიერთობის სიმბოლოდ.

გაჩერდა სამშობლოზე ფიქრით მშფოთვარე გული. ქირურგიულ ჩარევას აღარ დაელოდა ბატონი სიმონის გული. უნებლიედ გვახსენდება **ნ. ლორთქიფანიძის ნოველა „გული“.** ემიგრანტი ქართველის გული დაფერფლილიყო სამშობლოს მონატრების გრძნობით. ბატონი სიმონის გულიც ანალოგიურად დაფერფლილ-დაფლეთილი, დასერილ-დაკოდილი იქნებოდა საქართველოს, მშობლიური ახალციხის სიყვარულით. **დიდბუნებოვანმა, გაუტეხელმა და შეუდრეკელმა ადამიანმა სამზერად არავინ ჩაახედა მის გულში, რათა სხვას არ ამოეცნო და არ დამწუხრებულიყო ახალციხის ფერადოვანი ყვავილების ხილვას მოწყურებული სათუთი გულის ტკივილით.**

დიახ, ადამიანები ორი სიცოცხლით ცოცხლობენ – ერთია საკუთარი, პირადი სიცოცხლე, რომელიც მთავრდება აღსრულებისთანავე, ხოლო **მეორე–სიცოცხლე ხალხის გულშია,** რომელიც არასოდეს მთავრდება, არასოდეს ეძლევა დავიწყებას. **ასეთი სიცოცხლით იცხოვრა ბატონმა სიმონმა და ყველას გულში უკვდავად დაისადგურა.**

კიდევ ერთხელ დიდ გულისტკივილს გამოვხატავთ ასეთი დიდი ქართველის გარდაცვალების გამო. ვუთანაგრძნობთ ბატონი სიმონის ოჯახს, თურქეთში მცხოვრებ ქართველობას და საქართველოს. **უფალმა ნათელი დაუმკვიდროს ბატონ სიმონ ზაზაძის სულს, ამინ!**

შუშანა ფუტკარაძე
შორენა ფუტკარაძე

სტამბოლის ქართული სავანის მოამაგენი

„სიცოცხლე ჩვენი არც დედისაა, არც მამის, ის სამშობლოსია!“
სიმონ ზაზაძე.

ჟამთა სვლას, ისტორიულ ქარტეხილებს, წუთისოფლის ბრუნვას ბევრი ქართველი სამშობლოს უბეს, კალთას მოუცილებია, მამა-პაპათა ბუდიდან ამოუფრენია, სხვა ქვეყნის სანახებში შეუტყორცნია. მაგრამ მშობელ მიწაში ჩარჩენილი ფესვების მიზიდულობა იმდენად ძლიერია, რომ მშობლიური ბუდიდან ამოფრენილთა მესამე-მეოთხე-მეხუთე თაობასაც კი ძალუმად ეწევა თავისკენ და ისტორიული სამშობლოს მონატრების გრძნობას არ უკარგავს, მის ბედზე ხშირად დააფიქრებს ხოლმე, საქართველოს ჭირისუფლად აქცევს. ამ გრძნობას **„სისხლის ყივილი“, „ადგილის დედის“** ძახილი ჰქვია.

უცხოეთში მოღვაწე ასეთ ქართველთა რიგებს მეოცე და ოცდამეერთე საუკუნის დასაწყისში ამშვენებდნენ მამა-შვილი **პავლე და სიმონ ზაზაძეები,** სტამბოლელი ქართველები, რომლებიც სიცოცხლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდნენ საქართველოს ნათელი მომავლისათვის ზრუნვას.

სიმონ ზაზაძე დაიბადა 1930 წლის 10 იანვარს, სტამბოლში, ცნობილი ბიზნესმენის **პავლე ზაზაძის** ოჯახში. სიმონის მამა – **პავლე ზაზაძე,** ადიგენის რაიონის (მაშინდელი ახალციხის მაზრა) სოფელ უდეს მკვიდრი, 1913 წელს (14-15 წლის ბიჭი), ოქტომბრის თვეში, სტამბოლში ჩამოიყვანა არლელმა მღვდელმა **შალვა ვარდიძემ,** რომელიც მისი ბიძა გახლდათ დედის მხრიდან.

პავლე ზაზაძეს სწავლა უნდა გაეგრძელებინა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერთან არსებულ სასულიერო სასწავლებელში, მაგრამ მალე დაიწყო პირველი მსოფლიო ომი, სტამბოლში ცხოვრება აირია, სკოლები დაიხურა. ბევრი მოწაფე გერმანიასა და პოლონეთში გახიზნეს. პავლე ზაზაძეს სტამბოლში მაშინ ბევრი ნათესავი, თუ ახლობელი ჰყავდა; მისი ბიძა – **შალვა ვარდიძე** სტამბოლის ქართული კათოლიკური მონასტრის მღვდელი იყო. მათი რჩევით, პავლე ზაზაძე სტამბოლში დარჩა, როგორც თვითონ იტყოდა ხოლმე: საქართველოსთან ახლოს, სამშობლოში დაბრუნების იმედით.

პავლე ზაზაძე უდელი აზნაურის სიმონ ზაზაძის ვაჟი იყო. დედა – **ელისაბედ ვარდიძე** სოფელ არალიდან უდეში იყო გამოთხოვილი. მშობლებს რვა ვაჟი შეეძინათ, მაგრამ სამი მათგანი პატარაობაში დაეღუპათ, ხოლო ხუთი კი გაზარდეს – **სტეფანე, ლევანი, ალიოზი, კაკულა** და **პავლე**. მშობლებმა პავლე სტამბოლში გაგზავნეს სასწავლებლად იმ იმედით, რომ განათლებული დაუბრუნდებოდა სამშობლოს; მაგრამ წუთისოფლის ბორბალი სხვაგვარად დატრიალდა, პავლე ზაზაძეს სამშობლოში დაბრუნება აღარ ეღირსა. ჯერ მსოფლიო ომის არეულობა და ხელმოკლეობა წამოეწია, შემდეგ ოსმალეთის იმპერიის დაცემით გამოწვეული შავი დღეები გამოიარა. ყოველივე ამას დაერთო საქართველოს უბედურება – სამოქალაქო ომი,

ბოლშევიკების შემოსვლა, რეპრესიები, საზღვრის ჩარაზვა; ბოლოს სამშობლოდან წერილებიც შეწყდა.

იმ მძიმე დღეებში, კერძოდ, 1929 თუ 1930 წელს, ერთი ლამაზი ჟამი დაუდგა პავლეს, მზის გამონათებას რომ ადარებდა: საქართველოდან მალულად ორი ძმა- **ლევანი და ალიოზი**– ესტუმრა, დედის ცრემლებით დანამული ბარათებითა და ახალციხური ხილის ჩირით, თბილი წინდებითა და ათასგვარი საჩუქრებით. **სამშობლოსკენ ეწეოდა დედის გული,** მაგრამ პავლეს მაშინ ახლად წამოჩიტული საქმეები ჰქონდა, ვალით აღებული ფულით სავაჭრო დუქანს ამუშავებდა და ვერ მიატოვა; ძმები გულდაწყვეტილი გაუშვა დედასთან გვარიანი საჩუქრებით, მაგრამ ამაოდ: ძმები საზღვარზე დააკავეს საბჭოთა მესაზღვრეებმა, მალულად მიმავალნი და გზაში მოკლეს. პავლე ზაზაძე ასე გადარჩა მაშინ ცოცხალი. სტამბოლში დარჩენილმა ორი წელიწადი ნათესავთან იმუშავა, ვაჭრობა ისწავლა, თანდათან ფულს მოუყარა თავი; მალე სავაჭრო ადგილი შეიძინა; საკუთარი დუქანი გახსნა, ვაჭრობაში ხელი მოემართა; კოსმეტიკისა და ტექსტილის საწარმოები აამუშავა; დაწინაურდა წარმოებაში და თურქეთის ახალგაზრდა რესპუბლიკაში ერთ-ერთი ცნობილი ბიზნესმენი გახდა.

სტამბოლში, **ფერიქოის უბანში,** არსებულ ქართველთა სავანეში მაშინ ორი მონასტერი მუშაობდა – მამათა და დედათა. აქ მოღვაწე მღვდელ-მონაზვნები ერთმანეთის უახლოესი ნათესავები იყვნენ. დედათა მონასტრის უფროსი გახლდათ **ანა (ელისაბედ) ბეჟანიძე**, ბათუმიდან მუჰაჯირად გადასახლებული ოჯახის შვილი. იგი ხელმძღვანელობდა დედათა მონასტერთან არსებულ **ქართულ-ფრანგულ ქალთა სასულიერო სასწავლებელს,** გიმნაზიას. ანა (ელისაბედ) ბეჟანიძეს სასწავლებელში ჰყავდა და და სიძე, დის შვილები. სიძე ჩილინგარი-შვილი იყო, ბათუმიდან გადმოსახლებული კათოლიკე. მათი ოჯახი ქალაქ ადაბაზარში შეძლებულად ცხოვრობდა, ჩილინგარიშვილებისა და ბეჟანიძეების – ამ ორი ძლიერი გვარის – ბალავარზე აღმოცენებული; მაგრამ მაშინ საკუთრების დაცვა არ იყო ადვილი. ერთ ღამეს მათ ოჯახს ყაჩაღები დაესხნენ თავს; ოჯახის უფროსი წევრები – ანა ბეჟანიძის სიძე და და – დახოცეს. ბავშვები ობლად დარჩნენ. ობლების აღზრდა ანა (ელისაბედ) ბეჟანიძემ ითავა; ადაბაზარიდან დედათა მონასტერში მოიყვანა ობოლი დისშვილები – **მარი (მარიამ) და ალექსანდრე ჩილინგარიშვილები.** ამათი უფროსი და ქუთაისში **იოსებ ოცხელს,** ცნობილ პედაგოგს და საზოგადო მოღვაწეს, ჰყოლია ცოლად.

ყოველივე ამან შეაძლებინა პავლე ზაზაძეს გაცნობოდა ამ დიდებული ოჯახის ასულს მარი (მარიამ) ჩილინგარიშვილს (დედით ბეჟანიძეს) და მასზე ექორწინა. ასე შეიქმნა ერთი ლამაზი ქართული ოჯახი სტამბოლში. მათ ქალ-ვაჟი შეეძინათ. ვაჟს პავლემ მამის სახელი – **სიმონი** დაარქვა, ქალიშვილს–**ანიტა**.

პავლე ზაზაძე, მართალია, სასულიერო ცხოვრებას აღარ გაჰყოლია, მაგრამ ძალიან ახლოს იყო სტამბოლის ქართველთა სავანესთან, დედათა და მამათა მონასტრების მესვეურებთან.

დროთა განმავლობაში მონასტრის ბერ-მონაზვნები ხანში შევიდნენ, თანდათან დაუძ-ლურდნენ; შემცირდა მათი რიცხვი. მონასტრების წინამძღვარნი ხშირად ევედრებოდნენ ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში ლტოლვილ ქართველ ემიგრანტებს: – მოდით, უპატრონეთ აქაურობასაო, მაგრამ ყური არავინ ათხოვა. მხოლოდ **პავლე ზაზაძე** და საქართველოს დამოუ-

კიდებლობის კომიტეტის სტამბოლის ბიუროს ხელმძღვანელი **სანდრო მენაღარი** (მენაღარა-შვილი, ირაკლი მენაღარიშვილის მკვიდრი ბიძა) გახლდნენ ამ სავანის მეთვალყურენი, მზრუნველნი, გარდაცვლილებისათვის მიწის მიმყრელნი.

1956-59 წლებში მძიმე დრო დაუდგა ქართველთა სავანეს. თურქეთის რესპუბლიკის პოლიტიკურ ცხოვრებაში ატეხილმა ქარიშხალმა ამ სავანესაც გადაუარა. „შიშით სულ დაყვითლდნენ და დაავადმყოფდნენ მღვდელ-მონაზონნიო“,–იგონებდა პავლე ზაზაძე. მალე ყველანი დაიხოცნენ. ბოლო მღვდელი – **პეტრე ტატალაშვილი,** ჯერ კიდევ ჭარმაგი, იმ შიშიანობაზე ავად გახდა და ნაადრევად გარდაიცვალაო,–ამბობდნენ აქაურები. სწორედ, ამ მძიმე დღეებში ნუგეშის მიმცემი გახლდათ პავლე ზაზაძე. 1966 წლისათვის ცოცხალი იყო მხოლოდ ეკლესია-მონასტრის მსახური **პავლე აკობაშვილი** (ადგულაძე). ეკლესია-მონასტრის არსებობას საფრთხე დაემუქრა. ამიტომ კათოლიკე-მრევლმა გადაწყვიტა შეექმნა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა საზოგადოების ფონდი. ფონდის თავმჯდომარედ აირჩიეს პავლე ზაზაძე, ეკლესია-მონასტრის გამგედ კი **პავლე აკობაშვილი (ადგულაძე),** რომელიც 1982 წელს გარდაიცვალა.

ამიერიდან კიდევ უფრო გამოიკვეთა პავლე ზაზაძის, როგორც სტამბოლის ქართველთა სავანის ქომაგის, ერთგული პატრონის, პიროვნება. იგი ღრმა მოხუცებულობამდე ერთგულად სდარაჯობდა ქართველთა სავანეს, ზოგჯერ სიცოცხლის ფასადაც კი. ეს კარგად ახსოვთ სტამბოლელ ქართველებს. თურქეთში მცხოვრები ქართველების ყოფა-ცხოვრების ენისა და კულტურის შემსწავლელი მონოგრაფიის – **„ჩვენებურების ქართული“**–პირველი ტომის მასალების მოპოვების მიზნით, 1989 წლის მარტიდან ივლისამდე პერიოდში, შევხვდი ბევრ ქართველს ქალაქ სტამბოლშიც. ნათესავის დახმარებით გავეცანი სტამბოლში ცნობილ ზაზაძეების ოჯახსაც. ეს ბედნიერი შემთხვევა უფლის წყალობა იყო. შესაძლებლობა მომეცა, მომესმინა მეოცე საუკუნის დასაწყისის მესხური კილოს ცოცხალი მეტყველებისათვის დამახა-სიათებელი თავისებურებანი. დარბაისლური, დინჯი, „ბაგეტკბილი“ ქართულით მესაუბრე-ბოდნენ ხანდაზმულნი ძირძველი მესხები–პავლე და მარი ზაზაძეები (იხ. „ჩვენებურების ქართული“, ტ. I, ბათუმი, 1993 წ., გვ. 149). 90 წლის პავლე ზაზაძის ნატვრა სამშობლოში დაბრუნება იყო. მან მოგვითხრო თავისი ახლადნახული სიზმრის შესახებ: „პატარა ბიჭი დედამ წამიყვანა სოფელ უდესთან ახლოს ტყეში, სადაც ძველი ეკლესიის ნანგრევი იყო. იქ სანთლები დავანთეთ... წყალი მომწყურდა; ვიცოდი, იქვე წყარო რომ იყო და წყაროსკენ გავიქეცი. წყაროზე ოქროს ავაზანი ჩაედგათ და დახურული, დაკეტილი იყო. ოქროს ბოქლომი ედო. მზეზე ბრწყინავდა ოქროს ავაზანი. წყალი ვერ დავლიე, რადგან ავაზანი დაკეტილი იყოო“. დამწუხრებულმა მოხუცმა ეს სიზმარი ასე აგვიხსნა: მე საქართველოში ჩამოსვლა, ისე გავს, აღარ მომესწრება, რადგან წყალი ვერ დავლიე; მაგრამ ეს სიზმარი საქართველოსთვის ძალიან კარგია. საქართველო (წყლის ავაზანი) გაბრწყინდება, სინათლეში გამოვა, მაგრამ ეს გვიან იქნება, რადგან ოქროს ავაზანი ოქროს ბოქლომით იყო დაკეტილიო. მართლაც, სამშობლოს ნახვას ვეღარ მოესწრო; 1989 წლის სექტემბერში გემით მგზავრობა იყო განზრახული–სტამბოლი-ბათუმი. სამწუხაროდ, **პავლე ზაზაძე 1989 წლის აგვისტოში გარდაიცვალა.** უფლის წყალობით, მართლაც, ასრულდება პავლე ზაზაძის წინასწარმეტყველური სიტყვები და გაბრწყინდება ჩვენი სამშობლო.

მამის საქმე მომდევნო წლებში განაგრძო მისმა ვაჟმა – **სიმონ ზაზაძემ**, რომელიც 1989 წლის აგვისტოდან 2016 წლის 5 ოქტომბრამდე (გარდაცვალებამდე) ერთგულად ემსახურებოდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიის მოვლა-პატრონობის საქმეს; იგი გახლდათ 1908 წელს მონასტერში გახსნილი აკაკი წერეთლის სახელობის ბიბლიოთეკაში დაცული 80 000-ზე მეტი წიგნის, ჟურნალ-გაზეთებისა და მდიდარი არქივის ერთგული მცველი.

სიმონ ზაზაძე ბავშვობიდანვე გამოირჩეოდა ნიჭიერებით. სამი წლისა უკვე თავისუფლად ლაპარაკობდა სამ ენაზე – ქართულად, ფრანგულად, თურქულად. ფრანგულსა და თურქულს ასწავლიდა დედა – მარი (მარიამი), ქართულს კი – **შალვა ვარდიძე,** ცნობილი სასულიერო და საზოგადო მოღვაწე, შესანიშნავი ლიტერატურათმცოდნე და პოეტი.

მონასტრის არქივში დაცულია 11 წლის სიმონ ზაზაძის ერთი პატარა ბარათი, რომლითაც იგი თავის მასწავლებელსა და ახლო ნათესავს (**ძიას**, როგორც თვითონ ეძახდა), მღვდელს შალვა ვარდიძეს ულოცავს დაბადების დღეს, 1941 წლის 14 ივნისს. ეს მისალოცი ბარათი გამთბარია სამშობლოს სიყვარულით. მკითხველს გავაცნობთ სრულ ტექსტს: „14,VI, 1941, პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა!

მე ვარ პატარა ქართველი; მეც ვარ თქვენი მოწაფე და მეც მინდა მოგილოცოთ ჩემებურათ თქვენი დღეობა.

მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედაენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს; სამშობლოს სილამაზის სიყვარულს თქვენ მასწავლით, და იქნება ჯერაც ვერა ხართ ძალიან კმაყოფილი ჩემს სწავლაზე; მაგრამ დამაცადეთ; ცოტა კიდევ გავიზარდი, დედ-მამასთან ერთად ჩვენი მშვენიერი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალითაც ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო, რასაც დღეს წიგნში მაკითხამთ... და მაშინ ნახამთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვასა, ჩემს მამულიშვილობას! თქვენი ეხლა დათესილი მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც. მაშინ იქნება ჩვენ ყველასათვის დიდი, დიდი დღეობა; და ჩვენთვის, პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა, მიიღეთ ჩემი საუკეთესო და გულითადი მილოცვა და მადლობა თქვენგან მიღებული სწავლისა და სიკეთისათვის.

თქვენი ერთგული სიმონ ზაზაძე“.

დედათა მონასტერს ჰქონდა გახსნილი ბავშვთა ბაღი. აქ დადიოდა პატარა სიმონი. იგი კარგად იგონებს მაშინდელ პირობებს, აღმზრდელ-მასწავლებლები თუ როგორ აჩვევდნენ წესრიგს, სიფაქიზეს, უფროს-უმცროსთა პატივისცემას, ზრდილობას, სისუფთავეს. სიმონ ზაზაძე დიდი სიყვარულით იხსენებდა ხოლმე აღმზრდელ-მასწავლებლებს, მონაზვნებს– **ქრისტინე პარმაქსიზიშვილს** და **თეკლა-მონაზონს**. ეკლესია-მონასტრის ირგვლივ, კერძოდ, უკანა და წინა მხარეს, დიდი ყანები, ბაღები ჰქონდათ ქართველებს. ქათმები, ინდაურები, ბატები ჰყავდათ მონაზვნებს,–იგონებდა ბატონი სიმონი. ხანდისხან პატარა წიწილებს მჩუქნიდნენ ხოლმეო“. მას ბავშვთა ბაღში აჩვევდნენ ღვთისმოყვარეობას, ღვთისმსახურებას, სამართლიანობას, გულწრფელობას, ერთგულებას, შრომისმოყვარეობას, ქველმოქმედებას. ასეთ პიროვნებად ჩამოყალიბდა იგი და უცვლელი დარჩა ბოლომდე.

ბავშვთა ბაღიდან იგი გერმანულ დაწყებით სკოლაში შეუყვანიათ. მეორე მსოფლიო ომის წინ გერმანული სკოლა დახურულა, ამიტომ ინგლისურ სკოლაში გადაუყვანიათ, ლიცეუმში– „რობერტ კოლეჯში“. აქ წარჩინებით უსწავლია ყველა საგანი. ამბობენ, რომ ამ სკოლას დღემდე

ბევრი აღარ ჰყოლია ბატონი სიმონისთანა ბეჯითი, მისთანა აკადემიური მოსწრების მქონე მოსწავლე. მაშინდელი კანონების თანახმად, იგი ვალდებული ყოფილა დაემთავრებინა თურქული ლიცეუმი. ამიტომ ლიცეუმის პროგრამა კარგად მოუმზადებია, ექსტერნად ჩაუბარებია გამოცდები და წარჩინებით დაუმთავრებია თაქსიმის თურქულენოვანი ლიცეუმიც.

სიმონ ზაზაძე სტამბოლის უნივერსიტეტის წარჩინებული სტუდენტი იყო. ეკონომიური ფაკულტეტი მან წარჩინებით დაამთავრა. მაგრამ მისი სურვილი ყოფილა ექიმი გამხდარიყო. ამიტომ დამატებით უსწავლია სტამბოლის უნივერსიტეტის საღამოს განყოფილების სამკურნალო ფაკულტეტზე. აქაც წარჩინებული მოსწრება ჰქონია. მაგრამ მამის დაჟინებული თხოვნით სამკურნალო ფაკულტეტი მიუტოვებია და ეკონომიური დაუმთავრებია მხოლოდ. შემდეგ ლონდონში წასულა დასაოსტატებლად, შესულა „LONDON SCHOOL“-ში, დაუცავს სადოქტორო დისერტაცია ეკონომიურ საკითხებზე. „მამას უნდოდა, საკუთარი წარმოება გაგვევითარებინა და თავიდანვე ამისათვის მამზადებდაო“, – იგონებდა იგი. ზაზაძეებს ჰქონიათ საპნის, ტექსტილის, კოსმეტიკის წარმოება, ფაბრიკები. ამჟამად მათგან მსოფლიო მნიშვნელობისაა „ზაზა-ჰოლდინგი“.

ბატონი სიმონი ერთხანს გატაცებული ყოფილა სამეცნიერო საქმიანობითაც. ბეირუთის ინდურ უნივერსიტეტში ერთხანს ლექციებს კითხულობდა, როგორც მოწვეული ლექტორი, ეკონომიურ ფაკულტეტზე. იქ ყოფნის დროს შეხვედრია ბეირუთელ ქალიშვილს, წარმოშობით ფინიკიელს, არისტოკრატიული ოჯახის შვილს, მეტად ჰუმანურსა და ზედმიწევნით ფაქიზ, სათნო პიროვნებას **ქლაუდეა ინჯეას,** რომელიც მისი მეუღლე გახდა. დღეს ქლაუდეა (ქლოდ) ინჯეა ზაზაძის გვარს ატარებს. მისი მშობლები ბატონი სიმონის დის ქმრის, სიძის, ნათესავები ყოფილან, სტამბოლში საცხოვრებლად გადმოსულნი.

სიმონ ზაზაძეს სამხედრო-სავალდებულო სამსახურიც ჰქონდა გავლილი; აქაც მოწინავეთა რიგებში ყოფილა. უმსახურია ქალაქ თუზლაში. იგი გარნიზონის გენერლის თანაშემწე ყოფილა. ამერიკაში დაუმთავრებია ოფიცერთა უმაღლესი სამხედრო სასწავლებელი. ამ სფეროშიც მოუპოვებია სამეცნიერო ხარისხი.

სიმონ ზაზაძეს ნიჭიერება გამოუვლენია მუსიკის სფეროშიაც. დაოსტატებულა ერთ მუსიკოს პროფესორთან. კარგად უკრავდა თურმე კლასიკურ მუსიკას ვიოლინოზე. ძალიან უყვარდა მოცარტისა და პაგანინის მუსიკა. „5 წლიდან 17 წლამდე კარგად ვუკრავდი და ხშირად გამოვდიოდი ბავშვთა, მოსწავლეთა კონცერტებზე დიდი წარმატებითაო“,– იგონებდა ბატონი სიმონი.

სიმონ ზაზაძის ნიჭიერება, შრომისმოყვარეობა ბავშვობიდანვე ყოფილა ცხადი. იგი ოთხნახევარი წლისა შესულა სკოლაში, დაწყებითი სკოლა რვანახევარი წლისას დაუმთავრებია წარჩინებით.

იგი ნამდვილი პოლიგლოტი გახლდათ; თავისუფლად საუბრობდა 9 ენაზე, სრულყოფილად ფლობდა ენებს – თურქულს, ფრანგულს, ინგლისურს, გერმანულს, ბერძნულს (ძველი და ახალი), იტალიურს, ლათინურს, ესპანურს, ქართულს. 8 ენაზე თავისუფლად წერდა და კითხულობდა. ცოტათი ქართული წერა დამავიწყდაო, – გულნატკენი იტყოდა ხოლმე.

სიმონ ზაზაძის ოჯახი საერთოდ გამორჩეულია ენების ცოდნით, შვილები და შვილიშვილები მას ჰბაძავდნენ ხოლმე. თითქმის ყველამ იცის 4-5 ენა.

ბატონ სიმონსა და ქალბატონ ქლაუდეას (ქლოდს) ჰყავთ სამი შვილი – **ნათალი** (ნატალია), **პაულა** და **პავლე** (პოლი). პავლე ბაბუის თანამოსახელეა – სეხნიაა, ისევე, როგორც ბატონი სიმონი იყო ბაბუის თანამოსახელე.

უფროსი ქალიშვილი **ნათალი ზაზაძე** იურისტია. მან შვეიცარიაში მიიღო უმაღლესი იურიდიული განათლება (UNIVERSINE DE TRIBOURG). მისი მეუღლე სტამბოლელი ბერძენია, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი – **Aksfendyios Kalangos**-ი. ცხოვრობენ ჟენევაში. ჰყავთ ორი ვაჟი – კონსტანტინე და ალექსანდრე.

პაულა ზაზაძე მამის პროფესიას გაჰყვა. დაამთავრა HEC (Haute Etudes Commerciales) LAUSANNE, შემდეგ HARVARD BUSINESS SCHOOL, DOSTON.

პავლე (პოლ) ზაზაძეც მამის კვალს გაჰყვა. წარჩინებით დაამთავრა სტამბოლში გამორჩეული „რობერტ კოლეჯი“ (ROBERT COLLEGE), შემდეგ რამდენიმე სხვა პრესტიჟული სასწავლებელი; ამრიკაში წარჩინებით დაამთავრა **ჰარვარდის უნივერსიტეტი.**

ქალბატონი **ქლაუდეა ინჯეა–ზაზაძეც** ძალიან განათლებული პიროვნება გახლავთ. მან დაამთავრა წმ. იოსების სახელობის უნივერსიტეტი ბეირუთში, ფაკულტეტი –(DES SCIENCES POLITQUES (UNIVERSINE ST. J0SEPH BEYROUTH SCIENCES ECONOMICUES ET POLITIQUES). იცის 5 ენა – არაბული, თურქული და სამი ევროპული ენა. იგი ცნობილია ქველმოქმედებით.

ზაზაძეების შესანიშნავი ოჯახი სახელგანთქმულია არა მარტო თურქეთში: ნათალი ზაზაძის მეუღლე–**აქსპენდიოს ქალანგოსი** ჩინებული კარდიოქირურგია და მსოფლიოში გამორჩეულ კარდიოქირურგთა ათეულში შედის. იგი ხშირად ჩამოდიოდა თბილისში და ოპერაციებს აკეთებდა გულზე. მისი თითები ურთულეს და უფაქიზეს საქმეს ემსახურება – ადამიანის გულის, სიცოცხლის შენარჩუნებას.

ზაზაძეების ოჯახმა თბილისში, კ. ერისთავის სახელობის კარდიოქირურგიულ კლინიკაში გახსნა სიმონ ზაზაძის დედის – მარი ჩილინგარიშვილ –ბეჟანიძისა და მამის – პავლე ზაზაძის სახელობის კარდიოქირურგიული საოპერაციო განყოფილება. სიმონ ზაზაძის სიძე–აქსპენდიოს ქალანგოსი – მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, სწორედ, აქ რამდენიმე წლის მანძილზე უფასოდ აკეთებდა ბავშვთა ურთულეს ოპერაციებს გულზე. „ჩვენ გვინდა ასეთი საქმით დავეხმაროთ ქართველ ხალხს, დღეს მძიმე ეკონომიურ პირობებში მყოფს. გვჯერა, მომავალი კარგი ექნება საქართველოს. ამიტომ დღეს მთავარია ხალხის სიცოცხლის გადარჩენა... აპარატურა, ყოველგვარი სამედიცინო მოწყობილობა, სამედიცინო მოხმარების საშუალებები უფასოდ უნდა მიეწოდებოდეს ავადმყოფებს. ჩემი სიძე უფასოდ ემსახურება მათ... ეს ასეც უნდა იყოს. ჩვენი საქმიანობის შესახებ კარგად მოეხსენებათ თქვენს ჯანდაცვის სამინისტროში; თვით მინისტრი **ამირან გამყრელიძე** კარგად იცნობს ჩემს სიძეს და მის საქმიანობასაო“,–სიამაყით ამბობდა ბატონი სიმონი.

სიმონ ზაზაძის ოჯახი გამოირჩევა ღვთის სიყვარულითა და ღვთისმსახურებით. იგი ყოველ დილით შეივლიდა ხოლმე ქართველ კათოლიკეთა ეკლესიაში, აანთებდა სანთლებს, მხურვალედ ილოცებდა და სამსახურში ისე მიდიოდა. ფაქტიურად იგი იყო ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესიისა და მონასტრის ნამდვილი პატრონი, ერთგული დარაჯი, ქართველი სასულიერო პირების გარეშე უმღვდლოდ დარჩენილი ეკლესია-მონასტრის ქომაგი. ღვთისმოსაობით გამოირჩევა ქალბატონი ქლაუდეაც. მათი ღვაწლი ამ მხრივ კარგად შეუფასებია ვატიკანს. **ზაზაძეების ოჯახის წევრები ვატიკანის კომენდატორები არიან**.

ბატონ სიმონ ზაზაძეს, როგორც თურქეთის, ისე სხვა ქვეყნების მთავრობებისაგან, მიღებული ჰქონდა სათანადო ჯილდოები, რადგან ფაბრიკებს კარგად ამუშავებდა და იქ მომუშავე ადამიანების შრომას დიდად აფასებდა, თანაც სახელმწიფოს კეთილსინდისიერად უხდიდა გადასახადს. იგი დიდი ქველმოქმედი გახლდათ; ყველა თანამშრომლის მზრუნველი მამა იყო. ამიტომაც მისი გარდაცვალება ყველამ დიდად განიცადა; მშობელ მამასავით დაიტირა იგი.

ბატონმა სიმონ ზაზაძემ ერთგულად გააგრძელა მამის საქმე, წინაპართა ტრადიციები. მას მშობლებისაგან მოსდგამდა ძვირფასი ადამიანური თვისებები. მშობლები თურმე მკაცრად ზრდიდნენ მას, აჩვევდნენ ცხოვრებისეულ სიძნელეებს. იგი განსაკუთრებით დავალებული იყო მამისაგან. მისგან ბევრი რამ უსწავლია. მათგან უმთავრესად ასახელებდა სიმართლის-მოყვარეობას, სიცრუის სიძულვილს. „მამა მეტყოდა:–ტყუილი არ თქვა! ამ თითს ხედავ? (მაჩვენებდა საჩვენებელ თითს), როგორც ამ თითის უკან ვერ დაიმალები, ისე ტყუილსაც ვერ გაექცევი, გამტყუნდები, სირცხვილს ჭამო, შერცხვებიო“,–იგონებდა ბატონი სიმონი. „მამა ძალიან გონიერი, მოხერხებული, გამბედავი, სიმართლისმოყვარე, თავაზიანი, წესრიგიანი, შრომისმოყვარე, ნამდვილი ქართველი იყოო“,–სიამაყით იგონებდა ხშირად. მას თავისი სამუშაო მაგიდის მოპირდაპირე მხარეს კედელზე მამის სურათი ეკიდა. იქიდან ნამდვილი ქართველი ვაჟკაცი იცქირებოდა. მისი თვალები, შთამბეჭდავი გამოხედვა ნუგეშს, იმედს აძლევდა ბატონ სიმონს, მომავლის გზას უჩვენებდა თითქოს. „ამასობაში, ცხოვრებას ვსწავ-ლობდი. **მამა ჩემთვის ყველაზე ძვირფასი მაგალითი, ყველაზე კარგი გაკვეთილი იყოო“,**–ამბობდა იგი. **„ბევრი იმუშავე, ცოტა ილაპარაკეო“,–მეტყოდა მამაჩემიო. ამაყობდა სამაგალითო ქართველის შვილი.**

როგორც ჩანს, პავლე ზაზაძე, სამშობლოს სიყვარულს აყენებდა ყველაფერზე წინ, მისთვის ზრუნავდა უხმაუროდ, უჩუმრად. სწორედ ეს თვისება ჰქონდა შეთვისებული სიმონ ზაზაძეს მამისაგან. ბატონ პავლე ზაზაძეს უჩუმრად უკეთებია ქართული საქმე. მარტო ის რად ღირს, რომ 18 მილიონიან სტამბოლში ქართული გვარი შენარჩუნებული აქვს მხოლოდ **ზაზაძეების ოჯახს**. მუსლიმანურ სახელმწიფოში ქრისტიანული რწმენაც შეინარჩუნეს ზაზაძეებმა და დღემდე აცოცხლებენ ქართულ ეკლესიას. სიმონ ზაზაძე, მამის მსგავსად, უხმაუროდ აკეთებდა დიდ ქართულ ეროვნულ საქმეს. ყოველნაირად ცდილობდა, ქართველ ხალხს არ დაკარგვოდა წინაპართა დანატოვარი–ქართველ კათოლიკეთა სავანე, რომელიც სტამბოლის ერთ-ერთ ცენტრალურ უბანშია და რამდენიმე ჰექტარ მიწაზეა გაშლილი. გულდაწყვეტილი ვერაფრით ხსნიდა საქართველოს ხელისუფლების მესვეურთა უყურადღებობას ამ სავანის მიმართ. „27 წელია თქვენ ამ თემაზე წერთ და ჯეროვანი ყურადღება დღემდე არავის გამოუჩენია ამ ძვირფასი ქართული საუნჯის მიმართო“,–სინანულით გვეტყოდა ხოლმე.

სიმონ ზაზაძე დღევანდელ მსოფლიოში ერთადერთი ქართველი იყო, საქართველოს საზღვარგარეთ მცხოვრები, რომელიც ემსახურებოდა დიდ ქართულ საქმეს–პატრონობდა ქართულ ეკლესია-მონასტერს მდიდარი ბიბლიოთეკითა და სამუზეუმო ექსპონატებით სავსეს. დღემდე დამუშავებულია ამ ბიბლიოთეკის 83.000-მდე ერთეული. დასამუშავებელია კიდევ ამდენივე.

ბატონი სიმონი დაკავშირებული იყო ევროპისა და ამერიკის ქვეყნებში მცხოვრებ მოწინავე ემიგრანტ ქართველებთან. იგი იყო **ნინო** და **კალისტრატე სალიების** მეგობარი. წლების

განმავლობაში აფინანსებდა ფრანგულენოვან ჟურნალს **„ბედი ქართლისა“.** რამდენიმე ნომერს კიდეც აქვს მინაწერი ამის შესახებ (იხ. 1963 წლისა–N.S.XV-VI N43-44; 1964 წლისა-N.S.XVII-XVIII N45-46; 1965 წლისა-N.S. N 48-49). ამ ფაქტმა გარკვეული უსიამოვნება შეამთხვია ბატონ სიმონს, ამიტომ მომდევნო წლებში (1966-1982) მისი დაფინანსებით დაბეჭდილ ჟურნალებს რაიმე მითითება დამფინანსებლის შესახებ აღარ ახლავს. ასე რომ, ბატონი **სიმონი იყო ერისკაცი, სამშობლო ქვეყნის ჭეშმარიტი ჭირისუფალი**. მის ოჯახს, დიდი სიძნელეებისა და დაბრკოლებების მიუხედავად, **არც სარწმუნოება შეუცვლია და არც გვარი.** ასეთი პიროვნება ნამდვილად დასაფასებელი იყო იმაზე მეტად, როგორც დღესაა დაფასებული ზაზაძეების ოჯახი საქართველოს მხრიდან.

მკითხველს გვინდა გავაცნოთ 1964 წლის 21 მაისს პარიზიდან სტამბოლის ქართულ სავანეში გამოგზავნილი ერთი პატარა ბარათი, რომელიც დაცულია სავანის არქივში. ბარათის ავტორია **ნინო სალია,** ჟურნალ **„ბედი ქართლისას“** რედაქტორის – **კალისტრატე** სალიას თანაშემწე (ადმინისტრატორი). ბარათი გამოგზავნილია სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის მსახურზე–**პავლე აკობაშვილზე** (ადგულაძეზე). წერილში ვკითხულობთ: „... თქვენ კეთილშობილურ და დიდათ პატრიოტულ მოქმედებაზედ და საქციელზედ ბევრი რამ გაგვიგონია. კარგად ვიცით, თუ როგორ უვლით ქართველ ახალგაზრდობას და თუ როგორ ზრუნავთ, რომ მათში გაამტკიცოთ ის ნაპერწკალი, რაც მათ ამოქმედებს და თქვენს გარშემო ატრიალებს. ვიცით კარგათ, რომ იწვით ქართველებისათვის“. ნ. სალია საყვედურობს პავლე აკობაშვილს, რომ იგი ვერ ახერხებს ჟურნალის გამოცემაში ფინანსურად დახმარებას; აქებს სიმონ ზაზაძეს, **ძლიერი ქართული სულის მქონე ახალგაზრდას,** რომელიც, მძიმე პოლიტიკური პირობების მიუხედავად, მაინც ახერხებდა ჟურნალის დაფინანსებას პარიზში. ნ. სალია წერს: „სიმონი ახალგაზრდაა, მაგრამ **მასში ძლიერი ქართული სული აღმოჩნდა და კრებულს ეხმარება, რაც ძლიერ დასაფასებელი არის და იქნება“**...

სიმონის მამა–პავლე ზაზაძე–თუ მხოლოდ მწარე მოგონებებით იმსუბუქებდა სამშობლოს მონატრების გრძნობას, ტკბილად იხსენებდა ბავშვობას, მშობლიური უდეს სანახებს და ვერ ახერხებდა სამშობლოს მონახულებას, ბატონმა სიმონმა საქართველოს სანახავად გამონახა დრო და ესტუმრა ისტორიულ სამშობლოს, **მესხეთს**, მშობლიურ **უდეს** ადიგენის რაიონში. ხანდისხან სტუმრობდა ხოლმე **თბილისს**, **ბათუმს, ქუთაისს.** იგი იყო თბილისის ივანე ჯავახიშვილის უნივერსიტეტის, ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტის, ქუთაისის, აკაკი წერეთლის უნივერსიტეტის, ახალციხის სასწავლო უნივერსიტეტის საპატიო დოქტორი, საპატიო პროფესორი, საქართველოს საპატიო მოქალაქე.

ბატონ სიმონ ზაზაძეს გადაწყვეტილი ჰქონდა თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათლების ფონდის მხარდაჭერით, შეექმნა **თურქეთ-საქართველოს კულტურისა და განათ-ლების ცენტრი**, რომელიც უნდა განთავსებულიყო ჩვენი დიდი წინაპრების მიერ დანატოვარ მიწაზე–ფერიქოის ქართველთა სავანის ტერიტორიაზე. დღემდე ჯერჯერობით ამ მიწაზე მას აშენებული აქვს შესანიშნავი კერძო გიმნაზია. ორი წლის წინ სიმონ ზაზაძის ხელმძღვანე-ლობით გაიხსნა თანამედროვე ტიპის ბიბლიოთეკა ახალ შენობაში. ფონდთან ერთად იგი იღვწოდა დაეარსებინა უნივერსიტეტი, სადაც იმუშავებდა ქართული განყოფილებაც. „ეს ადგილი უნდა გავაცოცხლოთ ორი მეზობელი ხალხის მეგობრობის სიმბოლოდ“,–აცხადებდა

იგი. **მოუთმენლად ელოდებოდა გამოხმაურებას, თანადგომას საქართველოდან, რაც ხელს შეუწყობდა ადგილობრივი ხელისუფლებისაგან ნებართვის მიღებას.**

ამ საქმეში მას მხარში ედგნენ ოჯახის წევრები: მეუღლე **ქლაუდია ინჯია-ზაზაძე,** ვაჟი– **პავლე ზაზაძე,** ნიჭიერი, ზრდილი, ინტელიგენტი ახალგაზრდა; ქალიშვილები – **ნათალი და პაულა ზაზაძეები**.

ბატონ სიმონ ზაზაძეს ჭეშმარიტად უყვარდა საქართველო, ენაღვლებოდა მისი დღევანდელობა, მისი ხვალინდელი დღე. ოპტიმისტურად იყო განწყობილი, სწამდა საქართველოს ნათელი მომავლისა. „ქართველი ხალხის გონიერება და შრომისმოყვარეობა გადაარჩენს საქართველოს... **ჩვენი სამშობლო სულ მალე შვეიცარიასავით იქნება.** ყველას უნდა სჯეროდეს ეს, ყველამ უნდა იზრუნოს დღენიადაგ ამისათვის. ხალხის სურვილს წინ ვერაფერი აღუდგებაო“,–ამბობდა ბატონი სიმონი. **ღმერთმა უსმინოს!... ამინ!..**

კარი მეორე

ა) სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული ცნობილი საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, სამშობლოს მოსიყვარულე სასულიერო პირების პუბლიცისტური წერილები

მემედ ბეგ-აბაშიძე

კიდევ ეროვნულ შეგნების შესახებ

ეროვნული შეგნების შესახებ რამდენჯერმე გვქონდა ლაპარაკი ჩვენს გაზეთში; მარა ეს საგანი იმდენათ საყურადღებოა, რომ განსაკუთრებით ჩვენთვის, მუსლიმან ქართველებისთვის, რომ ზედმეტი არ იქნება, კიდევ შევჩერდეთ მასზე.

ის პირები, რომლებმაც თავის მოქმედებით დაღუპეს ოსმალეთი, ქადაგებდნენ და დღესაც ქადაგებენ, რომ ეროვნებას, ეროვნულ შეგნებას დიდი მნიშვნელობა არა აქვს, ხალხები უნდა დაირაზმონ სარწმუნოების მიხედვითაო.

ამგვარმა ქადაგებამ ოსმალეთი დაღუპვამდე მიიყვანა. "ერთობის და პროგრესის" პარტიამ იწყო ეს ქადაგება მთელს სამუსლიმანო ქვეყანაში. ამ პარტიამ იკისრა შეუძლებელი საქმე, მთელი ქვეყნის მუსლიმანობის დაპირისპირება სხვა ხალხებთან და, სწორეთ, ეს გახდა მიზეზი იმისა, რასაც დღეს ვხედავთ. ოსმალეთი ძლიერიც რომ ყოფილიყო, ის მაშინაც ვერ შეძლებდა ამ იდეის ცხოვრებაში გატარებას. ვინაიდან ამ აზრით ეროვნულ შეგნებას გზა ეკვეცება; ე.ი. გზა ეხშობა ერის ნამდვილ შეხედულებას, მის ნამვილ მთლიანობის განმტკიცებას.

არაბეთი, ინდოეთი, ალბანეთი სამუსლიმანო ქვეყნებია, მარა მათი ერთ სახელმწიფოში მოქცევა შეუძლებელია, ვინაიდან ეს ეროვნებანი, თუმცა მათ ერთი აქვთ სარწმუნოება, სხვა და სხვა შეგნების, სხვა და სხვა ინტერესების მატარებელნი არიან. ალბანეთს ცალკე სურს არსებობა, არაბეთსაც დამოუკიდებლობა სწყურია, ინდოეთს კიდევ თავისი ინტერესები აქვს, და ამიტომაა, რომ ამ ქვეყნებში "ერთობისა და პროგრესის" პარტიის ქადაგებამ ვერ გასჭრა და ეს ქვეყნები ოსმალეთს ვერ შეადუღა.

ევროპის ხალხებმა კარგა ხანია შეიგნეს, რომ **სახელმწიფო ძლიერია მაშინ, თუ მისი ეროვნული შეგნება მაღლა დგას, თუ მისი ეროვნული აღებ-მიცემობა განვითარებულია**. გერმანია, რომელიც, თუმცა დამარცხდა ომში, მარა რომელსაც საკმაოთ **ძლიერი კულტურა აქვს, იმას კი არ დაეძებს გერმანელი პროტესტანტია თუ კათოლიკე და ამისდაგვარათ კათოლიკე გერმანელს კი არ უპირისპირებს პროტესტანტ გერმანელს, არამედ ყურადღებას აქცევს ეროვნულ შეგნებას, ეროვნულ ძლიერების გამოჭედვას და მიტომ იყო, რომ გერმანია ლომივით იბრძოდა ურიცხვ მტრების წინააღმდეგ. ინგლისიც, საფრანგეთიც, ამერიკაც და საზოგადოთ, კულტურით ძლიერი ქვეყნები ამ მხარეს აქცევდენ და აქცევენ ყურადღებას...**

და მიტომაა, რომ ეს ქვეყნები ძლიერი არიან, მიტომაა, რომ დევის ნაბიჯით მიდიან წინ განათლება-განვითარების გზაზე.

ამ მაგალითმა აწ მაინც უნდა დაგვაფიქროს, ძველი გზით სიარული დაგვღუპავს. უნდა დავუჯეროთ ისტორიას; უნდა შევიგნოთ და **შევისისხლხორცოთ მოწინავე ქვეყნების**

მაგალითი; უნდა დავადგეთ ჩამორჩენილი ქვეყნების გზას კი არა, არამედ განათლების გზას.

განათლებული, ძლიერი ქვეყნების მაგალითი კი გვეუბნება, რომ თუ გვსურს სიკეთე ჩვენთვის და ჩვენი შთამომავლობისთვის **უნდა დავადგეთ ეროვნული შეგნების გზას. ის ხალხი, რომელსაც დავიწყებია თავისი ეროვნება, სწორედ იმ უბედურ შვილს ჰგავს, ვისაც დავიწყებია თავისი მშობლები.** ასეთ შვილს ხომ ხეირი არასდროს დაეყრება.

ეროვნული შეგნება ქვაკუთხედია ერის წინსვლისა, მისი გაძლიერებისა.

ჩვენც ეროვნულ გზას უნდა დავადგეთ... ზურგი უნდა ვაქციოთ მათ, ვინც სხვა გზაზე სიარულს გვირჩევს.ნუ თუ ვერ ვხედავთ, რომ ამ სხვა გზაზე გადატყუებამ გაგვაჩანაგა და უკან დაგვწია.

მაშასადამე, **უნდა მოვნახოთ ჩვენი ეროვნული გზა. ვინა ვართ ჩვენ?... არაბი არა ვართ, არც ალბანელი ვართ, არც თურქები ვართ; თვით თურქები ჩვენ "გურჯებს" გვეძახის. ჩვენ მუსლიმანი ქართველები ვართ და ჩვენი სამშობლო საქართველოა.**ეს მტკიცედ უნდა შევიგნოთ; **ეს ეროვნული შეგნება გონებაში უნდა ჩავბეჭდოთ და ამ შეგნებით გავსწიოთ წინ ჩვენი აწმყოს და მომავლის საბედნიეროთ.**

ვინც ამის წინააღმდეგს ჩაგვჩიჩინებს, ის გადაგვარების გზაზე გვაყენებს; ის ჩვენს ხალხს დაღუპვისკენ ეპატიჟება... და ჩვენ არ გვსურს დაღუპვა; ჩვენ გვსურს ვიცოცხლოთ. განვითარდეთ, წინ წავიდეთ. ამას შევძლებთ მხოლოდ მაშინ, თუ უკუ ვაგდებთ ისეთ ვაჟბატონების რჩევას, რომლებსაც ჩვენთან არაფერი აქვთ საერთო.

გზა ეროვნული შეგნებისა, სიყვარული და დაცვა ჩვენი სამშობლო საქართველოსი, აი, რა გააძლიერებს ჩვენს სარწმუნოებას, ჩვენს ეროვნებას!...

20 აპრილი, 1919 წელი.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №87, 1919 წელი, 8 მაისი.გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არ არის შენახული. იგი დაცულია ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკაში – "სტამბოლის ქართულ სავანეში".) მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტიც დაცულია იქვე, არქივში.

საქართველოში ქვეყნდება პირველად.

მემედ ბეგ-აბაშიძე

მუსლიმან ქართველებს

ღვიძლო ძმებო!

დიდი ტანჯვა-ვაება უცდია ჩვენს ხალხს. დიდხანს უბატონიათ ჩვენზე უცხოელებს. დიდი შეურაცხყოფა, დიდი წვალება მოუყენებიათ მათ ჩვენთვის. გავიხსენოთ თუნდ რუსეთის თვითმპყრობელობის მსახურთაგან ამ ბოლო დროს მოყენებული უბედურება, როცა 1915 წელში **ლიახოვები,გუბსკები** ცეცხლითა და მახვილით შემოგვესიენ, ჩვენი ქვეყნიდან გადაგვრეკეს, ჩვენი სახლ-კარი გადაწვეს; ჩვენი ძმები, ზოგი ჩამოახრჩვეს და ზოგსაც უცხოეთში ამოხდა სული.

რუსეთის თვითმპყრობელობას გადაწყვეტილი ქონდა, რომ ჩვენ სავსებით გავენადგურებიეთ, სავსებით ავეყარეთ ჩვენს საყვარელ მიწა-წყლიდან, რომ ჩვენს სამშობლოზე რუსეთის ყაზახები ჩამოესახლებინათ.

მთელი ქართველობა აღაშფოთა თვითმპყრობელობის ასეთმა ვერაგულმა საქციელმა. მთელი ქართველი ერი აღსდგა და დაემუქრა თვითმპყრობელობას, რომ თუ ის ქართველი მუსლიმანების ტანჯვასა და წამებას თავს არ გაანებებდა, ქართველი ერი აჯანყდებოდა. ჩვენმა სახელოვანმა მოამაგემ, ჩვენმა მოძმე **აკაკი ჩხენკელმა**, რომელიც მაშინ სახელმწიფო დუმის დეპუტატი იყო, მთელს ქვეყანას ამცნო თვითმპყრობელობის მიერ ჩვენდამი მოყენებული ვაება. მან მოითხოვა ქართველი ერის სახელით, რომ ჩვენთვის ხელი არ ეხლოთ.

ქართველი ვექილები თავს გვევლებოდენ; იცავდნენ თვითმპყრობელობის მსახურების მიერ საპყრობილეში უსამართლოდ ჩამწყვდეულ ჩვენს ძმებს. ბევრი ჩვენი მოძმე იხსნეს მათ სახრჩობელისაგან, ბევრ მამასა და დედასა, ძმათა და დას შეაშრეს თვალზე ცხელი ცრემლები.

მშობლიურ გრძნობამ იფეთქა, ძმამ ვერ მოითმინა ძმის ტანჯვა-ვაება. ერთმა ძმამ-ქართველ ქრისტიანებმა მეორე ძმას-ქართველ მუსლიმანებს ძმური ხელი გამოგვიწოდა. ნათქვამია: ძმა გასაჭირში იცნობისო... მოგვადგა გასაჭირი და დაგვეხმარენ ჩვენი ძმები, გვიხსნეს უბედურებისაგან. "ძმა ძმისთვინა, შავ დღისთვინაო". - ამბობს ხალხური სიბრძნე და ეს სიბრძნე გაამართლეს ჩვენმა ძმებმა.

გადავრჩით უბედურებას და ცოტა უფრო იმედიანად ამოვისუნთქეთ... მალე თვითმპყრობელობის ტახტიც დაინგრა. ჩვენი იმედი გაორკეცდა; ომიანობა შეწყდა და წამოდგა საკითხი პატარა ერების განთავისუფლების ჟამიცა; დადგა დრო, როცა ჩვენც უნდა გავთბეთ თავისუფლების სხივით, როცა განთავისუფლებულ დედა-სამშობლო საქართველოს ფარგლებში უნდა შევიდეთ ფართო ავტონომიურ საფუძველზე, როცა თვით ჩვენ უნდა გავხდეთ ჩვენი ბატონ-პატრონი, როცა თვით ჩვენ უნდა ვიყოთ ჩვენს საშინაო საქმეებში სრული თავისუფალნი.

აი, ასეთი დიდებული დრო დაგვიდგა...

აი, ასეთი ბედნიერება უნდა მოგვენიჭოს. მარა დროს მოხმარება უნდა, თუ ეს ხელსაყრელი დრო გავუშვით, თუ ასეთი დრო ვერ ვისარგებლეთ, თუ კარგად არ ჩავუკვირდით გარემოებას და თუ ახლა შევცდით, მერე შეიძლება არც კი დაგვიდგეს ასეთ დრო

და ჩვენი შეცდომა დაგვღუპავს; კვლავ მონობაში დავრჩებით და ჩვენი შთამომავალი არ გვაპატიებს ამას.

ზოგიერთები გვეუბნებიან, რომ ჩვენ ოსმალეთს უნდა შევუერთდეთო, კარგად ჩაუკ-ვირდეთ: შესრულდება ეს თუ არა.

ოსმალეთმა ომი წააგო; შეთანხმების სახელმწიფოები: ინგლისი, საფრანგეთი, იტალია მას ანაწილებენ. მას ჩამოაცალეს სირია, მესოპოტამია, პალესტინა, მთელი არაბეთი. თვით სტამბულის ბედზეა ახლა დავა.. ოსმალეთი მოითხოვს, რომ მისი საზღვრები აღდგენილ იქნას 1914 წლის ფარგლებში. თქვენ კარგად იცით, რომ ბათუმის ოლქი ამ საზღვრებში არ შედიოდა. ბათუმის ოლქს ოსმალეთი არ მოითხოვს... და არ მოითხოვს იმიტომ, რომ მან ძლიერ კარგად იცის, რომ მას (ოსმალეთს) არათუ 1914 წლამდე ტერიტორიას გაუფართოვებენ, არამედ ამ ტერიტორიიდან ზოგი ნაწილი უკვე ჩამოსჭრეს, ზოგსაც ახლა უპირებენ ჩამოჭრას. თუ ოსმალეთმა მოახერხა და 1914 წლის საზღვრები შეინარჩუნა, ეს დიდი გამარჯვება იქნება ოსმალეთისა. ჩემო ღვიძლო ძმებო! მე არ მივცემ ჩემს თავს ნებას, რომ სიმართლე არ მოგახსენოთ; და რაც გითხარით, ეს ჭეშმარიტებაა; ასეთია ოსმალეთის მდგომარეობა... სამწუხაროა ეს, მარა ეს ასეა, ეს მწარე სინამდვილეა.

თქვენთან კი მოდიან ზოგიერთები და გვეუბნებიან ტყუილს: თითქო ხოფაში ოსმა-ლეთს რამდენიმე ათასეული ყავდეს ბათუმის დასაკავებლათ; თითქო ეს ჯარი მაშინვე წამოვა ბათუმიასკენ, თუ თქვენ თოფს აიღებთ ხელში...

ეს არაა სიმართლე; ოსმალეთი ბათუმისაკენ ჯარს არ დაძრავს. მას დასახსნელი და დასაცავი სხვა ბევრი ქალაქი აქვს, მისთვის უფრო მნიშვნელოვანი, მისთვის უფრო სასარ-გებლო. მას სჭირია სივასის დაცვა, მას სჭირია სმირნის დაცვა, რომელსაც ბერძნებს აძლევენ. სად სცალია მათ (ოსმალეთს) ბათუმისთვის?!...

და თქვენ გატყუებენ, ძმებო! უნდათ საშინელ დღეებში ჩაგვაგდონ; უნდათ, რომ ჩვენი ქვეყანა სისხლით მოირწყას... კერძო ინტერესებით შეპყრობილი პირები შემოგვესიენ და მათი კერძო ინტერესებისათვის მათ თქვენი სისხლი დასჭირდათ. რათ არ მიჰხედავენ ეს პირები ღმერთს, რათ შეჰყავხართ მათ შეცდომაში.

ჩაუკვირდით მდგომარეობას; კარგად მიიკითხ-მოიკითხეთ; თქვენც ჭკუა გაქვთ, გონება გაქვთ.ნუ მოატყუებიებთ თავს კერძო ინტერესებით შეპყრობილ პირებს...

რუსებსაც განუძრახავთ ჩვენი მოტყუილება. ის რუსის ჩინოვნიკები, ის დენიკინელები, ის გუბსკები, რომლებიც მათრახებითა დაგვდევენ, რომლებმაც გვაწამეს და გვტანჯეს, ახლა მობრძანებულან ჩვენთან და მეგობრობას გვეფიცებიან! ამ დრომდი დაპყრობით, დენიკინით გვემუქრებიან: - მოვა დენიკინი და გაყურებიებთ სეირსო, - ახლა კი გვეუბ-ნებიან: - იარაღი აიღეთ, დაგეხმარებით, ქართველები არ შემოუშვათო...

ძმებო! ნუ თუ ვინმე მართლა ფიქრობს, რომ რუსებს ჩვენი კარგი სურს?... მათ სურთ ჩვენი დაპყრობა, მათ სურთ ჩვენზე ბატონობა ისე, როგორც წინეთ ბატონობდნენ. მათ სურთ, რომ ჩვენ არ შევუერთდეთ საქართველოს... და ეს სურთ მიტომ, რომ არ უნდათ ჩვენთვის თავისუფლება, არ უნდათ ჩვენი გაძლიერება; მათ უნდათ ჩვენ მარტონი ვიყოთ, ვიყოთ სუსტნი, რომ შემდეგ, როცა დროს იხელთებენ, მოგვდგნენ და თოფის კონდახებითა და ხიშტებით დაგვიმონონ. მათ უნდათ წაგვკიდონ საქართველოს; მათ უნდათ, რომ ისეთი საქმე ჩაგვადენინონ, რაც შემდეგ ჩვენს ძმებთან – ქართველ ქრისტიანებთან – ვერ შეგვარიგებს. მათ სურთ, რომ ორ ძმას შუა მუდამ დუშმანობა იყოს დათესილი...

აი, რა უნდა მათ და მიტომაა, გველაქუცებიან, ვითომდა დიდი მეგობრები არიან ჩვენი. ნუ თუ ამ დრომდი ვერ ვიცანით ესენი?! განა ესენი არ არიან. რომ ჩვენს ოლქში არსად გაგვიკარეს მართვა-გამგეობის საქმეში? განა ესენი არ არიან, რომ ყოველთვის და ყველგან გვდევნიან?

... და განა ამათ უნდა ვენდოთ! – არასდროს!

ჩვენი ერთად-ერთი გზა, ერთად-ერთი ბედნიერება საქართველოთან ერთობაშია, ფართო ავტონომია საქართველოს ფარგლებში! აი, რა გვიხსნის ჩვენ. სხვა გზა არ არის.

ზოგიერთები ავრცელებენ ცრუ ხმებს, რომ თითქო ჩვენ სქართველო ფართო ავტონომიას არ მოგვცემს. და ასეთ ხმებს ავრცელებენ მიტომ, რომ თქვენ გული აგიცრუონ საქართველოზე. ტყუილს ამბობენ ეს პირები. საქართველოს მთავრობას მტკიცეთ აქვს გადაწყვეტილი ჩვენთვის ავტონომიის მონიჭება. საქართველოს მთავრობამ უკვე გამოაცხადა, რომ ის **სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას ანიჭებს**. აი, რა მოწოდებით მოგვმართა ჩვენ საქართველოს მთავრობის თავჯდომარემ ყველასაგან პატივცემულმა, მთელ ქვეყანაში სახელგანთქმულმა ნოე ჟორდანიამ:

"თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენილებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად, საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას.

თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენლები გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას; მტკიცე კანონებით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა; მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას".

... და საქართველოს მთავრობა ამ თავის გადაწყვეტილებას არასოდეს არ უარჰყოფს.

ეს იცის ყველამ. ეს იციან ოსმალეთის საუკეთესო მოღვაწეებმაც. იციან, რომ საქართველოს მთავრობა შეასრულებს თავის გადაწყვეტილებას. მიტომ გვირჩიეს ჩვენ ოსმალეთის ყველა საუკეთესო მოღვაწეებმა, რომ ჩვენ შევუერთდეთ საქართველოს ავტონომიურათ.

ძმებო! დიდი სიფრთხილე გვმართებს... არ აჰყვეთ მატყუარებს, არ აჰყვეთ კერძო ინტერესებით შეპყრობილ პირებს. არ აჰყვეთ მათ, თორემ დავიღუპებით. ჩვენი ქვეყანა განადგურდება, ჩვენი სინდისი შეიბღალება; მუდამ თითით საჩვენებელი გავხდებით; მუდამ მოღალატის სახელი გვერქმევა და ჩვენი თავისუფლების საქმეც დაიმარხება. არ ჩავიდინოთ სამარცხვინო საქმე; არ გავიტეხოთ სამუდამოდ სახელი. გახსოვდეთ, რომ ჩვენი ხსნა, ჩვენი ბედნიერება საქართველოსთან ერთობაშია. ფართე ავტონომია საქართველოს ფარგლებში – აი, რა გვიხსნის ჩვენ! სხვა გზა არაა.

იყოს კურთხევა ალაჰისა თქვენზედა!

სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ მთავარ კომიტეტის თავჯდომარე მემედ აბაშიძე.

1920 წელი, თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო", 1920 წელი, 17 თებერვალი, № 295

გაზეთის ნომერიცა და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

ბალშევიკები და პატარა ერები

(გაგრძელება)

არა უკეთესი ბედი ეწვია უკრაინას; მისი მიდამოები დღესაც სისხლით ირწყვება. თუ თურქესტანში ბალშევიკებმა შესძლეს უიარაღოთ შეუკავშირებელი ყირგიზებისა და სართების დამორჩილება, უკრაინაში, სადაც გლეხობა შეგნებული და შეკავშირებულია, ეს ასე ადვილი როდი დარჩა. უკრაინელ გლეხობას მუდამ სძაგდა "მოსვალი" (ასე ეძახიან უკრაინელები რუსებს), რომელმაც მას აუკრძალა სამშობლო ენაზე სწავლა-განათლების მიღება და ათასგვარ შევიწროებას აყენებდა.

რევოლუციის შემდეგ უკრაინამ ავტონომია და საკუთარი ჯარის მოწყობა მოითხოვა; უკრაინის ასეთი სეპარატიული გამოსვლა მაშინ ყველა პარტიამ დაგმო, არა იმიტომ, რომ წინააღმდეგი ყოფილიყვნენ უკრაინის მოთხოვნილების და მის სამართლიანს, მეფის მთავრობის მიერ გათელილ უფლებებს არ სცნობდნენ.

რუსეთის რევოლუცია ყველა დამონებულ ერისთვის ბედნიერება იყო. რევოლუციამ ამ ერებს აყარა ბორკილი, რომელიც მათ თვითმპყრობელობამ დაადგა. რევოლუციას საფრთხე ელოდა გერმანიის მხრივ. რუსეთის ყველა ერი მოვალე იყო დაეცვა რევოლუცია. ასეთ დროს ყოველგვარი სეპარატიული გამოსვლა, მთავრობისათვის ძნელ შესასრულებელ მოთხოვნილებათა წამოყენება, დანაშაული იყო, ვინაიდან ეს ასუსტებდა გერმანელებთან ბრძოლის ენერგიას. განსაკუთრებით განუხორციელებელი იყო უკრაინელების მოთხოვნა საკუთარი ჯარის შექმნის შესახებ. ნიკოლოზის მთავრობას ქართველი სადღაც კოსტრომის ან მოგილევის გუბერნიაში მიყავდა ჯარში და მის მაგივრად ჩვენში (აჭარაში, საქართველოში საერთოდ) ვიღაც ორენბურგელი ყაზახი მოყავდა. ასევე ექცეოდა ის უკრაინელს, სომეხსა და სხვა ერის შვილებს. ამიტომ ძნელი იყო ბრძოლის დროს სხვადასხვა ადგილას გაფანტულ უკრაინელი ჯარის შედგენა. ეს დიდ დროს და ენერგიას ითხოვდა; ფრონტი დასუსტდებოდა, გერმანიის ჯარებს გზას გაუხსნიდა. ბალშევიკები მაშინ მხარს უჭერდნენ უკრაინის მოთხოვნას და დროებითი მთავრობას ნიკოლოზის მთავრობას ადარებდნენ. ამნაირათ იმიტომ იქცეოდნენ, რომ სურდათ დროებითი მთავრობისათვის ნდობა დაეკარგათ ხალხის თვალში; თავისი გავლენა გაეძლიერებინათ ძალა უფლების ხელში ჩასაგდებათ.

ასე იქცეოდნენ ბალშევიკები, სანამ ძალა უფლება მათ ხელში არ იყო; შემდეგ კი, როცა მართვა-გამგეობის აპარატი ხელთ იგდეს, გადაივიწყეს ყველაფერი, რასაც ადრე ამბობდნენ. უკრაინელ გლეხობას ბალშევიკებმა ასე განუცხადეს: თქვენ მოგენიჭებათ ავტონომია, მხოლოდ ცხოვრებას მოაწყობთ ისე, როგორც რუსეთშია. ე.ი საბჭოები შემოიღეთო. ბალშევიკებმა სიტყვით მიანიჭეს ავტონომია უკრაინას, ნამდვილათ კი უკრაინის საქმეებს მოსკოვის საბჭოთა მთავრობის მიერ გამოგზავნილი პირები განაგებდნენ. საბჭოების მართვა-გამგეობა უკრაინაში ფაქტიურად ისე, როგორც თურქესტანში, რუსი მუშების და ჩინოვნიკების ბატონობა იყო. ეს ჩინოვნიკები და მუშები ვერ შეურიგდნენ იმას, რომ უკრაინაში სახელმწიფო ენათ უკრაინული ენა იქმნა გამოცხადებული. ეს ჩინოვნიკები და მუშები არიან ბალშევიკების უკრაინაში ბატონობის ქვაკუთხედი. უკრაინის ფართე მასა,- გლეხობა ბალშევიზმის წინააღმდეგია. ის ებრძვის ბალშევიზმს.

დღესაც, როდესაც უკრაინა ბალშევიკურ წითელ ჯარს უჭირავს, ბრძოლა ბალშევიკების წინააღმდეგ არ შეწყვეტილა. უკრინაში ხშირად ხდება გლეხების აჯანყება ბალშევიკური ბატონობის წინააღმდეგ, მაგრამ, საუბედუროდ, ამ ბრძოლამ შესაფერი ნაყოფი ვერ გამოიღო.

ამ ორი მაგალითიდან ნათლად ჩანს, თუ როგორი "მეგობარი" არიან ბალშევიკები პატარა ერებისა... პატარა ერების მეგობარი ბალშევიკები სიტყვით არიან, საქმით კი პატარა ერებს ისე ეპყრობიან, როგორც ნიკოლოზის მთავრობა ეპყრობოდა. სიტყვით ბალშევკები პატარა ერებს უფლებას აძლევენ თავისი ცხოვრება როგორც სურთ, ის მოაწყონ, საქმით კი, ამ ერების ცხოვრებას თითონ განაგებენ, ხალხს არაფერს ეკითხებიან.

ამას ნათლათ ამტკიცებს ბათუმელი ბალშევიკების მოქმდებაც.

განა ბათუმელი ბალშევიკები დაეკითხნენ ოლქის მცხოვრებთ, თუ როგორ სურთ მოაწყონ მათ თავისი ცხოვრება?-არა! არ დაეკითხებიან! მაგრამ, მიუხედავათ ამისა, 90 კაცმა, ორი ათასი მუშის წარმომადგენლებმა, გადაწვიტა ასიათასი მცხოვრებთა ბედი:- ბათუმი საბჭოთა რუსეთს გადაეცესო.

ბათომელ ბალშევიკების მოქმედება, მათ მიერ გამოტანილი რეზოლუცია, თურქესტანის, მთიელთა რესპუბლიკის და უკრაინის მაგალითები კარგათ გვიჩვენებს, თუ რა მოყვება, რომ ბათომი და მისი ოლქი ბალშევიკების ბატონობას დაემორჩილოს. გამეორდება ის, რაც თურქესტანში და უკრაინაში მოხდა: ორი ათასი შეიარაღებული ბათომელი რუსი იბატონებს ოლქის ასი ათას მცხოვრებელზე. სიტყვით აჭარა-ქობულეთს ავტონომიასაც და სხვა "ათას ბედნიერებას" მიანიჭებენ, საქმით კი არაფერს დაეკითხებიან, როგორც რეზოლუციის გამოტანის დროს არ დაეკითხენ და ოლქის წარმომადგენელს სიტყვის უფლებასაც არ აძლევდნენ.

ყველა ეს ცოტაა, ბალშევიკები აქ დაანთებენ სამოქალაქო ომის ცეცხლს. ძმა-ძმას წაჰკიდებენ და ჩვენი მინდვრები, ჩვენი სოფლები და სახლ-კარი ისვე განადგურდება, როგორც რუსეთის გამადგურდა და დღესაც ნადგურდება.

ამრიგად, ბალშევიკური სამოთხე ჯოჯოხეთად გადაიქცევა.

ყველა ეს არ უნდა დაივიწყოს ოლქის მცხოვრებლებმა. არ უნდა დაუჯერონ ბალშევიკურ ტკბილ დარიგებებს; ახსოვდნენ, რომ ყველაფერს იმას, რასაც ეხლა თავის ფურცლებში სწერენ ბალშევიკები, პირდებოდნენ ისინი უკრაინელებს, თურქისტანელებს და სხვებს, მაგრამ ნაცვლად ყუმბარები და ტყვიები დაუშინეს.

... და როცა ძალათ-მაცხონე "მეგობარი" ბალშევიკები ტკბილ მუსაიფს დაუწყებენ, უთხრან: -"ფიცი გვწამს, ბოლო გვაკვირვებს"; ჯერ თურქესტანის და უკრაინოს ხალხის სისხლში ამოსვრილი ხელები დაიბანეთ და მეგობრობაზე შემდეგ ვილაპარაკოთო...

1920 წელი, 5 აპრილი.

დაიბეჭდა გაზეთში-"სამუსლიმანო საქართველო"; იხ №339, 1920 წელი, 18 აპრილი. (ამ სტატიის წინა ნაწილი დაბეჭდილია ამავე გაზეთის №334 და 335-ში) დაიბეჭდა ფსევდონიმით **"ალი"**.

წერილის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივსა და ბიბლირთეკაში. საქართველოში ქვეყნდება პირველად.

მემედ ბეგ-აბაშიძე

პროვოკაცია

ჩვენ რამდენჯერმე ხაზგასმით აგვიღნიშნავს ის გარემოება, რომ ბათუმსა და მის ოლქში შექმნილ არანორმალურ მდგომარეობის გამო ჩვენ მხარეში ბლომად დაგროვდნენ ისეთი პირები, რომელთა ხელობაა წყლის ამღვრევა და ამ საშვალებით თავის კერძო ინტერესების გაჩარხვა. სამწუხაროთ, ამგვარ ვაჟბატონების მოქმედებას ფართე სარბიელი გაეხსნა აქ. სარგებლობენ რა ამით, ეს პირები და ჯგუფები არავითარ საშუალებას არ ერიდებიან, რომ მდგომარეობა რაც შეიძლება გაამწვაონ; შექმნან მცხოვრებლებში ნერვიულობა და მით თავის ბნელ განზრახვებს ხელი შეუწყონ.

ასეთ პირობების უპირველესი იარაღი ყოველთვის იყო და არის პროვოკაცია. საპროვოკაციოთ კი ისინი ყოველთვის ადვილათ პოულობენ აქ მასალებს. მაგალითად, ამ ბოლო დროს მოუხშირეს ხმების გავრცელება, რომ თითქო ინგლისელები ძლიერ მალე დატოვებენ ბათუმს და წავლენ აქიდან ისე, რომ არც კი გააგებინებენ თითქოს მათ წასვლას მცხოვრებლებს. ერთ მშვენიერ დღეს თითქოს გაიღვიძებენ რა დილით მცხოვრებლები, ერთ ინგლისელსაც ვერ დაინახავენ აქ.

ვისთვისაც არ უნდა იყოს ცხადი, რომ ეს ხმები სრულიად არ შეეფერება სიმართლეს. ინგლისელებმა ბათუმისა და მისი ოლქის ოკუპაცია გამოაცხადეს მოკავშირეთა გადაწყვეტილების თანახმად. დიდი ბრიტანეთს მოკავშირეთა კონფერენციის მიერ დაევალა დროებით მოვლა-პატრონობა ბათუმისა და მისი ოლქისა. თუ გარემოება იცვლება და ინგლისელებმა უნდა დასტოვონ ბათუმი და ოლქი, ეს მოხდება არა ფარულად, არამედ აშკარათ და ეს ეცნობება, რა თქმა უნდა, მცხოვრებლებს; ეცნობება, აგრეთვე, ისიც, თუ ვის გადაეცემა ბათუმი და მისი ოლქი. რისთვის, რა მოსაზრებით უნდა დაუმალონ მცხოვრებლებს ინგლისელებმა წასვლა. თუ ეს უკანასკნელი გარემოება გადაწყვეტილია მოკავშირეების მიერ;არა თუ დიდი ბრიტანეთი, პაწაწინა სახელმწიფოც კი არ იკადრებს ფარულად აბარგებას და გაპარვას. ეს იმდენად ცხადია, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელებაც კი ზედმეტია. ეს იციან პროვოკატორებმაც, მარა ბნელი პირები, აბა, სიმართლეს ხომ არ მისდევენ?... მათი საქმეა წყლის ამღვრევა, მცხოვრებლებში მღელვარების გამოწვევა და მით თავისი ბნელი საქმეების მოჭახრაკება. ეს ვაჟბატონები თავის პროვოკაციულ ხმებს სარჩულათ უდებენ იმ გარემოებას, რომ ინგლისის სარდლობამ, აქედან, მართლაც, გაგზავნა თავის ჯარის ნაწილი; მართალია, გაგზავნა, მარა იქნებ სამაგიერო ჯარი უკვე მოდის აქ, და ესეც რომ არ იყოს, განა პროვოკატორებმა არ იციან, რომ აქ საკმაო ჯარი დარჩა ინგლისელებისა? იციან, როგორ არ იციან, მარა პროვოკატორები რის პროვოკატოები იქნებიან, რომ სინამდვილეს ანგარიში გაუწიონ.

ზემოთ აღნიშნულ პროვოკაციულ ხმებს პროვოკატორებმა ზედ მიაყოლეს მეორე პროვოკაციაც: თითქოს ბათუმის ოლქში, დასავლეთ საზღვართან, ათასობით იდგეს ოსმალეთის პოლკები, რომლებიც თითქო მზათ არიან შემოიჭრან ოლქში, როგორც კი ინგლისელები გავლენ აქედან. ვინც ცოტათი მაინც იცნობს ოსმალეთის მდგომაეობას, მისთვის საიდუმლოებას არ უნდა შეადგენდეს ის გარემოება, რომ ოსმალეთი სრულიადაც არ მოითხოვს ბათუმ-ყარს-არდაგანს. ოსმალეთის როგორც ძველი კაბინეთი, ისე ახალი, ყველა

მისი პარტიები მოითხოვენ ოსმალეთის ძველ საზღვრებს, ომამდე არსებულ საზღვრებს. ოსმალეთის მთელი ყურადღება იქითკენაა მიპყრობილი, რომ მან რამეფრად შეინარჩუნოს 1914 წლის საზღვრები, და თუ ეს მოახერხა მან და შეძლო ამ მოთხოვნების შესრულება, ეს იქნება დიდი გამარჯვება ოსმალეთისა. განა ყარს-არდაგან-ბათუმისთვის სცალია ამჟამად ოსმალეთს? არა თუ 1914 წლის ტერიტორიის გაფართოება, სტამბოლის და სრუტეების საკითხიც გადაჭრით არაა გამორკვეული. ოსმალეთის მდგომარეობა ისეთია, რომ მას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია ბრძოლა უდიდეს სახელმწიფოებთან. პროვოკატორე-ბის მიერ უხვად მობნეული ხმები, რომ თითქოს მუსტაფა-ქემალ ფაშას რამდენიმე კორ-პუსები ჰყავდეს, ისეთი დიდი სიცრუეა, რომლითაც მხოლოდ სრულიად უცოდინარ ბნელ პიროვნებას თუ მოატყუილებენ. **მუსტაფა-ქემალს** რომ საკმაო ჯარი ჰყავდეს, უპირველეს ყოვლისა, ის **სივასს** და **სმირნას** გაათავისუფლებდა, ისიც სიცრუეა, თითქოს მუსტაფა-ქემალის ჯარები ხოფაში იდგეს და თითქო თორმეტ ათასი კაცი მას მზათ ჰყავდეს ბათუ-მისაკენ დასაძრავათ. ასეთი ცრუ ხმებით ცდილობენ პროვოკატორები ჩვენს ხალხში მღელვარების გაღვივებას, ჩვენი ხალხის დამღუპველ გზაზე დაყენებას.

ამ პროვოკაციულ ხმებთან პროვოკატორებმა შეადუღეს კიდევ ერთი უდიდესი პრო-ვოკაცია: ისინი დადიან და ავრცელებენ ცრუ ხმებს, თითქო საქართველოს მთავრობას არ სურდეს ქართველ მაჰმადიანებისთვის ავტონომიური მართვა-გამგეობა. ჩვენ გადაჭრით ვაცხადებთ, რომ ეს საშინელი პროოკაციაა.საქართველოს მთავრობას მტკიცედ აქვს გა-დაწყვეტილი, რომ სამაჰმადიანო საქართველოს მიანიჭოს ავტონომია. საქართველოს მთავ-რობა ნიკოლოზ მეორის მთავრობა ხომ არ არის, რომ მან თავისი დაპირება არ შეას-რულოს?! საქართველოს მთავრობა მიტომ არის დემოკრატიული მთავრობა, რომ ის ხალხის მოთხოვნილების აღმასრულებელია, ხალხის სურვილების ცხოვრებაში გამტარებელია. ჩვენი ხალხის სურვილია, რომ ის (აჭარა) ავტონომიურათ შეუერთდეს თავის დედა-სამშობ-ლო საქართველოს. და ამ სურვილს ჩვენი ხალხისა პირნათლათ შეასრულებს საქართველოს დემოკრატიული მთავრობა.

აი, როგორი მოწოდებით მიმართა საქართველოს საუკეღესო შვილმა საქართველოს მთავრობის თავმჯდომარემ ნოე ჟორდანიამ სამუსლიმანო საქართველოს შვილთ:

„თანახმად მთელი საქართველოს მოქალაქეთა სურვილისა და პარლამენტის დადგენი-ლებისა, ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობა საყოველთაოდ და გადაჭრით აცხადებს, რომ სამუსლიმანო საქართველოს ის ანიჭებს ავტონომიას. თვით მუსლიმანი ქართველების წარმომადგენელნი გამოსცემენ კანონებს, რომლითაც ისინი სამუსლიმანო საქართველოში თავის გემოზე და თავისი სინდისისამებრ მოაწყობენ თავის ცხოვრებას; მტკიცე კანონით უზრუნველყოფენ თავისი სარწმუნოების უფლებებსა; მოაწესრიგებენ ადგილობრივ საქმეებს და მით დაამ-ყარებენ თავის სამშობლო მხარეში ბედნიერებას.”

ეს მოწოდება ასეთი სიტყვებით თავდება: “საქართვველოს მთავრობა დარწმუნებუ-ლია, რომ თქვენ, ქართველი მუსლიმანები, გაჰყვებით თქვენს რჩეულ მეთაურთ, რომლე-ბიც საბოლოოთ დარწმუნებულნი არიან, რომ მხოლოთ საქართველოს დემოკრატიულ რეს-პუბლიკასთან დაკავშირება იხსნის სამუსლიმანო საქართველოს და მის სრულ თავისუფ-ლებას უზრუნველყოფს.

გაუმარჯოს სამუსლიმანო საქართველოს ავტონომიას საქართველოს დემოკრატული რესპუბლიკის ფარგლებში. ასეთია განცხდება საქართველოს მთავრობის თავმჯდომარის ნოე ჟორდანიასი; ასეთია გადაწყვეტილება საქართველოს პარლამენტისა; მთელი ქართველი ხალხისა. განა ვინმე ჭკუათმყოფელი, გარდა პროვოკატორისა, იტყვის, რომ ჩვენი დედა-სამშობლო საქართველო ამ სიტყვებს გადაუხვევს?! -არასოდეს!

მე და ჩემთან ერთად სხვებსაც, ღრმათ ჩაგვწვდა გულში **ნოე ჟორდანიას** სიტყვა, რომლითაც მან მიმართა თფილისში ჩვენი მეჯლისის წარმომადგენლებს. მან თავისი სიტყ-ვა ასე დაასრულა: "ჩვენი სიტყვა ბეჭედია; მე დარწმუნებული ვარ, რომ თქვენი სიტყვაც ასევე მტკიცეა".

დიახ, სიტყვა ქართველ ხალხისა, მისი ღირსეულ ბელადისა, მტკიცეა, ბეჭედია. ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, რომ პროვოკატორებს სულ სხვა სწადიათ, მათ სურთ ჩვენი ხალხი მოატყუონ ისე, როგორც ყოველთვის ატყუებდნენ, მათ სურთ ჩვენი ხალხი საშინელ ავანტიურის გზაზე იყოლიონ და აგემონ ის შავბნელი დღეები, რაც მათ არა ერთხელ და ორხელ აგემეს ჩვენ ხალხს.

კმარა, გვაკმარონ ამ ვაჟბატონებმა ის უბედურება, რაც მათი მეოხებით გამოგვიცდია; გვაკმარონ ტანჯვა-ვაება, რაც მათ ჩვენთვის მოუყენებიათ.

ჩვენ ვაფრთხილებთ სამუსლიმანო საქართველოს შვილთ: არ აჰყვნენ პროვოკაციას; არ გაებან პროვოკატორების ქსელში და მით არ დაღუპონ თავისთავი და ჩვენი კუთხის ბედ-იღბალი!

1920 წელი, 5 თებერვალი.

გაზეთი "სამუსლიმანო საქართველო", №293, 1920 წელი, 14 თებერვალი.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

კვლავ მდგომარეობის შესახებ

ბათუმი და მისი ოლქი კვლავ ანარქიულ მდგომარეობაში იმყოფება. მისი ბედი ჯერ კიდევ არ გადაჭრილა საბოლოოთ. ცხოვრება კი თანდათან უარესდება. ჩვენი ქვეყნის მავნე ელემენტები თავისუფლად თარეშობენ და ხალხში სხვა და სხვა ყალბ ხმებს ავრცელებენ.არა ერთხელ თქმულა, რომ მთელი ბათუმის ოლქი გამოქცეულებით არის გადაჭედილი. ბლომათ დაგროვდნენ აქ როგორც რუსეთის, ისე ოსმალეთის სხვა და სხვა ადგილებოდან. ისედაცუსურსათო ქალაქი ამის გამო კიდევ უარესს მდგომარეობამდე მივიდა. სიძვირე საზღაპრო შეიქნა. შემოხიზნულთა უმრავლესობა უკვე კარგა ხანია თფილ-თფილ ადგილებზე მოეწყვნენ. თითქმის მთელი მართვა-გამეობა მათ გემოზე აწყობდა ყოველივეს. ეს ასეარის დღესაც. მდგომარეობით მშვენივრად სარგებლობენ და თავიანთ კერძო ინტერესებისთვის გამალებით მუშაობენ. არევ-დარევისა და უკმაყოფილების გაძლიერებას თანდათან ხელს უწყობენ.დენიკინელი რუსები, თურქ შავრაზმელებთან ერთად, ხელი ხელ ჩაკიდებული მიდიან. შეკავშირებული მოქმედებენ ჩვენი ხალხის გასაუბედურებლად.მათი თავგასულობა იქამდინაც მივიდა, რომ ხალხს იარაღისაკენ მოუწოდებენ. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მათი მოქმედება ოლქის ზოგიერთ სოფლებში. თავისუფლად ავრცელებენ სხვა და სხვა ყალბ ცნობებს.ხალხი მოკლებულია საშუალებას ნამდვილ ცნობების მიღებისა. ამის გამო პროვოკატორების მოქმედებას მეტი გასავალი მიეცა. მშვიდობიანი მცხოვრენი დიდ საგონებელში ჩააგდო ამ გარემოებამ. ისედაც აფორიაქებული ცხოვრება, შემოჩენილ ვაჟბატონთა წყალობით, მოსალოდნელია კიდევ უფრო აირიოს.

სოფლებში თავი იჩინა შიმშილობამ, სხვა და სხვა სენით ავადმყოფობამ. წარმოუდგენელი სიძვირის გამო ხალხი აუტანელ მდგომარეობაში იმყოფება. შიმშილ-სიცივე, გადამდები სენი მუსრს ავლებს მცხოვრებთ.ხალხის დახმარებისათვის თითქმის თავს არავინ იწუხებს. ამისთვის ნაკლებად ზრუნავენ. პირიქით, სოფლები რუს შავრაზმელებისა და თურქების აგენტების სათარეშოთ გადაქცეულა. ეს ვაჟბატონები საქართველოს წინააღმდეგ მოუწოდებენ. ცდილობენ ხალხს გული აუცრუონ საქართველოზე და მისი სიყვარული გულიდან ამოსჭრან. ეუბნებიან, საქართველოსთან შეერთება ვითომც დაღუპავდეს ჩვენს ხალხსა და მის რწმენას.

ხალხმა უნდა შეიგნოს, რომ საქართველოში ბევრად უფრო სიაფეა, ვიდრე ბათომში; საქართველოში ხალხი უფრო უკეთეს პირობებში ცხოვრობს.ვიდრე აქ, ბათომში. საქართველოში წესრიგისა და სამართლიანობის ბატონობა არის გამტკიცებული და ხალხისთვის სურსათის მოწოდებისთვის და მყუდრო წესრიგოვან ცხოვრებისთვის ენერგიულად მუშაობენ. ჩვენში კი ყველაფერი შემოხიზნულთა სანაცვლოთ არის გადაქცეული. ხალხისინტერესები აბუჩად აგდებული და დამცირებულია. დასძრავენ თუ არა ხმას ადგილობრივი მცხოვრებნი თავიანთ ჭირ-ვარამის შესახებ, ჩვენი მტრები მაშინვე დაფაცურდებიან, რომ ხალხის სამართლიან მოთხოვნებს წინ გადაუდგნენ. მაშინვე მოხსნიან ჭორების გუდას თავს. არა ერთხელ სცადეს ამ ვაჟბატონებმა, რომ ხალხს თავისი ნებასურვილი სამშობლო საქართველოსთან გაერთიანების შესახებ არ ეღიარებინა. ამ მიზნით არა ერთი და ორი "პროტოკოლები" შეთხზეს დენიკინელ ადმინისტრატორებმა; მაგრამ მიზანს მაინც ვერ

მიაღწიეს. ჩვენი მხარის საქართველოზე ჩამოცილებით ცდილობდნენ და ცდილობენ ეს შავრაზმელები თავიანთი ბატონობის შენარჩუნებას.ცდილობენ ევროპელნი დაარწმუნონ, რომ სამუსლიმანო საქართველოს მცხოვრებნი არ მოითხოვენ სამშობლო საქართველოზე ავტონომიურად შეერთებას. არავინ არ იცის, რომ ბათომის ბედი სავსე-ბით გადახლარ-თულია საქართველოს საარსებო ინტერესებთან; ვინ არ იცის, რომ ბათომს უსაქართველოთ არ შეუძლია წესიერი არსებობა. განა ამის მაგალითი არ არის ყოველივე?... სურსათ-სანოვაგის კრიზისი, წარმოუდგენელი სიძვირე ცხოვრებისა, არეულ-დარეული ცხოვრების მომენტები და სხვა. ყოველივე ეს თვალწინ არა გვაქვს?!

ეს კარგათ იციან სამუსლომანო საქართელოს მცხოვრებლებმა; ეს იციან ჩვენმა მტრებ-მაც, მაგრამ ჩვეულებას მაინც არ ღალატობენ. ხალხის უბედურება და არეულ-დარეული ცხოვრება მათთვის ხელსაყრელია. მხოლოდამგვარ პირობებში შეუძლიათ მათ წყალი აამღვრიონ და გაწამებულ ხალხის მდგომარეობა კიდევ უფრო გააუარესონ.

სამუსლიმანო საქართველოს მთები ჯერ კიდევ არ გამშრალა უდანაშაულო ხალხთა დაღვრილ სისხლისგან; ჯერ კიდევ არ შეშრობია ჩვენ დედებსა და დებს თვალთაგან ცრემლი... და ჩვენში შემოხიზნული დენიკინელ-თურქოფილები კვლავ არევ-დარევას გვიწყობენ; კვლავ სისხლის ღვრა უნდათ გამოიწვიონ.

საჭიროა ამ გარემოებას სათანადოთ ყურადღება მიექცეს ვისგანაც ჯერ არს. საჭიროა შემოხიზნულთა დამღუპველ მოქმედებებს ბოლო მოეღოს. დროა თავაშვებული ვაჟბატო-ნები აილაგმონ. ამას მოითხოვს ადგილობრივ მცხოვრებთა ინტერესები. ამას გვიკარნახებს მწარე გამოცდილება.

1920 წელი, 7 თებერვალი.

დაიბეჭდა გაზეთში-"სამუსლიმანო საქართველო" (იხ. 1920 წლის 20 თებერვალი, №297), ფსევდონიმით –"აჭარელი".

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართველთა სავანეში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

ოსმალეთში. ისლამი და ბალშევიზმი

ოსმალეთის გაზეთები სავსეა წერილებით ისლამის და ბალშევიზმის შესახებ. რასაკვირველია, ამ საკითხს თეორიული და რელიგიურ-დოგმატიური მნიშვნელობა არა აქვს. მას მხოლოდ პოლიტიკური მნიშვნელობა ეძლევა, რადგანაც "ერთობისა და პროგრესის" მომხრეებმა ბალშევიკებთან მჭიდრო კავშირი გააბეს. გაზეთმა "ალემდარმა" მიმართა ყოფილ შეიხულ-ისლამს, სენატორ საბრის, გამოეთქვა საწინააღმდეგო აზრი ანტი ბალშევიკურ მანიფესტის შესახებ, რომელიც გამოსცა ისლამის აღორძინების საზოგადოებამ. საბრიმ უპასუხა, რომ მანიფესტში აღნიშნული ყოველი დებულება სიმართლეს შეიცავს. ისლამს არ შეუძლია შეურიგდეს ოჯახის, ქორწინების, მემკვიდრეობის და სხვა წესების გაუქმებას, რომელსაც ქადაგებს ბალშევიზმი. ისლამი არ უნდა გახდეს იარაღი ბალშევი-კური პროპაგანდის; პირიქით, იგი უნდა შეებრძოლოს ბალშევიზმს. საბრი ეხება რა ბალშევიკებს და "ერთობისა და პროგრესის" ნაციონალისტებს, აღნიშნავს, რომ უკანასკნელთ (ე.ი. ნაციონალისტებს) განზრახვა ჰქონდათ **აბდულ ჰამიდის** ტირანიის მოსპობა; სამაგიეროთ, თავიანთი საკუთარი ტირანია გაამეფეს.

ჩვენ ვტყობილობთ, რომ "ერთობის და პროგრესის" მომხრეები ეკუთვნიან მდიდარ კლასს, ბალშევიკებთან კი კავშირს იჭერენ, - ამ მდიდრების მტრებთან. ამ ხალხის პრპაგანდიდან ჩანს, რომ ისინი ბალშევიკებს ელოდებიან, როგორც თავიანთ მხსნელებს. ნამდვილათ კი ეს ვაჟბატონები, რომელთა ხელშიაც არის ქვეყნის სიმდიდრე, ეტმასნებიან მდიდრების მტრებს- ბალშევიკებს და სურთ ამ გარემოებით ისარგებლონ და თავიანთი სიმდიდრე გააორკეცონ.

"ერთობისა და პროგრესის" პარტიის ლიდერები თავიანთ ბატონობის დროს ხალხს უხვევდნენ თვალებს და მოაჩვენებდნენ თავს კონსტიტუციის მეგობრათ და პატრიოტებათ, თუმცა ქვეყანას კი ღუპავდნენ. ისინი ეხლაც შესძლებენ ასეთ წინააღმდეგობას შეურიგდნენ. მათ უნდათ ბალშევიზმის მონოპოლია თავიანთ სასარგებლოთ გამოიყენონ. მათ სურთ ბალშევიკებთან შეთანხმებით აწარმოვონ ბრძოლა ანტანტის წინააღმდეგ.

საბრალო ოსმალეთის ხალხო! იმათ, ვინც ახლახან ჩაგითრია მსოფლიო ომში და გერმანიასთან ხელი-ხელ ჩაკიდებული გამოდიოდი რუსეთის, შენი ტრადიციული მტრის, წინააღმდეგ, ახლა მას (ოსმალეთს) მოუწოდებენ "ერთობისა და პროგრესის" პარტიის ლიდერები, რომ შეუერთდეს რუსეთს, რუსეთის ბალშევიკებს და შეერთებულის ძალით თავისი სიცოცხლე სასწორზე დადოს... ახალ სისხლის ღვრაში შედგას ფეხი. **ბალშევიკებთან კავშირი ისლამის რწმენას შეურაცხყოფს**. ეს კარგად უნდა შეიგნოს ყოველმა მუსლიმანმა, ისლამის რწმენის მიმდევარმა.

სტატია უავტოროდ დაიბეჭდა გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №320, 1920 წელი, 20 მარტი). ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

ნუ ვაყოვნებთ

მთავარი უბედურება ჩვენი ხალხისა იმაშია, რომ ხშირად გვიძნელდება მტრის მოყვრისაგან გარჩევა. არა ნაკლები უბედურებაა ის ფაქტიც, რომ შეუგნებლობითა და სიბოროტით, გარეშე მტრებს ხშირად ჩვენი ქვეყნის მკვიდრნიც ეკედლებიან და ფულებში ცვლიან ხალხისა და სამშობლოს კეთილდღეობას. ეს, მტრებისაგან მოყიდულები, დაძრწიან სოფლიდან სოფელში და ხალხს ბედნიერებისაკენ გზას უხშობენ. რასაკვირველია, მოღალატე და ხალხის გამყიდველი ყველა ქვეყნებში გამოერევა; მაგრამ ასეთი აშკარა და თავაშვებული თარეში მათი, როგორც ეს ჩვენშია, სამწუხაროდ, ძნელათ თუ სადმე იქნება. მახინჯ შვილს თვით მშობლებმა უნდა ასწავლონ ჭკუა და ჩვენი ხალხიც, იჭვი არაა, გონს მოიყვანს მტრებისაგან გადამცდარ და აყოლიებულ პირთ. **არა არის უარესი რამ იმაზე, როცა წარსულს ივიწყებ და მომავლის გათვალისწინება გეძნელება**. ის პირები, რომლებიც დღეს საქართველოს ჯარების ჩვენში შემოსვლას ეწინააღმდეგებიან, რომლებიც იარაღით ხელში გამოდიან და საქართველოს ფრონტს უმართავენ, გუშინ დენიკინელებიდან და აზერბაიჯანელებიდან იღებდნენ მილიონებს და ჩვენი ქვეყნის დასაპყრობათ იწვევდნენ მათ. აგივე ვაჟბატონები დღეს სომეხ ფაშიანებთან ბრძანდებიან და ჩვენი ქვეყნის ბატონ-პატრონობას მათ აბარებენ; მათთან ერთად ყვირიან: - საქართველოსთან არ გვინდა; მათი ჯარები არ შემოუშვათო.

ყველამ იცის, რომ ქართველი ჯარების ჩვენში შემოსვლა ბოლოს მოუღებს ყაჩაღობას და სხვა ბოროტმოქმედებებს; ყველამ იცის, რომ ბათუმის და მისი ოლქის საქართველოსთან გართიანება მოგვანიჭებს ბედნიერებას და აგვაშორებს ყოველგვარ განსაცდელს. მაშინ საზღვარი დაედება ჩვენი ქვეყნის მტერთა ბნელ განზრახვებს; მაშინ თვით ჩვენი ხალხი იქნება თავისი ქვეყნის ბატონ-პატრონი და ისე მოაწყობს თავის ცხოვრებას, როგორც ეს მათ სურთ და არა გადამთიელ რუსებს, სომხებსა და მათ მიერ მოყიდულ ორიოდე ბობოლა აგენტებს.

სასიხარულოთ, ეს ანბანური ჭეშმარიტება თითქოს უკვე შეუგნია მტრისგან გაბრიყვებულ ზოგიერთ ჩვენს თანამემამულეებს. თითქოს უკვე მიმხვდარან, რომ ბათუმის ოლქისგან ცალკე სახელმწიფოს შექმნა ფუჭი ოცნებაა.ოსმალეთსაც ჩვენს ქვეყანას არავინ მისცემს, ვინაიდან მას იმ ტერიტორიის ნაწილსაც ართმევენ, რაც 1914 წლამდე ჰქონდა, ანაწილებენ ოსმალეთის ტერიტორიას. სტამბულის გაზეთის – "ორანტანიოზის" ცნობით, სხვა საუკეთესო ნაწილებს გარდა, ოსმალეთს ერზრუმს და ტრაპეზუნდსაც კი ართმევენ, საზღვრების დასაცავათ მხოლოდ 15 ათასი ჯარის კაცი შეუძლია იყოლიოს. ეკრძალება, აგრეთვე, სამხედრო გემების ყოლა, გარდა რამოდენიმე პატარა გემისა...

ამგვარათ, ცხადია, რომ მაშინ, როცა ერზრუმს ტრაპიზონით სომხებს სთავაზობენ და ფიქრობენ, ბათუმიც კი გადააქციონ სომხეთის პროვინციათ, ჩვენი მტრების ყვირილი, რომ ბათუმის ოლქი არ გაერთიანდეს საქართველოსთან, მეტი რომ არ ვსთქვათ, დიდ სიბრიყვეთ უნდა ჩაითვალოს. მხოლოდ თავისი ქვეყნის მოსისხლე მტერი მოისურვებს უცხოელების მონობაში ყოფნას; მხოლოდ მტრებისაგან მოყიდული აგენტი იტყვის, რომ

ბათუმი საქართველოს არ დაუბრუნდეს და აქ რუსების და სომხების ბატონობის ქვეშ ამოხდეს ადგილობრივ მცხოვრებლებს სულიო.

ყველამ უნდა შევიგნოთ მდგომარეობის სირთულე. ყველამ უნდა მივხვდეთ, თუ ვის უნდა ჩვენთვის სიკეთე და ვინ ცდილობს თავის მონობაში გვამყოფოს. ერთხელ და სამუდამოთ უნდა უარვყოთ ყოველი დამღუპველი ნაბიჯები და დავადგეთ იმ ჭეშმარიტ და საბედნიერო საქმეს, რასაც დედა-სამშობლო საქართველოსთან გაერთიანება ეწოდება.

ნუ ვაყოვნებთ, თვარა უბედურება არ აგვშორდება.

1920 წელი, 15 მაისი.

სტატია ფსევდონიმით "აჭარელი" დაიბეჭდა გაზეთში – "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №368, 1920 წელი, 26 მაისი.)

მემედ ბეგ-აბაშიძე

სისხლიანი აბანო

ერთი თვე სრულდება, რაც ადერბაიჯანი კომუნისტურად "გაწითლდა". ჩვენ თავიდანვე აღვნიშნავდით, თუ რას მოუტანდა საბჭოთა მმართველობა ადერბაიჯანის მშრომელ მასას.

შეიარაღებული რუსის მუჟიკი იმისათვის კი არ მოსულა ბაქოში, რომ ადერბაიჯანის ხალხი ეცოდებოდა და მის ბედნიერებისათვის ზრუნავდა.ბალშევიკებს ერი, პოლიტიკა, ერთათვითგამორკვევის უფლება იმდენათ სწამთ და ანგრიშს უწევენ, რამდენათაც ეს გამოსადეგია მათთვის.

რუსეთის წარმოებას ბაქოს ნავთი და დონის ქვანხშირი ასაზრდოებდა. პირველიცა და მეორეც ამ ბოლო დრომდე სხვის ხელში იყო. ბაქო ადერბაიჯანის მთავრობას, დონი კი დენიკინს ეჭირა.

ბალშევიკებმა დაამარცხეს დენიკინი, მაგრამ დონის ოლქში წარმოება დანგრეული და გაპარტახებულია. აუარაებელი ნახშირია მოგროვებული, მაგრამ გატანას კი ვერ ახერხებენ.

ბალშევიკურმა რუსეთმა ნავთის სამეფოს დაპყრობა მოინდომა, მაგრამ ეს "დაპყრობა" სოციალისტურად მოაწყო: ვითომდა ადერბაიჯანის გლეხებისა და მუშების გასათავისუფლებლად.

ადერბაიჯანის ხელმძღვანელი წრეები ავანტიურიზმში გადაიჭრნენ. ბალშევიკებთან კავშირით მოინდომეს ავადმყოფ ოსმალეთის გადარჩენა, თავისი ხალხი შესწირეს მსხვერპლად განუხორციელებელ ოცნებას.

ბალშევიკებმა მოაკაკუნეს ადერბაიჯანის კარებზე და შემოვიდნენ; არავის მათთვის წინააღმდეგობა არ გაუწევია...

ჩვენ ბევრჯერ ვსწერდით, რომ ბალშევიკები ერთა თვითგამორკვევის უფლებას მხოლოთ სიტყვით სცნობენ, საქმით კი ნიკოლოზ მეორეზე უარესათ იქცევიან... სანამ ბაქოში მოვიდოდნენ ბალშევიკები, გაიძახოდენენ: - გაუმარჯოს დამოუკიდებელ ადერბაიჯანსო.

დღესადერბაიჯანში საბჭოთა მმართველობაა, მაგრამ ადერბაიჯანი დამოუკიდებელი არ არის. მის შინაურ საქმეებს მოსკოვში აწესრიგებენ. აქკი სათავეში თუმცა ზოგიერთები მუსლიმანები არიან, მაგრამ თუ მათი განკარგულება რუს კომუნისტებს არ მოეწონათ, ცხოვრებაში არ ტარდება.

ადერბაიჯანის ხალხს ბალშევიკები ამ ქვეყნათ სამოთხეს პირდებოდნენ; სამოთხის მაგივრათ ბალშევიკებმა ყველაფერი გაზიდეს ადერბაიჯანიდან. მათი მოსვლის შემდეგ სურსათ-სანოვაგის ფასები ოთხ-ხუთჯერ გაიზარდა. ადგილობრივ ხალხს ისე ეპყრობიან, როგორც ველურებს, ზემოდან ამაყათ, უდნობლობით.

აჯანყება განჯაში ნათლად გვიჩვენებს, თუ როგორი მდგომარეობაა შექმნილი ადერბაიჯანში. ერთი თვე არ არის, რაც ადერბაიჯანი "კომუნისტურ რესპუბლიკად" გადაიქცა და ხალხმა მწვავედ იგრძნო ბალშევიკების ბატონობის შედეგი... რუსეთიდან ჩამოსულ "წითელ" ჯარებს დასვენება არ მოუსწრიათ და მათ ამბოხების ჩაქრობა უხდებათ.

ამბოხების ჩაქრობის დროს გამოჩენილი სისასტიკე პირდაპირ აუწერელია. ნიკოლოზის დროსაც კი არ ახსოვთ ასეთი რამ, რაც განჯაში მოხდა; მთელი განჯა განადგურებულია

ყუმბარებით; აუარებელი ხალხი დაიხოცა და დაიჭრა; **რვა ათასი გვამი დაუსაფლავებელი გდია ქუჩებში**.

რუსეთის სოციალისტურმა ჯარმა სისხლის აბანო გაუმართა ადერბაიჯანის გლეხებს... ეს დასაწყისია მოძრაობისა ბალშევიკების წინააღმდეგ აზერბაიჯანში... არავითარი ნიადაგი კომუნისტური ექსპერიმენტებისათვის ადერბაიჯანში არ არის. "ბალშევიკური", "სოციალისტური" საქმიანობა უკმაყოფილების გარდა არფერს გამოიწვევს ადერბაიჯანის მასაში.

განჯის მაგალითები კიდევ გამეორდება და ბალშევიკები იძულებული იქნებიან მიმართონ ძალაუფლების შენარჩუნების ნაცად ხერხს: სომეხ-თათართა შორის ეროვნულ შუღლს.

განჯის ამბოხების ჩაქრობის დროს რუს ჯარისკაცებს სომხები ეხმარებოდნენ; ადერბაიჯანელები, ალბათ, ელიან დროს, რომ სომხებს სამაგიერო გადაუხადონ.

ბაქოს მთავრობა სომხებს ყარაბახსა და ზანგეზურს ედავება, სომხეთი კი ამ ადგილებს უდავოდ თავისად სთვლის და არ აპირეს არავისთვის დათმობას.

ეროვნებათა შორის ომისათვის ნიადაგი მზადდება... ცნობილი "შაითანი" სამოქმედოდ ემზადება, მაგრამ ის ახლა ბალშევიკების სალამურზე იცეკვებს.

1920 წელი, 1 ივნისი.

სტატია ფსევდონიმით "ე.წ." დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №381, 1920 წელი, 12 ივნისი).

მემედ ბეგ-აბაშიძე

ოსმალეთი და საქართველო

ოსმალეთს საქართველოსთვის ბევრი სიმწარე მიუყენებია წარსულში. ქართველ ხალხს არა ერთი სიავე უნახავს ოსმალთა მთვარობისაგან; რამდენიმე საუკუნის განმავლობაში განუწყვეტელი ბრძოლა ჰქონდათ ქართველებს და ოსმალებს.

მაგრამ დიდი შეცდომა იქნებოდა დღეს ამის გახსენება და აწინდელი პოლიტიკის წარმოება მოშხამული წარსულის მიხედვით.ქართველ ხალხს, დღეს განთავისუფლებულსა და აღორძინებულს, სრულებით არა სურს ვისმე ანგარიში მოსთხოვოს წარსული შეცდომებისა და ცოდვებისათვის. არა! დღეს ჩვენ გვინდა ავაგოთ ჩვენი ცხოვრება დღევანდელ სინამდვილეზე, რომელიც დაბეჯითებით მოითხოვს ჩვენგან კარგი ურთიერთობის და განწყობილების დამყარებას ყველა მეზობლებთან და რაც შეიძლება მტკიცე შეთანხმებას და კავშირის დამკვიდრებას. ჩვენ გვწყურია მშვიდობიანი ცხოვრება, რომ ყოველ მხრივ მოვაწყოთ ჩვენი პატარა სახელმწიფო; მას მოვფინოთ განათლება, ავაყვაოთ ჩვენი მეურნეობა; მიეცეს ხალხს ქონებრივი კეთილდღეობა.

არავისთან მტრობა და ომი არა გვსურს. მზათა ვართ, ყველას გავუწოდოთ მეგობრული ხელი. განსაკუთრებით მოწადინებული ვართ **კეთილმეზობლობა გვქონდეს მუსლიმანობასთან**, ოსმალეთთან, ადერბაიჯანთან და სხვებთან. **საერთოდ, ქართველი ერის კულტურას დიდი კვალი ამჩნევია მუსლიმანური კულტურისა. ჩვენ ბევრი რამ გვისწავლია და გადმოგვიღია არაბებისა და სპარსულებისაგან. ქართველი ხალხის ერთი ნაწილი მაჰმადის სარწმუნოებას მისდევს და მით მას განუწყვეტელი კავშირი აქვს მთელს მუსლიმანობასთან.**

ამას დიდათ ვაფასებთ და ყოველ ღონეს ვხმარობთ, რომ **შეთანხმებულათ და მეგობრულათ ვიყოთ მუსულმან მეზობლებთან**. მაგრამ საჭიროა, რომ თვითონ ეს ჩვენი მეზობლებიც მოწადინებულნი იყვნენ გულწრფელად ამისა და ხელს უწყობდნენ მეგობრული ურთიერთობის ჩამოგდებას. სამწუხაროთ, უნდა ვსთქვათ გულახდილად, რომ ყველა მეზობელ მუსულმანს შეგნებული არა აქვს ეს და პირიქით, იმას ცდილობს, რომ მტრობა და შუღლი გაამლიეროს ჩვენს შორის. მაგალითად, არავისთვის არაა დაფარული, რომ ბათუმსა და ბათუმის ოლქში არიან ისეთი აგენტები ოსმალეთისა, რომლებიც **ცდილობენ მუსლიმანი და ქრისტიანი ქართველები გათიშონ,** სამუსლიმანო საქართველო ჩამოგლიჯონ დანარჩენ საქართველოს და შეუერთონ ოსმალეთს. ყოველს ეჭვს გარეშეა, რომ ამნაირი მუშაობა ვერ დაამყარებს წესიერს მეზობლურს ურთიერთობას ოსმალეთსა და საქართველოს შორის.

სამუსლიმანო საქართველო, მართალია, სარწმუნოებით განსხვავდება საქრისტიანო საქართველოსგან, მაგრამ იგი მაინც საქართველოა.მართალია, ბათუმის ოლქის ქართველები რჯულით მაჰმადიანები არიან, მაგრამ **ისინი მაინც ქართველები არიან, ქართველი ერის სისხლი და ხორცი აქვთ, ქართულათ ლაპარაკობენ, ქართულს ადათს და ჩვეულებას მისდევენ.** ამიტომ ამათი გათიშვა, ერთიმეორის დაშორება ბოროტი და მტრული, არა მეზობლური საქმეა.

ოსმალეთმა ერთხელ და სამუდამოთ თავი უნდა გაანებოს სამუსლიმანო საქათველოს შეერთებაზე ფიქრსა და ოცნებას. მუსლიმანი ქართველები სარწმუნოებით ოსმალეთთან

ახლოს იქნებიან, მაგრამ **ისინი მუდამ უნდა იყვნენ საქართველოს სახელმწიფო საზღვ-რებში, რადგან ისინი მოდგმით, ჯიშით, სისხლით, ენით ქართველები არიან; ისტორული შვილები არიან დედასაქართველოსი.**მათ დღენიადაგ უნდა იმუშაონ, იღვაწონ ქონებრივ და კულტურულ წარმატებისთვის დანარჩენ ქართველებთან ერთად. ოსმალეთმა ხელი უნდა აიღოს სხვა ერების დაპყრობასა და დამორჩილებაზე. უმჯობესია, თავის თავს უპატრონოს და როგორმე თავი დაახწიოს დღევანდელს გაჭირვებულს მდგომარეობას.

გამოვსთქვამთ იმედს, რომ ოსმალეთი დაადგება ამ ერთადერთს სწორ გზას და ამით ხელს შეუწყობს საქართველოს ხალხსა და ოსმალეთის ხალხს შორის ნამვილი მეგობრული თანხმობის და კავშირის დამყარებას.

უავტოროდაა დაბეჭდილი გაზეთში “ სამუსლიმანო საქართველო” (იხ. №171, 1919 წელი, 23 აგვისტო).

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

დენიკინელები და აფხაზეთის რეაქციონერები

შავი რეაქციის მეთაურის დენიკინის ცნობილ მემორანდუმებში, რომელიც მეფის გენერალმა ინგლისის აღმოსავლეთ ძალების მთავარ სარდალს გადასცა, ნათქვამია, რომ აფხაზეთის წარმომადგენელნი დაჟინებით თხოვენ მოხალისეთა ჯარს აფხაზეთის დაკავებასო. ამას წინათ დენიკინის აქაურმა ორგანომ, რომელშიაც თვითმპყრობლობის მაღმერთებელ გაზეთის **"ნოვოე ვრემიას"** შავ კალმოსნებს მოუყრია თავი, "ახალ ცნობათ" აუწყა თავის მკითხველებს, რომ აფხაზეთის წარმომადგენელნი დღედღეზე უგზავნიან დეპუტაციას დენიკინს და თხოვენ მას აფხაზეთის დაკავებასაო.

გავსინჯოთ, რამდენად მართალია დენიკინის და მისი აქაურ ორგანოს მტკიცება... როგორც ვიცით, აფხაზეთის მცხოვრებლებმა საყოველთაო, თანასწორ, პირდაპირ და ფარული კენჭის ყრით, განურჩევლად სქესისა და ეროვნებისა, პროპორციონალური სისტემით, ე.ი. უაღრესათ დემოკრატიულ საარჩევნო კანონით **აირჩიეს აფხაზთა სახალხო საბჭო**. ამ საბჭომ, რომელიც სავსებით გამოსახავს აფხაზთა ნება-სურვილს, დიდი ხმის უპირატესობით, **აღიარა აფხაზეთის საქართველოს ტერიტორიაში შესვლა ავტონომიურ ნიადაგზე**. ეს დადგენილება აფხაზთა სახალხო საბჭოსი გამოქვეყნებულ იქნა ამიერკავკასიის თითქმის ყველა გაზეთებში და, თქმა არ უნდა, რომ ამ დადგენილებას წაიკითხავდნენ, როგორც მეფის გენერლები, ისე ბათუმელი შავრაზმელებიც.

ამ დადგენილებიდან ნათლად და გარკვევით სჩანს, რომ აფხაზთა ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებმა უკვე თქვეს საქართველოს შესახებ თავისი კატეგორიული სიტყვა.

ამას გარდა, როცა დენიკინის მემორანდუმი გამოქვეყნდა, იმავე აფხაზთა ხალხის წარმომადგენლებმა საქვეყნოდ განაცხადეს, რომ აფხაზეთს არავითარი საერთო არა აქვს იმ "წარმომადგენელ ბატონებთან", რომლებიც დენიკინთან დაძვრებიან, რომ "ეს წარმომადგენლები" მოღალატენი, გამყიდველნი არიან აფხაზთა ხალხისა, რომ აფხაზეთი ავტონომიურათ შედის საქართველოს ტერიტორიაში და წინადადებას აძლევდნენ მეფის გენერლებს, დაესახელებინათ ის "წარმომადგენელნი", რომელნიც აფხაზთა ხალხის სახელით ლაპარაკობენ დენიკინთან.

თქმა არ უნდა, ეს განცხადება იციან მეფის გენერლებმა, იციან, აგრეთვე, აქაურ შავრაზმულ გაზეთის მწერლებმაც, მაგრამ ამ განცხადების შესახებ კრინტსაც არ ძრავენ, ვინაიდან ეს განცხადება აფხაზთა ხალხის ნამდვილ წარმომადგენლებისა მათ სასარგებლოთ არაფერს ლაპარაკობს.

მაშ, ვინ არიან ეს "წარმომადგენლები", რომლებიც მოხალისეებს აფხაზეთში ეპატიჟებიან აფხაზთა ხალხის ნება-სურვილის წინააღმდეგ; რათ არ აქვეყნებენ ამ "წარმომადგენელთა" ვინაობას მეფის "შავი გენერლები" და მათი შავი საქმეების დამცველნი ორგანოები?

არ აქვეყნებენ მიტომ, რომ მაშინ ყველსათვის აშკარა გახდება, თუ რა ჯურის "წარმომადგენლები" ბრძანდებიან დენიკინის მომპატიჟებლები... მარა ჩვენ ყველამ კარგათ ვიცით, თუ ვინ ბრძანდებიან ეს ვაჟბატონები.

ესენი გახლავთ ის ერთი მუჭა თავადები, რომლებსაც ჭირივით სძაგს ყოველივე დე-მოკრატიული და რომლებიც დენიკინელებსავით შეტრფიან და შეხარიან რუსეთის ძველი წესწყობილების აღდგენას. ეს ვაჟბატონები გახლავთ დიდი მემამულეები, რომლებიც თავის მამულს აფხაზთა ხალხის საარსებო ინტერესებზე მაღლა აყენებენ და რომელთა დევიზია: აფხაზთა ხალხი თუნდ სავსებით მოისპოს, ოღონდ ამ ვაჟბატონებს თავიანთი ბატონობა და მამული შერჩეთ. ეს ის ვაჟბატონებია, რომლებიც ოსმალებს ევაჭრებოდნენ აფხაზთა სისხლით და რომლებმაც თავისი კერძო ინტერესების დასაკმაყოფილებლათ ოსმალების დესანტიც კი გადასხეს ბათუმიდან აფხაზეთში.

ვიცნობთ, როგორ არ ვიცნობთ ამ "წარმომადგენლებს". ესენი აფზაზეთის ქობლიანს-კები (სერვერ ათაბაგის-ქობლიანელის მიმბაძველნი) ბრძანდებიან და აფხაზეთის ხალხის მიერ მოღალატეებათ არიან აღიარებულნი, ისე როგორც მთიელებმა მოღალატეებათ გამოაცხადეს გენერალ დენიკინთან კავშირის შემკვრელები, ერთი მუჭა ძველნი ბატონნი მთიელებისა.

აი, ვინ ბრძანდებიან ეს "წარმომადგენელნი". ასეთ "წარმომადგენლებთან" აქვთ საქმე დენიკინელებს, რომლებოც აფხაზთა მოღალატეებს აფხაზთა ხალხის "წარმომადგენლებათ" ნათლავენ.

ეს ვაჟბატონები ისეთივე "წარმომადგენელნი" არიან აფხაზთა ხალხისა, როგორც დე-ნიკინი და დენიკინელები რუსეთის ხალხისა და თუ როგორ "ეტრფის" დენიკინელებს რუსი ხალხი, ეს ჩანს იმ განცხადებისაგან, რომელიც დენიკინის გენერალმა გამოსცა მო-ხალისეების წინააღმდეგ **აჯანყებულ სოჩის ოლქის** მცხოვლებლებისადმი და რომლისგანაც ნათლათ მტკიცდება, რომ სოჩის ოლქის რუსი მცხოვრებლებიც თავგანწირულათ ებრძვიან რუსეთის მხსნელ შავ გენერალს.

"სული სულს იცნობსო",- ნათქვამია. აფხაზეთის რეაქციონერებმაც დენიკინს გაუწოდეს ხელი. რა შვაშია აქ აფხაზეთის ხალხი, რომელსაც ერთნაირათ სძულს, როგორც თავისი მხარის რეაქციონერები, ისე რუსის რეაქციონერი "შავი გენერლები".

1918 წელი, 25 აპრილი.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო". სტამბა ნ. ხვინგიასი ბათუმში. (იხ. №91, 1919 წელი, 11 მაისი).გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არაა დაცული. სტამბოლის ქართულ სავანეში ინახება.

მემედ ბეგ-აბაშიძე

ყარსის ავანტიურისტები შავშეთში

ჩვენი მტრების აგენტები, მიუხედავათ იმისა, რომ ნიადაგი მოქმედებისა მათ ფეხ ქვეშ გამოეშალათ, არ ცხრებიან. ჩვენ ცნობა მივიღეთ, რომ სერვერ-ბეგ ქობლიანსკის, რომლის ავანტიურამ ურიცხვი უბედურება დაატეხა თავს ახალციხე-არდაგანის რაიონს, მისი ბანდებით გადმოულახავს ბათუმის ოლქის საზღვარი და შავშეთში ამოუყვია თავი, **დაუწვავთ სახლი ფუატ-ბეგ ათაბაგისა, მოუკლავთ მისი ერთი ქალიშვილი და მძიმეთ დაუჭრიათ ბავშვი.**მისი აგენტებით ის თურმე ქადაგებს შავშეთში, რომ ვინც არ მიემხრობა ყარსის მთავრობას, რომელიც უკვე აღარ არსებობს, ვინაიდან ეს მთავრობა ინგლისის სარდლობამ დაატყვევა, ყველას ამოჟლეტს და მათ სარჩო-საბადებელს ცეცხლს მისცემს. ამის პირველ მაგალითად მან ხსენებულ **ფუატ-ბეგ ათაბაგის სახლი აირჩია**.

ამ ჩვენს მოსისხლე მტერთან ბრძანდებიან თურმე თურქების რამდენიმე აფიცერი და მათ შორის თურქის პოლკოვნიკი. არავისთვის საეჭვო არაა, რომ ეს ვაჟბატონები, რომლებმაც ყარსის ავანტიურა გამოიგონეს, თურქების აგენტებია. მათ ამოქმედებს თურქების ფული და აგრეთვე საკუთარი კერძო ინტერესები.

- ვინ ბრძანდებიან ყარსის ყოფილ მთავრობის მეთაურნი?

ესენი არიან ის ბეგები, რომელბსაც დიდი მამულები აქვთ და ეშინიათ, რომ ეს მამულები არ გამოეცალოთ მათ ხელიდან... აი, თავის მამულების დასაცველათ, ამ მამულების შესანარჩუნებლათ აიღეს მათ მახვილი ხელში; ამისთვის ებრძვიან ისინი საქართველოს დემოკრატიულ მთავრობას; ამისთვის მოუწოდებენ და ძალას ატანენ ხალხს, რომ სერვერ ბეგების მამულისთვის ჩვენმა ხალხმა ღვაროს თავისი და თავისი ძმების სისხლი. ამისთვის გაანადგურეს მათ ახალციხე-არდაგანის რაიონები, ამისთვის შემოუსიეს ჩვენს ხალხს თურქების აფიცრები და ასქერები; ამისთვის ჩამობრძანებულან შავშეთში და ძალას ატანენ ხალხს, რომ შეადგინონ რაზმები საქართველოს მთავრობასთან საბრძოლველად.

ხალხმა უკვე გაიგო ყოველივე ეს; ხალხმა გაიგო, რომ ეს ვაჟბატონები ვაჭრობენ ჩვენი ხალხის სისხლით. ეს სისხლი მათ სჭირდებათ თავის მამულების გადასარჩენათ და აგრეთვე, იმისთვის, რომ თურქებმა მათ ჩვენი ხალხის სისხლში ფულები აძლიონ ასი ათასობით. ამ ვაჭრობაში კაი დიდი წილი უდევს ამიერკავკასიის ერთ-ერთ რესპუბლიკასაც, რომლის მეთაურები საშინელ ინტრიგას ეწევიან სამუსლიმანო საქართველოში ჩვენსა და დედა-სამშობლო საქართველოს წინააღმდეგ. ამის უტყუარი საბუთი უკვე ხელთ მოგვეპოვება; და როცა საჭირო იქნება, ამ საბუთს გამოვაქვეყნებთ.

ამ რიგათ, თავის კერძო ინტერესებისათვის სერვებ-ბეგ ქობლიანსკები ჩვენ ხალხს უფსკრულისაკენ ეზიდებიან. გამოიგონეს ყარსის სასაცილო მთავრობა; აიყოლიეს ზოგიერთი გზადაბნეულები და გააჩაღეს ძმათა შორის სისხლის ღვრა. ყარსს მათი მეოხებით თუ რა ბედი ეწვია, ეს უკვე ყველას მოეხსენება. ყარსი უკვე გადაეცა სომხების მთავრობას და სერვერ-ბეგ ქობლიანსკები ახლა უკვე იქ ვერ შებრძანდებიან. ქობლიანსკების დამღუპველმა მოქმედებამ, მათ მიერ ახალციხეზე თავდასხმამ აიძულა საქართველოს მთავრობა თავის ტერიტორიის დასაცველათ საჭირო ზომები მიეღო, რისთვისაც **საქართველომ, ინგლისის მთავრობის ნებართვით, არდაგანი დაიკავა.**ყოველის მხრით კუდამოძუებული

ქობლიანსკები ახლა შავშეთში ჩამობრძანებულან და იქ განუძრახავთ თავის ავანტიურის გაგრძელება. ამით ხომ ხალხი დაირბევა და ისედაც გაჭირვებული უარეს გაჭირვებაში ჩავარდება, ამის დარდი ქობლიანსკებს არ აწუხებთ. მათი მიზანია მხოლოთ არეულობის გაგრძელება, რომ მათ უკლებლივ ჩაიჯიბონ ის ფულები, რასაც მათ ამ ავანტიურისათვის თურქები აძლევენ; აგრეთვე, ერთ-ერთი რესპუბლიკის ბათუმელი აგენტიც აფინანსებს მათ.

თუ ავანტიურას შეწყვეტენ, ფულების ძლევაც შეუწყდებათ და ეს ხომ მათთვის ხელსაყრელი არაა.ამ დრომდის **ყარს-არდაგან-ფოცხოველების** სისხლით ივაჭრეს. იქედან გამოგდებულებს ახლა თავის ვაჭრობის საგნათ შავშეთი გამოუნახავთ; მერე არდანუჭს გამონახავენ; შემდეგ ართვინის რაიონს გამონახავენ და ამრიგათ, ივაჭრებენ ჩვენი ხალხის სისხლით მანამ, სანამ მათ ავანტიურას ბოლო არ მოეღება.

როდის დადგება დასასრული ამ გამყიდველების მიერ ხალხის ინტერესებით ვაჭ-რობისა?

შავშეთი ბათუმის ოლქში შედის; ბათუმის ოლქი კი ინგლისელთა ოკუპაციის ზონაშია. ამ ოლქის მცხოვრებთა მშვიდობიანობის დაცვა დაკისრებული აქვს ინგლისის მთავრობას. სერვერ-ბეგი თავისი აგენტებით შავშეთში შეძვრა. და იქ ძალადობას ხმარობს მცხოვრებ-ლებზე. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ინგლისის სარდლობა ამ გარემოებას სათანადო ყურადღებას მიაქცევს და ყარსის ავანტიურისტებს არ მისცემს საშუალებას ხალხის აწიოკებისას. ხალხს არ უნდა იარაღი აიღოს ხელში და თავის ძმა ქართველებს ეომოს; მარა თუ ეს ხალხი დაინახავს, რომ მისი მშველელი არავინაა, რომ ის სერვერ-ბეგ ქობლიანსკების ბანდების ასაწიოკებლათ არის მიდგებული, მაშინ შესაძლებელია ამას მოჰყვეს მდგომარეობის ფრიად გართულება ბათუმის ოლქში, რაც დასაშვები არ არის.

ამასთან, თვით ხალხმა უნდა გაუწიოს **სერვერ-ბეგების** ავანტიურას მდგრადი წინააღ-დეგობა. ხალხმა ხომ ძლიერ კარგად იცის, თუ ვის და რას ემსახურებიან ქობლიანსკები. ისინი, რგოორც ზემოთ ვთქვით, თავის ჯიბის ინტერესებს ემსახურებიან და ხალხის სისხლით ვაჭრობენ. მათ ძალადობას ხალხმა წინ უნდა დაუყენოს თავისი ძალა და უნდა გარეკონ ქობლიანსკები შავშეთიდან. ეს არის ხალხის მოვალეობა. წინააღმდეგ შემთხვევაში შავშეთ-იმერხევი დიდ უბედურებაში ჩავარდება.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო", №84, 1919 წელი, 3 მაისი. ხელნაწერიცა და გაზეთიც ინახება სტამბოლის ქართულ სავანეში. საქართველოში შენახული არ არის.

მემედ ბეგ-აბაშიძე

საქართველო და მოკავშირენი

როგორც თავის დროზე გვქონდა აღნიშნული, დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტომ აცნობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის მთავრობას, რომ ინგლისი თანაგრძნობით ეპყრობა საქართველოს დამოუკიდებლობას და ენერგიულათ დაუჭერს მხარს, რომ ეს დამოუკიდებლობა ცნობილ იქნას სხვა სახელმწიფოთა მიერ.

დიდი ბრიტანეთი ფრიად განათლებული სახელმწიფოა; ერთ-ერთი უძლიერესი სახელმწიფოთაგანია მთელს დედამიწის პირზე და მისი ოფიციალური დაპირება, თქმა არ უნდა, შესრულებული იქნება.

დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ოფიციალური მიმართვა საქართველოს მთავრობისადმი ფუჭი სიტყვა არ არის. ეს მტკიცდება იმითაც, რომ საქართველოს დელეგატები- **ჩხეიძე და წერეთელი**- პარიჟიდან ატყობინებენ საქართველოს მთავრობას, რომ ისინი ყოველ მხრიდან თანაგრძნობას ხვდებიან.

ამას უნდა დაემატოს ისიც, რომ მეორე უძლიერეს სახელმწიფოს, წარმომადგენელი- **ვილსონი**, მოითხოვს საზავო კონფერენციაზე ერთა თვითგამორკვევის უფლების აღიარებას. საქართველო კი უკვე თვითგამოირკვა: უაღრესად დემოკრატიულ საარჩევნო კანონით მოწვეულ იქნა საქართველოს დამფუძნებელი კრება, რომელმაც ერთხმად აღიარა საქართველოს დამოუკიდებლობა.

ამ ფაქტიდან ცხადია, რომ საქართველოს დამოუკიდებლობა უკვე სცნო დიდმა ბრიტანეთმა. პრეზიდენტი ვილსონი წინააღმდეგი კი არაა, არამედ თუ ვინმე წინააღმდეგი იქნება, თვითონ ენერგიულათ დაუჭერს მხარს ამ დამოუკიდებლობას, ვინაიდან მისი 14 პუნქტიანი პროგრამა **ერთა თვითგამორკვევას** გადაჭრით აღიარებს.

ამის შემდეგ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ ყოველივე მითქმა-მოთქმას ადგილი არ უნა ქონდეს, მარა, სამწუხაროთ, საქართველოს მტერთა წყალობით, რაღაც გაუგებრობას ეძლევა ადგილი და უნდობლობა ითესება საზოგადოებაში.

გუშინ წინ დენიკინელთა გაზეთის **"ნაშ კრაის"** რედაქციის კედელზე გაკრული იყო განცხადება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ინგლისის ჯარებმა კავკასიას ოკუპაცია უყვესო, ეს განცხადება ხელმოწერილია კავკასიაში მყოფ ინგლისის ძალების მთავარ სარდლის მიერ და აღნიშნულია 7-20 მარტის თარიღით. სწორედ ამ მარტის დღეებში მიღებულ იქნა თბილისში ის ოფიციალური ცნობა, რომელიც თავში მოვიხსენიეთ. საქართველოს ოკუპაცია რომ მომხდარიყო, ამ განცხადებას გამოსცემდნენ მაშინ, როცა ის დაიბეჭდა, ე.ი. 7 მარტს. მას შემდეგ თითქმის ორი თვე გავიდა. რამდენათაც ჩვენ ვიცით, ეს განცხადება საქართველოში არ გამოუქვეყნებიათ.

საქართველოში საუცხოო წესრიგი სუფევს. ამას ვერ უარყოფენ საქართველოს მოსისხლე მტრებიც კი. საქართველოს დამფუძნებელი კრება, საქართველოს მთავრობა მოქმედებს ისე დამოუკიდებლათ, როგორათაც დღეს მოქმედებენ.

მაშასადამე, აქედანაც ცხადია, რომ დამოუკიდებელი საქართველო ისევ არსებობს, როგორც არსებობდა; **მისი ოკუპაცია არ მომხდარა**.

ყოველ შემთხევვაში, დაე, იცოდნენ საქართველოს მტრებმა, რომ **დიდი ბრიტანეთი საქართველოს დამოუკიდებლობის მტერი არ არის;** კარგათ დაიმახსოვრონ მათ, რომ საქართველოს მთავრობას დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა სამინისტროდან ოფიციალური ცნობა აქვს, რომ "ბრიტანეთის მთავრობა თანაგრძნობით ეპყრობა საქართველოს დამოუკიდებლობას და საზავო კონფერენციაზე ის ამ დამოუკიდებლობას ენერგიულათ დაუჭერს მხარს". ამასთან, ჩვენმა მტრებმა ისიც კარგათ იცოდნენ, რომ დიდი ბრიტანეთი ამ დაპირისპირებას არ გადათქვამს.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №88, 9 მაისი, 1919 წელი; **თაჰსინ ხიმშიაშვილის** რედაქტორობით.)გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არაა შენახული. იგი დაცულია ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტერთან არსებულ ბიბლიოთეკაში-სტამბოლის ქართულ სავანეში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

სამშვიდობო კონფერენცია

კარგა ხანია, რაც მოკავშირეთა სამშვიდობო კონფედერაცია ზავის კითხვებზე მჯელობს; მარა ეს კითხვები მან ჯერ კიდევ ვერ დააბოლოვა. ამ რამდენიმე დღის წინათ კი დეპეშებმა გაგდმოგვცეს, რომ შესაძლებელია სამშვიდობო კონფედერაცია დაიშალოს და მეგობრები ერთმანეთს მტრულათ დაშორდნენ. რაშია საქმე?

კაპიტალისტურ ქვეყნებს რომ ერთი მეორის საწინაღმდეო ბევრი რამ აქვთ, ეს ცხადია. ინგლისის ინტერესები ვერ ეგუება საფრანგეთისას, ამერიკის-ინგლისისას, იაპონიის-ამერიკისას და ასე; საფრანგეთს სურს გერმანია მიწასთან გაასწოროს, თითქმის ამოშალოს სულ საერთაშორისო ცხოვრებიდან. ინგლისს შუა პოზიცია უჭირავს. ამერიკა მისი პრეზიდენტის- **ვილსონის** სახით ცდილობს ხლხთა ლიგა სინამდვილეთ აქციოს და აი, ეს სხვა და სხვა ინტერესები სხვა და სხვა ქვეყნის კაპიტალისტებისა ერთიმეორეს დაეჯახა და სამშვიდობო კონფერენცია ჩიხში შეამწყვდია.

ყველაზე უფრო რეაქციონურ, ყველაზე უფრო აგრესიულ როლს სამშვიდობო კონფერენციაზე თამაშობს საფრანგეთის ბურჟუაზია, საფრანგეთის პრემიერის **კლემანსოს** სახით. ბატონ კლემანსოს ხალხთა ლიგა სურს გადააქციოს სამხედრო კავშირათ ცენტრალურ ევროპის სახელმწიფოთა წინააღმდეგ. ამნაირათ ის მეთაურობს იმ რეაქციულ მიმდინარეობას, რონელმაც მომავალში ეხლანდელ ომზე უსაშინლესი ომი, უსაშინლესი სისხლის ღვრა უნდა გამოიწვიოს.

ასეთია კაპიტალის თვისება. მან, თუ ის მაგრათ გრძნობს თავს,იოტისოდენა დათმობაც კი არ იცის. ის ხმალამოწვდილი მიდის და მიდის წინ, სანამ უსკრულის პირამდე არ მივა და შიგ არგადაეშვება მთელი თავისი სისხლიანი არსებით. და აი, ბატონი კლემანსო, სწორედ, ამ უსკრულისაკენ მიექანება.

თითქმის ყველა ამ ქვეყნებს, რომელთაც პარიჟის სამშვიდობო კონფერენციამ გულში ლახვარის ჩაცემა მოუნდომა, ხმა აღიმაღლეს და საქვეყნოთ განაცხადეს, რომ თავის ნებით თავს არ მოიკლავენ, დაე, მიბრძანდნენ და მოკლან. უეჭველია, რომ ევროპაში ბალშევიზმის გაძლიერება გამოიწვია პარიჟის კონფერენციის გაუმაძღარმა მადამ; სხვა და სხვა ერები მიხვდნენ, რომ კაპიტალის მსახურთაგან მათ ხეირი არ დაეყრებათ და შეუდგნენ თავის ხსნის საშვალებათა გამოძებნას; ბლოკადის მიერ გამოწვეულმა შიმშილმა თავისი გამოიტანა და **ბურჟუათა მაქსიმალიზმმა წარმოშვა მუშათა მაქსიმალიზმი**.

გერმანიაში, ვენგრიაში და სხვა და სხვა ჩაგრულ ქვეყნებში თავი იჩინა შეთანხმების სახელმწიფოთა საწინაარმდეგოთ მოკავშირეთა ძებნამ. აქ უკვე ირჩევა საკითხი რუსეთის ბალშევიკებთან შეთანხმებისა. ამნაირათ პარიჟის მაქიმალიზმმა, სხვა და სხვა ერების ინტერესთა აბუჩად აგდება, ადვილათ შესაძლებელია მიიყვანოს მთელი ქვეყნიერება კვლავ ხოცვა-ჟლეტის გზაზე.

შესაძლებელია, რომ ესეოდენმა მსხვერპლმა, რომელიც შესწირა კაცობრიობამ ამ საშინელ ომის ღმერთს, საქვეყნო დემოკრატიისათვის ფუჭეთ ჩაიაროს. ყოვლად შეუძლებე-

ლია, რომ ამ ომის შემდეგ კვლავ ძველებური კაციჭამია ურთიერთობა დარჩეს ქვეყნიერებას. ძველი ქვეყანა უნდა განახლდეს და განახლდება კიდეც.კლემანსოები ვერ შეაჩერებენ ისტორიის ბორბლის ტრიალს.

ვილსონის პროგრამა განხორციელებას მოითხოვს. ერთა თვითგამორკვევა, შრომის უფლება მორიგი საკითხია კაცობრიობისა. ეს საკითხი უნდა გადაიჭრას.

შეიგნებენ კი ამას კლემნსოები?ვეჭვობთ... მით უარესი მათთვის...

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №67, 1919 წელი, 3 აპრილი.გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არაა შენახული. იგი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში).

მემედ ბეგ-აბაშიძე

პოლკოვნიკ როლანდსტონის პროკლამაციის გამო

ჩვენი გაზეთის მკითხველებს ემახსოვრებათ იმ პროკლამაციის შინაარსი, რომლითაც წინათ დენიკინის წინააღმდეგ აჯანყებულ მთიელებს მიმართა მოხალისეთა ჯარის სარდლობასთან მყოფმა ინგლისის პოლკოვნიკმა ბატონმა როლანდსტონმა.როლანდსტონი თავის პროკლამაციაში იწონდებდა დენიკინის მოქმედებას მთიელთა მიმართ; ურჩევდა მთიელებს დამორჩილებოდნენ დენიკინს; აღნიშნავდა იმ გარემოებას, რომ მოკავშირეები ყოველნაირათ ხელს უწყობენ დენიკინს და ბოლოს ემუქრებოდენ კიდეც: თუ ყოველივე ამას არ შეასრულებთ, იმ ზარბაზნებით და ტყვიის მფრქვეველებით, რომლებსაც ჩვენ უხვად ვაწვდით დენიკინს, გაჟლეტილი იქნებითო.

ინგლისის მთავრობის წარმომადგენლის ასეთმა აშკარა ჩარევამ მთიელთა საქმეში ერთ-ერთი მხარის სასარგებლოთ, ასეთმა მისმა მუქარამ თავისუფლებისთვის მებრძოლ ხალხისადმი, დიდი აღშფოთება გამოიწვია არა მხოლოთ მთიელებში, არამედ ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკებში. მთიელთა მეჯლისმა, ადერბაიჯანის და საქართველოს მთავრობებმა ამის გამო პროტესტით მიმართეს ინგლისის უმაღლეს კომისარს ამიერკავკასიაში ბატონ **უორდროპს**.

აღშფოთება, მართლაც, რომ სამართლიანი იყო. მოკავშირენი მუდამ აცხდებდნენ, რომ ეხმარებიან დენიკინს მხოლოდ ბალშევიკთა წინააღმდეგ ბრძოლაში. მთიელთა რესპუბლიკა, როგორც ეს მთელ ქვეყანას მოეხსენება, ბალშევიკური არასდროს არ ყოფილა, პირიქით, მთიელთა რესპუბლიკა მუდამ ებრძოდა ბალშევიზმს. მთიელმა ხალხმა თავისი რესპუბლიკა დააარსეს თავის ეროვნების, თავის ვინაობის დასაცველათ. მთიელები თავის რესპუბლიკურ წესწყობილებით იცავდნენ თავის ეროვნულ თავისუფლებას ყველა მის მტრებისგან, როგორც ბალშევიკებისაგან, ისე დენიკინისაგან.

როგორც, ცნობილია, არც ლენინი და არც დენიკინი არ სცნობდნენ ერთა თვითგამორკვევას; ორივე მომხრენი არიან მთლიანი რუსეთის აღდგენისა, ერთი, ვითომდა კომუნისტური რუსეთის, მეორე-რეაქციონურის. ორივე დამპყრობელი ძალაა, ორივე მტერია ერთა თავისუფლებისა.

დენიკინი თავს დაესხა მთიელებს და მთიელთა რესპუბლიკა მოკავშირეთა თოფიარაღით დაიპყრო. მთიელნი აჯანყდნენ. თავისუფლების არწივებმა ვერ მოითმინეს მეფის გენერლის ჩექმის ქუსლებით თავის თავისუფლების გათელვა და მთაში შემოჭრილ მტერს ეკვეთნენ.გაჩაღდა ბრძოლა სამკვდრო-სასიცოცხლო. მთიელებმა დიდი ვაჟკაცობა გამოიჩინეს, შემოსეული ურდოები ბევრგან დაამარცხეს და უკან გარეკეს.

აი, ამ დროს ინგლისის სამხედრო ძალის წარმომადგენელი, პოლკოვნიკი **როლანდსტონი**, ტაგანროგში შეთხზულ პროკლამაციით მიმართავს მთიელებს: ინგლისის მთავრობა თქვენსა და დენიკინს შორის ამტყდარ ბრძოლაში, სავსებით დენიკინის მხარეზეაო.

გამოდიოდა, რომ **დიდი ბრიტანეთი ხელს უწყობს დენიკინს არა მხოლოდ ბალშევიკებთან ბრძოლაში, არამედ თვითმპყრობლობის კლანჭებიდან განთავისუფლებულ ერთა დაპყრობაშიც**. ეს ისეთი მტრული აქტი იყო ამიერკავკასიის თავისუფალ ერთა წინააღმდეგ მიმართული დიდი ბრიტანეთის სახელით, რომ მას არ შეეძლო არ გამოეწვია სამართლიანი

გულისწყრომა ამიერკავკასიის ყველა ერებში და საზოგადოთ, ყველა იმათში, ვინც ცნობს და პატივს სცემს პრინციპს ერთა თვითგამორკვევისას. გარდა ამისა, ეს აქტი იწვევდა დიდ უკმაყოფილებას ინგლისისადმი.

თავდაპირველად ამ აქტის შესახებ ბატონმა **უორდოპმა** გამოთქვა თავისი მოსაზრება, რომ მის შესახებ ინგლისის მთავრობამ არაფერი არ უნდა იცოდესო. ე.ი. ამ აქტში მხოლოდ პასუხისმგებელია პოლკოვნიკი როლანდსტონი.

როგორც ჩანს, ამის შესახებ ბატონი უორდოპი შეკითხებია თავის მთავრობას, რომ-ლისგანაც მას უკვე მიუღია პასუხი. ეს პასუხი მან აცნობა საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრს ბატონ **ევგენი გეგეჭკორს**, რომ ის სიტყვები, რომელიც მიაწერეს პოლკოვნიკ როლანდსტონს, სრულიად არ გამოხატავს ბრიტანეთის მთავობის შეხედულებას.

ამით ბრიტანეთის მთავრობა საქვეყნოთ აცხადებს, რომ დენიკინს ის არ დაეხმარება განთავისუფლებულ ერთა დაპყრობაში, რომ ერთა თვითგამორკვევას სცნობს ბრიტანეთი.

ჩვენ გვწამს, რომ ინგლისის ინტერესები სრულიადაც არ მოითხოვს დენიკინის მიერ ამიერკავკასიის თავისუფალ ერთა დაპყრობას; მარა ამასთან ისიც გვწამს, რომ დენიკინი ებრძვის და ემუქრება თავისუფალ ერებს ინგლისის ფულებით, ინგლისის იარაღით და ჩვენ საჭიროდ ვცნობთ, ვიკითხოთ: - მოეღება ამას ბოლო, თუ არა ?!

ამას გარდა, არავისთვის არაა დაფარული, რომ ზოგიერთი წარმომადგენელი ინგლისის მთავრობისა აშკარათ და ხშირათ დემონსტრაციულადაც ხელს უწყობენ დენკინს თავისუ-ფალ ერთა საწინააღმდეგოთ.

ჩვენ კვლავ ვეკითხებით, ვისაც ჯერ არს: მოეხსენება ეს, თუ არა ინგლისის მთავრობას და სანამდე გაგრძელდება ასეთი მდგომარეობა?...

სტატია დაბეჭდილია გაზეთში “ სამუსლიმანო საქართველო” (იხ №232, 1919 წელი, 21 ნოემბერი. გაზეთის ეს ნომერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში. საქართველოში არაა შემონახული).

მემედ ბეგ-აბაშიძე

მორიგი გამარჯვება

საქართველოს დამოუკიდებლობის მოსასპობად ბევრმა მისმა მტერმა აიღო მახვილი, მარა თავისუფლების მოყვარულმა ქართველმა ხალხმა შესძლო ამ მტრების დამარცხება. დღესაც ბევრი მტერი ლესავს კბილებს საქართველოს წინააღმდეგ; დღესაც უბღვერენ საქართველოს დამოუკიდებლობას, მარა ქართველი ერი კვლავინდებურათ შესძლებს ბნელ მიზნებით ამხედრებულ შავრაზმელების ალაგმვას, ერთი ასეთი მტერთაგანი, რომელიც საქართველოს ჩაყლაპვას უქადის, მეფის გენერლები და მათი მოხალისე ჯარია. დენიკინელები ყოველ საშუალებას ხმარობენ, რომ საქართველოში გამოიწვიონ არევ-დარევა, ანარქია, რომ საქართველოს თავისუფლება ჩაინთქას ანარქიის მორევში.

ყოველგვარ ანარქიის წყარო სიმშილია და აი, მოხალისეთა გენერლები ცდილობენ გაამეფონ საქართველოში სიმშილი. ამ მიზნით ისინი არც ერთ გემს არ აკარებენ ფოთის ნავსადგურს. ამ რიგათ დენიკინმა საქართველოს ბლოკადა გამოუცხადა. ყველგან, სადაც კი დენიკინის აგენტებია, ამ მიზანს ენერგიულათ ემსახურებიან და სხვა და სხვა საშუალებებს იგონებენ საქართველოს დასამშევათ. ეს აგენტებიც ხომ ბლომათაა ჩვენ ქალაქ ბათუმში.ბათუმის მართველი საბჭოს ურიცხვი დაწესებულებები დენიკინის აგენტებით არის პირამდე აღვსილი. გაზეთი**"ნაშ კრაი"**, რომელშიაც შავრაზმულ **"ნოვოე ვრემიას"** თანამშრომლებს მოუკალათებიათ, დენიკინელების ორგანოა. ბათუმელი დენიკინელები ყოველ ფეხის გადადგმაზე საქართველოს აძაგებენ, მის დანგრევას ცდილობენ. მიტომაა, რომ ყველგან და ყოველთვის ეს ვაჟბატონები ათასგვარ ხრიკებს მიმართავენ საქართველოს წინააღმდეგ. განსაკუთრებით ცდილობენ, რომ საქართველოში არ შევიდეს პური. ამასთან, განსაკუთრებით იღწვიან კავკასიის ბონების კურსის დასაცემათ.

... მარა თითონაც კარგათ უნდა ხედავდნენ, რომ მათი ოფლთა ღვრა მიზანს ვერ მიაღწევს. საქართველო თან და თან მაგრდება; თან და თან მისი მდგომარეობა უმჯობესდება. საქართველოს მთავრობის დროზე მიღებულ ზომების მეოხებით, დენიკინელების ბლოკადამ ჩაილულის წყალი დალია.

საქართველოში პურის ნაკლებობაა. თფილისში ფასმა ძლიერ აიწია და ამით საქართველოს მტრები, მათ რიცხვში დენიკინელები, სიხარულით ფეხზე აღარ იდგნენ, მარა მათ სიხარულს დაუდგა აღსასრული.

ამრიგათ, საქართველომ უკვე აიცილა თავიდან ის საშინელი მტერი, რომელსაც სიმშილისგან გამოწვეული ანარქია ეწოდება და რომელსაც დენიკინელები უმზადებდნენ საქართველოს. დენიკინელების ბლოკადას კბილი მოეჭრა... და მით მოეჭრა კბილი საქართველოში ანარქიის გამეფებას. ეს გამარჯვება უდრის ბრძოლის ველზე უდიდეს ბრძოლის მოგებას. დაე, იცოდნენ საქართველოს მტრებმა, რომ ყველა მათ გველურ განზრახვებს საქართველოს მთავრობა წინდაწინვე ითვალისწინებს და შესაფერ ზომებს ღებულობს გველურ შხამის გასაქარწყლებლად.

საქართველოს მთავრობას ვულოცავთ ამ მორიგ დიდ გამარჯვებას.

სტატია დაიბეჭდა გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო"

(იხ. №65, 1919 წელი, 1 აპრილი.გაზეთის ეს ნომერი საქართველოში არა შენახული. იგი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში).

მემედ ბეგ-აბაშიძე

ოსმალეთის საქართველო

საქართველოს რესპუბლიკის წარმომადგენელს სტამბოლში გრ. რცხილაძეს, წარუდგენია მემორანდუმი იმ საერთაშორისო კომისიის ამერიკულ სექციის უფროსისათვის, რომელიც მანდატებით არის ოსმალეთზე აღჭურვილი. მემორანდუმი შეეხება ოსმალეთის საქართველოს: **ჭანეთ-ლაზისტანს, თორთომ-ისპირს** და გამოწვეულია იმ გარემოებით, რომ ეს მხარე არ არის აღნიშნული როგორც საქართველოს ტომის მოახლეობის მხარე იმ გამოკვლევაში, რომელიც მოხდა ამერიკის სექციის უფროსის თავმჯდომარეობით და რომელსაც მიზნად აქვს ევროპა-ამერიკას გააცნოს მახლობელი აღმოსავლეთის აწინდელი ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ვითარება.

მემორანდუმი აღნიშნავს, რომ დასახელებული მხარეები საქართველოს ღვიძლი ნაწილებია, მხოლოდ სხვა და სხვა დროს მოგლეჯილ მის ტანისაგან ოსმალეთის მიერ, რომელნიც დედასამშობლო-საქართველოს უნდა დაუბრუნდნენ.

მემორანდუმის ტექსტი შემდეგია:

„ამერიკის სექციის უფროსს!

თქვემო აღმატებულებავ!

თქვენი გამოჩენილი თავმჯდომარეობით შემდგარ კომისიას, როგორც ჩანს, დაუმთავრებია ადგილობრივი შესწავლა იმ საკითხებისა, რომელნიც მახლობელ აღმოსავლეთს შეეხება და ეხლა შესდგომია იმ დასკვნათა ერთმანეთთან შეთანხმებას, რომელიც უნდა იქმნას გამოტანილი დაგროვილი მასალებიდან.

იმ ცნობების მიხედვით, რომელიც ამ უკანასკნელ დღეებში სტამბოლის პრესამ გამოაქვეყნა, სექციას დაწვრილებით განუხილავს ოსმალეთის იმპერიის ყველა ნაწილი; თუ არ ვცდები, ოსმალეთის ერთი კუთხე მხედველობის გარეშე დარჩენილა, სახელდობრ, ორი სანჯაყი: ჭანეთი,ლაზისტანი და აზრუმის ვილაიეთის ჩრდილო-დასავლეთი მხარე-**ისპირი** და **თორთუმი**, რომელთა მოსახლეობა თითქმის სავსებით მუსლიმან ქართველებისაგან შესდგება. ეს მხარეები საქართველოს მთავრობისა და ქართველი ხალხის ღრმა რწმენით, უხსოვარი დროიდან, ინტეგრალურ საქართველოს განუყოფელ ნაწილს შეადგენენ. ამისთვის ნებას ვაძლევ ჩემს თავს, მოკლედ მოვახსენო თქვენს აღმატებულებას ამ ტერიტორიის შესახებ შემდეგი რამდენიმე ცნობა:

1. **ჭანეთი და ლაზისთანი, ისპირი და თორთუმი** უხსოვარი დროიდან დასახლებული იყო ქართველთა რასის ერთი ჯგუფისაგან. რომაელი ისტორიკოსები-**პლიანი** და **არიანე** გადმოგვცემენ, რომ ეს სანაპირო ადგილები მათ დროს დასახლებული იყო ლაზებისა და სანეგებისა ანუ სანნებისაგან. ბერძენთა წყაროებში სანეგები ანუ **სანნები** წოდებული არიან ცანებათ ანუ **ჭანებად**. ეს სახელწოდებები დღემდის შერჩა ტრაპიზონის ერთ სანჯაყს. მთელ ამ მხარეში ლაზები და ჭანები ლაპარაკობდნენ თავიანთ ენაზე. ლაზისტანში დღესაც იმ დიალექტზე ლაპარაკობენ, რომელსაც დღეს მეგრელები ხმარობენ. ქართული ენა, როგორც ნაციონალური ენა, უმთავრესათ სამი ქართული ხალხური დიალექტისაგან წარმოსდგა: **ლაზურის, სვანურის და ქართულისაგან**. ჩვენი ენის გრაფიულ და ლიტერატურულ განვითარებაში, ყველაზე მნიშვნელოვანი როლი სწორედ ითამაშა ლაზურმა ანუ ჭანურმა

დიალექტმა, ეს გარემოება იმით აიხსნება, რომ ჭანები ანუ ლაზები უფრო ახლოს იყვნენ ბიზანტიის ქრისტიანულ კულტურასთან, ვიდრე სხვა შტოები ქართული რასისა და რომ ისინი ერთგვარ ხიდს წარმოადგენენ საქართველოსა და ევროპას შორის, აი, თუ რატომ ითამაშეს ეგზომ დიდი როლი ჭანებმა და ლაზებმა **საქართველოს ნაციონალური ცივილიზაციის შექმნაში**.

2. როდესაც დაუძლურებულმა ბიზანტიის იმპერიამ ოსმალეთს თავისუფალი გზა გაუხსნა, რომ ჩრდილოეთს მოსდებოდნენ, **ჭანეთი, ლაზისტანი, ისპირი და თორთუმი,** როგორც საქართველოს მოსაზღვრე ადგილები, ოსმალთა შემოსევის პირველი მსხვერპლნი შეიქმნენ. იმავე დროს ოსმალებმა დაიუფლეს მესხეთ-ჭოროხის ხეობა (ტაო-კლარჯეთი) და აჭარა (ბათომისა და ოლთისის ოლქები) და მთელი ეს მხარე საქართველოს ჩამოგლიჯეს. ამ დროიდან მოკიდებული ქართველები მუდამ იმის ცდაში იყვნენ, თუ როგორ დაებრუ-ნებინათ ეს მხარე დედასამშობლოსთვის; მაგრამ მტერთა ურიცხვ ბრძოლაში დასუსტებუ-ლებს ცდა ამაოთ დაურჩათ. მეჩვიდმეტე საუკუნის დასაწყისს ეს ნაწილები შემოიერთეს, მაგრამ ეს დიდხანს არ გაგრძელებულა. ოსმალთა ბატონობა საქართველოსგან ჩამოგლეჯილ მხარეში უმთავრესად რელიგიურ სფეროში გამოითქვა; ყოველგან ქრისტიანიზმი მუსლი-მანურ რელიგიად შესცვალეს. ადმინისტრაციულის თვალსაზრისით, ეს ქვეყნები დღემდე განცალკევებულ ხასიათს ატარებენ.

ჭანეთის სანჯაყში, რომელიც უფრო სამხრეთით მდებარეობს და ოსმალთა სამასი წლის ბატონობის ზეგავლენით, ქართულმა მოსახლეობამ დაივიწყა თავისი სამშობლო, ენა და დღეს ოსმალურს ლაპარაკობს, მაგრამ **მას შენახული აქვს ქართული ზნე და ადათი ისე, როგორც ცხოველი შეგნება, რომ იგი ჭანია და არა ოსმალო**. ლაზისტანსა, თორთუმსა და ისპირში ოსმალური გავლენა ადგილობრივ მოსახლეობაზე გაცილებით უფრო სუსტი იყო, თუმცა ამ კუთხის მამაკაცები ოსმალურსაც ლაპარაკობენ, მაგრამ ოსმალური უცხო ენათ აქვთ დასახული, მაშინ, როდესაც ოჯახში ლაზურს, ე.ი. ქართულს ხმარობენ ჯერ კიდევ მეოცე საუკუნის დასაწყისიდანაც კი. მათში ქართული ეროვნული გრძნობა უფრო და უფრო იღვიძებს ლაზთა და ჭანთა შორის. მისწრაფება და მოქმედება განათლებულ ლაზე-ბისა და სულ ერთიანად საქართველოსკენ არის მიმართული, რომელსაც ისინი თავიანთ **დედა-სამშობლოთ სთვლიან**.

3. ტერიტორიულის თვალსაზრისით მთელი ეს მხარე გადაბმულია ბათომის და ოლ-თისის ოლქებზე და ახალციხის პროვინციაზე, ერთი სიტყვით რომ ვსთქვათ, საქართვე-ლოზე. ოსმალეთის იმპერიის სტატისტიკით, 1919 წელს ჭანეთში ოფიციალურათ ირიც-ხებოდა სულ 265000 მუსლიმანი, 93739 ბერძენი და 27518 სომეხი, მაშინ, რიდესაც მთელი ტრაპიზონის ვილაიეთში მუსლიმანი იყო 221128, ბერძენი- 161874, სომეხი-58899. ოსმალეთის ეს სტატისტიკა არ გვიჩვენებს მუსლიმანთა ეროვნებას, უეჭველია, იმ მისაზრებით, რომ ყველა მუსლიმანი ოსმალოდ აქვს წარმოდგენილი. ჩვენს დროში ყოვლად **შეუწყნარებელია ასეთი არევა ერთმანეთში რელიგიისა და ეროვნებისა**.რაც შეეხება ჭანეთს, ლაზისტანს, ისპირსა და თორთუმს მუსლიმანთა მოსახლეობის 95 პროცენტი უდავოდ ქართულ რასას ეკუთვნის და მხოლოდ უმნიშვნელო მცირე ნაწილი ოსმალებს მიერიცხება.

4. დაბრუნება საქართველოსთვის ოსმალთაგან წართმეული მისი მიწის ნაწლებისა შეადგენდა ერთ-ერთ მთავარ მუხლს იმ ხელშეკრულებისას, რომელიც დადებულ იქნა 1783

წელს საქართველოს მეფე **ერეკლე მეორესა** და რუსეთის დედოფალ **ეკატერინე მეორეს** შორის; იმ პროვინციების დაბრუნება დედა-სამშობლოს წიაღში ქართველი ხალხის ერთი უძლიერესი და უცხოველესი მისწრაფებანია. ამ მისწრაფებას ეთანამშრომლება დიდი **ქართული ეროვნული მოძრაობა**, რომელიც თან და თან ვრცელდება და ფესვებს იკიდებს ოსმალეთის საქართველოში, ეს მოძრაობა, რომელიც ქართველი ხალხის ეროვნულ სოლიდარობის განმტკიცებისკენ ისწრაფვის, ისეთივე საღი და ცხოველმყოფელია, როგორიც არის ანალოგიური მოძრაობანი ყველა სხვა ხალხებში.

ანტანტამ მსოფლიო ომის უღელში თავი იმიტომ შეჰყო, რომ გაემარჯვებინათ უფლება და სამართლიანობის პრინციპებისთვის; ამიტომ საქართველოს მთავრობას და ხალხს ღრმად სწამთ, რომ **პარიზის კონფერენცია** ქართველ ხალხს დაეხმარება და მიეშველება იმ უსამართლობის გამოსწორებაში, რომელმაც ამ სამი საუკუნის წინად, მას ჩამოჰგლიჯა უმშვენიერესი მისი ნაწილი და ხელში მისცა ოსმალეთს.

თქვენო აღმატებულებავ! ნება მიბოძეთ, ამასთან ერთად, წარმოგიდგინოთ მოკლე მიმოხილვა, რომელიც შეეხება ოსმალეთის საქართველოს და შეიცავს მეტად მნიშვნელოვან დეტალებს, რომლის აქ აღნუსხვა არ შემეძლო.

ვშთები რა ღრმა რწმენაში, რომ თქვენი აღმატებულება კეთილ განწყობილის თვალით შეხედავს და თავის დროზედ მხარს დაუჭერს კიდეც საქართველოს ფარგლებში იმ ქართულ პროვინციების დაბრუნების საქმეს, რომელიც დღეს ოსმალეთის საზღვრებშია მოქცეული.

გთხოვთ, თქვენო აღმატებულებავ, მიღოთ ჩემი უღრმესი პატივისცემა.

გაზეთის სახელით მადლობას მოვახსენებთ ბატონ გრ. რცხილაძეს ისტორიული სამშობლოს მხარეების მიმართ გამოხატული სიყვარულისა და პატივისცემისათვის; მოვუწოდებთ ყველა ქართველს სამშობლოს მიწა-წყლის ყოველი მტკაველის, ყოველი გოჯის დაცვის, შენარჩუნებისა და სიყვარულისათვის. თაობიდან თაობას უნდა გადავცეთ ჩვენი ისტორიული სამშობლოს (სამწუხაროდ, დღეისათვის დროებით დედასაქსრთველოს ჩამოცილებული მხარეების) სიყვარულის, მისი შემომტკიცებისათვის დღენიადაგ ზრუნვის ძლიერი გრძნობა. ჩვენი გაზეთის უპირველესი საზრუნავი სწორედ ესაა!...

მემორანდუმის ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. იგი დაიბეჭდა გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (№171, 1919 წელი, 23 აგვისტო). გაზეთის აღნიშნული ნომერი დაცულია სავანის ბიბლიოთეკაში; საქართველოში, სამწუხაროდ, არაა შენახული.

მემედ ბეგ-აბაშიძე

კადირ-ბეგ შერვაშიძე

დეპეშამ თფილისიდან თავზარდამცემი ამბავი გადმოგვცა,პარტახტიანი სახადისაგან თფილისში გარდაიცვალა სამუსლიმანო საქართველოს მოღვაწე, ჭეშმარიტი მამულიშვილი, საქართველოს დამფუძნებელი კრების წევრი, პოლკოვნიკი კადირ-ბეგ შერვაშიძე. შეწყდა ძვირფასი სიცოცხლე იმ ადამიანისა, რომლის ყოველივე ძალღონე იქითკენ იყო მიმართული, რომ თავის ხალხს, თავის სამშობლოს დახმარებოდა.აღარ გვყავს კადირი, რომელიც თავის სამშობლოს განთავისუფლების მედგარი დარაჯი იყო.

უმაღლეს სწავლით აღჭურვილი, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა კაცი, ის მთელი თავისი ენერგიით და ახალგაზრდული გატაცებით ჩაება საზოგადო საქმეში. ის ერთი დამაარსებელთაგანი იყო სამუსლიმანო საქართველოს განმათავისუფლებელ კომიტეტისა; მხურვალე მონაწილეობას იღებდა ამ კომიტეტის საქმეებში. დღედღეზე მოელოდა იმ ბრწყინვალე დღეს, როცა სამუსლიმანო საქართველო სავსებით შევიდოდა დედა-სამშობლოს-საქართველოს ფარგლებში ავტონომიურათ.

როცა ახალციხის მაზრას ავანტიურისტთა ბრბო შემოესია, ის მაშინვე იქითკენ გაეშურა, ჩაუდგა სათავეში მუსლიმან ქართველთა რაზმს და თავგანწირულათ იბრძოდა ბანდების წინააღმდეგ.

სამუსლიმანო საქართველო ისედაც ღარიბია სწავლა-ცოდნით აღჭურვილი მოღვაწეებით და აი, მცირე ჯგუფს ასეთ მოღვაწეებისას გამოაკლდა ერთი თვალსაჩინო მოღვაწე-კადირ-ბეგი. ულმობელმა სივდილმა მოსწყვიტა საყვარელ სამშობლოს მაშინ, როცა მისი მოღვაწეობა ესეოდენ ძვირფასი, ესეოდენ საჭირო იყო.

კადირის ძვირფას ნეშთს დღეს ჩამოასვენებენ ბათუმში. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული.

მშვიდობით, დაუვიწყარო მეგობარო. შენ შენი სიცოცხლე სამშობლოს შესწირე. მადლიერი სამშობლო ამას არ დაგივიწყებს და უკვდავ ყოფს შენს სახელს.

გაზეთი "სამუსლიმანო საქართველო", №90, 1919 წელი, 11 მაისი.(გაზეთის ეს ნომერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში. საქართველოში არაა შენახული).

მემედ ბეგ-აბაშიძე

ექიმი ირაკლი სურგულაძე

ოთხ მაისს აჭარის გზაზე ყაჩაღებმა სიცოცხლეს გამოასალმეს სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობარი და მოსიყვარულე ექიმი ირაკლი სურგულაძე. მოკლეს ის ადამიანი, რომელსაც მთელი თავისი არსებით უყვარდა ქართველი მუსლიმანები; მოკლეს სიცოცხლითა და ჯან-ღონით სავსე ახალგაზრდა, რომელსაც დიდი სარგებლობის მოტანა შეეძლო ჩვენი კუთხისათვის-აჭარისათვის.

... და მერე ვინ მოკლა? როგორ ჩანს, ის მოუკლავთ აჭარლების წრიდან გამოსულ ყაჩაღებს; მოუკლავთ იმ ხალხის შვილებს, რომლის ინტერესებისათვის ირაკლი მზათ იყო თავი გაეწირა.

ირაკლი ერთად-ერთი ძმა იყო სამუსლიმანო საქართველოში კარგათ ცნობილ საზოგადო მოღვაწის **პეტრე სურგულაძისა**. პეტრემ ქართველ მუსლიმანთა დახმარების საქ-მეში დიდი უბედურება გამოიარა. სამუსლიმანო საქართველოდან გადახვეწილ ძმებს- ქართველ მუჰაჯირებს პეტრე თავს ევლებოდა და უვლიდა მათ, როგორც ძმებს და მეგობრებს. პეტრეს მეოხებით ბევრი ქართველი მუსლიმანი გადაურჩა შიმშილით სიკვდილს.

... და მას შემდეგ არ ყოფილა არც ერთი წუთი, როდესაც პეტრეს თავის კერძო საქმეზე ეზრუნოს მხოლოთ. ის ყოველთვის სამუსლიმანო საქართველოს სიკეთეზე ფიქრობს და ზრუნავს. ასეთი იყო მისი ძმაც. ასეთი ადამიანი მოაშორეს წუთი სოფელს; გამოგლიჯეს ის თავის სამშობლოს და თავის საყვარელ ძმას.

რა საშინელი ირონიაა ბედისა. კაცი, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, ქართველი მუსლიმანის ხელით გამოესალმა სიცოცხლეს. ძმა, რომელიც თავს ევლებოდა ქართველ მუსლიმანებს, რომელსაც თავის სიცოცხლის საგნათ ქართველ მუსლიმანებისადმი სამსახური დაუსახავს მიზანათ, რჩება კერძო ცხოვრებაში სრულიად ობლათ, ერთად-ერთ ძმისგან გამოთიშულად... და უბედურება ის არის, რომ პეტრეს ტანჯავს ორგვარი ნაღველი: ერთი ის, რომ მან დაკარგა საყვარელი ერთად-ერთი ძმა და მეორე ის, რომ დაკარგა ვისი ხელით? ხელით იმ ხალხის შვილისა, რომლის კეთილდღეობისათვის იღვწოდა და იღვწის ამ ჟამათ ტანჯული პეტრე.

საუკუნოთ იქნება ხსნება სამუსლიმანო საქართველოს დიდი მეგობრის ირაკლი სურგულაძისა. მის ძმას, ჩვენს დიდ მეგობარს-პეტრეს არ ვიცით, თუ რა ნუგეში ვუთხრათ. ვსტირით ჩვენც მასთან ერთად დაუვიწყარ ირაკლის დაკარგვას.

ჩვენმა ცრემლებმა მისეს მას მცირედაც მაინც მისი ტანჯვის შემსუბუქება. ვუსურვოთ მას, რომ ვაჟკაცურად გადაეტანოს ეს დიდი უბედურება და კვლავ მალე დაბრუნებოდეს თავის საყვარელ საქმეს-სამუსლიმანო საქართველოს თავდავიწყებით სამსახურს.

1920 წლის 11 მაისი.

(დაბეჭდილია გაზეთში-"სამუსლიმანო საქართველო", №356. 1920 წელი, 11 მაისი).
გაზეთის ნომერიცა და ხელნაწერიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

მემედ ბეგ-აბაშიძე

პეტრე სურგულაძე

ბოსფორის მხიარულ ნაპირზედ გაიხსნა ცივი სამარე, შთანთქა მრავალტანჯული, თავგანწირული და ბევრად ნაამაგარი ერთი საუკეთესო ქართველი მამულიშვილი. არავინ არს გლოვის ზარის ჩამომკვრელი და დამტირებელი; კიდეც რომ აღმოჩნდეს ერთი ვინმე, მას არ ეყოლება მაინც გულწრფელი გამგონი.

დღითი დღე მცირდება და ირღვევა სამშობლოს საუკეთესო შვილთა რიგები; გვაკლდება ეროვნული ნამდვილი "მე"-ს გამომხატველი და დამცველი ძალები. ვსუსტდებით, ვიცლებით ეროვნული შინაარსით, მორალით და სისხლით. დაქანებული ვართ საბედისწერო გადაგვარების დაღმართზედ და ვეღარც კი ვგრძნობთ, რომ სწრაფი სრბოლით მივექანებით უფსკრულისაკენ; ვებარებით მემატიანეთა კვლევა-ძიებას და მათ საშინელ მსჯავრსა, რათგან აღარ დაგვრჩა ძალი თავის შემონახვისა და ღირსეული არსებობისა ჩვენის შეუგნებლობისა და დაუდევრობის წყალობით. აღარ გვრჩება და აღარც გვებადება მტკიცე ნებისყოფის, სწორი გზით მავალი, მაღალი და წრფელი აზრის მქონე ქართველი. აღარ გვრჩება ჩვენი ეროვნული დიადი წარსული ცხოვრების, ჩვენი ერის მიწა-წყლის, ენის, განათლების და უფლების უანგარო მოსიყვარულე და შეუპოვარი დამცველი!

ვინ არ იცნობდა პეტრე სურგულაძეს, მრავალ-ტანჯულს სამშობლოსათვის და მხოლოდ სამშობლოსათვის! დღეს იგი აღარ არის; გავიდა სამარადისოდ ჩვენი რიგითგან... დანაკლისი დიდია, ძნელად შესავსებელი...

ქართველი ბევრი სხვაც არის, მაგრამ ისეთი ქართველი, რომელიც დადრეკის, უკან დახევის, შერიგების ან და დათმობის იდეოლოგიურად და საქმით, მთელი თავისი არსებით უარისმყოფელი იყოს, როგორც პეტრე იყო, ძლიერ ცოტაა, იმდენად იშვიათია მისი პიროვნება და მის ნაირი ქართველობა.

რომელიმე ღირსეული ქართველის სიკვდილის შემდეგ, ჩვენ ვიცით ერთი ახმაურება, კროკოდილის ცრემლის ღვრა, რომელიც მალე შრება თვალზედ, რათგან წუთიერი გრძნობა გვამოქმედებს და არა ღრმა შეგნება, ანუ გონება და დაკარგულის ნამდვილი შეფასება. ეჭვიც არ გვეპარება, რომ ჩვენ არ ძალ-გვიძს ღირსეულად შევაფასოთ ჩვენი ეროვნული დიდ-ბუნებოვანი მოღვაწეები, მით უმეტეს, რომ არ ვიცით და არც გვეცოდინება დიდხანს ნამდვილი მამულიშვილის შემონახვა და გაჭირვებაში მცირედი დამხმარებით სიკვდილისგან გადარჩენა.

... და უნდა ვსთქვათ, თუკი ვინმე შეიგნებს, რომ პეტრე სურგულაძე არის მსხვერპლი ჩვენი დაუდევრობისა და შეუგნებლობისა, ტრაღიკულია მისი სიკვდილი და ჩვენთვის სამარცხვინო, რათგან, აჰა, ათი წელიწადია იგი გარიყული დასტოვა ემიგრაციამ და ამ დიდ ნაამაგარ ქართველს ამოხდა სული სიმშილით.

ამ მწარე და სამარცხვინო სინამდილეზედ მეტს აღარ ვიტყვით, შორს არ წავალთ. ემიგრაციას შეუძლია ეს მაინც გაიგოს და სცნას თავისი დანაშაული, რათა სხვებსაც მსგავსადვე არ მოეპყრას.

სხვანიც დასწერენ პეტრეს ვინაობაზედ და მოღვაწეობაზედ. ჩვენ კი აქ ქართველ საზოგადოებას ვსთხოვთ, გამოგზავნოს შემოწირულება პეტრეს ვაჟის, **პატარა როსტომის**

სასარგებლოდ, რათა ეს უმწეო ყმაწვილიც მთლად უპატრონოდ არ დაიღუპოს.ამ დახმარების მიღება იკისრა ამჟამად პარიზში მყოფმა მამა **შალვა ვარდიძემ**.

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერი, 1931 წელი, 3 ივლისი;
ყველისციხელი გულშემატკივარი.
დაიბეჭდა გაზეთში "თეთრი გიორგი" (იხ №43-44, 1931 წელი). ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკაში.

შინაური (მიხაკო წერეთელი)

ოსმალეთის ქართველები

ოსმალეთის ქართველებს განუზრახავთ მისაბაძი საქმის მოგვარება, "ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელ საზოგადოების" დაარსება. ვინც ოსმალეთის ცხოვრებას იცნობს, თუნდაც ჟურნალ-გაზეთებში მოცემული ამბებით მაინც, დარწმუნდება, რომ ასეთი საზოგადოების დაარსება მოულოდნელი არ უნდა ყოფილიყო.

ოსმალეთში ყოველთვის ბლომად ყოფილა ქართველობა. შავი ზღვის პირები მოფენილია ქართველებით დასახლებულ ახალშენებით, რომელბშიაც **სრულიად არ გამქრალა ქართველობის ელემენტი**; თვით ამიერკავკასიაშიც ბევრია **გამაჰმადიანებული ქართველი**, მაგრამ, როგორც სხვა და სხვა მოგზაურებს აღუნიშნავთ, ჩვენებური გამაჰმადიანებული ქართველები ნაკლებად ზრუნავენ ქართული კულტურის შესასწავლად... ეტყობა, ოსმალეთში უფრო დაცული ყოფილა ქართველობა.

მაჰმადიან ქართველთა გარდა, ოსმალეთში არიან **კათოლიკე ქართველებიც**. სანამ ოსმალეთში ძველი წეს-წყობილება არსებობდა, მაჰმადიანი და კათოლიკე ქართველები როგორღაც გათიშულნი იყვნენ ერთიმეორისგან. ამ ბოლოს ახალმა რეჟიმმა ხელოვნური ზღუდეები მათ ურთიერთობას ჩამოაშორა და კიდეც ჩაუსახა აზრი ისეთის ორგანიზაციის შექმნისა, რომელიც უფრო მჭიდრო კავშირს დააარსებს, როგორც მაჰმადიან და კათოლიკე ქართველთა შორის, ერთის მხრით, ისე მათსა და საქართველოს შორის-მეორე მხრით.

არსებობს ერთი გარემოება, რომელსაც გაკვრით ჩვენი სტამბოლელი კორესპონდენტიც ეხებოდა ამას წინათ, კერძოდ, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სამღვდელოების ერთი ჯგუფის ტენდენციას. თურმე სტამბოლში არსებობს ქართველ კათოლიკეთა ჯგუფი, რომელსაც ჯერ კიდევ ვერ უგრძვნია დღევანდელი მომენტის სიმწვავე და ვერ გაუთვალისწინებია ის აზრი, რომ სტამბოლის კათოლიკეთა სამღვდელოებამ უნდა დაუსახოს განსახორციელებლად **არა მარტო სარწმუნოებრივი, არამედ ეროვნული მიზანი**. დავრწმუნდით, რომ ახალგაზრდა სამღვდელოება სწორედ ამ თვალით უცქერს თავის მოღვაწეობას და ცდილობს მთელ თავის საქმიანობას ეროვნული ხასიათი მისცეს.

ამისთანა პირობებში სარწმუნოებრივი სხვა და სხვაობა ოსმალეთის ქართველებისა და კათოლიკეთა უეჭველია, ხელს ვერ შეუშლის ისეთ საკულტურო საზოგადოების, დაწესებულების დაარსებას, რომელიც **მიზნად ისახავს ეროვნული თვითცნობიერების შეტანას მრავალრიცხოვან გამაჰმადიანებულ ქართველებში**.

საჭიროა მხოლოდ ჩვენი დახმარებაც, დახმარება არა ერთდროულად, არამედ სისტემატიური. ხელოვნურმა საზღვრებმა არ უნდა შეგვაშინოს და ჩვენც, რითიც კი მოვახერხებთ, მუდმივი და თვალსაჩინო კავშირი უნდა გავაბათ ოსმალეთისა და შემდეგ კი სპარსეთის ქართველთა საკულტურო დაწესებულებებთან.

სტამბოლის ქართველთა განზრახვა ჩინებულია, და ჩვენც წინდაწინ ვუძღვნით სალამს სტამბოლის ქართველთა მომავალ საკულტურო დაწესებულებას.

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერი – ქართველთა სავანე, 1912 წელი, 13 იანვარი, ნინოობა. სტატია დაბეჭდილია გაზეთში – "სახალხო გაზეთი" (იხ. №606, 1912 წელი).

თაჰსინ ზიმშიაშვილი

კიდევ ფაშების აგენტებზე

ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებულ ყოფილ ყარსის მთავრობის დოკუმენტებიდან ნათლათ ჩანს, რომ ის ბუტაფორული მთავრობა, რომელიც ყარსში დაარსდა და ბოლოს ინგლისის მთავრობის მიერ დატუსაღებულ იქნა, ნამდვილი აგენტი იყო ოსმალეთის იმ ავანტიურისტებისა, რომლებსაც თავიანთი მოქმედებით ოსმალეთი გააჩანაგეს. ამავე დოკუმენტებიდან მტკიცდება, რომ ამიერკავკასიის ერთ-ერთი რესპუბლიკა სისტემატიურ ინტრიგას ეწევა საერთოთ სამუსლიმანო საქართველოში და კერძოთ, ბათომის ოლქში.

სერვერ ბეგის (სერვერ ათაბეგის) ბანდები, რომლებშიაც ოსმალოს აფიცრები მხურვალე მონაწილეობას იღებდნენ, შესდგება ოსმალეთის დარჩენილ ასკრებისა და ბანდებში ძალით გაწვეულ მცხოვრებლებისაგან. ერთ-ერთი დოკუმენტი, რომელშიც ნათქვამია, რომ ვინც ჩვენს ჯარში არ ჩაეწერება, სიკვდილით დაისჯებაო. ეს ცხადყოფს, რომ სერვერ ბეგები ისედაც მრავალტანჯულ მცხოვრებლებს კიდევ უფრო აწვალებენ და ურჩებს სიკვდილით სჯიან. ასე დასაჯეს მათ სიკვდილით ჩვენი დაუღალავი მოღვაწის მემედ ბეგის სიძე და დისწული; დასწვეს შავშეთში ფუათ-ბეგ ათაბაგის სახლი და მოჰკლეს ათაბაგის ორი ქალიშვილი, რომლებსაც ცეცხლმოდებულ სახლიდან გაქცევით თავის შველა უნდოდათ.

ერთი სიტყვით, მთელი არდაგანის ოლქი და შავშეთ-იმერხევის რაიონი სერვერ ბეგების სათარეშო მოედნად იქცა... და რაც ამ ფაშების აგენტებს სურთ, იმას ჩადიან.

არდაგანის ოლქი ამჟამად ქართველთა ჯარით არის დაკავებული და ამნაირათ იქ ფაშების აგენტების ბატონობა მოისპო; მარა **შავშეთ-იმერხევი,** როგორც სჩანს, მოძალადეების საჯიჯგნად არის მიდგებული... ამნაირათ **შავშეთ-იმერხევში** გაბატონდა ის წყობილება, რომელიც ბატონყმობის დროს აჭარბებს ზოგიერთ ბეგების თავაშვებულობით. იქ ხალხის სულსა და გულს დაპატრონებია ერთი მუჭა ფაშების აგენტები, რომელთა ხელშია ხალხის სიცოცხლე, ხალხის ქონება, ხალხის სული. რაც სურთ ამ ავანტიურისტებს- ფაშების ფულით ჯიბე გასქელებულებს, ამას სჩადიან. სურთ სახლ-კარი დაუწვან, ვინც მათ არ ემხრობა, სურთ-მოჰკლავენ, სურთ-აწამებენ. საშუალოსაუკუნოების საშინელ სისასტიკეს მოგაგონებთ ეს გარემოება ამ მეოცე საუკუნეში, როცა ადამიანის პიროვნება ხელუხლებელი უნდა იყოს.

შავშეთ-იმერხევი საშინელ წუთებს განიცდის მოძალადეებისგან.

რა მდგომარეობაშია ართვი-არდანუჯის რაიონი? ეს ფართე საზოგადოებისთვის ჯერ კიდევ გაუცნობელია. საზოგადოებამ იცის, რომ ამ ადგილებშიაც მოუკალათებიათ ფაშების აგენტებს და ეს აგენტები სერვერ ბეგების ბრძანებებს ასრულებენ. ვიცით, რომ ეს რაიონი ბათუმს არ ემორჩილება; და იქ არსებულ საბჭოებში ფაშების აგენტებია დაბუდებული. ერთი სიტყვით, აქაც ხალხის სვე-ბედს ფაშების აგენტები დაპატრონებია.

ამ აგენტებმა ბათუმშიაც მოიკალათენ. შეადგინეს "ყველა მუსლიმან თემთა ეროვნული საბჭო" და არხეინათ გრძნობდნენ თავს.მათ ხელმძღვანელობს გამოცდილი ხელი; დადიან, სადაც ჯერ არს; არდგენენ მემორანდუმებს ხალხის სახელით და ირწმუნებიან, რომ მთელი ხალხი მათი მომხრეა, რომ მათ ცალკე მმართველობა სურთ და ის, რომ ასე არა იქნეს, თითქო ხალხი აჯანყდება და ქვეყანა დაიქცევა.

ხალხი კი გმინავს მათ თავგასულობისაგან; ხალხს სწყურია მათი ძალადობისაგან თავის გამოხსნა, მარა ვერ ბედავს ამის აშკარათ თქმას;ვინაიდან იცის, რომ ამისთვის მას მოძალადეები ააწიოკებენ, დაარბევენ და სიკვდილითაც კი დასჯიან.

ამის მაგალითი ხალხს თვალწინ უდგას. მთელი **ართვინ-არდანუჯი-შავშეთ-იმერხევი** იმის ცდაშია, თუ როგორ დაახწიონ თავი ამგვარ მდგომარეობისგან; მარა გამოსავალი გზა ვერ მოუნახავთ, რათგან მთელი ხალხი დაშინებულია მოძალადეობისაგან.

ამ გარემოებას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს.

ბათუმის ოლქი ინგლისის ოკუპაციის ზონაშია. ხალხის სიცოცხლისა და ქონების უზრუნველყოფა ინგლისის მთავრობას აკისრია. ჩვენ ვფიქრობთ, რომ დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლები ყურადღებას მიაქცევენ შექმნილ მდგომარეობას და მიიღებენ ზომებს, რომ ოლქი გაწმენდილ იქნას ფაშების აგენტებისაგან.

ხალხი... გაწამებული ხალხი ამისათვის დიდ მადლობას ეტყვის დიდი ბრიტანეთის წარმომადგენლებს, ვინაიდან ამით ხალხის სიცოცხლე და ქონება უზრუნველყოფილი იქნება.

ჩვენი ზნეობრივი მდგომარეობა იყო გვეთქვა ეს; ვთქვით კიდეც. დანარჩენი ჩვენზე არაა დამოკიდებული.

27 აპრილი, 1919 წელი.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში "სამუსლიმანო საქართველო" (იხ. №90, 1919 წელი, 11 მაისი.გაზეთის ეს ნომერი დაცულია "სტამბოლის ქართული სავანის (კათოლიკეთა ეკლე-სია-მონასტრის) ბიბლიოთეკაში. საქართველოში შენახული არ არის). წერილის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი ინახება სავანის არქივში.

სოლომონ ასლანიკაშვილი (ბავრელი)

მღვდელი მიხეილ თამარაშვილი

(ბიოგრაფიული ცნობანი)

ქართველმა საზოგადოებამ დიდი საუნჯე დაჰკარგა. შეუბრალებელმა სიკვდილმა წაგვართვა გამოჩენილი ისტორიკოსი მღვდელი მიხეილ (არა მიქაელი) თამარაშვილი!

შესანიშნავი და წასაბაძია ამ ღირსეულ ადამიანის ცხოვრება. მღვდელი მიხეილ თამარაშვილი დაიბადა 1861 წელს ქალაქ ახალციხეში. მამამისი - **პეტრე** და დედა გაიანე ხელმოკლე ოჯახის პატრონი იყვნენ. პეტრე მერუმბე იყო. ჰყავდა სამი ვაჟი და ერთი ქალი.

სიღარიბის გამო შვილების განათლებაზე ვერ ზრუნავდა და ცდილობდა, შვილებისთვის ხელობა ესწავლებინა. შუათანა შვილმა მიხეილმაც, ახალციხის ერთკლასიან საეკლესიო სასწავლებელში ქართული წერა-კითხვა ისწავლა. შემდეგ, ხარაზს მიაბარეს. მაშინ ძლივს ძლივობით სწერდა ქართულად და საეკლესიო ლოცვები ჰქონდა გაზეპირებული. სკოლამ ამის მეტი ვერა შესძინა რა.

1874 წელს მიხეილ თამარაშვილი, გარემოების გამო, იძულებული იყო ქუთაისში გადასახლებულიყო თავის უფროს ძმასთან-სოლომონთან, რომელსაც იქ ბაყლის დუქანი ჰქონდა; იჯდა წუღებსა ჰკერავდა; იგი მშვიდი, წყნარი ხასიათისა იყო და ცუდ ამხანაგებს არ ასდევდა. მუდამ ფიქრებში წასული, მოცლის დროს, სასულიერო წიგნებით ირთობდა თავს; ბეჯითად კითხულობდა პერგამენტზე დაბეჭდილს ხუცურ დაბადებას.

სწავლის სურვილი მაინც დღე-ღამე მოსვენებას არ აძლევდა და 17 წლის ახალგაზრდამ მიისურვა სასულიერო წოდებაში შესვლა. ამ მიზნით თამარაშვილი**1878 წელს სტამბოლს** წავიდა თავის ძმების ხარჯით და შევიდა **მამა პეტრე ხარიშჭერაშვილის** მონასტერში; მღდვლად იქ იკურთხა. სტამბოლში ქართველ კათოლიკების მონასტერში კარგა ხანი დაჰყო, რადგან მაღალი ნიჭი და დიდი შრომის უნარი გამოიჩინა. ის სწავლის გასაგრძელებლად რომში გაგზავნეს, სადაც ლათინური, ფრანგული და იტალიურ ენები საფუძვლიანად შეისწავლა. თუ არ ვცდებით, რომში წმ. იუსპერ საქრისტიანო სასწავლებლის გამგედ იყო.

შორს გარდახვეწილმა მამა მიხეილ თამარაშვილმა არ დაივიწყა თავისი საყვარელი სამშობლო; თავისი სწავლა-განათლება იმის სამსახურს მოეხმარა. არ ზოგავდა თავის ძალღონეს, დღე-ღამ შრომობდა სხვადასხვა წიგნსაცავებში, სადაც დავიწყებას იყო მიცემული მრავალი მდიდარი, მასალები ჩვენს სამშობლოს შესახებ. მან საქვეყნოდ გამოაშკარა და გვაცნობა ჩვენი ქვეყნის წარსულის დიდება.

იმისი ნაშრომია: 1, კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის; 2, პასუხად სომეხ-მწერლებს, რომლებიც უარყოფენ ქართველ კათოლიკობას; 3,საქართველოს ეკლესია დასაბამიდამ ჩვენ დრომდე, ფრანგული ენით, რომელიც ჩვენს ქვეყანას ევროპიელებს აცნობს. ამის გარდა, სხვადასხვა გაზეთ-ჟურნალებში თანამშრომლობდა.

როგორც შესანიშნავი იყო მისი ცხოვრება, ისე გმირული და ტრაღიკული იყო მისი სიკვდილი.

განსვებულის სულის მოსახსენიებლად 21-ს სექტემბერს წირვა და პანაშვიდი იყო ქართველი კათოლიკების ეკლესიაში. დაესწრნენ მრავალი წარჩინებული ქართველები და ჟურნალ-გაზეთების წარმომადგენელნი. წირვის შემდეგ მიუსამძიმრეს სამღვდელოებას და მცირე

ბაასის შემდეგ დაადგინეს, იქ დამსწრეთა და თავადაზნაურობის წინამძღოლის თანადასწ-
რებით, მამა თამარაშვილის ნეშტის გადმოტანა ტფილისში, ამ საქმისთვის შედგა რამდენიმე
პირისაგან კომისია, რომელმაც უნდა აღსრულებაში მოიყვანოს ეს სასიამოვნო წადილი.

წერილი დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო გაზეთი“ (იხ.№409, 1911 წელი). გაზეთის
ნომერიცა და ხელნაწერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ს. ბავრელი (ასლანიკაშვილი)

ველელები
როგორ მიიღეს ველელმა ქართველებმა კათოლიკობა

ეს ამბავი, რომელიც ახლა უნდა გიამბოთ, ორასი წლის ამბავია, ზეპირ გადმოცემული მამა-პაპებისაგან. ეს მოხდა 1723 წელსა სოფელ **ველში**, სათათრეში – არტაჰანისა ფაშალიკში.

სოფელი **ველი** მდგომარეობს არტაჰანის მაზრაში დასავლეთ-ჩრდილოეთისკენ ახალციხის მხარეს. აშენებულა მაღლა კლდეზე გაშლილს მინდვრის, განაპირს მტკვრის პირზე. ამ სოფელში ახლა ქურთები სახლობენ.

ერთს დროს აქ სახლობდნენ ქართველები–რიცხვით **სამას კომლამდის,** მართალ- მადიდებლობის სარწმუნოებისა და ლოცვა-წირვა ჰქონიათ ქართულ ენაზე. ესენი ძველის ძველათ ყოფილიყვნენ გადმოსახლებული ზოგი ქართლიდამ, ზოგი დიღვირიდამ და ზოგი სხვა საქართველოს ნაწილებიდამ: იმ დროს, ბევრი ქართველები გადასული ყოფილან მაჰმადის სარწმუნეობაზე. ასე რომ ამ სოფელს გარშემო რტყმულა თათრისა და ბერძენების სოფლები, რომლებიც ბევრი ყოფილან არტაჰანის მაშინდელ ფაშალიკში.

რომ ამათ თავიანთი სარწმუნოება დაუცავთ სიწმინდით და ხელ შეუხებლათ, ეს იმას მიეწერება, რომ თვითონ ეს ხალხი მხნე და კეთილ მორწმუნეობისა ყოფილა, ჰქონიათ მშვენიერი გამაგრებული **ველის ციხე**, სადაც თავს იფარავდნენ მტრის თავდასხმისაგან, აჭარლებისაგან და სადაც თვითონვე თურმე **აკეთებდნენ იარაღს საომრის, მეტადრე თოფის წამალსა.** ერთხელ, როცა ხალხი „**მაღლისის**“ მთა-გორაზე, რომელიც ამართულია სოფელ ველის ზემოდგან, დღესასწაულობდა **ამაღლების დღეობას**, სოფლის ხალხი სადღესასწაულოთ მოკმაზული მხიარულებას მისცემოდა: ახალგაზდა ქალიშვილები სიმღერით ფერხულს და ვაჟკაცები ცხენებით ჯირითს ექცეოდნენ, მაშინ მათ ესტუმრათ ერთი ვიღაც უცხოველი კაცი.

დაღლილ-დაქანცობით ეტყობოდა, ის შორის გზიდამ იყო მოსული და მისი ერის კაცის უცნაური (არა ქართველი) ტანსაცმელი და უცხო ენა, რომელზედაც ისა ლაპარაკობდა, ამჟღავნებდა მის უცხოეთელობას.

ძველს ჩვეულებისამებრ ველელებმა ეს სტუმარი მიიღეს დიდის ქრისტიანულის სიყვარულით და სტუმართ-მოყვარეობით, მეტადრე მაშინ, როცა მან გამოუცხადა ხალხს რომ ის არის ხელობით ჰექიმი.

სტუმარი მაშინათვე მიიყვანეს მღვდელთან, რომელსაც სახელად ერქვა **სიმონი,** რომელიც ყოფილა ღვდლათ ნაკურთხი **ვარძიაში**, საცა მას მამულები ჰქონია.

ღვდელმა ახალი სტუმარი დიდის სიხარულით მიიღო და თავის სახლში განგებ იმისათვის ოთახი დაუთმო.

იმ დღიდან ამ უცხოელმა დაიწყო თავისი მოქმედება და საკვირველის გულ მოდგინებით გამოიჩინა სიბრძნე ყოველა საქმეში და მეტის მეტათ ჰექიმობაში: არჩენდა ყოველა ავათმყოფობისაგან სულ უსასყიდლოთ; უვლიდა ავათ მყოფებს, აძლევდა კეთილ რჩევას სოფლის საქმეებში; არ არჩევდა მდიდარს ღარიბისაგან; ჰკურნავდა ზნეობით სულიერს და ხორციელს სნეულებასა. ძალიან ცოტას ხნის განმავლობაში ამ უცხოეთელმა დაიმსახურა ისეთი პატივი და სიყვარული, რომ მთელმა სოფელმა მას ღმერთივით დაუწყესო ყურება.

სხვათა შორის ამ სტუმარმა ჰექიმმა გაჰკურნა დიდი ხნის სნეულობისაგან მღვდლის მეუღლე. ამის და მიუხედავათ, მღვდელის სახლობა ამჩნევდა რაღაც უცნაურს მოვლენას ამ უცხოეთელი კაცის ცხოვრებაში. მუდამ დღეს დილაობით, ასე საათის ცხრაზე, კარს იკეტავდა, ოთახში მარტო შედიოდა და დიდ ხანს რაღაცასაც სჩადიოდა. ყველაზე მეტათ ცნობის მოყვარეობამ შეიპყრო მღვდელის ძმა ევლამპი, რომელსაც ძალიან უნდოდა გაეგო, რას აკეთებდა ეს უცხოეთელი და რას შვრებოდა თავის ოთახში მარტო? ეს ცნობის მოყვარეობა მას მოსვენებას არ აძლევდა.

ღვდლის ძმამ ამ ცნობის მოყვარეობის დასაკმაყოფილებლად, ისე მოახერხა, რომ უცხოეთელის ჩუმათ იმის კარებზე ბურღით გააკეთა ნახვრეტი და მეორე დღეს იქიდამ დაუწყო ყურება. რომ კარგათ დააცქერდა, დიდათ გაოცდა: უცხოეთელი ჰექიმ იდგა რაღაც სამღვდელო სამოსში, წინ ტაბლაზე ედგა ბარძიმი და მხურვალეთ ლოცულობდა, როგორც მღვდელი. ეს გასაოცარი ამბავი იმ წამსვე შეატყობინეს მღვდელს, რომელიც მოვიდა, შეხედა, ისიც გაოცდა: აქ რაღაც ამბავია, იფიქრა თავის ქნევით მღვდელმა.

სიმონ მღვდელმა მეორე დღეს გულ ახდით გამოუცხადა უცხოთელს, რაც თვალით ენახა და მას ჰკითხა, ეს რა ამბავიაო? დამალვა აღარ შეიძლებოდა. უცხოეთელმა გამოაშკარა თავისი ვინაობა: იყო რომიდამ გამოგზავნილი მისიონერი.

რადგან ქართული ენა საკმაოთ შესწავლილი ჰქონდა და ხალხისაგან დიდი პატივცემა შეძენილი, თავისი კეთილის, სათნოებითა სავსე ხასიათით, მაშინ მან დაუწყო გულმხურვალეთ და ბეჯითად ქადაგება კათოლიკობის სარწმუნოებაზე. ჯერ მიაღებინა მღვდელს, ამის სახლობას და შემდეგ მთელს სოფელს. ასე ერთი მისიონერის ბრძნულის მეცადინეობით რომის ეკლესიამ შეიძინა სამასამდე კომლი კეთილ მორწმუნე ერი.

მგონია, ეს პატრი-მისიონერი ყოფილა სახელათ **პოლლიკარპი**.

გამარჯვებულმა მისიონერმა დაუყონებლივ ეს ანბავი აცნობა რომის პაპას და სთხოვა ქართულის მცოდნე პატრების გამოგზავნა, რადგან თვითონ სხვაგან უნდა წასულიყო სარწმუნოების გასავრცელებლათ.

პაპმა მაშინათვე განკარგულება მოახდინა, გამოგზავნა ქართულის ენის მცოდნე ვაჭრები და მასთან პოლლიკარპს აცნობა, რომ ვატიკანში დანიშნა სუმმა ფული, რომ ერთი ვინმე იმ სიმონ მღვდელის, ჩამომავლისა გაგზავნილი იყო რომში სამღვდელო პირათ გამოსაზდელათ, მაგრამ დროთა გავლენით და სხვა და სხვა მიზეზის გამო ეს ყოველამფერი დავიწყებაში იქმნა მიცემული.

ასე, იმ დროთთდგან ველელი ქართველები გადავიდნენ კათოლიკე სარწმუნოებაზე და იწყეს წირვა-ლოცვა რომის კათოლიკეს წესზე.

როცა რუსთ-თათარის ომი ატყდა, რუსებმა რომ აიღეს ჯავახეთის ახალქალაქი, მაშინ 1828 წ. ველელებმა, მობეზრებულნი თათრების შევიწროებისაგან, მოიწადინეს ახალქალაქის მაზრაში გადმოსახლება, როგორც ქრისტიანს სამთავროში, რომ ცოტა თავისუფლად ამოესუნთქათ. მაშინ ველელი ქართველები გადმოვიდნენ და ოთხ სოფლად გაიყვნენ; და დაიჭირეს ოთხი ვერანა სოფელი, მაშინ სპარსელებისაგან გაოხრებულნი: **ბავრა, კარიკანი, ხულგუმო და ტურცხი.** – დანარჩენი სოფლები ამ მაზრებისა დაიზიარეს, საუბედუროთ, მემრე აზრუმიდგან გადმოსახლებულებმა სომხებმა...

ამ ერთმა პატარა მუჭა ხალხმა ქრისტიან სამთავროშიც მოსვენება და თავისუფლად ამოსუნთქვა ვერ ნახეს: ერთის მხრით სომხები და მეორეს მხრით მართლმადიდებლის სამღვდელოება მოსვენებას არ აძლევდნენ; მართალმადიდებელი სასულიერო პირნი იძახდნენ: ქართველები ყოფილხართო და კიდევ მართმადიდებლობა უნდა მიიღოთო..

მაგრამ კათოლიკობის სარწმუნოებას მათ გულში იმნაირათ ღრმათ ჩაეშვა ფესვები და კეთილ გონიერი მისიონერების დათესილი თესლი ისე ღრმათ იყო ჩამჯდარი იმათ სულში, რომ მაშინდელ ახალციხეში მყოფი **დეკანოზის ორბელიანის** მეცადინეობამ ფუჭად ჩაიარა და არას გზით არ მოინდომეს ხელ მეორედ გადმოსვლა მართლმადიდებლობის წიახში...

ველელებმა მიჰმართეს მაშინ ახალციხის მღვდელთ უმფროსს **შაჰყულოვს,** რომელიც იყო სომეხ კათოლიკეს ტიპიკონზე ნაკურთხი და იყო დიდი სომხოფილი და სომხებს ძრიელ ეხმარებოდა, ამან ურჩია ველელ ქართველებს ქართული წირვა-ლოცვისათვის თავი დაენებებინათ და შემოეღოთ სომხური და გადმოსულიყვნენ სომეხ-კათოლიკების ტიპიკონზე. ასე ამ დღიდგან ველელმა ქართველებმა სამშობლო ენას თავი დანებეს და შემოიღეს სომხურათ ღვთის სამსახურის აღსრულება. იმ დროსვე განდევნეს, შაჰყულიანის წყალობით, კავკასიდამ პატრები-მისიონერები და გამარჯვებულმა შაჰყულიანმა შემორეკა და თვითონაც საჩქაროთ გამოაცხო ბევრი სომხის ტიპოკონის მღვდლები.

ასე, სათათრეში თათრის მთავრობისაგან, აქა საქრისტიანო მთავრობაში სამღვდელო პირებისაგან ქართული ენა და ქართული რელიგიური წესრიგი იქმნა ველელებში სრულობით მიგდებული და გამეფდა მაგათში სომხურ ენაზე წირვა ლოცვანი და სათათრეთიდამ გადმოტანილი თათრული ენა, რომელიც იმათში ახლა ითვლება შინაურ ენათ ამ ოთხ სოფელში.

ეს ოთხი სოფელი ლაპარაკობს თათრულ ენაზე და თავიანთ თავს სთვლიან **ფრანგებათ** კათოლიკეს სარწმუნოებისა, მაგრამ მათ ჩვეულებაში, ენაში და **სახელ-გვარებში მაინც ბჟუტავს ქართული სიტყვები და გვარები,** მაგალითათ: ოქროათი, ყარამანათი, იგითხანათი, ბერუკათი, სუმბალათი, ხიშთოთი, ასლანათი და სხვა.

ამის გარდა, ერთი მოვლენაც არის შესანიშნავი იმათში, რომ ისინი ქართველებს და ნაქართველარ თათრებს უფრო პატივისცემით ეპყრობიან, ვიდრე სომხებს და სომხის კათოლიკესაც კი. ველელები ძველათაც და ახლაც ერთმანეთში უფრო ხალისით ქალს იძლევიან, ვიდრე სომხის კათოლიკეს სარწმუნოების მეზობლებთან. ამ შემთხვევაშივე ველელებს უფრო ხიზაბავრელ ქართველ-კათოლიკებთან კავშირი აქვთ, ვიდრე ახლო მეზობელ სომხებთან, მეტათ ამ უკანასკნელებისგან ძალიან შორს უჭირავსთ თავი.

სავანეში სტუმრად მყოფ სოლომონ ასლანიკაშვილს–ბავრელს ეს წერილი მონასტერში დაუწერია და იქვე დაუტოვებია.

დაიბეჭდა ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“, 1906 წ. N8.

ს. ბავრელი (ასლანიკაშვილი)

ქართველ კათოლიკეთა კონფერენცია

დიდი ხანია, რაც მესხეთ- ჯავახეთის ქართველი კათოლიკობა ცდილობდა თავი დაეხწია სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოების გავლენიდან, სამუდამოთ მოშორებოდა აღმოსავლეთის ტიპიკონს; ბევრჯერ აღიძრა ამის შესახებ შუამდგომლობა, მაგრამ ამაოდ, დამაკმაყოფილებელ პასუხს ვერ ვეღირსეთ.

ბოლოს, შარშან ზაფხულში, რომიდან გამოგზავნილი იქნა ზაფხულში, საგანგებოთ დანიშნული ვიზიტორი მამა **დელფუშე** საქმის ვითარების გამოსარკვევათ. მაგრამ მას, მოსვ-ლისავე, ეტყობოდა სომეხ კათოლიკეთა ვიზიტორ-ტერაბრამიანცის გავლენა.

მაგრამ, როცა მ. დელფუშემ დაიარა ახალციხის მაზრა, ქუთაისი, და ბათუმი, მაშინ თავისი აზრი შესცვალა და წინადადება მისცა აქაურ კათოლიკობას, რომ მოეწვიათ კონფერენცია; რომლის დადგენილების თანახმად, ვიშუამდგომლებ რომის პაპის წინაშეო. ეს, ქართველ კათოლიკების ბედის გადამწყვეტი კონფერენცია, შესდგა ამ წლის აპრილის 7-ს ტფილისში; ქართველ კათოლიკეთა აღმასრულებელი კომიტეტის ინიციატივით, კონფერენციაზე გამოც-ხადდნენ მესხეთ-ჯავახეთის, ქუთაისის, ტფილისის და სხვა კუთხის დელეგატები.

კონფერენცია გაიხსნა ბ. **ქარცივაძის** თანდასწრებით და მამა ვიზიტორ **დონ მიხელის** თავმჯდომარეობით. მოკლე კამათის შემდეგ კონფერენციამ ერთხმად დაადგინა: აღიძრას შუამდგომლობა რომის ტახტის წინაშე, რათა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეთა ერი გადმოყვანილ იქმნენ ლათინის ტიბიკონზე, ე.ი. წესზე რომლის თანახმადაც, ლოცვა, გალობა და სხვა საეკლესიო წესის აღსრულება (წირვის გარდა) უნდა იქმნას, ქართულ ენაზე.

სამწუხაროთ, უნდა აღინიშნოს, რომ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ კათოლიკები, როგორც ქართველი მაჰმადიანები, კულტურულად ძალიან მეტად ჩამორჩენილი არიან; ისინი დიდი ხანია უპატრონოთ იყვნენ მიტოვებულნი, მათთვის არავინ ზრუნავდა. სომხეთის სამღვდე-ლოება კი ცდილობდა სიბნელეში ყოფილიყო ქართველი კათოლიკენი, რომ მათი გავლენა მუდამ შეურყეველი ყოფილიყო და მუდამ ასე დარჩენილიყო; ისინი ქართულ ენაზე ლაპარაკ-საც კი გვიკრძალავდენ. ახლა მდგომარეობა შეიცვალა, საქართველო აღსდგა და ჩვენ იმედი გვაქვს საქართველოს სახელოვანი მთავრობა შეეცდება ჩვენს შორის სწავლა-განათლების გავრცელებას. განვითარებულნი უფრო ადვილათ შევძლებთ კლერიკალთა წინააღმდეგ ბრძოლას.

სოლომონ ასლანიკაშვილს ეს წერილი სავანეში სტუმრად ყოფნის დროს დაუწერია და მანქანაზე ნაბეჭდი პირი იქვე დაუტოვებია. დაიბეჭდა გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“, N85, 18 აპრილი, 1920 წ.

პ.ა. შიო ბათმანიშვილი

მივხედოთ ჩვენს მოძმეებს

გამაჰმადიანებული ქართველები, საქართველოს გარდა, მკვიდრობენ კიდევ სპარსეთში და ოსმალეთის სხვადასხვა კუთხეში. სახელდობრ, ბრუსას ახლო-მახლო 40.000-მდე ქართველობა მოსახლეობს.

სტამბოლში მყოფ ქართველებს გადაწყვეტილი აქვთ ამ თანამოძმეებში დატრიალდნენ, **წერა-კითხვა გაავრცელონ** და ამ რიგად სამშობლოს დაუბრუნონ გარდახვეწილნი. მართლაც, ისე მოწყვეტილნი იყვნენ ეს საბრალონი, რომ სიხარულით ცას ეწიენ, როცა დაინახეს ქართულად დაბეჭდილი წიგნები.

–„თათრული, არაბული დაბეჭდილი წიგნები ბევრი გვინახავს, მაგრამ არ გვეგონა თუ ქართულადაც იქნებოდაო!“–გაიძახოდენ.

ანბანს, რომ ვაჩვენებდით, მაშინვე აგვახსნევინებდენ და ისე არ მოგვშორდებოდენ, რომ ნახევრად მაინც არ დაესწავლათ ასოები!

ჯერ კიდევ არავინ იცის ქართველებით დასახლებული ყველა ადგილები. შემთხვევით ხან ერთს წააწყდება მგზავრი და ხან მეორეს.

ამ ჟამად იმისთანა დროა ოსმალეთში, რომ თუ ეხლავე პატრონობა არ გავუწიეთ ჩვენს გამაჰმადიანებულ ძმებს, მალე სრულიად დაგვეკარგებიან.

სტამბოლში ხშირად შეხვდებით მაღალ თანამდებობის პირებს, რომელთაც, რომ გამოჰკითხოთ შთამომავლობა, გურჯები ვართო, იტყვიან.

მაგრამ, სამწუხაროდ, გურჯობისა აღარა სცხიათ რა. ენა არ იციან, ტიპიც კი შეცვლილი აქვთ, და მხოლოდ ოსმალეთის საქმეებს ადევნებენ თვალყურს...

ეს განსაცდელი მოელის მთელ ქართველ მაჰმადიანობას. აქამდის მრავალჯერ ყოფილან გაჭირვებულ მდგომარეობაში, მაგრამ თვისი გვაროვნობა და ენაც კარგად შეუნახავთ. კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ სულ სხვანაირად დატრიალდება საქმე ახალ-ოსმალთა მეცადინეობით. ქართველები თათრებს ათხოვებენ ქალებს და მათგანაც მიჰყავთ ცოლებათ. აქამდის კი ეს იშვიათი შემთხვევა იყო. ამნაირად ოჯახშიაც შედის თათრული. შენიშნულია, რომ თათრის ქალებს ძალიან სძულთ ქართული ენა: თვითონ ხომ არ სწავლობენ, შვილებსაც კი უშლიან.

ჩვენ გვმართებს მედგარი მუშაობა, თუ არ გვინდა, რომ რამდენიმე ასი ათასი თანამოძმე მოსწყდეს ქართველობას.

ქართველი საზოგადოება ემზადება დღესასწაული გადუხადოს თავის გენიოსს მგოსანს, განზრახვა არის ძეგლი დაუდგას საქართველოს დედაქალაქში. ძალიან მოსაწონი და საჭიროცაა; მაგრამ ამით არ უნდა დავკმაყოფილდეთ, ჩვენ უნდა სხვანაირი ცოცხალი ძეგლი დავუდგათ უკვდავს. **შევხედოთ იმის მოგვარე მესხებს, თუ როგორ ჩამორჩენილან! იმათ შორის, რომ დავანთოთ მეცნიერების ლამპარი, ამაზედ უკეთესად ვერაფერი გაანათებს შოთას სულს.** უუსაჭიროეს მოთხოვნილებას შეადგენს, რომ **რუსთაველის სახელობაზე გავხსნათ ერთი სასწავლებელი ან სტამბოლში და ან ბრუსას მახლობელ ადგილებში, სადაც სწავლა უნდა სწარმოებდეს მხოლოდ ქართული ენის შემწეობით.**

ვთხოვ მოწინავე საზოგადოებას ეს ჩემი წინადადება ასწონ-დასწონოს, და, თუ სანატრელი და შესაძლებელი აღმოჩნდა, შეუდგეს მის განხორციელებას. დარწმუნებული ვართ შეძლებული ქართველობა ხელს შეუწყობს ამ საქმეს...

ავტორის წერილები იწერებოდა ქართველ კათოლიკეთა მონასტერში; იგი ცნობილი მღვდელი იყო; წლების მანძილზე ეკლესია-მონასტრის წინამძღვარიც კი იყო. ამიტომაც ხელნაწერიც აქვეა შენახული, გაზეთთან ერთად. იხ. გაზეთი „თემი“, 1913 წელი, N116.

გიორგი გამყრელიძე

შოთას „ვეფხის ტყაოსანზე“ და მის მკვლევარებზე

შოპენჰაუერი ამბობს: „როგორც ღამის პეპლებს სანთლის სხივი, ისე დიდი პიროვნების სახელი, იზიდავს თავის გარშემო სხვადასხვა ჯურის მკვლევართ და მწერლებს“-ო.

ამ აზრს სავსებით ამართლებს რუსთაველი და მისი **„ვეფხის ტყაოსანი“.** ძველი დროიდან დღემდე, მრავალთაგან-მრავალნი შეეცადენ რუსთვაველის სახელთან დაკავშირებით, თავისი ხსოვნის სამარადისოდ აღნიშვნასაც. ეს „მრავალთაგან“ –მრავალნი“ განიყოფიან რამოდენიმე ჯგუფად. პირველნი არიან ისინი, რომელნიც შეეცადენ რუსთაველის ცხოვრების გამორკვევას, აღდგენას ან შეთხზვას. სხვანი კი ისინი, რომელნიც ცდილობენ „ვეფხისტყაოსნის“-ის ტექსტის აღდგენას და ამგვარად, პოემის დედააზრისა და მსოფლხედვის გაგებას და პოემის დაწერის დროის „უტყუვრად“ დადგენას.

რა გვეთქმის პირველი ჯგუფის შესახებ? – ის, რომ რუსთაველის პიროვნების შესახებ არავითარი ბიოგრაფიული ცნობები არ მოიპოვება (რაც, სხვათაშორის, ბედი თუ ხვედრია დიდ ხელოვანთა, ფილოსოფოსთა და წინასწარმეტყველთა). ამიტომ სულ ტყუილი შრომაა უდოკუმენტოდ, ვითომ „დოკუმენტურად“ აღდგენა პოეტის ბიოგრაფიისა, რაც გინდ მოხერ-ხებულად არ უნდა შეაკეთონ მათ ზოგიერთი სიტყვები და ტერმინები, რაც არ უნდა შეჰკვეცონ ან გასჭიმონ პოემის ზოგი ადგილები თავიანთი მოსაზრების დასამტკიცებლად; ბოლოსა და ბოლოს ხელში გვრჩება მარტოდ პოემის ტექსტი, და მხოლოდ მასზე დაყრდნობით (მოსწონს ზოგი მისი ადგილი, ან უდგება თუ არა ვინმეს მოსაზრებას) შეგვიძლია დაახლოებით წარმოვიდგინოთ ის ისტორიული ხანა და კულტურული დონე, როცა ცხოვრობდა და მოღვაწეობდა რუსთაველი; ასეთ ნაწარმოებს კი უნდა დაერქვას ისტორიული მოთხრობა, ყოველგვარი მეცნიერული და „დოკუმენტალური“ პრეტენზიების გარეშე და თუ რომელიმე მკვლევარმა თავისუფალი, ახირებულ დაჟინების გარეშე, თავისი შეუმცდარობა დაგვანახა, ეს იქნება არა მცირედი საქმე და მეტად სასარგებლოც მკითხველისათვისაც და რუსთაველის გაგებისათვისაც.

პლატო აგვიწერს სოკრატეს ცხოვრებას და მის ბოლოს, მართალი, ასე ვთქვათ, „დოკუმენ-ტალურად“ ნამდვილი ამბავია ეს, თუ პლატოსაგან შეთხზული?–ჩვენ ეს არ ვიცით, მაგრამ პლატოს აღწერა არის დამაჯერებელი, ლოღიკურად ასხმული და ისე გამართული, რომ მაშინდელი ათინის კულტურული დონე თვალწინ გეშლებათ. ნათლად ჰხედავთ სოკრატეს მრწამსსა და ქადაგებას და მის მოწინააღმდეგე ფილისტერთაც, რომელთაც სოკრატეს მოძღვრებაში თავიანთი „ეთიკის“ განადგურება დაინახეს და ამიტომ ის მოწამლეს. ვინც ასეთი წესით ე.ი. რუსთაველის პოემის შინაარსიდან გამომდინარე მსოფლხედვიდან და სამყაროდან დახატავს, თუ შეთხზავს რუსთაველის ცხოვრებას, სადაც დრო, პირობები, კულტურულ-ეკონომიური დონე, ისტორიული მოვლენები და პიროვნებათა ხასიათები ჰარმონიულად იქნებიან ერთმანეთთან შეთანხმებულნი, წინააღმდეგობათა გამოუჩენლად. – ის მწერალი იქნება (უცნაურად „შეხანხლულ“ ე.წ. „დოკუმენტების“ გარეშეც) მსგავსი: პლატოსი, შილ-ლერის, შექსპირის და დიდი მხატვარი, ღრმა მცოდნე და ფსიქოლოგი, სუფთა ოსტატი მართალი მთავარში, თუ ასი პროცენტით არა, დიდად დაახლოვებული მასთან.

არიან ისეთი „ბიოგრაფებიც“ რომელნიც რუსთაველს ამა თუ იმ ტენდენციით ან უვიცობით თავს ახვევენ სხვადასხვა უგემურ თავგადასავალთ. ზოგმა „მანის ფერად“, ანუ ახალი გაგებით „**მასონად**“ გამოაცხადა, ზოგმა ანტი-ქრისტიანად, ზოგმა სამეფო კარის მწიგნობართ-უხუცესობა ჩააბარა, ზოგმა კიდევ დევნილად, ზოგმაც მოგზაურად და ვინ იცის რად. და ყველა ამ მოსაზრებებს მხატვრულ-პოეტური სახეებით რომ მაინც ხატავდნენ, როგორც მაგალითად, შილლერი „დონ კარლოსს“, „ქალწულ ორლეანელს“, „ვალენგტაინის“ ცხოვრებას, ან ჩვენი დროის დიდი მწერალი აკაკი ბელიაშვილი „ბესიკის ცხოვრებას“, კიდევ რაღაცას ემგვანებოდა. მაგრამ ეს „ახირებულნი მკვლევარნი“ ყოველ უცნაურ მოვლენას ვითომ თვით პოემაში ჰპოულობენ და ხანდახან განსაცვიფრებელ „კომენტარიას“ უკეთებენ პოემის ზოგ ნაწილს. აძლევენ პოეტს გაუგონარ თანამდებობებს და პოემის დაწერის ჟამსაც სჭიმავენ მეათედან მეთოთხმეტე საუკუნემდე. ასეთი მკვლევარნი ჰგვანან, იმავე შოპენჰაუერის თქმით, იმ „გიჟს“, რომელიც დახშულ კოშკში ვერ ახერხებს კარებიდან შესვლას და ქვების სროლით შუშაბანდს ამსხვრევს“-ო.

* * *

მაგრამ პოეტის ბიოგრაფია არ არის მთავარი ჩვენთვის. რა თქმა უნდა მეტად საინტერესო და სანატრელი საცოდნელად. ოღონდ, ის როგორიც არ უნდა იყოს, პოემას ამით ბევრი არაფერი დააკლდება და არც შეეძინება. ჩვენ ვიცით ბიოგრაფია: შექსპირის, სერვანტესის და სხვათა დიდთა, მაგრამ მათი მწუხარე ბედით მათ გენიას არა აკლდებარა. აქ მთავარია თვითონ პოემა, მისი სწორი გარჩევა, გარკვევა და თუ მართლა დამახინჯებულია რომელიმე ადგილი, მისი სწორად და ღირსეულად აღდგენა. ამ მეტად მნიშვნელოვან საქმეს ანდომებდენ და ანდომებენ დღესაც დიდ შრომას ძველი და ახალი სპეციალისტები. თუმცა, სამწუხაროდ, არა ყოველთვის სწორად და უტენდენციოდ, მაგრამ სანამ ამ საკითხს შევეხებოდეთ, საჭიროა გავითვალის-წინოთ და ვიცოდეთ–არის თუ არა საერთოდ შესაძლებელი სხვის, ვინმე უცხოს, მიერ მთელი ადგილების ჩამატება. ან კიდევ ცალკე სიტყვების და ტერმინების შეცვლა, ან გაუგებრად და უვიცობით „შესწორება“, საზოგადოდ – არის თუ არა შესაძლებელი ე.წ. „ყალბის-მქნელობა“? მომხდარა ასეთი რამ სხვა დიდ ხელოვანთა ნაწარმოებშიც, გარდა რუსთაველისა? ამის საპასუხოდ ინტერესმოკლებული არ იქნება მოვიყვანოთ მსოფლიოს დიდ ხელოვანთა შემოქ-მედების ბედი და ერთგვარი პარალელი გავავლოთ „ვეფხის ტყაოსანსა“ და მათ შორის. ამ პარალელიდან ჩვენ აშკარად დავინახავთ ასეთ შესაძლებლობას.

* * *

საშუალო საუკუნეებში უფრო ადრეც და უფრო გვიანაც, თითქმის დღემდე. უცნობი და უცხო პოეტები ხშირად თხზავდენ ცალკე შაირებსაც და ცალკე ამბებსაც სხვის ნაწარმოებში ჩასამატებლად. გამოჩენილ და სახელ-მოხვეჭილ პოემებს ეს ყალბის-მქნელნიც თან სდევდნენ. ასეთია ბედი დიდი მხატვრებისა და მოქანდაკეებისაც.

ასე ხდებოდა წინა აზიაში, ასევე ხდებოდა ძველ საბერძნეთში, შემდეგ გერმანიაში, ინგლისში და სხვაგანაც. ამის მიზეზი იყო ნაწილობრივ დიდი სახელის ქვეშ თავისი ნაფიქ-რალ-განაცადის გასაღება და ხშირად ნივთიერ-მატერიალური მოგებისა და შოვნის სურვი-ლიც.

„ჰომერიდების“ ანუ ჰომერის წამბაძველთა და მის „ილიადა-ოდისეუსში“ ჩამმატებელთა სახელია - **ლეგიონი**. დიდი ხანია, რაც მკვლევარნი –ღვთის-მეტყველნი იმ აზრისა არიან, რომ არა ყველა ფსალმი და ქებანი არიან დაწერილნი **დავითისა** და **სოლომონის** მიერ, მაგრამ ამ ზოგად მაგალითებს რომ თავი დავანებოთ და მოვიყვანოთ აშკარად დამტკიცებული გაყალ-ბების მაგალითები, დავინახავთ შემდეგს: 1765 წელს, ვიღაც უცნობმა პოეტმა, პროფესიით მასწავლებელმა, ვინმე **მაკ ფირსონმა** განაცხადა ინგლისში, რომ მან იპოვა **ძველი შოტური** სარაინდო პოემა–სიმღერანი, მეტად ცნობილ და საინტერესო ძველი პოეტის: **ბარდენ ოსიანის** და სთარგმნა და გამოსცა იგი ინგლისურად, ცალკე წიგნად. ეს სიმღერები სტილისა და ენის მხრივ ისე შესანიშნავი, ზედმიწევნით ცოდნით იყო შედგენილი, ისეთი მომხიბლავი შაირით გამართული, რომ არც ერთ სპეციალისტს ოდნავაც კი არ ეპარებოდა ეჭვი მის არა-ორიგი-ნალობაში–არც ინგლისში და არც სხვაგან.

პირიქით, **მაკ ფირსონმა,** რომელმაც თავისი საკუთარი ლექსებით ვერც სახელი და ვერც ყურადღება დაიმსახურა, უეცრად–შოტური სიმღერების გამოცემის შემდეგ, მთელი განათლე-ბული კაცობრიობის ყურადღება მიიპყრო. ის იქმნა თარგმნილი ფრანგულ და გერმანულ ენებზე. ამ ნაწარმოების სიდიადეზე ლაპარაკობს **გოეტე** „**ვერთერ**“-ში. **ჰერდერმა** დასწერა მთელი ნაკვალეთი **ბარდენ ოსიანზე** და ძველ საგმირო, სარაინდო პოეზიაზე. ასეთივე ქება ერგო მას საფრანგეთშიც და სხვაგანაც. ერთი სიტყვით, მაკ ფირსონმა მიაღწია სახელის კულმინაციურ წერტილს... მაგრამ არ გასულა არც ოცი წელი და ისტორიისა და ლიტერატურის მკვლევარმა, ვინმე **სამუელ ჯონსონმა** სავსებით დაამტკიცა და ცხადჰყო, რომ მთელი ეს „ძველ სიმღერათა პოვნა და თარგმნა“ იყო შეთხზულ-გამოგონილი მაკ ფირსონის მიერ!

ასეთივე ყალბი-მქნელობა იყო ხელოვნების სხვა დარგებშიაც. საერთოდ ცნობილია, რომ **ალბრეხტ დიურერს** სიცოცხლეშიც ჰქონდა ის დიდი სახელი, რაც მას დღეს აქვს. ჰოლბეინთან (უმცროსი) ერთად ის ითვლება უდიდეს გერმანელ და საერთაშორისო მხატვრად. ა. **დიურერი** იყო **რაფაელივით** მრავალმხრივი. ტილოს გარდა, ის ხატავდა ფრესკებს, სჭედდა სპილენძზე, სჭრიდა და ხატავდა ფიცარზე. იყო დიდი ხუროთმოძღვარი, სპეციალისტი ციხე-სიმაგრეთა და ხიდების აგებაში და სხვა. და ამ დიდ ოსტატს, რომლის ინიციალები „ა. დ.“ წარმოადგენდა მართლა დიდ განძს და საფასურს. გაუჩნდა წამბაძველი და მართლა ყალბის მქნელი კონგენიალური იტალიელი მხატვრის, ვინმე **მარკნტონი რაიმონდის** სახით. ზოგიერთი ნახატი ამ უკანასკნელისა არა თუ არ ჩამოუვარდებოდა სიდიადით, თუ მშვენებით დიურერის ნახატს, პირიქით, ბევრი უფრო საინტერესოთაც სთვლიდა მას და ძვირათაც ფასობდა, რათგან ალბრეხტ დიურერის ნახატი ეგონათ.

ასეთი მაგალითების მოყვანა ხელოვნების ყველა დარგიდან მრავლად შეიძლება. ბევრ დიდ ხელოვანს ჰყავდა თავისი „ყალბის მქმნელი“. ხშირად მეტად ნიჭიერი, მაგრამ მაინც შემძვრალნი მის ხელოვნებაში, ვითა პოლიპი მარგალიტში. ცნობილია, რომ სახელოვანმა ფრანგმა მხატვარმა **კორომ** დახატა არა მეტი, ვიდრე შვიდასი სურათისა. მაგრამ ეხლა ევროპის სხვადასხვა მუზეუმებს და კერძო პირთ აქვთ ათასამდე მისი სურათი და ამავე დროს ამერიკის შეერთებულ შტატებში არის 1200-ზე მეტი. ვინ გაარჩევს ეხლა რომელია ნამდვილი და რომელი ყალბი? – რომ ეს ადვილი არ ეგონოს ზოგიერთ მკითხველს. ამიტომ აქვე მოვიყვან რამოდენიმე მაგალითს. ფლორენციელმა მოქანდაკემ,, ვინმე **დოზანამ** აავსო შეერთებული შტატები **აფროდიტებით, ვენერებით** და სხვათა ქანდაკებებით, რომელიც მან გააკეთა და გაჰყიდა.

ვერცერთმა სპეციალისტმა, ვერც ევროპაში და ვერც ამერიკაში ვერ შეატყვეს მის „ნახელავს“ სიყალბე, სანამ ამაში თვითონ არ გამოტყდა და დიდის ვაივაგლახით არ დაამტკიცა, რომ ყველა მისი „ნახელავი“ გახლდათ სიყალბე. მაინც არ დაუჯერეს მანამდე, სანამ დამსწრეთა თვალწინ არ გააკეთა ქანდაკებები.

ასეთივე ამბავი მოხდა, ასე ვთქვათ, ჩვენს თვალწინ. ამ მეორე მსოფლიო ომის შემდეგ მოხდა დიდი ყალბის-მქნელის გასამართლება. ჰოლანდიელმა მხატვარმა ჰ. **ვან მეგერენმა** დახატა გამოჩენილ ჰოლანდიელ მხატვრის **პიტ დე ჰოხის** და მასზე კიდევ უფრო ცნობილ **ვერმერის** სახელით ისე ზედმიწევნითი წაბაძვით სურათები, რომ არა თუ დიდი საფასით ისინი შეიძინა ჰოლანდიის მუზეუმებმა და გალერიების უმეტესობამ, არამედ თვით **ჰერმან გერინგმაც**, საუკეთესო გერმანელი სპეციალისტების მიერ გასინჯვისა და შემოწმების შემდეგ, დიდი საფასურით შეიძინა რამოდენიმე ცალი. გერმანიის დამარცხების შემდეგ ყალბის-მქნელი დაიჭირეს და როგორც „ნაცისტების კოლაბორანტი“ სახალხო სასამართლოს გადასცეს, რადგან მან ეროვნული სიამაყე - **ჰოხის** და **ვერმერის** სურათები მტერს მიყიდა, ვინაიდან მას ამისათვის სიკვდილით დასჯაც კი მოელოდა, ამიტომ ის „გამოტყდა“ და სასამართლოს წინაშე განაცხადა, რომ არავითარი დე ჰოხის ან ვერმერის სურათები მას არ გაუყიდია და არც ჰქონია, არამედ ის სურათები, რომელზედაც აქ არის ლაპარაკი, მან დახატა თავის საკუთარი ხელით. რა თქმა უნდა, არ დაუჯერეს. დასამტკიცებლად დაახატვინეს და მან დახატა სანიმუშო სურათი, ისე რომ, არც სპეციალისტებსა და არც სასამართლოს ოდნავ ეჭვი აღარ დარჩენიათ, რომ იგი სიმართლეს ლაპარაკობდა. მიუხედავად ამისა, ჰოლანდიის მუზეუმებისა და კერძო პირთა მოტყუებისათვის მას ორი წლის ციხე მიუსაჯეს, მაგრამ სანამ სასჯელის მოხდას დაიწყებდა, იგი გულის შეტევით გარდაიცვალა.

ვფიქრობ, ეს მოკლე მიმოხილვა „ყალბის-მქნელთა“ შესახებ საკმაოდ ნათლად ჰხდის შესაძლებლობას, რომ ისეთ დიდ პოემას, როგორიცაა „ვ. ტ.-ნი“ და ასეთ დიდ მანძილზე (800 წლის განმავლობაში) უთუოდ ეყოლებოდა წამბაძველნი, ჩამმატებელნიც, შემასწორებელნიც ცალკე სიტყვებისა, შემკვეცელნიც და გამაგრძელებელნიც. ერთი სიტყვით – „ყალბის-მქნელნი“. ოღონდ ზემოდ მოყვანილმა ფაქტებმა კიდევ ერთი რამ უნდა დაგვანახოს და რაც უფრო საყურადღებოა, რომ „ყალბ ადგილთა“ აღმოჩენა ეხლა ძალიან ძნელია, და ვისაც მართ-ლა რაიმე სერიოზული, მეტად მტკიცე და დამაჯერებელი საბუთი არა აქვს, ჯობია მათი „განრიცხვიდან“ ან „შეკეთებიდან“ თავი შეიკაოს. არა თუ მთლიან სტრიქონების ან მთელი ამბის ან პოემის ნაწილის „განრიცხვა“ არ არის ადვილი საქმე, არამედ ცალკეული სიტყვა – ტერმინის ხმარება და არა სწორი გაგება იწვევს ერთ აურზაურს, რომ არსებობდნენ გენიალური ყალბის მქმნელები პოეზიაში. ამას **მეკ პირსონის** მაგალითებიც გვიმტკიცებს. მხატვრობასა და მოქანდაკეობაში ყალბის მქნელობა კიდევ უფრო ძნელია, რათგან აქ დიდ იმიტატორულ ნიჭს გარდა, საჭიროა ფალსიფიკაცია მატერიისაც: ტილოსი, საღებავის, ფიცრის თუ მარმარილოსი და სხვა მასალათა, რაც ხშირად დაუძლეველ სიძნელეს წარმოადგენს, რადგან ამ მასალათა ქიმიური ანალიზით შეიძლება დამტკიცდეს მათი ხანა ანუ სიძველე.

და მიუხედავად ამ სიძნელეთა, როგორც ზევით ვამბობ, მაინც არსებობდენ ისეთი ყალბის მქმნელნი, რომელთაც ვერავინ ვერაფერს დაუმტკიცებდა, თუ თვითონ არ გამოტეხილიყვნენ. როგორ სურთ ამის შემდეგ „ვ.ტ.–სნის“ ზოგიერთ მკვლევართ, ასე უბრალოდ და ადვილად

ამოაგდონ პოემიდან ზოგი უმშვენიერესი ადგილი ან თავიანთი ახირებული მოსაზრებით, თუ ტენდენციით შესცვალონ ესა თუ ის სიტყვა ან ტერმინი?

მე აქ არ მინდა შევეხო სუსტ კომენტატორებს, რადგან ეს მეტად შორს წაგვიყვანდა, მათი აზრი ისედაც დამარცხებულია ან დამაცხდება, ის ვერ გაუძლებს სინამდვილის ლოღიკას. მაგრამ აქ მსურს ორიოდე სიტყვით ვახსენო ნიჭიერი და ღრმად განათლებული მკვლევარი **პროფ. პავლე ინგოროყვა.** ის ფიქრობს, რომ, როსტევანისა და ავთანდილის ნადირობის ამბავი, ანუ ნადირობის რეზულტატი ჩამატებულია სხვის მიერ და ამის დასამტკიცებლად მას საკმაოდ მაგარი: ლოღიკა-ტრადიციაზე და ფსიქოლოგიურად დაფუძნებული „საბუთიც“ მოჰყავს (ლოღიკურ-ფსიქოლოგიური: ახალგაზრდა, ჯანღონით სავსე ავთანდილისათვის რა სასახელო უნდა ყოფილიყო მოხუც მეფისათვის ეჯობნაო? ტრადიციული:–ავთანდილი ვერ შეჰკადრებდა მეფეს, რომ ის საჯაროდ დაეჩაგრაო). ამას ზედ უმატებს კიდევ ტერმინების –„მოყმის“ და „მონის“ ხმარებას და მათს ანალიზს. ყოველივე ეს ყურადსაღებია, მაგრამ არა საკმარისად დასაბუთებული ამ ადგილის პოემიდან გარიცხვისათვის. რატომ? პ.ინგოროყვას სწორედ მის მიერ მოყვანილი მოსაზრება აყენებს უხერხულ მდგომარეობაში. ნუ თუ რუსთაველმა ან მისმა გმირებმა, მეფე როსტევანმა და სპასპეტმა ავთანდილმა არ იცოდენ, რისი გაკეთება, ჩადენა შეიძლებოდა და რისი არა? თუ ასეთი საქციელი, ესე იგი ავთანდილის მიერ მეფის ჯობნა საჯაროდ დაუშვებელი იყო, მაშინ თვით „ნაძლევიც“ ნადირობის შესახებ დაუშვებელი და შეურაცხმყოფელი უნდა ყოფილიყო მეფისათვის და მთელი ეს ამბავიც.

მაშასადამე, უნდა გაირიცხოს პოემიდან,– „დაგიღრეჯია მეფეო, აღარ გეხსნება პირია“ და სხვ. აქედან მთლიანად ნადირობის და მისი შედეგის მოუხსენებლად. მაგრამ პ. ინგოროყვას ეს არ შეუძლია, თვითონ როგორ უნდა გამოიყვანოს მეფე და ავთანდილი დიდი ამალით წყლის პირად ტყეში? – როგორ უნდა შეახვედროს მათ „ვეფხის ტყაოსანი“ ტარიელი? ამიტომ შუაში გაჰკვეთა მთელი ეს ამბავი და ბოლო ყალბის მქმნელს მიაწერა, რადგან ეს თურმე დაუშვებელი და შეურაცხ-მყოფელი ყოფილა მოხუცი მეფისათვის. თუმცა ამბავის პირველ ნახევრიდან, რომელსაც ინგოროყვა პოემიდან არ რიცხავს, ნათლად ჩანს, რომ იმ დროს მეფეებთან დაახლოებულნი და სანდო პირნი, მათ პირში, გულახდილად უფრო მეტ შეურაცყოფასაც აყენებდენ. სოკრატი და ავთანდილი მეფეს სიძუნწეს აბრალებენ. ავთანდილი პირშივე ეუბნება მეფეს, რომ ის მას სარაინდო საქმეებში აჯობებს და ამ ბაასის შედეგად იქნა დადებული „ნაძლევი““ და ვინც წააგებდა, მას სამი დღე უნდა ევლო თავშიშველას. **ესე იგი უქუდოდ, რაც მაშინდელ დროში, და ეხლაც კი აღმოსავლეთის მცხოვრებთა შორის, დიდი დამცირება და შეურაცყოფა იყო**. მით უფრო მეფისათვის, მაგრამ ეს სასჯელი – თავშიშველობა პოემაში ნახსენები არ არის, ეს აღარ ჰკადრა რუსთაველმა მოხუც მეფეს და დაუშვებელიც იყო. ხოლო ეს ადგილი, ესე იგი ნადირობის ბოლო და შედეგი რომ ვინმე პედანტ ყალბის მქნელს შეეთხზა, ის ალბად მეფის თავშიშველობასაც გალექსავდა, პირიქით, ამ სანაძლეოში და როსტევანის დამარცხებაში. რაც მას, როგორც ბრძენ პიროვნებას, აუცილებლად წინასწარ უნდა სცოდნობა. მე ვხედავ როსტევანის განზრახვას – ავთანდილისათვის კიდევ მეტი სახელი და პრესტიჟი შეექმნა ხალხში.

ამის მიზეზი ალბად როსტევანის ფარული სურვილი იყო – ავთანდილი მისი სიძე გამხდარიყო. მისი ასული თინათინი შეერთო და სახელმწიფოს ღირსეული პიროვნება ჩაუდ-

გებოდა სათავეში, მისი მშვენიერი ასულის გვერდით. როსტევანის ეს სურვილი განხორციელ-და. ავთანდილმა მართლა აჯობა მას ნადირობაში, რაც მეფეს მეტად ახარებს, რადგან აქ ხედავს იგი მისი განაზარდის სიკეთეს. ამნაირად, ავთანდილი პირველ კაცად ხდება უფლებით მეფის შემდეგ, ხოლო სარაინდო საქმეებით მეფეზე მეტიც, ეს იყო სურვილი როსტევანის და ეს იყო ხელოვნება რუსთაველის და არა მათი სახლიდან გამოტყუება, რომ ტარიელს შეჰყროდენ, როგორც ეს ბატონ ინგოროყვას ჰგონია, მარტო ეს რომ სურვებოდა რუსთაველს, მაშინ ის უფრო სხვანაირ ამბავს შეთხზავდა აქ მათ შესახვედრად და ამდენი ვაივაგლახი აღარ იქნებოდა საჭირო. არც ის მოსაზრებაა სწორი, თითქოს „ნადირი ტყესა შეეძრწა, სადაც ვერა რბის ცხენია“ განგებ იხმარა რუსთაველმა, რომ ნადირობა უდროოდ მოეთავებინა და ამგვარად შედეგი არ გამოჩენილიყო. როგორც ამას პ. ინგოროყვა ამტკიცებს. ჯერ ერთი, რაც ინადირეს ე.ი. რამდენ ხანსაც, აქედან ნათლად ჩანს ნადირობის შედეგი და კიდეც მოახსენებენ მეფე-ავთანდილს ამის შესახებ მონადირენი, ხოლო ნადირი რომ რაიმე მოსაზრებით რუსთაველს ტყეში არ შეურეკია, ესეც ცხადია, რადგან ნადირობა ყოველთვის და ყველგან ასე თავდება: ნადირი გადაიკარგება, დაიმალება, რა თქმა უნდა, ტყეში შეიჭრება, „სადაც ვერა რბის ცხენია“, არა ნადირი სად უნდა წავიდეს?–სალოცავში ხომ ვერ წავა? ერთ სიტყვით, ერთ ნაწილს ნადირისას დახოცავენ. მეორე, უფრო დიდი ნაწილი კი თავს უშველის. გარდიხვეწება და ნადირობაც ამით თავდება. და ყოველივე ეს მოხდებოდა ასევე, როგორც რუსთაველი ამას აღგვიწერს, მეფე და ავთანდილი ტარიელს სულაც რომ არ შეხვედროდენ.

მიუხედავად ამ მცირე კრიტიკისა, თუ აზრთა სხვადასხვაობისა, ბატონ პ. **ინგოროყვას** მის დიდ ცოდნას და დამსახურებას ვერავინ წაართმევს. მის წიგნს –„**რუსთაველიანას**“ – აქვს სხვა დიდი ღირსებები. განსაკუთრებით დასახიჩრებული ტექსტების გასწორებაში და ზოგგან მთლიანი სტროფების განდევნაში –სადაც აშკარად ჩანს ყალბის მქნელის ხელი. ასეთივე დამსახურებისა და მადლობის ღირსია ემიგრაციაში, მძიმე პირობებში მოღვაწე ჩვენი მეორე მკვლევარი **მიხეილ წერეთელი,** რომელმაც პოემის ტექსტი გასწმინდა ბევრი არა–რუსთაველუ-რი ჩანართებისაგან და მრავალი დამახინჯებული ადგილები დამაჯერებლად აღადგინა. **მანვე წამოაყენა ჰიპოთეზა, რომ „ვ.ტ.-სნისა“ და „ისტორიათა და აზმათა“ (თამარის ისტორიის) ავტორი ერთი და იგივე პირია! იქნებ ამ მხრივ მკვლევარს მიმდევარნი გამოუჩნდენ საქართ-ველოშიაც**, სადაც მეცნიერებს მეტ წყაროებზე მიუწვდებათ ხელი და თუ საბოლოოდ ბ. მიხ. წერეთლის მოსაზრება დამტკიცდება – **ეს იქნება ქართველი ერისათვის მეტად სასიამოვნო, ხოლო ქართული კულტურის ისტორიისათვის დიდი შენამატი**, რაც შეეხება მ. წერეთლის მიერ პოემის შესავლისა–მიძღვნისა და შაირობა-მიჯნურობის განხილვას და ამ შესავლიდან უდიდესი ნაწილის განდევნას, როგორც არა-რუსთაველისას, მე პირადად ვერ შევგუებივარ ჯერ კიდე, ისე ვარ შეჩვეული, როგორც მკითხველი, ამ ადგილს. მაგრამ მე ხომ სპეციალისტისა და მკვლევარის პრეტენზია არა მაქვს. ამიტომ გულახდილად ვამბობ მხოლოდ ჩემს პირად გრძნობიდან გამომდინარე აზრს. მთელი უბედურება ისაა, რომ **ბ. მიხეილ წერეთლის მიერ კრიტიკულად განხილული და აღდგენილი პოემა დღემდე გამოუცემელია.** ცალკე გამოცემის სახით, რომ ამით საქართველოშიც და აქაც, მკვლევართ და მკითხველთ შესაძლებლობა ჰქონოდათ შრომის უფრო ახლო გაცნობისა.

ორი წლის წინ ემიგრაციაში გამოქვეყნდა **ვიქტორ ნოზაძის** დიდი ნარკვევი **„ვეფხის ტყაოსნის ფერთამეტყველება“.** გარდა თვით თემასთან დაკავშირებით წარმოდგენილი მრავალი ახალი მოსაზრებისა, ავტორს მთელი რიგი სიტყვებისა და გამოთქმების სწორად გაგებისა და პირველყოფილი სახის აღდგენისათვისაც არა მცირედი ყურადღება მიუქცევია. დამაჯერებლად განმარტავს იგი, მაგალითად, თუ როგორ უნდა იქნას გაგებული „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა ლბილისა“, რას ნიშნავს სიტყვები–„საშინელი“, „მოლი“ და სხვ. აქვს მცირე ნაკლიც: გაჭიანურებულია და ხშირად განმეორებული იგივე მასალა, რაც წიგნს უკარგავს ალაგ-ალაგ კითხვის ხალისს და ხდის მონოტონურს. მეორე ნაკლი ისაა, რომ ავტორი ძლიერ აგრესიულია სხვა მკვლევართა მიმართ, რომელნიც მისი აზრით სცდებიან მთელ რიგ საკითხებში. შეცდომის პოვნა სხვის ნაშრომში არ გვაძლევს უფლებას უდიერად მოვიხსენიოთ შეცდომის ჩამდენი, არც იმის უფლება გვაქვს „ვეფხის ტყაოსნის“ სიყვარული მარტო ჩვენ მივითვისოთ. **ეს სათაყვანებელი პოემა უყვარს ყველა მის მკვლევარს, ყველა მის მკითხველს და ამ სიყვარულს არავითარი კავშირი არა აქვს შეცდომის დაშვებასთან.** შეცდომები მკვლევართ პოემის უსიყვარულობით არ მოსდით. მიუხედავად ამისა, ვ. **ნოზაძის შრომა დასაფასებელია,** მით უმეტეს ემიგრანტული ცხოვრების პირობებში.

დიდი ხანი არ არის, რაც ემიგრაციაში გამოვიდა პატარა ტანისა, მაგრამ საყურადღებო შრომა **ლადო ბელიაშვილისა: „რუსთაველისა და დანტეს იდუმალი“.** ავტორი არის ძმა დიდად ნიჭიერი მწერლის **აკაკი ბელიაშვილისა,** რომლის კალამს ეკუთვნის რომანები **„თავგადასავალი ბესიკ გაბაშვილისა“** და **„ოქროს ჩარდახი**“. ლადო ბელიაშვილი შეეხო „ვეფხის ტყაოსან“ რუსთაველის **ასტრონომიულ აზროვნებას,** მის მომზადებას ასტრონომიაში. ამ მხრივ ლ. **ბელიაშვილის შრომა რუსთველოლოგიაში ახლის მთქმელად გვევლინება**. წიგნის ამ დადებით მხარეს, უკეთ რომ ვთქვათ: მის მეცნიერულ მხარეს, თან სდევს სუსტი მხარეც: ავტორი ზოგიერთ პრობლემატიურ საკითხებს მარქსისტული სათვალეებით უყურებს. ესე იგი მეტად სათუთ პრობლემებს ტენდენციურად სჭრის. ავტორი რომ დარჩენილიყო ვიწრო მეცნიერულ ჩარჩოებში, ის დაკმაყოფილებულიყო მარტო იმით, რაც მას მისმა საკუთარმა „წმინდა გონებამ“ შთააგონა, მეტს მოიგებდა, ისე როგორც თვით, აგრეთვე, მისი შრომაც. მე სრულებით არა ვფიქრობ და ჩემთვის არც ლ. ბელიაშვილის არგუმენტია საკმარისი, რომ დავიჯერო თითქოს რუსთაველი იყო არა-ქრისტიანი. ქრისტიანიზმი არც მეცნიერებას და არც პროგრესს არ ებრძვის, განა თვით ბელიაშვილი არ გვიამბობს, რომ დავით აღმაშენებლის, უაღრესად ღვთის მოსავ ხელმწიფის, ქრისტიანიზმის დამცველის და ქრისტეს მონის (აბდულ მესია) სახით ჩვენ გვყოლია უდიდესი დამცველი მეცნიერების, ე.წ. პითაგორის მოწაფეთა?!

ყველა სიძნელეების გათვალისწინების შემდეგ, მე მაინც მომხრე ვარ იმ მოსაზრებისა, რომ მთავარი **განსხვავებანი პოემის სხვადასხვა ხელთნაწერ ტექსტებში არ უნდა მიეწეროს აუცილებლად სხვის ხელს, ესე იგი ყალბის მქნელს. არამედ თვითონ რუსთაველს! რატომ**?

ასეთი ღრმა, უნივერსალური და დიადი პოემა, როგორიცაა **„ვეფხისტყაოსანი“, არ იწერება ერთი ხელის მოსმით, ერთი საბოლოო ტექსტით. შეუსწორებლად და მოკლე დროში**, არამედ ასეთ უკვდავ და დიად პოემას სჭირდება ბევრი დრო, ბევრი ფიქრი და შრომა. შემოქმედების ამ პროცესში ხდება ხანდახან დიამეტრალური ცვლილებებიც კი და რაღა თქმა უნდა პატარა და უმნიშვნელო შესწორებებზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია, ე.ი. შესწორებებზე ამბის თუ მოქმედების უკეთ, უფრო ნათლად და დასახატავად, შთაბეჭდილების გასაძლიერებლად, შაირის

გასაშალაშინებლად და სხვა ესთეტიურ და ლოღიკურ სისუსტეთა გასასწორებლად. ასეთ შესწორებებს აკეთებდენ და აკეთებენ არა **ასეთი ოკეანის სიდიდის მსგავსი პოეტი, როგორც რუსთაველია,** არამედ **პატარანიც–წყაროს მსგავსნი** ზომით. პირადად მე რუსთაველის პოემის შემდეგ, ყველაზე უფრო ღრმად, **სიბრძნის ზღვად** და უნივერსალურად მიმაჩნია გოეტეს „ფაუსტი“ და რადგან **გოეტე ყველაზე უფრო ღირსია თავისი სიდიადით რუსთაველთან შედარებისა**. ავიღოთ სანიმუშოთ მისი უკვდავი ტრაღედია „**ფაუსტი**“, რათა ჩვენი მოსაზრება უფრო ნათლად ჩამოვაყალიბოთ.

რამდენ ხანს სწერდა გოეტე „**ფაუსტს**“ და რამდენჯერ შესცვალა მან მისი ნაწილების ფორმაც და შინაარსიც? როგორ განსხვავებებს ვხედავთ სხვადასხვა ტექსტებში ამ ტრაღედიისა მომქმედ პირთა, მოქმედების ადგილთა და ლექსის ფორმის მხრივ? რა ზომის განსხვავებანი არიან ესენი? გოეტემ „ფაუსტის“ წერა დაიწყო, თუ არ ვცდები, დაახლოებით 1773 წელს და დაამთავრა 1832 წელს. ესე იგი უწერია და უშრომია მასზე თითქმის **სამოცი წელი.** ჯერ მან დასწერა ხალხური, ხალხში დარჩენილი თქმულების მიხედვით ე.წ. პირველყოფილი „ფაუსტი“–ადგილები შაირით, ადგილები პროზით, მოცულობით მცირე, ღირსებით: არა ისე დიადი, როგორც შემდგომი ტექსტები, შემდეგ სტუდენტებისათვის სცენაზე დასამაგრებლად მან დასწერა ფრაგმენტების სახით ტრაღედიის უმნიშვნელოვანესი ადგილები ცალკე. ამ ორი ტექსტის გარდა, რომელნიც დიდად განსხვავდებიან ერთი მეორისაგან, ცნობილია კიდევ სხვა განსხვავებული და შესწორება–შეტანილი ტექსტებიც. სადაც ბევრი რამ დამატებულია და ბევრიც სრულებით გამოტოვებულიც. ერთი ასეთი ტექსტი, მეტად განსხვავებული დანარჩენებისაგან, შეგვინახა ვინმე **ფონ ჰონჰაცუზენის** ასულმა. გოეტეს ყველა ზემო ნახსენები ტექსტები გაცილებით უფრო განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, ვიდრე რუსთაველის ყველა ცნობილი ტექსტები. მაგალითად, თავის პირველ ტექსტში („ურფაუსტ“-ში) მოქმედება აუერბახის ღვინის სარდაფში დაწერილია პროზით და ჯადოსნობის, ანუ შავი მაგიის მქმნელად გამოჰყავს არა **მეფისტოფელი**, არამედ თვით დოკტორ ფაუსტი. საბოლოო ტექსტში კი ამ სცენაში, ესე იგი, აუერბახის სარდაფში. **დოკტორ ფაუსტი** არავითარ როლს არ თამაშობს თითქმის. ის არის უბრალო, დამწუხრებული მაყურებელი და მთელ ამ ჯადოსნობას თვითონ **მეფისტოფელი** აკეთებს. ფორმის მხრივ პირვანდელ ტექსტში ეს ადგილი დაწერილია მწერლის პროზით, ხოლო საბოლოოში კი მეტად მშვენიერი შაირით, სადაც ექვსი პირის ბაასი ისეა გადაბმული ბუნებრივი შაირით, რომ არსად უხერხულობას არ გრძნობ, ასეთივე დიდი განსხვავებაა ტრაღედიის სხვადასხვა ტექსტებში. ერთ უმშვენიერეს ნაწილს „ვალპურგის ღამის“ ირგვლივაც. „ვალპურგის ღამე“-ში გოეტემ მოქმედების ადგილად ჯერ დაასახელა შუა გერმანიის, ჰარცის ბლოკენბერგი და ნაწილობრივ ეგეის ზღვა. მაგრამ საბოლოო ტექსტში გოეტემ დაინახა უხერხულობა და შეუსაბამობა ასეთი მოქმედების და განაცალკევა ტრაღედიის ეს ადგილი. დასწერა ცალკე „ვალპურგის ღამე“ ბლოკენბერგზე და კლასიური კიდევ ძველ საბერძნეთში გადაიტანა და იქ სცენაზე გამოიყვანა ყველა მითიური სულები ძველ ჰელლინთა. ამ ორ მაგალითს გარდა, შეიძლებოდა „ფაუსტი“-დან კიდევ მრავალის მოყვანა, მაგრამ აქ ეს ვიკმაროთ, ოღონდ დასასრულს უნდა დაუმატო ისიც, რომ გოეტემ სამჯერ თუ ოთხჯერ შეასწორა საბოლოო ტექსტი ამ თავისი ტრაღედიისა და აქაც კიდევ ზოგი რამ დაუმატა, გამოაკლო ან შესცვალა.

1829 წელს თავის პირად მდივანს და პოეზიის დიდ მცოდნეს **იოჰან ეკერმანს** ამის შესახებ ის ეუბნება: „ფაუსტის ის ნაწილი მე მქონდა დაწერილი საფოსტო ქაღალდზე, ბევრი რამ შევცვალე, რადგან მეშინოდა რაიმე ისეთი არ დამეწერა, რაც არ იქნებოდა კარგი და ვერ გაუძლებდა ჟამს“-ო.

აი, ეს უბრალოდ თქმული, მაგრამ ყველა ხელოვანისათვის, განსაკუთრებით პოეტებისათვის, დამახასიათებელი, მათი მამოქმედებელი ფაქტორი და მათი იდუმალი სურვილიც–**„არ დავწერო ისეთი რამ, რაც არ იქნებოდა კარგი და ვერ გაუძლებდა ჟამს!“**

ასე ფიქრობდა გოეტე და უთუოდ ასევე ფიქრობდა რუსთაველიც. მით უფრო, რომ მან ასეული წლებით ადრე დასწერა თავისი პოემა და კრიტიკა–გაუგებრობასაც მეტი ადგილი ექნებოდა და მტრებიც მეტი ეყოლებოდა. რუსთაველს კი უნდოდა და სწამდა, ისე როგორც გოეტეს, რომ **მის პოემას უნდა დაეპყრო ქართველი ხალხის სული და გული, რომ მის ნაწერს უნდა „გაეძლო ჟამისათვის“. პოემაში ნამღერ გასაგებ სარაინდო ამბის გარდა, მის სიბრძნეს და მეცნიერებას, რომელიც მან შიგ ჩააქსოვა, უნდა ეპოვნა მომხრე და მიმდევარი ხალხში.** რუსთაველს თავისი მისიის დიდი სიძნელეც მეტად კარგად ესმოდა და ვინაიდან მას ანგარიში უნდა გაეწია მაშინდელი მმართველობისათვის, გემოვნებისათვისაც და მოწინავე პირთა აზრისთვისაც, ამიტომ მან აუცილებლად ბევრჯერ შეასწორა, შესცვალა, დაუმატა ან შეამოკლა ზოგი ადგილი პოემაში, სანამ ის საბოლოო რედაქციას ჩამოაყალიბებდა. ეს პროცესი უთუოდ გაგრძელდებოდა ათეული წლები და ეხლა ზოგი ეს ცვლილებები გვხვდებიან პოემის სხვადასხვა ტექსტებში, ისე როგორც ასეთ ცვლილებას ვხედავთ გოეტეს ან სხვა დიდი მწერლების ტექსტებშიაც.

ჩემი ეს მოსაზრება შეეხება განსაკუთრებით პოემის შესავალს და ზოგ სხვა სტროფებსაც ტექსტის სიღრმეში. მაგრამ ამ მოვლენამ არ უნდა აგვაღებინოს ხელი პოემის კრიტიკულად აღდგენის კვლევა-ძიებაზე.

სტატია დაიბეჭდა ჟურნალში– „კრებული“, ნიუ-იორკი, I, 1957 წ., გვ. 19-31. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. გ. გამყრელიძე ხშირად სტუმრობდა სტამბოლის ქართულ სავანეს, სარგებლობდა სავანის ბიბლიოთეკით.

გვათუა ავქსენტი

წერილი სტამბოლიდან
საკომერციო სასწავლებელი

ამ თვის თორმეტში, ქალაქ კონსტანტინეპოლში გაიხსნა ახალი საკომერციო აკადემია ბატონის **იაკობოდის** დირექტორობით. აქ საკომერციო სასწავლებელი, ამას გარდა, კიდევ ორი არის – ხალკსა და სტამბოლში, მაგრამ ახლად გახსნილი თავისის პროგრამით უპირველეს-თაგანია. განიყოფება ეს აკადემია ორ ნაწილად. ერთი ნაწილი ეკუთვნის მოსამზადებელს (secion preparatoıre), მეორე კი აკადემიას (secion academique). ჯერ ისევ მოსამზადებელში ასწავ-ლიან 13 საგანს. მათ შორის ოთხი შემდეგი ენებია: **ბერძნული, ოსმალური, ფრანგული და ინგლისური**. მოსამზადებელ განყოფილებაში იღებენ რვიდან ათ-თორმეტ წლის მოსწავლეთ, მხოლოდ აკადემიაში – ზევით, რამდენის ხნისაც უნდა იყოს. აკადემიაში ასწავლიან ოც და ოთხს საგანს. ეს საგნები შემდეგნი არიან: საკომერციო მეცნიერება, მათემათიკა, საკომერციო გეოგრაფია, საკომერციო ვარჯიშობა, საპოლიტიკო ეკონომია–კანონმდებლობა, ისტორია, საბუნებისმეტყველო მეცნიერება, ფიზიკა, ქიმია, მეხანიკა, ტელეგრაფი, დეპეშების და მან-ქანით წერის შესწავლა, სუფთა წერა, მხატვრობა, ეტნოგრაფია, გიმნასტიკა, მუსიკა, **ბერძნული, ფრანგული, ოსმალური, ინგლისური, გერმანული** და **რუსული** ენები.

მთელი კურსი ამ საგნებისა მოსწავლემ უნდა გაიაროს ოთხის წლის განმავლობაში. ვინც საკომერციო საგნებს შეისწავლის, მას ეძლევა **მარსელის უმაღლეს სასწავლებლის დიპლომი**. მოსწავლეს შეუძლია, აგრეთვე, სურვილისამებრ, აირჩიოს საგნები და ისწავლოს. სასწავლე-ბელში არის პანსიონიც, სადაც იხდიან ოც და თხუთმეტს ლირას, რომელიც უდრის 300 მანეთს. თვითეულს პანსიონერს მეტი აღარა სჭირია-რა, გარდა წიგნების ყიდვისა. შეუძლიანთ, აგრეთვე, მოსწავლეთ იარონ დღისით სკოლაში და ბინა სხვაგან იქონიონ. ასეთი მომსვლელი შეგირდები იხდიან წელიწადში 10 ოქროს, ე.ი. 85 მანეთს. ნახევარი ნაწილი ამ ფულისა უნდა მიეცეს სკოლის დირექტორს წინდაწინვე. ამ ფულის მიღებისთანავე აძლევს ორს კვიტანციას,– ერთს იმისას, რომ ფული მიიღო წინდაწინვე, ხოლო მეორეს იმისას, რომ მოსწავლეს ნება აქვს ყოველ დღე სკოლაში სიარულისა. შეიძლება ღარიბ მოსწავლეთათვის შესატანი ფული გაიყოს სამ ნაწილად, ე.ი., ყოველ ოთხ თვეში $3^1/_3$ ლირა აძლიონ. მოსიარულე შეგირდები ვალდე-ბულნი არიან უჩვენონ კვიტანცია სკოლის უფროსს ყოველ დღე, რათა არ იარონ სკოლაში ისეთმა შეგირდებმა, რომელთაც ფული არ შეუტანიათ. სწავლა ამ სკოლაში გრძელდება თერთმეტის თვის განმავლობაში. წელიწადში მხოლოდ ერთის თვით ითხოვენ შეგირდებს.

ჯერ-ჯერობით შეგირდები ცოტანი არიან, რადგანაც უმეტეს ნაწილთაგანმა არ იცის ამ სკო-ლის არსებობა, მაგრამ ადვილი მოსალოდნელია, ასეთი დიდ მნიშვნელოვანი სასწავლებელი მალე ისე გაიჭედოს მოსწავლეებითა, რომ ადგილიც აღარ დარჩეს. ამისთვის მე ვჩქარობ ვაუწყო **ქართველ ახალგაზდობას, რომელთაც აქვსთ სწავლის სურვილი და წლოვანება უშლისთ რუსეთის სასწავლებლებში შესვლას და რომელთაც მცირეოდენი შეძლება შესწევსთ, გამოეჩ-ქარონ ამ სასწავლებელში შესასვლელად.** დღეს ჩვენს ქართველებში სპეციალი კომერსანტები და მეტადრე ასეთის უმაღლეს სასწავლებლის დიპლომის მექონენი, მგონი, ძრიელ ნაკლებად არიან. ქართველებს ნაკლებად გვყავს ნასწავლი კომერსანტები, მაშინ, როდესაც ყოველივე

ჩვენი ყურადღება უნდა იყოს მიქცეული მრეწველობასა და აღებ-მიღემობაზე. ეს სწორედ არ გვეპატიება ჩვენ.

დღეს ჩვენს გაზეთებში უმთავრესი ადგილი უჭირავს მარტო ხალხის უკიდურეს მდგომარეობის, მის გონებრივად თუ ზნეობრივად დაცემის, მის გაღატაკების აღწერილობას. რით შეუძლია ხალხს სული მოიდგას, გამოვიდეს თავის უკიდურეს მდგომარეობიდან და მოჰკიდოს ხელი სწავლა-განათლებას და სხვა რამ უფრო რიგიან აღებ-მიცემობას, როდესაც მას არა ჰყავს გზის მაჩვენებელი?! **ჩვენის ხალხის სიღარიბის მიზეზი ის არის, რომ იგი ვერ ასაღებს თავის საქონელს**. მყიდველი არ არის და თუ აღმოჩნდა ორიოდე ვინმე, ისინიც მეოთხედ ფასად იგდებენ ხელში. ჩვენის ხალხის ავლა-დიდება ან ჩარჩებს მიაქვთ და ან გაუსაღებლად ფუჭდება და ლპება. **აი, სად არის საჭირო პატიოსანი და ხალხის გულ-შემატკივარი კომერსანტი**...

აი, რაში ეჭირვება ხალხს დახმარება, რომ შემდეგში მასაც გონება გაეხსნას და დაადგეს რიგიან გზას?! მართალია, ჯერ-ჯერობით ჩვენმა გლეხობამ არ იცის სწავლის მნიშვნელობა და გაიძახის, რად მინდა სწავლაო, მაგრამ, რაკი დაინახავს ასეთს მაგალითებს, რაკი შეიგნებს თავისივე თანამოძმისაგან, რომ სწავლა ყოველისფერში გამოსადეგი ყოფილა, მაშინ ის აუცილებლად მისცემს თავისს შვილს სასწავლებელში და გამოზრდის. ნუ თუ ჩვენს ქართველებში არ არიან ისეთი ახალგაზდები, რომ ენერგიულად მოჰკიდონ ამ სწავლას ხელი, მრავალ ჩვენს მდიდარ ღარიბებს მისცენ საშუალება თავიანთის საქმეების გაუმჯობესებისა, დააყენონ წინმსვლელობის გზაზე და დააგვირგვინონ თავიანთი სახელი პატიოსან მუშაკობით.

ავქსენტი გვათუა

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში, ჟურნალის ნომერიც იქვეა დაცული. იხ. ჟურნალი „მოამბე“, 1897 წელი, N11, გვ. 87-89.

მესხი კ. გვარამაძე

მესხეთის ქართველ კათოლიკეთა უნუგეშო მდგომარეობა

(წერილი ახალციხიდან)

როგორც ვწერდით, სომხ. გაზეთმა „ჰორიზონტმა“ ცრუ ხმები გაავრცელა, ვითომც ართვინის სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებას მიეღო მოწერილობა, რომ თავიანთ ეკლესიებში ამის შემდეგ სომხური ენის მაგიერ ლათინურის წესით, ლათინურად იქნება წირვა-ლოცვა და მათი საეკლესიო სკოლებიც ლათინის სამღვდელოებას დაექვემდებარებაო. ეს ცრუ ხმები „ჰორიზონტმა“ განგებ გაავრცელა, რათა აეღელვებინა სომხები ვატიკანისადმი იმ მსაზრებით, რომ ქართველ კათოლიკეებისათვის, რომელთაც ჰსურთ სომხის ტიბიკონიდან ჩამოშორება და ლათინის წესზე გადასვლას თხოულობენ, ხელი შეეშალათ, რომ ისევ სომხის ტიბიკონზე დარჩენილიყვნენ. ასეთ პროვოკაციამ, ცოტა არ იყოს, საგონებელში ჩაყარა მესხეთის ყველა კათოლიკე ქართველები. მოკლედ რომ ვთქვათ, იმედი დაეკარგათ ლათინის წესზე გადასვლისა. და რახან იმათ მაინც და მაინც აღარ ჰსურთ არა სასურველ სომეხთ-ტიბიკონზე დარჩენა, შემდეგს მოსაზრებას დაადგნენ, რომელნიც ახლა ორ სხვა და სხვა ჯგუფებად დაიყვნენ. ერთი ჯგუფი ამბობს: რახან საშველი აღარ გვაქს, დავანებოთ კათოლიკობას თავი და სხვა სექტა მივიღოთო; ამ სექტისათვის კიდეც დაასახელეს თავიანთ შორის პასტორათაც ერთი ამ სარწმუნოების მცოდნე პირი.

მეორე ჯგუფი კიდევ გულს არ იტეხს და გადასწყვიტეს, რომში გაგზავნონ წარმომადგენელნი პაპთან პირისპირ სათხოვნელად და თავიანთი აუტანელი მდგომარეობის მოსახსენებლად, თუ რასაც განიცდიან სომხის ტიბიკონის სასულიერო მმართველობისაგან. ჩემის აზრით, წარმომადგენლების გაგზავნა აჯობებს და კიდეც გაიმარჯვებს.

ხელნაწერი კონსტანტინე გვარამაძისა დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში; სტატია დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო გაზეთი“. იხ. N 1180, გვ. 4; 1914 წელი. გაზეთის ეს ნომერიც იქვეა შენახული.

მღ. ლაზარე გოზალიშვილი

მ. თამარაშვილის გარდაცვალების გამო

22 ამ თვეს გადაიხადეს პანაშვიდი ქართველ-კათოლიკეთა საყდარში. პანაშვიდის დაწყებამდე გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა მ. ლაზარე გოზალიშვილმა. ეს სიტყვა მთლად მოგვყავს დღეს. პანაშვიდის შემდეგ გაიმართა თათბირი მ. თამარაშვილის ღვაწლის პატივისმცემელთა შორის. **გრ. დიასამიძემ** აღძრა საკითხი ახლად გარდაცვალებულის ნეშტის გადმოსვენების შესახებ, სანტა-მარინნელადან. ამასთანავე, მან რამდენიმე სიტყვით მოიხსენია ღვაწლი მ. თამარაშვილისა და საჭიროდ ჩასთვალა ეთნოგრაფიულ საზოგადოებას ალ. ყიფშიძისათვის ან სხვა რომელსამე მეისტორიესათვის მიენდო საჯარო რეფერატის წაკითხვა მ. თამარაშვილის მუშაობის შესახებ. ეს ორი წინადადება დამსწრე საზოგადოებამ მიიღო. ნეშტის გადმოსასვენებლად შესდგა იქვე კომიტეტი, რომლის წევრებად აირჩიეს: **პატრი ანტონიშვილი, პატრი გოზალაშვილი,** მაზრის წინამძღოლი **პავლე თუმანიშვილი,** გორის მაზრის დეპუტატი გიორგი დიმიტრის ძე **ვეზირიშვილი**, **იაკობ ისარლიშვილი,** ექიმი **ვახტანგ ღამბაშიძე, გრიგოლ დიასამიძე, გიორგი ისარლიშვილი, ალექსანდრე ყიფშიძე და ალექსანდრე სარაჯიშვილი.** გუშინ ქართულმა ეთნოგრაფიულმა საზოგადოებამ განსვენებულის სულის მოსახსენებლად გადიხადა პანაშვიდი.

მ. ლაზ. გოზალაშვილის სიტყვა მ. მიხეილ თამარაშვილის პანაშვიდზე წარმოთქმული.

სარკმელნი ფარდით დაბნელებულნი, ეკლესია შავით მოსილი და გალობის ხმა დასუსტებულ-მიმკრთალი, რის გამომთქმელნი არიან? რას გვისურათებენ? განა ესენი ხელოვნურად გლოვას მოასწავებენ? არა; არამედ ეს გარეგანი ნიშნები წარმოშობილ არიან არა ბუნებრივად, არამედ არიან მომასწავებელნი იმ ღრმა მწუხარებისა, რომელმაც აქ მოიწვია სხვა და სხვა საზოგადოების წევრნი. ცხადია, რომ **არსებობს პატივი ნორჩი, გრძნობიერი,** ჩვილი, გამოწვეული რომელიმე შემთხვევისაგან, მაგ. ნათესავის სიკვდილისაგან, რომელიც როგორც უცებ იბადება, უცებვე თავდება. არის პატივისცემა ღრმა, მამაცური და ვაჟკაცური, დამყარებული დაკარგული საუნჯის სადიადეზე, ეს როგორც წამომდგარი ჭკუა-გონიერებისაგან და განძის დაფასებისაგან, მაგარი და გამძლეა და ახდენს ადამიანზე დაუვიწყარს შთაბეჭდილებას.

დღევანდელი ჩვენი გლოვა-გოდება მეორე ნაირი გახლავთ, რადგან გამოწვეულია ჩვენი ქვეყნის მკლევარ ისტორიკოსის დაკარგვისაგან, ქვეყნის მუშაკის მღ. მიხეილ თამარათის დაკარგვისაგან. თუმცა დამსწრეთაგან მრავალნი არიან მცოდნენი მისი ღირსებისა, მაგრამ, რათა ყოველთათვის იგი ცხადი იყოს, ჯერ არს, მისი პატივისცემისათვის მცირე სიტყვა ითქვას, რომლით დამტკიცდეს, თუ რა დიდი ვნებაა ჩვენთვის მისი უდროო გამოსალმება ამ ქვეყნისაგან და სიკვდილი.

ახალციხის მცხოვრებნი **პეტრე თამარაშვილი** და **გაიანე ბათმანაშვილი** არიან განსვენებულის მშობლები, რომელთაც შესძინეს ქვეყანას მღ. **მიხეილ თამარათი.** ეს ჩვენი მიხეილი, რადგან მეტი სახსარი არ იყო, შევიდა საეკლესიო სასწავლებელში, სადაც შეისწავლა ქართული წერა-კითხვა; მასწავლებლად ჰყავდა ცნობილი პირი, **მღ. იოანე გვარამიძე,** რომლისაგან შეისწავლა არა მარტო წერა-კითხვა დედა-ენაზე, **არამედ შეისვა ღრუბელსავით მამულის სიყვარული და მისთვის თავის დადების აუცილებლობა.** მიაღწია რა იმ ჰასაკს, როდესაც ბევრი ეტანება გართობას, სიამოვნებას, ე.ი. გახდა რა 18-20 წლისა, ის დინჯ ჰაზრებში გაეხვია... კერძო

ცხოვრებით ვერ შეეძლო მოეტანა თვალსაჩინო სარგებლობა, ამიტომ **იკისრა მამულიშვილური მოღვაწეობა.** ამისათვის მან შეიკავა თავი და **მღ. პეტრე ხარისჭარიშვილისაგან აგებულ მონასტერში შევიდა**. აქ იმდენი იღვაწა, რომ 8-9 წლის განმავლობაში მღვდლად შედგა და გამოეშურა სამშობლოსკენ. ვინაიდგან აქ გარემოებამ ხელი ვერ შეუწყო, ისევ მონასტერს დაუბრუნდა და შრომობდა შეძლებისამებრ.

ჩაიხედა რა ქვეყნის გაჭირვებაში და გაითვალისწინა, რომ ჯეროვანად ვერ იყო მომზადებული შრომის ასპარეზზე გამოსვლისათვის, განიზრახა და წარვიდა რომს, საუკუნო ქალაქში, რომლის ერთ-ერთ უმაღლეს სასწავლებელთაგანში შესულმა, დაამთავრდა მომზადება და მიიღო ღვთისმეტყველების დოქტორის დიპლომი. ასრედ მომზადებულს, შრომის სურვილით გატაცებულს, ესმა აქ ატეხილი საკითხის ამბავი: - არსებობენ თუ არა ქართველი მოდგმის კათოლიკენი? ამათგანმა ძლივს ერთმა ხმის ამოღებით დადებითი პასუხი გასცა. ხოლო მ. მიხეილი, სცნო რა, რომ მით საკითხი ძირიანად ვერ გამოირკვეოდა და არცადა დაბოლოვდებოდა, სასწრაფოდ შეუდგა კვლევა-ძიებას, სულ ახალი საგნის გამოკვლევა - შრომას მოჰყო ხელი. ნაირ-ნაირი წიგნი საცავებიდგან გამოტანილ საბუთებით შესთხზა და გამოსცა წიგნი 1902წ. სათაურით **„კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის, ნამდვილ საბუთებზე დაფუძნებული".** რადგან სხვებმა განაგრძეს იმავე საგანზე წერა, მ. თამარითიმ პოლემიკური ხასიათის წიგნი გამოსცა 1904 წელს, სათაურით: "**პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარს ჰყოფენ ქართველ კათოლიკობას**". ამ თხზულებით მათ მიუგო ჯეროვანი პასუხი, - დაუმტკიცა ყველას, რომ... სიმართლეს მოკლებულია ასეთი მსჯელობა, თითქო ქართველი კათოლიკები არ არსებობდნენ. ამ თხზულებით ვერ დაკმაყოფილდა, მოინდომა მთელ ქვეყნისათვის ეცნობებინა **ქართველი ერის წარსულის სიდიადე**, რომლის შესახებ ევროპაში დამახინჯებული ცნობა იყო გავრცელებული. ამის გამო განაგრძო თავისი დაუღალავი მუშაობა, შეიძინა ახალი საბუთები და გამოსცა შარშან ფრანგულ ენაზე მესამე წიგნი სათაურით: "**ისტორია ქართველი ეკლესიისა დასაბამიდგან ჩვენ დღემდე**". ავტორმა სამი თავით გააცნო დასავლეთ ევროპას საქართველოს გეოგრაფია, ქართველი ერის შთამომავლობა და მისი პოლიტიკური არსებობა 1800 წლამდე. მერმე ეხება პირდაპირ ქრისტიანობის დამყარებას და გავრცელებას, ამტკიცებს რომ აქ 1232 წელს თავი იჩინა რომის წესმა და 1329-ან 1507-მდე აქ იმყოფებოდნენ ხსენებული წესის ეპისკოპოსნი, რომელთაგან უკანასკნელი 1507წ. დაინიშნა. ეს წიგნი გაიცნო რა პაპმა, ისე ისიამოვნა, რომ კარდინალ მერრი დელ ვალის პირით ავტორს გულითადი მადლობა გამოუცხადა შრომისა და ძღვნისათვის. განსვენებულმა ამით არ იკმარა, გული ვერ იჯერა და **ძალ-ღონით შემკულმა მოიწადინა ახალი თხზულების მომზადება, რომლის ხასიათი უნდა ყოფილიყო მთლად ეროვნული. ამასობაში რომის აუტანელი სიცხის გამო ამ ზაფხულს ამოირჩია სააგარაკოდ სოფელი სანტა-მარინელლა**, და წარვიდა თავის ნაცნობთან ერთად, სადაც ამზადებდა წიგნის მასალას. მაგრამ არ დასცალდა. აი, რა სამწუხარო ამბავს გვიამბობს რომის გაზეთი. ამ თვის 2-ს 11-საათზე სანტა-მარინელლას საბანაო სადგურზე დასეირნობდა მღ. მიხეილი მ. პროფესორ ავგუსტოსთან ერთად. უკანასკნელმა მიიღო ბრძანება დირექტორისაგან, რომ იმ დღეს მოწაფეთაგანი არავინ შესულიყო ზღვაში საბანელად, რადგან ზღვას ცუდი სახე ჰქონდა და ამ სეირნობის დროს მოისმა ზღვაში საბანაოდ შესული ერთი ახალგაზრდა რომაელის, ხელობით დურგლის ხმა, რომელიც შველას ითხოვდა. ის საბანაოდ დანიშნულ ადგილას გასცილებოდა და იხრჩობოდა; კაცთმოყვარებით შემკული მ. ავგუსტოს

გულმა ვერ გაუძლო და მის შესაშველებლად უშიშრად შევარდა აღელვებულ ზღვაში. მას მიჰყვა მ. თამარათი, რომელიც შეცურდა რაინდულად მღელვარე ზღვაში. თავზარდამცემი და საშინელი ხმაურობა ასტყდა დამსწრე ხალხში. დაფაცურდნენ მენავენი, მიეშურნენ გაჭირებაში მყოფ ხელოსანს და დაიხსნეს იგი. მერე მიეშველნენ სხვებს, მაგრამ საუბედუროდ, მ. თამარათის უსულო გვამი დაიჭირეს და ნაპირას გამოიტანეს, პროფესორისა-კი ვერ იპოვეს, რადგანაც ზვირთებმა შთანთქა.

ამ მოულოდნელი შემთხვევის გამო დაუშრა ქვეყანას სხვა და სხვა საბუთის და თხზულე-ბის წყარო, მოესპო სიცოცხლე ამ მამულისთვის მოღვაწე მუშაკს, რომელმაც გაჰკაფა გზა ბევრი სიძნელის გამოსარკვევად. რადგან იგი მარტოდ მარტო იყო ამ საქმეში; ამიტომ შეიძლება წარმოიდგინოს კაცმა, თუ რა დიადი ზარალი მიეცა ჩვენს ქვეყანას წარჩინებულ ავტორის დაკარგვის შემდეგ. ვიდრე ცოცხალი იყო, წელს ძლივას მცირე დახმარება მიიღო ჩვენი ქვეყნისგან.

რაც შეეხება მის სულს ჯერ არს, ვილოცოთ, რათა განსვენება საუკუნო მიენიჭოს მას; ჰშვენის მის მოხსენებას სამაგალითო პატივისცემა. ვსთხოვოთ მასვე, რათა თავის მეოხებით მოგვივლინოს მისი მოადგილე, რომ მისგან გაკაფული კვალი და დაწყებული შრომა აყვავდეს.

დაბეჭდილია გაზეში „თემი“ (იხ.№38, 1911 წელი). ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც შენახულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

მესხი პავლე გურგენიძე

მესხეთის ქართველი კათოლიკენი

დღეს არავისათვის საიდუმლოებას არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენს მხარეში, მესხეთში, ერთს დროს სწავლა-განათლება, ხელოვნება, ვაჭრობა და სხ. უმწვერვალესად იყო განვითარებული.

ისტორიიდან ვიცით, რომ მესხეთში მილიონზე მეტი მესხი (მოსოხი) მცხოვრები იყო.

სპარს-ოსმალთა მუდმივი შემოსევა ამ ხალხს ნელ-ნელა სპობდა, ასი-ათასობით სპარსეთში და ოსმალეთში ასახლებდნენ. აქ დარჩენილებს ძალით ამუსლიმანებდნენ და სხვა.

მესხეთში რამდენიმე საუკუნეა სცხოვრობენ ქართველები ე.ი. რომლებიც ტომით არიან ქართველები და სარწმუნოებით – კათოლიკენი (ქართველ-კათოლიკენი).

ამ ქართველ-კათოლიკებს, როგორც ახალციხის ქართველ-ებრაელებს, ბევრი ტანჯვა და წვალება გამოუვლია, ვინაიდან მოზღვავებული მტერი პირველათ ამ მხარეს ეკვეთებოდა ხოლმე.

შავბნელ დროთა ბრუნვის წყალობით და აგრეთვე, სხვა და სხვა მიზეზების გამო, დიდი ნაწილი ახალციხის ქართველ-კათოლიკებისა გადასახლდა ახალციხიდან ქუთაისში, თბილისში, ბათომში და სხვა დაბა-ქალაქებში.

ახალციხის ქართველი-კათოლიკენი სწავლა-განათლების მხრით ჩამორჩენილი არიან თფილისის, თუ ქუთაისის ქართველ-კათოლიკებს. მათში ბევრი მოიპოვება ექიმი, ვექილი, ინჟენერი, მსხვილი ვაჭარი და სხ. ჩვენში კი არავინ.

აღნიშნულ დროთა ბრუნვის წყალობითვე, ჩვენ, ქართველი-კათოლიკენი, დროებით შეურთდით ერთმორწმუნე სომეხ-კათოლიკებს; ამ დროებით შეერთებას ჩვენი, ქართველ-კათოლიკების, გასომხება და სომხებათ აღიარება მოჰყვა. ისარგებლეს რა ამითი, სომეხ-კათოლიკეთა მღვდელ-არხიმანდრიტებმა ისეთი დიდი პროპაგანდა გასწიეს **ძველი რუსეთის მთავრობის წინაშე, რომ ოფიციალურათ ქართველ-კათოლიკებს ძველი მთავრობა უარჰყოფდა და სომეხ-კათოლიკეთა რიცხვში გვრევდა**.

ჩვენდა საბედნიეროთ, მესხმა ისტორიკოსმა **პატრი მიხეილ თამარაშვილმა** ცხადი და უტყუარი საბუთებით დაუმტკიცა მთელ ქვეყნიერებას და სომეხ-კათოლიკეთა ცრუ მღვდელ-არხიმანდრიტებს ქართველ-კათოლიკების დიდი ხნის არსებობა.

ისტორიკოსმა თამარაშვილმა, თავისი ქართულ-ფრანგული წიგნების გამოცემით, გააცნო მთელ-ევროპას არა მარტო ქართველ-კათოლიკების ვინაობა, არამედ მთელ საქართველოს და ქართველი ერის ვინაობა და არსებობაც, ვინაიდან ამ წიგნებში ჩართულია თვით საქართველოს ისტორიაც.

ხომ იცით, ახალციხის ქართველ-კათოლიკენო, რომ სომეხ-კათოლიკეთა „ტერტერ-ვართაპეტები“, როგორ გვასომხებდნენ, ჩვენს მეტრიკულ მოწმობებში სომეხ-კათოლიკეს გვი-წერდნენ.

ქალაქის სომხური გამგეობაც (უპრავა) ასევე იქცეოდა.

ხომ იცით, იყო დრო, რომ ჩვენს ეკკლესიებში თათრულათ ლოცულობდნენ და ჩვენი მღვდლები შიშის გამო თათრულათ ქადაგობდნენ.

ახალციხის ქართველ-კათოლიკენო! დიდი ხანია, რომ მიილტვით, რათა აღადგინოთ თქვენი ქართული ტიბიკონი (ქართული წესი) და ერთხელ და სამუდამოთ განთავისუფლდეთ სომეხ-კათოლიკეთა უღლისაგან.

ჩვენ, ახალციხის ქართველ-კათოლიკებმა, ამ საქმის შესახებ ვის არ მივმართეთ, სადაც კი სიტყვა მიწვდებოდა, მაგრამ არავინ გაიგონა ჩვენი ხმა, არავინ მოგვხოცა ცრემლი თვალებიდან, არავინ შეისმინა ჩვენი მუდმივი ღაღადი, არავინ გაგვიწოდა ხელი და გვითხრა ძმური სიტყვა ნუგეშის.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენ, ახალციხის ქართველ-კათოლიკენი, დროთა ბრუნვის წყალობით, შეუერთდით ერთმორწმუნე სომეხ-კათოლიკებს, მაგრამ როცა დავრწმუნდით ნათლად ჩვენი სამშობლო ქართული ენის, ეროვნების შეურაცყოფაში, იმ დროიდან დღემდე ვიბრძოდით სომეხ-კათოლიკეთა მღვდელ-არხიმანდრიტებთან და სომხის ცრუ მწერლებთან და დღესაც განვაგრძობთ ბრძოლას.

მიუხედავათ ჩვენი ენის და ეროვნების შეურაცყოფისა, ჩვენ მაინც იმედით ვცხოვრობდით, ეს იმედი იყო ჩვენი მანუგეშებელი, სულის ჩამდგმელი.

ჩვენ, მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკებს, უაღრესად გვქონდა ძვალსა და რბილში გამჯდარი საქართველოს უპირველეს მნათობის შოთა რუსთაველის აზრები, რომელიც ამბობდა ხოლმე: „ჭირსა შიგან გამაგრება ისე უნდა, ვით ქვითკირსაო“.

ვიცოდით ჩვენ, აგრეთვე, საბერძნეთის ფილოსოფოს **სოკრატის** აზრებიც, როცა **საპყრობილეში წამლის დალევის წინ ბორკილები მოხსნეს, სოკრატმა ხელი დაიდო წყლულზე, აიღო ხელში ბორკილები, დაიკავა და თავის მოწაფეებს უთხრა: ხედავთ, როგორ გადაბმულია ერთმანეთზე ტანჯვა-სიმწუხარე სიტკბოება-სიხარულზეო.**

სოკრატმა მოწაფეები უკანასკნელათ გაამხნევა და განუმარტა, რომ მწუხარება-ტანჯვაში რომ ჩავარდეთ, **ეცადეთ, ყოველთვის იმედი იქონიოთ, იბრძოლეთ, იშრომეთ** და აუცილებლათ თქვენს წმინდა მიზანს მიაღწევთო და თქვენი მწუხარება-ტანჯვა-სიხარულათ შეიცვლებაო.

ამ ქვეყანაზე ყველაფერი ცვალებადია და ჩვენც დიდი იმედი გვქონდა, ძველი დახავსებული, ბიუროკრატიული რუსეთი ადრე თუ გვიან დაინგრევოდა, დაიშლებოდა და მის ნანგრევებზე ახალი სახელმწიფო, ახალი წესწყობილება აშენდებოდა, განთავისუფლდებოდა საუკუნო მონობის უღლისაგან პატარა ერებიც.

რევოლუციამ ქართველ-კათოლიკეებიც ოდნავათ აამოძრავა, კვლავ დაისვა მათი საკითხი.

თფილისში და სხვა ქალაქებში დაარსდა ქართველ-კათოლიკეთა კომიტეტი, მხოლოთ ახალციხეში, კომიტეტს გარდა, დაარსდა ქართველ-კათოლიკეთა რევოლუციონური კომიტეტიც.

აგრეთვე, ჩვენს დედა ქალაქ თფილისში გაიხსნა **პირველი ქართველ-კათოლიკეთა კონფერენცია 27 აპრილს 1917 წ.,** სადაც მიიღო მონაწილეობა საქართველოს სხვა და სხვა ქალაქებში მცხოვრებ ქართველ-კათოლიკეებმა, დელეგატების გაგზავნით.

თფილისიდან გაგზავნეს სხვა და სხვა ქალაქებში დელეგატები, რომლებმაც სთხოვეს ადგილობრივ ქართველ-კათოლიკებს მოეხდინათ სასწრაფოთ კრება და გამოეტანათ დადგენილება. ვის სურდა ქართულ ტიბიკონზე (ქართულ წესზე), გადასულიყო და ვის სურდა, ისევ

ლათინურ (რომის კათოლიკეთა) ტიბიკონზე დარჩენილიყო. ამ მანდატით წამდგარიყო დელეგატი კონფერენციაზე.

კონფერენციის დედააზრი იყო ქ.თფილისში კვლავ აღედგინათ ქართველ-კათოლიკეთა ეპარქია, რომელიც დაარსებული იყო ჯერ კიდევ 1319 წელს და აგრეთვე, დასმულიყო საკითხი, რათა მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეთა, რომლებიც იმყოფებიან სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე და განეშორებინათ სომეხ-კათოლიკებისაგან.

აი, ამ დროს გაჩნდნენ ჩვენი მუქთა-ხორა მღვდლები, შეეშინდათ თბილ-თბილი ადგილების დაკარგვის და დაიწყეს პროვოკაცია ქართველ-კათოლიკებში: „ჩვენ, რომ ქართულათ დავიწყოთ წირვა-ლოცვა, მაშინ გავმართლმადიდებლდებითო და სხვა... და, აი, იმ პირებისვე წყალობით, კონფერენციაზე უცნაური რეზოლუცია გამოიტანეს.

ამ კონფერენციის შემდეგ დიდი ხანი გავიდა და ამ ხნის განმავლობაში საქართველოს დამოუკიდებლობაც გამოცხადდა.

6 ივლისს 1919 წ. ახალციხეში მოხდა **ქართველ-კათოლიკეთა საერთო კრება,** რომელმაც განიხილა თფილისის ცენტრალურ ქართველ-კათოლიკეთა კომიტეტის დადგენილება, რომლის ძალითაც იგზავნება რომში პაპთან სამი დელეგატი პირისპირ მოსალაპარაკებლათ საქართველოს ქართველ-კათოლიკეთა ტიბიკონის შესახებ. დადგენილებაში აღნიშნულია: **ეთხოვოს რომის პაპს ნება დაგვრთოს ლათინური წესიდან გადმოითარგმნოს წირვა-ლოცვა ქართულ წესზე**, თუ უკეთუ ნება რა მოგვცა – მაშინ ისევ ლათინური წესი დარჩესო, და აგრეთვე, ეთხოვოს პაპს, **აღადგინოს ქართველ-კათოლიკეთა საეპისკოპოსო,** რომელიც დაარსებული იყო, როგორც ზემოთ აღვნიშნე, 1319 წ. თფილისში.

მესხეთ-ჯავახეთის ქართველი-კათოლიკენი, რომელნიც იმყოფებიან სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე, დიდიხანია თხოულობენ სომეხ-კათოლიკეთა უღელიდან განთავისუფლებას და ლათინურ ტიბიკონზე გადასვლას; ამის შესახებაც ეთხოვოს პაპს, ისინიც გადაიყვანოს ლათინურ ტიბიკონზე და შეაერთოს თფილისის, ქუთაისის, გორის, ბათომის კათოლიკებთან.

მოისმინა რა ასეთი უცნაური დადგენილება, კრებამ იქონია ამის შესახებ მსჯელობა და თავის მხრითაც დაადგინა:

„თუ რომის პაპი არ დათანხმდება ლათინურიდან გადმოითარგმნოს წირვა-ლოცვა, მხოლოთ მაშინ **ეთხოვოს პაპს პირდაპირ ქართული ტიბიკონი (აღმოსავლეთის წესის), რომელიც გვქონდა ჩვენ ჯერ კიდევ მეთოთხმეტე საუკუნეში და რომელიც აქვთ დღეს კონსტანტინეპოლის (სტამპოლის) ქართველ-კათოლიკებს.**

როგორც ვიცით, კათოლიკური სარწმუნოება ნებას არ აძლევს არავის ლათინური წესი გადაითარგმნოს სხვა ენაზე და, მაშასადამე, არამგონია პაპმა ამ კითხვაზე ნება დართოს.

ვიცით, აგრეთვე, რომ თფილისის, ქუთაისის, გორის, ბათომის და სხ. ქართველ-კათოლიკენი, რომლებიც იმყოფებიან ლათინის ტიბიკონზე, წინააღმდეგი არიან ქართული ტიბიკონისა, მათ ისევ ლათინის ტიბიკონზე სურთ დარჩნენ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ჩვენმა მღვდლებმა ისე მოსწამლეს ქართველ-კათოლიკები, რომ ამნაირი უცნაური დადგენილება გამოიტანეს. ისინი გაიძახიან, თუ ჩვენ ქართულათ დავიწყეთ წირვა-ლოცვა, გავმართლმადიდებლდებითო; ჩვენ, რომ მოვსპოთ ლათინური ლოცვა-წირვა, მაშინ ევროპის კათოლიკებს, განათლებულ ევროპას, ჩამოვშორდებითო და სხ. ვეკითხებით ამ ქართველ კათოლიკებს, როდის ჰქონდათ ევროპის კათოლიკებთან კავშირი, მიწერ-მოწერა

მათთან. მათ ვურჩევ სამშობლო ქართული ენაც დაივიწყონ, ილაპარაკონ ფრანგულ-იტალიურ ენებზე და მაშინ უფრო „კავშირი“ ექნებათ ევროპის კათოლიკეებთან. სჯობია, აგრეთვე, გადასახლდნენ საქართველოდან საფრანგეთ-იტალიაში...

ხელნაწერიდან მანქანაზე გადაბეჭდილი ტექსტი ინახება სავანეში; დაბეჭდილია გაზეთში „განახლებული მესხეთი“, N10, 1919 წ.

გაზეთის ეს ნომერიც დაცულია იქვე.

მესხი პავლე გურგენიძე

მესხეთის ქართველი კათოლიკენი

დასასრული

მართალია, ჩვენ, მესხეთ-ჯავახეთის ქართველი-კათოლიკენი, მოვითხოვდით სომეხ-კათოლიკეთა მძიმე უღლისაგან განთავისუფლებას და ლათინის ტიბიკონზე გადასვლას (ლათინური უღელი ვამჯობინეთ სომხურ უღელს), მაგრამ ამას მოვითხოვდით ჩვენ ძველი რუსეთის მთავრობის დროს, იმ დროს, როცა ჩვენ ნახევრათ მუნჯნი ვიყავით, ორი სიტყვის თქმა ერთად არ შეგვეძლო, ჩვენი გულის წადილი, მისწრაფება გულახდილად ნათლად ვერ გაგვეზიარებინა ყველასათვის; ახლა როცა ჩვენი სამშობლო-საქართველო განთავისუფლდა რუსეთის უღლისაგან, მან მართლმადიდებელთა ეკლესია გაანთავისუფლა სინოდის მონობისაგან.

აი, ჩვენ, განსაკუთრებით მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკებმა, ნახევრათ მუნჯი ენა თავისუფალ საქართთველოში კვლავ ამოვიღეთ და დავიწყეთ გულ-ახდილათ ლაპარაკი, გულ-ახდილათ გაუზიარეთ ყველას ჩვენი ნახევარ საუკუნეზე მეტი სურვილი, მისწრაფება. ჩვენი მთავრობა ჩვენკენაა, როგორც ძველი რუსის მთავრობისაგან გვეშინოდა და მუდამ წამს სახრჩობელას და ციმბირს მოველოდით, ამას არასოდეს არ მოველით ჩვენს მთავრობისაგან.

ჩვენ მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეები, მართალია, ისე ნასწავლი, უმაღლესი სწავლით დაჯილდოვებული არა ვართ, როგორც ზოგიერთი თფილისის, ქუთაისის ქართველ-კათოლიკენი, მაგრამ მიუხედავათ ამისა, ჩვენ მათსავით ისე ფანატიკოსები არ ვართ, რომ შავი და თეთრი ვერ გავარჩიოთ ერთმანეთისაგან.

ჩვენ ქართველ-კათოლიკები მესხეთ-ჯავახეთის – იმისთვის კი არ ვცდილობდით და ვცდილობთ, რომ სომეხ-კათოლიკეთა არხიმანდრიტ ტერ-აბრამიანცის და დიონიზ კალატოზოვის უღლიდან განვთავისუფლდეთ და კვლავ მეორე ვიზიტატორ **ანტონოვის და პატრი სააკაშვილის** თუ ლათინის ეპისკოპოზის უღელი დავიდგათ.

ჩვენ კვლავ კატეგორიულათ ვაცხადებთ მთელი ქვეყნის გასაგებათ, რომ ჩვენ ქართველ-კათოლიკენი (საქართველოში მცხოვრებნი) სისხლით, სულით, გულით, ადათით, გონებით ქართველები ვართ, საქართველოში დაბადებულნი და აღზრდილნი, ქართლის ძუძუ ნაწოვნი. ჩვენი სამშობლო საქართველოა.

ჩვენ სომხეთიდან, იტალია-საფრანგეთიდან არ მოვსულვართ. ჩვენი კათოლიკური სარწმუნოება აქ, სამშობლო საქართველოში მივიღეთ.

მთელს საქართველოში მხოლოთ ჩვენ, მესხეთის (ჯავახეთისა ვერ გავიგეთ, მაგრამ, როგორც ვიცით, ისინიც არ მოითხოვენ ლათინის წესს, თუ ძალით არ მოახვიეს თავზე). ქართველ-კათოლიკეებმა მოვითხოვეთ ქართული ტიბიკონი (ის ტიბიკონი, რომელიც აქვთ ჩვენ ერთმოსისხლე ძმებს ქართველ მართლმადიდებლებს), ის ტიბიკონი, რომელიც ჩვენ უკვე 7-8 საუკ. წინეთ გვქონდა.

ჩვენ, ქართველ-კათოლიკეებს, ტიბიკონში არ უნდა გვქონდეს, გარდა სარწმუნოებისა, სხვა რამე საერთო ფრანგ-იტალიელ-ისპანიელ-გერმანელებთან. **ტიპიკონი ჩვენს ეროვნებას არ უნდა ეხებოდეს.**

გავიგეთ, რომ თფილისში გადაუწყვეტიათ სამი დელეგატი გააგზავნონ რომში, რომის პაპთან, ქართველ-კათოლიკეთა ტიბიკონის შესახებ. დელეგატებიც ამოურჩევიათ. ჩვენს მთავრობასაც გზის ხარჯისათვის 60 ათასი მან. გადაუდვია.

გვიკვირს,რომ ეს ვაჟბატონები ასე როგორ ატყვილებენ ჩვენს მთავრობას, ფულს ართმევენ იმ დროს, როცა თვით მთავრობა ფინანსურათ მოისუტებს. ფულებს თხოულობენ რა მიზნით?, რისთვის?

ჩვენ კი მოვახსენებთ მთავრობას, რომ მან 60 კაპეიკიც არ უნდა მისცეს ამ მუქთახორებს. მთავრობამ უნდა კატეგორიულათ მოთხოვოს, თუ რა არის მათი დედა აზრი, მიზანი, ისინი, რომში (იტალიაში) რომ მიბრძანდებიან, მართლა ჩვენს ინტერესს დაიცავენ თუ არა, ესეიგი ჩვენ, ქართველ-კათოლიკეებს, ქართულ ტიბიკონზე გადაგვიყვანებენ თუ არა? შესძლებენ ამის მოხერხებას თუ არა?

თუ ვერ შესძლებენ, მაშასადამე, უსაფუძვლოა მათი წასვლა, ვინაიდან ისინი მომხრე არიან დარჩნენ ისევ ლათინის ტიბიკონზე, მაშ რაღასთვის მიდიან.!.

ჩვენ კატეგორიულად მოვითხოვთ, რომ თუ რომში მიდიან ჩვენი დელეგატები, აუცილებ-ლათ ერთი დელეგატი ახალციხიდან (მესხეთიდან) წავიდეს. მადლობა ღმერთს, გვყავს აქ ორი სასულიერო პირი უმაღლესი სწავლით დაჯილდოებული, ვინაიდან ვიცით, რომ თუ ახალციხიდან არ წავიდა დელეგატი, სხვა–თფილისის, თუ ქუთაისის დელეგატები განგებ არ დაიცავენ ჩვენს წმინდა მიზანს, ვინაიდან ვიცით მათი სულისკვეთება...

რა საჭიროა, რომ სამი დელეგატი იგზავნება, ნუ თუ ორი, ან ერთი არ ეყოფა, რომ გაიგზავნოს რომში?!

ტყვილად ცდილობენ თფილის-ქუთაისელი-კათოლიკეები მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკებიც, რომლებიც არიან სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონზე და სურთ ქართული, გადაიყვანონ ლათინის ტიბიკონზე. მათი ცდა წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

ჩვენ, ახალციხის ქართველ-კათოლიკებმა, დიდის ტანჯვის და ვაი-ვაგლახის შემდეგ მოვსპეთ სომხური წირვა-ლოცვა ჩვენს ეკლესიებში, მაგრამ, რასაკვირველია, სრულიათ ვერ, ძირიან-ფესვიანათ ვერ ამოვგლიჯეთ, ვერ გავაუქმეთ სომხური წირვა-ლოცვის ნაშთი, ნაწილი მაინც დარჩა; მაგრამ იმედია, **ახლო მომავალში მთლათ მოვსპობთ სომხურ წირვა-ლოცვას ჩვენს ეკლესიებში**.

ჩვენ ახალციხეში, ასე-თუ ისე, მოვსპეთ სომხური წირვა-ლოცვა.

დავკეტეთ ორი ეკკლესია სიძველის და სხვა მოსაზრების გამო, მაგრამ რაც შეეხება ახალციხის მაზრაში, სოფ. **უდეში, ვალეში, არალში** ისევ ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში სომხური წირვა-ლოცვაა გამეფებული.

ჩვენ, ახალციხის ქართველ-კათოლიკეებმა, რასაკვირველია, დროებით მივანდეთ ჩვენი ეკლესია ქართველ-კათოლიკეთა მღვდელსა, ლათინის ტიბიკონზე ნაკურთხს, ესე იგი პატრს. ეს პატრი თითქმის მუდამ კვირას სწირვას ლათინურ ენაზე. ლოცვები კი სრულდება ქართულათ.

როგორც ზემოთ აღვნიშნე, ეს ლათინური წესის წირვა დროებითია, ჩვენი დედა აზრი იყო სომხური მოგვესპო და დროებით ლათინურათ შეგვესრულებინა წირვა.

ჩვენ ლათინურსაც მალე მოვსპობთ, პატრსაც გავაძევებთ ეკლესიიდან და ეკლესიასაც დავხურავთ, თუ ჩვენ ახლო მომავალში არ გავახორციელეთ ჩვენი დიდი ხნის ნანატრი წმინდა

იდეალი ე.ი. თუ ჩვენს ეკლესიებში არ აღვადგინეთ **მხოლოთ ქართული ტიბიკონი**, ნაცვლად სომხურ-ლათინურ **ტიბიკონებისა, ჩვენთვის როგორც სომხური, ისე ლათინური, უცხო და გაუგებარი ენებია.**

ეს არის ქართველ-კათოლიკეთა სურვილი.

როგორც გაზეთები გადმოგვცემენ, რომის პაპს რომიდან გამოუგზავნია თვისი წარმომადგენელი პატრი **დე-ბული**, რომელმაც უნდა მიესალმოს საქართველოს მთავრობას რომის პაპის სახელით და გამოარკვიოს საქართველოს კათოლიკების მდგომარეობა.

პაპის წარმომადგენელი ამ დღეებში ჩამოვა თფილისში. მის დასახვედრათ უკვე შესდგა კომისია.

აი, სწორეთ, მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეებმა საჩქაროთ უნდა მოიწვიონ საერთო კრება, ამოირჩიონ ერთი დელეგატი ან მეტი და გააგზავნონ თფილისში რომის პაპის წარმომადგენლის წინაშე, რათა მას გაუზიაროს ჩვენი დიდი ხნის მიზანი, იდეალი; თორემ თუ კვლავ თფილისის ცენტრალურ ქართველ-კათოლიკეთა კომიტეტს მიანდეს, მას დღემდე ვერაფერი ვერ გაუკეთებია და ვერ გააკეთებს ვერაფერს, იგი მხოლოთ სახელით არსებობს.

ახალციხის დელეგატებმა სულ დაწვრილებით უნდა განუმარტონ ჩვენი აუტანელი მდგომარეობა სარწმუნოების მხრივ, არ უნდა დაივიწყონ ისტორიული მხარეებიც.

თუ პაპის წარმომადგენელი ახლო მომავალში დაბრუნდება იტალიაში, მას უნდა წაყვენ, თუ არა და, მისგანაც მოწმობა უნდა აიღონ პაპთან წარსადგენათ.

ჩვენ დიდი იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მთავრობა ჩვენ, მესხ-ჯავახელ ქართველ-კათოლიკებს, სუყველაფრით დაგვეხმარება და ჩვენი დელეგატების გარდა, მთავრობაც ოფიციალურათ მიმართავს პაპის წარმომადგენელს თფილისში, რომ ჩამოვა, ძალიან საჩქაროთ, მანაც თავის მხრით, იშუამდგომლოს პაპის წინაშე, რათა მთელი მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკეები, რომლებიც არიან სომეხ-კათოლიკეთა და ლათინის (რომის კათოლიკეთა) ტიბიკონებზე, გადაიყვანონ ქართულ ტიბიკონზე და ამით **ერთხელ და სამუდამოთ გვიხსნას გადაგვარებისაგან და გაგვანთავისუფლონ სომეხ-რომის კათოლიკეთა უღელისაგან**...

P.S. უმორჩილესათ ვსთხოვთ „საქართველოს რესპუბლიკას“ და სხვა ქართულ გაზეთებს გადაბეჭდონ ეს წერილი.

ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის სავანეში. აქვე ინახება გაზეთის ის ნომერიც, სადაც დაბეჭდილია ეს წერილი. იხ. „განახლებული მესხეთი“, 1919 წ. N11.

გიორგი დეკანოზიშვილი

მგზავრის წერილები რომიდან

V

გადავავლოთ თვალი მეორე ნაწილს რომის ცხოვრებისას, რომელიც აღორძინდა ძველ კერპთა რომის დამხობის შემდეგ და რომელმაც თავისს საძირკველად მოიხმარა ისევ ძველი კულტურა რომისა, ე.ი. გადავავლოთ თვალი რომს ქრისტიანს. ჩვენ ვუწოდებთ ქრისტიანს, რადგან ახალ დრომდე, 1870 წლამდე, ყოველი ძალა და უფლება პაპის ხელში იყო; ეს უკანასკნელი-კი, როგორც მოადგილე პეტრე მოციქულისა, ერთსა და იმავე დროს ითვლებოდა სასულიერო და საერო წეს-წყობილების მოთავედ, il papa re იყო, რაიცა ჰნიშნავს პაპა-მეფეს. თვით რომი იყო მექქა კათოლიკეებისა, საითკენაც მიისწრაფოდნენ მორწმუნენი პაპის თაყვანის საცემად და წმინდა ადგილების სანახავად. იმ დროს კათოლიკეთა სამღვდელოება თავისუფლათ ჰგრძნობდა რომში თავს, რადგან იგი იყო მთავარ-მმართველი ამ ქალაქისა, რომელსაც უწოდა სახელად ქალაქი საუკუნოთი საუკუნემდე(eter-nelle), ქალაქი ქალაქებისა, ღმერთი ერებისა, მეფე მსოფლიო და სხვ...

რასაკვირველია, კათოლიკენი ეხლაც მრავლად მიემგზავრებიან რომში სალოცავად, პაპის ლოცვა-კურთხევის მისაღებად, წმინდა ადგილების სანახავად, სადაც პირველნი ქრისტიანნი ტანჯულნი და გმირულად მიცვალებულნი იყვნენ, მხოლოდ დღეს დარჩა მარტო იდეა, თვით-მოქმედება-კი შეიცვალა: რომი ყოველს თავის ძალას და ღონეს ხმარობს ამ მიმსვლელების დასახვედრათ და დღესასწაულების გასამართავად, რადგან საერო უფლება პაპის ხელიდგან გამოეცალა და გადავიდა იტალიის მთავრობის ხელში, რომელიც ყოველთვის კამთობას უწევს პაპის და მის გავლენას ასუსტებს. თვით პაპი პიი IX-მ 1870 წელს, უკმაყოფილომ საერთო უფლებების დაკარგვით, განაცხადა თავისი თავი თავისუფალ ტყვედ, ჩაიკეტა თავის სასახლეში ანუ ვატიკანში და აღარ ეჩვენა რომს, რადგან ვერ შეეძლო წარმოედგინა პაპი ურომოდ, უჯაროთ, უსამეფო ძალოდ, მარტო მართველად ადამიანის სულისა, მაგალითად ზნეობრივის მისწრაფებისა, მოთავედ სასულიერო წოდებისა და გამგედ კათოლიკეთა ეკლესიისა.

პიი IX-ს მოადგილემ, ეხლანდელმა პაპმა ლეონ XIII-მ ცოტაოდენად შესცვალა პროგრამა მოქმედებისა და უფრო შერიგების და შეთანხმების გზას დაადგა. ლეონ XIII, გადასული ოთხმოც წელს, მხნე, მუშაკი და ყაირათიანია, სცდილობს სხვა და სხვა მთავრობასთან მორიგებთ შეაერთოს კათოლიკეთა სამეფო და გაავრცელოს მისი გავლენა ყოველ მსოფლიო კუთხეში, იაპონიაში, ჩინეთში, აზიაში... რათა ამით მოიპოვოს სიმკვიდრე და დამოუკიდებლობა და წილი დაიდოს ეხლანდელ მსოფლიო წესრიგის დადგენის საქმეში.

დღეს ქრისტიანი რომი მოთავსებულია ტიბრის მარჯვენა მხარეს, იქ, სადაც იმყოფება ვატიკანი ანუ სასახლე პაპისა და ტაძარი წმ. პეტრესი - უმთავრესი მოწამე საშუალო საუკუნეებში რომის დიდებისა.

მეთხუთმეტე და მეთექვსმეტე საუკუნეებში, როდესაც რომი პაპის ხელში იყო, ხელოვნებამ ისეთ უმაღლეს და შეუდარებელ წერტილამდე მიაღწია, რომ ყოველი გამოჩენილი მხატვარი და ხელოვანი ევროპისა რომს ჰხადიდა თავის ქმნილებათა საფუძვლად და ხშირად ჰბაძავდნენ რომის ხელოვნებას თავიანთ ნიჭისა და ეროვნულ თვისებისა და გვარად. ამ

ხელოვნებამ დაგვიტოვა მრავალი ეკლესია რომელთა რიცხვი 400 მდე ითვლება რომში. ყველა ამ ეკლესიათაგანში მოიპოვება ხელოვნების შესანიშნავი ქმნილება, მაგრამ ჩვენ ყურადღებას მივაქცევთ უმთავრესს და უპირველეს მათგანს **წმ. პეტრეს ტაძარს,** რომელიც გამომხატველია აღმადგენელ საუკუნეების ხელოვნებისა, მაგალითი ხუროთ-მოძღვრულ მშვენიერებისა და შედეგი **ბრაბანტის, რაფაელის** და **მიქელ-ანჯელოს გენიოსურ მუშაობისა.**

როდესაც ადამიანი შეჰყურებს ამ უზარმაზარ შენობას, რაღაცა უცნაური საკვირველება ებადება გონების თვალწინ, რა დაუღალავად, რა განუწყვეტელის ბეჯითობით მუშაობდა ადამიანის აზრი და ხელი. 150 წლის განმავლობაში, რომლის დროსაც შენდებოდა ეს მშვენიერი ტაძარი, მრავალი რიცხვი ამ მშენებლებისა და ხელოსნებისა გამოიცვალა, ერთნი რომ იხოცებოდნენ, მეორენი მიისწრაფოდნენ ჩაევლოთ ხელი მათის აზრისათვის და განეგრძოთ მისი აშენება თავის ნიჭისა და გვარად; ამ გზით ბოლოს გაკეთდა ეს რომის ხუროთმოძღვრული საკვირველება. წმინდა პეტრეს ტაძარი შეიცავს თავისს განსაკუთრებულს ცხოვრებას და თავისი ხალხი ჰყავს, რომელიც შესდგება მლოცველებისა, მოგზაურებისა და მუდმივ შემკეთებელ ხელოსნებისგან, რომლებიც შიგ სცხოვრობენ და მის ტერასებზედ აშენებენ ბოსტნებსა და პატარა ბაღებს. თვით ადგილი, რომელზედაც აშენებულია ეს ტაძარი, ძველად **ნერონის ბაღს შეადგენდა, სადაც აწამებდნენ პირველ ქრისტიანებს** და სადაც დამარხული იყო **მოციქული პეტრე,** რამაც გამოიწვია სურვილი ქრისტიანებისა აეშენებინათ ამ ადგილას ტაძარი ამ მოციქულის სახსოვრად.

1503 წელს, **პაპიმ, ჟიულ მე-II-მ,** რომლის მხნეობასა და მოქმედებასაც ხშირად ადარებენ ნაპოლეონ I-სას, მოიწადინა ამ ადგილას აეგო დიდი ეკლესია და ამ აზრის განსახორციელებლად მოიწვია ხუროთმოძღვარი **ბრაბანტი**; ეს მოხდა სწორედ იმ დროს როდესაც ხელოვნება უმაღლესად იყო განვითარებული რომში. ბრაბანტის სიკვდილის შემდეგ პაპის **პავლე მე-III-ს** ბრძანებით, ხუროთ მოძღვრად დანიშნული იყო **მიქელანჯელო**, რომელმაც 17 წელიწადი იმუშავა ამ ტაძრის ასაშენებლად და ბოლოს ისეთი მარტივი გეგმა დასტოვა, რომლითაც შეეძლო მის მოადგილეს განეგრძო მუშაობა. უკანასკნელად გამოჩენილმა ხუროთ მოძღვარმა **ბერნანმა** დაამთავრა ეს ტაძარი და შეჰქმნა გეგმა იმ სვეტების რიგებისა, რომელნიც ამშვენებენ დღეს მოედანს ამ ტაძრის წინ და, როგორც ამავე ტაძრის ტოტები, ავსებენ ყოველ მხრიდგან ამ უშველებელ ადგილს. დაახლოვებით სიმაღლე ამ ტაძრისა არის 69 საჟ., სიგრძე-92 საჟ., სიგანე-69 საჟ., გუმბათის დიამეტრი-23 საჟ.. ამ გუმბათის თავში იმყოფება ბრინჯაოს ბურთი, რომელზედაც 15 კაცი ეტევა. წინა მხრის დამამშვენებელ სვეტებს აქვს 15 საჟენი სიმაღლე და 1 ½ საჟ. სისქე, ყოველ სვეტზედ დადგმულია ქანდაკება 3 საჟ. სიმაღლისა. თითო კუთხე ამ ტაძრისა ჩვენის ეკკლესიების ტოლა იქმნება. ყველაფერი, კარიდგან დაწყებული ვიდრე ფანჯრებამდე, უზარ-მაზარია, მაგრამ გარეგნად ეს სიდიდე არც-კი სჩანს, რადგანაც შესანიშნავი თანაფარდობაა დაცული ყოველს ნაწილში. ერთს საკვირველებას ამ შენობისას შეადგენს მისი განათება; ამგვარ დიდ შენობაში თითქმის არ მოიპოვება გაუნათებელი კუთხე. მზის სხივები ყოველ მხრიდგან შედის და ცეცხლს უკიდებს ფილაქანს.

ეს ტაძარი, რომელშიაც 90,000 კაცი დაეტევა, ყოველთვის ცარიელად ეჩვენება ადამიანს, თუმცა მრავალია რიცხვი დამთვალიერებლებისა და მლოცველებისა, რომელნიც დაკარგულ ჭიანჭველებსავით დაცოცავენ აქა-იქ, უგზო-უკვლოდ. ტაძრში შესვლისთანავე წარმოგიდგებათ გრძელი მანძილი, გაყოფილი სიგრძეზედ სვეტებით სამ ნაწილად და გადახურული

თაღით, რომელიც მორთულია ოქროს ვარაყითა და სხვა და სხვა ქანდაკებანით; ამ გრძელ მანძილის შემდეგ მოსჩანს ოთხი დიდი სვეტი, რომლებზედაც დაბჯენილია გუმბათი; გუმბათის ქვეშ, ქვემო სართულში, **იმყოფება საფლავი მოციქულის პეტრესი.** საფლავის ზემოდგან გამართულია საკურთხეველი, სადაც წირვის დროს იმყოფება პაპი. ამ საკურთხევლიდგან წმ. პეტრეს საფლავზედ მისდევს ორგულიანი კიბე, რომელსაც სახელად აღსარების კიბე ეწოდება; აქ განუწყვეტლივ ანთია 142 კანდელი. ამ ტაძარშივე იმყოფება მშვენიერი სასაფლავო პაპი პიი VI-სა, გაკეთებული კანოვას მიერ; ამ საფლავის მოდელს, ანუ ნიმუშს შეხვდებით სხვა და სხვა ქალაქის ყოველ დიდ მუზეუმში. საზოგადოდ მთელის შენობის მოსაწყობად მრავლად არის ნახმარი მარმარილოს ქვა ყოველის ფერისა, ასე რომ ადამიანს თვალს სჭრის მისი მდიდრული მორთულობა.

ამ შენობის ასაგებად 150 წლის განმავლობაში დიდძალი ფული დაიხარჯა. 1693 წელს, როდესაც ჯერ შიგნითი მორთულობა არ იყო დამთავრებული, დახარჯული იყო ასი მილიონი მანეთი, ამ ფულს უნდა დავუმატოთ ღირებულება მარმარილოსი, ოქროსი, ვარაყისა, მოზაიკისა, ქანდაკებათა და მხატვრობისა, რომელნიც არც-კია დაფასებული, რადგანაც უმეტესად შეწირულია. ეხლა ყოველ წელს იხარჯება ამ ტაძრის საჭიროებისათვის 55 ათასი მანეთი. თვით ტაძარში **აღსარებას ათქმევინებენ მსურველ მლოცველებს ყოველს ენაზედ, ქართულის გარდა, რადგან აქაურ მოთავეებს სრულიად მივიწყებული აქვთ ქართველების არსებობა.** შესაძლებელია მათ მოთავეებმა გაიცნონ ქართველები, როდესაც დაიბეჭდება შრომანი **ბ-ნ თამარიშვილისა,** რომელმაც რამდენისამე წლის დაუდგრომელ და მედგარ მუშაობის შემდეგ თავის პატარა მყუდრო ოთახში, როგორც ნამდვილმა ძველებურმა მეპატრონემ, შეჰქმნა რვეული რვეულზედ და ნათლად ახსნა რომის დამოკიდებულება საქართველოსთან. ამ რვეულებში მრავალი საბუთია ჩართული, გამოკრებილი ევროპის სხვა და სხვა წიგნთსაცავებიდგან.

დიდს მადლობას ვუძღვნით მამა თამარაშვილს თავისი შრომის გაცნობისა და იმ გულწფელობისთვის, რომლითაც იგი ეგებება ყოველს რომში ჩასულს ქართველს.

გიორგი დეკანოზიშვილი

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის სავანის არქივში. დაბეჭდილია გაზეთში „ივერია“ (იხ. №95, 1901 წელი.) გაზეთის ნომერიც აქვეა შენახული.

გიორგი დეკანოზიშვილი, რომში მიმავალი და იქიდან მობრუნებული, თვეობით ცხოვრობდა მონასტრის სასტუმროში.

ზაქარია დიდიმამიშვილი

საქართველოს მთავრობისა და ქართველ კათოლიკეთა კომიტეტების საყურადღებოდ

თათენოვმა კარგად უნდა იცოდეს, რომ სარწმუნოებრივ ნიადაგზე ომის ამტეხავი ყოველთვის დაღუპულია და დაიღუპება კიდეც.

ხალხის სიძლიერეს წარმოადგენს ეროვნების გამორკვევა და აი, სწორეთ, თათენოვისებურ ადამიანების წყალობით, ჩვენ ქართველ-კათოლიკებს, დღემდე ვერ გამოგვირკვევია და ვერ აღვიდგენია ჩვენი ეროვნება;

იმის მაგიერ, რომ თათენოვიც ჩაებას ჩვენს ფერხულში, და მოუწოდოს ხალხს რაც შეიძლება ქართველებთან მჭიდროთ შეკავშირება და ეროვნების აღდგენა, ის ტრაპეზიდან ჰლანძღავს ხალხს და როგორც ხავსწაღებულ ხან დაკეტილ ეკლესიებს ეჭიდება და ხან კი მაჰმადიანთა ჯამეებს, მაგრამ ხალხი მიიწევს ქართველობისკენ და არა თათენოვისკენ.

ორიოდე სიტყვით შევეხებით სოფლად გასულ სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონის ქართველი მღვდლების მოქმედებასაც.

სოფ. **არალი** განადგურდა. გლეხობა გამოიქცა და დაბანაკდა ახალციხეს, მაგრამ მათმა მღვდელმა, ტერ-ალიზ ჩილინგარიშვილმა უფრო ადრე თავი ამოჰყო ტფილისში და დღესაც იქ იმყოფება.

სოფ. **ვალის** გლეხობა არ აყრილა მაგრამ იქაურმა მღვდელმა ტერ სერაფიმ მერაბაშვილმა გამოჰქუსლა სოფლიდან და დღეს ახალციხეში სცხოვრობს.

ამნაირად, როდესაც ამ ორი სოფლის გლეხობას კარს ადგია გასაჭირი და იღუპება იგი, როდესაც გლეხობა იხოცება უპატრონოდ და იმარხება უმღვდლოთ, სწორეთ ამ დროს მოარებულ და აწიოკებულ გლეხების მღვდლები არხეინათ დასეირნობენ გოლოვინის პროსპექტზე და ახალციხის მთავარ ქუჩებზე.

დიაღ, სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონის ქართველი მღვდლები, ჯიბეში ჩაწყობილი არხეინად არიან და ახალციხეში მყოფი პატრები კი შეგნებულად და დაუღალავად მუშაობენ დაღუპულ ქართველი გლეხობის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად.

ამის შემდეგ ასეთია შეფასება, რომ სომხის ტიბიკონის ქართველ მღვდლებს შეიძლება უწოდოთ სხვა რამე სახელი, გარდა მუქთა-ხორებისა?

ვათავებთ რა ამ წერილს ჩვენ მოვითხოვთ:

1) დაუხანებლივ ამოქმედდენ ქართველ კათოლიკეთა კომიტეტები

2) თუ რომელიმე კომიტეტი წინააღმდეგია ჩვენ ეკლესიებში ქართული ტიბიკონის აღდგენისა, ანუ ქართული წირვა-ლოცვისა ლათინურ წესზე, ასეთი კომიტეტი უსათუოდ უნდა გაუქმდეს და უფლება აღარა აქვს გაერიოს ქართველ კათოლიკეთა საკითხში

3) საქართველოს მთავრობა უეჭველად ჩაერიოს ქართველ კათოლიკეთა საქმეში.

4) მთავრობამ „ახლავე ჩამოგვაშოროს სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკონის მღვდლები, რომლებიც თავიანთი მოქმედებით და გამოსვლებით ღუპავენ ქართველ -კათოლიკეებს;

5) ტფილისში მყოფ რომის კათოლიკეთა ვიზიტიორს საქართველოს მთავრობამ ახლავე მოსთხოვოს სომხის წესის მღვდლების მაგიერ პარტიების გამოგზავნა.

6) მთავრობამ დეპეშით ახლავე მოსთხოვოს რომის პაპს ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში **ქართული ენის აღდგენა,** და თუ ასეთი დეპეშა ნაყოფს ვერ გამოიღებს, მაშინ მთავრობას ქართველ კათოლ. კომიტეტებთან შეთანხმებით უნდა საჩქაროდ გაგზავნოს პაპთან დელეგაცია ამავე თხოვნით.

7) ვიდრე რომის პაპისგან პასუხი მოვიდოდეს, მთავრობამ კატეგორიულად მოსთხოვს ტფილისის კათოლიკეთა სასულიერო მმართველობას, ყოველი ქართველი კათოლიკე, ამიერიდან მეტრიკებში, თუ სხვა საბუთებში, იხსენიებოდეს **ქართველ-კათოლიკედ** და არა სომეხ რომის კათოლიკედ.

გვეყო აბუჩათ აგდება და გვეყო მთელი საუკუნის განმავლობაში ტანჯვა-წვალება და დამარცხება.

დროა, ბოლო მოეღოს ჩვენს ქურდულად გასომხებას და დროა ვირიცხებოდეთ ქართველებად!

ორმოცი ათასამდე ქართველი-კათოლიკე დიდი ხანია ერთხმად გავიძახით:

ქართველები ვართ, გვიშველეთ, **ძალათ გვასომხებენ. ჩვენს გულიდან ასეთ ამოძახილს ყურს არავინ უგდებს**.

სახალხო საქმე, 1919, N512. ხელნაწერი ინახება მონასტრის არქივში; შეიძლება აქვეა დედანი დაწერილი.

ზაქარია დიდიმამიშვილი

კიდევ ქართველ კათოლიკეთა საკითხის გარშემო

(პასუხის პასუხი ამხ. მ. მღებრიშვილს)

როდესაც ჩვენი წერილი „საქართველოს მთავრობის და ქართველ-კათოლიკეთა კომიტეტების საყურადღებოდ“ მოთავსდა **„სახალხო საქმეში“** კარგად ვიცოდით, რომ ეს წერილი ბევრისთვის არ იქმნებოდა სასიამოვნო. მაგრამ არ გვეგონა, თუ ამ წერილზე პასუხის გაცემას იკისრებდა ამხ. მღებრიშვილი, მაგრამ ეს მან იკისრა და არ ვიცით, რისთვის.

ჩვენ მართლაც უკიჟინებდით ქართველ-კათოლიკეთა აღმასრულებელ კომიტეტს უმოქმედობას და ეს საფუძვლიანი და სამართლიანი იყო და არის, მაგრამ მ. მღებრიშვილი სცდილობს (იხ.“სახალხო საქმე N 515), გააბათილოს ჩვენი ნათქვამი ტფილისის კომიტეტის შესახებ და სცდილობს გაამართლოს უკანასკნელი, მაგრამ ამაოდ.

ჩვენს წერილში, სხვათა შორის, მოვითხოვდით დელეგაციის გაგზავნას რომის პაპთან, ამის და მიუხედავად, მღებრიშვილი ამბობს: „არც ეგრე ადვილია შველის გამონახვა, როგორც ეს ჰგონია დიდიმამიშვილსაო და განაგრძობს, რომ ჩვენ ხელ-ფეხ შეკრულნი ვართ და საქმის გადაწყვეტისათვის უნდა დაუჩოქოთ რომს და სხვაო.

პაპთან დელეგაციის გაგზავნას დიდი მნიშვნელობა აქვს, ამიტომ იყო, რომ მასთან დელეგაციის გაგზავნას მოვითხოვდით. ხოლო ვინ შეუკრა ხელფეხი ტფილისის კომიტეტს იმ დროს, როდესაც სომეხ კათოლიკეთა მმართველობა, ათას გვარ წერილებს გზავნის რომში ქართველ კათოლიკეთა წინააღმდეგ და ამავე მიზნით მან გაგზავნა რომში მღვდელი **გაბოიანი**.

თუ კი სომ-კით მმართველობამ ყოველივე ეს მოახერხა, რატომ ვერ მოახერხა ესევე ტფილისის კომიტეტმა? ვინ უშლიდა მას ხელს? ვგონებთ არავინ.

ჩვენ ვამბობდით, რომ თუ რაიმე გაკეთებულა ქართველ-კათოლიკებისათვის ეს მხოლოდ ახალციხის კომიტეტის წყალობით და სხვა. ამ ჩვენს ნათქვამს ამხ. მღებრიშვილი უარჰყოფს და იმავე დროს ადასტურებს კიდეც, და თავის პასუხში განაგრძობს: ახალციხის რაიონულ კომიტეტის დეპეშის მიღებისთანავე ტფილისის აღმასრულებელმა კომიტეტმა დაადგინა მიემართნა მთავრობისთვისაო და სხვა.

ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ტფილისის კომიტეტი, მხოლოდ მაშინ მუშაობდა და მუშაობს, თუ მას რომელიმე რაიონული კომიტეტისგან ან წერილი, ან დეპეშა მიუვა და რათ დასჭირდა ამხ. მღებრიშვილს ტფილისის კომიტეტის გამართლება, ჩვენთვის გაუგებარია.

ჩვენს წერილში აღნიშნულ რაიონულ დეპეშის შესახებ სიტყვაც კი არ დაგვიძრავს. ვეხებოდით მხოლოდ რევოლუციონურ კომიტეტის დეპეშას და ვამბობთ, რომ ამ დეპეშისთვის ტფილისის კომიტეტს ყურადღება არ მიუქცევია, მაგრამ ამხ. მღებრიშვილმა რევოლუციონური კომიტეტის დეპეშა მონათლა რაიონულ კომიტეტის დეპეშად და თავის პასუხში ამბობს: რაც შეეხება წერილში მოყვანილ დეპეშას, რომ ვითომ აღმასრულებელმა კომიტეტმა ახალციხის რაიონულ კომიტეტს არაფერი ყურადღება არ მიაქცია, ეს სრულებით მართალი არ გახლავთო.

აქედან ნათლად სჩანს, რომ ტფილისის კომიტეტს ყურადღება მიუქცევია მხოლოდ რაიონულ კომიტეტის დეპეშისთვის, რევოლუციონური კომიტეტის დეპეშა კი მაგიდის ქვეშ ამოუდვია.

სხვათა შორის მ. მღებრიშვილს სწერს: ყველა ეს მუშაობა მაინც უნაყოფოდ ჩაივლის, ვიდრე ქართველ-კათოლიკეთა „მამები“ არ გამოფხიზლდებიან საღათას ძილიდანო.

თუ ამხ. მღებრიშვილი „მამებს“ ეძახის კათოლიკეთა მღვდლებს, მაშინ განა შეიძლება მოველოდეთ მათ გამოფხიზლებას, როდესაც ერთი ჯგუფი მიიწევს სომხურ ტიბიკონისკენ და მეორე-კი ლათინურისკენ?

არა. ჩვენ მათ გამოფხიზლებას, რამდენიმე მღვდელის გამონაკლისით, არ მოველით და აი, ამიტომაც არიან დაარსებულნი კომიტეტები, რომლებმაც უნდა იმოქმედონ ქართველ-კათოლიკეთა **ეროვნულად აღსადგენად.** ჩვენ მოვითხოვთ არა სარწმუნოების გამოცვლას, არამედ ეროვნულად აღდგენას და ეს აღდგენა მოხდება მხოლოდ მაშინ, თუ ხალხი ილოცავს თავის **მშობლიურ ენაზე, რომელიც არც გაგვაფრანგებს და არც გაგვამომხებს**.

დასასრულ ზედმეტად მიგვაჩნია ავღნიშნოთ ის, თუ რა გააკეთეს ახალციხეში, ახალციხის კომიტეტებმა, მხოლოდ თუ ტფილისის კომიტეტიც ისე იმუშავებს, როგორც ახალციხისა და თავის ნამუშავარს ჩამოსთვლის და გააცნობს ხალხს, ეს იქმნება მხოლოდ სიმართლის გამოჟღავნება და არა კვეხნა, როგორც ჰგონია ამხ. მ. მღებრიშვილს.

სახალხო საქმე, N566, 1919 წ. ავტორის წერილები დაცულია მონასტრის არქივში ხელნაწერისა და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტების სახით.

ზაქარია დიდიმამიშვილი

საქართველოს მთავრობისა და ქართველ კათოლიკეთა კომიტეტის საყურადღებოდ

II

როგორც კი დაგვიწყია საქმე და ის არის, რომ უნდა დავაბოლოოთ, ამ დროს ჩვენი მტრები იწყებენ ხოლმე არეულობას და ამრიგად იშლება საქმე.

ასეთ მოვლენას სომეხ-კათოლიკეთა მართლმორწმუნე ქართველი მღვდლები ასაბუთებენ იმით, რომ კათოლიკებს ვითომ არა სწამთ სარწმუნოება და სხვა ამისთანები.

იანვრის უკანასკნელ რიცხვებში, როდესაც **ფოცხოვის** მხარეზე იგრიალეს თოფ- ზარბაზ-ნებმა, სომეხ-კათოლიკეთა ტიბიკიონის ქართველი მღვდელი, ტერ-პოღოს **თათენაშვილი**, ქართ-კათოლ. სარევოლუციო კომიტეტის წევრს ალექსანდრე **მეფისაშვილს** დაემუქრა და ფოცხოვისკენ ხელის გაშვერით უთხრა:– გესმის და ხედავ, რომ მაჰმადიანები მოდიან?!

თათენაშვილის ასეთი სიტყვებიდან შეიძლება მხოლოდ შემდეგი დასკვნა გამოვიტანოთ: აგერ მოდიან მაჰმადიანები და ახლა რაღას დამაკლებს რევოლუციონური კომიტეტიო.

მღ. თათენოვი სოფ. უდიდან არის და მისი მუქარის შემდეგ, არ გავიდა ათი დღე და უდე-არალის გლეხობა, აწიოკებული და გაღატაკებული ჩამოლაგდა ქალაქის ძველ ნაწილში.

თებერვლის ორს კათოლიკების მირქმა იყო და ქართველ-კათოლიკეთა ივანე ნათლის-მცემლის ეკლესიას, ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა, მიაწყდა უდე-არალის გლეხობაც.

მწირველი იყო თათენოვი, რომელმაც სომხური წირვა-გალობის შემდეგ, იწყო ქართულ ენაზე ქადაგება.

ჩვენ გვეგონა, რომ თათანოვი აოხრებულ გლეხობას უბრალო სიტყვით მაინც გაამხნევებდა და იმედს მისცემდა.

მაგრამ მღ. თათენოვმა ტრაპეზიდან ლაზათიანად დალანძღა მლოცველნი და სხვათა შორის სთქვა შემდეგი: „თქვენ არა გწამთ კათოლიკე სარწმუნოება, ჰკეტავთ ეკლესიებს და აი, ღმერთმაც დაგსაჯათ, შეხედეთ მაჰმადიანებს, შეინარჩუნეს ძველი ნაწილის ციხეში ჯამე-სალოცავი და ღმერთიმც იმათ ეხმარებაო“.

როგორც მოსალოდნელი იყო, მლოცველნი თათენოვის ასეთი სიტყვებით აღელდნენ და ბევრმა მათგანმა ეკლესია მიატოვა.

ვიდრე თათენოვის სიტყვების განხილვას შეუდგებით, საჭიროდ მიგვაჩნია აღვნიშნოთ შემდეგი: ორი თებერვლის შემდეგ, რამდენიც მტერი უახლოვდებოდა ახალციხეს, იმდენი ტერ პოღოს თათენოვს უგრძელდებოდა ენა და თავისს გულში დიდ სიხარულს გრძნობდა.

თათენოვის სიხარული უფრო გაორკეცდა თებერვლის 12-დან. ამ დღეს მეამბოხეებმა დაიჭირეს ახალციხე. ამ მოვლენამ ძალზე გაამხნევა თათენოვი, რომელმაც პატრ **ალიოზ ბათმანიშვილს** უფრო შეტევით და მოურიდებლად უწყო წირვის აკრძალვა ივანე ნათლის-მღემლის ეკლესიაში და მაჰმადიან ბრბოთა მათვრობის დანახვამ ისე გაათამამა იგი, რომ მან თებერვლის 16-ს პატრს გაუგზავნა შემდეგი შინაარსის ღია ბარათი:

„მ. ალიოზ. დღეის იქით ყოველ კვირა უქმე დღეობით 10 საათზე მექნება ხმოვანი წირვა და რადგანაც ეკლესიაში ერთი ტრაპეზის მეტი არ არის მოწყობილი, ამისთვის გთხოვთ, იმ დროს სწიროთ დღეს წირვა, რომ მე ხელი არ შემიშალოთ, როგორც გუშინ. ამას გარდა, გირჩევთ, რომ ამ ორ-სამ დღში თქვენ ეკლესიაში მოეწყოთ და იქ სწიროთ ხოლმე და ამით მოუღოთ ყველა

უსიამოვნებას ბოლო, რადგან მე არა მსურს, რომ ჩემი ხელის შემშლელი ვინმე მყავდეს ჩემზედ დანდობილ ეკლესიაში. თუ იმას ბრძანებთ მიზეზად, რომ ეკლესიაში აკრძალული გვაქვს შესვლა, ამას მე მოვახერხჯებ, რომ დღეინდელმა მმართველობამ პირდაპირ მოგწეროთ ოფიციალურად და ნება მოგცეთ თქვენ ეკლესიაში თავისუფლად სწიროთ ხოლმე. ამის გარდა, გთხოვთ, ურჩიოთ კომიტეტის წევრებს, რომ **ნათლის ღების შემოსავალი,** თქვენ მიერ გადაცემული **დატირების ფულები** და კიდევ თქვენ მიერ რამდენიმესგან **კუბოს გადასახადი** შემოიტანოთ ჩემ ეკლესიის სახლში, მხოლოდ თქვენ ანგარიშებს, კანონიერათ რაც გვეკუთვნისთ, ყველაფერს მიიღებთ ჩემგან. ერთ წერილში მწერდით, რომ მე მშვიდობის მოყვარული ვარო და კიდევ მინდა მეგობრული კავშირი მქონდეს თქვენთაო. ეხლა გამოჩნდება თქვენი დაპირება, როდესაც თხოვნებს აღასრულებთ და საქვეყნოთ აღარ გახდება ეს საქმე. მღ. პავლე თათენოვი.

ვიდრე ეს ბარათი პატრთან მივიდოდა, ის უკვე რამდენიმე პირს ჰქონდა წაკითხული და ჩვენც შემთხვევით ხელში ჩაგვივარდა და გადმოვიწერეთ.

მკითხველები ადვილად მიხვდებიან, თუ ვინ არის და ვისა სურს ხალხის დაქსაქსვა და შფოთის და მღელვარების ჩამოგდება?

ივანე ნათლისმღემლის ეკლესიაში სამი ტრაპეზია და თათენოვი კი სწერს ბათმანაშვილს: ერთი ტრაპეზის მეტი არ არის მოწყობილიო. რა იყო მიზეზი, რომ თათენოვმა ორი ტრაპეზის მოწყობილობა მოშალა? ალბათ, ის, რომ ბათმანიშვილისთვის ხელი შეეშალა. ამის შემდეგ თვით ხელის შემშლელი ბათმანიშვილსა სწერს: ხელი არ შემიშალოთ, როგორც გუშინ ჰქმენითო.

ნამდვილად არ ვიცით, რამდენად მართალია პატრის მიერ ხელის შეშლა, მხოლოდ ის კი ნამდვილდ ვიცით, რომ ბრძოლა მთავრობის დროს, თუ ვინმე გაბედავდა თათენოვის ხელის შეშლას, მაშინ ასეთ ხელის შემშლელს თათენოვი, ზიარების მაგიერ, გადაყლაპავდა.

თათენოვის წერილიდან ნათლად, სჩანს, რომ არა თუ ხალხს, არამედ განსაკუთრებით თვით თათენოვს, არა სურს, რომ ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში სწირავდეს პატრიც, რომლის წირვაც ვითომდა ხელს უშლიდეს მას. ამის შემდეგ თათენოვი ურჩევს პატრს: ორ-სამ დღეში მოეწყეთ თქვენს ეკლესიაში და ამით უსიამოვნებასაც ბოლო მოეღებაო.

თქმა არის, ვიდრე პატრი არ მოშორდება ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას, უსიამოვნებას ბოლო არ ექმნება. ცხადზე უცხადესია, რომ პატრს, გარდა თათენოვისა, არავინ არ-ისტუმრებს ეკლესიიდან და მაშასადამე, ვინ არის ბრალი უსიამოვნების ჩამოგდებაში? გარდა თათენოვისა?

თათენოვის ბარათიდან ისიც სჩანს, რომ მას შეუძლია მოახერხოს ბრბოთა მმართველობასთან, კანონიერის გზით დაკეტილ ეკლესიის გახსნა.*

ამგვარი განცხადების შემდეგ, ჩვენ ერთხელ კიდეთ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ თათენოვი ყოფილა და არის მაჰმადიანთა ჯაშუში და იმავე დროს–საქართველოს მოღალატე. ეს ასე, რომ არ იყოს, როგორ მოახერხებს იმ ეკლესიის გახსნას, რომელშიაც, ქალაქის არქიტექტორის ოქმის ძალით, წირვა-ლოცვა ვიდრე ეკლესია შეკეთდებოდეს, სასტიკათ აკრძალულია.

---

* ორი ეკლესიაა დაკეტილი: პირველი პატრებისა და მეორე თვით თათენოვის–ჯვართ-ამაღლებისა. თუ-კი თათენოვს შეძლება აქვს გახსნას პატრების–ეკლესია, მითუმეტეს მას შეძლება აქვს გახსნას თავისი ეკლესია, მაგრამ თავისი ჯიბის საზარალოდ რად მოინდომებს ჯვართამაღლების ეკლესიის გახსნას?

ნათქვამია: „ალიას დარდი ფლავიაო“ და თათენოვის დარდიც თავისი საკუთარი ჯიბეა და ამ მიზნით ის ბარათში სწერს შემდეგს: გთხოვთ ურჩიოთ კომიტეტის წევრებს, რომ ნათლიღების შემოსავალი და სხვა ფულები შემოიტანოთ ჩემ ეკლესიის კასაში და სხვა.

ნათლიღების შემოსავალი და სხვა ფულები ერთიან რვაას მანეთამდე ინახება, როგორც წესი მოითხოვს, ივანე ნათლისმღემლის ეკლესიის სინდიკთან, სახელდობრ, **მიხეილ წალ-დაძესთან.**

ეს, თვით თათენოვმაც კარგათ იცის და არ გვესმის, რა შუაში არიან აქ კომიტეტის წევრები?

ჩვენ კარგათ ვიცით, რომ 800 მანეთის გარდა, ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას სხვა ბევრი შემოსავალიც ჰქონდა და დღესაც აქვს, მაგრამ თათენოვის გარდა, დღემდე არავინ არაფერი იცის, თუ რად მიდის და ვის უსქელდება ჯიბე ასეთი შემოსავალით.

ჩვენ ისიც ვიცით, რომ თათენოვთან ინახება ჯვართ-ამაღლების ეკლესიის 1500 მანეთი.

ყოველთვის ეკლესიების ფულები ინახება მრევლის მიერ ამორჩეულ სინდიკებთან. ეს წესი თათენოვმაც კარგად იცის და ამიტომ ჩვენ მოვითხოვთ, რომ ამ წესს არ გადაუხვიოს არც მღვდელმა და არც ერმა, და ყველამ ახლავე თვალყური ადევნოს საზოგადოების შემოსავალ-გასავალს, თორემ მერე გვიანღა იქნება და საზოგადო ფულებიც გაჰქრება.

თათენოვის ბარათის ბოლო ნაწილიდან ნათლად სჩანს, რომ **პატრი ბათმანაშვილი** მშვიდობის და მეგობრულ კავშირის მოყვარული ყოფილა.

ისიც ნათლად სჩანს, რომ თუ პატრი არ შეასრულებს თათენოვის თხოვნას ე.ი. თუ არ გავა ეკლესიიდან, თუ არ ჩაიბარებს თათენოვის ჯიბე კასის ფულებს და სხვა, მაშინ თათენოვი საქვეყნოდ გახდის საქმეს, ე.ი. ააშფოთებს და ააღელვებს შეერთებულ მრევლს.

სახალხო საქმე, 1920 წ. N106. ტექსტი, რომელიღაც სასულიერო პირს გადაუწერია ე.წ. „წერილების წიგნში“ და შენახულია სავანის არქივში.

პ.შალვა ვარდიძე

ქართველი კათოლიკენი

I

საქართველოს ისტორიის თითქმის ყოველი ხანა შავი ბურუსით არის მოცული. ჩვენი პოლიტიკური თუ ეროვნული მიწა-წყალი მარადის განსაცდელში იყო; ჩვენი ეროვნული ზნე-ჩვეულება, სარწმუნოება და განათლება ენით გამოუთქმელ დევნულებაში ცოცხლობდა; უბედურება ჩვენს თავზე იყო დატეხილი, რადგან გეოგრაფიულათ დიდი მნიშვნელობა ქონდა ჩვენს ქვეყანას და რადგან მთელს დაცემულ, აოხრებულ **აღმოსავლეთში ისე იყო ქართველი ერი, როგორც სანთელი სიბნელეში**. ამის ჩაქრობა საჭირო იყო განათლების მომსპობელთათ-ვის;[1] ამისთვის ამათ სჭიროდათ ყველა ქართველის გადარჯულება, გადაგვარება, ან და სიკვ-დილი. ესაა მიზეზი რომ განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოში, რომელიც წინა-მაზრა იყო საქართველოსი, და რომელიც ყველაზე მეტათ იცავდა ეროვნულ წარმატებასა და განათლებას, შეირყა ყველაზე მეტათ ეროვნული განვითარება, ზნე-ჩვეულება, წესი და სარწმუნოება. ამ რყევასთან შემცირდა ხალხის რიცხვი და ვინც გადაურჩენ, მათში ბევრმა დაივიწყა თვით თავისი ვინაობა და გვარი.

საბოლოოთ არ არის გამოკვლეული, თუ როდის გამოეყო ივერიის ეკლესია რომის ეკლესიას. მაინც ჩვენ უტყუარ ფაქტათ მიგვაჩნია, რომ ეს განცალკევება ბერძნებთან ერთად არ მოხდა, რადგან მას ვხედავთ პირველათ მე XII საუკუნის დამლევს და მე XIII-ის დასაწყისში. დასავლეთის მწერალნი 1220 წელს ივერიის ეკლესიას კათოლიკეთ აღიარებენ. 1224 წელს პაპი ჰონორიუსი წერილს სწერს **რუსუდან დედოფალს** და მას კათოლიკეთ იხსენიებს. იგივე პაპი იწერება 1240 წელს და სთხოვს რუსუდანს, რათა შეუერთდეს ეკლესიას. მაშ პირველათ განხეთქილება 1230-1240 წლებში უნდა მომხდარიყო. პაპი ნიკოლა IV 1289 წ. დიმიტრი მეფეს სწერს. ამ წერილში მეფე კათოლიკეთ აღსარებულია. იგივე ჭეშმარიტება მოჩანს ამავე პაპის წერილიდან, რომელიც გამოუგზავნა საქართველოს პატრიარქს აბრაამს. 1631 წ. პაპი ურბანო VIII სწერს ზაქარიას, ივერიის პატრიარქს და ეუბნება: მე გამუდმებით ღმერთს ვევედრები, რათა ივერიის სამთავრო მარადის დაცულ იყოს კათოლიკე სარწმუნოებაშიო. რაღათ გავაგრძელოთ, ჩვენში მარადის ყოფილან კათოლიკენი. ბუნებრივათ საკითხი იბადება, თუ რა წესს მისდევდენ ჩვენი მეფეები, დედოფლები, თავადიშვილები, პატრიარქები, ეპისკოპოზები, ღვდლები, ბერები და ხალხი, როდესაც მაინც კერძოთ კათოლიკე ხგებოდენ? ევროპიული მისიონერები არ სპობდენ ქართულ წესს და ეს არც შეეძლოთ თავისი კანონების ძალით. ამისთვის უტყუარ ფაქტათ უნდა მივიღოთ, რომ ქართული წესი კათოლიკე აღსარებაში მარადის იყო, და ეს წესი დაცულ იქნა ახალციხესა და ველის სოფელში, ვიდრე მეცხრამეტე საუკუნის პირველ წლებამდი.

მისიონერების ღვაწლს ჩვენში, ვინ არ დააფასებს? ამათ რომ თავისი თავი გაეტანათ, საქართველო პოლიტიკურათა და ეკონომიურათ ფრიად განვითარდებოდა, მაგრამ მათ ეს ვერ შესძლეს ბევრი მიზეზის გამო და ჩვენი ქვეყნის მეფეებისა თუ თავადების შეუგნებლობის წყალობით.

---

[1] Cf Petrz, Monumenta Germania Historica, F XXIII, p. 911. De voyager Pietro della Yellesezprime ainsi sur ce point „In material di religionei Giorgiani come quelli xhesecondo il Baronio nelle sue note al Mertirologio 15 Decembre, ed altri autori, non costa, che si siano mai allontanati della verita cattoltca“. Yiagi, Bologne, 1577, II-e part, p-122.

თავისი მხრითაც იყო დიდი დანაკლისი: ვინც მათის ქადაგებით კათოლიკე სარწმუნოებას ეწაფებოდა, ზოგნი ქართულ წეს მისდევდა, უმრავლესობა კი ლათინურს იღებდა. ასე ერთ-ნაირათ ირღვევა გარეგნული მთლიანობა, რომელიც ყოველი საქმის დაგვირგვინებისათვის უსათუოდ საჭიროა. მეორე, **მათ არას დროს არ ისურვეს ეროვნული სამღვდელოების შექმნა**. ფიქრობდენ და მართალიც არის, ქართულ წესში ქართული სამღვდელოება რომ შეექმნათ, რა საკვირველია, ნელნელა მისიონერების მოქმედება იმდენათ აღარ იქნებოდა გამოსადეგი, რისაც ძლიერ ერიდებოდათ. აი, ამისთვის მათი მოქმედება საბოლოოთ უნაყოფო დარჩა. უკანასკნელ საუკუნეებში ეს უფრო ცხადათ მოსჩანს: როდესაც ჩვენში გაძლიერდა სომხური წესი და გამრავლდენ სომხური წესის ღვდელნი, რომელნიც ლათინებს ეცილებოდენ უფროსობაში და მმართველობაში; ესენი ვერ გაუმკლავდენ საკმაოთ, **ვერ დამარხეს სომხური პროპაგანდა**, რადგან არ იყვენ მომზადებული, **რადგან არ იყვენ ეროვნული მოთხოვნილების ფარგალში, არ ყავდათ ქართული წესის სამღვდელოება და კათოლიკე ქართველნი, რადგან თავის უცხო წესებში როგორც ლათინურში, ისე სომხურში ერთსა და იმავე სარწმუნოებას ხედავდენ. ამასთან ერთად, რა ვერ მიუხვდენ სომხური პროპაგანდის შორეულს მომავალ ნამდვილ მიზანს,** გარეშე პირობათა მიერ ძალდატანებული; თუმც პატრები ღრმათ უყვარდათ და მიაჩნდათ; საუბედუროთ, დაემორჩილენ ახალ წეს-წყობილობას, რომელმაც **იგინი გადაგვარების ქსელში გააბა.** ვიცით, თუ ჩვენში რა ადგილი ეჭირა მარადის სასულიერო წოდებას. **ქვეყნის ბედი მის ხელში იყო.**

მას შეეძლო როგორც ხალხის განათლება, ისე მისი დაბრმავება, დაღუპვა, როცა იგი თავისი ბუნებრივი სარბიელიდან გადადგა და გადაგვარდა. გამუდმებული შუღლი დაიბადა მასში. ხალხიც დაბეჩავდა; ამ უკუღმართობაში და მასთან პოლიტიკურ სისუსტეში, ვინღა იქნებოდა ხალხისთვის მზრუნველი? **ამით ისარგებლა გამოქნილმა სომხურმა პროპაგანდამ, და კათოლიკე ქართველნი თავის ეროვნულ წესში გაანადგურა.** აღმოსავლეთში საზოგადოთ– სარწმუნოებასა და ეროვნულ წესს ფრიად დიდი მნიშვნელობა აქვს, და დიდი ადგილი უჭირავს ეროვნულ საკითხში. სომხური წესით **ხალხში სომხური ენა შედის, და ვინც მას იღებს, სომეხათ სთვლიან. დღესაც ამას გაიძახიან სომხური პროპაგანდის მატარებელნი, როგორც არიან სომეხი ნაჰაპეტიანი**[1], **აბრამიანი**[2], და მოღალატე გასომხებული კალატოზოვი[3]. თუ ამათ

---

[1] **პოღოს გაბრიელ ნაჰაპეტიანი** ცნობილი მეხითარისტია, რომელმაც საქართველოში დიდი როლი ითამაშა და რაჟამს ვენაციაში დაბრუნდა ამ რამდენიმე წლის წინათ კათოლიკე ქართველების წინააღმდეგ გამოსცა წიგნი იტალიურათ. ეს წიგნი შინაარსით განსხვავდება იმ სტატიებთან რომელიც ცოტა უწინ გაზეთ „მშაკში“ იყო მოთავსებული ვიღაც ა.ს.-გან. ეს ცვლილება იქიდან აიხსნება, რომ ღვდ. თამარაშვილმა 1903 წ. „ივერიას“ NN 228, 229, 230, 231, 233, 236-ში. პასუხი გასცა იმ სტატიებს, რომლის სულის ჩამდგმელიც თვით ნაჰაპეტიანი არის. ნახეთ თამარაშვილი წიგნი „პასუხათ სომხის მწერლებს“, თფილისი 1904 წ.

[2] **სარქის აბრამიანი** საქართველოში მოვიდა უფროსათ. სომხურმა პროპაგანდამ იმდენი იშრომა, რომ ცალკე მართველობა მოითხოვა. რუსეთის მთავრობა დასთანხმდა და რადგან ეს ყველაზე კეთილი ეგონათ, რომმა განაწესა. სარატოვის ეპისკოპოზს ზედმეტ ბარგათ ქონდა სომხური წესის ეკლესიების მართვა. იგი რომში დასთანხმდა, რომ მართველობა გაყოფილიყო. რომმა აბრამიანს მიანიჭა მართველობა კათოლიკე სომხებისა. ამ უფლების ძალით თვით კათოლიკე ქართველები, სომხური წესების მიმდევარნი, ჩაიგდო ხელში. როდესაც პროპაგანდას და ვატიკანს თამარაშვილი შეეკითხა, აუხსნეს პირადათ, რომ კათოლიკე ქართველებს არ ეხება ის დეკრეტი, რადგან წერია: Pro Armenus catolicis. **აბრამიანი დღეს კათოლიკე ქართველს სომხებათ აღიარებს** თავის ოფიციალურ წერილებში. მას უნდა ყველანი გაასომხოს, მრევლი მრავალრიცხოვანი იყოს და თვით ეპისკოპოზობის კათედრა აღადგინოს თფილისში, ამისთვის ძლიერ შრომობს და თვით სარატოვის ეპისკოპოზს ომს უწევს.

[3] **კალატოზიშვილები** აბრამიანის მარჯვენა ხელები არიან. კალატოზისშვილები ოზურგეთში ცხოვრობენ. ამ ფრიად გადაგვარებულისა და მოღალატე ღვდლის საქციელი ყოვლად სამარცხვინოა. ამის პირითვე გაგვიგონია: მე მრავალი ძველი ხელნაწერი შევიძინე, განსაკუთრებით ახალციხის მაზრაში და ვენეციაში გავგზავნეო. ამისი ასე

მზგავსნი ახალციხის მაზრის ღვდელნი, რომელნიც კერძო განცხრომისათვის ყურმოჭრილი ყმანი არიან აბრამიანებისა, მტერი ლათინებისა, უარმყოფელი კათოლიკე ქართველებისა და დამშლელი ქართული წესისა.

მოხუცებულებისაგან გადმოცემით, ვიცით, რომ ჩვენში **სომხური ტიპიკონი შემოუტანია ერთ სირიელ ღვდელს**. ამის დასამტკიცებლად ივ. გვარამაძემ აღმოაჩინა მისი მოტანილი სახარება, კილიკიაში დაწერილი 1328 წ. ამ დროებშივე თფილისში ლათინის ეპისკოპოზი დაჯდა და **ეპარქიათ მიეცა მთელი საქართველო.**

როგორც მისიონერები მოქმედებდენ მათთან, სამ სირიელ ღვდელსაც შეუძენია მიმდევარნი. ნელნელა გავრცელდა სომხური წესის მიმდევარნი; **ღვდელი სომხურათ სწირავდა და ერი ქართულათ გალობდა**. ქ. ახალციხეში, წმ. ივ. ნათლისმცემლის ეკლესიას[4] სამხრეთით მიდგმული ქონდა ერთი მატური, რომლის კარზეც წარწერაა სომხურათ: სადათიერა, დოვლათარა, გულბაჰარა, მურადი და საპანდარა. ეს ხუთი სპარსელი ძმანი გასომხებულან 1510 წელში. ეს ეკლესია მართლმადიდებლებისა ყოფილა და კათოლიკე ქართველებს ეს მატურა მიუდგიათ, შემდეგ სომხური წესის ღვდლები შესულან.

რამდენადაც ეს ელემენტი იზრდებოდა, ძლიერდებოდა, იმდენათ მისიონერებისა და მათ მიმდევართა დევნა ძლიერდებოდა,–ამაში ეხმარებოდენ გასაოცრათ გრიგორიანები; ხშირათ იყო ველური დარბევაც ეკლესიებისა, როგორც ვიცით თამარაშვილის წიგნებიდან. ამიტომ, რომ ვეღარ გაუძლეს ამდენ ტანჯვას, რომელსაც ოსმალოს ფაშებიც ხელს უწყობდენ, ნელ-ნელა დასტოვეს ლათინური წესი და შემოიღეს სომხური. ამით სომხის კათოლიკები სარგებლობდნენ და ხარკს იღებდნენ კათოლიკე ეკლესიებიდან. რა მოჰყვა ამას? სომხური წესის მიმდევარნი კათოლიკე ქართველი ღვდლები დაფაცურდენ, დაიწყეს დრტვინვა და საჩივრები, სადაც ჯერ იყო. მაგრამ რას გამოიტანდენ, როცა არ ესმოდათ, თუ რა ცუდს სარბიელზე იყვენ და ვის ეომებოდენ. გურბეში ჩავარდნილი ადამიანი რამდენადაც გაინძრევა, იმდენათ ჩაიფლობა. ჩვენი ერის მოწინავენიც უფრო და უფრო სომხების კლანჭებში ვარდებოდენ. არავინ იყო მათი გამომხსნელი; **პოლიტიკური, ქართული ეროვნული ძალა აღარ არსებობდა სამცხე–საათაბაგოში.** ამისთვის შემცირდა ნელნელა არა მარტო ქართული ენის მოლაპარაკე, უპატრონობით ბევრი ქართველი დაიღუპა, ბევრიც გადაგვარდა, ან სომეხათ აღიარა თავი ან და გამაჰმადიანდა. რადგან საწყალ ერს ყველა **შეუბილწეს, ყველა წაართვეს თვით თავისი ენაც, რომლითაც ღმერთს ეღაღადებოდენ და თავის საღვთო სარწმუნოებას აცხადებდა. ვიცით, სარწმუნოება, რომელიც ეროვნების ბურჯია,** მარტო **ცივი რწმენა არ არის,** გარეგნული ფორმებით, გაცისკროვნდება, რომლითაც ერი სარგებლობს განვითარებაში წინმსვლელობისათვის. ეს ერთი მიზეზთაგანიცაა, რომლითაც სამცხე-საათაბაგო განადგურდა.

ამის მაგალითს ველელები წარმოადგენენ, რომელნიც დღეს თავს სომხებათ აღიარებენ, რადგან სომხურ წესს მისდევენ და ენაც დაუვიწყებიათ. ამავე აზრის მიხედვით, ჯერ **აბრამიანი** ახალციხის ქართველ კათოლიკებს ყველგან კათოლიკე სომხებათ აღიარებს და თვით ევროპაში **ნაჰაპეტიანმა** ასე დასწერა: სომხური პროპაგანდა იმდენათ ქართველი ეროვნების წინააღმდეგი

გასომხება, რას უნდა მივაწეროთ? ქართველი საზოგადოება საკმაოთ იცნობს მას. მისი მავნე მოქმედება დღესაც არ შეწყვეტილა.

[4] **ბროსე** ამბობს, რომ ეს ეკლესია აშენებულია 1298 წ., რადგან კარის ქვაზე პატარა ქვაა ჩაყოლებული 1301 წლისა, მაგრამ ეკლესია უფრო ძველია. სტილის მიხედვით მერვე, მეცხრე საუკუნეების.

იყო, რომ ისინი არ ეძებდენ სარწმუნოების გავრცელებას, რადგანაც თუ სარწმუნოება მიზნათ ქონდათ, რისთვისაც ცდილობდენ სომხური ტიპიკონის დამყარებას თვით იქ, სადაც ქართული ანუ ლათინური წესით იყვენ კათოლიკები? რისთვის შაჰყულიანმა მოსპო კათოლიკე ქართველი მრევლი და მათ მისცა სომხური წესის ღვდელი, როდესაც თვით რომი მას უბძანებდა–ყმაწვილები გაეგზავნა, რომელნიც ქართულ წესსზე ეკურთხებოდენ და კათოლიკე ქართველ მრევლს შეინახავდენ?

ამაზე უფრო ვრცლად ვერ ვილაპარაკებთ; მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ **ყოვლად ცუდი მისწრაფების სათავეში მარადის თვით ქართველები უდგენ;** აი, ამისთვის ძნელი იყო საქმის გამოკეთება; როგორათაც ძნელია ახლა, რადგან ახლაც ჩვენიანების ღალატით იგივე მდგომარეობაში არიან ახალციხის კათოლიკე ქართველნი, რომლებსაც უბრძანებს ვიღაც სომეხი და მათ სომეხათ რიცხავს.

შეგვეძლო გველაპარაკა თუ რა დევნას განიცდიდა კათოლიკე ქართველობა სომხის კათალიკოზებისაგან, თუ ქართველი რამდენ ჯერ აუხსნელ ტანჯვას განიცდიდენ, რათა ენა, ზნე-ჩვეულება, და გვარი არ დაევიწყათ, თუ რამდენი გასომხდენ, და ვინც აიტანა ამდენი უბედურება, როგორ დაიქსაქსენ. მაგრამ აქ ნებას არ გვაძლევს ადგილი.

ჩვენი აზრი უფრო ნათლათ გამოჩნდება მამა **პეტრე ხარისჭირაშვილის** მოქმედებაში და მის უთანხმოებაში შაჰყულიანთან, **რომელიც ცოცხალი სურათია მთელი ეროვნული მისწრაფების დაცემისა.**

მამა პეტრე ხარისჭირაშვილის წინაპრები, რამდენათაც გადმოცემით ვიცით, ბარალეთლელები ყოფილან. ეს თუმცა მტკიცე არ არის, მაგრამ მაინც ჯერჯერობით ეს აზრი უნდა შევიწყნაროთ შემდეგი ფაქტით: **ბარალეთში** ლეკები თავს დაესხენ ადოვაშვილს, ბარალეთიდან ლეკები სოფელ **გოკიას** თავს დასხმიან, და ცეცხლითა და მახვილით აუოხრებიათ. დატყვევებულთა რიცხვში, ახალ ჯვარდაწერილი ბაბუნათ პატარძალი, **დაულჯინიათ** ქალი ყოფილა. შემდეგ ტყვენი ახალციხეს გადმოსახლებულან.

ჩვენ სწორეთ არ ვიცით, თუ ხარისჭირაშვილებიც ტყვეთ იყვენ და დაბრუნებისას ახალციხეს დაბრუნდენ. მეთვრამეტე საუკუნის დამლევს მათ ახალციხეში ვხედავდით.

სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ერი“, 24, 1914 წ.

სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცულია მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი.

შალვა ვარდიძე

ქართველი კათოლიკენი

მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში სამი უმთავრესი შტოა **ხარისჭირაშვილების** ოჯახისა: პირველი იყო **არუთენა** (უსინათლო), რომელსაც ორი ძმიდან დარჩენოდა შთამომავალნი: ერთისაგან მამა პავლე (ტერ პოღოსი) და მისი ძმები და მეორიდან იოსები. **იოსებ ხარისჭი-რაშვილს ბაბუნათ ქალი შეერთო ცოლათ**; ორი ვაჟიშვილი ეყოლა, მაგრამ ბედმა არ დააცალა მათი აღზდა. იოსები გარდაიცვალა და **ბაუნათ ქალმა ანამ** იკისრა ობლების კეთილად აზდა. ობლებში პირველი იყო **ლუკა**, მეორეს ერქვა იოვანე. ლუკა, შემდეგ **პეტრე, დაიბადა 20 აპრილს 1818 წ.** და მოინათლა ქ. ახალციხეს წ. იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიაში **მამა სტეფანისგან** (აბინათ ესასშვილი). იოვანემ ხარაზობის ხელობას მოკიდა ხელი, ლუკას მისწრაფება სულ სხვა იყო, დიაკვნობდა ეკლესიაში.

ლუკა შუა ტანისა იყო, მშვენიერი, თეთრ-წითელი სახე, მაგრამ მასთან, სუსტი თვალები. უყვარდა წერა-კითხვა, სწერდა **საქრისტიანო მოძღვრებებს** და ყიდდა **ვალეს** თუ **უდეს**, სადაც მამულები ქონიათ. **ცოცხალ ნიჭთან დიდი თავმოყვარეობა, თავდამლობა, ღვთის მსახურების სიყვარული და გამჭრიახობა ქონდა.** ლუკამ მალე გადაწყვიტა, თუ თავის ცხოვრებას რა სარბიელში ჩააყენებდა. აირჩია სასულიერო წოდება, ამისთვის ბეჯითად დაიწყო სწავლა ქართულისა და სომხური ენებისა, აბინათ მამა სტეფანეს წინამძღვრობით. როდესაც იგი შეუდგა ღვთისმეტყველების სწავლას, მაშინ **შაჰყულიანი** კიდევაც გაცხარებულ ომში იყო ევროპიელ მისიონერებთან. მრავალგზის დამარცხებულმა და რომიდან შეჩვენებულმა შაჰყუ-ლიანმა 1840 წ. ათასი ხრიკის საშვალებით რუსის მთავრობის წინაშე გაიმარჯვა და ხელახლათ ძალათ გაუფროსდა.

შაჰყულიანის წინაპარნი გორიდან გადმოსულან. დღესაც არიან გორის სოფელ **შინდისში** და აწყვერის ახლო სოფელ **ტაძრისში** შაჰყოლიშვილები. დავით, შემდეგ პავლე, შაჰყულიანი დაიბადა 1769 წ. 1781 წელს რომში გაუგზავნიათ სასწავლებლათ. რადგან პროპაგანდაში ორი ქართველისთვის არის ადგილი მის დაარსებიდანვე.

შაჰყულიანი, საუბედუროთ, იქ გადაგვარებულა. მაშინ პროპაგანდაში მწერლათ ყოფილა **ბაღინათ მამა გრიგოლი, მეგობარი ვენეტიკელებისა,** რომელსაც დავითითვის არა მარტო სომხური ენა შეუსწავლებია, თვით სომხობა ჩაუგონებია. ეს ბაღინათ მამა გრიგოლი იგივე პირია, რომელმაც წიგნ ბასმას, გადათარგმნილს და დაბეჭდილს რომში, ქართველი ტულუ-კაანთ დავითისგან, მეორე გამოცემაში **სათაური შეუცვალა ასე: თარგმნილია სომეხი ქულუ-კიანთ დავითისაგანო**.

შაჰყულიანი ახალციხეში მოვიდა 1798 წ. 1801 უფროსობა მიიღო და თუ მაშინ ქართული წესი როგორ მოსპო, თამარაშვილის კათოლიკეთა ისტორიაში აღნიშნულია. 1826 წ. თიბათვის 1-ს ურჩობისა და ათასი უწესობის გამო, ღვდლობიდან გადააყენეს; მაგრამ შაჰყულიანმა უფრო დიდი არეულობა მოახდინა, უფრო ცხადი ურჩობა გამოიჩინა. იგი აჯანყების დროშას ატარებდა, როდესაც 1828 წ. 15 მაისობას რუსის ჯარმა აიღო და აიკლო ახალციხე. 1829 წ., 10 თებერვალს, ახალციხეს თავს დაესხა აჰმედ ბეგი ხიმშიაშვილი, როცა ვერ შეიძლო ციხის აღება, აიკლო ქალაქი, ოთხმოცამდი ტყვე მოკრიბა და წავიდა. ხალხი ვეღარ მოთავსდა და გაიფანტა გორს, იმერეთსა და თფილისში.

შაჰყულიანიც წავიდა. მალე დაბრუნდა საომარ ველზე, მაგრამ მისიონერებმა, რომის ბრძანებით, შეაჩვენეს საჯაროთ ახალციხის ქვემო საყდარში. ეს მოხდა 1840 წ. მარიობის 30-ს. ამნაირი სულიერი ძალა საკმარისია იმისათვის, ვისაც სინდისი აქვს; მაგრამ მან, შაჰყულიანი კი ვერ დაამარცხა, პირიქით უფრო გაამძვინა; მაშინ გადასწყვიტა პატრების დაღუპვა, რომელნიც მის უწესო საქციელს კიცხავდენ და რომშიც ატყობიებდენ. მაინც ათასი ხრიკის საშვალით რუსის მთავრობის წინაშე გაიმარჯვა და ხელახლათ გაუფროსდა. ასეც იქნებოდა, როდესაც ვიცნობთ შაჰყულიანის ხასიათს.

შაჰყულიანი ჩასხმული შუატანის კაცი იყო; პირბადრი, სახე თეთრ-წითელი, ცხვირი დიდი, თვალები ლურჯი და ელვარე ქონდა: ენა მეტყველი იყო და დიდკაცური შეხედულებისა. ბუნებრივს კეთილ თვისებებთან ცუდი ბევრი ქონდა: ფრიად გაუტეხელი, მოშურნე, ამპარტავანი, მედიდური და მეტათ გლისპი; ერთი ღვდლისთვის მიუწერია, დამემორჩილე, თვარა შეგაჩვენებო. მასაც უპასუხნია: შენ თვითან შვიდჯერ შეჩვენებული ხარ (ეს ფაქტიურად მართალია), სადღა გაქვს იმდენი შეიძლება, რომ მე შემაჩვენოვო!

ამ უფროსობის დროს იფიქრა, თავისი მომხრე ღვდლები გაემრავლებია, რათა ამდენი ხრიკებითა და ძალადობით მოპოვებული უფროსობა ხელიდან არ გამოსცლოდა; იგი არ ეძებდა ხალხის გაბედნიერებას და ეროვნულ წინწასვლას, არამედ, პირად დიდებას და ამპარტავნებას სწირავდა ყოველიფერს და თვით ეროვნულ გრძნობასაც. 1842 წ. პეტერბურგში ღვდლათ საკურთხებლად გაგზავნა **ასატურათ იოვანე, გალუსტათ იოსები, ფეიქრიანთ იაკობი** (არლელი), ეშტიელი პავლე და **ხარისჭირათ ლუკა**, რომელმაც ღვდლით კურთხევის დროს **პეტრე** დაირქვა სახელათ.

ახალ ნაკურთხებში, ყველაზე სწავლული, გამჭრიახი, მოლაპარაკე, სინდისიერი პეტრე იყო. შაჰყულიანმა შენიშნა მისი ნიჭი და თავის შემწეთ აირჩია. კაფუჩინების გადევნის დროს 1845 წ. ახალგაზრდა ღვდელი პეტრე ჯერეთ გაურკვევლათ იყო; თვით ამ საკითხში ყოყმანობდა; წინ არ აღუდგა შაჰყულიანს, რადგან ფიქრობდა: ამდენი უთანხმოება და ომი მოისპობა, როდესაც საქართველოს კათოლიკენი შეერთებული იქნებიან და ერთი მთლიანი სულიერი მმართველობა იქნებაო. შეერთება შეუძლებელი იყო, რადგან მისიონერების მაგიერ პატრები იქნებოდენ. ესენიც, როგორც სომხური წესის მიმდევარნი, მაშინ, ჩვენი ეროვნების გარეშე იყვენ. მაგრამ მაინც, რადგან ლათინური წესი ეროვნული მისწრაფების წინააღმდეგი არას დროს არ ყოფილა და არც იქნება, სომხურ პროპაგანდას, მაშინ, როგორც დღეს, წინ ეღობებოდენ, რადგან სომხური პროპაგანდა ჩვენ გადაგვარებასა და ჩაქრობას გაიძვერული ოსტატობით ცდილობდა და ხშირათაც ძალასაც ხმარობდა.

მკითხველი დაინახავს, თუ მამა პეტრეს რა ცუდ წრეში და რა ადამიანთან მოუხდა მუშაობა. გამჭრიახმა ადამიანმა მალე შეიგნო, თუ რა უკუღმა გზას ადგა კათოლიკე ქართველობა და თუ რამდენათ მოღალატენი მას წინ უძღოდენ გადაგვარებისაკენ. შჰყულიანის დაახლოებით უფრო კარგათ შეიძლო მისი გაცნობა: მისი წარსული ასწონ-დასწონა, მისი რომისადმი ყოვლად გაუგებარი ურჩობის მიზეზი და ჩვენი ეროვნული წესის მოსპობის აღსასრული გამოირკვია. ცხოვრების ყველა პირობა ძლიერათ მოქმედობდა ამ **სინდისიერსა და ნიჭიერ ადამიანზე** და იძულებულს ხდიდა გამოეძებნა ახალი საშუალება ამდენი უწესობისა და უსამართლობის მოსასპობათ. მისი მოქმედების ნაირობა უფროდაუფრო უცხადდებოდა და

თანდათან აშორებდა ამ ახალგაზრდა ღვდელს შეჰყულიანისაგან, რომელთა სულიცა და გულიც თავის დღეში არ იყვენ შეკავშირებული.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

დაიბეჭდა გაზეთში „ერი“, N24, 1914 წ.

შალვა ვარდიძე

ქართველი კათოლიკენი

მამა პეტრე ხარისჭარაშვილს ღრმათ ქონდა გულში სარწმუნოებისა და ერის სიყვარული. იგი ხედავდა, რომ ხალხი დაბეჩავებული იყო, ეკონომიურათ დაცემული, სარწმუნოებაში უმეცარი და გულცივი, **განათლების ყველა საშვალებას მოკლებული.** განსაკუთრებით უხეირო სამღვდელოების წყალობით, ხედავდა, რომ ერისთვის საჭირო იყვენ ღვდლები, მაგრამ ახალი მისწრაფებისა: **ღვთისნიერნი** და **გაწვრთნილნი,** რომელთაც შეეძლებოდათ **ერის წაძღოლა მათი კანონიერი მოთხოვნილების აღსადგენათა და დასაცველათ**.

მას უნდოდა მშვიდობა, ერთა შორის თანასწორობა, ეროვნული წესიერი და სამართლიანი განვითარება და სრულებით ვერ აეტანა იმ გამუდმებული ქიშპობის სურათი, სომხური გასაკიცხი პროპაგანდა და ქართველი ერის დაჩაგვრა, **რომლის მიწა-წყალზეც დროებას სტუმრათ მოეყვანა სომხის ხალხი**.

ამ მიზნისათვის იგი ეძებდა შეგნებულ პირთა, მაგრამ სინდისიერთა, რომელნიც მის აზრს გაიზიარებდენ და ცხოვრებაში გაატარებდენ. მას უნდოდა ახალი საღი თაობა მომზადებული მასსავით. ამ დიდებულ გულისკვეთებას შაჰყულიანს ვერ გაუზიარებდა; გაეცნო ახლათ ნაკურთხს ნიჭიერ ღვდელს **ალექსანდრე არარატიანს**[1]; ამას ჩააგონა, რომ საჭირო იყო განათლებული ღვდლების მოქმედება ერში; ერთობით ძალას შევიძენთ, შევიგნებთ ჩვენს ვითარებასა და ცხოვრებას ახალ სარბიელს მივსცემთო. ეს შესაძლებელი იყო მაშინ, რადგანაც ქიშპობა იმდენათ აღარ იყო, როდესაც შაჰყულიანი თავისი უფროსობის განცხრომაში იყო და ფიქრობდა, თუ როგორ განემტკიცებია თავისი სასულიერო მმართველობა, ამ დროს ამას დიდი საქმე შეეძლო გაერიგებია, თუ რომ ეროვნული რამ გრძნობა ქონოდა. **არარატიანი, ვითარცა გამჭრიახი სომეხი, უფრო შორს სჭვრეტდა.**

ლათინების განდევნაზე სიხარულით ხელებს იფშვნეტდა, მხოლოდ მამა ხარისჭირაშვილი იყო, რომელსაც ყოველ წუთს საფიქრებელათ ქონდა ხალხი და ეროვნება. შაჰყულიანს, როგორც არარატიანს, კათოლიკე ქართველობის დარაჯათ მიაჩნდა იგი, რომელიც დღეს თუ ხვალ გამოვიდოდა ცხოვრების ფართო ასპარეზზე და დაიძახებდა: მგლები და მელა-ტურები შემოგვეპარენო. ამისთვის გაჰყულიანი არაფერს ფიქრობდა და არიგებდა, არც მამა პეტრესთან იკვლევდა ახალ პლანებს. არარატიანი კი ცდილობდა, როგორმე მამა ხარისჭირაშვილის საშვალებითა შაჰყულიანი დაემარცხებია და მერე ცხოვრების ასპარეზიდან მოეშორებია, გაენადგურებია იგი მრისხანე უფროსის შაჰყულიანის მიერ. ამისთვის დაუმეგობრდა, დაუშინაურდა მამა პეტრეს და ჩუმათ გააბა ქსელები **ზარაფიან**[2] **მამა გრიგოლთან.** მამა პეტრე კე-

---

[1] **არარატიანნი ყარაქილისელი** იყო და ყარაქილისა ალექსანდრეპოლის ახლო სოფელია, მამა ყავდა ალაშვერტელი გლახაკი კაცი, დედა მისი თამარი ქართველი ბავრელი ქალი იყო. სწავლის გამო ყმაწვილი მისავე მშობლებს გაექცა და მამა ანტონ სოფელ ეშტიას ღვდელთან მივიდა. მერე მამა გრიგოლ ზარაფიანთან განაგრძო სწავლა და ბოლოს თვით შაჰყულიანთან დასრულა საღვთიმმეტყველი მეცადინეობა.

[2] **ზარაფიანი** ჩამომავლობით ბერძენი იყო ანდრიანიკების მოგვარე. ლიბანიის სომეხთა მონასტერში ბერათ აკვეცილი იყო, თვით საკათალიკოზო გამგეობაში წევრათ ირიცხებოდა. რაღაც ღალატის გამო ღვდელობიდან გადაუყენებიათ. რუსის მოსვლისას, აზროუმიდან გადმოსახლებულ სომხებს გადმოყვა ახალციხეს, გაეცნო შაჰყულიანს, რომელმაც რომში უშვამდგომლა და ხელახლათ მიეცა ღვდელმოქმედება. ზარაფიანი ნიჭიერი კაცი ყოფილა, მაგრამ ფრიად სნეული შავნაღვლიანობით.

თილი, გულწრფელი ადამიანი რომ იყო და საქმეს უმზერდა, **ვერ მიხვდა დასაწყისში არარა-ტიანის მზაკვრობას,** სამთავემ დასწერეს თხოვნა და მიართვეს შაჰყულიანს, რათა მაღალი სასწავლებელი დაეარსებიათ. შაჰყულიანი დათანხმდა. მერე რომ გაიგო ამ დაწესებულების მაღალი მნიშვნელობა, უკანვე წაიღო თავის დაპირება.

იწყინეს სამთავემ და მთავრობასთან იჩივლეს, შაჰყულიანი მოხუცებულია და აღარაფერი ესმისო. მოხდა გამოძიება და გამარჯვებული კიდევ შაჰყულიანი გამოვიდა. არარატიანმა და ზარაფიანმა თავი დააწიეს, შაჰყულიანს შერჩა მამა პეტრე, რომელიც ნანობდა მათთან კავშირსა და საქმის დაწყობას, მაგრამ გვიანღა იყო. შაჰყულიანმა თავისი ჩვეულებრივი ხასიათით დაუწყო მას დევნა და ჯიბრში ჩადგომა: არ იკმარა მრევლის ჩამორთმევა, თვით გალობითი წირვაც აუკრძალა, რადგან იგი მიჩნეული იყო ხალხისგან, რომელნიც აღელდა და ჯერ პირად სთხოვეს, მერე წერილით, მაგრამ შაჰყულიანმა არცერთი არ მოისმინა: მე უფროსი არქიმანდრიტი ვარ, ჩემი საქმისა მე ვიცი, ვერვინ გაერევით ჩემს საქმეში, თქვენ მომვლელი ღვდელი არ მოგაკლდებათ, ეს ნუ იყოს და სხვა იყოს, თქვენთვის სულ ერთიაო.

რადგან მამა პეტრეს ხალხი აფასებდა, ამისათვის შაჰყულიანმა უფრო დევნა დაუწყო და მოსვენება არ მისცა. მაინც მამა პეტრეს ამნაირი მდგომარეობა შეუძლებელი იყო, დღეს თუ ხვალ მისგან საყვარელი ხალხი ხმას მრისხანეთ აიმაღლებდა. შაჰყულიანმა სხვა ზომები გამონახა. იმ დროს თუ ვისმეს მართლა ცხოვრების უკუღმართობა უნდა გაესწორებია, საჭირო იყო ქალაქში ეშრომა, მაღალი სამღვდელოება და მართველობა გამოეკეთებია. მამა პეტრე, ხვდებოდა და ამას უმიზნებდა, ამისთვის იგი შაჰყულიანისთვის მარადის საშიში იყო. მიიღო ბრძანება, რომ სოფლათ (**ხიზაბავრას**) წასულიყო. მამა პეტრემ ბუნებრივის სისუსტის გამო, აიღო მკურნალის მოწმობა და მოახსენა: **ზეგანი და ქარიანი ადგილია ხიზაბავრა, მავნებელი იქნება ჩემის სიმთელისთვისო.**

შაჰყულიანი შედგა. ამ დროს **სავალეს** ღვდელი მამა **პავლე ხარისჭირაშვილი, ბიძა მამა პეტრესი,** შეუძლოთ გახდა თვალის ტკივილითა და ახალციხეს ჩამოვიდა. სოფელი უმღვდე-ლოთ დარჩა და **მამა პეტრე წავიდა ბიძის ადგილას.** სოფელში თავისი ქადაგებებით რამდენ-სამე თვეში გამოაღვიძა ხალხი და ისე შესცვალა იგი, რომ ყველანი კვირობდენ. ერთ დღეს მიიღო წერილი მეგობრობისგან, რომელიც აცნობებს: შაჰყულიანს უნდა შენი გაგზავნა ხიზაბავრას და იძახის: თუ 12 ვერსზე წავა, 45 ვერსზეც ივლისო, წინააღმდეგ შემთხვევაში ყაზახებს გიქადისო. ამას მოყვა შაჰყულიანის წერილიც, რომლითაც ხელახლათ ხიზაბავრას ამწესებდა. მას ხალხი არ უშვებდა, თვით შაჰყულიანს სთხოვეს, მაგრამ ნათქვამია: ძალა აღმართს ხნავსო; ხალხს უთხრა: თქვენ მოგეცემათ, რომელიც ხიზაბავრას არის და უკეთესია თქვენთვისო. **ხაზაბავრელები მოვიდენ და დიდის დიდებით და პატივისცემით წაიყვანეს დევ-ნილი ღვდელი.** ამ სოფელშიც დატრიალდა ხალხში, დაუწყო წურთნა, გახდა მისი სული ისე, რომ ცხოვრება უკეთესდებოდა დღითიდღე და ხალხიც მას ეთაყვანებოდა.

კიდეც 1849 წელი დადგა. არარატიანი და ზარაფიანი გადგომილი და გაჩუმებული უმზერდენ ამ შეტაკებას. თუმც უხაროდათ მამა პეტრეს ასეთი დამარცხება, მაგრამ სწუხდენ, რომ შაჰყულიანი კიდევ მაღლა საფეხურზე იდგა. დევნულთან არ შესწყვიტეს მიწერ-მოწერა: მამა პეტრეც დაადგა სხვა გზას. ცდილობდა ამათი საშვალებით როგორმე დაეცა შაჰყულიანი, რომელსაც გული არ უსვენებდა და არ წყნარდებოდა, რადგან იცოდა ამ მიწერ-მოწერის ამბავი, და თუმც მოიშორა თავიდან, მაგრამ ახლა ხიზაბავრა უფრო საშიში გახდა მისთვის. შორიდან

დაინახა მამა პეტრეს სიძლიერე; ყოველთვის ჩამოსულ ხიზაბავრელებს ეკითხებოდა მის გარემოებას და მათგან მხოლოდ ქება-დიდება ესმოდა, მართალია, რა გინდ არ იყოს, **ჭეშმარიტება და სათნოება ძალზე უძლიერესია ყოველგან.**

მამა პეტრეს დაცემაში შაჰყულიანმა უფრო გამოარკვია იგი, გამოიყვანა იგი ცხოვრების ასპარეზზე, უფრო აამაღლა ხალხის მხედველობაში. მარადის შიშობდა და ფიქრობდა, როგორც ამბობს მემატიანე: ვაი თუ მიღალატონ და დამტოვონ ცარიელზეო! ხედავს მკითხველი, თუ რა ნათლათ გამოსჭვივის შაჰყულიანის სულის კვეთება? უფროსობა მარტო თავისი ამპარტავა-ნობისთვისა და განცხრომილი ცხოვრებისთვის უნდა. ამას მამული ქონდა ს. ვალეს და ახალციხეს, რომლის შემოსავალიც ორ სახლობას ეყოფოდა წლიურათ. დღესაც განაგრძობენ მზგავს დაბალ მოქმედებას გადაგვარებული ღვდლები, როგორიც არიან **კალატოზოვი**, ხიზაბავრის ღვდელი მამა **კოტე შეშაბეროიძე**, რომელიც საკურთხევლიდან ხალხს ლანძღავს და ურცხვათ თხოულობს შეშას, ერბოს, ყველს, პურს, კვერცხს, ქათამს და სხვა. ცოლშვილი მეხოცება სიცივ-შიმშილით, წაწყმდებით, თუ ჩემს ვალს არ მომცემთო.

ახალციხის მაზრის ღვდლები კიდევ უფრო კეთილი ცხოვრების მოყვარული არიან. ამის დასამტკიცებელი საბუთი მრავალი გვაქვს.[3/4]

შაჰყულიანს კარგათ შეეძლო ახალი წესწყობილება შემოეტანა და კათოლიკე ქართველები ახალ სარბიელზე დაეყენებია, როგორც დღეს ქართველს გასომხებულ ღვდლებს შეუძლიათ ხალხს ჩააგონონ და წინ წაუძღვენ ეროვნული მისწრაფების აღორძინებაში. მაგრამ როგორც იგი, ესენიც კერძო სარგებლობაში ჩაფლული არიან, არ უნდათ იქიდან ხელის აღება და აი, ამისთვის თითქმის ყველა სომხურ წესის მიმდევარი კათოლიკე ქართველი ღვდლები ხალხისა და გვარის უარმყოფელი არიან, თავისი მოქმედებით ორპირობენ: არ უნდათ, ქართული ანდაზისა არ იყოს, არც წვადის დაწვა და არც შამფურისა; ესენიც რომ სარწმუნოებას თავისი მოქმედებით ამცირებენ და დღითიდღე ხალხიც ერიდება. დღეს ყველგან გაისმის: ღვდლები ასე იქცევიან და ჩვენ რაღა ვქნათო. ხალხი ვეღარ ხედავს კეთილ მაგალითს, აღარ ესმის მას საფუძვლიანი ქადაგება; ახალი თაობა აღარ იწვრთნება საქრისტიანო მოძღვრებებით: ღვდლებს არ სცალიათ, მთელი დრო ქიშპობაში, ანუ კერძო ცხოვრებაში ეკარგებათ; სადილი, ლოთობა, ქაღალდის თამაში ანუ გამუდმებული სიზარმაცე ეს, ხომ მათში ჩვეულებრივი მოვლენაა.

შაჰყულიანი, შიშით ძილგაფრთხობილი, მამა პეტრეს უდარაჯებდა, არსიდან თავს არ დამეცესო. პეტრე კი ხალხში ტრიალებდა, მუშაობდა მრევლის წინმსვლელობისთვის, იგი იმ დროინდელი ცხოვრების უკუღმართობის გამოსწორებისთვის ზრუნავდა. მაინც მას თითქმის შეუძლებლათ ხედავდა; აწყობდა ახალ პლანებს. მაგრამ ერთმა მოვლენამ იგი სულ გამოიყვანა

[3/4] ერთი ამბობდა საჯაროთ: კაცი ორ უფალს ვერ ემსახურებაო: ან ღმერთი ან ცოდვილი მჭირიაო... მეორე მარადის ჩიოდა: აქ ცხოვრება შეუძლებელია, ეკლესიიდან თვეში მხოლოდ ერთი თუმანი მეძლევა. ყოველთვის აბრამიანს ვსთხოვთ, სოფლად გამამწესოს, სადაც ცხოვრება შეიძლებაო. მიზანს მიაღწია და როდესაც იგი მარტო განცხრომილ ცხოვრებას დაეძებდა, თავიდანვე მრევლს საკურთხევლიდან ამ სიტყვებით მიმართა: უფლის წყალობით მომავლინა ჩვენმა მთავარმართველმა აბრამიანმა თქვენდა მწყემსათ და წინამძღვრათ... ამბობს წმიდა სახარება, რომ მწყემსმა კეთილმა სული დასდვას ცხოვრებისთვისაო.

რომ მხედველობაში მივიღოთ წლიური საზოგადო გადაწყვეტილი ჯამაგირი, სოფლებში თითო ცოლქმარზე კოდ პურს ბევრს ადგილას იღებენ: ერბო, ყველს, რძეს, ქათამს, კვერცხს, სუფრებს და სხვადასხვასაც. რაც მოსეს რჯული ამოუკითხიათ, **ნათლავენ გულით, ასამართლებენ ფულით, აქორწინებენ ფულით, სახელს უკურთხებენ ფულით, მარხავენ ფულით, სოფლებს აკურთხებენ ფულით,** უქმე-კვირაობით მრევლისთვის **სწირავენ ფულით** და ეკლესიის თანხას კიდევ აკლდება ფული. სამწუხაროთ, ჯერჯერობით ამ საკითხს ვრცლათ ვერ შევეხებით.

იმ ქსელებიდან, ქუთაისის ღვდელს დონ-ანტონს **გლახაშვილს** შემწე უნდოდა და მამა პეტრე აირჩია.

მისწერა შაჰყულიანს. ძალი მოუვიდა, დღე გაუთენდა, სიხარულით ცას ეწია, მამა პეტრეს მისცა წერილით ნება ქუთაისში წასვლისა; მაშინვე წავიდა კიდეც ხელაღებული შაჰყულიანის კათოლიკე სომეხთა მართველობისაგან .

მამა პეტრეს რომ დასცალებოდა მშვიდობიანი მოღვაწეობა ახალციხეში, უთუოდ შეუდგებოდა კვლევა-ძიებას ეკლესიების კონდაკ-ჯავთაგებში და კერძო პირებთან, განსაკუთრებით, მოხუც ღვდლებთან, ძველ ხელნაწერ ქართულსა და სომხურ წიგნებში, ბევრს ახალ წყაროს შეკრებდა ისტორიულსა და არქეოლოგიურს, რადგან იმ დროს კიდევ დაცული იყო ძველი წიგნები და საგნები.

მამა პეტრემ ქუთაისში დაისვენა, რადგან აღარ ხედავდა უწესობასა და უსამართლობას. იქ ცხოვრების ფართო ასპარეზი გადაეშალა, თუმც გულმოსაკლავი სურათი სამცხე-საათაბაგოსი გონებიდან ვერ ამოეხოცა. რა ხანიც დაყო ქუთაისში, დონ-გლახაშვილის შემწეთ იყო. აქაც დატრიალდა ერში. გამჭრიახმა და ღვთისნიერმა ადამიანმა აქაც დაიმსახურა ყველას პატივი და სიყვარული, ამისთვის, როგორც პატრების სიტყვას, მის სიტყვასაც გამკვეთი გავლენა ქონდა ყველასთან და ყველგან. შეძლებისაებ, ამბობს მემატიანე, გლახაკი ეწეოდა, გაჭირვებული ეხმარებოდა, უცხოთ ხელს უმართავდა. სასამართლოში შუამდგომლობდა, ვაჭრებს აგულიანებდა ურთიერთის ხელის მოსაწყობათ, ხელოსნებს ამხნევებდა წინსვლასა და წარმატებაზე, საწყალ ქვრივ-ობოლთ იცავდა, მუშათ, მსახურთ და მოახლეთ ნუგეშს აძლევდა და აიმედებდა. ერთი სიტყვით, ყველას იმედი ნუგეში და გამამხნევებელი იყო. ამის შეგნებულობამ, დაუცხრომელმა შრომამ, სინდისიერმა მიმართულებამ, უფრო დიდი ნდობა გამოიწვია ქუთაისის ეკლესიის მართველში, რომელმაც მთელი საქმეები მიანდო, თუმცა თვითონაც ნაქები ღვდელი იყო, თავის წესრიგის წმიდათ აღმსრულებელი იყო.

ფრიად საყურადღებო იქნება, ცალკე სტატიაში რომ აიწერებოდეს მამა პეტრეს მოქმედება ქუთაისის კათოლიკებში. იქაც მას არ აკლდა გონებრივი შეწუხება, აქაც ხედავდა, რომ საბოლოოთ იგი ვერ გამოაკეთებდა სამცხე-საათაბაგოს კათოლიკე ქართველობის ცუდ მდგომარეობას. თუმცა კათოლიკე სომეხთ მართველობისაგან გათავისუფლებული იყო, მაგრამ გული ეწოდა, შაჰყულიანის გადაცვალების შემდეგ, რომ ასტურათ მამა იოვანე და მაკმა გრიგოლ ზარაფიანი უფროსებათ ამორჩეულ იქნენ. ამაზე მიმართა წერილით თბილისს **იაკობ ზუბალოვსა** და მისი შვამდგომლობით მთავრობამ მიიღო მათ მაგიერ წარდგენილი პირნი: მამა სიმონ **ასლანიშვილი,** მამა იოსებ **ხუციშვილი**, მამა გრიგოლ **მეფისაშვილთან** ერთად და ისე ბევრნაირ შეცთომასა და უწესობას მოაშორა სასულიერო მართველობა.

არა ნაკლებ გული ეწოდა ლათინ-კათოლიკებზე, რომელიც, როგორც ამბობს მემატიანე, **პოლონელების პატრების ხელში ჩაცვივნულ იყვენ.** ერთი ჯარის პატრი იყო ქუთაისში, თვეში ერთჯერაც არ სწირავდა, ისე გართული ცხოვრება ქონდა აფიცრებში. სხვანიც მას არ ჩამოუვარდებოდენ: არც ვიზიტატორი იყო კეთილსაიმედო და სასარგებლო პირი. რვა წლის განმავლობაში, 1857 წ. დასვენებული და დაწყნარებული მამა პეტრე ღრმათ ჩაუკვირდა ცხოვრებას და გადასწყვიტა დიადი საქმე დაეწყო: ახალციხის კათოლიკების მდგომარეობის გასაუმჯობესებლათ და კათოლიკე ლათინების მოსაწყობათ, გასწირა თავი, და **დაადგინა, რომ გამგზავრებულიყო ევროპისაკენ**, სადაც შექმნიდა საზოგადოებას, რომელიც საქართველოს

ყველა მხარეში იმოქმედებდა. ეს მიმართულება ყოვლად კეთილი და მაღალი იყო; მაგრამ რადგან დიდათ სასარგებლო, ქვეყნის საშვილიშვილო და უკვდავი საქმე იყო, თუმც ყოვლად ძნელი. მამა პეტრემ მოიკრიბა თავისი დიადი სულის ძალა და წავიდა ახალციხეს 1857 წელს პასპორტის ასაღებათ; აქ იწყო სამგზავრო სამზადისი: მიმოიარა შეგნებულ პირებში, შეკრიბა სამგზავრო ფული, აირჩია მცირეწლოვანი ყმაწვილი **სიმონ თომას ძე ხითარიშვილი** (ძველათ **საყვარელიძე**), გამოეთხოვა ნათესავებს, მეგობრებს, ნაცნობებს თავისს საყვარელ სამშობლოს და ცრემლმორეული გაუდგა გზას.

წერილი დაიწერა მონასტერში. 6 იანვარი, 1914 წ. სტამბოლი. სტატია დაიბეჭდა გაზეთში „ერი“ (იხ. N27, 1914 წელი).

შალვა ვარდიძე

კათოლიკე ქართველთა მონასტერი
ნაწილი II

მამა ხარისჭირაშვილის მოგზაურობანი და სტამბოლში დაბინავება

ყველასათვის ადვილი წარმოსადგენია, ვინც იცნობს **აჭარას,** თუ რა ძნელი და საშიშია ამ მთიან მხარეს მოგზაურობა და განსაკუთრებით ზამთრობით. მამა პეტრე ხარისჭირაშვილს ეშინოდა დაგვიანებით თავისი განზრახული საქმე არ შეფერხებულიყო, ამიტომ, მიუხედავათ სრული უსახსრობისა, მაინც სამშობლო მხარეს გამოესალმა და 30 იანვარს 1857 წ. დაუყოვნებლივ ოსმალეთისკენ ფეხით გაემგზავრა. ფრიად საყურადღეყოა ეს თავგანწირული მოგზაურობა, მაგრამ ჯერჯერობით ყველა მასალა ხელთ არა გვაქვს, რათა იგი დაწვრილებით გავაცნოთ მკითხველს. საკმარისია აქ შევნიშნოთ, რომ ამგვარი მოგზაურობა, თავგანწირვა მარტო მას შეუძლია, ვისაც ნება მტკიცე აქვს და გული ღვთის თუ მამულის სიყვარულით აღტკინებული. დღეს ამ მგზავრობისა მხოლოდ შემდეგი ცნობები გვაქვს, მამა პეტრეს დღიურიდანვე გამოკრეფილი.

როცა სოფელ **ბადელაში** მივიდა, ერისთავმა (იუზ. ბაში) და ორმა ჩაფარმა დაატუსაღეს იგი და კონაკში მიიყვანეს; ასისთავი ფრიად ცუდი პიროვნება იყო. იარაღით აშინებდა, რათა საწყალ მგზავრს ეგრძნო თავისი სისუსტე, უპატრონობა და მტარვალის თვითნებობა და სიძლიერე. დატყვევებულმა მთელი ღამე შიშში გაატარა: ხვალინდელი დღე რა ბედს არგუნებდა მას?.. გათენდა და მოულოდნელათ გაანთავისუფლეს. მაგრამ ამით არსებობის უშიშრობა არ განუმტკიცდა. მტარვალი მოხელე მას არწივივით დასტრიალებდა. ხელის გაქონვა საჭიროდ დაინახა მ. პეტრემ.

რადგან ტაროსი ძლიერ ცუდი იყო და მოცდა დასჭირდებოდა, ერთს ახალ გაცნობილ მეგობართან გამართა სადილი, მიიწვია ასისთავიც, რომელსაც ახალციხიდან მოტანილი ერთი წყვილი წინდა[1] უთავაზა, რამაც ფრიად დააკმაყოფილა მოხელე.

ბადელაში ორი კვირა გაჩერდა. კარგი ტაროსი დადგა თუ არა, მ. პეტრე, ახალგაზრდა ხითარიშვილთან ერთად, ართვინისკენ გაემგზავრა, ასისთავისგან დარწმუნებული, გზაში არავითარი საფრთხე არ მოგელისო. ამ დროს **მდ. ჭოროხი** ადიდებული იყო; ნავით გასვლა დაჭირდათ. მალე იპოვა ერთი, რომელშიაც საქონელიც ბევრი ელაგა და უკვე ოციოდე კაციც იჯდა. ახსნეს თოკი ნავს. ნავი ნელ-ნელა მიდიოდა. შუა მდინარეში მიაწია თუ არა, მდინარემ ზემოდან დაატაკა ხის ნამორი; საბედნიეროთ, ნავი გადარჩა. ცუდი ტაროსის გამო, მ. პეტრე **ართვინშიც** ცოტა ხანს დარჩა. გამოდარებისას გაუდგა გზას და დიდის ტანჯვა-ვაებით **ბათომში** ჩამოვიდა და იქიდან კონსტანტინეპოლში 24 მარტს 1857 წელს.

კონსტანტინეპოლში მოსვლისავე სომეხთუნიატორთ პატრიარხი **ჰასუნიანი** ინახულა. ჰასუნიანმა მეტად ზრდილობიანათ მიიღო მ. პეტრე. მხიარულობაც უჩვენა. დაწვრილებით გამოკითხა ახალციხის სასულიერო მართველობის, ღვდლების, თუ ერის ვითარება. მ. პეტრემ მოკლეთ აუწყა ყველა და მასთან სთხოვა შემწეობა და დახმარება თავისი აზრის განხორციელებაში. არა მარტო ერთხელ, არამედ რამდენჯერმე მისულს, აზრის მიმართულება დიდათ მოუწონა, აქო მისი თავგანწირულობა ამ დიდებულ და კეთილ საქმისთვის. ამრიგათ,

[1] ოსმალეთში ნაქები იყო ახალციხის წინდები.

შორსმჭვრეტელმა სომეხ მღვდელმთავარმა, რა გაიგო საქართველოს კათოლიკე ქართველთა მდგომარეობა და ღრმად ჩაუკვირდა მ. პეტრეს მოსაზრებულ გეგმის მნიშვნელობას, გაოცებაში ჩავარდა, შიშის ეჭვიც დაებადა. მან კარგათ იცოდა, თუ კათოლიკე ქართველთათვის რა დიდი სიკეთე კეთდებოდა. ეს უკანასკნელნი, თვით რომისგანაც დარწმუნებულნი, ახალი საზოგადოების წყალობით, შეიგნებდენ თავის უკუღმართ მდგომარეობას, თანდათანობით მიიპყრობდენ მაღალსასულიერო მთავრობის ყურადღებას. დღეს თუ ხვალ იგინი მოითხოვდენ სომხებისგან ჩამოშორებას, და დიდი ხნის გეგმა სომხურ პროპაგანდისა გაქარწყლდებოდა.

ყველა ადამიანი თავისთვის სცდილობს: ორი ძმა, ორი ერთგული მეგობარი თითქმის მარადის საეჭვოთ, მეტად იშვიათია მიკერძონ თავის უსარგებლოთ რომელიმე მნიშვნელოვან საქმეში, როგორიც სურდა მამა პეტრეს. ამისთვის დღეს გაკვირვებაში ვართ, რა მოსახსენებელი საქმე იყო ეს დიადი განზრახვა და მერე სომეხთ მეთაურ პატრიარხ ჰასუნიანისთვის? ყველა თავისებურათ სჯის. მამა პეტრეს ეგონა, **სხვაც ჩემსავით გულმართალი და კეთილი არისო**. შაჰყულიანთან, არარატიანთან და ზარაფიანთან დაახლოებამ და შემდეგ ცივმა დაშორებამ იგი მალე ვერ დაარწმუნა ზემოხსენებულ ჭეშმარიტებაში; **იმდენათ წრფელი და გულკეთილი იყო.** ჰასუნიანთან ამასაც ისწავლის.

ეჭვსგარეშეა, პატრიარქი და მერე სომეხი თავის ეროვნულ გაძლიერებასა და გაბატონებას ჩვენს ტერიტორიაზე არას დროს არ ეწინააღმდეგებოდა. რამდენათაც **ქართველი კაცთმოყვარეა, უხვი, გულუბრყვილო, უცხო დაჩაგრულთ მხარის დამჭერი, იმდენათ, საზოგადოთ, სომეხი წმინდა ნაციონალისტი, ხელმოჭერილი, გამოქნილი ოსტატია და დამჩაგვრელიც, თუ მისი ინტერესი მოითხოვს.** ჰასუნიანიც წმინდა სომეხი იყო. როდესაც მ. პეტრეს განზრახულ გეგმის ასრულებაზე მიდგა საუბარი, სომეხ უნატრიათ თავის ტკბილისა და მჭერვმეტყველური ენით აგონებდა ხარისჭირაშვილს, თავისი აზრი დაევიწყა, მისი სამსახური მიეღო და მისგან ექნებოდა არა მარტო საპატიო ადგილი და შემწეობა, არამედ დიდი პატივისცემა, თვით ეპისკოპოზობაც. ამას მოწმობენ მონსტრის პირველი ყოფილნი მღვდელნი, როგორც **ივანე გვარამაძე, ალფონს ხითარაშვილი** და სხვანი, რომელნიც დღესაც ცოცხალი არიან. როდესაც ამ გამოქნილმა ლაპარაკში მ. პეტრეზე ცუდი შთაბეჭდილება იქონია და მისი მტკიცე ნება ვერ შესძრა, მაშინ ჰასუნიანმა საწყალ მგზავრს ცივი უარი განუცხადა ყოველივე დახმარებაზე და ერთი ცივი „ვნახოთი“ გაისტუმრა.

ამ უმწეო მდგომარეობაში, მ. პეტრე პაპის სამოციქულო წარმომადგენელს, მის უსამღვდელოესობას უფალს **ანტონ მუსოლინის** მიეკედლა. 7 მაისს 1857 წ., ლათინის ეპისკოპოსმა მოუწერა ხელი წირვის თქმის მოწმობაზე (celebrato) და მ. პეტრე, ხელახლათ, სამგზავროთ უფრო შორეულ ქვეყანას **წავიდა: მოსალოცავათ იერუსალიმის წმიდა ადგილებისა**, ეს მგზავრობა მხოლოდ თავისი სულიერი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად არ იყო, მას უნდოდა ადგილი შეერჩია თავისი აზრის განსახორციელებლათ.

კონსტანტინეპოლიდან **ალექსანდრიას** მივიდა 27 მაისს და იქიდან **იერუსალიმს** 6 თიბათვეს. 38 დღე გაჩერდა წმიდა ადგილთა სანახავათ და მოსალოცავათ იქ, სადაც ქრისტემ თავისი ოფლი და სისხლი დაღვარა. შემდეგ გამობრძანდა, ამოვიდა **ბეირუთში,** სადაც ორი დღე დაჰყო **ლიბანის** ღვდლებთან. **ბეირუთიდან,** იმავ წელს მკათათვის 14-ს, ქალაქ **სმირნას** ამოვიდა, სადაც არ დახვდა ლათინთ ეპისკოპოზი. ამის მოადგილემ სამოციქულოთ მოვლინებულმა (Missionnaire), მამა **სიქსტო** და **ჯენუამ**, დიდი პატივისცემით მიიღო, წირვის ქაღალდი

შეუმოწმა სამგზავროთ. სმინაშიც დარჩა ხუთი დღე ლაზარისტებთან[1] და პირველი გემით ევროპაში გაემგზავრა. ჯერეთ კუნძულ **სირაზე** გაიარა, შემდეგ **კორფუზე,** რომელიც ალბანეთის დასავლეთში სძევს და იქიდან **ტრიესტს** ავიდა. ავსტრიის ამ ნავსადგურ ქალაქშიც ფეხი ვერ მოიკიდა და მალე წავიდა **ვენეციას**, სადაც ჩავიდა მკათათვის 28-ს 1857 წ. როგორც ვსთქვით, მ. პეტრე დროს გასატარებლათ არ მგზავრობდა: ეძებდა შესაფერის ადგილს და საშუალებას თავისი დასახული მიზნის განსახორციელებლად. ვენეცია მოეწონა. მალეც დარწმუნდა, რომ ეს ქალაქიც სამშობლო ქვეყნიდან ფრიად დაშორებულია, მაგრამ მაინც დაჰყო აქ 21 თვე და ეს დრო ცუდათ არ გაატარა.

პეტერბურგიდან ქართულ ასოების დედნები (მატრიცები) მოატანია. იტალიელ მუშებს ქართული კითხვა შეასწავლა და დაიწყო სასულიერო წიგნების ბეჭდვა. სხვათა შორის, იქ დაიბეჭდა **„მოთხრობა ძველი და ახალი აღთქმისა“, „წმიდათა ცხოვრება“, „საქრისტიანო მოძღვრება“, „ლექსი-ხოტბა ქალწულ მარიამ უმანკოთ ჩასახლებულისა“** და სხვაც. ფიქრობდა, ამ წიგნების გაყიდვით ფულს შეიძენდა, რათა თავისი განზრახული აზრი განეხორციელებია. მაგრამ იმედი არ აუსრულდა, წიგნები საქართველოში ვერ შეიტანა. თავათ ღარიბი, ახლა სულ უმწეოთ დარჩა, რადგან თავისი სამკვიდრებელიც დახარჯა წიგნების გამოცემაში. მეხიტარისტებმა[2] რომელთაც ბინა მიეცათ, არა მარტო სტამბის ფასი, არამედ თვით ოთახის ფასიც მოსთხოვეს; მ. პეტრემ ძლისძლივობით გადიხადა[3] 1859 წ. აპრილის დამლევს, მამა პეტრე, ახალ ქართულათ დაბეჭდილი წიგნებით და ქართული ასოებით აღმოსავლეთისკენ გამობრუნდა და ხელახლათ მოვიდა კოსნტანტინეპოლს.

ორ-სამ დღეს შემდეგ ცოტა რომ შეისვენა, გაბედა და ხელახლათ **ჰასუნიანთან** მივიდა. ვისაც დიდი საქმის დაწყება უნდა და უმწეოდ არის, მას ვერც ერთი წინააღმდეგი მოვლენა ვერ შეაფერხებს. **მ. ხარისჭირაშვილი ჩუმი და მომთმინე კაცი იყო.** მას ახსოვდა პატრიარქის ცივი სიტყვა: „ვნახოთო“. თუმც იცოდა, თუ ვისთან ჰქონდა საქმე, მაინც არ დაერიდა, მივიდა და ერთხელ კიდევ შეეცადა.

ჰასუნიანი ერთობ გამოცვლილი და პირბადე ახდილი დაუხვდა. მ. პეტრეს ისე აგრძნობინა, ვითომც არც კი ენახოს და მის მიერ მოხსენებულ საქმეზე ერთობ შორს დაიჭირა. ამდენსაც არ მოელოდა ეს უბედური მგზავრი, **თვით გულწრფელი ძალზე გაკვირდა**. საგონებელს მიეცა; მაგრამ ვერაფერი ვერ აეხსნა ჰახუნიანის ამ მზგავსი საქციელით; ამისგან უარესს უკანესკნელს ერის კაცზეც ვერ წარმოიდგენდა. ასეთი უდიერობის მიზეზი, ამბობს **ივანე გვარამაძე,** რომელმაც დამწყობთან დაჰყო რამდენიმე ხანი კონსტანტინეპოლში, ის იყო რომ მეთაურობა თვითონ ჰასუნიანს სურდაო; მაგრამ მამა პეტრე ფიქრობდა, ამნაირი მისი ბატონობა ჩვენს საქართველოს არავითარ სიკეთეს არ მოუტანდა.

---

[1] ლაზარისტები (lasaristes) საზოგადოება რომელიც დააფუძნა 1625 წ.წ. ვიკენტო პავლესამ პარიზის ერთ სახლში აგრეწოდებული წ. ლაზარე (lasare).

[2] მეხითარმა დაარსა სომეხ კათოლიკეთა მონასტერი. **მეხითარი** ქ. სებასტში დაიბადა 1676 და გარდაიცვალა 1749 წ. ამ საზოგადოებას ყველამ დიდძალი დახმარება აღმოუჩინა, თვით ქართველებმაც. ამ მონასტრის სტამბოლიდან გამოვიდა სომეხ მწერალთა საუკეთესო ნაწერნი, ეს საზოგადოება ორად გაიყო: ერთი შტო ვენეციაშივე დარჩა, მეორე კი ვენაშია.

[3] **ალფონს ხითარაშვილი,** რომელიც თან დასდევდა, მოგვითხრობდა, მეხითარისტებმა არა მარტო სტამბის ხარჯი და ოთახის საფასური მოგვთხოვეს, თვით ზედმეტსაც ისურვესო. ამ რიგით მ. პეტრეს ცხოვრების სახსარი მთლათ შემოკლებოდა და დავალიანებული გამობრუნდა **სტამბოლს**, სადაც ნელნელა ეს ვალიც გადაიხადა.

ამნაირათ მ. პეტრემ ერთხელ და სამუდამოთ გამოსცადა სომეხი თვით უმაღლეს ღვდელ-მთავრის პატრიარქის გულკეთილობა, თანაგრძნობა კეთილ საქმეში და რომ ვერ ნახა მასშიაც ის **კაცთმოყვარეობა და ქრისტეს სული,** რომელიც **კათოლიკე სარწმუნოებაში უპირველეს ჭეშმარიტებთაგანია**, ნელნელა უკან დაიხია, თუმც მიმოსვლა ჰასუნიანთან არ შეუწყვეტია. ფიქრობდა, და **გულის საკურთხეველში** ზრდიდა თავის ზეაზრის, სულისკვეთების განხორ-ციელებას **სამშობლო ქვეყნის საკეთილდღეოთ.**

ჰასუნიანი განათლებული და გამჭრიახი ადამიანი იყო. ხედავდა რომ მამა პეტრე მის აზრს მიუხვდა, ამისთვის მტრულათ დაუწყო მოპყრობა. ამაზე უფრო ვრცლად ვილაპარკებთ, როდესაც ცალკე ქართულ წესის აღდგენაზე გვექნება საუბარი, რომელ შემთხვევაში პროპაგან-დიდამ ჰასუნიანსაც შეეკითხენ; ჰასუნიანის წერილი, როგორც საქართველოში მყოფი კაფუჩი-ნის წერილები, რომლის პირიც ხელთ გვაქვს, ფრიად საყურადღებო არის. მამა პეტრე დარწ-მუნდა, თუ როგორ უნდა მოქცეულიყო, ისედაც იცოდა სომეხ კათოლიკეთა სული და მისწრა-ფება, რომელიც ისე ცხადათ გამოაშკარავდა თვით ჰასუნიანის პატრიარქობის დროსაც და დღე-საც **თერძიანის** დროს, როდესაც ვიცით, თუ რომ რამდენათ სწყალობს კათოლიკე სომხებს, მათ სასულიერო სხეულს და დაწესებულებებს.

ღრმად მორწმუნე და მტკიცე ხასიათის ადამიანი რაკი იყო, მამა პეტრემ იმედი არ გადაწყვიტა; მალე მოსძებნა ახალი საშუალება. დაუახლოვდა სხვადასხვა კათოლიკე ლათინ მოვლენილ მღვდლებს, რომელთაც რჩევას სთხოვდა. ამათ თანაუგრძნეს და პატივით მოეპყ-რენ. მალე გაეცნო თვით პაპის პიო IX წარმომადგენელს მთავარ ეპისკოპოზს, უფალს **ბრუნო-ნის**, რომელსაც დაწვრილებით გაუზიარა თავისი გულის ტკივილი. ამ ეპისკოპოზმა, რომლის სახელიც მარადის კეთილ სახსენებლათ დარჩება მონასტერში, რიგის გარეთი და წრფელი კაცთმოყვარეობა უჩვენა; მოუწონა აზრი, გაამხნევა საწყალი მწირი და მალეც მკვიდრი სამსა-ხური მისცა მოწყალების დათა მონასტერში (Jes Feeurs de bharits a bhichli), სადაც ჩვენი **თავდავიწყებული ადამიანი** ამ დღის შემდეგ ბინასა და საზრდოს პოულობდა არა მარტო თავისთვის, არამედ თავის პირველ მოწაფეთათვისაც. ესენი იყვნენ სახელოვანი ადამიანები: ცნობილი **სიმონ (ალფონს) ხითარიშვილი, ნებიერიძე, ივანე გვარამაძე** და **სტეფანე გიორგიძე–ახალციხელები**.

მის უსამღვდელესო ეპისკოპოზი **ბრუნონი** არ დასჯერდა სამსახური მიეცა მამა პეტრესთ-ვის, მალე აცნობა რომს საქმის გარემოება და მაისის **7 1859 წ. ნება კიდევაც მოუვიდა საზოგა-დოების შედგენისათვის**. მამა პეტრეს რომ ესარგებლა ამ ნებართვით, საჭირო იყო კერძო ბინა, ხალხი და წესი. თუმცა ცხოვრების მხრივ ჯერჯერობით რომ უზრუნველყოფილიყო, მაინც არ ჰქონდა შეძლება საკუთარი ბინის შესაძენათ. დღიურად გამოდიოდა, რა გინდ ცუდ პირობებში ყოფილიყო, ეს ენერგიით სავსე და გამჭრიახი ადამიანი მარადის საქმეს შესცქეროდა. იმედი ქონდა, ღმერთი არ გასწირავდა. მოსძებნა ადგილი, რომელიც ერთმა ქველმოქმედმა პირმა შესთავაზა. მეტიც არ უნდოდა ჯერჯერობით: 300 ფრანკის (150 მანეთი) შეძლება ჰქონდა. დაუყოვნებლივ ამ მიწაზე პატარა სადგური და სამლოცველოს შენება დაიწყო. რასაკვირველია, ამ თანხით საძირკველსაც ვერ ჩაჰყრიდა, თუ რომ ქველმოქმედთ თანაგრძნობა არ აღამოე-ჩინათ.

მრავალთ ყურადღება მიიპყრო ამ კაცის ცხოვრებამ, **ყველამ მისი დიადი აზრი თავისი გახადა**. ამისთვის ეწეოდენ, რამდენათაც შეეძლოთ. მ. პეტრე ეკონომისტიც იყო რიგის გარეთ.

თვითანვე თავს ადგა მუშებს, მათთან მუშაობდა, აგულიანებდა, რათა დრო არ დაკარგულიყო და ხარჯიც ბევრი არ წასვლოდა. შენობა დღითიდღე მატულობდა. ერთი წლის განმავლობაში კიდევაც დამთავრდა. ახლა შეეძლო ამ ადამიანს მოსვენებით შესდგომოდა თავის მომავალ საზოგადოების წესწყობილების შემუშავებას და მიმდევართა შეკრებას. პირველ მოწაფეებს დაემატნენ **ეგნატე (ივანე) ეხსანიშვილი, იოსებ მამუკაშვილი, მიხეილ ხითარიშვილი** და **ბეთანოვი**.

ღვდ. შალვა ვარდიძე

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „იმერეთი“, 101, 1914 წ. ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში გაზეთთან ერთად.

გიორგი ზალდასტანიშვილი

ნიუ იორკი, ნოემბერი, 1970 წ.

სამი თარიღი

გასული წლის ნოემბერში შემისრულდა 50 წელიწადი.

ადამიანის ცხოვრებაში ნახევარი საუკუნე საკმაოდ გრძელი მანძილია, რათა თვალი გადაავლოს განვლილ გზას, შეაფასოს თავისი მოქმედება: რა ჰქონდა მიზნათ დასახული, რამდენათ მიაღწია მას და თუ ვერ მიაღწია, როგორ შეიძლება მისი მიღწევა?

ჩემი ცხოვრების მანძილზე ბევრი შევისწავლე, თითქმის ყველაფერი, რაც შეეხება პრაქტიკულ ცხოვრებას და მის გაუმჯობესების ხერხებს, მაგრამ ქართულათ აზრის გამოსათქმელად და მის ქაღალდზე გადასატანად მაინც დამხმარე მჭირდება, რაც უდიდეს ნაკლად მიმაჩნია და ჩემი საზრუნავიც ეს არის. ახლო წარსულში, პირადი საქმის გამო, დამჭირდა შორეულ აღმოსავლეთში, იქიდან კი ჩვენი სამშობლოს მეზობელ ქვეყნებში, მემგზავრა, კერძოდ, სპარსეთსა და თურქეთში. პრაქტიკულ საქმიანობას მოშორებულს, საშუალება მქონდა დაკვირვებოდი, თუ ჩემისთანა ადამიანი, რომელიც დაიბადა საქართველოში, აღიზარდა საფრანგეთში და ცხოვრობს შეერთებულ შტატებში, – რამდენათ დავრჩი ქართველი სულიერად და ფსიქოლოგიურად და რამდენად მიცემს გული ქართულად, რომელიც ჩემი სიცოცხლის მიზანი იყო და დარჩა.

როდესაც ჩვენი ისტორიის გრძელ მანძილზე მეზობელ ქვეყანას მიუახლოვდი და თეირანში ჩავფრინდი, გული უცნაურად ამითამაშდა. დარწმუნებული ვიყავი, უსათუოდ შევხვდებოდი ქართული წარმოშობის ადამიანს. შეიძლება ამ იმედს აღვივებდა ფერეიდნის ქართველების სიმტკიცეზე გაგონილი თუ წაკითხული ცნობები. ჩემს თავში გაიელვა: როგორი იქნება ჩემი მათთან შეხვედრა, ორი სამშობლოს ჰაერნატრული ქართველის შეხვედრა!

შეიძლება თეირანში დახანების სიმოკლის გამო ეს იმედი არ გამიმართლდა... ვნახე მხოლოდ ერთი, რომელმაც იცოდა, რომ ქართული წარმოშობისაა. ამაზე მეტი არც უნდოდა სცოდნოდა.

გულდაწყვეტილი მოვშორდი თეირანს და გავემგზავრე თურქეთში.

როგორც ვიცით, საქართველო ინდოეთში მიმავალი გზა ჯვარედინია. მის ხელში ჩასაგდებად არა ერთხელ დასტაკებიან იმპერიები ერთი მეორეს. საბოლოოდ კი ის რუსეთის იმპერიამ მიითვისა და ამ წალკოტს მძიმე რკინის ფარდა ჩამოაფარა. საქართველოს გეოგრაფიული მდებარეობის მნიშვნელობა მიმოსვლის ტექნიკის განვითარებას არ შეუცვლია. ნორმალურად, შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი გზები ისეთ თბილისში უნდა შეყრილიყვნენ, მაგრამ ჩვენი ქვეყნის უბედობამ ეს ბედნიერება წარგვტაცა და საქართველო გარიყული დარჩა... მისი ადგილი თეირანმა დაიჭირა... შორეულ აღმოსავლეთიდან მომავალი გზის მთავარ კვანძად ის იქცა, რომელიც უფრო ხელოვნურია და თბილისის ბუნებრივ მიმზიდველობას კონკურენციას მხოლოდ პოლიტიკური მოტივებით ამართლებს. უცხოელებისათვის უფრო თვალწარმტაცი იქნებოდა თბილისზე გავლა, მისი მშვენიერების, გინდ ერთი საათით ნახვა... ამით საქართველოს მნიშვნელობა აიწევდა და მსოფლიო ასპარეზს მაღალი ავტორიტეტით ევლინებოდა.

რამდენს მოიგებდა ჩვენი ქვეყანა, რომ ის თავისი თავის მპყრობელი იყოს და კარჩაკეტილი არა ცხოვრობდეს?!

მთელი მოგზაურობის მანძილზე საქართველოს ეს მწარე ხვედრი გულს მითუთქავდა და ამ ფიქრებით დატვირთული ჩავფრინდი ჩვენი ისტორიული მეორე მეზობლის, თურქეთის ქალაქ **ისტამბულში**.

ისტანბული ძველი ბიზანტიური კულტურის შუქმფენი ანარეკლი, რომელთანაც გადაბმულია ქართული ცხოვრების დიდი მანძილი და კულტურის საფუძველი, სადაც დღესაც მტკიცეთა სდგას ქართულ-ბიზანტიული ურთიერთობის უკვდავი ძეგლი – ქართული მონასტერი.

როგორც, საზოგადოთ, ქართული მონასტრები, მათ შორის ისტამბულისაც **იბრძოდა ქართული ეროვნების შემონახვისათვის და ქართული ეროვნული კულტურისათვის.** ამიტომ უწოდებს მას ჩვენი ისტორია **„ჩვენი კულტურის სავანეს“.** ისტამბულის მონასტერი, სხვებთან შედარებით, ახალგაზრდაა, მაგრამ ვინც მას დაათვალიერებს, **ვინც მის კედლებში მოქცეულ მდიდარ სამკითხველოს გადასინჯავს, დარწმუნდება, რომ მას თავისი მოვალეობა პირნათლად აქვს შესრულებული და საქართველოს მარადიულობისათვის ბრძოლაში და საქართველოში ქრისტიანული კულტურის დაცვაში დიდი მონაწილეობა მიუღია.** სამწუხაროდ, მისი დღევანდელი მდგომარეობა მეტად სავალალოა... მას გამოელია კადრი, თორე იქ კიდევ დიდია შესაძლებლობა, რომ ქცეულიყო უცხოეთში ქართული ენის, ქართული ისტორიის და საზოგადოთ, ქართული კულტურის ცენტრად.

ახლო წარსულში მსგავსი კულტურული ცენტრები კერძო ინიციატივით წარმოიშვა: **ლონდონში უ.უორდროპის, ლოზანაში კიტა ჩხენკელის** და სხ. იქნება **ბედმა გაუღიმოს ისტამბოლის მონასტერსაც, მასაც გამოუჩნდეს ენერგიული ინიციატორი და განაახლოს ქართული კულტურის ძველი სავანე.**

თურქეთში ამგვარი ცენტრის არსებობას ჩვენი ერისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს და სხვა ცენტრებთან შედარებით უპირატესობა მიეკუთვნება, თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქეთის მოსახლეობის ერთი ნაწილი ქართული წარმოშობისაა.

ისტამბულში სულ ორიოდე საათიც არ იყო გასული, რომ სასტუმროში მეწვია ერთი ახალგაზრდა, პირველი სალამი და გამოცნაურება ინგლისურ ენაზე მოხდა. გამოვარკვიე რა, რომ ქართული წარმოშობისაა, დაუყოვნებლივ გადავედით ქართულ ენაზე და **მყის აღსდგა ჩვენში არა მარტო თვისტომობრივი, არამედ ნათესაური სითბო და სიყვარული**. ლაპარაკში ჩაურთო, რომ მახლობლად არსებობს ქართული წარმოშობის ხალხით დასახლებული სოფელი, სადაც ამ დღეებში ჯვარს იწერდა ერთი მისი ნათესავი და მთხოვა დავსწრებოდი. დიდი სიამოვნებით მივიღე დაპატიჟება. დანიშნულ დღეს ვეწვიეთ სოფელს. სიამაყით ამევსო გული, როცა ვნახე საუკუნე დაშორებული ქართული მოდგმის დიდი ჯგუფი, ქართულად მოლაპარაკე, **ქართულად მომღერალი, ქართულად მოცეკვავე**.

მე, 50 წლის ემიგრანტი, ისენი ორჯერ და კიდევ მეტი ხნის... **ფსიქოლოგიურად და სულიერად კი ქართულ სამყაროს განუშორებელნი. ყველაზე ნათლად აქ ვიგრძენი ჩვენი ეროვნული ძალა... ქართული ნერგი უცხო მიწაზე გადარგული ქართულად ხაროს და ქართულ ნაყოფს იძლევა... ქართული თესლის სინოყიერე და ნაყოფიერება.**

ამ სითბომ და სიყვარულმა ჩემში ეროვნული სიამაყის გარდა, **ეროვნული მოვალეობის გრძნობაც გაზარდა** და ნათელი გახდა, რომ ქართული ემიგრაციის მოვალეობა, კულტურულ ცენტრებთან ერთად, **ქართული წარმოშობის ხალხთან დაახლოვება, მათი დახმარება, ხელის-შეწყობა და არსებული ქართული გრძნობის გაღვივებაა.**

ჩემი დაბადების 50 წლის შემდეგ გაკეთებულმა ანალიზმმა, ამ მოგზაურობასთან დაკავშირებული, დამარწმუნა, რომ ქართველ ადამიანს სამუშაო და გასაკეთებელი ბევრი რამა აქვს და ჩვენი პრაქტიკული მოქმედების ბაზას ესეც უნდა მიემატოს, ხოლო ამის მიღწევა მარტო იმ პირობებში იქნება შესაძლებელი, თუ სულიერად და ფსიქოლოგიურად **არ დავ-შორდით ქართულ ეროვნულ სამყაროს.**

დაიბეჭდა გაზეთში „ქართული აზრი“, N85, 1970 წელი, ნიუ იორკი, ნოემბერი. გაზეთთან ერთად, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი შენახულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

რომელიღაც მღვდელს გადაუწერია სქელტანიან რვეულში–„წერილების წიგნში“.

მიხეილ თარხნიშვილი

ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გადადმა
1

ვიცით, რომ იბერიაში, ე.ი. აღ. საქართველოში ქრისტიანობა სახელმწიფო სარწმუნოებად გამოცხადდა 337 წლის ახლოს. მეფე მირიანის დროს, როდესაც იბერია რომის იმპერიასთან იყო პოლიტიკურად დაკავშირებული, ხოლო გულხარბი სპარსელები ჯერ კიდევ შორიდან უთვალთვალებდენ მის საზღვრებს. სპარსთა პირველი თავდასხმა ქართლმა მხოლოდ 368-370 წლებში განიცადა, რის შედეგი იყო მისი ორ სამეფოდ გამოყოფა. მაგრამ 387 წელს ერთხელ კიდევ მოხდა საზღვრების გამიჯვნა რომსა და სპარსეთს შორის. ამ ახალი ხელშეკრულების წყალობით, სპარსეთს ხელში ჩაუვარდა შუა-მდინარე ქ. **ნიზიბითურთ** და თითქმის მთელი სომხეთი აზრუმამდე. ეჭვი არ უნდა. ამ ხანად იბერიასაც იგივე ბედი ეწია და მეოთხე საუკუნის მიწურულში მთელი აღ.საქართველო სპერსეთის უღელქვეშ მოჰყვა.

ისე როგორც აღ. საქართველოში, არც დასავლეთ საქართველოში შესულა ქრისტიანობა ერთ გზის და ერთი გზით. მისი სათავე მოციქულთა ჟამს აღწევს და მისი საბოლოო განმტკიცება კოლხიდაში მე-6-ე საუკუნეს. უკვე წმ. **პეტრე მოციქული** ესალმება მის პირველ წერილში (1,1) **პონტოელ ქრისტიანებს** შავი ზღვის ნაპირებზე. პონტი კი უშუალოდ საზღვრავდა ლაზიკას, სადაც ქრისტიანობა მის შინაგანი წნევის ძალით, მალე უნდა შეჭრილიყო, ალბათ, იმავე ხანებში. იგივეს ამოწმებს მესამე საუკუნის დიდი ღვთისმეტყველი **ორიგენი** (183-254), რომლის ცნობა შემოგვინახა საეკლესიო ისტორიის მამამ, ევსები **კესარიელმა** (†339): როგორც გადმოცემა გვასწავლის, **ანდრია მოციქულს სკვითეთი** ერგო მოსაქცევად. პალესტინიდან წასულისათვის კი, სკვითებში გადასავლელი ერთად ერთი უახლოესი გზა იყო შავი ზღვის სამხრეთ-აღმოსავლეთი ნაპირი. ე.ი. **ლაზიკა–აფხაზეთი**. ორიგენის მოწმობის უგულვებელყოფა აგრე ადვილად არ შეიძლება იმიტომ, რომ იგი ემყარება მსოფლიო ეკლესიის გადმოცემას, რის გასაცნობად ორიგენმა განგებ მოიარა და ინახულა იმდროის საქრისტიანოს ცენტრები: რომი, პალესტინა, მცირე აზია.

ლაზიკაში ქრისტიანობა უკვე მოციქულთა დროიდანვე შეუფერხებლად წინ მიდიოდა. აქ მალე გაჩნდენ საეპისკოპოსო საყდრები. მაგ. ცნობილია ტრაპიზონის ეპისკოპოსი **დამნუსი** და თვით ბიჭვინტის ეპისკოპოსი **სტრატოფილოსი,** რომელნიც ირიცხებიან **ნიკეის** პირველი მსოფლიო კრების დამსწრეთა შორის, **325 წელს.**

ხოლო საბოლოო გამარჯვება ლაზიკისა და აფხაზეთის ქრისტიანობის წილად ხვდა მეექვსე საუკუნეში. დიდი ხნით გაქრისტიანებული **ლაზთა მეფე წათე,** ჯერედ წარმართი, 515 წ. **იუსტინე კეისარს** ესტუმრა ბიზანტიაში, სადაც შვილითურთ მოინათლა. კოლხიდას წაჰბაძა აფხაზეთმაც. ამ ქვეყნის წარმართად დარჩენილი უკანასკნელი ნაშთი მოაქცია **იუსტინიანე პირველმა (527-565),** რომელმაც მათ ეკლესიები აუგო და სამღვდელოება გაუგზავნა. ეს ცნობა ბერძნული წყაროებიდან მომდინარეობს და შეტანილია ვახტანგისეულ ქართ. ცხოვრებაში, სადაც ნათქვამია: „მათვე ჟამთა შინა იუსტინიანეს მეფობისათა აფხაზნიცა შეიცვალნეს უმჯობესად და ქრისტიანობისა შეიწყნარეს ქადაგებაი, რამეთუ პალატსა შინა იუსტინიანე მეფისასა იყო ვინმე საჭურისი, აფხაზი ნათესავით და **ევფრატა სახელისდებით,** რომელი წარივლინა მეფისა მიერ ქადაგებით მათთა“-ო.

ბარიდან ქრისტიანობა შევიდა კავკასიის მთებში, რომელიც მან ჩქარა გადალახა და ქრსიტეს ნათელი მოფინა იქ მობინადრე არა ქართველთა მოდგმის ხალხსაც. ამას ნათელჰყოს დღემდე შემონახული თვალსაჩინო ძეგლები, მწიგნობრიობის და ხუროთმოძღვრების დარგს რომ ეკუთვნიან. ჩეჩნების (ქისტების) და ინგუშების ენაში ჩვენ ვნახულობთ მრავალ საეკლესიო სიტყვებს, რომელთა სათავეც ქართულია: **კვირა, კვირა დღე, პარასკევი, მარხვა, შაფათი, ჯვარი**... ყველა ეს, ცხადია, ქართულიდან აქვს ზემოთქმულ ენებს შეთვისებული: უცილო საბუთია, რომ მათი ქრისტიანობის დასაბამი ქართულშია მოსაძებნი. იქვე, ინგუშთა ქვეყანაში ჟამთა სიავეს გადარჩენია ერთი ეკლესია ბაზილიკალური რიგისა, რაც მისი სიძველის ნიშანია. ამ ეკლესიის ტანი მორთულია ქართული სახეებით და ქართული წარწერებით, სადაც იხსნებიან იოანე, გიორგი და სხვანი. ეს შენობა, სჩანს, დათარიღებულიც ყოფილა, ვინაიდან თარიღად უზის რაღაც არა ჩვეული ქრონიკონი „**მი**“, „**ნ**“-ის **წილ**, რაც ნიშნავს 50-ს. ეს ორი ასო თუ მართლა ქრონიკონს აღნიშნავს, მაშინ ამ ტაძრის წარწერა უნდა მივაწეროთ მეცხრე საუკუნეს. სახელდობრ 830 წელს (780+50=830). ამ ტაძრის ორი სურათი გამოაქვეყნა ჩვენმა ცნობილმა პროფესორმა ა. **სანდერსმა (ა. ნიკურაძე)** მის ჩინებულს, გერმანულად გამოცემულს თხზულებაში „**კაუკაზიენ**“ (გვ. 180-181). ამით ირკვევა, რომ ქართლიდან შეტა-ნილს ქრისტეს მოძღვრებას უკვე მეცხრე საუკუნის მანძილზე ფეხი მოუკიდია ჩრდილო კავკასიაში. ბუნებრივია, იქ ფესვგადგმული ქრისტიანობა ინგუშებზე არ შეჩერდებოდა, არამედ დროთა დენაში თანდათან მოეფინებოდა მთელი ჩრდილო კავკასიის ერებსაც. მართალია, დადებითი საბუთი არ გაგვაჩნია ამისთვის. მაგრამ ეს რომ არ შეიძლება სხვა ნაირად ყოფილიყო, ამის მოწმეა სრულიად არა კავკასიური ხალხის–**ალანები**ს მოქცევა ქართველ მეფეთა მიერ, რაც, თუ არ ვცდები, სულ ახალ შუქსა ფენს ქართველთა ეკლესიის ისტორიას.

ზოგის თქმით **ალანები** სკვითების მონათესავე ერი ყოფილა. სხვანი კი ფიქრობენ, შეიძლება უფრო სამართლიანად, რომ ისინი ირანული წარმოშობის ხალხი იყო. პროფ. ა. **სანდერსის** ჩვენებით („კაუკაზიენ“ გვ. 80-81); ალანების უძველეს ბინად მიჩნეულია კასპიის ზღვისა და კავკასიონის ჩრდილო მიდამონი. მათთან ბრძოლა ჰქონია თვითონ დიდ **პომპეის 65 წ.** და შემდეგშიც არა ერთხელ თავს დასხმიან ისინი სამხრეთ კავკასიის ერებს. ეჭვი არ უნდა, დარიალის ხეობით, რაკი თვითონ **„დარიალი–დარ-ი-ალან“ ალანთა კარად ანუ ბჭედ** ითარგმნება. 370 წ. ჰუნებმა დაიმორჩილეს ისინი. დამარცხებულთა ერთი ნაწილი **ჰუნებმა** გაიყოლიეს, სხვანი–ვისიგოთებმა, რომლებთანაც ისპანიაში **გოტ-ალანია** (**კატალანია**) შეჰქმნეს და მათი ხანგრძლივი ხეტიალი აფრიკის მწველ ქვიშნარში სულის დალევით დაასრულეს. ჩრდილო კავკასიაში ალანთაგან ერთი შტო **თერგისა** და **ყუბანის** სათავეებზე ბინადრობდა, მეორე უფრო შავი ზღვის ჩრდილოეთით. ესენი ჭრელი ცხოვრების პირობების თანახმად, ხან სამოყვრო და ხან სამტრო ურთიერთობაში იყვნენ ბიზანტიის იმპერიასთან თითქმის მის წაქცევის დღემდე თურქების მიერ; თუმცა კავკასიის ალანები ნელნელა მთლად გაითქვიფნენ სხვა იქაურ ერებში, ზოგიერთი მკვლევარი მაინც ფიქრობს, თითქოს დღევანდელი **ოსების ტომი** იყოს მათი ნაშთი. აი ეს **ალანებია**, რომელნიც ქართველებმა მოაქციეს მეათე საუკუნეში.

2

ცნობები ალანთა მოქცევის თაობაზე მოიპოება კონსტანტინეპოლის პატრიარქის, **ნიკოლოზ მისტიკოსის** ეპისტოლეთა კრებულში, რაიცა გამოცემულია ბერძნული პატროლოგიის (**პ**

გ) მე-111-ე ტომში. ამ კრებულმა სამი წერილი შემოგვინახა ჩვენი საკითხის შესახებ. მათი საგანია ამ ალანთა მოქცევის ამბავი, ან და იმპერატორსა და აფხაზთა მეფეს შორის არსებული ურთიერთობა. ეს წერილები არიან: მე-15-ე (**პ გ,** 111, სვეტი 241-244), მე-46 (იქვე, სვ. 236) და მე-162 წერილი (იქვე, სვ. 389). სამივე წერილი მიმართულია აფხაზთა მეფეებისადმი, რომელთაც ნიკოლოზი „ექსუსიასტეს"–მთავარს, მბრძანებელს, უფალს. უწოდებს, არა დროს „ბაზილევსს"–მეფეს. ამაყი ბიზანტიელებისათვის ქვეყანაზე, მხოლოდ ერთი **ბასილევსი**, რომაელთა იმპერატორი ბრძანდებოდა, სხვა ყველანი კი მისნი ხელქვეითნი იყვნენ, როგორც აღმოსავ-ლეთში, ისე დასავლეთში.

როგორც სხვა ცნობებიდან ირკვევა (იხ. „ეხო დ,ორიან. 33. 1934, გ. 53-58), ალანთა შორის პირველ მქადაგებლად გამოსულა ოლიმპის ბერ-მონაზონი **ევთიმე**, რომლის მოღვაწეობას, ჩანს, დიდი ნაყოფი არ გამოუღია. მაშინ თვითონ აფხაზთა მეფეს თავს უდვია ეს საქმე და ალანების განსანათლებლად ქართველი მოციქულები გაუგზავნია. მოუქცევია და მოუნათლავს მათი მთავარი, სხვა მრავალ ალანებთან ერთად. რაკი ალანთა ქვეყანა იერარქიულად ბიზანტიის საპატრიარქოს ფარგლებში შედიოდა, ამიტომ თვითონ ნიკოლოზ მისტიკოსს სა-კუთარი ხელდასხმით დაუდგენია მათთვის პირველი მთავარეპისკოპოსი, სახელად **პეტრე**. აი, ამ ამბების შემდეგ, არის ნიკოლოზის პირველი წერილი (მე-15-ე, ეპისტოლეთა კრებულისა) შედგენილი.

ამ წერილში პატრიარქი დიდი პატივისცემით და შორითგან ამბორისყოფით ესალმება აფხაზთა მეფეს, აქებს მის ღთვისაღტყინებულს მისწრაფებას ალანთა მთავრის მოსაქცევად და კმაყოფილებით აღნიშნავს იმ სტუმართ-მოყვრობას და მზრუნველობას, რომელიც მეფემ აჩვენა ალანთა მთავარეპისკოპოსს. საბოლოოდ გამოსთქვამს იმედს, რომ მეფე არ მოაკლებს თავის გულუხვ წყალობას ალანთა სამღვდელოებას, რის სანაცვლოდ, მას ღმერთი ამ ქვეყნად აღავსებს ყოველივე კეთილით და საიქიოს განუსვენებს წმიდათა შორის.

ვინაითგან წერილს არც მოძღვრის სახელი უზის და არც შედგენის თარიღი, ამიტომ ისმება საკითხი: როდის არის ეს ეპისტოლე შეთხზული, და ან რომელ მეფისადმია მიმართული? ნიკოლოზი ორჯერ იყო პატრიარქად: პირველად 912-925 წლებს შორის. მაშ მისი წერილები შეთხზული უნდა იყვნენ ამ ხნის განმავლობაში. მისი პირველი წერილი რომ შედგენილია მის პირველ პატრიარქობაში, ამას ერთნაირად ცხადჰყოფს არაბთა მწერალი **იბნ-რუსტა**, რომელიც გვაუწყებს, იოსებ **მარკვარტის** მოწმობით, 903 წელს შეთხზულ წიგნში „**ქითაბ-ალაკ-ნაფისა**", რომ ალანთა მთავარი თვითონ პირადად ქრისტეს აღიარებს, ხოლო მის ხელქვეშ მყოფი ხალხის უმრავლესობა ჯერ ისევ კერპებს სცემს თაყვანსაო. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ თუ ალანთა მთავარი 903 წ. უკვე ქრისტიანი იყო, მაშინ პატრიარქის პირველი წერილიც ამ თარიღის სიახლოვეს უნდა იყოს დაწერილი და ამის მერე მიმართული აფხაზთა მეფის ბაგრატისადმი, რომელიც გარდაიცვალა მ. ბროსსეს გამოანგარიშებით, 906 წ. (იხ. ი. ჯავა-ხიშვილი, ქართ. ერის ისტორია, წიგნი 2. 1914, გვ. 382). იგივე თარიღისკენ გვითითებს შემდეგი ეპისტოლეც.

მეორე წერილში (მე–46) პატრიარქი აფხაზთა მეფეს სამძიმარს უთვლის მისი მამის გარ-დაცვალების გამო, უსურვებს მამის ყოველივე სიკეთეს, როგორც მის ღირსეულ მემკვიდრეს, და ბოლოს მასაც ავედრებს ალანთა მთავარეპისკოპოსს. ამ წერილითაგანვე ვტყობულობთ, რომ პატრიარქს აფხაზთა მეფისათვის გაუგზავნია სამეფო „სამოსელი" (ინვესტიტურა?). ეჭვი

არ უნდა, აქ მოხსენებული გარდაცვალებული მამა ბაგრატ მეფე არის, მისი მემკვიდრე-კი კონს-ტანტინე. მაშასადამე, წერილი შედგენილია ბაგრატის გარდაცვალებიდან (906) ნიკოლოზის დამხობამდე პატრიარქობისაგან, 907 წლის თებერვალს.

ნიკოლოზ პატრიარქის მესამე (მე-162) წერილი მიმართულია აფხაზთა მეფის გიორგისად-მი. ცხადია, ეს გიორგი უნდა იყოს მეფე კონსტანტინეს ძე და მემკვიდრე გიორგი მეორე, „სრუ-ლი ყოვლითა სიკეთითა, სიმხნითა და ახოვნებითა“. წერილის შინაარსი იმით ამოიწურება, რომ პატრიარქი ხოტბას ასხამს მეფე გიორგის და საჭიროების მიხედვით, სამხედრო დახმარებას სთხოვს ბულგართა წინააღმდეგ. წერილის ეს ნაწილი საშუალებას გვაძლევს თითქმის ზედმიწევნით განვსაზღვროთ მისი შედგენის თარიღიც. 924 წელს, თუ მის ახლოს, კონსტანტინეპოლში მოხდა ბულგართა მეფე სიმონის ფრიად საყურადღებო შეხვედრა იმპერატორ **რომანოზთან**, რასაც მშვიდობიანობა უნდა განემტკიცებინა ორ სახელმწიფოს შო-რის. ხოლო ნიკოლოზის სიტყვებთგან ირკვევა, რომ ამ ამბის გაგებაზე გიორგი მეფეს, ალბად, მილოცვის მიზნით, წერილი გაუგზავნია კონსტანტინეპოლში. რაკი შეხვედრამ სათანადო შედეგი ვერ იქონია. ამიტომ გიორგის პასუხად ზემო წერილი გაეგზავნა პატრიარქისაგან: რაც არ უნდა მოხდეს, მაინც ომისთვის მზად იყავიო. ვინათგან ნიკოლოზის პატრიარქობა 925 წელს დასრულდა, ამისთვის ეს წერილი მიმართული უნდა იყოს არა უგვიანეს 925 წლისა.

ამ წერილის თარიღს ერთი სხვა არანაკლებ საგულისხმო მნიშვნელობა აქვს. ბაგრატ მესამის „მეფეთა დივანი“–ს თანახმად, კოსტანტინეს უმეფნია 873-912 წ., გიორგი მეორეს კი 912-957 წლებს შორის, არც ერთი წელთაღრიცხვა არის სწორე და არც მეორე. კოსტანტინე ჯერ ისევ მეფე იყო 914 წლის შემდგომაც (იხ. ჯავახიშვილი, იქვე, გ. 383-395), რათგან გიორგი მეორე 924 წ. უკვე მეფედ მოჩანს და პატრიარქის წერილი მისი მამის–კოსტანტინეს სიკვდილზე სდუმს. ამის გამო საფიქრებელი ხდება, რომ 924 წ. როგორც კოსტანტინეს მიცვალება, ისე, გიორგის გამეფება დიდი ხნის ამბავი იყო. პატრიარქს ამ ორი მოვლენის გახსენება აღარ ესა-ჭიროებოდა. აქედან შეგვიძლია დავასკვნათ: მამის გარდაცვალებას და ძის გამეფებას ადგილი ჰქონდა დაახლოებით 915-920 წლებს შორის.

შემდეგ ნომერში მოვიყვანთ ნიკოლოზ მისტიკოსის სამივე წერილს, ჩვენ მიერ ბერძნუ-ლითგან ქართულად თარგმნილს.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში; გადაწერილია სქელტანიან რვეულში– „წერილების წიგნში“ რომელიღაც სასულიერო პირის მიერ.

მიხეილ თარხნიშვილი

ქართველთა სამოციქულო ღვაწლი კავკასიის გადადმა

„ნიკოლოზ მისტიკოსის წერილები“ ჩვენ მიერ ბერძნულიდან ქართულად გადმოღებული

გვ. 111, სვ. 241-244. წერილი მე-51-ე, აფხაზთა მეფე ბაგრატისადმი, 902 წლის ახლოს:

„მის დიდებულებას აფხაზთა ხელმწიფეს. შენი ღვთის - მოყვარეობა და ზნე-ტკბილობა სიყვარულს ბადებს ჩვენს გულში, ჰოი, ღვთის კაცო. ამიტომ არის, რომ თვითონ ჩვენ პირველნი გეხმაურებით ამ წერილით და თითქოს აწმყონი, როგორც ჩვენს საკუთარს შვილს, გეხვევით და მამობრივი ამბორით გესალმებით. ხოლო შენს ღვთისმოყვარებას ცხად ყოფს შენივე ღვთითაღტყინებული მისწრაფება, რომელი თავს იდე და რომელსაც იჩენ ალანთა ერის სახსნელად და ჭეშმარიტებაში გასაწვრთნელად.

ვინაითგან სხვა და სხვა გარემოებით გვეუწყება შენი ბრწყინვალე ღვაწლი: თუ რა ფრიად ღვთისნიერი ღვაწლი იკისრე ალანთა მთავრის და ყველა მათ განსანათლებლად, რომელნიც მასთან ერთად ღირს იქმნენ ნათლის ღებისა.

შენი კეთილზნეობის და ქველმოქმედების სხვა ნიშანი და სხვა მოწმე რაღა საძებნელია, როდესაც საამისოდ დიაღ კმარა ის სტუმართ-მოყვარეობა, მზრუნველობა და შეძლებისამებრ დახმარება, შეგვინახე გულწრფელი მეგობრობა, დაიცავ თანამოსანგრის სული და, თუ საჭიროებამ მოგიწოდა, ვითარცა გულუხვმა და კეთილმცნობელმა მეგობარმა, თხოვნა აღგვისრულე ყოველნაირად, რათა ამითვე ცხად იქმნეს შენი სათნოება და მეგობრული ერთგულება“.

შენახულია იქვე (სავანის არქივში).

მიხეილ თარხნიშვილი

ერთ-ერთი ქართველთა მხედარმთავართაგანი ბიზანტიაში

ქართველ მხედარმთავართა შორის ბიზანტიის იმპერიაში დღემდე უფრო ცნობილია დიდი დომესტიკოსი **გრიგოლ ბაკურიანი,** ალბად, იმიტომ, რომ გრიგოლის ღვაწლი საქართველოსათვის ბევრით აღემატება სხვა სტრატეგთა ღვაწლს და მისი გავლენის კვალი დღემდე ცხადად აჩნია ქართველობას. გრიგოლის მნიშვნელობამ შეიძლება უფრო იმატოს ახლო მომავალში, რაკი მისი ტიპიკონის ახლად აღმოჩენილი, უკვე ორ ხელნაწერში შემონახული ქართული ნუსხა, მძლავრად შეიჭრება ქართული სამართლისა და **ენათმეცნიერების** სამყაროში.

ამ სახელოვან მხედარზე და ღრმა ქრისტიანზე უამრავი ცნობებია გაბნეული ბიზანტიის მწერლობაში და ამ უკანასკნელის შესწავლის საფუძველზე ევროპის ახლად გაშლილ კვლევა-ძიებაში. უკანასკნელად მას შეეხო საკეთილოდ სწორეთ იმ ქვეყნის მეცნიერთა ხელი, სადაც გრიგოლ ბაკურიანმა აღმართა მისი საწესო **მონასტერი პეტრიწონისა.**

სოფიის სამეცნიერო აკადემიამ შარშან გამოსცა მისი ახალი ორგანო „ბულგარეთის საისტორიო ინსტიტუტის მოამბე 1-2, 1951 წ.“ ამ მოამბეში (გვ. 99-189 და 266-297) პროფ. **ვსევოლოდ ნიკოლაევმა** ორი ვრცელი ნარკვევი უძღვნა **გრიგოლ ბაკურიანს**: მისი მონასტრის დანიშნულებას ბალკანეთის არეში და მისი ქართულ-ბერძნული ტიპიკონების სვებედს და ღირებულებას. პროფ. ვსევოლოდის თხზულება, აგრეთვე, მით არის ჩვენთვის საგულისხმო, რომ შიგ დატანებული აქვს ფოტოგრაფიული სურათები როგორც მონასტრისა და ეკლესიისა, ისე ქართულ-ბერძნული ტიპიკონისა. ჩვენთვის უფრო საყურადღებოა შემდეგი ნახატები: 1. ეკლესია-მონასტერი და 2. ბერთა სამარხო მათი გარემო მთა-ბარით, რაც **საოცრად წააგავს ბორჯომის ბაკურიანს,** ალბად, ამ ბაკურიანების პირველ-ყოფილ ბინას და მამულს. 3. ფერადებიანი ფრესკო თვითონ **გრიგოლის და მისი ძმის აბაზისა,** ბიზანტიის კარის უმაღლეს ხელისუფალთა ბრწყინვალე მორთულობა-სამოსში, სამწუხაროდ, ცოტათი დაშავებულია. ორივე ძმას ეკლესიის გეგმა უპყრია ხელში. ფრესკო უნდა ეკუთვნოდეს ეკლესიის აგების ხანას. 4. ტიპიკონის ქართულ-ბერძნულ ტექსტების რამოდენიმე გვერდის ფოტოგრაფები. 5. ალბად, პირველად აქ გამოქვეყნებული; 1311 წელს მოჭედილი ხატი ღვთისმშობლისა, იმ წარწერით, რომელიც ჩვენ უკვე დავბეჭდეთ ჟურნალში (იხ. „ბ.ქ.“ N8). ხატის სახე კარგად არ მოსჩანს: სიძველის გამო ჩაშავებულია და ბუნდოვნად გამოიყურება. 6. ოთხი სხვა ქართული მონოგრაფიული წარწერა ჯვარისა, ეკლესიის კედელზე. 7. მეჩვიდმეტე საუკუნის ფერადებიანი და უზადოდ შენახული ფრესკო ეკლესია-მონასტრის „ახლად აღმშენებელის“ თუ კეთილის მყოფელისა.

ყველა ზემოდ მოყვანილ ცნობებს რომ კაცმა თავი მოუყაროს და ერთ მთლიანად დაამუშავოს, დიდ სამსახურს გაუწევს საქართველოს წარსულს და მის კულტურას.

იმპერიის მეორე სახელგანთქმული სტრატეგი გახლავთ **ბაკურ დიდი,** მე-IV საუკუნის ჩინებული მთავარ-სარდალი და ეგების ქართველთა მეფეც. ეს ბაკურია, რომელმაც **დასავლეთს პირველად აცნობა ქართლის მოქცევა წმ. ნინოს მიერ**. ამ დიდ ქართველზე უფრო ვრცლად, ალბად, სხვა დროს.

მესამე დიდი მხედარ-მთავარი, რომელიც აქ მკითხველს უნდა გავაცნოთ, არის **გრიგოლ იბერიძე** ანუ ბერძნულად „გრეგორას იბერიძის“.

ამ იბერიძეს თაობაზე, სამწუხაროდ, მარტო შემთხვევითი ცნობები თუღა დარჩენილა ძველ საისტორიო მწერლობაში. მთავარ წყაროდ აქ დავასახელებთ ბიზანტიელი მწერლის, **კედრენის „გამოკრებულ ისტორიას,** Niebühr-ის გამოცემას: Corpus Scriptorum Historiae Byzantinae 1889 წ., კედრენის Historiarum Compendium II, გვ. 267-268; 278-281.

კედრენის მოწმობით **გრეგორ იბერიძე** მოღვაწეობდა მეცხრე-მეათე საუკუნის მიჯნაზე, ბიზანტიის იმპერატორ ლეო მე-VI-ის (886-912) და კოსტანტინე მე- VII-ის (913-959) დროს. ლეონის დროს **გრეგორ იბერიძე** იყო „სქოლების დომესტიკოსი“ ე.ი. ბიზანტიის ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო წყობის მთავარ-სარდალი. ბიზანტიელი მწერლები შემდეგს გვაუწყებენ იბერიძეზე: მის დროს ლეო იმპერატორს აუჯანყდა მისი ქვეშევრდომი **ანდრონიკე დუკა,** ქართულად **დუწი**, რომელიც ქალ. იკონიის ახლო თავის ციხე **კაბალაში** შეკეტილიყო. ლეონმა დუკას ქედის მოსახრელად დიდ-ძალი რაზმით გაგზავნა დუკისავე მახლობელი თუ მოყვარე, თვითონ ჩვენ გრეგორ იბერიძე. ანდრონიკე დუკამ რომ იმპერატორის მოქმედება და იბერიძის მოახლოვება იუწყა, მაშინვე მიატოვა თავისი სიმაგრე, გაიპარა საბერძნეთიდან და აგარიანთ-სარკინოზებს შეეხიზნა. რაკი იმპერატორი ვერ შეელია სახელოვანი და გავლენიანი პირის ხელიდან გაშვებას, მან წერილობით სცადა ლტოლვილი დუწი ისევ იმპერიის საზღვრებში შემოეყვანა. ოღონდ არაბებმა გაუგეს ასეთი განზრახვა და, განთავისუფლების მაგიერ, დუწის თავი საპრყრობილეში უკრეს, სადაც გარდაიცვალა. გრეგორ იბერიძის და მოუსვენარი დუკების, იბერიძის ნათესავების, ამბავი ამით არ აღსრულებულა.

ლეო იმპერატორი რა მიიცვალა, მის მაგიერ მეფედ გამოცხადდა 7 წლის ყრმა კოსტანტინე მე–VII, პორფიროგენტი, რომლის სახელით იმპერიას განაგებდნენ მისი აღზრდილნი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, სამეფოს საქმეები ისე ბრწყინვალედ აღარ მიდიოდა, შინაური ყოფა ნელ-ნელა აიწეწა და ხალხის ერთი ნაწილი დრტვინვა-ჩივილს მიეცა. ამიტომ მოხდა, რომ მთელი რიგი გავლენიან ბერძენთა ფარულ ბრძოლაში ჩაება „აღმზრდელთა“ წინაღამდეგ. ამ მეამბოხეთ მალე გამონახეს ყრმა მეფის მეტოქე-მოადგილეც. ეს მოადგილე იყო მაშინდელი სქოლების დომესტიკოსი, **ანდრონიკე დუწის ძე და გრიგორ იბერიძის სიძე**, **კონსტანტინე დუწი.** ჩანს, იბერიძეს თავის ქალიშვილთან ერთად კოსტანტინესათვის გადაულოცნია ასევე თავის პატივიც – სქოლების დიდი დომესტიკოსობაც, თვითონ-კი, მაგისტროსის ტიტულით კმაყოფილს, მყუდრო და მოსვენებითი ცხოვრება აურჩევია.

აი, ამ კოსტანტინეს, მეგობარ-მრავალს, გულადს და პატივ-მოყვარეს ქალაქიდან დაუწყეს ფარულად ვედრება და წვევა: მოდი, კონსტანტინეპოლი და იბერია ხელთ იგდე და ბოლო მოუღე ბავშვის მთავრობასაო. კოსტანტინემ არც აცივა, არც აცხელა, უყოყმანოდ აჰყვა მეგობართა რჩევას და მცირე ჯარის ნაწილით ღამე დედა-ქალაქში შეიპარა სწორეთ იმ კარით, რომლის სიახლოვეს ქალაქში ბინადრობდა მისი სიმამრი **იბერიძე**. კოსტანტინემ ღამე სიმამრის სახლში დაჰყო. აქ მას შეუერთდენ სხვა მისი ნაცნობები და მიმდგომნი. დილის ალიონზე, ის-ის იყო სამოქმედოდ უნდა აშლილიყვენ, რომ მოწინააღმდეგებმა დაასწრეს... პალატის სადარაჯო რაზმი ვიღაცას გაეფრთხილებია.

საპალატო აჯანყების დროს კოსტანტინეპოლში ცირკს მუდამ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა. ვინც ამ არეულობისას ცირკს ხელში ჩაიგდებდა და ხალხს აღელვებით დაიყოლიებდა,

გამარჯვებაც მას გაუღიმებდა. ამიტომ იყო, რომ მთავრობის ხალხმა მყისვე ჩაკეტა ცირკის ყველა შესავალი და სამეფო ჯარი იმ წამსვე აამხედრა იმპერატორის დასაცავად. მოხდა დიდი ბრძოლა ორ მოპირდაპირეთა შორის. მალე უკუირღვა კონსტანტინეს მცირე რიცხოვანი რაზმი და მომოიფანტა. გახელებული კოსტანტინე ცხენით გავარდა. მაგრამ ცხენმა უმტყუნა ქალაქის დარღვეულ ქუჩებში და მხედარი ძირს გადმოისროლა. წაქცეულ მეამბოხეს ვიღაცამ თავი მოჰსჭრა და მეფეს მიართვა. აჯანყება ჩაქრა...

საშინელი და შემაძრწუნებელი იყო გამარჯვებულთა შურის-ძიება: ზოგი კუროს ნერვით გაშოლტეს და მონასტერში შეაგდეს ნაცემ-ნათრევი, ზოგს თავი მოაგდებინეს. სხვებს თვალები დაუბნელეს, ვიეთნი პალოზე ჩამოაგეს და ზოგიც გამოასაჭურისეს. **იბერიძეს** რაღა გადახდა? კოსტანტინეს მარცხი რომ შეიტყო, მან უმალევ თავი შეაფარა **წმიდა სოფიის ეკლესიას**. მაგრამ სამეფოს რეგენტებმა ტაძრიდან გამოათრიეს ის, გაკრიჭეს და სტუდელთა ერთ სავანეში შეამწყვდიეს. იბერიძეს მეტი ღვთის რისხვა არა სწვევია. ეგების იმიტომ, რომ ან არა იცოდა რა მისი სიძის ბოროტი ზრახვებისა, რაც საეჭვოა, ანდა უმკაცრესი სასჯელის თავდატეხა ვერ გაუბედეს მისი დიდი დამსახურების გამო იმპერიის წინაშე; კოსტანტინეს ცოლს, იბერიძის ქალიშვილსაც, თმა დაჰკვეცეს და პაფლაგენში, სადაც მამულები ჰქონდა, გააძევეს. მისი ვაჟი სტეფანე კი გამოასაჭურისეს, რათა თესლი არ დარჩენოდა შინაგამცემელს. ასე ტრაგიკულად დასრულდა იბერიძის და მისი სიძის მცდელობა იმპერიის საჭის ხელში ჩასაგდებად. ჯერ თავად სულ ეს არის, რაც გრ. იბერიზედ ვიცით.

მაგრამ ირკვევა, რომ გრ. იბერიძე უთვისტომოდ მაინც არ გარდასულა. დარჩენილია ერთი ბერძნული ტექსტი – კონსტანტინეპოლის სამსჯავროს (სასამართლოს) მიერ გამოტანილი განაჩენის 1049 წლის ანგარიში, რაღაც პრასტენის კუთვნილების შესახებ. ეს ანგარიში შეუდგენია, ჩანს თვითონ **ფსელოსს, კოსტანტინეპოლის დიდ ფილოსოფოსს** და გადმოცემით, ჩვენი ფილოსოფოსის **იოანე პეტრიწის მასწავლებელს** (1018-1078). ამ განაჩენში დასახელებულია პროტოსპატარი და ვესტიარიტი (სამეფოს კარის მაღალი ხარისხებია) ვინმე **იოანე იბერიძე**, შვილი-შვილი პროტოსპატარის **სტეფანე იბერიძისა** (იხ. Sathar, მესეონიკის გივლიოთიკის, ტომი V. 1876 წ. გვ. 197-203). ეჭვი არ უნდა, ეს ბერძენი შთამომავალნი უნდა იყვნენ, პირდაპირ თუ არა, მიახლოებით მაინც ზემოდ დასახელებული დიდი დომესტიკის, **გრ. იბერიძისა**.

ფსელოსი იოანე იბერიძეს უწოდებს ასევე მარტივად **იმბერ**-ს, ე.ი. ქართველს, რაც უდავოდ ცხადყოფს, რომ ეს იბერიძენი ნათესაობით ქართველები ყოფილან, რომელთა წინაპარი, რაღაც მიმზეზების გამო, ბიზანტიას შეჰკედლებია და იქ პატივი, დიდება და სახელი მოუხვეჭია.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის სავანის არქივში.

მიხეილ თარხნიშვილი

ქართული ხელნაწერები და ძველი წიგნები რომის წინგნსაცავებში
B. პროპაგანდის არქივი

V

ამ არქივში მოიპოვება ერთად-ერთი ხელნაწერი, სხვა ყველა დაბეჭდილი წიგნებია.

1. ხელნაწერი: „დიონისიო არიოპაგელისა ათინელი იეპისკოპოზისა ტიომითეს მიმართ ეფესელთა იეპისკოპოზისა საღმრთოთა სახელთათვის“. ნაწერია ქაღალდზე მხედრულად, შავი მელნით. ყდა სუბუქ ქაღალდისაა ზომა: 35X22 სტმტ. დაწერილია ერთ სირად. სტრიქონთა რიცხვი ძალიან ცვალებადია. გვერდები არაა მუდამ სავსე, ზოგან ცარიელიც - კია. არშია დიდი, ზედ აღნიშნულია, თუ ვის განუმარტავს ტექსტი: „მაქსიმე“, „გერმანოს“, ძეგლს თან ახლავს ეფერემ მცირის განმარტებანი, გადმოღებულნი მაქსიმესა და გერმანოს თხზულებათაგან. ტექსტის შესავალი **ეფრემ მცირისა** მოთავსებულია უსათვალავო სამ პირველ ფურცელზე. მესამე კაბადონის პირველ გვერდზე წარწერა იმყოფება იტალიანური, რაც გვამცნობებს: ეს ხელნაწერი საკუთრება ყოფილა ანტ. გლაკოვისა, ვისაც იგი პროპაგანდისათვის შეუწირავს 17 აგვისტოს 1867 წ. მე-284 გვერდის (ხელნაწერს სულ ამდენი გვერდი აქვს) ბოლოს ანდერძი გადამწერისა: „დიდება შენდა სამებაო წმიდაო ღმერთო, რომელმან წარჰმართე აღსრულებად წმიდისა ამის წიგნისა დიონისივსისა. ხელითა ჩემ უღირსის მღვდლის **ანტონ მოძღვრის თუმანოვის**, კათოლიკე მრევლთ შემელელის **ქუთაისის ქალაქისა,** სამოციქულო მისიონერის მიერ: აღიწერა ხუცურის წერილიდგან იოანე დეკანოზის მიერ ტფილის ქალაქის ჯუარის საყდრისა, ივნისის თვის ვ სა (6) ქრისტეს ქრონიკონს 1757 სა: და ჩემ მიერ მხედრულად კვალად ივნისის თვის 20 სა 1836 სა. წელსა ქრისტეს ქრონიკონსა, დაწყებული თებერვლის პირველიდგან“: ამით ირკვევა, რომ ან. თუმანიშვილს ეს თხზულება გადაუწერია 1836 წელს.

როგორც ყველამ უწყის, დიონისის თხზულებათა თარგმანი ღვაწლია ეფრემ მცირისა. სირცხვილი კია, რომ ეს ჩინებული თხზულება ჯერედ დაუბეჭდავი იმყოფება. ეს მით უფრო სამწუხაროა, რომ ეხლა სადღეხვალიოდ ათას რამეს ბეჭდავენ. ამ სახის საშვილიშვილო ნაწარმოებისათვის-კი არც დრო სჩანს და არც სახსარი.

II. ნაბეჭდთა შორის უნდა აღვნიშნოთ]

1. **ბიბლია** – მთელი, ძველი და ახალი აღთქმა, ხუცურად, უშველებელი ტანის წიგნი: სულ 1093 გვერდი. დაბეჭდილი მოსკოვს 1843 წ. ბრძანებითა და წარსაგებელითა საქართველოს მეფის ბაქარ **ვახტანგის ძისათა**. აქვს მინაწერი მხედრულად: „მიუბოძეთ: ესე: დაბადება: გარსევანის: შვილს: ნიკოლოზს: ნეტარად ხსენებულის: საქართველოს: მეფის: ბაქარის: სულის მოსახსენებლად. **ეს ბიბლია საქართველოშიც იშვიათია და საქართველოს გარეთ, აქ, ევროპაში, ვგონებ, ერთად – ერთი ცალია.**

წიგნში ჩადებულია ვრცელი ისტორიული მოთხრობა იტალიანურად, რაც შეუდგენია გორელ სომეხ მღვდელს **დონ სტეფანე ავთანდილს** სომხური თვალსაზრსით. ზედ ორი ქართული მინაწერი აქვს: a. „ვიხილე, წავიკითხე და გავიგე ჭეშმარიტებისა მე **დამიანე სააკოვმან,** მყოფმან აქ პროპაგანდაში წლიდგან 1883-1890“. ეს დამიანე შემდეგში ქართველ კათოლიკეთა მღვდელი იყო ქუთაისს. b. „მე წავიკითხე მაგრამ ყველაში არა ვპოე ჭეშმარიტება,

მეტადრე რაც შეეხება სომხების ისტორიკოს ტყუან **მოსე ხორენის** ისტორიიდან მოთხრობას, მე მღვდელი **მიხელ თამარათი**, ახალციხელი 1902“. ცნობილი მ. თამარიშვილია.

2. **ტრიოდიონი** „რომელ არს სამსაგალობელი“. ხუცურად დაბეჭდილი მოსკოვს 1863 წ.

3. **სხვა ტრიოდიონი** უთავო, სჩანს, პირველზე უფრო ძველი. მე–548 გვერდზე შემდეგი ანდერძი აქვს ლიტურღიის ისტორიისათვის საყურადღებო: „უწყებელ იყავნ ესე ყოვლად. რამეთუ საგალობელი ესე ნათლის მცემლისა ორმეოცეა, ხარების წინა დღისა, თვით ხარებისა, და ხარების წარგზავნისა, მთავარანგელოზის საგალობელითურთ, არცა ბერძულ მარხვაში იყო და არცა რუსულში და რადგან საქართველოში სიმჭიდროე იყო თთუᲑნისა და არა სადმე იშოვებოდა, ამისთვის მე იმის სიმაღლის (ალბად ირაკლი მე-II-ის) კარის მღვდელმან ქრისტოფორე აქ მარხვანში დავბეჭდე. მოსახსენებლად ცოდვილისა სულისა ჩემისა“.

4. **პარაკლიტონი** ხუცურად, დაბეჭდილი თბილისს 1772 წელს ირაკლი მეორის და დარეჯან დედოფლის ბრძანებით და ანტონ I კათოლიკოსის კურთხევით. მეორე გვერდზე გამოხატულს სამების სურათს წარწერა აქვს: “სამებაო წმიდაო, ადიდე მადიდებელი შენი ბეჭდისა ამის მეორედ განმაახლებელი მეფე სრულიად ქართლისა და კახეთისა ირაკლი“. ამ პარაკლიტონში (სალიტერატურღიო წიგნი მთელი წლის შვიდეულისათვის განკუთვნილი) ანტონს შეუტანია ქართული, რაც ხელთ ჰქონია. დანარჩენი ბერძნულისა და ზოგიც სლავიანურისაგან გადმოუღია სხვა და სხვა პირთა დახმარებით. ანტონ I-ს ეს ტექსტი შეუდ-გენია მწირობაში, როცა საქართველოდან განძევებული „**გაფრანგების**“ გამო, არხიპისკოპოზოდ იყო **ვლადიმირისა** და **იეროპოლისა**.

5. **პარაკლიტონივე.** დაბეჭდილი მოსკოვს 1861 წ.

6. **კურთხევანი** მცირე, მოსკოვს დაბეჭდილი 1861 წ. კურთხევანი ეკლესიაში სახმარებელი წიგნია სხვა დასხვა ლოცვებისა და საიდუმლოების შესასრულებლად.

7. **კონდაკი**, რომელიც შეიცავს ი. ოქროპირის, ვასილ დიდის ლიტურღიას და განახლებას, დაბეჭდილი თბილისს 1783 წ. 12 აგვისტოს, ირაკლი მეფის, დარეჯან დედოფლის ბრძანებით და ანტონ კათალიკოზის კურთხევით. მეფის წარწერას აქ სხვა ფერი დაჰკრავს: „სამებაო წმიდაო, ადიდე მადიდებელი შენი მეფე ყოვლისა საქართველოᲒსა **ირაკლი**“. ალბად, შემდეგ რუსეთთან ხელშეკრულებისა 24 ივლისს 1783 წ.

8. **ჟამნი** „საფასითა და წარსაგებელითა ტფილისის მიტროპოლიტის **ათანასი თავადი ამლახორისათა**: განკეთდა საბეჭდავე ესე და დაიბეჭდა ღვთით-სულიერი წიგნი ესე ჟამნი ზედამხედველობისა თავადი **დიმიტრი ციციანოვისათა**“, მოსკოვს 1768 წ. სულ 826 გვერდია. მე-790 გვერდზე ღერბი მიტროპოლიტისა. ღერბის გარშემო: „მიტროპოლიტი ტფილისისა ათანასი თავადი **ამილახოროვი**“. აქაც გვარი უკვე რუსულად შეფარდებულა. საუცხოო ხილია.

9. **სხვა ჟამნი** გამოცემული ტფილისს 1872 წ.

10. **დამასკელისა**. **იმპერატრიცა ელისაბედ პეტრეს ასულის ჟამს**, „ბრძანებითა მეფის **ბაქარის ვახტანგის ძესაᲒთა**... საფასითა და წარსაგებელითა არქიეპისკოპოზის იოსებისათა, გაკეთდა საბეჭდავე ესე და დაიბეჭდა წმიდაᲒ ესე **იოანე დამასკელი“** მოსკოვს, 1744 წ. ტექსტი ხუცურია. წიგნი დაზიანებული. სულ 421 გვერდიანია. შინაარსი: იოანე დამასკელის „მართლისა სარწმუნოებისათვის“. თარგმანი **არსენ იყალთოელისა.**

11. **თვით-მასწავლებელი,** „რომელი იპყრობს თვის შორის ღრამატიკასა, ზნეობის სწავლასა, საუბარსა და ლექსიკონისა რუსულსა და ქართულსა ენასა ზედა“: შეთხზული „მმსახურებელის სახელმწიფოსა კოლეგიასა შინა უცხოს მხრისათა. ნადვორნის სოვეტნიკის და კავალერის **გოდერძი ფირალოვისაგან,** სანკტ პეტერბურღს სტამბასა შინა **იოსებ იოანესოვისა“,** 1820 წელს, სულ 187 გვერდი აქვს.

12. La grammaire gèorgienne par l'Archiprètre Eusebius, fils de David Tchoubino, Aumónier des scars de la Gèorgie Heraclius et Gèorge (ასეა). B.E.A. Rottiers, imprimè-a Tiflis 1818. მიძღვნილი კათოლიკეთა მ სიონის პრეფეკტის მ. ფილიპე ფორანო კაპუჩინისადმი. მცირე წიგნი კია სულ 128 გვერდიანი, მაგრამ ფრიად ლამაზი მხედრულ-ხუცურით.

VI

დამატება. კაპუჩინთა მისიონერებმა ფრიად დიდი ღვაწლი დასდეს საქართველოს კულტურულადაც. მათ შორის თავი იჩინა მ. **ბერნარდო მარია ჩიოფფიმ,** რომელმაც ათი წელი დაჰყო საქართველოში. 1680 წელს ის უკვე ნეაპოლში იყო. **მ. თამარიშვილს** უნახავს მისი ქართული ხელნაწერები, წინეთ რომ „ტორე დელ გრეკო“-ში იყვნენ, ეხლაკი, რაც გადარჩენილა, **ნეაპოლის საერო ბიბლიოთეკაში ინახებიან**. ამათგან საყურადღებოა: ზღაპარი „ბაამა“ ერანის მეფის თავგადასავალი, გვ. 113. ამ წიგნთან შეკრული ყოფილა ქართლის ცხოვრება 40 გვერდიანი ნაწყვეტი, 1250 წლის ამბების ისტორია. გადაწერილი მ. ბერნარდის მიერ უფრო ძველი დაზიანებული დედანიდან. ოთხთავი მხედრულად (იხ. მ. თამარიშვილი, ისტორია კათოლიკობის ქართველთა შორის, ტფილისი 1902 წ., გვ. 255; 682).

რა საკვირველია, ამ ცნობამ მეტად დამაინტერესა, მოვნახე ჯუზეპე გაბრიელის კატალოგი აღმოსავლურ ხელნაწერთა იტალიაში (ფლორენცი, 1930, გვ. 87-89). იმედი გამიცრუვდა. ზემოდ აღნიშნულ ძეგლების სახსენებელიც ვერ ვნახე ამ აღწერილობაში. წერილით მივმართე ნეაპოლში ნაციონალურ ბიბლიოთეკის გამგეობას. 29 ნოემბრის 1952 წლის პასუხში მ. ბერნარდის ეს წიგნებია ჩამოთვლილი: 1. ქართული ლექსიკონი მცირე 2. ქართულ-იტალიური ლექსიკონი; 3. სასულიერო წიგნაკი; 4. საპოლემიკო ნაწერი სული წმიდაზე; 5. წმ. ფრანჩისკე სალეზელის ფილოთეა ქართულად; 6. წერილები; ამ წერილთა ნაწილი მ. თამარაშვილს გამოუქვეყნებია თავის თხზულებაში; 7. კარდინალ ბელარმინის კატეხიზმო მცირე, ქართულად; 8. საქმე მოციქულთა, ალბად, მთელი სამოციქულო გადაწერილი სხვა სამოციქულოდან. ეს არის და ეს. ხოლო გავიგე, რომ მ. ბერნარდოს ხელნაწერთა ზოგი ცალი შეუძენია აღმოსავლეთის ინსტიტუს ნეაპოლშივე, იქაც მივსწერე, მაგრამ ჯერედ პასუხი არ სჩანს, ველი-კი. მართალია, ზოგიერთ ხელნაწერთა შინაარსი უფრო ვრცლად არის განსახილველი, მაგრამ ეს სხვა დროს.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

მიხეილ თარხნიშვილი

მთვარის ღმერთი არმაზი და ლეონტი მროველის თხზულება

I

ივ. ჯავახიშვილმა ცხადყო მიზეზ-შემოუღებლად, რომ ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ზეპირ-გადმოცემაში ჩარჩენილი კულტი წ. გიორგისა წარმოადგენს ძველ-წარმართულს, ღმერთად მიჩნეულის მთვარის კულტს და თაყვანისცემას*. საქართველოში ბევრგან დღემდე შემონახულს მთვარის დღესასწაულებს ხალხი ასრულებს ერთობ ღამე ანუ მწუხრს. მათ საზეიმოდ განკუთვნილი იმყოფება წლის სხვა და სხვა დრო-ჟამი, უმთავრესად-კი თვე აგვისტო. მაგალითად, სოფელ აწყურს თეთრგიორგობად და **სოფელ არბოში** გერისთობად. ამ დღესასწაულებს უქმობენ მთვარის მეოთხედების შესატყვისად ახალი მთვარიდან მოკიდებულ-ი მცხრალ მთვარემდის, ე.ი. 7-8, 14-15, 21-22, 28-29 აგვისტოს ან რომელიმე სხვა თვეში, როცა წლისა და თვეების აღრიცხვა დამყარებულია მთვარის სრბაზე.

ქართველთა ზნე-ჩვეულებამ და თქმულებათა რიგმა ნათელყო მსგავსადვე, რომ წარმართ **ქართველთა მთავარ ღვთაებად მთვარე ითვლებოდა** და მისი თაყვანისცემა ყველა სხვა ღმერთთა მსახურებას აღემატებოდა.

ახლა დაუპირისპიროთ ეს უტყუარი მონაცემი ქართულ სამწერლო წყაროთა ცნობებს. ერთი შეხედვით, მთვარის ღვთაებასა და აღმატებულებაზე წარმართ ქართველთა ცნობიერებაში აქ ვერაფერს მონახავთ. როგორც ქართლის მოქცევა, ისე ლ. მროველი ქართველთა მთავარ ღმერთად ასახელებს არმაზის კერპს, რომელიც აღმართული იყო არმაზის მაღლობზე. ხოლო არმაზი, სახელით მაინც, ქართველ მკვლევართა აზრით, შესატყვისი იყო **აჰურამაზდასი**, ირანის ღვთაებისა. ამისდა მიხედვით, ერთიმეორის წინააღმდგომი იყო ორი რთული გადმოცემა ჩვენ წინაპართა მთვარის ღვთაების ირგვლივ. ამიტომ ან ერთი ცნობა უნდა ყოფილიყო სწორი და ისტორიული, ანდა მეორე, ი. ჯავახიშვილმა, რომელიც უნდობლობით ეპყრობა ზოგიერთ უძველეს ქართულ სამწერლო ძეგლს, პირველობა და უპირატესობა მიანიჭა ქართულ ზნე-ჩვეულებასა და ზეპირგადმოცემაში შემონახულ სინამდვილეს და სრულიად უარყო და უკუაგდო ქართლის ცხოვრების და ქართლის მოქცევის ნათქვამი. მიხ. წერეთელმა სცადა გაემართლებინა და პირნათლად გამოეყვანა „მრავალჯერ და მრავალთაგან განქიქებული ქართული წყაროები“**, მარა ამაოდ. ი. ჯავახიშვილმა მისი „გონება მახვილიდ კვლევა-ძიება“ თითქმის არ გაიკარა და ისევ ძველი სიფრთხილე ამჯობინა.

რაკი ქართული ორ წყაროთა და ორ ცნობათა ერთმანეთთან შეჯერებამ გზა ვერ გაიკვლია, ამიტომ მთელი ქართული მითოლოგია და წარმართული სარწმუნოება, რაღაც გაურკვეველობისა და დაუმთავრებლობის ელფერს ატარებდა. ის არ იყო ჩამოყალიბებული, ერთ მთლიან მსოფლმხედველობად ჩამოსხმული სისტემა, როგორც მაგალითად, წარმართ გერმანელთა და ბერძენ-რომაელთა მითოლოგია. მაგრამ აქაც, პოეტის არ იყოს „უეცრად ბნელი განათლდა, ცა გაიხსნა რა, გაიღო კარი“.

გერმანელმა ასსირიოლოგმა A. Gölze-მ გამოსცა წყება ტექსტებისა: Hattusilis. Der Bericht Uber seine Thronbesteigung.. Leipzig 1825, Neue Brochstücke zum grossen Texte des Hattusi lis, Leipzig

---

* ქართველი ერის ისტორია, ტ. I, თბილისი, 1928 წ., გვ. 45 და შემდ.

** ხეთის ქვეყანა, კონსტანტინეპოლი, 1924 წ., გვ. 104.

1930.ამ ტექსტებში დასახელებულია ვინმე მეფის ძე id SIN-d Uas. ეს სახელი თეოფორულია, ე.ი. „ღმერთმოსილი“. ამ ტექსტებში იგი გამოსახულია ასურულ იდეოგრამით SIN, რომელსაც ერთვის ხეთური as, ხოლო ოთხჯერ იგივე სახელი წარმოდგენილია არა ასურული იდეოგრამით, არამედ ხეთური ლურსმული ნიშნით: Arma-d U-as . მაშასადამე, ხეთური Arma (არმა) უსათუოდ შესატყვისი უნდა იყოს ასურული SIN -ისა, ე.ი. როგორც **სინ**-ი ნიშნავს **მთვარეს**, ისე **არმაც** უნდა ნიშნავდეს **მთვარეს**. ამასვე ადასტურებს თვითონ Cölze . იგი ამბობს: ეს „საგულისხმო ვარიანტი Arma-d U, მაგიერ ıd-SIN-d U-ისა, ფრიად მნიშვნელოვანია ხეთური მთვარის ღმერთის სახელის წასაკითხავად*. მაშ, რაკი თვითონ ხეთელებმა შესაძლებლად სცნეს **სინის** მაგიერ ეხმარათ **არმა**. ამიტომ ხეთური **არმა** იგივე სემიური **სინი** უნდა იყოსო.

ბევრი სახელია არმადან წარმომდგარი: მაგ. არმაშ, არმას, არმატანშაშ, არმავალის, არმავას და სხვა. ჩვენი აზრით, რასაკვირველია, ქართული **არმა-ზიც** იგივე ხეთური **არმა** უნდა იყოს.

არმა, როგორც **პროტო-ხეთური** სახელი მთავრისა, უკვე შესულია ხეთის ლიტერატურის თუ ერის ისტორიაში. მას იხსენიებს, სხვათა შორის, Forer-ი და აგრეთვე G.Furlani მის წიგნში: La religione degli Hittiti Bologna 1936, გვ. 39-40. **ფურლანის** ჩვენებით, **არმა**-სგან წარმოებული თეოფორული სახელები, რაც ხეთელებს ეგზომ ჰყვარებიათ, იშვიათად გვხვდება ახალ-ხეთურშიო; სჩანს, მთვარის კულტი ისე გავრცელებული აღარ ყოფილა ახალ ხეთაში. მისი ადგილი სხვა ღვათებას დაუპყრიაო. აქედან გამოდის, რომ მთვარე, ვითარცა მთავარი და ფრიად პატივცემული ღვთაება, პროტო-ხეთელების უუძველეს ხანას უნდა ეკუთვნოდეს, იმ დროს, როცა ქართველებს შეუთავსებიათ მის სახელთან ერთად, მისი **კულტიც**.

II

ქართული სამწერლო ძეგლების **არმაზი** თუ იგივე **მთვარეა**, ამავე მატიანეში აღწერილი დღესასწაული არმაზისა, წმ. ნინომ რომ იხილა, რამენაირად უნდა ემსგავსებოდეს **ჯავახი-შვილის** მიერ აღწერილს წმ. გიორგის (მთვარის) დღესასწაულებს. ნამდვილად ისეც არის. ორივე წყარო, ლ. მროველი და ნინოს ცხოვრება, აღნიშნავს სამს რამეს: არმაზის დღესასწაული მირიან მეფემ გადაიხადა 1. აგვისტოს თვეში, 2. ფერის-ცვალების დღეს ე.ი. ექვს აგვისტოს და ისიც 3. საღამოთი, ყველა ეს საუცხოოდ უდგება წმ. გიორგის დღესასწაულებს, საქართველოს სხვა და სხვა კუთხეებში.

აგვისტოს თვე ცხადად არის მოცემული მატიანეში და არავითარ ეჭვს არ იწვევს, ასევე ექვსი აგვისტოც, უფრო სწორად, შვიდი აგვისტო. ეს დღე ხომ ახალი მთვარის დღეა, დასაწყისი ალბად 7 აგვისტო იყო ამ ზეიმისათვის განკუთვნილი და მხოლოდ შემდეგ, **ქრისტიანე მწერლის ხელში მიიზიდა ის ფერისცვალების დღემ**. არმაზის დღეობის მესამე ნიშანი, – მისი უქმობა მწუხრს, ნათლად არ არის ნაჩვენები წყაროებში, მაგრამ ერთიც, რაც სრულის სიცხადით არის იქ ნათქვამი: „ხოლო დღესა მეორესა გამოვიდა მირიან მეფე და ყოველი ერი, ეძიებდეს ღმერთთა მათთა და არა ჰპოებდეს.“** მაშ, წმ. ნინოს მიერ დამხობილი არმაზის საძებნელად ქართველები გამოსულან არა იმავე დღეს, რა დღესაც დაეცა და დაიმსხვრა არმაზის კერპი, არამედ მის მეორე დღეს. ეს მოვლენა კი აშკარა და უტყუარი საბუთია იმისა, რომ **არმაზის დღეობა** დაიწყო ნაშუადღევს ან საღამოთი, ახალი მთვარის გამოჩენის წამებში.

---

* A. I Baltunov, K voprosu pb Armazi (vestnik drevnej Istorij, t. 2, 1940), p. 237. Cölze-ის თხზულება ჩემთვის მიუწვდომელი დარჩა.

** იხ. ქართლის ცხოვრება ანა დედოფლისა. თბილისი, 1942 წ., გვ. 56.

III

რაკი არმაზს არაფერი საერთო არა აქვს აჰურა–მაზდასთან და ქართული სამატეანო ძეგ-ლები ასეთი სიზუსტით და ზედმიწევნილობით გადმოგვცემენ ამ ღვთაების დღესასწაულს, ამიტომ ჩვენ იძულებული ვხდებით შემდეგი დასკვნები გამოვიტანოთ ამ ვითარებიდან.

პირველად, ხეთოლოგიის აღმოჩენა არმაზის შესახებ ხორცს ასხამს და სულ ახალ სახეს აძლევს **ქართულ წარმართობას**. მხოლოდ ეხლა ხდება შესაძლებელი მისი შესწავლა მეცნიე-რულად, დალაგება და ჩამოყალიბება სისტემატურად. არმაზის ვინაობა ახალ შუქს ფენს, სათანადოდ არკვევს და ხსნის თვითონ ქართულ ზნე-ჩვეულებაში დარჩენილს **წარმართობის ნიშნებს და ნაშთებს.**

მეორედ, **არმაზი** თუ არც სახელით არის ირანული და არც შინაარსით, საჭიროა გადაი-შინჯოს და გადაფასდეს, აგრეთვე, ჩვენი წარმოდგენა სპარსული ცეცხლის თაყვანისცემლობის გავლენაზე საქართველოში. **ი. ჯავახიშვილი** მაზდეანობის ღრმა გავლენით ხსნის, მაგალითად, იმ მოვლენას, რომ **აპოლონ როდელის** (მესამე საუკუნე ქრ. წ.) ცნობით, თუ ამ მეზღაპრის ცნობა მართალია, **კოლხები მამა-კაცების გვამებს, დასაფლავების გინა დაწვის მაგიერ, ხარის ტყავებში სდებენ და ქალაქის გარეთ ხეებზედ ჩამოჰკიდებენ ხოლმეო.** ხევსურებსაც დიდ ხანს შერჩენიათ მსგავსი ჩვეულება: ახლად მიცვალებულს ისინი ასვენებდენ ერთი ქვით-კირის კოშკში, სანამ გვამი არ გაიხრწნებოდა. შეიძლება ხევსურთა ჩვეულება მართლა კვალი იყოს **არშაკიდების** თუ სასანელთა დროის მაზდეიანობისა, ხოლო იგივე არ ითქმის კოლხების ჩვეულებაზე, რომელიც ბევრით წინ უსწრობს არშაკიდების, უფრო-კი სასანელთა ეპოქას და გადადის აქემენიდების ხანაში, ალექსანდრე დიდმა რომ შემუსრა. აქემენიდების სპარსეთში-კი ჯერ უცნობი იყო მკვდრების არ-დამარხვა, ამ დროს თვითონ სპარსელებიც-კი მიწაში ასაფლავებდნენ მათ მკვდრებს, მოგვების გარდა, რომლებიც მათ მიცვალებულთ ჯერ პირუტყვებს ათრევინებდენ ხოლმე და მერე მიწაში ჰყრიდენ*. დანარჩენი, ი. **ჯავახიშვილის** მიერ აღნიშნული ნაშთები მაზდეანობისა და საქართველოში**, თითქმის ყველგან მოიპოვება და არასგზით არ შეიძლება ის გამოვაცხადოთ ცეცხლის მსახურების დამახასიათებელ თვისებად. იგივე ითქმის შემდეგზედაც: თორნეში პურის ჩაკვრისას, ქართველი ქალი პირს სულაც არ იკრავს იმ მიზნით, რომ ცეცხლი არ წაბილწოს, იგი პირს იკრავს იმიტომ, რომ ნაღვერდლად ქცეული ჰაერის ასუნთქვა თორნედან მისთვის მავნებელია, სულის შემხუთავი, თვარა, როცა იგივე ქალი კერაზე საჭმელს აკეთებს, გინა ფურნეში პურს აცხობს, რატომ მაშინ არ იკრავს პირს?

მართალია, ცეცხლის მსახურება საკმაოდ მოდებული იყო იბერიაში, მაგრამ მისი შეჭრა ჩვენში ეკუთვნის სპარსელ არშაკიდების უკანასკნელ ხანას, უმთავრესად-კი სასანელთა ურიდო და მკაცრ მცდელობას.

მესამედ, რადგანაც **არმაზი ხეთური ღვთაებაა,** საფიქრებელი ხდება, რომ **უძველესი ქართველობა საკმაოდ დაახლოვებული იყო ხეთებთან**, ეგების ნათესაობითაც, და მათგან შემოვიდა არა მარტო **არმაზი**, არამედ ბევრი სხვა რამეც. უფრო კი მათი პანთეონის ზოგიერთი წევრიც.

---

* G. Huart. La Perse antique, Paris 1925, p. 101-102.

** ქართ. ერის ისტ. იქვე, გვ. 162-163.

მიხ. წერეთლის გამოკვლევით, ხეთიდან, გინა მცირე აზიიდან, არის ჩვენში შემოტანილი, მაგ. **ხის კულტი,** ეგზომ მოფენილი ძველ საქართველოში. მისვე ჩვენებით, ხეთური თუ მცირეაზიურია, აფხაზური **აჟაჰარა** ანუ **აშახარა** (ხეთური იშხარა), ალბათ ქართული **ტაროსი** (ხეთურად Tarö), **ზადენი** (ხეთურად Sandon, Santas), **გაცი** ანუ **გატი** (ბერძნ. ატარ-გატის), **გა** (იშხარი), **აინანა** და **ნინა** ანუ **ნანა** და სხვ.* ჯავახიშვილის ვიქრით, **ვობი** ეგების ხეთელთა თეშუბია და ჯიბალი – იგივე **ჰერმეს– მერკური ვანურ-ლურსმული წარწერებისა; კოპალა** შეიძლება იყოს **კიბელე** და **თახა** ანუ **თარხონი** არის ხეთელთა ბრძოლის ღმერთი **ტარხო** გინა **ტარხონი**, ეთრუსკებში ტარქვინიოლდ ცნობილი. ქართული **არდადეგი** (არდი-დეგი), ჯავახიშვილის აზრით, შესატყვისი უნდა იყოს ქალდური „**არდი**“, „**არდინი“**-ისა, **მზეს** რომ ნიშნავსო. მიხ. წერეთელიც ასახელებს ურარტელთა სამებას, რომლის გვამნი იყვნენ: „**ქალდი**“, **თეიშბა** და „**არდინი**“. ხოლო შემდეგ გერმანელმა მეცნიერმა ი. **ფრიდრიხმა** დაამტკიცა, რომ „**არდინი**“ შემცდარი წაკითხვა იყო,–ურარტულად **მზეს** ერქვა **„შიუინი“** („შივინი“). (იხ. „ბ. ქ“. 8, 1950. გვ. 25).

ხეთურია აგრეთვე ქართველების მიერ ჯერ აუხსნელი სახელი **თულეფია** (მელია–თულეფია). ქართული **თულეფია,** როგორც სახელწოდებით, ისე შინაარსით, სრული შესატყვისია ხეთური **თელეპინუ**-სი, **თელეპინუ** გინა **ტელეპინუ** იყო ღმერთი წულის–მომატებისა და ზოგად, ნაყოფიერებისა (Furlani, La Religione, იქვე გვ. 82).

მეოთხედ, რათგან ლ. მროველს ასეთი ზედმიწევნილობით აქვს აღწერილი არმაზის დღესასწაული მირიან მეფის დროს, ახლად ისმება საკითხი, **თუ როდის მოღვაწეობდა მროველი** და როდის შეადგინა მან თავისი თხზულება: ქართლი მოქცევა წმ. ნინოს მიერ და მეფეთა ცხოვრება.

ცნობილია ი. **ჯავახიშვილის** და კ. **კეკელიძეს** აზრი. მათი რწმუნებით ლ. **მროველი ეკუთვნის მე-XI საუკუნეს**. ეს შეხედულება დრო-მოჭმულად უნდა ჩაითვალოს, ნამეტნავად მის შემდეგ, რაც ზემოდ ითქვა. სინამდვილესთან უფრო ახლოა **ნ. მარის** არა ერთხელ (უკანასკნელად 1924 წ.) წამოყენებული მტკიცება: მროველის ნაწარმოები, ე.ი. ყველა ის ნაწერები, რომელთაც მას ვაჩემებთ. მისი შინაარსის, ტერმინოლოგის, მსოფლმხედველობის და ამბავთა მოცულობის მიხედვით, უნდა მიეწეროს **მე–VII-VIII საუკუნესო**. იგი მსჯელობა გაიმეორა **ინგოროყვამ** 1949 წ. მან მროველის თხზულება დასახა მე-VIII საუკუნის პირველ ნახევრის შრომად*. მართალია, ვინც გულ-დასმით შეისწავლის მროველის შრომებს, მას არ ძალუძს არ დაეთანხმოს (იხ. Le Muszéon 1947, გვ. 29-50). გამოვთქვით ჩვენ იგივე მოსაზრება და საამისოდ მრავალი საბუთიც წამოვაყენეთ. აი, ეს უმთავრესი საბუთები, ზოგი რამ ახალის დამატებით“.

ცხენოსნის (ცხენზედ მებრძოლი) ნაცვლად მროველი მუდამჟამ ხმარობს **მხედარს**. **მხედარი**-კი უკვე **ექთვიმე მთაწმინდელის** დროს აღარ ნიშნავდა მარტო ცხენზედ მებრძოლს, არამედ უფრო მარტივად **ჯარის-კაცს**. მროველი სულ არ იცნობს ქვეყნის სახელს **აფხაზეთის:** დასავლეთ საქართველოს იგი უწოდებს **ეგრის**-ს. ამით მროველი ქრონოლოგიურად წინ

---

* მ. წერეთელი. ხეთის ქვეყანა, გვ. 77-106.

** ყოველ შემთხვევაში, მიხ. წერეთლის გუმანი ქართულ წყაროების ღირსებასა და ხეთიდან შემოსულ პანთეონზე ჩვენში, მართალი გამოდგა.

* Daltunof, K voprosu ob Armazi, იქვე, გვ. 229.

უსწრებს ი. **საბანის ძეს,** აბო ტფილელის მარტვილობის აღმწერელს მე-VIII საუკუნეში. ამ წამებაში დასავლეთ საქართველოს ჰქვიან არა **ეგისი,** არამედ **აფხაზეთი**, მერმედ – თვითონ კეკელიძეც აღიარებს, რომ მროველს მისი ისტორიის შეწყობის დროს, ხელთ ჰქონია, არა მე-X საუკუნის „მოქცევაჲ ქართულისაჲ“, არამედ ამ ძეგლის ერთი სხვა, უფრო ძველი რედაქცია. მსგავსადვე, მროველი არ იცნობს უკვე მე-X საუკუნეში არსებულს **ერისთავთ-ერისთავ**-ს. **ამირსპასალარის** ნაცვლად ხმარობს **სპასპეტს**, და **სპასალარს** აძლევს სულ სხვა მნიშვნელობას (იხ. მ. ჯავახიშვილი, ქართ. სამართლის ისტორია, 1919, გვ. 153). იმავე ნაირად. მროველის თხზულებაში ვერ ნახავთ ქართულ ქორონიკონს, რომელიც ხმარებაში ყოფილა მე-IX საუკუნიდან მაინც (უძველესია მა–821 **კორიდეთის** სახარებისა). ლ. მროველი იყენებს თავის თხზულებაში არა **მზის–წელს,** არამედ **მთვარის გინა მარტის-წელს. ეს წელთ-აღრიცხვა დამყარებულია მთვარის მიმოქცევაზე** და **უძველესად ითვლებოდა** ყველა სხვა წელთაღრიცხ-ვათა შორის. მთვარის-წელიწადს ეწოდება ასევე მარტს-წელი იმიტომ, რომ აქ წელიწადი იწყება მარტის თვით. ამ ანგარიშზეა დამყარებული მაგ. რომაელთა თვეთა სახელებიც: სეპტემბერი, ოკტომბერი და სხვა. **იულიუს კეისარმა** წლის დასაწყისი **მარტიდან** გადაიტანა **იანვარზე**, ბიზანტიელებმაც-კი სექტემბერი დასახეს წლის დამდეგად. ამ რიგად მთელ საქრისტიანოში, თუ არ ვცდები, არსად არ იხმარებოდა მარტის წელიწადი, და თუ ქართველებმა იგი მაინც შეინარჩუნეს, ეს ბრწყინვალე და უდავო საბუთია ამ ჩვეულების სიძველისა ჩვენში და არა ნაკლებ მთვარის კულტის ძლიერი კვალ- დარჩენილობისა. ამასთან ერთად, ლ. მროველის მიერ აღნიშნული საზღვრები ქართლისა, სრულიად ეთანხმება სომხურს უსახელო გეოგრაფიაში მოცემულს ქართლის საზღვრებს; ეს გეოგრაფია-კი შედგენილია არა უგვიანეს მე-VIII საუკუნისა. ლ. მროველი რომ მოღვაწე ყოფილიყო მე- XI საუკუნისა და არა მე- VII-VIII -სი, მას არ შეეძლო დასავლეთ საქართველოში არ აღენიშნა ერთი თუ ორი დიდი ქალაქი მაინც: მაგალითად ქუთაისი, ჭყონდიდი, ხოფი, დრანდი, ბიჭვინტა და სხვა. ხოლო ამ მხრივ რას წარმოადგენს მისი ისტორიას სრულს tabula rasa-ს.

ყველა ამ სიძნელეს კარგად გრძნობს კ.კეკელიძე და მის დასაძლევად ასახელებს „რაღაც ძველს ისტორიულ ნაშრომს“, შედგენილს მე-VII-VIII საუკუნეში, რაც მროველს „მექანიკურად ჩაუკერებია“ მის ნაწარმოებშიო. ეს **„რაღაც ძველი ისტორიული ნაშრომი“, როგორც, აგრეთვე, გრიგოლ დიაკონის ქართლის მოქცევა**, ეჭვი არ უნდა „დამყარებულია **მოსე ხორენელის** სახელით ცნობილს ისტორიაზეო“. მაგრამ ვიდრე მოსე ხორენელი მიჩნეული იყო მე-VII საუკუნის პირველი ნახევრის მწერლად, მისი მოჩანჩალა **გრიგოლ დიაკონიც** ითვლებოდა მე -VII საუკუნის მეორე ნახევრის ავტორად. ოდეს მ. ხორენელი მე-VII საუკუნიდან გადმოიყვანეს მე-VIII საუკუნეში, გრიგოლ დიაკონიც მასთან გადმოაყოლეს. ახლა კი ყველა ევროპიელი მკვლევარი, უცხო თუ სომეხი, მოსე ხორენელს, ერთხმად ათავსებს მეცხრე საუკუნეში და ვნახოთ, რა ბედი ეწევა საბრალო გრიგოლს: მასაც გადმოაბრძანებენ მე-IX საუკუნის მეორე ნახევარში, თუ ერთხელ და სამუდამოდ დაეთხოვებიან მის დაკავშირებას მოსე ხორემელთან?

რომი. მ. თარხნიშვილი.

ხელნაწერი ინახება სტამბოლის სავანის არქივში არსებულ სქელტანიან რვეულში – „წერილების წიგნი“.

მიხეილ თარხნიშვილი

ქრისტიანობა საქართველოში

(დასასრული)

თუ დავით აღმაშენებლი საქართველოს სიდიადის დამფუძნებლად უნდა იქნეს აღიარებული, სამაგიეროდ, თამარ დედოფალი, რომელსაც ჩვენში **მეფეს** და არა **დედოფალს** უწოდებენ, განხორციელებაა ყველა იმისა, რითაც მხოლოდ და მხოლოდ შეუძლია ერს პოლიტიკურ, კულტურულ და სარწმუნოებრივ დარგებში იამაყოს.

თამარი დიდი იყო როგორც მეუფე, დიდი–როგორც კულტურის ხელის შემწყობი, დიდი–როგორც წმინდანი. მსოფლიო ისტორიაში არ მოიპოვება ისეთი მეფის და ქალის იდეალი, რომელიც თამარს შეედრებოდეს.

თამარმა დაარსა ტრაპიზონის საკეირო, რომელიც გადასცა თავის დეიდაშვილს **ალექსიოს კომნენოსს**. თითქმის ყველა კოშკების, ეკლესიებისა და მონასტრების აშენებას, რომელნიც დღესაც არსებობენ, ისტორია და ხალხი თამარს აწერს, მისი შედევრი კი არის შვიდსართულიანი ვარძიის გამოქვაბული ქალაქი, რომელიც შესდგება 700 ოთახიდან, მისი სიმდიდრე და სიმშვენიერე მთელს აზიაში განთქმული იყო: მის მთავარ ეკლესიას სამი კარი ჰქონდა, ორი რკინისა და ერთი ოქროსი. 1552 წელს სპარსელებმა მთელი ეს ქალაქი დაარბიეს და გაძარცვეს.

როცა თამარ მეფე შენობებზე და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნავდა, არ ივიწყებდა არც ცხოველმყოფელი ეკლესიას. ტახტზე ასვლის შემდეგ მან მოიწვია **ეროვნული სინოდი, რომელმაც საეკლესიო ცხოვრების რეფორმა გაატარა**. სამწუხაროდ, ამ სინოდის ოქმებმა ჩვენამდი ვერ მოაწია; ვიცით მხოლოდ, რომ რამდენიმე ეპისკოპოზი ღვთისმოსავ ღვდლებით გამოსცვალეს. მამათა კრებულს თამარმა სხვათა შორის შემდეგი სიტყვებით მიმართა: „მამანო წმინდანო, რომელი თქვენ უფალმა დაგნიშნათ ჩვენად მოძღვრად... ეძიეთ და განამტკიცეთ სამართალი, დასთრგუნეთ ყოველი ბოროტი და დაიწყეთ ჩემით, ვინაიდან ტახტის უფლება არ არს უფლის წინააღმდეგ ბრძოლის წარმოება... თქვენ გეკუთვნისთ სიტყვა, მე კი მოქმედება, თქვენ– რჩევა და მე კი შესრულება, თქვენ–წრთვნა მე კი დასჯა, შევერთდეთ უფლის კანონის დასაცავად... რათა არ დავისაჯნეთ ერთად, თქვენ როგორც მოძღვარნი, მე როგორც მეუფე, **თქვენ როგორც სახლის გამგენი, მე როგორც დარაჯი**“.

მსგავსად მეფე დავითისა, თამარ მეფე ფიქრობდა სომხებზე და ღვისმეტყველთა შორის ორჯერ კამათი მოაწყო, პირველი უშედეგო დარჩა, მეორემ მაინც ის ნაყოფი გამოიღო, რომ სომეხ სპასალარის ზაქარიას ძმამ მართლმადიდებელი სარწმუნოება მიიღო.

თამარის სახელი საქართველოს საზღვრებს გადასცილდა. სპარსეთში, მცირე აზიაში და რუსეთში დღესაც ბევრი ლეგენდები დადის თამარზე. მისმა სიმშვენიერემ თვით დასავლეთიც მოხიბლა; მატიანეში ნათქვამია, რომ **„ფრანგი მეზღვაურები შავ-ზღვაზე კარგ ამინდის დროს თამარ დედოფალს ხოტბას მღეროდენო**“. და ამნაირ ფაქტებზე დაყრდნობით **ვენის უნივერსიტეტის პროფესორი დრ. ბლაიხშტაინერი** გამოთქვამს აზრს, რომ **დასავლეთის საშუალო საუკუნეების რაინდობამ განიცადა ქართული რაინდობის ზეგავლენაო.** დრ. ა. ბაუმშტარკი წინააღმდეგი შეხედულებისაა, საგნის მიხედვით მაინც, რაც ქრონოლოგიურად ყოვლად შეუძლებელია.

პოლიტიკურ და სოციალურ აყვავებას გვერდს მიჰყვებოდა კულტურული და სარწმუნოებრივი განვითარება. დაარსებულ იქნა სამეცნიერო ცენტრები, რომელთა შორის **ოთხი აკადემია: ალავერდისა, გრემისა, იყალთოსი და გელათის ღირსშესანიშნავნი არიან.**

ამათ გარდა ბევრი მონასტრები-რიცხვით დაახლოებით 200, არსებობდენ, რომელთა სწავლული ბერები სალიტერატურო შემოქმედებაში აკადემიკოსებს ეჯიბრებოდენ, ბერთა რიცხვი ძალიან დიდი იყო. ზოგიერთ მონასტერში 6000-მდი ნახავდით, როგორც მაგალითად დავით გარეჯის მონასტერში, თავის „ბერთუბანით". ყველა ეს თვით საქართველოში იყო. საზღვარ გარედაც მოიპოვებოდა მრავალი ქართული მონასტრები. მე-5 და მე-6 საუკუნეებში დაარსებულ სავანეებს ბევრი სხვა დაემატა: პალესტინაში 20-ზე მეტი მონასტერი არსებობდა, მათ შორის გამოჩენილი **„წმიდა ჯვრის მონასტერი",** რომელიც 1038 წელს თუ არ დაარსეს, ახლად მაინც შეაკეთეს. სხვა ქართული მონასტრები მოიპოვებოდა იერუსალიმში, ბეთლემში, სინას მთაზე, კიპროს კუნძულზე, სირიაში შავმთაზე და „სასწაულთ-მომქმედ მთაზე" ანტიოქიასთან, ბულგარიაში ეგრეთწოდებული **პეტრიწის** მონასტერი (დღევანდელი ბაჩკოვო, რომელიც მე-12 საუკუნეში ქართველმა **გრიგოლ ბაკურიანმა** დაარსა), სადაც, ბიზანტიელ **პეტიტის** მოწმობით, პირველი სემინარი ქრისტიანული ქვეყნიერებისა არსებობდა. ერთი სხვა მონასტერი რუმინიაში იყო.

საზოგადოდ, უნდა ითქვას, რომ ბალკანეთის ნახევარ-კუნძული დიდხანს ქართულ ზეგავლენის ქვეშ იდგა. ამას ამოწმებენ სხვათა შორის ბალკანური ხუროთმოძღვრობა, რომელიც მაინც ორნამენტიკაში, ქართულს ძალიან წააგავს (ამაზე ამ მოკლე ხნის **წინეთ ერთი ფრანგული წიგნაკი გამოიცა).** ქართულ მონასტრები მოიპოებოდენ აგრეთვე კონსტანტინეპოლში, სალონიკეში, ოლიმპის მთაზე ბითვინიაში და ლატროსზე. ყველაზე გამოჩენილი კი ივირონის მონასტერია **ათონის მთაზე.** ეს მონასტერი დაარსა წმ. **ივანე ხურსიძემ,** მისი ნამდვილი ამშენებელი კი ძველი სარდალი **თორნიკე ერისთავია**, რომელიც მოხუცებულებაში ბერად შედგა. ერთხელ კიდევ უნდა აეღო მას ხმალი ხელში, რომ **ბარდას სკლეროსის** მიერ გაჭირვებაში ჩავარდნილი ბიზანტიის კეისარი დაეხსნა. 12000 ქართველი ჯარისკაცით მან დაამარცხა მეამბოხე ბარდასი. თორნიკი დიდის დავლით დაბრუნდა ათონის მთაზე, სადაც 980 წელს ზემოხსენებული მონასტერი ააშენა. ეს მონასტერი გახდა სულიერ დამაკავშირებელ სახსრად საქართველოსა და ბიზანტიის შორის.

საეკლესიო მეცნიერება საქართველოში მე-5 საუკუნეში დაიწყო, საიდანაც ჩვენ ერთი ძვირფასი თხზულება მოგვეპოვება. და მე-12 საუკუნეში მიაღწია უაღრეს მწვერვალს. ძველი და **კერპთაყვანისმცემელი ფილოსოფოსები ქართულად იქმნენ გადათარგმნილი**. ამას მოჰყვა თარგმნები **კოპტური, სირიული, სომხური და არაბული ენებისგან**. ამასთან, პარალელურად ჩნდებოდა შრომები ქართულ ენაზედაც, რომელნიც უპირატესად ისტორიულ, ეგზეგეტიურ და ჰიმოგრაფიულ ნიადაგზე დიდ სიმაღლეს აღწევენ.

ბევრ-შორის მე ვასახელებ მხოლოდ რამდენიმე მწერალს: ექვთიმე (†1028) და **გიორგი მთაწმინდელი** (†1065), ორივენი წინამძღვარნი ივირონის მონასტრისა ათონის მთაზე. **არსენ იყაოლოთელი**, დამაარსებელი იყალთოს მაღალ სასწავლებლისა და გელათის აკადემიის რექტორი მე-12 საუკუნეში. **ეფრემ მცირე** (-1027-1100), **ივანე პეტრიწი,** ბაჩკოვის მონასტრიდან, მე-12 საუკუნის დასაწყისს, ნეოპლატონიკი, ეგრედ წოდებული „ჭეშმარიტი ფილოსოფოსი",

მიხეილ მოდრეკილი, რომელმაც ლიტურღიული ლექსებისა და გალობების კრებული დაგვიტოვა.

ივანე ბოლნისელი (980-1014). დიდი მოქადაგე, მისმა მჭერმეტყველობამ მას მოუპოვა „ოქროპირის“ სახელწოდება. შემდეგის დროიდან: ბერი **საბა-სულხან ორბელიანი** (1659-1725), ლმობიერი მეზღაპრე, რომელიც ლაფონტენთან ყველაზე ახლო დგას. მისი იგავები „სიბრძნე-სიცრუისა“ ამ მოკლე ხნის წინად გერმანულ ენაზე იქმნა გადათარგმნილი. **ანტონ I კათა-ლიკოზი** სრულიად საქართველოისა (1720-1788), შესაძლებელია ვთქვათ, რომ **იგი ყველაზე უნივერსალური და გენიოსური მწერალია** ქართველ საეკლესიო მწერალთა შორის.

გაბრიელ ქუთაისის ეპისკოპოზის (1896) ქადაგებანი ინგლისურად არის გადათარგმნილი.

ერთი დიდი ნაწილი საეკლესიო და საერო ლიტერატურისა საუკუნეთა განმავლობაში ომებისა და მათი შედეგების გამო დაიღუპა. მიუხედავად ამისა, დღეს ტფილისში ინახება დაახლოებით 10 000 ცალი ქართული ხელნაწერისა, რომელთა შორის უძველესნი მე-5 საუკუ-ნემდი აღწევენ. ქართული ხელნაწერები მოიპოვება, აგრეთვე, საზღვარგარეთაც: ლენინგრად-ში, ბერლინში, ოქსფორდშიც-კი. ათონის ივირნის მონასტერში, იერუსალიმში და სინას მთაზე, **სადაც მათ მატლები სჭამენ**.

განვითარებულ ცხოვრებას მონგოლების შემოსევამ მე-13 საუკუნეში ბოლო მოუღო. მონგოლებმა ყველაფერი აიკლეს და ეკლესიები გაძარცვეს. მე-14 საუკუნის დასაწყისს ესენი საქართველოდან განდევნილ იქნენ. მაგრამ მალე მათ მოჰყვა ველური თემურლენგი, რომლის ლაშქრობები დამანგრეველი იყო. საქართველოში შვიდჯერ შემოიჭრენ და მთელი ქვეყანა ნაცრად აქციეს. იმავე საუკუნეში მომხდარმა საქართველოს დაყოფამ სამ სამეფოდ და ხუთ სამთავროდ და კონსტანტინეპოლის საბედისწერო დაცემამ საქართველოს დაცემას ხელი შეუწყო. მე-16 და მე-17 საუკუნე საქართველოსათვის ბნელი დროა: აღმოსავლეთში ბატონობ-დენ სპარსელები, დასავლეთში–თათრები. მაშინ რამდენიმე თავადი იძულებული ხდება მაჰმადის სარწმუნოება მიიღოს, გულში კი ეკლესიის ერთგულნი რჩებიან.

კათოლიკოზის ტახტი აჩრდილ მეფეთა საბურთაო ხდება; მალე მთელი სამცხეს საერის-თავო მაჰმადიანობაზე გადადის, სპარსეთის შაჰ-აბაზის სამტარვალე ყველა აქამდი გამოვლილ გაჭირვებას აღემატება: სულისწმიდის მოფენის დღეს დავით გარეჯის მონასტერში, როგორც გადმოგვცემენ, 5000 მორწმუნე გაჟლიტეს. საქართველოს ტანჯვამ უაღრეს წერტილს მიაღწია, როდესაც 1615 წელს ათასობით ქართველი (იტალიელი მისიონერები გადმოგვცემენ ამ რიცხვს) სპარსეთში წაასხეს ტყვედ და ღვთისმოსავი დედოფალი ქეთევანი აწამეს (1624).

მეფე ერეკლე მე-II-ს დროს (1744-1788) საქართველო ხელმეორედ ფეხზე წამოდგა. რათა სპარსელებისგან და თათრებისგან მოსვენება ჰქონოდა, მეფე ერეკლემ როგორც მისმა წინაპ-რებმა-**დასავლეთს მიჰმართა შველის საძებნელად. აქ რომ ვერას გახდა. რუსეთთან დასდო მეგობრობის ხელშეკრულობა.** მხოლოდ გიორგი მეფის სიკვდილის შემდეგ (1800 წელს) რუსეთმა, მიუხედავად ოფიციალური ხელშეკრულობისა, საქართველო 1801 წელს შეიერთა და ამითი მან ქართული ეკლესიის დამოუკიდებლობაც გაანადგურა. უკანასკნელი კათოლიკოზ-პატრიარქი **ანტონი II** 1811 წელს რუსეთში გააძევეს და ქართული ეკლესია რუსეთის სინოდს დაუქვემდებარეს.

ქართულმა ეკლესიამ რუსების ბატონობის ქვეშ იმდენივე ტანჯვა გამოსცადა, როგორც სპარსელებისა და თათრების ქვეშ. 1917 წელმა მას მხოლოდ მოკლედროული ხსნა მოუტანა...

1921 წლიდან საქართველო ეკუთვნის საბჭოთა კავშირს, რომელშიც ქართული ეკლესია ერთად-ერთია თავისი სრული წესიერი ჰიერარქიით. 1917 წლიდან ქართული ეკლესია შემ-დეგნაირად განიგება: ეკლესიის თავი არის „კათოლიკოზ-პატრიარქი სრულიად საქართველო-სი და მღვდელ-მთავარი ტფილისისა და მცხეთისა“, რომელიც მაღალ საეკლესიო საპატრიარქო საბჭოსთან ერთად ეკლესიას განაგებს პატრიარქი და საპატრიარქო საბჭო; რომელიც სასულიერო და ნახევრად საერო წევრებისაგან შესდგება, ირჩევა საზოგადო კრების მიერ. საპატრიარქო საბჭოში შედიან ყველა ოლქის ეპისკოპოსები. საეკლესიო ოლქს ან ეპარქიას განაგებს საოლქო საბჭო ეპარქიის მღვდელმთავრის თავმჯდომარეობით; საოლქო საბჭო საოლქო კრებაზე ისევე ირჩევა, როგორც საპატრიარქო საბჭო, ეპარხია იყოფა უბნის სამრევ-ლოებად. ამ სამრევლოს წინამძღვარი უფროსი, ხუცესია, რომელიც ეპისკოპოზის ზედამხედ-ველობის ქვეშ უბანს განაგებს; საუბნო კრებაზე ირჩევენ შემდეგ უფროს ხუცესს, რომლის დანიშვნა ეპისკოპოზისაგანაა დამოკიდებული. თითოეულ საეკლესიო სამრევლოს ჰყავს საერ-თო საბჭო, რომელიც ეკლესიის ქონებაზე ზრუნავს. მონასტრები ემორჩილებიან იმ ოლქის ეპისკოპოზს, რომელშიაც მონასტერი იმყოფება. მხოლოდ ქალთა მონასტერი წმ. ნინოს სახელობაზე ბოდბეში ემორჩილება მაღალ საეკლესიო საბჭოს (-საპატრიარქოს საბჭოს).

1921 წლის წესდებით საერთო კრება ყოველ 3 წელს უნდა იქნეს მოწვეული.

76 საეპისკოპოსოებიდან, რომელნიც წარსულში არსებობდენ, 1917 წელს მხოლოდ ცხრა აღადგინეს, რომელთა ადგილი არც კია მთლად შევსებული.

1917 წლიდან საქართველოს უკვე ჰყავდა 5 კათალიკოსი: კირიონ II (1917-1918), ლეონიდე (1918-1922), ამბროსი (1922-2927), ქრისტეფორე (1927-1931), კალისტრატე 1931-დან.

ხელნაწერი დაცულია სავანის „წერილების წიგნში“.

ქართველ-კათოლიკეთა შესახებ

(წერილი იზაშვილისა*)

იმ შენიშვნის წყალობით, რომელიც გაზ. „**კავკასში**“ იყო დასტამბული და რომელსაც სათაურად „ახალციხელთა შეუთვისებლობა“ ეწოდება, ხელ-ახლად იქმნა აღძრული დიდი ხნის გადაწყვეტილი საგანი ბ-ნთ **მეფისაშვილთა** ეროვნების შესახებ. ამ კერძო საგანს თავის-თავად მოსდევს საზოგადოც–ქართველ-კათოლიკეთა და სომეხ-კათოლიკეთა საქმე, რომელიც დიდად საყურადღებოა როგორც ისტორიულად, აგრეთვე, თანამედროვე ინტერესის მხრივ.

ეს საგანი ახალი არ არის – იგი თითქმის 20 წელიწადია, რაც სალაპარაკოდ არის გამხდარი,– მაგრამ ჭეშმარიტებით შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ჯერ შესაფერად არ განხილულ-გამორკვეულია, თუმცა რუსეთის საზოგადოებაში უკვე გავრცელდა ის აზრი, რომ ქართველი კათოლიკენი სულ არ არსებობენ და რომ თუ კავკასიის ძველი მცხოვრებელი ვინმე კათოლიკეა, ის უეჭველად სომეხი უნდა იყოსო. საიდგან წარმოსდგა ეს აზრი? **რად მოხდა, რომ კათოლიკეთა სარწმუნოება სომეხთა საკუთრებად გარდაიქცა**, როდესაც საქმე საქართველოს და საერთოდ კავკასიის მკვიდრთ შეეხება? **საკვირველი და უცნაური საკუთრებაა**, მაგრამ გაცილებით უფრო უცნაურია ის, თუ როგორ იჩენს თავს ადგილობრივ სარწმუნოების თვისებანი.

თუმცა გამარჯვება მას შემდეგ, რაც კავკასიის კათოლიკეთა შესახებ ლაპარაკი იქმნა აღძრული, დღემდე იმ მხარესა რჩება, რომელიც მოწადინებულია, რომ კავკასიის ყველა კათოლიკენი სომხებად გარდაჰქმნას და ასეთის საშუალებით თავისის ეროვნების ხალხი გაამრავლოს, მაინც თუ მცირეოდენადაც არის განვიხილავთ ამ საგანს და გადავათვალიერებთ ძველს კამათს ამის შესახებ სომხურ და ქართულ ჟურნალ-გაზეთებს შორის ამტყდარს, არ შეიძლება იმ დასკვნას არ დავადგეთ, რომ მოკამათეებს არ ესმოდათ არსებითი ვითარება და ამიტომ არ შეეძლოთ ამ საგნის შესახებ პირდაპირი და სწორე აზრი დაედგინათ. უპირველეს ყოვლისა, აქ ადამიანს ანკვირვებს აზრთა და ტერმინოლოგიის არევ-დარევა.

ამ გაზეთების აზრით, სიტყვა „სომეხ-კათოლიკე“ აღნიშნავს იმ კაცს, რომელიც სომეხთ ეროვნებას ეკუთვნის და კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებს, სწორედ ისე, როგორც „ქართველი კათოლიკე“ ჰნიშნავს უეჭველად ეროვნებით ქართველს, სარწმუნოებით კათოლიკეს. აშკარაა, რომ პატივცემულ „კავკაზის“ რედაქციასაც ასევე ესმის ამ სიტყვების მნიშვნელობა.

სომხური გაზეთი „**მშაკი**“, რომელიც უარსა ჰყოფდა ქართველ-კათოლიკეთა არსებობას, ამტკიცებდა, რომ ამ სახელით უნდ ვიგულისხმოთ კათოლიკეთა სარწმუნოება საქართველოს ნიადაგზეო. მაგრამ, ამავე დროს, სიტყვა „სომეხ კათოლიკე“, გაზეთის განმარტებით, ჰნიშნავს ეროვნებით უეჭველად სომეხს, სარწმუნოებით კი კათოლიკეს.

კათოლიკეთა ეკკლესია, როგორც ყველამ უწყის, თხოულობს, რომ წირვა-ლოცვა მხოლოდ ერთს ენაზე, სახელდობრ, ლათინურად, იქმნეს შესრულებული. მაგრამ, როგორც ყველგან, აქაც ძველადგანვე საზოგადო წესი დარღვეულ იქმნა **ბერძენთა, ასირიელთა, სომეხთა** და **აღმოსავლეთის ზოგიერთ ერთათვის** და მათ შორის **ქართველთათვისაც**.

წირვა ლათინურს ენაზედ გარეგნად ძალიან განსხვავდება იმ წირვისაგან, რომელიც სომხურსა, ქართულსა და სხვა ენებზედ სრულდება, აი, სწორედ ამ წესის სხვადასხვაობის

---

* ეს წერილი იზაშვილისა, მიწერილი ბათუმიდგან, დაბეჭდილია ამ წლის გაზ. „კავკასის“ NN284, 285 და 286 და იმდენად საყურადღებოა, რომ სიტყვა-სიტყვით ვთარგმნით ჩვენთა მკითხველთა საყურადღებოდ. რედ.

აღსანიშნავად შემოღებულ იქმნა სახელწოდებანი: „რომის კათოლიკე... „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი.

თუ რომ ეს სახელწოდებანი ერთსა და იმავე დროს ჰნიშნავენ რომელისამე კაცის ეროვნებას და იმისავე სარწმუნოებას, **მაშინ ევროპიელი ყველა კათოლიკენი რომაელებად უნდა ჩავთვალოთ და არა ფრანგებად, იტალიელებად, პოლონელებად და სხვად, რადგანაც ყველა ისინი რომის კათოლიკენი არიან**. ხოლო თუ სიტყვა „რომის-კათოლიკე“ არ აღნიშნავს ეროვნებას, მაშინ რად უნდა ვიგულისხმოთ ეროვნება ამ სიტყვებში: „სომეხ-კათოლიკე“, „ქართველ-კათოლიკე“ და სხვანი, ერთის სიტყვით, მაშინ, როდესაც „კათოლიკე“-ს ერთვის სახელი ამა თუ იმ ეროვნებისა?

წარმოვიდგინოთ ფრანგი ანუ ისპანიელი-კათოლიკე, რომელსაც რაისამე მიზეზით სომეხ-კათოლიკეთა წირვის წესი მოეწონა, რომელსაც თავისს გულის თქმას აჰყვა და ამ ეკლესიის – „სომეხ-კათოლიკეთა–მიმდევარი გახდა. რასაკვირველია, ამითი **ფრანგი სომეხად არ გარდაიქცევა** და რომ ვინმე შეეკითხოს, რა ეროვნებისა ხარო, ის დაუყოვნებლივ მიუგებს: „**მე ფრანგი ვარ სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებისა“**-ო. თუ ამ შემთხვევაში ფრანგი სომეხად არ გადაიქცევა, მაშინ საკვირველია, რადა სცდილობენ, რომ ის ქართველები, რომელნიც სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად სომხებად გადაიქცნენ, ხოლო იმ ქართველებს, რომელნიც რომის-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებენ, უეჭველად მოახვიონ კისერზედ „სომეხ-კათოლიკეთა წესები“, მაშინ როდესაც თვით კათოლიკობა ამ შემთხვევაში სრულს თავისუფლებას ანიჭებს კაცს ნება-დართულის წირვის ამა თუ იმ წესის ანუ ფორმის აღსრულების მხრივ.

სწორედ საკვირველი და უცნაური იქმნებოდა, რომ საქართველოში, სადაც ყველას თავისუფლად შეეძლო ესა თუ ის სარწმუნოება ეღიარებინა და სადაც ხელს არავინ უშლიდა, განსაკუთრებით იმის პოლიტიკურად არსებობის უკანასკნელ დროს კათოლიკეთა ქადაგებასა და ამ სარწმუნოების გავრცელებას, ერთ ალაგს არ იყვნენ ქართველები: რომის კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკენი, სწორედ ისე, როგორც არიან სომხები რომის-კათოლიკენი, სომეხ კათოლიკენი და, უთუოდ, ქართველ–კათოლიკენიც კი.

ამ შეხედულებათა და აზრთა არევ-დარევას ხელს უწყობს ის გარემოება, რომ არამცთუ უბრალო, გაუნათლებელი ხალხი, არამედ **განათლებული საზოგადოებაც, სამწუხაროდ, სარწმუნოებასა და ეროვნებას ერთმანეთისაგან არ არჩევს**, აგრეთვე, სიმრავლე წესისა ენათა სხვა-და-სხვაობის გამო და განსაკუთრებით არსებობა სომეხთა ცალკე საერო ეკკლესიისა, რომელიც აერთიანებს სარწმუნოებასა და ეროვნებას. ძნელად წარმოსადგენია, თუმცა დედა აზრის მხრივ-კი შესაძლებელია, რომ სომეხი ან ებრაელი მართლმადიდებელი იყოს, ან რუსი და ქართველი სომეხთა სარწმუნოებას მისდევდეს.

ამჟამად, რაღაც მიზეზისა გამო, კავკასიაში ქართველ-კათოლიკეთა არსებობას უარსა ჰყოფენ. ის ქართველნი, რომელთაც მტკიცედ დაიცვეს ამ სარწმუნოების წესები, **კონსტანტინეპოლს შეეკედლნენ,** სადაც მათ საკუთარი ეკკლესია აქვთ. ამ **ეკკლესიაში ქართულს ენაზედ სრულდება წირვა-ლოცვა**, რომელიც გარეგნად ძალიან განსხვავდება რომისა და სომეხთ-კათოლიკეთა წირვისაგან. **ქართველ-კათოლიკენი, ამას გარდა, აღიარებენ მართლმადიდებელ ქართველ ეკკლესიის ზოგიერთა წმიდანებსაც.** თუნდა შევიწყნაროთ ის აზრი, რომ ამჟამად საქართველოში არ არის ცალკე ქართველ-კათოლიკეთა სარწმუნოება, როგორც კათოლიკეთა

ეკკლესიის ცალკე დარგი, მაინც არ შეგვიძლიან უარ ვყოთ ის, რომ ბლომად მოიპოვება ისეთი ქართველი, რომელნიც აღიარებენ კათოლიკეთა სარწმუნოებას. სახელწოდება „ქართველთა კათოლიკე“, ისე, როგორც „სომეხი-კათოლიკე“ აღნიშნავს ამა თუ იმ ადამიანის ეროვნებასა და სარწმუნოებას, სულ ერთია, კათოლიკეთა ეკკლესიის რომელ დარგსაც უნდა ეკუთვნოდეს იგი: რომის კათოლიკეთა თუ სომეხ-კათოლიკეთა. განა საეჭვოა, მაგალითად, რომ **გვარამაძე ძველი, ქართული გვარია?** ის კაცი, რომელიც ქართლში ამ გვარს ატარებს და რომელნიც მართლ-მადიდებელ სარწმუნოებას აღიარებს, ყველა ქართველად სთვლის,–თუმცა იმავე გვარის სხვა კაცს მესხეთში, რომელიც თუნდა სომეხ-კათოლიკეთა სარწმუნოებას აღიარებდეს, რაღაც მანქანებით სომეხად ხდიან!

თავად **თუმანიშვილის გვარში** არიან მართლ-მადიდებელნიც, გრიგორიანნიც და რომის კათოლიკენიც. პირველნი ქართველებად ითვლებიან, მეორენი სომხებად, ხოლო მესამენი თუმცა თითონ თავიანთს თავს ქართველებადა სთვლიან, რიღასთვისაც უნდა სომხებად გაჰხადონ. არის, აგრეთვე, გვარი **მაისურაძე, მაისუროვი** და **მაისურიანცი.** მაისურაძეები მართლ-მადიდებლები და სომეხ-კათოლიკენი არიან, მაისვუროვები-ქართველები რომის-კათოლიკენი და მაისურიანცები (დაბოლოება შეცვლილია)–გრიგორიანები, რომელნიც თავიანთს თავს სომხებადა სთვლიან. მაგრამ არიან რომის - სარწმუნოების ისეთი ქართველი ოჯახებიც, სადაც ორ ძმათა შორის ოფიციალურად ერთი რომის კათოლიკად ითვლება, მეორე სომეხ-კათოლიკად, მხოლოდ იმიტომ, რომ ეს უკანასკნელი სომეხ-კათოლიკეთა მღვდლის-მიერ იქმნა მონათლული (რადგანაც ამ დროს რომის კათოლიკეთა პატრი ვერ იშოვეს) და სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის დავთარში იქმნა ჩაწერილი. ასეთი მაგალითები უთვალავია, მაგრამ იმის დასამტკიცებლად, რომ ყველა სომეხ-კათოლიკე სომეხი არ არის, ესეც საკმარისად მიგვაჩნია.

ეხლა გადავიდეთ და მოკლედ განვიხილოთ ის, თუ როგორ გავრცელდა კავკასიაში კათოლიკობა.

ეკკლესიათა განაწილების დროს, მე-XI საუკუნის დასასრულს, აღმოსავლეთში საქართველო საკმაოდ კულტურულს სახელმწიფოს წარმოადგენდა. ამიტომ შეუძლებელია, რომ მას შორიდგან ეცქირა და მონაწილეობა კი არ მიეღო იმ სარწმუნოებათა ბრძოლაში, რომელიც აღმოსავლეთსა და დასავლეთ შორის იყო ატეხილი. ყველა მსოფლიო კრებებში მონაწილეობის გარდა, სადაც მას თავის წარმომადგენლები ჰყავდა ხოლმე, საქართველო არც შინ იყო მოკლებული იმ სარწმუნოებრივ საგნების მიზეზით გამოწვეულ აღელვებასა და კამათს, რომელიც მთელს მაშინდელს ქვეყანას ალაპარაკებდა. ამ სხვათა დამოუკიდებლობის წყალობით საქართველო ეკკლესიათა უკანასკნელად განაწილების შემდეგ ორის საუკუნის განმავლობაში **განცალკევებული იყო და თავისს საერო ეკკლესიის თვითმყოფობას მტკიცედ იცავდა.** მე-XIII საუკუნეში მონგოლთა შემოსევის გამო საქართველო ორ სახელმწიფოდ განაწილდა და იმის საუკეთესო პროვინცია **მესხეთი**, რომელსაც **ათაბეგნი** განაგებდნენ, აღარ დაემორჩილა საქართველოს მეფეებს. ასეთის გარემოების წყალობით ამ ადგილებში გაძლიერდა რომის-კათოლიკეთა სწავლა-მოძღვრების ქადაგება და ნელ-ნელა **სამცხე-საათაბაგომ კათოლიკობა მიიღო,** ამ ნაწილის (ქალაქი ახალციხე და ზოგიერთი სოფლები **უდე, ვალე, ხიზაბავრა, არალი, ბარალეთი** და სხვანი) მცხოვრებელთ **აიღეს რომის პაპისაგან ქართულს ენაზედ ღვთის-**

მსახურების გადახდის ნებართვა და ზოგიერთი სხვა უფლებანი და სათავე დაუდეს **ქართველ-კათოლიკეთა ეკკლესიას.**

იმის გარდა, რომ ახალციხის მაზრის ზემო ჩამოთვლილ ზოგიერთ სოფელში, სადაც ეხლა წირვა-ლოცვა სომხურს ენაზედ სრულდება, დარჩენილი საეკკლესიო წიგნები და სხვა ნივთები ჰმოწმობს იმას, რომ ძველადგანვე ამ ადგილებში **წირვა-ლოცვა ქართულს** ენაზედ იყო, ჩვენ შეგვიძლიან აღვნიშნოთ შემდეგი მეტად საყურადღებო გარემოება, რომლიც აშკარად ამტკიცებს ქართველ-კათოლიკეთა არსებობას იქ, სადაც ეხლა ყველანი სომეხ კათოლიკებად ითვლებიან, და თუმცა სომხურის ენისა არა ესმით-რა, მაინც იძულებულნი არიან ამ ენაზედ წირვა-ლოცვა მოისმინონ. ყველა ზემოდ დასახელებული სოფლები ახალციხისა გარშემო მდებარეობს და მესხეთის შუაგულს შეადგენენ. ამ შუაგულის გარშემო დღეს ჩვენა ვხედავთ გამაჰმადიანებულ ქართველებს და აქა-იქ ოსმალებსაც, მაშინ, როდესაც **შუაგულს დღემდე ქრისტიანობა და მასთან კათოლიკეთა სარწმუნოების ქრისტიანობა აქვს შერჩენილი.** რით აიხსნება ეს მოვლენა? როგორ მოხდა, რომ ოსმალებმა, რომელნიც ცეცხლითა და მახვილით ავრცელებდნენ ისლამს საქართველოს ამ პროვინციის გარშემო მართლმადიდებელ მცხოვ-რებთა შორის, მოახერხეს მაჰმადიანობის დამყარება და შუაგულში-კი ვერა? სწორედ ისე, რომ ამ შუაგულში იმ დროს **დასახლებულნი იყვნენ კათოლიკენი, რომელთაც ოსმალები ხელს ვერ ახლებდნენ**, რადგანაც წინააღმდეგ შემთხვევაში დასავლეთ სახელმწიფოებთან დადებულის ხელშეკრულების ძალით, ეს გარემოება ახალს **ჯვაროსანთა ომს** გამოიწვევდა და ოსმალეთი განსაცდელში ჩავარდებოდა.

ქართველ-კათოლიკეთა არსებობა შეიძლება დამტკიცებულ იქმნას არა მარტო თეორიუ-ლის მოსაზრებით. ამისათვის საკმარისია გადავიკითხოთ **დაბა ართვინის კორძულის** ეკლესიის –აწ სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესია,–მატიანე; ეს ქართულ ენაზე დაწერილი **მატიანე** ხელში უჭირავს სამღვდელოებას, რომელმაც ქართული ენისა არაფერი იცის და ძმობის ბეჭედ-დასმული დაკეტილში აქვს შენახული. იგი ეკკლესიის სიწმინდედ ითვლება და იმის ნახვა სამღვდელოებისა და მრევლის უვიცობისა გამო არავის შეუძლიან.

საქართველოს სამეფოს განაწილების შემდეგ, მე-XIV საუკუნის დასაწყისს, მესხეთი განშორდა საქართველოს და იქ ცალკე სამთავრო შესდგა **სამცხე საათაბაგოს სახელით (1306 წელს)**. მხოლოდ 1579 წელს დაჰკარგა მან თავისუფლება: იგი ოსმალეთმა დაიპყრო. ოსმალეთმა დაიპყრო რა სამცხე, **მე- XVII საუკუნის ნახევრამდე იმის შინაურ საქმეში არ იღებდა მონაწილეობას**. მხოლოდ ამ ხნიდგან დანიშნა იქ თავისი ფაშა და მოსთხოვა სამცხეს-ათაბაგებს, რომ **მაჰმადიანობა მიეღოთ**. მთლად ამ ხნის განმავლობაში, მე- XIV საუკ. დაწყე-ბული მე-XVII საუკუნემდე, სამცხეს მცხოვრებლებს მხოლოდ ქართველები შეადგენდნენ, რომელთა **ერთი ნაწილი აღიარებდა მართლმადიდებლობას, მეორე–კათოლიკობას**. დღემდის დარჩენილი კათოლიკეთა იმ დროის ეკკლესიები და სხვა ნაშთები აშკარად ჰმოწმობენ, რომ მესხეთის მცხოვრებლებს მაშინ არც-კი გაეგონათ სომხური ენა და რომ **ეკკლესიებში წირვა-ლოცვა ქართულს ენაზედ სრულდებოდა**.

ამ რიგად კათოლიკობა საქართველოში პირველიდგან თავისუფალ ფაქტორს წარმოად-გენდა. ჯვაროსანთა უკანასკნელ ომის შემდეგ კათოლიკობა უფრო გავრცელდა მისიონერების წყალობით, რომელნიც, დასავლეთ ევროპის სახელმწიფოთა დახმარებით, თავისუფლად მი-დიოდნენ მცირე აზიის ყველა ადგილას და ქრისტეს მოძღვრებას ჰქადაგებდნენ. ევროპიელთ

და მათთან ერთად **კათოლიკებს, ოსმალები ფრანგებს** ეძახდნენ, და მაშინ, როდესაც სხვა ქრისტიანებს ოსმალები სტანჯავდნენ და ძალად ამაჰმადიანებდნენ, **„ფრანგებს“-კათოლიკებს ევროპის სახელმწიფოთა შიშით ვერაფერს უბედავდნენ**.

მისიონერები საქართველოში შემოდიოდნენ უმთავრესის სავაჭრო გზით, რომელიც **კონსტანტინეპოლიდგან ტრაპეზუნდზედ** მესხეთში და შემდეგ ქართლში გადმოდიოდა. ეს გზა მდ. **ჭოროხის, ფოცხოვის** და **მტკვრის** ხეობებზედ გადიოდა. სწორედ ამით აიხსნება, რომ კათოლიკობა ჯერ მესხეთში გავრცელდა და შემდეგ საქართველოს სხვა კუთხეებშიაც.

თავდაპირველად მისიონერებს კათოლიკობის უფრო ადვილად გავრცელება შეეძლოთ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელნიც საქართველოს მიწა-წყალზედ სცხოვრობდნენ და რომელთაც ქრისტიანობისა ჯერ კიდევ შერჩენოდათ რამ, ხოლო შემდეგ იმ ქრისტიანეთა შორის, რომელ-ნიც ოსმალეთის საზღვრების მახლობლად მოსახლეობდნენ, იმ დროს, როდესაც მაჰმადიანობა ცეცხლითა და მახვილით ვრცელდებოდა, **კათოლიკობა ძლიერის პაპების წყალობით, ერთადერთი თავშესაფარი იყო, სადაც ქრისტიანებს უშიშრად შეეძლოთ ცხოვრება. ქრისტია-ნები დიდის სიამოვნებით იღებდნენ კათოლიკობას და „ფრანგებად“ იწოდებოდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ მაჰმადიანობისაგან დაეღწიათ თავი და ევროპის მფარველობის ქვეშ უშიშარ ეყოთ თავიანთი სიცოცხლე**. სიტყვას „**ფრანგს**“ ეხლაცა ჰხმარობენ ახალციხის მაზრის კათოლიკენი და რომელთა აზრით, კათოლიკე და ფრანგი ერთი და იგივეა. ქ. ახალციხისა და **უდეს, ვალეს, ხიზაბავრას** და სხვა სოფლების, სადაც კათოლიკენი არიან, მცხოვრებელთ რომ ჰკითხოთ, რა სარწმუნოების ხარო, ან უბრალოდ–ვინა ხარო, გიპასუხებთ: **„მე ფრანგი ვარო“!** ხოლო არავინ არ იტყვის: „სომეხ-კათოლიკე“, ან „რომის კათოლიკე ვარო“. ამჟამადაც-კი საქართველოში სიტყვა „**ფრანგი**“ კათოლიკესა ჰნიშნავს.

ზემო დასახელებულ სავაჭრო გზას რომ დაადგეთ და გაემგზავროთ იმ გზით ბათუმიდგან ტფილისისაკენ, მდ. ჭოროხისა, ფოცხოვასა და მტკვრის ხეობებზედ, ყოველთ უწინარეს ბლომად შეგხვდებათ კათოლიკენი დ. ართვინს, ართანუჯსა, შავშეთსა, ახალციხესა და ახალ-ციხის მაზრის სოფლებშიო, შემდეგ გორსა, ტფილისსა და ბოლოს ქუთაისში.

ამ ადგილებიდგან კათოლიკენი სხვა და სხვა დროს და სხვადასხვა მიზეზების გამო მთელს კავკასიას მოედნენ.

ხელნაწერი დაცულია სავანეში, მაგრამ ავტორის მიერ არ უნდა იყოს შესრულებული. რომელიმე სასულიერო პირის მიერ უნდა იყოს მოგვიანებით გაზეთიდან გადმოწერილი.

წერილი დაბეჭდილია გაზეთში „ივერია“, 226. 1877 წ. გაზეთის ეს ნომერიც ინახება სავანის ბიბლიოთეკაში.

ქართველ-კათოლიკეთა შესახებ

(წერილი იზაშვილისა)

(დასასრული)

მართლმადიდებელ საქართველოს შუაგულ და იმის სატახტო ქალაქ ტფილისში კათოლიკობის გავრცელება ისე ადვილი არ იყო, როგორც განაპირა ადგილებში, მაგრამ აქაც, სხვა-და-სხვა ისტორიულ გარემოების წყალობით, კათოლიკობამ ფეხი მოიკიდა და შედარებით ჩქარა გავრცელდა.

მე-XVIII საუკუნის დასაწყისს კათოლიკეთა მისიონერებს მთელს საქართველოში დიდი სახელი გაუვარდათ; იმათ პატივსა სცემდა არა მარტო უბრალო ხალხი, არამედ სასახლის კაცები და თვით მეფენიც. ამას ხელს უწყობდა ის გარემოება, რომ მისიონერებმა კარგად იცოდნენ მკურნალობა და დიდს დახმარებას უწევდნენ ხალხს. როგორც უკვე ყველამ უწყის, კათოლიკეთა გავლენას ვერ ასცდა საქართველოს ეკკლესიის უმთავრესი წარმომადგენელი კათალიკოსი ანტონიც-კი. თუმცა მე-XVIII საუკუნის პირველ ნახევარში კათოლიკეებს ქართველებმა დევნა დაუწყეს, იმათი ეკკლესიები დაანგრიეს და თვით მისიონერები საქართველოდგან განდევნეს, მაგრამ **1758 წელს უექიმობამ** (რაღაც ავადმყოფობა, მგონი შავი ჭირი მძვინვარებდა ამ დროს საქართველოში) **აიძულა მეფე ირაკლი, თავისი და ანნა გაეგზავნა ახალციხეში და განდევნილი მისიონერები უკანვე მოეწვია.** ამასთან მეფე ირაკლი დაჰპირდა იმათ მფარველობას, ეკკლესიების აღდგენასა და ჯამაგირიც-კი დაუნიშნა, თითოეულს წელიწადში 300 მანეთი.

მისიონერები დათანხმდნენ, უკანვე დაბრუნდნენ ტფილისში და დიდის მეცადინეობით მოჰკიდეს ხელი ხალხის მკურნალობას, ექიმობას.

უბრალო, გაუნათლებელ ხალხს შორის სამისიონერო საქმეში მკურნალობა საუკეთესო იარაღია და აი, სწორედ ამ იარაღით სარგებლობდნენ პატრები. ამას გარდა, იმათ დიდ დახმარებას უწევდნენ სკოლები, სადაც, პატრები სარწმუნოების განურჩევლად, ყველას ასწავლიდნენ. შესანიშნავს მოგზაურს **შარდენს**, რომელიც ტფილისში 1671 წელს იყო, უნახავს აქ მისიონერ-კაპუცინთა მიერ დაარსებული 12 სასწავლებელი. ეს მისიონერები სულ 30 წელიწადი იყო მხოლოდ, რაც რომიდან გადმოსულიყვნენ. მისიონერები მკურნალობასაც ძალიან მისდევდნენ და ამ აზრით მათ სასწავლებელიც კი დაარსეს, „თუმცა მოსწავლეებით ძალიან ღარიბი იყო“. ოც-და-ათის წლის შემდეგ, 1701 წელს ტფილისი დაათვალიერა საფრანგეთის მეორე მოგზაურმა **ტურნეფორმა**. ტურნეფორის სიტყვით, ტფილისის 20,000 მცხოვრებთ შორის 500 რომის კათოლიკე ყოფილა. თუმცა ამ კათოლიკეთ ტურნეფორი სომხებს ეძახის, მაგრამ საეჭვოა, რომ ყველანი სომხები ყოფილიყვნენ. ჯერ ერთი იმიტომ, რომ სომხები, რომელნიც კათოლიკეებად ხდებოდნენ, პაპისაგან იმის ნებართვას იღებდნენ, რომ დარჩენოდათ თავიანთი ძველი, საეროვნო წეს-რიგი სომეხთა წირვისა, წმინდანები ისევე ეღიარებინათ და სხვ. ამას გარდა, პაპიმ „აღუკრძალა კათოლიკეთა მისიონერებს, რომ ნუ ეცდებით და სომეხ-კათოლიკეთ ლათინთა ეკკლესიას ნუ შეუერთებთო“. მერე კიდევ იმიტომ, რომ „კაპუცინები ძალიან უყვარდათ საქართველოში“, როგორც ამბობს შემდეგ **ტურნეფორი**. შეუძლებელია, ამ სიყვარულს უბრალოდ ჩაევლო და კაპუცინებს არავითარი გავლენა არ ჰქონოდათ ქართველებზედ, მით უმეტეს, **რომ საქართველოს იმ დროის მეფეები მაჰმადიანები იყვნენ** და,

მაშასადამე, მართლ-მადიდებელთა ეკკლესია დიდს წინააღმდეგობას ვერ გაუწევდა იმათ, ვინც კათოლიკობის მიღებას მოიწადინებდა.

ამავე დროს, მიაღებინეს კაპუცინებმა კათოლიკობა საქართველოდგან სპარსეთში გადასახლებულ და იქ გამაჰმადიანებულ ქართველ თავადაზნაურთა: **ბარათაშვილებს, სუმბათაშვილებს, ერისთავებს, ორბელიანებს, ჩოლოყაშვილებს, ანდრონიკაშვილებს, ყანდარელებს, მიზანდარელებს, ბილანიშვილებს, იშხნელებს, ჩხეიძეებს, ჯაყელებს** (ჯაყელთა გვარეულობის ერთმა შტომ წინადვე ჯავახეთში მიიღო კათოლიკობა) და მრავალ სხვათაც.

საქართველოსა და ოსმალეთის ქართველებს შორის, კათოლიკობის გავრცელებასთან ერთად, მისიონერები აგებდნენ ეკკლესიებს, სადაც წირვა ლათინურს ენაზედ სრულდებოდა და მხოლოდ **სახარებასა და ქადაგებას ქართულ ენაზედ კითხულობდნენ.**

ქართულს ენას მისიონერები წინად ალაგობრივ სწავლობდნენ, ხოლო შემდეგ, როდესაც **რომში ქართულის ენის კათედრა და სტამბა იქმნა დაარსებული, იქვე სწავლობდნენ ქართულ ენასაც და საქართველოში ისე მიდიოდნენ.** ამასთანავე, მათ მოჰქონდათ **ლათინურის ენიდგან ქართულს ენაზედ გადმოთარგმნილი ლოცვები,** რომელთაც საქართველოს კათოლიკეთა ეკკლესიებში ჰგალობდნენ ხოლმე. ახალციხეში რომის კათოლიკეთა ეკკლესიებთან ერთად სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიები იყო, თუმცა 1829 წლამდე სომეხ-კათოლიკეთა ორი-სამი ოქსი ძლივს მოიძებნებოდა. სომეხ-კათოლიკეთა ყველა ეკკლესიაში წირვა **სომხურს ენაზედ სრულდებოდა, მხოლოდ სახარებასა და ქადაგებას კითხულობდნენ ქართულ ენაზედ, აგრეთვე გალობაც ქართულად იყო ხოლმე.**

ეს მოვლენა აიხსნება იმითი, რომ სომეხ-კათოლიკეთა უმეტესობას არ ესმოდა და ეხლაც არ ესმის სომხური ენა, **რადგანაც ეროვნებით ისინი ქართველები არიან.*** თუმცა ბევრს უცნაურად ეჩვენება ის გარემოება, რომ ქართველი-კათოლიკენი, რომელთაც სომხური ენა არ ესმით, წირვა-ლოცვას სომხურს ენაზედ ასრულებენ, მაგრამ ეს ადვილად აიხსნება იმითი, რომ **კონსტანტინეპოლს მაშინ დიდი გავლენა ჰქონდა ახალციხეზედ.**

ახალციხეს, როგორც ფაშალიკის სატახტო ქალაქს და სავაჭრო ადგილს, მუდამ მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება ჰქონდა ხოლმე **კონსტანტინეპოლთან.** ახალციხე იმ საქონლის საწყობ ადგილად იყო გადაქცეული, რომელსაც საქართველოდგან, სპარსეთიდგანა და შორეულ აღმოსავლეთიდგან მოეზიდებოდნენ ხოლმე. შემდეგ აქედგან ამ საქონელს დიდის ქარავნებით **აჭარისა და ჭოროხის ხეობით სტამბოლში ისტუმრებდნენ. ახალციხის მცხოვრებლებს იმ ჟამად ქართველები და ოსმალები შეადგენდნენ. ოსმალები უმეტესად მოხელეები იყვნენ, იმათ ქვეყნის მართვა-გაიმგეობა ეჭირათ ხელში, ხოლო ქართველები მეურნეობასა და ვაჭრობას უფრ მისდევდნენ.** სამშობლოს მოწყვეტილი აქაური ქართველი-კათოლიკენი ჩამორჩნენ ქართულ კულტურას და მწერლობას. **იმათთვის გონებითი საზრდო ეხლა კონსტანტინეპოლიდგან მოდიოდა,** სადაც იმათს ერთმორწმუნე კათოლიკებს სწავლა-განათლების მისაღებად ადგილები ჰქონდათ. ახალციხეში ქართველ კათოლიკებს, როგორც რომის-კათოლიკეთ, აგრეთვე, სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიებთან თავინთი სკოლები ჰქონდათ,

* ამ ჟამად ახალქალაქის მაზრაში ერთი სოფელია, რომლის მცხოვრებელნიც სომეხ-კათოლიკენი მხოლოდ ოსმალურად ლაპარაკობენ, რის გამოც მღვდელი იძულებულია სახარება და სამოციქულო ოსმალურად წაიკითხოს და აგრეთვე, აღსარება ოსმალურ ენაზედ ათქმევინოს ხოლმე.

სადაც ყმაწვილებს ქართულ წერა-კითხვას ასწავლიდნენ. შეძლებული ქართველები, ამას გარდა, თავიანთ შვილებს კონსტანტინეპოლში ჰგზავნიდნენ და იქ წინად სომეხ-კათოლიკეთა, ხოლო შემდეგ მხიტარისტობის დროს, ამ სკოლებში აძლევდნენ ხოლმე. ამათ სწავლა-მოძღვრების ნიადაგზედ აღზრდილი ქართველები სამშობლოში მღვდლებად ბრუნდებოდნენ და სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებთან ერთად ხელს უწყობდნენ სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის დამკვიდრებას.[1] ამ საქმის სისრულეში მოყვანა მით უფრო ადვილი იყო იმათთვის, რომ რომს დროთა ვითარების გამო, გავლენა ოსმალეთში თანდათან ეკარგებოდა და ამავე დროს სომეხ-კათოლიკეთა მნიშვნელობა დღითი-დღე ჰმატულობდა. ამ რიგად ამ საუკუნის დასაწყისს ახალციხის კათოლიკეთა სამს ეკკლესიათაგანში, თუ არ ჩავთვლით მეოთხეს, რომელიც ახალციხიდგან ორი ვერსის სიშორეზედ, სოფ. **ივლიტაში** იმყოფებოდა.[2], წირვა მხოლოდ ერთში სრულდებოდა ლათინურს ენაზედ, ე.ი. **რომის-კათოლიკეთ მხოლოდ ერთი ეკკლესია ეკუთვნოდა**, დანარჩენ სამში, მათ შორის სოფ. **ივლიტის** ეკკლესიაშიაც, – სომხურზედ იყო წირვა-ლოცვა. ამიტომ ნამდვილად შეგვიძლიან ვთქვათ, რომ ახალციხის ქართველ-კათოლიკეთაგან მეოთხედი სომეხ კათოლიკეთა ეკკლესიის მომხრე შეიქმნა და მხოლოდ ერთმა მეოთხედმა არ უღალატა რომის-კათოლიკეთა წესებს. ეს ერთად ერთს, რომის კათოლიკეთა ეკკლესიას, დღემდე დამოუკიდებლობა აქვს შერჩენილი და **„პატრთა ეკკლესია“** ეწოდება.

ყოველგვარი ბრძოლა სომეხ და სომეხ-კათოლიკეთა შორის, კონსტანტინეპოლში დაწყებული, უეჭველად ახალციხეშიაც იჩენდა ხოლმე თავს. გამარჯვება, რასაკვირველია, უმტესობის მხარეს იყო. ამ დაუსრულებელ ბრძოლის დროს, რომლის ისტორიის მოთხრობაც ჩვენის წერილის აზრს არ შეადგენს, **ოსმალეთის მთავრობა მუდამ სომეხ-კათოლიკეთ უჭერდა მხარს**. **ოსმალეთის მთავრობას აზრადა ჰქონდა სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის გაძლიერებით ქართველთა დასუსტება, რომ იმათ წინააღმდეგობა ვეღარ გაეწიათ იმ ქართველებისთვის, რომელნიც მაჰმადიანობის მიღებას მოიწადინებდენ. სომხების გაძლიერებისა მაშინ ოსმალებს არ ეშინოდათ**: ამ ჟამად ატეხილი სომეხთა საქმე სულ უკანასკნელის დროის ნაყოფია. ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ ოსმალეთის მთავრობა, რადგანაც ქართველ-კათოლიკენი, სომეხ-კათოლიკებთან შედარებით, ოსმალეთში ცოტანი იყვნენ, ქართველ-კათოლიკეთ უქვემდებარებდა სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიის სასულიერო წარმომადგენელს, რომლის სამყოფელი ბინა **კონსტანტინეპოლში იყო.**

ამას გარდა ხშირი ქორწინება და ნათესაობა სომეხ-კათოლიკეთა და რომის კათოლიკეთა წესის მიმდევარ ქართველებს შორის აიძულებდა ხოლმე რომის კათოლიკეთ, რომ უმრავლესობის სურვილს დაჰმორჩილებოდნენ, მით უმეტეს, რომ ეს ბრძოლა ერთმორწმუნეთა შორის იყო, რომელნიც მას მღვდლის ჟინიანობადა სთვლიდნენ და ხშირად ამ საქმეში ხელმძღვანელობდნენ იმით, თუ რომელი პატრი ანუ ტერტერა უფრო მოსწონდათ.

---

[1] აწინდელ **მეფისაშვილთა** ერთმა წინაპართაგანმა–**ბაღდასარ მეფისაშვილმა,** რომელმაც განათლება ვენეციაში მხიტარისტებთან მიიღო, შემდეგ ამ მონასტერს აუარებელი ფული დაუტოვა წიგნების გამოსაცემად და ბავშვების აღსაზრდელად. ამ მეფისაშვილს დღესაც იხსენიებენ მონასტრის ეკლესიებში. ვენეციის მხიტარისტებთან აღიზარდა აგრეთვე **გაბრიელ აიავაზოვსკი,** საქართველოს **მთავარ-ეპისკოპოსი**, ნასწავლი ფილოლოგი, რომელიც 1880 წელს გარდაიცვალა (საენციკლოპედ. ლექსიკ. ბროჰკ. ტ. II. ნ.ვ. (გვ. 130).

[2] ეს ეკკლესია აგებულ იქმნა **მეფისაშვილის** წინაპრების მიერ, რომელნიც კახეთიდგან მე-XV საუკუნეში გადასახლდნენ.

რუსების მიერ ახალციხის დაჭერისა და იქ სომხების გადმოსახლების შემდეგ სომეხ-კათოლიკობის ადგილობრივი მომხრენი უფრო გაძლიერდნენ. ამას ხელი შეუწყო იმ გარემოებამაც, რომ ადგილობრივი სასულიერო მთავრობა მხოლოდ სომეხ-კათოლიკეთა მღვდლებისაგან შესდგებოდა.

როდესაც ახალციხე ოსმალეთს განშორდა, კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთა გავლენა ახალციხის და იმის მაზრის ქართველ-კათოლიკეზედ მისუსტდა, რადგანაც ახალციხის სომეხ კათოლიკეთ, ათასგვარ განსაცდელის მიუხედავად, ამ დროს განაახლეს ერთობა და კავშირი თავიანთ მომმე ქართველებთან და თავიანთის ეროვნების აღდგენას მიჰყვეს ხელი. ქართველ-ათოლიკეთა ამ განზრახვას ხელი შეუწყო ახალციხის სომეხ კეთოლიკეთა ქართველების ერთმანეთშორის დაახლოვებამ და დანათესავებამ. კონსტანტინეპოლის სომეხ-კათოლიკეთ აღარ შეეძლოთ ხელი შეეშალათ დროებით დაჩაგრულ და გასომხებულ ქართველ კათოლიკეთათვის. რასაკვირველია, საქმის ასე წაღმა **დატრიალება არ ესიამოვნათ სომხებს, რომელთაც მალე მომხრენი შეიძინეს გავლენიან და წარჩინებულ კაცთა შორის**. ეს გარემოებაკი, როგორც ამ ბოლო დროს ოსმალეთში მომხდარმა ამბებმა დაამტკიცეს, სახელმწიფო ინტერესების მხრით რომ შევხედოთ, მხოლოდ **შეცდომაა და სხვა არაფერი.**

ქართველ-კათოლიკეთა იმ მეცადინეობამ, რომ თავიდგან მოეშორებინათ ძალად ნაკისრები სომხობა, დაჰბადა კათოლიკეთა შორის ახალი ბრძოლა: თითქმის ყველა ქართველ სომეხ-კათოლიკობას თავი დაანებეს და რომის კათოლიკებათ შეიქმნენ. ისინი მოწადინებული არიან **სამუდამოდ მოიშორონ სომეხთა გავლენა**. იმათ მოითხოვეს, რომ ქ. ახალციხის ძველ ნაწილის და ახალციხის მაზრის სომეხ-კათოლიკეთა ეკლესიებში წირვა უეჭველად ლათინურს ენაზედ იყოს, ხოლო გალობა, სახარების კითხვა და ქადაგება **ქართულად**. სხვანი თუმც თანახმანი იყვნენ, რომ წირვა სომხურს ენაზედ ყოფილიყო, მაგრამ გალობა და სხვა ქართულად მოითხოვეს. ისეთებიც გამოჩნდნენ, რომელთაც წინადადება შეიტანეს, რომ ეკკლესიებში ძველ ქართველ-კათოლიკეთა წესი იქმნას შემოღებული, ე.ი. **წირვა-ლოცვა სულ ქართულ ენაზედ იყოსო.**

ამ უკანასკნელის აზრის განხორციელება მოახერხა, პაპის ნებართვით, **კონსტანტინეპოლის ქართველთა ახალშენმა,** ხოლო პაპიმ ნება დართო იმიტომ, რომ **ვატიკანში ნაპოვნმა საბუთებმა დაამტკიცეს, რომ ოდესმე წირვა-ლოცვა ქართულ ენაზედ ყოფილა.**

ახალციხის მაზრის კათოლიკეთა შორის ბრძოლას მაშინ მოეღო ბოლო, როდესაც ოფიციალურად ქართველ-კათოლიკენი სომეხ-კათოლიკებად იქმნენ ცნობილნი, როგორც ეროვნებისა, ისე სარწმუნოების მხრივ და როდესაც კათოლიკეთა ეკლესიებში ქართულ ენაზედ წირვა-ლოცვის შესრულება აღკრძალულ იქმნა. ამ ბრძანების წყალობით **ათასმა კათოლიკე-ქართველმა ვეღარ შესძლო ღვთის ვედრება თავისს სამშობლო ენაზედ.** ქართველ კათოლიკეებს არც სომხური და არც ლათინური ენა არ ესმით, ამიტომ ეკკლესიაში გამოშტერებულები დგანან და ვერ გაუგიათ წირვა-ლოცვის აზრი და მნიშვნელობა.

ეჭვს გარეშეა, რომ **ყველასათვის ძვირფასია თავისი ეროვნება,** რომ **ყველა მოწადინებულია იყოს ნამდვილად ის, რადაც ღმერთმა გააჩინა**.

ამიტომ ძალიან საკვირველია ის მოვლენა, რომ სომეხ-კათოლიკეთა შორის გამოჩნდნენ ისეთი კაცები, რომელნიც უარსა ჰყოფენ თავიანთ სომხობას, თუ ნამდვილად ისინი სომხები არიან!..

საკვირველი არის და უცნაურიც, რომ ესა თუ ის ადამიანი დარწმუნებით, დაბეჯითებით ამბობდეს, მე ამ ეროვნებას ვეკუთვნიო, და სხვები გაიძახდნენ, არა, შენ მაგ ეროვნებისა არა ხარო.

იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ უკანასკნელი საყოველთაო აღწერა აშკარად დაამტკიცებს, რამდენია ქართველ-კათოლიკე და უარჰყოფს აქ არსებულ რაოდენობას, რომელთა მიხედვით, მაგალითად, მთელ ახალციხის მაზრაში არც ერთი ქართველი არ არის.

ის, რაც ოსმალეთის პოლიტიკამ ქართველთა გასომხების საქმეში ვერ მოახერხა ახალციხეს,–ადვილად **აღსრულდა ართვინში განსაკუთრებულ მიზეზთა წყალობით და იმის გამო, რომ ეს მხარე დაშორებული იყო საქართველოს.**

ართვინის აწინდელ მცხოვრებლებს შეადგენდნენ ანიდგან დიდი ხნის გადმოსახლებულნი სომეხ-გრიგორიანნი და იქაური მკვიდრი მცხოვრებელი სომეხ-კათოლიკენი. **ეს ორი ვითომდა ერთის ტომის კრებული კათოლიკეთა მეტად განსხვავდებიან ერთმანეთისაგან, როგორც სახის მგზავსებით, აგრეთვე ენითა და ზნე-ჩვეულებით, მათ შორის საშინელი სიძულვილი ჰმეფობს. პირვერნი ნამდვილს სომხებსა ჰგვანან, ხოლო მეორენი ქართველთ. აქ ქართველთა ტიპი და ზნე-ჩვეულება, კარჩაკეტილის ცხოვრების წყალობით, უფრო შენახულა ვიდრე თვით საქართველოში.**

სომეხ-გრიგორიანთა ენა სომხურია, სომეხ-კათოლიკეთა, თუ ყველასი არა, უმეტესობისა მაინც, ქართულია. არამც თუ მარტო ისეთი სიტყვები, როგორც **მამა, დედა, გოგო, ბიძა** და სხვა და სხვა, არამედ მთელი წინადადებანიც ქართული აქვთ, საკვირველია არევდარევაა, რომელიც აშკარად ამტკიცებს დიდი ხნის ბრძოლას **ორ ენის შორის**.

ზოგიერთ წინადადებაში ხშირად ერთი სიტყვა სომხურია ხოლმე (უმეტესად ზმნა). მაგალითებრ, წინადადებაში: „ბიძის გოგოი მზითვები ბერელისენ"–სამი პირველი სიტყვა ქართულია, ხოლო უკანასკნელი-სომხური. მეორე მაგალითი: „ვაზის ფოთოლი საბძელი ტანელისენ". სამი პირველი სიტყვა ქართულია, უკანასკნელი-სომხური. ძალიან იშვიათია, რომ სომეხ კათოლიკეთა წინადადება წარმოსთქვან და ერთი ქართული სიტყვა მაინც არ დაატანონ. სიტყვებს „რა თავმდაბალია", „მაინც", „მხარ-ბეჭი", „გადარეული" და მრავალ სხვას თითქმის ყოველ წამს გაიგონებთ.

ხეების, მწვანეულობის და ხეხილის სახელები სულ ქართულია. ქართული ენა შერჩა მათ საყმაწვილო სათამაშოებშიაც. თამაშობის დროს ბავშვები ყოველ წამს ქართულ სიტყვებს იმეორებენ. იმათ გამოცდილებით იციან, რომელი სიტყვა რასა ჰნიშნავს. მაგალითად: „ღინღილო! ოქროღილო! ქალი ვინა? მე გახლავარ! დე მობრძანდი"! ანუ, კეკე მალულობის დამაშობის დროს ისინი ამბობენ: „გათენდა?" „ჯერ არა!" და მრავალი სხვა.

ეს სომეხ-კათოლიკენი უარს არა ჰყოფენ, რომ მათი წინაპარნი ქართველები ყოფილან და ამასთან კათლიკენი. ბევრს კარგად ახსოვს თავისი ძველი ქართული გვარი.

იზაშვილის ორივე ხელნაწერი შედარებით გვიან გადაწერილს ჰგავს.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „ივერია", N229, 1897 წ. ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის სავანეში.

რაფიელ ინგილო

(ივანიცკი)

სტამბულის სავანის ავკარგი

ბევრმა ქართველმა არც კი იცის, რომ კონსტანტინეპოლში აგერ უკვე სამოცდაათი წელიწადია არსებობს **ქართული კულტურულ-რელიგიური დაწესებულება-კათოლიკური მონასტერი,** თურქების მიერ **„გურჯი ქილისად“** წოდებული. მისი ყოფნა დედამიწაზე ზოგიერთებმა მხოლოდ მაშინ შეიტყვეს, როცა **ქართველ ემიგრანტების გემი** ოტტომანის ტახტის ქალაქს მიცურდა და **გადმოხვეწილთა თვალსაჩინო ნაწილმა პირველი თავშესაფარი ლურჯქამრიან ბერების სავანეში ჰპოვეს.**

გასული საუკუნის სამოციან წლებში მღვდელი **პეტრე ხარისჭირაშვილი** ამ მონასტრის დაფუძნებას რომ შეუდგა, ძველი ანაფორის ჯიბეში მხოლოდ რამდენიმე, საქართველოდან ჩამოყოლილი სპილენძის ხურდა ედო, მაგრამ თან ახლდა, უფრო მეტი, ვიდრე ფული, **შეურყეველი ნებისყოფა და დაუღალავი ენერგია! კონსტანტინეპოლელ სომხებისა და უცხოელების დახმარებით**, მ. ხარისჭირაშვილმა შეიძინა თვალსაჩინო ზომის უძრავი ქონება და ასე, დაწყებულ საქმეს მიჰყვა ბოლომდის, ვიდრე არ ააგო ეკლესია, საცხოვრებელი ბინები და სკოლისა და სხვა საჭიროებისათვის გამოსადეგი შენობები. სულ მცირე დროში მონასტერი გადიდდა, გაფართოვდა და მრევლიც შეიძინა.

ამ წერილის საგანს მონასტრის ისტორიის აღწერა არ შეადგენს, თუმცა ეს მეტად საინტერესო უნდა იყოს ყოველ ქართველისათვის. მკითხველის ყურადღება ჯერხნობით მინდა სხვა კერძო გარემოებაზე შევაჩერო, რამაც მონასტრის ცხოვრებაში თავი იჩინა უკანასკნელ წლებში და რის შედეგი შესაძლებელია სრულებით მოულოდნელი აღმოჩნდეს მონასტრისათვის: საქმე იმაშია, რომ სავანემ იმ თავითვე თავი მოუყარა როგორც ბერებს, აგრეთვე მონაზონებსაც, ესე იგი, დაწესდა ფაქტიურად **ორი მონასტერი**, **მამათა და დედათა**–ორთავე ერთი და იგივე სახელწოდებით: **ღვთისმშობლის უმანკო ჩასახვის მონები**. მონაზონებმა დაარსებიდანვე ხელი მიჰყვეს საპედაგოგიო მოღვაწეობას, მათ სკოლაში სწავლას იძენენ როგორც ქართველი, აგრეთვე, უცხოეთის ქალიშვილებიც.

დროთა სვლაში სავანეში წამოიჭრა კითხვა ქონების დაყოფისათვის ორ ნაწილად; და აი, ამ ამბავმა გამოიწვია ის გარემოებანი, რომელთა შესახებ ქვემოდ საუბარი მექნება:

მღვდელ ხარისჭირაშვილს არ გაჰვლებია თავში ის ჰაზრი, რომ მონასტრის მობინადრეთა შორის ოდესმე აღიძრებოდა დავა ქონების გაყოფის თაობაზე. ამის გამო მან გულუბრყვილოთ დატოვებულ ანდერძში ეს მომენტი უყურადღებოთ დასტოვა. მამათა მონასტრის მკვიდრთ ეს გარემოება ისე გაიგეს, თითქოს მონასტრის მთელი სამკვიდრებელი მათ უდავო საკუთრებას შეადგენს; ხოლო როდესაც კითხვამ საშფოთო მიმართულება მიიღო, მონაზონებმა ასეთს „ინტერპრეტაციაზე“ პროტესტი განაცხადეს და გადაჭრით მოითხოვეს საკუთრების გაყოფა; დები ემყარებოდნენ სხვათაშორის იმ ფაქტზე, რომ შემოწირულებათა აქტებში თურმე ნაჩვენები ყოფილა, რომ ეწირებათ ორივეს. დავის გამწვავების საბაბმაც სულ მალე იჩინა თავი: ქემალ-ფაშის მთავრობამ მონასტრისაგან მოითხოვა სკოლის შენობის გადაკეთება და გაფართოვება საჰიგიენო პირობების მიხედვით; როცა მონაზონები საქმეს შეუდგნენ, დარწმუნდნენ, რომ თავისით ვერ გაუძღვებოდენ ხარჯებს; მათ მამათა ნაწილს მიმართეს დახმარებისათვის, გარნა უარი მიიღეს; ამისა გამო მონაზონებმა უკვე გადაჭრით აღძრეს საკითხი

მონასტრის მთელი ქონების ორ ნაწილად გაყოფისათვის იმ მოსაზრებით, რომ გამიჯვნის შემდგომ შესძლებდნენ ზოგიერთ უხმარი მამულის გაყიდვით **სკოლის შენობის დამთავრებას.** ამაზე ბერებმა შეუთვალეს, რომ უძრავი ქონება შეადგენს მამათა მონასტრის უდავო საკუთრებას; მონაზონებმა იუცხოვეს ასეთი განმარტება და რომში საჩივრით წარსდგნენ „ბერების უსამართლობისა გამო“. პონტიფიკალური აღმოსავლური კონგრეგაციის მიერ დანიშნული გამოძიება დღესაც არ დასრულებულა, თუმცა, ამისდა მიუხედავათ, ვატიკანი დედათა მონასტერს ფულით შემწეობას დაჰპირდა.

მაგრამ მიმდინარე ზაფხულს საქმემ სრულებით მოულოდნელი მიმართულება მიიღო: აღნიშნული კონგრეგაციის ერთერთი ასსესორთაგანი, **მონსინიორ მარგუტი** დაინიშნა პაპის ნუნციათ კონსტანტინეპოლში. გაოცებას იწვევდა მის ამალში ორი ფრანგი მონაზონის ყოფნა, მაგრამ სტამბულში ჩასსვლისთანავე ყველაფერი გამოირკვა: მარგუტი ეწვია **ქართველ დედათა მონასტერს** ჩაყვანილი ფრანგი „სუროების“ თანხლებით და შეშინებულ ქართველ დებს გამოუცხადა, რომ კონგრეგაციის განკარგულებით, ერთი მოყვანილთაგანი ინიშნება მონასტრის სუპერიორათ (უფროსად), ხოლო მეორე მის ასსისტენტად ეკონომისა და ხაზინადარის ფუნქციებით, ესე იგი, მოახდინა ის, რასაც სავაჭრო უფლებაში კონკურსი ეწოდება!

საზღვარგარეთ ძველ დროშიაც ჰქონია მონასტრები საქართველოს. გარნა იგინი უცხო ხალხის ყურადღებას იზიდავდნენ არა შინაურული დავიდარაბითა და სკანდალური პროცესებით: **ათონის ლავრა, პეტრიწონი, სინას მთა, ჯვარის მონასტერი**–ამათი მარტო ჩამოთვლა საკმარისია, რომ ჩვენს თვალწინ აღიმართოს თავისი სიმშვენიერით საქართველოს ისტორიის კულტურულსანი ჟამიანობა! მათში სხვა ჯურის საქმიანობას მისდევდნენ და მუნ მობინადრეთ არცა სცალოდათ თავის შორის მიწების არშინაობით დაჭრისათვის!

მთელი ჩვენი ნაციონალური საეკლესიო მეცნიერება, მთელი ჩვენი ფილოსოფია, **ენათმეცნიერება, ეგზეგეტიკა, მორალი, ლიტურგია, ჰომილეტიკა** და ებრვე სხვა – აი, რა სამკაული ეფინებოდა ქართველ ერს მისი ეკლესიისა და სამეფოის სადიდებლათ შორეულ უდაბნოებიდან! იმ დროს საზღვარგარეთელ ქართველ ბერებს საბანკროტო ობიექტად კი არ აცხადებდნენ: მათი ავტორიტეტი ისე მაღლა იდგა, რომ მათ რჩევისა და დარიგებისათვის თვით უცხოელები მიჰმართავდენ! ქართველი ბერები საძნელო საკითხებში **ექსპერტებათ** გამოდიოდენ (გავიხსენოთ **გიორგი მთაწმიდელი**ს დოგმატიური განმარტებანი ბიზანტიის იმპერატორის **დუკას** მიერ მოწვეულ საეკლესიო სათათბიროს წინაშე **ბერძნებსა და ლათინებს შორის ამტყდარ დავის გამო).** ქართველი ბერების სასახელო მოღვაწეობით თვით საქართველოს ენიჭებოდა სახელი და ავტორიტეტი! ეხლა კი–ჩვენი ნაციონალი ცხოვრების ისედაც უბედურ ხანაში – მთელი ქვეყნის წინაშე თითქოს ვაცხადებთ, რომ ქართველებს თვისი ქონების უბრალო მოვლის უნარიც კი წაგვრთმევია. სავანის საქმეები თუ დროზე არ მოწესრიგდა, ადვილი შესაძლებელია, რომ დედათა მონასტერი სულ ახლო მომავალში უცხოელებს ჩაუვარდეს ხელში. ფიქრი და ზრუნვა ეხლავეა საჭირო!

სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი შენახულია სტამბოლის ქართულ სავანეში; ჩანს, რომელიმე სასულიერო პირმა გადაბეჭდა ჟურნალიდან, სადაც მოთავსებულია რ. ინგილოს (ივანიცკის) სტატია. (იხ. ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“, N55, 1930 წ., პარიზი, ლევილი, საფრანგეთი).

პ. შალვა ვარდიძე

სტამბოლის მონასტერი და რ. ინგილო

(დასასრული)

II. არც სასულიერო, არც სამოქალაქო სამართალი, კანონები და სინდისი არავის ნებას აძლევს, რომ ჩვენ სავანეს გამოედაოს მცირე მამულებზე.

ჩვენი სავანის დაფუძნების დოკუმენტალური აღწერა ვრცელი იქნება; ამიტომ საკმარისათ მიგვაჩნია უმთავრესი რიცხვები მოვიყვანო, რათა მკითხველმა მცირეოდენი აზრი იქონიოს.

მამა პეტრე **(ლუკა ხარისჭარაშვილი**) დაიბადა ქ. ახალციხეს 29 აპრილს 1818 წელს. მღვდელათ ეკურთხა პეტერბურგში 26 ოქტომბერს 1842 წ. 1857 წლის 30 იანვარს წამოსული **არტაან-ბათომის** გზით, ერთი მოწაფითურთ **(ალფონს ხითარიშვილი)** სტამბოლში ჩამოვიდა 29 მარტს. მთლათ ღარიბი (900 მარჩილი–პიასტრი დარჩენოდა), მაგრამ ნებისყოფით ძლიერი. სტამბოლიდან **პალესტინაში** წავიდა და იქიდანაც **ვენეციაში**, სადაც დაჰყო 21 თვე, დაბეჭდა ქართული წიგნები და გამობრუნდა ისევ სტამბოლში. სადაც მოვიდა 1859 წლის 7 მაისს.

მამა პეტრეს სამი სხვა მოწაფე მიემატა: **იოსებ მამუკაშვილი, ივანე გვარამაძე** (ვინმე მესხი) და **სტეფანე გიორგიძე.** 16 ნოემბერს 1860 წ. რომში თხოვნა მისცა. **კარდინალ ბარნაბომ,** მაშინ პროპაგანდის უფროსმა, 15 იანვარს 1861 წელს მოსწერა სტამბოლში პაპის დელეგატს, მონსიონიორ **ბრუნიონის**, რომელმაც იმავე წლის **10 თებერვალს მამა პეტრეს ახალ საზოგადოებას იურიდიული არსებობა მიანიჭა.** ამ დროს მ. პეტრეს 300 ფრანკი (150 მან.) ჰქონდა სალაროში. ამ იურიდიულ არსებობას ვერ მიიღებდა მ. პეტრეს ახალი პატარა საზოგადოება, მას რომ არ ჰქონოდა **სამონასტრო ადგილი**. არქივიდან სჩანს, რომ ერთ კეთილ-მყოფელს შეეწინა 1230 არშინი მიწა ბინის და სამლოცველოს აღსაშენებლათ.

ერთი ძირითადი ეკლესიური კანონია, რომელიც მხედველობაში უნდა იქონიოს მკითხველმა. ყოველივე სასულიერო საზოგადოების წევრის შემენილი, კოლექტიურათ თუ პიროვნულათ, საზოგადოებას ანუ კოლექტივს ეკუთვნის. პ. პეტრემ თავისი მოწაფებითურთ, თავის საზოგადოებისათვის სამჯერ მეტი მიწა შეიძინა ფულით, თავიანთი ბინის აღმოსავლეთით და დასავლეთით. ამის შემდეგ მ. პეტრემ, როგორც დამწყებმა და უმფროსმა, ყველა გაუგებრობის ასაშორებლათ, 4 თიბათვეს 1863 წელს დასწერა პირველი ანდერძი, სადაც ვკითხულობთ: „... (ფრანგულიდან სიტყვა სიტყვით თარგმანი ჩვენია) მონასტერი და სამლოცველო თავიანთი მიწებით, აგრეთვე, შემოსავალი მათი, და ყველა ქონილი უძრავი და მოძრავი ქონება, რომელთაც შევიძენ ჩემს ცხოვრებაში და რომლებიც დარჩებიან ჩემი სიკვდილის შემდეგ, **მიეკუთვნებიან ყველა ზემოთხსენებულ ბერებს, კათოლიკე ქართველებს, მონათა უმანკოთ ჩასახულისა, რის შედეგათ არც ჩემთა ნათესავთა, არც ქართველ ერსა, არცა არავის სხვა პიროვნებას არ ექნებათ უფლება, დავა გაუწიონ ზემოთხსენებულ ბერებს, არცა გამოიტაცონ რაიმე მათგან**.

მ. პეტრეს დაუღალავი ენერგიით, მის მოწაფე-მღვდელების დახმარებით, მჭიდრო ცხოვრებით ახალი საზოგადოება გაიზარდა რიცხვით და ქონებით. ანდერძის შემდეგ, 26 თიბათვეს 1863 წელს გაგზავნილი წერილის საპასუხოთ, რომმა, **30 იანვრის (1864) წერილით**, ეპარქიულ დამტკიცების შემდეგ, თავისი პირველი საფეხურის დამტკიცება მიანიჭა ჩვენს საზოგადოებას.

ძველი მიწერ-მოწერა 1866 წლიდან დაწყებული გვიჩვენებს, რომ მოლოზნების სავანის დაარსებისთვის მ. პეტრეს მეტი ცდა დასჭირებია. **1869-ში უკვე კაი ჯგუფია სამოლოზნო**

ქართველ მანდილოსნებისა. კათოლიკე ეკლესიის Jus Canonicum-ის მიხედვით, დედათა სავანეები ეპარქიის უმფროსებზედ არიან დამოკიდებულნი, თუ კი რომელიმე დამოუკიდებელ ორდენს არ ეკუთვნიან. ეპისკოპოსი ნიშნავს ზედამხედველათ და მრჩეველათ იმ სასულიერო მოძღვარს, რომელიც მას სურს. ასე ნორმალურად **სტამბოლის ქართ. კათოლ. მონაზონთა სავანეც** პაპის წარმომადგენელს ექვემდებარება. ზემოთაც ვსთქვით, რომელიმე მონასტრის დაარსებას ეკლესია არ დაუშვებს, თუ ბინა და საცხოვრებელი არაა აღმოჩენილი. ამიტომ, მ. პეტრემ როგორც ბერებისთვის, ისე მოლოზნებისთვის იზრუნა იმ ზომაზედ, რომ მოყოლებული მაინც 1869 წლიდან, **მოლოზნების იურიდიული არსებობა საეკლესიოთ აღიარებული იქმნა 9 მკათათვეს 1871 წ.**

ვინ არ იცის, რომ მამათა სავანემ მაშინ დაუთმო ქართველ მოლოზნებს საკუთარი ადგილი, რაზედაც პ. პეტრემ და მისთა მოწაფეთ მიმდევრებმა **გააშენეს მოლოზნებისთვის საკუთარი ბინა და სასწავლებელი**, რომლებისათვის იმ დროიდან მოყოლებული ხარკსაც კი ჩვენ ვიხდით. დამწყობმა–მამა პეტრემ მეტიც ჰქმნა: მოლოზნებს წესდებულებაში ჩაუწერა და მამათა სავანესაც დაავალა, რომ **დედათა სავანე ბერებს უნდა ერჩინათ ათიდან თხუთმეტ წლამდე**, რომლის ვადის შემდეგ მოლოზნებს თავისით უნდა ეცხოვრათ. მამათა სავანემ იმ თავიდან 15 წელიწადი კი არა, არამედ სხვა 20-23 წლის განმავლობაში იტვირთა მოლოზნების კვება და აღზრდა.

1903-1904 წლებში მოხდა საზრდოს მიცემის შეწყვეტა; პაპის დელეგატის უწყების შემდეგ, რომელმაც ბრძანებაც კი გამოსცა, რომ **მამათა სავანის წინამძღვარი აღარ უნდა ყოფილიყო მოლოზნების ხელმძღვანელი**. მოლოზნებმაც იმ დღიდან აღარ ისურვეს თავიანთი ნებაყოფლობით **ჩვენ სავანესთან მეგობრული ურთიერთობა, კავშირი და იყოლიეს ყოველთვის უცხო მოძღვარი დამრიგებელათ და მრჩეველათ**. აჰა, სულ მარტივათ ისტორია.

საკითხი ოდნავ ბნელათ დარჩება, თუ არ დაუბრუნდით მ. პეტრეს შეხედულებას მონასტრის მამულზე. მ. პეტრე გულუბრყვილო არისო, ამბობს ბ. ინგილო. სწორეთ მაშინ, როდესაც ქართველ კათოლიკე მოლოზნების საზოგადოება ფაქტიურათ არსებობდა, მათი წესდება დამუშავებული და წარდგენილი და დღიდამ დღეზე მოლოზნების იურიდიულ არსებობის დაპირებული აფიციალურ გამოცხადების მოლოდინში იყო პაპის წარმომადგენელის მიერ, მ. პეტრემ დასწერა მეორე ანდერძი ოთხი დღის შემდეგ, 6 ნოემბერს **1869 წელს**. ეს ანდერძი წარუდგინა მან ეპისკოპოსს **მონსინორ ანტონი-იოსებს,** რომელმაც როგორც პაპის ელჩმა, შეამოწმა. განა დამწყობმა და პაპის დელეგატმა დაივიწყეს მოლოზნების უფლება და სამართლიანობა? ამის შემდეგ დამწყობმა კიდევ 21 წელიწადი იცხოვრა და არას დროს არ მოაგონდა თავისი ანდერძის შინაარსი? ამ შეკითხვებს ინგილომ გასცეს პასუხი.

მ. პეტრემ ესეც არ იკმარა. მის ანდერძს ეკლესიურათ იურიდიული ძალა ჰქონდა; მაგრამ საკმარისი კი არ იყო სამოქალაქო ხელისუფლების წინაშე. ამიტომ თერთმეტი თვის შემდეგ, 10 აგვისტოს **1870** წელს, **მეორე ანდერძი თავისი ხელით დაწერილი,** თვითონვე გადასწერა სიტყვა-სიტყვით და იმავე დღეს შეამოწმებინა სამოქალაქო ხელისუფლების კანცელარიაში. **ეს ორივე ანდერძი შინაარსით განსხვავდება 1863 წლის ანდერძისაგან.** აი, აქაც რას ვკითხულობთ იტალიურ ენაზე, რომელსაც მკითხველისათვის სიტყვა-სიტყვით ვსთარგმნით: „... რადგანაც, როგორც ზემოხსენებული მონასტერი, სამლოცველო და სანოვაციატო თავიანთი ადგილით (მიწით), ისე კიდევ შეძენილი შემოსავალნი, თუ იგივე კრებულის მიერ, თუ ჩემ მიერ, და ყოველი ჩემი ქონილი მოძრავი და უძრავი, რომელთაც შევიძენ ჩემს სიცოცხლეში, დარჩებიან

და ეკუთვნიან ყველა, ჩემი სიკვდილის შემდეგ, **ზემოთ ხსენებულ კათოლიკე ქართველ ბერებს. ამიტომ არც ჩემ ნათესავებს, არც ქართველ ერს, არც ერთ სხვა რომელიმე პირს არ ექნება უფლება , უქმნას დავა ზემოთ ხსენებულ საკუთრებებზე ხსენებულ ბერებსა, ანუ წარიტაცოს ერთი რომელიმე ნაწილი მათი**. ეს არის ჩემი უკანასკნელი და უცვლელი ნება, რომელიც მე გამოვაცხადე აქ და მინდა, რომ **ყოველი საგანი, როგორც აქ დაწერილია, იქმნას მარად ასრედ აღსრულებული**".

ასეთი ანდერძი გულუბრყვილოთ დაწერილი რომ არ არის, ინტერპრეტაცია არ სჭირდება. რომ მისი სისრულეში მოყვანით ჩვენ უსამართლონი არ ვართ. ყველასათვის ნათელია. ვერც წარმოგვიდგენია, რომ ვინმემ დავა დაგვიწყოს; ჭორებს და მითქმამოთქმას ვერ გავყვებით და არც არავის ნებას მივცემთ, რომ გადაუდგეს სიმართლეს და მსჯელობას, **დაგვწამოს ქონების უსამართლოთ მისაკუთრება** და რაც უფრო დაუშვებელია, პრესის გზით ქართველი საზოგადოება შეაცდინოს და ააღელვოს ჩვენს წინააღმდეგ.

იმ თავითვე გარკვეული იყო ბერების და მოლოზნების ქონება., დამწყობმა რაც მისცა, ამათ დღესაც უდავოთ უკავიათ. ანდერძის შემდეგ ოც წელმა განვლო, რაც მიიცვალა. 1890 წელს მამა პეტრეს შეეძლო ანდერძი შეეცვალა, ან მეტი მიეცა მოლოზნებისთვის. ბერებმა მისი სიკვდილის შემდეგაც ბევრი შეიმატეს. **ყველა ეს მამულები დიდ ომამდე კერძო პირზე იყო დამტკიცებული, რადგან ოსმალეთში ვაყუფის კანონების ძალით სხვანაირათ არ შეიძლებოდა**, ხოლო კერძო პირები **აცხადებდენ, რომ იგინი სახელის მიმცემნი იყვნენ და მამული კი არც მათი და არც მათი ჩამომავლობისა, არამედ ქართველ კათოლიკე ბერების ფულით ნაყიდი და ამათი საკუთრებაა**.

ყველა ეს აქტები ექვსი წლის განმავლობაში ჩემს ხელში იყვნენ და ახალი კანონების მიხედვით, ოსმალეთის მთავრობის მიწათა სამინისტროში წარდგენილი, რის გამოძიების და განხილვის შემდეგ თითქმის ყველა მამული ჩვენ ქართველ კათოლიკე ეკლესიის სახელობაზეა დამტკიცებული.

არც მიწების ნასყიდობაში, არც კერძო აქტებში, არსად არც ეწერა და არც ჩანდა, რომ ეს მამულები შემოწირულნი იყვნენ, **ანუ კიდევ ეკუთვნოდნენ ბერებსაც და მოლოზნებსაც**. წინააღმდეგი რომ ყოფილიყვნენ, მთავრობა გაარჩევდა და გაჰყოფდა. ისედაც ჩვენ გვაქვს საბუთები და ანგარიშები, რომლებიც ნათელ ჰყოფენ თვითეული ვისი თანხით, ვისგან და ვისთვის არის ნაყიდი. ზოგიერთი მამულის ვალი დღესაც გასტუმრებული არ არის სრულიად. **მოლოზნების მამულები და აქტები კი დღესაც მათ ხელშია**. ჩვენ ამ საკითხის სინამდვილეს სხვანაირათ ვერ წამოვაყენებთ, რადგან საბუთი მრავალი და ნათელია. ანდერძის, აქტების და ანგარიშების გარდა, თუ კიდევ არსებობენ სხვა, ეგრეთ წოდებულნი, „შემწირულებათა აქტები", გვიჩვენონ. ამას ვთხოვთ, ვავალებთ ჩვენ **გამკიცხველ მოსამართლე ინგილოს** და საჯაროთ წინდაწინ ვპირდებით მას, რომ არ გამოვეპატრონებით შემოწირულ მამულებს.

ხელნაწერი სავანის არქივშია. დაიბეჭდა ჟურნალში „დამოუკიდებელი საქართველო", საქართველოს პოლიტიკური პარტიების ორგანო, N 64, 1931 წელი, საფრანგეთი, ლევილი.

ამ სტატიის წინა ნაწილი სავანის არქივში ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ.

რაფიელ ინგილო

წერილი რედაქციის მიმართ[1]

„დ–ს“ (იგულისხმება ჟურნალი „დამოუკიდებელი საქართველო“. შ.ფ.) მე–55 ნომერში მოთავსებულ ჩემს წერილს – **„სტამბულის სავანის ავკარგი“**–მეტისმეტად უწყენინებია მონასტრის ადმინისტრაციისათვის. მამა წინამძღვარს დაუვალებია მღ. **შალვა ვარდიძისათვის** ჩემი მოკითხვა წერილობით, თუმცა მე მერჩივნა, რომ პასუხი ჩემს წერილზე იმავ **„დამოუკიდებელ საქართველო“**–ში ამომეკითხა. ეხლა კი ახირებულ მდგომარეობაში ვიმყოფები: მონასტრის უშველებელი, თანაც ულაზათოთ შედგენილი წერილის გამოქვეყნება, არ შემიძლიან, ავქსონი კი დაჟინებით მოითხოვს, რომ „დამ. საქ.“–ს უახლოეს ნომერში ჩემი თავი გაბრიყვებულათ გამოვაცხადო.

უნდა გამოგიტყდეთ, რომ კონსტანტინეპოლი თვალით არ მინახავს აროდეს და არცერთ იქაურ ქართველ ბერს ვიცნობ, გარდა მონასტრის ყოფილ წინამძღვრის–უკვე სამი წელიწადი „სოლოვკაში“ (სოლოვკა-უჟგოროდის რაიონის სოფელი სოფელი, კარპატებში; უკრაინა. შ.ფ.) გადაკარგულ – **შიო ბათმანაშვილისა,** რომელთანაც ერთად მთელი წელიწადი მიცხოვრია ავსტრიაში; გარნა მონასტრის, როგორც ქართული დაწესებულების, ცხოვრებას მუდამ ვადევნებდი თვალყურს.

მისაყვედურებენ, რომ მათ შინაურ (sic!) საქმეებში გავერიე, თანაც, თურმე ნუ იტყვით, ფაქტიური მდგომარეობის სრული უცოდინარობა გამომიჩენია, მონაზონთა მხარეზე დავმდგარვარ და ამით მონასტრისათვის უდიდესი შეურაცხყოფა მიმიყენებია!

არ მეგონა, რომ ამ საგანზე ხელმეორეთ მომიხდებოდა ხელში კალმის აღება, მაგრამ, როგორცა ვთქვი, ამას კერპათ მოითხოვენ, თანაც სასამართლოთი მემუქრებიან; ამიტომ ჩემს თავს ორიოდე სიტყვის თქმის ნებას ვაძლევ.

შალვა ვარდიძე თავის წერილში ერთ ჰაზრს ხაზგასმით აღნიშნავს, სახელდობრ იმას, რომ მონასტერს ქართველი საქმისა და ხალხისადმი ღვაწლი უდევს, – ვინ უარჰყოფს ამას? განა ჩემს წერილში ეს აღნიშნული არ არის?! მაგრამ ღვაწლითმოსილობა ერთს სფეროში ვის არგუნებს გარანტიას, რომ მეორე სფეროში ნაკლი არ აღმოაჩნდეს; და თუ მე მეორის თაობაზე უფრო ვრცლად ვიმასლაათე, სწორეთ იმიტომ, რომ თემა წერილისა განსაკუთრებულად ამ ამბავს ეხებოდა. უარყოფითი მხარეები კი მონასტერში ბევრი ყოფილა, როგორც ამას, ჩემი ცნობების გარდა, მონასტრის ოფიციალი კორესპონდენტიც მაწვდის: მე თურმე აღმინიშნავს მხოლოდ ერთი მხარე, ისიც სულ უკანასკნელი დროისა, ჭირი კი „არ ახალია, ძველია“.

რაში შევმცდარვარ? სად არის ის პროვოკაციის ქსელი, რომელშიაც მე, მონასტრის განმარტების მიხედვით, გავბმულვარ? მთელი საქმე ყოფილა ამბავთა ჩემმიერ ცალმხრივ გაშუქებაში, ერთგვარ მიკერძოებაში; რატომ: errare humanum est! მართალია: წვრილმანობას ჩემს წერილში არ მივდიე–ვის აინტერესებს? მაგრამ მონასტრის „შინაურ საქმეებში“ ჩემს თავს ნება მივეცი

[1] ჩვენ დიდს პატივს ვსცემთ კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტრის მოღვაწეობას და არ დაგვავიწყდება ის მზრუნველობაც, რომელიც გამოიჩინა სავანემ ქართველ ლტოლვილებისათვის. ჩვენ თუ ბ. ინგილოს წერილი დავბეჭდეთ, მხოლოდ მონასტრის და საერთოდ ქართული საქმის ინტერესებით ვხელმძღვანელობდით. სიამოვნებით მოვათავსებთ მონასტრის ადმინისტრაციის წერილს ბ. ინგილოს საპასუხოთ, თუ ასეთს მოგვაწვდის. რ ე დ ა ქ ც ი ა.

ჩავრეულიყავი საზოგადოებრივი მოსაზრებით, რადგანაც ქართული სავანე, ვფიქრობ, დაწესებულებაა, და არა კერძო ოჯახი!

შ. ვარდიძე მარწმუნებს, რომ მამათა ნაწილში ყოველისფერი თავთავის წესზეა,–უწესოებისა და შფოთის ორმო დედათა ნაწილიაო. მაგრამ ჩემი სიტყვაც ხომ აქ არის, მამაო! ჰხედავთ, თქვენ თვითონ მიდასტურებთ, რომ მონასტერში ყველაფერი წესზე არ არის დალაგებული, რომ ამისა გამო უცხოელები დაგვცინიან, ხოლო ვისაც ძალუძს, ბანკროტათ გვაცხადებენ! თქვენ ხომ თვითონ მწერთ, რომ ორი უცხოელი „სუორი“ პაპის მიერ არიან გამოგზავნილნი მონაზონებისათვის „ჭკუის სასწავლებლათ“ და კიდევ იმასაც მიმატებთ, რომ მამული მონაზონებს არ მიუჭერით, ვინაიდგან იცოდით, რომ იგი „უცხოთა ხელში გადავიდოდა!“ გამოირკვა კი უფრო ცუდი რამ, რაიცა სახელ-იწოდების პირდაპირ სასირცხვო მოვლენათ: თურმე მონაზონებს თავადვე გამოუმჟღავნებიათ თავისი არარაობა; თუ კი მართალია, რომ 1904 წლიდან უარი უთქვამთ, საზოგადოთ, ყოველი ქართულისაგან („Non mi fa sentire del georgiano e del rito georgiano“) და აკრძალულიცა ჰქონიათ თვისი თავის ქართველად გამოცხადება! ეს ყველა ერთად აღებული იმის მაჩვენებელია, რომ ქართული კალამი სავანის ავკარგის აღსანუსხათ ერთობ გვიან აღებულია ხელში და ამბებიც მკრთალად აღუწერია!

მონასტერი მიჯავრდება იმის გამო, რომ რომში ვცხოვრობ და ვატიკანს კი ვებრძვი! არ ვიცი, რომელ მისანს უცნობებია მათთვის ჩემი უმძრახობა პაპის ტახტისადმი, ან რათ დასჭირდათ ასეთი cimplexio oppositorum, ჩემი წერილი კი ამისი მთხრობელი სულაც არ არის! მაინც ვიტყვი, რაკი სიტყვამ მოიტანა, რომ მე არავის ვებრძვი განუკითხავათ, მე მხოლოდ **ვიბრძვი ჩემი შეთოკილი სამშობლოს ხსნისა და წარმატებისათვის და შევებრძოლები ყველას, ვინც გზაზე გადამეჩხირება**; გარნა ამ შემთხვევაში ვატიკანი არც არაფერ შუაშია, – უნდა ვიფიქროთ, რომ სტამბულის სავანითა და მონსინიორ **მარგოტით** არ ამოიწურება **პონტიფიკალური** სამფლობელო!

რაც ითქვა, საკმარისია: მონასტრის განმარტებამ ზოგი ახალი გარემოებანი აღნიშნა, ხოლო მთავარი ჩემი დებულება გაამართლა... აი, სწორეთ ის შოთა, რომლის ციტატებით სავსე არის სავანის წერილი, ამბობს (სახარების მიხედვით): „ბოლოდ ყოველი დამალული საქმე ცხადად გამოცხადდეს“.

დაგვანახვეთ, ბატონებო, რა ხდება დაწესებულებაში, რომელიც ქართულს სახელს ატარებს! ოცდაექვსი წელიწადი გრძელდება ურიგო მდგომარეობა და ერთხელაც არ მოგისურვებიათ ამისი მოწესრიგება, თვინიერ უცხოთა რევიზიისა! ვისი ბრალია, რომ ზღუდენი ცამდისაა ატყორცნილი და მათზე ფოფხით აცოცებულს, გარეშე მეთვალყურეს, ზოგი რამ ვერ მოჰხვედრია თვალის ისარში...

მონასტერის ერთ ნაწილს ქართული სახელი ეშლება, იქ ამჟამად უკვე უცხოელები დაფარფაშებენ! ამას არ უნდა გამოწვია ჩვენი გულისტკივილი?! ეს არ უნდა გვეცნობებია ქართველი საზოგადოებისათვის?!

სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი, ჟურნალ „დამოუკიდებელ საქართველოს“ დასახელებული ნომერი დაცულია ქართულ სავანეში.

„დამოუკიდებელი საქართველო“, N56, 1931 წელი.

გერასიმე ნადარეიშვილი

ათონის მონასტერი

(ბერძნული წყაროების ცნობები)

ქალკიდონიის აკადემიის პროფესორ **გედეონს**, კონსტანტინეპოლის პატრიარქის **იოაკიმე მესამის** ნებართვით, გამოუცია ბერძნულად დაბეჭდილი წიგნი, ათონის მთის აღწერა **„ათოსი**“. ავტორი მოგვითხრობს: მეათე საუკუნემდე ათონის მთაზე მონასტრები არ იყო. ამას მრავალ ძველ საბუთებზე ამყარებს. მხოლოდ დაყუდებულთა წნული ფაცხები ყოფილა.

ათონის მთაზე პირველად მეათე საუკუნეში, მზგავსად ბიზანტიისა, **ათანასე ათონელმა** აღაშენა ლავრა, შემდეგ **იოანე ივერიელმა** საფუძვლიდან აღაშენა ივერიელთა მონასტერი ათონის მთაზე, ივერიელთათვის, 960 წელს. შემდეგ დაასრულა გიორგი თორნიკემ“ (გვ. 311).

გედეონს გიორგი თორნიკე ჰგონებია, ბერობაში კი თორნიკეს იოანე ერქვა და არა გიორგი. აღაშენა იოანე ნათლისმცემლის ტაძარი და მონასტრის შენობანი მაშინდელი დროისა...

ბერძნული წიგნი „პროსკინიტარი იგივ-პავლ“. ეს ავტორი მოგვითხრობს „გიორგი ივერიელმა (თორნიკე იგულისხმების) კლიმენტოში იყიდა ადგილი ოთხას ფლურად (სამოქროა თვითეული რომელიც ეხლა ღირს 15და აღაშენა მონასტერი“.

წმიდა ათანასი ათონელი, დამაარნიკესი და ევთიმესი, თავის ანდერძის წერილში მოგვითხრობს: „ვინაიდან იოანე ივერიელმა ივერიელთა ნათესავთათვის საფუძვლიდან აღაშენა მონასტერი, არც შემდეგ სცხრებოდნენ ქველმოქმედებად ჩვენდა...“

წმიდა ეთვიმის ცხოვრების აღწერის შემდეგ („ბერძნული წიგნი „ნეონევლოგიონ“, გვ. 197), ავტორი განაგრძობს: „ევთიმე ივერიელმა აღაშენა მრავალი ტაძრები, საავადმყოფოები და ქსენონები ათონის მთაზე და განამშვენა სადაყუდებულოებით, მიიღო ზედამხედველობა ლავრისა და სრულიად ათონის მთისა „პროტობა“ (მმართველობა), ვინაიდან იყო ერთგული და მსწრაფლ ორკეცი მკურნალი და მეურნე სულთა და ხორცთა ძმათასა, საღმრთო პირი მისი ყოველთვის აღმოადენდა **მდინარესა სიბრძნისასა**, და სწავლასა დიდებად ღვთისა“. იგივე ავტორი მოგვითხრობს: „გვამი მის აღმოყვანებულ იქმნა კონსტანტინეპოლიდან ათონის მთაზე, დაისვენა იოანე ნათლისმცემლის მონასტერში, რომელსა სახელ ეწოდა **ივერიელთა მონასტერი.** შემდეგ წინამძღვრობა მიიღო **გიორგი ივერიელმა** (აქ იგულისხმების გიორგი მთაწმიდელი და ვარას–ვაჩე). მისი სათნო ცხოვრებისაგან აღიძრნენ მრავალნი და მოვიდოდეს მისი მორჩილების ქვეშ. ასეთ გამრავლებასა, აიძულა, რათა მონასტერს მოუმატოს დიდი ხარჯით სამეფოის ხელიდან. საფუძვლიდან აღაშენა, არა თუ მხოლოდ სენაკები და სხვა და სხვა უსაჭიროესნი შენობანი, ძმათათვის განსასვენებელად, არამედ უდიდესი ტაძარი საფუძვლიდან აღაშენა, ვინაიდან მოემატნენ ძმანი და პატარა ტაძარში მამანი არ ეტეოდნენ. ამისთვის სხვა აღაშენა, რომელიც დღემდე სჩანს, ვითარცა ემოწმება მრგვალად წარწერა, თითბრის ჩასხმულით დიდ გუმბათის პირდაპირ, მარმარილოს იატაკზე“ (გვ. 199):

„მე დავამტკიცენ სვეტნი ამისნი და არა შეიძრას უკუნისამდე, აღმაშენებელი გიორგი ივერიელი“ (ეს წარწერა დღესაც არის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარში).

გამოჩენილი ისტორიკოსი, კონსტანტინეპოლისა **ვედრინოსი** სცხოვრობდა მეთერთმეტე საუკუნის ნახევარში, მოგვითხრობს (გვერდი 566): **„ათონის მთაზე გიორგი და ვარას-ვაჩე,**

ივერიელებმა ივერიელთა მონასტერი აღაშენეს“. (იხილე პატრო-ლოგიონ, ტომი 122, გვერდი 219).

ბერძნული საეკლესიო ისტორია, შედგენილი ათონის მიტროპოლიტ **მელეტიოსის** მიერ (ტომი მეორე, გვერდი 388) მოგვითხრობს: „რომანოზი არგირი და მიხეილი პამფლიგონო მეფეების დროს, 1028-1041 წლებში, აღაშენა ივერიელთა **მონასტერი ათონის მთაზე, ვინმე ვარას-ვაჩე ივერიელმა**“.

მონასტერში მყოფმა ივერიელმა ბერებმა მიმართეს ყვარყვარე ივერიელთა მთავარს და მოილაპარაკეს ყოველივე მონასტრის საჭიროების შესახებ, და მან დააკმაყოფილა მათი თხოვნა და შემწეობა მისცა. ყვარყვარესმიცვალების შემდეგ, მისმა მემკვიდრე ქაიხოსრომ და მზეჭაბუკმა დიდად იმოქმედეს მონასტრის ფეხზე დაყენებისათვის, და შემოსავალ-გასვლი-სათვის, და მამულებისთვის: კოშკი-სენაკები აღაშენეს და გამოაწყვეს. ხოლო დიდი კოშკი ნავთსადგურში საფუძვლიდან აღაშენეს... (ამ კოშკის წარწერა სიმაღლისა გამო ვერ წავიკითხე) ტაძარს გუმბათები მოუშენეს და ტაძარს კარის ბჭე მოუშენეს და სხვანი ყოველივე საჭიროე-ბისამებრ შეამზადეს. სადიდებლად ღვთისა, ყველა ეს სდგას და სჩანს დღემდე. ხოლო ყოველივე მოქმედებანი და გასავალნი ხარჯნი იყვნეს ივერიიდან“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს: „მეთექვსმეტე საუკუნეში, ბერებმა ივერიელთა მონასტერი დაკეტეს და მონასტრის გასაღები ალექსანდრე კახეთის მეფეს მიართვეს, რომელმაც უბოძა თორმეტი ათასი ფლური და მონასტერი მიეცა წარმატებასა“.

იგივე ავტორი მოგვითხრობს: „1504 წელსა აღიშენა სენაკები წმიდა გიორგის ეკლესიის სასნეულოდან, ვიდრე წმიდათა, უვერცხლოთა მკურნავთა ეკლესიამდე, და ყოველთა წმიდა-თა ეკლესიამდე, საქართველოს ხარჯითა“.

„1672 წელსა აღიშენა სახლები, და საძმო ტრაპეზი, და სრულიად დაიტანა ივერიელის ხარჯითა“ (იხ. „ათოსი“, გვ. 142-173). კვალად ავტორი მოგვითხრობს: **„კონსტანტინე პორფირო-გენს** მიუცია ქართველებისათვის ივერიელთა მონასტრის აღშენებისათვის „ხრისოვულა“ (გუჯარი), რასაც კავშირი აქვს ივერიელთა მონასტრის სახელწოდებასთან, რომელიც დღემდე ეწოდების, და ყოველივე საქმეები მაგ სახელწოდებით იწარმოების დღემდე, და არც ერთ მონასტერს არა აქვს ასეთი საკუთარი ეროვნული სახელწოდება, ათონის მთაზე მინიჭებული მეფეებიდან–ბერძნული სახელწოდება „**მონინ-ტონ-ივირონ**“ (ქართველთა სავანე).

ბერძნულ ჟურნალ „პანდორა“-ში (ტომი 15, გვერდი 197), წერილი ფრეარეტისა მოიხსე-ნიებს ქართველებზე მიცემულ გუჯარს **კონსტანტინე პორფიროგენისაგან,** მონასტრის აღშე-ნების თაობაზე.

ჟურნალი „ანატოლიკოს არტირი“-ში (ტომი 20, გვერდი 248-278-279-387) პროფესორი **სპირიდონი ლამპროსი,** 1875 წლის ათონის მთის მონასტრების აღმწერი, აღნუსხავს მეათე საუკუნიდან მეცამეტე საუკუნემდე, ქართველებზე მიცემულ ხრისკოლებს (გურჯებს) მეფეე-ბისაგან. ამავე პროფესორს უნახავს ივერიელთა მონასტერში 150 ცალი ხელნაწერი ქართული ძველი წიგნი, პროფესორ **ცაგარელს** რვა-ცხრა წლის შემდეგ კი აჩვენეს 92.

ბერძნული წიგნი „ფილოკალია“ ამბობს, ათონის მთის მონასტრების კანონდებულების დამტკიცებაში. ხელი უწერიათ ყველა მონასტრების წინამძღვრებს, მათთან მესამე პირად ხელს აწერს ქართულად **„სიმეონი ივერიის მონასტრის წინამძღვარი“.**

ზერძნული წიგნი, პატრიარქ დოროთეს ნებართვით იერუსალიმში დაბეჭდილი, „პროსკი-ნიტარიონ-მონინკატამონას“-ი მოგვითხრობს: 1177 წ., შემდეგ ქართველთა და ფრანგთა ომისა, იერუსალიმში ქართველებმა დაიუფლეს ყოველივე მათი მონასტრები და წმიდა ადგილნი და **გადმოასახლეს საქართველოდან ქართველი ხალხი დასაცველად წმიდა ადგილისა,** აგრედვე სოფელ **მალხაში** (ჯვარის მონასტერთან ახლოა)“. საგულისხმოა, რომ ამ დროს **42 კომლი ქართ-ველი ათონის გარეთ,** ივერიელთა მონასტრის მამულში, სოფელ **იერისოში,** დაუსახლებიათ ივერიის მონასტრის მოსამსახურედ ქართველ მეფეებს. ჩემის მგზაურობის დროს ვნახე, ამ მამულში ცალმხრივ ძლიერ დიდი კოშკის ნანგრევში, ეგდო მარმარილოს ქვა, შემდეგი ხუცური ასომთავრული ზედწარწერით: „... **ღთივ, გვირგვინოსან მიხეილ პალეოლოგოს დროს აღიშენა ქართველთაგან**“.

სტამბოლის ქართული სავანე, 1913 წელი, იანვარი.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

იასე რაჭველის (მეხუზლას) ხელნაწერი წერილები
ჰერა
კათოლიკები საქართველოდან (კონსტანტინოპოლში)

თითქმის ორასამდე სარწმუნოებით კათოლიკე საქართველოს შვილები არიან აქ, რომლებიც გართულნი არიან სხვადასხვა ვაჭრობაში. ამათგან უმეტესობა რკინეულობით ვაჭრობს. უფრო დაწინაურებულლნი კომერსანტობაში არიან: **პეტრე ბაკაკოვი, პეტრე** და **იოსებ თუმანოვები, პავლე გოზალოვი** და ერთი კიდევ სხვა. ამ ორას მოსახლეში თუ მცხოვრებლებში **ქართული ენა ჯერ კიდევ დამაგრებულა**, მაგრამ საუბედუროდ, არც ერთი მათგანის შვილმა ქართული წერა-კითხვა არ იცის და არც მათი მშობლები იწუხებენ თავს ქართულისათვის. მხოლოდ იმით იცნობებიან ქართველებად, რომ მცირე ქართული იციან, თორემ სახელები კი ყველას მოდური აქვთს. მაგალითად: ჟაკი, ჟანი, მიშელ, ჟორჟ და ამისთანები. მაგრამ არც გასამტყუნარია, რაკი კათოლიკების იდეალი მხოლოდ რომის პაპის კეთილდღეობაზე არის დამყარებული და თუ ის ღმერთმა უცოცხლათ, ამათ მეტი რაღა უნდათ, სამშობლო ქვეყანა ან მისი დედაენა და ან ქართველების პატრიოტობა მათ სრულებით არ ესაჭიროებათ და არც თავს იტკენენ ასეთი სულელობისათვის, რადგან პეტრე მოციქულის მოადგილე – წმინდა პაპა მაგათია საკუთრად.

ყოვლად მოწყალე რომის პაპმა ამათ დიდი შემწეობა აღმოუჩინა და აქ, კონსტანტინეპოლში, მონასტერი მისცა და **ახლა სათათრეთში ერთი მონასტერია, რომელშიც სამოცამდის კაცი ცხოვრობს,** და **ოთხი-ხუთი მეტოხიური კელია აქვთ,** ძალიან კარგად ცხოვრობენ, მეტადრე სასულიერო წოდება და მათი თავი წინამძღვარი ტერ პიერ ხარი ჩარანთი გახლავთ, **ძალზე მოხუცებული კაცი, მჭერმეტყველი და, როცა საქართველოს ამბავს გაიგონებს, თვალებზე ცრემლები ღვარივით წამოუვა სიმწუხრის გამო, რომ საქართველო სულიერად დაიკარგაო,** ვერ იცნეს ქრისტეს მოადგილე პაპიო და თანაც იმოწმებს ხოლმე თავის შვილებს და ეკითხება:– პატრი ჟან, ასე არ არისო და ისიც უპასუხებს, როგორც განათლებული ფრანგულად:–უი მონსინიორ, უი და სხვა. დიდ მოდად კია აქ მაინც ფრანგული ენა.

ამას წინათ ამათ მონასტერში გახლდით დიდი დღესასწაული იყო და სახლში ერთი დიდი ფრანგული გოდორი შემოიტანეს, ყველა აღტაცებაში მოვიდა და მომტანს დაუწყეს ფრანგულად პატიჟი და რაღაცეების ლაპარაკი, ეს კი კარგად გავიგონე:– ჟეუზეპრი, ჟეუზეპრი, მონ შერ სირილ, კო მანსავა, კო მანსავა. მომტანმაც უპასუხა:–ჩოქ შუქურ, გმადლობთ, ტრე ბიენ გახლავარ.

გაშალეს გოდორი და ამოიღეს შიგნიდან ქაღალდში შეხვეული რაღაც საჭმელები, რომლებზეც ნომრები ეწერა. აიღეს და მიართვეს დროებით მმართველ პატრი ნიკოლას და იმანაც ხმამაღლა დაიძახა :– დიზ. ერთიც ვნახე, მოირბინა პაწაწინა ბავშვმა და მიაძახა:– ბატონო, დიზ მე ვარ. გადაავლო თვალი პატრი ნიკოლამ და უთხრა გაჯავრებით:– აჰ, შე წუწკო, **რატომ ფრანგულად არ მიპასუხებო და უბრძანა, მაგას კანონი მიეცით იმისათვის, რომ ქართული წამოცდა უდროოდ, დღეს უსადილოდ დასტოვეთო**. ამოიღო მეორე პაკეტი.– კატარზ! – დაიძახა. გამოხტა ერთი მოზრდილი ყმაწვილი და უპასუხა:– ჟე სუი, მონსინიორ! და აიღო. ამოიღო მესამე, დაიძახა: – დიზ სეტ! წამოდგა ერთი პაწაწინა, მშვენიერი ბავშვი და მიაძახა:– ჟე, მემინ! მეტი ვეღარა თქვა რა და ყველას გაეცინა. პატრი ნიკოლი თუმცა გაჯავრდა, მაგრამ სხვებმა უთხრეს, აპატიე, რადგან ახალი მოსულია და ჯერ ქართული არ დავიწყებია და ჩვენ

ვეცდებით გადავაჩვიოთ როგორმეო, რომ არ წამოსცდეს უდროოდო. ასე გასტანა თითქმის ერთი საათი, ნომრები არ დაილია, ამოიღებს და დაიძახებს:– ტრეზ, ნევ, ტრუა, დიზ, ნეფ, ვერტენ და სხვა. მეც ვიკითხე რა ამბავია მეთქი და მითხრეს, რომ **დარდანელიდან** სადღესასწაულო ვაფლები გამოუგზავნია **ელისაბედს** ჩვენი სკოლის ყმაწვილებისათვის და ეს არის ვურიგებთო.

ამ მონასტრის მეორე ნახევარში ქალწულებიც არიან ოცდაათამდის, სკოლაც აქვთ ქალებისა და ასწავლიან ფრანგულ და ბერძნულ ენებს და **ამათთაგანი რამოდენიმე დარდანელშიც არის, იქაც სკოლა აქვთ**. ამ მონასტერშიც არის სკოლა ორი-სამი, მაგრამ ქართულ ენაზე კი არა იხსნება რა. დღესასწაულები, რასაკვირველია, სამონასტროში ახალ სტილზე მოდის, მხოლოდ ცოლშვილიანები კი ორნაირად. ასე რომ, ქალები ყმაწვილებითურთ ასრულებენ ახალ სტილზე და ქმრები კი ძველ სტილზე და ამ შემთხვევაში წარმოიდგინეთ ამათი წვალება, ერთი და იგივე დღეს კაცი და ქალი კი ქეიფობს და ცეკვავს და ხარობს დღესასწაულს. მაგალითად, ავიღოთ აღდგომის კვირა დიდი ორშაბათი, კაცი მწუხარეა და მარხულობს და ქალები კი ქეიფობენ და წვეულება აქვთ; წითელ პარასკევს კაცი სიმშილით წუხს და კვერცხებს ღებავს და ქალს კი იმის ჭამა მოსჭარბებია, და ასეთ არეულობაში არიან საწყალი კაცები, მაგრამ ესეც იმ ყოვლად მოწყალე პაპის შემწეობით დიდხანს არ გასწევს, ის ძველისძველი საქართველოს შვილები, რომლებსაც ახსოვთ კიდევ ქართული წესი და რიგი, მოკვდებიან, ალბათ და შემდეგ ქალები თავიანთ აქ დაბადებულ ქმრებთან, ვფიქრობ, კარგად შეეწყობიან.

გასულ თვეში მონასტრის დღესასწაული იყო. მეც ავედი, მივულოცე და სასტუმროში შემიყვანეს. დავჯექით და ვლაპარაკობდით, რასაკვირველია რჯულზე. ამ დროს ერთი ამათი მღვდელი შემოვიდა პერანდრე და პატრი ნიკოლას მოახსენა:– სუსიო მიშელი, მუსიო მიშელი მოვიდა!

ერთი არეულ-დარეულობა შეიქმნა, მე ვიფიქრე საფრანგეთის ან იტალიის ელჩი იქნება მეთქი და ხმა არ ამომიღია, ისე ვიჯექი და ერთმა ამათგანმა მითხრა:– ჩვენს მიშელს იცნობო? არა მეთქი; აბა, მოდი გაჩვენოო. შემიყვანა მეორე სასტუმროში და მაჩვენებს. მე ვკითხე მიშელი აქ სად არის და მან მიმითითა მიხაიო შეპიროვზე, გამეცინა და ასე უთხარი იმ ჩემ მიმყვანს, ეს ხომ **მიხაილ შეპიროვია** და თქვენ რაღაც მიშელს ამბობდით. ხო, მიშელი ფრანგულად არის და უკეთესიც არისო. შევედი, ერთმანეთს გამარჯობა უთხარით და დავჯექით. **მიხაილ შეპიროვმა** ჰკითხა პატრი ნიკოლას, რომ ვგონებ ხვალ ხელახლა აღთქმა გექნებათ და მოვალ საყურებლად, მაგრამ ეს მითხარით, რა ენაზე კითხულობთ აღთქმასო და მანაც მიუგო, ქართულად და ფრანგულადო. შეპირვომა თავი გააქნია და უთხრა:– თქვენ ხომ არ შეიძლება, რომ მაინც და მაინც ფრანგული არ შაურიოთო და სხვა... ჩემთვის რომ ეკითხა უფალ შეპიროვს, ხომ ავუხსნიდი, თუ რომ ამათგან რა ქართულს თხოულობ და ან სულაც რომ არ გაამხილონ ქართული, სიმართლე აქვთ თავიანთ სჯულ და გვარ, რადგან მორწმუნე კათოლიკეს მოვალეობა და აღთქმა იმაში მდგომარეობს, რომ ყოველივე უნდა შეიძულოს წმინდა პაპის მეტი და არავითარი საქმე არ უნდა დაზოგოს პაპის სასიამოვნოდ, თუ კი ეს ასეა, რაღას უმტყუნებდა არ ვიცი, ფრანგულის ქართულში გარევას უფალი შეპიროვი. მე რომ მკითხოთ, ისიც მიკვირს, რომ ხანდახან ქართულს ლაპარაკობენ მეთქი. ერთ ადგილას წამომცდა, რაზედაც მიპასუხეს– ქართულს მიტომ ურევენ ხანდახან, რომ ამით როგორმე მოიზიდონ საქართველოს ხალხი და შეიძინონ სარწმუნოება. მართლაც, რომ გაარჩიოს კაცმა სწორედ ასეა, რაც აქ ყმაწვილები

ჩამოჰყავთ პატარები, ყველას მაშინვე აკათოლიკებენ, ასწავლიან ჯერ მარტო ფრანგულს და შემდეგ იტალიურს და სულ სხვა ყმაწვილი იზრდება, **სამშობლო ქვეყანა სრულებით ავიწყდება** და რა თავის დედაენას ავიწყებენ ძალით, ამიტომ ვერც სხვა ენებს სწავლობენ ხეირიანად და რჩება, ამრიგად, ან მღვდლად და ან ძმად (მორჩილად). მის სიცოცხლეში თუ ემსახურა ძალიან თავმდაბლად, დააყენებენ და თუ ერთი ნამცეცი რამ შეეშალა, აგდებენ ცარიელს გარეთ, როგორც ყველას. მაგალითად: ფრანცისკის, ისე ჟორჟს და სხვებსაც.

გუშინ აქედან აქაურმა ქართველმა კათოლიკებმა გაუგზავნეს რომის პაპს, **ლეონ მეცამეტეს ლამაზად მორთული კარადით, მათივე სტამბაში დაბეჭდილი ერთი პატარა, ოცდაათ წიგნიანი ბიბლიოთეკა. ამ წიგნებიდან ძლიერ შესამჩნევი იყო ერთი წიგნი „დაბადება“ (ბიბლია). მთელი წიგნი წმინდა ვერცხლის ყდით, ოქროთი დაფერილი იყო:** ყდის პირველ მხარეზე იყო გამოქანდაკებული წმინდა ნინო, მარცხნივ მისივე პატარა ეკლესია, მარჯვნივ–მცხეთის მონასტერი და მათ შუა სვეტიცხოველი. თავში წარწერით Sani Nina ფრანგულად და ქვემოთ კი ქართულად მიწერილი „წმინდა ნინა მფარველი საქართველოსი“. წმინდა ნინას ხატი იყო გამოყვანილი თანახმად „მწყემსში“ გამოცემულისა, მაგრამ კარგად ვერ იყო გამოყვანილი. ასე, რომ სტატუიდან აღებულ ნახატს ჰგავდა. ქართული წარწერებიც ძალიან ცუდად იყო, რადგან ვერცხლზე ამოეთხარათ ასოები და რიგიანად არ ჩანდა, ფრანგული კი უფრო კარგად იყო, ყდის მეორე მხარეზე, პირველ რიგში, ქართლთა სამეფო გვირგვინი იყო ორ მხარეზე ანგელოზების ნახატებით, მის ქვემოთ საქართველოს არმია უკლებლად რიგიანად მოწყობილი, შუაზე ქრისტეს კვართი, გარშემო სუსტი ქართული წარწერა „ეკვართი იგი ჰრომელი იყო უკერველ ხელით გამოქსოვილ ყოვლად“. მას ქვემოთ მთა, ძირს წარწერა „Armes Rovales-de Georgie“. ირგვლივ ყდისა იყო იგივე სუსტი ასოებით ქართული წარწერა „ეფუცა უფალი დავითს ჭეშმარიტებითა და არა შეურაცხყოს იგი, ნაყოფისაგან მუცლისა შენისა დავსვა საყდართა შენდა“. ძირი ყდისა იგივე ვერცხლისა იყო ოქროში დაფერილი. პირველ თავში რომის პაპის (ტიარი) მიტრა, თან ორი ქერუბიმი ანგელოზების ნახატი და ძირს მსხვილი ქართული ასოებით წარწერა იყო ლამაზად „დაბადება“, ცოტა ქვემოთ სეროფიმის ანგელოზის ხატი და სულ ქვემოთ ფრანგული წარწერა „La Sante Bible“ ვერცხლისავე დასაკეტებით, ეს ეღირებოდა თითქმის ორმოცდაათი თუმანი, ყოველივე ამისი ხარჯი იკისრეს აქაურმა კათოლიკებმა პაპის საძღვნოდ, რადგან ქრისტეშობისთვის 31 ამ წლისას პაპის ორმოცდაათი წლის მღვდლობის იუბილე არის, რასაკვირველია, ამათი სტილით და როგორც ისმის დიდი ხალხი უნდა მოვიდეს მისალოცად.

1887, 1 დეკემბერი

კონსტანტინეპოლში **ქ-ნი ბოგუმილა ნიკოლაძის ჩასვლა**

აგერ რამდენიმე დღე არის, რაც ესტუმრა ევროპიდან ჩვენს კონსტანტინეპოლის პატარა ქართველ საზოგადოებას, დიდად პატივცემული ევროპის ყველა ქართულ საზოგადოებაში, ქალბატონი **ბოგუმილა ნიკოლაძისა,** ორი ანგელოზის მსგავსი ქალიშვილით. ერთი მათგანი უფროსი **თელიკო** თხუთმეტი წლისაა და მეორე უმცროსი **ლოლო** ათი წლის. ორივენი ძალიან მშვიდი და ნიჭიერი ბავშვები არიან, შესამჩნევი წესით და რიგით აღზრდილნი. ასე, რომ ყველა, ვინც ნახა, აღტაცებაშია მოსული და სულით და გულით ვხარობთ ყველა აქაური ქართველი ამ ბავშვების და მათი პატიოსანი დედის მოსვლით, მეტადრე უფროსი ქალი შესამჩნევი ნიჭის

პატრონია, ბევრი სალიტერატურო რამეებიც ეხლავე აქვს შეთხზული, ბევრიც, მეტადრე როგორც გალექსილი რებუსები ფრანგულ გაზეთებში არის დაბეჭდილი. ამ პატიოსან დედას განზრახვა აქვს ეს სასურველი ბავშვები არ მოაკლოს თავის სამშობლოს და აპირებს საქართ-ველოში გამომგზავრებას, მხოლოდ სამწუხარო ის არის, რომ ამ ჩვენმა ყოვლად ნიჭიერმა და დიდად პატივცემული **ნიკოლაძის ბავშვებმა**, გარდა ფრანგულისა, არავითარი ენა არ იციან და ქართული ხომ სრულებით არა, რისთვისაც მოწადინებულია პატივცემული დედამისი ქალბატონი **ბოგუმილა,** დროზე წამოიყვანოს საქართველოში, რათა არ დაკარგონ თავისი სამშობლო–საქართველო.

ქალბატონი ბოგუმილას განზრახვა მით უფრო სასურველია, რომ მის შესამჩნევ ნიჭის პატრონს ქალს – თელიკოს შეუძლია დიდი შემწეობა აღმოუჩინოს ჩვენს სამშობლოს, როგორც ლიტერატურაში, ისე მისი უმანკო აღზრდით

მცირე შენიშვნა

უმწარესი ფიქრები

„მწყემსის“ მე-9 ნომერში წავიკითხე „მწარე ფიქრები“ სოფლის ხუცესისა, რამაც გამოიწვია ეს ჩემი მცირე შენიშვნა.

„მწარე ფიქრების“ ავტორი ბ. სოფლის ხუცესი თვალწინ შლის ისეთ გარემოებას, რომ უნებლიედ გვეზადება „უმწარესი ფიქრები“. სამწუხარო როგორ არ არის ჩვენი მდგომარეობა მაშინ, როცა ერთი სამხედრო წოდების კაცი თურმე ყველა გაზეთ-ჟურნალებსა და წიგნებს იწერდა, მხოლოდ კითხვით კი სულ არ კითხულობდა.“ მწარე ფიქრების“ ავტორის აზრით, ეს იმის მიზეზი ყოფილა, რომ საზოგადოებას ყური შეუჩვევია ოცბოდიური წერისთვის და ამიტომ არ აინტერესებს კითხვა გაზეთ-ჟურნალებისა. მისივე აზრით, ამ სამწუხარო აზრს იწვევს უხეირო გაზეთები და მათი თანამშრომლები და იმისათვის, რომ ეს თავიდან ავიც-დინოთ, მარტო ფილოსოფოსების მეტმა მონაწილეობა არ უნდა მიიღოს გაზეთ-ჟურნალებში. ის კი დავიწყებია „მწარე ფიქრების“ ავტორს, რომ ყოველი საქმე როგორც საკუთარი ისე საზო-გადო, მცირით იწყება, მით უმეტეს სალიტერატურო მოქმედება. თუ კაცმა თავის თავი არ სინჯა და ერთხელ-*ორჯერ არ გაამათრახეს, ისე, აბა, ვინ მიაღწევს ამ სასურველ ასპარეზს, თუ არა მარტო გენიოსები, რომლებიც, სამწუხაროდ, ჩვენში ძლიერ ცოტანი არიან. ძლიერ დაუფიქ-რებია „მწარე ფიქრების“ ავტორი ამ გარემოებას. სულით და გულით უნდა, რომ ჩვენი აზრი ჩვენივე გულში ჩავიკლათ და მხოლოდ ამ რიგ მომღერლებს ვუგდოთ ყური, როგორიც არის სოფლის ხუცესი.

ახალგაზრდა სტუდენტს, რომელსაც დაუწყია ჩვენი ძველი დიდების თაობაზე წერა კიევიდან, ის ურჩევს „გადააჯექი შენს მწვანე ჯოხს და მთელი ქვეყანა შემოიარეო“, სასაცილო არ არის ამ რიგი ამბავი, მაშ რა არის? ვითომ დიდი დანაშაული ჩაედინოს კიევის სტუდენტს იმ სტატიის დაწერით. „რას ამბობ, ყვირის:–ღმერთმა ნუ ქნას, მერე ჩვენი **ბარკალაია** სად არის, ათონის მონასტრები ამოიგო და ახლა სხვებსაც ამოიგებსო“. აქ კი პირადი მტრობა გამოდის და არა საზოგადოებისადმი გულშემატკივრობა. მამა **ვენედიკტე ბარკალაია** ერთ მოღვაწეთაგანად უნდა ჩაითვალოს საზღვარგარეთ საქმეებში, როგორც ჩვენი უფლების აღდგენის მდომი, რადგან მან ბევრი იშრომა ამ საქმეებზე, რასაც ნათლად გვიმტკიცებს ივერიის ავონის მონასტ-რის საქმეები, რომელიც გამოირჩევა კიდევ საბუთიანად და იმედიც არის, ეს შრომა ნაყოფსაც

გამოიღებს თავის დროზე. განა საკმარისის არ არის, რომ მისი, **ბარკალაიას თაოსნობით განახლდა და დაფუძვნდა ათონში ახალი, ივერიის იოანე ღვთისმეტყველის სავანე,** სადაც 50-მდე ბერი ცხოვრობს და ნამდვილი ქართული წესრიგით ასრულებენ ღვთის სამსახურს და მღვდელმოქმედებას, მეტი თუ არაფერი, ჯერჯერობით ეს 50 მღვდელ-მონაზონი ხომ საფუძვლიანად არიან, რომელთაც იგივე ბარკალაიას მეცადინეობით სამი ათასი მანეთი ეძლევათ წელიწადში ივერიის მონასტრის (რომელიც დღეს ბერძნების ხელშია) შემოსავლიდან. **„პატიოსანი ის არის, ვინც იმდენ სიკეთეს იზამს, რამდენიც შეუძლია“.** ვითომ რაო. მიტომ, რომ ქვეყნის გაკეთება არ შეგვიძლია, ხმა უნდა გავიკმინდოთ და არა ვთქვათ რა? რატომ, რას დაგვიშლის ვიცოდეთ ჩვენი ავ-კარგი, უფრო სამწუხარო და სადარდებელი არ იქნება, რომ არა ვიცოდეთ რა, სად არის ან სად რა გვეკუთვნის? ვგონებ ყველა პირუთვნელი კაცი დამეთანხმება ამაზე, რომ უმჯობესია კაცმა გაზეთ-ჟურნალი და წიგნები მუდამ იწეროს, თუნდა კითხვა არც კი უნდოდეს. ასეთი კაცი პატიოსანი და სამშობლოს მოყვარული არის, რადგან ის საზოგადოებას ხელს უმართავს, ჟურნალ-გაზეთების გამომცემლებს საშუალებას აძლევს განაგრძნონ თავიანთი დაწყებული საქმე. შიმშილით კუჭი არ დაეწვათ, ზოგიერთებივით უდროოდ, უსახსრობის გამო არ გამოესალმონ წუთისოფელს, თუ შემწეობას, თუ მასალას და ძმურ ხელს არ გაუწვდით, მაშ როგორ გნებავთ, რომ სასურველ ასპარეზს მიაღწიონ.

მე მახსოვს **პატივცემული და კეთილი მოღვაწე მესხი, როგორ და რა წვალებით უშვებდა „დროებას“**. ქაღალდის ფული რომ არ ქონდა, ღამღამობით დარბოდა აქეთ-იქით, როგორმე ან ფული ქაღალდისთვის, ან ქაღალდი ეშოვნა. ეს რის მიზეზი იყო, თუ არ ჩვენი გულგრილობისა და საზოგადო საქმის დაუდევრობისა. მე იმას არ ვამბობ, რომ კრიტიკა საჭირო არ არის მეთქი, არა, კრიტიკა ძლიერ საჭირო და სასარგებლოც არის, მაგრამ რიგიანი და პატიოსანი. ნუ დაგავიწყდება, რომ ორი კაცი ყველაფრით ერთმანეთს არ ჰგავს, აზრითა და ხასიათით კი სრულებით არა, რაც ერთის შეხედულება არის, ის ხშირად მეორის წინააღმდეგია. ამისთვის საჭიროა, ყოველივე სალიტერატურო კრიტიკა კაცმა გონივრად გასინჯოს და უმრავლესობის აზრს დაეთანხმოს. სხვათაშორის ბ. სოფლის ხუცესი დასძენს: „წერილის ავტორს (კიეველ სტუდენტს) ჰგავს არ გაუგია ჯერ, რომ პირველი შესანიშნავი მონასტრები, რომელიც ცხვირწინ იყვნენ, ხელიდან წაგვივიდა და სხვები დაეპატრონენ და ეს დალოცვილი გამომდგარა კიევის მთიდან და გვესაყვედურება, **იერუსალიმის მონასტრები არ დაჰკარგოთო“.** აბა, ახლა მიბრძანეთ, სიმართლე არ მქონდა, ჩემი მცირე შენიშვნისთვის უმწარესი ფიქრები დამერქმია? მწარე ფიქრების ავტორის აზრით, თუ საფარეშოში დაბმული ძროხა მოგგვარეს, გარეთ გაშვებული ცხენის საძებრად წასვლა სისულელე ყოფილა, თუ კი ძროხა, რომლის მოწველა შეგვეძლო, დავკარგეთ, ცხენი რაღად გვინდა. თუ შინ დაბმულ ძროხას ვერ მოვუარეთ, გარეთ გაშვებულ ცხენს სულ ვეღარ მოვუვლით. „მაშალაჰ!“ თქვენს ფიქრებს სოფლის ხუცესო!

იასე რაჭველი, 1 ივლისი, 1894 წ; სტამბოლის მონასტერი.

P.S. ეს ჩემი მცირე შენიშვნა პირველად მე გავგზავნე „კვალის“ რედაქციაში დასაბეჭდად, მხოლოდ არ დაიბეჭდა, რადგან ჩემი აზრი კვალის მიმართულების წინააღმდეგი გამოდგა. როგორც კვალის რედაქტორის პასუხიდან ჩანს, მე ცალკერძობა მეტყობა ბარკალაიას შესახებ. „ვინც აქაური გარემოება იცის და ათონის მონასტრის შინაური ამბები, თქვენ არ დაგეთანხმებოდათ და კვალის მიმართულების წინააღმდეგიც იქნებოდა“–გვწერს პატივცემული კვალის

რედაქტორი. ამისათვის იძულებული ვხვდები ჩემი აზრი კერძოდაც გამოვთქვა ბატონ ბარკალაიას შესახებ. მე პირადად მამა ბენედიქტე ბარკალაიას საქმეების გარჩევაში შესვლა არ დამინახავს საჭიროდ, არამედ მე მოვიყვანე იმის ნამოქმედარი მხოლოდ საზოგადო საქმე, ესეც დასამტკიცებლად კიევის სტუდენტის შრომისადმი ჩემი თანაგრძნობისა. მე ამას უარს არ ვყოფ, რომ მამა ბენედიქტე ბარკალაია, როგორც სასულიერო წოდების კაცი და დამცველი ივერიის ახალი სავანის ძმობის დაწყებული საქმეებისა, რომელიმე მოქმედებაში სრულებით არ არის პატივისცემის და გამოსარჩლების ღირსი და არც მე მქონია ეს აზრი. მე მსურდა მარტო მისი შრომა საზოგადო საქმეებზე დამეყენებინა მკითხველის თვალწინ და არა თუ მინდოდა მეთქვა, რომ მამა ბენედიქტე ბარკალაია ყველაფრით უნაკლო კაცია მეთქი. სხვა ვინ არის ქვეყანაზე ყველაფრით **სრული** რომ ეს იყოს. „ვინც თქვენში უცოდველია, პირველი ქვა იმან დაარტყასო“, უბრძანებია ქრისტეს.

თუმცა მამა ბენედიქტე ბარკალაიას ჰქონდა მინდობილი ძმობისაგან მარტო ეშუამდგომლა მთავრობასთან თავიანთი უფლების აღსადგენად და არა მისი პირადი ინტერესებისთვის იყო გამოგზავნილი, მხოლოდ ხომ მოგეხსენებათ, რომ კაცი საკვირველი ქმნილებაა. ყოველივეს, როგორც რიგიანს ისე ურიგოსაც, ადვილად ითვისებს, მით უმეტეს თუ საქმეც პირად კეთილდღეობას შეეხება. მამა ბენედიქტემ პირველად დიდი გულმოდგინებით და ენერგიით მოჰკიდა საქმეს ხელი. ბევრი საბუთებიც ჩაიგდო ხელში და საქმეც კარგად მიდიოდა, მხოლოდ რა გაუგრძელდა და გაუთავებელი გახდა, ამასაც მოსძულდა და მოჰკიდა ხელი პირად საქმეებს. თუ ავსა და ურიგოს მივარტყამთ კაცს პირში, ნურც კარგს მის მოქმედებას დავტოვებთ უყურადღებოდ; ბენედიქტე ბარკალაია ღარიბი კაცი არ იყო და არც თავის რჩენა უჭირდა, ეს ვგონებ ბევრმა უნდა იცოდეს. მან მიანება თავი ყველაფერს და გაემგზავრა წმინდა ადგილებისაკენ, მოვიდა ათონის მთაზედ. ჩვენი გამოჩენილი და ყოვლად პატიოსანი მამების, საქართველოს ეპისკოპოსების შემწეობით (ვფიქრობ, ბენედიქტე რომ ურიგო კაცი ყოფილიყო, ეს პატიოსანი ხალხი არ თანაუგრძნობდნენ) დააფუძნა (ანუ განაახლა, როგორც მათ ნაბოძებ საბუთში არის მოყვანილი) **ათონის იოანე ღვთისმეტყველის ახალი ივერიის სავანე** და ყოველივე თავის ძალღონე შესწირა ამ პატიოსან საქმეს.

ბერძნებმა ჯერ ნება დართეს, სავანე აღედგინა, შემდეგ როცა თითქმის მთავრდებოდა, მოინდომეს დაეფუძვნათ. ქართველებს ამ ადგილს არასგზით არ მისცემდნენ ბერძნები, მხოლოდ იმათი აზრი სულ სხვა იყო. ეს ადგილი, რომელიც ქართველებმა იყიდეს ივერიის (ძველად ჩვენივე) მონასტრიდან, „ნაძრახი“ იყო. ხმა იყო დავარდნილი, ვითომ იქ ეშმაკები ბუდობდნენ (ათონური ლექსით „მტრები“, რუსულად «Враги человечества». ამას ეხლაც ამბობენ ათონის მთის მცხოვრებლები, რომ ქართველებმა ეშმაკებს სძლიესო). ვინც იქ ცხოვრებას მოინდომებდა, მაშინვე ეშმაკები ესიზმრებოდა და შიშის ზარით მოცული მეორე დღესვე თავს ანებებდა და გარბოდა ამის მიზეზის გამო. თუმცა იყო ძველი, **გავერანებული ტყე-ღრით მოცული ეკლესია, ძველად ქართული საღვთისმეტყველო სკოლიდან დარჩენილი**, მაგრამ იმის მახლობლად ცხოვრებას ვერავინ ბედავდა. ამ გავრცელებული აზრის (ეშმაკების) მიზეზით. ბერძნების ბერებმა იფიქრეს, რაკი ქართველები დიდი ხანია რაც აქედან მოწყდნენ და ცოტანიღა არიან ახლა ბერობის მიმდევარი და თან ეს ადგილი რადგან ასე „ნაძრახი“ არის, მაინც ვერ გაძლებენ დიდხანსო, აიღეს სამასი თუმანი და დაუთმეს ეს ადგილი ქართველებს ბენედიქტე ბარკალაიას წინამძღოლობით.

ამ დროს ათონის რუსულ **პანტელეიმონის მონასტერში** იყო ერთი დიდი ნიჭიერი და დიდად პატივცემული მოძღვარი მამა „ერონიმე“. მამა **ერონიმემ** რა გაიგო, რომ ქართველებს ამ ადგილზე აქვთ მოლაპარაკება, დაიბარა ბენედიქტე და უთხრა, ამ ადგილს ნუ ყიდულობთ, რადგან პატიოსან მოძღვარს გაგონილი ჰქონდა, რომ კარგი ადგილი არ იყო. მაგრამ ქართველებმა ეს ისურვეს და სთხოვეს შემწეობა მიეცა მათთვის. როცა მერე ერონიმემ ნახა, რომ ქართველები წრფელად და გაბედულად ჰკიდებენ საქმეს ხელსო, მაშინ უთხრა ერთ მის მღვდელმონაზონთაგანს: „როგორც ჩანს ქართველებს არაფრის არ ეშინიათ და დაე, იყიდონო“, დალოცა, აკურთხა და გამოისტუმრა.

ათონის მთაზე საზოგადო კანონია, რომ თუ რომელიმე მონასტრის ადგილში ვინმემ მოინდომა სახლის ან ეკლესიის აგება, უეჭველად თავის მონასტრის ნებართვა უნდა ჰქონდეს. თუმცა ივერიის მონასტერი და ყველა მისი ადგილები ქართველების უნდა ყოფილიყო, მაგრამ რაკი იმ დროს და ეხლაც ბერძნები განაგებენ, ამისათვის საჭირო გახდა ქართველებსაც ნება აეღოთ ივერიის მონასტრის უფროსი ბერძნებისაგან. ქართველებმა აიღეს ნება ძმების სადგომი სახლისა და დიდი ეკლესიის ასაშენებლად. სახლი უნდა ყოფილიყო სამ სართულიანი და ეკლესიაც მისი შესაფერი, კარგი გეგმისა და ლამაზი ბიზანტიური სტილის, გუმბათებიანი, ზემოთ სარკმლებით. დაიწყეს სახლის შენება და ააშენეს კიდეც ორი სართული თავის სარდაფით. ააშენეს ეკლესიაც, მხოლოდ როცა გუმბათების შენება დაიწყეს, მაშინ მოვიდნენ ივერიის მონასტრის ბერები (ბერძნები) და არ მისცეს ნება ეკლესია პირობისდაგვარ დაესრულებინათ სარკმლებიანი გუმბათებით. ეს იყო მიზეზი, რომ უკმაყოფილება ჩამოვარდა ქართველთა და ბერძენ ბერებს შორის პირველად ათონის მთაზე ამ საუკუნის მეორე ნახევრის დასაწყისში.

მივიდნენ ბერძნები და ეკლესიას მოსტეხეს ნახევრად აშენებული გუმბათი და დააუშნოვეს გარეგანი მისი გეგმა. შიგნით თუმცა რიგიანად და პატიოსნად არის მოწყობილი ქართული წესწყობილებით, მხოლოდ გარეგანი შეხედულებით ის უფრო სახელმწიფო სახით (კაზარმას) ჰგავს, ვიდრე ეკლესიას. ქართველებს ეკლესია სწორედ ლამაზად აქვთ მოწყობილი შიგნიდან და ნამდვილი **ქართული ენითაც სრულდება შიგ წირვა და ლოცვა**, მხოლოდ დამსწრის და მნახველის თვალს უნებლიედ ეხატება წინ საზარელი სურათი, **ზემოდან ძალზე გადმოღუნული ჯვარი**; ეკლესიის სამკაული იკონოსტასი, შეკვეთილ იქნა მაშინ, როცა ეკლესიის აშენების ნება აიღეს და, რასაკვირველია, ეკლესიის გეგმისა და გუმბათებისდაგვარად გაკეთდა, შემდეგ, როცა ეკლესიის გეგმა დაარღვიეს ბერძნებმა, **ეკლესია უგუმბათოდ იქნა გადახურული**. ამის მიზეზით ჯვარი იკონოსტასისა ვეღარ გაიმართა და ამისათვის საშინლად გეუცხოვებათ, როცა შეხედავთ, რომ ჯვარი სრულიად წამოქცეულია. **ამ ბერძნების საზარელმა მოქმედებამ გაამწარა ქართველი ძმობა** და დაიწყეს საზოგადო საჩივარი როგორც პირობის შეცვლაზე, ისე თავიანთ უფლებაზე ათონის მთაზე.

პირველად ქართველებმა ზარალი მოითხოვეს, პირობის ძალით საქმე მოიგეს და რამდენიმე ათასი მანეთი გადაახდევინეს ბერძნებს. რა ეს მოიგეს, შეგულიანდნენ და გაუმართეს საჩივარი მთლად მონასტერზე. ესეც იმან გამოიწვია, რომ შეშა და წყალი, რომელიც პირობაში ჰქონდათ და თან საზოგადო კანონითაც ეკუთვნოდათ, მოუჭრეს.

ქართველმა ძმობამ თავიანთ ვექილად და დამცველად აირჩიეს თავიანთივე სავანის წინამძღვარი **მამა ბენედიქტე** და გაგზავნეს რუსეთში. ბენედიქტემ დაიწყო და რამდენიც შესაძლებელი იქნა მისგან იმეცადინა კიდეც. **რუსეთის მთავრობამ** ბენედიქტეს მეცადინეობით

და თხოვნით **დაუნიშნა ათონის ქართველ ძმობას წელიწადში სამასი თუმანი საუკუნოდ**. ერთ დროს კიდევ ბენედიქტეს თხოვნით, ივერიის მონასტერს შემოსავალიც გაუჩინეს საქართველოდან და ახლაც **ორმოცი ათასი მანეთი** გაჩერებულია ივერიის ხვედრი ფულისაგან და სანამ ქართველ ძმობას არ მოურიგდებიან, არ აძლევენ და მთავრობა უყურადღებოდ არ ტოვებს ამ საქმეს; ნუ თუ ეს ყოველი არ ამტკიცებს იმას, რომ მამა ბენედიქტე მარტო პირადი საქმის მიმდევარი არ ყოფილა, არამედ საზოგადო საქმეზედაც უშრომია დროისა და შემთხვევის დაგვარ. ცხადია, რომ მან ბევრი იმეცადინა, ბევრი საბუთებიც ჩაიგდო ხელში და თავის უფლებაც ნათლად დაამტკიცა, მხოლოდ მაინც სრულებით ვერ გათავდა ეს საქმე. ამის მიზეზის აღწერას, რისთვის არ გათავდა ეს საქმე, მე არ შევეხები, რადგან ეს ძლიერ რთული და საანგარიშო საქმე არის. ვგონებ ამის მიზეზი შიგ გაგებულია და სრულებით ამაში დანაშაული არავის არ დაედება, გარდა დღევანდელი მდგომარეობისა საზოგადოდ.

დიდი ხანი დაჰყო მამა ბენედიქტე ბარკალაიამ რუსეთში და საქართველოში ამ საქმისათვის მხოლოდ „რა ვერ იხილა თვის დიდების მსხვერპლი თვისწინა“ „მისს“ დაბრჯღვნილ შუბლს შური „რაღაც გადაეფინა“. და მოჰკიდა ხელი თავის საკუთარ საქმეებს, შეიძინა მამულები და ახლა, როგორც ჩანს, კარგად შეძლებულიც უნდა იყოს და ბატონი კ... შემწეობით სავაჭრო საქმეები გააჩაღა. ზემოთ ვთქვით და ეხლაც ვიმეორებ, რომ მე პირადად ბარკალაიასთან თანახმა არა ვარ და არ მინდა გასასამართლებლად დაბეჭდილიყო „კვალში“ ჩემი მცირე შენიშვნა, არამედ მე ვამბობ, რომ საზოგადო საქმეზედაც მიუძღვის შრომა მამა ბენედიქტეს მეთქი. მე უმეტესად ამის თქმა მინდა, „სოფლის ხუცესის“ აზრი შემცდარი მგონია. თუ ის ფიქრობს, რომ ჩვენთვის არ საჭიროებს ვიცოდეთ ჩვენი ავკარგი, შინაურთან ერთად, გარეულიც. ეხლა ეს იქნება პირველი ჩემი წერილი და თუ საჭიროება მოითხოვს, ან თუ წინააღმდეგნი არ იქნებიან ყველა ჩვენი გაზეთები ჩემი აზრის ისე, როგორც „მწარე ფიქრების“ ავტორი, მაშინ პატივი მექნება გავაცნო მკითხველ საზოგადოებას როგორც მამა ბენედიქტე, ისე მთელი ათონის მთა და ჩვენი საზოგადო საქმე ივერიის მონასტრისა და სხვა ადგილების შესახებ აღმოსავლეთში. უკეთუ ეს ჩემი აზრი არ მოეწონება რედაქციას და ან წინააღმდეგი იქნება, მაშინ არც ეს ჩემი პირველი წერილი დაიბეჭდება, რაც ნათლად მაგრძნობინებს ჩემს შეცდომას და დამათანხმებს სოფლის ხუცესის აზრზე და ქართული გაზეთებისთვის ჩავიკლავ ჩემს ფიქრებს ჩემსავე გულში და შემდეგ ვეცდები რუსულში ვცადო ჩემი შრომა და აზრი.

იასე რაჭველი
კონსტანტინოპოლი, 10 აპრილი,
10 საათი დილის, 1909.

რევოლუცია ოსმალეთში

დღეს დილას ვკითხულობთ აქაურ გაზეთებში, სულთანი 10 მილიონ ლირას იძლევა „ოღონდ დამაყენეთ ჩემს ალაგსო“. დღეს მთელი კონსტანტინოპოლი ფეხზე იყო დამდგარი, უმეტესობას ეგონა, დღეს სალამლიკზე მეორე სულთანი–**მეჰმედ რეშადი** გამოვაო. მაგრამ მოტყუვდნენ, იგი ისევ ისე გამოვიდა, როგორც ყოველთვის, მიუხედავად იმისა, რომ ათასნაირ ხმებს ყრიდნენ. გაზეთებმა ისიც დაწერეს, რომ ძლიერ ავად არისო, ზოგი ამბობდა სულთანი უკვე გაიქცა და ახლა განგებ ამბობენ თითქოს ავად არისო, ზოგიც იმ აზრისა იყო, თუ გამოვა

სელამიკზე, იქიდან გაიტაცებენ, თავის კალიასკითო, მაგრამ სინამდვილე სულ სხვას გვეუბ-ნება. დღეს სწორედ თავის დროზე გამობრძანდა იგი თავის ოქროს სირმაში, გატყლაპული მხლებლებით, შევიდა მეჩეთში, ილოცა ჩვეულებრივად და ისევ დაბრუნდა უკან. როცა მეჩეთიდან უკან ბრუნდებოდა ხალხმა შესძახა:– **„იცოცხლოს სულთან ჰამიდმა მრავალ წელსო“. აუარებელი ხალხი დაესწრო დღევანდელ სელამლიკს, იყვნენ სხვათაშორის ინგლისე-ლი მოგზაურებიც, თავთავიანთი მაღალ-მაღალი ხმელ-ხმელი ცოლებით.** იყვნენ თითქმის ყველა საელჩოებიდან წარმომადგენლები და ზოგი ელჩიც. ამ შემთხვევამ ყველანი გააკვირვა, ერთმანეთს ეკითხებოდნენ, რა ამბავიაო. ყველას უკვირდა ასეთი სიჩუმე და სიწყნარე.

ცოტა ხნის შემდეგ გავრცელდა ხმა, რომ სულთანმა ათი მილიონი ლირა შესწირა ხაზინას და ტახტზე ისევ დარჩაო, ახლა კი საათის 5-ზე, ნაშუადღევს, გამოვიდა სუპლიმანი, რომ სულთანი დარჩება ტახტზე. ის ჯარი, რომელმაც ეს არეულობა მოახდინა, სრულიად უნდა გავიდეს კონსტანტინოპოლიდან, დამნაშავენი უნდა სასტიკად დაისაჯონ და რევოლუციო-ნერთა ჯარმა უნდა დაიჭიროს მთელი კონსტანტინეპოლის ის ადგილები, რომელიც აჯანყე-ბულ ჯარს ეჭირაო. ახლა კი, ყოველ წუთს ელიან სულთნის ირადეს ამ საკითხზე და ხვალ ელიან უკან ბოსფორში იმ ჯავშნიან გემებს, რომლებიც გუშინ აქედან გაიყვანეს და რომლებიც რევოლუციონერების ხელშია ამჟამად. დღეს სელამლიკზე საზღვაო ჯარმა მიიღო მონაწილეო-ბა. **(ბაგრატიონ) რიზა ფაშა**, რომელიც ჯარისკაცებმა დასჭრეს, გადარჩა სიკვდილს; ამბობენ, ისევ თავის ადგილს დაიჭერსო. მინისტრები ისევ ძველები უნდა დაბრუნდნენ. როგორც ხედავთ, მკითხველნო, აქ რაღაც დიდი ოინები ტრიალებს. ასე თუ ისე, ჩვენი ეჭვი გამართლდა, სულთანს მხარი დაუჭირეს, მაგრამ ვინ იცის, ვინ ვის მოატყუებს, აქ-სულთან ჰამიდი მლადოთურქებს, თუ ეს უკანასკნელნი– პირველს. ყოველ შემთხვევაში უნდა ვიგულისხმოთ, რომ ჯერ კიდევ კონსტიტუციას თავიდან საფრთხე არ ასცილებია, მაგრამ, ასე თუ ისე, საქმემ სასურველი მიმართულება მაინც მიიღო და ამ შემთხვევაშიც სისხლის ღვრას გადარჩა.

იასე რაჭველი

10 აპრილი, 1909, 6 საათი, საღამო, სტამბოლის მონასტერი.

X X X

ეს წერილი გუშინ უნდა გამომეგზავნა ე.ი. ფოსტაში უნდა ჩამეგდო, მაგრამ ფოსტა ამ დროს დაკეტილი იყო და დღეს მინდოდა გამომეგზავნა, მაგრამ დილას ექვს საათს თხუთმეტი წუთი აკლდა, რომ სროლა მოგვესმა. სულ ნახევარი საათის განმავლობაში სროლა საშინლად გაძლიერდა. ახლა აგერ ცხრა საათი სრულდება და ჯერ არ შეწყვეტილა. როგორც გამოირკვა წუხელ რევოლუციონერების ჯარს ალყა შემოურტყამს პერასა და ბეშიკთაშისთვის, კონსტან-ტინოპოლის ევროპული ნაწილი, ბეშიკთაშის ნაწილშია მოთავსებული ილდიზ-კიოსკი, სადაც სულთნის სასახლეა. განზრახული იყო ამ მიდამოების ოკუპაცია და აჯანყებული ჯარის დამორჩილება? აჯანყებული ჯარის ერთ ნაწილს, რომელიც თაშკიშლაში (კაზარმას ჰქვია) იყო გამაგრებული, წინააღმდეგობა გაუწევია და ერთმანეთში შეტაკება მოუვიდათ. ერთსა და იმავე დროს პერის ქუჩები და საზოგადოდ კონსტანტინოპოლის თითქმის ყველა ადგილები რევო-ლუციონერთა ჯარმა დაიჭირა. გალათასარაიში, პერის საგუბერნატოროა, რევოლუციო-ნერების ჯარი შევიდა, **პერის გუბერნატორმა (ფაღავა) აჰმედ -თევფიკ ბეგმა**, **პოლკოვნიკია**, ისინი მიიღო და თავის ჯარისკაცებიც მათთან შეათანხმა სრულიად სისხლის დაუღვრელად.

საზოგადოდ **ფაღავა** მთელ ამ ახალი მოძრაობის დროს, თავის ადგილიდან არ დაძრულა, საქმეებს შეძლებისდა გარემოების დაგვარ, წესიერად აწარმოებდა. თითქმის არაფერი დიდი უბედურება არ მომხდარა, მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა არსებული მთავრობის დიდი მოხელეები პირველი დღიდანვე გაიქცნენ თავთავიანთ პოზიციიდან, **აჰმედ-ბეგი** კი, არც ერთი დღე არ მოშორებია თავის ადგილს. მაინც ეს კაცი საზოგადოდ ცნობილია, როგორც ჭკვიანი და დიდი გამბედავი ადმინისტრატორი, ის ყოველთვის **უპარტიო პროგრესისტი იყო** და დღემდე ასე არისო,– დაწერეს აქაურმა გაზეთებმა.

დღეს ცხადად ამბობენ აქ იმ ხმის სინამდვილეს, რაც გუშინ აქაურმა გაზეთებმა გამოაქვეყნეს, რომ **სულთან ჰამიდს მიუმართავს ავსტრიისთვის, დაიჭირეთ მაკედონია, გითმობთ მის ორ საუკეთესო ნაწილს, ოღონდ მე გადამარჩინეთ ტახტიდან ჩამოგდებასო**. ერთსა და იმავე დროს სულთანს, როგორც ამტკიცებენ, თავისი უფროსი შვილი **კორფუში** გაუგზავნა გერმანიის იმპერატორთან და უთხოვნია, აკი მეგობრობას მიცხადებდი? აბა, ახლა მიშველეო. აგრეთვე, ამბობენ, თითქოს მემკვიდრე პრინცი **მეჰმედ რეშად ეფენდი** მასთან ჰყავდეს დაჭერილი, რომ თუ მე მომკლავენ, ისიც მოკლანო.

ის საომარი გემები, რომლებიც ამ სამი დღის წინათ აქედან გაიყვანეს რევოლუციონერებმა, შეუიარაღებიათ ახალი ზარბაზნებით, ჩაუყენებიათ შიგ თავიანთი ჯარისკაცები და ისე შემოვიდნენ წუხელ და დადგნენ თავთავიანთ ადგილას. დღეს დილიდან კი ეს გემები დროგამოშვებით ზარბაზანს ესვრიან იმ კაზარმებს, სადაც აჯანყებული ჯარისკაცები არიან გამაგრებულნი. ფაშკიშლე, როგორც გადმოგვცეს, ძლიერ დაზიანებულია ზარბაზნებისაგან, მხოლოდ ჯერ კიდევ იბრძვის. ჯერ კიდევ არავინ იცის დანამდვილებით თვით ილდიზკიოს-კი-სულთნის სასახლე, რა მდგომარეობაშია, სახლის ტერასებიდან დურბინდით ჩანს კონსტან-ტინოპოლის გარშემო და უფრო კი ილდიზკიოსკის მიდამოებზე დიდი ჯარი, ზოგი გარბის, ზოგიც ჩასაფრებულია სიმაგრეებში. თაქსიმკიშლა, პერას ნაწილის კაზარმაა, შემოსალტულია ყოველი მხრიდან ჯარით და ზარბაზნებია ზედ მიყენებული. აგერ, ათი საათი სრულდება და ამ ხანში დილის ექვსი საათიდან სროლა ხუთი წამითაც კი არ შეჩერებულა. აი, ახლა გაატარეს ჩვენი ქუჩიდან პერაზე ერთი შემთხვევითი ტყვიით მოკლული ერის კაცი.

მთელი კონსტანტინოპოლი რევოლუციის ცეცხლშია. ერთი მხრივ დგას ჯერ სრულიად გამარჯვებული რევოლუციონერები, მეორე მხრივ კიდევ გამაგრებული აჯანყებული სულთნის ჯარი. სროლა თოფებისა ისეთი ხშირია, რომ გუგუნ-გუგუნი დგას, კვამლისაგან ჰაერი შერყეულია, წამლის კვამლის სუნი დგას, საელჩოებს რევოლუციონერთა ჯარები იცავენ. თუმცა ჯერ კიდევ ბრძოლა არ გადაწყვეტილა, მაგრამ ეჭვს გარეშეა, რომ რევოლუციონერები გაიმარჯვებენ, უბრალო ხალხს, არც ბაში-ბუზუკებს ჯერ არაფერი მოუხდენიათ. საზოგადოდ ერის კაცები ჯერ ხელუხლებელია. ძარცვა-გლეჯას არსად ჯერ ადგილი არ ჰქონია. ამის შემდეგ კი, რა რომ რევოლუციონერების ჯარებმა დაიჭირეს ყველა ქუჩა, თუ განსაკუთრებითი რამე მოულოდნელმა შემთხვევამ არაფერი ახალი არ გამოიწვია ისეთი, რომ ესენი დაამარცხონ, შიში ერის კაცების და საზოგადოდ მცხოვრებლების აწიოკებისა, აღარ არის.

მშვენიერი გაზაფხულის დღეა. მზე მკრთალად ანათებს, ხალხის ყველა შეძლებული ნაწილი სახლებში არიან ჩაკეტილნი და წამებს ითვლიან. ორი ერთმანეთის მოძმე, მონათესავე, ერთი რჯულის ჯარისკაცები და ერთი და იმავე ქვეყნის და სახელმწიფოსი ერთმანეთს ჟლე-ტენ. სულთანი ჰამიდი კი ჯერ კიდევ უვნებლად უნდა იყოს. ღმერთო ჩემო! რა შეუძლიან ერთ კაცს? რა არის ხალხი?

იასე რაჭველი

საათის 10 დილით, 1909, 11 აპრილი, კონსტანტინოპოლი, პერა.

რევოლუცია ოსმალეთში

11 აპრილს დილის ათი საათიდან აღარც ერთი თოფი აღარ გავარდნილა. სრული სიწყნარეა. ჯერჯერობით სრული გამარჯვება ახალგაზრდა თურქთა ხელშია. თაშიკიშლე, თაქსიმკიშლე, მაჩქა, თოფხანე (ყველა ესენი არიან ისეთი კაზარმები, რომლებშიც მოთავსებული იყო არანაკლებ 30 ათასი აჯანყებული ჯარისკაცისა) სრულიად დაიმორჩილეს, სელმიაკიშლე და ილდიზკიოსკი გუშინ დილიდანვე შემოსალტულია. სელმიაკიშლეში (კონსტანტინნოპოლის აზიური ნაწილია) დგას 10 ათასამდე ჯარი, რომელსაც აქვს 70 დიდი და პატარა ზარბაზანი, ილდიკისკში კი იქნება სულ 7-8 ათასამდე ჯარისკაცი, ზარბაზნები აქ ცოტა არის, მაგრამ ეს ადგილი და აგრეთვე, სელმიაკიშლე ისეთ მაღალ ადგილებზეა მოთავსებული, რომ თუ აქედან მოიწადინეს ზარბაზნების გასროლა, ყველა კონსტანტინეპოლის ადგილებს მისწვდებიან. სელმიაკიშლეში მყოფი ჯარი ისეა შეიარაღებული, რომ თუ გაბედეს და დაუშინეს ქალაქს მათი ზარბაზნები, სულ ერთი საათის განმავლობაში ნაცარტუტად გახდიან. ილდიზსაც დიდი ზიანი შეუძლია მოუტანოს ქალაქს და მეტადრე კი საელჩოებს, რადგან ყველა საელჩოები თვალსაჩინო ადგილას არიან ილდიზკისკიდან. მაგრამ ასეთ საშინელ მოლოდინს, ვგონებ. არ უნდა ექნეს ადგილი ერთი იმისთვის, რომ მოწინააღმდეგე ჯარისკაცებს ხელმძღვანელნი სრულიად არ ჰყავთ, არც ერთი ხეირიანი ოფიცერი არ არის მათში, რადგან ზოგი დახოცეს, ზოგიც გაიქცა და რევოლუციონერთა ჯარში არიან არეულნი, როგორც უბრალო მეომარნი, მეორე – იმისთვის, რომ ზემოდ მოხსენებული კაზარმებისა და სიმაგრეების აღებამ შიშის ზარი დასცა მათ და მესამე– კიდევ იმისთვის, რომ რევოლუციონერების ჯარი დღეს აღემატება 60 ათასს, აქვთ ორასზე მეტი დიდი და პატარა ზარბაზანი, ავტომობილები ზარბაზნით მოწყობილი და უკანასკნელი სისტემის თოფ-იარაღი და დარწმუნებული არიან, რომ ადრე თუ გვიან უეჭველად გამარჯვება რევოლუციონერების არის.

მთელი კონსტანტინეპოლის ყველა ნაწილი, როგორც ევროპული ისე აზიური, ახალგაზრდა თურქთა ხელშია, ყველა საგუშაგო, სასამართლო, ფოსტა, ტელეგრაფი, სამხედრო სამინისტრო, ზღვა, საომარი გემები და ყველა ის ადგილები, რამე სიმაგრეს ან დაწესებულებას წარმოადგენს, გარდა ილდიზკიოსკისა და სელმიეკიშლასი. დიაღ, ასეთი ძალა აქვთ ხელში დღეს რევოლუციონერებს, მაგრამ სულთანი ჰამიდი მაინც თავის ადგილზე მაგრად ზის და ამბობს:– **„მეფედ დავჯექი, მეფედვე უნდა მოვკვდეო“** და იცის კიდეც, რომ მას ძალით ვერ ჩამოაგლებენ და მოკვლა კი არ შეუძლიანთ რადგან, როგორც ამტკიცებენ აქაურ პოლიტიკურ წრეებში, ინგლისის, გერმანიის, ავსტრიის და რუსეთის მეფეებს მოუთხოვიათ რევოლუციონერებისაგან **„სულთნის სიცოცხლე უზრუნველყოფილი უნდა იქნეს ყველა შემთხვევაშიო“**. ეს მოსაზრება რომ სწორე არ იყოს, შეუძლებელი იქნებოდა ასე მისი გაჯიუტება და ამდენ ხანსაც დაყრიდა ფარხმალს. ევროპელთა ასეთი მოთხოვნის მიზეზად ორ მოსაზრებას ასახელებენ: ერთი ის, რომ თუ ჯარმა ასე იერიშით სულთანი ჩამოაგდო და მოკლა, ის იქონიებს სხვა სახელმწიფოს ჯარებზედაც ცუდ გავლენასო და მეორე, რომ სულთანი მოკლან, შესაძლებელია, უბრალო ხალხი აჯანყდეს და ევროპელები ამოწყვიტონო; ამასთან კიდევ, ვინ იცის, იქნებ სელმიეკიშლე და ილდიზკიოსკი ისე ადვილად ვერ დაიმორჩილონ, როგორც სხვები და

სულთნის სიკვდილმა კი გამიწვიოს ზარბაზნების დაშენა ქალაქზე და ეს საშინლად გაანადგურებს ყველასო. ყველა ეს მოსაზრებანი, უნდა ვიგულისხმოთ, რომ სულთანს თავის ადგილზე დატოვებს, ის ამ შემთხვევაშიც გადარჩა სიკვდილს, ამას კიდევ ის მოსაზრებაც ამტკიცებს, რომ ამ ბოლო დროს, ესე იგი, გუშინ 12 აპრილს, ხმა გავრცელდა და გაზეთებმაც გამოაქვეყნეს, რომ უნდა შედგეს უზენაესი კრებული: პარლამენტის წევრისაგან, სენატორებისაგან, სულთნის მახლობლებისაგან და ხალხის იმ ნაწილებისაგან, რომლებსაც გავლენა აქვთ საზოგადოებაში და ესმის როგორც პოლიტიკა, ისე საქმის გარემოება და იცნობს სულთნის განზრახვას და ამ კრებულმა უნდა დაიფიცოს კონსტიტუციის ერთგულებაზე და ხელშეუხებლობაზე.

ამ შემთხვევაში სულთანი ჰამიდი დარჩება თავის ადგილზე და კონსტიტუციას კი ენიჭება მეტი უფლებანი. ეს კრებული დღეს ან ხვალ უნდა შედგეს. გარდა ამისა, სულთანმა გამოსცა ბრძანება:– „ტყუილია ის ხმები თითქოს მე კონსტიტუციის მტერი ვიყო, ან მისი მოსპობა მინდოდეს, მე მლადოთურქების მომხრე და მოთავე ვარ, ეს აჯანყება მოწინააღმდეგე პარტიის საქმეა და არა ჩემი; ვუბრძანებ ყველა იმ ჯარს, რომელიც კონსტიტუციის და მლადოთურქთა წინააღმდეგია, დაჰყარონ იარაღი და ჩაბარდნენ რევოლუციონერებს, ნუ დაღვრიან უბრალო სისხლს, ყველა ჩემი შვილები ხართ და გთხოვთ დაწყნარდეთო“. ასეთია დღევანდელი მდგომარეობა კონსტანტინეპოლისა. წამი წამს ცვლის, საათი საათს და დანამდვილებით არავინ იცის რა იქნება. ხმა კი ათასნაირი ვრცელდება, ვისაც რა უნდა და რა სურს, იმას ამბობს და ბეჭდავს; კაცს ნამდვილის გაგება არ შეუძლია.

რევოლუციონერების ასეთი უმაგალითო გამარჯვება აიხსნება ორი მოსაზრებით: ერთი იმით, რომ უმეტესობა საზოგადოებისა მათი მომხრეა და ყველა პარტიებიც შეფეროდა, მეორე იმით, რომ აჯანყებულ ჯარისკაცებს სრულიად მცოდნე, მოთავე და ხელმძღვანელი არ ჰყავთ. და ყველა იმ სიმაგრეებში, მაგალითად: თოფხანეში, თაშკიშლაკი, თაქსიმისკიშლაში, მაჩკაში და ყველა იმ ადგილებში, რომელიც კი მლადოთურქებმა აიღეს, არც ერთ ზარბაზანს კლიტე აღარ ჰქონდა, ისინი წინდაწინვე მოპარული აღმოჩნდა ოფიცრებისაგან; ასეთი ზარბაზანი იქნებოდა არა ნაკლებ 200 და მათი დამორჩილება ასე ადვილი აღარ იქნებოდა, მაგრამ ასეთ შემთხვევაშიც ამ რევოლუციამ დიდი ხალხი იმსხვერპლა: 700 ჯარისკაცია მოკლული მლადოთურქების მხარეს და ორი ამდენი იქნება დაჭრილი. მოწინააღმდეგე ჯარისკაცები ნაკლებად დაზიანდნენ, რადგან, ისინი სიმაგრეებში იყვნენ. მლადოთურქების ჯარისკაცები უფრო ღალატით დახოცეს; როცა დაუშენდნენ ერთმანეთს წვიმასავით ტყვიებს, მლადოთურქები საფრებიდან, მოჯანყენი კაზარმებიდან, ამ დროს მოჯანყეები შეაჩერებდნენ თოფის სროლას და გამოყოფდნენ სარკმლებიდან დამორჩილების ბაირაღს; ამ ნიშანზე მლადოთურქები გამოვიდოდნენ საფრებიდან და გაემართებოდნენ იარაღის ჩამოსართმევად და აი, მაშინ წაუშენდნენ აჯანყებულები. ასეთი საქმე ჩაიდინეს თითქმის ყველა კაზარმებიდან, ორ-ორ, სამ-სამჯერ, ერთხელ სარკმლებიდან თოფებიც გადმოყარა ერთმა ნაწილმა, გბარდებითო, მაგრამ დანარჩენებმა კიდევ დაუშინეს თოფები, ბოლოს მლადოთურქები იძულებულნი გახდნენ ზარბაზნები დაეშინათ და ისე დაემორჩილებინათ.

საშინელი სანახავია კაზარმები. ზარბაზნებს ისინი საზარლად მიუმსხვრევ-მოუმსხვრევია. ზარბაზნები ხმარებაში მხოლოდ პატარები იყო გამოყენებული, რომ კაზარმები სრულიად არ დაენგრიათ. არც ერთი დიდი ზარბაზანი არ გაუსროლიათ. ყაზარმები სრულიად არც ერთი არ

არის დანგრეული, ზოგს გვერდი აქვს შენგრეული, ზოგს სარკმლების მახლობელი ნაწილები, სარკმლები და კარები კი სრულიად ჩალეწილია, ზარალი ძლიერ დიდია.

განსაცვიფრებელი ის არის, რომ ამოდენა ომის დროს, ასეთი არეულობის დროს, როცა ჯერ აჯანყებულთა ჯარით იყო მოცული მთელი კოსნტანტინეპოლი და შემდეგ ისინი სრულიად გარეკეს და ახლა მლადოთურქთა ჯარის ხელშია მთელი ქალაქი, **არც ერთ მცხოვრებელს არაფერი არ დამართია, არც ერთი დუქანი არ გაუძარცვიათ, არც ერთი მცხოვრებლისთვის ხელი არ უხლიათ, არც ერთი ქალის პატიოსნებას არ შეხებიან, არ გვანებიან ალიხანოვის ჯარს და ჩვენებურ კაზაკებს...** თუმცა აქაური რუსი მოხელეები ძლიერ აფრთხილებდნენ ხალხს და აშინებდნენ რომ დაგვწვავენ, გაგვანადგურებენ, ამოგხოცავენ, გაგაპატიურებენო, მაგრამ ეს ალბათ თავიანთი ჯარის მაგალითების ბრალი იყო. ჩვენ გვახსოვს, აგრეთვე, ჯარის მოქმედებაც ჩინეთში, რა საზიზღრობა ჩაიდინეს და ვინ წარმოადგენდა, **თუ ოსმალეთის ჯარი,** რომელიც სრულიად განუვითარებელი გვეგონა, **ასე დიდებულად ჩაატარებდა თავიანთ გამარჯვებას**; წარმოიდგინეთ, როცა უახლოვდებით იმ ადგილს სადაც გუშაგი დგას, გეტყვიან მორიგე ჯარისკაცები: – „ბატონო, გთხოვთ აქეთ ნუ გაივლით, თქვენთვისვეა საშიში, უკაცრავად ვართ, მაგრამ ვერ გაგიშვებთო და სხვა. სულ ამხელა არეულ-დარეულობის დროს უბრალო მცხოვ-რებლებთაგანი მხოლოდ შემთხვევით ან გამვლელი ტყვიით თუ მოკვდნენ, თორემ ისე არც ერთი კაცი არ მომკვდარა, არც პირველ და არც მეორე ჯარისგან. თვით შეტაკების დროს კი მოკვდა და დაიკოდა ერთი გაზეთ **„დელი ნეთვის“** კორესპონდენტი ევროპელი, რომელიც თვით იერიშის დროს სურათს იღებდა და მეორე ევროპელივე კორესპონდენტი დაიჭრა და რამდენიმე კაცი.

მლადოთურქების ჯარში ბევრი შეძლებული კაცის შვილიც არის ვოლონტიერად. აქვე არის გამოჩენილი მაკედონიის რევოლუციონერთა მოთავე **სანდამსკი** და **პანიცა** 1600 კაცით, არიან სომხებიც, ბერძნებიც, ურიებიც თავთავიანთი მშვენივრად შეიარაღებული ჯგუფებით. გუშინ, კვირას, 12 აპრილს, გამოიარა პერის ქუჩით **ნიაზი ბეგმა** და **ენვერ ბეგმა**. ესენი იყვნენ პირველად, რევოლუციის სათავეში, ახლაც ესენი არიან. დიდი ვაშას ძახილი და ტაშის კვრა გამოიწვია მათმა გამოვლამ, ხალხი აღარ ეტეოდა ქუჩებში – გაუმარჯოს ენვერს! გაუმარჯოს ნიაზს! ყვიროდნენ სხვადასხვა ენაზე. ეს ხმა ერთვოდა საერთო ხალხის ხმამაღლა ლაპარაკს და გუგუნი გაჰქონდა ჰაერში. საუცხოო სანახავი იყო ეს ჩამოვლა და მით უფრო საკვირველი, რომ სულ ათი-თორმეტი დღის წინათ ქუჩაში სრული სიჩუმე იყო და შიშით კაცი გარეთ ვერ გამოსულიყო. წინათ თუ **გამანადგურებელმა** მდგომარეობამ სამი დღე გასტანა, ახლა **აღმაშე-ნებელმა** ამ შემთხვევამ სულ ოთხი საათი ამყოფა ხალხი გამოურკვეველ მდგომარეობაში. საკვირველება მოხდა, ისტორიას ასეთი არაფერნი ახსოვსო, გაიძახის ყველა.

სან-სტეფანოში პარლამენტი გაცხარებით თათბირობს, მმართველობა აქამდე სულ იქ იყო, დღეიდან ქალაქში გადმოაქვთ. **აჰმედ რიზა** დიდი ამბით ისევ თავის ადგილას დასვეს და დიდი აღტაცებით მიეგებნენ. ხალხი აღფრთოვანებულია მლადოთურქთა გამარჯვებით. **გასაშტერებელია ჯარის ზრდილობა და დისციპლინა მცხოვრებლების მიმართ, თვით პაპირო-სიც რომ მიაწოდოთ ჯარისკაცს, არ გამოგართმევთ, თუმცა შიათ, სწყურიათ, უმეტესობა მარტო ორცხობილით იკვებება,** მაგრამ კერძოდ მიწოდებულს მაინც არაფერს ყაბულობენ. საძაგელი და სრულიად უსულგულო ყოფილა კონსტანტინოპოლის ყველა შეძლებული, არც ერთ საზოგადოებას ჯერ ხმაც არ ამოუღია იმისათვის, რომ შეადგინონ კომიტეტები ამ ჯარისკაცთა

დასახმარებლად საჭმელ სასმელის მხრივ, მხოლოდ ქება-დიდება და გაზეთებში ყვირილი და ქუჩებში ძახილი **ვაშა, გაუმარჯოს,** სხვა არაფერი.

საზოგადო აზრი წინანდელი არეულობისა, რომელიც მოახდინა აჯანყებულმა ჯარმა, ასეთია: ზოგი ამბობს სულთან ჰამიდის საქმეა, მაგრამ უმეტესობა კი ფიქრობს, რომ ეს ჩაიდინეს იმ ნავეზირალ-ნამინისტრალებმა, რომლებიც თავად კუნძულებზე ჰყავთ დატყვევებული მლადოთურქებს. ისინი იქ არიან გადასახლებულნი ისე, რომ კონსტარტინეპოლში ვერ შემოვლენ, ძლიერ მდიდრები არიან და კუნძულზე თავისუფლად ცხოვრობენ, მათთან მისვლა აკრძალული არ არის და ადვილი შესაძლებელია, რომ ეს საქმე მათ ჩაედინოთ. ზოგი ამ არეულობას აბრალებს **აჰრარის პარტიას**, ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორე უნდა იყოს, აჯანყების მიზეზად აჰრარის პარტია ენდა ჩაითვალოს, ისინი ამ შემთხვევაში იმისათვის, რომ ფული ეშოვნათ, მიემხრნენ იმ დატყვევებულ ვეზირ-მინისტრად ნამყოფებს, იშოვეს მათგან ფული და დაარწმუნეს სულთანიც მათ გამარჯვებაში და რასაკვირველია, სულთანი ამის წინააღმდეგი არ გახდებოდა, რაკი ხედავდა, რომ ამ შემთხვევით ის უფრო დიდ უფლებებს იძენდა, ვიდრე ჰქონდა. ამასვე შეუწყო ხელი „**სერბესტის**“ რედაქტორის მოკვლამ და აჰრარის პარტიისა და ხოჯა-მოლების პარტიის მუჰამედიე ოსმანიესთან შეერთებამ. ცნობილი იყო, რომ „ითთიჰად თერექ უნიონ პროგრეს“ პარტიამ სრულიად უარყო სარწმუნოებრივი შევიწროება, ფანატიკოსობა და საჯაროდ ამბობდა:– ვისაც როგორ უნდა ისე მოიქცესო, **გინდ ქუდი დაიხურონ, გინდ ფესი**, ეს სულერთიაო. ამით ისარგებლეს აჰრარისა და მუჰამედიეს შეერთებულმა პარტიებმა და ხოჯა-მოლების საშუალებით ჩააგონეს ჯარს, რომ „ჩვენ გაგიარებას გვიპირებენო“. ეს იმითაც მტკიცდება, რომ აჯანყებული ჯარი იძახოდა მათი გამარჯვების დღეებში: – „როგორ, მაგ ღორებს ჩვენი გაგიაურება ეწადათ, შაპკებს გვახურავენ თავზე, ქალებმა პირბადე მოიხადონ“... ახლაც ყვიროდენ კაზარმებიდან, თქვენ გიაურების მომხრე ხართო და სხვა. ამიტომაც იყო, რომ გამოაცხადეს იმ დროს **„შერიათი და კონსტიტუცია უნდა შეთანხმდესო“**.

გამოქვეყნდა აჯანყებული ჯარის ზოგიერთი მოთავის ვინაობა, მაგრამ ზოგი მათგანი გაზეთების საშუალებით აცხადებს, ტყუილია ჩემი მონაწილეობა ამ საქმეშიო. ჯერჯერობით კი გამოქვეყნებულთა სია ასეთია: უფროსი ადიუტანტი სულთნისა **შაქირ ფაშა** (რომლის მონაწილეობას საზოგადოება უარყოფს), მინისტრად ნამყოფი **ქიამილ ფაშის**, დიდი ვეზირის შვილი **საილ ფაშა**, სულთან ჰამიდის უფროსი შვილი, სასახლის სულთნის მოთათბირე **ხალით ბეგი,** სულთნის მეორე მოთათბირე **ემინ ბეგი,** სულთნის სერალის ტანთსამოსთა უხუცესი გამგე **ეჰია ბეგი,** სულთნის მესამე მოთათბირე **ნადირ-აღა,** ბერათის დეპუტატი **ისმაილ ქემალ ბეგი,** ეს აირჩიეს რიზა ბეგის ადგილას, მხოლოდ ხალხი ამბობს, ეს არ ურევიაო, მაგრამ რაკი ეს აჰრარის პარტიას ეკუთვნის, ამიტომ ამბობენო, **ჩერქეზ მურად ბეგი**, ამაზედაც ასე ამბობენ, როგორც ისმაილ ქემალზე, „სერბესტრის“ რედაქტორი **მევლა ზადე ეფენდი, ნაზი სუსური ბეგი,** ყოფილი წევრი სახელმწიფო საბჭოსი, **ალი ქემალ ბეგი,** „**იქდამის**“ რედაქტორი, ამას ასახელებენ თავ-მოთავედ და ხელმწიფის საკუთარი **ექიმი დოქტორი ნურედდინ ფაშა**. ესენი არიან აშკარა მოთავეებიო, მხოლოდ აქ სულ საიდუმლო იფარებაო, აგრეთვე, ამტკიცებს უმრავლესობა. მართალია, აჰრარის პარტია შეუერთდა მუჰამედიე-ოსმანიეს პარტიას და ეს უკანასკნელნი მიემხრნენ ყოფილ ვეზირ-მინისტრებს, რომელნიც ახლა თავადთა კუნძულზე არიან გადასახლებულნი და ბოლოს დაარწმუნეს სულთნის მახლობლებიც და ამ უკანასკნელებმა სულთანიც, მაგრამ იმას კი არ მოელოდნენ, თუ ამითი ისინი კონსტიტუციას ავნებდნენ

რამეს, არამედ **აჰრარებს ეგონათ ითიჰად თერეკის პარტიას** დავცემთ და ჩვენ გავალთ და მაშინ უფრო კარგად წავა საქმეო, მაგრამ ხოჯა-მოლებმა საქმე ისე კი არ აწარმოეს, ჯარი ჩააგონეს თავიანთ სასარგებლოდ და ამით კი სრულიად საწინააღმდეგო გამოვიდა; რაკი **თავისუფლება განისაზღვრა შერიათით**, რაკი პიროვნებისა და რწმენის თავისუფლება შეიბოჭა, მაშინ აჰრარიებმაც იგრძნეს თავიანთი შეცდომა და შეუერთდნენ ყველა პარტიებს და ყველა ერთად კი „ითთიჰად თერეკ უნიონ პროგრესს“ და ამიტომაც მლადოთურქების გამარჯვების ეჭვი აღარ აქვთ, ჯერ სრული სიწყნარეა, ყოველ წამში ცვლილებას ველით.

ქართველ კათოლიკე მონასტერი სტამბოლში.

1909 წელი, 11 აპრილი.

იასე რაჭველი.

1909, კონსტანტინოპოლი, 10 აპრილი, დილის 10 საათი.

რევოლუცია ოსმალეთში

ცოტა რამ ამ წერილში გვინდა ვთქვათ პარტიებზედაც იმისათვის, რომ მკითხველ საზოგადოებას ექნეს ზედმიწევნით წარმოდგენა მაინც იმაზე, თუ რისთვის არის დღეს ოსმალეთში ისევ ასეთი არეულობა და უმთავრესად რამ გამოიწვია იგი.

ოსმალეთში, როგორც ვიცით, ბევრნაირი პოლიტიკური პარტიები არსებობდა, რომლებიც თითქმის 30 წელიწადია მოქმედებენ. ესენი იყვნენ უმთავრესად ახალ თურქთა, ბერძენ-მაკედონელთა და სომეხთა ორგანიზაციები. ყველაზე ძლიერი წინათ იყო ბერძენ-მაკედონიისა და კრეტელთა ორგანიზაციები და კიდევაც მიაღწიეს მიზანს–**კრიტოსის განთავისუფლებით.** შემდეგ პირველი ადგილი ოსმალეთში დაიჭირეს სომხებმა, მაგრამ, რაკი მლადოთურქების პარტიაც დიდად გაძლიერდა და სომხებთან კი მათ ჯერ კიდევ საერთო არა ჰქონდათ რა, ბრძოლის ასპარეზი–კი ერთი და იმავე ადგილას იყო, ამისათვის სომხები თავიანთი აჩქარებული მოქმედებით დამარცხდნენ და ამან გამოიწვია მლადოთურქების გაძლიერება და მათი ტაქტიკის გამეფება სკოლებში და ჯარში პროპაგანდის სახით.

საერთოდ, ოსმალეთში მაინც იყო ბევრი პარტია. სომხებსა და მლადოთურქების გარდა, კიდევ დარჩა მაკედონიისა და ალბანეთის პარტიები, რომლებიც ყოველნაირი საშუალებით ცდილობდნენ რამე მოეხერხებინათ და **სულთანი ჰამიდი** დათმობის გზაზე დაეყენებინათ. ყველა ამ პარტიების იდეურმა თუ პრაქტიკულმა ბრძოლამ უეჭველად დიდი კვალი დააჩნია ოსმალეთის ცხოვრებას, მაგრამ წადილს მაინც ვერ მიაღწიეს, სანამ მათი საყოველთაო მოქმედებისთვის შეერთება არ მოხდა. ყველა დარწმუნდა, რომ ცალ-ცალკე მათი ბრძოლა თითქმის უნაყოფო იყო და შეერთდნენ, მაგრამ ეს შეერთება, როგორც ვიცით, არ ყოფილა უბრალო სიტყვიერი შეერთება. ყველა პარტიამ თავიანთი იდეური აზრები შეიტანეს ამ საერთო სამოქმედო ხელშეკრულებაში, ეროვნებათა თვითმმართველობა ოსმალეთის ფედერაციაში, რომელიც უეჭველად უნდა განხორციელებულიყო საერთო მტრის, სულთან ჰამიდის დამარცხების შემდეგ.

ამ დიდებული პირობის შეკვრა–შეთანხმებიდან დიდ ხანს აღარ გაუვლია, რომ სულთანმა ჰამიდმა ქედი მოიხარა, შემდეგ რაც მოხდა, ეს უკვე ვიცით, **გამოცხადდა კონსტიტუცია და დამყარდა ოსმალეთში სრული თავისუფლება,** მაგრამ მაინც არ განხორციელებულა, რის

იმედიც ჰქონდათ მოკავშირე პარტიებს. ადამიანში არსებულმა ბუნებრივმა ეგოიზმმა აქაც იჩინა თავი და მლადოთურქების უმთავრესმა პარტიამ, ითთიჰად-თერაქმა ანუ როგორც ახლა ადიდებენ, **ერთობა და პროგრესის პარტიამ, ჩაიგდო ხელში მთელი ოსმალეთის მართვა-გამგეობა, გამოცხადდა უკიდურესი ცენტრალიზმი**. სხვა პარტიები კი დარჩნენ პირში ჩალა გამოვლებულნი. თუმცა შედარებითი თავისუფლება კი გამოცხადდა, მაგრამ მხოლოდ მისთვის, ვინც სრულ მორჩილებას უცხადებდა „ერთობისა და პროგრესის“ პარტიას. სხვა პარტიების ორატორებს კი მიტინგზე სიტყვის თქმაც არ დაანებეს. ბოლოს იქამდე მივიდნენ, რომ გაზეთ „**სერბესტის**“ რედაქტორიც მოაკვლევინეს. ამ გარემოებამ გამოიწვია საზოგადოების უკმაყოფილება. ამით კი ისარგებლეს რეაქციონერებმა და შექმნეს ახალი პარტია–მუჰამედი ხოჯა-მოლების მეთაურობით. საზოგადოდ, ოსმალეთში არასოდეს უბრალო ხალხი არც ერთ პოლიტიკურ მოძრაობაში არავითარ მონაწილეობას არ ღებულობდა და როცა დღეს გესმის, თითქოს ხალხს უნდა ან არ უნდა ომიო, სასაცილოა. საზოგადოდ, ხალხს არსად მაინცდამაინც არას ჰკითხავენ; **ყოველთვის ინტელიგენციის ორი ჯგუფი მეფობდა**, რეაქციონერნი–მეფის ჯამისტლეკიები, დუქელა–ინტელიგენტ-ლიბერალები, ასე თუ ისე, ოსმალეთის ცხოვრების გაუმჯობესების მომხრენი. ასეთი მდგომარეობა იყო ოსმალეთში ყოველთვის და ასეთი არის ახლაც.

ოსმალები ყოველთვის დაპირებაში მეტად უხვნი იყვნენ. ოსმალს რაც უნდა სთხოვოთ, არაფერზე უარს არ გეტყვის, მისი პასუხი ყოველთვის ასეთია „ფექეი ეფენდიმ–ბაქალუმ“ (Pekei efendim bakalım) ან „ბაშუსტიე“ (Başüstüne) „მეტად კარგი და პატიოსანი“, „ვნახოთ“, ან „ჩემს თავს იყოს“. მაგრამ დაპირებულის აღსრულებისა კი რა მოგახსენოთ. ამ ჩვეულებრივ ხასიათს ოსმალობისას ვერც ახალგაზრდა ოსმალები ასცდნენ. მათ არა თუ სომხისა და მაკედონიის პარტიებს, არამედ ალბანეთისასაც კი უღალატეს, არ დაინდეს არც თვით მთავარი პიონერი ოსმალეთის პროგრესისტებისა თავად **საბაჰედდინი**, ჯერ ამ ყოვლად პატიოსან კაცს მისი პარტიის ორგანოს გაზეთ **„სერბესტის“ რედაქტორი მოუკლეს** და შემდეგ თვითონაც დევნა დაუწყეს. ამან კი ააღელვა საბაჰედდინის უამრავი მომხრე ინტელიგენცია და იფეთქა კონტრევოლუციამ ოსმალეთში, რომელშიც აჰრარები იძულებულნი გახდნენ დაეხმარებინათ ჯარისკაცთა გადასაბირებლად ხოჯა-მოლები და ესეც იმიტომ, რომ ხოჯა-მოლებს დიდძალი ფულის გამოტანა შეეძლოთ სულთან ჰამიდის საკუთარი ხაზინიდან და კიდევაც იგდეს ხელში ერთი მილიონი ლირა (860 კ.) და კონტრევოლუციაც გაცხარდა.

ვინც იმარჯვებს, მართალიც ის არისო, ოსმალური თქმულებაა, არ ვიცით დანამდვილე-ბით, მართალია, თუ არა ეს თქმულება, მაგრამ ის კი ცხადია, რომ როგორც წინათ, ისე ამჯერადაც „ერთობა და პროგრესის“ პარტიამ მაინც მოახერხა ხელახლა შეერთებინა ყველა პარტია თავის დროშის ქვეშ, რომელსაც მხარი დაუჭირა, აგრეთვე, აჰრარის პარტიამაც საბაჰედდინის მეთაურობით. მოხდა მთავარი კონსპირატიული კრება **სალონიკში ენვერ ბეგისა** და **ნიაზის** მეთაურობით და სულ 15 დღის შემდეგ, მთელი კონსტანტინეპოლის ჯარი, მომხრე სულთან ჰამიდისა, ენვერისა და ნიაზის ხმალმა დაიმორჩილა. 14 აპრილს კი დილით შედის ილდიზკიოსკის სასახლეში ენვერ ბეგი, ახლა კი **ენვერ ფაშა და ეუბნება სულთან ჰამიდს „ტახტიდან უნდა გადმობრძანდეთ, ასეთია ოსმალეთის მკვიდრთა სურვილიო**“. „კედერ ბოი-ლე იმიში“, სთქვა თავისებურად დიდებულმა სულთანმა **ჰამიდმა და ტახტიდან გადმობრ-ძანდა,** მაგრამ, დასძინა **„ჩემი ტახტიდან გადმოგდებით თავდება ოსმალეთის დიდებაო“.**

იმ ორმოცი ათასი ჯარისკაციდან, რომლებსაც ერთი კვირის წინათ სულთნის მხარე ეჭირათ, მხოლოდ ექვსი ათასიღა დარჩა, სხვა მლადოთურქებს მიემხრო. მეორე ძალა სულთანისა იყო საზღვაო მინისტრის დაჭრის შემდეგ გადაბირებული მეზღვაურები, მაგრამ შემდეგ ისინიც გადავიდნენ მლადოთურქების მხარეზე. ახლა ყოველ წამში მოსალოდნელია სულთნის ტახტიდან ჩამობრძანება, მხოლოდ მლადოთურქების გეგმა მოქმედებისა ისეთი იყო, როგორც წინა წერილში ვთქვით; **ისინი ერიდებიან სისხლის ღვრას**, რასაც შეეძლო გამოეწვია ოსმალეთის საქმეებში ევროპის ჩარევა და ეს კი სასურველი არ იყო. 7 ამ თვიდან დღემდე, ჯერ კიდევ არც ერთი ის მოლოდინი სულთნისა, რომ **რომელიმე სახელმწიფო დაიცავს მის ტახტს, არსად ისმის;** მხოლოდ ის კი გავიგეთ, რომ სულთან ჰამიდს უთქვამს, ჩემს შემდგომ ოსმალეთი ვეღარ იცოცხლებსო.

(უთარიღო)

რევოლუცია ოსმალეთში

ქალაქ **ადანაში** და მის მიდამოში კარგი ხანია არეულობა არის, ბევრჯერ დაამშვიდეს მლადოთურქებმა იქაურობა, მაგრამ თავაღებული „ბაშიბუზუკები“ მაინც თარეშობენ. იქ ხალხში არის უკმაყოფილება და ერთმანეთს წყვეტენ ოსმალო და არაოსმალობა. **უფრო კი სომხები იჟლიტებიან, თუმცა ახლა არც ისინი აკლებენ ხელს**; რადგან ყველას იარაღი აქვს. ამ ბოლო დროს კი აქაურმა არევ-დარევამ და ჯარის აჯანყებამ უფრო დიდი გავლენა იქონია ადანელ ბაშიბუზუკებზე და მათ გამოუცხადებიათ იქ პანისლამიზმი და დაუწყიათ ჟლეტა. მაგრამ არც მლადოთურქებს სძინავთ და იქაც გაგზავნეს დამსჯელი, თავიანთი მომხრე ჯარი და ეჭვი არ უნდა, იქაც ისე მოუღებენ ბოლოს უსამართლობას და უსინდისობას რეაქციისას, როგორც აქ.

აქაურობა კი სრულიად ჩაიგდეს ხელში. აღსრულდა, **რევოლუციონერებმა ჩაიგდეს ხელში მთელი კონსტანტინოპოლი, ყველა სიმაგრეები**. დაეცა სელმიერ კიშლეც თავის 200 ზარბაზნით. შემოსალტეს და დამწყვდეული ჰყავთ დიდი სულთანი ჰამიდიც. გუშინდელ გაზეთ „**პატრიში**“ უკვე დაბეჭდეს ახალი სულთნის **მეჰმედ რეშად ეფენდის** სურათი და წააწერეს **„ოსმალეთის ახალი სულთანიო“**. 11 აპრილს საღამოს გამოაცხადეს სამხედრო გაორკეცებული წესები, საღამოს ცხრა საათიდან გარეთ ვერავინ გამოჰყოფს თავს, და აი, ახლა ეჭვი აღარ არის, რომ რეაქციამ დაჰყარა ფარხმალი. სელმიეკიშლეს აღებას დიდი მსხვერპლი არ მოჰყოლია, იგი შემოსალტეს 12 აპრილს საღამოს 7 საათზე და იმ ღამესვე, ნაშუაღამევს, მთელი ზარბაზნების კლიტეები უკვე მლადოთურქების ხელში იყო და მეორე დღეს საათის 12-ზე ზოგი გაიქცა აზიის ნაწილებში, ზოგი დაიჭირეს და იარაღი აჰყარეს. სელმიკიშლე ნელ-ნელა იცლება აჯანყებული ჯარებისაგან და ახალი შედის შიგ. ქუჩები ყოველ საათში სავსეა ხალხით. უცქერიან, **როგორ ერთი მეორეზე ბაწრით გადაბმულები, ხუთხუთი ერთად მიჰყავთ იარაღაყრილი ჯარისკაცები. ტაშის კვრას და ვაშას ძახილს ჰაერში გუგუნი გააქვს. ასეთი გამარჯვება, ამდენ ჯარზე, ასე შედარებით მცირე მსხვერპლით და ასე ცოტა ხანში ჯერ არ მოსწრებია ისტორიას**. 75 ათასი აჯანყებული, მშვენივრად შეიარაღებული ჯარისკაცები დასძლიეს, დაამარცხეს, ყველა თავთავის სიმაგრეში, კაზარმებში და ციხეებში დაიჭირეს, იარაღი აჰყარეს და დაატყვევეს. სულ მოკლული არ იქნება ათას კაცზე მეტი ორივე მხრივ და დაკოდილიც ამდენი. ახლა თავისუფლად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მლადოთურქებმა ბრწყინვალედ გაიმარჯვეს და ამის შემდეგ სულთნის გადაყენების აღარავითარი დაბრკოლება აღარ

მოელის და მას აღარც დასტოვებენ, თუ მართლა ოთხი სახელმწიფო არ ესარჩლება, როგორც ამბობენ. ყოველ შემთხვევაში პარასკევ დილამდის, ესე იგი 17 აპრილამდის გადაწყდება ყველაფერი.

იასე რაჭველი
საათის 8, დილა, 14 აპრილი.
(1909).
რევოლუცია ოსმალეთში

გუშინ დილის ათი საათიდან დღეს 15 აპრილამდე რაც მოხდა ოსმალეთში დეპეშით გაიგებდით, მაგრამ დეპეშა ცოტა არ იყოს, ყოველთვის ფაქტებს ნათლად ვერ ახასიათებს და ამიტომ ჩვენ გვინდა ცოტა უფრო ვრცლად შევეხოთ იმ სამაგალითო ისტორიულ ნახტომებს, რომელიც აქ მოხდა სულ ორი კვირის განმავლობაში. 30,31 მარტს და 1,2 და 3 აპრილს ოსმალეთის კონსტიტუცია დამარხულად, განადგურებულად და მოსპობილად იყო აღიარებული, ეგებ იმ რეაქციის მომხდენს ასეთი მიზანი არც კი ჰქონდა და მართლაც, იმ არეულობაში ისეთი კაცები და ისეთი ნამდვილი კონსტიტუციონალისტები ერივნენ, როგორიც არის თავადი **საბაჰედდინი**, უფროსი სულთნის ნაადიუტანტარი **შაქირ ფაშა, ჩერქეზი მურად ბეგი, „სერბესტის“** რედაქტორი და მთელი პარტია აჰრარიებისა და როგორ შეიძლება ვიფიქროთ მათგან კონსტიტუციის ღალატი; მხოლოდ აქ მოხდა სულ სხვა შემთხვევა, რომელიც ახლა ცხადათა სჩანს. როცა „სერბესტის“ რედაქტორი მოკლეს, ამან დიდად გაამწვავა აჰრარები. დაგუბებულმა ბევრგზის შეურაცხყოფილმა ითთიჰად-თერექ-უნიონ-პროგრესის მხრივ, მათმა თავმოყვარეობამ იფეთქა და ისინი შეუერთა მუჰამედიეს ხოჯა-სოფტა მოლების ახალ პარტიას, რომლებსაც ხალხში და ჯარში დიდი ხნით პროპაგანდა ჰქონდათ. **მთელ ჯარს არწმუნებდნენ, უნდა მოგნათლონ, ქუდები დაგახურონ. ქალებს ჩადრები მოახდევინონ და გაგაგიაურონო, ამას შეუწყო ხელი დატყვევებულ-გადასახლებულ ნავეზირალ-ნამინისტრეების და სულთან ჰამიდის ჯამიტლეკია მეგობრებმა და იფეთქა აჯანყებამ** და ერთი გამარჯვება თითქო კიდევაც გაიმარჯვეს აჰრარებმა. ჩააყენეს თავიანთი მომხრე ლიბერალების სამინისტრო, აირჩიეს აჰრარის პარტიის ლიდერი **ისმაილ ქემალ ბეგი** პარლამენტის თავმჯდომარედ და უნდა აერჩიათ სტამბოლის დეპუტატად **ალი ქემალ ბეგი** და სხვა, მაგრამ, როგორც წინა წერილშიც შევნიშნე, ისინი მოტყუვდნენ, ხოჯა-მოლებმა და მეფის ჯამიტლაკიებმა საქმე სულ სხვანაირად გადაატრიალეს, ახალა ესენი ე.ი. ხოჯა-მოლა-სოფტები და მეფის კარისკაცები მისცვივდნენ სულთან ჰამიდს და უთხრეს: –ბატონო, დადგა დრო ოსმალეთის ხსნის, გაგიაურებისაგან გადარჩენის, შერიათის აღდგენის, მთელი ოსმალეთის ხალხი და ჯარისკაცები გარდა იმ გადაგვარებულ გაგიაურებული ნასწავლი აფიცრებისა და ერთი მუჭა მლადოთურქებისა, ყველა შენი მონამორჩილი, შერიათის მომხრეა და თუ თქვენ ახლავე ეს ხალხი არ დააკმაყოფილეთ, უეჭველად ტახტიდან ჩამოგაგდებენ და ოსმალეთი, ხომ იცი, უშენოთ დაიღუპებაო. **სულთანთ სულთანო**, მოგვეცი მხარი, ნუ დაღუპავ ოსმალეთს, თქვენ მაშინაც მოგატყუეს, დაგაჯერეს გიაურების მომხრეებმა, ხომ ხედავ ისინი ყველა ქრისტიანებთან და მათ პარტიებთან შეერთდნენ, მუსლიმანი ქრისტიანს დაუახლოვდა, კავშირი დაიჭირა, აი, ხომ ხედავ ყველა ამას და რას აყოვნებ, გვიპატრონე, დაგვიფარეო. მოვწყვიტოთ ნასწავლი ოფიცრები, მოვსრათ ერთი მუჭა ახალ თურქად წოდებული გაგიაურებულ უვიცთა ბრბო და როგორც სჯობდეს, ისე აწარმოე ჩვენი სვებედი და ჩვენი ქვეყანაო, ხომ ხედავთ **მაგათ მმართველობაში**

დავკარგეთ ბოსნია-ჰერცოგოვინა, ბულგარეთი და ვკარგავთ მაკედონიას და შეიძლება დავკარგოთ ასეთი პოლიტიკით მთელი ოსმალეთიც.

სულთანი ჰამიდი თუმცა მთელ ქვეყანას დიდი ჭკვიანი კაცი და დიდი დიპლომატიც ეგონა, მაგრამ როგორც სინამდვილე ახლა ცხადად ამტკიცებს, ის ყოველთვის თავის **ჯამიტლაკიების გავლენის ქვეშ ყოფილა**, არასოდეს თავის საკუთარი მოსაზრება და **დიპლომატიური** ნიჭი მას არ ჰქონია, იმას ისე ათამაშებდნენ, როგორც უნდოდათ და ახლაც ასე ჰქნეს, რასაც კიდევ უფრო შეუწყო ხელი აქაურმა სრულმა საყოველთაო თავისუფლებამ და უმეტესობის შეუგნებლობამ. ვინ არ იცის, რომ **ყველა მოხელე მეფის სუფრის შემძუძგურე და მუქთახორა ხალხია**, რომლის უმეტესობა მეფის კარზე ყრია და მისი ფინჩხებით ცხოვრობს, მტერი გახდებოდა კონსტიტუციისა და იქნებიან კიდეც ყოველთვის, ეს ბუნებრივია. ამას კიდევ დაერთო სულთან ჰამიდის, ანუ როგორც ახლა ეძახიან მას რევოლუციონერთა ჯარისკაცები – ჰამიდ ონბაშის გაუმაძღარი თვითმპყრობელობის მსუნაგი სულისკვეთება და იფიქრა, რატომ არ უნდა ვქნა ასეო და გამოაცხადა:– შერიათი კონსტიტუციას უნდა შეესაბამებოდესო; მისცა სრული ამნისტია ჯარს და უთხრა მათ:– მოიქეცით ისე როგორც შერიათი ბრძანებსო.

განუვითარებელმა ჯარის ბრბომ შერიათის რა იცოდა; ამათ მიმართეს სარჩევად ხოჯამოლებს და ამ უკანასკნელებმაც უთხრეს, ჯერ ნასწავლი ოფიცრები უნდა ამოსწყვიტოთ და შემდეგ სასმელიან დუქნებში მუსლიმანი არ გაატაროთ, ქალი გარეთ არ გამოუშვათ, გძულდეს ყველა ის მუსლიმანი, რომელიც დღეში ხუთჯერ არ ლოცულობს, ან არაყსა და ღვინოს დალევს და არ გქონდეს არავითარი კავშირი, გარდა მლოცველი მუსლიმანებისა და იყავით განცალკევებული საზოგადოდ, ქრისტიანობისა და არა მუსლიმანებისაგან, სდევნეთ და სწყვიტეთ ყველა ნასწავლი ოფიცრები, არ დაინდოთ ისინი, გინდ კიდევაც ლოცულობდნენ და ყველა ის ვინც თქვენ წინააღმდეგობა გაგიწიოთ. – აი, ეს არის შერიათის კანონიო, –უთხრეს ამ თავაშვებულ ჯარისკაცებს და გაუშვეს, მათ მხოლოდ აუკრძალეს ძარცვა-გლეჯა და ევროპელების შეხება ქალისა და კაცის. ბევრი შემთხვევები მოხდა ისეთი უვიცი და საზიზღარი, რომელიც მხოლოდ განუვითარებლობით და უგუნურებით მოუვიდათ, დაიჭირეს ქუჩაში თათრის ქალი და იმიტომ, რომ მას ცოტათი თმა უჩანდა, სცემეს ქუჩაში და თმა სრულიად მოსჭრეს და, როგორც წინათაც ვწერდი, არსად ცხელი სასმელის დუქნებსა და ყავახანებში მუსლიმანი აღარ გააჭაჭანეს და 200-დის ნასწავლი ოფიცრები და მლადოთურქები მოკლეს. ასეთია საზოგადო აზრი და სინამდვილე, როგორც აჰრარის პარტიის შეცდომისა, ისე სულთან ჰამიდის ასეთი მოღორების შესახებ. და რომ სულთანი ჰამიდი შორს გამჭვრეტი დიპლომატი და მართლა ჭკვიანი კაცი ყოფილიყო, ასე არ დაეცემოდა; **იგი გუშინ სამის ნახევარზე ჩამოაგდეს ტახტიდან და დაატყვევეს და მის ადგილას გაამეფეს მისი ძმა მოჰამედ მეხუთე** ნაშუადღევის ოთხ საათზე; სრული სამი დღე და ღამე შემოსალტული ჰყავდათ სულთან ჰამიდი, მისი მომხრე ჯარისკაცების უმეტესობა შიმშილისაგან იძულებული ჰყვეს ჩაბარებოდათ რევოლუციონერებს ილდიზ კიოსკში, რადგან ასეთ ფინალს არ ელოდნენ და დიდძალ ხალხს, ჰარემს და მოგროვილ ათი ათასამდის ჯარს, სულ ორ დღესაც არ იყო სასმელ-საჭმელი, მესამე დღეს კინაღამ შიმშილით არ დაიხოცნენ. როცა უკანასკნელად გუშინ შევიდნენ მასთან ჯარისკაცების მთლად დამორჩილების შემდეგ და უთხრეს: ტახტიდან უნდა ჩამოხვიდე, ასეთია ოსმალეთის მცხოვრებთა საყოველთაო სურვილიო, მან უპასუხა:– მერე ჩემი სიცოცხლის თავდები ვინ არისო? – გვარი, ნაცია და ოსმალეთის მკვიდრნიო.– მიუგეს. ამნაირად ის წაიყვანეს და დაატუსაღეს. როგორც ამბობენ, სამხედრო წესით უნდა გაასამართლონ.

ახალი სულთნის გამოცხადების შემდეგ, მთელმა კონსტანტინეპოლის მცხოვრებლებმა თავისუფლად ამოისუნთქეს. **ყველა განურჩევლად რჯულისა და რწმენისა, სიხარულს მიეცა**, სწუხს და ტირიან მხოლოდ ხოჯა-მოლები და ყოფილი სულთნის მუქთახორები. დატყვევებულია აუარებელი ხალხი და ხოჯა-მოლა-სოფტები. მშვიდობიანობაა, ყველა დაწესებულებაში მლადოთურქებია, მმართველობა ჯერ კიდევ ჯარისკაცების ხელშია, ქალაქი მთლად რევოლუციონერებს უჭირავთ. აჯანყებული ჯარისკაცებისაგან, რომელიც შეადგენდა 75 ათას კაცს, გაქცეული იქნება არა უმეტეს ხუთი ათასისა; მათაც ყოველდღე იჭერენ და ატყვევებენ. აჰრარას პარტია საშინლად დაეცა, დაიქსაქსა, დაიფანტა.

ქუჩები ბაირაღებით არის მორთული; დუქნები, მაღაზიები ყველა გაღებულია, ყველაფერი წესრიგში ჩადგა. სამხედრო წესი ერთ კვირაში მოისპობა.

იასე რაჭველი

15 აპრილი (1909),სტამბულის სავანე.

ოსმალეთი და საქართველო

დღევანდელი ომის გამო. მოგონებები

– ქართველები ყველგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ,–მითხრა ერთხელ კონსტანტინოპოლში სახელოვანმა ოსმალეთის სახელმწიფო მოღვაწემ **ჰასან ფეჰმი ფაშამ** (ქართველმა მაჰმადიანმა).

– რატომ ბატონო მეთქი, დავეკითხე, და აი, რა მიპასუხა:

– ჩვენ, ქართველები, საზოგადოდ, მეტად მოვილიბერალებთ, არ გვეხერხება სხვა ხალხივით თავის დაფასება. გინდ ავიღოთ აგერ ჩვენი, გურჯების მდგომარეობა ოსმალეთში, ბევრი საუკეთესო, თვალსაჩინო ადგილი გვიჭირავს, ბევრგან ვართ და არსად კი არ ვჩანვართ... მაგრამ ერთი კია, დასძინა ფეჰმიმ– **ჩვენს მეტმა ვერც ერთმა ეროვნებამ ვერ შეინარჩუნა თავის ელფერი ოსმალეთში**. ვინც კი გამუსლიმანდა, ყველა სრულიად გადაგვარდა, გაქრნენ, გაითქვიფნენ ოსმალებში, ჩვენ-კი ასე თუ ისე, სახელი „გურჯი“ მაინც შეგვრჩა და ეს კი იმის მასწავლებელია, რომ **ქართველების კულტურა უფრო ძლიერია ეროვნულ ფსიქიკაში,** ვიდრე ოსმალებისა... კარგად რომ დავაკვირდეთ,–განაგრძო ფაშამ, – რა არ ჩაუდენიათ ქართველებს, როგორმე დამეგობრებოდნენ ოსმალებს, მაგრამ ამათთან მეგობრობა არავითარი საშუალებით, გარდა სულით და ხორცით სრულიად დამონებისა, არ შეიძლება და მონის მეგობრობა ხომ ვიცით, რა არის.

ყველა ეროვნებამ, ასე თუ ისე, რაიმე დაღი დააჩნია თავის თავს, ჩვენ კი ვერაფერი... და შენა გგონია, ჩემო დოსტო, რომ ქართველს ეს მარტო ოსმალებთან სჭირს, არა, ქართველებს არსად სიკეთე არ გაუდით... გადახედეთ ჩვენს წარსულს, იგი ყოველთვის იყო სტუმართმოყვარეობის; გაიხსენეთ თუ გინდ მეზობლები – სომხები, ჩვენ მათთვის, რაც კი შეგვეძლო, პატივისცემა არ დაგვიკლია, არც ეკონომიურად, არც პოლიტიკურად; ყველგან დევნილნი, **ისინი, ყოველთვის პოულობდნენ ჩვენთან თავშესაფარს**; საუკეთესო ადგილები მივეცით, დავასახლეთ, უზრუნველვყავით, რით გადაგვიხადეს?... თქმაც კი მრცხვენია, ღალატით და გამცემლობით. ვინ არ იცის, ჩემო ძიავ, რა დიდი სამსახური მიგვიძღვის ქართველებს თვით დღევანდელი ჩვენი მთავრობისადმიც. აგერ, ასი წელია, უსიტყვოდ ვემსახურებით, ვიბრძვით, არც ერთი წერტილი ურიგობისა არ ახსოვს ჩვენგან, მაგრამ სხვები თუ სარგებლობს ამით, თორემ ჩვენ კი, უბრალო,

სულ მცირე უპირატესობაც კი არა გვხვედრია არასოდეს. შეიძლება ეს დრომ მოიტანაო, თქვას ვინმემ, მაგრამ განა ეს მარტო ერთ რომელიმე მთავრობასთან მოგვდის ასე? რაღა უნდა ვთქვათ სპარსეთზე.

– ქართველებს თუმცა სიკეთე არსად გასვლიათ, მაგრამ მუსლიმანებთან მაინც არასოდეს... განუწყვეტელი ბრძოლა, აი, ხვედრი ქართველებისა რამდენიმე საუკუნის განმავლობაში თათრებთან, მაშინ როდესაც ქართველებს მათთვის მეგობრობა დახმარების მეტი არა მიუძღვის-რა. განა ცოტა რამ ახსოვს ისტორიას სპარსთადმი, დახმარება და ბრძოლა მათი დიდებისათვის? ინდოეთში, ავღანისტანში და სხვაგანაც განა ცოტა უომიათ ქართველებს სპარსეთისათვის?.. რით დაუსწალეს? უკანასკნელი აოხრება საქართველოსი შაჰ-აბასის ხელით მოხდა. ერთი შეხედვით, ანცვიფრებს ადამიანს ასეთი ბედის სიჯიუტე ქართველი ხალხისა, მაგრამ როდესაც კარგად უკვირდები, ცხადად ხედავ, რომ ეს ნიშანდობლივი ბედი ანუ უკეთ რომ ვთქვათ, უბედურებაა ქართველებისა. ერთ პაწაწინა ამბავს გეტყვით: ოსმალეთის ისტორიკოსი წერს: თურმე სელჯუკთა ერთმა ჯგუფმა, რომელიც იმ დროს მცირე აზიაში ბინადრობდა, გაუჭირა საქმე თავიანთი უგვანი საქციელით, რბევა ძარცვით, აწიოკებით ქართველებს; თავმობეზრებულმა ქართველებმა გაილაშქრეს მათ წინააღმდეგ, სძლიეს და სრულიად დაიმორჩილეს ისინი, დაიპყრეს მათი ქვეყანა, მაგრამ ნახეს რა, რომ სელჯუკელნი მეტად გარყვნილნი, ურცხვნი და უნამუსონი იყვნენ, იქ აღარ გაჩერდნენ, ხალხი არ გაგვერყვნას მათი წამხედაობითო. „აიღეს ალაფი, დატვირთეს უთვალავი ჯორ-აქლემი და წავიდნენ“-ო.

– ბატონო, ეს ხომ უვიცობა ჩაუდენიათ მეთქი,–მოვახსენე მე.

– რაო, ღიმილით მითხრა ფეჰმიმ, უვიცები კი არა მეტად ჭკვიანი და დიდი პოლიტიკოსები იყვნენ. ვეღარ მოვითმინე და სიტყვა გავაწყვეტინე.–მაშ, აბა, რაღა ღმერთი გვიწყრება მეთქი...

– შენ ჯერ კიდევ არ იცი, როგორც გეტყობა, გურჯისტანის ისტორია, ჩემო დოსტო,– დასძინა მან.–ოსმალეთსა და სპარსეთს შუა 4 საუკუნის განმავლობაში ერთი ნამცეცი ხალხის განუწყვეტელ ბრძოლას, დიდ ვაჟკაცობასთან, უეჭველად, დიდი პოლიტიკური ცოდნაც უნ-დოდა, რომ სულ არ მოსპობილიყვნენ, **ქართველებმა კი ყველა სხვა იმდროინდელ ეროვნებებს გადააჭარბეს უნიჭიერესი პოლიტიკით** და მეოცე საუკუნის დასაწყისამდე მთლიანად მოიტანა თავისი თვითარსებობაო...

–ვეღარა გავიგე რა, ბატონო! მაშ, ასე დაბეჩავებულნი რაღად ვართ, თუ კი ასეთი ყოჩაღები ვიყავით ყველაფერში?

– ჰმ,... – სთქვა მან,–სწორედ ის გვაკლდა და დღესაც გვაკლია, რაც ამ დიად ღირსებებთან მოუცილებლად საჭიროა...

ქართველი ხალხი მეტად სტუმრის მოყვარეა, დაუდევარი და ნამეტანი ლიბერალი, ენერგიული და ეს არის მიზეზი, რომ ისინი ისე წამებულია ყველგან და ყოველთვის. უფრო გარკვეულად რომ ვთქვათ, დიდი ჰასან ფეჰმის აზრები ასეთია: ქართველ ხალხს თავადს, აზნაურს, გინდ უბრალო გლეხს, რაღაც თითქოს ბუნებიდან დასჩენოდეს, არასოდეს ფიქრად არ მოსვლია, რომ თავისივე ხალხის ანდაზა **„ჯერ თავო და თავო, მერე ცოლო და შვილო“** საქმეში გამოეყენებინოს, **იგი ყოველთვის მთელი ქვეყნის დარდს ეწევა, სხვისთვის უფრო იღწვის, ვიდრე თავისთვის**...ამის მაგალითად კმარა მთელი ჩვენი ისტორია და მეტადრე კი ეს უკანასკნელნი ასი წელიწადი.

–კედერ ბოილე იმიში (ხვედრი ასეთი ყოფილა – Keder böyle imiş) არსად, არავითარ ქვეყანაში, არავითარ ხალხზე არ შეიძლება ითქვას არც სავსებით კარგიაო, არც სავსებით გლახააო, ეს ცხადია, მაგრამ ზოგიერთნი ამ ანბანურ ჭეშმარიტებას ვერ ართმევენ ალღოს.

ამ ბოლო ხანებში ზოგი ოსმალეთიდან მოსულნი თუ იქიდან გამოქცეული პირნი, მეტად აზვიადებენ ოსმალეთის მოქმედებას, უკვირთ მათი არაზომიერი მოპყრობა. დაგვიჭირეს, თავისუფლად არ გამოგვიშვეს, დაგვაბრკოლეს და სხვა... ამბობენ ისინი ჩვენი გაზეთების ფურცლებზე, თითქოს აქ რამე ისეთი იყოს, რაც მოულოდნელია; მაგრამ სამწუხარო ის არის, რომ ხშირად მეტად აზვიადებენ. **ოცი წელიწადი ვცხოვრობდი შიგ კონსტანტინეპოლში ამ პწკარების ავტორი და არაფერი ასეთი არ მინახავს; უდანაშაულოს ოსმალეთის მთავრობა ჯერ კიდევ სულთან ჰამიდის დროსაც კი არ ერჩოდა, თუკი არსებულ წესწყობილების წინააღმდეგობას არ დაუმტკიცებდნენ,** ისე არც არავის ავიწროვებდნენ. იქნებ იყვნენ ოსმალები წინათ, მათი დდი ძლიერების დროს მეტად სასტიკნი, არ ვდაობთ, მხოლოდ აქ ნახევარი საუკუნის განმავლობაში ჩვენ ასეთ რამეს ოსმალეთში ვერ ვხედავთ, თუ არ, ვიმეორებ, პოლიტიკურ მოწინააღმდეგეთადმი; სრულიად არ უნდა გვიკვირდეს, თუ რომ ენვერ ფაშამ, რომელიც გულწრფელი და თავდადებული მებრძოლია თავისი ქვეყნის კეთილდღეობისათვის, მოწინააღმდეგე არ დაზოგოს.

ვინ არ იცის, რომ **ენვერ ფაშა არ ყოფილიყო, ახლა ოსმალებს ადრიანოპოლი ხელთ არ ექნებოდათ და უადრიანოპოლოთ კონსტანტინეპოლის ფლობა შეუძლებელია.**

ვერც იმას ვიტყვით, თუ „უნიონ პროგრესი“ პარტია, რომლის სულისჩამდგმელი ენვერი და მისი ამხანაგები არიან, სჯობდეს აჰრარის პარტიას, რომელსაც თავადი **საბაჰედდინი, ჩერქეზი მურად ბეგი, პირველი პიონერი ოსმალეთში საკონსტიტუციო მოძრაობის დაწყებისა, გურჯი აჰმედ ფაშა თავდგირიძე, წამებული როდოსის ციხეში** და მრავალ წელს დევნილი, **ალი ქემალ ბეგი** ისტორიკოს-მეცნიერი, ლიტერატორი, უფრო სასიკეთო გზას ადგანან იქნებ ოსმალეთისთვის, მაგრამ საქმე ამაში კი არ არის მტრები იყვნენ ოსმალეთისა თუ არა, არა, ისინი მეტად პატიოსანი ხალხია და მათი იდეალური მიმართულებაც, ჩვენი აზრით, მეტად სიმპათიურია, მაგრამ ეს კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ **ენვერ ფაშა,** რომელმაც წითელ სულთანს (იგულისხმება აბდულჰამიდ II) ფეხი აუდგა კონსტანტინოპოლიდან და ამით მოსპო საზიზღარი რეჟიმი, რომელმაც მილიონობით იმსხვერპლა საზოგადოდ ოსმალეთის მცხოვრებნი და განსაკუთრებით კი მაკედონიის ქრისტიანები, კრიტოსის ბერძნები და ოსმალეთის სომხები, მოვნათლეთ მხოლოდ ბარბაროსის სახელით. იმ დროს, როცა ოსმალეთის ბედ-იღბალი ბეწვის ხიდზე ჰკიდია, მათ ქვეყანაში გერმანიზმის გამეფებისა თუ სხვა ისტორიული ულმობლობის გამო, არავის არ ეპატიება **წყალი სათავეში აამღვრიოს** და ტყუილი ცნობები გაავრცელოს; ჩვენ გვესმის ზოგი ასეთი ვაჟბატონების კუჭის გვრემა, რომ ამით შეიყვანონ ჩვენი ხალხი შეცდომაში და გადაგვამტერონ იმ ხალხს, რომელსაც ჩვენ არც კი ვიცნობთ. **ჩვენი წინაპრები უფრო კარგად იცნობდნენ ოსმალებს,** მაგრამ მათთან კეთილი განწყობილება ვერასოდეს ვერ მოახერხეს. ოსმალები არც ისინი არიან, რაც წინათ იყვნენ, **მაშინ რაინდობა ხმალზე იყო დამყარებული, დღეს კი ჭკუაზე** და **ტექნიკაზეა.** ამიტომაც არც გადაჭარბებით ქებით უნდა ვეპყრობოდეთ ჩვენ ოსმალებს და არც მეტი დამცირებით.

სტამბოლის კათლიკეთა მონატერი, 1910 წელი.

იასე რაჭველი (მუხუზლა)

სხვადასხვა

(1915)

ომის ბედი ომის ღმერთზეა დამოკიდებულიო, ამბობენ და ეს ორი-სამი სიტყვა ყველას თავისებურად ესმის.

... რუსეთის მტრები მხოლოდ ისინი იყვნენ და არიან, რომლებიც ხალხისა და სახელმწიფოს ინტერესებს თავიანთ პირად ინტერესებზე სცვლიან და იმის მაგივრად, რომ მთავრობის სინამდვილე ამხილონ, ფეხებს ულოკავენ და ელაქუცებიან.

ისტორიას არ ახსოვს ისეთი მთავრობის გამარჯვება, რომელ მთავრობასაც თავისი ქვეშევრდომების უმრავლესობა კმაყოფილი არა ჰყავს, თუმცა ნათქვამია:– „გათიშე და დაძლიეო“, მაგრამ ასეთ მოქმედებასაც თავისი ადგილი უნდა ჰქონდეს.

...ოსმალური ანდაზაა: **„მწერი პაწაწინაა, მაგრამ თუ საჭმელში ჩაგყვა, გულს აგირევსო“. ვინ არ იცის, რომ სახელმწიფოს სიდიადე უფრო კულტურით იზომება, ვიდრე სიმრავლით.**

...კაცობრიობის ისტორია ბევრს ისეთ პატარა ერებს იცნობს, რომლებიც შედარებით ჩინეთისა, გინდა სხვა რომელიმე დიდრიცხოვან ერებზე, სიმრავლით ზღვაში წვეთს წარმოადგენს, მაგრამ კულტურითა და თვით შემოქმედების უნარით ბევრად მათზე წინ დგას.

... არც ერთი რუსეთის იმპერიაში მცხოვრები მცირე ერები, რომელთაც ცოტათი მაინც გაეგებათ რამე, **არასოდეს არ იფიქრებენ რუსეთიდან სრულიად გამოყოფას და დამოუკიდებელ სამეფოს შექმნას, ეს იქნებოდა პოლიტიკური სიბეცე,** მაგრამ ეს კი ნამდვილია, რომ ყველა ეს ეროვნებანი: **ეკლესიას, სკოლას და სასამართლოს ყოველთვის თავის ენაზე მოინდომებენ, რადგან ეს მათი ეროვნების ბუნებრივი მოთხოვნილებაა** და ამით ის სრულიად არავითარ ვნებას არ აყენებს სახელმწიფოს ძირითად კეთილდღეობას, არამედ უფრო ამტკიცებს, ამაგრებს და აკეთილშობილებს. ასეთ შემთხვევაში ეს ეროვნება კმაყოფილდება და, რა თქმა უნდა, ვინც მას ეს კმაყოფილება მიანიჭა, ის იმას სულითა და გულით შეეთანხმება ან შეიყვარებს. მაშასადამე, სადაც ასეთი სიყვარული და თანხმობაა, იქ ძლევამოსილებაც უზრუნველყოფილია.

მართალია, ბუნებაში კაცი დიდ როლს თამაშობს, ის თითქმის დაეპატრონა ბუნებას, მაგრამ **ბუნება მაინც უძლიერესი ფაქტორია ყოველივე მოვლენისა...** ადრე თუ გვიან არ შეიძლება, რომ ბუნებამ თავისი არ ქნას. რა გინდა დიდი და მრავალრიცხოვანიც არ უნდა იყოს სახელმწიფო, თუ ის ბუნებრივად და დროის შესაფერად არ ვითარდება, შორს ვერ წავა. ამის მაგალითად დღევანდელი ომიც კმარა.

...დღეს რუსეთის ძლევამოსილი ჯარი ზოგან უკან იხევს, მაგრამ ეს უკან დახევა კი არ არის, წინ წაწევაა. დადგა დრო რათა: „კაცად-კაცადსა მიენიჭოს საქმეთა მათთაებრ“-ო. **რუსეთის ეროვნებათა სრული სოლიდარობა – აი დედაბოძი დიდი რუსეთის მთლიან-ძლიერებისა.**

... დღევანდელი ომის სამწუხარო მდგომარეობამ სავსებით გამოაშკარავა, რომ ისეთ სხვადასხვა ეროვნებით აჭრელებულ ქვეყანაში, როგორიც არის რუსეთი, სადაც ნახევარზე მეტს, უფრო შეგნებული ელემენტებისას, შეადგენს „**ინოროდცები**“, შეუძლებელია ვარგოდეს არსებული წესწყობილება. მაშასადამე მიუცილებელი საჭიროა ისეთი სისტემის წესწყობილე-

ბის შემოღება, რომელიც ყველა რუსეთის ქვეშევრდომს მტკიცედ შეაკავშირებს და დაამეგობ-რებს ერთმანეთთან. როგორი სისტემის წესწყობილება შექმნის რუსეთის ეროვნებათა შორის ასეთ მტკიცე კავშირსა და მეგობრობას, ამის განმარტება საჭირო არ არის. **საკმარისია გადავ-ხედოთ ინგლისის სისტემას**, რომ ჩვენთვის ყველაფერი ნათელი იქნეს.

ჩვენ ვიცით, რომ ინგლისში სამხედრო ბეგარა არ არსებობს. ინგლისის ჯარი მხოლოდ მოხალისეებისაგან შედგება, მაგრამ **იმდენად კმაყოფილია ინგლისის წესწყობილებით მისი ყველა ქვეშევრდომი**, რომ სიამოვნებით ეწერებიან მოხალისეებად და **ბევრი მათგანი, მაგ. მუსლიმანები, თვით თავიანთ ერთმორწმუნე ოსმალების წინააღმდეგაც კი გამოდიან**.

ცხადია, ადამიანს რომელსაც თავის „მე“ შეგნებული აქვს, მხოლოდ „სმა-ჭამა დიდად შე-სარგი“ ვერ დააკმაყოფილებს, იმას ხორციელ მოთხოვნილებასთან ერთად, სულიერი მოთხოვ-ნილებაც აქვს და თუ ასეთმა **ადამიანმა თავისი ეროვნული სიცოცხლე ვერ შეინარჩუნა,** ისე ის ბედნიერი ვერ იქნება.

„რა მკვდარი და რა შინმოუსვლელიო“, ამბობს ქართული ანდაზა. ანდაზა, როგორც ვხე-დავთ, შინმოუსვლელ ადამიანს ჩვენი ხალხის ანდაზა მკვდარს ადარებს და რაღა უნდა ვთქვათ იმ ადამიანზე, ვისაც ის „**შინა**“ სულ აღარა აქვს?

... მიეცით თითოეულ ისტორიულ ეროვნებას შინაური მართვა-გამგეობის მოწყობის უფ-ლება – **„ავტონომია“ და ის მაშინ გახდება სასარგებლო წევრი თავის ქვეყნის უზენაეს სახელმწიფოსი ისე, როგორც არიან: ინგლისში, შვეიცარიაში და სხვა**.

რუსეთის დღევანდელ მთავრობას კი თავის ქვეშევრდომებზე იმდენი ნდობაც კი არა აქვს, რომ ისინი შეიარაღოს და ადგილობრივ დატოვოს. კმაყოფილ ხალხში კი ასეთ უნდობლობას ადგილი აღარ ექნება. **როდესაც ხალხი თავის კერას თავის გემოვნებაზე მოაწყობს**, თავის პიროვნებას ადამიანურ პირობებში ნახავს, **მისი ენა და სინდისი აბუჩად აღარ იქნება აგდებული**, **მაშინ ის თავის დაცვასაც ადვილად მოახერხებს**. დღეს კი ამ უნდობლობის გამო რუსეთის მთავრობას ჯარის ერთი ადგილიდან მეორეში გადაზიდვა-გადმოზიდვისთვის იმდენი ეხარჯება, რომ ის სავსებით ეყოფა, როგორც ხალხის შეიარაღებას, ისე მათ გონებრივად განვითარებას.

კმაყოფილი ხალხის ადგილობრივად შეიარაღებას რომ დიდი მნიშვნელობა აქვს, **ამის მაგალითად პაწაწინა შვეიცარიაც კმარა,** რომელსაც თვით დიდი სახელმწიფოებიც კი ადვილად ვერაფერს უბედავენ.

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერი.

იასე რაჭველი

წერილი რედაქციის მიმართ

გიგზავნით, ამასთანავე, 31 მ. ბათუმში შეგროვილს, **იმ გვირგვინისთვის,** რომელსაც ჩვენის თხოვნით **ალექსანდრე ყაზბეგის კუბოს შესამკობად** უნდა შეგეკვეთნათ. თუ გადარჩა რამ ამ ფულს, ალ. ყაზბეგის ფონდს მიუმატეთ, ან სალიტერატუროს.

თქვენი პატივისმცემელი ნ. პეტრიაშვილი

გაზეთი „ივერია“, N281, 1893 წელი.

გთხოვთ დაუთმოთ მცირე ადგილი თქვენის გაზეთისა, ამ ჩემს პატარა წერილს.

ვისაც -კი გაუცვნია კოსტანტინეპოლში მცირე ხნით მაინც **ალექსანდრე ივანეს ძე გარაყანიძე,** არ შეიძლება არ დაჰხსომებოდეს მისი კეთილი გული და კაცთ-მოყვარეობა. ამ კაცს თავის მოძმესათვის არა შურს-რა და თუ აქვს რამე, მზადაა გაუზიაროს ყველას, ვინც-კი მის ყურადღებას დაიმსახურებს. მეტადრე საზოგადო და სასიკეთო საქმისათვის არა შურს-რა.

ამ რამდენისამე დღის წინად, ჩამოვარდა ლაპარაკი **შოთა რუსთაველის ძეგლის აგების შესახებ**; ვუთხრით, რომ მიეღო , შრომა, როგორც ყველასაგან პატივცემულს და აღმოგვეჩინა მცირე რამ შემწეობა აქედამაც. დიდის კმაყოფილებით დაგვთანხმდა და პირველად იმან დასდო ერთი თუმანი, და თანაც დიდი შემწეობა აღმოგვიჩინა. რამდენისამე დღის განმავლობაში მოვაგროვეთ ასოც-და-თექვსმეტი მანეთი და ორი აბაზი (136 მ. 40 კ.) აქაურ ქართველთა შორის, რომლებმაც დიდის სიხარულით მიიღეს ჩვენი თხოვნა, და, შეძლების დაგვარა შემოსწირეს და ზემოხსენებული ფული, შოთა **რუსთაველის ძეგლის ფონდისათვის. ამ ფულს, ამასთანავე, ვგზავნი თქვენს რედაქციაში დანიშნულებისამებრ გარდასაცემად და უმორჩილესად გთხოვთ დაჰბეჭდოთ ამ წერილთან ერთად, ქვემეორე ამისა შემწირველთა სიაც**.

აი სიაც“: პატრი სტეფანე გიორგიძე (წინამძღვარია აქაურ ქართველთა კათოლიკების მონასტრისა) 17 მან. 40 კ., პეტრე ივანეს ძე ბაკაკოვი 15 მ., პეტრე ივანეს ძე ბეჟანოვი 10 მ., იოსებ ივანეს ძე ბეჟანოვი 10 მ., პავლე სვიმონის ძე გოზალოვი 10 მ., ანტონ სვიმონის ძე წინამძღვრიშვილი 10 მ., ალექსანდრე გარაყანიძე და იასე რაჭველი 15 მ., ვიქტორ ჟღენტი 8 მ. 70 კ., ლუკა სტეფანეს ძე თუმანიშვილი 5 მ., სიმონ სტეფანეს ძე დურგლიშვილი 5 მ., ანდრია გაბრიელის ძე ახობაძე 5 მ., ლადი ბანძელი 3 მ. 30 კ., სკენდერ ეფენდი ჩიკლაძე 3 მ., ალექსანდრე სვიმონისძე ფილოშვილი 3 მ., იაკობ პეტრეს ძე თუმანიშვილი 3 მ., და იაკობ პეტრეს ძე აბულაძე 3 მ. სულ 136 მ. 40 კ.

„ივერია, N 281, 1893 წ.

იასე რაჭველი (მუხუზლა)

წერილი სტამბოლიდან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

აქაური ქართველობა, როგორც იყო მოხსენებული ამას წინად გაზეთ „კვალში“,ძალიან ღარიბები არიან. თუმცა მათ შორის ერთ-ორი შეძლებულიც ურევია, მაგრამ იმათ სხვა-და-სხვა მიზეზის გამო, აღარაფერი საერთო აღარა აქვთ ჩვენთან. სარწმუნოებისა და უცხო ქვეყანაში ცხოვრების ძალას თითქმის სრულიად აღმოუფხვრია იმათის გულიგან სამშობლოსათვის გულ-შემატკივრობა და მისი სიყვარული. ეს ასეც უნდა მომხდარიყო, რადგან ეს ხალხი არავის არ მოსვლია ფიქრში, მიუხედავად იმისა, რომ ბევრნი ნასწავლი და შეგნებული კაცები იყვნენ აქ და შეეძლოდ შემწეობა მიეცათ იმათთვის, საქმით და მოქმედებით თუ არა, სიტყვით და მეგობრულის რჩევა-დარიგებით მაინც, მაგრამ ჩვენდა სამწუხაროდ, ყველა ისე ჰფიქრობს, ისე ამბობს, რომ ჩემზედ კარგი შეგნებული სხვები არიან და იმათ ითავონო. ეჭვი არ არის, რომ ერთი სიტყვა, ერთი-ორი გრძნობიერად შეთხზული წერილი გაზეთისა გამოაფხიზლებდა აქაურ ქართველებსაც და ამითი თუ არ სარგებლობა, ზიანი არ მიეცემოდა არც ამათ და არც ქვეყანას.

აქ რამდენიმე მოსახლე ქართველი სცხოვრობს, რომლებიც ვაჭრობით ირჩენენ თავს და თითქმის ყველანი რკინეულობით ვაჭრობენ. ვისაც ერთ დროს შემთხვევით მოუგია ფული, იმისთანა სულ ოთხი მოსახლეა: **პეტრე ბაკაკიშვილი, პეტრე და იოსებ ბეჟანიშვილი, ანტონ წინამძღვრიშვილი და პავლე გოზალაშვილი.** ამ ოთხ მოსახლეში პეტრე ბაკაკიშვილი საკმაოდ მდიდარია, საკმაოდა აქვთ შეძლება ბეჟანიშვილსა და წინამძღვრიშვილსაც, გოზალაშვილი კი ცოტაოდენი წაფორხილებულია, რადგან ყველაზედ უფრო სჩვევია ქართული ჩვეულება და დიდი ნაწილი თავისის ქონებისა აქეთ-იქით **გაუნათხოვრებია თავის საწყალ მოძმეებთა შორის**, რის დაბრუნებას არავინ ჰფიქრობს და არცა აქვთ. დანარჩენნი ღარიბები არიან, ასე რომ ლუკმა პურს ძლივსა ჰშოულობენ, მხოლოდ საზიზღარი ქიშპობა, მტრობა და მიეთ-მოეთობა-კი მაინც საშინლად არის გავრცელებული და ისეც გაღატაკებულები უფრო და უფრო ღატაკდებიან. ამათ საზოგადოდ ყველამ, როგორც შეძლებულმა, ისე შეუძლებელმაც, არც საქმის დღე იციან, არც უქმის დღე, ყოველ დღეს, გარდა ახალი წლის და აღდგომის, დილით ადრე წავლენ თავთავიანთ დუქნებში და საღამოზედ მოვლენ სახლში. ეკლესიაში წასვლა ანუ ერთმანეთისას მისვლა-მოსვლა, ან ჭკუით ვარჯიშობა ან კითხვა-წერა ამისთანაები არა მოიძევება-რა მაშინ, როცა სხვა ამათ გვარები ვაჭრები, როგორც სომხები, ურიები და სხვანი, თან-და-თან მდიდრდებიან და ყოველ კვირა-უქმე დღეებსაც თავიანთ წესრიგით ასრულებენ. რა არის მიზეზი, რომ სხვები მდიდრდებიან ამ ხელობით და ესენი-კი, რომლებიც ყველაზედ ძველი ვაჭრები არიან აქ ამ ხელობისა, თანდათან უკან მიდიან და შეიძლება რამდენისამე წლის შემდეგ სრულებით უგროშოდაც დარჩნენ? **ის არის მიზეზი, რომ სრულიად გაუნათლებლები არიან, ან სად უნდა განათლდნენ, როცა არავითარი საშუალება არა აქვთ და როდესაც ქართულს ენაზედ არა მოიპოვება-რა, არც სასწავლებელი და არც წიგნთ საცავი**.

სხვა ენებსა, მაგალითებრ: ბერძნულისა. თათრულისა და ფრანგულისა, ბევრია სასწავლე-ბელი აქ, მაგრამ ამ სასწავლებლებში შესვლის შეძლება ამათ არ შესწევთ და თუ ვინმეს შესწევს, ისიც უცხოს თვალით უყურებს ასეთს განათლებას. აქ რომ ერთი ქართულ-ფრანგული

სასწავლებელი იყოს, დარწმუნებული ვარ, ყველა დიდის კმაყოფილებით ასწავლიდა თავისს ბავშვებს და ამით შემსუბუქდებოდა ამათი სამწუხარო მდგომარეობა, მაგრამ სად არის. **აქ ერთი კარგი მონასტერიც აქვთ ქართველ კათოლიკეთა ბერებს**, მხოლოდ რას უფრო ეტანებიან, არავინ იცის, **ქართველობას თუ ფრანგობას**, სასწავლებლები სხვადასხვა ენაზედ ბევრი აქვთ და ქართულზედ-კი არა. მაგალითად, **ბერძნულ-ფრანგული ოთხი სასწავლებელი** აქვთ და კარგადაც ისწავლიან, მხოლოდ ამ სასწავლებლებში ერთი ქართველი არ სწავლობს. ის ქართველი ყმაწვილები, რომელიც ჩამოჰყავთ აქ გასაწვრთნელად, იზუიტების სასწავლებ-ლებში ჰყავთ. **ქართულის სასწავლებლის დაარსებას ვერ ახერხებენ:** ერთი მისთვის, რომ ქართველი ბავშვები ეცოტავებათ (ოც-და-ათზედ მეტი არ იქნება აქ ქართველი ბავშვი); მეორე ქართულ-ფრანგულს სასწავლებელს შემოსავალი არ ექნებაო. მესამე და უმთავრესად-კი ის არის, რომ **ქართული არ იციან რიგიანად.**

ამ მონასტრის დამაარსებელი **მამა პეტრე ხარიჭარაშვილი**, რომელიც კარგა ხანია, რაც მიიცვალა, ძალიან სცდილობდა ქართული სასწავლებელი დაეარსებინა მონასტერთან, მხო-ლოდ სიკვდილმა მოუსწრო და ვეღარ შეასრულა თავისი განზრახვა. იმის ადგილას ეხლა მოვიდა რიგიანად განათლებული და მჭევრმეტყველი მღვდელი მონაზონი პატრი **სტეფანე გიორგიძე** (წინად ქუთაისის კათოლიკი ეკკლესიის წინამძღვრად ნამყოფი). იმის დიდი იმედი გვქონდა და გვაქვს კიდეც, მაგრამ რა უნდა ქმნას მარტო ერთმა. **„დიდი ღონიერი კაციც-კი უღონოა, თუ მოძმე ხელს არ მისცემსო“,** ნათქვამია. ჩამოვიდა თუ არა აქ პატრი სტეფანე, მოინდომა როგორმე გაეუმჯობესებინა აქაურის ქართველების მდგომარეობა როგორც ხორციელად, ისე სულიერადაც. მონასტრის ერთს დღესასწაულის დროს მოუწოდა კიდეც ყველას, მაგრამ სულ ორი თუ სამი... არ იფიქროთ, რომ მართლა მარტო იყოს დუქნები, არა ყველას თითო-ოროლა მომხრე ჰყავთ–ზოგს შვილები, ზოგს – შეგირდი და ზოგსაც ამხანაგები, მხოლოდ ერთმანეთის ჯიბრის გამო მაინც არა ჰშორდებიან დუქნებს, თუ ის აქა ზის, მეც აქ ჩავკვდებიო. მერე იცით, რა დუქნები **ჩვენებური ქათმების კარიაზედ უდიდესი არც-კი არის**. პატრი სტეფანე ამ შემთხვევამ ძალიან შეაწუხა, მან დიდად საგრძნობელი სიტყვაც სთქვა ამათ საყურადღებოდ, მაგრამ სიტყვა სიტყვად დარჩა და საქმით-კი არა გარიგებულა-რა.

ასე გაგარეგანდა აქაური ქართველობა, მაგრამ როცა იმათ ქოხსსა ანუ დუქანში მიდიხართ, მაინც სასიამოვნოა იმათი ნახვა, რადგან ყველა ქართველობას ჩემულობს და ქართულად ლაპარაკობენ; თუ ქართული გაზეთი ან წიგნი შეხვდათ, დიდი სიამოვნებით კითხულობენ, თუმცა მიხვედრით ბევრს რასმე ვერც -კი მიხევდებიან. ყველაზედ უფრო სასიამოვნო ის არის, რომ **ყოველ გვარ საქონელს ქართული წარწერები აქვს** და ვგონებ, ეს უნდა იყოს მიზეზი, რომ **ჯერ ქართული არ დავიწყებიათ;** არც ის იფიქროთ, რომ სწავლის სურვილი არა ჰქონდეთ: ძალიან რომ ჰსურთ და დიდად მოწადინებულნიც არიან, ამას ის გვიმტკიცებს, რომ სომხური კითხვა შეუსწავლიათ და ამ საშუალებით გაზეთებს კითხულობენ. აქ ბევრი იმათ რიცხვში ერთ თათრულ ენაზედ არის სომხურის ასოებით. აქაურმა ქართველობამ თათრული ლაპარაკი კარგად იცის და ამ გაზეთს კითხულობენ. ეს გაზეთი ძლიერ იაფიც არის, ყოველ-დღიურია და თვეში ჩვენებურს ფულზედ ათი შაური ჰღირს... ფეხი გავიდგათ და აღვძრათ აქაურს ქართველთა შორის აზრი გაზეთ-ჟურნალების გამოწერისა. პირველად ყველა ჩვენთაგანი უსაფუძვლოდ უყურებდა ამ საქმეს, ასე გვეგონა, არ თანაგვიგრძნობდნენ, ხოლოდ მოვკიდეთ თუ არა ხელი საქმეს, სულ სხვა დავინახეთ, მაშინვე ზოგმა ნამდვილის გრძნობით, ზოგმა

ხათრით და ზოგმაც ჯიბრით საკვირველი თანაგრძნობა აღმოგვიჩინა, რამდენიმე დღის განმავლობაში მოვაგროვეთ ას-ოცდა თექვსმეტი მან., რომელიც წარსულ წელში გამოგზავნილ იქმნა **„ივერიის“ რედაქციაში რუსთაველის ძეგლის სასარგებლოდ**. ეხლა რაკი ეს განზრახვა აგვისრულდა, პირველსაც მოვკიდეთ ხელი, მხოლოდ ეს-კი ისე ადვილად ვერ ხერხდება, ბევრი დაბრკოლება გვეღობება წინ. ჩვენი აზრი არის, როგორმე გაზეთ-ჟურნალების შემწეობით წინ წავსწიოთ აქაური ქართველობა როგორც ნივთიერად, ისე გონებრივად. ჩვენ გვინდა გაზეთები გამოიწერონ და ამ საშუალებით შეეჩვივნენ კითხვას, შეიგნონ რიგიანად თავ-თავიანთი მოვალეობა და არ ჩამორჩენ უკან ამ მხრივ სხვა ვაჭრებს. რამდენიმე მათგანი დაგვეთანხმა კიდეც, მაგრამ რადგან ჩვენი გაზეთები ძალიან ძვირია, ამისათვის ვერ ახერხებენ. ეხლა ორი სამი მსურველი აღმოჩნდა გამოიწეროს „ივერია“, თუ იმ ფასად დაგვეთმობა, როგორც ჩვენში არისო, და ამისათვის ვთხოვთ ყველა რედაქციებს, თუ შესაძლებელი იქმნება, დაეთმოს აქაურ ქართველობას ჩვენი ქართული გამოცემანი, როგორც გაზეთ-ჟურნალები, ისე წიგნებიც იმ ფასად, როგორც ჩვენში ღირს. მსურველნი ბევრნი არიან მხოლოდ, როგორც ზემოდ ვსთქვით, სიღარიბე ხელს არ აძლევთ. გარდა იმისა, რომ ეძვირებათ ამოდენა ფულის გამოღება, ერთი გარემოებაც ხელს უშლის; ეს ის გარემოებაა, რომ აქაური ფოსტა ყოველ გაზეთის მიტანაზედ თითო ყურუშს ართმევს (რვა კაპეიკია) და ეს ხომ წელიწადში სამის გაზეთის ფასს ეთანასწორება.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. იასე რაჭველი ბევრჯერ ცხოვრობდა მამათა მონასტრის სასტუმროში. დაბეჭდილია გაზეთში „ივერია“, N146, 1894 წ.

შ.ბ. (შაქრო ბაქრაძე)

ქართული ტიპიკონი და სტამბოლის ქართველობა

მგონი ქართველ სამღვდელოებას სასიამოვნოთ დაურჩებოდა ნინოობის გადახდის ამბავი ქ. სტამბოლში (იხ. „შინ საქ.“ N2) გავლილ წელს ისეთი ცუდი ცნობები გავრცელდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერზე, რომ კაცს გული გაუტყდებოდა: ისე მოჩანდა თითქოს ქართული ტიბიკონი ვეღარ წამოდგებოდა ფეხზე, რაკი ჟურნალებს თვითონ რომის ტახტი მტრათ გამოყავდათ. მაგრამ ყველა ეს რომ სიცრუეა, წლევანდელმა ნინოობამ ნათლად დაგვანახა.

მკითხველს ეცოდინება, რომ ფერიქოვის (სტამბოლის უბანია, სადაც მდებარეობს ქართველთა მონასტერი) სავანეში მუდამ ყოფილან ქართული ტიბიკონის ღვდლები, დაწყებული 1864 წლიდან; საუბედუროთ, დროთა ვითარებისა და ზოგიერთ პირთა უნაღვლელობით, ერთი ღვდელი-ღა დარჩენილა ამ ჟამად, რომელსაც სიბერის გამო, ღვთის მსახურების აღსრულებაც კი არ შესძლებია.

ქართველმა ბერმონაზონებმა უწმ. პაპს პიო X აცნობეს, რომ **ნინოობა** წელიწადში ერთადერთი შემთხვევაა, მთელი საქართველო მიჩვეულია ძველთაგანვე თავიანთ განმანათლებლის დღეობაზე წირვა-ლოცვა ქართულ ტიპიკონისამებრ გადიხადონ და ღვდელნი კი არა გვყავსო.

საქმის ამნაირი ვითარება გაიგო რა რომის ღვდელ-მთავარმა, ფერიქოვის სავანის წინამძღვარს პ.დ. **მამა პიო ბალიძეს** (ლათინურ ტიპიკონის მქონეს) ტელეგრამით აცნობა: ნება გაქვს ქართულად სწიროვო: ეს სასიხარულო ამბავი, საკუთარ სტამბაში დაბეჭდილ ბარათებით შეატყობინეს სტამბოლის ქართველებს, – არც ერთი იმათგანი არ დაჰკლებია დღესასწაულს.

ეკლესიური წესრიგი უნაკლულოთ იყო დაცული; გალობა, ბიზანტიურ მოტივზე აშენებული – მრავალ ხმოვნათ და შვენივრათ აღუსრულებიათ მამა **კონსტანტინე საფარაშვილის ლოტბარობით**[*] .

წარმოიდგინეთ, „წ. ნინოს (იქაური სემინარიის) მოწაფენი ქართული წესით ზიარებულან; მგონი, ეს პირველი მაგალითი იყოს სტამბოლელთა ცხოვრებაში.

აბატ **პიო ბალიძეს** მხურვალე სიტყვა წარმოუთქვამს: „ქართული ტიპიკონი თუ განსაცთელში იყო ოდესმე, დამნაშავეს შორს ნუ დავეძებთ, ციხე შიგნიდან გატყდებაო. თვითეულ აქ დამსწრეთაგანმა გულში ხელი ჩაიკრას და აღიაროს: დამნაშავე მე ვარო. თქვენ წირვა არ იცით და ვიღას აბრალებთ, რომ ქართულად არ იწირებაო!“

წირვის შემდგომ, მთელ ქართველობას მადლობის წერილი (ქართულ-ლათინურათ) გაუგზავნია უწ. პაპისთვის.

ყველა ეს იმის ნიშანია, რომ ახალი დრო დადგა ქართველ კათოლიკებისთვის და ეროვნული ტიპიკონი მათშიც ფეხს იკიდებს.

---

[*] აქ უნდა შევნიშნოთ, რომ ბიზანტიური გალობა, თავისი განსაკუთრებული ნიშნებით, ზედმიწევნით იცის სტამბოლის **მგალობელთა თავმა ბ. კონსტანტინემ**. ეს ჯერეთ სულ ახალგაზრდაა, 26 წლისა ძლივს იქნება. იმედია, იგი ოდესმე გამოიკვლევს ჩვენი **მიქელ მოდრეკილის საგალობლებს**; ამ უკანასკნელის რამდენიმე ნიშნები კიდეც შეუდარებია მე-X-XI საუკუნის ბიზანტიურ ნიშნებისთვის; თურმე არაფერი მსგავსება აღმოჩენილა. ახალგაზრდა მეცნიერს თვითონ მიქელის ხელნაწერი რომ ჰქონოდა, უეჭველად ჩვენთვის ახალ რამეს აღმოაჩენდა. შეუძლებელია, ეგოდენ გალობათ, კრებულში, ბიზანტიური მელოდიები არ იყოს გამორეული. შ.ბ.

დარწმუნებული ვარ, ეს გარემოება მართლმადიდებელ ღვდელსაც გაახარებს. ძველთაგან-ვე, კათოლიკე მისიონერნი ძალიან დაახლოებულნი იყვნენ აქაურ სამღვდელოებასთან. როგორც ვიცით, მისიონერებმა, სხვათა შორის, **მეგრელ ღვდლებს შეუსწორეს აღსარების და ნათლიღების ფორმულა** (იხ. თამარაშვილის ისტორია გ. 181 და 184); იმედია, მართლმადიდებელნიც თავიანთ მხრივ დახმარებაზე უარს არ იტყვიან; დახმარება კი შეუძლიანთ და აი, როგორ? ახლო მომავალში ოფიციალურათ უნდა გამოიძახონ ქართული ტიპიკონის საკითხი ქ. რომში. კომისიას ხელთ უნდა ქონდეს შემდეგი კრიტიკული გამოკვლევანი:

1) ქართულათ წირვა-ლოცვა როდის დაიწყო საქართველოში.

2) როდის რა რა შემთხვევაში დამყარდა კათალიკოსობა და დამოუკიდებელი მართველობა (ავტოკეფალია).

3) კრიტიკული განხილვა ქართულ წმიდათა ცხოვრებისა.

4) გარკვევა განსაკუთრებულ ჩვეულებათა საქართველოს ეკლესიისა.

5) ისტორია ქართულ ლიტურგიული წიგნებისა; მათი შედარება ძველ ბერძნულ ტექსტთან; განსხვავება ეხლა ხმარებულ წიგნებსა და მთაწმინდელ მამათა თარგმანებს შორის. რასაკვირველია, უპირატესობა ძველ ნაწარმოებს მიეცემა; მაგ. წ. გიორგი მთაწმინდელის მიერ შესწორებულ წიგნებს უფრო მაღლა დააყენებენ ქ. რომში, ვინემ ეხლანდელებს, სლავიანურის მიხედვით რომ გადუსწორებიათ.

ამ გამოკვლევათა უქონლობა თვალსაჩინო დანაკლისს შეადგენს ქართველთა ეროვნულ მწერლობისთვისაც.

ჩვენი ეკლესიური მეცნიერები, საუბედუროთ, თავიანთ გამოკვლევებს რუსულ ენაზე სწერენ! აკი სახარებაში ნათქვამია: **„ყოველსა, რომელსა აქვნდეს, მიეცეს და მიემატოს; ხოლო რომელსაც არა აქვნდეს, და რომელიღა იგი აქვნდეს მოვეეღოს მისგანო“?!** (მათ. 25, 29).

ახალ ჟურნალ „განთიადში“ ლიტურღიული განყოფილებაც არის და, იმედია, ჩვენი მეცნიერნი ზემორე ჩამოთვლილ საკითხებს დაკვირვებით გამოიკვლევენ.

როგორც გადმოგვცეს, ნინოობის დღესვე, სტამბოლელ მამებს დაუწყიათ ქართული ტიბიკონისამებრ ჟამ-კანონის აღსრულება, მხოლოდ საკმაოთ ლიტურღიული წიგნების უქონლობა აწუხებსთ: სხვათა შორის აკლიათ „ჟამნი“, ხოლო სრულობით არ მოეძებნებათ „საზიარო“ და „ტიბიკონი“. უეჭველათ, ხელის გამმართველი მრავალი აღმოჩნდება ჩვენს ქვეყანაში; შეწირულება მიიღება „შინაური საქმეების“ რედაქციაში.

ჩვენს პატივცემულ მეცნიერებს შეუძლიათ თავიანთი გამოკვლევანი პირდაპირ სტამბოლში გაგზავნონ, რითაც დიდათ დაავალებენ იქაურ მონასტერსა.

Gonctantinople

Peres Georgiens

დამსწრე (შალვა აბდუშელი)

წერილი სტამბოლიდან

10 ოქტომბერს, ახალი წელთაღრიცხვით, კონსტანტინეპოლის ქართველ კათოლიკე ბერებმა გადაიხადეს პანაშვილი განსვენებული ყ.პ.დ. **მამა პეტრე ხარისჭირაშვილის სულის მოსახსენებლად**, ამ დრომდე ეს დიდებული პირი, დამაარსები ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა სტამბოლში, დავიწყებული იყო.

ახალგაზრდა თაობა ეს მეორედ ხდილობს ამ პანაშვიდს.

10 ოქტომბერს ნამდვილი დღესასწაული იყო **სტამბოლის პატარა საქართველოში.** ადგილობრივმა ქართველობამ თავი მოიყარა კათოლიკეთა ეკლესიაში, რომელიც ჩინებულად იყო მორთულ-მოკაზმული; წმ. ნინოს ხატი დასვენებული იყო დიდ ტრაპეზე, სურნელოვანი ყვავილებით შემკული, ეკლესია კი გარშემო მორთული იყო წარწერებით, დროშებით და ტილოებით. ტრაპეზის ახლოს, ხალხი ხედავდა წმ. ნინოს დროშას და საქართველოს ღერბის დროშას.

მწირველი იყო ქართველ კათოლიკე ბერთა საყოველთაო წინამძღვარი **მ. პიო ბალიძე**, გალობდნენ აქაური კათოლიკეთა მონასტრის ახალ-მორჩილნი, რომელთა ტკბილი და ნაზი ხმა სიამოვნებით ავსებდა გულს. წირვის შემდეგ დამსწრე ქართველობა ბერებმა მიიწვიეს.

მამა პიო ბალიძემ სიტყვა წარმოთქვა, რომელმაც დამსწრენი აღაფრთოვანა. მან ქებადიდებით მოიხსენია განსვენებული **მამა პეტრე ხარისჭირაშვილი,** რომელმაც ქართულ კათოლიკობას შესწირა თავი; მან თავისი გამჭრიახობით ქართველი კათილიკობა სამუდამოდ დაიხსნა გადაგვარებისაგან, სძლია ყოველ დაბრკოლებას და **ააშენა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი.**

მამა პიომ დაწვრილებით აღნუსხა განსვენებულ უანგარო მოღვაწის პ. ხარისჭირაშვილის ღვაწლი და საყვედურით მოიხსენია ის პირნი, რომელნიც ქართული ტიპიკონის განდევნას ცდილობდნენ ქართველთა მონასტრიდან.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო გაზეთი“, N 1034, 1913 წ.

სტამბოლში
საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავის დღესასწაული
(საქართ. დეპ. სააგ.)

სტამბოლი, მაისის 27. (დაგვიანებითაა მიღებული) მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, აქაურმა ქართველობამ „უმანკო ჩასახების“ სავანეს ძმობის მეთაურობით, ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა თავი შესწიროს ამ დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წ. N161.

იასე რაჭველი

წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

31 მაისს ლიტანიობა იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტერში, რომელსაც აუარებელი ხალხი დაესწრო. წირვა იყო ქართულად და ლათინურად. ეს დღესასწაული ეკუთვნის მარტო ამ მონასტერს, მხოლოდ აზრი-კი საზოგადო აქვს. **კათოლიკები მთელ მაისის თვეს მღვთის მშობლის თვედა სთვლიან** და რაკი ქართველთა მონასტერს **„უმანკოდ შთასახების“** მონასტერი ეწოდება, ამისათვის ყოველ მაისის დღეს განსაკუთრებული ლოცვებია ქართულ-ლათინურ ენებზედ და მაისის დამლევს -კი ახლის სტილისას ლიტანიასა ჰმართავენ ხოლმე. წრეულს, სამწუხაროდ, ავდარმა დიდად შეუშალათ ხელი. შესანიშნავის გემოვნებით კეთდება აქ ამ დღეს ორი სადღესასწაულო კარ-შესავალი სხვადასხვა ბაირაღებით. წრეულს **პატრი სტეფანე გიორიძის** განკარგულებით ერთს ამ კარ-შესავალთაგანს **ქართულის ასოებით ჰქონდა გაკეთებული წარწერა** და მეორეს ლათინურად. სულ ცოტა რომ ვთქვათ, **აქ ამ დღეს აფრიალ-დება ხოლმე თითქმის ყველა სახელმწიფოს ბაირაღი**, რაც კიდევ მეტს სიდიადეს აძლევს დღესასწაულს.

ამავე პატრ სტეფანეს თაოსნობით (ესევეა წინამძღვარი მონასტრისა) მონასტერში წარ-სულის წლიდგან დაარსდა **ქართულ-ლათინურ-ფრანგული სკოლა,** საცა **ათამდის ყმაწვილი მესხი უკვე სწავლობს.** სასიამოვნო სურათს წარმოადგენენ ეს პაწაწინა ბავშვები, როცა მოგროვდებიან მონასტრის ბაღში და **დაიწყებენ ქართულად მღერას.** ამათ, რასაკვირველია, უფრო **მესხეთის ხალხური სიმღერები აქვთ შეთვისებულები.** ესენივე მღერიან სხვადასხვა საეკლესიო ხმას ლათინურად ორგანოზედ და ყოველ დიდ დღესასწაულის **დღეს ეს პაწაწინა ჩიტუნიები მშვენივრად ახერხებენ და დღესასწაულს ქართულად ულოცავენ თავიანთს წინამძღვარს.** მე აღტაცებაში მომიყვანა უმანკო და წლოვანების შესაფერ აზროვანმა სიტყვებმა, მათ მიერ წარმოთქმულმა პირადად და წერილით. როგორც მე, ისე თვით პატივცემული პატრი სტეფანე, დიდს მადლობას ვწირავთ „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას“ და ქართულ ჟურნალ-გაზეთების გამომცემელთ. პირველმა დაუთმო ჩვენის თხოვნით ამ ჩვენს ნორჩს სკოლას ყველა სახელმძღვანელო წიგნები ორ-რი და სამ-სამი ეგზემპლარი და მეორეთ-ჟურნალ-გაზეთები. მომავალ სექტემბერში პაწაწინა ქართველების გამოცდა იქნება და ანგარიშს თავის დროზედ გაცნობებთ. დიდად დაგვავალებდნენ წიგნების გამომცემელნი საზოგადოებანი ,რომ არ დაზოგავდნენ და გამოგვიგზავნიდნენ ჩვენის ნორჩის სკოლისათვის თავიანთ **საყმაწვილო გამოცემებს,** თორემ ეს მონასტერი ხელვიწროდ არის ქონებრივად და საქმე გაჭირვებით მიდის წინ. თუ საშუალება მოიპოვა, პატრ სტეფანეს აზრად აქვს მომავალ წლიდგან **რუსულის ენის სწავლებაც შემოიღოს**.

საგაზეთო წერილის ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. დაიბეჭდა გაზეთში „ივერია“, N106. 1897 წ.

„რ“ (არსენიძე რაჟდენ)

წერილი კონსტანტინეპოლიდგან

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ახალგაზრდა ოსმალები და პოეტი მიცკევიჩი.

„ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტმა უკვდავჰყო დიდებულ პოლონელ ეროვნულ პოეტის **მიცკევიჩის** ხსოვნა.

იმ სახლის კედელზე, რომელშიაც გადაიცვალა **მიცკევიჩი**, სტამბოლის ერთ-ერთ ქუჩაზე მიაკრეს ბრინჯაოს ფიცარი ზედ-წარწერით ოსმალურს ენაზე: „აქ გარდაიცვალა დიდებული პოეტი ადამ მიცკევიჩი, ოსმალეთის მეგობარი.–ერთობისა და პროგრესის კომიტეტი.

ჯერ პანაშვიდი გადაიხადეს კათოლიკეთა ტაძარში, სადაც შესაფერისი სიტყვა წარმოსთქვა პოლონელმა მღვდელმა.

პანაშვიდს დაესწრნენ „ერთობისა და პროგრესის“ კომიტეტის ოფიციალური წარმომადგენელნი, „მაჰმადის ჩამომავალი“–მუსულმანთა სულიერი მწყემსი, ოსმალელ სტუდენტობის წარმომადგენელნი, ებრაელთა დელეგატები, მრავალ ორგანიზაციის წევრნი, სულთნის გვარდიის უფროსი **ხალილ-ბეი,** მიცკევიჩის მეგობარი-**იბრაჰიმ-ფაშა,** სპარსელთა ენჯუმენის მეთაური **სეიდ-იაღი**, ცნობილი სიონისტი დოქტორი **სოკოლოვი**, ოსმალელი აფიცრები, კათოლიკეთა ბერები, იმამები, ფრანგები, პოლონელები და სხვანი...

ტაძრიდან მთელი ეს მრავალფეროვანი ხალხი გაემართა მიცკევიჩის სახლისკენ. გზაში პროცესიას დიდძალი ხალხი მიემატა.

პოლონელ-ოსმალთა მანიფესტაცია შედგა ტრიბუნას წინ, რომელიც გამართული იყო კომიტეტისა და პოლონელთა ორატორებისთვის.

ტრიბუნას ახლო მუსულმანთა ჯერ მსხვერპლი შესწირეს –ცხვარი დაკლეს. მერე ტრიბუნაზე ავიდა უნივერსიტეტის პროფესორი – **ჰასან-ეფენდი**, რომელმაც ასწერა მიცკევიჩის ღვაწლი კაცობრიობისა, პოლონეთისა და ოსმალეთის წინაშე.

დანარჩენი ორატორებიც ადიდებდნენ მაცკევიჩს, როგორც მებრძოლს ხალხის თავისუფლებისა და ბედნიერებისათვის და იმ იდეალების მქადაგებელს, რომელთა მხოლოდ ერთი ნაწილი განხორციელდა ოსმალეთშიო. დასასრულ წაიკითხეს მოსასალმებელი დეპეშები ოსმალურსა, ფრანგულსა და პოლონურს ენებზე, სხვა და სხვა ადგილებიდან მიღებული.

ხელნაწერი შენახულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. „დროება“, 185, 1909 წ.

ავთანდილი (ურუშაძე ავთანდილი)

კერძო წერილიდან

მუჰაჯირები. გასულ წელს, იანვრის 15-ს მომიხდა წასვლა ქ. **ორდუში**, სადაც ერთი თვე დავრჩი. უნდა გითხრათ, რაც საქართველო დაესტოვე, მე ისეთი იმ დღიდან არაფერი მინახავს. ჩასვლისთანავე გავიცანი ადგილობრივი ქართველები; სულ ძველი მუხაჯირებია: **ქობულეთ-ლები და აჭარლები.** ამ ქალაქის ირგვლივ 6 სოფელია სულ ქართველებისაგან დასახლებული. შემხვდნენ დიდის აღტაცებით. ხელათ აცნობეს სოფლებში ჩვენებურია ჩამოსული და ნახეთო (აქეთ ქართველებს **გურჯეებს** უძახიან ან **ჩვენებურებს**"). ყოველ დღე მოდიოდენ სოფლებიდან და მეკითხებოდენ საქართველოზე, ყოველ წვრიმალსაც კი და ისეთი ინტერესით, რომ გაკ-ვირვებული ვიყავი: აქ დაბადებული ხალხი როგორ დაინტერესებულა ჩვენი მდგომარეობით.

სხვათა შორის, მეკითხებოდნენ: **სტალინი** და **ბერია** ხომ ჩვენებურიაო; მე ვეტყოდი, გარუსებულია, რუსზე უფრო წამხდარიათქო. ხანდახან კიდევ მათაც ვუკბენდი: –როგორც თქვენ ხართ გათათრებული თქო.

ეს ძალიან სწყინდათ და მე მჭირდებოდა მათ დასამშვიდებლათ მომეყვანა რაიმე. აი, მაგალითად, ვეუბნებოდი, **ალი–ფაშა** ხომ ჩვენებური იყო, მაგრამ თქვენი ძველები აყარა თავის ქვეყნიდან და აქეთ ჩამოგიყვანათ და გაგათურქათ მეთქი. მაინც ძნელი იყო მათი დამშვიდება, ალი-ფაშაზე კი მეთანხმებოდენ, რომ კარგი არ უქნიაო.

რადიოს გამოგონება დიდ სამსახურს უწევს აქაურ „**ჩვენებურებს**". ისინი თითქმის ყოველ დღე უსმენენ **თბილისს და ბათუმს,** საიდანაც ქართულათ ლაპარაკობენ. განსაკუთრებით სიხა-რულით ისმენენ სიმღერებს, „კონცერტებს". სიმღერებს ესენიც ააყოლებენ ხმას, ან ცეკვავენ, როცა საცეკვაო მუსიკა იქნება გადმოცემული. ზოგიერთებმა ესეც მითხრეს–სულ ბათუმზე და თფილისზე მაქვს აწყობილი რადიო და სხვას არ უსმენთო. ოღონდ ზოგიერთებს უჭირთ გადმოცემაში ქართული ლაპარაკის გაგება: „სიმღერა და ცეკვა კი ჩვენი საქმეაო" – მეუბნე-ბოდენ.

აქვე შემხვდა მასწავლებლები თურქის სკოლის, და რასაკვირველია, ისეთი მშვენიერი ქართულით დამელაპარაკენ, ჩემს გაკვირვებას საზღვარი არ ქონდა. ვკითხე, სად ისწავლეთ ასეთი ქართული თქო, მიპასუხეს:

–„ჩვენ მასწავლებლები ვართ და რადიოს რომ ვუსმენთ, იმით გავისწორეთ ენაო".

ყველა ჩემს ნახულს ვერ ავწერ, ამის არც შეძლება მაქვს, არც ცოდნა. ამას იმისთვის გწერთ, რომ გავიცნოთ აქაური მდგომარეობა და მოხერხებულ დროს, როდესაც საჭიროთ დაინახოთ, მიიღეთ ზომები. ბევრი სწუხს, რომ ჩვენი ქვეყანა დაპყრობილია: ნატრობენ: ნეტავი მანახვაო.

დაბეჭდილია პარიზში დაარსებულ ემიგრანტთა გაზეთში „მებრძოლი საქართველო", N3, 1952 წ.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ავტორია ემიგრანტი ავთანდილ ურუშაძე, რომელიც პარიზიდან ხშირად ჩადიოდა სტამ-ბოლში და სტუმრობდა ქართველ კათოლიკეთა მონასტრის სასტუმროს; თვეობით ცხოვრობდა ქართველ კათოლიკებთან.

დავით ჩიქოვანი

ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში

ყველამ ვიცით, რომ მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე–შავი ზღვის პირას მდებარე–მრავ-ლად არის დასახლებული ქართველთა მოდგმით. ერთ დროს დიდებული პონტის სამეფო, რომელიც დღეს მარტო ტრაპეზონის ვილაიეთისაგან (გუბერნიისაგან) შესდგება მეტ ნაწილად დასახლებულია მეგრულად მოლაპარაკე **ჭან-ლაზებით** და ბუნებრივი გაგრძელებაა **ბათომის ოლქისა.** ამათში შენახულია ქართული დიალექტი, სახე, მრავალი ადათები, სასმელ-საჭმელი, ტანისამოსი და სხვა. **მოსახლეობა ძველის ძველია, უფრო ძველი, ვიდრე ნამდვილი საქართვე-ლოსი.**

ისიც მოგეხსენებათ, რომ ჭანეთი 15 საუკუნის დამლევამდე საქრისტიანო ქვეყანა იყო და ექვემდებარებოდა ტრაპეზონის იმპერიის ბერძენთა მეფეს, მაგრამ თურქთა შემოსევამ სამუდა-მოდ დასცა საბერძნეთი და საქართველოც წელში გაღუნა.

სულთან მეჰმედ მე-2-მ, გამარჯვებულმა 1453 წელს, აიღო კონსტანტინეპოლი, რასაც მალე ტრაპეზონის იმპერიის დაპყრობაც მოჰყვა; სწორედ ამის შემდეგ გაამაჰმადიანეს მთელი ჭანეთი, ბათუმის მხარე და ძველი ზემო ქართლის ზოგიერთი პროვინციები. 400 წელიწადია, რაც საქართველომ დაჰკარგა მესამედი ნაწილი მთელი ერისა, მარტო თურქთა გაძლიერების და მაჰმადიანობის გავრცელების წყალობით.

ბედმა ესეც არ გვაკმარა და 1878 წლიდან, როცა სანსტეფანოს ხელშეკრულების ძალით–რუსეთმა ბათუმი ჩაიბარა, ბათუმის ოლქში მცხოვრები მრავალი ქართველი მაჰმადიანი აიყარა და ოსმალეთში გადასახლდა. აქ მათ მისცეს სამოსახლო მიწები და სხვა და სხვა, განსაკუთ-რებით მცირე აზიის დასავლეთ ნაწილებში, როგორც მაგალითად: ისმითის სანჯაყში (მაზრაში) და ბრუსას ვილაიეთში (გუბერნიაში). არიან კიდევ სხვაგანაც, მაგრამ ზემოხსენებულ ადგი-ლებში უფრო თვალსაჩინოა და დიდ გამოკვლევასაც თხოულობს. სამწუხაროდ, ახლად გადმო-სახლებულ ქართველთა ყოფა-ცხოვრება, **არამც თუ არ არის აწერილ-შესწავლილი, არამედ არც კი ვიცით, სად და რამდენი ცხოვრობს?! საჭიროა მათი სოციალურად და ეკონომიურად შესწავლა, მცხოვრებთა რაოდენობის გამოკვლევა და რუკის შედგენა ქართველთა სოფლებისა;** დღევანდლამდე თუ შეუძლებელი იყო, სამაგიეროდ (იხ. ნაბეჭდი გვ.) **საბედნიეროდ**, დღეს ადვილია ოსმალეთის განახლებულ წეს-წყობილების გამო. ერთი სიტყვით, ყოველივე ჩვენს სურვილსა და ძალაზეა დამოკიდებული და ამიტომ მეტი ყურადღება გვმართებს!

ამ შესავლის შემდეგ მინდა მკითხველს გავუზიარო ჩვენი მოგზაურობა ისმითის მაზრის ქართველთა სოფლებში, სადაც ჯერ არვის უმოგზაურნია. ბევრი ქართველი გვინახავს სოფ-ლიდან ჩამოსული კონსტანტინეპოლს, ბევრი რამ გადმოუციათ სხვა და სხვა პირებს, მაგრამ წასვლას სოფლად ჯერ არ ვფიქრობდით; ხოლო იმ მიზეზით, რომ მოსალოდნელია მალე გვქონდეს **„ოსმალეთის ქართველთა შორის განათლების გამავრცელებელი საზოგადოება“,** რომლის უმთავრესი მიზანია განათლების გავრცელება სოფლად–გადავწყვიტეთ ხანმოკლედ გვემოგზაურნა მახლობელ **ისმითის მაზრის** ზოგიერთ სოფლებში, რათა ზერელე წარმოდგენა მაინც გვქონოდა მათზე. აი, ეს ხანმოკლე, 4 დღის მოგზაურობის შთაბეჭდილებანი მსურს გაუზიარო ჩვენს მკითხველებს.

მაისის 16, მე და პატრი **შალვა ვარდიძე** გავემგზავრეთ რკინის გზით დაბა **საბანჯისკენ**, რადგან გაგონილი გვქონდა, რომ იქ ბლომად არიან ქართველებიო. ნაცნობი არვინ გვეგულებოდა; მატარებელში 2 ქართველი გავიცანით და მათ მოგვცეს რამდენიმე პირის ადრესი **საბანჯაში**. ისინი სხვა სოფლიდან იყვნენ; დავპირდით, რომ მათაც ვნახავდით. 5 საათის მგზავრობის შემდეგ ჩავედით **საბანჯაში**; აქ დავბინავდით მდიდარ **ახმედ-ეფენდი მამიძესთან,** რომელიც ერთ დროს კონსტანტინეპოლის **უფროსადაც ყოფილა, დღესაც რუსეთის ქვეშევრდომია,** სცხოვრობს სოფლად, როგორც მემამულე; **ნაკითხი კაცია ოსმალურად და არაბულად** და ძალიან უყვარს ღვთისმეტყველებაზე **კამათი**. საზოგადოდ ძალიან თავისუფალი მოაზრეა და ბევრი საყურადღებო ამბებიც იცის[1] მისის დახმარებით დავათვალიერეთ როგორც დაბა **საბანჯა,** ისე მის გარემო მრავალი სოფლები. სოფლებს მდებარეობა აქვს ვაკე-ფერდობებში, ლამაზი შესახედია, მოგაგონებს იმერეთის სოფლებს: განიერის გზით და დიდის და დაშორებულის ეზოებით; სუფთა და გვარიანი სახლები, უმეტეს წილად აგურისა, კრამიტით დახურული. ხშირია აგრედვე ორ-სართულიანი სახლებიც. დაბა საბანჯა სავაჭრო ადგილია, იქნება 100 წვრილი ვაჭარი; სულ ქართველობაა და ქართულიც ყველამ იცის[2] **;** დავესწარით საბანჯის ბაზრობა-პარასკეობას, სადაც ჩამოსულიყვნენ ქართველები მახლობელ სოფლებიდან.

მეორე დღეს უკვე აღწერილი გვქონდა ის მიდამო და ამიტომ აქაურობას გამოვემშვიდობეთ, **დედა-ენები** დაურიგეთ და ჩვენის სასიამოვნო მასპინძლის **ახმედ-ეფენდი მამიძის** თანხლებით გავსწიეთ მატარებლით **დერბენდისაკენ**. აქაც მრავალი სოფლები გავიარეთ და გზა და გზა ყველას ვპირდებოდით სტუმრობას. შემდეგ ამოვირჩიეთ შუაგული სოფელი, **ბალაბა,** სადაც 30 მოსახლეა. დავბინავდით სამნივე **ფერჰათ ეფენდი დიდვანიძესთან.** ეს მიდამო კიდევ უკეთესი გამოდგა; იგივე სურათი: კარგი სახლები, ლამაზი და გაშენებული ეზოები, წყაროები, წისქვილები და სხვა. გაოცებას ვიყავით ჩვენების მოსახლეობით. აქაც ერთი დღე დავრჩით, მოვიარეთ საჩქაროდ და მეორე დღეს ისევ დერბენდში ჩავედით, სადაც ჩვენი პირველი მასპინძელი **მამიძე** გამოგვემშვიდობა და მატარებლით საბანჯისკენ გასწია.

ცოტა ხნის შემდეგ ისმითისაკენ გამოვემგზავრეთ. ახლა კი არა გვიჭირდა რა, რადგან ადრესები და წერილები გვქონდა. მალე ჩავედით სამაზრო ქალაქ **ისმითში**, საიდანაც გემით ისმითის ყურეზე უნდა გავსულიყავით. ცოტა ადრე იყო და ერთ ნაცნობ ჭანს გავყევით სასტუმრო „**ბათუმში**“. ისმითში იქნება 25,000 მცხოვრები. ქართველობაც ბლომად ყოფილა, მაგრამ სომხები და ბერძნები დიდად სჭარბობენ. აქედან გავემგზავრეთ ზღვაზე და რასაკვირველია, გემზედ ქართულად ვლაპარაკობდით. თურმე სამსე ყოფილა ქართველებით. რო ასე უცხოთ დაგვინახეს, ნელ-ნელა ჯერ „სტრაჟნიკი“ გამოგველაპარაკა ქართულად, მერე ბოქაული და ბოლოს გვაჩვენეს მრავალი ქართველები. მოხუცებიც მრავლად იყვნენ და ეტყობოდათ მეტი ქართული კილო. იქვე ქალთა განყოფილებაც იყო და სულ ქართველები ყოფილიყვენ. ყურს უგდებდნენ ჩვენს ლაპარაკს და ეტყობოდათ გაოცება და სიამოვნება. ერთის მხრივ აღტაცებაში

---

[1] სხვათა შორის გადმოგვცა, რომ პოლიცმეისტერობის დროს არხივში ვიპოვნე წიგნი სახელწოდებით „**დიარ-ბექირ**“, რომელიც ეხება ქართველთა უძველეს მოსახლეობას და გამაჰმადიანება-გადმოსახლებასაო. წიგნი შეიცავს 300 გვერდს და დაწერილია **სულთან-სელიმის მეუღლე ქართველ ქალისაგან (1566-1574)**. სამწუხაროდ, წიგნს რამდენიმე ათეული ფურცელი აკლია, რის შოვნასაც ცდილობს ბ. მამიძე.

[2] სიტყვა **ქართველი** აქ მშვენივრად ესმით. **გურჯს** უწოდებენ ქართულად მოლაპარაკე აჭარლებს, ქობულეთლებს და სხვათ. ხოლო მეგრულად მოლაპარაკეთ–**ჭანებს, ორივეს ერთად ქართველებს.**

მოვდიოდით, რომ ამდენ ქართველთ ვხედავდით, მაგრამ მეორეთ–გულს სევდა ეფინებოდა, როცა ვიგონებდით მათ გადმოხვეწას და სამშობლო კერის ჩაქრობას და რომელსაც თვითონაც გულის ტკივილით იგონებენ.

ხელნაწერი მანქანაზე გადაბეჭდილი, დაცულია სავანის არქივში. დავით ჩიქოვანის მეგზური იყო კათოლიკე მღვდელი შალვა ვარდიძე. ავტორი ხშირი სტუმარი იყო ქართველ კათოლიკეთა მონასტრისა. მონასტრის ოთხსართულიანი შენობის მეოთხე სართულზე სასტუმრო იყო მოწყობილი, სადაც ღამეს ათევდნენ საქართველოდან, ტაო-კლარჯეთიდან სტამბოლში ჩამოსულები. მათ შორის იყო დავით ჩიქოვანიც... მონასტერში დაწერილი სტატია, და სხვა სტატიებიც დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო გაზეთი“ , 1912 წ. N 608.

დავით ჩიქოვანი

ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში

2 საათის მგზავრობის შემდეგ გავედით გაღმა – **კაზიკლიში**; იქიდან ფეხით–სოფელ **ფათარ–ქეიშში** და ორი საათის სიარულის შემდეგ ჩავედით **ბორჩხაში (ჰამიდიე)**. ბორჩხა უმთავრესი სოფელია ამ მიდამოში და ირგვლივ მრავალი სოფელი ახლავს. მდებარეობს მაღლობ ადგილზე და მშვენიერი გადასახედია სხვა სოფლებისკენ; არის 130 კომლი, სულ ქართველობა. აქაც ერთი დღე დავრჩით **ჰაჯი-ისმაილ-ყადი-ოღლი მინაძესთან**. დავიარეთ მახლობელი სოფლები და, ჩვეულებრივად, ავწერეთ სოფელთა მდებარეობა და მცხოვრებთა რიცხვი. საზოგადოდ თან ვატარებდით **გერმანულ რუქას აქაურ სოფლებისას** და სადაც აკლდა რომელიმე სოფელი – ჩაუმატებდით. როგორც ქვემოდაც დაინახავთ, სოფლების სახელწოდება უმეტეს წილად თათრულია, თუმცა მცხოვრები თითქმის მარტო ქართველები არიან. ვიკითხეთ მიზეზი და აგვიხსნეს, რომ ჩვენს დაბინავებისას აქ თურქებიც მოსახლეობდნენ, მაგრამ, ჩვენის მხნეობით და მათის სიზარმაცის წყალობით, ყველა მამული ჩვენ დაგვრჩა და ისინი იძულებული შეიქმნენ სხვაგან გადასულიყვნენო. საკვირველია, მკითხველო, რომ ამისთანა ამბები გესმით! ქართველთა შრომის-მოყვარეობით სხვას მეტოქეობა გაუწიოს!.. მადლობა ღმერთს!..

ისმითის მაზრაში მხოლოდ სოფლების სამ ჯგუფში ვიყავით: **საბანჯის, ბორჩხის** და **ბალაბაის**. პირველს ახლავს 22, მეორეს 20 და მესამეს 12 ქართული სოფლები. აი, ეს 54 სოფელია, რომელზედაც ახლა შეგვიძლიან საზოგადოდ ვილაპარაკოთ.

მთელ ისმითის მაზრაში უმეტეს წილად მოსახლეობენ არა თურქნი, არამედ **ქართველები** (**გურჯები** და **ჭანები**), **ჩერქეზები, აფხაზები, ალბანელები** და სხვა. სოფლები, როგორც მოგახსენეთ, კარგ შთაბეჭდილებას სტოვებს ლამაზ გარეგნობით. მოსახლეობა ყველა ქართველების მსგავსია. ნივთიერი მდგომარეობაც გვარიანი აქვთ, რაც ყოველმხრივ ეტყობათ. მოჰყავსთ ბევრი **თუთუნი, პური** და მისდევენ **მეაბრეშუმეობას**. ხეხილის გაშენებას ეს რამდენიმე წელიწადია, რაც შესდგომიან, მაგრამ გასაყიდი ჯერ არ არის. ყველა სოფელს ჰყავს თითო ხოჯა (მღვდელი), რომელიც ასრულებს საეკლესიო საქმეს და მასწავლებლობს კიდეც. **ჭამა-სმა აქვთ იმერული**: მჭადი და მსგავსი შეჭამადები, **ღვინოზედაც არ არიან მწყრალად,** თუმც „**ყურანი**“ უკრძალავს. მეზობლობენ ხშირად **ჩერქეზები** და **აფხაზები** და უფრო დაახლოებული განწყობილება აქვსთ, როგორც ერთ ქვეყნიდან, კავკასიიდან, გადმოსულთ. როგორც მოგახსენეთ, ქართველობა საქმიანობას მისდევს და მდიდრათაც არის. მეურნეობის გარდა, ვაჭრობასაც ეწევიან, განსაკუთრებით ჭანები. დიდის სიამოვნებით აგიწერენ თავიანთ მხნეობას, პირდაპირობას-ვაჟკაცობას და შრომის მოყვარეობას. მათმა **შრომის მოყვარეობამ ძალიან გამაკვირვა!** ბევრი მინახავს იმისთანა, რომელიც ამტკიცებდა, რომ ქართველები ზარმაცები არიან ყველგან და ყოველთვისაო. აქ სულ სხვასა ვხედავთ. რასაც ვამბობთ, გაზვიადებული არ არის და ვინც თვალით არ იხილავს, ვერც წარმოიდგენს! მათ დღევანდელი ქონება შეძენილი აქვთ 20-30 წლის განმავლობაში; **საქართველოდან რო ჩამოსულან – მიუ-ციათ მიწა და 6 წლით გაუნთავისუფლებიათ ყოველ გადასახადისაგან;** დღეს გადასახადებსაც ისტუმრებენ და კარგადაც ცხოვრობენ. სოფლებში უმეტეს, წილად გურჯებთან **ჭანებიც** არიან, **რომელთაც ქართულიც უსწავლიათ.**

სახ. გაზეთი, 1912 წ. N610. გაზეთის ნომერიცა და ტექსტიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

დავით ჩიქოვანი

ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანთა სოფლებში

ოჯახში მუდამ ქართულად ან ჭანურად ვლაპარაკობთ, რადგან ქართველებმა თურქული თითმის არ იციანო, ამბობენ ქართველი მაჰმადიანები. ამისდა მიუხედავად, მათ ქართულს დიდი ნაკლულობა აქვს: არეულია მრავალი თათრულ-არაბული სიტყვები და რთულ საგნებსაც მუდამ არა ქართული სიტყვებით გამოსთქვამენ. ეტყობათ, აგრედვე, ჭანური ენის გავლენა. ერთმა მოხუცმა გვითხრა: „საქართველოდან რო ჩამოველი–თათრული მეძნელებოდა და ქართულად ვლაპარაკობდიო, ახლა აგერ–30 წელიწადია რაც აქა ვარ და როგორც ხედავთ დედა ენა კარგად აღარ ვიციო“.

დროს თავისი მოაქვს! სადაც ლიტერატურა და სკოლა არ არის, იქ ენა ვერ შეინახება! ჯერ კი არ ითქმის, რომ ჩვენს მაჰმადიანებში ენა დაკარგულიყოს, მაგრამ ვადა აქვს. **უნდა დავეხ-მარნეთ დროზე!**

რაც შეეხება ქალების უცხოელებზე გათხოვებას – გვითხრეს, რომ თურქებს აღარ ვაძლევთ ჩვენს ქალებსაო.ცუდათ იხსენიებენ მათ და ამბობენ, რისთვის უნდა მივცეთ ჩვენი ქალი, როცა არაფრით არ გვჯობნიან, არც საქმით და არც ფულითო. უწინ სხვა იყო, ძალა ჰქონდათ და გვართმევდენო; ყველაზე კარგად ისევ **ჩერქეზებთან** არიან, მაგრამ უწუნებენ ერთ რამეს–**ქურდობას**. **ამ სიტყვის ხსენებაზე, მომაგონდა ჩვენებური მეგრელები და ვკითხე**: ლაზები ხომ არ არიან ქურდები მეთქი? არაო,–იყო სწრაფი პასუხი! **ჭანები თავისდღეში მაგისთანა საქმეს არ იკადრებენ, პირიქით საუკეთესო მოსაქმე და მოხერხებული ვაჭრებიაო. ერთ რამეს ჭანებსაც უწუნებენ–ფულის მოგება უყვარსთ და ხარჯვა კი არაო. გურჯებმა მოგებაც ვიცით და ხარჯვაც გვიყვარსო.** ეს დახასიათება სწორია, რადგან მეც შევამჩნიე.

საზოგადოდ, უნდა სიამოვნებით აღვნიშნოთ, რომ სოფლად მცხოვრები ქართველობა საკმაოდ მისდევს აღებ-მიცემობას, წინააღმდეგ კონსტანტინეპოლის ქართველებისა, რომელთა რიცხვი ძალიან დიდია და **რომელნიც ვაჭრობას ისე გაურბიან, როგორც ურია ღორის ხორცს**.

რაც შეეხება მათს გარეგნობას–ტანთ-საცმელს, არ არის მთლად ქართული ,თუმცა არა მთლად თურქულია; ხურავთ ხშირად ყაბალახი და შალვარიც ჩაქურული-ჭანური აქვსთ; დანარჩენი ევროპიული შემოუღიათ, ადათ-ჩვეულებებში მრავალი ქრისტიანულ-ქართულია. მაგალითად, მრავალცოლიანობა არ არის; მეორეს ირთავენ მხოლოდ იმ შემთხვევაში, როცა პირველს შვილი არ მიეცემა. უშვილობა მათთვის დიდი ცოდვაა და ამ შემთხვევისთვის არ ეძრახვისთ ასეთი საქციელი. როგორც მოგეხსენებათ, თურქები მეტნაწილად მარტო სიამოვ-ნებისთვის ირთავენ ცოლს და ისიც რამდენიმეს. თურქებისთვის ნათესაობა შორს არ მიდის: დედ-მამა და დები, დანარჩენნი ნათესაობათ არ ითვლებიან და ამიტომ ბიძაშვილები –ქალი და კაცი ერთმანეთს ვერ ნახვენ. ჩვენებში კი არამც თუ ბიძაშვილი, ბევრგან „სახლის კაცობაც“ კი შეუნახავთ.

ბორჩხაში, მაგალითად, არიან ერთი გვარის მოსახლენი: ქერაბაძე–20, მინაძე–15, მისლაძე 10, დარბაიძე–10, ნავინაძე–60. ესენი თავის გვარის კაცს ქალს არ მიათხოვებენ. ოჯახები ძალიან დიდებია; რამდენიმე ცოლ-შვილიანი ძმა ერთად ცხოვრობს, რაც თურქებში შეუძლებელია. თვით ქალების მდგომარეობაზე ვერას ვიტყვი, რადგან საშუალება არ არის მათის გაცნობისა

და იმის მეტს ვერას შეამჩნევთ, რასაც საზოგადოდ მაჰმადიანებში. შრომით კი შრომობენ, როგორც ოჯახში, ისე ტყესა და ყანებში.

რასაც მოგახსენებთ, ყოველივე უცბად ნახული ან გაგონილია. დიდხანს რომ ვინმემ იცხოვროს მათ შორის, მრავალ საყურადღებო ცნობებს შეაგროვებს. **არის მრავალი თქმულე-ბანი, ლექსები** და სხვა, მაგრამ ჩვენ იმდენი დრო არა გვქონდა. თუ კიდევ მოვახერხეთ წამოსვლა უფრო მეტის ხნით, მაშინ შეიძლება უფრო დაწვრილებით ავწეროთ.

უმთავრესი მიზანი ჩვენის მოგზაურობისა იყო შემდეგი: გაცნობა ქართულ სოფლებისა და გამორკვევა, თუ რამდენად შესაძლებელია ქართულ-თურქულ სასწავლებლების დაარსება.

შთაბეჭდილება კარგი მივიღეთ. სწავლა ძალიან ჰსურთ და დიდადაც აფასებენ. დედა-ენის სიყვარულიც საკმაოდ აქვთ. ნივთიერი მდგომარეობაც საიმედოა. ადვილად შეუძლიათ კარგი სასწავლებლების შენახვა.

აუცილებლად საჭიროა მათთვის ჯერ დაბალი სასწავლებლები და შემდეგ საშუალო,-სამეურნეო. ყოველივეს მეთაური უნდა! ვნახოთ როგორი იქნება ჩვენი მომავალი განმანათლე-ბელი საზოგადოება! განსაკუთრებული ძალიან ბევრია და გარეშე დაბრკოლებანიც არც ისე თვალსაჩინოა.

აქვე მოგვყავს სოფლელთა სახელები და რიცხვი იქ მცხოვრებ გურჯ-ჭანთა*.

საბანჯა–160	იჯადიე–20
ჩუბულკი–80	ნემეთიე–15
აჰმედიე–60	ხესენიე–50
მაჰმუდიე–60	შეილიკი–50
აბაზქეი–20	ჩურუჯ–ბაი–30
დერბენდი–50	მემურიე–30
შირინსულხია–60	ფერადიე–20
შეისულიე–80	დაშემე–60
თათარ–ქეი–40	ასარ–ქეი–10
ბალაბა–30	თათარქეი–30
ჩეფნე–100	ბორჩხა–130
თელინ–კუნდუ–40	უმნიე–10
ყაზანდერე–30	ჩერქეზ–ქეი–20
სერვეთიე–50	ლუთფიე–30
აღსაღირი–20	სოფიე–25
დაღინ–ლუღი–60	ბაშქირე–30
იენი–მეჰელე–50	ახმედიე–40
შევქეთიე–15	ჩატალტაში–20

* კონსტანტინეპოლის ქართველები (იგულისხმება მაჰმადიანები), სამსახურის ხალხია; განსაკუთრებით: სამხედრო, საპოლიციო, საადმინისტრაციო და სხვ. განათლებას კი საკმაოდ მისდევენ და მათ წრიდან მრავალი განათლებული ქართველი მოღვაწეობს ოსმალეთის საკეთილდღეოდ.

თურქეთში გვარი არ არსებობს, იციან მხოლოდ სახელი და მამის სახელი, რომელთანაც მიუმატებენ სხვადასხვა ხარისხის გამომხატველ სიტყვებს.

რამდენადაც ამ კვირისათვის ვერ მოვასწარით დამზადება, მომავალ კვირას დამატებაში მოვათავსებთ ოსმა-ლეთის ქართველთა სოფლების რუქას, რომელიც პატივცემულმა ჩიქოვანმა მოგვაწოდა (რედ.).

ალაჩანი–40
ბადკაია–34
ბიჩქიდირე–50
გულდიბი–50
დიბეგტაში–9–
თეზიე–30
ალმიე–30
ირშადიე–50
მემნუნიე–90
ნაიდიე–120
პაწა–ყამიდიე–40
სუნიე–50
სალამიე–50
ულვიე–50
ურიჩესმე–30
შეჰრეთიე–45
შუქრიე–40
ჰახი მერჯანიე–60

სულ 2524 კომლია. კომლზე რვა სული რომ ვიანგარიშოთ 8X2524=20,192 სული.

დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო გაზეთი“, 1912 წ. N612. ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

დავით ჩიქოვანი

ოსმალეთის საქართველო

საჭირო იყო მეტი ყურადღების მიქცევა სამაჰმადიანო საქართველოსთვის, საჭირო იყო შეგვესწავლა მათი მოსახლეობა, დაახლოვებითი რაოდენობა, მათი კულტურულ-ეკონომიური და ეროვნული მდგომარეობა, მათი მისწრაფება და ის ნიადაგი, რაზედაც ჩვენ შეგვეძლო დაგვემყარებინა ქართულ კულტურის გავრცელების საქმე ქართველ მაჰმადიანთა შორის.

ჩვენდა სამწუხაროდ, დღევანდელმა რთულმა მომენტმა ისეთ დროს გვისწრო, როდესაც რიგიანი წარმოდგენა არა გვაქვს, საზოგადოდ, ოსმალეთზე და კერძოთ, ქართველ მაჰმადიანებზე. ქართველ ინტელიგენტ პოლიტიკურ მოღვაწეს ხელები შეკრული აქვს იმსჯელოს ისეთ რამეებზე, რაც ცოტაოდენ ცოდნას მოითხოვს ოსმალეთის და ქართველ მაჰმადიანთა ვითარებისას. ეს მეტად სამწუხარო ფაქტია და გვმართებს ამ გარემოების არ დავიწყება და მსჯელობის დროს მხედველობაში მიღება.

პრესაში ეხლა ხშირად ლაპარაკობენ ლაზისტანის შემოერთებაზე, რითაც თითქოს სწყდება ქართველ მაჰმადიანთა ბედი.

ყველამ იცის, რომ მცირე აზიის ჩრდილოეთი მხარე, შავი ზღვის პირას მდებარე, მრავლად არის დასახლებული ქართველთა მოდგმით. ერთ დროს დიდებული პონტოს სამეფო, რომელიც დღეს მარტო ტრაპიზონის ვილაეთისაგან შესდგება, მეტ წილად დასახლებულია მეგრულად მოლაპარაკე ჭან-ლაზებით და ბუნებრივი გაგრძელებაა ბათომის ოლქისა. ამათში შენახულია ქართული დიალექტი, სახე, მრავალი ადათები–საჭმელ-სასმელი-ტანისამოსი და სხვა. მოსახლეობა ძველია, უფრო ძველი, ვიდრე დღევანდელი ჩვენი საქართველო.

ისიც ვიცით, რომ ჭანეთი XV საუკუნის დამლევამდე საქრისტიანო ქვეყანა იყო და ექვემდებარებოდა ტრაპიზონის იმპერიის ბერძენთა მეფეს.

სულთან მეჰმედ-ფათიჰი (გამარჯვებული) ძლიერი იყო. მან **1453 წელს აიღო კონსტანტინეპოლი**, რასაც მალე მოჰყვა ტრაპიზონის იმპერიის დაპყრობაც; ამის შემდეგ გაამაჰმადიანეს მთელი ჭანეთი, ბათომის მხარე და ძველი ზემოქართლის ზოგიერთი პროვინციები.

მას შემდეგ ეს მხარე სრულიად მოწყდა საქართველოს კულტურულ გავლენას და არავითარი მონაწილეობა არ მიუღია ქართველ თემების იმ კულტურულ გაერთიანებაში, რაც მას შემდეგ მოხდა ჩვენს სამშობლოში. ეს ჩამოშორება განსაკუთრებით თვალსაჩინო გახდა მას შემდეგ, რაც საქართველო რუსეთს შეუერთდა. რამდენადაც ქრისტიანული საქართველოს თემები კულტურულად დაახლოვდნენ საქართველოს რუსეთთან შეერთების შემდეგ–იმდენად დღევანდელი საქართველო სრულიად მოსწყდა მაჰმადიან საქართველოს და მისი არსებობის რიგიანი წარმოდგენაც კი არ დაგვრჩა.

ქართველ მაჰმადიანთა რიცხვი ერთ მილიონამდეა და შეადგენს მესამედს საქართველოს ბუნებრივ სხეულისას.

მაჰმადიანი ქართველობა, მართალია, ჩვენს კულტურას მოსწყდა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, ოსმალნი იმდენად სუსტნი აღმოჩნდნენ კულტურულად და ეროვნულის თვითშემოქმედებით, რომ ქართველობას მხოლოდ სარწმუნოება გამოუცვალეს.

კულტურულად ქართველობა ჯერ არ გაოსმალებულა; მას დროებით აქვს დახშობილი ეროვნული თვითშემეცნება და ეროვნულ პიროვნების გამორკვევა.

ამიტომაც მგონია, რომ, ქართველი მაჰმადიანობა ეროვნულად შეფერხებულია და არა გადაგვარებული!

ოსმალეთში, ოსმალური კულტურული მუშაობა რომ ყოფილიყო, ქართველი მაჰმადიანობა თავის ეროვნულ პიროვნებას გამოარკვევდა: ან მთლად გაოსმალდებოდა, ან ქართულ კულტურით შეიმოსებოდა და დღეს შეგნებული მოყმე ქართველები გვეყოლებოდნენ, მაგრამ ოსმალეთში საკუთარი კულტურა თითქმის არ ყოფილა. იქ, უცხო: ფრანგულს, გერმანულს და ინგლისურს კულტურას მეტი თუ არა–ნაკლები ადგილი არ ჰქონდა დათმობილი და **ამიტომაც ქართველი მაჰმადიანობა ვერ გაოსმალდა.** მისი ეროვნული პიროვნება გამოურკვეველი დარჩა და მხოლოდ ახალ წეს-წყობილებამ, **განსაკუთრებით 1909 წლიდან ქართველ მაჰმადიანებს კითხვა გარკვევით დაუსვა**: სურს გაოსმალოება თუ განახლება მამა-პაპათა ქართულ კულტურისა?

ამ კითხვაზე ქართველმა მაჰმადიანობამ უკანასკნელ 5 წლის განმავლობაში გვიპასუხა იმით, რომ **მათ ჰსურთ გადანერგვა ქართული კულტურისა.** მართალია, მათი პასუხები არ იყო ძლიერი, მაგრამ ამას მრავალი მიზეზები აქვს და ჩვენ, ამ მიზეზთა არ მცოდნეთ, არა გვაქვს უფლება ვუსაყვედუროთ ჩვენ მოძმე ლაზ-გურჯებს.

ამ ხუთი წლის განმავლობაში შეიძლება თვალსაჩინო არა მომხდარიყოს–რა ქართველ მაჰმადიანთა შორის, მაგრამ, ყოველ შემთხვევაში, ყურადღების ღირსია ის გარემოება, რომ 1912 წელს, როცა მათ შემთხვევა ჰქონდათ ჩვენთან ერთად ემუშავნათ ქართულ კულტურის გადასატანათ, უარი არ უთქვამთ და გულწრფელად მონდომებულნი იყვნენ რაიმე გაეკეთებინათ.

ამისათვის **დაარსეს ქართველთა დამხმარე საზოგადოება** (ოსმალურად გურჯი თააუნ ჯემიეთ), რომლის **დედა-აზრი იყო ქართულ წერა-კითხვის გავრცელება** და სოფლების დაარსება ქართველ მაჰმადიანთათვის, როგორც სტამბულში ისე პროვინციებში.

მათ სკოლას უნდა მიეცა აღზრდა **ქართულ-ოსმალურ-ფრანგული**, რაც მიზან-შეწონილი იყო ადგილობრივ ყოფა-ცხოვრებასთან. ამ მიზნისთვის მუშაობდნენ სტამბოლში ცნობილი ქართველები: ოსმალეთის სენატის წევრი **ანჩიძე** (სახელი არ მახსოვს), შაქირ ფაშა (გვარი არ მახსოვს) საბით-ბეგ-**შავარდნაძე**, ადიუტანტი ყოფილ საზღვაო მინისტრის **მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძისა,** საბეითლო ინსტიტუტის დირექტორი და ბევრი სხვანიც, რომელთა სახელი და გვარი აღარ მახსოვს.

თავმჯდომარეობა მიიღო ქართველ მაჰმადიანთა შორის დიდად პატივცემულმა პირმა, სამსახურს გარედ მყოფმა გენერალმა **ბაჰრი-ფაშა თავდგირიძემ.** კრებებზე დიდის ხალისით მოდიოდნენ და ბევრი საინტერესო სიტყვებიც გვსმენია მათგან.

ის იყო ახლათ დაარსებულ საზოგადოებას უნდა სახსარი გამოენახა და მოქმედება დაეწყო, რომ **ალბანელებმა აჯანყება დაიწყეს,** მას მოჰყვა **ომი იტალიასთან,** შემდეგ **ბალკანეთის ომი** და დღეს კიდევ ხომ ყველანი განვიცდით იმ ქარცეცხლს, რომელშიაც ოსმალეთიც იღებს მონაწილეობას. ოსმალეთს გამუდმებით ომები აქვს, იქ ქრონიკულად არის ომი და მშვიდობიან კულტურულ მუშაობას დიდად აფერხებს. ქართველ დამხმარე საზოგადოებას სურდა, უპირველეს ყოვლისა, სასწავლებელი **სტამბოლში** გაეხსნა, სადაც მიიღებდნენ განათლებას საშუალო და მაღალ წრის ქართველები ოსმალურ–ქართულ–ფრანგულად.

ეს მათი დიდი სურვილი ზემოდ დასახელებულმა მიზეზებმა და იმანაც, რომ ჩვენები აღარ ხელმძღვანელობდნენ, საქმე გადაიდო, ხოლო ამ ბოლო დროს სკოლის საკითხი კვლავ დაისვა და სანუგეშო ნაბიჯებიც იყო გადადგმული, როდესაც საშინელი ომი დაიწყო.

ქართველი მაჰმადიანობა ბუნებრივ მოსახლეობის თვალსაზრისით ორ ნაწილად განიყოფიან.

დიდი ნაწილი **ლაზებისა და გურჯებისა** მოსახლეობენ, როგორც ზემოდაც ვსთქვით, მამაპაპეულ მიწა-წყალზე, ეგრედ წოდებულ **აჭარა-ქობულეთ-ლაზისტანში**, სადაც ირიცხებიან 800-900 ათას სულამდე. მეორე ნაწილი მოსახლეობს სამშობლოს გარე–აზიის დასავლეთის ნაწილში: **ბრუსის ვილაიეთში, ისმითის სანჯაკში და თვით ქ. სტამბოლში**, რომელთა რიცხვი 100 ათასზე ნაკლები არ იქნება.

(დავით ჩიქოვანის სტატიები იწერებოდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში. ამიტომაც ხელნაწერის მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტები იქვეა დაცული. ეს ბოლო სტატიაც დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო ფურცელი“, 1914 წელი, N163. გაზეთის ნომრებიც იქვეა შემონახული).

შალვა ვარდიძე

სამძიმრის წერილი

ჟურნალ-გაზეთებმა გვიან გვაცნობეს ფრიად სამწუხარო ამბავი ალ. ხახანაშვალის მოულოდნელ გარდაცვალებისა. ამ ძვირფას და დაუღალავ მამულისშვილის დაკარგვას უღრმესი მწუხარება გამოიწვია, არა მარტო აქაურ ქართველ მოსწავლე ყმაწვილთა შორის, არამედ თვით მთელ სტამბოლის ქართველ საზოგადოებაში.

მთელ აქაურ ქართველ კათოლიკეთა სახელით, განსვენებულის ჭირისუფლებს, წრფელის გულით მივუსამძიმრებ.

სტამბოლი, ფერი-ქოი; სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი.

(სამძიმრის წერილის ხელნაწერი დაცულია მონასტრის არქივში. ალექსანდრე ხახანაშვილი რამდენჯერმე სტუმრებია სტამბოლის ქართულ სავანეს, როცა იგი საზღვარგარეთ არსებული ქართული კულტურის ცენტრების მოსანახულებლად მგზავრობდა. იგი ერთ-ერთი ქომაგი იყო ქართველი კათოლიკებისა. ამიტომაც სავანის სასულიერო საზოგადოებამ გულთან მიიტანა მისი გარდაცვალება.

სტამბოლიდან გაგზავნილი, ზემოთ მოცემული სამძიმრის წერილი დაბეჭდილია გაზეთში „სახალზო გაზეთი“ (იხ. N688, 1912 წელი).

გრიგოლ ყიფშიძე

მღვდელი მიქელ თამარაშვილი

(1858-1911)

შარშან ზაფხულს მოულოდნელად და ტრაგიკულად გამოესალმა წუთი-სოფელს ჩვენი თანამემამულე და მხნე მკვლევარი საქართველოს წარსულის ცხოვრებისა, ისტორიკოსი მამა მიქელ თამარაშვილი. მამა მიქელი კათოლიკე იყო სარწმუნოებით, რომში იღწვოდა ბოლოს სამეცნიერო საისტორიო ღვაწლითა. ზაფხულის აუტანელ სიცხის გამო აგარაკად გასული, რომს ახლოს სცხოვრობდა **სანთა-მარინელას** დაბაში. მასთან იყო მისი განუყრელი მეგობარი მღვ. ავგუსტე. 2 სეკდემბერს ზღვის პირად ბანაობდნენ მოძღვარნი თავის შეგირდებითურთ. უცბად ამინდი შეიცვალა, ზღვამ ღელვა დაიწყო და ზვირთს ზვირთზედ ისროდა. ამ დროს გაისმა ხმა განწირულებისა, შველის ძახილისა. ცხადი იყო, ვიღაც ზღვაში მობანავეთაგანი იღრჩობოდა. მოძღვარნი აღელდნენ, შეეშინდათ, ჩვენი შეგირდი ხომ არ არისო. უცებ მოისაკ-ლისეს ერთი **რომაელი ხელოსანი**, სახელად გაბრიელი, რომელიც წუთის წინად მათთან ერთად იყო. ის თურმე იღრჩობოდა, ის ჩაეხვია აღელვებულ ზღვის ზვირთებს და განწირულის ხმით იხვეწებოდა შველას. მამა ავგუსტეს გულმა ვერ მოუთმინა და გადავარდა გაშმაგებულ ზღვაში მოყვასის საშველად. მაგრამ, როცა იმასაც გაუჭირდა, მამა მიქელიც აღიძრა სიბრალულის გრძნობით და გადაეშველა მეგობარს. ამ დროს მენავენიც გაჩდნენ, მაგრამ გვიანღა იყო. ორივე მოძღვარი ემსხვერპლა შეუბრალებელ სტიქიონს. გადარჩა სიკვდილს მენავეთა წყალობით მხოლოდ ხელოსანი გაბრიელ.

ასე გასწირა თავი კაცთ-მოყვარებისა, მეგობრობისა და სიბრალულის გრძნობით გატაცე-ბულმა მამა მიქელ თამარაშვილმა და მით მწუხარებით აავსო ჩვენი ერი, ის შეგნებული მისი ნაწილი, რომელსაც კარგად ესმის, რაოდენ მცირეა ჩვენში რიცხვი მცოდნე და მეცნიერ კაცთა, საზოგადოდ, და ისტორიისა და წარსულის ბეჯითად მკვლევართა, კერძოდ, და, მაშასადამე, რაოდენ ძნელია უდროოდ დაკარგვა ასეთის მუშაკისა. ერთად-ერთი ნუგეში მისთა თანამემა-მულეთათვის ამ სამწუხარო გარემოებათა შორის ის-ღა იყო მხოლოდ, რომ მამა თამარაშვილმა გამოიჩინა დიდებული გრძნობა კაცთ-მოყვარეობისა და თავი დასდო მოყვასისათვის; რომ არც მღვდელის სამოსელმა, არც ძველის-ძველ ამბების მკვლევარობამა და მტვრიან არქივებში ჩხრეკა-ძიებამ არ გამოფიტა მისი ზნეობრივი არსება, **არ დაშრიტა მის გულში წყარო მადლია-ნობისა და ადამიანური სიბრალულისა,** როგორც უმეცრებით ჰგონებენ ამას ზოგიერთნი, არამედ **ასე ბრწყინვალედ, ასე გმირულად შეასრულა მან მოვალეობა ადამიანისა, მოძღვრება ქრისტესი და ანდერძი მამა-პაპათა.**

მიქელ თამარაშვილი (ერის კაცობაში**ალექსანდრე**) დაიბადა 1858 წელს ახალ-ციხეში. ძმები და დები საკმაოდ ჰყვანდნენ, ხოლო დედ-მამა ღარიბნი, მაგრამ პატიოსანნი და კეთილნი მეოჯახენი იყვნენ. პირველ-დასაწყის სწავლა მიქელმა მიიღო სამრევლო სკოლაში აწ განსვე-ნებულ და ცნობილ მამა **იოანე მესხისაგან (გვარამაძე).** სწავლამ ახალგაზრდა მიქელი ძალიან გაიტაცა, ხოლო ეკკლესიაში სიარულმა, წირვა-ლოცვის მოსმენამ და საღმთო წერილის გაცნობამ, აღაგზნო მის გულში ღვთის-მოყვარეობა და დიდი სურვილი კეთილისა, ღვთის სათნო ყოფა-ქცევისა. სამწუხაროდ, მიქელს მამა ადრე მოუკვდა, ჯერ როცა 15 წლის იყო, და ობლობამ აიძულა ხელობას რასმე დასდგომოდა. თავის ძმით–გრიგოლით ქუთაისს გადავიდა

უფროსს ძმა სოლომონთან და ეწეოდა თავის ხელობას. შემდეგ ეს ორნი ძმანი კვლავ ქართლში დაბრუნდნენ, **ხაშურში გამართეს სახელოსნო ფეხსაცმელების კერვისა** და ისე კარგად აწარმოვეს თავისი საქმე, რომ მცირეოდენი თანხაც გაიჩინეს. ამ თანხით დაბრუნდნენ ახალციხეს და ახლა აქ განაგრძეს კეთილი და პატიოსანი მუშაკობა.

წიგნების კითხვას, ხშირად ლოცვას და ღვთის ვედრებას უფრო მეტის გულ-მხურვალებით ეძლეოდა თანდათან ახალგაზრდა მიქელი, მოშორებული ყოველგვარ გართობასა და დროს ამაოდ კარგვას ტოლ-ამხანაგებში. ბოლოს გადასწყვიტა ბერად აღკვეცა და მიტოვება მსოფლიო ზრუნვისა. ძმამ დაუშალა, მაგრამ დაშლა ძმისა არ შეისმინა. როგორც იყო, მოახერხა **კონსტანტინეპოლს** მისვლა 1878 წ., უკვე ოცის წლისამ და იქაურ ქართველ კათოლიკეთა მონასტრის დამაარსებელ მღვ. **პეტრე ხარისჭარაშვილს** მიჰმართა.

მამა პეტრემ შეიწყნარა ახალგაზრდა კაცი, მიიღო მოსწავლედ და ყურადღებითა და მზრუნველობით მფარველობდა. ბერად აღკვეცილი მიქელ ახალ კაცად გარდაიქმნა, სულიერად დამშვიდდა, რაკი ნატვრა თავისი აისრულა და გაორკეცებულის მხნეობით შეუდგა სწავლას: სწავლობდა ქართულს, ლათინურს, ფრანგულს. მალე სხვებთან ერთად წარიგზავნა საბერმონაზვნო მოღვაწეობაში განსავითარებლად **ესპანიას**. იქ მიქელმა დაჰყო ორს წელიწადს. შემდეგ უკან **დაბრუნდა კონსტანტინეპოლს დედა-მონასტერში და აქ მიქელ მღვდლად აკურთხეს.** მღვდლად კურთხევამ კიდეც გაახარა მიქელი და თან დააღონა კიდეც. ჭეშმარიტის მღვდლობის მტვირთველს დიდი მომზადება და სწავლა ეჭირვება. მიქელმა და მისმა ამხანაგმა მღვ. **იოსებ მერაბმა** ბევრი სთხოვეს მამა ხარისჭარაშვილს, გაგვგზავნე საფრანგეთს სწავლის განსაგრძობადაო. ბევრის თხოვნისა და მუდარის შემდეგ აუსრულდა თხოვნა მიქელს და გასტუმრებულ იქმნა პარიჟს, საცა განთქმულ **წმ. ლაზარეს სასულიერო სასწავლებელში** იქმნა მიღებული. აქედან მალე ისევ კონსტანტინეპოლში დააბრუნეს, ხოლო იქედან საქართველოში გადმოვიდა.

მაშინ ქართველ კათოლიკეთა მდგომარეობა საქართველოში ვერ იყო სასურველ ყოფაში და მიქელ თამარაშვილს გულითა და სულით სწყუროდა სამსახური თვისთა თანამორწმუნეთა სასარგებლოდ, მაგრამ აქ ამ დროს კათოლიკეთა სასულიერო უწყების უფროსად იყო **პრელატი ორლოვსკი,** რომელმაც მალე შეატყო ახალგაზრდა ბერს, რა აზრების მიმდევარიც იყო და ან რა **მამულიშვილური გრძნობა** უღვიოდა გულში. ამიტომ არავითარი გზა არ მისცა და არაფრით ხელი არ აღუპყრა. მალე გამოუცხადეს კიდეც, ტფილისი უნდა დასტოვოო. მეტი რა ღონე იყო; მამა მიქელმა ისევ ახალციხეს მიაშურა; აქ დაუფიქრდა, როგორც თავის გარემოებას, ისე ქართველ კათოლიკეთა შევიწროების საქმეს და მიხვდა, რომ რაღაც მანქანებით უნდათ **მოსპონ ქართველი კათოლიკობა,** გააქრონ მათი ვინაობა, უარჰყონ საზოგადოდ არსებობა ქართველ კათოლიკობისა. ამ გარემოებამ მეტად დააღონა მამა მიქელი და აიძულა ღრმად ჩაეხედნა თავისს გულსა და გონებაში, აეწონ-დაეწონა თავისი ძალ-ღონე, მომზადება, სამეცნიერო ავლა-დიდება. მამა მიქელი მიხვდა, რომ ბრძოლა იყო საჭირო, ბრძოლა მედგარი, მაგრამ თან მეცნიერული, დამყარებული საბუთებზედ, კვლევა-ძიებაზედ.

მამა მიქელმა გადასწყვიტა კვლავ ევროპაში წასვლა და უკეთ მომზადება, უკეთ შეიარაღება სამეცნიერო აბჯარ-საჭურველითა. თქმა ადვილია, საქმე კი ძნელია, უფულოდ, უსაღსროდ, უცხო ქვეყანაში უცხო კაცს რითი რა უნდა მოეხერხებინა?მაგრამ მამა მიქელისთვის დაბრკოლება არ არსებობდა. მან გმირულად სძლია ყოველს დაბრკოლებას, შეუდგა კვლავ

სწავლას; საზოგადო სწავლაში საკმაოდ დახელოვნებულმა, ფილოსოფიაში უკვე გაწვრთნილ-მა, საღვთის-მეტყველო საგნებს მიაპყრო ყურადღება და იმდენად წარმატებით შეიგნო ეს მეცნიერება, **რომ ღვთის-მეტყველებაში დოქტორის-ხარისხით** იქმნა დაჯილდოვებული. მალე, ესე იგი **1891** წელს, დაიბეჭდა მისი საკმაოდ ვრცელი წერილიცა ერთს ფრანგულს გაზეთში კათოლიკეთა შევიწროებაზედ საქართველოში. ამ წერილმა დიდი ყურადღება მიიქცია ევროპისა, რომელმაც ახლა გაიგო პირველად, რომ არსებობასაც კი უარ-ჰყოფდნენ საქართ-ველოში ქართველ კათოლიკებისას. ვინც არიან, ისინი **ქართველი კათოლიკენი კი არ არიან, სომხის კათოლიკენი არიანო, სომხის ეროვნებისანიო.** რასაკვირველია, უარის მყოფელთ პირის დასაყოფად გაზეთში დაბეჭდილი წერილი არ კმაროდა, საჭირო იყო საბუთები, მრავლად საბუთები და კიდევ საბუთები, საბუთები ისტორიული უეჭველი, ბრმათ თვალის ამხილველი. და აი, აქედან იწყება მამა მიქელის თავ-გამოდებული, თავგანწირული სამეცნიერო მოღვაწეობა ყოვლად ძნელსა და აუტანელს გარემოებაში.

მამა მიქელმა უსაღსროდ, სიღარიბითა და გაჭირვებით მოვლო ევროპის ცენტრები, გაიცნო არქივები ვათიკანისა, პროპაგანდისა, კაპუცინებისა და სხვათა საისტორიო საუნჯენი, შეუდგა შრომას, მასალის მოგროვებას, სისტემატიზაციას და ამ შრომის ნაყოფი იყო შესანიშ-ნავი მისი წიგნი: **„ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“.** ეს წიგნი დიდი ზომისაა, 420 ფურცელი და შეიცავს აუარებელს საისტორიო მასალას. ამ წიგნში მოთავსებულ მასალისა და საბუთების წყალობით, ნათლად ჰხედავთ, რა მდგომარეობაში იყო საქართველო და რა ჭირსა და უბედურებას განიცდიდა მეცამეტე საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტემდე. მიწერ-მოწერა სხვა და სხვა კათოლიკე მისიონერთა და რომისა, რომისა და საქართველოს მეფე-კათალიკოსთა, მთავართა წარჩინებულთა კაცთა, მოთავსებული ამ წიგნში, ცხადად ჰმოწმობს, რა ყოფაში იყო, ქართველ კათოლიკეთა გარდა, თვით საქართველოს ცხოვრებაც. ეს ძვირფასი წიგნი სახელოვანმა მამულიშვილმა და დიდმა ქველმოქმედმა ნეტარ-ხსენებულმა **სტეფანე ზუბალაშვილმა** დაჰბეჭდა თავის ხარჯით **1903 წელს.**

მეორე საინტერესო, თუმცა არა იმდენად ძვირფასი, თხზულება მამა მიქელისა იყო „**პასუხად სომხის მწერლებს,** რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას“. ეს წიგნი დაიბეჭდა **1904** წელს და დიდი აურ-ზაური ასტეხა, მაგრამ არა ისე ჩვენში, როგორც ევროპაში. წიგნის წინააღმდეგ ამხედრდენ მეტად მეხითარისტები ვენეტიკისა. აქამდე გამწვავდა საქმე, რომ პაპმა პასუხის საგებად მიიწვია ავტორი, რომელმაც ყოველივე ბრალდება თავიდან აიყარა. დავა-საჩივარი მის სასარგებლოდ გათავდა და, დასჯის მაგიერ, მამა მიქელმა მოიპოვა პატივის-ცემა და მფარველობა **პაპი პიოსი რომის წმიდა ტახტისა**. მალე ამ ორ შრომას მოჰყვა მესამე, ფრანგულად დაწერილი, ისიც ფრიად საინტერესო, მრავალის შესანიშნავის მხატვრო-ბითა და სურათით შემკული: **"ისტორია საქართველოს ეკლესიისა",** ევროპამ ახლა უფრო სცქვიტა ყურები და დიდის ცნობისმოყვარეობითა და ინტერესით მიეგება, რადგან ფრანგული ყველგან კარგად იციან იქ, მეტადრე მეცნიერთა და მკლევართა. ეს წიგნი **დაიბეჭდა 1910 წელს**, საკმაოდ მოზდილია, in octavo და შეიცავს 700 გვერდს. მოკლე ხანში 50-ზედ მეტი რეცენზია დაიბეჭდა ამ წიგნის მესაქებ-შესამკობლად ევროპის ჟურნალ-გაზეთებში. უმთავრესი აზრი ამ რეცენზიებისა ის იყო, რომ ეს წიგნი **"ახალი ისტორიული განცხადება და აღმოჩენაა".** მრავალი მოლოცვის წერილი მიუვიდა ავტორს, **ხოლო პაპმა პიო მე-X-მ,რომის კარდინალის**

მერი დელ ვალის პირით, შეუთვალა **სამოციქულო კურთხევა,** "როგორც ჯილდო თქვენთვის მაგ შრომისათვისაო", სწერდა განსვენებულს მიქელ თამარაშვილს კარდინალი.

ასე ცხოვრობდა და მოღვაწეობდა მღვდელი მიქელ თამარაშვილი სასარგებლოდ ქვეყნისა და მეცნიერებისა და სწორედ იმ დროს, როდესაც სახელი მისი გაითქვა, როდესაც გონება მისი უაღრესად დაბრძენდა, საბუთები და მასალა აუარებელი მოუგროვდა ახალ-ახალ გამოკვლევათათვის, ჯერ ისევ ჯან-ღონით სავსეს, სწორედ მაშინ გვიმუხთლა ბედმა და განრისხებულმა სტიქიონმა გააქრო ჩვენთვის ესეოდენ ძვირფასი სიცოხლე ჩვემი წარსულის მკვლევარისა.

საუკუნოდ იყოს ხსენება მისი!

ხელნაწერი ინახება სტამბოლის ქართული სავანის არქივში. დაბეჭდილია წიგნში „ძველი საქართველო“, ტ. II, გვ. 1-8; 1911-1913 წ.

გიორგი წერეთელი

† პატრი დონ დიმიტრი თუმანიშვილი

ამ დღეებში საქართველოს გამოაკლდა ერთი შესანიშნავი ქართველი თავის ქველმოქმედებით და მოღვაწეობით. პატრი დონ დიმიტრი მიიცვალა ოდესას. ის იყო შვილი თავადის **მიხაილ თუმანიშვილისა,** რომელიც ერთ დროს ხანგრძლივათ ქუთაისის გუბერნიის მოსამართლის თანამდებობას ასრულებდა. იმერეთში დღესაც მისი სახელი პატივისცემით იხსენება, როგორც მიუდგომელი მოსამართლისა და თავის ერის მოყვარული. მისი შვილი დიმიტრი დაიბადა ქუთაისს 1842 წელს და სწავლობდა ქუთაისის ღიმნაზიაში. ის ყმაწვილობიდანვე იჩენდა სარწმუნოებისადმი და ღვთის მმოსავობისადმი მიდრეკილებას. ჯერ კიდევ ნორჩი იყო, რომ სახლობაში განაცხადა: –მე პატრათ უნდა წავიდეო. დედ-მამა თითქოს ეწინააღმდეგებოდა მის განზრახვას, მაგრამ ამ ყმაწვილს, ალბათ, დაბადებიდან ჰქონდა ღვთის-მმოსავობის ნიჭი თანდაყოლილი. ხშირათ თამაშობის დროს წამოისხამდა ზეწარს და ეტყოდა დედას: – მე ახლა ღვთის მსახურება უნდა დავიწყო და თქვენ მომისმინეთო. ქუთაისის გიმნაზიის პანსიონში დიმიტრი ჩემთან ერთათ ცხოვრობდა. ის მესამე კლასის მოწაფე იყო და მე მეოთხესი. ერთ ღამეს საშინელი ჭექა-ქუხილი ატყდა. ჩვენ უკვე დაწოლილი ვიყავით. უეცრათ გავარდა მეხი და მრავალი მოწაფეები ლოგინებიდან ძირს ჩამოვარდენ. დიმიტრიმ წამოიძახა: –ვაი, თუ ეს მეხი ჩვენს ეზოში გავარდაო“. იმან დაიჩოქა თავის ლოგინზე, აღაპყრო ხელები და ჩუმათ ლოცულობდა: – „ღმერთო, ჩემ დედ-მამის სახლს ააშორე შენი რისხვაო“. მეორე დღეს, მართლაც, გავიგეთ, რომ მიხაილ თუმანიშვილის ბაღში დაცემოდა მეხი ერთ ხეს და შუაში გაეპო.

დიმიტრი მეხუთე კლასში რომ გადვიდა, გამოვიდა ღიმნაზიიდან და წავიდა სარატოვს კათოლიკის სასულიერო სემინარიაში სასწავლებლათ. იქიდან გაემგზავრა რომს და დაასრულა სწავლა რომის კათოლიკების პროპაგანდის შკოლაში. დონ დიმიტრი დაბრუნდა ნაკურთხი პატრათ ქუთაისს 1873 წელს. ამ წლიდან იწყება მისი მოღვაწეობა ქართველ კათოლიკების საკეთილ-დღეოთ. ქუთაისში უქადაგებდა ქართველ კათოლიკებს ქრისტიანულ სარწმუნოებას ჭეშმარიტებაზე და გვარის კეთილ-დღეობისათვის. ის **ქადაგობდა აგრეთვე სწავლის გავრცელებას სამშობლო ენაზე.** მან დაარსა ქუთაისში კათოლიკის ეკლესიასთან ქალ-ვაჟების შკოლა და ნივთიერათაც ბევრი შემწეობა მიცა შკოლის სადგომის აშენებისთვის.

ქუთაისიდან დონ დიმიტრი გადიყვანეს ოდესას, სადაც ის მთავრობის შკოლებში ასწავლიდა საღვთო რჯულს. 1879 წ. დონ დიმიტრი გადმოიყვანეს ტფილისში. აქ მან დაჰყო 1887 წლამდის და აღნიშნა თავისი მოღვაწეობა კათოლიკის შკოლის დაარსებით ეკლესიასთან და შკოლის სადგომის აშენებით. ის აქ ძალიან დევნიდა კათოლიკის პატრებს, რომელნიც ეგოისტური მიმართულებით იყვენ აღჭურვილი და უარს ჰყოფდენ სამშობლო ენაზე სწავლებას და ქადაგებას. ამის გამო მას აუტეხეს იდუმალი წინააღმდეგობა და მალე გადიყვანეს ისევ ოდესაში საღვთო რჯულის მასწავლებლათ.

დონ დიმიტრი იყო ჭეშმარიტი სარწმუნოებით გამსჭვალული ღვთისმსახური, უყვარდა თავის ხალხი და მუდამ იმაზე იყო თავ-გადადებული, რომ თავის ხალხში სამშობლო ენაზე გაევრცელებინა ქრისტეს მცნება და სწავლა-განათლება. ამის გულისთვის ის არც პირად შრომას ზოგავდა და არც ნივთიერ ღონისძიებას. მისი ბრალია, რომ დღემდის ყოველ წლობით

გროვდება ფული ღარიბ მოსწავლეებისათვის. საეკლესიო შკოლებში იყო მისი ქართული კატეხიზმო ხელსამძღვანელოთ შემოღებული, რომელსაც უცხო ტომის ქათოლიკის პატრებმა დევნა დაუწყეს. მაშინ დონ დიმიტრიმ ეს ქართული კატეხიზმო რუსულათ გადათარგმნა და დაასტამბვინა, რომ მთავრობა დაერწმუნებინა მის კანონიერობაზე. კურთხეულ იყოს ხსენება შენი, ერთგულო მამულის შვილო.

ხელნაწერი ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. აქვეა ჟურნალ „კვალის“ ნომერიც.

„კვალი“, 1895 წ. N4.

ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე)

აკაკის იუბილეი სტამბოლში

(წერილი სტამბოლიდან)

სტამბოლში განზრახული აკაკის იუბილეი თავის დროზე ვერ იქმნა გარდახდილი. მიზეზი იყო დაგვიანება საქართველოდამ დაბარებულ წიგნებისა და ქართველ მოღვაწეთა სურათებისა. ჩვენი სურვილი იყო, იუბილეისთვის მზათა გვქონდა აკაკის სახელობაზე დაარსებული ბიბლიოთეკაც, რომ იუბილესთან ბიბლიოთეკის გახსნით დღესასწაული გამოსულიყო უფრო სრული და აქაურ ქართველებსაც თვალ-წინ ჰქონოდათ სამშობლოს გასაგონრად ქართველ ხალხის გონებრივი ნაშრომი და იმის მესვეურთა სურათები. დაბარებული ნივთები მოგვივიდა დიდ-მარხვის ბოლო კვირეებში და იუბილეი დავნიშნეთ ნააღდგომევის პირველ კვირისთვის. საქმის მოთავეებმა დიდად იმეცადინეს და ყველაფრით გაემზადნენ ამ დღეისათვის. საიუბილეო კომიტეტმა მოსაწვევი ბარათებიც დაუგზავნა საზოგადოებას, მაგრამ ოსმალეთის უკანასკნელ ამბებისა გამო კვლავ შეფერხდა საქმე. თუმცა არც ეხლაა სრული მშვიდობიანობა, სამხედრო წესი მოქმედებს და აქაური მაჰმადიანი ქართველები, მეტ წილად სამსახურში ან ახალგაზრდა ოსმალთა წრეებში მყოფნი, გართულნი არიან საქმეებში და ზოგმა მოცდა ითხოვა, მაგრამ გვეფიქრიანა, შემდეგ უფრო მეტი დაბრკოლება არ შეგვხვედროდა და 26 აპრილისთვის დავნიშნეთ დღესასწაული.

ვინც 26 აპრილს ფერიქოის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში იყო, იმას აღარ დაავიწყდება ეს დღე. მონასტრის უმცროს ძმების ხელით მშვენივრად იყო მორთული საკმაოდ მოზრდილი ზალა და სურათი აკაკისა. სურათს ყვავილების გვირგვინი ჰქონდა შემოვლებული და თავზევით ოქროს ვარაყიანი ასოებით ეწერა: „აკაკი ჩვენი, ვით შოთა რუსთაველი და სარგის თმოგველი“ გული გვეთანაღრებოდა, დროება ასეთია და ვაი თუ ხალხი სულ ცოტა მოვიდესო, მაგრამ ჩვენი შიში არ გამართლდა. ორ საათზე ქრისტიანი ქართველები, ვისაც კი გაეგო და ბარათი მიეღო, თითქმის ყველა მოვიდა თავის ოჯახობით; დაესწრო, სხვათა შორის, სპარსეთიდან შაჰის ბრძანებით გამოძევებული და დღეს აქ მყოფი რუსულ გაზეთების კორესპონდენტი ი. **ამირაჯიბი**; მოახერხეს და მოვიდნენ, ჩვენ და სასიამოვნოდ, **მაჰმადიანი ქართველებიც**. მართალია, რიცხვით მცირენი, იყვნენ, მაგრამ ნამდვილად ვიცი, რომ ეს მხოლოდ შემთხვევის გამო იყო. გული მწყდება, რომ ბევრი პატივსაცემი მაჰმადიანი ქართველი უკვდავებასავით ელოდა ამ დღეს, მაგრამ ვინ იცის, სამსახურმა ვის რა საქმე გაუჩინა.

სამ საათზე პარაკლისი გადაიხადა მონასტრის უფროსის მოადგილემ პატრმა **სტეფანე გიოგიძემ** ქართულ საგალობელით და თვითონვე პირველმა წარმოსთქვა სიტყვა, მიძღვნილი აკაკისადმი; იასე რაჭველმა წაიკითხა დაბეჭდილი ბიოგრაფია აკაკისა რამდენიმე მისის ლექსით და თავის მიერ დაწერილი სიტყვა აკაკზე. საიუბილეო კომიტეტის თავმჯდომარემ **ვლ. წერეთელმა** ილაპარაკა იუბილესთან შესაფერ სხვა და სხვა საგნებზე და ბოლოს წარუდგინა ანგარიში თვით ამ კომიტეტისა და განსვენებულ ილიას ფონდისა „დროების“ N82-ში დაბეჭდილი, ამასთანა მანვე შემოიტანა აზრი, ცალკე წერილი – ადრესი გაეგზავნოს აკაკის. ავტორთა სიტყვებს ხალხი დიდის გულდასმით ისმენდა და მადლობას უხდიდა. ბოლოს გრძნობიერად ილაპარაკა ტფილისიდან ჩამოსულმა პატრმა **დომინიკე მუღაშოვმა**. მან სთქვა:

„შემთხვევით აქ თქვენთან ერთად მყოფმა, მე პირადად ვნახე დიდებული სურათი საქართველოში გარდახდილ აკაკის იუბილეს და გული არ მიშვებს ორიოდე სიტყვა არა ვთქვაო. 1908 წელი დაუვიწყარი იქნება ქართველი ერის ცხოვრებაში. წინა წელიწადი იყო ცრემლისა, რადგან უგუნურმა პირებმა თავიანთი ბოროტი ხელი შეახეს სამშობლო ქვეყნის დიდებას და მოჰკლეს ილია, შეურაცხყვეს სიწმინდე ერისა. ხალხი მოზღვავდა ყოველ კუთხიდან ამ საშინელებით ზარდაცემული და გულდამწვარმა საერთო აღაპი გაუმართა სიყვარულისა. 1908 წელს ამ ეროვნულ გრძნობა შეურაცხყოფილმა ხალხმა დიდებულად იდღესასწაულა ორმოცდაათი წლის თავი მოღვაწეობისა მეორე საყვარელ პოეტის აკაკი წერეთლისა. ექვსი ათასი სული ერთი კაცივით იდგა აკაკის წინ და გულის ძგერით შესცქეროდა მას ერთის აზრით, ერთის გრძნობით გატაცებული. სხვა და სხვა გვარი იყო ეს ორი შემთხვევა, მაგრამ შინაარსი ერთი მოგვცა, ერთი მოვლენა გვაჩვენა. სიტყვა ამ სასიქადულო პირთა ნაქადაგები კეთილ ნიადაგზე დავარდნილი აღმოცენდა და მათი ნანატრი ქართველ გვაროვნობის გაერთიანება ცხად იქმნა; არ გამქრალა ქართული ენა და ქართული საქმე. იგი დაიცვა აკაკიმ და დღევანდლამდე ემსახურება ჩვენ ქართველთა გვაროვნობას. 50 წელიწადი მას მარტო ეკალი ხვდებოდა გზაზე, მაგრამ მისი დროშა ერთხელაც არ დაწეულა დაბლა და ამიტომაც დაიდგა მან გვირგვინი ერის სიყვარულისა. ერთი მისი შესანიშნავი მხარე ის არის, რომ იგი მარადღე უმღერს ქართველ დედას, ხან ტკბილად ეხვეწება და ხან მრისხანედ აგონებს, რომ ქართველ დედადვე დარჩეს და აცდინოს ჩამომავლობას ბუნებისაგან განკიცხული გადაგვარება. მართლაც, დიდია მნიშვნელობა დედისა ერის ცხოვრებაში და ჩვენი ბედი ყოფილა, რომ აკაკის ნანატრი დედები ბევრგან დაგვრჩენია. **ჩვენ უნდა ვუმადლოდეთ ქართველ მაჰმადიან დედებს, რომ სამშობლოდან გარდმოხვეწილნი წმინდად ინახავენ თავიანთ ოჯახებში დედა-ენას და დღეს მათი შვილები ქართულად გველაპარაკებიან.** მე ამაში ზეგარდმო მადლსა ვხედავ და ვრწმუნდები, რომ **სამი სარწმუნოების სამი შტო ქართველთ გვაროვნობისა ისევ ერთ ხეზე ყოფილა დამყნილი და თავის ფესვს არ მოშორებია**. გაუმარჯოსთ იმ ქართველთ მოღვაწეთ, რომელთაც ძირი ამ ხისა უხვად ურწყვიათ თავიანთ სისხლითა და ცრემლით“.

ეს იყო შინაარსი პატრ დომინიკეს სიტყვისა. მოვიყვანთ აქვე პატრ სტეფანე გიორგიძის სიტყვას:

„ბედნიერად ვსთვლი დღეს ჩემს თავს, რომ პირადად დავესწარ ამ გვაროვნობის სიყვარულიანს კავშირს, შემთხვევისა გამო ჩვენ ქართველთა სასიქადულო პოეტის აკაკის წერეთლის იუბილეისა. აქ დღეს ამის გამო ვხედავ ჩემის თვალით დიდ საკირველებას, რომელშიდაც იხატება დღეს ერთობა და სამება. სამება ესრედ, რომ ვხედავ სამ შტოს, წარმოსულს ერთსა და იმავე ხის ძირისაგან, მხოლოდ გარჩეულსა სარწმუნოებით. ვხედავ, აგრეთვე, მასში ერთობას, მით რომ ეს სამის რწმუნებით გარჩეული შტო დამყარებულია ერთსა და იმავე ძირზე ხისა, რომელიც საზრდოობს იმავე ტკბილ გვპროვნობის ხის ფესვებისაგან, რომლისგანაც წარმოიდინება საზრდო, და ზდის ამ სამ განყოფილ შტოს ერთ ბუნებად, და ნაყოფითაცა მათთა ერთმანეთისაგან განურჩეველსა; ეს არის კუთვნილება და ამაშია გვაროვნობა და სიყვარული მამულისა.

აგერ სტამბოლში არსებული ქართველთა სავაჭრო ამხანაგობა! აგერ ქართული საწიგნე! ეს ორივე დიდი ხნიდან ნატრული, დღეს იწყებს თავის ჩენას, თაოსნობით ვლ. წერეთლისა, რათა მიულოცოს იუბილეი გვარი მოყვარე დიდებულ პოეტს აკაკის. ეს დაწესებულება მოუტანს

სტამბოლში მყოფ ქართველთ დიდ სიკეთეს, თუ გონივრულად, თუ ზნეობრივ და თუ ეკონომიურად.

გონივრულად ის, რომ შეკრეფით საუკეთესო ქართულ წიგნებისა ბიბლიოთეკა სტამბოლის აივსება თესლით მეცნიერების; და ეს თესლი მეცნიერებისა გაანაყოფიერებს მრავალთა გონებას და გააცნობს ქვეყანაზე მყოფს კეთილს, თუ ბოროტს; კეთილს შეაყვარებს და ბოროტს შეაძულებს. ზნეობრივ ისე, რომ გააცნობს ღირსებას ადამიანობისას, რა არის კაცი და რა არის უტყვი ცხოველი, როგორ, რა რიგად უნდა მართოს თავი თვისი, რომ იმის სიცოცხლეს დაერქვას სიცოცხლე ადამიანისა და არა უტყვ ცხოველისა. ეკონომიურად ისე, რომ ასწავლის ზომიერებას, აფრთხილებს უზომოობისაგან და აფიქრებს მომავლისათვის.

აწ მრავალ ჟამს სიცოცხლე ჩვენს დიდებულს პოეტს! მრავალ ჟამს სიცოცხლე ამ ამხანაგობის დამწყობს ვლ. წერეთელს! მრავალ ჟამს სიცოცხლე ამ ამხანაგობის ყოველ წევრთ და მათ, რომელთაც მოუწყეს ხელი ამ კეთილ საქმეს“.

ვლ. წერეთელმა, სხვათა შორის, სთქვა შემდეგი:

წერა-კითხვის საზოგადოებამ გამოუგზავნა ჩვენს ბიბლიოთეკას უფასოდ ოცდა-ათი ლირის წიგნები და კიდევ აღგვითქვა დახმარება. გვიგზავნიან თითო ოროლა ცალს თავიანთ გამოცემებს ქართულ ჟურნალ-გაზეთების რედაქციები: „დროება“, „ჩვენი საქმე“, „ძალა“, „ფასკუნჯი“ და სხვები. აგრეთვე მოგვწერა „ცოდნის“ წიგნის მაღაზიის პატრონმა ბ-ნმა მერკვილაძემ და გვპირდება თავის და სხვათა მიერ გამოცემულ წიგნებსა. ყველა ამათ დიდ მადლობას ვწირავთ. ზოგმა თქვენგანმა უკვე იცის, რომ ამ ბიბლიოთეკასთან არსდება გაჭირვებულთა დახმარებელთა კასსა და მუზეუმი. ამის პროგრამა წესდებაში გვაქვს აღწერილი, მსურველს შეუძლიან იქიდან გაიცნოს დაწვრილებით, მხოლოდ მე მოკლედ მოგახსენებთ: კასსაში შესატანი წლიური საწევრო ფული ორი მეჯიდეა და ნურავინ დავიშურებთ ასეთი კეთილი საქმისათვის წელიწადში ამ მცირედს.

ჩვენი საზოგადოების სახელით უღრმეს მადლობას ვწირავ ერთობით ქართველ კათოლიკეთა ფერიქოის მონასტრის უფროსს და მათ კრებულს, ბიბლიოთეკის სახლის დათმობისა და მისივე მმართველობის მიღებისათვის; წმ. **იოსების შკოლის** დირექტორს მამა **ანდრია წინამძღვრიშვილს** ბიბლიოთეკის შკაფისა და საქართველოს ღერბის დათმობისა და ამ საქმეებში დაუღალავ შრომის მიღებისათვის; **მამა მერაბს** და სხვებს ამ საქმეებში მხნე შრომისა და მოღვაწეობისათვის; აგრეთვე იმ პატივცემულ პირთ, რომელთაც შემოსწირეს ფული იუბილეის გადახდისა და ბიბლიოთეკის გახსნისათვის. ხელის მომწერთაგან შემოვიდა სულ 1490[1]/ ყურეში და დაიხარჯა ბიბლიოთეკა -იუბილეისათვის 1439[3]/ ყურუში. ამის წვრილათ ანგარიშიც ხელთა გვაქვს.

სასიამოვნოდ უნდა ავღნიშნოთ, რომ აქაურმა ქართველმა ვაჭრებმა თავიანთი დიდი ხნის სურვილი განახორციელეს კვირა-უქმე დღეებში დუქნების დაკეტვის შესახებ, რომ კვირაში ერთი დღე ჰქონდესთ თავისუფალი, რათა ისარგებლონ ბიბლიოთეკის წიგნებით.

პირობა ამ დუქნების დაკეტვისა კვირა-უქმეობით, წესდება ბიბლიოთეკისა, კასსისა, მუზეუმისა და სავაჭრო სახლისა და ყველა სხვა საბუთიც, რაც არის ჩვენის საზოგადოებისა, დღეიდან მიბარებული იქნება მამა ანდრია წინამძღვრიშვილთანა.

მოგვყავს აქვე შემომწირველთა სია:

მამა ანდრია წინამძღვრიშვილი 10 მან., მიხაილ ნასყიდაშვილი 5 მან., ჯელალ მაირ ბეი მემარნე 3 მან., ალექსანდრე ნასყიდაშვილი 2 მან., კონსტანტინე მირაქოვი 2 მან., ივანე ბეჟანიშვილი 5 მან., პავლე გოზალიშვილი 1 მან., სიმონ ფილოშვილი 2 მან., იაკობ ფილოშვილი 2 მან., სიმონ დურგლიშვილი 2 მან., იოსებ ბეჟანიშვილი 2 მან., ლუკა თუმანოვი 2 მან., ანტონ წინამძღვრიშვილი 2 მან., იოსებ ბაკაკოვი 2 მან., პავლე ნპასყიდაშვილი 5 მან., ივანე სიდავა 3 მან., ქართველი კათოლიკე მონასტერი 5 მან., ლევან გალაჯევი 8 მან. 60 კ., დოქტორი მერაბი 1 მან. 60 კ., მამუდ ფაშა თავდგირიძე 4 მან. 80 კაპ., აჰმედ ბეგ თავდგირიძე 4 მან. 70 კაპ., ბაჰირ ფაშა თავდგირიძე 8 მან. 60 კაპ., პატრმა მერაბი 1 მან. 60 კაპ., მამუდ თავდგირიძე 1 მან. 60 კაპრ., დანიელ ბეჟაშვილი 3 მან., ივანე აზიზოვი 80 კაპ., ვლადიმერ აჰმედ ბეი ფაღავა 6 მან. 40 კაპ., თომა გოზალიშვილი 9 მან. 60 კაპ., ვლადიმერ წერეთელი 13 მან.

სიტყვებს ზედ მოჰყვა მუსიკა, უკრავდნენ მამა ანდრიას სკოლის მოსწავლეები, რომელთაც განგებ ამ დღისთვის შეესწავლა ქართული მრავალჟამიერი; კარგ სიტყვებთან მოსწავლეთა მხიარული მუსიკაც მშვენიერი დამატება იყო, ძლიერ ისიამოვნა საზოგადოებამ. შემდეგ მონასტრის ეზოში დამსწრეთ საერთო სურათი გადაიღეს.

ნამდვილი ლხინი გაიმართა ბიბლიოთეკის გახსნაზე. დაათვალიერეს წიგნების შკაფი, რომლის თავთ შვენოდა საქართველოს ღერბი, ხოლო რაც ზედმეტი წიგნი იყო, იქვე დაურიგდა, ვისაც რა შეხვდა... უკვე შვიდი საათი თავდებოდა, ხალხი რომ დაიშალა დიდად კმაყოფილი.

ბევრ რასმეს მომაგონებდა და ბევრს ტკბილსაც მიქადდა ის სურათი, როდესაც ერთ სახლში, ერთის ჭერ ქვეშ, აკაკის სურათის წინ ჩვენთან ერთად ჩამოსხდნენ **მაჰმადიანი ქართველებიც** წითელი ფესკებით და ჩუმად ერთმანეთის ვინაობას ვკითხულობდით. ვინ იცის, რა ხანია დავშორდით ერთმანეთს, ბედმა გაგვაბნივა, როგორც დამწუხრებით გვითხრა ერთხელ ბაჰრი-ფაშა თავდგირიძემ, და დღეს–კი ერთმანეთს შევხვდით. აგერ სიმპათიური პირი, წითელის ფესკით, ნამდვილი ქართველი გარეგნობით. სახის მოძრაობაზე ეტყობა, რომ ქართულად წარმოთქმულ სიტყვებს ასო-ასო ჰკრეფს. როდესაც მკითხველი გვიამბობდა აკაკის ბიოგრაფიიდან, რომ პატარა კაკოს ხელ-საქმეც კი ემარჯვებოდა, მაგრამ დიდები ეუბნებოდნენ, რა ვაჟკაცის საქმეა წინდა-პაიჭის ქსოვა და კერვაო; ჩემ გვერდზე მჯდომმა მაჰმადიანმა ქართველმა ამ სიტყვებზე ჩაიცინა; სჩანს, **გულის ძარღვი, რომელიც აკავშირებდა მას მშობლიურ ჰანგთან, მასში არ გაწყვეტილა.** მაგალითი ერთია, მაგრამ ძირი ამ მაგალითისა ფესვებიანია. ან ვინ იცის, რამდენია იმისთანა დრამატიზმით აღსავსე მაგალითი, რომელიც ამათში ბევრსა ჰქონია გაგებული და მე ეხლა მიამბობდა **ოსმან-ბეი ღლონტი**: ერთი ქართველი ფაშა ყოფილა ვანის გუბერნატორად, ამ ექვსი წლის წინად გარდაცვლილი; ქართველი რომ ვინმე მივიდოდა, ამნაირი ლაპარაკი იმართებოდა: – ვინ ხარ შენ? – გურჯი;–ქართული იცი? თუ ეტყოდა, არ ვიციო, შეუტევდა: – გასწი, როგორი გურჯი ხარ, ქართული არ იციო და გააგდებდა.

– თუ აქამდე არ დაგვავიწყდა ქართული, ეხლა სულ აღარ დაგვავიწყდებაო,–მითხრა მეორემ. და ამით ის მანიშნა, რომ ოსმალეთის წინა დროის რეჟიმში ერთმანეთთან ქართულად დალაპარაკება ეშინოდათ. რაც კი შემთხვევა მქონია მათის გაცნობისა, მუდამ ის რწმენა გამომიტანია, რომ ეროვნული კითხვა მქონია მათის გაცნობისა, მუდამ ის რწმენა გამომიტანია, რომ **ეროვნული კითხვა სარწმუნოების გარეთა დგება**.

დიდი მადლობის ღირსია ვლ. წეკრეთელი, რომლის თაოსნობითაც მოეწყო იუბილე. მადლობის ღირსნი არიან, აგრეთვე, ქართველ კათოლიკეთა პატრები და ძმები, რომლებიც არ მისდევენ გადამახინჯებულს ბერულს ფორმალისტობას და თავიანთ ნათელის სახით ჩვენი შეკრებილობა დაამშვენეს, ხალხში ჩადგნენ, ვითარცა მწყემსნი კეთილნი, და აკაკის დღეობა ერთი-ორად საგულისხმიერო გახადეს“.

წერილის ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში, ავტორია **ქართველიშვილი**. წერილი დაბეჭდილია გაზეთში „დროება“ (იხ. ქართველიშვილი, აკაკის იუბიმლეი სტამბოლში (წერილი სტამბოლიდან), გაზეთი „დროება“, 9.V.1909, N 101, გვ. 3). გაზეთის ნომერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში.

გადახვეწილი (მიხაკო წერეთელი)

აკაკი სტამბოლში

(წერილი სტამბოლიდან)

აქ გზად გაიარა ევროპაში მიმავალმა აკაკი წერეთელმა.

აქაურ ქართველობას აკაკის მოლოდინი არა ჰქონდა, რადგან მისი განზრახული მოგზაურობა წინ-წინ არავინ იცოდა. მხოლოდ სტამბოლელ ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარემ ბ-ნმა ვ.ჯ. წერეთელმა მიიღო წინა დღეს კერძო დეპეშა და მთელი საზოგადოება მოიწვია აკაკის დასახვედრად.

ამ დღეს დილა ადრიან სტამბულის ნავთ-სადგურში თავი მოიყარა აქაურ ქართველთა პატარა ოჯახმა. ყველას საქმისთვის თავი დაენებებინა. ლაპარაკი აკაკის სახელის გარშემო ტრიალებდა. ყველა მოუთმენელის სიხარულით ელოდა პაკეს გემს, რომელსაც ჩვენი სასიქადულო სტუმარი უნდა მოეყვანა.

პატარა ხანს უკან გემიც შემოვიდა ნავთ-სადგურში და იმის ბაქანზე გამოჩნდა ჩვენის მხცოვან მგოსნის ჭაღარით მოსილი თავი.

ძნელი გამოსათქმელია სიტყვებით ის პირუთვნელი სიხარული და აღტაცება, რომელიც გამოიჩინეს იმის დანახვაზე ამ **შორეულ უცხოეთში ცხოვრების ბრუნვისაგან გადმოსულმა ქართველებმა**. დიდი, პატარა, ყველა მოეშურებოდა, თავის თვალით ენახათ სამშობლოს საკეთილდღეო მწარე მუშაობაში დაბერებული მოხუცი, **რომლის თავზე გრგვინვით გადაიარა ჩვენი ქვეყნის უკანასკნელ ნახევარ საუკუნის მწარე დღეებმა**. ვუყურებდით მას და თვალწინ გვეხატებოდა ჩვენი ქვეყნის ტკბილ-მწარე წარსული, ცოცხალის, მოძრავის ბავშვივით, გულუბრყვილო, თავის ღირსებებთან და ჭაღარასთან ერთად, უნებურად ჩვენი **ქვეყნის სიმბოლოდ მეხატებოდა.**

ერთ წამს ხალხი გემზე ავიდა და აკაკის გაუვალ კედლად შემოერტყა გარს. ვლადიმერ წერეთელმა აქაურ ქართველობის სახელით სალამი მისცა და გადაიწვია სტამბოლში. ყველას გული დაგვწყდა, როცა მგოსანმა შეგვატყობინა, რომ სტამბოლზე მხოლოდ გზად გამოიარა და ევროპაში იმ ღამესვე იმავე გემით მიემგზავრებოდა.

პირველად აკაკიმ მოისურვა **ენახა ქართველ კათოლიკეთა ფერიქევის მონასტერი,** სადაც ებაასა ქართველ პატრებს და შეკრებილს ხალხს. ყველა გულდადებით ისმენდა საყვარელ მგოსნის თვითეულ სიტყვას. ბალღები, რომელნიც აკაკის თავს დასტრიალებდნენ, დაკვირვებულნი უსმენდნენ, თითქოს სცდილობდნენ მიმხვდარიყვნენ ძია აკაკის აზრებს.

ყავისა და სასმელების შემდეგ, აკაკი მიწვეულ იქმნა **ივანე სიდავას და ვლადიმერ წერეთლის ოჯახებში**, რის შემდეგ სტამბოლის საუკეთესო სასტუმროში გაიმართა საზოგადო სადილი.

სადილს შემდეგ მგოსანმა მოისურვა შესანიშნავ ადგილების დათვალიერება. სხვათა შორის დაათვალიერა **აია-სოფია და პარლამენტი, სადაც მას შეეგებნენ ქართველი მუსულმანი დეპუტატები**.

საღამოს სტამბოლის ქართველობა გულ-დაწყვეტილი გამოემშვიდობა საყვარელ მგოსანს.

მიხეილ (მიხაკო) წერეთლის მიერ დაწერილი ტექსტი, მანქანაზე ნაბეჭდი, დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. დაიბეჭდა გაზეთში „დროება“, 1909 წ. N184. გაზეთის ნომერიც იქვეა შენახული.

ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე)

ნინოობა სტამბოლში

ამ წლის იანვრის პირველს, ანუ ჩვენებურად თოთხმეტ იანვარს, აქაურმა ქართველობამ იდღესასწაულა ქართველთა განმანათლებელ წმ. ნინოს დღეობა. განზრახვა იყო ამ დღეს გადაგვეხადა აკაკის იუბილეც, მაგრამ, სამწუხაროდ, საქართველოდან დაბარებული აკაკისა და სხვა ჩვენი მწერალ-მოღვაწეთა წიგნები და სურათები დღესაც არ მოგვსვლია და ამის გამო მოგვიხდა გადადება იუბილეისა. ამ გარემოებამ უხერხულ მდგომარეობაში ჩააყენა საქმის ხელმძღვანელნი. გვიკვირს, ასე რად გვიგვიანებენ დაბარებულ ნივთებს.

წირვა გადაიხადეს ფერიქვეის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში ქართულ ენაზედ და საზოგადოებაც ბლომად დაესწრო. წმინდა ნინოობა აქ წესად ჰქონიათ და წირვა მუდამ ქართულად ყოფილა გალობით, მაგრამ წელს კი აღარ იყო გალობა, რადგან ხოროს შემადგენელი ქართველი მოწაფენი წელს ყველანი, რიცხვით შვიდი კაცი, ერთად რომში გაუგზავნიათ სწავლის განსაგრძობად.

დიდი ხანია გვინდოდა, ერთხელ როდისმე მოეყარა თავი აქაურ ქართველობას კავშირის დასაარსებლად საქველმოქმედო მიზნით. ამაზე უკეთესი შემთხვევაც არ იქნებოდა. წირვის შემდეგ მთელი დამსწრე საზოგადოება მიიწვია **ვლადიმერ წერეთელმა** ამ დღისთვის საგანგებოდ ცალკე დაქირავებულ ზალაში. საზოგადოდ, აქაური ქართველობა ჩვეული არ არის ერთმანეთთან მისვლა-მოსვლას და ერთად საქმის დაჭერას, რასაც ბევრი დამაბრკოლებელი მიზეზი ჰქონდა და როდესაც შემთხვევა მიეცათ ერთად შეკრებისა, დიდად ესიამოვნათ. ქართველ კათოლიკე მღვდლებიდან პატივი გვცეს და კრებაზედ მოვიდნენ მონასტრის უფროსი პატრი **ბენედიქტე**, მამა **ანდრია წინამძღვრიშვილი** და **პატრი მერაბი.** შემდეგ ერთმანეთის მისალმებისა, **ვლადიმერ წერეთელმა გახსნა კრება,** წარუდგინა აკაკის საიუბილეო კომიტეტისა და სხვა ანგარიშები და მოახსენა შემდეგი:

„ბატონებო! რიცხვთა შეცვლის გამო დღეს აქ ორი დღესასწაულია: წმ. ნინო ქართველთა განმანათლებელისა და ახალი წელიწადი; ორივეს გილოცავთ, მრავალს მიეგებენით კეთილწარმატებით. ამასთან, ვსარგებლობ დღევანდელ დღით და მოგახსენებთ იმის მდგომარეობას, რაც მე თქვენთან მონდობილი მქონდა და მაქვს.

პირველი: საერო სურვილისამებრ, პატრი მერაბის დახმარებით, მე და ჩემმა ბიძაშვილმა მივულოცეთ პირადად თქვენის სახელით სტამბოლში პარლამენტის გახსნა ბევრს აქაურ წარჩინებულ პირს და ქართველ მაჰმადიანთა დეპუტატებს. თქვენი მილოცვა ღირსეულად მიიღეს და თავიანთის მხრივ, პატივისცემით მადლობა გიძღვნეს. სხვათა შორის სულთნის ადიუტანტების უფროსი **მარშალი შაქირ ფაშა,** ნიშნად ამ მადლობისა, ვახშმით გაგვიმასპინძლდა.

მეორე: საქართველოს დიდებულ **პოეტის აკაკი წერეთლის სახელობაზე** აქ ბიბლიოთეკის დასაარსებლად, თქვენისავე მონდობილობით, მივმართეთ ყველა სტამბოლელ ქართველს განურჩევლად რჯულისა, რომ არ დაეშურა ამ საქმისთვის თავისი წვლილი. საიუბილეო კომიტეტის წევრთა, მამა **ანდრია წინამძღვრიშვილის** და **ქართველიშვილის** შრომით შეიკრიბა 1583 ყურუში და შემომწირველთა სიაც ხელში გვაქვს. ამ ფულიდან გავუგზავნეთ მგოსანს მისალოცი წერილი და დეპეშა თავის დროზე; 50 მან. გავგზავნეთ ტფილისში 20 ნოემბერს

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წიგნის მაღაზიაში, რომ-ლითაც გამოვიწერეთ აკაკი წერეთლის და სხვა ქართველ მწერალთა და მოღვაწეთა სურათები და წიგნები, მაგრამ ჯერ არ მიგვიღია*; მოსვლამდე ვუცდით იუბილეის გადახდას და როგორც მივიღებთ, ყველას გაცნობებთ და გთხოვთ დანიშნულ დღეს მობრძანდეთ და დაესწროთ ჩვენს ეროვნულ დღესასწაულს.

მესამე: როდესაც ამ ერთის წლის წინად ჩვენამდისაც მოვიდა საშინელი ამბავი **ილია ჭავჭავაძის მკვლელობისა** და გავიგეთ, რომ ფონდი დაარსდა იმის სახელობაზე, თქვენც მოისურვეთ ფონდის გასაძლიერებლად შეწირვის გამოღება და მე და ბ-ნ **ივანე სიდავას** მეცადინეობით შეგროვდა 45 მან. შეკრებილი ფული დაუყოვნებლად გავგზავნეთ ტფილისში „**ისრის**“ რედაქციაში 1907 წლის ოქტომბრის 18-ს, მაგრამ შემომწირველთა სია, რაღაც მიზეზით არ დაბეჭდილა. ეხლა ამის თაობაზე მიწერ-მოწერა გვაქვს და მალე ყველაფერი გამოირკვა.*" დასასრულ, უნდა მოგახსენოთ, რომ მეტად საჭირო იყო დღევანდელ დროში ყველა ჩვენ ქართველთა „ერთობა“ იმ მაგალითის მიხედვით, რომ ყველა განათლებული ერი შეკავშირებუ-ლია, რომ ყველანი ერთმანეთს ეხმარებიან, **საერთო ძალით სწევენ თავიანთ ეროვნულ უღელს.** ჩვენ კარგად ვხედავდით, რომ უამისოდ არა თუ საზოგადო საქმეს ვერას შევმატებდით, საკუთარი პირადი ცხოვრებაც გაგვიჭირდებოდა და ამიტომ ბევრის მეცადინეობის შემდეგ, როგორც იყო, მოვახერხეთ და შევერთდით: ეხლა საერთო ძალით ბიბლიოთეკასაც ვიარსებთ. **დღეს უკვე დაბადებულია ჩვენი ერთობა და ამიერიდან ნუღარც მოიშლება იგი!** მაგრამ რომ უფრო ნაყოფიერი იყოს მისი არსებობა, საჭიროა ბიბლიოთეკასთან ერთად დავიარსოთ კასსა, საიდანაც დახმარება მიეცემა სტამბოლში მყოფ უმწეოდ დარჩენილ და გაჭირვებულ ქართველთ; კასსასთან გვექნება, რასაკვირველია, დაბეჭდილი წიგნი და შეწირულება მიიღება, როგორც ფულით, ისე ნივთეულით. მეორეც, მოგეხსენებათ, სტამბოლში მცირე არ არის ქართ-ველ მაჰმადიანთა რიცხვი. იმათში ბევრია ქართველთა ერთობის მომხრე და მსურველი. ჩვენ შეგვიძლიან იმათთან ერთად შევადგინოთ დიდი საზოგადოება, ამოვირჩევთ კაცებს ყველა ჩვენ მმართველებად და ამით ნიადაგი მიეცემა ჩვენს საუკეთესო მომავალს“.

კრებამ შრომისათვის მადლობა გადაუხადა მომხსენებელს და აღნიშნულ პროგრამით მოქმედება და აღსრულება მიანდო მასვე და მის თანაშემწეებს, ესე იგი იმავე პირებს, რომელ-ნიც მუშაობდნენ აქამდე. ამის შემდეგ სიტყვა წარმოსთქვა **პატრმა მერაბმა, აქაურ ქართველთა ერთობის სულის ჩამდგმელმა.** ბოლოს სიტყვით მიმართა დამსწრეთ მონასტრის უფროსმა **მამა ბენედიქტემ** და ახსნა თავისი შეხედულება, როგორი უნდა იყოს ჩვენი მოქმედება და კრება დაიშალა. რადგან დამსწრე საზოგადოებას ძლიერ მოეწონა შინაარსით და დედა-აზრით პატრ მერაბის სიტყვა, მოგვყავს იგი სრულიად:

პატივცემულნო ქართველნო ძმანო და დანო!

ყოველწლივ ჩვეულებაა, ამ დღეს ჩვენს მონასტერში უკლებლივ მობრძანდებით ხოლმე, რომ საერთოთ შევასრულოთ ჩვენი საყვარელ დედის წმ. ნინოს დღეობა. რაც, რვა წელიწადია

---

* როგორც ჩვენმა რედაქციამ გაიგო წ.-კ. საზოგადოებამ მხოლოდ ამ ერთი კვირის წინათ მიიღო ფული სტამ-ბოლიდან. აშკარაა ფოსტას დაუგვიანებია.

* როგორც ჩვენ მიერ შეკრებილ ცნობებიდან სჩანს, სტამბოლიდან გამოგზავნილი ფული წარმოდგენილი ყოფილა წერა-კითხვის საზოგადოებაში. მხოლოდ, რადგან შემწირველთა სია დაკარგულა, იგი ვეღარ დაუბეჭდავთ. რედ.

მას აქეთ, წმინდა ნინოობა და ახალი წელიწადი ერთად ტარდება, რაც უფრო ყველანი მობრძანდებიან ხოლმე, როგორც არის დღეს. გვიხარის, ყველას, დაგასწროთ ყველანი ღმერთმა სიმხიარულით და ნატვრათა შესრულებით.

გახსოვთ, ძმანო, შარშან როგორ დიდებულად შესრულდა წმ. ნინოობა? პირველად რომ გვეწვია მათი უსამღვდელოება კონსტანტინეპოლის არქიეპისკოპოსი. მეორედ, ჩვენმა ჰასაკით და სწავლით შემკულმა ახალგაზდობამ მოგვალხინა მშვენივრად გაწყობილ გალობითა და პატრიოტულ შესხმებით: ზოგმა წმ. ნინოს საქართველოში მოსვლა მოგვითხრა, ზოგმა მისი უკვდავი და სამოციქულო შრომა, მესამემ საქართველოს წარსული დიდება მოგვაგონა, მეოთხემ იმედი ყველა ამ სიკეთითა დაბრუნებისა და სხვა. დღეს ვგრძნობთ, რომ გვაკლიან; გარნა დარწმუნდით, რომში ყოფნითაც მათი გული აქ არის: ამ წამს ჩვენზედ ფიქრობენ, ჩვენზედ ლაპარაკობენ, ჩვენ შემოგვნატრიან; იგინი არიან ჩვენი და საქართველოს იმედნი: მათ უნდა საქმით შეასრულონ, რასაც ჩვენ ვნატრობთ და ვერ-კი მოვესწრებით...

განვლილ წლიდან პირველად უნდა აღვნიშნო საერთო მწუხარება, რომელიც დაემართა ამ ჩვენს ქართველ კოლონიას: გარდაიცვალა თქვენგან კარგად ცნობილი პატივცემული ქალბატონი **კატარინე ბეჟანოვისა,** მიიღონ ჩვენი გულითადი სამძიმარი მისმა შვილებმა აქ და საქართველოში მყოფთაც. შემდეგ ვახსენებ იმ სათემო უბედურებას, რომელიც შეემთხვა იტალიის წარჩინებულ გვარს და თქვენის სახელით ვუგზავნი ჩვენს თანაგრძნობას მათ მწუხარებაში.

ეს 1908 წელიწადი თუმცა ქვეყნისათვის უბედურად დასრულდა, მაგრამ, ჩვენდა საბედნიეროდ, მწუხარებას სიხარული მოსდევს ხშირად.

პირველად თქვენთან ერთად მოხარული ვარ, რომ ჩვენი საყვარელის ძმის პატრი **ანდრიას საქმე,** როგორც მოსალოდნელი იყო, კეთილად დაბოლოვდა; პატივით გამოვიდა ბრძოლაში, პირი გვითეთრა ჩვენს ბერებს და თქვენ ყველა ქართველებს. ვაქებ პატრ ანდრიას, რომ თვით კონსტანტინოპოლის არქიეპისკოპოსის რჩევასაც არ უგდო ყური და პასუხის გებაში მისცა თავისი და ქართველთა სკოლის დამძრახი მტერი, გაზეთი „**პრია**“ და მისი პატრონი **კარიდი**. საფრანგეთის მართლმსაჯულმა სასამართლომ 16 ივლისის სხდომით გაამტყუნა ცილისმწარებელი კარიდი და მიუსაჯა: 1. დაპატიმრდეს რვა დღით; 2. ორასი ფრანკი ჯარიმა გადაუხადოს მთავრობას. 3. 4000 ფრანკი გადაუხადოს სკოლის პროფესორს პოლკოლენს; 4. 10.000 ფრანკი გადაუხადოს ქართველთა სკოლას; 5) სამჯერ თავისი ხარჯით ჩააწერინოს სხვა და სხვა ენებზედ თავისი დასჯა ყველა იმ გაზეთში, საცა მის მიერ მოგონებული ჭორი დაიბადა, როგორც ახალი ამბავი ამ სახელით: „ქართველების სკოლის დაბრკოლებანი“; 6. მასვე ეკისრება დავის ყველა ხარჯები; ხოლო თუ ყველა ზემოხსენებულ ხარჯს არ გადიხდის, მაშინ ნება ეძლევა პატრ ანდრიას, რომ თავის დამძრახველს კარიდის სატუსაღო გადაახდევინოს ას ფრანკში რვა დღე. იცოცხლოს პატრმა ანდრიამ!

კვალად ეს 1908 წელი სხვა სახით უფრო სასიხარულოა. თქვენთან ერთად ღმერთს მადლობას ვწირავ, რომ მოვესწარით სტუმრათ მოყვარე ოსმალეთის განთავისუფლებას. თქვენ თვით უწყით, რომ ამნაირი სრული განთავისუფლება არა გვარს არ ღირსებია უმსხვერპლოდ. ოსმალეთმა დაუმტკიცა ევროპას, რომ ამ კეთილდღეობის ღირსი ყოფილა. დღეს ბრძანებელი ერია, peuple sovevain რჯულის მდებელი ერია და აღმასრულებელი კი მთავრობა. დღეს იქა,

თავისუფალ ოსმალეთში, ცხოვრება ასე სასიხარულო იქნება, როგორც ევროპის სხვა განათლებულ სახელმწიფოში.

ოსმალეთში საქართველოს ურიცხვი შვილები გადმოსახლებულან. ბევრს საუბედუროდ, ენა ძლივს ღა ახსოვს, მაგრამ გვაროვნობას კი არ ივიწყებს, აქაც იჩენს ჩვეულებრივ ვაჟკაცობას. ამათ დიდი სამსახური გაუწიეს კონსტიტუციის აღდგენას. ოსმალეთის ქართველებმა პარლამენტში გამოგზავნეს ოთხი **დეპუტატი: თავადი თავდგირიძე აჰმედ ბეი, სამცხე-საათაბაგოს მთავრების ჩამომავალი შეფიქ მოლა ბეი ათაბაგიშვილი** და სხვანი, თქვენის სურვილისამებრ ქართველთა ერთობის უფროსმა **ვლადიმერ წერეთელმა** ჩემისა და თავის ბიძაშვილის თანხლებით, უკვე ინახულა ოთხთავენი და მიულოცა როგორც დეპუტატად არჩევა, ისე კონსტიტუცია. გარნა რადგან დღეს ერთად ვიპოვებით და წარმოვადგენთ საქართველოს, ხოლო ოსმალეთის ქართველებისთვის კონსტიტუცია მეტად სასიხარულო ამბავია, ამიტომ ჩვენი სამშობლოს სახელით მივულოცოთ და ვთქვათ:– ოსმალეთის კონსტიტუციას გაუმარჯოს! სტუმართმოყვარე ერმა იცოცხლოს! ოსმალეთის ქართველებმა იცოცხლოს!

ეს არის ეხლა ვთქვი, ერთად შეყრილნი როცა ვართ, საქართველოს წარმოვადგენთ-მეთქი? ყველანი დამემოწმებით, რომ ეს სიმართლეა; განა როცა ცალცალკე ვართ, **საქართველო მხოლოდ გულში გვაქვს.** ამიტომ იყო საჭირო, ამ უცხოეთშიაც ყოფილიყო ერთი რამ, **ქართველთათვის ქართველთა სახელი სწოდებოდა**; აი, მოხდა ის, რისაც შარშან ამ დროს ამავე ადგილს სათემოდ ხსენება არ შეგვეძლო. დღეის იქით ბანზედ ძახილი შეგვიძლიან, დალოცოს ოსმალეთის Liberal constitution-ი, მის გამო ჩვენც ვახსენოთ ეხლა, ვახსენოთ თამამად და გამოცხადებულად დიდი ხნის ნატრული კონსტანტინეპოლში **„ქართველთა ერთობა“,** იგი უკვე დაარსდა თქვენ ყველანი სცნობდით ამისთანა ერთობა-ამხანაგობის საჭიროებას და მალე ღვთით და თქვენის შემწეობით **გვექნება დანიშნულ ადგილას სახლი თავის პროგრამით, ქართული ბიბლიოტეკა ქართული ჟურნალ-გაზეთები, საქართველოდან მოსულ პირთა კონფერენციები და დრო და დრო ახალგაზდების შემწეობით სათეატრო წარმოდგენანი, რომ მამულის სიყვარული არ ჩაქრეს ჩვენ გელში, არამედ უფრო გაღვივდეს**.

თქვენ უწყით, რომ ჩვენი **„ერთობა“** ჯერ ისე ჩვილია და შეგვიძლიან როგორც გვინდა, ისეთი ფორმა მიეცეს დღეის იქით, რადგან ერთად შეყრა და სათემოდ ბჭობა შეგვიძლიან. ეხლა დამწყობს ამ ერთობისათვის კანონი არ განუსაზღვრია, არამედ ზემოხსენებული პროგრამა მოუცია. რასაკვირველია საჭიროა, როგორც ყველა სხვა ყრილობისათვის კანონები; ჩვენ მუდამ იმ დედა აზრით უნდა ვხელმძღვანელობდეთ, რომ ჩვენი კანონების პირველი მუხლი არის ქართველთა ერთობა, მისი მიზანია ქართველთა ერთობა და საშუალებაც იგივე ერთობაა; **ერთობაა დასაწყისი, ერთობაა აღსასრული, ერთობაა საშუალი**.

ფული თუ საჭიროა „ერთობისათვის“ ვალი კი არავისა აქვს გარდაწყვეტილი, ესა და ეს აძლიოს, არამედ, შემთხვევის გვარად, ნიშნობრივ საქმისათვის მოიკრიფება დახმარება, როგორც გავლილად პოეტის იუბილეისათვის შესწირა ყველა თქვენგანმა **ქრისტიანმა და მაჰმადიანმა ქართველმა.** ხოლო თუ მმართველობაზედ მოხვალთ, თვით თქვენა ბრძანდებით მმართველნი; თქვენვე ბრძანდებით მართულნი და თქვენი მართველობისაგან წარმომდგარი სიკეთე თუ ერთობისათვის სასარგებლოა, თვითოეულმა თქვენგანმა ისე მიიღოს, ვითომც მისთვის იყოს ეს სიკეთე და წინ წარმატება.

ჩვენი „ერთობა“ წეღან დავახასიათეთ როგორც წრე. წრე გეომეტრიულ ფიგურებში ყველაზე სრულია თანასწორობაში; მსგავსადვე ჩვენს ერთობაში მოიპოვება სრული თანასწორობა, სრული ძმობა, სრული თავისუფლება. მასში ჩვენ გარჩევას არა ვდებთ სარწმუნოებით, ყველას შეუძლიან აღასრულოს თავისი სამოქალაქო წესები და იქონიოს, რა პოლიტიკური აზრიც უნდა, ოღონდ ზემო ნათქვამს, სამმუხლიან კანონს, არ გადასცილდეს, ესე იგი ქართველთა ერთობას წინ არ წაუაროს. ვამბობ, თქვენ ბრძანდებით მმართველნი; დიაღ, როცა ყრილობაა. და ყრილობა რომ ყოველ დღე არ შეიძლება, საჭიროა თქვენი სახელით იმართოს. აქედან დასკვნა ის არის, რომ თქვენს ერთობას ჰყავდეს თქვენი წარმომადგენელი ზნეობითი არსი erre morale. ამ ზნეობით არსებას ეჭირვება, რომ განხორციელდეს, განა შეისხას სული და გვამი, ესე იგი იყოს ერთი პირი, რომელმაც თქვენი ერთობა წარმოადგინოს, როდესაც და საცა ჯერ იყოს.

ვინაიდან განვლილ დროებაში ჩვენი ერთად შეყრა არ შეიძლებოდა და არც კომიტეტის ხსენება, რომ თქვენი წარმომადგენელი ყველა თქვენის არჩევით ყოფილიყო, ამიტომ საქმის ინიციატორთაგან წარმომადგენლობა ანუ ძმათ უფროსობა ჩაბარდა აქ მყოფს **ვლადიმერ წერეთელს.** ერთი წელიწადია, რაც მან აიღო დროშა ჩვენის ერთობისა და სამაგალითოდ ემსახურება თავის მოვალეობას: ბევრი შრომა გაიღო ჩვენის შეერთებისათვის, ბევრს აქ მოსულს გაჭირვებულ ქართველს აღმოუჩინა შემწეობა, ბევრი ჩვენი დავალება აუსრულებია, ყველაში პირნათლად გამოგვიყვანა.

გავათავე, დანო და ძმანო ქართველნო! შენდობას მოვითხოვ, რომ სიტყვა გამიგრძელდა; მაინც გევედრებით, ნება მიბოძოთ, ჩვენს ამ ერთადა ყოფნაში მოვიხსენიოთ საყვარელ სამშობლოს წლევანდელი რიგს გარეთ მოძრაობა შემთხვევითა **აკაკი წერეთლის იუბილეისა.** საქართველოში აკაკი წერეთლის იუბილეი ისეთ დიდებულ და სანუგეშო მოვლენად გადაიქცა, რომ სამი წლის აქეთი ჭირნი და წყვეტანი დაგვავიწყა. ეს წარსული წელიწადი საქართველოს ისტორიაში სამუდამოთ მოხსენებული იქნება, სადაც ჩვენი წარჩინებულ პოეტის აკაკი წერეთლის სახელი ოქროს ასოებით იქნება ჩაწერილი დღეიდანვე.

ვისაც ქართველი გვარის ნათელი გამქრალი ეგონა, ვისაც სურდა მისი ენის და გვაროვნობის ამოგდება, იმათ საქართველოს შვილებმა სამშობლოში მყოფთ, სპარსეთში გადაკარგულთ, ოსმალეთში გადმოსახლებულთ, ყველგან, სადაც კი არიან, თავიანთ მოძრაობით და მოქმედებით დაუმტკიცეს, რომ საქართველო არსებობს და რომ ეს ქვეყანა ღირსია დაუბრუნდეს მეთორმეტე საუკუნოების დიდებას. მანამდე თამარ დედოფლის და შოთა რუსთაველის ხსენება იქნება, მანამ საქართველოს რუსთაველის მოწაფენი გვეყოლებიან და გლეხი ქართულად „ოროველას“ გაიძახის, მანამდე საქართველო ცოცხალია!

ო, ქართველო ერო, მხურვალეა შენი ნატვრა, უკვდავია შენი იმედი, მაღალია ნიჭი და გონება შენი!

მაშ გული მაღლა გქონდეს, ქართულო გვარო, მაღლა და უცვლელად, ვითარცა საქართველოს გამომხატველი კავკასიონის მთა, რომლის წვერი ცასა სწვდება და იკარგება ცის სილურჯეში და ფართო ძირი აყვავებულია მწვანედ. ლურჯი სახეა ნატვრისა, მწვანე – იმედისა, და, როგორც იგი ფერადნი, უკვდავია ნატვრა და იმედი შენი!

ამნაირად **ორფერადიანია** ჩვენს გულში გამოსახული ჩვენი „**ერთობის**“ **დროშა,** გამომხატველი **ლურჯით** ღვთისა **და მწვანით სამშობლოსი, ამ უცხოეთში ლურჯით ნატვრისა, მწვანით იმედისა, ლურჯით ქრისტიან ქართველებისა, მწვანით ქართველ მუსულმანებისა. მაღლა,**

სტამბოლის ქართველებო, თქვენი დროშა, როგორც კავკასიონის მთა, უძრავად მდგარი, ზღვისა ზღვასთან შემაერთებელი, ქვეყნისა ცასთან და სამშობლოს გაფანტულ შვილებზედ მაღლიდან მწუხარედ გადმომზირალი!

ქართველთა მეოხო წმიდაო ნინო, მოხედე შენს ხვედრილ ქვეყანას!

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი ხელნაწერისა შენახულია სტამბოლის ქართულ სავანეში; დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, 1909 წ. N 25.

უნაღვლელი (მიხაკო წერეთელი)

წერილი სტამბოლიდან

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მიბოძოთ თქვენი პატივცემული გაზეთის საშუალებით გავაცნო საქართველოს ერს ჩვენი, სტამბოლში მცხოვრებ ქართველების და აქაური ქართველ კათოლიკეთა მონასტრის ბერების მდგომარეობა.

ერთი კვირაა, რაც აქაური ფრანგული გაზეთები ჩვენს პატარა ქართულ ახალშენზე სწერენ; რასაც ჩვენ ვერ გავბედავდით, ფრანგებმა სთქვეს და გაჰკიცხეს აქაური ლათინის ეპისკოპოსი **სარდი**.

–„საწყალ ქართველებს თავიანთი საერო ეკლესია დაუკეტაო,–ამბობს სხვათა შორის **„ლა ტურქია“,** ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა მოუსპო და ყოველივე ერთს თავის სავანის ეკლესიას მიათვისაო“. მათი თხოვნა 1910 წ. იმისა, რომ დაებრუნებინა სარდი-ეპისკოპოსს თავის მრევლ ქართველ კათოლიკეებისათვის, უყურადღებოდ დასტოვა და პასუხიც არ აკადრაო. უარესიც ქმნა: რომში გაგზავნილი მოსწავლენი, რომლებიც ქართულს წესით უნდა კურთხეულიყვნენ, მისის ბრძანებით უკან დააბრუნეს, ძალით ლათინის წესით აკურთხეს. მაგრამ ამათმა ამ მიზეზის გამო, ზოგმა სრულიად უარი განაცხადა მღვდელობისა.

იმ მონასტერში, რომელიც დანიშნულია მღვდ. მამა **პეტრე ხარისჭაროვისაგან** და რომელ-შიაც თავად ანდერძისა, წირვა-ლოცვა ქართულ-ბერძნულ ენაზე უნდა წარმოებულიყო, **ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა სარდიმ სრულიად მოსპო.** ესეც არ იკმარა ეპისკოპოსმა სარდიმ; უსკუდარში, ბოსფორის ნაპირას, მამა პეტრესაგანვე აშენებული მონასტერი და ეკლესია, შემოსავლიანი სახლებიც ჩამოაცალა და იტალიელ მღვდლებს ჩააბარა, რის გამოც **ქართველმა ბერებმა დაჰკარგეს ბოსფორის დაყოლებით ხუთი სოფლის მრევლი**. ეს დიდი უსამართლობაა. ჩვენ შევწირეთ ქართველებს და თუ მათ არ უნდათ, ჩვენ დაგვრჩება ადგილიც, სახლ-კარიცაო. ამას ვისიც ჯერ არს, ყურადღება უნდა მიაქციონ და ეს უძრავი მამული ქართველებსავე დაუბრუნონო.

ორმოცი წელიწადია, რაც მამა პეტრე ხარისჭაროვმა შიგ შუა ქალაქში დაარსა კიდევ მონას-ტერი და სკოლა; ეპისკოპოსს ნდომებია ამ სკოლის დაკეტვაც, სადაც სწავლა **ფრანგულ-ქართულად** სწარმოებს. საფრანგეთის საელჩო, რომლის მფარველობის ქვეშაც იმყოფება ეს სკოლა და 1895 წ. 300 ოქროც მისცა გასაკეთებლად, საჭიროდ სცნობს კიდევ შემწეობა აღმოუჩინოს; ჩვენ, ფრანგთა ახალშენი, მზადა ვართ, რომ სათემო ხელმოწერა გავმართოთ და ეს მონასტერი და სკოლა შევაკეთოთო და სხვ.

ამგვარად, მთელი კვირაა, გაზეთები სულ ქართველებზე ლაპარაკობდნენ, საიმედოდ იმასაც ამბობენ, ვითომ საფრანგეთის ელჩს, რომელიც ოფიციალური წარმომადგენელია და ოსმალეთში მყოფი ყველა კათოლიკების მფარველი, რომის სასულიერო მთავრობასთან ეჩივლოს ამ ეპისკოპოსის მოქმედებაზე. ის კი მართალია, რომ სარდი რომში დაიბარეს პასუხის საგებლად და შესაძლებელია არც კი დააბრუნონ, თუ დაბრუნდება, ხაბაკის ასაკრებადაო, – ამბობენ.

ასეთის თანაგრძნობით ლაპარაკობენ ჩვენზე აქაური გაზეთები.

საყურადღებოა ვიცოდეთ, ნუ თუ მარტო ეპისკოპოსი სარდია ამ უსამართლობის ჩამდენი და მას არა ჰყავს ვინმე ჩვენგანი ხელის მომართავი და წამქეზებელი? განა შესაძლებელია, რომ

უცხო გვარის ეპისკოპოსი, რომელიც ორი წელიწადია, რაც აქ არის, ისე უსამართლოდ სდევნიდეს ქართველ ბერებს, რომელთაც არა დაუშავებიათ რა და თავიანთ ჩრდილისაც კი ეშინიანო? ანუ რას ისარგებლებს იგი სულიერი მამა ამისთანა უსამართლობის ჩადენით?

ამ კითხვის პასუხის გაცემა შეუძლებელი თუ არა, ძნელი მაინცაა.

მაშ, სარდის უსათუოდ თანამგრძნობი, ანუ წინამძღვარიც უნდა ჰყავდეს ჩვენშივე; „ციხე შიგნიდან გატყდებაო“, ნათქვამია, მოღალატე და მამულის გამცემი ჩვენშივეა უეჭველად და ის პირი ღირსია ზიზღით მოხსენებისა...

აბა, კარგად დავფიქრდეთ, განა ამას უცხო ბერ-მონაზონი იზამდა? არა, რადგან ჩვენის დაღუპვით, რას ირგებდა?!

უცხო ერის კაცი? არა. დღეს ჩვენი ჭირ-ვარამის გამომჟღავნებელი, როგორცა ჰხედავთ, ისინი არიან.

ქართველმა გვიღალატა? არა, რადგან ქვემოდ დავინახავთ, არა თუ თხოვნას ყველამ ხელი მოაწერა, სამშობლო ენაზე ნებართვა მიეცათ წირვა-ლოცვისა, რომელსაც სარდიმ ყურადღება არც მიაქცია. ერთხელ სულ ყოველნი, მამაკაცნი-დედაკაცნი, ბავშვებიც კი მივეჭერით მონასტერს თხოვნით, რომ ჩვენთვის ეპატრონათ, მთელი ორი საათი ვღაღადობდით: ქართული, ქართულად გვინდა ჩვენ წირვა-ლოცვა? არა, ეს ფიქრადაც არ არის გასატარებელი!

მაშ, თვით ბერებში მოვძებნოთ ეს იუდა?

აი, აქ გავჩერდეთ და კარგად გამოვიძიოთ.

როდესაც ბ. სარდი ასეთ უსამართლობას სჩადიოდა, ჩვენს საყდრებსა ჰკეტდა, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვას გვიკრძალავდა, სკოლებს ჰკეტავდა და მონასტერს გვინადგურებდა, ჩვენი ბერების უფროსი სად იყო? ეპისკოპოსს პროტესტი გამოუცხადა თუ არა?

ამისთანა რამ არსად არაფერი გაგვიგონია. თუ შეიტანა პროტესტი? ეპისკოპოსმა ყურადღება არ მიაქცია, მაშინ თანამდებობიდან გადადგომის ქაღალდი მისცა თუ არა ბატონმა მონასტრის უფროსმა **ვარდიძემ?** სამსახურს თავი დაანება? საქართველოს საზოგადოებას, მასთან ახალციხის ერს აცნობა ამ ჩვენს საბრალო მონასტრისათვის მოყენებული შეურაცხჰყოფა?!

ჩვენი მონასტრის უფროსმა ბატონმა **პატრი ბენედიქტე ჩილინგაროვმა,** რომელიც ირქმევს **ვარდიძეს** (საიდგან ვარდიძე, არ ვიცით?! მისი ნამდვილი გვარი ჩილინგაროვია. მრავალ არიან, სასწაულნი შენნი, უფალო. სჯობდა, ეკალი დარქმეოდა, ნაყოფი ვარდისა ჰქონდა!). უმთავრეს სასულიეროსთან ე.ი. პაპთან შეჰჩივლა ეპისკოპოსს სარდიზე, რომელიც აღმოსავლეთის კათოლიკების გალათინებისათვის 1894 წელს, ლეონ პაპის გამოცემული ინკიკლიკით შეჩვენებული იყო და ძრიელ ადვილად მამა ბენედიკტეს შეეძლო გაეხსენებინა ესა პაპისათვის და არ დამორჩილებულიყო.

თუ მიწერ-მოწერით ვერას გახდა, თვით ჩავიდა, რომში სარდისაგან ამდენი უსამართლობის ჩადენის პასუხის მოსათხოვნელად? თუ ამითაც ვერა გახდა, მიჰმართა საქართველოს ერს და საზოგადოებას, შეჰჩივლა და ითხოვა პატრონობა. არა!

თუ ამ ყველაფერში არა, არა, მაშინ გავჩერდეთ, ვსთქვათ. აგერ მტერი, აქა გამცემი!!!

აი, უმთავრესად ეს მიზეზებია, რომ ქართული სამრევლო ეკლესია მოგვისპეს, ბევრ ჩვენგანს ეკლესიის პირი აღარ უნახავს. მგონია, ეს ცოდვა მოეკითხება მას, ვინც არის ამისი პირდაპირი მიზეზი...

ახლა მოგახსენებთ ერთ სიმართლეს და გარემოებას, რომელიც დაგისურათებთ მამა ვარდიძეს. ჩვენ, აქაურმა ქართველ კათოლიკეთ ხალხმა, შევიტანეთ თხოვნა საეპისკოპოსოში, რომ ჩვენთვის სამშობლო ენაზე წირვა-ლოცვა და მონასტერ-ეკლესიების უფლებები აღედგინათ. ბ. ეპისკოპოსმა სარდიმ ჩვენი თხოვნა გადასცა პატრი ბენედიქტე ვარდიძეს, ვითომ გამოსაძიებლად მიანდო. ამ უკანასკნელმა უწინარეს გამოძიებისა, დაიბარა ერთ მრევლში თავისი ერთგული კაცი, თავისი მოაზრე ბერი, რომელმაც თავი შეაბრალა ქართველებს, რომ ამ თხოვნით ეპისკოპოსი უფრო განრისხდება და დაარწმუნა, თუ არ ვინანეთ, **ფერიქოის ღვთისმშობლის მთავარ ეკლესია-მონასტერსაც დაგვიკეტავსო**.

ამ მუქარამ თავისი გავლენა იქონია და ბევრმა უარი სთქვა თავის ხელ მოწერილზე, მხოლოდ მათში ზოგიერთმა **იაკობ და სიმონ ფილოშვილებმა** თავისი გაიტანეს და აღიარეს თავისი აზრი... თუ ჩვენ სამშობლო წირვა-ლოცვის აღდგენით სტამბოლში ჩვენი მონასტერი დაიკეტება, უმჯობესია ის დაიღუპოს და სამშობლო ენამ და წირვა-ლოცვამ იცოცხლოსო“.

რასაკვირველია, ეს ყოველიფერი ბენედიქტისაგან ეპისკოპოსს მოჰხსენდა. და პასუხი ჩვენს თხოვნისა შეჩერდა. მაშინ მოხდა კრება ქართველი ვექილ აზნაურ **საბრო-ბეგი ღამბაშიძის** კანტორაში. აქ უნდა მოგახსენოთ, ჩვენ დიდად უნდა დაუმადლოთ **ქართველ მაჰმადიანებს და მართლმადიდებელ ქართველებს,** რომელთაც მართლა გამოგვაფხიზლეს. ეს კრება მოხდა შარშან ნინოობის დღეს (ჩვენებურ ახალ წელს დღეს). ბ. უფროსმა ბევრი გვარიგა, მაგრამ მაინც ბოლოს იძულებული გახდა მონაწილეობა მიეღო. ამ ღირსმა უფროსმა ორი საათის განმავლობაში დაგვღალა თავის წინააღმდეგის ლაპარაკით; წინააღმდეგ ჩვენი სურვილისა ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღდგენის თაობაზე: „ქართული წირვა-ლოცვა ჩვენთვის და კათოლიკე ეკლესიისათვის უცნობიაო“, ამტკიცებდა იგი.

მაშინ ახალგაზრდა მღვდლებმა უჩვენეს თამარაშვილის ისტორიის ფურცლები, სადაც ცხადად არის დამტკიცებული, რომ 1808 წ. აწ. ჯავახეთში მცხოვრებელ ველელ ქართველ კათოლიკებს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და ქართველი მღვდელი ჰყოლიათო.

მაშინ ილაჯგაწყვეტილმა მამამ სათემოდ გამოგვიცხადა: „მე მონასტრის ეკლესიას არ გათხოვებთ და არ შემოგიშვებთო; თქვენთვის ახალი ეკლესია აიშენეთო. ამ მონასტერთან არაფერი ურთიერთობა არა გაქვთო“. მონასტერს სათქვენო მღვდელი არა ჰყავსო; ჯერ ეკლესია ააშენეთ, მღვდელს სარჩო გაუჩინეთ და **მერე ვიფიქროთ თქვენ ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის აღდგენაო.** რაც ეპისკოპოსმა დამავალა, მე მას ვერ გადავალო. მე მორჩილება ეპისკოპოსი უფროსისადმი მაცხოვნებს და არა თქვენი ქართული წირვა-ლოცვის ეკლესიაში აღდგენაო. რას მარგებს, თუ ქვეყნიერება შევიძინო და სული ჩემი წავიწყმიდოო?“ და სხვა და სხვ. ბოლოს დაბადების სიტყვებით გვიმტკიცებდა, რომ ქართული წირვა-ლოცვა კაცს სულის ცხოვნებას დაუშლისო.

ამ დროს ერთმა დამწერთაგანმა დაიძახა: –„მაშ, საწყალი მამა პეტრე (ხარისჭერაშვილი) წაწყმედილი უნდა იყოს, რომელმაც საქართველოს კათოლიკებს სტამბოლში ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა აღუდგინა და ამ მონასტერში მიცვალებულნი მღვდლები მარხიანო. – ვაიმე, მიშველეთ, მეც სამშობლო ენის ტიპიკონზე ვარ მონათლული და ამ ენაზე მადიდებელი ღმერთისა, უნდა წავიწყმიდოო“.

პატრმა ბენედიქტემ ლაპარაკი ჩაფარცხა: „მამა პეტრე სხვა კაცი იყო, იმის სიტყვას სხვა გავლენა ჰქონდაო რომში პაპის წინაშეო და სხვა ამისთანები.

ამით უფრო დაგვიმტკიცა, რომ ამ საგვამო მონასტრისათვის სულიერის თუ ხორციელის ვნების მომტანი მამა ბენედიქტე ყოფილა, და არა ის, რომელზედაც ფრანგული გაზეთები ლაპარაკობენ და პასუხის გებაშიც მისცეს ე.ი. ეპისკოპოსი სარდი.

თუ რა მიზეზისათვის დაუშალა მრევლს თავისი ეკლესია, რად ცდილობდა ქართული სკოლის დაკეტვას, ან უსკუდარის მონასტერი და ეკლესია რათ მიატოვეს, ამისას ბერებს ვერას დაეკითხებით.

გულში კი ვიცით, რასაც ფიქრობენ, პირადად კი იძახიან: ჩვენ მორჩილების ფიცით ვართ შეკრული, უფროსი რასაც გვიბრძანებს, ყველაფერში უნდა დავემორჩილოთო.

მაგრამ ერთხელ ჩამივარდა ხელში ერთი ბერი მორჩილი, მას გამოვკითხე და გულმარტოობით მიამბო: „მართალია, უფროსი მე არ მეტყვის მიზეზს მონასტრების და ეკლესიის დაკეტვისას, მაგრამ მუდამ გვეუბნება კი, რომ ჩვენ ბერები ვართ, არ შეგვეფერება ერის მოვლა, სახორციელო საქმეებში გარევა და ფრანგულ ენის სწავლაო. რა საჭიროაო, სამივე მონასტერი დავკეტოთო, შევკრიბოთ ერთად, ერთი მადლიანი ჟამნი ვთქვათო და ვიცხოვროთ მოსვენებაში, როგორც მეუდაბნოთაო“.

აი, რა მიზეზია, რომ ბ. პატრი ბენედიქტე ამისთანა კაი კაცობას სჩადის და მონასტრის საქმეს ღუპავს. ამავე მიზეზით, მონასტრის მშვენიერი ბარმახანა (სტამბა) დაკეტა მამა ბენედიქტემ...

როგორც ვხედავთ, ქართველ-კათოლიკეთა სტამბოლის მონასტერი არასანატრელ მდგომარეობაშია. ამისათვის აქაური ჩვენი ერის ბერ-მონაზნების, მასთან აქაური ჩვენი თანამგრძნობელი **გავლენიანი ვექილის, ქართველ მაჰმადიანი საბრო ბეგი ღამბაშიძის და ირემაძის, რომელიც არის ოსმალეთს საბჭოს წევრი და შეჰრის პროფესორი – დასკვნა** და მოთხოვნილება ეს არის: რადგან უსკუდარის მონასტერი და ეკლესია თვით მამა პეტრე ხარისჭაროვის დაფუძნებულია და ყოვლად კეთილს შიგ უცხოვრია, უშრომნია ერისთავის და წირვა-ლოცვა უთქვამს, რადგან **ქართულ-ფრანგული** სკოლა იმავე კეთილ მოღვაწეს აგებულია და 40 წელს უარსნია, რადგან ჩვენი აქაური ქართველ-კათოლიკების თხოვნით თვით განათლებულმა იშუამავლა კარდინალ **ვანუტელთან**, რომ ქართველებისათვის აღდგენილ იყო ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა და სამრევლო ეკლესია, რომელიც აშენდა 1861 წ., სადაც თვითონვე დაინიშნა სამრევლო მღვდლად; რადგან პირველად ფერი-ქოის ლავრა აღაშენა, რომ შიგ ლათინი წესის და ბერძნულ-ქართული წესის ქართველი მღვდელ-მონაზონთა რიცხვი თანასწორი უნდა ყოფილიყო და თანასწორად უნდა ეცხოვრათ; რადგან მონასტრის გაწყობის წინედ მამა პეტრეს **იერუსალიმში ქართული წიგნები** უბეჭდია და შემდეგაც გახსნა საფრანგეთში და თვითვე **სტამბოლშიც ქართული სტამბა,** სადაც გამოსცა მრავალი წიგნები, **თვითონ სთხზავდა, თარგმნიდა და ასო-ამწყობის თანამდებობასაც ასრულებდა**; რადგან ეს ყველა მაღალი თავისებურებანი მისი წარმოდინდება მისი **ღვთისადმი და მამულისადმი სიყვარულისაგან**, მოციქულთა მიბაძვით, რომელთაც მაცხოვარმა დააბარა ღვთიურის სიყვარულით: „მივედით უფროს, ხოლო ცხოვართა სახლისა ისრაელისა;“ (10 თ. და 6 რიცხვი), რადგან **მამა პეტრეს ჰქონდა სული და ლტოვილება მოციქულებრივი და არა მეუდაბნური**. თავის სულიერ შვილებსაც, მღვდელ მონაზონებს უანდერძა, რომ მის მაგალითს მისვდევდნენ და ისინიც, მართლა, იმის კვალზე დადიოდნენ. იმათ შორის კეთილ ხსენებულ მაღალსულოვანი **პატრი ალფონს ხითაროვი,** რომელსაც ახლაც დიდის პატივისცემით ერი იხსენიებს და მისტირის.

მაგრამ, რადგან ახლანდელი მონასტრის უფროსს პატრ ბენედიქტე ვარდიძეს განუზრახავს ამ მონასტრის სახის შეცვლა, როგორც „მართალ მთქმელმა მორჩილმა“ აგვიხსნა და საქმითაც ისე ჩანს, ვინაიდან მონასტერს ქართული წირვა მოუსპო, ანუ მოასპობინა ეპისკოპოსს სარდის, ქართველებს ქართული სამრევლო ეკლესია დაუშალა, ანუ დააშლევინა; უსკუდარში ეკლესია და მონასტერი წაართვა, ანუ წაართმევინა, ფრანგულ-ქართულ სკოლას დაჰხურავს, ანუ დაახურინებს; რადგან აგერ 6 წელიწადია ბ. ბენედიქტეს სტამბის კარიც არ შეუღია, პირიქით, მიცვალებული პატრი ანდრიას **ფრანგულ-ქართული ლექსიკონის** მიზეზით ქართველ მღვდელ-მონაზონებს **დამასკოს ჰგზავნის უდაბნოში** და მით ხელი შეუშალა მის დაბეჭვდას: რადგან პატრი ბენედიქტეს არ გამოჰყოლია მამა პეტრე ხარისჭარიშვილის ღვთის და მამულის სიყვარულით აღგზნებული სული, არამედ აქვს ნამდვილი ასკეტური, მეუდაბნოური ლტოლვილებანი, ამისათვის მას ღირსად არ ვსთვლით, რომ მოსაყდრედ ირაცხებოდეს.

მიხედვით ჩვენი მამულის მოთხოვნილებისა და ჩვენი განადგურებული მონასტრის სასარგებლოდ, ჩვენ ვურჩევთ მამა ბენედიქტეს, გადადგეს უფროსობის თანამდებობიდან და ვინმე უფრო ღირსეულ პირს დაუთმოს, რომელსაც შეეძლოს და მიზნად ჰქონდეს მონასტრის უფლების დაცვა და მშობლიურ ენის პატრონობა, ქართულ ენაზე წირვა-ლოცვის განახლება.

მამ ბენედიქტემ ამ ჩვენი მოთხოვნილების აღსრულებით მაინც დაგვავალოს...

და უკეთუ ჩვენმა წერილმა შესაფერი გავლენა ვერ იქონია, სადაც ჯერ არს, მაშინ ჩვენ ქართველები მზადა ვართ, სხვა ზომებს მივმართოთ და ვაჩვენოთ ბ. ვარდიძეს მისი შეცოდებანი, როგორც სამშობლოს წინაშე, ისე აქ გარდახვეწილ ქართველ კათოლიკე ერის წინაშე.

ამასთან, ვიმეორებთ და მოვალედ ვსთვლით ჩვენთვის, მადლობა ვუძღვნათ იმ ფრანგულ გაზეთებს, რომელთაც გამოაქვეყნეს ჩვენი წყლულები, თორემ ჩვენ ვერ გავბედავდით და ეს წყლულები სიკვდილამდე მიგვიყვანდა.

სტამბოლის ქართული სავანე, ფერიქოი, 1912 წელი, თებერვლის 7.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები
ბათუმიდან სტამბოლამდე

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

II

მეორე დღეს გავბედე და სომხის მღვდელს გამოველაპარაკე. ცოტა ფრანგული იცოდა. მასუკან გავიგე, რომ ის მთავარ-ეპისკოპოსი ყოფილიყო. ეჩმიაძინიდან მიდიოდა კათალიკოსის ამორჩევის შემდეგ. ჩემი ლაპარაკის საგანი ტერიტორიის უქონლობა იყო. მან პირდაპირ მითხრა, **სომხები მუშა ხალხი ვართ, ვაჭარი, მაგრამ ჩვენი სიდიადის მზე საუკუნოდ ჩაესვენაო. ვიქნებით ოთხ მილიონამდე და სულ გაბნეულიო. ტერიტორია რომ გვქონდეს, კიდევ მოვაწყობდით ეროვნულ ცხოვრებას, მაგრამ გაბნეული ხალხი საცოდავია**. რა უნდა ვქნათ, სამუდამოდ, ასე საცოდავად უნდა დავრჩეთო! გამიკვირდა ასეთი პირახდილი ლაპარაკი. პატარა ერებს ჩვეულებად აქვთ, გადააჭარბონ ხოლმე თავიანთ ძალასა და სიმრავლეს.

რაკი ერთხელვე გავბედე სხვა ეროვნების ხალხთან ლაპარაკი, აღარც სპარსელი დავტოვე უყურადღებოდ. ისიც ჩემი მეზობელი იყო. ჩემს ზევით იწვა. გამოველაპარაკე და ვინაობა ვკითხე. იგი აღმოჩნდა ბ-ნი **რეზიზადე**, რომელიღაც სპარსულ გაზეთის კორესპონდენტი. მიდიოდა სტამბოლს და იქიდან ევროპაში, რომ ქვეყნისათვის ეცნობებინა სპარსეთის მდგომარეობა. ბევრი ვერა გავაგებინე რა ორი მიზეზის გამო: ფრანგული არ იცოდა კარგად და ზღვაცა სწყენდა, ვერ იყო კარგ გუნებაზედ. იმდენი ვაჟკაცობა კიდევ მოიკრიბა, რომ სათარხანისა და მისი ჯარის სურათი მაინც მაჩვენა, აგრეთვე, დიდებული პროცესია ორი მოკლულ ქართველ რაზმელის დასაფლავებისა. კომპლიმენტიც მითხრა–„გურჯი კარგიაო“. პატარა ხანს შემდეგ ცოტათი მოიბრუნა სული და თვითონ დამიწყო ლაპარაკი. ძლივსა ვგებულობდი მის ფრანგულს. მისი ნალაპარაკევიდან მხოლოდ ის გავიგე, რომ სრული იმედი ჰქონია, კონსტიტუცია გაიმარჯვებსო, რუსი სპარსეთში ვერ შევა, არ შეუშვებენო. ბევრი ველაპარაკე ამ საგანზედ, მაგრამ ვერა გაიგო-რა და დავანებე თავი. არც ოსმალებსა და არაბებს სწყალობდა. თუმცა მუსულმანები ვართ, მაგრამ მაინც სხვა ხალხები ვართო. **არაბები სემიტები** არიან, **თურქები მონგოლები**, ჩვენ კი **არიელებიო**. ერთს დროს ჩვენ ეგვიპტესა, ინდოეთსა, საბერძნეთსა და რომს ვეომებოდითო. ჩვენი დიდი „ჩარი-ხოსრო“ კი პირდაპირ ათინაში წევიდაო.

აქ ცოტა ფანტაზია წაურია ჩემმა მესაუბრემ, მაგრამ ეპატიება, რადგან აღმოსავლეთის მაჰმადიანის გონებას იქამდის მაინც მიუღწევია, **რომ სჯულსა და ეროვნებას ერთმანეთში არ ურევს**. უნდა ვიცოდეთ, რომ სჯული, რელიგია ისეთი ძლიერი ფაქტორია ადამიანთა ცხოვრებაში, იგი ისეთ საერთო მოწესრიგებასა ჰქმნის სხვადასხვა ეროვნების ხალხთა შორისაც, რომ მისი **დარღვევა საუკუნეთა განმავლობაში არის ხოლმე შესაძლებელი**. მართალია, **ერის სრული და ერთობრივი ცხოვრება მაინც სძლევს ხოლმე ბოლოს და ბოლოს რელიგიის ძალას, მაგრამ ეს ძლიერ განვითარებულ ერთა შორის არის შესაძლებელი**. ეს იმიტომ ხდება, რასაკვირველია, რომ მთელ ეროვნულ ცხოვრების მოწესრიგება უფრო ორგანიულია და უფრო მჭიდრო, ვიდრე კერძო რელიგიური, ამიტომაც **ეროვნული იდეა აჭარბებს სიცხოველითა და ძალით რელიგიურსა**, მაგრამ ხშირად ისიც მომხდარა, რომ მთელი ერები დაუღუპავს რომელსამე სხვა ერის რელიგიის მიღებასა და გადუგვარებია იგი ეროვნულად. ეს სპარსელი კი **არჩევდა**

ერთმანეთისაგან ეროვნულსა და რელიგიურ იდეასა და მეც ეს გამიკვირდა განუვითარებელ ერის საშუალო კაცისაგან. ვინ იცის, შეიძლება ეს დიდ რამესაც მოასწავებდეს.

9 ნოემბერს **სინოპში** მივედით, საკარანტინო ადგილზედ. იმ ღამეს არავინ მოსულა. მეორე დღეს მოვიდნენ ექიმები, დეზინფექცია გაუკეთეს გემსა და ნაპირზედ წაასხეს საწყალი გადასახლებული ბერძნები. ჩვენ, რასაკვირველია, პირველისა და მეორე კლასის მგზავრებს ამას ვინ გაგვიბედავდა. გემზედ დაგვტოვეს, მაგრამ, სამაგიეროდ, ხუთი დღის განმავლობაში ათი ფრანკი უნდა მიგვეცა დღეში თავის გამოსაკვებად. სომხებს ეს არაფრად ეამათ. დაიწყეს კაპიტანთან ლაპარაკი, მაგრამ კაპიტანმა ყვირილი მორთო:–მე გემის კაპიტანი ვარ და არა მედუქნეო. თუ გინდათ, ნურაფერსაც ნუ სჭამთ, რა ჩემი საქმეაო. ორი დღე რომ ილაპარაკოთ, მაინც ვერ შევსცლი კარანტინის წესებსა და კომპანიის რეგლამენტსაო. მაშინ სომხები დაემუქრ-ნენ:–მთელ „მესსაჟერიო“–ს კომპანიას ბოიკოტს გამოუცხადებს მთელი სომხობაო! კაპიტანმა ყურიც არ გაიბერტყა. სომხებმა გაჰგზავნეს კაცი ნაპირზედ, იყიდეს საერთოდ ხორაგი და ხუთი დღის საგზალი დაიმზადეს. მათ მაგალითს სხვებმაც მიჰბაძეს, ვინც ერთად იყვნენ. გემის სუფრაზედ კი დავრჩით მე, ერთი იტალიელი და გონჯი ინგლისელი ქალი. მეტი რა გზა გვქონდა. იმ დღეს სადილად მეორე იტალიელიც დავპატიჟეთ. საინტერესო იყო ორი ამხანაგის ლაპარაკი.

–იცით,–ეუბნებოდა ერთი მეორეს; – მე კავკასიაში ვიყავი და თათრებზე უკეთესი ხალხი არ მინახავს. პირიანი ხალხია. მე ხე-ტყის ფირმის წარმომადგენელი ვარ, თათართან თუ მქონია საქმე, გამიკეთებია, სომეხს ყოველთვის მოვუტყუებივარ, ქართველები კი ცოტანი არიან ვაჭრობის საქმეში, მაგრამ ერთი მათგანი, თავადი (გვარიც დაასახელა), თურმე ისეთი ოხერი ყოფილა, რომ სამი ევროპიელი კომპანია გაუკოტრებია! იმას როგორღა მივეკარებოდი.

მეც ხმა გავკმინდე, რაღაც მომაგონდა და მეჭაშნიკა. ცოტა არ იყოს, შემრცხვა.

–ეს კი, მაგრამ თათრები და სომხები რატომ ჟლეტდნენ ერთმანეთს?–ჰკითხა მეორემ.

–იმიტომ, რომ რევოლუციის დროს თათრებს თათარი უნდოდათ მეფედ, სომხებს კი სომეხიო! – მიუგო სერიოზულად პირველმა.

მე, როგორც შემეძლო, ავუხსენი საქმის გარემოება, ავუწერე რევოლუცია და მისი მომქმედნი კავკასიაში, ავუხსენი სომეხ-თათართა ჟლეტის მიზეზი, მაგრამ როგორც კედელს ცერცვი შეაყარო, ისე არ მიუდგა ჩემი ნალაპარაკევი იმის სმენასა და გონებას.

–მე იქ ვიყავი იმ დროს და შენ მასწავლიო,–მითხრა.

–მეც იქ ვიყავი-მეთქი,–ვუთხარი, მაგრამ მან ეჭვის თვალით შემომხედა და წავიდა თავის კაიუტაში. ევროპიელი კი არა, ტლანქი უვიცი და აზიელზედ ნაკლები ჭკუისა ხარ მეთქი,–გავადევნე უკან ფიქრი და მეც წავედი მოსასვენებლად.

ხუთი დღე ვიდექით სინოპში. ძლიერ მოსაწყენია კარანტინი. ნამდვილად იციან, მაგა-ლითად, რომ ხოლერიანი არავინაა, მაგრამ წესით მაინც დანიშნულ დრომდე უნდა იდგე რეიდზედ. ღამე ვკითხულობდით, ვთამაშობდით ჭადრაკსა და ვმუსაიფობდით. დღე ხან გვეძინა და ხან დავდიოდით იქით-აქეთ გაგიჟებულებივით, რომ დრო როგორმე შეგვემოკლე-ბინა. ინგლისელი ქალიც კი შემოვიერთეთ და ორმა იტალიელმა და მე; ველაპარაკებოდით, თუმცა კი ვაგრძნობინეთ, რომ საარშიყოთ არ გამოდგებოდა და ტყუილად იწუხებდა თავს. დაგვიმეგობრდა, აგრეთვე, ერთი სომხურ გაზეთის კორესპონდენტი, სტამბოლელი, რომელიც, აგრეთვე, ეჩმიაძინიდან სახლში ბრუნდებოდა. დიდი სიმპატია გამომიცხადა, რომ გაიგო,

ქართველი ვიყავი. ისიც კი მითხრა, **ერეკლე მეფე სომხების იმედი იყოო.** ეს რომ სთქვა, მაშინვე მომაგონდა **აღა-მაჰმადხანი, დარჩო ბებუთოვი** და ტფილისის ბედი. კინაღამ არ გავაღე პირი და წამოვროშე სიმართლე, მაგრამ მომაგონდა შოთას სიტყვები: „ზოგჯერ თქმა სჯობს, არა თქმასა, ზოგჯერ თქმითაც დაშავდების“,-ო, და დავჩუმდი, რაღაც მადლობის მსგავსიც კი წავილუღლუღე.

ჩემი უმთავრესი გასართობი კი ერთ **ქართველ მუსულმანთან** ლაპარაკი იყო და ის ფიქრები, რომელსაც მასთან მუსაიფი მიძრავდა. **ეს მუსულმანი, არტილერიის სკოლის სტუდენტი**, ერთმა ბერძენმა გამაცნო კარანტინის მესამე დღეს, გემზედ. ბათუმიდან მას ვამჩნევდი, მაგრამ მე ოსმალო მეგონა და ხმას არ ვცემდი. მისი გვარი **ყარალაშვილი** იყო. **აჭარელია შთამომავლობით.** დედა წაეყვანა ბათუმში სტამბოლიდან და უკანვე ბრუნდებოდა სტამბოლში. ქართული ცოტა იცოდა.

–რვა წლის ვიყავი, ბათუმიდან რომ წამომიყვანეს,–მიამბო მან: ახლა სტამბოლში ვწავლობო. ეხლა ვამხელ „პანად“ ქართველებს, თორემ წინად ვინ გაამხელდა სულთანის შიშით. მე წერილიც ვერ მიმეწერა შიშით სახლში, რადგან მაშინვე სკოლიდან გამამაგდებდნენ, რომ დავენახე წერილის წერის დროს. ეხლა დრო შეიცვალა და, ბათუმში რო ვიყავი, ვიყიდე **„დედა-ენა“, „ბუნების კარი“** და **სხვა ქართული წიგნები, წერა-კითხვაც ცოტა მისწავლე და ძლიერ მომწონს ქართული ენა,** განსაკუთრებით **ქართული ან-ბანი, რადგან ადვილი სასწავლია. ახლა დედას სულ ქართულად მივსწერ წერილებს**. სტამბოლში ბევრნი არიან ქართველები, მაგრამ აქამდის ეშინოდათ ქართველობისა, ვერ ამხელდნენ, რომ „ბათუმელები“ იყვნენ, რადგან სულთანს არაფრად უყვარდა ქართველობა და სდევნიდა. ეხლა კი **პრინც მეჯიდ ეფენდის** წყალობით, ჩვენ დიდი პატივი გვაქს. მეჯიდ ეფენდის ცოლი ქართველი იყო, ნათესავებიც თავისთანა ჰყავს პრინცსა და აღარ გვიჭირს რა.

შემდეგ, სტამბოლში იგივე მიამბო **იოსებ ჯაფარიძემ** (იუსუფ-ზექი-ბეიმ), რომელიც ცოლის ძმაა სულთნის შვილის მეჯიდ ეფენდისა (ამ **ჯაფარიძეზედ** შემდეგ კიდევ ვილაპარაკებთ).

ყარალაშვილს (შევქეთ ეფენდის) კიდევ ბევრ რამეებზედ ველაპარაკე კარანტინის მოსაწყენ დღეთა განმავლობაში. იგი გულით ქართველია, თუმცა არ იცის რა არის საქართველო და რას წარმოადგენს იგი სხვა ერთა შორის, მითხრა:

–კარგი იქნება სტამბოლში **ჩვენთვის ერთი პაწა სკოლა გაიხსნას;** თუმცა ჩვენთან **„ფაფასები“** დადიან **(კათოლიკე მღვდლები),** მაგრამ „გონჯ“ ქართულს ლაპარაკობენ და „გონჯი“ საქმე იქნება, რომ „გონჯი“ ქართული ისწავლოს კაცმა და არა წმინდაო.

შევქეთ ეფენდი გულით თუმცა ქართველობდა, მაგრამ უკვე სრულიად გადაგვარებული იყო. საშინელ ტანჯვას განიცდის ადამიანი, როდესაც გულიდან ჯერ კიდევ სრულიად არ ამოვარდნია **თავის ეროვნების გრძნობა,** თანაც კი აღარ იცის, როგორ გამოხატოს იგი. აგრეთვე, ისიც იტანჯება, ვინც სცდილობს ასეთ ადამიანს ეს გრძნობა განუღვიძოს და განუცხოველოს. ერთის ან ორის მოკლე მუსაიფის დროს მე და შევქეთ ეფენდიც ვიტანჯებოდით ლაპარაკის დროსა, და ეს ტანჯვა საშინელი, უენო, რაღაც საცოდავზედ უსაცოდავესი იყო. **ორივეს გვინდოდა ერთმანეთისათვის გვეთქვა ჩვენი გულის პასუხი და ორივეს თანაც რაღაც გვაშორებდა ერთმანეთს.**

ყოველ დილას ვხვდებოდით ხოლმე შევქეთ ეფენდის, ველაპარაკებოდი დიდ ხანს, მაგრამ ვგრძნობდი, რომ ჩვენ შორის საუკუნოდ იყო ხიდი ჩატეხილი. რომ ეს ხიდი ისევ გადებულიყო,

საჭირო იქმნებოდა ჩემი დაბადება ხელახლად და შევქეთის მსგავსი აღზრდა-ან და მისი. **მე ვარ ქართველი, რომელსაც პირდაპირ კავშირი მაქვს საქართველოს მთელ წარსულ კულტურასთან, სარწმუნოებასთან და ენასთან. ისიც ქართველია, მაგრამ ერთ დროს უმთავრესი ძაფი გაწყვეტილა მის ახლო წინაპართა და საქართველოს მთელ ცხოვრებას შორის, ისიც ოსმალეთის მთელს ორგანიზმს მიჰკედლებია და, თუმცა იცის, რომ ქართველია, მაგრამ მაინც ვეღარ ახერხებს ამ „ქართველობას“**.

რამდენჯერ შემხვედრია ასეთი ტიპები თვით **საქართველოში. ენის უცოდინარობა პირ-ველი დამახასიათებელია ასეთ ადამიანისა**. მინახავს **ქართველი მუსულმანი, ქართველი კათო-ლიკე, ქართველი მართმადიდებელიც**, ზოგი გარუსებული, ზოგი გათათრებული, ზოგი კიდევ უთვისტომო, და როდესაც მათთან მილაპარაკნია ქართულად, **ვერ შეგვითანხმებია ჩვენი სული და გული.** სავსებით რომ შეუთანხმდე ვისმეს ან გააგებინო ყველაფერი, რაც გვწადია, **ამისათვის განსაკუთრებით რომელიმე ენის ზედმიწევნით ცოდნაა საჭირო, როცა ადამიანმა არც ერთი ენა არ იცის ხეირიანად, იგი მაშინ უთვისტომოა. როდესაც მან უცხო ენა იცის მიწევნით, მაშინ მისთვის ეს ენა გამხდარა სამშობლო ენად;** სჩანს, რომ მას ამ ენით მოლაპარაკე ხალხთან ჰქონია უფრო მჭიდრო კავშირი და მიტომ არის თქვენგან დაშორებული. **უენოდ კი აზროვნება არ შეიძლება. როცა ცუდად ლაპარაკობთ რომელსამე ენაზედ, მაშინ აზროვნების მექანიზმიც ცუდად მუშაობს, და ეს არის უმთავრესი მიზეზი, რომ გრძნობით სავსეც რომ იყოთ, გადაგვარებულ თანამემამულესთან მუსაიფი ტანჯვად გექცევათ და მალე გრძნობთ მისგან განუზომელ სიშორეს**.

ასე იყო შევქეთ ეფენდის საქმეც. ბევრს ვეცადეთ, მაგრამ **ერთმანეთს სული და გული ვერ გადავუშალეთ**. ერთ დღეს, მახსოვს, ქართულ სიმღერებზედ მკითხა რაღაც, მეც ვისარგებლე და სიმღერით მინდოდა გამეღვიძებინა რამე მის გულში, რადგან ბათუმში ყოფნის დროს ხში-რად ისმოდა გურული, ანუ ქობულეთური სიმღერები. მაგრამ ვერც ამან გასჭრა. **„იავ–ნანამ ვერა ჰქნა რა“** და როცა გავათავე სიმღერა და დავაცქერდი ჩემს მეგობარს – მისი თვალები უაზროდ შორს გაიყურებოდა. მალე საგანი მუსაიფისა შესცვალა და კარანტინზედ დამიწყო ლაპარაკი...

მეც ფიქრებში გავერთე კარანტინზედ ათასჯერ გადაღეჭილ ლაპარაკის შემდეგ. ვფიქრობ-დი ხალხთა ვერაგობაზედ. ყოველი ხალხი, როცა სხვას დაიპყრობს, ისე მოქმედობს, თითქოს სოციოლოგიური თეორია ზედმიწევნით იცოდეს და მხოლოდ პრაქტიკულად იყენებდეს განყენებულ კანონებსაო. მან ძალიან კარგად იცის, რომ მარტო მოუხეშავ, ტლანქ ძალას არ შეუძლიან ხალხის გადაგვარება. მოუხეშავი ძალა არ არის სოციალური ძალა. მან იცის, რომ **ენა უპირველესი მოწესრიგობაა ერთი ერის ადამიანთა შორის თანხმობისა, რომ იგი უპირველესი სოციალური მოვლენაა განსაზღვრულ ხალხის ცხოვრებაში და ამიტომაც სცდილობს ეს ენა დააკარგვინოს ერს და თვისი შეათავსებინოს. აგრეთვე სჯული ისეთი პირველხარისხოვანი სოციალური მოვლენაა, რომ რაკი ერთი ერი მეორის სჯულს მიიღებს, იგი ნახევრად ამ ერის მსგავსი ხდება, იგი იღებს მისი კულტურის უმეტეს ნაწილს. მრავალ ზნე-ჩვეულებას და სხვას. სჯულისა და ენის დაკარგვის შემდეგ კი ერი ჰქრება, იგი ჰკარგავს უფლებას არსებობისას და ინთქმება სხვა ერის ორგანიზმში.**

ასეთი ზომა იხმარეს ოსმალებმა ახალციხეში და დასავლეთ-სამხრეთ საქართველოში და ამიტომაც დღეს მრავლის-უმრავლეს ახალციხელსა, აჭარელსა და სხვა მაჰმადიანებს გული,

სული, ზნე-ჩვეულება და მრავალი ნიშანდობლივი მხარე ქართველობისა დაჰკარგვია და ჩვენი აღარა ესმის-რა. ნახევარზედ მეტს ენაც დაუკარგავს. **თუ არ ვეცადეთ, მეორე ნახევარსაც დაჰკარგავს და მაშინ სრულიად დაგვეკარგება ეს საუკეთესო ნაწილები საქართველოსი.**

კარანტინის მეხუთე დღე იყო, როდესაც არა სასიამოვნო ამბავი გავიგეთ. გემი უნდა დაბრუნებულიყო **კერასუნდაში, ორდუში, სამსუნში** და იქიდან უნდა წასულიყო **სტამბოლს** და არა **სინოპიდან** პირდაპირ. რაღას ვიზამდით, დავმორჩილდით ბედს. მაგრამ საბედნიეროდ ცუდი ზღვა შეგვხვდა და გემი მარტო **ორდუში** და **ფაცაში** გაჩერდა. სხვა პორტებში არ შეუვლია. ორდუში გავიგე, რომ იქ თურმე ბევრი გადმოსახლებული ქართველია, მაგრამ გემი ცოტა ხნით გაჩერდა და ვეღარ მოვასწარი ნაპირზედ გადასვლა და მათი ნახვა.

ფაციდან წავედით სტამბოლს, მაგრამ გზაში ახალი უბედურება შეგვემთხვა. მესამე კლასში გარდაიცვალა ბერძნის ქალი. მგზავრებს შეეშინდათ, ვაი, თუ სტამბოლში ხოლერა ეგონოთ და უკან დაგვაბრუნონ სინოპში მეორე კარანტინისთვისაო. მიცვალებული კი არავის შესცოდებია. საცოდავმა იქვე დასტოვა სამი პატარა ბავშვი და ქმარი. პირუტყვებივით იყვნენ გაჩერებულნი. არც კი ტიროდნენ. სახლში რომ მამკვდარიყო საწყალი ქალი, რასაკვირველია, იტირებდნენ. გემისა, ზღვისა და გამოცდილ კარანტინისა ისე ეშინოდათ, რომ ვერც კი მოეხერხებინათ თავიანთ საშინელ სევდის ცრემლებით გამოხატვა. საწყალი ქალი იქვე მომზადებულ ყუთში ჩასდეს და უცდიდნენ **ბოსფორში** შესვლას და ექიმების ვიზიტს.

მივედით ბოსფორში. ექიმებმა მკვდარი წაიღეს იქვე ნაპირზედ, ძველ ბერძნის მონასტერ-ში, გასჭრეს და დაამტკიცეს, რომ ხოლერით არ იყო მკვდარი. თავისუფლად წაველით სტამ-ბოლში.

გზაში კიდევ ახალი ქართველი მაჰმადიანი გავიცანი, **მოლა აბდულა ბარუძე**. სტამბოლში მიდიოდა სასწავლებლად. ქართული მან კარგად იცოდა, მაგრამ, სამაგიეროდ, მეტისმეტი ზრდილობით. რაც ვუთხარი, ყველაფერზე დამეთანხმა და მეც ვერა გავიგერა მისი. მალე იმა-საც გამოვემშვიდობე და წავედით დასაძინებლად. საღამოდ სტამბოლში უნდა შევსულიყავით. დამეძინა და ღმერთმა იცის, რა ობროდობა არ მომელანდა ნერვებ-აშლილსა და დაქანცულს. მთელი ჩემი წარსული, აწმყო, მომავალი პლანები, ყველა ჩემი საფიქრებელი, სამწუხარო დ სასიხარულო საგანი ერთმანეთში აირია და გამოიხატა რაღაც დაუსრულებელსა და უთავ-ბოლო სიზმარში. სიზმარი წინადაც მინახავს, მაგრამ არ დამხსომებია და არც ყოფილა ისეთი უცნაური, როგორც ეს უკანასკნელი. ალბად, სტამბოლის მიახლოვების ფიქრი თან ჩავიტანე ძილში; თან ჩავიტანე ყოველივე ის, რაც შეკავშირებული იყო ჩემ მოგზაურობასთან და ამიტომ მომელანდა ეს უცნაურობა. სიზმარი კომიზმით დასრულდა. ვითომ ვაგონში ღრმა ძილის შემდეგ გამომეღვიძა და ერთი თვალი ვეღარ გავახილე, დამსილი მქონდა. დავრბოდი და ვეძახდი ჩემს ამხანაგს იტალიელს, მაგრამ მასაც ეღალატნა და გაპარულიყო. ამ დროს ერთი პატარა რუსის ბიჭი მიიხმო დედამ და რაღაც უთხრა. მან მოირბინა და ელვასავით მეცა, დიდი გრძელი მახათი დამატაკა ბარძაყში. მე რუსის სიმხეცის ლანძღვა–თრევა დავიწყე, ამ წყევლა-კრულვაში კი გამომეღვიძა და რა ვნახე? თურმე ცერი მქონდა ჩაჭირებული თვალში და ისა მტკიოდა საშინლად...

უკვე სტამბოლს ვუახლოვდებოდით. დავინახეთ ის სამხედრო გემებიც, რომელიც **რიზა-ფაშამ** ილდიზს დაუყენა პირისპირ... მალე გემიდან გადმოვედით. თუმცა პასპორტი გვთხოვეს

და ბარგიც გასინჯეს დამოჟნაში, მაგრამ მაინც თავისუფლად გაგვიშვეს. მეც ავიყვანე ეტლი და ჩემი მცირე ბარგით სასტუმროსაკენ გავემართე.

ჩემი თორმეტი დღის მოგზაურობა **ბათუმიდან სტამბოლამდე** ამით დასრულდა. უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო, სწორედ ეს არის, თორემ რაღა თორმეტი დღის სამგზავრო შემხვდა, სწორედ წრეულს, ხოლერობის დროს, მაშინ როდესაც სხვა დროს ამ გზას ორ დღენახევარში გაივლის კაცი.

ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

დროება, 1908 წ. N 24. ნაწ. II. გვ. 2-3.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები

სტამბოლის ქართველები; დიდ-კაცობა, ინტელიგენცია, კათოლიკე სამღვდელოება და სხ.

პირველი ჩემი ნაბიჯი სტამბოლში ქართველების გაცნობა იყო. როცა კაცი თვალით ვერასა ჰხედავ და ნალაპარაკევი გესმის შორს, ათასს ვერსზედ, რასაკვირველია, სულ სხვანაირად გეჩვენება იგივე საგანი ნახვისა და ცოტათი გაცნობის შემდეგ საქართველოშიაც ჩვენ ათასი რამ გვესმოდა სტამბოლის ქართველებზედ. ჯერ-ერთი, მათი რაოდენობა ძლიერ გადაჭარბებული იყო. რასაკვირველია, სწორი სტატისტიკა ქართველობისა ჯერ არ არის და შეიძლება დიდხანს არც იყოს, მაგრამ ვისაც ვკითხე აქაურს, ყველამ აღიარა, რომ ათი-ათასობით და ათასობითაც აქ ქართველობა არ დაითვლება არც ჯარში, არც სამსახურში და არც უბრალო მცხოვრებთა შორისაო. მართალია, ბევრია ჯარში, ბევრია სამსახურში, მაგრამ მათი რიცხვი, სულ ძალიან რომ გაჭიმო, ათასზედ ცოტა მეტი გამოვაო. რაც შეეხება მცხოვრებლებსა და მუშებს, მათი რიცხვი ყოფილა დიდი. ვაჭრები სულ კათოლიკე ქართველობაა და ისინიც კი თითზე არიან ჩამოსათვლელნი. მართალია, სამსახურშიც, აგრეთვე, ბევრია ქართველობა, მაგრამ იმდენი არაა, როგორც ამბობდნენ.

ისიც მართალია, რომ ვინც არის სამსახურში, თითქმის ყველას დიდი ადგილი უჭირავს. მათ შორის შესანიშნავნი არიან **რიზა-ფაშა ათაბეგი-შვილი, ყოფილი სამხედრო მინისტრი**, ეხლა არტილერიის ინსპექტორი: **ჰასან-ფეჰმი–ფაშა** იუსტიციის მინისტრად ნამყოფი, ეხლა სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარეა; გვარად **ხოჯი-ოღლი ლივანელი;** მარშალი **შაქირ-ფაშა**; ჩურუქ-სუელი, რომლის გვარიც ჯერ ვერ გავიგე. არიან, აგრეთვე, გენერლები **თავდგირიძენი**: **ბაჰრი-ფაშა**, რომელიც ამ ცოტა ხანში გაგზავნეს **არაბეთის მმართველად მედინაში**; მისი ძმისწული **მაჰმედ-ფაშა**, შტაბის წევრი, რომელიც მე პირადად გავიცანი, ფრიად განათლებული და სასიამოვნო პირი. ამ უკანასკნელს მამულებიც კი დარჩენია საქართველოში და ეხლა სწადია შეიტყოს, შეიძლება თუ არა მათი მოგება ხაზინისაგან; ძმა მაჰმედ-ფაშასი, **აჰმედ-ბეგი**, ცნობილი თანამშრომელი „**მეშვერეთისა**“ და დატანჯული ოსმალეთის მთავრობისაგან, ეხლა **ლაზისტანის** დეპუტატად იქნა არჩეული. აქ არის, აგრეთვე, მოხუცი **ალი-ფაშა თავდგირიძე,** რომელზედაც არის, თუ არა ვსცდები, ნათქვამი ცნობილი სიმღერა ქობულეთში.

პირადად გავიცანი ერთი ახალგაზდა აფიცერი **იუსუფ-ბეგი ლორთქიფანიძე,** მაკედონიაში ეს ერთი პირველთაგანი იყო,ჯარი რომ დააფიცა კონსტიტუციაზედ, **ქართული მან ცოტა იცის. სწყინს, რომ დაკარგა თავისი ენა და ეროვნება.** რა ვქნაო, სთქვა, დედას როცა ვნახავ ხოლმე, სულ **„შენი ჭირიმესა“** და **„შენ გენაცვალეს“** მეძახის, რას შვრები და როგორა ხარო. მეც ვერ მიმიცია რიგიანი პასუხი, რადგან ბავშვობიდან წამომიყვანეს ოსმალოს სკოლაში და აღმზარდეს ოსმალურადაო. სამშობლო მიყვარს, ის დღე ჩემთვის ძვირფასი იქნება, როცა **„გაუმარჯოს საქართველოს“** ხმა გაისმისო, მაგრამ ჯერ კი მე ოტტომანი ვარ და პირველი ჩვენი საქმე ოტტომანის იმპერიის საქმეთა მოგვარება არისო. ასეთი გულწრფელი და პატიოსანი პასუხი მომცა **იუსუფ-ბეგმა** და მეც, მართალი მოგახსენოთ, კმაყოფილი დავრჩი, რადგან **პირდაპირი და ვაჟკაცური პასუხი სჯობია თავის მოქონვასა და გრძნობათა უაზრო ფრქვევას. იუსუფ-ბეგი ქართულსაც კი სწავლობს** თავისუფალ დროსა, აგრეთვე, მისი ბიძაშვილი **ავნი-**

ბეგი, შაქირ-ფაშის სიძე, რომელიც თურმე ასეთივე ყოჩაღი კაცია, თუმცა მე ჯერ არა მქონია ბედნიერება მასთან პირადად ლაპარაკისა.

გავიცანი აქ კიდევ **იუსუფ-ზექი ჯაფარიძე (დოქჩირ-ოღლი),** ქობულეთელი, **პრინც მეჯიდ-ეფენდის პირველი ცოლის ძმა.** იგი დიდხანს 1902 წლიდან გაგდებული იყო ტრაპიზონში ცილის წამებითა. მას თითქოს ცნობილ ენვერ-ბეის სახლში წინად მიეყვანოს ორი გერმანელი და განეზრახოს სულთანის მოკვლა. სულთანი თურმე ენვერ-ბეის სახლის წინ გაივლიდა ხოლმე. მას, აგრეთვე, თითქოს ვიღაც ქალიც მოესყიდოს და შეეგზავნოს მოხერხებით სასახლეში სულთნის მოსაწამლავად. ამ ისტორიას ცოტა სხვანაირადაც მოგვითხრობენ... „ეხლა ყოველივე ეს გამოირკვა და მეც ნება მომცეს სტამბოლში დაბრუნებისაო“,– სთქვა ბატონმა **იოსებ ჯაფარიძემ,** ამ ჟამათ იგი თავის სიძის, **პრინც მეჯიდ-ეფენდის სახლში სცხოვრობს.** მანვე მიამბო, რომ ჩვენ დიდი ნათესაობა გვყოლია თვით სულთანის ოჯახობაში. სულთანის ძმის, მემკვიდრის, **რეშედ-ეფენდის** ცოლი ქართველი ქალი ყოფილა, აგრეთვე დედაც, მგონი, თუ არა ვცდები, **დუმბაძის ქალი** იყოო. ნამდვილად მათი გვარების შეტყობა ძლიერ ძნელია. ამითვის სძულდა თურმე სულთანს ქართველობა, როგორც წინად მიამბო **შევქეთ-ეფენდი ყარალაშვილმა** და ეხლა იგივე მიამბო ბ-ნმა **ი.ჯაფარიძემ**. ეხლა კი დრო შეიცვალა და ქართველობისა აღარც არავის ეშინიან და აღარც სდევნიან არავის ქართველო-ბისთვისაო.

ბედნიერება მქონდა გავცნობოდი ბ. **ჯელალ-ეფენდი მემარნეს,** ანუ **მემარნიშვილს, ჩურუქ-სუდან** არის. ესეც ბავშვობიდან არის წამოყვანილი სახლიდან, და თუმცა, ქართულს გაცილებით უკეთ ლაპარაკობს, ვიდრე **ლორთქიფანიძეები** და თვით **მაჰმედ-ფაშა თავდგი-რიძეც**, მაგრამ კილო ძლიერ შეცვლია. სამაგიეროდ, მას ბევრი ღირსება აქვს. იგი ნამდვილი ევროპიელი ინტელიგენტია, უყვარს **ისტორია და თათრულ ისტორიასაც და ენასაც ასწავლის ქართულ კათოლიკეთა სკოლაში** და აგრეთვე, ისტორიას თათრულ საშუალო სკოლაში. იგი სულითა და გულით ქართველია, იგი არ ამბობს და არც იტყვის არასოდეს, რომ თურქი ვარო, მას ასეთი ხალხი არაფრად მოსწონს – თავიანთი სისხლს არა სცემენ პატივსაო. **მას საქართველო შეგნებულად და გულწრფელად უყვარს** და, მიუხედავად სარწმუნოებისა, ქართველად აღიარებს თავის თავს და არასოდეს სხვა რომელიმე ეროვნების ადამიანად. ჭკვიანი და დაკვირვებული ადამიანია, ფანატიკოსობას სრულიად მოკლებულია; აგრეთვე, სიამოვნებით გავატარე მასთან ერთი საღამო. გურულ თათრული კილოთი მოლაპარაკე, ოცდა რვა წლის ახალგაზრდა, ისეთი გატაცებითა და სიცოცხლით მოგვითხრობდა ქართულ მაჰმადიანთა შორის ძველ ქართულ ჩვეულებათა შენახვაზედ, **ისეთ სიხარულს გამოხატავდა მაშინ მისი თვალები**, რომ ადამიანს ათასი იმედი აღეძრებოდა გულში ჩვენის დაღუპულ ეროვნულ საქმის გამობრუნებისა. **მოგვეცით ათი, ოცი მემარნისთანა კაცი და საქართველოს დაუბრუნდება მთელი ერთი მესამედი**; ეს მე ღრმადა მრწამს და არ შეიძლება არ იწამო კაცმა, როცა დაუკვირდები და თვალ-ყურს ადევნებ ასეთ ადამიანთა სულის კვეთებას...

ჩვენ ქართველმა მუსულმანებმა ერთ ცოლიანობა ვიცით და უმეტესი ნაწილი მტკიცედ ვადგივართ ამ ჩვეულებასაო. ჩვენ, აგრეთვე, ვიცით ნათესაობაც; არ შეიძლება ქართველმა მუ-სულმანმა შეირთოს თავისი ბიძაშვილი, თუმცა ეს მუსულმანთა კანონით არ არის აკრძალუ-ლიო. ცოლის შერთვაც ისე არ ვიცით, როგორც თურქებმა: ჩვენ თუ ცოლი შევირთეთ, ჯერ უნდა გავიცნოთ ერთმანეთი, ვნახოთ, ვილაპარაკოთო. თურქებმა კი მაჭანკლობით, უნახავად იციან

ცოლის შერთვაო. თვით მე კვირაში თითო მაჭანკალი მომდის თურქებისაგან, ამა და ამ კაცის ქალი შეირთე, მდიდარია, კარგია და სხვაო. მეც თითქოს დავეთანხმები ხოლმე, დანიშნულ ადგილს სადმე მოიყვანენ, ქალიც რომ დამინახავს, აიხდის ჩუმად პირბადეს, ერთს შემომ-ხედავს და მერე ისევ დაიხურავს. მეც ხან სიყმაწვილითა ვწუნობ, ხან სიბერითა და ასეთის ეშმაკობით ავიხსნი ხოლმე თავს დაუპატიჟებელ მაჭანკალთაგანო.

არ მისდევენ ჩვენი ქართველები თურქის ქალების შერთვას. ქართველს ყოველთვის ქართველი ქალი ურჩევნია. მეო, მაგალითად, რად უნდა შევირთო თურქის ქალი? ჯერ ერთი, **ქართველი ქალი უფრო ლამაზი და ნამუსიანია,** მეორე, **რად უნდა შეერიოს ჩემი ქართული სისხლი, რომელშიაც ერთი წვეთი თურქის არა არის,** რათ?! (მართლაც, ბ-ნი მემარნე ნამდვილი ქართული ტიპისაა). გარდა ამისა, რა უნდა გაიგოს თურქის ქალმა ჩემის სულისა და გულისა, ჩემის ტანჯვისა და ჩემის მისწრაფებისაო.

მე გულში მიხაროდა, რომ ეს აღტაცებული ყმაწვილი ასეთ სასიამოვნო ამბავს მოგვითხ-რობდა, მაგრამ თანაც გული მტკიოდა, რომ, საუბედუროდ, ისე შეიცვალა ქართველი ქალის გული თვით საქართველოში, რომ უმეტეს შემთხვევაში ძალიან უკაცრავად არის იგი, რაიმე გაიგოს ადამიანის ტანჯვისა და სულის კვეთებისა, როცა ეს ჯოჯოხეთი საკუთარი ერის დაცემით არის გამოწვეული. არ ვიცი, როგორ არის მაჰმადიან ქართველ ქალთა შორის, მაგრამ საქართველოს შუაგულში რომ ეს ასეა, ეს ყველა ჩვენგანმა იცის.

ბ-ნმა მემარნემ ბევრი სხვა საინტერესო ამბავიც გვიამბო: მას გაუგონია თავის ბებიის, სახელად **დოდოს,** ამბავი. კიდევ ქრისტიანის წესზედ სცხოვრობდაო. დედა კი კარგად ახსოვს. იგი თუმცა მაჰმადიანი იყო, მაგრამ თათრულად მარტოდმარტო ერთი სიტყვა „გელდი“ იცოდაო. მახსოვს, ახალწელიწადს ღამე წამოგვაყენებდა ბავშვებს ზეზედ და მამლის ყივილზე გვასაუზმებდა ხოლმე. დაგვირიგებდა კამფეტებს და ხილს. კვლევაც, მაკვლიერობაც და ცეცხლის ჩხიკინიც ვიცოდით. აგრეთვე აღდგომას წითელ კვერცხებსაც ვღებავდით ხოლმეო. ავად რომ ვინმე გახდებოდა, მაშინ ხომ „ლოცვებით“ გამოგვიჭედავდნენ ყურს.–„რა ვიცი, პაწა გეივლიდა ხოლმე ი ტკივილი, და იქნებ ლოცვის ბრალი იყო, იქნებ არაო“,– სთქვა სიცილით ბ-ნმა მემარნემ.

მუსაიფი კიდევ სხვა საგნებზედაც გვქონდა, რაც საინტერესო არ არის ყველასათვის; გვიან ღამე დავცილდით ერთმანეთს უკვე მეგობრები, მით უფრო მეგობრები, რომ ბ-ნი მემარნე პოლიტიკურადაც სიმპატიურის მიმართულებისაა; როდესაც კონსტიტუცია და თავისუფლება გამოცხადდა სტამბოლში, იგი პირველი იყო, რომელმაც **მოიძრო ფესი, დაიხურა ჩვენებური ბოხოხი ქუდი,** სკოლიდან ჯაშუშის ტიკინა წაიღო ეტლით ქალაქის ბაღში და იქ მრავალი ხალხის თანდასწრებით დასწვა. იგი ერთს საუკეთესო რადიკალად ითვლება ახალგაზრდა თურქთა შორისაც.

ვინც არის აქ ქართველი ვაჭარი, თითქმის ყველა ახალციხელი კათოლიკე ქართველია. დიდი სავაჭრო სახლი არავის არა აქვს. ისინი არ შეადგენენ, რასაკვირველია, შეკავშირებულ ძლიერ ვაჭართა წოდებას; არც რიცხვით არიან დიდი და ვერ შეედრებიან ვერც სომხობასა და ვერც, რასაკვირველია, ბერძნებს.

საყურადღებო ქართული დაწესებულება აქ ქართველ კათოლიკეთა მონასტერია. მშვენიე-რი ადგილი უჭირავს ამ მონასტერს. ადგილებიც ბლომადა აქვს. მისი დამაარსებელი არის **მამა პეტრე ხარისჭირაშვილი 1860 წ.** მონასტერს აქვს თავისი დედათა განყოფილება სკოლითურთ.

ამ მონასტერში რამდენიმე ქუთაისელი ქალიც ვნახე და ჩემი ნახვა გაუკვირდათ და ესიამოვნათ. არის, აგრეთვე, **ვაჟთა სკოლა,** ცალკეა მოთავსებული და **მამა ანდრია წინამძღვრი-შვილს აბარია**. ეს ყოველივე კარგი, მაგრამ საქმე ის არის, რომ ბავშვებს ასწავლიან განსაკუთრებით ფრანგულს ენასა და სხვა მეცნიერებას. **ქართველის ბედი ყოველთვის ასეა: სხვისი მაზიარებელი უნდა მოკვდეს...** მონასტერთან არის, აგრეთვე, **ქართული ბიბლიოთეკა. წიგნები ბლომად არის, არის ბევრი ძველი წიგნი ტყავზედ დაწერილი**. არის მოსკოვში გამოცემული ხუცური საღმთო წერილის წიგნები. ბლომად კი მონთობანში და სტამბოლში გამოცემული ქართული სახელმძღვანელოებია **ფილოსოფიისა, ისტორიის, გრამატიკისა, გეოგრაფიის** და ეხლა აქაურ ქართველობამ **აკაკის სახელობაზედ დაარსეს ბიბლიოთეკა** და შეიძლება ყველა ახალ ადგილას გადაიტანონ და **გვარიანი წიგნთსაცავი** იქონიონ, როგორც გადმომცა **მამა ბენედიქტე ვარდიძემ,** მონასტრის უფროსმა; რაც ძველი წიგნებია ბიბლიოთეკაში, ყველა გადაუსინჯავს განსვენებულს **დიმიტრი ბაქრაძეს** და აუწერია.

მონასტერში ქართული **ახალი სისტემის სტამბაცაა,** მაგრამ უქმადა სდგას.

ამ ორიოდე დღეში მხოლოდ ეს გავიგე ქართველთა შესახებ. ყველაზედ მეტი აქ ლაზები არიან თურმე. როგორც გადმომცეს, სტამბოლის ლაზები უმეტეს ნაწილად „თეთრთავიანობას“, ე.ი. მოლობას მისდევენ; რაც შეეხება მათ რაოდენობას, როგორც სტამბოლში, ისე მათ სამშობლოში, ამაზედ დანამდვილებით ვერა გავიგე-რა. ერთმა ქართველმა მუსულმანმა მითხრა, ლაზების რაოდენობა მე კი არა, მთავრობამაც არ იცის, როგორც საზოგადოდ არა იცის რა თავისივე ქვეყნის სტატისტიკისაო. იქნებ გეგულებოდეთ რომელიმე განათლებული და ჭკვიანი ლაზი, რომელმაც ცოტა რამ მაინც შემატყობინოს მეთქი – ვუთხარ ჩემს მოსაუბრესა. – განათლებული და ჭკვიანი სტამბოლში ლაზი კი არა, სხვა ქართველიც არ მინახავსო, ვის მოუგონია **ჭკვიანი ლაზიო,** მითხრა ღიმილით ბ-ნმა **ახმედ-ბეგმა** (ამისი გვარი არ არის საჭირო გამოვაცხადო).

მე მაინც ვეცდები შემდეგში ვნახო რომელიმე „განათლებული და ჭკვიანი ლაზი ან მათ დეპუტატს, ბ-ნ **ახმედ ბეგ თავდგირიძეს** ვკითხო და იქნებ რამდენიმე საინტერესო ცნობა მაინც მომაწოდონ მათ შესახებ.

წერილი დაიბეჭდა გაზეთში „დროება:, 1908 წ. N24, გვ. 2–3. გაზეთის ნომერიცა და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიც დაცულია სავანის არქივში.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები

(საკუთარი კორესპონდენტისაგან)

როგორც საქართველოშიაც გვსმენია და აქაც მითხრეს, მთელი მცირე აზია მოფენილია ქართული სოფლებითა. რამდენიმე სოფელი თვით ევროპის ოსმალეთშიაც არის თურმე. არას ვიტყვი ტრაპიზონის ვილაეთზედ. ეს ქვეყანა თითქმის უმეტესად საქართველო იყო ერთ დროს; მაგრამ შიგ შუაგულ მცირე აზიაში ნახავ თურმე ქართულ სოფელს, სადაც ენა შეუნახავთ. მაგალითად, ბ-ნმა **ივანე ბეჟანიშვილმა** მიამბო, რომ როცა ამას წინად ანატოლიაში რკინის გზის კანტროლიორად ვიყავი, იქა ვნახე, ქართველები მუშაობდნენო; ბევრი მაგინეს ქართულად, მაგრამ როცა გაიგეს ჩემი ქართველობა, მიმიპატიჟეს სოფელში, დიდი პატივი მცეს და უფროსობაც და საუკეთესო ლამაზი ქალებიც შემომაძლიეს, თუ აქ დარჩები და მუსულმანობას მიიღებო.

მაგრამ საქმე ის არის, რომ ასეთ გაგონილ არაკებით კაცი ნამდვილ წარმოდგენას ვერაზე იქონიებს. საჭიროა ამ ადგილების დავლა, სოფლების რაოდენობის გაგება, მცხოვრებთა რიცხვის აღნუსხვა და მათი ყოფა-ცხოვრების აღწერა. სანამ ასეთი ხალხი არ მოიძებნება ჩვენში და პირდაპირ არ შეასრულებს ამას, მანამ ყოველთვის იჭვში ვიქნებით ჩვენ დაკარგულ ქართველთა და მათი რიცხვისა და ყოფა-ცხოვრების შესახებ.

უფრო სავალალო და სასოწარმკვეთი ის არის, რომ სადაც უნდა ნახო ქართველი აქეთა მხარეს, ყველგან იგი დაჩაგრულია. სტამბოლში ვისაც არ უნდა ჰკითხო, ყველა გეტყვის, გვეშინოდა და ახლაც გვეშინიანო. ეს სიტყვა „შიში“ ისე აკერია ყველას ენაზედ, რომ ბოლოს და ბოლოს ვეღარ მიხვდები, რად ეშინოდათ და რისი ეშინოდათ? ის უბრალო მიზეზები, რომელიც აქ ჩამომითვალეს ჩემმა ნაცნობებმა, მიზეზებად არ ჩაითვლება. ინტრიგები, დაბეზღება და სხვა, რასაკვირველია, დევნას იწვევს ადამიანთა წინააღმდეგ და აშინებს, მაგრამ ასეთი შიში, უსაზღვრო შიში, ერთიერთმანეთთან მისვლასაც რომ უკრძალავდა ქართველ მუსულმანს და თითქმის ქრისტიანსაც, ჩემის ფიქრით, ძველთაგან არის დარჩენილი, როცა საქართველოს მეხივით დაეცა ოსმალეთი, მოსპო მესამედი საქართველოსი და ორასის წლის წამების შემდეგ მიაღებინა მუსულმანობა; საშინელი ძალა იხმარა, რომ ენაც წაერთმია და, ასე გასინჯეთ, გვარებიც კი დაევიწყებინა ქართველებისათვის. ენა კი წაართვა ბევრს, თითქმის უმეტეს ნაწილს, მაგრამ სული და გული რომ ამოაცალა მთლად, რომ საუკუნოდ დააშინა და „გურჯობის“ შიში მემკვიდრეობით შიშად გადაიქცა ქართველ მუსულმანთა შორის–ეს კი ცხადი და უეჭველია.

ასე ყოფილა აქამდის, აწი რა იქნება, ეს სულ სხვა კითხვაა, ამაზე ჯერ ვერას ვიტყვით. ჩემი ფიქრით, ეს არის, აგრეთვე, მიზეზი, რომ ქართველი მუსულმანი დღეს თითქმის უარს ჰყოფს თავის ქართველობას, თუმცა ორიოდე გულწრფელი სიტყვის შემდეგ, როცა დარწმუნდება, რომ თავისიანსა ჰხედავს, **ისიც გულ-ამოსკვნილი აღიარებს, ვინც არის, ან ვინც ყოფილა ერთ დროს, თუ თვითონ არა, მისი მამა-პაპა მაინც. მაშინ გვარიც მოაგონდება**, ან და თუ არ გაუგონია, ნაცნობებში და ნათესავებში მოიკითხავს–სადმე მაინც ეგულება შენახული. **მე დარწმუნებული ვარ, რომ მათ შორის, როგორც ქართული წერა-კითხვა, ისე გვარებიც ქალებისაგანაა დაცული**. ყველა, ვისაც გვარი აღარ ახსოვდა, ამბობდა: მოიცადეთ, დედა ჩემს ვკითხო ან მივსწერო, იმას ეცოდინებაო!..

ეხლა ცოტათი გამოღვიძებულან, თუმცა რამდენი ხანია სცდილობენ თურმე ყველას შეკავშირებას, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. კიდევ რაღაცასი „ეშინიათ“. ან კი, ღვთის წინაშე, როგორ არ უნდა „ეშინოდეთ“. **ეკონომიური ძალა არა აქვთ ისეთი, როგორიც სომხებს, რომ ქართველის სისხლთან სიმდიდრის ძალა იყოს შეკავშირებული.** რამდენიმეა დიდკაცობაც, რომელიც ყოველთვის ბეწვზედ ჰკიდია და კიდევ უფრო „აშინებს“ ადამიანის კარიერას, ხომ სულ ვერ შეჰქმნის ერთობას; **საქართველო აღარ არსებობს, როგორც პოლიტიკური ორგანიზმი, რომ აქ ჩვენს წარმომადგენელს შეეძლოს მათი დაცვა, მათი სახელით ლაპარაკი. თვით სახელი საქართველოსი და ქართველობისა მოისპო და ლამის არის გამოირიცხოს ხალხთა სიიდან. ვეღარც კი გვცნობენ ვერსად ჩვენის სახელითა, თუ რუსობა ან სომხობა არა სთქვი, და მოდი და ასეთ ერის ნაწილმა იყოყოჩე და იყვირე, ქართველი ვარო; ვინა გცემს პატივსა და ვინ ჩაგვთლის პატივცემულ ერის შვილად? ამიტომაც არ არსებობს აქაურ ქართველთა შორის ერთობა, ივიწყებენ წერა-კითხვას, არა აქვთ სკოლები, რომ თავიანთ შთამომავლობას მაინც ასწავლონ სამშობლო ენა, არა აქვთ ერთი გაზეთიცა და სხვ. ბევრმა საქართველოზედაც არა იცის-რა. როცა მართალს ეტყვით, უხარიან და უკვირს საქართველოს სიდიდე და განვითარება;** ამიტომაც რაც ჩვენთვის ცოტაა და სასოწარმკვეთი, მათთვის საიმედო და სასიხარულოა.

ეხლა ყველა ჰგრძნობს საქმის ასეთ გარემოებას. **რაღაც ეროვნული თავმოყვარეობა იღვიძებს ჩერქეზებმა და დაარსეს კლუბი** და ჩვენ რა ჩერქეზებზედ ნაკლებნი ვართო, –გაიძახოდა ერთ დღეს ერთი **ქართველი მუსულმანი.** მაგრამ ეს ერთი იყო, ცხრას კი სამაგიეროდ ისევ ეშინიან. საცოდავი სანახავი კიდევ ის იყო, როცა ერთ საღამოს ზღვის პირად საქმეზედ მივდიოდით მე და ერთი ქართველი. ვლაპარაკობდით კონსტიტუციაზედ, სხვა და სხვა სახელმწიფოზედა და ოსმალეთთან განწყობილებაზედ, სხვა და სხვა ერებზედ. ილაპარაკა, ილაპარაკა და თან და **თან ცრემლები მოერია: ყველას აქვს თავისი „მამული“, სამშობლო, „გვარი“ (ეროვნება), თავისუფლება და ჩვენ არაფერი აღარა გვაქვს. უნდა ვიაროთ ასე, უცხოთა შორის, ღვთისაგან შეჩვენებულებივით-აო. ორივენი დავჩუმდით და ფიქრებს მივეცით თავი. მეც ამაზედ დავიწყე გრძელი, გრძელი ჩვეულებრივი ფიქრი; დაუსრულებელ ბოღმით, სასოწარკვეთილებითა და უღონობით აღივსო მთელი ჩემი არსება: მართალს ამბობდა პატრი მერაბი** (იგულისხმება მღვდელი იოსებ მერაბიშვილი. შ.ფ.).

ეს პატრი მერაბი ერთ მომქმედ პირთაგანია აქაურ ქართველთა შორის. მისი მეცადინეობით იქმნა დაარსებული ქართველთა სურსათო დამხმარებელი საზოგადოება, ერთის, დროებით ჩამოსულ ქართველის, თავმჯდომარეობით. ამ საზოგადოების დახმარებაში პატრ მერაბს დიდ დახმარებას უწევდა, აგრეთვე, მისი ძმა, **დოქტორი მერაბი**, რომელიც ეხლა **აბაშეთის იმპერატორის მენელიკის კარის ექიმია.**

საზოგადოებამ ვერ იხეირა ორის მიზეზისა გამო: ერთი, რასაკვირველია, ქართველთა გულგრილობა იყო, მეორე იგივე „შიში“. კონსტიტუციამდის როგორ გაჰბედავდა ქართველი ქართველთან მისვლას, მეტადრე ქართველ მუსულმანთანაო. დღეს საზოგადოების მარტო სახელი („**იუნიონი**“) თუ ვისმეს ახსოვს. კონსტიტუციის შემდეგ, იმავე **პატრი მერაბისა** და სხვათა მეცადინეობით დააპირეს **„კავკასიის ერთობის“** საზოგადოების დაარსება. მოელაპარაკნენ ამ საგანზედ ჩერქეზ **ალი-ილჰხან-ბეის,** რომელიც დამაარსებელია **ჩერქეზთა კლუბისა.** საზოგადოებაში უნდა შესულიყვნენ **ჩერქეზები, ლეკები, ქართველები** და სხვა კავკასიელები. სახელწოდებაც უნდა ჰქონოდა ამ საზოგადოებას შემდეგი: **„კავკასიის ერთობა“,** ოტტომანური

საქველმოქმედო საზოგადოება. ეს იმიტომ, რომ რაიმე პოლიტიკური მიზანი არ შეეწამებინათ საზოგადოებისათვის. კლუბის დამაარსებელთა კრებაც მომხდარიყო. მაგრამ ჩერქეზებმა მოიწადინეს, თურმე სახელი თავიანთი დაეტოვებინათ–**ჩერქეზულ კლუბისა**; ქართველები და სხვები კი ამაზედ არ დასთანხმებულიყვნენ და ამათ გამო **„კავკასიის ერთობის“** საქმე ჩაიშალა. დარჩა მხოლოდ **ჩერქეზების კლუბი**, რომელშიაც მონაწილეობას იღებს ყველა ჩერქეზი დიდ-კაცი და ინტელიგენტი; კლუბის საქმეც კარგად მიდის. ქართველს კი ვერ გაუბედნია ჩერქეზებს მიჰბაძოს.

„**კავკასიის**“ კლუბის დაარსება სტამბოლში, ჩვენთვისაც რომა ვსთქვათ, მართლაც შეუძლე-ბელია. ჯერ ერთი, რა ენაზედ უნდა ილაპარაკონ ერთმანეთთან „კავკასიელებმა?“ როგორც არ არსებობს კავკასიის ერთი ერი, ისე არ არსებობს „კავკასიური“ ენა და როგორ შეიძლება კავკასიელთა ერთ კლუბში მოთავსება და ერთ ენაზედ ლაპარაკი. მეორე – კავკასიელ ერთა ინტერესები, სჯული, კულტურა, ზნე-ჩვეულება და სხვა, არც ისე ავანტიურნი არიან, რომ მათი მშვიდობიანი ცხოვრება შეიძლებოდეს ერთ ჭერქვეშ. მარტო სჯულის განსხვავების წყალობით, ჩვენ, ქართველებიც კი ვერ შევთანხმებულვართ, ერთი ენისა, ერთი კულტურისა და წარსულ ისტორიის მექონენი, და როგორ შეიძლება კავკასიას მრავალ ინტერესთა მქონე მრავალფერო-ვანი ერები შეაერთო? მათ შორის მხოლოდ **ფედერაციული კავშირი შეიძლება**, ისიც დიდის გაჭირვებით.

წარმოიდგინეთ, კლუბშიაც ეს საკითხი იყო თურმე წამოყენებული: ჯერ თვითეულმა ერმა დავიარსოთ ჩვენ-ჩვენი კლუბი და მერე შევერთდეთ ძმურად, თუ ეს საჭირო და შესაძლებელი იქნებაო. ბ-ნი **მემარნე** იყო თურმე ამ აზრის დამცველი ქართველ მუსულმანთა შორის.

ეს მცირე მაგალითი ჩვენთვისაც საგულისხმოა, როდესაც მუდმივი ბჭობა გვაქვს ხოლმე კავკასიის საქმეთა მოწესრიგების შესახებ. აქ, შორეულ სტამბოლში, რამდენიმე „კავკასიელის“ შეკრება იყო მხოლოდ საჭირო, სულ მცირე მიზნის განსახორციელებლად,–კლუბის დასაარ-სებლად,–და მყისვე **ნათლად გამოჩნდა შეუძლებლობა კავკასიელთა ერთ ჭერქვეშ ცხოვრება** და ბუნებრივად ავტონომიებზე დაიწყო ლაპარაკი პატარა მიზნის აღსასრულებლადაც კი. ერთმა ერმა კიდეც დაიარსა ეს „ავტონომია – **ჩერქეზული კლუბი.** სხვები რას იზამენ, მომავალი გვიჩვენებს. ალბად, სხვებიც მათ კვალს მიჰყვებიან მალე.

დიახ, პატარა საქმე შეიძლება დიდის სურათი იყოს, და დაე, ეს მცირე ფაქტიც ჩააგდონ ანგარიშში, როცა ისე თამამად ლაპარაკობენ ხოლმე „კავკასიაზედა“ და მის „საერთო“ პარლა-მენტზე.

დასასრულ, რაკი პატრ მერაბის მოღვაწეობაზე მოვახსენე მკითხველს მცირე რამ, არ შემიძ-ლიან **პატრ ანდრია წინამძღვრიშვილზედაც** არა ვსთქვა-რა: ამას შეუდგენია უზარმაზარი **ფრანგულ-ქართული ლექსიკონი**; წიგნი დიდის ფორმატისაა და შეიცავს **1006 გვერდს.** სიტყვები და მათი რიგი აკადემიის დიდი ლექსიკონიდან არის აღებული. ეხლა პატრ ანდრიას გასწორება უნდა ამ ლექსიკონისა, აპირებს მის გამოგზავნას საქართველოში რომელიმე ქართულისა და ფრანგულის მცოდნესათვის, რომ გასწორების შემდეგ შეუდგეს მის ბეჭდვას **აქ, ფერიკეუის მონასტრის ქართულ სტამბაში,** რომელიც ჯერჯერობით უქმად სდგას საქმეთა უქონლობისა გამო.

წერილი დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, 1908 წ. N30. გაზეთის ნომერაცია და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

III

სტამბოლი და მისი ელემენტები

ამ წერილში მე არ დავიწყებ ჩვეულებრივ აღწერას სტამბოლისას, რადგან არც შემისწავ-ლია იგი. ერთ-ორ დღეს ადამიანი ვერ შეისწავლის მთელ ორ მილიონიან ქალაქს – და არც არის იგი უბრალო აღწერილობითი მხრით მაინცდამაინც ძალიან საინტერესო.

ძველი აია-სოფიის ტაძარი, რომელიც, მართლაც, თავის სიდიადით აკვირვებს კაცსა და სხვა არაფრით; იანიჩრების მუზეუმი, სადაც იანჩრებისა და ძველი ოსმალეთის დიდკაცთა სანთლის ფიგურებია დადგმული ცოცხალ გრუპებად და ნამდვილ მუზეუმსაც არაფრით ჰგავს; სასახლეს ხიდი, ძველი და დაუსრულებელი, რომელზედაც ხალხის ტევა აღარ არის; სასაფლაოები, მეჩეთები და ამგვარები, – აი, რა არის სტამბოლის შესანიშნავი სანახავები, მაგრამ იქ, მართალი მოგახსენოთ, მაინც და მაინც „შესანიშნავი“ არაფერია. ყველაზედ უფრო საინტერესო ახალი დიდი მუზეუმია, აიასოფიის ახლოს. ამ მუზეუმში მხოლოდ ერთი განყოფილებაა ძლიერ საინტერესო: არხეოლოგიური განყოფილება, სადაც ადამიანი მრავალ ნაშთს ნახავს საბერძნეთისა და მთელ მცირე აზიის ხალხთა ისტორიისას. ეს მუზეები, მართლაც, ძვირფასია და მისი დათვალიერებაც ღირს, – დათვალიერება მაინც. თუ მის შესწავლისათვის დრო არ ექნება კაცს. მაგრამ განვიმეორებ ამ მხრით, ეხლა არ მაინტერესებს სტამბოლი. მე მაინტერესებს მისი სოციალური სტრუქტურა. ვუყურებ ამ მრავალ ფეროვანს, უშნოდ ნაკერს, სრულიად შეუფერებელ და **უშნო ფერადებით მოქარგულ საზოგადოებრივ ქსოვილისას** და ვფიქრობ: თუ ასეა მთელ ოსმალეთში, ყველგან, ყველა პროვინციაში, თუ ასეთი პროპორციაა სხვა და სხვა ხალხთა რაოდენობისა, თუ ასეთი ენათა არევაა, თუ ასეთი რასათა ერთმანეთში გადახლართვაა განსაზღვრულ ტერიტორიაზედ; თუ ასეთი სრულიად ერთმანეთის მოწინააღმდეგე კულტურისა, ენისა, სჯულისა, ზნე-ჩვეულებისა და ისტორიის მქონე ელემენტი სცხოვრობს ყველგან, – როგორ შეიძლება ამ სახელმწიფოს ისეთი ცხოვრება, რომ მან, მართლაც, ბუნებრივი სოციალური ორგანიზმი წარმოადგინოს ან როგორი უაღრესად გამოცდილი პოლიტიკოსები და ადმინისტრატორები უნდა იყვნენ ოსმალეთის ახალი აღმაშენებელნი, რომ **ოსმალეთი პოლიტიკურად მოწესრიგებულ სახელმწიფოს დაამსგავსონ** როგორც შინაგანის, ისე საერთაშორისო ცხოვრების მხრივ?

ეთნოგრაფიული ქსოვილი სტამბოლისა უაღრესად ფეროვანია. თითქმის ერთ ნახევარ მილიონამდე მცხოვრებია, სტამბოლში და ვინ არ გინდა, რომ აქ არ იყოს. არიან ბერძნები, რომელთაც ეს ქალაქი ეკუთვნოდათ ერთ დროს და ბრწყინავდა აქ მათი კულტურა და მოქალაქეობრიობა. არიან, რასაკვირველია, ოსმალები, რომელთაც ეს ქალაქი აიღეს, სახელიც კი გადაუმახინჯეს და „**სტამბოლი**“ დაარქვეს „**კონსტანტინეპოლის**“ მაგივრად, და იგინი ბატონობენ აქ თითქმის ხუთასი წელიწადია. არიან სომხები, ალბანელები და აზიისა და ევროპის სხვა მცირე-ხარისხოვანი ხალხი. არიან, მეორეს მხრით, მოსული ევროპიელები, რომელთა რიცხვი აუარებელია და თანაც მარტო მოსაგებად და ხელის-ჭუჭყის მოსადებად არიან აქ ჩამოსულნი, თორემ რაიმე რომ შეჰქმნან დიადი და კულტურული, ამას მაინც და მაინც არ დაგიდევენ. რამდენიმე სკოლის მეტი აქ მათ მაინც არ შეუქმნიათ რა ისეთი, რომ ადამიანი

გაჰკვირდეს და ევროპიელები აქოს უანგარო, წმინდა-გრძნობით კულტურის ბარბაროსთა შორის შეტანისათვის.

სწორი პროპორცია ამ ხალხთა შეუძლებელია დაბეჯითებით იცოდეს ადამიანმა, სადაც არ ვიკითხე ყველგან მითხრეს, რომ ასეთი სწორი სტატისტიკა ჯერ არ არსებობს დ შეიძლება ამ ახალმა თაობამ შეჰქმნასო.

მაგრამ სწორი სტატისტიკა არც კია საჭირო, რომ კაცმა გაიგო, რაშია უმთავრესი დაბრ-კოლება ოსმალეთის სატახტო ქალაქის განვითარებისა ეთნოგრაფიულის მხრივ.

ის კი არაფერია, რომ აქ ბერძენი, სომეხი, ოსმალო, ურია და ევროპიელია ერთად,–სულ სხვა და სხვა რწმენისა და სხვა ეროვნების ხალხი. საქმე ის არის, რომ მათ შორის საერთო საზოგადოებრივი ცხოვრება გამხდარა შეუძლებელი, და იქ, სადაც ასეთი საერთო ცხოვრება არ არსებობს,–მთელი საზოგადოებრივი უკან დახევა და დაქვეითება აუცილებელია. ავიღოთ ერთი მხარე, მაგალითად, რომელიც ხელს უშლის ასეთ საერთო ცხოვრების განვითარებას. დავანებოთ თავი აბსოლიუტიზმსა და სულთანის რეჟიმს, რომ ისინი იყვნენ მიზეზნი ოსმა-ლეთის დაქვეითებისა და კერძოდ, რასაკვირველია–სტამბოლისა.–ავიღოთ მუსულმანობა და ქრისტიანობა. ვნახოთ რა გავლენა ჰქონია მთელი ქალაქის საზოგადოებრივ ცხოვრებაზედ ამ ორ მოპირდაპირე სარწმუნოების ერთად არსებობას, ერთს ნაძალადევ მოწესრიგების ფარგალ-ში.

ქრისტიანობა და მუსულმანობა დროთა ვითარებაში ორ მოწინააღმდეგე კულტურად შეიქმნა. მათ შორის ბრძოლა საუკუნეთა განმავლობაში გრძელდებოდა და იქ, სადაც, მაგალი-თად, მუსულმანობას ხელი მიუწვდებოდა, სთრგუნვიდა ქრისტიანობასა და მის კულტურასა და ამყარებდა მუსულმანობას. სადაც არ შეეძლო ცეცხლითა და მახვილით მოქმედება, იქ მხოლოდ თავისი არსებობისა და ბატონობის ძალით აფერხებდა განსაზღვრულ **ქრისტიანულ ერთის კულტურის განვითარებას.** ეს უეჭველი ფაქტია.

მართალია, **არაბების ხელში მუსულმანობის კულტურასაც ჰქონდა თავისი ბრწყინვალე ხანა, ერთს დროს იგი ბარბაროს ევროპას ანათლებდა,** მაგრამ იგი ხანა მალე დაეცა, დაქვეითდა, და ოსმალოს ხალხმა კი, რომელმაც დაიჭირა სიძლიერით არაბეთის ადგილი, **ვერ შეძლო არაბთა კულტურის შენახვა და განგრძობა;** თვით ხომ სულ ვერ განვითარდა. მიზეზი ამისი შეიძლება ბევრი რამ იყოს, მაგრამ უმთავრესი კი უკვე განვითარებულ ქრისტიანულ ერებთან მუდმივი ბრძოლა და მათი კულტურის დათრგუნვა და უარყოფა იყო. ხუთი-ექვსი საუკუნე ხალხს ბოსფორი ეჭიროს, საუკეთესო ადგილი მთელ ევროპაში, კულტუროსან ბერძენთა იმპერიის ნანგრევებზედ ააშენოს ხალხმა, ამასთანავე, თავისი ძლიერება და თანაც მეოცე საუკუნეში ბარბაროსობაში გაატაროს, – საკვირველზედ უსაკვირველესია და მითი აიხსნება, რომ სწორედ ამ ადგილზედ მოხდა ორი დიდი მიმართულების კულტურის პირისპირი შეტაკება, რომელსაც შედეგად არარაობა მოჰყვა.

მეორეს მხრით აიღეთ მათი მდგომარეობა, ვინც განიცადა ოსმალეთგან დაპყრობა. მართა-ლია, **ბიზანტია დაპყრობამდისაც სრულიად გახრწნილი და გათახსირებული იყო,** მაგრამ მათი სატახტო ქალაქი რომ აეღო იტალიელებს ან ინგლისელებს, ან ფრანგებს, დღეს იგი, ალბად, სულ სხვა სურათს წარმოგვიდგენდა. **სარწმუნოების ერთობა დაჰბადებდა მოსულთა და მკვიდრთა შორის თუ მეგობრობას არა, სოციალურ ცხოვრებაში – საერთო ცხოვრებაში საერთო მონაწილეობის მიღებას ოდნავ მაინც,** რადგანაც სარწმუნოების გარდა, მათ უფრო მსგავსი

ექნებოდათ ზნე-ჩვეულება, კულტურა, და ისტორიულადაც იგინი ისე შორი-შორს არ იქნებოდნენ ერთმანეთზედ. აყვავებული იქნებოდა ეხლა ბოსფორის ნაპირებზედ ვაჭრობა-მრეწველობა ადგილობრივი; იქნებოდა მრავალი უმაღლესი სასწავლებელი, აყვავებული იქნებოდა მწერლობა, ხელოვნება და სხვა. **ეხლა კი ბერძენსა და სომეხს ვაჭრობის მეტი არა აინტერესებს-რა უმეტეს ნაწილად,** ოსმალოს კი არც ერთი ეს არ აინტერესებს, არ კადრულობს. მისი იდეალი–სამსახური იყო, ომი და უსაქმოდ ყოფნა, ან კარ-ჩაკეტილი ცხოვრება ჰარამ-ხანაში. ევროპიელი კი, ესე იგი „უცხო“, აქ მხოლოდ ბატონობს და ამაყობს თავის უპირა-ტესობითა და ძლიერებით როგორც ფულისა, ისე საერთო კულტურის მხრივ.

მეორე მაგალითი აიღეთ. საქართველოში **ახალციხისა, კლარჯეთისა, შავშეთისა, აჭარისა** და სხვა მხარეები – **ბუდე იყო საქართველოს კულტურულ ძლიერებისა.** მათი განვითარება მიდიოდა ერთის გარკვეულის გზით ქრისტიანობისა და ელლინიზმის ზედ-გავლენით და ეს სწორი გზა განვითარებისა შესწყდა ურდოთა მუდმივ შემოსევის გამო; ოსმალეთმა კი იგინი მთლად დაამხო, მიაღებინა ძალით მათთვის უცხო სარწმუნოება, ზნე-ჩვეულება, დაავიწყებინა ნაწილს ენა, ვერ შეასწავლა თავისი ენაც, აგრეთვე, დაავიწყებინა თავისი ვინაობა და ისტორია,– და დღეს ეს მხარეები ნამდვილი გაველურებული ქვეყნებია. აღარც ოსმალოსთვის არის გამოსადეგი, აღარც საქართველოსათვის და აღარც თავიანთ თავს არგიან.

ასეა ყოველთვის. ან მხოლოდ მოსულმა ელემენტმა უნდა შეიტანოს, მართლაც, ახალი კულტურა, როცა სადმე მივა, ან ძველ კულტურაზედ უნდა აღმოაცენოს ახალი, უმაღლესი, ან იმდენი შემოქმედება უნდა ჰქონდეს, რომ ძველი კულტურის გვერდით თავის საკუთარ კულტურით უნდა დაჩრდილოს იგი ძველი და რაიმე პროგრესსი განახორციელოს. წინააღმ-დეგ შემთხვევაში, როცა ხალხის განვითარების ერთის მიმართულების ძაფს ძალითა სწყვეტენ, არც სხვისი გაუმჯობესება შეუძლიან და არც ახალის შექმნა, ამასთან ამ სხვისასაც ანგრევენ, რაც არის, ბევრი თუ ცოტა, – მაშინ რეგრესსი და ბარბაროსობა აუცილებელია.

ოსმალოებს ვერც უმაღლესი კულტურა შეუქმნიათ სტამბოლში, **ბერძნებისათვისაც არც ის დღე დაუყენებიათ, რაც ჩვენ დაგვაყენეს,– არ გაუმუსულმანებიათ ძალით, არ წაურთმევიათ ენა**, ოსმალებს მხოლოდ შეუქმნიათ თავიანთი საკუთარი სოციალური წრე, **ნება მიუციათ ბერძენთათვისაც ჰქონებოდათ მათი საკუთარი;** მხოლოდ, როგორც გაბატონებული, **რასაკვირველია, ვიწრო საზღვარი დაუდვიათ ქრისტიანული კულტურის განვითარებისათვის როგორც თავიანთი ახლო მეზობლობითა, ისე იმ მიზან შეწონილი ზომებით, რომელიც მათ მიუღიათ ყველა არა-მუსულმანთა წინააღმდეგ თავიანთ ისტორიის განმავლობაში.** ამიტომ ქრისტიანთა სოციალური ურთიერთობა გადახლართული კი არ არის ისლამთან, არამედ ეს ორი ელემენტი იმდენად ეხება ერთმანეთს, რამდენადაც ამას მოითხოვს თვით გაბატონებულ ელემენტისაგან შექმნილი მოწესრიგება მთელ სახელმწიფოისა, ამ გაბატონებულთა მიზანთა მიხედვით. **ამიტომაც სტამბოლი არ წარმოადგენს ერთს ჰომოგენიურ სოციალურ ქსოვილსა.** რამდენია ისეთი ქალაქი, სადაც ეს სოციალური ქსოვილი ჰომოგენიურია, მიუხედავად მრავალი ეროვნებისა და მათ შორის ბრძოლისა. აქ კი არ ყოფილა ჯერ აუცილებელი საჭირო მოვლენა, შემდეგ თუ განვითარდება იგი, – ეს ხომ ნელა იქნება ამ ქალაქისა და მთელი ოსმალეთისა.

სულ უბრალო მაგალითია საჭირო, რომ გავითვალისწინოთ ეს გარემოება. როგორ შეიძლება რომელიმე ქალაქის სოციალურმა ცხოვრებამ ჰომოგენიური ხასიათი მიიღოს, თუ

გინდ ათასი წელიწადი იცხოვროს ერთად ორმა ელემენტმა, როდესაც ერთს ელემენტს ოჯახი გაუხდია მთავარ სოციალურ დაწესებულებად, მეორეს კი ოჯახი არა სწამს, არამედ ჰარამხანა, როცა ოჯახი არ არის სრულიად, არამედ ერთი უსაზიზღრესი ფორმათაგანი მონობის?– შეუძლებელია, და თუ ყველა სოციალურ მოვლენებს მიაქცევთ ყურადღებას, იმავე განსხვავე-ბას ნახავთ ამ მოვლენათა შორის ამ ორი ელემენტის ცხოვრებაში, მაშინ როდესაც, მაგალითად, ევროპის ყველა ხალხთა ცხოვრებაში თქვენა ჰხედავთ–უკიდურესს მსგავსებასა, რაიცა, რა საკვირველია, ხელს უწყობს სოციალურ ცხოვრების ჰომოგენობასა მიუხედავად ეროვნებათა გარჩევისა (მხედველობაშია, თუ რამ შექმნა ეს).

ბევრს აბრალებენ რელიგიურ ფანატიზმს. მაგრამ იმას კი აღარ იღებენ, ლიგიოზური ფანა-ტიზმი, ან რა არის იგი. საუკუნეთა განმავლობაში შემუშავებულა ოსმალოს პსიხიკა, რომელსაც არავითარი კავშირი არა ჰქონია ბერძნის პსიხიკასთან; მაგალითად, **ერთგვარ, სრულიად განსხვავებულ სოციალურ მანქანის ხანგრძლივ მოქმედებას შეუქმნია ოსმალო, როგორც სოციალური ტიპი, და როგორ გინდათ იგი** „უფანატიზმოდ“ შეუუღლოთ ბერძნის ქალსა, რომლის **სოციალური ტიპი სულ სხვაა,** რომელიც შედარებით თავისუფლებაშია აღზრდილი და არა ჰარამხანაში, მონად? და როდესაც განათლებული ოსმალო, რომელსაც უარყუვია არა თავისი ეროვნება და სარწმუნოება, არამედ თავისი სოციალურ წრის ზედმეტი თავისებურება და „გაევროპიელებულა“, ირთავს ბერძნის ქალს, რად გიკვირთ, რომ გაბრაზებული ბრბო, რომელიც გუშინ გულწრფელად ჰყვიროდა **„თავისუფლებას გაუმარჯოსო“,** დღეს მათ ლუკმა-ლუკმადა ჰგლეჯს? აქ „რელიგიურ ფანატიზმს“ არა აქვს გავლენა, როგორც ორ სოციალურ წრის ერთმანეთზედ დაშორებას, რადგან ოსმალოს ოჯახში სხვა კაცი ვერც კი მოვა, თუ მოვიდა – ცოტა ხნით, ისიც არა ოჯახში, არა ქალებთან, ბავშვებთან და ყველასთან, სამუსაიფოდ და გულის გასართობად, **არამედ ოჯახის უფროსთან, საქმისთვის, ან მოსაკითხავად.**

ოსმალოს თვითონაც არა აქვს ოჯახებური ცხოვრება. იგი ვერ სარგებლობს ოჯახის კეთილშობილურ აღზრდით, იგი ვერც თანასწორუფლებიან საყვარელ არსებათა შორის მუშაობითა და დროს გატარებით სტკბება. მისთვის ოჯახი უმეტეს ნაწილად ერთგვარ სია-მოვნების წყაროა და „თავისუფალ“ დროს კი სულ ყავახანაში ატარებს. სახლების ფანჯრებს კი სულ რკინები აფარია და **დედა-კაცი იქ არის ჩაკეტილი. ნება დაურთველად ვერსად წავა.**

ცხადია, რომ ასეთი განსხვავება ოჯახის ცხოვრებისა საშინელ განსხვავებასა ჰბადებს მთელ სოციალურ წრეთა შორისაც.

სოციოლოგი **გუმპლოვიჩი** ამბობს, რომ **სოციალური პროცესსი** მაშინ ხდება, როდესაც ერთიეთნიური ჯგუფი მეორეს დაიპყრობს, მასში შეერევა, მოაწყობს ბატონობის ორგანიზა-ციას, შემუშავდება ერთი ხალხი ამ ორი ელემენტისაგან, ან მათ შორის დამყარდება საერთო მოქმედების წესები და ერთად გაიჩენენ საერთო სოციალურ ორგანოებსაო. ბევრი მართალია ამ აზრში, და ოსმალეთში სწორედ ძლიერ სუსტად მომხდარა ასეთი „სოციალური პროცესსი“. **მეომარი ხალხი მოსულა და დამკვიდრებულა განვითარებულ, კულტურულ ხალხის ადგილ-ზედ.** პირველი მეორეს არც შერევია, არც უსწავლია მისგან რამე, არც სრულიად მოუსპია. კულტურათა და სჯულის სხვა და სხვაობას სულ დაუშორებია ერთმანეთზედ მათი სოცია-ლური წრეები. ამიტომაც მათ ვერ შეუქმნიათ საერთო სოციალური ჰომოგენური ცხოვრება, ვერ შეუქმნიათ ერი, **ვერ შეუქმნიათ ერთი ეროვნული ან სოციალური ორგანიზმი თავიანთ განვითარებულ ორგანოებითა. მეომრები ომითა, სამსახურითა და მამულებით სცხოვრობდნენ**

და ეხლაც ოსმალოები არიან ან მოლები, ან აფიცრები და მოხელენი, ან მემამულენი. რასაკვირველია, არის, აგრეთვე, აუარებელი გლეხობა, რომელსაც მუშაობაში ხდება სული. ძლიერ ცოტა ვაჭარი ან განათლებული ხალხია. აქაურ პროლეტარიატს კი ჯერ პროლეტარიატი არ ეთქმის. ეს რაღაც არეულ-დარეული ულუკმა-პუროდ დარჩენილთა გროვაა, რომლის გაწვრთნას და დისციპლინას დიდი დრო დასჭირდება.

დაუხშო რა ისლამის საზოგადოებამ კარი განვითარებულ ქრისტიანულისას, ვერავითარი გონებრივი ცხოვრება ვერ შეჰქმნა მან თვით, და რადგან დამონებულ ბერძენთ ერთადერთი ვაჭრობის გზა დაუტოვეს დამპყრობლებმა, ამათაც დიდად არ ეინტერესებოდათ ძველ ელლინურ სწავლა-განათლების აღყვავება. ასე რომ ეხლა **სტამბოლში არავითარი ინტელექტუალური ცხოვრება არ არის. აქ არავის აინტერესებს არც უმაღლესი ფილოსოფიური პრობლემები, არც ხელოვნების ახალი წესები, არც ლიტერატურული რომელიმე ნაწარმოები იწვევს მითქმა-მოთქმას ფართო განათლებულ საზოგადოებაში.** სკოლები ოსმალოებს აქვთ, მაგრამ ერთ უმაღლეს საექიმო და სამხედრო საშუალო სასწავლებელთა გარდა მოსახსენებელი არც კია, არც მაღალი და არც საშუალო მათი სკოლა. იგინი არ არიან განათლების ცენტრები. აგრეთვე, ბერძენთა და ევროპიელთა სკოლები სპეციალურ საშუალო განათლებას თუ მისცემენ კაცს, თორემ არც ისინი წარმოადგენენ **ათინის სკოლებსა, ან თანამედროვე სორბონნასა.**

მეომართაგან დაარსებული სახელმწიფო, რომელსაც მეცხრამეტე საუკუნემდის უომნია მუდმივ, ვერ განვითარდებოდა ეკონომიურად. აქაც რატომ არ არის არავითარი მწარმოებელი კაპიტალი. არის აუარებელი სავაჭრო კაპიტალი, რომელიც ბერძენთა, სომეხთა დ ევროპიელთა ხელშია; **მცირე აზია კი ნედლი მასალის ბაზარია,** საიდანაც ევროპას გააქვს საქონელი თავის **ქარხანათათვის. სანამ ოსმალო ტეხნიკურის ცოდნით აღიჭურვებოდეს, სანამ იგი ადგილობრივ დაამუშავებდეს მანქანებით იმ აუარებელ ბუნებრივ სიმდიდრეს, განსაკუთრებით მადნებსა, რომლითაც სავსეა მცირე აზია, მანამდის, ვინ იცის, რამდენი ხანი გაივლის**. ამას, ბევრი დრო უნდა, მარტო კონსტიტუციის დამყარება, ადმინისტრაციის გამოცვლა და კანონმდებლობის შეცვლა არ კმარა.

ერთის სიტყვით, ოსმალეთს ამდენხანს არა შეუქმნია რა, მისი შემოქმედება ნული ყოფილა ამდენხნის განმავლობაში. სტამბოლი, ჩემის ფიქრით, ტიპია ამ არარაობის. ამდენი მრავალ-ფეროვანი სანახაობა, ამდენი სიმდიდრე, ასეთი მშვენიერი ადგილი, და როცა დაუკვირდები– არაფერი: ხალხის უმეტესობა უსაქმურია და არაფრის გაკეთება არ შეუძლიან, რომ შექმნას რამე დიდებული და ასამაღლებელი ქვეყნისა; საზოგადოებათა სხვა და სხვაობა ისეთია, რომ ერთს მეორესთან არ შეუძლიან დაიჭიროს მჭიდრო სოციალური კავშირი საერთო მოქმედებისათვის, არ შეიძლება მათ შორის ქორწინებაც კი ისე, რომ სისხლისღვრა არ მოხდეს; არ არის არავითარი გონებრივი ცხოვრება, არავითარი დიდი მრეწველობა და სხვა. ხალხის შემოქმედების ნიშანწყალი არ ეტყობა ამხელა ქალაქს. იგი წარმოადგენს არა ერთ სოციალურ სხეულს, როგორც, მაგალითად, **პარიზი**, არამედ რამდენიმეს, რომელთაც არც ურთიერთის ასიმილაცია შეუძლიანთ, არც მჭიდრო ერთობა, არამედ შემთხვევით მოხვედრილან ერთად და თუ უშლიან ერთმანეთს მოქმედებას, თორემ ხელს არ უწყობენ. სამაგიეროდ, მთელის ევროპიდან გამოუშვერიათ დიდ სახელმწიფოებს თავიანთი მძლავრი საერთაშორისო კლანჭები, რომ ეს მახინჯი სოციალური ორგანიზმები ჩაბღუჯონ, ჩაყლაპონ და მართლაც, მათი „ასსიმილაცია“ მოახდინონ, რაც შეიძლება მალე, რომ ეს საუკეთესო ადგილი ევროპისა, ქვეყნის გასაღები

ხელში ჩაიგდონ და ამით კიდევ უფრო შეჰმატონ თავიანთ ძლიერებასა. აქ ყოველივე დიდი სახელმწიფოს საელჩო თითქმის მთელია ორგინალისა თავის უფლებით. ფოსტაც კი ცალ-ცალკე აქვს სახელმწიფოებს. რამდენიმე ნაბიჯი კიდევ და სტამბოლი დამოუკიდებელ სახელმწფიოს სატახტო ქალაქი კი აღარ იქნება, არამედ ევროპის სახელმწიფოთა ძალების „point d'application".

მაგრამ ეხლა დრო შეიცვალა, ეხლა ოსმალეთი განახლდა, კონსტიტუციამ და „კანონის ბატონობა"–მ დაიდგა ტახტი და, რასაკვირველია, ასეთი მდგომარეობა არ შეიძლება გაგრძელ-დეს დიდხანს, თორემ ქვეყანა მალე სულ დაიღუპება. მაშინ სტამბოლის ელფერიც შეიცვლება, უეჭველია.

ამ კონსტიტუციაზედ ვილაპარაკოთ შემდეგ წერილში.

მკითხველი მაპატიებს, რომ ეს წერილები მარტო ჩემი შთაბეჭდილებით არის სავსე. შესწავლას დრო უნდა, მეკი ჯერ-ჯერობით იმდენი დრო არა მაქვს და უფრო დასაბუთებული აზრი, თუ შევიძელი, შეიძლება შემდეგ, ლიტერატურასთან გაცნობისთანავე გამოვსთქვა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ლიტერატურა არც დიდია და არც ხეირიანი ამ საკითხთა შესახებ ოსმალეთში.

ხელნაწერი და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სავანის არქივში. ავტორი იქვე ცხოვრობდა, მონასტრის სასტუმროში და იქვე წერდა თავის წერილებს. იხ. „დროება", 1908 წ. N3წ. ნაწ. IV^ა. გაზეთის ნომერიც სავანის ბიბლიოთეკაშია შენახული.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

IV

ოსმალეთის პარლამენტის გახსნა

გულითა მსურდა ოსმალეთის პარლამენტის გახსნაზე დასწრება, მაგრამ ბედმა არ შემისრულა ეს სურვილი.

ამ არაჩვეულებრივსა და საკვირველ მოვლენას ისე მიეგება მთელი ქვეყანა, იმდენი ხალხი მიაწყდა დიდ სავეზიროს თხოვნითა და მუდარით–ნება ჩვენც მოგვეცით, დავესწროთ დიდ დღესასწაულსაო, იმდენი „დიდი“ და პატივცემული კაცი აწუხებდა თხოვნით ყველას, ვისაც რაიმე დახმარების აღმოჩენა შეეძლო, რომ ჩვენისთანა წვრილფეხა ადამიანს, რუსულ-ქართულ პრესის წარმომადგენელს, ვინ მიაქცევდა ყურადღებას!

იმედი მაინც არ დაგვიკარგავს მე და ერთ ჩემ ამხანაგს, ქართველ მუსულმანს, რომელსაც, აგრეთვე, ჰქონდა ქართველ ჟურნალისტობის ნდობა. ჯერ მივმართეთ ჟურნალ „**ტანის**“ რედაქციაში რედაქტორს, **ჰუსეინ ჯაჰიდ-ბეის,** რომ რაიმე დახმარება აღმოეჩინა, ან ესწავლებინა გზა და საშუალება პარლამენტში შესვლის ნებართვის აღებისა. მითხრა რომ მსურველი აუარებელია. ადგილი კი ცოტა, არ ვიცი, როგორ იქნება საქმე. ყოველ შემთხვევაში სამინისტროში იკითხეთ, იქ გაგცემენ ნამდვილ პასუხსაო. წავედით სამინისტროში. მეორე დღისთვის დაგვიბარეს, მეორე დღეს კი ცივი უარი გვტკიცეს–ყველასთვის არ არის ადგილიო. გაზეთშიაც იყო იმ დღეს გამოცხადებული, რომ რადგან პარლამენტის გახსნას უნდა დაესწრას დიპლომატიურ კორპუსის ყველა წარმომადგენელი, აგრეთვე, ოსმალეთის დიდი მოხელენი და სხვანი მრავალნი, პრესისათვის ადგილი ძლიერ შეზღუდულიაო. თვითო თათრულ გაზეთს ეყოლებოდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. ბერძნულ და სომხურ გაზეთთაგან სამ გაზეთს ეყოლებოდა მხოლოდ ერთი წარმომადგენელი. უცხოელ ჟურნალთაგან კი მხოლოდ ერთ კორესპონდენტს ჰქონდა კარტა ყოველ ექვს გაზეთზედ. რასაკვირველია, დიდებს ჰხვდათ წილად ეს ბედნიერება, პატარები კი გარედ დარჩნენ. აბა, ქართული პრესსა ვიღას მოაგონდებოდა ასეთ პირობებში.იგი, ჯერ ერთი, უცხოელია და მეორე–პატარა ერისა, პირადად მე კი ვერ შევიდოდი პარლამენტში, ათასი პრივილეგიაც რომ მიეცათ ქართველ პრესისათვის, რადგან ერთი რამ იყო საჭირო, რასაც მე ვერასოდეს ვერ შევასრულებდი, ჩემგან დამოუკიდებელ მიზეზთა გამო.

დავრჩი გარედ და გადავწყვიტე, გარედან მაინც მეყურებინა, რა ამბავი მოხდებოდა 17(4) დეკემბერს, პარლამენტის გახსნის დღეს.

წინა დღეს წვიმა იყო. ხუთშაბათს, 17 დეკემბერს კი მშვენიერი დილა გათენდა. მზე იყო და თბილოდა, ცრუ-მორწმუნე კონსტიტუციონალისტს, ალბად, რაღაც განგებისაგან მოვლენილი ეგონებოდა სწორედ ამ დღეს ასეთი მშვენიერი დილა, და მართლაც, აუარებელი ხალხით აივსო სტამბოლის ის ქუჩები, რომელზედაც სულთანს უნდა გაევლო პარლამენტში მოსვლამდის.

სამი ქართველი ერთად წავედით პერიდან სტამბოლში, სადაც პარლამენტია, აია–სოფიის მახლობლად. შეუძლებელი იყო ხალხის გარღვევა ქუჩაში და პარლამენტის მიახლოვება, მაგრამ მაინც გავიჭირვეთ საქმე და ძლივს მივაღწიეთ აია სოფიის კარებამდე. ახლო-მახლო სახლის თავები, აგრეთვე აია-სოფიის თავი სულ სავსე იყო ხალხით. წინა ადგილები

ქალებისათვის დაეთმოთ და ზევიდან პირ-ახდილი თათრის ქალები გადმოიყურებოდნენ. ჩვენ, როგორც იყო, გავიარეთ აია-სოფიის ეზო, გავედით ვიწრო ქუჩაში, სადაც პარლამენტია, და შიგ შუა-გულ ხალხში გავიჭედეთ, გავჩერდით ზედ პარლამენტის ჭიშკრის გვერდით, მარცხნივ. ამ ჭიშკრიდან უნდა შესულიყვნენ სულთანი და დეპუტატები. ჯარი შესამჩნევად იცავდა წესიერებას, ზრდილობიანად და მშვიდობიანად, უჩხუბრად. თუმცა, უნდა აღვნიშნოთ, თვით ბრბო სტამბოლში სამაგალითო ყოფილა ასეთ შემთხვევებში. იგი თვით იცავდა სამაგალითოდ წესიერებას. **არც ჩხუბი, არც გინება, არც ღრიალი, არც განგებ ერთმანეთის გადაქელვა. უმთავრესი მიზეზი ამისი, ჩემი ფიქრით, ის არის, რომ მუსულმანები არა სმენ და ის ბრბო, რომელიც უმეტესად მუსულმანთაგან შესდგება, გაცილებით უფრო მშვიდობიანია სხვებზედ. თუ, რასაკვირველია, იგი რომელიმე ცუდი მიზნით არ არის გამოსული ქუჩაში, ფანატიზმით გატაცებული. რუსეთში ან ჩვენში რომ ამდენი ხალხი შეჰყარო, უსათუოდ ნახევარი მთვრალი იქნება და საქმე ან „პოგრომით“ გათავდება ან პატარა კინკლაობით მაინც. აქ კი მშვიდობიანად ვიდექით და ველოდით.**

სულთანმა თურმე გამოიარა თავის სასახლიდან აიაზაფში, ნიშანტაში, იენი–მაჰალე და ფლამშური და შემოვიდა ფანგალთის დიდ ქუჩაში, მერე პერას დიდ ქუჩაში, შემდეგ გაიარა დიდი აიდი, ზეირეკი, ვეფა, შაჰზადებაში, დივან-იოლუ და ამ გზით მოვიდა პარლამენტის კარებთან. ქუჩები ჯარით იყო სავსე და ეს ჯარი, რასაკვირველია, სამხედრო სალამს აძლევდა. სულთანს თან ახლდნენ ცოლები და შვილები მდიდარ ეტლებში. თვითონ სულთანი თავის მშვენიერ ეტლში იჯდა, დიდ ვეზირსა და პრინც **ბუხჰანედდინ-ეფენდისთან** ერთად და ეტლითვე შევიდა პარლამენტის ალაყაფის კარებში. ასე ნაშუადღევის პირველი საათი იქნებოდა. ჩვენც კარგად დავინახეთ მისი არწივისებური მრისხანე სახე. წვერი შეღებილი აქვს შავად და ეს კიდევ უფრო საშინლადა ხდის მის ისედაც მკაცრ გამომეტყველებას. ჯარი და ხალხი დიდის აღტაცებით მიეგება სულთანს. დაუსრულებელი ყვირილი იყო „ფალიშაჰიმ ჩოქ იაშა-სუნ!“ სანამ სულთანი მოვიდოდა, რიგ-რიგად დეპუტატები შედიოდნენ ჭიშკარში, მათაც უყვიროდნენ „იაშა“-ს, მაგრამ სულთანის სალამი მაინც განსხვავებული იყო. სულ ცეცხლივით ბრწყინავდა ყველას თვალები. ძველი ჩვეულება ასე ადვილი ამოსაფხვრელი არ არის, არც ძველი შიში და მორიდება ჰქრება ასე მალე! ეს იყო, რაც თვალითა ვნახეთ.

როცა მიწვეული უცხო სახელმწიფოთა წარმომადგენელნი მივიდნენ და სულთანიც იქ იყო, მაშინ აღასრულეს დადებული წესებიც. შემდეგ სულთნის მდივანმა წაიკითხა სეფე სიტყვა, მაგრამ ამ სეფე სიტყვაში სრულებით არა იყო-რა. მან ფიციც-კი არ მიიღო პარლამენტის ერთგულებისა. ამ ოცდათორმეტი წლის წინად რომ მივიღე, ისიც კმარაო. ამისი კმაყოფილნი არ არიან ახალგაზრდა ოსმალნი და ვნახოთ, რითი გათავდება ეს საქმე. შეიძლება მიაღებინონ ხელახლა ფიცი, შეიძლება დაუთმონ.

1877 წლის სეფე-სიტყვა უფრო შინაარსიანი იყო. მოვიყვანოთ ეს ძველი სიტყვა და შევადაროთ ახალს, რომ დიდი განსხვავება მაშინვე დავინახოთ. ჩამოსთვალა რა მამა-პაპათა ღვაწლი, აბდულ ჰამიდმა სთქვა: „ეჭვს გარეშეა, რომ განგებამ ძალა და სიმდიდრე მისცა ჩვენს ქვეყანას, იმდენი ნიჭი ჩემს ქვეშევრდომთ, რომ ძლიერ ცოტა ხანში დიდ პროგრესს განვახორციელებთ კარგის მართვა-გამგეობის წყალობით. თუ აქამდის ვერ გავუთანასწორდით განათლებულ ხალხებს, ამისი მიზეზი სახელმწიფოს მოუწესრიგებლობა იყო, რაიც გამომდი-

ნარეობდა ხალხის საერთო საქმეთა შესახებ საერთო მსჯელობის უარმყოფელ აბსოლიუტიზ-მისაგან. პროგრესსი, რომელიც განახორციელეს განათლებულმა სახელმწიფოებმა, ამ სახელ-მწიფოების სიმდიდრე და თავისუფლება იმას უნდა მიეწეროს, რომ კანონთა შედგენაში და ქვეყნის მართვა-გამგეობაში ყველა იღებს მონაწილეობას. მე საჭიროდ ვცანი, გამომენახა ჩვენთვისაც საშუალება გაუმჯობესებისა, და ამიტომ გამოვცვალე სისტემა კანონმდებლობისა – **გამოვაცხადე საყოველთაო არჩევნები, ხალხს მივანიჭე კონსტიტუცია.** ამ ახალ დაწესებულე-ბებით ჩემი მიზანი მაინცა და მაინც ის კი არ იყო, რომ ხალხი მომეწვია საქმეთა საერთო განსაგებად, არამედ ის, რომ ეს დაწესებულებანი იარაღად გამომეყენებინა რეფორმათა განსახორციელებლად და, აგრეთვე, ბოროტმოქმედებათა მოსასპობად. გარდა იმისა, რომ კონსტიტუციას აქვს თვით შინაგანი ღირსებანი და უპირატესობანი, იგი საფუძველს ჩაჰყრის ყველა ჩემ ხალხის შორის ძმობისა და ერთობისას, რომ ყველამ თანასწორად ისარგებლოს დამკვიდრებულის კეთილდღეობით. ჩემმა დიდებულმა წინაპრებმა დიდი ბრძოლით მოაქ-ციეს ერთი სკიპტრას ქვეშ მრავალი ხალხი, რომელიც სცხოვრობს ამ დიდ იმპერიაში. საჭირო იყო მხოლოდ შეერთება ამ სხვა ხალხისა, რომელთაცა ჰყოფდათ ეროვნება და რჯული, ერთის კანონითა და ერთ არსებობის გრძნობით. ღმერთმან თავის განუსაზღვრელ სიკეთით ინება, რომ ეს აღსრულებულიყოს.

„ამიერიდან ყველა ჩემ ქვეშევრდომს ერქმევა ერთი სახელი, როგორც ერთი კანონის შვილთა, სახელი, რომელიც განადიდეს ჩემმა წინაპრებმა და აღამაღლეს იგი ექვსასი წლის განმავლობაში და რომელმაც დასტოვა მრავალი მოგონება და სიდიადის კვალი ისტორიაში. სახელი **ოტტომანი,** რომელიც აქამდის იყო განხორციელება ძალისა და ძლიერების იდეისა, მომავალში გახდება განსახორციელებლად ყველა ჩემ ქვეშევრდომთა ერთობის იდეისა. ეს არის ჩემი რწმენა, ამ პრინციპებით აღჭურვილმა გავიკაფე ეს გზა, რომელსაც არ გადაუხვევ არასოდეს. მე დარწმუნებული ვიყავ, რომ აუცილებლად საჭირო იყო ჩემს ქვეშევრდომთათვის თავისუფლება და თანასწორობა და ბოლო უნდა მოჰღებოდა ძალ-მომრეობას; საჭირო იყო, მთელი ჩვენი ქვეყნის კონტროლი საქმის საერთო გაძღოლისათვის და კანონისათვის; საჭირო იყო ერთის სიტყვით, ჩვენი ადმინისტრაციულ სისტემის წესების შეთანხმება კონსტიტუციის პრინციპებთან. ამ ძვირფას სურვილთა განსახორციელებლად მე გადავსწყვიტე მომეწვია **პარლამენტი,** რომელიც შესდგება **სენატისა და დეპუტთა პალატისაგან.**

ეხლა თქვენი საქმეა, პატიოსნად და პირნათლად შეასრულოთ თქვენი კანონმდებლობითი მოვალეობა, რომელიც მონდობილია თქვენს პატრიოტიზმზედ. დღეს რომ გაუმჯობესებანი გვჭირდება და რეფორმები, რომელსაც ყოველი კუთხე ჩვენი ქვეყნისა უცდის, აი, რა არის ყველაზედ უფრო მნიშვნელოვანი. თანდათან განხორციელება ამ მიზანთა დამოკიდებულია თქვენსავე თანხმობაზედ. მეორეს მხრით, სახელმწიფო საბჭო კანონ-პროექტებს შეიმუშავებს, რომ მერე თქვენ წარმოგიდგინოთ. მე მსურს, რომ თქვენ განსაჯოთ, შეისწავლოთ და ღრმად განარჩიოთ ყოველი კანონი. ყველაზედ უფრო საჭიროა ეხლა იმპერიისათვის განვითარება მიწათმოქმედებისა და მრეწველობისა. მე ძლიერ საჭიროდ მიმაჩნია უკვე განხორციელებული პროგრესსის კიდევ უმაღლესი განვითარება ადმინისტრაციის ყველა დარგში. აგრეთვე, საერთო გაუმჯობესება მთელი ჩემის იმპერიისა. მთელ ჩემ ძალ-ღონეს შეეწირავ ამ საქმეს. ამასთან, ჩემს უმაღლეს მოვალეობად ვთვლი, გუშაგად ვედგე ჩემ იმპერიას, რომ იმის ღირსებასა და დამოუკიდებლობას ხელი არავინ შეახოს. დრო დაამტკიცებს მხოლოდ ამ ჩემ

სურვილთა სიწმინდესა და ლოიალობას. ჩემი მიზანია, დავადგე ჩვენ უფლებათა და დამოუკიდებლობის დაცვის გზას, და არავითარ შემთხვევაში მე არ ვუღალატებ შემდეგშიაც ჩემ მიერ ერთხელ არჩეულ მიმართულებას; ჩემმა მთავრობამ დაამტკიცა უკვე თავისი გულწრფელობა და ზომიერება და იმედი მაქვს, რომ ეს გულწრფელობა და ზომიერება დაამკვიდრებენ ვიწრო კავშირს ჩვენსა და ევროპას შორის, განამტკიცებენ სიმპატიასა და მეგობრობას, შეგვაერთებენ ევროპასთან, როგორც ერთი ოჯახის შვილთა.

მაღალმა ღმერთმა ინებოს და წარმატება მისცეს ჩვენს საერთო მისწრაფებებს!“

აი, რა სიტყვა წარმოსთქვა სულთანმა აბდულ-ჰამიდმა 1877 წელს 19 მარტს **მიდჰად ფაშის** კონსტიტუციის დამყარების დროს. ასეთი სიტყვა იქნა წარმოთქმული ხალხის წარმომადგენელთა წინაშე, მაგრამ ეს 19 მარტი სწორედ **მიდჰად-ფაშის** გაძევების რამდენიმე დღის შემდეგ დადგა, და მიუხედავად სეფე სიტყვის რიგიან შინაარსისა, კონსტიტუციის პირველ ავტორის გაძევება კარგს არას უქადდა თვით კონსტიტუციას. მართლაც, სეფე-სიტყვის კრიტიკა, **მიდჰად ფაშის** გამოსარჩლება და სხვა, ვერ აიტანა აბდულ ჰამიდმა და ციხეში ამოაყოფინა თავი საუკეთესო მოღვაწეებს.

დეკემბერში მან ხელახლა მოიწვია პარლამენტი, მაგრამ მოსასპობლად და მოსპო კიდეც. ოც-და-ათორმეტი წელიწადი გავიდა მას შემდეგ და მხოლოდ ეხლა, 17 დეკემბერს ეღირსა ოსმალეთს კვლავ კონსტიტუცია, მაგრამ უფრო მაგარ საფუძველზედ.

ასეთის რიხით წარმოთქმულ სიტყვას რამდენიმე თვის განმავლობაში უღალატა სულთანმა და ეხლა, იძულებული რევოლუციის მიერ, ამართლებდა იგი 32 წლის დანაშაულს თავის ახალ სეფე–სიტყვაში. ამ სიტყვაზე სხვა დროს ვისაუბრებ.

ეს წერილი დაიბეჭდა გაზეთში „დროება“ (იხ. №33, 1908 წელი). გაზეთიცა და მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

ქართველი დიდკაცობა სტამბოლში

დაჩაგრულისა და ბედ-დაკარგულ ერის სულის კვეთება გაუბედურებულ კერძო ადამიანის სულის კვეთებას მიემსგავსება. იგი ყოველთვის ხავსს ეჭიდება. წყალ-წაღებულს რაღაცას იმედი აქვს, თუმცა, კარგად რომ დაუკვირდეს, სასოწარკვეთილების დროს რომ გონება აამუშაოს, ნათლად დაინახავს, რომ რასაც იგი ეჭიდება აღელვებულ წყალში–ხავსია და არა კლდე, რომელსაც მისი დაკავება და სიკვდილისაგან გადარჩენა შეუძლიან.

სწორედ ასეთი ხავსის მოჭიდება იყო ჩვენი აღფრთოვანება და იმედი, როდესაც ოსმალეთის კონსტიტუციის გამოცხადების შემდეგ ახალ მთავრობის მოღვაწეთა შორის ქართველების სახელები ამოვიკითხეთ. მართალია, არავის იმედი არა ჰქონდა რაიმე პირდაპირ დახმარებისა, მაგრამ შორეულ ნათესავთა აღმოჩენამ უცხო ქვეყანაში, ამასთან ისეთ ნათესავთა, რომელნიც მთელ ამ ახლად განთავისუფლებულ ქვეყანას თავში ედგნენ, რაღაც იმედი დაგვისახა გულსა და ისე მარტოდ აღარა ვგრძნობდით თავს, როგორც წინად. ყოველ შემთხვევაში, ბევრს ის მაინცა სწამდა, რომ **ამ ქართველებს ქართული მაინც არ ექნებოდათ დავიწყებული,** ეცოდინებოდათ ოდნავ მაინც ჩვენი წარსული და აწმყო, დაინტერესებულნი იქმნებოდნენ თავიანთ **ძველ სამშობლოს ბედითა და მომავლით.**

მაგრამ გაცრუვდა იმედები, როცა ბედნიერობა მქონდა მათის გაცნობისა. **ისინი ისეთივე ქართველები აღმოჩნდნენ, როგორნიც არიან პეტერბურგში ძველი დროის გადასახლებული წარჩინებულნი,** რომელთა გვარი აღარც-კი დაბოლოვდება ქართულად, არამედ ან „**ოვ**“ აქვს მიკერებული ბოლოში და ან „**სკი**“, და რომელთაც შეიძლება აღარც კი იცოდნენ თავიანთი ნამდვილი ქართული გვარი. რასაკვირველია, ეს არ ითქმის აქაურ **თავდგირიძეებზე** და სხვებზედ, რომელნიც უკანასკნელად არიან წამოსულნი, და ისეთ მხარეებიდან, რომელიც ამ უკანასკნელ საუკუნის განმავლობაში გამაჰმადიანდა, მხოლოდ დანარჩენებს კი ცოტა რამეღა ეტყობათ ქართველობისა.

უხუცესი ამ დიდ-კაცთაგანი არის **ჰასან-ფემი-ფაშა**, ყოფილი პროფესსორი ინტერნაციონალურ უფლებისა, შემდეგ **სალონიკის გენერალ-გუბერნატორი,** ამას წინად **იუსტიციის მინისტრი,** ეხლა კი **სენატორი და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე.**

საინტერესო იყო მასთან მისვლა ბაირამზედ, მასთან საუბარი და მისი პასუხები.

ბაირამის დღეები იყო, ზარბაზნების სროლა არა სწყდებოდა და მათ ხმაზედ ყველა ხალხთა მხიარულებით აღვსილი, ქუჩაში დადიოდა ან და შედიოდა ყველა სასიამოვნო ნაცნობთან და ულოცავდა ბრწყინვალე დღესასწაულსა. **ბაირამი** აქ ისეთი დღესასწაულია, რომ სრულიად უმცროსი კაციც კი მიდის სულ დიდ კაცებთან და ულოცავს. მას მიიღებენ კონაკში, და რადგან მასპინძელს ყველასთან გამოსვლა არ შეუძლიან მადლობის გადასახდელად, სტუმარს ყავას მაინც მიართმევენ. ეს უკანასკნელიც არასოდეს არ მიიღებს შეურაცხყოფად, რომ მასპინძელი არ გამოეგება, რადგან კარგად იცის, რომ ბაირამობას სახლში ათასი კაცი შედის და ყოვლად შეუძლებელია ყველას პირადად პატივისცემა. სტუმრებიც სხედან კონაკში, შეექცევიან ყავას, სწევენ თამბაქოს და მასლაათობენ. მერე მიდიან და სხვებს ულოცავენ

დღესასწაულს ასეთისავე წესითა. ხოლო თუ ისეთი ადამიანი ეწვია მასპინძელს, რომლის მიუღებლობა არ შეიძლება, ან რომელიც საქმისათვის მოსულა, მაშინ რასაკვირველია, ასეთ სტუმარს მასპინძლის კაბინეტში იწვევენ.

ჩვენც ბაირამობის დღეც ამოვირჩიეთ ჰასან-ფემი-ფაშის სანახავად. ისიც ვიცოდით, რომ ფაშა ავად იყო იმ დღეებში, მაგრამ ჩვენ ბაირამობის წესით ვისარგებლეთ და ვთქვით, თუ მიგვიღებს–კარგია, თუ არა და დღესასწაულის წესის აღსრულებისათვის მადლობას თუ გაივლებს გულში, თორემ არ დაგვემდურებაო.

შესვლისთანავე მიგვიწვიეს კონაკში. იქ სტუმარი ყავდა და მუსაიფობდა. ჩვენც ზოგს ფრანგულად დავუწყეთ ლაპარაკი, ზოგს–თათრულად (ჩემს ამხანაგს); მოვიკითხეთ მასპინ-ძელი, შევასრულეთ ზრდილობის წესები ცოტა რთულ თავის დაკვრითა, რომელიც მაინც და მაინც კარგად არ გვეხერხებოდა, გაუგზავნეთ ფაშას ჩვენი ბარათები და დავიწყეთ ერთმანეთში ქართულად ლაპარაკი. ჩვენს გვერდით ორი მოლა იჯდა. ყავას სვამდნენ, თამბაქოს ეწეოდნენ და ხშირად იყურებოდნენ ხოლმე ჩვენსკენ. უცბად ერთმა თითქმის დაიყვირა მსხვილისა და რიხიანის ხმით:

–საიდან მობძანდებით, ძიავ!

ჩვენ ორივენი შევკრთით, გავოგნდით და ისე მივაშტერეთ თვალები წვერ-შეღებილ მოლას.

–ჩვენ ქართველები გახლავართ, საქართველოდან, მოვედით დღეს, ფაშის სანახავად და დღესასწაულის მისალოცავად. ფაშა ქართველია და ამიტომ კიდევ უფრო გვსურს მისი ნახვა. თქვენ საიდანა ბრძანდებით?–ვკითხეთ მოლას, რომელსაც სიამოვნების ღიმილმა გადაჰკრა ჩვენი ლაპარაკის დროს.

–მე ზემო-აჭარიდან გახლავართ, გვარად **ირემაძე** ვარ; ეს ჩემი ამხანაგი გვარად **დევიძეა**, შავშეთიდან,–გვითხრა მოლამ.

შევხედეთ იმის ამხანაგს, სახით სულ არა ჰგავდა ქართველს. ენა კი არ დავიწყოდა, კიდევ იცოდა ცოტა, თუმცა **რაღაც საოცარ კილოზედ ლაპარაკობდა. ირემაძე კი ნამდვილი ქართული კილოთი მოლაპარაკე კაცი იყო და ტიპიც არა ჰქონდა შეცვლილი.**

გავაბით ბაასი; მოლას ძლიერ იამა ჩვენი შეხვედრა და გადაგვიშალა გული. თავისი მიზანიც ჩვენდა დაუკითხავად თვითონვე აღიარა ჩვენს წინაშე: „წინ-წინ“ სხვა დრო იყო და ეხლა სხვა დრო არისო, სთქვა მოლამ. ეხლა ისეთი დრო დადგა, საბედნიეროდ, რომ შეგვიძ-ლიან ისა ვთქვათ, რაც გვინდა და ის ვასწავლოთ ხალხს, რაცა გვსურსო. ეხლა, მაგალითად, მე შემიძლიან, აჭარაში რომ მივალ, **ქართული ქითაბი (წიგნი) მივიტანო და იგი ვასწავლო ხალხს, ქართული ენით ვილაპარაკო ყველაფერზე და ქართული ეროვნებაც არ დავავიწყებინო ქართველ მუსულმანებსო. ქართული ენის გაქრობისა ნუ გეშინიანთ; არა-თუ აჭარაში და ქობულეთში, შავშეთშიაც და ლივანაშიც ჯერ სრულიად არ გამქრალა ქართული ენა, და აწი, ღვთით, თვით ჩვენ, ხოჯები ვიმუშავებთ, რომ ჩვენი „სისხლის“ ენა არ გაქრეს, არ დავივიწყო-თო. „გონჯი“ საქმეა, როცა კაცი თავის სისხლს დაივიწყებს, თავის ენას პატივს არ სცემს და მას არა ლაპარაკობსო.**

ბევრი ასეთები ილაპარაკა ხოჯა **ირემაძემ** და **ჩვენც სიამოვნებით უფრო ვუგდებდით ყურს მის გვარიანად დაცულ ქართულ ენაზედ მეტყველებას.** შავშელი **დევიძეც** იქვე იჯდა, იღიმებოდა და იძახდა „**დიახსა**“ და „**ელბეთს**“. მანაც აღგვითქვა, ხოჯა **ირემაძესთან** ერთად–არ დაეშალა ქართველ მუსულმან მშობელთათვის ბავშვების ქართულ სკოლებში მიბარება.

ვუმტკიცეთ ძლიერის გულწრფელობითა და ლოღიკით, რომ **სჯული სულ სხვაა და ეროვნება სულ სხვა, რომ გაქრისტიანების შიშით ბევრი მუსულმანი ქართველი ქართველებისაგან გახსნილ სკოლებში ბავშვებს არ აბარებს და რომ ჩვენ დაკარგულ ძმათაგან ქართველობას ვთხოულობთ და არა ქრისტიანობას, რომ საჭიროა თვით ხოჯებმა იდვან თავს, როგორც გავლენიანმა პირებმა, ამ ეროვნების იდეის გავრცელება მუსულმან საქართველოში და სხვა.** ისინიც გვემონებოდნენ. სთქვეს, რომ შეგვიძლიან, თავებს არ დავიზოგავთ ამ საქმისთვის, ეხლა ჩვენც ვიცით, რაშია საქმეო; ან კიდევ ცოტა ხნის მუსაიფის შემდეგ გამოგვემშვიდობნენ და წავიდნენ.

არ ვიცი, შეიძლება ზრდილობის წესით ლაპარაკობდნენ ასე ეს მოლები, შეიძლება გულწრფელად. იმ წამს კი მათი ასეთი ლაპარაკი ფრიად სასიამოვნო იყო ჩვენთვის. რაც უნდა იყოს, ერთი მოვლენა კი ხდება ეხლა ჩვენში–**ეროვნულ იდეის გაღვიძება,** და მგონი ამ მოძრაობის ტალღამ თავისი სუსტი ფრთა სამუსლმანო საქართველოსაც კი ოდნავ შეახო. საზოგადოდ, რაღაც ნიშნებსა ვხედავთ, თუმცა შეიძლება ეს მოჩვენებაც იყოს და არა სინამდვილე. ერთი დიდი ნიშანი თუ გინდ ის არის, რომ **ჭინკათხევის** საზოგადოება თვითონ თხოულობს ქართულ სკოლის დაარსებას. ღმერთმა ჰქმნას და ჩვენმა ბედმა!.. **ხსნა საქართველოსი მისი სამუსლიმანო ნაწილისაგან უნდა მოვიდეს; უნდა კვლავ განახლდეს და გაბრწყინდეს ძველი სამხრეთ-დასავლეთი საქართველო** სრული ეროვნულ თავმოყვარეობით; ამ თავმოყვარეობის ჩასახვაში და ზრდაში ჩვენ უნდა მივიღოთ უმთავრესი მონაწილეობა. აქაურ ქართველთა რიცხვი თითქმის სრულიად ქართველთა მესამედს უდრის; მათი ადგილები საუკეთესო ადგილებია საქართველოსი, **მათი გეოგრაფიული მდგომარეობა ისეთია, რომ ვერავითარს კავშირს ვერ ვიქონიებთ ევროპასთან და მთელ ქვეყანასთან, თუ ისინი არ იქმნენ ნამდვილნი (ჯაჭვნი) მთელს საქართველოს გადამბმელნი ზღვასთან და ხმელეთთან მთელს დედა მიწის ზურგზედ, და ამიტომაც მთელი ჩვენი ძალ-ღონე, მუშაობა მათ განათლებაზე, მათ ეროვნულად გაწრთვნისაკენ უნდა იქნას მიმართული. უამისოდ შეუძლებელია საქართველოს აყვავება.** პურიშკევიჩებთან ჩხუბი და სახელმწიფო სათათბიროების ლათაიები, თუ გინდ მილიუკოვებიც იყვნენ იქ გაბატონებულნი, ჩვენ ვერას გვიშველის.

ჩვენში ხშირად სტირიან, რუსეთის ხალხის წარმომადგენელთაგან ამას არ მოველოდითო! სასაცილოა, რომ ამ დალოცვილებმა ეხლა გაიგეს ეს! პირდაპირ ვამბობ–არასოდეს კადეტური სათათბიროც კი ხეირს არ დააყრის არც ერთს ჩვენს მდგომარეობაში მყოფ ერს, **ვინაიდან ყოველი დიდი სახელმწიფო შოვინისტია და ორკეცად შოვინისტი მაშინაც კი, როცა იგი განახლების გზაზედა სდგას.** შეიძლება ყოველთვის პურიშკევიჩისთანა უსაქციელო დეგენერატი იყოს ხალხის წარმომადგენელი და არ იყრანტალოს თავისისავე ქვეყნის სასირცხოდ ყოველივე სიგიჟე, მაგრამ უფრო ჭკვიანი და ზრდილობიანი რომ იქნება და იგი უფრო ჭკვიანადაც და ზრდილობიანად მოგიღებს ბოლოს! ამის მაგალითს ისტორიაში ბევრსა ვხედავთ. **საფრანგეთში რომ დიდ რევოლუციის დროს ეროვნული საკითხი ყოფილიყო გადასაწყვეტი, ერთმანეთს დასჭამდნენ სხვა და სხვა ერები, და დღეს ამ რევოლუციის ისტორია ერთი ინტერნაციონალური სისხლის ღვრის ისტორია იქნებოდა თვით საფრანგეთის სახელმწიფოს ტერრიტორიაზედ. დღეს კი რუსეთი და ოსმალეთი ცოცხალი მაგალითებია, როგორის თვალით უყურებს ერებს სახელმწიფოში თვით უპირველესი მებრძოლიც კი, რომელსაც ძმობა,**

ერთობა, თანასწორობა და თავისუფლება ისე აკერია ენაზედ, თითქო... მართლა სწამდეს გულწრფელად ყველასათვის!..

მაპატიეთ ესეთი გულისწყრომა, მწარე ფიქრთაგან, მწარე გამოცდილებისაგან და მწარე რწმენისაგან გამოწვეული.

მოლები რომ წავიდნენ, პატარა ხანს შემდეგ შემოვიდა მსახური და გვითხრა: – ფაშა თუმცა ძლიერ ავად არის, მაგრამ მაინც მიგიღოთ და თავის კაბინეტში გიხმოთო. ჩვენც სიამოვნებით შეველით ფაშის კაბინეტში და მორიდებით მივეგებეთ, მანაც ევროპიულად მიგვიღო, მოგვესალმა და დაგვისვა თავის გვერდით. გავაჩაღეთ მუსაიფი. ფაშა ავად იყო და ძლიერ სუსტის ხმით ლაპარაკობდა.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, 1909 წ. N20, გვ. 2–3. მანქანაზე ნაბეჭდი ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც შემონახულია სტამბოლის ქართულ სავანეში, რადგან ავტორი აქვე, მონასტერში, ცხოვრობდა და სტუმრად მყოფი, კათოლიკე მღვდლების დახმარებით, ახერხებდა სტამბოლის ყოფა-ცხოვრების გაცნობას.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

(გაგრძელება)

ქართველი დიდ-კაცობა სტამბოლში

როგორც მოგახსენეთ, შევედით სენატორისა და სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარის **ჰასან-ფაშის** კაბინეთში და გავაჩაღეთ მუსაიფი.

პირველად ფაშას ვინაობა ვკითხეთ. **გვითხრა,–მარადიდელი ვარ, ბათუმის ოლქიდანაო**. იქა ვარ დაბადებული და ბავშვობისას აქეთ წამოყვანილიო. ქართული, საუბედუროდ, დამავიწყდა. ვიცი მხოლოდ „მობრძანდით“, „წაბრძანდით“, „დაბრძანდით“, კიდევ ორივე ასეთი სიტყვა და „ჭადიო“. ალბათ მჭადი პატარობისას უჭამია, დედას შეიძლება მჭადითაც ჰყავდეს გამოზრდილი ეხლანდელი დიდი სენატორი და იმიტომ დაჰხსომებია ეს სიტყვა. მაგრამ დროთა ვითარებას ისე დაუვიწყებია მისთვის ყოველივე საქართველოს შესახებ, რომ ისიც კი გვკითხა, საქართველოში რა სარწმუნოების ხალხი სცხოვრობსო. ჩვენც აუხსენით ყოველივე, ვუამბეთ მოკლედ **კათოლიკობასა და მუსულმანობის შემოტანის ისტორია საქართველოში და ამგვარად გავაგებინეთ სამი სარწმუნოების არსებობა საქართველოში: მართლმადიდებლობისა, კათოლიკობისა და მუსულმანობისა.**

რაც შეეხება საქართველოს, ეხლანდელი მისი ვითარება მე ძლიერ კარგად ვიციო, სთქვა ხასან-ფეხმი-ფაშამ: **ჩემი რწმენა ის არის, რომ ეგრედ წოდებული პატარა ერები უნდა განთავისუფლდნენ ბოლოს და ბოლოს. მეცხრამეტე საუკუნეში ასეთი ევოლუცია შესამჩნევი გახდა, ოსმალეთმა, მაგალითად, თავისი აუარებელი პროვინციები დაჰკარგა და დარწმუნებული ვარ, რომ სხვასაც ასეთ ხვედრს არგუნებს ისტორიული ბედიო.**

როგორც შემდეგ გავიგე, თურმე ჰასან-ფეხმი-ფაშა ამ აზრისა არა თუ მიმდევარია და სწამს იგი, არამედ მომხრეც ყოფილა თურმე, და ყოველთვის თანაუგრძნობს **ეროვნულ თავისუფლებას.** ბევრს გველაპარაკა **ალბანელებზედ**. ეს ხალხი პატარაა, ბევრი გაჭირვებაც გამოუვლია, მაგრამ შეხედეთ, ეხლა იღვიძებს მათი ეროვნული თვით-შეგნება და აწ აღარ დაიღუპებაო.

როდესაც ჩვენი ერის წარსული ვუამბე, როგორც იურისტმა, ძლიერ გაიკვირვა. ჩაფიქრდა მოხუცი. მისმა სახემ, რომელიც, მართლაც, ტიპიური ქართულია და არავითარი თათრული ბეჭედი არ აზის, მკაცრი და თან ნაღვლიანი გამომეტყველება მიიღო...

მალე შემოვიდა მსახური და თათრულად ვიღაც დიდი კაცის მოსვლა მოახსენა. ფაშამ უარის თქმა დააპირა და ბოდიში მოიხადა, – შეუძლოთაცა ვარ და სტუმრებიც მყვანანო. მე თათრული არ მესმის, მაგრამ ოდნავ მივხვდი, რაშიც იყო საქმე და დაუყონებლივ წამოვდექ გამოსამშვიდობებლად. მოხუცი წამოდგა, მოგვიჭირა მაგრა ხელი და გვითხრა: **„მშვიდობით ბრძანდებოდეთ, იყავით მაგრად და მტკიცედ, და ჩემ მაგიერ გადაეცით საქართველოს, რომ ვუსურვებ ჩვენს სამშობლოს ბედნიერებასაო“.**

ეს იყო მისი უკანასკნელი სიტყვები, ჩვენც თავი დავუკარით, მანაც მოკითხვა დაგვაბარა **სტამბოლის ქართველთა საზოგადოების თავმჯდომარესთან, რომელსაც ავადმყოფობის გამო არ შეეძლო მოსულიყო პირადად ფაშასთან,** და წამოვედით ჰასან-ფეხმი-ფაშის სტუმართ მოყვარე სახლიდან.

ერთადერთი საწყენი ჩვენთვის ის იყო, რომ ამ პატივცემულ პირის ქართველი გვარი ვერ გავიგე ვერსად. ამბობენ, მისი ბიძა სცხოვრობს სადღაც ქართულ სოფელში, მცირე აზიაში, და იმას უსათუოდ ეცოდინება, რადგან იგი ნამდვილი ქართველი კაციაო.

ბედნიერება გვქონდა, აგრეთვე, გვენახა **მარშალი შაქირ-ფაშა.** მასთან **ქართველ საზოგადოების თავმჯდომარის თანდასწრებით** მივედით. შაქირ-ფაშას წინ და წინ შევატყობინეთ, რომ მისი სტუმრები ვიქნებოდით, და დანიშნულ დღისათვის ვთხოვეთ ოსმალეთის პარლამენტის ქართველი დეპუტატებიც მიეპატიჟებინა. მართლაც ერთი დეპუტატი, ბ-ნი **ახმედ ბეი თავდგირიძე,** მოვიდა.

შაქირ-ფაშის ოჯახში უფრო ბევრი თავისუფალი დრო გვქონდა სალაპარაკოდ. ჯერ, რასაკვირველია, გამოვკითხეთ ვინაობა. მისი მამა-პაპა **ახალციხიდან** ყოფილა და გადასახლებულა ლივანაში და არა ქობულეთში, როგორც წინად მომცეს ყალბი ცნობა. მისი გვარი **ერთგულიშვილია**. ბევრი ოხუნჯობა გამოიწვია ამ გვარმა. „ალბად ჩემი მამა-პაპა ძლიერ ერთგული ყოფილა ქართველ მეფეებისაო“, –სთქვა შაქირ-ფაშამ.–ამიტომაც თქვენ ძლიერ ერთგული ბრძანდებით ეხლანდელ... –ვეღარ გავათავეთ ფრაზა, რადგან შაქირ-ფაშა სულთანის ერთგულიც არის, როგორც **მის ადიუტანტების უფროსი,** და **კონსტიტუციის მომხრე და დამცველიც არის,** როგორც ჭკვიანი პოლიტიკოსი და ოსმალეთის ინტერესთა გონიერი მეგობარი. თურმე ბევრი ახალგაზრდა ოსმალო ორჭოფ კაცად უყურებს, თუმცა მას არავითარ მოქმედებითა და საქმით არ დაუმსახურებია ასეთი სახელი.

შაქირ-ფაშა გერმანიაში გაწვრთნილი კაცია. მაგრამ სამხედრო აღზრდის გარდა, სჩანს, ადამიანს ბევრი უმეცადნია, რომ გასცნობოდა ყველა თანამედროვე დიდ-საკითხებს. ოსმალეთში ძვირად ნახავ თურქს, რომ მას რაღაც უცნაური შეხედულება არა ჰქონდეს, მაგალითად, სოციალიზმზედ. ოსმალეთში კი არა, ევროპაშიაც რამდენია ასეთი ადამიანი! შაქირ-ფაშა კი ასეთი არ არის. **მას ისე ესმის სოციალიზმი და სოციალისტური მოძრაობა, როგორც კარგად ნაკითხს, კრიტიკის მქონესა და თითქოს უკვე პრაქტიკულად ნამუშევარ სოციალისტს.** მან კარგად იცის საერთო ცნობა სოციალიზმისა, და მისი შტოები: სოციალ-დემოკრატიზმი, ანარხიზმი, ქრისტიანული სოციალიზმი და სხვანი. მან კარგად იცის. აგრეთვე, ისტორია ამ შტოების განვითარებისა და მათი თანამედროვე მდგომარეობა.–მე დარწმუნებული ვარ, რომ სოციალიზმი ერთ დროს განხორციელდებაო,–სთქვა შაქირ-ფაშამ. ეს არაფრად იამა ერთ ჩვენ თანამგზავრს, მაგრამ ფაშამ განაგრძო: –არა იმიტომ, რომ ისე მქონდეს გაგონილი ეს რწმენა, არამედ იგი დამყარებულია სხვა და სხვა მძიმე საბუთებზეო: როცა კაცი თანამედროვე ევროპის ცხოვრებას ჩაუკვირდება, გაითვალისწინებს ეკონომიურ უკუღმართობას, აზრთა მიმდინარეობას, მეცნიერების ისეთ განვითარებას, რომ, მართლაც, სირცხვილად, მიგაჩნია **ადამიანს, ასეთი ძალის მქონეს, შენი მოყვასი რომ შრომითა და შიმშილით კვდებოდესო**; რა გასაკვირველია, იგი იმ დასკვნამდის მივიდეს, რომ საზოგადოება ბოლოს და ბოლოს ეცდება მოაწყოს ისეთი შინაგანი ორგანიზაცია, რომელმაც უნდა უზრუნველჰყოს საერთო კეთილდღეობა, საერთო მუშაობა და საერთო სარგებლობა სიმდიდრითა და მეცნიერებითაო. სოციალიზმი კი ჩემთვის ეს არის და სხვა არაფერიო. იგი არც სამშობლოს უარყოფაა, როგორც ბევრსა ჰგონია, არც ღმერთისა და არც სხვა რამესაო.

სამშობლო რომ ვახსენეთ, კერძოდ, ჩვენ სამშობლოსაც შევეხეთ და ვილაპარაკეთ ჩვენი ქვეყნის მდგომარეობაზედ. ამბავი გამომკითხა ფაშამ. ვუამბე დაწვრილებით ყველაფერი,

რადგან დრო ბევრი მქონდა სალაპარაკო. ვუამბე ჩვენი ისტორია მოკლედ, ჩვენი ახალი ისტორია მეთვრამეტე საუკუნის ბოლოსა და მეცხრამეტესი, ვუამბე უკანასკნელ მოძრაობის ამბავი; აგრეთვე, რიცხვი ქართველთა, გეოგრაფიული მდგომარეობა და ტერიტორიის სიდიდე მოვახსენე, რადგან **ბევრ აქაურს საქართველო მარტო ჩურუქსუ ჰგონია** და იქ მცხოვრები ერთი მუჭა ქართველობა; ვუამბე ჩვენი კულტურული მდგომარეობა; ისიც, თუ როგორ გაუძლო ქართველობამ ხუთასი წლის ტყვეობას და **ფერეიდანელები წმინდა ქართულად გამოგველაპარაკნენ ხუთი შავი საუკუნის შემდეგ ფერეიდანიდან ტფილისში ონიკაშვილისა და ხუციშვილის პირით.**

ფაშას ეს მოვლენა ძლიერ გაუკვირდა. იქვე მჯდომი **ახმედ-ბეგი თავდგირიძე** ცოტა შეტოკდა და სთქვა: მერე რა ვუყოთ, ჩვენ რომ დაგვავიწყდა ქართული. ისინი იქ 60.000 ყოფილან; ჩვენ კი აქ გაბნეულები ვართ და, რასაკვირველია, დაგვავიწყდებოდა ენაო". მე მოვახსენე, რომ ფერეიდანელთა ისტორია სხვებთან შესადარებლად კი არ მოგახსენეთ, და თუ შედარებაზედ მიდგა საქმე, მაშინ მათი შედარება თქვენთან, კერძო ოჯახებთან კი არ შეიძლება, არამედ სამხრეთ-დასავლეთ საქართველოს მაჰმადიანებთან, რომელნიც **თავიანთ სახლში, საქართველოში** სცხოვრობენ და, მიუხედავად ამისა, ბევრმა დაივიწყა ენა მეთქი. თანაც ვისარგებლე მისგანვე წამოყენებული საკითხითა და ვკითხე მიზეზი ასეთი განსხვავებისა: რათ მოხდა, რომ გადასახლებულებმა შეინახეს, შინ დარჩენილებმა კი დაივიწყეს მეთქი?

სიჩუმე ჩამოვარდა. მე მინდოდა დამეწყო ლაპარაკი ამაზედ და ამეხსნა ეს მოვლენა, მაგრამ როცა უცბად გამიელვა თავში ყველა იმ საბუთმა, რომელიც აუცილებელი იყო არგუმენტაციისათვის, შევჩერდი, რადგან ვინ იცის, რა საგნებს არ შეეხებოდნენ ისინი, რა სამარცხვინო ისტორიულ წარსულსა და მწარე ჭეშმარიტებას; შეიძლება მწარე უსიამოვნებაც გამოეწვია განათლებულთა გულშიაც კი. მხოლოდ ერთი უბრალო მიზეზი კი ვთქვი, რომელიც შეიძლება არც კი იყოს ნამდვილი მიზეზი. ხომ გახსოვთ მეთქი ისტორია ურიათა ბაბილონის ტყვეობისა– „წყალსა ზედა ბაბილონისათა ვისხედით და ვსტიროდით სიონსაო",–ამბობენ ურიანი, და შეიძლება „წყალსა ზედა სპარსეთისასა" ჯდომამ და ტირილმა თავიდანვე შეუნარჩუნათ ქართული გული და ენა ფერეიდნელებს, მიუხედავად იმისა, რომ დაჰკარგეს **ქართული წერა-კითხვა, სიმღერა, სახე, სარწმუნოება და სხვა.** ხან და ხან უარესი მდგომარეობაც კი გამოიღებს ხალხთა ცხოვრებაში შედარებით უკეთეს ნაყოფს მეთქი!..

შაქირ-ფაშა უპირველეს ყოვლისა პოლიტიკოსია. იგი ძლიერ დაინტერესა ოთხი სახელმწიფოს ისტორიულმა განწყობილებამ: საქართველოსამ, სპარსეთისამ, ოსმალეთისამ და რუსეთისამ. მან, რასაკვირველია, იცის ის მომენტი ამ ოთხი სახელმწიფოს ისეთი საბოლოო შეხვედრისა, როდესაც ოთხივეს ბედი გადასწყდა დიდის ხნით.

ბევრი ილაპარაკა შაქირ-ფაშამ ამ საგანზედ. უნდა შევნიშნოთ, მას ისეთი დიალექტიკა აქვს, ისეთი ნიჭი საგნის გათვალისწინებისა და მოკლედ გამოთქმისა, რომ განცვიფრებაში მოიყვანს კაცსა. **ნასიამოვნები დავრჩით ყველანი მისის აზრითა და მისი ლაპარაკით.**

იქვე მოგვიხდა ლაპარაკი **ახმედ-ბეი თავდგირიძესთან ასსიმილიაციის შესახებ**. წინად უკვე გვქონდა ლაპარაკი ამ საგანზედ. შაქირ-ფაშაც იმ აზრისაა, რომ **ყველა ერს აქვს უფლება და შეძლება თავისუფალ ეროვნულ ცხოვრებისა**, რომ **არც ისე ადვილია ეროვნებათა ასსიმილიაცია**, როგორც შეიძლება ბევრს ეგონოს; მაგრამ დღეს-დღეობით კი ოსმალეთი ამ საკითხს გადაჭრით ასე მალე ვერ გადასწყვეტსო.

ჩემის აზრით, ვუთხარი მე, **წინდაწინვე უნდა მიაქციოთ ყურადღება ეროვნულ საკითხს, თორემ მერმე გვიანღა იქნება. ეხლა ეროვნული იდეა იღვიძებს ყველგან,** და თუ დროზედ ვერ გადასწყვიტეთ ეს ფრიად რთული საკითხი, **რამდენიც ეროვნებაა ოსმალეთში, იმდენი ცენტრი აღმოჩნდება რევოლუციისა მეთქი**. პრინციპიალურად შაქირ-ფაშა ამის თანახმაა. ახმედ-ბეი კი არც პრინციპიალურადაა თითქმის ამისი თანახმა. იგი იმ აზრისაა, რომ უპირველესი ყოვლისა პარლამენტმა უნდა იმუშაოს კონსტიტუციის ძირითად კანონთა საფუძვლიანად შემუშავებასა და ბიუჯეტზეო. მერე რაც იქნება, გავართმევთ თავსაო.

შაქირ-ფაშამ კარგი ვახშამიც გაგვიმართა, და ჩვენც მეგობრულად ვბაასობდით ლაზათიან შექცევის დროს.

ფაშამ **ქართული აღარ იცის**. ბავშვობისას ვიცოდი, მსურდა არ დამევიწყებია და ამიტომ იენიჯამეში (კვარტალია სტამბოლში) **ქართველ კათოლიკებთან დავდიოდი** (ვაჭრებთან), რომ ქართული მელაპარაკნაო. ეხლა კი **„ლამაზი გოგოს“** მეტი აღარა ვიცირა. ეს კი ჩამრჩა ხსოვნაში და ერთხელ პეტერბურგში ყოფნის დროს **თ. ორბელიანის** ცოლმა, როცა მოვახსენე ჩემი ასეთი ცოდნა ქართულისა, მიოხუნჯა,–სწორედ ის არ **დაგვიწყნიათ, რაც ყველაზე უფრო სასიამოვნოა ამ ქვეყნის ცხოვრებაშიო.**

ნავახშმევს, ცოტა მუსაიფის შემდეგ, გამოვეთხოვეთ შაქირ-ფაშას და წავედით სახლში. ისიც გულწრფელად გამოგვემშვიდობა და გვთხოვა ხშირად გვენახა ხოლმე თანამემამულე, რომლის სახლის კარიც ყოველთვის ღია იქნება ჩვენთვის.

მშვენიერი შთაბეჭდილება იქონიეს ჩემზედ **თავდგირიძეებმა**, ორმა ძმამ–მ**ახმუდ-ფაშამ** და **ახმედ-ბეიმ**. **ფრიად განათლებული ხალხი, ფრიად გულწრფელი, პირდაპირი და ჯენტლე-მენი**. მართალია, ორივე ძმა ერთისა და იმავე აზრისაა ასსიმილიაციაზედ, მაგრამ ეს აზრი მათში კეთილშობილური რწმენაა და ოსმალეთის სამშობლოს გულწრფელ სიყვარულით გამოწვეული, და არა რომელიმე ხულიგანური მისწრაფება. საკმაოა ილაპარაკოთ მათთან ამ საგანზედ და მაშინვე დარწმუნდებით, რომ უპირველეს ყოვლისა, **ისინი ძალით არავისაც არ უპირებენ გადაგვარებას. მათის აზრით, ეს აუცილებელი იქნება, რადგან წვრილი ერები უმე-ტეს ნაწილად გაბნეულნი არიან ოსმალეთის ტერიტორიაზედ და ცოტანი; თვით არაბებსაც კი არა აქვთ ერთობა და ერთმანეთსა სჭამენ; ქრისტიან ერთა ასსიმილიაცია კი შეუძლებელიც არის, უსამართლოც და არც გვიფიქრია არასოდესო.** თორემ, რომ შეეძლოთ ამ ერებს თავიანთ თავის შველა, ეროვნული განვითარება, ღმერთმა მშვიდობა მისცეთ, მაშინ ისინი მთავრობის დახმარების ღირსნიც, იქნებიანო. მაგრამ ახლა სადა სცალიან მთავრობას ამაზედ ფიქრისთვის, როცა ათასი სხვა საქმე აქვს საერთო-საიმპერატოროო. აი, როგორი **ასსიმილიატორები არიან თავდგირიძენი, და არა ისეთი, როგორც პურისშკევიჩები და მისი მსგავსნი ბრძანდებიან.**

მათი წარსულიც ამტკიცებს მათს კეთილშობილებასა და პატიოსნებას. მთელი გვარი თავდგირიძეებისა ლიბერალურ მიმართულებისათვის დაქსაქსა შორეულ ქვეყნებში ხონთქარ-მა. ბაჰრი-ფაშა, ალი-ფაშა, მახმუდ ფაშა და ახმედ ბეგი და სხვები–ყველანი განაძევა სტამბო-ლიდან. ალი-ფაშა და ბაჰრი-ფაშა ტრაპიზონში გადაყარა, მახმუდ-ფაშა-ალეფში. ახმედ-ბეგი გაიქცა, დაიჭირეს როდოსში, სტანჯეს, აწვალეს და რომ ევროპაში არ გაქცეულიყო, ვინ იცის რას დაჰმართებდნენ. ევროპაში იგი დიდხანს მუშაობდა ახალგაზრდა ოსმალთა შორის. შემდეგ კი ბელგრადში სამხედრო ატტაშეთაც დანიშნეს, მხოლოდ სტამბოლში ჩამოსვლის ნება არ ჰქონდა. ეხლა კი, თავისუფლების დროს, ყველანი დაბრუნდნენ და სამსახურში არიან, მოხუც

ალის გარდა. **ბაჰრი-ფაშა მედინის გუბერნატორია, მახმუდ–ფაშა შტაბის გენერალი. ახმედ-ბეი დეპუტატი და ალი-ფაშა კი სახლშია** და მოხუცების გამო ვეღარ ეწევა საზოგადო სამსახურს.

ამათ ქართველობა არ დაუკარგავთ. **ალი-ფაშა ისე ლაპარაკობს ქართულს, როგორც ნამდ-ვილი გურული თავადიშვილი.** აგრეთვე, თურმე ბაჰრი-ფაშა, რომელსაც მე, სამწუხაროდ, პირადად ვერ ვიცნობ. მახმედ-ფაშამ და ახმედ-ბეგმა კი იციან გვარიანად ქართული, ასე რომ გრძელი მუსაიფიც შეუძლიანთ ცოტა თათრულის კილოთი.

საინტერესო იყო ალი-ფაშის ნახვა. მოვედით დანიშნულ ადგილს, ზარი დავრეკეთ. გამოხტა ბიჭი. ჩვენმა თანამგზავრმა თათრულად დაუწყო ლაპარაკი, ფაშა იკითხა. ბიჭს მაშინ-ვე შევატყვე, რომ **ქართველი იყო.** გამოველაპარაკე და **ერთი სამტრედიელი გურიიდან გადმოსული ბიჭი-კი შემრჩა ხელში!**

–ფაშაი, ბატონო, მეორე სახლშია, მარა მობრძანდით, ყავე მიირთვით და ისე წაბრძანდითო.

ჩვენ დრო არ გვქონდა. მალე ქალის ხმა მოგვესმა, რომელიც ქართულად გვიწვევდა სახლში **წმინდა გურულის კილოთი.**

–ვაი, ჩემი ცოდვა, დედავ, მობრძანდით ბატონებო, თქვენი ჭირიმეთ, ყავე მიირთვით, მერმე ბიჭს გაგატანთ და ისე მიბრძანდით ფაშასთან.

ჩვენ დიდი ბოდიში მოვიხადეთ დროის უქონლობის გამო.

–დედავ, რაფერ იქნება მაი, მობრძანდით ცოტა ხანს მაინც,–თითქმის გულ-ამოსკვნილი გვეპატიჟებოდა ქართველი ქალი.

ოდნავ კარებში თავიც გამოჰყო. მე თვითონ ვიგრძენი, რამდენად სასიამოვნო იყო მისთვის საქართველოდან მოსულ ხალხის ერთი დანახვა მაინც, ქართულად გამოლაპარაკება, შემეცო-და, მივიბრუნე პირი იქითკენ, საიდანაც ხმა მოისმოდა და ოდნავ დავინახე უკვე მოხუცებაში შესული სახე მანდილოსანისა. კილოზედ, ყოველისფერზედ შევნიშნე, რომ ამ წუთში იგი იტანჯებოდა. ვინ იცის, რად უღირდა მაშინ ჩვენთან ერთი დალაპარაკება, თავის ქვეყნის ამბის გაგება! და როდესაც ჩვენ აღარ დავდექით და წამოველით, ნაღვლიანად სთქვა:

–დედავ, დედავ, რაფერ მიდიხართ მასე! ბიჭო, ხასან, კაათ მაინც მიიყვანე სახლამდის.–ნელა მოხურა თავისი ოთახის კარი, ჩვენ რომ დერეფნიდან გამოვდიოდით. „ეჰ,–გავიფიქრე გულში:–მართლაც და „**სადაურსა სად წაიყვან, სადა აღუფხვრი საით ძირსა“...**

როგორც შემდეგ შევიტყვე, ის მანდილოსანი ალი-ფაშის პირველი მეუღლე ყოფილა, **ქარცივაძის ქალი**.

გზაში პატარა ხასანა (ნიკა ერქვა და ჰასანს ეძახდენ) გამხიარულდა. ისე მიხტოდა წინ სიხარულით, თითქოს დედ-მამა ჩამოსვლოდა.

–სადაური ხარ, გურული თუ ქობულეთელი?–ვკითხე მე.

–გურული ვარ, ბატონო, და სამტრედიიდან!–სხაპა-სხუპით მომიგო ბიჭმა: და –ერთი გაზეთი მიბოძე შენი ჭირიმე ბატონო, თუ ღმერთი გწამს, ერთი გაზეთი, რომ ჩვენი ქვეყნის ამბავი წევიკითხო!–მითხრა უცბად.

მეც აღვუთქვი და წავუღე მთელი წყება გაზეთებისა დანიშნულ ადგილზედ. არ ვიცი, წაიღო თუ არა.

ალი-ფაშა თავის მეორე სახლში ვნახეთ. მაგრამ ამაზე ხვალ.

დაიბეჭდა გაზეთში „დროება“,1909 წ. N22, გვ. 2–3. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

ქართველი დიდ-კაცობა სტამბოლში

ალი-ფაშას ოჯახიც ნამდვილი ქართულია. მისი მეუღლე **მენაბდის** ქალია. ბედნიერება გვქონდა, გავსცნობოდით ბ-ნ **მენაბდესაც**, ფაშის ცოლის ძმას, აგრეთვე **ანანიძეს** და **მურვანიძეს**, ქობულეთლებს, რომელნიც ფაშასთან არიან. სამაგალითო ქართველი მომღერალია თურმე სამივე.

ფაშას ძლიერ ეამა ჩვენი ნახვა. იკითხა საქართველოს ამბავი. ითავცემა საქართველოს გაოხრებაზედ; მაგრამ ის კი არაფრად იამა, რომ „ჩვენ გურიაში კაძახები რომ ჭკვიანად ვერ არიან". მეც ავუხსენი ალი-ფაშას მიზეზი გლეხთა მოძრაობისა: დიდხანს ველაპარაკე შემდეგაც, ბაირამის მილოცვის დღეს, ჩვენს ყოფა მდგომარეობაზე; მაგრამ ღრმად მოხუცი კაცი რაღა იმედს მოგვცემს ადამიანს, გარდა გულწრფელი **პლატონიურ სიმპატიისა**. მაინც ბევრი გვიამბო თავის თავგადასავალი ქობულეთსა და ბათუმში ომის დროს და გამოვემშვიდობეთ. ერთი კარგი ხსოვნა ის მაინც დამრჩა, რომ აქ ნამდვილ ქართულ ოჯახში ვიყავი. უკანასკნელი პაწაწკანა მეკარეც კი ქართველია, პატარა **ღვლიაძე**.

ბოლოს ბედნიერება გვქონდა მივსულიყავით **რიზა-ფაშასთან**. მან რანდევუ მოგვცა თვით საარტილერიო სახლში, რომლის „დიდი უფროსიც" ის არის. წინად სამხედრო მინისტრად იყო. მიგვიღო მშვენიერად მოწყობილ კაბინეტში; ქართულად მოგვესალმა, გვითხრა წმინდა ქართული კილოთი:

–მე ქართველი ვარ,– და ისე, თითქოს ამპარტავნობდა თავის ქართველობით,–დაჯექით,– მიგვიწვია რიზა–ფაშამ. რასაკვირველია „დაბრძანდითო" უნდა ეთქვა, მაგრამ მინისტრს ეს შეცდომა უზრდებლობაში არ ჩამოერთმევა, არამედ ქართულის უცოდინარობაში.

–ქართული იცით, თქვენო ბრწყინვალებავ,–ვკითხე.

–არა, მე ქართული აღარ ვიცი.–მოგვიგო, აგრეთვე, წმინდა ქართული კილოთი.

–სხვა ქართველებზედ მაინც უკეთ გცოდნიათ, თქვენო ბრწყინვალებავ!

–ასე ვსქვათ,–მომიგო ფაშამ იმავე წმინდა კილოთი და შემდეგ ფრანგულად დავიწყეთ ლაპარაკი.

რასაკვირველია, ეს კაცები ამდენი ხანია გადმოსულან ოსმალეთში და ენაც დავიწყებიათ, **მაგრამ კილო მაინც ქართული აქვთ.** ამას წინად ჰასან-ფუჰმი ფაშას ლაპარაკი შეჰხვდა პარლამენტში; ცოტა უსიამოვნობაც გამოუვიდა დეპუტატთან იმის გამო, რომ თურმე სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარემ სულ სულთანის სიძეებსა და დიდ-კაცის შვილებს დაურიგა ადგილები. მან ქართული სრულებით არ იცის, მაგრამ გაზეთები მაინც ამბობენ, რომ ჰასან-ფეხმი ფაშას თათრული კილო არა აქვს, არამედ ქართულიო (ლაზურიო). რიზა-ფაშასაც ემჩნევა ასეთი ქართული კილო და კიდევ უფრო, ვიდრე ჰასან-ფეხმი-ფაშას. შემდეგ ვკითხე, როგორა ლაპარაკობს რიზა თათრულს მეთქი.–ქართულადაო გვიპასუხეს.

საკვირველი კიდევ ის არის, რომ იმ კუთხეებიდან წამოსულმა ქართველებმა, სადაც ეხლაც კარგად იციან ქართული, მაგალითად, **თავდგირიძეებმა**, დაჰკარგეს ქართული კილო, თუმცა ქართული იციან. **რიზა-ფაშასა და ჰასან-ფეხმის კი კილო არ დაუკარგავთ**, თუმცა ქართული აღარ იციან. შეიძლება ამისი მიზეზი ის იყოს, რომ, როგორც თვალ-ცხადათა სჩანს,

თავდგირიძეებს უკვე ბლომად აქვთ ოსმალური სისხლი, ალბათ დედები ჰყოლიათ ოსმალები, რასაც მათი ტიპი, მათი სახე ნათლად გვეუბნება. **ხასან-ფეხმი-ფაშა და რიზა-ფაშა კი ნამდვილი ქართველები არიან.**

ეს უკანასკნელი მაინც **ტიპიური ქართველი თავადიშვილია:** მოსული, მხარ-ბეჭიანი, ტანადი, ვაჟკაცი, მშვენიერი შავგრემანი სახე, შავი ჭაღარა შერთული წვერი და შავი თმა, სწორი ცხვირი, და ცეცხლის მფრქვეველი თაფლის ფერი, ცოტად ბუდეთა ზემოდ მდგომარე, მაგრამ ფრიად სასიამოვნო დიდი თვალები. მიხვრა-მოხვრა, კილო ლაპარაკისა–სულ ქართული აქვს, და როგორც შემდეგ ლაპარაკში გამოირკვა, **იგი კიდეც ამაყობს თავის ქართველობით**, რადგან დარწმუნებულია, რომ **ბაგრატიონთ გვარისაგან წარმოსდგება.**

–მე ირაკლი-ხანის შთამომავალი ვარ. თუ ჩემი გვარის ვინაობა გინდათ შეიტყოთ, დიმიტრი ბაქრაძის ისტორიას გადაჰხედეთ, იქ არის მოთხრობილი ჩვენი ისტორია.

დიმიტრი ბაქრაძის ისტორიაში მართლაც არის მოთხრობილი ბაგრატიონთა დინასტიის ისტორია. შეიძლება საათაბაგოს ჯაყელების გვარი, მართლაც, ბაგრატიონი იყო, მაგრამ არა მგონია, თვით რიზა-ფაშა ერეკლე ბაგრატიონის შთამომავლობა იყოს. იგი ახალციხიდან ართ-ვინში გადასული ათაბეგთა შთამომავალია, და ერეკლესთან მგონი არავითარი ნათესაური კავშირი არა ჰქონიათ **ათაბეგ-ჯაყელებს**. ჯერ ისიც არ არის გამორკვეული, პირველი ჯაყელები ბაგრატიონთა გვარისანი იყვნენ, თუ რომელიმე სხვა გვარისა.

ყოველ შემთხვევაში რიზა-ფაშა ბაგრატიონად აღიარებს თავს და კიდეც ამაყობს ამით. ესეც კარგი ნუგეშია ჩვენთვის, რომ სულ არ უარჰყო თავის მამაპაპათა სისხლი და დღეს კარგად იცის, რა ეროვნებასაც ეკუთვნის, საიდან მოდის და როგორ მოხვდა ოსმალეთში.

რიზა-ფაშამ პირდაპირ მითხრა, მე საქართველოს ბედი მაინტერესებს და არა მთელი რუსეთის შინაგანი მდგომარეობაო.–მეც არას მოგახსენებთ რუსეთის შინაგან მდგომარეობაზე და არც მქონია აზრად, ამაზედ მელაპარაკნა თქვენთან მეთქი,– მივუგე მე. შემდეგ გამომკითხა ჩვენი მდგომარეობა. მეც ავუწერე იგი. რასაკვირველია, რომ მან ჩვენი ცხოვრება დაახლოვებით იცის, ესმის, მაშინ, როდესაც სხვებმა არა იციან რა სრულებით. **კრიტიკის ქარ-ცეცხლში გაატარა ჩვენი თავად-აზნაურობა. იგი გაფუჭდა და დალაჩრდაო!** ბევრი ილაპარაკა ამ საგან-ზედ; ისეთები მითხრა, რომ გავვოცდი, საიდან იცის ეს ამბები მეთქი. ბოლოს 1901 წლის იუბილეიც-კი მოიგონა! მაგრამ თავი შეიკავა, შეყოყმანდა, ერთი შემომხედა და სხვა საგანზე დაიწყო ლაპარაკი.

–ასე, ჩემო მეგობარო,–დაასკვნა **ფაშამ,–თუ ერი ერთფეროვან, ჰომოგენურ მასას არ წარ-მოადგენს, თუ მას სიმდიდრის შექმნა არ შეუძლიან ვაჭრობითა და მრეწველობით, თუ მეცნიერებაში იგი დაწინაურებული არ არის, იგი არც ერად ჩაითვლება და ვერც მოახერხებს როდისმე დაიმსახუროს ერის სახელიო.**

–ყოველივე ამის დასაწყისი არის მეთქი,–მოვახსენე და საბუთები წარვუდგინე.

–მაშ, სცადეთ, რომ ესე ყოველივე გაიზარდოს, და ვუსურვებ ჩემს სამშობლოს წარმატებასა და ძლიერებას...

ამ მუსაიფში კარგა ხანმა გაიარა. უცბად **მაჰმუდ-ფაშა თავდგირიძე შემოვიდა მოხსენებით. იგი შტაბის გენერალია და ექვემდებარება რიზა-ფაშას.** დაგვინახა და განცვიფრდა, თუმცა ძლიერ იამა. გენერლები საქმეს შეუდგნენ.

ვიჯექი და ვფიქრობდი: **ღმერთო, რა უკუღმართია წუთი-სოფელი, ისტორია, განსაკუთრებით ჩვენი ისტორია. აქ, სადღაც, უცხო ქვეყანაში, რომელიც ერთი მიზეზთაგანი იყო ჩვენის წარტყვევნისა, ვზივართ სახელმწიფოს უდიდესი კაცის კაბინეტში. თვით ეს დიდი კაცი, ქართველთა მფლობელების შთამომავალი და გარდმონათესი, მეორე ქართველი თავადიშვილი, რომელიც შედარებით გუშინ წინ წაგგვლიჯა ხელიდან ჩვენის უკუღმართ ისტორიის ბედმა; მესამე კათოლიკე, რომელსაც ქართველობასაც კი აღარ აწესებენ და ძალით სომხურადაც კი ალოცებენ იქ, სადაც შოთა რუსთაველის ხმა გვირგვინავდა ერთ დროსა და მთელ საქართველოს ქართულ სიტყვას ასწავლიდა;–მეოთხე–ქართველი სულით, გულით, ენით, სარწმუნოებით, მაგრამ დაღლილი, დაქანცული, ღონემიხდილი და სასოწარკვეთილი, რომელიც დღეში ასჯერ ხან დამარხავს საქართველოს და საუკუნო განსვენებას უგალობებს, ხან აღადგენს მკვდრეთით, აღიმაღლებს და ცისფერ იმედის სხივებით მოსავს ხოლმე მის მომავალს თავის მწარე და მშფოთვარე, დაუცხრომელი და უკვე ძალა-გამოლეულ ოცნებაში! რისთვისა ვართ აქ, რას ველაპარაკებით ერთმანეთს, რა გვესმის ერთმანეთისა? ნუ თუ შესაძლებელია ისევ გავაბათ ჩვენს სულთა შორის ის ძაფები, რომელიც ერთ დროს აერთებდა ჩვენ მამა-პაპათა? მაგრამ მას აქეთ, რაც ძაფები გასწყდა, ხომ კაი ხუთმა საუკუნემ გაირბინა? მაშ რას მოველით მაინც ურთი–ერთისადმი, თუ ყველა ძაფი გაწყდა? ალბად, ერთი რომელიმე არ გაწყვეტილა? რომელი?–ძაფი ისტორიისა, ძაფი იმ გარდმოცემისა, რომ ჩვენ ოდესმე ერთად გვიცხოვრია, ერთ ცეცხლში დამწვარვართ, ძაფი შთამომავლობისა და სისხლისა, ძაფი თუ გნებავთ, ქართველობისა, რომელიც კიდევ აკავშირებს ამ ადამიანებს ძველ გურჯისტანთან, მიუხედავად ეროვნული ენისა, სარწმუნოებისა და კულტურის დაკარგვისა...**

ელვასავით გაირბინა ამ მწარე ფიქრმა ჩემს თავში. დაღონებული წარმოვდეგ ზეზე და გამოვემშვიდობე თავ. **თავდგირიძესა და ათაბეგიშვილს,** თქვენ საქმეები გაქვთ და აღარ შეგაწუხებთ მეთქი.

–გულწრფელი სალამი საქართველოს!–მითხრა რიზა–ფაშამ.

–გადავცემ, თქვენო ბრწყინვალებავ, სალამს თქვენს **ძველ სამშობლოს**,–მსწრაფლ გამოველით მე და ჩემი ამხანაგი გარედ.

ბევრი ქართველი სხვაც გავიცანი მაგრამ, აკი მოგახსენეთ, როგორც რუსის სამსახურში მყოფ დიდ კაცების ნათესაობა ვერ იქმნება ჩვენი იმედი, ისე ამათი ნათესაობა, თუმც, მართალი უნდა ვთქვა, **ესენი გაცილებით მაღლა სდგანან პირველებზედ ყოვლის მხრით. სიმპატიაც ჩვენი ამათ მეტი აქვთ, ვიდრე ყველა წარსულ და აწმყო ქართველ რუსის დიდკაცობას, ვიდრე ნამდვილ ქართველებსაც-კი, თორემ გარუსებული ქართველობა რა მოსახსენებელია.** ისიც შეიძლება საქართველო რომ ოსმალეთის ქვეშევრდომი იყოს, იქნებ აქაურებმა ნაკლები სიმპატია გამოიჩინონ ჩვენდამი, მაგრამ დღეს რაც არის, იმას მოგახსენებთ, ხოლო რა იქნებოდა ამა თუ იმ შემთხვევაში, იმაზედ ლაპარაკი მეტია.

მაგრამ, სხვა გარემოებათა შორის, ის უნდა მივიღოთ მხედველობაში, რომ ყველა აქაური დიდკაცობა ან „გადაგვარებულია“, ან „გადაბრუნებულთა“ შთამომავლობაა და **ისიც საკვირველია, რომ კიდევ არ დაუვიწყნიათ საქართველო. დიდი განსხვავებაა ამ მხრით მათა და ჩერქეზთა შორის.** როგორც წინადაც შევნიშნეთ, ეს მწარე წარსულის მოგონება უნდა იყოს მიზეზი ქართველთა განუსაზღვრელ შიშისა, რომ კლუბიც კი ვერ დაუარსებიათ სტამბოლში, თუმცა კი შეუძლიანთ.

ბედნიერება მქონდა ვყოფილიყავი **ჩერქეზთა კლუბში** და გამეცნო მისი მოღვაწენი: **ფაუდ-ფაშა, ალი-ახსამ-ბეი, ჰუსსეინ-იოსსუნ-ბეი და სხვანი,** ისინი „გადაბრუნებულთა“ შთამომა-ვალნი არ არიან. **მათ არავითარი ზნეობრივი ჯაჭვი არ გაუწყვეტიათ წარსულთან**, და ამიტომაც მედგრად მუშაობენ. მათ არა თუ ჩერქეზთა ეროვნება სურთ აღადგინონ, არამედ მთელი კავკასიის ერთა ერთობასაც ეტრფიან. ეს არის ჩვენი მიზანი. **გაუმარჯოს კავკასიის ხალხთა ერთობას, თქვენც იცოცხლეთ, ქართველებო, და გთხოვთ ეს ჩვენი გულწრფელი სიმპატია აუწყოთ ქართველ საზოგადოებას პრესის საშუალებითაო“.** მეც დიდი მადლობა გადაუხადე, ვისი სახელითაც უფლება მქონდა.

ქართველმა კი რაზედ უნდა იზრუნოს აქ? საქართველოზედ? მაგრამ რომელ საქართველო-ზედ? იმ საქართველოზედ, რომელსაც მან ზურგი შეაქცია, რომელთანაც მან ერთობა გაწყვიტა და რომლის სახელი მისი სამშობლოს სახელი აღარ არის „გადაბრუნების“ შემდეგ? ეს რაღაც არ ეგუება იმ ქართველის ბუნებას, რომელსაც ენაც დაუკარგავს, კულტურაც და სარწმუნოებაც გურჯისტანისა, მხოლოდ-ღა რაღაც მწარე მოგონება, ისიც ბუნდოვანი და გაურკვეველი დარჩენია. მაშ, იმ საქართველოზედ, რომელიც „გადაბრუნებულია“? მაგრამ **მან კარგად იცის, რომ იგი საქართველოსი მხოლოდ ნაწილია, და ნამდვილი გურჯისტანი სხვაგან არის.** აგრეთვე მათი გურჯობაც რაღაც საოცრად ეჩვენება ყველას, შეიძლება კიდეც ეხამუშებოდეს იმის გულს, რომ ოდესღაც ეს ნაწილი გურჯიტანისა მოსისხლე მტერი იყო ისლამისა, ეხლა კი თვით დადგა ამ მტკიცე სარწმუნოებაზედ და უცნაურიც არის, რომ იგი დანარჩენ საქართველოს გვერდით იმყოფება. შეიძლება მისთვის სასიამოვნოც იყოს, რომ მთელი აჭარა, ქობულეთი, შავშეთი და ახალციხე აქეთ გადმოსახლდეს დედიან-ბუდიანად!..

ეჰ! ისტორიისაგან დატანჯულ ასეთ ხალხის პსიხოლოგია რთულია, მას ვერც ისე ად-ვილად გაიგებ, თუ ხელი და გული არ გადაგიშალა ვინმემ და ცრემლ-მორეულმა არ აღიარა შენს წინაშე ის ჯოჯოხეთური წამები, რომელსაც იგი განიცდის და რომელზედაც სცდილობს, არც კი იფიქროს და დაივიწყოს თავის ეროვნების მცირე ნაშთთან ერთად. მაგრამ სად არის ასეთი კაცი, სად ნახავ, სად შეხვდები, რომელი ბედი შეგყრის მასთან, შეგაყვარებს მას და შეგაერთებს სულით?

დიახ, სულ სხვა და სხვაა ჩერქეზებისა და ჩვენი საქმე. ზემოხსენებულ თვალსაზრისით, ისინი გაცილებით უფრო ბედნიერნი არიან ჩვენზედ და ვუსურვებთ კიდევ მეტ ბედნიერებას.

რაც შეეხება დიდ-კაცობას, სხვა არა იყო რა, ისინი დღეს ისე არიან ჩაბმულნი თავიანთ საქმეებში, ისეთნაირად მისჩვენიან ოსმალურ ცხოვრებას, ენას და ზნე-ჩვეულებას, **ისეთ პირობებში აღზრდილან ბავშვობიდან,** რომ რაც არიან და რასაცა ჰგრძნობენ დღეს ჩვენდამი, **იმაზედაც დიდი მადლობა უნდა შევსწიროთ და ვაშა უნდა შევძახოთ.** მეტს ვერას მოვთხოვთ. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ჩვენგან მოგლეჯილმა მესამედმა საქართველომ რა უნდა ჰქნას? ვის უნდა მიემხროს? რა არის დღეს იგი? ოსმალეთია თუ საქართველო? თუ ოსმალეთია, მაშ რატომ თურქები ან სხვები არა სახლობენ ამ ტერრიტორიაზედ და მათი ენა, რასა და სხვა ნიშანდობლივი ხასიათი ერისა რატომ არ არის გაბატონებული **აჭარაში, ქობულეთში** და, ასე გასინჯეთ, კიდევ მეტად „გადაბრუნებულ“ ადგილებშიაც? **თუ საქართველოა, რატომ არ იღებს იგი მცირე მონაწილეობას მაინც ჩვენს ეროვნულ ცხოვრებაში, ჩვენს კულტურულ შემოქმე-დებაში? სად არიან დღეს ახალციხელი რუსთაველის აჩრდილები მაინც, შავთელის უნიჭო მემკვიდრენი მაინც? სად არიან აჭარელი მწერლები, მხატვრები, ან უბრალო მოღვაწენი მაინც,**

ჩვენ ეროვნულ ნიადაგზედ მომუშავენი? აღარ არიან და ვინც არიან–აქ არიან და აქ მუშაობენ ოსმალეთის დიდებისათვის. მაგრამ ესენი თითზედ ჩამოსათვლელები არიან, მათაც კი ვერ გამოურკვევიათ, ვინ არიან, და **მთელი სამუსლიმანო საქართველოს ერი კი აღარც ჩვენსკენ არის, აღარც ოსმალეთისაკენ, არც ერთის ორგანიულ ნაწილს აღარ შეადგენს**, და ასეთი ფსიხიური მდგომარეობა ერისა საუკუნეთა მდგომარეობაში კიდევ უფრო აველურებს მას, ვიდრე ხელოვნური ბარბაროსული დაქცევა და დაწვა. **ჩვენი ქვეყნის სამუსლიმანო ნაწილს** ორივე ამ გარემოებამ მოუღო ბოლო და გააველურა მთლად ერთიანად.

ეხლა ორში ერთი უნდა მოხდეს, რომ იგი ასეთ საშინელ მდგომარეობიდან გამოვიდეს. ან უნდა მთლად გადმოსახლდეს ოსმლეთში და შეადგინოს ორგანიული ნაწილი ოსმალეთისა, გათურქდეს თავიდან ფეხებამდის, **ან და უნდა შეუერთდეს კულტურულად საქართველოს და გასწიოს მასთან ძველებურად მძიმე უღელი ეროვნულ აღორძინებისა. პირველ შემთხვევაში ისინიც დაიღუპებიან და ჩვენც.** შეუძლებელიც არის მთელი ერის მესამედის გადმოსახლება. მეორე შემთხვევისათვის -კი ჩვენც და მათმა შეგნებულმა კაცებმაც უნდა ვიმუშაოთ, რომ **მალე დავაყენოთ დიდი დრო ამ სანატრელ შეერთებისა**. თორემ საქართველოში ყოფნა ქართველთა, დანარჩენ საქართველოს გვერდით, რომელიც სცდილობს არ დაიღუპოს და ოდნავ მაინც წინ წავიდეს, უმოქმედობა და განყოფა ამ პროგრესსიულ ნაწილისაგან–უცნაური მდგომარეობაა და ბოლოს და ბოლოს დამღუპველი იქნება ასეთ ინერტულ ხალხისათვის. კიდევ და კიდევ განვიმეორებ, ამ დიდ ქართულ ეროვნულ საქმისათის დიდი მუშაობა გვმართებს, თორემ, **თუ მალე არ დადგა ჩვენი კულტურულ შედუღების მომენტი, დიდი წინასწარ მეტყველება არ გვინდა, ორივე ნაწილი საქართველოსი, ისტორიულ შემთხვევით განშორებული ურთიერთისაგან, საუკუნოდ დაიღუპება.**

აკაკის იუბილეის დროს თითქოს რაღაც ასეთი მოხდა ერთის წამით. ვეცადოთ ამიერიდან რკინის ჯაჭვები გავდოთ ჩვენის ერთობისა. ვძლიოთ ფანატიზმს, შიშს, კარიერის მომხიბვლელ წარმტაცობას, ყოველისფერ, დიდმა კაცმაცა და პატარამაც, ინტელიგენტმაცა და ოდნავ შეგნებულმაც, **და შეიძლება ჩვენი სასოწარკვეთილი მხნეობა საქართველოს აღდგენით დაგვირგვინდეს.**

სტატია დაიბეჭდა გაზეთში „დროება“, 1909 წ. N23 გვ. 2-3. მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც შენახულია სტამბოლის ქართველთა სავანეში.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

ბათუმიდან სტამბოლამდე

I

ულმობელმა ცხოვრებამ ისე ამირია გზა-კვალი, ისეთის სიძლიერით მომიჭირა თავისი ბასრი კბილები, რომ სამშობლოს ჰაერით არ მასუნთქებინა დიდხანს. არ მაცალა, ცოტა მაინც დავმტკბარიყავ ჩემის სათაყვანებელ, ერთად-ერთ საყვარელ საგნის, – ჩემის მშობელ ქვეყნის წიაღში ღოღიალითა, და კვლავ გადამისროლა სადღაც შორს, უცხოეთში. ჩემს ცხოვრებაში დიდხანს მიხეტიალნია უცხო ქვეყნებში. დიდი ხანი გამიტარებია კულტუროსან და ბრწყინვალე ევროპაშიაც; მაგრამ ჩემი მიზანი მაინც ის იყო, რომ საქართველოში მომესვენებინა ჩემი დაღლილი და დაქანცული სხეული. სხეული კი მოვასვენე ჩვენს ქვეყანაში, მაგრამ სულმა აღარ მოისვენა. ოცნება განქრა, სიყვარულმა შავად მიმუხთლა, ცხოვრება სხვა პირობებითაც ვერ მოვიმადლიერე და ისევ მოვსცილდი საქართველოს. ისევ დავიწყე ძველებური განმარტოებული ცხოვრება, დავივიწყე ყოველივე, რაც ერთ დროს ძვირფასი იყო ჩემთვის პირად ცხოვრებაში, მაინც მე, რასაკვირველია, ალბად, დამივიწყა და აღარ ვახსოვარ. ასეთია კაცის ბედი თუ უბედობა, როგორც გინდათ უწოდეთ.

მაგრამ ამ ბედსა თუ უბედობას ერთი რამ შეუძლია მიანიჭოს ადამიანს: ფიქრთა აღელვების მადლი. მგზავრობაში, მარტო, ცალკე ოთახში გამომწყვდეულს, სხვა და სხვა ადამიანებთან კავშირში და სხვა და სხვა ამბავთა და საქმეთა დასწრებით, ადამიანს ათასი ფიქრი ებადება, ათასი შთაბეჭდილება ეძლევა, და მეც, რასაკვირველია, თუმცა ნერვებ მოშლილსა და დაჩლუნგებულს, არ შემეძლო არ მიმექცია ყურადღება ცოტა რამესათვის მაინც, არ შემეძლო არ მენახა ცოტა რამ მაინც საინტერესო, და რადგან ყველა ადამიანს აქვს სურვილი თავისს ნანახისა და გაგონილის სხვებთან გაზიარებისა, მეც განვიზრახე ქართველისათვის მომეთხრო ნანახი და გაგონილი.

1908 წელს 8 ნოემბერს ჩემმა ბედმა გადასწყვიტა, რომ შავი ზღვით უნდა გავმგზავრებულიყავ სტამბოლისაკენ. 7 ნოემბერს ტფილისში გამოვეთხოვე ჩემს მეგობრებს, ნათესავებს და ყველას, ვისაც უნდა გამოვსთხოვებოდე ზრდილობისა და ნაცნობობის კანონის ძალით, და მეორე დილას უკვე საფრანგეთის ერთ-ერთი გემის პალუბაზე ვიყავი.

ნაშუადღევის ორ საათზედ დაიძრა გემი და წავედით **სინოპისაკენ**. პირდაპირ სინოპში მივდიოდით, რადგან იქ საკარანტინო ადგილია და იქ უნდა გავჩერებულიყავით ხუთ დღეს. მგზავრები ერთმანეთს ვუკვირდებოდით, თვალით ვზომავდით, სახეზედ ვაცქერდებოდით, თითქოს ერთმანეთის ვინაობა, მგზავრობის მიზანი ან ეროვნება, გვინდოდა ამოგვეკითხა. მალე ლაპარაკი გაჩაღდა. რასაკვირველია, ცალკე ეროვნების ხალხი შეერთდა და გააბეს ჩვეულებრივი დაუსრულებელი ბაასი, რომელიც მხოლოდ გემის ძლიერი რხევით შესწყდება ხოლმე დროებით. გემზედ აღმოჩნდნენ ბერძნები, სომხები, თურქები, ორი იტალიელი და ისინი ერთმანეთს, რასაკვირველია, ზოგნი მაშინვე დაუმეგობრდნენ, ზოგნიც წინდაწინვე იცნობდნენ ერთმანეთსა და ერთად მოდიოდნენ. დავრჩი მე ქართველი, ერთადერთი, მარტოკა, რომელსაც ხმის გამცემი არავინა მყავდა ჩემის ეროვნებისა და, რასაკვირველია, პირველადვე უცხო ადამიანთან მივარდნა და გამოლაპარაკება განსაკუთრებით მაშინ, როცა იგი მეგობრებს

ან ნაცნობებს ელაპარაკება, ძლიერ ძნელი და უხერხულია. მეც მარტო დავიწყე სიარული წინ და უკან და გავერთე ჩემს ჩვეულებრივ ფიქრებში.

მალე შევნიშნე, რომ მე მარტო არ ვიყავი ლიტონი და ოხერი. რამდენიმე ხნის შემდეგ, როცა გემი უკვე ჩქარის სიარულით მიჰქროდა ზღვის წყნარ ტალღებზედ, თავის კაიუტიდან ამოძვრა ერთი ინგლისელი ქალი, ნამდვილი ჯოჯო, ისეთი საფხუმი, რომლის მსგავსიც მხოლოდ დიდებული ალბიონის მიწაზედ იბადება ხოლმე. იმანაც მიავლ-მოავლო თვალი იქაურობას და რომ ვერავინ ნახა შესაფერი, ვისთანაც შეეძლო ადვილად გამოლაპარაკება, აიწია ამპარტავ-ნულად ფრთები და დილ-გულყვიჩილსავით დაიწყო ბოლთის ცემა. მე არც ამ მანდილოსანს გავეცი ხმა, ვერ შეგვაკავშირა ჩვენმა მარტოობამაც კი.

პირველად დავიარე გემი. მინდოდა გამეგო, რა რჯულის ხალხი მიდიოდა და სად ჩვენი გემით. მესამე კლასი სავსე იყო ბერძნებითა, რომელნიც კავკასიიდან საბერძნეთში სახლდე-ბოდნენ. დავუკვირდი ამ ბეჩავ ხალხსა. ბავშები, ქალები, ახალგაზდები, მოხუცებულები ისეთ ძონძებში იყვნენ გამოხვეულნი, ისეთი სიბუნძურის მორევში სცურავდნენ თავიანთ საერთო კაიუტაში, რომელიც პირდაპირ ტრიუმში იყო მოთავსებული, რომ ადამიანის გული ზიზღითა და სიბრალულით ივსებოდა. ძალაუნებურად იფიქრებდა ადამიანი – ეს არის ნაშთი ძველ ელლინთა დიდებულ რასისა? ძველი ელლინებისა მათ არაფერი ცხიათ, სრული დეგენერაციის ნიშნები კი მრავალი ეტყობოდა ყოველისფერში. საშინელი ულამაზო ტიპი, უკიდურესი სიბინძურე, თითქმის პირველ ყოფილი ტანისამოსი და სამკაული, განსაკუთრებით დედაკა-ცებს. სად ყოველივე ესა და სად ძველ ელლინთა კულტურა! არ ვიცი, თუ მათ სამშობლოში მათზედ ბევრით მაღლა სდგას უბრალო ხალხი, მაგრამ თუ მათი მსგავსია, მაშინ ჩვენ მადლობა უნდა შევწიროთ ღმერთს, რომ ქართველი ხალხი შედარებით არც ისე „ჩამორჩენილი“ ყოფილა, როგორც ჩვენ ბევრსა ვყვირით ხოლმე!..

მე ერთი დიდი პრივილეგია მქონდა: მეორე კლასის მგზავრი ვიყავ. დავიარე რა გემის „დემოკრატიული“ განყოფილება, ისევ ჩვენ „არისტოკრატიელ“ პალუბაზედ დავბინავდი და... ნეტავ იცოდე, მკითხველო, რა ვნახე! ჩვენი „მისსის“ ჩუმად არშიყობა! წამოსკუპებულა ერთი ბერძენი სკამზედ და მის გვერდით ინგლისელი ქალი. ერთმანეთს ელაპარაკებიან. თითქოს შემთხვევით მოხსდნენ ერთად. ბერძენი მელოდიურად ფეხს უბაკუნებს იატაკზედ, ქალიც პასუხს აძლევს. რამდენს ბერძენი დასთვლის ფეხით, იმდენს ინგლისელი მანდილოსანი. ჯერ მე ესეც „შემთხვევა“ მეგონა, მაგრამ როცა დავუკვირდი ამ ძლიერ ხერხიანსა და ახლო მანძილის ტელეგრაფს, დავრწმუნდი, რომ ხუმრობა აღარ იყო და მაშინ კი გულმოსულმა გავიფიქრე: მე რომ ბუნება ვიყო, სამუდამოდ ავუკრძალავდი ამ ჯოჯოს ასეთ საქციელს-მეთქი. მერე კი შემეცოდა საწყალი ბუნებისაგან დაჩაგრული ქალი. ისე შემეცოდა, რომ კინაღამ მეც დავუწყე ტელეგრაფით ლაპარაკი, იქნებ ცოტა ესიამოვნოს და მადლია მეთქი. ვინ იცის, იქნებ ბერძენიც ასე ფიქრობდა და მადლის ქმნის გულისათვის სჩადიოდა თავის ფეხებით ასეთ რაინდობასა! ოჰ! ფეხების რაინდობა!.. რამდენჯერმე მინახავს ლამაზი და ზრდილი ქალებიც, რომელთაც ზრდილობა თავითა, თვალებით და ხელებით ემარჯვებათ მაგიდასთან, მაგრამ ფეხებით კი ძირს, მაგიდის ქვეშ სიბნელეში, დიდ კუდიანობას სჩადიან ხოლმე, თუ ვინმე „საინტერესო“ კავალერი უზით გვერდში. ხშირად მეც შეცდომით მომხვედრია ხოლმე სხვისკენ მიმართული ნაზი ფეხი და მხოლოდ ხველებითა და ბოდიშით სციდილან დაემალათ ჩემგან ეს უმანკო თამამობა... მაგრამ ინგლისისა და ბერძნის წესით ფეხებით თამაშობაც თურმე უფრო ხერხიანი

ყოფილა, უმაგიდოდაც შეიძლება, და ვურჩევ ჩვენს მანდილოსნებს ისწავლონ იგი, რადგან ხანდახან ზოგს მეტად მაგარი ფეხსაცმელი აცვია, ზოგს კიდევ მაზოლები აქვს და ხშირად უხერხულია ხოლმე ეს დაძველებული წესი უენოდ ტრფობისა...

მე ისევ დავიწყე პალუბაზედ იქთ-აქეთ სიარული. ვუცქეროდი მცირე აზიის ნაპირებსა. ვფიქრობდი, ეს ქვეყანა ერთ დროს საქართველოს ნაწილი და უპირველესი ნაწილიც იყო, ჩვენი კულტურის ბუდე და დამწყები ჩვენი მრავალ-საუკუნოვან ისტორიისა. დღეს კი ყოველივე ეს გამქრალია. დარჩენილა კიდევ მხოლოდ ლაზისტანი, ენაც დაახლოვებით შეუნახავთ ლაზებს, მაგრამ ისეთნაირად არიან გადარჯულებულნი და გადაგვარებულნი, რომ თავიანთ ქართველობისა აღარა იციან რა. ოსმალეთშიაც მათ სრულიად განცალკევებულ ხალხად სცნობენ. მათ სტამბოლში ცალკე კლუბი აქვთ, მაგრამ ქართველებს იქ არ უშვებენ და **ქართველი კი ისე დაშინებულია, რომ თავისი საკუთარი კლუბი ვერ დაუარსებია, მაშინ როდესაც ყველა სხვა ეროვნებას ეს მცირე რამ მაინც მოუხერხებიათ**.

ვუცქეროდი ლაზისტანის ნაპირებს და ვფიქრობდი, როდის გამოიღვიძებს ეს ხალხი და გახდება კვლავ საქართველოს ავანგარდად მეთქი. ოცნებამ ძლიერ გამიტაცა, მაგრამ გამოვერკვიე და მხოლოდ-ღა ის მიხაროდა, რომ **ტრაბიზონამდის მაინც ვითომც ჩემს სახლში ვიყავი**.

ჩემს კაიუტაში თანამგზავრი ძლიერ ამრეზილი დამხვდა. ძირს რომ ჩავედი, მკითხა,–სომეხი ხომ არ ხარო. ვუთხარი ჩემი ვინაობა და მყის გაიღიმა, ფილელლინიც მიწოდა და მაშინვე დამიწყო ლაპარაკი სომხების ვერაგულ მოქმედებაზედ სტამბოლის დეპუტატთა არჩევნების დროსა და ბერძნების სიმართლეზედ. თურმე ეს არჩევნები იყო მიზეზი მისი ასეთი უკმაყოფილებისა.

(ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. მ. წერეთელი აქ ცხოვრობდა, კათოლიკეთა მონასტერში და აქვე წერდა არა მარტო საგაზეთო სტატიებს, არამედ სამეცნიერო ნაშრომებსაც, რომელიც აქვეა დაბეჭდილი ცალკე წიგნებად).

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, 1908 წ. N 22, გვ. 2-3.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

V

ოსმალეთის ქართველთა შესახებ. ასსიმილიაციის ტენდენცია.

ჩვენი უხეირობა და უსახსრობა, თორემ, რომელი სხვა ერი დასტოვებს უყურადღებოდ ამოდენა ეროვნულ ელემენტს უცხოეთში! ჩვენ ეთნოგრაფიულ საზოგადოებას რომ ჰქონდეს ცოტა შეძლება მაინც, რათა გამოჰგზავნოს მცოდნე და სახსრები და ყოველ მხრივ გამოიძიოს არა მარტო ძველი საქართველოს ნაწილები - კლარჯეთი, ტაო, შავშეთი, ერუშეთი და სხვა ადგილები, არამედ ის ადგილებიც, რომლებიც ნამდვილ ოსმალეთშია და დასახლებულია გადმოხვეწილ ქართველებით. ეს ქართველობა გადმოსახლებულია **ახალციხიდან, აჭარიდან, ქობულეთიდან** და სხვა მხარეებიდან. გამაჰმადიანების შემდეგ ან ოსმალთა გამარჯვებისთანავე ქართველი ათი-ათასობით ესახლებოდა მცირე აზიაში. ამისათვის პროპაგანდას ეწეოდნენ ხოჯები და გადმოხვეწილი ფაშა, და რამდენ მეტ ქართველს გადმოიბირებდნენ, გადმოასახლებდნენ, იმდენი მეტი სახელი იყო მათთვის.

დღეს მცირე აზიაში მრავალი მოსახლეობაა ქართველთა.

რამდენია მათი რიცხვი, რამდენია სოფელი ან რა სახელები დაარქვეს ადგილებს გადმოსახლებულებმა, რა მდგომარეობაშია იქ ეხლა ქართველი, რასა ჰფიქრობს ამდენი ხალხი თავის ეროვნებაზედ, როგორია მათი ეკონომიკური მდგომარეობა და საზოგადოდ, კულტურა, მათი განწყობილება სხვა ელემენტებთან დ სხვა ათასი რამ საინტერესო, – აი, რის გაგება, აღწერაა საჭირო. მე ამას, რასაკვირველია, ვერ ავასრულებ. არც დრო, არც გარემოება და არც შეძლება მე ამის ნებას არ მაძლევს. მე მხოლოდ ბ-ნ **მემარნისაგან** გავიგე დაახლოვებით რიცხვი ქართველობისა და ის ადგილები, სადაც ისინი სცხოვრობენ. ბ-ნი **მემარნე** რომ არ ყოფილიყო, შეიძლება ესეც ვერ გამეგო. „მცირესა ზედა მორწმუნე იყავო“, ნათქვამია, და მეც რაც ვიცი, იმას შევატყობინებ ქართველ მკითხველს. აი ბ-ნ **მემარნის** მიერ გადმოცემული დაახლოვებითი ცნობანი:

მცირე აზიაში ყოფილა ქართველობა შემდეგ ადგილებშია:

1. **ტრაბიზონის ვილაიეტი:** 164,500 (?) ხოფა, არჰავე, ვიწე, ათინა (ამ უკანასკნელში ჭანები და ქართველები ერთადა არიან), რიზე; დაახლოვებით სცხოვრობს ჭანი–80,000 ს. თვით ტრაბიზონში ჭანი ცოტაა.

კერასუნდაში და ახლო სოფლებში ქართველი სცხოვრობს დაახლოვებით..... 10,000 ს.

ორდუში (სოფლებშიაც)..... 25,000

ფაცაში (სოფ. ქალაქებში) 30,000

ჩარშამბაში .....500 (?)

უნიეში....2000 (?)

ბაფრაში (ბევრი ჩერქ.) ქარ.... 3000 (?)

სამსონში.....7000

ნიქსარში...7000

ლაზებს გარდა, რომელნიც თავიანთ მკვიდრ ქვეყანაში სცხოვრობენ, ეს ქართველობა სულ გადმოსახლებულია. ამ დაახლოვებით რიცხვში არ შედის ის რაოდენობა ძველ კლარჯთა და სხვათა, რომელნიც, აგრეთვე, თავიანთ მკვიდრ მიწა-წყალზედ სცხოვრობენ ოსმალეთის ტერიტორიის საზღვრებში და რომელთა რიცხვი სულ არ ვიცით.

2. **კასტამუნის ვილაიეტი:** 85, 000 (?)

სინოპი... 10,000 (?)

(ეს ქართველობა სუდ გაფანტულია და ამიტომ ბ-ნმა **მემარნემ** დაახლოვებითაც ძნელად აღიარა მათი რიცხვის გამორკვევა).

იზმითი 25,000

ბრუსსა.....50,000

ბოფსორი–მურღულელი ცოტა.

ბირღასი დარდანელში–აგრეთვე ცოტა.

სულ დაახლოვებით **249,5000 ქართველი.**

თუ მაქსიმუმად აღვიარებთ ციფრს, მინიმუმი 200,000 მაინც იქნება, რადგან დიდ კოლონიათა რიცხვი დაახლოვებით მართალია, მაგალითად, იზმითსა და ბრუსსაში, აგრეთვე ორდუსა და ფაცაში მცხოვრებთა. ჭანთა რიცხვი კი, როგორც ამბობენ, გაცილებით მეტი უნდა იყოს იმაზედ, რაც ნაჩვენებია.

ამას რომ მიუმატოთ ის ჩვენთვის უცნობი რიცხვი **კლარჯთა** და სხვა ქართველთა, რომელნიც ძველს საქართველოში სცხოვრობენ, გადამეტებული არ იქნება, თუ ვიტყვით, რომ დღეს ოსმალეთში **300,000 ქართველი** (შეიძლება მეტიც) **საპატრონო და მოსავლელი გვყავს,** ჩვენ კი, საუბედუროდ, არ შეგვიძლიან ეს დიდი საქმე განვახორციელოთ. ის კი არა და, აკი მოგახსენებდით, მათი ნახვა და აღწერაც რომ შეგვეძლოს, ისიც დიდი ნაბიჯი იქნება ჩვენის მხრით მათთან დასაახლოვებლად და საპატრონოდ. თუ **ფერეიდანელ ქართველთათვის** ზრუნვა ჩვენი მოვალეობაა, არც მცირე აზიის ქართველობა უნდა იქნას დატოვებული უყურადღებოდ.

მაგრამ ჩვენი უსახსრობისა და უილაჯობის გარდა, არის კიდევ ერთი სხვა უმთავრესი მიზეზიც, რომელიც აუცილებლად ხელს შეგვიშლის შემდეგშიაც, რომც შეძლება გვქონდეს აქაურ ქართველთა შორის ეროვნულ მუშაობისა, თუ ოსმალეთის აზრთა მიმდინარეობა ისეთის მიმართულებისა იქმნება, როგორც ეხლაა და თუ იგი მიმართულება კიდევ უფრო გაძლიერდა.

რომ გავიგოთ ნათლად ნამდვილი მდგომარეობა საქმისა, საჭიროა ცოტაოდენი ახსნა და განმარტება. რა საკვირველია, ეს განმარტება არავისათვის სავალდებულო არ არის, შეიძლება სხვა ათასი ახსნაც შეიძლებოდეს, მაგრამ, ჩვენი ფიქრით, აი, რაშია საქმე:

სრული ჭეშმარიტებაა, რომ **დედამიწის ზურგზედ ეხლა ერს ვერა ჰნახავთ, რომ რასის მხრით წმინდა იყოს. ყოველ ერის სისხლში ურევია ათას შთამომავლობისა და რასის სისხლი. მაგრამ კულტურის განმსაზღვრულ საფეხურზედ მდგომი ერი მაინც ერთ სოციალურ ორგანიზმს წარმოადგენს,** და ამ ორგანიზმის ბრძოლა მეორე მსგავს ორგანიზმთან - ან მის დასაპყრობლად და ჩასაყლაპავად, ან ამის კლანჭებისაგან თავის განსათავისუფლებლად–იგივე არ არის, რასაც რომელიმე ერის ათასგვარ პირველყოფილ ურდოთაგან შედგენის პროცესსი წარმოადგენს. **ერის წარმოშობა პირველყოფილ ურდოთაგან – მარტივი სოციალური პროცესსია, პროცესსი თვით სოციალურ ორგანიზმის ზრდისა და გამაგრებისა**; ერთა შორის სამკვდრო-

სასიცოცხლო ბრძოლა კი თვით უკვე არსებულ და განვითარებულ საზოგადოებრივ ორგანიზმთა შორის არსებობისათვის ბრძოლაა. ეს არ უნდა დაივიწყოს კაცმა არასოდეს, მაშინ აღარ ილაპარაკებს ისე უცერემონიოდ სადღაც ყურმოკლულ „ასსიმილაციაზე“, თითქოს ერთი ეს საასსიმილაციო საგანი, მართლაც, ისე ადვილი მოსანელებელი იყოს, როგორც პროტოპლაზმისაგან უბრალო ორგანულ ნივთიერების ასსიმილაცია. **ეროვნებათა შორის ბრძოლა-ლომთა შორის ბრძოლაა** და არა პროტოპლაზმის კვების პროცესსი!

ამიტომაც ბრძოლა საშინელია, ხანგრძლივი და მრავალ-ტანჯვათა მიმყენებელი ორივე მებრძოლ **მხარისათვის, როდესაც ორი თანასწორი კულტურის ერი იბრძვის?** ბრძოლა ავსტრიის ეროვნებათა შორის და, განსაკუთრებით, იტალიელთა და გერმანელთა შორის, საშინელია არა მარტო იმით, რომ ხან და ხან სისხლის ღვრით გათავდება ხოლმე საქმე, არამედ იმითი, რომ ორი **ძლიერი ეროვნება ერთი-ერთმანეთის წინააღმდეგ თვალ-უწვდენელ სიმაღლის კულტურას წამოაყენებს** ხოლმე და ორივეს თავი **მოსწონს თავის კულტურის უმაღლესობით, ორივე იტანჯება ჯოჯოხეთურის თავმოყვარეობით,** ერთი იმიტომ, რომ დატყვევებული კულტურა ვერა სძლია, მეორე იმიტომ, რომ თაკილობს სამარცხვინო ტყვეობას, რადგან მას არ დაუმსახურებია ეს ტყვეობა კაცობრიობის წინაშე. საქმე უნივერსიტეტის გახსნაში კი არ არის თავის თავად, არამედ ამ უნივერსიტეტის გახსნით იტალიელს სურს აჩვენოს ავსტრიელს, რომ **მას სრულიადაც არ სჭირდება გერმანული ენით მეტყველი მეცნიერება, თავის ენაზედ იგი უკედ იმეცნიერებს, ვინაიდან გერმანელი ჯერ კიდევ ბარბაროსი იყო, როდესაც იტალიაში უნივერსიტეტებიც ჰყვაოდნენ და მეცნიერებანიც. ამიტომაც იტალიელთა, ფრანგთა, პოლონელთა და სხვა მსგავს ერთა ასსიმილაცია, ვისგანაც უნდა იყოს, აბსურდია და ტყუილა იხარჯება ამდენი ძალა და ენერგია ასეთ ბრძოლაში –იგი ორივე მხარეს წამების მეტს არას აყენებს**.

როდესაც სრულიად განათლებული ერი სრულიად ველურ ერებს კი არა, არამედ ურდოებს იპყრობს, მაშინ კიდევ შესაძლებელია ასეთი ჩაყლაპვა, როგორც **ევროპიელებმა ჩაყლაპეს ამერიკელები**, მაგრამ აქაც ამ ჩაყლავისაგან ან ახალი ტიპი ჩნდება საზოგადოებისა და ერისა, ან და ჩაყლაპვის მაგივრად სხვა და სხვა პირდაპირ და არა პირდაპირ საშუალებით „განათლებულნი“ ველურთა. **ამერიკაში სწორედ ორივე პროცესი მოხდა**: პირველი, განსაკუთრებით სამხრეთ ამერიკაში, მეორე, ჩრდილო-ამერიკაში, კიდევ მეტი შეგვიძლიან ვთქვათ: აქაც ვერ მოახდინეს სრული გაჟლეტა და სრული ასსიმილაცია; ამას ამტკიცებს ჯერ ის ფაქტი, რომ კიდევ არსებობენ ამერიკის **ინდიელები**, მეორე ის, რომ თუ ესპანელებმა მოახდინეს ასსიმილაცია ინდიელთა, თვითონაც მათ შეეგუენ, და ახალი ერი **ჩილისა** ან **ეკვადორისა** არ არის მსგავსი მარტო **ესპანელისა**, არამედ, როგორცა ვთქვით, უფრო **ახალი ტიპია ერისა.** გარდა ამისა, ჩრდილოეთ ამერიკაში, მიუხედავად იმისა, რომ ნეგრებმა ენაც დაჰკარგეს, მათ კიდევ ბევრი განმსხვავებელი ნიშანი დარჩათ ევროპიელთაგან და მათ შორის, ვინ არ იცის, საშინელი ბრძოლა, რომელიც თან და თან ძლიერდება და, ვინ იცის, კიდევ რით გათავდება! **მეტადრე ბარბაროსებს არ შეუძლიანთ კულტურულ ხალხის ასსიმილაცია.**

ბარბაროსები, სადაც დიდ კულტურულ წინააღმდეგობას ვერა ჰხვდებიან, იქ აარსებენ თავიანთი **ეთნიურ ორიგინალობის კულტურას; სადაც კი დიდ კულტურას ანგრევენ, თვითონვე იღუპებიან ნანგრევებში. საბერძნეთის ძველი კულტურა უმთავრესად სლავიანებმა, სერბებმა მოსპეს**; თვით **თანამედროვე ბერძენი სლავიანი უფროა სისხლით, ვიდრე ელლინი**, მაგრამ მათი ენა, მათი ტიპიც კი გაჰქრა დროთა ვითარებაში და შემუშავდა **ახალი ტიპის**

ბერძენი გადამახინჯებულ ენით, ხასიათით და კულტურით, **მაგრამ მაინც ბერძენია და არა სლავიანი, არა სერბი.** სამაგიეროდ, სლავიანებმა დაარსეს თავიანთი სახელმწიფონი იქ, სადაც ნაკლები წინააღმდეგობა შეჰხვდათ, ან თავიანთზედ უფრო ბარბაროსები დაჰხვდათ და მათი ასსიმილაცია უფრო ადვილი გახდა და უფრო ძლიერი, ვიდრე მათთან შეგუება: პოლონეთში, რუსეთში, თვით დიდ სერბიის ჩრდილოეთ ნაწილში და სხვაგან. გერმანელებს არც იტალიაში, არც გალლიაში, არც ესპანიაში და არც ბევრგან სხვაგან არ დაუტოვებიათ **გერმანული ორიგინალობა**, მაგალითად ენა: რომისა და გალლო რომაულ კულტურაში იგინი გაიქნენ სრულიად. მათმა შერევამ, მართალია, ახალი ტიპი წარმოშობა ერისა, მაგრამ არა გერმანული, არამედ **რომანული**. სამაგიეროდ გერმანიის ტყეებში, დანიაში და სკანდინავიაში მათ გერმანული სახელმწიფოები დაარსეს. ეს რა არის – თვით დიდ რომაელებსაც კი ვერ გაერომაელებინათ გალლები და ეხლაც კი არის შენახული **გალელების ანუ კელტების ენა საფრანგეთის ბევრ ნაწილში.** ვერ მოსპეს აგრეთვე სლავიანებმა ადრიანესაგან გადასახლებულ მონათა **ლათინური ენა** და დღესაც არის **რუმინიის ერი, გადამახინჯებულ ლათინურ ენით და არა სლავიანურით მოლაპარაკე**.

როდესაც კი თანასწორ-კულტუროსანი ბარბაროსობა ირევა ერთმანეთში დაპყრობით, მაშინ ხანგრძლივ ბრძოლათა და შეგუებათა პროცესსში მუშავდება სინტეზი ამ ორ ბარბაროსობისა, **როგორც ფრანგ-გერმანულმა ბარბაროსებმა წარმოშვა ინგლისელი**. მართალია, შესაძლებელია ისეთი შემთხვევებიც, რომ საშინელი ნიაღვარი რომელიმე ერისა ან დიდ ეთნიურ ჯგუფისა **წალეკავს ხოლმე უმცირესსა და უკულტურო ხალხს**, მაგრამ ამ შემთხვევაშიაც კი ეს ხალხი ან სრულიად არ ისპობა და **რაიმე მაინც რჩება მისგან** ან და თავისი ელემენტი შეაქვს ახლად მოსულ ერის ან ხალხის ცხოვრებაში. რამდენია, მაგალითად, თვით **რუსეთში ფინნის სისხლი**, ზნე-ჩვეულება, სიტყვებიც რუსულ ენაში, **ან იდიომები ფინებისა,** ან და მთელი ჯგუფი, რომელიც რუსი სრულიადაც არ არის.

სტამბოლის ქართული სავანე, 1909 წელი.

უსახლ-კარო (მიხაკო წერეთელი)

მგზავრის შენიშვნები!..

(საკუთარ კორესპონდენტისაგან)

V

ოსმალეთის ქართველთა შესახებ. ასსიმილიაციის ტენდენცია.

1. რადგან აქ, რასაკვირველია, უძველეს ერთა გაქრობაზედ არა გვაქვს ლაპარაკი, იგი სულ სხვა საგანია, თუმცა ისიც მართალია, რომ სავსებით არ გამქრალა არც მათი სისხლი, არც მათი ენა, არც მათი კულტურა. ის განაწილებულია ათას თანამედროვე ხალხთა შორის. ასე რომ შეგვიძლია ვთქვათ საზოგადოდ: პირველყოფილ ურდოთა ბრძოლის და ზედ-გავლენის პროცესი, რომლიდანაც მუშავდება ხალხი, არ არის პროცესსი ხალხთა, ერთა შორის ბრძოლისა. უკანასკნელი უფრო რთულია და მისი შედეგიც სავსებით არა ჰგავს პირველ შედეგებს; 2. კულტურულ ან ბევრ ველურთა ასსიმილირება კი ისე ადვილი არ არის, როგორც ადამიანს პირველის შემდეგ მოეჩვენება: იგი ან ამოჟლეტს, ან ფასით არის ნასყიდი, ან ახალ შემუშავებით, რომელშიაც, უვეჭველია, კულტურული ელემენტი ჭარბობს; 3. ველური დამპყრობელი უფრო ეგუება კულტურულ დამოწმებელსა და ამ უკანასკნელის ცხოვრებაში მხოლოდ თავისი ელემენტი შეაქვს; 4. ბარბაროსთა თანასწორ კულტურათა შერწყმა თავდება ხშირად მათის გაქრობით, აგრეთვე, ახალ ტიპის საზოგადოების შემუშავებით; 5. უკვე ზრდადასრულებულ ერთა შორის ბრძოლა კი ყველაზედ უფრო რთულია, და ამასთან შეუძლებელია ერთი ნამდვილი, კულტურულ ერის „ასსიმილაცია“.

ინგლისი საუკეთესო მაგალითია ამ აზრის დასასაბუთებლად. **კუნძულები ბრიტანიისა და ირლანდიისა კელტებით** იყო დასახლებული. რომის მხედრობამ იგი დაიპყრო, მაგრამ ის პროცესსი არ მოუხდენია ბრიტტების საზოგადოებაში, რაც მოახდინა გალლიაში. მას არ შეუქმნია ბრიტო-რომანული ცივილიზაცია. შემდეგ მოვიდნენ **გერმანელები** და, საზოგადოდ, გერმანულმა ელემენტმა დაუსრულებლივ იწყო დენა ბრიტანიის კუნძულებზედ; ამ ელემენტმა ამოჟლიტა მრავალი ბრიტტი, შეაშინა და გახიზნა შოტლანდიის მთებში, მაგრამ ვერ მოახდინა ვერც მათი სრული ასსიმილაცია და ვერც მოსპობა. შემდეგ მივიდნენ **ფრანგები**, **ნორმანნარევი გალლები**, ანუ გალლნარევი გერმანელები. აქ იწყება ბრძოლა და შეგუება გერმანელ და ფრანგულ ელემენტთა და **სრულდება ინგლისის ერის წარმოშობით,** რომელიც არც **ანგლო-საქსონია და არც ფრანგი**. მაგრამ ასეთი სინტეზი თავის დღეში არ მოხდებოდა, რომ მისული ფრანგებიც ერთი ზრდა-დამთავრებულ ერის წარგზავნილები ყოფილიყვნენ ან **ანგლო-საქსონელებს ჰქონოდათ ერის სახელის ღირსი საზოგადოება;** პირველები იყვნენ უფრო მეკობრეები და თულები, მეორენი-მონადირენი, მწყემსები და პირველყოფილი მიწის მუშები. **ერი კი მხოლოდ შემდეგ შეჰქმნა ამ ორივე ელემენტმა**. განვითარებული რომ ყოფილიყო ეს ორივე ელემენტი, შეიძლება მაშინ ინგლისი ისეთივე სახელმწიფო ყოფილიყო, როგორიც დღეს არის, მაგრამ მუდმივი ბრძოლა და მეტოქეობა იქნებოდა თვით ინგლისის ტერრიტორიაზედ ფრანგთა და ანგლო-საქსონელთა შორის. თუმცა ბრძოლისას არა, მაგრამ ასეთ ეროვნულ სიმტკიცის მაგალითს არ გვიჩვენებენ დღეს კანადის ფრანგები?

ეხლა კი ინგლისის ერი არსებობს, ძლიერი და პირველი ქვეყანაზედ, მაგრამ **პატარა ირლანდიის ერის ასსიმილიაციაც ვერ შესძლო საუკუნეთა განმავლობაში. ირლანდიამ დაკარგული ენაც კი დაიბრუნა თან და თან და რაც უფრო განვითარდება იგი, მით უფრო სასტიკად შეებრძვის ინგლისსა.**

ესეც ერთი კანონია: **რაც უფრო ვითარდება საზოგადოდ ერი, მით უფრო მტკიცდება მისი ინდივიდუალობა, მისი ეროვნება.** რაც უფრო ვითარდება ჩაგრული ერი, მით უფრო იძენს იგი შეგნებას თავის ინდივიდუალობისას, მით უფრო სწყურია წარმოადგინოს მან დამოუკიდებელი სოციალური ორგანიზმი. იგი სცდილობს განთავისუფლდეს. ევროპის ისტორია, განსაკუთრებით უკანასკნელ საუკუნისა, ამას ნათლად გვიმტკიცებს, და მომავალი დიდთა საქმეთა გამოაჩენს, ეგრედ-წოდებულ, პატარა ერთაგან აღსრულებულთ!..

იმაზედ უფრო საშინელი და პროგრესის ხელის შემშლელი მოვლენა არა არის-რა, როგორც ერთი ცოტად თუ ბევრად განვითარებულ ერის დაპყრობა მეორესაგან. განსაკუთრებით თუ ერთმანეთში აირივნენ, მაშინ იშლება ორივესათვის თვით საფუძველი საერთო სოციალურ მოწესრიგებისა ადამიანთა შორის: ენა, რელიგია, ტერრიტორია და სხვ. – აი, რა ხდება მუდმივ შეტაკებათა და ჩხუბთა საგნად, და ერთა ორგანიულ განვითარების მაგივრად, მათს დაქცევასა და ამოვარდნას ვხედავთ. **კავკასია** და **თვით ოსმალეთი** (ავსტრიას და სხვებს რომ თავი დავანებოთ) ამისი მაგალითი არ არის?

და ჩვენც იმიტომ მოვიყვანეთ ეს მცირე განმარტება, რომ სწორედ ოსმალეთის თანამედროვე მდგომარეობა გამეგო ცოტათი მაინც და წარმოგვედგინა მთელი ის არა-რაციონალური დაწერილი **პლანი ახალგაზრდა ოსმალთა,** რომელსაც ისინი „ასსიმილაციას“ უწოდებენ.

მართლაც, ვისი ასსიმილიაცია შეუძლიანთ თანამედროვე პირობებში ოსმალებს? ის დრო წავიდა, როდესაც ცეცხლითა და მახვილით ამყარებდნენ ხოლმე საკუთარ სიძლიერესა და ეროვნებას დიდი მეომარი სახელმწიფოები. **სამცხე, კლარჯეთი, აჭარა, შავშეთი** და სხვა მხარეები საქართველოსი, აგრეთვე მრავალი **სერბი ბოსნია-ჰერცოგოვინისა, ალბანელები** და სხვები, მართალია, გაამაჰმადიანეს დროთა ვითარებაში, მაგრამ ჯერ ერთი, სანამ ეს გამაჰმადიანება შეეძლებოდათ, ხალხებმა ორას-სამასი წელიწადი იბრძოლეს თავიანთ სჯულისა და ენის დასაცავად; მეორე–**სჯულის გამოცვლა კიდევ არა ნიშნავს ეროვნების დაკარგვას. ხან და ხან ენასაც კი ჰკარგავენ ხოლმე სჯულთან ერთად, მაგრამ მაინც ახსოვთ თავიანთი ეროვნება, შთამომავლობა და მას ებღაუჭებიან, მითი უნდათ აღადგინონ დაკარგული წარსული. აჭარაში, მაგალითად, ყოველი სოფელი, ყოველი არშინი მიწა მოწამეა ასის-ორასი წლის ბრძოლისა და მიუხედავად იმისა, რომ დღეს ფანატიკოსი მუსლიმანები არიან აჭარლები, ქართული მაინც შერჩენიათ და ის არის მათი სამშობლო ენა. აგრეთვე სერბები და მრავალი მუსულმანი ალბანელი ლაპარაკობს თავის ენაზედ და ახლა კი იმასაც სცდილობს, რომ თავიანთი ლიტერატურა შეჰქმნან ანუ დაეწაფონ თავიანთ მოძმე ქრისტიან თანამემამულეთა უკვე არსებულ ლიტერატურას**. თუ წინად ხალხი კი არა, განათლებულიც ძნელდ **არჩევდა სჯულსა და ეროვნებას,** ეხლა, ამ ერთა განთავისუფლებისა და განვითარების ეპოქაში, **ყველა არჩევს ურთიერთისაგან ამ ორ სრულიად სხვა და სხვა ცნებას და ვერც მუსლიმანობით და ვერც ქრისტიანობით ვეღარავის შეიყვანენ შეცდომაში.**

ეხლა, როგორც ვთქვით, ეპოქა ძალით გამაჰმადიანებისა და გაქრისტიანებისა წავიდა,. ამასთან დამოუკიდებლად სარწმუნოებისა და ეროვნების იდეა იღვიძებს და ვითარდება მრავალ ხალხთა შორის, **უახლოვდებიან ერთმანეთს სხვადასხვა სარწმუნოების, მაგრამ ერთი ერის შვილები,** და ოსმალეთსაც, თუ საასიმილიაციოდ გაუხდა საქმე, კულტურულ იარაღისათვის მიმართვა დასჭირდება? მაგრამ ამ მხრითაც სრულიად შემცდარია ეს აზრი ასსიმილაციისა, რადგან, როგორცა ვთქვით, **დიდ კულტუროსან ერთაც ვერ შესძლეს ნაკლებ-კულტუროსანთა გადაგვარება.**

ოსმალეთში კი აი, როგორია ერთა განწყობილება. რასაკვირველია, დაახლოვებით ვლაპარაკობთ. სწორი სტატისტიკა არცა გვაქვს და არც არის საჭირო ამ საკითხისათვის ამ მოკლე წერილში.

ოსმალოთა რიცხვი ოსმალეთის იმპერიაში არ აღემატება 10 მილიონსა. სულ იმპერიაში მცხოვრები 30–35 მილიონამდისაა. არაბთა რიცხვი 6 მილიონამდის არის. სომეხთა რიცხვი 2-3 მილიონამდის, ბერძენთა 4 მილიონამდის, ბოლგარელთა 1-1 ნახ. მილიონამდის. ალბანელთა ორ მილიონამდის, ჩერქეზთა ნახევარ მილიონზედ მეტი, **ქართველთა თითქმის მესამედი მილიონი** და სხვა. ეხლა ვიკითხოთ–რომელი ამ ხალხის ასსიმილაცია შეუძლიან ოსმალეთს და რითი? რიცხვი ოსმალოთა არც ისე დიდია, რომ სიმრავლით წაჭლეკოს სხვა ერები. კულტურა მას ისეთი ძლიერი არა აქვს, რომ ასწავლოს რამე ისეთი, რაც თვით ამ ერებმა არა იციან. ეროვნული შეგნებაც ამ ერებს განვითარებული აქვს საკმაოდ, რომ თავი არავის დააჩაგვრინონ.

სომეხთა და ბერძენთა ასსიმილიაცია შეუძლებელია, რადგან **ისინი ეს ექვსასი წელიწადია, რაც ოსმალეთის ხელში არიან, მაგრამ არც ენა დაუვიწყნიათ და არც სარწმუნოება**. განსაკუთრებით სომხებმა აიტანეს დევნა, ხოცვა-ჟლეტა, მაგრამ **სომეხი მაინც სომეხია** და ეხლა იგი ისეა მომზადებული ყოვლისფრით–კულტურით, სიმდიდრითა და იარაღით, რომ ჟლეტას ვერავინ გაუბედავს მაგრე ადვილად, **კულტურულად კი იგი მასწავლებელი თუ იქნება ოსმალებისა, თორემ მოწაფეობა არა სჭირდება.** რაც სომხზედ ითქმის –ორი იმდენი, რასაკვირველია, ბერძენზედ. არც ბოლგარელი დაჰკარგავს თავის ეროვნებას ამავე მიზეზთა გამო. მაგრამ ქრისტიანთა ასსიმილიაციაზედ ოსმალები თვითონვე უარს ამბობენ.

მაჰმადიანებს რაც შეეხება, აქაც ვერ არის კარგად საქმე საასმიმილაციოდ. **ალბანელებში** ახლა იღვიძებს ეროვნული შეგნება, აარსებენ თავიანთ ადამიანურ კლუბებს, სურთ გამოსცენ თავიანთი გაზეთები, გახსნან სკოლები ალბანურ ენაზედ, რადგან ენა უმეტესობას დავიწყებული არა აქვს და სხვა.

არაბთა ერი კი ერთი უდიდესი და უკულტუროსნესია მთელს იმპერიაში. მას რა უნდა მისცეს ოსმალომ და როგორ უნდა მოახდინოს მისი ასსიმილაცია, როცა თვით აიღო იმისგან ყველაფერი, რაც ეხლა გააჩნია და აბადია: **სჯული მუსულმანისა, რომლითაც ოსმალო ამაყობს და რომელზედაც იგი თითქმის ყველაფერს ამყარებს, მისი შექმნილი არა არის; იგი არაბულია, არაბების ნააზრი, არაბების სოციალურ ცხოვრებისნაყოფი. ენა ოსმალური ნახევარზედ მეტი არაბულია და ლიტერატურა მისი უარაბულოდ არარაობაა. ზნე-ჩვეულება არაბულია უმეტეს ნაწილად. მთელი კულტურა–მუსიკა, ხუროთმოძღვრება და სხვა ,აგრეთვე, სპარსულ-არაბულია და მოდი ახლა არაბებს უთხრან, უნდა თქვენი ასიმილიაცია მოვახდინოთო. ეს შეუძლებელია და მოუხერხებელი, და მით უმეტეს ყოველ საფუძველს მოკლებული, რომ თუ სადმეა ოსმალეთის ხალხთა შორის ეროვნული თვით შეგნება, სწორედ არაბთა შორის.**

მაშასადამე, არაბეთიც არ არის საგანი ასსიმილიაციისა და არც იქნება არასოდეს. ამიტომაც **ოსმალები მათ ყველაზედ უფრო მოწიწებით ეკიდებიან.**

ვიღა დარჩა? **ქურთები, ჩერქეზები, ქართველები და სხვა წერილი ხალხი?** მაგრამ **ეხლა ქურთსაც აღარ უნდა გათურქება და სცდილობს არ დაჰკარგოს თავისი ეროვნება. ჩერქეზს, თუმცა ენაც კი დაუკარგავს, მაგრამ მაინც თავისი კლუბი გაუმართავს თვით კონატანტინე-პოლში და სცდილობს აღადგინოს დაკარგული ეროვნული საუნჯე.** ყოველის ღონისძიებით მას მტკიცე კავშირი სურს შეჰკრას შინ დარჩენილ ჩერქეზებთან და საერთო ძალით უნდა შეუდგეს მომავალ დიდ მუშაობას.

ჩვენ კი უპატრონოდა ვართ. **მართალია ქართული ენა, თურმე, ძლიერ შემოკლდა იმ 200,000 ქართველთა შორის, რომელნიც მცირე აზიაში არიან გაბნეულნი.** ისინი უკვე არეულ თურქულ-თათრულად ლაპარაკობენ. აქაურ მუსულმან ქართველთა უმეტესი ნაწილი და განსაკუთრებით გავლენიანი პირნი ჯერ-ჯერობით შესაძლებლად ვერა სცნობენ ეროვნულ მუშაობის დაწყებას, ზოგი საჭიროდაც ვერა სცნობს. **ჩვენ კი აქ მუშაობა არ შეგვიძლიან, რადგან სახლშიაც ვერ ვმუშაობთ ხეირიანად,** და რომ შეგვეძლოს კიდეც, არ მოგვცემენ ნებას, თუ ზემოხსენებული ტანდენცია მართლა განმტკიცდა, მომავალშიაც ოსმალოთა შორის, მაგრამ საქმე ის არის, რომ მხოლოდ **ასეთი უპატრონოდ დატოვებული ხალხი, როგორც ქართველობაა** და მისი მსგავსი, თუ გათურქდება, თორემ არა მგონია ოსმალეთის იმპერიაში ოდესმე შე-საძლებელი იყოს **დიდ და მცირე შეგნებულ ერთა ასსიმილიაცია.**

არა თუ შესაძლებელი არ იქნება, შეიძლება მათი ღონისძიება ასსიმილიაციისათვის რევოლუციათა მიზეზად გახდეს, და მაშინ ოსმალეთს ორი გზაღა ექნება: ან **ისევ ცეცხლი და მახვილი,** როცა მას ისევ ძველ ბარბაროსობაში ჩააგდებს, უეჭველად დაღუპავს, ან და **დათმობა და ავტონომიები, ფედერაციალად შეკავშირებულნი**, რაიცა დღევანდელ ტენდენციას ამტყუ-ნებს.

ყოველ შემთხვევაში, აუცილებელია აქ მოვიხსენიოთ, რომ ასეთი ტენდენცია ნათლად და მკათიოდ საჯაროდ არ აუღიარებია ოსმალეთის ცენტრალურ პროგრესიულ პარტიას. იგი, აგ-რეთვე, ფიქრადაც არ გაივლებს ქრისტიანთა ასსიმილიაციას. ეს ტენდენცია ოდნავ გამოჩნდა ბევრთა ნაწერებში, ბევრთა ნალაპარაკევში, კერძოდ, და საჯაროდ, გამოჩნდა აგრეთვე **საბბაჰ-ედინის ფედერალისტურ პროგრამმის ცხარე კრიტიკაში**, იჰთიადის უმრავლესობის მიერ; მე კი კერძო მოსაუბრეთა ნალაპარაკევიდან ვიცი უფრო ამ ტენდენციის არსებობა, ასე რომ მე არავის არ ვაწერ გადაჭრილად ამ აზრსა, მე ვამბობ თუ ეს ტენდენცია ღონისძიებად გარდაიქცა, სიკეთეს ვერ მოიტანს ოსმალეთისათვის მეთქი და კვლავ განვიმეორებ ამ სიმართლეს, სადაც არ უნდა იყოს და ვისთანაც არ უნდა იყოს. როცა კი ამ ტენდეციას ჩამოაყალიბებენ გარკვეულ პროგრამმაში მისი მატარებელნი, ნამდვილი და საფუძვლიანი კრიტიკა მხოლოდ მაშინ იქნება შესაძლებელი; ჯერჯერობით კი გაგონილისა და წაკითხულის მიხედვით რაც მოგახსენეთ, მხოლოდ მისი თქმა შემიძლიან.

სტამბოლის ქართული სავანე, 1909 წელი.

მიხეილ წერეთელი

ა ღ დ გ ო მ ა

იესო ნაზარეველი ჯვარს აცვეს და დაფლეს, მაგრამ იგი აღდგა მკვდრეთით! ღმერთი უკვდავია, როგორც სიძულვილისა და ბოროტისა, ისე სიყვარულისა და კეთილისა, მაგრამ უკანასკნელ, ათასჯერაც ძლეული პირველისაგან და დასამარებული, მაინც დგება მკვდრეთით და დამარცხებული ყოველთვის სული ბოროტისა რჩება, ვინაითგან სიყვარული არის თვით აზრი ცხოვრებისა და ცხოვრებას სული ბოროტი სიკვდილისა ვერ ერევა.

იესოს მსაჯულებს და მკვლელებს ეგონათ, რომ მოჰკლეს იგი და დამარხეს საუკუნო დავიწყებად, მაგრამ მესამე დღესვე გაისმა ხმა: **აღდგა უფალი!** ცხოვრებამ იწამა თავისი ღმერთის უკვდავება და ხმა ესე იქცა სიხარულის მიმნიჭებელ რწმენად უამრავი რიცხვისათვის ადამიანთა და ერთა: **– ქრისტე აღდგა! – ჭეშმარიტად!** 1952 წლის განმავლობაში ეგებება ამ გიხაროდენით ქრისტეს მმოსავი კაცობრიობა სიყვარულისა და ცხოვრების ღმერთის აღდგომის დღესასწაულს.

ვნება უფლისა და აღდგომა მისი გაზაფხულზედ მოხდა. და გაზაფხულზედ იყო ხოლმე დღესასწაული წარმართთა, აგრეთვე, ცხოვრების, სიცოცხლის ღვთაებათა ზამთრის ძილისაგან გამოღვიძებისა, ბუნების მკვდრეთით აღდგომისა. აღდგომა ბუნების ღმერთთა და აღდგომა ერთის ჭეშმარიტის ღმერთისა ურთი-ერთს შეეზავა ერთა რწმენაში და იქცა აღდგომად ერთის დიდის ღმერთისა, რომელიც ყოველივეს შეიცავს. მით უფრო მეტი სიხარულით ეგებება ადამიანი ამ დიდ დღეს აღდგომისა, სიცოცხლის განახლებისა და აღორძინების ჟამს. **–ქრისტე აღდგა! გიხაროდენ!–ეს გაზაფხულის გალობაც არის.**

ჯვარს აცვეს უფალი, დაფლეს, მაგრამ მისი იყო სიტყვა ღვთისა, კაცისათვის უმაღლესი იდეალი, მიუხწეველი და ამიტომ საუკუნო და დაუთრგუნველი, მიმნიჭებელი ცხოვრებისათვის აზრისა და სიტყვის ღვთისას სიყვარულისა, მიუწვდომელი იდეალისა; სიტყვას საუკუნო ცხოვრებისა ვერ მოჰკლავდა სიტყვა შურის-ძიების ღმერთისა. ფარისეველი დამარცხდა, ქრისტე აღდგა და კვლავ მოევლინა მოწაფეთ, რომელთაც განავრცეს მთელს ქვეყანაზედ მცნება მისი, უმაღლესი ყოველთა მცნებათა, უკვდავი, ვინაითგან აზრი, იდეალი ცხოვრებისა არ არსებობს სხვა, თვინიერ იესოსაგან მოცემულისა; და იგი იქნება უკუნითი უკუნისამდე.

იესო ხორცით ივნო, ვითარცა კაცი, მან სიცოცხლე მსხვერპლად შესწირა ღვთაებრივ იდეას, იდეალს, გვაჩვენა თვით აზრი ცხოვრებისა. ეს მაგალითი მისი ღვთაებრივი ცხოვრებისა დარჩება კაცობრიობის მეხსიერებაში საუკუნეთა აღსასრულამდე. კაცისათვის ცხოვრების აზრის მიმნიჭებელი ჯვარცმულის საფლავში საუკუნო განსვენება შეუძლებელია და ამიტომაც ვიტყვით და გვწამს: **ქრისტე აღდგა მკვდრეთით სიკვდილითა სიკვდილისა დამთრგუნველი!.. და საფლავების შინათა ცხოვრების მიმნიჭებელი!..** მისთვის, ვის გულშიც იყო ღვთაებრივი მადლი უფლისა და ვინც ხელმძღვანელობდა მისი ცხოვრების მაგალითით.

ქრისტეს მტერი, სული ბოროტი განაგრძობს ბრძოლას და ათასი სახით და საჭურვლით ევლინება კაცს, რომ მის გულში მოჰკლას სახსენებელი ქრისტესი და სიტყვა მისი. ხშირად უფლის სახელითაც ებრძვის უფალს. ხშირად მის მცნებას ითვისებს და ამით ატყუებს უგნურ კაცს. მაგრამ ქრისტე მუდამ ძლევა-მოსილი რჩება, განივლის ხოლმე ჟამი ჯოჯოხეთითგან

მოვლენილი სიბნელისა, გაცუდდებიან მანქანებანი ბოროტისა და კვლავ გაისმის ხმა იმედისა და სიხარულისა: ქრისტე აღდგა.

საქართველოში დღეს ქრისტეს სახელი დევნილია. აღდგომას ვერ იდღესასწაულებს ერი. მაგრამ აღდგომის დღის მოსვლის დაბრკოლება ხომ არავის ძალუძს. იგი მოვიდა და კვირას გაზაფხულის მზე სულ სხვანაირად, აღდგომის ბრწყინვალებით ითამაშებს ცაზედ, როგორც ესა სწამს ქართველს, და ერი ტანჯული გულის სიღრმითგან უფრო დიდი სიძლიერითა და სიხარულით აღმოიძახებს: **ქრისტე აღდგა! და ჩვენც შორითგან გამოვეხმაუროთ წამებულ სამშობლოს: ჭეშმარიტად!** და ვთქვათ დიდი იმედი ჩვენი: როგორც ქრისტეს აღდგომა ვერ დააბრკოლა ჯოჯოხეთის ძალამ, ისე სამართლის აღდგომას ვერ დააბრკოლებს მიმძლავრება ვერსად და ვეროდეს და ბოლოს საქართველოც აღდგება.

ჭეშმარიტად!

დაბეჭდილია ჟურნალში„ბედი ქართლისა“, N 12, 1952 წ. პარიზი ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. მიხაკო წერეთელი, ემიგრაციაში მყოფი, ხშირად სტუმრობდა სტამბოლის ქართულ სავანეს, ცხოვრობდა მონასტრის სასტუმროში.

მიხეილ წერეთელი

მიხ. წერეთლის სიტყვა წარმოთქმული ილია ჭავჭავაძის ტფილისში ჩამოსვენებისას 7 სექტემბერს 1907 წ.

მამულიშვილნო!

„ვინა თქვა საქართველოზედ, რა დიდი ლომი კვდებაო!"–ბევრმა რამ და ბევრმა ვინმემ! ყოფილან ჩვენ ისტორიაში შავნი დრონი, როდესაც თავზარ-დამცემნი სიტყვანი–„საქართველოს დიდი ლომი კვდება",–სიმართლედ მოგვჩვენებია, ეჭვს შეუპყრია მთელი საქართველოს გონება, მართლა ხომ არ წახდა საქართველო საუკუნოდო! იყო ერთი, უკანასკნელი შავი დრო, ოდეს საქართველოს ლომი პოლიტიკურად მოკვდა, დამარხა რა თვისივე ხელით თვისი საკუთარი თავისუფლება, დამოუკიდებლობა, და შემდეგ, მთელი ასი წლის განმავლობაში, მთელი მისი არსება მომაკვდავი სულსა ღაფავდა.–მაგრამ ამ შავ დროებზედ უფრო მჭერმეტყველურად, უფრო მედგრად და უფრო კადნიერად ილია ჭავჭავაძის მკვლელებმა ჩამოგვძახეს ყურში მთელ საქართველოს,–საქართველო, ეს დიდი ლომი, მართლაც მოკვდა,–მოკვდა ზნეობრივად. **და ეს სიკვდილი მისი საუკეთესო ძის, მისი დიდების ვერაგულად მოკვლით გამოიხატა!**

ერთ დროს ჩვენც ვიყავით ერი, ჩვენც შევადგენდით კაცობრიობის ნაწილს, ჩვენც გვქონდა ფასი და ხალხს გვეძახდენ. ჩვენი კულტურა, ჩვენი მწერლობა და მწიგნობრობა, მეცნიერება, სიტყვა-კაზმული ლიტერატურა და სხვა, ჩვენი საზოგადოებრივი სიძლიერე, განთქმული იყო არა მარტო კავკასიაში, არამედ კავკასიის გარეშეც. ჩვენი, „გურჯისტანის" სიძლიერე თავზარსა სცემდა ირგვლივ მომდგარ მრავალ მტერს, და ჩვენც ვიცავდით ჩვენს თავისუფლებას, მიწა-წყალსა და კულტურას.

მე-XI-XII საუკუნეებში საქართველო სიმდიდრით, სულითა და გონებით გაბრწყინებული იყო; საქართველოს მდიდარმა კულტურამ, **ქართულმა ძლიერმა ენამ წარმოშვა ჩანგი რუსთაველისა** და, სიცოცხლით სავსენი, ჩვენცა ვცდილობდით საშვილიშვილოდ განგვემტკიცებია ეს ჩვენი სულიერი და ნივთიერი სიძლიერე.

მაგრამ ვეღარ გავუძელით მრავალრიცხოვან მტერს, რომელიც ყოველი მხრით გარს გვესია. ვიბრძოლეთ საუკუნეთა განმავლობაში ბრძოლის ველზედ, მაგრამ მთელი აზიის ურდოებს გაკაჟებული საქართველოც ვერ გაუძლებდა, და ჩვენც ვიწყეთ ნელ-ნელა დაკარგვა იმ დიადი საუნჯისა, რომელიც მთელმა ერმა შეჰკრიბა თავისი შემოქმედებით ჟამთა ვითარებაში.

აღმოსავლეთით, დასავლეთით და განსაკუთრებით სამხრეთით მოგვადგა აუარებელი მტერი. მოგვწყვიტა საუკეთესო განათლებული ქვეყნები, შთანთქა ყოველი თავის ველურობის და განადგურების ზღვაში და შეამოკლა, შეასუსტა საქართველოს სიცოცხლე.

მაგრამ მაინც ვიბრძოდით და რაღაც იმედით აღსავსენი დანარჩენ ჩვენ დიდებას, მიწა-წყალსა და კულტურას მაინც ვირჩენდით. ასე მომდინარეობდა ჩვენი ისტორია მეთვრამეტე საუკუნის დამლევამდე, და ეს ისტორია ერთი ხანგრძლივი ერისა, ჩვენი მუდმივი ეჭვი იყო,–საქართველოს დიდმა ლომმა მტრის შიშის ზარის დამცემი ღრიალი შესწყვიტა?

დასუსტებულებმა, დამცირებულებმა და შინაური უთანხმოებითა და მტრობით დაღლილებმა მოვახწიეთ მე-XIX საუკუნის კარამდე. იმდენი სულიერი ძალაც აღარ შეგვწევდა, რომ

სურვილი, **ძველებური ვაჟკაცური ფოლადის სურვილი** მაინც შეგვრჩენოდა ბრძოლის განგრძობისა.

თუმცა მთელი საქართველო შეიძრა, ოდეს სცნა სურვილი ერეკლე მეფისა, საქართველო რუსეთისათვის გადაეცა, თუმცა საქართველოშიც გამოჩნდნენ დემოსთენები, რომელთაც სურდათ განეხორციელებიათ დიდი ხნის იდეალი საქართველოს კვლავ გაერთიანებისა, მაგრამ „ირაკლის დიდი ხანია გადაეწყვიტა ბედი ქართლისა",–და არა მარტო ირაკლის, არამედ მთელ მაშინდელ თავად-აზნაურობას, რომელიც განაგებდა საქართველოს ბედ-იღბალს, და **საქართველომაც თავისი ხელით გამოიჭრა ყელი რუსეთის ტახტის წინაშე.** მთელი ჩვენი პოლიტიკური უზნეობა. მთელი ჩვენი სულიერი დაღლილობა მაშინ გამოჩნდა. არავითარი პროტესტი ხალხის მხრივ, არავითარი ძახილი „ქართველო, ხელი ხმალს იკარ!" გარდა თავგანწირულ ბატონიშვილთა, რომელთაც ჩვენი უპირველესი თავადები მგლებივით დასდევდენ დასაჭერად. ხოლო როდესაც დამკვიდრდა რუსის მთავრობა ჩვენში და შეუდგა ჩვენი ცხოვრების განადგურებას **სკვითური ვერაგობით,** მაშინ იკბინა ხალხმა თითზედ, მაშინ მისწვდენ ხმალს, მაგრამ გვიანღა იყო, და იმ დიდმა და პატარა აჯანყებებმა, რომლითაც სავსეა მე–XIX საუკუნის ჩვენი ისტორია, ვეღარ განდევნა ძლიერი მტერი, რომელიც მთელი თვისი უკულტურობითა და ველურობით დაგვაწვა თავზედ.

ჩქარი ნაბიჯით მთელი საქართველო ბრწყინვალე კულტურიდან გაველურებამდის, სრული დეკადანსამდის ჩამოუშვა მე- XIX საუკუნეში, მაშინ როდესაც სხვა დამოუკიდებელი ერები, ან ის ერები, რომლებმაც მოასწრეს მტრის კლანჭებიდან თავის დახწევა, წინ მიდიოდენ და მე-XIX საუკუნის ბრწყინვალე შემოქმედებაში მონაწილეობას იღებდენ.

მე- XIX საუკუნის პირველ ნახევარში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ჩვენში აჯანყებამ უნაყოფოდ ჩაიარა და საქართველოს უფრო მეტი განადგურებით გათავდა, ჩვენი დალაჩრება უმწვერვალესი ხარისხისა იყო. **ჩინ-მენდლებით შეიმოსა მთელი ბრწყინვალე წოდება,** ინტელიგენცია თითქმის სულ არ იყო, და **ჩვენი მწერლობა ოდნავღა ბჟუტავდა**, ისეთ იმ ჩინოსანთა კალმის ქვეშ! თუმცა **გრიგოლ და ვახტანგ ორბელიანებმა, ნიკოლოზ ბარათაშვილმა** და სხვებმა დიადი, გენიოსური შემოქმედებითი ნიჭი გამოიჩინეს, ენის სიმდიდრე, ჩვენი ენის საუნჯე თვალ-წინ გარდაგვიშალეს, მაგრამ მათ მაინც ვერ შეჰქმნეს ეპოქა ჩვენს ლიტერატურაში, შემოქმედება მათი სიდიადით ვერ იყო ძლიერი, ამას ჩვენი დაბეჩავებული ცხოვრებაც ვერ უწყობდა ხელს, და ამიტომაც ისინი ჩვენი ახალი მწერლობის წინამორბედებად უნდა ჩაითვალონ მხოლოდ, და არა შემოქმედებად.

მაგრამ დადგა მესამოცე წლები, ის ხანა, როდესაც ბარბაროსულმა რუსეთმაც გაიღვიძა, რათგან მთელმა კაცობრიობამ ამირანისებური სიძლიერით დიდი ნაბიჯი წარსდგა წინ, და **ჩვენს ქვეყანასაც მოხვდა ამ საყოველთაოდ აღელვებული ზღვის ტალღები**. ჩვენი ცხოვრებაც შეიძრა, შეტოკდა, და ამ ახალ მოძრაობას თავისნი გმომხატველნი უნდა გაჩენოდენ. გაუჩნდენ კიდეც. ჩვენშიც დაიბადენ: **აკაკი წერეთელი, სერგო მესხი, ნიკო ნიკოლაძე, ილია ჭავჭავაძე, გიორგი წერეთელი** და სხვანი, და ამათ იკისრეს ხელმძღვანელობა ჩვენი ცხოვრებისა. აღორძინდა ჩვენი ლიტერატურა, აყვავდა ჩვენი პოეზია, გაჩნდა პუბლიცისტიკა, გაჩნდა ახალი წესები ლიტერატურული შემოქმედებისა. და ჩვენც ცოტათი მაინც გავერიეთ კაცობრიობაში ამ მწერალთა და მოღვაწეთა წყალობით. და სწორედ **ილია ჭავჭავაძე იყო პირველი იმათ შორის,– ჩვენი საუკეთესო პოეტი, რომანისტი, პუბლიცისტი, ეკონომისტი, ასე გასინჯეთ სოციოლოგიც**.

ენა მკვდარი და მხოლოდ რამოდენიმე „წინამორბედთა“ პირში მეტყველი, ენა მდიდარი, მაშინ დაკარგული ჩვენი ერის „განათლებულთა მიერ“ ისე ლაჩრულად, რომ **ლაპარაკსაც აღარ კადრულობენ ქართულად,** ენა, რომელიც ათასი წლობით შევინახეთ და შავთა დროთაც ვერ გადაგვავიწყეს, აღადგინეს ზემოხსენებულმა საქართველოს შვილებმა, და **ილია ჭავჭავაძე პირველი იყო**, რომლის პირისაგან მოგვესმენ მძლავრ ქართულად ნათქვამნი, სამაგალითონი, უმშვენიერესნი თხზულებანი მისნი.

ჩვენ ქვეყანას ათასი გასაჭირი ადგა, კაცი არავინ იყო ხმის ამომღები ყველა საჭირბოროტო საკითხებზედ, და ილია პირველი იყო, რომ მეცნიერების იარაღით აღჭურვილი სწყვეტდა რთულ პრობლემებს ჩვენი ცხოვრებისა თავისებური სიღრმით და იმავე შვენიერი ენით, რომელიც მან გაგვაგონა თავის ლიტერატურულ ნაწარმოებებში. **ილია იყო შეუდარებელი პუბლიცისტი,** ილია იყო გლეხთა მუდმივი მეგობარი, და იგი ამ მეგობრობას ხატავდა როგორც „გლახის ნაამბობში“, „ოთარაანთ ქვრივში“, ისე ბატონ-ყმობის, მონობის წყელვა-კრულვაში და გმობაში, როგორც საჯარო კრებებზედ, ისე თავის პუბლიცისტურ ნაწარმოებებში. იგი მუდმივი დამცველი იყო შრომის ინტერესებისა, და მაშინ როდესაც საუკეთესო დემოკრატებიც კი მთელი ევროპისა **პარიზის კომმუნას უშვერად,** ურცხვად და ცინიკურად იხსენიებდენ, ილია მის დამცველად, მისი დიდების ქართულ ჩანგზედ მომღერლად გამოვიდა ჩვენში. ეს რა არის,– თვით სოციალიზმის პრინციპებიც კი არის გატარებული მის მრავალ თხზულებაში. „შრომის ახსნა“,–აი, რა იყო ილიას იდეალი.

საქართველოს დაბეჩავებულ საზოგადოებას **ორგანონი** ეჭირვებოდენ. ილია ჭავჭავაძე იყო სწორედ ის ადამიანი, რომელსაც უდიდესი ღვაწლი მიუძღვის მათ შექმნაში და მათში მუშაობით. **მარტო ბანკში და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებაში რამდენი ენერგია ჩაჰკლა ილია ჭავჭავაძემ** ქართული საზოგადოების აღსაღორძინებლად. სამაგალითოა და განსაცვიფრებელი, თუ დაუკვირდება ადამიანი და ღირსეულად დააფასებს ილიას შრომასა და ღვაწლს.

დიაღ, ილია ყოველმხრივი მოღვაწეობით გაცილებით მაღლა იდგა თავის თანამედროვეებ-ზედ და თანამოღვაწეებზედ თავისი მრავალფეროვანი ნიჭითა და ყოველმხრივი შემოქმე-დებით. მაგრამ მე ილიას, უწინარეს ყოვლისა, **ვაფასებ როგორც მამულიშვილს**. **ის იყო მართ-ლაც საქართველოს გუშაგი** მთელი ნახევარი საუკუნის განმავლობაში. გრიგოლ ორბელიანი ამბობდა ძველ ქართველ ვაჟკაცებზედ: „ვაი მას მტერსა, ვის ანუ, კლდენი, ან ტყეთა სიღრმე არ დაჰფარავიდენ, ვითარ შურდულებრ ტრედთ შევარდენნი მიესევოდნენ და შემუსრავდნენო!“ ილია სწორედ ასეთი მამულიშვილი იყო ჩვენ მოქალაქეობრივ ცხოვრებაში. ვაი მას მტერსა, ვის ანუ ბოდიში, ანუ იეზუიტობა არ დაჰფარავდა, **ვით ვეფხვი, ილია მივარდებოდა მას და შემუსრვიდა თავისი ცოდნით, ლოღიკით და**, რაც უფრო ძლიერია, **სიმართლით**, რათგანაც ილიას არა ჰქონდა ჩვეულებად მტერს გამოჰკამათებოდა, თუ მის სიტყვებში სიმართლესა ჰხედავდა. განსაკუთრებული რისხვით ილია მოევლინებოდა ხოლმე **შინაურს მტერს,** რომე-ლიც ცხვრის ტყავში გამოხვეული შინ იეზუიტობდა და თავს იკატუნებდა, გარეთ კი ლომობდა და საქართველოს გაბაიაბრუებისათვის არაფერსა ზოგავდა. **„მტერისა შინა ყოლასა ლომისა გზასა ზედა წოლა სჯობიაო“**, იტყოდა ხოლმე ილია ძველ ვაჟკაცთა თქმულს. და მართლაც, ვინ გაუძლებდა მის დიალექტიკას, მის შეუბრალებელ, მწარე დაცინვას და მძიმე მსჯელობას, რომელიც **ვულკანის ჩაქუჩივით სცემდა თავში მტერს** და მტვრად აქცევდა მის სუსტსა და

იეზუიტურ არგუმენტებს. მასთანაც, შეუდარებელი ორატორი, იგი იყო ჩვენი პირველი მამულიშვილი, **მოქალაქეობრივი ვაჟკაცობით და სიბრძნით ჩვენი ციცერონი, „მამა ჩვენი სამშობლოისა**“. და აკი მისი ბედიც ხვდა წილად! ჰოი ისტორიავ, საკვირველ არიან საქმენი შენნი!..

და ეს **ილია ჭავჭავაძე,** რომელიც შეუდარებელი პოეტი იყო, შეუდარებელი პუბლიცისტი და ჩვენი პირველი ეკონომისტი და სოციოლოგი, პირველი საზოგადო მოღვაწე, **პირველი მამულიშვილი,** რომელსაც ერთად-ერთსა ჰქონდა სული **თავისუფალი სრული ადამიანისა** იმდენ ლაჩართა და მონური სულის პატრონთა შორის, – ეს ილ. ჭავჭავაძე დღეს კუბოში დევს მთელი საქართველოს წინაშე, ქართველის ხელით განგმირული, ჩვენდა სასირცხოდ, სატირლად და სავალალოდ!

თურმე სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი იმედი, რომ ცოტათი მაინც წინ წავედით მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახევარში, სწორედ ისეთი კაცების წყალობით, როგორიც იყო ილია ჭავჭავაძე! სულ ტყუილი ყოფილა ჩვენი ზნეობრივი პროგრესსი, თურმე კიდე უფრო დაცემული ვართ!

კაცი, რომლისათვისაც ერის ხანგრძლივი სამსახურისათვის იუბილე უნდა გადაგვეხადა, **დაფნის გვირგვინით უნდა შეგვემკო მისი შუბლი,** ტრიუმფით უნდა შემოგვეყვანა დამაშვრალი მცხოვანი ჩვენს სატახტო ქალაქში, ტყვიით გავგმირეთ, **ეკლის გვირგვინი დავადგით** და მისი კუბო შემოვიტანეთ დღეს აქ, ჩვენდა საუკუნო შესარცხვენად!

ვაგლახ, ბედშავო საქართველო! ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს ჩვენს ასეთს საქციელს, ვინ რას იტყვის, რომ გაიგებს, ვინ მოვკალით, ვინ დავმარხეთ ჩვენივე ხელით ტყვიით განგმირული!–საქართველოს ერი, ლაჩარი, ზნედაცემული, გახრწნილი, უგრძნობელი, რომელმაც მთლად დაჰკარგა კაცთა სახე,–აი, ამ ერმა თვით მოჰკლა თავისი საუკეთესო ძე და ყოვლად უგვანონი, უმსგავსონი და სულელნი დაიტოვა თავისი ცხოვრების წინამძღოლებადაო, – აი, რას იტყვიან! და მართლაც, რას უნდა გამოელოდეს ადამიანი იმ ერისაგან, რომელსაც მონური სილაჩრე შეჰპარვია, რომელიც ეს სამი წელიწადია გაჰყვირის ძლიერად, გაჰყვირის შავი ზღვის ნაპირებიდან დაღესტნის საზღვრებამდე–ძირს ჩვენი საკუთარი თავისუფლებაო!.. მართლაც და „სხვა საქართველო სად არის, რომელი კუთხე ქვეყნისა, ერი ძაბუნი, ლაჩარი, მორჩილი თავის ბედისა. შავ დროით სრულად შესცვალეს მის გული ადამანტისა, აღარც მხნე, აღარც მღერალი, მოძულე თავის მიწისა“,–და თავისი წარსულისა, თავისი კულტურისა, თავის საკუთარ შვილთა, რომელთაც შუბლში ტყვიით უმასპინძლდება!

ახლა რაღა უნდა ვქმნათ?–უპირველეს ყოვლისა, მე არ ვეთანხმები ამ წარმოთქმულ სიტყვებს,–ილიას ხსოვნას „შურის ძიება არ ეკადრებაო!“ კი ეკადრება! ამ **სირცხვილს მხოლოდ შურის ძიებით გავაქარწყლებთ**. შურის ძიება მთელი ერისა იმ უმსგავსოთა წინააღმდეგ, რომელთაც დღეს მთელი საქართველო ძაძით შემოსეს და მთელ ქვეყანაში გააბიაბრუეს, ერთადერთი საშუალებაა მთელი ერის გასამართლებლად. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ ყველანი დამნაშავენი ვიქნებით ილიას წინაშე! ყოველივე სხვა ერი ჩვენს ალაგას ამასვე ჩაიდენდა. ჩვენი სიჩუმე ჩვენი ჰუმანიური თვისების და დიდ-სულოვნობის დამამტკიცებელი კი არ იქმნებოდა, არამედ ჩვენი სისუსტისა და გულგრილობისა!

მაგრამ ასეთი შურის ძიება ვერ დააკმაყოფილებს ჩვენს შეურაცხყოფილ თავმოყვარეობას. ჩვენ ყველამ ჩავინერგოთ გულში ის მცნებანი, რომელნიც ილიას თავის თხზულებებში გაატარა და გვიანდერძა: სიყვარული საქართველოსი, იმ განყენებული „საქართველოსი“, რომელიც,

აგრეთვე, მისი თანამოღვაწის, აკაკის გულსაც მუდამ ატოკებდა, სიყვარული ჩვენი მიწა-წყლისა და მისი შენახვა, რაიცა, ილიას აზრით, უმთავრესი საშუალება იყო ჩვენი ერის სიცოცხლისა, სიყვარული ქართველი ხალხისა, რომლის გუშაგად მუდამ უნდა იდგეს ყოველი ჩვენგანი, რომლის უფლება არავის უნდა შევალახვინოთ, ისე, როგორც ილია არავის აძლევდა ამის ნებას. აი, რა არის ილიას ნაანდერძევი. შევქმნათ ჩვენც ისეთი ქართული საზოგადოებრივი წრე,–საღი და ზნეობით აღმაღლებული, რომელშიც შესაძლებელი აღარ იქმნება ასეთი დანა-შაული, როგორსაც ახლა ვხედავთ. მხოლოდ ეს დაგვაკმაყოფილებს. ეს მოგვბანს მოცხებულ ჩირქს, ამით უკვდავვყოფთ ილიას ხსოვნას.

მაგრამ ამ დიად საქმეს, ვინ იცის, აღვასრულებთ თუ არა! ჯერ-ჯერობით კი **ჩვენი დაცემა ილიას მოკვლაში გამოიხატება**. ამ უსაშინლესს დანაშაულში, რომლის უუმსგავსოესიც კაცობრიობას არა უნახავს-რა. ვინ იცის, როგორი იქმნება ჩვენი მომავალი, აწმყოში კი კარგი რაც იყო, აი, ამ კუბოში ასვენია. ჩვენ ხელთაგანვე დათრგუნვილი და შეგინებული! **დაგვრჩა მხოლოდ სასოწარკვეთილება და ძლიერი ეჭვი ჩვენი მომავლისა!**..

შენ კი, დიდებულო ადამიანო, ივერიის ტანჯულო ძევ, გვაპატიე ამ შეკრებილ სრულიად საქართველოს, რომ სწორედ იმ ადგილას მოგისპო სიცოცხლე ჩვენმა ზნეობით დაცემამ, სადაც შენ გულამოსკვნილი სტიროდი „ბედსა ქართლისასა“, გვაპატიე, რომ შენს შუბლს ტყვია ვარგუნეთ წილად დიდების გვირგვინის მაგივრად, გვაპატივე, რომ ჩვენს სატახტო ქალაქში ტრიუმფის მაგივრად სამგლოვიარო პროცესსია გაგიმართეთ! გვაპატიე,–ეს შეეფერება შენს დიდ-სულოვნებას! იქ, ზევით, პოეტთა მიერ შემკულ, მდუმარე მთა-წმიდაზედ განგისვენებთ, ჩვენ მცხოვან, ტანჯულ ისტორიულ დედა-ქალაქ თბილისს რომ ბატონობს იდუმალად! მაგრამ ვაგლახ ჩვენ, რომ „იქიდან ვეღარ გადმოჰხედავ შენსა სამშობლოს მხარეს და ტკბილი ჭიკჭი-კითა ვეღარ დაატკბობ მისს არემარეს“, ვეღარ იხილავ მომავალში შენსა ივერსა, „ფენიქსებრ განახლებულსა“, თუ მომავალმა ეს ბედი კიდე გვარგუნა, მაგრამ აწმყოში მაინც ბედნიერი იქმნები,–ვეღარ იხილავ, აგრეთვე, იმ სიწითლეს სირცხვილისა, რომელიც ამ დაცემულმა ივერმა ჭამა შენი წამებითა და რომლის ჩირქსაც იგი დიდხანს ვერ მოიბანს.

დაბეჭდილია ჟურნალში „ბედი ქართლისა“, N12, 1952 წ.; ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

მიხაკო წერეთელი

ძვირფასი მეგობრის ხსოვნას

თუ ქართველი ერი საუკუნეთა განმავლობაში შეუწყვეტელ ბრძოლებს უამრავ და უძლიერეს მტერთა წინააღმდეგ ვერ მოუსპია და გადარჩენილა, ამას უნდა ვუმადლოდეთ ქართველი კაცის ხასიათს. ვინც არა ზერელედ, არამედ ფრიად გულმოდგინედ წაიკითხავს და მართლად გაიგებს ძველს თხზულებებს, მომთხრობს საქართველოს თავგადასავალისა და შეადარებს მას სხვა ერთა მატიანეებს და ისტორიებს, მიხვდება, თუ რით განირჩეოდა ქართველი სხვათაგან. ვისაც ჩვენი ცხოვრება გვახსოვს მეცხრამეტე საუკუნისა, გვახსოვს ის პიროვნებანი, რომელნიც იქ ცხოვრებაში ერის ხელმძღვანელნი იყვნენ, ჩვენც ნათლად შეგვიძლია ხილვა მაშინდელი ქართველის ხასიათისა, რომელიც სხვათა ხასიათისაგან განსხვავდებოდა; თუ თვალი გვიჭრის, ვისაც ახსოვს ჩვენი დამოუკიდებლობის დღეები 1918-1921 წლებისა, მას ისიც უნდა ახსოვდეს, რომ ქართველმა, თანახმად მისი ბუნებისა, ის კეთილი ქმნა, რაც ბევრს სხვას, გალაღებულს არ უქმნია, და არ უქმნია ის ბოროტი, რაც ბევრსვე სხვას უქმნია,–აგრეთვე, თანახმად მისი ბუნებისა. და ვინც დღეს ნათლად ვხედავთ სინამდვილეს ერთა ცხოვრებისა, გავებრჭობით რა ჩვენ გულს და გონებას, ვიტყვით: ბევრი მსგავსი, რაც მათი მოქმედებისა ჩვენი გულითგან და ხელითგან არ გამოვა, შესაძლებელია, რომ გამოვიდეს, ვითარცა შეუფერებელი ჩვენი ბუნებისა.

ნაკლი ყოველ ერს აქვს, რაგვარადაც ყოველ კაცს. ქართველთა შორისაც ბევრი ყოფილა დამნაშავე, მოღალატე, ცრუ და უზნეო, და დღესაც არის. ქართველთა შორისაც ბევრი ყოფილა სასტიკი, მხეცი, უღმრთო, და დღესაც არის, მაგრამ თუ შევადარებთ რაოდენობას ბოროტთა და უკეთურთა და საზღვარს მათი უკეთურებისა უცხოთა და ქართველთა შორის, განსხვავება ქართველის ბუნებისა ბევრ უცხოთა ბუნებისაგან ჩვენთვის ცხადი იქმნება. ეს არის უძვირფასესი, რაც ჩვენ ქართველთ მოგვეპოვება და რაც არ გაიცვლება არც ერთ სხვა ღირსებაზედ, რომელიც სხვას ბევრს შეიძლება მეტი გააჩნდეს ვიდრე ქართველს.

ქართული კულტურა ქართველის გულის და გონების შექმნილია, და ქართველი კულტურული ტიპი თავისებურია, სხვაგან არ არსებული საქართველოს გარეშე.

ამაყი და თან თავმდაბალი; მებრძოლი რაინდი და თან ზომიერი, არა გალაღებული და თავაშვებული გამარჯვებით და არა წამხდარი და მლიქვნელი დამარცხების შემდეგ; ზრდილი და ზრდილობის მომთხოვი სხვათაგანაც; **არისტოკრატი და თან დემოკრატი; ნამდვილი ქრისტიანი და არა ყველაფრის ჩამდენი მხურვალე ლოცვის შემდეგ ეკლესიაში,** და სხ. და სხ. **ეს იყო იდეალური ტიპი კულტურული ქართველისა**. მას ჰქონდა პატივის-ცემა და სიყვარული, ვინც ამ იდეალურ ტიპს უახლოვდებოდა, ხოლო საწინააღმდეგო თვისებათა მქონე, ანტიპათიურად, „ცუდ-კაცადაც“ ითვლებოდა; იგი არ იყო კარგად „მიღებული“ ქართულ საზოგადოებაში.

ასეთ კაცთა მოქმედებით და ხელმძღვანელობით არსებობდა ქართული საზოგადოება ჩვენი პოლიტიკური მონობის დროსაც და წარემატებოდა ერის ცხოვრება.–და ხშირად გაჰკვირვებია არა ერთს ჩვენგანს, თუ რად ჰქონდა პატივისცემა „ქართველს“ უცხოეთშიც უცხოთაგან, თითქმის ყველგან,–რუსეთში, ევროპაში, ოსმალეთში, სპარსეთში და სხვაგან და სხვათაგან, და **თუ რად იღებდენ ხშირად უცხოელნი ქართველის ხელმძღვანელობას დიდ საქმეებშიც** კი, ხოლო, დიაღ, **ქართველის კულტურული ტიპის თავისებურებით, ქართველის**

განსაკუთრებული ხასიათით აიხსნება ეს მოვლენა. ამ განსაკუთრებულ თვისებათა მქონე კაცს სიმპათია, პატივის-ცემა და ნდობა აქვს ყველგან.

რასაკვირველია, ერთობ სინამდვილეს ჩვენსას სიმწარე და საშინელებაც თან ახლდა, მაგრამ სიკეთე და ნათელ-მოსილ კაცთა ღვაწლი უადვილებდა ერს ორივეს ძლევას. და ამას როცა ვაზრობ, ჩემ თვალთა წინ აღიმართებიან აჩრდილნი ქართველთა, ამ ნათელ-მოსილ კაცთა, მეტ-ნაკლები სიდიდისა, **სხვა და სხვა გვარისა, რწმენისა და საქმისა, მაგრამ ერთი ტიპისა**, რომელთა ხილვაც კი იმედს ჰგვრიდა ქართველს, რომ ერს ძალ უძს ღირსეული ცხოვრება მათი ღვაწლითა და ხელმძღვანელობით:

ამ აჩრდილთა სიას ეკუთვნის ახლად გარდაცვალებული საფრანგეთში **ანდრო დეკანოზი-შვილი**. ჩემი ძვირფასი მეგობარი, რომლის ნათელი პიროვნება ჩემთვის სიკვდილამდე დაუვიწყარი იქმნება. იგი იყო იმ განსაკუთრებულ ღირსებათა მქონე ქართველთა ჯგუფისა, რომელსაც ეკუთვნოდენ მისი ბიძაშვილი **გიორგი დაკანოზიშვილი, კიტა აბაშიძე, ნიკო თავდგირიძე, ილია ნაკაშიძე, ვახტანგ ღამბაშიძე, არჩილ ჯორჯაძე, გიორგი ლასხიშვილი,** მათზე უფროსი **გიორგი ზდანოვიჩი** და მრავალნი სხვანი, კაცნი სხვა და სხვა ხელობისა, მაგრამ **ყველა უანგარო მსახური საქართველოსი, უპრეტენზიო, მსხვერპლის არდამრიდებელი. ამაყი და პატივის-ცემის მომხვეჭი მტრის წინაშე, აღსავსე ზნეობით, შეურყეველი რწმენით მათი საქმის სიწმინდისა და პასუხისმგებლობის გრძნობით ქვეყნის წინაშე, აროდეს რუსის სამსახურში მყოფი, არამედ თავისუფალი მოქალაქე სახელმწიფო უფლებათა ახდილი სამშობლოსი, რომლისთვისაც იღვწოდა მრავალგვარი საქმით, კალმით და სიტყვით.**

ანდრო იყო მართლაც არაჩვეულებრივი მაღალი სულის პატრონი, რომელსაც აროდეს ჰქონია სურვილი თვის საქმეებზედ ესაუბრა, იგი თვით იყო კმაყოფილი მოვალეობის აღსრულებით და ამისთვის მოწონება და ქება არ უნდოდა. ამიტომ მის საქმიანობაზედ ბევრს წარმოდგენაც არ ჰქონდა. ბევრმა არ იცის, თუ რა ღვაწლი მიუძღვის მას, ევროპულად განათ-ლებულს, ევროპაში ხშირად მყოფს და საქართველოში ევროპიელებთან დამეგობრებულს **ქართველთა და ევროპიელთა შორის ურთიერთობის დამყარებისა და ევროპაში საქართველოს საკითხის გატანის საქმეში**. თუ როგორ ეხმარებოდა იგი აქ გიორგი დეკანოზიშვილს, და სხვ. და ვის ამოირჩევდა საქართველოს მთავრობა მისს უკეთესს სადესპანოდ რომანულ ქვეყნებში? ხოლო **ანდროს, არგენტინაში დესპანად დანიშნულს, აღარ დასცალდა იქ გამგზავრება**. რათგანაც მტერმა ჩვენი დამოუკიდებლობა მოსპო.

ანდრო მწერალიც იყო, და ფრიად ნიჭიერი მწერალიც, მისმა პირველმა მოთხრობებმა აღტაცება გამოიწვია თავის დროზედ ქართველ მკითხველთა **შორის,–განსაკუთრებით მისმა ხელოვნებამ ქართული სიტყვისა.** საუბედუროდ, მწერლობას მან თავი დაანება. რატომ? ეძნელებოდა? – არა! მახსოვს, უკანასკნელი ომის დროს მან ერთ ქართულ ორგანოში პატარა ამბავი დაბეჭდა,–მოხუცი მოგვარის საუბრისა ახალგაზრდათა წინაშე და, როდესაც ამათ მისი გამოცდა უნდოდათ, ხომ არ იკვეხისო, თუ რაგვარ ვეფხივით გადაახტა გაშლილ ფართო ნაბადს. ვისაც ეს მოთხრობა წაუკითხავს, მას არ შეუძლია აქაც, ამ უბრალო თხრობაშიც არ დაენახა დიდი ტალანტი? მაშ რად დაანება ანდრომ თავი ქართულ მწერლობას და არ გაამ-დიდრა იგი? არ ვიცი. ერთხელ პარიზში ჰკითხეს მას მიზეზი ამისა. მან მისი ჩვეულებრივი კეთილი ღიმილით შემომხედა და სიტყვით არაფერი მითხრა. და რა მითხრა ამ ღიმილით, ვერ მივხვდი. მისი ბუნება რომ ვიცოდი, მისი ღრმა სინდისი და პასუხისმგებლობის გრძნობა

ყველაფრის წინაშე, შეიძლება შემდეგი მითხრა: – დიდს ვერ მოვერევი, მეშინია, მცირეს კი სხვაც ბევრი სწერს, რა საჭიროა ზედ-მეტი დავწეროო. სცდებოდა ანდრო, თუ მართლა ამას აზრობდა, მას დიდის შექმნაც შეეძლო, ხოლო ცდა ამაოებად მიიჩნია. და არც სწუხდა ამისთვის, რათგანაც ბუნება მისი დიდი იყო, მარტივი და წმიდა, არა ამპარტავანი.

და ვისაც უნდოდა განეცადა ანდრო მთლიანად, მისი არსებით, მასთან უნდა გაეტარებია დრო მისივე სახლში. მისი არა-აღელვებული, ნამდვილი სიხარული სტუმრის მიღებისას, მისი საუბარი, მრავალ–ფერი და საინტერესო. მისი სუფრა, მისი დინჯი და მხიარული გულით მოლხენა,–ესე ყოველი ისეთი რამ იყო, რომ ზღვასავით აღელვებულ სულსაც სტუმრისა დაამშვიდებდა. გვერდს უმშვენებდა მას დიასახლისი, მეუღლე, მისი შესაფერისი ყველაფრით, და მისი შემავსებელი, ცოცხალი, გონიერი, ისეთივე მარტივი და მართალი სულის მქონე, რაგვარისაც ანდრო იყო.–აწ დაქვრივებული **მოხუცი ელენე.** და მისი სახლითგან ამ სანეტარო წუთების შემდეგ შინ დაბრუნებული სტუმარი ნატრობდა, კვლავ ჰქონოდა ბედნიერება ანდროსთან დროს გატარებისა.

ღრმად მოხუცებულმა დატოვა ანდრომ ეს წუთისოფელი. ამ დიდი დროის განმავლობაში მრავალს უნახავს და შეუძლებელია დავიწყებოდეს ვისმე იგი თავისებური და უმწიკვლო. ამით გვიადვილდება მის მეგობართ სიმძიმილი მისი დაკარგვისა, მაგრამ, ვაი, თუ იგი და მისნი მსგავსნი განუმეორებელნი იყვნენ და იგინი აღარ წარმოიშვნენ საქართველოში! მე ამას ვსტირი და ამისი მეშინის, რათგან დრო, გამზრდელი მსგავს პიროვნებათა, წავიდა და როდის დადგება კვლავ, არავინ იცის: **რათგან ერი, წარმომშობი მსგავს ადამიანთა, მტერმა დაფლითა. იგი, მძვინვარე უსპობს მას ჯიშს, თესლს, დამბადებელს იმ ქართველთა, რომელთა ხასიათით და საქმით საქართველომ ათასეულთა განმავლობაში იარსება.**

დაიბეჭდა ჟურნალში „ბედი ქართლისა“, 1955 წ. N20. ჟურნალის ნომერიცა და ხელნაწერიც დაცულია სტამბოლის ქართველთა სავანეში.

სიტყვა თქმული ბ-ნ მ. წერეთლის მიერ ქართულ-გერმანულ საზოგადოების საღამოზე, რომელიც გაიმართა ბერლინში, „ესპლანადოს“ სასტუმროში, 27 მაისს 1918 წ. საქართველოს დელეგაციის პატივსაცემლად

ბატონებო! მადლობას ვსწირავთ ქართველები გერმანულ-ქართულ საზოგადოების გერმანელ წევრთ, რომელნიც ისეთივე სიხარულით მიეგებენ საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების ამბავს, როგორც ჩვენ თვითონ, ქართველები. მართლაც, საბოლოო მიზანი ჩვენი საზოგადოებისა ხომ ხანგრძლივი და დაუბრკოლებელი მუშაობა იყო ქართველთა და გერმანელთა თავისუფალ საქართველოს მიწაზედ.

ჩვენი ოცნება დღეს განხორციელდა. რუსეთის ყოფილ იმპერიის ნანგრევებზე სხვა სახელმწიფოთა შორის აღმოჩნდა კიდევ ერთი თავისუფალი სახელმწიფო, საქართველო, მაგრამ არავის ეგონოს, თითქოს საქართველოს ცხოვრებაში პოლიტიკური თავისუფლება და დამოუკიდებლობა ახალი რამ მოვლენა იყოს. **საქართველოს ორიათასი წლის ისტორია აქვს პოლიტიკური ცხოვრებისა.** ოცი საუკუნის განმავლობაში არსებობდა იგი, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფო და ხშირად ეჭირა მას საპატიო ადგილი აღმოსავლეთის თავისუფალ ერთა შორის. ხანანი უცხოთა ბატონობისა და საქართველოს სახელმწიფოებრიობის დათრგუნვისა, ყოველთვის გარდამავალი ეპიზოდნი იყვნენ მისის ისტორიისა. ასეთი ხანანი განვლეთ ჩვენ სასანიდების სპარსეთსა და ბიზანტიას შორის ბრძოლის დროს, არაბთა, მონღოლთა და შემდეგ თურქთა და სპარსთა შემოსევის დროს, მაგრამ უცხო ბატონობის განმავლობაშიაც საქართველოს არასოდეს არ დაუკარგავს პოლიტიკური დამოუკიდებლობის იდეალი, და რაჟამს გადიგდებდა ქედიდან უცხო უღელს, იგი კვლავ განაგრძობდა, როგორც სახელმწიფოებრივ ერი, თავის პოლიტიკურ ისტორიას.

რუსეთის ბატონობა საქართველოში 117 წლის განმავლობაში ერთი ამ გარდამავალი ეპიზოდთაგანი იყო მისის ისტორიისა და იმედია, უკანასკნელი. და მსგავსად იმისა, როგორც საქართველოს ეკლესიამ, ავტოკეფალიით მოსილმა მე-8 საუკუნიდან და 1811 წელში დატყვევებულმა უკანონოდა და ძალადობით რუსის სინოდის მიერ, აღიდგინა დამოუკიდებლობა 1917 წელს და მისი უფროსი დღეს არც ერთი პატრიარქის უფროსობას არა სცნობს; მსგავსად ამისა, აღსდგა საქართველოს სახელმწიფო, რომელიც 1801-1918 წლებში რუსეთის მიერ იყო დათრგუნვილი არა პირდაპირი ომითა და დაპყრობით, არამედ საქართველოსა და რუსეთს შორის დადებულ საერთაშორისო ხელშეკრულებათა დარღვევით, და გამოაცხადა რა დამოუკიდებლობა ოფიციალურად 26 მაისს 1918 წელს, იგი არა სცნობს არც ერთი სახელმწიფოს სუვერენობას, გარდა თავისის საკუთარის სუვერენობისა.

ბევრი მტერი გაუჩნდა მყისვე ახლად აღდგენილ საქართველოს სახელმწიფოს. რევოლუციის წინად თვითმპყრობელ რუსის მთავრობისაგან სამართალს ვის მოვსთხოვდით. რევოლუცია, რომელშიაც ქართველები დიდ მონაწილეობას იღებდენ დღიდან რევოლუციონური მოძრაობის დაწყებისა რუსეთში, **კერენსკის** პირით, ცეცხლითა და მახვილით გვემუქრებოდა, თუ გავბედავდით დ ჩვენ ეროვნულ უფლებათა აღდგენაზე ვიფიქრებდით. ბოლშევიკები არა სცნობენ ჩვენს უფლებებს სოციალიზმის სახელით, რადგანაც ჩვენ დამოუკიდებლად ვიმოქმედეთ და არა ვსცანით მათი რევოლუცია,–არა სცნობენ მიუხედავად იმისა, რომ თვით მათ

დიდის ამბით გამოაცხადეს პრინციპი ერთა თვითგამორკვევისა. აგრეთვე, სამართლის კაზუისტიკაც ყოველ ღონისძიებას იხმარს დაამტკიცოს, რომ მოტყუება, ხელშეკრულებათა დარღვევა და მოულოდნელი ოკკუპაცია რომელიმე ქვეყნისა არ არიან საერთაშორისო სამართლის საწინააღმდეგო საქმენი, რადგანაც ეს ასის წლის წინად მოხდა და... ასის წლის განმავლობაში იყო ერი უფლება-ახდილი! მაგრამ დღეს სხვა საერთაშორისო სამართლის მცნებაზედ ვემყარებით, რომელიც სრულიად ნათელია და ორაზროვნებას მოკლებული: ყველა ერს, რომელიც თავის ტერიტორიაზედ საკუთარ სუვერენობას შეჰქმნის, აქამომდე არსებულ სუვერენობის ნაცვლად, სრული უფლება აქვს საერთაშორისო განწყობილებანი დაიჭიროს სხვა სახელმწიფოებთან და მოსთხოვოს მათ მისი პოლიტიკური დამოუკიდებლობის აღიარება და სახელმწიფოებსაც უფლება აქვსთ აღიარონ იგი იმ სახელმწიფოს დაუკითხავად, რომელსაც ამ ახლად შექმნილ სახელმწიფოში ძველადა ჰქონია სუვერენობა.

ამ პრინციპის წინააღმდეგ სამართლის კაზუისტიკა უძლურია. მხოლოდ მაზედ უძლიერეს ფაქტორს შეუძლია ამ შემთხვევებში არა სცნოს ჩვენი არსებობის უფლება – პოლიტიკას! მგრამ პოლიტიკაც ცუდ მდგომარეობაში ჩავარდება, თუ მან არა სცნო უფლება ჩვენნი დამოუკიდებელი არსებობისა. რუსეთის ბატონობა საქართველოში მოისპო: რუსის ჯარები და მოხელეები აღარ არიან ჩვენში, მთელი სამხედრო და სამოქალაქო ადმინისტრაციის აპარატი რუსეთისა მოისპო, რუსებმა დასტოვეს კავკასია და ნაცვლად ამისა, არსებობს სამხედრო და სამოქალაქო მმართველობა საქართველოს სახელმწიფოისა და ნუთუ ამ ახალ სახელმწიფო ორგანიზაციას მოსპობენ და კვლავ რუსებს მოიხმობენ ჩვენში, როდესაც რუსებს თვით თავიანთ ქვეყანაშიაც ვერ დაუმყარებიათ წესიერება? ან იქნება, ახალი უცხო უღელი უნდათ დაგვადგან ქედზედ? მე არა მგონია, რომ პოლიტიკას ესა სურდეს საქართველოსათვის, მაგრამ ვიცი კი, რომ **ზოგიერთს პოლიტიკოსს კავკასიის ქვეყანათა შეერთებით უნდათ გააძლიერონ თავიანთი სამშობლო,** მაგრამ სიკეთე არ მოელის მათ სამშობლოს უცხო ქვეყანათა შემოერთებით, რადგანაც **შემოქმედებითი ძალა ერისა ჰქმნის მის დიდებასა და არა სხვისი საკუთრების მითვისება,** და იმ ერს, რომელსაც არა აქვს ნიჭი შემოქმედებისა და წინსვლისა, თვით მთელი ქვეყნის დაპყრობაც ვერ იხსნის სიკვდილისაგან.

ხოლო მიუხედავად იმისა, რომ რუსის სოციალიზმი და სამართლის კაზუისტიკა არა სცნობენ ჩვენს დამოუკიდებლობას, მიუხედავად იმისა, რომ შეიძლება ყოვლად ძლიერმა პოლიტიკამ და სამხედრო ძალამ კვლავ დაგვადგას მძიმე უღელი უცხო მონობისა, ჩვენ მაინც ვიტყვით, რომ სრული ზნეობრივი და აგრეთვე, ფორმალური უფლება გვქონდა რუსეთს მოვსცილებოდით და სხვა სახელმწიფოებისაგან მოგვეთხოვა აღიარება ჩვენის პოლიტიკურის დამოუკიდებლობისა. Eppur si muove! (მაინც ბრუნავს).

მაგრამ, საბედნიეროდ, მეგობრებიც გვყავს, უფრო ჭკვიანი და ზნეობრივად მაღლა მდგომნი, ვიდრე მტერნი ჩვენნი. ეს მეგობრები გვყავს **გერმანიაში, ავსტრია-უნგრეთში, ბულგარიაში** და სხვაგან. ინტერესთა ერთობა ჩვენსა და ჩვენს მეგობართა შორის დიდია და ამიტომ გვაქვს იმედი, რომ საქართველო მათის შეწევნით, უზრუნველჰყოფს თავის დამოუკიდებლობასა და ამასთანავე, გახდება ცენტრალურ სახელმწიფოთა ღირსეულ თანამშრომლად იმ დიადი მიზნის მისაღწევად, რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოთა ერებს ექმნებათ საქართველოში, კავკასიაში და მათგან დაშორებულ იმ ქვეყნებში, საითკენაც გზა საქართველოზე სძევს.

იქნება ბევრს ეგონოს, რომ საქართველოს არ შეუძლია დამოუკიდებელი პოლიტიკური ცხოვრება, რადგანაც მიწა მისი პატარაა და ერი მცირე. მით უმეტეს, შეიძლება დაებადოს ვინმეს ასეთი აზრი, რომ უკანასკნელ ცნობათა მიხედვით, ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, საქართველოზედ გაცილებით უფრო დიდი და მრავალეროვანი ქვეყანა, რომლის მხოლოდ ერთი ნაწილია საქართველო, უკვე დაინგრა და აღარ არსებობს მისი 22 აპრილის 1918 წ. ოფიციალურად გამოცხადებული დამოუკიდებელი მთავრობა.

მოკლედ გავსცემთ პასუხს ამ კითხვაზედ.–საქართველო არც ისე პატარა ქვეყანაა, როგორც ბევრსა ჰგონია. ბევრი ვიცით ისეთი დამოუკიდებელი სახელმწიფო, რომელიც საქართველოზედ კიდევ უფრო პატარაა. საქართველოს მიწა-წყალი უდრის დაახლოვებით ბულგარიის მიწა-წყალს და ხეობანი რიონისა, მტკვრის სათავეებისა და შუაგულისა, ჭოროხისა, შემდეგ ალაზნისა ჩრდილო-დასავლეთით, რაიცა შეადგენს საქართველოს, მთელს წინა აზიაში უმდიდრესი ქვეყნებია და ათი მილიონის გამოკვება შეუძლია, თუ კი მიწის მეურნეობა რაციონალურ საფუძველზედ იქმნა ჩვენში დამკვიდრებული. ამ ტერიტორიაზედა სცხოვრობს ახლა 3.000.000-მდის ხალხი, და ეკონომიურ ცხოვრების განვითარებისა და უკეთეს ჰიგიენურ პირობათა შეჰქმნის შემდეგ, შეიძლება საქართველოს მცხოვრებთა რიცხვი 30–40 წლის განმავლობაში გაორკეცდეს.

რაც შეეხება ამიერკავკასიის რესპუბლიკას, უწინარეს ყოვლისა, უნდა მოგახსენოთ, რომ იგი ნაყოფი იყო ქართულის პოლიტიკურის აზრისა. თვით იდეა, რასაკვირველია, კეთილშობილური იყო, მაგრამ ნაადრევი; და, აგრეთვე, თვით მეთოდები ამ იდეის განხორციელებისა იყო შემცდარი. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა დაირღვა, რადგანაც ის ელემენტები, რომლისაგანაც იგი შესდგებოდა, სულ სხვადასხვა, ურთიერთისათვის უცხო კულტურულ სფეროებს ეკუთვნიან, და როგორც მე ხშირად წინასწარ მითქვამს, შეუძლებელი იყო ამ მრავალფეროვან ელემენტთა ერთბაშად შეკრება და ერთსა და იმავე ნორმათა ქვეშე მოქცევა. ჩვენმა ქართველმა პოლიტიკოსებმა უკუღმა დაიწყეს საქმე. ჯერ თვითეულ ამ ელემენტთაგანს– ქართველებს, სომხებს, თათრებს, – უნდა ჩაეყარა საძირკველი საკუთარ პოლიტიკურ ცხოვრებისათვის – უნდა შემოეხაზა საბოლოოდ საზღვრები საკუთარის ტერიტორიისა, მისი უფლებანი აღსარებულ უნდა ყოფილიყვნენ მეზობელ ერთაგან, უნდა ამოერჩია საბოლოოდ მისი პოლიტიკური ორიენტაცია, გადაეწყვიტა საკუთარი პოლიტიკური ბედი, წესრიგი უნდა შეეტანა საკუთარ საზოგადოებრივ ცხოვრებაში, და როდესაც თითოული ამ ელემენტთაგანი განვლიდა ამ პროცესს თვით ორგანიზაციისა და თვით აღმაშენებისას, მხოლოდ მაშინ იქმნებოდა შესაძლებელი, საერთო ინტერესთა შეგნების შემდეგ, მათი კავშირი, ერთგვარი **კონფედერაცია**, რომლის უმთავრესი ორგანო საერთო პარლამენტი კი არ იქმნებოდა, არამედ **კონგრესი** ამ ელემენტების წარმომადგენელთა, რომელიც გადასწყვეტდა მხოლოდ საერთო ამიერ-კავკასიის საკითხებს.

ამიერ-კავკასიის კონფედერაციის შექმნა მომავლის საქმეა, ჩვენ პოლიტიკოსებს კი იგი დღევანდელი საკითხი ეგონათ. აქ არის ძირი შეცდომისა. და მართლაც, **ამიერ-კავკასიის ფედერატიულ რესპუბლიკის დაარსების ცოტა ხნის შემდეგ**, როგორც იმავე კულტურულ სფეროს ეკუთვნის, როგორც აღმოსავლეთის ამიერ-კავკასია, ბუნებრივ ნათესაობის კანონის ძალით მყის შეერთდენ მსგავსი კულტურული ელემენტები აღმოსავლეთ ამიერ-კავკასიისა და გარედან მოსული მხედრობისა, და დაინგრა ნაადრევი და ხელოვნურად შექმნილი პოლიტიკური შენობა ამიერ-კავკასიისა. მხოლოდ აღსრულებული ფაქტის შემდეგ ცხადიქმნა ის

შეცდომა, რომელიც ჩაიდინეს ქართველმა და კავკასიის სხვა პოლიტიკოსებმა. ხოლო **ჯერ იმედი არ დაგვიკარგავს ამიერ-კავკასიის ან კავკასიის სახელმწიფოს კვლავ აღდგენისა.** ორი რამ არის მხოლოდ აუცილებელი საჭირო ამ ჩვენი საბოლოო მიზნის განსახორციელებლად: **პირველი** ის არის, რომ ჩვენი ქვეყანა არ იქმნას დამონებული მეზობელ დიდ სახელმწიფოთაგან და შემდეგ ის, რომ კავკასიის ერებმა ზემოაღწერილი პროცესი განვლონ. ჯერჯერობით საქართველომ დაიწყო ეს დიადი საქმე თვითგამორკვევისა, და თუ სხვა ერები კავკასიისა საქართველოს ძმურად და გულწრფელად დაუჭერენ მხარს, მაშინ საქართველო კვლავ აღასრულებს თავის როლს **კავკასიის ერთა პოლიტიკურ ხელმძღვანელისას** და აღასრულებს, აგრეთვე, იმ ისტორიულ დანიშნულებას, რომელიც მას საუკუნეთა განმავლობაში ეკისრა კავკასიის ცხოვრებაში.

დიდია მნიშვნელობა თავისუფალი საქართველოსი და თავისუფალი კავკასიისა, როგორც ჩვენ ეს არა ერთხელ აღგვინიშნავს და როგორც ძლიერ კარგად იციან შორსმჭვრეტელმა პოლიტიკოსებმა, ეკონომისტებმა და უწინარეს ყოვლისა, კავკასიის მცოდნეებმა. პოლიტიკურად და ეკონომიურად ძლიერი საქართველო ცენტრალურ სახელმწიფოთათვის **ბუფერი** იქმნებოდა მტერთა იმპერიალიზმისა და ეკონომიურ კონკურენციის წინააღმდეგ მათ ინტერესთა დასაცველად წინა აზიაში და მთელს აზიაშიც. **კავკასიაზედ სძევს გზა,** რომელიც ცენტრალურ სახელმწიფოებს შეაერთებს თურქესტანთან, შეიძლება, აგრეთვე, დიდი რუსეთის სამხრეთ ნაწილთან, **ციმბირთან, ინდოეთთან** და **ჩინეთთანაც.** ეკონომიური კავშირი და პოლიტიკური მეგობრობა კავკასიასთან შეძლებას მისცემს ცენტრალურ სახელმწიფოებს ისარგებლოს არა მარტო კავკასიის აუარებელი სიმდიდრით, არამედ, აგრეთვე, იმ შორეულ ქვეყანათა სიმდიდრითაც, საითკენაც გზა კავკასიაზედ სძევს.

კავკასია იქმნება არა მარტო ხიდი ევროპისა და აზიის შუა გადებული, არამედ აგრეთვე, მას შეეძლება, თუ ეკონომიური განვითარება მოასწრო, რამოდენიმედ მაინც გაანთავისუფლოს ცენტრალური სახელმწიფოები იმ არასასურველ ეკონომიურ დამოკიდებულებისაგან, რომელიც მათ ამერიკის და ინგლისის კოლონიათა მხრივ უქადის.

და ჩვენ ვიცით, რომ გერმანიასა და მის მოკავშირეებს ნამდვილი ინტერესი აქვსთ კავკასიაში და არა წარმავალი. **კულტურისან შორსმჭვრეტელ დიდ ერს არ შეუძლია წარმავალი ინტერესი ჰქონდეს ისეთ ქვეყანაში, რომლის დიდ პოლიტიკურ და ეკონომიურ მნიშვნელობის უარყოფა შეუძლებელია. პოლიტიკა მდიდარ და აყვავებულ ქვეყანათა ძარცვისა და შეჭმისა არასოდეს არ ახასიათებდა გერმანელთა მოდგმას,** და თვით ხალხთა გადასახლების დროსაც კი ესმოდა ამ მოდგმას ღირებულება კულტურისა და ჭკვიანური სარგებლობა დაპყრობილ ქვეყნებითა.

ხოლო შეგნებული ინტერესი დიდის კულტურისანის ერისა ის უნდა იყოს, რომ აღადგინოს ბედის უკუღმართობისაგან დაცემული ერები, შთაბეროს მათ ახალი შემოქმედებითი სული, უხელმძღვანელოს მათ და ამ განთავისუფლებულ ერებთან ერთად მიაღწიოს დიდ საერთო მიზანთან. ნამდვილ ინტერესს დიდი ერისას, რომელსაც სურს მსოფლიო ისტორიას განსაზღვრული მიმართულება მისცეს, ის კი არ არის, რომ **თავისუფალ და ნიჭიერ ერთაგან მონა შეჰქმნას,** არამედ ის, რომ **მონათაგან შეჰქმნას თავისუფალი და კულტურისანი ერი, რაც ბალკანეთში მოხდა** ამ უკანასკნელ 10 წლის განმავლობაში. სულ ერთია, როგორც უნდათ ისე დააფასონ, ხოლო ერთი კი არის ცხადი და უეჭველი: ის დიდი პოლიტიკური და ეკონომიური

როლი, რომელიც ბალკანეთის სახელმწიფოებმა ითამაშეს უახლოეს ისტორიაში, ის დიდი ინტერესი, რომელიც იქა ჰპოვეს ევროპის დიდმა ერებმა, – ყოველივე ესე წარმოუდგენელი იქმნებოდა, რომ ბალკანეთის ერები საუკუნო ყმებად დარჩენილიყვნენ უცხო უღლის ქვეშე. და უდიდესი საქმე ერთა განთავისუფლებისა, **გერმანიის მიერ აღსრულებული,** ფინლანდიიდან შავ-ზღვამდე! ვის შეუძლია დაამტკიცოს, რომ ეს მსოფლიო საისტორიო საქმე ეწინააღმდეგება გერმანიის ინტერესებს? და საზოგადოდ, კულტურისან ერისათვის კავშირი და რამოდენიმედ თვით მტრობაც ენერგიულ, თავისუფალ და შემოქმედებითის ნიჭის მქონე ერებთან განა უფრო ხელსაყრელი არ არის, ვიდრე დამონებულსა და სულით საპყარ ერებთან? ვინაიდან: **„არარაობა გამოვალს მხოლოდ არარაობისაგანა“-ო, სთქვა შექსპირმა.** დიახ, სულ ის ცრუ, ძველთაგან ნაანდერძევი სახელმწიფო იდეა გვირევს გზასა და კვალს და ტყუილს რწმენას გვაძლევს, თითქოს ერთის ერის მოსპობა მეორესათვის ხელსაყრელი იყოს!..

ეჭვს გარეშეა, რომ თავისუფალი, ძლიერი და მდიდარი საქართველო უფრო გაუწევს სამსახურს გერმანიის ინტერესებს აღმოსავლეთში, ვიდრე განადგურებული და დამონებული. აუარებელ ღირებულებათა შეძენა შეუძლია გერმანიას ეკონომიურად ძლიერ საქართველოს-თან თანამშრომლობით. საქართველოს მხოლოდ მაშინ შეუძლია გერმანიას დაეხმაროს კავ-კასიის განუზომელ სიმდიდრეთა დამუშავების საქმეში, თუ იგი თვით იქმნება ეკონომიურად განვითარებული. **საქართველო გზას გაუკაფავს გერმანიას შუა-აზიისაკენ** მხოლოდ მაშინ, როდესაც იგი პოლიტიკურად დამოუკიდებელი და ძლიერი იქმნება და სამეურნეო მოქმე-დებაში საქმიანობის სულს ჩაიდგამს. კავკასიის ნედლ მასალას–**შავ-ქვას, სპილენძს, მატყლს, ბამბას, ნავთს, ხე-ტყესა და** სხვ. –ყოლისფერს, რაც გერმანიას აუცილებლად სჭირდება, მხო-ლოდ მაშინ გამოიტანს უფრო ადვილად გერმანია კავკასიიდან და ამ მასალის ადგილობრივ სამრეწველო საგნებად ქცევაც მხოლოდ მაშინ იქმნება მისთვის უფრო ადვილად შესაძლებელი, როდესაც დამხმარე ქვეყანა თვით დადგება კულტურულ და ეკონომიურ განვითარების მაღალ საფეხურზე, აგრეთვე, განვითარებულს ერს უფრო ადვილად შეუძლია შეიგნოს საჭიროება ლოიალურ კავშირისა თავის მფარველთან და მასთან ერთად, დაიცვას საერთო პოლიტიკური ინტერესები. **ამიტომ უნდა ჰქონდეს გერმანიას დიდი ინტერესი საქართველოს თავი-სუფლებისადმი**, და თუ მალე მოხერხდა საქართველოს დამოუკიდებლობის საფუძველზედ კავკასიის ერთა დამოუკიდებელ კონფედერაციის შექმნა, რომელიც გერმანიისადმი ისეთსავე ლოიალობას გამოიჩენს, როგორსაც საქართველო, მაშინ გერმანიას კიდევ მეტის რწმენითა და იმედით შეუძლია დაემყაროს მისის აღმოსავლეთის პოლიტიკოს შედეგთა საფუძველზედ.

ხოლო გერმანიას კიდევ სხვა ინტერესი უნდა ჰქონდეს საქართველოში და კავკასიაში, ინტერესი ბევრად უფრო კეთილშობილი,–ესე არს სულიერი, მეცნიერული.

კავკასიაში არიან ხალხთა მოდგმანი–თვით **ქართველები და კავკასიის მთიელნი**, რომელთაც არც ერთ დღეს არსებულ მოდგმასთან არა აქვსთ გენეტიკური ნათესაობა. მათ უფრო წინა-აზიის უძველეს, დღეს აღარ არსებულ მოდგმებთან უნდა ჰქონდესთ ნათესაობა. ანთროპოლოგიას ჯერ კიდევ დიდი კვლევა-ძიება მჭირდება ამ **თავისებურ მოდგმათა პრობ-ლემის გამორკვევისათვის, ვინაიდან რასათა პრობლემა კავკასიისა უდიდეს მსოფლიო ისტო-რიულ და კულტურულ პრობლემებთან არის შეკავშირებული**.

ქართველ ერის თავგადასავალს ქრისტეს წინად მე-XI საუკუნიდან დღემდე შეუძლია ადევნოს თვალი ისტორიამ. მისი პირველყოფილი სამშობლო მცირე-აზიაში, მისი გამოსვლა

მცირე აზიიდან უძველეს დროიდან და მოძრაობა შავი-ზღვის ნაპირებისაკენ, მისი შემოსვლა კავკასიაში, დაარსება მისი სახელმწიფოსი ქრისტეს დაბადებამდის რამდენიმე საუკუნით **ადრე, შემდეგ მისი საქრისტიანო კულტურა,** მისი მწერლობა და ხელოვნება, რომელთა პირველნი ნაშთნი ქრისტიანობის პირველ საუკუნიდან მოგვეპოვება **(ქრისტეს წინად არსებულნი კი ჯერ კიდევ არ არიან აღმოჩენილნი)**, მისი ეკლესიის საინტერესო ისტორია, განვითარება მისი სახელმწიფოებრივობისა და მის საზოგადოებრივ ცხოვრებისა, მისი ისტორიული ბედი და მათი დამოკიდებულებანი აღმოსავლეთისა და საბერძნეთის კულტურულ ქვეყნებთან,–ესე ყოველი ინტერესით აღსავსე საგანია პოლიტიკურ ისტორიისათვის და კულტურულ ისტორიისათვის, ვინაიდან ყველა პრობლემანი, რომელნიც მეცნიერების წინაშე სდგებიან საქართველოს წარსულ ცხოვრების კვლევის დროს, არიან, აგრეთვე, მსოფლიო ისტორიისა და კულტურის პრობლემებთან შეკავშირებულნი.

ენა ქართველთა და აგრეთვე, ენანი ეგრედწოდებულ კავკასიის ავტოხტონთა, აგრეთვე, **უდიდეს პრობლემას წარმოადგენენ ენათ-მეცნიერებისათვის, მსგავსად იმისა, როგორც მოდგმა კავკასიის ერთა უდიდესი პრობლემა არის ანთროპოლოგიისათვის, რადგანაც კავკასიის ენათა ჯგუფთ, აგრეთვე, არა აქვსთ არავითარი ნათესაობა არც ერთ დღეს არსებულ ენათა ჯგუფთან.** მათ, აგრეთვე, დღეს უკვე აღარ არსებულ უძველეს კულტურულ ერთა ენათა ჯგუფებთან აქვსთ **გენეტიური ნათესაობა,** განსაკუთრებით **მცირე აზიისა და თვით ეტრურიის უძველეს ხალხთა ენებთან.** დღეს კი **კოპტური** და **აბისსინური** ფილოლოგია უპირველეს შტოებად ითვლებიან–თუმცა სრულის სამართლით–გერმანულ ენათ-მეცნიერებისა, ხოლო **ქართული –ნამდვილი გერია მისი.**

რაც დღეს ქართულ ეროვნულ მუზეუმში და კავკასიის სხვა მუზეუმებში მოგვეპოვება, უმეტეს ნაწილად ჩვენი მიწის ზედა-პირზედ არის ნაპოვნი, გარდა სომეხთა ქალაქ **ანისის ნანგრევთა ნაშთებისა,** რომელიც ქართველმა მეცნიერმა, პეტერბურგის უნივერსიტეტის პროფესორმა **ნ. მარმა** ამოთხარა. სისტემატიური თხრა, თუ ეს საქმე ნამდვილ მეცნიერულ მეთოდებით იქმნება აღსრულებული საქართველოში და კავკასიაში, საუცხოვო ნაყოფით გაამდიდრებს **არქეოლოგიის მეცნიერებას. მაგალითად, ქართული და სომხური ხელოვნება ნაკლებად არ არის საინტერესო მეცნიერებისათვის,** ვიდრე **ქართული და სომხური მწერლობა**, და ის მეცნიერნი რომელთაც სერიოზულად დაიწყეს კვლევა ქართულ და სომხურ ხელოვნების პრობლემათა, მალე დარწმუნდენ, რომ ამ პრობლემათა გადაწყვეტა ძლიერ შუქსა ჰფენს ევროპის ერთა ხელოვნების ისტორიის ზოგიერთ რთულ მოვლენათა.

აგრეთვე, ბუნების მეტყველნი–ზოოლოგები, ბოტანიკოსები, მინერალოგები, გეოლოგები და სხვ. ჯერ კიდევ ბევრს მასალას ჰნახავენ კავკასიაში თავიანთ მეცნიერებისათვის. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, **ეთნოლოგებს, ეთნოგრაფებს, სოციოლოგებსა** და **ეკონომისტებს** უნდა მოვაგონოთ, რომ მთელს ქვეყანაზედ ძვირად მოიპოვება ისეთი ხალხთა მრავალფეროვანობით აღსავსე ქვეყანა, როგორიც არის კავკასია, **სადაც ვხედავთ განუზომელ მრავალფეროვნებას** სოციალური აგებულებათა, **ზნე-ჩვეულებათა, გადმოცემათა, ხალხურ მუსიკისა და პოეზიისა, მითოლოგიისა და სარწმუნოებრივ წარმოდგენათა, ეკონომიურ განვითარების საფეხურთა და სხვ.** შესწავლა კავკასიის ხალხთა ამ მხრით აუარებელ მასალას მისცემდა სოციალურ მეცნიერებას მის განზოგადოებათათვის. **ქრისტიანე ქართველობა და სომხობა** მათის მდიდარის ისტორიითა და საკმარისად განვითარებულ სულიერ კულტურითა და ეკონომიურ

ცხოვრებითა, **მაჰმადიანი თათრობა** მათის საზოგადოებრივის ცხოვრების განსაკუთრებითის აგებულებითა, **მთიელნი** მათის თითქმის პირველყოფილ სოციალურ ორგანიზაციითა და სარწმუნოებრივ წარმოდგენებითა,–აქ ადამიანის კულტურულ მდგომარეობათა მთელს რიგს ვხედავთ, და შეგვიძლია მათის შესწავლის შემდეგ მთელი პროცესი წარმოვიდგინოთ ადამიანის კულტურისა და საზოგადოებრივობის განვითარებისა მათ უმდაბლეს საფეხურთა-გან მოკიდებული უმაღლეს საფეხურებამდის.

ბევრი არის უკვე გაკეთებული კავკასიის კვლევისა და შესწავლის მხრით ევროპიელ, რუს, ქართველ და სომეხ მეცნიერთა მიერ. ამ ომის წინად პროფ. **მარრმა** დაარსა სპეციალური მუზეუმი **ანისის ნაშთთა საცავად** თვით ქ. **ანისში.** შემდეგ, ამ ომის დროს, მანვე დაარსა **თბილისში ამიერ-კავკასიის არქეოლოგიური ინსტიტუტი.** თბილისშივე იმყოფება კაიხნიდან ქართველთა ეროვნული მუზეუმი. კაიხნიდანვე მოქმედებს თბილისში ქართული ისტორიულ-ეთნოგრაფიული და სომხური ისტორიულ-ეთნოგრაფიული საზოგადოება და სხვ. მაგრამ ყველაზე უფრო საყურადღებო ის არის, რომ **ამა წლის იანვარში დაარსდა თბილისში ქართული უნივერსიტეტი**. შევკრიბეთ ყველა ჩვენი სამეცნიერო ძალები, რომელიც რუსეთში იყო გაბნეული. რუსეთში მყოფ ქართველ მეცნიერთაგან თითქმის ყველამ, დამსახურებულმა მხცოვანმა მეცნიერებმაც კი მიაშურეს თბილისს, დასტოვეს რა რუსეთის უნივერსიტეტთა კათედრები, და დღეს ქართულ უნივერსიტეტში ქართულად ჰკითხულობენ ლექციებს. ამით ჩვენს ეროვნულ მეცნიერებას საძირკველი უკვე ჩაეყარა. და ჩვენთვის ქართულად მეცნიერების კულტურაც არ არის ახალი საქმე. საშუალო საუკუნეთა სქოლასტიკის დროიდან დღემდე კულტუროსან ერთა სულიერ მოძრაობას განუწყვეტლივ ვადევნებთ თვალყურსა და შეძლებისადაგვარად ჩვენს ენაზედ ვიკვლევთ იმავე პრობლემებს, რომელიც აინტერესებდა ძველად და აინტერესებს დღეს **ევროპის ფილოსოფიასა და მეცნიერებას**, ხოლო იმედი გვაქვს, რომ ქართულ უნივერსიტეტში გემანელთა დახმარებითა და გერმანელ და ქართველ მეცნიერთა თანამშრომლობის წყალობით, ქართულ მეცნიერებას სასურველ ხარისხამდე აღიყვანთ და აგრეთვე, მალე მოვისმენთ თბილისის უნივერსიტეტში გერმანელ პროფესორთა ლექციებს ჯერ გერმანულად და რამოდენიმე წლის შემდეგ და აგრეთვე, ქართულად. და ეს იქმნება საუკეთესო საშუალება იმ კავშირის განმტკიცებისა, რომელიც დღეს არსებობს გერმანიასა და საქართველოს შორის, **ვინაიდან საერთო სულიერი ინტერესი კიდევ უფრო განამტკიცებს კავშირს ორ კულტურულ ერთა შორის, ვიდრე წმინდა ნივთიერი**.

ბატონებო, ჩვენი ისტორიული ბედი, თვით ტრაგიზმი ჩვენის არსებობისა ის იყო, რომ მიუხედავად ჩვენის აზიაში ყოფნისა და მიუხედავად აღმოსავლეთის კულტურის დიდი გავლენისა მთელს ჩვენს არსებაზედ, **არასოდეს არა გვწადდა აღმოსავლეთის ერი ვყოფილიყავით**, იმ ჟამიდან მოკიდებული, ოდეს შევიმოსეთ ქრისტეს სარწმუნოებითა და ამ სარწმუნოების საფუძველზედ აღვაგეთ ჩვენი **ეროვნული კულტურა**. ამ სარწმუნოებისა და ამ საქრისტიანო, ეროვნულ კულტურის დასაცველად, **აღმოსავლეთის წინააღმდეგ ბრძოლაში, დავბერდით და დავიღალეთ**. აუარებელ მტერთა წინააღმდეგ ბრძოლამ გამოგვილია ბოლოს და ბოლოს ძალა და გვაიძულა, რომ **რუსებისათვის გაგვეღო დარიალის კარი** და გვეხმო იგინი ჩვენდა დასახმარებლად. მაგრამ ჩვენი პოლიტიკური ბედის გადაწყვეტის თვით უკანასკნელ წუთშიაც კი სანატრელი არ იყვნენ ჩვენთვის რუსები. **პრუსიაში და ავსტრიაში** გამოვაგზავნეთ მაშინ მოციქულები, რომ აქ გვენახა შემწეობა. ის მოციქულები გზაში დაიღუპნენ–სად და როგორ,

ამაზედ აქ არას ვიტყვით–და ვერ მოაღწიეს აქამდის. კარი დაგვეხშო ამგვარად, ევროპისაკენ გამოსავალი, **მხოლოდ რუსეთს შეეძლო ჩვენი ხსნა**,–სხვა გზა არა გვქონდა,–და,– და მასაც შევეკარით ჩვენ მაშინ ის ცნობილნი ხელშეკრულებანი, რომელნიც რუსეთმა შემდეგ დაარღვია, და ჩვენ შემწეთვე დაგვიმონავეს ჩვენ! ხოლო დღეს ბედმა კვლავ განგვათავისუფლა რუსეთაგან და შეგვაკავშირა სწორედ იმ ერებთან, რომელთაც ასი წლის წინ შველად ვიხმობდით საქართველოში. **ბედი გვეწეოდა დასავლეთისაკენ საუკუნეთა განმავლობაში**. ჩვენი გონება, თვით ჩვენი ინსტინქტი გვეუბნებოდა ყოველთვის და გვეუბნება დღესაც, რომ **ხსნა ჩვენი არა არს არც აღმოსავლეთში, არც ჩრდილოეთში, არამედ დასავლეთში**, და ეხლა, ოდეს მივაღწიეთ საბოლოოდ სანატრელ ადგილს, რომ აქ მოვნახოთ საფუძველი თავის დაცვისა და ხანგრძლივ მშვიდობიანობის დამყარებისა ჩვენში, რომ აქ განვამტკიცოთ საუკუნო კავშირი ჩვენი დასავ-ლეთთან, ვუსურვოთ საქართველოს, რომელმაც **ასურთა ჟამიდან არ იცის, რა არს მოსვენება**, რომ მას კვლავ აღარასოდეს ეხილოს მტერთა შემოსევანი და გერმანიისაგან ზურგ-გამაგრე-ბულს, საკუთარ კეთილდღეობისათვის და მისის დიდის მოკავშირის სასარგებლოდაც, კვლავ ნაყოფიერად განეგრძოს **ეროვნულ-კულტურული მოქმედება თვისი**.

ჩვენდა სასიხარულოდ, სახელმწიფო სეკრეტის ბ-ნ ფ. **კიულმანის** უკანასკნელად რეიხს-ტაგში წარმოთქმულმა სიტყვამ დაგვარწმუნა, რომ საქართველოს პოლიტიკური ბედი მართ-ლაც სასურველად იქმნება გადაწყვეტილი.

დაიბეჭდა „ქართულ გაზეთში“. იხ. N15, 1918 წელი, სტამბოლი. ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ზაქარია ჭიჭინაძე

ისტორიული მიმოხილვა

ლიუტერის სჯულის სწავლის დაწყება საქართველოში და ათაბაგი მზე ჭაბუკ დიდი.

XVIII საუკ.*

ბიზანტიის იმპერიის დამხობამ (1453 წ.) საქართველოში ერზე მეტად ცუდი გავლენა იქონია. ქართველთა აზრით, ბიზანტიის დამხობით თვით საქართველოს დიდი უბედურება მოელოდა, ვინაიდგან ქართველებს კარგად ესმოდათ ის გარემოება, რომ ბიზანტიის დამხობის შემდეგ, მტერი ადვილად მოადგებოდა ტრაპიზონის იმპერიას და აქედან საქართველოსაც შემოესეოდა.

ოსმალთა სურვილი ქართველებმა კარგად იცოდენ. იცოდენ მათი ბარბაროსობა და ისიც, რომ იგინი თავისით დამორჩილებულებს მერე უსათუოდ ისლამთან დაკავშირებასა და გათათრებასაც დაუწყებდენ.

სწორედ ეს იყო უფრო იმის მთავარი მიზეზი, რომ ქართველები ასე მწარედ გლოვობდენ ბიზანტიის დაცემასა და განადგურებას.

ქართველები იმასაც აღიარებდენ მაშინ, რომ ბიზანტიის დამხობა მთელის საქრისტიანო ერის სწავლა-განათლების დაცემა და მოსპობა არისო. ამის გამო, ქართველებმა სასტიკით შეიძულეს ოსმალთა ბარბაროსობა.

ბიზანტიის დამხობა ქართველებისათვის ბევრ ნაირის მხრით იყო საყურადღებო, ნამეტურ მითაც, რომ ქართველთა და ბიზანტიელთა სულიერი ნათესაობა და მეზობლური განწყობილება, ძველი დროიდანვე განმტკიცებული, რასაც ერთობ მდიდარი, დიდი საერთო ბიზანტიურ-ქართული ისტორია აქვს.

ქართველთა და ბიზანტიელთა სულიერი თუ პოლიტიკური კავშირი იქამდის დაახლოვებული იყო და ორივე ერისთვის იმდენად ცნობილი, რომ თვით ბიზანტიას ოსმალთაგან დამხობის დროსაც კი ქართველ და ბიზანტიელ მეფეთა შორის ახლო კავშირის ძაფი არ გაწყვეტილა. ამის შესახებ ცნობა ისტორიკოს **გიბონსა**, და საქართველოს მეისტორიებსაც აქვსთ მოხსენებული. აქ მოვიყვანთ გიბონის ურთიერთობაზედ. გიბონი აი, რას სწერს: ბიზანტიის იმპერიის დამხობა თვით ბიზანტიელთა ბრალიაო, თვით ესენი არიან დამნაშავენი ამ დიდს უბედურებაშიო.

იმ დროს, როცა ბიზანტიელთ ასეთი მომავალი ელოდათ, საქართველოში მეფობდა მეფე **გიორგი ბრწყინვალე**[1], რომლის კაი მეგობარიც იყო ბიზანტიის იმპერატორისა. ამავე უბედურების დროს, ბიზანტიის უძლური და უბედური იმპერატორის გონება ისე იყო მოქარგული, რომ მისი მოწინავე კაცები მთელს დუნიაზე დაიარებოდენ და იმპერატორისათვის საცოლოს ეძებდენ. ბოლოს, ამ მოწინავე სახელმწიფო კაცებს ქართველთა მეფის გიორგი ბრწყინვალეს კარამდეც მიაღწიეს და მას აუწყეს თავისი განზრახვა და სთხოვეს, რომ ქართველთა მეფეს თავისი ქალი ბიზანტიის იმპერატორისათვის მეუღლეთ მიეცა. მეფე თანახმა იყო; ამის საქმეც გაიწალდა. მოწინავე კაცნი საქართველოდამ დაბრუნდენ ბიზანტიაში და იმპერატორს ამბავი

---

* ცნობები ამოღებულია ჯერედ დავბეჭდავ ისტორიულის მასალებიდან და ქართველ კათოლიკეთა მღვდლების „მისიონერული დღიურიდან“, 1882 წ. ზ.ჭ.

[1] უნდა იყოს გიორგი VIII-საქართველოს მეფე ( ) და არა გიორგი ბრწყინვალე (შ.ფ.).

წაუღეს, მაგრამ, ვიდრე ესენი ბიზანტიაში მივიდოდენ, ბიზანტიის იმპერია ოსმალებს უკვე დაემხოთ.

ამ გარემოებამ ჩაშალა ქართველთა და ბიზანტიელთა დანათესავების კავშირი.

იგივე სწერს: „ბიზანტიის იმპერატორი, თითქმის უგონო, უძლური და უსწავლელი კაცი იყო, იყო ისეთი, როგორც, საზოგადოთ, ყველა ხელმწიფე არის.

იმავე გიბონის სიტყვით, იმპერატორზე მეტად დიდი გავლენა ჰქონდათ ბერძნის ბერებს და ეპისკოპოსებს. ესენი არწმუნებდენ იმპერატორს, რომ ოსმალნი ვერა ღონისძიებით კონსტანტინეპოლს ვერ აიღებენ, სოფიას საყდარს ვერ მიუახლოვდებიანო. ოსმალნი რომ შემოვიდენ სტამბოლში, მაშინვე ციდამ ანგელოზები ჩამოვლენ და ყველა მათ უკანვე გარეკავენო. იმპერატორი ისე დაარწმუნეს ბერებმა, რომ იგი მხოლოდ ღვთისგან ელოდა შველასა და ქვეყნის ხსნას. მტერი კი უშიშრად შევიდა კონსტანტინეპოლში, აიღო იგი და სოფიას საყდარი დაიკავა. ამგვარად, დაემხო ძველი ბიზანტია, განათლების კერა და ცივილიზაციის საძირკველი.

ბიზანტიის დამხობამ ქართველები დიდათ დააღონა, ქართველებმა კარგათ იცოდენ, რომ ოსმალნი ახლა ყველაფერს გაანადგურებდენ. განსაკუთრებით ის იყო ქართველების საწუხარი და სადარდებელი, რომ ქართველები სჯულის გაცვლის უმალვე გადაგვარებასაც დაიწყებენ ხოლმეო. ქართველებს ისიც ადარდებდა და აწუხებდა, რომ ბიზანტიის დაცემის შემდეგ მტერი მის სწავლა–განათლებასაც მოსპობდა.

ამის დარდით ქართველთა დრტვინვა ისე ძლიერი იყო, რომ ისინი ისეთი ნაციონალისტები გახლდენ, რომ ქრისტიანობასაც-კი ადვილათ დასთმობდენ და ისლამს მალე შეურიგდებოდენ, ოღონდ საქართველოს ხსენება არ გამქრალიყო, ქართველი ხელოვნება, ქართული ჩუქურთმა, ქართული მხატვრობა, ქართული ენა და წიგნი შენახულიყო, საქართველოს ტერიტორიას არაფერი ჩამოგლეჯოდა; **ასეთი მცნება ქრისტიანობასა და ისლამზე, ქართველთა შორის, დავით აღმაშენებლის დროიდან დამკვიდრდა, რომელი მეფეც თითქმის ამ აზროვნების წარმომადგენლათ ითვლება, ვინაიდგან იგი ისლამსაც ისე სცემდა პატივს, როგორც ქრისტიანობას, თვით ეს მეფეც კი დაიარებოდა სალოცავათ, როგორც ქრისტიანების საყდრებში, ისევე მუსულმანთა სალოცავებში და ებრაელთა თორაშიაც, სომხის საყდარშიც კი ხშირად იყო და კათოლიკებსაც დიდათ სცემდა პატივს**. ასეთი ინდეფერენტული შეხედულება ქართველებში **დავით აღმაშენებლის** შემდეგ, მტკიცეთ და მკვიდრად დაინერგა, ასეთი შეხედულება ქართველებისათვისრთული იყო. ამას იწვევდა მათში ის პირობები, რომ მათ დიდათ სძულდათ გადაგვარება, გადაკეთება, გადასხვაფერება და სხვ., რაც მაშინ დამონებულ ერთა ყოველთათვის კარს იდგა.

ეს გარემოება იყო ქართველების დარდი. ამისათვის ეკრძალებოდენ ყველაფერს იგინი. მათი ამ ქვეყნიური დევიზი იყო მათი მშობელი ტერიტორიის შენარჩუნება, ქართველი ტომის არ მოსპობა. ქართველი ერის ასეთი სულიერი სიმაღლის ძალას თვით ქართველნი სიგელ-გურჯებშიც გვაუწყებენ. თვით სოფლის ბოგანოც კი არაფერ შემთხვევაში არ დაეთხოვებოდა ერთ მტკაველ მიწას და არავის დაუთმობდა, რაც უნდა ბევრი ფული მიეცათ მისთვის. ასეთის თვისებისა იყო, როგორც ბოგანო გლეხი, ისევე შეძლებული გლეხი, აზნაური, თავადი და თვით სულიერი მამაც– საყდრის პატრონი მღვდლები და ბერებიც. ამას ცხადათ ასაბუთებენ საეკლესიო სიგელ-გუჯარები, რომლის რიცხვიც ბევრია დაბეჭდილი ქართულ მწერლობაში.

II

ასე აფასებდენ ძველად ქართველნი საქართველოს ტერიტორიას, ქართულ ენას, მწიგ-ნობრობას და ქართველ სულიერ ძალას; ამიტომაც იყო, რომ ძველად ქართველნი ქვეყნის ოთხსავ კუთხით აწყდებოდენ აქეთ-იქით და ეძებდენ ყოველნაირ შველას და შვებას, რომ ეგები როგორმე მტრის გავლენისაგან მტკიცედ დაეცვათ ქვეყანა, დედა ენა, ქართული წერა-კითხვა და თავისი ვინაობა.

ასეთი მტკიცე მამულისშვილები იყვნენ მაშინდელი ქართველები. აქ ამით ძველი რეტ-როგრადობა არავინ დაგვწამოს. ქართველებში უკუღმართი ხულიგნები არც ძველად იყვნენ და არც დღეს არიან; ქართველები იყვნენ თავის მიწა-მამულის მოყვარულნი, ცხარე ნაციონა-ლისტები, მაგრამ ესენი სხვებს კი არ ეცილებოდენ და არ ართმევდენ მამულს, არამედ ამ ცხარე ნაციონალისტობით თავიანთ ავკარგიანობის ხელშეუხებლობას ითხოვდენ. ამიტომაც იყო, რომ ქართველები ოსმალ-სპარსებს და მთლად მთელ მუსულმანობას საქართველოს ერთ მტკაველ მიწასაც არ უთმობდენ ადვილათ. ამ გვარად, მუსლიმანებს ქართველებთან მუდმივი ბრძოლები მობეზრდათ და განიზრახეს მისი დამხობა და მოსპობა.

ამის განსახორციელებლად საჭირო გეგმაც შეიმუშავეს და მალე საქმესაც შეუდგენ.

ჩვენ ისტორიით ვიცით ის გარემოება, რომ ქართველები ძველადგანვე დიდი ნაციონალის-ტები იყვნენ, ყოველი ქართველი გამჭვალული იყო საქართველოს სიყვარულით; საქართველოს ტერიტორია ქართველ კაცისთვის ძვირფასი იყო, უამისოდ სიცოცხლე მისთვის ძვირფასი არ იყო, და ამიტომ ქართველი სთმობდა ყოველთვის ყველაფერს; ადვილად არ ელეოდა თავის ტერიტორიასა. ტერიტორიის შესანარჩუნებლად ქართველები მუდამ სასტიკ ომს აწარმოებდენ სპარს-ოსმალებთან, იმ ძლიერ მტრებთან, რომელთაც აღმოსავლეთ სლავიანთა ყველა პატარა სამეფოები დაიპყრეს და მოსპეს მათი სახელმწიფოებრივი მართვა-გამგეობა.

აი, ასეთმა ძლიერმა სამეფოებმა ვერ დაიმორჩილეს პატარა საქართველო, ვერ მოსპეს ისე, როგორც მათ სურდათ. რაკი ბარბაროსმა მტერმა ვერ მოსპო ეს ტურფა ქვეყანა თავის ძალით, სამოქმედო გეგმა შესცვალა, რომელ გეგმის განსახორციელებლადაც მან საქართველოს თავად-სა და მთავრებს შორის იპოვნა თვისი თანამოაზრენი და ერთგულნი, რომელნიც ორგულობას უწევდენ იმერეთისა და ქართლის მეფეებს. ამ გარემოებამ საქართველოს შინაური საქმეები ერთობ არია, ამ ორგულობისათვის ქართველი თავადები საქართველოს მტრებისაგან დახმა-რებას და საჩუქარს ღებულობდენ. გაორგულებული თავადი აკეთებდა ციხეს ერის რომელიმე ხეობაში და თვით ცხადდებოდა ხსენებული კუთხის მეფეთ, მფლობელათ და თავადათ.

რაკი საქართველოს ერთ სამეფოს, შიგ თავის მიწა მამულზე აუარებელი მტერი გაუჩნდა, ამიტომ გარეშე მტრებმა ფრთები შეისხეს და ხშირად დაიწყეს საქართველოზე დაცემა, ანუ თავდასხმითი ბრძოლის წარმოება. ესენი ყოველთვის სძლევდენ ხოლმე ქართველებს, რად-განაც შინაურები ღალატობდენ. მეფე კიდევ ვერას აწყობდა, ოთხსავ-კუთხით შემოსულ მტრებთან, ამიტომაც მან ისურვა თავის თავის დასაღუპათ, თუ ქვეყნის საშველათ, ერთ საქართველოს სამეფოს სამ სამეფოთ და ხუთ სამთავროთ გაყოფა.

ქართველ კათოლიკების გასომხება

რაკი საქართველოს ერთობა დაეცა და ქართველი ერიც წაიქცა, მის შემდეგ მთელ ქართველობის არსებობის საქმეც სავალალო შეიქმნა.

ნათქვამია,– ხე რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ზედ მიადგებაო.

ასე მოგვევლინა ჩვენც! რაკი მუსულმანებმა დაგვიჯაბნეს და დაგვიწყეს გადაგვარება, არც სხვებმა დაგვაყარეს სიკეთე და თვით ქრისტიან სომხებმაც დაგვიწყეს გადაკეთება და გადაგ-ვარება; პირველად სომხებმა ქართველებს კი არ დაუწყეს გადაგვარება, ეს მათ ვერ გაბედეს; მათ დაუწყეს გადაგვარება ქართველ კათოლიკებს. ამათი მოქმედების პირველი ნაბიჯი ქართველ კათოლიკეთა გადმოგვარებით იწყება და XVII საუკ. ბოლოს, იგინი ქართველ მართლმადიდებ-ლობასაც მრავლად ასომხებდენ.

აქ მოკლედ მოვიყვანთ ქართველ-კათოლიკეთა გასომხების ისტორიასაც. ქართველ კათო-ლიკებს, რომის სასულიერო მთავრობა, სიშორის გამო ჯეროვან ყურადღებას ვერ აქცევდა, ამიტომ მათ ქართველ-კათოლიკეთა მართვა-გამგეობის საქმე მხითარისტის სომეხ-კათოლი-კეთა ბერებს მიანდვეს. ეს მათთვის იყო აღდგომა და დიდი ეროვნული სიმდიდრის შოვნა. მხი-თარისტების ძმობა ჯერ არც კი იყო დაარსებული, რომ სომხის გვარის მოყვარე კათოლიკენი ქართველებზეც გულმოსულნი იყვნენ. ისინი საქართველოს სომხეთად სთვლიდნენ და ქართველებზე ჯავრიც მოსდიოდათ, რომ ამ წყეულებმა კი შეინახეს თავის სამეფო და სომხეთი კი ადრე დაიმხოვო. სომხეთის დაცემას ქართველებს აწერდენ, ამიტომაც ამ „**აზგასერებმ**ა“ ქართველობა და საქართველო ძირიან ფესვიანად უარ ჰყვეს. 1600 წელს ევროპაში რამდენჯერმე სომხეთის კარტა დაბეჭდეს და **იქ საქართველო სომხეთად მოიხსენეს** და ასე აღნიშნეს, რომ იგი სომხეთიაო. ამათმა გველობამ თავისი ნაყოფი გამოიღო.

1620 წლებში, როცა რომის ტახტმა გადასწყვიტა ქართული სტამბის გახსნა რომში, პირველად კათოლიკეებს ჰკითხეს საქართველოს ამბები. მერე რა ქნეს ამ გმირებმა? რომის კონგრემაციას ასეთი ყალბი ცნობები მისცეს: „ჩვენ საქართველოს არ ვიცნობთ იქ, სადაც თქვენ საქართველოს ფიქრობთ. იგი სომხეთია და ხალხიც სომხის გვარის არის. საქართველოს ცოტაოდენი ადგილი მარტო მთებში აქვსო“. ასეთმა ჭორებმა კიღამ სტამბის გახსნის საქმე შეაფერხა, მაგრამ ეს ვერ მოხდა, რადგანაც ლათინის პატრები თავდადებით იცავდენ საქართ-ველოს. აი, ასეთ მგლებს ჩაუვარდათ ხელში საქართველოს კათოლიკები, კათოლიკებთან მთელი ქართველობაც. რაკი ამათ მიაღწიეს თავიანთ წადილს და ბოლოს რომის ტახტმა მთელი საქართველოს სამისიონერო საქმის მართვა–გამგეობაც მას ჩაუგდო ხელში. მას შემდეგ მათი ცდა იყო საქართველოს სომხეთად ქცევა და ქართველების გასომხება ენით და ვინაობით. ამისათვის დაიწყეს მათ შრომა 1630 წლებიდან. აი, რა ქნეს:

ლაზისტანსა და ჭანეთში სომხის კათოლიკობას დაუკავშირეს 200 მეტი ლაზი, მერე ამ ლაზების დიდი ნაწილი გადაასახლეს არზრუმისაკენ, ბაიაზეთი, ალის და ასეთ კუთხის სომეხ კათოლიკეთა შორის. ეს კათოლიკე ლაზებმა აქ დაკარგეს ლაზური ენა და სომხურად იწყეს ლაპარაკი, დღეს იგინი ნამდვილ სომხის შთამომავლად სთვლიან თავს, თუმცა შთამომავ-ლობით ისინი ქართველები არიან,

ასე გასომხებულ ქართველ კათოლიკეთა ერთობ დიდი რიცხვი მოიპოვება თვით საქართ-ველოში მცხოვრებ სომეხ კათოლიკედ წოდებულ მეფურნეებშიაც კი. ვინც მეფურნეების ტიპს დააკვირდება და გაიცნობს მათს ხასიათს, იგი მათში სომხის ერისადმი ნათესავობას სულ ვერ დაინახავს. თვით თფილისის და სხვა ქალაქის მეფურნეებსაც რომ დავაკვირდეთ, თქვენ ცხადათ დარწმუნდებით ამაზედ, რომ ეს სომეხი მეფურნეები ტიპით სულ არა ჰგავნან სომხებს, არამედ ჰგვანან უფრო ქართველებს.

გარდა ასეთის მსგავსებისა, ლაზების ქართველთ შთამომავლობაშიაც ცხადადა ჩანს, რომ თვით ასეთ გასომხებულ ქართველ ლაზ კათოლიკებს გვარებიც შერჩენიათ ზოგიერთებს. ლაზებს გარდა, რომ გაფრანგებულნი და მერე გასომხებულნი თვით აჭარლებიც ბევრნი უნდა იყვნენ. ამას ამტკიცებს ისიც, რომ ასეთ გასომხებულ ქართველებში გვარად „**აჭარიანცებიც**“ არიან. ასევე გასომხებულ ქართველებით სავსეა არტაანის ოლქი (არდაგანის) და სხვა კუთხეები.

ასე და ამ გვარად, ქართველი ტომის ერი შეჭამა ისლამმა და ამით ქართველთ მოაკლო 2 მილიონი ხალხი, ასევე ქმნა კათოლიკობამ და ამ გზითაც, ქართველობას სომეხ მხითარისტებთა ცდით მოაკლდათ 200 ათასზედ მეტი ქართველობა და ესენი დედა ბუდიანად გასომხებულ იქმნენ. ქართველებს ვნება მოუტანა, როგორც ისლამმა, ისევე სომეხ კათოლიკეთა კაციჭამიობამ.

ისტორიული მიმოხილვა
ლიუტერის სჯულის სწავლის დაწყება საქართველოში და
ათაბაგი მზე ჭაბუკი დიდი XVII საუკ.

ამ დღიდან დაიწყო საქართველოს დაუძლურება დაქსაქსვა და მოსპობა. საქმე ისე არივ-დაირია, რომ ქართველის ტომისათვის დადგა დიდი განკითხვის დღე, გარეშე მტერმა იპოვნა გზა და კვალი ქართველი ტომის მოსპობის დაწყებისა და საქართველოს დაღუპვისა.

საქართველო და ქართველი ერი სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა. მას მოელოდა ის, რაც მოევლინა ბიზანტიას; რა შავი დღეებიც გაიარა განათლების ამ ძველმა ქვეყანამ, იგივე ნახა საქართველომ, ერთიცა და მეორეც დაემხო ბარბაროსების ხელში.

დარბეულ ქვეყნის შვილებმა მეფისნაირად იწყეს შრომა და ცდა საქართველოს საშველად, მაგრამ ვერაფერი გააწყვეს, და ნელ-ნელა ქართველთა საქმე სულ უკუღმა მიდიოდა. ამავე დროს, ქართველებს დაუწყეს სჯულის მხრივ დევნა, ვინაიდან მათი აზრით, ვიდრე ქართველები სჯულს გამოიცვლიდნენ, სპარს-ოსმალთა ერთგულები არ იქნებოდენ.

შეუდგენ ქართველების გათათრებას. ამ გათათრებას აქვს მეტად დიდი ისტორია, ვინაიდგან თითო ხეობის ქართველთ განუსაზღვრელი ტანჯვა-ვაება გაუვლიათ სჯულის გულისათვის.

ქვეყნიდან აყრას, გადასახლებას, დაპნევასა და ვინაობის დავიწყებას ისევ სჯულის გამოცვლა აირჩიეს და დაიწყეს ისლამთან დაკავშირება. და ამბობდენ“ სჯული-სჯულია, ჩვენ და ჩვენს ენასა და ქვეყანას თუ არაფერი ევნებათ–მივიღოთ ისლამი და მით ქვეყანაც მოვასვენოთო.

ისლამს დაუკავშირდა ცამეტი საეპისკოპოსოს ქართველობა. მოკლე დროის შემდეგ მტრობა ქართველებს ისლამში ყოფნის დროსაც, დაუწყეს ენით გათათრება და გადაგვარება. ოსმალეთის სასულიერო წოდებამ შესძლო და მოახერხა ის, რის იმედიც ქართველებს სულ არა ჰქონდათ. დაივიწყეს ქართული ენა, ქართული წერა-კითხვა, საქართველოს ხსოვნა, და ამათ მაგიერ მათ შეითვისეს თათრული ენა და ქართული სახელები გამოუცვალეს სოფლებს, მთებს და სხვა ასეთს ადგილებს.

დღეს ქართველ მაჰმადიანთა შორის, რვა ნაწილს აქვს თავის დედაენა დავიწყებული. ამ რვა ნაწილში საეპისკოპოსო კათედრა არსებობს. ამათ რიცხვშია მოთავსებული **არდაგანის ოლქი,** ქართულად **არტაანი,** ძველად ამ კუთხეს **ზემო-ქართლი** ეწოდებოდა.

ისლამს დაუკავშირდა ორი მილიონი ქართველობა. ნახევარი მილიონი ლაზისტანში იყო და მილიონ ნახევარი კი ზემო ქართლში ანუ სამცხე-საათაბაგოში. მარტოდ ნახევარი მილიონი ქართველობა მესხეთში, ჯავახეთში ცხოვრობდა, 300 ათასი არტაანის ოლქში, (არდაგანი) ასევე სხვა კუთხეებში. ამდონა **ქართველობას ისლამი გვარის შემჭმელათ მოევლინა**.

ეს გარემოება-კი ქართველებს დიდად აღონებდა. ამიტომ ქართველებმა ისლამს გული აჰყარეს, მეტი გზა აღარ იყო, ქართველებმა დაიწყეს ფხიზლად ყურება და მოქმედება. ამ დროს მათ კარგად გაიცნეს კათოლიკის სარწმუნოება. ამ სარწმუნოებაში მათ დაინახეს დიდი ძალა და დაიწყეს ქართველებმა კათოლიკის სჯულზე გადასვლა. ამ სჯულს დაუკავშირდა 600 ათასზე მეტი ქართველი. პირველ ხანებში კათოლიკობა ქართული ნაციის მფარველად გამოვიდა, მაგრამ ბოლოს კი, როცა სომხის მხითარისტების ძალა აღორძინდა, კათოლიკობამაც ასევე დაუწყო ქართველობის შეჭმა, როგორც ისლამმა.

აი, როგორ და რა კარგად მოხდა ეს ჩვენთვის სამწუხრო ამბავი.

ისტორიული მიმოხილვა
ლიუტერის სჯულის სწავლის დაწყება საქართველოში და
ათაბაგი მზე ჭაბუკი დიდი XVIII საუკ.

ქართველები გრიგორიანის სჯულით.

ქართველები სომხის ერს და მათს სჯულს ძველთაგანვე იცნობდენ და ერთ ხანს ქართველთა და სომეხთა შორის სიყვარულიც არსებობდა. სომხები ქართველებს სრულებით არ სდევნიდენ და არც უშლიდენ რამეს. ამიტომაც ქართველებს სომხის სჯული თავის მფარველადაც კი მიაჩნდათ.

სწორედ ეს იყო იმის მიზეზი, რომ ქართველებმა მრავლად იწყეს გრიგორიანობაზე გადასვლა. ქართველთა დიდი რიცხვი გრიგორიანებს შუერთდა და ამის მერე ეს ქართველები გადასახლდენ **განჯის** გუბერნიისაკენ, ერთი ნაწილი გადასახლდა **ერევნისაკენ**, ერთი ნაწილი **არზრუმ-ვანისაკენ**. ერთი ნაწილი **კონსტანტინეპოლს** და ზოგიც სხვადასხვა ისეთ კუთხეებში, სადაც სომხები მრავლად სცხოვრობდენ. ასეთ გასომხებულ ქართველთა რიცხვი XVII საუკუნის ბოლოს 400 ათასზე მეტი იყო. ეს ნამდვილი და სწორი ცნობა არის. ამის უარს ვერავინ ჰყოფს. ისიც უნდა ითქვას, რომ გასომხებულ ქართველების რიცხვი საქართველოშიც ერთობ ბევრი დარჩა.

ქართველები აქაც შესცდენ და გრიგორიანობაშიც მარცხათ წაუვიდათ საქმე. მათს გვარსა და ნაციას როგორც ისლამი მტრობდა და სჭამდა, ისევე დაუწყო შეჭმა კათოლიკობამ და მასთან გრიგორიანობაც ხომ ისეთ იარაღად აღმოჩნდა, რომლის საშუალებითაც ქართველ გრიგორიანებსა დაუწყეს გადაგვარება და რაც ისლამმა და კათოლიკობამ დააკლო ქართველებს, ის გრიგორიანობამ შეუსრულა. ამ გარემოებას ყველა ქართველი კარგად გრძნობდა, კარგად ხედავდა, როგორც დიდი, ისე პატარა, როგორც თავადი, ისე აზნაური და გლეხი.

ქართველმა ერმა ყველა სჯულსა და სარწმუნოებას გული აჰყარა; იგი ისლამსაც ენდურებოდა და ქრისტიანობასაც, ვინაიდან ქართველი კაცის სულს ერთიც სჭამდა და მეორეც. ეს იყო მეთექვსმეტე საუკუნის დამდეგს, ანუ 1510 წლებში. ამ დროს ევროპაში **ლიუტერის მოძღვრებამ** უკეთ ფეხი მოიკიდა და ეს მოძღვრება ნელ-ნელა ჩვენშიც გავრცელდა. იმ ხანებში

სამცხე-საათაბაგოს განაგებდა **ათაბაგი მზე-ჭაბუკი,** რომელსაც შემდეგ **მზე-ჭაბუკ დიდი** ეწოდა.

ქართველები ლიუტერის სწავლის მიღების სამზადისში

ათაბაგს ოსმალნი დიდად მტრობდენ, მათ სურდათ საათაბაგოს დაპყრობაც და საქართველოს მოსპობაც. **მზე-ჭაბუკი გონიერი მართველი იყო,** ოსმალებთან დიდის ოსტატობით ეჭირა თავი, ამიტომ მას ხშირად უხდებოდა სტამბოლში სიარული, ოსმალოს მთავრობასთან მოლაპარაკება, საქმის მოწესრიგება და ქვეყნის უვნებლად გადარჩენა.

საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველებმა სჯულზე ფიქრს თავი გაანებეს, ქრისტიანების ყურება მათ აღარად მიიჩნიეს, ვინაიდგან მათ ბიზანტია თვალწინ ედგათ, სადაც ქრისტიანობა და მის მიმდევართა თაყვანება და მის მიმდევრობა დიდათ იყო გაზვიადებულ-აღორძინებული. მაგრამ რა მოხდა? ამით რა სიკეთე მიეცათ ბიზანტიელებს? თითქმის არაფერი! ბარბაროსმა ოსმალეთმა ერთის დაკვრით მოსპო მთელი მათი ცივილიზაცია! ამიტომაც ქართველების საფიქრელი ისღა გაჩნდა, რომ **საქართველო არ მოსპობილიყო არ განადგურებულიყო ქართველობა თავის კულტურით, და ნაციონალურის წესებით**.

ამიტომაც მზე-ჭაბუკი სტამბოლში ყოფნის დროს, ფხიზლად იქცეოდა და მარჯვნივთ და მარცხნივ აწუხებდა იქვე მცხოვრებ ევროპიელთ და საქართველოს სამფარველოდ ეძებდა შველას, რაიმე წამლის გამოძებნას.

იმ დროს კონსტანტინეპოლში თურმე მრავლად იყვნენ ლიუტერის სწავლის მიმდევარი პასტორები, რომელიც **ლიუტერის სწავლას** ავრცელებდა სლავიანთა და თავიანთ თანამემამულეთა შორის. შემთხვევით, ასეთი პასტორები გაიცნო **სამცხის ათაბაგმა მზე-ჭაბუკმა.** ამათ გაცნობის ისტორიულ მასალებს ისევ და ისევ სამცხის ქართველ-კათოლიკეთა მისიონერები იძლევიან, სხვაგან ჩვენ ვერასა ვპოვებთ, ამისათვის ისევ ამ მისიონერების დღიურები უნდა გადავშალოთ.

1880 წ. მესხეთსა და ჯავახეთში მგზავრობის დროს ვიშოვნე ლათინის წესის ქართველ კათოლიკეთა მისიონერ-პატრის ერთი დღიური, რომელიც ამ საგნის შესახებ იძლეოდა საინტერესო ცნობებს. ეს ძვირფასი დღიური მე ვნახე სოფ. **ხიზაბავრას**, მღ. **ივ. გვარამაძე–ვინმე მესხთან.**

ზაქარია ჭიჭინაძის მიერ
სოფელ ხიზაბავრაში ნანახი დღიური
ქართველი კათოლიკენი გურია-სამეგრელო-იმერეთში

„ყოვლად პატივცემულო მამაო,

„ჩვენის კონსტანტინეპოლში მყოფის მამებისაგან შეიტყობდით შარშან, რომ დიდად განათლებულის უქრისტიანესის ხელმწიფისა ელჩი, ჩვენთვის მოწყალე და სარწმუნოების გავრცელების სურვილით გამსჭვალული, სამეგრელოს მთავრის ელჩს ხშირად ელაპარაკებოდა იმის შესახებ, რომ მისთვის თან გავეყოლებინეთ და დაუბრკოლებლივ გავყეით კიდეც. პირველ გაზაფხულშივე გამოგვიცხადეს, რომ ჩვენი მგზავრობა მოახლოებული იყო და უნდა წავსულიყავით ჯერ **ტრაპიზონს,** შემდეგ სამეგრელოს **ონეზ ფაშასთან** ერთად, რომელსაც სულთანის სახელით უნდა მოელაპარაკნა სხვა და სხვა საქმისათვის სამეგრელოსა და გურიის მთავრებთან, **დადიანთან** და **გურიელთან.** დიდად განათლებულმა ელჩმა არაფერი დაზოგა ამ მგზავრობისთვის, მოგვცა ხუთასი ოქრო, რომელიც საჭირო იყო მისიონისათვის. მას გარდა, მშვენიერი საჩუქრები მიართვა ფაშას და იმასთან ყველაფერი გაარიგა. რადგან ფაშის ხომალდი სავსე იყო ჯარის კაცებითა და საქონლით, სხვა ხომალდში ჩაგვსხა ორ თავის ნაცნობ იანიჩართან ერთად. ხომალდი ჯერ უნდა მისულიყო **ვარნას** სურსათისათვის და იქიდანაც **ტრაპიზონს** უნდა წასულიყო, ფაშამ ჩვენი თავი იანიჩრებს ჩააბარა, ყური კარგად უგდეთ, გზაში არავინ შეაწუხოსო. ამ ნაირად იმ სამი მღვდლისაგან, რომლებიც კონსტანტინეპოლში ვიყავით, მე უღირსი და იმ ადგილის ურგები გამომირჩიეს მისიონისათვის და შემწედ მომცეს ძმა **სტეფან ვიო** და გამაყოლეს, ეგრეთვე, ერთი ახალგაზდა სომეხი მოენედ. გულუხვმა დიდად განათლებულმა ელჩმა, რაც კი საჭირო იყო მოგზაურობისათვის, ყველაფერი რომ გვიშოვნა; 26 მაისს, წმიდა სამების დღესასწაულის ორი დღის უკან, გამოვესალმეთ ჩვენს მამებს და ნავით წავედით ჩვენს ხომალდში, რომელიც **ბოსფორში** იცდიდა სხვა ბევრ ხომალდებთან ერთად... მხოლოდ მაშინ ვცანით ის, რასაც კონსტანტინეპოლში ფიქრადაც არ გავიტარებდით. ესე იგი, თურმე დიდად ძნელი ყოფილიყო **მთავარ გურიელთან და დადიანთან** მშვიდობის ჩამოგდება. ამას კაი დრო სჭიროდა. ამიტომ მთავრების ელჩები აღარ გაუშვეს, ტყვეებსავით დაიჭირეს. ჩვენთვისაც უკეთესი იყო ცალკე გვემგზავრა, ვიდრე მეგრელებთან ვყოფილიყავით, რათა ჩვენზედ არაფერი ეჭვი შემოეტანათ...

ფაშა ტრაპიზონიდგან 20 ივლისს წამოვიდა და იმას გამოვყევით. **სამენსა** და **კარიპა-როვოლში** გაჩერება მოინდომა, ჩვენ კი სოფელ **რისკისკენ** გავსწიეთ; საშინელი ქარი ამოვარდა და საკმავოდ შეგვაწუხა, ამასთანავე დაღუპვისაც გვეშინოდა. მაგრამ ავდარმა მარტო ერთ დღეს გასტანა. სოფელი **რისკა** ჩვენის ფაშის სამშობლოა და მთელი მისი სიცოცხლე იქ სცხოვრობს.

თუ ეს და თუ სხვა ბევრი სოფელი ეკუთვნის ლაზისტანს, რომელიც გადაჭიმულია ტრა-პიზონიდგან დაწყებული ვიდრე საქართველომდე. იმ ნაწილში, რომელიც ტრაპიზონზედ ახლოა, ბერძნულს ლაპარაკობენ, ხოლო საქართველოს მახლობლათ კი საზოგადო ენა მეგრუ-ლია. **რიზა ლაზების, ანუ ალანელების ახალშენია. ლაზები სამეგრელოს ერს ეკუთვნიან**. ნელნელა ყველანი მაჰმადიანების ურჯულოებაში ცვივიან. რადგან ქრისტიანნი იყვნენ. ბევრს ხარჯს ახდევინებდენ და მრავალგვარ შეწუხებასაც აყენებდენ. ამიტომ იმათ მაჰმადიანობა

მიიღეს და ოსმალებს ნებას აძლევენ, რომ მათ შვილებს წინადაცვეთა აღუსრულონ. ამნაირად თავიანთი სარწმუნოების უარყოფით თავი ხარჯისაგან დაიხსნეს.

ახალგაზდა ქრისტიანი ქალები, თავიანთი მშობლების სიცოცხლის დასაცველად, იანიჩრებზედ თხოვდებიან; ამის გამო ბევრმა ძრიელ შეირჩინა ქრისტიანობის სახელი და ნათლიღების ხსოვნა; ეს მით უფრო სამწუხაროა იმიტომ, რომ კაცმა არ იცის, თუ მას რა წამალი უნდა დაედვას, როგორ უნდა უშველოს. მაინც კი რავდენადაც სიბრძნე მოითხოვდა და რავდენადაც ჩვენის მცირედის მეგრულით შეგვეძლო, იქაურ მცხოვრებთა საკმაო რიცხვს, მეტადრე ყმაწვილებს, დახმარება აღმოუჩინეთ, ვასწავლეთ ჩვენის წმიდა სარწმუნოების უპირველესნი ჭეშმარიტებანი და თათრებზედ გათხოვილ ზოგიერთ დედაკაცებსაც თავიანთი მოვალეობანი გავაცანით. კიდე **მოვნათლეთ ერთი თვრამეტი წლის ასული**, რომელსაც თავისი მშობლებისაგან გაგონილი ჰქონდა, რომ ის მოუნათლავი იყო. გარემოებას რომ ხელი შეეწყო, მისის დედის თანხმობით, ერთი თათრის ბავშსაც მოვნათლავდით, აგრეთვე, ერთ თათრისავე ახალგაზრდა ტყვეს.

ასე გართული რომ ვიყავით, მოვიდა ფაშა და რამდენისამე დღის შემდგომ, მისივე თანხმობით, ჩავსხედით ერთ ნავში, რომელიც შვიდობის ჩამოგდების შემდგომ, ფაშის ნავს უნდა გაჰყოლოდა. ნავი იმიტომ გამოვიცვალეთ, რომ ვარჩიეთ ნაცნობ ლათინის წესის მგზავრებთან ვყოფილიყავით... შუადღისას უფრო გაძლიერდა ღელვა. მალე გემის თოკები მთლად დასწყვიტა; მენავეებმა და მგზავრებმა ბარგი ზღვაში გადაჰყარეს და შემდგომ თვითონაც ჩაეშვნენ ზღვაში, რათა ცურვით და ზოგიც პატარა ნავებით ხმელეთზედ გასულიყვნენ. აბობოქრებულმა ქარმა და ზღვის ღელვამ ჩვენი ხომალდიც კიდეზე გააგდო. ძლიერმა ტალღამ ორი კაცი დაგვირჩო, ერთი თათარი და ერთი ქრისტიანი, მაგრამ ერთმა ღმერთმა უწყის, თუ რა ნაირი ქრისტიანი იყო. ორმა მგზავრმა, ერთმა **არაბმა** და **ერთმა მეგრელმა,** მოინდომეს ცურვით გასვლა. ტალღებმა **არაბი დაარჩო**, მეგრელი დამტვრეული ნავის ფიცრებით, როგორც იყო, ზღვას გადურჩა; მაგრამ ნაპირას შემწეობა აღმოუჩინეთ, აღსარებაც ვათქმევინეთ და მიიცვალა. იმედი მაქვს საუკუნო ბედნიერების ნავთ-სადგურ ეწიოს.

ჩვენი ხომალდი სამ-ოთხ გზის კლდეს დაეჯახა, დაზარალდა, დაიმტვრა და ჭერი კლდისაკენ გადავარდა, ისე რომ გაკეთდა ერთნაირი ხიდი, რომლითაც ხომალდში მყოფთ გასვლა და თავის დახსნა შეიძლეს, გარდა ერთ ახალგაზრდა კაცისა, რომაელმაც ტანთ არ გაიხადა და ამიტომ ქარმა ზღვაში ჩააგდო. ის უბედურად ჩვენ თვალწინ დაიღუპა. ცოცხალი კი გადავრჩით, მაგრამ საქონელი, სარჩო, ხომალდი, სუყველაფერი ზღვის მსხვერპლი შეიქმნა.

გარნა **დადიანი** და **გურიელი** ზავის პირობა– შეწყნარებას აგვიანებდენ. ღელვისაც გვეშინოდა და ვეღარ გაგვებედა ჩვენ დამტვრეულ ხომალდში მიბრუნება. ამიტომ თანხმობით ყველამ გადავსწყვიტეთ, დამტვრეული ხომალდის ფიცრებით ერთის სოფლის ახლოს ქოხი გაგვეკეთებინა და აი, ასეთ მოკრძალებულს საფარში შევისვენეთ. აქ დაუწყეთ საქრისტიანო მოძღვრების სწავლება ბავშებს და **ბერძნების მღვდელებსა, რომელთაც აღსარება თავის დღეში არ ეთქვათ და არც სხვისთვის ეთქმევინებინათ, ზიარებას კი აძლევდენ მორწმუნებს**. ისვე მღვდლები თუ უმეცრებით და თუ დაუდევრობით, წირვის თქმის დროს ბარძიმში წყალს არ ურევდენ და **წმიდა ნივთებს ძრიელ უხამსად ეპყრობოდენ**. ფიცხლად ვამხილეთ და, რაც შეგვეძლო, ჩვენის სწავლის დარიგებით, შევეწიეთ. რაოდენ მოწყალებასაც ვშოულობდით,

ყველას მათ ვაძლევდით იმ საწყალ ქრისტიანეთათვის, **რომლებიც მაჰმადიანობაზედ გადიოდენ, რათა ხარჯის გადახდა თავიდგან აეცილებინათ**...

ჩვენის მეგობრების რჩევით, ფაშასთან წავედით და ვსთხოვეთ უყურადღებოდ არ დაეტოვა ჩვენი ასეთი გაჭირვებული მდგომარეობა, რომელშიაც ჩაგვაგდო ესოდენმა მოულოდნელმა დაბრკოლებამ და ჩვენთვის სამეგრელოში შესვლის ნება მოეცა, როგორც ამას თვით შეჰპირებოდა საფრანგეთის ელჩს, ან არა და კაცი გამოეყოლებინა, რათა უშიშრად სხვა მგზავრებთან ერთად, გამოვბრუნებულიყავით **კონსტანტინეპოლს**. ჩვენმა სიტყვებმა გული მოულბო, მაგრამ, მასთანვე გამოგვიცხადა, რომ სულთანმა მიბრძანა: არავინ შეუშვა სამეგრელოში, ვიდრე შვიდობის საქმე არ დაბოლოვდებაო. ხოლო სიამოვნებით კი **მოგვცა პასპორტი, რათა კოსნტანტინეპოლს გავბრუნებულიყავით**. მაგრამ განგებამ სულ სხვა ნაირად დაატრიალა ჩვენი საქმე. როდესაც ერთი პატარა ნავის კაპიტანთან მოვილაპარაკეთ, უეცრად მოვიდა **გურიელის მოამბე,** რომელმაც ზავის ჩამოგდება და ხარჯის გადახდაზე თანხმობა გამოაცხადა. ეს ზავი წმიდა ლუჩიას დღეობა (13 დეკემბერს) საქართველოს ნავთსადგურ **ბათუმში შეკრეს მთავარმა და ფაშის გამოგზავნილმა კაცმა**. ამ ამბავმა განზრახვა გამოგვაცლევინა. მეორედ კიდევ მივმართეთ ფაშას. იმან ახლა უფრო კაის გულით მიგვიღო, ვიდრე წინეთ; თავისი მფარველობა გამოგვიცხადა და ნება მოგვცა, სადაც გვინდოდა, იქ წავსულიყავით.

ზედ წმიდა თომა კანტორებერის დღეობას (29 დეკემბერს), შვიდის თვის მგზავრობის შემდგომ, იმავე ნავით, რომლითაც კონსტანტინეპოლს უნდა გავბრუნებულიყავით, გამოვიარეთ ხელმეორედ **გონიის კონცხი,** რომელსაც დიდიხანია ვუმზერდით და ორი დღის შემდგომ შვიდობით მოვედით საქართველოს ქალაქ **სატყეპელაში** (Satcepella). ზღვის პირას სიარულის დროს ჩვენთან ქართველები მოვიდენ; მათ შორის იყო **გურიელის ვეზირი მხედართ მთავარი მისი ჯარისა და გამგებელი ამ მხარისა**. როცა დაგვიძახა ვეზირმა, ის ცხენიდგან გადმოხტა და იმ ქვეყნის ჩვეულებისმებრ, დაიჩოქა ცალის მუხლით და მეტის-მეტად მეგობრულად მოგვესალმა; ჩვენც დიდის მოწიწებით მაგიერი სალამი მივეცით. მაშინვე მიწაზედ გვერდით მოგვისხა და გამოგვკითხა, საიდგან მოვდიოდით, ან სად მივდიოდით. რა გაიგო, **ფრანგები ვიყავით და დადიანთან** მივდიოდით, გვთხოვა ჯერ **გურიელი გვენახა** და ცხენებიც მოგვცა იქ წასასვლელად. მადლობა მოვახსენეთ გულკეთილობისათვის და დავპირდით, რომ **სატყეპელაში ლაზისტანის არქიეპისკოპოსს** ვნახავთ თუ არა, დიდი სიამოვნებით მივალთ და მთავარსაც ვნახავთ, უკეთუ გვეცოდინება, რომ ჩვენი ნახვა ესიამოვნება-თქო. იმან მოგვიწონა ჩვენი გარდაწყვეტილება და წავიდა.

ღამე ზღვისპირას გავატარეთ. მეორე დღეს წავედით სანახავად **მიტროპოლიტისა,** რომელიც მცირედ, მაგრამ გულითადად გაგვიმასპინძლდა. ამასობაში გურიელმა ჩვენი მასპინძელი მიტროპოლიტი მიიწვია, რათა შობას მასთან ყოფილიყო მწირველად. ისიც წავიდა, და შემოგვპირდა, თქვენის მოსვლის ამბავს მთავარს ვაცნობებ და თუ ისურვა თქვენი ნახვა, მეორე დღესვე შეგატყობინებთო. თავისი სიტყვა აასრულა კიდეც.

დაგვიბარეს გურიელთან: მოვიდა ვეზირის კაცი, რომელსაც ჩვენი მიწვევა ჰქონდა დაბარებული, თან მოიყვანა ცხენები და წაგვიყვანა **ბაილეთს** (Baylet), სადაც მთავარი თავისი სახლობით და კარისკაცებით შობას ეგებებოდა; მაგრამ თვით გურიელი დაგვიხვდა მახლობლად სხვა სახლში, სადაც სანადიროდ ჩამომხდარიყო. შეიტყო თუ არა ჩვენი მისვლა, მაშინვე დაგვიბარა ერთ დარბაზში, სადაც თავის ქვეშევრდომებს ასამართლებდა. დიდის მოწიწებით

მივესალმეთ; ის კი წამოდგა ტახტიდგან, თავშიშველი წინ მოგვეგება, დაიჩოქა ცალის მუხლით და ისე სალამი მოგვცა. შემდგომ თვითონ და მისი მხლებლებიც გვეამბორნენ და გვერდით მოგვისხა. ბევრი რამ გვკითხა და ჩვენც ყველაფრის პასუხი მივეცით. მერე გვთხოვა მისი სახლობისათვის გველოცნა. გამოვესალმეთ მთავარსა და წავედით **ბაილეთს**, სადაც თხუთმეტის დღის განმავლობაში დიდის გულკეთილობით მოგვეპყრა.

მთავარი მეტად ზრდილია (რაც იშვიათია ამ მხარეს) და დიდის პატივის მცემელია რომის ეკკლესიისა და მისის მთავრის პაპისა. საჯაროდ ამბობს, რომ ბიზანტიის იმპერია და კონსტანტინეპოლის საეპისკოპოსო საყდარი იმიტომ დაემხო, რომ არ ინდომეს რომის წმიდა მღვდელ-მთავრის მორჩილება. და აკი ღმერთმაც იმიტომ დასაჯა; წმიდა პეტრემ მიიღო კლიტენი სასუფეველისანი. პაპი არის მამა ყოველთა მორწმუნეთა, ამიტომ ყველანი მისი მორჩილი უნდა იყვნენო. როდესაც ლაპარაკი ამაზედ ჩამოვარდა, ვსთხოვე ნება მომეცით თქვენი აზრი პაპას შევატყობინო-მეთქი. დიდის სიამოვნებითო, მომიგო და თანაც **მთხოვა პაპისათვის მიმეწერა და მის მაგიერ მეთხოვნა ცოდვების შენდობა. თანაც დასძინა, წერილობითვე აღსარებასაც ვიტყვი პაპთანო,** მაგრამ მე აუხსენი, რომ ამნაირად არც აღსარება შეიძლება და არც ცოდვების მოტევება-მეთქი. პაპმა სწორედ იმიტომ გამოგვზავნა შორს ქვეყნებში, ხალხს ცოდვები მოვანანებინოთ-მეთქი. ამით მთავარმა იგივე მითხრა, რაც **ფილიპპეს კანდარის დედოფლის საჭურისმა უთხრა: „აჰა წყალი; რაღას აყოვნებ ჩემს მონათვლას“?** მითხრა, თუ აგრეა, ახლავე ვიტყვი აღსარებასო. **მალე მოენის საშუალებით თითქმის მთელის თავისი ცხოვრების აღსარება მითხრა.**

იქნება მკითხოთ, **ჩვენის სარწმუნოების შემწეობა-მოკლებულ მთავარს საიდგან აქვს ასეთი ქრისტიანული გრძნობა.** მეც პავლე მოციქულის სიტყვებს მცირედად შევსცლი და ისე გიპასუხებთ: ერთმა ქართველმა მონაზონმა, რომელმაც 12 წელიწადი გაატარა რომაში, დასთესა კეთილი თესლი ამ ნაყოფიერ მიწაზედ, რომელსაც ახლა ჩვენ ვრწყავთ და ნაყოფს ვაღებინეთ, ღვთის კურთხევით.

რა გაიარა ნათლიღების დღესასწაულმა, გურიელმა, როგორც იყო, დიდის გაჭირვებით ნება მოგვცა წავსულიყავით. არ ინდომა ჩვენი დაჭერა, რადგან დავპირდით, კვალდ მოვალთ და უკეთუ ინებებთ, რამდენსამე ჩვენებურ მოძღვარს დავიბარებთ თქვენს ქვეყანაში დასარჩენადო. ამისი გვითხრა; „არა თუ დიდად სასიამოვნოა ჩემთვის ეგ თქვენი დაპირება, არამედ **გპირდებით, რომ დიდი პატივით მივიღებ, მივსცემ სახლს, ეკკლესიას და ყველაფერს, რაც კი დასჭირდებათ საცხოვრებლათ“.** წამოსვლის დროს ფული შემოგვაძლია, მაგრამ არ გამოვართვით, რაც ძრიელ იამა და ჩვენი ძმობის საზოგადოება მთელი თავისი დარბაისელების წინაშე იმ ზომამდე აქო, რომ ამ ამბავმა მიაწია **ოსმალებამდე**, რომლებმაც, თავიანთი მხრით, სამეგრელოში დიდი სახელი გაგვითქვეს.

ესრეთ გურიელმა გაგვისტუმრა **სატყეპელას** დიდის პატივით და მეგობრულად; ეგრეთვე ერთი კაცი გაგვაყოლა, რომ იქიდგან პატარა ნავით წავეყვანეთ **სამეგრელოში მის სიმამრთან** კორტუგასთან (Gortuga), **დადიანის პირველ ვეზირთან.** გარნა, რადგან ეს კაცი ჩვენთან წამოსვლას ახანებდა და რადგან კაი დარიც იყო, სამ თებერვალს სატყეპელადგან წავედით იმ ოსმალებთან ერთად, რომლებიც შუა კაცნი იყვნენ **ზავის ჩამოგდების საქმეში** და ჩვენიც დიდი ერთგულნი. იმავე დღეს შევედით რაიონში, სამეგრელოს უმთავრეს მდინარეში, მეორე დღეს მივედით **ერვინხანს** (Ervinchan (Héraclée). დადიანს და მიტროპოლიტ-კათოლიკოსს ვაცნობეთ

ჩვენნი და ეგრეთვე, ზავის მედიატორეთა მოსვლა. რა მივიღეთ პასუხი, მალე გავემგზავრეთ **მარგულასკენ** (Margoula), საცა უნდა მოსულიყო მთავარი, და აჰა, ცხრა თვის შემდგომ ძლივს ბოლო მოეღო ჩვენს მგზავრობას, რომლის დროს იმდენი ღელვა და ყოველგვარი შეწუხება გამოვიარეთ.

იმ დროს დადიანი მეტად გართული იყო თუ ნადირობაში თუ **კონსტანტინეპოლს გასაგზავნის ხარკის მომზადებაში**. არ აცლიდა, აგრეთვე, თევრიზ ხანის მოსვლა (Tebris-Khan– ქართველი მთავარია, რომელიც შარშან სპარსეთის მეფემ თავისი საბრძანებლიდგან განდევნა). ამას დაერთო მოენის უყოლობა, რაის გამო კარგა ხანს დაგვიანდა მთავრის ნახვა. იმ დროის განმავლობაში ოსმალები გვეწეოდნენ, რაც გვჭიროდა და თავიანთ სარჩოს შუა გვიყოფდენ. დადიანის ნახვის შემთხვევას რომ ვეძებდით, ისევ შევხვდით გურიელის სიმამრს **კორტუგას**, რომელსაც **გურიელი დადიანთან თავის გასაცნობელ წერილებს ატანდა.** კორტუგა შემოგვპირ-ღა, ფიქრი ნურაფრისა გაქვსთ, სამეგრელოს მთავარს მოველაპარაკები თქვენს შესახებო; იმან კარგად იცის, თუ რა პატივი სცა კონსტანტინეპოლში საფრანგეთის ელჩმა მისს წარმომადგე-ნელსაო. ეგრეთვე, იმ დროს გავიცანით **მაკარიოზ** (Mochavorio), **კათოლიკე ეპისკოპოსი, კაცი ბრძენი** და კორტუგასავით დიდი გავლენის პატრონი. მოენის საშუალებით ჩვენი საზოგადოება გავაცანით. ამ გვარადვე მოვიქეცით **თევრიზხანთან**, რომელსაც, ერთხელ ეკლესიაში შევხვდით მისი ქვეყნის მიტროპოლიტთან, რომელმაც თავის სანახავად მიგვიწვია. ყველას საშინლად უკვირდა, რომ ევროპის ნაყოფიერის ადგილებისათვის თავი დაგვენებებია და მათი უდაბური ქვეყანა აგვერჩია. თანაც, როგორც ამათთვის ოსმალებს უთქვამსთ, რაიმე იმედი სასყიდლისა და გასამრჯელოსი არა გვქონდა. ჩვენი ქცევა დიდ თავგანწირულებად მიაჩნდათ. ამიტომ, სანამ დადიანს ნახავდენ, გადასწყვიტეს კარგად მივეღეთ და ელჩსაც დაახლოვებოდენ და ამ აზრით ძღვენი გაუგზავნეს **კონსტანტინეპოლს**.

მავრის (Mauri) ეპისკოპოსმა მიგვიწვია თავის ეპარქიაში, რომელიც ღვთის მშობლის საფარველ ქვეშეა. ჩვენც გადავსწყვიტეთ იქ წავსულიყავით, იმის შემდგომ, როდესაც ვნახავ-დით **დადიანს და ბიძა მის ლიპარიტს** (Liparita), რომელიც დადიანის მცირე წლოვანობის დროს სამთავროს მართავდა. შემდგომ დადიანი ვნახეთ. იმან გვითხრა, თქვენი ბევრი კარგი გამიგო-ნია, ძალიან **მიხარიან თქვენი მოსვლავო,** ვიცი რისთვისაც მოსულხართო და ერთ თავისუფალ დღეს უფრო დიდხანს მოგელაპარაკებით **დასავლეთის საქმეთა, საფრანგეთის მეფისა და მისი კონსტანტინეპოლელის ელჩის შესახებო**. მერე დაგვპირდა, რაც გნებავსთ, ყველაფერს აგისრულებთო და დაუმატა თქვენს თავს **მაკარიოზს** ჩავაბარებო. გამოვესალმეთ მთავარს, მასთან მყოფს კორტუგას და გამოვბრუნდით ეპისკოპოსთან. იქ დავესწარით ერთ ნადიმს, რომელიც ეპისკოპოსს თევრიზ ხანის, მისი მიტროპოლიტის და ყველა მისი მხლებების პატივისაცემლად გაემართა. **სხვა დროს უფრო ვრცლათ გესაუბრებით ამ ერის ზნე-ჩვეულებასა და მათი ცხოვრების შესახებ**.

ახლა კი ამას მოგახსენებ, რომ თევრიზ ხანმა, **მიტროპოლიტმა და მოკათორიომ** თავიანთი კერძის ერთი ნაწილი ჩვენ გვითავაზეს, რაც იმათში დიდის წყალობის ნიშანია. თევრიზ ხანმა თავის ახლოს დაგვსხა და ბევრი რამ გამოგკვკითხა. რადგან აქ ჩვეულებად აქვსთ სუფრაზედ იმღერონ ხოლმე, ამიტომ, როგორც წინეთ გურიელმა, ისე ახლა ამანაც გვთხოვა გვეგალობა. როგორც გურიელმა, ისე ამან არა შეიწყნარა ჩვენი უარი. ჩვენც ვიგალობეთ „პანჯელინგვა,

უგალობდეთ ენაო“; ჩვენი გალობა დამსწრეთ ძალიან მოეწონათ. სუფრა დავტოვეთ, რადგან აქ წესია, ჭამა-სმა შუა ღამეს გადააცილონ ხოლმე.

ახლა ჩვენ ეპისკოპოს მაკარიოზთან ვართ. ამან ძრიელ მოიწადინა და უნდა აგვიშენოს მალე სახლი და ეკკლესია. თვითონვე კისრულობს, რაც გვჭირია, ყველაფერი გვიშოვნოს. ახლა ჩვენს დროს ერთიან ვანდომებთ **მეგრული ენისა და ამ მხარის კილოკავების შესწავლას**. იმედი გვაქვს ღვთისა, ჩვენმა შრომამ უნაყოფოდ არ ჩაიაროს. აწ ეპისკოპოს მაკარიოზს და კონსტან-ტინეპოლში მყოფ ჩვენს საფრანგეთის ელჩს ვუგზავნით ჩვენს მოენეს და წერილებს, თუ თავისთვის და თუ ევროპაში მყოფის ჩვენის მამებისათვის, რათა სცნან ქვეყნის რომელ ნაწილში ვსცხოვრობთ, შეგვეწიონ და პირველად მოგვაწოდონ ის ნივთები, რომლებიც აქ ფულის ადგილას **გადის, რადგან აქ ფულს არ ხმარობენ**; მერე თვითონაც მოვიდენ და შრომაში შეგვეწიონ. იმედი გვაქვს, თავის დროზე მივიღოთ ჩვენის შრომის ნაყოფი. გთხოვთ, უფალს შეავედროთ და ეგრეთვე, ჩვენი საზოგადოების ლოცვას **უფლის ეს ახალი ვენახი** და ეგრეთვე მისნი შემუშავებელნი მუშაკნი. ჩემო ყოვლად ღირსო მამაო, დავშთები თქვენი.....“

ეს წერილი ცხადად გვიჩვენებს გურიელის უწინდელს მომზადებას და მის გაკათოლი-კებას, რადგან პაპის მორჩილება აღიარა და **მისიონერებს აღსარება უთხრა.** აქ დასახლებული რომაში ნამყოფი ქართველი მონაზონი, როოგორც შემდეგშიაც ვნახეთ, უნდა იყოს **ნიკოლოზ**, რომელიც რომის კოლეგიაში იყო 1600 წლის შემდგომ. იგი მიგვაჩნია კათოლიკედ, ხოლო ხსენებულის **ეპისკოპოს მაკარიოზის** შესახებ, რომელიც კათოლიკე ყოფილა, ამ წერილის გარდა, სხვა ცნობა არაფერი გვაქვს. ეს კი ცხადია, რომ ისიც ქართველი ყოფილა. თუ ამ დროს სამეგრელოში კათოლიკე ეპისკოპოსიც იჯდა, ცხადია, მარტო ის არ იქმნებოდა, მრევლთა შორის კათოლიკენი უნდა ჰყოლოდა, მაგრამ, სამწუხაროდ, მაშინდელ კათოლიკეთა შესახებ სხვა ცნობები არ მოგვეპოება რა.

აქ დასახელებული **თევრიზ ხანი,** ვფიქრობთ, უნდა იყოს **თეიმურაზ მეფე.** აქ გავახსენებთ მკითხველთ, რომ ევროპელები, როგორც გამოთქმაში, ისე წერაში, ძრიელ ამახინჯებენ ქარ-თულ საკუთარ სახელებს. ხშირად ძნელი ხდება მათი სისწორით აღდგენა.

მისიონერების მისვლისათანავე სამეგრელოში გაჩნდა ჟამი, რომელიც სხვა მგზავრებმა ნავიდგან შემოიტანეს. ჟამმა მალე **იეზუიტი ძმა სტეფანე** იმსხვერპლა. შემდეგ დასნეულდა თვით **ლოდოვიკე გრანჯერიოც,** რომელმაც საჩქაროდ მიაშურა კონსტანტინეპოლს იმ იმედით, იქმნება, ექიმების შემწეობით გადავრჩეო, მაგრამ თავისი მისვლის მეორე დღესვე ისიც გარდაიცვალა 22 აგვისტოს 1615 წ. მის მაგიერ იეზუიტებმა სხვა მისიონერი ვეღარ გამოგზავნეს, რადგან იმ დროს მღვდლები არა ჰყავდათ საკმაოდ. აი, ესრე სწრაფად, ხუთი-ექვსი თვის შემდგომ, დასრულდა იეზუიტების მისიონი სამეგრელოში, საცა დიდს ნაყოფს მოელოდენ.

ზაქარია ჭიჭინაძე

ქართველი კათოლიკენი როგორ გაასომხეს მხითარისტებმა

ამათვე დაისახეს მიზნით ქართველი-კათოლიკების გასომხება. ამაში იგინი არც შესცდნენ და რაც განიძრახეს, მის შესრულებასაც მალე შეუდგნენ. უპირველესათ ყოვლისა, ამათ ხელი მოხვიეს ქართველ-კათოლიკეთ შვილებს და დაუწყეს ამათ ქადაგება, რომ სომხები და ქართველები ერთი ქვეყნის ხალხი ვართ, ჩვენ ყველანი კათოლიკები გახლავართ, ჩვენი სჯულის ენაც სომხური ენა არის.

აი, წმ. **ლაზარეს** კუნძულზედ ჩვენ გავხსენით, **ჩვენი სჯულის სასწავლებელი,** დღეის შემდეგ საქართველოს კათოლიკე შვილები ამ სასწავლებელში უნდა შემოვიდნენ მოწაფეთ და აქ უნდა შეისწავლონ თავიანთი სჯულის ენა – სომხური და არა ლათინური და იგინი აქვე იქნებიან მღვდელათ ნაკურთხნი და პაპისაგანაც შეწყნარებულნი. ასეთის ოსტატობით მხითარისტებმა მოხიბლეს ქართველი-კათოლიკენი, ამ დრომდის, ქართველ-კათოლიკეთ შვილები ჯერეთ საქართველოში სწავლობდენ და მერე რომში მიდიოდნენ სასწავლებლათ, იქ ამთავრებდენ სწავლას, იქვე ეკურთხებოდენ **ლათინის ტიბიკონით** და მერე საქართველოში ბრუნდებოდნენ სამღვდელოთ და ქართველ-კათოლიკებს **ქართული ენით** ემსახურებოდნენ.

მხითარისტებმა პაპს აცნობეს, სომეხ-ქართველ-კათოლიკეთა შვილებს უნდათ რომ სკოლაში ესწავლათ და ნებართვა სთხოვეს. ეს ნებართვა მხითარისტებმა მალე აცნობეს ქართველ-კათოლიკებს და ისიც აუწყეს, რომ ჩვენს სასწავლებელში სწავლა იქნება მუქთიო, ასევე მუქთი იქნება წიგნები და ყოველნაირი საჭიროებანი და მოვლა.

ასეთის ქადაგებით სომხის მხითარისტებმა მიიზიდეს ქართველი კათოლიკენი და მოკლე დროის განმავლობაში ისე მოაწყეს საქმე, რომ **ართვინელ** ქართველ-კათოლიკეთ შვილებმა, **არტაანის**, ანუ **არდაგანის** (ზემო ქართლი), **შავშეთის** და სხვათა კუთხის ქართველთ შვილებმა სულ აქ მხითარისტების სკოლებში იწყეს გაგზავრება და არა **რომში.**

ამ გვარათ, ქართველთ შვილებს მხითარისტები **სომხურათ ასწავლიდენ,** დღე და ღამ სულ იმას ელაპარაკებოდენ, რომ თქვენ სომხები ხართ და არა ქართველები; თქვენი სჯულის ენა სომხური ენა არის და არა ქართული. მოწაფეებსაც უწერავდენ ამას გულში, მერე როცა ესენი მღვდლათ ეკურთხებდენ და მოდიოდნენ საქართველოში, ესენიც მრევლში სულ იმას ქადაგებდნენ: ჩვენ სომეხ-კათოლიკენი ვართ, ჩვენი სჯულის ენა სომხური ენა არის, სომხური ენა ისე უნდა შეისწავლოთ, რომ მერე აღსარების თქმა თქვენს დედა ენა სომხურს ენაზედ შეგეძლოთო.

მრევლიც ისმენდა ამათ ქადაგებას და დღე და ღამ სულ იმის ცდაში იყვნენ, რომ მათ ქართული ენა დავიწყებოდათ და სომხურათ დაეწყოთ ლაპარაკი, რადგანაც მღვდლებიც სულ **სომხურათ ასრულებდენ წირვა-ლოცვებს ეკლესიებში.** ეს გარემოება უფრო უწყობდა ხელს ქართველების გასომხების საქმეს. ნელ-ნელა ისე მოეწყო საქმე, რომ მთელი ქართველ-კათოლიკენი მხითრებისაკენ გადაგვარებულ ქართველ მღვდლებმა ქართველი კათოლიკობა აიყოლიეს.

ქართველ-კათოლიკებს აგმობინეს ქართული ენა, ქართველობა და თავი სომხათ აღიარებინეს, საქმე ისე მოეწყო, რომ 1720 წლებს, ქართველ-კათოლიკეთ გადაგვარებული მღვდლები ეკლესიებში საქვეყნოთ სწყევლიდნენ და შეჩვენებას აძლევდნენ იმ ქართველ-კათოლიკეს,

ვინც იტყოდა, რომ მე ქართველი ვარ და არა სომეხიო. ასეთი წყევლა ამ გადაგვარებულ ქართველი სულის მამებმა წელიწადში ერთხელ იცოდნენ, **დიდმარხვის დაწყების დროს,** ასე და ამ გვარათ, საქმე ისე მოეწყო, რომ მალე თვით ქართველ-კათოლიკენი მრევლში სდევნიდნენ იმ პირთ, ვინც სომხურს ენას არ სწავლობდა და მღვდელს ამ ენაზედ არ აძლევდა აღსარების თქმას.

ამ გვარის ოსტატობით, ქართველ-კათოლიკებმა, მთელს ართვინში დაკარგეს ქართული ენა, ასევე შავშეთში და ამის სოფლებშიც. არდანუჯს, არტაანს, (არდაგანი) ანუ ზემო ქართლში, ლაზისტანს და სხვა ადგილებშიც. გასომხების საქმე ისე წაიყვანეს, რომ 1829 წ. მესხეთ-ჯავახეთი საქართველოს თუ არ შემოუერთდებოდა, მასთან მთელს ამ ორს კუთხის ქართველებშიაც მოისპობოდა ქართული ენა, რადგანაც ამის დასაწყისი მათში უკვე დაწყებულ იყო. ეკლესიებში სომხურათ სრულდებოდა წირვა-ლოცვა, აღსარება, ზიარება, დასაფლავება, გასვენება სულ სომხურათ იყო და ამას გარდა, მრევლში საჯაროთაც ქადაგებდენ და სწყევლიდენ იმ კათოლიკებს, ვინც არ სომხობდა, სომხურ ენას არა ხმარობდა.

ასეთის მელიაობით, მხითარისტებმა ისეთი შნო და ენერგია გამოიჩინეს ქართველების გასომხებაში, რომ მთელი ქართველ-კათოლიკენი მოხიბლეს და თავის მონა-ყმათ გახადეს; საქმე ისე მოეწყო, რომ ქართველთა მრავლათ იწყეს შესვლა მხითარისტების ძმობაში და თან მათ იქ შეჰქონდათ დიდძალი ფული და მხითარისტების ძმობას სწირავდნენ. ორმა ქართველ-კათოლიკემ **ბაღდასარ მეფისოვმა 1830 წ. 45 ათასი მანეთი შესწირა მხითარისტების ძმობას და ამის ძმამ 50 ათასი მანეთი ზედმეტი.**

მხითარისტებმა ქართველების გასომხებას არც XIX საუკუნეში გაანებეს თავი, ამ საუკუნოებში მათ ბევრი ქართველი გამოზარდეს სომხურათ და მასთან გადააგვარეს კიდეც იგინი. ასეთნი იყვნენ ქართველი მღვდელი **ამაზასპ საფარიანი,** მოდგმით ქართველი. ამის დედამ სომხური ერთი სიტყვაც არ იცოდა, შვილი კი სომეხ-კათოლიკის მღვდლათ გამოუვიდა და მეორე მღვდელი, **გურული და გურიაში** დაბადებული, **დიონისე კალატოზიშვილი,** მხითარისტებისაგან **კალატოზიანათ** წოდებული. ესენი ისე არიან გადაგვარებულნი, რომ მასზედ უსასტიკესი აღარა შეიძლება რა. ასეთი ღვაწლი მიუძღვით მხითარისტებს ქართველი ერის გადაგვარების წინაშე.

სტატია დაიბეჭდა გაზეთში „განახლებული მესხეთი“ (იხ. 1919 წ. N 14). ხელნაწერი და გაზეთის ეს ნომერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში.

ზაქარია ჭიჭინაძე

რომის პაპის დელეგატათ ნუნციონის მოსვლის გამო

განსაკუთრებით მეტად დიდი ყურადღება მოაქცია საქართველოს რომის პაპმა, კლიმენტი მეხუთემ, 1305 წლიდან.

ამ დროს, საქართველო გიორგი ბრწყინვალეს ცდილობით კარგათ ძრიელდებოდა, გიორგი ბრწყინვალემ დაქუცმაცებული საქართველო კვლავ გააერთიანა, საქართველოდან შინაური და გარეშე მტრები სულ გააძევა; თავისი შინაური ქართველი მთავრებიც, რომელნიც მის პოლიტიკის უარისმყოფელნი და მტრები იყვნენ, ამათ **გომბორის ცივზედ** ნადიმი გაუმართა და აქ ამ ნადიმზედ იგინი სულ ამოჟლიტა და მოსპო.

ამ გვარათ მთელი საქართველო შინაურის მტრებისაგანაც გაწმინდა; ამის შემდეგ მან ხალხის განათლების და დაწინაურების საქმეებს შეუდგა, სხვათა შორის, თფილისში მან საკმარისად დააწინაურა ქართველ კათოლიკების საქმენი და კლიმენტი პაპის გამოგზავნილ მისიონერებსაც დიდი დახმარება მისცა მისიონალური შრომისათვის; გონიერი გიორგი დიდ პატივსმცემელი გახდა რომის პაპის კლიმენტის მოქმედების.

გიორგი ბრწყინვალის ძლევამოსილებამ და მისმა დიდებამ უფრო დიდი ყურადღება მიიქცია პაპი იოანე XXII-საგან. 1318 წ. პაპმა იოანემ საქართველოში მრავლად გამოგზავნა სხვა და სხვა ორდენის მისიონერები. ამ დროს, ტფილისში ქართველთა შორის კათოლიკის სარწმუნოება ისე გავრცელდა და რომ ქართველთაგან მრავლად გაჩნდნენ თვით მონოზნებიც, რომელთაც სწავლა-განათლების მისაღებად რომში იწყეს გამგზავრება, ასეთია ვინმე **დიმიტრი მონოზონი,** რომელმაც განათლება რომში მიიღო.

ამ დიმიტრის გარდა, კათოლიკის მონოზნები ქართველთაგან იმ დროს სხვანიც ყოფილან. რომის არქივების ცნობები მოგვითხრობენ შემდეგს საყურადღებო ცნობებს: „1321 წ. აპრილის 13, ბზობის წინა დღეს, ხუთშაბათს, დიდებული წამება მიიღეს მინორიტების წესის, ოთხთა სარწმუნოების ბრწყინვალე მხედართა, რომელნიც არიან ძმა **თომა თოლეთინელი, ძმა იაკობ პადუელი, ძმა პეტრე სენიელი და მორჩილი დიმიტრი ტფილელი,** ტომით ქართველი“.

ეს დიმიტრი ტომით ქართველი ყოფილა, მოენე თავის ძმებისა. ამათი წამება მომხდარა ინდოეთის ქალაქს **თაჰანას,** სადაც ისინი მისიონერებად ყოფილან გაგზავნილები რომის ტახტისაგან. ამათი შრომა აუწერიათ იქვე, დომინიკიანელს, **ფრანცისკე პიზანელს** და **პეტრე თურელს.** სამწუხაროთ, ამ ქართველთ მისიონერთა მოღვაწეობის ცნობებს ჩვენს დრომდე არ მოუღწევია.

ამათის ცდით მომხდარა ის, რომ საქართველოში, ქართველთ შორის დიდათ გავრცელებულა და მალე ამ გარემოებას გამოუწვევია ის გარემოებაც, რომ რომის ტახტს საჭიროთ დაუნახავს საქართველოს სამეფო ქალაქ **ტფილისში**, ქართველ კათოლიკეთათვის საეპისკოპოზო კათედრის დაარსება; ესეც მალე მომხდარა.

1321 წ. მეფე გიორგი ბრწყინვალის დროს, ტფილისში იქმნა დაარსებული კათოლიკეთ საეპისკოპოსო კათედრა და მასზედ ეპისკოპოზად იქმნენ დანიშნულნი სხვა და სხვა დროს ეპისკოპოსნი იტალიელთ ტომისანი. პირველ ეპისკოპოსათ პაპმა იოანე XXII დანიშნა, ტფილისის ეპისკოპოსათ–**იოანე ფლორენციელი,** დომინიკიანელთა ძმობის წესისა.

ამ ეპისკოპოზის და საეპისკოპოზოს დანიშვნისთვის პაპმა ჩინებული წერილი მოსწერა **გიორგი ბრწყინვალეს.** ეს იოანე ფლორენციელი გარდაიცვალა 1349 წ.

პაპმა კლიმენტი VI მაშინათვე, ანუ 1349 წელსვე, ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა **ბერინარდო კოლეტი**, ტომით იტალიელი, დომინიკიანელთა წესისა. ამ ეპისკოპოსმა თფილისში მოიყვანა ბევრი მისიონერი და სხვა და სხვა მეცნიერი და სწავლული კაცები, რომელნიც ქართველებს ამზადებდენ ევროპიელის მეცნიერებით, ამ ეპისკოპოსის მართვა-გამგეობის დროს, კათოლიკობა დიდათ წავიდა წინ ტფილისში, რადგანაც მას გიორგი ბრწყინ-ვალე უწყობდა ხელს. ქართველ ყმებსაც სწერავდენ კათოლიკეთ ეკლესიას.

1356 წ. რომის პაპმა, ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა **ჰენირიკო რაცი,** ფრანცისკიანელე-ბის ორდენისა.

1391 წ. პაპმა ბონიფაციო IX, ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა **ლეონარდო ვილაკოელი**, დომინიკიანელის წესისა. ამ ეპისკოპოს ქართველ მეფეებმა თურმე დიდი დახმარება და თავისუფლების უფლება მისცეს.

1425 წ. პაპმა მარტინ V ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა **ივანე სანკტე** მიქაელელი. ამ ეპისკოპოსი ცხვორების ცნობები არა სჩანს.

1450 წ. პაპმა ნიკოლოზ V ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა **ეპისკოპოსი ალექსანდრე**, დომინიკიანელის წესისა.

1462 წ. პაპმა პიო მეორემ თიბილისის ეპისკოროსათ დანიშნა **პეხრიკო,** ფრანკცისკიელის წესისა. ეს გარდაიცვალა 1469 წ.

1470 წ. პაპმა პავლე II ტფილისის ეპისკოპოსათ დაინიშნა ეპისკოპოსი **ივანე** იმაქი, ავგუსტიანების წესისა.

1493 წ. პაპმა ალექსანდრე მეექვსემ, ტფილისის ეპისკოპოსათ დანიშნა ალბერტ **ენჯელი**, დომინიკიანელის წესისა.

ამ ეპისკოპოსების შემდეგ, საქართველოში მოსულა პაპის ნუნციონი, ფრანცისკის წესისა, რომელ ნუნციონსაც **პაპი ქალისტო მესამე,** ამას თავის საყვარელ შვილად აღიარებს.

ამ ეპისკოპოს ნუნციოს გარდა საქართველოში სხვანიც ყოფილან, მათი ცნობები დაკარგუ-ლია, არაფერი სჩანს.

ქართველ კათოლიკეთა არსებობის გამო, ეს ცნობებიც კმარა, რაც ჩვენ მოვიყვანეთ აქ. იმე-დია, რომ ამ ისტორიულს ჭეშმარიტებას პაპის დელეგატი ნუნციონი ჯეროვან ყურადღებას მიაქცევს და მით ქართველ კათოლიკებს დაიფარავს, რომ ესენი სომხის მხითარისტ მღვდლე-ბისაგან გადაგვარებულ არ იქმნენ, როგორც მათ გადააგვარეს **შავშეთის ქართველი კათოლი-კენი, ართვინის, არტაანის**, **ლაზისტანის** და სხვაგანაც, სადაც დღეს გადაგვარებულ ქართველ **კათოლიკებს ქართული ენა დავიწყებული აქვთ და იგინი სომხურათ ლაპარაკობენ**.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. სტატია დაბეჭდილია გაზეთში „საქართველოს რესპუბლიკა“ (იხ. N194, 1919 წელი). გაზეთის ეს ნომერიც იქვეა დაცული.

ზაქარია ჭიჭინაძე

ქართველ კათოლიკეთა შესახებ

(რომის პაპის ნუნციონის საყურადღებოდ)

7 ენკენისთვეს რომის პაპის ვიზიტატორი ქართველ კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში სადღესასწაულო მესის შემდეგ სკოლის სადგომში მიწვეულ იქმნა ბანკეტზე, სადაც მრავალი მხურვალე სიტყვა წარმოითქვა ქართველ კათოლიკეთა შესახებ.

თვით პატივცემულ ნუნციონმაც მიიღო მონაწილეობა სიტყვების თქმაში და უსურვა კათოლიკეთ მშვიდობა და საქმის კეთილად წარმართვა. იგი დაჰპირდა ქართველ კათოლიკეთ, რომ გამოარკვევს მათს „ბედიღბალს“ და გაანთავისუფლებს დევნისაგან. აქ პატივცემულ ნუნციონის საყურადღებოდ მინდა მოვიყვანო მცირე ისტორიული ცნობები ქართველ კათოლიკეთა შესახებ, რაც დღეს საზოგადო ინტერესით არის გამსჭვალული.

პაპმა იოანემ საქართველოს დედაქალაქ თბილისში, გიორგი ბრწყინვალის დროს, განაწესა ქართველ კათოლიკთა საეპისკოპოზო კათედრა 1326 წელს.ეპისკოპოსათ დაინიშნა ეპისკოპოსი **იოანე ფლორენციელი,** დომინიკიანელების წესისა. ეს ეპისკოპოსი გარდაიცვალა 1349 წ.

პაპმა კლიმენტი VI მაშინათვე დანიშნა თბილისის ეპისკოპოსად **ბერნარდო კოლეტი**, დომინიკიანელების წესისა, აღმოსავლეთის ხალხების ისტორიის და ქართული ენის მცოდნე.

1391 წელს ეპისკოპოსად იქნა დადგენილი **რეინალდო დომინიკიანელი,** ქართული ენის კარგად მცოდნე, ამ ეპისკოპოს დიდი მეგობრობა ჰქონდათ სამცხის ათაბაგებთან.

1450 წ. პაპმა პიო II-რემ გიორგი მეფის დროს, თბილისის ეპისკოპოსათ დანიშნა ეპისკოპოსი **თუროკო** დომინიკიანელის წესისა. კაცი კარგად მცოდნე საქართველოს ისტორიის და ქართული ენისა.

1469 წ. მეფის კოსტანტინეს დროს პაპა პავლე II-რემ თბილისის ეპისკოპოსათ დანიშნა ძმა **იოანე** ავგუსტიანელების წესისა, კაცი კარგათ მომზადებული და მცოდნე ევროპიული და აზიის ტომთა ენების, მასთანვე, კარგათ მცოდნე ქართული ენის და ისტორიის.

1493 წ. პაპის ალექსანდრე მეექვსისაგან დანიშნული იქმნა თბილისის ეპისკოპოზად **ალბერტ ანჟლო ფრანცისკიონელი**, თავის დროზე კვალათ ღრმათ განვითარებული და კარგათ მცოდნე ქართული ენისა და ისტორიის, ამ ეპისკოპოს დიდი გავლენა აქვნდა იმ დროს ქართველ მეფესა და ბატონიშვილებზედ, ამ ეპისკოპოს დაებადა აზრი **საქართველოს რუქის შედგენის** და მან ეს მოახერხა და შეადგინა კიდეც, რაც ევროპაში ლიტოგრაფიაში დაბეჭდილი რუქა პირველად **გამოქვეყნებულ იქმნა** 1520 წ.

პატრი მიხ. თამარაშვილის თქმით, საქართველოში ყოფილა ცამეტი ეპისკოპოსი, ჩვენ კი შვიდი გვყავს ცნობილი, ამიტომ მომყავს პატივცემული მიხ. თამარაშვილის ცნობებიც:

იოანე–ფლორენციელი, პირველი ეპისკოპოსი თბილისის, მეორე ეპისკოპოსი ბეთრანდო კოლეტი, დომინიკიანელის წესისა, 7 წლის შემდეგ ეს ეპისკოპოსი გერმანიაში გადაუყვანით, მესამე ეპისკოპოსი **ბერთრამო** დომინიკიანელის წესისა. მეოთხე ეპისკოპოსი გამოუცვლია ატი პაპს კლევატის მეხუთე ეპისკოპოსათ დანიშნეს **ჰენრიკო რაცი** ფრანცისკიელების წესისა, მეექვსე ეპისკოპოსათ 1481 წ. **ლეოჰარდო ვილაკოელი**, დომინიკანელის წესისა, მეშვიდე ეპისკოპოსი იოანე ეპისკოპოსი, ეს გარდაიცვალა 1520 წ. მერვე ეპისკოპოსათ **ალბერტო ანჯელო,** მინოსტერის წესისა. მეცხრე ეპისკოპოსათ **ალექსანდრე ეპისკოპოსი,** დომინიკიანების

წესისა. მეათე ეპისკოპოსი **ჰენრიკო** ეპისკოპოსი ვონსტი. მეთერთმეტე ეპისკოპოსათ, ეპისკოპოსი **ივანე იმაქი,** ავგუსტიანელების წესისა. ეს ეპისკოპოსი 1571 წ. ცოცხალი ყოფილა, ამის შემდეგ ორიც სხვა ეპისკოპოსები ყოფილან და მიხ. თამარაშვილი იმედოვნებდა, რომ იმ ცამეტ ეპისკოპოსთა გარდა, საქართველოში სხვა ეპისკოპოსების ცნობებიც აღმოსჩენდება რომის არქივებში, რადგანაც ამდენ ეპისკოპოსების შემდეგ რომის ცეტი საქართველოს უყურადღებოთ არ დასტოვებდაო.

იმედი გვაქვს, რომ პატივცემული ნუნციონი ამ ისტორიულს ცნობებს ყურადღებას მიაქცევს და საქართველოში, ქართველ ნაციის კათოლიკების არსებობას უეჭვოთ დაასაბუთებს, რითაც უეჭველია დასაბუთებული იქმნება დიდი ისტორიული პირობები და სინამდვილე.

ხელნაწერი შენახულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში; დაბეჭდილია გაზეთში „საქართველო“ (იხ.N196. 1919 წელი).

ალექსანდრე ხახანაშვილი

არიან თუ არა ქართველ–კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარუხანას)

ქართველ-კათოლიკეთა შესახებ ბევრი რამ იწერება არა თუ კავკასიის ჟურნალ-გაზეთობაში, არამედ რუსეთის ჟურნალებშიდაც. ჩემმა ისტორიულმა შენიშვნამ ქართველ-კათოლიკეთა შესახებ (იხ. პეტერბ. ვედომ. 1899 წ. N 334) გამოიწვია ვრცელი პასუხი (იგავე გაზეთი. 1900 წ. N№156-ში), რომლის ავტორიც ბ. სარუხანა ვითომდა „ნამდვილ წყაროების“ საფუძველით სცდილობს იმის დამტკიცებას, რომ ძველადგანვე საქართველოში კათოლიკობა სომხებს აქვსთ მიღებული და არა ქართველებსო, და ის სურვილი საზოგადოების რამოდენიმე ნაწილი (სამოცი ათასამდე სულია)–რომელნიც ცალკე სარწმუნოებრივ ჯგუფად, ქართველ კათოლიკეზად ისახელებენ თავს, უნდა ჩაითვალოს უსაფუძვლო რამედ და ისტორიულ გაურკვევლობადო. ამ დასკვნამდე მისულა ზემოხსენებული სტატიის ავტორი, რომელსაც მხოლოდ სცოდნია ერთი წყარო, სადაც არის დასახელებული ერთ-ერთი გავლენიანი პირი, რომელსაც კათოლიკეს სარწმუნოება მიუღია. ეს იყო **თავადი ორბელიანი,** რომელიც პაპის ინნოკენტ მე-XI-ისადმი მინაწერ წერილში უწოდებს თავის თავს „Bardzimo dagli Erastavi si Giorgia“, ამასთანავე ბ. სარუხანა ასახელებს Acta Ecles, Acta Ecles. 20 Novemb. 1690, გვ. 258. ეს არის ერთი მისი ნამდვილ წყაროთაგანი. თუ რა წყაროა ის, ან რა ნაირად სარგებლობს იგი ამით, ამას ჩვენ ქვემოთ დავინახავთ, ეხლა-კი დვასახელებთ მხოლოდ იმ ნაწარმოებს, რომელთაგან იგი იღებს „ისტორიულ ცნობებს“. ხსენებულ Acta Ecles.-ს გარდა, იგი ასახელებს ცნობებს პაპის მისიონერთაგან მათ მოხსენებებში მოყვანილს და აგრეთვე მე-XVII-XVIII საუკ. მოგზაურთა ცნობებიდგანაც, როგორც მაგ.: **შარდენი, ტურნეფორი** და **კლაპროტი**. რადგანაც ბ. სარუხანა ჩვენ გვისაყვედურებს, რომ ჩვენ ვითომ „ნამდვილ აზრს ზოგიერთი წყაროების ცნობებისაც (მაგ. შოპენისა და სხ.) არ ვიხსენებთ, ამისათვის ჩვენ ვიღებთ მის გამოწვევას და მზად ვართ გამოვიძიოთ იმავე ავტორისაგან, რომელთა მიხედვითაც იგი მისულა ქართველ-კათოლიკეთა არსებობის უარის ყოფამდე.

როგორც პირველ წერილში, ისე ამ წერილშიდაც მთავარ მიზნად იმის დამტკიცებას ვისახავ, რომ საქართველოს სამეფოის თვითარსებობის დროსაც იყვნენ და ეხლაც არიან ქართველ-კათოლიკენი, რომელთაც არაფერი საერთო არ აქვსთ სომხის ერთან და სომეხ-კათოლიკეთა ეკკლესიასთან. ამასთანავე, რომ ძალიან არ გაგრძელდეს და არც გადავშორდეთ ჩვენს პირდაპირ კითხვას, არ შევალთ იმის განხილვაში, თუ რა ძალითა და ცდით მოიდგა ფეხი სომხის ხალხში კათოლიკობის პროპაგანდამ.

შევუდგებით იმ „ნამდვილ ისტორიულ წყაროთა“ განხილვას, რომელნიც მოწმობენ კათოლიკობის პროპაგანდას საქართველოში, ხოლო არ გავიმეორებთ აქ გზასა და მიზეზებს ჩვენს ქვეყანაში მის გავრცელებისას, რაიცა ჩვენ პირველ წერილში უკვე ავღნიშნეთ.

როგორც ნათქვამია ზემოთ, „ნამდვილ წყაროებად“ ბ. სარუხანა სთვლის: 1) Acta Ecles. (ასე სწერს ავტორი და არ ასრულებს უკანასკნელ სიტყვას, არც ადგილს და წელს უჩვენებს, თუ როდის არიან გამოცემული ხსენებული ნაწერები). 2) მოხსენებანი კათოლიკეთა მისიონე-რებისა პაპის სახელობაზე და 3) ევროპიელ მოგზაურთა ჩვენებანი. პირველი ამ „ნამდვილ წყაროთაგანი“, რომელიც მოყვანილია ბ. სარუხანის წერილში, ეკუთვნის ავტორის ოცნებას და

მოკლებულია სინამდვილეს. ბ. სარუხანი ძლიერ დიდ ნებას აძლევს თავის ოცნებას და შეიძლება გაუგებლობითაც მოდიოდეს, რომ სიტყვა ee, ე.ი. et cetera (ანუ e cetera) გადაუკეთებია ecles, ე.ი. eclesiastica და ამ სახით შეუდგენია რაღაც „საეკლესიო ოქმები“, რომლებზედაც იგი აფუძნებს თავის აზრს და დარწმუნებით ამბობს, რომ **თავადი ორბელიანი** იგივე **ბარძიმ ერისთავიაო.** მე ეხლავ განვმარტებ, თუ როგორ შეთხზა ბ. სარუხანმა ეს მის მიერ გამოგონებული „ნამდვილი წყარო“, მე ეჭვი ავიღე, რომ თავადი ორბელიანი, რომელმანც ფრანგთა აღსარება მიიღო 1714 წ., არ უნდა იყოს იგივე **ბარძიმ ერისთავი,** რომელიც 1690 წ. გადავიდა კათოლიკეთა ეკლესიის მხარეზე, როგორც ამას სინამდვილით აღნიშნავს ბ. სარუხანა თავის მეცამეტე შენიშვნაში (20 novemb. 1690 წ. გვერდი 258), მე შევუდექი გამოკვლევას თუ რომელი Acta ecles იძლევა ამ ცნობებს: დაწვრილებითი გამოკვლევის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ბ. სარუხანს სინამდვილით ვერ მოჰყავს ეს ნაჩვენები სიტყვები ისტორიული ნაწარმოებისაგან, რომელსაც ეწოდება Acta ecles. P. Roceo de Cezimale. Storia Delle missioni dei Cappucimi Roma. 1873 წ. 378 გვერდზე, შენიშვნაში G. Rocco მოჰყავს შემდეგი დასაბუთებული ცნობები, რომელნიც ჩვენც შევამოწმეთ რომის კონგრეგაციის არხივში Propaganda Fide: „Giulio da Gremona. prefetto della missioni dei Cappuccini in Georgia, perta a notizzia dell’s.s. v.v. esser convertito alla fide cattolica il principe Barzimi della stripe dei regi d’ Iberia e primo dopo il re di Georgia-scrive il principe alla santita di N.S.” ამასთანავე P. Roeco “Acta ec. 20 novemb. 1690, p. 158“. ბ. სარუხანი თუმცა თავის თავს აწერს ამ ცნობათა შეკრებას ბარძიმი ერისთვის ფრანგთა აღსარების მიღების შესახებ, მაგრამ ვერ მოუხერხებია დამალვა, რომ ეს ადგილი მოყვანილია P. Rocco-ს შრომიდამ. უკანასკნელს თავის ისტორის კაპუცინების მისიების შესახებ Acta ec სახელწოდებით, სახეში აქვს Acta s. c. de Propaganda Fide, ამიტომ s და c. ლიტერის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ sacra congregatio. P. Rocco, სათაურის შესამოკლებლად Acta Sacrae congregationis de Propaganda, Fide, საკმაოდ რაცხს შემდეგ გვერდებზე აღნიშნოს “acta ec.” ე.ი.“Acta”et cetera. მართალია საქმეს, იმით არაფერი არ ევნება, რომ “Actae de prop. fide” -ს მაგიერ ნახმარია საეკკლესიო აქტები. მაგრამ ყოვლად შეუძლებელია ვსთქვათ, რომ **ბარძიმ ერისთავი,** რომელმანც მიიღო ფრანგთა აღსარება 1690 წ., იყოს იგივე თავადი **ორბელიანი**, რომელიც გადავიდა კათოლიკეთა სარწმუნოებაზე, როგორც ეს დანამდვილებით ვიცით, 1714 წ. არ შეიძლება ბ. სარუხანს არ უსაყვედუროთ იმისათვისაც, რომ ჩვენ მიერ მოყვანილი ადგილიდამ, რომელიც მას უსათუოდ უნდა სცოდნიყო, მას არ გამოჰყავს სრული დასკვნა. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ არა თუ **ბარძიმ ერისთავი,** არამედ იმაზე უფრო ადრე, საქართველოს მეფე შეუერთდა კათოლიკეთა ეკკლესიას. აი, რა „მიუდგომლად“ სჯის ბ. სარუხანა ქართველ-კათოლიკეთა კითხვის შესახებ! იგი უმართლოდ ამბობს, რომ **ბარძიმ ერისთავი** და თავადი ორბელიანი, ერთი და იგივე პირნი არიანო, ამით მას სურდა გაემართლებია მის მიერ აღიარებული აზრი, ვითომც ამ საგნის შესახებ იყვეს მხოლოდ ერთი საბუთი, რომელშიაც აღნიშნულია საპატიო პირი, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარება“, ე.ი. **თავადი ორბალიანი** პაპა ინოკენტი XI-ეს სწერს წერილს, რომელშიაც თავის თავს უწოდებს Bardsimo degli Eristavi sc di Giorgia. ეს ადგილი კაპუცინების ისტორიიდამ ან ვერ გაუგიათ, ან განგებ ამახინჯებენ. თავადი ორბელიანები არას დროს თავის თავს ერისთავებს არ უწოდებდნენ. რაც შეეხება ბარძიმ ერისთავის და თავ. ორბელიანის

(რომლის მაგიერ, ცხადია, უნდა ვიგულისხმოთ **საბა სულხან ორბელიანი**[*] ჩვენ გვაქვს სარწმუნო წყაროები და ამ ორი პირის ერთად შეერთება ქართველ-კათოლიკეთა რიცხვის შესამცირებლად არ მტკიცდება მისიონერთა მოხსენებისგან. ე.ი. იმ წყაროსაგან, რომელიც ბ. სარუხანს მიაჩნია ნამდვილ წყაროდ. Propagandi Fide არხივში ინახება პაპა **ინოკენტი XI -ის წერილი 1692 წ. ბარძიმ ერისთავისადმი მინაწერი,** რომელიც აღნიშნულია კაპუცინების ისტორიის P. Rocco-ს 359-370 გვერდზე. ამ წერილში ბარძიმ ერისთავს კათოლიკეთა ეკკლესიის თავი ულოცავს კათოლიკეთა ეკკლესიასთან შემოერთებას და მადლობას სწირავს მას, რომ იგი მფარველობას უწევს ქართველ კათოლიკეთა, რომელთაც სდევნიან სომეხნი.

ისტორია იმის შესახებ, თუ როგორ მიიღო კათოლიკეთა აღსარება ს.ს. ორბელიანმა და ან როგორ მოიყვანა მან ევროპიდამ საქართველოში კაპუცინების თორმეტი ბერი, კარგად უწყის ბ. სარუხანმა, და ამიტომ აღარც ჩვენ გავაგრძელებთ ამაზე სიტყვას. მაგრამ ისიც უნდა ვსთქვათ, რომ ბ. სარუხანი მართალია იმაში, რომ იგი ცდილობს დაასაბუთოს თავისი აზრი „კატოლიციზმობის“ საქართველოში წარმატებით გავრცელების შესახებ პაპის მისიონერების მოხსენებათა ზედა. უკანასკნელთა მოხსენება მან რამდენიმედ კიდეც უწყის „კაპუცინების ისტორიისაგან“ P. Rocco, მაგრამ ამ შრომიდან მას გამოუკრებია ნაწყვეტ-ნაწყვეტი ცნობები, რომელიც ხელ-ჩასაკიდებელია და სახეიროა სომეხ-კათოლიკეთათვის, ხოლო საწინააღმდეგოა ქართველ-კათოლიკეთათვის. ბ. სარუხანი იწყებს თავის ისტორიულ მიმოხილვას კათოლიკეთა ქადაგების შესახებ და XIV საუკუნიდამ პირდაპირ გადადის XVII საუკუნეზე და სრულებით არ იხსენიებს სამი საუკუნის განმავლობაში მისიონერთა მოღვაწეობის შედეგს კავკასიელ მკვიდრთა შორის. ეს ისტორიული ნაკლი შეიძლება დღეს შევავსოთ ნამდვილი დასაბუთებული ცნობებით, რომელნიც მე გამოვკრიბე Propagandi fide-სა, ვატიკანისა და სხვა არქივებისაგან.

[*] იხ. სტატია „ქართველი კათოლიკენი“ სომხის გაზეთის „მშაკში“ 1897 NN 137, 138, 144, 145, და სხვ. ეს სტატიები იყო მიზეზი ჩემი პასუხისა ამ სათაურით: „ჭეშმარიტება ქართველ კათოლიკებზე“ (პეტერ. უწყებ. 1900 წ. N 156).

ალექსანდრე ხახანაშვილი

არიან თუ არა ქართველ–კათოლიკენი?

(პასუხი ბ. სარუხანის)

გაგრძელება*

მისიონერთა მოხსენების გარეშეც, რომელ მოხსენებიდგანაც ჩვენ, რამდენადაც შესაძლო იყო, გამოვკრიბეთ ზემოთ დასახელებული ცნობები; არის კიდევ ფრიად საგულისხმო საბუთი, რომელიც გვიმტკიცებს, თუ რამდენად წარმატებით ავრცელებდნენ კათოლიკეთა მისიონერები თავიანთ მოძღვრებას ქართველთა შორის. ეს საბუთი არის სია მოსწავლე ქართველთა რომის კოლლეგიაში 1633-1755 წ.წ.[1] ამ სიაში აღნიშნული დროის განმავლობაში მე დავითვალე 27 ქართული მოწაფე. აქვე მოვიყვან ზოგი მათგანის სახელებს: 1) Andrea Mengrelo fu ricevuto 27 di Septebre 1643 an... gli aveva dato il principe di Mengrelia accio in Suo nome la presentassa al Papa. ეს მეგრელი სხვებთან ერთად საჩუქრად გამოუგზავნია პაპისათვის სამეგრელოს მფლობელს. 2) Mishele Angelo Figlio di Sciermasan e di Tamar, ambedue scismatici (ე.ი. შვილი მართლმადიდებელ მშობელთა), nato in Tiflis, in Giorgia 1686. 3) Solomon Georgiano entro in collegio 1688 an. 4) Giuseppe Abessalomiani giorgiano. მშობლები მისი უკვე იყო cattolici di Tiflis 1703. 5) Giovanni Figliodi Melechior (ე.ი. მალაქია)Gigananti. di mad re e fratelli cattolici, ma di genitori scismatici, entro in Coll. 18 gingno 1729. დედა და ძმები ამ მოწაფისა უკვე შეერთებიან რომის ეკკლესიას, მამას კი არ უმტყუნებია მართლ-მადიდებელ სარწმუნოებისათვის ანუ დარჩენილა სხიზმატიკად, როგორც ჩვენს ეკკლესიას უწოდეს კათოლიკეთა ეკკლესია. 6) 1667 წ. სწავლობს კოლლეგიაში Petrus di Giorgio Giorgianno. ვიკმაროთ ეს სია, რომელშიაც ჩამოთვლილია ქართველი კათოლიკენი, რომელნიც სწავლობდნენ რომის კოლლეგიაში 1707 წლამდე. ჩვენ ხელთ გვაქვს კიდევ სხვა ბევრი. ცნობებიც შესახებ ქართველებისა, რომელნიც სწავლობდნენ რომში შემდეგ წლებშიაც. მაგრამ იმ აზრის გასამტყუნებლად, ვითომ საქართველოში იყვნენ მხოლოდ სომეხ ქათოლიკენი, საკმაოა გავიხსენოთ სახელები მეფეთა, ქათალიკოსთა, თავადთა[2] და უბრალო ქართველ მკვიდრთა, რომელთაც მიიღეს კათოლიკეთა აღსარება. თითქმის ყველა წოდების წარმომადგენელთ ჰქონდათ მიღებული კათოლიკეთა სარწმუნოება, განსაკუთრებით **იმერეთში, გურიაში** და **სამეგრელოში**[3] სადაც დიდი წარმატებით ვრცელდებოდა კათოლიკეთა აღსარება. მოწაფეთა სახელები რომში გვიჩვენებენ, რომ მოსწავლენი შედიოდნენ. კოლლეგიუმში საქართველოს სხვადასხვა კუთხედამ. ამ მოსწავლეთაგან შემდეგში ნიშნავდნენ მისიონერებს საქართველოში კათოლიკეთა აღსარების გასავრცელებლად. მხოლოდ მათი პირდაპირი ზედამხედველობით იბეჭდებიან წიგნები კათოლიკეთა აღსარების შინაარსისა სამწყსოთა სულიერი მოთხოთნილების დასაკმაყოფილებლად. ჯერ კიდევ 1683 წ. **ბარნარდო ნეაპოლიტანელი** ტფილისში ადგენს ქართველ კათოლიკეთათვის დარიგებას სარწმუნოების შესახებ; შემდეგ მანვე შეადგინა ქართულს ენაზე კატეხიზმო, რომელშიაც ჩაურთო **მართლ-მადი-**

---

* იხ. „მწყემსი“ N 23-24 1900 წ.

[1] SAcerdoti Giorgiani alunni del collegio urbano (Registo degli alunno del college urbano vol. I, dal 1633 al. 1753).

[2] დავასახელოთ კიდევ ერთი **„ერისთავი არდაშევი“,** ნათესავი მეფისა, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარება 1668 წ., როგორც ამას მოწმობს საბუთი, რომელიც გაგზავნილია რომში კაპუცინების მიერ (არხ. P.F.).

[3] Les Theatins vinrent en Mingrelie Lan 1627. Ils y furent reçus comme medecins.Les théatins dissent que le profit spiritual quilfint. Chardin. Yoyage en Perse p. 88. იმერეთში 1671 წელში კაპუცინები ანგარიშობენ ასზე მეტს ქართველ კათოლიკეთა.

დებელი აღსარების სწავლაც; რადგან შენიშნა, რომ სიმვოლო სარწმუნოებისა აგრეთვე შედგენილა წმ. მოციქულებისაგან, როგორც სჩანს, ეს წიგნი დანიშნული იყო მართლ-მადიდებელ ქართველთათვის, რომელთაც მიიღეს კატოლიციზმი. წიგნის წინასიტყვაობისაგან ჩვენ ვტყობილობთ, რომ ქართველი **ზაალ ედიბეგი** „primo cattolico e scolare de Gide Propaganda". ენის მცოდნე პირთ კაი აზრი წარმოუთქვამთ ამ წიგნის შესახებ, რომელიც შედგენილი ყოფილა თანახმად კათოლიკეთა სარწმუნოებისა. ასეთივე კატეხიზმო შემდეგში თარგმნა ლათინურიდამ ქართულს ენაზე ქართველმა, ქ. გორის მცხოვრებმა, რომელიც აღზრდილი იყო რომში. ეს იყო დავით თულუქაშვილი, ხოლო მის წიგნს ეწოდა Dottrina Christiana peruso missioni della Giorgia[4], 1629 წელს ქართულ-იტალიანური სლოვარის შედგენის დროს **პაულინს** სამსახური გაუწია **ნიკიფორე ირბახმა** – giorgiano monaco di S. Basilio.

ამ სახით, სჩანს, რომ არსებობდა ქართველ-კათოლიკეთა სამწყსოც, რომლის წევრნი სხვადასხვა წოდებისანი იყვნენ, იყვნენ; მოწაფეებიც ქართველ-კათოლიკეთაგან ფრანგების სასწავლებელში, მოიპოვებდა აგრეთვე საეკკლესიო–ღვთის მსახურების წიგნებიც სამწყსოის საჭიროების დასაკმაყოფილებლად. განა ამის შემდეგ დასაჯერებელია, „ნამდვილი წყაროების" აზრი, რომ საქართველოში მხოლოდ სომეხ კათოლიკენი იყვნენო[5] და ცნობილია მხოლოდ ერთი საბუთი გავლენიან პირის შესახებ, რომელმაც მიიღო კათოლიკეთა აღსარებაო?"

ეხლა შევამოწმოთ ბ. სარუხანის მეორე „ნამდვილ წყაროებად" აღიარებული საბუთი – მოგზაურთა მოთხრობანი. ბ. სარუხანი ჩვენ ბრალსა გვდებს, რომ ვითომ ჩვენ „ვიხსენიებთ რა ამ მოგზაურთა", არ მოგვყავდეს „მათი ნამდვილი სიტყვები". თუ როგორ ესმის ბ. სარუხანს „ნამდვილი სიტყვების" მნიშვნელობის მოყვანა, ამას ჩვენ დავინახავთ შემდეგი მაგალითისაგან. ასახელებს რა იგი XVII საუკუნის მოგზაურის **შარდენის** მოთხრობას იმის შესახებ, ვითომ „მისიონერთ" არა ჰქონდათ სასურველი წარმატება ქართველთა შორის"-ო, ბ. სარუხანი უპირისპირებს ამ ადგილს „ნამდვილ სიტყვებს" თითქო თვით შარდენისას სომეხთა შესახებ: „კათოლიკე სომეხთ, რიცხვით 400 კაცს, აქვს თავისი სამლოცველო". ამ სიტყვებს იმ აზრით იხსენიებს ბ. სარუხანი, რომ სომეხ კათოლიკეთ ვითომც უკვე ჰქონდათ საკუთარი ე.ი. ცალკე ეკკლესია, – ალბათ (?!) ეს ეკკლესია აშენებული იყო კაპუცინების მოსვლამდე". ბ. სარუხანი გვითითებს მეორე ტომის 79 გვერდს „Yoyage en Perse" da chevalier du Cherdin. სტატიის ავტორს დავიწყნია, ეჩვენებია წელიწადი და ადგილი შარდენის მოგზაურობის გამოცემისა და ასეთი ცნობები კი ამ შემთხვევაში აუცილებლად საჭიროა, ვინაიდგან ფრანცუზის მოგზაურის შრომა გამოცემულია მისგანვე ამსტერდამში 1711 წ.[6]; და შემდეგ იგივე მოგზაურობა გამოსცა ირანისტმა Langlois პარიზში 1811 წ. არც დასახელებულ ტომში და არც თვით შარდენის გამოცემაში „Yoyage en Perse" არაფერი მოიპოვება მსგავსი ბ. სარუხანის მიერ მოყვანილი ციტატისა. **ლანგლუას** მიერ გამოცემულ შარდენის მოგზაურობაში, მართალია, ნამდვილად მოიპოვება აღნიშნული ცნობები კათოლიკე სომეხთა შესახებ, მაგრამ ბ. სარუხანმა გამომცემლის – **ლანგლუას** – სიტყვები მიაწერა მოგზაურობის ავტორს – **შარდენს**. აღნიშნული

[4] იგი თავის თავს უწოდებს „Giorgiano".

[5] თვით იგივე **შარდენი,** რომელიც ვითომც აღტაცებით იხსენიებს კათოლიკეთა აღსარების წარმატებით გავრცელების სომეხთა შორის, სწერს Jani déjà remarqué que les améniens se sont toujours tenus á leus colte ancient. Yoyage… Amsterdam 1711, t. I, p. 156 и 170).

[6] შარდენმა იმოგზაურა აღმოსავლეთისაკენ ორ გზას: პირველად 1664–1670 წ.წ., მეორედ 1671 – 1677. თავისი მოგზაურობის პირველი ნაწილი ამან დასტამბა 1686 წ. და შემდეგში გამოსცა ხელ-ახლა 1711 წელს.

ციტატი თხზულებიდამ კი არ არის მოყვანილი, არამედ თვით ლანგლუას შენიშვნიდამ და არც თვით ლანგლუა ფარავს, რომ ეს ცნობა ქათოლიკე სომეხთა და იმათ სამლოცველოს შესახებ მას გადაცა ერთმა სომეხმა: „Les arméniens catholiques au nombre d' environ quatrecents on tine chapelle particuliére. Un arménien m' a rectifié et traduit le nim des églises"[7]. რასაკვირველია, „სომეხი" სარწმუნო პირია, მაგრამ ამ შემთხვევაში მისი ცნობა, რომელიც ჩამატებულია ასი წლის შემდეგ შარდენის სპარსეთში მოგზაურობის გამოცემისა, არ შეიძლება მივაწეროთ შარდენს. ამ სახით, ფაქტი რომ 400 კათოლიკე სომეხნი იყვნენ და მათ აქვნდათ საალოცველო (ეკკლესია? ბ. სარუ-ხანის სიტყვით), არ მტკიცდება „ნამდვილ წყაროთი" მე-XVII საუკუნეში მოგზაურის ჩვენებით.

თუ გინდ შევამოწმოთ ამ მოგზაურის ჩვენება ქართველ მოსწავლეთა რიცხვის შემცირების შესახებ (7–8) ტფილისის სამისიონერო სკოლა–Pater სერაფიმი 1671 წლიდამ, ე.ი. როცა შარდენი იმყოფება საქართველოში, აცნობებს პაპას, რომ ქართველთა შკოლა ქართველ კათოლიკე-თათვის ხელახლად გავაღეთ და მასში ბევრი ბავშები სწავლობენო: Ho rimesso dinuovo la scola di molti figlioli che l'anno passato. ci fu tolta per una persutione e insegnamo il giorgiano e I'italiano e il latino[8]) ეჭვი არ არის, რომ ეს შკოლა, სადაც სწავლობდნენ ქართულს ენას, იტალიანურ და ლათინურ ენებთან ერთად, დანიშნულ იყო ქართველთათვის და არა სომეხთა შვილებისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ძნელი გასაგებია, თუ რატომაა გამორიცხული სასწავლო საგნებიდამ სომხური ენა. სამი წლის წინად შარდენის მოსვლამდე მოსწავლეთა რიცხვი იყო 25-მდე. შარდენს შეეძლო ცოტაოდნად შეემცირებია კაპუცინების მოღვაწეობის წარმატება, ვინაიდგან მას არ მოსწონდა თავიანთ მემამულეთა საქციელი იმ პიროვნული ანგარიშების გამო, რომელმაც თავი იჩინა მათში საქართველოში.

1901 წელი, სტამბულის სავანე.

[7] Viyage de chevalier Chardin de Paris. 1881, p. 78-79. ეს ადგილი მოყვანილია დასამტკიცებლად ტექსტის ქართველთა და სომეხთა ეკკლესიების შესახებ ტფილისში.

[8] არქივი „Propaganda Fide".

არნ. ჯაჯანაშვილი

ქართველი კათოლიკენი

მკითხველები უეჭველია უკვე მიაქცევდნენ ყურადღებას იმ წერილს, რომელიც ჩვენს გაზეთში იყო დაბეჭდილი ახალციხის ქართველი კათოლიკების შესახებ. ეს საკითხი ძველის ძველია. ქართველი კათოლიკენი ჯერ ისევ რუსეთის ბატონობის დროს ცდილობდნენ გაენთავისუფლებინათ თავი სომხური ტიბიკონიდან და ეხლაც, **სინოდისის აბსოლუტური თავისუფლების დროს,** იძულებული ჰხდებიან ამისათვისვე იბრძოლონ. **დემოკრატიული პრინციპები მოითხოვენ სინდისის სრულს თავისუფლებას. ქართველ კათოლიკეთ ჰსურთ დარჩნენ ქართველებად ეროვნებით, ხოლო კათოლიკებად რწმენით, მაგრამ მათ არა ჰსურთ სომხური ტიბიკონი,** რომელსაც ძალით ახვევენ კისერზე ქართველ კათოლიკებს. ზის ახალციხეში ვიღაც **ტერ აბრამიანი,** რომელსაც ვიღაც **კალატოზიშვილი** აჰყოლია და **ძალას ატანს ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივ სინდისს**, აუცილებლად სომხური ტიბიკონი უნდა იყოს თქვენი ტიბიკონიო. ქართველ კათოლიკეთ ჰსურთ იყვნენ რომის კათოლიკენი, ან ჰსურთ მიიღონ ქართული ტიბიკონი. ეხლანდელ დროში ეს ისეთი ადვილი და უბრალო შესასრულებელი საქმეა, რომ ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორა გრძელდება ასე დიდ ხანს ეს დავა და როგორ არ ეღება ბოლო ტერ-აბრამიანცების ძალადობას ქართველ კათოლიკეთა სარწმუნოებრივ სინდისზე.

სახელმწიფო, რასაკვირველია, ამ სარწმუნოებრივი დავის გარეშე უნდა იდგეს, **რადგანაც ჩვენში არც ერთი სარწმუნოება არ არის გამოცხადებული სახელმწიფოებრივ სარწმუნოებად.** მაგრამ სახელმწიფო მაინც ვალდებულია შეჰქმნას ისეთი პირობები, როდესაც **სინდისის „თავისუფლების ფაქტიური განხორციელება შესაძლებელი გაჰხდება.** ქართველ კათოლიკებს არა ჰსურთ სომხურ ტიბიკონს დაემორჩილნენ. ნუ თუ ეს ფაქტი საკმარისი არ არის იმისთვის, რომ ტერ-აბრამიანცის ბატონობასა და ძალადობას ბოლო მოეღოს? ჩვენ ვფიქრობთ, რომ სახელმწიფო ვალდებულია ანგარიში გაუწიოს ამ გარემოებას და ქართველი კათოლიკებისთვის შეჰქმნას ისეთი პირობები, როდესაც შეეძლებათ თავისუფლად აღიარონ ისეთი რწმენა, რანაირიც მათა ჰსურთ. ანაქრონიზმად გეჩვენებათ ახალციხის ქართველი კათოლიკების სარწმუნოებრივი დრამა. ნუ თუ მეოცე საუკუნეში, დემოკრატიულ სახელმწიფოში, ქართველი კათოლიკენი მთელს დრამას უნდა განიცდიდნენ ამ ნიადაგზე და **იბრძოდნენ არა საერთო სამოქალაქო ინტერესების გარშემო, არამედ სარწმუნოებრივ ნიადაგზე?** ეს ანაქრონიზმი, ეს არა ნორმალური პირობები კი შექმნილია იმით, რომ **სომხის ნაციონალისტებსა და შოვინისტებს ჰსურთ სარწმუნოება თავიანთი ნაციონალური მიზნების განსახორციელებელ საშუალებად გამოიყენონ.** ჩვენ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ ქართველ კათოლიკეთა ინტერესების ამნაირად აბუჩად აგდების წინააღმდეგ. **საქართველოში სარწმუნოებრივი საზღვრები გადაღარული და დარღვეულია. ჩვენ ვებრძოდით თურქოფილებს, რომელთაც ჰსურთ ქართველ მაჰმადიანთა სარწმუნოებრივი გრძნობა ქართველების გასათურქებლად გამოეყენებიათ, ჩვენ პროტესტს ვუცხადებთ ყოველნაირი ჯურის ტერ აბრამიანებს, რომელნიც ძალით ახვევენ კისერზე ქართველ კათოლიკებს სომხურ ტიბიკონს და ჰსურთ სარწმუნოება ქართველების გასასომხებლად გამოიყენონ.**

ჩვენ სამარცხვინოდა და სახელმწიფოებრივი ღირსების დამამცირებლად მიგვაჩნია თვით ის გარემოებაც კი, რომ ამ საგანზე წერა გვიხდება. არის საკითხები, რომლებიც არავითარ დავას არ უნდა იწვევდეს. ქართველ კათოლიკეთა საკითხიც ჩვენ ამნაირ საკითხად მიგვაჩნია. სრულიად დამოუკიდებლად იმ დოგმატიურ დაბრკოლებათა, რომლებიც შეიძლება ამ საკითხის გადაწყვეტის დროს დაიბადოს, ჩვენ **მოვალენი ვართ შევქმნათ სრული გარანტია სინდისის თავისუფლებისა ქართველი კათოლიკებისთვის**.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. სტატია დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო საქმე"; იხ. N662, 1919 წელი.

იტალია და საქართველო

საქართველო და რომი 300 წლის წინათ

იტალიურ გაზეთ „ლა ტრიბუნის" 25 ოქტომბრის ნომერში მოთავსებულია შემდეგი წერილი:

მე-17 საუკუნეში საქართველოს, კარგად იცნობდენ რომში; კონგრეგაცია „პროპაგანდა ფიდემ" ამ შორეულ ქვეყანაში გაგზავნა თავისი მისიონერები არა მარტო ამ პატარა **საქრის-ტიანო ოაზისის სარწმუნოებრივ სულისკვეთების გასაცნობათ,** არამედ–ამ ხალხის მრეწველო-ბის, მეურნეობის და ხასიათის შესასწავლად. ერთი პირველი მოგზაურთაგანი საქართველოში იყო დომინიკანელი ბერი **ჯიოვანდი დე ლუკა,** რომელიც გაემგზავრა საქართველოში 1624 წელს და რომელმაც ვრცელი მოხსენება დასწერა თათართა და ქართველთა ზნე-ჩვეულების და ცხოვრების შესახებ. ჯიოვანი დაბრუნდა რომში 1626 წელს და შემდეგ ხელმეორედ გაემგზავრა საქართველოში. ამის შესახებ ზოგიერთ ცნობებს ვპოულობთ პეტრო დელავალის ერთ-ერთ წერილში. ამ ცნობილმა მოგზაურმა და ლიტერატორმა (პეტრო დელავალემ 1586-1652) დაწე-რილებით შეისწავლა საქართველოს მიწა-წყალი თავის მოგზაურობის დროს.

ბაღდადში (მესოპოტამიაში) ყოფნის დროს მან გაიცნო თვრამეტი წლის ტურფა ასული ქართველი ქალი **სიტტი მანი,** რომელიც ცოლათ შეირთო. 11 წლის შემდეგ დელავალის მოუკვ-და ცოლი, რომლის შემდეგ იგი დაბრუნდა რომში, სადაც დიდი პატივით იქნა მიღებული რომის პაპის ურბანი მე VIII ს მიერ. რომის პაპი ძლიერ დაინტერესდა პეტრო დელავალის მოყოლილ ამბებით და სთხოვა მას დაეწერა მოხსენება საქართველოს შესახებ. ერთი წლის შემდეგ პეტრომ წარუდგინა პაპის ვრცელი წერილობითი მოხსენება, რომელსაც ეხლაც კი აქვს დიდი მნიშვნელობა. პეტრო დელავალეს დაბრუნების შემდეგაც, საქართველოში გაიგზავნა სხვა მისიებიც. რომელთა შორის იყვნენ **იაკობ დე სტეფანო, ჯუზეპე დელ ჯიულირე, გაეტანო დ,ალექსანდრო, ქრისტოფორე დეკასტელი.**

უკანასკნელმა სპარსეთში და საქართველოში ოცდახუთი წელიწადი დაჰყო. მან დასტოვა მრავალი მნიშვნელოვანი ხელნაწერები. სამწუხაროდ, დიდი ნაწილი ამ ხელნაწერების დაიკარგა, ჩვენამდე მოაღწია მხოლოდ 7 ტომმა. მასში ვპოულობთ მრავალ ნახატებს საქართვე-ლოს ცხოვრებიდან, არის პორტრეტები საქართველოს მეფის და წარჩინებულ პირთა; არის პირი პაპის ურბან VIII წერილისა საქართველოს მეფისადმი მიწერილი. ტეატანის ბერებმა **მარიცენმა და ლამბერტმა დასტოვეს ფრიად** ძვირფასი მოხსენებები საქართველოს შესახებ.

საქართველოს წარმომადგენლები, ჩვენი სასურველი სტუმრები, რომლებიც ამ დღეებში გვეწვივნენ, ცხადათ დაინახავენ, რომ მათ ქვეყანას ჩვენ სამასი წელია, რაც ვიცნობთ.

სტამბოლის ქართულ სავანეში დაცულია იტალიური გაზეთის „ლა ტრიბუნის“ აღნიშნული ნომერიცა და ტექსტის ქართულ-იტალიური ხელნაწერიც, გაზეთ „ერთობის“ N265-ე ნომერიც 1919 წლისა, სადაც საუბარია საქართველოსა და იტალიის შესახებ.

საქართველოს გარშემო

პაპი ბენედიქტ XV საქართველოს შესახებ.

კონსტანტინეპოლში მყოფმა პაპის ნუნციმ (ელჩმა) წერილობით მიმართა საქართველოს რესპუბლიკის იქაურ წარმომადგენელს, სადაც ის, გამოსთქვამს რა პაპის სახელით მწუხარებას საქართველოს **კათოლიკოსის კირიონ II-ის** გარდაცვალების გამო, სხვათა შორის, შემდეგს სწერს: „მე ბედნიერი ვარ, რომ შესაძლებლობა მაქვს დაგარწმუნოთ თქვენ, რომ მისი უწმინდესობა პაპი თანაუგრძნობს თქვენი სამშობლოს საქმეს და მის მომავალს. ის გააკეთებს ყველაფერს, რასაც ნებას მისცემს მას **ღვთის განგება**, რომ კეთილშობილმა ქართველმა ხალხმა, რისთვისაც ის მოუწოდებს მის ზეციურ კურთხევისათვის, განახორციელოს მთლიანად თავისი კანონიერი სამოქალაქო და რელიგიური სურვილები“.

იხ. გაზეთი «La Reform», 5 აგვისტო, 1919 წელი. გაზეთის ნომერიცა და ქართულად ნათარგმნი ტექსტებიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ულმობელი (ვასილ წერეთელი)

მეორე რომი

თუმცა თეოდოსი პირველმა (მეფობდა 379-395 წ.) რომის იმპერია ორ ნაწილათ გაყო, მაგრამ თავისი მეფობის დროს იმპერიის სახელმწიფოებრივი მთლიანობის დაცვას რეინის შესართავიდან ეფრატის შესართავამდი კიდევ ცთილობდა.ცთამ ამაოთ ჩაიარა. ამ უზარმაზარი სახელმწიფოს მთლიანობა უკვე დარღვეული იყო. დასავლეთი და აღმოსავლეთი ერთი მეორისაგან ძლიერ განსხვავდებოდა. ცოტა ხანს შემდეგ აღმოსავლეთის ოფაციალურ ენათ, ლათინურის მაგიერათ, ბერძნული შეიქმნა. საბერძნეთი, რომის მიერ დამონებული, კვლავ აღსდგა და შეიქმნა ძლიერ, უდიდეს სახელმწიფოთ მაშინ, როდესაც რომი დაუძლურდა და ბოლოს მთლათ დაეცა.

მაგრამ რომს ისე დიდი სახელი ქონდა ძველ ქვეყნებში, რომ აზიის ერები აღმოსავლეთის სახელმწიფოს „რუმს“ ეძახდენ და ყველა ქრისტიანებს „რუმელებს“ უწოდებდენ.

ამგვარათ, თუმცა პატარა საბერძნეთმა თავისუფლება თითქმის უბრძოლველათ დაკარგა, მაგრამ ისე მაღალი კულტურა ქონდა, რომ კიდევ შექმნა ახალი სახელმწიფო, რომელმაც ათას წელზე მეტ ხანს იცოცხლა. კონსტანტინეპოლი (რომელსაც საფუძველი ჩაუყარა იმპერატორმა **კოსტანტინემ 326 წ.**), საბერძნეთის წარმომადგენელი შეიქმნა, საბერძნეთის სულს, განათლებასა და კულტურას იცავდა მაშინ, როდესაც რომი აღარ იყო უწინდებური რომი. როდესაც რომმა ბატონობა დაკარგა და ხმალი ქარქაშში ჩააგო, მისი ძველი მნიშვნელობაც გაქრა, თუმცა ახალი, სარწმუნოებრივი, მნიშვნელობა მოიპოვა.

ბერძნები საუკეთესო ხელოსნები, ხუროთმოძღვრები იყვენ: ბოსფორის გამაგრებულ დიდ ქალაქში ქვეყნის დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური ცენტრი შექმნეს; რომაელები კი უკანასკნელი საუკუნეების განმავლობაში შრომას გადაეჩვიენ; როდესაც რომმა ბატონობა დაკარგა, მისი ეკონომიური, ქონებრივი მნიშვნელობაც მოისპო. საშუალო საუკუნეებში რომი ხშირათ მხოლოდ ნანგრევებს წარმოადგენდა მაშინ, როდესაც **კონსტანტინეპოლი, შუამავალი აზიასა და ევროპას შუა**, თავისი გეოგრაფიული მდებარეობისა და ხელოსან-მექარხნეების წყალობით ყოველგვარ განსაცთელს გადაურჩებოდა ხოლმე. ათი საუკუნის განმავლობაში იმდენ დარბევას და შფოთს შინაურსა და გარეგანს, რამდენიც კონსტანტინეპოლმა გამოსცადა, ვერცერთი სხვა ქალაქი ვერ გაუძლებდა.

კონსტანტინეპოლის გარემოცვა მტერს თითქმის არ შეეძლო. ქალაქი აზიისა და ევროპის ნაპირებზე იყო გაშენებული, ზღვისკენ და ხმელეთისკენ აუარებელი კარი ქონდა, ყოველი კუთხიდან შეეძლო შემოეტანა საგზალი; ზღვაოსნებს ადვილათ შეეძლოთ გადაესხათ ჯარი, სადაც საჭირო იყო, და ქალაქის სხვადასხვა ნაწილებს შორის კავშირი არ შეეწყვიტათ. ქალაქს გარს დიდი კედლები და 18 მილის სიგრძეზე თხრილი ქონდა შემოვლებული. მაშინაც კი, როდესაც მტერი გარს ერტყა, ხალხი უშიშრათ და მხიარულათ იყო. ამიტომ ბიზანტიამ რომის იმპერია კიდევ დიდხანს განაგრძო.

აღმოსავლეთის იმპერია მტრისათვის ჩრდილოეთის საზღვრების მხრით უფრო ადვილათ მისაწთომი იყო, ვიდრე დასავლეთის მხრით. ჩრდილოეთის ბარბაროსები, რომელნიც **სარმატიის** ველებიდან დაიძრობდენ და გადალახავდენ **კარპატის მთებს**, ადვილათ მიაწევდენ ხოლმე მდ. დუნაის დაბალ ხეობამდი, მაგრამ, როგორც კი მიაწყდებოდენ ვიწრო გასავალს,

რომელსაც „რკინის კარს“ ეძახიან, შეჩერდებოდენ, რადგან დასავლეთისკენ ვეღარც გზას ნახულობდენ, ვეღარც ბილიკს; აქიდან სამხრეთის გზებს დაადგებოდენ და თრაკიისა და მაკედონიის ნაყოფიერ ქვეყნებს შეესეოდენ ხოლმე (თრაკია ევგეის ზღვის და პროპონტიდის ნაპირებიდან იწყებოდა; მაკედონია თრაკიის აღმოსავლეთით იყო, მაკედონიის დასავლეთით **ილირია** და **ეპირი** იყო ე.ი. ახლანდელი ალბანია).

შემოსეულები იმპერიის ჩრდილოეთ ქვეყნებს ბატონობდენ. კონსტანტინეპოლის მთავრობა მუდამ შიშში იყო დ მშვიდობას ხშირათ საჩუქრებით ყიდულობდა. ბერძნების საბედნიეროთ, ჩრდილოეთის და აღმოსავლეთის შემომსევლები ერთ ერს არ შეადგენდენ, პირიქით, ერთმანეთის მოპირდაპირენი, მტრები იყვენ და ერთის მეორეზე მისიანება, გადამტერება, ძნელი არ იყო: ბიზანტიის გენერლები ბარბაროსებს ხშირათ ამარცხებდენ და საზღვრებს მარჯვეთ იცავდენ. მაგალითად, იუსტინიანის დროს (526-565 წ.) მდინარე დუნაის გაყოლება, ქალაქ **ბელგრადსა** და ზღვას შორის, ოთხმოც ალაგას ქონდათ ომი შემომსვლელებთან.

აღმოსავლეთით ბიზანტიას ჰყავდა ძლიერი მოცილე, სპარსეთის იმპერია, რომლის მდებარეობა მიუვალი და უზრუნველყოფილი იყო, რადგანაც მაღალ ველს წარმოადგენდა, რომელიც დასავლეთის მხრით **ზაგროსის** მთების ზღუდეებით იყო დაცული და მდინარე **ტიგრის** ხეობის მხრით მაგარი ციხეებით.

აქლემები წაიკიდენ და კოზაკი გაჭყლიტესო, ამბობენ. სწორეთ, ასე მოუვიდა სომხეთს. სომხეთი ამ ლომივით ძლიერ სახელმწიფოს შუაში იყო და, ცხადია, პოლიტიკურ დამოუკიდებლობას ვერ შეირჩენდა. 428 წელს სომხეთის მაშინდელი სამეფო დინასტიის (არშაკიდების) უკანასკნელი მეფე გააძევა ბიზანტიის მეფემ **თეოდოსი II-მ** (ეს კეისარი მეფობდა 408-450 წ.). მას უკან ბიზანტიისა და სპარსეთის საზღვრები ერთმანეთს შეხვდა და სომხეთის ხან ერთი ნაფლეთი, ხან მეორე, ხან ბიზანტიის ხელში გადადიოდა, ხან სპარსეთის ხელში. ამის მიზეზი ის იყო, რომ, თუმცა სომხეთი მთიანი სახელმწიფო იყო, მაგრამ, გაშლილი ხეობების წყალობით, ყოველი მხრიდან ადვილათ მისაწთომი იყო. საქართველოს უკეთესი გეოგრაფიული მდებარეობა ჰქონდა, რის გამოც თან და თან გაძლიერდა და მეთორმეტე საუკუნეში დიდი სახელმწიფო შექმნა, რომლის ძლიერება და განათლება სპარსეთისას არ ჩამოუვარდებოდა.

კონსტანტინეპოლი ხალხს ყოველი კუთხიდან იზიდავდა, **„ეის ტენ პოლინ“** ე.ი. „ქალაქშიო“, გაიძახოდა აუარებელი მგზავრი. შემდეგ თურქებმა ეს „ეის ტერ პოლინ“ „სტამბოლათ“ გადააკეთეს და „კოსტანტინეპოლს“ „**სტამბოლი**“ დაარქვეს. თრაკიიდან და სხვა ნახევარკუნძულებიდან, არქიპელაგის კუნძულებიდან, კავკასიიდან, მცირე აზიიდან, ერთი სიტყვით, ყოველი კუთხიდან მიდიოდა ხალხი დიდ ქალაქში. ანატოლიის ლაზები ნავსადგურში მენავეებისა და მეკურტნეების მოვალეობას ასრულებდენ. ქართველებს, როგორც დამოუკიდებელი სახელმწიფოს წარმომადგენლებს, დიდ პატივს ანიჭებდენ.

კონსტანტინეპოლში, აგრეთვე, ბევრი ებრაელი იყო. ასურეთის მეფეებმა „ბაბილონის ტყვეობას“ შემდეგ ასი ათასობით დაასახელეს ისრაელები **ტიგრის** და **ეფრატის** სათავეების მიდამოებში, სომხითში და კავკასიაში. სომხითში ბევრმა სომეხმა ისრაელების სარწმუნოება აღიარა. ებრაელთა რიცხვი გადიდდა და აქედან იგინი კოსტანტინეპლისკენ ივლტოდენ, როგორც დიდ და უშიშარ სავაჭრო ცენტრში. ამგვარათ, კონსტანტინეპოლის მცხოვრებნი ერთს ერს არ შეადგენენ; წლითი წლობით აქ მრავალი ერის წარმომადგენელი მოდიოდა და მკვიდრდებოდა; ამიტომ ჩამომავლობის, ჩვეულების, კულტურის და ენის მხრით აქ ძლიერ ჭრელი,

შერეული ხალხი ცხოვრობდა. და, თუმცა ეს ხალხი მშრომელი, ხელოსანი და ვაჭარი იყო და დიდ ქალაქს თავისი ნაყოფიერი შრომით ამდიდრებდა და აძლიერებდა. მაგრამ ერთობა, ერთსულობა არ ჰქონდა; მაშასადამე, არ ჰქონდა პოლიტიკური ძალა. ამიტომ იმის დამორ-ჩილება და დამონავება ადვილი იყო.

და მართლაც, ბიზანტიამ აბსოლუტური მართვა-გამგეობის პრინციპი სისრულით განახორციელა. თვითმპყრობელი არა თუ წმინდნათ იქნა შერაცხული, არამედ ღმერთად. ოფიციალურათ ქადაგებდენ, რომ მისი უფლება და ბატონობა ვრცელდებოდა არა მარტო იმ ქვეყნებზე, რომელსაც იცნობდენ, არამედ სრულიად უცნობ ქვეყნებზედაც. დამოუკიდებელი ქვეყანა აჯანყებულათ ითვლებოდა. აჯანყება ყოველ ცოდვაზე უფრო დიდ ცოდვათ გამოაცხა-დეს; დამნაშავეს შეაჩვენებდენ და იმის საქციელს სარწმუნოების უარყოფათ აღიარებდენ ხოლმე. იმპერატორები „ღმერთებათ“ იწოდებოდენ და იმათი ციური სხივოსნობის ანარეკლი მათს ახლობლებსაც შარავანდედით მოსავდა. მთავრობის თითოეული მოხელე ნაკურთხათ,, წმინდნათ ითვლებოდა და, ვინც ამგვარი თანამდებობისთვის დაინიშნებოდა, წინდაწინ ლოცვით და ზიარებით უნდა მომზადებულიყო. დასავლეთის თვითმპყრობელნი, ამ სარწმუ-ნოებრივი უზენეობით მოხიბლულნი, ბიზანტიის იმპერატორებს ამაოთ ბაძავდენ, მაგრამ იმათოდენი დიდება ვერ მოიპოვეს.

რადგანაც იმპერატორები ხალხზე ასე შორს, ასე მაღლა იყვენ, იმათ შორის ბრძენსაც კი თავბრუ ესხმოდა და თავისი ზეკაცური მდგომარეობა ხშირათ სისულელეს აქნევიებდა ხოლმე. საჭირო შეიქმნა უცხოელების წარმოდგენა მოეხიბლათ და მოეტყუებიათ და, ამიტომ, IX საუკუნის დასაწყისიდან უცნაური ცერემონიები შემოიღეს, როდესაც უცხოელი იმპერატორის მისაღებ დარბაზში წარსდგებოდა, საუცხოო გალობა გაისმოდა; მეფის ტანის თითოეულ მოძრაობას შესაფერისი ჰანგი ეთანხმებოდა; იმპერატორი პირველათ თითქო ჰაერში გაყენე-ბული და შარავანდედით გაშუქებული ჩანდა; ოქროს ლომები უკანა ფეხებზე დგებოდენ და ღრიალებდენ; ძვირფასი ლითონების ხეების ფოთლები ირხეოდა და ფრინველები რტოებზე ისხდენ და ჭიკჭიკებდენ.

იმპერატორები უსაქმობის გამო სიზარმაცეში და გარყვნილებაში ყურყუმალობდენ და სასახლის წვრილმანი ამბებისა და სარწმუნოებრივი, თეოლოგიური დავების მეტი აარაფერი აგონდებოდათ. თითოეული მათგანი დარწმუნებული იყო, რომ მისი გონება „დოგმის“, სარწმუნოებრივი დებულების ყოველ წვრილმან ვითარებასა და სიღრმეს ადვილათ მისწვ-დებოდა. სასულიერო კრებათა მოწვევა ეხალისებოდათ, სადაო საკითხების გადაწყვეტაში ერეოდენ და ეპისკოპოზებს თავის საკუთარ აზრებს უკარნახებდენ.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში „კოლხიდა“ (იხ. N219,1911 წ.). მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. გაზეთის ნომერიც აქვეა დაცული.

ტექსტი ერთ-ერთ მღვდელს გადაუწერია და შეუტანია სქელტანიან ხელნაწერ რვეულში – „წერილების წიგნში“.

„კვალი“ (კვალიაშვილი მიხეილი)

ქართველი ფრანგების საქმე

გაზ. „კავკაზში“ დაისტამბა შვენიერათ დასაბუთებული სტატია ქართველი ფრანგების შესახებ ბ-ნი იზაშვილისა. მკითხველს ეცოდინება, რომ ამ ბოლო დროს ქართველი ფრანგები, სარწმუნოების მხრით, მეტათ ცუდ მდგომარეობაში ჩავარდენ. სომხის კათოლიკებმა აღძრეს დავა და კიდეც შეისრულეს თავისი წადილი, რომ ქართველი ფრანგები შერიცხული ყოფილიყ-ვენ სომხის კათოლიკებათ. ამას მოჰყვა დიდი სამწუხარო მდგომარეობა ქართველი ფრანგებისა იმის გამო, რომ სომხის კათოლიკების სამღვდელოება ჩვენ ფრანგებს ძალას ატანენ წირვა-ლოცვა სომხურ-ლათინურათ აასრულონო. სომხის კათოლიკები ამას კიდევ არ ჯერდებიან, იმათ უნდათ ჩაიგდონ ყველა ჩვენი ფრანგების ეკლესიები და მათი ქონებაც სომხის კათო-ლიკის სამღვდელოების ხელში უნდა გადავიდესო; დიდათ შეწუხდენ ჩვენი ფრანგები ამით. მამა-პაპიდან დაწყებული ჩვენი **ქართველი ფრანგები** ზოგიერთ მღვდელ-მსახურებას და **ლოცვებს თავის სამშობლო ქართულ ენაზე ასრულებდენ**: ამას გარდა, ძველადგანვე შეძენილი საეკკლესიო ქონებაც მისთვის ჰქონდათ, რომ უზრუნველ ეყოთ ყოველგვარი ეკლესიის საჭიროება და ეკლესიასთან რომ სასულიერო ქართული სკოლები ჰქონდათ გამართული, ისინი ესაზრდოებინათ. ახლა სომხის კათოლიკები ითხოვენ, რომ ქართულათ ნუ ლოცუ-ლობთ, სომხურათ ილოცეთო და **სკოლებშიაც სომხურ ენაზე ასწავლეთო.** ქართველ ფრანგებს ვერ გაეგოთ, საიდან მოხდა, რომ ასეთი განკარგულება ნება-დართული იქნა მთავრობისაგან.

მაგრამ, როგორც ჩანს ბ-ნ იზაშვილის სტატიიდან ჩვენი ფრანგების მწუხარებას მალე ბოლო მოეღება, რადგან უმაღლეს მთავრობას ახლა ხელთ აქვს საკმაო მასალა, რომლითაც ცხადათ მტკიცდება ძალ-მომრეობა სომხის კათოლიკებისა და ასეთ არა სასიამოვნო მდგო-მარეობას ბოლო უნდა მოეღოს.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

მოკეთე (ილიკო აბაშიძე)

დაუჯერებელი ამბავი

(წერილი ახალციხიდან)

დიდი ხანი არაა ზოგიერთმა გაზეთებმა გადმობეჭდეს „**ჰორიზონის**“-ს მიერ შეტყობილი ამბავი, ვითომც ართვინის სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებას მიეღოს მოწერილობა (ის კი არაა გამოცხადებული თუ ვისგან?), რომ ამიერიდან იმათ უნდა აწარმოვონ ყველა საეკლესიო და სასკოლო საქმეები, აგრედვე, ღვთის-მსახურება ეკლესიებში ლათინურის ენაზეო, ერთი სიტყვით, ამიერიდან აღარ იწოდება სიტყვა „სომეხ-კათოლიკე“, არამედ უნდა იწოდებოდენ „კათოლიკედაო“.

ეს დაუჯერებელი ამბავი თითქმის ყველა ქართველ კათოლიკებმა პროვაკაციად მონათლეს, მონათლეს მით უფრო, რომ დაუჯერებელი ყოფილიყო ეს ამბავი. „მოწერილობა“ სამესხეთოს კათოლიკე ქართველებსაც მოუვიდოდათ, რადგანაც ისინიც დროთა ვითარების გამო, დიდი ხნიდან სომხის ტიბიკონს ექვემდებარებიან. პირიქით, ამგვარი მოწერილობის მაგიერ, ამათი სამღვდელოება, არხიმანდრიტი ტერაბრამისაგან სრულიად სხვანაირს სასტიკს მოწერილობას იღებს: „გავიგე, ზოგი ქართველ კათოლიკენი თავიანთ შვილებს ლათინის წესით ანათვლინებენ პატრებსა და თქვენ რა ყური წაგიგდიათ და არ უშლით ამას პატრებსა და თქვენ არა ნათლავთ სომხის ტიბიკონზეო“. ამის გამო, გაჯავრებული არხიმანდრიტი ავალებს სამღვდელოებას, რათა ჩქარა შეატყობინოს ამის გამო ყოველივე დაწვრილებითა. რომის პაპს ასეთი რამ განკარგულება თუ რომ მოეხდინა, რომ სომხის ტიბიკონი ლათინის ტიბიკონისათვის შეერთებინა, მაშინ არხიმანდრიტი ტერაბრამიანი როგორ გაბედავდა ამისთანა სასტიკს მოწერილობას ახალციხის სამღვდელოებისადმი?! ან და სამესხეთოს ქართველ კათოლიკებსაც არ უნდა მიეღოთ ართვინის მსგავსად მოწერილობა, როდესაც 35 წელიწადია, რაც მესხი ქართველ-კათოლიკეები სცდილობდნენ სომხის ტიპიკონიდან ჩამოშორებას და ლათინის წესზე გადასვლას? **რაღა ართვინელებს უჭიკჭიკა ვატიკანმა ლათინის წესზე შეერთება** და ახალციხის ქართველ-კათოლიკებს კი არა აცნობა რა.

ჩემი აზრით, ეს ამბავი, ზოგიერთმა სომეხ-კათოლიკეებმა განგებ მოჭორეს. სარატოვის რომის კათოლიკეთა ეპარქიის ეპისკოპოსს **კესლერს** შარშან, ახალციხეში მოსვლისას, ქართველმა კათოლიკეებმა თხოვნა მიართვეს, ეშუამდგომლა რომში პაპის წინაშე, რათა იგინი სომხის ტიბიკონისაგან ჩამოეშორებინა და ლათინის წესზე გადაეყვანა. იგი შეჰპირდა შუამდგომლობას პაპის წინაშე. ზამთრის პირზე კიდეც წავიდა რომში და ის პასუხი მოიტანა კესსლერმა, რომ ვატიკანი იქ ამ მოკლე ხანში განიხილავს და პასუხს გვაცნობებენო. სწორედ ახლა იდროვეს ზოგიერთებმა და განგებ გაავრცელეს ართვინის სომხის კათოლიკეთა სამღვდელოებისადმი ასეთი „მოწერილობა“, რათა ამით აღაშფოთონ სომხები და აამხედრონ საბრძოლველად ვატიკანის წინააღმდეგ, რომ ისინი სრულიად არ ისურვებენ ლათინის ტიბიკონსა, რითაც ქართველ კათოლიკებსაც ხელს შეუშლიან, რომ ვატიკანმა ნება არ მისცეს მათ ლათინის ტიბიკონზე გადასვლისა. სწორედ, ეს უნდა იყოს მიზეზი ასეთ დაუჯერებელი ამბავის გავრცელებისა, რასაც მომავალი დაგვიმოწმებს.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართველთა სავანეში. დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო გაზეთი“, 1914 წ. გაზეთის ნომერიც იქვე ინახება.

ჩვენი გაზეთის გუშინდელ ნომერში ერთი გასაოცარი ამბავი იყო დაბეჭდილი ახალციხიდან, რომელსაც მწარე ნაღველით წაიკითხავდა ყოველი შეგნებული ქართველი.

საქართველოში არა ერთი და ორი ათასი კათოლიკე ქართველია, რომელნიც ჩვენი შავბნელი წარსულის წყალობით სომხურ ტიბიკონს ექვემდებარებიან, ამის გამო მრევლი უსამართლო შევიწროებას განიცდიან და ეროვნულად იჩაგრებიან. მათ ეროვნებას ხშირად უარჰყოფენ და ძალად სომხებად აცხადებენ. ასეთი კათოლიკე ქართველი მრავალია ახალციხის მაზრაში, სადაც ისინი დიდი ხანია ცდილობენ სომხური ტიბიკონიდან განთავისუფლებას და ლათინთა წესზე გადასვლას; ვის არ მიმართეს თხოვნით, ვისთან არ იშუამდგომლეს; ერთი რომის ეპისკოპოსი არ ჩამოსულა საქართველოში, რომ არ შეეჩივლოთ თავისი უმწეო მდგომარეობა; თვით ვატიკანამდისაც კი მიახწიეს, მაგრამ არა ეშველათ რა და არა.

დღესაც მათი ყოფა ისევ აუტანელია, როგორც იყო გუშინ.

დღესაც ისევ ლახავენ მათ თავისუფლებას.

დღესაც ისე ამცირებენ მათ ეროვნულ თვითშეგნებას.

ღირსების და უფლების შელახვაა, აბა რა არის ეს არქიმანდრიტის ტერ აბრამიანის მოწერილობა, რომელიც გაუგზავნია მღვდელებისათვის? „გავიგე, წერს არქიმანდრიტი, ზოგი ქართველი კათოლიკე თავიანთ შვილებს ლათინის წესით ანათვლინებენ პატრებსა და თქვენ რა ყური წაგიგდიათ და არ უშლით ამას პატრებსა და თქვენ არა ნათლავთ სომხის ტიბიკონზეო“. ტერ-აბამიანი უჯავრდება სამღვდელოებას და მკაცრად პასუხსა სთხოვს დანაშაულის ჩადენისათვის! იმ დანაშაულისათვის, რომ ქართველებმა არ ინდომეს სხვა ერის ადათებს ემორჩილებოდნენ. საშინელი დანაშაული არაა ისეთი, როგორიცაა ის, რომ **მაჰმადიანი ქართველი აჭარელი თუ ინგილოელი ცდილობს დაიცვას თავისი ეროვნული ვინაობა და სარწმუნოებას არ ანაცვალოს ეროვნება?**

ყველა ჩვენს აბუჩად აგდებას ლამობს და ფეხით გათელვას და დროა, კათოლიკე ქართველობამ ენერგიული წინააღმდეგობა გაუწიოს სომხის კათოლიკე სამღვდელოების თავგასულობას და ერთხელ და სამუდამოდ გაინთავისუფლოს თავი მის კლანჭებისაგან.

ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. იხ. გაზეთი „სახ. გაზეთი“, 1914 წ. N1147.

ბ) უავტორო და ფსევდონიმიანი პუბლიცისტური წერილები

ქრისტიანი ქართველები ოსმალეთში

„სამშობლოს“ №537 დაბეჭდილია **ი.ფალიანის** წერილი ზემოხსენებული სათაურით. **მელიაზგერთში** მას უნახავს ერთი ტყვედ წამოყვანილი კაცი, რომელსაც არც ერთი ენა არა სცოდნია. ბოლოს ჯარისკაცს გაუგია, ეს კაცი გურჯულად ლაპარაკობსო. ავტორს გაჰხარებია და შემდეგს მოგვითხრობს:

გამოვედით მე და ჩვენი უფროსი ექიმი გიორგი ნიჟარაძე და ვკითხე:– მართლა იცი ქართული? –ვიცი.– მიპასუხა. –სად ისწავლე? ალბად საქართველოში ყოფილხარ მეთქი?

- არა, საქართველო სად არის, არ ვიციო. ჩვენ გურჯებთან ვცხოვრობთ და ყველამ ვიცით ქართულიო.

ამის გაგონებაზე გული საშინლად ამიძგერდა. გიორგი და მე განცვიფრებული ერთმანეთს შევაცქერდით... აღტაცებული ვეკითხები: - მითხარი თუ ძმა ხარ, გურჯები სად, რა ადგილას ცხოვრობენ.

შევარდი კარავში, გამოვარბენინე სკამი, სამგზავრო მაგიდა, რუკა და ვკითხე: - იმ ქვეყანაში, საიდანაც შენ ხარ, ყველაზე ახლოს რომელი ქალაქია მეთქი.- ახლოს ქალაქი არ არის. მაინც რა ქალაქის სახელი იცით თქვენსკენ მეთქი, - **დიარბექირი** ვიცი, **მოსული** ვიციო. საჩქაროდ ვნახე დიარბექირის და მოსულის რაიონების რუკა და დავუწყე გამოკითხვა, თუ რა გზებით იარა, ან რა მდინარეები ჩამოდიან იმ ადგილებზე, სადაც გურჯები და თქვენ ცხოვრობთ, მეთქი.

აღმოჩნდა, რომ ის ადგილები, სადაც ქართველები სცხოვრობდნენ,დიარბექირიდან სამხრეთ-დასავლეთით ყოფილა 140 ვერსით დაშორებული. ქართველები შეადგენდნენ 8 სოფელს. მოსაუბრის აზრით, 12 ათასი სული მაინც იქნებაო. ამ ქართველებს, როგორც მოსაუბრის ლაპარაკიდან სჩანს, შერჩენიათ წმინდა ქართული ენა. ეს არაფერი, საკვირველება ისაა, რომ **შერჩენიათ მართლმადიდებელი სარწმუნოება, ჰქონიათ თავისი ეკლესიები. მათ შორის ერთი დიდი, თლილი ქვისგან აშენებული ტაძარი,** სადაც იმყოფება უფროსი მღვდელი და **ღვთის მსახურება გურჯულ ენაზე სწარმოებსო.ჩვენ-აისორები** ბევრი არა ვართ იქ; სულ ორი პატარა სოფელი გვაქვს და სალოცავად ქართველის ეკლესიაში დავდივართო. ქართველების მღვდლები გვნათლავენ და გვმარხავენო. გამოვკითხე სოფლების სახელები; ჩამომითვალა : 1) **წუკატი**, 2) **ნაზრახული**, 3) **თუთბა**, 4) **სარჯიკი**, 5) **ბაზართა**, 6) **ბერჟიკეთი**, 7) **ასურბათი**, და 8) **გორჯი**.

დიდი ეკლესია ყოფილა სოფ. **გორჯში**. თურქები პირველად კარგად იყვნენ ჩვენთანო. არც ჩვენ და არც გურჯებს არ გვერჩოდნენო. ამ ორი თვის წინ მოიტანეს ამბავი, რომ აისორები ხოცავენ თურქებსო; მაშინ დაგვიწყეს ჩვენც ჟლეტა. ჩემი ძმა, ცოლი, ერთი ქალი და ერთი ვაჟი მოჰკლესო.

ყველა ამას ავტორი დასძენს: საჭიროა ქართველმა ჯარის-კაცებმა მხედველობაში იქონიონ ზემო აწერილი ამბავი. ვინ იცის ბრძოლის პირმა იქნებ მიაღწიოს აღნიშნულ ადგილებამდე. ნუ დაივიწყებენ, რომ იქ ჩვენი ძმები ყოფილან. ამბის უფრო დაწვრილებით გაგება და ძმების ნახვა-მოვლა ყოველი ჩვენგანის მოვალეობაა.

ეს მონათხრობი გადაუწერია რომელიღაც სასულიერო პირს და შეუნახავს არქივში. სტატია დაბეჭდილია გაზეთში - „სახალხო ფურცელი“, 1917, №784. ავტორი არაა მითითებული.

ქართველი მაჰმადიანები ოსმალეთში

სამხედრო წოდება ოსმალეთში შესდგება უმრავლესათ ქართველ მაჰმადიანებისაგან. მათ შორის უმრავლესი ადგილი უჭირავს ქართველ კადეტებს, რომლებიც სწავლას იღებენ ოსმალეთის კადეტთა კორპუსებში. საზოგადოდ, როგორც ეტყობა ქართველი მაჰმადიანი აფიცრობა მეტად ბევრია, რადგანაც, როგორც ამბობენ, ოსმალოს აფიცერთა შორის, რომლებიც იღებდნენ მონაწილეობას ახალგაზრდა ოსმალთა მოძრაობაში, **ორი ათასამდე** ქართველი ითვლებოდა. **რიზა-ფაშისა და აგრეთვე, ოსმალეთის არტილერიის უფროსის თავ. თავდგირიძისა და სამხედრო მთავარ შტაბის უფროსის ბეჟანაშვილის გარდა**, გაზეთ **„ჩვენი კვალის“** უკანასკნელი ნომერში მოყვანილია მრავალ ქართველების გვარები, რომლებიც დაინიშნა სხვა და სხვა უმაღლესს ადგილებზე ფადიშაჰის განახლებულ იმპერიაში... როგორც ამბობენ, ყარსის **ოსმალოს ჯარის მთავარ სარდალი მუხდარ-ფაშა ჩამომავლობით ქართველი იყო და მის ოჯახში ქართულად ლაპარაკობდნენ...**

საიდან გაჩნდა ოსმალეთში ქართველი მაჰმადიანები? პასუხი პარტივია. მთელი ტრაპეზონის ვილაეტი დასახლებულია ქართველებით... პრივატ-დოცენტის ი. ჯავახიშვილის სიტყვით, ლაზთა (ჭანები) რიცხვი 900,000 კაცს აღემატება... როგორც მკვიდრი მცხოვრებნი, ქართველი მაჰმადიანები, ლაზისტანის გარდა ცხოვრობენ ერზრუმის სიახლოვეს, ეს ოლქი ცნობილია ქართველთა შორის **ბასიანის** სახელით, სადაც ჯერ კიდევ არის ქართველი გამაჰმადიანებული სოფლები. **ვახტანგ მე-VI დროს ისინი კიდევ ქრისტიანები იყვნენ**. მათ თავის ქართველი არქიელი ჰყავდათ.

ყველა დასახლებულ ადგილებზე, ზღვის ნაპირად, სტამბოლიდან მოყოლებული, რომელშიაც სცხოვრობს 30,000 ქართველი, ყველგან დიდძალი ქართველობაა მაჰმადიანთა სარწმუნოებისა. ეს ქართველობა გადმოსულია გამაჰმადიანებულ საქართველოს სხვა და სხვა პროვინციებიდან, რომელთაც არ მოისურვეს რუსეთის ქვეშევრდომად დარჩენილიყვნენ. ქართული ელემენტი ოსმალეთში არეული იყო მაჰმადიანთა მასსაში და ამიტომ ოსმალეთის ქართველები ევროპის თვალში დღემდე არ წარმოადგენდა ცალკე ეროვნებას; თუმცა თვითონ ოსმალელნი და თურქები ქართველებს მუდამ **გურჯებს** უწოდებდნენ.

ჩვენის აზრით, ეხლა როცა განახლების ხანამ თავისუფლებისა გააშუქა ოსმალეთის პოლიტიკური ცხოვრება, განსაკუთრებით საგრძნობელი შეიქმნა ის გარემოება, რომ სტამბოლში არ არის ქართული ბეჭდური ორგანო, რომელსაც საგნად უნდა ჰქონოდა ქართველ მაჰმადიანთა ყოფა-ცხოვრების შესწავლა ოსმალეთის სამეფოში და იმავე დროს გაევრცელებინა მათ შორის ცნობანი ახლად შემოღებულის განახლებულის პოლიტიკურის და სოციალურის ცხოვრების შესახებ. კარგი და სასურველი იქნებოდა, რომ ქართველ ისტორიკოსებმა გაგვიზიარონ ცნობანი სპარსეთისა და ოსმალეთის ქართველ მაჰმადიანებზე, მათ ყოფა-ცხოვრებაზე, და ისტორიულ ეთნოგრაფიულ ხასიათზე.

ასეთი გამოკვლევანი ხელს შეუწყობს საერთო ნიადაგის გამონახვას.

რუსული გაზეთი «Рѣчъ» სწერს:

„უნდა გვეფიქრნა, რომ ეხლა, როცა კავკასიის საზღვრებზე ხდება ამბები, რომელთაც შეუძლიათ ძირითადათ შესცვალონ ჩვეულებრივი შეხედულება ოსმალეთზე, ყველაზე შესაფერია ისეთს პოლიტიკას მივყოთ ხელი, რომელიც კავკასიის **ხალხებს გაუღვიძებს რუსეთისადმი**

სიყვარულს და რომელიც, რა თქმა უნდა, რეპრესიებით და ეროვნული გრძნობის შელახვით არ შეიძლება დამკვიდრდეს“.

გაზეთის ამ სიტყვებს ღირს რომ ჩაუკვირდეთ!

«Бир. ВЂд»ю ვ. ოპოჩინინი ექომაგება სომხებს და ბოლოს დასძენს:

დიდი ხნის მთავარ-მმართველობის დროს უფრო და უფრო გული მოსდიოდა **გოლიცინს** და ებრძოდა სომხებს, მაგრამ მწარედ სახსოვარ დღეს ანგარიშების გასწორებისას, საერთო აღსარების დროს, როცა საქვეყნოთ გამოითქვა სურვილი და მისწრაფებანი, არ გამოთქმულა მოწოდება „სომხეთის“ დაარსებისათვის კავკასიაში. გაკვირვებით ჩვენ ვნახეთ სულ სხვა რამ: თათრების იერიში აღმოსავლეთში, გურიის რევოლუცია დასავლეთში და ავტონომია საქართ-ველოსი თფილისში.

ეს სრულიად მოულოდნელი მემკვიდრეობა იყო ქვეყნის ახალი მმართველისათვის.

სრული თანახმა ვართ, სომხებს არავითარი დანაშაული არ მიუძღვის რუსების მთავრობის წინაშე; პირიქით, **კავკასიის დაპყრობის დროს საჯაშუშო მოვალეობანი რუსეთის წინაშე სულ სომხებმა იკისრეს,** მაგრამ ჩვენ, ქართველებს, რომ ბ-ნი **ოპოჩინინი** არ გვაბეზღემდეს, არ იქნებოდა ცუდი!

ჟურნალი „ნიშადური“, 1908 წელი, N58. ხელნაწერიცა და ჟურნალის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ავტორი არაა მითითებული.

სტამბოლიდგან წერილი

ივლისს 1906 წ.

ბ-ნო რედაქტორო!

სტამბოლს მყოფი საქართველოს პატარა კოლონია მეტად მოხარულია ამ თქვენს გამოცემულს „ვაზის ჯვარ“-ის ფურცელზედ, რომლის პირველი ნომრები მოგვივიდა სამნივ ერთად. კეთილი იყოს მოღვაწეობა ამ დიდი ხნით ნატრულს და ფრიად საუკეთესო კვირეულისა (ფურცლისა), რაც შეგვიძლია აქედან ყოველა ქართველს სახლობას თითო ნომერს გამოაწერინამთ, მაგრამ ჩვენებური (ახალციხის) ამბები თითქმის არაფერიაო. ნატრობენ მის გაგებას ჩვენი ახალციხის და მის სოფლებისა, საიდგანაც არიან წამოსულები სულ ყველანიც და ნამეტარს 20, 30 და 40 წლის აქეთია. არ ღირსებია ჩამოსულებს სახელის გამო მამულის ხილვა. „იენი ჯამად“,საცა ახლა ვაჭრობენ, ქართველობის ბუდეა ძველის ძველათვე, რომ დაჰკითხო, თავიანთ გაჭირვებაზედ გიპასუხებენ: „ვაჭრობა კი არა ქრისტეს ტირილიაო“, რადგან ყველანი თითქმის მოხელეობას მისდევენ რკინეულობას. ყველანიც ერთად შეწუხებულები არიან, თუ ასტყდა რამე პოლიტიკური მოძრაობა გადაჭიმუთებულს ოსმალეთის მთავრობას რომელიმე კუთხეში.

ეს პატარა კოლონია სწავლა-განათლების მხრით ფეხზე დგას. მათი შვილები იწურთნებიან დაწყებაშიდ თავიანთ ქართულ შკოლებშიდ, რომელნიც არიან, **ფერიქოვშიდ ვაჟებისა, ბეიოღლით–პაპის–ქოფრის შკოლა.** როდესაც ასრულებენ ამ დაწყებითი სწაულების მეორე შედიან მაღალ სასწავლებელში, ზოგი სავაჭრო და ზოგიც საექიმოშიდ.

დამჭირნე ვართ ვაღვიარო, რომ ამ შკოლებს ქართველების შკოლა ჰქვიან; მაგრამ მოსწავლე ყმაწვილებს შორის ასში ორი ქართველი ძლივს მოიპოება, დანარჩენები სულ უცხო გვარები არიან; ნამეტი ნაწილი ბერძნები, თათრები და სხვა და სხვა გვარის კათოლიკები.

სწავლა ეძლევათ ფრანგულს ენაზედ და კვლავ სწავლობენ: ფრანგულს, ბერძნულს და თათრულს ზედმიწევნით.

ეს შკოლა დაარსა განათლებულმა მამა **პეტრე ხარისჭერისშვილმა.** 1878 წ. აღსასრულს იყო, რომ მასშიდ სახელოსნო სწავლება უნდა მიეღოთ წერვა-კითხვასთან ერთად; მაგრამ სიგლახაკემ ხელი არ შეუწყო დამწყობს სახელოსნოდ მოსულების შოვნაზედ, რომელიც თხოულობდა დიდ სუმას. 1879 წელს გაიღო მარტო შკოლად ზემოდ ნათქვამ პროგრამით. თათარის მთავრობას მიჩნეული ყავს ეს პატარა ქართველების შკოლა. ყოველ წლივ რომაზანის მეთუთხმეტე დღეს, როდესაც წელიწადში ერთხელ **სულთან ჰამიდი** აია სოფიას ჯამეში წავა ხოლმე, ამ შკოლის მუზიკა ილდიზის (სახელმწიფო სარაია) სარაის ახლო დაუხვდება ხოლმე. ხელმწიფე ყოველწლივ თვითვე მადლობას გადაუხდის ხოლმე თამანის ართმევით და მეორე დღეს სკოლაში შამბელანის ხელით საჩუქარს გაუგზავნის ხოლმე მოწაფეებს და მოკითხვას მასწავლებლებს.

ყველაზედ შეშანიშნავია 1893 წ. მოხდენილობა, როცა ამ შკოლას მუზიკა ედგა და უკრამდა, წინ გამოჭენებულმა ადიუტანტის ცხენმა თავი მოტაცა და მთელი მუზიკის დამკვრელები და დანარჩენი ბალღებიც სირით გადაჰქელა. ხონთქარმა იქვე დაინახა, მეტად შესწუხდა. მანამ აია სოფიაშიდ მოვიდოდა და საღამომდის რამთენჯერმე ბაღანები იკითხა. მეორე დღეს ირადა (თავის პირით ნაბძანი სიტყვა) გამოსცა, რომ ყველა წაქცეული ბალღები მთავრობის ხარჯით გაწურთვნილიყვნენ. ერთმა, საცა იქვე ფეხი მოიტეხა, ეს ბაღანა იყო 13 წლისა. როცა გაკეთდა ხემწიფემ ინახულა და თუმც მცირე წლოვანი იყო, მაინც ჰუნქიას ჩაფრობა მისცა და დღესაც

სარაიაში მსახურობს ალბაანის თუთექჩი-ჰუმაიუნ თაბურშიდ. როცა მოხუცდა ჯვრებიც და მეჯიდია მედლებიც მიიღო.

შკოლის დირექტორმა, პ. **ანდრია წინამძღვრისშვილმა** მიიღო 150 ოქრო საჩუქრად და **ორდენის მეოთხე ჯვარი.** ამისმა შემწემაც **მერაბმა** მიიღო იგივე ჯვარი. ამავე შემთხვევაშიდ მიანიჭა ხონთქარმა ირადა და დაჰპატიჟა ამ **ქართველთ მამა იოსების შკოლის** მოსწავლე ბაღანები და მასწავლებლები ქაღად ხანის მინდვრებზე გასასეირნებლად. თავისი პატარა გემი გამოუგზავნა. ქააღად ხანას დაუხვდა ხონთქარის მხრივ, საჯარო შკოლის ზედამხედველი **ისმაილ ფაშა.** გაიმართა დიდი სადილი მწვანეზე.

ნასადილევს გაიმართა ყრილობა. შკოლის მუზიკამ დაუკრა სახემწიფო ლოცვა-კურთხევა – „ტახტი აღარ ბახტი ოსმალთე“ მისივე ესე პირველი სიტყვა სთქვა ფრანცულათ პატრი **სტეფანე გიორგის ძემ,** როცა განაცხადა სულთანის მინიჭებულს ფართო თავის უფლება ყველა სწავლა-განათლების შემოტანის შესახებ თავის გადაჭიმულს სამთავროშიდ. მისი სიუხვე გულ-მოწყალეობა გლახაკ დაზიანებულთა და სხვ.

პ. ანდრიამ წარმოსთქვა შკოლის პროგრამაზედ და აღსასრულზედ, რომელიც არის რათა ქრისტიანე რჯულს მსახურებასთან ერთათ ისწავლონ ოსმალოს მმართველობის პატივი და მორჩილობა მისგან განწესებულს წესებზედ, **რომელნიც მფარველ არიან სხვა და სხვა გარჩეული რჯულების გამტანი, უკეთეს ევროპიისა წესებისა**. მოსწავლეთაგანმა წარმოსთქვეს თათრულად, ოსმალურად და ყოველს ერთად პირად აღადიდეს **მრავალჟამიერ ქართულად.** ამ დროს პატ. **სტეფანეს განკვირვებულს ცრემლები სდიოდა და გული უჯდებოდა**. ისმალ ფაშამ თათრულათ პასუხი მისცა; დალოცა პირველად ხემწიფე სულთან ჰამიდი. ამ დროს აქ დამსწრე საბუთებმა (აფიცრებმა) შემოსძახეს „აამინ“! ჯარის განყოფილებამ სამჯერ შემოსძახა „ფადიშიმმ ჩოხ იახში“. მერე აღამაღლა მათი ხელმწიფეობის მოწყალება განურჩევლად რჯუ-ლისა და გვარისა ყოველი მიჩნევა, რომელნიც თავის გადაჭიმულს სამთავროში შრომობენ სწავლა-განათლების შემოტანისთვის. „მაგრამ,-დაუმატა: ქართველ ბერ-მონოზნებმა საცალ-კეოდ დაიმსახურეს სულთან ჰამიდის მოწყალება თავიანთი შრომით თვინოერ რაიმე პოლი-ტიკური მნიშვნელობის სისტემასა თავიანთ შრომაში და ახალგაზდობას განუხსნა გადასა-ხადის გადაუხდევინებისათვის.

ყველა დიდებულად დაბოლოვდა მეორედ ხემწიფისთვის ლოცვის მუსიკის დაკვრით.

მთელს ერთი კვირით სტამბოლის გაზეთების სალაპარაკო მეტი აღარაფერი იყო. ევროპიულს ენების გაზეთებში გამოსცეს იქ წარმოთქმული სიტყვები და ერთი გაზეთი „სტამბოლი“ უმატებდა: **„ეს პატივიო ასე ერთს უცხოთა გვარობის შკოლას ოდესმე არ მისცე-მიათო კონსტანტინეპოლშიდაო“.**

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში. დაიბეჭდა ჟურნალში „ჯვარი ვაზისა“ (იხ. N18. 1906 წელი).

ავტორი არაა მითითებული.

ირ-დი. (უცნობი ფსევდონიმი)

უცხოეთის ქართველთათვის

ვინ არიან უცხოეთის ქართველნი? ქართველები სპარსეთისა, ოსმალეთისა და ბოლოს ჩრდილო კავკასიისა. ამ მცირე წერილში ჩვენ არ შევეხებით ზემოხსენებულ ქართველთა მშობლიურ ცის დატოვების და უცხოეთში გადახვეწის, უცხო ცის ქვეშ მოქცევის ისტორიულ მწარე ამბავს. ეს ყოველი მოაზროვნე ქართველისათვის სავსებით ცნობილია. ჩვენ გვაინტერესებს, ის კითხვა, თუ რა მზრუნველობას მოითხოვს ქართველ ხალხისაგან და რა ესაჭიროება ფიზიკურად მისგან დაშორებულ თანამოძმეთ. უწინარეს ყოვლისა, უცხოეთის ქართველებს უნდათ ჩვენთან სულიერ კავშირის გაბმა და ჩვენგან სულიერ საზრდოს მიღება. ჩვენ ვფიქრობთ, პრინციპულად ზემო აღნიშნულ კითხვის დადებითად გადაჭრა ყველას გაეხარდება-ეამება. მაგრამ როგორ უნდა მოხდეს ამ კითხვის რეალურად მოგვარება და მისი ცოცხალ საქმედ ქცევა.

შეიძლება ჩვენ გვითხრან, რომ ამ კითხვის რეალიზაციისათვის ლაპარაკი არის „peine veine“, ვინაიდან უცხოეთის ქართველებმა რამდენიმე ას წელთა მანძილზე დენაციონალიზაციის ისეთი გავლენა განიცადეს, რომ მათ რენაციონალიზაციაზე ლაპარაკი არის Bocoup de bruit poutr rein“. ამის შესახებ ჩვენ ვიტყოდით, რომ სპარსელ **სეიფოლა იოსელიანებს** და ოსმალეთის **ჭყონიებს** რენაციონალიზაცია არ ეჭირვებათ. **მათი ტკბილი ძველი ქართული ბევრ თანადროულ ამაყ ქართველებსაც კი ენატრება.**

ისეთ სინამდვილის წინაშეც რომ ვიდგეთ, რომ ჩვენი სისხლხორცი ძმები მთლად გათქვეფილი იყვნენ უცხო ნაციაში, მაშინაც კი არ უნდა დავიხიოთ ჩვენ უკან და ყველა ღონე ვიღონოთ, რომ **გადაგვარებულ ძმებს აღუდგინოთ თავისი ეროვნული სახეობა;** დღეს ეროვნულ რენენსანსის ხანაში ასეთი ოპერაციები ჩვეულებრივ მოვლენად ითვლება. ჩეხიის ნაცია ამ სამ ათეულ წლის წინად მთლად გადაგვარდა, მაგრამ ეროვნული ორგანიზაციების ყოვლისმძლე მოქმედებამ **გაგერმანებული ჩეხი სწრაფ გააჩერა**.

უცხოეთის ქართველებზე სისტემატიურ მზრუნველობისათვის აუცილებელია დაარსდეს **„უცხოეთის ქართველთა საზოგადოება*,** რომელიც ისაქმებს უცხოელ ქართველთათვის. სულიერ ტრანსპორტის მისაღწევად გააბამს მათთან ცოცხალ ურთიერთობის ძაფს და ეცდება რათა განსხეულება მიეცეს უცხოეთის ქართველთა სამშობლოსკენ ლტოლვას რემიგრაციას.

ქართველ ნაციის მარადიულობისათვის ასეთი აქტივობა ჩვენ აუცილებლად მიგვაჩნია, რაღაც სამ მილიონიანი ქართველი ნაცია ვერ ითმენდეს მის სისხლხორც უცხოეთის ქართველობის ასი ათასობით დაღუპვას. ჩვენ უსაძღვროდ გვახარებს საზოგადოება „შუქურა“–ს დაარსება. როგორც წავიკითხეთ გაზ. „ტრიბუნა“–ში, საზოგადოებას ფრიად სიმპატიური მიზნები აქვს დასახული.

აწ ვინატროთ ამ მეორე ასე რიგადვე სასურველ და საჭირო საზოგადოების დაარსება, დაბადება.

დაიბეჭდა გაზეთში „ტრიბუნა“, 1923 წ. N 463.

ამ პატარა სტატიის ტექსტი შენახულია სტამბოლის ქართულ სავანეში. ავტორი არაა მითითებული.

---

* ეს წერილი დაგვიანებით იბეჭდება. ასეთი საზოგადოების დაარსება უკვე დაადგინა კრებამ მაისის ოთხს და არჩეულია საორგანიზაცია კომისიაც. საჭიროა ამ კომისიამ მუშაობა დააჩქაროს. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ უნდა დაარსდეს ისეთი საზოგადოება, რომელიც კულტურულ კავშირს დაიჭერს არა მარტო სპარსელ ქართველებთან, არამედ ყველა მათგვარ ქართველებთან.

„დ“ (უცნობი ფსევდონიმი)

კონსტანტინე აფხაზი

აგვისტო-სექტემბრის წლისთავზე ჩვენ ბუნებრივათ გვაგონდება ის თავდადებული მებრძოლნი, რომლნიც ემსხვერპლენ თავის ქვეყანას 1923 წლის მაისში. 15 კაცი, მათ შორის 11 მხედარი, დახვრეტილ იქნენ ჩეკისტების მიერ თფილისში პარიტეტულ კომიტეტში მუშაობისათვის. სამშობლოს სახელოვანი გმირთა რიგებს ამშვენებენ მათი სახელები. აქ კონსტანტინე აფხაზის გვერდით დგანან **ვარდენ წულუკიძე, ალექსანდრე ანდრონიკაშვილი, გიორგი ხიმშიაშვილი** და სხვები, რომელთა ამაყი სიტყვები, ანდერძათ გადმოცემული, სამუდამო სახელმძღვანელოთ დარჩება ქართველ მებრძოლთათვის. ესენი იყვენ წინამორბედნი აგვისტო-სექტემბრის თავდადებულ ბრძოლის და დაუვიწყარ მსხვერპლების. ყველას სათითაოდ დახასიათება აქ უადგილობის გამო შეუძლებელია. ჩვენ აქ გვინდა მხოლოდ ორიოდე სიტყვით ვცეთ პატივი **კონსტანტინე აფხაზის** ხსოვნას.

კ. აფხაზს სპეციალური სამხედრო განათლება ჰქონდა მიღებული, მაგრამ ის უფრო საზოგადო მოღვაწე იყო, ამ სიტყვის ფართე მნიშვნელობით, ვინემ სამხედრო სპეციალისტი. ის ადრევე ჩაება საბანკო მოღვაწეობაში, მონაწილეობდა ქართულ კულტურულ საქმეებში, აქტიურ როლს თამაშობდა საერობო თათბირებში, მეთაურობდა აღმოსავლეთ საქართველოში სათავად-აზნაურო დაწესებულებებს: 1910-დან 1917 წლამდე არჩეული იყო **თფილისის გუბერნიის თავად-აზნაურობის მარშლათ.** რევოლუციის დასაწყისს მისი ინიციატივით იყო, რომ საქართველოს **თავად-აზნაურობამ მთელი თავისი წოდებრივი ქონება ქართველი ერის უმაღლეს ორგანოს–მაშინდელ ეროვნულ საბჭოს–გადასცა.** იმ თავითვე კ. აფხაზი ენერგიულ მონაწილეობას იღებდა ქართულ ეროვნულ საქმეების მოგვარებაში და ერთი დამაარსებელთაგანი იყო პირველ ეროვნულ საბჭოსი. განსვენებული შედიოდა საქართველოს პარლამენტში, როგორც უპარტიო, დამოუკიდებლობის უკანასკნელ წლებში ის მომეტებულათ სავაჭრო-სამრეწველო დაწესებულებებში (სავაჭრო პალატაში, ბანკში) მუშაობდა. საქართველოს დაპყრობისას კ. აფხაზი სამშობლოში დარჩა და მალე ჩაება ენერგიულათ არალეგალურ მუშაობაში; ბოლო ხანებში ის იყო ეროვნულ-დემოკრატიულ ცეკას თავმჯდომარე და პარიტეტული კომიტეტის წევრი.

კოტე აფხაზის მოღვაწეობის ხაზი არც რევოლუციამდე, არც რევოლუციის შემდეგ, არ უახლოვდებოდა ჩვენი პარტიის ხაზს: **ჩვენსა და მის პატრიოტიზმს სხვა და სხვა სოციალური შინაარსი ჰქონდა**, პოლიტიკურათ ის ჩვენი მოწინააღმდეგე იყო. მაგრამ ეს ვერ დაგვიშლის აღვნიშნოთ ამ უმწიკვლო საზოგადო მოღვაწის მაღალი თვისებები, რომლებმაც მას პატივისცემა და სიმპატია მოუპოვა ქართველი საზოგადოების ყველა წრეებში. მრავალმხრივი განათლება, მაღალი კულტურა ძველ ქართულ კეთილშობილებას შედუღებული, დიდი ჭკუაგონება, იშვიათი ტაქტი, ღრმა პატრიოტიზმი, მაღალი ზნეობრივი თვისებები – აი, რა ახასიათებდა მას.

თფილისის თავად-აზნაურობის მარშლობა აახლოვებდა მას ძველი რეჟიმის უმაღლეს წრეებთან კავკასიაში, მაგრამ **მას სამშობლოსადმი ღრმა სიყვარული არ მიუტანია მსხვერპლად თავისი კარიერისათვის.** ვის არ ახსოვს მისი კონფლიქტი ნამესტნიკის წრეებთან, ან მისი ცდა ქართველ დემოკრატიულ წრეებთან, კერძოთ, მაშინ არალეგალურ სოც.-დემოკრატიულ

პარტიასთან შეთანხმებისა ომის დასაწყისში, როცა თფილისი ოსმალოს შემოსევის საფრთხეს წინაშე იდგა.

ჩვენი ვალია მოვიგონოთ დღეს, აგრეთვე, მისი ადამიანური ჩარევა ძველი რეჟიმის დროს პოლიტიკურ ტუსაღების, კერძოთ, განსვენებულ **ნოე ხომერიკის,** ბედის შესამსუბუქებლათ.

კ. აფხაზი საკმაოთ ჭკვიანი და განათლებული კაცი იყო, რომ ახალი დროის მოთხოვ-ნილებები შეეგნო. ამით აიხსნება მისი როლი **სათავად-აზნაურო ქონების ქართველი ერისთვის გადაცემაში**. საქართველოს მთავრობას ის ოპოზიციაში უდგა და არ სცნობდა შესაძლებლად საპასუხისმგებლო პოსტი მიეღო. მაგრამ ყოველთვის ეხმარებოდა მას–განსაკუთრებით ფინანსურ სფეროში – თავისი რჩევით და გონიერი სიტყვით...

საქართველოს დაპყრობის შემდეგ კ. აფხაზი, რომელსაც არასოდეს ჰქონია კავშირი არალე-გალურ მუშაობასთან, თავის ვალათ სთვლის სამშობლოს წინაშე ჩაებას ეროვნულ ბრძოლაში და ჩადგეს შეთქმულთა რიგებში. 19 მაისს ჩეკის ჯალათებმა ის საქართველოს სამსხვერპლოზე აიყვანეს...

სიკვდილს ის შეხვდა, როგორც შეეფერება დიდსულოვან, ქვეყნის წინაშე აღმასრულებელ მოვალეობის შეგნებით გამსჭვალულ ქართველს: სრულის სიმშვიდით და ღრმა რწმენით, რომ მისი მსხვერპლი და მაგალითი უშედეგოთ არ დარჩებოდა.

კ. აფხაზის ხსოვნა სამარადისოდ ძვირფასი იქნება ყველა ქართველისათვის რწმენისა და მიმართულების განურჩევლად.

დაბეჭდილია ჟურნალში „თავისუფალი საქართველო“, N3, 1925 წ. პარიზი.ხელნაწერი, მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და ეს ჟურნალიც იქვეა დაცული.

„თავისუფალი საქართველო“ მაშინ იბეჭდებოდა სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა სტამბაში. სტატიის ავტორი, ალბათ, რომელიმე ემიგრანტი ქართველია.

ფარსმან მაძევარი (უცნობი ფსევდონიმი)

ოსმალელი ქართველები

ძვირფასო მეგობარო!

სრულებით ვერ წარმოვიდგენდი, თუ ჩემი წერილი საგაზეთოდ გახდებოდა, მაგრამ რაკი დაბეჭდე, მე საწინააღმდეგო არაფერი მაქვს და შემდეგ ამბებს უფრო ვრცლად და დალაგებით აგიწერ. შენ თითონ ჩქარა შეიტყობ, რომ ეს ამბები წინანდლებივით შემთხვევითნი აღარ არიან და ჩვენში უკვე დაწყებულ მისვლა-მოსვლას ეხება. ამბები იწყება იმ დღიდან, რა დღესაც უკანასკნელი წერილი გამოგიგზავნე.

პარასკევი დღე იყო. მითხრეს, ვიღაცები გკითხულობენ, დაბლა გიცდიანო. ვიფიქრე, ვინ უნდა იყოს აქ ჩემი მომკითხავი ეზოში და სამი ახალგაზრდა ვაჟი დამხვდა, თათრულ ფორმის ტანისამოსში გამოწყობილი, წითელფესიანი. დანახვაზე შემომღიმეს და ამიტომ მათის ვინაობის გამოცნობას ბევრი ფიქრი აღარ უნდოდა, მიველ და ქართულად მივეცი სალამი.

–გაგიმარჯოს!–ქართულადვე მომიგო ერთმა ყველას მაგიერ. ჩამოვართვი სამივეს ხელი და შევიწვიე სახლში:

–მობძანდით, იქნება გავაგონოთ როგორმე ერთმანეთს,– უთხარი მე.

–როგორ არა, მე ქართველი ვარ, ქართული ვიცი.–მომიგო მანვე და შემომყვნენ სახლში.

დავსხედით და, ალბად, გულმა გული იცნო, ისეთი ქცევით დავიწყეთ ლაპარაკი, გეგონებოდა, ესენი დიდი ხნის ნაცნობები არიან, ბევრჯელ ჰქონიათ ერთმანეთში საუბარი თავიანთ ჭირვარამზე და ეხლაც ამ საგანზე შეყრილანო. იმათში ორი კარგად ლაპარაკობდა ქართულს და საოჯახო ენად ქართული ჰქონიათ, ხოლო მესამემ კი სულ აღარ იცოდა, მაგრამ **სიყვარულით გამომზირალი მისი თვალები ენაზე მეტს ამბობდნენ.**

–ამან ქართული არ იცის, მაგრამ ჩვენთან ყოფნა უნდაო, ასე ამიხსნეს მისი მოყვანა.

დიდის ხნით დაკარგულთ ამ პოვნის შემდეგ სხვა რამ კერძო საუბარი არ გვეთანხმებოდა და ლაპარაკი მალე გადავიდა ჩვენს წარსულს ბედზე და აწმყო მდგომარეობაზე.

–მე სხვას აღარ ვეძებ, ჩემი სიცოცხლეც აღარ მინდა უმისოთა, ქართული ანბანი უნდა ვისწავლო, მერე ვიარო და ვასწავლო სხვა ჩვენებსაც. ყველამ ჩვენ მოგვჭყიპა (გაგვჭყლიტაო), ყველაფერი აგვართვეს. განა ჩვენ კი ხალხი არა ვართ, სხვა რათ უნდა გვჭყიპავდეს, **ჩვენი ენა რად უნდა დაიკარგოს.** ჩვენებს არ ესმიან და ერთად არ არიან. კითხვა რო ეცოდინებათ, წიგნს წაიკითხავენ, აგი ჭკვა გაუნათლდებათ და მიხვდებიან, მაშინ ვეღარ მოგვჭყიპავენ.– **ასე ამიქადაგდა იუნუს ბაჰრი** და პირველი მე გამაოცა მისმა ამბავმა.

ბევრი ამაზე მეტი სხვა მიუბნა და გულში გახარებულს მიკვირდა, საიდან, როგორ, ნუ თუ მართლა ასეა! მალე შევიტყვე მიზეზი და საქმე. ერთი ახლად მოსული ძლიერ დაუახლოვდა აქაურ ქართველ ხოჯებს, ქართული წიგნები და რამდენიმე „ყურანი“ ხოჯებს ამან დაურიგა და სიტყვიერი ჩაგონება სხვა იყო. ამ ამბავს დასწრებია **იუნუს ბაჰრიც;**ქართული გაზეთი მოესმინა და „დედა-ენა“ ეშოვნა. მერე სახლში ნახვა მოენდომა ახლად გაცნობილისა და იმის ძებნაში მე მიპოვა. მეორეც იმგვარივე და იქიდანვე მოსული იყო. ეს იყო პირველი ნახვა ქრისტიან ქართველთა, პირველი გაგონება იმათ სამშობლო ქვეყნისა, თითონ იუნუს ბაჰრიც ხომ იქიდამ არის და ოდესმე იქ იყო, მაგრამ არ იცოდა და ეხლა გაიგო, ეხლა აღმოჩნდა და ამ ახალ აღმოჩენით იყო **ასე ფიცხათ ანთებული თვრამეტ-ცხრამეტი წლის ბიჭი.**

–აქამდე არ ვიცოდი, თუ ბათუმს იქით ჩვენი ქვეყანა იყო და ბეჭდური ანიბანით ქართული გაზეთაი გამოდიოდა, ან თუ ქრისტიანი ქართველები იქნებოდნენ, არც ის ვიცოდი. მე მეგონა, რაც მაჰმადიანები ვართ ქართველები, მარტო ესენი ვართო.

აი, ამ სიტყვებით გამომიმჟღავნა იუნუს ბაჰრამა, თუ რის სიხარული ტრიალებდა იმის გულში და რა იყო ძვირფასი ამ ახალ აღმოჩენაში: ყოფილა კიდევ საქართველო და არა უბრალო, არამედ ბეჭდური ანბანით და ეს ხუმრობა საქმე ხომ არ არის, **რაღაც დიდი ნიშანია, დასწერ, წაიკითხავ შენს ენაზედ შენს გულნადებსა. მართალია, ქრისტიანები არიან, მაგრამ რჯული თავისთვის იყოს, მუსულმანებიც ხომ ყველანი სუნნიტები არ არიან (ნამდვილი სიტყვები იუნუს ბაჰრისა), სისხლი გვაქვს ერთი, ერთის გვარისანი ვართ (მისივე) და ძმა ხომ ძმას არ უღალატებს, მოვა და მასთან დადგება ჭირში და ლხინში; იგი აქამდე იყო ობოლი, ობლობით ყველასაგან დაბრიყვებული, თორემ ეხლა ის მარტოკა აღარ არის, ვეღარავინ მოსჭყიპავს, – აი, შინაგანი არსება და იმედი იუნუს ბაჰრის განახლებულ გულისა. მთელი მისი ლაპარაკი ეს იყო: მეტათ გავიბენით, მაგრამ თუ შევერთდით, ცოტანი კი არ ვყოფილვართ, ძალა მოგვეცემაო**.

არ გეგონოს, მეგობარო, რომ აქ მარტო **ტკბილი ნატვრა** იყოს და ამაზე ჩერდებოდეს იუნუს ბაჰრის ლტოლვილება. არა, იგი გზასაც ეძებს. **შეერთების მთავარ საშუალებად იგი სთვლის წერა-კითხვასა და მის გავრცელებას ხალხში,** გარეშე სხვა ყოველ მიმატებისა და ჯერ-ჯერობით: **ჩვენ წერა-კითხვა ვასწავლოთ ხალხს და მერე თითონ მიხვდებიანო**. გავრცელება წერა-კითხვისა ძლიერ საადვილოდ მიაჩნია. **ჩვენი ანიბანი თათრულივით ძნელი არ არის, ადვილი დასასწავლია; ქართულს ხომ ლაპარაკობენ, ჩვენი ენაა და რაც არ ეცოდინებათ, ისიც მალე მოაგონდებათო, ასე დამისაბუთა მან თვისი იმედი**.

თავის კერძოთ რომ ძლიერ იყო მონდომებული ქართულ სწავლებას, ამისი მიზეზი მაშინ შევიტყვე, როცა თავის ცხოვრებიდან მიამბო ერთი გულსაკლავი, ტანჯვით სავსე მაგალითი ერის საერთო დაცემისა:

–დედამ წერილი გამომიგზავნა,–დაიწყო მან.–ქართულად დაწერილი; მე კითხვა არ ვიცი, ვეძებ, ვერც სხვა ვიპოვნე წამკითხავი და ერთი წელიწადი ისე დამქონდა უბეში.

–მაშ, მთელი ერთი წელიწადი ისე ატარე, რომ არ იცოდი, რა ეწერა დედის მოწერილში, დედა რასა გწერდა?

–არ ვიცოდიო,–სთქვა დაღონებით და თან როგორღაც დარცხვინდა.

აბა, გაზომე ეს პატარა ფაქტი სიგძე-სიგანეზე, წინამავალ ამბებიდან დაწყებული, ზედ მოყოლებულ შედეგამდე, თუ მთელი ქვეყნის მწუხარება შიგ არ ჩაეტიოს. მართლა, და ამაზე მეტი რაღა იქნება: დედამ თვისი მოსიყვარულე დატანჯული გული გადაუშალოს თავის შვილს, თავის იმედსა და სასოებას, შვილმა ვერ ამოიკითხოს დედის გულის ამბავი და საპასუხოდ ვეღარა სცა ნუგეში; დედა იწოდეს შვილის დამუნჯებაზე, შვილი იტანჯებოდა ზმანებაში შეკრულივით თავის უღონობითა და ასე შეილახოს, გაუგემურდეს ბუნების დიადი კანონი –ტკბილი დედაშვილობა. რა მიიღეს მათ და რა მიიღოს ადამიანმა ამის ფასად.

რისგან იყო იმ დარცხვენისფერი, იუნუს ბაჰრის რომ გადაურბინა პირისახეზე! არა მგონია, თუ იმისგან იყო, რომ დედა ახსენა და მუსულმანობაში არ მიღებული საქციელი ჩაიდინა. ამაში მაინცა მაინც დიდი მორიდება არ გამოიჩინა და ერთი საათის შემდეგთამამად მელაპარაკებოდა ოჯახის ყველა წევრებზე. მაშასადამე, ეს იყო დარცხვენა ნამდვილ დასარცხვენ საქმეზე,

ეს იყო დარცხვენა დაკნავება–დამცირებაში მყოფ ადამიანისა. ვინა ვარ და რა მქვია, ვისი ყმა ვარ, რის პატრონი, ამას მუდამ იკითხავს თვალხილული კაცი.

გადმოულაგე ჩემ სტუმრებს გასასინჯავად ქართული წიგნები და გაზეთები. ძლიერ მოეწონათ ლამაზი ყდით შეკონილი პატარა „ვეფხისტყაოსანი“. ეს არის ჩვენი ბეჭდური წიგნი, რა ლამაზია“! ბეჭდურ დანახვაზე სიხარულს აჩენენ. **ქართული წერა რომ არის, ეს ამათ იციან, მაგრამ თუ ბეჭდურიც იქნებოდა, ეს კი არ გაუგონიათ.** ნაკლულევანებაში მყოფს, რომ სხვის დოვლათზე თვისი უბედურება მოაგონდება და გული დაეჩაგრება, სწორედ ამნაირ მდგომარეობაში ვნახე საბრალო შვილები ღელვა **გვემულ ერისა.** ამათ ჰგონებიათ რომ ბეჭდვა მარტო სხვებსა აქვთ და ქართული კი უშნო ხელურად არის მივარდნილი. გაუბედნია საწყლის გულსა და უნატრია: ერთხელ ერთი სტამბა მაინც, რაღა ჩვენა ვართ ასე?! **დიდხანს უტარებიათ უჩინოდ ეს მწარე ტკივილი** და ეხლა ჩემთან ამოიძახეს. მერე რომ იცოდე, **რა მოწიწებაა მათვის სტამბა და, მაშასადამე, რა დიდი ბედნიერებაა, რა დიდი მომასწავებელია ქონება ამ კულტურულ იარაღისა. დღეს კი აღმოჩნდა, რომ ქართული სტამბაც ყოფილა, ჩვენი საკუთარი, ზედ ის ჩვენი ასოებიც ბეჭდურათ**; გულმა სიამე იგრძნო, თავმოყვარეობა დამშვიდდა და **თავში აზრმა გაიელვა, ჰო, მაშ, კარგი!** წიგნს ხელიდან ხელში აძლევდნენ ერთმანეთს და აჩვენებდნენ,–აი, ჩვენი ბეჭდური წიგნიო; რა სწერია შიგ, როგორ იკითხება, ასე ამ მხრივ, თუ ასე, ჰო, ფრანგულივით და სხვა.

–გადაბრუნებულა ჩვენი ენა,–მითხრა გასინჯვისას დამწუხრებით ჩემმა მოსაუბრემ.

–ხომ ყველაფერს ვაგონებთ ერთმანეთსა-მეთქი,–დავეკითხე მე.

–კი, როგორ არა, მაგრამ გაზეთაში რომ სწერენ, იმას კაცი ვერ მიხვდება, ვერ გავიგებთ.

–როგორა გგონია, ჩვენ გადავაბრუნეთ ქართული ენა, იქაურებმა, თუ თქვენ, აქაურებმა?–ვკითხე მე.

დაფიქრდა იუნუს ბაჰრი:

–იქაურებმა, ჩვენ უფრო წმინდათ ვლაპარაკობთ. გაზეთაში რომ სწერია, ბევრი ისეთი სიტყვა ურევია, არა ქართული,–მითხრა დაბალი ხმით და ჩემი გულიც სრულიად დაეთანხმა ამ განაჩენს იმ ქართულ ენაზე, რომელიც რუსულის ნაფიქრებით, მართლა, ისე **გაატიალეს და დაამძიმეს ლოდივითა, რომ ზოგჯერ თითონ მე დამკარგვია სასოება. თანაც ზედ მუგუზლის დასართველად თავი მოაქვთ, ვითომ ახალ სამწერლო ენას ჰქმნიან ქართულს**. სიფრთხილე და მუშაობა, თორემ იუნუს ბაჰრის გულიდან ამონაკვნესი ჩივილი ნამდვილ მხილებად დარჩება ჩვენზე[1].

სულ ბოლოს-ღა ვკითხე ჩემს მესაუბრებს, სადაურები ხართ-მეთქი; როგორაო?! შემომეკითხენ და არ იცოდნენ რა ეპასუხნათ. სიძნელე იმაში იყო, რომ ამათი სადაურობა ორნაირია და ვერ გაიგეს, რომელს ვკითხულობდი: სად ასახლიან, თუ საიდან არიან წამოსულნი. ამიტომ კითხვა ასე დავუწვრილე: თქვენი დედმამა სადა სცხოვრობს, სახლი სადა გაქვთ მეთქი. „ჩემი

[1] ამ ბოლო დროს გაზეთში შემოიღეს ერთნაირი გამოთქმა, რომლის ნიმუშია, მაგალითად, ფრაზა: მე ვიყიდე ორი კოლოფი სპიჭკისა. ეს გახლავთ საცოდავი თარგმანი რუსულ სიტყვებისა; უნდა ვთქვათ–ორი კოლოფი სპიჭკა, ხუთი ურემი მიწა, ათი საპალნე ღვინო. გამოთქმა: „ორი კოლოფი სპიჭკისა“, იხმარება მაშინ, როცა კოლოფში არა ჰყრიარა. ქართველ გლეხს რომ უთხრათ: „მე ვიყიდე სამი ტომარა პურისა“, იგი უთუოდ ცარიელ ტომრებს იგულისხმება და არა პურიანსა. ან კიდევ: რაც არ უნდა უთხრა, არ გაიგონებს,–წმინდა რუსული თქმაა. ქართულად იტყვიან: რაც უნდა უთხრა, არ გაიგონებს. ხოლო რაც არ უნდა უთხრა, ის არც უნდა უთხრა.

მამა-დედა სამსონში ცხოვრობს და სახლი იქა გვაქვს, მაგრამ **ჩვენ აჭარლები ვართო“,** –მომიგო **იუნუს ბაჰრმა, რომელიც სამსონშია დაბადებული და აჭარა თვალითაც არ უნახავს**, გვარი კი აღარ ახსოვდა. დანარჩენმა ორმა **ჩურუქსუელი მითხრა და არც ერთი არ არის ჩურუქსუში დაბადებული**. სიტყვაზე ერთი ამნაირი მაგალითი კიდევ: აჰმედ ბეი ფაშასთან გავიცანი, ერთი ახალგაზრდა ქართველი, **გვარად ლორთქიფანიძე**. სადაურობა რომ ვკითხე, **ჩურუქსუელი** მითხრა, დაბადების ადგილზე–ტრაპიზონი და ასე ყველანი. ამნაირად, წინად რომ ეჭვითა გწერდი, აქაური ქართველობა თავის სადაურობას **ძველ სამშობლოთი ნიშნავს,** ეხლა ამას დავა აღარ უნდა.

ლაპარაკი გავათავეთ და **ფერიქოვში წავიყვანე სამივე ბიბლიოთეკის საჩვენებლად**. გზა შორი იყო და სიარულში მიამბობდნენ საოჯახო ადათებზე. როგორცა ჩანს, ერთმანეთის მიმართვაში კიდევ შენახულა ქართული ზნე-ჩვეულებანი და სცდილობენ კიდეც თურქეთისაში არ აურიონ.

ბიბლიოთეკაში მოწიწებით შემოვიდნენ, როგორც გონების საუნჯეთა წმინდა სალაროში, მაშინვე წიგნების შკაფს შეჰხედეს: ეს სულ ქართულია. ამაზე მეტი არის? საიდან არის მოტანილი? და სხვა ამნაირებს მკითხავდნენ. გადმოვიღე საჩვენები წიგნები. ძლიერ მოეწონათ დიდი სურათებიანი „**ვეფხისტყაოსანი**“ და ის იმოდენა წიგნი თავიდან ბოლომდე სულ გადასინჯეს, ისე გაიტაცეს პოემის გმირთა სურათებმა. გაზეთებში რომ ზოგიერთი **ქართველი მუსულმანი ნახეს დახატული, აღარ იცოდნენ, როგორ გამოეთქვათ თავიანთი სიამოვნება**. სახელს ამბობდნენ ზოგისას და კითხულობდნენ, ეს აქ ვინ დახატა, როგორ, სულ იქ არის დაბეჭდილი და უკვირდათ და **უხაროდათ, რომ ჩვენ საბეჭდავიცა გვქონია, სახატავიცა და ამის მცოდნე და გამკეთები ქართველებიც გვყოლიაო.**

მეორე პარასკევს (პარასკევი უქმე დღეა მუსულმანებში) მესტუმრა **იუნუს ბაჰრი** თავის „**დედა-ენითა**“ და თან სამ ამხანაგი მოიყვანა. იმათში ერთი უკვე ნაცნობი იყო და ორი ახალი. ამ ორ ახალში ერთმა სულ აღარ იცოდა ქართული. პატარა დაობლებულა; გასაზრდელად თურქს ვისმე აუყვანია და ქართული ამიტომ დავიწყებია. მაგრამ ნეტავი ერთი გაჩვენა საიდანმე, რომ შენი თვალით გენახა და გეგრძნო, თუ რა არის გადაგვარება: სხვები რომ აზრთა გაცვლა-გამოცვლით ვნუგეშობდით, ახალი გრძნობები გვებადებოდა, ახალი სურათები გვეშლებოდა და გულიც ახლად **ყვაოდა, იგი იჯდა თავჩაღუნული და ქვეშიდან გამოიცქირებოდა ნაღვლიანის გაუცინარის სახით. მისი დაფიქრებული, მწუხარებით სავსე თვალები, გაჩანაგებას და გავერანებას მეტყველებდნენ, სხვა რამ მადლის შუქი აღარ ენთო მათში. ასე ძნელია თურმე ობლობა. მარტო უდედ-მამობა ხომ არ არის ობლობა, ძნელია უთვისტომობა და უფრო მწარე ყოფილა სხვისა თვისტომობაზე ძალად დამყნობა**.

მეორე იმ ახლებში იყო **ომერ ეშრეფ, აჭარელი, მოსახლეობით ბრუსსელი.** ბრუსსა და იზმითი ახლო-მახლო არიან. მდებარეობენ მარმარილოს ზღვის პირზე და ორგანვე დიდძალი ქართველობა ყოფილა. **ომერ ეშრეფი**, თუმცა სიძნელით ლაპარაკობს ქართულს, რადგან სულ სწავლაშია, მაგრამ სმენით ყველამფერი ესმის და ძალიან დიდი მოწადინეც აღმოჩნდა ქართულის შესწავლისა. მთხოვა კიდეც „**დედა-ენა**“, მაგრამ მე აღარა მქონდა და ისეთნაირად დაღონდა, რომ გულმა ვალად დამადვა, იმ დღესვე მეშოვნა წიგნი, სადაც იქნებოდა და არ იქნებოდა; და როცა, მართლა, მიიღო, ისე დამშვიდებით დაარხეინდა, **გეგონებოდა, მთელი**

ქვეყნის სარჩო-საბადებელი იშოვნაო. აი, სწორედ ეს შემთხვევა და სხვა ამ გვარი მაგალითები და აგრეთვე, ამ ვაჟების დაპირება სოფლად წიგნების გავრცელებისა იყო მიზეზი, რომ „დედა-ენებზე“ გწერდი. ვიდრე ამ დღეს მეწვეოდნენ, იუნუს ბაჰრისა და ომერ ეშრეფს ერთხელ უკვე გადაეთვალიერებინათ „დედა-ენა“ და მისი საოცარ სიადვილის გამო მომხვდარიყვნენ კიდეც. გადავუშალე წიგნი და ვკითხე:– აბა აქ რა სწერია მეთქი: – **საათი, თხა, თოხი, თევზი, კურდღელი, ქათამი.** „ბიჭო, შენ გცოდნია კიდეც კითხვა მეთქი“. მითხრა: რომ ხატია, იქიდან ვიცი, ქვეშაც ხომ ის ეწერებოდაო“. ვერ ამოეცნოთ სამიოდე ასო, მე გამოთქმით ვაჩვენე მათი მნიშვნელობა და იმათ დასახსომებლად თათრულად მიაწერეს ქართული სიტყვები ამ ასოებით დაწყობილი: **ჭადი, ჭამე, ჟოლი.**

წიგნების შინჯვაში ომერ ეშრეფმა მინახა **პატარა ფრანგულ-ქართული გრამატიკა მოკლე ლექსიკონით, ერთ აქაურ ქართველ კათოლიკესაგან შედგენილი და დაბეჭდილი; გაუხარდა, ესეებიც გვქონიაო და აღარ დამიბრუნა, ქართულში დამეხმარებაო.** იქვე დაიწყეს კითხვა და ქართული სიტყვების გამოცნობა.

დავეკითხე **რთველზე**. ერთმა თქვა: **რთველია ზაფხული რომ დეილევა, ზამთრის მომსწრეს, მეორემ–ხილს რო კრეფენო** და მოძრაობითა და წარმოთქმით ისე დამიხატა, რომ თითონ მე წარმომედგინა ჩვენი მხიარული რთველი. ომერ ეშრეფმა რომ ამოიკითხა ფრანგული სიტყვა და მისი ქართული მნიშვნელობა „**ოქრო**“, იუნუს ბაჰრის წასძლია რაღაცამ და თავი ვეღარ შეიკავა: –**„ჰო, გოგოზე რომ იტყვიან, აი, ოქროსავით დახატულიო**“ და გაწითლდა, თავი ჩაღუნა. აქამდე ზეპირად გაგონილი სიტყვა მან ეხლა დაბეჭდილი მოიგონა და ეს ხომ ნატვრა იყო მისი. ზედაც მოაგონდა ხალხში ხმარებული შედარება და უფრო ცხოვლად აღებეჭდა იგი მას. იმან ის კი არ იცოდა, რომ მაზე ნაკლებ არც მე ვისიამოვნე, რადგან **იმის პირიდან მოვისმინე ნამდვილი ქართული შედარება, გაგონილი ამათ ძველ ადგილებიდან ხუთას ვერსზე დაშორებულ კუთხეში.** სხვა დროსა და სხვა ადგილას დასაფარავი წვრილმანი აქ მოვიყვანე იმის აღსანიშნავად, რომ თუმცა **„ენა გადაბრუნებულა“,** მაგრამ ფსიხიკა, რომელ-ზედაც არის დამოკიდებული ენის ფორმა და მიმოხვრა, ჯერ ისევ მრთელობს.

ყველაზე დიდი ნიშანი ერის გამოღვიძებისა მაშინ არის, როცა კაცი დაეკითხება თავის თავს, რანი ვიყავით უწინ? ამ კვალზე ვნახე ჩემი ახალგაზრდა მეგობრები. მართალია, ბათუმ-ყარსის აღება და გადმოსახლება ყველამ იცის, მაგრამ ეს ხომ რუსობაში მოხდა. არა, სულ უწინ რა ვიყავით, უწინ? წინათ ქართველებს ხვანთქარი ჰყოლიათო. ჰო, ხვანთქარი გვყოლია და ერთადაც ვყოფილვართ მეთქი, **და ვუამბე თამარ დედოფლის დრო**. მის ხსენებაზე ომერ ეშრეფმა მითხრა, მე ეგ თათრულიდან ვიციო და მიამბო სიტყვა-სიტყვით შემდეგი: „ერთი ქალი ჰყოლიათ გურჯისტანთ ხვანთქრად, **თომრის**; ირანში **ქეიხოსრევ**; ერთმანეთსა ყავღა (დავა) უქნეს; მასუკან ბევრი მუჰარები (ომები) ჰქნეს. თომრის ქეიხოსრევს მიერია, მისი ასკერი (ლაშქარი) დაფანტა. მასურისთან მიიყვანეს. თავი მოაჭრევინა, სისხლით სავსე გუდაში ჩასდო თავი, მერმე თქვა, რომე: „ამდონი წელიწადია, სისხლის სმით ვერ გაძეღი, ამას იქით ამ გუდაში გაძეღი!“.

მე ეს თათრულ დაბეჭდილ ქითაბში (წიგნში) წავიკითხეო“,–თქვა ომერ ეშრეფმა.

მას იქეთ ორნი, **იუნუს ბაჰრი და ომერ ეშრეფი** კვირა გამოშვებით დაიარებოდნენ ჩემთან. ეგზამენები ჰქონდათ და მოუცლელად იყვნენ, აქაურ თათრის საშუალო სკოლაში სწავლობენ,

ამიტომ ვერ ივლიდნენ ხშირად, რომ მაშინვე ესწავლათ. გაათავეს ეგზამენები, შემდეგ კლასში გადავიდნენ, დამიტოვეს ადრესები, ამბავი დამიგდეს, წიგნები რომ მოგივიდეთ, სოფლებში გამოგვიგზავნეთ დასარიგებლათაო და წავიდნენ თავიანთ სახლებში.

შენი მეგობარი ფარსმან მაძევარი.

სტატია დაბეჭდილია გაზეთში– „დროება“ (იხ. N34, 1910 წელი). მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ფარსმან მაძევარი (უცნობი ფსევდონიმი)

ოსმალელი ქართველები

წასულ ზაფხულის დამლევს ადგილი გაიხსნა აქაურ ქართველ კათოლიკეთა ფრანგულ სკოლაში თათრულ ენისა. სკოლის გამგეს პ. ა–ას ჩვეულებად ჰქონია ამ ადგილზე მუდამ **ქართველ მუსულმანის მოწვევა.** ერთხელ მოვიდა მასთან ერთი ახალგაზრდა ადგილის სათხოვნელად. მეც ამ დროს იქ შევესწარი და თავი ასე გამაცნო: მემედ **ქიამილ დარბაიძე.** ჩვენ ვუთხარით, რომ **დარბაიძე** ნამდვილი ქართული გვარია, დიდად სათქმელი და ზემო იმერეთში სოფელიც არის ამ გვარისაო. **დარბაიძე** წინათაც დადენილა ამ სკოლაში ფრანგულისათვის, მაგრამ მაშინ ასე ცხოვლად არ ჰყოფილა ერთმანეთის ძებნა, როგორც დღეს არის და შიშიც დიდი იყო ძველი რეჟიმის გამო; ამიტომ მწარე მოგონების მეტი იმ დროდან მას არაფერი გამოუტანია:– ჩუმად მოვიდოდი, ღამე წავიდოდი, რომ ჯაშუშებს არ დავენახეო.– თქვა მწარედ. დღეს სულ სხვა არის, დღეს თუ ვხვდებით, აზრიცა ჰხვდება ერთმანეთს, და როდესაც ვშორდებით, **ტვირთად მიგვდევს თან ფიქრიცაო.** დავიწყოთ ამბავი.

ვიდრე სხვა ლაპარაკს ჩამოვაგდებდით, მე ვაჩვენე **დარბაიძეს** ადრესები ჩემის მეგობრებისა–**იუნუს ბაჰრისა და ომერ ეშრეფის,** ამათ იქნებ იცნობდეთ-მეთქი. მან წაიკითხა და მითხრა, ესენი ჩემი ამხანაგები არიან, მეც იმათთან ვწავლობდი, მე გავათავე წრეულს და ისინი ჯერ იქავე დარჩებიან. იმათ მითხრეს, აქანა არიან, ნახეო, მაგრამ მაშინ ვერ მოვიცალეო. ეხლაკი სულაც ჩვენთან იქნება და ქართულიც უნდა ისწავლოს; პატარაობისას, ვიდრე თავის სახლში ყოფილა, ქართული წერა-კითხვა სცოდნია, მაგრამ შემდეგში სკოლაში ყოფნის დროს დაჰვიწყებია. ასევე დამართნია იმის უფროს ძმას– **აბდულლა სააფის,** რომელსაც **თათრის უნივერსიტეტი გაუთავებია. იგი ერთხელა ვნახე ქართულ კრებაზე, ძლიერ განვითარებული ახალგაზრდა კაცია, ქართველების მოსიყვარულე, ტრაპიზონში დანიშნეს სამაზრო მსაჯულად და ამ კვირეში მიდის**. ცალკე სალაპარაკოდ არ შემხვედრია. ესენი სოფელ **ბორჩხიდან** არიან და **იზმითში** მოსახლეობენ. იზმითი ქალაქია და მხარესაც ჰქვიან. იქ, **მემედ ქიამილის** სიტყვით, ბევრი ქართველი ყოფილა ერთად დასახლებული. მამა მისი ხშირად დაიარება სტამბოლში და ჩვენა ვთხოვეთ, როცა ჩამოვა, გვაჩვენოს.

რა ფიქრზე სდგა, რას ამბობს **მემედ ქიამილი,** საით მიდის მისი გზა? მარტო ბედმა განგვაშორა იგი, თუ გულითაც მოგვშორდა? ამაზედ მემედ ქიამილი თითონ მზათ არის გვითხრას პასუხი და მერე ისეთი გულწრფელი, რომ პირველად ყოვლად შეუძლებელია რაიმე ეჭვის შეტანა და მეორედ, ნათლადა სჩანს, თუ საით უნდა მიეხვია იმის გულს. მაშ დაუგდე ყური:

–ათი-თორმეტი წლისა ვიქნებოდი; იზმითში, ქართული კარგად ვიცოდი, იქ სულ ქართველებში ვიყავ, ვისწავლე თათრულიცა. მერე მექთებში (სკოლაში) შევედი, თურქი ამხანაგები არათ მაგდებდნენ, მოსულიაო,დამცინოდენ, ტყის კაცი ვეგონე; მე ვუთხარი, რომე ვისაც ჭკვა სწორე აქვს, ის იკითხავს, წინ წავა და კაციც ის იქნება, თუ ტყიდამ არი, მაშინ გამოჩნდება. დავიწყე კითხვა და იმოდენი ვეცადე, რომ როცა მექთებს ვათავებდით, ყველას წინ წავუარე.

როგორ მოგწონს, მეგობარო, ეს პატარა მოთხრობა? ეს ხომ თავის ქება და კვეხნა არ არის, აქ არის აღწერილი, ჯერ ბუნებრივი მოვლენა და ნამდვილი სიმართლე. წესია და ადათი სოფლისა. ქვეყანაზე მტრობა არ უნდა იყოს, მაგრამ რაკი არის, **ზოგჯერ მტერიც მარგებელია.**

იგია სასწორი და სარეკელა ადამიანისა: თუ კაცი სამუდამოდ დავარდა ილაჯ-გამოლეული, იგი მის ხმაზე ვეღარ იღვიძებს, აღარად ჰგამა მის დაცინვა და არ დაცინვა; მაგრამ თუ გულში წაფლულია კიდევ ნაღვერდალი, მაშინ მტრის ავი ენა ქარია მხოლოდ, რომელიც გადაჰქექავს იმ ნაღვერდალს და, რამდენჯერაც შემოუბერავს, იმდენად უფრო გაღვივდება ნაკვერცხალი. ვინ იცის, რამდენი ქართველი ჟამთა ვითარებისაგან მწარედ დადუმებული, მაგრამ გულში მოამაყე, თავის ჩამომავლობით, აღგზნებულა და ავსილა წყრომითა უგუნურ მტერთა დაცინ-ვაზე და ამდგარან ღონემოკრებილი, რომ დაუმტკიცოს მათ, თუ რა სალაროდან არის გამოღე-ბული მათი სჯა ჩვენზე. ყოველ შემთხვევაში, ჩვენ კარგად დავიხსომოთ: ამ ტყიდან გამოსულმა ხალხმა ბევრი დიდი მშრომელი და მოღვაწე მისცა ოსმალეთს და დღეს მრავალი მათგანი მშვიდობით ცოცხლობს. მეორედ, **მემედ ქიამილის** სიტყვებია უნებურად გულის გადაშლა და თქმა: აი, დაინახეთ და გაიგეთ, ვინა ვარ და რა ვიქნები. თქვენ რომ მოგშორდეთ, ვის შევუერთდე? არა, მე ტყის კაცი არა ვარ, არც ვინმე სხვა, **მე ვარ ქართველი, სწორის ჭკუისა და საქმისა**.

მაგრამ ვიდრე ამ მოთხრობას გავაგრძელებდე, ერთი თვალი გადავავლოთ ჩვენს ცხოვრებას, იქ რაღაცა მომაგონდა და მინდა ამაზე შენთან საუბარი გავმართო. შენ ხომ კარგად გაგიგონია, რომ **მანდ აზიატები ვართ და „ძაღლის“ ენა გვაქვს, გული ყაჩაღისა; აქ კიდევ ტყიდან გამოსულები ვყოფილვართ, ველურები**; ეს ამბავი-ღა გვაკლდა და თურმე, უყურე, ამასაც მოვსწრებივართ. **საბრალო ქართველი! მას გულუბრყვილოდ ჰგონია, რომ ვისთანაც მივა და თავს მიუდრეკს, ყველა ძმასავით მიიღებს და სულში ჩაისვამს. სწორედ ამიტომ ყოფილა კიდეც ყველასგან აგდებული და დამცირებული.** იტყვიან, აღწერილობაში გოდებას რა ადგილი აქვსო. **ნესტარ-ნაკრავმა გულმა ადგილი და დრო არ იცის**, წამოიკივლებს. თუ თევზმა სთქვა, სათქმელი ბევრი მაქვს, მაგრამ პირი წყლითა მაქვს სავსეო, ძლიერ უგუნური უთქვამს, თავის შესაფერი; ადამიანს კი აქვს სათქმელი და ამბობს კიდეც. მარჯვენა ყურში ჩამოგვძახიან, **აზიატები** ხართო და ჩვენი არა მიაჩნიათ-რა, მარცხენაში–**ველურებიო**; შიგნითაც აუტეხივართ რაღაც ბედსა და ვქადაგობთ: ჩვენი წარსული მძულს, აწმყო მეზიზღებაო და მაშ მომავალს რაღას ვეძებთ, თუ კი ასეთი ნაცილები ვყოფილვართ. აბა, კარგა ჩააკვირდი, რის ნიშანია ესა და რა ყბად აღებაა? მე კი ასე ვიცი, რომ ეგ არის გამოშვებული ყვავი იმ ბნელეთისა, რომელიც სამასი წელიწადია აიშალა საქართველოზე და მას აქეთ მისი მოციქულები სცდილობენ ყოვლის ღონითა, რომ აღმოგფხრან, რათა ჩვენს ნაოხრალზე მშვიდობით დაწვნენ და დაიძინონ და გამოიღვიძონ.

სამას წლიანმა კოალიციამ ჰქმნა საქმე თვისი და შეირყა საქართველო, შედრკა ხალხი, ქანაობა დაიწყო, **ქრისტიანები მუსულმანთა შიშით მიეკედლნენ საქრისტიანო რუსეთს, მუსულმანები ქრისტიან რუსეთის შიშით გაიბნენ ოსმალეთში და აი, კულტურის მექონე, ოდესმე პატივსაცემი ხალხი დღეს შევიქენით აზიატები და ველურები**. ასე გვეძახიან, მაგრამ თუ მართალია, პირველ ყოვლისა თავს იკიცხავენ, რადგან თავიანთ ხელთა ნაქმნარსა სჯიან. ისინი ლოღიკურ უკუთქმაში ვარდებიან და **ჩვენ ერთმანეთი უნდა შევიძინოთ.**

არის კიდეც ამისი ნიადაგი, აქამდე ფარულად შენახული. უმისოდ ტყიდან გამოსული მემედ ქიამილი წყალში გადავარდებოდა, მაგრამ დარჩენია კიდეც რაღაც ბუნდოვანი ხსოვნა, რომ ოდესმე სადღაც ყოფილან და უცხოვრიათ, **იქ მზე მხიარულად უცინებდა**, **ქვეყანა**

მშობლიურად უალერსებდა, ამხანაგები ტკბილად იტოლებდნენ. ერთი პირად თავმოყვარეობის შელახვა და ხსოვნა იგი განუცხოველდა, გრძნობამ თავისი გამომხატველი შესაფერისი სიტყვები იშოვნა: „ასე არ იქნება, უნდა გაკეთდეს რამე. შევადგინოთ რამე, **ფული გამოვიღოთ და სკოლები გავაღოთ: მე მინდა ჩვენი ენა ვისწავლო. ბათუმი არ მინახავს, მაგრამ მიყვარს და მინდა გულში მქონდეს. როისმე უნდა წავიდე, დავიარო, ქართული იმიზა მინდა“.**

მთელი ჩვენი ბოლონდელი ისტორია უდიდეს დრამატიზმით არის სავსე, მაგრამ რამდენსაც უკვირდები, იმდენად უფრო იზრდება ეს დრამატიზმი, რადგან ახალი მომენტები ჩნდება, ახალი ტიპები, ახალი ფსიხოლოგია, და აი, ეს ერთიც მრავალთაგანი: **სადაც დაიბადა, თავს იქაურად არა სთვლის, სადაურიც არის, ის თვალით არ უნახავს, და ასე გულში ხატივით უსვენია სამშობლო.** აბა, გამოიცანი, ეს რა მდგომარეობაა?

რამდენად არიან სხვები ამ გრძნობით შეპყრობილნი, რამდენად გამოსდევთ საერთოდ ქართველობა, მინდოდა მოკლედ გამეგო და დავეკითხე ჯერ სიმღერებზე, თუ არის კიდევ დარჩენილი რამდენიმე სიმღერები და აგრეთვე, რაიმე ჩვეულება. **თუ ხალხი დაჩუმდა და აღარა მღერის, აღარა სჩანს მისი სულის კვეთებაც, წართმევია ღონე შემოქმედებისა.** მაგრამ, საბედნიეროდ, აი, რა მითხრა ქიამილმა:

–ჩვენებმა როგორ არ იციან მღერა, **ნადზე** მღერიან. **ნადი** იცი რა არის? ყანაზე რომ გავლენ სამუშაოდ.

ჩვეულებიდან ქორწილზე ვაამბობინე: იგივე ნიშნობა, იგივე **მეფე-დედოფლობა თავ-თავის საკუთარ მაყრებით**, იგივე **მახარობელი** და **ბაღდადით მკლავის ახვევა,** მხოლოდ ღვინო არ ისმევა, იმის მაგიერ მურაბას გამოუტანენ ხოლმე. გზაზე მაყრიონი **მღერით მიდის. ნახევარი გზა ქალი თავის მაყრიონს მიჰყავს, შემდეგ ვაჟის მაყრიონი ეგებება. შინ მისვლისას სახლის მამა წვრილად დახურდავებულ ფულს გადააყრის თავზე და ვინც აჰკრეფს, იმისია. შესვლისას მეფე-დედოფლის კარებზე გადაჯვარედინებულ ხანჯლებ ქვეშ გაატარებენ, დასხავენ ბალიშებზე და გაიმართება სამი დღე და ღამე ლხინი.**

მემედ ქიამილმა გამაცნო, აგრეთვე, ერთი ნიშანდობლივი ხასიათი აქაურ ქართველებისა: **დარბაისლური ზრდილობიანობა, სიტყვა-პასუხში** და საოცარი **პირ-ფაქიზობა**, რომლითაც მას თავი მოსწონს**;** თურქი თურმე ამ თვისებით ვერ დაიკვეხებს და ბევრჯელ ჩხუბი მოსვლიათ ქართველებს მათთან ცუდი ენის გამო. ბევრი დავიდარაბის შემდეგ ქართველებს, როგორც ყოფილა, დაუბრძენებიათ თურქები და შიშით ერთ ურიგო სიტყვას ვეღარ ჰკადრებენ. **ქართველი კაცი არ დაგაგინებს და არც დაგეგინებაო**, სთქვა მამედ ქიამილმა. ამაში ყველანი ერთსულოვანად არიან და როგორ **სასტიკად სდევნიან ერთმანეთშიაც უწმაწურ ენას.**

ამის მაგალითიც მიამბო: ორ ქართველს ერთმანეთში ჩხუბი მოსლოდათ დაგინებაზე. შეურაცხყოფილს იარაღი ამოეღო და მესამე კაცი წასწრებოდა,–რას შვრები, კაცს რაზე ერჩი და ეტევიო, შეუძახნია და როდესაც გაუგია რაში იყო საქმე, იარაღიანი კაცი კი აღარ შეუკავებია, შემგინებელს მივარდნია, ორივეს ერთად მამაშვილური, ჭკუა უსწავლებიათ და ასე გაუსტუმრებიათ, შენგან ესენი აღარ გავიგონოთო.

მაინც დავუსვი პირდაპირი კითხვა მემედ ქიამილს: შენ გინდა სკოლების გახსნა, მაგრამ აქაური ქართველები მოგვყვებიან, მისდევენ ქართველობას მეთქი. ამაზე მე ის პასუხი მივიღე, რომ „**სოფლიერნი**“ ქართულად ლაპარაკობენ და თავის თავად მოუნდებათ ქართულის სწავლება**;** ვინც ქალაქებში ჩასულან და ენა დაუვიწყნიათ, ვერ ლაპარაკობენ, თორემ ესმიან კი

და **ისინიც გურჯები** არიან, იმათაც დავიყოლიებთო. **ერთად ერთ ხსნად წერა-კითხვა გამოჰ-ყავს. ძლიერ ვართ გაფანტულები და თუ სკოლები ვერ დავხსენით, დავიკარგებითო, ხოლო გვარის დაკარგვა ერთ საშინელებად მიაჩნიათ ეხლა ამათაც**; და ეს გრძნობა, მათი სულის კვეთება და ახალი ლტოლვილება ისე დამიხატა ჩემმა მოსაუბრემ, რომ **ამაზე ნაზს და ღრმა გამოთქმას** ბევრგან ვერ შეხვდები: **„ჩვენებს ისევ თავიანთი ქვეყანა უნდებიან; საქართველო უყვართ. მე აქ დავიბადე, მაგრამ ჩემი თავი საქართველოში დაბადებული მგონია**. ერთი უნდა წავიდეო... ვნახო როდისმე და მანამდე კი **ამის სიყვარულს ჩვენზე იკლავს.**

ზაფხულის ერთ დღეს მეწვია ბატონი გარდახვეწილი (იგულისხმება მ. წერეთელი-შ.ფ.) და თან მოიყვანა თავისი მეგობარი, ახლად გაცნობილი მუსულმანი ქართველი **სულეიმან ვეისი გიორგაძე,** დედით **დუმბაძე**, დაბადებული სოფელ **ფაცაში**, ტრაპიზონის მხარეს. იგი აქაურ საექიმო სკოლაში სწავლობს და წელს ათავებს, სამხედრო ექიმი უნდა გამოვიდეს. პირველ გაცნობაშივე თავი უჭირველად და სადათ დაიჭირა. ქცევა მარტივი, გულწრფელი, **გულღია, მოსიყვარულე ქართლელ ახალგაზრდას** მოგაგონებდა. სჩანს, ქართველებთან რომ იგრძნო თავი, დიდი ხნის მონატრულმა გულმა მოუსვენა და თავისი შინაარსი გაუჩინა. უფრო მეტს იგი გველაპარაკებოდა და თითონა გვთხოვდა, რომ ჩვენ ყური გვეგდო. აქამდე ბევრი რამ აწუხებდა; ეხლა ისწრაფოდა, ჩვენთვის გადმოებარებინა. სამი ამხანაგი სხვა ჰყოლია სკოლაში, მაგრამ ორს ქართული ენა დავიწყებული ჰქონია ორნი-ღა შერჩენიან ერთმანეთსა ხვაშიადეთ და განმდობელად. ქართულ ენაზე რომ მოუნდებათ ლაპარაკი, თურმე ერთმანეთს ანიშნებენ და სადმე განმარტოვებულ ადგილს წავლენ, რომ ისე გადაუშალონ ერთმანეთს გულის ტკივილები, ისე ილაპარაკონ **სამშობლო ენაზე,** რომ ვერავინ დაინახოს. თურმე ჰშინებიათ თურქ-ამხანაგებისა და არა სთქვან და წამოგვესიონ. ეს რა ენა არის, რას ლაპარაკობთ, ჩვენზე ხომ არას ამბობთო. მე ამაზე სიავე ბევრი მინახავს და ამიტომ მე რაღა უნდა გამიკვირდეს, ამაებს უკვე შეჩვეულს. მაგრამ ამბავი რომ გავიგე, გამიკვირდა; არა, მთლად გაოცებამ შემიპყრო. ელვა რომ დამცემოდა, არ ვიცი, თუ იგი ისე მძლავრად დამიჭერდა და გამკვეთდა. რა თქმა უნდა, ყველას მოუნდება გულში ჩახედება მოყვასისა, რომ თანამოაზრე და მოწმე გამჰახოდს იგი თავის ბედისა, თავის „მე“-სი, და საშუალებად ამისა უთუოდ დედა-ენას მიმართავს, რადგან **ასე უფრო სიხარული სიხარულს ჰგავს და დარდი დარდსა**, ეს მოგვცა ყველას ბუნებამ, მაგრამ ამ ნუგეშის მოსაშლელად მანდ სამაღლედ გვიხდიან ენას, **ენას შოთა რუსთაველისას,** და სხვაგანაც დამალული ადგილი უნდა მოვძებნოთ, რომ იგივე ყბა არ დაგვხვდეს და უდიდეს ცოდვად არ ჩაგვითვალონ მთელი კაცობრიობის უფლება.

ასე რამ დაამსგავსა ერთმანეთს ჩვენი ბედი, ვფიქრობდი გაკვირვებული. ერთი გადადგმა ფეხისა კიდევ და მერე თვით საკუთარი დედის რძე შეშურდებათ ჩვენი ყრმებისთვის. დამნაშავე? მიზეზი? შორს ძებნა რათ გვინდა! **განა ჩვენ არა ვართ ის ხალხი, ოც ქართველში რომ ერთი ვინმე გამოერიოს ქართულის არა მცოდნე, მაშინვე უცხო ენაზე დავიწყებთ ლაპარაკს**, თანაც ამ გულში ღრმად ჩამარხულ მონობის სულს ფუქსავატი გამართლება მოვუპოვეთ, ზრდილობიანობაა, ვამბობთ. **ზრდილობიანი კი არა, ბრმანი ვართ და ლაჩარნი, სულმდა-ბალნი. რა ზრდილობაა; ათი და ოცი ერთისთვის ენას ვიმოკლებდეთ, და ასე ნებითა ჩვენითა ვაყენებთ აზრთა და გრძნობათა თავისუფალ დენას, ვაყენებთ მათ თავისუფალ ბუნებრივ ზრდას, რომელიც მარტო მშობლიურ ენითა ხდება, მოკლედ ვუფარგლავთ გზასა და ვუკეცავთ**

აღმაფრენას. ამიტომ ვართ აზრითაც მოკლენი და გრძნობითაც სუსტნი. რა არის დღეს ჩვენი სულიერი ძალა და ავლადიდება? რათ შევიქენით ასე ადვილად გასაბედნი შეურაცხყოფისა?

გვიამბობდა **სულეიმან ვეისი** გადმოსახლებულ ქართველთა **ცრემლით დაწერილ ბედსა და ჩვენც გულზე ცეცხლმოკიდებულნი ვუსმენდით ამ წამებულ დღეთა ცოცხალ მოწამეს**. საცოდავი ხალხი! რომ აუტაცნია რაღაც მონაბერს და ათი ათასობით ოსმალეთში წამოსულა, დიდი იმედი ჰქონია და ჰგონებია, რომ აღთქმულ ქვეყანაში მოდის და სამოთხეში დასახლ-დება, ანგელოზებში იცხოვრებს. ის **აბდულ ჰამიდი,** რომელსაც თვით ოსმელეთი მარტო თავის საჭმელად მიაჩნდა და იმასაც სრულიად დაღუპავდა, რომ ერთი დღე კიდევ დასცლოდა, **ამათ ღმერთად ჰყოლიათ წარმოდგენილი** და **მისი მზე უფიცნიათ. მაინც ჩვენი ხალხი ასეთია, სანამ ზედ არ წააწყდება უბედურებას, მანამდე არ გაახელს თვალსა.** თავის თავზე გამოუჭერია ანდაზა: **ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდებაო. ამათაც მაშინ ინანეს, როცა დაინახეს, რა ცეცხლში შეჰყვეს თავი. ზოგან მწირი ადგილები მიუციათ, უხნავი და ურწყავი, ზოგან ჩერქეზების ნადგომი და დაწუნებული მიწები.** რამდენი კიდევ სხვა უბედურება მოსდევს აყრას! შემოაკლდათ სარჩო. მაგრამ გული რათ უნდა გაიტეხონ, აქ არ არიან თურქები, რჯულისთვის დასტოვეს ქვეყანა და ამათ შემოაფარეს თავი, ესენი როგორ მოითმენენ მათ გაჭირვებას, ოღონდ გაუმხილონ, სთქვან თავიანთი შეწუხება. გულუბრყვილო ხალხმა, რჯულის ერთობით ნანუგეშარმა... მიმართა თურქებს და... ვალაპარაკოთ სულეიმან ვეისი:

თხოვეს ჭადი:– თლათ გამოგველია, ბაღნები მშივრები გვყვანან, ნაჭერიც (ფული) აღარ დაგვრჩა, რომ ვიყიდოთ; მაგრამ თურქებმა უთხრეს, არა გვაქვსო.

–რათა, მუსულმანები არა ვართ, დავტიეთ რუსეთი, თქვენთან მოვსულვართ, დღეს თქვენ მოგვეხმარეთ, ხვალ ჩვენ გვექნება.–ამაზე ესეთი პასუხი მივიღეთ:

–აქ რას მოხვედით და გვაწუხებთ, ვინ გეხვეწებოდათ, ადგილი ჩვენც არა გვყოფნისო და გამოგვისტუმრეს.

ზოგან ამ ცივ უარისთვის ცხელი ტყვია მიუყოლებიათ და კაცი მოუკლავთ; დაშინებულან ქართველები ცალკე სიარულს. ჩავარდა ხალხი გაჭირვებაში. **ცაში მფრინავი იმედი გაქრა, წავიდა, ოხერმა სინამდვილემ სიმწარე აჭამა**. ვისაც რამ ჰქონოდა და ფულად ექცევა, იმას კიდევ რა უშავდა; მოუხერხებია აქაც მოწყობილიყო, და ან სახლი უყიდნია ქალაქში და ან კაი მამული სოფლად, მაგრამ განა რამდენი იქნებოდა ამისთანა?! უმრავლესობას სახლიდან წამოღებული ადგილობრივ მოსვლამდე და პატარა სულის მოქცევამდე თუ მოჰყვა, თორემ მეტი ნაწივრობი აღარ დარჩენია, სხვისა იმედშიაც მოტყუვდნენ და ასე უნდა ეყურებინათ თავიანთ ცოლშვი-ლის სიტიტვლისა და სიმშილისათვის.

ეცნენ აქეთ, იქით, შეუდგნენ დღე-ღამე მუშაობას და წვრილ-წვრილად პურის ყიდვას. როგორც ყოფილა, გაუტარებიათ ის ერთი წელიწადი ვაითა და ათასი უბედურებით პირველ მოსვლამდე. მაგრამ **კაცი თუ კაცს არ დაეხმარება, რჯულის ერთობა ფუჭი სიტყვაა; დაითესა ამის შემდეგ უკუბრუნვა გულისა და უკმაყოფილება. ჩვენ მოჰაჯირათ (გადმოსახლებული) მოვსულვართ, თქვენ როგორც გვეკადრებოდა, ისე არ მიგვიღეთო (სულეიმანის სიტყვები), აი, ეს საყვედური დაუდვიათ და ხშირად შესაფერ მადლობასაც უხდიან**. თითონ განა კი მალავენ, ყველანი ერთად იმოწმებიან, ინტელიგენტები იკვეხნიან კიდეც და იმათში თვით მშვიდი

სულეიმან ვეისიც, რომ ჩვენში მტრობაა ჩამოვარდნილიო; სადაც თურქები ერთს გვაზარალებენ, იქ ხუთათ ვუხდით მაგიერსა და ასე დავაშინეთო. ამ ზომამდე გაუბრაზებია ხალხი უსამართლობის ნახვასა და გაცრუებულ იმედს.

–კარგი, რაც მოხდა, მაგრამ შეცდომა ის ერთი იყოს, რომ ქვეყანა დასტოვეთ. ეხლა აქ მაინც დარჩით ქართველებად, ენას ნუ დაივიწყებთ.

–ჩვენ ქართული ენა არ დაგვავიწყდება,–დაიმედებით მოგვიგო **სულეიმან ვეისმა** და დაიწყო დასაბუთება. მართალია, წამოსული ქართველობა ძრიელ დაუფანტიათ და აქეთ-იქით დაუბნევიათ, მაგრამ სადაც კი დასახლებულან, ყველგან სცდილობენ ეროვნული სახე შეინარჩუნონ და **სადედმამურო ენადაც** ისევ ქართული დაუტოვებიათ,

–ჩვენ ძლიერ გვიყვარს ქართული ენაო,– სთქვა სულეიმან ვეისმა. და თუ აქამდე შეინახეს და აბდულ ჰამიდის საშინელ დროებას გადარჩინეს, ეხლა რა დაავიწყებინებთ.

სწორედ ესევე სიტყვები მითხრა ერთმა აქაურმა მუსულმანმა ქართველმა ამაზე უფრო ბევრად ადრე. მე იმაშიც ვარ დარწმუნებული, რომ იდეა ყოფილა დაბადებული ერთ **მთლიან შტოის–სამუსულმანო ქართველებისა.** ეხლა მაგონდება, მაგალითად, ამნაირი შემთხვევა: ბ-ნ ფ-სთან (იგულისხმება სამსონ ფირღხალავა. შ.ფ.) გავიცანი ერთი დიდი ხოჯა, რომელსაც ქართული ესმოდა, მაგრამ ცოტას-ღა ლაპარაკობდა. ჩემი ქართველობა რომ შეიტყო, მკითხა:

–ბათუმიდან ხარ თუ იქითა საქართველოდანაო. მთლად იმ მხარეს, რომელიც ოსმალეთს აკრავს და საიდანაც ესენი არიან წამოსულნი, გურჯისტანს ეძახიან. ერთი მანდილოსანი, რომელზედაც ქვემოდ მექნება ლაპარაკი, იმ მუსულმან სჯულს იწონებს და თაყვანსა სცემს, რომელიც უჭირავთ გურჯებს და არა თურქისას, და სხვა ამნაირი სიმპტომატიური ნიშნები.

აი, ამ შტოდან გამოყოფილნი და გაფანტულნი ცდილობენ, აქაც იმადვე დარჩენ და დაიცვან თავიანთი ენა-ზნე-ჩვეულებანი. მე რომ ამათ ლაპარაკს ვისმენ, სულეიმან ვეისის მტკიცება ცალიერ სიტყვებად არ მიმაჩნია. **ბევრი იმისთანა მშვენიერი ქართული ტერმინი დარჩენილა**, რომელიც მანდ სხვისაზე შეგვიცვლია. მოვიყვან ერთ მაგალითს: ხომ იცი, როგორ ვაცოდვილებთ ჭკუასა და ხან „**დაჩას**“ ვამბობთ, ხან „**აგარაკსა**“ და ერთში-კი არა ჰყრია რა, არაფერს ეუბნება სულსა და გულს. აქ **ზეგანს** ეძახიან. **ზეგანი** მაღლობ ადგილსა ჰქვიან და აქ იგი ზოგად ცნებად გადაუქცევიათ. ზეგანში მივალთო, რომ უთხრა, საზაფხულო ადგილს იგულისხმებენ. ჩვენ ზეგანში წავედით და იქ გელითო, სწერენ სახლიდან **სულეიმან ვეისს.** ვინც კი ლაპარაკობს ქართულს, ისეთის მარტივისა და **აზიზ ქართულით** გადმოგვცემენ თავიანთ აზრსა და გრძნობას, რომ სწორედ **ეხლა მიკვირს ქართულ ენის მშვენიერება და სიდიადე.** მასთანვე, რამდენი ძალა და გამძლეობა ჰქონია, რომ **სჯულთან ყოველ ღონით ებრძოდნენ ამასაც, მაგრამ მაინც თვით მოწყვეტილი თავის მასაზრდოებელს – ქართულ მწერლობას – ამ დაქსაქსულობაშიაც დარჩენილა ენად და ასე ტკბილ მიმზიდველად და შნოვანად.**

ზოგისგან ისეთი მშვენიერი ქართული მომისმენია, რომ გულში მომნატრებია იმისთანა გამოთქმა და ლაპარაკი. როცა ყურს ვუგდებ,–მოკლე მარტივი გამოთქმა, ფრაზების აწყობა-დალაგება და ძლიერი დაპირდაპირება აზრისა აზრთან, **ჩვენ ძველ მწერლობას მაგონებს. მაინც ამათი მხარე შეიქმნა პირველად ქართულ განათლების აკვანად**.

მეორე საყვედური სულეიმან ვეისისა არის: –გადაგიბრუნებიათ ქართული ენა, ჩვენ სწორედ ვლაპარაკობთ, თქვენ რანაირ სიტყვებსა ხმარობთო. ჩაგვიდგა კრიჭაში და ერთხელ,

როცა ერთმა ჩვნთაგანმა ვერ გაიგო მისი ნახმარი ქართული სიტყვა „**აკონილი**“, გაიცინა და უფრო აგვავსო საყვედურით. ერთი სიტყვით, რა ბევრი გავაგრძელო, არ მოსწონს ჩვენი ქართული ლაპარაკი და **მე მისი შენიშვნა ძლიერ საგულისხმოდ მირჩება.** რაც აქაურ ქართველობას და მათ ლაპარაკს გავეცანი, მასუკან უფრო ცხადი შეიქმნა ჩემთვის, **რასა ვშვრებით და რა სახიფათო დაშორების გზაზე დაგვიყენებია ქართული სამწერლო ენა. სათავეში დამდგარმა ინტელიგენციამ, რუსულ სკოლაში აღზრდილმა და რუსულად მოაზრემ რუსულ ენის ფორმები შემოაპარა ქართულ ენას და მისი განვითარება ააცილა საკუთარ კანონებს.** თვით ჩვენმა სახელოვანმა პოეტმა (იგულისხმება აკაკი წერეთელი–შ.ფ.) რომ ბევრი გვასიამოვნა აქ გამოვლისას, თავის მოხდენილ ქართულით, ასეთი ფრაზა იხმარა: **საჭმელებს სულ ზეთზე აკეთებენო (გემში)**. ქართველები ცეცხლზე აკეთებენ ზეთში და ერბოში, ან ზეთითა და ერბოთი.

აქაურ ქართველობაში კი თუმცა სიტყვა ბევრი გაურევიათ თათრული, მაგრამ **თვით აგებულება ენისა ლიტერატურის უქონლობით ზეგავლენის გარეშე დამდგარა. თითქმის მანდ ქართულ სამწერლო ენით რუსი ინტელიგენტი ელაპარაკა ქართველ ხალხსა და აქ თითოეულ კაცის პირით გელაპარაკება თვით ხალხი.** ვიგონებ იმ შავს დროს, როდესაც პირველად დაიქუხა ცამ, ჩვენზე მრისხანეთ მოგრაგრილმა და შეირყა, **დაიმსხვრა იგი აკვანი, რომელშიაც გამოიზარდა და აიდგა ფეხი ქართულმა განათლებამ, ჩაჰქრა ნიჭი შემოქმედებისა, ჩაჩუმდა ენა, დიად მეტყველი და ხმა მქუხარი, აოხრდა, დუმილმა დაჰფარა აყვავებული მხარე და აჰა დღეს ოდეენ ნამსხვრევანი მიმოფანტულნი! მე მათგან მესმის წარსულისა მხოლოდ მილეული მკრთალი გამონაძახი, მაგრამ იმითაც სჩანს, თუ რა დიადი ყოფილა იგი ნანა, რომელიც იმღერებდა იმ აკვნის თავს! გაიარეს საუკუნეებმა და აქამდის კიდევ მოგვდის იგი გამონაძახი, მართალია ნამსხვრევიღაა, მაგრამ მაინც ჩვენია და უყვარს აქაურ ქართველობას, ისევ ქართული ენით იბრუნებს იგი სულს, ქართულია მისი საიდუმლო ენა, მხიარულებაზე მღერის ამ ენით და მწუხარე ბედზე სტირის ამ ენით**.

სულეიმან ვეისმა გვიამბო, რომ იმ ორი დღის წინად ენახა ერთი მოხუცებული ოთხმოცი წლის კაცი, რომელიც წინად ხვანთქრის კარზე ყოფილიყო, მაგრამ ბედი არ შესწეოდა და ვერ დაწინაურებულიყო; გამოსულა და ამის გაჯავრებულს ლექსი გამოუთქვამს; თავის უბის წიგნში ჩაწერილი სულეიმან ვეისმა მე გადმომაწერინა:

მე მეგონა ბავშვობიდან ვიყავ ამ საქმეში ხურო,
შენთან ყოვლიფრი წამიხდა ცული, ხერხი, ბურღი, ურო,
არც მომიშვი სანახავად, არცა გინდა გემსახურო,
სხვას უნახავ შაქრის ყინულს, ჩემდა მწარედ უგემურო!

როგორი გამოთქმულია, აბა ახლა ანალიზი გავუკეთოთ, დავინახავთ, რა გამოვა. დაუწე-რიათ, **კაცი შვილიაო თავის ხალხისა და ეპოქისა და მაშ მთქმელიც არის მისი. ლექსი ერთზეა ნათქვამი, მაგრამ შიგ ისმის გოდება მრავალთა, იმ ერთი კაცის პირით მთელი ხალხი გიამბობს თავის თავგადასავალს. საბოლოოს მაძებარი კაცი სხვისა იმედოვნებაზე აშენებდა თავის ბედნიერებას, მაგრამ მწარე სინამდვილეზე გაჰქრა იგი აჩრდილი, ხოლო ეული ეულადვე დარჩა. და განა სხვისა იმედოვნება არ არის მთავარი ღერძი ჩვენის ცხოვრებისა, რომლის გარეშემო ვტრიალებთ მეორე საუკუნე, ერთგულად შევალიეთ მას მთელი ჩვენი ძალ-ღონე, წაგვიხდა ყოველი სახმარი და მაინც გული ვერავისი მოვიგეთ. ბოლოს ხალხი შეფიქრიანდა,**

შეეჭვდა და მისი პირიდან მარტოღა საყვედური აღმოხდა თავის უგემურ მოყვასისადმი და ამ საყვედურზე შეჩერდა ჟამი სიბერისა; აწ ახალი გზა უნდა ვეძიოთ. **შაქრის ყინული „მაროჟენოე“** გახლავს და შენც იცოდე, მანდ ძლიერ გამოგადგება, თუ მის ჭამას არ მოიშლიან, ეს ერთი ქართული ტერმინი მაინც ისწავლონ.

ენასთან შენახულა **აგრეთვე ანბანი, ძველის ძველი ქართული ხელური. ამის მინაგვარი დღესაც შეგვხდება საქართველოში, ქალურ ხელს ეძახიან. აქაც უფრო დედა-კაცობაში ყოფილა დარჩენილი და დედიდან ქალიშვილზე გადადის:** „მოდი, შვილო, გათხოვების დრო გაქვს და წერა-კითხვა გასწავლო, ქმარს წიგნს მისწერავდეო“. ასოები ძლიერ მდაბიონი არიან და **ხუცურიდან გამოყვანილსა ჰგვანან.** ნიმუში აქვს და იმასაც გამოგიგზავნი. ამ ანბანითა აქვთ ერთმანეთში მიწერ-მოწერა მახლობელ პირთა, აქეთ-იქით გაფანტულთა. ამავე ანბანით სწერს **სულეიმან ვეისს მისი ცოლი ასო მეტსოსულად: „ბედუნიერადუ საგულებელო“, „სანახავად სანატრელო“** და სხვა.

შენი მეგობარი ფარსმანი საძევარი.

ტექსტი დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, N36, 1910. მანქანაზე დაბეჭდილი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ფარსმან მაძევარი (უცნობი ფსევდონიმი)

ოსმალელი ქართველები

ქართულ ზნე-ჩვეულებაში და სოციალურ შეგნებაში ყველაზე მტკიცედ შენახულა ნათესაური კავშირი. თუმცა რჯულით ბიძაშვილები ერთმანეთს ერგებიან და თურქები მისდევენ კიდეც ამ ჩვეულებას, მაგრამ ქართველები ზიზღით უყურებენ ამნაირ სისხლის შერევას და თუ ვინმემ გაჰბედა და დარღვია ბიძაშვილთან შეუღლება, საშინლად აუღელვდებიან და მეზობლობას უკვეთენ. **თვით ქორწინებასაც შერჩენია ქართული ხასიათი**, მაგრამ რადგან ამაზე უკვე ვსთქვით ორიოდე სიტყვა, ამიტომ სულეიმანის სიტყვები მხოლოდ დამტკიცებაა ამ ფაქტისა და აქ აღარ გავიმეორებთ. ქალს დედმამა ურჩევს საქმროს და ვაჟიც დედმამას ანდობს თავის მომავალ ბედს. მაგრამ ეს არის ნებაყოფლობით დადგენილი წესი და ზოგჯერ ქალიც გამოდის ამ ჩვეულებიდან: „თუ ვინმე მოსწონს, მამას განუცხადებს, ნამეტნავად თუ გოგო მამის ერთაა, იცის, რომ მამა ვერ გაიმეტებს და წაჰყვება; თუმცა მამა გაჯავრდება კიდეც, მეზობლებიც,–რატომ ქორწილი არ გადაიხადეთ, როგორც წესიაო, ილაპარაკებენ, გაჩუმდებიან“. **ბედი ჩვენის მუსულმანის ძმებისა ჩვენ ისე გვეხება, რომ მათი ჭირი და ლხინი ჩვენია; თუ რაიმე საერთო ზნეჩვეულება შეჰნახვიათ, რაც უნდა მცირე იყოს, ჩვენთვის დიდად ჩაითვლება.** ხოლო რა ფიქრი და მოვალეობა აღგვიჩნდება ჩვენ, როდესაც სულეიმან ვეისი თავისი გულწრფელის და მარტივის ენით გვატყობინებს არა თუ რაიმე ზნეჩვეულებას, არამედ ამაზე უფრო ბევრად საგულისყურო ფაქტს, რომლიდანაც სიცხადით ვიგრძნობთ, თუ რაოდენ დიდია ამათი წყურვილი თავის დაცვისა და ერთ ეროვნებადვე დარჩენისა. თუმცა აქაური ქართველები ერთმორწმუნე ხალხში არიან გაბნეულნი, იმ ხალხში, რომელიც მექქასავით მოილოცა, მაგრამ მაინც ისევ ერთმანეთში ნათესავდებიან ქორწინებით და თურქებს არა შემთხვევაში არ აძლევენ ქალს და არც თითონ ქალი მიჰყვება თურქს; ხოლო თურქებიდან კი თხოულობდნენ ქალს და, როგორც მარწმუნა, **ოჯახში შემოყვანილი თურქის ქალი ქართულ ენაში იწრთვნება**. ამ ამბავმა იმედი და სიამოვნება ბევრი მომცა; ხოლო მაშინ კი სიხარულითა და სიამაყით ავივსე, როდესაც **სულეიმან ვეისმა** მოიგონა და აგვიწერა დღევანდელამდე წმინდად შენახული ყველაზე მკაფიოდ გამომხატველი ნიშნობლივი თვისება ქართველთა ეროვნულ ხასიათისა: რაინდული ადამიანური ქცევა და მოპყრობა მამაკაცისა დედაკაცთან; თანაც ეს ამბავი მან ამ სიტყვებით დაგვითავა: **„გურჯის ნამუსი მე სხვაში არა კაცში არ მეგულებაო“**. რაშია საქმე?

კარგად მოგეხსენებათ, რა დავიწყებაშია ყველგან ქალი და სად რა ადგილი უჭირავს მამაკაცთან.. თუ განათლებულ ქვეყნებში ქალი სრულიადაც არ არის თავისუფალი და თანატოლი კაცისა, ოსმალეთში ამაზე ლაპარაკიც არ შეიძლება, ქალი ისე დამცირებულია, რომ მისი უფლება ვის აგონდება, უბრალო პატივისცემაც არა აქვს, თუნდ როგორც დედასა; ზედაც ყოველი სამძიმო საქმე მისი ვალი და ვახშია. ბევრჯელ დედაკაცი რომ მძიმე შრომით ოფლში იწურება, მამაკაცი თავისუფალ მოსვენებაშია. ყველა ამის მაგიერი სიკეთე ის არის, რომ, სულეიმანის სიტყვით, თურქი ქალსა სცემს და ეს მოვლენა მათში სირცხვილად არ ითვლება, თუნდა აშკარად ხდებოდეს. აი, ამისთანა ატმოსფერაში ჩავარდა ქართველობა, როცა იგი გადასცდა თავის სამშობლო ნიადაგს. მას ფართო სამაცდურო მაგალითი გადაეშალა თვალწინ და რჯულიც ნებას აძლევდა, რომ **ცხოვრების სიმძიმე თავის კისრიდან დედაკაცზე გადაე-**

ტანა;კარგია ხომ მოსვენება, თუ ჩვენ მაგივრად სხვა ვინმე ირჯება, ისიც ხმის ამოუღებლად, მაგრამ იგი ერთი წუთითაც არ შემდგარა და არ შეუცვლია ადრიდანვე ჩანერგილი მხედველობა ყველას საკუთარი მოვალეობისა, **არ შეუცვლია ადამიანური განწყობილება და შრომის განაწილება სქესთა შორის**. ალბად, ბუნებაში არ უწერია ქართველს სუსტის დაჩაგვრა, რომ აზრი უკუღმა არ მოუტრიალებია და ამ უჩვეულო პირობებშიაც იმას ამბობს, რაც **იმის წინაპართ კეთილშობილურმა გულმა ათქმევინა**, და დაუდგენიათ: **გარე საქმე, ძნელი სამუშაო, ყველა, რასაც კი მეტი ღონე სჭირია, იგი კაცის საქმეა, დედაკაცისა არის სახლი და კერა. ცული და ხერხი, ცელი და ნამგალი ისეთი რამეა, რომელსაც დედაკაცმა ხელი არც კი უნდა წაავლოს; ამიტომ დიდ უკადრისობად და სირცხვილად ითვლება, ვინც თავის მაგიერ სამუშაოზე დედაკაცსა ჰგზავნის.** თუ ასე აზიზად ექცევიან დედაკაცის სოციალურ მდგომარეობას, მაშ, ქალის გალახვა რა იქნება ამათ თვალში? **იგი პირდაპირ თავის მოჭრაა და ამის ჩამდენი ვაჟკაცი ვაჟკაცად აღარ ითვლება, სირცხვილით ვეღარ ეჩვენება ქვეყანას და მადლობა ღმერთს, არ შეურაცხვნია თავი ხალხსა.–** ჩვენში ქალის გალახვა არ არი,– თქვა სულეიმან ვეისმა; მაშ, სრული უფლება ჰქონდა მას სიტყვა ასე დაემთავრებინა: „გურჯის ნამუსი“ და სხვებში– გალახვა ყოფილა ერთი იმ მიზეზთაგანი, რომ ქართველი ქალი არ ეძლევა თურქსა და თურქისა სიხარულით მისდევს ქართველსა.

ამით მინდა დაგითავო ლაპარაკი **სულეიმან ვეისზე,** მაგრამ ვიდრე გამოვემშვიდობებოდეთ, ერთი ამბავი კიდევ მოისმინე მისი ნაამბობი თავის ცხოვრებიდან, ამბავი ფრიად საცნობიერი, რომლის გაგონებამ **ჯოჯოხეთის ცეცხლი და ბოღმა** ერთად დამიტრიალა გულში, ისე მძლავრად, ისე მედგრად შემეხო და შეურაცხყო ჩემი თავმოყვარეობა. სადამდე უნდა დავვარდნილიყავით, რომ ეს დამცირებაც დაგვმართოდა. თურმე უკანასკნელ ხანამდე მაჰმადიან ქართველებში ბევრს იპარავენ ან იტაცებენ ახალგაზრდა ქალებსა, ბევრიც მოტყუებით გამოჰყავთ ღარიბი დედ-მამის შვილები, გაგიზრდით, გამოგიგზავნითო, ობლები ხომ განსაცდელში ცვივიან, ვისაც კი ჩაიგდებენ, მიჰყავთ აქაურ არამხანებში და სერალებში მისაცემად და რაკი იქ შეიყვანენ, მომკითხავი ნუღარავინ იქნება, თუ სიცოცხლე უნდა; საბრალო არსებანი იქა რჩებიან, იქ ბერდებიან; დედ-მამა ცოცხლივ კარგავს შვილს, შვილს ავიწყდება დედ-მამის სახელი, აღარ ახსოვსთ აღარც სოფელი, კარგავენ ენას, იციან მხოლოდ რომ ქართველები არიან და ცრემლით ნატრობენ გურჯის ნახვას;ნეტავ ოდესმე ჩვენიანი ვინმე გვაჩვენაო. წინათ ბევრჯერ გამიგია და უცხო პრესსაშიაც წამიკითხნია, რომ აქაურ სერალ-ჰარამხანებში მრავლად მრავალია ქართველი ქალი და ეხლა თვით ჩვენი საბრალო ძმებისაგან გვესმის. როცა ბევრი შეგროვდებოდა და აბდულ-ჰამიდიც მოიწყენდა, იქიდამ დიდკაცებს ურიგდებოდა და იმათ ადგილს ახლები დაიჭერდენ. აბა ახლა იანგარიშე, თუ მის სერალში ქართველები მუდამ ყველაზე მეტნი იყვნენ, რამდენი ქართველი დედის გული ატირდებოდა, რამდენი ქორფა მოზარდი თავის ქვეყანას დააკლდებოდა.

ძალიან ხშირად გაიგონებთ: ამა და იმ ფაშის დედა ქართველიაო. თვით დღევანდელ კონსტიტუციის გმირის გენერალ სიმუს **შევქეთ ფაშის დედა ქართველი ყოფილა**, როგორც ამბობენ. სასახელო შვილის გაზრდა დიდი სახელია, მაგრამ ჩვენის დამცირების პასუხი რაღა არი? იმ დროს, როდესაც განათლებულმა კაცობრიობამ პიროვნება ათავისუფლა და თვით ველურ კაცთა ადამიანურ ღირსების შემლახველი დიდ სასჯელზე განამწესა, განუმტკიცა ყველა ეროვნებას ელემენტარული უფლება, **ქართველი ქალი ტაციობისა და სურვილის საგნად**

გამხდარა; მას მხოლოდ იმას უმადლიან, რომ ლამაზი დაბადებულა, დანარჩენი ადამიანური ღირსება კი ეხდება, მას ის უფლება არა აქვს, რომ დედმამის სახელი დაიხსომოს და პირი მათი დაინახოს. **სილამაზე გურჯისტანში, ჭკუა ფრანგისტანშიო,** ეს ანდაზა შემდგარა თურქებში და იქნება იფიქროს ვინმემ კიდეცა, რომ სწორედ ეს სილამაზეა მიზეზი მათი ტრფიალებისა, მაგრამ არა, ლამაზებს თურქეთშიაც იპოვნიან და აქ-კი სულ სხვა კოჭი ტრიალებს. რაც უნდა დიდ მოტრფიალე იყოს კაცი ამ ჩვეულებისა და შიგ გამოხარშული ჰქონდეს ტვინი, მაინც იგრძნობს, რომ რაღაცა კაი საქმე არ არი და აბა, ამას როგორ გაუბედავენ და როგორ აკადრებენ თურქის ქალს, თავიანთ სისხლსა და ხორცს, გაბატონებულ ხალხის შვილს, ჩვენა ვართ ადვილად გასაქელნი და ცუდ საქმეზედ ადვილად გასამეტნი.

თავს დასტეხია ამნაირ სირცხვილის განსაცდელი სულეიმან ვეისსაც. მას დედ-მამა დახოცია და ორნი პატარა დები, თორმეტ-ცამეტის წლისანი გათხოვილ დასთან დაუტოვებია. მათი სილამაზე და დაობლება შეუტყვია ერთ ფაშას (სახელიცა თქვა) აბდულ-ჰამიდის ჯაშუშს; უთქვამს **სულეიმან გიორგაძისთვის,** შენი დები მოიყვანე, სერალში მივცეთო. მე ჩემს დებს მკვდრებს კი ვნახავ და სერალში მიცემულს კი არაო და შეშინებული სოფელში წასულა, დები არ მომპარონო და სტამბოლში ჩამოუყვანია. ობოლ მოწაფეს, აბა, რა ექნებოდა. აქ იგინი თავისთან შეენახა ნახევრად მშიერ-მწყურვალნი. დილით პურს ვაჭმევდი და წავიდოდი; ხან უპუროდ ისხდნენ, მანამ სკოლიდან დავბრუნდებოდი. ზოგჯერ ფარა (ფული) არა ჰქონია და ბევრჯელ მშვირები დამრჩენიანო და ასე გაუტარებია რამდენიმე ხანი. მერე გამომიჩნდა ერთი პატიოსანი მანდილოსანი, სხვა ქალიშვილებიცა ჰყვანდა აყვანილი და იმას მივაბარე, წანადაც ვიცნობდი, კარგი იყო, თორემ არ ვენდობოდიო და მაინც სიფრთხილისათვის ყოველ დღე მიდენილა სანახავად.

თურმე ამ სახლში კიდევ სხვა ჯაშუში ყოფილა იმ გვარი; დედაკაცი შეუცდენია და პატარა ქალები სხვა სახლში გადაუყვანინებია, საიდანაც ერთი ნაბიჯის გადადგმით გზა პირდაპირ სერალში წავიდოდა. და რა-კი იქ შეიყვანდნენ, მერე იქიდან მათ ვეღარა რჯული ვერ იხსნიდა. **გიორგაძეს** რომ ჩვეულებრივ დები მოეკითხნა, დედაკაცს ეთქვა, სხვა ბავშვებთან სასეირნოდ გაიარესო. ამას მაშინვე ეგრძნო და ძლიერ შეფიქრიანებულიყო, მაგრამ მაინც მეორე დღემდე მოეცადა, ვნახოთ, საქმე საით მხარეს წავაო. მაგრამ როცა მეორე დღესაც იგეთივე პასუხი ეთქვათ, მაშინ კი რისხვითა და მუქარით მიემართა დედაკაცისთვის:– ან ეხლავე უნდა მაჩვენო ჩემი დები და ან მითხრა, სად არიანო. გაქანდა საწყალი ყმაწვილი იქ, სადაც შიშნაჭამმა დედაკაცმა უჩვენა და დიდი ჩხუბი-დავიდარაბით გამოიყვანა თავისი დები. ამ ურჩობისათვის იგი სკოლიდან დაითხოვეს, მაგრამ სკოლაში შესვლაც ისევ მოახერხა და თავისი პატარა დებიც დაიხსნა იმ უბედურებისაგან.

ვუგდებდი ყურს ამ ამბავს და გული სისხლით მევსებოდა, დარდი მახრჩობდა, მწარედ დავღონდი, ფიქრმა ათასი რამ გადამიბა ერთმანეთში. სადღაც შორიდან ყურთ მომდიოდა დაკოდილი გმირის კვნესა და მისი სახლის აფორიაქება; და იგი კვნესა ჩემ გულში ბინავდებოდა, მრავლდებოდა. **ასეთი ტანჯვა და ვაება იწერება ჩვენის ერის დღიურში**; რამდენია ასეთი, მაგრამ მშველელი ძმა არ ჰყავს. ფუ, ჩვენო თავო, თუ ასე დავიძინეთ და დავქალაჩუნდით!

გაზეთი რომ მომივიდა, ვთსქვი, რაკი დაუბეჭდია, ბარე წაუკითხავ კიდეც, ვისზე რა არი დაწერილი მეთქი. ერთ მშვენიერ მკათათვის დღეს გავემგზავრე ქალაქ გარეთ თათრის

საავადმყოფოსაკენ, სადაც **რაშიდ ეფენდი მამინიძეა** დამცველად. ჩქარა მოვექეც გარეთ უბანში, რამდენიმე გადადგმა კიდევა და სახლებიც თავდება, ქალაქის ქუჩა გადადის გზატკეცილზე და იწყება თვალუწვდენელი მანძილი მინდვრებ-ხევებიანი. ამ მხრივ შემოვიდა სალონიკის ჯარი, აქ არის ის მაღლობი ადგილი, სადაც ასაფლავიან უკანასკნელნი მსხვერპლნი, თავისუფლების მაძიებელთაგან შეწირულნი, და ეხლა დიდებულ ძეგლს უდგავენ ძენი თავისუფლებისა. მარჯვნივ მოშორებით მოჩანს **ილდიზ-კიოსკის** მიდამო, საიდანაც სიკვდილის აჩრდილი და ძრწოლა ევლინებოდა ქვეყანას, მაგრამ დღეს კი გაქრა მისი ძლიერება, როგორც მოჩვენება. მარცხნივ იქვე ახლო სდგას ორი დიდი შენობა: **ბულგართა სემინარიასა და საავადმყოფოს** თავს დაჰფრიალებს იმედიანად **მუდამ ჩამოუხსნელი დროშა** ახლად აღდგომილ ერისა. მობრუნ-დები და თვალწინ გადაგეშლება თავისებურად ელფერიანი **კონსტანტინეპოლი**. სასახლეე-ბითა და ღარიბ ქოხ-მახებით აჭრელებული **პერა** დააწყდება **ოქროს რაქას,** ხოლო მის გაღმით იწყება ძველი ქალაქი **სტამბოლი.** თავშია აღმართული ცნობილი **სოფიის ტაძარი,** დღეს სამხრეთისაკენ პირმიბრუნებული, **პირველი წმინდა ადგილი მუსულმანებისა და უდიდესი საგანი ბერძენთა შიგნეულ გულის ტკივილისა.** ბოლოში მოსჩანს მთელ სიგანეზე წავლებული კარგად შენახული ძველი ციხის კედელი, ზედ კოშკებ ჩარიგებული; ხოლო შუაში გაშენებულა ქალაქი. აქა-იქ გორასვით ამართულან უზარმაზარი მეჩეთები, წოწლოკინა მინარეთები ბურუსში ადიან, ქალაქს ბურუსი დაჰფენია თავს. რა განაგებს ხალხთა ბედსა და რაა შინაარსი კაცთა ცხოვრებისა, წუთისოფლისა, თითქო იმ მიდამოში ეს კითხვა იყოს დასმული. საუკუ-ნოები რბიან ჩემ თვალ წინ; ძველი და შემდეგი ამბები ერთად იყრებიან და იბრძვიან, კაცი ვერა დგება ერთ ადგილზე, გული საითღაც იხრება.

ხალხი მინდვრად გამოფენილიყო ჰაერისთვის და მიდამოს მოსდებოდა. ყველას ეშოვა საქმე და საზრდო სულისა. ორ წრეთ ყოფილ ახალგაზდობას ბუსნოზე გაეტანა ბურთი და გულმოდგინე ცდილობით თამაშობდა; ზემოთ, დიდ ხის ქვეშ, წამომსხდარ თათრის დედაკა-ცებს პირჩადრი აეწიათ და მოტანილ სანოვაგეს მძიმედ შეექცეოდნენ. ირევა ქალი და კაცი, ცელქობენ მალხაზად ბავშვები, არის მხიარულობა, კაცი კაცითა ხარობს, გულს გული აამებს. **ტკბილია სოფელი, მაგრამ ობოლი ყველგან გარეთ რჩება. არა თუ გული გიგრძნობს ობლობას, გარე ტანზედაც რომ დაიხედო, მაშინაც ჰხედავ, ობოლი ხარ, მარტოკა.** მე მხოლოდ შორეული მოწამე ვიყავ იმ დღისა, განზე მდგარი, მიუთვისებული. თვალი ამას უყურებს, გონება სხვაგან არის, ვერვის მიმართავ, არავინ გიკითხავს, წავიდეთ ისევ ჩვენს დაკარგულ ძმასთან; რომ ვიპოვეთ, მივიდეთ, ის გაიგებს ჩვენი გულის პასუხსა და მასაც ეამება ჩვენი ნახვა. გახსოვს მისი სიტყვები: **ქართველს რომ ვნახავ, გამეხარდებაო.**

გავუდეგ ქედობაზე მიმავალ შარას გზას. კონსტანტინეპოლი ეხლა- ეხლა მარცხნივ მომექცა. ყველა ერს გაუჩენია აქ თავსაფარი; **თუ ბედი ვისმე გაურისხდა, აქ იშოვის ბინასა და დაისვენებს გულით**. მეც ვეძებდი გულის იმედით რაიმე მშობლიურს, მაგრამ თვალმა ვერა-ფერი ნახა და გულს ტანჯვა მოემატა. აგერ მხოლოდ **ფერიქოვის ქართველ კათოლიკეთა მონასტერი, იგიც ღარიბი და ღარიბობის გამომჩენელი, აღმნიშვნელი ერის დღევანდელ ყოფნისა და მდგომარეობისა; და სხვაგან კი რამდენი მიდის დღესაც ჩვენი მონაგარი. წყნარად, გაუბედავად სდგას და ამწვეტებული გუმბათით გულის ყური ზეცისკენ მიუპყრია, თითქო იქიდან ელის შველას. მაგრამ კმარა ცის ყურება, იქ ნუ იკარგება ჩვენი იმედი, დავიხედოთ დაბლა, სადაც მიწა და წყალი შობავს ცხოვრებას; ცას და მის მორალს ბევრი მსხვერპლი**

ვუძღვენით და როცა გამოგველია, მან იმოდენი სამართალიც არ გამოიჩინა, რომ რაც იმის სახელზე და მის სახელით აღვაგენეთ, ის მაინც დაეტოვებინა ჩვენს ხელში.

საავადმყოფოში მნახველთა მიღება თავდებოდა. ხალხი მიდი-მოდიოდა, მეკარენი ფუს-ფუსებდნენ. მე შევდეგ პატარა ხანს, რომ შემეთვალიერებინა, ვის უნდა დავკითხოდი და ამასრობაში მივაჩერდი ერთ კაცს, ფორმის ტანისამოსიანსა. იგი კარებში იჯდა საყარაულო ფიცრულთან. ცხადი იყო, აქ რამ თანამდებობა ეჭირა, მაგრამ რისამე დაკითხვა კი არა, რა ხდებოდა იმის გარეშემო, მგონი ისიც არ ესმოდა. სახე აეღმიჭა, წარბები წამოეწივა და თვალებ-გამოშტერებული იცქირებოდა სულ ერთ მხარეს, თავის წინ. სხვასა ვკითხე ისევ, რაც საკითხავი მქონდა, მაგრამ ამას ხელმეორედ დავუწყე ყურება და ის კი სრულებით არ მაქცევდა ყურადღებას. მისი ასეთი ყოფა მარწმუნებდა, რომ რაღაც ძლიერი სულისკვეთება გადაჰხდოდა და კაცი გაენახევრებინა, დაენაცრა. მაგრამ მე რათ მტკივა გული და რაღაცა მჩხლეტავს: რათ მებადება ათასი კითხვა მღელვარი და მწვავი; რა აქვს ჩემთან საერთო ამ კაცს, რომ აგრე მიახლოვდება. მის პირისახეს ვაცქერდები, თითქო მინახავს კიდეც სადღაც ოდესმე და ერთი გულიც კი მეუბნება, მიდი და იმედიანად უთხარი, გამარჯვებაო.

საბრალო, მართლა ქართველი აღმოჩნდა, მაგრამ ენა დავიწყებოდა. მივხვდი ყოველ მიზეზს! **ენა უბრძოლველად არ დავიწყებია, დამარცხებულს გული გაუტყდება. თუ სთქვა, რომ თურქია, თურქი ეუბნება, გურჯი ხარო, მან კიდევ გურჯული არ იცის. მაშ ვინ არის, რა სულიერი, სად მოათავსოს თავისი თავი, ყველგან თითო კედელი რამ ჰხვდება, ვიღასთან გააღვიძოს გული და გონება, აღარავისთან! უნდა ჩაიკლას მოძრაობანი სულისა და აჰა, ამის შედეგი: გაველურება და გაჩანაგება კაცისა! შემდეგ რომ მე და ჩემი მეგობარი ქართულად ვლაპარაკობდით, მან გვერდზე ჩაგვიარა და აღარც კი მოიხედა, ალბად, გულმა აღარაფერი უთხრა. კარგი, დაუტეოთ მკვდარი, მაგრამ რამდენი?... ბევრია, ბევრი!**

დიდხანს არ მალოდინა ჩემმა მეგობარმა, გამოსვლისას ჯერ სალამი მომცა, გამარჯვება მითხრა და მერე მისაყვედურა, ნახვა რათ დამიგვიანე და არ მოხვედიო, მე მინდოდა მოსვლა, მაგრამ არ მეცალაო. დამიჭირა ხელი და ასე ხელი ხელ დაჭერილნი შევედით ბაღში, ხეივანში დავსხედით. მე ვუამბე, რომ მისი ნალაპარაკევი გაზეთში დაიბეჭდა და შევეკითხე, ხომ არ ეწყინებოდა; ღმერთმა გაცოცხლოს, რათ მეწყინებაო. ამოვიღე გაზეთი და სტოლზე გადავუშა-ლე; პირველი ნახვა იყო ქართულ გაზეთისა. მაშინვე დახედა და სახე გაუბრწყინდა, სიხარუ-ლის ღიმილმა გადაუარა, თვალები გაულამაზდა.

–„ეს არი ჩვენი გაზეტა, ეს ბეჭდურია ჩვენებური, ერთია თუ სხვა იბეჭდება“, –მკითხავდა და ვუხსნიდი და გულში რაღაც გრძნობებს იტრიალებდა. ეს წუთი ჰგავდა იმ მღვდელმოქმე-დებას მორწმუნეთა შორის, რომ სრულდება და, რწამთ, რომ მადლი გადმოდის. **იგი ახლად იბადებოდა, მე მოწამე ვხვდებოდი, სიხარული ორივესი ერთდებოდა. სამას უბედურ წელი-წადს საუკუნო შეჩვენება გავუგზავნეთ და იმ ხნის საბოროტო ცდა იმ წუთში ჩვენ შორის უკვე გავაბათილეთ. იმ ხნის მკვიდრნი აღსდგნენ და ჩემ საალერსო სიტყვებზე რაშიდ ეფენდის პირით მიპასუხებდნენ**:

– მადლობელი ვარ, ღმერთმა გაცოცხლოსო. მალ-მალ ჩაურთო ეს სიტყვები სმენად გარ-დაქცეულმა **რაშიდ ეფენდიმ,** როცა გაზეთს ვუკითხავდი.

გავათავე კითხვა და შევხედე **მამინიძეს**. **ღმერთო, რა ძალა ჰქონია სიტყვას, უბრალო პატარა ძმურ სიტყვას! მამინაძე რაღაცა მძლავრ გრძნობას დაეჭირა, სახეს სერიოზული გამო-მეტყველება მიეღო, ფერი ეცვლებოდა.**

–ძმაო, **ღმერთმა გიშველოს! კაცი რომ ერთხელ მოკვდება და მერე ისევ გაცოცხლდება, ეხლა მე ისე ვარ, მადლობელი ვარ შენი, მადლობელიო,**

–მითხრა და გაჩუმდა– გავჩუმდი მეც. **გული ათას ფიქრში გაბმული, უხილავად საუბრობ-და და ენაც იმას დაემორჩილა.** ამიტომ ლაპარაკი აღარ გვიხერხდებოდა, სიტყვა ნაწყვეტ-ნაწყვეტი გამოდიოდა. მაგრამ როდესაც ფიქრი ერთ საგანზე მოიკრიბა ღა სალაპარაკო ვუშოვე, მაშინ უნდა გენახა, რა ძალა მოეცა იმის მეტყველებას, რა თავისუფლად და **რა ლამაზი კილოთი გადმომცა თავისი ნაფიქრი და ნაგრძნობი; მძივივით აწყობდა სიტყვებს, არსად შებრკოლება, არსად მძიმე გამოსათქმელი ფრაზები, როგორც გვჩვევია დღეს ჩვენა. როგორც წყარო მოჩუხჩუხებდეს, ისე მოდიოდა გამოუცნობელ სიღრმიდან ნაკადული ენა-მეტყველებისა და შიგ იერთებდა გმინვას, და ცრემლს ქართველ ხალხისაგან დაღვრილს იმ დღიდან აქამომდე.**

მან განმიახლა წარსული სატანჯვებელი იმ შავბნელ დროებისა, როდესაც მტერნი აიშალნენ სიბრმავითა და გარემოგვადგნენ ძლიერი კოალიციით, გაწიწკნეს, გააუბედურეს ქვეყანა, დაეცა საქართველო და უფსკრულზე მიყვანილმა შური-ღა იძია იმით, რომ გაჰყიდა თავისუფლება და იმ ორმოში, რომელიც ჩვენ გაგვითხარეს, მალე თითონაც შთაცვივდნენ. რა იქნებოდა, რომ თითონაც მოესვენათ და ჩვენც მოვესვენეთ, მოეცათ დროება ქართველთა ცხოვრების თავისუფალ ევოლუციისა? თუ **ძალად დამუნჯებულ ხალხში ქართული ენა ასეთი ძლიერი და კილოიანი გამოჩანს, მაშინ ხომ მკვეთრი და დაუშრეტელი იქნებოდა გონებრივ საგანძით, რომ თავისუფლად თავის კანონებში გაზრდილიყო და განვითარებულიყო!**

აწ მე იმის ნათქვამს გაგიმეორებ, თუმცა ოდენ მკრთალი მინამგვარები იქნება იმისა, რაც მითხრა და რა კილოთიც მიამბო. რასაკვირველია, პირველი ჩემი საკითხავი იყო იგივე ჩვენი უდიდესი სატკივარი. ის იმოდენა ხალხი, რომ აიშალა და წამოვიდა, რას გამოექცა და რა მიი-ღო, რა გაცვალა რაზედა? როგორი ყოფნა გვაქვსო.

აქაური მიწა ისეთი კი ნუ გგონია, როგორც საქართველოშია, ზოგან სიმინდი არც კი მოდის და ჩვენი კაცი ხომ უსიმინდოთ ვერ გასძლებს. ზოგი ისეთი მწირი ადგილები შეჰხვდათ, რომ იმათ კეთებას უნდებიან. არის კაი ადგილებიც; აქაც გარჩევაა, მაგრამ იმ ადგილებზე თურქები არ გვაყენებენ. თურქი კარგი არ არის და ჩვენთვის კარგი არ უნდა, ავი თვალით გვიყურებენ, ყველაფერი შურთ; მიწის მოსავალი რომ არ ყოფნით, ბევრი გაჭირვებული აქეთ–იქით მიდის საშოვნელად; ახალ ადგილზე დგება; მაგრამ ადგილის შოვნაც უძნელდება.

ქართველებმა ერთმანეთის წახმარება არ ვიცითო, –მითხრა გულისტკივილით... **რაშიდ ეფენდმა** კიდევ ის არ იცოდა, რანაირად გამაკვირვებდა იგი ამ სიტყვებით, იმიტომ რომ მენიშნა: მანდ არ ყოფილა, მაგრამ ის მითხრა, რაც მანდ საქართველოში არის ნამდვილად; და ის ნიშნობლივი თვისება ყველგან გამოგვჩენია, ყოველისფრით ერთ ბედში ვართ. ობლად არის დარჩენილი ჩვენი ხალხი; მწყემსნი და წინამძღვარნი მისნი განიფანტნენ და შთააბნიეს მისი მოანაგები წუთიერ სიამოვნებაში, ჩალივეს შიგ თავიანთი ძალაც. ვისი შრომითაც აღზრდილან, მასვე უკუირიდებენ, არ უვლიან, სჭრიან ხესა, რომელზედაც თითონ სხედან. რა გვესმის, მაგალითად, დღეს მანდედან?! **როგორ დახეულ ქაღალდის ნათლეთებისავით ფანტავენ**

მამულს, ხალხის ოფლითა და სისხლით გაპოხიერებულს, თვით იმათ მამაპათა ძვლების სავანესა და ასე, თავიანთ მოქმედებით ამართლებენ, რაც იმათზე ავი თქმულა და დაწერილა.

ჩავყვეთ სიტყვას: **სხვა ერის ვინმე რომ დიდი კაცი გახდება, სულ იმის ცდაშია, რომ თავისთან თავისი კაცი დააყენოს, ან სხვაგან უშოვნოს ადგილი და ასე ეხმარება გვარს. ჩვენებმა კი ეგრე არ იციან, ჩვენი რო დიდი ვინმე გახდება, მერე ჩვენ აღარ ვაგონდებდით, ოღონდ თითონ იყოს კარგად და ჩვენი დარდი აღარა აქვს.** ერთხელ ერთი გაჭირვებული კაცი ჩამოვიდა ჩვენი და X ფაშასთან წავიყვანე, ბარათი უნდა გამომერთმია ერთ დიდ კაცთან, რომ ეგებ ადგილი რამ მოეცა. კარგი, ხვალ მოდიო. ვიცოდი, რომ მეორე დღეს დამემალებოდა, მეტყოდნენ, სხვაგან წავიდაო და ასე გაბედვით ვუთხარი:

– ხვალ მე არ მეცალება, ვერ მოვალ და ან თქვენ არ იქნებით სახლში და თუ შეწევნა გწადიანთ, ეხლა მომეცით ბარათი! – უარი მითხრა, ბარათი არ დამიწერიაო... დააბოლოვა რა-შიდ ეფენდიმ იმ კილოთი და იმნაირ თავის დაჭერით, თითქო იმ ფაშის მაგივრად ამას შერცხვაო.

შენი მეგობარი ფარსმან მაძევარი.

სტამბოლი, ფერიქოი, ქართველ კათოლიკეთა მონასტერი. სტატია დაბეჭდილია გაზეთში „დროება“, N37, 1910 წ. გაზეთის ნომერიცა და მანქანაზე ნაბეჭდიც დაცულია ქართული სავანის არქივში.

ფარსმან მაძევარი

ოსმალელი ქართველები

აქეთ-იქით უღმერთოდ გაფანტული, უწინამძღვროდ დარჩენილი ქართველობა ამ უცხო ქვეყანაში მარტო თავის მარჯვენას და დანდობია და თავისით ცდილა გაეკაფა თვისი ეკლებიანი გზა; ვისთანაც მქონია ლაპარაკი, ყველა ამას მარწმუნებდა და **რაშიდ ეფენდი** ხომ ბევრს მელაპარაკა, რომ ათასნაირმა გაჭირვებამ და ცოლშვილის შიმშილმა ხალხი გააფთრა, უნარსა და გარჯილობას შეაჩვია, ასე რომ თურქებს შურიც კი აუღიათ, ეგენი ვაჟკაცობაში და მუშაობაში ჩვენ რად გვსჯობიანო; შური ცხად მტრობად გადაქცეულა და ერთი საბაბი ეს ყოფილა, რომ სისხლიერი შურისძიება ჩამოვარდნილა. მთავარი საბაბი კი სხვა არის: რაკი თავიდანვე გულცივმა დახვედრამ გული გაუგრილა სამშობლოდან ლტოლვილ ხალხს და ერთის ფეხის შემოდგმით გაუქრათ ერთმორწმუნეობის სასოებით აღძრული ტკბილი იმედი, მაგრამ უკან დაბრუნებაც აღარ იქნებოდა; ადვილი გასაგებია, რა გუნებაზე დადგებოდა ხალხი, რა ცეცხლი და ბოღმა დატრიალდებოდა იმის გულში, ხოლო როდესაც საოცნებო მასპინძლებმა, კარგის მაგიერ, მუშტი უჩვენეს და იარაღითაც შეეხნენ უპატრონო ხალხს, მაშინ ხომ გაბრაზებას და გულისწყრომას საზღვარი აღარ დაედებოდა. იარაღი ნუ იქნება, თორემ გურჯი მშიშარა არ არის: **მამლივით მოვკდები და დედლივით არ ვიცოცხლებო,** აი, რა უთქვამთ. იარაღისთვის უვლიათ ხელი და ერთის ადგილას ორად და სამად უხდიათ მაგიერი. ამ ზომამდე მისულა ხალხი. ამით თავიც მოაქვთ, დავაშინეთო.

თუ წინად თათრობა საოცნებო იდეალი იყო, ქართველობა მას მიელტვოდა, დღეს თავის თვალით დაინახა, მამა-პაპათა ნადგომი რომ დასტოვა. ვის ამოუდგა გვერდით?..თურქმა მეზობლობა არ იცის, ნათესაობა არ აქვს, ერთმანეთს არ გაიტანენ, მოხუცებული მამა შვილს არ ებრალება; ხარჯი რო მოვა, ვინც ღარიბია, იმას უფრო მეტს ართმევენ; ჩვენ მაგათთან მეზობლობა და ცხოვრება არ შეგვიძლიან. მე ისე გავსაზრე, რომ **კაცობა ისევ ჩვენში ყოფილა; შებრალება და სვინდისი გურჯისა მე არა ხალხში არ მეგულებაო,** ასე მითხრა სიტყვა-სიტყვით **რაშიდ ეფენდმა.** ბნელია, ბნელი აწ ცხოვრება ჩვენი, მაგრამ **აბა, უყურე, შიგ როგორი ნათელი სჩანს.** დაგვებნენ, დაკარგეს სამშობლო, **მაგრამ არ დაჰკარგეს გული,** მატარებელი ადამიანობისა. მოვიგონე ასეთივე სიტყვები გურჯის ნამუსობაზე სტუდენტ **სულეიმან გიორგაძისა.** რაკი ასე მითხრა ორმა ადამიანმა– სულ სხვა და სხვამ, სხვა და სხვა დროს, მაშ ეტყობა აქ არ არის შემთხვევით ნათქვამი კომპლიმენტი და თავის თავის ქება, არამედ წრფელის გულიდან აღმონაქსული. ერთი გარკვეული აზრი დიდებულ ტრადიციის მქონე ეროვნებაზე, **თვით ხალხის ჩუმი ღაღადი,** თუ გნებავს. ნახა, გაიგო ქვეყანა და სცნო თავისი თავიცა და თავისი დასკვნა ამ ფორმულაში ჩამოაყალიბა. **ამისთანა ხალხი დიდხანს არ ილოცავს იქით, საითაც დააყენებენ.**

გაჭირვებას ბევრი რამ უჩვენებია ხალხისთვის. თვისთაგან დავიწყებული, თურქთაგან ათვალისწუნებული ქართველობა მალე დარწმუნებულა, რომ ხსნა და შველა ერთობაშია. **გაჭირვებულს ისევ გაჭირვებული მოეხმარება.** სამშობლოს მოვწყდით, აქაც ბედმა თევზებივით ერთ ტაფაზე დაგვსა, სხვა ვინ იქნება ჩვენი მოლხინე, თუ არა ჩვენვე ერთმანეთშიო. ამ შინაგან ხმას დიდხანს უმუშავნია და ბოლოს გადაქცეულა მიდრეკილებად, რომ თურქებისაგან დამოუკიდებელი საკუთარი ორგანიზაციები გაიჩინონ და თავიანთ ნამუს-ხასიათზე აწარმოონ

საქმე. ზოგან აუსრულებიათ კიდევაც. ჩვენ თურქებთან ცხოვრება არ შეგვიძლიანო, ცარიელი სიტყვები არ ყოფილა **რაშიდ მამნიძისა.** მან მიამბო შემდეგი:

საქართველოდან გამოსვლისას **კურასუნში** დასახლდა ოცდაათი კომლი, ორმოცდა ათი გახდა. ათი სხვა მოვიმხრეთ თურქებიდან, სამოცი ოჯახი გახდა. ჯამე ჩვენი გავხსენით, რომ თურქი ჩვენ საქმეში არ გარეულიყო (ალბად, სამოცი კანონით არი მოთხოვნილი და ერთი ჯამეს მრევლი იურიდიული ერთეულია). ახლა შემოგვაწერენ ხარჯს; შენ ესა გაქვს, იმას ის უჭირავს. ჩვენ ვიცით ერთმანეთში, ვის რა გვაქვს; ზოგს მეტი შეუძლიან, ზოგს– ნაკლები. შენ ამდენი გიჭირავს, ეს შეგიძლიან, ამდენი ამოიღე და დადე, შენ ამდენი, იმან ამდენი. ზოგს სულ არა აქვს რა. ზოგი ქვრივ-ობოლია, იმათ სულ არაფერი უნდა გამოერთვას. ასე მოვკრეფავთ, რამდენიც გვაწერია, მივცეთ ჩვენ თავკაცებსა და ვეტყვით: წადით და ეს ნაჭერი (ფული) ჩააბარეთ ფაშის გამოგზავნილსაო.

ყველაზე მძლავრად და ტკბილად ამ სიტყვებმა დამიარეს გულში. ერთი ათად გამეზარდა ეროვნული თვითმოყვარეობა. რამდენი ძალა ყოფილა შენახული ხალხში, რომ ვერა უცნაურებამ **ვერ ჩაუქრო ღვთიური მადლი და გრძნობა ადამიანური.** რა არი ამასთან ის დეფექტი სისხლიერ შურისძიებისა, რომელსაც იძულებით დასდგომიან? აგრე ულმობელად მტერთან ექცევიან ასალაგმავად, თორემ ისე, აჰა, იხილე მათი აზრი და მსჯელობა. მათ არა თუ აიცდინეს თავიდან ზნეობრივი გახრწნა, არამედ **სოციალურ სიმართლის ძიებასაც კი დასდგომიან**. სხვა კაცთმოძულეთ რომ ჰკითხო, ქართველი ერი ავაზაკი და ყაჩაღია, აზიატი, პატივისმცემელი მხოლოდ ძლიერებისა და მარტო ხიშტი გვაყენებს კანონიერებაში, თორემ თუ ჩვენ თავისუფლება მოგვეცა, იქნება დავჭამოთ კიდეცა ერთმანეთი. მართალია, ერთი სოფელი მთელი ქვეყანა არ არის, მაგრამ სულიერად კი მასთან არის გადაკავშირებული და ცხოვრების მოვლენაში მას მოწამედ უდგება. ან ვინ იცის, რამდენია ამ ნაირი მაგალითი? ერთი კია უტყუარი სინამდვილე: თავის დაცვაში ყველანი ერთად არიან; **თუ ვინმემ ქართველი დააზარალა, მთელი სოფელი ეძიებს შურსა**.

ლაპარაკში ჩემი თანამოსაუბრე **ეროვნულ სახელად მუდამ ქართველს** ამბობდა და სხვებიც, საზოგადოდ, ვინაობის დაკითხვაზე ან **ქართველს გეტყვიან,** ან **გურჯს**, ამ სახელებს შორის გარჩევას არა სდებენ. „თათარი ვარო“ კი, ამას თავის დღეში არ იტყვიან. პირიქით, თუ დაუძახა ვინმემ, ძლიერ ეწყინებათ, ჩვენ თათრები არა ვართ, თათარი თურქიაო. **ვინმე უვიც ქრისტიანს ეხმარა ეს სიტყვა და წყენით შემომჩივლეს**; **ასეთი დიდი შეურაცხყოფაა ამათთვის ქართველად არ ხსენება.** ვისაც არ უნახავს, ეგონება, აღარც კი ახსოვთ სიტყვა „**ქართველი**“, მაგრამ ყველაზე ხშირად ამ სახელს აქ გაიგონებთ. საქართველოში კი **მუსულმან ქართველს რომ დაეკითხოთ ვინაობაზე, იტყვის, თათარი ვარო** და **რაღაც უბედურ ჯიუტობით იმეორებს ამას**. სწორედ ეს უკუღმართობა მოვაგონე მამინიძეს და მან ასე მითხრა, არ იციან და მაგრე იმიტომ ამბობენო, **რჯული და თათრობა ერთი ჰგონიათო** და **ქართველს კიდევ ყველა ქრისტიანს ეძახიან, გინდ ბერძენიც იყოსო**. მერე ვითომ მე არ ვიცოდი, ისე დამიწყო განმარტება: **რჯული** სხვა არის და **გვარი** სხვა. **მუსულმანი ბევრია, მაგრამ ყველა კი თურქი არ არის. თავი მუსულმანები არაბები არიან; ალბანელებიც მუსულმანები არიან, მაგრამ თათრობა კი არ ეთქმით**. ჩვენებიც რომ გაიგებენ ამას, ეგრე აღარ იტყვიანო.

დიაღ, მაგრეა და რამდენი კიდევ სხვა რამ გვაქვს გასაგები? მაგრამ ოღონდ შრომა და თავ-გამომეტება იყოს და კვლავ აღდგენილ იქნება ჩვენი **დამსხვრეული ოჯახი, კვლავ აბოლდება**

კერა ქართველისა. ნუ გგონია, რომ მუსულმან ქართველობას არ უღვიოდეს ამისი სურვილი, როცა საქმეზე გველაპარაკებიან, ზედ დასკვნას იძლევიან და გზას გვიჩვენებენ, თუ რა საშუალებით გავიგებთ ჩვენს გასაგებარს. **ასე მოიქცა რაშიდ მამინიძეც**: **წერა-კითხვა გვიშველის**; თუ იგი ვასწავლეთ, რჯულის საქმესაც გაარჩევენ და აღარც დავიკარგებითო.

მე გამოცდილებით ვიცი, რომ ზოგიერთს მეტად ეჩოთირება პასუხი აყრაზე და აქეთ წამოსვლაზე. მაგრამ ორი საათის ლაპარაკით მე და **მამინიძე** ასე დავახლოვდით, იმ ზომამდე ვიგრძენით ერთსულობა და ერთტომობა, რომ ერთმანეთის მხილებასაც აღარ დავერიდებოდით, თუ ჩვენ რაიმე შეცოდება მიგვიძღოდა ჩვენი ეროვნების წინაშე. მეც ვეღარ მომითმინა გულმა და ვკითხე: რათ დააგდეთ ქვეყანა და წამოხვედით, იქ თქვენი მამების საძვლე დაჰკარგეთ და აქ დაიფანტენით მეთქი? მე მეგონა, **მამინიძე** დანანებით ამოიოხრებდა, როგორც სხვები შვრებიან, მაგრამ, ალბად, ის ისევ იმ ილლუზიებშია გახვეული, რომელთაც ხალხი აუფუებია და აქეთ გადმოუდენია. ალბად, რომელ ბოროტსაც დასჭირდა ეს ჩვენი უბედურება, ბოროტი ენა გამოიბა და უვიც ხალხში ჭორები გაავრცელა: რუსი რომ ჩამოვიდა, ჩვენ უნდა გავექრისტიანებინეთ, ჩვენი დედა-კაცები სალდათათ უნდა წაეყვანათ და კაცებს გვეყურებინა; თუ არ გავქრისტიანდებოდით,უნდა გავეწყვიტეთ. ერთ სოფელში შეაგროვეს ერთიანად ქალი და ბავშვი, დააწვინეს კალოზე და კავალერიას უბრძანეს, ზედ გადაევლო, მაგრამ ცხენი შედგა, არ გადაიარა; კარგი, ააყენეთო; ის დღე რომ დაღამდა, ხელმეორედ დააწვინეს, ზედ თივა გადააფარეს, მაშინ კი გადაიარა ცხენმა და ქალი ბოვშვიანად გაჭყლიტეს. კაცს რომ შეებრძოლო და მოჰკლა, კიდევ ჰო,მაგრამ დედაკაცი რას აშავებს, ბავშვის გაჭყლეტა როგორ იქნებაო. თუ დღესაც ზოგი ამ ბურანშია, წინად რაღა იქნებოდა და რანაირად გაუადვილდებოდა საქმე, ვისაც ჩვენი ამოგდება უნდოდა.

გასაოცრების ასპარეზად შეიქმნა ეს უბედური მხარე საქართველოსი: ჯერ იყო და თავი ნახევრად ამოაწყვეტინა თათრობას ქრისტიანობის გულისთვის და ცეცხლისა და მახვილის ქვეშ მიიღო მაჰმადიანობა. მერეა და რჯულსავე ანაცვალა შეურყეველი ღონე და ახლა მაჰმადიანობის გულისთვის მოითხარა ქვეყნიდან. ასე იტრიალა ქართვლის ბედმა სხვა და სხვა ბოლოზე და დასკვნა კი ყოველთვის ერთი გამოვიდა: რჯულიც ჩვენი ამფორიაქებელი გახდა. ჩვენ რომ კვალში მივდევთ ჩვენს რწმენას, ეს დიდებული ნიშანია, სჩანს, ჩვენი პიროვნება დაორებული არ არის, მაგრამ ვაი რომ სხვათათვის რჯული მხოლოდ იარაღია ერთნაირ პოლიტიკისა და აქ ჯერ ისევ ბევრი რამა გვაქვს გასაგებარი ორივე შტოის ქართველობას.

ბევრი სხვა რამ ვილაპარაკეთ მე და მამინიძემ. როგორ გაიარა საათებმა ვერ გავიგეთ. მზე დაიხარა, წამოსასვლელად ავდეგ, იგიც ამყვა გამოსაცილებლად. მივდიოდით გზაზე, ძმობით მოლაპარაკენი. **ჩვენ მაშინ ერთმანეთის იმედნი ვიყავით: მე მაიმედებდა კვლავ დაკარგულ ძმათა შემოკრება და შერჩენა, მას ამხნევებდა ნუგეში და სასოება გურჯისტანისა,** შუა გზიდან გამომემშვიდობა და ვერ გავიყარენით ამ გრძნობით. მე თუ ვერ მოვიდე, შენ არ დამივიწყო, მალ-მალ მნახავდეო, დამავედრა.

ეხლა ორ ენკენისთვის ამბავი მოისმინე და დარწმუნებული ვარ, როგორც მე ამერია ერთმანეთში **ტკბილი და მწარე ფიქრები,** ისე დაგემართება შენცა. იგი ამბავი გეტყვის, რომ მწარეა ბედკრული დროება მტერთაგან ქართველთა არევისა **და ტკბილია იმედი მომავლისა** კვლავ ერთმანეთის ნახვისა და შეერთებისა, მაგრამ ყოველივე დამოკიდებულია აწმყოზე, ჩვენს

უნარზე, ზღაპარში წაკითხული გეგონება და არც მე დავიჯერებდი, რომ თითონ მე არ გადამ-ხედოდა, ისე უჩვეულოა ეს ამბავი სამუსლიმანოში.

პატრმა **ანდრიამ** შემატყობინა, საქართველოდან ჩამოსულა ერთი მანდილოსანი და ნახეო. მე მზადება დავიწყე და თან ვფიქრობდი, ალბად ჩემი ნაცნობი ვინმე იქნება და ნახვა უნდა, მაგრამ ამ დროს აქ რომელი უნდა იყოს მეთქი, გამოცნობას ვცდილობდი. ვიდრე მე მივიდოდი, მათ ორთა შორის თურმე ეს ლაპარაკია გამართული თათრულ ენაზე:

–თქვენ სადაური ბრძანდებით?

–**ბათუმელი** გახლავართ. ორი ქალიშვილი მყავს, თათრული სწავლა გაათავეს აქ და ახლა ვცდილობ უმცროსი **ფრანგთა სკოლაში მივაღებინო,** მინდა მათებური ყოფა-ქცევა მიიღოს და მათ სწავლაში გაიწურთნოს. საფრანგეთის საელჩოში ვიყავ და იქ მითხრეს, პატრი ანდრია ნახეთ, ის მოელაპარაკოს უმჯობესი იქნებაო და აი ადრესიც თქვენი იმათ მომცეს. ამასა გთხოვთ, როგორც თქვენს ნათლიანობას შეეფერება მიიღონ თავიანთ სკოლაში ჩემი ქალი, თითონ იმასაც ძლიერ უნდა ფრანგული სწავლა.

–რა გვარი ბრძანდებით?

–გურჯი მ. ხანუმ.

–თქვენ ქართველი ხართ? მაშ თქვენ ქართული გეცოდინებათ?–დიახო და დაიწყეს ქართულად ლაპარაკი:

–ძლიერ კარგი, ქალბატონო; რაც კი შემიძლიან, დაგეხმარებით ელჩთან, მეც ის მიხარიან, რომ ქართველმა მეტი გაიგოს და იცოდეს.

ამ დროს შეველ მეც. ქართულად ჩაცმულ მანდილოსნის მაგიერ, როგორც მე მოლოდინი მქონდა, დავინახე თათრულად გამოწყობილი ქალი, პირზე ჩადრ ახსნილი, მშვენიერი შეხედულებისა თვალტანადობით. რაღა დიდი გამოცნობა უნდოდა, რომ **მუსულმანი ქალი ვინმე იყო** და მხოლოდ ის მიკვირდა, **მუსულმანობაში თავის დღეში არა თქმულა, ქალი სხვა-გან წავიდეს და უცნო პირთ დაელაპარაკოს, მერე მამა-კაცებს და ისიც ქრისტიანთ**. ამ ნიადაგზე მუსულმანები სასიკვდილოთაც არ ინდობენ ჩვეულების დამარღვეველს და ეს ვინ უნდა იყოს ასეთი გამბედავი მეთქი. ამის მოულოდნელობით, ხელის ჩამორთმევისა და ჩუმად დაჯდომის მეტი, ვერაფერი მოვახერხე. პატრმა ანდრიამ ქართულად გაგვაცნო და იქიდან შევიტყვე, რომ ქართულად მოლაპარაკე ქართველი მუსულმანი ქალი იყო. გამიხარდა მეტისმეტად, მაგრამ სიჩუმე კი დავიჭირე, არ ვიცოდი, რანაირია მუსულმანთა ქცევა. ისევ მან მომიყვანა გამორკვევაში: მისმა თამამად დალაპარაკებამ და სიყვარულიანმა გამოხედვამ დამარწმუნა, რომ იგი იყო მოსული არა როგორც უცხო ვინმე უცხოსთან, არამედ **როგორც ერთი ვინმე დაბადებითგანვე ჩვენთაგანი.** ორივე მხარეს ვიგრძენით, რომ აქამდე დაკარგულებმა, **ერთის ოჯახის შვილებმა**, ეხლა ერთმანეთის გზა ვიპოვეთ და ერთად შევიყვარენით. აწი რაღა საჭირო იყო ფორმალისტობა. **და-ძმათა შორის გზა მიეცა დაკავებულ გრძნობასა** და ვუთხარი:

–პირველია ქართველ მუსულმან ქალთან ჩემი დალაპარაკება, ვნატრობდი და ამიხდა. აქ ბევრი გვხვდება გზაზე სიარულში, ლაპარაკზე გვეცნაურებიან, მაგრამ ჩვეულება რომ გიკრძა-ლავთ, ხმის გაცემა ვერ გაგვიბედნია. ბევრჯელ დავტანჯულვართ ასე.

–ჩვენც აგრე ვიტანჯვით.–მომიგო:–და ქართველ ქალებს რომ ხვდებით, იგიც ვიცი, იმათში მეც ვიყავი, გაზეთში დაგიწერიათ.

–მაშ თქვენც შეგვხდით?–დავეკითხე.

–დიახ.

–სად?

–აია სოფიასთან; თქვენთან ერთად სხვა იყო, ლაპარაკობდით; ქართული რომ გავიგონე, გამიხარდა და შემოგხედეთ.

ჩავაკვირდი, მოვიგონე ის ამბავიც, სწორედ ის არის, აპრილში რომ შევხვდი ახალ სულთნის პირველ სელამლიკზე და შენცა გწერდი. რამდენად **გვენატრებოდა გაგება ამბავთა ქართველ მუსულმან დედების დატანჯულ გულისა,** იმდენად გამიხარდა ნახვა იმ ადამიანისა, რომლის პირველმა შეხვედრამ ჩემში მხოლოდ **სიმწარე და გულის ტკივილი დასტოვა**, რომ მშვიდობაც ვერა ვკითხე. ეხლა თითონ იგი მოვიდა ჩემთან, **ქრისტიანებში გვესტუმრა მუსულმანი** და, იგი არამც თუ თავიანთ ამბავს გვეტყვის, ჩვენს ამბავსაც წაიღებს, **კვლავ გაიბმება მისით კავშირი ძმობისა ჩვენ შორის.** მაშინვე ვიფიქრე და ხელმეორედ წამოვუდეგ, სალამი მივეცი:

–მაშინ მარტო გამარჯვება გითხარით და დღეს ჩემი გულითადი პატივისცემა მიიღეთ. თუ რამ მინახავს სასიამოვნო, თქვენი ნახვა ყველაზე მეტია ჩემთვის. მიხარიან, რომ თქვენგან ამბავი აღარ მოგვაკლდება ჩვენის დამწყვდეულის დებისა.

–მე კიდევ ის მიხარიან, რომ **ქართველ კაცს ვხედავ და ჩემი ენა მეყურება ამ ქვეყანაში**,– სთქვა მ. ხანუმმა და დაიწყო ტირილი. **ტიროდა ხელსახოცში პირწაყოფილი ქვითინით** და **თან მოსთქვამდა.** მოგვეკიდა ცეცხლი. მე ვანუგეშებდი: –გავიბენით, მაგრა შეერთება ჩვენზეა მეთქი. და მე თითონ თვალებზე ცრემლი მომერია, **პატრ ანდრიას სახე დაემწუხარა, ხმას ვეღარ იღებდა**. მაინც ეს რა არის ჩვენს თავსა და რა დაგვმართვია“! მე წინად გაგონებით ვიცოდი **მუსულმან ქართველთა არსებობა** და წიგნებიდან ამოკითხული მქონდა მათი ძალად განყოფა და წაგლეჯა, მაგრამ შიგ რა დრამა ტრიალებს და რა განუსაზღვრელი ტანჯვაა, ამას ეხლა-ღა ვხედავ და ვხვდები. ერთმა აქეთ დაიჭირა თვალი, მეორემ– იქით, შუა გაგვივლეს უფსკრული; **გულში ესენი ჩვენ გვაკლია** და ჩვენ ამათ ვაკლივართ; ვგრძნობთ ამასა და ვერა გვიქნია-რა ძილ-დაწოლილივით; დედის გული ვერ ითმენს და სტირის. გაქრი ცხოვრებავ, თუ ამისთანა დარჩები და თუ ჩვენ ერთმანეთის თავი და ბედი სატირელი გვექნება! მაგრამ, **დაე, ამ ცრემლმა განბანოს ჩვენი წინანდელი შეცოდება** გასამხნევებლად მომავლისა.

საიდან მოდის და საით მიდის ცრემლი, ნაწური თვალთაგან მ. ხანუმისა? მე თათრული მასწავლესო და თათრულს ვლაპარაკობ, მაგრამ **ჩემი ენა ქართულია, იგი მეტკბილება. ქართულ ენაზე გავიცან მზე და მთვარე, როცა დედის ნანათი ჩემი აკვანი ირწეოდაო. მიყვარს საქართველო, მე იმის ხის ძირს ვენაცვალე, იმის კენჭი და კლდე მირჩევნია სხვისა ოქროს. ქართველები ჩემი ძმები არიან და მათთან მინდა ვიყო. მომწონს მათი ქცევა და ცხოვრება, ადამიანობა აქვთ, შებრალება იციან, მე იმათთანა სხვა არ მეგულება ქვეყანაზე. სხვებს არ ესმით ჩვენი გულის ამბავი და არც ვეწუხებით, შეჭმა უნდა ჩვენი მხოლოდ.** განა ისინი კი კარგად არიან, ვინც აქ გადმოსახლდნენ: **გასწით, მუჰაჯირებოო. აქ რას მოხვედით, ადგილი, წყალი ჩვენი არა გვყოფნისო...** ნანობენ ეხლა.

კაცი იტყვის შორიდან, აქ ტირილს რა ადგილი აქვს, რა უშლის ჩვენთან მოსვლასა და ერთობას, თუ გული გულობსო, მაგრამ ნამდვილად კი ამ სურვილსა და ლტოლვილებას წინ მაღალი კედელი აქვს აყუდებული, თუ გამაჰმადიანებულმა ქართველობამ თათარი დაირქვა. რასაკვირველია, იმასაც ეცდებოდა, რომ თათრული ჩვეულებაც შეეტანა თავის ოჯახში. ქალმა

კი ამ ჩვეულებით თორმეტი წლიდან უნდა შეიკეროს ჩადრი და ვისთანაც გუშინ უმანკო გულით თამაშობდა, დღეს იმას უნდა გაექცეს და დაემალოს და ასე ნორჩობიდანვე უნდა შეეჩვიოს იმ აზრს, რომ იგია მხოლოდ საგანი მამაკაცთა გულის თქმისა და სხვა არაფერი, სხვა მხედველობა მაზედ არ არსებობს. შევა ქმრის ოჯახში და ეკარგება ყოველი უფლება: იგი ჰპოვებს იქ მხოლოდ ბატონს, რომელსაც მოუყვანია უკვე რამდენიმე ცოლი და ერთ ჭერ ქვეშ უნდა მოთავსდნენ სხვა და სხვა ნაირ მიმართულების პირნი. კაცს სამათა და ხუთად აქვს გაყოფილი გული და ქალიც რომ ჰხედავს, რომ მისი ქმარი სხვისი ქმარიც არის და ხშირად კვირა და თვე არ შეხვდება მასთან დალაპარაკება, ვეღარ დაუმყარებია ქმარზე სრული ქალური გული და სიყვარული, რჩება უამხანაგოდ და უსულიერ საზრდოდ, მგრძნობარეობას და ეძლევა ფართო სიღრმე და სავალი, ზეზეურ მიდის ცხოვრება. მას ოჯახის საქმეში არაფერი ეკითხება, მისი მხოლოდ მორჩილება, დაჩივლებაც არ შეუძლიან თავის თავზე, რადგან თათრულ აზროვნებით იგია არა თანატოლი ამხანაგი, მასთან ერთი მოვალეობით შეერთე-ბული, არამედ მისი შეძენილი სულიერი, რომელიც ადვილად მოუყვანია და ადვილათვე გადააგდებს ჩვარივით, თუ მოინდომა. აი, ეს აზროვნება გადაედვა მუსულმან ქართველობასაც და ეს ჩვეულება შეიტანა თავის ოჯახში. მანაც ეგრე ჩაამწყვდია ქალი სახლში და არა თუ აღარავისთან აჩენს. რომ უხსენო, ისიც კი ეწყინება, რადგან შიგ უბედურების აზრის მეტი ვერა უნახია-რა. მოისპო ხალხში გამოსვლა და გარევა. ძმას კი როგორ დაერიდება ქალი და ძმისწულთან კი მორიდებული უნდა იყოს, ბიძაშვილს ქმართან ვერ გაუცინებს, სხვებს ხომ სულ ვერ ეჩვენება. დაპატარავდა მისი წრე, ყოველმხრივ კედელი აღიმართა.

რანაირად შეხვდებოდა თავის ბედს ქართველი ქალი, შვილი სტუმართ-მოყვარე ერისა, დედაშვილობისა და დაძმობის აზრზე აღზრდილი, **მიმდევარი ნათესაობისა შვიდ მუხლამდე?** რას იტყოდა იგი, როცა რჯულმა ძალა დაატანა, ჩაიცვა უსახლებო კაბა, ჩამოიფარა პირზე ჩადრი, მზის სინათლიდან შეიკეტა სახლში და ბნელში დაჯდა, დაემალა არა თუ შორეულ სტუმარს, არამედ თვით მახლობელთ? რა თქმა უნდა, იგი წუთი იქნებოდა დიდი, მეტად დიდი მოვლენილი რისხვა ქართველ ქალის ცხოვრებაში, ბრძოლა განუცდელი არ დარჩებოდა იგი, მაგრამ უღონობისა გამო შედეგი იქნებოდა მხოლოდ სულის კვეთება იდუმალი და გულში ჩადებული უკმაყოფილება ბედის ცვლილებისა; და იგი სულიერი განწყობილება თაობიდან თაობამდე გადმოიტანა ორასი წლის აქეთ **და დღეს მ. ხანუმის პირით გვეუბნება:** ქალი რა არის, მეტირება, ჯოჯოხეთია ეს ქვეყანა ჩვენთვის. განა ქალი ისეთივე კაცი არ არის? თუ კი კაცია თავისუფალი და ხარობს წუთი სოფლითა, ქალს რაღად უნდა ჰქონდეს დაშლილი ძმებთან თავისუფლად გამოჩენა და მათთან გახარება კარგის გაგონებითა და კარგის ნახვით? **ღმერთმა ხალხი ერთმანეთისათვის დაბადა**; **მზე და მთვარე ჩვენთვის გააჩინა სალხინოდ და სასიამოვნოდ,** და თუ ჩვენ პირს დავიბნელებთ და ჩავიკეტებით, რით გავატაროთ ჩვენი მოწყენილი ცხოვრება, საფლავში ხომ არ ვისხდებით და იქ ვილაპარაკებთ! ქალს პირზე ჩადრს იმიტომ აფარებენ, რომ კაცმა არ შეჰხედოს და არ გაირყვნესო; **მაგრამ თუ ქალი არ ვარგა, ჩადრი ვერ დაიფარავს და თუ სვინდისიანია, ჩადრი რათ უნდა? იგი თავის პატიოსნებას თითონ დაიცავს**. მე იმიტომ მინდა თავისუფლება, რომ ჩემი სვინდისი შევინახო; მაშინ დაფასდება.

რაღაა იმისთანა პატიოსნება, თუ ქალი იმიტომ ვერ ექცევა სიავეს, რომ შებოჭილია? თუ თვალითგან გაირიდა, მაშინ რაღა დაუშლის? **არა, კაცმა თითონ უნდა იცოდეს თავისი ფასი და პატიოსნება**. ამ სიტყვებით ჩივის ქართველი ქალი. **დიდ ფსიხოლოგიურ სიმართლესთან დიდ**

საყვედურს იძლევა. იგი თაკილობს, რომ მას არ ენდობიან და ზედმეტი საზიდი ბარგი აჰკიდეს, ქვეყანას გამოაკლეს, უსამართლობას უსამართლობა შესძინეს! განა არ იყო უწინ და განა არ არის დღეს პირ ახდილი ქართველი ქალი? რას აშავებენ და რა დავუშავე მე? მე ჩემი თავის იმედი მაქვს, მე ჩემი თავი კაცად წარმომიდგენია! ეხლა კი დამცირებაარ!

შენი მეგობარი ფარსმან მაძევარი;

დროება, N38, 1910 წ. სტატიის მანქანაზე ნაბეჭდი პირი და გაზეთის ნომერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ფარსმან მაძევარი

ოსმალელი ქართველები

(დასასრული)

ვინც საუკუნოებით შეეჩვია ამ ჩვეულებას, დაუჯერა, რომ ასეა ღვთის მიერ ქვეყნის დაარსებიდან და ასე უნდა იყოს უკუნისამდე, იმას კიდევ არა უშავს-რა, რჯულის აღსრულებაში მაინც ჰპოვებს ნუგეშს და შეიძლება სხვა უკეთესს აღარ უთხოვდეს გული, მაგრამ წარმოიდგინე ქართველი ქალი, ქმრის პატრონი, შვილების დედა და ამნაირი სცენები: რო მოგვივა ვინმე, კარებს კი გავუღებთ და მერე კარებიდანვე პირი უნდა მივიბრუნოთ და წავიდეთ, დავიმალოთ. სუფრაზე რომ ვინმე შემოგვესწროს, ჩვენ უნდა სუფრიდან წამოვდგეთ და გავიქცეთ და ვეღარც გამოვჩნდებით, ვიდრე სტუმრები არ წავლენ. თუ კაცს მეგობრები ეწვივნენ, დედაკაცებმა სხვა ოთახში უნდა გაიტანონ თავიანთი სადილი და ასე გაიუგემურონ ის დღე. თუ ბიძაშვილს გამოუჩნდით, შუბლშეკრულნი და პირგაუცინარნი უნდა ვისხდეთ, თორემ ქმარი გაგვიწყრება. **ქალის ბედი კაცის ქეიფზეა დამოკიდებული.** კაცი რომ ქალს ირთავს, სამჯერ ხელს გადაუსვამს მხარზე და აქედან მისი ცოლი ხდება. ასევე, თუ გაგდება უნდა, სამჯერვე ხელს გადაუსვამს ჩუმათა და ეტყვის, ცოლობიდან გაგყარეო, და ქალი უნდა ადგეს, წავიდეს. ვუვლით, ვეფერებით, მუდამ იმას ვცდილობთ, რომ კაცს თავი შევაყვაროთ, იონბაზობას ვხმარობთ, ყოველთვის რაცღაი უნდა მივუმატოთ, რომ ჩვენი ქმრებისაგან გვეშინიან, არ გაგვექცნენო.

ეხლა დავუპირისპიროთ ეს ნალაპარაკევი იმ ხსოვნას, რომ ან დედა, ან დიდედა, ან ვინმე სხვა წინაპარი, მზის ქვეშ ისევე თავისუფლად დაიარებოდა, როგორც მამაკაცი და თანატოლი ამხანაგი იყო ქმრისა, მორჩილი მისი თავისუფალ სინდისითა და არა შიშითა და დამონებით; თუ თითონ აღარ ახსოვთ, ხომ გაუგონიათ და იციან, ხომ გებულობენ თანდათან, ხომ დღეს ამათი დები ამავე წესზე სცხოვრობენ საქართველოში და რაღა გასაკვირველი იქნება, თუ ერთარსიანობა ირღვევა და საშინელი ბრძოლა ჩნდება, ხელში ერთი აქვს მიჩეჩებული და ყურში ჩაწვეთილი, გული სხვაგან იწევს და სიახლზე მიდის, ვარდება ადამიანი ორ ცეცხლშუა. ამნაირ მდგომარეობას ბევრი ადვილად ვერ იტანს, ცოლი ქმარს ედავება, უნდა მოიშოროს ადათი, რომელიც ძალად, ხელის წავლებით სადღაც უკან ეწევა; მაგრამ ქმარი არ უთმობს და მშვიდობა ირღვევა, გული ბოროტდება, ქალი ქალურად ეძიებს მაგიერსა და ავდება, ქალი დიდ ჩხუბშია, ამბობს მისი მესაიდუმლე და მოწამე მ. ხანუმი.

რაკი შემჩნეულ იქნება ცხოვრების ყალბი მხარე და ბედის უკმაყოფილება იბადება, გამოჩნდებიან ისეთი პირნიც, უფრო მძლავრის გონებისა და გრძნობისანი, რომელთა სპეტაკი ბუნება იმ სიყალბეს ვეღარ შეეთვისება, სტოვებენ დაძველებულ ადათს და ახალ გზას ეძიებენ. აქ არის დიდი სიძნელე და სატანჯველი, რადგან ერთ კაცში ორნაირი გრძნობა იყრება და ერთმანეთს ებრძვის, მაგრამ თანაც ახლად გაღვიძებული პიროვნება მძლავრად კითხულობს: რათა ვარ ასე? ასე რათა ვართ ქალები? და რადგან მუსულმანობაში ყველაფერი სჯულის სახელითა და სადიდებლად არის დადებული, ამიტომ ამ ფიქრის დენაში მ. ხანუმი მისულიყო იმ ნასკვთან. მართალია, ჩემი წინაპრები ქრისტიანები იყვნენ, მას აქეთ სულ ას ორმოც და ათი წელიწადია, მაგრამ მე მუსულმანობაში დავიბადე და მუსულმანობაში მოვკვდები; მუსულმანობა მე ჩემი სულისთვის მინდა და მრწამს, რომ ამ რჯულითა ვცხონდები; ამიტომ მე ჩემს რჯულზე მტკიცედ ვიქნები, ასე უფრო ვემსახურები ხალხს ჩემი სინდისით, მაგრამ რაც კარგია

და მოსაწონი ქრისტიანებში, იმასაც ვიღებ. **ყველანი ღვთის გაჩენილები ვართ, ყველა რჯულშია კაი კაცი და მაგალითი კაი კაცისაგან არის ასაღები.** რაც ჩვენა გვსპობს, იგი უნდა მოვსპოთ. **რჯული სისწორისთვის მინდა და არა შიშისთვის,** არა იმისთვის, რომ მე ჩემს ძმებში მოვისპო და მოვიკვეთო. განათლებული ხოჯები გვჭირიან, რომ სწორე გზაზე დაგვაყენონ და წიგნი ჭეშმარიტად აგვიხსნან და მაშინ მივყვები იმათ ჭკუას. ჩვენი ფეიღამბერი (წინასწარმეტყველი) რათ მოინდომებდა, რომ ჩვენთვის წუთისოფელი გაემწარებინა; რა-საც ჩვენში ავს ვამჩნევ, იგი მუსულმანობას როგორ ეკადრება; ჩვენი ტანჯვა და თქვენთან მორიდება უსწავლელთაგან წარმოსდგება, ისინი გვიშლიან, მაგრამ, ღმერთო, თუ ისიც რჯულშია... არა, არა მგონია!

მიღებულ ჩვეულებებში ყველაზე უფრო მეტად ემდარება მას პირჩამოფარება და ამბობს, რომ ეს ჩვეულება არა თუ შეუფერებელია დროისა და დამამცირებელი, არამედ მავნებელიც. რაცა თვალთ აბნელებს, არც გონება იქნება ნათელი და თუნდაც ნასწავლიც იყოს, არ ეტყობა განათლება და ნასწავლობა; ვერც წინ წავლენ, თუ ქალთ ეს ჩვეულება არ მოაშორეს. ნამეტნავად ჩვენ, ქართველებს, ხომ ეს გვანსხვავებს და გვაშორებს. და ვისთან არ აშორებს! **ქალები ჩადრიდან სისწორით ვერა სცნობენ ქვეყანასა და მათ ვერ იცნობენ თვისნი შეხვედრაზე.** გვერდზე გაგივლიან და ვერ გაიგებ, და არის შენი, დედა, თუ სხვა ვინმე. ნათესავი ნათესავს ვერ იცნობს, ვერ მიესალმება, ვერ მიუსაყვარლებს, როგორც უცნობმა, ისე უნდა გაიარონ, წავიდნენ. რაღა სიცოცხლეა! უსიამოვნება კი ბევრი ჩნდება. ასეთი ამბავიც მომხდარა: ერთი კაცი ურიგოდ წაელაპარაკა ქალს, იმისი დედა კი გამომდგარიყო; შვილმა ვერ გაუძლო სირცხ-ვილსა და თავის ქვეყნიდან დაიკარგა, სხვაგან გადავარდა.

ვინც ავ საქმეს არ იშლის, ჩადრი ვერ დაიფარავს და უფრო გამოჩნდება; რომ არ გამოჩნ-დეს კიდეც, შიგნით ხომ ტრიალებს უბედურება და ათასი ვაება. სულ ერთია, გინდ იცოდეს ქვეყანამ, გინდ არა. ჩვენ ყველანი ერთად მიგვათვალეს და ურიგო ხალხთან ვიტანჯებით. ურიგოდ გვრიცხავენ, ამაზე მეტად ჩვენი თავი ვერ წარმოუდგენიათ. დედაშვილობისა და ძმობის აზრი არ არსებობს. თქვენი ჩვეულება მომწონს, ჩვენი სახით უნდა ვეჩვენებოდეთ ერთმანეთს, ერთად ვიყვნეთ წმინდა აზრითა და გრძნობით და თუ ერთმანეთი ვისმე მოეწონება, **ცოლქმრობა ერთგული და პატიოსანი ღვთისაგან დაარსებულია.**

მე რომ ჩვენ ცხოვრებას ვაკვირდები, ისე გამოდის, რომ ქალი მარტო სატანჯველად არის გაჩენილი. არა თუ თქვენთან გვაქვს დაშლილი მოსვლა და დალაპარაკება, არამედ ერთმანეთ-შიაც კაი ადგილას გამოსვლა და გამოჩენა არ შეგვიძლიან. რა არის კრება და ერთად საქმის გაკეთება, ჩვენთვის გაუგებარია. ქალებს შეუძლიანთ სიარული მარტო ბაზარში სავაჭროდ ან საამნაირო რამ საქმეზე, უმისოდ კი სახლში არიან ჩამწყდეულნი და ქვეყნისა არაფერი ესმით, არც კითხვით, არც გაგონებით და ნახვით. მერე თითონვე დაგვცინიან, გაუნათლებლები ხართ, ქცევა და სიტყვა-პასუხი არა გაქვთ, მიტან-მოტანაშიაც კი უშნონი ხართო. ჯერ სულ ქალები როგორ დამდაბლებულია და ამ ყოფაში უფრო ბეჩავდება, სუსტდება, გონება ეცლება; ქმრისაგან არა გაქვს პატივისცემა და სხვისგან. შვილი რომ წამოიზრდება, ისიც ისე ეპყრობა დედას, როგორც მოსამსახურეს, ბრძანებლობს. რაღა დედა იქნება ამას იქით და როგორ შვილს გაზრდის, რა უნდა ასწავლოს? რასაც შვილი კარგს გაიგებს სწავლაში, ის სახლში მისვ-ლისას გადაუბრუნდება დედასთან.

დღეს მუსულმანებშიაც ნასწავლი ბევრი გამოდის, ბრუნდებიან სახლში და ასეთ დაგლა-ხებულ ქალებს რომ ჰხედავენ, ეს რა ხალხიაო, აღარა კადრულობენ და ბევრი განათლებული

ქრისტიან ქალს ირთავს. ჯერი კია, თავიანთები ითხოვონ, რომ სწავლა დატყუოს მუსულმანობას და მუსულმანობაში შეიტანონ შუქი, თორემ ქრისტიანებს რა შემატება უნდათ, ისედაც წინა სდგანან, მუსულმანი ქალები კი ისევ სიბნელეში რჩებიან. რა დააშავეს? ვის არ უნდა კარგი ცხოვრება და ამხანაგი? ორში ერთი უნდა იყოს: ან ჩვენმა ნასწავლებმა უნდა შეირთონ თავიანთებივე, რომ მუსულმანი ქალები მუდამ საბრალონი არ დარჩნენ, ან არა და იმათაც მივცეთ უფლება ქრისტიანებზე გათხოვდნენ, **რჯული და თავისუფლება თუ ერთისთვის არის, მეორისთვისაც უნდა იყოს** და თანატოლობა გამოდიოდესო.

მეტი ჩვენი **დამცირება უფრო მრავალცოლობაა.** მართალია, ჩვენი რჯული ამის ნებას იძლევა, მაგრამ უთუოდ ძალას კი არ ატანს, არამედ ჩვენი ფეიღამბერის მაგალითი გვაძლევს უფლებას, რომ აქვს თუ არა აქვს კაცს ქალების შენახვის თავი, რომ კაცი ადგეს და სამი- ოთხი ცოლი შეირთოს ერთად. ეხლა კი შვრებით ამას ჩვენში და მერე რა გამოდის? ოჯახური ცხოვრება ტკბილად არ ეწყობა, ერთს რომ ასე უნდა, მეორეს ისე უნდა; ირევიან, ქალს ხასიათი უფუჭდება, კაცს სიყვარული აღარა აქვს ქალზე. ცოლ-ქმრობა არ გამოდის. კაცს უადვილდება, როგორც უნდა, ცოლს ისე მოექცეს და ერთ უბრალო რამეზე სახლიდან დაითხოვოს. ერთნი რომ იქნებიან კი, ხასიათს ადვილად შეუწონებენ, კაცს მეტად სიყვარული და პატივისცემა ექნება ქალისა; მოიშლება თავ-ქეიფობა, –ცოლის სამჯერ დათხოვნა და სამჯერ მოყვანა, რადგან სახლი და შვილები უდედაკაცოდ ვერ დარჩებიან. ქალიც დაარხეინდება თავის ბედზე, საზრუნავი ერთი ექნება თავის ოჯახზე, თავის საკუთარ ქმარ-შვილზე; კარგი გაკეთდება, თუ ცუდი , იმ ერთს მოეკითხება, იგი უმჯობესად ეცდება, თავს დასდებს, თავის . და ქმრის სურვილზე მოეწყობა. სიამოვნება გამოვა, ცხოვრება დატკბილდება; მომწონს ჩვენი ჩვეულება, განათლებულია ქრისტიანთა წესიო.

ასე გვეუბნება ქალი, დასჯილი სოციალურ უსამართლობით, მაგრამ **მოამაყე თავისი დედობითა**. დედობის მიზანი მას წმინდად დაუსახავს და ამ ცხოვრებაში წილსაც საამნაიროს ეძებს. **ქალი ხუმრობა არ არისო, იმისგანაა ეს ქვეყანა; მთელი კაცობრიობა იმის მუხლებზე აღზრდილა.** რამდენი ფეიღამბერიც, რამდენი დიდი ჭკუინაი კაცი და ხელმწიფე, ყველა დედის გაჩენილი და აღზრდილია. ასეთი დიდი ადგილი უჭირავს მას. თავის მოვალეობის გამო რა ტანჯვა უნდა გამოიაროს: შვილის ტირილზე ღამე ხუთჯერ უნდა გამოიღვიძოს და ძუძუ მისცეს, ზოგჯერ აკვანზე ჩამოეძინება, დღე მოსვენება არა აქვს, ყველა მას აწუხებს და, სამაგიეროდ, იმდენი პატივისცემა არა აქვთ, რომ ადამიანურად მოგვექცნენ და რისამე ღირსად ჩაგვთვალონ. რათა? ჩვენ დედა არ ვართ თქვენი? ქალზე ამდენია დამოკიდებული და მაინც ამბობენ, სწავლა რათ უნდაო. თავის მტრობა გამოდის. **შვილი თორმეტ წლამდე დედის მუხლებზე იზრდება და რასაც მაშინ ჩაინერგავს იმისგან, საბოლოოდ ის კაცი დადგება.** ამასთან ზოგი საქმე ქალს უფრო გაეგება, ზოგჯერ იგი უფრო მარჯვეა და თაოსნიანი. ამიტომ ჩვენ კიდევაც უნდა გვეკითხებოდეს რამ და **სწავლაც გვეძლეოდეს.** თუ კი კაცი ადის სწავლაში უმაღლესამდე, ნათლდება გონებით, იგი არც ქალს აწყენს და უფრო საჭიროა. ჩვენ კარგად ვიცით, რომ ანბანით მარტო საასიყო ბარათები არ იწერება. ბევრი რამ დაწერილა კარგი და გონების გამხსნელი, და ვისაც იგი უსწავლია, ქვეყნიერება მას ესმის, მან იცის ცხოვრება. ქალსაც რომ მიეცეს იგი, მუქთად არ ჩაიტანს მიწაში, შთამომავლობას გადასცემს, და რამდენიც უფრო მეტი ეცოდინება და განათლებული იქნება, იმდენად უმჯობესად წარმართავს, რაც მისი მოვალეობაა და მოსათხოვარი. **ქალს უფრო კარგი გული აქვს, ვიდრე კაცს; გულით არის**

ქვეყანა. ქალი სწორედ ამ გზით ივლის, კაცი წინ წავა და ქვეყანას ნახევარი ჭირი ჩამოშორდებაო.

ქრისტიანები ისეთივე ადამიანები არიან, როგორც ჩვენ და განცალკევება არ უნდა იყოს, მათი კარგი ავად არ უნდა გვაჩვენონ. **თუ რჯულით იქნება განსხვავება, რჯული თავისთვის იყოს გულში შენახული, იგი სინდისის პასუხია თავის ღმერთთან.** და მერე მაშინ ქართველთ ბედსაც აღარა უშავს რა! თქვენ წარმატებულნი ხართ განათლებითა და გონება გაქვთ, ჩვენ დაგვეხმარებით, **ჩვენ თქვენთან მოვალთ და ვისწავლით,** დამშეული აღარაფერი იქნება, ერთნი ვიქნებით. ეხლა კი ძნელია: **ქართული ენა გვიყვარს, ეხლაც კი რომ მოაგონდებათ აქაურებს გურჯისტანი, ცრემლს გადმოაგდებენ ხოლმე, მაგრამ არ ესმით, რჯული და გვარი ვერ გაურჩევიათ, შეკრულნი არიან რჯულითაო.**

აი, მეგობარო, სად გამოვიდა ბოლო და რა **სანთელი ინთება!** ღვთის შიშით განგვაუცხოვეს, ძმები ერთმანეთს შეგვაძულეს. გაღვიძებულმა გონებამ მიზეზი იპოვა სიმრუდისა და სწორე გზაზე გამოვიდა, რადგან ჭეშმარიტი რჯული, ღვთისაგან **მომავალი, არის სიყვარული და კაცთა შორის ერთობა,** სხვა ყოველი ამის წინააღმდეგ მომდინარეობს, მ. ხანუმის თქმისაებრ, უსწავლელთაგან... და მეც ვიტყვი, ჩვენთაგანაც: **სულიერი მოძღრობა ერისა სულის უქონელთ უჭირავთ. სამი-ოთხი საუკუნეა, ჩაგვიქრა კერა, მაგრამ ცეცხლი ნაცარში შენახულა.** კარგა დავუფიქრდეთ, ბევრს რასმე ჩავხვდებით იმ სიტყვებით, რომელნიც **გამოდიან ქართველ მუსლიმან დედის გულიდან**. ეს სიტყვები გვიწევენ სამუშაოდ ჩვენ ძმებთან და ისინიც გზავნიან ჩვენთან წინამორბედს. დედა ვერა სძლებს, ვერ იტანს შვილების დაბნევას, მას უნდა და უყვარს შვილების ერთად ნახვა. ერთხელ აქაც შეისრულა გულის წადილი და **მოვიდა ჩვენს კრებაზე თავის ქალიშვილით**. მის ქცევას თვით მუსულმანი ქართველები შეჰხვდნენ მოწიწებით და ამბობდნენ: უყურე სხვა დრო გვიდგებაო. მაგრამ გვახსოვდეს კი, როგორც მე ჩემად ეჭვშეუტანელად დავრწმუნდი ამათ ფსიხოლოგიდან, ამ შვილებში უფროსად ჩვენავართ დასახულნი და, შენ კარგად იცი, სახლში უმცროსი მუდამ ინადს ეწევა და ინახება, უფროსზე აგდებს საქმეს.

როცა ადამიანს ახალი აზრი რწმენად გარდაექცევა, იგი იმას ირჩევს თავის ცხოვრებაში სავლელ გზად. ერთობისა და პროგრესის მოტრფიალე მ. ხანუმი ამდგარა და გამოსულა ბათუმის ქართველ საზოგადოებაში, გაურევია შვილებიც. მაგრამ ნათესავები და თანამერჯულენი აულაპარაკდნენ. **დამიწყეს, ქრისტიანებთან დახვალ, ქრისტიანი გახდიო**. მე ვეუბნები, თუ კი ორშაურიან ჩითისთვის თქვენი ქალები დუქანში მიდიან უშნოდ აწეულ თათრულ კაბებში და მედუქნეს ელაპარაკებიან, უფრო კარგი არ უნდა იყოს, რომ კაი ხალხშიაც გამოვიდნენ და გონიერი სიტყვა გაიგონონ, ჭკუა ისწავლონ, განათლდნენ. მედუქნესთან დალაპარაკება, იქ ყავის დალევა, პაპიროზის მოწევა და საათობით დარჩენა შეიძლება და სადაც თავი და თავი ხალხი იკრიბება და ჭკვიანი სიტყვა გაიგონება, იქ წასვლა და მოსმენა კი არა? მე თუ დავდივარ, ჩემ ძმებთან ერთად დავდივარ საქმისათვის და არა საკიცხავად. მე იმასა ვშვრები, რაც ერთ დროს ყუელა მუსულმანმა ქალებმა უნდა ჰქმნან და წინ და წინ გზას გიკეთებთო.

ამნაირად მან საქმე თვისი არ მოიშალა, მაგრამ ნათესავებმა არ შეიწყნარეს და განრიცხულებში ჩათვალეს. ჩავარდა ადამიანი განსაცდელში: აქეთ რჯულგადამავლობას აბრალებენ, იქით გული და ცნობიერება სხვას ეუბნება. სატანჯველი დაესკვნა, შედრკა გული, შემოგვტირის: სამი წელიწადია, ამ ჭკუაზე დავდეგ; არა ვსთქვა, ვერა ვძლებ, ვერ ვიცოცხლებ, ვსთქვა და

ასე მრაცხავენ, რაღაა ჩემი ბოლო, არ ვიცი: აღარც მუსულმანებში ვარ და აღარც ქრისტიანებში, მარტო ვარ. მეგობარი ვერა ვნახე, რომ მინდობით ველაპარაკო და ჩემ სათქმელი გავუზიარო. ჩემი მეგობარი და შემწყნარებელი მარტო ისევ მიწა იქნება. იქ ვიპოვი მოსვენებასაო.

არა, მ. ხანუმ! შენ პირი ხარ, ნათელი მუსულმან ქართველებში და ქრისტიან ქართველებთან ერთი მათთაგანვე გვარით სასურველი და შენც მარტო რათა იქნები, როცა ორივე შტოის ქართველებს გულში ატარებ, შენს გულში იგინი უკვე შეაერთე; არა იმიტომ ხარ ერთთან, რომ პირველი გძულს, ან პირველთან იმიტომა ხარ, რომ მეორე გძულს, არამედ შენ ორივენი ერთნაირად გიყვარან, როგორც ერთის ოჯახის შვილნი. კეთილმა დედამ შვილთა სიყვარულში გარჩევა არ იცის. აწ თუ გარეგნად მარტო ხარ, რა ვუყოთ, ქვეყნის ადათებში ვცხოვრობთ.

თითონ რომ დაბრკოლება განუცდია, მ. ხანუმს მაინც არ აუყრია გული თავის საყვარელ აზრებზე და იმედიანი გზა აერჩია. მე მინდოდა შვილი გამომეყვანა ჩემი ჭკუისა, ნასწავლი, მეჩუქებინა ქვეყნისთვის და მეთქვა: აჰა, მე თუ უსწავლელი ვარ და არა ვიცი-რა, ეს გამიზრდია სასწავლებელში და იმსახურეთო. მაგრამ ბედი სხვას უმზადებდა.

ადრევე ორი ქალიშვილი გამოეგზავნა სტამბოლში სასწავლებლად. ვაჟი უკვე გიმნაზიელი ცამეტი წლისა გამხდარიყო და დები–კი არ ენახა. დედა ამდგარა და წამოსულა სტამბოლში თავის პატარა ვაჟით, რომ და-ძმები ერთმანეთისთვის ეჩვენებინა. აქ ვაჟი ავად გახდომია და ექიმების რჩევით კარის საავადმყოფოში წაუყვანია, უთუოდ მიიღებენო. იქ ფაშა დახვედრია და უარი უთქვამს, ადგილი არ არისო. ჩავარდნია ქალი ფეხთ: ჩემო ბატონო, ჩემი ფეიღამბერი შენა ხარ, ეს ერთი ვაჟი მყავს, ცამეტი წლის ამხანად მიკვდება, მიშველე. ფაშას ლანძღვით შემოუტევია: იქით დაიკარგე, შენთვის აქ ადგილი არა გვაქვსო. მუხლებზე შემოხვეულ ქალისთვის წიხლი მოუკრავს, ფეხი კბილებში მოუხვედრებია. გამოვბრუნდი, მეფაიტონემ აღარც შინ წამიყვანა, დარიგებული ყოფილიყო. ვიწივლე, ვაიმე, რა ვქნა, ვინა ხართ ადამიანი მეთქი. ვტიროდი, მაგრამ არავინ მეშველებოდაო.

გულშემოყრილი ჩასვეს ფაიტონში შვილიანად და ერთ გადაკარგულ საავადმყოფოში გაგზავნეს. შვილი ჩამოართვეს, თითონაც შესვლა მოინდომა, მაგრამ უადგილობის გამო გიჟების ოთახში მოთავსდა, ოღონდ შვილთან ახლო ყოფილიყო. იქ შვილი მოუკვდა და წაიღეს, თითონ უკან მისდევდა და ხელით თავ-პირს იშინჯავდა, სიზმრად არი, თუ ცხადლივით. შვილი რომ საფლავში ჩადებული დაინახა, გული წაუვიდა და შიგ ჩავარდა.

მერე აღარ ახსოვს, როგორ ამოიყვანეს და მიიყვანეს იმავ საავადმყოფოში. სამ თვეზე ძლივ გამოეგნო. ნათესავებმა აუღეს ბილეთი და სტამბოლში შვილით მოსული ბათუმში უშვილოდ დაბრუნდა. ის იყო ჩემი იმედი, ჩემი ამხანაგი, ჩემი სიცოცხლის ნუგეშიო. ღამე რომ მარტოკას შემეშინდებოდა, იმას ვართობდი, იმით ვინუგეშებდი და იმისაგანაც ობლად დავრჩი. ერთი ქალიშვილი აქ გამითურქეს, რა ვიცოდი, თუ ეს უბედურება მოვიდოდა, თორემ აქ რას წამოვიყვანდი? კარგს ველოდი, ავი მიყვეს. შვილი დავკარგე, ჩემი აღარაფერი ესმის, იგი ცოცხლივ სატირებელი გამიხდა და ზედ სხვა შვილი დავმარხეო, დაათავა მ. ხანუმმა თავისი მწუხარე ამბავი. თქვენ რომ შეგხვდით, ის ჩემი უბედურების დღე მომაგონდა, იმ ტანჯვაში ქრისტიანი ქართველი ვინატრე, იგი ისე არ გამწირავდაო. ბევრ სხვა რამის მოწამეა სტამბოლი.

მ. ხანუმის თქმით, ქალაქის ძველ ნაწილში მრავალი ქართველობაა, ზოგი ძველად გადმოსახლებულა,ზოგი–შემდეგ, ენა დაუვიწყიათ, მაგრამ მეზობლები **გურჯებს** ეძახიან.

მართლა და რა იქნა ძველი ზემო ქართლი–სამცხე-საათაბაგო, სავსე ხალხითა და დოვლათით? ნუთუ მთლად ამოსწყვიტეს და მის ნატამლად დარჩა ერთი მუჭა დღეს იქ მოსახლე მუსულმანი და კათოლიკე ქართველობა. მართალია, ბევრი გასწყვიტეს, მაგრამ უფროსი, ერთნი მტრის ტალღათაგან წარზიდულნი, მიმოიფანტნენ და ოსმალეთის დაბა-ქალაქები აავსეს, უფრო კი სტამბოლის უბნები. მ. ხანუმმა ასე გააზვიადა: თუ მოვიდნენ აქაური ქართველნი, ნახევარი სტამბოლი თქვენი იქნება, სულ თქვენი ძმები და თქვენი დისწულები არიანო. თქვენი დისწულები! აბა, ყური დამიგდე რაშია საქმე: ნებითი თუ უნებლიეთი ემიგრაცია მუსულმან ქართველებისა საკმაო არ გამხდარა გულგაუმაძღართათვის. მოგეხსენება, ქება ქართველთა სილამაზისა თურქეთში ანდაზაც კი შემდგარა: **სილამაზე გურჯისტანშია, ჭკუაც ფრანგისტანშიო.** დაძლეული, დედაბუდიანათ ანგრეული ქართველობა, დაქსაქსული და ეროვნულ თავმოყვარეობა დაკარგული ვიღას რას წინააღმდეგობას გაუწევდა, გაეხსნა ფართო ასპარეზი გულის თქმას, გაიმართა თარეში და ქალების გროვება, არა საშუალება არ ყოფილა დაწუნებული: **მოპარვა, მოტაცება, მოტყუება, წართმევა** და ზოგჯერ ნებით მიცემა ქალებისა ერთნაირად წარმოებდა. და ეს იყო დიდხანს, თვითონ უკანასკნელ დროებამდე. მოჰყავდათ და დიდ ოჯახებში არიგებდნენ და მათი ასავალ–დასავალი სამუდამოდ იკარგებოდა. არად იყო ჩაგდებული კაცის ტანჯვა და პიროვნების შელახვა. თუ ძნელია სამშობლოს დაკარგვა კაცისთვის, მით უფრო ძნელია ყოვლად უმწეო ქალისთვის.

აი, პატარ-პატარა ილლუსტრაციები იმისი, თუ რა გრძნობით აღამებდნენ სიცოცხლეს უბედურნი არსებანი. მ. ხანუმას რომ ბინა უძებნია, შემთხვევით ერთი ქვრივის სახლი უნახავს და იქ დამდგარა. სახლის პატრონს გაუგია, რომ მდგმური ქართველია და შესულა. შენი ჭირიმე, ჩემო დედავ, ჩემო თვალის სინათლევ, შენ გურჯი ჰყოფილხარო და გადაჰხვევია. თითონ ვინღაა საბრალო? საქართველოდან ყოფილა უნებურად წამოყვანილი პატარაობისას და **მას აქეთ აღარც დაუნახავს სამშობლოს ცა და დედმამის თვალები.** დედმამის სახელი აღარ ახსოვს, ენა დავიწყებია და ლაპარაკით ატყობს, გვარიც დავიწყებია, იცის მხოლოდ, რომ გურჯია და ამ ნატვრაში დაბერებულა: ერთი გურჯი მაჩვენა, ჩემი გვარის კაცი მანახვაო. ამ მანდილოსნის ქალიშვილი ჩვენც გაგვაცნო. ქალმა ჩვენთან პირი აიხადა, მ. ხანუმის დარიგებით, დაღონებული სახისა იყო, შემკრთალი და შეშინებული. **შველი რომ ველზე გამოვა საძოვრად და თვალი ისევ ტყისკენ უჭირავს**, ისე იდგა ჩვენთან გაუცხოებული ჩვენი დისწული. ჩვენ ხომ ვუთხარით, თქვენი ძმები ვართო, იმან მადლობა გადაგვიხადა. მაშინ რაღას გვეტყვიან, თუ ნამდვილად დავუმტკიცეთ ძმობა?

მე ჩვენი ხალხის ბედი გამკვირებია, რომ იგი თითონ გამხდარა თავისი მტერი და თავის დანით იჭრის ყელს. **ამ წარსაწყმედელ და ერის გამწირვებელ საქმეში თვით ქართველს რევია ხელი და მე ეჭვი მაქვს, დღემდე ხომ არ არსებობს რაიმე ორგანიზაცია** ამ სამარცხვინო მიზნისა და პროგრამისა. ჩვენმა თანამოსაუბრემ ერთიც სხვა მიამბო ქალთა საცოდაობა. იმ ქართველს წამოუყვანია საქართველოდან მოტყუებით და აქ ერთ დიდ ოჯახში მიუცია, ვითომ მოსამსახურედ, ლამაზი მოზარდი ქალი. რამდენიმე ხნის შემდეგ იმავე მხრიდან წამოუყვანია მეორე ქალი და ისიც იქვე მიუცია... მოსამსახურედ, მაგრამ სხვა განყოფილებაში, სახლი დიდი ყოფილა. გავიდა რვა წელიწადი, ქალები დაიმზარდნენ, ორივეს ერთად მისცეს საქმე, ერთმანეთს შეხვდნენ. კარგა რომ დაახლოვდნენ, დაუწყეს ერთმანეთს გამოკითხვა. უფროსი ქალი რომ ჰკითხავდა დედ-მამის სახელს, გვარს, სოფელს, გაოცებული რჩებოდა, ყველაფერი ენიშნებო-

და. უთხრა: –დობილო, მაპატივე და ღმერთიც მრისხავდეს, თუ ჩემს დღეში ვისმე მამაკაცს ვუთხრა, სახელო აიწიე და მკლავი მაჩვენეო. უმცროსმა თხოვნა აუსრულა, გადიწია მკლავსა და პატარაობისას ცეცხლნამწვარი ნიშანი გამოჩნდა. **ჩემი და ჰყოფილხარო,** შეჰკივლა მის დანახვაზე მეორე ქალმა და გულშემოყრილი დაეცა ძირსა. დღეს ორივენი ერთად არიან უკვე დადეკაცებულნი და გათხოვებას ეხლა უპირებენ.

აი, ამ გვარ ამბებით არის აჭრელებული ისტორია უბედურის ხალხისა. ალბათ, ის დები და ათასი მისთანები სიხარულით გამოგყვებიან უკან გამოსაბრუნებლად, თუ მშველელი ხელი გავუწოდეთ. ქალს ყველაზე ძლიერ ენატრება სირცხვილიდან გადარჩენა. მაგრამ თუ ამიერიდან მაინც არ **გავძარით გული, განრეცხვად ჭუჭყისა ჩვენის ეროვნების გვამიდან**, მაშინ გამოჩნდება, **რომ მართლა ღირსნი ვყოფილვართ ფურთხისა და ასეთ გაბასვრა-განქიქებისა**, ნუ იქნებიან ესე!

ამით ვათავებ ამ წერილს და შემდგომი ამბავიც მალე გეუწყება, აზრი და დასკვნები ჩემის მხრივ მაშინ მოჰყვება.

შენი მეგობარი ფარსმან მაძევარი

სტამბოლი, ფერი-ქო, 1910 წელი, 18 იანვარი.

დროება, N39, 1910 წ.

ბათომელი (უცნობი ფსევდონიმი)

წერილები სტამბოლიდან

ვიცი, რომ ქართველობას ძლიერ აინტერესებს აქაური ამბები, ვსარგებლობ შემთხვევით და გაცნობებთ აქაურ ამბებს.

სტამბოლი, ეს უზარმაზარი მმრავალრიცხოვანი და მრავალფეროვანი ქალაქი, ამ ჟამად, დიახაც, დიდებულ სურათს წარმოადგენს. სიცოცხლე დუღს და გადმოდის.

დღევანდელი სტამბოლი სულაც არა ჰგავს ამ სამი თვის წინედ ყოფილ სტამბოლს. ძალმომრეობა და თვითნებობა ძლიერთა ამა ქვეყნისა დღეს თითქოს ერთის ხელის მოსმით მოსპობილა და სამუდამოდ წარხოცილა.

თვით ფადიშაჰი, მისი მემკვიდრე და შვილიშვილები, დიდებულნი და კარის კაცნი, მინისტრები და ფაშები თავისუფლად დადიან შიგ ხალხის შუა გულში. არც შიში, არც სისასტიკე ძველებური ძალმომრეობისა, არ აშინებს და არ აწუხებს ხალხს–დიდს თუ პატარას.

ყველანი ერთის დიდებულის აზრით, ერთის დიდებულის სურვილით არიან შედუღებულნი. ყველასა ჰსურს განახლება ცხოვრებისა, ქვეყნებისა და ურთიერთშორის დამოკიდებულებისა.

ხვანთქრის „სალამალიკზე“ წინედ ვინ ნახავდა ხალხს. ეხლა კი ეს სალამალიკები უმთავრესად მდაბიო ხალხით არის სავსე, ჯარის კაცები კი კანტი-კუნტად აქა-იქ დგანან...

ყველგან კრებები და მიტინგები, მეჩეთები და საყდრები ხალხით არის გაჭედილი. მოლები და მღვდლები ხალხს უქადაგებენ: **„ჩვენ ყველანი მუსულმანები, ან არა მუსულმანები, განურჩევლად რჯულისა, წოდებისა და წლოვანობისა ძმანი და ერთის სამშობლოს თანასწორნი შვილნი ვართ თავისუფალ ქვეყანაში. განსხვავება ჩვენ შორის მაშინ არის, როცა ზოგნი მეჩეთებში და ზოგნი ეკლესიებში ვლოცულობთ ჩვენ ჩვენს ენაზე, ხოლო მუშაობაში, სწავლა-განათლებაში, ვაჭრობა და აღებ-მიცემობაში, მამულის ერთგულებაში და მისთვის გარჯა-მოღვაწეობაში სრულებით ერთსულნი და ერთხორცნი უნდა ვიყვნეთ“!..**

დიდ როლს თამაშობს სტამბოლის დღევანდელ ცხოვრებაში **თეატრები**. თეატრი გახდა უმთავრესი ძარღვი ხალხის ურთიერთობის გასამტკიცებლად. იწერება ახალი დროის შესაფერი პიესები; მათს წარმოდგენაზე დიდ-ძალი ხალხი ესწრება, და სრულებით მცირე-მნიშვნელოვანი საბუთიც საკმარისია, რომ ხალხით გაჭედილი სახლი ხელად დიდებულ კრებად და მიტინგად იქცეს, სადაც გაისმის იმედით აღსავსე სიტყვები გამოჩენილ ორატორებისა.

ოსმალეთის თეატრს დიდი მნიშვნელობა ექნება ხალხის თვითცნობიერებისა და პოლიტიკური დამწიფებისათვის... რა თქმა უნდა, ჟურნალ-გაზეთობის საქმეც ერთი ასად გაიზარდა და გაღრმავდა. დღეს ვინც წერა-კითხვა იცის, ყველა კითხულობს გაზეთს, ხოლო ვინც არ იცის, ისინი მაინც ყიდულობენ და სხვებს აკითხინებენ და ასე ადევნებენ თვალყურს ქვეყნის საქმეებს.

რა თქმა უნდა, ქართველებს მეტად აინტერესებს აქაური ქართველ მაჰმადიანების ყოფა-ცხოვრება. სიამოვნებით და სიამაყით გეტყვით, რომ სტამბოლის ქართველობა დიაღაც საქებურია და უეჭველია, ამ ცოტა ხანში დიდ მნიშვნელოვან ძალად შეიქმნება. ახალგაზრდა თურქების პარტიებში უმთავრესი ადგილები სულ ქართველებს უჭირავთ და ხალხიც დიდის ნდობით ეპყრობა მათ.

ჯერ ხანად პარტიის ლიდერებში ჩამოგითვლით შემდეგ პირთ: საგენერალო შტაბის ოფიცერი 28 წლის ყმაწვილი **უსუფ-ბეი ლორთქიფანიძე (ბათომელია). ეს იყო პირველი, რომელმაც სალონიკში თავისი ბატალიონი თავისუფლებას შეაფიცა. საუცხოვოდ განათლებულია, განსაკუთრებით სამხედრო ხელოვნებაში და მალე სამხედრო აკადემიის პროფესორად დაინიშნება.**

მისი ძმა, საგენერალო შტაბის პოლკოვნიკი „ითიადის“ ლიდერია თვით შტაბის ოფიცერთა შორის.

საგენერალო შტაბის ოფიცრები, პოლკოვნიკები **აჰმედ და მაჰმუდ ბეგები, თავდგირიძენი** (ქობულეთლები) პარტიის ბურჯათ ითვლებიან.

ახმედ ბეი ამ ათის წლის წინედ **„ახალ თურქთა“** პარტიის მიმხრობისათვის როდოსში დაატყვევეს, მაგრამ მალე გაიქცა პარიზში და იქ პარტიის გაზეთ „**მეშვერეთში**“ მუშაობდა და უფროსობდა.

ჯერ-ჯერობით ეს იკმარეთ, ზოგი შემდეგისათვის იყოს.

სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველო“, N3, 1908 წ. ხელნაწერიცა და ჟურნალის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. „ბათომელი“–უნდა იყოს **მემედ-ბეგ აბაშიძის** ფსევდონიმი. იგი იმჟამად ხშირი სტუმარი იყო სტამბოლის ქართული სავანისა.

ბათომელი

წერილები სტამბოლიდან

მაპატიეთ, ცოტათი შემიგვიანდა მორიგი წერილების მოწერა თქვენთვის, მაგრამ ამის მიზეზს თქვენც მიხვდებოდით.

უკანასკნელ ხანებში ოსმალეთში ისეთი ამბები დატრიალდა, რომ კაცმა არ იცის, ხვალინდელი დღე რითი გათენდა – ომით თუ რეაქციის გამარჯვებით, მეტად აირია მონასტერი.

იმ შესანიშნავ დალხინებას და აღტაცებას, რომელიც მოყვა კონსტიტუციის გამოცხადებას, მალე შავი ღრუბელივით ჩამოეფარა პოლიტიკური ავანტიურა მეზობელ სახელმწიფოთა: ავსტრო-უნგრეთის თავხედური საქციელი ბოსნა-გერცოგოვინას შემოერთებაზე და ბოლგარეთის გამონაწილება, დამოუკიდებელ სამეფოდ გამოცხადება, რომელსაც წინამორბედად მიუძღო და აღმოსავლეთ რკინის გზის ხელში ჩაგდება.

ადვილად წარმოიდგენთ, რა შთაბეჭდილებას მოახდენდა ოსმალებზე ზემოდ აღნიშნული თავხედობა გაუნრჩევლად ეროვნებისა, რჯულისა, წლოვანობისა, წოდებისა და სქესისა. ყველანი ერთსა და იმავეს გაიძახიან: „არ შევარჩენთ არავის ჩვენს შეურაცხყოფას, მეტადრე იმისთანა დროს, როცა ოსმალეთი შინაურ საქმეთა მოწესრიგებას უნდებოდაო!“

ავსტრო-უნგრელების წინააღმდეგ სტამბოლის მცხოვრებლებმა თავიანთი გულის წყრომა იმით გამოხატეს, რომ ბოიკოტი გამოუცხადეს მათს საქონელს. ასეთივე ბედი ეწვია ბოლგარელთა მაღაზიებსაც. არა მგონია, რომ სადმე ან როდისმე ყოფილიყოს ასეთი მტკიცე ერთობლივი შეთანხმებული ბოიკოტი. დიდ ძალი სავაჭრო და სამრეწველო მაღაზიები და დაწესებულებანი დაიკეტა ამ ორ სამ კვირაში. ყოველ ნაბიჯზე „ლიკვიდაციის“ განცხადებაა. ბევრი ცნობილი ფირმები გააკოტრა ბოიკოტმა და ბევრი ააბარგა სტამბოლიდან. სამაგიეროდ, ინგლისისა და საფრანგეთის საქონელს ხალხი ბუზივით ეტანება... გერმანია ყურებ ჩამოშვებულია...

ეხლა **წითელი ფესების მაგიერ,** რომელიც ავსტრიაში კეთდებოდა უმთავრესად, სტამბოლში **სულ თეთრ ფესებში დადიან,** რადგან ადგილობრივი ნაწარმოებია.

პირველადვე ვნახე ჩემს სიცოცხლეში, თუ **რა მძლავრი ყოფილა კულტურული შურის ძიება შეურაცხყოფილი ხალხისა! კაცმა მართალი უნდა სთქვას, რომ ოსმალო ძლიერი ხალხია, ძლიერი ფიზიკურად და ძლიერი სულიერადაც.**

რაღა თქმა უნდა, ამ „არეული მონასტრით“ ისარგებლეს შავ-ბნელ ძალებმა, ამ ქვეყნის მძლავრთა ჯგუფების სულის კვეთებამ – რეაქციამ. ეგ ხომ ჩვეულებრივი საქმეა ყველგან და ყოველთვის.

რეაქციის წინ ჩადგა „ქიორ ალის“ ჯგუფი და ბევრ სისაძაგლეს ჩადიოდნენ, რომ ახლად შობილი თავისუფლება ჩაერჩოთ აკვანში, მაგრამ ამაოდ! ახალ თურქების კომიტეტი არ მოერიდა რეაქციონერებს და სასტიკი ბრძოლა გამოუცხადა...

ზოგი რეაქციონიერები იმ ზომამდე მივიდნენ, რომ მოლლების ტანსაცმელებში გამოეწყვენ და ისე შედიოდნენ მეჩეთებში და ხალხს აღელვებდნენ ახალი რეჟიმის წინააღმდეგ. ათასნაირ ხრიკებს და ოინებს ხმარობდნენ ეს ვაჟბატონები და ზოგჯერ უსინდისოდ ძალმომრეობდნენ კიდეც, რომ შფოთი და არევ-დარევა ჩამოეგდოთ ძველსა ახალს შუა, მაგრამ, როგორც მოგახსენებთ, იმათი ცდა ამაო გამოდგა. მალე მიაგნეს იმათ მთავარ ბუნაგს და ზოგი დააპატიმრეს, ზოგი დასაჯეს სიკვდილით. სწრაფად გასწმინდეს ჰაერი მათი მავნე ზეგავლენისაგან...

სიამოვნებით უნდა აღვნიშნოთ, რომ მწერლობა მედგრად ებრძვის რეაქციონერებს და ყველა კუდა მელა და გაიძვერა ვითომდა ხალხის მტერს ნიღაბსა ხდის. ამასთანავე, მწერლობა–ჟურნალ-გაზეთობა უმტკიცებს ხალხს, რომ რაც მოხდა, ეხლა ავსტრო-უნგრელთა, ბულგარეთ-თა და სხვათა მიერ, ეგ მხოლოდ ძველი რეჟიმის ნაყოფია და ამაში ახალ თურქებს არავითარი ბრალი არ აქვსო; საჭიროა დინჯათ ვიყოთ, არ ავჩქარდეთ, და მომავალს იმედის თვალით ველოდოთო. ახალი თურქები კი არ ანაწილებენ და არ ანგრევენ ოსმალეთს, არამედ ძველი წეს-წყობილება მთელი ასი წლის განმავლობაში ამზადებდა ამ ნგრევა-დაქცევასო, ხალხს სჯერა ეს ჭეშმარიტება და შედარებით დინჯად იქცევა, ან პოლიტიკურ სიფხიზლეს არ კარგავს.

არ დაგიმალავთ, რომ ალაგ-ალაგ ჯარიც ღელავს, მაგრამ მათაც მოუარა ახალ თურქმა, სხვა და სხვა ადგილებში დაქსასა...

რაც შეეხება ომისათვის მზადებას, ამ შემთხვევაში მაინც და მაინც თვალსაჩინოთ არა ხდება რა, თუმცა **ეხლანდელი სამხედრო მინისტრი, ტომით ქართველი,** ფხიზლად არის და უეჭველია შესაფერ თადარიგს იჭერს, რომ ყოველ შემთხვევისათვის მზად იყოს ოსმალოს კანონიერი სურვილი თოფ იარაღით და ზარბაზნებითაც დაადასტუროს.

რაც შეეხება **აქაურ ქართველ მაჰმადიანებს,** ისინი, რა თქმა უნდა, პირველ რიგში არიან ყოველივე საქმეში. ძრიელ თხოულობენ ქართულ ბეჭდურ ნაწარმოებს, ჟურნალ-გაზეთებს და წიგნებს. „**საქართველოს“** ნომრები მივიღე და აქაურ რედაქციებს დავურიგე, ზოგი წერილი გადაითარგმა კიდეც რედაქციის შენიშვნებით და განმარტებით...

ვნახოთ როგორ გამოვა ახალი ოსმალეთი მძიმე გაჭირვება-განსაცდელისაგან და ხვალინ-დელი დღე რას მოგვიტანს!

სტატია დაიბეჭდა ჟურნალში „საქართველო“, (იხ.№7, 1908 წელი).

ჟურნალის ნომერიცა და მანქანაზე ნაბეჭდი სტატიის ტექსტიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ემილ-ეფენდი (უცნობი ფსევდონიმი)

ქართველი მაჰმადიანები

(წერილი ოსმალეთიდან)

კერასუნდა ერთი პატარა და კოპწია ქალაქია, გაშენებული შავი ზღვის პირად, ტრაპიზონის დასავლეთით, ტრაპიზონიდან ხომალდით ექვსი საათის სავალზეა. მდებარეობა კერასუნ-დასიმნაირივე აქვს, როგორიც ტრაპიზონს, მხოლოდ უფრო ლამაზი და მშვენიერია. ქუჩებიც შედარებით განიერი და სწორი აქვს.

აქ ერთ დროს ქალაქის თავად ყოფილა, ადგილობრივი მდიდარი ბერძენი, კაპიტანი **გიორგი კონსტანიდი,** რომელსაც ამ ქალაქის გამშვენიერებაში დიდი ღვაწლი მიუძღვის. გაუკეთებია ქუჩები, შემოუყვანია მილებით წყალი, გაუმართავს მრავალი აუზი, აუგია ბევრი საზოგადო და სახაზინო შენობა. როცა ქალაქის შემოსავალი ხარჯს ვერა ჰფარავდა, თავისას ადებდა. თავის ხარჯით გაუჭრევინებია უზარმაზარი ზღვის პირის სალი კლდეები და გაუყვა-ნია ერთი ქუჩა, რომელიც ქალაქს აკროპოლის გარშემო უვლის. აქვე აუშენებია მშვენიერი ეკლესია. კაპიტან გიორგი კონსტანტინიდის ღვაწლი მთავრობასაც დაუფასებია და სულთანს ფაშობის ხარისხით დაუჯილდოვებია. გიორგი ფაშა ქალაქის თავად კერასუნდაში სიკვდილამ-დე დარჩენილა. მომკვდარა 8 წლის წინად და დასაფლავებულია საკათედრო ტაძრის გალა-ვანში. მისი ძეგლი აგებულია კლდეზე და წარმოადგენს თვალუწვდენელ სიმაღლის კოშკს. ეს ძეგლი მას სიცოცხლეშივე აუგია.

კერასუნდა მაზრის ქალაქია ტრაპიზონის ვილაეტში. აქ ითვლება 18 ათასი მცხოვრები. აქედან 8 ათასი მაჰმადიანია, 8 ათასი ბერძენი და 2 ათასი სომეხი. უმთავრესი აღებ-მიცემობა ამ ქალაქს და იმის მაზრას თხილითა აქვს. ქალაქის განაპირა უბნები და გარშემო ადგილები სულ თხილის ბაღებით არის შემოსილი. **ცარიელ ადგილს აქ კაცი იშვიათადა ნახავს**. თხილს პირველი ადგილი უჭირავს და ეს დარგი მეურნეობისა აქ კარგადაც არის დაყენებული. აქ აშენებენ უმთავრესად ორი ჯიშის თხილს. ერთი სულ მრგვალია, ამას ამტვრევენ და დამარცვ-ლული იყიდება. მეორე მოგრძო და წვეტიანია, ეს კი კაკლად გადის. თხილის დასამტვრევად ცალკე წისქვილებია. თხილის ვაჭრობით გამდიდრებული მილიონერი კერასუნდაში თხუთ-მეტამდე იქნება. თხილის ფასი ეხლა აქ ფუთი 3-4 მანეთია, დარჩეულისა კი 6-8 მანეთი. ორთა-შუა რიცხვით კერასუნიდან წელიწადში გადის 700-800 ათასი ფუთი თხილი ოთხ მილიონ მანეთისა.

აქ ადგილები სულ მთაგორიანია და ამასთან მწირი ზეგნის მიწები, მაგრამ თხილი ძალიან კარგად ხარობს. აქაური ზეგნის ფერდები სულ თხილის ბაღებს უჭირავს და ეს შეადგენს აქაურ მკვიდრთა ცხოვრების პირველსა და უმთავრესს საღსარს.

რომ ეს დარგი მეურნეობისა სხვა ქვეყანაში არ გავრცელდეს და ამით ამ მხარეს შემოსავალი არ დაეკარგოს, ოსმალოს მთავრობას აუკრძალავს ნერგების სხვა ქვეყანაში გატანა.

ქართველი მაჰმადინი კერასუნდაში ცოტა ყოფილა, სულ 15 კომლი იქნება. გავიცანი ერთი მათგანი, **იუსუფ აღა სურმანიძე.** მოხუცია, იქნება 60 წლისა, აჭარიდან არის გადმოსახლებული, ქართული კარგად იცის, და აქ ციხის უფროსად არის. იუზბაში **ოსმან ეფენდი ელიაშვილი** უნიედან არის და აქ სამსახურშია. ქართული ლაპარაკი იცის, წერა-კითხვა კი არა; მივეცი „დედა ენა“ და ჩემთანვე შეისწავლა რამდენიმე ასო, როცა ამასთან პირველად ვიყავი და

ვლაპარაკობდით, შემოვიდა ის ციხის უფროსი, **სურმანიძე,** მაშინ იმას არ ვიცნობდი და იუზბაშს ციხის შესახებ მოხსენება ქართულად გადასცა. **ქემალ ბეი ჯაბალ ფაშა ზადე** ოსმალოა, მაგრამ დედა ქართველი, **ანანიძის ქალი, ჰყავს.** კაცი ევროპიულად განათლებულია და კერასუნდაში თამბაქოს რეუი-მუდირის თანამდებობა უჭირავს. ქართული არ იცის, არც ლაპარაკი და არც წერა-კითხვა. გულით კია მოწადინებული შეისწავლოს–დედა-ჩემს მის სამშობლო ენაზე დაველაპარაკებიო.

ქემალ--ბეისთან არის ყორჩიბაშად **ჯემალ ქარცივაძე.** ეს ნამდვილი ქობულეთელია, ცოცხალი და მკვირცხლი. გეგონება, თვალებიდან ცეცხლს აფრქვევსო. ქართულად ძალიან კარგად ლაპარკობს, წერა-კითხვა არ იცის. „დედაენა“ აღარა მქონდა, რომ მიმეცა. დავპირდი, უნდა გაუგზავნო, ჯერ-ჯერობით -კი ხელნაწერი ანბანი მივეცი. იგი ორდუდან არის. იქ ქართველი ბევრი ყოფილა და კარგადაც სცხოვრობენ თურმე; გავუზიარებ მკითხველს, რაც ამან ორდუზე მიამბო.

ორდუ ტრაპიზონის ვილაიეტის მაზრის ქალაქია, ზღვის პირად მდებარეობს, კერასუნდი-დან სტამბოლისაკენ ხომალდით სამი საათის სავალზე. მცხოვრები 13 ათასია; 5500 მაჰმადიანი, 4000 ბერძენი და 3500 სომეხი. ქართველი მაჰმადიანები სცხოვრობენ ორდუს ახლო-მახლო სოფლებში. სულ ამათი რიცხვი ოცდაათი ათას სულს აღემატება. სოფლები დაშორებულია ორდუზე ერთიდან ათი საათის სავალზე. ადგილები შედარებით სხვაზე უფრო ვაკე და ნოყიერია. აქაური ქართველები სულ ქობულეთიდან არიან გადმოსახლებულნი; ადგილი **ალი-ფაშა თავდგირიძეს** ამოურჩევია და დაურიგებია ამათთვის, როგორც თავის მეზობლე-ბისათვის. აქაური სოფლების სახელები: **ოჯელი, ჩაუშლარი, ყურული, დელუკაია, თეინელი,** ყურმეშჩალი, კოზალი, ულებეგი და ყარადერი. გვარები: **ქარცივაძე, წულუკიძე, გოგოლიშვი-ლი, გოხიძე, ანანიძე, ბეჟუნაიშვილი, მგელაძე, ბაჯელიძე, კილაძე, ტაკიძე, ჯაფარიძე, მურვა-ნიძე, ხაბაზი, ქათამიძე, ებზენიძე, ხინიკაძე, თამაზაიშვილი, ცეცხლაძე, სადარაძე, ნაკაიძე, კონტრიძე, გოგიტიძე, ცივაძე, კობახიძე, ჯენიქიძე, ასანიძე, და შავიშვილი.**

აქ ესენი დასახლებულან და მოწყობილან ისე, როგორც თავიანთ სამშობლოში, ქობულეთ-ში იყვნენ. გაუჩენიათ ურემი და კავსახნისი, მოჰყავთ სიმინდი, ჭვავი, პური, ქერი, ულაფი (შვრია), ღომი, ლობიო და თუთუნი. არის თხილი და ყოველნაირი ხეხილი. მოჰყავთ, აგრეთვე, აბრეშუმი. თხილი გადის ორდუდან წელიწადში 130,000 ფუთი 680. 000 მანეთისა. ორდუდან სიმინდიც გადის, წელიწადში 60 ათასი ფუთი 45 ათასი მანეთისა.

აქ საჭიროა შევნიშნოთ, რომ მთელ ანატოლიაში სიმინდი ყველგან შემოაქვთ კავკასიიდან, ორდუდან კი გააქვთ. ეს გარემოება უნდა მიეწეროს აქაურ მაჰმადიან ქართველებს, რომელთაც გადმოიტანეს ქობულეთიდან სიმინდის დამუშავების იქაური წესი.

სტამბოლის ქართული სავანე, 1909 წელი. 15 იანვარი.

დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

იმმა

(უცნობი ფსევდონიმი)

სტამბოლიდან

ქართველი ყველგან ყოჩაღია, ვინ გულადობს მათი სიყოჩაღით. ახალციხელი კათოლიკები ქართველებია თუ სომხები–მათი გადაგვარება ვისი ბრალი უნდა იყოს – აზრი პატრი ალექსანდრე ხისტარაშვილისა ქართველ-კათოლიკების შესახებ.–სომხებს რა აგულდიდებს?! ჩაყუჩდა სომხების მოძრაობა... პატარა შენიშვნა ოსმალეთის ვინაობაზედ, ვინ არიან ესენი: თათრები თუ თურქები? ნორდარის რედაქციის პასუხის გამო, ახალი ნავთსადგური „კე“ სტამბოლში. მენავეების ბუნტი ქართველს რა აწუხებს საზღვარს გარეთ; ხმა სამინისტროს გადადგომაზე და ბოსფორში საყოველთაო სამხედრო გემების მიმოსვლაზე (სტატიას ეს გეგმა აქვს წამძღვარებული).

რამაზანის[1] მეთუთხმეტე დღეს სულთანი მიდის სალოცავათ მუხამედ ფეიხამბერის (წინასწარმეტყველის) ხირხის (ხალათის) სამთხვევათ **ეიუბის ჯამეში** (მეჩეთში). ეს არის ძველი კანონი, ანუ ჩვეულება ოსმალეთის სულთანებისა. აქ სტამბოლის ერთ ნაწილში არის მეჩეთი, **ეიუბათ წოდებული,** საცა ინახება **ხალათი მუხამედისა**, რომელიც გადმოუტანია მექქადან **სულთან სელიმს**. ამ ხალათის გადმოტანიდან გამხდარან აქაური სულთანები „ხალიფე“ დ (მოადგილე მუხამედისა). თათრის რჯულში ამ ხალათს ის მნიშვნელობა აქვს, რომ ვინც ამ ხალათს ინახავს, ანუ იცავს, ის არის რჯულის თავი და მოადგილე–ვექილი ფეიხამბერისა. ყოველ წლობით, რამაზანის მეთხუთმეტე დღეზე, დიდის ამბით მივა ხოლმე სულთანი ამ ჯამეში, ილოცავს, ემთხვევა ხალათს და თუ სურს იფტარსაც2 ინებებს. სწორეთ ამ დღეს, როცა სულთანი მიემგზავრებოდა სადღესასწაულოთ თავის ოქროთი შეჭედილი ამალით, ერთ მხლებელთაგანს–აფიცერს ცხენი დაუფრთხა და გაექანა იქითკენ, საცვ აქური **ქართველ-კათოლიკეთა** (მამა) **პატრი ანდრიას სკოლის მოსწავლეები** იყვენ გამწკრივებულნი და სულთანის პატივსაცემად პაწაწინა ხელებით მუზიკას უკრავდენ. ცხენოსანი ბევრს ეცადა, ცხენი შეეკავებია. ნამეტანის მოწევისაგან ლაგამი გაწყდა და ცხენი გადაეშვა პირდაპირ ამ ბავშვებზე; ამ დროს მიწვდა პატრი ანდრია, ეცა ცხენს ნაწყვეტ ლაგამში და თუმცა თვითონაც წაიქცა, თანაც ცხენი შეაკავა, მაგრამ უბედურება სრულებით მაინც ვერ აცდა საწყალ ბავშვებს. ერთ ბავშს ცხენმა ფეხი მოტეხა და ორი-სამი მცირეოდნათ დააშავა. თუმცა ძრიელ ეცადენ მართლმორწმუნეები, მაგრამ სულთანის გამჭრიახ თვალებს, მაინც ვერ გამოაპარეს ეს შემთხვევა. სულთანმა მაშინვე მოიკითხა ესენი, ანუგეშა და ბრძანა; მაგათი ვინაობა და ყოველივე მომხდარი დაწვრილებით შემატყობინეთო. მეორე დღეს მოახსენეს სულთანს:

ფრანგების სკოლის მასწავლებელმა პატრი ანდრიამ გაგიჟებული ცხენი გააჩერა და ამით უბედურება ერთი ათად შეამცირაო, თუმცა მაინც რამოდენიმე ბავში დაშავდაო. **სულთანმა პატრი ანდრიას რწმუნებულ სკოლას ას ორმოცდა ათი ლირა აჩუქა** და თვითონ მას-კი ამ ყოჩაღობისთვის **მეოთხე ხარისხის მეჯიდის ნიშანი უბოძა**: **დაშავებული ბავშები სახელმწიფო**

---

[1] **რამაზანია** თათრული მარხვა, როცა დღისით სრულებით არც ჭამენ, არც სმენ და არც თუთუნს წევენ, მხოლოთ რა დაღამდება–მზე ჩავა, შემდეგ თითქმის გათენებამდის ქეიფსა და განცხრომაში არიან და საუკეთესო საჭმელებს ჭამენ. რამაზანი ოცდა ათი დღეა.

[2] **იფტარია** გახსნილება ანუ პირის ახსნა. მზე რომ ჩავა, მაშინ ყველა საჭმელს მიირთვამენ და ამას ქვია **იფტარი**.

სავადმყოფოში დააწვენინა და ყველა მათგანი ათ-ათი ოქროთი დააჯილდოვა, სასიკვდილოთ არც ერთი არ არის დაშავებული. მადლობა ღმერთს! თუმცა „ქართველი ყველგან ყოჩაღია“, მაგრამ ნუ იტყვით, პატრი ანდრია, ეს პატიოსანი მოღვაწის პატრიოტის მამა **პეტრე ხარი-სარაშვილის** გამოზდილი კაცი, თურმე ის არის მოხსენებული, როგორც ფრანგის მღვდელი (ფრანცუზი). მისი სკოლა რომ ფრანცუზების სკოლა არის, ეს დიდი ხანია, ვიცით. რა გგონიათ, ჩვენი კათოლიკე სარწმუნოების მამები აქ ვისთვის შრომობენ? ან ვინ უნდა ასახელონ ამ რიგი მათი ბუნებრივი ვაჟკაცობით? ცხადია, – ფრანცუზები, ის ფრანცუზები, ვისაც ისე ეჭირებათ ამათი შემწეობა და სახელი, როგორც უკიანე ზღვას ცერის ღვარი!

აქაურ საზოგადოებაში ხშირათ ჩავარდნილია ლაპარაკი იმის შესახებ, თუ აქაური ახალ-ციხელი კათოლიკობა, რომელიც დღეს თავის თავს ქართველს უწოდებს, ქართველნი არიან, თუ სომხებიო. სომხები ამტკიცებენ, რომ ქართველი კათოლიკე ქვეყანაზე არ სუფევსო; ამის საბუთათ მათ ის მოჰყავთ, რომ ახალციხის მაზრაში და სამესხეთოში კათოლიკობის შემოღებიდან, ვიდრე დღემდის და წინეთაც ყველა ესენი, ვინც დღეს ქართველ კათოლიკეს ირქმევენ, სომხები იყვენ დ ახლაც სომხები არიანო, რადგან ნათვლა და ყოველივე საეკლესიო წესი სომხურათ სრულდებოდა და დღესაც სრულდებაო; ამას მათი ენა, სომხური (ბევრმა ქართული სრულებითაც არ იცის) კილო და ტიპიც ამტკიცებსო. **მართლაც, საუკუნოებს ისეთ-ნაირათ აღუბეჭდავს თავისი კვალი ძველის ძველ მესხებზე, რომ ტიპიურათ და ენის კილოთი ძნელათ გაირჩევიან სომხებისაგან. ქართული ამათ მხოლოთ გამბედაობა და უდარდელობა შერჩენიათ.** ამათს ასე გადასხვაგვარებას, აი, რას წერს ყველასაგან პატივცემული ქართველი პატრიოტი მამა ალექსანდრე **ხისტარაშვილი:** „დაიჭირა თუ არა ოსმალეთმა სამესხეთო, მაშინვე მოიწადინა თავისი ჩვეულებისადაგვარ ყველა ქართველნი გაესუსულმანებია (გაეთათრებია). სასომხეთო დიდიხნით ოსმალების ქვეშევრდომნი იყვენ და იმდროს, როცა სამცხე-საათაბაგო ოსმალეთმა აიღო, სომხები კარგათ დაწინაურებულები იყვენ ოსმალების სამსახურშიო... ამის მიზეზით სომხებსა და მათს რჯულს, როგორც დიდი ხნის შერიგებულს ხალხს მათს მონობაზე, არ ერჩოდენო. რა ოსმალეთის მთავრობამ ბრძანება გამოცა, რომ ყველა ახალი დაბინავებული ქართველები უნდა გამაჰმადიანდენო, მაშინ ჩამოდგა ამათ შუა სომხის დაწინაურებული პირები და ურჩიეს ქართველებს, თავის თავი სომხებათ გამოცხადებიათ და ამით დაეცვათ რჯული.

მეტი ღონე არ იყო, ქართველებმა გამაჰმადიანებას არჩიეს სომხებთ ეცნობინებიათ თავიან-თი თავი თათრის მთავრობისთვის და ასეც მოიქცენ. ამას შემდეგ ყოველივე სასულიერო წესრიგიც სომხურათ შემოიღეს. ბევრსხანს აღარ გაუვლია, სამცხე საათაბაგოში თათრის მთავრობამ კათოლიკეთა მისიონერები შეუშვა. ამ მისიონერებმა გააკათოლიკეს სამესხეთოს რამოდენიმე ნაწილი, მათ რიცხვს მოჰყვა ეს სომხებათ აღსარებული ქართველებიც და ჩაიწერა ყველა ესენი სომხის კათოლიკებათო“. ჩვენ ვფიქრობთ, ეს აზრი სრულებით სინამდვილეს მოკლებული არ უნდა იყოს. თუ რომ ესენი თავიდანვე სომხები იყვენ და არა ქართველნი, თა-ვიანთ ნამდვილს გვარზე უარს როგორ იტყოდენ, ნუ თუ სომხობა ქართველობაზე უარესია? ჩვენ აქ, ნურვინ იფიქრებს, თუ პატრიოტული აზრით ვლაპარაკობდეთ. არა, ჩვენ გვინდა სიმართლით ჩვენი აზრი და ხალხში დარჩენილი გადმოცემები გამოვააშკარავოთ.

მტკიცეთ გვწამს, რომ ესენი **ძველი მესხ-ქართველები არიან.** თორემ რაც ესენი ახლა არიან, ვინც უნდა იყვენ, ჩვენთვის სულ ერთია, რადგან იგინი დღეს არც სომხებს არგიან რამეთ და არც ქართველებს. ესენი არიან ნამდვილი კათოლიკები, რომის მონები და მხოლოთ საკუთარი პირადის ინტერესების მიმდევარნი.

ამ წერილის ავტორი უნდა იყოს ს. ბავრელი. მაგრამ რატომღაც „იმმა“ ფსევდონიმი მიუწერია. სტატია დაბეჭდილია ჟურნალში „კვალი“ (იხ. N22, 1895 წელი).

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

ოდისევს (უცნობი ფსევდონიმი)

პატრი მიხეილ თამარაშვილი და მისი ახალი თხზულება

პატრი მიხეილ თამარაშვილი ცნობილია ქართველთა შორის. მისი შესანიშნავი თხზულება **„ისტორია კათოლიკობისა საქართველოში“** თითქმის ყველა ქართველმა ინტელიგენტმა იცის. უცნობი არ არის, აგრეთვე, მისი მეორე წიგნი **„პასუხად სომხის მწერლებს“,** სადაც იგი დოკუმენტებით ხელში სრულიად აქარწყლებს სომეხთა პრეტენზიებს კართველ-კათოლიკეთა შესახებ. ბ-ნმა ზაქარია ჭიჭინაძემ პატარა ბიოგრაფიაც კი დასწერა პ. მ. თამარაშვილისა, რომლის საყურადღებო ცხოვრებასაც იგი აღწერს და, აგრეთვე, ახასიათებს მის საინტერესო პიროვნებას. ყოველივე ეს, მგონი, უნდა იცოდეს ჩვენმა საზოგადოებამ.

მაგრამ პატრი მ. თამარაშვილი ისეთი კაცი არ არის, რომ შუაგზაზედ მიატოვოს ერთხელვე დაწყებული შრომა და უდროოდ შეაკვეცოს ფრთები თავის ნიჭსა, როგორც ხშირად ვხედავთ ხოლმე მსგავს მოვლენებს ქართველთა შორის. იგი უკვე მიჩვეულია ევროპიულ შრომას, და რაც დრო მიდის, რაც უფრო მეტს გამოცდილებასა და გაუმჯობესებულ შრომის მეთოდებს ითვისებს, მით უფრო იზრდება მისი შრომის ინტენსივობა და ნაყოფიერება, მიუხედავად იმისა, რომ იგი უკვე ორმოცდაათი წლის კაცია.

გულ ნატკენმა შემომჩივლა, მთელი იტალია და საფრანგეთი შემოვიარე და აუარებელი ფული და დრო დავხარჯე ქართულ ისტორიის კვლევაში. თუ სადმე ხელი მიმიწვდებოდა, ყველგან მოვჩხრიკე და ვეძიე, და მართლაც, ისეთი დოკუმენტები აღმოვაჩინე საქართველოს წარსულის შესახებ, მისიონერთა მიერ დატოვებული, რომ საქართველოშიაც არ მოინახება მსგავრი ღირსებისაო. პირადი კეთილდღეობაც კი უარვყავი; ერთ დიდი ეკლესიაში ადგილს მაძლევდნენ, მაგრამ უარი ვთქვი, რადგან დრო აღარ დამრჩებოდა ჩემის საყვარელ საგნის-საქართველოს ისტორიის შესასწავლადაო. ეხლა რითაც ვცხოვრობ-სათქმელიც არ არის, და დახეთ, ყველა ამის ნაცვლად **არავითარი დახმარება არ მიმიღია ქართულ საზოგადოებისაგან; ის კი არა, ხანდახან ფრიად საჭირო წერილზედ პასუხსაც არ მაძლევენო.**

პატრი მიხეილ თამარაშვილს ერთი, მართლაც, უბრალო ჭეშმარიტი აზრი აქვს: ის, რომ ერთ დროს საქართველოს ევროპიელები ძლიერ კარგად იცნობდნენ, გამართული იყო მიწერ-მოწერა პაპებსა და ჩვენ მეფეთა და მთავართა შორის, იყო მუდმივი მისვლა-მოსვლა საქართველოსა და ევროპას შუა, იყო მუდმივი კულტურული და კერძოდ, სარწმუნოებრივი ერთობაც. შემდეგ, როცა ოსმალო ჩამოგვიდგა წინ და მოგვწყვიტა ევროპას, რასაკვირველია, მას ჩვენი ხსოვნა თანდათან ეშლებოდა მეხსიერებიდან; მას შემდეგ კი, რაც პოლიტიკური დამოუკიდებლობა დავკარგეთ, ხომ სულ დავავიწყდით. ეხლა აღარც კი იციან, თუ ვინ არის ქართველი, ან სად იმყოფება საქართველო. მართალიც არის ყოველივე ესე; და ალბად, ყველა ჩვენგანს ჰქონია შემთხვევა ევროპაში მოგზაურობის დროს თვალით ენახა ისეთი უმეცრება ევროპელთა ჩვენს შესახებ, რომ ევროპიელს კი არა, ჩინელსაც არ ეპატიება. ერთხელ ერთმა ფრანგის მწერალმა პირდაპირ მითხრა:

-მე კი ვიცი საქართველო, რაც არის, ვინც არიან ქართველები, რა მდგომარეობაშიაც არიან, როგორიც არის ქართველთა და სომეხთა შორის განწყობილება, როგორიც არის თქვენი უფლებანი, თქვენი მომავალი, მაგრამ, სამაგიეროდ, ათიათასმა სხვამ სრულიად არა იცის-რა. ამისათვის საჭიროა **იყვიროთ**, სომხები რო ყვირიან, კიდევ უფრო მაღლა უნდა **იყვიროთო**.

როცა მე ვუთხარი-ყვირილი საკადრისი არ არის მეთქი, გაიცინა და სთქვა: -ეხლა მაგ თავმოყ-ვარეობას ადგილი აღარ აქვს, იყვირეთ, იყვირეთ, ბევრი იყვირეთო, და რაც უფრო საზიზღარი რამა ჰხდება, სწორედ იმაზედ უფრო მეტი იყვირეთო!...

ეს კიდევ რა. ის ფრანგის მწერალი იმიტომ ამბობს ასეთ რამეებს, რომ აღმოსავლეთში სცხოვრობს და მისი სპეციალური საგანია ოსმალეთის ხალხთა შესწავლა- სომეხთა, ლაზთა, ალბანელთა, მაკედონელთა და სხვათა. მხოლოდ ამიტომ. თორემ ევროპაში მცხოვრებმა მეცნიერებმა არა იციან რა ჩვენზედ. ყველამ უწყის, რომ უდიდესი გეოგრაფი **ელიზე რეკლიუ** ისეთს რამეებსა სწერდა ჩვენზედ, როგორც თავის „გეოგრაფიაში“, ისე ახალ „ისტორიაში“ (L'Homme et la Terre), რომ ღმერთმა ბალღსაც ნუ ატიტინოს მსგავსი რამ.

გუშინ კიდევ შემთხვევით ერთ ამხანაგს ფრიად საინტერესო წიგნი გამოვართვი-Les Migrations des peuples-**ჟუფალვი-დე-მეზო-კოვესდი-სა**. მართალია, წიგნი 1873 წელს არის გამოცემული, მაგრამ ეს ხანა არც ისეთი ძველია, რომ უმეცრება ნებადართული ყოფილიყოს. მართალია, არც მწერალია ფრიად ცნობილი, მაგრამ მეტის-მეტი შეუსაბამობანი მაინც არ უნდა როშოს ისეთმა ადამიანმა, რომელსაც აზრად გაუხდია „ხალხთა მოძრაობის“ აღწერა: თავის წიგნის მე-160 გვერდზედ ეს მწერალი პირდაპირ ამბობს, რომ **თუბალთაგან და მესხთაგან** დღეს კვალიც არ დარჩენილაო. მესხები სცხოვრობდნენ არარატის მთასა და მდინარე თბილისის შუა, სადაც ეხლა არის შესანიშნავი მონასტერიო!... მოდი და გაიგე რამე ასეთის მეცნიერისაგან! კიდევ რამდენს შეხვდები დიდსა და პატარა მეცნიერს, რომელნიც ჩვენს შესახებ ისეთ რამეებსა სწერენ, რომ ადამიანს ბრაზიც მოსდის და უკვირს კიდეც, საიდან მოიგონეს ასეთი სიცრუენი ან სიყალბენი. თანაც ამბობ ადამიანი, თუ სხვებზედაც, ჩვენს მსგავსს ხალხებზედ, ასეთი რამეები აქვთ დაწერილი ამ მეცნიერებს, მოდი და ენდე მათ მეც-ნიერებასა, მოდი და რაიმე წარმოდგენა იქონიე ამ სხვა ხალხებზედ მათის ნაწერების კითხვით!

ამიტომაც გადასწყვიტა პატრმა მიხეილმა დაეწერა ფრანგულ ენაზედ **„საქართველოს ეკ-ლესიის ისტორია“**, რომ გაეცნო ევროპიელისათვის ჩვენი წარსული კულტურა. რასაკვირ-ველია, საზოგადო ისტორია რომ დაეწერა, უფრო დიდი მნიშვნელობა ექმნებოდა იმის თხზულებას, მაგრამ ჯერ-ერთი პატრი საეკლესიო მღვრდელია, მისი სპეციალობა საეკლესიო ისტორიაა, მეორე კიდევ, პატრი მიხეილის სასახელოდ, მისი თხზულება მარტო საეკლესიო არ არიას. **იგი მთელი ქართველი ერის ისტორიაა ქრისტეს დაჰბადებამდის უძველესი დროიდან ჩვენ დრომდე,** სადაც, რასაკვირველია, საეკლესიო მხარეს დიდ ყურადღებას აქცევს ავტორი, მაგრამ თითქმის იმდენსავე პოლიტიკურსაცა და საზოგადოდ სამოქალაქოსა; ამას გარდა, უმთავრესი ღირსება წიგნისა ის არის, რომ იგი ჩვენთვის სრულიად უცნობ დოკუმენტებზეა დამყარებული, მშვენიერის სურათებითა და ილუსტრაციებით შემკული. აგრეთვე, იქ მოთავ-სებულია უძველესი რუქები, მაჩვენებელი ქართველ ტომის მიერ პყრობილ ადგილთა. ეს კიდევ რა, პატრ მიხეილს სადღაც სიცილიის ერთ ძველ მონასტერში ძველი სურათებიც კი უპოვნია, მისსიონერების მიერ დახატული, სურათები სამეგრელოს ცხოვრებისა, სამეგრელოს დიდი-კაცთა და მთავართა, ქართულის წარწერებითა. ერთის სიტყვით ევროპიელი დაახლოვებით სრულ წარმოდგენას იქონიებს **საქართველოზედ,** რომ **პატრ მიხეილს ეღირსებოდეს ამ წიგნის გამოცემა**, რომელიც თოთხმეტი თავისაგან შესდგება და ათასს გვერდზედ მეტია.

აი თვით წიგნის შინაარსი.

საქართველოს ეკლესია პირველი საუკუნიდან დაწყებული მეცხრამეტემდის. ასი სურათი სხვა და სხვა პირთა და ნაშთთა, ორი გეოგრაფიული რუკა. გეოგრაფიული, ეთნოგრაფიული და პოლიტიკური ცნობანი, აგრეთვე მრავალჯერ გამოუცემელი დოკუმენტი.

1. საქართველოს გეოგრაფია; აღწერა არა მარტო თანამედროვე საქართველოსი, არამედ ყველა ადგილისა, სადაც უხსოვარ დროიდან სცხოვრობდა ქართველი ტომი, 1-21 გვერდი.

2. ეთნოგრაფია საქართველოსი; გამოკვლევა ქართველ ტომის პირველ-ყოფილ ნათესავისა ძველ წარწერათა და სხვა არქეოლოგიურ აღმოჩენათა საშუალებით,-გვ. 1-47.

3. საქართველოს პოლიტიკური ისტორია; აღწერა იმავე დოკუმენტების საშუალებით,-გვ. 1-54.

ეს არის შესავალი წიგნისა. შემდეგ იწყება თვით მოთხრობა.

თავი 1. ქართველთა რწმენა; გაბათილება იმ აზრისა, თითქოს ქართველებს სუსტი რწმენა ჰქონდეთ ან ჰქონოდესთ,-გვ. 1-23.

თავი 2. კვართი უფლისა საქართველოში; გაბათილება იმ საბუთთა, რომლებითაც ბევრი სხვა ითვისებს კვართსა უფლისასა მე-X-ე საუკუნემდის და დამტკიცება კვართის არსებობისა საქართველოში პირველ საუკუნოებში,-გვ. 1-52.

თავი 3.წმ. ანდრია მოციქული პირველ-წოდებული საქართველოში; გაბათილება იმ აზრისა თითქოს ანდრია საქართველოში არა ყოფილიყოს,- გვ. 1-24.

თავი 4. ქრისტიანობა საქართველოში წმ. ნინომდე. გავრცელება ქრისტიანობისა საქართველოში პირველ საუკუნოებიდანვე; ქრისტიანი პირნი, მოწამენი და მწერალნი,- გვ. 1-27.

თავი 5. წმ. ნინო. უცხო და ჩვენი დოკუმენტები მის ცხოვრების ისტორიის შესახებ,- გვ. 1-83.

თავი 6. ქრისტიანობის პროგრესსი საქართველოში წმ. ნინოს შემდეგ. აღწერა პირველ ეკლესიისა; ცხოვრება იმ პირთა, რომელთაც მოსპეს წარმართობა და განაძლიერეს ქრისტიანობა,- გვ. 1-42.

თავი 7. განყოფა ქართველთა და სომეხთა ეკლესიისა და თარგმნა საღმრთო წერილისა. სომეხთა პრეტენზიები ჩვენის ეკლესიის შესახებ, ჩვენ კათოლიკოსთა დანიშვნის შესახებ; გამოკვლევა პირველ თარგმანთა, გვ. 1-45.

თავი 8. არაბთა და სელჯუკთა შემოსევა; აღწერა მათთა საქმეთა საქართველოში,- გვ. 1-161.

თავი 9. საქართველოს მონაზნობის აღღორძინება; აღწერა საქართველოს და უცხო მონასტერთა, სხვა და სხვა პირთა ცხოვრებისა, გვ. 1-73.

თავი 10. საქართველოს კათოლიკოსები; აღწერა მათთა და მათ დროს მომხდარ საქმეთა. გვ. 1-108.

თავი 11. მონღოლთა შემოსევა; პირველი ხანა კათოლიკების მისსისა (მე-XII და XIII საუკ.) აღწერა მათთა საქმეთა.

თავი 12. ახალი შემოსევა თურქთა და სპარსთა. უკანასკნელი ხანა კათოლიკების მისსისა. მისია თეათინელ მამათა 1626-12700 წლ... აღწერა ამ დროს მომხდარ საქმეთა, გვ. 1-160.

თავი 13. მისსია კაპუცინებისა 1666-1845 წლ... აღწერა მათთა და სხვა იმ დროინდელ ამბავთა, გვ. 1-220.

თავი 14. რეზუმე და დასკვნა; გვ. 1-7.

აი, რა შინაარსისაა პატრ მ. თამარაშვილის ახალი წიგნი. როგორც ჰხედავთ, იგი უბრალო შრომა არ არის, არამედ ფრიად რთული. იგი არ არის, აგრეთვე, მარტო საეკლესიო ისტორია; ავტორს განხილული აქვს საეკლესიო ისტორია, საზოგადოდ, საქართველოს ისტორიულ ცხოვრებასთან ერთად, როგორც მისი ბუნებრივი ნაწილი. მიზანიც მისი არა ყოფილა მხოლოდ „ეყვირა“, არამედ მართალი და ნამდვილი ცნობა მიეწოდებინა ევროპისათვის საქართველოსა და განსაკუთრებით მისი ეკლესიის შესახებ. აი, რასა სწერს ავტორი წინასიტყვაობაში:

„ჩვენ დავრწმუნდით, რომ საქართველოს ისტორია, განსაკუთრებით მისი ეკლესიის ისტორია, ძლიერ ნაკლებად იციან (ავტორს უნდა სთქვას-ევროპაში, რასაკვირველია). ამიტომაც განვიზრახეთ გვეძღვნა ისტორიის მეგობართათვის ეს შრომა, რომელიც მათ სწორად გააცნობს საქართველოს ეკლესიის ნამდვილ ვინაობას. რასაკვირველია, ეს საქმე ჩვენთვის ძლიერ ძნელი იყო; საქართველოს ეკლესიის ნამდვილი ისტორია არ დაწერილა ჯერ, და ამიტომაც ჩვენ ყველგან და ყოველივე ვიკვლიეთ, რომ ამ ისტორიისათვის საჭირო ცნობები შეგვეკრიბა (ყველა ტექსტი, ჩვენ მიერ დაბეჭდილი, ან გამოუცემელია, ან და ძლიერ ძვირადსაშოვნელ წიგნებში მოიპოვება), მაგრამ ჩვენ არ ვნანობთ, რომ ამდენი შრომა გავსწიეთ. ჩვენა გვსურდა ნათელ გვეყო ისტორია იმ ეკლესიისა, რომელიც მრავალი საუკუნე არსებობს და ღირსია განცვიფრებისა და სიმპატიისა; იგი გმირულად წინააღუდგა ყოველ-გვარ მწვალებლობას, რომ წმინდათ დაეცვა თავისი პირველი სარწმუნოება. ამასთან, იგი გაუმკლავდა საუკუნეთა განმავლობაში ქრისტიანობისა და ცივილიზაციის დაუძინებელ მტერთ. იგი საუკუნო ჯვაროსანი იყო, მისი ცხოვრება იყო დაუსრულებელი მოწამებრივი ცხოვრება. თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ **საქართველოს ეკლესია ყველა აღმოსავლეთელ ეკლესიაზედ უფრო მეტად ეწამა სარწმუნოების დაცვისათვის.** ჩვენ განვიხილეთ ყველა ხანა საქართველოს ეკლესიის ისტორიისა: მისი დაბადება, განვითარება, დაცემა. დავიწყეთ იგი ამიტომ პირველ საუკუნიდან და განვიხილეთ ყველა საკითხი, რომელსაც ეკლესიასთან კავშირი ჰქონდა.

რომ უფრო ცოცხალი ინტერესი მიგვეცა ამ შრომისათვის, შიგ ჩაურთეთ მრავალი სურათი სხვა და სხვა პირთ და ქართულ ნაშთით, რამდენიც ვიშოვნეთ.

რამდენადაც შესაძლებელი იყო ქრონოლოგიურ წესს მივდევდით.

ჩვენ საჭიროდ ვცანით, აგრეთვე, მიგვემატებინა ეკლესიის ისტორიისათვის ისტორია სამოქალაქო და საპოლიტიკო, და შესავალი ამ წიგნისა მოვანდომეთ გეოგრაფიულ, ეთნოგრაფიულ და პოლიტიკურ ცნობებს საქართველოს შესახებ; ჩავურთეთ, აგრეთვე, ორი გეოგრაფიული რუკა ძველისა და ახალის საქართველოსი: ვისარგებლეთ დიდ სომხეთში და სხვაგან აღმოჩენილ ლურსმნულ წარწერებითა, და ჩვენს კვლევაში შეგვიძლია პრეისტორიულ ხანასაც კი მივადგეთ. ჩვენ გვგონია, რომ ეს შრომა, რამდენადაც შეგვეძლო, სრული გამოვიყვანეთ და აგრეთვე, საინტერესო თავის კვალობაზე. ამიტომაც დარწმუნებული ვართ, რომ საზოგადოება სიამოვნებით მიეგებება მის გამოცემას“.

აი, რა იმედები აქვს პ. მ. თამარაშვილს თავის, მართლაც, და საინტერესო შრომისა. მაგრამ უბედურება ის არის, რომ ეს შრომა კარგი ოთხი წელიწადია, რაც დაუწერია, გამოცემა კი არ ხერხდება უსახსრობის გამო. ეს ოთხი წელიწადი ავტორი სცდილობს იშოვნოს საჭირო სახსარი წიგნის გამოსაცემად, მაგრამ ამაოდ. მდიდრებმაც კი 30 ან 20 ფრანკი გადმომიგდესო, სთქვა გულ-ნატკენმა მ. თამარშვილმა.

ეხლა იგი უკანასკნელად სთხოვს ყველა ქართველს, ვისაც რა შეუძლიან, გაუწიოს დახმარება ამ ფრიად სასარგებლო წიგნის გამოსაცემად, რომ **ერთ ევროპულ ენაზედ ერთი წიგნი მაინცა გვქონდეს ჩვენის ვინაობის ევროპისათვის გასაცნობად.** მე ჩემი ძალა, გონება და დრო არ დავიშურე ყოველივე შევსწირე საქართველოს წარსულისა და აწმყოს კვლევას, სხვამ კი ცოტა, სულ ცოტა დახმარება მაინც გამიწიოსო. არც ისე ვარგა, რომ საზოგადოებამ თავისი მშრომელი წევრი არა თუ დაუხმარებლად, სრულიად უყურადღებოდაც დასტოვოს, რადგან რომში ჩემს მეტი არც არავინაა ქართველების შესახებ ხმის ამომღებიო.

რომში კი არა, მგონი ევროპაშიაც არავინ არს ასეთი, და ჩვენ საზოგადოებაში მგონი უნდა მოიპოვებოდნენ ისეთები, რომელთაც შეუძლიანთ 30 ფრანკზედ მეტი გაიღონ ამ წიგნის გამოსაცემად. მათ არა დააკლდებათ რა, ჩვენთვის კი დიდი საქმე ექნება. თორემ ადამიანის მოთმინებასაც საზღვარი აქვს: შეიძლება პატრი მიხეილ თამარაშვილი სულ დაგვეკარგოს, თუ ასეთი გულ-გრილობა გამოვიჩინეთ მისდამი. ეს ძლიერ ადვილად არის შესაძლებელი.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. კალიგრაფიის მიხედვით, ვვარაუდობთ, რომ მისი ავტორია მიხაკო წერეთელი. როგორც ჩანს, ავტორი იძულებული იყო ფსევდონიმი გამოეყენებინა - „ოდისევს“. ფსევდონიმითაა დაბეჭდილი გაზეთ „დროებაში“ (იხ.№ 64,1909 წელი). გაზეთის ნომერიც აქვეა დაცული.

„კლდე“ (უცნობი ფსევდონიმი)

ქართველ კათოლიკეთა ტიპიკონი

უკანასკნელ დროს ქართველ კათოლიკეთა წრეებში ბევრს ლაპარაკობენ ერთს უცნაურ მოვლენაზე. როგორც ვიცით, ქართველ კათოლიკებს **აკრძალული აქვთ მთავრობისაგან ქართული ენის ხმარება წირვის დროს**, და ამიტომ ბევრი კათოლიკე იძულებული იყო სომეხ-კათოლიკეთა რიცხვში ჩაწერილიყო. ეს ეროვნული დევნა, აქამდის მარტო გაბატონებულ ერისაგან სწარმოებდა, და უკანასკნელ დროს ამავე გზას ადგებიან სომხებიც, რომელნიც ადგილობრივ და რომის პაპთანაც პროპაგანდას სწევენ, რომ ქართველი კათოლიკენი არც არსებობენო და თუნდაც არსებობდენ, არას გზით ნება არ უნდა მიეცეთ მათ ქართულად წირვისაო. ამას იმით ასაბუთებენ, რომ ასეთი ნების დართვა პაპისაგან, კონფლიქტს გამოიწვევს რუსეთის მთავრობასთანო, რომელიც წინააღმდეგია ქართველ კათოლიკეებისა. ამას არა სჯერდებიან და პირდაპირ მუქარასაც არ ერიდებიან: თუ ქართველ კათოლიკეთ ნება მიეცით ქართული წირვა-ლოცვისა, აუცილებლათ სისხლი დაიღვრებაო (?) და მესამეც: თვით ქართველ კათოლიკეებს აშინებენ: თუ ქართულად დაიწყეთ წირვა-ლოცვა, ყველას **გაგამართლმა-დიდებენო**, ასეთი ხრიკებით ეძებენ გასავალს არა მარტო თვით საქართველოში, არამედ რომის პაპთანაც, სადაც ჰყავთ საკუთარი აგენტები. ჩვენ, ქართველი კათოლიკენი, დიდი ხანია ვიტანჯებით, ამ აუტანელ მდგომარეობით და პატრონი არა გვყავს მოქომაგე, მაგრამ დღეს, როცა რომის პაპთან აღძრულია ეს საკითხი, ყველამ უნდა ავიმაღლოთ ხმა, და მოვითხოვოთ სამართალი, რადგან, არც ერთ ადამიანს, თუ კი იგი ჭეშმარიტად ღვთის მოსავია, არ შეუძლიან უცხო ენაზე ლოცვა. ჩვენი მოთხოვნილებაა აღდგენა ქართულის ტიპიკონისა და, ღვთის მეოხებით, იქნება კიდეც მივაღწიოთ ამას...

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში; დაბეჭდილია გაზეთში „ბათუმის გაზეთი“, N24, 1914 წ., გაზეთის ნომერიც იქვეა შენახული.

სტამბოლელი (უცნობი ფსევდონიმი)

წმიდა ნინო და ქართველი კათოლიკენი

თითქმის სამმა წელიწადმა განვლო იმის აქეთ, რაც იტალიაში სანთა მარინელის ზღვამ იმსხვერპლა ძვირფასი ჩვენი თანამემამულე მ. **მიხეილ თამარაშვილი.** ჯერ კიდევ მისი გვამი უცხო მიწას აბარია, და დღემდის ვერ ეღირსა იმ ბედნიერებას, რომ მშობელმა მიწამ სამუდამოდ ჩაიკრას იგი გულში! არა ერთხელ იყო ლაპარაკი ჩვენს საზოგადოებაში, რომ განსვენებული თამარაშვილის გვამი გადმოეტანათ საქართველოში, მაგრამ რა გაეწყობა! ჩვენ ქართველებმა ბევრი ლაპარაკი ვიცით და საქმის გაკეთება კი ჭირივითა გვძულს!..

თუ ჯერ კიდევ სამშობლო მიწას არ მიუბარებიათ მ. მიხეილ თამარაშვილის გვამი, მაინც იმით ვნუგეშობთ, რომ ამ ძვირფასი თანამემამულის მეცნიერული მოღვაწეობის ნაყოფი კიდევაც ჩაიბარა საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებამ. ეს გახლავთ, გარდა ქართულ ენაზე დაბეჭდილი წიგნებისა, მისგან შეკრებილი საეკლესიო თუ საერო ისტორიის მასალა, სხვა და სხვა დოკუმენტები და მისი ბიბლიოთეკა. მომეტებული ნაწილი ამ დოკუმენტებისა შეეხება კათოლიკობას საქართველოში. მაგრამ ყველამ კარგად ვუწყით, თუ რა დიდი და მჭიდრო კავშირი ჰქონდათ წარსულ დროში ჩვენს სასულიერო და საერო მმართველობას. ასე რომ, ეს საბუთები დიდ ნათელს ჰფენენ საქართველოს გავლილ ეკონომიურ თუ პოლიტიკურ მდგომარეობასაც. ამასთანავე, გზას გვიკვლევენ ახალ და აუარებელი დოკუმენტების აღმოსაჩენად, საქართველოს ისტორიის შესახებ, ევროპის სხვადასხვა წიგნთსაცავებში და სასულიერო დაწესებულებათა არქივებში, განსაკუთრებით იტალიაში.

განსვენებულ მ. თამარაშვილის საისტორიო მასალის გადარჩევაში ჩვენ შევხვდით, სხვათა შორის, ერთ დიდათ საყურადღებო ქაღალდს, რომელიც ეკუთვნის 1635 წელს. პროპაგანდის დეკრეტია ლათინურ ენაზე დაწერილი და გამოცემული რომის პაპის ბრძანებით, შესახებ ჩვენი ერის განმანათლებელის, **წმიდა ნინოს დღესასწაულისა.** ასლი ამ დეკრეტისა გადმოუღია მ. თამარაშვილს რომში, პროპაგანდის არქივიდან. გვიკვირს რომის პაპის ასეთი საყურადღებო განკარგულება, განსაკუთრებით ქართველ კათოლიკეთათვის, რატომ ადრევე არ გამოაქვეყნა მ. თამარაშვილმა, იქნება თავის ცხოვრების სულ ბოლო ხანებში აღმოაჩინა, და მისი გამოქვეყნება აღარ დასცალდა. ვსთარგმნით ქართულ ენაზე და მოგვყავს აქვე სრულიად ეს ძვირფასი დოკუმენტი:

(პროპაგანდის წმიდა კრების არქივი. სპარსეთი, საქართველო, სამეგრელო და თურქისტანი. 1648 წელი. დასასრულამდის. ტომი 209. ფურცელი 346).

მარანელი (უცნობი ფსევდონიმი)

წმ. ნინოს დღესასწაული სტამბოლში

14 იანვარს (ახ. სტილ.) აქაურ ქართველ მამათა უმანკო შთასახების სავანის ტაძარში მისი წინამძღვრის პატივცემულ **მამა პიო ბალიძის** მიერ და **მღვდელ შალვა ვარდიძის** თანამწირველობით შესრულებულ იქმნა წმიდა ლიტურგია ქართულ ენაზედ. ამ იშვიათმა მოვლენამ აქაურ ქართველთა ცხოვრებაში მრავალ მათგანს მოუყარა თავი პატარა, მაგრამ კოპწია მონასტრის საყდარში. წირვის დროს გალობდა ჩინებულად მომზადებული მგალობელთა გუნდი **მამა კოსტანტინე საფარაშვილის ლოტბარობით.** ტრაპეზი მორთული იყო წმიდა ნინოს მშვენიერი სურათით და ფრიად მნიშვნელოვანი ქართული წარწერებით.

განა რა არის გასაკვირველი ამ მოვლენაში, შეიძლება იკითხოს განცვიფრებულმა მკითხველმა. რა არის გასაკვირველი მასში, რომ ქართველებს თავიანთ ენაზედ ულოცნიათ იმ ქვეყანაში, სადაც ამისათვის არაფერი დაბრკოლება არ არსებობს და სადაც ათასგვარ ენაზედ იწირება უსისხლო მსხვერპლი წმიდა სამსხვერპლოზედ? რათ უნდა იყოს ეს მოვლენა განსაცვიფრებელ იქ, სადაც **შორეულ არაბეთიდან და სირიიდან გადმოხვეწილნიც კი ყოველ დღე ღმერთს თავიანთ სამშობლო ენაზედ ევედრებიან?!..** ჰო, მეც დავეთანხმებოდი განცვიფრებულ მკითხველის აზრს, რომ მე კარგათ არ ვყოფილიყავი ჩახედული აქაურ ქართველთა ცხოვრებაში.

იყო დრო, როცა ამ მონასტერშიც არ უკვირდათ **ქართული წირვა.** განსვენებულ მონასტრის დამფუძნებელს **აბბატს პეტრე ხარისჭირაშვილს,** რომელიც უღრმესი პატრიოტიზმით იყო გამსჭვალული, აზრათ ჰქონდა თავისი პატარა მონასტერი **ოსმალეთის ქართველობის ცენტრად ექცია** და რასაკვირველია, ქართულ ტიბიკონს მონასტრის ცხოვრებაში ჯეროვან ყურადღებას აქცევდა. მის დროს ნახევარზე მეტი მღვდლები ქართულ ტიბიკონისა იყვნენ და ყოველ დღე ასრულებდნენ ღვთის მსახურებას თავიანთ სამშობლო ენაზედ. არა მარტო თავის სიცოცხლის დროს უწევდა განსვენებული მამა პეტრე განსაკუთრებით მფარველობას ქართულ ტიბიკონს, არამედ კანონად დასდო, რომ შემდეგშიაც სამუდამოთ ხსენებულ ტიბიკონის მღვდელნი უნდა ყოფილიყვნენ ნახევარნი მთელი მონასტრის მამათა რიცხვისა...

მაგრამ... მაგრამ tempora mutantur et nos mutamur in ieis! ღვაწლით შემოსილი მამა ხარისჭარაშვილი მოშორდა სამუდამოთ ცხოვრებას და თავის პირმშო მონასტერს და მასთან ერთად ქართულმა ტიბიკონმა დაჰკარგა თავისი მფარველი და სულის ჩამდგმელი. სანამ ცოცხალნი იყვნენ მის დროსვე ნაკურთხნი ქართული რიტოს მღვდლები, მაინც არ ჰქრებოდა დამაარსებელის ანდერძი, მაგრამ მათაც დრომ ბოლო მოუღო და ეხლა მთელ მონასტერში **მილეული სანთელსავით ოდნავად ბჟუტავს ეს დიადი ანდერძი**. ეხლა აქ ქართულ ტიბიკონს მარტოთ მარტო ერთი წარმომადგენელი ჰყავს მამა პეტრესვე დროს ნაკურთხი მოხუცი მღვდელი **გრიგოლ ათოშვილი,** და ამ უკანასკნელსაც ხმოვანი წირვა სიბერის და სნეულობის გამო არ შეუძლია. ასეთია აწინდელი სულთმობრძავი ქართული ტიბიკონის მდგომარეობა კონსტანტინეპოლის ქართველთა სავანეში. აბბატ ხარისჭირაშვილის მერმე ერთი მღვდელიც არ კურთხეულა ქართულ წესზედ.

რამ მოიტანა ეს მოვლენა, რა არის ამის მიზეზი? ვის დაუშავა ქართულმა წირვა-ლოცვამ, რა ქარიშხალმა მიიყვანა ის ამ ძირიან ფესვიან ამოგდებამდის? რათ მოხდა ეს, რომ ლათინურ

წირვასთან ერთად, **აღარ ისმის ტკბილი ქართული?** განა რომი წინააღმდეგია ქართული ენისა. ამისთანა საკითხები ბევრი დაებადება ყველა გულშემატკივარს ქართველს, მაგრამ სულ ტყუილი იქნება ამ სამწუხარო მოვლენის ახსნა გარეშე დაბრკოლებებით. მახინჯებმა გააფუჭეს საქმე. **ციხე შიგნიდან გატყდა.** ამას წინეთ წინამძღვრად ყოფილმა პატრმა **ბენედიქტე ჩილინგაროვმა** უარჰყო ჩვენი ტიბიკონი იმ მიზეზით, რომ ეს არ აქვს განხილული რომს და ამიტომ ქართული წირვა-ლოცვა შეუწყნარებელიაო. ამ გალათინების და გადაგვარების მოტრ-ფიალე ღვთის მსახურმა რომიდან საჩქაროთ გამოიწერა ოთხი ახალგაზრდა სტუდენტი, რომელნიც ქართულ-ბერძნულ ტიბიკონზე უნდა კურთხეულიყვნენ და ლათინურათ აკურთ-ხებინა მღვდლებათ, რომ რომელნიც ეხლაც დიდი სიამოვნებით გადავლენ ქართულ ტიბიკონ-ზედ, თუ მათ რომი ნებას მისცემს.

პატრი ბენედიქტეს დროს აქაურმა ქართველებმა დაჰკარგეს იმედი სამშობლო ენაზედ ღვთის მსახურების მოსმენისა და ძალიან იშვიათად დადიოდნენ მონასტერში. მაგრამ მონასტ-რის ახალმა გამგეობის არჩეულებმა სრულიად შესცვალეს ეს დაქვეითების სურათი.*

ახალგაზრდა უფროსი პატივცემული **მამა პიო ბალიძე** და მასთან ერთად შეზრდილნი თანაშემწენი დიდს უნარს იჩენენ საზოგადოდ მონასტრის მართვა-გამგეობაში და განსაკუთ-რებით ქართული ტიბიკონის უფლებების ხელახლა ნებართვის მოპოებაში; დღეს მამა პიოს თხოვნით ნება მისცა უწმინდესმა პაპა პიო მე-X-მ, ეწირნა მას ლათინური წესის მღვდელს-ქართულად (sic). თუ რომს განხილული არა აქვს ქართული ტიბიკონი, მაშ რათ მისცა პაპმა მამა ბალიძეს ესეთი ნებართვა? მაგრამ აქ განხილვაში არ არის საქმე... მანდ, ჩვენ სამშობლოშიაც გვყავს ისეთი ქართველი კათოლიკე მღვდლები, რომელნიც პ. ბენედიქტესავით მოილათი-ნებენ. მაგრამ ნუ დავასახელებთ nomina sunt odiosa.

აი, რისთვის იყო ჩვენთვის ეს დღე ქართველთა მოციქულის ხსოვნის განსაკუთრებით გასახარებელი. ყველა დამსწრეს სახეს აღელვების და სიხარულის ნიშანი ეტყობოდა. ყველა ერთხმათ გაიძახოდა: ღმერთო, ხელი მოუმართე მამა პიოს მის კეთილშობილ განზრახვაში, რომ ჩვენ **კვლავ გვესმოდეს ჩვენ ენაზე წირვა-ლოცვაო.**

წირვაზედ მამა პიომ ფრიად მხურვალე და გრძნობიერი სიტყვა წარმოსთქვა. ის შეეხო სხვათა შორის ქართულ ტიბიკონის საკითხს და სთქვა, რომ პაპს არაფერი ჰქონია მის საწინააღმდეგო და სასტიკათ დაჰგმო შინაური თუ გარეული მტერი.

წირვის შემდეგ დამსწრენი მოწვეულ იქმნენ წინამძღვრის მიერ ტკბილეულობაზედ. იქ ამ დროსვენ შემუშავებულ იქმნა სამადლობელი ადრესი პაპისადმი. ვუსურვებთ მამა პიოს და მის თანამოძმეთ, რომელთაც თავისი მოქმედების საფუძვლათ მონასტრის დამფუძნებელის ანდერძი დაიდეს, ენერგიულათ და მხნეთ განაგრძონ თავიანთი კეთილი საქმე. სრულიათ განახორციელონ თავისი ფართო განზრახვანი და კვალად სიცოცხლის სული ჩაჰბერონ მომაკვ-დავ ქართულ ტიბიკონს მონასტერში.

ქართული სამკითხველო სტამბოლში

როგორც მკითხველებმა იციან, სტამბოლში კარგა ძალი ქართველობა სცხოვრობს. იქაურ ქართველობას გადაუწყვეტია, **მგოსნის აკაკი წერეთლის სახელობაზე დააარსოს საჯარო**

* პატრი ბენედიქტეს მოქმედებაზედ არა ერთხელ დაწერილა ჩვენს გაზეთებში წერილები.

ბიბლიოთეკა-სამკითხველო. სამკითხველოს დამაარსებელნი სთხოვენ წერა-კითხვის საზოგადოებას, გაუგზავნოს ბიბლიოთეკა-სამკითხველოსათვის წიგნები, საზოგადო მოღვაწეთა და მწერლების სურათები და ჟურნალ-გაზეთები. კარგი იქნება ყველა ჩვენი ქართველი გამომცემელი ყველა გამოცემის თითო ცალს დაუთმობდეს სტამბოლის ბიბლიოთეკას.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. იხ. „დროება“, 1909 წ. N21.

ძალად სომეხ-კათოლიკე მესხნი (უცნობი ფსევდონიმი)

ღია წერილი

მათი მაღალღირსების სომეხ-კათოლიკეთა მართველის
ბ. არხიმანდრიტ-ტერ სარქის ტერ-აბრამიანის მიმართ

ახალციხის კათოლიკე-ქართველები, წოდებულნი სომეხ-კათოლიკებათ, მოგმართავთ თქვენს მაღალღირსებას შემდეგი წერილით: გავლილ 1913 წლის ზაფხულში, ჩვენს მეზობელ ახალციხელ რამდენიმე ქართველ კათოლიკეს თავისი შვილები მოუნათლიათ ლათინურის წესით. გავლილ დღეებში უსახელო წერილით გაგიგიათ ეს ამბავი და შეძრწუნებულხართ. დიდის რიხით მოგითხოვიათ ამ საგანზე ნამდვილი ცნობა ჩვენი ღვდლისაგან და მასთანვე საყვედური – კიცხვა, რომ მათ თავის დროზე არ გაცნობეს ამისთანა უკანონო შემთხვევა.

ამგვარი თქვენი განკარგულება ჩვენ დიდათ გვწყინს, გვაღელვებს და გვამცირებს, რადგანაც ჩვენი მოქმედება არ არის წინააღმდეგი არც სასულიერო და არც სამოქალაქო წეს-კანონისა. თქვენც კარგად მოგეხსენებათ 1905 წლის 17 აპრილის და 17 ოკტომბრის მანიფესტი სინიდისის თავისუფლების შესახებ. იმავე მანიფესტის ძალით, ჩვენი თხოვნისამებრ, კავკასიის უმაღლესი მთავრობისაგან ნება გვაქვს სომეხ-კათოლიკე ტიბიკონიდან გადვიდეთ რომის კათოლიკეთა ლათინურ ტიბიკონზე.

რა მოხდა ეკლესიის საწინააღმდეგო? ის, რომ კათოლიკე მშობლებმა, იმავე კათოლიკე-ეკ-ლესიის სარწმუნოებაზე ლათინის წესის ღვდელს თავიანთი შვილები მოანათლინეს. ნუთუ ეს დანაშაულია?!

თქვენმა მაღალ-ღირსებამ, როგორც კათოლიკე-ეკლესიის ინტერესის დამცველ-მფარველ-მა, ამ საქმეში ნეიტრალიტეტი უნდა დაიცვათ. თუ თქვენ ნაციონალური ინტერესი გაქვთ სახეში, მაგნაირ გულმტკივნეულება, მოსარჩლეობა აღმოუჩინეთ იმ კათოლიკე სომხებს, რომ-ლებზედაც დადგენილხართ უფროსად პაპი პის მე-10 დეკრეტით, რომელშიც მოხსენებულია– „დაგადგენთ თქვენ სამოციქულო მართველად სომხის გვარის კათოლიკებზე რუსეთის იმპე-რიაში“, ჩვენზე კი არავითარი უფლება არა გაქვთ, რადგან სომხები არ ვართ, მხოლოდ **სარა-ტოვის რომის-კათოლიკეთა ეპისკოპოზის დაუდევრობით მოხდა ის დიდი შეცდომა,** რომ კათოლიკე ქართველებიც სამცხე-ჯავახეთისა თქვენ მართველობაში ჩაგვრიცხეს. ოთხი წელიწადი იცხოვრეთ ჩვენს შორის ახალციხეში, ნუთუ არ დარწმუნდით ჩვენ ქართველ ეროვ-ნებაზე? რა ნახეთ ჩვენს ხალხში სომხური: ზნე-ხასიათი, ენა, ჩვეულება თუ შეერთება-შეთვი-სება სომეხ-კათოლიკებთან.

აგერ 85 წელმა განვლო, რაც სომეხ-კათოლიკე ერი სხვა სომხებთან ერთად გადმოსახლდენ ქართველ-კათოლიკეთა სოფლების სიახლოვეს. ამ ხნის განმავლობაში ეს ორი, ერთი მორწმუნე ხალხი, თუმც ერთ მეორის სოფლიდან ორი-სამი ვერსის სიშორით სცხოვრობენ მეგობრულად, მაგრამ დღევანდლამდი არცერთი მაგალითია, რომ ქ. კათოლიკეთა რომელიმე სოფელში მომხდარიყოს მძახლობა ან მოყვრობა სომეხ-კათოლიკეებთან. საზოგადოთ, ჩვენი ხალხი უფრო სიადვილით უმძახლდება-უკავშირდება: პოლონელებს, გერმანელებს და სხვათა, ვიდრე სომეხ კათოლიკეთ... ამ ცხად ფაკტს ხომ თქვენც დაგვიმოწმებთ!

თუ აქამდის არ მოხდა ჩვენი ერთი-მეორესთან შეერთება-შეთვისება, ამას შემდეგ სრულებით შეუძლებელია; რადგან **ჩვენში დიდათ გაცხოველებულია ეროვნული შეგნება-სიყვარული**. აი, ეს ეროვნული გრძნობა-მისწრაფება გვაიძულებს ჩამოშორებას, რადგანაც სომხის ტიბიკონს ჩვენ ვერასოდეს ვერ შევურიგდებით. რამდენია ჩვენში ისეთი, რომელიც შვილებს არ ანათვლინებენ სომხური წესით. სხვათა შორის, შარშან ს. ვალის მცხოვრებმა **გაბრიელ გოზალა-კოჭიაშვილმა** მოგმართათ თხოვნით, რათა ნება მიგეცათ შვილის მონათვლისა ლათინურის წესით, მაგრამ უარი მიიღო და დღესაც რვა წლის ვაჟი მოუნათლავი ჰყავს. ეკლესიის კანონით კი, **ბავში ორი კვირის განმავლობაში უნდა მოინათლოს**. როდის მოეღება ბოლო ჩვენს ამისთანა შავ-ბნელი ბურუსით მოცულ აბუჩად აგდებულ მდგომარეობას??! თუმც კი ძალაუნებურათ ვითმენთ ამ დრომდი! მაგრამ მთელი ქვეყნის წინაშე ვღაღადებთ და ვიტყვით: აღარ გვსურს ყოფნა სომეხ-კათოლიკე ტიბიკონზე, ყოველს საშუალებას ვიღონებთ და აღარ დავრჩებით თქვენი ნაძალადევი ბატონობის ქვეშ. ჩვენი სურვილია ვიყოთ იმავე ტიპიკონზე, რომელზედაც არიან ჩვენი მოძმენი: თფილისის, ქუთაისის, ბათომისა და სხვა ადგილების კათოლიკე ქართველნი...

(ხელს აწერს 14 კაცი).

ხელნაწერი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. დაბეჭდილია ორ გაზეთში. იხ. გაზეთი „სახალხო გაზეთი“, N 1184, 1914 წელი, გაზეთი „იმერეთი“, N53, 1914 წელი. გაზეთის ნომრებიც იქვე ინახება. არც გაზეთებში და არც ხელნაწერში არ არის დასახელებული ხელის მომწერთა გვარები.

ვინმე ინტელიგენტი (უცნობი ფსევდონიმი)

გაუგებარი ამბავი

ამ დღეებში ჩვენმა გაზეთებმა კიდევ გადმობეჭდეს ზოგიერთი რუსულ გაზეთებიდან ის საუცხოო და შემაძრწუნებელი ამბავი სომეხ-კათოლიკეთა შესახებ, ვითომც დღეის შემდეგ ბრძანება იყოს რომის პაპისაგან, რომ სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ უნდა აწარმოვოს ყველა საეკლესიო და სასკოლო საქმეები, აგრედვე, ღვთის მსახურებაც ეკლესიებში ლათინურ ენაზე. ამასთანავე, სომხები რომელნიც კათოლიკობას მიიღებენ, სომეხ-კათოლიკეთ კი აღარ უნდა იწოდებოდნენ, არამედ მხოლოდ კათოლიკედ.

ჩვენ გადაჭრით ვიტყვით, თუ რამდენად დასაჯერებელია ეს ამბავი. მაგრამ თუ მართალია, მაშინ როგორ უნდა აიხსნას ქართველ-კათოლიკეთა მდგომარეობა განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგოში, სადაც მომეტებულნი სომხურ ტიბიკონს ხმარობენ. ათ წელიწადზე მეტია, რაც სამცხე-საათაბაგოს ქართველი კათოლიკენი სთხოვენ „ვატიკანს ნება დართოს, რათა დაუბრუნდნენ ლათინურ წესს, რომელსაც მისდევდნენ მათი წინაპარნი ძველად. მხოლოდ XVII საუკუნეში, დროთა ვითარების გამო, სარწმუნოების დასაცველად შეეხიზნენ იგინი წესს სომხურ ენაზე. დღევანდლამდის სამცხე-საათაბაგოს ქართველ-კათოლიკობამ ვერ მოიპოვა ვატიკანის თანხმობა ლათინურ ტიბიკონზე გადასასვლისა. ეს ასე ხდება მხოლოდ ერთად ერთი მიზეზის გამო: რომის ტახტი დიდ პატივს სცემს აღმოსავლეთის ტიბიკონებს და მუდმივ ზრუნავს დაიცვას და განაძლიეროს იგინი. ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, როგორ მოხდა, რომ ვატიკანმა სომხებს უბრძანა ხელი აეღოთ გვაროვნულ ტიბიკონზე და მიეღოთ ლათინური წესი, როდესაც ქართველ-კათოლიკებს, რომელთათვისაც სომხური ტიბიკონი არ არის ძირითადი წესი, ნებას არ აძლევს გადავიდნენ ლათინურ წესზე.

ამას გარდა, ამ რამდენიმე წლის წინედ, ვატიკანმა დაუდგინა სომეხ-კათოლიკებს სამოციქულო გამგე და დღესაც აზრად აქვს, რამდენიც შეიძლება, ახლო მომავალში დაუდგინოს მათ საკუთარი ეპისკოპოსი კავკასიაში. ვერც ის გაგვიგია, თუ ვატიკანი რა მიზეზით ავალებს ახლად გაკათოლიკებულ სომხებს, რომ მარტივად კათოლიკედ იწოდებდნენ და არა სომეხ-კათოლიკედ. დღევანდლამდის სიკეთის მეტი არა უქმნია რა ვატიკანს სომხებისთვის. ყველა ეს რომ გავითვალისწინოთ, როგორ-ღა უნდა დაუჯეროთ ზემოდ-ხსენებულ გაზეთების ცნობებს. ნუ თუ ეს ყველა ლოღიკის გაქელვა არ გამოდის. აი, ამისთვის ჩვენ სრულიად ვერ დავიჯერებთ ამ საუცხოვო ამბავს, რომელსაც გადმოგვცემენ ზოგიერთი გაზეთები უსაბუთოდ, ვიდრე არ წავიკითხავთ რომის პაპის განკარგულებას სომხების გალათინების შესახებ. ჯერ-ჯერობით ჩვენთვის უფრო დასაჯერებელია ის ამბავი, რომელიც თანდათან ვრცელდება. ხმები დადის, რომ ყველა ეს ამბავი სომხების გალათინებაზე ჭორებია, გამოგონებული ზოგიერთი მაღალ წრეში მყოფ სასულიერო პირთა დახმარებით, ზოგიერთი უკიდურესი ნაციონალისტების, კერძო ინტერესების გასაძლიერებლად და ეგოისტურ განზრახვათა განსახორციელებლათო.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და „სახალხო გაზეთში“ დაბეჭდილიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკასა და არქივში. იხ. „სახალხო გაზეთი“, N1137, 1914 წელი. გვ. 3.

ზარიფ ბეი (უცნობი ფსევდონიმი)

კიდევ ქართველ კათოლიკეთა შესახებ

ქართული ანდაზა – „ვაის გავეყარე, ვუის შევეყარე“,– სწორედ ქართველ–კათოლიკებზეა გამოჭრილი.

მთელი საუკუნოების განმავლობაში ქართველი კათოლიკენი სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო პირების ავანტიურის ქსელში იყვნენ გაბმულნი და ძველი რუსეთის იმპერიალისტური წესწყობილების წყალობით, მათ უფლება არა ჰქონდათ არა თუ ქართული ენის ხმარებისა ეკლესიებში, არამედ სომხურ ტიბიკონიდან ლათინურ წესზე გადასვლისაც-კი.

სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო პირების ბრჭყალები და ძალადობა, უფრო დიდი მასშტაბით იყო გავრცელებული ახალციხის და მის მაზრის ქართველ კათოლიკებზე.

ტფილისის, ქუთაისის და სხვა ქალაქების ქართველ-კათოლიკენი თითქმის არავითარ ძალადობას არ გრძნობდნენ და ყოველთვის საშუალება ჰქონდათ შვილების ლათინურ ტიბიკონზე მონათვლისა და მთელი ოჯახობით ამავე ტიბიკონზე გადასვლისა.

ამ ქალაქებში იშვიათად გამოვნახავთ ისეთ ქართველ-კათოლიკეს, რომელიც სომხურ ტიბიკონზე იყოს დარჩენილი.

ახალციხის და მის მაზრის ქართველ კათოლიკეთა ბევრჯერ მიუმართავთ თხოვნით რომისთვის, მეფის ნაცვლისთვის და რომის კათოლიკეთა ეპისკოპოსებისათვის, ჩამოეშორებიათ იგინი სომხურ ტიბიკონისგან და დაექვემდებარებიათ რომის კათოლიკეთა სასულიერო მმართველობისათვის.

ახალციხელების ამ გვარი უკანასკნელი თხოვნა მუხლმოდრეკილი წაუკითხეს 1913 წლის მაისის 15 სარატოვის ეპისკოპოსს **კესლერს**; მაგრამ, როგორც ვხედავთ, თხოვნებმა და მუხლმოდრეკამ უქმად ჩაიარა.

თუ ახალციხის ქართველ-კათოლიკენი ერთხმად მოითხოვდნენ ლათინურ ტიბიკონზე გადასვლას, აქედან არ შეიძლება დავასკვნათ, რომ მათ ეს ტიბიკონი გულით-სულით უნდოდათ. არა! ამ ტიბიკონისკენ მიიწევდა ხალხი იმიტომ, რომ მას კარგად ესმოდა და ჰქონდა გათვალისწინებული ძველი რუსეთის პოლიტიკა, რომლის წყალობით მთელ რუსეთში, გარდა მართლმადიდებლებისა, არავის შეეძლო ბერძნულ-ქართული ტიპიკონის მიღება.

ქართველ-კათოლიკეთა ასეთ მდგომარეობას მოუსწრო რევოლუციამ. რომლითაც ისარგებლეს ქართველ-კათოლიკებმა და ყველა ქალაქებში შეჰქმნეს რაიონული კომიტეტები და ტფილისში კი ცენტრალური.

აშკარაა, კომიტეტების უპირველესი მიზანი უნდა ყოფილიყო ქართული ენის აღდგენა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში და ჩამოშორება სომხურ-ლათინურ ტიბიკონებიდან.

ჩვენ ამას ხაზგასმით ვამბობთ და უსათუოდ კომიტეტების მთელი მუშაობა აქეთკენ უნდა ყოფილიყო მიმართული, თორემ რისთვის იყო საჭირო სხვა ქალაქებში (გარდა ახალციხისა) კომიტეტების დაარსება, თუ ისინი მოითხოვდნენ იმას, რაც მათ ნიკოლოზის დროსაც კი ჰქონდათ.

რა ეთქმის ისეთ კომიტეტს, რომელსაც ეწოდება „ქართველ-კათოლიკეთა კომიტეტი“ და რომელიც დიდი ხანია იმყოფება ლათინურ ტიბიკონზე, დღესაც დაჟინებით მოითხოვს ისევ

ამავე ტიბიკონს? ისინი გაურბიან **სამშობლო ენას,** და სცდილობენ მთელ ქართველ-კათოლიკობას მოახვიონ თავზე გაცუგებარი ერის ლათინური ტიბიკონი.

განა შესაძლებელია ამგვარ კომიტეტებს საქართველოს მთავრობამ დახმარება გაუწიოს დელეგაციის გაგზავნისთვის რომში, რომელ დელეგაციასაც, ნებსით თუ უნებლიედ, მიზნად დაუსახავს ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში ქართული ენის აღმოფხვრა?

უბედურება ისაა, რომ ამ კომიტეტებმა და უკეთ რომ ვსთქვათ, ტფილისის ცენტრალურმა კომიტეტმა, სადაც თავი მოუყრიათ სხვა და სხვა ტომის და ჯურის ხალხს, ერთი ადამიანის სახით მთელი ახალციხის ქართველ-კათოლიკენი ჩაითრიეს ანტიქართველურ ფერხულში.

პაპის ლეგატის საქართველოში მოსვლით, ყველაფერი ნათლად ითქვა. ვისაც რა უნდოდა, ის მოითხოვა.

ტფილისმა, ქუთაისმა, ბათომმა და სხვებმა მოითხოვეს ლათინური ტიბიკონი, მხოლოდ ახალციხემ, ახალმა და სხვამ მოსთხოვეს პაპის ლეგატს ლათინური ტიბიკონის თარგმნა ქართულად და თუ ეს არ მოხერხდებოდა – ქართულ ტიბიკონის აღდგენა ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში. ერთი სიტყვით, ახალციხელებმა პაპის ლეგატს მოსთხოვეს ეკლესიებში ქართული ენის შემოღება და თუ რომელი ტიბიკონის სახით შეიძლებოდა ამის ცხოვრებაში გატარება, ეს–ახალციხელებისთვის არავითარ მნიშვნელობას არ წარმოადგენდა.

ასეთ მოთხოვნილებების წინააღმდეგ გალაშქრება, იქნებოდა დემოკრატიზმის პრინციპების დარღვევა და სწორედ ამიტომ ახალციხელები არ მოითხოვდნენ ტფილისისათვისაც ქართულ ენას, ისე როგორც ტფილისელები და სხვები გაშმაგებით მუშაობდნენ, რათა ახალციხელებს უარეყოთ ქართული ტიბიკონი და მოეთხოვათ ლათინური წესი.

მაგრამ, ტფილისელებმა ვერ შეასრულეს თავის გულის ნადები, და ვერ შეისრულეს იმიტომ, რომ ახალციხელების მოთხოვნა შეუდრეკელი იყო და ამ მოთხოვნას ყოველმხრივ მხარს უჭერდა და ენერგიულად იცავდა ახალციხის ქართველ-კათოლიკეთა რევოლუციონური კომიტეტი.

ასე დამთავრდა პაპის ლეგატის მისია საქართველოში, მაგრამ ტფილისის ცენტრალურმა კომიტეტმა თავი არ დაანება განზრახვას და ხელის ფათური იწყო ახალციხის ქართველ-კათოლიკეთა ეროვნულ რწმენაში. ეს ხელის ფათური გამოიხატება იმაში, რომ ლეგატის საქართველოდან წასვლის უმალ, კომიტეტმა იწყო მუშაობა ქართულ ტიბიკონის, უკეთ რომ ვსთქვათ, ქართული ენის ხმარების წინააღმდეგ ახალციხის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიებში.

ამ მიზნით ამა წლის დასაწყისში მოიწვია მან ქართველ-კათოლიკეთა მეორე კონფერენცია, სადაც როგორც უწყებიდან სჩანს, არ უნდა დასწრებოდნენ სასულიერო წოდების პირები.

კონფერენცია არ შესდგა, რადგანაც ახალციხელებმა ცივი უარი შეუთვალეს ტფილისის დელეგატების გაგზავნაზე.

ტფილისის კომიტეტმა მოიყრუა თავი და ვითომ ვერ გაიგო ახალციხელების უარი დელეგატების გაგზავნაზე და ხელმეორედ კონფერენციის მოწვევა დანიშნა ა.წ. აპრილის 7-თვის.

ამ დროისთვის მან დაუგზავნა ყველას მოკლე უწყებები, რათა დელეგატები უსათუოდ გამოცხადებულიყვნენ კონფერენციაზე; უწყებებთან ერთად გადაგზავნა თითო დელეგატზე ათასი მანეთიც.

ამ შემთხვევაში, ხალხის და გაუგებარ მიზეზების გამო, ახალციხის რაიონული კომიტეტის მოთავე დაითანხმა დელეგატის გაგზავნაზე.\დელეგატმა მიიღო კომიტეტისგან მანდატი, სადაც ერთი სიტყვაც კი არ იყო ნათქვამი, რომ კომიტეტი, თუ ხალხი უფლებას აძლევს დელეგატს კონფერენციაზე უარჰყოს ქართული ტიბიკონი, რომელსაც მოითხოვდნენ ახალციხელები პაპის ლეგატისგან ცალკე ოქმით.

არც არალის დელეგატს ჰქონდა უფლება, რაიმე ეთქვა ქართული ენის წინააღმდეგ, მაგრამ ერთიც და მეორეც, თურმე ჩქარა მოხიბლეს ტფილისელებმა და ახალციხელ-არლელების სახელით **თითები ააწევინეს დელეგატებს ქართული ტიბიკონის წინააღმდეგ**.

რას ნიშნავს ეს, თუ არა ძალადობას?

სად არის აქ სინიდისის თავისუფლების დაცვა?

რა იყო მიზეზი, რომ კონფერენციას ამ ჟამად დაესწრნენ და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ ტფილისის ყველა კლერიკალი პატრები?

რატომ ახალციხის სამღვდელოებაც არ მიიწვიეს კონფერენციაზე?

რა საქმე აქვთ ტფილისის პატრებს და მათ მიმდევარ ბურჟუებს ახალციხის დემოკრატიასთან?

რატომ უფათურებენ ხელს ქართველი ხალხის რწმენაში და რატომ გასთელეს ასე უცბად ახალციხელების ეროვნული შეგნება?

ნუ თუ „ძალად მაცხონეთა“ კონფერენციამ არ გაითვალისწინა, რომ ბევრ ახალციხელს, თუ ქართული ენა იქმნა შემოღებული, ისევ ძველი ჭირი-სომხური ტიპიკონი ურჩევნია, ვიდრე ახალი ლხინი-ლათინური ტიბიკონი?

ქართველი ხალხისთვის განა სულ ერთი არ არის სომხური თუ ლათინური ტიბიკონი?

ცხადია, კონფერენციის მიერ არჩეული დელეგაცია, მიემგზავრება რომს, უმთავრესად ახალციხელების და ჯავახეთის „საზრუნავად“ და ჩვენ ძალზე გვაინტერესებს შემდეგი კითხვაც: რა არის მიზეზი, რომ დელეგაციაში შევიდნენ ტფილისში მცხოვრები პირები და არც ერთი დელეგატი არ გაიყვანა კონფერენციამ ახალციხის, ან მისი მაზრის მკვიდრთაგანი?

ჩვენ არ ვიცით, რას გვიპასუხებენ ზემოდ დასმულ კითხვებზე; მხოლოდ ის კი ვიცით, რომ ყველა ეს არის არა მკითხაობა, ბურჟუაზიულ კლასის და ფანატიკოსების გაბატონება დემოკრატიაზე, მოღალატეობა სამშობლოსადმი და საქართველოს მთავრობის ხარჯით გასეირნება რომში.

კონფერენციაზე თურმე დაუსვამთ საკითხი, თუ რას წარმოადგენს ახალციხის ერთი მუჭა ქართველ-კათოლიკობა, რომელიც უმრავლესობის წინააღმდეგ ქართულ ენას მოითხოვსო?

ვერ გაგვიგია, რატომ დასჭირდა კონფერენციას ამ გვარი კითხვის დასმა, მხოლოდ ის კი გვესმის, რომ რამდენად ახალციხის კათოლიკენი ერთ მუჭა ხალხს წარმოადგენენ ტფილისის, ქუთაისის და სხ. ქართველ კათოლიკეებთან, იმდენად კონფერენციის წევრები, სრულიად არაფერს წარმოადგენენ ახალციხის კათოლიკებთან.

ტფილისის ცენტრალურ კომიტეტს, აი, რა აშინებს და აფიქრებს:

1) ვაი, თუ რუსეთის რეაქციამ თავი წამოჰყოს და ქართულ ტიპიკონზე მყოფი კათოლიკენი მთლად გაჟლიტოს.

2) ვაი, თუ ქართულ ტიბიკონზე მყოფი კათოლიკენი **გაითქვიფნონ მართლმადიდებლებში და სამუდამოდ დაჰკარგონ კათოლიკობა.**

3) ვაი, **თუ ქართული ენის შემოღებამ ქართველი კათოლიკენი დააშოროს ევროპას,**

4) ქართული ენა ეკლესიებში, უეჭველად იმოქმედებს სკოლებზე და ევროპის სხვა სახელმწიფოების მისიის წევრებზე, რომლებიც აღარ გამოცხადდებიან ეკლესიაში სალოცავად,

5) ლათინური წესის წირვა ლამაზი და მომხიბლავია და ბევრად სჯობია ქართული ენის წირვა-ლოცვას და

6) ვაი, თუ ახალქალაქის მაზრის სოფლები: **კარტიკამი, ბავრა, ხურგუმო** და სხვა საქართველომ პოლიტიკურად მთლად დაჰკარგოსო.

ტფილისის კომიტეტის ფიქრები და შიში, როგორც სიზმარი, ყოველ ნიადაგს მოკლებულია და აი, რისთვის:

1) რუსეთის რეაქციამ რომ თავი წამოჰყოს, განადგურდებიან არა მარტო ქართველი კათოლიკენი, არამედ მთელი საქართველოს ხალხი.

2) ქართველი კათოლიკები მთელი საუკუნოებით სომხების უღელ ქვეშ იყვნენ და არ ყოფილა მაგალითი, რომ კათოლიკე ერის კაცს ეღალატოს თავის სარწმუნოებისთვის და ეროვნებისთვის, და დღესაც ის არ უღალატებს თავის სარწმუნოებას და სხვა სარწმუნოებაში არ გაითქვიფება.

3) ამიერკავკასიის კათოლიკეთ კავშირი ქონდათ ევროპასთან სარწმუნოებით და ეს კავშირი შემდეგშიც იქნება, თუ საქართველოში მთლად არ გასწყდება მთელი კათოლიკობა. თუ ტფილისის კომიტეტი შიშობს, რომ ქართველ კათოლიკენი ვერ აღორძინდებიან სწავლა-განათლებით და ევროპის კულტურით, ჩვენ შეგვიძლიან კომიტეტი დავაწყნაროთ შემდეგით: **ქართველ ხალხს აქვს თავისი ზნე-ჩვეულება და არა ნაკლები კულტურა ევროპის კულტურაზე. მას მოეპოვება უმაღლესი სასწავლებელიც. თუ რომელიმე ქართველი, იქნება იგი მართლმადიდებელი, კათოლიკე, მაჰმადიანი თუ ებრაელი, მოისურვებს ევროპასთან კავშირს, ეს მას ყოველთვის შეუძლიან, ხელის შემშლელი არავინ არის და არც იქნება.**

4) ტფილისის ეკლესიისა რა მოგახსენოთ, მხოლოდ ის კი ცხადია, რომ სკოლები და სხვა მისიის წევრები, თუ ახალციხეში ჩამოვლენ და არ მიეკარებიან ეკლესიებს, ხალხი ამისთვის მუხლებს არ გაიტყავებს, როგორც ეს მოსდის ტფილისის კომიტეტს.

5) ლათინური წესის წირვა შეიძლება ლამაზიც იყოს, მაგრამ ნუ დაგვავიწყდება, რომ **ყველა ერისთვის მშობლიურ ენაზე წირვა-ლოცვის შესრულება, უფრო ულამაზესია და**

6) ჩვენ არ გვესმის: ნუ თუ კარტიკამის რომელიმე აკოფას, რომელსაც გარდა თათრული ენისა, სხვა არც ერთი ენა არ ეყურება, თუ გავაალფოსნებთ, ის პოლიტიკურად არ ჩამოშორდება საქართველოს, და თუ უწოდებთ მას იაკობს, მაშინ ის ჩამოშორდება?

ასეთი იყო და არის მუშაობა ტფილისის კომიტეტისა, რომლის წინააღმდეგ ვაცხადებთ ენერგიულ პროტესტს და მოუწოდებთ ახალციხის ქართველ-კათოლიკეთა რევოლუციონურ კომიტეტს, განაახლოს მოქმედება და იბრძოლოს იქამდე, ვიდრე ქართველ-კათოლიკეთა ეკლესიებში აღსდგებოდეს ქართული ენა, თორემ ქართველ-კათოლიკენი, როგორც სჩანს, სულ ახლო მომავალში გაეყრებიან **სომხურ ტიპიკონ–ვაის და შეეყრებიან ლათინურ ტიპიკონ –ვუის.**

მთავრობამაც ყურადღება უნდა მიაქციოს ხსენებულ გარემოებას.

ხელნაწერი დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში. დაბეჭდილია გაზეთში „სახალხო საქმე“, N891, 1920 წ. (გაზეთის ეს ნომერიც დაცულია იქვე, სავანის ბიბლიოთეკაში).

მესხი-კათოლიკე (უცნობი ფსევდონიმი)

რა მოგვიტანა რომის პაპის დელეგატმა ანტონი დელფუშიმ ახალციხის ქართველ კათოლიკეებს?

ვიდრე შევეხებოდეთ პაპის დელეგატის ახალციხეში მოსვლის შედეგებს, საჭიროდ მიგვაჩნია ერთხელ კიდევ აღვნიშნოთ სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობის მოღვაწეობა ქართველ-კათოლიკეთა საკითხის დარგში.

ყველასათვის აშკარაა, რომ მესხეთ-ჯავახეთში და საერთოდ საქართველოში, სომხური ტიბიკონის ქართველ-კათოლიკენი ნამდვილი ქართველები ვართ. ამის და მიხედვით დიდი ხნის განთავისუფლებული უნდა ვყოფილიყავით სომეხ კათოლიკეთა მმართველობის უღლიდან, მაგრამ რომ იტყვიან, ციხე შიგნიდან გატყდებაო, სწორედ ასე მოგვდიოდა და შიგნიდან ღალატმა მიგვიყვანა იქამდის, რომ დღესაც, თავისუფალ საქართველოს წესწყობილების დროსაც კი ვერ დაგვიღწევია თავი სომეხ კათოლიკეთა სასულიერო მმართველობისთვის, რომელიც როგორც ძველი რეჟიმის დროს, დღესაც შესდგება მუქთახორა, მოღალატე და ავანტიურისტ-შავრაზმელებისაგან.

12-15 წლის წინად სომეხ-კათოლიკეთა მმართველობა იმყოფებოდა რომის-კათოლიკეთა სარატოვის ეპისკოპოსის იურისდიქციის ქვეშ და ამ რიგად ფაქტიური მმართველი ქართველ კათოლიკებისა იყო სარატოვის ეპისკოპოსი.

თუმცა ჩვენთვის არც ის იყო სასურველი, მაგრამ ყოველ შემთხვევაში მის ხელში ყოფნა ბევრად უმჯობესი იყო და იქნებოდა, ვიდრე დაშნაკელ ტერ-აბრამიანის და მისი დამქაშების და ...

მკითხველი უეჭველია იკითხავს, თუ ეს ასე იყო, რატომ მთელი ქართველ-კათოლიკობა არ გადავიდა რომის-კათოლიკობაზეო.

ამაზე პასუხი მარტივია: ჯერ ერთი, **მაშინ ეროვნულად არ იყო ხალხი განვითარებული** და ამასაც თავი დავანებოთ რუსეთის ძველ რეჟიმის დროს, არც ისე ადვილი იყო მასსიურად გადასვლა ერთი ტიბიკონიდან მეორეზე.

როდესაც ხალხში იწყო ეროვნულ გრძნობების გაღვიძებამ და ინტელიგენციამ თავი წამოყო, სწორედ ამ დროს მოგვევლინა ტერ-სარქის ტერ-აბრამიანი და თვისი შტაბით მთელი ქართველ-კათოლიკობას წამოგვაჯდა კისერზე და აი, სწორედ აქედან იწყება გაშმაგებუოლი ბრძოლა სომეხ-კათოლიკეთა მმართველობის და ქართველ კათოლიკების შორის.

რომის პაპმა, ალბად, ისევ ტერ-აბრამიანის ჩაგონებით, მოინდომა მთელი რუსეთის სომეხ-კათოლიკებისთვის სამოციქულო ადმინისტრატორის დანიშვნა.

თავისი სურვილი პაპმა სისრულეში მოიყვანა და ადმინისტრატორად არხი-მანდრიტის ხარისხით გამოგზავნა ტერ-აბრამიანი.

თუმცა პაპის დეკრეტში გარკვევით ნათქვამი იყო, რომ ტერ-აბრამიანის მმართველობაში გადადიან მხოლოდ სომეხ-კათოლიკენნი ტომით სომხებიო, მაგრამ ტერ-აბრამიანმა თავის გაიძვერობით და რა თქმა უნდა, თავისი ჯიბის სასარგებლოდ ისე მოხიბლა სარატოვის რომის-კათოლიკეთა ნემეცი ეპისკოპოსი **კესლერი**, რომ უკანასკნელმა გაგვაყოლა ტომით სომხებს და ჩვენ ქართველ-კათოლიკენიც დაგვაქვემდებარა ტერ-აბრამიანის იურისდიქციას.

ასეთმა არა ნორმალურმა მოვლენამ მიუტევებელი შეცდომის გამოსწორება ვერ შესძლეს.

დიაღ, ვერ შევსძელით, რადგანაც ტერ-აბრამიანი, რომლის კაბინეთშიც **დინისი კალატო-ზიშვილი** სწერდა ჩვენს წინააღმდეგ ატესტაციებს, მაგრად გვიჭერდა თავის ბრჭყალებს ყელში და დაჰკიოდა: სომხები ხართ, სომხები და ხელიდან ვერსად წამიხვალთო!

ამ რიგად ეპისკოპოს კესლერის უდიდესი შეცდომა დარჩა უბრალო შეცდომად და ჩვენი მთელი ბედ-იღბალის პატრონად გადაიქცა ტერ-აბრამიანის ყაჩაღთა ბუდე, სადაც, ყაჩაღების გარდა, შედიან დაშნაკელი, ლოთი-შფოთი, შავრაზმელი და საქართველოს თავისუფლების მტერი მღვდლები.

ყველა ამას ვამბობთ ჩვენ და მკითხველიც შეგვიძლია დავარწმუნოთ შემდეგიდან:

ტერ-აბრამიანმა და კალატოზიშვილმა ყაჩაღურად გაიტაცეს ახალციხიდან შაჰყულიანის ძვირფასი ბიბლიოთეკა.

ტერ-აბრამიანი დაეპატრონა ტფილისის რომის-კათოლიკეთა მიძინების ეკლესიას და ამ ნიადაგზე წაჰგლიჯა ზუბალაშვილს 50000 მანეთზე მეტი.

მისი მღვდლები აწარმოებენ ანტიქართველურ პოლიტიკას და ტრაპეზიდან უქადაგებენ ქართველ-კათოლიკებს, რომ უკანასკნელნი არიან სომხები და არა ქართველები.

ამის მაგალითს მოვიყვანთ სოფელ **კარტიკამის** ცხოვრებიდან (ახალქალაქის მაზრა).

ამ სოფლის მცხოვრებნი გადმოსახლებული არიან **ველიდან** (არტაანის ოლქი). თავს ქართველებად სცნობენ, მხოლოდ ქართული ენა დაუკარგავთ და ლაპარაკობენ განსაკუთრებით თათრულ ენაზე. მათი მღვდელი ტომით სომეხია და აი, ეს ვაჟბატონი არ სჯერდება ...

ახალციხეში ააგეს ივანე ნათლისმცემლის ეკლესია. ხალხმა ითხოვა ტეხნიკურად შემოწმება. ტერ-აბრამიანმა ხალხის თხოვნას ანგარიში არ გაუწია. ეკლესიის სამრეკლო დაიქცა, რამაც საგრძნობლად დააზიანა ეკლესიის კედლებიც. სამრეკლო და კედლები ისევ შეაკეთეს. შეკეთებული ეკლესია ისევ შეუმოწმებელია. რამდენი დაიხარჯა ეკლესიის აგება-შეკეთებაში, ეს მხოლოდ ტერ-აბრამიანმა და მისმა კომპანიამ იცის.

ამავე ეკლესიის მღვდელი **თათენაშვილი** ეკლესიიდან ერეკება სინდიკებს, რათა ეკლესიის შემოსავალ-გასავალზე მარტო თითონ ინავარდოს.

ტერ-აბრამიანის მღვდლები ქართველ-კათოლიკების წინააღმდეგ ისეთ ჯაშუშობას ეწეოდნენ და ეწევიან, რომ თუ გერმანიასაც ასეთი ჯაშუშები ეყოლებოდა, მსოფლიო ომიდან ის უთუოდ გამარჯვებული გამოვიდოდა.

უმეტესი ნაწილი მღვდლებისა ნაკურთხი არიან ოსმალეთში ფარულად.

ერთმა მათგანმა კეტით მკლავი მოსტეხა რაბათში ივანე ქურქჩიბაშიშვილს. ეს მღვდელივე კეტით თავ-პირს ამტვრევს სოფ. კარტიკამის მცხოვრებლებს.

ტერ-აბრამიანმა ისეთი პირიც აკურთხებინა მღვდლად, რომელმაც ტერ-აბრამიანის ფეხსაცმელის გაწმენდის მეტი სხვა არაფერი იცოდა.

ზოგიერთ-მღვდლების ლოთი-ფოთობაზე ლაპარაკი ზედმეტია. მათი შავრაზმელობაც ბევრჯერ იყო გამოქვეყნებული „სახალხო საქმის“ ფურცლებზე, მაგრამ აქვე მოვიყვანთ კიდევ ერთ საგულისხმიერო მაგალითს, რომლიდანაც მკითხველი დარწმუნდება, თუ რა ჯურის მღვდლების ხელში ვიმყოფებით ქართველ-კათოლიკენი.

ძველიდანვე ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას ჰქონდა სამრევლო სკოლა, ... ამ ხნის განმავლობაში უპატრონოდ იყვნენ მიტოვებული და გარყვნილობის მეტს არაფერს სწავლობდნენ.

1917 წლის ნოემბრის 26-ს მოწვეულ იქმნა რაბათში ქართველთა საზოგადო კრება ღარიბ ბავშთა სწავლა-განათლების საკითხის გამოსარკვევად. კრებას დიდ-ძალი საზოგადოება დაესწრო. ბევრი ახსნა-დარიგების შემდეგ, კრებამ გამოიტანა შემდეგი რეზოლუცია:

1) დაარსდეს რაბათის ქართველთა საქველმოქმედო საზოგადოება,

2) დაწესდეს საწევრო გადასახადი წლიურად არა ნაკლებ ორი მანეთისა,

3) ოთხი წლის დაკეტილი სკოლა თავისი ფონდით 300 მანეთით, (რომელიც ინახებოდა ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში) გადავიდეს პირველ მუხლში მოხსენებულ საზოგადოების გამგებლობაში,

4) სკოლა უნდა გაიხსნას და სწავლაც დაიწყოს არა უგვიანეს 1918 წ. 1-ლ იანვრისა და

5) სკოლაში უნდა ისწავლოს ყველა ქართველმა განურჩევლად სარწმუნოებისა.

ეს რეზოლუცია კრებამ ერთხმად მიიღო, დაამტკიცა და ახლად დაარსებულ საზოგადოების გამგეობაში აირჩია თავმჯდომარედ პატრი **ალიოზ ბათმანიშვილი** და 16 წევრი. წევრად არჩეულ იქნა სხვათა შორის მღ. **გ.გოზალაშვილიც.**

გამგეობა დროის დაგვარად შეუდგა მუშაობას. გახსნა სკოლის ფონდის გასაძლიერებლად გამართა ხელის მოწერა და ერთ დღეში მან შეკრიბა 1000 მანეთი.

გამგეობა შეუდგა ფონდის 8000 მანეთის ძებნასაც, რომელიც მხოლოდ სიტყვით არსებობდა და ???ჰაერში ეკიდა.

როგორც ზევითა ვსთქვით, ინახებოდა ივანე ნათლისმცემლის ეკლე ... თხოვნა ფულის განაღდება კანონიერი სარგებლით, მაგრამ გოზალიშვილი დიდ ხანს ცივ უარზე იდგა: ჩემ ეკლესიას სკოლის ვალი ერთი კაპეიკი არა აქვსო.

თავიდანვე მღ. გ. გოზალიშვილი წინააღმდეგი იყო სკოლის გახსნისა და რადგანაც თვითონ არ იქმნა არჩეული თავმჯდომარედ და თავისი უსწავლელი დები არ იქმნენ მოწვეული მასწავლებლებად, შურით არ იცოდა, რა ექმნა.

ბრაზმორეული ყოველთვის წინააღმდეგობას უწევდა სკოლის გამგეობას და ყოველ ნაბიჯზე ხელს უშლიდა მის მუშაობას და თავის დების დახმარებით ათასგვარ ჭორს ავრცელებდა ხალხში, მაგრამ მაინც ვერას გახდა, ვინაიდან სკოლაში მაისის 20-მდე სწავლა ნორმალურად სწარმოებდა და მოწაფეები დათხოვნილ იქმნენ იმ დროს, როდესაც ოსმალეთმა ფეხი შემოსდგა ახალციხეში.

ვიდრე ოსმალეთი შემოვიდოდა ახალციხეში და ამით ფრთები შეესხმებოდა მღ. გ, გოზალაშვილს, გამგეობას გამოტანილი ჰქონდა შემდეგი დადგენილება: „რათა ბავშვები ზაფხულში არ გაირყვნენ ქუჩაში ხეტიალით, ამისთვის ივნისიდან მოეწყოს საზაფხულო გაკვეთილები“.

ამ დადგენილების თანახმად, გამგეობამ შემდეგი შინაარსის წერილი მისწერეს თავის წევრს მღ. გ. გოზალაშვილს: 16 ივნისი 1918 წ. მამა გაბრიელ ... ორშაბათიდან საზოგადოების სკოლაში დაიწყება საზაფხულო გაკვეთილები, ამისათვის გთხოვთ ხვალ ეკლესიაში გამოუცხადოთ თქვენს მრევლს, გამოგზავნონ სკოლაში თავიანთი ბავშები ჩასაწერად. ჩაწერა მოხდება მხოლოდ ორშაბათს და სამშაბათს დილის ... საათიდან 10 საათამდე. თავმჯდომარე ... **ალ. ბათმანაშვილი,** მდივანი **ზაქარია დიდიმამიშვილი“.**

ამ წერილზე სკოლის გამგეობამ მღ. გ. გოზალაშვილისგან მიიღო შემდეგი კადნიერი წერილობითი პასუხი, რომელიც მოგვყავს შეუსწორებლივ და უცვლელად:

„1918 წელს ივნისის 17-ს **ალიოზი ბათმანაშვილს,** თქვენი ოფიციალური ქაღალდი ივნისის 16 მიმდინარე წელს მივიღე, რომელმაც საშინლათ გამაკვირვა, აბა ერთი მითხარით რა დროა ივნისის ცხელ თვეში სწავლის დაწყობა?! დამისახელე რომელი სასწავლებელია ღია? შეიძლებათ სთქვათ ჩემი ნება ასეთია და თქვენ რა შუაში ხართ; გეტყვით, უკანონო ნება და სურვილი უდროო გქონიათ, რადგან არასფერს ანგარიშს არ უწევთ. ერთი მითხარით, რომელმა საზოგადოებამ, რომელმა კრებამ მოგანდო უდროოდ სწავლის დაწყობა მხოლოდ სამი-ოთხი გამოუცდელი ახალგაზრდა ქალიშვილების იმედით, რომ ისინი მასწავლებლობას შეასრულე-ბენ? ეს თქვენი ფორმალისტობაა და სხვა არაფერი.? მე პროტესტს ვაცხადებ მაგგვარ უდროოდ სწავლის დაწყობაზე. გირჩევთ თავი დაანებოთ დრომდის და ქვეყნის წინ გასაცინი არ გახდეთ. ქართული ანდაზაა: **უდროოდ ტირილი კვდარს ფეხებს გააქნევინებსო.** როდესაც მასწავლებე-ლი გყავდათ, მაშინაც ბავშები ვერ გაგეჩუმებინათ, სახლის და სკოლის შუშები დამინტვრიეთ, საკმარისია... თუ ძალზე გადგები და არ დაიშლი, კანონს მივმართავ და საზოგადოებასაც ყოლისფერს აუხსნი...

ერთობა მოკვდა, რით ვერ გაგიგიათ! სკოლა საეკლესიოა, არასდროს ლათინის მღვდელი არ ყოფილა გამგე... თქვენ, თქვენ ეკლესიაზე და მრევლზე გაქვთ უფლება და არა სხვის ეკლე-სიებზე და ერზე. როდესაც ეპისკოპოსი **კესლერი** ჩაგაბარებს უფლებას დიდის სიამოვნებით არავინ არასფერს გეტყვის... არასფერი საწინააღმდეგო მექნება, როცა სწავლის დრო მოვა და საზოგადო და ბალკონი საუკეთესო გაქვთ, შეიკრიბეთ ბავშვები და როგორც გნებავთ ისე ასწავლეთ და ისე გაირთეთ თავი... იმედია, ამით ბოლო მოეღება საზოგადოებაში მეტ-ნაკლების ლაპარაკს და ჩვენში მიწერ-მოწერას. თქვენი მ.მღ. **გაბრიელ გოზალაშვილი“.**

ჩვენი მომავალი თაობის მოღალატე გოზალაშვილმა არ აკმარა გამგეობისადმი ზემოდ-მოყვანილი შინაარსით წერილის გაგზავნა და ივნისის 19, როდესაც გამგეობის თავმჯდომარე ბათმანაშვილი რამდენიმე შეგირდით იმყოფებოდა სასწავლებელში ცარცის და წიგნების გამოსატანად, ამ დროს სკოლაში შევარდა ოსმალეთის მოტრფიალე მღ. გოზალაშვილი და ბათმანიშვილს დაუწყო ყვირილი: სკოლა ჩემია და, აქ რა საქმე გაქვს, ჩქარა აქედან გადიო.

ფიზიკურად ძლიერმა და უხეშმა **გოზალაშვილმა** თავისი გაიტანა და **ბათმანაშვილი** გამოაგდო სკოლიდან, დაკეტა სკოლა და გასაღები ჯიბეში ჩაიდო.

საჭიროდ აღარ მიგვაჩნია გოზალაშვილის წერილს ანალიზი გაუკეთოთ, მხოლოდ ვიტყ-ვით, რომ ქართველ-კათოლიკეთა ისტორია სავსეა სომეხ კათოლიკეთა ტიბიკონის მღვდლების მიერ ასეთი ხულიგნური და მოღალატეობითი გამოსვლებით, მაგრამ უბედურობა იმაშია, რომ ამგვარ გამოსვლებს თავისუფალ საქართველოშიც ბოლო არ ეღება და ტერ-აბრამიანის ამ გვარი მღვდლები დღესაც თავისუფლად დათარეშობენ თავისუფალ საქართველოში, აწარმოებენ თავიანთ „წმინდა საქმეს“ ტერ-აბრამიანის სასარგებლოდ და ამით ძირს უთხრიან როგორც საქართველოს რესპუბლიკის წეს-წყობილების განმტკიცებას, აგრედვე, ქართველ კათოლიკეთა შეკავშირებას და მათი ეროვნულად აღდგენას.

ხელნაწერი ინახება სავანის არქივში. დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე“, N655, 1919 წ.გაზეთის ეს ნომერიც იქვეა დაცული.

მესხი-კათოლიკე (უცნობი ფსევდონიმი)

რა მოგვიტანა რომის პაპის დელეგატმა ანტონი დელფუშიმ ახალციხის ქართველ კათოლიკეებს?

(გაგრძელება)

ჩვენის აზრით, საკმაოდ გავაშუქეთ ტერ-აბრამიანის აგენტების ღვაწლი ჩვენში და ახლა შევეხებით თვით ტერ-აბრამიანის და მის ამხანაგ კალატოზიშვილის მოღვაწეობას.

როგორც ზევითა ვსთქვით, ტერ-აბრამიანმა და ვენეციაში გაზდილ მხიტარისტ კალატოზიშვილმა, გაშმაგებული ბრძოლა იწყეს ქართველ-კათოლიკეთა წინააღმდეგ.

მართლაც, კარგი ორგანიზაცია ჰქონდათ მოწყობილი ყველგან: რომში, რუსეთის ძველი რეჟიმის სამინისტროებში და მეფის ნაცვალთან გაწვრთნილი აგენტები ჰყავდათ ჩაყენებული ჩვენს წინააღმდეგ.

მათ დიდად ხელს უწყობდა დესპოტიური რუსეთის წესწყობილებაც და ერთი კალმის მოსმით აბათილებდნენ ქართველ კათოლიკეთა მოთხოვნილებებს.

მიუხედავად ასეთი რეჟიმისა და წინააღმდეგობისა, ქართველ-კათოლიკობა თან და თან იღვიძებდა და უფრო ენერგიულად თხოულობდა თავის უფლებების აღდგენას.

საქმე მწვავე ხასიათს ღებულობდა, მაგრამ ტერ-აბრამიანს და მხიტარისტ კალატოზიშვილს არ ეძინათ.

ისინი ათასგვარ ხრიკებს ხმარობდნენ და თავისი მღვდლების პირით ხალხს აშინებდნენ.

მრევლს ეუბნებოდნენ: **თუ თქვენ ქართველები ხართ, მაშინ მოგეცემათ მართლმადიდებლობის წირვა-ლოცვის წესი და ეს იმას ნიშნავს, რომ თქვენ კათოლიკები აღარ იქნებითო**.

ამის შიშით ხალხი გაურბოდა აღმოსავლეთის წესს და ამიტომ იყო, რომ ქართველ-კათოლიკენი რუსეთის რევოლუციამდე და საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადებამდე, დაჟინებით მოითხოვდნენ ლათინურ ტიბიკონზე გადასვლას.

1911 წ. რუსეთში გამოიცა უმაღლესი ბრძანება, რომლითაც **არა მართლმადიდებლებს აკრძალული ჰქონდათ მართლმადიდებლების მსგავსად წირვა-ლოცვის შესრულება**, ასე, რომ თუ მაშინ ქართველ-კათოლიკეთ შესთავაზებდნენ აღმოსავლეთის წესს, ეს მათთვის მიუღებელი იყო, ვინაიდან ამას უშლიდა ცარიზმის რუსეთი.

აღმოსავლეთურ სომხის ტიბიკონიდან მასსიურად გადასვლას დასავლეთის ლათინურ ტიბიკონზეც, ათასგვარი დაბრკოლება ეღობებოდა წინ.

ერთი სიტყვით, საითკენაც შევატრიალებდით საქმეს, ყოველთვის წინ გვეღობებოდა ტერ-აბრამიანის და კალატოზიშვილს მაგარი კედელი, რომელიც გზას არსაით არ გვაძლევდა.

ქართველი კათოლიკენი მაინც არ ვისვენებდით და საქმე, რომ გასჭირდა ტერ-აბრამიანმა მოღალატე კალატოზიშვილის დახმარებით, გაგზავნა რომში გაიძვერული წერილი. რომელშიაც სწერდა შემდეგს:

... თუ ვინმე ამ 7000 პირთაგანი რომში მოვლენ, ან თხოვნებს მოგართმევენ, როგორადაც წამქეზებელნი მათ ასწავლიან, ჩემი უმდაბლესი მოსაზრება არის, რომ წ. ტახტმა მიუგოს მათ: თუ ერთხმად იგინი აღმოსავლეთურ **ქართულ წესს ქართულ ენაზე მოითხოვენ**, მაშინ წ. ტახტი ამაზე მოიფიქრებს, წინააღმდეგ შემთხვევაში უნდა დარჩნენ იმ წესზე, რომელზედაც საუკუნოებით ყოფილანო“.

ქართველი კათოლიკენი ტერ-აბრამიანს დაშინებული ჰყავდა აღმოსავლეთის წესით. მან კარგად იცოდა, რომ ძველი რეჟიმი არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებდა აღმოსავლეთის წესს ქართველი კათოლიკებისთვის და მიუხედავად ყველა ამისა, რომის პაპს ატყუებდა და გაიძვერულად ურჩევდა: თუ ქართველი კათოლიკენი აღმოსავლეთის წესს მოითხოვენ, მიეცით, წინააღმდეგ შემთხვევაში, ლათინურზე უარი უთხარითო.

ტერ-აბრამიანი ხშირად ჯაშუშობდა ისტორიკოს **მიხეილ თამარაშვილზე** და სწერდა რომში: წყარო ყოველი ცუდისა და არეულობისა არის რომში მყოფი მამა მიხეილ თამარაშვილი, შთამომავლობით სომეხი, დაბადებული ახალციხეში და შემთხვევით ქართველი ენის მოლაპარაკე, მეწაღე, რომელიც რუსეთის მთავრობის კანონის შებღალვის გამო ჩვენი გუბერ-ნიიდან განდევნილ იქმნა. იგი წერილებით და ყველა ნაირ მზაკვრობით ხალხში მშვიდობას არღვევსო.

რამდენად ტერ-აბრამიანი გვიწევდა წინააღმდეგობას, იმდენად ის ზედიზედ ანადგურებ-და სიმდიდრე-ქონებას ჩვენი კულტურისას.

ტერ აბრამიანი, სხვათა შორის, ჯიუტი და დესპოტი ადამიანია.

სამი წლის წინეთ, მას როგორც დესპოტს და ჯიუტს მკაცრი წინააღმდეგობა გაუწიეს ტფილისის ნამდვილ სომეხ კათოლიკებმა და საქმე იქამდის მივიდა, რომ ის იძულებული შეიქმნა გაქცეულიყო რომში; ამ რიგად ბაზა მუშაობისა ქართველ-კათოლიკეთა წინააღმდეგ მან გადაიტანა რომის პაპის ტახტთანაც და თავის მოადგილეთ აქ დასტოვა თავისივე მარჯ-ვენა ხელი–მხიტარისტი **კალატოზიშვილი**.

ტერ-აბრამიანის გაქცევის შემდეგ დაინგრა რუსეთის ძველი წესწყობილება.

რევოლუციის მონაპოვარ უფლებით ისარგებლეს ქართველ-კათოლიკებმაც. მათ უფრო ჩქარის ტემპით იწყეს მუშაობა. შეადგინეს კომიტეტები და ტფილისში მოიწვიეს კონფერენცია.

კონფერენციაზე მონაწილეობა მიიღეს ქართველმა პატრებმაც. ტიბიკონის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, და ხალხი დაიყო **სამად**. ერთი ნაწილი მოითხოვდა **ქართულ აღმოსავლეთურ წესს, მეორე–ლათინურს, მხოლოდ მესამე კი –ლათინურს, გადმოთარგმნილს ქართულ ენაზე.**

რა თქმა უნდა, პირველი ჯგუფის მოთხოვნა უფრო ლოღიკური იყო, მაგრამ არ ვიცით, რა მოსაზრებით, კონფერენციამ ეს უარჰყო და მიიღო უკანასკნელი ჯგუფის წინადადება, თუმცა კონფერენცია ღრმად იყო დარწმუნებული, რომ ლათინური წესის გადმოთარგმნას ქართულ ენაზე რომის პაპი არ დაუშვებდა და არც დაუშვებს.

მიუხედავად კონფერენციის ასეთი დადგენილებისა, ჩვენ ახალციხის ქართველ-კათო-ლიკეთ ერთი გამოსავალი გზა დაგვრჩა: ან მოგვეთხოვა ქართული აღმოსავლეთური ტიბიკო-ნი, ან გადავსულიყავით ლათინურ ტიბიკონზე, ე.ი. იმ წესზე, რა წესზედაც არიან ტფილისის, **გორის, ქუთაისის** და **ბათომის** ქართველ კათოლიკენი.

ჩვენ როგორც ქართველებმა, ვარჩიეთ პირველი ტიბიკონი და ამ გზისკენ ვიწყეთ სვლა, ასე რომ კონფერენციის დადგენილებას, ტიბიკონის საკითხში, ახალციხის ქართველ კათოლიკე-ბისთვის არავითარი მნიშვნელობა არა ჰქონდა.

თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ ტერ-აბრამიანის ბატონობა გავრცელებული იყო და არის მხოლოდ **მესხეთ-ჯავახეთის ქართველ-კათოლიკებზე** და ამ ნაირად ბათომის, ქუთაისის, გორის და ტფილისის ქართველ-კათოლიკენი თავისუფალნი იყვნენ და არიან სომეხ-კათო-ლიკეთა მმართველობის უღელიდან და აი, სწორედ მიზეზიც ეს იყო და არის, რომ ახალციხის

ქართველ-კათოლიკენი უფრო მედგრად იბრძოდნენ თავიანთ უფლებების აღსადგენად, ვიდრე სხვები.

რაიონული კომიტეტის გარდა, 1917 წლის დამლევიდან ახალციხეში დაარსდა ქართველ-კათოლიკეთა რევოლუციონური კომიტეტიც. უკანასკნელმა დამოუკიდებლივ იწყო მუშაობა, და დაინახა საჭიროდ ახალციხის მთელი ქართველ კათოლიკების ერთ სამრევლოდ ანუ ერთ ეკლესიაში თავის მოყრა.*

თვით ხალხი ამასვე მოითხოვდა რევოლუციონური კომიტეტისგან. ამ მიზნის ცხოვრებაში გასატარებლად საჭირო იყო რაბათში ორი ეკლესიის დაკეტვა.

რევოლუციონურმა კომიტეტმა ისარგებლა ორი ეკლესიის სიძველით და ორი ეკლესია, ქალაქის ტეხნიკის მიერ შემოწმების შემდეგ, დაიკეტა. ამ გვარად **ჯვართამაღლების** და **საგარდის** ეკლესიების მრევლი გადმოვიდა მღვდლებით ივანე **ნათლისმცემლის ეკლესიაში,** რომლის მოძღვარი **გ. გოზალიშვილი** თავისი ხულიგნური გამოსვლების შემდეგ უკვე გაქცეული იყო ახალციხიდან ბორჯომში.

არც ისე ადვილი იყო ორი ეკლესიის დაკეტვა, მაგრამ რევოლუციონური კომიტეტის წყალობით ისე ლეგალურად მოხდა მათი დაკეტა, რომ არც ღმერთს, არც კაცს არ უნდა სწყენოდა, ვინაიდან ასეთი დაკეტვა არ შელახავდა საეკლესიო კანონებს.

თითქმის პირველ ერთ თვეს საქმე კარგად მიდიოდა და დაკეტილ ეკლესიების მღვდლები მორიგეობით აწარმოებდნენ წირვა-ლოცვას ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში.

გარდა თითო-ოროლა დერჟიმორდა, ფანატიკოს და უპასუხისმგებლო ქართველ-კათოლიკებისა, რომელთაც სრულიად არ ეინტერესებათ არც **ჩვენი ეროვნულად აღდგენა-განვითარება** და არც ჩვენი მომავალი და კეთილდღეობა და თავზე გადუკრავთ ისეთი ჯავშანი, რომლის წყალობითაც მათ თავის ქალაში არ შედის არაფერი გარდა ფანატიკოსობისა და გაუნათლებლობისა. დანარჩენი მთელი ხალხი კმაყოფილი იყო. თავს იყრიდა სალოცავად ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და ყველა საქმეში ერთად ეწეოდა უღელს.

ასეთი ჩქარა შეერთება მრევლისა არ ეპიტნავა **ტერ-პოღოს თათენაშვილს** და როგორც სომხის ტიბიკონის მღვდელმა, დაუწყო დევნა რომის-კათოლიკეთა პატრს **ალიოზ ბათმანიშვილს.**

ჩვენ აღარ შევეხებით თათენაშვილის შავრაზმულ გამოსვლებს, მხოლოდ აღვნიშნავთ, რომ მთელი წლის განმავლობაში წირვა-ლოცვის დროს ათასგვარი ლანძღვით უმასპინძლდებოდა ბათმანაშვილს და უკანასკნელის ეკლესიიდან გაგდებას ლამობდა. თათენაშვილის ასეთი უმგვანო საქციელით მთელი მრევლი ღელავდა და ამ ნიადაგზე თითქმის სისხლიც უნდა დაღვრილიყო.

ყველა ეს კარგად იცოდა ტერ-აბრამიანის მარჯვენა ხელმა–**კალატოზიშვილმა,** ამიტომ სამართლიანობა და ლოგიკა მოითხოვდა, რომ კალატოზიშვილი როგორც სომეხ-კათოლიკეთა მღვდლების უფროსი, მოსულიყო ახალციხეში, აღედგინა სიმართლე, გაეწია ანგარიში ხალხის სურვილებისთვის, ამოედო ლაგამი აღვირახსნილ თეთენაშვილისთვის და ამნაირად დაეწყნარებინა აღელვებული ხალხის გონება.

მაგრამ კალატოზიშვილი, როგორც სომეხი–მხიტარისტი, რათ მოვიდოდა ახალციხეს ქართველ ხალხთან?

---

* ახალციხის ქართველ-კათოლიკენი არ აღემატებიან 400-500 სულს და მიუხედავად მათი ასეთი მცირე რიცხვისა, აქვთ ოთხი ეკლესია და ჰყავთ ოთხი მღვდელი.

მან უფრო კარგი გზა გამონახა ქართველ-კათოლიკების დასამშვიდებლად!

მოჰკიდა ხელი კალამს და ტერ-აბრამიანის საშუალებით რომის პაპს ატყობინებდა: რამ-დენიმე ურწმუნო კათოლიკემ ახალციხეში ორი ეკლესია დაჰკეტაო.

მორჩა და გათავდა!

საჭირო იყო ეკლესიების დაკეტვის მიზეზიც მიეწერა რომში, მაგრამ კალატოზიშვილი ამას რად მისწერდა?

როგორც ზევითა ვსთქვით, ბაზა მუშაობისა ჩვენს წინააღმდეგ ტერ-აბრამიანმა გადაიტანა რომში, კარგად ვიცით, რომ ის იქ (რომში) თუ დღემდის ერთი ფეხით გვწიხლავდა, სამაგიე-როთ, ორი ეკლესიის „უმიზეზოდ“ დაკეტვის გაგონებაზე, იწყო ორივე ფეხით ჩვენი ჩაწიხვლა და რომის პაპის წინაშე ჩვენი ველურებად დასახვა.

თუმცა ჩვენ კიდევ ბევრი საბუთები გვაქვს ტერ-აბრამიანის და მის ამხანაგების „მოღვა-წეობაზე“ ჩვენში, მაგრამ ამაზე ვსპობთ ლაპარაკს და ქვემოდ ვიწყებთ აღწერას, თუ რა მოგვიტანა ჩვენ პაპის ლეგატმა.

ხელნაწერი ინახება სტამბოლის სავანეში; გაზეთიც იქვეა დაცული. დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო საქმე“, N656, 1919 წ.

მესხი-კათოლიკე (უცნობი ფსევდონიმი)

რა მოგვიტანა რომის პაპის დელეგატმა ანტონი დელფუშიმ ახალციხის ქართველ კათოლიკეებს?

(გაგრძელება)

ჯერ კიდევ აგვისტოს ბოლო რიცხვებში გავიგეთ, რომ რომიდან მოდიოდა ჩვენსკენ პაპის ლეგატი.

ამ ცნობის გაგებისთანავე ამოქმედნენ ქართ.-კათოლიკეთა კომიტეტები.

მთელი ახალციხის ქართველ-კათოლიკენი მოუთმენლად მოველოდით მის მოსვლას.

სექტემბრის 11-ს საღამოს 8 საათზე, როდესაც კოკისპირულად წვიმდა და რაბათის ატალახიანებულ ქუჩებში შეუძლებელი იყო სიარული, ასტყდა ქართველ კათოლიკეთა ეკლესიების ზარების რეკა.

ეს იმის მომასწავებელი იყო, რომ ლეგატი უკვე ახალციხეშია და მიუხედავად ტალახისა და წვიმისა, მთელი რაბათის ქართველი კათოლიკენი, როგორც ერთი კაცი, მოგროვდნენ ივანე ნათლისმცემლის ეკლესიის გალავანში შესახვედრად.

ყველას მოუთმენლობა და იმავე დროს ღიმილი ეტყობოდა და გრძნობდა, რომ დადგა უკანასკნელი წუთი, **ჩვენი ეროვნულად აღდგენისა** და მტარვალი ტერ-აბრამიანის და მის ამხანაგობის უღელიდან განთავისუფლებისა.

მთელი ერთი საათი ხალხი იდგა ტალახში და წვიმის ქვეშ, და ბოლოს გამოირკვა, რომ პაპის ლეგატი მეორე დღეს მოვიდოდა ახალციხეში.

მართლაც, სექტემბრის 12-ს საღამოს 5 საათზე ისევ გაისმა ზარების ხმა, სხვათა შორის ხმა იყო მართლმადიდებლების წმ. მარინეს ეკლესიის სამრეკლოდანაც და პაპის ლეგატიც მოვიდა რაბათში ავტომობილით.

ლეგატს თან ახლდნენ: გარეშე საქმეთა სამინისტროს წარმომადგენელი პ. **ჩინიჯიშვილი**, სირიელი აღმოსავლეთის წესის მღვდელი, **სტამბოლელი პატრი პეტრე ტატალაშვილი**, პატრი **ემ. ვარდიძე** და ქართველ-კათოლიკეთა საქმეების ამრევთაგანი არქიმანდრიტი **დ. კალატოზიშვილი.**

დელეგაციას დიდძალი ხალხი შეხვდა. იყვნენ ადგილობრივ მთავრობის და ადმინისტრაციის წარმომადგენელნიც.

ეკლესიის გალავნის კარებში მისასალმებელი სიტყვით მიმართა პაპის ლეგატს კომიტეტის თავმჯდომარემ **ქრისტესია გვარამაძემ.** ამის შემდეგ პაპის ლეგატი შევიდა ეკლესიაში და ხალხს გამოუცხადა, რომ საქმის გამოძიებას და გამორკვევას ის შეუდგება სექტემბრის 14-დან.

ეკლესიიდან პაპის ლეგატი წავიდა **პატრ ბათმანაშვილის** ბინაზე, სადაც დელეგაციისთვის მომზადებული იყო ოთახები.

ხალხიც ნელ-ნელა დაიშალა, მხოლოდ მის სახეზე ღიმილის მაგიერ ნახავდით ერთგვარ უკმაყოფილებას, და ეს უკმაყოფილება იმით იყო გამოწვეული, რომ პაპის ლეგატისგან, რომელსაც კუდში დასდევდა კალატოზიშვილი, არევ-დარევის მეტს კარგს არაფერს მოელოდა.

სექტემბრის 13-ს რაბათის ქალთა სკოლაში შესდგა მრავალ რიცხოვანი ქართველ-კათოლიკეთა კრება, რომელსაც სხვათა შორის დაესწრნენ ტფილისის კომიტეტის ორი წევრიც.

კრებამ, რომელსაც თავმჯდომარეობდა რ. **ბეგიაშვილი**, დიდ ხანს გასტანა. კამათი მწვავე და ხანგრძლივი იყო.

ოპოზიცია, რომელსაც მეთაურობდა **ზაქარია დიდიმამიშვილი,** არაფერს არ სთმობდა და დაჟინებით მოითხოვდა ხალხისგან მიეღო შემდეგი რეზოლუცია:

1) ლეგატის საშუალებით ეთხოვოს რომის პაპს, ვიდრე გადაწყდებოდეს ტიბიკონის საკითხი, ახლავე ჩამოგვაშოროს სომეხ-კათოლიკეთა მმართველობა და დაგვინიშნოს მმართ-ველად რომის კათოლიკეთა ტფილისის ვიზიტატორი.

2) აღსდგეს საქართველოში ქართველ-კათოლიკეთა საეპისკოპოსო კათედრა.

3) ჩვენს ეკლესიებში **შემოღებულ იქმნეს წირვა-ლოცვა ქართულ ენაზე** დასავლეთის წესით, ე.ი. **ლათინურნი ითარგმნოს ქართულად და**

4) თუ რომის პაპი ნებას არ მოგვცემს **ლათინური ვთარგმნოთ ქართულად,** ამ შემთხვევაში დაუყოვნებლივ მოგვცეს **ქართული აღმოსავლეთური ტიბიკონი.**

პირველი სამი მუხლი კრებამ ერთხმად მიიღო, მხოლოდ მეოთხე მუხლმა გამოიწვია მკაცრი ხასიათის კამათი ამ მუხლის მიუღებლობის შესახებ, ოპოზიციას ეკამათებოდნენ ტფილისის კომიტეტის წევრები და მოუწოდებდნენ ხალხს უარეყოთ ეს მუხლი.

კრება ვერავითარ შედეგს ვერ დაადგა და ბოლოს მეოთხე მუხლის გასარჩევად ამოირჩია 12 კაცისგან შემდგარი კომისია და დაადგინა: რასაც კომისია გადასწყვეტს ამ მუხლის შესახებ, ასეთი გადაწყვეტილება სავალდებულო იქნება ხალხისთვისაო.

კომისია, რომელსაც თავმჯდომარეობდა **ზაქარია დიდიმამიშვილი,** იმ წუთშივე შეუდგა საკითხის გარჩევას.

ტფილისის კომიტეტის წევრები აქაც ეცადნენ, არ მიეღო კომისიას მეოთხე მუხლი, მაგრამ მათი სხვა და სხვა მოსაზრება ამ მუხლის მიუღებლობის შესახებ იმდენად სუსტი აღმოჩნდა, რომ კომისიამ ერთხმად მიიღო მეოთხე მუხლი და ამნაირად მოემზადა წარედგინა პაპის ლეგატისთვის ზემოდ მოყვანილი რეზოლუცია, შემდგარი ოთხი მუხლისგან.

ვიდრე ვიწყებდეთ ლაპარაკს, თუ რა შთაბეჭდილება გამოიტანა კომისიამ პაპის ლეგატთან წარდგომის შემდეგ, საჭიროდ მიგვაჩნია, აღვნიშნოთ, თუ რამ გამოიწვია ლეგატის ჩვენში მოსვლა და რა შეხედულებისა და აზრისა იყო ის ჩვენზე, ვიდრე მოვიდოდა ჩვენთან.

როგორც ზევითა ვსთქვით, ქართველ-კათოლიკენი არ ისვენებდნენ და **ხორცმეტად მიაჩნდათ სომეხ კათოლიკეთა მმართველობა.**

ყველა იმას, რასაც ჩვენ ვაკეთებდით, თურმე კალატოზიშვილი ატყობინებდა რომის პაპს ტერ-აბრამიანის საშუალებით, მხოლოდ ყველა ცნობებს ამახინჯებდა და არ იცავდა სიმართ-ლეს.

კალატოზიშვილის გადამახინჯებულმა და ამაღელვებელმა წერილებმა თურმე იქამდე მიიყვანეს რომის პაპი, რომ მან გადასწყვიტა ლეგატის გამოგზავნა საკითხების გამოსარკვევად.

რომის პაპს ძალზე სწყენია „ყოვლად უმიზეზო“ ორი ეკლესიის დაკეტვა რაბათში.

ერთის სიტყვით, ისეთ წერილებსა სწერდნენ რომის პაპს, რომ თურმე მის ლეგატს თითქმის ეშინოდა კიდეც ახალციხეში მოსვლისა, ვინაიდან მას ჰგონებია, რომ ახალციხის ქართველ-კათოლიკობა, როგორც „აჯანყებულნი“, მას დიდ წინააღმდეგობას და შეურაცყოფას მიაყენებდნენ.

მაგრამ პაპის ლეგატი, ჩვენდა სასიხარულოდ, მოსტყუვდა, რადგანაც დარწმუნდა, რომ დატანჯულ და აღელვებულ ქართველ-კათოლიკე მესხებს, კიდევ შერჩენიათ უნარი დარბაისლობისა და სტუმართმოყვარეობისა.

სექტემბრის 14-ს თორმეტი კაცისგან შემდგარი კომისია წარუდგა პაპის ლეგატს, რომელიც თავაზიანად შეხვდა კომისიის წევრებს.

ვიდრე გაიმართებოდა ბაასი, ლეგატმა ჰკითხა თავის თარჯიმანს:

არიან თუ არა კომისიის წევრები მართლმორწმუნე კათოლიკენიო?

ეს ისეთი კითხვა იყო, რომ კომისიის ყველა წევრი იძულებული შეიქმნა თავი დაექნია და ყველა მიხვდა, რომ რევოლიუციონერი კილოთი ლაპარაკი არ შეიძლებოდა.

ამის შემდეგ გაიმართა ბაასი და პაპის ლეგატმა იკითხა: რა არის მიზეზი, რომ თხოულობთ სომეხ-კათოლიკობიდან გამოსვლასაო?

ამ კითხვის საპასუხოდ სიტყვა აიღო **ქრისტესია გვარამაძემ,** რომელმაც დაუმტკიცა, რომ ჩვენ ვიყავით და ვართ ქართველები და რაც სომეხ-კათოლიკეთა სამღვდელოებამ გვტანჯა დღემდე, საკმარისიაო!

ნათქვამია– ურემს, რომ ძალა დაადგება, ჭრიალს დაიწყებსო და სწორედ, იმდენად სული ყელში გვაქვს მოსული ტერ-აბრამიანის და მის დამქაშების კლანჭებისგან, რომ გვარამაძემ აღელვებულის ხმით ცოტა მაღლა იწყო ლაპარაკი და მოითხოვა დაუყოვნებლივ ჩვენი ჩამოშორება სომეხ-კათოლიკეთა მმართველობისგან და დაქვემდებარება რომის კათოლიკეთა ვიზიტატორი უფლებების ქვეშ.

ამ პირველ მოთხოვნაზე ლეგატმა უპასუხა კომისიას შემდეგი: ტფილისიდან მივსწერ პაპს, რომ ჩამოგაშორონ სომეხ კათოლიკეთა მმართველობას, მხოლოდ თქვენთვის ცალკე მმართველობა გამოეყოფა სომეხ-კათოლიკეთა მმართველობას და ისეთი მმართველობის სათავეში იქნება ქართველი სომხური ტიბიკონისაო.

ლეგატის ასეთმა პასუხმა გამოიწვია კამათი, ვინაიდან ჩვენ ვთხოულობთ ერთხელ და სამუდამოდ სომეხ-კათოლიკობიდან ჩამოშორებას, ის კი კიდევ თავზე გვახვევს რაღაცა ახალ მმართველობას მხიტარისტ კალატოზიშვილის მეთაურობით, და ამას ასაბუთებდა იმით, რომ 1) პაპს არ შეუძლიან სომხური აღმოსავლეთის წესის მრევლი დაუქვემდებაროს დასავლეთის წესის მმართველობასო და 2) არ გვინდა ვაწყენინოთ ტერ-აბრამიანს და დავსცეთ მისი პრესტიჟიო.

არ ვიცით, რამდენად შეესაბამება ლეგატის განმარტება პაპის შეხედულებას ამ საკითხზე, მხოლოდ ვიტყვით, რომ ჩვენთვის ყოვლად მიუღებელია, გვყავდეს მმართველად ისევ ის გველი, რომელიც იცვლის მხოლოდ ტყავს და გული კი ძველი რჩება, ამიტომ **გვარამაძემ** დაჟინებით მოითხოვა რომის-კათოლიკეთა ვიზიტატორის მმართველად დანიშვნა.

ამ ნაირად გათავდა ეს საკითხი და ჯერი მიდგა ეპარქიის დაარსებაზე საქართველოში.

ამ საგანს არავითარი კამათი არ გამოუწვევია, ვინაიდან გამოირკვა, რომ თუ ქართველ-კათოლიკენი აღსდგებიან, რა თქმა უნდა **აღსდგება საეპისკოპოსო კათედრაც.**

ტიბიკონის შესახებ ილაპარაკეს ისევ **გვარამაძემ** და **ზაქარია დიდიმამიშვილმა**, რომლებმაც მოითხოვეს ქართულ ენაზე წირვა-ლოცვა ლათინურიდან ნათარგმნი, ამის შესახებ ლეგატმა განაცხადა, რომ **ლათინური წირვის გადმოთარგმნა ქართულ ენაზე ყოვლად შეუძლებელია და მიიღეთ ქართული აღმოსავლეთის წესიო.**

თუმცა **ზაქარია დიდიმამიშვილმა** განუცხადა ლეგატს, რომ ახალციხის ქართველ-კათოლიკენი მზადა ვართ და ვისწრაფვით კიდეც მივიღოთ ქართული ტიბიკონი, მხოლოდ შენიშნა, რომ ამ შემთხვევაში ქართველ-კათოლიკეთა შორის უსათუოდ მოხდება გათიშვა, ვინაიდან „განათლებული“ ნაწილი ამ ტიბიკონს არ მიიღებს და დარჩება ლათინურ ტიბიკონზეო.

ბოლოს დიდიმამიშვილმა სთხოვა ლეგატს შემდეგი: ტიბიკონის საკითხში ისე მოიქეცით, რომ ყველას ერთი წესი გვქონდეს, რადგანაც დაქსაქსვა ქართველ-კათოლიკებისა ზარალის მეტს არაფერს მოგვიტანსო.

როდესაც კომისია უნდა გამომშვიდებოდა პაპის ლეგატს, აღიძრა საკითხი დაკეტილი ორი ეკლესიის შესახებ.

ლეგატმა გააცნო კომისიას პაპის გულისწყრომა, რომელიც მასში გამოუწვევია ეკლესიების „უმიზეზოდ“ და რევოლიუციონური წესით დაკეტვას, და დასძინა, რომ ყოვლად შეუძლებელი და მიუღებელია პაპისთვის, რომ თქვენ ქართველ-კათოლიკენი დაპატრონებიხართ სომეხ კათოლიკეთა ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას, რომლის ბატონ-პატრონი ერთად-ერთი სომეხ-კათოლიკეთა მმართველობა არისო.

ლეგატის ასეთმა განცხადებამ, რომლიდანაც ნათლად სჩანს, რომ პაპი თუ ლეგატი, უფრო კეთილგანწყობილებაში არიან სომეხ-კათლიკებთან, ვიდრე ჩვენთან, კომისიის წევრები ძალზე გააკვირვა.

ლეგატმა განაგრძო და სთქვა: ამიტომ საჭიროა დაკეტილ ეკლესიების გახსნა და ყველა ერის, თუ მღვდელის გადასვლა თავის ეკლესიაშიო.

ამ საკითხის გარშემო იწყო ლაპარაკი ზ. დიდიმამიშვილმა, რომელიც პაპის ლეგატმა გააფრთხილა არ შეხებოდა ნაციონალურ საკითხს, მაგრამ დიდიმამიშვილმა განუმარტა, რომ ჩვენი ეროვნული საკითხი გადახლართულია სომეხ-კათოლიკებთან და თუ არ ვილაპარაკებთ ჩვენს ეროვნებაზეც, მაშინ ჩვენი აქ მოსვლა თქვენთან ტყუილ უბრალო იქმნება და ვერავითარ შედეგს ვერ დავადგებითო.

ამ რიგად დიდიმამიშვილმა განაგრძო სიტყვა და სხვათა შორის სთქვა შემდეგი: **ქართველ-კათოლიკენი ქართველები ვართ. ივანე ნათლისმცემლის ეკლესია საუკუნეობით ეკუთვნოდა ქართველ კათოლიკებს და დღესაც მათ ეკუთვნის.** ამ ნაირად ჩვენ კი არ ვეპატრონებით სხვის ეკლესიას, არამედ ჩვენ და ჩვენს ეკლესიას, არ ვიცით ვისი წყალობით, გვეპატრონება ტერ-აბრამიანი. რაც შეეხება ეკლესიების უმიზეზოდ დეკეტვას, ასეთი ცნობა მტკნარი სიცრუეა, ვინაიდან ეკლესიების დაკეტვის მიზეზები ბევრი გვაქვს ხელთ და თუ პაპს ცრუ ცნობები მოუვიდა კალატოზიშვილისგან, ეს ჩვენი ბრალი არ არის. განა ყოფილა შემთხვევა, რომ სომეხ-კათოლიკეთა მმართველობას სიმართლე ეცნობებინოს პაპისთვის? არა. ის ყოველთვის ყალბ ცნობებს აწვდიდა ჩვენს შესახებ და ჩვენ არ გვიკვირს, რომ ამ შემთხვევაშიც ასე მოიქცეოდა კალატოზიშვილი. ეს მათი ხელობა იყო, არის და იქმნება შემდეგშიც. სიშორისა გამო ჩვენ საშუალება არ გვქონდა პაპის წინაშე გვემართლა თავი ამა თუ იმ საკითხში; დღეს თქვენ აქა ხართ და შეგიძლიათ დარწმუნდეთ სომეხ-კათოლიკეთა მმართველობის სიცრუეში. საერთოდ ქართველებმა დიდი ტანჯვა გადავიტანეთ. ჩვენც, როგორც მთელი საქართველო, რევოლუციის ფერხულში ვიყავით ჩაბმულნი და დღეს ვსტკბებით თავისუფლების სიოთი, მაგრამ ეს თავისუფლების სიო ჩვენ მესხებს უფრო ძვირად გვიღირს, ვიდრე რომელიმე კუთხის ქართველს, რადგანაც ოსმალთა შემოსვლით და მაჰმადიანთა ბრბოების შემოსევით მთელი

მესხეთი აოხრებულია და ხალხიც გაპარტახებულია. ასეთ ძალაგამოცლილ ერთ მუჭა რაბათის ქართველ კათოლიკეებს ესაჭიროებათ მიუცილებელი შეერთება, მათ არ შეუძლიათ შეინახონ სამი ოთხი ეკლესია და სამი-ოთხი მღვდელი. მათთვის საკმარისია ის ერთი **ივანე ნათლისმცემლის ეკლესია**, რომელშიაც დღეს მთელ ქართველ-კათოლიკობას მოუყრია თავი.

შეერთებას და ერთ ეკლესიაში წირვა-ლოცვის მოსმენას გვიკარნახებს ჩვენი საერთო ნივთიერი მდგომარეობა და მომავალი კეთილდღეობა. ეს ასეც, რომ არ იყოს როგორ შეიძლება წირვა-ლოცვის წარმოება იმ ეკლესიებში, რომლებიც ტეხნიკურად შემოწმების შემდეგ დაკეტილ იქმნეს მთავრობის მიერ.

თუ დაჟინებით მოითხოვთ ეკლესიების გახსნას, რა თქმა უნდა, ჯერ ისინი უნდა შევაკეთოთ, მაგრამ საამისო თანხა ეკლესიებს არ მოეპოვებათ და თუ მოეპოვებათ სჯობია ასეთი თანხა მოვახმაროთ კულტურულ საქმეებს, ვიდრე ეკლესიების შეკეთებას, რომლებსაც გარდა ისტორიული მნიშვნელობისა, ჩვენთვის არავითარი საჭიროება და მნიშვნელობა აღარა აქვს, ამიტომ რათა ხალხი არ დაიქსაქსოს, არ აღელდეს და არ მოხდეს მათში არევ-დარევა, თქვენ, როგორც პაპის ლეგატს, გთხოვთ მთელი რაბათის ქართველ-კათოლიკობა დასტოვოთ ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და წინადადება მისცეთ ამ ეკლესიის სომხის ტიბიკონის მღ. პ. **თათენაშვილს** შეთანხმებით იმოქმედოს **პატრი ბათმანაშვილთან** და ამით ერთხელ და სამუდამოდ ბოლო მოუღოს თავის ლანძღვა-გინებით გამოსვლებს ეკლესიაშიო.

ლეგატმა აღუთქვა კომისიას დახმარება ერთ ეკლესიაში მრევლის დატოვების შესახებ, მხოლოდ განაცხადა, რომ საეკლესიო კანონებით არ შეიძლება ეკლესიის დაკეტვა, ამისათვის დაკეტილ ეკლესიების შეკეთება საჭიროა და რაც შეეხება მათში წირვა-ლოცვას, შეიძლება მოხდეს თვეში, ან ორ თვეში ერთხელაო.

ამ ნაირად გათავდა მოლაპარაკება და კომისია გამოეთხოვა ლეგატს.

რამდენად კარგი შთაბეჭდილება მოახდინა კომისიამ ლეგატზე, იმდენად ცუდი შთაბეჭ-დილებით გამოვიდა ლეგატის ბინიდან, რადგანაც დარწმუნდა, რომ არც ისე ადვილად და ჩქარა ეშველებათ ქართველ კათოლიკებს და შესაძლებელია რაბათის კათოლიკების დაქსაქსვა და აღელვება.

ნათქვამია: ანგელოზები ბჭობდნენ, ეშმაკები იცინოდნენო, სწორედ ასე მოუვიდა ხალხის მიერ ამორჩეულ კომისიასაც.

როგორც ზევითა ვსთქვით, ეკლესიების დაკეტვის წინააღმდეგნი იყვნენ რამდენიმე უპასუხისმგებლო პირები.

სწორედ, ასეთი პირებით ისარგებლა კალატოზიშვილმა და იწყო მუშაობა პატრი ბათ-მანიშვილის ივანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან გამოსაგდებლად, და ეკლესიების გასახსნე-ლად, რათა ამით დაქსაქსულიყო ხალხი და ივანე ნათლისმცემლის ეკლესია, თავისი და ლეგატის სურვილისამებრ დარჩენოდა სომეხ-კათოლიკეთა სასულიერო მმართველობას.

იმ დროს, როდესაც კომისია ელაპარაკებოდა ლეგატს მთელი ხალხის პირით და გამოთქ-ვამდა მის წინაშე ხალხის სურვილებს, სწორედ, ამ დროს კალატოზიშვილი ადგენდა თავის ნათესავების მეთაურობით დელეგაციებს.ეს დელეგაციები, რომლებსაც მეთაურობდნენ **ბაგ-რატ და ევგენია მეფისაშვილები,** და რომელშიც შედიოდნენ ორი-სამი ქალი და კაცი, ხალხის დაუკითხავად წარუდგნენ პაპის ლეგატს და ცრემლიანი თვალებით, როგორც „წმიდა სულებ-მა“ დაუწყეს ხვეწნა-მუდარა: არიქა გვიშველეთ და გახსენით ურჯულოების მიერ დაკეტილი

ეკლესიები, თორემ ყველა საიქიოს წავწყდებითო. არამკითხე დელეგაციები იმას ემუდა-რებოდნენ ლეგატს და სწორედ, ამ დროს კალატოზიშვილი შემდეგ დარიგებას აძლევდა მღვდელ თათენაშვილს:

1) **ჯვართ-ამაღლების** დაკეტილ ეკლესიას, როგორც სჩანს 6000 მანეთი აქვს, შენ ახლავე შეუდექი ამ ეკლესიის გალავნის შეკეთებას. თუ გინდა ტრაპეზიც შეაკეთე. ამას, რომ დაინახავს პატრი ბათმანიშვილი, ისიც ძალაუნებურად იძულებული გახდება და დაიწყებს თავის ეკლესიის შეკეთებას. ამ ნაირად ბათმანიშვილი ჩამოშორდება ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას, რომელსაც რა თქმა უნდა, ჩამოშორდებიან სიანდიკებიც და მაშინ ბურთი და მოე-დანი ჯვართამაღლების და ივანე ნათლისმცემლის ეკლესიებში ჩვენ დაგვრჩება და როგორც გვინდა, ისე ვინავარდებთ.

2) თუ პაპის ლეგატი რაიმეს გეტყვის ბათმანიშვილთან შეთანხმებაზე და დაგემუქრება შეჩვენებით, შენ ცივი უარი უთხარი და ნურც შეჩვენებისა შეგეშინდება, რადგანაც ეს შეჩვენება ერთს კაცზე არა სჭრის და შენ სულის მამაზე როგორ გასჭრისო.

მართლაც, ყველაფერი შესრულდა: პაპის ლეგატი შეჰპირდა არამკითხე დელეგაციებს ეკლესიების გახსნას მათი სულის საცხოვნებლად.

თათენაშვილი შეუდგა, ხალხის დაუკითხავად, ჯვართ-ამაღლების ეკლესიის ტრაპეზის და გალავნის შეკეთებას. ეს, რომ ბათმანაშვილმა დაინახა, იძუებული შეიქმნა და თავისი ეკლესია შეაკეთა. პაპის ლეგატის წინადადებაზე ბათმანაშვილის შეთანხმების შესახებ, თათენაშვილმა ცივი უარი სთქვა და არც შეჩვენებისა შეეშინდა.

ამ ნაირად ისტორიული საქმე ჩაიშალა. ხალხი დაიქსაქსა. დატრიალდა მღელვარება და არევდარევა. ყველა თავისკენ მიიწევს. სინდიკებიც ჩამოშორდნენ ივანე ნათლისმცემლის ეკლესიას და ბურთი და მოედანი დარჩათ მოღალატეებს: **კალატოზიშვილს და თათენაშვილს.**

ყველა ამის შემდეგ თამამად შეგვიძლია ვსთქვათ, რომ **პაპის ლეგატმა ანტონი დელფუშიმ**, მართლაც არ აწყენინა, ჩვენს მოღალატე ტერ-აბრამიანს და მის ამხანაგებს და თავისი ახალციხეში მოსვლით მოგვიტანა არა მშვიდობა, არამედ ჩამოაგდო ჩვენში მღელვარება, შფოთი, არევ-დარევა და შეერთებული მრევლი დაშალა, დაქსაქსა.

ამიტომ იყო, რომ თუ მას მოსვლისას აუარებელი ხალხი შეხვდა, სამაგიეროდ, წასვლის დროს ის მხოლოდ რამდენიმე კაცმა მიაცილა ეტლამდე.

ამჯერად, გაიმარჯვა მოღალატე **კალატოზიშვილმა**, მაგრამ ქართველ-კათოლიკენი იმის იმედით, რომ ჩვენი საქმე მოგვარდება 2 თვეში, ჯერ ხმას არ ვიღებთ და თუ ამ ხნის გან-მავლობაში არაფერი გვეშველა, მაშინ რადაც გინდა დაგვიჯდეს, რევოლუციონური წესით დავკეტავთ ეკლესიებს და აღვადგენთ ჩვენს უფლებებს.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში, „წერილების წიგნში“. დაიბეჭდა გაზეთში–

„სახალხო საქმე“, N659, 1919 წ.

მესხი კათოლიკე (უცნობი ფსევდონიმი)

პასუხად რომის პაპის ლეგატს, მამა ანტონი დელფიუშეს

2

მამა დელფიუშე თავის წერილში იხსენიებს ახალციხეში ყოფნას და ამბობს: რაც „მესხ-კათოლიკეს“ დაუწერია **მამა დიონისი კალატოზიშვილის** გაიძვერობისა და ინტრიგანობის შესახებ, რაც მას ვითომ ჩაუყენია ახალციხეში ჩემის ამ მხარის მიმოხილვის დროს–არის მტკნარი მოგონება და ქსოვილი მატყუვრობის და ცილისწამებისაო.

მართლაც, სირცხვილად მიგვაჩნია ტყუილის თქმა და ცილისწამება, მაგრამ ისიც სირცხვილად მიგვაჩნია, რომ პაპის ლეგატს არავითარი საბუთი არა აქვს ხელთ და მიუხედავად ამისა, ჩვენ გვიკიჟინებს მატყუვრობას და ცილისწამებას.

ჩვენ კიდევ ვიმეორებთ და ვამტკიცებთ, რომ კალატოზიშვილი ვერ ინელებდა პატრი ბათმანაშვილის ყოფნას ივანე ნათლისმცემლის ეკლესიაში და როდესაც პაპის ლეგატიც თანახმა იყო, რომ ამ ეკლესიაში მორიგეობით ეწარმოებინათ წირვა-ლოცვა სომეხ და რომის კათოლიკეთა მღვდლებს, სწორედ, ამ დროს კალატოზიშვილმა, ხალხის დაუკითხავად, თავისი ნათესავების მეთაურობით შეადგინა დელეგაციები დაკეტილ ეკლესიების გასახსნელად. კალატოზიშვილი მაინც და მაინც არ სცდილობდა ჯვართ-ამაღლების ეკლესიის გახსნისათვის. მისი დარდი იყო გახსნილიყო რომის-კათოლიკეთა ეკლესია, რათა სამუდამოდ პანღური ეკრა ივანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან **პატრი ბათმანაშვილისათვის** და ამით დაეყო შეერთებული ქართველ-კათოლიკობა.

ამის გარდა, კალატოზიშვილისავე ჩაგონებით, **მღ. თათენაშვილმა** პაპის ლეგატს ცივი უარი უთხრა პატრი ბათმანაშვილთან შეთანხმებაზე.

ყველა ეს მოხდენილად მოაწყო მამა კალატოზიშვილმა და სურვილიც შეუსრულდა.

დიაღ, შეუსრულდა და ამის შემდეგ განა შეიძლება ვსთქვათ, რომ რაც ჩვენ ვსთქვით და ვამბობთ ყველა ეს მტკნარი მოგონება, მატყუვრობა და ცილისწამებაა?

და ან-კი როგორ შეიძლება დავიჯეროთ ის, ვითომ კალატოზიშვილი ჩვენთვის ცდილობდეს? ვერ დავიჯერებთ, ვერა, რადგანაც ფაქტები სულ სხვას გვეუბნებიან.

3. პაპის ლეგატი ეხება დაკეტილ ორ ეკლესიას და აღნიშნავს, რომ დაკეტვა ვითომ მომხდარა წინააღმდეგ ყველა სიმართლისა და სხვა.

ჩვენ ამაზე ბევრს არ შევჩერდებით და მხოლოდ ვიტყვით, რომ ორი ეკლესია დაკეტილ იქმნა სამართლიანად და ამის შესახებ ჯეროვანი ოქმები ინახება ახალციხის ქალაქის თვითმართველობაში.

ვსთქვათ, რომ ჩვენ რევოლუციონერებმა ძალა ვიხმარეთ და სიმართლის წინააღმდეგ დავკეტეთ ორი ეკლესია.

ერთი მათგანი უკვე გახსნეს და თუ ყველა ქრისტიანს მინიჭებული აქვს უფლება, ილოცოს თავის ეკლესიაში და თუ მართლა ჯვართამაღლების ეკლესიაც დაკეტილი იყო, წინააღმდეგ ყველა სიმართლისა, რატომ დღემდის არ იხსნება ეს ეკლესიაც, რომ მასში ილოცოს ამავე ეკლესიის მრევლმა, რომელიც, თითო-ოროლა პირის გამონაკლისით, დაიარება სალოცავათ **წმ. სავარდის** რომის კათოლიკეთა ეკლესიაში, რომელშიც სიპატარავისა გამო ხალხს სული ეხუთება?

ჩვენ კარგად გვესმის, რომ პაპის ლეგატი იცავს საეკლესიო კანონებს და ამიტომ მან მოისურვა დაკეტილ ეკლესიების გახსნა. ლეგატის მსგავსად, მღ. კალატოზიშვილიც ვალდებულია დაიცვას ეკლესიის კანონები და გახსნას **ჯვართამაღლების ეკლესია,** მაგრამ რატომ დღემდის არა ხსნის ამ ეკლესიას? რად არღვევს ეკლესიის კანონებს?

კალატოზიშვილიც ჩვენსავებ ურწმუნო, როგორც ეს ჰგონია პაპის ლეგატს, და რევოლუციონერი ხომ არ არის, რომ დღემდის დაკეტილი აქვს ჯვართამაღლების ეკლესია და არ ზრუნავს მის გახსნისათვის?

მაგრამ ნათქვამია: ალიას დარდი ფლავიაო და კალატოზიშვილის დარდიც ჯვართამაღლების ეკლესიის გახსნა-კი არ იყო, არამედ-პატრი ბათმანაშვილის ივანე ნათლისმცემლის ეკლესიიდან გამოგდება.

4. ახალციხის ქართველ კათოლიკენი შევთანხმდით და მოვითხოვეთ **ბერძნულ-ქართული ტიბიკონი**. ამ ტიბიკონისკენ დიდი ხანია მივიწევთ და ამ ტიპიკონისთვის არა ნაკლებ უბრძოლია ამ წერილისავე ავტორს. პაპის ლეგატს ამ ტიბიკონის შესახებ არავითარი ძალდატანება არ მოუხდენია ახალციხელებზე, რომელთაგანაც მიიღო ხელმოწერილი ოქმი. ამ ჩვენი ოქმით არ შეიძლება ითქვას, რომ მთელ ქართველ-კათოლიკობას ვითომ უნდოდეს ქართული ტიბიკონის მიღება. პირიქით, ახალციხელების გარდა, ყველა თხოულობს ლათინურ ტიბიკონს, მაგრამ მამა დელფიუში უარზეა და ყველას ეუბნება: უსათუოდ უნდა მიიღოთ ბერძნულ-ქართული ტიბიკონიო.

თუმცა ჩვენ, როგორც ქართველი, პირველი მომხრე ვართ, რომ ყველა ქართველ კათოლიკემ მიიღოს **ბერძნულ-ქართული ტიბიკონი,** მაგრამ იმავე დროს ჩვენ ანგარიშს უწევთ ხალხის სურვილებს და თუ მაგალითად, **უდის** და **ვალის** კათოლიკებს მიეცემათ ბერძნულ-ქართული ტიბიკონი, ეს იქნება ნამალადევი, ვინაიდან ამ სოფლების კათოლიკენი კატეგორიულად თხოულობენ **ლათინურ ტიბიკონს** და საჩქაროდ სომეხ-კათოლიკეთა მმართველობისგან ჩამოშორებას.

კათოლიკობას თავს არავინ ანებებს და არც დავანანებთ. ყველა ერთხმად მოვითხოვთ დაუყოვნებლივ **ჩამოგვაშორონ სომეხ-კათოლიკეთა მმართველობას.** ზოგი ჩვენგანი მოითხოვს ბერძნულ-ქართულ ტიბიკონს, ზოგი კი ლათინურს – და უნდა მოგვეცეს ის, რასაც ვთხოულობთ და არა ის, რაც ხალხს არ უნდა.

მამა ანტონი ამბობს, რომ ვითმ მას არ უხმარია ზედგავლენა და არ ცდილა მიაღებინოს ყველას ბერძნულ-ქართული ტიბიკონი. ჩვენ ვერ უწოდებთ მამა დელფიუშს მატყუარას, მხოლოდ ქვემოდმოყვანილ მაგალითიდანაც დავამტკიცებთ, რომ ის სცდება.

პაპის ლეგატის მოსვლის დღიდან დღემდე არსებობს კონფლიქტი ტფილისის ქართველ-კათოლიკეთა აღმასრულებელ კომიტეტსა და დელფიუშეს შორის.

რა არის მიზეზი?

მიზეზი ის არის, რომ კომიტეტი თხოულობს **ლათინურ ტიბიკონის ქართულად თარგმნას**. ლეგატი კი უარზეა... და ამბობს ბერძნულ-ქართული ტიბიკონი უნდა მიიღოთო.

აღმასრულებელმა კომიტეტმა დაინახა რა, რომ ტიბიკონის საკითხმა მწვავე ხასიათი მიიღო, საჭიროდ სცნო მოეწვია ქართველ კათოლიკეთა მეორე თავისუფალი კონფერენცია ნოემბრის 9 თვის და ამის შემდეგ ყველა რაიონულ კომიტეტებს დაუგზავნა მიწერილობა.

კონფერენციას უნდა განეხილა ტიბიკონის საკითხი და უნდა გამოენახა საერთო გზა. კონფერენციაზევე უნდა გადაწყვეტილიყო რომის პაპთან დელეგაციის გაგზავნის საკითხიც.

მამა დელფიუშემ, რომ გაიგო კონფერენციის მოწვევა, თურმე ძალიან აღშფოთდა და რათა ეს კონფერენცია არ შემდგარიყო, ყველა მღვდლებს დაუგზავნა შემდეგი შინაარსის დეპეშები: «Конференція не состоится, сообщите приглашеннымъ. Визитаторъ».

ჩვენ კარგად ვიცით, რომ მამა ანტონიმ მღვდლებს აუკრძალა კომიტეტების საქმეებში ჩარევა. აქედან შეიძლება გამოვიტანოთ ის დასკვნა, რომ დელფიუშე არა სცნობს კომიტეტებს და რა თქმა უნდა თვითონ პირველი არ უნდა ჩარეულიყო ტფილისის კომიტეტის საქმეებში და არ უნდა ცდილიყო ჩაეშალა კონფერენციის მოწვევა. და თუ ჩაერია კომიტეტის საქმეებში, მაშინ ის ვალდებული იყო მორიგეობით გაეთავებინა საქმე კომიტეტთან და დეპეშები დაეგზავნა არა თავისი სახელით, არამედ კომიტეტისა.

მაგრამ ის ასე არ მოიქცა და მიზეზიც ეს იყო, რომ ზოგი ადგილიდან დელეგატები არ გამოცხადდნენ კონფერენციაზე.

25 დელეგატის მაგიერ, გამოცხადდა მხოლოდ 14 და შეიძლებოდა კონფერენციაც შემდგარიყო, მაგრამ პაპის ლეგატმა მკაცრი წინააღმდეგობა გაუწია და დაემუქრა: თუ კონფერენციაზე შეეხებით ტიბიკონის და დელეგაციის გაგზავნის საკითხს, მაშინ მღვდელი **ე. ვარდიძე** კონფერენციაზე წაიკითხავს ჩემს მიერ დაწერილ დელეგატების შეჩვენებასაო.

ჩვენ გვწამს შეჩვენება და ვიცით, რომ შეჩვენებულ უნდა იქმნეს ლიუტერისებური ადამიანი, რომელიც არღვევს ეკლესიის ძირითად კანონებს და ეყრება ეკლესიას.

ლიუტერის ადგილი ჩვენში არავის უჭირავს და არც არავინ ფიქრობს კათოლიკე ეკლესიიდან გამოყოფვას.

ჩვენ ვიბრძვით მხოლოდ **ჩვენი ეროვნულად აღდგენისაკენ** და თუ ჩვენი ეროვნება მჭიდროდ არის ჩახლართული ტიბიკონის საკითხში ეს ჩვენი ბრალი კი არ არის, არამედ ბრალი იმისა, ვინც დღემდე ასე უმოწყალოდ გვძიძგნის.

მართალია, ტიბიკონის საკითხი ეკლესიის საქმეა, მაგრამ ჩვენ განსაკუთრებულ პირობებში ვიმყოფებით, რადგანაც, როგორც ზევითა ვსთქვით, **ჩვენი ეროვნება დაკავშირებულია ტიბიკონის საკითხთან** და ამიტომ კონფერენციას სრული უფლება ჰქონდა ემსჯელნა ტიპიკონზე. ასეთი მსჯელობა არ წარმოადგენს ეკლესიის კანონების დარღვევას და მაშასადამე, მამა **დელფიუშეს მიერ შეჩვენებით დამუქრებას ადგილი არ უნდა ჰქონოდა.**

მამა დელფიუშე კარგად რომ დაფიქრებულიყო, წინააღმდეგობა კი არ უნდა გაეწია, პირიქით, ხელი უნდა შეეწყო კონფერენციის მოწვევისათვის ტიბიკონის საკითხის გადასაწყვეტად და თვითონაც უნდა დასწრებოდა კონფერენციას.

ასე უნდა მოქცეულიყო მამა ანტონი და აი, რა მოსაზრებით.

ახალციხელებმა მოითხოვეს ქართულ-ბერძნული ტიბიკონი და თავიანთ მოთხოვნას აღარ გადათქვამენ, დანარჩენი კათოლიკენი თხოულობენ ლათინურ ტიბიკონს, მაგრამ ზოგი მათგანი ყოყმანობს.

კონფერენცია დაყოფილა ორ ბანაკად. ოპერაციაში შევიდოდა ახალციხის დელეგატი ბერძნულ-ქართულ ტიბიკონის მომხრე, რომელიც არაფერს არ დასთმობდა.

კონფერენციის მიზანი იყო უსათუოდ შეთანხმება და ტიბიკონის საკითხში ერთი გზის გამონახვა და ვინაიდან ოპოზიცია არაფერს დათმობდა, ვფიქრობთ, რომ კონფერენცია

დაადგებოდა ახალციხელების გზას და აღიარებდა მიეღო ბერძნულ-ქართული ტიბიკონი, რომლის მომხრეც არის თვით პაპის ლეგატი.

საქმე აზრთა გაცვლა-გამოცვლაშია და არა ცალცალკე ლაპარაკში.

ამ გვარად, გათავდებოდა კონფერენცია და ყოველგვარ ინციდენტს და შეხლა შემოხლას მოეღებოდა ბოლო.

დიახ, ასე უნდა მოქცეულიყო პაპის ლეგატი. მაგრამ ის ასე არ მოიქცა, წინ აღუდგა კონ-ფერენციის მოწვევას და უადგილოდ დაემუქრა კიდეც.

ჩვენ ბევრი ეპისკოპოსები გვწვევიან, მაგრამ ყველა ლმობიერად მოგვპყრობია და არც ერთისგან ასეთ მუქარას ადგილი არა ჰქონია ჩვენში და ან კი რად დაგვემუქრებოდნენ, რო-დესაც ჩვენ, **როგორც კულტურული და ისტორიული ერის შვილები, და არა აფრიკის ველუ-რები,** ყოველთვის ვთხოულობდით და დღესაც ვთხოულობთ, არა კათოლიკე ეკლესიიდან გამოყოფას, არამედ **ჩვენი ეროვნული უფლებების აღდგენას.**

მაინცა და მაინც რა ჩავიდინეთ ისეთი, რომ მამა დელფიუშე კონფერენციის წევრებს დაემუქრა?

განა მან არ იცოდა, რომ კონფერენციაზე გაგზავნილი დელეგატები იყვნენ ხალხის მიერ ამორჩეულნი და თუ მართლა სისრულეში მოიყვანდა მათ შეჩვენებას, ის იმას მოასწავებდა, რომ მთელი ქართველ-კათოლიკობა ჩავარდებოდა შეჩვენებაში?

ნუ თუ რომის ტახტმა იმიტომ გამოაგზავნა მამა დელფიუშე, რომ მან უმიზეზოდ შეაჩვენოს ის ხალხი, რომლის საშუალებითაც შეიძლება განხორციელდეს ის მიზნები, რომ-ლებიც **დასახული აქვს რომის ტახტს საერთოდ ამიერკავკასიაში და კერძოდ, საქართველოში?**

მართლაც, აღარ გავაგრძელებთ და ვიტყვით, რომ ჩვენ ბევრი მუქარა და ტანჯვა გადაგ-ვიტანია რუსეთის ძველი რეჟიმის დროს. დღეს კი თავისუფალ საქართველოში მამა დელ-ფიუშესებურ უადგილო მუქარას ვერ მოვითმენთ და ვერც გადავიტანთ, ამიტომ ენერგიულ პროტესტს ვაცხადებთ პაპის ლეგატის **არა დიპლომატიურ მოქმედების** და უადგილო მუქარის წინააღმდეგ.

5) პაპის ლეგატი ცდილობს გააბათილოს, ის „მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობის“ ცნობებიც, რომლებიც ჩვენს წინა წერილში იყო მოყვანილი და დასძენს: ისინი, ე. ი. ცნობები წარმოადგენენ მხოლოდ თავიდან შეცდომებისასა ან არადა დამწერის სურვილისამებრ მოგო-ნილ ტყვილებისასაო.

როგორც ეტყობა, პაპის ლეგატს, ალბათ, ისევ კალატოზიშვილის წყალობით, არ უნდა დაუჯეროს ფაქტებს.

6) ჩვენ კარგად ვიცით, რომ **ტიბიკონის საკითხი გამოირკვევა იმ დროს, როდესაც გამოირ-კვევა საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა**, ასე, რომ კიდევ ბევრი ხანი დაგვჭირდება უცადოთ ბერძნულ-ქართულ წესის მიღებას.

მხოლოდ ისიც კარგად ვიცით, რომ ჩვენ შეგვიძლია ახლავე ჩამოვშორდეთ სომეხ-კათო-ლიკეთა მმართველობას, ამიტომ რომის პაპის ლეგატისგან მოვითხოვთ, რომ დაუყოვნებლივ ჩამოგვაშოროს სომეხ კათოლიკეთა მმართველობა მთელი შემადგენლობით, რომელშიც შე-დიან ტერ-აბრამიანი, კალატოზიშვილი და სხვები.

ამ პირებისათვის ჩვენ დაგვილოცნია ერევანი, სადაც მათ შეუძლიათ იყვნენ არა თუ არქიმენდრიტებად, არამედ სომეხ-კათოლიკეთა ეპისკოპოსებადაც-კი.

ჩვენში კი მათ გასავალი აღარა აქვთ და არავითარ შემთხვევაში არ დაუშვებთ, რომ ისინი კვლავ ჩვენს უფროსებად დარჩნენ.

პაპის ლეგატი უკანასკნელად უნდა მიხვდეს, რომ ჩვენ გვადგია ძალა, რომელმაც მოთმინების ფიალა აგვივსო.

ასეთ ძალადობას ჩვენ დაუპირისპირებთ ძალას და ჩვენს ნათქვამს შევასრულებთ კიდეც, **თუ დროზე არ ჩამოგვაშორებენ სომეხ-კათოლიკეთა მმართველობას.**

ამ ნაირად ჩვენ არავის ვაშინებთ, მხოლოდ ვაფრთხილებთ...

7) მამა დელფიუში ცდილობს დააჯეროს ამხ. ა. **ჯაჯანაშვილიც** ჩვენს მატყუარობაში, მაგრამ იმედია ჯაჯანაშვილი ერთხელ კიდევ დარწმუნდება, თუ რამდენად სანდო ყოფილან ჩვენი წერილები, საიდანაც მან ამოიღო ცნობები.

მანქანაზე ნაბეჭდი ტექსტიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. სახალხო საქმე, N698, 1919 წ.

განდეგილი (უცნობი ფსევდონიმი)

ალექსანდრე სოლომონის-ძე ხახანაშვილი

25 ივლისს ქალაქ სამარას ახლო გარდაიცვალა ქართველი მეცნიერი პროფესორი ალექსანდრე ხახანაშვილი. იმისმა გარდაცვალებამ თავზარი დასცა მთელ საქართველოს: ყოველ კუთხიდან მოდის სამძიმრის დეპეშები და წერილები; ყველა უზომოდ მწუხარეა იმის დაკარგვით, რადგანაც ის იყო დაუღალავი მკვლევარი თავის სამშობლოს წარსულისა და აწმყოსი, არა თუ ქართველები, რუსეთის გამოჩენილი ადამიანებიც-კი დიდის მწუხარებით აღნიშნავენ იმის გარდაცვალებას, დიდ დანაკლისად სთვლიან და თანაგრძნობას გვიცხადებენ როგორც ჩვენ, ისე საისტორიო მეცნიერების ტაძარს.

ალექსანდრე ხახანაშვილი გორელი დეკანოზის შვილი იყო. პირველ დაწყებითი სწავლა გორშივე მიიღო; შემდეგ ტფილისის პირველი გიმნაზია გაათავა 1884 წელს ოქროს მედალით, ხოლო 1888 წელს სამაგალითოდ გაათავა მოსკოვის უნივერსიტეტი ფილოლოგიური ნაწილი და, ნიშნად განსაკუთრებულის ნიჭისა, იქაც ოქროს მედალით დააჯილდოვა უნივერსიტეტმა და იქვე დასტოვა ისტორიის პროფესორობისათვის მოსამზადებლად. შემდეგ იგი მიიწვიეს მოსკოვისავე ლაზარევის ინსტიტუტში ქართულ სიტყვიერების კათედრაზე, სადაც განსვენებული სიკვდილამდე დარჩა.

ა. ხახანაშვილი ჯერ თითქმის ახალგაზრდა კაცი იყო, ორმოცდა ათის წლისა არ იყო, მაგრამ აგერ ოცდა ხუთი წელიწადია, რაც იგი დაუღალავად ემსახურებოდა თავის ქვეყანას. იმის მეცადინეობით იყო, რომ 1900 წელს ნება დართო მთავრობამ და მოსკოვის უნივერსიტეტში გაიხსნა ქართულ სიტყვიერების კათედრა, რომლის პრივატ-დოცენტადაც ალ. ხახანაშვილი აირჩიეს. უამისოდაც ბევრგვარის შრომით დატვირთულ ხახანაშვილისათვის ადვილი არ იყო ამ ახალი კათედრის მიღება და ხელმძღვანელობა, მაგრამ მას იმდენად სასარგებლოდ მიაჩნდა ეს საქმე, იმდენად უყვარდა თავისი ერი, მისი მწერლობა და ენა, რომ სიამოვნებით იდო თავს ეს ახალი დიდი შრომა, მიიღო კათედრა, უსასყიდლოდ იკისრა ლექციების კითხვა და აღფრთოვანებული მხნეობით შეუდგა საქმეს, რადგან ამ კათედრის დაარსება მისთვის ერთგვარ ზნეობრივ გამარჯვებას წარმოადგენდა.

ამ ოცდა ხუთი წლის განმავლობაში ა.ხახანაშვილს დაუწერია და დაუბეჭდია სამასამდე სხვა-და-სხვა გამოკვლევანი თუ მოსაზრებანი ქართველთა ყოფა-ცხოვრებისა, ზნე-ჩვეულებისა და მწერლობის შესახებ, რაც ოცზე მეტ მოზრდილ ტომს შეადგენს, მაგრამ ამათ შორის ფრიად საგანძური ნაშრომია „ისტორია ქართულის მწერლობისა მეცხრამეტე საუკუნემდე“ და „ქართულ სიტყვიერების ისტორია“, რომელიც ოთხ დიდ ტომს წარმოადგენს. ჯერ ამის მეტიც რომ არაფერი გაეკეთებინა ხახანაშვილს, მაინც უკვდავი იქნებოდა იმისი სახელი. ამას გარდა ბევრი ნაწერები აქვს საქართველოს შესახებ ფრანგულსა, გერმანულსა და იტალიანურს ენებზე, რაც საშუალებას აძლევს ევროპიელთ ჩვენის ვინაობის გაცნობისას.

ალ. ხახანაშვილი ერთ წუთსაც არ გააცდენდა უსაქმოდ. მუდამ შრომობდა, იკვლევდა ძველ ხელთ-ნაწერებს, დღე და ღამ ჩაჰკირკიტებდა მათ, სწერდა როგორც რუსულსა, ისე ქართულ ჟურნალ-გაზეთებში და დიდის გულმლდგინებით ადევნებდა თვალს ყოველს წვრილმანსაც-კი თავის ქვეყნისას. იგი ზაფხულობით უმეტეს ნაწილად ჩამოდიოდა თავის სამშობლოში, მიმოივლიდა ხოლმე ჩვენი ქვეყნის მივარდნილ კუთხეებსაც-კი და იკვლევდა იმის წარსულსა

და აწმყოს ხან, როცა საჭიროება თხოულობდა, მიდიოდა საზღვარგარეთ რომსა, საფრანგეთსა და ინგლისში, სადაც სჩხრეკდა და იკვლევდა იქაურს მუზეუმებსა და წიგნთ-საცავებში შენახულ ხელთ-ნაწერებს საქართველოს შესახებ, აგროვებდა მასალას და მეცნიერულად შემუშავებულს ჰბეჭდავდა.

მეტად ძნელი საშრომი ჰქონდა ალ. ხანანაშვილს, მაგრამ თავდაუზოგველი მოღვაწე კიდევ იმდენს ახერხებდა, რომ დიდ მონაწილეობას იღებდა მოსკოვში მყოფ ქართველ სტუდენტთა წრეებში, ეხმარებოდა და სხვა-დასხვა სამოღვაწეო პროგრამების შედგენაში, უმზადებდა სამშობლოს მომავალ საერო მუშაკებს, და თავისი მაგალითით აჩვენებდა მოსწავლე ახალგაზრ-დობას, რამდენად წმინდა მოვალეობაა დაჩაგრულ და ჩამორჩენილ სამშობლოს სამსახური.

ბუნებით მშვიდობიანსა და სათნო ხასიათის პატრონს ალ.ხახანაშვილს სიყრმიდანვე არ უყვარდა ფუქსავატი ცხოვრება, თუ არ იცოდით ვინ იყო, ვერც კი შენიშნავდით, თუ ის მეცნიერი იყო, იმდენად სადა და მარტივი იყო მისი ქცევა, ლაპარაკი, ჩაცმა-დახურვა და მთელი მისი ცხოვრება მოკრძალებული იყო, ჩჩივილის გულისა, და მხოლოდ აქ შეეტყობოდა ხოლმე ღრმა ცოდნა თავისი საქმისა, სადაც საქმე იმის სამშობლოს შეეხებოდა, უიმისოდ-კი იგი ჩვეულებრივ ადამიანთაგან არ განსხვავდებოდა, ყველაფერში ზომიერებას იცავდა, გარდა ერთი რამისა,–ეს იყო მისი გამუდმებული შრომა და მეცნიერებისადმი სიყვარული.

ხახანაშვილმა, მთელი თავისი ახალგაზრდობა, პირადი ბედნიერება, მთელი თავისი ძალ-ღონე შესწირა ერთხელვე სათაყვანებლად არჩეულ საგანს – სამშობლოსათვის მოღვაწეობას, მომმეთა წარმატებას და გააკეთა ის, რის გაკეთებაც მხოლოდ ღვთისაგან რჩეულთ შეუძლიანთ: შესწირა სამშობლოს სიცოცხლე და მასთან ერთად მთელი თავისი მონაგარი, პატიოსანი შრომით დაზოგვილი შეძლება მომმეთა განათლების საქმეს უანდერძა.

ის შეიძლება, რაც მან „წერა-კითხვის“ საზოგადოებას დაუტოვა, ორმოც-და ათი ათას მანეთამდეა, და ამით უკვდავი მაგალითი მოგვცა იმისა, თუ როგორ უნდა ემსახუროს პატიო-სანი შვილი თავის მშობელ ერს, თავის ქვეყანას.

ეს ღირსეული მამულისშვილი დიდის ამბით გადმოასვენეს ქალაქ სამარიდან საქართვე-ლოში. რუსეთიდან დაწყებული ტფილისამდე ყოველ ქალაქში ეგებებოდნენ იმის ნაშთს მადლიერი თანამემამულენი და ვერცხლისა და დაფნის გვირგვინებით ამკობდნენ იმის პატიოსან ცხედარს. მთელი საქართველო, ყოველი შეგნებული მამულისშვილი მდუღარე ცრემლით დასტიროდა მას და ამგვარის გლოვითა და ვაებით მიაბარეს მიწას დიდუბის ეკლესიის გალავანში იაკობ გოგებაშვილის გვერდით.

უკვდავია სახელი დიდებული მამულისშვილის, სულ-მაღალი ქართველი მეცნიერის ალექსანდრე ხახანაშვილისა!

ნაკადული, N8, 1919 წ.

კარი მესამე
სტამბოლის ქართულ სავანეში შემონახული მიმოწერის ბარათები

ა) საზოგადო მოღვაწეების, ღირსეული მამულიშვილების, ცნობილი პიროვნებების პირადი წერილები

აკაკი წერეთელი, მამა იოსებ მერაბიშვილს (მერაბს)

ენკენისთვე

ძვირფასო სულიერო მამავ

ბატონო მერაბ!

კონსტანტინეპოლში გამოვლა, როგორც ვხედავ, აღარ მომიხდება, მაგრამ **რომში** კი ვფიქრობ წასვლას ამ თვის დამლევს, თუ მოვახერხე. იქ მე, რასაკვირველია, უცხო ვიქნები, მაგრამ **თამარაშვილის** იმედი მაქვს, თუ იქ იქმნა.მიმიწერე, რომ ადრესი გამომიგზავნოს ამ ადრესით:... **ვლადიმირ წერეთლისათვის** მინდოდა მიმეწერა წერილი, მაგრამ, ახლა წასული იქნება. ყველანი მომიკითხე. ნიკოლოზს უთხარ, რომ ლეონიდი გადაჰყავთ რუსეთში ფოთიდან და ეს ჩემთვის კარგი არის თქო... იქ წასვლას აქეთ წამოსვლა ურჩევნოდა! გამოძიება სამღვდელოებაზე მოსპო სინოდმა და ახლა, მე მგონი **კირიონსაც** დააბრუნებენ თქო. სტამბოლის ქართველობამ ძალიან კარგი შთაბეჭდილება მოახდინა ჩემზე. ბევრი მქონდა მოსალაპარაკებელი, მაგრამ, ვიფიქრე, ამ მოკლე ხანში რაღას მოვასწრებ მეთქი და სამერმისოდ გადავხედავ. ახლა კი ვსწუხარ, რომ არ დავრჩი რამდენიმე ხნით. მე ვერა ვარ კარგად და დიდი მოწყენილიც ვიქნებოდი, რომ წერით არ ვიყო გართული. ამას გარდაც იტალიანური სახელმძღვანელო მიშოვნა აქ შვილმა. იმას შევუდექი ამ სიბერის დროს. იმედი მაქვს ცოტაოდენი მაინც შევისწავლო!

დავშთები მარად თქვენი ბედნიერების მოსურნე აკაკი.

კონსტანტინეპოლი, ნოემბერი, აკაკი წერეთლის იუბილეს მოლოდინში

აქაურ ქართველ საზოგადოებაშიაც აღიძრა მსჯელობა აკაკი წერეთლის მოღვაწეობის გამო დანიშნულ იუბილეზე. ყველას ერთნაირად სასურველად მიაჩნდა, რომ სტამბოლში მყოფ ქართველობასაც მიეღო მონაწილეობა ამ ეროვნულ დღესასწაულში და აღენიშნა იგი რაიმე კეთილი საქმით. მალე ასრულებასაც შეუდგნენ და ამ თვის ექვსში მოთავეთა ინიციატივით მოხდა საზოგადო კრება, რომელზედაც ბატ. **ვლადიმერ წერეთელმა** მიმართა დამსწრეთ შემდეგი სიტყვით: „ორმოცდა ათი წელიწადი შესრულდა, რაც საქართველოს დიდებულმა შვილმა **აკაკი წერეთელმა** დაიწყო საზოგადოებრივი მოღვაწეობა და მას აქეთ თავდადებულად ემსახურება სამშობლო ქვეყანას და ლიტერატურას. ბევრი სიმწარე, ბევრი ტანჯვაც და შევიწროება გამოიარა ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ მგოსანმა გული არ გაიტეხა, არ უღალატა თავის მოწოდებას და იმ ქარცეცხლშიაც მხნეთ აწარმოვა ქართული ლიტერატურის სვე-ბედი. არც მუქთად ჩაიარა შრომამ: მის ხელში ქართული სიტყვაკაზმული მწერლობა აყვავდა და გაიფურჩქნა. მისი ჩანგის სიმები იმ დღიდამ აქამომდე მუდამ ხალხის გულთან იყო გადაბმული, ერის ჭირ-ვარამის გარშემო ჟღერავდა. ამიტომ იგი შეიქმნა ხალხის საყვარელი პოეტი: საქართველოში არ მოიძებნება იმისთანა კაცი, რომ ცოტაოდენი რამ გაეგებოდეს და არ იცოდეს, ვინ არი და რა არი აკაკი. მისი ტკბილი ლექსები, ბევრი სიმღერად გადაკეთებული, დღეს ყველგან გაიგონება. ამ ნოემბრის დამლევს მთელი საქართველო დღესასწაულობს მის მოღვაწეობის ორმოცდა ათის წლის თავს. კუთხე არ არი ჩვენი ქვეყნისა, რომ დიდებული პოეტის საიუბილედ არ ემზადებოდეს და ჩვენც სტამბოლელი ქართველები.

ვლადიმერ წერეთელი

ქართველის სულის მესაიდუმლე, ჩვენი ერის უდიდებულესო პოეტო აკაკი,

ჩვენ, კონსტანტინეპოლის ქართველები დიდისა და აღტაცებულის სიხარულით ვუერთდებით იმ დიდებულ ეროვნულ დღესასწაულს, რომელიც უნდა მოხდეს თქვენი 50 წლის იუბილის დღესა. თქვენ იყავით ჩვენ ახალ პოეტთა შორის უპირველესი, უნიჭიერესი. თქვენ გამოჰხატეთ მშვენიერება ლექსებში და პოემებში საქართველოს წარსული, მომავალი და აწმყო, თქვენ შთაბერეთ ნამდვილი ქართული, ეროვნული და თავისებური სული იმ მშვენიერსა და დიდებულ ნაწარმოებებში, რომელიც ამშვენებს დღეს ქართულ ლიტერატურასა. თქვენ ჰგავდით ჩვენს დიდებულ წარსულსა და ამ გოდებაში, მართლაც, ისმოდა ქართველის ის მწარე კვნესა, რომელიც სწორედ თქვენის წყალობით სხვაცა სწვდება ქართველის გულსა, აგლოვინებს მამულის სიყვარულსა და დაკარგულ ბედზედ ატირებს. თქვენ აღწერეთ, აგრეთვე, ჩვენი გმირები, რომელთა ვაჟკაცობა მაგალითად უნდა დაედვას ყოველ დღევანდელ ქართველსა; დაფი და ნაღარა დაეძებს გმირებს ყოველთვის, რომ კვლავ გაიღვიძოს ჯერ კიდევ ცოცხალმა, მხოლოდ დროებით მიძინებულმა საქართველომ. თქვენ პირუთვნელად დაჰგმეთ და აღშფოთებით გაკიცხეთ ის ცუდი მხარეები ჩვენის ცხოვრებისა, რომელიც აღორძინდა ჩვენს ჩაგრულს ქვეყანაში ამ უკანასკნელის მონობის დროსა. თქვენ, სამაგიეროდ, გული არ გაიტეხეთ დაჩაგრულ და შეურაცხყოფილ, გასრესილ და დაცემულ საქართველოზედაც და გმირულადაც შესძახეთ საქართველოს: – „მოვა დრო და ჯაჭვს გაიხსნის, თავს აიშვებს გმირთა გმირი!“– და ამით გულს იმედი დაუსახეთ მთელს ერსა. ბოლოს, თქვენ განამშვენიერეთ ქართული ენა, თქვენ აღადგინეთ იგი დაცემისაგან, თქვენ დაუბრუნეთ ერს დიდი საუნჯე, რომელიც მან მასალად გათხოვათ,- განმშვენიერებული და განსპეტაკებული სახით, როგორც ხელოვნება,- უდიდესი ხელოვნება მეტყველებისა.

როგორ უნდა ჩამოვთვალოთ ის დიადი ღვაწლი, რომელიც თქვენ დასდეთ საქართველოს წინაშე ამ 50 წლის განმავლობაში. ეს ჩვენ ამ მცირე წერილში არ ძალგვიძს. ეს არც ისე ადვილი საქმეა, როგორც შეიძლება ბევრს ეგონოს. იმ მწერლებს, იმ პოეტებს, რომელთაც ეპოქა შეუქმნიათ ერის ცხოვრებაში, მის ლიტერატურაში, რომელსაც გამოუხატავთ მთელი სული ერისა, მისი სრული სახე, გენიოსები ჰქვია და გენიოსთა დაფასება კი რამდენიმე შთამომავლობის ხანგრძლივ მუშაობას თუ ძალუძს.

ჩვენ ის ვიცით მხოლოდ, რომ აკაკისთანა პოეტი, რომელიც გინდათ დიდებულ ერს დაამშვენებდა და უკვდავების სახელს მოუხვეჭდა; ჩვენ ისიც ვიცით, რომ დიდებული ერი მას დაფნის გვირგვინით შეუმკობდა შუბლსა და ეცდებოდა, რაც შეიძლება მეტი სიტკბოება ესმია მის მეტყველ ბაგეთათვის; ჩვენ კი ძლიერ ბევრჯერ ძირ-მწარით გაუმასპინძლდით ჩვენს დიდებულ ადამიანსა, მაგრამ დიდსულოვანი პოეტი იმედია აპატიებს ამას იმ ერს, რომელიც მას უყვარდა, უყვარს და ერთად-ერთი საგანია მისი სიმღერისა, მის ცეცხლ-მომკიდებელი ტრფობისა. ეხლა, საბედნიეროდ, მასაც ვხედავთ, რომ 50 წლის მოღვაწეობის შემდეგ მაინც საქართველო ღირსეულად აფასებს თავის სასიქადულო შვილსა და ჩვენც, შორეულ ქვეყანაში გადარჩენილნი გულ-წრფელ სალამს გიძღვნით, გილოცავთ თქვენის ნახევარის საუკუნის შრომის იუბილესა; იმედი გვაქვს რომ ის ერი, რომლის სამსახურს თქვენ თავი შესწირეთ, რომელმაც დიდი აკაკი წარმოშვა, არ დაიღუპება არასდროს, შეიძლება აღარც კი სძინავდეს და

უკვე გაიღვიძა და ბიზანტიის ძველი სატახტო ქალაქიდან, რომელიც იმავე დროს ახალ გაღვიძებული ოსმალეთის სატახტო ქალაქია, ჩვენც ჩვენის სუსტის, მაგრამ წრფელი გულიდან ამონაღები ხმით ვიბარებთ: გაუმარჯოს აკაკის, დიდებულ მგოსანსა და მის 50 წლის დაუღალავ შრომას,გაუმარჯოს მისი სიყვარულის საგანს, მის ვარდს, ვინაიდან მუდამ ვარდზედ მჯდომარე შეყვარებული ბულბულია. გაუმარჯოს საქართველოს!

წავიდა ის დრო, როდესაც ბევრი რამ ანცალკევებდა საქართველოს სხვა და სხვა ნაწილებსა. საქართველო ისევ ერთდება, მიუხედავად სჯულისა, რწმენისა და პოლიტიკური აზრის განსხვავებისა. იგი მიისწრაფვის ეხლა იმისაკენ, რომ ძველებური ძლიერი ორგანიზმი წარმოადგინოს ეროვნული გრძნობით განცხოველებული. თქვენ, ჩვენო დიდებულო მგოსანო, უდიდესი ღვაწლი მიგიძღვით ამ ერთობის იდეის შექმნისათვის და აჰა, ნაყოფი შენის ღვაწლისა. დღეს, შორიდან, ყველა სჯულისა და რწმენის ქართველობა გილოცავთ ბრწყინვალე იუბილესა; დღეს, ყველანი ჩვენ, შეერთებულის ძალით, ვსცდილობთ მცირე საქმითაც აქ უკვდავყოთ სახელი შენი და შენთან ერთად შევძახოთ,- გაუმარჯოს გაერთიანებულ საქართველოს, გაუმარჯოს მის ისეთ ბრწყინვალე მომავალსა, რომელიც წარსულს ჩვენი სიდიადისა და რომლის უპირველესი შემოქმედი თქვენა ხართ და თქვენ იქმნებით უკანასკნელ წუთამდე. ღმერთს ვსთხოვთ, რომ სიკვდილამდე გაგეგრძოთ თქვენის ბრწყინვალე მოღვაწეობა საქართველოს აღდგინებისათვის და უკვდავებისათვის.

სტამბოლის ქართველთა მინდობილობით აკაკის საიუბილეო კომიტეტი.

ივანე ჯავახიშვილის წერილი პეტერბურგითგან

1912.18.III

ჩემო ბატონო!

გიგზავნით ჩემს თხზულებებს, რაც მე თითონ შემრჩა, ჟენევის ქართველთ წიგნსაცავისათვის. ქვემორე ჩამოთვლილი თხზულებები მე თითონაც არა მაქვს თითო ცალის მეტი და ამიტომ შემიძლიან მხოლოდ გაცნობოთ, სად და როდის იყო დაბეჭდილი:

1. „საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები – მეფის ძე დავით და ბატონიშვილი იულონ“ (“მოამბეში”, 1900 წელს)

2. «Из истории церковных реформъ в древней Грузии» (Журн. Мин. Нар. Просв. 1904 г.№2) ცალკე არ დაბეჭდილა.

3. “ზნეობრივ მოძღვრების ისტორია საქართველოში” (“ივერია”, 1906 წ. NN 10, 11, 12, 13) ცალკე არ დაბეჭდილა.

4. «История церковного разрыва между Грузией и Арменией» (Известия Импер. Академии Наук, 1908 წ.) აქ პეტერბურგში ერთი ცალის მეტი არა მაქვს. შეიძლება წერაკითხვის გამავრ.საზოგ.მაღაზიაში იყოს.

5. Политическое и социальное движение вь Грузии вь XlX в.». 1906 г. СПВ. წიგნი აკრძალულია მთავრობის მიერ და სასამართლოს განაჩენით მოსპობილია. – როდესაც “ქართველი ისტორიკოსების მიზანი და მეთოდები”, “ქართული სამართლის ისტორია” დაიბეჭდება, თუ მოისურვებთ, მაცნობეთ და გამოგიგზავნით.

ივანე ჯავახიშვილის წერილი

1912.27.IV

ბ-ნო

თქვენი თემისათვის ცნობები და მასალები შეგიძლიან შემდეგს თხზულებებში იპოვნოთ:

1. პაპუნა ორბელიანის ისტორიაში (Histori de la G.II)
2. ომან მდივნის ხერხეულიძის ისტორიაში (idit.)
3. А.Цагарели, Грамоты и др. документы относящиеся къ Грузии т.- I-II.
4. Акты Кавказской Археографической коммисии, т. I-IV
5. საქართველოს სიძველენი, II და III წ.
6. России с Кавказомь, I-II т.
7. Дубровинъ. История виойны и владечества рус. на Кавказь
8. პ.იოსელიანი. მეფე გიორგი XII
9. ივ.ჯავახიშვილი, "საქართველოს სამეფო ტახტის მემკვიდრეები" ("მოამბე", 1900წ.). აქ დაბეჭდილია ერთი საიდუმლო წერილი დავით ბატონიშვილისა, რომლითაც მტკიცდება, რომ აზრი, ვითომც თვით გიორგი მეფეს ეთხოვნოს ან დათანხმებულიყოს მეფობის გაუქმებაზე, სრულებით უსაფუძვლოა.

კიდევ ბევრ წყაროს დასახელება შემეძლო, მაგრამ ჯერ-ჯერობით ესეც კმარა. ხვალ მე საქართველოში მივდივარ და თუ რაიმე ცნობები გსურთ მიიღოთ ჩემგან, გთხოვთ შემდეგის მისამართით მომწეროთ: ტფილისი, Александровская ул. д.4. გისურვებთ ყოველგვარს სიკეთეს და წარმატებას განზრახულს სამუშაოში.

თქვენი ივ.ჯავახიშვილი

P.S. იქნებ იცოდეთ, სად არის ეხლა **პეტრე სურგულაძე** და შემატყობინოთ მისი ბინადრობის ამბავი.

ი.ჯ.

ივ.ჯავახიშვილი

კონსტანტინე გამსახურდიას წერილი აკაკი ხოშტარიას

ივლისის 19-ს 1920 წ. ბერლინი

დიდად პატივცემულო ბატონო აკაკი!

უწინარესს ყოვლისა გულითად მადლობას მოგახსენებთ თქვენი გულწრფელი წერილით გამხნევებისათვის.

რაიცა შეეხება ლექსიკონს, აქ შემდეგ გარემოებაზე უნდა მივაქციო თქვენი ძვირფასი ყურადღება. ვიდრემდის საქართველოში ჩავიდოდი შარშან, მეც ვფიქრობდი, განათლების სამინისტროსთვის მიმემართა, მაგრამ უნდა გამოგიტყდეთ, რამდენადაც მე პირადად ჩვენი მთავრობის პოლიტიკურ გზებს თანაუგრძნობ, იმდენად კრიტიკულად უცქერი იმავ მთავრობის კულტურული პოლიტიკის ორგანოს განათლების სამინისტროს; თქვენც დამეთანხმებით, თუ დღეს ევროპაშიაც შესაძლებელი გახდა ჟურნალისტური კარიერისაგან პოლიტიკურ სავარძლებში გადასვლა, ეს ჩვენშიაც შესაძლებელია, რადგანაც ერის პოლიტიკურ წინამძღვრობას იმდენი სიძნელე არ უდგას წინ, რამდენადაც კულტურულს.

ჩვენი ქვეყნის კულტურული პოლიტიკა, სამწუხაროდ, ძლიერ დაბლა დგას, ერთის მხრით იმიტომ, რომ მართლაც განათლებულთა კადრი ჩვენში ჯერ არც კი მოიპოვება, ან არა და ფრიად მცირე რიცხოვანია. მართლაც განათლებულებს კი ჩვენში პოლიტიკური სტაჟის უქონლობით წინ ვერ წაუწევიათ. ეს ძველი ამბავია. უცხოეთიდანაც ვხედავ თუ რამდენი კომისია დგება ჩვენში ამ სამინისტროს გარშემო, მაგრამ ყველაზე ნაკლებად ქართველ კაცს ემარჯვება კოლექტიური მუშაობა. ეს ვიცი და ამიტომაც ჩვენებურ კომისიებზე და მათ კოლექტიურ საქმიანობაზე ცოტა სკეპტიკური აზრები მაქვს.

ნორმალურ პირობებში ჩვენ არაფერი გვექნებოდა წინააღმდეგი ჩვენი შრომის განათლების სამინისტროსადმი წარდგენისა, მაგრამ ამ შემთხვევაში ამაზე გადაჭრით ვერ გიპასუხებთ. რომ ვიცოდე ჩემ ნაშრომს მცოდნე ექსპერტები განიხილავდნენ, ცხადია დათანხმებას არ დავაყოვნებ, მაგრამ როცა ვიცი, რომ ამგვარ კომისიებში უმთავრესად ჟურნალისტებსა აქვთ ხმა და არა მეცნიერებს, აქ კი დაფიქრება დამჭირდება.

პრინციაპლურადაც რომ მოვხსნათ ასეთი საკითხი, მე ვფიქრობ ამ შრომის სამინისტროსადმი წარდგენა ტექნიკურად შეუძლებელია. ჩვენ უნდა შევთანხმდეთ იმ დებულებაზე, რომ ასეთი დიდი ლექსიკონის დაბეჭდვა მხოლოდ ბერლინის სახელმწიფო სტამბაში შეიძლება, სადაც გერმანული ტიტრებიც არის და ქართულიც. გარდა ამისა, ქართველი ამწყობი გერმანულ ლეტებს ვერ ააწყობს, ეს გამოცდილებიდან დავინახე 1917 წ. როცა ტფილისში ჟურნალ **"პრომოთეს"** ვცემდით მე და **პროფ.აკაკი შანიძე.**

სადაც ლექსიკონი დაიბეჭდება იქ უნდა ვიყოთ, როგორც მე, ისე **დოქტ. მეკელაინი.** ჩვენი აქედან წასვლა არც ისე ადვილია, მე აქ სააბილიტაციო შრომას ვწერ, ის უნივერსიტეტის დოცენტია, გარდა ამისა, მე აქ სამსახურიც მაქვს.

გაგზავნით, ჩვენ ვერ გავიმეტებთ ამდენი ხნის შრომას საქართველოში გასაგზავნად, რადგანაც ვიცით ან გზაში დაიკარგება იგი, ან არა და შეიძლება ტფილისშიც დაიკარგოს ნაწილი ხელიდან ხელზე სიარულის დროს.

სხვა მხრით, არც მე და არც მეკელაინი რაიმე კონკურენციას ან კრიტიკას არ გავექცევით. შეიძლება დეფექტები აღმოაჩინონ სპეციალისტებმა ჩვენს შრომაში, მას შემდეგ რაც იგი უკანასკნელად გასწორდება, მაგრამ ეს კი ვიცით, რომ ასეთი შრომის კარდინალურად უარყოფა შეუძლებელი იქნება.

მართლწერას რაც შეეხება, მე პირველად **ნ.მარის** მოწაფე ვიყავი პეტერბურგის უნივერსიტეტში და დაახლოებით მისი მართლწერა მექნება სახელმძღვანელოდ. ხოლო ჩვენში რომ მართლწერაა გაბატონებული, მას მე არსებითად ვეწინააღმდეგები და ის მირჩევნია სულ არ დაიბეჭდოს ლექსიკონი ვიდრე ისეთის მართლწერით – რომელიც ამჯამად ჩვენში სუფევს. ამის გამო მე უკანასკნელ ხანში სრულიად გავურბი ჩვენს პერიოდულ გამოცემებში თანამშრომლობას.

რაიც შეეხება თქვენს ორ უკანასკნელ შეკითხვას;

ა. რამდენი სიტყვა იქნება ლექსიკონში? მოგეხსენებათ, რომ ლექსიკონის დასრულება ერთ საუკუნეშიც არ მოხერხდება, ჩვენ ახლა გვაქვს 15,000 სიტყვა, ხოლო ვარაუდობთ 20,000 სიტყვას, თუმცა ჩვენი ვარაუდი გამომცემლობის პირობასთანაც დაკავშირებულია.

ბ. დღეს დილით გამომცემელთან ვიყავით, დაახლოებით ხარჯთ აღრიცხვას გამოგიგზავნით ამ სამიოდე დღის განმავლობაში.

გარდა გამოცემის ხარჯებისა, წინასწარი ხარჯებიც არის. ჩვენგან წარმოდგენილი კარტონის ნაჭრები თითქმის შემოგველია, არც მე მაქვს ამჯამად რაიმე სახსარი ქაღალდისათვის და არც დოქტ. მ. ის ჩემზე უფრო ღარიბი კაცია, მთელი დახმარება ჩვენი სახელმწიფოს მხრით დღემდის 1,500 მარკას არ აღემატება ქართველს შეუძლია თავის საქმისათვის უსასყიდლოდ იმუშავოს, მაგრამ იმ კაცმა, რაც უნდა მეგობარიც არ უნდა იყოს, არა მგონია, რომ აწიც ისე გულდასმით იმუშავოს ამ საქმისათვის. ბოლოს, ეს მისი შესაძლებლობის ფარგალს აღემატება. ბატონი მეკელაინი ორ ადგილას მსახურობს, უნივერსიტეტში და სამეფო ბიბლიოთეკაში. ასე რომ მისი დრო ფრიად შეზღუდულია.

ბერლინში ერთმა ებრაელმა პიროვ. დოცენტმა რუმინ.-გერმანული ლექსიკონის შედგენა დაიწყო. ამისათვის რუმინიის სახელმწიფომ 10,000 ფრანგ.ფრანკი გადასცა მას, ასე ეძებენ სხვა სახელმწიფოები თავიანთ კულტურის გამავრცელებლებს. ჩვენში კი კულტურული პოლიტიკა სრულადაც აღარ არსებობს.

ჩემი მცირე გამოცდილებით დავრწმუნდი, რომ კერძო ინიციატივას გაცილებით მეტი პოტენციალური ძალა აქვს, ვიდრე სახელმწიფოს. ეს გახლავთ ჩვენი პასუხი.

გთხოვთ მაპატიოთ, რომ ამდენი დრო წაგართვით.

მარად თქვენი პატივისმცემელი

დავშრები კ.გამსახურდია

კონსტანტინე გამსახურდიას წერილი აკაკი ხოშტარიას

ტელეფონი: 10-დან 2 საათამდის:

Moabit: 433

ბერლინი 1920 წ. ივლისის 18-ს

ბატონო აკაკი! მე ვიცი, რომ თქვენ ნაპოლეონ ბონაპარტესავით არაფრით ხელში ქვეყანა დაიპყარით. ამაში მე ვხედავ ლაზური რასსის გენიალურ გონებამახვილობის მანიფესტაციას ვხედავდი მუდამ. ჩვენ მეგრელები სწორედ ამ ლაზური სისხლით განვირჩევით დანარჩენი ქართველებისაგან. რამდენადაც მე თქვენი თანამოსისხლე ვარ ამ მხრით, დაუტრაბახებლად შემიძლია ვთქვა, რომ დღესაც მე ამ გზაზე ვდგავარ, არაფრისაგან – ესე იგი აუტანელი პირობების წრიდან გამოსულს, ის რწმენა მაქვს, რომ მე როგორც პიროვნებას დიდი კულტურული პრობლემების გადაჭრა მომიხდება.

19 წლის ჭაბუკი მოვედი გერმანიაში – შავი ქვის საბჭოს 25 მანეთიან სტიპენდიით ვსწავლობდი **კონიგეზბერგის, ლაიპციგის, მიუნხენის** უნივერსიტეტებში. 1919 წ. დავასრულე **ბერლინის უნივერსიტეტი.** იმ თავიდან იდეე ფიქსად შემიჩნდა ის აზრი, რომ მე მოწოდებული ვარ საქართველოსა და გერმანიას შორის ხიდი გავდო. დღეს ჩემი სახელი ჯერაც არაფერს ეუბნება ქართველის გულს, რადგან 8 წლის განმავლობაში უცხოეთში ვშიმშილობდი, ვსწავლობდი, ვწერდი, მაგრამ გარეშე პიროვნების ენა რომ მკაცრია, თქვენ ჩემზე უკეთ იცით, დღემდის ვერ მოვახერხე ვერც ერთი ჩემი ნაშრომის ქართული საზოგადოების წინაშე გადაშლა-გამოცემა. ამ რვა წლის განმავლობაში ევროპაში დავწერე:

1) გოეთეს ფაუსტის პირველი ნაწილი ლექსად. ვერ გამოვეცი.

2) კიტა აბაშიძის თხოვნით, თომას მანის სიკვდილი ვენეციაში (რომანი). ვერ გამოვეცი.

3) ვაჟა ფშაველას "გველისმჭამელი" (პოემა) გერმანულად ვთარგმნე. იგი დღესაც აგდია ლაიპციგში გამომცემელთან.

4) 1919 წ. დისერტაცია, ბერლინის უნივერსიტეტს რო წარუდგინე გერმანულად: "საქართველოს მეფის ერეკლე II დრო". ისტორიული მონოგრაფია. ვერც ამის გამოცემა მოვახერხე.

5) "რომში"–ფილოსოფიური ესსე (ტფილისშია გამომცემელთან), 1920 წ.

6) "უშანგ დადიანის სიჭაბუკე", I ნაწილი. ორიგინ. რომანი. მანუსკრიპტი აქა მაქვს, ვერც ეს გამომიცია.

7) ახლა ვწერ ტფილისის უნივერსიტეტში საპროფესორო ეგზამენისათვის წარსადგენ შრომას "პრობლემები ლიტერატურის ისტორიული მეცნიერებისა", არც აქა მაქვს დიდი იმედები.

8) 1912-1920 წელთა შორის მითარგმნია ლექსები: გოეთესი, შილერის, დენაუს, ჰაინეს, რიკარდა ჰუხის, რიხარდ დემელის (ნაწილი გაზეთებში გამოქვეყნდა ამ წლების განმავლობაში („სახალხო ფურცელში", „სახალხო საქმეში", „კოლხიდაში", ჟურნალებში: „პრომეთე", „ცისარტყელა" და სხვ.)

ყველაფერი ეს ვერ გამომიცია, რადგან ჩვენ წვრილ გამომცემლებს, რომელთაც სპეკულაციის მეტი არაფერი ესმით, კულტურული გამოცემის არა სცხიათ რა, ვერ დავეღრიჯე, ვერ ვსთხოვე.

შრომა გერმანელებმა მასწავლეს, მაგრამ თქვენ ისიც ჩემზე უკეთ იცით, რომ გონებრივი შრომა იქ ფუჭია, სადაც მეცენატი არაა; არც **მიქელ ანჯელო,** არც **დავინჩი**, არც **გოეთე** ქვეყანაზე არ იქნებოდა, რომ **პაპა პიუს II, პავლე III, სიქსტუს I, ვაიმარის ჰერცოგი** (გოეთეს მეცენატი) ღმერთს არ გაეჩინა. ეს ურყევი დებულებაა, მთელი ისტორია ამის საბუთია. მე არ აგიწერთ იმ დიდ ფიზიკურ ტანჯვას, რომელიც დღემდის გადამხდენია. 1919 წ. უნივერსიტეტი გავათავე და იმის მაგივრად, რომ ოჯახს მოვკიდებოდი, და მოხუცი დედა რომ მყავს იმისთვის მომეარა, ისევ აქ ჩემოვედი და უბრალო საელჩოს ატაშეს მცირე ჯამაგირით ისევ ვებრძვი გაჭირვებას, ვიბრძვი ჩემი სწავლის და განათლებისათვის, უმთავრესად ლექსიკონისათვის და ჩემი უკანასკნელი შრომის დასასრულებლად მოვედი ისევ ბერლინში. დალოცა ღმერთმა **ევგენი გეგეჭკორი,** ეს პატარა ადგილი მომცა და შემაძლებია აქ ვიმუშავო კიდეც. არასდროს ჩემი პირადი გაჭირვებით კაცი არ შემიწუხებია, არასდროს არავისთვის არაფერი მითხოვია ჩემთვის.

ამ ლექსიკონის საქმისათვის, რაკი ეს დიდი ეროვნული საქმეა, გავბედე და მოგმართეთ. თქვენ გენიალურად შენიშნეთ ინგლისელებზე ამას წინად საელჩოში: "ისინი გზებს და ხიდებს რომ აშენებენ, ათასწლებზე ფიქრობენო". კულტურული მუშაკიც ასე ფიქრობს. ხიდი უნდა გავდოთ გერმანიასა და საქართველოს შორის და ამ ხიდზე ათასმა თაობამ უნდა გაიაროს. მე ვიცი თქვენ ფაქტების ადამიანი ხართ. დღეს რაკი, სამწუხაროდ, უქეიფობის მიზეზით ვერ მიგვიღეთ მოკლედ მოგახსენებთ ჩვენ მეთოდზე:

1. ჩვენი მეთოდი ისტორიულია, რადგანაც ჯერ ქართული აკადემიური მართლწერა არ არსებობს, ლექსიკონი უნდა ავაგოთ ისე, როგორც სიტყვები უწერიათ ქართული ლიტერა-ტურული ძეგლების ავტორებს.

2. რა ელემენტები ავიღეთ? **დაბადება, სახარება, ვეფხის ტყაოსანი,** სკოლების მწერალნი (**პროფ. მარის** გამოკვლევების მიხედვით), **შაჰნამე** (**იუსტ. აბულაძის** გამოცემა), **ვახუშტის „გეოგრაფია", ბესიკის, დ.გურამიშვილის, თეიმურაზის, ილიას, აკაკის** ნაწერები. შემდეგ, ქართულ სიტყვებთან ერთად იქნება დიალექტის სიტყვები უმთავრესად მეგრული. ხელში გვაქვს ლექსიკონები: **საბა ორბელიანისა, ჩუბინიშვილის, რაფიელ ერისთავის "ბოტანიკური ლექსიკონი".**

3. ყოველ სიტყვას ნაჩვენები ექნება წყარო, საიდანაც ამოღებულია.

4. ლექსიკონი მხოლოდ ორის შეკავშირებით გამოიცემა. ფილოლოგი და მწერალი უნდა შეკავშირდნენ, რადგან ერთი ენის კანონების მცოდნეა, მეორე ენის ბგერის, მისი მუსიკის. დოქტ. **მეკელაინი** ფილოლოგია, თქვენ უმორჩილეს მონას კადნიერება აქვს თავის თავს მწერალი უწოდოს.

5. რაც თქვენ მოგიტანეთ ის ჯერ გასწორებული არაა, დაუსრულებელი ნამუშევარი, ჩემის აზრით, სხვას არ უნდა აჩვენო, მაგრამ ჩვენ გვინდოდა, რომ თქვენ ჩვენ მუშაობის დროს წამოგვდგომოდით თავს. ჯერ ჩვენ კომპოზისიისთვის არ მიგვიცლია, ჯერ საძირკველი ჩავყა-რეთ. როცა გამოცემის იმედი გვექნება, პირველ სამ თვეში ასო "ა"-ს მზამზარეულს მივცემთ სტამბაში. ლექსიკონები ნაწილ-ნაწილად იცემა (გერმ. Lieferungsweise).

6. ჩვენ გავკადნიერდებით და მოგახსენებთ: წუხელ გადავწყვიტეთ ლექსიკონი აუცილებ-ლად თქვენ სახელს უნდა ატარებდეს. რაც მოგიტანეთ, ეს ნაწილია მხოლოდ. გვერწმუნეთ, ჩვენი ნაშრომი თქვენს დიდ სახელს არ დასძრახავს. **მომავალი თაობანი გაივლიან ამ ხიდზე და**

ქართველი ერი გეტყვის თქვენ მადლობას. წუხელ არც დოქტ.მეკელაინს, არც მე არ გვძინებია; ორთავემ ვთქვით: "ლექსიკონის ბედი აწი თქვენ ხელშია".

თქვენ იცით, ჩვენ თავი არ დაგვიზოგავს. მომავალშიაც სრულიად უანგაროთ ვიმუშავებთ ამ დიდ საქმისათვის.

მიიღეთ ჩემი უღრმესი პატივისცემა

კ.გამსახურდია

P.S. 1918-19 წლებში გერმანიის საგარეო საქმეთა სამინისტროს საპროპაგანდო განყოფილების დავალებით მე და დოქტ. მეკელაინმა შევადგინეთ 250 გვერდიანი წიგნი **„გერმანული ენის გრამატიკა"** ქართულად. წიგნი სახელმწიფო სტამბაში აწყობილ იქმნა. პირველი კორექტურა გავასწორეთ 1919 წლის ოქტომბერში. 8 ნოემბრის რევოლუციამ ცვლილებები გამოიწვია სამინისტროში, ახალმა მთავრობამ საჭირო ქაღალდის ხარჯი არ გაიღო და ჩვენ წიგნის კორექტურა ახლაც საპროპაგანდო განყოფილების "Naihrichten shell fur Orient Towentzient 19ª" უფროს პროფესორ **მიტვოხის** განკარგულებაში იმყოფება დღესაც. ასეთი ბედი ეწვია ჩვენს პირველ შრომას

კ.გ.

აკაკი ხოშტარიას წერილი კონსტანტინე გამსახურდიას

ბერლინი, 19 ივლისი, 1920

ბატონ კონსტანტინე გამსახურდიას.

ბატონო კონსტანტინე,

თქვენი გუშინდელი წერილის საპასუხოდ მოგახსენებთ, რომ დიდ პატივსა ვსცემ იმ ინიციატივას, რომელიც გამოგიჩენიათ და იჩენთ კიდევ თქვენ და ბატონი **მეკელეინ ქართულ-გერმანულ ლექსიკონის** შედგენის საქმეში. მწამს რომ ამისთანა კერძო ინიციატივის მეოხებით სხვა და სხვა დარგში შესდგება ის საერთო მუშაობა, რომელიც აღორძინების გზაზე დააყენებს ჩვენს ქვეყანას.

ლექსიკონის გამოცემის შესახებ უნდა მოგახსენოთ შემდეგი ჩემი ორი მოსაზრებანი:

1. საერთო მოქმედებაში, რომელიც მიმართულია საქართველოს აღორძინებისაკენ, საჭიროდ მიმაჩნია ერთნაირი სისტემა: პირველად მივაქციოთ ყურადღება იმას, რაც აუცილებელად დღესვე ესაჭიროება ჩვენს ქვეყანას. ეს არის მისი მეურნეობისა და მრეწველობის აღორძინება. საჭირო მაშინების ბლომად შეძენა. მხოლოდ ეკონომიურ სიმაგრეზე აშენდება საქართველოს კულტურული ძლიერება;

2. საქართველოს დღევანდელი პოლიტიკური მდგომარეობა და ჩემი პირადი ეკონომიური დამოკიდებულება დასავლეთ ევროპის სხვადასხვა დიდ სახელმწიფოებთან მაიძულებს უფრო ფართო ნიადაგზე დავსვა საკითხი ჩემი შემწეობისა ლექსიკონების გამოცემაში: არა მარტო ქართულ-გერმანული, არამედ ქართულ-ინგლისური, ქართულ-ფრანგული და ქართულ იტალიურისა.

ამის გამო მე შემიძლია ქართულ-გერმანული დიდი ლექსიკონის გამოცემის საქმეს შევხედო მხოლოდ იმ თვალით, რა თვალითაც მას შეხედავს ჩვენი მთავრობა.

მზად ვარ, ფართე მატერიალური მონაწილეობა მივიღო თქვენ მიერ შედგენილ ლექსიკონის გამოცემაში, როდესაც ეს ლექსიკონი მოწონებული და მიღებული იქნება ჩვენი საერო განათლების სამინისტროს მიერ და ჩვენი მთავრობა დროის შესაფერისად დაინახავს მისს გამოცემას და მიმართავს ამის შესახებ კერძო ინიციატივას.

P.S. ყოველ შემთხვევაში მომავლისათვის მე მაინტერესებს ამ საქმეში ორი საკითხი: რამდენ სიტყვას შეიცავს თქვენი განზრახული ლექსიკონი და დაახლოებით რა დაჯდება მისი გამოცემა.

ინებეთ მიიღოთ, ბატონო კონსტანტინე, თქვენ და მ.მეკელეინმა ჩემი სალამი და გულწრფელი მადლობა.

აკაკი ხოშტარია

სიმონ ზაზაძის ბარათი მამა შალვა ვარდიძეს

14 . V.1941

პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა! (იგულისხმება შალვა ვარდიძე)

მეც ვარ პატარა ქართველი, მეც ვარ თქვენი მოწაფე, და მეც მინდა მოგილოცოთ ჩემებურათ თქვენი დღეობა.

მე საქართველო ჯერ არ მინახავს, რომ მისი სიტურფე ჩემი თვალით შევისწავლო, რომ დედა-ენის სილამაზე ჩემი ყურით გავიგონო და გულამდინ ჩამიტკბეს. სამშობლოს სილა-მაზესა და სიყვარულს თქვენ მასწავლით, და იქნება ჯერაც ვერა ხართ ძალიან კმაყოფილი ჩემს სწავლაზედ, მაგრამ დამაცადეთ, ცოტა კიდევ გავიზარდო, დედ-მამასთან ერთად ჩემი საქართველო მოვიარო, ჩემი თვალითაც ვნახო, ჩემი გულითაც გავიგო რასაც დღეს წიგნში მაკითხამთ და მაშინ ნახავთ ჩემს ქართველობას, ჩემს ქართულ ლაპარაკსა და წერა-კითხვას, ჩემს მამულიშვილობას! თქვენი ეხლა დათესილი, მაშინ გამოიღებს თავის ნაყოფსა და მდიდარ ნაყოფსაც. მაშინ იქმნება ჩვენ ყველასთვისაც დიდი, დიდი დღეობა; და თქვენთვის, პატივცემულო და საყვარელო მამაო შალვა, ჩემი საუკეთესო და გულითადი მოლოცვა და მადლობა თქვენგან მიღებული სწავლისა და სიკეთისათვის.

თქვენი ერთგული სიმონ ზაზაძე.

კალე (კალისტრატე) სალიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს

21/III/54

24/III/54

ძვირფასო მამაო შალვა!

„ბედი ქართლისას” N16 გამოვიდა და ერთი ცალი დიდი ხანია გამოგიგზავნეთ. ახლა გიგზავნით კიდევ ორ ცალს. მომავალ ნომერში იბეჭდება თქვენი განხილვა ლიტ.რვეულისა რაც გამომიგზავნეთ დამატებით. ერთ-ერთ ნომერში მოთავსდება აგრეთვე თქვენი **“ობოლი ხმა ლიბანის ობოლ კედართა მაღნარითგან”.**

აქ სიწყნარეა. ჩემი ცოლი დიდ სალამს გითვლით. თქვენ როგორ ხართ?

გულთბილი სალამი

მარად თქვენი პატივისმცემელი

კალე სალია

კალისტრატე სალიას წერილი მამა შალვა ვარდიძეს

1/IV/54 28/III-54

9/IV/54

ძვირფასო მამაო შალვა

თქვენი წერილი მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. წერილი სავსეა თბილი – მამულიშვილური გრძნობებით, რაიც ჩემთვის მეტად ძვირფასია და გამამხნევებელი. იშვიათად იმოქმედა თქვენმა მოხდენილმა სიტყვებმა ნინოზე. გითვლით დიდ მადლობას და გულითად მოკითხვას. ახლა ერთი თხოვნა მაქვს თქვენთან. გაიგებდით, რომ გარდაიცვალა **ალექსანდრე ასათიანი.** უსათუოდ დიდი პატრიოტი იყო, ენერგიული და მომქმედი მამულიშვილი. გთხოვთ დაწეროთ ნეკროლოგი **"ბედი ქართლისაში"** მოსათავსებლად. თქვენთვის ეს ძნელი არ იქნება – მგრძნობიარე – ცეცხლით ანთებული სიტყვებით, უაღერესი მამულიშვილური გრძნობით დასწეროთ მოკლე ნეკროლოგი – არა უმეტესი ჟურნალის ერთი გვერდისა, რათგან მეტი ადგილი არა მაქვს. თქვენი წერილი ერთი იბეჭდება ამ ნომერში, იგი უკვე აწყობილია – განხილვა მაცხოვრის მონასტერში აღმოჩენილი ხელნაწერისა. ნეკროლოგი იქნება მეორე თქვენი წერილი. ძალიან საჩქაროა. ვიცი, რომ დასწერთ ისეთი სიტყვებით, რომ აატიროთ ან ჩააფიქროთ მთელი ქართველობა – თავში ან ბოლოში გთხოვთ იხმაროთ - "ბედი ქართლისა"-ს რედაქციის სახელით სწერთ ნეკროლოგს. ძალიან გთხოვთ, ეს ნეკროლოგი საჩქაროთ გამომიგზავნოთ. სხვა აქ ახალი არაფერია. მე ავიღე „თეთრი გიორგის" სახელით მისია ორი ბანაკის (საბჭო და ცენტრი) შერიგებისა. არ ვიცი, რა გამოვა. საქართველოს მოსპობას უპირებენ. ჩვენი ქვეყნის ბედი ბეწვზე ჰკიდია და აქ კი ერთმანეთს სჭამენ ჩვენი ემიგრანტები. ნაწილი რუსებისკენ, ნაწილი თურქებისკენ მიდის. აქ ხმა გავრცელდა, აფხაზეთში კირილიცა შემოიღეს და თვით საქართველოშიც აპირებენ კირილიცას შემოღებას. თქვენ ხომ არ გსმენიათ მსგავსი რამ საშინელება? საწყალი ჩვენი ქვეყანა. ნუ თუ უზენაესი გასწირავს მას?

ველი თქვენს პასუხს.

იყავით კარგად. დიდი სალამი ნინოსაგან.

მარად თქვენი პატივისმცემელი **კალე სალია**

P.S. გთხოვთ მისამართები მომწეროთ ქართველებისა, ვინც იცით – სირიაში, ლიბანში ან ოსმალეთში.

ნინო სალიას წერილი პავლე ადგულაძეს (აკობაშვილს)

Revue De KaRTVELOLOGIE „BEDI KARTLISA”
PARIS
Fel.: PASSY 75-35
1964 წ. 21 მაისი

პატივცემულო ბატონო **პავლე!** (იგულისხმება პავლე ადგულაძე)

თქვენ კეთილშობილურ და დიდათ პატრიოტულ მოქმედებაზედ და საქციელზედ ბევრი რამ გაგვიგონია. კარგათ ვიცით, თუ როგორ უვლით ქართველ ახალგაზრდობას და თუ როგორ ზრუნავთ, რომ მათში გაამტკიცოთ ის ნაპერწკალი, რაც მათ ამოქმედებს და თქვენს გარეშემო ატრიალებს.

ვიცით კარგათ, რომ იწვით ქართველებისათვის და მით უმეტეს, ვერ გაგვიგია, თქვენი უყურადღებობა და გულგრილობა ერთადერთი წმინდა კულტურული ქრისტიანული კრებულის **„ბედი ქართლისა“**-ს მიმართ.

თქვენ ჭკვიანი და განათლებული პიროვნება ბრძანდებით, მაშასადამე ისიც კარგათ იცით, რომ იქ, სადაც თქვენ ბრძანდებით, ქართველი ხალხის სისხლი და ოფლი არის ჩაღვრილი. ისიც მოხსენებული გექნებათ, რომ მაგ ქონების და მონასტრის დღეები კი არა, წუთებიც კი დათვლილია, ასე თუ ისე. ან ერთი უცხო, ან მეორე დაეპატრონება. მაშ, ვისთვის და რისთვის თქვენ, პატრიოტი პიროვნება, ასე ინახავთ ქონებას და არამც და არამც, თუ ხელგაშლილათ არ ეხმარებით, სულ ყურადღებასაც არ აქცევთ საქართველოს ქრისტიანულ ბრწყინვალე კულტურის გადაშლას მთელ მსოფლიოს წინაშე.

სიმონი ახალგაზრდაა, მაგრამ მასში ძლიერი ქართული სული აღმოჩნდა და კრებულს ეხმარება, რაც დიდათ დაფასებული არის და იქნება: მხოლოდ ყველაფერი ისე გაძვირდა, რომ თუ ახალი დამხმარე წყარო არ გამოვნახეთ, კრებული თავს ვერ გაიტანს. ამ დახმარებას სტამბოლის ქართულ მონასტრიდან თქვენი კეთილი სურვილით მოველით, **რისთვისაც ქართველი ერი მადლობას გეტყვით.**

მიიღეთ ჩვენი მოკითხვა. პატივისცემით– **ნინო სალია.**

ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

საყვარელო მამაო შალვა,

მას შემდეგ, რაც მამა **მიქელ თარხნიშვილისაგან** თქვენი მისამართი გავიგე, მე თქვენ გიგზავნით ხოლმე კრებულს „**მამული**" და ამ ბოლო დროს ჩემს ნარკვევებს **„განკითხვანი ვეფხისტყაოსნისა"**. სწორედ ამ უკანასკნელისათვის მჭირდება თქვენი დახმარება და იმედი მაქვს, ჩემს თხოვნას უყურდღებოდ არ დატოვებთ. თქვენ საშუალება გაქვთ გამომირკვიოთ რამდენიმე სიტყვა არაბული ლექსიკონის შემწეობით; მინდა ვიცოდე: არის თუ არა არაბულ ლექსიკონში სიტყვა 1) **"ამარტა",** რომელს თარგმნიან ჩვეულებრივ სიტყვით "**იაშმა";** 2) "**გიშერი**", რომელიც უნდა იყოს "შავი ქარვა" **(შვარცერ ბერნ შტაინ);** ამბობენ: "გიშერა" სომხური სიტყვაა! 3) "**სატი**", რომელიც თითქოს იგივე "გიშერი" არისო. ამას გარდა, მინდა ვიცოდე, არის თუ არა არაბულ ლექსიკონში სიტყვა 4) "**ეტლი"** და 5) **"მოლი**". იქნებ არსებობს ისეთი არაბული ლექსიკონი, რომელშიც არაბული სიტყვა-გამოთქმები გადმოცემულია ლათინური ასოებით თავიანთი თარგმანით? ასეთი ლექსიკონი ჩვულებრივია ინგლისური ენისათვის, და იქნებ არის ასეთივე არაბულზეც?

გთხოვთ უმორჩილესად საჩქაროდ მიპასუხოთ, რადგან "განკითხვათა" მეოთხე რვეული მალე უნდა გამოვცე.

თუ აქაური ამბები გაინტერესებთ, მოგეხსენებათ, რომ აქ ბავშვიანად ას კაცამდეა, - ყველა მუშაობს და ასე გააქვთ ცხოვრება. თქვენი ძველი ნაცნობი **შალვა მაღლაკელიძე** ამჟამად პაკისტანშია, მგონი ამერიკელებთან თანამშრომლობს.

წავიკითხე **"ბედი ქართლისა**"-ში თქვენი ნარკვევი, - მეტად მნიშვნელოვანი ამბავია და, რა კარგი იქნებოდა, რომ ამ მხრივ მუშაობის გაგრძელება შეგეძლებოდეთ. გისურვებთ ჯანრთელობას და ბედნიერად ყოფნას.

სალმით თქვენი პატივისმცემელი

ვიქტორ ნოზაძე

ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

10.VIII. 55

ბუენოს აირესი

საყვარელო მამო შალვა,

აჰა, კიდევ უნდა შეგაწუხოთ და გთხოვოთ დახმარება. გიგზავნით, ამასთანავე, ფოტოსურათს **ალაჰის** სახელთა შესახებ. მე ეს სახელნი ვთარგმნე ინგლისურის მიხედვით, მაგრამ არა მჯერა, რომ თარაგმანი სწორი იყოს, ამიტომ გთხოვთ, იგი არაბულ სახელთ შეადაროთ და ამის მიხედვით გაასწოროთ.

თქვენი განმარტებანი "**ეტლის**" შესახებ, თუმცა დიდად დამაჯერებელი არაა, მაინც შევიტანე ჩემს ხელნაწერ წიგნში; აგრეთვე სიტყვა "სვე". "ეტლი" არ მეჩვენება ქართულ სიტყვად; ვერ ვგრძნობ მას ქართულ სიტყვად. სადურია? ვერ გავიგე. ჯერჯერობით დარჩეს ასე.

ვმუშაობ ისევ სტამბაში. დიდად მოწადინებული ვარ გამოვცე ჩემი შემდეგი წიგნი **"ვეფხისტყაოსნის" ვარსკვლავთმეტყველება",** მაგრამ უსახსრობის გამო ჯერ ვერ ვახერხებ, - უნდა დავაგროვო სახარჯო. ხომ არ მოხუცდით? მას შემდეგ, რაც პარიზში რამოდენიმეჯერ გნახეთ, - უჰ, რამდენი ხანია!

თქვენი მარად **ვიქტორ ნოზაძე**

ვიქტორ ნოზაძის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

31/III-54

მამა შალვა

თქვენი წერილი სწორედ დროზე მივიღე. უკვე მზად მქონდა დასაბეჭდად **"განკითხვანის"** რვეული. თქვენ მიერ მოწოდებულ ცნობათაგან გამოვიყენე ორი და როგორც იქმნა, მოვახერხე დასაბეჭდად გამზადებულ რვეულში ჩამეკვეტებინა. ადგილი აღარ მქონდა, იქვე თქვენთვის მადლობა გამომეცხადებინა (თუმცა თქვენი სახელი აღვნიშნე), რასაც წერილობით გიხდით ახლა. უკანასკნელ რვეულში მსურს დავბეჭდო ფერთა და თვალთა პატიოსანთა სახელები, რომელიც **ს.ს.ორბელიანს** აქვს. აგრეთვე, **ეპიფანე კვიპრელის** მიერ მოხსენებული სახელები. ახლა თხოვნა ასეთია: თუ თქვენ საშუალება გაქვთ, მოიპოვოთ "**Journal Asiatique, 1868, tome XI",** იქ ნახავთ **კლემან მიულლეს** წერილს არაბულ ხელნაწერთა შესახებ, რომელიც ძვირფას ქვებს ეხება. ამ წერილის დასასრულს მითითებულია სია ძვირფას ქვათა სახელებისა არაბულად. აი, გთხოვთ ეს არაბული სახელი დამიწეროთ ქართულად და თუ მათი მნიშვნელობაც იცით, გადათარგმნოთ კიდეც. აზრად მაქვს ეს არაბული სიაც დავბეჭდოთ, რასაკვირველია, თქვენი სახელის მოხსენიებითა და მადლობით.

აქ ბუენოს ვართ 80 ქართველი, ყველა მუშაობს. მე პირადად სტამბაში ვმუშაობ, ღამეობით, რაც ძალიან მღლის, მაგრამ მაინც ვახერხებ ჩემთვისაც ვიმუშაო. დიდი გაჭირვებით ვბეჭდავ "**განკითხვებს**".

ღრმა პატივისცემით **ვიქტორ ნოზაძე**

ირაკლი ბატონიშვილის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

14.X.48

დიდათ პატივცემულო მამავ შალვა,

დიდის სიამოვნებით მივიღე თქვენი წერილი და ჩვენი ღერბის სურათი, რისთვისაც გულითად მადლობას გწირავთ. მეტად სასიამოვნო იყო თქვენი პირადი ამბვის გაცნობა და თქვენთან ძველი კავშირის აღდგენა. რამდენი რამ გადავიტანეთ ყველამ და რა მოგველის კიდევ უფალი ღმერთი უწყის.

ომის დროსაც კურსში ვიყავი თქვენი თავგადასავლისა და რითაც შემეძლო გეხმარებოდით, თუმცა არც კი იცით, ალბათ, ამის შესახებ. რაც თავის თავად მეორეხარისხოვანია.

როგორც გაიგებდით, მთელი ოჯახით ესპანეთში დავბინავდით. აქაც ვცდილობთ ქართული საქმიანობა გავაგრძელოთ სადღეისო პირობებში. დავაარსეთ ეს კომიტეტი და რამდენიმე ქართველ სტუდენტს სტიპენდიები მივანიჭეთ, რათა უნივერსიტეტში ისწავლონ და კულტურული გზით თავიანთი ცხოვრება მოაწყონ, სანამ საქართველოში დაბრუნებას მოახერხებენ, რის იმედს არას დროს არ ვკარგავთ. გვყავს ახლა 4 სტუდენტი და კიდევ რამდენიმეს მოველით სხვადასხვა მხარიდან.

ჩემი პირადი ცხოვრება, ღმრთის წყალობით, სხვებთან შედარებით, კარგათ მოეწყო. პირველათ იტალიაში ვცხოვრობდი და იქ ჯვარი დავიწერე ერთ იტალიელ პრინცესაზე **მარიამ-ანტუანეტტა პასკვინისა**. საუბედუროთ, აი, თითქმის 5 წელიწადია გარდაიცვალა. ერთი მშვენიერი ყრმა შვილი დამიტოვა - **ბატონიშვილი გიორგი.** აქ კიდევ მეორეთ ჯვარი დავიწერე **ინფანტი მერსედესი** უკანასკნელი მეფის **ალფონს XIII** დის შვილზე და **ალფონს XII შვილის შვილზე.** ამ ქორწილშიაც უფალმა დამლოცა მეორე შვილის შეძენით, 16 თვის **მარიამ ბატონიშვილით** და მომავალ იანვარს ჩემმა ცოლმა კიდევ უნდა იშვას მეორე შვილი ჩვენს სასიხარულოთ. დედ-მამაც აქ მყავს. ხოლო ჩემი და **ბატონიშვილი ლეონიდა** ამ ზაფხულს **რუსეთის დიდ მთავარს ვლადიმერს გაჰყვა** ცოლათ. **დიდი მთავარი რომანოვის გვარის უფროსია,** მშვენიერი ახალგაზრდა ჭაბუკია 33 წლისა და, თუ ღმერთმა აღირსა, მომავალი რუსეთის ხელმწიფე. ისინიც აქ ცხოვრობენ, რაკი ესპანეთი მშვენიერი ქვეყანაა და ბოლშევიკური საელჩო-საკონსულოები არ გვყავს აქა.

ეხლა, თქვენ მითხარით თქვენი ამბავი, რას აკეთებთ და რას სცდილობთ?

მაისში ეგვიპტეში ვიყავი. მანდ სწორეთ ზოგიერთი ლიბანური წრეები შემხვდა და ჩემი კანდიდატურა ლიბანის ტახტზე წამოაყენეს. მე უარი ვსთქვი, რათგან ქვეყანას არც კი ვიცნობ და არც ვიცი, რა სურთ, სამეფო ან რესპუბლიკა. იქნება მანდაური დინასტიაც არსებობს და, საერთოდ, ეს წინადადება ცოტა ფანტასტიურათ მიმაჩნია. თქვენ, ალბათ, მანდაური ორიენტაციის კურსში იქნებით. არიან თუ არა მანდ ქართველები. რა პირობებში შეიძლებოდა მანდ მათი მოწყობა? (ზოგიერთებისა) და სხვა და სხვა.

ერთი სიტყვით, რაკი კავშირი გავაბით, მოიწერეთ ხოლმე და, იქნებ, ამ ზამთარს ჩამოვიდე. რა ისმის ურიებთან კონფლიქტის შესახებ, ზავის შესაძლებლობა თუ არის?

უნდა გითხრათ, რომ ბასკების ენა სულ არ გავს ქართულს, მაგრამ **ზოგიერთი ზნე-ჩვეულებანი წააგავენ**.

მაშ, იყავით კარგათ და არ დაგვივიწყოთ თქვენ წმინდა ლოცვებში

თქვენი კეთილმსურველი

ირაკლი ბატონიშვილი

ირაკლი ბატონიშვილის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

მივიღე 18.01.1958 წელს 11.01.1958
პასუხი 27.01.1958 წელს

დიდათ პატივცემულო და ძვირფასო, მამავ შალვა

თქვენი კარგი ამბავი **მარიამ ურატაძის** თავადიშვილის ასულისაგან გავიგე და მეტად გამეხარდა.

პირადათ მადლობა ღმერთს არაგვიშავს რა, ოღონდ ამ შემოდგომის დილით განცდა დაგვატყდა, სანატრელი მამა ჩემი გარდაიცვალა და მწუხარების გარდა უმძიმესი ტვირთი დაგვიტოვა. ა.ი. **საქართველოს მეფობა, სახლის უფროსობა უფლის შემწეობით** და მისი მუდმივი ვედრებით, იმედი მაქვს ამ ძნელ მოვალეობას ღირსეულათ შევასრულებ.

დღეს საღამოს **დედა ჩემი დედოფალი ელენე იტალიაში** მიდის, ნეაპოლში გემზე ავა და 23 ამა თვისა **ბეირუთში** გახდება, გემი არის "**ესპერია**" "ESPERIA" იტალიური. გთხოვთ დახვდეთ, თუ მოიცლებით. აგრეთვე, აცნობეთ დედა ჩემის დისწულს ჩემი ჩამოსვლა ... ყოფილი ლიბანის ელჩი მადრიდში. ცხოვრობს ბეირუთის ახლოს, გაიგებთ მის ტელეფონს საგარეო საქმეთა სამინისტროში. ბეირუთიდან დედა ჩემი იერუსალიმში მიდის. წინასწარ გმადლობთ და გთხოვთ, ნუ დამაკლებთ თქვენ წმ.ლოცვებს. თქვენი

ირაკლი ბატონიშვილი

ირაკლი ბატონიშვილის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

Madrid, 21.XII.48

დიდათ პატივცემულო მამა შალვა

თქვენი წრფელი და საინტერესო წერილი მივიღე თავის დროზე. რა უბედურება გადაიტანეთ, ღმერთმა იცის, და თქვენი სულგრძელობა, მართლაც, რომ ღირს შესანიშნავია. იმედი მაქვს ეხლა სულ გამოკეთდით და უფრო კარგ პირობებში იქნებით, რათა განაგრძოთ თქვენი მსახურება ღვთის წინაშე და სამშობლოსათვის.

ლიბანში, ალბათ, შეგხვდებოდათ **რაიმე კვალი ძველი ქართული დიდებისა.** ამისი შესწავლა და დათვალიერება მეტად საინტერესო იქნება.

ლიბანის საკითხებზე წერა რომ ... მომივიდა და ერთი გვარი პირადი ინტერესი ყოველთვის შედეგია იმ მაღალი ინტერესებისდაგვარად, ... რომ გუშაგათ ჩემ თავსაც ვთვლი, ძალიან უღირსათ, მაგრამ მთელი ჩემის არსით გულწრფელათ.

შევეცდები მომავალ წელს გამოვიარო მანდ, თუ რაიმე დაბრკოლება არ მოხდა. გთხოვთ, რომ კი არ შევწყვიტოთ მიწერ-მოწერა და აზრთა გაცვლა.

გიგზავნით საუკეთესო სურვილებს და მოლოცვას წმ. შობის დღესასწაულის და გისურვებთ ყოველ ბედნიერ ახალ წელს.

თქვენი კეთილის მსურველი
ირაკლი ბატონიშვილი

ფარსადან ტატიშვილის წერილები მამა შალვა ვარდიძეს

ამანი, 22 სექტემბერი, 1957 წ.

პატივცემულო ბატონო შალვა,

მე ძალიან დიდ ბოდიში ვარ რომ ამდენი ხანი არაფერი არ დავწერე, ჩემი საქმე ძალიან ცუდათ იყო და ეხლაც კი კარგათ აღარ არის. დაახლოებით ოთხი თვე წინედ, ჩამოვიდა აქ, **ამანში,** ქ-ბატონი მარიამა, შეხვდი იმას, ვლაპარაკობდით თქვენ მდგომარეობის შესახებ, იმან დამპირდა, რომ როცა დაბრუნდება **ბეირუთში**, გნახავს და გამომიგზავნებს თქვენი ამბავი. მაგრამ მე, მისი მხრიდამ, აქამდე არაფერი მიღებული არა მაქვს.

როგორა ხართ ჯანმრთელობით, რას აკეთებთ და რას იზამთ მომავალში. რაც შეეხება პირადათ ჩემ მდგომარეობა მე სერიოზულათ ვფიქრობ, რომ ეს, ჩემი დღევანდელი ცხოვრება მე ბევრი ხანი ვერ გადავიტან და თუ ვერ ვნახე მალე რომელიმე სულ პატარა მუშაობა, იძულებული ვიქნები, რომ შევიდე იერუსალიმის თავშესაფარში რომელიც ეკუთვნის ერთ კათოლკურ ქალების ორგანიზაციას. ე.ი. Les Fihes de N.D. des Doulours Apsile de Vieinards. ეს აზრი მე მამცა ერთმა მღვდელმა რომელიც ეკუთვნის თეთრი მამების მისიას (Les Pers blouse)

იმან უკვე ელაპარაკა ჩემზე უფროსს და იგი მღებულობს. ეს თავშესაფარი სდგას იერუსალიმის ახლო და როგორც გამოდის ამ მღვდელის ლაპარაკიდან, ადგილი სუფთაა. იქ, ცხადია, აჭმევენ ხალხს, ხან და ხან არიგებენ ძველ ტანისამოსს ე.ი. კაცმა უნდა ჩავარდნილ იყოს სულ უკანასკნელ მდგომარეობაში. მე ძალიან დიდი სურვილი არა მაქვს რო იქ შევიდე, მაგრამ რა უნდა ვქნა, თუ სულ არავითარი პესრსპექტივა არა მაქვს. რას ფიქრობთ თქვენ ამაზე, მგონი ეს ორდენი თქვენ იცით, რადგან ყოფილ ხართ იერუსალიმში. ყოველ შემთხვევაში მე გაძლევთ თქვენ ამ თავშესაფრის მისამართი:

Les Fihes de N.D. des Doulours
P.O.B 257
Ierusalem-Iordan

მაპატიეთ რაც შეგიძლია მალე
თქვენი მუდამ პატივისმცემელი
ფარსადან ტატიშვილი
ჩემი მისამართი:
Y.P.Tatishvili
c/v I.Frangie

pP.O.b 382

Amman-Jordan

ფარსადან ტატიშვილი მამა შალვა ვარდიძეს

31 მკათათვე, 1956 წ.

ძვირფასო მამულიშვილო

ბ-ნო შალვა!

თქვენი ამ მკათათვის მიწერილი მივიღე. ერთი მხრიდან ძალიან მოხარული ვარ რომ თქვენ **ბეირუტში** პატარა ქართული საზოგადოება იპოვეთ და არა ხართ მარტოკა ამ უცხოელ ქალაქში. მეორე მხრიდან დაჩაგრული ვარ, სამშობლო ისევ ჩავარდნილი არის იმავე დღეებში, როცა ქართლ-კახეთი იყო **შახ აბაზის** დროს და ჩვენი ხალხი დაჰფანთული იყო მთებზე და ტყეებში. თქვენ სწერთ,რომ ორი ათასი ცხოვრობს გარეთ, უბინაობით და უპუროთ, უნდა დაგიჯეროთ თქვენ სიტყვებს, მაგრამ არც უცხოელ პრესაში, არც რადიოს გამოცემებში მე არაფერი არ ვიპოვე, რაც შეეხება ეს სასტიკი მდგომარეობას. შეიძლება რომ ეს სიჩუმე დასავ-ლეთის დღევანდელ პოლიტიკაში შედის რადგანაც არსებობენ სხვა საკითხები მსოფლიოს მნიშვნელობით, როგორც ... კიპროსის, ეგვიპტის და სხვა. ვიმედოთ მაინც რომ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა არ იყოს ისეთი საშინელი როგორც ეს სჩანს სხვა და სხვა წყაროე-ბიდან. თქვენ მართალი ბრძანდებით, როდესაც იძახით, რომ **სტალინის** დროს საქართველოს უჭირავდა კაი ადგილი სხვა რესპუბლიკებათა შორის და ახლა საქართველოს მნიშვნელობა ჩავარდნილია და რუსიფიკაცია იქ ბატონობს სასტიკათ. ჩემი აზრით, სტალინმა თუ რამე ჰქნა საქართველოსათვის, ეს აღარ იყო საქართველოს ბედისათვის, მაგრამ ინტერნაციონალური იმედისთვის. საქართველო **ჟორდანიას** და სხვა სოციალისტების მიერ ძალიან გაფუჩებული იყო – წარმოადგენდა და ეხლაც წარმოადგენს სოციალიზმის ბასტიონი. არ დაგავიწყდეთ, რომ სტალინმა მოსფო მთელი ქართული იმტელიგენცია და თავისი მცირე აზიის პოლიტიკით ჰქმნა რომ სათათრეთი, რომელიც არასოდეს საქართველოს მეგობარი აღარ იყო, გახდა ეხლა ჩვენ სამშობლოს მტერი ნომერი პირველი.

თქვენი წერილიდამ დიდ სიამოვნებით გავიგე, რომ ჩამოსულა ლიბანში ქართული **მოქანდაკე ლევანი მურადიშვილი** და რომელიც ცნობილი არის ფრანგულ მთავრობას. კიდევ მწერთ რომ იმან გაგზავნა თამარას მისამართით წერილი ჩემთვის და აქამდე მე არავითარი წერილი არ მივიღე. შეიძლება ეს იმიტომ რომ თამარა საცხა წასული არის და მალე დაბრუნ-დება.

თუ რამე ახალი გაიგებთ საქართველოს მდგომარეობის შესახებ, დამიწერეთ, რაც შეგიძ-ლია მალე. გადაეცით ჩემი ქართული სალამი მარიას და ლევანას.

თქვენი პათივის მცემელი

ფარსადან ტატიშვილი

ფარსადან ტატიშვილის წერილები მამა შალვა ვარდიძეს

ამანი, 4 დეკემბერი, 1954

ძვირფასო და პატივცემულო ბ-ნო შალვა,

ბევრი ხანია, რომ თქვენი ამბავი მიღებული არა მაქვს და ერთი მხრიდან ამაში მე დამნაშაველი ვარ, რომ ვზარმაცობდი და გწერავდით.

წავიკითხე ერთი ქართული პარიზის გამოცემული ჟურნალში, რომ იქაურმა ქართველობამ **კარდინალ დითერანიდან** მეითხოვა თქვენი პარიზის მოსვლას და კარდინალმა ამ მიმართულებით ზომები მიიღო. ეს ამბავი ძალიან გამიხარდა და ეს თუ მოხდა, ძვირფასო ბატონო შალვა, თქვენი მდგომარეობა ძალიან გამოსწორდება. მადლობა ღმერთს, რომ ერთმა შურით და ყოველივე საძაგელი კომბინაციებით მტერების მიერ დაღლილმა კაცმა, ცოტა, შედარებით სიწყნარე იშოვოს. მეორე მხრიდან, მე ძალიან დაჩაგრული ვარ. ჩვენ ვერ მოვასწრეთ, ამ აღმოსავლეთ ქვეყანაში, ჩვენი ერთმანეთის შეხვედრა. ეს აზრი მე, აქამდე, სულ არ ვიკარგებოდი და ეხლა, ვინ იცის სად და როდის ჩვენ შეხვდებით.

მე სწორეთ დარწმუნებული არა ვარ, რომ ეს წერილი მიიღებთ **ბეირუთში,** მაგრამ იმედი მაქვს, რომ ყოველ შემთხვევაში გაგზავნილი იქნება თქვენი ახალი მისამართით, **პარიზში.**

გისურვებთ, ძვირფასო ბატონო შალვა, ყოველივე ბედს, ქრისტეს შობას და ახალ წელს ჩემი ქრისთიანული სალამი.

ფარსადან ტატიშვილი

P.S. მისამართი ერთი და იგივეა

ფარსადან ტატიშვილი

23/IX/56ამანი, 18-8-56

24/IX.56

ძვირფასო ბატონო შალვა!

ძალიან დიდი ინტერესით წავიკითხე თქვენი 9 მარიამისა წერილი, მაგრამ თუ ჩვენ ვიანალიზოთ საქართველოს დღევანდელი მდგომარეობა, ამას უნდა ვაბრალოთ ქართული ბოლშევიკური პრესას, რომელიც სულ მუდამ თხოვლობს ძველი ქართული, ეხლა მთლათ დამუსლუმანებული ოლქები.

შედიოდა და ეხლაც შედის ბოლშევიკების პლანებში, რომ სათათრეთმა უყუროს საქართველო და სომხეთი როგორც მისი მთავარი მტერი.

რათ უნდა საქართველოს, რომელიც თითონ დამონებულია რუსეთის უღლის ქვეშ და არ იცის როცა ნამდვილათ თავისუფალი გახდება, ქართული მუსლიმანური ოლქები, სადაც არავინ არ ფიქრობს საქართველოზე, ე.ი. ქრისტიანულ ქვეყანაზე. მიუხედავად კომუნიზმი, **ქემალ ფაშას** რეფორმები და სხვა, სარწმუნოების ფაქტორი ძალიან დიდ როლს თამაშობს საქართველოში და სათათრეთში. გარდა ამისა, სხვა ფაქთორები როგორიც რასა, ენა, ადათები და სხვა აყოფებენ ეს ორი ქვეყანა.

თუ მაგალითათ გავაქეთოთ ქართულ მუსლიმანურ ოლქებში, აჭარაში, ახალციხეში, ართვინში, არდაღანში და მთელ ლაზისტანში პლებისციტი, ვანახოთ, რომ უმრავლესობა, 95%, სათათრეთს დარჩება. ამ პირობებში სულ ზედმეტია ლაპარაკი ძველ ქართულ ოლქებზე.

ჩვენი ძველი პოლიტიკოსებს, ეროვნულ-ნაციონალისტებს ერზე სულ კალბი წარმოდგენა ჰქონია. გამოდიოდა, რომ თუ ვინმე ქართულათ ლაპარაკობს, მაგალითათ აჭარელი, უეჭველათ ქართველი უნდა იყოს. ჩვენი პოლიტიკოსები, ნამდვილი მეოცე საუკუნის ხალხი და რომლებიც არც ღმერთებს, არც ბოროტს არ ჯერავდნენ, ჩაირიცხნენ ქართულ ერში ქართველ მუსლიმანებს. თუ ვინიცობა ქართული მუსლიმანები შევიდნენ ქართულ ქრისტიანულ სახელმწიფოში ძალიან ნამეტარი უბედურობას, კამათს, ჩხუბს და სისხლის ღვრას იქ შამოიტანებენ. ჩემი აზრით, სჯობია რომ საქართველო დარჩეს ქრისტიანი. სხვათა შორის, ქართული მუსლიმანების რიცხვის მე თქვენთან ძირით თანახმა არა ვარ. თქვენ იძახი, რომ სათათრეთში ორი მილიონი ქართველი მუსლიმანი ცხოვრობს, და ჩემი აზრით მარტო ორასია-თასი. უკანასკნელ სტატისტიკის მიერ აჭარაში დაახლოებით ას ორმოცდაათი ათასი და შიგ სათათრეთში არის ორი მთავარი ქართული ცენტრი – ერთი **ისმიტი** და მეორე **გენენი, ფანდურმის** ოლქის ქალაქში. პირველ ცენტრში ცხოვრობს დაახლოებით ორმოცი ათასი და მეორე მარტო ექვსი. ეს ცნობები არ არიან ჩემი მოგონილება გარდა რომ მე ამას საკითხზე ლიტერატურა მქონდა, და მე ზეპირათ ეს ცნობები მომიტანა ჩემი წასვლა გენენში 1922 წ-ში. იქ მე შევხვდი ორი ძველი სათათრეთის ჯარის ოფიცერი, **იდრის ეფენდი კაბაიძეს და ლიუტიფ-ლატაფი ხუნდაძე,** ორივე **მურღულის** ოლქიდან. ეგენმა მე მამცეს ყოველი გვარის ცნობები. იდრის ეფენდი გიცნობდათ თქვენ, იძახოდა თქვენ ანგარიშზე, რომ თქვენ ძალიან კაი ქართული პატრიოტი იყავით და თქვენთან ის ხშირათ ლაპარაკი და საუბარი ჰქონია. ერთ დღე იმან მითხრა, რომ როცა ლაპარაკი თქვენთან ჩამოვარდა სარწმუნოებაზედ და იდრისმა სთქვა,

რომ ქატოლიკური ღვდელები იძულებული არიან დარჩონ უკორწილო, თქვენ ვითომ უპასუხეთ იმას: “ჩემი კორწილი ჩემ თავშია”. ეს მე ძალიან იმ ეპოკაში გამიხარდა.

ჩემი, აქ, **ამანში,** მდგომარეობა ძველებურია, ე.ი. არავითარი გამოსავალი ჯერ არ სჩანს – ვნახოთ რას მოგვითანს მომავალი, როცა გასწორებული იქნება **ეფესის** საკითხი.

ჩემი სალამი ქალბ-ნ მარიას და სხვებს.

თქვენი მუდამ პატივის მცემელი
ფარსადან ტატიშვილი

ფარსადან ტატიშვილი

ამანი, 26 თებერვალი, 1954 წ.

პატივცემული ბატონო შალვა,

დიდ ბოდიში ვარ, რომ ისე დავაგვიანე და მარტო ეხლა გიპასუხებთ. მაგრამ ეს თელი თებერვალი მე ავად ვიყავი და სულ საშვალება არა მქონდა რომ დავჯდე მაგიდას და რამე დავწერო; რა თქმა უნდა მე დავბერდი და სიცოცხლე მორალური და მატერიალურ მხრიდან მძიმეა. წარმოიდგინეთ, რომ მე ძალიან ნატანჯი ვარ და ჩემი მორალურად გასწორებისათვის უნდა სიწყნარე - წასვლა რომელიმე სანატორიაში და იქ დავრჩე რამოდენიმე თვე. ეგრეტ ამბობენ ექიმები. ჩვენი ჯანმრთელობა დამოკიდებულია ჩვენ მორალიდან და მორალი – მრავალი პირობებიდან, რომლებიც არ არსებობენ აქ, ამანში.

გარდა ამისა, მე მთლათ დაკარგული ვარ ამ ხალხთა შორის – იორდანია არ გავს ლიბანს, სადაც მაინც კულტურული ცხოვრება, ასე თუ ისე, არსებობს. კიდევ, ხალხი იქ, მრავალ ნაწილათ ქრისტიანია ე.ი. უფრო განათლებული და კაცობრიობანი.

როცა მე ჩამოვედი აქ, წარსულა უკვე ექვსი წელიწადი, მე მომწონდა ეს ძველი და ისტორიული ქვეყანა, სადაც დაიბადა სამი რჯული და სადაც პირველმა კულტურამ მისცა საერთო ცნობები და უჩვენა გზა სხვა და სხვა ერებს. მაგრამ ჩემი პირადი მდგომარეობა ისეთი იყო, რომ საშვალება არა მქონდა წავიდე იერუსალიმში და ვნახო ეს ადგილი, სადაც არსებობს ჩვენი რჯულის წყარო და სადაც რამოდენიმე ქართველები – ბერები და სხვები ცხოვრობდნენ, აშენებდნენ მონასტირიები და ეკლესიები და სადაც დამარხული არის ჩვენი **შოთა რუსთაველი.**

მხოლოდ წასულ წელიწადს, ბოლოს და ბოლოს წავედი იქ და ბევრი დრო არა მქონდა, რომ ვნახო ისტორიული ადგილები.

აქ ამ ქვეყანაში ძალიან ბევრი არის სანახავი გარდა იერუსალიმისა, ძველი დამტრეული ადგილები, კერპის-თაყვანის საკდრები (ვაალის) და სხვა და სხვა. თქვენ, ბატონო შალვა, საშვალება თუ ერთი დღე გექნებათ, ჩამოდით აქ. შეიძლება მე მალე გადავალ სხვა ოთახში, უფრო ფართე და უფრო გიგიენური – მაშვინაც თქვენი აქ ცხოვრება თითქო არაფერი არ დაგიჯდებათ. წასვლა-წამოსვლა იერუსალიმში ძალიან იაფია, ე.ი. სამოცი კურუში, აქაური ფული. ლიბანის ანგარიშით დაახლოებით ხუთი ლირა. რაც შეეხება სხვა ადგილები – ეს უფრო ძვირია, მაგალითათ პეტრა, ძველი ქალაქი აშენებული კლდეებში, ე.ი. მაღაროებში.

თქვენ წერდით დიმოს შესახებ – მე ძალიან იშვიათად დავდივარ მასთან – ის სულ დაკავებულია საპონის ფაბრიკაში – ლეო ხან და ხან ჩამოდის აქ, მაგრამ ჩემთან აღარ მოდის – მიუხედავათ ამისა, რომ მე ჩემი მისამართი იმას მივეცი.

დახმარების გულისათვის არც ერთი და არც მეორე არაფერი არ წარმოადგენენ, მაგრამ დიმო მაინც უფრო გულიანია. ის თუ მარტოკა იქმნებოდა, ჩემ აზრით, შევიდოდა ჩემ მდგომარეობაში, მაგრამ ის თავის რუსის ცოლის მონაა და თავის ოჯახში უცხოელია. ეს კაცი მეტი საწყალი, ვიდრე ბედნიერია და ჯერ ჯერობით თავის თავის ოჯახურ მდგომარეობაზედ იმას წარმოდგენა ნამდვილი არა აქვს. შემდეგში, როცა გაიგებს, გვიან იქმნება.

ეხლა, ბატონო შალვა, მე ვათავებ ეს წერილი, რადგან ცოტა მოვხუსდი, გისურთ ყოველივე ბედნიერება თქვენი პატივის მცემელი

ფარსადან ტატიშვილი

პრინცესა მარიის წერილი მამა შალვა ვარდიძეს

ამანი, 5 მკათათვისა 1956 წ.

ძვირფასო ბ-ნო შალვა!

მე დიდ ბოდიში ვარ, ამდენი ხანი არ გიპასუხე. საქმე იმაშია, რომ კარგათ აღარ ვიყავი ჯამრთელობით. გარდა ამისა, დაჩაგრული ვარ, დავრჩი უმუშევრათ.

მე თქვენ დიდი მადლობელი ვარ თქვენ გადათარგმნაზედ. ჩვენი საქმე მიდის წინეთ, ჩვენ ურთი-ერთობაში ვართ სხვა განყოფილებასთან. თქვენ მუდამ ჩარიცხული ხართ შიგ, მიუხედავათ რომ ცხოვრობთ სხვაგან.

რამოდენიმე ხანი წინეთ ჩამოსულა ამანში ერთი ქართველი ქალი, **მარია** – ის ისტანბოლიდან და მე მისი აქ მოსვლაზე გავიგე ძალიან გვიან. ერთმა ჩერქეზის ქალმა, **თამარამ** მითხრა მე მარიას მოსვლაზე. ეს ქალი სულ წელიწადი წინეთ იყო უკვე იორდანიაში და მე ვერ მოვასწრე მისი ნახვა – **დიმოს** უნდოდა რომ მე სულ მუდამ მოშორებული ვიყო ქართველებთან, რომლებიც ხან-და ხან მოდიოდნენ **ამანში**. სხვათა შორის, თამარამ მითხრა მე, ვითომ დიმო იძახის, რომ მარია კომუნისტია და რა თქმა უნდა, ამას არა ჯერავს. აი, რა პროვოკატორია ეს დიმო. მადლობა ღმერთს, იმან დატოვა ეს ქალაქი, სადაც თავის ენით ძალიან დიდი ზარალი გამიქეთეს. ეს არის **ბეირუთში,** რადგანაც აქ ის ცნობილია, როგორც ქურდი და აფერისტი.

ეხლა გადავალთ მარიას საკითხზედ. მე იმას აუხსენი თქვენი მისამართი. მგონია რომ ის დაგიწერავს. მისი მისამართი შემდეგია:

Princesse Maria
c/o TAUFIK MASSARA
GEOMUZE-Rue Gouravd
Telephone 29674

ბებია ნინოს წერილები მამა შალვა ვარდიძეს

8/VII/54 1-7-54

9/VIII/54 ჟენევა

სასოებით პატივსაცემო

ქრისტესა შინა მამაო შალვა!

მუდამ დღე ვფიქრობ თქვენს შესახებ, და გიგონებ, მხოლო წერილი დავაგვიანე, რადგან დღითი დღე ველოდები "ემინანსის" წერილს თქვენი ევროპაში მობრძანების შესახებ. მისმა უკანასკნელმა წერილმა მომცა ამის საბაბი.

ღმერთმა ქნას! გულს დავიმშვიდებ, რომ ჩვენს შორის იმყოფებოდეთ, თუმცა ჩემგან მოშორებით იქნებით, რადგან ემინანსის ორჯერ შეკითხვაზე მე გადაჭრით უპასუხე და მიუთითე აუცილებელი საჭიროებაზე თქვენი პარიზში მობრძანებისა, მით უფრო დაკავშირებით ახლად დაარსებულ მრევლთთან ქართველი კათოლიკებისა.

წავიკითხე პასუხი მანდაურ წითელი ჯვრისა თქვენს შესახებ. ნუ თუ ამის შემდეგ მაინც არ გეახლათ?!

გარდა ყოველივესი, სჩანს არ უწევს სათანადო თავაზს **G.T.G.R.** (საერთ.შორ. წით. ჯვარსა).

მივიღე წერილი მანდ მყოფი ქართველი მაჰმადიანისაგან.

ვსცან მიზანშეწონილად და მივმართე მიუნხენში მყოფ მთიელებს – მაჰმადიანებს. მათთან აქვს კავშირი ქართველების ერთ ჯგუფს. ვნახოთ რა გამოვა. პასუხს ველი და მყისვე მივწერ.

გადაიცვალა **ევგენი გეგეჭკორი,** უეცრად გულის შეტევისაგან.

ამან ჩამაგდო ღრმა მწუხარებასა შინა. იყო სიყრმის მეგობარი ჩემი.

ალექსანდრემ შეტოპა ამ "ლიგის" საკითხსა და საქმეში! ვშიშობ, რომ არ აქვს გამოცდილება პოლიტიკურ ჭახრაკიანობაში; არც ყავს მრჩეველი; არც აქვს თანხა. ნეტავ დროზე მაინც მიეშველოთ თქვენი გამოცდილებით და სიბრძნით. მომაშურა აქა.

ბატონო და მამაო ჩემო, რა ვქნა! ასეთ საქმეს ეჭიდება და არ იცის, რო აქ ქართული საკითხი ეხლა არავის ეპრიანება. პირველი იმიტომ, რომ ეხლა "მათ" ეკეკლუცებიან და მეორე ბ.**შავიშვილმა** დათვის სამსახური გაგვიწია და განაგრძობს.

თანაც ეს "konference Asiatique", რომელიც არ დამთავრებულა და **მოლოტოვი** თავს დაყივა.

ეს ინდო-ჩინეთისა და საფრანგეთის შუა მოლაპარაკება ზავის შესახებ (რომელიც წარმოებს ბერნში).

მსოფლიოს ყურადღება ამათზეა მიპყრობილი!

ვინ რას აქნევს ბელურასოდენა საქართველოს!

ესეც რო არ იყოს, ამ საკითხს ჯერ ჩვენს შინ უნდა დამუშავება.

მე ჩემი ვქენი! ვწერე და ურჩიე! ეხლა "მიუშვი ნებასა..."

თქვენ ღვთით კარგად გვყოლოდე!

დამლოცე, მამაო, თქვენი მადლიანი ხელით და ნუ დამივიწყებთ მხევალსა და მორჩილს **ბებია ნინოს.**

P.S. გთხოვთ გადაეცით ჩემგან ფრიად თავაზიანი სალამი თქვენს მასპინძელს.

მრდ ბებია ნინო

ჟენევა 17-5-54

სასოებით პატივსაცემო და საამაყო,

ქრისტესა შინა მამაო და ძმაო შალვა!

მიღებისთანავე თქვენგან ესოდენ გულითადისა და მამულიშვილური წერილისა, გაახელით ვრცელი წერილი.

იმ წერილში მოგახსენებდით, რომ თვით დღესვე თქვენგან წერილის მიღებისა, გადავდგი საჭირო ნაბიჯები თქვენი მდგომარეობის ოდნავ გასაუმჯობესებლად.

საერთაშორისო **წითელმა ჯვარმა** იქონია განკარგულება და სათანადო პირმა მისწერა მათ წარმომადგენელს ბეირუთში თქვენთან ხლება და ზრუნვა თქვენთვის.

დღემდის არა მაქვს ცნობა ამის გამო თქვენგან და არც პასუხი ჩემი უკანასკნელი წერილისა (?).

ვაპირებდი დაცდას ოც რიცხვამდის, მხოლო, დღეს, აი ეს არის, მივიღე რომიდან წერილი და ამბავი, რომლის გადმოცემა არ ითმენს დაყოვნებას.

თქვენს უკანასკნელ წერილში გამოთქვამდით გულისტკივილს თქვენს მანდ ყოფნის გამო, გარიყულად ყველას ჩვენგან.

მე მოვიწადინე ამესრულებია თქვენი გულის კანონიერი თქმა და მივმართე ვისაც ჯერ არს და ანგარიშსაც მიწევს.

დღეს, ეს არის, მივიღე წერილი თვით იმ პირისგან, რომელიც წყვეტს საკითხს ... და დაასკვნის: "…. (ეს მე მივწერე და განვუმარტე ისიც, რომ თუ პარიზში არ იქნა მამა ვარდიძე, ქართველ კათოლიკეთა მრევლის შექმნა მიიღებს პოლიტიკურ ხასიათს (და აუხსენი თუ რატომ!) ... და სხვ. და სხვ.

ამ წერილთან ერთდროულად ვწერ პასუხს მასაც: განვუმარტავ მდგომარეობას; ვუხსნი შედეგებს თქვენი გავლენისას პარიზში და ვთხოვ დაჩქარებას.

ძალიან მოიარებით და თავაზიანად ვახსენებ პარიზში მისვლის ახლო მომავალში შესახებ თქვენი არქიელად კურთხევისა (მქონდა წერილობითი საუბარი) (ეს ჯერეჯერობით ჩვენ შორის).

მივწერე ალ. მან-ს გუშინ და ვწერ დღეს; ვთხოვ, თუ აქვთ, მომაწოდონ მასალა თქვენი პარიზში ყოფნის დროს მუშაობისა.

მივიღე აგრეთვე წერილი "ემინანსისგან". მწერს l'abba Marlette-ის შესახებ. მიამბობს მის, მანდ, ბეირუთში ყოფნას. თქვენთან ურთიერთობას.

მწერს შესახებ l'Administrateur du Vicariate Apost-qui de Beyrouth; მწერს იმასაც, რომ აწ მამა ვარდიძე მეტი ინიციატივის გამოჩენას შეძლებს და სხვ. და სხვ.

ზეგ ვაპირებ პასუხის მიწერას: შესახებ ა.მარლეტისა ვამცნობ, რომ მას არ მიუმართავს ჩემთვის და ამიტომ არა ვიცი რა მისი, გარდა, რასაც მწერს ალექსანდრე.

განსვენებული l'Administrateur-ის შესახებ ბევრს არას მივწერ, მხოლო ვამცნობ, რომ "რაგინდ activity და სხვა არ იქონიოს და ინებოს მამა ვარდიძემ ბეირუთში, აქ ის უფრო მეტს გააკეთებს ეკლესიისათვისაც და ერისთვისაც.

ასეთია მდგომარეობა აქა. თუ რაიმე ცნობას მიიღებთ "რომიდგან", გთხოვთ მაცნობეთ.

ამით ვათავებ, რადგან წერილს ვეშურები, რომ მიუსწრო ფოსტას.

შორეული უცხოეთიდან დამლოცე და მაკურთხე, სასოება მამაო შალვა, თქვენი მორჩილი
ქრისტესა შინა ბებია ნინო (დადიანის)

P.S. ოცნებამ გამიტაცა და უკვე ვგულისხმობ, იქნებ გავლისას სადმე შეგხვდეთ.
ამის შესახებ ვთხოვ მ.ყ.უ. **კარდინალ ტისრერანს,** როცა დრო დადგება.

მრდ ბებია

P.S. ბინა გამომიცვალეს.

ვცხოვრობ ჩემს დიდი ხნის ნაცნობთან. ღვთის მოსავეა; კეთილი და კულტურული ადამიანია. იქნებ შევეგუო და შემიგუოს.

4 rue Lombard

Geneve. Suisse

შაბათი 17-4-54

ჟენევა

ყვლ პატივსაცემთ და სასიქადულო

ქრისტესა შინა მამო შალვა!

ხუთშაბათს 14 მივიღე თქვენგან, 10-4-54 თარიღით ფრიად საგულისხმო, დარბაისელი და გულითადი წერილი. რადგან გარემოებანი მაჩქარნიან და დრო არ ითმენს, ამ ხელად არ შეუდგები აღწერას იმისას, თუ რა განვიცადე წერილის წაკითხვისას და უფრო შემდეგ! და დავიწყებ იმით, თუ რა მესაჭიროება თქვენად ცნობად:

1) ხუთშაბათსვე მივმართე საერთაშორისო წითელი ჯვარის ე.წ. ღენერალურ მდივანს (ერთგული მეგობარია ჩემი) **ქალ. Werner (ვერნერს).** დაუსურათე მდგომარეობა და ვთხოვე, აღმითქვა: "დღეს იკეტება სამმართველო 20-4-54 სამშაბათამდის. სამშაბათს დილით მომიტანეთ დაწვრილებითი ცნობები **მამა ვარდიძისა და ხინიკაძეს** შესახებ. სასწრაფოდ მივწერ ს.წ. ჯვარის წარმომადგენელს (Delegue) ბეირუთში ეახლოს მამა ვარდიძეს, გაეცნოს მის მდგომარეობას, აღმოუჩინოს სამსახური და, რასაც თითონ ვერ შეძლებს "გვაცნობოს ჟენევაში".

მაშასადამე, გეახლებათ თუ არა ვინმე 1) პირველ გააცანით თქვენი ადგილობრივი საჭიროებანი, როგორც ბინა, საზრდო, ტანსაცმელი, ექიმი, წამალი და სხვ. 2) აუხსენით თქვენი მდგომარეობა; სურვილი ევროპაში დაბრუნებისა ორი მთავარი მოსაზრების გამო: უმწეო სიმარტოვე მანდ და არა მარტო სურვილი, არამედ აუცილებლობა თანამემამულეთა შორის გარევისა და დაავალეთ ყოველივე ეს ამცნოს სასწრაფოდ აქ, ჟენევაში.

ამა წერილის მიღებისთანავე, დასწერეთ ფრანგულ ენაზე (ენა სრული, დახვეწილი, რადგან ეს ჩემი მეგობარი არის პროტესტანტი, მაშასადამე მოკლებული "სანტიმენტალობას") წერილი სახელზე: Mm Werner. Com Inter. Cru Rouge, Geneve, La dame Patronesse des georgienes Pri sonieu Invalides et malade de gueru (თქვენზე მეტი საზრუნავი ტყვე, დასახიჩრებული და ავად მყოფი ომის გამო, ვინღა არის?!) ამცნეთ, რომ რადგან თქვენ შორს ბრძანდებით, მომმართოს მე (საჭიროებისამებრ) როგორც სათანადო პირს.

მთავარ საფუძვლად თქვენი მისდამი მიმართვისა (ე.ი. წით.ჯვარისადმი) მიუთითეთ დაბრუნება ევროპაში, სახლიდამ საფრანგეთში ან შვეიცარიაში.

ეს წერილი გამოუგზავნეთ აერით, დაზღვეული. საბრალო **ხინიკაძის** გამო ვერას შეუდგები, მანამ არ მივიღებ მისგან საჭირო ცნობებს.

ამასობაში მე გულზე ხელს არ დავიკრებ და ვიმუშავებ შინაურობაშიც. ამის იმედი ჩემი თავისა მაქვს.

ორიოდე სიტყვა საპასუხოდ თქვენს წერილზე: 1) ძვირფასო და ბატონო ჩემო, "ერთობას" ხელს უშლის ორი მოვლენა: პირველი ისა, რომ აქ მყოფი ქართველობა ვართ გაყოფილი სამ განსაკუთრებულ დაჯგუფებად: ა) ყოფილნი (და განაგრძობენ) члены Всеросийской партии социаловъ; ბ) ისინი, ვინც დაუკავშირდნენ მაჰმადიანებს მთიულების სახით და გ) ჩვენა, რომლებიც ვდგავართ მიღმა, ზემო ორივე დაჯგუფებისა. სამივენი მსჯელობენ, განიცდიან და აზროვნებენ სხვა და სხვანაირად.

ეხლახან მომწერა **ალ. მანვ-მა** "იანვარში აქ მე დავაარსე **"საქ. ერ. გამანთავისუფლებელი ლიგა"**. თავმჯდომარე ვარ მე. თავმჯ.ამხანაგი და წევრები..." (ჩამოთვლილია უმნიშვნელო პირები, რომელთა შორის არ არის სახელი მცოდნესი ან გამოცდილი პირისა).

წინადადებას მაძლევს ჩავერიცხო დამაარს. ჯგუფში.

მე ვუპასუხე და აუხსენი რომ: **"ცხვარი რო ცხვარია, იმასაც ერკემალი უძღვის. ერკემალია იგივე ცხვართაგანი, მხოლოდ აღჭურვილი გამოცდილებით, ჭკვიანი და წინდახედული, ღონიერი ყველაზე მეტად ყოველ მხრივ.** ნუ მიწყენ ჩემო შვილო, აღიარე, შენ ბევრი ღირსება გაქვს, უამრავი კარგი თვისებანი, მხოლო გაკლია ზოგადად ცოდნა და ძალიან გამოცდილება.

მაშასადამე "ცხვარის" დონეს ბევრა არა ხარ ამაღლებული. სხვა ორ დაჯგუფებაში კი **დაბერძიგნებული** ერკემლები კი არა ყოჩები არიან; გამოცდილები პოლიტიკურ მუშაობაში; მოხედვას ვერ მოასწრებ რო ჩაგყლაპამენ და გაგანიორწყალებენ.

უპირველეს ყოვლისა, ამ შენ „ლიგას" ესაჭიროება გამოცდილი და განაცადი "ერკემალი" და როცა ლიგა ფეხს მოიდგამს და ფესვებს გაიღებს, ამასობაში შენც გამოიცდები და დაუდგები სათავეში მეთქი და ურჩიე ერთი შესაფერი პირი საამისოდ.

ერთი დიდი ნაკლი და მოშლა ერთობისა ისიც არის, რომ ყველას პირველობა გვინდა. ამის გამო, ვინც კი გამოიჩენს ოდნავ უნარს, გამჭრიახობას და ნიჭსა, "მეორეები" კალთას ჩამოახევენ და უკან დაახევინებენ "ვაი, რო არ წაგვასწროსო".

მეორე და მთავარი ხელისშემშლელი ერთობისა გახლავს ისა, რომ ის "მთავარი", რაც აკავ-შირებდა ქართველებს თან და თან გვეცლება ხელიდგან. სავალალოდ ამის მთავარი მიზეზი ვართ დედაკაცები.

სხვა უამრავ დამსახურებასთან, აქ (დევნილობაში) დედაკაცები გამოვდექით სუსტები.

ეს "მთავარი" იყო **ოჯახი და ეკლესია, რწმენა, ღვთის მოსაობა!** ეს ორივე თანდათან იშლება, სუსტდება. სულ პატარა, თითოეულისათვის მაგალითია ისა, რომ არა თუ მოზარდმა თაობამ, არამედ ნორჩმაც კი, რომელიც დედის უბეში ზის, **არ იცის საკმარის კარგად, და ხშირად სრულებისთაც, სამშობლო ენა, არც ისტორია, მაშინაც კი როცა ის დაიწერა ფრანგულ ენაზე. არ იცის დედა ენაზე ლოცვები კი არა, "მამაო ჩვენო"-ც კი.**

ამას დაურთოთ ისიც, რომ მამაკაცები ხშირად სისუსტეს იჩენენ "პოლიტიკურ მუშაობაში", ეგებიან ფულის ანკესზე.

და.... ....არა თუ "ერთობა", არამედ კომლად, ცალკეულად აღარ ვართ გამოსადეგი.

ეს გახლავთ ღვთის წყრომა, საცრემლო და სავალალო.

მე პირადად, გადაჭრითა და გულწრფელად მსურს შეუწყო ხელი ალექსანდრეს წამოწ-ყებას, თუ ოდნავაც იყოს, მათხოვებს ყურსა.

1) ალექსანდრე ალბად გამცნობდათ, რომ პარიზში არსდება ქართული კათოლიკური ეკლესია და მრევლი. ეს გახლავს ჩემმიერ წამოწყებული ცდა ჯერ ისევ რომში ყოფნის დროს.

გარდა სხვა მნიშვნელობათა, ეს წამოწყება გაამართლებს ჩემს ორ ნატვრას და მისწრაფებას: ა) მამა **შალვა ვარდიძის** კურთხევას არქიელად, მაშასადამე გადმოსახლებას პარიზში და უზრუნველყოფას (ეს არ ეხება ჩემს წამოწყებას საერთაშორისო წითელ ჯვარში) და ბ) სტამბის შეძენას.

თომა ურწმუნო არ გახლავარ, მაგრამ მომხრე ვარ ფრანგული ანდაზისა "ბარაქალა წახტომის შემდეგ უწოდეთ!"

ვნახოთ, ღმერთი ისმენს ჩემ ლოცვას და დაგვლოცავს ამ ორი ჯილდოთი თუ არა?

2) აქ წამოწყებული (?) და შემდეგ გაფართოვებული თქვენის ხელითა და ლოცვით, პარიზში "კომიტეტი" მე ვფიქრობ იქონიებს ზრუნვას მხოლოდ იმის შესახებ, რომ "დადასტურ-დეს, დაკანონდეს, რომ **ბეთლემში აღმოჩენილი ეკლესია** და სხვა არიან ქართული (სხვა რომელიმე უფლებებზე ოცნებაც კი შეუძლებელია, მანამ სხვათა კარზე ვიმყოფებით).

3) შესახებ ქართველი მონაზონებისა სტამბოლში, ჩემის დაკვირვებით, საკითხი ნათელია: მათ შესანახავ საშუალებას "ბეტცის" მონაზონები ღებულობდნენ ვატიკანისგან. იმავე დროს მათ ამუშავებდნენ. ეხლა, როცა საცოდავები დაუძლურდნენ, აღარ წარმოადგენენ ძველებურ ნუკბარებას და .... აიღეს მათზე ხელი.

მე მივწერე სტამბოლში ერთ, იქ მყოფ ქართველს, გვარად **მენაღარიშვილს,** ინახულოს (თუ?) და მომწეროს მათი მისამართი. ამის შემდეგ მივმართავ ერთ ჩემ მოკეთე ქალს (მეუღლეა საგ.საქმ. მინისტრისა) და დავფაცურდები აქაც. ეხლა კი არ ვიცი არც რაოდენობა, არც სახელები, არც ხნოვანება მათი და არც მოუცილებელი საჭიროებანი.

4) სულ მოკლედ მინდა გაგაცნოთ ჩემი შთამომავლობა და მით მოგახსენოთ, რომ მე გაცილებით უფრო ვამაყობ ჩემი საკუთარით, ვიდრე მეუღლის შთამომავლობით.

არ დავბრუნდები ძალიან შორს, უკან. დედის მხრივ მე თქვენც კი, თუ არ გემოყვრებით, გემეზობლებით მაინცა. დიდედა ჩემი იყო ასული **სულხან ბეგისა** და დაი **ფეიზულასი,** გამაჰმადიანებულნი დაპყრობის შემდეგ. **სულხანიშვილნი,** კვლავ საქართველოს ფარგლებში მოქცევის შემდეგ, მოინათლნენ. დიდედა ჩემი მონათლეს და შეაუღლეს პაპა ჩემს **იოსებ ყიფიანს** შეეძინათ სამი ვაჟი და ორი ქალი. ძმას მისას, დიდ **დიმიტრი ყიფიანს** (მოკლულს **სტავროპოლში** რუსის მიერ), შეეძინა ორი ვაჟი, ფეხდადგმულები გახლდნენ დიდედა ჩემები ... და ერთდროულად. პაპა ჩემმა დიმიტრიმ გამოთხოვა ძმას "თუ ქალი შეგეძინა, მე მაშვილეო. პ.იოსებს შეეძინა ქალი (დედა ჩემი). პ.დიმიტრის–ვაჟი. დაბადებისთანავე პაპა დიმიტრიმ **ხოჭიჭით** წაიღო დედა ჩემი და მონათლა მის სახელზე (მართა-მათიკო) ვაჟი კი წაიყვანა და პ.იოსებმა დაარქვა მათე.

ამნაირად, მე გახლავარ **დიმიტრი ყიფიანის შვილიშვილი** ორნაირად.

მამის მხრივ გახლავარ შვილიშვილი **დეკანოზი ჩარკვიანისა,** რომელიც აწამა და მოკლა თათარმა. ის არის გამოყვანილი "სამშობლოში" (პიესა) **გოგია დიაკონად. კითელიაში** ბავშვო-ბისას მიცხოვრია. ფეიზულა ბეგის სიკვდილის შემდეგ მიეკუთვნა კითელია დიდედა ჩემს, რომელმაც მიყიდა **ალექსი ბერიძეს** (თუ არ ვცდები). ამნაირად გემეზობლებით და გემოყვ-რებით მესხებს.

5) რომში ჩვენი ქონება, ჩვენი სამშობლოს განთავისუფლებამდის, უნდა ჩაითვალოს დაკარგულად. ამაში შეცდომები მიუძღვის მამა მიქელეს მისი თავაზიანი და გაუბედავი ხასიათის გამო. თუ ისოდენ ვართ ღმერთ გამწყრალნი, რომ სამშობლოში ვერ ჩავაწევთ, თქვენი ნაშრომები მისცემს ერს საშუალებას მისი საკუთრების ძიებისას.

წერილი გამიგრძელდა და ვაი თუ თავი მოგაწყინეთ!

დიდსა და უდიდეს მადლობას მოგახსენებ დარბაისელი და მამაპაპური საუბრისათვის თქვენმიერ მონაწერი წერილის საშუალებით. ასეთსა და ამნაირს, ყოველ შემთხვევაში მე მოკლებული გახლავარ. ღვთის მადლით წერილები უამრავი მომდის, მხოლოდ წაკითხვისას დაკვირვება მიხდება. **არეულია ხოლმე ილიას ენა სხვა და სხვა ენების ე.წ. "ციზმებთან**".

თანაც რა მშვენიერი ხელი გაქვთ! თითოეული ასო ამოჭრილია და პირველი პწკარის სიმშვენიერე არ განსხვავდება, ექვსი გვერდის შემდეგ, უკანასკნელისაგან.

მე, სამწუხაროდ, კალამს ხელი არ მერჩის ხოლმე, როცა რამე მადარდებს და მაწუხებს. მე კი მუდამ რაიმე მადარდებს.

ღვთის მადლითა და შეწევნით ჯანმრთელად ბრძანებულიყოთ.

მე ნუ მომაკლებთ თქვენი მადლიანი ხელით დალოცვას და მიგულეთ მუდამ მზა თქვედა სამსახურად.

დავშთები ღრმად და სასოებით პატივისმცემელი

ბებია ნინო

P.S. შემდეგ წერილებში მიწოდეთ ბებია ნინო. ეს სახელწოდება მაქვს ნაწოდები გაჭირებასა შინა მყოფთ და მომაკვდავ თანამემამულეთა მიერ და ვაფასებ მას ყველა "ტიტულებზე" მეტად და პატივით

ბებია ნინო

P.S. საჭიროა მოგახსენებდეთ, ყოველი შემთხვევისათვის, რომ მე გახლავარ "საპატიო მზრუნველი დედაკაცი ომში დასახიჩრებულთა, ტყვეთა და ავადმყოფ ქართველთა".

მაქვს სათანადო მოწმობები, ასე გასინჯეთ, ე.წ. "ყოფილი მთავრობისაც" კი.

რომ არასდროს და არც დღეს არა ვარ წევრი არცერთი "პოლიტიკური პარტიისა".

მრდ ბებია ნინო

წერილს ნაჩქარევად ვწერ, რადგან ვეშურები გამოგზავნას.

ჟენევა 5-4-54

სასოებით პტვსცმო და ძვირფასო,

ქრისტესა შინა მამა შალვა!

შორეულ შვეიცარიიდან გაახლებთ ყოვლად თავაზიანს და მამულიშვილურ სალამს და გამოგთხოვ ლოცვა კურთხევას თქვენი მადლიანი ხელითა და გულით.

ჩემი ვინაობა და მეობა, როგორც მისგან ვიცი, მოგეხსენებათ თქვენი მოყვარესი და ჩემი შვილობილის ალექსანდრესგან.

მე გახლავარ სულ პაწია მნიშვნელობით, ვინმე დედაკაცი, მისავე ღვთისა, ერთგული ჩვენი ერისა და სამშობლოსი და გულითად თანამგრძნობი ჩვენთა თანამემამულეთა.

შესაფერ სამოცდა თექვსმეტი წლის ხნოვანებისა, გახლავარ მხნედ (45-50 წლისასი). ისოდენ რომ ვცდილობ(?) ამ გაზაფხულ გესტუმროთ, ღვთის შეწევნით.

ამ ჟამად გახლავარ შეცული სამი საკითხით:

1) ახლად აღმოჩენილი ეკლესია და მონასტერი ბეთლემში.

2) ბერმონაზონთა და სასულიერო პირთა მოვლა, მიგნება და პირობების გაუმჯობესება, თუ ასეთები იმყოფებიან მანდ. კერძოდ, თქვენი, საამაყო მამულიშვილო, მამაო ჩვენო.

3) სტამბოლში მყოფ ქართველ მონაზონთა, "რომელთა პირობები შეიცვალაო", მამცნეს რომიდან.

საჭიროა გარკვეული ცნობები.

რადგან თქვენზე უკედ, ... დასაბუთებულად, ვერავინ ამას ვერ მოგვაწოდებს, გთხოვთ, მორჩილებით, მიბოძეთ პასუხი და ახსნა-განმარტება და რჩევა შემდეგ შეკითხვებზე:

ა) ვინ ითვლება პატრონად უძრავს და მოძრავ განძეულობათა, აღმოჩენილთ ბეთლემში.

2) მიგაჩნიათ თუ არა შესაძლოდ ჩვენს მიერ აღძვრა საკითხის ჩვენი უფლებების შესახებ და რა სახით!

3) შესაძლოა აღდგენა? თუ შეკეთება? თუ ახლად შენება მცირე შენობისა, სადაც თავს შეაფარებენ ქართველნი ბერმონაზონნი, უკეთესის მოლოდინში, და სადაც შესრულდება წირვა-ლოცვა ჩვენს დედა ენაზე?

ბ) ვინ იმყოფება მანდ, თქვენს გარდა, ქართველი სასულიერო პირი? სად და რა პირობებში? ბოდიშით – რა არის თქვენი საარსებო საშუალება და სხვ.?

გ) რამდენი მონაზონი გეგულებათ სტამბოლში? მათზე ხელი აიღეს მეტცოს (საფრანგეთი) მონაზონებმა, რომლებიც ზრუნავდენ მათთვის და აუგებენ მათ მით რო "არ ასრულებენ საკმარის ღვთისმსახურებას და მოიზარმაცებენ თავიანთ თავის მოვლის საკითხშიო". ნუ თუ ეს მართალია? გთხოვთ მიბრძანეთ მათი განათლების დონე; რწმენის სიღრმე, სიდარბაისლე, და სხვ. მანამ ეს არ მეცოდინება, თავს ვიჭერ მათ საქმეში ჩავერიო. მათ შესახებ მიწერ-მოწერას ნებულობს ჩემთან ერთერთი "ემინანს"ი და არ მინდა პირშავად სცნოს ეს საკითხი. მასალა კი მათთვის გამოსარჩლებისა არა მაქვს.

დასასრულ გისურვებთ ხანგრძლივ სიცოცხლეს ჩვენი ერისა და ეკლესიის საკეთილდ-ღეოთ.

გთხოვთ ინებეთ ჩემგან მორჩილი და მამულიშვილური სალამი და წრფელი და უხვი სურ-ვილი თქვენი პატივისცემისა და სამსახურისა.

ჩვენთან არს ღმერთი.

დავშთბი ბებია ნინო (დადიანი)

P.S. უმორჩილესად გთხოვთ გადასცეთ **ბ.იოსებ ტავილს** ბოდიში და მადლობა გასჯისთვის.

აქ გვიგულოს ჩვენც მისდამი პატივისმცემელად და მზა სამსახურის გასაწევად, ღონისძიების დაგვარ.

მრდ ბებია ნინო

დობილ ქეთოს წერილები მამა შალვა ვარდიძეს

9/IV/56 5-4-56

12/IV/56

ჩემო ძვირფასო პატრი შალვა,

მივიღე თქვენი წერილი და ძალიან მიხარიან რო, როგორც იყო დაგაკმაყოფილეთ გამოგზავნილი ხატებით. კიდევ იწერებით რა უნდა უყოთ მაგ ფულით. ხომ მოგწერეთ რო მოიხმარეთ როგორც გინდათ, თუ რამეზედ დაგეხმარებათ ეგ ერთი წვეთი როგორც ზღვაში, იცოდეთ მეც ძალიან გამიხარდება, თუ იყიდით წამლებს. აღდგომას მყავდა სტუმრები და ძალიან კარგათ გავატარეთ დრო. თქვენ ვისთან იყავით და როგორ გაატარეთ აღდგომა. მონასტერიდან მომივიდა წერილი და ლუიზა მწერს, თურმე საცოდავი და სკოლასტიკა საავანტყოფოში ყოფილა. შაქრის ავანტყოფობა ჰქონია და ეხლა უკეთესათ არისო. გადაეცით **გრიშას** ჩემგან სალამი, არ მესმის რატომ უნდა გამოქცეულიყო თურქეთიდგან, ჩემ დროს იყო თავისუფალი ციხიდგან, მაშინ ერთი სისულელე ჩაიდინა, რომელიც არა ჰქონდა ნება ჩამოვიდა სტამბოლში, როდესაც უნდა ყოფილიყო ანკარაში, ნუ თუ მაგისთვის აწვალეს? ეხლა ჩემო პატრი შალვაჯან, იყავით კარგათ და ჯან მთელათ. მოიწერეთ და ნუ დამივიწყოფთ.

თქვენი დობილი ქეთო.

19-9.57

ჩემო ძვირფასო პატრი შალვა,

მივიღე თქვენი წერილი. ძალიან გამიხარდა, და თანაც ძალიან შევწუხდი, რო თქვენ აქამდის კიდევ ავათ ხართ. მაინცა და მაინც არ იწერებით, რით ხართ ავად? დიდათ ბოდიშ ვიხდი, რომ აქამდის წერილის პასუხი ვერ მოგწერეთ, რადგან მინდოდა რამე ნაირათ თქვენი თხოვნა შემესრულებინა. სამწუხაროთ, ვისაც ვკითხე, ვერავინ ვერაფერი მითხრეს და ყველა ერთ ხმით მეუბნებიან ასეთი სახელი და ქართველი ქალის მახრაჯას ცოლი არ გაგვიგია არასოდესო. ვიყავი **ქ.თამარა ერისთავთან** და სახლში არ დამიხვდა, სადღაც წასულა რემატიზმების გამო წყლებზე საბანაოთ, ასე რო როცა დაბრუნდება, კიდევ წავალ და ვკითხავ. მერე ვიფიქრე, წავიდე ინდოელების საელჩოში და იქ ვიკითხო, იქ ბევრი ქართველები მუშაობენ და იქნება ვინმემ რამე იცოდეს მეთქი, მაგრამ იქაც არავის არ გაუგიათ და არაფერი არ იციან. ვკითხე ქ-ნ **ქეთო ჩხენკელს ვაჩნაძის** ასულია არც იმან არაფერი არ იცის, ამისთანა **ვაჩნაძის ასული მახარაჯაზედ გათხოვილი**. ასე რო დარჩა მარტო თამარა ერისთავი და როცა მოვა, იმასაც ვკითხამ.

მე ძალიან ვიყავი გაკვირვებული, რო ჩემ ორი წერილის პასუხი არ მივიღე თქვენგან და ღმერთმა იცის, რები არ ვიფიქრე; თქვენ იწერებით ყველამ დაგივიწყაო, მაგრამ ყველა თქვენ გემდურებათ, რატომ არ იწერებითო. ორი დღის წინ მოვიდენ ჩემთან **აბე მერლეტი, ვახტანგ ციციშვილი და ფილოშვილი.** მერლეტს ეგონა, რო მე მეცოდინება თქვენი უკანასკნელი ამბავი და უნდოდა გაეგო რამე თქვენზე. ბევრი ილაპარაკა. ვითომ რაღაცა სახლს ყიდულობს უკრაინელებისათვის და ქართულ კათოლიკებისათვის, იქვე ეკლესია უნდა ავაშენოვო და პატრი შალვა აქ უნდა ჩამოვიყვანოთო. ეს ვითომ ერთ კარდინალს უთქვამს, რომელიც თქვენ გიცნობთ. ციციშვილს მოუწერია თქვენთვის და ჯერ პასუხი არ მოსვლია. გუშინ წინ ერთი მიდიოდა იმასთან და შევატყობინე, რომ მე თქვენგან წერილი მივიღე და თუ იმას აინტერესებს, მოვიდეს ჩემთან, მაგრამ ისიც მუდამ ავათ არის და ეშინიან შორს წასვლა. **ბ-ნ ნიკო დგებუაძეც** ძალიან მძიმეთ ავათ იყო, კინაღამ არ მოკვდა, ეხლაც სადღაცაა, ჰაერის გამოსაცვლელათ სადღაც წაუყვანიათ. მე მგონია კლეროზი აქვს. მე თუ მიკითხამთ, მადლობა ღმერთ, არ ვარ ცუდათ. ხანდის ხან კუჭი მაწუხებს, მეც დიეტაზედ ვარ, არ ვიცი მოგწერეთ თუ არა – მე ხომ სამი წლის წინ გამომიჩნდა ... და ძალიან ტკივილები მქონდა, კინაღამ აპერაცია არ გავიკეთე, მერე ნემსებით და სხვა წამლებით გადავრჩი აპერაციას, მაგრამ თუ ეხლა რამეზე ვინერვიანო ან დავიღალო, მაშინვე მიწყებს ტკივილს. ვიღებ წამალს, ცოტა დიეტა და უკეთ ვხდები.

ხო ხედამთ, რო არ არის ერთი ადამიანი, რომ რამე არ ქონდეს უსიამოვნო. თურქეთიდამ ხშირათ მომდის წერილები, ამას წინ კიდევ სირ **ლუიზამ** მომწერა და მთხოვს, რომ ორი თვით ვესტუმრო. საწყალი ვერ ივიწყებს, სირ **სკოლასტიკის** სიკვდილს, ერთი წელიწადია რაც მიაბარეს მიწას და მწერს, მაინც შენ მოდი და ცოტა ნუგეში მომეციო. არ ვიცი, როგორ მაგრამ სწორე გითხრათ ძალიან გული მწევს რამოდენა ხნით წავიდე, რაც უნდა იყოს, თითქმის ჩემი სიცოცხლე იქ გავატარე. ხომ იცით, რომ საწყალი **ჰერბერტიც** მოკვდა შარშან. მერე რა სულელი ავანტყოფობით, აპანდისიტი ჰქონია და დროზე ვერ მიუხედიათ და პერიტონიტზე გადასულა. რასაკვირველია ღმერთმა დასაჯა, რაც ჩემ წინ ჩაიდინა, მაგრამ ასე არ უნდა დასჯულიყო ჯერ კიდევ ახალგაზრდა იყო. ღმერთმა აპატიოს და საიქიოს იყოს დაწყნარებული. დიდათ ბოდიშ ვიხდი, რო ამისთანა ამბებს გწერთ, როგორც ხედამთ აქამდის ვერა ვბედავდი მოწერვას.

პატრი შალვა, ერთი რამე უნდა გკითხოთ და მიპასუხეთ უსათუოთ, რატომ არ გინდათ აქ ჩამოსვლა, რატომ მანდ შორს წვალობთ და შორს ქართველებისგან. ეხლა თქვენ ხომ არ შეგიძლიათ მუშაობა და ავათაც ხართ. ხომ იცით, რო აქ არის ქართველების მოხუცებულების თავ შესაფარი და რა მშვენივრათ ცხოვრობენ აქ. მშვენიერი შატო არის აბონდანში, ნუთუ არ გინდათ უკანასკნელი წლები გაატაროთ დასვენებაში. ხო შეგიძლიან, იქაც ეკლესიის წირვები გადაიხადოთ. ერთ პატარა ეკლესია აუშენებიათ ქართველებისთვის, მოდით, ეშმაკს ფეხი დაადგით და სთხოვეთ, რომ იქ იყოთ მიღებული. ასე იგი თავ შასაფარში, ბოდიშ ვიხდი, რო ამას გწერთ, მაგრამ ხომ იქნებით ჩვენთან ახლოს. ხშირათ ვლაპარაკობთ ქ.**გოგუაძესთან** თქვენზე და იმან მომცა ეს აზრი, რომ მოგწეროთ ამის შესახებ. რატომ არ გინდათ და თუ რამე სხვა მიზეზი გაქვთ, მოიწერეთ თქვენი აზრი და კიდევ დიდი ბოდიში ამ კითხვისათვის. ეხლა იყავით კარგათ და იმედი მაქვს არ დამიგვიანებთ პასუხის მოწერას.

დიდათ პატივისცემით სალამი

თქვენი დობილი ქეთო

13/I957

14/I957

Meilleurs Voeux louhaits lonceres

ძვირფასო პატრი შალვა, გილოცავთ ბედნიერ დღეებს და გისურვებთ ჯანმთელობას და დღე გრძელობას. დიდი ხანია თქვენგან არაფერი არ მიმიღია, იმეთი მაქვს კარგათ ხართ და როცა დრო გექნებათ, მოიწერეთ, რას შვებით და როგორ მიდის თქვენი საქმეები.

იყავით კარგათ მუდამ.

გეხვევით თქვენი ქეთო

სიმონ ფეიქრიშვილის წერილი პავლე ადგულაძეს

დაუვიწყარო **პავლევ,**

სულ მოულოდნელად შევხვდი მე, გუშინ, ერთს მოლოზანს, ერთს მაღაზიაში წიგნებისა. მე იქ ვლაპარაკობდი სტამბოლში ყოფნაზე და მან მითხრა: **„პერ პიერ“-ი** გარდაიცვალაო; მის სახლში ახლა მარტო **პავლე ადგულაძეა** დარჩენილი და საღდარს ის უვლისო. საზოგადოდ მათი მდგომარეობა უბედური იყო და ახლაც უფრო კიდევ უბედურიაო; ქართველი დების მდგომარეობაც ძალიან სამწუხაროაო. ასე უძლური ამბავის გაგებას არ მოველოდი ამ შუაგულ **საფრანგეთში** და ამან ძალიან დამაღონა. საგლოვო უფრო ის არის, რომ აგრეთ მძიმე მდგომარეობაში ისე ადვილად არ შეიძლება ეშველოს რამე. საწყალმა პატრი **პეტრემ** მე მომწერა 1952 წელს და მთხოვა, რომ არ დაგვივიწყო, ხანდახან ჩვენზეც იფიქრე და მოგვწერე ხოლმეო. მე უკვე მოგწერეთ მანდ სამი-ოთხი წერილი. პირველი სამი ქართულ ენაზე, დანარჩენები-ფრანგულად. ეჭვი დამებადა, რომ პატრი **პეტრეჲ** თვითონ აღარ იძლეოდა პასუხს. იმის წერილს ახლაც ვინახავ, რადგან კაიკაცური წერილია და ვიხსენებ მის თხოვნას, მოგვწერე ხოლმეო. მგონი შენც ბევრ კარგ რამეს დაგარიგებდა საწყალი პატრი **პეტრეჲ** და, ამიტომაც, მისი თხოვნისდა მიხედვით, გწერ ამ წერილსა. ჩემი მდგომარეობა ასეთია: მე, როგორც იცი, **საფრანგეთში** ვარ. **სტამბოლიდან** წამოსვლის შემდეგ დიდმა ომმა ძალიან დამტანჯა, მარა მაინც გადავარჩინე თავი ანაზდეულ სიკვდილსა. აქ ვცხოვრობ მეფუტკრეობით, და, თანაც, როდესაც შემთხვევა არი იქ, ლათინურისა და სხვა ენების გაკვეთილებს ვაძლევ. ჩვენს ქვეყანაში მინდოდა დაბრუნება, სამწუხაროდ, უსვინდისო რუსები ნებას არ იძლევიან.

ნეტაჲ, ვიცოდე შენ როგორა ხარ, რას შვრები მაგოდენა სახლში; ბიჭო, რატომ არ ფიქრობ შენთან ერთი-ორი ქართველი მოიყვანო, რადგან ნათქვამია: „მარტოხელა კაცი პურის ჭამაშიც ბრალიაო“. რაკი მაგნაირი უმწეო მდგომარეობა დამდგარა მანდ და სახლი თითქმის უპატრონოდ დარჩენილა, თვითონ მეც კი ვიფიქრებ მანდ, **სტამბოლში** ჩამოვიდე, მაგრამ თუ შენც თანახმა და მოსურნე იქნები და კარგა ჰხედავ, რომ ეს ჩვენი შეერთება შენთვისაც კარგი იქნება და ჩემთვისაც. მარტო მყოფს, ვინ იცის, რა მოგიხდეს და სახლი და მთელი მისი ქონება ერთიან დაიღუპება უპატრონოდ; **საქართველოს** მგონი აღარაფერი დაჰრჩება მანდედან. ამიტომ სჯობია და საზრიანია, ჩვენ შევინახოთ სახლიც და მთელი მისი ქონებაც, სანამ ეს შესაძლებელი იქნება. ბედმა ასე ჰქნა, ან იქნებ ეს განგების განკარგულებაა ჩემთვისაც, ორივესთვის. მგონია ყველა ამაზე შენც დაფიქრდები და პასუხსაც მომწერ დაუგვიანებლივ. მე აქ ბევრი ავეჯეულობა მაქვს და მეფუტკრეობის მასალები; მაგრამ ისეთი დიდი საქმისთვის, როგორიც არის ჩვენი სახლისა და მამულების შენახვა, ჩემს ყველაფერს აქ გავყიდი, მივატოვებ კიდევაც და წამოვალ მანდა და ვიცხოვრებ მანდ ჩვენს სახლში, რადგან იგი მთელი თავისი ქონებით ჩვენ გვეკუთვნის და არა უცხოელ მხვეჭავებს. ასე მოგვარება ჩვენ მიერ საქმისა-მაგ სახლისა და მამულის შენახვა-ყოველნაირად სასარგებლო და სასახელო იქნება ჩვენთვის და ჩვენი ხალხისთვისაც, ჩვენი საყვარელი პატარა სოფლისათვისაც. ჰალბათ, შენც კარგა იცი, რომ **საქართველოდან**, ახლა, კაცს არ გამოუშვებენ მანდ შემოსასვლელად და საცხოვრებლად. მე კი, აქ, ეს თავისუფლება მაინც მაქვს და მოვიხმარ მას კიდევაც ჩვენდა სასარგებლოდ, ორივესთვის. მაშ, მომეცი პასუხი, რაც შეიძლება მალე და დაწვრილებით, რომ ფული არ დამეხარჯოს აქა-იქ, სხვა რამეებზე და მოვამზადო ჩემი წასვლა **სტამბოლში**. მაცნობე კარგად, რა მდგომარეობაში

ხარ, თუ არაფერი გაწუხებს; რა მდგომარეობაშია ერთიან სახლი, გარშემო მამულები, სახლები და სხვაც.

უცხოელებს, თუნდაც მღვდლებს, ყურს ნუ უგდებ, რადგან მთელი იმათი აზრი და გულისთქმა ის არის, რომ ჩვენი სახლი მათ ჩაიგდონ ხელში და ესოდენ ამოგვწყვიტონ, როგორც ეს მოუხდა ყველა ქართველების მონასტერს უცხოეთში. გავიგე, რომ ვიღაც დომინიკელი ბერი „სად"-ი მღვდლობს ჩვენს საღდარში. ის მეტისმეტად არ გააპაპაშო, თვარემ ბოლოს ყველაფერს ხელში ჩაიგდებს და თვით შენც ბოლოს მოგიღებენ; გაუფრთხილდი!

სულ ექვსი წელიწადია, მე პატრი პეტრეს გავუგზავნე ორი-სამი სახსოვარი: 1) ერთი ტყავზე დაწერილი ლათინურიდან გადმოთარგმნილი პოემა 2) ერთი ფოტოკოპიო ნახატისა და 3) ერთიც ჩემ მიერ აღმოჩენილი და ცალკე დაბეჭდილი „აკროსტიხები ვეფხისტყაოსანისა". სათაური ფრანგულათ და ქართულადაც არის, მაგრამ ტექსტი კი მარტო ფრანგულათაა; ჰალბათ, შენც ნახავდი იმას და ახლაც ბიბლიოტეკაში იქნება.

ჯერჯერობით ასე ვათავებ ჩემ წერილს პავლე, და ვიმედოვნებ, რომ ამდენი უბედურობა ჩვენი ხალხისა და მაგ ჩვენი სახლისა, საერთოდ, შენც დაგაფიქრებდა და თვალებს გაგიხელდა; ამიტომ მეც გწერ ამასა და მოველი შენს პასუხსაც.

მოიწერე, ბიჭო, უსათუოდ და მითხარი, თუ რამე შემიძლია დაგეხმარო. სულ-სულ მარტო ნუ დარჩები; არ ვარგა, ამაზე კარგი არ ვიცი, რა გითხრა. ჩემი აზრია, რომ ყველაზე ძვირფასი კაცის ცხოვრების დაცვა და შენარჩუნებაა; რაც მანდაურმა ჩვენმა წინაპრებმა ვერასდროს შეიგნეს და ვერ შესძლეს, ყოვლად სამწუხაროდ ყველასთვის! შენ კი იყავი უფრო დაფიქრებული და კარგად და მიიღე, აგრეთვე, ჩემი უკარგესი სურვილებიცა. სანამ ვნახავდეთ ერთიმეორეს კიდევ, ერთხელ, ჩვენს საკუთარ სახლში და მამულზედვე მანდა.

მ. **ფეიქ.სიმონი**. 8 ნოემბერი, 1961 წლის.

Nota: როგორც შენ მანდა, მეც აქ, იძულებული გავხდი, ჩვენი ძველის-ძველი გვარი ამეღო, რადგან „**ფეიქრიშვილი**"-ს დაწერა და გამოთქმა ფრანგებს ძალიან უჭირდებოდათ და ამახინჯებდნენ ხშირად: ძალიან ძნელი და გრძელი სიტყვა-გვარიაო. ამიტომ **სიმონის** მაგიერ აქ „**ევთიმე**"-მიძახიან ყოველნი და შენც შეგიძლია ადრესზე დასწერო ასე:

M[i]M. Euthume (ChezJoly P.)102, RucGrande; A Chateauroux (Jndre) France.

მიხაკო წერეთლის, გიორგი გვაზავას, ვ. მუსხელიმშვილის, სტუდენტ იპ. ქობალავას, პეტრე კიზირიას, ძმების–გიორგი და ალექსანდრე ნატროშვილების, ჭიჭიკო ასათიანის წერილები აკაკი ხოშტარიას

27.IV.1921

ბერლინი

დიდად პატივცემულო და ძვირფასო ძმაო აკაკი!

ძლივს-ძლივობით ჩამოვედი ბერლინში და ნელ-ნელ შევუდექი მუშაობას. ძნელია, მაგრამ საფუძველი მკვიდრია და დარწმუნებული ვარ, რომ **ბოლოს და ბოლოს საქართველო არ დაიღუპება და კვლავ განთავისუფლდება**. ამისთვის მხოლოდ დიდი და დაუღალავი მუშაობაა საჭირო ევროპის ყველა ქვეყნებში.

მე აქ არა თუ მუშაობისათვის, არამედ პირად ცხოვრებისათვისაც არა მაქვს არაფერი. ვიცი, პეტრე გელაპარაკებოდათ ჩემზედ და რაც მას გადაეცით, უღრმესად მადლობელი დავრჩები თქვენი მუდამ. პირადად ვერ შეგაწუხეთ სტამბულში, რადგანაც ათასი კაცი გაწუხებდათ და ახლა გაწუხებთ წერილით და გთხოვთ, ცოტაოდენი დახმარება მაინც აღმომიჩინოთ, რადგანაც აქ მუშაობა და დამოკიდებულება ჩვენ ძველ მმართველთაგან ძლიერ ძნელია და მათგანაც ჩემისთანა უპარტიო კაცის დახმარებას არ უნდა მოცდეს. ამის გარდა, მეცნიერული შრომაც მინდა. თუ ღმერთმა გვაღირსა კიდევ საქართველოში დაბრუნებას, სურვილი მაქვს განვაგრძო ჩემი შრომა უნივერსიტეტში. ჯერ-ჯერობით სამშობლოს დახსნას უნდა ვემსახუროთ, როგორც წინათ.

დიდ ბოდიშს ვიხდი, რომ გაწუხებთ, მაგრამ რა ვქნა, ასეთია ჩემი მდგომარეობა და ხომ იცით, ძმაო, ჩემს მდგომარეობაში ბევრ რამეს გაბედავს კაცი.

დიდი პატივისცემით მოვიკითხავ ქ-ნ მინადორას

მარად თქვენი პატივისმცემელი ძმა
მიხეილ წერეთელი

ძმაო აკაკი,

მე თანდათან ვრჩები, ძალ-ღონე მიბრუნდება და მუშაობას მალე შევძლებ.

ჩამოვედი თუ არა თბილისში, მე შევუდექი ჩვენი საქმის გამორკვევას სპარსეთში. რამოდენჯერმე ვიყავი საქართველოს რევკომში, ვნახე თავმჯდომარე **მახარაძე, ქავთარაძე** და სხვები. ველაპარაკე იმათ, შევეკითხე თუ როგორი იქნება მათი განწყობილება ჩვენი კონცესსიების მიმართ სპარსეთში? დაგვიჭერენ ჩვენ მხარეს და დაგვეხმარებიან თუ არა? დაიცავს ჩვენი მთავრობა თავის ქვეშევრდომების ინტერესებს უცხო ქვეყანაში თუ არა?

რევკომში მითხრეს, რომ ისინი მზად არიან ყოველნაირი დახმარება აღმოგვიჩინოს. მაგრამ რადგანაც საკითხი რთულია, მითხრეს, რომ საკითხი უნდა გადაეცეს საგანგებო კომისარს, რომელმაც უნდა შეიმუშაოს ფორმა და შინაარსი ჩვენი დამოკიდებულებისა. შეიძლება **განზელის** ქონება გამოცხადდეს საქართველოს სახელმწიფო ქონებად და მერე ჩვენ გადმოგვეცეს საწარმოებლად, შეიძლება სხვა რაიმე ფორმა გამოიძებნოსო და სხვა.... მირჩიეს საგარეო საქმეთა სამინისტროში აღმეძრა ეს კითხვა. დღეს ვიყავი იქ, იქაც დამპირდეს ყველანაირი შემწეობა, მაგრამ სიტყვიერი დაპირება ცოტაა. ამიტომ მე მინდა წერილობითი განცხადება შევიტანო და მოვთხოვო კონკრეტული გარანტიები იმისი, რომ ჩვენი ქონება განზელში დაგვიბრუნდება და უზრუნველყოფილი იქნება ჩვენი მუშაობა. ყველა ამ საკითხებს რომ გამოვარკვევ, მე მინდა სტამბოლში წამოვიდე და შევიმუშავო გეგმა მუშაობისა, საჭირო ხარჯის რაოდენობა, მოსამსახურეთა რიცხვი და სხვა.

თუ პირობები შესაძლებელი აღმოჩნდა, მე შემიძლია ვიკისრო საქმის წარმოება სპარსეთში, იმედი მაქვს, საქმეს მოვაწესრიგებ როგორც ბოლშევიკებთან, ისე სპარსეთის მთავრობასთან და საქმეს დავაყენებ ისე, როგორაც რიგია. მხოლოდ ვითხოვ, რომ ჩემი მონაწილეობა ცოტა მეტი იყოს, ვიდრე ეხლაა. ეხლა მე მაქვს 10%, ეს ძალიან ცოტაა. შენ, **ლიანოზოვმა და პავლუშამ** ხუთ-ხუთი პროცენტი რომ ჩამოაკლოთ თქვენს წილს, ეს იქნება სამართლიანი. ამიტომ ჩემი მონაწილეობა უნდა იყოს 25%. მაშინ ჰღირს შრომისა და ვაივაგლახის გაწევა ეხლანდელ პირობებში. უამისოდ, აბა, რაღა ხალისი მექნება?!

ორი-სამი კვირის განმავლობაში მე ვეცდები მოვიდე სტამბოლში. მაშინ გადავწყვიტოთ ყველა ეს საკითხები. მომიკითხე მინდორა. ჩვენ კარგად ვართ.

შენი გ.გვაზავა
16 მაისი, 1921 წ.
თბილისი.

24/V /21. თბილისი

პატივცემულო ბ. აკაკი!

გარემოება მაიძულებს მოგმართოთ თხოვნით და შეგაწუხოთ. თებერვლის გადატრიალე-ბის შემდეგ შეუძლებელი გახდა დასავლეთ ევროპასთან ფოსტით კავშირი და ჩემი შვილი, რომელიც გერმანიაშია, მოწყვეტილია საქართველოს. დახმარება კიდევაც რომ შემეძლოს, გადაგზავნა ფულისა შეუძლებელია. მე გთხოვთ, აღმოუჩინოთ მატერიალური დახმარება იმ დრომდე, სანამ აქედან გერმანიამდე ფოსტის მიმოსვლა მოწესრიგდება. გაძლევთ პატიოსან სიტყვას, თქვენს ყურადღებას ჩემი შვილისადმი დაუფასებელ ვალად ჩავთვლი და პირველ შემთხვევაშივე ვალს გადავიხდი. ამასთან, გიგზავნით ჩემი შვილის მისამართს. მოგიკითხავთ პატივისცემით მეუღლითურთ.

თქვენი ვ. მუსხელიშვილი

ბერლინი, 17.07.20

დიდათ პატივცემულო ბ.აკაკი!

ის სიკეთე, რომელიც პირადად მე მიყავით, ჩემთვის დაუფასებელია. ვსწუხვარ, იძულებული ვარ მხოლოდ უბრალო წერილით მადლობა გადაგიხადოთ.

პირადად მსურდა თქვენი ნახვა, მაგრამ მერიდებოდა, იქნებ დრო წაგართვათ. როცა მე **ზანათიდან** წამოვედი, წამოვიღე სულ 3000 მანეთი. ეს იყო 1918 წლის ოქტომბერს. ამ სამ ათასში შედიოდა 150 მანეთი, რომელიც **ს.ეწერში და ს.სუჯუნაში** შემიგროვეს მეგობრებმა. 600 მანეთი სოფელ **წყემში** მოგროვდა. დანარჩენი ძმებმა და სიძეებმა მაჩუქეს. თვით დედაჩემმა კი მხოლოდ 75 მანეთი მომცა და ისე გამომისტუმრეს.

თუ რისი იმედით მოვდიოდი, ამის პასუხს ვერ გეტყვით. არც კი ვიცოდი, თუ ჩვენი რესპუბლიკის საელჩო არსებობდა აქ. ჩემთვის ვინმეს წინათ ეკითხა: რისი იმედით მიდიხარ გიმნაზიაში სასწავლებლად, უკან ხომ არა გრჩებაო, მე დღესაც არ მექნებოდა გიმნაზიის სიმწიფის მოწმობა. ეხლა კი ფაქტია, რომ მე გიმნაზიაც დავათავე და უნივერსიტეტშიაც ვარ აგერ, მესამე სემესტრს ვათავებ. აქ ბოლო დროს ჩემი ცხოვრება ძლიერ გაძნელდა. ბ.**ვლ. ახმეტელიშვილმა** სესხზე უარი სთქვა. იძულებული ვიყავი აქ სწავლაზე თავი დამენებებინა და რომელიმე სხვა ქვეყანაში სამუშაოდ გავსულიყავი, ვინაიდან გერმანიის თითქმის ყველა ქალაქებში უმუშევრობა მეფობს. ვაპირებდი სამხრეთ ამერიკაში (არგენტინაში) წასვლას, ერთმა ინგლისელმა დამპირდა იქ საქმის შოვა და გემზე იაფად მოწყობა. ამით ვფიქრობდი ცოტაოდენი თანხის მოგროვებას და ხელახლა ჩემს საყვარელ საქმის - ეკონომიკურ მეცნიერების შესწავლის გაგრძელებას. უკანვე სახლში ვერ დავბრუნდები, ვინაიდან ვიცი, შემდეგ სულ აღარ მეღირსება ევროპაში წამოსვლა. თუნდ ათი წელიწადი დამიჯდეს, მიზანს მაინც უნდა მიუახლოვდე. ასე მაქვს ეხლა გადაწყვეტილი.

ამ სავალ გზაზე ეხლა უკვე თქვენაც მომიწყვეთ ხელი. ეს არი და ჩემთვის ამას სულ დიდი მნიშვნელობა აქვს. თქვენს მიერ ჩვენს სასარგებლოდ დადებული თანხიდან მე, როგორც დანარჩენ ჩემს ამხანაგებს, მოეცემა თვიურად 600 მარკა, რომელიც ჩვენს საერთო კრებაზე დავადგინეთ და მივიღეთ საარსებო მინიმუმად. ამით ჩვენ ამას ვიმყოფინებთ დაახლოებით 5 თვეს.

ბ.აკაკი! 600 მარკით, რასაკვირველია, ძნელია ცხოვრება, მაგრამ მე უკვე მივეჩვიე ასეთ ეკონომიას. რაც ჩამოვედი მას შემდეგ არ მახსოვს ერთხელ მაინც ისე გავმძღარიყავ, რომ მეტი საჭმელი არ მდომოდა. სადილის შემდეგ არ გაივლის ორი საათი და ხელახლა მშიან. მიუხედავად ამისა, ჩემს სიხარულს საზღვარი არა აქვს, რომ გერმანიაში უნივერსიტეტში სწავლის საშუალება მაქვს.

მიიღეთ ჩემგან სალამი და პატივისცემა

სტ.იპ.ქობალავა.

ძვირფასო აკაკი!

გიძღვნით შენ და მინადორას გულწრფელ სალამს და გისურვებთ მშვიდობიანად დაბრუ-ნებას “მრავლ-ტანჯულ” სამშობლოში.

დარწმუნებული ვარ გვიკითხავთ. ჯანმრთელობაში ღმერთი გვწყალობს: ყველანი კარგათ ვართ. რაც შეეხება მატერიალურ მხარეს, ეხლა ჩვენს მდგომარეობაში ხომ ყველას “ქრისტეს ტირილი” აქვს; მაგრამ მიუხედავათ ამისა, მე და ჩემი ცოლი ვებრძვით ცხოვრებას მედგრად და აქაც არ ვკარგავთ იმედს. ამ იმედებს უფრო აღაფრთოვანებს ის ხმებიც, რომ შენ მიერ შექმნილი “**რუპენტი**”-ს საქმე დიდებულათ მიდისო.

თუმცა “რუპენტში” ჩვენი მონაწილეობა დიდს არას შეადგენს, მაგრამ ჩვენი პატარა მოთ-ხოვნილებებისთვის ესეც საგრძნობელია და ამას ეხლაც ემჩნევა რეალური შედეგებიც: მის მიხედვით მე და კატუშა “სანდო” პირათ ვითვლებით და გასაჭირ შემთხვევაში ფულსაც გვანდობენ!

სხვა ჩემო აკაკი, აქაურ საქმეებს გიორგიც მოგითხრობს.

იყავით ჯანმრთელად! მინადორა ხომ კლდეა და მისი არ მეშინია. იმედია შენც ჯანსაღათ გნახავთ მოკლე ხანში.

გიძღვნიან გულითად მოკითხვას შენ და მინადორას კატუშა, კესა, ოლია და ჩემი ბავშვები. განსაკუთრებულ კოცნას უძღვნის მინადორას მისი ნათლული ქეთო.

შენი გულწრფელად მოყვარული
მეგობარი პეტრე კიზირია
20/VI-20 წ.

უცნობი ადრესატი (სავარაუდოდ, ა.ხოშტარია)

ძმების გიორგი და ალექსანდრე ნატროშვილებისაგან

სანამ ჩვენ მიერ თქვენი შეწუხების მიზეზს მოგახსენებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია ჩვენი ვინაობის ორიოდე სიტყვით მოხსენიება; ბოდიშს ვიხდით ამიტომ, რომ ცოტა ვრცელი მოხსენებით დროს წაგართმევთ, მაგრამ გთხოვთ ეს ცოტაოდენი დრო გვითავაზოთ, მით უმეტეს, რომ შეიძლება ამისგან იყოს დამოკიდებული ჩვენი მომავალი.

საქართველოში ჩვენ გვქონდა დიდი შეძლება, რამდენიმე დესეტინა კულტურ.მამული, მაგრამ ყველაფერი ჩამოგვერთვა, გარდა 21 დეს. ხილის ბაღისა **ტყვიავში** და 7 დეს. ვენახისა კახეთში სოფ.**ხირსაში.** დაგვიტოვეს, აგრეთვე სახლები ტფილისში და გორში და ორი დესეტინა ადგილი ტფილისში, რკინის გზასთან.

ორთავემ დავასრულეთ სწავლა გიმნაზიაში და რუს.უნივერსიტეტში. მაგრამ, რადგანაც ორივეს აღმოგვაჩნდა კარგი ხმები – **დრამატული ტენორები** – რომლითაც ასე ღარიბია არამც თუ საქართველო, არამედ მთელი ქვეყანა, გადავსწყვიტეთ სამშობლოს ხელოვნებისათვის შეგვეწირა ჩვენი ძალ-ღონე და ამ მიზნით დავიწყეთ სწავლა. ვსწავლობდით პროფეს.ქალბ. **ჯაყელთან,** რომელიც აღტაცებული იყო ჩვენი ხმებით, და რომელიც გვირჩევდა აუცილებლად წავსულიყავით საზღვარგარედ. ჩვენ უკვე ვემზადებოდით ამისათვის და საკმაო შეძლებაცა გვქონდა; მაგრამ საქართველოს მუხთალი მტერი დაესხა თავს და ჩვენც ჯარში ვიყავით. სამშობლოს დაკარგვასთან ერთად, მოგვესპო საშუალება მუშაობისა. ამჟამად აქ ვიმყოფებით **კონსტანტინეპოლში** და ბევრი წინადადება გვაქვს სხვა და სხვა ცენტრში მუშაობისა, მაგრამ ნახევრად დაუმუშავებელი ხმებით მღერა სცენაზე ნიშნავს იმას, რომ მალე სამუდამოდ ვიქნებით დაკარგული სამშობლოსათვის, როგორც ხელოვნების ქურუმნი.

ერთად ერთი გზა, რომ კიდევ რამდენიმე ხნის მუშაობის შეძლება მოგვეცეს – არის თქვენი შეწუხება დახმარებისათვის. ძლიერ გვიჭირს თქვენი შეწუხება, როდესაც ვიცით, რომ არა ერთი და ორი ასეული ადამიანია თქვენი შემყურე, არამც თუ ქართველებში, არამედ უცხოელ-თაგანაც, მაგრამ ჩვენ გვაიმედებს ის გარემოება, რომ ჩვენ არ "ვთხოულობთ", არამედ გვსურს თქვენ შემოგთავაზოთ შემდეგი წინადადება:

ჩვენ გვესაჭიროება იტალიაში სწავლის დამთავრება ერთი ან ერთი წლის ნახევრით. ჩვენი ქონება საქართველოში იმდენად დიდია, რომ სრულიად საკმარისია ბევრად უფრო იმაზედ მეტის ასანაზღაურებლად, ვიდრე ჩვენზედ დაიხარჯება ამ საქმისათვის. ამიტომ ჩვენ გთხოვთ ასეთ დახმარებას, პირობით, რომ თუ საქართველო აღსდგება, რისიც სრული იმედი გვაქვს, მაშინვე გადაგიხადოთ ჩვენი ვალი, წინააღმდეგ შემთხვევაში კი ჩვენი შრომით გადავიხდით. ჩვენი ვალის სათავდებოდ შეიძლება მოგართვათ ჩვენ მიერ ხელმოწერილი პირობა, შემოწმებული კონსულის მიერ, რომ მთელი ჩვენი ქონება იქნება თქვენი ვალის გარანტად. ან თუ კი მოისურვებთ სხვა პირობებით.

ჩვენ კარგად გვესმის, რომ თქვენც ასევე აუარებელი დაკარგეთ და აუარებელ ხალხს ეხმა-რებით და ამიტომ შეიძლება ახლა გაგიძნელდეთ ჩვენი დახმარება, კიდეც რომ მოგესურვოთ. მაშინ გთხოვთ მხოლოდ თქვენს პრინციპიალურ თანხმობას და ნებართვას, რომ რამდენიმე ხნის შემდეგ, როდესაც თქვენ მოისურვებთ, კვლავ შეგაწუხოთ გახსენებით. თქვენთვის ძნელი

იქნება ამ საკითხის გადაჭრა ცნობების მიუღებლად, ამიტომ გთხოვთ დაეკითხოთ ჩვენ შესახებ ქართველ მოღვაწეთ, მათ შორის პატივცემულ ბ-ნ **პეტრე სურგულაძეს,** რომელნიც ჩვენ გვიცნობენ, რათა გაიგოთ, რომ ჩვენ მართლაც გვაქვს ხმები და სერიოზულად ვართ მოწადინებული სწავლისათვის, რომ შრომის უნარი საკმაოდ გვაქვს, რომ ჩვენ საკმაო ქონება გვაქვს საქართველოში.

კვლავ ერთხელ ბოდიშს ვიხდით შეწუხებისათვის და მშვიდობით ბრძანებას მოგახსენებთ უღრმესი სალამით, იმ იმედით, რომ უპასუხოდ არ დაგვტოვებთ.

გიორგი ნატროშვილი
ალექსანდრე ნატროშვილი

1921 წლის აპრილის 15-ს

Heidelberg. 19.VII. 20

პატივცემულო ბატონო აკაკი!

რამდენიმე დღის წინად გამოგიგზავნეთ ბარათი. არ ვიცი მიიღეთ, რადგან მისამართი ნამდვილად არ ვიცოდი.

ეხლა, თუმცა ეს ძალიან მერიდება, იძულებული ვარ ისევ ფულზე მოგმართოთ. საქმე იმაშია, რომ **რაჟდენ დათეშიძემ** ჩემი ფული სულ არ გადმომცა, არამედ მითხრა, რომ ბანკში შევიტანო და ბანკი გიგზავნისო თვიურად. როგორც გამოირკვა, რაჟდენი ისე წასულა საქართ-ველოში, რომ ჩემთვის არაფერი დაუტოვებია და არსათ არაფერი არ შეუტანია. ასე, რომ არასასიამოვნო მდგომარეობაში ჩამაყენა.

გთხოვთ, სანამ მომივიდოდეს რამე სახლიდან (**მუსხელიშვილები** უნდა ჩამოვიდნენ და ისინი უეჭველად ფულს ჩამომიტანენ) ერთი 1,500 მარკა გადმომიგზავნოთ, რისაც ძალიან მადლობელი ვიქნებოდი.

ვეცდები მერე ეს ორი ვალი ერთად დაგიბრუნოთ.

გისურვებთ ყოველივე კარგს

ჭიჭიკო ასათიანი

Heidelberg. 15.VII. 20

პატივცემულო ბატონო აკაკი!

სწორედ გუშინ გავიგე თქვენი ჩამოსვლა ბერლინში. თქვენგან გამოგზავნილი ფული მივიღე, რისთვისაც დიდ მადლობას გიძღვნით. ქალბატონ **მინადორას** ვუპასუხეთ წერილზე, მხოლოდ არ ვიცი, მიიღო თუ არა. ახლა Heidelberg-ში ვარ და აქ ვმაცადინობ. მინდა, თუ მოვასწარი, გაისად, საშობოდ გავათავო აქვე უნივერსიტეტი. ეს სემესტრი თავდება 1 აგვისტოს და უნდა მერე ბერლინში ჩამოვიდე ერთი კვირით. თუ თქვენ იმ დრომდის მანდ იქნებით, უეჭველა, გინახულებთ. ქალბატონი მინადორა თქვენთან ერთად ბერლინშია თუ არა. ან საქართველოში ხომ არ აპირებთ დაბრუნებას.

მაშ გისურვებთ ყოველივე კარგს.

სალამი ქ-ნ მინადორას.

პატივისცემით ჭიჭიკო ასათიანი

ბ. დემურიასა და ჭიჭიკო ასათიანის წერილები მინადორა ხოშტარიას

22 ივნისი, 1920

ლონდონი

დიდათ პატივცემულო მინადორა ეგნატიევნა.

რა საკვირველია, აკაკი მეთოდის ძეს ძალიან ეწყინა, უთქვენოდ რომ ჩამოვედი. მე აუხსენი ყველა ის მიზეზები, რომელთა გამო თქვენ აღარ შეგეძლოთ დაგეტოვებინათ პარიზი, მაგრამ მაინც.....

ახლა აკაკი მეთოდის ძე ფიქრობს, წავიდეს ამ კვირის დამლევს პარიზში და თქვენთან ერთად დაბრუნდეს ლონდონში. არ ვიცი, თქვენ რა აზრისა ბრძანდებით ამაზე.

შ.**გინზბურგი** უკვე წავიდა პარიზში, მაგრამ როგორც ყური მოვკარი ლაპარაკს, ისევ აპირობს ლონდონში დაბრუნებას.

მოგიკითხავთ მოწიწებით, როგორც თქვენ, ისე ცეზარინას. ნუ მოსწყინდებით, მინადორა ეგნატიევნა, ის მოკლე ხანი, რაც თქვენ ევროპაში აპირობთ დარჩენას, მხიარულობის დრო უნდა იყოს და არა მოწყენის.

აკაკი მეთოდის ძეს საქმეც საზოგადოთ კარგათ მიდიან. მიიღეთ ჩვენი ღრმა პატივისცემა

ბ.დემურია

. . . . . (წერილის ფრაგმენტი)

შენ რომ იწერები, გრიშას უყიდეო ყორისფელი პრიპარატები, გრიშას სიხარულს საზღვარი არა აქვს, ისთე უხარია. ყველას მის ამხანაგებს უთხრა მინადორა ეგნატევნას ჩემთვის ყორი-ფელი უყიდიავო.

მინადორა, აკაკის, მუსინკას ჩემს მაგივრად აკოცე სულ ბევრი. ოსანამ გაკოცა ძუძუებში. ქეთო რომ ნახო, ვერ იცნობ, ისთე კაი გოგონა გახდა. სულ მუსინკას გავს. იმისთანა დღე არის, რომ ქეთომ მუსინკა არ ახსენოს! ბევრი წერილის მოწერა მინდა, მარა არ მაცალეს. დედა კარგათ არის. გაუგზავნეთ ყორისფელი შენ რომ მოიწერე.

გაკოცებ სულ ბევრს. გაკოცებ ძუძუებში სულ ბევრს. ბაბი და ბასუსი აქ ცხოვრობენ როგორც ღმერთი. ისტე არიან, არაფრის ჯავრი იგენს არა აქვთ. ბენდუსი პურის ფულს კიდევ არ იძლევა და გრიშა მის ჯამაგირს აქ არიგებს, რომა მსახურებმა შიმშილით არ მოკვტენ. ისე კაჟას გაგება არაფრის არა აქვს და შენ მიწერე მინადორა წერილი, რომ ფული მის დროზე ქონდეს მისაცემი. სახლის დარდი ნუ გექნება. ოსანა ისთე უვლის ყორისფელს, რომ პირდაპირ ვერ აგიწერავ.

შენ არ იფიქრო, რომ ჩვენ ვაწუხებდეთ უოდროპს. ისთე ვცხოვრობთ, კაცი არ იტყვის, ჩვენ თუ აქ ვცხოვრობთ. შაქრო ძაან კაი ყურადღებას აძლევს ყორისფელს.

მინადორა, გრიშა კარგათ სწავლობს, მარა ეს წიგნი არა აქვს: Курсъ Оперативной Хирургии професора А.А.Борбова. Издание пятое, исправленное и дополненное професоромъ Московского Университета И.П.Алексинекимъ

Freiburg/Br 02.VI.20

პატივცემულო ქალბატონო მინადორა!

ერთი კვირის წინ, ბერლინში რომ ვიყავი, გადმომცეს თქვენი წერილი და, აგრეთვე, 500 ფრანკი. უდიდეს მადლობას გიძღვნით ასეთი ყურადღებისათვის. მე მეგონა, რომ თქვენ ბერლინში ჩამოხვიდოდით, ეს მითხრა **ახმეტელმა.** ესეც მითხრა, რომ ამ ორ დღეში ჩამოვ-ლენო, ვიცადე ერთ კვირაზე მეტი, მაგრამ ახმეტელის სიტყვები არ გამართლადა. ამის გამო არ მომიწერია თქვენთვის ბარათი. სულ მეგონა, სადაცაა ბერლინში ჩამოხვალთ.

მე ახლა ძალიან ბევრი სამაცადინო მაქვს. აგვისტოს ბოლოში ვიქნები თავისუფალი. მინდა ამ დროით ვისარგებლო და საფრანგეთი ვინახულო. რასაკვირველია, თქვენაც გინახულებთ, თუ იმ დროიზა კიდევ მანდ იქენით. ახლა გისურვებთ ყოველივე კარგს და გამარჯვებას.

ჩემი გულითადი სალამი ბ-ნ აკაკის.

თქვენი **ჭიჭიკო ასათიანი**

აᲮმედ ოᲬქან მელაშვილის ღია ბარათი პავლე ადგულაძე–აკობაშვილს

ძვირფასო ბ. მეგობარო პავლე აკობაშვილს (ადგულაძეს)

გიგზავნით ზოგიერთი სურათები თქვენი მოცემული და ბურსას ფესტივალში ქართველი ჯგუფისა.

დიდი პატივისცემით მარად თქვენი მეგობარი აჰმედი ოზქანი (მელაშვილი).

ზაქარია ფალიაშვილის, დიმიტრი არაყიშვილის, ია კარგარეთელის წერილები მამა კონსტანტინეს (საფარაშვილს)–ეკლესია-მონასტრის მგალობელთა გუნდის ხელმძღვანელს

დიდად პატივცემულო ბატონო კონსტანტინე!

თქვენგნით გამოგზავნილი წერილი მივიღე და მესიამოვნა, რომ ამდენი ხანის უნახავებმა წერილებით მაინც გამოვეხმაურეთ ერთმანეთს. იწერებით ჩემი ქართული სიმღერა-საგალობლების შესახებ, რომ მანდაც მოგაწოდოთ. დიდი სიამოვნებით მოგართმევთ და კიდეც გიგზავნით ამასთან ერთად. ეს ჩემი შრომა შესდგება შემდეგის კრებულებიდამ და ცალკე ნომრებიდამ:

1. ლიტურგია იოანე ოქროპირისა
2. ქართული სახალხო სიმღერების კრებული. 42 სიმღერა
3. ქართული სიმღერები შემუშავებული (რვა სიმღერა)
4. ორი ქართული რომანსი და
5. აკაკი წერეთლის საიუბილეო მრავალჟამიერი

ეს მთელი ნოტები გამოსცა აქ ქართულმა ფილარმონიულმა საზოგადოებამ (რომელსაც ეხლა აქვს თავისი საკუთარი სამუსიკო სკოლა და რომლის გამგეთაც მე გახლავართ) თავისი ხარჯით. მე მოვახსენე თქვენი წერილის შინაარსი გამგეობას და იმათ გადაწყვიტეს, რომ მთელი ამ ჩემი შრომის თითო ეგზემპლარი გამოგიგზავნოთ თქვენ უფასოდ და ამასთან ერთად ერთი ეგზემპლარი კიდევ ლიტურგიისა, კონსტანტინეპოლის, ქართველ **მამა ხარისჭირაშვილის** მონასტრის ბიბლიოთეკისათვის გადასაცემელად. გთხოვთ, ეს ერთი ეგზემპლიარი გადასცეთ დანიშნულებისამებრ.

კიდევ გთხოვთ, ეს ლიტურგია მოამზადებინოთ გაისისათვის წმ.ნინოს დღესასწაულისათვის ეკლესიაში საგალობელად. მე დარწმუნებული ვარ, რომ ორღანის აკომპანიმენტით უკეთ გამოვა ეს საგალობლები, მხოლოდ მრწამსში, რომელიც იგალობება, "რეჩიტატივით" ჩაურთავთ იმ სიტყვებსა, რომელიც არა აქვს ბერძნის ეკლესიასა. ე.ი. "მამისაგან და ძისაგან გამოვალს". აქ გალობენ ქვაშვეთის ეკლესიაში და კიდევ დიდუბის ეკლესიაშიც. ჩვენი, ე.ი. ფილარმონიული საზოგადოების ხარჯებით და კარგადაც შეისწავლეს და ასრულებენ კიდეც.

სახალხო სომღერებიც, თუ შემთხვევა გექნებათ, გააცანით ევროპელთა.

ამასთან ერთად, გიგზავნით კიდევ ფილარმონიული საზოგადოების წესდების რამდენიმე ცალს. ამ ჩვენს სამუსიკო სკოლაში დღესა გვყავს 175-მდე მოწაფე. ამათში 150-მდე მარტო ქართველია და საქმე კარგად მიდის ჯერჯერობით, თუ რა იქნება შემდეგში, არ ვიცი. მხოლოდ ამ სკოლას, ჩემი აზრით, დიდი მნიშვნელობა აქვს ქართველთ და შუა კავკასიის ხალხისთვის, რადგანაც სწავლის ფასი ყველასათვის ხელ მისაწვდომი არის და ბევრად იაფი, ვიდრემც სხვა რუსულ სამუსიკო სასწავლებლებში.

როგორც ქართველს, ალბათ გაინტერესებთ, რომ სხვათა შორის– მე ეს ორი წელიწადი არის რაც დავიწყე წერა პირველი ქართული ოპერისა სახელად "აბესალომ და ეთერი" (ეთერიანი). თუ ღმერთი შემეწია, ამ ზაფხულში მინდა მოვრჩე და გაისად დავდგა მთლიანად. ორი აქტი უკვე დავდგი შარშან და საზოგადოება კმაყოფილი დარჩა. ამ ოპერის მცირე შინაარსსაც ნოტებთან ერთად გაახლებთ და როცა მთელს ლიბრეტოს გამოვცემ, ამასაც მოგაწოდებთ. მაშ,

იყავით მშვიდობით და უვნებლად. გთხოვთ ამ ნოტების და წერილის მიღება მაცნობოდ, რომ დავრწმუნდე, მიგიღიათ ყველაფერი.

ჩემი ადრესი: Въ Тифлисъ, Корчаковская улица №6, Музыкальная школа филармонического общества, Заведующему школы Захарии Пётр Палиеву.

კიდევ მოგიკითხავთ
თქვენი კეთილისმსურველი
ზაქ.ფალიაშვილი

ბატონო კონსტანტინე!

თქვენი პატივცემული წერილი მივიღე ამ დღეებში. დიდათ გმადლობთ წერილისათვის.

გიგზავნით ჩემს ნაწერებს სულ 5 მ. და 15 კ. ღირებულებისას.

რაც შეეხება სხვა ავტორებს, შეგიძლიათ "წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისაგან" შეიძინოთ ქართული სიმღერების **კრებული ი.კარგარეთელის, ზ.ფალიაშვილის და ჩხიკვაძისა.**

დავშთები თქვენი პატივისმცემელი

დიმიტრი არაყიშვილი

ქ.მოსკოვი, 4/III, 1914 წ.

P

P.S. ჩემი ადრესი: Москва (Россия), Средняя присъня, д.28, кв.28, Дмитрию Игнатьевичу Аракчиеву

11 თებერვალი, 1912 წ. თბილისი

ღრმად პატივცემულო მამაო კონსტანტინე!

თქვენი წერილი, აგერ ერთი კვირა იქნება, რაც მივიღე; მაპატიეთ, რომ დაუყოვნებლივ ვერ გიპასუხეთ საპატიო მიზეზის გამო, თუმცა – კი უნდა გამოგიტყდეთ, რომ ეს მიზეზი უძლური საბუთია თქვენს წინაშე თავის გამართლებისა.

რა თქმა უნდა მამაო, თქვენმა თანაგრძნობით აღსავსე წერილმა უაღრესად მასიამოვნა, რადგანაც ჩვენს საზოგადოებაში ამისა თუ იმისი პატარა მუშაობა უყურადღებო და უგულებელყოფილია; ხმის გამცემი, წამქეზებელი არავინ არის და ხელის წამოშველებაზედ ხომ აღარაფერს მოგახსენებთ. როგორც თქვენი წერილიდან სჩანს, თქვენ თითონვე გამოგიცდიათ ჩვენი უმადურობა, - მიგიმართავთ რამდენიმე პირისთვის თხოვნით და პასუხი არავის მოუწერიათ, რომ არა ვსთქვათ "უღირსებიათ". საუბედუროთ, დღეს ჩვენს საზოგადოებაში ასეა და ასეთსავე შველა-თანაგრძნობას განიცდის ყველა პატარა მოღვაწე. მაგრამ ეს ჩემი ჩივილი აქ შემთხვევითი სიტყვის მოტანა იყო და გასამართლებელი გარემოება ერთი ჭეშმარიტი გრძნობისა: ვისაც სამშობლო უყვარს, თავისი ხალხი, იგი არავითარ თანაგრძნობას არ დაეძებს, ვინაიდან ღრმად არის გამსჭვალული იმ აზრით, რომ იგი თავის ზნეობრივ მოვალეობას ასრულებს და არ დაგიდევს ქუჩის "ვაშასა" და ზეიმს.

თქვენსც, მამაო, გული არ უნდა აძვიროთ ვისიმე და ჩვენს პასუხის გაუცემლობაზედ და ყოველი ღონისძიება იხმაროთ, ასე თუ ისე ხელი წაატანოთ ჩვენს დავრდომილობისა და დაუდევრობის გაქარწყლებას.

ოღონდაც რომ მესიამოვნა, თქვენი განზრახვა. მე პირადათ იმ აზრისა ვარ, რომ ქართული ხელნაწერი ნოტების შეუსწავლობა ბნელით მოცულ გვერდათ უნდა ჩაითვალოს დღეს მთლათ ჩვენს ისტორიაში. ამისათვის, ყოველი ნაბიჯი ამ ხელნაწერების შესწავლაში ერთი-ორათ საყურადღებო უნდა იყოს. პირადათ მეც დიდი ხანია მაინტერესებს ეს საგანი, თუმცა ვერა მხრიდან ვერ ... ამ ბოლო დროს ვიშოვე ბერძნული სახელმძღვანელო ამ ნოტებისა, მაგრამ საუბედუროთ, აქაც ბერძნული ენის უცოდინარობა ძალიან მაბრკოლებს. ვერსად ვერ ვიშოვე, აგრეთვე, რუსების მიერ შედგენილი ანა-ბანა ამავე ნიშნებისა. თუ რაოდენათ ვარ დაინტერესებული ამ ხელთნაწერებით, გიჩვენებთ აი ეს რუსული წერილი, რომელიც დასტამბული იყო **"Кавказъ»-ში** ამ წლის იანვრის 12-ში. გაახლებთ ჯერ-ჯერობით ცისკრისა და ლოცვის საგალობლებს, სადაც მოსძებნით რვა ხმას, ტროპარებს, სხვა საგალობლებს.

ამავე წიგნებს ჩატანებული აქვს ფოტოგრაფიით გადაღებული საგალობელნი ძველი ხელთნაწერებიდან.

გაახლებთ, ამასთანავე, პატარა წიგნაკს **ბ-ნ ჯანაშვილისას** ამავე ხელთნაწერებზედ და დავსძენ, რომ ამითი გათავდება ყოველი ცნობა ამ ხელთნაწერებზედა და სხვა არაფერი ნაწერი მოიპოვება მათზედ.

საზოგადოთ, უნდა მოგახსენოთ, რომ საგალობლები ჩვენში ძალიან ცოტაა დაბეჭდილი, არის ცოტა რამ; ან კი ვინ გაბედავს მათს დასტამბვას; ხარჯს დიდს ითხოვს და მყიდველი კი ერთი ორია. მეორეც, ეს, აწარსებული დაბეჭდილი საგალობლები მე არ მიმაჩნია მართებულათ,

რადგან მათ გამოცემასაც და ნოტებზედ გადაღებასაც მოუმზადებელი პირნი უდგანან თავში და ესენი უფრო კისრულობენ უშიშრის დაურიდებლობით და სიადვილით მათს პატრონობას.

ქართული ჟამ-კანონისთვის, რასაც თქვენ იწერებით, მიმართეთ სიონის ტაძრის წი-ნამძღოლს **დეკანოზ ტყემალაძეს;**

ვოდევილები და პიესები, რაც გნებავთ, მოსთხოვეთ წ.კ.საზოგადოებას.

დასასრულ, გისურვებთ დღეგრძელობას და ვიმედოვნებ, რომ თქვენი მუშაობა სინათლეს მოფენს ამ წყვდიადს საგანს ჩვენი ისტორიისას.

ი.კარგარეთელი

ქ.თიფლისი, 25/III, 1914 წ.

გიორგი მაჩაბლის წერილი ლეონიდე I-ს

მის უწმინდესობას სრულიად საქართველოს კათალიკოსს ლეონიდს I

უწმინდესო და ყოვლად პატივცემულო მამაო, ნება მიბოძეთ ჩემი ღრმა და გულწრფელი სიხარული გამოგითქვათ, რომ ჩვენი განთავისუფლებული ეკლესია თქვენი უმაღლესი ხელმძღვანელობის ქვეშ იმყოფება. მე სრულიად დარწმუნებული ვარ, რო თქვენ ხელში ჩვენს ეკლესიას არავითარი ახალი საფრთხე არ მოელის. პირიქით, თქვენის ბრძნულის მეთაურობით ქართული ეკლესია ერთის მხრით შეასწორებს იმ ნაკლუვანებებს, რომელიც ჩვენ დაგვიტოვა რუსთა ბატონობამ და მეორეს მხრივ, ჩვენი ეკლესია ეცდება განვითარდეს და აყვავდეს დღეთა პირობებისა დაგვარად.

ჩვენ დაახლოებას რუსეთთან წარსულ საუკუნეებში საბუთად ჰქონდა არა მარტო ის ფაქტი, რომ ჩვენც რუსებსავით მართლმადიდებელნი ვიყავით, არამედ უმთავრესად ჩვენი სრული იზოლაცია, რომ ჩვენს ეკლესიას, როგორც ჩვენს სამშობლოს არ ჰყავდა ძლიერი, დამხმარე მოკავშირე. როგორც პოლიტიკურად, ისე სულიერად ვიყავით მარტო და მოსარჩლე და დამცველი არ მოგვეპოვებოდა.

მაგრამ ეს თუ მაშინ დასავლეთ ევროპასთან ძნელი იყო მისვლა, ეხლა საქართველოს დამოუკიდებლობის აღორძინების შემდეგ, ჩვენ უნდა შევეცადოთ აღვადგინოთ რაც შეიძლება მჭიდრო და მეგობრული კავშირი ევროპის კულტურულ სახელმწიფოებთან, გავუზიაროთ ჩვენი სურვილი, ჩვენი სახელმწიფო დავუახლოვოთ სულიერად და ამ გვარად მოვიპოვოთ მათი მეგობრობა, მათი სიმპატია, ყველაფერი რაც რუსეთთან გვაკავშირებს და გვაერთებს ფესვიანად იყოს ამოგდებული ჩვენის ცხოვრებიდან და მანამდის დრო და შემთხვევა გვაქვს რუსეთის ბატონობის კვალი სრულიად მოსპობილი იყოს.

ჩვენს ეკლესიასაც შეუძლია დიდი მონაწილეობა მიიღოს ამ ჩვენი ცხოვრების განახლებაში. მასაც აქვს საუკეთესო შემთხვევა დაუმეგობრდეს რომელიმე გავლენიან ეკლესიას, რასაკვირველია, იმ პირობით კი, რომ ჩვენმა ეკლესიამ შეინარჩუნოს თავისი დამოუკიდებლობა და მამა-პაპათა წესი, ე.ი. მართლმადიდებელი. ჩვენის აზრით, მეტად ადვილად შეიძლებოდა დაახლოვება, მაგალითად, რომთან, რაც ჩვენს ეკლესიისათვის უმნიშვნელო არ იქმნებოდა. მე აქ მქონდა კერძო ლაპარაკი პაპის წარმომადგენელთან არქიეპისკოპოს დოლჩთან? ამ საკითხზე და ის შთაბეჭდილება მივიღე, რომ რომი დიდის თანაგრძნობით მოგვეკიდება და ყველა ჩვენთვის აუცილებელ პირობებს მიიღებს. შეიძლება ერთგვარი კონკორდატის დადება რომთან და ამგვარი დაკავშირება მასთან უზრუნველ ჰყოფდა ჩვენს ეკლესიას ყოველი რუსული გავლენისაგან. იმ შემთხვევაშიაც, თუ ევროპის სახელმწიფოები (თუმცა მე ეს არა მგონია) გვაიძულებდნენ და რუსებს უკან მიგვცემდნენ.

არ ვიცი, თქვენი უწმინდესობა რა აზრისა ბრძანდება ამ საკითხზედ, მაგრამ მაინც იმედი მაქვს არ გამკიცხავს ჩემი ამგვარი გულწრფელი აზრის გამოთქმისათვის და უყურადღებოდ არ დასტოვებს ამისთანა მნიშვნელოვან საკითხს.

საუკეთესო იქმნებოდა გაგზავნა თქვენგან რომში მისიისა ინფორმაციული ხასიათით, რომელსაც დაავალებდით ამ საკითხზედ მოლაპარაკებას. გარდა ამისა, თქვენი გაგზავნილები ადგილობრივ გაიცნობდნენ რომის აზრს და განწყობილებას ჩვენი ეკლესიის მიმართ; ამავე დროს ამ მისიას ექნებოდა დიდი პოლიტიკური მნიშვნელობა. ყველა ალაპარაკდებოდა ჩვენს

შესახებ. ეკლესიის საკითხთან უსათუოდ დადგებოდა პოლიტიკური საკითხიც და დიდ სამსახურს გაუწევდა ჩვენს პროპაგანდას, რომელიც ესე აუცილებელია ჩვენთვის ამისთანა გადამწყვეტ საათში, როდესაც უნდა გამოირკვეს ჩვენი ყოფნა- არყოფნის საკითხი. ჩვენზედ კი ძალიან ცოტა იციან ევროპაში და თუ არ ვეცდებით, ჩვენი თავი გავაცნოთ, არც უნდა გაგვიკვირდეს, თუ უყურადღებოდ მოგვექცევიან.

ჩვენი მთავრობის მოსაზრება ამ მისიის შესახებ, მართალია, არ ვიცი, მაგრამ მე მგონია საწინააღმდეგო არას ფერი უნდა ჰქონდეს; მით უმეტესად, რომ ამნაირი ნაბიჯი ჩვენი დამოუ-კიდებლობის გასაძლიერებლად იქმნება მიმართული.

მე ეხლა რომში მივდივარ და შეიძლება ვიქონიო კერძო ლაპარაკი იქაურ წრეებშიაც; თუ მოვახერხე იქიდამ წერილის გამოგზავნა , შეგატყობინებთ, თუ რას ჰფიქრობენ იქაც ჩვენზედ, მანამდის ნება მიბოძეთ, მოგახსენოთ ჩემი ღრმა და უდიდესი პატივისცემა და გისურვოთ ყოველი სიკეთე.

თქვენი მორჩილი და ერთგული მონა გიორგი მაჩაბელი.

გრიგოლ ვოლსკის წერილი იასე რაჭველს

პატივცემულო ბატონო **იასე**! (სავარაუდოა იასე რაჭველი)

ყოვლის უწინარეს ბოდიშს გიხდით, რომ დაგიგვიანეთ წერილის პასუხი, თუმც ეს მოხდა ისეთის მიზეზის გამო, რომ ბრალი არ უნდა დამედოს. ჩემდა სამწუხაროდ, ბევრის თქვენგან მოხსენებულ მცენარის სახელი მე თითონ არ ვიცოდი და ამიტომ სხვებს შევეკითხე, ვინც მცოდნე კაცებად მეგულვებოდნენ ამ საგანში და რომელთაც სხვა ქალაქებში აქვთ ბინა. იმათის პასუხის ცდამ დამაგვიანა. დაგვიანება ეგებ ისე სამწუხარო არ იყოს, როგორც ლოდინის უნაყოფობა: ის იმედი, რომ შემივსებენ, რაც მაკლდა, გამიცრუვდა, - ამაოდ ვიცადე. წარმოიდგინეთ, რომ ყველამ, ვისაც მივმართე, თუ მაცნობა ერთი-ორი სახელი და ისიც იმისთანა, რომელიც თითონაც ვიცოდი. ჩემის მხრით ვეცადე და თუ ყველა სახელებს ვერ გატყობინებთ ქართულად, - ნურას უკაცრავად: არ ცოდნა არ ცოდვააო, მოგეხსენებათ . . .

აი, იმ მცენარეთა სია, რომელთა სახელიც ვიცი ქართულად:

1. გვირილა (მეგრულად ქამენია)
2. ასისთავა
3. კამა
4. ღვია ანუ გვივა
5. ასკილი
6. ყვავის-კუდა
7. მოცვი
8. ჯინჭარი
9. ფეიქრის მანანა/ მიასწარა, ბარამჩა
10. მარიამსაკმელა
11. სალბა, სალბიამება . . .ჯგვლილიუსუპი
12. დიდგულა
13. ვირისტერფა
14. ტარის ტურფა
15. კატაბალახა - -მიწის - საკმელა
16. ია
17. ტუხტი. - მოლოქი.
18. კორკოტინა. ბალბა

დანარჩენი არ ვიცი. დასასრულ, ისიც უნდა გამოტეხილად მოგახსენოთ, რომ ჩემის აზრით, კნეიპის წიგნი იმ შრომად არა ღირს, რომელსაც გამოსცდის პატივცემული მთარგმნელი. ბევრი უკეთესი წიგნია, ქართულად გადმოსათარგმნი, თუ ვისმე სურვილია, მოცალვეობა და ღონე (ცოდნა) შესწევს.

თქვენი პატივისმცემელი **გრ. ვოლსკი.** 18 5/XII 1897, **ბათომი.**

სერგეი მესხის წერილი გასპარ სპანდაროს!

მოწყალეო ხელმწიფე **გასპარ სპადარო!**

დიდის სიამოვნებითა და მადლობით მივიღე მე, თქვენის საშუალებით, **სტამბოლისა და მონთობანის** მღვდელმონაზონთაგან გამოგზავნილი წიგნები, დაბეჭდილნი სტამბოლში და მონთობანში. დიდი მადლობა და თანაგრძნობა გარდაეცით „დროების“ რედაქციის სახელობით, ხსენებულ კათოლიკე ძმობასა ამისთანა ძღვნისათვის.

ვერ წარმოიდგენთ, რა განსაკვირველი და სასიამოვნო იყო ჩემთვის, როდესაც წელს აპრილში, **ბათუმში** მყოფობის დროს, მოულოდნელად ვნახე მე თქვენ მიერ **სტამბოლში** დაბეჭდილი ბროშურა „ბრძენი კაცი“, რომლის ყდაზედაც ამოვიკითხე სია იმ წიგნებისა, რომელნიც თქვენ დაგებეჭდათ. მითხრეს, რომ ვიღაც, მგონი, **ყაურჩოვს** აქვს **ბათუმში** გასასყიდლად ეს წიგნებიო; ბევრი ვეძიე, მაგრამ ვერ ვიპოვნე, საუბედუროდ. ეს ერთი წიგნი კი წამოვიღე და რედაქციის შესანიშნავი წიგნების სია დავბეჭდე ჩვენს გაზეთ „დროებაში“ და, ამასთანავე, გამოვაცხადე სურვილი, რომ ეს წიგნები, ჩვენი ქვეყნისათვის დანიშნულნი, კარგი იქნება, რომ ჩვენში გამოგზავნილი იქნეს გასასყიდლად მეთქი. ამ სურვილს ახლაც ვაცხადებ. ბევრს სიამოვნებით გაუკვირდა, როდესაც შეიტყეს, რომ **სტამბოლში** გამოდის ქართული წიგნები. ბევრი მოდიოდნენ რედაქციაში ამ წიგნების სანახავად და ახლაც მოდიან. ქართული წიგნის მაღაზიამ ე . . .(არ იკითხება) ჩარკვიანი. იმ დროსვე მოგწერათ თქვენ და გთხოვათ, რომ რამდენიმე ეგზემპლარი გამოეგზავნათ იმის მაღაზიაში კამისიით გასასყიდათ. ფრანგობაში (ჩემი ცოლი ფრანგის ქალია-**მელიქოვისა** და ამიტომ ქალაქის ფრანგობას ბევრს ვიცნობ), მოგახსენებთ, ბევრნი არიან მსურველნი ლოცვის წიგნების შემენისა; საერო წოდება კი განსაკუთრებით ჩვენი სასწავლო შკოლები უფრო გრამმატიკას, მსოფლიო ისტორიას, გეოგრაფიას და სხვა ამგვარ სახელმძღვანელო წიგნებს მოითხოვენ და გაასაღებენ.

ამიტომაც, რადგან ეგ წერილი და ჩვენი საწყალი სამშობლო ქვეყანისათვის სასარგებლო და სახსოვარი საქმე დაგიწყიათ, იმედია ეცდებით იმასაც, რომ წიგნები გაავრცელოთ ჩვენს ქვეყანაში.

დიდის სიამოვნებით ვასრულებ თქვენს თხოვნას. ხვალინდელ გაზეთის ამ სიტყვაში ამბობთ, რომ ქართველებს **„ბუნების კარს“** გარდა სხვა სახელმძღვანელო წიგნები არა გვაქვს შვილებისათვისო. მართალია, მდიდარნი არა ვართ წიგნებითა, ახლა იწყება ჩვენში ეგ საქმე, მაგრამ ერთ წიგნზე მაინც კიდევ მეტი გვაბადია; ჩვენ გვაქვს: საყმაწვილო კონა, დედა-ენა, პატარა არითმეტიკა, ანბანი რამდენიმე (მუდამ წელიწადს 10,000 ეგზემპლარიდან იბეჭდება და გადის) . სულ სახელმძღვანელო წიგნები. ამას გარდა მუდამ წელიწადს, ამ უკანასკნელი სამოოთხი წლის განმავლობაში, 10,15 და ხან ოცი წიგნიც გამოდის; ისე მოთხრობა, რომანი, სხვადასხვა მწერლების თხზულებანი, აგრეთვე უცხო ენებიდამ ნათარგმნი, დრამმატიული თხზულებანი ჩვენ ახლადდაარსებულის თეატრისათვის ...სხვა საკითხავი და აგრეთვე შკოლაში გამოსადეგი რჩეული ლექსები, ანდაზები, არაკები და სხვა წიგნები.

რასაკვირველია, არც ეს არის ბევრი, მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ საქართველოში ახლა იწყება გონებრივი სიცოცხლე, ლიტერატურული მოძრაობა. მე მოველაპარაკე **ჩარკვიანის** მაღაზიას და ის თანახმაა, რომ თითო ეგზემპლარი ყველა წიგნისა, რაც კი **თბილისში** ან **ქუთაისში**,

ან სხვაგან სადმე **რუსეთში** დაიბეჭდება, მოგივათ თქვენ; მაგიერად თქვენც გამოუგზავნეთ ამ მაღაზიას თქვენგანით გამოცემული წიგნებისა.

ჭეშმარიტად, თქვენი მოღვაწეობა ყოვლად სამაგალითო და სასარგებლო მოღვაწეობაა და მე მინდა ამ საგანზე ჩვენს გაზეთში მოვილაპარაკოთ. რას არა ფიქრობს: ფიქრობს საქვეყნო, სალიტერატურო და სამწიგნობრო საქმეებზე! ერთიღა გვყავს - **იმერეთის ეპისკოპოსი გაბრიელი** - რომლის ქადაგებანი (დაბეჭდილია) –მართლაც, რომ შესანიშნავნი და ყურადღების ღირსნი; დანარჩენი ჩემნი მართლმადიდებელნი სამღვდელო პირნი, საუბედუროთ, გართულნი არიან **ქვეყნიურ დიდების მოსაპოვებლად და ფულის შეძენისათვის** შრომით და მოღვაწეობით. ადრე, ძველად, ჩვენი მეფეების დროს ასე არ ყოფილა, **მაშინდელი სამღდელოება ყოველ მწიგნობრობის და სალიტერატურო საქმეებში მოწინავე და გზის მაჩვენებელი იყო ხალხისა.**

ძალიან სასიამოვნოა, რომ თქვენს შრომაში მიუღია მონაწილეობა გაზეთის „დროების“ პატივცემულ თანამშრომელს მამა **ივანე გვარამაძეს (ვინმე მესხს),** რომელიც ხშირად გვიგზავნის ხოლმე **ახალციხიდამ** ჩინებულ სტატიებს ისტორიული მასალებისათვის და ეგრეთვე სხვადასხვაგვარ სტატიებს. იმისი ლექსთა კრებული ... წავიკითხე და ზოგიერთები ძლიერ მომეწონა, გაზეთშიც მინდა რამდენიმე გადავბეჭდო.

განსაკუთრებული ყურადღების მიქცევა გვჭირდება ჩვენ ახლა აჭარისა და საზოგადოთ **ბათუმის** მაზრის ახლად **რუსეთთან** შემოერთებულ მაჰმადიან ქართველებზედ.

ესენი, საუბედუროთ, მანდეთ, **ოსმალებისაკენ(ანატოლიაში)** მიდიან, სტოვებენ ჩვენს ქვეყანას. **ეს დიდი უბედურებაა ჩვენთვის და იმათთვისაც. ჩვენი ძალა სიმრავლეში და ერთობაშია, განცალკევება, განფანტვა ჩვენ დაგვღუპავს.** მიაქციოს თქვენმა ძმობამ ამ ხალხს ყურადღება . . . ამ შემთხვევაში მეტს ვერას გწერ...

თქვენი პატივისმცემელი და თანამგრძნობი… **სერგი მესხი.**

ქართული გაზეთი **„დროება”**. 1 ივლისი. 1879 წ.

დაბეჭდილია გაზეთში. ხელნაწერიცა და გაზეთიც შენახულია სავანეში.

მოგილოცავთ ახალ წელს და მომავალს კი საქართველოში.23/XI49 წ.დამასკო (სირია).

ბ) ემიგრანტი ქართველების მიმოწერის ბარათები

სანდრო მენაღარაშვილის წერილი ხ. შავიშვილს

ამხ. **ხ. შავიშვილს!**

ძვირფასო ამხანაგო!

მაქვს პატივი გაუწყოთ, რომ თქვენი 11/VI - ს წერილი ... მოხსენდა თვის 15/VI-ს სხდომაზე, რის შესახებ გამოყოფილი იქნა შემდეგი დადგენილება:

„ 1) ამხ. **შავიშვილის** მიერ წარმოებული საქმე ნიკოლის წინააღმდეგ არის ჩვენი საქმე და ეხება ჩვენი ერის ინტერესებს;

2. დაევალოს წარმომადგენელს ინტერნაციონალში, გაეცნოს ამ საქმეს და შესაფერისი დახმარება გაუწიოს ამხ. შავიშვილს;

ვ. მიეწეროს ამხ. **ახმეტელს**, რათა მან ინახულოს ველსი და გამოარკვიოს, რამდენად შეეფერება სინამდვილეს ნიკოლოზის მიერ **ველსზე** მიწერილი სიტყვები საქართველოს შესახებ.“

აქვე უნდა გაუწყო, რომ ბიუროს ამ საკითხის მე-3 მუხლის შესასრულებლად ნაბიჯი გადადგმულია და ამხ. ახმეტელს მიეცა სათანადო ინსტრუქციები.

ხოლო, რაც შეეხება **ბარბიუსის** წიგნს, მის საპასუხოდ ბიურო ამზადებს მასალებს და ის ამ ცოტა ხანში გამოვა წიგნად ფრანგულ ენაზე. საჭირო მასალები თქვენც გადმოგეგზავნებათ.

აქვე გიდასტურებთ, რომ მივიღეთ „დამოუკიდებელი საქართველოს“ ნომერი, რომელშიაც მოთავსებულია ჩვენი ინფორმაცია აჭარის შესახებ, რაზედაც მხურვალე მადლობას გიძღვნით.

ამხ. სალამით ბიუროს მდივანი ს. მენაღარიშვილი

21 ივნისი, 1929 წ. ქ. პარიზი.

შალვა ბერიშვილის წერილი დათიკოს

ძვირფასო ძმაო **დათიკო!**

გამარჯობა და კარგათ ყოფნა. შენთან კარგი ხანია მინდოდა ლაპარაკი, მაგრამ ეს არ მოხერხდა, რადგანაც ერთმანეთს ვერ ვხვდებით. ალბათ, ასე მიგაჩნიათ თქვენ საჭიროთ და მე, ცხადია, ამის საწინააღმდეგო არაფერი არ მაქვს შექმნილი მდგომარეობის გამო. გთხოვ, ეს წერილი წაიკითხო სიმონიკასთან ერთად და შემდეგ ეს შეინახო სამუდამოთ უკეთ მანამ, სანამ მისი გამოყენება საჭირო იქნება. მე ვიცოდი, რომ შენ სიმონიკამ გითხრა, თუ როგორი არა სასიამოვნო ამბავი დატრიალდა ჩემს გარშემო ამ უკანასკნელ ხანებში და მე დარწმუნებული ვარ, რომ მან შენ ყველაფერი ობიექტურათ გადმოგცა და მას ეხლა მე არ დაუბრუნდები. მხოლოთ ჩემს მოვალეობათ მიმაჩნია, შენ გაცნობო, რომ მთელ ამ ისტორიაში არაფერი არ არის ისეთი რამ გაკეთებული, რომ მე ვინმემ ჩირქი მომცხოს, ანდა ჩემით ვინმეს ჩირქი მოეცხოს და ეს, ცხადია, როცა საქმე გამოირკვევა და ყველაფერი სინათლეზე გამოვა და **მე გაძლევ შენ პატიოსან სიტყვას, იმ დათიკოს და მებრძოლ ქართველს, რომელთანაც მე რამოდენიმეჯერ ვიყავი განსაცდელში...** მე არაფერი ჩამიდენია ისეთი, რითაც მტერს შეეძლოს სარგებლობა და მით ჩირქი მოსცხოს ჩვენს საქმეს და მუშაობას. მაგრამ შეიძლება მოხდეს რაიმე გაუგებრობა, რაც ადვილია ჩვენს პირობებში და ამან დროებით ზიანი მიაყენოს როგორც ჩვენს საქმეს, ისე პირადათ მეც და ეს მითუმეტეს მაშინ, როცა ჩვენ ძალიან ბევრი მტრები გვყავს, ჯერ თვით ბოლშევიკები და შემდეგ ყველა ჯურის ფაშისტები -ჩვენი თუ მეზობლების. და, ამავე დროს, ჩვენ არავინ გვყავს ზურგს უკან დამხმარე და გულშემატკივარი, რომ მორალური დახმარება მაინც გაგვიწიონ, რადგანაც ჩვენები სულ ყველანი დარჩენ პარიზში და მოკლებულნი არიან საშვალებას რაიმე გააკეთონ. თუ რაიმე გაუგებრობა მოხდება, ცხადია ერთ დროს სიმართლე გამოირკვევა და აი, ეს არის მთავარი და სწორეთ ამ იმედით ვცხოვრობ და შევყურებ მომავალს და ამიტომაა, რომ სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი . .

არც ისე ადვილია ჩემი გატეხა! სიმართლისათვის კაცი ყველაფერს აიტანს, მხოლოთ საცოდავი და უბედურია ის, ვისაც ეს სიმართლე არ აქვს და მიუხედავათ ასეთი განსაცდელისა, მე მინდა შენ იცოდე, რომ სულიერად მაგრათ ვარ და სასოწარკვეთილებას არ ვეძლევი. თუ რაიმე მარცხი მომივა, ამას იმათ ჩავთვლი, რომ თითქოს ეს პირისპირ მტერთან შეტაკებაში მომივიდა. რა უყოთ, ჩვენს პირობებში კაცი ყველაფერს უნდა მოელოდე. მე შენ გეფიცები ჩემი განადგურებული ოჯახის და ტრაღიკულათ დაღუპული ბიძის ხსოვნას, რომ არაფერი ცუდი გამიკეთებია და არც არაფერი მარცხი მომსვლია და რომ რაიმე მარცხი მომსვლოდა, იმის ვაჟკაცობაც მაქვს, რომ თავში ტყვია მეკრა იმ დროს მაინც, როცა **საზღვრიდან თქვენთან მოვდიოდი ახმედაღასას და ჩემს ასავალ-დასავალს კაცი ვერ გაიგებდა.** შენ, ალბათ, გითხრა სიმონიკამ ჩემი პროფესორებთან შეხვედრა, რაც ჩავიდინე სრულიათ შეგნებულათ და ჩვენი იქაური ამხანაგების სურვილით და დაგენილებით და რაც საჭიროდ მიმაჩნდა ჩვენი საქმია-ნობიზა. იცი, ალბათ, მათი ემისრების აქ მოსვლა, ვისაც ვხვდებოდი თურქების ნებართვით და რაც საჭიროთ მიმაჩნდა ჩვენი საქმიზა და რაზეც იცოდე, რომ სრულებით არ ვნანობ, რადგანაც ეს არის ჩვენი შინაური საქმე და არ ეხება სრულებით თურქებს. თუ ამას გაიგებენ ,კარგი, თუ არა და რაც უნდათ, ის ქნან, მე მზათ ვარ თავი დავიცო, თუ ცხადია, ამის საშვალება მექნება. თუ არა და სიმართლე თავის დროზე გამოჩნდება და შენ, ჩემს თანამებრძოლს, იცოდე და

გჯეროდეს, რომ ჩირქი არ მოგეცხება ჩემი საქციელით. იცი, ალბათ, რომ მივიღე ჩვენი ცეკასაგან წერილი და დარწმუნებული ვარ, რომ ის მოდის ნამდვილი არალეგალური ცეკადან და მინდა იცოდე კატეგორიულათ, რომ მე მის შინაარსს გარდა, სხვა ფაქტიც ძალიან საინტერესო მარწმუნებს ამაში და თუ ამ წერილში არის ადგილი ფაშისტებთან ბრძოლის შესახებ ე.ი. სწორეთ იმ პოზიციის შესახებ, რაც აქვთ ვითომდა აღებული „ქართულ კულ-ტურულ ძალებს.“ ეს მოხდა იმიტომ, რომ მე თვით დაუბარე მას, რომ ამის შესახებ მათ მოეწერათ, რადგანაც **სერვეთ ბეიმ** გვითხრა **ერზერუმში**, როცა ფრანგები დამარცხდენ, რომ ჩვენ ამის შემდეგ ალბათ ვიმუშავებდით ფაშისტებთან, უკეთ გერმანელებთან. მე კი უპასუხე: რომ ეს ასე არ არის და **ფაშიზმი მე მიმაჩნია ბოლშევიზმის ძმათ** და თუ ეს ასე არ იყო, შეგიძლია კითხო **შალიკოს**.

თავი დავანებოთ ამ წვრილმანებს და გადავიდეთ მთავარზე. როცა მე შალიკომ მითხრა, რომ ჩემზე თურქებს ეჭვები ქონდათ, მე შევეცადე გამეგო, თუ ეს იყო მართალი და გავიგე, რომ ეს ასე იყო. მაგრამ გავიგე კიდევ უფრო სამწუხრო ამბავი, რომ ეს ეჭვები დაებადათ მათ არა თავისთავათ, რაიმე ჩემი საქმიანობიდან ან მტრის განზრახ მოგონებიდან, არამედ ისევ ჩვენი წრიდან. აი, რა არის, ჩემო დათიკო, სამწუხარო და სავალალო! მაგრამ ამაზეც ეხლა ზედმეტათ მიმაჩნია ლაპარაკი და ამაში არავის მე არ ვდებ ბრალს და ამის დრო ეხლა არ არის. და თუ რა ხასიათის იყო ეს ლაპარაკი და ეჭვი ჩვენი აქ დაბრუნების დღიდან, ეს შენც კარგათ იცი და ყველა ჩვენგანმა. ყველაზე სამწუხარო ახლა ის არის, რომ ეს ამბავი მივიდა თურქების ყურამდე და მე ვფიქრობ, რომ ეს ჩაიდინა **შალიკომ** და, როცა, მე მაინც გამაფრთხილა, შემდეგ ეს მან მოიმოქმედა სინდისის ქენჯნის მეოხებით, თორემ სხვა მხრით მე ამის ახსნა არ შემიძლია და მან ისიც დასძინა, რომ ეს ეჭვები იყო მხოლოთ ჩემზე და არა შენზე და **სიმონიკაზე,** რაც სავსებით ადასტურებს იმას, რომ ეს ეჭვები თურქებს დაებადა ისევ ჩვენის წრის წყალობით. როცა მე ეს ამბავი გავიგე, მე ყველაფერი ეს ვაცნობე სიმონიკას და მისივე თხოვნით მე გადავეცი მას ორი წერილობითი საბუთი, როცა ეძებდა ჩემს იქ პროფესორებთან შეხვედრას და აქ კი მათი ემისრების მისიას და მათთან ლაპარაკს. ამასთან ერთად, მე მივსწერე წერილი სიმონიკას 14 ამ თვეს ე.ი. ოთხშაბათს (თუთხმეტის თარიღი), რომელშიც ვთხოვდი, რომ შექმნილი მდგომა-რეობის გამო ის გაძღოლოდა აქ ჩვენს საქმეებს და მას ამის შესახებ უარი არ უთქვამს. მეორე დღეს ხუთშაბათს ე.ი. ამ თვეს, ის მოვიდა ჩემთან და მითხრა, რომ მიმეღო ზომები ფოსტის მიღების შესახებ, თუ კურიერი მოვიდოდა. კურიერიზა ფული იყო საჭირო და ის წავიდა **ემინ ბეისთან** საათის 12 ზე და შემდეგ ის მე არ მინახავს შაბათ საღამომდე. მეორე დღეს, პარასკევს, მე დამიძახა ემინ-ბეიმ ორი საათიზა და მინდოდა თან წამეყვანა სიმონიკაც. მოვედი თქვენთან ბინაზე და მეუბნება სახლის პატრონი, რომ სიმონიკა გუშინ, ე.ი. ხუთშაბათს, 5 საათზე წავიდა **ანგარაშიო**. გეძებე შენ, რომ ამბავი გამეგო და ვერ გნახე და ასე მარტო წავედი ემინ ბეისთან. მან შემხვდა ჩვეულებრივად და მკითხა, თუ რას ნიშნავდა ჩემი მისდამი წერილი, რომელიც მე მას 15 დილას და რომელშიაც ვაცნობებდი, რომ მე გავიგე, თითქოს ჩემზე ეჭვებიც გქონდა თქვენ და ამიტომ ჩვენი საქმეების გაძღოლას ვანდობდი სიმონიკას. მეც ავუხსენი საქმის ვითარება, მან დახია წერილი და მითხრა, რომ მიმეღო ზომები კურიერის მისაღებათ და ფული მზათ არისო. მე კი მოვთხოვე კატეგორიულათ ამ საქმის გამორკვევა, რაც მან შემპირდა; მხოლოთ მითხრა, რომ გადავსცე შალიკოს მისი სახელით, რომ ის ერთ კვირაში აქედან გადაიკარგოს, სადაც უნდოდესო. თანაც მკითხა, თუ როგორ ვიყავით ჩვენ ერთმანეთში. მე უპასუხე, რომ

შალიკოს ვენდობოდი და თქვენთან ორივესთან კი კარგათ ვიყავი. იქედან წამვედი და სიმონიკა ჩემთან მოვიდა მეორე დღეს, საღამოს, მხოლოთ და ჩემს შეკითხვაზე, თუ სად იყო, მიპასუხა, რომ მე ამას თავის დროზე გავიგებდი. მას მე მოუყევი **ემინ ბეისთან** შეხვედრის შესახებ და როცა ლაპარაკი გავათავე, მან მითხრა, რომ ჩვენი საქმე იყო მეტათ სერიოზული და ვინ იცის რომო ... გველოდა და როცა ეს გაარკვიეს, დარეკეს ... შემოვიდა **მემედა კახიძე** და მისი ძმისშვილი. სიმონიკა დაგვემშვიდობა და ჩემს კითხვაზე:- როდის მოვიდოდა. მიპასუხა, რომ ხვალ მოვალო. რადგანაც სალაპარაკო მქონდა მომავალი ჩვენი საქმეების შესახებ და მთელი დღე სახლში ვიცადე, მაგრამ არ მოსულა და მეორე დღეს ის იყო არონის...გნახეთ და ამის შემდეგ არც ის და არც შენ მე არ მინახავხართ. მე არ ვიცი რას აკეთებს ის, ან შენ; და რა აზრი გაქვთ საერთოდ ან ამ ჩემს საქმეზე და ან საერთოდ ჩვენს მდგომარეობაზე. ვფიქრობ ერთს, რომ თქვენ საჭიროთ დაინახეთ ჩემთან ყოველივე კავშირის გაწყვეტის ან თქვენის გადაწყვეტილებიდან და თურქების დავალებით. მე, ცხადია, თუ ეს საჭიროა, ამის წინააღმდეგ რა მექნება და არც ვკითხულობ რამეს. მხოლოთ, ამის შემდეგ მე არც თურქებთან მქონია შეხვედრა და არც სხვა ვისმესთან, რადგანაც ჩემთვის არავის დაუძახნია და არც ჩემთან მოსულან და ვფიქრობ, რაც საჭიროა სიმონიკა აკეთებს და სწორეთ ეს იყო ჩემი სურვილი, რაც მე მისდამი მიწერილ წერილში გამოვხატე და საჭიროა ეს შენ იცოდე და მხედველობაში მიიღო ყოველგვარი გაუგებრობის თავიდან ასაცილებლათ. მხოლოთ მე მივიღე ერთი წერილი **გუგუშვილისაგან ლონდონიდან** და მას გავეცი პასუხი, რადგანაც ის ითხოვდა მხოლოთ ზოგიერთი ხასიათის ინფორმაციას და არა სხვა რამეს.

აი, ასეთია, ჩემო დათიკო, ჩვენი მდგომარეობა, ამ ხანათ სამწუხარო და სავალალო, მაგრამ რა გაეწყობა! ასეთ დროს მაინც მხნეობა და მამაცობაა საჭირო და ვნახოთ რა იქნება. ჩემი გჯეროდეს და გწამდეს, რომ ყველაფერს მამაცურათ ავიტანთ, რაც საფრთხე არ მომელოდეს და სირცხვილს არ გაჭმევთ არც თქვენ და არც ჩემს განადგურებულ ოჯახს და ქვეყანას. როცა სიმართლე მაქვს, მე ეჭვების და ტალახის სროლის არ მეშინია. საჭიროა მხოლოთ თქვენ ორივენი იყოთ მხნეთ და ყოჩაღათ და ყველაფერი გამოსწორდება და, რაც მთავარია, იყავით თანხმობით და არ დაივიწყოთ ჩვენი წარსულის მწარე მაგალითი. ჩემი გულითადი სალამი სიმონიკას და გაკოცებ ძმურათ და მეგობრულათ ორივეს. იცოდეთ, რომ ჩვენს წრეში მოღალატეს კომუნისტები ვერ იშოვნიან.

კეთილი სურვილებით: შენი **შალვა ბერიშვილი.** 29-5-41.

ჰაიდარ ჯაფარიძის წერილები მამა ანტონს

ძვირფასო **ანტონ,**

გისურვებ ცხოვრებაში კარგათ და ჯანმრთელად ყოფნას და გისურვებ დიად პროგრეს პრწყინვალე მომავლისას.

ბატონო ანტონ, თქვენი გამოგზავნილი წერილები და ბროშურები და „ვეფხვისტყაოსანი“ მივიღე და მაშინვე მადლობის წერილი მოგწერე. მხოლოთ, თქვენსგან შემდეგში მოწერილი წერილებიდან სჩანს, რომ ოთხი წერილი გამოგიგზავნე. მიიღეთ თუ არა, არვიცი. ამ წერილს **რიზა**ს ხელით გიგზავნი, ცოტა ნაჩქარევათ იქნა, მატორში ჯდომიხან საჩქაროთ დავწერე. თქვენი გარკვეული ადრესი რიზას უთხარი და იმან მისი წიგნი თათრულათ დასწეროს. იმ ადრესს-წერილს გამომიგზავნი. გამოგზავნილი წიგნისა და ბროშურებისათვის უდიდეს მადლობას გიძღვნი და თუ წაკითხვადს ბროშურებს და საქართველოს ისტორიას გამომიგზავ-ნი, სამაგიერო პატივცემას ვერ გადაგიხდით. მხოლოთ ამ უცხოეთში ჩვენი თავი არ დაგვა-ვიწყდება და ამდენი მადლი შენც გეყოფა.

მე სატყეო სამსახურში ვარ, ქალაქის აბიაშიკათ. ვებრძვით ცხოვრებას და ვართ, სხვა თქვენ როგორ ბრძანდებით, წერილი მომწერე.

ჩვენს ბედ ქვეშ მყოფ ყველა მამულის შვილს, ვინაც კი მაქა არიან, ჩემსგან გულწრფელი სალამის მოხსენებას გთხოვთ. განსაკუთრებით **ვასილს ჩელებაძეს** კოცნით სალამს მოვახსენებ.

ერთ ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. ერთგულათ ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი.

იყავი კარგათ და მიდღემჩი კარგათ. წერილს მოუთმენლად ველი. მშვიდობით იყავი კარგათ.

თქვენი ჰაიდარ ჯაფარიძე.

10-7-954;

ძვირფასო **ანტონ**

გისურვებ ცხოვრებაში კარგათ და ჯანმრთელათ ყოფნას და გისურვებ დიად პროგრეს პრწყინვალე მომავლისას.

ბატონო **ანტონ**, თქვენსგან მივიღე სამი წერილი და ერთი **„ვეფხვისტყაოსანი“** და უკანასკნელათ რამოდენიმე ბროშურა. ამ ხნის განმავლობაში მეც გამოგიგზავნე სამი წერილი, მხოლოთ თქვენს უკანასკნელ წერილიდან, როგორც სჩანს, ჩემი წერილები არ მიგიღიათ, ნამდვილათ თქვენი მისამართი შეცდომით მაქვს დაწერილი. ამ წერილს ეკლესიის მისამართით გწერ. თუკი მიიღო, თათრული წერის მცოდნეს გარკვეული მისამართი დააწერინე და წერილით გამომიგზავნე, უფრო კარგი საქმე იქნება. შეიძლება ფიქრობდა **ჰაიდარას** დავავიწყდი, წერილებზე პასუხი არ გამცაო. ღმერთზე გეფიცები, რომ თქვენს წერილზე პასუხი მოგწერე მხოლოთ. როგორ იქნა და არ მიიღე არ ვიცი.

ბატონო ანტონ, ამაში დარწმუნებული იყავი, რომ სანამდის ჩემს ძარღვებში სისხლი არ გაჩერდება, მანამდის ჩემში თქვენდამი ხსოვნა არ წაიშლება; ამავე ნატვრით ყოველ წუთში მაგონდება ძვირფასი **ვასილი** ოჯახობით და **ნინა**, თქვენ მაშინ კონსტანტინეპოლში არ იყავით; მე მაქა სალდათობა მოვიხადე. მაშინ ვასილმა დიდი პატივი მცა, როგორც შვილს მამა, ისე მიმიღო. მხოლოთ, სამაგიეროთ, ვერავითარი პატივი ვერ ვეცი და ამიტომ მათთან ძალზეთ დარცხვენილი ვარ; გთხოვთ, ჩემს მაგიერათ, გადაეცეთ უღრმესი სალამი ხელებზე კოცნით ვასილსა და მის მეუღლეს, აგრეთვე, ძვირფასი სალამი ნინას და ჩვენს მღვდელს. მის ერთად, ერთ ღამეს, ნალხინევი მაქვს ქართველ ბინაში. შეიძლება გახსენდება. აგრეთვე სალამი **მეხმედას** . . (არ იკითხება) **ხარაძეს**. ერთი სიტყვით, ნაცნობ-უცნობი ყველა მამულიშვილი, ვინც ჩვენებრ ერთ ბედს ქვეშ იმყოფებიან.

სალამი და გამარჯვება ყველა იმ მიზნის მტარებელს, რომლებიც თავიანთი იდიალებით შრომობენ თავისუფლებისათვის და შრომობენ, დაამსხვრიონ კომუნისტური ბორკილები და მის ნიადაგზე გაამრთელონ მშვიდობიანი ძმური კავშირი თავისუფლების მწყურვალე ხალხში! აი, ისეთი მიზნის მტარებელ ყველა მამულიშვილს სალამი **ჰაიდარისგან**.

ერთს ბედს ქვეშა ვართ, ლაბავ, მე და შენ. ერთგულათ ვჭიმოთ ჭაპანი ჩვენი.

ეს სიტყვები ძვირფას მწერალს ჩვენთვის აქვს ნათქვამი. ერთ ბედს ქვეშ მყოფი ჩვენა ვართ, ამიტომ ერთმანეთის დავიწყება თავისი თავის დავიწყებას ნიშნავს.

ძვირფასო, მეტი რა მოგწერო. როგორც იცი, ცხოვრებისათვის ვიბრძვით და ვართ იმდენი, რომ მჭადს ვშოვნილობთ საჭმელათ, ხან ცარიელი, ხან მოსაჭმელით ვშოვნილობთ. ვნახოთ, მომავალი რას გვიჩვენებს.

აქედან ყველა თქვენი ნაცნობები გიძღვნიან სალამს. ბროშურები ყველა წავიკითხე. არ ვიცოდი ბატონ **ნოე ჟორდანიას** გარდაცვალება. ეხლა გავიგე. ვინაწილებ ყველა მამულიშვილებთან ერთად იმ მწუხარებას, რომელსაც განიცდის მთელი ქართველი ხალხი ძვირფასი მოწინამძღვრის დაკარგვით.

უსურვებ დანარჩენებს ცხოვრებაში გაატარონ ის იდეია, რომელიც ჰხონდათ დასახული ძვირფას ნოეს.

ბატონო ანტონ, იყავით კარგათ და ჯანმრთელათ და გისურვებ პრწყინვალე მიზნების განხორციელებას დიადი მომავლისას.

22 .08.1953. მშვიდობით. **ჰაიდარ ჯაფარიძე.**

ხუსეინ ხინიკაძის წერილები სიმონს, მაროს, მიშელს და ავთანდილ ურუშაძეს

სალამი დიდად პატივცემულო ბატონო **სიმონ**!

გისურვებ კარგად ყოფნას და ჯანმრთელობას. ხანგრძლივ და ჩვენს ნატრულ ძვირფას საქართველოში დაბრუნებას.

დიდი ბოდიში, ბატონო სიმონ, იმისათვის, რომ რაც მე სტამბული დავტოვე, წერილი არ მომიწერია შენთვის და არც **ავთანდილისათვის**. ამის მიზეზი მრავალი იყო და ძალიან გულ-დაწყვეტილი წამოვედი. მაგრამ მე ბედმა მარგუნა შენი ჭაღარა ხელით დაწერილი წერილის წაკითხვა. დიდათ მადლობა წერილის მოწერისათვის. თქვენი წერილიდან სჩანს, რომ კარგად ბრძანდებით; დიდათ სასიამოვნოა.

ბატონო სიმონ, იმედია მეც მიკითხავთ მადლობას. ალბათ მიშა გადმოგცემდათ ჩემს ამბავს, რომლის შესახებ მან მოგწერა . ათნახევარი თვე დავყავი საავადმყოფოში. ეს ქიმიური ფაბრიკა, რომელიც აფეთქდა აქ, ვიყავი ცეხის უფროსი. მე ჩემს ცეხში ვაკეთებდი თოფის წამალს. ჩემს ცეხში 7 მუშისგან არც ერთი გადარჩენილა, გარდა ჩემისა. ოთხი მუშის არაფერი ნახულა. მე ღმერთმა გადამარჩინა, მაგრამ ჩემს ჭრილობებს ვინ დათვლიდა. არაფერი დამრჩენია, რომ ჭრილობა არ მქონოდა; ანდა დამწვარი არ ყოფილიყო მთლიანად სახე, გარდა თვალებისა. ყველა ამბობდა, რომ სახე დასახიჩრებული დარჩებოდა, მაგრამ მორჩა. არცდა მოტეხილი რამე მაქვს მაინც და მაინც, არ მატყვია. თუმცა საავადმყოფოდან გამოვედი, მაგრამ ყოველ ორ დღეში ერთხელ მივდივარ ჭრილობის შესახვევად. ეს გასტანს დაახლოებით კიდევ ორ თვეს. ისე არა მიშავს. ნელა-ნელა დავდივარ.

ბატონო სიმონ, როგორც მიშა იწერება, თქვენი შეფი ავად ყოფილა. ალბათ, დაიღალა ბევრი მუშაობით მეორე განყოფილებაში. ანდა ომის ფიქრში ავათ გახდა. რამდენს ტურმანი და ატლე (უნდა იგულისხმებოდეს **ტრუმენი** და **ეტლი)** სიტყვას იტყვის, იმდენი ომი რომ იქნას, ქვეყანაზე კაცი აღარ დარჩებოდა.

ბ-ნო სიმონ, თუ ვინმემ მიკითხოს ეს **გაჭირვებული ქობულეთელი,** მადლობა და სალამი გადაეცი ჩემს მაგივრად. აგრეთვე, გთხოვთ, განსაკუთრებული სალამი გადასცე ბატონ ავთანდილს. მისთვის ვამზადებ ცალკე წერილს, რომელსაც ამ დღებში გამოვგზავნი შენს მისამართზე და იმედია გადასცემ ბ-ნ ავთანდილს. იყავი კარგად, ჯანმრთელად და მხიარულად. გწერთ თქვენთვის კარგის მსურველი თქვენი ხუსეინ. გთხოვთ თუ რაიმე ცნობა არის **ალექსანდრეს**, მომწეროთ. **ხ.ხინიკაძე.**

ჩემი მისამართი: ბაბ-ტურმა; ანტონ გალა; მესბ..კ (არ იკითხება); ჟუვენის ქუჩა 37.დამასკო. სირია.

ბ-ნი **ავთანდილის** წერილსაც შენ წერილთან ერთად ვგზავნი. ხარჯები შევამოკლე ეკონომიური მდგომარეობის გამო. იმედია გადასცემ ბ-ნ ავთანდილს. წერილი კარგა ხანია დაწერილი მქონდა, მაგრამ ვერ გამოვგზავნე დღემდე ეკონომიური პირობების გამო. იყავი კარგად. თქვენი ხუსეინ. 5/ V 50 წ.

Mr. J. Tavil (P.C. Vardidze 119 RUE ABDEL WAHAB-EL INGLISI 119 BEYRUTH LIBAN EXP HUSEIN KHINIKADZE 26/X 56 წ. 7 RUE MESBEK JUVANI 7 BAB-TOMA დამასკი. DAMAS SYRIE

სალამი ქ-ნ მაროს,

თქვენი წერილი მივიღე. დიდი მადლობა! მაგრამ პასუხი დამაგვიანდა. დიდი ბოდიში, სელნაიაში შაბათს ბორის ავალიანმა გამომასწრო; მივედი. ამ წუთში წავიდაო. მერე ვეღარ გნახეთ, ის წამოვიდა ბეირუთში. თქვენთან ერთათ თუ წავიდა ხომსში ავალიანი, არ ვიცი. ერთი სიტყვით, იმ დღის შემდეგ ავალიანი დამასკში აღარ არის. ბებიაშვილმა მითხრა, რომ ბეირუთში ფიქრობდა წასვლასო. თქვენ მწერთ, რომ სელნაიაში დაგრჩენია მოსასხმელი. ქ-ნო მარო, არავინაა წამსვლელი. თუ ვინმე აღმოჩნდა, არ დამამიწყდება, ჩამოვატანიებ. თქვენი და ბ-ნი ლევან მურადიშვილის წერილი ბორის ავალიანს გაუგზავნე ხომსში.

იყავი კარგად და ჯანმრთელად. თქვენი ხუსეინ. მაპატიე რომ ცალკე ვერ გწერ. თქვენი კანვერტი დუკარგე და მისამართი აღარ შემრჩა.

ხუსეინ. 3/11/56- 4/II/56

სალამი **მიშელს,**

გისურვებ ჯანმრთელობას და კარგად ყოფნას, ხანგრძლივ სიცოცხლეს. სხვა, მიშელ, შენგან მხოლოდ ერთი წერილი მივიღე პირველი ჩემი წერილის პასუხად. ამის შემდეგ მე -5 თუ მე-6 წერილი მოგწერე და არც ერთი პასუხია. აგრეთვე ბ-ნ **სიმონს** და **ავთანდილს** თუ **იუსუფ ბეის** და არც ერთიდგან პასუხი არ არის.

მიშელ, აქ ჩემთან მოსული იყო n/tv-ში კაცი და მე ვეკითხე. ამ დროს შინ არ ვიყავი. შემდეგ მოვიდა 7/IV-ში. კიდევ არ ვიყავი. შემდეგ კიდევ 9/IV-ში გადმომცა, რომ აქ ეკლესიის უფროსი მღვდელი გიბარებსო. მივედი მეორე დღეს და გადმომცა 50 ლირა **სირიის. სტამბოლიდან** გამომიგზავნეს 100 თურქულ ლირათ. აქ თურქული 100 ლირა ღირს 70 ლირა სირიის. მაგრამ ვიზგანაა ეს ფული, არ ვიცი-შენგან თუ **ხალვაშიდან**. წერილი მომწერე.

მე თუ მკითხავ, ეხლა ოპერაციის შემდეგ არა მიშავს. უკვე ჭრილობების შეხვევა შეწყდა. ისე სუსტად ვარ. მუშაობა არ შემიძლია, მიტომ რომ ჭრილობები კარგად არ არის მორჩენილი.

იყავი კარგად. გწერს **ხუსეინი (ხინიკაძე).**

შენიშვნა

ეს წერილი გადმომცეს სამშაფათს 25/IV/1950 წელს, საჩვენებლათ სათანადო ადგილზედ. მეც გადავიწერე ესეც და ისიც, თუ ვინიცობაა ოდესმე დამჭირდეს. 26/IV/1950.მ. პეტრე LopusM g. Хб I ; 28.F . . . 1950; Minnai

წერილი მიწერილია **სტამბულში**4.05.50 წ.

სირია, დამასკო

სალამი **ავთანდილს**

გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. თავისუფალ საქართველოში ადრე დაბრუნებას და . . . სიცოცხლეს და კარგად ყოფნას, თქვენს ძვირფას ცოლ-შვილთან ერთად ცხოვრებას და სიცოცხლეს!

სხვა, ჩემო ავთანდილ, მივიღე შენი წერილი. მადლობა წერილის მოწერისათვის. მე თქვენს წერილში მოყვანილ საკითხებზე მინდა თქვენი ყურადღება შევაჩერო. მე რასაც ვწერ, იმას უთუოდ უფიქრდები. **მენაღარიშვილი** რომ მეორე განყოფილების თანამშრომელია და თუ გნებავს აგენტიც, ამას მოწმობა არ სჭირდება. ის 100-250 თუ 500 ღებულობს; ამის რაოდენობას მნიშვნელობა არ აქვს. მხოლოდ მნიშვნელობა აქვს იმას, რომ ის ხელფასს ღებულობს და არის ბურჯი პოლიტიკის.

წერილი, რომელიც მე დავწერე **თურქეთის** რესპუბლიკის პრეზიდენტის სახელზე, მაგრამ ამისი გაგზავნა ვერ მოვასწარი მე. **კურუში აჩვეში** არაფერი დამრჩენია, მაგრამ რაღაც დამრჩა ალბათ; **მენაღარიშვილმა** შესძლო მეორე განყოფილების საშუალებით ხელში ჩაეგდო. ამას არავითარი ფოტოგრაფია არ უნდოდა. მე რასაც ვწერ და ვამბობ, იმას არასოდეს ვარვყოფ, მაგრამ ერთი უნდა ვარვყო გულახდილად -მართალია, დიდი უბედურება გადავიტანე, თერთ-მეტი თვე საავადმყოფოში ვიწევი. გამოვედი; შემდეგ კიდევ დავწევი; ოპერაცია გავიკეთე. შესაძლებელია მეხსიერებამ მიმტყუნა, მაგრამ არა მგონია, ბანდიტი **ავთანდილ ურუშაძე,** ანდა ბანდიტი პარტია– ასეთი ჩემს ნაწერებში არ ინახება. (მაგრამ მე ვიზედაც ვსთქვი „ბანდიტი“, მისამართი შეგშლიათ). რაც შეეხება საჩივრის არ დაჯერებას, ანდა რაიმეს თქმას, ეს, ჩემო ავთანდილ, არ ახალი, ძველია. რა თქმა უნდა, მე ვინ რას დამიჯერებს, პოლიტიკის ბურჯს **მენაღარიშვილს** მეტს დაუჯერებენ.

მე მანდ დავტოვე ჩემი დღიურები და სხვა. ამასაც მენაღარიშვილმა მიაღწია თავისი მეორე განყოფილების საშუალებით, რომ ხელში ჩაეგდოთ. ალბათ, ესეც ფოტოგრაფი გახადა. მაგრამ ვნახოთ, სანამ უზიდავს **მენაღარას** თავისი ძველი კოკა წყალს.

რაც შეეხება იმას, რომ მე ჩემი თავი სასაცილოდ ანდა სამარცხვინოდ გავხადე, ეს არ არის მართალი. ალბათ **პარიზიდან** იმიტომ აღარ იწერებიან პასუხს. ეს მენაღარის გასეირნებით დაამთავრეს პარიზელებმა, მაგრამ ეს რომ ასე იქნებოდა, ჩემო ავთანდილ, ეს მაშვინ ვიცოდი, როდესაც ვწერდი. რაც შეეხება წაყვან-წამოყვანის საკითხს, ეს პირველად შენ მითხარი, მოიგონე კარგად და შემდეგ კი მეც, მაგრამ ჩემს დღიურში, როგორც შენ მიწერე მას, არ უნდა იყოს. იქ ორისავე მხარე განმარტებულია და არა ცალმხრივებ.

ჩემო ავთანდილ, დემოგრატიული აზროვნება კარგია, რა თქმა უნდა- დემოგრატია და დემოგრატიაც (**მენაღარიშვილის** დემოგრატია არავითარ შემთხვევაში არ განსხვავდება ბოლ-შევიკურ და თურქულ დემოგრატიას შორის). **თურქეთის** დემოგრატიის ელფერი დაედება დემოგრატიას მაშვინ, როდესაც **ჯ ე ლ ა ლ ბ ა ი რ ი** ხელმძღვანელი იქნება. დემოგრატიული აზროვნება იმას კი არ ნიშნავს, რომ ჩემი საჩივარის ასლი **მენაღარიშვილს** გამოუგზავნეს და მისი პასუხის ასლი რატომ მე არ გამომიგზავნეს. მენაღარიშვილს გასცა პასუხი და ამით დამთავრდა ყველაფერი (**სეიდ დევდარიანი-თბილისში** იჯდა და პასუხს სცემდა ყველას და

აბათილებდა ყველაფერს; **სანდრო მენაღარიშვილი სტამბოლში** ჟდის, პასუხს სცემს ყველას და აბათილებს ყველა საჩივრებს) ესაა დემოგრატიული აზროვნება?! დემოგრატისათვის მეორე განყოფილების მიშველება არ არის საჭირო. ალბათ, მოიგონებ: ერთხელ მე **კურუჩეჩმეში** გითხარი: **ჩვენ აჭარლები მანამდის ვართ კარგი, სანამდის საჭირო ვართ თქვა**. რაიმე საქმისა იყოს . . . ეხლა აღარა ვარ საჭირო, ამისათვის აღარავინ არაფერს იწერებიან.

რაც შეეხება, ჩემო ავთანდილ პარიზში საჩივრის გაგზავნა ეს იმას არ ნიშნავს, რომ მე რაიმე დავწერე და ამის შემდეგ არავის არაფერი მივმართო! მიუხედავად ამისა, მე შენი წერილის შემდეგ ეხლაც მაქვს მზათ წერილი საზღვარგარეთული ბიუროს სახელზე. საჩივარს და ჩემს აზრს ყოველთვის გავგზავნი. ყურადღებას მიაქცევენ, თუ არა, ეს მე არ მეხება. ალბათ მოვა დრო ყურადღების.

მე ვწერდი **ალექსანდრეს** შესახებ. ვფიქრობ ძაღლმაც და ღორმაც კი იცის ალექსანდრე, სად არის წასული. სადაც ის არის წასული, მეც იქ მივდიოდი იმ შემთხვევაში, თუ თურქები არ ჩაერეოდა წასვლის საქმეში, რადგანაც იმ საშუალებით წასული კაცი ვერ იხეირებს. როდესაც აქ გვითხრეს, რომ წასვლას თურქებმა უნდა უხელმძღვანელოსო, მე წასვლაზე ვარი განვაცხადე; მხოლოდ უცდიდი შეხვედრას მაქედგან ჩამოსულ კაცის; მე ეს აღარ დამცალდა, რადგანაც უბედური შემთხვევა. . . (არ იკითხება). წასვლის შესახებ ჯერ კიდევ ივლისში სწერდა ბატონი **ევგენი პარიზიდან** აქ **სირიაში დიმო ცხონდიას.** ცხონდიამ ეს ყველაფერი ... მე არ უთხარი მგზავრობაში ვინ გამოადგებოდა, შეიძლება შენ არ იცი თქვენი პოლიტიკის ბურჯი მენაღარი იქეთ გიმალავს. . . კითხვა არის: მე მაინტერესებდა იქნებ რაიმე ცნობა არის თქვა.

რაც შეეხება ფულისა. პირველ ყოვლისა ყველას უნდა უძღვნა დიდი მადლობა. მე მართალია, გაჭირვებული ვარ და ვწერდი **მიშას,** თუ საშუალება გაქვს, გამომიგზავნე 100 დან 150 ლირამდე თქვა. მე ამას მიშას ყოველ წერილში უმეორებდი, იმიტომ რომ ეჭვი მეპარებოდა, იქვნებ წერილებს ვერ ღებულობს თქვა. რადგანაც არც ერთი წერილის პასუხი არ მიმიღია მიზგან, მეორე თუ მესამე წერილში მას ვწერდი: თუ საშუალება გაქვს, მხოლოდ შენ თქვა. თუ საშუალება არ ექნებოდა-არაფერი. მაგრამ შეუწუხებია თავი ყველას. ფულის მოკრებვა უკისრია ქალბატონ **ქეთოს**. ალბათ, ქალბატონი ქეთო ორი-სამი დღე დადიოდა ამისათვის, თუ მეტი არა. დიდი მადლობა ქალბატონ ქეთოს. ყველას არ სჯობდა, თუ პატივისცემა გინდოდათ და უფრო სასიამოვნო იქენებოდა და დაუვიწყარიც, ერთი 30 კილოიანი გოჭი გაგეყიდათ და გამოგეგზავნად ამდენ დავი- დარაბს, თუ **სანდრო მენაღარიშვილმა ლანჩხუთიდან** ჩამოიტანა ფული და იყიდა. რამდენი ღორები ყოფილა იმ ფერმაში. რამდენიც ეხლა არის და რამდენი ღორიც იქვნება მომავალში, ერთი გოჭის გაყიდვა არ სჯობდა, ვინემ **სტამბოლში** სიარულს და ხუთ-ხუთი ლირას კრეფას; ესენი დასაფასებელია. დიდი მადლობა ყველას! გამოგზავნილი ფულის მიღების შესახებ წერილი გამოგზავნე ბ-ნ **სიმონის** სახელზე **მიშასათვის.**

სხვა ჩემო ავთანდილ, შენ იწერები-არა ვარ კარგადო, თანაც ცალი ხელი ნახევრადაც გამიჩერდაო. ეს ძალიან სამწუხაროა. მაგრამ უნდა გითხრა, არ გეწყინოს: შენ თავის მოვლა სულ არ იცი, შენ შენს თავს ყურადღებას სრულებით არ აქცევ! ეს არ ვარგა, თავს უნდა მოუარო შეძლებისდა მიხედვით, ავთანდილ!

ბ-ნო ავთანდილ, ამით ვამთავრებ წერილს. პირველ ყოვლისა, დიდი მადლობა უნდა გიძღვნა შენ პირადი, ამ წერილის მოწერისათვის. თუმცა საქმეში ამ წერილის გამოგზავნის

ასლან ხალვაში გამხდარა. გეტყობა, ისე გულ მოსული ხარ ჩემზე, წერილს ადვილად არ მომწერდი, მაგრამ დიდი მადლობა ამ ცნობების მოწერისათვის.

მე თუ მიკითხე, მადლობ . . . ვარ ისე რა. ჭრილობებს . . .შეხვევა შეწყდა, მაგრამ ციებამ მომკიდა ხელი ეხლა. ჯერაც კიდევ ჩემი მუშაობის არაფერია, რადგანაც ჭრილობები მტკივა კიდევ.

ავთანდილ, შენ ძალიან მოგიხდება **რუსეთის** ლემსი, რომელიც გამოგონებულია პროფე-სორ **მოგოლოვის**: და ამ ლემს სახელიც ეწოდება მოგომოლოვი. აქ **ბეირუთში** ჩამოიტანეს. ბევრებმა გაიკეთეს და ძალიან მოუხდათ. მით უმეტეს . . . ხნიერებს, ისეთ პირებს, თითქმის ვერც კი დადიოდენ. აქ ეგ ლემსი ძალიან ძვირი არის- ერთი ლემსი ღირს 250 ლირა სირიის, მხოლოდ თურქული ლირით აქ ღირს 320 ლირა. ეს ლემსი შენთვის ძალიანი იქნება. თუ არის **სტამბოლში**, არ ვიცი. ერთი ლემსი გეყოფა.

სალამი გადაეცი ბ-ნ **სიმონს, ნინას** და სხვებს. **მიშას** წერილი აღარ მოუწერია 1949 წლის ოქტომბრის შემდეგ. სად არის, ავად ხომ არ არის? სულ მომწერა ერთი წერილი. იმ წერილში ბ-ნი **სიმონის** წერილიც იყო- ისა და ის.

იყავი მხნედ, ჯანმრთელად და კარგად.

გწერს. ხუსეინ მემედის ძე ხინიკაძე.

სალამი დიდათ პატივცემულ და დაუვიწყარ ბ-ნ **ავთანდილს.**

გისურვებ ჯანმრთელობას, კარგად ყოფნას და ხანგრძლივ სიცოცხლეს. უახლოეს დროს ჩვენს აყვავებულ საქართველოში დაბრუნებას; იქ ხანგრძლივ სიცოცხლეს და კარგად ყოფნას.

ბ-ნო **ავთანდილ**, პირველ ყოვლისა დიდი ბოდიში, რომ წერილი ვერ მოგწერე დღემდე; ყოველგვარი პოლიტიკური დავისა და უკმაყოფილების მიუხედავად, მე ვალდებული ვიყავი, რომ შენთვის ერთი წერილი მომეწერა. მე ეს გასულ წელს გადავწყვიტე და შენთვის დავამზადე წერილი. მაშინ **მიშას** ვწერდი, ბ-ნ **ავთანდილს** სალამი გადაეცი და მისთვის ცალკე წერილს ვამზადებ თქვა, მაგრამ არ დამცალდა ჩემი უბედური შემთხვევის გამო, რომ წერილი გამომეგზავნა. მე მიტომ ვსთლიდი თავს ვალდებულად, რომ რამდენიმე წელი ერთად ვცხოვრობდით, ავად თუ კარგად. მეორეც, რაც არ უნდა იყოს, ჩემზედ უფროსი ბრძანდებით და მესამეც, როდესაც ერთ ადგილს სტოვებს ვინმე და მიდის სხვა ადგილზე, ისა ვალდებულია, რომ წერილი მოიწეროს. ამიტომ მეც ვალდებული ვიყავი, ჩემო ავთანდილ, ერთი წერილი მაინც მომეწერა.

ბ-ნო ავთანდილ, ჩვენი უკმაყოფილება დაიბადა პოლიტიკურ მუშაობის ნიადაგზე. ამ მუშაობამ გამოიწვია მთელი რიგი უკმაყოფილება. როგორც თქვენ ჩემს მიმართ, ისე მე თქვენს მიმართ. **მენაღარი** და თქვენც ჩემს სიმართლეში დაუჯერებელი ხართ. გაივლის მთელი რიგი მომენტები, მოვა დრო და ყველა დარწმუნდებით, ვინ არის და ვინ არა მართალი. იმ საშვალებით დიაგნოზი, როგორც მაგინი . . ჩადიან. ასში ერთიც ვერ მოვა იქიდან! ყოვლად შეუძლებელია მაგ ხაზზე მაგინთან მუშაობა, როგორც მაგინი ჩადიან. მაგათ დრო უნდა წავიდეს და აღარ მოვიდეს! აბა, როდესაც მაგინმა ეგ საქმეს ხელი მოკიდეს, იმის შემდეგ, ვინ ნახე იქიდან დაბრუნებული?- არავინ და ვერც ნახავთ!

მე, ჩემო ავთანდილ, ასეთი ჭკვით არ ვმუშაობ და ვერც ვიმუშავებ და არა ვის ყურ მოჭ-რილი მონად და მაჩანჩალად არ გავხდები, თვალებს ვერ ავიხვევ და ვერ დავბრმავდები. მე რასაც ვწერ, იმისი პ/მგებელი ვარ. ალბათ გაივლის დრო და იმ ჩემს წერილებს, რომელიც ალბათ ინახება და ფანტაზიათ მიგაჩნიათ, სინამდვილეთ შეიქმნება. მე ხომ დათიკო არა ვარ, რომ დღეს ასე ვსთქვა და ხვალ ისე, ერთი საკითხი ათას ნაირად ვსთქვა– ხან ისე და ხან ასე!

ბ-ნო ავთანდილ, მე პირადათ ბევრი კარგი მიქენი და ბევრიც ცუდი. ეს ყოველივე ერთმანეთს შევადარე. კარგი უფრო მეტი აღმოჩნდა, ვინემ ცუდი და ჩემი მხრივ ხაზი გაუსვი ყოველივეს. შენ რომ ბოროტი კაცი იყო, მაშვინ სხვაა ამ ხრივ ბრალს ვერვინ დაგდებს. ეს პირველი და უკანასკნელი არის, რომ გწერ უთანხმოების შესახებ. პოლიტიკური დავა, ჩემო ავთანდილ, სხვა არის. ჩვენ, გადმოხვეწილი უცხოეთში და აქაც ერთმანეთი ვჭამოთ, ესეც სირცხვილი არის. თუმცა უკმაყოფილება და ჩხუბი მამა- შვილობაშია და ძმათა შორის. რაც მოხვდა, მოხვდა, ჩემო ავთანდილ, ყოველივე ამას თავი უნდა დავანებოთ, ეს ყოველივე წარსულს ეკუთვნის.

მე პირადათ დიდი ნაწყენი წამოვედი მაქედან, მეტი რომ არ შეიძლება. მე ღმერთს ვსთხოვდი და კიდევ ვსთხოვ, რომ ისე ნუ მომკლავ, რომ **მენაღარს** არ შემახვედრო თქო. ამ ნატვრას მისრულებს და ვნახოთ მომავალი. ყველაზე დიდი საწყენი ის იყო და დარჩა ჩემთვის, რომ არ მივდიოდი და **მენაღარმა** ძალად გამგზავნა თემურთან, რომელიც საჭიროებას არ წარმოადგენდა. მე აქედან პარიზში გავგზავნე მთავრობის და საქ. ს.დ.მ.პ. საზღვარგარეთულ ბიუროს სახელზე წერილი, რომლის შესახებ მე ვწერდი ერ . . ბროშურები, მომენტი და სხვა,

მენაღარს გაუგზავნეთ თქვა. გასული წლის შემდეგ მე პარიზიდან არაფერი მიმიღია, რადგანაც მე საავადმყოფოში ვიყავი. ამის გამო მიმოწერა შეწყდა. ეხლა გავგზავნე წერილი. ჯერ კიდევ პასუხი არ მიმიღია. ალბათ, მომწერენ წერილს.

სხვა ბ-ნო ავთანდილ. **ალექსანდრეს** თუ რამე არის ცნობა, რაიმე გზით. რა ვქნა, როგორ დაიკარგა. მომწერე აუცილებლად. პოლიტიკის ბურჯი თქვენი შეფი ავათ ყოფილა. როგორც **მიშა** მწერს, **მ ა ნ დ რ ა შ ი** თავი დაგინებებია. ეს ძალიან კარგი გიქვნია. დაისვენე და თავს მოუარე. შენ თავს შენვე უნდა მოხედო. ავთანდილ, აქ დედა, მამა, ცოლ-შვილი, დაი, ძმა, ნათესავი და მეზობელი არა გვყავს! თავს უნდა მოუარო! შენ ძალიან ყურ მიგდებული კაცი ხარ შენი თავიზა და არ ვარგა, ჩემო **ავთანდილ**.

ბ-ნო ავთანდილ, იმედია მეც მიკითხავ. მადლობთ. ვცხოვრობ გაჭირვებულად, დავდივარ ნელა-ნელა. ჩემი წამლობა კიდევ ორ თვეზე მეტს გასტანს. 1948 წლის 8 დეკემბრიდან 1949 წლის 16 ოქტომბრამდე აქ, საავადმყოფოში ვიწექი. აქ სამხედროში კანონი ასეთია: სამი თვის ხელფას მოგცემენ, მეტი არაფერი. მე, როგორც უცხოელი, ოთხი თვის ხელფასი მომცეს-მეტი არაფერი. ისიც იქ, საავადმყოფოში დამეხარჯა. სამუშაოს შოვნა აქ ძალიან ძნელია. ეხლა რომც იყოს სამუშავო, მე სამ თვეს კიდევ ვერ ვიმუშავებ. ღმერთმა გადამარჩინა. ვინც იმ ადგილს ნახავს, გაგიჟებას არის, აქ კაცი როგორ გადარჩაო. მაგრამ ღმერთის წყალობამ გადამარჩინა. ისეთი ნაწილი არ დამრჩა, რომ ჭრილობა არ ყოფილიყო. სახე - მხოლოდ თვალები მქონდა გადარჩენილი. ყველა ამბობდა, რომ სახე დასახიჩრებული დამრჩებოდა. მადლობა ღმერთს, არ მაჩნია, არც და მოტეხილი არაფერი მაქვს. მაგრამ ბ-ნო ავთანდილ, რაც მე აი, ნახევარი თვის განმავლობაში გაჭირვება, განვიცადე, ეს არ აიწერება და ითქმება. ორი თვე ისე ვიყავი საავადმყოფოში, როგორც სომეხი. მე კი არაფერი ვიცოდი. ორი თვის შემდეგ აქ მოსამსახურე ერთმა თურქის ქალიშვილმა, ექიმია, სადაც მე ვიწექი, იმის შეფია, ამ ექიმ ქალიშვილს, ჩემი დის სახელი სთქვია, სხვა აქ ექიმები ქალიშვილები პრაქტიკანტებიც არიან- არაბები. მე კი არაბული არ ვიცი. ერთ დღეს ჩემთან აქ მომუშავე ქალიშვილები მოვიდენ და მკითხეს, ჩვენი სახელები თუ იციო, რა გთქვიავო. მე ყველას უთხარი მათი სახელები. მერე იმ ექიმ თურქის ქალიშვილმა მკითხა, ჩემი სახელი თუ იციო. მე უთხარი კი ვიცი, რადგანაც ჩემს დასაც შენი სახელი სთქვია. გაუკვირდა, ეს როგორო, შენ ხომ სომეხი ხარ და ასეთი სახელი როგორ შეიძლებაო, ეს ხომ თურქულად ვლაპარაკობდი და აუხსენი, რომ მე ვარ არა სომეხი, ან თურქი, ანდა გერმანელი, მე ვარ **კავკასიელი ბათომიდან** და ქართველი მუსულმანი თქვა. ეხლა გაიგე, როგორ ვიქნებოდი მანამდე. ისე დიდი დახმარება აღმომიჩინეს საავადმყოფოში- წამლებით და მოვლით. იყავი კარგად და ჯანმრთელად. ერთი წერილი მომწერე და **ალექსანდრეს** ამბავიც.

ბ-ნო ავთანდილ, მე წერილს ხშირად ვერ მოგწერთ ეკონომიური საშვალება არა მაქვს, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ თქვენც არ მომწეროთ წერილი.

მე ღარიბად ვცხოვრობ. საშვალება არა მაქვს. ბრალს ნუ დამდებ. ცალკე რომ ვერ გწერ, არ მაქვს საშვალება. ქუფ ბეის წერილი 1948

ჩემი მისამართი: **დამასკო(სირია).** ანტონ გალა. მესმედ ჟუვენი. ბაბ-ტურმა

ხ.ხინიკაძე. გწერს თქვენი **ხუსეინი.**

ბეირუთი, ლიბანი

სალამი ბ-ნ პატ. **შალვას,**

დღეს მივიღე თქვენი 3/I ლის წერილი. დიდი მადლობა წერილისათვის. გაზეთი **„ქართ-ველი ერი“** მივიღე. ბ-ნ ექიმ **გივი კობახიძეს** 26/XII/ 56 წ. გაუგზავნე სამი წერილი. პირველი წერილით მოულოცე გაზეთის გამოცემა, მეორეთი კი **დიმო ცხონდიას** შესახებ: ასეთი სამარცხვინო წერილი არ უნდა გამოგეშვა გაზეთში! **დიმოს** წერილი რომ წაიკითხე, ვერ გაიგე, რომ **დიმო** ექიმი რომ არ არის და თანაც სულელი რომ არის. მესამე წერილი კი **გოგი მხეიძის** შესახებ, თუ როგორ მოხდა მარცხი, ოპერაცია და მისი დასაფლავება და ვსთხოვდი **ექიმ გივის** მომავალ ნომერში დაებეჭდა **მხეიძის** შესახებ ჩემი წერილი.

ვალენტინის შესახებ. **დიმომ** მანდ ამ 10 დღის წინეთ შეხვდა ქ-ნ **ლუბას მხეიძის** ოჯახობას და **ლამარას მიხეილ გაწერელიაზე** გადასაცემი, რომ მიხეილმა უთხრას **ხუსეინს** და **ვალენტინს** რომ მე თავი დამანებონ, თორემ ისეთ საქმეს უზამ, რომ ბოლოს ვანანებო. მეც შეუთვალე:– აგენტობის და შპიონობის მეტი არაფერი შენი ხელობა არ არის და რაც გამოგივდეს ხელიდან, ის ქენი თქვა.

მაროს საქმე კი მიკვირს, და გასაკვირალიცაა. ქართველმა ქალმა როგორ უნდა დაკარგოს თავმოყვარეობა თავისი. **დიმოს** ცოლმა **ამანში** სახლში არ მიიღო. სახლის კარს არ გაუღებ მაგ გადათრეულ დედაკაცსო; სახლში არ შეუშვა. **დიმომ** ოტელში მიატოვა. **საიდ ფაშასთან** გალანძღა ბოლშევიკების შპიონი და სხვა, როგორც ამას თვითონ მარო ამბობს. აქ **დამასკში** ჩამოვიდა და მაროს ლანძღვის მეტი არაფერი არ უქნია. რა არის მისი საჩუქრები, 5 ლირა არ ღირსო, უნდა გაუგზავნოვო. მის ქალიშვილს უთხრა: –მარო რომ აქ მოვა, მერე მე აქ არ მოვალო. რა უნდა, რომ უძრება ტრაქში იმ გადათრეულ დედაკაცს, ანდა **დიმო ცხონდიას?**

ბ-ნ **შალვა**, ჩემი წერილი დამიმზადე ცოტა ადრე, მაგრამ ნუ გამოგზავნი. ამ დღეებში იქნებ ჩამოვიდე, ცოტა საქმე მაქვს. თუ ვერ ჩამოვედი, მოგწერ და მერე გამომიგზავნე.

იყავი კარგად. სალამი როგორც **მაროს**, ისე ბ-ნ **ლევანს**.

თქვენი **ხ.მ. ხინიკაძე.** (ქობულეთელი).7/I/ 57 წ. **დამასკი**.

სალამი ბ-ნ პატ. **შალვას**!

ბ-ნო, პატრი **შალვა**, ერთი სათხოვარი საქმე მაქვს. რეკომენდაცია უნდა გამიკეთო ექიმ **სიუფისთან**; უნდა მომცეს მოწმობა, რომ მე არ შემიძლია ფიზიკური მუშაობა. აგრეთვე, ცალკე უნდა მომცეს მეორე მოწმობა, რომ მე მჭირდება აქიმობა, ნემსები, წამლები და ელექტრო სხივების გაკეთება. ამ ორი სხვადასხვა მოწმობით იქნებ მივიღო დახმარება საექიმოთ და ამ ფულს გამოვიყენებ ბინის ქირის გადასახადათ. ბინის ქირა 175 ლირა მაქვს გადასახადი. ერთი სიტყვით, კრიტიკულ მდგომარეობაში ვარ. **ჟენევიდან** ჯერ არაფერი ამბავი არ არის ჩემს განცხადებაზე. სამი დღის წინეთ ექიმი ვნახე, ჩემს მეზობლათ ავადმყოფთან მოვიდა. შენს მაგიერ, შენი სახელით სალამი უთხარი. ძალიან გაუხარდა და მითხრა, რომ წამლები გაუგზავნეო.

ბ-ნო პატ. **შალვა**. ამ წერილის მიღებისთანავე უნდა გამომიგზავნო წერილი ექიმზე, რომ მომცეს მოწმობა ორნაირი. ერთი, რომ ფიზიკური მუშაობა არ შემიძლია, მეორე, რომ მჭირდება წამლობა და ელექტრო სხივების გაკეთება. შენს წერილს გადავცემ და ავართმევ მოწმობებს.

წერილი არ დამიგვიანო. ახალი არაფერი არ ვიცი. იყავი კარგად და ჯანმრთელად. სალამი გადაეცი **გრიშას. გრიშას** გვარი დამავიწყდა. მომწერე გვარი. აქ ჩამოვიდა **ვრანგელი** და მას ყველაფერს აუხსნი.

თქვენი **ხ.მ. ხინიკაძე.** ქობულეთელი. 15/5/1956. **დამასკი. სირია.**

ხუსეინ ხინიკაძის წერილები მამა შალვა ვარდიძეს

ბეირუთი,ლიბანი

სალამი ბ-ნ პატ. შალვას,

თქვენი წერილი მივიღე. **იბნი სოუდის ფეფესაც** გაუგზავნე წერილი დაზღვეულად, რომ იქ სასახლეში ჩააბარებს ფოსტა. მე აქ მივიღებ წერილის ჩაბარებას ხელმოწერილს, როგორც თქვენ მწერდით.

ბ-ნ **ტავილს** მადლობა თავის შეწუხებისათვის. სხვა აქეთ არაფერი ახალი არ არის. **ვალენტინი** და მე უმუშევარი ვართ, მაგრამ **ვალიკოს** მდგომარეობა გაცილებით უკეთესია, ვინემ ჩემი. მას აქვს ცოტა საშუალება; მაგრამ ჩემი მდგომარეობა ძალზე ცუდია.

ომის შესახებ რათქმა უნდა დიდი მზადება არის ორივე მხარეზე. **რუსეთმა ატლანტიკის** პაქტის ჯარების საწინააღმდეგოდ მოამზადა 50 დივიზიაზე მეტი. რათქმა უნდა ამაში შედის თავისი ბლოკის ჯარები, რომლის ხელმძღვანელად დაინიშნა **პოლონეთის** სამხედრო მინისტ-რი **როკოსოვსკი** აღმოსავლეთ **გერმანიაში**. როგორც წერენ, რუსებმა მოახდინეს მობილიზაცია; 17 წლიდან 40 ... წლამდე გაიწვიეს ჯარში.

იქნება, როგორც მიმოხილვიდან სჩანს, მაგრამ **ფორმოზის** მდგომარეობა მწვავეა. **ჩინეთის** მთავრობის თავ-რეს, **ჩუ - ლა ის** ბარე სამი განცხადება აქვს **ფორმოზის** შესახებ და არ ვიცი ამ მის განცხადებებს ასე უყურადღებოთ დასტოვებს მომავალ წელს. ა.ი. ნაახალწლევს **სტამ-ბოლში** იხსნება დიდი რადიო სადგური, როგორიცაა **ამერიკაში, მიუნხენში** რადიო გადაცემა, საპროპაგანდო **რუსეთის** ხალხისათვის. ალბათ, **სანდრო მენაღარიშვილი** მოკალათდება ამ რადიო სადგურში. ასეა მოკლედ მდგომარეობა. **ინგლის-ამერიკა**, ყოველგვარ მოლაპარაკებაზე ვარს ეუბნებიან **რუსეთს**. **ჩერჩილი** აცხადებს: არავითარი სურვილი არ მაქვს და არც მინდა **მალენკოვს** შევხვდევო. **აიზენხოვერმა** განაცხადა: რუსეთთან ლაპარაკის დრო არ არის მოსუ-ლიო. მოკლედ, რუსეთი აიგდეს ბანზე! ვნახოთ რა იქნება. იქნებ ბედმა გვიწყალოს განგების ძალითა.

იყავი კარგად და ჯანმრთელად. თქვენი. თანამემ. **ხ.მ. ხინიკაძე.** ქობულეთელი.

ბ-ნო პატ. **შალვა**, ხალხური თქმულებები აღარ მახსოვს, ვეღარ ვიხსენებ.

ქალი იყო წმინდა ნინა, რომ კერპობა დარღვია.

ქრისტეს მცნება დაგვიდგინა (დაადგინა) და ხელთ იპყრო ივერია.

ეს მახსოვს წმინდა ნინაზე მხოლოდ.ხ.მ. ხ...20/XII54

ბეირუთი, ლიბანი

1956 წელი, 19 აპრილი. პატ. **შალვას!**

ბ-ნო პატ. შალვა, ჩემ მდგომარეობას ქე გაიგებ ამ განცხადების შემდეგ. ამ ოჯახდაქცეულმა არაბმა მარტის თვის ფული შემიჭამა და თანაც შემიწყვიტა დახმარება. ამ არაბთან- **სამი ხურ-თან,** ამ საქმის გამო წავიჩხუბეთ.

ბ-ნო **შალვა**, ეს განცხადება სიტყვა-სიტყვით უნდა გადამითარგმო ფრანგულად. არაფერი არ უნდა მოაკლო, როგორიცაა ქართულად, ისე უნდა მითარგმო ფრანგულად, რაც შეიძლება ადრე და უნდა გამომიგზავნო, რომ გავაგზავნო თავის დროზე, თორემ ჩემი საქმე ძალზე ცუ-დათ არის.

დიდი ბოდიში, რომ ყოველთვის გაწუხებ. ახალი არაფერი არ ვიცი. არაფერი სამუშაო არ მაქვს. იყავი კარგად. ჩვენს თანამემამულეს სალამი. თქვენი ხ.მ. ხინიკაძე. გიგზავნი მისამართს, რომელიც უნდა დაწერო სათაურში, როგორცაა საჭირო. ხ.ხ.19/IV/56, დამასკი, სირია.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

ლეიტენანტი ხუსეინ ხინიკაძე

ამით მოგახსენებ, რომ მე ვარ ქართველი საქართველოდან, ქ. ბათუმიდან. ვარ 1942 წ. ომის ტყვე. ამჟამად ვიმყოფები სირიაში, ქ. დამასკოში. ორი წელია ვარ უმუშევარი.თქვენ რწმუნებულ ორგანიზაციიდან ყოველთვიურად ვღებულობდი დახმარებას 1954 წლის 1-ლ ივნისიდან 30 ლირას სირიის ფულს, თვეში. მხოლოდ 1955 წლის 1-ლ აპრილიდან, 40 ლირას თვეში. ფულს ვღებულობდი ყოველი თვის გათავებისას. მაგალითად, 1955 წლის ნოემბრის ფული მივიღე 2 დეკემბერს. მხოლოდ დეკემბრის თვის ფული მივიღე 1956 წლის 2 იანვარს და იანვრის თვის მივიღე 2 თებერვალს. თებერვლის თვის ფული კი მივიღე 5 მარტს. ფულის გაცემა ბიუროდან სწარმოებდა ყოველთვის საღამოს 4 სათიდან. მარტის თვის ფული გასცეს 29 მარტს, ქრისტეს აღდგომის წინ. მე ამ დღეს არ ვყოფილვარ და ფული არ მიმიღია. პირველი აპრილი კვირა იყო ქრისტეს აღდგომის დღე. მე კი ბიუროში ფულის მისაღებათ გამოვცხადი ჩვეულებრივად 2 აპრილს, ორშაბათს, საღამოს 4 სათზე და ბიურო დაკეტილი იყო. 3 აპრილს დილის 10 სათზე მივედი ბიუროში. ფულის გამცემი სამსახური არ იყო, **ამანშია** წასულიო. ვიკითხე:- ფული არ მიმიღია და ხომ არ დაუტოვებია?- არაო, 6 აპრილს მივედი და არ იყო ჩამოსული. მითხრეს, ორშაბათს იქნებაო. 9 აპრილს მივედი და მოვსთხოვე **სამი ხურის** მარტის თვის ფული. **სამი ხური** მეუბნება:- შენ მარტის თვის ფული მიღებული გაქვსო. მე, რა თქმა უნდა, ვარი განვაცხადე:- არავითარი ფული არ მიმიღია. იღებს ქვითარს და მეუბნება:– აი, შენი ხელის მოწერა. ქვითარზე არის დასმული რიცხვი 5/III 56 წ. ამ რიცხვს მივიღე მე მხოლოდ თებერვლის თვის და არა მარტის თვის. ადამიანი, რომელიც არ მინახავს 5 მარტიდან 9 აპრილამდე, ყოვლად უსვინდისოთ მიცხადებს, რომ შენ მარტის თვის ფული მიიღეო და თანაც მიცხადებს, შენ აქიდან ფულს აღარ მიღებ, შეწყვეტილი გაქვსო, სადაც გინდა, იქ წადიო. **სამი ხურმა** ბოროტობით მიითვისა ჩემი მარტის თვის- ფული 40 ლირა.

პატივცემულო გენერალურო სეგრეტარო, თქვენი ორგანიზაცია არის მსოფლიოში ყველა ჩაგრულ-გაჭირვებულთა დამხმარე მასაზრდოვებელი, რომ ადამიანს შეუნარჩუნოს სიცოცხლე, რომელიც არის წმინდა და სუფთა ორგანიზაცია და ამ ორგანიზაციას ევლინება ხელმძღვანელად ხთიური ადამიანები, რომლებიც ზრუნავენ და ეხმარებიან განურჩევლად ეროვნებისა, განურჩევლად ნაციონალობისა. და ასეთ წმინდა ორგანიზაციაში არ უნდა ქონდეს ადგილი და არ უნდა იყოს შემოპარული ისეთი ადამიანი, როგორიცაა **სამი ხური.** გამოდის, რომ მელა მექათმეთ დააყენო და მგელი მწყემსათ.

ამ საქმეს რატომ უნდა განაგებდეს პალესტინელი არაბი, იმ დროს, როდესაც აქ არიან ალბანელები, იუგოსლავიელები, რომლებმაც იციან ფრანგული, ინგლისური, რუსული და სხვა ენები და შეუძლიათ პირნათლად შეასრულონ მოვალეობა. ჩვენ აქ ვართ ისეთები, რომლებმაც არ ვიცით რუსულის გარდა სხვა ენა და ყოველთვის ვიჩაგრებით ენის უცოდინარობის გამო.

გთხოვთ, ზემოთ აღნიშნული საქმის გამორკვევას. განსაკუთრებით გთხოვთ, პატივცემულო სეგრეტარო, რათა არ შემიწყვიტოთ ერთადერთი სარჩო-თქვენი დახმარება. სრულიად დარწმუნებული ვარ, გულმოწყალოდ, რომ ჩემს თხოვნას შეიწყნარებთ და გამიგრძელებთ დახმარებას.

პატივცემულო სეგრეტარო, 10 თვის ოთახის ფული არ გადამიხდია. დღეს თუ ხვალ ოთახის პატრონი გარეთ გამომაგდებს უფულობის გამო.

გთხოვთ თქვენს ყურადღებას.

სალამი ბ-ნ პატ. **შალვა**!

თქვენი წერილი (20-5-57) კარგი ხანია მივიღე, მაგრამ პასუხი დაგიგვიანე. უცდიდი **ქეთოდან** პასუხს და ჯერაც არ მიმიღია. თქვენ სწორი ხართ, წერილი უნდა გამეგზავნა ფრანგულად; ან ქალს ეცოდინება, ანდა ქმარს, ფრანგული. შეიძლება ქალმა არც კი იცის ქართული წერა-კითხვა. არ შეიძლება მდიდარ ინდოელმა, რომ არ იცოდეს ფრანგული. **ქეთოდან** თუ მივიღე განსხვავებული მისამართი **ინდოეთის**, გამოგიგზავნი. ყოველ შემთხვევაში წერილი მისწერე ფრანგულად. ან კაცს, ანდა ქალს ეცოდინებათ ფრანგული ენა. თქვენი ავადმყოფობა არა სასიამოვნოა, მაგრამ ეს ყველა გამოწვეული არის ჩვენი არა სასიამოვნო მდგომარეობით. ალბათ, ეხლა კარგად იქნებით. მე აქ ახალი არაფერი არ ვიცი, რადგანაც სირიაში არაფერი შემოდის უცხო ჟურნალ-გაზეთები. ამ მხრივ თქვენ უფრო გეცოდინებათ, რა ხდება მსოფლიოში, ვინემ მე აქ.

სხვა რა მოგწერო, ჩემი მდგომარეობა ქე მოგეხსნება. სალამი და კარგად ყოფნა ბ-ნ **ლევანს**. ასევე **ვალენტინს** და **გრიშას**. იყავი კარგად და ჯანმრთელად. გისურვებ ხანგრძლივ სიცოცხლეს.

P.S. წერილი გადავეცი **აპალონს** მისამართების გაგებისათვის. დავავალე ერთ ნაცნობს, მაგრამ ჯერ არ მიუღია.

თქვენი **ხ.მ. ხინიკაძე.** ქობულეთელი. 11/VI 57. დამასკი

Mr.J.TAVIL.(S.VARDIDZE) **BEYRUTH**.119.RUE.ABDEL.WAHAB-EL.INGLISI.119 **LIBAN.**

სალამი ბ-ნ პატ. **შალვას,**

კარგი ხანია წერილი არ მომიწერია და არც ვიცი, როგორ ხართ. მაგრამ, იმედია, რომ კარგად იქვნებით. წერილის დაგვიანებას საპატიო მიზეზები აქვს.

დიმო ცოღოშვილი გადმოიბარგა **ბეირუთში**; შენს მეზობლად ცხოვრობს. მე პირადათ **დიმომ** დიდი პატივი მცა. მაქ **ტოლსტოის ორგანიზაციის ხელმძღვანელი** რომ არის **ვრანგელი**, ჩვენ რომ ვიყავით და ქალი დაგვხდა; დიმომ ჩემს შესახებ ვრანგელის მისცა შემდეგი ცნობა დაწერილი ჩემი თურქეთში ყოფნის დროს. **რუსეთმა** გამოგზავნა **ალექსანდრე კანკავა,** როგორც შპიონი. **თურქეთის** მთავრობამ იცოდა, რომ **კანკავა** შპიონი იყო, მაგრამ მე მიმიცია გარანტია და **კანკავა** გამომიყვანია. ეს მართალია, მეც მცოდნია რომ კანკავა გამოგზავნილი იყო და დამიხსნია. ერთად ჩამოვსულვართ **სირიაში**. შემდეგ **ალექსანდრე კანკავა** გამიგზავნია საქ-ში. იგი იქ მუშაობს და მე აქ ვარ ნამდვილი ბოლშევიკი. მეორე. ვრანგელიზა უთქვამს რომ **ლუბა მხეიძეს** რატომ დახმარებას აძლევთ, ფულს ქუჩაში ყრისო. შემდეგ დიმო ჩამოდის დამასკში და ამბობს: ხუსეინმა ვრანგელს მისცა ცნობაო, რომ ლუბას ფულს რათ აძლევთ, ქუჩაში ყრისო; აგრეთვე ვრანგელმა მითხრაო: ინგლისის ინტელიჟა/ინ სერვისიდან მივიღე დოსია, რომ **ხუსეინ ხინიკაძე** არის ბოლშევიკიო. მე ეს აქ არავინ მითხრა, ყველა ნამუსს ინა-ხავდა. მაგრამ მე მომწერეს ეს ყველაფერი **ამერიკიდან** ჩვენმა ქართველებმა და თანაც მწერდენ, რომ გამოსარკვევად მოდის ამერიკელი ქალიო. მე ეს არ მითქვამს. 22 ივლისს ქალი ჩამოვიდა; ამანიდან ჩამოიყვანა თარჯიმანი. ქალმა საქმე გამოარკვია. მე დახმარება შეწყვეტილი მქონდა. ჟენევიდან მოსული ჩემი განცხადებაც თან ქონდა და ქალმა დასტოვა განკარგულება, რომ დახმარება არ შემიწყვიტონ. **დიმო** ჩამოვიდა **ბეირუთიდან დამასკში,** მე მეძებდა. შევხდი **მიხეილ გაწერელიას** სახლში. წაუდექი პირში, ყველაფერი უთხარი, არაფერი დამიკლია. მე უთხარი: შენ **დიმო,** უსვინდისო შპიონი, რატომ არ შეგრცხვა, **ვრანგელს** როგორ უთხარი **ლუბა მხეიძეს** დახმარება არ უნდა, რატომ აძლევთ ფულს, ქუჩაში ყრის, იმ დროს, როდესაც დასაჯდენი სკამი არ აქვს და ჩამოდიხარ, ამბობ -**ხუსეინმა** უთხრაო. **ლუბაც** ყურობდა რომ უთხარი. **დიმო** არც მოკვდა და არც მორჩა. ასევე აქ პოლიციაში უშპიონა **ბორის ავალიანს.**

ბ-ნო. პატ. **შალვა**, ყველაფერის მოწერა შორს წაგვიყვანს. ამიტომაც მოკლედ გწერ. ჯერ კიდევ უმუშევარი ვარ. **ბეირუთში** ჩამოსვლა მინდა, თუ შევძელი ეკენომიურად. **გრიშა** როგორ არის. პასპორტის საქმე რა ქნა. მე ეხლა შემიძლია დახმარება. **პარიზიდან** მაქვს რწმუნების ქახალდი, მაგრამ რა ვქნა ჩამოსვლის საშვალება არა მაქვს. იყავი კარგად და ჯანმრთელად. სალამი **გრიშას**. თქვენი ხ.მ.**ხინიკაძე,** ქობულეთელი. 21/VIII 56 წ.დამასკი. 7 RUE MESBEK JUVANI 7; BAB-TUMA; DAMAS, SYRIE.

სალამი ბ-ნ **შალვას**!

კარგი ხანია თქვენი წერილი მივიღე, მაგრამ პასუხი დამიგვიანდა. მაგრამ ყველაფერს თავისი მიზეზი აქვს და პირობები. **გერმანიიდან** ჯერჯერობით არაფერია. ისე მწერდა **საღი-რაშვილი** იმ წერილში, შენ რომ გამომიგზავნე, რომ მალე იქნებაო. არ ვიცი, ეგ მალე როდის იქნება. სხვა, ჩემი მდგომარეობა ქე მოგეხსენება. არსაიდგან შველა არ არის. ბ-ნო **შალვა**, აქ შემთხვევით შევხვდი **სიმონს ხალეპიდან** ჩამოსულს და გამოვართვი 1მ კარტი **ანტონ**ის

მისამართი და მისი-**სიმონის** მისამართი. მეორე გვერდზე როგორც წერია **(ჟორჟ სიმონ დერბესი, სირია)** და გიგზავნი; შენი მისამართი უნდოდა და მივეცი. ალბათ წერილს მოგწერდა, ან თვითონ ჩამოვიდოდა შენთან, რაღაც სკოლის ბოვშების საქმე ქონდა. თუ რაიმე მოვიდეს მანდ **ტავილთან**, ჩემს სახელზე გამომიგზავნე, ანდა მომწერე.

სხვა რა მოგწერო, იყავი კარგად და ჯანმრთელად. სალამი და დიდი მადლობა **ლევანს**, სალამი **ვალენტინს**. რას აკეთებს **ვალიკო** თუ დაიწყო რაიმე.

თქვენი ხ.მ. **ხინიკაძე** ქობულეთელი. 25/IX 57 წ. დამასკი.

Mr.J.TAVIL.(S.VARDIDZE) **BEYRUTH**.119.RUE.ABDEL.WAHAB-EL.INGLISI.119 **LIBAN.**

სალამი ბ-ნ პატ. **შალვას,**

დღეს მივიღე თქვენი წერილი. დიდი მადლობა. დიდათ სასიამოვნოა ბ-ნ **ლევან მურადოვის** ჩამოსვლა. თუ საშუალება მომეცა, უსათუოთ ჩამოვალ და ვინახულებ. თვარა და როგორც შენ მწერ, თქვენ ფიქრობთ ჩამოსვლას, რაც დიდათ სასიამოვნო იქნება.

ა.წ. 7/ IX/- ში პარიზიდან მივიღე ბ-ნ **კალე სალიას** წერილი. მე მწერს, სთხოვე მამა შალვას, მისი დუმილი არა სასიამოვნოა, არაფერს გვწერს წერილებს ჟურნალისათვისო; და, ვსთხოვ, მოგვაწოდოს წერილები ჟურნალისათვისო.

აქ დამასკში გამოფენა გაიხსნა **რუსეთის** პავილიონში. ერთი ქართველი არ არის საქართ-ველოდან, სულ რუსებია.

პოლიტიკის არაფერი არ მესმის. ერთი თვეა უკვე გაზეთი აღარ მიმიღია, თურქული გაზეთი; აღარ აძლევენ ნებას შემოსვლის და არაფერი მესმის რა ხდება მსოფლიოში, მით უმეტესათ **რუსეთში**. **რუსეთის** პროპაგანდა არის **სირიაში**. ყველაფერს სთავაზობს **რუსეთი**, მაგრამ საბოლაოთ არც ამათ აქვენ გადაწყვეტილი, თუ რა გზას დაადგებიან. **თურქეთი დღეს დიდ როლს თამაშობს** და ამის ნებას, არ ვფიქრობ, **ინგლის- ამერიკამ** მისცეს. მით უმეტესად, რომ **რუსეთი** სთხოვს ნავთის საბადოების დამუშავებას და ამ საქმისათვის 80 მილიონი დოლარის დაბანდებას ამ სამუშაოებში. მე პირადათ, რაღაც **სირიის** მდგომარეობა არ მიმაჩნია სასურველად. არ ხვდეს ბედი მგზავსი **ჩეხოსლოვაკიისა**. **ინგლისი** დიდ მანევრებს აკეთებს. **აბდულ ნასირს** დაუწყეს აქ ნელა-ნელა კრიტიკა.

სპარსეთში ომის დროს სინემას პატრონი მდიდარი **გამყრელიძე** რომ გაიტაცა რუსებმა, ე.ი. მოიპარეს, იმის წერილი მიიღო მისმა ცოლმა **ციმბირიდან**. გადასახლებაში ყოფილა; ცოლი **სპარსეთშია**.

ბ-ნო პატ. **შალვა**. მე ამ ერთნახევარი თვის წინეთ წერილი გავაგზავნე **საქართველოში.** მი-ვიღე პასუხი ჩემი ქალიშვილიდან, რაც არა სასიამოვნო მდგომარეობაში ჩავდექი. მოსვენე-ბული ვიყავი და ეს მოსვენება დავარღვიე. წერილის მიღება აქ არავისთვის გამიმხელია და ნურც შენ ვინმეს ეტყვი. არ მინდა რომ გაიგონ. სხვა ახალი არაფერია.

ქართველები აქ ყველა კარგად არიან. იყავი კარგად და ჯანმრთელად.

თქვენი **ხ.მ. ხინიკაძე** ქობულეთელი. 1/IX/56

ბეირუთი, ლიბანი

სალამი პატ. **შალვას,**

ბატონო შალვა, თქვენ რომ მითხარით **ინდოეთში** ქართველი ქალის შესახებ, წერილი გავაგზავნე **პარიზში**. **ქეთოს** შენ რომ ამისაწინეთ ბარათი მომეცი, ვიღაც **აიშეს** სახელზე, უკან მომივიდა, **ქეთო** იმ მისამართზე არ არის. ბ-ნ **კალე სალიას** ორი წერილი მივწერე და პასუხი არ არის. ვფიქრობ, **კალე** ავად არის. გუშინ გავაგზავნე წერილი და ვსთხოვე იმ ქალის მისამართი; ვნახოთ რას მომწერს.

ჩემი მდგომარეობა აღარ იკითხება. ბინის დავალიანება, ეს თვე რომ გათავდება, 345 ლირა იქნება. **საიდ ღაზი** ვინახულე. მომცა წერილი ხომსის კომპანიის დირექტორზე- **ხასან ბეგ ჯაბარაზე,** მაგრამ ამ წერილს, როგორც აქ მეუბნებიან, დიდი მნიშვნელობა **ჯაბარასათვის** არ აქვსო. ამიტომაც აქ ვინახულე **მუხამედ მელანი,** რომელმაც მომცა წერილი მის შვილზე. ერთადერთი შვილი ყოლია. **ჯაბარას** შვილი გუშინ ვინახულე და დამპირდა, რომ თუ რაიმე კი შეიძლება, მამაჩემს გავაკეთებიებო. ვნახოთ, დღეს საღამოს უნდა მომცეს პასუხი. თუ იქნა-იქნა, თუ არადა, გლახათ არის ჩემი საქმე. არ ვიცი რა იქნება.

სხვა ახალი ჩემთან არაფერია, ყველაფერი ძველებურადაა.

ეს პატარა წერილი გადაეცი **ვალენტინს**: Dr. **W.A. VISSER HOOIT**. GENERAL Secretary Word Goucil of Churches 17, Route de Magnou. **GENEVE/SUISSE**

სალამი **ლევანს**. იყავი კარგად და ჯანმრთელად.

თქვენი **ხ.მ. ხინიკაძე.** (ქობულეთელი).9/V/57. **დამასკ. სირია.**

მიწერილია შალვა ვარდიძისადმი.

თქვენი წერილი კარგი ხანია მივიღე, მაგრამ პასუხი დამიგვიანდა. ახალი არაფერი ვიცი. გაზეთები აღარ მომდის თურქეთიდან; აკრძალა სირიის მთავრობამ. არაფერი მესმის პოლიტიკაზე. ისე, როგორც ვგებულობ, დიდი ამბები ტრიალებს პოლონეთში, უნგრეთში და თვით კრემლშიც. ვნახოთ რით გათავდება. შესაძლებელია ამ ამბებს მოყვეს **ხრუშჩევის** და **ბულგანინის** გადაყენება და უნდა ვიფიქროთ, რომ თუ ისინი გადააყენეს, **მოლოტოვი** და **მალენკოვი** მივა ამ ადგილებზე. აგრეთვე, არ არის გამორიცხული, რომ **მიქოიანმა** მიღოს რომელიმე დიდი თანამდებობა, იმიტომ, რომ **სტალინის** შემდეგ კრემლმა მიღო რუსული ნამდვილი ნაციონალური სახე და, შესაძლებელია, ეს ასე მოხდეს, როგორც **მიქოიანი კავკასიელი.**

მარო ჩემთან მოვიდა და მინახულა. წავიყვანე **მიშელ გაწერელიას** სახლში. მიშელმა აიყვანა **სელნაიაში.** მაროს შენთვის **ლევანი** უთქვამს. **ლევანს მარო** სულ არ უნახავს. სხვა ჩვენი ქართველებიდან არაფერი მესმის. ერთადერთი **კალე სალიას** წერილი მივიღე, რომ შენ გწერდი- ის არი და ის. მე თუ მიკითხავ, კიდევ უმუშევარი ვარ და თანაც ავად. რამატიზმის გამო ფეხები ცოტა გამისივდა. გუშინწინ სახლის პატრონთან უსიამოვნება მომივიდა. თუმცა არაფერში დამნაშავეა. თოთხმეტი 14 თვის ქირა ერგება, 252 ლირა. მე ვფიქრობ მიჩივლებს სასამართლოში, გარეთ გამომაგდებს და რაც მაქვს, იმასაც წაიღებს ვალში. არ ვიცი რა ვქნა!

ბ-ნო პატ. შალვა! ამ დღეებში გამოგიგზავნი განცხადებას ქართულად დაწერილს; უნდა გადამითარგმნო ფრანგულად; დიმოს შესახებ ვგზავნი ამერიკაში. სხვა რა მოგწერო, იყავი კარგად და ჯანმრთელად. გულწრფელი სალამი გადაეცი ჩვენს თანამემამულეს პ-ლ **ლევან მურადიშვილს.**

იყავი კარგად. თქვენი ხ.მ. **ხინიკაძე** ქობულეთელი.

ბ-ნო პატ. შალვა! ექიმი იყო, ჩემთან ოთახში მოვიდა. მთხოვა თქვენი მისამართი და მივეცი. მითხრა როგორ არისო. დიდი ხანია წერილი არ მოუწერიაო. ალბათ წერილს მოგწერს. ხუსეინ.

Mr. J. Tavil (P.C. Vardidze 26/X 56 წ.

ხუსეინ ხინიკაძის მონათხრობი

ც ნ ო ბ ა I

ჩემი **ბორჩხაში** ყოფნის დროს ვინახულე **სულეიმან ბექიროღლი,** რომელმაც გადმომცა **კაროლის** შესახებ შემდეგი ცნობები: როდესაც **კაროლი მაჭახელში** ჩამოვიდა **დათიკოსთა** ერთად, **კაროლის** ხელმძღვანელობით მიდიოდენ საქართველოში **ზერაბოსლის** მიმართულებით. მაგრამ ეს გზა ჩვენ **ხუსეინ ქოსოღლის** ხელმძღვანელობით მიზანშეწონილად არ ვსცანით და წავედით **ბათომის** მიმართულებით. ჩავედით **ბათომის** ახლო სოფ. **ხეყრუში.** აქ მე მყავდა ერთი ჩემი ძველი მეგობარი კონტრაბანდობის დროის. მე ეს ბიჭები დავტოვე ტყეში იმ ადგილას, სადაც მე წინეთ კონტრაბანდ საქონელს ვინახავდი; მე კი წავედი ამ კაცის სანახავად. ჩავედი ბახჩაში. ლეღვები იყო. ამ დროს ორი ქალიშვილი ამოვიდენ ბახჩაში ლეღვზე. მე ვერ დავიმალე, ადგილი არ იყო. ერთმა მათგანმა დამინახა და მეორეს უთხრა. ისინი საჩქაროდ წავიდენ სახლში. ღობეზე გადარების დროს ერთმა მოიხედა ჩემსკენ. მე ამ დროს ხელით ვანიშნე, რომ არ ეთქვა. ისინი სახლში შევიდენ თუ არა, ამ სახლის პატრონი, სწორეთ, ეს ჩემი მეგობარი, წამოვიდა ბაღჩისკენ. მე ხელად ვიცანი და თანაც გამიხარდა, რომ ცოცხალი იყო. ამოსვლისას მითხრა:- საიდგან გადმოიჭერი ასეთ საშინელ დროს. მე უთხარი:– ეს არაფერია. მე ამხანაგები მახლავს, ძალზე გვშია და თანაც თუთუნი გვინდა. ჩვენ ვართ იმ ადგილას, სადაც მე და შენ კონტრაბანდ საქონელს ვინახავდით. მას ცოტა ყუთში თუთუნი ქონდა. ის ავართვი და წამოვედი ამხანაგებთან. შემდეგ ამ კაცმა მოგვიტანა საჭმელი. ვჭამეთ. შემდეგ **კაროლმა** უთხრა:– შენ უნდა გვცე პატივი. წახვალ ბათომში, ამ და ამ ადგილზე მიხვალ სახლში, ასეთი და ასეთი ქალი კარს რომ გაგიღებს, ამ კარტს აჩვენებ (რომელიც კაროლმა მისცა). რასაც ეს ქალი გეტყვის, ეს ამბავი მომიტანე.

ეს კაცი წავიდა. დაბრუნდა და სთქვა:- ეს ქალი წასულა სურებშიო. მაშვინ კაროლმა უთხრა:- უნდა წახვიდე ქობულეთში. სადგურის ახლოს არის ეს კაცი. იმას ნახავ და ამ სიტყვას ეტყვი და ამბავი მომიტანეო. ეს კაცი წავიდა ქობულეთში, მაგრამ ეს კაცი ავადმყოფობის გამო საღაც წასულიყო ჰაიერზე. როდესაც ეს კაცი მოვიდა და ვარყოფითი ამბავი მოიტანა, მაშვინ კაროლმა უთხრა:- შენ უნდა მიშოვნო ადგილობრივი კასტუმი და უნდა მიმიყვანო ამ ადგილას; მე შორი-ახლო გაგყვებიო. ამ კაცმა მოიტანა კასტუმი და გააყოლა ქალი. კაროლმა ჩვენ დაგვიბარა: –ხვალე საღამომდი მიყურეთ და თუ არ მოვიდე, ჩავარდნილი ვარ და თავს უშველეთო. მაგრამ კაროლი მოვიდა დანიშნულ დროს. მას ენახა ერთი კაცი, თუ არ ვცდები, ეს კაცი იყო კოპერატივების უფროსი, რომელმაც შეპირდა, რომ ამეღამ წავალ თბილისში და მოწმობას გაგიკეთებო. ამ კაცმა მისცა პაროლი:-ყოველდღე იყიდე გაზეთი. მე თუ მოწმობა გავაკეთე, გაზეთში გამოაქვეყნებ, რომ მე ვითომც დამეკარგა ოქროს საათი. ამას რომ წაიკითხავ, მოწმობა მზათ არის და ჩამოდიო.

მეთერთმეტე დღეს გაზეთში ეს წაიკითხა **კაროლმა** და ამ დღეს ჩავიდა **ბათომში**. მიიღო წიგნაკი,რომელიც ჩვენ გვიჩვენა-ვითომც ომში დაჭრილიყო და ამის გამო განთავისუფლებულიყო ნაწილიდან. კაროლი წავიდა თბილისში და მგონი **მოსკოვშიც**. ჩვენ დაგვიბარა, რომ მე ყოველ კვირას თქვენ გიგზავნით წერილს. თუ ერთ კვირას ვერ მიიღოთ, მაშვინ იცოდეთ, რომ მე ჩავარდნილი ვარ და თქვენ თავს უშველეთო. ასე, ჩვენ ამ კაცის საშუალებით,

ვღებულობდით წერილს. ერთ კვირას წერილი არ მოვიდა. ჩვენ შევშინდით, მაგრამ მეორე კვირას ორი წერილი ერთად მოვიდა. შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ წამოსვლა. კიდეც წამოვედით, მაგრამ გზაში **ტირალაზე** მოგვიხდა სროლა. დავემწყვერით. წინ ვერ წამოვედით. დიდი ვაიდარაბის შემდეგ წუღებით ძლივს გავედით. მივედით ძველ ბინაზე. ერთი კვირის განმავლობაში გზები გაკრული იყო. ერთი კვირის შემდეგ მოიხსნა. ამ დროს კაროლიც მოვიდა ჩვენთან, გაეგო. კაროლმა გვითხრა:- მე თქვენთან მოვიყვან კაცს, მაგრამ თქვენ არ უთხრათ, რომ ვინმე კაცისას იყავით, არამედ უთხარით, რომ ტყეში იყავით. ეს კაცი იყო ის, რომელმაც მოწმობა გაუკეთა. ამან ჩვენ გვნახა. შემდეგ მოიყვანა კამიონი და კაროლთან ერთად ამოგვიყვანა **აჭარისწყალზე**. ხიდეზე გამოგვიყვანა, დაგვემშვიდობენ და წავიდენ.

დათიკომ ამისათვის დასწამა კაროლს, რომ ვითომც კაროლი იყო ბოლშევიკების აგენტი. ამისათვის ჩვენ დათიკოს ვებრძოდით, რომ დათიკო არ იყო მართალი და ტყვილს ლაპარაკობდა კაროლის მიმართ. რაც მე ეხლა შენ გელაპარაკე, ამაზე მეტი არაფერი იყო. თუ დათიკო ამაზე მეტს რამეს ლაპარაკობს კაროლის მიმართ, ეს ყველა ტყვილია, რადგანაც დათიკო მე არ მომშორებია და არც ყოფილა შემთხვევა, რომ კაროლს რაიმე მათთვის ცალკე ელაპარაკა. რაც მე ვიცი, ეს იცის. დათიკომ მეტი არაფერი არ იცის.

ერთი შემთხვევა იყო, რომ კაროლმა გვითხრა: –თუ გინდათ თვითეულად ჩამოდით ბათომში და სურათი გადაიღეთო. მე არ წავედი. მხოლოდ დათიკო წავიდა. სურათი გადაიღო და ამოვიდა. არც არავინ უნახავს და არც არავითარ საქმეზე ულაპარაკიათ.

გამომდინარე აქედან დათიკომ აიჩემა, რომ კაროლი ვითომც ბოლშევიკებთან მუშავობდა. რაც მოხვდა **კაროლს, სიმონიკას** და **პიერას** შორის, ეს იყო ყველა დათიკოს ბრალი. დათიკო კაროლთან კაროლის იყო, სიმონიკასთან-სიმონიკას, პიერთან-პიერის. რაც ამათ შორის ხდებოდა, ამას ყველას დათიკო ჩადიოდა. რამდენიმეჯერ შევარიგეთ, რამდენიმეჯერ აიჩხუბენ; ერთმანეთს აგინებდენ. მერე ჩვენ მოვილაპარაკეთ, რომ არავინ მიგვეღო; სადაც უნდა იქ წასულიყვენ, მაგრამ ეს **ხუსეინ ქოსოღლიმ** არ ქვნა- ჩვენ ერთი და ორი ქართველი. საერთოთ, ქართველებს გარდა არ უნდა უთხრათო, რომ მაგენით არ წყდება საერთო საქმეო.

სიმონიკას ქონდა **სულეიმან დუმბაძესთან** დატოვებული ჩამადანი ტანისამოსით. წერილებით და ... ეს ყველა მოითხოა **დათიკომ.** ამისათვის **სულეიმანს** და **დათიკოს** შორის მოხვდა უკმაყოფილება. მერე მე ჩავერიე ამ საქმეში და **სიმონიკას** ჩამადანი ხელწერილს ქვეშ მივეცი **დათიკოს.**

მე, წასვლისხანს, კაროლმა დამიტოვა ერთი დიდი ჩამადანი ტანისამოსებით, წერილებით და სხვათი. თანაც მიჩვენა მოწმობა. ასეთ მოწმობას ვინც მოგიტანს, ამ ჩემს ჩამადანს მას ჩაბარებო; ეს არის **ნოე ჟორდანიას** მიერ გაცემული მოწმობავო. დათიკომ მე მომთხოვა ეს ჩამადანი. არ მივეცი. ამაზე ძალიან ლაპარაკი მოგვივიდა. მერე იძულებული ვიყავი, რომ მიმეცა ეს კაროლის მიერ დატოვებული ჩამადანი. ხელწერილს ქვეშ დათიკოს ჩავაბარე ტანისამოსი, წერილები და იყო ერთი დიდი პაკეტი ფული, რომელიც დათიკომ წამოიღო სტამბოლში. ეს თქვენ ხელმძღვანელობას ჩააბარა თუ არა, მე არ ვიცი და თქვენ გეცოდინებათ.

ხუსეინ მემედის ძე ხინიკაძე.ბორჩხა.2/XII/46 წელი.

ც ნ ო ბ ა II

ჩემს ბორჩხაში ყოფნის დროს ვესაუბრე **სულეიმან ბექიროღლის,** თუ რა იცოდა კაროლის შესახებ. **კაროლი** უკანასკნელად ჩამოვიდა **მაჭახელში** და მიდიოდა საქართველოში. მას მაჭახელიდან გაყვენ შემდეგი პირები: **1. ხუსეინ ქოსოღლი 2. სულეიმან ინეექი 3. ხასან მეთინოღლი** და ჩემი **ძმა ბექირ ბექიროღლი.** მე კი მათ ავყევი იაილებში. **კაროლმა** მე დამაბრუნა, რათა საჩქაროთ ერბო გამეგზავნა **სტამბულში**. ამ ოთხმა **კაროლი** გადიყვანეს საზღვარზე. ერთ გორაზე რომ ავიდენ, აქ დაისვენეს. კაროლმა უთხრა ამათ: – თქვენ აქედგან დაბრუნდებით, მე აწე გაყოლა არ მინდა. მხოლოდ, აქედგან გაღმაში გასვლამდე მიყურეთ. თუ სროლა გაიგონოთ, მომეხმარეთ, თვარა და წადითო. ამათმა მოუცადენ ერთი საათი და შემდეგ რომ არაფერი იყო, წამოვიდენ. კაროლმა წასვლიხანს ამათ უთხრა: მე ეს სამასი ლირა მაქვს. ვინ იცის, სად მომიწევს საზღვარზე გადმოსვლა და ეს ფული მქონდეს ჯიბაშიო. ხურდა რაღაც ოც ლირამდე ყოფილიყო. ეს ამათ მიცა. აქ სწორეთ ამ ადგილას დატოვა კაროლმა ერთი თავდახურული თუნუქის ყუთი და დაუბარა:– ყოველ 15 დღეში ამ ყუთში იქვნება ფოსტა; მოაკითხეთ და წაიღეთო. ასე დაემშვიდობა ამათ და წავიდა კაროლი. ჩვენ ორჯერ მივაკითხეთ და ამ ყუთში არაფერი იყო. მერე ზამთარი მოვიდა. გაზაფხულზე ერთხელ კიდევ მივაკითხეთ, მაგრამ არავითარი ფოსტა არ იყო. ეს თუნუქი ყუთი დღესაც იქ არის.

კაროლმა წასვლისხანს ამათ უთხრა, რომ მე **მახუნცეთში** ერთი კაცი მყავს, თუ ის ვნახე, არაფერი არ მიჭირსო.

მე ჩემი რწმენით დარწმუნებული ვარ, რომ კაროლი იყო სუფთა კაცი იმაში, რასაც მას დათიკო სწამებდა. ის რომ ყოფილიყო **ბოლშევიკებთან მომუშავე,** ანდა მათ შერიგებოდა, ჩვენ თავს დააჭერიებდა, როდესაც ჩვენ ფოსტას ვაკითხავდით იმ ყუთს, რომელიც კაროლმა **დაგვიტოვა საზღვრების გადაღმა რუსების ტერიტორიაზე.**

დღეს ყველას ეჭვი ეპარება და მართალიცაა, რომ **კაროლი** დაიკარგა **მაჭახელში,** ანდა მაჭახლელი მეგზურები ... ეს ჩვენ ჯერჯერობით ვერ გამოვარკვიეთ; ვერც ვერაფერი გავიგეთ; არც მოგვეცა მერე საშვალება, რომ ჩვენ წავსულიყავით, სანამ არ გამოირკვევა კაროლის საქმე-ჩავარდა, შეურიგდა, თუ რა იქნა! მანამდი ეს კაცი ირიცხება ჩვენზე. მე არ ვფიქრობ, რომ კაროლი ბოლშევიკებს ჩაუვარდებოდა. ჩემი ფიქრით ის წავიდა შიგნით და ჩავარდა. ამისათვის ვერაფერი ვერ გავიგეთ. ის რომ ჩავარდნილიყო **ბათომში**, ან სადმე ახლო საქართველოში, გავიგებდით, **სიმონიკას ჩავარდნა გავიგეთ**.

სიმონიკა დანდალოს თავზე მძინარე დაიჭირეს. ამის დამჭირავი იყვენ სამი სოფლელი. ამათში ერთი კომუნისტი. სიმონიკა ჩაიყვანეს ბათომში, რომელმაც განაცხადა, რომ თქვენ არავითარ ჩვენებას არ მოგცემთ, მე ყველაფერს ვეტყვი მხოლოდ **ბერიასო**. გამგზავნეთ **ბერიასანო**. ეს ჩვენ გავიგეთ ერთი იქიდგან გადმოსულ კაცისაგან, რომელმაც თქვა: ასეთი და ასეთი ქართველი დაიჭირეს და ჩარუნიესო, რომელმაც ასე თქვა: **ბერიას** გარდა არავის არაფერს ვეტყვიო.

ხუსეინ მემედის ძე ხინიკაძე. ბორჩხა. 28/XII/46 წ.

როდესაც ჩვენ ბერლინიდან სტამბოლში ჩამოვედით, მე და **ავთანდილ ურუშაძე** საქ-ში წასასვლელათ, ჩვენ სამგზავროდ გვინდოდა სხვადასხვა ნივთები. ეს სანდრომ დაავალა **დათიკო ერქომაშვილს,** რათა ჩვენთვის ეყიდნებია საჭირო ნივთები; რადგანაც ის დიდი ხნიდან იყო **სტამბულში** და იცოდა ყველაფერი. ეს იყო **1944 წლის მარტი** თუ აპრილი, არ მახსოვს. დათიკომ წავიდა, მოელაპარაკა წინასწარ გამყიდველებს და შემდეგ ჩვენ წაგვიყვანა. აი, მაგალითად, მეწუღებმა წუღა დაგვიფასეს 18 ლირა. მე ეს გამიკვირდა. დათიკომ სთქვა, აქ ვაჭრობა არ არისო, მაგრამ მერე ერთი ლირა დავაკლებიე და 17 ლირათ მოგვარიგა; საცვეთები კი 20 იყო თუ 22 ლირათ თითო წუღა 12 წყვილი, 17 ლირა თითო წყვილი. სულ შეადგინა 204 ლირა.

საცვეთი 6 წყვილი. 22 ლირა, 132 ლირა,336 ლირა ორივე. დათიკომ იყიდა ჩვენთვის მატერია შარვალისათვის, თითო მეტრი 45 ლირად, 4 მეტრი. 180 ლირა. შეკერვა თითო შარვალის 25 ლირა. ოთხი შარვალის შეკერვა 100 ლირა. მე მაშვინ მინდოდა კასტუმი ჩემთვის. **სანდროს** ვსთხოვე, 100 ლირა დამხმარებოდა. დათიკოს... ვსთხოვე, წამყოლოდა, თუ სადმე კარგი თერზი ეგულებოდა. იმ დღეს არ წამოვიდა. ის თვითონ წავიდა და მოელაპარაკა. მესამე დღეს მე წამიყვანა. მივედი ერთი კასტუმის შეკერვა, თავის მატერიით, გვითხრა 240 ლირა. ეს ჩემთვის ძვირი იყო. მე დათიკოს ვეუბნები, 200 ლირის მეტს ვერ მივცემ თქვა. 100 ლირას სანდრო მაძლევს და 100 ლირის ეკონომია მე უნდა გავაკეთო თქვა. დათიკო მეუბნება:-აქ ვაჭრობა არ შეიძლებავო. შენ რა გენაღლება, მაგ ფულს სანდრო მოგცემსო. მიუხედავად ამისა, მე უთხარი 210 ლირით თუ შემიკერავ, შემიკერე, ამაზე მეტს ვერ მოგცემ თქვა. არაფერი არ უთქვამს; 210 ლირად სიამოვნებით შეკერა. თუმცა კასტუმის ფული ყველა სანდრომ მომცა.

ყოველივე ამან მე ძალზე დამაეჭვა და მინდოდა ამ მდგომარეობის შემოწმება, რათა ზერელედ ეჭვი არ მქონოდა. მივედი იმ მეწუღესთან და უთხარი:– 6 წყვილი წუღა მინდა კიდევ და სამი წყვილი საცვეთი. მოურიგდი: წუღა თითო წყვილი 8 ლირად, საცვეთი 10 ლირათ. მოვედი იქ, სადაც კასტუმი შევაკერიე. იმავ მატერიისა, მოურიგდი 170 ლირად. ის მატერია, რომელიც დათიკომ იყიდა 45 ლირად ვითომ. ვითომ ჩვენი შარვლისათვის ღირდა მეტრო 32 ლირა. გალიფე შარვლის შეკერვა ღირს 8 ლირა. მაგალითებ, მე, გალიფე შარვალი, მიშას და ჩემი, შევაკერიე ორი შარვალი თითო 8 ლირად. ორივე 16 ლირად. ეს იყო 1946 წლის ოქტომბერში და 1944 წელს უფრო იაფი იყო შეკერვა. დათიკომ მიგვაცემია: წუღა 8 ლარის ნაცვლად 17 ლირა, საცვეთი 10 ლირის ნაცვლად 22 ლირა, შარვალის მატერია 32 ლირის ნაცვლად 45 ლირა, შარვლის შეკერვა 8 ლირის ნაცვლად 25 ლირა, კასტუმი 170 ლირის ნაცვლად, 210 ლირა. დათიკოს მოგება ხვდა შემდეგი: წუღებიდან 108 ლირა, საცვეთიდან 72 ლირა, მატერიდან 52 ლირა, შარვლის შეკერვიდან 68 ლირა, ჩემი კასტუმიდან 40 ლირა. სულ მილიონი მოგება ერგო დავით აღმაშენებელს მისი ჯიბის 340 ლირა. ჩემი კასტუმის ანგარიშში შეიკერა ერთი კავერკოტის კარგი კლავებიანი, თავის ჯიბებით, ჯილეტი ჩასაცმელი. აგრეთვე, სხვა და სხვა ნივთებიდანაც ბევრი გამოგვჩა, რომელიც არ შემიმოწმებია.

ასეთი კაცი იამხანაგე, ინდვე და ენდევი! სიცოცხლე და სიკვდილი გაუზიარე გზაში, ზღვაში, ტყეში, კლდეში, ერთად იარეთ, ერთი ხის ძირში იძინეთ, მტრის ცხელ ტყვიას გაიზიარებს. შენს გვერდით შენთან ერთად მოკვდება. არ მგონია ერთი წუთითაც ინდობოდეს, უნდობლობის ფაქტი აუარებელი მაქვს!

(სწორედ აქ უნდა მოგაგონოთ **მაკიაველის** თქმულება)-მგელს- თოფი, ქურდს -ბორკილი, მძარცველს-ხანჯალი და ძალმომრევს-საწამლავი. აი, ზედ გამოჭრილი წამალი.

ხუსეინ მემედის ძე ხინიკაძე.29/IV 47 წ. სტამბული.

კარი მეოთხე
სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული სასულიერო პირების (ამ სასულიერო ცენტრთან დაკავშირებული ახლობლების) მიმოწერის ბარათები

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის კირიონ II-ის მიმართვა უწმიდესს და უნეტარეს მამაოს

უძველეს საყდარსა საქართველოისა საკათალიკოზოის, რომელსა 1811 წლიდგან ვიდრე მოაქომამდე განაგებდეს ეგზარხოსი **რუსეთის** ეკლესიისანი ათჩვიდმეტსა სეკტენბერსა მიმდინარისა წლისასა, აღრჩევითა მორწმუნისა ერისა და სამღვდელოჲსა დასისაჲთა, აღყვანილ იქმნა უღირსებაჲ ჩემი აღსრული სახტარსა ამას ზედა, „მოვიხსენებ დღეთა პირველთა და ვიტურთი ყოვლისა მიმართ საქმეთა (ფსალმ. . ..,23) უნეტარესი მწყემსთმთავართა რაბისათა.

განგებმან ღმრთისაგან არა უცხო ქმნა ეკლესია, ჩუენი კრ. .. მისათვის პეტრე და ანდრია პირველ წოდებულთა მათ მოწაფეთა ქრისტესა, რომელთა თესლი უბიწოო განაბნიეს მართლისა სარწმუნოებისაჲ ორხატთა კრომ-ქართველთა გულისათა. ძმობითა თვისითა წინაჲსწარ, ჟამთა მოციქულთა სწორის **ნინოთ** და შეთვისა მისთანისათა წიგვმან წმიდისა **სილიბისტროს** ვრამისამან, ვითარცა ვარდი, აღაყვავილა ნაყოფი მართმორწმუნეობისაჲ ქუეყანასა **ქართლისასა**, ხოლო წვალებითა უშც. ჲსა ნესტორისაჲთა შეიწრებულმან ახალ ნერგმან ამას ქრისტესმან ლხინებაჲ პოვა ეპისტოლესა შინა გრიგოლ დიოლოღონისასა სეხნასა ჩემსა, კირიონ მცხეთისა კათოლიკოსსა შემდგომლობით შემდგომად მოღუალებმან წმიდის ილარიონ ქართველისამან რომელ არ სხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კვლავ აუწყა მკვიდრთა რომისათა დიდებაჲ საქართველოჲს ეკლესიისაჲ და განამტკიცა ერთობაჲ ჯრიმთა და ქართველთაჲ, გარდახდეს წელნი მრავალნი და შურითა ეშმაკისაჲთა. **განიხეთქა რჩეული შუენიერი ერი მორწმუნოებისაჲ,** რომელ -რომელსა 1811 წლიდან ვიდრე მოაქამომდე განაგებდეს ეგზარხოსი **რუსეთის** ეკლესიისანი **ათშვიდმეტსა სეკტენბერსა მიმდინარისა წლისა აღრჩევითა მორწმუნისა და სამღვდელოისა დასისაჲთა, აღყვანილ იქმნა უღირსოებაჲ ჩემი.** აღსრული საყდარსა ამასზედა, „მოვიხსენიებ დღეთა პირველთა და ვიწურთი ყოველთა მიმართ საქმეთა (ფსალმ. 4,25) **უნეტარესი მწყემსთ-მთავარი კირიონი II.**

განგებამან ღმრთისამან არა უცხო ქმნა ეკლესიაჲ ჩვენი ჯრომისათვის დედის, **პეტრე** და **ანდრია პირველწოდებულთა** მათ მოწაფეთა ქრისტესითა, რომელთა თესლი უბიწოო განაბნიეს მარილისა სარწმუნოებისა, ორნატთა ჯრომ-ქართველთა გულისათა ძმობისათა თვისითა წინაჲსწარ მოასწავეს სიყვარული და დავითისაჲ ორსა მათ ეკლესიათაჲ, ჟამთა მოციქულთა სწორის **ნინოჲსა** და მეფისა მ**ირიანისა.** .წიგნმან წმიდისა **სილიბისტრო** კრო. .სამან, ვითარცა ვარდი, აღაყვავილა ნაყოფი მართმორწმუნოებისაჲ ქუეყანასა ქართლისასა, ხოლო წვალებითა უშჯულოისა ნესტორისაჲ ჰპოვა ეპისტოლესა შინა გრიგოლ დიოლოღოსისა, რომელი მან ჯრამით წარმოუძღოვანა უწმიდესსა და უნეტარესსა სეხნიასა ჩემსა, **კირიონ მცხეთასა კალოდიგარსა,** შემდგომი .. შემდგომად მოღუაწებმან წმიდის **ილარიონ ქართველისაგან,** რომელი. არ სხემობდა ქალაქსა შინა შენისა უწმიდესობისასა, კვლავ აუწყა მკვიდრთა ჯრომისათა დიდებაჲ საქართველოს ეკლესიისაჲ და **განამტკიცა ერთობათა ჯრომთა და ქართველთაჲ,** გარდახდება წელნი მრავალნი და შურით ეშმაკისაჲ. **განიხეთქა მოწეული შუენიერიერთ მორწმუნოებისაჲ**, რომელი ემოსა უბიწოსა მას სძალსა ქრისტესსა, ეკლესიასა აღმოსავლისა და დასავლისა გარნა საქმით ამით არა გულა საბნილ იქმნა ეკლესიაჲ ჩუენი, მოციქულნი და ქადაგნი ჰრომის საყდრისანი რომელნ.

მეათასამმეტე საუკუნოითგან მოუვლინნეს ქვეყანასა ჩუენსა, შეუორგულებელად ილ საფარველსა ქვეშე ქართველთა მეფობასა, ჯითარცა მწყემსნი კეთილნი, მკურნალნი ხორცთანი და მემფესენანი ჩუენდა სწავლა განა ოლყთასანი, მაიარა ბუნება ქუეყანასა ჩუენსა ეკლესიანი თგასნი და საყდარსა შენსა არამცირედი ქართველნი, რომელნი მოაქამამდე ადიდებენ ღმერთსა წესისამებრ ჯრომთა ეკლესიისა და პატივსა სცემენ სახელსა შენისა უწმიდესობისასა.

დღესა ამას აღდგენისა ქართველთა ეკლესიისა და სიხარული მათისასა, გულისხმისმყოფელი წარსულისა ჩუენისა, რომელიც მოვიკითხავ უნეტარესობასა შენსა და აღთქუმასა ვსდებთ, ვითარმედ მიმდგომნი შენსა საყდრისანი „არა შეწუხებულ იქმთ ძალიან არიან ცოტასა მონა ჩემსა და ქართველთა ერისასა. ვსასოებ . . . .ვი . . უწმიდესას შენი არა უგულებელს ჰყოფს ქართველთა კათოლიკე და მრავალფერითა მათი სარწმუნოებრივ-ეროვნული .... მადლი უფლისა ჩუენისა იესუ ქრისტესითა, . . . სიყვარული ღმრთისა მისისა და ზიარება სულისა წმიდისაითა იყავნ ჩუენ შენთა . . კათოლიკოს-პატრიარქი უმდაბლესი და უნეტარესი კირიონ II, სრულიად საქართველოს კათალიკოსი. 25 ენკენისთვე, 1917 წ. ქ. ტფილისი.

მიხეილ თამარაშვილის წერილები პიო ბალიძესა და პატრი ბერნარდეს

თქვენო ღირსებავ პატივცემულო მამაო **პიო,**

მივიღე თქვენი ვრცელი წერილი. ეგრეთვე მსგავსი ვრცელი წერილიც ერთი მანდაური ძმისა. ამ წერილებმა ძლიერ აღმაშფოთეს, ღრმად გული დამიკოდეს, რადგან ცხადათ დამანახეს, თუ რა უბედურს მდგომარეობაშია მონასტერი, თუ როგორ დაცემულა ორივეს მხრით ზნეობა, რადგან არც ერთ კერძოდამ სჩანს ან ღვთის შიში ან პატიოსნება ან ცოტა რამ კაცობა. მონასტერი სწორედ ახლა წარმოადგენს იმ საარაკო სახლს, რომ ნათქვამია: „ერთმანეთის ბაძვითა სახლი აივსო ნაგვითაო“. სწორეთ დამსგავსება იმ სახლისა, როცა მდაბალი ხასიათის რძალი და დედამთილი ანუ ორი შვილი ერთმანერთს სჭამენ და მეტის შურით გამძვინებული, აღარ იციან, თუ ერთმანეთი როგორ შეურაცხყონ უფრო კარგათ! - ვაი, საბრალო საქართველო! თუ როგორ გატყვილებენ, თუ როგორ ცრუ იმედს გაძლევენ, რომ ვითომ შენთვის განწირული არიან, შენს საკეთილდღოთ შრომობენ, შენი განათლებისა და მოქცევისათვის სცხოვრობენ, შენთვის მზათ არიან, რომ უკანასკნელ წვეთამდინ სისხლი დაღვარონ. გარნა ჯერ - კი ერთმანერთის ზურგი ვერ მიუყუდებიათ, რომ საზოგადოდ მტერს წინ დაუდგნენ და შენს სანუგეშოთ მაინც ერთი რამ კეთილი დაგანახონ!!! ერთი სიტყვით, მე სრულიად ჭკუიდამ გამოველი ეგრეთი მდარე, რა სარცხვინო და გასაკიცხი მონასტრის სურათის დანახვით. გამართლების საგანს ვერც უფროსისა და ვერც უნცროსებში ვხედავ, გარნა ბრალს - კი ბლომად, ორივეს კერძოთ. ყველა ხელს იბანს, თავს იმართლებს და ბრალს სხვას ატეხებს. გარნა არ ვიცი, ღვთის წინაშე რაოდენი ეცდება ეგრეთ თავის გამართლებას. გარნა თუ მართლა უფროსი ცუდია, ხოლო ცუდი უფროსებისათვის მაცხოვარმა კანონი მოგვცა: ... თქვენც ყველანი ცუდი უფროსის ხელქვეშ ასე უნდა მოქცეულიყავით, მაშინ იმას თავის გასამართლებელი მიზეზი აღარ ექმნებოდა. გარნა უნცროსები - კი, თუ კაცისა, თუ ღვთის წინაშე გამართლდებოდნენ, რადგან თავიანთი ვალი, რომელიც არის მორჩილობა, აღსრულებული ექმნებოდათ. ვსთქვათ, რომ აქამდინ თქვენ, როგორც ნამდვილი ღვთის მონა, უფროსაც დაემორჩილეთ ყველასფერში და აღასრულეთ ყველანაირად თქვენი ვალი, ერთი სიტყვით, აქამდინ, რომ ყველანაირად უმანკო ყოფილიყავით; ამას იქით კი ვეღარ იმართლებთ თავს, რადგან იმასთან სულელობა იმოქმედეთ, რომ თქვენი დიდი და მიუტევებელი დანაშაულობა, ცხადია, ღვთის და ქვეყნის წინაშე. ეს თქვენი დიდი ბრალი გახლავსთ ეპისკოპოსის **სარდის** წინააღმდეგ დაწერა გაზეთ „La Turquie“-ში. მართალია თქვენი არცერთის სახელია გამოცხადებული, მაგრამ ყველა სიტყვა ღაღადებს, რომ ყველა თქვენი ჩაგონებულია. ისე ჰგავს, ერთმანერთის შურმა და უზომო თავმოყვარეობამ ისრე თვალები აგიხვიათ და გონება დაგიხშოთ, რომ სრულობით ვერ წარმოიდგინეთ, თუ ეგრეთი გლისპური წერილი სად მიდიოდა და რა შედეგი მოჰყვებოდა. იცოდეთ კარგად, მაგ წერილით **სარდი** კი არ შეურაცხეთ, არამედ თვით ეკლესია, რადგან autorite-ს შეურაცხყოფა, თვით ეკლესიის და ღვთის შეურაცხყოფაა. ამითი თქვენ საქვეყნოდ ამტკიცებთ თქვენს ურჩობას ეკლესიის წინააღმდეგ. არ ვიცი, ვისგან რას მოელოდით მაგისთანა თქვენივე გამამტყუნებლის წერილის გამოქვეყნებით. თუ ეპისკოპოსის წინააღმდეგ რამე სამდურავი ან საჩივარი რამე გქონდათ, ეს უეჭველად აქ უნდა მოგეწერათ და არ უნდა მიგემართათ ფარმარონი ფრანცუზებისა და თათრებისათვის. იცოდეთ კარგად, პასუხის მგებელი თქვენვე ხართ, რაც ამას სამწუხარო შედეგი მოჰყვება. მე პირი აღარა მაქვს, თუ ამას

იქით როგორ წარვსდგე პროპაგანდასა და **ვატიკანში**. სანამდინ სარდი აქ მოვიდოდა, რა შევიტყე ეგრეთი წერილის გამოქვეყნება, მაშინათვე მივსწერე სამდურავი პ. **ბენედიქტეს**. განა სიკვდილის უკან სინანული უსარგებლოა - აგერ ეხლა ვნახე **სარდი**, რომელიც მეტად გაცეცხლებულია თქვენ ყველას წინააღმდეგ, საცალკეოდ უფრო ახალგაზრდებზე. თქმით ქართველებში სრულობით არ არის, არც მორჩილობა და არც საეკლესიო მთავრობის პატივისცემაო; ყველანაირი საშუალი ვსცადე, მაგრამ მათ ვერაფერი შევასმინეო. დღეის იქით ქართველები ჩემთან ფეხს ვეღარ შემოადგმენ, სანამდინ ამ დიდ შეურაცხყოფას ცხადად არ შეაკეთებენო. თუმცა პ. **ბენედიქტესაც** შესაფერად ემდურება; მასთანვე ამბობს, ის იმათში როგორ სძლებსო. ეგრეთვე, იმასაც ამბობს, ის უფროსად არ უნდათ, მაგრამ სხვა კაცი არა მყავს, ვინ დავაყენოვო. ეგრეთვე, დაუმატა: მე ყველა შევატყობ..და დავუმტკიცე დოკუმენტებით პროპაგანდას, ახლა თვითონ იცისო. ესრეთი ჩასმენის შემდგომ, არ ვიცი, კაცი რაღა სიკეთეს უნდა მოელოდეს მონასტრისათვის.

იცოდეთ კარგად, არც ერთს მხარს არ ვუჭერ და არ ვამართლებ, ამიტომ უფროსსაც ვსწერ შესაფერ საყვედურს. თუმცა მანდედამ მიღებულ წერილებს ვრცელი და შესაფერისი პასუხები უნდა. გარნა, სამწუხროდ, მე ისეთ მდგომარეობაში ვარ, რომ ბევრი წერვა კალმით აღარ შემიძლია. ამისათვის ვამოკლებ და გთხოვ ყველას–შეიბრალეთ მონასტერი. მას ნუ ღუპავთ, საქართველოს ყელს ნუ სჭრით. იცოდეთ კარგა... ურჩობა, უთანახმობა, განზე გაწევა, საცალკეო და პიროვნული აზრების მოყოლვა მონასტრის დაღუპვა და საქართველოს გაცემაა. გთხოვ, შეიბრალოთ. ამას იქით მაინც გონს მოდით, ყველანი შეერთდით, არა მარტო ერთმანერთში, არამედ თავთან, უფროსთან, ურომლისოთ თქვენი ერთობა არ იქმნება. უჩვენეთ თქვენი ერთგულობა, საზოგადო სოფლისათვის ზრუნვა. როცა თქვენ ყველანი იქმნებით მორჩილი, მომთმენი და სანდო, მაშინ რაგინდ ბოროტი უფროსიც იყოს, გარჯულდება, მოგენდობა და ისე მოგეპყრება ყველას, როგორც საჭიროა. ერთობის დასამყარებლად ყველამ უნდა იზრუნოთ, თვარა ერთი ნაწილი არ იკმარებს. იმედი მაქვს ამ ჩემს ძმურ მხილებას და თხოვნას ყველა ყურადღებას მიაქცევთ და საწყენოთ არასფერს მიიღებთ და თქვენის კაის ამბავით მასიამოვნებთ.

პ. მიხელ თამარათი.

18 ივლის, 1911, რომი, Muizio Glemhbnt:

პატივცემულო პ. **ბერნარდე,**

არ ვიცი, რით ავხსნა თქვენი ეგრეთი მოქცევა, რომ აღარსფერი მაცნობეთ, წახვედით, თუ ისევ **ბრინდიზში** დარჩით.

მე თქვენი წასვლის შემდგომ ორიენტის აგენტიდამ მივიღე წერილი, რომლითაც თქვენ გითმობდნენ გროთის მეორე კლასსა ბაფორში. თქვენ რომ თვის დროზე შეგეტყობინებინათ ჩემთვის თქვენი წასვლის აზრი და წასვლის დროს ტრიერტიდამ გამოგზავნილი წერილი თან წაგეღოთ ბაფორისათვის, აღარასფერი სიძნელე გექმნებოდათ და მარტო საჭმლის ფასს გადაიხდიდით.

თქვენი ტელეგრამა მივიღე თუ არა, მაშინათვე ბრინდიზის აგენტს ტელეგრამა დავუკარი და ვაცნობე ტრიერტის მიწერილობა, რომ მეორე კლასი gratu გქონდათ. მასთანვე, ერთი

ტელეგრამაც თქვენ გამოგიგზავნეთ და ტრიერტის წერილი გაცნობეთ. შემდეგში თქვენი კარტოლინაც მივიღე, რათა მეორე კვირას ბაფორ არ მოჰკლებოდით. თქვენი თხოვნისამებრ, საჩქაროდ გამოგიგზავნე 50 ფრანგი ბრინდიზში porteratourte. მასთანვე მივსწერე აგენტაში, რომ თქვენთვის ეცნობებინათ ამ ფულის გამოგზავნა. მასიქეთ მე თქვენგან არასფერი პასუხი მივიღე. ისე ჰგავს, ფულმა ვერ მოგისწრო, და თქვენ იმავე დღეს, 24-ს წახვედით ბრინდიზიდამ. გარნა საჭირო იყო თქვენი წასვლა მაინც გზიდამ? სადაც პირველად გაჩერდებოდით, იქიდამ გეცნობებინათ! ამნაირ თქვენმა მოქცევამ კიდევ ძლიერ გამაკვირვა, რაცა! გთხოვ, მალე გამოაგზავნოთ ჩემი მოცემული ფული 115 ფრანგი და 50 ფრანგი. ეს 50 ფრანგი თუ არ მიგიღიათ, შემდეგში ისევ უკან გამომიგზავნიან. მაშინ ამ ფულს ძმებს მოვახმარებ.

მე გთხოვე და თქვენც შემპირდით, რომ გერმანიაში თქვენი ნათესავისთვის მიგეწერათ, რომ ჩემთვის ხმიანი წირვები გამოეგზავნა. ესეც არ შემისრულეთ. მაინც ახლა მანდედამ მისწე-რეთ, რომ გამომიგზავნონ ხმიანი წირვები.

ვნახოთ მანდედამ თქვენი შვიდობის ამბავს როდის მივიღებ. მაშ მშვიდობით. **პ. მიხელ თამარათი.** 30 ნოემბერს 1909 რომი. NieMuzioGlomenti, Jo.

ბენედიქტე ვარდიძის წერილი მამა სტეფანეს

პატივ-ცემულო მამაო პ. სტეფანე,

გუშინ დილით, 5 საათზედ, მოველი მონთობანშიდ; ხოლო იმ დღესვე წერილი ვერ მოგწერეთ, რადგან ძალიან დაღალული ვიყავი და თანაც რავდენიმე ვიზიტა გავაკეთე თვით ეპისკოპოზთანაც, რომლის დასტრობით, დიდის დიდებით დაუსაფლავებიათ ჩვენი პატივცემული მიცვალებული მამა **ალფონსი,** და ყოველს დიდი მადლობა მოვახსენე, რომელნიც ერთპირად ამბობენ, რომ თქვენი მონასტრის პატივისათვის, ყველა რაც შეიძლებოდა, აღვასრულეთო, და თვით თავიანთი მღვდლებიც ქართულად დაუსაფლევებიაო. მისი გარდაცვალების ამბავი მხოლოდ აქ მოსვლისას შევიტყე; საქმები, როგორც მანდ ვიცოდით, ისე არის; **ანდერძის ძალით პავლეი დაუდგენია** lijalmu mniversil თეოპიერ ლეღათსისა; რაც მაქვს, იმისი არისო; ეხლა ყოვლის ფერი მის ხელშიდ არის; მე მაინც ჩემივე ჩვეულებისამებრ ტკბილად და სიყვარულით ვლაპარაკობ მასთან, და ურჩევ, რომ მონასტერშიდ წამოვიდეს ჩემთან; სოლიკო დიდ უარზედ არის; მე გამიგონია სხვებისგანა - რომ ფერი ქვევი ჯოჯოხეთი არისო, და იქ ვერ მივალო; ილოცეთ, რომ ღმერთმან და ყოვლად წმიდამ გული მოურბილონ, თუ არა გეუბნებით, რომ გაკრას და წავიდეს, ვინ რის მთქმელი იქმნება. ლურდშიდ წასვლის სურვილი გამოაცხადა და მეც რომ ვნახო, არ იქმნება უადგილო: ამისათვის ამ დღეებშიდვე წავიყვან, რათა იქმნეს ღმერთმან გული მოურბილოს და ყოვლად წმიდამ კეთილი აზრი მისცეს...მაგრამ არა ჰქმნა კარგი საქმე ჩვენმან განსვენებულმან; აქ დიდის დიდებით დაუსაფლავებიათ, მაგრამ ყოველგან კი მოსდებია, რომ რაც ჰქონია, თავისი ყურის მგდებელისათვის დაუტოვებიაო, და ეს არ მოსწონსო, მეტადრე მონაზნებს და სხვათაშორის რეპამპოირისტებს. თქვენი კარგი მოსახსენებელი დაცულია.

ჩემ მგზავრობაზე არაფერს ვამბობ, რადგან პ. ალფონსის სიკვდილმან ყოვლისფერი დამავიწყა. მე არ მოველოდი, რომ ის მკვდარი დამხვდებოდა; დიდათ მსურდა მისი ნახვა, და პატივისცემა; ვინც რა უნდა სთქვას, მე მტკიცე სურვილი და აზრი მაქვს, რომ ყოველა მონასტრის ნასხამთა და მეტადრე ძველებსა დიდი პატივი მიუძღვნა; ხანდის ხან, გაჯავრების დროს ბევრი რამ ითქმის; **მაგრამ რისხვის დროს ნათქვამს მნიშვნელობა არა აქვს, რადგან მაშინ კაცი თავს ვეღარ იკავებს. ამისათვის ყოველს უნდა მიუტეოთ და ყოვლისგან ბოდიშიც უნდა მოვითხოვოთ. მადამ მიშელს** თქვენი სახელით ტელეგრამა მოსვლია: **პ. ანდრიას** მოსვლა, საჭიროა თუ არაო; ტელეგრამა თვით მეც ვნახე; რადგან მთავრობის წინაშე საძნელო საქმე არა არის რა; ამისათვის მე მაგის აქ მოსვლის საჭიროებას ვერა ვხედამ. ხოლო უკეთუ საჭირო გახდეს მაგის აქ მოსვლა, მაშინ ვაცნობებთ ტელეგრამით; თქვენს პასუხს, გარდახდილს ტელეგრამას სამი თვე ვადა აქვს; ხოლო მე აქ სამი თვით გაჩერების აზრი სრულებით არ მაქვს; რომშიდ პელერინაჟი მოდის აღდგომის სამშაფათს; რადგან ნაკლებ ფასად არის და თანაც Mys gardi-ც მოდისო, შეიძლება მეც წავიდე, ახალ საქმებისდაგუარ.

სიყვარულით მოკითხვა ყველას.

წერილები თამაროვის ადრესით გამომიგზავნეო, რადგან თუ აქ არავარ, ის გარდმომცემს, სადაც ვიყო.

თქვენი უმცირესი პ. **ბენედიქტე ვარდიძე.**

დომინიკე მუღაშოვის წერილი მამა სტეფანეს

1909 წ. 26/13 აგვისტო. **გორი.**

ქებული იყოს იესოს სახელი

აქვეა გვერდულად მიწერილი: პიოს მღვდლობა ყოველას გაგვეხარდა მოლოცვა ჩვენგანო. რეტრეტისგან არავითარი დასკვნა გამოვიდა, წყალი ვნაყეთ და ისევ წყალი დარჩა.

ღრმად პატივცემულო **მამაო პ. სტეფანე**

დიდათ ბოდიშს ვიხდი თქვენთან, რა მაქამომდე წერილი არ მოგწერეთ და არ გაცნობეთ ჩემი გარემოება. მართალია, თუმც ჩემი ბრალია, მაგრამ ჩემდა დამოუკიდებელი მიზეზები იყვნენ ჩემი ამფერი სიჩუმის. მოველით ბ.პ. ბენედიკტეს მისი და ქრისტინე და მე **ბათუმში**. იქ არავითარი განკარგულება არ მიეცა ჩვენ აქაურს სოსანს. მაშინ მეც პირდაპირ ჩაველი **თბილისში** საბაჟოს დასაკავებლად და მერმე იმავე დღეს წამოველ **გორში** პ. **ლეონთან.** და ჩემ საკუთარ საქმებისათვის სოფელ **სკრაში**, რომელიც შვიდი ვერსის სიშორეს არი გორიდან. ამ დროს ჩემმა მტრებმა მამა ლაზარემ დონ მიხელ ანტონოვმა აფრინეს ტელეგრამები სოსანთან და კიდევ ხელ მეორედ წირვა შემოკრეს; მერმე კი ისევ სოსანმა კეთილ ინება და უკან აიღო თავისი უკანა დო სუსპენსი. ამავე დროს პ. ბენედიკტე წავიდა სოსანთან **ესენდუქში**; იქ რაცკი ილაპარაკეს და მე დროებითად დამნიშნეს გორში პლეინის ადგილას, რომელსაც ოტპუსკი მისცა სოსანმა. ახლა ვიმყოფები გორში. სეკტემბრის ბოლოს მითავდება; რეტრეტი გვქონდა, შვიდი მღვდელი ვიყავით შეკრეფილი. **პ. პავლე. პლეიხი პ. იოვანე, პ. ბასილი, პ. ალიოზი** და მე თქვენი მსახური. თქვენ რაც დამაბარეთ, ყოველას დაწვრილებით უთხარი მანდაური მდგომარეობა; ყოველამ ზიზღი გამააცხადეს პ. ბენედიკტეზე და მაგნაირ პატრიობაზე. ყოველამ დაიწუნა ამისი მართვა-გამგეობა.

ჩემი საქმის შესახებ უნდა მოგახსენოთ ის, რაც მანდ აგიხსენით, რომ მე პ. ბენედიკტესაგან არაფერს არ უნდა მოველოდე, რადგან ეს ამბობს, რომ მე ეპისკოპოზს არ ვაწყენინებო; უნდა დავაკმაყოფილო ანტონოვების ჯინი და შური, რადგან დონ. **იოვან ანტონოვმა** ბევრი სიკეთე მიყოვო, მან მღვდელი გამხადაო და წირვებსაც გვიგზავნის მონასტერშიო. აი, ეს არის ამისი საბუთი, რომლითაც მე უნდა გამხადოს მათ შორის მსხვერპლი. მაგრამ უნდა მოგახსენოთ, რომ კანონიერი ავტორიტეტი მე არ დამავალებს, რომ დავემორჩილო, არამედ უნდა დამიცვას და გამამართლოს, რადგან თვითონვე ამბობს, რომ ეპისკოპოზმა ბრძანაო, რომ პ. დომონიკეს დიდ ბრალი არ აქვსო; მაშ, სვინიდისიც მავალებს, რომ მე ჩემ თავს ყური ვუგდო და ამნაირი მოსარჩლისაგან ხელი ავიღო. ეპისკოპოზი **სარდი** სწერს პ. ბენედიკტესა, რომ პ. **დომინიკე** წამოვიყვანეო! მე მიკვირს მაგ დალოცვილი და კურთხეული პირისაგან. მე მანდ როგორ მოვიდე ამ ნაირის სახელით და ან რა გავაკეთო? მანდ, ვიცი ჩვენი პ. ბენედიკტე ატყუებს სოსანსა და წრფელი გულით არ ატყობინებს ყოველა რამეს, რაც აქ ხდება. ეს თავისი ნათესავებისათვის ცდილობს და თავისთვისაც საქმეს იმაგრამს, რომ ორი წლის შემდეგ აქ მოვიდეს და აქ საქართველოში იყოს დანიშნული. მე შემახვეწე **სოსან სარდს**, რომ უკანასკნელ წამს ნუ მიმიყვანს, ჩემი საქმეები არ დამიმთავრებია და ორ წელს არ დამთავრდება; პ. ბენედიკტე ბრძანებს, რომ მამულები დაყიდეო და ფული შემოიტანე მონასტერშიო. ახლა მამაო! მამულები არ გაიყიდება და ვერც გავყიდი. ის ორასი მანეთი არ მომცა; არ ვიცი, რას აპირებს. თავისი პასპორტის ფულს (345) სამას ორმოცდახუთ მანეთს კი კარგა გადიხდის

შტრაფათ. პოლიცია დაეძებს და **ანნა ელისანოვის** საქმე დააჩქარეთ, რომ მანც მიიღო აღთქმა; ეპისკოპოზ საცალკეოდ მოწეროს; გევედრები, მალე მოახერხეთ, ცოდვაა საწყალი და რომელ-მაც თავის ახალგაზდობა მონასტერს შესწირა.

მოველი სანუგეშო წერილს თქვენგან

პ. **დომინიკე მუღაშოვი.**

პატრი ლეონ აფრიამოვის წერილი მამა სტეფანე გიორგაძეს

20 აპრილი,1913 წელი, ძველი სტილით

პ. სტეფანე გიორგიძეს

მივიღე თქვენი ჭუჭყიანი წერილი სავსე მოწამლული და გესლიანი შხამითა. ჭუჭყიანი ადამიანი სიჭუჭყეს რომ არ სუნთქმიდეს, ეს არ შეიძლება. მე არ მინდოდა და არც ვიკადრედი, რომ მე ამ სიჭუჭყის შესახებ ჩემი კალამიც გამეჭუჭყიანებინა, მაგრამ გწერ, რათა lacere non consentire videatur. გარნა ისიც იცოდეთ, რომ ეს მხოლოდ იქმნება შენთნ სამუდამოდ და საბოლოვოდ მოწერა და თუ კიდევ იკადრეთ ამისთანა საზიზრარ საგანზედ მოწერას, მაშინ ის თქვენი წერილი უპასუხოდ ჭუჭყიან ადგილში გამოდგება.

თქვენ უსინიდისო, მე მორჩილებთ სადღაც აზილში ვიზიტათ წასვლას და სხ-„ სად გააჩინეთ ეს აზილი? ჩემს დროს ფერქვევში ერთად ერთი აზილი იყო პეტი სვერებისა, სადაც ყოველდღივ მიცვალებული პატრი ალექსანდრე დადიოდა და ხანდისხანაც პ. ხიშტოთი, მე არ მომაგონდება, რომ იქ წავსულ ვიყავ, თუ არ იშვიათად და ისიც ავათ მყოფებისათვის საიდუმლოების მისაცემლად. მაშ სად იყო ის თქვენი გამოგონილი აზილი. შეიძლება მაგისთანა უბედურობა თქვენ გარდაგხდათ და თქვენს სიჭუჭყეში სხვას ჰსვრით. ისიც კიდევ თქვენი სხვა ბოროტობა, რომ ვითომ თქვენის თავის გამართლებისთვის ვითომ ჩემს ნათქვამ სიტყვებსაც მწერთ, როგორც მიზეზად აზილში ჩემი წასვლისას! თუ რომ ეს მართალი ყოფილიყო, განა დამზოგებდი და საჩქაროდ არ გაექანებოდი ბანკალთისაკენ და არ ჩამათრევდი სოსანთან, როდესაც თითქმის ყოველს განაჩენს დღეს ჩემს დაკეტილს ოთახს აღებდით და დაუძინებელი მტერსავით ოთახს, შკაფებს მიჩხრიკებდით, რათა რაიმე საბუთი გეშოვნათ ჩემი გაშვებისათვის!

მეორედ, მწერთ უსინიდისოთ, რომ მოლოზნებთან დაიარებოდიო. მე თუ იქ დავიარებოდი, ისიც შენი დიდი თავის ბრძანებით იყო, რომ სკოლაში საქრისტიანო მოძღვარებას ვასწავლიდი და არა შენი ჭუჭყიანი თვალსაზრისისათვის, და თანვე იმასაც მწერთ, რომ: უმფროსმა დაგიშალა და შენ კი არ დაიშალეო; ესეც კიდევ შენი ბოროტებისაგან გამოგონებულია, რადგან თუ მართალი ყოფილიყო, ისინი შენთან დამაბეზღებდნენ და ჩემს მანდ ყოფნის დროსვე შენი გულის სანატრელს ფურსანდსა ხელში ჩაიგდებდით და ყოველ ნარცხს თავზე გადამამასხევდით დაუზოგველად, და ამასაც ჩაიდენდით არა კეთილ შურისათვის, არამედ თქვენი პიროვნულ ინთერესისა და გოროზობისათვის და საქვეყნოდაც ბაირაღზე ამაცვემდით ყოველას საცქერლად. მეტადრე, რომ როცა თქვენს საუბედუროდ, უმფროსად აღრჩეულ გახდით და იმ წუთიდგანვე თქვენ იმ ამპარტავნულ გრძნობით გაჟღინთულ იყავით, რომ თქვენი უმფროსობა AD VITAM დაგემტკიცებინათ და ამისი მოწინააღმდეგე, როგორც პირადაც გითქვია, სხვა არავინ გაგაჩნდათ, თუ არ პ. ლეონი. განა დაუძინებელ მტერსავით ორივე ხელით არ მოებღაუჭებოდით ამ მარჯვე ფურსანდსა მისი მიწასთან გასწორებისათვის, რათა ბურთი და მეიდანი მარტო თქვენ დაგრჩენოდათ. ამისათვის კი მე შენსავით არ გამოვუდგები სხვა და სხვა ანდაზების მოტანას, მხოლოდ მოგახსენებ წ. სახარების სიტყვასა: **გამოიღე ჯერ შენი თვალიდგან ის უზარმაზარი ძელი და მერე შეეცადე მოყვასის თვალისაგან ბეწვის გამოღებასა.** შენ, საწყალო და მართლა ჭუჭყიანო, თითქმის ყოველ დღე სირისირით და საათობით

მოლოზნები შეგყავდა შენს დახურულ ოთახში სამუსაიფოთ, დიდსა და პატარას აბრკოლებდით, ვერავინც გიბედებდა ხმის გაცემასა, რადგან დიდი ყადი იყავით, ამას ფარცხამთ და არაფრად ჰსთვლით და მე რომ უმოწყალებისთვის კათახიზის სასწავლებლად მივდიოდი, ამაზედ ბუკს აყვირებთ. მაშასადამე აქედგან თავისთავად ის დასკვნა წარმოსდგება, რომ **კაცი თვითონ რაც არის, სხვა ისე ჰგონია**. ნათქვამია: ჩემი შენ გითხარი და გული მოგიკალიო; მე თქვენზე ამისთანა ჭუჭყიანი აზრი არა მქონია, მაგრამ თქვენ უსინდისოდ აგრე მასხამთ. უეჭველი ჭეშმარიტება არის, რომ ამისთანა ჭუჭყიანი ისევ თქვენ უნდა იყოთ თვით მაგ სიბერის დროსაც, რადგან თითქმის ოცი წელიწადია მე მანდედგან წამოვსულვარ, მანდ არაფერი გითქვამს ჩემთვის და არც აქ მოგიწერია, როდისმე რაიმე და აქ კი ამდენი ხნის შემდგომ ჩემს გულში არსობთ აღვსილს მახვილსა. რა იგი შეეხება ჩემს საქართველოში წამოსვლასა, მარტო ამას მართალს ამბობთ, რადგან მე შენთან ცხოვრება აღარ შემეძლო და თქვენც დიდის აღსწრაფებით ნება მომეცით. ჩემი თქვენთან ცხოვრება იმისთვის შუძლებელი გახდა რადგან თქვენ უმფროსი კი არა, მტარვალი, გინა ტირანი იყავით; ყოველას სოფლის ვირებად ჰსთვლიდით და თქვენ რომ ქალაქის უფრო დიდი სდორთ ამაზედ არ ფიქრობდით. თქვენ თქვენს უმფროსობას ამყარებდით ამ ორ რაიმეში, ესე იგი, დიდი ყადივით მბრძანებლობაში და რჩეულ საჭმელების ძებნაში, ისიც მრთლად განცალკევებით. ერთი ძმა ყოველ დღივ ქვეით მიდიოდა საყიდავად და დასაკმაყოფილებლად შენი ღორმუცლობისა და სხვებს გინდ ნაცარი ეყლაპათ, ეს სულ არ გენაღვლებოდათ. უბრძანებდით სხვას, თქვენკი არასფერს ასრულებდით წინააღმდეგად იესო ქრისტეს მაგალითისა, რომელმაც ჯერ თვითონ შეასრულა და მერე სხვას უბრძანა. ძველი კანონები არ მოგწონდათ, აგინებდით კიდევაც და ახლის შედგენის თავიც რომ არა გქონდათ, ამისათვის თქვენი მოქმედება მრთლად ლაყი იყო. რა იგი შეეხება მანდაურ სოსანთან ჩემგან საჩივრის მოწერასა, ესეც სავსებით შენი ცრუ მოგონებაა, რადგან მე არც მაშინ და არც შემდეგში როდისმე რაიმე საჩივარი მომიწერია მანდაურ სოსანთან. მხოლოდ თქვენ რავდენიმე გზის მოგწერე, და როდესაც ბოლოს გამიჭირდა და ჩემი საქმე აქ მარცხათ, გთხოვე, ნება მომეცი უკანვე დავბრუნდე თქო და თქვენ ნაცვლად ჩემი შებრალებისა, საჩქაროდ და ისიც ზაკაზნოით, მომწერეთ თქმით: გიბრძანებ არ წამოხვიდე და თუ უნებურად წამოხველი, მონასტერში მიღებული აღარ იქმნებიო.

ახ! ნეტავი მცოდნოდა მაშინ ჩემზედ ეს თქვენი ცუდი აღბეჭდილობა! განა დავიხევდი უკან? საქმეც რომ მარჯვედ მქონოდა მაშინ, უეჭველად კიდევ თავს დაგესხმოდი და გენახა შენი თავბრუს დასხმა და გიჩვენებდი, ვინ იყო უფრო ასკეცილად ჩასაქოლებელი. რაც გახლავს ქაღალდი მიიკურწა და და კიდევაც ვათავებ. - შ.ნ. ამობთ, ამ წერილის კოპიოს ვინახამ შენს სხვა წერილებთან, რომ ვინც მათ წაიკითხამს, ესეც თან წაიკითხოსო. მე მაგისი არ მეშინია, **ღმერთი გულთა მხილველია**; იმან უკეთ იცის, ვინ უფრო ასკეცილად ჭუჭყიანია. მხოლოდ მე გთხოვ, რათა ოქროს ან ვერცხლის ანჯუსტი გააკეთებინო და შიგ ჩასტოვო შენი თუ ჩემი წერილები და კისერზედ ჩამოიკიდო, რათა უზაჰმათოთ ხანდისხან და სასათაელო მედითაციონები გააკეთოთ და დარწმუნებულიც იყავით, რომ უხვად ინდულგენციებსაც მიიღებთ სათაელისაგან.

პ.ლ. აფრიამოვი

გადიწერა მაისის 14-ს 1913 წ/სა

მინაწერია გვერდულად პირველ გვერდზე:

აქ მინდა ისიც მოგახსენო, რომ მე მიმაჩნიხარ და მიყვარხარ როგორც მღვდელი და ღვთის ხატად გაჩენილი; არა ვარ თქვენ ზედ ავ გულად, მაგრამ მძულს და ზიზღი მაქვს გამოუნელებ-ლად თქვენი ბოროტობით და შურისძიებით სავსე საქციელისა.

მამა სტეფანე გიორგიძე დონ ივანეს

30/18 აპრილს 1897. წ.

ფერიქიოვშიდ

ყოვლად ღირსეულო და პატივცემულო უღ დონ **იოვანე**

ქრისტე აღსდგა!

ძმაო დონ იოვანე, როგორც სხვების, აგრეთვე, აწცა მივიღე სასიხარულო და დიდათ გასახარელი აზრით სავსე წერილი თქვენი 7/19 აპრილისა ამავე წლისა, არ ვტირით, განდგომილო ძმაო, ეგ შენი ეგოდენი კაცთ მოყვარეობა და ზრუნვა ჩვენი მონასტრისადმი ერთგული შვილებისათვის რომ ჰფიქრობთ, ყოველ ნაირათ მის წარმატებასა და ხელს უპყრობთ, ვითარცა მამა კეთილი, აწ ყოველან ვნახოთ, რომ გარდგიხდისთ თვქ უმანკოდ შთასახება, რომელიც ტიტველზედათ რომ არის ეს მონასტერი დაფუძნებული, თუ რომელიც საშუალით თვისი ერთგული მორწმუნეებისა, არ გვაკლებს ნუგეშსა და შემწეობას, წინათ და შედეგად ჯოჯოხეთის კარის, რომელს ჰსურს შთნთქმა ჩვენი.

ამ თქვენი სასიამოვნო წერილის გარდა, მივიღე ბენედიქტესიც, რიცხვი 1. აპრილისა ამა წლის და რადგან სიყვარულმან სულის წმიდისამან გული აქვნ ერთგული და ერთსულ . . . ერთი ქვესთანა, ამისთვის ორივს პასუხს ვათავსებ ამ ერთ წერილშიდ, სადიდებლად უფლისა.

ძმანო, რადგან სოსნის გული, შეუქმნია მოწყალედ ქალწულს მარიამსა, ქვეყანათ ხვარზედ და დაუწყვია მცირედთ აკვნიდან და თან დასპირებია მაისშიდ ანუ ივნისშიდ მღვდელობასა და მერე ის სანატრელი და ბრძნული რჩევა თქვენი, თითქო ზეგარდამო, და გამოჭრილი ჩვენი საქმის და აღსასრულისა საბედნიეროთ, თანახმა ვარ დიდის სიხარულით და კმაყოფლებით, რომ **ბენედიქტე ჩილინგაროვ** დარჩა მანდ, ვიდრე ეკურთხოს მანდვე მღვდლათ და მერე, როგორც წესი, ძმა და საყვარელი დონი ივანე და სოსანსა დასჯდომია, ეგრე მოიქეცით, უფროსობა და მზათ ნაკურთხი მოვიდეს აქ ჩემთანა, ერთი სიტყვით, ძმაო დონ ივანე, აქვე იქნებით ბენედიკტესა წინამძღოლი და პატრონი. პატივისათვის ქ. მარიამისა და მაქვე გვარისა.

აგრეთვე, დიდს მადლობას გწირავთ წ. წირვებისათვის, რომელიც ამ წერილით მოგიწერიათ 50 ხმიანი წირვა 50 p: და 10 ჩემი ნიჯ. 5. p: იქმნა ორივ შეტანილი დავთრიდ სძველად.

მწერთ, ძმანო, დათმენას: და მე უბედური, აგერ ხუთი წელიწადია, ამის მეტს რაღას ვაკეთებ? საზრდო ჩემი, შეიქმნა დათმენა, ჭირი, დევნა ძმათაგან, ცილისწამება, ლანძღვა, გინება, პირში შურაცხყოფა, ერთი რამ დარჩათ: ხელჯოხი და ამის ნაცვლათ ერთმა წიხლიც მითავაზა. განა ძმაო, ამაზედ მეტი დათმენა შესაძლოა კაცისთვ? მე მათ შორის ვითვლები საყოვლიერო უმფროსათ და აღთქმა აქსთ მიცემული წინაშე ღვთისა, უმფროსის მორჩილებისა, დავალებით მძიმე ცოდვის ქვეშა და მე მათ შორის, არათუ უმფროსი, არცაღა მეკარე ვარ, არამედ ერთი ვინცხა გადმოვარდნილი და უცხო ვინმე.

არ დავაკელი რაცკი შევძელი, გავაწირე ჩემი თავი, დავსტიე ათი წლის წინ სამი ადგილი და შემდეგ 25 წლის მისსიონშიდ ყოფნას დაუტევე სულყველა და რაც ეკონომიკით გარდავარჩინე, არა დაქადნით, არამედ, რადგან სიტყვამ მოიტანა, ვამბობ 6000 (ექვსი ათასი) მანეთამდე ჩამოუტანე მონასტერს და ერთი იყო, რომ გავბედე დაწყალობა ახალი მონასტრისა. მერე დიდის ხვეწნით და შებრალებით აღვძარ გული პ. ალფონსისა, რომელმანც 2000 მანეთამდე

გამომიგზავნა, პ. პავლემ 1000 მანეთამდე, პ. ბასილმა 600.р. პ. ანსელმან 100. ლიონას ძმობიდან, რომ სულმოჭრილი ჰქონდათ და აღარ უგზანიდნენ არასფერს. თქმით, რომ რას აკეთებთ, რომ შეგეწიოთო. ვეხვეწე და ვეხვეწე გაბეზრებამდე და ხელმეორ დავაბმევნე წელიწადშიდ სამი ათასი 3000 ფრანგი. კარტეზონებმაც შემწეობა მომცეს. ცხონებულმან **დონ დიმიტრიმ** 500 მანეთი, ზოგიც შინაური შემოსავალის ეკონომიდან, ასე გაყიდიეს მონასტერი მარნით 5. ეტაჟა. . . იგი მარნიანა, სადაც 40 სული მოთავსდება, რომ ყველაში დააყენო. . . გარდა ამ ხუთ წელიწადგად ჩვენი ახალი დაწყობილი ეკლესიის გვერდით **ცარიელი მიწები რომ მერე სხვა არ ჩათესლებულიყო, 3000 კვადრატ არშინამდე** ვიყიდე, ერთი ხის სახლიც. ვალი რომელიც საუბედუროთ, მოეტაცებნათ თავადი მიქელაძესაგან ხიშტის და ლეონ აფრიამოვს და ის პირი ვრაგანათ ისესხებს. მათ სთხოვდა ამასით 450 თათრის ოქრო. ესრეც გარდუხადე სრულებით და არ მიუშვი, რომ მამულები აეწერათ. ყმაწვილებიც აგერ 7. აქა მყავს კიდევ ერთ ავდენ ვუვლი, ცოტა დაწყნარდება რა ქვეყანა, მონთობანის 16 წლის დაკეტილ სახლი ესეც გაიღება, იმავე მთავრობის ნება დართვით გავაღეთ და მოსწავლენი გავგზავნე, სადაც დიდ პატივშიდ არიან. ასე, რომ იქაურმა ეპისკოპოზმან Meislicar მან მთელი 7 თვე ჩვენი რვა სული ჰკვება, სახლიც მისცა, სანამ ჩვენს ძველსა სახლს შეაკეთებდნენ და გადავდოდნენ. ახლა კლერმან და ხალხმან იქაურმან ეს ცარიელი სახლი გაავსო, მებელებით, კარიოტი და ლოგინებით, თეთ-რეულით, სამოსით, სარჩოთი, უფლის შემწეობით, რომ .. ჯერ თავი თვით ეპისკოპოზმან დაიწყო და მოჰყვნენ სრულათა, რომელიც არა ჰგავს აქაურს სოსანსა.

ახლა დებისათვისაც ადგილი ფრანციაშიდ ავიჩინე, რომ ყმაწვილები მათიც იქ გაიწვრთ-ნონ და დიპლომიც მოიპოვონ და მერე ისე მოვიდნენ. ბერძნებმან ჩვენი მიწა წაგვართვეს, ხოლო 2 წელიწადი იმდონი ვიშრომედ და უცადეთ, სადაც აქაური სოსანი, არათუ შეგვეწია, არამედ ძალითაც გვატანდა, რომ შევეთა . . . .ლებისათვის; მაგრამ ვერ მივართვით და . . . . მოვიგეთ სადაც 5.000 კვადრატი არშინი მიწაა. .ენი განა შემეძლოს ძმაო! . . არა ცალკეულ იყო და არის ძალა და ძლიერება ღვთისა და უმანკოდ შჩასახებული ქალწული მარიამისა და მევი-თარცა ერთი უბრალო ისტრუმენტი, რეცა ნათესი ყანა მიწას ხმელი ჯოხი. მაგრამ ჩვენებ-თაგანი, ზოგიერთნი ხედავენ ამას, დიახ ხედავენ. ხოლო არ უნდათ, რომ დაინახონ ესმასთ, როცა არ უნდათ, რომ გაიგონონ: და ცდილობენ, მონასტრის დამხობასა: მაგრამ ვგონებ თავათ ერთ ადრე დაიმახობენ და ვიდრე წყალობა ღვთისა იქმნება ამასახლზედ, ეს უფრო გაძლიერ-დება და ისინი კი სამუდამოთ გათავდებიან თავიანთ გესლით და შხამითურთ.

ახლა მოკლეთ გითხრათ თეოლოგისტის გაწმენდილი და წრფელი გულის ტანჯვა, თუ რაც გადაუტანია მას იმ თეოლოჯიიდანა. ესე იგ. ბ. თამაროვს, ამას დავატყე ბევრს და ბევრს საქმედ, რო უნდოდა, სულ მარტო თითონ ყოველ იყო, ყველა ჩემს საქმეებშიდ, და იმ პლანით, რომ . . . .ის ნებასურვილზედ მე უფრო და დამჭირნე ვყოფილიყავ მარტო მას ზედ, ისიც და მეც მიმხვდარი ვიყავვით. ხოლო პ. ანდრია, რომელიც ასისტენტი იყო მასთან, რო. . . . . საწერ რო . . . .დესთ აყვანა და ფაფაზი ქოვრიდგან, ფერიქოვიდ ამოყვანა. ეს მე **თამაროვ** განუცხადე, აძაგა ეს პირი უღირსათ და მეტი არა სთქვა რა და როცა კრება მოვახდინე ამაზედ და პროტოკოლი შევადგინეთ, მაშინ დაინახა **თამაროვმან**, რომ სხვებიც თანახმა იყვნენ. მაშინ, სულ სხვა პლანს მოჰკიდა ხელი, თქმით, რომ პ. **ანდრია** მხოლოდ საჭიროა **ფაფაზქოვისათვის**, ეს იქ საქმეს კარგათ წაიყვანს, ამის მოშორება იქიდან არ შეიძლება, ცოდვა იქნება და სხვაც . . . . და ის გადაყლაპა რომ 15. დღის წინაშედ ჩემთან იძახდა, უღირსი პირია თქვა და დღესვე ღირსეულს

ხდის. ამას გარდა, რომ დარიგების შემდეგ მე ერთ საქმეზედ, რომელიც ვალი ავიღე მთლივ სახლისათვის, მივეცი ცალკენ და მან არა თუ არ შეისმინა და შიწყნარა, არამედ, ალიაქოთი დააყენა და ცილისწამებით გაავსო მთელს არემარე და **ხიშტი** და ათოშვილი, რომელიც იყვნენ, ჩემნი მუდამ წინააღმდეგნი, მათ მიემხრო და წინეთ, რომ ერთმანეთს სალამსაც არ მისცემდნენ, ამ დღიდგან დაიწყეს ერთმანერთის დაცვა და მხარის მიცემა და ამათ ჩაჰქონდათ ცილების წინ და ისიც სიამოვნებით უსმენდა მათ და უსმენს დღესაცა, რომელიც თითონაც კარგათ იცნობს ფაქტებით ამ ბატონებს: მაგრამ სჩანს . . . რი ვერს შედგა. ამას გარდა **თამაროვმა** ვიტყვი, რომ **მონთობანის** საქმე გაარიგდა, რომელიც მას არ უნდოდა, გვცინოდა და სოსნითც მიიმხრეს, რომ ეს არ მომხდარიყო, სულ ვერას ძლიეს ღვთისმშობლის სურვილით და შე. .ბასა; და ეს თითქმის ურცხვი და გონება ბურუსით მოსილი მაშინ მოვიდა და ესე დაიწყო: „მე სულ არ მეგონა, რომ ეს საქმე გარიგდებოდა, სჩანს რომ საქმეში ხელი ღვთისა არის, დაიჩოქა და მოითხოვა ბოდიშით, მომიტევეთ, რომ გაწყინეთო, მეც მივუგე: **სულმანც ისცნა სული,** სხვა საქმის ხელშიდ გატარებისათვისო იკლო ჯართ მართლათ მოწონება; და მითხრა მერე **პ. ანდრიას** იქ რომ გასგზავნით, ხომ საქმეს გაგვეფუჭამსო, უნდოდა ეთქვა . . . ოვ მე გამგზავნეო. უთხარი საქმე მორჩენილი და გადაწყვეტილია და შეცვლათ ეხლა არის იქ ნება თქო. ამან ეს გაიტანა დაიწყო კდ სირბილი ათს ადგილას და გაგება იმ პირისა და ჩემი საქმისა, სოსანიც გადარიეს. ხელს ურთ აქ გაირიგეს, რომე, ახლა ატყდნენ საქმეზედ, რომ მოვინდომე იქ გაგზანა და გაწვრთნა. ხოლო აქაც ასე დარჩნენ; გარნა ღვარძლი სთესეს და სთესვენ დღესაც რადგან. აგერ ამ მმართველობას, ამ აზრს, ამ სულის და ამ რიგი გულისტანჯვით გაიმაცნეს თავი მათი ამ **სიმონ თამაროვმან, ხიშტიმ და ათოშვილმან.**

და ეს ათოშვილი არის ის, რომელიც ერთხელ იერუსალემშიდ გაიქცა უნებურათ ტერპეტ-როსისა. ეს არ არის ის, რომ მუდამ შფოთვა, გონება, ლანძღვა, ხელის გამოღება, რომელიც ეხლა ძმა იობი საქრისტიანოშიდ . . ერთ ხმება, არარაც არ გ . . . ბებს და თუ საჭმელი არ მოიწონა, იქვე აყროლდება და რაც მოადგება მიახლის მაშივე პირშიდ მერე დიდის ღრიალით და ბრაზებით. ხიშტსთ ხომ ნუღარ იტყვით და ეს ბატონი მათ ენით ლოკამს აგერ მეორე. თუ იქნება და წინეთ ეს სამივენი ერთმანეთთან ისე იყვნენ, როგორც პილატე და ჰეროდე. ვიფიქრე ა. ათოშვილის მეორე ადგილას **ფაფასქოვრშიდ ანუ უსკუდარშიდ** გადაყვანა და აქ მოსვენება, რადგან 7 ყმაწვილია, ხედავ თვალით . . . მას მოქმედებასა და ესენიც ცხადია საბ . თ გაფუჭდებიან. ამას ზედ ბ. **თამაროვმა** მისცა ზურგი, რომ აქ დარჩეს და არ გადავიდეს სხვა სახლშიდ: რომ მე არ დამმემორჩილა და კიდეც გამლანძღა, წიხლის კვრით და მითხრა:– შენ წადი, შენ დაიკარგე, მე აქ უნდა ვიყოვო. ეს ჩემი სახლიაო; მეტადრე აღარ ვსთხოვ ეპისკოპოზს, რომ უბრძანოს გადასვლა და ეს დაბრკოლება ადგერ შეიდგან: მერე ჩახვდა **თამაროვ** და გასჭედა სოსანი და თან **ათოშვილს** დაუწერა წერილი, რომ თუ ეპისკოპოზი მიბრძანებს, გავალ უსკუდარშიო ამ . . იო. 1. ბიჭი წირვას მამახმარე და მისი შენახვის ხარჯი (თითქო იქ არ იცის ეკლესია და ბიჭი) - თვეში ჩემ შესანახათ 60 ფრანგიო, -ახლავე 5 ოქრო ტანისამოსისათვისო.-მერე ჩემი ტანისათვისი-აქ უნდა გამოვიდეს კვირაში სამჯერ და თვეში 15. ფრანგიო. ავათ რომ გავხდე, მისი ხარჯიო. ესენი იმ . თეოლოგს დაუწერია და შემოიტანა და ესრეთო არ ვენდობი უმფროსსო, ახლავე ჩააბაროს სოსანსო.

ახლა როგორ მოგწონს, ძმაო და ივანე და ძმაო ბენედიქტე? ხომ კარგი ბერები არიან: ორთავენი უმფროსს არ სცნობენ და უმფროს სთხოვენ სარჩოსაბადებელსა. ბარაქალა თეო-ლოგს, შენ თვარა, სხვა ვერ მიწვდებოდა და ვერც გაბედამდა ამას!? . . . სოსანი ხომ მთვარესავით თვალღია და უფრო მათკენ თლიდა, ამაზედკი ვეღარ მიუთალა და მასხრათ აიგდო, რომ ეს ბატონები კონტრაქტებს თხოულობენ და რისთვის თვითონაც არ ესმისთ. ასე ძმა დ. ივანე და მრავალით სხვაც ამ რიგია და ახლა მოდი და ნუ შემიბრალებს კაცი, მე თუ სახლსა, კაცი ჯავროვრისგან ჩავმოხმი და სიცოცხლე გამ .ლო. და ეს ამათი უნარი არ არის ახალი, ძველათ სჭირვებიათ, სადაცა თვით ტერპეტროსი თავისი წერილით კვნესით იძახის: „წახდნენ და გაფუჭდნენ და მონასტერმან მიაღწია დაქცევაზედო, ამას სწერს თავის ასისტენს **პ. ნიკოლას**. შეიტყობდითო მას თათარ და ბერძენთ შუა; ის მას, რომ თათრები იმარჯვებენო და ათინასთან მიახლოებიდან. ბერძნებს **ოდესიდან**, **სტაბულიდგან** წადიო და აქვთ ერთი ალიაქოთი, ვაჭრობა მეტათ და . .ლია, საქმეც არ არის და ხალხი მეტათ შეწუხდა უქონლობის გამოთ.

ძმაო **დ.ი. ივანე**, როცა იქ სწერდე ალისფერს, ისე გაუქროლე, რომ აქაური სოსანი თავის ერს მამობას ვერ უშვრება, რაც არა შენებულია, მას ყურადღებას არ აძლევს; და რაც დასაქცევია, მასაც ისე ხელ შეუხებლათ სტოვს; მრავლდება ამათი ღვარძლი და ვართ გულს გატანჯული; იკეთებს თვისშიდ დიდ მეიდანს და სხვაც . .თი; მოკლეთ გითხრათ ძმობისაი, რომ გახსენოთ და მამინაცვალი იქნება იყოს. შემდეგ წაკითხვსა, ცხადია ეს აღარ დაგჭირდებათ და ვერც უჩვენებთ. მომიტევეთ მე გაგრძელებისათვის და კიდენ მოსულიყოთ უთუოდ . . სას. ნეტა ერთი აქ მოხვიდოდეთ. თქვენი უმფ. ძმა **პ.ს. გიორგიძე.**

მამა ბენედიქტე ვარდიძე მამა ალიოზს

კონსტანტინეპოლი, ფერიქოვი, აპრილის 11, 1910.

ყოვლად საყვარელო შვილო ალიოზ,

მივიღე თქვენი ვრცელი წერილი. არ დაგეზარა მაგდენის დაწერა, მაგ ავადმყოფობის დროს? **მ.სტეფანეს** წერილს რიცხვი არა აქვს, შენსას აწერია 7 მარტს 1910. მაშ, დიდი ხნის დაწერილი უნდა იყოს. თქვენი ვრცელი წერილის შინაარსი ერთიან შემიწყნარებია. მარტო მე ვარ ბრალეული და გულწრფელადაც გეუბნებით ყველასა, კარგი სასჯელიც მეკუთვნის, მაგრამ რა იქმნება ეს სასჯელი? მარტო ერთი: უღირსია! მეტის თქმა რომ შემეძლოს, ანუ თუ შესაძლო იყოს, ვიქმ ღვთის პატივისათვის, ჩვენი საზოგადოების სასარგებლოდ და ჩემი სულის ცხონებისათვის, ჩემი ცუდის მეტყველებისათვის. დამდაბლებისა არ მეშინია, რადგან მინდა, რომ ბოლომდინ ჩვენი დანდობის იმედით ვიყო: იმას საქმე წინ წაუყვანია და რაც უნდა ვსთქვათ და ვქმნათ მისთვის, ყოვლისფერს შაქრად და თაფლად ინახავდა. მე ბევრი ჩავსძახე, ნუ იზამთ ასე და ასე მეთქი, რასაც თქვენ ფიქრობთ, ისე არ არის მეთქი, ხოლო არ მიჯერებდნენ. ბოლოს რა მოხდა? არა უშავს რა, ესეც ჩვენი სიმდაბლისათვის იქმნა; ღმერთი მდაბალთ აღამაღლებს; ნუ გეშინიათ, არც ერთი საქმე არ გაფუჭებულა. თუ რამე გაფუჭდა, ისიც ჩვენი ბრალით. მაშ, ღმერთი კიდევ გვაძლევს შემთხვევას სიმდაბლის, სათნოების შეძენისას. ვემადლიეროთ მას.

მე სამი-ოთხი წერილი მივსწერე კიდევაც რექტორს და თვით ჩემი პირველი წერილის კოპიოც მოვსთხოვე, რომელიც გამომიგზავნა კიდევაც. მთელ წერილებში თქვენ გაგამართლეთ და მთელი ბრალი ჩემ თავზე ავიღე, მაგრამ რაც რომ სხვა ადგილიდან გაგონილი აქვს და ესმის, ეხლაც მე ის როგორ უკან ავიღო. მე თქვენს მიწერილ წერილზე სრულებით არასფერს ვამბობ, რაღა მეთქმის! როდესაც ახლადაღთქმა ნაქმნარნი, როდესაც ჯერ მღვდელნი არ არიან და კვალად სწავლაშიდ არიან, საყვედურს მოახსენებენ: ჩვენი დამწყობის ხვედრი ჩვენ უკლებლივ გარდმოგვეცითო, ჩაგვაბარეთო. მაშ, რაღა სათქმელი დამრჩა! მე მაშ ჩვენი დამწყობის გერი შვილი ვყოფილვარ ანუ გამფუჭებელი მისი ხვედრისა! მე ამ სიტყვას მოველოდი თქვენგან;

თქვენ არ იცით, რა გავსწიე თქვენზედ! სამი წელიწადი დასაწყისშიდ, უკაცრავად არ ჩამო-მართვათ, თქვენი პერანგის ამხანაგები მირეცხია. მე რომ აღარ შემეძლო თქვენი შველა, ყველა ღონისძიება ვიხმარე, რომ **სან ლუიშიდ** ჩასულიყავით; ამის მქმნელი ცხონებული **პ.ალფონსი** კი არ იყო, მე ვიყავი, რომ ვეხვეწე **პ.მარსელს.** თვით კაპუჩინები დღესაც გეტყვიან, რომ პ.მარსელმა ჩემი ხათრით მიგიღოთ. მერე შენ არ გახსომს, როდესაც გითხოვდნენ სან ლუიდგან? პ.ალფონსი გაგიჟებული გამოვარდა ჩვენთან, **უსკუდარშიდ,** რა ვქნმა, **ბათმანოვს** ითხოვენო და შენ უნდა მიიღო აქ უსკუდარშიდაო. მე მაშინ დავაწყნარე და უთხარი, შენ არხეინად იყავი მეთქი, მე გავაწყობ მაგ საქმეს თქო. იმ წამსვე ვნახე კაპუჩინები, რომლებიც ჩემს სიტყვას არ გარდავლენ: **პ.ორისიც** ვნახე, **პ.ლუკაც** ვნახე და თქვენი საქმე საამურად დავაბოლავე. მერე რა გავსწიე თქვენი ნეგოციატობის დროს? ბოლოს, უჩემოთ თქვენ რომის პირს დაინახამდით? და ამა ყოველთა სამაგიეროთ რა გვესმის: "მამაჩვენის ხვედრი ჩვენ შეგ-ვინახეთ ხელუხლებრივ! გეაჯებით, ხელუხლებრივ ჩაგვაბაროთ მამის ჩაბარებული". ჯერ რომ საქმის გარემოება სრულებით არ იცით და მეორეც, ვინ ბრძანდებით თქვენ?

ხოლო მე ყოველა ამას სრულებით მნიშვნელობას არ ვაძლევ. მე ისე ვსთვლი, ვითომ არც არაფერი მოგეწეროსთ და არაფერი იყოს: ყოვლისფერს ვაწერ თქვენს კეთილ სურვილს, მამულის სიყვარულს და, აგრეთვე, მონასტრისას! რაც შეეხება ჩემს წერილს, მაგაზედ მეც დიდათ ვსწუხვარ და ვნანობ, რომ მასგისთანა წერილი მივსწერე უცხო ვისმეს. ამაზედ სრულებით ეჭვი ნუღარ გექნებათ. ხოლო, რაც შეეხება თქვენს სასჯელს, ეს არ ვიცი როგორ გამოგიცხადოთ, როგორ აღგისხნათ! შენი ვრცელი წერილის სულ, სულ ბოლო აზრი რა არის? რომელ აზრს აცხადებს.... ამაზედ ცხადად ვეღარ ვიტყვი, რადგან მაშინ ჩაქვავების ღირსიც ვიქნები. მე მუდამ რაიმე საშუალებას ვსცდი თქვენ შესახებ ამ საგანზედ. ღმერთმან და ყოვლად წმინდამ ეს გზა მიჩვენა და ყველა მივჰყვეთ. ხოლო თქვენ ეს აზრი არ განაცხადოთ არსად, საქმე გაფუჭდება. მე თქვენთვის სრულებით არ უნდა მეთქვა, რადგანა არავინ არ იცის: მე აბასიღასოვს უტლაკუნე იმდენი საქართველოშიდ და თვით **სარატოვის** ეპისკოპოზიც ვნახე, გარდაკარგული რუსეთშიდ. ხოლო თუ საქმე გაფუჭდა, ჩემი ბრალი სრულებით არ არის. მე ეს საქმე სრულებით არ უნდა გამეცხადებინა, მაგრამ რა ვქმნა, როდესაც ძალას მატანთ! სრულად ძალდატანებული არ გავხდებოდი, უკეთუ თქვენშიდ სიმდაბლეს ღრმად ფესვები გადგმული ჰქონოდა, როგორც ჩვენ ცხონებულ დამწყობშიდ და თქვენს გონებაშიდ შესულიყო თავის უარისყოფა და მონაზონური მორჩილება. ხოლო, საუბედუროდ, თქვენი ნოვატორობა ხომ ნოვატორობა არ იყო: ერთმანეთის ჩხუბში და ერთმანეთის გაკილვაშიდ და ლანძღვაშიდ გაატარეთ.

ძველი კაცი არ მოკვდა სრულებით თქვენშიდ, რათა ახალმა კაცმა გამოსცეს სასურველი ნაყოფნი! სხვა ბევრი რამ სათქმელი მაქვს, მაგრამ შიშით ვერაფერი გვითქვია, გარეთ გადის და მით საქმე ფუჭდება! ამისათვის გთხოვთ მე უფროსი, რომ ამ წერილის შინაარსი გარეთ არასოდეს არ გავიდეს. მაშინ დასახჩობი გავხდები. მე ჩემ თავს ჩამოვიხჩობ, საჭირო არ არის, რომ სხვამ დამახჩოს! აი, საყვარელო შვილო, თქვენი საქმნელი: **ყოვლისფერი სიმდაბლით შეიწყნარეთ, იქმენით შვილნი სიმდაბლისანი** და იქმნებით შვილნი ჩვენი დამწყობისა, რომელიც იყო მდაბალი და შვილი სიმდაბლისა. ყოველა მისი მოქმედებული უნდა მივაწეროთ სიმდაბლეს და არა მეცნიერებას, დიდობას, სიმდიდრეს და სხვა ამისთანათა. დიდი იმედი მაქვს, რომ ეს ჩემი წერილი ყოვლითურთ დაგაწყნარებთ და კურთხევას აღარ მოითხოვთ. მე რომ მკითხონ, ვიტვი: არ აკურთხოთ, ღირსნი არ არიან მეთქი, აქ მოვიდნენ და აქ ვაკურთხებ მეთქი. **ღმერთი ცუდისგამკეთილს გამოიღებს.** იმედია, რომ ჩვენი საქმისგანაც ესეც მოხდეს. გულითადი მოკითხვა მეორეებს ყოველს.

თქვენი უმცირესი პ. **ბენედიქტე ვარდიძე.**

მონთოზანიდან გამოგზავნილი წერილი მამა კირილეს

მონთოზანს, 1909 წელს, მარტის 22

ფრიად პატივდებულო მამავო პატრი კირილე!

მოგიკითხამ დიდი სიყვარულითა და ღმერთსა ვევედრები თქვენს ბედნიერ ხანგრძლივ სიცოცხლეს. გარდა ამისად, მამავო, უნდა მოგახსენო ის დიდი მწუხარეულობა, რომელიც გამოიწვია **მამა პატრ ალფონსის გარდაცვალებამ**, აგერ 34 დღის ავათ მყოფობით.

მამა ალფოსი იყო უქეიფოდ მუცლის წელების ტკივილით. მერმე გულისა და ბოლოს ფეხების გასივებით. ის ღმერთმა უწყის, თუ რა ტანჯვაც გამოვიარე და თავი არ დავიზოგე მისი მსახურებისათვის. ბოლო წამამდი სრული გრძნობით და ლაპარაკით დალია თავის უკვდავი სული ჩემს კლავზე. ესე იგი 24 მარტს 9ს.45მინ., ოთხშაფათ საღამოს. მიიღო ყოველანაირი საიდუმლო - ბოლო ზეთის ცხება, ახსარება და ზიარება. როგორც ერთი ანგელოზი, ისრე განისყნოსა ცრელი მამა ალფოსისა.

ანდრეეი ბევრიხანი არის; ესე იგი ½ წელიწადი; რომ გახთა ასრე, რომ მე ჩამაბარა საყოველიერო სრული შეძლება ყოვლ რაიმესი, რაც მიეძევლებოდა სახლში. აქა მთავრობამ დაბეჭდა იმ დილასავე ოთახი მამა ალფონსისა. ამ ორი დღის შემდეგ სუდია და ნოტერი მოვა,რომ ჩამაბაროს მემკვიდრეობა.

მამა ალფოსის დასაფლავება შევასრულეთ, როგორც ერთი კარდინალისა. ერთიან მონთობნის სამღვდელოება დაესტრო-ხალხი ხომ აუარებელი. ეპისკოპოზმა წესი აუგო. მღვდლების კავოში ჩავასვენეთ. 700 ფრანკი დაჯდა. თუგინდ 2000 ათასიც რომ დახარჯულიყო, დავხარჯამდი დიდის კმაყოფილებით. ანდრეზში ბევრი რამე არ არის მოხსენებული, არამედ პიროვნულად აქვს ნათქვამი ჩემთვის, რომელიც სეკრეტად არის დაცული და არავის არ ვეტყვი; მარტო ღმერთმა, ალფოსმა და მე ვიცი. არცა ვარ ვალდებული, რომ ვინმეს უთხრა, და არვისაც არ ვეტყვი ჩემს სიკვდილამდი.

მე მად თავის დღეში არ მოვალ; ან-და რა უნდა ვქნა მადა? მწუხარებისა და უბედურობის მეტი. ყველა მეჯავრება თქვენს მეტი და თქვენ, მამავო **პატრი კირილე,** მიმაჩნიხარ როგორც ნამდვილი ძმა და მეგობარი, რადგან ყოვლად ნეტარი მამა ალფოსისაგანაც დაბარილ მაქვს შენთან მეგობრობა და პატივისცემა. რადგან მარტო თქვენ ბრძანდებით, რომ მონასტერი გიყვართ.

ანადა ვისი რა უნდა მიყვარდეს. მამა პ. ბენედიქტემ შარშან წერილი მოიწერა (წერილი ჯიბეში მაქვს) ამის თქმით, რომ მე როგორც მე ვიყო ერთი ავაზაკი და ქურდი. და თანაც როგორც 7 წლის ბაღანას, ისრე არიგებდა პატრი ალფოსს, არიქა, ჩქარა მოდი და ეგ დალოცვილი კონსტანტინეპოლის გარდა არაფერი უნახია. და აქ კი როგორც ერთ უმეცარსა სწერდა, რომ პარიჟდამ რკინის გზით 3 დღეში აქ იქნებაო. დათუ ასრე არ მოიქცევიო, ხომ იცი პავლე მოგწამლავს ან უბედურობას შეგამთხოვსო, რომ შენი სიმდიდრე გაიტაცოსო. მერმე როცა გავიდა კაიხანი და პატრი ალფოსმა პასუხი არ მისცა, ანა და ამისთანა საწყენ და გლახა წერილ რა პასუხ მისცემდა, როცა აღაშფოთა საწყალი და იყო გაჯავრებული. მევორედ სხვაც წერილი მოვუვიდა ამის თქმით, რომ ერთან მონასტიერი ავაყვავვო და დიდი სიყვარული სუფევს აქავო. ამისათვის უცდი თქვენს პასუხსო და სხვა. მაშინ მამა ალფოსმა მისწერა: მე ვიდრე მაგ უმფროსია და მონასტერშია, არავითარი საქმე მექნება მად მოწერისა. და როცა რომში რომ

ახალგაზდები მღვდლები გამოვლიან, მაშინ ნახამ, მამავო კირილე, რომ ვარ მად მღვდლებზე უფრო მოსიყვარულე და ერთგული მონასტრისა თუ არა. მე რომში წავალ გაისათ და ვეტყვი მამა ალფოსის დაბარილი სიტყვით ანდერძსო. ეს მარტო მათვის არის შენახული, რომ უთხრა მათვის, მამა ალფოსი არ მომკდარა, არამედ ცხოვრობს ქვეყანაზე მათი ნუგეშის საცემელად. ეს მარტო მე ვიცი და ღმერთმა. და არ გეგონოთ, რომ მე ვიყო ერთი ავაზაკი და ქურდი. ამის გარდა თუ იქონიებ ჩემთან მეგობრობას, მე ყველა ანგარიშ ჩაგაბარი, რომელიც ქრისტე ღმერთი არის მოწმე, რომ ვალი არავისთან მაქვს ანგარიშის მიცემისა.

არავისაგან წერილსა და ლაპარაკ არ მივიღებ. არავის პასუხ არ მივსცემ. გაისათ რომში გავლის შემდეგ, ერუსალიმში და მადაც გამოივლის კივორი, რომელიც შიგ ვიქნებ და არ ამოვალ სანახავად. და როცა ახალგაზდები მოვლიან, მაში სხვა არის. და მოგწერამ წერილსა მანდ, თუ ინებებ ვაფორში ჩემ ნახვას.

მე ცხადია მონთობინში ვიქნები ჩემ სიკვდილამდი ამ სახლის მწყემსი, ამ თვეობით, თუ მად ინებებენ. ეს უსათუოდ მომწერე, თუ ინებებენ მე რომ აქ დავრჩე. მაშინ პ. ივანესაგან ერთი ქაღალდი უნდა ნებისა კონსილატორის დამოწმებით. ამას გამოგიგზავნი, ანდა მომაქირავეთ, ჩემთვის სულ ერთია. სულ მონასტრისა არა არის; მე სხვა სახლი რომ ვიქირავო, მონასტერ არ დახდება. აი, მამავო, ასრე მოიხსენე. აგერ 95 ფრანკის ქაღალდი.

შალვა ვარდიძის წერილი მამა კონსტანტინეს

კონსტანტინეპოლი. 30 ნოემბერი, 1913

ყოვლად პატივცემულო მამაო კონსტანტინე!

ჩავიბარე პ.ც. მამა ბენედიქტესგან შენდამი წარმოდგენილი ანგარიშები. საზოგადოთ, ფრიად გაუგებარი და ორ აზროვანია, მასთან დაუფიქრებელი, რამეთუ შიგვე მოიპოვება საკმარისი საბუთი რომ პ. ბენედიქტე სტყუის. აბა, გადახედე მის წარმოდგენილ ანგარიშებს. ამოდენი ფული ან აქვს დახარჯული, ან-არა. ამბობს, თუ ამ საგნებს დამიბრუნავთო, ფულს მოგცემო, მაშ ტყვილს ამბობს და არ დაუხარჯვია. მასთან, ნეტაი ვიცოდეთ ვის ევაჭრება? მთელი ფული ჩაგაბაროს, რაც აბადია. ნუ იტყვის, რომ ჩემი მეჯიდიებიც დავხარჯეო. ეგ მაგისი საზოგადო თავშესაფარია. ვინ მისცა მაგას მაგდენი მეჯიდია. ძველათ ფული არავის ეძლეოდა. მარტო ბოლო წლებში დაიწყეს. მაშ მაგას საიდან აქვს, რომ მთელი ბიბლიოთეკა იყიდა, თავისთვის ოთახი გადიკეთა და სხვაც... მაგან როგორც უნდა მონათლოს, რაც ააცალეს, მონასტრის ფულით არის ნაყიდი და სათქმელი არაფერი აქვს. თუ რამე სჭირვია, რომელიც შესაფერია, დააკმაყოფილებენ. მხოლოდ მაგან კი მთელი აღებული საწირავების ფული უნდა ჩაგაბაროს. დასძენს, რომ მე ჩემი სარეცხი მინდაო. უთხარი, როგორც საზოგადოება ირჯება, როგორც იგი კმაყოფილდება, ისრედაც ეგ იქნება. მაგას მეორებზე დიდი, მომეტებული მოთხოვნილება არ უნდა ჰქონდეს.

მაგას ანგარიში არ სცოდნია არას დროს და ახლაც ღრმად სცდება, რომ მონასტერს ევაჭრება. მაშ, გთხოვ, მამაო, ჩაიბარე ანგარიში და მემრე მოითხოვოს, რაც სჭირია და იგი დაკმაყოფილდება, როგორადაც აკმაყოფილებენ ჩვენ საყოვლიერო უმფროს და ყოველა ნასხამებას.

შენი პატივის მცემელი პ. შალვა ვარდიძე

საყოვლიერო მნე

1911 წლის 17 ივლისი

ბატონო!

გუშინ მივიღე თქვენი წერილი და სახლის პლანი.

პირველი ყოველგან ვერ აღმოვიკითხეთ და ვერ ჩავხდით. მეორე სულ ლაბირინტად გვეჩვენა. ნასადილევს ჩამოველით, მაგრამ თქვენ სახლშიც არ დაგვხვდით. ნუ თუ განგების გაგვექეცით? ესეც ერთი დაკითხვაა.

მაშ, გთხოვთ, ამოხვიდეთ ჯერ ჩვენი საქმეებისთვის. რა ამბავია? მეორედ წერილები მოგწერეს. უმფროსი გიწვევს რეტრეტზედ, რომელიც გუშინ დავიწყეთ. მეორე მიზეზი ეს არის, რომ ამოხვიდეთ.

მაინც ვფიქრობ, რომ რეტრეტმა სრულობით არ უნდა შეაჩეროს ფაფას კვეპრის საქმეები, რადგან უკვე გვიან ვართ.

თქვენი პ.მცემელი და თანაძმა მონაზონი

შალვა ვარდიძე მ.უ.ჩ.

კომისიის წევრი

პატრი ემინ ვარდიძის წერილები მამა შიო (ალიოზ) ბათმანიშვილს

პ.ც. მამაო ალიოზ!

ქებული იყოს იესოს სახელი. თუმცა თქვენი რიგი იყო მოწერის პასუხად ჩემი წერილისა, მაგრამ მაინც ვასაბუთებ განმეორებით იმ წერილში მოწერილს, შემდეგი ფაქტებით: 1. თქვენი წერილით კონსტანტინეპოლიდან დაწერილი 1924, აგვისტოს 16-ს, მივიღე 29 ივლისს ამა 1925 წლისა!!! ერთი წელიწადი დააგვიანა Abons Berazanno-ს და პ.ემან ვარდიძის შუა გზაში! შიგ თქვენი ძმისთვისაც არის ბარათი: აბა, როგორ შევასრულებდი იმ წერილში მოხსენებულ რამეებს?

2. იმ ფულების ნაწილი მე დაგითმეთ იმ იმედით (და თუობით), რომ მაინც 3.500 ფრანკი მაშინვე გამოგეგზავნათ და დღემდის, რაც **დელპიუში**ს ფულები მიმიღია და არც ეს უკანასკნელი. გავბეზდი წერვით: არც დიდი ასოებით დავაკელი (ბრუციანებისთვის) და არც პატარებით, მაგრამ მახლას!.... სტუდენტების გამოგზავნას, სხვაფრივ რომ მოსახერხებელი იყოს, ხომ ფული უნდა? ბანკიდამ რომ ავიღოთ ფული, თქვენ გადაიხდით თვიურად პროცენტებს?... თქვენი პატიოსანი მოვალე ისე გადაიხდის 30 ლირას, როგორც რომ კათოლიკეა, ანუ ისე როგორც **გურგენოვის** ვაჟი გამოდგება სამეცნიერო ხელმძღვანლად.

3. უკეთუ ფიქრობთ, რომ ეპარქიის მართვაში მე ვსიამოვნებ ან ვსარგებლობ, შემცდარი ბრძანდებით: ჯამაგირი არა, კანცელარიის ხარჯები არა და ეკლესიების რევიზიისთვის არავითარი თანხა! მე თქვენთვის ნათქვამი მქონდა: არ დავდგები თქო; რისთვის დავდექი? ძალათ "non do onori, do cariche: dovete accetare" მითხრა ბ. სმეცმა და დასძინა, "თუ საბჭოთა ტერიტორიას დასტოვთ "ipso facto sorete sospeso a divrinis..." რა მექნა რომ არ დავმორჩილებოდი? – ვიცი, რომ ისე დააფასებენ უმფროსი მღვდელთ მთავრები ჩემს აწინდელ მუშაობას, როგორც დააფასეს წინანდელი მონს.**სმეცის** მოსვლამდე. არ გვაქვს პროტეკცია და უამისოთ არავინ არ დაეხმარება არც ჩვენ სამღვდელოებას და არც ერს...

პ.ემინ ვარდიძე

ველი პასუხს და ეგრეთვე ,მისი მშობლები (პეტრესი)

ფდ პ.ც.მამაო ალიოზ-შიო,

1925 წლის იანვრის 26-ის წერილი (თქვენი) ბევრი ვეძებე ჩემს ქაღალდებში, გარნა ვერ აღმოვაჩინე. დავინტერესდი: ეტყობა ძალიან შესანიშნავი შინაარსისა ყოფილა ხსენებული წერილი. რომ შესწუხდებოდეთ და მომწერდეთ ერთ უმთავრეს საგანს იმ წერილისა, უსათუოდ გამახსენდებოდა, მიღებული მაქვს თუ არა.

ვინაიდან წერილები იკარგება, გიმეორებთ რამდენიმე რამეს აქვე. 1. **პ.კონსტანტინე** გავამ-წესე **უდეში, პ.რაფაელი –გორში, პ.ანდრია –გუმში** (4 თვე წელიწადში) და ვიკარნად **ქუთაისში** (წელიწადში 8 თვით), **იგითხანოვი –ხიზაბავრისას, შეშაბერიძე ვარგავს,** მეორები თავ-თავის ადგილას არიან.

ლეონ გოკიელოვზე უკვე მოგწერეთ გავლილათ. უკეთუ მოსახერხებელი იქნება მისი მიღება, დროით მაცნობეთ. ერთი ქართველი კათოლიკე **ვასო ხარისჭირაშვილი** გთხოვს რო-გორმე მოათავსოთ მისი ვაჟი დათიკო 20 წლისა ან თქვენთან ან მონასტერში სასწავლებლად (უკეთ რომ ვთქვათ განსაგრძობლად) გერმანული ენისა. იგი სწავლობს საექიმო ფაქულტეტში უნივერსიტეტში, ეხლა სურს გერმანიაში ან ავსტრიაში ისწავლოს იგივე დარგში, რის გამო ესაჭიროება საფუძვლიანად შესწავლა ხსენებული ქვეყნების ენისა. ეგების თქვენის მუყაითის მეცადინეობით ჩაჰბეროთ სათანადო მისწრაფება და საბოლოოდ გამოიყენოთ იგი სამეცნიერო ხელმძღვანელად.

არ ვიცი, როგორ ვქნა, რომ სულთა სასარგებლოდ გული მოვუგო კარდინალს: არაფერს ვზოგავ, მაგრამ წერილის მოწერაც კი არ ემეტებათ. სომეხ კათოლიკებს ბევრათ უფრო მეტს სწყალობენ პროტექციის გამო.

რაკი სომეხ კათოლიკები ვახსენე, უნდა გაუწყო მათ შორის მომხდარი სამწუხარო ამბავი. მათმა ახალმა მმართველმა **არხიმ ბაჩირატოვმა,** შედგინებითი უსიამოვნებათა შემდეგ, **მღ.კალატოზოვი** თავის სეკრეტარ-ვიქარობიდან დაითხოვა; ამას მოჰყვა ერში აჯანყება და ერთნაირი გაფიცვა უმფროსის წინააღმდეგ: თხოულობენ მის (კალატოზოვის) ხელმეორე შეწყნარებას თანამდებობაზე! იქადებიან უკიდურესს, უკეთუ მათ საყვარელ კალატოზიანს თბილისიდან მოაშორებენ... ამ გარემოებამ ჩააგდო სომეხთა მმართველი ჩიხში: თუ ხალხს გაუგონებს, დამცირებაა ავტორიტეტის, თუ არა და საშიშია არეულობა როგორც **ტერ აბრაამია-ნის** დროს მოხდა. ამით ხსენებულმა (მას ბრალდება ინტრიგანტობა) ქართველ კათოლიკებს უფრო შეაძულა თავი და არა შემთხვევაში არ უნდათ მისი გადმოსვლა; ამბობენ, შარშან ჩვენ გვატყვილებდა და წრეულ თავის თანამოძმეებსაო.

დონ დამიანემ თავის შეუფერებელ მოქმედებაზე წერილობით ბოდიში მოიხადა; ეხლა **პ.ანდრიას** დახმარებით მუშაობს სულთა ბაღში; როგორც რევიზიის დროს შევნიშნე, ნივთიერ ბაღს დაჰკლებია მისი ხელი!

მინდოდა გამომეგზავნა ქართული წიგნები საყვარელ მოსწავლეთათვის, გარნა მთავრობი-საგან (განათლების სამინისტროსაგან) განსაკუთრებული ნებაა საჭირო და ჯერჯერობით ვერ მოვახერხე.

თბილისი, 18 თებერვალის 1916 წ.

გენ ვუიკარი პატრი ემინ ვარდიძე

მინაწერები: “განსაკუთრებით სიმპატიის ღირსია **დავით ხარისჭირაშვილი,** როგორც ნათესავი ჩვენი მონასტრის დამფუძნებლისა” „განდობის ბარათები დავაბეჭდინე მთელი ეპარქიისათვის. ერთი იმას მიეცით, ვინც პირველად ეზიარება. მეორე იმას, ვინც სულ გვიან. თვითვე წააწერს სახელ გვარს და ეკლესიას. გიგზავნი სანიმუშოთ.

მიღებული VIII. 9. 1926

ფდ პ.ც. მამაო ალიოზ შიო ბათმანაშვილო,

მივიღე თქვენი წერილი და ეგრეთვე ფული. ძალიან ვწუხვარ: 1°, რომ დაგიგვიანე პასუხი და 2° ეხლაც მოკლეთ უნდა მოგწეროთ: ამის მიზეზი არის, რომ დავიწყე სიარული რევიზიაზე ეკლესია-სამლოცველოებისა. ჯერ ვიყავი კახეთის ორ სოფელში, უკანასკნელ **ოჩემჩირ, სოხუმ, ფოთში...** (ისეთ ადგილებიდგან დავიწყე წრეულ, სადაც მღვდელი იშვიათად მიდის); სოხუმში მირონიც ვცხე. ეხლა ვაპირებ კიდევ სხვადასხვა ადგილებში. ვიმეორებ თხოვნას შემინდოთ დაგვიანება და ლაკონიზმი.

გთხოვ თანდებული ქაღალდი "კვითანცია" საჩქაროდ გადასცეთ, რათა არ მოითხოვონ აქაურ ფოსტაში ფულის მიღების ცნობა, რაც არ იქნება კარგი მრავალ თვალსაზრისით.

პ.**კონსტანტინე** დაგულავებს რუსეთში: როცა მოვა, განუზიარებ თქვენს წინადადებას სტუდენტების სასარგებლო წირვების შეწირვის შესახებ. ჩემს მხრივ ვიზირებ სისრულით თქვენს აზრს, ხოლო გთხოვთ ჯერ მაცნობოთ, რა ფასიან საწირავებზე უნდა დაიჭიროთ აზრი. უკეთუ 4 ან 5 იტალიის ლირებიანია, როგორც რომიდან გზავნიან საზოგადოთ, თქვენთვისაც და ჩემთვისაც უფრო ხელსაყრელი იქნება ესრეთს გაჭირვებულ ეკონომიურ მდგომარეობაში ფულით დაგეხმაროთ თქვენის ძვირფასი მიზნის განხორციელებაში. თქვენი და ჩვენი სასულიერო მიზანი და მისწრაფება ერთია და ერთი უნდა იყოს.

მახარას წერილი გავგზავნე მისიანებთან, თუმცა ხვალ ან ზეგ გორში მივდივარ, მაგრამ ვარჩიე ადრევე გამეგზავნა. **შოპლენსაც** გადავეცი. გაჭირვებას განიცდის.

27/VII 26 პ.**ემინ ვარდიძე**

მინაწერი: კარდინალის წერილი მივიღე.

10. VI. 26 მივიღე VI 21-ს

ფდ პ.ც. მამაო შიო ალიოზ,

წმ. კრებას არაფერი მოუწერია directe ჩემთვის პ.კოსტოს დანიშვნის შესახებ; რის გამო, რომ მივსწერო შეუძლებლობაზე ამ პროექტისა, მოსალოდნელია იფიქრონ, რომ მე წინააღმდეგი ვიყავი პიროვნულად

ეს არის მივიღე თქვენი წერილი. მიკვირს, რომ კიდევ არ გჯერათ ჩემი..... თუნდაც რომ დათანხმდეს **პ.კოსტო**, ეხლანდელ პირობებში, საქმე წაგებული იქმნება.

წარმოიდგინეთ რომ პ.კოსტო უკან მიგზავნის კარდინალის წერილს და მწერს, "ვითომ ეს წერილი მას არ შეეხებოდეს". აქედან გაიგებთ მის ფსიხოლოგიას, რომელიც უნდა მიეწროს მის ავათმყოფობას....

მეორე მხრივ, მეშინია მეტის დაჟინებით, რათა უკეთესი წინამძღვარი მივსცეთ ახალციხელებს. არ იქმნას, ბოლოს **კალატოზოვს** არ შესთავაზონ. მით უმეტეს, რომ თავისი არხიმანდრიტისგან განთავისუფლებულია და უსამსახურობ!....

თქვენ, არ იქმნას, პ.კოსტო უფრო უჟმურობაში არ ჩამიგდოთ თქვენის წერილებით: ისეც უკმაყოფილოა, რომ ახალციხის მაზრაში გავგზავნე. თქვენი წერილის პასუხს თუ გამომიგზავნის, მაშინვე მოგართმევთ.

მეფისოვმა მისაყვედურა: "პ.**ალიოზს** რათ უთხარით ჩემი ნათქვამებიო?" არ იქმნას ეხლაც, წმ.კრებას არ აფიქრებინოთ, ვითომ მე წინააღმდეგი ვიყო. ისეც ცუდი შეხედულობისა გაგიხდიათ ჩემზე ვითომდა "ლოთი-ფოთების გადმოყვანის სურვილით ქართ. ტიპიკონზე" და შეუძლებელი გახდება მუშაობა უნდობლობის პირობებში.

ის ფულის ერთ მესამედს გითმობთ თქვენი მოწაფეებისთვის. დანარჩენი 2/3 გამომიგზავნეთ დროით ბანკით, არა ჩეკი, არამედ ნაღდი ბანკის საშუალებით.

შოპლენს კაპიკი არ გადმოუცია კოლასთვის გამოსაგზავნათ!

თქვენი წერილები მიღებულია, თუმცა დაგვიანებით. ერთი ჩემი ჯერ არ მიგიღიათ, მაგრამ მიიღებთ მასაც.

გადაეცით ნოვიციელებს: 1°, მათიანები ყველნი კარგათ არიან; 2° წიგნები რომ უნდა გამომეგზავნა, ადრეს დაწერილი და დამზადებული წინ მიწყვია. იგივე ბედი ეწვიათ როგორც თქვენ მიერ გამოსაგზავნ ლოცვის წიგნებს და კათეხიზმოებს; 3° მათი წერილები გარდავეცი პატრონებს.

თქვენი უკან დაბრუნება გამოიწვევს ბევრ სიძნელეებს და დიდ ხარჯებს.

პ.**კოსტო** უარზეა თვით ტიპიკონის გამოუცვლელად და ან რა საფიქრებელია?! მაკვირვებს თქვენი ეგრეთი გამკვეთი საქმიანობა შორიდან შორს. რომიდან პასუხები არ მომდის.

მწერენ: ხმა დავარდა პ.**ალიოზი** მოდის ქართული ტიპიკონისთვის და კეტებს ამზადებენო! ამას გწერთ სასაცილოთ, გარნა ვიცი არვის სურს ქართული ტიპიკონი და თქვენი ძველი მოწაფეებიც კი აღარ არიან დამხსომებელნი თქვენის სიკეთეებისა და მოღვაწეობისა, თუმცა ვუხსნით, რომ თქვენ იგინი კარგი აზრით მიატოვეთ.

პატივისცემით

პ.ემინ ვარდიძე

პ.ც. მამაო შიო,

ოთხი თვეა, რაც მ.უს. **არხიეპისკოპოს სმეცმა** დასტოვა აქაურობა და გაემგზავრა სპარ-სეთისკენ, მართვა-გამგეობა მომანდო მე. შემპირდა ბევრ რამეებს, მაგრამ ჯერ მის შეპირებათა შესრულება არა სჩანს: მაგალითად, სომხების მმართველობა თვიურად ღებულობს ჯამაგირს, ჩვენ კი განვიცდით უფულენციას: არა გვყავს მფარველი! მ. **დელპეშიც** რომში აღარ არის. მ.**კალატოზიშვილი** ჩუმს ინთრიგებს ეწევა ცალკე პ.**ლაზარეს** წინააღმდეგ, ცალკე ჩემი; კი ვერაფერს დაგვაკლებს, მაგრამ შეიძლება ჩვენი (ქართველ კათოლიკე მღვდლების) პრესტიჟი დასცეს.

თქვენი წასვლა როგორ იქმნა და მონასტრის მიტოვება? მართლა, ეგ სამი მოწაფე ქართველ-ქალდეველ-პოლონელი გახდნენ მიზეზი, თუ სხვა რამ?

თქვენი მოქცეული, როგორც ეკლესიას მოუხმოს, ისე იმ 30 ლირის გადახდას. დანარჩენი **დელფუშის** ფულები რაღა იქმნა, რომ **პ.ბენედიქტე** იწერება:– "არაფერი არ ვიცი მაგ საქმიასაო?" რატომ არა მწერთ პასუხებს ჩემი წინანდელი წერილებისა.

თქვენები კარგათ არიან. **სიმონი** იყო ჩემთან ამ ორი თვის წინ. მოგწერდათ წერილს მის აქეთ.

გიგზავნით, ამასთანავე, **მახარასთვის** წერილს. მოსვენება აღარა მაქვს **გოდერძიშვილის** დედისაგან. მახარას სცოდნია, რა იქმნა მისი შვილი და სწორეს არა სწერს დედას იმ ვიღაც ახალგაზრდისა.

ველით მალე პასუხს.

დახმარებას ველით. პ.**ემინ ვარდიძე**

10/III 1925

მიღებულია 27/IV. 1925

მიღებული III 11

პ.ც. მამაო **ალიოზ,**

როგორც ეტყობა, გავლილად ქუთაისში გადაბეჭდილი კალენდრის მაგიერ ჩემის გაბნეულობით ჩავტოვე სხვა ქაღალდი, სახელდობრ, ჩემი გადასახადი (ხარკის) ფურცელი. ეხლა გიგზავნი ხსენებულ კალენდარს და გთხოვ, საჩქაროდ უკან გამომიგზავნოთ ხსენებული ფურცელი ხარკისა.

წერილები გადავეცი მისამართისამებრ. თანდებული წერილი გადაეცით **ნიკოლა მარქაროვს** და მაცნობეთ (**შოპლენისთვის** გარდასაცემად) თუ მართლა წიგნებისთვის სჭირვია ხსენებული 10-15 მარკა: ახალ მორჩილობაში რომ მეცნიერებასაც მისდევენ თქვენი მოწაფეები, ამან ცოტა არ იყოს გაგვაკვირვა, მით უმეტეს, რომ სწერს, „საჩქაროდ გამომიგზავნეთო".

თქვენი ძმა **სიმონი** რამდენიმე დღის წინეთ ჩემთან იყო. კარგათ არის ისიც და თქვენი დაც.

გთხოვ საჩქაროთ გამომიგზავნოთ 3 კატეხიზმო. შეიძლება პატარა და ისევ ფასიანები. თუ გერიდებათ დაკარგვისა, (თუმცა პოსტა აქ ჩინებულად მუშაობს) მაშინ თითო ცალი გამომიგ-ზავნეთ და მერმე ღირებულობას მოგართმევთ შოპლენას მიერ მარქაროსთვის გამოსაგზავნ ფულებთან ერთად.

26/II 1926

პ. ემინ ვარდიძე

პიო ბალიძის წერილი მამა მერაბს (იოსებ მერაბიშვილს)

17 ივლისს, 1911

ფრიად პ.მამაო მერაბ,

ამ, თქვენ მიერ გამოგზავნილი სახლის გეგმიდამ, ვერასფერი გამოგვიტანია. ვერ ვხედავთ სრულობით მაგ მიწების მდებარეობას, ვითარცა ცნობა გვაქვს. გავლილ კვირას განგებ ჩამოვიდა კომისია, რათა თქვენითან გაეგო ამ გეგმის მოხაზულობა, მაგრამ სახლში არ დაუხვდით. კომისია გიგზავნის ორივე ქაღალდებს და გთხოვს საქმე შეაჩერო რეტრეტის დამთავრებამდისინ. ხოლო რეტრეტის შემდეგ, კომისია უფრო ყურადღებით გამოიძიებს საქმეს და ახლიდამ დააკვირდება მიწის ზომას. გავლილათ სწერდით, რომ მიწას 442 პიქი აქვსო (442 pic de terrain) და დღეს კი ამბობთ, 242 პიქი აქვსო. კარგად ნახეთ, შეცდომა ხომ არაფერია.

ეგრეთვე, შემდეგში ნახავენ, თუ ვისზე დაამტკიცებენ მიწას. ხოლო მე რო შემეკითხონ, მონასტრის ... არ მომწონს.

არ დაივიწყოთ, ეგრეთვე, ჩვენ სახლის გვერდით ცარიელა მიწა. ეცადე, ერთ ინგლისზე ჩამოიყვანო.

მშვიდობით და კეთილი ჯანის სიმრთელე.

კომისიის თავმჯდომი

მ.**პიო ბალიძე** მ.უ.ჩ.

აგვისტინე კიკნაძის წერილი მამა მერაბს (იოსებ მერაბიშვილს)

.... პატივცემულო და გულით საყვარელო, მამაო მერაბ!

აგერ გიგზავნი ჩვენს შავს მუროს, ჩემი **ჩუდაგი ვეზირის** ხელით და ვიცი, რომ გესიამოვნებათ ჩემი ჩუდაგი ვეზირის ნახვა და მისი ბეჩური ლაპარაკი....

ამის გარდა, უნდა მოგახსენო, ღირსო მამაო! გუშინ პატივცემული **მამა ანდრია** აქ ჩვენსას გახლდათ და მითხრა, რომ თუ შეიძლება მამა მერაბმა ქაღალდით მომწეროსო, რომ **მამა ალფონსი** თავის უმფროსობის დროს შენ შემწეობას გაძლევდაო, რადგანაც **პ.ალფონსის** დროს იგი იყო სეკრეტარ ჟენერალიო და იმისი მოწმობით მე კანონიერ ქაღალდს მოგცემო. ის ქაღალდი, ღირსო მამაო, რომელიც მე და შენ ვიცით.

რისგამო უმორჩილესად გთხოვ კეთილ ინებოთ თქვენი მამებრივი კეთილი გულით და ერთი– ორი სირის მოწერით მოწმობა გამოუგზავნოთ მამა ანდრიას.

გთხოვ, ღირსო მამო, ეს მოწმობა დღესვე უბოძოთ პ.ანდრიას, სტანისლავას ხელით.

დიდათ დამავალებთ, ღირსო მამაო, ამ თქვენი კეთილი სამსახურის მიგებით. ახლავე გმადლობთ დიდათ.

დავედრებული თქვენს წა. წირვა-ლოცვაზედ თქვენი ყოვლად მდაბალი და ერთგული მონა–

ძმა **აგვისტინე კიკნაძე**

ფერიკვევს 18 ღვინობისთვეს, 1909 სა.

გთხოვთ, ეს საქმე ჩუდაგ ვეზირს არ შეატყობინოთ. იგივე

მიხეილ თამარათის (თამარაშვილის) წერილები მამა ბენედიქტეს (ვარდიძეს ანუ ჩილინგაროვს)

თქვენო ღირსებავ, დიდად პატივცემულო მამაო **ბენედიქტე**,

აგერ მივიღე თქვენი 25 მაისის წერილი. უგულითადეს მადლობას მოგახსენებ ამ ნების მოცემისათვის. ამნაირი ნებით მანდ არაფერი გაფუჭდება; ხოლო აქ - კი მ. **პეტრე** ძლიერ კმაყოფილი იქმნება და იმედია ჯეროვანი ნაყოფიც გამოიღოს. - იმედია არასფერი სიძნელე აღმოჩნდეს, თუ მობრუნებისა და თუ ფულის შოვნის, კერძოდ, ისე, როგორც თქვენ გსურსთ.

ძლიერ ვწუხვარ და მასთანავე, დიდად მიკვირს პ. **ემანუელის** ეგრეთ ცუდ მოქცევაზედ. ყველაზე უკეთესი და თავმდაბალი ეგ მეგონა. რაცა! ღმერთმა მადლი მისცეს.

წინანდელ წერილში დამავიწყდა, რომ მომეწერა: როგორც ჩუმათ შევიტყვე, **პროპაგანდას** უკვე მოუცია ნება, რომ ეგ სამი ძმანი გადავიდნენ ლათინურ ტიპიკონზედ. გამიკვირდა, რომ აქამდინ არ მოუწერიათ. როგორც სჩანს, **სარდს** მანდ მყოფი სხვა მონაზონები ყველა მოუმ-დურებია.

დ. **ლაზარეს** დაწვრილებით არ მოუწერია, საყოვლიეროდ მომწერა თავისი შეწუხება თუ ერისა და თუ სომხების მხრიდამ. **პ. ამირხანოვზედ** არავითარი სამდურავი არ მოუწერია. წინდა ორივეს მივწერე და ვთხოვე, რომ ერთმანერთში კარგად ყოფილიყვნენ. იმედია ჩემი თხოვნა აასრულონ.

იქიდამვე შევიტყე რომ პ. **დომინიკე** სომეხ მღვდელს, **კალატოზოვს,** ქვეშ უძვრებაო. თუ ეს მართლია, ცხადია, იუდობა იქმნება, მეტადრე ამისთანა დროს, როდესაც სომხები ჩვენს და ლათინური ტიპიკონის მიწასთან გასწორებას ცდილობენ. ამისთვის გთხოვ, პ. **ლეონს** მისწე-როთ და სთხოვოთ, რომ ჩააგონოს, რათა გონს მოვიდეს და ესრეთი იუდობა არა ჰქმნას. იმედი მაქვს, რომ თქვენს თხოვნას **პ. ლეონი** ყურადღებას მიაქცევს.

მასალების შესახებ ფიქრი ნუ გაქვსთ. ძრიელ კმაყოფილი დარჩებით.

აგერ ეხლა დავიბარიე მ. **პეტრე** და გადავეცი თქვენი ნების დართვა მის **ავსტრიაში** წასვლაზე. ეს ამბავი ძლიერ გაეხარდა. იმედი მაქვს, რომ ეს ყველაზე უკეთესად მოიქცეს და ყველაზე უკეთესად აასრულოს თავისი მონაზონებრივი მოვალეობა. ამისთვის ისიც და მეც დიდ მადლობას გიძღვნით. მის წერილსაც აქვე ვსდებ.

მანდაურს ამბავს ნუ დამიგვიანებთ.თქვენს წმიდა წირვაზე დავედრებული

პ. მიხელ თამარათი. 30 მაისისა 1911. რომი. Muziobleneuti, Jo.

22 იანვარი, 1899, რომი. Piazza di Spagna, S. Sebastino. 3.

თქვენო ღირსებავ, პატივცემულო პ.ბენედიქტე,

მივიღე თქვენი 15 იანვრის წერილი და ძრიელ შევწუხდი იმაზედ, რომ მწერთ უფ.პ.**ალ-ფონსის** აზრსა ჩემი წამოსვლის შესახებ. სწორეთ ახლა მოველოდი მაგისგან სრულ თანხმობას ჩემს აქ დარჩენაზედ, რომ წყნარათ და აღუშფოთველად შევსდგომოდი აქაურს საქმეებს. რადგან ახლა საფიქრებელი აღარ იყო უმფროსის არჩევაზედ. ეგრეთვე, ხომ იცით თქვენც, **პ.იოვანე** და **პ.გრიგოლა** უწინ არ მასვენებდნენ და მალიმალ მწერდნენ წამოსვლაზედ.

ამ დარჩენის თანხმობის დამტკიცებით უფრო იმაზედ მოველოდი, რომ **პ.ალფონსს** მიეწერა **პ.პავლესთვის** და შეჰპირებოდა იმას იქიდგან არ მოვაშორებო. ეგრეთვე, შეჰპირებოდა თქვენს იქ გაგზავნას. პ.პავლეც სიხარულით მწერდა, ნუღარ იფიქრებ **ფერიქოვში** წასვ-ლაზედაო, მანდ გულნებიერად შეუდექი საქმესაო და მეც ვეცდებიო, რომ პურის ფულიც არის, მაინც მოგაწოდო ხოლმეო. ეგრეთვე, **დ.იოვანემაც** მომწერა, რადგან თქვენ მიგეწერათ, რომ პ.ალფონსი იმას აქ დასტოვსო და მეუბნებოდა, რომ საჩქაროთ მიმეწერა პ.ალფონსისთვის ჩემს აქ დარჩენაზედ. თვითონაც ფიქრობდა მიწერას, თუ საჭირო გამხდარიყო.

უ.პ.ალფონსაც მივწერე და იმედი მაქვს, ამ წერილს მიიღებდა. იმაშიდ მოკლედ მოვახსენე აქაური საქმეების გარემოება. ვგონებ, საკმაოდ შეიტყობდა მაგ წერილით აქაური საქმეების გარემოებას. ამისათვის საჭიროთ აღარ ვრაცხამ ამაზედ ბევრ განმარტებას. რადგან, ჩემის აზრით, აქაური საქმეები უმთავრესია ყველაზედ. მეტადრე ამ ხანებში, რომ ახლა საქმეები სულ სხვა მდგომარეობაში არიან. საქართველოდგან ხომ შრომობენ სომხები დაუძინებლათ; აქაც ახლა სომხის მღვდლებმა პაზარიანისგან მიიღეს ბრძანება, რათა მათ იშრომონ ჩვენს წინააღმდეგ, რაც კი შეუძლიათ. აგერ, გუშინისწინ ვიყავი ვატიკანის სეკრეტართან, რომლის ლაპარაკმა დამიმტკიცა, რომ ახლა საქმეები სულ სხვა მდგომარეობაში არიან. ამ თბილისის საქმეს ახლა დაერთო იქ სომხის ეპისკოპოზის დანიშვნის საქმეც, რომელი საკითხიც უწინდუ-ლათ თეორიკულად აღარ არის, ახლა ესეც სისრულეში მოყვანა უნდათ. სეკრეტარმა დამავა-ლიანა, რომ საჩქაროთ მომეშოვნა ყველა ცნობები ახლა სომხებზედ, თუ საქართველოში რას შვრებიან. მეც ახლა ვწერ პ.პავლეს, ვნახოთ როდის და რას მივიღებ. ახლა უნდა მოგახსენოთ, რომ, მეტადრე ამისთანა შემთხვევებში, ჩემი მანდ წამოსვლა სრულებით შეუძლებელია. მტერსაც ეს უნდა, რომ აქედან მოვშორდე და საქმეს თავი დავანებო. გარდა ამისა, თუ კაცი აქ არ არის, აქ წერილებით სრულებით არაფერი საქმე არ გარიგდება. ეგრეთვე, თუ აქ ერთხელ საქმე გაფუჭდა, იმას წამალი აღარ დაედება. ჩემი აქედგან მოშორება ცხად საქმის გაფუჭებას უდრის. ამის გამო, დიდათ გასამტყუნებელი ვიქნებით.

ახლა მანდაურს საქმეზედ. ეს ცხადია, რომ მე მანდ დიდათ საჭირო არა ვარ. როგორც აქამდე უჩემოთ საქმე იოლად წავიდა, ისე ამასიქით იოლად წავა. კიდევაც რომ მოუცილებლად მანდ საჭირო ვიყო. ეგ საცალკეო საქმეა და აქაური კი ერთიან საქართველოს უმზერს. ხომ იცით, პატარა საქმე მუდამ დიდს უნდა დაექვემდებაროს.

დ.ივანემ მეც მაშინვე მომწერა, რომ **ალუშოვი** სიკვდილზედ არისო. მაგრამ აგერ ამ დღეებ-ში **გვარამაძესგან** მივიღე წერილი და მის ავადმყოფობაზედ არაფერს ამბობს. მაშ, ძრიელ ნუ აჩქარდები იქ წასვლას. მანდ თქვენს მოადგილობას ვგონებ **ბ.დომინიკეც** იზამს. თქვენც კარგად

იცით, ბ.დომინიკე საიმედო და განწირული ვინმეა. **მონტობანში** ძმებმა სწავლა დაასრულეს, რადგან წრეულ იმას ახელმეორებენ, რაც მე მანდ ვასწავლე. მაშ, ახალი მღვდლების კერძოდ აღარავითარი შეწუხება არის, ზუთხვის მეტი არაფერი უნდათ, რომელიც ერთი თვის საქმეა. ვგონებ, **პ.სტეფანეს** მოუწერია დომინიკეს მანდ გამოგზავნაზედ, ჰაერის გამოსაცვლელათ, რომელიც უქეიფოთ მარტო ჯავრისა და დარდისაგან გამხდარა. მაშ, ეს კაი შემთხვევა არის, რომ მანდ საჩქაროთ მივიდეს პ.დომინიკე, მალე ეკურთხოს და თქვენი ადგილი დაიჭიროს. თავის ძმაც, თუ საჭიროა, მანდ ეკურთხოს, თუარა **სარატოვში** გააგზავნოს, სადაც ერთი წელიწადი მოუნდება, რომ ეკურთხოს. ამ რიგობით მანდ საქმე კარგად იოლათ წავა და პ.სტეფანეც უფულობაზედ აღარ იწუწუნებს. რადგან გავლითად მწერდა ექვსი სული თავზე შემომეხვიაო და ფული არაფერი მაქვს სარჩენიო. ეგრეთვე, მიუწერია ორ-სამგზის დ.იოვანესთ-ვის. მაგრამ თქვენც კარგად იცით, რომ ფრანციაში კაცს ფულის კერძად არაფერი მოაკლდება. მაშ, ესე მოახსენეთ სიმდაბლით ჩემს მაგიერ უფ. მამა პ.ალფონსს. იმედი მაქვს, ის საწყენათ არაფერს მიიღებს. რადგან ვსცნობ მის კეთილს გულსა და გვარის მოყვარულობას. ამისთვის, მანდ როგორც არის ,უჩემოთ იოლად წავა და ხელს მომიმართამს, რომ მეც აქ გულნებიერად შეუდგე აქაურს საქმეებს. ესეც უნდა მოგახსენო, რომ ამ ხანებში, ისეთ გარემოებაში ვარ, რომ თქმის დრო ძლივს მრჩება, რადგან მუდამ დღე დავიარები თუ ვატიკანში, თუ არხივებში და ბიბლიოთეკებში საქმეებისა და დოკუმენტებისათვის. მაშ, იმედი მაქვს, რომ თუ თქვენგან და მამა ალფონსისაგან სასიამოვნო წერილს მივიღებ დროით და დამტკიცებით კარგად, რომ აქაური საქმე დიდი და საჭირო საქმეა, და მეტადრე ამ ხანებში სხვა გარემობაში და გაჭირ-ვებაშია. ერთხელ თუ თავი დანებდა აქა და მოვშორდი, მაშინ სულ სხვანაირათ წავა და დიდათ სანანელიც გაგვიხდება. შესახებ თქვენთვის შეძლებებისა, იქაც შეიძლება გამოგზავნა. ეგრეთვე, სხვა რაიმეებისა რაც კი დაგჭირდებათ.

მომიკითხე ღრმა სიმდაბლით მამა პ.**ალფონსი** და ეგრეთვე ძმები

პ.მიქაელ თამარათი

საყვარელო ძმაო

პ.ბენედიქტე

მივიღე თქვენი ბოლო წერილი და აგერ, მეც საჩქაროდ ორიოდე სიტყვას გწერ. რაც გნებამსთ, ყველა წაიკითხეთ, ეგრეთვე, წიგნებიდგანაც. ამაზედ ჩემთვის შეკითხვა საჭირო არ არის. მე მამა პ.ალფონსოს მივსწერე და ვსთხოვე, რომ აქ დამტოვოს მაინც ჯერჯერობით. რადგან მე აქ ახლა უფრო გაჭირვებულ მდგომარეობაში ვარ. მანდ კიდევ, როგორც არის, როგორმე შინაური კაცი იოლად წავა. მაგრამ აქაურ საქმეს ადვილათ წამლათ აღარ დაედება. მაშ, ჩემს მაგივრადაც სთხოვეთ თქვენ, რომ ჯერჯერობით თავი დამანებოს. ეგრეთვე, მივსწერე, რომ **მ.დომინიკე** მოიყვანოს და საჩქაროთ აკურთხებინოს. ის ბიჭებსაც ყურს უგდებს და სხვაფრივაც კარგად შეეწევა. ეგრეთვე, ვუთხარი რომ იქ სრულ შეწუხებაში იყო. ეხლა სხვა უცხო პირისაგან შევიტყვე, რომ მისი ძმა ჟერომიც აპირებს მანდ წამოსვლას. **პ.სტეფანესაც** უნდა მათი თავიდან მოშორება და მათი იქ კურთხევა სრულებით არ უნდა. მ.შ. ეს ძრიელ კაი შემთხვევა არის, რომ ის საწყალი ორი ძმა მანდ მოვიდნენ და ეკურთხნონ. ეს ძრიელ კარგი იქმნება ბევრი საგნის შესახებ. მაშ, გთხოვ, რომ ამაზედ ჩემს მაგიერათ სიმდაბლით მოკითხვა მოახსენოთ და სთხოვოთ თქვენც კერძოთაც, რომ ჯერჯერობით მაინც არის, აქ თავი დამანებოს, რომ გულმოსვენებით შეუდგე აქაურ საჭირო საქმეებს. ამის შეწყვეტა და დატოვება სრულებით არ იქმნება. ამაზედ კარგად მტკიცედ იყავით. მაშ, იმედი მაქვს, რომ თქვენც თქვენს კერძათ სთხოვთ ჩემს აქ დარჩენაზედ და მ.დომინიკეს მანდ საჩქაროდ დაკურთხვინებაზედ. ჯერ კიდევ მე არაფერი ამბავი მიმიღია ახალციხიდდგან. იქ რომ რამე ყოფილიყო, უეჭველად მე საჩქაროდ მაცნობინემდნენ. მაშ, ძრიელ ნუ აჩქარდები. ამ თვის 22-საც მოგწერე წიგნი თქვენი წერილის პასუხად. იმედი მაქვს, მიიღებდით. როცა შვიდობა არის, წახვალთ საქართველოში, თქვენი იქაური გარემოებები ყველაფერი მაცნობეთ და რაც გჭირვიათ მომწერეთ, კარგი იქნება, რომ იქაური ერთი სანდო პირის ადრესი მომცეთ, რომ მე იმის სახელზედ გამოგიგზავნო ხოლმე წერილი.

თქვენი წასვლის წინათაც მომწერეთ

პ.მიქაელ თამარათი

თქვენო ღირსებავ,

მამაო პ.ბენედიქტე

ამ გავლილ დღეებში მივიღე თქვენი პატიოსანი წერილი, დაწერილი ნოემბრის 1 და გამოგზავნილი ფოშტით დეკემბრის სამს.

ეგრეთვე, მივიღე ამ დღეებში **ტერ მიხელ ვარძელოვის** წერილი, რომელიც სხვათა შორის ასე მწერს:

„თუმც კი ჩემი წამოსლის აზრი ჯერ არ იყო, მაგრამ დღეს 26 ნოემბერს (ძვ.სტილით) მივიღე განკარგულება **აზარიანისგან**, რომ ამ მოსასვლელს შაბათს მგზავნის რომისკენ. მე დიდათ გამიკვირდა, რომ თქვენ არ დაუშალეთ და მაგას აზარიანთან მიუმართამს და იმას ჩავარდნია. ეს სულ წინააღმდეგია ჩვენი საქართველოს საქმეებისათვის. აზარიანი მაგისთანა შემთხვევებს სანთლით ეძებს, რომ აქ დაუმტკიცოს თავისი ზეგავლენა ქართველებზედ და მათის მასთან დამოკიდება. რადგანაც ასეა და **ტერ მიხელი აზარიანის** განკარგულებით დაიარება. მე აქ სრულებით ყურადღებას არაფერს მივაქცევ; ჩემთვის, თუმცკი, ეს დიდათ სამწუხარი იქმნება, რომ აქ ჩემი ქვეყნის კაცი მოვიდეს და მე მას ახლო არ გავუარო.

ძლივს, ამ დღეებში, როგორც იყო, მივიღე პ.პავლესგან ქართულად ნათარგმნი 60 გვერდამდინ in folio შარშანდელი სომხური გაზეთის **მშაკის** დაწერილი, რომელსაც საკმაოდ გაუმტყუნება დაუჩემებია, თუ ქართველები და თუ იზაშვილი, რომელმაც დასწერა ქართველ კათოლიკობის მყოფობის შესახებ. რადგან ამას საბუთები ანუ დოკუმენტები სწორათ არაფერი მოეტანა. ამისათვის თავის გამამტყუნებელ სომხისათვის პასუხი ვეღარაფერი მიუცია. ვითომ **ჭიჭინაძეს** უნდა მიეცა, მაგრამ აგერ წელიწადზე მეტია არაფერი გამოსულა შუაში, კიდევაც რომ პასუხი მისცეს, ესეც **იზაშვილის** ართიქულისავით სუსტი იქნება და ამასაც გააცრუებენ სომხები. თუმც კი **გვარამაძესაც** დაეწერა ამის პასუხი, მაგრამ ცენზურას აღარ დაებეჭდა. აქ გამომიგზავნა ფრანციზულ გაზეთებში დასაბეჭდათ, მაგრამ აქ ვინ დაბეჭდამს ამისთანა საცალკეო საგანს, მეტადრე პასუხს, როდესაც იმისი წინააღმდეგი ართიქულები არასფერი დაუბეჭდიათ. მაგრამ ეს გვარამაძის პასუხიც ძრიელ სუსტია და არც ამაშია რაიმე საფუძვლიანი საბუთი მოყვანილი და უმზერს მარტო ზოგიერთს ნაწილს და არა მთელს ართიქულს მშაკისას.

ახლა მე ვაპირობ ღვთის შეწევნით, რომ დავსწერო ამის პასუხი ქართულად და თბილისში ერთ პატარა წიგნათ დავაბეჭდინო. იმედი მაქვს ღვთისაგან, რომ ეს პასუხი ძრიელ შესანიშნავი და ცხადათ გამამტყუნებელი იყოს სომხების და დიდათაც სასიამოვნო ქართველებისა, რადგან რასაც სომხები იმ თავიანთ ართიქულში უარს ჰყოფენ, სულ იმის წინააღმდეგი დოკუმენტები მაქვს. ეგრეთვე, შევუდექი ამ პასუხისათვის საცალკეოდ ფაქტების შეკრებასა, რომელსაც მუდამ დღე საკმაოდ ვშოვნულობ. თუ ვინიცობა არის თბილისში ცენზურამ არ მიუშვა მისი დაბეჭდა, მაშინ დამჭირნე ვარ, რომ მანდ, ფერიქოვში დავაბეჭდინო და თითო-ოროლობით, მგზავრების საშუალებით, შევაგზავნო საქართველოში. თუმც კი ჩემი ქართული საკმაო დასაბეჭდ სტილზედ არ იქმნება, მაგრამ ამაზედ თბილისში ვისმეს ვსთხოვ და გავასწორებინებ.

ამის გამო შეიძლება ქართული სახარება დამჭირდეს. ამისთვის გთხოვ, რომ მანდედგან ერთი პროტესტანტების დაბეჭდილი სახარება სამოციქულოთი გამომიგზავნოთ.

შესახებ თქვენი თხოვნისა, გუშინ გამოგიგზავნე ორი პატარა კვდრის წირვების მისალი და 4 კანენდარი. სარტყლებსაც ცოტ-ცოტობით 20 მეტრას, როგორც echontillon-I, ისე გამოგიგზავნი ამ დღეებში. ხოლო სიბუარი და მისალი, უმჯობესია, ფრანციიდგან დაიბაროთ, რადგან იქ უფრო კარგად და უფრო იაფია აქაურზედ. მეც კარგა ხანია მინდა ერთი პარა მისალი, მაგრამ აქ რიგიანი არ შემხვდა და არც შემთხვევა მომეცა რომ ფრანციიდგან მოვატანინო. ამ დღეებში სარატოვიდგან ამბავი მივიღე, რომ სომხები ძრიელ ცდილობენ, რათა თავიანთი ბოროტი წადილი შეისრულონ და ყველაფერი ხელში გაიტარონ. ამათ მტერიც ძრიელ აგულიანებს და ეწევა. მაგრამ ღვთისაგან იმედი მაქვს, რომ ისინი იმ თავიანთ ბოროტ წადილს ვერ შეისრულებენ.

აგერ აქ მოსულიყო ეს **ტერ მიხელი** და ჩემთან მოვიდა ოთხი დღის შემდგომ. მე ძრიელ დავემდურე მას ერთხელ მოქცევაზე, მაგრამ იმან მითხრა, რომ **ფერიქოვში** არავინ არაფერი მითხრაო და ამან უფრო დიდათ გამაკვირვა. როგორ არ იცით, რომ **აზარიანი** მუდამ ცდილობს ამისთანა საგნებში ჩვენს წინააღმდეგად? **პ.რამპოლასთან** ერთი წიგნი გამოუტანებია. ვინ იცის, შიგ რა ეწერებოდა: ჯერ არაფერი მოუტანიათ. ვნახოთ რას მისცემენ. ვგონებ შეჰპირებია, რომ პარეჟში **შარმეტანთან** ერთი წიგნი მისცეს.

ყოველას მოგილოცამ წა.შობის დღესასწაულს და ახალ წელიწადს და ვსთხოვ მოწყალე იესოს, რომ მოგანიჭოსთ ყოველი კეთილი და მრავალგზის დაგასწროთ.

გთხოვ, ეს მეორე წიგნი **მადამ ჯანეტს** დაბეჭდილი გადასცეთ.

ყველას მოკითხვა

თქვენს წა წირვა-ლოცვაზედ დავედრებული

პ. **მიქელ თამარათი**

20 დეკემბერი. რომი. 1989

Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

28 დეკემბერი. 1899. რომი.
Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

თქვენო ღირსებავ,
ქრისტესმიერ საყვარელო მ.პ. ბენედიქტე

მივიღე თქვენი 17 დეკემბრის წერილი, რომელმაც დიდათ მასიამოვნა; ეგრეთვე, მივიღე გრამატიკები და დიალოგები, რომლის გამოგზავნისათვისაც დიდ მადლობას მოგახსენებ.

შესახებ **პ.ალფონსისა,** მანდიდგან მომწერა თავისი წამოსვლის დღე; მე აქ დღიდანდღეს ვუცდიდი და მუდამ სტანციაზე მივდიოდი. თურმე წამოსვლისა მანდაც დაჰგვიანებოდა და ნეაპოლშიც ოთხი დღე დარჩენილ იყო და მეკი ერთ სიტყვას აღარ მწერდა, რომ მუდამ მის მოლოდინებაში აღარ ვყოფილვიყავი. აქაც მოვიდა ისრე თვინიერ ჩემს რაიმე შეტყობინებას. ესეთი მის მოქცევაში დიდათ გამაკვირვა. აქ, როგორც მოგწერე, ერთ კვირის მეტი არ დარჩა; ბევრი ვეხვეწე, რომ პატარა კიდევ დარჩენილიყო და, ეგრეთვე, თუ შობა არა, მაინც უმანკო ჩასახების დღესასწაული ერთად გაგვეტარებინა. მაგრამ არა ჰქმნა. აქედგან პირდაპირ ლიონში წავიდა, რომ იქ Propogation de foi-საგან იქმნება რაიმე ფული მიემატინებინა მონასტრისათვის. იქიდგან მონტობანში მობრუნდა და მწერს ასე, რომ შობის შემდგომ ლურდში გავივლი და იქიდგან ვიშში წავალო და 20 დღეს იქ დავრჩებიო, რადგან იმის წყლები მირჩიეს მკურნალებ-მაო. შემდგომ იქიდგან პარეჟში მოვბრუნდები, ცოტაც იქ დავრჩებიო და იქიდანაც პირდაპირ კონსტანტინეპოლში წავალო. აგერ, ესე მომწერა ამ დღეებში.

შესახებ იმისა, თუ აქ რისთვის მოვიდა, რასაკვირველია, მის ნამდვილ აზრს მე ვერ შევიტყობდი. ხოლო ეს კი ვიცი, რომ ამბობდა, თუ საქართველოზედ და თუ მონასტერზედ უნდა ველაპარაკოვო. **კარდინალ სამპოლასთან** და მის სეკრეტართან მართლაც ამაზე ელაპარაკა. ესე იგი იმაზე, რომ თბილისში სომხების ეპისკოპოზი არ დანიშნონ. ამ საგანზე მე ბევრჯერ ლაპარაკი მქონდა და რაპორტებიც მიცემული. ხოლო პროპაგანდის სეკრეტარის სანახავათ და, ეგრეთვე, კარდინალისა, მეც უნდა წავყოლოდი, მაგრამ როგორც შემპირდა, ისე არ მოიქცა, რადგან დილით ვიდრე მე მივიდოდი მასთან ერთად წასასვლელად, ის კიდევაც წასულიყო პროპაგანდაში. კარდინალთან ბევრი არაფერი ელაპარაკა, რადგან ის ნახვის შემდგომ მაშინათვე თავის სეკრეტართან გაგზავნის ხოლმე, ხოლო სეკრეტართან რა ილაპა-რაკა, ეს ყველა არ ვიცი; სეკრეტარი კი შეჰპირებოდა მონასტრისთვის პატარა ფულით შემწეო-ბის მიცემას თებერვალში. ვგონებ, როგორც შევნიშნე, ბევრი რამე არაფერი უნდა ელაპარაკა. რასაც თქვენ ფიქრობთ, რომ ვაი თუ აქ აღარ მობრუნდესო, ეს ჯერჯერობით საფიქრებელი არ არის. კაცი უფრო ცდილობს, რომ მონასტრისათვის აქეთ-იქიდგან ფული მაიშოვნოს (ეს ფუ-ლის მოხვეჭა იმისი ხელობა არის). შემდგომ მე ვნახე პროპაგანდის სეკრეტარი. მადრიელობა ვუთხარი, რომ ფულის მოცემას შეჰპირებოდა. ამაზედ იმან მომთხოვა ერთი მოკლე რაპორტი მონასტერზედ ამ იანვარში. რადგან ამ რაპორტის გამოგზავნაზედ **პ.ალფონსის** მობრუნების დაცდიდ გაგვიანდება, ამისათვის მე გუშინ მანდ **პ.იოსებს** მივსწერე, რომ ლიონში გაგზავნილი ქაღალდებიდგან ერთი მოკლე რაპორტი გააკეთოს და შავი აქ გამომიგზავნოს და, მასთანავე, რამდენიმე სუფთა მონასტრის ქახალდი. მე აქ გადავსწერ და პ.ალფონს გავუგზავნი, რომ ხელი მოაწეროს, მონასტრის ბეჭედი დაჰკრას და გამომიგზავნოს. ეგრეთვე, პ.ალფონს მივსწერე ეს გარემოება და თანაც ვსთხოვე, რომ მალე მანდედგან გამოაგზავნინოს მონასტრის ბეჭედი ამ

რაპორტისათვსი. ვნახოთ, ახლა, როგორ იქმნება. მითხრა, რომ მონასტერში ჩემს მაგიერად **პ.ალექსანდრე** და **პ.კირილე** არიანო. თქვენზე ბევრი მადლიერობა მითხრა და, ეგრეთვე, სამდურავიც. მე-კი, რაც შემეძლო, ჩავახვდინე, რომ თქვენზე სრული მინდობილობა იქონიოს და კარგად მოგეპყროს. ეგრეთვე, ვურჩიე, რომ ბავშვები მუდამ თქვენს მმართველობის ქვეშ იყოს, მანდვე ისწავლონ და აქეთ-იქით ნუ გაფანტამს. მე დიდათ მოხარული და მადრიელი ვარ, რომ თქვენ ბავშვებს ეგრეთ კარგად ყურს გდებულობთ და ერთიან თქვენი თავი მათთვის გაგიწირავთ. ამისთვის ჩემს კერძათ დიდათ გთხოვ, რომ მაგათ თავი არ დაანებოთ. შეუდგი-ნოთ თქვენი შრომა მაგათთვის და ღმერთი თვითვე იქმნება თქვენი სასყიდელი. ძმა **დომინიკეს** და **ამირხანოვისა** ყველა ვიცი. როგორც ახლაც შევიტყვე, ძრიელ საშიში ყოფილა, რომ ისინი მთავრობასთან გამოცხადდენ, რადგან სალდათობის დროს არ გამოცხადებულან. ამისთვის შეიძლება, რომ ისევ უკან მალე დაბრუნდნენ. შესახებ ჩემი აქ ყოფნისა, რასაც თქვენ ამბობთ, ორივე ნაწილი მართალია. მეც დაგემოწმებით. ხოლო მეც კი უნდა მოგახსენოთ, რომ ჩემი შორს ყოფნის მიზეზი არ არის, რომ შორს ყოფნით მოსვენება და შვიდობა მქონდეს, თუმც კი ეს საკმაო მიზეზი იქმნება და ჩემთვის, რადგან ბევრჯელ მოწადინებით გამოვსცადე, მაგრამ დიდი სიკეთე ვერაფერი მოუტანე მანდაურობას, ხოლო მთავარი მიზეზები არის ეს შემდეგები: მონასტერი, ხომ ვიცით, საქართველოსათვის არის. დღეს საქართველო ძლიერ განსაცდელშია, ბერით მომეტებულად, ვიდრემც მონასტერი. სომხები ყველა საშუალებას ხმარობენ, რომ ჩვენ დაგვამხონ და პრანკულის ცემით გამოგვიძახონ იქიდგან, თუ ერთიან, როგორც მათ უნდათ, ისე არ გადავსომხდებით, ამაზე სომხებს მთავრობისგანაც მხარი აქვსთ. იქ ჩვენ ერთი ხეირიანი არავინ გვყავს, რომ იმათ ეწინააღმდეგოს. ახლა ჩვენი შველა სხვა არა არის რა, თუ არა სამი. აქედან თუ შეგვიძლია რამე, უნდა ვეცადოთ, რომ თავი დავიცვათ. სომხები, იცოდეთ აქაც ცდილობენ. ახლა თუ კაცმა ამისთანა საქმეს თავი დაანებოს და წამოვიდეს, ხომ მაშინ გვარისა და ეკლესიისაც ღალატი იქმნება? თუ ერთხელ სომხებმა გაიმარჯვეს, მაშინ ყველა გათვადება და მომავლის იმედიც გადაგვიწყდება. ამ საქმეს ვინც არ სცნობს კარგად, ცხადია მისთვის ეს არასფრად გამოჩნდება და ჩემზეც ოთხმოც რამეს იტყვიან. გარდა ამ მთავარ და უსაჭიროეს საქმისა, სხვა კიდევ მგზავსი და საგვარი საქმე არის ეს, რომ აქ დღეს ვადგავარ იმ საჭირო ქაღალდების შეკრებას, რომლისაც ყოფნა ფიქრში არავის წარმოუდგებოდა. ესენი დიდი იარაღია, თუ ჩვენი სარწმუნოებისა, თუ ჩვენი გვარის დასაცველად. აგერ, რამდენიმე საუკუნოება გავიდა, რომ ამაზედ არავის უფიქრია. უკეთუ, მე თავში არ გავიტან ამას, არც მომავალში ვინმე იფიქრებს და კიდევაც რომ იფიქროს, თავში ვერ გაიტანს, რადგან არ იქმნება ის საშუალება, რაც მე დღეს მაქვს. ვინც ამ საჭირო საგნის ღირსებას არა სცნობს, ცხადია, არასფრად დააფასებს და მეც შეიძლება ბევრნაირად გამკილოს. მაგრამ ბოლოს ყველაფერი კარგად გამოჩნდება და დაფასდება. ამისთანა საჭირო საქმეებზედ სხვისგან შემწეობა არაფერი მაქვს. თქვენ მაინც ლოცვით შემეწიეთ.

პ.მიქაელ თამარათი.

P.S. მოგილოცამ წა უფლის შობას და ახალ წელიწადს. ვთხოვ უფალს, რომ მოგცეს ყოველი კეთილი და მრავალ ჟამიერ დაგასწროთ. ეგრეთვე, მივულოცამ ძმათა, დათა და თქვენს ბავშვებსაც. ხანდისხან წერილი მომწერეთ და მანდაური ამბავები მაცნობეთ.

4 ნოემბერი. 1897. რომი.

Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

თქვენო ღირსებავ,

საყვარელო მ.პ.ბენუა.

მივიღე თქვენი პატიოსანი წერილი, რომელიც დიდ სასიამოვნოთ დამრჩა.

მართალია, ერთმანეთთან მიწერ-მოწერა არა გვქონდა, მაგრამ გულით ერთმანეთთან ახლოს ვიყავით და ყოველთვის თქვენს მოწერილ წერილებზედ და თქვენი ამბვის შეტყობა-ზედ დიდათ ვსიამოვნებდი. მეტადრე მაშინ, როდესაც შევიტყვე თქვენი მღვდლათ კურთხევა. Ad Multos annos! ვთხოვ სახიერს მაცხოვარს, რომ არ მოგვაკლოს თავისი კურთხევა და მადლი, რათა მხნედ, განწირულობით და მუდამ იშრომოთ მის წმინდა ვენახში თავის სადიდებლად, სულების საცხონებლად და ჩვენი საწყალი მონასტრისა და უპატრონო საქართველოს ასაღორძინებლათ. მაშ Labora ut miles Ghirti.

შესახებ იმ **ჩილაშვილის** საქმისა, მე მიკვირს, რომ თქვენ აქამდინ არ შეგიტყვიათ დონ **იოვანესგან** ამ საქმის გარემოება. რა წამსაც მომწერა დონ იოვანემ და დამამტკიცა, რომ თქვენ სცნობდით კარგად მაგ ჩილაშვილსა და თქვენი სურვილიც იყო მისი კურთხევა, მე მაშინვე შეუდექი ნებართვის შოვნას და 13 ივლისს მივიღე ეს პასუხი:

ეს შეიძლება, რადგანაც ეპისკოპოს უმზერდა და, ეგრეთვე, **დ.ანტონოვის** მიწერილობით **ეპისკოპოზს ცერარს** გავუგზავნე. იმავე თვის 19-ს და ანტონოვსაც მაშინვე ვაცნობე, რომ ეპისკოპოზმა მიიღო ამ დისპენსეს შეძლება მეთქი. მე ამაზედ აღარასფერი შემიტყვია. მაშ თუ გინდ ჩილაშვილს შეატყობინე ეს გარემოება, რომ პაპმა ეპისკოპოზს მისცა შეძლება, რომ ეგ ეკურთხოს მღვდლათ.

შესახებ **ტერ მიხელისა ვარძელოვისა.** ის ძრიელ ადვილათ იმღერის. მაგრამ, აქ ძრიელ მძიმეთ ირჯებიან, მეტადრე როცა ფულზეა საქმე. მაგისთანა თხოვნები თუ ამოსავლეთიდგან და თუ სხვა ადგილებიდგან ბევრი სათხოვრები მოდიან, მაგრამ ყურს არც ერთს არ ათხოვებს.

როგორც თვითონ იწერება, თუ მართლა ოცი ათასი მანეთი უნდა მოანდომოს ეკლესიას, ვგონებ ძრიელ შორს წასულა და ბევრი წლები გაივლის, რომ იმან ამდენი ფული შეაგროვოს. რათა ღმერთი შეეწიოს და ხელი წარუმართოს ამ კეთილ საქმეზედ. მე რაც შემეძლოს, არისფერს დავზოგამ, მაგრამ აქედგან შემწეობისა არავითარი იმედია.

გთხოვ ეს ჩემი მეორე წერილი მას გაუგზავნეთ. ადრესი თქვენვე გეცოდინებათ.

პ.ანსელმო აღარაფერს არა მწერს. მთავრობამ დაუდგინა თუ არა თავისი წარდგენილი პლანი ეკლესიისა.

როდესაც დრო გექნება, პატარა დაწვრილებით მაცნობე ახალციხისა, თბილისისა, გორისა, ქუთაისისა და ეგრეთვე სარატოვის ამბავები, თუ ტერის შესახებ, თუ, მეტადრე, **ბაცევსკის** შესახებ. თუ რანაირი კაცია; ეგრეთვე იქაური სემინარიის გარემოებაზედ. **იაგულოვი** და **გვარამაძეს** შვილი იქ რა მდგომარეობაზე არიან მოწევნილი?

ამ სიტყვებს რომ იწერებით, რომ იქ არ დამაყენესო, ეს სიძნელე საიდამ გქონდათ, ნუ თუ მთავრობასა ანუ ეპისკოპოზის კერძათ რამე სიძნელე კიდევ იყო? ეგ ორი ახალი ჩამოყვანილი ბავშვი საიდამ და ვინ არიან?

როდესაც ეკურთხეთ, ნუ თუ მღვდლის ტანისამოსი გეცვათ თუ გარეული? ანუ თუ წირვას თავისუფლად ამბობდით, როცა მობრუნდით საქართველოში? მთავრობამ ხომ ხმა აღარასფერი არ მოგცათ? პასპორტი რა ხნობით აიღეთ? და სხვ.

თუ ეკლესიის ნოვენებისათვის წვრილი წიგნები დაგჭირდებათ, ჩემს ნადგომ ოთახში რომ კომოდი არის, იმის პირველ გამოსაწევში არიან არჩეული წიგნები ნოვენებისათვის, თუ გნებამსთ გამოიღეთ. ეგრეთვე, იმ კომოდზევე დავსტოვე გავლილი წლების ავიზოები ეკლესიის შესახებ.

მაშ ყოველა სიყვარულით მომიკითხე და ხანდისხან წერილს ნუ მომაკლებ.

Memento mei

მარად თქვენი ერთგული

პ.მიქაელ თამარათი

P.S. არ ვიცოდი თუ **ტერ არესტაკეს** ძმისწული მღვდლად კურთხევას აპირობდა. წინათ რომ ეს შემეტყო, შეიძლება იმისათვის აქედგან ნება არ მიმეცინებინა, რადგან როცა მივიღე **ჩილაშვილისთვის** ნება, მაშინ ვინც მომცა, თვით იმანვე მითხრა, რომ **პ.ზარანმაც** მიწერა ერთი აქაური სომხისათვის ნებაო. მე რომ არ ვიცოდი თუ ვინ იყო, არ ვიცი მეთქი, ვუთხარი.

თქვენო ღირსებავ,
პატივცემულო მ.პ.ბენედიქტე,
ქ.ი.ს.ი.

მივიღე თქვენი **პატიოსანი წერილი** 13 ოქტომბრისა, რომელსაც კარგა ხანია მოველოდი. ერთი და იგივე ამბავი უმფროსის არჩევისა, რომელსაც თქვენ იწერებით, **პ.იოვანემ** და **მ.იობმა** წინათვე მომწერეს. გთხოვ, რომ ჩემს მაგიერ ორივეს მადლობა მოვახსენოთ. ეგრეთვე, ჩემ ამბავიც შეატყობინოთ. **პ.გრიგოლის** წერილი, რომელშიც ყოფილა თქვენი სათხოვარი, არაფერი მიმიღია ამისთანა. ვწუხვარ ამ წერილის დაკარგვაზედ; ვინ იცის ავსტრიის ფოშტით გამოაგზავნა და იმიტომ დაიკარგა. ახლა თუ იმაში იყო იმისთანა რამე სათხოვარი, გთხოვ რომ ხელმეორედ სხვა წერილით მომწეროთ. და რაც შემიძლია შევასრულებ თქვენს სათხოვრებს. ამის გამო ძრიელ მიკვირდა პ.გრიგოლის სიჩუმეზედ.

შესახებ ოთხი ორდოსი და ლურჯი სარტყლისა ადვილი სამსახურია. დაიბეჭდება თუარა გამოვაგზავნი ორივეს.

შესახებ ჩემი მობრუნებისა, რა მოგახსენო, ძმაო, ახლა იმისთანა გარემოება არის, რომ საქმის თავისდანებება სრულებით არ იქმნება, რადგან, სხვათა შორის, ამ გავლილ ხანებში ვენეციიდგან განგებ მოვიდა ერთი სომხის მღვდელი, რომელიც აქ გამწარებული დაეძებს დოკუმენტებს, რათა თბილისის ეკლესიის ჩამორთმევაზედ რომიც დაიყოლიონ. ახლა რომ წამოვიდე, საქმის სულ ერთიან თავის დანებება იქმნება და სომხებსაც ეს უნდათ.

მართალია, მანდედგან ცოტა ხნით წამეველი, მაგრამ მე აქ ისე არ მეგონა თბილისის საქმე, როგორც დამხვდა. აქ კიდევაც გადაეწყვიტათ თბილისის ეკლესიის სომხებისათვის ჩაბარება-ზედ, და ნებაც უნდა მიეცათ, რომ სომხები დაჰპატრონებოდნენ ყველაზედ, რადგან თუ ტერს და თუ სომხებს სულ ერთიან დაეჯერებინათ, რომ ის ეკლესია სომხებს ეკუთვნისო. თუმცკი საქმე ისე აღარ ასრულდა, როგორც სომხებს უნდოდათ, მაინცკი ერთიან არ დაბოლოვებულა. ახლა თუ ამ საქმეს ყური არ ვუგდეთ, რომ სამუდამოდ კარგად დაბოლოვდეს და სომხებმან თავი დაანებონ იმ ეკლესიას და მოშორდნენ. მაშინ სომხები იმდენს ეცდებიან, რომ თავიანთი სურვილი შეისრულონ. სომხებს გადაწყვეტილი აქვსთ ყოველი საშუალება იხმარონ ამაზედ. თბილისის ეკლესიის ხელში გატარებას არათუ მარტო საქართველოში მყოფი სომხები ცდი-ლობენ, არამედ უფრო ძრიელად ვენეციელები და აზარიანიც, რომლებსაც აქ საკმაოდ კაცები ჰყავთ ამ საქმისათვის. ამაზედ, როცა **პ.ალფონსი** მობრუნდება, უფრო ვრცლად მივსწერ. გარდა ამისა, ამას იქით იმედი მაქვს, მანდ საამისო გაჭირვება აღარ იქმნება, რომ მოუცილებლად საჭირო ვიყო მე. მეტადრე ახლა, როდესაც მალე ახალი მღვდლები მოგვემატებიან. გარდა ამ საჭირო საქმისა, მე აქ დროს სრულობით არ ვკარგამ, რაც შემიძლია ვშრომობ საქართველოს სასარგებლოდ. სხვათა შორის ბევრი შესანიშნავი და სასარგებლო საგნები ვიშოვე. საქართველოზედ, რომელთა შორის 50 მეტი თუ პაპებისა და თუ საქართველოს მეფეების წერილები ვიპოვე, რომლების მყოფობაზედ ფიქრადაც არავის გაუვლიდა. თვით იმ დღეს, როდესაც თქვენი წერილი მივიღე, ვიპოვნე ორი წერილი თუ საბა ორბელიანისა და თუ პაპის წერილები იმისადმი მიცემული ვახტანგისათვის..... ვგონებ, თქვენც საკმაოდ გეცოდინებათ **მონთობანის** ურიგო მდგომარეობა, რაის გამო აქაური ეპისკოპოზი დაჰქადებოდა ჩვენი სახლის დაკეტვასა. ახლაც შევიტყე, რომ **პ.ანდრიას** რაღაცა ფაცაფუცი შესდგომია და ჩუმათ

თავის ოთახიდგან სხვადასხვა საგნებს ზიდამს ერთი კეთილისმყოფელი ქალის სახლში, მადამ მაზელთან. ხომ იცი, რომ თითქმის მთელი მონასტრის საჭირო ქახალდები იმას აქვს. ეს გარემოება **პ.იოვანესაც** შეატყობინეთ.

არ ვიცი ჯერ მიულოცოთ თუ არა **მ.იობას** კურთხევა. ვგონებ **პ.ალფონსი** აღარ დააგვიანებს. იმედი მაქვს, რომ ის **პ.სტეფანესავით** კენჭის ჩაყრას არ მოითხოვს პ.იობას კურთხევაზედ. და ესე მაგის კურთხევასაც მალე მოეღება ბოლო. რადგან სულ იმის ხელშია, როგორც უნდა იზამს. კმარა, რომ მ.იობამ გული კარგად მოუგოს...

მაშ, გთხოვ, რომ სუყველანი სიყვარულით მომიკითხოთ.

პ.მიქელ თამარათი

26 ოქტომბერს. 1898. Romi.

Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

15 ოქტობმერს, 1900,

Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

თქვენო ღირსებავ,

უფ.პ.ბენედიქტე

მივიღე თქვენი სექტემბრის 5 წერილი და, ეგრეთვე, ამაზედ წინად გამოგზავნილი წერილიც. პასუხის დაგვიანების მიზეზი ეს იყო, რომ თქვენთან სამწუხაროს მეტი სხვა ამბავი არ მქონდა მოსაწერი. ამისთვის არ მინდოდა დამეღონებინე თქვენ. ახლა, რადგან მეორედ მომწერე და მოელი ჩემს პასუხს, დამჭირნე ვხდები მოგწერო. აი, რაში მდგომარეობს ეს სამწუხარო ამბავი. მე **პატრი ალფონსსა,** როდესაც რუსეთიდგან მანდ მობრუნდა და დამყარდა, მე მოვსთხოვე აქ დარჩენის ნების განახლება. იმანაც განმიახლა მარტო ერთი წლით და ესეც იმ პირობით, რომ შემდეგშიც განეახლებინა რაოდენგზისაც საჭირო იქმნებოდა. ეს ერთი წლის ნება თავდებოდა ამ გავლილ აგვისტოს თვეში. როცა აქ მოვიდა, ვსთხოვე რომ ჩემთვის განეახლებინა კვალად აქ დარჩენის ნება. მითხრა ესრე: თუმც კი ფერიქოვში მჭირიხართ, რადგან იქ **ჩემი გულის კაცი** არა მყავსო, მაგრამ აქ მამულის საჭიროებისათვის შრომობთ. ამისათვის ჯერჯერობით აქ დაგტოვ ისევაო; ხოლო ამ პირობით კი, რომ ვინიცობა თუ მძიმედ ავად ჩავარდი ან სიკვდილი რამე იქმნა, მაშინ უეჭველად უნდა დაბრუნდეთ ფერიქოვში. ეგრეთვე მითხრა: რანაირი ქახალდიც გინდათ, როცა იქ მოვალ, შავი გამომიგზავნეთ და მე იქიდგან ხელ მოწერილსა და ბეჭედდაკრულს გამოგიგზავნიო. მე ამისთანა დაპირებაზედ ძრიელ გამეხარდა და დიდი მადლობაც მოვახსენე. მის აქედგან წასვლის შემდგომ, ამ საგანზედ მე საფიქრებელი აღარასფერი მქონდა. **გულის ნებიერათ** შევუდექი ჩემს საქმეებს. ხოლო მანდ მობრუნდა თუ არა მარტში, მაშინათვე მომწერა, რომ საჩქაროდ მანდ წამოვსულიყავი. ამ ამბავმა მე დიდათ გამაკვირვა და დამაღონა, რადგან არა თუ ახალ მოცემულ პირობას უკან უწოდებდა, არამედ არც იმ წინად მოცემული ერთი წლის დროს შესრულებასაც აღარ მაცდიდა. მე, რასაკვირველია, მაშინათვე მივსწერე და ვსთხოვე, რომ ჯერჯერობით ედროვებინა. იმან უარი მომწერა და მითხრა ნუღარ დაუყურამ, საჩქაროდ წამოდიო, რომ აქ მოგელიო. მე კვალა გავუახლე თხოვნა და ვეხვეწე, რომ მაინც და მაინც ერთი წელიწადი კიდევ ედროებინა აქ დასარჩენად, რათა თუ ჩემს აქ დაწყებულს წერილს ერთიან ვერ დავამთავრებდი, მაინც კარგად წინ წამეყვანა და ძნელი საგნების დაწერა აქ დამემთავრებინა. ამაზეც უარი მამწერა და **დამიხელმეორა**, რომ ჩქარა წავსულ ვიყავი. ჩემთვის ამ დროებაში დაბრუნება მანდეთ morolement შეუძლებელი იყო. ის თავის მეორე თუ მესამე წერილში იმასაც უმატებდა: თუ არ მოხვალ, დამჭირნე გავხდები, რომ ძალით მოგვაყვანინოვო. ისე, როგორც აქ მე გამოქცეული ყაჩაღი ვყოფილიყო. რასაკვირველია, ამისთანა მის წერილმა, შემდგომ აქ იმისთანა პირობის მიცემისა, მე დიდათ გამაშფოთა და პასუხიც მოკლედ ესე მივსწერე: გთხოვ სიმდაბლით, რომ ერთი წელიწადი კიდევ მადროვოთ აქ დარჩენისა; ამ ნების მიცემა თუ არ გინდათ, მაშინ მე დამჭირნე გავხდები, ჩემდა სამწუხაროთ, რომ პაპს აღთქმისგან განთავისუფლების ნება მოვსთხოვო, მეთქი. პ.ალფონსმა ამის პასუხი კი არ მომცა, არამედ მითხრა, რომ აგერ **ბონეტი** მანდ მოდის, უეჭველად ნახეთ და რას გეტყვის, დაუჯერეო. რა მოვიდა ბონეტი, მეც ვნახევი და მასაც ვსთხოვე, ერთი წლის ნება. იმანაც უარი მითხრა თქმით, რომ შენს უფროსს აღარ უნდა შენი აქ დარჩენაო. მე ბევრი მიზეზი მოუტანე, ჩემი ნაშრომი და შეკრებილი დოკუმენტები ვუჩვენე. მან თვალითაც არ შეხედა, ზედ დამიფურთხა თქმით, რაში გამოსადეგიაო. ბოლოს მე

მეტი გზა აღარ მქონდა. დამჭირნე გავხდი და აღთქმისაგან განთავისუფლების თხოვნა შევიტანე. ვიცი ეს ამბავი თქვენთვის დიდათ სამწუხარო იქმნება, მაგრამ რა ვუყო. იმისთანა საგანი მაქვს დაწყობილი, რომ თავს ვერ დავანებემდი. გარდა ამისა, პ.ალფონსს მე კარგად ვიცნობ. ამისთვის მასთან ცხოვრება ჩემთვის ძრიელ ძნელია. ესეც უნდა მოგახსენო, რომ მონასტერს მე არასდროს დავივიწყამ და რითაც შემეძლება მუდამ შევეწევი. ეგრეთვე, ყველა ძმებს ესე ძმებად შევრაცხამ, როგორც აქამდინ. ამის გამო, იმედი მაქვს, რომ თქვენთვის დიდათ სამწუხარო აღარ გახდეს ეს ამბავი. **პ.კირილესათვის მოშოვნილ** შეძლებას ვგზავნი. ეს თუმც კი წინათ მქონდა აღებული, მაგრამ ზემოხსენებული მიზეზის გამო, უწიგნოთ ვეღარ გამოვაგზავნე. მერაბმა მომწერა, რომ თქვენ და პ.**გიგოი უსკუდარში** დაუნიშნიხართ და **პ.იოვა-ნე** ოშპიტალში. ბავშვების **სენლოვიში** წაგზავნა ძრიელ კარგი ქმნილა. მე ეგ აქაც ვურჩიე. მომიკითხე ყველანი სიყვარულით. ეგრეთვე პ.**მარსელიც.**

თქვენ წა წირვაზედ დავედრებული

პ.მიქაელ თამარათი

5 დეკემბერს, 99

რომი

თქვენო ღირსებავ,

უ.პ. ბენედიქტე,

მივიღე თქვენი წერილი და მაშინათვე შეუდეგ მოთხოვნილი შეძლებების მოშოვნას. რასაც მთხოვდით ყველა მოვიშოვნე თავენთვის და, ეგრეთვე, პ.კირილესათვისაც სრული შენდობის მიცემა. ამ შეძლების ხმარებისათვის უეჭველად საჭიროა ეპისკოპოზის თანახმობა. მაშ, მას შეატყობინეთ და ხმარება შეუდგინეთ. ეს ქახალდები პ.ალფონსოს გავატანე და ის მოგიტანსთ. პ.**ალფონსო** აქ მოვიდა გავლილ 27-ს. ერთი კვირა დარჩა და გუშინ წავიდა **ლიონში** და იქიდან მობრუნდება **მონტობანში,** სადაც, ვგონებ, კარგა ხანს დარჩენას აპირობს. მე მეგონა, პატარა ფულს სახარჯოს დამიტოვდა, მაგრამ კაპიკიც არ მოუცია! არ ვიცოდი, რომ **გაკიელოვი** მანდ იყო. ამისთვის სამდურავი უთხარით, რომ ერთი წიგნიც არ მომწერა. გთხოვ, ჩვენი დაბეჭდილი 2 **ქართული გრამატიკა,** 2 ფრანციზული დიალოგი და ერთიც ქართულ-ლათინური (ანუ ფრანცუზული) გრამატიკა გამომიგზავნეთ, რომ ერთისათვის მჭირვია. ყველა ძმები და დები სიყვარულით მომიკითხეთ. ძრიელ დავიწყებული ვარ თქვენს კერძათ. არავინ არაფერს მწერს. ასე არ იქნება. ყველას მოგილოცამ ღვთისმშობლის წა დღესასწაულს. შვიდობით.

პ.**მიქაელ თამარათი.**

Piazza di Spagna, S.Sebastiano, 3.

შეძლებების ხმარებისათვის არავითარი ..... არის საჭირო. შალის კი ჯერ არ მომიშოვნია.

ალფონს ხითაროვის წერილები მამა ბენედიქტეს

ტაგანროგს, 21 -სა ივნისის, 97.

საყვარელო ძმაო უღ ბენედიქტე!

მივიღე თქვენი წერილი და თანახმად თქვენი სურვილისა და საჭიროებისა, ამ წერილთან გიგზავნი ას მანეთსა, რეკტორის სახელზედ.

მოგილოცავ წა ამბორითა მიღებას წა ხარისხთა და გთხოვ, რა ღირს იქმნებით პირველ წა წირვის შეწირვასა, მომიხსენიოთ და შემავედროთ მაცხოვარს იესოსა, რომ მომანიჭოს კეთილი სიკვდილიც; რადგან აქ ამ წუთისოფელშიდ სხვას არას მოველი რას. ამასთანავე, ვალდებული ვრაცხ მოგახსენოთ, რომ შენი წიგნისაგან გარდაწყვეტილ საცნო პლანი ცხოვრების ვერ გამიგია რა, აპირობ მანდ სარატოვში დარჩენასა და იმისათვის მთხოვ აქ ფულსა, თუ აპირებ წასვლასა საზღვარს გარეთა; მე, ჩემის აზრით, ვარჩევდი, რომ აქ **დიოცერშიდ** დარჩენილ იყავით, რადგან საზღვარგარედგან შემოსულა ძალზედ ძნელი არის და მაშინ შეუძლია იეპისკოპოზმან ან ვერ მიგიღოსთ და თან არღარა მოგცეს ერი; რადგან მთავრობის პლანები მარად საჭირო არის, რომ ჰქონდეს მხედველობაშიდ, როგორც აგერ დღსაც უეროდ და უადგილოდ არის პატრი ღელხი, რომელიც ადრე მიღებულ იყო ეპარხიაშიდ და დღეს იეპისკოპოზს ვეღარ მიუცია ერი, რომელზედაც დარწმუნებულ ვარ, **იეპისკოპოზს როქის** დიდათ, მაგრამ თვინიერ მთავრობისა, ვერა შეუძლიათ რა... აწ იფიქრე, ნახე და როგორც გონიერთა პირთ და გამოცდილთა გირჩიოს, ისე მოიქეცი.

გთხოვ, მომიკითხო უდეს რექტორი გულითადი სიყვარულით, რომელიც არის კეთილი და ზნეობით შემკული პირი.

დღეს მივიღე პ. სტეფანეს წერილი და ჩვენი ქალწულების უმფროსისა. პატრი სტეფანე მწერს თქვენს იქ ჩასვლაზედ და ქალწულთ უმფროსი მთხოვს შემწეობასა, მონასტრის ცალკეულს შემოსავლისთვისა და ამ მოკლე ხანში კიდევ უნდა გაუგზავნო 1000 მანეთი. მე არას ვზოგამ რას, ვაწყობ უღ მონასტრის კეთილისათვის და ყოველ ნაირს ეკონომიას ვხმარობ ჩემს თავზედ, რათა მონასტერსა და მონასტრის შვილთა შევეწიო.

დავედრებული თქვენს წა ლოცვაზედ. ყოვლად მდაბალი მონა პატრი **ალფონს ხითაროვი**.

პატივცემული უდე-ევგენია მიხაელოვნა!

მივიღე ჩვენი კეთილ მამა **მუღაშოვისა** მიერ, თქვენი შემოწირული 300 მანეთი: 200 მან. ჩვენი მამათა მონასტერისათვის, რომელშიც ვალდებულნი ვართ შევასრულოთ 400 წირვა უპატრონო მკვდრებისათვის იმა დღიდგან, რაჟამს მონასტერი შეიტყობს თქვენს უდესა მიერ მიცვალებასა, რომელ ფულსაც მონასტრმან მისცა ბანკშიდ შესანახავად და ასი (100) მანეთი იმავ დღეს გარდავეცი დედათა მონასტერსა და თანვე აუხსენი აზრი თქვენი, ესე იგი, რომ მათაც უნდა შეინახონ ეს ფული და სარგებელშიც უნდა აწირვინებდენ სამუდამოდ ორს წირვას წელიწადშიც. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ ყოველა თქვენი აზრი და წადილი მჭიდრო სვინდისით იქმნება შესრულებული.

მარად თქვენი კეთილის მონატრე და დღგრძელობისა თქვენისათვის მლოცავი ყოვლად მდაბალი

პატრი **ალფონს ხითარიშვილი**

17/4-ს სეპტემბრისა 1904 წ. კონსტანდონეპოლს.

ტაგანროგს 24 -ს მარტის 97.

პატივდებულო და გულით საყვარელო

თანა-ძმაო უღ ბენედიქტე!

ეს წამია მივიღე თქვენი წერილი და შაბათს საღამოს 22-სსა მივედი სახლში მგზავრობიდ-გან, რადგან მაბარია ვრცელი საბარიხი და ვალი მაქვს ვითარ სულიერი შემწეობის მისაცემ-ლად, ურიცხვ გაფანტულსა აქაურ ზავოდებში და ფაბრიკებში, ბელგიელებსა, ფრანციელთა და პოლიაკთა კათოლიკეთა. დამხვდა პატრი სტეფანეს წერილი, რომელიც მაგავ აზრსა მწერს შესახებ შენს იქ ჩასვლაზედ და მე რა წავიკითხე გავოცდი, გავბეჩდი და პ. სტეფანე შევრაცხე ყველაზედ შეშლილად, რადგან ვხედამ, არ ესმის არაფერი და არცააღა მისდევს დედა აზრსა მონასტრისა; რომელიც ეგოდენთა ჭირთა და შეწუხებათა, სიგლახაკეთა და დევნულებათა დათმენითა, განსაკუთრებული მეოხებითა ქალწულ მარიამისა და შემწეობითა ღვთისათა დაეფუძნა და დაეშუარა ეს ჩვენი მონასტრის კრება, და რომელი მონასტრის აზრი მთავარი და განსაკუთრებული ის არის, რომ **თავის გაოხრებულ და უპატრონო საქართველოს** კათოლიკეთა და აგრეთვე, ქართულსა გვარსა მისცეს შემწეობა ყოველნაირი, ამის გარდა, არ არის არცერთი მონასტრის კრება, რომ აქუნდეს ეგოდენი სიძნელენი თავის გვარის შესაწევნელად, როგორც ჩვენი: **რადგან საზღვარ გარედგან მღვდლის შემოსვლა, როგორც ვუწყით, არის აკრძალული,** ამის გამო თქვენ ღმერთმან მოგანიჭათ მაგ ნაირი შემწე, როგორც უღ დ. იოვანე, რადგან უკეთუ ეგ არ ყოფილიყო შეუძლებელ იყო თქვენი მანდ მიღება და არ ვიცი კიდევაც რა ნაირი მადლობა მოვახსენო და მივსწერო, ამისათვის შენ მანდ მტკიცედ, ერთგულად, მორჩილად და თავგანწირულებით ეცადეთ და უეჭველად არის ღმერთი გადმოგხედამს და შეიქმნები სარგო მოხუცსაცა (თუ-მამულისაცა) და მონასტრისაცა და სრულიად ნუ იფიქრობ მოშორებას და დატიებასა, არა თუ ახლა, არამედ მღვდლობის დროსაცა და სადაც ისურვებს მას ადგილას წადი და ემსახურე მორჩილებით იეპისკოპოზსა. და რაც იგი შეეხება პ. სტეფანეს, მე მივსწერ ამ კვირა პასუხსა. ამის გარდა, როგორც ვხედამ, თქვენ ძალზედ ჩქარობთ და არ ფიქრობთ მას, რომ იეპისკოპოზის ვალია გამოშთანთქოს, გამოსცადოს, გაიცნოს თქვენი წოდება, თქვენი წადილი და მისდაგვარად მოიქცეს; ამისთვის დროება საჭირო არის და უეჭველი იმედი მაქვს, და განსაკუთრებით დ. იოვანეს შემწეობითა, შენ მოწევ ყოველთა კეთილსა შენსა ნატვრასა და შეიქმნები სარგო პირი მამულისა და მონასტრისაცა. სასიამოვნო იქმნებოდა რომ ხშირად მომწერდე შენს სწავლის გარემოებასა და დაწვრილებით შენს მდგომარეობასა. ამასთანავე, გირჩევ და გთხოვ, იშრომო და შეისწავლო **ნემცური, რუსული** და თუ გაქვს საშუალება, **პოლშურიცა,** რადგან ამ ეპარხიაშიდ საჭირო ცნება არიან: და როდესაც მე მივიღებ შენგან დაწვრილებით შენს შრომაზედ და სწავლაზედ კარგს ცნობას, მეც გავიხარებ. გთხოვ მომიკითხო და წ. ამბორით მიულოცო წა ვნების კვირის მოწევნა და დღესასწაული წ. აღდგომისა. . . დადად გულითად სიყვარულისა ღირსისა მამისა დონ იოვანესა.

დავედრებულ თქვენს წა ლოცვაზედ ყოვლად მდაბალი მონა პატრი ალფონს ხითაროვი.

ტაგანროგს 31/XII 96.

პატივცემულო და საყვარელო

უ. ბენედიქტე!

მივიღე შენი წერილი და დიდათ გავიხარე, რომ მიუღიხარ იეპისკოპოზსა და აწ იმედი მაქვს, რომ ეცდებით გულ მოწადინებითა და მიაღწევთ იგი უზენაესსა აღსავალსა, რომელთ

შეიძლებ შრომარს სარგოდ მამულისა და მონასტრისა, და განსაკუთრებით დიდებისათვის ღვთისა და გაბრწყინებისათვის დედა წმა კათოლიკე ეკკლესიისა: ამის გამო აწ მხიარულებით მოგილოცავ დღესასწაულთა და დაწყებას ახალისა წლისა: ვევედრები მაცხოვარს ყრმა იესოსა თქვენთვის ყოველსა კეთილსა და განსაკუთრებით მადლსა ნამდვილ წოდებისა.

გთხოვ განსაკუთრებით მომიკითხო ღირსი თქვენი ინსპეკტორი დონ **იოვანე**, და მოახსენო ჩემი გულითდი მადლობა, მაგა . . . . შრომისათვის, რამეთუ უკეთუ ეგ არ ყოფილიყო, არასოდეს არ იქმნებოდით მიღებულ და შეწყნარებულ სემინარიაში. ეგ დიდებულ პირი ღმერთმან გამოუგზავნა საქართველოსა, რომლის დღეგრძელობისათვის ყოველთა უნდა ვლოცულობ-დეთ.

უკეთუ იკითხავ ჩემს მდგომარეობასა: მადლობა ღმერთს, ვარ და ვწანწალებ მოხუცებუ-ლობაში უძლურებისა ებრ ჩემისა დიდებისათვის ღვთისა და ჩვენი საცოდავი მონასტრისა, რადგან მე მარტო მონასტრისაგან მაქვს მტკიცე იმედი გვარის განათლებისა და მოქცევისა წა სარწმუნოებაზედ, რადგან **მონასტერი არის უკვდავი** ... ამის გამო მე არას ვზოგავ მონასტ-რისათვის; ასე რომ, გაუგზავნე მონასტერსა უმეტეს ათი ათასი ფრანგი, და ამით ჩაიდგა სული და მოიშორა მოვალეები. აგრეთვე, მონასტრიც ახლა კარგათ ცდილობს, გუშინ მივიღე წერილი, რომ სამნი შენნი ამხანაგნი გაუგზავნიათ მონთობანში და იქაურს იეპისკოპოზს მიუღია თვის სემინარიაში, ფრანციის მთვრობაც რა ხედამს, რომ ეს მონასტრი ცდილობს ბედდამცდარი და საწყალი გვარისათვის ნებას აძლევს ფრანციაში საწავლის მიღებასა და კიდევაც კონსტანტი-ნეპოლს. სახელმწიფო ხარჯით დაბეჭდვასა დაჰპირებია ახალი და დიდი **ქართულ-რუსული და ფრანციული ლექსიკონისა** და სხ.

უკანასკნელად დაგავედრებ ქალწულსა მარიამსა უმანკოდ ჩასახებულსა, რომლისათვის მიგიცია აღთქმა, რომ ის იყოს შენი მტკიცე და ნუგეშის მცემელი.

მარად შენი კეთილის მონატრე უღ/დ მდაბალი პატრი **ალფონს ხითაროვი**

96 დეკემბრის 31

P.S. დღეს მივიღე თქვენი წერილნი **და ცრემლოვან თვალთა** იმავე საათშიდ დავსწერე რაპორტი და გავგზავნე იეპისკოპოზთან სარატოვშიდ.

ი.მ.ი.

ქ. სარატოვი 24/51899

დომინიკე მუღაშოვის წერილი მამა ბენედიქტეს

პატივცემულო მამაო ბენედიკტე

აგერ, დღეს 14 დღეა რაც ქალაქს **სარატოვს** მოველი ჩვენი პატიოსანი და ფრიად საყვარელი მამების და დების ლოცვა შემეწია; არავითარი სიძნელები გამომმივლია. არც ზღვაზე და არც ხმელეთზედ. ქ. **ბათუმში** ერთი დღე დავრჩი და მაშინვე წამოველ აქეთ. პ. **ანსელმა** ვნახე. **ეკკლესიას ხურავს.** საქმე კარგათ წინ წაუყვანია. აქ სარატოვში ყველანი თქვენ სახელს ფიცულობენ. დიდათ გაგვეხარდა, რომ ასე დიდათ მთელ სემენარიისა და აქაური სამღვდელოების პატივისცემა დაგიმსახურებიათ; ჩვენთვის ფრიად საასრგებლოა. ღმერთმა ქმნას, რომ ჩვენზედაც ასე მოხდეს.

ინსტიკტორს დიდათ სურს, რომ აქ შემოხვიდე. დიდ საჭიროებად სთვლის შენს აქ ყოფნას. (საქართველოში).

რაც, ღმერთს ნებავს, ის აღსრულდეს. პატრი **მიხელ თამაროვი** ბევრს შრომოფსო რომშიო და მრავალი დოკუმენტები უპოვნია, რომელიც მთელ **საქართველოს კათოლიკე ეკკლესიას დიდათ გამოადგებაო.**

მამაო, ერთი დიდი სათხოვარი მაქვს თქვენთან. ვიცი, რომ არ დამზარდებით. გთხოვთ, დიდათ დამავალებთ რომ ბატონს ლიბრს Y1 Benoir კოლეჟის უმფროსს da Y1 Lois P. Marcel ს ჩემი სერთიფიქა მოსთხოვოთ, ჩამოართვათ და გამომიგზავნოთ, მჭირვია.

ძ. ლუჯის ამირხანოვს თვისი წაურთმევია და აქ უჩვენებს, მე კი არამქონდა. მე მეგონა, რომ არ არის საჭირო.

მაშ, გევედრები ლუჯისნაირი Certificat სერთიფიქა გამომიგზავნოთ.

კვალად მამაო. **გვარამაძე** ჯერ კიდოვ სოფლად არის. ამ ორ დღეში მოვა.

სომხის რიგის მღვდლები დიდათ სჭირვებია ჩვენ ეპისკოპოზს.

თქვენი უღირსი და უმცირესი ძმა **დომინიკე მუღაშოვი.**

P.S. პატრი ანსელმოს დიდათ სურს, რომ იქონიოს ჩვენი დების ადრესი, რომელზედაც შეეძლოს ფულის გამოგზავნა. ამისათვის, თუ შეიძლება, მოახსენეთ და უმფროსსა, რომ თავიანთ ადრესი მალე მიაშველოს.

პ. ანსელმოს უნდა, რომ მათ ასი მანეთი გაუგზავნოს; ამაზედ მეც ბევრი ვეხვეწე, რომ შეეწიე რითამე ჩვენ დებსა მეთქი.

ბევრი მოკითხვა.

მათ პატივისცემას მამა **ბენედიკტე ჩილინგაროვს.**

ალიოზ ამირხანოვის (ამირხანაშვილის) წერილი მამა ბენედიქტეს

(ღია ბარათი გაგზავნილია კონსტანტინოპოლში)

თქვენო ღირსებავ, პატრი ბენედიქტე,

მივიღე თქვენი წერილი, მაგრამ ადრესს არ იწერებით. არ ვიცი, როგორ მოგწეროთ, რომ სხვის ხელში არ ჩავარდეს ჩემი ნაწერი. პასტ რესტანტით გწერ. **პ.ლეონი** აგერ ერთი კვირე იქმნება, გავისტუმრეთ. მე დამნიშნეს, გარდა იტალიის ნაციისა, ფრანცუზებისთვისაც. ამის მიზეზით დიდათ ვწუხვარ, რომ პირველათ გწერთ ამ სიტყვებს. თქვენგან სხვა არაფერი მიმიღია, გარდა წერილისა. იწერებით პ.ლეონის სახელობაზეც იქნება სხვა წერილიო.

გთხოვთ შემდეგი ინთენციები შეასრულოთ.

ეს სამი უკანასკნელი ყველაზე ადრე სთქვით. სულ ერთიან ოცი ჩემი წირვაა. ონონარს გამოგიგზავნით, როდესაც ორმოცდაათი შესრულდება.

მაშ, მშვიდობით. გილოცავთ დღესასწაულებს.

პ.ალიოზ ამირხანოვი

1900.06.12

(ღია ბარათი გაგზავნილია კონსტანტინოპოლში, 23.06.1905; მიღებულია 27.06.1905)

ღირსო და პატივცემულო პ.ბენედიქტე

მივიღე თქვენი ღია წერილი. მადლობა ღმერთს, მშვიდობით ბრძანდებით ყველანი. აქაურ ამბებს დაწვრილებით გაიგებდით გაზეთებით. განსაცდელში იყო ქალაქი, მაგრამ ეხლა მშვიდობა დამყარდა, თუმცა კი ქალაქი სამხედრო წესზეა დადგენილი. გთხოვთ შემდეგი 15 წირვები სთქვათ.

ონონარს სხვა წირვებთან ერთად გამოგიგზავნით. პატრი ლეონისგან დიდი ხანია არაფერი ისმის. საწირავებს გამოგიგზავნიდი, მაგრამ ძლიერ დიდი ქესატობაა დროთა ვითარების გამო. მაგრამ ვეცდები, რადგან ვიცი თქვენი მატერიალებრივი მდგომარეობა.

თქვენი ერთგული თანამმა **ალიოზ ამირხანაშვილი.**

ოდესსა, 24 ივნისი, 1905 წ.

თქვენო ღირსებავ,
პატრი ბენედიქტე!

მივიღე თქვენი წერილი 4 მაისისა, მაგრამ, უკაცრავათ, პასუხი დავაგვიანე. იმისთანა დროს გადაამწესეს **პ.ლეონი** გორში, როდესაც ყოველთვის საქმე ბევრია, ესე იგი დიდ მარხვაში და აღდგომის დღეებში. ამაღლებაში აქაურმა ყმაწვილებმა პირველი ზიარება მიიღეს და იმის მიზეზით ყოველ დღე საქრისტიანოს მოძღვარების გაკვეთილი გვქონდა, ფრანგულ და იტალიურ ენაზე. მადლობა ღმერთს, მოგვეცა ამ დღეებში ცოტაოდენი შვება, თუმცა კი ამ ერთ თვეში ხალხი გადადის სოფლად სააგარაკოდ, მაგრამ ივლისამდი თავისუფლება არ მოგვეცემა. ძლიერ მეწყინა პ.ლეონის მოშორება, მაგრამ რა გაეწყობა, ამ დღეებში მომწერა. როგორც ეტყობა დიდი გარჩევაა აქაურ და გორის ხალხს შუა. შესახებ წირვებისა, ძლიერ დიდი გაჭირვებაა. ამასთან ერთად, გიგზავნი 30 მან. ოცი გავლილი წირვებისა და ათიც შემდეგ აზრზე წირვები სთქვათ. ამის წინეთ პ.ლეონს ოცი წირვა გაუგზავნე. შემდეგში გამოგიგზავნი სხვა წირვებსაც. იმედი მაქვს, ყველანი კარგათ იმყოფებით. აქეთ ჯერჯერობით ცვლილება არ ისმის. როგორც შევიტყვე, **პ.რაფაელ ნებიეროვი** ქუთაისში ყოფილა. **პ.ივანეს** ხალხი ძლიერ არეული ჰყოლია. **პ.ნეიგულმი** დღეს საზღვარს გარეთ გაემგზავრა. მოკითხვა. მეც მოგიკითხამ სიყვარულით და დავშთები თქვენი დაუვიწყარი თანაძმა

პ.ალიოზ ამირხანოვი

ქრისტესია გვარამაძის წერილი მამა ბენედიქტეს

პატივცემულო მამაო ბენედიქტე!

ხელის ამბორით მოგიკითხამ და ვითხოვ თქვენს ლოცვა-კურთხევას. მივიღე თქვენი წერილი; ყმაწვილების წერილიც პატრონებს გადავეცი. ძალოვან გამიკვირდა მაგ წიგნების მაგრე გვიან გამოტანა; სწორეთ, წელიწად ნახევარი არის რაც გამოვგზავნე, ეგ ურჯულოები რას გაწვალებდნენ მაგთან მოჩანს, კიდევ კარგია ორი წიგნის მეტი არ აკლდა; მეორები თუ სრულია, ეგეც კარგია. **„საქართველოს სამოთხე“** კარგი მშვენიერი ყდით შეაკვრევინეთ. აქეთ მშვიდობა არის, მაგრამ ჭირნახული ძალოვან ძვირია; გავლილი ზამთარი ძალოვან ცივი და ხანგრძლივი იყო, ახლაც გაზაფხული ავდრიანი არა არის, მაგრემ ისრე ცივა, რომ სწორეთ შემოდგომას ჰგავს; ნახოთ ჭირნახულს რას უზამს. მამაჩემიც ერთი კვირა არის თბილისშია, ეკლესიის საქმე აქვს და თან თვითონ იქაურ აბანოში უნდა იბანოს. მუხლების გამო მეც ამ გაზაფხულზე კიდევ სისუსტესა ვგრძნობ ცოტა შეუძლოთა ვარ. აქეთ არაფერია შესანიშნავი, მხოლოდ **მაისის 24 ილია ჭავჭავაძის 40 წლის იუბილეს დღესასწაულობენ** თბილისში და მთელ საქართველოს ქალაქებში. გავლილ თებერვალში კავკაზიის მთავარმართებელს **გალიცინს** თხოვნა მივეცით ქართულის შესახებ რადგან თვითონ პეტერბურგში მიდიოდა და ვთხოვეთ, რომ **ხელმწიფესთან ეშუამდგომლა ნებას დართვა ქართულის ენისა ეკლესიებში;** ჯერ გალიცინი არ დაბრუნებულა, ნახოთ რა ამბავს მოგვიტანს. აქ ჩვენ გავიგეთ, რომ მანდ **თქვენი ეკლესია გაუქურდიათ**, **მთელი ნივთები ლურდის ძეგლისა წაუღიათ**; არ ვიცი, მთლად გაძარცვეს, თუ ვერა; თქვენ არასფერს იწერებით. ძალოვან კარგი იქმნება, რომ გვაცნობოთ, როგორც მოხდა ეგ ქურდობა; იპოვნეთ ვინმე ქურდი თუ არა? . . გაზეთების ამბები ჩვენი ქვეყნისა შესანიშნავი არაფერია, მხოლოდ **აქაური თბილისისა საზოგადოთ საქართველოს სომხების და ქართველების შუა ძალოვან სიმძულვარე არის ასრე, რომ მთელი გავლილი შემოდგომა და ზამთარი გაზეთებში ერთმანერთს ეცმუკებოდნენ; ქართველებს სიმართლე აქვსთ მაგრამ სიმდიდრე სომხებს აქვთ**; ნახოთ ბოლო რა გამოვა. **სხვაფრივ ქვეყნის პოლიტიკა ჩვენ დიდათ არ გვეინტერესება; თუმცა ამ სამ წელიწადში რუსეთის პოლიტიკამ ყველგან გაიმარჯვა.** ამას იქით მანდ, თქვენ სტამბულში, კარგი ამბები იქმნება, **რადგან გერმანიის იმპერატორი უნდა ესტუმროს თქვენ ხონთქარს**. თქვენები ყოველნი კარგათ არიან, **სიმონ ჩილაშვილს** ეპისკოპოზისაგან უარი მოუვიდა მღვდლათ კურთხევისა, ადგილი არა მაქვსო. რას იზამს საწყალი, ეტყობა პრავლენიამ არ მოუწყო ხელი, რადგან უნდოდათ არლელებს თავისთვის სიმონა, მაგრამ პრავლენიამ ხელი შეუშალა, რადგან **არ უნდათ, რომ ის სომეხი გამოცვალონ** შენი ტერ თომასიც ამ . . . ირი სვინდისის კაცია იმისდაგვარ უშველოს ღმერთმა. ერთი წერილი მოიწერე, გვაცნობე მანდაური ამბები; თქვენი ლოცვა-წირვაზედ მომიხსენიეთ.

მომიკითხე პ.პ. ალექსი, ანტონა და ყოველნი. თქვენი პატივის მცემელი **ქრისტესია გვარამაძე**.

27 აპრილისა 1898 წელსა, ახალციხე.

P.S. ჩემი ძმა–მზეჭაბუკი ისევ **სარატოვში** წავიდა გავლილ ზამთარს; ჩემმა დათიკომაც ხელის კოცნით მოგიკითხათ. იგივე პ. უფროს შეჰკითხე თუ გინდათ ერთი 11 წლის საჯარე საქ . . .ლა გასპარშვილისა კარგა ნებას თუ მოგცემს ამ ზაფხულს გამოვაგზავნით, მხოლოდ პარახოდის სახელი გვაცნობეთ, როგორ გამოვაგზავნო.

სტეფანე გიორგიძის წერილები მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი.10 თებერვალი 96. ფერი-ქოის

პატივცემულო ბენედიქტე!

ქებული იყოს იესოს სახელი.

მივიღე თქვენი მეორე წერილი სარატოვიდან და თუმც შეწუხება გამოგივლია, მაგრამ ბოლო კი კეთილ წასულა, ეს შეწუხებას დაგავიწყებდა. ეცადეს. წირვა რა მასთანაც აქვენ და ბლომათ ცრემლები, იქნება მაშინ გაიხსენოს იგავი წა. სახარებისა, როდესაც მეზობელი მეზობელთან ღამით მივიდა პურის სასესხებლათ და ის არ იძლევდა, ხოლო რა გააბეზრა რეკთამ კარებისა, ერთი მოვიშოროთ თავდგანო, ადგა და მისცა პური. თქვენც ასე უნდა მოიქცეთ. იმედი არ გადაიწყვიტოთ და არც გაბეზრდეთ ... არამედ სიმდაბლით და მოთმინართ ევედრე 1-3-5-10-20-ჯერ და ბოლოს კი უთუოთ გაიმარჯვებ. მივწერე მათ, რომ შეგეწიონ და მეც ჩვენგნით ვწერ დონ ივანეს, რომ შეგეწიოს და ჩვენ აქ წირვებს ვიტყვით... თქვენმა დამ მოგიკითხათ კარგათ და მშვიდობით არიან ყველანი და მოგიკითხეს სულ ყველამ.

თქვენი მამა **სტეფანე გიორგიძე.**

19. ოქტომბერს 96. ფერი-ქოივს

პატივცემულო ბენედიქტე!

თქვენი **ბათუმის** და **სარატოვის** წერილიც მივიღე, ხოლო ეს უკანასკნელი სამწუხარო იყო, რომ არა სოსანი მანდ დაგვხდენია და არ შემწეობა მიგიღიათო ხარჯითა. დაითმინეთ და რადგან ბოლოს დაგპირებიათ, იმედი გქონდესთ არ . . . . ებასთ ისე: და მე ამ წერილთან ვსწერ დონ ივანეს რომ 25. მანეთი გიბოძოსთ მანდ და ჩვენ აქ მას წირვებით გადუხდით. მოიწერე...

აქეთ ჯერჯერობით სიწყნარეა და მერე რა იქნება, ღვთის გარდა, არავინ უწყის. საქონელები ზოგი გამოუგზავნიათ და ზოგიც მოსასვლელია.

მოგიკითხეს ყოველამ და მანდეთ როგორ გარდაწყდება საქმე თქვენი.

თქვენი მშვიდობის მსურველი პ.ს. **გიორგიძე**.

ი.მ.ი.18/29 აგვისტოს 1897 წ., ფერი-ქოივს

პატივცემულო

პ. ბენედიქტე ჩილინგაროვ!

თქვენი სასიამოვნო წერილი მივიღე კარგა ხანია, **სარატოვიდგან**, რომელითაც მახარებ-დით კურთხვას და თან ბაშბორთის მალე მიღებას და წამოსვლას აქეთა, რავდენიმე 4-წ. კარგი ჯისის საქონელითა (ხბოებითა) ერთიც და მეორეც . . . . ჩემდა დიდათ სასიამოვნო და სანუგეშო, და მოგელი დღითი დღე, როგორც მოელოდებოდა ასრაკის გვარი შემწეს თვისსა და ამის შემდეგ თქვენგან არავითარი წერილი აღარ მიმიღია, მხოლოდ **პარმახსიზოვის** მეუღლე ჩამოვიდა აქ, თავისი და ყმაწვილი ქალებითა. მან მითხრა, რომ **ქუთაიში** ვნახეო და ეხლა პ. პავლეც მწერდა, რომ აქ იყო და ნუა ვნახეო; მე მოვწერე თქვენთან წერილი ადრესით **გვარამაძით** და უთუოთ მიიღებდით და სხვა აღარ მოვწერე, რადგან ვიფიქრე აღარ ჩაუსწრებსთქო და რავოთანი პ. პავლესგან ამისთვის გწერთ, რომ იქნება ამ წერილმან მოგისწ-როსთ. მაშ, ძმაო, ბენედიქტე, აუჩქარე რომ **აქ სული კბილით მიკავა** და მეტი დაგვიანება საზარალოთ გახდება და თან ეცადე, როგორც მწერდით, სახარე ხბოებისა კარგის ჯინშისასა, რავდენიც იშოვო და მოგანდობ ფას თქვენს შეხედულობაზედ, გაეცით, რაც იყოს საჭიროდ, საქმემ დაგანახოსთ: და თუ არ ჩნდეს **18-20 წლისა ქალი კუხნაშიდ და სარეცხზედ გამოსადეგი ჯანმთელი და კარგის თვისებისა,** გამოატანეთ ესეცა და წვრილები –არა, რადგან აქ ბევრმა მოიყარა თავი.

გვარამაძე მომიკითხეთ და უბოძეთ მანდ ფული, რაც დახარჯა ბათმანივზედ, კარგი პირია; უმადლო მას ამისათვის. მოგელი დღითიდღე.

თქვენი გულითადი პ.ს. **გიორგიძე.**

16/28 სეპტემბრის97, ფერი-ქოივს

პატივცემულო მამაო ბენედიქტე.

აგერ ეს მესამე წერილია გწერ, საშვალებით გვარმაძისა და ურთიერთის პასუხი ვერ მივიღე. საქმე მეტათ გაჭირვებულია. მეტის დაცდა აღარ შეიძლება, თუ საქონელის მიზეზია თქვენი შეგვიანებისა, დასტოვეთ მერი მანდ და . . . . ორთ და თქვენ უსაშუალოთ გამოემგზავ-რეთ უთუოდ. მიზეზს აქ გაიგებთ. რომელიც ყველა წერილით არ მოიწერება. კდ ვხელმეორებ და გთხოვთ, ღვთის ხათრისა, თავს იდგეთ: აღარ დაჯდეთ და თუ იჯდედ, ადექით და შეუდექით აქეთ მგზავრობასა.

თქვენი მშვიდობის მსურველი

პ.ს. **გიორგიძე**.

ი.მ.ი. 21 ივლის, 97 ფერიქოივს

უღ პატივცემულ და უფლის სასურველ
მამაო ბენედიქტე!

19 ამავ თვის მივიღე მეტათ სასიხარულო წერილი თქვენი აღწერილი 29 ივნის მ.ს. უმადლე უფალს ამა წყალობისათვის, რომელიც გიყოთ თქვენ ჩვენდა სანუგეშოდ და საიმედოდ და შემწედ და მპყრობელად ხელისა.

20 ეს განუცხადე ორივ სახლსა და სადილზედაც გეახელით სადღეგრძელო თქვენი, Admultosocnuor. 21. ორივე სახლისანი გწერდნენ და ეზიარნენ ტრაპეზედ და წირვა მე თითონ გადავიხადე სამადლობელ დედის ღვთისადმი, და დაგავედრე მისი მფარველობასა ქვეშე მარადის.

აწ ვესწრაფვი ამ წერილის მოწოდებას თქვენთან საშვალით გვარამაძისა, რომ მოგისწროთ და ძმა და მამაო, მიიქეცი ხბოებზედ ისე, როგორც დახედო საქმეს, დროს და გარემოებას, ფულსა ნუ დახედავ. ოდენ ჯისი კარგი და საიმედო იყოს და გამოსადეგი აღსასრულის და თან ჯანმთელი. აქ მყავს ერთი, ძრიელ უმადლი მას, გარიე მისიანიც სხვებთანა. უდელების ხბოებს ერიდე მეტათ ხეირსუზები ამჩდნენ. და სხვებსა არა უშავთრა; ხოლო თუ გამოცდით, მაშინ გაბედე უდელების ხბოების ყიდვა და თუ არ იცოდე, სჯობს მოერიდო. **არალი, ვალე, ხიზაბავრი** და **ახალციხე** ამათი ტამაზუღლი უფრო ვარგულობს და გასავალიც მეტი აქვს.

პარმახსიზოვის მეუღლე უნდა წამოსულიყო და შეიტყვეთ ხბოების გზით, თუ ფული ვინიცობაა დაგაკლდეს, გაიმართეთ მანდ ხელი და რო ჩამოხვალთ, მეტყვი და რაც იქნება, მაშინვე მადლობით გაუგზანი ფოშტითა. ყველა ნაირი საშვალება მომინდვია თქვენს სიბრძნე-ზედა და თანახმა ვარ, თვით ვითარცა დაინახოთ, და იყოს საჭირო ხბოებისათვის.

დონ ივანე რადგან მანდეთ წამოსულა, რა ნახოთ წერილით დიდი და დიდი მადლობა მოახსენეთ ჩემს მხრით და რო დაბრუნდება სარატოვს, მაშინ წერილით თავათ გარდუხდი მადრილობას. იმოდენა წერილი გამოვგზანე დ.ი. ანტონოვზედ სარატოვს და მოიკითხოს.

მომიკითხეთ მამა იოვანე გვარამაძე და მადლობა მოახსენე, რომ არა მზარდება შემწეობასა და სათხოვრის ასრულებასა.

რაც შეეხება ომიანობასა, უკვე მშვიდობაა და საქმე დაბოლოებულია და სულთანი თანახმაა: ხალხი ერიდება ... ამისათვის გარეთ ვერ აცხადებს და ნელ ნელა აჩვევს ხალხს, რომ არეულობა არ მოახდინონო. ზოგი გაზეთში სხვა ნაირათ ლაპარაკობენ, ხოლო ქარებია მათი სიტყვები. შვიდობა უკვე დამყარებულია.

თუ ბათუმშიდ შეგხვდეს ჟიტკა ფოთის ხიზილალა, თანაქით თან წამოიტანეთ.

თქვენი მარად მშვიდობის მსურველი პ.ს. **გიორგიძე.**

სტეფანე ტატალოვის (ტატალაშვილის) წერილი მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი. 1901 სა,თებერვლის 13, არლიდან

თქვენო ღირსებავ უღ უღ პატრი
ბენედიქტე ჩილინგაროვ!
ქებული იყოს იესოს სახელი

პირველათ ხელს ამბორით მოგიკითხამ. მარჯვენასა თქვენსა ვითხოვ უფლისაგან.

თქვენთვის მრავალჟამიერ, უთვალავ-სიცოცხლესა ნათესავთათვის ლოცვა ვედრების საქებელათ ღთისა მიერ.

მცირედაც მოგილოცამ. მარხველი ორმოცსა. მომავალს მაცხოვარს იესოს ვევედრები. და ვითხოვ მისგან, რათა მოგანიჭოსთ თვისი უხვი მადლი ღთის სიყვარულისა, სინანულისა, როგორც მიანიჭა მოციქულთაც გაძლება, მოთმინება. სოლონის მადლითა და მრავალ წელს შვიდობიანათ დაცვა და გატარება მარხული ორმოცისა. აღდგომასაც დაგასწრასო ჟამს; მისმა აღდგომის მადლმა სულიერათ აღგადგინოს, როგორც აღადგინა მკვდრეთით ლაზარე და მარჯვენა ავაზაკი და მიწვია თვის. განმზადებულს სასუფეველსა შინა. ეგრეთვე, მიგიწიოს თქვენც იმავნაირათ. ბევრი დრო გადავატარე მოუცლელობისთვის; კარგა გული მთხოვდა წიგნის მოწერვაზე. ახლა შემხვდა დრო ცოტა, რომ მაინც გულის პასუხი შევატყობინოთ ერმანერთს. გულით დიდს მადლობას შემოგწირამთ ყოველას წერილებში. არ მივიწყებთ, მიხსენებთ, კვალათ მადლობა. უფლისამიერ გარდამხდელი ის არს. რამდენი შრომა გამოიარე ჩემი შვილისთვის; რამდენ წელში დასთესე კეთილი. **ესრეთ თესულობა აღმოაცენოს და გაამრავლოს აღვივებულს სუქანს მიწასაზედა.** აღორძინა, დაიცვა ყოველი ზიანისაგან მომვ-ლელამდე. ოდესმე დრო მოვიდეს, ჩემს მაგიერ უმფროს **პატრი ალფონს** მადლობა მოახსენე; ზოგჯერ შემამესმა ჩემი ძის–პეტრეს ცელქობა. როდის ნახამ, დაუდერაგობა შეიძლება თუ ყმაწვილობაში მიჰყვება, გთხოვთ მუდამ აფრთხილებდეთ; როდისაც ნახამთ, გაუჯავრდით. პირი არ აიღოს. თუ პირი აიღო, უფრო გაუმრავლდება. თქვენია, ჩემი არა არს.

ვიცი, გულკეთილობა თქვენი; იძევთ ჩვენს ვითარებას ამ ჟამათ. ღთის წყალობითა, თქვენი ლოცვითა, ყოველანი კარგათა ვართ. აბა, რაი გვაკლია. თქვენს ნახვას მოველით. იქმნების დასავლეთის ქარის ნიავი წამოვიდეს, ღთის ნებით. კიდევ ერთმანერთი ვნახოთ; თუ შეიძლება, ერთი სათხოვარი მაქვს: ისშუალოთ უმფროსთან ორი ქალი შვილი, 12 წლის არის, მეორე–13 წლისა. ორივე ერთი სოფლისა არს. თუ მიიღებთ, შემატყობინეთ. სახელიც პავლეს ასულები არიან ხოშათის- ხალიფას ბადიშები. ძალიან გამოწრთული არიან. სკოლაში კითხულობენ; მე თვითან ვნახე; კარგი არიან, მორჩილი. ზოგჯერ მივალ ხოლმე; ძალიან ნიჭიერობაც აქვენ; ან თქვენ კარგათ უწყით მამა და დედა. ოდეეს ნება აიღოთ, გთხოვთ თავისი ხარჯითა მანდ ჩაგაბაროსთ. არ ვიცი, მაგრამ შეიძლება რამდენიმე ფულიც გამოატანოს; ხუთი ქალის პატრონი არს, იხვეწება, მადლი ღთისა თუ მინიჭებულია, თქვენც ისაშუალეთ ღმერთი, არ დაგიკარგამსთ. სახარების სიტყვაა: **რომელიც დასთესამს–იგი მომვლელი არისო**. თუ ღმერთი ინებებს. ვაჟებისა აქედან გამოგზავნა საშიში გახდა; მანდაც აღარ იღებთ. მაინც ქალი შვილები მიიღევით, ამა ზაფხულისთვისა ქალწულები; თუ ვინმეს წამოსვლა იქმნა, ანუ მონასტრის ვინმე, გთხოვთ: ცოტა სარჯელი გამიწიოთ, ერთი მამა იოსების ხატი, მოზრდილი, მუშამბის ორი არშინი სიმაღლე, სივრცე თავის დაგვარ... თოთხმეტი ხატი ქრისტეს სატანჯველებისა;

სატანჯველზე თითო ხატი. როგორ რიგია ეკლესიაშია. უკეთუ შეიძლებოდეს. და მზადებთ ფული საერთოც იქმნება. მომწერევი, შემატყობინე, ეაც წავა, მეც მოამზადებ. გამოაგზანიე, რადგან ჩვენ ეკლესიას არა აქვს ეგ ხატები< მამა იოსების ეკლესია არს, თავისი ხატი არა აქვს. ფასი მალე შემატყობინეთ. ბძანდებოდეთ შვიდობითა; ხელის ამბორით მოგიკითხებენ ჩემი ძმა ზაქარაც, ყოველი ჩემი სახლეული.

სტეფან. (დავშთები თქვენი მსურველი **ტატალოვ**)

მამა ივანეს წერილი მამა ბენედიქტეს

Congregation GeorgienneConstantinople, le 1 . . . 189 . . ან1909
De l”immaculee-Conception
Maison Mere a Feri-Keuy
N.D. De Lourdes

თქვენო ღირსებავო უღ.-
მამაო ბენედიქტე,

თუმც მე ორშაფათს უნდა წამოსული ვიყავი, მაგრამ ჯერ ვერ შევძელი უქეიფობის გამო; მიკვირს, რომ არ მოდიხარ აქედკენ რა დაგემართა, თუ უმფროსები გამწყრალი ხართ თქვენი ძმებისაგან და სახლისაგან, რათ უნდა იყოთ განშორებული მაგრე?

ძრიელ გული კი მწყდება, მაგრამ ხელში არაფერი არა მაქვს, რო შეძლება დაგეხმაროთ.

რაოდნათაც თქვენ შორს და დაღონებულად იქმნებით, ამათ უმფრო გაეხარდებათ. სახლი შენია და ძმებთან არა ხართ გაჯავრებული; შენ იცი, როგორ გინდა, ისე მოიქეცით. გიგზავნით 182 რუბლს.

საწირავების ფულია, მოცემულის ფიქრზედ. მაქვენ არიან. მმღვდელი **ივანე**.

პავლე ბალ-თის წერილი მამა ბენედიქტეს

7 ნოემბერსა 98, ტფილისი

ღირსო მამაო,

უ-ლო, პატრი ბენედიქტე!

ამასთანავე გიგზავნი, იაბაღს ქაღალდსა, რომელნიც არიან გადმოთარგმნილი სომხური გაზეთი „მშაკიდგანა“, რომელნიც დააბეჭდინა შარშან აქაურმა ვიქარნი სომხის მღვდელმან პატრ **გაბრიელ ნაპაპეტინმა**, წინააღმდეგათ ქართველთ, რომელთა შორის არიან მრავალნი სიცრუენი; რომელნი 7 ნოემბერს მთხოვა **პ.მიხელ თამარათიმ,** რომ გადმეთრგმნა და მისთვის გამეგზავნა, რომელიც შევასრულე და ამასთანა თქვენ გიგზავნი, რომ საჩქაროთ მას გაუგზავნოთ.

უფ.პ. სტეფანესგან ვსცანი, რომ იგი გამოცვლილა უმფროსობიდგანა და მონთობანში წასულა და მის ადგილას აღგირჩევიათ **უფ.პ.ალფონსო**, რომლის აღრჩევაზე ადრითვე ჩვენგან არავის არასფერი არ აცნობეთ. ამნაირ არჩევანზედ ბევრი რამე მაქვს წინააღმდეგი სათქმელი. მაგრამ რა ვხედავ, რომ ახლა საქმე გათავებულია და ჩემი წინააღმდეგობით არასფერი არ გარიგდება, მისგამო იძულებული ვარ, რომ **პირზე კლიტე დავიდო** და აღარაფერი აღარ ვსთქვა.

პ.ალფონსოს ადგილას დაინიშნა, ტანგანოვის მიერ, ვაი, რომ ეკლესიის ადმინისტრატორათა, **უფ.პატრი ლეონი** და ახლა ჩვენს სკოლაში აღარ იქმნება საქრისტიანო მოძღვარების რიტუალის მასწავლებელი და დროებით მე უნდა ვასწავლო, რომელსაც უიმისოდაც ბევრი საქმეები მაქვს, გარდა ჩემი მოხუცებულობისა და ავათმყოფობისა. ამისთვის ახლა პ.ალფონსოსაც ვსთხოვ და თქვენაც გთხოვთ, რომ რაც შეიძლება მალე წამოხვიდეთ აქა. პირველში თქვენ აქ შეირაცხებით პ.ლეონის მაგივრათ, აქაური სკოლის საქრისტიანო მოძღვარების მასწავლებლათ და მალე მეც და აქაური ვეცდებით, რომ თქვენ დაინიშნოთ ამა ეკლესიის ლათინის რიგის ვიქარნათ, რადგან კარქათ იცით, რომ **პ.ბასილა** არასფერში არ არის გამოსადეგი და მისი აქ ყოფნა ყოველმხრივ არის სავნებელი. თქვენი აქ მოსვლა და მალე შერაცხვა ძალიან ადვილია, რადგან თქვენ ხართ ჩარიცხული ამა ეპარხიის მღვდლების რიცხვში და ... გამო უთანამდებობით ხართ და ესეც იცოდეთ, რომ უკეთუ დიდხანს დარჩებით მანდ, მაშინ გამორიცხული გახდებით. და მაშინ ამაოთ ჩაივლის ყოველი შრომა, რომ აქ ჩეერიცხეთ. მაშ, მოიმედე ვარ, რომ მალე აქ მოხვალთ.

მოგიკითხავ თქვენც და სხვათაც ძმობილი სიყვარულითა. ხუთი დღით წინათ გამოვგზავნე ფოჩტით 25 მანეთი და **მარია ბალახოვას** სახელზედა, რომ მან გაუგზავნოს და **მექთილდასა**, რომელიც არის გამოგზავნილი 100 ლატარიის ბილეთის ფული და რაც იმ ნოემბერს რამე ნივთები მოეგოს, ისინი თან წამოიღეთ, რომ ვისაც ეკუთვნის, გადავსცეთ.

თქვენი უმცირესი

პ.პავლე ბალ-თი

პ.ს. ესეც იცოდეთ, რომ უკეთუ თქვენ მალე აქ არ მოხვალთ, მე იძულებული ვიქმნები, რომ მომავლის იანვარში ატსტავკაში გამოვიდე და რაც მერე ზიანი გამოვიდეს, მე არ ვიქმნები პასუხის მგებელი არც ღვთის და არც ერის წინაშე.

იგივე.

ანდრია წინამძღვრიშვილის წერილი მამა ბენედიქტეს

ქ. მონთობანს18 ნოემ. 189 ?. .

ფრიად საყვარელო და პატივცემულო მამა ბენედიქტე.

მივიღე თქვენი წერილი ფრიად გამიხარდა, რომ მობრძანდით საქართველოდამ და მხარე მისცეთ ჩვენს პატივცემულს მ. ამბავსა, ამ თავისი შეწუხებულს მდგომარეობაში აპა გნახო, თუ როგორ ერთგულათ შეეწევით ჯერ ღვთის პატივისათვის და მემრე გვარის სიყვარულისათვის. ხომ მოგეხსენებათ, რა მდგომარეობაში ვართ ყოველანი, გარეთ თუ შიგნით მტრებით სავსე. ოღონდა ჩვენი ვალდებულობა შევასრულოთ კანონისამებრ, ყოველანი (მტრები) შერცხ-ვენილნი დარჩებიან. აქ რაც ღონე ძიება მაქვს, ყოველა საშუალს ვხმარობ, რომ წინ წავიდეს საქმე.

მართალია, წრეულ ვიყავი შეწუხებული ამ ჩვენი კაპელის დაკეტვის გამო, მაგრამ ღმერთმა კიდევ გადმოგვხედა და გავაღებინე ხელმეორედ. ეს ბრალიც ახლა შევიტყე, ვინც გახდა მიზეზი. მაგრამ კიდევ უნდა დავჩუმდე და სიბრძნით უნდა მოიქცეს კაცმა, გამოცდილობამ ბევრი რამ მასწავლა. გევედრებით საყ. მამაო **ასწავლოთ ყმაწვილებს კარგათ ლათინური და ფრანციული ენა, მეტადრე თარგმნა** (version), თემებიც ბევრი გააკეთებინე, თუ არა ძალიან გვიან დარჩებიან ყმაწვილები. მომიკითხეთ ყოველანი საერთოდ, და ხანდისხან წ. წირვაშიც მოგვიხსენიე ხოლმე. ღმერთმან კაი ნაყოფი გამოიღოს ჩვენი მისიონისაგან.

ძალიან გამიხარდა, რომ ყდ პ.მ. ამბავმა კედლები შემოავლო ჩვენს ბაღსა, ახლა შეგვიძლია რომ ვსთქვათ, შინ ვართ. ბულღრებმა გაათავეს თავიანთი შენობა? თუ კიდევ აშენებენ? შევიტყე, რომ ოსპიტალში დაგნიშნეს; ესეც ძალიან გამეხარდა. იქა ქალწულები Joeu Jiphie თუ რომ იქ არის კიდევ ჩემს მაგივრად მოკითხვა მოახსენე, ეგრეთვე Joeu Amlivis-საც, და Joeur Vimcent, თუ რომ ოსპიტალში არიან. აქა ყოველანი კარგათ ვართ, და **საქართველოდამ** გავლილ დღეებში მივიღე **ერთი სკივრი ქართული წიგნები წერა-კითხვის საზოგადოებისაგან უფასოდ ჩვენი ბიბლიოთეკისათვის** და მადლობაც მივსწერე.

მამიყევ საყ. მამაო, თუ რამე შეცილება იპოვნოთ ამ წერილში, რადგან კარგათ მოგეხსე-ნებათ, რომ **ქართული ბაღანების დროს კარგათ ვერ შევისწავლე.**

დავშთები თქვენი ერთგული თანა - ძმა

პ. ანდრია

შიო ბათმანაშვილის წერილები მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი.ნ. ქუთაისი 1926/III 13

p.c. mamaobenediqtev.

პ.ც. მამაო **ბენედიქტევ.**

სარწმუნო წყაროებიდან შევიტყე, რომ თქვენ აპირებთ ქუთაისში ჩამოსვლას. ხმები კარგა ხანია დადიოდენ ამის შესახებ, მაგრამ აქ გამოგიტყდები, და ეხლა კი არ ვიცი, როგორ ავხსნა თქვენი საქციელი.

თქვენ კარგა იცოდით, რომ მე მსურს ქუთაისში დარჩენა ვიკარნათ; აგერ ეს მერვე თვეა, რაც ვიკარნის თანამდებობას ვასრულებ და ხალხიც ძალზედ კმაყოფილია. ესეც იცოდეთ, თუ მე აქ დავრჩი, ეს იმიტომ რომ ხალხს უნდოდა და ამას გარდა, რომ მეპატრონა ავადმყოფ დედისთვის. ეხლა ისე გამოდის, თქვენ გსურთ პირდაპირ თანამდებობა ჩამომაცალოთ! მაგრამ არ ფიქრობთ მაგას რა სახელი დაერქმევა? არ იცით, რომ ხალხი ამაში სულ ერთა კინკლაობს, ინტრიგანობას დაინახავს? ამ რიგათ, არამც თუ სულებს დაეხმარებით, პირიქით, კეთილებსაც გააბოროტებთ.

იქმნება ჩემს ხასიათს არ იცნობდეთ, მაინც ისე გამიგია, რომ თქვენ ჩემზე გეთქვათ: გულ ჩახურულია და მე იმის არასფერს ჩავხვდენივარ არას დროსაო! მაშინ გულ მართლათ გეტყვი, რომ მე შფოთი, დავიდარაბა არ მიყვარს. თუმცა რომ მინდოდეს, ძალით ამოგაკვეთინებ ფეხს ქუთაისიდან, მაგრამ მე მშვიდობას არაფერში გავცვლი. მაშ, მობრძანდით, მე თქვენ გითმობ ადგილს, გისურვებ წარმატებას. დარწმუნებული იყავი, არც სახელს გაგიტეხავ, არც უკმაყოფილებას შევუწყობ ხელს შენს წინაღმდეგ. ამას მე ჩემგნით გპირდები, ვეცდები სხვებიც დავამშვიდო, რადგან ვიცი **ბევრნი აღელდებიან** მაგნაირ საქციელით . . . მხოლოდ ამასაც გეტყვი: მე ქუთაისიდან სხვაგან ვერ წავალ, ჯერ ერთი, რომ შეწყნარებული არ ვარ (ვისი მეოხებით?) და სხვაგან გამოცხადება სახიფათოა. ეს კიდევ არაფერი, თხოვნა მიცემული მაქვს, იმედია მალე მომივიდეს ოფიციალური ქაღალდი შეწყნარებისა; მეორე უდიდესი მიზეზი ეს არის, რომ დედა ჩემი შეუძლოთ არის და ვერ მივატოვებ. მე კარგა ვხვდები თქვენს გაჭირვებულ მდგომარეობას, გინდა როგორმე ფონს გახვიდე, მაგრამ ეგ ჭირი თქვენვე არ მოუტანეთ თქვენს თავს? სწორეთ მოგახსენო, ნაუმფროსარ ბერისგან უფრო მეტს სათნოებას მოველოდი . . . ყოველ შემთხვევაში, ეს სადაური პატიოსნებაა, შენი საქმეები გააწყო და სხვებს წარტაცო?!.

მაინც ნუ გეგონოსთ, რომ მოსვენება დამიფრთხეთ, მაგრამ თქვენგან კი არ მოველოდი: ჩემს გასულ ცხოვრებას, თქვენთან მიმართულობას ხომ თვალს გადავავლებ, გულ დამწყდარი ვამბობ: ყველა კაი, მაგრამ ამ ნაირი მოპყრობა რომ არ დამიმსახურებია? . .

თქვენი უმცირესი: პატრი შიო **ბათმანაშვილი** მ.უ.ჩ.

ამას წინეთ, ჯერ კიდევ თქვენი სურვილების არაფერი ვიცოდი, რომ გაზ. „იმერეთში“ წერილი მოვათავსე ჩვენს მონასტერზე, და ქ. ტიპიკონზე რომ ვლაპარაკობდი, რა საკვირველია, თქვენ კბილი წამოგკარი (თუმც არ დასახელებულხართ). ამაში შურისძიებასავით არაფერი დაინახო . . . თუ თქვენ შეგიძლიათ პატიოსნური თვალსაზრისით ახსნათ თქვენი საქციელი, გთხოვთ მოიწეროთ: მაგ შემთხვევაში წინ და წინვე ბოდიშს გიხდი.

შენიშვნა

ეს წერილი მ. შიომ გამოგზანა მამა უფროსის წერილში, სიჩქარით გადავწერე შესანახათ.

მ. პეტრე ტატალაშვილი
მდივანი.

აპრილის 16-ს 1913 წ.

ი.მ.ი.წ.ქუთაისი. 1913.19.07

პ.ც.მამაო უმფროსო

დ-ნ **დამიანეს** გადავეცი თქვენი აღდგომის მილოცვა. მადლობა მოგახსენათ. **პ.ბენედიქტეს** საქციელიც ავუხსენი; იმას წერილი მისვლოდა პ.ბენედიქტესგან. იწერება, მივიდე თუ არა, მანდ რა ჩაბეჭდილებას მოახდენს ჩემი ჩამოსვლაო (ახლა სეკრეტის ქვეშ. გთხოვთ მეც. არ ჩაახვდინოთ, რომ დონ დამიანეს გაუმჟღავნებია). ამანაც ურჩია, აქ ნუ ჩამოხვალო, ცოტა ხმა დავარდა შენს აქ მოსვლაზე და ხალხი აღშფოთდაო. **სარატოვის** ეპისკოპოზსაც ამგვარივე წერილი უნდა მისწეროს ისე რომ, მე აქ გამაგრებული ვარ; და თუნდ პ.ბენედიქტეც ჩამოსულიყო, თავის თავს გაიფუჭებდა. დონ დამიანესაც ავნებდა, მე კი ღვთით არაფერი მახე მომელოდა; რაღაც 25 მ. თვიური მომეჭრებოდა, მაგრამ კერძო გაკვეთილებით უფრო მეტს მოვიშოვებდი.

თბილისში პ.ბენედიქტე ფეხს ვერ დაადგამს, თუ არ გადარეულა, თვარემ იქ უარესი დაემართება; იქნება **გორში** ან სხვაგან მიყრუებულ ადგილას შესძლებს მოკალათებას. საზოგადოებაში მონასტერს ვერ გაუტეხავს სახელსა, თვითონ რა ხმა ამოეღება, თავზე ლაფდასხმულია. ეს კია **პ.ლეონს** და **პ.პავლეს** გადაიბირებს ადვილათ. ჩემის აზრით, ნებას არ მისცემდით, რომ პ.ლეონმა თავის ქონება დაანაწილოს. ჯერ გაცოდინათ რა სუმმა აქვს, სულ მონასტერს დაუტოვოს და მერე თუ იმის ნათესავებში ნამდვილათ შეუძლონი არიან, მონასტერსვე მიანდოს მათი დახმარება. აგერ **პ.მიხელ თამარაშვილის** ნათესავებიც სულ იწყევლებიან: განსვენებულს საფლავში აღარ აყენებენ! რისთვის: მთელი მისი სიმდიდრე, ნაღდი 24 000 მ. ორმა ძმებმა განიყვეს, კიდეც ჩაიბარეს და დაუწყიათ უზომო ხარჯვა. ამნაირი წყევლა-ქოქით მოიხსენიებენ ნათესავები პ.პავლეს და პ.ლეონსაც. უჯობსთ მთლათ გადასცენ მონასტერს. **ქუთაისში** მონასტერს ძალიან კაი სახლი აქვს და იმედი მაქვს უფრო გავაპატიოსნო. ჩემი ჩვეულება ხომ იცით: აქეთ-იქით სიარული არ მიყვარს: ეკლესია და სახლი, აგერ ჩემი საცხოვრებელი ადგილი. ძალიან ბევრნი მთხოვენ პირვანდელ ღვდლებსავით ვეწვიო ხშირათ, მაგრამ თუ საქმე არ მაქვს უფრო სერიოზული, არ წავალ მარტო ლახლახისთვის. საბოლოოთ ხალხი უფრო კმაყოფილიც რჩება.

დიდმარხვაში კინაღამ დამაავადმყოფეს ამ დალოცვილებმა: მთელი ხალხი ჩემთან გაენდო. ხანდისხან დილიდან 12-მდინ სააღსარებოში ვიყავი გამომწყვდეული. ერთი სიტყვით წითელ პარასკევს იძულებული გავხდი მოსაღონიერებლათ მარხვა გამეტეხა. აქამდეს კი სულ წმინდად ვინახავდი. ქადაგებაც ჩემ კისერზე იყო და სხვა ყველაფერიც. მართლმადიდებელნიც ბევრნი ესწრებოდნენ წურთვნასა, მეტადრე წითელ პარასკევს, ტევა აღარ იყო. აღდგომა დღეს გიმნაზიელებმა ერთი დეპუტატი გამომიგზავნეს: სად სტამბოლი და სად წმინდათ მოწყობილი

ქართულით! **მე სტამბოლელების მამულისა და ქართული ენის მოყვარეობა ზეცამდის ავიყვანე**, ჩვენ სულ პირადათ გვაქვს შესწავლილი მეთქი. ისიც აღვნიშნე, თუ რა მეთოდს მივსდევდი. კიდეც დავპირდი, რომ მოსასვლელი წლისთვის, თუ გარემოებამ ხელი არ შემიშალა, მოვაწყობდი ახალთაობისთვის მეცნიერულ ლექციებს სარწმუნოების სხვადასხვა საკითხებზედ.

ეხლა, მადლობა ღმერთს, მოვისვენე, მაგრამ მადლობელი კი ვარ ამ დიდმარხვისა: ძალიან მავარჯიშა ყოველა მხრივ. როგორც **მ.მარკომ** მომწერა, ყმაწვილები რამდენიმე დღეში მანდათე იქნებიან. იმათ წამოსვლას ტელეგრამმით შეგატყობინებ. ფულსაც პოსტით მიიღებთ.

პ.პავლე ძალიან გაუხარებია ჩვენს მ.მარკოს: მოსულა აქაო და მე მონასტრის შვილი ვარო. თქვენ ყველნი უნდა დამეხმაროთო. ოქროს საათს კი ატარებს, ფულებს კი უზომოთ აძლევს აქეთ-იქით, მე კი კაპიკობით შემიკრებიაო! ეხლა პ.პავლე ძალიან კარგათ არის, წირვასაც ამბობს, მე ვცდილობ იმასთან კარგათ ვიყო, რათა გამოვადგე მონასტერს როგორმე. ვნახოთ, ჩემი შეწყნარება როდის იქნება. აღდგომის დღეებში გუბერნატორთან მოვაკითხინე თხოვნის ბედი: დაიგვიანებს კიდევ, მაგრამ უთუოთ იქნებაო. ვსთქვათ, რომ ეს ნაბართვა მივიღო, მერე როგორ უნდა მოვიქცე? აქაურ ეპისკოპოსმა რომ შემიწყნაროს, ხომ უნდა წარვუდგინო ქაღალდები: ცელებრეთი ხომ არ ეყოფა, თქვენ რას ფიქრობთ?

ჩემს მიერ „თემში“ დაბეჭდილ წერილს არავინ გამოეხმაურა ჯერჯერობით, კვალს კი დააჩნევს და მგონი კრებებზე მოიხსენიონ ჩემი მოსაზრება. ესეც ეყოფა ჩვენი მიზნისთვის.

დედაჩემი ძალიან უნუგეშო მდგომარეობაშია. გთხოვ თქვენს წირვა-ლოცვაში მოიხსენიოთ. ამ დღეებში ოპერაცია უნდა უყონ.

თქვენი მცირე პ. **შიო ბათმანაშვილი.** მ.თ.ჩ.

სიმონ ჩილაშვილის წერილები მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი.

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო მამაო პ. ბენედიქტე!

პირველად მომილოცავს უფლის ჩვენის იესოს ქრისტის შობა. ახალწელიწადია მისი გამოცხადება, უფალმან მრავალ.ჟამიერ შეგასწრასთ კეთილის და ჯანმრთელის სიცოცხლით. უფალმან კეთილი წელიწადი დაგიბრუნოსთ და ახალ-წარმატებაში შეგიყვანოს. მამაო, უკეთუ ჩვენს გარემოებას იკითხავთ, ღთისა და თქვენი ლოცვით კარგად გახლავართ და დროების მიხედვით იოლათ მივდივართ.

ღირსო მამაო! ახლანდელი აქაური საქმეები ეს გახლავთ: თქვენმა (წ//ნაირაგონ ვართაპეტ-მა) ტერ იაკობმა ეპისკოპოზისაგან ორი თვით დროება ითხოვა თავის სოფელში წასასვლელად. ახლა ნააღდგომევს მიდის. თქვენმა ძმის წულმაც მეორემ პოღოსას შვილმაც ჯვარი დაიწერა, და რაც **მეშურნეთის** მამულებს შეეხება ადრე მირვით პასლედნოვმა არლელებს მიაკუთნა. მერმე გუბერნატორთან ჩააგდეს საქმე და პრისუსტვიმ უარი უთხრა. ეხლა და ვნახოთ როგორ დაბოლოვდება! . . და ამასთანავე, ახალციხის დიაკვნების საქმე ჯერ-ჯერობით მღვთის მეტყველი მამა ლაზარეზედ მინდობილია. იგი ასწავლის და ... და ასე ამნაირად არის. აქეთ მშვიდობიანობაა.

თქვენს წ. წირვა-ლოცვაზედ დავედრებული მღ. **სიმონ ჩილაშვილი.**

11/24 დეკემბრის 1900 წ.ს. უდეს.

ი.მ.ი.

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო მამაო პ. ბენედიქტე.

პირველად მომილოცავს უფლის ჩვენის იესო ქრისტის შობა, ნათლისღება და ახალ-წელიწადი. უფალმან მრავალ-ჟამიერ დაგასწარასთ კეთილისა და უვნო ცხოვრებით.

გავლილ წელს კაი დიდებულად გავატარეთ თქვენ სოფელშიაც და ჩვენშიაც, ვგონებ შეიტ-ყობდით თქვენს ძმის წულის პოღოსას შვილის სალდათად პეტრესი წასვლას. დიაკვნების საქმე ჯერ არაფერს ჰგავს. საბრალო სინო გოგოი ხომს საშინელი თავის ტკივილით დაბრმავდა. კიდევ არ დაუწყნარდა თავის ტკივილი და ამ ცოტა ხანშიც იმავე მიზეზით უწესოდ გარ-დაიცვალა. კიდევ ამ საშობაოთ და საახალწლოდ **არალში** ერთი სისაძაგლე მოხდა: აქტიზნები მივიდნენ ვიტარათ კარზედ თურმე, უთხრეს ამბრის, კარი გაგვიღეთ, რომ უნდა ვნახოთ, ამათაც ზალოგი უთხოვნიათ. გაჩენილა ამათ შუა აქტიზნების მხრით ხანჯლის ტრიალი და არლელებსაც კეტი უხმარიათ. იქიდგან მისულან აკოფათ კარზედ; იმათ კარი მოუკეტიათ და არ შეუშვიათ ოტვის დასაჭერათ. შემდგომ წასულან აქციზნები და ამოიყვანეს ჯარის კაცები და ეგზეკუცია გაუკეთეს და 10-13. დღ დარჩნენ. ეს 2-3-დღეა აიყარნენ, ვიტორათ ტყვია მკლავში დაჭრილია და ზაქარაც გამომძიებელთან უნახიათ; როგორ დაბოლოვდება. ეს გახლავსთ ახლანდელი აქაური ამბავები.

მარად თქვენი წა წირვა ლოცვაზედ დავედრებული მღ. **სიმონ ჩილაშვილი.**

21 იანვრის 1902 წ. ს. უდე.

ი.მ.ი.

ქრისტე აღსდგა!

ღირსო მამაო პ. ბენედიქტე!

პირველად მომილოცავს უფლისა ჩვენისა იესო ქრისტეს აღდგომა, უფალმან მრავალ ჟამიერ შეგასწრასთ კეთილის და ბედნიერების ცხოვრებითა. ამის გარდა, ისიც მომილოცავს, რომ ამ ზაფხულს, რასაკვირველია, **თეიზულა ბეგი მოკვდა** და ამ ორი სამი დღის წინეთ არლელები სოფლეულათ გავიდნენ და **მეშურნეთი** მოხნეს; ხანუმმა პროტოკოლი შეუდგინა, ძალათ გამორეკეს ჩაფრებით, და მის მეორე-მესამეს დღეს ხანუმი **მეშურნეთში** ამოსულიყო, დაებარებინა არლელები და გამოეცხადა, რომ როგორც ძველათ გიჭამიათ, ისე გქონდეს საშვილისშვილოთ, ხუთში ერთი ღალა მაძლიეთო, ამის გამო ახლა არლელები სიხარულით არ არიანო.

ღირსო მამაო! შემოკლებით გადმოგცემთ ჩემის კურთხევის გარემოებას, გავლილი წლის ნოემბრის 17-ს წაველი საკურთხავად და ამ წლის იანვრის 9-ს უკურთხე ორ ნემეცებთან ერთად. უწინ სომხები თურმე რომ ეკურთხნენ, ცერემონიის დროს ხელით ათრევდნენ და აბრუნებდნენ და ჩემზედ კი სარატოვის კლერიკები ძალიან კმაყოფილნი იყვნენ, რომ კარგათ ახერხებო. და ჩემთან ერთად ეკურთხნენ, თუ იცნობთ. მცირე აღსავლებიდან მღვდლობამდე მყავნდა ამხანაკად **ვალენტინ ბეხლერი** და მღვდლობის დროს **გიბულცვი ადამი** და **ივანე შნეიდერი.** მარტოდ ვიცანი მხოლოდ **დონ ივანე**; იყო ჩემი ყურის მგდებელი. ასე იფიქრეთ, რომ ნება მომცა ეპისკოპოზმა და იქვე სარატოვში წირვა ვსთქვი, მცირეც **ნოვოროსიაში,** მერმე **ბათუმში,** შემდგომ **ქუთაისი** და ბოლოს ახალციხეში და კლერიკებმა **სარატოვში** დიდის ამბით მოგვილოცეს; ახალციხიდან რომ სოფელში წამოველი, პოლ-ფოშტაში 40-დენ ცხენოსანი, როცა ერთ ვერსამდე სოფელს მიუახლოვდი, ხალხისაგან ტევა არ იყო ეკკლესიამდის მისვლამდე, შემდეგ წირვა ვთქვი და ახლა მადლობა ღმერთს, ძალიან კარგად მიდის ჩემი საქმე.

თუმცა აქნამდის უნდა მომეწერა. მაგრამ მოცლა არა მქონდა; ხორციელის წინაკვირას მოველი; სამი მღვდელი, ეს ქადაგება, მერმე ავათმყოფი. დიდმარხვაც ზედ მოჰყვა, ხალხის აღსარება, საფლავების კურთხევა, რომელიც 900-მდე მქონდა.

გარდა ამისა, უღრმეს მადლობას გიძღვნი, თუ თქვენ, თუ პატრი **მიხაელ თამაროვსა** და თუ პ. მიხაელი რომში არის, ჩემი მხრით დიდი მადლობა გადასცეთ და დონ ივანემ მითხრა, ვატიკანში ვიღაც მოხელე ყოფილა, რომელსაც ჩემს საქმეზედ უზრუნვია; პირველში თურმე ჩემი საქმე რომ შეყოვნდა, იმ კაცს დონ ოგანესთვის მიეწერა, რომ ჩვენ რომ დისპენსაცია გამოვაგზავნეთ, ის კაცი ეკურთხაო და მასაც გთხოვ, ჩემი მხრით მადლობა გადასცე.

აქ საერთოთ ყოველანი კარგად არიან. დავშთები თქვენი ყოვლად უღირსი მონა მღ. **სიმონ ჩილაშვილი.**

20. აპრილს 1900 წ. ს. უდეს.

აპრილის 4,1897

ყოვლად პატივცემულო ძმაო ბენედიქტე!

პირველად მომილოცავს აღდგომა უფლის ჩვენის იესო ქრისტესი, უფალმან მრავალჟამიერ მოგასწროსთ ბედნიერის და კეთილის ცხოვრებითა.

ძმაო ბენედიქტე! მინდა ცოტაოდენ შეგაწუხო ჩემი საქმის გამო და იმედი მაქვს, რომ თქვენ მცირეოდენ შრომას არ დაიშურებთ ძმობილის სიყვარულისთვის; ძმაო, ჩემს მომჭირნეობას და შრომას და მიზანს შეხედეთ და ჩემს პირში ჩალის გამოვლებასაც უყურეთ. ყმაწვილობითგანვე მღვდლებს არ მოვშორებივარ, გავხდი 17-წლისა, წაველ **ბათუმში,** იქიდგან გადმოვედ სოფელში და წმიდა ბერმონაზონივით ვცხოვრებდი. შეიძლება ჩემზედ პატრი **სტეფანესგანაც** გაგეგონოსთ ჩემი გარემოება. უფალს ეპისკოპოზს ვსთხოვდით ხოლმე, რომ კანონიერად მიეღო და ვინმე მღვდელი დაენიშნა რომ იმასთან სწავლა გამეგრძელებინა, და სამაგიერო პასუხებს ვღებულობდი, რომ „სახეში მყავხარ და ახალ განკარგულებამდე კი არაფერი იქმნებაო“. უკანასკნელად ჩვენს სოფელში მღვდელი ტერ პოღას ლაზარევ იყო და იმ დროს კიდევ ერთი თხოვნა თვითონ მღვდელმა, მეორეც, სოფელმა, პროტესტი შეადგინა და ხელი მოაწერეს და მესამედ, სოფლის სტარშინამაც ერთი ქაღალდი შეადგინა, რომ სასამართლოში არაფერ პასუხის-გებაში არ არისო. გავაგზავნეთ სამივე ქაღალდები და 1892 წ. მაისის 19/1 მღვდელს მისცა პასუხი, რომ „ვერმო მღვდელთან სწავლა არ შეიძლებაო, სასწავლებელი რომ უნდა დაარსდე,ს ყმაწვილებისათვის იქმნება და არა მოზრდილებისათვისაო და მღვდელსაც უბრძანებდა, რომ ეკკლესიაში მრევლს გამოუცხადეო, რომ ტყვილა უბრალოდ მარკებში ფულებს ნუ ხარჯავენო, „თუმცა სასტიკი ბრძანება იყო, მაგრამ მაინც მე ჩემად ესე ვფიქრობდი, რომა შეიძლება ვიდრე ის მთავრობის მიერ განზრახული სასწავლებელი დაარსდეს და ყმაწვილებმა სწავლა მიიღონ და მღვდლობის ამბავს მიაღწიონ, იქმნება ძველი მღვდელი **პ/არარატოვისაგან** დანარჩენი შეგირდები და ზოგნი სხვებიც აკურთხონო, მერმე ამავე ზაფხულში ხმა გაიშალა, რომ **ახალციხის** ს.ვ. სასულიერო პრავლენია 1893 წ. იანვრია 1-ს **თბილისში** უნდა გადავიდესო და მასთანავე, განზრახული სასულიერო სასწავლებელიც უნდა გაიხსნასო.

გავიდა ეს წელიწადი; აღარც არაფერი იქმნა და ამ საგანზედაც ჩაწყდა სრულიად ლაპარაკი და ბოლოს და ბოლოს ჩემმა მშობლებმა ის ქვრივი ქალი ირჩიეს და მეც წინააღმდეგობა აღარ გაუწიე, რომ ისეთი პასუხისაგან იმედი გადამიწყდა; ხომ იცი, ჩვენში 12-14 წლის ყმაწვილი ქალები თხოვდებიან და მეც 31 წლის ვიყავი; ყმაწვილი ქალი როგორ ამეყვანა. სხვა სოფლებიდგან ანუ ქალაქიდგან მეთხოვა. **თავთავგაუვალი მშობლები** მყავს, რომ არაფრის თავი არა აქვსთ; სხვასაც ვერ ვენდე, როგორც სამუდამო და მძიმე საქმე და კიდევ ეს ვირჩიე, რომ ცხოვრებაში გამოცდილი ადამიანია და მაინც სიცოცხლეს არ გამიმწარებსო; ქალწულათ მეცხოვრა, მღვდლებს ვერ გაუველ, ისეთი გული ევალებოდათ, რომ თითქოს ჩვენი ყმა არისო და ღმერთს ჩვენთვის გაუჩენიაო და მომავალი არაფერს მიგავდა და 1894 წელს დეკემბრის 14-სა ჯვარი დავიწერე ორი თვის დანიშნულობით. შემდგომ გავიდა სამი თვე; ჩვენ ახალი მღვდელი ლაზარე მიიღო უ. ეპისკოპოზმან. მერმე ტერ **სიმონ ბალახოვმა** თქვა, რომ ქაღალდი უნდა მივსწეროვო, გაგზავნა და სამაგიერო პასუხი **ტერ მიხელ ვარძილოვს** მისცა და უბრძანა, რომ მისულიყო **უდეს** და გამოეძია, რაც უ. ეპისკოპოზს დაევალებინა. მოვიდა სოფელში, შეადგინეს პრიგაორი და ყველამ ხელი მოაწერა. მეც წამიყვანა **ხიზაბავრას**. 12 დღე ვიყავ იქა და

შემდეგ გააგზავნა ქაღალდი და დისპენსცია სთხოვა უ. ეპისკოპოზსა, ანუ ეშუამდგომლა ვისთანაც ჯერ იყო, გავიდა სამი თვე და მოგვაქცია ეგზამენიაში სხვებთან ერთად;

მღვდელ **ბალახოვმა** ზეით მინდვრითგან წყალი ჩამოიყვანა თავის სახლთან. იმ ყანის პატრონი სიდამაც მოჰყავდა, ის წინააღმდეგობას უწევდა, შეიძლება, მეორეც ეს იყოს, მესამე, ამ ორი წლის წინეთ ჩვენ სოფელში ჩემი ბიძაშვილი მოკლეს და ჩემი ძმაც მოწმეთ მიიყვანეს და ერთისთვის უთხრა, რომ ეს კაციც ეუბნებოდაო, რომ დაჰკარით. იქნება ესეც იყოს; მეოთხედ ამ ორი წლის წინეთ ჩვენ წყაროს ზემო უბნელებმა ავაზანი დაუდვეს და **ვანო მერაბოვმა** ითავა ფულის მოკრება და ერთი იმათი წინააღმდეგი იყო ვანოსი, თავიანთ საქმების გამო; ამისთვის ჩემი ძმა მოვიდა და ერთი აბაზი სთხოვა და როგორ თუ შენ აბაზი მთხოვე და დიდი კაცი ვარ და მაკადრეო, ეხლავე ახალციხეში უნდა წავიდე და შენ ძმაზედ საჩივარი უნდა მივსცეო. ... **ტერ არისტავესმა** ცოდვა შააყარა, რომ ეგენი მღვდლობას ვერ იქმონენო. გაიარა რამდენიმე თვე და ეს ამბავი ჩასმინდა ორასი მანეთის ტერ არისტავეს; ... მღვდლებს შიგ უნდა რუსულად ჩაეწერათ, რომ გადამდებ სნეულებით ერთ თვეში რამდენი ადამიანი გარდაიცვალა. თითო კარტოჩკა ორ კაპეკათ ძლივს ეღირებოდა და თითო აბაზათ ათვლიდა ყოველ ეკკლესიებს,

1894 წ. დეკემბრის 14-ს ჯვარი დავიწერეთ, 1896 წ. იანვრის 27-ს ყმაწვილი შემეძინა, ნუ თუ ერთი წლის განმავლობაში კაცისათვის შვილის ყოლა უკანონო არის. მაშ ზემოხსენებული მიზეზები გახლავსთ ჩემი ცილის წამების. ძმაო, ხედავ სომხებმა რა არა ქმნეს, ყველა დავა, დარაბა იმათზედ იყო და ყველანი აკურთხებინეს. დღეს **ივლიტას** ისინი ჩადიან საწირავად. არალში კიდევ **აბათხეველი** არის. ჩვენში ხუთ-ექვს მღვდელს შეუშვერია თავი. ისინიც ზოგნი ავათმყოფნი არიან, ზოგნი მოხუცებულნი და სამი-ოთხი მღვდლები არიან რვა სოფლისა და ერთი ქალაქისთვის, რომლის მცხოვრებნი შეადგენენ ხუთი ათასამდე სულს. მისთვის გთხოვ, ძმაო, რომ ტერ ანტონი რამდენი ხანია ცდილობდა განთავისუფლებას და თქვენ მოგიხერხებიათ და გთხოვ, ჩემთვისაც რომ საშვალება ახმაროთ და იშუამდგომლოთ ეპისკოპოზთან, რომ საშვალება იხმაროს, ანუ მისწეროს პაპს. ანუ რჩევა მოგვცეს. მართალია, უკანუნობა არის, მაგრამ პირველში რომ **ვარძელოვმა** აცნობა, ნუ თუ მაშინათვე უარს არ გეტყოდა, მაგრამ უ. ეპისკოპოზის აზრი ის იყო, მე მგონია, რომ რამდენადაც შეიძლებოდა ყველანი უნდა ეკურთხებინა. ხომ იცი, ძმაო, რომა **ეკლესიის კანონი, არათუ დარღვევისთვის არის, არამედ აღშენებისთვის, საჭიროება დაარღვევს სჯულსა**...

თქვენი ბედნიერების მომსურნე უღირსი ძმა **სიმონ პეტრეს ძე ჩილაევი**

4-ს აპრილისა 1897 წ. ს. უდეს.

ანტონოვის წერილები მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი. 15/28 მაისს 1902 ან 1903 წ. **სარატოვს**

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო და დიდად სასურველო მამაო **ბენედიკტე**

მივიღე თქვენი წერილი 6 მაისს, რომლისაგან ბევრი სანუგეშო ამბავები შევიტყვე. ამის გამო დაითმინეთ; გთხოვთ მრავალი და ილოცეთ მხურვალედ, რომ მართლა ეს უბედურობა და სირცხვილი არ ეწიოს მაგ დიდად სასარგებლოდ დაწესებულ მონასტერსა; ორმაგი ყოველი საშვილი და ცდა, რომ როგორმე წესშიდ ჩავარდეს მაგ მონასტრის სიცოცხლე. არა ტყუილად ცდილობდა **პ. სტეფანე,** რომ უცხოთა მიეღოთ დამწყსობა მაგ მონასტრისა, რომ ერთხელ წესშიდ ჩავარდნილ იყო და არ გამხდარიყო სამასხაროდ და დასაცინათ სხვა ნაციათა. **პ. თამა-როვი,**მართალია, გამოვიდა მონასტრისაგანა და ახლა ეკუთვნის ერთ იტალიის ეპისკოპოზსა, რომელმაც ნება მისცა რომში ყოფნისა და ატარებს ახლა მოსვენებულ სიცოცხლესა; მხოლოდ ნელ-ნელა იხდის ფულებს მონასტრისათვის,. ეხლა თბილისშიდ იბეჭდება მისგან მოკრეფილი დოკუმენტებით შემდგარი წიგნი და იმედი მაქვს, დიდი ნაყოფი გამოიღოს.

ახლა ეგზავნიები გვაქვს 30-ს; მეტი დრო აღარ არის მოწყენისა; ამისთვის ვიწყებ ამა წერილსა თხოვნით, რომ თქვათ 25 წირვა მიმტევებლების აზრზედ, რომელთათვის 25 მან. ამასთანაც გიგზანი.

მოგიკითხამთ სიყვარულითა, ილოცეთ ჩვენთვის.

დ. თ. ანტონოვი

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
მეორე გვერდი:
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.

1/13 მარტს 1901 წ. სარატოვს. უდ. ღირსო და საყვარელო მამაო ბენედიკტე.

მივიღე დღეს თქვენი 7 მარტის წერილი, მეგონა თითონ მოხვიდოდითო, არ ვიცი ვიღას უცდით audaens jufov, რომ მასწერთ, ვაი, თუ მართალ პასუხიც ვიკადრობ და რომ მოხვიდეთ მეტი რა გზა აქვს, უთუოდ რამე ადგილი უნდა მოგცეს, ადგილიც არ იყოს, საწირავიც ეყოფა ჯერ-ჯერობით და მე ვიცი, რომ ვინმე სულიერი სიხარულით მიგიღებს, სანამ შეისწავლიდე ენასა. მაშ, გაბედე და მალე შემოდი. ეგები თანაც წაგიყოლოს . . . თუ მართლა გაზაფხულზედ თუ ზაფხულშიდ კავკასიაშიდ წავიდა. ასე ეუბნევა ყველასა, რომ საქართველოშიდ უნდა წავიდეო. ახსენე ღმერთი და შემოუდექ გზასა, ფული სადმე იშოვე, რომ განვლილი დროს ფასი გადიხადო საზღვარზედა. ბ. დომინიკე თბილისში მეუფევს და მერე ბათუმშიდ . . . , როგორც ჩანს, საქმე ჯერ კარგათ მიდის მათვისა. მიშელის ველი იქითა კვირას. 21 მარტს წამოა გარაცხადებას და ეგების მაისშიდ იყოს კონსევრატით. ბევრი მოკითხვა დ.თ. **ანტონოვი**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г.Константинополь в Турции
Momienr Pere Ctenne Ghiorghidze
Ctez le Peres Georgiens a tery Keny
Turquie Constantinoplelic
მეორე გვერდი:
ი.მ.ი.8/20ოქტომბერს 98 წ. სარატოვს. ღირსო და საყვარელო მამაო ბენედიქტე.
ქებული იყოს იესოს სახელი.

ამბობენ სასწაული არა არის ქვეყანაზედო! რო იცოდე, რა სასწაული მოხდა თქვენი და პ. **სტეფანეს** წერილზედ გაგიკვირდება. კარგი რომ ორივეს წერილი დაწეპებული იყვნენ კარგათ, თორემ დიები რომ ყოფილიყვნენ და . . . .ფერები ჰქონოდათ, ერთმანეთს თავპირ დაამტვრევდენ. ისკი არა ორივენი ფოჩტალიონმა ერთად მომცა, ერთად იყვნენ სტოლზედა, გეგონებოდათ დიდი ხნის მეგობრები არიანო წერილებიც და და მწერლებიც. კარგი რამ გამაგონეთ თქვენი კარგი ამბავი. მხოლოდ . . . .ხარ შევიტყო ის წერილი პ. სტეფანესა, რომ წაიღე აქედან, აჩვენე თუ არა პ. სტეფანეს?? ვინ იცის, ეგების გაცხარებულ გულზედ ისიც ცხვირზედ მიარტყით! მადლობა ღმერთსა, გათავებულა საქმე. პ. ანტონისა ნუ გეშინიათ, იმედი გქონდეთ, რომ აქედან მას სიძნელეს არ უზამენ, თუ თითონ გულით მოინდომა მანდ წამოსვლა. ახლა თქვენ მწერთ წირვების მოწყალებასა და მე ორჯელ გამოვგზავნე და ჯერეც პასუხი არა მქონდა, ახლა მივიღე პ. სტეფანესაგანაც წერილი და იმაში მწერს, რომ მივიღეთ ყველა და მე უნდა გამოგიგზავნოთ 80 მან. კი არ ვიცი, ვის სახელზედ გამოვგზავნო, თქვენ სახელი ისე გაიკეთეთ, როგორც პ. სტეფანემა, რომ შეიძლებოდეს გამოგზანა, ან მითხარით სად და ვის სახელზედ გამოვგზანო. დღესვე მინდოდა გამოგზანა, მაგრამ არ ვიცი, ვის გაუგზანო. პ. ალფონსო რომ მოვიდოდეს აქა, იმას გადავცემდი. ახლა, გიგზავნი ამა შემდეგ წირვებსა:

43 M. lartie ulentiomen danlium = 21,50

29 … pio omziatydefuits = 14,50

9 . . .pio animbos Punzetii ------4,50

1… pio vivu - -50

/82

ამას გარდა, თქვით 20 ხმიანი წირვა, ესევე 20 მან. მაშ, ამ ჯერობით გიგზავნი 82 ნ. ჩემს და 20 ხმიანსა, რომელნიც შეადგენენ 61 მანეთს; მაშ მემართა თქვენი 180 მან. ახლანდელიც 61 მანეთი: რომ დაუმატოთ, იქნება სულ 241 მან. რომელსაც გამოგიგზავნი მივიღებ თუ არა თქვენგან პასუხსა. აბა, გთხოვთ მალე აფრინოთ ეს პასუხი. მაშ, სიყვარულით დ.ი. **ანტონოვი**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
მეორე გვერდი:
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
19 მარტს 1901 წ. სარატოვს.

დიდად საყვარელო მამაო ბენედიკტე! და მართლაც იყავი უკუნისამდე benedictes. ჩანს, ისმინა ყდ წმიდამ თქვენი ვედრება და მოვდივარ, გიმახარობლო კარგი ამბავი. წარმოიდგინეთ ეს ეს არის იყო ჩემთან ეპისკოპოზი და ვილაპარაკეთ საათ ნახევარზედ მეტიბევრს სხვა საქმეზედაც; იმათზეც ჩამოვაგდდე ლაპარაკი და უთხარი, რომ მოსვლა უნდა აქა და თქვენი ერიდებათ მეთქი; გაუგონია რომ არ გეამებათ, რომ მოვიდნენ აქა უნებურად; რომ მოვიდესო და ყოველთვის დიდის სიხარულით იქნება მიღებულიო. მაშ, აიბარგეთ მალე და წამოდით, ნუღარ აგვიანებთ. გაათავე მანდ ყველა საქმე და ეხლავე წამოდით. მინდოდა გამეგზავნა საწირავების ფული, მაგრამ მანდ არარ მოგესწრებათ და ისევ აქ მიიღეთ. მალე წამოდი და ნუღარ იქექამ მაგ თავსა და ნუღარ ვაჭრობ ურიასავით. მოგვეშველეთ მალე. ამას წინეთ აქ იყო ერთი ღვდელი და ვსთხოვე თქვენთვის, რომ მიგიღოსთ და დამპირდა: სიხარულით მივიღებო, და ეხლა რომ ასე ილაპარაკა ეპისკოპოზმა, აღარ არის საჭირო სხვას თხოვნასა; ოღომცკი მალე შემოდით. მოგიკითხამ სიყვარულით **დ.ი. ანტონოვი**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union PostaleUniverselle. Russie.
Открытое письмо. – cartePostale.
Bi Г. Константинополь в Турции
Monniusbenoit Gchihingaroff
Cuze de la panoimelatine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
მეორე გვერდი:
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
28 აპრილს/11 მაისს 1901 წ. სარატოვს.

ღირსო მამა ბენედიქტე! წერილი თქვენი 2 აპრილისა მივიღე და არ ვიცი, რად სძინებია ამ თქვენ წერილსა, რომ გუშინ მივიღე. მე მეგონა თქვენ გნახამდით; ის კი არა თქვენი წერილი მობძანდა მარტო. მე, ხომ იცით, რა ეკალი ვარ ჩვენი სოსნისა, ამის გამო იმასთან მე ამ საქმისათვის ვერ წავალ და არც არავითარი იმედი მაქვს, რომ მანდ ვისმეს წერილი მოსწეროს; ისევ მე გამოვგზავნე დღეს წერილი პ. ალტონსისავე, რომ გიბრძანოს, რათა მალე რაც შეიძლება, მოხვიდეთ. რადგან უთუოდ სურს ეპისკოპოზსა თქვენი აქ მოსვლა პირდაპირ სკროცივშიდ. ვნახოთ რას იზამს. ამას გარდა გამოუგზავნე 50 მან. 50 ჩემი წირვისათვისა, რადგან თითონვე წერილით მწერდა, წირვები გვაკლიაო და შეგვეწიეთო. კიდევ გამოუგზანე ეკკლესიის შესაწირავათ 25 მან. ასე რომ 75 მან. გამოვგზანე დღესა. გთხოვთ, დამაწყნაროთ შესახებ წირვებისა და მაცნობოთ ჩაიწერეს სიაშიდ თუ არა. ერთმა ვიღამაც მონასტრიდან მომწერა წერილი და ახალ ამბავებსა მწერდა, წერილი ვეღარ ვნახე კარგათ, არ ვიცი რომელი ღვდელი იყო და რისთვის მწერდა წერილსა. მაშ იმედი მაქვს მალე გნახამთ და ვილაპარაკებთ პირადათ.

მოგიკითხამ სიყვარულით დ. ი. **ანტონოვი**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori

Constantinople

Poste restante

მეორე გვერდი:
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
11/24 ივნისს 1902/3წ. სარატოვს.
ყოვლად ღირსო მამაო ბენედიკტე

მაისის 15/28 გამოგიგზავნეთ 25 მან. 25 ჩემი წირვისათვის მომცემლების აზრზედ და დღემდინ არაფერი პასუხი თქვენგან არ მიმიღია; გთხოვთ, სიჩქარით მაცნობოთ, მიიღეთ თუ არა? **ბათუმიდან** მწერს პ.ელიოზი რომ იქ ყოფილა წირვებით პ. **ალფონსი** და მისი მხრით მოკითხვას მწერდა; მესმა მანდაური მისი ქცევა და ლაპარაკი და დიდად შემაწუხა. დიდ პასუხისგებას შვ . . პი თან ყოველნი ის ბატონები და ვგონებ თქვენცა, რომ მოახდინეთ წესი მონასტერშიდ, რაღაც ახლა არას საწირვო ან საწევრო იყო მაშინვე რომ დაფიქრებულიყავით და ლოცვისათვის მიგემართად და მანდაური სოსანიც სხვანაირად არ ჩაგეგონებინათ. ახლა ეცადეთ ღვთის სახელით რამე ხელთ კარგი დაადოთ. ჩვენ, ხომ იცით, დაგვინიშნეს ახალი **სოსანი ბარონი როპპი** და მალე მას მოველით. ეს ჩვენ არ ვიცით, სად წაბრძანდება. შეიძლება მეორე წისქვილიც გაიკეთოს. ამბობენ ჯანზედ კარგათ არისო. თუ ახალმა მოგიკითხათ, იცოდეთ პირდაპირ **მონს. ბონეტს** მივწერთ, რომ ისევ აქ შემოხვიდეთ მხოლოდ პაშპართისთ-ვის თქვენ უნდა იზრუნოთ.

მოგიკითხამ სიყვარულით დ. ი. **ანტონოვი.**

ი.მ.ი.1 იანვარს 1898

--------- სარატოვს

20 დეკემბერს 97

ღირსო მამაო კურთხეულო ბენედიკტე

ქებული უფლის იესოს სახელი

მოგილოცამთ ბრწყინვალე დღესასწაულებსა შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. ყრმა იესომ აღგავსოსთ თვისი უხვი წყალობითა, რომ მუდმივად იყოს მისი ერთგული და სათ-ნოებით შემკული და ნამეტნავად მოთმინებით აღჭურვილი მსახური. აგრეთვე, იყოს ეს ახალი წელიწადი თქვენთვის ბედნიერი და მრავალ ნაირად კურთხეული.

წერილი თქვენი დიდად ჩემდა საამური და მოუთმენლად მოლოდინებული მივიღე; ადვილად მოგიტევებთ დაგვიანებასა ნამეტნავად მის მიზეზით, რომ მგზავრობაში, კალმის აღება როგორღაც ძნელად მიდის. გარდა ამისა, რომ ბევრჯელ მელანსაც ვერ იშოვნას; მართლაც, რაც შეეხება მეორე მიზეზსა ჩემი მოთმინების შესახებ, ნეტავი მართალი იყოს ის მიზეზი.

მესმის რომ გაცხარებით მუშაობთ თქვენდამი აღნიშნულ საქმეშიდ, აკურთხოს უფალმან ყოველი თქვენი მოღვაწეობა სადიდებლად თვის და სასარგებლოდ მრავალთა. არ მიატოვოთ, აგრეთვე, შესაწავლი პოლშურისა და ნემეცურისა. აქაურები უთუოდ მოგელიან და ფიქრობენ, რომ მალე დაბრუნდებიო, ნამეტნავად რომ **ცარიცინშიდ** მოსულან 2000 მლსთან ფრანცუზები, იქ დიდ ფაბრიკას აშენებენ თურმე და იმათ სჭირიათ ფრანციცულის მცოდნე ღვდელი. იქ აპირობენ თითონვე საყდრის აშენებასა. ამათვის თქვენ იქნებით ერთად ერთი. მე ვგონებ პ. ლეონიც გამოდგება, მაგრამ ვინ რას ეტყვის. თითონ რომ წავიდეს თავის თავად ცარიცინშიდ და ჯერეთ ვითომც ისე სადგომად, აქ ეპისკოპოზს არაფერი ექმნება წინააღმდეგ. თითონ ეპისკოპოზი ვერა ვის ვერ დანიშნამს ჯერეთი იმიტომ, რომ ნება არ აქვს მთავრობიდანა. თვითონ ფრანცუზები მერე მოიპოვებენ მთავრობიდან ნებასა, ოღომც კი გამოჩნდეს ვინმე მღვდელი ფრანციცულის ენის მცოდნე. ეცადეთ, ეგების **ამირხანოვი** გამოდგეს ამ საქმისათვისა და თუ ჯერ ნაკურთხი არ არის, მისწეროთ ეპისკოპოზსა თქვენვე, რომ ისიც თქვენსავით აკურთხოს.

ახლა მეტი დრო აღარ არის. მოგიკითხეს ყველა კლერიკებმა, ილოცეთ ჩვენთვისო. მოგიკითხამთ მეც დიდის სიყვარულითა და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე

დ.ი. **ანტონოვ**

ი.მ.ი. 5/17 ნოემბერს98 წ.სარატოვს

ღირსო მამაო ბენედიკტე

ქებული იყოს იესოს სახელი

წერილი თქვენი 6 ნოემბრისა მივიღე და ვესწრაფები პასუხი მოგცეთ და ვალიც გადავიხადო. დიდად მიხარის, რომ მოკრძალულად და ჩუმათ გაგიტარებიათ დრო პ. სტეფანესთანა და რომ არასოდეს არ ყოფილა იმისთანა წამი რომ ხელი გეტაცნათ იმ ქაღალდისათვისა, რომელიც მადლობა ღმერთს, კარგათ შეგინახიათ, რომ ძებნითაც ადვილად ვერ იპოვნით. ეს ძრიელ მომეწონა, მადლობა ღმერთსა. ახლა დაიწყეთ ახალი ცხოვრება მოსვენებით და დისციპლინის კარგათ დაცვით. და ეცადეთ არამც და არამც არაფერი დაბრკოლება არ მოგიხდეთ. იმისთანა, როგორც უწინ ამბობდნენ მომხდარაო. ღმერთმა დაგიფაროთ, ძრიელ კი ფრთხილად იყავით, იცოდეთ.

არ ვიცი, აქამდინ რად დაუგვიანეს მოსვლა პ. ალფონსისა; მე ვგონებ, იქედან მას დაბრკოლებას არ მისცემდნენ არავითარსა; უთუოდ თავისი საქმეები დააყოვნებდნენ მას აქომდარინა. იმედია, ახლა მალე მოვა მანდა; მეკი ვისურვებდი, რომ აქ მენახა და ცოტა რამ მელაპარაკნა მასთანა, მაგრამ ვგონებ არ მოხერხდება. ვინ იცის, ეგების აქაც მოვიდეს.

ახლა გიგზანით ორას ორმოც და ათ მანეთსა (250) ამათგან მემართა თქვენი 241 მან. და დანარჩენს 9 მანეთიც არის ამ შემდეგი წირვებისთვის;

2 ხმიანი წირვა დანიშნული მიცვალებულთათვის2 მან.

1 ხმიანი წირვა - - - - - - - - - - - -- - 1 -

4 ჩემი წირვა გასაწმედელი სულებისათვისა 2 -

7ჩემი წირვა მომცემლების აზრზედ ----------3,50

1- -მიცვალებულ ანტონასთვისა ------50

9,00

მაშ სულ იქნება 3 ხმიანი და 12 ჩემი წირვა.

გთხოვთ პასუხი მალე მაცნობოთ.

გთხოვთ ბოდიში მომითხოვოთ უღ პ. ალექსანდრესაგან, რომ მას წერილს განსაკუთრებით ვერა ვსწერ. ორი წერილის დაწერის დრო აღარ იყო და ამისთვისა მარტო თქვენ გწერთ. მომიკითხეთ, გთხოვთ პატივისცემით.

კიდევ ერთი თხოვნა მაქვს. რადგან, როგორც ჩანს, თქვენმა ბევრმა ძახილმან," არ გვინდა არ გვინდა პ. სტეფანეო" ძლიერ გასჭრა და გამოაჩინა, აგრეთვე, თქვენი ძლიერება, მადლი ვარ ერთი სიკეთეც მოიქმედეთ, რომ პ. **თამარათი** იქ დასტოვონ მაინც კიდევ რამოდენიმე ხანს, რადგან სომეხები იქ მოსვენებას გაუწყვეტამენ წითილებსა, სანამ არ აჯობებენ ქართველებსა. ამისთვის ძრიელ საჩქაროა, რომ ვინმე მანდ მონასტრისა იყოს იქა, აბა, ეცადეთ.

ეს საქმე გა . .ი პ. ალფონსი თუ მოვა აქა, იმასაც თითონვე ერთხელ ამაზედ.

მოგიკითხამთ სიყვარულით და პატივისცემითა, მოგიკითხეს ნაცნობებმა და მადლობაც მოგახსენეს მოკითხვისათვის და დავშთები თქვენი მცირე დ.ი. ანტონოვი

P.S. ილოცეთ ჩვენთვის ძრიელ მხურვალედ, რადგან ძრიელა გვეჭირვება შემწეობა ღთისა.

დ. **ანტონოვისაგან**.

ი.მ.ი. თებერვლის 29, 1900 წ. სარატოვს

ღირსო მამაო უღ ბენედიკტე

ქებული იყოს იესოს სახელი

წერილი თქვენი 11 თებერვლისა მივიღე და მიზეზიც ვსცანი ესოდენი ხანს წერილის მოუწერლობისა, რაღაც იყო არავითარი მიზეზის ქონვა. რასაკვირველია, უქონლობაშიდ ესეც მიზეზად გამოდგა წერილის შესავალიშიდ. გმადლობთ, თქვენი კეთილი სურვილი და გულოვნობისათვის, რომელზედაც არასოდეს არა მქონია ეჭვი. გწერ; მეტყობა თუ რა მდგომარეობაშიდ არიან ის ორივე გამოგზავნილნი, მაგრამ არ ვიცი, რა გიპასუხოთ, რადგან მეც თითონ არა ვიცი რა. მარტო **ამირხანოვმა** მომწერა, რომ იმედი მაქვსო მოწმობა ავიღო გუბერნატორისგანაო, რომ არავითარი დამშლელობა არა არის სემინარიაშიდ შესვლისათისო, და მაცნობეო, ამ მოწმობით მიმიღებს ეპისკოპოზი სემინარიაში თუ არაო; მეც მივწერე: მიგიღებს მეთქი და მას მერე აღარაფერი არ მოუწერია. დომინიკე კი სულ ჩემათ არის და არ ვიცი, როგორ არის მისი საქმე. შესახებ წირვებისა ახლა არა მაქვს ხმიანები და როცა მექმნება, გამოგიგზანით. ჩვენი რექტორი ფლეკი ცოტა სრულ ჭკუაზედ არ იყო და ამისათვის მონასტრიდან მოუპოვეს ნება, რომ წავიდეს თავის სამშობლოშიდ ჰაერის გამოსაცვლელად და ამისთვის გუშინ გავისტუმრეთ თავის დედასთანა. საცოდავი სამაგალითო მღვდელი იყო, რომ არ დამართოდა ეს უბედურება; რაც რამ ჰქონდა, სულ ღარიბებს დაურიგა ისე, რომ საცვალიც არა დაიტოვა თავისთავისა. მის მაგიერ პროფ **კრუშინსკი** დაგვინიშნეს.

ნაცნობებმა მოგიკითხეს, რომ სულ თქვენ კითხვაშიდ არის; ძრიელ სურს, რომ აქეთკენ წამოხვიდეთ და აქ აასრულოთ თქვენი ვალი; მეც, რასაკვირველია ძრიელ მსურს, რომ საქართველოშიდ იყოთ სადმე დანიშნული. მართლა დამავიწყდა, ზემოთ ვერ მოგწერეთ, თურმე იმ ორსა გაკვირვება აქვს ფულების გამო და მანდ არავინ არ ფიქრობს მათზედა; ასე როგორ იქნება მათი მიტოება. მისწერეთ იქაურ ღვდლებსა, რომ შეეწიონ მათ.

მოგიკითხამთ სიყვარულით და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე

დ. **იოანეანტონოვი**

P.s. ბ. დომინიკემ მიიღო თავისი მოწმობები თავის აქ ყოფნის დროსა.

ი.მ.ი.3 იანვარს 1901 წ.სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

ფრიად ღირსო და დიდად საყვარელო მამაო ბენედიკტე

წერილი თქვენი 20 დეკემბრისა მივიღე იმისთანა დროს, როდესაც სანატრელი იყო, რომ ნაკლები წერილები მომსვლოდა, რადგან პასუხის გასაცემი წერილები საკმაო ხროვას შეადგენდა; ხოლო ესეც უნდა გითხრათ, რომ როდესაც თქვენი წერილი აღმოვიკითხე, მწერდი, იმავე დღეს პასუხი მომეცა, მიტევებითა სხვათა წერილთა, ოღომცკი როგორმე მენუგეშებებინეთ თქვენ მაგდენ გაჭირვებაშიდ, მაგრამ არც ამის აღსრულების დრო მომეცა.

გამდლობთ, დიდათ თქვენი ლამაზი მოლოცვისათვის და კეთილი სურვილისათვის, ღმერთმან ისმინოს თქვენი კეთილი სურვილი. მეც მოგილოცამ ჩვენშიდ ახლად განვლილ დღესასწაულსა შობასა იესო ქრისტესი და აგრეთვე, ახალ წელიწადს და საუკუნოებას. ღმერთმან აღგავსოთ თავისი უხვი წყალობითა და მრავალნაირი მადლითა და დიდის მოთმინებით მოგაპოვნინოს საუკუნე ცხოვრება.

თქვენი თანაძმები როდესაც აქ იყვნენ, ვგონებ, გაბედულნი არ იყვნენ; ამირხანოვი მეუბნებოდა, რომ ვწერამ ხოლმეო, ხოლოდ მცირე კი დიდი ზარმაც ყოფილა წერაშიდ.„ ამას გარდა, ბევრი რამეც არ იყო მოსაწერი, რადგან მათი აქ სიცოცხლე იყო სდ ერთგვარი. პირველი დღიდან მოსცლისავე კურთხევამდე უცდიდნენ და უცდიდნენ კურთხვასა. შდ კურთხევისა იმავე დღეს უცბად გაფრინდნენ სხვა და სხვა გზით მამულშიდ და მათი აღაფერი ისმოდა. **მამა გვარამაძე** შვილთურთ **ოქროპირისა** მოვიდა აქა დასასწრობლად თავისი შვილის *გაბრიელის* კურთხვაზედა და იმათ მოგვიტანეს ამბავი, რომ პ. ამირხანოვი ბათუმშია დანიშნულიო და პ. დომინიკე–თბილისშიო. შდ მივიღე პ. **ამირხანოვის** წერილი, რომლით მაცნობებდა, რომ არაფერი დანიშვნა არა მაქვსო და რას ფიქრობს ეპიუსკოპოზიო; პ. პავლე მთხოვს რომ იქ იმასთან ჩავიდეო, მაგრამ მე მივწერეო, რომ სანამ ეპისკოპოზისაგან არ მექმნება დანიშვნის ქაღალდიო, ვერ ჩამოვალო. ცხოვრობს თურმე ქუთაისშიდ თავის მშობლებთანა და პ. ივანე სასეირნოთ წაბრძანებულა ამერიკაშიდ და სხვა ადგილებშიდ, ამ ბოლო ხანს პ. დომინიკეს წერილიც მივიღე, თურმე ისიც ზის თბილისშიდ და ელის ქაღალდსა ეპისკოპოზისასა.

ჩვენ ბატონ ეპისკოპოზსაცა თურმე მართლა სდომებია ფორმით დანიშვნა მათი კავკასიაშიდ, ის კი დავიწყებია ამ ბატონს, რომ უმთავარმართებლოდ არ შეუძლია მუნ ღვდლის დანიშვნა. მთავარ მართბელსაც თურმე მოუთხოვნია მათი ფორმულისანისპისოკი და ახლა ვინ იცის, როგორ გაიხლათოს საქმე, ნამეტნავად თუ ვინმე სომეხმაც დაუბერა ზედა. **ბაჩევსკის** ეთქვა **შემბეკისათვისა,** რომ მე ვგონებ ორივეს უკანვე დაბრუნება მოუნხდებათო. ვინ იცის, ეს ეგების უთხრა შემბეკსა, რომ მე გული გამხეთქოდა, ვინ იცის? ვნახოთ, მართლა, როგორ გამოაშკარავდება საქმე. პ. ლეონზედ და დონ დამიანეზედაც არ არიან უკმაყოფილონიო. ოდესაშიდ მეც გავიგონე: ხოლო პ. ლეონზედ ამას ამბობდნენ, რომ ვითომც აქ მოეწეროს ეპისკოპოზისათვის, რომ მე ფრანციცულად ქადაგება არ შემიძლიანო და ვითომც მერე აქედან მიეწეროთ რომ: აბა რაღა ისწავლეო, თუ ქადაგებაც არ შეგიძლიანო. ამას გარდა, ფრანცეზებს უყვართ ცოტა ცოცხალი და მარჯვე კაცი. და იცით კარგათ, რომ პ. ლეონსა არა აქვს იმდენი სიცქვიტე, დონ დამიანეს უფრო ბევრ მოდებსა და მოპრუწვაშიდ ამტყუნებენ, აგრეთვე,

მხოლოდ ერთს აქებენ, რომელსაც ეხლა პლოცკის ეპისკოპოზად ხდიდა რომო და თვითონაც შიში ვერ მიიღო და უარი უთხრა; აი, ამ მღვდელს ყველა აქებს. ყოველ ჩემ წერილშიდ მოვწერე, რომ პ. ბენედიკტე გამოაგზავნე მეთქი და სრულიად პასუხი არ მომცა პ. ალტონსმა. კარგს კი იზამთ, რომ შემოხვიდეთ და სადმე კერძოობითად პოლშელს ან ნემეცურის სწავლას დაიწყებდეთ, რამოდენიმე წუთს მერე ძრიელ გამოსადეგი იქნებით საქართველოშიდ, რადგან ძალით თუ ნებით, მოაშორებ იმ გაუჩურკნავს მღვდელ პ. პავლესა. საკვირველია, თქვენი ამბავი, რომ ღმერთსაც აბრალებთ თქვენ შემოუსვლელობასა, და ეპისკოპოზის პასუხის მერე კი თქვენ თითონ ღმერთად არა სთვლით იმას, ვისაც არ უნდა აგენის საქართველოში შემოსვლა. მე ვგონებ, რომ თქვენი შემოსვლა ძრიელ სარგებელობას მოუტანს საქართველოსა არა ახლავე, არამედ საბოლოთო; ოღომც კი ბაშფორთს ხანი არ გაუვიდეს, თორე მერე მშვიდობით და გათავდაო; რადგან ახალი კანონით 5 წლის მერე აღარ ითვლებიან ქვეშევრდომათ და ძნელიც არის ბაშფორთის გამოცვლა, ძრიელ ძნელია ახლა.

მინაწერი მეორე გვერდზე:

მსგავსადვე მიკვირს თქვენი აგრეთი სიღარიბე; რაღა პაროხია ეგ თქვენი პაროხია, თუ თქვენ ერთ ღვდელსაც ვერ გინახამთ. ან რაღა მონასტერია, რომ გაკვირვებული შვილები არ ეწევა, ოდესაც შვილებისათვის ნება აქვთ, რომ საუნჯეც გაყიდონ თუ საჭიროდ შერაცხენ. აგრეთვე პ. სტეფანე იწერება: პ. **თამაროვს** რომ რაღას შეეწევიან, რომ არა ვერც მისი იქ ყოფნა, სადაც ბევრი კარგი თუ გამოსადეგი დოკუმენტები იპოვნა. ამ ჟამად გთხოვთ, თქვათ 5 ჩემი წირვა ჩემი აზრით. ფულებს მერე გამოგიგზავნით; მალე კი მაცნობე პასუხი. თუ ხმიანებიც გინდა ,უფრო ადვილად გიშოვნიო.

ადგილიც მეტი არ არის და დროც აღარა მაქვს. მოგიკითხამთ სიყვარულით და დავშთები თქვენი მცირე **დ. იოანე ანტონოვ**

ი.მ.ი. 3/16 დეკემბერს 1902 წ.სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო მამაო ბენედიკტე

არ გეგონოსთ დავიწყებული მყავდეთ, ძრიელ ბევრს ვფიქრობ თქვენზედა და ამისთვის ვსთხოვ ჩვენს ახალ ეპისკოპოზსა, რომელიც სწორედ რომ განსაკუთრებითი ღვთის მოწყალებით მოგვეცა და არის სწორედ ღვთის კაცი და ძრიელ ბრძენი. მე ვთხოვ ,რომ მოსწეროს მონს. ბონეტსა, რათა უთუოდ გამოგისტუმროს აქეთკენა და მერე თქვენ ეცადეთ აქ შემოსვლისათვის და როცა შემოხვიდეთ, პირდაპირ აქ მოდით. პ. ალტონსიმ მიართვა წერილი, რომ საჭირო საქმეები მაქვსო და მალე მომცეს ეპისკოპოზმა ქაღალდით ბაშფორთის ასაღბლათო; ჯერე არ იყო მაშინ აქ ეპისკოპოზი და ახლა რომ მოვიდა, მაშინვე გაუგზავნა ქაღალდი და იმედია მალე მოგივათ თქვენი უმფროსი. გიხაროდესთ!!!

ახლა გიგზავნით, მიიღოთ ეს 25 მან. როგორც იტყვით, 25 ჩემ ნახვასა მიმცემლების აზრზედ. პასუხი მალე მაცნობეთ. მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით და დავშთები თქვენი მცირე დ.ი. **ანტონოვ.**

ი.მ.ი.5/18 იანვარს 1905 წ. სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო და პატივსაცემო მამაო ბენედიკტე

დიდად გმადლობთ მოლოცვისათვისა, თქვენც აღგავსოთა ღვთიულმა ყრმა იესომ უხვად თავისი მადლითა და წყალობითა და მოგანიჭოსთ უფრო მეტი სათნოება მოთმინებისა. მივიღე თქვენი წერილი 30 ნოემბრისა, მაგრამ ძრიელ ფთხილად იწერებოდით და ვრცლად არ აცხადებთ მანდაურ ამბავსა. მე ვიცი კარგათ, რომ მანდ უფრო მეტი ამბავი მოხდა, ვირემდ თქვენ იწერებით. ახლა კი ვგონებ ღვთით გათავებული იქმნება თქვენი რჩევა. ინებოს უფალ-მან, რომ მაგ მონასტერს მიეცეს სული კათოლიკოს ეკკლესიისა და ნამდვილი ბერებისა.

ამ წინაზედ გამოვაგზავნე პ. დომინიკის ხელით და მას უწინარეს პ. ანსელმას ხელით წმ. წირვები და არ ვიცი, როგორ? თქვენამდინ არ მოდიან ეს წირვები? აი, ახლა გიგზავნით 20 მან. და გთხოვთ, რაც შეიძლოთ მალე მაცნობეთ მათი მიღება და მერე მათი გათავებაცა. ოცივე წირვები თქვით მომცემლების აზრზედ. თუ აქამდინ არ გესმოდა მნიშვნელობა ამ სიტყვებისა: mihtiv at vita huminis lupe tinom მაშ, ახლა გაიგე ისიც მოიგონეთ qui legitima centovent cuzoni-litur.

მოგიკითხამთ სიყვარულით, ილოცეთ ჩვენთვისა დ.ი. ანტონოვ

ი.მ.ი.15/28 სენტემბერს 1902 წ. სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

უღღირსო და პატივსაცემო მამაო ბენედიკტე

მივიღე თქვენი ჩვეულებრივი გოდების წერილი; თქვენს დიდ შეწუხებას უფალმან დაადოს წამალი წმიდა ქალწულმან მარიამმა თქვენთვის, რომ მოგენიჭოსთ დიდი საუნჯე მოთმინებისა. მაგალითებით მრავალთა წმიდათა და ერთადვე მრავალთა იმავე ქვეყანაშიდ მცხოვრებთა მოწესეთა მონასტრის შვილთა აღაგზენით თქვენი თავი და ჩაჰბარდით სულით, გულით გამჩენსა და მოწყალე ღმერთსა და უთუოდ დააგვირგვინებს თქვენს სიმწარესა და მწუხარებასა.

ახლა გთხოვთ მიიღოთ 28 ხმიანი წირვა დანიშნული მიცვალებულთათვისა, რომელთათ-ვის 28 მანეთს ამასთანავე გიგზანით და გთხოვთ, მალე მაცნობოთ მიღების პასუხი.

უკაცრაოთ, დრო მეტი აღარ არის და ამით ვათავებ წერილსა. მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე დ.ი. **ანტონოვი**.

ი.მ.ი.8/21 აპრილს 1902 წ. სარატოვს

ქრისტე აღდგა!

ღირსო მამაო ბენედიკტე

თუმცა თქვენშიდ გათავდა, მაგრა **ჩვენ მომავალ კვირას გვექმნება ბრწყინვალე დღესასწაული გამარჯვებული აღდგომისა იესო ქრისტესი** და ამისათვის მოგილოცამთ ამა ბრწყინვალე დღესასწაულსა და ვსთხოვ გამარჯვებულად აღდგომილსა იესო ქრისტესა, რომ თქვენც, აგრეთვე, უნდა გაიმარჯვოთ ყველა თქვენ მტრებზედა თუ სულიერ თუ ხორციელსა; ნამეტნავად ვევედრები, რომ მოგანიჭოსთ სიმდიდრე ღვთის წყალობისა და ბედნიერება წმიდათა და თუ იმათ კიდევ რაიმე დაემატებოდეს, იმასაც კიდევ მოვითხოვ თქვენთვის ღვთისაგან.

წერილი თქვენი 1 აპრილისა სიხარულით მივიღე, გმადლობთ, თქვენი გულუხვი მოლოცვისათვის; უფალმან ისმინოს თქვენი სურვილი და ნატვრა. ამას წინათაც მივიღე თქვენი წერილი და პასუხი ვეღარ მოგეცით, თუ მოუცლელობის გამო და თუ თქვენი ადრესის უპოვნელობის გამო; დალოცვილი **პ. თამარათისავით,** ყოველ წერილშიდ რომ მოიწერო ადრესი, კაცი მაშინვე გადაიწერს, ახლაც დამცირნე გავხდი, მეძებნა ქაღალდებშიდ და მადლობა ღმერთსა, ვნახე თქვენი ადრესი-ყოველ წერილშიდ ლამაზად სწერთ და ჭიკჭიკობთ; ბერობაც გეტყობათ, მაგრამ საშველსაც ძრიელ ეძებთ, რომ მაგ მძიმე და ტვირთთან მორჩილებას როგორმე თავი დაუკრათ და მოსცილდეთ. რასაკვირველია, თუ განგებულობა ღვთისა ისე მოახდენს, რომს მორჩილობა არ დაირღვეს და როგორმე აქეთ წამოხვიდეთ, ხომ კარგი, თუ არა, ისევ სჯობიან დარჩეთ მორჩილებაშიდ და გაამრავლოთ თქვენის დიდი მოთმინებითა სასყიდელი სასუფეველისათვისა. აი, ამბობენ და მართალიც უნდა იყოს, როგორც შევიტყე რომიდან; ეს ჩვენი ბატონი სოსანი, რაღაც შთანთქმულია თავის წისქვილშიდ და მამულშიდ მიბძანდება და ამის მაგიერ გვაძლევენ ერთ ბარანს როპპ, როდესაც ძრიელ აქებენო, თუ ასე მოხდა, შეიძლება ამასთან რომე გაკეთდეს და ფორმით დაგიბაროთ, რომ უთუოდ დაბრუნდეთ აქა და აქვე ემსახუროთ იმავე გამჩენ ღმერთსა. აბა, ილოცეთ მხურვალედ და ვინ იცის, ეგების ინებოს უფალმან თქვენი ნატვრის ასრულება. ვინ იცის, ეგების თქვენ, რადგან ამ მიზნის მზეს ფიცულობთ ხოლმე, კიდევაც გეწყინოთ ამის ამ ადგილიდან წაბრძანება, მაგრამ თქვენზეც ვგონებ მეტი იციან რომშიდ, სადაც უკეთესად ჩასთვლიან ამის წაბრძანებას და სხვა კარგის დანიშვნას.

როგორ მიდის მონასტრის საქმე? რას აკეთებს პ. ალფონსი? პ. თამაროვიდან რა ამბავი მოგდისთ? იმედია, რომ მონასტერი არ დაიკეტება, უკეთუ თქვენც წამოხვალთ მანდედანა? ნახე, გაშინჯე და გასაჯე ყველა წმიდა თვალითა და ისე მოიწერე.

ახლა გთხოვთ მიიღო ეს შემდეგი წირვები.

ამ ათ მანეთს ამასთანავე გიგზავნი და მალე მაცნობე პასუხი. ჯერ არავის უთხრა,რადგან ეს მე საიდუმლოთ ვიცი და საიდუმლოთ გწერთ.

მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით და პატივისცემითა და დაჯერებული თქვენ წა. წირვაზედ დავშთები თქვენი მცირე დ. **იოანე ანტონოვ.**

ი.მ.ი.3/16 თებერვალს1901 წ. სარატოვს

დიდად საყვარელო და ფდ ღირსო მამაო ბენედიკტე.
ქებული იყოს იესოს სახელი

წერილი თქვენი 5 თებერვლისა მივიღე... რაც შეეხება თქვენს აქ შემოსვლასა, იცოდეთ, რომ ძრიელ კარგსა საქმეს იზამთ, თუ მალე შემოხვალთ; მე ამას ჩუმად გწერთ და იმედი მაქვს, რომ სოსანსაც იამება. ხომ იცით, სოსანი რა ჭკუის არის ჩემთანა და ამისთვის მე მას ვერაფერს ვეტყვი, ახლა იმდენ შემოსვლაზედა. თქვენ პირდაპირ აქ მოდით და დიდი იმედი მაქვს, რომ რამე ადგილს გიპოვნის, სანამ ნემეცურს ან პოლშურს შეისწავლიდე. სხვა არა იყოს რა, შეგიძლიანა **ცარიცინშიდ** იცხოვროთ კერძო პირად, სანამ ენებს შეისწავლიდეთ. და რომ იქ იცხოვროთ ა. **შემბეკი** კარგათ არის გუბერნატორთანა და ის მოგიხერხებს კარგათა. აბა, ეცადეთ, დრო არ გაუყოლეს ბაშკარასა და მალე აძვრინოთ თავი მანდედანან და არც საქართველოშიდ გამოტრალდეთ. ერთმა ნასციატელმა ნემეცმა აგერ ორი კვირა იქმნება მას აქეთ, მითხრა რომ მე სიხარულით მივიღებდი ამირხანოვსაო, ოღონც კი მოეცათ ჩემთვისაო. მე შევასწავლიდი სანამ ენას, ის წავიდაო; მაშ თქვენაც ასე მოხერხდება. იცოდეთ აქ ბევრი საქმეები იქნება თქვენთვისა და ამ ახალგაზდობაშიდ თქვენისა. ბევრს სიკეთეს მოუტანთ სულებსა უენობითაც და რასაკვირველია, უფრო მეტს როდესაც ენას ისწავლით. თუ მაინც და მაინც კი სიტყვას ვერ დაენდობით . . ურწმუნო თომასავით მოინდომებთ მიჩვენეთ ხელი და ფეხიო, მაშინ ინებოს მალე წერილის მოწერა ჩვენ სოსანთანა და იმედი მაქვს, მალე მის პასუხს მიიღებთ. ესეც ჩავწერე შიგა, რომ თუ უკეთუ ახლა არსად იშოვება ჩემთვის ადგილითქო, მე თითონ ვეცდები ვინმეს მიერ, რომ შემეძლოს რამოდენიმე ხანს ცარიცინშიდ კერძო პირსავით ვიცხოვრო თქო; არც იმას ვნატრობ, რომ საქართველოშიდ ვიყოთქო: და პირობას გაძლევთ, რომ ყოველი საშველი ვიხმაროთქო, რომ თან ნემეცური ან პოლშური კარგათ შევისწავლოთქო.

ასე თუ მისწერ, მე ვგონებ, ტელეგრამით მოგითხოვს, ისე ეჯარება ახლა ღვდლები. ეცადეთ კი, რომ მალე გააკეთო ეს საშუალება, სანამ პ. **შემბეკი** აქ არის, რადგან პ. შემბეკი გადიოდა ჩვენი ეპარხიიდანა და კიდევაც თხოვნა მიცემული ჰქონდა გასვლისათვისა და ერთიც ვნახოთ, ხმა გამოვიდა, რომ მას ნიშნავენ ეპისკოპოზად **პლოცკისა** და ახლა ელიან მარტის კონსისტორიასა და იმედი აქვთ, რომ წმ-ში მას ეპისკოპოზად განაცხადებს. მაშ რაც შეიძლოთ, მალე მოახერხეთ საქმე და ნუ გამოუყვებით, რომ ამიწეროთ თქვენი სრული დიდი სასახლე და გამჭრიახობა მისი ამშენებელი არხიტეკტორისა. მანდაურ ციგნებისათვის სხვასაც იშოვნიან მონასტერშიდ და ამგვარად იმითაც დააკლდებათ ერთი პარტია. იცოდეთ, ცარიცინშიდ კაპლიცაც არის და ღვდლის სადგომიცა ისე, რომ ძრიელ იოლად წახვალთ ნარვას მოწყალებითა. **ოდესაშიდ**, რასაკვირველია, ბევრათ უკეთესი იქნებით პ. ლეონზედა, მაგრამ მეკი არ გირჩევთ იქ დადგომასა, რადგან დიდად გაფუჭებული ქალაქია და ღვდლებიც კარგი მაგალითით არ ცხოვრობენ.

ამასთანავე, გიგზავნით ოცდაათ მანეთსა; 5 მან რომ თქვენთვის მიღებული ნისიებისა მემართა და 25 მანეთით სთქვით 25 წირვა, თუნდ ჩემი, თუნდ ხმიანი ამ შემდეგი აზრით:

1M. D hliturn justi Anhmem. . . lis – 1

24/25 M. . . justi Anhmem. . . 24/25

გთხოვთ, მალე შემატყობინოთ ამა ნისიების მიღებაცა და თქვენი აზრიცა შესახებ, აქ შემოსვლისა.

მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე **დ.ი. ანტონოვ.**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.

1/13 მარტს 1901 წ. სარატოვს. უდ. ღირსო და საყვარელო მამაო ბენედიკტე.

მივიღე დღეს თქვენი 7 მარტის წერილი, მეგონა თითონ მოხვიდოდითო, არ ვიცი ვიღას უცდით audaens jufov, რომ მასწერთ ვაი თუ მართალ პასუხიც ვიკადრობ და რომ მოხვიდეთ მეტი რა გზა აქვს, უთუოდ რამე ადგილი უნდა მოგცეს, ადგილიც არ იყოს, საწირავიც ეყოფა ჯერ ჯერობით და მე ვიცი, რომ ვინმე სულიერი სიხარულით მიგიღებს, სანამ შეისწავლიდე ენასა. მაშ, გაბედე და მალე შემოდი. ეგები თანაც წაგიყოლოს . . . თუ მართლა გაზაფხულზედ თუ ზაფხულშიდ კავკასიაშიდ წავიდა. ასე ეუბნევა ყველასა, რომ საქართველოშიდ უნდა წავიდეო. ახსენე ღმერთი და შემოუდექ გზასა, ფული სადმე იშოვე, რომ განვლილი დროს ფასი გადიხადო საზღვარზედა. ბ. დომინიკე თბილისში მეუფევს და მერე ბათუმშიდ . . . , როგორც ჩანს, საქმე ჯერ კარგათ მიდის მათვისა. მიშელის ველი იქითა კვირას. 21 მარტს წამოა გარაცხადებას და ეგების მაისშიდ იყოს კონსევრატით. ბევრი მოკითხვა დ.თ. ანტონოვი

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г.Константинополь в Турции
Momienr Pere Ctenne Ghiorghidze
Ctez le Peres Georgiens a tery Keny
Turquie Constantinoplelic

ი.მ.ი.8/20ოქტომბერს 98 წ. სარატოვს. ღირსო და საყვარელო მამაო ბენედიქტე.

ქებული იყოს იესოს სახელი.

ამბობენ სასწაული არა არის ქვეყანაზედო! რო იცოდე, რა სასწაული მოხდა თქვენი და პ. **სტეფანეს** წერილზედ, გაგიკვირდება. კარგი რომ ორივეს წერილი დაწეპებული იყვნენ კარგათ, თორემ დიები რომ ყოფილიყვნენ და . . . .ფერები ჰქონოდათ, **ერთმანეთს თავპირ დაამტვრევდენ.** ისკი არა ორივენი ფოჩტალიონმა ერთად მომცა, ერთად იყვნენ სტოლზედა, გეგონებოდათ დიდი ხნის მეგობრები არიანო წერილებიც და და მწერლებიც. კარგი რამ გამაგონეთ თქვენი კარგი ამბავი. მხოლოდ . . . .ხარ შევიტყო ის წერილი პ. სტეფანესა, რომ წაიღე აქედან, აჩვენე თუ არა პ. სტეფანეს ვინ იცის, ეგების გაცხარებულ გულზედ ისიც ცხვირზედ მიარტყით! მადლობა ღმერთსა, გათავებულა საქმე. პ. ანტონისა ნუ გეშინიათ, იმედი გქონდეთ, რომ აქედან მას სიძნელეს არ უზამენ, თუ თითონ გულით მოინდომა მანდ წამოსვლა. ახლა თქვენ მწერთ წირვების მოწყალებასა და მე ორჯელ გამოვგზავნე და ჯერეც პასუხი არა მქონდა, ახლა მივიღე პ. სტეფანესაგანაც წერილი და იმაში მწერს, რომ მივიღეთ ყველა და მე უნდა გამოგიგზავნოთ 80 მან. კი არ ვიცი ვის სახელზედ გამოვგზავნო, თქვენ სახელი ისე გაიკეთეთ, როგორც პ. სტეფანემა, რომ შეიძლებოდეს გამოგზანა, ან მითხარით სად და ვის სახელზედ გამოვგზანო. დღესვე მინდოდა გამოგზანა, მაგრამ არ ვიცი, ვის გაუგზანო. პ. ალფონსო რომ მოვიდოდეს აქა, იმას გადავცემდი. ახლა, გიგზავნი ამა შემდეგ წირვებსა:

43 M. lartie ulentiomen danlium = 21,50

29 … pio omziatydefuits = 14,50

9 . . .pio animbos Punzetii ------4,50

1… pio vivu - -50

/82

ამას გარდა, თქვით 20 ხმიანი წირვა ესევე 20 მან. მაშ, ამ ჯერობით გიგზავნი 82 ნ. ჩემს და 20 ხმიანსა, რომელნიც შეადგენენ 61 მანეთს; მაშ მემართა თქვენი 180 მან. ახლანდელიც 61 მანეთი: რომ დაუმატოთ, იქნება სულ 241 მან. რომელსაც გამოგიგზავნი მივიღებ თუ არა თქვენგან პასუხსა. აბა, გთხოვთ მალე აფრინოთ ეს პასუხი. მაშ სიყვარულით დ.ი. ანტონოვი.

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
19 მარტს 1901 წ. სარატოვს.

დიდად საყვარელო მამაო ბენედიკტე! და მართლაც იყავი უკუნისამდე benedictes. ჩანს ისმინა ყდ წმიდამ თქვენი ვედრება და მოვდივარ, გიმახარობლო კარგი ამბავი. წარმოიდგინეთ ეს ეს არის იყო ჩემთან ეპისკოპოზი და ვილაპარაკეთ საათ ნახევარზედ მეტიბევრს სხვა საქმეზედაც; იმათზეც ჩამოვაგდდე ლაპარაკი და უთხარი, რომ მოსვლა უნდა აქა და თქვენი ერიდებათ მეთქი, გაუგონია რომ არ გეამებათ, რომ მოვიდნენ აქა უნებურად, რომ მოვიდესო და ყოველთვის დიდის სიხარულით იქნება მიღებულიო. მაშ, აიბარგეთ მალე და წამოდით, ნუღარ აგვიანებთ. გაათავე მანდ ყველა საქმე და ეხლავე წამოდით. მინდოდა გამეგზავნა საწირავები ფული, მაგრამ მანდ არარ მოგესწრებათ და ისევ აქ მიიღეთ. მალე წამოდი და ნუღარ იქექამ მაგ თავსა და ნუღარ ვაჭრობ ურიასავით. მოგვეშველეთ მალე. ამას წინეთ აქ იყო ერთი ღვდელი და ვსთხოვე თქვენთვის, რომ მიგიღოსთ და დამპირდა: სიხარულით მივიღებო, და ეხლა რომ ასე ილაპარაკა ეპისკოპოზმა, აღარ არის საჭირო სხვას თხოვნასა; ოღომცკი მალე შემოდით. მოგიკითხამ სიყვარულით **დ.ი. ანტონოვი.**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union PostaleUniverselle. Russie.
Открытое письмо. – cartePostale.
Bi Г. Константинополь в Турции
Monniusbenoit Gchihingaroff
Cuze de la panoimelatine de Scutori
Poste restante
Constantinople Turquie
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
28 აპრილს/11 მაისს 1901 წ. სარატოვს.

ღირსო მამა ბენედიქტე! წერილი თქვენი 2 აპრილისა მივიღე და არ ვიცი, **რად სძინებია ამ თქვენ წერილსა**, რომ გუშინ მივიღე. მე მეგონა თქვენ გნახამდით; ის კი არა თქვენი წერილი მობძანდა მარტო. მე, ხომ იცით, რა ეკალი ვარ ჩვენი სოსნისა, ამის გამო იმასთან მე ამ საქმისათვის ვერ წავალ და არც არავითარი იმედი მაქვს, რომ მანდ ვისმეს წერილი მოსწეროს; ისევ მე გამოვგზავნე დღეს წერილი პ. ალტონსისავე, რომ გიბრძანოს, რათა მალე რაც შეიძლება, მიხვიდეთ. რადგან უთუოდ სურს ეპისკოპოზსა თქვენი აქ მოსვლა პირდაპირ სკროცივშიდ. ვნახოთ რას იზამს. ამას გარდა გამოუგზავნე 50 მან. 50 ჩემი წირვისათვისა, რადგან თითონვე წერილით მწერდა წირვები გვაკლიაო და შეგვეწიეთო. კიდევ გამოუგზანე ეკკლესიის შესაწირავათ 25 მან. ასე რომ 75 მან. გამოვგზანე დღესა. გთხოვთ დამაწყნაროთ შესახებ წირვებისა და მაცნობოთ ჩაიწერეს სიაშიდ თუ არა. ერთმა ვიღამაც მონასტრიდან მომწერა წერილი და ახალ ამბავებსა მწერდა, წერილი ვეღარ ვნახე კარგათ, არ ვიცი რომელი ღვდელი იყო და რისთვის მწერდა წერილსა. მაშ იმედი მაქვს მალე გნახამთ და ვილაპარაკებთ პირადათ.

მოგიკითხამ სიყვარულით დ. ი. **ანტონოვი.**

Всеммирный Почтовый Союзь. Россия.
Union Postale Universelle. Russie.
Открытое письмо. – carte Postale.
Ві Г. Константинополь в Турции
Monnius benoit Gchihingaroff
Cuze de la panoime latine de Scutori
Constantinople
Poste restante
ი.მ.ი.ქებული იყოს იესოს სახელი.
11/24 ივნისს 1902/3წ. სარატოვს.
ყოვლად ღირსო მამაო ბენედიკტე

მაისის 15/28 გამოგიგზავნეთ 25 მან. 25 ჩემი წირვისათვის მომცემლების აზრზედ და დღემდინ არაფერი პასუხი თქვენგან არ მიმიღია; თხოვთ სიჩქარით მაცნობოთ, მიიღეთ თუ არა? **ბათუმიდან** მწერს პ.ელიოზი რომ იქ ყოფილა წირვებით პ. **ალფონსი** და მისი მხრით მოკითხვას მწერდა, მესმა მანდაური მისი ქცევა და ლაპარაკი და დიდად შემაწუხა. დიდ პასუხისგებას შვ . . პი თან ყოველნი ის ბატონები და ვგონებ თქვენცა რომ მოახდინეთ წესი მონასტერშიდ, რაღაც ახლა არას. საწირვო ან საწევრო იყო მაშინვე, რომ დაფიქრებულიყავით და ლოცვისათვის მიგემართად და მანდაური სოსანიც სხვანაირად არ ჩაგეგონებინათ. ახლა ეცადეთ ღვთის სახელით რამე ხელთ კარგი დაადოთ. ჩვენ, ხომ იცით, დაგვინიშნეს ახალი **სოსანი ბარონი როპპი** და მალე მას მოველით. ეს ჩვენ არ ვიცით, სად წაბრძანდება. შეიძლება **მეორე წისქვილიც გაიკეთოს.** ამბობენ ჯანზედ რდ კარგათ არისო. თუ ახალმა მოგიკითხათ, იცოდეთ პირდაპირ **მონს. ბონეტს** მივწერთ, რომ ისევ აქ შემოხვიდეთ მხოლოდ პაშპართისთ-ვის თქვენ უნდა იზრუნოთ.

მოგიკითხამ სიყვარულით დ. ი. **ანტონოვი.**

ი.მ.ი.1 იანვარს 1898

--------- სარატოვს

20 დეკემბერს 97

ღირსო მამაო კურთხეულო ბენედიკტე

ქებული უფლის იესოს სახელი

მოგილოცამთ ბრწყინვალე დღესასწაულებსა შობას უფლისა ჩვენისა იესო ქრისტესა. ყრმა იესომ აღგავსოსათ თვისი უხვი წყალობითა, რომ მუდმივად იყოს მისი ერთგული და სათნოებით შემკული და ნამეტნავად მოთმინებით აღჭურვილი მსახური. აგრეთვე, იყოს ეს ახალი წელიწადი თქვენთვის ბედნიერი და მრავალ ნაირად კურთხეული.

წერილი თქვენი დიდად ჩემდა საამური და მოუთმენლად მოლოდინებული მივიღე; ადვილად მოგიტევებთ დაგვიანებასა ნამეტნავად მის მიზეზით, რომ მგზავრობაში, კალმის აღება როგორღაც ძნელად მიდის. გარდა მისა, რომ ბევრჯელ მელანსაც ვერ იშოვნას; მართლაც, რაც შეეხება მეორე მიზეზსა ჩემი მოთმინების შესახებ, ნეტავი მართალი იყოს ის მიზეზი.

მესმის რომ გაცხარებით მუშაობთ თქვენდამი აღნიშნულ საქმეშიდ, აკურთხოს უფალმან ყოველი თქვენი მოღვაწეობა სადიდებლად თვის და სასარგებლოდ მრავალთა. არ მიატოვოთ, აგრეთვე, შესაწავლი პოლშურისა და ნემეცურისა. აქაურები უთუოდ მოგელიან და ფიქრობენ, რომ მალე დაბრუნდებიო, ნამეტნავად რომ **ცარიცინშიდ** მოსულან 2000 მლსთან ფრანცუზები, იქ დიდ ფაბრიკას აშენებენ თურმე და იმათ სჭირიათ ფრანციცულის მცოდნე ღვდელი. იქ აპირობენ თითონვე საყდრის აშენებასა. ამათვის თქვენ იქნებით ერთად ერთი. მე ვგონებ პ. ლეონიც გამოდგება, მაგრამ ვინ რას ეტყვის. თითონ რომ წავიდეს თავის თავად ცარიცინშიდ და ჯერეთ ვითომც ისე სადგომად, აქ ეპისკოპოზს არაფერი ექმნება წინააღმდეგ. თითონ ეპისკოპოზი ვერა ვის ვერ დანიშნამს ჯერეთი იმიტომ, რომ ნება არ აქვს მთავრობიდანა. თვითონ ფრანცუზები მერე მოიპოვებენ მთავრობიდან ნებასა, ოღომც კი გამოჩნდეს ვინმე მღვდელი ფრანციცულის ენის მცოდნე. ეცადეთ, ეგების **ამირხანოვი** გამოდგეს ამ საქმისათვისა და თუ ჯერ ნაკურთხი არ არის, მისწეროთ ეპისკოპოზსა თქვენვე, რომ ისიც თქვენსავით აკურთხოს.

ახლა მეტი დრო აღარ არის. მოგიკითხეს ყველა კლერიკებმა, ილოცეთ ჩვენთვისო. მოგი-კითხამთ მეც დიდის სიყვარულითა და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე

დ.ი. **ანტონოვ.**

ი.მ.ი. 5/17 ნოემბერს98 წ.სარატოვს

ღირსო მამაო ბენედიკტე

ქებული იყოს იესოს სახელი

წერილი თქვენი 6 ნოემბრისა მივიღე და ვესწრაფები პასუხი მოგცეთ და ვალიც გადა-ვიხადო. დიდად მიხარის, რომ მოკრძალულად და ჩუმათ გაგიტარებიათ დრო პ. სტეფანესთანა და რომ არასოდეს არ ყოფილა იმისთანა წამი რომ ხელი გეტაცნათ იმ ქაღალდისათვისა, რომელიც მადლობა ღმერთს, კარგათ შეგინახიათ, რომ ძებნითაც ადვილად ვერ იპოვნით. ეს ძრიელ მომეწონა, მადლობა ღმერთსა. ახლა დაიწყეთ ახალი ცხოვრება მოსვენებით და დის-ციპლინის კარგათ დაცვით. და ეცადეთ არამც და არამც არაფერი დაბრკოლება არ მოგიხდეთ. იმისთანა, როგორც უწინ ამბობდნენ მომხდარაო. ღმერთმა დაგიფაროთ, ძრიელ კი ფრთხილად იყავით, იცოდეთ.

არ ვიცი, აქამდინ რად დაუგვიანებს მოსვლა პ. ალტონსისა; მე ვგონებ, იქედან მას დაბრკოლებას არ მისცემდნენ არავითარსა; უთუოდ თავისი საქმეები დააყოვნებდნენ მას აქომდარინა. იმედია, ახლა მალე მოვა მანდა; მეკი ვისურვებდი, რომ აქ მენახა და ცოტა რამ მელაპარაკნა მასთანა, მაგრამ ვგონებ არ მოხერხდება. ვინ იცის, ეგების აქაც მოვიდეს.

ახლა გიგზანით ორას ორმოც და ათ მანეთსა (250) ამათგან მემართა ქვენი 241 მან. და დანარჩენს 9 მანეთიც არის ამ შემდეგი წირვებისთვის;

2 ხმიანი წირვა დანიშნული მიცვალებულთათვის2 მან.

1 ხმიანი წირვა - - - - - - - - - - - -- - 1 -

4 ჩემი წირვა გასაწმედელი სულებისათვისა 2 -

7ჩემი წირვა მომცემლების აზრზედ ----------3,50

1- -მიცვალებულ ანტონასთვისა ------50

9,00

მაშ სულ იქნება 3 ხმიანი და 12 ჩემი წირვა.

გთხოვთ პასუხი მალე მაცნობოთ.

გთხოვთ ბოდიში მომითხოვოთ უღ პ. ალექსანდრესაგან, რომ მას წერილს განსაკუთრებით ვერა ვსწერ. ორი წერილის დაწერის დრო აღარ იყო და ამისთვისა მარტო თქვენ გწერთ. მომიკითხეთ, გთხოვთ პატივისცემით.

კიდევ ერთი თხოვნა მაქვს. რადგან, როგორც ჩანს, თქვენმა ბევრმა ძახილმან,“ არ გვინდა არ გვინდა პ. სტეფანეო“ ძლიერ გასჭრა და გამოაჩინა, აგრეთვე, თქვენი ძლიერება, მადლი ვარ ერთი სიკეთეც მოიქმედეთ, რომ პ. **თამარათი** იქ დასტოვონ მაინც კიდევ რამოდენიმე ხანს, რადგან სომეხები იქ მოსვენებას გაუწყვეტამენ წითილებსა, სანამ არ აჯობებენ ქართველებსა. ამისთვის ძრიელ საჩქაროა, რომ ვინმე მანდ მონასტრისა იყოს იქა, აბა, ეცადეთ

ეს საქმე გა . .ი პ. ალტონსი თუ მოვა აქა, იმასაც თითონვე ერთხელ ამაზედ.

მოგიკითხამთ სიყვარულით და პატივისცემითა, მოგიკითხეს ნაცნობებმა და მადლობაც მოგახსენეს მოკითხვისათვის და დავშთები თქვენი მცირე დ.ი. ანტონოვი

P.S. ილოცეთ ჩვენთვის ძრიელ მხურვალედ რადგან ძრიელა გვეჭირვება შემწეობა ღვთისა.

დ. ანტონოვისაგან.

ი.მ.ი. თებერვლის 29 1900 წ. სარატოვს

ღირსო მამაო უღ ბენედიკტე

ქებული იყოს იესოს სახელი

წერილი თქვენი 11 თებერვლისა მივიღე და მიზეზიც ვსცანი ესოდენი ხანს წერილის მოუწერლობისა, რაღაც იყო არავითარი მიზეზის ქონვა. რასაკვირველია, უქონლობაშიდ ესეც მიზეზად გამოდგა წერილის შესავალიშიდ. გმადლობთ, თქვენი კეთილი სურვილი და გულოვნობისათვის, რომელზედაც არასოდეს არა მქონია ეჭვი. გწერ; მეტყობა თუ რა მდგომარეობაშიდ არიან ის ორივე გამოგზავნილნი, მაგრამ არ ვიცი, რა გიპასუხოთ, რადგან მეც თითონ არა ვიცი რა. მარტო **ამირხანოვმა** მომწერა, რომ იმედი მაქვსო მოწმობა ავიღო გუბერნატორისგანაო, რომ არავითარი დამშლელობა არა რის სემინარიაშიდ შესვლისათისო, და მაცნობეო, ამ მოწმობით მიმიღებს ეპისკოპოზი სემინარიაში თუ არაო; მეც მივწერე: მიგიღებს მეთქი და მას მერე აღარაფერი არ მოუწერია. დომინიკე კი სულ ჩუმათ არის და არ ვიცი, როგორ არის მისი საქმე. შესახებ წირვებისა ახლა არა მაქვს ხმიანები და როცა მექმნება, გამოგიგზანით. **ჩვენი რექტორი** ფლეკი ცოტა სრულ ჭკუაზედ არ იყო და ამისათვის მონასტრიდან მოუპოვეს ნება, რომ **წავიდეს თავის სამშობლოშიდ** ჰაერის გამოსაცვლელად და ამისთვის გუშინ გავისტუმრეთ თავის დედასთანა. საცოდავი სამაგალითო მღვდელი იყო რომ არ დამართოდა ეს უბედურება; რაც რამ ჰქონდა, სულ ღარიბებს დაურიგა ისე, რომ **საცვალიც არა დაიტოვა თავისთავისა** მის მაგიერ პროტ **კრუშინსკი** დაგვინიშნეს.

ნაცნობებმა მოგიკითხეს, რომ სულ თქვენ კითხვაშიდ არის; ძრიელ სურს, რომ აქეთკენ წამოხვიდეთ და აქ აასრულოთ თქვენი ვალი; მეც, რასაკვირველია ძრიელ მსურს, რომ საქართველოშიდ იყოთ სადმე დანიშნული. მართლა დამავიწყდა, ზემოთ ვერ მოგწერეთ. თურმე იმ ორსა გაკვირვება აქვს ფულების გამო და მანდ არავინ არ ფიქრობს მათზედა; ასე როგორ იქნება მათი მიტოება. მისწერეთ იქაურ ღვდლებსა რომ შეეწიონ მათ.

მოგიკითხამთ სიყვარულით და პატივისცემითა და დავშთები თქვენი მცირე

დ. **იოანეანტონოვი**

P.s. ბ. დომინიკემ მიიღო თავისი მოწმობები თავის აქ ყოფნის დროსა.

ი.მ.ი.3 იანვარს 1901 წ.სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

ფრიად ღირსო და დიდად საყვარელო მამაო ბენედიკტე

წერილი თქვენი 20 დეკემბრისა მივიღე იმისთანა დროს, როდესაც სანატრელი იყო, რომ ნაკლები წერილები მომსვლოდა, რადგან პასუხის გასაცემი წერილები საკმაო ხროვას შეადგენდა; ხოლო ესეც უნდა გითხრათ, რომ როდესაც თქვენი წერილი აღმოვიკითხე, მწერდი, იმავე დღეს პასუხი მომეცა, მიტევებითა სხვათა წერილთა, ოღომცკი როგორმე მენუგეშებებინეთ თქვენ მაგდენ გაჭირვებაშიდ, მაგრამ არც ამის აღსრულების დრო მომეცა.

გამდლობთ, დიდათ თქვენი ლამაზი მოლოცვისათვის და კეთილი სურვილისათვის, ღმერთმან ისმინოს თქვენი კეთილი სურვილი. მეც მოგილოცამ ჩვენშიდ ახლად განვლილ დღესასწაულსა შობასა იესო ქრისტესი და აგრეთვე, ახალ წელიწადს და საუკუნოებას. ღმერთმან აღგავსოთ თავისი უხვი წყალობითა და მრავალნაირი მადლითა და დიდის მოთმინებით მიგაპოვნინოს საუკუნე ცხოვრება.

თქვენი თანაძმები როდესაც აქ იყვნენ, ვგონებ, გაბედულნი არ იყვნენ; ამირხანოვი მეუბნებოდა, რომ ვწერამ ხოლმეო, ხოლოდ მცირე კი დიდი ზარმაც ყოფილა წერაშიდ.„ ამას გარდა, ბევრი რამეც არ იყო მოსაწერი, რადგან მათი აქ სიცოცხლე იყო **სდ** ერთგვარი. პირველი დღიდან მოსცლისავე კურთხევამდე უცდიდნენ და უცდიდნენ კურთხვასა. **შდ** კურთხევისა იმავე დღეს უცბად გაფრინდნენ სხვა და სხვა გზით მამულშიდ და მათი აღაფერი ისმოდა. **მამა გვარამაძე შვილთურთ ოქროპირისა მოვიდა** აქა დასასწრობლად თავისი **შვილის გაბრიელის კურთხვაზედა** და იმათ მოგვიტანეს ამბავი, რომ პ. ამირხანოვი ბათუმშია დანიშნულიო და პ. დომინიკე–თბილისშიო. შდ მივიღე პ. ამირხანოვის წერილი, რომლით მაცნობებდა, რომ არაფერი დანიშვნა არა მაქვსო და რას ფიქრობს ეპიუსკოპოზიო; პ. პავლე მთხოვს რომ იქ იმასთან ჩავიდეო, მაგრამ მე მივწერეო, რომ სანამ ეპისკოპოზისაგან არ მექმნება დანიშვნის ქაღალდიო, ვერ ჩამოვალო. ცხოვრობს თურმე ქუთაისშიდ თავის მშობლებთანა და პ. ივანე სასეირნოთ წაბრძანებულა ამერიკაშიდ და სხვა ადგილებშიდ, ამ ბოლო ხანს პ. დომინიკეს წერილიც მივიღე, თურმე ისიც ზის თბილისშიდ და ელის ქაღალდსა ეპისკოპოზისასა.

ჩვენ ბატონ ეპისკოპოზსაცა თურმე მართლა სდომებია ფორმით დანიშვნა მათი კავკასიაშიდ, ის კი დავიწყებია ამ ბატონს, რომ უმთავარმართებლოდ არ შეუძლია მუნ ღვდლის დანიშვნა. მთავარ მართბელსაც თურმე მოუთხოვნია მათი ფორმულისანი სპისაკი და ახლა ვინიცის, როგორ გაიხლათოს საქმე, ნამეტნავად თუ ვინმე სომეხმაც დაუბერა ზედა. **ბაჩევსკის** ეთქვა **შემბეკისათვისა,** რომ მე ვგონებ ორივეს უკანვე დაბრუნება მოუხდებათო. ვინიცის ეს ეგების უთხრა შემბეკსა, რომ მე გული გამხეთქოდა, ვინ იცის? ვნახოთ მართლა როგორ გამოაშკარავდება საქმე. პ. ლეონზედ და დონ დამიანეზედაც არ არიან უკმაყოფილონიო. ოდესაშიდ მეც გავიგონე: ხოლო პ. ლეონზედ ამას ამბობდნენ, რომ ვითომც აქ მოეწეროს ეპისკოპოზისათვის, რომ მე ფრანციცულად ქადაგება არ შემიძლიანო და ვითომც მერე აქედან მიეწეროთ რომ: აბა რაღა ისწავლეო, თუ ქადაგებაც არ შეგიძლიანო. ამას გარდა, ფრანცეზებს უყვართ ცოტა ცოცხალი და მარჯვე კაცი. და იცით კარგათ, რომ პ. ლეონსა არა აქვს იმდენი სიცქვიტე, დონ დამიანეს უფრო ბევრ მოდებსა და მოპრუწვაშიდ ამტყუნებენ, აგრეთვე,

მხოლოდ ერთს აქებენ, რომელსაც ეხლა პლოცკის ეპისკოპოზად ხდიდა რომო და თვითონაც შიში ვერ მიიღო და უარი უთხრა; აი, ამ მღვდელს ყველა აქებს. ყოველ ჩემ წერილშიდ მოვწერე, რომ პ. ბენედიკტე გამოაგზავნე მეთქი და სრულიად პასუხი არ მომცა პ. ალფონსმა. კარგს კი იზამთ რომ, შემოხვიდეთ და სადმე კერძოობითად პოლშელს ან ნემეცურის სწავლას დაიწყებდეთ, რამოდენიმე წუთს მერე ძრიელ გამოსადეგი იქნებით საქართველოშიდ, რადგან ძალით თუ ნებით, მოაშორებ იმ გაუჩურკნავს მღვდელ პ. პავლესა. საკვირველია, თქვენი ამბავი, რომ ღმერთსაც აბრალებთ თქვენ შემოუსვლელობასა, და ეპისკოპოზის პასუხის მერე კი თქვენ თითონ ღმერთად არა სთვლით იმას, ვისაც არ უნდა აგენის საქართველოში შემოსვლა. მე ვგონებ, რომ თქვენი შემოსვლა ძრიელ სარგებელობას მოუტანს საქართველოსა არა ახლავე, არამედ საბოლოთო; ოღომც კი ბაშფორთს ხანი არ გაუვიდეს, თორე მერე მშვიდობით და გათავდაო; რადგან ახალი კანონით 5 წლის მერე აღარ ითვლებიან ქვეშევრდომათ და ძნელიც არის ბაშფორთის გამოცვლა, ძრიელ ძნელია ახლა.

მინაწერი მეორე გვერდზე:

მსგავსადვე მიკვირს თქვენი აგრეთი სიღარიბე; რაღა პაროხია ეგ თქვენი პაროხია, თუ თქვენ ერთ ღვდელსაც ვერ გინახამთ. ან რაღა მონასტერია, რომ გაკვირვებული შვილები არ ეწევა, ოდესაც შვილებისათვის ნება აქვთ, რომ საუნჯეც გაყიდონ თუ საჭიროდ შერაცხენ. აგრეთვე პ. სტეფანე იწერება: პ. **თამაროვს** რომ რაღას შეეწევიან, რომ არა ვერც მისი იქ ყოფნა, სადაც ბევრი კარგი თუ გამოსადეგი დოკუმენტები იპოვნა. ამ ჟამად გთხოვთ, თქვათ 5 ჩემი წირვა ჩემი აზრით. ფულებს მერე გამოგიგზავნით; მალე კი მაცნობე პასუხი. თუ ხმიანებიც გინდა ,უფრო ადვილად გიშოვნიო.

ადგილიც მეტი არ არის და დროც აღარა მაქვს. მოგიკითხამთ სიყვარულით და დავშთები თქვენი მცირე **დ. იოანე ანტონოვ**

ი.მ.ი. 3/16 დეკემბერს 1902 წ.სარატოვს

ქებული იყოს იესოს სახელი

ღირსო მამაო ბენედიკტე

არ გეგონოსთ დავიწყებული მყავდეთ, ძრიელ ბევრს ვფიქრობ თქვენზედა და ამისთვის ვსთხოვ ჩვენს ახალ ეპისკოპოზსა, რომელიც სწორედ რომ განსაკუთრებითი ღვთის მოწყალებით მოგვეცა და არის სწორედ ღვთის კაცი და ძრიელ ბრძენი. მე ვთხოვ რომ მოსწეროს მონს. ბონეტსა, რათა უთუოდ გამოგისტუმროს აქეთკენა და მერე თქვენ ეცადეთ აქ შემოსვლისათვის და როცა შემოხვიდეთ, პირდაპირ აქ მოდით. პ. ალტონსიმ მიართვა წერილი, რომ საჭირო საქმეები მაქვსო და მალე მომცეს ეპისკოპოზმა ქაღალდით ბაშფორთის ასაღებლათო; ჯერე არ იყო მაშინ აქ ეპისკოპოზი და ახლა რომ მოვიდა, მაშინვე გაუგზავნა ქაღალდი და იმედია მალე მოგივათ თქვენი უმფროსი. გიხაროდესთ!!!

ახლა გიგზავნით, მიიღოთ ეს 25 მან. როგორც იტყვით, 25 ჩემ ნახვასა მიმცემლების აზრზედ. პასუხი მალე მაცნობეთ. მოგიკითხამთ დიდის სიყვარულით და დავშთები თქვენი მცირე დ.ი. ანტონოვ.

ანსელმა მღებრიშვილის წერილი მამა ბენედიქტეს

29 აპრილი, 1899 წელი, ბათუმს.

თქვენო ღირსებაო მამა ბენუა!

კარგი ხანია თქვენი წერილი მივიღე, მაგრამ დღემდისინ ვერ შევიძელი პასუხის მოცემა. შესახებ იმ ყმაწვილის გამოგზავნისა, რომელსაც თქვენ იწერებით, უნდა გაჭრითა ვსთქვა, მე არ შემიძლია უმცირეოდეს, მე მაგისთანა საქმეს თავზედ ვერ ავიღებ. მრავალჯერ მოვიწერე პ. სტეფანეს დროსაც მიზეზები, რის გამოც მე ეგ საქმე არ შემიძლია, მაგრამ თქვენ ვერ გაიგეთ? თქვენ კიდევ თქვენსას გაიძახით. მე აქ მტერი მრავალი მყავს; დღეს ვერ გაიგეს, ხვალ გაიგებენ და დავიღუპები. ახლა ნამეტნავად უფრო გაძნელდა ამგვარ საქმის გარიგება. არა თუ ვერც ვერავინ, სხვაც ვერ გაბედავს. თანაც პატარა ყმაწვილი, ენა არ იცის, ვის უნდა ჩავაბარო და ან ვინ წამოიყვანს? მოზდილი რომ იყოს, ან ცოტაც რომ თათრული იცოდეს, კიდევ სხვა არის, მაგრამ ახლა იმისთანა დროა, რომ მაინც ძნელია. მაგისთანა შემთხვევაში ისევ თავიანთმა მშობელმა უნდა ჩამოიყვანოს მანდ, ანუ ვინმე აქედგან განგებ კაცი უნდა გამოჰყვეს, რომელსაც ბაშბორთი ექმნება და ყმაწვილიც შიგ ეყოლება ჩაწერილი. თანაც მე იმისთანა საქმეში ვარ გაბმული, რომ სრულიად არა მაქვს თავის უფალი დრო, რომ მაგგვარ საქმებისათვის ვიფიქრო. მეტი დრო არა მაქვს, ხალხსა და ნათესავებს დავემდურები. მომიკითხე ბ.პ. ალფონსი და ყოველნი საერთოდ.

გწერ პ. ანსელმა მღებრიშვილი.

ანტონის წერილები მამა ბენედიქტეს

22.ს თებერ. 1898 წ. ს. არალს.

ღირსო მამაო! უაღ. პ. ბენედიკტე!

„ქებული იყოს იესოს სახელი.“

უფლის მიერ ძმობრივი სიყვარულით მოგილოცამ თქვენ ამ წლის ყველა საუფლო დღესასწაულებს. და გავლილი ჩვენი მაცხოვრის შობას, აგრეთვე, აწ მთელ სინანულის დღეებს, და მოსასვლელს ბრწყინვალე აღდგომას მაცხოვრისა ჩვენისას. ვისურვებ მრავალ წელს მოსწრებას და აღსრულებას უვნებელი და ბედნიერი სიცოცხლითა ჩვენი წა ეკლესიის შვილთა სასარგებლოთ.

თქვენმა **ძმამ სანდრომ** გადმომცა თქვენ მიერ ძმობრივი სიყვარულის მოკითხვა, რომლისათვის დიდათ და დიდათ გმადლობ დაუვიწყებლობისათვის. იმედი მაქვს თქვენს კეთილშობილებისაგან, რომ კვალად არ დამივიწყებთ თქვენს წა და ღვთის სათნო ლოცვა-წირვებში. და არ მომაკლებთ ზოგჯერ თქვენს ძმობრივ **გიხაროდენს.**

აქაურ ამბებს თუ იკითხამთ, ისრე შესანიშნავი არ არის, ვერცა ძველებურადა. მხოლოდ წელს მარტოდ დიდთოვლიანი და ყინვიანი (სიცივიანი) ზამთარი იყო; ეხლაც ერთი არშინი თოვლია მინდვრებში. ერთიც ახალი ამბავიო ეს არის, რომ იანვრის გაზეთში წავიკითხე - ახალი ეპარხია არსდება კათოლიკეებისთვის ალ/დეურის სახელობით. თუ რომელი ადგილის კათოლიკები იქმნებიან იმ ეპარხიაში შერიცხული, ეს კი არ ვიცი. თქვენ იქმნება კარგათ იცოდეთ; იმედია, გვაცნობებთ, თქვენები ყოველი, როგორც გინახოთ, ისრე კარგათ არიან და უკეთუ ყოველი არლელები, ყარაღათ, ქალს რომ ეძახდნენ, ის გარდაიცვალა. ბ.მ. მეფისოვის დატუსაღებას ხომ გაიგებდით. კიდევ დატუსაღებულია; ვნახოთ როგორ გათავდება მისი საქმე.

დავშთები თქვენს წა წირვაში დავედრებული უღირსი მონა მღ. **მამა ანტონი** ა.. .ი, **იგივე ათგულაძე.**

ი.მ.ი. 10 ს აპრილს 1897 წ.

ს. არალს.

სულიერო ძმაო და შვილო!

ბენედიკტე იულონიჩ!

გულითადი პატივით მოგილოცამ მოსასვლელს საუფლო დღესასწაულს, ჩვენი მაცხოვრის ბრწყინვალე აღდგომას მკვდრეთით, და მის მადლით ვისურვებ შენთვის ულევ სულიერ და ხორციელ ბედნიერებას მრავალ წელს:

შენი გამოგზავნილი ორივე წერილები მივიღე, რომელთათვის დიდათ გმადლობ, ახლა კი მე დავალიანდი შენთან ბოდიშის მოხდას, პასუხების ასრე დაგვიანებისათვის, მაგრამ შენ ჯერ, როგორც ახალგაზრდა, შენი ნერვები მართლი იქმნება და სურგრძელობაც მეტი გექმნება, იმედია არ გაგვიწყრებით. დანარჩენი საუბარიც, ღვთის მადლით, ოდეს ერთმანერთს ვნახამთ მაშინ შევასრულოთ,

მე სამსახურს თავი დავანებევი, მაგრამ ჩემი სიმართლე კვალად ისრე მაწუხებს, როგორც ადრე ამ ზაფხულს; თუ ვიცოცხლე, განზრახვა მაქვს სადმე სამკურნალო წყლებზედ წასვლა. ჯერ კი აქ არალში ვსცხოვრობ, თქვენებისგანაც ხომ წერილი და მათი კარგათ მყოფნელობის ამბავი არ დაგაკლდებათ, ისინი ყველანი ძალიან კარგათ არიან, მხოლოდ შენი ბედნიერების ამბისა და ნახვის ნატრულნი გელოდებიანო. მალე რაღა.

სიმდაბლით მომიკითხე დონ იოანე. შენი ერთგული და კეთილის მსურველი მღ. **ტერ ანტონა**

ალიოზ ჩილინგაროვის (ვარდიძის) წერილები

მამა ბენედიქტეს

ი.მ.ი.

თქვენო ღირსებავ. უღპატრი **ბენედიქტე . . .. ჩილინგაროვ.**

მოგიკითხამ სიყვარულით ნათლიი, მახვილს მარჯვენასა თქვენსა ვევედრები უღ-სა თქვენთვის მრავალ-ჟამიერ. კეთილს სიცოცხლესა ჩვეთვის ლოცვა-წირვაში მოხსენებისთვის სანუგეშოთ და სასიქადულოთ მეორედაც მოგილოცამ. მარხვა სინანულისა აღდგომა თავის ქრისტეს მადლით შეგასწრასთ, მრავალ ჟამს აღდგომასა იესოსი. დაგიფაროს ყოველი ჭირისა სენთა სებარატისგან. ვუწყი. პატრი: თქვენი სურვილი რომლის ჩვენს ყოფა-ქცევას იწამთ. ამ ჟამათ თქვენი ლოცვით კარგათ გახლავართ. დედ-მამაც შვიდობითა არიან, არარა შეწუხება არა აქვსთ, თქვენს ნახვას მოელიან.

მოელიან კვალათ, მაინც თუ მალე არ მოხვედი, წიგნი მალმალე გამოგვიზანე ხოლმე. და სხვაფერი ჩვენი ფიქრი და დედმამას ფიქრი ნუ გექმნება; ჯერათღა, თქვენი წირვა-ლოცვით მადედან, კარგათ კი არიან. ბეგი კი გვაწუხებს შტრაფებზე, რატომ მთავარ მართებელს არზაი მიეცითო. იმაზე მოუთმენლათ არის, მაგრამ ვერას იზამს რა. ღმერთი პატრონია; მოვიდა წიგნი **გოლიცინისა**, რომელი ახლა გამოძიებაში არს საქმე პასერედნიკთან. ნადელით ვსთხოვთ, იმედს გვაძლევს, რომელიც ახლა კანონია. უნდა მაგეცესო; ვნახოთ, ღმერთმა იფიქროსო ძველი რაშენიების კოპიები არხივიდან ნაჩალიკისა გამეიტანეო, ვნახოთ როგორ იწარმოებს საქმე. თქვენს ლოცვა-წირვაშიდაც შეგვავედრეთ, რომ მან გვიწარმოვოს საქმე. კეთილათ ბრძანდებო-დეთ. შვიდობით, სიყვარულით და ხელის ჰამბორით მოგიკითხებენ მამაი, დედაი, და რძალი, ყმაწვილები. თქვენს ლოცვაწირვაში მავედრებელი **გიორგი ივანიჩ ჩილინგაროვი**. 26-ს მარტის, 1898 ს.

მინაწერი პირველ წერილზე:

სიყვარულობით მოგვიკითხე; ქრისტინესაც უთხარი, საცალვო წიგნი ვერ დაუწერეთ, ნუ დაგვემდურება.

დედა-მამაც სიყვარულობით გიკითხებენ.

ი.მ.ჯ. ქებული იყოს იესოს სახელი.

ღირსო მამაო უღ.პატრი ბენედიქტე

ივანე ჩილინგაროვი

პირველათ ვეამბორები ნათლით მახვილ მარჯვენასა თქვენსა და ვითხოვ უფლისაგან თქვენ მიერ მრავალჟამიერ ბედნიერს სიცოცხლესა. ჩვენდა სასიხარულო და სანუგეშო მცირედ. მოგილოცამ ქრისტესაგან მარხვათ ორმოცს მრავალს წელს სიხარულით გაგატარებინოსთ და აღდგომა სიხარულით შეგასწრათ. აღდგომა მოგივლინოსთ სულიერი ღვაწლითა საუკუნო დიდებას. შინაც ვუწყი. მამავო, გულკეთილობა თქვენი იწამოთ, რომელ ამ ჟამათ უხვი მოწყალებითა და თქვენი ლოცვითა კარგათ გახლივართ საერთოთ ყოველნი. ვინც ნათესავნი

არიან და თუ სხვა ამ სოფლის; მერმედ ძალიან ჯერეთღა შეწუხებაში ვართ დავის საწრავის გამო. საქონელი და მისეული ახწერა ბეგმა, მაგრამ იმედი და ღთისათა ვერას რა წაიღებს. თქვენ ნურასა რას იფიქრებთ. ყველას წირვაში მოგვიხსენიეთ და შეგვავედრეთ, რათა დაგვიცვას. ჩვენ ჯერ სულიერათ ღთის მადლში და სინანულში ერთმანერთის სიყვარული მოგვცეს. საზოგადოთ, მცირეთაც ხორციელათაც დაგვიცვას. ამავე პირდაპირ მტერობისაგან და მადლი მისცეს მასაც და დაამორჩილოს ყოველი ნაირი გრძნობითი. როგორც ღმერთმან დაამორჩილა ამ მარხვით სინანულით. გინა წინასწარმეტყუელისაგან ნინვე ქალაქი ყოველი უბედურობისაგან გარდაარჩინა, ჩვენც ღმერთმან გარდაგვარჩინოს. იმედიცა გვაქვს, რომ გარდავრჩეთ; ეხლა კი საქმე კარგათ არის. ბძანდებოდეთ შვილებით სტ . .პეტ . . .

მინაწერი მეორე წერილზე:

პატრი, გთხოვ უმორჩილესათ, როგორც მე და თქვენ ძმანი ჩემს მიერ, შეინახოთ და დაზოგოთ. როგორც თქვენი ჩემთვის საამური იქმნება.

სეპტემბრის 28-ს, 1904 -ს, სოფ.არალს.

ყოვლად საყვარელო და დაუვიწყარო ბიძაჩემო, ბატონო პატრი ბენედიქტე,

მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი აგერ მეორე დღეა, რომელმაც ძალიან გაგვახარა, რომ არ ვყოფილვართ თქვენგან დავიწყებული და თქვენს წერილთან ერთად მივიღეთ სიმონას წერილიც. სიმონას წერილს რომ თქვენი წერილი არ მოჰყოლოდა, ცუდ მდგომერეობაში ჩავვარდებოდით, მაგრამ თქვენმა წერილმა მის წერილს მალამო დაადო. აგერ რამდენიმე დღეა, ჩვენც გამოვგზავნეთ წერილი თქვენთან პეტრეს ადრესით, მაგრამ არ ვიცით, მიიღებთ თუ არა. თქვენი ადრესი კი გვქონდა და სიმონას ადრესიც იყო დაწერილი. სხვას მისცეს რაღაც და მასთან თქვენი ადრესიც დაიკარგა. ახლა არეულია სწორეთ თქვენი ადრესი და ახლა ვნახოთ, ამას წაიკითხებთ თუ ესეც დაიკარგება. ფრანციულად იყო რაღაც წარწერილი: პოსტ რუსტანდ - სიტყვა მახსოვს, მაგრამ ასოები ფიქრში აღარ მაქვს.

ძვირფასო ბატონოჯან, შევიტყვეთ რომ გნებავსთ ჩვენი და ჩვენი ქვეყნის ამბავების გაგება. მოგახსენოთ, რის გაგებაც საინტერესონი არიან, თუ ხელმწიფეთა, თუ სამღვდელოთა, თუ საზოგადოთა ამბები. როგორც მოგეხსნებათ, ჩხუბის ველი კი შორს არის ჩვენგან, მაგრამ იმნაირი, ვითომ მტკიცე ამბები მოდის, რომ გეგონებათ თვითონ ყოფილა აქ და თვალით უნახიათ, რომ: „დღეს აქ არის ომი, ხვალ იქ, გუშინ ამდენი მეომარი მომკვდარა“ და სხვა. მაგრამ არ ვიცით, როგორ უნდა იქმნას. ჩვენი სიმონაი ყოველთვის გულშეწუხებულ წერილებს იწერებოდა და მომეტებულად ახლა ცოტაც დაუმატა. ამ ხანებშიდ თავისი დოქტური **ვარ-შავაში** მიდიოდა და თვითონაც მისდევდა, მაგრამ ახლა აღარ მიდის. ისევ **კიშნევ** ქალაქშიდ არიან. იმავ დოქტურთან არის თვითონაც. ჩვენ ისე გვგონია, რომ სიმონაი როდესაც როტაშიდ არ არის, ღვთით არ წავა ომშიდ. სწორეთ კი თვითონ არაფერს იწერება რუსეთიდგან. რუსებს, რომელიც ნამსახურევი და 40 წელ ქვეით არიან, ყოლანი წაუყვანიათ ომში და აქაც გამოუცხადეს, მაგრამ ჯერ კიდევ არ წაუყვანიათ. **რინით ანდრიას** შვილმა, რომელიც **კამენეც პოდოლსკში** მსახურობს, წელს შეასრულა სამსახური, მაგრამ არ გამოუშვიათ. ჰგავს, სინამ ომი არ დასრულდება, არ ანთავისუფლებენ. თქვენი და სიმონას წერილებს რომ ვკითხულობდით, მათით ლუკამ ტელეგრამის ფურცელი შემოიტანა **ადესიდგან,** რომ აგერ ომში მივდივარ და ფული საჩქაროთ გამომიგზავნეთო. ეგრეთვე მოვიდა ტელეგრამები მისი ნათლულისა და ერთი უდელისაც. ისინიც უნდა წასულიყვნენ ომშიდ. კიდევ არიან სალდათად **ყარაღაი ატას ბიჭი.** ჩვენ სიმონასთან ამაიღო კენჭი და იმავ ქალაქშიდ არის, **კაჭკაჭაანთ იონას შვილი ქუთაისშიდ** დენშიკად არის ოფიცერთან და **ატუათ გიქის ბიჭიც** **დუბნაშიდ**. მათგან კი, სამწუხაროდ, არაფერი ამბები არ გვესმის.

რაც შეეხება ჩვენს მღვდლებს, არა უჭირსთ. ადგილებზედ შეუცვლელად არიან. მღვდელი **რ.ჩილაშვილი** უდეს ბრძანდება, მღვდელი **გაბ.გოზალოვი** წმ ჯვრის (ზემო ...) ეკლესიაშიდ, რომელიც ამ ცოტა ხანშიდამ ეკლესიამ და მღვდელმა ქვეყანა გააკვირვა და ღვთის სიყვარულზედ ააღელვა. შუაზედ ეკლესიისა, როგორც მოგეხსენებათ, დიდი გუმბათი ადგია და იმ გუმბათის **გარშემო, უხილავათ და, მრავალნიც ხედავენ, რაღაც ნათელსა ღვთის მშობლის ხატისა და ძეგლის სახით.** მღვდლები, გარდა ტერ გაბრიელისა, აწერებენ, თუ გუმბათი რომ

შეღებილია, მისგან არის წარმოდგენილი მზის და მთვარის ძალითო. მაგრამ ამით საზოგადოება არ რწმუნდება და არიან მრავალნიც, რომ ვითომ უნახიათ გუმბათი განათებული დღე თუ ღამე, ღრუბლის დროსაც და მღვდლების წინააღმდეგობა, მომეტებულად **ტერ მერაბიშვილისა,** ბოროტებად და შურად მიაჩნიათ და თვითონ საზოგადოება დღე თუ ღამე მხურვალედ ლოცულობენ ეკლესიაშიდ და ხშირად სანთელ კელაპტარს სწირავენ. მომეტებულად გავლილ კვირეებში სოფლებში დედაკაცებიც ძნელად რჩებოდნენ და ეშურებოდნენ ახალ ქმნილ სასწაულიან ადგილთა.

პ.ლაზარე თავის ეკლესიას მსახურობს. **გვარამაძე და ტერ ანტონი აბასტუმანში**დ იყვნენ. გვარამაძის შემწედ არის მრ. **ს.მერაბიშვილი**. პლანშიდ, ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაშიდ არის ისევ **ტერ პეტრის ყაზაზოვი** და ახალი მღ.-იც ჰყავს შემწედ, **ლიმანაში** ნაკითხი, თვითონაც ალასტნელი არის, სომეხ კათოლიკეა. ჩვენი მამა **ტერ თომაც ივლიტაშიდ** გახლავთ. მის თავზედ გამომძიებელ დონ **მიხელ ანერხოვმა** ვითომ ბევრი კაკალი ანტვრია, მაგრამ ისე ეტყობა, ძალიან მაგარი თავი ჰქონდა, ვერაფერი დაჰმართა. მის მაგიერ დანიშნული ჩლენად პრავლენიისა, მამა **დიონესიოს კალატოზოვი** ძალიან ერჩის მას და მის ნამეტობასაც. **წყალთბილას** არიან ისევ ძველი **ტერ პოღოსები.** ნიოხრებელ **ტერ სარქისას** აკრძალული აქვს ხმიანი წირვა და ერიც ჩამიეცალა. მიზეზი რომ თავის ერში ერთთან ჩხუბი მოუხდა და ბანიდგან უნდა გადმოეგდო კაცი, დაანტვრია და ცოცხალ-კვდარი განუტევა. ჩემთან კურთხეულნი ტერ **პოღოს თათენაშვილი ვალეს** არის განწესებული **ტერ სტეფან ზაქაროვის** ადგილას. მღ. **კალისტო შეშაბერიძე** ..... და ბნელს ანათლებს დს **ხიზაბავრას ტერ მიხელს** აწვალებს. სამი სომხის მოენენიც ჯავახეთში არიან. **ტერ თომასის** მომხრე დიაკვნებიც, ხომ მოგეხსენაბათ, სამნი მღვდლები გახდნენ. ერთი ჩვენი სოფლელი **სტანისლავ კაჭკაჭოვი, ნიო ზრებელი** და ერთიც **ნატალ თბილელი** თავიანთ სოფლებშიდ არიან და მეორე ოთხი კი, ისევ დიაკვნები, დაბნეულად დაიარებიან მთა და ბარზედ. ჩვენშიდ იმათ ძალიან ბრალი მოუვიდათ, თავიანთ შეცდომით და ტერ თომასის შემწეობით. კაი ხანია ორი მღვდელი გარდაეცვალათ ტერ მოვსეს ..... და **ტერ მანუკ ტურცხელი. ტერ მიქელ სხვილისელიც** და აქაური მღვდელიც **ტერ აკობ საჰაროვიც** თავიანთ სოფლებში არის და დღეს ჩვენი დეკანიც ღვდელი გახდა. ჩვენმა **ტირასპოლის ეპისკოპოსმა ედუარდმა** მას კაი თვალით შეხედა. თვითონ ეპისკოპოზიც, მოგეხსენებათ, **ვილნის გუბერნიაშიდ** გადაადგილდა და მის მაგიერად არის მისივე შემწე **უს კრუბინსკი.** წირვაშიდ კი ისევ იხსენება **ედუარდი** და ახლა უნდა ეკურთხოს მგონი **ეპისკოპოსი კესლერი.** შეიძლება გენახოთ თქვენ და იცოდეთ კიდევაც თქვენ უფრო კარგათ.

დავის საქმე, საყვარელო ბატონო, არ დაბოლოვდა ძალიან საქებრად: როგორც მოგეხსენებათ, შარშან, გაზაფხულზედ 16 მოსახლე უსლოვიით შეურიგდენ ხანუმას. რომელთაც აღარ სურდათ **ლ.ფირალიშვილის** მეცადინობა, მაგრამ **ლევან ფირალოვი პეტერბურგს** წავიდა, ვითომ ბევრი იშრომა და ამაიგო კიდევაც, რომელიც წელს აპრილის 6-ს მოვიდნენ პალატის ჩლენები და ჩაგვაბარეს მამულები: ოთხში ერთი სარწყავებში და ხუთში ერთი ურწყავებში. ამოდენა ხარჯის და სოფლის გატყავების შემდეგ, ისრე მოხდა და დალაგდა, რომ როცა უნდოდათ და ნდომობოდათ, ასრე დაკმაყოფილდებოდა უხარჯოთაც. ვითომ ნადელით უნდა მოეზომოსთ, თუ ისიც იქმნა და თუ ამნაირ გადაწყვეტილება ნადელის კანონობის წინააღმდეგიც არ იყოს. წრეულ სიმინდები კი ბევრი უთესიათ. ჩვენ **ჭალაბუქშიც** სიმინდი

თესია. კარგი სიმინდი არის. ოთხათ უნდა გაიყონ სამ ძმამ და ერთ დამ (ხანუმამ). გამოღმაც კაი მოსავალი იყო. ბაღებს კი ჩვენ სოფელში ძალიან ცოტა ასხია. ჩვენმა ბაღმა, ეს მესამედ, ჩვენ აგვაშენა, მაგრამ **ტურაშვილი სანდრეი** კი დააქცია. წრეულ 50 თუმნათ ქონდა ნაყიდი სამივე ძმისა, იმ ფულის სარგებელ აიღებსო და ჯერჯერობით კი ეტყობა თელ ბაღჩას ახმობს. გავლილათ ამოვიდა, ეხვეწა ჩვენებს, ვიზარალე, მეორეზეც მომეცით, ჩემი იყოსო, მაგრამ თელათაო და მართლაც, ვითომ სიკეთე უქმნეს, სათხოვარი აუსრულეს და თითო შვიდ-შვიდ თუმნათ მისცეს. გნახოთ ის შვიდი თუმანიც თუ არ მიადო ორმოცდაათ თუმანსო.

ჩვენი სოფლის მცხოვრებნი არ არიან მოსაწონარ ურთიერთობაში. აქვან უკმაყოფილობა. **მომეტებულად შური გავრცელებულია, ურთიერთის ბევრს სიცოცხლეცა შურან.** ამისთვისცა მეტი ნაწილი უკანასკნელ მდგომარეობაშიდ არიან რჩენის მხრით. ცხოვრების პირველი ადგილი უჭირავთ ამ ჩვენი მეზობლების სიძე **ვანოს** და თვითონ **ნიკოლოზას** და მეორეთ, მადლობა ღმერთს, შენს ძმებს. საქებური ცხოვრება გვაქვს და აქ ვლენან მიხედვით სოფლისა. **სანდრე ძიასი** ბევრი ზედ არ ვიცით, მაგრამ **გიგო ძიაი** ზოგს პურს ასესხემს და ზოგსაც ცოტ-ცოტა ფულსა. სამივენი მოსაწონარი სიმრთელით არიან. მამაი ცოტა მობერდა, როგორც თქვენ ბრძანებდით თქვენ წერილში, მაგრამ საქმეს კიდვ ერთგულათ ექცევა. ვნახოთ, ამ სიმონას ამბებმა თუ არ დაადარდიანეს.

ახლა გიამბო ჩემი ამბავი, საყვარელო ბატონოჯან. ჩვენ ვეკურთხეთ თუ არა, აქ დანიშნული ვიყავი, მაგრამ ჩვენმა სოფლელმა **ტერ სიმონს** ჩაანდო და არ უნდა მიეცა საკუთარი მღვდელი, ვიდრე არ გადუუხდიდნენ ხუთ თუმან შტრაფს იმავე **მერაბიშვილს**. ჩემ მოსვლამდი **ტერ სიმონი** გადმოდიოდა და მე რო მოვედი, მე კი ვასრულებდი სამსახურს და სახელი მისი იყო ქრისტეშობის 24-მდის და მაშინ კი როგორმე გარდაიხადეს 5 თუმანი და ახლა მე ვარ აქ. ვნახოთ, თუ სადნობამდი. აქმნობამდი ეკლესიის სახლებშიდ ვიყავი, დღისით ამოვიდოდი, პურსა ვსჭამდი და ისევ ჩავიდოდი. ახლა კი ცოტა აცივდა და თქვენ ნადგომ პატარა ოთახში ვდგავარ. დაუვიწყარო ბატონოჯან, წინა წერილშიდამც მოგწერეთ, აქაური **თომა ტარტაროვი** თავის სახლობით **გორში** გადასახლდა და იგინი გვაცნობებენ, რომ თქვენ მობრძანდებით გორში და ამ თქვენ წერილში კი არაფერი ამბავი იყო. ძალიან გვიხაროდა, მაგრამ ახლა კი დავღონდით.

ესრედ საყვარელო ჩემო ბატონო, ჩვენ უღირსთა უღირსელი ცხოვრების ამბავი ამ წუთი-სოფლისა. რაღა თავი შეგაწყინოთ. მარად თქვენი ერთგული უღირსი ძმისწული და მონა მღვდელი **ჩილინგაროვი**.

29 დეკემბერს, 1902 წელსა

ღირსო მამო, ბატონო ჩემო!

პირველათ ხელის ჰამბორებით და დიდი სიყვარულით მრავალ სიყვარულიან მოკითხვას მოგახსენამთ და ყოვლად შემძლე ღმერთსა ვსთხოვ თქვენს ვრცელ სიცოცხლესა. ჩვენც მოგახ-სენამთ, თქვენის წმინდა წირვა-ლოცვის შემწეობით, მშვიდობით და კარგათ გახლავართ ამ წერილის დროსა. საყვარელო ბატონო, მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილი მარიამობის თვეშიდ და მიგვიტევეთ, რომ ჩვენ ამდენი ხანი დავაგვიანეთ და ვერ გაგაგებინეთ ჩვენი უღირსი მდგომარეობა. ჩვენი სოფლის ამბავი, მგონი, თქვენთანაც მალე სწვდება, რომ ბევრნი არიან აქაურნი მანდ და წერილი ხშირათ მოდის მანდის. ამისთვის, მეტათ ვსთვლით ხოლმე ახალ ამბების მოწერას, რომ შეიძლება დახელმეორებით თავი გატკინოთ. მაინც უნდა ვსთქვათ და მომიტევეთ. პირველი, რომ არ არის ცოტა ხანი, რაც მოაკლდნენ რამდენიმე პირნი ჩვენს სოფელსა: **გიქრით ატაი, აფრიამათ ლუკაი,** (ჩვენი სოფლის უმფროსი კაცი), **სინით პაპას დედა**.

2) სალდათათ წავიდნენ: **კაჭკაჭაანთ იონას ბიჭი, აფრიამაი ატას შვილი,** მგონი, **აკულათ გიგას შვილიცა**.

3) მგონი გაღმაობა უნდა ჩაიბარონ. კარგა ცდილობს ლ.ფ.

მეოთხე ამბავი კი ძალიან ბევრია და თავი არ შეგწყინდესთ. მგონია, სწორეთ შენთან თქმითა, ამ ამბავების გულიდგან ამეხდება ფარდა და შველა მომეცემა.

აი, ეს არის ჩვენი მღვდლების მოქმედებული კეთილნი სამღვდელოებზედ და მოძღვრული მაგალითი ერზედ. გავლილ წელს, მგონი შევცდით, რომ ყველამ ერთ პირათ უთხარით ქაღალდით მ.ლ.-ს, რომ შენ არ შეგიძლია ჩვენი სწავლა და ჩვენ ვეღარ ვისწავლით თქვენთან. ამაზედ ეპისკოპოზი გასწყრა და ყველა გაგვრიცხა, თუ მ.ლ. რათ არ ინდომეთო. ეს ხომ ისევ ჩვენივ თხოვნით გვაპატივა და აპრილშიდ კვალად ნება მოგვცა მ.ლ-სთან სწავლის გავრცელე-ბისა. საუბედუროთ ჩვენდა, **არ მოსწყდა ეშმაკს ფეხი** და მომეტებულად დაიწყეს მღვდლებმა ერთმანეთში უთანხმოება. **მ.ლაზარე** ერთ სამოზე გვწევდა, **ტერ თომასი** - ერთ სამოზე. ტერ თომასი მოვიდოდა სასწავლებელში, ერთ ჩვენგანს უმფროსად დააყენებდა, რომ მას ეუფლა, მემრე მ.ლაზარე მოვიდოდა და სხვას დააყენებდა. შემდეგშიდ ჩვენი მაღალი ღირსებისა, ტერ თომა ძალიან გაწყრა, **აბუქდა** და მოიტანა ქაღალდი, რომ იყო მოთავსებული და ჩვენ ვართ მორჩილი და ნების შემასრულებელი და სულიერი მართულში და სთქვა, ვისაც გინდათ ხელი მოაწერეთ, იქნებით მორჩილნი მართულობისა, რომ მართულობაც თქვენ მღვდლად გაგხდისო და ვინც არა და ეხლავე დაიკარგეთ აქედგან, თვარა პრისტავით გაგრეკავთო (უწინაც იცოდა, რომ ზოგნი პ.ლაზარეს მხარს იყვნენ). ახლა გაჩნდა **ღურღულა ჩხუბი.** ნეტაი იმას, ვინც ამნაირ ბედნიერებას მოსწყდა! რას იქმოდენ, ვითომ სამღვდელოები. ამნაირ მღვდლების ხელში. ქალაქი ჩვენზედ ფიქრობდა და თავიანთი საქმე ავიწყდებოდათ. ჩვენი დანგრეული რაბათის ვითომ პაჩოტნი ხალხნი შეიკრიბნენ, რომ ტერ თომასი და პ.ლაზარე შეერიგებინათ, მაგრამ სად შერიგდებიან, ცეცხლი წყალს შეურიგდება? მაშ აღარ იყო საჭირო, რომ დაგვიანებულიყო ტერ თომასის დაწყებული საქმე და წამოაყენეს ქაღალდი, თუ ხელი მოაწერესთ, ვისაც გსურთო. დაიწყეს მოწერა პირველიდგან და შვიდმა მოაწერა, მეორეები უკან დადგნენ. ყველა სომხებმა ტერ თომასი ირჩიეს უპრავლენიით. მარტო ჩვენი ტანისლეიცკი არ შეირყა ტერ თომასისაგან (ქართველებიდამ).

ცხადია, ამნაირ ბოროტებიდან კეთილი არ დაიბადება. მეც უთხარი, არ მოვაწერ, როგორც იქმნება, იქმნას. ეს ხომ ხორცით დაგვღუპავდა, სულიც ზედ უნდა მიგვეყოლებინა. ეს ჩვენი კითხვა, კითხვა კი არ იყო, ცეცხლი იყო. 45 წლამდი კაცი იყო ჩვენამდი. იმას რაღა ლოღიკა და ფიზიკა ესწავლება, სწავლასაც თუ მასწავლებელი მიმდეგი არა ჰყავს. ჩამოვალთ, ვითომ შევიკრიბებით, სახლს დავიქირავამთ წლით. ორ თვეს ვიქმნებით, ისევ გაგვდევნებენ რომელიმე არეულობით. ახლა აგერ, რაც გავიყავით, ჩვენ ჩამოვედით, რომ სწავლა უნდა გავავრცელოთ, დავიქირავოთ სხვა ჩვენთვის საკუთრად სახლი და აგერ ერთი თვეა, რაც ვსწავლობთ ხუთნი. ეწყინა ტერ თომასა და დაუშალა სწავლა მ.ლ-ს თქმითა: „ეგენი უღირსნი არიან მღვდლობის წოდების და არ ასწავლოთო“. ამანაც არ კი დაიშალა მისით. მაინც, მგონი, ჩვენი საქმე წინ არ წავა. თელი ღვდლები მტრად გადაგვიდგნენ. უპრავლენიე არის თქვენი უმფროსიო. ამ საცოდაობაში ვართ. აგერ **უდელი სერაი,** რომელიც დიდი ხანია ჩვენგან გავიდა, **გვარამაძემ** მიაღებინა ახალ ეპისკოპოზს ლაზარეს მიხმარებით და წასულა დასაკურთხათ.

მონატრული ლოცვა-კურთხევისა, უღირსი ძმის შვილი თქვენი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

ი.მ.ი.

ივნისის 30-სა, 1905 წელსა

ს.არალს.

ფრიად საყვარელო და ღირსო მამაო, პატრი ბიძაჯან,

პირველათ დიდის სიყვარულით მოკითხვას მოგახსენამთ და მოწყალე ღმერთსა ვსთხოვთ თქვენს უვნო სიცოცხლესა, სასიხარულოდ ჩვენდა.

აგერ ორი დღეა თქვენი წერილები მივიღეთ და სანდრე ძიას გარდავეცი თავისი წერილი. გიგო ძიასაც **ვუწილადე მოკითხვა** თქვენი.

საყვარელო ბატონო, თუ ჩვენ უღირსთა ცხოვრებას და ჩვენებურ ამბებს იკითხამთ: მადლობა ღმერთს, ყოველნი ირგვლივ თქვენი ნათესავები მშვიდობით გახლავართ.

ჩვენკენ მოსავალი წრეულ ძალიან ნაქებია, თუ ღმერთმა დაიფარა სეტყვისაგან, რომელ-ნიც მეორე კვირაში თიბვას დაიწყებენ. წვიმა უხვი და გემრიელი ქარ-ნიავი საამებელი უკლებლივ, ჩვენ ბაღებს კი ნაკლებად აქვს.

როგორც გავლილ წერილშიდ მოგახსენეთ, მშვიდობა კი მოკლებულია ხალხშიდ, დროე-ბის მიზეზით. ურიგო თათრებმა თავიანთი გვარის გაწყვეტით, ერთი ჩვენიც გაატანეს. თუ იცნობდით, წყურთ მალლაშიდ იდგა დიაკვანი **იაკობა**. მან ქალი მიათხოვა პილ-ულმტის მედუქნეს და ესტუმრა სიმამრი სიძეს პილ-ულმტის დუქანში და სიმამრი დასტოვა დუქანში და თვითონ წავიდა ახალციხეს. იმავე ღამეს მიეჭრენ ბერნანელი თათრები და დაუწყეს კარს ცოდვილება. თქმითა, გაგვიღე კარი, რომ პური ვიყიდოთო. როცა არ გაუღო თავისი ნებით კარი, დაუწყეს კარს ტეხა. ამ დროს შიგ მწოლი ორი სტუმარი გადახტენ აკუშკიდან და იქვე წყალში ჩავარდებიან და გადარჩებიან. მაგრამ ეს იაკობა კი კანკალით აწვება კარებს, რომ არ გატეხონ და ამ დროს ესვრიან კარს თოფს. ტყვია გახვრეტს კარს და ამ საწყალ კაცსაც მოხვდება მარცხენა ძუძუზედ და იქვე წაიქცევა. მაშინ კი თავისუფლად გასტეხენ კარს და შევლენ, საქმნელს იქმნიან. გათენებისას კაცი გამოვიდა და გახედა, საბრალო სისხლში შეთხვრილი იყო, თეთრი საცვალი წითლად შეღებოდა. წინითგან პატარა იარა და ღია, რომ გასულიყო, გაეტანა პირდაპრი ბეჭებში, ძვალ-ძვალი. საკურველი კი ის იყო, რომ თავისუფლად ლაპარაკობდა. ახალციხეშიდ ჩაიყვანეს და იქ მოკვდა.

როგორც თქვენც გეცოდინებათ, გვესმის, რომ რუსის მთავრობას გაუჭირვა ამა ბუნტებმა, აღარ ემორჩილება თავისი ქვეშევრდომი. **ისე სწყვეტენ და სწყდებიან, რომ ქვეყნის აღსასრულს წარმოგვიდგენს. ისე შიში ქნეს, რომ აქნობამდი თაზედ ვერ წასულიყვნენ**.

ესრეა, საყვარელო ბატონოჯან, ჩვენი ქვეყნის არეულ-დარეული ამბები. მღვდლების კრება კი დაყუდებულად ჰგიებს, ყველანი თავიანთ ადგილებზედ. ორი დღეა, რომ **გვარამაძე** და **ტერ ანტონი აბასტუმანს** ავიდნენ. **ტერ სეროვმაც ივლიტა** დაიმმუნა, **ტერ კონსტანტინემ** - ქუმ ეკლესიისა, შემწედ გვარამაძესი. **ტერ აკოფი** ისევ თავის სოფ. დეკანი გახლავთ. **მამა თომა** და მღ. **სტ.კაჭკაჭოვი** ჩვენ სოფელში. უდელი **ტერ სიმონიც** კარგა ხანია ეკლესიის გასაკეთებლად ფულის საშოვნელად უნდა წავიდეს და ვერ გატეულა. ძალიან შიშობს, არსად ჩამხრიტონო. **მამა დიონესი** ისევ ჩლენათ არის პრავლენიისა. ახალციხეში ცხოვრობს. როგორც თქვენ იწერებით, სიმართლე გაქვსო. ძალიან სომხობს, რომლითაც მგონი დაჰკარგა პატივი რომელიმე მღვდლებთან და ეპუისკოპოზებთანაც. რომმა თუმცა თვითვე დაადგინა ჩლენათ, მაგრამ ისე

წავიდა ამ ეპარხიიდგან, რომ ორი წერილის პასუხი სწორეთ არ უღირსებია. ეტყობა, ამ ახალ ეპისკოპოზთანაც იგივე გავლენა აქვს. ჩვენი ტერ თომასი და ტერ თომას ნამეტობის, ე.ი. მუმში ნაკურთხების ერთი გული კი არის. მაგრამ მის ერთგულიანობამ არავითარი სარგებელი არ მოუტანა, ზარალის მეტი. გავლილად ახალციხეში გახლდით და **პ.დომინიკე** ვნახე. აბასტუმანში მიდიოდა და თქვენ გიკითხათ და მოკითხვაც გიბოძათ. ჩვენი **ტერ ლაზარე** შახიანათ არის პატრებინად ეკლესიის მღვდელათა. ჩვენ მღვდლებში, აქაურობაში, იმას აგლესია რაღაც მადლი, თუარა მეორენი - უღირელნი.

ახირებული თქვენი გამოწრთნილი (თქვენი მონასტრის) **მღ. გაბრიელი** ზემო ეკლესიის მღვდელია. ჩემსავით არაფერი გამოსდის ხელიდგან, თვარა უარესს იზამს. იგიც მათი ერთი სულია. **პ.ლევანიც**, ეტყობა, საბოლოოდ დაბინავდა გორში. რაღა თავი შეგაწყინო. დიდის სიყვარულით და ხელის ჰამბორებით მოკითხვას გითვლიან გიგო ძია, მამაი, დედაი, რძლები და ყველა თქვენი ნაცნობნი. უდელი მამიდაი თავის ქმარ-შვილით კარგათ არის და გვიან-გვიან ვნახულობთ ხოლმე ერთმანეთს. მარად თქვენი ერთგული დაუვიწყარი ძმისწული თქვენი

მღვდელი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

წელსა 1898 ქრისტეს შობის 10-სა

თქვენო მაღალო ღირსებავ,
უფალო პატრი ბენედიკტე!

აჰა, ესე რა შვილობრივი სიყვარულით მოგმართამ შენდამი და დამდაბლებული სახითა ვეამბორები თქვენს ცხებულ წა მარჯვენასა და მომსურნე ვარ თქვენი წ-ა ლოცვა კურთხევისა, რათა შეგვიწყნარო ჩვენ ვითარცა უძღები შვილი და დაღვარო ჩვენზედ თქვენი უხვი ლოცვა-კურთხევა, მოგვიხსენიო დაუვიწყებლად თქვენ წა და უკვდავ წირვასა შინა მისაღებელად ღთიული მადლისა.

მასთანვე, ვსთხოვ უფალსა, მოგცეს ვრცელი სიცოცხლე სანუგეშოდ ჩვენდა, სასიქადულოთ მორწმუნე ქრისტიანეთა და შესაძლოთ აღსრულებისათვის თქვენი წა მსახურებისა.

უკეთუ ჩვენ უღირსთა მდგომარეობას იკითხამ, ვმადლობთ შემოქმედსა, შვიდობით გახლავართ. არა ვითარი შეწუხება არა გვაქვს. მხოლოდ ჩვენი შეწუხება არის თქვენი შორს ყოფნა, რომელიც დიდათ მონატრული ვარ თქვენი ხილვისა. ვნახოთ, როდის უნდა გვაღირსოს უფალმა ხილვა ურთიერთისა.

აგერ, ჩვენ მარიამს, აღუსრულა უფალმა გულითადი სათხოვარი, ჩვენი ბატონის მაშუალობითა. მხოლოდ დიდი შეწუხება კი გამოვიარეთ. უმეტესად უფალი **ტერ მიქელის** ოჯახობამ, რომელიც იყო ხმა გამოსული იმ ხანებშიდ დაღუპულ ნავისაგან, რომ მომხდარიყო ბათუმშიდ. ვიდრე მივიღეთ წერილი ქრისტე შობის 7-სა და იქმნა ჩვენზედ დიდ შვებად და სიხარულად. ვალდებული ვარ, რომ შეგატყობინო ჩვენი სახლის ამბავი, მაგრამ საჭირო არ გახდება ჩემი უღირელი საგნით თავი შეგაწყინო, როცა ბატონო, თვით მოგითხრობდათ უმეტეს ნაყოფიერად. მოვიკითხამ ხელის ჰამბორებით ყოველთა სულიერ მამათა და საცალ-კევოდ ჩვენ ბატონს. მისი სიკეთე და წყალობა ჩვენზედ არის ურიცხველი, არა თუ მარტო ჩვენზედ, არამედ მთელ მორწმუნეთა ზედა.

დავშთები თქვენგნით ლოცვა კურთხევის მომსურნე,

შენი ძმის შვილი **ალიოზ ვარდიძე.**

ი . მ. ი. თარიღი არ არის

ფრიად საყვარელო და მძვირფასო პატრი ბენედიქტე!

პირველად, დიდის სიყვარულით, მრავალს მოკითხვას მოგახსენამთ და ყოვლად შემძლე ღმერთსა ვსთხოვ თქვენს ვრცელს სიცოცხლესა სასიქადულოდ ჩვენდა და ჩვენც დროებისდა-გვარ შვიდობით გახლვართ თქვენის წ-და წირვა-ლოცვის შემწეობით და კარგათ ყოფნით.

სოფელი ცოტა არეულია ამ მეურნეობის ადგილების გამო, რომ, როგორც მოგეხსენებათ, თექვსმეტი მოსახლე გავიდა და ცხრა წლით უსლოვია მისცეს **ფეიზულა ბეგის** მემკვიდრეს. ამის გამო უკმაყოფილობა არის ჩამოვარდნილი და, იმედი გვაქვს, ასრე რომ აირდაირია ერთ საქმეზედ დაბოლოვდება ამდენი წლის სპორი.

ესრეთ საყვარელო ჩვენო ბატონო, მღვდელობის მხრივ კარგათ ვართ სოფელთან. თქვენი ლოცვა-კურთხევით და ღვთის შემწეობით ჯერჯერობით და მოსასვლელადაც ღმერთმა იფიქ-როს და იზრუნოს.

ჩვენებიც ყოველნი კარგათ არიან. გიგი ძიამ ლოცვას უფრო მოუმატა. მე ასე მგონია, რომ ამისი გულიანი ლოცვით იფარავს ღმერთი მრავალნაირი საცდურებისაგან.

რაღა თავი შეგაწყინო. გწერ თქვენი დაუვიწყარი და ლოცვა-კურთხევის მომნატრე უღირსი მონა თქვენი **მღ.ალიოზ ჩილინგაროვი.**

წ.1898 თებერვლის 2-სა

ს.ხიზაბავრას

თქვენო მაღალო ღირსებავ, ბატონო პ.ბენედიქტე!

პირველად ვეამბორები თქვენ ცხებულ მარჯვენას და ვისურვებთ თქვენ კეთილ ცხოვრებასა, გარდა, ბატონო, თუ ჩვენ ვითარებას იძიებთ, ღვთის წყალობით და თქვენი წმინდა წირვა-ლოცვის შეწევნით შვიდობით გახლავართ. ჯერჯერობით ჩვენ დაწყობილ საქმეს არავითარი მნიშვნელობა არა აქვს. მღვდელი ცოტად ნაკლებულობას აჩენს, როგორც თქვენ მოგეხსენებათ, აქ ბრძანებისას. არა ეგრედ, მაგრამ არც უკლია რა, ბატონოჯან. გარდა მასწავლებელი მღვდლისაგან გაწეული ამბავისა, თვითონ სოფლელები ძალიან შესანიშნავი ხალხნი არიან. რომელიც არათუ ამ ოთხ თვეს გაწეული, გინა გადამხდარი საქმეების აღწერვა შემეძლოს, არამედ ერთი კვირის არ შეიძლება. ერთი სიტყვით, მთიული ხალხი სწორედ ესენი არიან.

ამ ცოტა ხანში, ერთი წლით დავიქირავეთ სახლი აგერ იანვრის 28-სა. დავსტოვეთ, მივატოვეთ წლის ქირაც, მაგრამ, რა საკურველია, კიდევ ერთი მიზეზიც ამათი ეს არის, რომ როდესაც მოვალთ წირვადგან, უნდა დავიწყოთ სწავლა. უყურებთ, რომ დაკეტილ კარებს უყურებენ, შემოვლენ და დაიწყობენ უკუღმა კითხვით ლაპარაკსა, რომ ფიქრშიდ განუსაზღვრელი არს. ასთე, ბატონო ჩემო, გავხდით ექვსი და უფრო მიგვემატა ნაღველი. ვეღარც დაგვინებებია. ამიტომ **ტერ მიხელი** ძალიან იმედნეულია. იმედს გვაძლევს, არ დარჩებითო, უნაყოფოთ არ დაგეკარგვისთო. **მომეტებული სიმძვირეა ამ სოფელშიდ,** რომ ამ ცივ ზამთარშიდ რვა აბაზათ პატარა საპალნე შეშას ასაღებენ ჩვენზედ, მაგრამ რა გეგვეწყობა, ვხარჯამთ ფულს და თუ ღმერთმა არ დაგვიკარგა ჩვენი ნათხოვარი მასთან, ჩვენი წადილი. ჩვენ სოფელშიც გახლდი იანვრის პირველს. კარგათ არიან პაპაი, მამა-დედაი და მეორებიც. მასთან ხელის ჰამბორებით მოკითხვა მოგახსენეს.

რაღა თავი შეგაწყინო, მომიტევეთ ნაკლებულობა,

მდაბალი ძმისწული **ალიოზ ვარდიძე.**

მოკითხვა სიყვარულით ტუას პეტრეს, მეორე პეტრეს და სხვა ვინც გვიცნობდეს.

ი მ ი ს.**არალს**

წელსა 1899-სა კათათვის 30-სა

თქვენო მაღალო ღირსებავ,
უ-ლო პატრი ბენედიკტე!

პირველად ხელის ჰამბორებით მრავალ სიყვარულიან მოკითხვას მოგახსენამ და ღმერთსა ვსთხოვ თქვენს ვრცელ სიხარულიან სიცოცხლესა სასიხარულოდ ჩვენდა და ყოველ კეთილ მყოფთა ჩვენთა.

გარდ ამისა, ვიცი თქვენი კეთილი გულის ვითარება, რომ ჩვენ ცხოვრებას იკითხამთ. მადლობა უფალსა, ღვთის წყალობით და თქვენი წ-ა და უკვდავ წირვა ლოცვის შემწეობით შვიდობით გახლავართ. არა ვითარი დარდი და შეწუხება არა გვაქვს, ბატონო ჩემო, მხოლოდ თქვენი შორს ბრძანება (გინა შორს ყოფნა) არის ჩვენი დიდი და წარმოუთქმელი შეწუხება. ყოველსა ჟამსა, თუნდა იყოს სიხარულში ყოფნა ჩვენი, მაინც დარდში ვართ და, დაგიფაროსთ ღმერთმან, შეწუხებაშიდ ყოფნა მუდამ ხომ, რა საკურველია, უფრო უმეტესი დარდი და ნაღველია, ბატონოჯან! მივიღე შენი გამოგზავნილი წერილი ივნისის 15-სა, რომელიც დიდად განვიხარე, რომ არ მივიწყებთ ყოველ ნაირ მოხსენებისაგან და მასთანვე, დიდ მადლობას ვსწირამ ღმერთსა, რომ შვიდობით ბრძანდებით და კიდევაც ეგ არის ჩვენი ღმერთთან უმთავ-რესი და პირველი სათხოვარი, რომ მოგცესთ ვრცელი სანატრელი სიცოცხლე, რომელიც ბრძანდებოდე ჩვენდა სასიქადულოთ და ჩვენ მიცვალებულთა და ნამეტნავად ჩვენ ახალ მიცვალებულ მშობელთა სულის მოსახსენებლად, რომელიც მოელიან ჩვენგან შემწეობასა.

დიდათ გული დაგვიჩანგრა სიკვდილმან ჩვენის საყვარელის მშობლებისა, ბატონო, რომ ერთი სიტყვით, როგორც არღარა კეთილი გვქონდეს ამ ქვეყანაზედ და არა რაი ნაყოფს მოელოდეთ. მხოლოდ ამით ვიგრილებთ გულსა, რომ, რა თქმა უნდა, ჩვენც იმ დღისანი და იმ წამისანი ვართ და მარტო მაგათზედ არ იყო ეს შავი და ბნელი სიკვდილი, არამედ ყველამ უნდა გავიაროთ იმ ხიდზედ და შებრალების წილ შეგვიძლია ნეტარულად შევრაცხოთ მათი სანატრელი და სავსე ყოველნაირ ნამყოფობათა (გინა) საიდუმლოებით შემკული სიკუდილი. როგორც მოგეხსენებათ, თუმცა მამამ ჟამსა სიცოცხლისა დიდი სატკივარები გამოიარა თავის სნეულობის გამო, მაგრამ სიხარულად სთვლიდა, რომ ჩვენ გვიყურებდა, რომელიც რაც შეგვეძლო ჩვენი ვალდებულობისაგან უკან არ ვსდგებოდით და ნამეტნავად ხედამდა ღვთის-გან მინიჭებულ ძმურ სიყვარულსა ჩვენი ურთიერთისა, რომელიც აღემატა შემდეგ მშობელთა სიკუდილსა. ღირს არ ვართ მის მონიჭებულ ჩვენზედ ყოველნაირ კეთილისა, რომელიც ვატა-რებთ ამ წუთი სოფლის ძმურის სიყვარულითა, ვიტყვი და სიმართლეც არის, რომ ამ ნაირი სიყვარული რომ ჰგიოს ერთათ მყოფ ძმათა შორის, მის დღეში მათ გაშორებას ვერა მაცთურნი ვერ შეიძლებენ.

რაღა თავი შეგაწყინო, ხელის ჰამბორებით მოკითხვა მოგახსენა შენმა რძალმა და ძმის წულებმა

(მინაწერი მეორე გვერდზე)

მოწყალეო მამაო, უფალო

პატრი ბენედიქტე!

უპირველესად ყოვლისა დამდაბლებულის სახითა ვემთხვევი თქვენს ნათლით მოსვილს მარჯვენასა და მასთანვე, მრავალ მოკითხვას მოგახსენამ და ღმერთსა ვსთხოვ ჩვენის უღირსი პირითა, თქვენს მარად დიდებაშიდ ყოფნასა ჩვენდა სასიხარულოდ. უკეთუ ჩვენ უღირსთა მდგომარეობას იძიებთ, ღვთის წყალობით და თქვენი წმინდა წირვა-ლოცვის შემწეობით, დროებისდაგვარად შვიდობით გახლავართ. ყოველნი კარგათ არიან. მხოლოდ, რასაკვირველია, შეიტყობდით ტერ **ს.ბალახოვის** გარდაცვალებას, რომელიც მოხდა ივლისის 8-სა დიდ ავათმყოფობით და მიღებით მხოლოდ აღსარების საიდუმლოსი. დასაფლავდა 10 მღვდლით ივლისის 10-სა, შაფათ დღესა, მაგრამ როგორც გვესმის დიდის სირთულეში და ვალში დარჩენილან დანაშთენნი. ეხლა, ჯერჯერობით უდელებს მღვდელი არა ჰყავთ და გაგზავნეს წიგნი **სიმონ ჩილაევის** საკურთხელად და სხვა მღვდელნიც უკეთ არ არიან, გარდა ჩვენი ტერ **თომასისა**, რომ ძალიან ყოჩაღათ არის და მუდამ ბუქს ხოლმე. სხვაც დიდი მოწყალების თვალით შეხედა თავის ძმის წულ იოსებას, რომ ქალაქულ ცხოვრებაშიდ შეიყვანა კარგი სახლის აღშენებითა და ახალციხელ ქალის შერთვითა. მასზედ უნდა დაამტკიცოს თავის შეძლება. უღირსი ძმისწული შენი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

ბატონო, იმედნეულად იყავით, რომ მივიღეთ თქვენი გამოგზავნილი წერილი დღეს, მაროამობის 9-სა და ჩვენც დაწერილი გვქონდა ეს წერილები და აღარ შევცვალეთ. მოტევებული ვიყოთ.

ი მ იწ. 1898 სეპტემბრის 29
ქებული იყოს იესოს სახელი!

თქვენო მაღალო ღირსებავ, ბატონო ჩემო.

უპირველესად ყოვლისა, ვეამბორები თქვენს ნაკურთხ მარჯვენასა და ვითხოვ, რომ ვიყოთ მოხსენებული თქვენს უკვდავ და დაუფასებელ წა წირვა-ლოცვაშიდ. უკეთუ ჩვენ უღირსის მდგომარეობას იკითხამთ, მადლობა ღმერთსა, შვიდობით გახლავართ, მაგრამ ამ დიდმა და **გაუტანებელმან შეწუხებამ დაგვაჭკნო და დაგვადნო, როგორც ერბო ცეცხლზედ დგმული.** მხოლოდ რა გაგვეწყობა, ღვთის კურთხეული ნება აღსრულდეს და მიეცესთ თქვენი ვრცელი სიცოცხლე მოსახსენებლად ყოველთა მიცვალებულთა და საკუთარ მამა-დედას სულისა, რომ დაუმკვიდროს სასუფეველი, რომელიც იმედნეულნი ვართ ღვთის ძალით. ბატონო, ჩემი შეტყობინებისამებრ გსმენიათ წერილით გარდაცვალება მამა-დედასი მღვდელთაგან დაწვრილებით და, რა თქმა უნდა, კარგათ შეიტყობდით, მაგრამ დიდი სასიხარულო და სასიამოვნო საგანისავით გიხელმეორებ და ვაღორძინებ თქვენ გულშიდ დარდსა უნუგეშებელსა. თქვენ ხომ შორს ბრძანდებით და ვერ დაესწრებით იმ ბოლო გამოსალმებასა და გარდაცვალებასა ამ ამაო და უღირელ ქვეყანისაგან თქვენი დაუფასებელი მშობლისა. მაგრამ აგერ მე საწყალიც მოვსწყდი და დავრჩი გულნაკრულად. ჩემი ბოლო ნახვა იყო, როდისაც გახლდი ივნისის 14-სა. კვირა დღესა ჩამოიტანა **ტერ აკობთან** საწირავი, რომელიც თავისზედ თუ წირავულა ივლისის 5-სა, რომელიც დღესასწაული არს სომეხთა კანონისა ათთორმეტთა მოციქულთა. იმ დღეს მიცვალებულა, რომ იყო შაფათი დღე და მეორე დღეს შეტყობისას წასულად ვიმგლოვეთ ნამეტურად თქვენ შორის ყოფნისათვის. მასთანვე, მიუსამძიმრებ ქრისტინასა. უფალმან მოთმენა მისცეს, რომ ნამეტური მათი გული შეწუხდება უფროს თქვენისა, რომელიც დიდხანს უნახველი დაშთა. მინდოდა საცალკეოდ წერილის მიწერა, მაგრამ არ ვიცი მისი მდგომარეობა, თუ რა ცხოვრებაზედ არის აქაური დროება. ტერ მიქაელი აპირობს წამოსვლასა მანდეთკენ, რომ ფული დააკლდათ ეკლესიის შენობისთვის. რომელიც სახლები მორჩნენ და დარჩა ეკლესიის დასახურვაზედ საქმე.

რაღა თავი შეგაწყინო. დავშთები თქვენი მდაბალი უღირსი ძე **ალიოზ ვარდიძე.**

1898 ენკენისთვის 29-სა

ი მ ი

წელსა 1900, ნოემბრის 25-სა
ქ.ახალციხეს

თქვენო მაღალო ღირსებავ,
ბატონო პ.ბენედიქტე!

უპირველასად ყოვლისა, ხელის ჰამბორებით და დიდის სიყვარულით მრავალ მოკითხვას მოგახსენამ და შემძლე ღმერთსა ვსთხოვ, ჩემის ცოდვილის პირით, თქვენს ვრცელ სიცოცხლეს სასიხარულოდ და სასიქადულოდ ჩვენდა. უკეთუ ჩვენ უღირსთა მდგომარეობას იძიებთ, ღვთით და თქვენი წა წირვა-ლოცვის შემწეობით, შვიდობით და კარგათ გახლავართ, ამ წერილის ჟამსა. გარდა ამისა, ბატონო, მივიღე გავლილად პასუხი ჩემი წერილისა თქვენგან, რომელიც ვერ დაგიხელმეორეთ მოუცლელობის გამო. გთხოვთ, მოტევებული ვიყო, რომ ვჩნდებით ნაკლებული თქვენი მრავალ ნაირი სიკეთის გარდახდისაგან.

თუმცა მუდამ ჟამს მაქს ნატრა მაინც და მაინც წერილის წერისა, მხოლოდ, საუბედუროდ ჩემდა, დროებაც გვაშორებს ამა მცირე საგნებისგან. თქვენ მიწერილ წერილშიდ მწერთ, რომ სასიამოვნო იქმნება თქვენთვის, რომ მოგწეროთ ჩვენი ცხოვრების ამბავი. მეც მოგახსენო, რომ ჩვენდა შესახებ მნიშვნელოვანი არა არის რა. მხოლოდ ეს არის ახალი ამბავი, რომ ჩვენმა სიმონამ ჯვარი დაიწერა ამავე თვის 11 შაბათ დღესა. ჩვენც, როგორც უწინ, იმ მდგომარეობაშიდ ვართ. როგორც გავლილათ წერილით მოგახსენეთ, ჩვენ მოვედით ხიზაბავრიდან მაისის პირველსა და ოთხი თვე ცუდათ გავატარეთ, ვიდრე **ტერ ლაზარემ** მოატანინა წიგნები და ახლა აგერ მესამე თვე არის, რომ რაც დაგვაწყობინა სწავლა და მივდივართ, სადაც თვითონ ცხოვრობს ეკლესიის სახლებშიდ, საღამოს ექვს ანუ შვიდ საჰათს და ჩვენც ვართ რიცხვით 19. ესენი არიან ვარის გუმრელი, ერთი ეშტიელი, ერთი ვარგაველი, სამი წყალთბილელი, სამი ნიოხრებიდან, ერთი წინუბნიდან, ერთი აბათხევიდან. ჩვენი ტერ აკობის ბიძა შვილი, ორი უდიდან, ერთი კარტოვნიდან, ერთი სალომეს ბიჭი ვანიო და ორიც ჩვენ, მე და სტანისლავი. მხოლოდ ამათგან თერთმეტი შეწყალებული არიან ეპისკოპოზისაგან, ხუთი წვრილი არიან, თვრამეტიდან ოცამდი წლისა და ოთხიც მოზდილები არიან, შეუწყნარებელნი და ამბობენ, რომელიც შეიძლებს უკეთეს გამოძევის მიღებასა (ეგზამენის), იგი ეკურთხებაო.

ახლა, ბატონო, სწავლის შესახებ მოგახსენოთ. თუ რას ვსწავლობთ. მივედით თუ არა, მაშინვე გამოცხადებული ქონდა **პ.ლაზარეს** რომ მას უნდა ესწავლებინა **საღვთის მეტყველო**. მაგრამ როგორც მოგახსენე, არ ვიცი წიგნების მიზეზით თუ სხვა მიზეზით, მაშინვე არ შეუდგინა. დაწყების დროსაც მოგვცა სასწავლებლად **ლოღიკა**, რომ ხანშიშესულ ხალხთა (რომელიც ორი დიაკვანი 40 წელს მიწევნულ არიან) სიცილად არ ეყოთ და იმედიც არ იყო სწავლის სრულობით. ისე გაუჭირეს საქმე, რომ მალე დაანებებინეს. შემდეგ დაგვაწყებინა **დიღმა ღვთის მეტყველება,** რომ მასაც ძალიან დაწვრილებით მიჰყვა და დიდ არეულობით მის სწავლასაც გამოვაკლდით. ახლა მოგვცა **ზნეობითი ღვთის მეტყველობა.** ვნახოთ, მისი აღსასრულიც როდის იქმნება. მიზეზი, რომელიც ხდება ესე უკმაყოფილობა, არის უმთავრესი საგანი სხვა, მაგრამ მეორე არის რომ თვით როგორც ნასწავლი უმაღლესი სწავლისა, უნდა ჩვენიც გატარება იმ ხაზზედ, მაინც ის შეუძლებელი არის ჩვენთვის და ძალიან შორს რჩება.

შეხედვითა ჩვენი მღვდლისა, რომელიც არის ძალიან განათლებული და გამგე ყოველნაირ საქმისა, იმედია მარტო მისი პატრონობით, რომელიც არის ჩვენ **ტერ თომასთან** ძალიან კარგად,

ერთი მესაიდუმლონი არიან, როგორც მოგახსენეთ ძალიან შემბრალე სჩანს ჩვენთვის და იგიც ჰზრუნამს უმეტესად, რომ დღე და ღამე ჩვენ არ გვშორდება. მღვდელობასაც აღასრულებს ძველ ქალაქში და ჯვრის ეკლესიის ზედამხედველად არის დანიშნული და ცხოვრობს აქვე, თუ იცით **პეტრე ჭილიმუზოვის** შენობაშიდ. ჩვენც იმავე ზემო ოთახებშიდ ვართ.

ასე, ბატონოჯან, ჩვენებიც კარგათ იყვნენ. მხოლოდ ჩვენი მღვდელი, **ტერ აკობი,** ცოტა დარდიანათ გვყავს, რომ ამ ცოტა ხანში დედ-მამა მოუკვდა და ორი დღის ჯვარ დაწერილი ძმა სალდათათ წაუვიდა.

ჩვენი ტერ თომასიც მხნეობით ასრულამს თავის ჩლენობას და 10 თუმანიც მიუმატეს სამსახურის ფული. **ტერ ანტონიც** აქ ცხოვრობს. წრეულ ზაფხულათ სხვა მღვდელი იყო დანიშ-ნული **აბასტუბანში**, იმის ადგილას. რაღა თავი შეგაწყინოთ. დავშთები თქვენი დაუვიწყარი და მუდამ ჟამს მომსურნე თქვენი ბედნიერ სიცოცხლისა და წირვა-ლოცვისა, უღირსი ძმისშვილი თქვენი

ალიოზ ჩილინგაროვი.

ბატონო, აგერ გიგზავნი 2 თუმან, რომელიც ჩვენებს გამოუგზავნიათ და გთხოვ გარდას-ცეთ, ვისაც ეკუთვნის და ეგრეთვე, მათი წერილები.

იგივე.

ი მ ი წელსა 1899-სა მარტის 5-სა
ს.არალსა

თქვენო მაღალ ღირსებავ,
მოწყალე მამო, პატრი ბენედიკტე!

უპირველეს ყოვლისა, მოგმართამ შვილობრივი სიყვარულითა და მდაბალი სახითა ვეამბორები თქვენს **ნათლით მოსვილ მარჯვენას** და მზრუნველი ვართ თქვენი წმინდა და უკვდავი წირვის მოხსენებისათვის. უკეთუ ჩვენ მდგომარეობას იძიებთ, ღვთით და თქვენი წმინდა წირვის შეწევნით შვიდობით გახლავართ. არა ფერის მნატვრელი არა ვართ, შეტყობისამებრ, და იმედიც გვაქვს, რომ უფლის ღირს უნდა შევიქმნათ. ცოტათი პაპაი უქეიფოთ უნდა გამხდარიყო. იანვრის 27-დგან რომელიც მეც შევიტყვე და მივიღე, მადლობა ღმერთსა, ვიხილე მშვიდობით. ეხლა კარგათ არის. ძნელად კი ლაპარაკობს და სასმელ-საჭმელს ვერ შესწყობია, რომელიც უშლის ყელი ჩაყლაპასა. მის იმედიც გვაქვს, რომ გამომჯობინდეს სრულობით, თუ ღმერთსაც ჰნებავს. **ვარძელოვი** მოვიდა თებერვლის 18-სა თვის ალაგსა, გინა ხიზაბავრას და ეკლესიასაც ბევრი აღარაფერი უკლია, გარდა შიგ მორთულობისა, რომელიც კიდევ ოსტატნი მუშაობენ.

რაღა თავი შეგაწყინო. დავშთები თქვენსგნით ლოცვა-კურთხევის მომსურნე მონა თქვენი

ალიოზ ჩილინგაროვი.

15 მაისისა 1905 წლისა

სოფელ არალს

ღირსო მამო და ფრიად საყვარელო

ჩვენო პატრი ბიძაჯან!

პირველად სიყვარულით მრავალს მოკითხვას მოგახსენამთ და უფ. მოწყალე ღმერთს ვსთხოვთ მუდამ დროს თქვენს ვრცელს სიცოცხლესა სასიხარულოდ ჩვენდა.

თუ ჩვენ უღირსთა ამბავს იკითხამთ: მადლობა უფალსა, თქვენის ლოცვითა და კარგად ყოფნით **შეიდიშით გახლავართ.** მივიღე თქვენი გამოგზავნილი წერილები კარგა ხანია და ჩვენ კი გამოგიგზავნეთ მიზეზი, რომ ამჟამად ცოტას შეწუხებული წერილები მოგვდიოდა სიმონასგან და სხვა იქ მყოფნელებისგან, მაგრამ ახლა მადლობა ღმერთსა, გუშინ სიმონასგან წერილი მივიღეთ. კი ორ სამჯერ **მომამზადეს წასასვლელად ომშიდ,** მაგრამ ისევ უკან დამაყენესო, მაინც კი იმედი გადაწყვეტილიც არა აქვს წასვლისაგან. ჩვენ სოფლიდგან რამდენიმე წავიდა ომში როგორც გვესმის. სინით ანდრიას შვილი ანტონა. ამ ცოტა ხანშიდ აქაც იყო და ინახულა თავისი ნათესავნი, რომელსაც შესრულებული აქვს სამსახური და უნდა მოსულიყო გავლილ წელს, მაგრამ არა უშვებენ ომის მიზეზით. წრეუნდელი წასული **პოღოთ გოგის შვილი ლუთი** და საწყალი **მათიოთ ლუკას შვილი სტანისლავი**, მომკვდარა 17-ს თებერვალს, ტყვია მოხდენია.

წრეუნდელი მოსავალი კარგ მდგომარეობაზედ არის, წვიმა ტაროსი ძალიან ხელს უწყობს, ჩვენ სოფელში ბაღებსაც კარგათ ასხია.

საზოგადოდ, მცხოვრებთა ამბები: **აქაურ თათრებში ძალიან გავრცელდა კაცის კვლა. ბლომათ ხოცავენ ერთმანეთს. მაინც კიდევ ბევრი არიან.**

ჩვენ სოფელში კიდევ მშვიდობა ჰსუფევს. ძალიან გართული არიან გლეხობაშიდ და მომეტებულად გაღმა თამაშით. უნდათ ღამეც კი იქ იმყოფონ. **კარგი ხიდი გააკეთეს,** რომ ამ დიდ წყლობამ არა ავნო რა.

მღვდლების მდგომარეობა იცვლება ცოტ-ცოტა. ახალ ეპისკოპოზმა არ უნდა მოგვასვენოს, ისე ჰგავს. სომხის მოენე მღვდლები შეცვალა, უდელი **ტერ სერა,** სადღაც **საულში** გაუძახა (მგონი თქვენც უწყით), მაგრამ მალე მოირჩინა ტყავი და ახლა დანიშნულა **ივლიტაში**. საწყალი **ტერ თომასი** შესაბრალისი გახდა. **აღარც ბუქს და აღარცა თოვლსს**. ჩვენ სოფელშიც ამოვა საყდარში, ზის სკამზე, როცა მოეწყინება მარტო ლოცვა, წავა. **გვარამაძეს** შემწედ არის **მღ.შეშაბერიძე. წყალიობელელი ტერ პოღოსი** გარდაცვლილა 12-ს ამავე თვისა. ჩვენმა ახალმა მეზობელმა, უდელმა მღვდელმა **სიმონ ჩვილაშვილმა** ეკლესია ვეღარ შეათავა. დაიწყეს დიდი და ძვირმფასი შენობა და ნახევარზე ატანილი კედლები ვეღარ გაუზდიათ, ფული შემეელიათ. სთხოვეს ნება მთავრობას, ეპისკოპოზს. მათაც კი მიანიჭეს, მაგრამ თვითონ ახლა ვეღარ გატეუ-ლა; დღეგრძელი გაუბედავია, შიშობს...

სოფელიც კი უმღვდელოთ რჩება. ახლა მე კი ჩამანდო ეპისკოპოზმა, მაგრამ აქედგან იქ მე რას ვარგივარ. იმოდენა სოფელს, რომელი 1500 მცხოვრებზედ მეტი ჰყავს. ჩვენი შალღამა **ტერ აველოვი** კლავ დეკანი არის, თქვენც გეცოდინებათ, ცხადია, კალენდრისაგან, ესრედ საყვარე-ლო ბატონო ჩემო. ჩვენ ჩვენი ნათესაობით ყოლანი კარგათ ვართ, ოღონდ თქვენ კარგათ ბრძანდებოდეთ ჩვენდა მლოცველად. **პ.ლევონი** მოსულა გორში მღვდლად, კარგა ხანია.

მუდამ თქვენი დაუვიწყარი ძმისწული, თქვენი მონა უღირსი, მღვდელი **ალიოზ ჩილინგა-როვი.**

მინაწერი: ქებული იყოს იესოს სახელი

მაღალო ღირსებავ, ბატონო მაზლო,

პირველად ვეამბორები შენ ნათლით მოსვილ მარჯვენასა, მოკითხვას, ნახვის ნატვრას მოგახსენამთ. შემძლებელ აღდგომის მადლს ვეხვეწები, მოგცეს ჯანის სიმრთელე, შენი წმინდა წირვა-ლოცვა შეეწიოს ყველა მორწმუნესა, მერე ჩვენ დაღონებულ სიმონსა. შენი ჭირიმე, ბატონოჯან, ჯერ ღმერთის იმედი გვაქვს, მერე თქვენი ლოცვისა. ბატონოჯან, ბევრი ჭკვიანი არ ვიყავი, კინაღამ გავგიჟდი ორივ თვალებში სინათლე აღარ მქონდა, ამტკივდა. ხელმწიფემ არ გამოგვიგზავნა, ჩავარდნილვართ ღვთიმშობელსა. შვიდობით ბრძანდებოდე, ბატონო, ჩვენი შვილების პატრონო. მე გწერ, შენი უღირსი რძალი, დარდიანი, როგორ ჩემ ტერს. ნეტაი ამ წერილ შენ გნახამს.

სალომეი.

მეც მოკითხვას მოგახსენამ, ძმაო ბატონო, სიყვარულით. ბევრი დაწერა არ შემიძლია, პოღოს ჩილინგაროვი.

ი მ იქ.ახალციხეს. 2 აპრილის.1902

ღირსო მამაო ჩვენო და ბატონო ჩემო,

უპირველეს ყოვლისა, დიდი სიმდაბლით და ხელის ჰამბორებით, სიყვარულიან მრავალ მოკითხვას მოგახსენამთ და, ეგრეთვე, მოგილოცამთ მოსასვლელ იესოს წ-ა აღდგომასა. ღმერთმა მრავალი დაგასწრასო სასიხარულოდ ჩვენდა.

მივიღეთ წერილი თქვენგნით, ჩვენთვის დიდად სასიხარულო. ჩემი მშობლების სამუდამო დარდისა და ყვედრებისაგან გამომხსნელი ჩემსგნით და მომეტებულად ჩემთვის იქმნა სიცოცხლის დამბრუნებელი. იწერებით, ბატონო ჩემო „თქვენმა წერილმა ძალიან გამაკვირვაო“. რა საკვირველია, რომ გაგაკვირვებდათ, როდესაც გამოცხადება გვიძნელდებოდა. რომ დაგარწმუნოთ, ბატონო, ივლისის თვიდგან ვიდრე ამ ჟამამდე ჩვენ პირს არ მოსვლია ღიმილი **და ჩვენ სახლში არ გაღებულიყო სიყვარულიანი და სიხარულიანი ხმა**. მაგრამ **ამ წერილმა ახადა მომეტებულათ ჩვენი სიმწუხრის ფარდა და შეგვიმცირა დარდი და ნაღველი.**

ხომ დიდი მადლი და რაღაც სასწაული უნდა იქმნას, რომ ჩვენ გვეშველოს რაიმე, მაინც ჩემი ნებით გამორიცხვა არ გვაძლევდა მოსვენებას.

საყვარელო ბატონო! აქაურ ამბავებს რომ არ შეიტყობდეთ, მგონი სასიამოვნო იქმნება. **დიდი უკმაყოფილობა და უსიყვარულობა არის ჩამოვარდნილი მღვდლებში თუ ერში**. სამაგიეროდაც, არ გვაკლებს ჩვენ ღმერთი თითო-თითო შეწუხებათა: პირველად, რომ საზოგადოდ, **მოდებულია ერთნაირი სენი, რომ ზოგს ყელი უსივდებათ, ზოგს ყვავილი აყრისთ.** რომ ვსთქვათ, არავინ დარჩენილა, რომ ამ სნეულებისაგან თავისუფლად დაშოვნილიყო. **ბოვშები ურიცხვი გამოასალმა ამ წუთისოფელსა** და, გარდა ბოვშებისა, მომეტებული შესაბრალნი იქნენ ორი ახალგაზრდა: **მატაათ გიგია**, სოლომანას შვილი თავის დედითა და მეორეც - **სინო,** ანდრიას რძალი, სოლომანას ქალი გამოეთხოვნენ ამ **ულირული სოფლისაგან** თავის ახალგაზრდობის ჟამსა.

ახლა, ჩვენი მდგომარეობა, ბატონო, ე.ი. ვითომ სამღვდელოებისა, არას მიეწერების, სულ აირ-დაირია თუ ჩვენგნით და თუ მღვდლების ცდით. ეპისკოპოზის ნება-რთვით, არც დაწყობილი წესი ეტყობა, რომ ხელი მოვჰკიდოთ და არც ბოლო შეგვრჩა ხელში.

როგორც პირველში უწყოდით, ვსწავლობდით მღ. **ტერ ალექსანდრე შაანოვთან** და **პ.ლაზარე გიზალოვთან.** მღ.ალექსანდრე შაანოვმა თითქმის განგვათავისუფლა სწავლისაგან, რაც თვითონ შეეხებოდა (ე.ი.გარდა საღვთისმეტყველოსი) და დარჩენილი იყო პ.ლაზარეზედ. მაშინ ვცდილობდით, როგორმე საშველით იმისგანაც განთავისუფლებასა და მოჰყვა ეს შემდეგი: ხომ პირველშიდაც არ გვაკლდა დრტვინვა, იმის გაკვეთილის გადმოცემაზედ ფარულად და სიტყვიერათაც გამოცხადდა მის წინაშე, „რომ ჩვენ უსარგებლოდ დავრჩებით და ვიქმნებით მუდამ ჟამს თქვენგნით“. ამ სიტყვაზედ, რა საკვირველია, როგორც ეპისკოპოზისგან შეძლების მქონე და, იმ დროსვე, როგორც მასწავლებელი დაგვითხოვა თქმითა: „შეგიძლიათ რომ მონახოთ სხვა მასწავლებელი, რომელმაც შეიძლოს კანონიერი სწავლა“. მაშინ ჩვენ მივსწერეთ ეპისკოპოზს, რომ ჩვენთვის დაენიშნა სხვა მასწავლებელი, მცოდნე კანონიერ სომხის ენისა, რომ ესწავლებინა ჩვენთვის რაც საჭირო იყო. ცხადია, პ.ლაზარემაც შეატყობინა მომხდარი ამბები. იმის პასუხი მოსულიყო, რომ „ყოვლისათვის უსარგებლოა შენთან სწავლის შედგენა

თუ ზოგიერთისათვის? გამოიძიეთ!“. გამოგვიცხადა და ჩვენც ფიცით დავამტკიცეთ, რომ უსარგებლოა, რომ არა ხართ მოადგილე შესაფერი სომხის ენისა.

არ გავიდა ბევრი ხანი, რომ მივიღეთ დათხოვის წერილი. „დათხოვილი ხართ ყოველანი, რომ არ გინდათ სწავლა და გინდათ მღვდლობის საიდუმლოს წარტაცვაო“. რაღა სარგებელს მოგვიტანდა ჩვენი უბრალო ყოფნა და გავლილ წლის აპრილიდგან აგერ მარტამდი ძლივს შეიძლო უპრავლენიამ ხელმეორე მიღება ეპისკოპოზთან და ჩაუწდიათ პ.ლაზარესთვის, რომ გვასწავლოს მარტო საღვთისმეტყველო და სხვა საქვეყნო სწავლისათვის მიუმართავს უპრავ-ლენიას ქალაქში მცხოვრებ **გაბრიელ ნააპეტოვისათვის.** ვნახოთ რა იქმნება.

მომიტევეთ, თავი შეგაწყინეთ. მზრუნველი თქვენი ლოცვა კურთხევისა. უღირსი მონა და ძმიშვილი შენი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

ბატონი ტერ ანტონი ზაფხულშიდ აბასტუმანს იყო და ახლა პლანში ცხოვრობს. ჩვენ სოფელში ისევ **ტერ აკობია.** არა მარტო ჩვენი სოფლის ზედა მხედველია, თავის სოფლისაცა. მგონი გაიგებდით. **ტერ მიქელი** ჩამოვიდა ახლაციხეს და **ტერ ალექსანდრე შაანოვი** ავიდა ხიზაბავრას. თუ დარჩნენ და მომავლიდამ არ დაამტკიცეს და ისევ თავით ადგილზე გადვიდ-ნენ.

ი. მ. ი. ქ.ახალციხეს წ.1900, მარიობი 8-სა

თქვენო მაღალო ღირსებავ,
მამო პ.ბენედიქტე!

პირველად, ხელის ჰამბორებით, მრავალ მოკითხვას მოგახსენამ და ვითხოვ თქვენგნით ლოცვა კურთხევასა. უკეთუ ჩვენ უღირსთა ცხოვრებას იკითხამთ, მადლობა უფალსა, მის წყალობით და თქვენი წმინდა უკვდავ წირვა-ლოცვაშიდ მოხსენიების შემწეობით, შვიდობით და კარგათ გახლავართ. არაფრის მზრუნველი არა ვართ, თუ არა უმეტესად თქვენი კარგათ ყოფნისა და ეგრეთვე, ნახვისაცა.

ცხადია, შეტყობილი გექნებათ, ბატონოჯან, რომ ჩვენი საქმის მდებარეობა შეიცვალა. ასრე, რომ გადმოგვიყვანეს **ახალციხეს**. ჩვენ უფალ ტერ **თომა ჩილინგაროვს** მოუტანია ეპისკოპოზისაგან ნება, რომ უნდა მოამზადოს 10 დიაკვანი და მანცა აკურთხოს მღვდლად. ეს ამბავი გასულა, რომ ვისაც ჰსურს ამა წოდებაშიდ შესვლა, მიმართოს **ტერ თომას,** უპრავლენიას, ვიდრე შემოსულა 10 რიცხვის დიაკვანი და უკეთუ შეიმოსა, შემდეგშიდ მიუღებელ იქმნებიან.

ამ შემთხვევაშიდ, **ტერ მიხელ ვარძელოვსაც,** ჰგავს, წაერთვა შეძლება, რომ ჩვენ განგვათავისუფლა თქმითა, შეგიძლიათ გაეცალოთ და თქვენ ეძიოთ საშველი თქვენი საქმისა.

მაშ, რაღა საქმე გვექმნებოდა ჩვენ იქ ყოფნისა. ამისათვის ჩამოვედით ახალციხეს მაისის 10-სა. ხუთი ჩვენ, სამიც აქ მზადდებოდნენ ადრევე და რამდენიმეც სხვანი მიემატნენ და თორმეტამდინ ავიდა. ახლაც ნახოთ, ორიც მეტი მოვიდა. ნახოთ ვინ იქმნება გამორჩეული. მისწერეს ეპისკოპოზს, რომ თორმეტივე შეეწყნარებინა, მაგრამ არ შეუწყნარებია, ათზე მეტი შეუძლებელიაო. იმ დღიდანვე შეუდექით სწავლას რუსულისა, რომ **რუსულს უთუოდ ავალიანებენ,** რომ უნდა იცოდნენო. რუსულის მასწავლებლად და სხვა საჭიროებისათვის დანიშნული არის ახალი ნაკურთხი **ტერ ალექსანდრე შაჰანოვი,** რომელსც შეიძლება იცნობდეთ, რომ წინათ იყო მწერალი ამავე უპრავლენიისა და ახლაც იგია. საღვთისმეტყველოს მასწავლებლობა უნდა დაიწყოს პატრი **ლაზარე გოზალოვმან.** ესენი არიან ჩინებულნი ეპისკოპოზისაგან. გაზალოვის ამბავი ჯერ არ ვიცით, მხოლოდ ესე უფალი შაჰანოვი დიდად შრომობს ჩვენის წინ წარსვლისა და სწავლისათვის. ახლა ვნახოთ, თუ აქაც როგორ დაბოლოვდება ჩვენი საქმენი.

გავლილ თვეშიდ გახლდით სოფელშიდ, რომ კვლავ ფოციალობენ გაღმაობის თაობაზედ და იმედნეულად კი არიან ამოგებისათვის, მაგრამ ვინ იცის, როდის და რა პირობით იქმნება.

წრეუნდელ მოსავალსაც არა უჭირს. კარგი წვიმიანი დღეებია, მხოლოდ ბაღს კი არ ასხვია წრეულად, იზარალა **სანდრე ერემიევმან**, არა მარტო ჩვენ ბაღშიდ, არამედ სხვა ბაღებიდაც კი იზარალა და ბაღზედ ვეღარ არის სანდრე. გარდა ამისა, პატივცემულო ბატონო, ერთი სათხოვარი მაქვს და გთხოვ უმორჩილესად, თუ შესაძლო იყოს, არ დამზარდეთ. უნნაშიდ ანუ უნეტიკშიდ არის სომხის კათოლოკის სრული წეს-კანონის წიგნი სამ წიგნად. იყოს გაყოფილი და არა ერთიანი. თვისშიდ არის ყოველა შარაკანი და სხვანი საჭიროებანი და სომხურად ეწოდების ... ფასიც უნდა იყოს 10 დიფრონგი, თუ მეტი. რაც იქმნება დიდის სიამოვნებით და საჩქაროთ მოგაწოდებ. რაღაი გეხვეწე, საჩქაროთ აღასრულეო ჩემი სათხოვარი და ვიქმნები

მლოცველი თქვენის მაღალი ღირსებისა. ჟამნობამდიც კი უნდა მომეწერა. მაინც ვერ შეგაწუ-ხეთ. ახლა მოვიკითხამ დიდის სიყვარულით, ვინც გვიკითხოს. დავშთებით თქვენგნით წმინდა წირვა-ლოცვის მომსურნე, უღირსი ძმისშვილი თქვენი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

ბატონო, გთხოვთ ესე როზას წერილი გააგზავნოთ, თუ მანდ არ მოსულა.

იგივე.

ი. მ. ი.

თქვენო მაღალო ღირსებავ
უფ. პატრი ბენედიკთე!

„ქრისტე აღსდგა!“

უპირველეს ყოვლისა, ვეამბორები თქვენს ნაკურთხ მარჯვენასა და მასთანვე, გილოცავ ჩემი უღირსი პირით ქრისტეს მკვდრეთით აღდგომასა. აგრეთვე, ვთხოვ ყოვლად შემძლებელ ღმერთსა, რომ იმყოფებოდეთ შვიდობით ჩემდა სასიხარულოდ. შემდგომ, თუ ისურვებთ გაიგოთ ჩემი მდგომარეობა, მადლობა უფალსა, ღვთით და თქვენი უხვი ლოცვა-კურთხევით ჯერჯერობით შვიდობით გახლავარ.

მივიღე თქვენგან ჩემთვის სასიამოვნო წერილი. დიდათ მადლობელი გახლავართ, რომ არ მივიწყებთ წერილით და, ვგონებ, არ ვიქნები დავიწყებული თქვენს წმინდა წირვის მოხსენებისაგან. უმალს მინდოდა მოწერა თქვენთან წერილისა, მაგრამ დავიგვიანე. მიზეზი, ბატონო, ის არის, რომ ცოტა მოუცლელობა გვაქვს; კითხვა კი გაგვიხშირეს, მაგრამ უსაფუძვლოთ. არა საგნისგან არავითარი იმედი არ მოგვეპოვება, რომ დღევანდელ დღეზედ დავსჭვრიტოთ. მხოლოდ იმედნეულად ვართ, რომ თუ ღირსნი ვიყვეთ, ღმერთი პირს არ გვადრეკს და არ დაგვტოვს. თუ არა და, რაც მისი წა ნება არს და მაინც ისთე იქმნება. თქვენი ბრძანებისამებრ, ჩვენგან მცირე და უღირელი გარჯა და შეწუხება მიგვიძღვის მის წინაშე. ჩვენ უძლურთა, ჩვენი შეძლებისამებრ, თუ ღირს გახდის და ყურადღებას აქცევს თხოვნილსა თვისდამი:

აქაური ამბვის გაგებას რომ ისურვებდეთ, ჯერეთღა ხამს, რომ აქაური ჰაერის, გინა ტაროსის ვითარება ხამს შეიტყოთ, რომელიც ძალიან წვიმიანობა გახლავსთ, რომ აქაური მცხოვრები ხელით ანტვრევენ ტალახსა. ჩვენ კი, მადლობა ღმერთს, მესამე სახლი კარგი გამოგვიდგა. თანაც, ახლოს არის ეკლესიაზედ, მაგრამ წყალი ჩამოგვივიდა ერთ გზის, რომ ოკეანის ზღვას არ დარჩებოდა, წიგნებს თევზებივით ეცურათ წყალშიდ. აქაური ქარი უწყვეტელია, როგორც მოგეხსენებათ. ერთ საათს რომ გაჩერდეს, დიდი შესანიშნავი ამბავი იქმნება. მინდორშიდ წავალთ მოწმინდულ დროზედ და უეჭველად დასველებული მოვაღწევთ შკოლაშიდ. სამაგიეროთ, ამა შეწუხებისა, ეს არის ჩვენი სასიხარულო, რომ ეს მესამე სახლის ხაზაინები პატიოსანი ქცევის გამოგვიდგნენ, **ახალციხის** მცხოვრები, **პოღის ისკანდეროვის** ოჯაღობა. ზემო ხსენებული პოღოს ისკანდეროვი გარდაიცვალა 1897 გავლილ წელს და მისი ქვრივი და დედამთილი ცხოვრობენ ერთ ოთახშიდ და ერთი ოთახიც ჩვენ გვიქირავია ცამეტ მანეთათ. ერთი სიტყვით, არა ვითარ შეწუხებაშიდ არ ვარდებით, როგორც უწინ გარდაგვხდა: აპრილის 25-სა გახლდი სოფელ **არალშიდ.** კარგათ არიან. ყოველანი ბაღი გაუყიდიან, მგონი წლით **სანდრე ერემოვზედ.** ჩვენდა, სანდრე ძიას, გიგი ძიას კი არა, სანდრე ძიას, უყიდია **პეპელას** (გალავანი გინა ეზო) სახლიანათ და სახლები ვანის წაურთმევია თვისი ანგარიშის გამორიცხვით და დარჩენია მარტო ეზო. მგონი შეიტყობდით.

აპ. 27-სა მივედით **ხიზაბავრშიდ.** ჩვენი **ტერ აკოფიც** თან წამოვიდა **ტერ მიხელის** ბავშვის მოსანათლავად. მასთანვე, ახალი ნაკურთხი **ტერ ალექს შაჰანოვი** და მონათლეს. შემდეგ ერთი კვირისა, დაბრუნდა სახლშიდ და ჩვენ დავრჩით ხიზაბავრშიდ; **ტერ ანტონის** და **სტანისლავს** შორის მომხდარნი საქმენი დიდათ შესანიშნავნი უნდა იყოს, როგორც მოგხსენებიათ:

თავის ძმის წულის მიცემა სდომებია (ტეუის). ქალი შემდეგ პირდაპირ შემთხვევისა დაუთხოვია, რომ შეუძლებელია, ვერ აღისრულებ გულის წადილსაო, თუ არ იქმნები აღმსრულებელი ჩემი ნებისაო. შემდეგ, მაშუალების შემწეობით, კიდევ ხელ მეორე მიუღია და ვნახოთ, რაზედ დაბოლოვდება საქმე. მუდამ მინდა თქვენზედ ვილაპარაკო, თქვენ ღირსეულ ვითარებაზედ, მაგრამ როგორ ვქმნა, თქვენ თავი შეგწყინდებათ და გამაბეზრებელი დავშთები.

ამისთვის, ვაკმავებ ჩემ უსიამოვნო შექცევას და ვითხოვ თქვენ ცხებულ მარჯვენის მოხვევითა, მიტევებასა ყოველს რაიმეშიდ, მოტევებასა და შენდობასა, თუ გნებავდეს ჩვენი აღსარების შეტყობა. ეს არს მდაბალი მონა თქვენი, **ალიოზ ჩილინგაროვი**

Въ гор.Ахалкалаки

Его Высокопреподобии Декану

Михаилу Вардзелову

ალიოზ ჩილინგაროვს

ჩემი ამხანაკი, გინა ჩემთან მოსწავლენი გახლავან, უდელი **სერი მერაბოვი,** ვარგაველი **ვისტან შეშაბერიძე,** სამიც **აზრუმელი**, ორი **ბალუდველ**ი და ერთიც **დარაქვეველი**. მასწავლებელი ისევ ის გახლავსთ, **ტერ ივანეს ამირხანოვი.**

ხელის ჰამბორებით მოკითხვა მოგახსენეს ყოველთ.

მომიტევეთ, ბატონო, მონასტერშიდ ყოფილა **პივო ბალიევი** და ევედრება სამშობლო მისი, რომ სცოდნოს თავისი ამბავი, მრავალ მოკითხვის შემდგომ.

ყოვლად საყვარელო ბატონო ჩვენო!

პირველად დიდი სიყვარულით და ხელის ჰამბორებით მრავალს სიყვარულიანს მოკითხვას მოგახსენამთ და ჩვენის უღირსის პირით ვსთხოვთ მოწყალე ღმერთსა მუდამ ჟამსა თქვენს სიცოცხლესა სასიხარულოდ და საიმედოდ ჩვენდა. ვიცით თქვენი კეთილი გულის ვითარება, რომ ჩვენ უღირსთა ცხოვრებას იკითხამთ: მადლობა უფალს, თქვენის წირვა-ლოცვის შემწეობით მშვიდობით და კარგათ გახლავართ. მივიღეთ თქვენი წერილები გავლილ თვეში და დიდ მადლობას ვსწირამთ უფალ მოწყალე ღმერთსა, რომ იმყოფებით შვიდობით და თქვენგანაც დიდად მადლობელი ვართ, მუდამ ჟამს რომ არ გვივიწყამთ და გვაგებინამთ თქვენს **მეცოცხლე ცხოვრებას** და მდგომარეობას.

ჩვენთანაც შვიდობიანობა არის. მოსავალიც კარგი იყო. დღემდი სოფელი დიდ გაჭირვებაში იყვნენ შარშანდელი დასეტყვის მიზეზით; მაგრამ მადლობა ღმერთს, წრეულ შეიმოსეს. ჰაერიც მოსაწონია. თიბათვის პირველს კი უწვიმობა იყო, მაინც ბოლო კარგი იყო, სიმინდ-კართოფილები გაახარა. აქაური ღვდლებიც უწინდელ მდგომარეობაში იპოებიან.

ტერ თომასი თავის ჩლენობის სამსახურს ასრულამს. მწერალიც ჰყავს სამღვდელო, სომხის. პ.კარტიკნელი მღვდლის შვილი **ტერ მიხეილი ისევ** ხიზაბავრას ცხოვრობს. ტერ **ალ. შაანოვი** აბასთუმანს არის **ტერ ანტონის** მაგიერ ადგილას და ტერ ანტონი, კიდევ, პლანის ადანის ეკლესიაშია (გვარად არის **გვარამაძე**). ძალიან ბარბაცობს მუხლებით, მაგრამ ენა და ხელებში მღვდელი თავს ვერ მუუვა. **შაანოვის** მაგიერ ზემო ეკლესიაში **პ.ლაზარეი** თავისავე დროებაზედ არის, **ვალელი** პალეს შვილთან დროებას ატარებენ. პ.დ.მუღაშოვი ახალციხეში იყო დროებით, ჰაერის გამოსაცვლელად და მითხრა, მისწერეთ, მოვიდესო თქვენი პატრიო. მე ვერ ვსწერამ. არ ვიცი, რა თქმა უნდოდა თქვენთან. ბატონო, გავლილ წელიწადს მატრიცები გამოვგზავნე **ტეუასი, პეტრესი** და **გალედისა** და არ მიუღიათ ის ეტყობა და გთხოვთ გვაცოდინოთ. მეორედ მარტო ტეუას გაუგზავნეთ. ის მიუღია და ის პირვანდელი გამოგზავნილი სად დაიკარგა, ვერ გავიგეთ. უღირსი ძმისწული თქვენი **ალიოზ ჩილინგაროვი.**

მინაწერი:

ბატონოჯან, რა შემომესმა, ჩვენ წერილებს ვითომ ჩვენ შვილებ არ აძლევდნენ. წერილს ნამდვილს გავიგებდეთ მაინც, უბრალოთ რათ ვსწერამთ. შეგაწუხე, მომიტევე, მე გწერ, შენი უღირსი რძალი **სალომე ჩილინგაროვისა. ნეტაი ამ წერილსო, თქვენ გნახამს. ის დღე მეღირსება, მეც გნახო.**

14 დეკემბრისა 98. ტფილისი

თქვენო ღირსებავ

უ-ლო პატრი ბენედიქტე!

თქვენი წერილი მივიღე, რომლისათვისაც მადლობას მოგახსენებ. უფ.პატრი **ალფონსის** საყოვლიერო უმფროსათ არჩევაზე, თუმცა პირველში აღვშფოთდი, მაგრამ რა ვსცანი, რომ მისი აღრჩევა მომხდარა, რომლისთვის მიზეზი მიუცია თვით **პ.სტეფანესა**, თავის უხეირო მმართველობითა, ბოლოს მეც დავწყნარდი და წერილით მიულოცე პ.ალფონსოსა. ინებოს ღმერთმა, რომ ახლად აღრჩეულმა უმფროსმა რიგიანათ ჰმართოს და რამე კეთილი ნაყოფი გამოიღოს.

შესახებ თქვენი აქ მოსვლისა, **ტაგანროგშივე** მივსწერე პ.ალფონსოს და მანც წერილით მაცნობა თანხმობა და საჭიროება თქვენი აქ მოსვლისა, მეტადრე ახლა. **პ.ლეონი** ტაგანროგში იქმნა განწესებული და ახლა ის იქ არის; ახალციხეს **ტერ პეტრას აღიმოვი** სასიკვდილეთ ავათ არის და ახლავე **პ.ბასილამ** ყურები დაცქვიტა ახალციხეს გადასვლისათვის და ახლა აპირებს, რომ ეპისკოპოზსაც სთხოვოს, რომ ტერ პეტრასის სიკვდილის შემდგომად, იგი იქ დაჰნიშნოს. თუმც პ.ბასილას აქედგან მოშორება და თავიდგან მოცილება კარგი საქმეა (უკეთუ თქვენც იცნობთ რა შვილიცა იგი ბრძანდება), მაგრამ რადგან მე მოხუცებაში ვარ და ავათმყოფი, ჩემთვის მოუცილებლად საჭიროა, რომ, ერთი ქართულის მცოდნე ვიქარნი მყვანდეს (რადგან სომხის ვიქარნი **ნაპაპეტიანი,** არა თუ ჩემთვის რაიმეში გამოსადეგი არ აქვს, არამედ თანივე დიდათ მავნებელი და ყოველ საქმეში დამშლელი და დამაბრკოლებელია). ამისთვის საჭიროა, რომ თქვენ მომზადებული იყოთ და რა მანდ ჩამობრძანდება პ. ალფონსო, დაუყოვნებლად თქვენ აქ მობრძანდეთ. ასე, რომ მომავალს დიდ მარხვაში მაინც აქ იყოთ შეწყნარებული. ესეც კარგი შემთხვევაა, რომ პ.ბასილა აქედგან მოგვშორდება და ვიქარნობის ადგილი თქვენ დაგრჩებათ. ამაზედ კიდევ მოვსწერ პ.ალფონსოსაცა, ამ მოკლე ხანშია.

და **მარია ბალახოვი** აქ არა ჩამოსულა ჯერღა. იგი პირდაპირ **უდეში** წასულა, როგორც მესმის, სუსტათ ყოფილა იგი და თანაც ამ ზამთარში აქეთ-იქით სიარულის დრო არა აქვს.

ამისთანავე, ვსტოვებ წერილსა და **ელისაბედ ბეჟანოვისასა** და გთხოვ, რომ იგი მას გადასცეთ.

მოგიკითხავ მამობრივი სიყვარულითა თქვენ და მანდ მყოფ მამათა და ძმათა.

თქვენი უმცირესი **პ.პავლე ბალოშვილი.**

პ.ს. როდესაც წამოხვიდეთ, საჭიროა, რომ თანვე წამოიღოთ თქვენთვის თბილი ლოგინი და თბილი ტანისამოსიცა, რომ გზაში არ გაცივდეთ.

პავლე ბალოშვილისა და პავლე კალაიჯოვის წერილები მამა ბენედიქტეს

თარიღი არ არის

ღირსო მამაო

უ-ლო პატრი ბენედიკტე!

თქვენი წერილი ამავე წლის აპრილის 6-დგან მივიღე. აქნობამდინ პასუხი ვერ მოგწერე მოუცლელობისა გამო.

თუმც კი მე მსურდა, რომ თქვენ აქ მოსულიყავით ჩემს თანაშემწეთ, გაგეცნოთ აქაურობა, გაჩვეულიყავით ერში და რუსულს ენაში და მემრე თქვენთვის დამეტოვებინა ეს ჩემი თანამდებობა, რადგან მე ავათმყოფობის გამო აღარ შემიძლია ამდენი ჯავრის ატანა, მაგრამ თქვენს მოლოდინებაში მე ჩემი დამემართა. უხამათ ერში და სკოლაში ჯაფისაგან და თქვენ კი ფეხიც არ მოიცვალეთ მანდაურობისაგან.

ახლა, თუმც კი თქვენს წერილში არც მოსვლას მწერთ და არც მოუსვლელობასა, არამედ უმტკიცოთ და განუსაზღვრელათ. ამასთანვე, სხვაფრივათ ვსცანი, რომ თქვენ არა გსურსთ აქ მოხსენებულს თანამდებობაზედ მოსვლა და მხოლოდ ტკბილათ; ახლა მეც გადავსწყვიტე, რომ ამა მომავალს მარიამობას თავი დავანებო სამსახურსა და გამოვიდე ოტსტავკაშია და, მაშასადამე, თქვენი აქ ჩემთან მოსვლა საჭირო აღარ იქნება. ინებოს ღმერთმა, რომ უკეთეს ადგილას დადგეთ და მეც ხომ გადავრჩები თქვენი და პატრი ალფონსოს ხვეწნა-ვედრებასა, რომ აქ მომშველებოდით. მე დავრწმუნდი, რომ ჩვენში არავითარი ერთობა არ ყოფილა და არც იქნება; არამედ ყოველგან და ყოველთა შორის ყოფილა და არის ეგოისტობა, თავისუფლობა და მოსვენების სურვილი და არა ღვთისთვის შრომა. ამასთანვე, არის ერთნაირი მცბიერობა, ერთმანეთის მოტყუება და ქვეშქვეშობა. ახლა, როგორც მოგახსენე, თქვენ დარჩებით, თქვენი სურვილის თანახმათ, მანდვე და მეც ხომ დავახოლიებ ჩემს ჩივილსა და მუდარებასა. მაგრამ თუ ეს ადგილი ჩაუვარდებათ სხვა მღვდლებსა, ეს არ იქმნება სასარგებლო ფერიქოვის სახლისა, ეს არ იქმნება ჩემი ბრალი, რადგან შეუძლებელს არც ღმერთი მოსთხოვს და არც კაცი. მაშ, ბრძანდებოდეთ თქვენს უფლებაში.

მოგიკითხავ ძმობილი სიყვარულით

თქვენი უმცირესი **პ.პავლე ბალოშვილი.**

ი.მ.ი.თებერვლის 18-სა 1900, ტფილისი

თქვენო ღირსებავ

უ-ლო, პატრი ბენედიქტე!

გავლილი 1899 წლის აგვისტოდგან თქვენი უკანასკნელად მოწერილი წერილით დაბოლოვდა ჩვენ შორის ყოველი მიწერ-მოწერა უსიამოვნებითა, რომ თქვენ აღარ ინებეთ ანუ ვერ მოახერხეთ აქ მოსვლა ჩემთან ვიქარნათა. მემრე ხომ უფ.პატრი **ალფონსომ** მაცნობა თავის წერილით, რომ იგზავნებოდნენ ორნი მომზადებულნი პირნი და მათგან **ალიოზი ამირხანოვი** გამომეთხოვნა აქაურ ვიქარნათ. თუმცა მე მაშინათვე აღვასრულე პ.ალფონსოს მოწერილობა, მაგრამ თუ **ალიოზ ამირხანოვს** და თუ **დომინიკ მუღაშოვსა** მიეცათ დასაბრკოლებელი მიზეზი და ვეღარ მიეწივნენ თავიანთ სურვილსა და მეც დავრჩენილვარ მარტოთ და არსაით იმედი არ მოჩანს, რომ მომეცეს თანაშემწე. **ვენეციის მხითარისტები,** სამ-სამი მღვდლები, სულ აქ დასეირნობენ: გარდა **მღ.გაბრიელ ნაპაპეტოვისა,** რომელიც აქ ვიკარნად არის განწესებული და სულით და გულით იგი უფრო სომეხთა ... **მღ.დიონესით კალატოზოვიც** თითქმის მუდამ აქ არის. **მღ.საფაროვიც** ყოველწლივ აქ მოდის ორი და სამი თვითა და ესენი დადიან ყველგანა, თუ ტფილისში, თუ ბათუმში, ბაქოში, ქუთაისში და სხვაგან და თავიანთ არხებს ავრცელებენ; დღითი დღე უცდიან რომ ამა ჩვენს ეკლესიაში, რაიმე ცვლილება მოხდეს და იგინი ჩადგნენ და თავიანთთვის დაინარჩუნონ ეკლესია. მე კი მოხუცებულსა, ურიცხვი საქმეებისაგან მოღალულსა, ფეხი ვერსად ვერ გადამიდგამს. აბა ნაპაპეტოვმა გაიცნო აქაური ფრანგები და იტალიელები და დაიარება მათთან, რადგან იცის ფრანგული და იტალიანური ენები და ისინი მას ყმაწვილებსაც ანათვლინებენ და მიცვალებულებისთვისაც ჰპატიჟობენ. ახლა უკანასკნელაი სხვა გზა არა მაქვს, გთხოვ, რომ თქვენი მანდაური საქმეები სხვებს მიანდოთ და საჩქაროთ მომეშველოთ. ისრე, რომ ამა დამდეგ დიდმარხვაში აქ იყოთ და შემეწიოთ საქმეებში; მოხვალთ რა, მე მაშინათვე ტელეგრამმით და რაპორტით ვაცნობებ ეპისკოპოზსა, რომ აღსარების სმენის ნება მოგცეს. მაშინათვე დაგენიშნებათ **წლიური ჯამაგირი 400 მანეთი**, **მასთანვე, სახლი, შეშა, ნავთი.** აქაური მკვიდრი მრევლიც მზათ არის და მაშინათვე მოსთხოვენ ეპისკოპოზსა, რომ თქვენ დაგნიშნოსთ პირველ ვიქარნათ. ასრე, რომ სახელმწიფო ჯამაგირი თქვენ გეძლეოდეთ და ჩემს ავათმყოფობაში და შორს ყოფნაში თქვენ უნდა დაიჭიროთ ჩემი ადგილი. ყველა საქმე გაწყობილია...ახლა თანახმაა ამ აზრზედა.

მაგრამ უკეთუ მაინც და მაინც არ მოხვალთ, საჩქაროთ მაცნობეთ მოსვლაც და მოუსვლელობაცა, რომ მე ჩემი საქმე ვიცოდე. შარშან დიდმარხვაშიც მოქანცვისგან ლოგინათ ჩავვარდი ვნების კვირაში; ახლა თუ მალე არ მომეშველებით, იძულებული ვიქნები, რომ ამ სამსახურს თავი დავანებო, რადგან აღარ შემიძლია; გთხოვ, საჩქაროთ აცნობოთ პ.ალფონსოსაც და მალე მოეშველოთ აქაურობასაც. იცოდეთ, რომ მაშინ აქაური საქმე ძალიან ცუდათ წავა, დაიღუპება და მერე ბევრს ინანებთ.

ველოდები თქვენგან სანუგეშო პასუხსა.

თქვენი უმცირესი პ.პავლე კალაიჯოვი.

P.S. პ.სტეფანეს განზრახული აზრი მეც არ მომწონს და უკეთუ მას იგი შეესრულებინა, იგი იქმნებოდა მანდაურობის სამუდამოთ დამღუპველი. იგივე.

5 ოკტომბრისა, 96, ტფილისით

ღირს-პატივცემულო თანა-მოძმევ

უ-ლო ბენედიკტე

თქვენი წერილი გავლილი სეკტემბრის 24-დგან მივიღე და ფრიად შევსწუხდი, რომ ეპისკოპოზი მანდ არ დაგხვდენიათ და ჩავარდნილხართ შეწუხებაშიდა; რომელიც თქვენი ბრალია, რომ თქვენის ნებით დაიჟინეთ მანდ წასვლა, წინააღმდეგათ ჩემი სხვანაირი რჩევისა; რაც არის, გავლილს შეცდომას აღარ ეშველება რა.

თანახმათ თქვენი თხოვნისა, ამასთანავე, გიგზავნით ორმოცს მანეთსა; რომელთაგან 15 მანეთი **პატრი ლეონმა** მომცა თქვენთან გამოსაგზავნათა და 25 მანეთს ჩემსგან გიგზავნით; და გაცნობებთ, რომ მაგის მეტ აღარ გამოგიგზავნი; პირველად რომ მე არავითარი განკარგულობა არ მიმიღია პატრი სტეფანესაგანა, რომ თქვენ ფულები გაძლიოთ ანუ გიგზავნოთ მეორედ; უკეთუ მონასტრის შვილობის გამო თქვენთან ჩვენ უნდა ვიკისროთ თქვენი წარსაგები; მაშინაც უმფროსისგან უნდა იყოს განკარგულობა, რომ თქვენი წარსაგები, რომელი სუმმიდგან უნდა იხარჯებოდეს, ანუ ვის და ვის უნდა გადახდეს და თვითეულს რავდენ-რავდენი მანეთი. უკეთუ თქვენი წარსაგები იყოს ჩვენი სატვირთველი, მაშინაც მარტო ხომ მე არა ვარ აქედგან იმ მონასტრის შვილი? არა რომ ყოველმაც თავიანთი შეძლებისდაგვარათ უნდა გარდიხადონ; აგერ ჩემი მიცემული (ამ ფულიანათ გახდება 60 მანეთის დონა; მაშ, პატრი ალფონსომ ორი ჩემოდენი უნდა გადაიხადოს 120 მანეთი და არა 20 მანეთი; ეგრეთვე, დანარჩენმა მღვდლებმაც **პ.ანსელმამ, პ.იოანემ და პ.ბასილმაც** (რომელიც თავისთავს ხან სცნობს მონასტრის შვილათ და ხან არა) უნდა იხადონ თავიანთი შეძლებისადაგვარათ, მაგრამ არაფერს არა მწერთ, თუ რაოდენი მოგცესთ პ.იოანემ და პ.ანსელმამა. და მერმედ, რომ მანდ თქვენი წასვლა იყო სრულიად თქვენი ნების და **ტერ ანტონის** მოსაზრება და არა ჩემი; კარგია კიდენ თუ საქმე გარიგდეს და ეპისკოპოზმა მიგიღოს; თუ არა, ხომ უბრალოთ ფულები უნდა დაიფლანგოს და სირცხვილიც ცალკეთ უნდა გავსწიოთ.

ამასთანავე, გიგზავნი რასპისკას დონ ივანეს ძმას **გრიგორი ანტონოვისას;** რომელმანც ისესხა ჩემგან სამი მანეთი 6 ოკტომბერსა 1892 წელსა, რომ ორი კვირის შემდგომათ უნდა გარდაეხადა და ჯერაც არ იხდის. **დონ მიხაელმა** არ ისურვა თავის ძმის მაგიერ პატარა ვალის გადახდა; მაგრამ **დონ ივანე** უფრო უხვი და გულკეთილია ვიცი და იმედია, რომ იგი გადაიხდის თავის ძმის ვალსა. ამისთვის გთხოვ, რომ ჩემს მაგიერათ პატივისცემით მოიკით-ხოთ დონ ივანე, გადასცეთ ეს რასპისკა და მოახსენოთ, რომ უკეთუ იგი არ ისურვებს მიიღოს რასპისკა და 3 მანეთი თქვენ მოგცეს, და თუ არ ისურვებს, მაშინ უკანვე გამოგზავნი მოხსენე-ბულ რასპისკასა.

მოგიკითხავ ძმობილი სიყვარულითა. ეგრეთვე, ჩემმა ძმამ იოსებმაც მოგიკითხათ.

თქვენი უმცირესი პ.პავლე კალაიჯოვი

25 აგვისტოს 1987. ტფილისი.

თქვენო ღირსებავ
უ-ლო პ.ბენედიქტე!

გუშინ ფოჩტით მივიღე უფ.პ.სტეფანესგან წერილი, რომელშიდაც იდო თქვენთვის გადმოსაცემი წერილიცა, რომელსაც ამასთანვე თქვენ გიგზავნით.

აგრეთვე, ამავე წერილში იდო და **ანნა ნატალიასთვისაც** გადასაცემი წერილი, რომლითაც **პ.სტეფანე** მორჩილობის ქვეშ ავალებს ნატალიასა, რომ შეუყოვნებლივ აიღოს პასპორტი და წავიდეს კონსტანტინოპოლში, თავის აღქმის განსაახლებლათა. მაგრამ იმ წერილს მას ახლა არ ვუგზავნი, რადგან მას აქ ელოდებიან ამ დღეებში მოსვლასა.

მე იმედი მაქვს, რომ აქ შემოივლით წასვლის დროს, რადგან წერილები მაქვს გასაგზავნი თუ პ.სტეფანესთანა და თუ **პ.მიხაელთანა** და მათ თქვენ წაუღებთ.

ეგრეთვე, იმედი მაქვს, რომ ბევრს აღარ დაიგვიანებთ და მალე გაემგზავრებით.

მე, ჩემი წერილით, ვსთხოვე პ.სტეფანეს თქვენი აქ დატოვება, ტფილისის სკოლაში საქრისტიანო მოძღვრების მასწავლებლათა და ყრმათა ზედამხედველათა და მერე შეიძლებოდა თქვენი აქაური ეკლესიის ვიქარნათ განწესებაცა. მაგრამ პ.სტეფანემ უარი მომწერა თქვენს აქ დატოვებაზედა, რადგან იქ უფრო საჭირო ყოფილხართ.

მოგიკითხავ მამობრივი სიყვარულითა. გთხოვ, რომ ჩემს მაგიერათ მამობრივი სიყვარულით მოიკითხოთ უფ. **ტერ ანტონ აკოფოვი** და სხვანი ნაცნობნი.

თქვენი უმცირესი

პატრი პ.კალაიჯოვი.

28 იანვრისა 1899. ტფილისი

თქვენო ღირსებავ

უფალო პატრი ბენედიკტე!

ქებული იყოს იესოს სახელი!

თქვენი წერილი მივიღე იანვრის 16-დგან. მადლობას მოგახსენებ მოლოცვისა და კეთილი სურვილისათვისა. მეც ძმობილი სიყვარულით მოგიკითხავ და მოგილოცავ ახალ წელიწადსა და ვისურვებ თქვენთვის ყოველივეს კეთილსა, სულიერათ და ხორციელათა.

ჯერ პეტრას არაშოვი გარდაიცვალა ამავე იანვრის 24-სა ახალციხეში; მწერთ რომ ამ საგანზე თქვენთვის მოუწერია დონ ივანესა და გატყობინებს იგი, რომ ეპისკოპოზს უნდა, რომ თქვენ მალე მოხვიდეთ მის ადგილის მისაღებათა. თუმცა კეთილია მისი მწერლობა და ის ადგილი სახეირო და სასარგებლოა ჩვენი მღვდლებისათვისა, მაგრამ კი არ აქვს სასარგებლო პირველათ თქვენთვისა, რომ თქვენ ჯერეთ გამოუცდელი ბრძანდებით ერის, **მრევლის და ეკლესიის მართვის საქმეებში და თანაც რუსული არ იცით** და იმ ეკლესიის მრევლნი არიან თითქმის სულ **პოლიაკები**; მეორედ, რომ თქვენ აქ უფრო საჭირო და გამოსადეგი იქმნებით, რომ ამ ეკლესიის ვიქარნის ადგილი დაიჭიროთ პირველში და მერმე ნასტაიატელის ადგილიცა, რადგან მე ხშირათ ავათა ვარ და საქმეებს თავს ვერ მივსულვარ და უკეთუ მალე არ მეყოლება კარგი სინდისიანი ვიქარნი, მე მალე თავს დავანებებ ჩემს თანამდებობასა. მაშ, კარგათ იფიქრეთ და ისრე საქმე დაიჭირეთ. ასწონეთ, თუ ჩვენი მღვდელებისათვის ეს ადგილი უფრო საჭიროა თუ ახალციხისა. მე აღარ შემიძლია, რომა ამისთანა ვიქარნებთან, როგორნიც არიან **ნაპაპეტიანი და მურაშოვი,** დიდხანს დავრჩე ამ თანამდებობაში; ამასთანაც, ჩვენ სამრევლო სკოლისთვის არა გვყავს მღვდელი. თქვენს აქ რავდენიმე ხნის განმავლობაში პრაკტიკაში გამოიცდებით და მერმე კიდენ მოესწრებით ნასტაიატელობის თანამდებობის მიღებასა.

როდესაც მოსასვლელი იქნებით, გთხოვ, ადრით მაცნობოთ.

თქვენი უმცირესი

პატრი **პავლე კალაიჯოვი.**

მეთილდა და როზა ჩილინგაროვის წერილები მამა ბენედიქტეს

Lone boit Jesis Ehsuit

Dardanelles k 22 Mai 1905.

ძმაოჯან აქაურმა დიებმა ბევრი მოკითხვა შემოგითვალეს,

ეგრეთვე ქრისტინეს. მალე პასუხი მამწერე

შენი მუდამ მოყვარული და ერთ გული და **როზა ჩილინგაროვი**

ძლივ სირა მამივიდა, რომ ერთი წერილი და ანუ შენი წიგნის პასუხი მოგწერო; საყვარელო ძმაოჯან, შენმა მოწერილმა წერილმა ძალიან გამახარა, მაგრამ ძალიან ცოტა ხნისთვის იყო ის სიხარული და მექთილს გაძლისათ ღვთის ნება კურთხეული იყოს, ესეც ჩემი ბედი არის. მადლობა ღმერთს, რომ კიდევ აქამდინ არაფერი შეცვალა და საქმის უკან წასვლა არ მოხვდა. ყმაწვილები მუდამ იგივე მოდიან. ჩვენც აკუშკები, პერსიენები დავბურეთ; ეგრეთვე, შიგნითა კარები. გარე კარებში ღვდელი იდგა და ჭერიდან წყალს აღბინებდა. საყვარელო ძმაოჯან, ამ შიში და კანკალში ფიქრში მამივიდა, რომ სეზარამ კარები რომ არაკუნოს, ვერ შევიტყამთ მეთქი? აკუშკიდან გადვიხედე და რას ვნახამ, საწყალი მადაშ პავლოი თავღია მოსულიყო და კარებს არაკუნებდა და რომ დამინახა:– შვილებო რას შვრებითო, გამიღეთ კარებიო. მართალი დედის გული აქვს ამ ქალსა. საათის 9-მდინ ჩვენთან იყო და მემრე წავიდა, როცა ყოველი დაწყნარებული იყო. enfu მალე გააქრეს; მარტო რამდენიმე ტანისამოსი დაიწვა; ესეც გაიარა. დღეს დილას, საყვარელო ძმაოჯან, წირვაზე წინეთ კარის ზარი ირეკება; გავაღამ, რას ვნახამ, ქრისტინეს მამა და მეუბნება:– შვილო, წუხელის თქვენი სახლის გარეშემო ვიარეო; ერთიან შეკრებვილი იყავითო და ვერ ვნახეო; თელი ღამე გავათენეთო თქვენი ფიქრითაო. ამ ქვეყანაზე კაი გულის ადამიანები იშოვებიან და ამხანაკობაც საჭიროთ ყოფილა.

საყვარელო ძმაოჯან, ამ წერილს და მექთილდას ნუ აჩვენამ და მარტო ცეცხლისთვის ასე პირად უთხარი; ხველებისთვის ნურაფერს ნუ იტყვი.

ი.მ.დ.
ქებული იყოს იესოს სახელი
დარდანელი, წელსა 1898-სა თებერვლის 2-სა

გულით საყვარელო ძმაო, პატრი ბენედიქტე!

პირველად, მრავალ **სიყვარულიან მოკითხვას** მოგახსენამ და შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ, შენთვის მრავალ ბედნიერ სიცოცხლესა, რათა იმყოფებოდე ჩემდა სანუგეშოდ. გარდა ამისა, საყვარელო ძმაო, ვიცი შენი კეთილი გულის ვითარება, რომ ჩემს ამბავს იძიებ. მადლობა უფალს, ღვთით და თქვენი წმინდა ლოცვის შეწევნით, მშვიდობით, კარგა ვარ ამ წერილის ჟამსა.

მივიღე შენი წერილი და ეგრეთვე, ნათესავებისაც, მაგრამ მე კი მინავათი ვარ, რომ აქამდინ პასუხი არ მოგწერე, რადგან მგონებრ, რომ არ გწყენს, რადგან შენვე გითქვია, რომ წელიწადში ერთხელ უნდა მივწეროვო და იმის გამოისათ, მეც ისე უნდა შევეცადო, რომ გავპირდაპირდეთ. კი ეხლაც არ ძალას არ გატან და არ გეტყვი, რომ მალე მამწერე მეთქი. როგორც **შენი გულის ტანჯვა გეტყვის,** ბევრი არ ჩამუუდგე, რადგან მანდ დარდები ბევრია. ხომ აქაც სულ ერთი არა ვართ, მაგრამ როდისაც კაცი თვალით არ ხედამს, სხვანაირად მოსდის ღვთის ნება, კურთხეულ იყოს. აქ გვიჭირამს ღვთის მშობელთან, იქნების, მოიღოს თავისი წყალობა და იპოვნოთ, როგორც პირველ ჯერობათ. აქაური ამბავი ყველანი კარგა ვართ. მარტო **იანვრის 29-სა მიწის ძვრა იყო ექვსი პირი**, მაგრამ მესამეჯერობაზედ ძალზედ ძლიერი იყო და **კარგა ფერი გვაკრეფინა.**

საყვარელო ძმაო, მე შენი დაწერილი საქმე სულ მიკვირს. უნდა ვთქვა, რომ ვერაფრით ვერ გიმადრიელამ თქო; თქვი, თუ არ მიმიძღვის, ეს კრიალოსანი რომ გამამიგზავნე, შემიძლია ვიხმარო. ესეც არაფერი. ხომ იცი, რომ მე არ მინდა მიზეზი გავხდე რამისა. თუ რომ გირჩევნია, რომ მისცე და მარიამსა, ეგ ოცი მანეთი მიეცი. მე მინდოდა, რომ შენ მოგეცა ერთი სახსოვარი, როგორც დამპირდი საქართველოს წასვლაზე წინწინ. მე თუ ღმერთმა დამასწრა და მოველი ვაკანცათ, ეგ ფარა მე ხომ არ უნდა შევინახო, უნდა მივცე უმფროსებს. ხომ იცი, რომე აქამდისინ კაპეიკის შემნახავი არა ვარ და ღმერთმაც მაშოროს, რომ კიდევ შევინახო (დიდი სიტყვა არ ვთქვა, რომ ეშმაკმა არ შემაცდუნოს). ახლა შენ იცი, როგორც რომ სჯობია და რაც გინდა ჰქმენ. ეგ ფული მე არ მინდა, რომ გაცეთილი ოცი მანეთისთვის რამე საწყენობა მოვიდეს. ხომ არავინ არაფერი არ თქვა, მაგრამ მე წინწინვე ვფრთხილდები, რადგან მე ცოტა ბედისა ვარ. ეს ამოდენი ვიცი. საჭირო არ არის უთხრა, რომ მე გეუბნევი. როგორც გინდა, ისრე მოიქეცი. ბევრი რამე მაქვს სათქმელი, მაგრამ ამ ქაღალდს ვერ ვანდობ. არა უშავს. მანდ ვყოფილიყავი, კარგი იქნებოდა, მაგრამ ღმერთსაც ასე დეეწერა ჩემთვის და მის ნებასვე ასრულდეს. მადრიელი ვარ იესოსგან და ერთი კიდევ ამას გეხვეწები, რომ, როგორც რომ გირჩევნია, მგონებ რომ მისცე უფრო კარგი იქმნება, რადგან ეშმაკი, ვინ იცის, მაგ ფულს ხმარობს, რომ რამე ლაპარაკი მოახდინოს. ახლა ვნახო, თუ როგორ გულ მუუგამ პატივცემულ ბატონს და ვაკანცათ რომ მოვალ, რა მოხარული ვიქმნები, რომ მითხრას შენზე კარგი ამბავები, როგორც მებნევოდა ხოლმე წინეთ; არა რომ გიბძანემდე, ერთ დას და ერთ ძმას შეუძლიათ, მგონებს, ამნაირებ თქვან, უფრო მეტი რამები, მაგრამ მე კიდევ ცოტას გებნევი. ვინ იცის, ვაკანცამდინ ერთი წიგნი ძლივს მამწერო და მაშინ უფრო ბევრ რამეს გეტყვი, თუ არ გეწყინება.

გთხოვ, საყვარელო ძმაო, მომიკითხო ხელის ამბორებით პატივცემული ბატონი და ეგრეთვეც, ვინც მიკითხოს. აგერ ერთ წიგნს ვწერ ნათესავებისთვისაც და, თუ შეიძლება, გააგზავნო. ისინი კი არ მწერენ, მაგრამ მამაი და დედაი მებრალება და იმათთვინაც ვწერ. მომიკითხე ჩემი საყვარელი ძმისწულები და პეტრეიც. თუ ეგენიც უნდა წავიდნენ? ძალიან საჭიროთ იყო, რომ მოვიდნენ. ძალიან პატარები არიან. ერთი ეს მითხარი, იციან ღვდლობა რა თქმა არის? საყვარელო ძმაო, არ დამივიწყო შენ წმინდა წირვაში და შემავედრე იესოს, რომ გავხდე ერთი წმინდა, როგორც ჩემი სიხნა.

აქაური ქალწულები ბევრ მოკითხვას გითვლიან, რაღა თავი შეგაწყინო, დავშთები შენი ერთგული და **როზა**, რომელიც არ გივიწყამს,

მხევალი უმანკო ჩასახებისა.

თუ რუსის თემბარები გაქვს, გამამიგზავნე რა ნახმარი იყოს.

ი.მ.დ.
ქებული იყოს იესოს სახელი
წელსა, 1897-სა, ღვინობისთვის 31-სა

გულით საყვარელო ძმაო პ.ბენედიქტე

მივიღე შენი წერილი. თუ რომ იცოდე, რა სიხარული დამიდგა, რომ გავიგვიანე მაშვი ვთქვი, ახლა შენ ყოფილიყავი ჩემს ადგილას! აგერ, შვიდი თვეა, რომ შენი წერილის ნატრული ვარ და ეგრეთვე, შენი ამბვისა. ახლა უნდა თქვა, რომ შენ სულაც არ მწერემდიო, მაგრამ ვისი ბრალი იყო, ჩემი თუ კიდევ შენი. მე ადრესი არ ვიცოდი. თანაც მითხარი, რომ მე მალმალე მოგწერამო და შენ თუ დააგვიანებ, არა უშავსო.

როდისაც გავიგე, რომ ღვდელი გახდი, მაშინ დავსწერე ერთი წიგნი და თქვეს, რომ გზაში არისო. თუ რომ გზაშია, მაშინ წიგნი დავხიეთ. ახლა შენ იფიქრე, თუ როგორ მოგელოდები დღიდან დღეზე; აღთქმაც რომ უნდა მეთქვა, ისიც სხვა და აქაც გამამზადეს, ესეც კიდევ სხვა; რა ფიქრები მამდიოდა და რუსები თუ აწვალებენ მეთქი, ანუ თუ აღარ უნდა მოვიდეს, მეთქი. ეს კი შეგიძლია თქვა, რომ ბევრი ვსწუხდი შენს გამო. ისე კი გარეთ არ ვაჩენდი, მაგრამ მე ვიცოდი, **ჩემი გული როგორ იხრაკებოდა.** ახლა, საყვარელო ძმაო, თუ ჩემს ამბავს იკითხამ, მე ძალიან კარგა ვარ. აქაურ ადგილთანაც მალე მივეჩვიე, მაგრამ ცოტა ჰაერი ცივათ მეჩვენება. ღვთის შეწევნით, ამასაც მალე შევეჩვევი. **მე ამ ქვეყანაში ზღვა მირჩევნიდა და ღმერთმაც გამამიგზავნა.** აქამდისინ კიდევ დარდიანათ ვიყავი, სულ საღდარში რომ შევდიოდი, სულებს ვევედრებოდი, რომ ერთი რამე ამბავი შევიტყო მეთქი. იმათაც კი აღმისრულეს და კი ახლა, როგორც იტყვიან, დიდი მოხარული ვარ. ვხედამ, რომ მოწყენილი ხარ, ანუ **მიღალათული,** რომ ნათესავებიდგან, წორეთ, არაფერს არ მებნევი. რა ვქმნა, ღვთის ნება კურთხეული იყოს ჩემთვისაც. ასე დეეწერა, რომ ამ ჩემ ბედნიერს დღეებში შორს ვყოფილიყავი ჩემი ნათესავებისგან. ღმერთსაც ამას ვევედრები მხოლოდ, ავანტყოფობა არაფერი იყოს და შორს ვიყო. ამანათებისთვის რომ მებნევი, მე რა უნდა ვქმნა. რაც გაქვს, სულ შენ შეინახე ჩემს მოსლამდინ და თუ შეგიძლია, თუ არა, შენ უნდა შეინახო. როგორ, საყვარელო ძმაო, მე როგორმე მინდოდა ერთი რამე დავინახო, ჩვენი ბალახი მეთქი. სულ ერთიან ჩაიარა. ოთხ ვაშლსაც არის გამოგიგზავნიდი, თუ რომ კიდევ გაქვს, გამოაგზავნე. ანუ სხვა რამე არაფერი მოიტანე მეტი?

შენი მგზავრობა როგორი იყო, კარგი? თუ შესწუხდი, როგორც აქედან წასვლისა. აქ დილიდგან საღამომდი ვლას ვაკეთამ პატარა ბოვშვებში. ან რაზე შევიტყო ჩემ ძმის მოსვლა მარტო წიგნით? ერთი მაინც რამე გამომიგზავნე მე კარგი. მიხარია, რომ წიგნი მაქვს ემეორე დების. ახლა შენ ეს მითხარი, გავიგე, რომ ღამე შიშლში წვები და დღისით მონასტერში ხარ. არაფერი ავათყოფობა ანუ რამე. შენ იცი, რაღა ეს წერილი მატყობინებს, რომ საცღა არის და არ მებნევი; შენ ზათი სულ ყოველთვის ხარ. აქაური დები, და **მექთილდაი**, და **თერეზაი**, და **მარიამი** გილოცავენ. სუფრაზე შენი სადღეგრძელოც ვსვი და ბევრ მოკითხვასაც გიგზავნიან.

მომიკითხე ბატონი დიდის პატივისცემით და სხვაც, ვინც მიკითხოს: სტეფანეი, პეტრეი, კიდევ პეტრეი. დავშთები თქვენთვის კეთილისმომსურნე და **როზა,** მხევალი უმანკო ჩასახებისა. **ერთი ეს მითხარი, რათ ირქვამთ ვარდიძეს და არა ჩილინგაროვს**…..

ჩვენებისთვისაც ამ შენ წიგნში ჩავტოვე და შენ გადაუგზავნე.

ქებული იყოს იესოს სახელი

დარდანელი, წელსა 1900, მაისის 29-სა.

გულით საყვარელო ძმაო, პ.ბენედიქტე

ძალიან კი გემეხარდა, როდესაც მივიღე შენი წერილი, მაგრამ პასუხის მიცემისთვის ძალიან მინავათი ვარ, ასე დაგიგვინე. გთხოვ, საყვარელო ძმაო, რომ მამიტეო, რადგან დრო სულ არა გვაქვს. უნდა თქვა, რომ უსაქმურები წევან; მაგრამ რა ვქმნათ, ერთი რამე, რომ, მართალია არ ვთქვათ? დამიჯერე, რომ დღეები ისე მიდის, რომ ხაბარიც არა გვაქვს. ეს ერთგანი ძალიან კარგია, რომ არ ვბეზრდებით და ერთი განით კარგი არ არის, რომ დრო არ გეცემა წიგნების დაწერისთვის და სხვა პატარა რამეებისთვის.

ახლა მანდანაც ძალიან საქმეები **გაქვანან**, რომ აქაურებს გადააჭარბამს. მაგრამ მადლობა ღმერთს და, იმედიც მაქვს, რომ თქვენი პროსე(უ)სიონის დღე მშვიდობით გაატარეთ. ახლა, საყვარელო ძმაო, გავიგეთ და კიდევაც უცდით და **ჩეჩილიასა** და ვამბობდი, რომ მოვიდეს და ისე დავწერო მეთქი, მაგრამ აქედან ჩვენი შაგირდი მოდის და მას ვატან ამ შენ წიგნსა და ეგრეთვე, საქართველოსთვისაც. ხომ, ძმაო, ჩვენი მაწონილი მანდ გყავან ორი პირი, რომელიც რომ მის მაგიერათ მოვიდა. არა არის ისე ნასწავლი, მაგრამ მაინც პატიოსნება აქვს და არა იძახის, „გაუხდელი ქართველებიო“. როდესაც რომ მაწონილი წამოვიდა, არა ვინ არა გაჰყვა ბაფორში და ყველავინ იძახდნენ, ძლივ გადავრჩითო. ყველავინ კარგა ვართ, მაგრამ და მექთილდას ძალიანი ყურისტკივილი ქონდა და ახლა ცოტა გაუარა. აქაური ქალწუნები ბევრ მოკითხვას გითვლიან. რაღა თავი შეგაწყინო, სიყვარულით მამიკითხე ყმაწვილები. გთხოვ, რომ ილოცო ჩემთვის და მეც შენთვის. საცალკეოდ ჩვენი ლატარიისთვის ილოცე, რომ ღმერთ-მა ხელი მოგვიმართოს.

დავშთები შენი ერთგული და **როზა,** მხევალი უმანკო ჩასახებისა

მშვიდობით.

ი.მ.ი. ქებული იყოს იესოს სახელი

დარდანელს წელსა 1899-სა ოქტომბრის 12-სა

სულით საყვარელო ძმაო ჩემო, პატრი ბენედი

აგერ, რამდენიმე დღეა თქვენგან წერილი მივიღე და ეს წიგნი იყო არც არა გასახარებელი. არა რომ მეწყინა, რომ ამისთანა წიგნი მამწერე, მაგრამ შენს გამოთ ვსწუხდი, რომ თქმა იყო, თვითონ მე ვიყავი შენი შემწუხებელი. სხვაც რომ მეუბნევი, ერთი პირი ტყვილი მითქვამს შენთვინა. მე არ მახსომს და ვინიცობა არის, რომ გითხარი და თუ რომ საყვარელო ძმაო – მე შენთვის რაიმე ცუდი მდომოდა, ხომ არ დაგიხელმეორებდი და არ გეტყოდი, რომ ტყვილი იყო მეთქი. და ახლა სირამდინაც მუნ მომწერე, იმაზე წინ აღთქმა მქონდა, რომ აღარაფერში არ გავერიო, აღარც ჩემთვის და არც სხვისთვის.

საყვარელო ძმაო, ახლა მივიდეთ სხვა რამეზეც. ამ წიგნს ვატან ერთ ბერძენ ბარიშნას, რომელიც მოდის დამდესიონებში და ფერიქოეშიც ამოვა. საყვარელო ძმაო, შენ კარგა იყავი ჯანის სიმრთელეზე, მე სხვა აღარაფერს ვნატრობ და ჩემი ვედრებაც ეს არის, რომ კარგა იყო. მეტადრე, რომე ჰაერები იცვლება და შენ რომ **შიშლაში** მიდიხარ და მოდიხარ, არ გაცივდე. აქ, აგერ სამი დღეა, დიდი სიცივები დაიჭირა. ზღვა ძალიან აღელებული არის. ჩვენ კარგა ვართ და მეტადრე საქმეები გვაქვს და ვიცი, რომ გაგეხარდება: ოცდაათი ურია მყავს და კათოლი-კებიც სხვა; საქართველოდან არაფერი ამბავი არა გაქვს? შემატყობინე; გთხოვ, საყვარელო ძმაო, რომ არ ვიყო დავიწყებული შენ წმინდა წირვა-ლოცვაში. აქედანაც და **მექთილდამ** და **თერეზამ** და და **კატრინამ** ბევრი მოკითხვა მოგახსენეს და მენც გთხოვ, მამიკითხე ჩემი საყვარელი ძმისწულები მაკაი, **სტეფანე, ემანუელი** და **პეტრეი**. რაღაც თავი შეგაწყინე.

დავშთები შენი მუდამ ნახვის მომნატრე და **როზა**, მხევალი უმანკო ჩასახებისა.

ძმაოჯან, ამ სამ დღეეში წმიდა **თერეზას დღეობას** მოველით. შვიდობით, ილოცე ჩემთვის და მეც შენთვის.

ი.მ.ი. ქებული იყოს იესოს სახელი

დარდანელს 1898-სა ოქტომბრის 22-სა.

ყოვლად საყვარელო, გულით სანატრელო ძმაო, პატრი ბენედიქტე.

მივიღე შენი **წერილი, სავსე ცეცხლებით,** რომ სადაც მის **წკიპარტები** ეცემოდა, იმ **ადგილს სწვებდა და ხრაკემდა.** ამას რაღა მაფიქრებდა, რომ ღმერთი გამოგვიგზავნიდა. მე ხომ მუდამ ვევედრებოდი - ჯერ მე მამკალი მეთქი და ისე ჩემი საყვარელი ნათესავები. ღმერთმა სულ უკუღმა ისმინა ჩემი ვედრება. ჯერ და ვერ გამამენელებინა და დედას ვინ იფიქრემდა! მე კი გული მითქვემდა და ეს გულის თქმა სიზმრამდინაც მიმდევდა; ორი კვირა იქმნება ვნახე, რომ ბევრი წერილიები მოგეტანა ყოველა ნათესავებისაგან და მექთილდამ გითხრა, რომ და როზას წიგნი არა აქვსო და შენ უთხარი, რომ საწყალმა თუ იცოდესო, რომ **მიწიდან სწერებენო.** ტირილით გამამეღვიძა და ვთქვი, რომ სიზმარი დასაჯერი არ არისო. იმით გული გადვიყოლე, მაგრამ ნახე როგორ მართალი იყო. ეს შენი წიგნი კვირადღის მემრე თურმე და მექთილდეს აქვს და არაფერს არ მეუბნებოდა, რადგან ერთი პატარა მუწუკი მქონდა ცხვირში. ძალიან კი ვსწუხდი, ოთხი დღე გამიწია. როდესაც რომ კარგა გავხდი, ზედ პარასკევ დღეს, ნასადილევს, საათის ორზე მითხრა, რომ სირ მარიმ მამწერაო და გვებნევაო, რომ დედაშენისთვის ილოცეო, რადგან ცოტა ავათ არისო. ერთი კი შევხედე, როგორ, წერილი მე არ მაქვს ჩემი ძმისაგან, რომ სირ მარი მითვლის მეთქი? წაველი, რადგან კლასი უნდა დამეწყო, მაგრამ მე მაშინივე შევიტყვე, რომ მარტო ავათ მყოფობა არ იყო! ეხლა შენ იფიქრე, საყვარელო ძმაო, რა გულით კლას გავაკეთებდი. კი **ძალზე გული მიდუღდა,** რომ როდის უნდა კლასი გავათავო, რომ **მე ერცახე ჩემთვის ვიყო და ვიტირო მეთქი.**

გული სავსე მაქვს. ლაპარაკის თავიც კი აღარ მაქვს. **საწყალი დედაი, როგორ მოვინელო**; ეს იმისთანა რამე არის, რომ მუუნელებელია. ეს მონასტერში იციან მარიობას თვის აქეთ დალოცვილებმა და რატომ ჩემ მანდ ყოფნადიმ არ გვითხრეს? მე მითქვია და კიდევაც ვიტყვი, რომ ჩემი ბედი ამ ქვეყანაზე სუ უკუღმათ გადაქცეულია. **საწყალი დედაი, სამი თვე არის, რომ მიწაშია და მე არაფრისგან ხაბარი არ მქონდა**. საწყალმა ბოლო საიდუმლოც ვერ მიიღო. შენ წერილი არ გაქვს? მარტო ეს ერთი ფურცელი გამოგზავნეს იქიდან აქ. ერთი შემატყობინე, რა თვე იყო, ანუ რიცხვი იყო თვისა. ის წერილი რომ დაგიტოვე, გააგზავნე თუ არა, შემატყობინე. თანაც, საყვარელო ძმაო, მითხარი, შენი ... რო გაქვს, რის ოდენია, ეს მინდა შემატყობინო. მამიკითხე ჩემი საყვარელი ძმისწულები. **ახლა კი მართლა ობლები ვართ.** წიგნი მალე მამწერე შენი ერთგული და ობოლი და **როზა ჩილინგაროვი.**

და **მექთილდამ**, და **თერეზამ**, და **მარიამ** ბევრი მოკითხვას გიგზავნიან.

აგერ მამას წიგნსაც გიგზავნი და თუ გამოდგება გასაგზავნათ, გააგზავნე და თუ არა, ნუ გააგზავნი და ერთ ფურცელსაც ვტიებ, თუ გინდა შენა ზედ დასწერე.

(ღია ბარათი გაგზავნილია საფრანგეთიდან, დარდანელიდან კონსტანტინოპოლში)

Le 20 Janvier, 1902

ყოვლად საყვარელო ძმაო პატრი ბენედიქტე,

აგერ ერთი თვე არის, რომ წერილი მოგწერე და შენგან ერთი პასუხი არ მიმიღია. არ ვიცი, თუ რა ამბავია, ჩემი წერილი მიიღე თუ არა. ახალწლის წინეთ მოგწერე. ძმაოჯან, შენი კეთილი ამბავი შემატყობინე, რომ ჩემი ფიქრი სულ მანდეთკენ არის. ქალწულებიც არაფერს იწერებიან შენზედ. მარტო შემატყობინე, რომ კარგა ხარ, სხვა არაფერი მინდა. ამ კვირას აქაური ღვდელი მოვიდა სტამბოლში და გრან ვიქერი მოდისო. ვნახოთ რას გვეტყვის. ამ კვირას უცდი შენ წიგნსა. ვნახოთ, **დიებმა** ბევრი მოკითხვა მოგახსენეს.

მშვიდობით, შენი ერთგული და **როზა ჩილინგაროვი.**

(ღია ბარათი გაგზავნილია საფრანგეთიდან, დარდანელიდან კონსტანტინოპოლში)

Le 8 Aout, 1904

ყოვლად საყვარელო ძმაო **ბენედიქტე,**

არ უნდა მამეწერა, მაგრამ, ვფიქრობ, რომ სტამბოლში რეტრეთზე წინეთ ვერ გნახამ და ამას გევედრები, რომ თქვენ რუთრუთში აქაურ ღვდელს კვირეს არაფერი დაჰკითხო ჩვენზედ, რადგან ერთი ...ტყვილ მართალს აკეთამს. შარშანდელის არ იყოს, თელი აქეთ-იქით **არატუნა თავისი უბრალო სიტყვები** და აქ ამბობს, რომ პატრი ბენედიქტეს მეტს არავის ვუთხარი, იმან წავიდა და ყოველავეს ელაპარაკაო. აგრე, ძმაოჯან, ჯერ თავს გაგაბეზრებენ და მემრე სხვა რამეს დაუძახებენ. როდესაც მანდ მოვალ, ღვთით გნახამ, მაშინ გეტყვი ყოველავეს.

შენი ერთგული და **როზა ჩილინგაროვი.**

(ღია ბარათი გაგზავნილია საფრანგეთიდან, დარდანელიდან კონსტანტინოპოლში)

Le 19 Juin, 1904

ყოვლად საყვარელო ძმაო ბენედიქტეჯან,

მივიღე შენი მშვენიერი წერილი და, ეგრეთვე, **ალექსანდრესი** და **იოსებისაც.** ძალიან გამეხარდა, რომ მშვიდობით და ჯანის სიმრთელით ხართ. თანაც მადლობელი ვარ, რომ ბილეთების უარი არ მიყავი. შენ ბილეთებს მე აქ შევინახამ, თუ გინდა და თუ არა, მანდ გამოგიგზავნი, როგორც გინდა. გულით საყვარელო ძმაოჯან, ძალიან მინდოდა, რომ აქამდინ წერილი მამეწერა შენთვისა და ეგრეთვე საქართველოსთვინაც, მაგრამ, ძმაოჯან, დრო სულ არა მაქვს. მამიტევეთ და თუ შენ საქართველოს მისწერამ, ჩემ მაგივრად სიყვარულით მოკითხვა მოახსენე და ალიოზთან არ დაივიწყო, მე რომ მოგწერე. და მექთილდამ ბევრი მოკითხვა მოგახსენა. საწყალს ამ დღეებში ყური სტკივა, ძალიან სწუხს. ძმაოჯან, ვერონიკემ არ მომწერა. არ ვიცი, თუ რა აქვს. საყვარელო ძმაოჯან, დღეს გავიგეთ, რომ საწყალი **პ.იოვანეი** ავათ გამხდარა, ისპიტალში ჩასულა. მოგვწერე, როგორ არის. მამწერე, თუ როგორ გაატარე, როდესაც ეპისკოპოზი შენთან იყო, კარგა გაამგზავრე? საყვარელო ძმაო, საქმეები ბევრი გვაქვს. საქმე ბილეთების გაყიდვა არის. **ახალი კონცოლი როგორცაღა სუბუქი მეჩვენება.** ამ კვირას თავისი ცოლი და შვილი, 18,19 წლისა მუუვიდნენ. შვიდობით, საყვარელო ძმაოჯან. მოკითხვა, ვინც მიკითხოს.

შენი ერთგული და დაუვიწყარი და როზა ჩილინგაროვი.

ქებული იყოს იესოს სახელი

დარდანელ წელსა 1901-სა გიორგობის 28-სა

ყოვლად საყვარელო და გულიდან დაუვიწყარო ძმაო პ.ბენედიქტე!

პირველათ სიყვარულით მოგიკითხამ და შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ შენთვის მუდამ ჯანის სიმრთელესა და უვნო სიცოცხლეს, რათა იმყოფებოდე ჩემდა სანუგეშოდ. კარგათაც იცი, ძმაოჯან, რომ დედ-მამის შემდეგ, **შენზედ ვარ შემოხიზნული** ყოველა ნათესავებში და შენგნითაც ნუ ვიქმნები დავიწყებული და ხანდისხან ფიქრით გამიხსენე და, სულ ცოტა, წერილითა ნუ დამივიწყამ, რომ სხვა არავისგან არ მოველი. მეორებს საყოფი ცოლ-შვილის ტანჯვა **აქვანან**. ახლა უნდა სთქვა, რომ ვერაფრით ვერ დამიმადრიელებიაო. მიგიძღვის, მაგრამ ამ ვაკანცათ რა იყო შენი უკარობა? **როგორც დღე და ღამე ისე გამოცვლილიყავი**. სულ გაკვირვებული ვიყავი და კიდევაც ვარ. შეიძლება, რომ ვინმემ ჩემზედ **გონჯი** გელაპარაკა. მაინც რაც იყოს, როგორ ადამიანმა ასე გული უნდა გამოიცვალოს? ჩემზე მეტი ვის ელაპარაკნენ, რომ მუდამ ერთნაირი ვიყავი. პასუხის მიგების მაგივრად, **ცრემლებს ვაპნევდი.** არ უშავს. ესეც იმასთან იყოს, იმოდენმა გაიარა, ესეც გაივლის. როგორც ფერიქოვიდან წამოსვლის დროს გამოარკვიეს თქვენი საძმოდან, შენი ძმა ნახეო? კვირას ვნახე მეთქი. რატომ ერთად არ წახვედითო? მეც უნდა წავიდეო და ერთი დრო ვერ მამეცაო. შენმა ძმამ არ იცოდა, რომ დღეს მიდიხარო? იცის, მეთქი, დაჩუმდით. შენც ორმოს გითხრის და შენ ხაბარი არა გაქვს. **სადაც რომ გგონია, დიდი ამხანაგი გყავს, თვითონ ის შენი მტერია.** მე ამოდენს გებნევი. როგორც გინდა, ისე აიღე, თუნდ კარგა, თუნდ გონჯად. საყვარელო ძმაო, ბენედიქტე, აგერ რამდენიმე დღეა **სალომესგან** წერილი მივიღე. დიდი სეტყვა მოსულა. თელი მიწა დაუსეტყვია. ვინც მოასწრო, იმას შერჩაო. გაღმაობისთვის, კიდევ, სწრაფი შეუდგენიათ. სალომეი ამბობს, რომ არ ვიცით, როგორ უნდა გადაწყდესო.

ალიოზი სახლში ჰყოლიათ. მისი ამხანაგები წავიდნენ საკითხავათო და ალიოზი დარჩაო. სიმონაიც **სალდათობისთვის** ემზადება. ერთი სიტყვით, გაბეზრებული ყოფილან. ალბათ, შენც წიგნი მოგივიდოდა და შენ უფრო დაწვრილებით შეგატყობინებდნენ. იმათაც პასუხი უნდა მივწერო, მაგრამ არ ვიცი როგორ. მე ვამბობ, რომ გადაცემული ადრესით გავაგზავნო მეთქი. თუ მიიღებენ კარქი და თუ არა, რა ვქმნა.

საყვარელო ძმაოჯან. თუ იკითხამ ჩვენს ამბავს, მადლობა უფალს, ჯანის სიმრთელეზე კარგათ ვართ. ეგრეთვე, მეორე რამიებზეც, გარნა ვიქარს უცდით ამ ერთ ორ კვირაში. ვნახოთ, რა უნდა გვეშველოს. ძმაოჯან, ერთი კაი ამბავი, რომ **ურიების შკოლა აღარ უნდა გაიღოს.** ყმაწვილები უფრო მოგვემატებიან. ეხლა გვყავს 70 ბოვში. საყვარელო ძმაოჯან, შენ კარქათ იყავი. შენ თავ მოუარე და რაც უნდა თქვან. აქაურმა დიებმაც ბევრი მოკითხვა მოგახსენეს. შენც, ძმაოჯან, მამიკითხე ძმისწულები სიყვარულით. ჩვენი წამოსვლის დროს ისინიც ერთ ღვდელს ჩამოჰყოლოდნენ და მეც ვნახე. მამიტევე თუ აქნობამდინ წერილი ვერ მოგწერე. არა, რომ დამავიწყდი, ჩემი ფიქრი სულ მადეთკენ არის, მაგრამ დრო არ მომეცა.

რაღა თავი შეგაწყინო, შენი ერთგული და დაუვიწყარი **და როზა,** მხევალი უმანკო ჩასახებისა. შვიდობით, გიკითხამ გულით. შენ თავს ყური უგდე, ავათ არ გახდე.

ქებულ იყოს იესოს სახელი

დარდანელი. წელს 1901-სა, აპრილის 7-სა

ყოვლად საყვარელო ძმაო პ.ბენედიქტე

მივიღე შენი მშვენიერი წერილი და ძალიან გამეხარდა, რომ შევიტყვე შენი კარგათ მყოფობა. ზედ ბზობა დღეს მივიღე. მინდოდა მაშინვე პასუხის მოცემა, მაგრამ ამ საქმეებმა უკან დამტოვეს. თანაც წმინდა კვირა იყო. ლოცვებში და საღდარში შესვლა გასვლაში დაგვიღამდა.

ახლა, საყვარელო ძმაო, მოგილოცამ დღევანდელ დღესასწაულსა. ღმერთმა მრავალჟამიერ დაგასწროსთ და მუდამ ჯანის სიმრთელით. ოღომც კარგათ მყოფობა იყოს და ყოველას ბოლო მოეღება. დღეს არა როგორც აქ მოგვიხდა აქაურ ღვდლებზე. საწყალი და მექთილდამ სირამდინ ასწავლა გლობა წირვისა ბარიშნებს, ხომ იცი, რა თავის გატანა უნდა. ზოგ უნდა იგალობოს, ზოგს - არა. ერთს უნდა ერთი გალობა, მეორეს - მეორე. რაც ხომ ამიებმა გაიარეს დღეს დიდ წირვაზე, რომ **კონცოლი თავისი უნიფორმათი მოვიდა და ეკლესია სამსე ხალხით და საწყალი ღვდელი დაიწყობს კანკალს** . ყოველას ეგონათ, რომ ჩავარდებაო. როგორც იქნა გაათავა წირვა და გალობაც აასუბუქეს. წირვის მემრე მაშინვე დააწვინეს. დოხტური მოვიდა და თქვა, რომ ... აქვსო. დიდი ყურის ღება უნდა, რომ არ გაძნელდესო. და მექთილდაი თითქმის შუადღემდე იქ იყო. ნასადილევსაც წავიდა, ნახა, ცოტა კარქა არისო. ამ წმინდა კვირას მარტოკა იყო და ძალიან მოიღალა. შენ, საყვარელო ძმაო, მარტო კი ხარ, არა მოიღალო. დღეს ჩემი ფიქრი სულ მანდ არის. ახლა, საყვარელო ძმაო, მოვიდეთ შენ წიგნზე, რომელიც დასწერე მარტის 27-სა. ვინიცობა არის გეგონა, რომ შენი წიგნი აპრილის 1-ს მამივიდოდა და იმიტომაც ამიებს მეუბნევი, რომ დავიჯერო და კარგათ თევზი ვჭამო. ახლა მე ეს ჩავხვდი და თუ მართლია რასაც ამბობ და პირველი აპრილის თევზი არ არის, მე ძალიან გაოცებული ვარ. ვის შეუძლია რამე თქვას რომ მე ხაბარი არა მაქვს და **თელი**, რაც წიგნები მამწერე ამ წელიწადს თელიც ეხლა წავიკითხე. მე არაფერს არ ვპოვნულობ გასაჯავრებელს. აგერ ნუმერიებიც თუ გინდა. ერთი დეკემბრის 15-სა, 7 იანვარი, 13 თებერვალი, 27 მარტი და თუ ერთი წიგნი მამწერე და მანდვე დაიჭირეს, ესეც არ ვიცი.

შენი ერთგული და როზა, მხევალი უმანკო ჩასახებისა.

1901 წ. 31 იანვარი

ყოვლად საყვარელო ძმაო, პატრი ბენედიქტე,

პირველათ, მრავალ სიყვარულიან მოკითხვას მოგახსენამ და ვსთხოვ მამა ზეციერსა, რომ მოგცეს ჯანის სიმრთელე და რასაც შენი კეთილი გული ნატრობს. საყვარელო ძმაო, მივიღე შენი წერილი. ძალიან გემეხარდა, რომ შევიტყვე შენი კარგათ მყოფობა. ეგრეთვე, ჩვენი საყვარელი ძმებისა. ძალიან გემეხარდა, რომ ყოველავინ მამწერეს. ისე გავიგე, რომ **ვერონიკეს** მამამისმა ფული გამოუგზავნა. ძალიან კარგი. ყმაწვილს საჭირო ჰქონდა და თანაც ვერონიკემ თავისი ფულით უყიდა. ისინი მადრიელს არ გახდნენ. როგორც ახლა მე მწერებენ, ჯვრიე-ბისთვის გამოგვგზავნეო და რაც დაიხარჯებაო, მოგვწერეო. რა ჰგონიათ, რომ მე აქ ფული ქისებით მიწყვია? რაც რომ მაქვს, ისიც შენ დაგიმადლო, თვარემ იმათგან რა მაქვს. ერთი ორი მანეთი ვერ შეეძლოთ დეეტოვათ ვერონიკეს ფულთან. რა არის, რომ ფული მეტი არ მოვიდეს. ახ, რა არიან ასეთი. გული დამაკლდა, რომ ჰგონიათ, რომ ერთი უცხო ვიყო. მამაჩემის შვილი ვარ მეც და თანაც არაფერს მეუბნევიან, რომ ვერონიკეს ფულზედ. რა ჰგონიათ, რომ შურიანი გავხდები თუ რა. **მის დღეში ღმერთმა იმისთანა დღეს ნუ მიმწიოს, რომ მაგათი ხელის შემხედე გავხდე.** საყვარელო ძმაო, ნუ გეწყინება, თუ ამიებს გეუბნევი. ვის უთხრა, თუ შენც არ გითხრა. აქ და მექთილდამ მითხრა, მოვატანინამ ჯვრობასა, მაგრამ უნდა გადაიხადო. მე მონასტრის ახი არ მინდა და არც ვალი აქვს. საყვარელო ძმაო, როგორ მეწყინა **პატრი მარსელის** სიკვტილი. ღმერთმა გაანათლოს. რაღა ახლა მოკვდა. ერცახე კიდევ ეცოცხლა. ამ ხანებში რომ მწერდი, რომ შენთან კარგა იყო. ღვთის ნება კურთხეული იყოს. იქნებაც ერთი კეთილი რამესთვისკენ იყოს. ახლა უფრო **სასუფევლიდან გიპატრონამს**.

საყვარელო ძმაო, ახლა ვხედამ, რომ აღარ ხარ ისე კაი გულზე, როგორც სხვა დროს. ისე გავს, რომ რამე Wotre moi, მაგრამ თუ იცოდე, საყვარელო ძმაო, მირჩევნია, რომ მითხრა, რაც არის, თუ შეინახო გულში. ნუ გერიდება, მითხარი, რაც გაქვს. არ გავწყრები. ჩემი ზურგი იწყობს გაგანიერებას. რა უყოთ, მეტი ჩარა არ არის. როდესაც აღარ ჰყავან ქვეყანაზე მშობლები, ყველა თავზე უნდა ავიღო. მონასტერზე არაფერი მაქვს სათქმელი, რადგან ცოდვაც არის, რომ რამე ვთქვა. რაც გვინდა, საწყალი და მექთილდა იქ არის, რომ აღასრულოს. ამისთანა ბედს ვერსად ვერ ვიპოვიდი. ღმერთს უნდა დიდი მადლი შევწირო.

საყვარელო ძმაო, ჩემი დარდი მხოლოდ ეს არის, რომ შენ კარგათ იყო და ქვეყანაზე არა-ფერი აღარ მაქვს სანატრელი. შენ ოღომც გულს ნუ გაიტეხამ. ღმერთი პატრონია, როგორც შენვე მეუბნევი. საყვარელო ძმაო, **და მექთილდამ, და თერეზამ, და კატრინამ** ბევრი მოკითხვა შემოგითვალეს და ლოცვათაც არ გივიწყებენ. ჩემი საათები ორივეც კარგათ დადიან. მეტადრე შენი ნაყიდი. აქ გაასწორა ერთ მესაათემ კარგა. ღმერთმა უშველოს. მშვიდობით, საყვარელო ძმაო. მამიკითხე სიყვარულით ძმის წულები. ეგრეთვე, ვინც მიკითხოს.

შენი ერთგული და როზა, მხევალი უმანკო ჩასახებისა.

დარდანელი, 1903 წ. 10 იანვარი

ფრიად საყვარელო და **ფიქრიდან დაუვიწყარო** პატრი ბენედიქტე,

პირველათ მრავალ სიყვარულიან სალამს მოგახსენამ და მრავალშემძლებელ ღმერთს ვთხოვ შენთვის მუდამ მრავალ და უვნო სიცოცხლესა, რათა იმყოფებოდე ჩემდა სანუგეშოდ. გარდა ამისა, საყვარელო ძმაო, მივიღე შენი მშვენიერი წერილი, რომელსაც უცდიდი დიდის მოთმინებით და რაც რომ მოგეწერა, დიდი სიხარულით ვისმინე. მეც კი მინავათი ვიყავი, რომ წერილი დაგიგვიანე, მაგრამ ვთვლიდი, რომ მე, ზათი, იცის რომ თობალი ვარ და იმაზედ ჯოხი მივაყიდე, მაგრამ შენგნივ პასუხი რომ არ მქონდა, ის გულს მიხეთქამდა, როდესაც დედა ჩეჩილიამ მოიწერა რამდენიმე სიტყვა, ღმერთს მადლი შევსწირე, რომ კარქათ ყოფილა-მეთქი.

ახლა საყვარელო ძმაოჯან, მოგილოცამ დიდის სიყვარულით და დობრივი ერთგული სიყვარულით ყოველ ბედნიერ დღეებსა და ახალ წელიწადას. ღმერთმა მრავალი ამისთანა წელიწადები დაგასწროს, ჯანის სიმრთელით. უნდა თქვა, რომ ყოველა ბედნიერმა დღეებმა გაიარესო, მაგრამ მამლექეთის ახალი წელიწადი კიდევ არ მოსულა. ხომ, ძამაოჯან, კიდევ დრო მაქვს. აქაურმა დიებმაც დიდისგან დიდი მადლობა გითხრეს და თანაც ახალ წელიწადს გილოცამენ. საყვარელო ძმაოჯან, თუ აქაურ ამბავს იკითხამ, წინა წერილის მემრე არაფერი შეცვლა არ ქმნილა. მუდამ ერთი და იგივე ვართ ბავშვები.

საყვარელო ძმაო, აგერ ოთხი თვე არის და კიდევ სახლიდან არაფერს იწერებიან. ძალიან გასაკვირვებელი საქმეა, თუ არაფერი არ შეემთხვათ, ღმერთმა გვაშოროს. თანაც ვერონიკეიც არ იწერება. შენთან მივწერე წიგნი. არ მიეცი, თუ ისიც თამბალ-ბაშია? აგერ გუშინ სუზანამ მამწერა და ვერონიკეზე სულ არაფერს არ ამბობს. ავათ არ იყოს და გაზ გეჩდიქ. ახლა ხვალ ჩვენი (თავ ნამატი) კურე მოდის **სტამბოლში** და **უსკუდარშიც** უნდა გამოვიდეს. იქნებაც შენთან მოვიდეს და კარქა მიიღე და, თუ რომ გინდა კარგა იყოს შენთანა, **ერთი-ორი გადააკრე-ვინე და შემდეგ ყური უგდე, თუ როგორ აჭიკჭიკდება.** ახლა ჩვენთან ძალაინ კარქათ არის სირამდინ თვალი დაგვატანონ. საყვარელო ძმაოჯან, გთხოვ მამიკითხო დიდის სიყვარულით **ვერონიკეი** და უთხარი, რომ რატომ არ იწერება და ჩემ მაგივრათაც ახალ წელიწადი მუულოცე. აგრეთვე, **სუზანასაც** მადლობას მოვახსენამ თავისი ერთგული წიგნისათვის და ორი მშვენიერი ხატისთვინაც. ახლა ძმაოჯან, გთხოვ არ დამივიწყო შენ წმინდა ლოცვაში. არც ჩემი ენით ხარ დავიწყებული. სიყვარულით მამიკითხე ჩვენი საყვარელი დები და სხვა, ვინც მიკითხოს. ეგრეთვე, ძმისწულები. რაღა თავი შეგაწყინო, **შენი ერთგული და როზა.**

მხევალი უმანკო ჩასახებისა....

ქებული იყოს იესოს სახელი.

დარდანელი. წელსა 1900, იანვრის 20-სა

ყოვლად საყვარელო ძმაო, პატრი ბენედიქტე,

პირველათ მრავალ სიყვარულიან მოკითხვას მოგახსენამ და შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ შენთვის მუდამ **კეთილ სიცოცხლესა**, რათა იმყოფებოდე ჩემდა სანუგეშოდ. გარდა ამისა, მივიღე შენი მოწერილი წერილი დღეს და დღესვე პასუხს გაძლევ, რადგან ერთი ბარიშნა მოდის **სტამბოლში** და მას ვატან, რომ ფოსტაში ფული არ დამეხარჯოს, როგორც რომ მებნევი და სხვა დროს რომ მიწერა მინდოდეს, საქართველოში კი აღარ მივწერამ. როგორც ამ **ალექ-სანდრეს წიგნი,** თუმცა კი, რომ მანდ მიიღო, არ გამოაგზავნო, რადგან, როდესაც ერთ წიგნს მიიღებენ, ისევე პასუხი უნდა და მე აქ არა მაქვს მათი ადრესი, რომ აქედანვე გავუგზავნო და შენც არ შეგაწუხო მანდ.

საყვარელო ძმაო, შენც ჯერ საჭიროთ აღარა გაქვს, რომ მამწერო.... **არ ვიცი, თუ ვინ გაგიმსო ასე თავი** და კარგათაც ვიცი, რომ ამოდენ რამეს ამბობ, რომ შენგან წერილი აღარ მოვითხოვო. საჭირო არ არის იმისთანა წიგნი, რომლისთვისაც შენ სწუხდები. მე ამ ქვეყანაზედ არავინ არ მინდა, რომ შევაწუხო, არც ძმა და არც უცხო. და **მექთილდა,** და **თერეზა** და და **კატრინა** ბევრ მოკითხვას გითვლიან.

მე ჩემ საქმეს არავის არ უტოვებ, რომ გააკეთონ. ვინცა რამ მანდ რამე თქვეს და შენც ჩემზე აიღე, არა უშავს, ესეც ჩემი ბედია. რაღა თავი შეგაწყინო, დავშთები მუდამ ერთნაირი გულის, რომ უწიგნოთაც არავის არ დაივიწყამს, შენი და **როზა ჩილინგაროვი,** მხევალი უმანკო ჩასა-ხებისა.

ქებული იყოს იესოს სახელი
დარდანელი. წელსა 1902-სა, 1 ივნისი

ყოვლად საყვარელო ძმაო პატრი ბენედიქტ!

პირველათ სიყვარულიან მოკითხას მოგახსენამ და შემძლებელ ღმერთსა ვთხოვ შენთვის მრავალ ბედნიერ და უვნო სიცოცხლესა, რათა იმყოფებოდე ჩემდა სანუგეშოდ. გარდა ამისა, საყვარელო ძმაო, აგერ ერთ თვეზე მეტი მიდის, რომ შენი გასახარებელი წერილი მივიღე და პასუხი კი ვერ მოგწერე აქამდინ. დღეს არა ხვალ, ამაზე დავრჩი, ძმაოჯან. ნუ გეგონოს, რომ დაგივიწყე. **დღე ერთია და შენი ჩემს ფიქრში გატარება ათასია. თვალიდან შორს ვარ, მაგრამ გული კი ახლოსაა.** საყვარელო ძმაო, ნუ გეგონოს, რომ შენ მოწერილი წიგნში რაც იყო, მეწყინა და იმიტომაც ქართულათ გწერ. **ძალიანაც კი გამეხარდა, რომ ჩემ ნაკლებულობას ჩემი ძმა მატყობინებს და არა სხვა**. ამ წიგნს ქართულათ გწერ, რადგან აქედან ერთი კაცი მოდის და ამ წიგნებს იმასვე ვატან. საქართველოშიც მივწერე და ადრესზე ბეჯითათ არ ვიყავი და რეკომანდე გავაგზავნეთ. იმედი მაქვს, რომ მიიღებდნენ აქამდინ.

ახლა, ძმაოჯან, როგორ ხარ **უსკვიდარში**. როდესაც გრან ვიქერი აქ იყო, მითხრა, რომ შენი ძმა ახლა კი ძალიან მოხარული არისო. იმედი მაქვს, რომ მართალს მეუბნეოდა. აქ არავინ ხმა არ გასცეს ჩემზე. როგორ შეიტყო, რომ შენ ჩემი ძმა იყავი. ლუკა კიდევ შენთან არის? კმაყოფილი ხარ, თუ მაინც ნაჩარნურავაჩარ? ეს კაცი, რომელსაც ამ წიგნებს ვატანთ, იმისთანა კაი გულის კაცია, რომ არავის არაფერს უარს უზამს. ეხლა რომ უთხრა, ჩემი ძმა უსკუდარშია, წადი, ნახე, უეჭველათ მოვა, გნახამს. ვინ ეტყვის. ლატარიისთვის ერთი მშვენიერი საქმე დაგვიხატა და **სტამბოლიდან** რომ მოვა, ორი საქმე კიდევ უნდა დაგვიხატოს.

ძმაოჯან, აქაურ ამბავს თუ იკითხამ, მადლობა ღმერთს, ყოველავინ კარგათ ვართ. მაგრამ საქმე ბევრია. ყმაწვილები მუდამ ერთნაირათ არიან. სახლი ამ თვეში უნდა დაიწყონ. ჩვენ კონცოლმა მონსენიერს ნება მოსთხოვა, რომ ქალწულები ჩემ სახლში მოვიდნენ. ახლა ვალდებული ვართ, რომ წავიდეთ ხუთ შაფათს. წიგნი მუუვიდა და მაშინვე აქ გამოგზავნა. თქმა არის, რომ გეუბნევი, მონსენიერი გეუბნევაო. ახლა, საყვარელო ძმაო, აქაურმა დებმა ბევრი მოკითხვა მოგახსენეს და თქვენც მოკითხვა მოახსენეთ, ვინც მიკითხოს.

რაღა თავი შეგაწყინო. დავშთები თქვენთვის მუდამ მომსურნე და **როზა ჩილინგაროვი,** მხევალი უმანკო ჩასახებისა.

იოსება ვარდიძის წერილი მამა ბენედიქტეს

ფრიად პატივ დებულო,

მოწყალე მამაო,

პატრი ძია

პირველათ ვითხოვ შენგან უხვსა მოწყალებასა და ვეჰამბორები თქვენს ცხებულს მარჯ-ვენა ხელსა და ვითხოვ თქვენგან მამობრივ კურთხევასა, ყოველსა ჟამსა.

ამსათანავე, მოგილოცამთ დიდის სიყვარულით **იესოს შობას, ნათლის ღებას** და ვეხვეწები იესოს, მოგცესთ ჯანის სიმრთელე, რომ იმყოფებოდეთ მშვიდობით და უვნებლად ღვთის მადლში. მომიკითხე **ქრისტინა** მამიდაი, **სტეფანე, პეტრეი,** კიდევ პეტრეი, **მაკაი**.

ამასთანავე, პატრი ძიაჯან, თუ იძიებთ ვითარებასა ჩვენსა, მადლობა ღმერთსა, თქვენ დაუ-ვიწყარ ლოცვა-ვედრებით და წირვით, მშვიდობით გახლავართ, **გადავურჩი სალდათობასა**.

პატრი ძიაჯან, გეხვეწებით, რომ არ დაგვივიწყოთ ლოცვა-ვედრებაში და გეხვეწები, რომ უთხრა **სტეფანესა**, რათა არ გაჰყვეს სხვის სიტყვასა.

რაღა თავი შეგაწყინო, დავშთები შენი უღირსი ძმისწული **იოსება ვარდიძე.**

პავლე ჩილინგაროვის წერილები მამა ბენედიქტეს

ი მ ი

წელსა 1898 სა ქრისტეშობის 13-სა
ს.არალსა

თქვენო მაღალო ღირსებავ, ძმაო პატრი, ჩემო ძმაოჯან,

პირველად სიყვარულით მრავალ მოკითხვას მოგახსენამთ და ღმერთს ვსთხოვ თქვენს მრავალ ჟამურ და კეთილ სიცოცხლით სიცოცხლესა სასიხარულოდ ჩვენდა და ყოვლის მყოფთა. გარდა ამისა, თუ ჩვენს ცხოვრებას იძიებთ, მადლობა ღმერთს, მშვიდობით გახლავართ თვინიერ შეწუხებისა, რომ შევსწუხდით: ცოტა წერილმა დაიგვიანა და შემდგომ მოვიდა ერთი ხიზაბავრელი ოთხშაფათ საღამოზედ, რომ დამემშვიდობა და მითხრა რომ შენთან სიტყვა მაქვსო და შემოვიდა გარეთ დუქანში. და უთხარი, რომ აქ მითხარი და დაიწყო ყარა ხაბარიჯობა, რომ გემი დაღუპულა და თქვენ ვერ შეიტყვეთ, რომ ბატონის მეუღლე ტირის და მეც, რომ არაფერი ვიცოდი, გავშრი და დავრჩი და უთხარი, რომ კაცო აქ ნურაფერს იტყვი, რომ შემეშინდა, სალომემ არ გაიგოს მეთქი. რომ მე ძალიან მეჯავრა, ვერავის უთხარი, მაგრამ ვიფიქრე, რა ვქმნა. ამტკივდა თავი, რომ თავბრუ დამესხა და საღდარში მიძახდნენ, შკაფის ფრანგული ვერ გაეღვნენ და ისევე გავისტუმრე ხიზაბავრელი და წაველი საღდარში და გავაღე შკაფის გამოსაწევი და მთელი შინა ამტკივდა კვლავაცა და მარტო ჩვენ სიმონას უთხარი, რომ ასე უბედურობა ქმნილა. ახლა რა ვქმნათ, ამ ღამეს ასე სიმწუხრეში გავათენეთ მე და სიმონამ.

სალომემ არაფერი იცოდა, მაგრამ დილაზედ თენო, ჩვენი მზახალი, მოვიდა და ამან გვითხრა, რომ თქვენი **მაკაი** მიუღიათ მონასტერშიდ. მაშინ ცოტა გამეხარდა, მაგრამ **გული შიგ კი მიტიროდა.** სალომემ ეს გაიგო და ბევრი არა, ცოტა გაუხარდა. ამ დღეს ასე დავრჩით საშუალოდ და საღამოზედ ხუთ შაფათ გიორგაი **ახალციხეს** იყო და მე **ბალვანშიდ** ვიყავი და მოველოდი რაიმე ამბავს დაბნელების ხანს და მომიტანა გიორგამ, აეს წერილი მაკასი უნდა იყოსო. ისე გაიხაროს ყოველ ჩემმა მოკეთემ, რომ მე გამეხარდა. ვეღარ მოვითმინე შინ შეტანა და დუქანში გავხსენი და ვნახე, რომ კარგი იყო. მაშინ შინ შევიტანე და წავიკითხე და სანდრეს შეუტანეთ და დავრჩით სიხარულშიდ და ახლა ელვამაც გამიარა.

მადლობა ღმერთსა, მე არა ვარ ღირსი ღვთის მოწყალების, რომ ჩემთვის მოუცია კეთილი ცხოვრება და, ამასთანავე, **ეგ ღვთიული ადგილი მონასტერი**, რომ ასე მოიწადინეს **მაგ ორმა შვილმა - პეტრემ და მაკამ.** უცოცხლოს თქვენი თავი ყოველასი მანდ მყოფისა, რომ მე არ შემიძლია, რომ წარმოვსთქვა თქვენი ჩემზედ სიკეთის მოქმედების მაგიერი მადლობის გარდახდა, მაგრამა ვევედრები მოწყალე ღმერთსა, ჩემი ცოდვილის პირითა, რომ სამაგიერო კეთილი გარდაგიხადოსთ უფალმა ღმერთმა და ახლა, ჩემო ძმაოჯან, კარგი რაც საჭირო იყოს მაკასთვის, ნუ დამზოგამთ. ტერ მიქაელს წაართვით, როგორც გინდათ და საჭირვოა. მე აქ მომცემი ვარ კმაყოფილობით ჩემისა. გარდა ამისა, გთხოვთ, რომ რაც დაიხარჯება **პეტრეს** და **მაკას** პატრეთებში, დაიხარჯოს და გადააღებინეთ და გამოგვიგზავნეთ **ტერ მიქაელის** ხელითა. კარგი იქმნება, რომ სალომეი აღარ იდარდამს და დიდი გასახარებელი იქმნება მაგათი სახე ჩვენთვისა, რომელიც მოველით ტერ მიქაელის მოსვლაზედ პატრეთებსა და თან წერილსაც.

ჩემო ძმაოჯან და ახლა ვეჰამბორები მარჯვენასა თქვენსა. ამასთანავე, პატრებსა ყოველასა და შემდგომ მოგიკითხამ თქვენსა ძმათა მყოფთა და დათა მყოფთა და საცალკეოთ **ქრისტინესა** და ყოველსა მცნობათა ჩემთა და მოგიკითხეს ხელის ჰამბორებით **სალომემ, სიმონამ** თავდაბლობით და ახლა, ძმაო ჩემო, თავი შეგაწყინე, რომ პატრეთები გაუხაზირეთ ტერ მი-ქაელსა, რომ წამოიღოს თან, რომ წამოვიდეს. ღმერთმა შვიდობით მოიყვანოს თავისისვე მოწყალებითა და მომიტევე ბევრი **გავაჭრელე ჰექიეთები.**

მომიტევეთ და დავშთები თქვენის კეთილის მოსურნე ძმა თქვენი **პოღოს ანუ პავლე ჩილინგაროვი-ვარდიძე.**

ი. მ. ი. წელსა 1903, იანვრის თვესა

ფრიად საყვარელო ძმაო პატრიჯან,

უპირველესად მრავალს მოკითხვას მოგახსენამ და ნახვის ნატვრას. პირველად მოგილოცამ **იესოს შობას** და **ახალ წელიწადს** და, მასთანვე, **ნათლის ღებასა.** ყოვლად დაუვიწყარო და სანუგეშო პატრიჯან, ვეჰამბორებით **თქვენს ნათლით მოსვილს ხელსა და ფეხსა** სიმდაბლით, სიყვარულით. ამასთანავე, მრავალს მოგახსენამთ ნახვის ნატვრასა. ვსთხოვთ მაცხოვარსა თქვენთვის მრავალ ჟამიერ **კეთილ სიცოცხლესა,** ძლიერ ბედნიერ ცხოვრებასა და სანატრელ კეთილ წოდებასა, რათა, რომ იმყოფოთ მუდამ მშვიდობით და უვნებლად, **სათნოდ ღვთისა და სასიქადულოთ ჩვენდა.** აწ უწყით, იძიებ ვითარებასა ჩვენსა. მადლობა ღმერთსა, თქვენის დაუვიწყებელი წმინდა წირვის და ლოცვის ვედრებითა, კარგათ გახლავართ ყველანი ამ ჟამად, წყალობითა ღვთისათა.

აწ, საყვარელო პატრიჯან, რა შეგატყობინო ჩვენი სიხარული, რომ **ისეი** გადმირჩა **სალდა-თობიდან**. ჩვენ გვიხარია და ვიცი, თქვენც გაგეხარდებათ. რა საკურველია, რომ მოსალოცი ვართ. გარდა ამისა, პატრიჯან, თქვენი რჩევითა, რას მასწავლით, დავასახლო, თუ არა. ახლა მოკითხვას გითვლიან **პოღოსაი** და **გიორგაი** და მათი სახლობაი და ხელის ჰამბორით სიყვა-რულით მოკითხვას გიძღვნიან ჩვენი სახლობაც, **ელისაფეთი**, **იოსებაი**, **პეტრეი**, **ვანო** და **თეკლეი**. ცოტა თეკლეი უქეიფოთ გვყავს. გეხვეწებით, ილოცოთ, რომ ღმერთმა გვაჩუქოს. ძალიან გული დაგვიშინა.

ყოვლად დაუვიწყარო პატრიჯან, კიდევ და კიდევ **გიხელმეორებ** და გეხვეწები, მომიკით-ხე, ვინც გვიცნობენ. მეტათ **ქრისტინაი** და ბიჭები. თუ აქაურობის ამბავს იკითხამ, გაღმაობა უნდა იქმნას ღმერთის ძალითა, მაგრამ ხარჯი ბევრი უნდა წავიდეს. გიორგობის თვეში სწრა-ფად მივეცი ხუთასი მანეთი. ოთხ თვეზედ უნდა მივსცე ათას რვაასი მანეთი, სულ თითქმის ორი ათასი მანეთი გავიდა.

დავშთები თქვენი უღირსი ძმა **პავლე ვარდიძე ანუ ჩილნგაროვი.**

12 დეკემბრისა, 1904 წ. **ოდესიდან** გამოგზავნილი.

თქვენო ღირსებაო, უფ პ. ბენუა,[7]

მეტათ გაკვირვებული ვარ ნოემბრის 5-ს ან 6-სა სამოცი საწირავი გამოგიგზავნე (უფუ-ლოთ) ახლაც, ამ დეკემბრის დაწყებაში, თქვენი მიღების შემდგომ, კიდევ მოგწერე და დავუმატე 10 საწირავიც, რომელთა ერთიანად შესდგა სამოცდაათი საწირავი. ახლაც კიდევ ვუმატებ 10 წირ. ხუთი მომცემის აზრ. და ხუთიც მიცვალებულთათვის სხვადასხვისგან. მაშ, თქმა არ უნდა, მიიღე პასუხი. ისე გავს ... შედიან. ამ დღეებში ვეცდები საწირავების ფულიც გამოგიგზავნო. აქაური ამბავი რა მოგახსენო. მადლობა უფალს, მშვიდობით გახლივარ. სიცივე კი არის, მაგრამ ჯერ თოვლი არ გვინახია, რა ფერისაა. აბე მიტილაუნას მადლობის წერილი მისწერე ლათინურად, რადგან მომეტებულ საწირავებს იგი მაძლევს თქვენთვის. ლოცვის წიგნებზედ გავლილადაც მოგწერე და აგერ, ახლაც გწერ, რომ მადამ მინჩიავისთვის როგორც ადრე მწერდით, ამას არასფერი მოუტანია თქმით, რომ ჩემთვის არაფერი ჩაუბარებიათო. მოიკითხეთ, არ დაიკარგნონ და ჯერჯერობით ნუღარ გამოგზავნით, დრო ცუდია. მხოლოდ, თუ შეიძლება, **ორი ბოთლი ლურდის ღვთისმშობლის წყალი გამომიგზავნეთ, რადგან აქ ავათმყოფებისთვის მთხოვენ** და მე აღარ მაქვს. ეს შეგიძლიათ გამოგზავნოთ ან მგზავრის ხელით და ან ვინმეს ჰკითხოთ, თუ როგორ შეიძლება გამოგზავნა.

სხვა რა მოგახსენო. დავშთები მარად თქვენი კეთილი ამბვის მონატრე პ.ლ. თქვენი მეორე წერილი ეხლა მივიღე და მეც ახლავე ვგზავნი.

12 დეკემბრის გ.სტ.

1904 ოდესით

პ.ს. გავლილად მოგილოცავ და ახალ წელიწადსა. ვთხოვ უფალს მრავალჟამიერად დაგასწ-როსთ.

[7] ბენუა – ბენედიქტე ვარდიძეა (ჩილინგაროვი).

ყოვლად საყვარელო ძიაჯან[1]

უნდა გაიკვირვო, რომ რათ გწერ ქართულათა? მინდა, რომ ახალი ამბავები მოგახსენო. აგერ ოცი დღე ხდება, რომ ჩვენი უმფროსი აქ არ არის, **ესპანიაში** წავიდა. უმფროს ჟენერალთან და სხვა სამი ოთხ ქალწულებთან წაიყვანეს. ერთი სახლი იყიდეს და ახლა აწყობენ. თუ აქედგან გაჰყარონ, იქ სახლი მზათ აქვანან. მხოლოდ არავის არ ეუბნევიან და გთხოვ, რომ არავის უთხრათ, **როზას** მეტი. იმანაც არაფერი სთქვას ჩვენ ქალწულებში, რადგან მიწერ-მოიწერებიან და მე ჩავვარდები. **მადამ მაზელმა** იცის, რადგან უმფროსს ძალიან უყვარს. როცა მადამმა წერილი მომცა, მითხრა, რომ შემატყობინეთ, როცა პატრი B. მისწერამთო, მაგრამ თავის დღეში არ მოდის. იმ დღეს **ლურდში** წავიდა. ძლივ დავემშვიდობე, ისე ეჩქარებოდა. ხომ იცი, ბევრი ფული არა მაქსო. მეც უთხარი, რად გინდა მეთქი. ერთი კრიალოსანი გამომიგზავნა თავის სახლიდგან. ზოგიერთი ქალწულები გასცინიან, ვითამ უყვარხარო. გთხოვ არავის უთხრა სრულობით. ვითამ დამპატიჟამს თავის სახლში და კი ბევრს მაპატივამს, მაგრამ ძაღლივით მოღალული მოვალ შინა ხუთ შაფათობით. მაგრამ აქ ძალიან ბედნიერი ვარ. ყველას უყვარვარ.

[1] იგულისხმება ბენედიქტე ვარდიძე, ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი.

პავლე ნადიროვისა და დედის ბარათი ბენედიქტესადმი

23 ღვინობის თვეს

ხელში ავიღე კალამი თქვენთვის მოვსწერე სალამი

პირველა მრავალსა მოკითხვასა მოგახსენამ და ნახვისა ნატრასა **საყვარელო სამშობლებო**, მამაჯა და დედაჯან; ჩემი დარდი ნუ გექმნებათ, მე ძალიან კარგა ვარ, ხოლო თქვენ კარგა იყავით. მამაჯა, ილიკომ ვერ ისწავლა, გამოაგდეს; ერთიც **ქუთათელი** იყო და ისიც გამუაგდეს; მეც მიებნევოდნენ, მეცა ვერა შევისწავლე; ერ დღესაც დამიბარა ონჯოთ პოლოსას პატრმან და მითხრა, მე შენა ძლივერა ძალიანა მიყვარხარო. მემრე რა გიდევს გულში, პავლეო, მე მითხარიო. მემრე უთხარი, რომ არ შეიძლება ძმათა შემოვიდეო; მითხრა, რომ რატო არ შეიძლებაო, თუ გულითა გინდაო; უთხარი-დიაღ მინდა. მემრე მითხრა, მამა უმფროსთანა ადიო და უთხარი მამა უფროსაცა. მამა უმფროსთანაც გული ამომიჟდა და ტირილი დავიწყე; მითხრა, რომ თუ გინდაო მაქა დოგოყენამო; უთხარი, რომ დიახო, მინდა აქ დადგომა. მამა უმროსმა მითხრა: აჰა, კარგი, შენს მშობლებს წერილი მისწერე, თუ ნდანა მონასტერში დადგომა, მამაშენც დაგაყენამს, თუ არადა გაგზავნი, რაღა თავი შეგაწყინო. მამაჯა და დედა-ჯან, მომიკითხეთ, ვინც გვიკითხოს, აფაჯან, ფანჩოჯა, მაგივით ამტონასა ჩემსა მაგივრადა აკოცედ; განა ანა, ქრისტინე, ალიოზს მეზობლები ხომა დამვიწყეთ. ესა მესამე წერილი გამოვგ-ზანე, ერთიც არ გაცოდინე, აფაჯან! ყამა, ნაბადი ჩქარა გამამიგზავნეთ, ჩემს მეტი ყველას აქვს. წერილი მალე მაცოდინე, აფაჯა. კარგა თუ არ არი დაწერილი, ცოცოტა შევეჩვევი წერვასა; ხელი წერვასა, თუ სადმე შეშლილია, დაუკვირდი, აფაჯა, გწერს თქვენი შვილი, **პავლე ნადიროვი.**

გვერდულად მიწერილია:

დედაჯა, ერთს ხაზსა გიგზავნი, ჩემს მაგივრა ქრისტინეს მიეცი.

(დედის ბარათი)

** *

შვილო, კოწია, ეს რამბვია არის, რომ შენი ამბავი ვერ გავიგე, თუ რავახარ; რატომ არ მატყობინამ. ერთ რა დეგემართა ამისთანა, ერთი გამგებინე რიგიანათ; ხომ იცი შენ ჩემი ამბავი, თუ რავა ვიქნები მე აქ, რომ შენი წერილი არ მიმიღია. მაგენმა ორორი წერილი გამოგზავნეს და შენ ერთი არ მიმიღია. შვილო, რავა ხარ? ერთი შემატყობინე მალე. მე აქ ჯავრით ათას რამეს ფიქვრობ; შენ არაფერს არ მწერ, თუ რა მოგივიდა მაგისთანა საქმე. შენ თუ გერიდება მაგათი, შენ მანდ პატრი მერაბოვს უთხარ შენი ამბავი და ის მამწერამს მე, შენ რაც გინდა, იმას უთხარი; შენ ვერ ახერხამ, ჩუმათ დასწერე შენ ამბავი, იმას მიეც და ის გაგიგზავნის მე; ოღომდ არავის უთხრა. შენ შენათ რაც გინდ, უთხარ, ის მე მამწერამს შენ ამბავსა, შვილო, აბა, შენ იცი თუ რა ჩქარ მამწერ ყველას და დააწყნარებ ჩემ გულს; მალე, შვილო, რაც გწერ, ყველა აასრულე;

შვილო, **კოწია**, შენ რომ ერთი კაი სურათი რომ გამოგზანე, იესოს, დიდი რომ იყო, თავის გულით რომ იყო, ის ნიკალაიმ წამართვა და იქნება კიდო მიშოვო იმისთანა, ძალიან მეწყინა, რომ წამართვა და თუ მიშოვნი, ძალიან კაი იქნება; ძალიან მიყვარდა ის მე; რომელიც კარგი იყო, ის წაიღო იმან. ახლა შენ იცი, შვილო, გწერს შენი დედა.

სტანისლავა შიხინაშვილის წერილი მამა ბენედიქტესადმი

ქალაქ კონსტანტინეპოლით განმარტის 25-სა 1913 წ.

ქრისტე აღსდგა!

ფრიად პატივცემულო და საყვარელო მამა. პირველად მოგილოცავ ბედნიერ დღესასწაულს, და მასთან ვისურვებ თქვენს ჯანის სიმრთელეს, ვთხოვ ღმერთს, რომ მთელი თქვენი სიცოცხლე შვილებთან ერთად ბედნიერებაში გატაროთ და ბოლოს ჩვენ ყველანი დედასთან ერთად ვაქოთ და ვადიდოთ ჩვენი გამჩენი.

თქვენგან გამოგზავნილი წერილი, მივიღე, და ამაზე ნუ იფიქრებთ, რომ ვერ ვღებულობდე თქვენს წერილებს. ახლა ულოცამ საერთოდ ქრისტეს აღდგომას: ძმებს, დეებს და ცოტას, ყველა ნათესავებს, ნაცნობებს, მეგობრებს და ვინც არ მახსოვან ამ წამს.

მამა, მსურს რათა შეიტყოთ ჩემი გარემოებაც, აგერ სწავლასაც დავადექი ახლად ამორჩეულ უმფროსის შემწეობით, მაგრამ ჩემი სწავლის ჰასაკმაც უდროთ განვლო, რომ მე ვეღარ ვძლებ განვაგრძო სწავლა, და ამისთვის დამჭირნე ვხდები მივატოვო კითხვის შედგენას, თუ რომ მსურს ჩემი თავი არ **დავასახათო** და დავმორჩილდე ჩემს ბედს. ვიცი თქვენთვის სასიამოვნო არ იქმნება, მაგრამ რა ვქნა, დროებამ ასე მოიტანა, მაშ ამისთვის გულს ნუ გაიტეხ, მამაჯან. ეს ახალთავობის მღვდლები ჩემს აქ ჩამოსვლის უწინ ყოფილიყვნენ, მე ახლა ჩემს აღსასრულს მივეწეოდი, არა მივეწევოდი, არამედ ღთის შეწევნით, მიწევნილი ვიქნებოდი. მაგრამ ღმერთმა ასრე ინება და ამისთვის ღმერთს ნუ ვაწყენთ, ვისთვის რა დაუწერია შუბლზე, იმას უნდა დამორჩილდეს და ამისთვის ვამბობ, ნება უფლისა კურთხეულ იყოს. მამა აბრამს ერთად ერთი შვილი მისცა ღმერთმა და ისიც სთხოვა, რათა მისთვის მსხვერპლად დაეკლა. მან იგი წაიყვანა და ღვთის მოთხოვნილებას ასრულებდა; ეგრეც თქვენ აღიღეთ და ღმერთს მსხვერპლათ შესწირეთ პირმშო შვილი, რომელიც იქმნება მსხვერპლი ღვთისა და მამულისა. კიდევ ვახელ-მეორებ, მამა, მე მწყურდა, რათა ამ ჩემს ნატვრას მივსწეოდი და ამით უფრო დიდი სარგებელი მომეტანა **ჩემს დაობლებულ სამშობლოსთვის**, ეგ ჩემთვის შეუძლებელი გახდა. მის მაგიერ სხვა გზა მიჩვენა ღმერთმა და იმ გზას უნდა დავადგე მისთვის, რომ ყოველთვის მზათ ვიყო, **ღვთის და სამშობლოსათვის სისხლი დავთხიო, რომელიც არის ნიშანი ჩვენი კეთილი საქმის განსპეტაკებისა**.

ბოდიშს ვითხოვ, მამა, ერთს სიტყვაზე, რომელსაც ვბედავ და ვაღვიარებ თქვენს წინაშე: კაცი რომ დაფურთხებულს ვეღარ აიღებს, ეგრეთვე , მეც, რა პირობასაც ვაძლევ ღმერთს, უკან ვერ დავიხევ.

მალე სამონაზნო კაბასაც ავიღებ და დავიწყებ გამოცდას მონასტრის წესრიგის აღსრულებისას და მოსასვლელ წელს აღდგომათ თუ შევძლო და ვისურვე დადგომა, ,ღთის შეწევნით, ახთქმას ვიქმ ღთის წინაშე და შევიქმნები მწევრი მონასტრისა ანუ უკეთ ვსთქვათ მონაზონთ ძმათა კრებულისა. ჩემს საყვარელ დას **მარგალიტას** სურვებია ჩემი სურათი მონაზონებრივ სამოსში. დიდი სიამოვნებით ვისურვებ, რომ გამოვუგზავნო. მეც შევიძლებ ერთ-ორ წელში გნახოთ. მაშ, კარგად იყავ მამა, გულს ნუ გაიტეხ და მუდამ უნდა ბედნიერად სთვლიდე თავს, რომ **ერთი შვილი ღთისთვის და სამშობლოსათვის გყავს შეწირული. მშვიდობით**.

გწერს თქვენი შვილი სტანისლავა შიხინაშვილი.

თქვენი წადილი ის იყო რო, თქვენს შვილს მიეღო სწავლა და ღვდლობას ღირსებოდა. ჩემი დიდი ხნის ნატვრაც ეს იყო, და ამ თვალსაზრისით იყო, რო მას ჩვენ უმფროსობისთანავე სწავლა დავაწყებინე. მაგრამ თქვენდა და ჩემდა საუბედუროთ, ბავშმა ვეღარ შესძლო სწავლა. რას უნდა მივაწეროთ ეს შეუძლებლობა? ჩემის აზრით, სამი დაბრკოლება აქვს, ასაკი, ნიჭი და ფიზიკური სისუსტე. სხვაგნით ბავშვი მძვირფასია, მშრომელი და მორჩილი. თუ რომ მთხოვთ კვლავ განაგრძოს თვისი სწავლა, ძალიან კეთილი, ოღონდ მას დამტეობა სწავლაში და ჯანის სიმრთელე მიუმატეთ.

(შენიშვნა): ეს წერილი სიტყვა-სიტყვით გადავსწერე თვით შეცთომებიც, მონასტერში შესანახათ.

მ.პეტრე ტატალაშვილი

საყოვლიერო მდივანი მ. უ. ჩ.

აპრილის 25-ს 1913 წელსა.

შვილო ვანიჩქა

შენი წერილი მივიღე... თუმცა ძალიან გამიკვირდა და გამაოცა... და არ ვიცი, ვისი მიზეზით ფიქრი შეგეცვალა. მე მაგას არ მოველოდი შენგან. მაგრამ რა ვთქვა, მე ღმერთის წინ ვერაფერს ვერ ვიტყვი. სამი წელიწადი როგორ კარქათ იყავი ღვთის მადლში და, მგონია, დღესაც გეშინია ღმერთისა და კიდევაც უნდა გეშინოდეს.

მე, შვილო, მადლობელი ვარ, რომ მე შემატყობინე შენი გულის ამბავი და შენ უმფროსს მანდ... სხვა არაფერი წინააღმდეგობა არ გქონდეს. რადგანაც შენ თავს შენ თითონ გრძნობ ისე, რომ შენ კარგათ სწავლობდი სამღვდელო წოდებას... რა ვქნა მე შვილო. როგორც გრძნობ შენ თავს, რომ არ შეგიძლია სამღვდელო წოდების ასრულება, ეგ სასულიერო საქმე ძალით არ იქნება, შვილო და არც სხვა რამე. მადლობა გადაუხადე მანასტირს და მის უმფროსს დიდის დიდი... რომ შენ არ დაივიწყამ მათ პატივის ცემას. რომელიც შენზე ამაგი აქთ... და დეემშვიდობე და წამოდი.

არც ეგენი გატანდნენ ძალას... თუ შეგეძლო, ძალიან კარგი იყო. რადგანაც ღმერთს ეს წოდება შენთვის არ მიუნიჭებია, შენც არ შეგიძლია ასრულება... მოძალე არავინ არ იყო...

შენი დედა ანიჩკა

შვილო, ვანიჩკა. ვინ იცის შენ ის წერილი ჩემდა შესაკითხავათ მომწერე... მე თუ მკითხამ ყველაზე **კარგი წოდება ღვდლობის წოდება არის.** მაგრამ, შვილო, მე რა ვქნა. რადგან ღმერთს შენთვის ის ნიჭი და სამღვდელო წოდება არ მოუნიჭებია, როგორც შენ მწერ...

მე, შვილო, ჩემი ვალდებულობიდან გამოვდივარ. მე კი არ შემიძლია, გითხრა: გინდა თუ არა ღვდელი უნდა გახდე. შენ უნდა გინდოდეს ეს სულით და შენ თუ გრძნობ შენ თავს, რომ სამღვდელო წოდების ასრულება არ შეგიძლია, ვერავინ ვერ დაგაძალებს.

<u>მინაწერი</u> ეს წერილი ყმაწვილს არ გადავეცი, რათა მონასტერში დარჩეს ამისთანა პასუხი დედისა. ბრალია, რომ ყმაწვილმა წერილი რომ მისწერა, არ გადავწერე ისიც. კარგი შესანახი რამ იყო.

პ.პეტრე ტატალაშვილი

საყ.მდივანი და სასწავლებლის წინამძღვარი.

ალფონსო შეშაბერიძის და ვასო სადათიერაშვილის აღთქმის ბარათები

თებერვლის 11/29-სა 1914 წ.

მე ძმა ალფონსო შეშაბერიძე, ვჰყოფ აღთქმასა და პირობას ვსდებ წინაშე ღვთისა ყოვლის მპყრობელისა, წინაშე ნეტარისა მარადისა ქალწული მარიამისა და ყოველთა წმინდათა და აგრეთვე, წინაშე თქვენსაცა საყოვლიერო მამაო **პიო ბალიძე**, და მოსაყდრეთა თქვენთა, მთელს ჩემს ცხოვრებაში დავიცვა: **მორჩილება, სიგლახაკე და უბიწოება**, განსაზღვრილებისამებრ წეს-დებულებისა ამ ჩვენი შეკრებულობისა, რომელსა ეწოდების: „ მონათა მარიამ ქალწულის უმანკოდ შთასახებისა“, და კვალად, რათა წარვიდე საქადაკებლად წმინდა რომაელ ეკლესიის კათოლიკე სარწმუნოებისა, უკეთუ წრმავლენს მე მორჩილება.

„ ჰოი! უწმინდესნო გულნო: იესოს და მარიამისანო, შემიწყნარეთ, მე, რიცხვსა შინა მხურვალე და მორწმუნე მონათა თქვენთასა. უფალო ღმერთო, მომეც მე მადლი და ძალა მორწმუნედ დაცვისათვის წესთა ამ ჩვენი შეკრებულობისა, და ყოველთა თანამდებობათა წოდებისა ჩემისა.“

შოთა-მონაზონობაში ძმა ალფონსო შეშაბერიძე

1/11 თებერვალი 1917 წ.

საყვარელნო მამანო და სტუმარნო

აგერ დღეს უკანასკნელათ შავიკრიზებით ერთად. ყველას მხიარულება ეტყობა, ყველა რაღაც მოუთმენლობას გრძნობს. რაა ამ მხიარულების მიზეზი? ნუთუ ის, რომ მგზავრობისა გვიხარია; ან ის, რომ შიმშილობას ცოტა თავს ავაშორებთ? სრულობითაც არა. ჩვენ უფრო ის გვახარებს, რომ ამდენი ხნის უქმად ყოფნას ნაყოფიერი ბოლო მოსდევს, ე.ი. მოვიდა დრო, როდესაც ჩვენ უნდა ჩავდგეთ ჩვენ მოწოდების გზაში და ჩვენი შრომით, ჩვენის მეცადინეობით ბოლოს უნდა გავიდეთ და **ვასახელოთ ჩვენი მონასტერიც და სამშობლოც, რომელიც შავი ზეწრითაა დაფარული ქვეყნიერების წინაშე**.

ახლა იკითხავენ, უმფროსებს რაღაო? ნუთუ ისინი რამეს მოელიან? დიახ, იმათაც უნდა უხაროდეთ და იმედი მაქვს, ყველას უხარია, რომ მათი უნცროს ძმებს ამისთანა ბედნიერება ეწვიათ. მეც ძლიერ მოხარული ვარ, რადგან მეც უნცროს ძმების ჯგუფს ვეკუთვნი და მათ ნაცვლათ გიძღვნით ყველას ჩვენს მადლობაc იმ შრომისა და შეწუხებისათვის, რომელიც გამოიარეთ ჩვენს ამ გზაში ჩასაყენებლად.

გიძღვნით მადლობას და დავშთებით თქვენი პატივისმცემელნი მთელს ჩვენს სიცოცხლე-ში და უფროსი ერთად თქვენი ხსოვნა არ აღმოიხოცება ჩვენს გულიდან თქვენგან შორს ყოფნის დროს. თქვენი ხსოვნა იქნება ყოველთვის ჩვენი შემაგულიანებელნი, ჩვენი ნუგეშის მცემელნი და გახსოვდესთ, **საყვარელნო მამანო,** რომ ყველანი –დიდით პატარებამდი –სიკვდილს ვირჩევთ, **ვირემც თქვენ პატივცემულ სახელის შებღალვას. თქვენი სახელის შებღალვა, მონასტრის და სამშობლოს შებღალვა იქნება** და თუ რამ მართლა გულით ვართ **პაწია მამულიშვილნი,** ამისთანა შეურაცხყოფას არ ვიკადრებთ.

საყვარელნო მამანო და სტუმარნო! აგერ ჩემს მოკითხვას და პირობას გაძლევთ ღვთიშობ-ლის წინ, რომ **ვიქნებით მორჩილნი, შეერთებულნი, ერთმანეთის მოყვარულნი; ერთად შეერ-თებულნი გადავლახავთ ჩვენგან ვითარების დამაბრკოლებელ მიზეზებს** და უფროსი ერთათ არ დავივიწყებთ ერთ თქვენგან იმ ანდერძს და ღრმად ჩავიბეჭდავთ მის შინაარსის სიტყვებს; **სამშობლო და მონასტერი.**

ვასო სადათიერაშვილი

11 თებერვალს, 1917წ. წავიკითხე საღამოზე საათის 7 1/5.

12 თებერვალს 1917წ. საათის 9-ზე. მონასტრიდან კი 6½ -ზე.

სკრა (ბეთლები) 2 ნოემბერი 1919 წ.

მიხაილ თარხნიშვილისა და ვასილ სადავიერაშვილის მიერ მამა პიო ბალიძისადმი გაგზავნილი ბარათები

(მამა პიო ბალიძისადმი)

ფრიად პატივცემულო მამაო უმფროსო!

მაპატივეთ, ბატონო, ჩემი ამდენი ხნის სიჩუმე, რომლითაც მგონებს თქვენ შეგაწუხებდით. მას შემდეგ, რაც ჩვენ ერთმანეთი ვნახეთ გემზე, გავიდა თითქმის სამი თვე. მას შემდეგ ბევრი ცვლილება მოხდა ჩვენ ცხოვრებაში: **მოვედით, ვნახევით ჩვენი სამშობლო, ჩვენი მშობლები და ქართველი ერი**, მაგრამ ხომ იცით, რომ ყველაფერს ამ ქვეყანაზე თავისი ბოლო აქვს. ჩვენც უნდა მოგვეკიდა ცხოვრებისთვის ხელი და გვეფიქრა მომავლისათვის. ჩვენი ქაღალდები გადავეცით მამა პეტრეს, როგორც თქვენ თვითონ გაიგებდით, მაგრამ მან სხვა მიზეზების გამო ბაშფორთები ვერ აიღო. ამაში მე თვითონ მთლათ უმიზეზო ვარ, მე ჯერ დელპუში არ მინახია და არავისთვის არ მითქვია სწორედ, რომ მე მასზე ხელი ამეღოს, რასაც წინეთ ვაპირებდი, მას კი მეც გამოურიცხივარ და სხვებიცა, რომელნიც მან თვითონ ნახა და ელაპარაკა. ჩემზე კი ვერაფერი გამიგია. ამისთვის მე თვითონ მოვკიდე ჩემს საქმეს ხელი. მაგრამ საცაა მივედი, გემნაზიის დასრულების ატესტატები მომთხოვეს და რადგამ მე ჩემ გერმანულ დოკუმენტებს ვერ წარვუდგენდი, რადგან იქაური გემნაზია 7 კლასამდის მაქვს დამთავრებული და ამისთვის არ მიმიღებდნენ. ამის გამო გთხოვთ, რომ რაც შეიძლება ჩქარა გამომიგზავნოთ **„კონსტანტინეპოლის წმინდა ნინოს გემნაზიის დამთავრების ატესტატი“**, რათა რომ ჩემი საქმისთვის ან ბაშფორთების ასაღებათ ჩქარა გავარიგო რამე; თორე **სალდათათ წამიყვანებენ** და ყველაფერი უქმათ ჩაგვივლის მეცა და თქვენც. ეხლა ჰკრეფენ 20-23 წლამდის. მე იმითი ვირჩენ თავს, რომ მოსწავლის ქაღალდებს ვუჩვენებ და ჩქარა მანებებენ თავს.

თქვენ არ იფიქროთ, რომ მე მითომ კლასი წმინდა ნინოსი არა მაქვს გათავებული. შეიძლება იყოს აგრე, მხოლოდ თეორიულათ, რადგან სწავლა კანონიერათ არ ყოფილა მანდ არასდროს წაყვანილი და სულ ერთიდან მეორეზე დავხტოდით. ფაქტიურათ იყავით, მამაო, დარწმუნებული, რომ მე მთლათ გათავებული მაქვს, რადგან რაც იქ ექვს კლასში ვისწავლე და რაც შემდეგ ორ კლასში მოდიოდენ, ყველა გავლილი მქონდა მანდ, აგრე რომ არ ყოფილიყო, ორ წელიწადში 6 კლასს როგორ დავასრულებდი?! მაშ, მამაო, თუ გსურთ იმ შვილის გაბედნიერება და სიკეთე, და თუ არ გინდათ დამაკარგვინოთ ყველაფერი, რაც თქვენი შემწეობით შევიძინე და თუ გსურთ, რომ არ დაჰკრაგოთ იმ აზრის შვილი, რა აზრიც თქვენ რამდენიმე თვის წინ გქონდათ ჩემზედ, **ღმერთი მოწყალეა, მისი გზები არ არი ჩვენი გზები**; გამამიგზავნეთ რაც შეიძლება, ყველა შემთხვევაში, რანაირათაც გინდა დაბრუნდეს საქმე, ჩქარა ეგ დოკუმენტები, მე კი დავრჩები თქვენი უღირსი შვილი **მიხა თარხანიშვილი.**

P.S. მამაო, ბევრს მოკითხვას მოგახსენებენ ყველა **სკრელები**. ყველანი კარგათ ვიმყოფებით. თქვენგან ბევრ ნაწილებს მოელიან. ბევრ მოკითხვას ვუძღვნი მთელ მონასტერს და უფროსიერთად მამა პეტრეს. რათ დაგვტოვა უნახველი და წამოვიდა? მოიგონოს მცხეთის დღეობა! რა ლხინი იყო, არა! მამა პეტრე? ჩვენზე ნაწყენი თუ ხართ, მომიტევეთ და შეიძლება საქმე გამოსწორდეს, თუ ან გამომიგზავნით და ან თვითონ ჩქარა მოიტანთ ატესტატებსა. ჩემი ადრესი: მამა კოსტოზე გორში. მაშ, მშვიდობით. ხვთის მშობელი იყოს თქვენი და ჩვენი მფარველი.

მ. თარხნიშვილი

1917 წ. 24 აპრილი.

(მამა პიო ბალაძისადმი)
უპატივდებულესო მამა უმფროსო!

გილოცავ წმინდა გულით შენს დღეობას და ღმერთსა ვთხოვ, მოგცეს ყველა მადლი და შემწეობა, რაც რომ გესაჭიროება. პატივცემულო მამაო, მე შენს დღეობათ შესაფერ ძღვენს ვერ მოგართმევ, მაგრამ რათა რომ მონაწილეობა მივიღო შენს სიხარულში, გიძღვნი ხელმეორედ ჩემს აღთქმას და გპირდები ხელმეორეთ, რომ როგორი აზრითაც წამოვედი, იმავე აზრითვე ფონს გავალ.

პატივცემულო მამაო! ჯერ ჯერობით არ შემიძლია ამაზე მეტი ძღვენი მოგართვა და კარგათაც ვიცი, რომ შენი მამობრივი გული მეტს არ მოითხოვს. ჩვენ შესახებ რა უნდა მოგახ-სენო! ყველანი კარგათ ვართ. ჯერ კიდევ ვემზადებით და შემოდგომაზე გიმნაზიაში შესვლას ვაპირებთ.

პატივცემულო მამაო, გთხოვ შევედრო შენს წმინდა სეხნას, რომ გვიწინამძღვროს და მიგ-ვაღწევინოს იმ დიად აღსასრულს, რომლისთვისაც აქ გადმოვხვეწილვართ.

პატივცემულო მამაო! გილოცავენ ყველა ჩემი ამხანაგები შენს წმინდა დღეობას და გისურვებენ ყველა კეთილს.

დასასრულს პატივცემულო მამაო, მომიკითხე მამა შალვა და მამა პეტრე, და ყველა მო-ნასტრის მწევრები დიდით პატარამდი. მშვიდობით ნახვამდის!

შენი უძღები ძე
ვასილ სადათიერაშვილი

კარი მეხუთე
სტამბოლის ქართული სავანის არქივში დაცული მასალები ათონის მთაზე არსებული ქართული სალოცავების მდგომარეობის შესახებ

თქვენო ღირსებავ, მამაო მელეტ!

შენი მეორე წერილი მივიღე დღეს, 24 მარტს. საუბედუროდ, შენმა მაქეთ წასვლამ ვნების მეტი ჩვენ არავითარი სარგებლობა მოგვიტანა. ჩვენ ამაზე წინათ მოგწერეთ, რაში დასრულდა ჩვენი საქმე, თუ ის წერილი მიიღეთ თქვენ, იმაში იყო გამოხატული ჩვენი ყველაფერი საქმე, რანაირად უწყალოდ და ბარბაროსულად გაგვყარეს და ახლაც გწერთ შემდგომს:

შემდეგ შენი წასვლისა 24(ან 29) იანვარს მოვედით ბატონ სტეფანიდისთან და ვსთხოვეთ, გზის გახსნამდის ვადა მოეცათ, იმან გვითხრა, მე თქვენი საქმის ისტორია კარგად ვიციო, იონა იყო მარტო ჩაწერილი და ახლა არავინ არისო, ჩვენ ვუთხარით ჩვენი საქმე.

ამავე დღეს მივედით მონასტერთან,რადგანაც 25 თავდებოდა ვადა და ვსთხოვე 2 თვის ვადა, მაგრამ 4 თებერვალს ისევ დაგვიბარეს და გვითხრეს, რას ფიქრობთ, რა აზრზე ხართ, ემორჩილებით მონასტერს თუ არა. ჩვენ ისევ ის ვუთხარით-ვადა მოგვეცითო. რომ ხანი მოვა, მაშინ ან დაგმორჩილდებით, ან წავალთო, მაგრამ ეს არ ქმნეს.

მაგრამ 4 თებერვალს გამოეცხადებინა ივერიის მონასტრის ანტიპრორაპს პროიღუმენი... პორტაში... ვიფიქრეთ პორტას თხოვნა მივცეთ, ვადა მოგვცეს გზის გახსნამდის, მაგრამ როცა შევხედეთ, ამაო იყო ჩვენი ესე ცდა, პორტა ჩვენ არაფერ სამართალს არ გაგვიჩენდა, ამას თავი დავანებეთ და ისევ მონასტერთან მივედით 17 თებერვალს და ვნახეთ მარტო სოფრომი არხიმანდრიტი, სხვები ვერ ვნახეთ,დღეს აღება არისო და დრო არ გვაქვსო, თვითონ დაგვპირდა, თქვენ ჯერეთ არავინ გეხებათ, თქვენთვის იყავითო, ასე შეგვაქციეს, რადგანაც იცოდენ ამ დღეებში სტეფანიდი მოდიოდა, ალბათ მოლაპარაკება ქონდათ, რადგანაც ჩვენ ორჯერ მოვედით და დაგვემალა მ. სტეფანიდი.

კვლავ დაგვიბარეს 27 თებერვალს და გვითხრეს, რა აზრზე ხართ, პასუხს აძლევთ მონასტრის წინადადებას, ჩვენ ისევ ვადა ვსთხოვეთ, ახლა მარხვაა და ნუ წაგვამწარებთ ამ მარხვას, როგორც ბერები და ღვთის მლოცველი კაცები და ნაღდგომევს რამეს ვიზამთ,ან დაგმორჩილდებით, ანაც წავალთო, მაგრამ მათ არ ქმნეს, გაგვიხმეს გარეთ და თვითონ მოილაპარაკეს და ისევ შეგვიხმეს და გამოგვიცხადეს, უკანასკნელი გადაწყვიტა მონასტერმა, ხვალ 2 ბერი უნდა გამოვგზავნოთ,უნდა ჩავიბაროთ და 2 ოთახი გაამზადეთ, ამათ უნდა მოუარონ კელიას და თქვენ იყავით იქ სანამდი გინდათო, ჩვენ უთხარით, ამაზე მოვიფიქრებთო, პასუხს მოგიტანთო, მაგათ საღამომდის მოგვცეს ვადა, ჩვენ მაშინათვე გავიქეცით კარაიაში, გავიკითხეთ, მაგრამ ყველამ ასე გვირჩიეს, თუ მთავრობის კაცი არ მოყვეს, არ შემოუშვათო და თუ მთავრობა მოყვეს, მაშინ უთხარით, რომ ძალას ვემოჩილებით და შეუშვითო. მეორე დღეს 28 თებერვალს ისევ წავედით დილით ადრე მონასტერში 3 კაცი, მოძღვარი მამა სიმონი, მ. გაბრიელი და მ. ივანე და ილიაც თან ვიახლეთ მოლაპარაკეთ და როცა მიუახლოვდით მონასტერს, გზაზე შემოგვხდა მათი გამოგზავნილი ორი კაცი ჯორით, მოდიოდენ ჩვენთან, პროიღუმენი და ათანასე და კურაჯი მონასტრისა და ერთი პატარა ბავშვიც მოსდევდა თან. ჩვენ მოგვესალმენ და მერე უთხარით, მონასტერში მივდივართ მოსალაპარაკებლად, მაგრამ როცა ვუთხარით კარები დაკეტილია სავანეში და არ შეგიშვებენ შიგნით, მაშინ დაბრუნდნენ, წავედით მონასტერთან, ილია კარში არ შეუშვეს, მარტო სამნი შეგვიშვეს. მოვედით სინოდიკაში, მაგრამ ისე გამხეცებულიყვნენ, ქაფი მოსდიოდათ პირიდამ, მაშინ ჩვენ უთხარით, რამ აგაშფოთათ, ჩვენ საჩხუბრათ არ მოვსულვართ, მოსალაპარაკებლად მოვედით, მშვიდობისათვის და ისევ წავალთო, მაშინ ცოტა დაწყნარდნენ, მაგრამ ეტყობოდათ ილიასთვის

იყვნენ მეტად აღშფოთებულნი, რად მოყვებოდა აქაო და გვითხრა: სოფრომ არხიმანდრიტმა სკანდალ სკუშენაა ილია! მერმეთ ჩვენ მუხლმოდრეკით ვსთხოვეთ,რამეფრად აღდგომამდის გვადროვეო დააღდგომის მერე კვირიაკამდე დავცლით კელიასო და ხელწერილიც იყოს ამ პირობაზე, მაგრამ მათ ეს არ ქმნეს, რაც მონასტერმა გადაწყვიტა შეუძლებელია მაგისი შეცვლაო და კიდევ საღამომდის ვადა მოგვცეს, თუ ღებულობთ თქვენი ნებით მაგ კაცებს, თუ არა ადმინისტრაციის ძალით შემოვალთო, მაშინ ჩვენ გამოვედით აღშფოთებული, რა საშვალებაზე მიგვემართა არ ვიცოდით, ისევ მოვიფიქრეთ, რა გაეწყობა ამის მეტი, დავაწერიოთ ომოლოგია დროებით მაინც და მერე ვინ იცის, როგორ შეიცვლება საქმე, ეგებ რამე მოგვესწრება და დავნიშნეთ სამი პირი დასაწერათ: პირველად სამსონი და 2 კიდევ სხვა.

მეორე დღეს, 1 მარტს, პარასკევს მოვედით დილით ადრე მონასტერში და გამოუცხადეთ ჩვენი აზრი და ვუთხარით: ვემორჩილებით თქვენს კანონს, რადგანაც ასე უსაშველო იქმნა და დაგვიწერეო ომოლოგიაო. მათ გვითხრეს, შეუძლებელია, რაც მონასტერმა დაადგინა იმის შეცვლაო და უკანასკნელი პასუხი მოგვთხოვეს, თუ ვღებულობთ იმ მათ გამოგზავნილ ბერებს თუ არა; საღამომდის დრო ვითხოვეთ ჩვენ, ამნაირი მაგათი ულტიმატუმისათვის და როგორც დავბრუნდით, მაშინათვე მამა სიმონი და ივანე გავიქეცით და ბანკის ბილეთები და ორი გროში რომ გვქონდა, ავაბარეთ, როგორც იყო მოვასწარით, ხოლო მათ არ მოეცადათ საღამომდის პასუხი რომ მიგვეტანა და გამოეგზავნათ სამი ბერები, ზემო ხსენებული აღაპი და ათანასე პროიღუმნები და ბერი სერაფიმი და ერთი კურატი მონასტრისა და ერთი პატარა ბიჭიცა.

დღის 2 საათი იყო, როცა ესენი მოვიდნენ სავანეში, კარები ყველგან დაკეტილი გვქონდა და ძმები განკრძალული იყვნენ და დარაჯი დაყენებული გვყავდა, აბა როდის მოვლენო. როგორც მოვიდნენ და კარები დაკეტილი ნახეს, ჯერ ხვეწნა დაიწყეს, ნუ შვრებითო მაგას, შემოგვიშვითო, მაგრამ ზევით მოაჯირიდამ გიორგი მორჩილი გადმოდგა და უთხრა, რა გინ-დათ მამებო, **ამ დიდ მარხვაში ყოველი მართლმადიდებელი ქრისტიანე სინანულშია და თქვენ თავზე გვესხმებით და ასაწიოკებლად მოდიხართ. არა გრცხვენიათ, ბერები ხართ თუ მხეცები, გვაცალეთ ეს მარხვა და მერე წავალთო**, და ბევრი რაც მაგათ ეკადრებოდათ, იმნაირი პასუხი მისცა და უთხრა: ახლა უმფროსები არ არიან აქ და ჩვენ ვერ შემოგიშვებთო.

ხოლო მაგათ შეატყობინეს მონასტერს, არ გვიშვებენ შიგნით და მონასტერში ტელეფონით გამოიხმო ადგილობრივ ადმინისტრაციამ უმფროსი ჟანდარი და კიდევ 2 სალდათი, ესენი ჯერეთ არ იყვნენ მოსულნი, როცა მამა სიმონი და ივანე მოვიდნენ სავანეში. მაშინ მამა სიმონმა გააღებინა კარი და უთხრა: მობრძანდითო, მაგრამ ისინი აღარ შემოვიდნენ, მე ახლა აღარ შემოვალ ასე, მთავრობას შევატყობინე და მოვა ახლა და იმისი ძალით უნდა შემოვიდეთ. შემდეგ მცირედისა ჟამისა მოვიდა ზემოხსენებული ჟანდრები, საღამოს ხუთი- ნახევარი საათი იყო და როცა შემოვიდა ეზოში, დაიყვირა უშნოდ, რა ამბავია აქაო და მაშინ შემოუძღვა წინ ის ზემო ხსენებული ბერები და უკან ჟანდრები თოფებით და შევიყვანეთ ზევით ახონდარში. იყო უშნო ხმაურობა და ღრიალი, ვინ არის ის გიორგიო და დაიწყეს მუქარობა. მოიტანეს თავიანთი საჭმელი, სასმელი მონასტრიდან და სხვა რაიც რამ სჭიროდათ.

2 მარტს მოიწვიეს მონასტერში კრება და შემდეგ კრებისა ამოვიდნენ ჩვენთან შემდეგნი პირნი უმფროსები:1. არხიმანდრიტი სოფრომი, რომელსაც 3(ან 8) წელიწადს საქართველოშიო პური უჭამია. 2. პროიღუმენი ოროდენტი. 3. პროი გროვორი. 4. პროი ათომას. 5. პროი ათანასე. 6. პროიღუმენი გერასიმე. 7.ბერი იაკობი. 8. ბერი ეპიფანე. 9. მწერალი დიაკონი კირილე და სამი

ისინიც დახვდნენ,რომელნიც წინადღით მოვიდნენ და სამი თუ ოთხი წლის პატარა ბერებიც იყვნენ. ავიდნენ ზევით ახუნდარში და გამოგვიცხადეს, ამ კელიას აწი მონასტერი არც ჰყიდის და არც არავის სწერსო.

შემდეგ ჩამოვიდნენ ძირში და ეკლესიაში შევიდნენ, იქიდან გამოვიდნენ, ამ დროს ილიაც მოსულიყო და სთხოვა, მე აქ ჩემი საეკლესიო სამოსლები მაქვს და უნდა წავიღოო და როცა გამოიტანა ყუთი, ჟანდარი მოვიდა და გაგვაღებინა და დაჩხრიკა, რამე არ იყოს შიგნითო და მერმე ილიას მივეცი მე, მღვდელმონაზონი ივანემ,ზოგიერთი თხოვნების... იონა რომ კონსულს უგზავნიდა იმათი, მაგრამ ილია როცა გამოვიდა გარეთ და მიდიოდა, ჟანდარმამ დაუჩხრიკა ჯიბეები და უბე და წაართვა ის თხოვნების პირი. მერმე ყველა ბერები ერთად დაგვამწყვდიეს და მთელი სავანე გაჩხრიკეს, არაფერი დაუტოვებიათ ისე. ბერები მთელი 3 საათის განმავლობაში იყვნენ დამწყვდეულნი და ყველას ჯიბები და უბე დაუჩხრიკეს. სახლის ჩხრეკვის დროს მამა ივანეს არჩილის ლივერივერი რომ ქონდა მიბარებული, ოფიცერმა რომ აჩუქა ის და ის ნახეს და თვით წაიღო ჟანდარმა. რაც რომ მოეწონათ ბერების ოთახებში ზოგი თხოვნით და ზოგი მოტაცებით წაიღეს. უმფროს ჟანდარმს **მათეს სახლში** საათი ენეხა და ის მოსწონებოდა და შეიხმო **ივანე** ცალკე ოთახში და უთხრა, ის საათი მომეცით მეო და მერე ლივერვერისთვის არაფერ გიზამო; ივანემ უთხრა, ჩემი არაა და ვეტყვი იმ ბერსო, თუ მომცაო, მაგრამ მათემ ვარი უთხრა: ჩემი თავის ტეხას მივცემ იმათო. მერე მეორე დღეს პროიღუმენი ათანასე და თვითონ ის ჟანდარმი ერთად შევიდენ მათესთან და თვითონ დაუწყო თხოვნა და ვაჭრობა, მომყიდე ქემაინცო, მაგრამ მათემ უთხრა, ეგ მე სამშობლოდან მაქვს მოტანილი, და სახსოვრად მაჩუქა მეგობარმა კაცმა და ამისი მიცემა არავისზე შემიძლია. თუ მართმევთ, ძალით წაიღეთ. მერეთ ეს რომ უთხრა, შერცხვა იღუმენი ათანასეს და უთხრა: დაანებე თავი, ჩვენ გვაქვს ბევრი მონასტერში და მოგცემთო. მეორე ჟანდარმა დურბინდი და ნიკოლოზის სარკე და ჯოხი მოიტაცა და წაიღო.

მერმეთ შევიდნენ ისევ ეკლესიაში და რაც სამოსლები იყო, ყველა გამოიტანეს და ერთ ოთახში დააწყეს და დაბეჭდეს მათი და ჩვენი ბეჭდებით. **ნიკოლოზის** ზანდუკი და **სამსონის** ჩამადანი, რადგანაც ვერ გააღეს, იქ შეიტანეს და დაწვეს. მოუთმენელი იყო ჩვენი ტირილი და მწუხარება ამ დღეს, ისე მხეცურად აგვაწიოკეს; თვითონ მოიტანეს მონასტრიდამ ღვინო, საჭმელი, დათვრნენ და იმღერეს; ავიღეთ კელთაო და ბერძნის დროშა აღმართეს. მეორე დღეს, სამ მარტს, დიდმარხვის 2 კვირიაკეს თვითონ სწირეს. **სახლების ჩხრეკის დროს ჩვენი არხივი და რაც საქმის ქაღალდები რომ იყო, ყველა წაიღეს**. ბარგების გადატანის ნება მოგვცეს აღდგომამდის და გვითხრეს, რაც ძველათ ომოლოგიაში სწერია, ის დარჩება, სხვა წაიღეთ ყოლიფერიო, მაგრამ იმაზე ქვემო გვექმნება ნაჩვენები. 3 მარტს კვირიაკეს ასე გავატარეთ.

მეორე დღეს, ორშაბათს, 4 მარტს უთხარით პროიღუმენი აღაპი და ათანასეს, თუ ნებას გვაძლევთ, წავალთ საშოვნელადო; მათ გვითხრეს, მონასტერში წადითო და უთხარით, რას გეტყვიანო. მ. **სიმონი** და **იოანე** წავიდნენ მონასტერში და მათ ეთქვათ, წადით და სახლი რომ იშოვნოთ, ისევ შეგვატყობინეთო და დღეს მივალთ ჩვენ და უნდა აღვწეროთ ხაბაკებიო და ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ მესამე ეპიტროპოსი პროიღუმენი ამფილოქე, ბერი ეპიფანე, მღვდელმონაზონი სოფრომი, მწერალი დიაკონი კირილე და იწყეს წერა სავანის ხაბაკებისა, რამოდენი ხორბალი იყო, ზეთი და ღვინო, სპილენძეულობა და როცა ცოტა საძმო შაქარი გვქონდა, ის რომ ნახეს, დაესივნენ ყველა ამას, რადგანაც ათონს შაქარი აღარ იყო და თითქმის

ნახევარი მეტი წაგვართვეს, 80 ოყიდამ მარტო 40 ოყა წავიღეთ. **ამ დღეს რაც იმგენმა ჩაიდინეს, ენისგან გამოუთქმელია, ჟანდრები ცალკე იტაცებდნენ, რაც მოეწონებოდათ და ბერები-ცალკე. ეკლესიაში ხატების აღწერის დროს ღვთისმშობლის ხატს ჯვრები და ძველი ფულები რომ ეკიდა, პროიღუმენი ამფილოქემ აგლიჯა და ჯიბეში ჩაიდო.** ჩვენ ყოლიფერის კილტები ჩამოგვართვეს და თვითონ წაიღეს; ზეთი და ღვინო რავდენი უნდოდათ გაიტანეს; ზოგი ცხადათ და ზოგი ქურდულად; გამოიტანეს საზედაშე ღვინო და იწყეს მთვრალობა და ოხრობა; მოუთმენელი იყო ამისი ყურება ჩვენთვის, მაგრამ რა უნდა გვექმნა.

მეორე დღეს, 5 მარტს წავიდნენ სახლის საშოვნელად მ. **სიმონი**, მღვდელმონაზონი **გაბრიელი** და **ივანე**, და ბერი **მამა მათე**; **მამა სიმონი** და **გაბრიელი** მივიდნენ პანტელეიმონის მონასტრის ანტიპროსოპი პანუფრისთან. მ. ივანე და მათე წავიდნენ, რუსის ანდრიას სკიტეში-კორესპონდენტი პავლოსკისთან და სთხოვეს, რათა შეეტყობინებინა **რუსის კონსულისათვის,** რაფერ გვაწიოკეს და რაში დასრულდა ჩვენი საქმე.

ხოლორუსის ანტიპროსოპი მღვდელმონაზონი პანუფრის წაეყვანა **მამა სიმონი** და **გაბრიელი პორტაში** და ეთქვა: ეს რა ამბავია! ეს კაცები გამოუყრიათო, მაგრამ ბერძნის 17 მონასტრის ანტიპროსოპებმა ყველა ერთად წაცვივდნენ ზევით და სიტყვის თქმაც არა აცალეს, იმათ კიდევ მეტი ხვდებათ, იმოდენ გვაშფოთეს და სულ თქვენი ბრალია, თქვენ ეწევით იმათო. მარტო კრების თავმჯდომარემ პირუელი ეპისტატომა სერბიის მონასტრისამან ილაპარაკა ჩვენზე, მაგრამ რა გაუვიდოდა ერთ კაცს.**ბალგარიის საგრაფოს მონასტრის წარმომადგენელი არა იყო კრებაში**.

შემდეგ წავიდნენ **მამა სიმონი და ივანე რუსის პანტელეიმონის მონასტერში და ვეახელი მეც მღნ. ილია, მ. გაბრიელი და მათე უკან დაბრუნდნენ სახლში.** როცა მოვედით მონასტერთან, ვინახულეთ იღუმენი მაღალღირსი არხიმანდრიტი მიხაილი და მოვახსენეთ ჩვენი მისვლის მიზეზი და როგორ მხეცურად აღგვაწიოკეს და ვსთხოვეთ, სადმე ადგილი მოეცათ გზის გახსნამდის თავის მონასტრის მამულში. დაგვპირდა, ხვალ კრებას ვიზამთო და წმ. სტეფანეს კელიას მოგცემთო გზის გახსნამდის არენდითო.

მეორე დღეს, 6 მარტს, ქმნეს კრება და დაგვიბარეს და გვითხრეს, ხვალ (7 მარტს), 3 საათზე წმიდა სტეფანეს კელიაში მოდითო და წინამძღვრის მოადგილე მღნ. იაკინთე და იკონომოსი მოვლენო და ჩაიბარეთო, მაგრამ ავდრის გამო ამ დანიშნულ დღეს ვერ მოვიდნენ და მესამე დღეს მოვიდნენ (9 მარტს) იღუმნის მოადგილე და 3 კიდე იკონომოსები მონასტრისა და გააღეს სახლები და ვინახულეთ, თუმცა ძალიან მოუხერხებელი ადგილი და სახლებია, მაგრამ რას ვიზამდით და დავეთანხმეთ, იმ პირობით, რომ თვეში 50 დრახმა გვეძლია სახლის ქირა და შეშისათვის კიდევ ცალკე 5 დრახმა, საპანეში (100 ოყა) და ასე წამოვედით სახლში და მოვილაპარაკეთ, ხვალ ჩავიდეთ მონასტერში და უთხრათ, სახლი ვიქირავეთ და უნდა ვიწყოთ ბარგის გადატანაო.

მაგრამ საუბედურო მეორე დღეს, ეს აზრიდაეშალათ ზოგიერთ ჩვენ ძმებს. **თხელი ჭკუის პატრონებს** აეყოლებინათ სხვებიც, ჩვენ იქ ვერ გავძლებთ, მძიმე საყოფი ადგილი არისო და ისევ მონასტერთან მივიდეთ ყველა ერთად, დავიჩოქოთ, ვიტიროთ და ისე ვსთხოვოთ, რამეფრათ გზის გახსნამდის გვაცალეთ ღვთის გულისათვის, როგორც ქრისტიანე კაცები და ბერები და როცა გზა გაიხსნება, მაშინათვე წავალთ, უთხარით, მაგრამ ამას როდის იზამდა

ივერიის მონასტრის ბერები, **ქრისტიანე კი არა, ანტიქრისტიანე არიან და წარმართზე უუკეთურესი, 50 წელიწადია ჩვენ სისხლს სვამენ და ...აბა, ვის გაუგონია, მგელმა კრავი ჩაიგდოს და ის ცოცხალი გაუშვას.** ამნაირი ფუჭი და ამაო აზრს დამორჩილებოდნენ საცოდავები ჩვენი ძმები და ვთქვათ მონასტრის ბერებისათვის, **რომელთაც ჩვენი სავანე ებარათ,** პროიღუმენი ათანასე და ბერი ეპიფანესთვის და მღნ. სოფრომისთვის, ასე მოვდივართ მონასტერში ამ აზრისათვისო, იმათ თუმცა დაეშალათ ეს საქმე, ,მაგრამ როცა ენახათ აღარ უჯერებენ ჩვენი ბერები, გაეგზავნა მონასტერში დარაჯი და მიეწერა, ასე მოდიანო, მისწერეს ეს საიდუმლოება, ალბათ, გამოუშვითო და ეთქვათ, ახლა ნება არის, წადით მონასტერშიო და წამოსულიყვნენ ყველა ერთად. მარტო 2 მოხუცებული ავადმყოფი დარჩენილი იყვნენ სახლში და როცა წამოვიდნენ, ერთი ჟანდარი თან გამოყვა უკან, აბა სად წავლენო. როცა მონასტრის ახლო ჩამოვიდნენ, იქ გზაზე დახვდა მესამე ეპიტროპოსი, პროიღუმენი ამფილოქე და იქ გააჩერა და უთხრა, 2 მარტო წამოდით, სხვებმა აქ მოიცადეთო და წაყვნენ მამა სიმონი და ივანე და როცა შესულიყვნენ სინდუმში, იქ მოყრილ იყვნენ უმფროსები და ისე გამხეცებული იყვნენ, თავს ვეღარ იჭერდნენ და უთხრეს მ. **სიმონი** და **ივანეს**: რა გინდათ, რაზე მოდითო; მაშინ მოახსენე: თქვენთან სავედრებლად მოვდივართ, რომ მუხლმოდრეკით დავიჩოქოთ და ისე ვიტიროთ, რამეფრად მოწყალება გვიყოთ ღვთის გულისათვის და გზის გახსნამდის ვიყოთ იქ ჩვენ ადგილზე და მერმეთ ჩვენ წავალთ.

მაშინ მათაც ეთქვათ, თქვენზე ეს მოწყალება გადაწყვიტა მონასტერმა, მეტს თქვენს კელიაში აღარ შეხვალთო. მაშინათვე დაუძახეს ერთს ბერს, რათა ეთქვა მეჯორე ბერისათვის, 10 ჯორი გაემზადებინა და **ასე გამოვიდნენ მამა სიმონი და ივანე მონასტრიდამ** და მივიდნენ ჩვენი სხვა ბერებთან და უთხრეს მონასტრის გადაწყვეტილება და წამოვიდნენ სავანეში; როცა მოვიდნენ, ნახეს კარები დაეკეტათ და შიგნით არავინ შეუშვეს და **ის ორი ბერი მოხუცებული გარეთ გამოაგდეს** და შემდეგ მცირისა ჟამისა მოვიდა არხიმანდრიტი..., რომელიც რვა წელი საქართველოში იყო და მოყვა ბერი სერაფიმი, ამასობაში მოვიდა მეჯორე და მოიყვანა 10 ჯორი.

და შემდეგ იწყეს თითო კაცის შეშობა შიგნით თოფიანი სალდათების ხელქვევით, ხაბაკების გამოსატანად და ისე უჩქაროდენ, რომ ნახევარი ხაბაკის გამოტანას ვერ ასწრებდნენ; რაც რომ კარგი იყო და მოეწონათ, თვითო დაიტაცეს ე.ი. საათები, შანდლები, ზოგს საბნები საზაფხულო, ზოგს შაქარი ქონდა თვიური ულუფა და ისიც წაართვეს; ზოგსა გვცემეს, ვინც არ დაანება თავის ხაბაკი მოსატაცებლად, წარმოუდგენელი იყო ჩვენი მდგომარეობა, **არავითარი თათარი და ბარბაროსი არ უზამდა კაცს, რაც იმათა გვიყვეს ამ დღეს**.

ამნაირი შფოთი და უბედურებაში ღამეც მოახლოვდა და ჯორები წავიდნენ დატვირთულნი წმ. სტეფანეს კელიაში; სხვა ბერების ბარგები ისე დარჩა მინდვრად; ბერები, რომელთაც შეეძლოთ სიარული, აქეთ-იქით, წავიდნენ რუსებთან, ხოლო სხვები, რომელთაც ვერ შესძლეს სიარული, უძლური და მოხუცებულები, ისე დარჩენ მინდორში საცოდავათ; ეხვეწენ, სიცივეა და გადახურულში მაინც შეგვიშვითო, მაგრამ არაფერი გზით არ შეიწყნარეს.

მეორე დღეს (10 მარტს) კვირა იყო და ჯორები აღარ მოგვცეს და (11 მარტიდან) იწყეს ხაბაკების გადატანა ძმების ოთახებიდან, რომელიც მინდვრად ეყარა (12 მარტს) ჯორები უკვე აღარ გვათხოვეს, მეტს ვეღარ მოგცემთო. (14მარტს) რუსის ანდრეას სკოდემ გვათხოვა თავისი ჯორები ხორბლის და ქბილის გადასატანად. ამ დღეს **მე -მღნ. ილია** მივედი ჩვენი ბერების სანახავად სავანეში, რათა ნუგეშინის მეცა მათი დაღონებულის გულზე და მივხმარებოდი

საცოდავებს ჯორების დატვირთვაში და 2 ოყა თევზიც ვიყიდე და მიუტანე, რადგანაც ხარება მოახლებული იყო და გარეთ ეზოში შევხვდი ჩვენს ბერებს და მონასტრის **მღნ. სოფრომი** და 1 ჟანდარი და კურიჯი იდგნენ იმგენთან და პირველად მათ მივესალმე, ხოლო ჟანდარმა სალმის მაგივრად, აქ მოდი, აქო და წამიყვანა ერთს გასვრილს ოთახში, სადაც კაცს არც შეესუნებოდა და მთელი ერთი ნახევრის საათს ვიყავი იქ ჩაკეტილი; შემდეგ შემოვიდა და დამიწყო ცინება: თქვენ მონასტერს არ ემორჩილებითო და თქვენი ბრალია და კიდევ თავს იმართლებდთ, უკანონოდ გაგვყარეთო; მერე მითხრა, 25 დრახმა მომეციო და გაგიშვებო; მერე მითხრა:- ,აბა, ეს ჩექმები რო გაცვია მომეციო; მე უთხარი, სადაც გინდათ იქ წამიყვანეთ, პასუხი უნდა გაგიგოთ, რა მიზეზით დამიჭირეთ თქვა; ეს ყოვლად უსირცხვილო ჟანდარი ჩემი ნაცნობი იყო; ჩემი ექსორიობის დროს მონასტერში მოვიდა და რაც შემეძლო, კერძოდ პატივი ვეცი, მაგრამ მან ასე გადამიხადა მაგიერი.

შემდეგ მონასტეში კურაჯი გაეგზავნათ, ასე ილია მოვა და დაატუსაღეთო და ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ მონასტრიდან ეპიტროპები, პროიღუმენნი ანთიმო და ამფილოქე და კიდო ორი სხვა უმფროსები, პროიღუმენი გერასიმე და ბერი, რადგანაც პურის საწყობის კლიტეები მათ ჰქონდათ> მაშინ დამიძახეს და გამომიყვანეს და მკითხა ეპიტროპოს ანთიმოსმა: შენ რა დაგემართა, რა გინდოდა აქაო. მაშინ მე უთხარი, როგორც იყო და რანაირად დამატუსაღა ჯანდარმა და მაგათი მღვდელმონაზონმა. –ჰე, არა უშავს, მიეცი თევზი და წადი შენს სახლშიო და ასე გამომისტუმრეს და თვითონ წავიდნენ, სადაც ხორბლის და ფქვილის საწყობი იყო და გაიტანეს ამ დღეს ჩვენმა ბერებმა ხორბალი და ფქვილი, რაც იყო.

მეორე დღეს (15 მარტს) გავიტანეთ ზეთი და ღვინო. 2 ჭური ზეთი, 150 ოყა თვითონ ეპიტროპოსებმადაბეჭდეს:–ეს აქ უნდა დარჩესო. იმ ღამეს კარები გაეტახათ და მოეპარათ ღვინო. კიდე რამდენი წაიღეს და მოიპარეს, არც კი ვიცით. ზემოთ მოვიხსენიეთ, შაქრისათვის რაფერ დაიტაცეს და რაც დარჩენილი იყო, ცოტა რამ მოგვცეს და იმისი თხოვნაც დაგვიწყო უსირცხვოდ არხიმანდრიტი სოფრომმა:– 2 ოყა მომეცით მეო. რა უნდა გვექმნა, შევშინდით, უფრო გადაგვემტერებიანო; ავიღეთდა მივეცით. ჟანდრები ყაჩაღურად იქცეოდენ; საკუჭნაო გამოვალაგეთ, რასაც მოასწრებდნენ, ჩაის, შაქარს, საპონს, რძეს, სპიჩკას და სხ.

სპილენძეულობა არაფერი არ მოგვცეს; სამზარეულოდან 2 ტაფანი და ორიც პატარა ქვაბები წავიღეთ, მეტი არაფერი. (19 მარტს) ისვე მოვედით სავანეში, ეგებ რამე მოგვცენ და ბოსტნის სამუშაო იარაღები მოვთხოვეთ, მაგრამ მარტო 1 თუ 2 გატეხილი გადმოგვიგდეს; სხვა არაფერი. ბართლომეს კიდევაც სცემეს. ასე ბოროტად აგვაწიოკეს და გამოგვდევნეს, წიგნები ჯერეთ არაფერი წაგვიღია და არ ვიცით, მოგვცემენ თუ არა; **იონას** სახლში რაც იყო< ისე დარჩა, სკამები, წიგნები და სხვა, თუ რამ იყო. ახლა ვაპირობთ ისევ ჩასვლას მონასტერში, გვინდა ვთხოვოთ ღვთისმშობლის ხატი და სხვა რამები, თუ მოგვცეს. ასე უნუგეშინისცემოდ ვართ დარჩენილი, თვალი იქ გვქონდა, ეგებ გზა გაიხსნას და წამოვიდეთო, მაგრამ **როგორც ისმის, ჩვენი სამშობლოც განსაცდელშია. და იმდონი უზომო სასოწარკვეთილებაში ვართ, რა ვქნათ, არ ვიცით. მაკარი** და მე ჯერეთ ქევართ ჩვენ ადგილზე, მაგრამ რა ამისთანა ყოფა, რომელი წამს გაგვაგდებენ, არ ვიცით და ძაღლივით გვაგინებენ და გვემუქრებიან და კარში არ გვიშობენ.

გწერთ თქვენი კეთილის მსურველი მღვდელმონაზონი ილია.

28 მარტი, 1919 წელი.

ივირონის მონასტერი და ათონის მთის ქართველი ბერები

ივირონის მონასტერი ერთ უდიდეს უღირსეს მონასტერთაგანია, რომელმანც შესძინა ქართულ ეკლესიას ღირსეული წმიდანი და **შეიქმნა განათლების წყარო საქართველოსი.** დიდმა **თორნიკემ**, რომელმანც შემუსრა **ბარდა სკლიაროსი და მისმა მოძღვარმა წმიდა იოანემ** აღაშენეს იგი **X ს. 982 წ.** მათ შემდეგ წმიდათა **მამათა ევთიმემ და გიორგიმ** ფრიად განაშვენეს და განადიდეს და მოუღეს კონსტანტინეპოლის იმპერატორებისაგან ხელწერილები და ოქრობეჭდები(ხრიზოფულო), რომელნიც ამტკიცებენ ქართველ ბერმონაზონებს **ივირონის მონასტერს** თავის ძალაში და მიწა-წყლით.იმ დროიდამ ეს **დიდებული მონასტერი გარდაიქცა მწიგნობართა და მწერალთა კერად**. აქ გამოიზარდა მრავალი ქართული თაობა, რომელიც ხარბათ დაეწაფა ძველ საბერძნეთის ფილოსოფიას და მეცნიერებას. უკვე 1066 წ **წმიდა გიორგი მთაწმიდელს** მოყვანილი ჰყავდა ივირონის მონასტერში 82 მოწაფე, რომელნიც შეჰკრიფა სამცხეს. ჯერ ზრდიდა ახალქალაქ ჯავახეთში და თურქების შემოსევის ჟამს **მეფე ბაგრატის დროს** წამოემართა **კონსტანტინეპოლს** და იქიდამ მოიწიეს **ივირონის მონასტერში.** უთუოდ უნდა ვიგულისხმოთ, რომ 82 მოწაფე, რომელნიც იზრდებოდნენ მთაწმიდაზე, ყველა ბერად არ შედგებოდა. რა ვიცით, რო მათ რიცხვს არ ეკუთვნოდა ჩვენი **შოთა, შავთელი, სარგის თმოგველი** და სხვათანი (საჭიროა ინახოს ძველი ივირონის არქივები, თუ მტრის ხელმა არ გააქრო იგინი, უთუოდ ფრიად საყურადღებო საიდუმლოებებს გვეტყვიან და ჩვენი ისტორიისათვის სახარბიელო იქნება). სწორეთ ამ ხანაშია, რომ ქართულმა მწერლობამ მიაღწია თავის უაღრეს წრეს. საიდან მოუვიდოდა შოთას ბერობის სურვილი, რომ მას მცირე ასაკისას არ ეგემა?

კონსტანტინეპოლის დაცემამდე ივირონის მონასტერს ბადალი არ ჰყავდა, რადგან გზა ხსნილი იყო და საქართველოში მისვლა- მოსვლა ადვილი. ხოლო კონსტანტინეპოლის დაცემამ დახშო საქართველოს გზა. ამ ჟამიდამ იწყო მისმა დაქვეითებამ. მიმოსვლა ფრიად გაძნელდა, ჩაქრა ეს კულტურის კერა. ქართველ ბერთა რიცხვმა ძალზე იკლო ისე, რო ამ მდგომარეობამ ჩვენი ბერები ძალიან ჩააფიქრა. დიდის კაცმოყვარეობით, თავიანთ თანამორწმუნე ბერძნის ბერებს გაუღეს მონასტრის კარები, როგორც დამხმარე ძალას, მაგრამ ამათი რიცხვი დღიდან დღემდე მატულობდა, ქართველებისა მცირდებოდა. მოვიდა დრო, რო კაცმოყვარეობით შეწყნარებულმა ბერძნის ბერებმა გამოსდევნეს მცირე რიცხვი ქართველი ბერებისა მთავარ მონასტრიდამ და მახლობელ სკოტეში თავი შეაფარებიეს.

ამ ძალმომრეობის წინაშე უბედოდ და უპატრონოდ დარჩენილ ქართველ ბერებს არავინ გამოეპატრონა, არც თვით **კონსტანტინეპოლის პატრიარხი**, რომლის განკარგულების ქვეშ იმყოფება **მთაწმიდა**. პირიქით, ამან ხელი შეუწყო ამ სამწუხარო მოვლენას და თვით საპატ-რიარხო დაეპატრონა იმ აუარებელ მამულებს საქართველოში, რომელნიც შეადგენენ **აღაპს ივირონის მონასტრისას**. ამის შემოსავალი ხმარდებოდა ხალკოს საპატრიარხო სემინარიას კონსტანტინეპოლში. იმპერიალურმა რუსეთმა ეს კარგად იცოდა; რადგანაც ქართული საქმე იყო, არავითარი ყურადღება არ მიაქცია და მიუხედავად იმისა, რო გამოჰქომაგებოდა ათონის ქართველთა ბერების თხოვნას, მათ თხოვნასა და საჩივარს მუდამ გვერდი აუქცია.

ასეთი მდგომარეობა არ იყო სასიქადულო ბერძნებისათვის. მათ უნდოდათ მთლად გამოერეკათ ქართველები, მაგრამ ვერ ბედავდენ რუსეთის გამო, რომელიც მაინც სიტყვით ეპატრონებოდა და ამითი თავის პრესტიჟს იცავდა.

უკვე მიწურულში, დიდი ომის დაბოლოებისას ბერძნებმა მარჯვე დრო იგდეს. მათი ხმის გამცემი აღარავინ იყო. რუსეთი რევოლუციის ალში იყო გახვეული, მათთვის ვერ მოიცლიდა. საქართველო, ახლად განთავისუფლებული, თავის წითელ დროშას ეთაყვანებოდა და ბერების საკითხში გარევა მისთვის დიდი სამარცხვინო იყო> როგორც ვნახამთ შემდეგში, ესრედ უპატრონოდ დარჩენილიივირონის ქართველობა ბერძნებმა თავიანთით უკანასკნელი ბინიდამ უწყალოდ გამოდევნეს და არ მისცეს საშვალი მოძრავი ქონების გამოტანისაც კი.

ეს ისტორიული ფურცელი, რომელიც ჯერ კიდევ არ გამოქვეყნებულა, ყოვლად სამარცხვინო ფურცელია ბერძნის ეკლესიისათვის, რომელსაც **თავის თავი მოჰყავს მართლმადიდებელთა პატრონად**.

უსამართლოდ გამოდევნილ ქართველ ბერებს სხვა გზა არ ჰქონდათ, თუ არ დაბრუნებულიყვნან თავიანთ სამშობლოში. შვიდი ამათგანი ღვდელმონაზონის **ილია ფანცულაიას** წინამძღოლობით საქართველოსკენ გაემგზავრნენ. დანარჩენებმა კი თავი შეაფარა სხვადასხვა ათონის მონასტერში. 1920 წელს **მამა ილია** თავისი ამხანაგი ბერებით **ესტუმრა კონსტანტინეპოლში ქართველ კათოლიკეთა მამებს.** ამავე დროს ჩამოვიდა საქართველოდამ ქართული მთავრობის დელეგაცია. ამ დელეგაციას თავმჯდომარეობდა განსვენებული **ჩხეიძე.** მას თან ახლდა **ნიკო ნიკოლაძე, აკაკი წერეთელი, გენერალი ოდიშელიძე, პროფესორი ივ. ჯავახიშვილი** და სხვანი მრავალნი. ბერებმა ინახულეს, ჩხეიძე შეჰპირდა დახმარებას, მაგრამ დაერიდა პარტიისა და მიატოვა მათ მწარე ბედს დევნული **ბერები. მაინც იმდენი ქართველობა გამოიჩინა, რო ბათუმამდის გაამგზავრა**.

ილია ბერმა დაუტოვა ქართველ კათოლიკეთა მონასტერს სახსოვრათ წიგნი **„საქართველოს სამოთხე“,** წააწერა თავისი საკუთარი ხელით შემდეგი, რომელიც მოგვყავს სიტყვა სიტყვით: „ეს წიგნი ბატონი ავტორისაგან ნაბოძები აქვს **მამა მაკარის მთაწმიდელს**, რომელიც იყო ივერიის მონასტრის ქართველიძმათაგანი და ცხოვრობდა წმიდა ილიას ეკლესიაში 38 წელიწადს, რომლის ცხოვრება და მოღვაწეობა განთქმული იყო მთელ მთაწმინდაში, გარდაიცვალა 1919 წელს 11 ნოემბერს, ხოლო მე მღვდელმონაზონმა ილია, სიტყვით მოწაფემან მისმან და არა საქმით, რამეთუ ვითარცა შორავს ცაი ქვეყანასა, ეგრეთვე შორს ვარ მე სათნოებისა და მოღვაწეობისა მისისაგან. შევსწირე წიგნი ესე ქართველთა კათოლიკეთა მონასტერსა კონსტანტინეპოლში, ოდეს ბერძენთაგან აწიოკებული და გაძარცული საქართველოში ვბრუნდებოდი 6 ძმათათანა და მოვიწიენით მონასტერსა ამას და შეგვიწყნარეს მამათა ამის მონასტრისათა, დიდითა პატივითა და არა მცირედი კაცმოყვარეობა აჩვენეს ჩვენზედა და დიდად ნუგეშინისცეს დამწუხრებულს გულსა ჩვენსა, რომლისათვის **უგულითადესი მადლობას უძღვნი ყოველთა ძმათა ამის მონასტრისასა**. რამეთუ ამ მონასტრის მამები, არა მარტო თავის იდეებს ემსახურებიან, არამედ **დიდ სამსახურს უწევენ ჩვენ სამშობლოს ინტერესებსაც,** ამისთვის დიდი მადლობის ღირსნი არიან, ვინც ეს ამა მონასტერს წაართვას და მოსტაცოს, ღმერთი რისხამს და აქა წერილნი წმიდანი. 1920 წელსა 15 მაისსა. ძველი ათონელი მღვდელმონაზონი **ილია(ფანცულაია)**”.

აი, როგორ, 956 წლის შემდეგ ბერძნებმა ბოლო მოუღეს ბარბაროსულათ, დიდი თორნიკეს და წმიდათა მამათა ივანე, ევთიმე და გიორგის საქმეს. რა დაემართათ ათონზე დაბნეულ ქართველ ბერებს? რა იქნენ ისინი, რომელნიც დაბრუნდნენ სამშობლოში? დღევანდელ პირობებში ამის გაგება ძნელია, ხოლო ეს კი ცხადია, რო ივირონის მონასტერი ფეხზე დგას და

ყოველ მნახველს ნათლად უჩვენებს თავის ქართულ სახეს. მისი **ეკლესია თავისი მხატვრობით და ჩუქურთმებით მთელ საქართველოს გადაგვიშლის წინ. მისი უზარმაზარი და ატყორცნილი კედლები საქართველოს ციხე-სიმაგრეს მოაგონებს. მისი ურიცხვი აკლდამები ქართველ მამათა და ძმათა, რომელნიც განისვენებენ მის წიაღში, მოწმობენ მის ვინაობას. რა იქმნა მისი ძვირფასი ქართული ბიბლიოთეკა? რა იქნენ ის აუარებელი ქართული ხელნაწერები? რა უყვეს ძველ ქართულ არხივებს?რა უყვეს იმ ოქრობეჭედს(ხრიზოფულებს), რომელნიც ამტკიცებენ, რო ივირონის მონასტერი ქართველი ერის კუთვნილებაა და არა ბერძნებისა**. ნუთუ შესაძლოა წარმოვიდგინოთ, რო 956 წლის განმავლობაში, ამგვარ მონასტერში, რომელიც იყო განათლების კერა, სადაც წ. ევთიმემ, წ. გიორგიმ ურიცხვი წიგნები აღწერეს და სთარგმნეს, სადაც აყვავდა საუკეთესო ქართული მწერლობა, არ იყოს დაშთენილი ფრიად საყურადღებო მასალები, ისტორიულ თუ მეცნიერულ, თუ სალიტერატურო დარგში. ბერძნებს იმდენი საყვედური აღარ ეთქმოდა, რო მაინც ხელუხლებლათ დაეცვათ ეს ნაშტნი, **მაგრამ ვიცით, რო ველურად მოიქცნენ**. აქ მოვიყვანეთ მ. ემანუელ ვარდიძის და მ. ანტონ განძეს მოგზაურობა ათონის მთაზე.

სირცხვილი ბერძნის ერს, მის მთავრობას და ეკლესიას. ეს სამარცხვინო ფურცელი არ უნდა წახოცონ ბერძნებმა და დაუბრუნონ საქართველოს ივირონის მონასტერი თავისი ქონებით, რომელსაც **უწოდეს ზვირონ, რათა დაავიწყონ ქართული სახელწოდება, ანდა საქვეყ-ნოდ ითქვას მისი ავაზაკური საქციელი. ქართველმა ერმა ხმა უნდა ამოიღოს და მოითხოვოს თავისი ძალადობით გატაცული ქონება, როდესაც შეეძლება.**

ინჟინერი გიორგი ქვლივიძე

ჟურნალისტი დავით ჩიქოვანი

1. I. 1920 წ.

აკ. ჩხენკელი

მაკ. ჩხენკელი

სან. ქუთათელაძე

ინჟ. მიხეილ ყაუხჩიშვილი. ქუთაისი.

ჟამსა ამას როდესაც ბერძნებმა დაგვარბიეს და აგვაწიოკეს ათონის მთაზე, და მიმოვიდო-დი სავედრებელად კონსტანტინეპოლსა და საქართველოში მოვიწიე ამას მონასტერსა ამას ქართველთასა და მისტუმრეს დიდი პატივითა რომლისათვის **დიდი მადლობას უხდი მამა პიო ბალიძეს მონასტრის წინამძღვარს და სხვა ყველა მამებს ღმერთმან გადაუხადენ ას წილად.**

ძველათონის ქართველ ბერმონაზონთა რწმუნებული მღვდელმონაზონი ილია. 1920 წელი. 2 იანვარი.

მისს პატიოსნებას დიდად პატივცემულს კატოლიკთა შორის პატიოსანს კატოლიკთ ბერს პერ ანდრეას:

იცოცხლეთ მრავალ ჟამიერ:

პირველად მოგიკითხავთ სიყვარულით და ამას თანავე **გიგზავნი სახსოვრად ივერიის მონასტრის აღმაშენებელის წიგნს** და **ორი ივერიის მონასტრის ხატრობას;** ერთი თქვენ მიირთვით და ერთი თქვენი მონასტერში გარდაეცით, ახლა ამას გიგზავნი და მერმე რაც შემხვდება, იმის თანა საინტერესო რამები გამოგიგზავნით და როცა მიიღოთ ესენი, წერილი

მომწერეთ, მომიკითხეთ იქ თქვენი მოხუცებული ბერი რომ იყო მიხეილი, აგრეთვე, მომიკითხეთ ნიკოლოზი და სერგიოს, იქ თქვენთან რომ იყვნენ, სიყვარულით. ამასთანავე, გთხომთ, თუ შეიძლება ერთი შოთა რუსთაველის წიგნი თუ გაქვთ ფრანგულათ, გამომიგ-ზავნოთ და ერთი საქართველოს გერბი, იქ თქვენ რომ გაქვსთ იმასთანა. ერთი მოდი და გვნახე,შე კაცო, იქ კაცები რა გერმანიდგან და პარიჟიდგან მოდიან და ნახულობენ და თქვენ რა დაგემართათ ამისთანა, ახლოს ერთი არ მოხვედით და არ გვნახე, დროულს მაინც მიუცი-ლებელ გელოდები. უნდა მოხვიდეთ, წერილი მალმალ მოგვწერე ხომ იცოდე.

გწერთ მღდელმონაზონი **ილია ფანცულაიძე.**

1910 წელს, 4 მაის.

პერანდრე, სურათები ახლა ვეღარ გამოგიგზავნე, შემდეგში გამოგიგზავნით; ფოშთაში აღარ მიიღეს; მეორე ფოშთაში გამოგიგზავნი მიუცილებლათ. სერგიოს ანუ გიორგი აქ მოვიდა.

****

958 წელსა ქრისტესით, იოანე მხედართ მთავარი დიდებულთა თავთაგანი, დიდად წარჩინებული წინაშე საქართველოს მეფისა **დავით კურაპალატისა,** ქრისტეს სიყვარული-სათვის დაუტია ცოლ-შვილი და ყოველი მისდამი კუთვნილი, მონაზონათ შეიქმნა, მივიდა საბერძნეთს **ათონის მთა წმიდას, წმიდისა ათანასე დიდისა ათონელისა ლავრას**, რადგანაც ათანასა შთამოვლობით თუმცა ბერძენი იყო **ტრაპიზონელი**, გარნა **დედა მისი ქართველი კოლხიდელი იყო** და მამა მისი ქვეშევრდომი საქართველოს მეფისა; იმ ჟამად რაოდენიმე წელსა ათანასისთანცხოვრებდა თავისი ძით დიდის **ექვთიმე მთარგმნელი** და გაბრიელ მნათეთვისითურთ, შემდგომად დიდი **მხედართ მთავარი თორნიკე** დავით კურაპალატისა შეიქმნა მონაზონი თვისა ქვეყანასა, რადგანაც თვისი ნათესავი იოანე ცხოვრობდა ათონს. წარმოემართა საბერძნეთსა, სადაცამივიდა დიდი ათანასას ლავრაში ათონს. მუნ ზოგად მცხოვრებდენ შემდგომ გარდაცვალებისა ბერძენთ იმპერატორისა იოანე ციმცხისა. 975 წელსა ქრისტესიდგან მეფობდა ძენი მისნი რომან და ორი ძმანი მისნი ვასილი და კონსტანტინე აპეკუნობის ქუშე დიდისა თვისისა, იმპერატრიცა თეოფანის მას ჟამსა შინა მართებელი აღმოსავლეთისა მხარესა იმბერიის გარდა ... წინააღდგა იმპერატორის ოჯახსა დადგა მთავარ წინამღდეგ განუდგა იმპერატორს იქამდის შეიწირა ისინი, რომ თითქმის პალატაში სადაცა ცხოვრებდნენ გარშემო საშიშრად ყარაული ეყენა სამეფო პალატსა მდგომარე. ამნაირი უბედუ-რი მდგომარეობაში იმპერატორის ცოლშვილი გარდასწყვიტენ უკანასკნელ სთხოვით შემწეობა საქართველოს მეფესა დავით კურაპალატსა, ვინადგან ვერ შეიძლეს ცნობის მიცემა მათისა მდგომარეობისათვის შეიტყეს რა, რომ ორნი დაახლოებული მხედართ მთავარნი იმყოფებიან ათონში ლავრას წმინდისა ათანასი ათონელისა, წარჩინებულნი ქართველთ მეფისა დავით კურაპალატისა იოანე და თორნიკი.

იმპერატორის ოჯახმა გააგზავნა სარწმუნო კაცი. მიუწერა წიგნი, როგორც ქონდა ბრძანება; მიართვა ერთი წიგნი ღირსი ათანასას და ერთი იოანე და ერთი თორნიკეს. ამ წიგნებში იყვნენ აღწერილი საშიშარი მდგომარეობა სამეფო ტახტის ძლევისათვის **სკოლიაროსისა**. ცნა რაღირსმან ათანასამ, შეძრწუნდა სულით, იწყეს მოლაპარაკე ურთიერთშორის. როგორც იყო დაარწმუნეს მხნე თორნიკი; წავიდეს კონსტანტინეპოლის სამეფო პალატად. გამოეთხოვეს და წარმოვიდა სამღთო თორნიკი შეაუდრეს ლოცვითა და კურთხევით წმიდათა მამათა და წარდგა წინაშე იმპერატორის ოჯახეულთა. იმპერატრიცამ მიიღო დიდის პატივით, დაისვა დაახლოებით, მიიღო მისგან მადლი კურთხევა და უთხრა:– წმიდაო მამაო, რაც უყო ობოლთა ამათ ან რა შრომასა მიიღებ მათთვის, რომლისათვის ვალი მიაგებს სულსა შენსა. თანა დას-ძინა, დაუყონებლად წარვიდეს, საქართველოს მეფეს დავითს სთხოვოს შემწეობა...მან ჩააბარა წიგნი მეფე დავით კურაპალატისს. მშვიდობით გაისტუმრა.

ქართველთ მეფემანიხილა რა მოახლოებული წინაშე თვისსა მხნე საყვარელი თვისი თორნიკი, დიდად განიხარა მოსვლისათვის მისისა, მიიღო რა და წარიკითხა ბერძნის იმპე-რატრიცას წერილი, დაუყონებლად **ჩააბარა თორმეტი ათასი რჩეული მხედარი თორნიკის** და თან უბრძანა:– ვიცი მამაო, რომ შენ უფალი შეგეწევა, მხოლოდ იყავ ერთგულიჩემი და იმპე-რატრისასიცა, ყოველი სამხედრო დანაშთი დიდება და პატივი იქმნება შენთვის საკუთრება.

მხნე თორნიკმა გაემგზავრა, ყოველთა შენდობით ჩასვა მხედრობა თვისი გემში. ტრაპიზონს იქიდან წარვიდა წინამეღდეგათ... ქალაქსა შინა მცირისა აზიისა, სადაც მოხდა სისხლის ღვრა, ხოცვა და დამარცხდა, მხედრობით თვისით ძლის გაასწრა სპარსეთის სამეფოდ თავის შეფარება...

საქართველოის მეფემ მიიღო თვისი ძლევა შემოსვილი დიდი თორნიკი სიხარულით მხედრობითურთ, იქიდგან მშვიდობით წარმოვიდა იმპერატრიცათან. კონსტანტინეპოლში მისვლისა თანა იმისი სატახტო ქალქაქშიდ მიეცა დიდი პატივი იმპერატრიცასაგან, რომლისათვის ცრემლით მადლობა პატივისცემა მისცეს, არ იცოდა თუ რა სიტყვა მიეგო მადლობისათვის წინაშე თორნიკისა, გულითადი მადლობდა სიღრმისა გულისათა, ამ დროებით მისი შრომისათვის, როგორც დედოფალი და ძენი მისნი, ეგრეთვე სრულიად საბერძნეთი. და მიართვეს შესაფერი საჩუქარი როგორც იმპერატორისა და მისი შვილებისაგან, ეგრეთვე, საქართველოს მეფე დავით კურაპალატისაგან და სხვა დიდებულთაგან დიდისა სიმდიდრისა;

გამობრუნდა ათონში. ყოველი სიმდიდრე და ჩააბარა განკარგულებასა ქუშე მისსა ღირსსა იოანეს ურთიერთის შორის განზრახვითა საღმრთოთა მამათა მიმღებელ ხელმწიფების მწყალებისა ბევრი განიყვეს წმიდას მთის ათონის ბერძენთა მონასტერსა, აგრეთვე, სხვასაც, რომელისათვის აღწერეს მატიანე ქართულთა მეათერთმეტე ასი წლეულს საუკუნოში აღწერილი დაწვრილებით, რამდენი დარიგებული არის რიცხვით წმიდასა ათონის მთის მონასტრებზე მისვლა მათი წმიდასა ათანასის ლავრაში. მათ განკრძობით იწყეს დინვად ათონს, შეუდგნენ მორჩილად რიცხვთა შორის ძმათა ლავრის წმიდის ათანასისა ღირსნი მამანი შინაგანთა სიბრძნეთა მათაგანთა განსაჯეს, რომ ძნელი არის, რაოდენებათა მრავალ რიცხვთა ძმათა ქართულთა დარჩომა ლავრაში; შეიძლება ადვილად წარმოდგეს უსიამოვნება ბერძენთა და ქართველთა შორის სხვათა და სხვა უსიამოვნება და შეტყობა, ამისათვის განარჩიეს ღირსთა მამათა ათანასისთან ძმობითა მათ იყიდეს თავისთვის აღმოსავლეთის მხარეზედ ათონის მთის შვამთაში კლემენტის ნავთ საყუდელი ზღვის პირზედ **...აღაშენეს მათ ეკლესია, სახელსა ზედა წმიდისა იოანე ნათლისმცემელისა**; გარშამო ტაძრისა აღაშენეს სადგური სენაკები, გარშაარტყეს შენობანი მაგარნი კედელნი სიმაგრით და ციხითა. მუნ დაიბანაკეს წმიდა მამა და თვისთა ...გამოირჩიეს წინამძღვრად ღირსი **მამა იოანე,** ჩააბარეს მამობა ახლისა სავანისა, **სახელდობით ივერიისა**, **წელსა 982 წელსა,** ქრისტესითგან მეათე საუკუნეს. აღშენდა **ივრის მონასტერი** ათონის მთაზედ, ქართულების საკუთრებით 982 წელსა ზედა.

ღირსს წინამძღვარ იოანეს ქონდა თავისი ივრის სავანეთა მოღვაწეთა ქართულთაგანი მღვდელმონაზონი **გაბრიელი**, რომელმან თავისი სიწმიდის ცხოვრებისათვის ღირსი იქმნა ჩუნებით ღვთის მშობლისა, რომელსაც უბრძანა მას წარვედ ღელვათა შინა ზღვისათა, მიიღე ხელთა შენთა მოსული ზღვით სასწავლო ხატი, წმიდა მისი სახე გამცხადებელი; **მას წარმოუდგა მდგომარე ჰაერით შეცული ზეციერის ნათელით**. ეს შემთხუვა იყო დაფუძნებისთანავე 982 წელსა, დასაცულად თვისის წილხდომილ მონაზნების უცხოებასა შინა მყოფთა ივერიელთა; **ახალ გამოჩინებული ხატსა აღუშენეს მამათა ახალი მცირე ეკლესია კარზე ივრის სავანისა, სადაც დღითგან ვიდრე დღევანდელამდე არს სახსენებელი სასწავლთ მოქმედი ხატი დედისა ღვთისა, აღსრულებისა მისისა საღმრთო მამა გაბრიელისა ივრის მონასტერში. უფალმან ინება სახელისა განთქმა მისი დაცვით მისი გვამისა უხრწნელად მწყალებით თვისითა**.

ნეტარი **თორნიკის** დასასრული ...განისუენა ივრის სავანეში 998 წელსა. პირველი წინამძღვარი ივრის მონასტრისა, საღმრთო **იოანე** შემდგომ 16 სა წლისა წინამძღვრობასა თვისსა წინამძღვრობა ივრისა დაუტია საზოგადო გამორჩევით ძმათა შვილსა თვისსა **ევთიმეს**, მეორე წინამძღვარი და აღმაშენებელი მონასტრისა, ვითმე ქართული დადგა 998 დამ 1011 მდის ევთიმე ღირს მემკვიდრედ წმიდისა შობილსა თვისისა წინამძღვრობასა შინა თორმეტ წელი დაჰყო, გაატარა დიდის ზრუნვითა და წესი წყობილებითა თვისი სავანეში ძმათა შორის, ვითარცა ეს თქვით. **განატარა ცხოვრება თვისი წესიერებითა შრომით, სამღთო წიგნთა თარგმნითა ბერძნულისა და ლათინურისა, სხვათა ენათა ქართული ბერძნულად** იმ რიცხვთა შორის სხვათა გადათარგმნა ბერძნულს ენაზედ შესანიშნავი ძვირფასი წიგნი.... სახელისათვის დიდად იმსახურა მისი ნათარგმმა წიგნებმა, როგორც სამღრთო ეგრეთვე ... მესამე იღუმენი **გიორგი**, რომელმან დაიცვა აღთქმა წმიდათა წინამოადგილეთა თვისთა... შემდგომ გიორგისა დაიდგინა **სიმეონ**, შემდგომ სიმეონისა წმიდა მამა **გიორგი მთაწმიდელი** მთარგმნელი, რომელმან დაამყარა და აღაშენა ღვთის მშობლის მიცვალების სახელზედ დიდი საკრებულო ტაძარი საფასითა **ბაგრატ კურაპალატისათა** და თვის სამშობლოს შეწევნითა გიორგი შთამოვლობიდგან მდიდართა თავადთაგანი არის, როგორც მეათერთმეტე მატიანე, რადგან **ჩანს პირველად ამან შეამკო მონასტერი ყოველის საურავითა და სასწაულ მოქმედის ხატის სახელი განითქვა ყოველსა ზურგსა ქუეყანისასა** და მით უფრო გამდიდრდა მონასტერი...ა, მონასტრის ხარჯით **ათონში იყო მაღალი სასწავლებელი** ქართულისავ ღვთის მეტყუელებისა და წინამძღვარიც ქართული უკანასკნელი. მეთრვამეტე საუკუნეს შემდგომ შეიცვალა საქართველოს მდგომარეობა და მოაკლდა დინება ამ მონასტერსა შინა ქართუელებისა, მაშინ ვითარცა ერთი მორწმუნე მიიღეს ბერძნები, მათი მთავრობის მიღებისთანავე მონასტრის წესდება საზოგადო სასარგებლოისა, შესცვალეს მათდა სასარგებლოდ გახადეს ზოგადი ცხოვრება... მეპატრონე მონასტრისა შევიწროვდა უკანასკნელი 1834 მდის..... შემდგომ სიკვდილისა მღვდელმონაზონი **ბენედიკტესა**, შეკრეს პირობა ივრის მონასტრის ბერძნის ბერებმა მიითვისონ ივრის მეფეთა და დიდებულთა და ღირსთა მამათა ჩუენთა ნაღვაწი ერთ რომთა თვისთა შთამომავალობათა ივრის ერის თავის აღშენებული მონასტერი, ახლა ჩუენ, ივერიელთ, ესე იგი ქართველთ, არ გვიშუბენ...

გარდა ამა მონასტრისა სხვათა და სხვათა ადგილთა საბერძნეთისათა თვრამეტი მონასტერნი არიან ბერძნების სასულიერო მთავრობის ხელში ყოველი თვისის შემოსავლითა საკვირველ არის....

ქართულთა ძმების წინამძღვარი ივრის მონასტრის ბერძნის ბერებისაგან დევნილი სქემ მონაზონი იოანე დიკტე.

იმერეთის მეფის სოლომონ მეორის სასახლის მოძღვრის ილარიონ ყანჩაველის მოღვაწეობა წმინდა ათონის მთაზედ

მრავალმოღვაწე **ილარიონი** (შორაპნიდგან) როგორც მოძღვარი თან ეახლა **სოლომონ მეორეს ტრაპიზონს**. აქ დაჰყო რამოდენიმე წელი, შემდეგ **დედოფალს მარიამს** ეახლა პეტერ-ბურგში. ერთხელ დედოფალი მარიამი დღესასწაულის დღეს ქართველთა ჩვეულებისამებრ „საქალებოში“ უკან დადგა. მიტროპოლიტმა მიიპატიჟა წინ დასადგომათ:- არ არის წესი მამაკაცების წინ დავდგეთ ქალებიო.- იყო მარიამის პასუხი...მაგრამ სანამ წინ არ დადგა, მიტროპოლიტმა წირვა არ დაიწყო... სატახტო ქალაქის ცხოვრებას გაექცა **ილარიონი და წმ. ათონის მთაზედ შეაფარა თავი**. აქ პირველ მოვიდა წმინდა პანტელეიმონის მონასტერს ბერძნებისას, სადაც მისივე კუთხის (შორაპნელი **ქიტიშვილი**) **ბენედიქტე** ცხოვრობდა. ამათ ორთავემ სთხოვეს იღუმენს დახმარებოდა მათ სადმე მყუდრო ბინის შოვნაში. ძველ ივერის მონასტერში ქართველები სულ აღარ იყვნენ და ამიტომ არც მიიღეს... ამიტომ იღუმენის შუამდგომლობით მიიღეს ისინი დონორიატის მონასტერში...ჩქარა ორთავე ბერმა გაითქვა სახელი ფიცხელი მოღვაწეობით, განსაკუთრებით ილარიონმა, რომელიც ყველა ათონის მონასტ-რებმა აირჩიეს საპატიო ადამიანად, რომელსაც მიმართავდნენ მძიმე საკითხების გამო-სარკვევად...ქართულს გარდა ილარიონს მარტო თათრული ეხერხებოდა, რომელიც ტრაპი-ზონს შეისწავლა, მეფესთან სამი წლის ყოფნის დროს. თარჯიმნათ ყავდა თავისი მოწაფე **ბერძენი საბა მღვდელმონაზონი.**სიკვდილამდე შეურყევლად დაცული ქონდა შემდეგი წესი ცხოვრებისა: ორშაბათობით და ოთხშაბათობით მხოლოდ საღამოს მცირედ პურისა და წყალისა არ იღებდა სტომაქის განსამტკიცებლად. პარასკევს კი ისე ატარებდა, როგორც დიდ პარასკევს-ლოცვაში, მარხვაში და ცრემლში. შაბათამდე არას (წყალსაც) მიიღებდა... ღვინოს, ზეთსა და ... არა ჭამდა. **ნიშნად ილარიონის წმინდა ცხოვრებისა მის ეზოში პარასკეობით ბურ-თივით გორავდა ნათელი,** რომელიც ახილავდა ერთ ბერს: ილარიონის მოწაფემ საბამ და შემდეგ ირწმუნა მისი სიწმინდე...

ათანასის ლავრაში იყო ორი მენავე, მათ შუა იდგა ერთი ზეთის ხილი; მონასტრის გა-დაწყვეტილებით ნახევარ- ნახევარი უნდა ქონოდათ, მენავენი ვერ შეთანხმდნენ და ერთი მათგანი (უფრო ურჩი) დაისაჯა... უკანასკნელმა შური იძია მით, რომ ეკლესია და თვით ხატი ღვთისმშობლისა უპატიურად გასვარა. მონასტერმა პატრიარქის ნებართვით ეკლესიის დანგრევა გადაწყვიტა, ილარიონი კი წინ აღუდგა: რისთვის უნდა დაანგრიოთ ეკლესია? გაწმინდეთ ძლიერ როგორც ეკლესია, ისე ხატი ღვთისმშობლისა და მეტი არა უნდა რა... უჭკუო და უბადრუკი განა ცოტაა... ის ციხეში ჩასვით, ეგებ ჭკუას მოვიდეს, რადგან არა ნებავს ღმერთსა წარწყმედა ცოდვილისა, არამედ ცხონება მისი. ამ განაჩენს პატრიარქიც დაემორჩილა და ყველა მონასტრის (20 მონასტერია) იღუმენებიც. რუს-ოსმალოს ომის დროს (1859) ხონთქარი ძლიერ აიწროებდა ბერძნებს, პატრიარქმა სთხოვა შეღავათი, ჩვენ რას გვერჩით, თქვენი ქვეშევრდომი ვართო, თქვენთვის ვლოცვილობთო. მაშ თუ აგრეა, ილოცეთ ჩემი ტახტის გასაძლიერებლათ და ასევე უბრძანე ათონის ოც მონასტერსაც.

ამ ბრძანების სისრულეში მოსაყვანად პატრიარქის განკარგულებით ათონს წავიდა ფაშა. საუბედუროთ ყველა მონასტერმა შეასრულა ბრძანება. ამ დროს ილარიონი იყო დროებით

პანტელეიმონის მონასტერში, ბერებმა სთხოვეს მათ მაგიერი ლაპარაკი. როდესაც ფაშისაგან მოისმინა ბრძანება, ილარიონმა გადაჭრით უპასუხა-„ჩვენ ვლოცვილობთ და ვილოცავთ ხელმწიფე იმპერატორის ნიკოლოზისათვის“. ფაშა განრისხდა:– შენ უფლებაშია მომჭრა თავი, რომელსაც მე სიხარულით მივეგებები:-თქვა ილარიონმა. კიდევ უფრო განრისხდა ფაშა, მაშინ სამმა მიტროპოლიტმა, რომელნიც თან ახლდნენ მას, მოახსენეს:-ოცმა მონასტერმა ილოცა და ეს ერთი უბრალო ბერი ისიც უცხო (გურჯი) რა უნდა იყოს, გაუშვითო. ფაშა განრისხებული წავიდა სტამბოლში. ილარიონმა ყველა მონასტრის იღუმენებს კანონი დაადვა: სამჯერ მუხლ-მოდრეკით ფსალმუნი 82. ეს კანონი პატრიარქმა და მიტროპოლიტებმაც მიიღეს საიდუმლოდ.

იმერეთის მეფეს სოლომონს ტრაპიზონში ახლდა სხვათა შორის ერთი საარაკო სილამა-ზისა და სიმშვენიერის პატრონი ახალგაზრდა 19 წლისა, იმერელი, თანაც შესანიშნავი ცეკვა-თამაშის და სიმღერის მცოდნეს სწორი არა ყავდა იმ ხანად. ერთხელ, მეფე ნადიმს შეექცეოდა; ცეკვა მოლხენის შემდეგ ყმაწვილი წაიქცა და დაიწყო თრთოლა. მაშინ მეფე სოლომონმან აჩვენა თავისი **ძელი ჭეშმარიტი,** დაადვა პირზე, რის გამო ყმაწვილი უეცრად განიპო და დაცვივდნენ ნაწლევნი მისნი, რისთვისცა დიდ იგლოვა მეფემ.

თავის მოწაფეს **საბას** უყიდა ილარიონმა სენაკი ეკლესიით და გადასცა საკუთრად, ივერის მონასტერს დაუტოვა თავის წიგნები.

რუსეთის იმპერატორის სასახლის მინისტრისგან ბრძანება იყო, რათა ელოცა ილა-რიონს... რაღა ჩემი ლოცვა უნდა, როცა თავისი ხელით ილესავს მახვილსო... მას თხოვეს ამის განმარტება, რადგანაც ხელმწიფე წინ აყენებს უცხოებს და სხვა მწვალებლებსო.

იმერელი შორაპნის მაზრიდგან მღვდელი **ბესარიონ ქიტიშვილი** (ბერობაში **ბენედიქტე**) (რომელიც ილარიონს დახვდა წ. პანტელეიმონის მონასტერში), რადგან მღვდელი ვიყავი მამულის ურჩებაში ჩავარდი (ურჩება გამოიხატება ქართველთა დაფიცებაში რუსეთის ერთ-გულებაში) და ვიხილე და ღამესა შინ ღვთისმშობელი და მქვა: –ბესარიონ, ბესარიონ! მე ვარქვ: **ვინ ხარ დიდებული დედოფალი!** რა კი შენ ურჩი გამოდი ჩემი ერისა,ისეთ ადგილს წარგზავნი, რომ შენ დღეში ქართული ვერ გაიგონო... გაღვიძების შემდეგ ვიფიქრე, ეს როდის მოხდება მეთქი? გავიდა დრო, ერთი კვირე, მომიკვდა ცოლი, ერთი კვირის შემდეგ მესამე შვილი, დავრჩი ცალიერი. მაშინ მოვეგე გონებას და ვსთქვი:–იყავნ, დედაო ღვთისაო, ნება შენი, ავდექ და წაველ იერუსალიმს; პატრიარქმა პატივის ცემით მიმიღო და მიბოძა ყოველივე სახმარი და ქრისტეს საფლავის ეკლესიაში წირვა და ლოცვა ქართულად, ოთხი წელიწადი იქ გავატარე... შემდეგ პატრიარქმა მითხრა :– ბ. ბესარიონ! შენ რომ მყუდროებას ეძებ, აქ ვერ პოებ; ქალაქის ადგილია, ბევრი ხალხი მიდი-მოდის, ამიტომ ჩემი ხარჯით გაგზავნი **მთა წმიდას, ათონს,** ქართველთა მონასტერში, სადაც მყუდროება სუფევს. მიველ ქართველთა მონასტერში, აქ ბერძნებმა უარი მითხრეს მიღებაზე, ვერ გიცნობთ, ვინ ხარ. ერთი ბერი რომ მაინც იყოს ქართველი, მიგიღებდიო, იყვნენ და აღარ არიანო. მეც ავდექი და მივედი ბერძენთ წ. პანტელეიმონის მონასტერში, იღუმენმა მაშინვე მიმიღო უფრო მიტომ, რომ მუშა ხელი გაჭირვებოდათ, მონასტერს აშენებდენ. –რა შეგიძლია შენაო-მკითხა იღუმენმა. „ მე ერთი ცოდვილი ბერი ვარ, რასაც მიბრძანებთ, აღვასრულებ მეთქი“. აი, შვილო, ხომ ხედავ, ეკლესიას ვაშენებთ, რაც შეიძლო დაგვეხმარეო და მომცეს კურტანი სხვა ძმებთა შორის და მეცა ვზიდავდი ქვასა და სხვა რაიცა შემხვდებოდა; ხუთი წელიწადი გავიდა ასეთ ყოფაში. ამ დროს მონასტერში ერთი არაბი მოსულა იერუსალიმიდგან, ბალკონში სეირნობის დროს

შეუნიშნივარ და უცნივარ, მიუმართავს იღუმენისთვის და უთხრობია: -როგორ თუ შენ ღვთის არ გეშინია, მღვდლისთვის კურტანი მოგიკიდია და ამუშავებო? –აქ მღვდელი არავინაა, შვილო.-უპასუხა იღუმენმა. შემდეგ გამოირკვა, საქმე რაშიც იყო. ნასეირობებს მეც გამომკითხა ჩემი ვინაობა და კიდეც გამიჯავრდა დაფარვისათვის. ჩემი მღვდლობა აქ როგორ უნდა გამომეყენებინა მეთქი. აიღო კურთხევანი და **აიაზმის სახარება** რომ არი, ეს წაიკითხე ყოველ-თვისო, კანონი დამადვა შვიდი ეკლესიის კანდელების ანთება და ერთი ეკლესია საწირავად მომცა.

შემდეგ წელში მოვიდა **ილარიონი** (შორაპნელი, **სოლომონის მოძღვარი**). ორთავეს თხოვ-ნით იღუმენმა ბარათი მიგვიწერა და გაგვგზავნა დონისიატის კინოვრაში, იქ მიგვიღეს და მოგვცეს საკუთარი სენაკები. არ გასულა დიდი დრო, მოხდა არეულობა თათრებსა და ბერძნებს შორის 1822 წელს(აქედგან დარწმუნებით შეგვიძლია ვივარაუდოთ, თუ როდის წასულა ბესარიონი იერუსალიმს, ოთხი წელიწადი თუ იქ იყო და ხუთიც პანტელეიმონში-წასულა დაახლოებით (22-9-13-1812 წელს. მაშინ ილარიონიც ასე 1820 თუ 1821 ეს მისულა პანტელეიმონში). ივერის მონასტერში ფაშა ჩადგა ჯარით და ამ გვარათ ვარ ჩაკეტილი მონას-ტერში (ასეთ სასტიკათ რომ მოეპყრენ ივერის მონასტერს მიზეზი ის იყო, რომ პატრიარხმა გრიგორმა აქ მოახდინა საიდუმლო კრებები აჯანყების მოსაწყობათ, ამიტომაც დღეთ აღდგომას ერთმა ფაშამ ჩამოახრჩო). ჯარიდგან დიდი გაჭირვება დაადგაო-მოხუც ბერებს, ზურგით აზიდვინებდნენ შეშას-იძულებულნი და შეიწროებულნი ცემითა და უპატიურებით ბერები ზღუდით გადადიოდნენ და გარბოდნენ თავის შესაფარად. ამ ხანად დონისიატის მონასტერს გადასცა კელია ერთმა დაყუდებულმა და სასყიდლად პურის ჭმევა ითხოვა მის სიცოცხლეში. აი, ამ კელიაში გამომგზავნეს მე. რამოდენიმე დღის შემდეგ თათარმა ...როცა გაიგო ჩემი გურჯობა, ფაშას მოახსენა, მანაც მომითხოვა და რო მიველ, **ფაშამ ქართულათ მითხრა:** – ვინ ხარ, კაცო, შენ.

მე სიხარულით მივარდი საამბოროთ, ხოლო მან შემაჩერა - მე თათარივარ და ნუ შემეხები, თუმცა ქართველი ვარ-**ჭყონია** გურიის გეზდიდგანო და შემოიყვანა მონასტერში და ბერძ-ნებს უბრძანა: –ამ ჩემმონასტერში ქართველი ბერები არ ყოფილა, ყველა ამას დაემორჩილეთ და პატივით მოეპყარითო. ფაშას რომ უსიამოვნება შეატყვეს, ქართველი ბერების მონასტრიდ-გან გამოწყვეტის გამო, მის შეკითხვაზე, თუ ვინ იყო აქ ქართველებიო. ბერძნებმა ჩამოუთვალეს: **იოანე დეკანოზი, ზაქარია, იაკობი, ილარიონი, გრიგორი, ანდრია, ამბერკი, ლავრენტი, თეოდორე, გაბრიელი, რომანოზი** და სხვანი 15 მდე, გვარი კი არ ვიცით. ესენი და მათ უწინარესნი მართავდნენ მონასტერს დღემდის. ხოლო ამ ბოლო დროს, რაკი ხმელეთით გზა არ იყო, თანდათან შეწყდა მომოსვლა ქართველთა და ამ გვარად დამცირდნენ. ეს უამბო ნათა-ნაილმა და გრიგორი ივერიტის იღუმენმა.

მაშინ შემომესიენ მუხლ მოდრეკით და ტირილით არხიმანდრიტი და იღუმენები:“ –მამაო ბენედიქტე, გვშველე ღვთის გულისათვის, ფაშა ქართველია და სთხოვე ნუ აგვაოხრებს, გადაარჩინე ეს ქართველების მონასტერი.“ „მე რომ მოვედი, მაშინ არ მიცანით ქართველად და არც მიმიღეთ, ხომ შემიძლია ეხლა არამც თუ გაგყაროთ, სუყველას თავები დაგაყრევინოთ, მარა ამას როგორ ვიზამ“. - კი მარა, გვაპატივე, შეგვინდვე ქრისტეს მცნებისათვის. ვსთხოვე ფაშას: არაფერი არ წაერთმია ჯარს. მანაც სთქვა:

–მე ხონთრისაგან ნაბრძანები მაქვს „ივერონი“ მონასტრის განადგურება, რადგან აქ მოახდინა პატრიარქმა საღალატო კრება, მარა რა კი ქართველთა სამეფო მონასტერია, ამისათვის მე გადავარჩინე აოხრებისაგან და აი, შენ გაბარებ ვითარცა ქართველთა მონასტრის წინამძღვარს და გაძლევ ამ კლიტეს დიდის მონასტრის ლავრისას.

თვითონ ფაშა წავიდა დიონისიატის მონასტერში და მონასტერი სრულ ჩემს უფლებაში დატოვა. როცა ფაშას პატიებას შევსთხოვდით, ღვთის მშობელი გამოვიდა სამრეკლოდამ ყრმითურთ და ჩამოდიოდა დიდ საბორში. აქ ქალები ყოლიათ ბერებს.– მაგათ თავებს დავაყრევინებთო-სთქვა ფაშამ. –აბა, სადაა ქალი მეთქი, ვკითხე.– აი, იქო , –მიმითითა და მეც გავხდი ღირსი მეხილა კიბეზე ჩამომავალი ღვთის მშობელი. –ეს დედა მღვთისა არის მეთქი, –უთხარი ფაშას. მან არ დაიჯერა და დაიარა მთელიშენობები მონასტრის.

საკუთრად მე ჩამაბარეს დიდი კარის ღვთის მშობლის ეკლესია და ათ წელს განვატარე დეკანოზობაში წირვითა და ლოცვით. განვლო რა ჩემმა მსახურებამ, მერმეთ მოვიდა **ბესარიონი** (ვასილი) **–ძმა იმერეთის ეპისკოპოს გაბრიელის** და მაშინ განვიზრახე დაყუდება და ნებაც მომცა მონასტერმა. საცხოვრებლად ავირჩიე წმინდა ილიას ეკლესია- ადგილი მამა ეფთვიმეს სასწაულთმოქმედის. თან წავიყვანე ახლად მოსული **ვასილ ქიქოძე,** აღვკვეცე და უწოდე **ბესარიონი**. ყოველივე სახმარს მონასტრიდგან ვღებულობდი. განვლო კაი ხანმა და მოვიდა მორჩილად ოდიშელი **გიორგი რატიანი,** ბასილ რატიანის შვილი - დავით დადიანის ... ვაკურთხე ბერად და უწოდე სახელად **გრიგოლი**. გრიგოლი წამოსულა მაშინ, როდესაც **ომარ ფაშა** შევიდა სამეგრელოში ლაშქრით (1840 წელს). მას ტყვეთ მიუცია თავი თათრებისათვის, აქ მოკვლა დაუპირებიათ, მაგრამ ერთ ფაშას დაუხსნია...შემდეგ **კონსტანტინეპოლში** ტყვეებთან ერთად ყოფილა, საიდგანაც დიდი ვაი-ვაგლახით დაუღწევია თავი და პატრიარხის დახმარებით ათონს მისულა.

ყველა ეს ცნობები **მამა მაკარისაგანაა** გადმოცემული ისე, როგორც მისთვის გადმოუცია **ბესარიონს** (გაბრიელის ძმას), **ქრისტეფორეს** და **გრიგოლს**. თვით მამა **მაკარი** უკვე 30 წელიწადია, რაც წმინდა ილიას ეკლესიაში ცხოვრებს როგორც ივერიის მონასტრის ძმათაგანი და მასთან მღ. მონაზონი **ილია** .

1910 წელი, ივანობისთვე, ათონი.

შენიშვნა: თვით მამა მაკარი **პროფ. საზანოვთან** წერილში ამბობს-„ყველა ეს ცნობანი ჩემთვის გადმოუციათ და მე სისწორით ჩავაწერინე **მღ. მონაზონს ათანასეს (ბაქრაძეს).** 15 წელიწადი მე თვითონ მოწაფე ვიყავი მამა ბესარიონის და ქრისტეფორესი.“

ივერის მონასტერი

ივერის მონასტერი გაშენებულია წმ. ათონის მთის ჩრდილო აღმოსავლეთის კალთებზე. მონასტრის შენობას უჭერია ზღვის პირზე დაცემული ვაკე მინდორი, რომელსაც სამი მხრით დასცქერის ტყით შემოსილი, ხევებით დასერილი მთები.მეოთხე მხრით კი გაყურებს ზღვის ყურეს (საცა ზეპირ გადმოცემებისამებრ, გაჩერებულა ღვთისმშობლის ნავი). კარაიას შორავს მონასტერი 4 ვერსით. სახელწოდება მონასტრისა „**ივერ**“ წარმოდგა აღმაშენებელთა და შიდ მოღვაწეთაგან, რომელნიც იყვნენ ტომით **ივერიელნი ე.ი. ქართველნი.**

პირველათ ათონზე მოვიდნენ ქართველნი 787 წელს, **კონსტანტინესა და ირინეს** მეფობაში; მათ ააშენეს ზოგადი სავანე ათონის ერთ გორაკზე, დღეს ამ ადგილს გაშენებულია იოანე ღვთის მეტყველის სკიტე -ივერიის მონასტრისა.

965 წელში მოვიდა და ბერათ აღიკვეცა ათონზე**მეფე დავით კურაპალატის** სახელოვანი სარდალი **იოანე ივერი ვარასვაჩე**, რამოდენიმე ხნის შემდეგ მის მაგალითს მიბაძა შვილმა მისმა **ეფთვიმემ** და კიდევ, არა იმაზე ნაკლებ სახელოვანმა, მხედართმთავარმა **თორნიკემ**, რომელმაც თავი ისახელა საბერძნეთშიც, სახელოვანი გამარჯვებით **ბარდა სკლიაროსზედ.** ყველა ესენი დაემკვიდრნენ წმ. **ათანასე ათონელთან**, რომლის მოღვაწეობის დიდება ბევრმა იცოდა. ბაძვიდენ რა თავის მოძღვარსდა აღმზრდელს, ისინი ატარებდნენ სასტიკ ცხოვრებას და ყველას აკვირვებდნენ დიადი მოღვაწეობით და კეთილი საქმეებით. მაგრამ თორნიკი მალე გაიწვიეს საბერძნეთის ტახტის წინააღმდეგ ამტყდარ ამბოხების ჩასაქრობათ. მან გაიხადა ბერის ტანსაცმელი და ერთხელ კიდევ გავიდა, როგორც მხედარი. 12 ათასი რჩეული ქართველით სრული გამარჯვებით შეასრულა მინდობილი საქმე, მდიდარი ნადავლით დაბრუნდა ათონს, რომელიც დაურიგა ბერებს და თვითონ ისევ განეშორა სამონაზნო კელიაში.

ამ დროს ისე გამრავლდა ქართველი ბერები, რომ ახალ მისულთათვის ადგილი აღარ იყო.ამიტომ იოანე ივერმა გადასწყვიტა უფრო ვრცელი სავანის აგება თანამემამულეთათვის. ამ მიზნით ქართველთა მეფის დავით კურაპალატის ნებართვით გაუცვალა ბერძნების**მეფეს ვასილი მეორეს პორფიროგენს** ქართული მონასტრები: **წმ. იოანე ღვთისმეტყველის კონსტანტინეპოლში და წმ. ფოკასი ტრაპიზონში**-ბერძნებისაში: ღეონტის-სოლუნში, იოანე კოლოვის-ეროსოში და სრულიად მიგდებული კლიმენტის მონასტერი ათონზე, რომელიც იყო ქართველთა ძველი სავანის ახლო. უკანასკნელის ნანგრევებზე იოანემ გააშენა მონასტერი, სახელწოდებით **„ივერის მონასტერი“,** თუმცა კიდევ დიდ ხანს შეინარჩუნა პირველი სახელიც-**კლიმენტის სავანე.** მონასტერი აშენდა საქართველოს მეფის **დავით კურაპალატის ხარჯით** და ქართველთა ურიცხვი შემოწირულობით. საბერძნეთის მეფეები დიდს მფარველობას უწევდნენ მონასტერს განსაკუთრებით შემდეგ თორნიკის მიერ ასეთი მეგობრული დახმარებისა **ვასილი მეორისადმი.**

ივერის მონასტერი სრულად დამოუკიდებელო იყო და ასევე ექვემდებარებოდა ათონის უმაღლეს „პროთოს“. პირველათ აშენდა პატარა ტაძარი **იოანე ნათლისცემლის** სახელზე, შემდეგი კი დიდებული ტაძარი **ღვთის მშობლის მიძინებისა**. **წმ. იოანეს** სიკვდილის შემდეგ (1003) მონასტრის წინამძღვრობა მიიღო მისმა შვილმა **ეფთვიმემ,** რომელმაც დატოვა საუცხოვო და ვრცელითარგმანი საღვთო წიგნებისა. იღუმენმა **გიორგი მთაწმინდელმა** დაამთავრა გუმბათი ივერიის საკრებულო ეკლესიისა და ყველა ტაძრები გადახურა ტყვიით. **მანვე დაარსა**

საღვთისმეტყველო შკოლა მონასტრის ახლო, იყო ეფთვიმეზე კიდევ უკეთესი მთარგმნელი. **1059 წ. გიორგი მოწოდებულ იქნა სამშობლოში, როგორც ღრმად განსწავლული პირი**. მეთორმეტე საუკუნეშისაქართველოს უმაღლესმა მთავრობამ, ათონის მთის დასაწყისში, სოფელ **იერისოში** დაასახლა 45 ქართველი ოჯახი, მონასტრისა და სკოლის სასამსახუროთ. 1259 წლიდგან მონასტერმა გამოიარა მთელი რიგი უბედურებათა. **მიხაილ პალეოლოგის** მეფობაში, როდესაც ქართველმა ბერებმა უარყვეს რომის პაპის მეთაურობა, რაზედაც მათ თვით მეფე მიხაილი აიძულებდა, მონასტერმა დიდი უბედურება გამოიარა. მას თავს დაესხნენ „ლათინურად" მთაზე განდგომილნი მართლმადიდებელნი. მონასტერი დაანგრიეს და ააოხრეს, ნაწილი მონაზონთა დაატყვევეს, ნაწილი გარეკეს და გააქციეს, 200-მდეც წყალში ჩაახჩეს. კაი ხანი გავიდა, სანამ ძალას მოიკრებდნენ და ისევ დაიჭერდნენ დანგრეულ მონასტერს.

1285 ში მონასტერმა ხელახლა განიცადა ლათინთა თავდასხმა; 1306 კი ერთხელ კიდევ საშინლათ იქნა აოხრებული, განადგურებული „კატალანცებიდგან", რომელთაგან მთელი ათონი სამ წელიწადს ირბეოდა. ამდენ უბედურებისშემდეგ, მიუხედავთ საბერძნეთისა და სერბის (განსაკუთრებით მეფე სტეფანე დუშან ძლიერი) მეფეთა მფარველობისა, მონასტერი დაცემულ მდგომარეობაში იმყოფება 1500 წლამდე, - მით უმეტეს რომ ქართველ ძმათა რიცხვმა შესამჩნევათ იკლო, დანაკლისის შესავსებათ მოწოდებულმა ბერძნებმა კი მკვიდრთა შევიწროება იწყეს და საკრებულო ტაძრის ხელში ჩაგდებაც კი მოინდომეს, რაც სისრულეშიც კი მივიდოდა თუ რომ საბერძნეთის და საქართველოს მეფეების მფარველობას არა გადაერჩინა.

მეთექვსმეტე საუკუნის უკანასკნელ წლებში მონასტერი დიდ ვალებში იყო. მარტო სარგებელი წლიურათ 361 2 ათას „ასპრას" უდრიდა. ამიტომ ძმათა კრებულმა მიმართა სამშობლოს, **ალექსანდრე მეფეს** შემწეობისათვის. მეფემ შეიწყნარა თხოვნა და 12000 ოქრო უწყალობა, რომელმაც სხვა მრავალ შემოწირულობასთან ერთად ძლივს დაიხსნა მონასტერი 1602 წელს. აქედგან იწყება მონასტრის თანდათანი გაუმჯობესება სხვადასხვა დიდებულ ქართველთა შემოწირულობით; ასეთი წინმსვლელობა მონასტრისა გრძელდება მეჩვიდმეტე საუკუნის ბოლომდის; ასე რომ ეს დროშეიძლება ჩაითვალოს მონასტრის აღორძინების (რესტავრაციის) ხანათ. მაგრამ მეთვრამეტე საუკუნის გასათაყარში, როდესაც ქართველი, სხვადასხვა დიდ მნიშვნელოვან პოლიტიკურ ცვლილებათა გამო აღმოსავლეთში, საგრძნობელათ შემცირდა. მონასტრის მართვა-გამგეობა ბერძნების ხელში გადავიდა. დღეს მონასტერში არცერთი ქართველი არ არის, ორმოციოდე ქართველი კი ეწევა ზოგად ცხოვრებას მათ მიერ განახლებულ პატარა სკიტეში(კელიათ ირიცხება და არა სკიტეთ) იოანე ღვთისმეტყველის სახელობაზე, სკიტე 1 ნახევარი ვერსით შორავს მონასტერს და დიდ შევიწროებასაც განიცდის ყოველ მხრივ.

ივერიის მონასტერი წარმოადგენს სიმაგრეს, ოთხივ კუთხით მაღალი მტკიცე კედლით შემოვლებულს, რომელსაც ზღვის პირით ფხიზლად დარაჯობს ციხე-კოშკი. სავანეში შესვლისთანავე მარცხნივ **დგას პატარა ეკლესია კარისა,** რომელშიც **ასვენია სასწაულმოქმედი ივერიის ღვთის მშობლის ხატი**; აქვე სავანეში, არის უმთავრესი საკრებულო ტაძარი, ტრაპეზი (სასადილო), მცირე ეკლესია იოანე წინამორბედისა და სხვა შენობები.

უმთავრესი საკრებულო ტაძარი აშენებულია ღვთის მშობლის მიძინების სახელზე. ტაძარს ჯვრის ფორმა აქვს. მთავარი ეკლესიის თაღი უდიდესი გუმბათით დაშვებულია (დაყრდნობილია) მარმარილოს ოთხ სვეტზე. სტოვა ორია-შიგნითა და გარეთა; მათი თაღი ორ სვეტს უჭერია, მათ ორსავე მხარეს მიშენებული აქვს პატარა ეკლესიები(პარაკლისები) გუმბათებით, მარჯვნივ წმ. ნიკოლოზისა, მარცხნივ წმ. მთავარანგელოზთა. სტოვაებში შეყავხართ ფართო დერეფანს (კორიდორს), რომელსაც მარმარილოს 13 სვეტი იჭერს. მთელი ტაძარი აჭრელებულია ფერად-ფერადი ფილაქნებით (ბრტყელი ქვა). მხატვრობა ახალია, გარდა რამოდენიმე სურათისა კედელზედ, რითაც დღემდის უცვლელათ შენახულია ნიმუში ძველი მხატვრობისა.ტაძარი მორთულია (შემკულია) ძვირფასი ჯვრებით, ძველი ბერძნული და რუსული ხატებით. ტაძრის დერეფანში (ანუ გარეთა გალერეაში) დღემდის დაცულია სიმბოლიური, ბიბლიური და ისტორიული სურათები ძველი მხატვრობისა. ამ გარეთა დერეფანში, შესავალ ბჭეში, დახატულია კედელზე „დეისუს“, მთელი ტანით (სიმაღლით) **ე.ი. მაცხოვარი დედითურთ და წინამორბედით**. ამ ხატზე მოგვითხრობენ (მოგზაურობა ბარსკისა), რომ ერთ კეთილმორწმუნე მხატვარს სურდა ენახა მაცხოვრის სახე სწორეთ ისეთი, როგორიც იყო სინამდვილეში. მას ემცნო ზეგარდმო-წავიდეს ათონს და იქ ივერის მონასტერში იხილოს სახე მაცხოვრისა, რომელიც დახატულია ჩრდილოეთით კედელზე გარეთა დერეფანში შემყვან ბჭესთან; ეს წმინდა სახე ყოველივეში **ემსგავსება ცოცხალ იესოს. შიგნითა სამხრეთ კედელში იმყოფება მარმარილოს ლუსკუმა,** რომელშიაც ფარულათ განისვენებენ ნაშთნი სამთავ წმინდანის, მონასტრის აღმაშენებელთა-**იოანე, ეფთვიმე და გიორგისა.**

საკრებულო ტაძრის საკურთხეველში გარდა ცხოველ მყოფელი ჯვარის ნაწილისა, ინახებიან შემდეგი წმიდა ნაწილები:“ კუთი“, წმ. მოწამისა თეოდორე სტრატილატისა, მარცხენა ხელი წმ. ვასილისა, ამასიის ეპისკოპოსისა, მარცხენა ფეხი წმ. მიხაილისა, სინადიე ეპისკოპოსისა, ხელი წმ. მთავარ მოწ.პანტელეიმონის, ფეხი და მხარი წმ.ფოტინი სამარიანინის, თავი წმ. მოწ. თეოდორე პერგიელის, მარცხენა ხელი წმ. მოწ. ევპრაკსისი,მარჯვენა ხელი წმ. მოწ. პარასკევასი, ნაწილები წმ. დიდი ვასილისა, წმ. გიორგისა, იოანე ოქროპირისა, წმ. კოსმა და დამიანესი, წმ. პირველ მოწამის არხიდიაკონის სტეფანესი, **წმ. მოციქ. პეტრესი, წმ. მახარებლის ლუკასი,** წმ. მოციქ. ბართლომესი, წმ. ათანასე დიდისა, წმ. მოწ. მერკურისა, წმ. იოანე მმარხველისა-კონსტანტინოპელ პატრიარხისა, წმ. სტეფანე ახლისა, წმ. იპატის, წმ. იოანე წინამორბედის, ფეხი მართლისა მაკრინესი, ფეხი წმ. მოწ. კიპრიანესი, დიდი ნაწილი მთავისა წმ. მოწ. ფოტის, თავი ღირსისა იეროთე ივერიელისა, თავი წმ. მოწ.ნიკიტასი, შუბლი წმ. ეპიფანე კიპრელისა და მირო (მირონი) წმ.მთავარმოწ. დიმიტრი სოლუნელისა. აქვე იმყოფება ნაჭერი (ქლამინდისა) სამეფო მანტიისა, ღრუბელი და ლერწამი, რითაც შეურაცხყოფდნენ ქრისტესა ურიანი.

წმ. წინამორბედის ეკლესია უუძველესია მონასტერში. ის იქვე დიდი კარების (ბჭის) ახლო დგას-„კარისას“ ეკლესიის უკან. მის გუმბათს მწვანე მარმარილოს ოთხი სვეტი იჭერს; იკონოსტასიც ამგვარივე მარმარილოთი ყოფილა ნაშენი, დღეს კი მისი ნაშთი დაფარულია (მოჩუქურთმებული, დაჭრელებული) ხის იკონოსტასით(კანკელით).

ეკლესია „კარისა“ (ბჭისა) სასწაულ მოქმედი ივერის ღვთისმშობლის ხატითმონასტრის წმ. ბჭესთან დგას. ის ააშენა ქართველმა თავადმა **აშოთან მუხრან-ბაგრატიონმა** 1680 წ. ნაცვლად ბჭეზედ დაშენებულ კოშკის (ციხე) ეკლესიისა, საიდგანაც გადმოსვენებულ იქნა წმ. ხატი. 1865-

ში ცეცხლმა სრულიად გაანადგურა ოთხ-კუთხი შენობა და მასთანავე საგრძნობლათ დაზიანდა ეკლესია კარისა. საკრებულო ტაძარი, ტაძარი წმ. წინამორბედისა და ტრაპეზი (სასადილო) - გადარჩნენ სრულებით უვნებლათ მონასტრის სრული ეზოისა გამო. ხატი ზომით დიდია, მოხაზულობით დიდებული. სახეს მისას ძლიერი და მკაცრი გამომეტყველება აქვს, რის გამოც თაყვანისმცემელს უეცრად მოიცავს შიში და ლმობიერება. მრავალ საუკუნეთა განმავლობაში ხატი გაშავებულა. მარჯვენა ყბაზე ეხლაც ემჩნევა ჭრილობა **არაბ ვარვარასაგან**, რომელმაც დაინახა რა ჭრილობიდგან გადმონადენი სისხლი, იმ წამს შეინანა, მიიღო ნათლის ღება და შეიქნა ერთი ამ მონასტრის მტკიცე მოღვაწეთაგანი. ხატი დიდებული, ძვირფასი ქვებით შემკულ პერანგშია (რიზა) ჩასვენებული, მის წინ ანთია ძვირფასი ვერცხლის სასანთლე, პერანგთან ერთათ შემოწირული მოსკოვის საზოგადოებიდგან (სრულიად რუსეთის პატრიარხის ნიკონის სურვილისამებრ ამ სასწ. მოქმედი კარისა (პორტარინი) ხატიდგან გადაღებული იყოკოპიო, რომელიც 1648 წელში გაუგზავნეს **ალექსი მიხაილის ძეს** რამოდენიმე ძმების თანხლებით. ხატს მიეგებენ მოსკოვში 13 ოქტომბერს და ასვენია ეხლა ივერიის სამლოცველოში).

გარდა ზემოხსენებული ტაძრებისა, მონასტერში შემდეგი პარაკლისებია:1. ტაძრად მიყვანებისა, 2. წმ. ევსტაფისა, 3. წმ. პირველ მოწ. არხიდიაკონი სტეფანესი, 4. წმ. კონსტანტინე და ელენესი, 5. ფერიცვალებისა, 6.იოანე ღვთის-მეტყველის, 7. ყველა წმიდათა, 8. წმ. მთა-ვარმოწ. გიორგისა, 9. კოსმა და დამიანესი, 10.კვარი ამაღლებისა, 11. წმ. სპირიდონის, 12. წმ. დიონისი არეოპაგელისა, 13. წმ მოწ. ნეოფიტესი, 14. წმ. მოდესტის.

ივერის სავანეში იდიდებიან: 1. ღირსი მამა იოანე ივერი, აღმაშენებელი მონასტრისა, 2. ღირსი მამა ეფთვიმე, შვილი იოანესი , 3. ღირსი მამა გიორგი, შვილიშვილი იოანესი, 4. ღირსი მამა ილარიონ მდუმარე, რომელიც ღირსი გახდა მიეღო ზღვაში მცურავი სასწაულთ მოქმედი ივერის ღვთის მშობლის ხატი“კარისა“, 5. ღირსი მოწ. იაკობი და მისი მოწაფენი იაკობ და დიონისი, რომელნიც ეწამენ სულტან სელიმისაგან, 6. კალლისტ,მოწაფე წმ. გიორგი სინაიტე-ლის, შემდეგ კონსტანტინეპოლის პატრიარხი, 7. წმ. მოწამენი მეცამეტე საუკუნისა, როდესაც მონასტერი აოხრდა ლათინთა მომხრე- განდგომილ მართლ მადიდებელთაგან.

ივერისსავანეს ორგზის შეაფარა (განეშორა) წმ. პატრიარხი გრიგორი მეხუთე, 1821-ს წამებული თურქთაგან კონსტანტინეპოლს. ივერის მონასტრის წიგნთ საცავში ინახება მრავა-ლი ძვირფასი ძველი ხელთ ნაწერი(ქართული და ბერძნული), მეფეთა სიგელები და გუჯრები, რომელთა შორის განსაკუთრებით შესანიშნავია გაჩუქებითი თამასუქი წმ. ათანასე ათონელისა იოანე ივერისადმი, დაწერილი 985 წ. და ათანასესაგან საკუთარ ხელ მოწერილი.

მონასტრის გარეთ, მის ადგილებში, ტყით დაფარულ ხევებში, მრავლათაა გაფანტული განდეგილთა, დაყუდებულთა კელიები პატარა ეკლესიებით. მონასტრის ახლო, ჩრდილო და-სავლეთით აშენებულია ძმათათვის აკლდამა ეკლესიით წმ ათანასეს (კონსტანტინეპოლელი პატრიარქის) სახელობაზე. აქ, კედლების გასწრივ და სტოვაში 20 მდე ძველი ხატია, ერთ დროს საკრებულო ტაძრის იკონოსტასში ნამყოფი. ხატები დიდი ზომისაა, დახატულია ფიცარზე გადაკრულ ტილოზე; ჯერ კიდევ ძლიერ კარგათ შენახულან და შესანიშნავი არიან, როგორც ნაშთი წმ. მხატვრობის საუკეთესო ხანასი. მონასტრის ახლო, ზღვის პირზე გაშენე-ბულია რამოდენიმე კელია ეკლესიით ღვთის მშობლის სახელზე, **სადაც გაბრიელმა მიიღო ზღვიდგან**

წმ. ხატი. აქვე ახლოს ასახელებენ **იმ ნავთსადგურს, სადაც ღვთის მშობელი გარდამოხდა ნავით ათონზე.**

კეთროვანთათვის საავადმყოფოით ივერის მონასტერი იშვიათ გამონაკლისს შეადგენს მთელ ათონზე. ბედისგან გაუბედურებულნი, ტანჯულნი აქ პოებენ ნაზ მოპყრობას და მყუდ-რო განსასვენებელს, რისთვისაც უხსოვარის დროიდგან გაშენებულია თავშესაფარი ერთ განკერძოებულ კელიაში ეკლესიით, მონასტრის ახლო ს). ათონის ოც მონასტერთა შორის **ივერს მესამე ადგილი უჭერია**. პირველათ ის წარმოადგენდა ზოგად მონასტერს, დღეს კი შტატს;მართავენ ეპიტროპოსები. მონაზონთა რიცხვი 100ია(დღეს კი 200 მდეა). მისი მამული ათონზე სიგრძე-სიგანით საათის სასიარულო იქნება(ფეხით). ათონს გარეშე მონასტერს აქვს მდიდარი მამულები-მეტოსები. სხვათა შორის მოსკოვში ნიკოლსკის ქუჩაზე , სადაც გაშენე-ბულია მონასტერი წმ. ნიკოლოზ სასწ. მოქმედის სახელზე, ეს მამული აჩუქა მონასტერს მეფე **ალექსი მიხეილის ძემ** 1648 წელს.

ივერის სკიტე წმ. წინამორბედისა

ივერიდგან ნახევარ საათის სასიარულოზე, მაღლა მთაში გაშენებულია ამავე მონასტრის სკიტე წმ. წინამორბედის სახელობაზე.

მერვე საუკუნის უკანასკნელ წლებში, ამ ადგილზე, როგორც ზევით იყო მოხსენებული, ქართველებმა გააშენეს პატარა მონასტერი, რომელიც შემდეგ ემორჩილებოდა ივერს და 1259 ში კი სრულებით დაცარიელდა. იქ დიდ ხანს აღარავის უცხოვრია, მხოლოდ მეთექვსმეტე საუკუნის დასაწყისში წმ. იაკობ ახალმა აქ ააგო სკიტე და ცხოვრება განაახლა. ბოლოს დროს წმ. იაკობი ღვთის ჩაგონებით წავიდა საქადაგებლად ათონს გარეთ; მარა 1520 წ. 1 ნოემბერს თავის ორი მოწაფით-იაკობით და დიონისითეწამა ქრისტიანობის აღსარებისათვის. იაკობის სიკვდილის შემდეგ, ამბობენ, სკიტე დიდი ხნით დაცარიელდა,მაგრამ (ვინმე) რუხი ბარსკის ათონზე ყოფნის დროს, 1744 -ში, სკიტე უკვე არსებობდა დიდათ მშვენიერი ტაძრით.

დღევანდელი საკრებულო ტაძარი(კირიაკონი), გაშენებული იოანე ნათლის მცემლის თავის კვეთისსახელობაზე, განახლდა (როგორც წარწერა მოწმობს) 1779 წ., მოიხატა კი 1799 წელში. აქ არის შემდეგი წმინდანების ნაწილები-მოწამეთა: მერკურისა, ხრისტაფორესა, პანტელეიმონისა და ტრიაკონისა, **იოანე ოქროპირისა და დიონისი არეოპაგელისა**,კოსმასი და ყბები სამი ახალი მოწამისა- ეფთვიმესი, ეგნატესი და აკაკისა.

გარდა საკრებულო ტაძრისა არიან კიდევ ეკლესიები-სასაფლაოსი და ხუთზე მეტიც გორაკებზე გაფანტულ კელიებში. მათ შორის შესანიშნავია: 1. წმ. წინამორბედის დაბადებისა, წოდებული „ძველი კირიაკონი“, ეს წმ. იაკობის დროსაც იყო; ის აქ ცხოვრობდა, **აქვეა მისი ლოცვით გამოთხოვილი მშვენიერი წყარო**. ამ ეკლესიაში ინახება წმ. ნაწილები: წმ. იაკობისა და მისი წმ. მოწაფეთა: იაკობის, დიონისისს და ფეონის. 2. წმ. ნიკოლოზისა ზევით და წმ. მოწამეთა: ეფთვიმესი, ეგნატისა და აკაკისა. ქვევით: ქვედა ეკლესია აშენებულია სურვილისამებრ მსოფლიო პატრიარხის გრიგორი მეხუთისა და მანვე აკურთხა. აქ მოღვაწეობდნენ და ემზადნენ მოწამებრივი სიკვდილის მისაღებათ- მწ. ეფთვიმე, ეგნატე, აკაკი და ონოფრე. მათი წინამძღვარი მიიცვალა 1862 წ. დეკემბრის 22-ს. ამ ეკლესიაში ინახება წმ. ნაწილები-წმ. ეფთვიმის, ეგნატის და აკაკისა(სხეული(ტანი) წმ. ონოფრესი, მწამებელთ გადააგდეს ზღვაში). მათი წმ. თავები კი ინახება რუსების პანტელეიმონის მონასტერში.

მონაზონთა რიცხვი სკიტეში 40 -მდეა. ადგილი გარშემო უშენი და უნაყოფოა. სკიტეს ზემოთ ათონის ქედზე(ზურგზე) ამაღლებულია პირამიდისებრი მთა სახელათ **ცუკა** და **გაბრიელის მთა. აქ გადირჩინა თავი წმ. გაბრიელმა ქართველმა, რომელმაც მიიღო ზღვიდგან სასწაულთ მოქმედი ივერის ღვთს მშობლის ხატი.** ამ ადგილს გაშენებულია კელია ეკლესიით.

ათანასე ბაქრაძე ბერისაგან გადმოწერილი ერთი რაჭველი დეკანოზის ხელთ ნაწერიდგან.

ასე უამბნია თვით ათანასეს მ. მაკარი ბერისთვის (ათონის „ივერის“ მონასტერი), 1910 წ. ივნისი

დიდ ხანს დარჩენ მეფესთან ერისთავები, ერთათ ისადილეს და სადილის შემდეგ კი გავიდენ ბინაზე. შვილებმა უთხრეს როსტომს, ძალიან ალერსიანათ გვეპყრობა მეფეო! მამამ მწარეთ გაიღიმა, თქვენ ვერ ატყობთ, თვით ეგ ალერსი რისხვაზედაც უარესია. პაპუნა წერეთ-ლის ამინ ამინი კარგს არაფერს მოასწავებდაო და თუ ჩვენ თავი დღესთავი არ დავიძვრინეთ როგორმე, ცუდათ არის ჩვენი საქმეო. შორს გამჭვრეტელმა ერისთავმა პაპუნა წერეთელი და ორი დიდებული გაუგზავნა მეფეს და სთხოვა: რადგან სიშორის გამო თქვენთან ხშირად ხლება, სამსახური და ერთგულების გამოჩენა არ შემიძლია, გთხვთ, თქვენ მიიღოთ ჩვენი ყოველივე სამკვიდრო **ბარაკონში** ციხე და სასახლე, **ამბრალეურში** კოშკები და ერთი სასახლე, **ონში ციხე,** სასახლე და თვით პატარა ქალაქიცა. ამასთანავე ყოველი ჩვენი რაჭის სამფლობელო აზნაურ გლეხებით და სამაგიერო აქ... სადმე მიბოძოთო.

მეფეს ეს ამბავი დიდათ ეამა. აღუთქვა სამაგიეროს ბოძება. როსტომს ვეზირობა უბოძა, მის შვილს გიორგის სარდლობა და მეთოდეს დივანბეგობა. მერე შემოიკრიბნა ვეზირნი და დიდებულნი და კითხა, თუ რა მიეცა შენანებული ერისთავისათვის ამ დათმობის სამაგიერო. მათის რჩევისამებრ დაიბარა მდივანი და მისცა მას ??? ღრამატის შედგენაზე თანაშემწედ **ოტია ჩხეიძე**. „ჩვენ **მეფეთ მეფემან იმერეთისამან სოლომონ პირველმან და დედუფალთ დედუფალმან მაკრინემ** ესე წყალობის წერილი გიბოძეთ შენ ჩვენს ერთგულებისათვის დი-დებულს თავადს **როსტომ ერისთავს,** შვილთა და შთამომავალთა თქვენთა. ასე რომ გიბოძეთ ყმათ სოფელს **გეგუთში** მცხოვრებნი გლეხნი ყოველნივე გვარისანი, გარდა ამისა , სოფლები: **პატრიკეთი, უკანეთი** და **მესხეთი**, რაც ამ სოფლებში მცხოვრებნი გლეხნი და აზნაურნი არიან. გარდა ამისა, სამოსახლოთ გიბოძეთ **გეგუთს თამარ მეფის ნასახლი,** ციხე და ეკლესია, რაც ნაკლეულება აქვს, მე უნდა გავაკეთო. გარდა ამისა, სამი ათასი ქცევა ირგვლივ შენის მოსახლებისა გიბოძეთ. გარდა ამისა, საშეშეთ საღორის ტყე-ქუთაისიდან სამხრეთით **ხინოს წყლის** მდინარის ღელემდის, აღმოსავლეთით **წყალ წითელას მდინარის ღელე**. დასავლეთით **რიონის** მდინარე. გიბოძეთ მთა საჯოგეებათ სახელწოდებით **ტიტველად**. აღმოსავლეთით ქართლის საზღვარი, დასავლეთით ჩიჯავაძის საზღვარი, სამხრეთით ახალციხის საზღვარი, ჩრდილოეთით სოფლები. ესე ზემოთ ხსენებულნი აზნაურნი, გლეხნი, მიწა წყალ მთებითურთ შენთვის გვიბოძებია. უკეთუ ჩვენი ერდგული და ბრძანებისა ჩვენისა მორჩილი იქმნები, ესე წყალობა შენ და არცა შენს შვილსა და მომავალს არ მოეშალოს არასოდეს ჟამთა. აწ არიან სიგელის ამის მოწამენი ვეზირნი და დიდებულნი კარისა ჩემისანი: **წერეთელი პაპუნა, აბაშიძე პაატა, მიქელაძე ზურაბ, წულუკიძე ბერი, ჩხეიძე ოტია, ლორთქიფანიძე ბერი, თამაზა მესხი, მამუკა დივანი, პაპუჩა და ქაიხოსრო აბულაძეები, თანდარუხ იოსელიანი** და დარბაზისა ჩემის ერნი“.

ეს ღრამატა ხელ ჩართულ ბეჭდითურთ უბოძა ერისთავსა პაპუნას ხელით. ერისთავი გამოვიდა თავის შვილებით, მივიდენ მეფესთან კვანტ გადადებული, მადლობა შესწირეს და მოახსენა, რომ მას მისცეს მეციხოვანები და ციხეები ჩააბარეს. შინ წასვლის ნებაც გამოითხოვა.

მეფემ დასტური უბძანა ციხეების მისაღებათ, მეციხოვანებათ **ბასილა და კვირიკა იამანიძეები** გაატანა. გამოეთხოვა ერისთავი მეფეს და წავიდა რაჭას. **ნაქერალას** მთის გვერდზე მიმავალი შემხვდა ერთი რაჭველი აზნაური მეფესთან მიმავალი. ერისთავმა ამ მგზავრს გაატანა წიგნი მეფესთან და უბძანა, თუ შენი ხელით არ მიეცი მეფეს, რაჭის ქვეყანას გამოეთხოვეო. მან დიდი შიშით მოახსენა:მიტანის დროს ორივე ხელი რომ მომჭრას მეფემ, მაინც მივართმევო.

წიგნში ასე ეწერა: შენსა მოველ და შევამკობ შენსა ტანადობასა,

შენი უდასტერბა კი არღვევს ბატონყმობასა.

ეს წიგნი აზნაურმა მიართვა მეფეს. მეფემ წაიკითხა და **პაპუნა წერეთელი** შემოიხმო და კითხა: ჩემო პაპუნა, როსტომ ერისთავმა ხომ არ დაგვატყვილა, რომ ხელიდან გაგვძრომოდაო? პაპუნამ შორს დაიჭირა, მაშინ გადასცა მეფემ წიგნი და წაიკითხა. წერეთელს კიდე არ ეჯერა და ამბობდა, რა ვიცი, რაც ის გახარებული მიდიოდაო. გახარებული მიტომ წავიდა, რომ ჩვენ მოგვატყუა და ხელიდგან გაგვძრაო.- ბრძანა მეფემ. და თუ ასე არ იყოს, ამ წიგნის მოწერას ვერ გაბედავდაო.

გზაზე ერისთავმა უთხრა შვილებს: –რომ ასე არ მოგვეხერხებინა, ჩვენი საქმე ცუდათ იყო და უთუოდ დაგვამარცხებდენო. ვერ შენიშნეთ როგორ წვრილ-წვრილათ იკრიბებოდნენ ფიცის კაცები: **ლორთქიფანიძეები, მესხები, ავალიანები, იოსელიანები** და სხვანი. ოთია და მისი ძმა ცალ-ცალკე მოვიდენ, რომ იჭვში არ შევეყვანეთო.ეგ ორი ძმა მესხი და არჩილ ბატონიშვილი სწორეთ რომ საშიშარნი იყვნენ და სხვების კი მოგახსენეთო,– ჩაილაპარაკა მეთოდემ. – შენმა გაზდამ არც სხვები იყვნენ მაგათზე ნაკლები. ბევრი უკეთესებიც არიან იმე-რეთში, მაგრამ ერთხელაც მაგათ დავარდნიათ ვაჟკაცობის სახელი და ის არის,– მიუგო უმცროსმა ძმამ გიორგიმ.

ამ საუბრით მივიდნენ რაჭაში თავის სასახლეში სოფელს **ბარაკონს**. **ბასილა** და **კვირიკა იმნაძეებს ,** ციხის გასაღების მაგიერათ, შემდეგი წიგნი გაატანეს მეფესთან:..... მე გახლავარ დიდი როსტომ, მე ერთგულათ გიახელი, მიპირობდი ღალატს. რატომ? სიტყვით გითვლი, წიგნსაცა გწერ, ხელი აიღე რაჭაზედ, მიხვდი, რომ აღარ გმორჩილობ... რაჭის ბეგარას ავიღებ, არ მერიდები ამაზედ. უბაწროთ ვირი დამაბით დამტვრეულ ჩელტის ბაგაზედ. თუ მიპირებ ამოწყვეტას, აწ, მობძანდი, რაღას ყოვნი? ციხე მიდგას მაღალ კლდეზე და ზედ მიკვრით ბარაკონია, ხიდის კარში მცველები მყავს და კოშკები სამაგრონი... ჩემი წინაპარი იყო **ერისთავ კახაბერი. თამარ მეფის** მამობილსა ყმანი ყავდა ორი ბერი,მე ვარ მისი ტომისაგან, ვერ მატირებ, ტყვილა მღერი....

ეს წიგნი იამანიძეებმა მისცეს სახლთუხუცეს. ამის წაკითხვაზე მეფეს ცეცხლი შემოედვა. მოიხმო **სარდალი წულუკიძე** და უბრძანა: –წადი, ეხლავე, ერისთავები გასწყვიდე, ცოლშვი-ლით, ციხეები, კოშკები,, და მათი შენობა დასწვი... ერთი სიტყვით ქვა ქვაზედ დაადუღეო. ეს რომ დარბაისლებმა და კარის კაცებმა გაიგეს, იუცხოვეს, უჩვენოთ ასე მძიმე საქმე ვერ უნდა გადაეწყვიტაო. ერთად შევიდნენ მეფესთან, თაყვანი სცეს... წერეთელმა მდივანს გადასცა ერისთავის მოწერილი, მდივანმა წაიკითხა, ყველანი განცვიფრებაში შევიდნენ და იწყეს დარბაზობა. ... გადაწყვიტეს: **–ჩვენ ყმასთან ბრძოლა საკადრისი არ არის**, როცა იქნება ჩაგვარ-დება ხელშიო. მეფეს სრულებით ხმა არ ამოუღია, კარისკაცებმა თაყვანისცეს და წავიდნენ თავთავის სახლებში.

მონაზონ იონეს ბარათი მამა ერმილეს

4 ივლისი 1913

ძმაო და მამაო **ერმილე**! ღ-თი შვიდობისა იყავნ შენთანა.

თქვენი ბარათი მივიღე 1ლი ივნ.საღამოს მომიტანა მეფოშტემ და ქირა მივეცი 20 კაპ.

მე ვიყავი ავათ. გამიხარდა. მოველოდი ამბავს შენგან. ბარათი თუმცაღა სულ გასვრილი იყო, მაგრამ ძალა ბარათისა გავიგე. საშინლად მეწყინა, ისე, რომ არა მგონია ახლო წლებში უფრო ძაან მწყენოდა.

მე შენი სიკეთის და წარმატების მსურველი და მლოცველი ვიყავი. ვფიქრობდი, რამეს იშოვნის, აქ მოვა, შემეწევაო. ყველას შენ ადრესს უმალავდი. ეხლა რა პირით უნდა ვსთქვა ამისთანა მოულოდნელი განსაცდელი? აი, სირცხვილო. აი, სასჯელი, აი, ნაყოფი ურჩობისა და ამპარტავნებისა.

მიგდე ყური, ძმაო ერმილე და მოგახსენო იმისთანა ამბავი, რომელი სულ არ იცი, რომლითაც მე ვიტანჯებოდი აქ შენთვის. მე შენ დაგპირდი შეწევნას ყოვლის ფხით, გთხოვე მორჩილება. რა რუსებში დადექი, ქართველებთან ნუ მიხვალ.

ვინათგან შენ ბერძნებთან დაიჭირე სიყვარული და ქართველების ჩივილმან წაახდინა ჩვენი საქმე.

სააღდგომოდ ..... სოფლის მცხოვრებისაგან მივიღე თხოვნა, უსათუოდ გამოგზავნე **ერმილე გოგიშვილიო.**

მე მივსწერე, **იერუსალიმში** წავიდა მოსალოცად, რომ მოვა შეგატყობიებთ. ნააღდგომევს **იონამ** მიიღო წერილი **ლეონიდესაგან**, გამომიგზავნე ერმილე გოგიშვილიო. შენ აქ დახთუნავ უდარდელად, სულ არ გესმის, ქვეყანა ანგრეულია. შენ სხვადასხვა აზრში იყავი. მე თავიდან ვიცოდი დარწმუნებით, **შენი მთაწმინდით** წასვლით შენ დაჰკარგავდი სარწმუნოებას. მე და იონა ვართ რჩევაში. იონა მეუბნება, გაუშვი ის კაცი სადმე, თავი მიიფაროსო. მე უთხარი, ანუ გათათრდება, ანუ გაფრანგდება. რაც უნდა ის ქნასო, მხოლოდ გაუშვი, აქ არ იქნეს ხლაფორთი; უსათუოდ მოვა კონწოლისაგან მიწერილობა და დაიჭერენო.

მე არ ვქენი. ვინაიდან არ მქონდა ფული. გიორგას მივსწერე შენი მდგომარეობა და გაჭირება და სხვანი. აუხსენი ესე, სამშობლოში არ მოდის. აქ სუხარი არა აქუს, ფიქრობს წასვლას **სტამბოლში** და სხვაგან. მე არ უშობ, მეშინის, **გაფრანგდეს ანუ გათათრდეს.** ეს ბარათი შენ ბარათში ჩავუდევი.

ამის მერე შენ გეჩივლა იონასთან მონასტერში. ამ დროს მოვიდა კონწოლიდან ბრძანება, შენი დასაჭერი. მამა იონამ მე მიჩვენა. ეპისკოპოზს გუბერნატორთან მიუწერია და გუბერნატორს კონწოლთან; უნდა ეტაპით წაეყვანეთ.

მე და იონა ძალიან შევწუხდით; მითხრა, არ შეიძლება დამალვაო, შენ დაგედება ბრალიო. მე უთხარი, ფული არა აქვს. მისი ფული მე მომცა. ცოტათ ვაძლევდი, მაგრამ მაინც იქნება - ხუთი ლირა მეთქი.

იონამ აიღო 5 ლირა, მომცა და მითხრა .... მე შენ ძალიანი მოხერხებულად ფული მოგეცი. ანგარიში გავწორდით. მერე გითხარი, მოკლეთ ცოლის ამბავი. შენ მაშინვე აღიძარი. მე გირ-ჩიე წაღება ტანისამოსის, ქვეშაგებისა და სხვათა. შენ არ ქენი.

არ იყო კაბა, შალვარი და ქუდი მოგეცი. წასულ ხარ, არაფელი წაგიღია. ყოლისფერი ბერძ-ნისთვის დაგეტოვებია.

მესამე დღეს მე დაფნაში წავედი. იქ მითხრეს, წავიდაო. დაფნიდგან მივედი ბერძენთან; მათ მითხრეს, უნდა გვაძლიოთ ქირაო. კი მეთქი. მე შენი სახლში დავათვალიერე. ყველა ... გადაყრილი იყო. იქიდგან იონასთან მივედი კვიტანციით.

ყველას ეუცხოვა შენი წასვლა. მ**ელეტმან** გააგდო ხმა, ივანემ მოკლაო და სხედანო.

შენი წასვლის შემდეგ კონწოლის მივწერეთ, კაი ხანია მთაწმინდიგან წავიდაო. მე მივსწერე გიორგის **ბეთლემს,** ერმილე წავიდა და ასე დამშვიდდა ღელვა.

ეხლა მეორე. მე რომ მამა გიორგის შენი ამბავი მივსწერე, გიორგის თავზედ უდვია, მაშინვე წასულა შენი ნაცნობებთან. ჩემი ბარათი უჩვენებია. ყველას საწყენათ დარჩენიათ. ჩემი ბარათი შენი ძმისთვის გაუგზავნიათ; შენ ძმას მაშინვე 15 მანეთი გამოუგზავნია. იმ ბარათის ძალით ვიღაცას კიდო უნდა გამოეგზავნა 25 მანეთი. მაგრამ ჩემი ბარათი მან უკან დააბრუნა, ვინაითგან გაიგეს, შენ არა ხარ მთაწმინდაში.

ეხლა შენ ძმას 25-თი რომ გამოუგზავნია, ის შენი ნათესავი გურულისაა. სახელი გამავიწყ-და. გიორგმა იცის. იქ გროვდება ბევრი ფულები შენი გამოსაყვანად.

შენი წასვლის შემდეგ გიორგმა მომწერა, მთხოვა აქეთ გამოგვიგზავნეო. მაგრამ ძალიანი გვიანი იყო.

ამდენი ამბავი მე გადგიწყვიტე და შენ გაგათავისუფლე.

შემდეგ შენი ბარათი მივიღე გვიან. მაშინვე მეწყინა. გთხოვე, აქეთ წამოდი, ვინაიდგან გაქრა ცეცხლიო. ვიცოდი, შენ არ დაგემართებოდა კარგი.

მესამე დღეა რაც ამას ვფიქრობ, როგორ იქნებოდა. შენ ძმას ვარი უთქვამს შეწევნის.

ეხლა იონა და მელეტი გაბრაზებულნი არიან; ახლოს არ მიეკარები ანუ რომელი .... რუსის კონწოლს რომ გამოუცხადობ დაგიჭერს.

შენ უნდა თხოვო შენდობა. ცოლი, შვილი მოგივლის და გიპატრონებს. მიგიყვანებენ ცოლ-თან. შენ არ გინდა ცოლი-შვილი, ცოლი -შვილი; გინდოდეს, თავს გათავისუფლდები ფრანგებისაგან.

აბა, იფიქრე და იფიქრე. სირცხვილი მაჭამე, შემარცხვინე, არ გაამართლე ჩემი აზრი და მოქმედება. კდ გეტყვი შემარცხვინე, შენ ამბავს ყველას უმალავდი, არ ვეუბნებოდი. მითხარი დღეს, რა უთხრა ცასა და ქვეყანას. ოდეს შენი ხელით სამარე გაითხარე და შიგ ჩავარდი?

დიდად მწუხარე გწერ უღირსი **ბერი იონე.**

მასალები ათონის მთის შესახებ
დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის მოგზაურობის წიგნიდან

დროა ბოლო მოეღოს!...

(ათონის ქართველთა სავანის ძმათა მდგომარეობის შესახებ)[1]

გაზეთ „ივერიიდან“, N 217, 1899 წ.

ჩვენმა საზოგადოებამ კარგად უწყის, რა უკიდურესად სამწუხარო მდგომარეობაში არიან ათონში ქართველთა სავანის ბერნი, რომელთაც მოსვენება და თავისუფლად ცხოვრება არ ძალუძთ ბერძენთაგან. ამის შესახებ დიდი ხანია გამოძიება სწარმოებდა და ხმაც დადიოდა, რომ ბერძნები ალაგმულნი იქმნებიან და ჩამოერთმევათ მათ მიერ დაჩემებული ქართველთა მამულები და წმიდა ადგილნიო, მაგრამ აგერ დღესაც ისევ იმავე მდგომარეობაშია საქმე, თუმცა დიდი ხანი დროა ბოლო მოეღოს ასეთს ვითარებას. იმის გასათვალისწინებლად, თუ როგორ არიან შევიწროებულნი ქართველნი ძმანი ათონის ძმის სავანისანი, ვბეჭდავთ თვით იმათს წერილს, პატივცემულის პეტრე კონჭოშვილის მიერ მიღებულს, რომელსაც წინ წარემძღვარების თვით მ. დეკანოზის წერილი, ჩვენდა მომართული.

აი, რას იწერება პატივცემული მ. კონჭოშვილი:

„ჩემის მოგზაურობის აღწერა უკვე შესრულებული მქონდა, როდესაც 30-ს სექტემბერს 1899 წელსა მივიღე გულ-შემზარავი წერილი ათონის მთიდგან ქართველთა სავანის ძმათა. ამ წერილით გვაცნობებენ, თუ რაოდენს შევიწროებას, დევნულებასა და მწუხარებას ითმენენ ქართველნი ძმანი ივერიის მონასტრის ბერძენთა მონაზონთაგან, ვითარცა პირველ საუკუნოე-ბის ქრისტეანენი წარმართთაგან. ბერძენთა მონაზონთ განუზრახავთ სრულიად გამოდევნა ქართველთა ძმათა ათონის მთიდგან და აღგვა მათი პირისაგან ქვეყანისა. ამავე დროს ათონის მთაზედ მყუდროებით ჰმოღვაწეობენ სხვა-და-სხვა ეროვნებათა სავანეთა შინა: რუსნი, ბოლგარნი, მოლდავანნი, სერბიელნი, ვლახელნი, შავმთიელნი, არაბნი და არნაუტნი. მაშ, რა არის მიზეზი ქართველთა ძმათა დევნულებისა ბერძენთაგან? სხვა არა რაიმე, არამედ მხოლოდ ის, რომ ქართველი ერი 1883 წლიდგან დავობს თვისის თავად-აზნაურობის წინამძღოლების შუამავლობით, რათა დაუბრუნდეს ათონის ქართველთა სავანის ძმათა ათონის ივერიის მონასტერი თავის მამულებით, ვითარცა სამკვიდრებელი ქართველის ერისა.

ამისათვის ქართველთა ათონის სავანის ძმათა წერილსა ამასთანავე სრულიად შეუცვლე-ლად და უნაკლულოდ დავურთავ, რათამცა ამ წერილიდგან ნათლად დაინახოს ქართველმა საზოგადოებამ, თუ რა უკიდურესს მდგომარეობაში იმყოფებიან ჩვენნი ძმანი ათონის მთაზედ. ამ წერილის წამკითხველი ანუ მომსმენი ქართველი საზოგადოება, განურჩევლად წოდებისა და სქესისა, ვისაც-კი მცირედი სიყვარული უღვივის გულში სამშობლოს მიმართ, მოვალეა წინაშე ღმრთისა და კაცობრიობისა აღმოუჩინოს შემწეობა ქართველთა ათონის სავანის ძმათა გამოსახსნელად მათდა ბერძენთა ბერების მტარვალობისაგან. ამას მოითხოვს ჩვენი ეროვნული ღირსება, პატივი, ძველი ისტორიული დიდება ქართველის ერისა და მოყვასთა

[1] წერილები ამოღებულია დეკანოზ პეტრე კონჭოშვილის მიერ სტამბოლის სავანის ბიბლიოთეკისათვის ნაჩუქარი წიგნიდან (იხ. დეკანოზი პეტრე კენჭოშვილი, მოგზაურობა წმ. ქალაქს იერუსალიმსა და წმ. ათონის მთაზედ, ტფილისი, 1901 წელი, გვ. 214-223).

მიმართ სიყვარული, ვინაიდგან ქართველთა ათონის სავანის ძმანი არიან ხორცნი ხორცთა ჩვენთაგანი და ძვალნი ძვალთაგანი (შექმ. 2, 23).

ღმერთმან ინებოს, რომ ამ საქმის წარსამართებელად აღმოჩენილ იყვნენ საქართველოს ნიადაგზედ მსგავსნი დიდებულთა, სახელოვანთა წმიდათა მამულიშვილთა: ესთერისა, მარდოქესი, ეზდრასი, ნეემიასი და იერემიასი, რომელი გოდებდა დარღვეულის იერუსალიმის და მის ტაძრისათვის, ზორობაბელ მთავრისა, ისუ და სვიმონ დიდთა მღვდელთა, რომელთაც კვალადცა აღადგინეს დანგრეული ტაძარი და ქალაქი იერუსალიმი და განაშვენეს იგი, ვითარცა თვისი ეროვნული დიდება. ყოველთა ამათ დიდებულთ ზემოხსენებულთა პირთა, ვითარცა სამშობლოს სიყვარულითა შემსჭვალულთა, იშრომეს, იღვაწეს ვიდრე თავგანწირულებადმდე მამულის კეთილდღეობისათვის.

ქრისტეს მოციქულის სიტყვისაებრ: რაᲲცა დაწერილ არს, ყოველივე ჩვენდა სამოძღვრებელად და სასწავლებლად დაწერილ არს. ამასათვის ვბაძვიდეთ მართალთა საქებელთა საქმეთა შინა; ხოლო ვევლტვოდეთ ხენეშთა მათ და ბილწთა ცოდვათა უკეთურთასა (წმ. ანდრია კრიტელის მერვე სძლის პირი, დიდ მარხვის პირველის შვიდეულის სამშაბათს).

რომელსა ასხენ ყურნი სმენად, ისმინენ!

დეკანოზი პეტრე კონჭოშვილი

***

ვბეჭდავთ აქვე შეუცვლელად ათონის ქართველთა სავანის ძმათა წერილს, გამოგზავნილს მ. კონჭოშვილის სახელობაზედ ამ წლის 10 სექტემბერს.

„თქვენო მაღალ-კურთხებავ, ყოვლად პატიოსანო დეკანოზო, მამაო პეტრე!

უწინარეს ყოველისა, ძმანი წმიდისა ათონის ქართველთ სავანისასანი, გამოვითხოვთ თქვენგან ლოცვა-კურთხევას, და ამასთანავე ვართ მსურველნი თქვენის მრავალ-ჟამიერ სათნოდ ღვთისა და სასიქადულოდ ივერიისა-სიცოცხლისა.

ვინაიდგან უკვე ვართ დარწმუნებულნი, რომ ჩვენს ჭირსა და ლხინსა, ვითარცა თვისთა მოძმეთასა, განიზიარებთ, როგორც ჭეშმარიტი ქართველი; ამისათვის ვკადნიერობთ, გაუწყოთ ჩვენი გარემოება, რომელი თქვენც დაგაფიქრებსთ, და რასმე საშუალებას მოგაგონებსთ თქვენთა ძმათა მწირთათვის, რომელნიც იმყოფებიან უსამართლოდ დევნულებაში და ფრიად შეიწროებაში ბერძენთა მიერ ეს ოცდა-თორმეტი წელიწადია!..

ფრიადი მიუცილებელ საჭიროებისა გამო ვიწყეთ ერთ კედელზედ მიშენება უბრალო ხის ბოძებზე შეშის დასაწყობად ფანჩატურისა, რომელის მიზეზის გამო, უამისოთაც მეძიებელნი რაიმე შემთხვევისა ბერძენთ ბერნი, აწ მცხოვრებნი ჩვენს ივერიის მონასტერსა შინა, 30 აგვისტ. ამავე წელსა–დილით ადრე, ჟამსა საღმრთო ლიტურღიის შესრულებისასა, როდესაც მწირველი ამბობდა: „შიშითა ღვთისათა და სარწმუნოებით მოვედით“, მოგვიხდნენ რიცხვით ოთხნი პროიღუმენნი, მონასტრის წარჩინებულნი პირნი – ამათში ორს თქვენც იცნობთ, ერთი ამ წლის მეორე ეპოტროპოსი პორფირი, რომელმანც საზოგადო სიყვარული გამოგიცხადათ, როდესაც თქვენ საზოგადო კრებაში სთხოვეთ ბიბლიოთეკის განხილვა, პირველ ნათხოვი არქიმანდრიტ გერასიმეზე. მეორე-მამა დანიელ, რომელიც ლაპარაკობდა ქართულს ენაზედ, და რომელსაც ეოცნების შემდგომში საქართველოში არხიმანდრიტობა და ჩვენი საწყალი ხალხის გლეᲯაცარცვა მათის თეთრის კბილით და ორნი ერის კაცნი, მსახურნი მათნი, შეჭურვილნი

თოფებით, მახვილებით და რევოლვერებით და ირგვლივ წელზედ მექონნი სასწრაფოთა სავსე ვაზნებითა.

ვინაიდგან პირველ იყვნენ ბოროტ-მოქმედების განმზრახველნი, ესე ვითარმა მათმა განზრახვამ იმ ზომამდის დაავიწყათ მათ თავიანთი მოვალეობა, რომ სამღვდელო პირნი არც კი შემობრძანდნენ ეკკლესიასა შინა თაყვანის-საცემლად იმ წმიდის ხატისა, რომლის სახელსა ზედაცა აღგებულია სავანე ჩვენი, არამედ გარე მდგომნი მსწრაფლ ითხოვდნენ გამოგზავნითა თვისთა იასაულთა, რათა მივიდეს მათთან უფროსი სავანისა; ხოლო ვინაიდგან დროებით მმართველი მ. **იონა** იყო შინაგან ეკკლესიისა და ლიტურღიაც სრულდებოდა და არ ჰქონდა დრო, ამისთვის მივიდა მათთან **მამა გაბრიელი**, რომელთაც სთხოვა ბერძნულის ენით, რათა მობრძანდენ სასტუმროში ჩაის მისართმევად, ხოლო მათ ცივის სიტყვით უპასუხეს, რომ იგინი არ მოსრულან ჩაისათვის, არამედ აქვსთ სხვა საქმე, რომლისათვისაც მოსრულან. ნახა რა მამა გაბრიელმა იგინი აღშფოთებულად, არღარა მიუგო მათ. ამ დროს წირვაც გათავდა და შეატყობინეს მამა იონას, რომელიც დაუყოვნებლივ გამოეგება მათ თავაზით და მაინცა სთხოვა, რათა თითო სტაქანი ჩაი მიერთმიათ. ხოლო მათ განძვინებულთ, თუმცა კადნიერ არს სიტყვა ესე, გარნა შეგვიძლიან ვსთქვათ, რომელ ბარბაროზებრივი შეხედულებით და ქცევით იწყეს ყვირილი და ბრძანება, რათა ჩვენ ქართველებს მსწრაფლ დაგვემგვრიოს ზემოხსენებული ფანჩატური, რომლისთვისცა იყო დასობილი ხოლო ოთხი ხის სვეტი ჯერ-ჯერობით. მამა იონამ დაუწყო მათ ლაპარაკი სიმშვიდით და სურდა, რათა აეხსნა შესახებ ამ ფანჩატურის აგებისა, ხოლო მათ სიტყვაც არ აცალეს, და გაწყვეტით ბრძანეს: –„დაარღვევთ თუ არა თქვენის ხელით უკვე დაწყებულს?!

ამაზედ უპასუხა მ. იონამ, რომ დასარღვევად არ გვიშრომია, და არც ჩვენ დავარღვევთ, და არც სხვას ვაძლევთ ნებას მისის დარღვევისას, თვინიერ ჯეროვანის მართებლობისა.

მაშინ თაოსნობითა პროიღუმენი პორფირისათა იქმნა ბრძანება ბერძენთა მიერ თვისთა მსახურთადმი: –„აბა, ბიჭებო, დაამგვრიეთ, დაამსხვრიეთ, დალეწეთ“. და მიეშურენ ბიჭები და თან მიჰყვნენ პროიღუმენნი დასამგვრევად სვეტებისა; ხოლო ვინაითგან **მ. მ. იონა** და **გიორ-გი** ახლოს იყვნენ სვეტებთან, ამისათვის არ დაანებეს დაემგვრიათ. მათ ბერძენთ ველურ ყვირილზედ, არა თუ ძმანი წმ. ჩვენისა სავანისანი, არამედ უკეთუ ყოფილ იყვნენ ახლო მახლოს ვინმე მეზობელნი, იგინიცა იქმნებოდენ მოწამენი ყოველივე აქა შემთხვევისა.

იხილეს რა ბერძენთა, რომ არ ვაძლევთ ნებას მათის გულის წადილის აღსრულებისას, უნდოდათ ეხმარათ იარაღებრივ ძალა, და მ. გიორგის და ერთს მონაზონს მახვილით შემოუ-ტივეს, ხოლო განგებითა ღვთისათა ერთმა პროიღუმენთაგანმა უბრძანა მათ, რათა უკან დაბრუნებულიყვნენ და ესრეთ ბრძანებისაებრ მისისა უკან დაიწიეს და დიდის მუქარით, რომ მოვლენ შემდგომში უმეტესის ძალით და არ დაგვტოვებენ აღუოხრებლად, მიბრძანდნენ შინისკენ.

ამ ჟამად, წყალობითა ღვთისათა, მფარველობითა ყოვლად-წმიდისა ღვთის-მშობლისათა, მეოხებითა ყოვლად ქებულისა იოანე ღვთის-მეტყველისათა და თქვენის ლოცვით გადავრჩით მშვიდობით. ამავე დღესა ყოველივე ჩვენი გარემოება მოვახსენეთ ადგილობრივ უფროსს, რომელმაც არავითარი ყურადღება არ მოგვაქცია, ვითარცა ყოველის მხრით კაცთა მიერ შეუწევნელთა, ღარიბთა და მწირთა, გარნა მსასოებელთა წყალობასა ზედა ღვთისასა, რომელ იგი ყოვლად ძლიერი და ყოვლისა შემძლებელი შეუწევნელთა შემწე, მწირთა და ობოლთათვის

მზრუნველი, არ დაგვიტევებს თვინიერ მისის შეწევნისა, და მით არ გაახარებს ხილულთა და უხილავთა მტერთა ჩვენ მდაბალთა ზედა–შთაგონებითა ზეგარდამო;

მივმართავთ ჩვენს ელჩს კონსტანტინეპოლში და თესალონიკის ვიპატოსს, რომელთაც მოახდინეს ჯეროვანი განკარგულება... აგვისტოს 31-სა მობრძანდნენ ჩვენს სავანეში თხოვნისამებრ ბერძენთა აქაური პროტატიდგან ანტიპროსოპნი (მოადგილენი), რომელთა გამოგვიცხადეს, რადგანაც ივერიის მონასტერს არ სურს, რათა აღშენდეს ჩვენს ეზოში შეშის დასაწყობი, ამისათვის დაგვენგვრია ჩვენ; წინააღმდეგ შემთხვევაში, თვით იგინი დაამგვრევდენ და შეადგენდნენ განაჩენს ჩვენდა სავნებლად, რომელსაც მოჰყვებოდა ჩვენ ქართველების ათონიდამ გადარეკა.

ვიხილეთ რა, რომ **სიმართლე თვის მახვილს ვერ მოიქნევდა,** რადგანაც ყოველივე ღონე და ძალა ათონის მთაზე არის ბერძნების ხელში და გუშინდელნი შეშინებულნი აქაური მოსამართლისაგან, რომელმანცა გვითხრა, სხვათა შორის, რომ თუ ბერძნები უბრძანებენ, რათა ქართველნი იქმნენ განდევნილნი ათონიდამ, მაშინ ის მოვალე არის აღასრულოს დაუყოვნებლივ ბერძნების ბრძანება, – დავემორჩილენით, **ვითარცა ცხვარნი მგელთა**, და იმ ზომად დაგვიმონეს, რომელ ჩვენსვე ხელით, მხილველთა მიერ შესაბრალებელად, დაგვანგრევინეს სვეტები თავის მოწყობილობით. როდესაც ბერძნებმა შეასრულეს მათი გულის წადილი, დიდის ბოროტის სიხარულით აღფრთოვანებულნი წაბრძანდნენ თვისად, ხოლო ჩვენ დაგვტოვეს შეუწყალებლად.

იმედი გვაქვს, თქვენო მაღალ-კურთხევავ, რომ ამ ჩვენს გაჭირვებულს მდგომარეობას გაიზიარებთ და სხვასაც გააცნობთ, ვისთან და სადაც ჯერ არს, რათა იცოდეს მთელმა ივერიამ, რომ მათს მამულში მცხოვრებს ქართველებს არ აძლევდნენ ნებას უკანასკნელ ფანჩატურის აშენებისასაც-კი!

დიდის პატივისცემით მოგიკითხავენ ყოველნი ძმანი ჩვენის სავანისანი, მარადის მომხსენებელნი **უტკბილეს უფროს თაფლისა და გოლეულისა თქვენის საუბრისანი.**

გთხოვთ გვანუგეშოთ თქვენის ძვირფასის ეპისტოლით.

რუსის გენერალის შთაბეჭდილება მიმოხილვის დროს
ქართველთა წმიდათა სავანეთა პალესტინაში და წმ.
ათონის მთაზედა

ზაფხულში 1900 წელსა მოულოცნია წმ. ადგილები პალესტინისა და წმ. ათონის მთისა ერთს ღვთის-მოყვარე გენერალს რუსთაგანს ა. **ვენერ**-ს. ეს გენერალი სწერს ერთს სულიერს მამას ქართველთაგანსა გულმტკივნეულობით თავის შთაბეჭდილებას შემდეგ წმ. ადგილების მიმოხილვისა საზღვარს გარეთ: „ქართველებს ოდესმე ჰქონიათ იერუსალიმში სამი მონასტერი, ორს მათგანში ეხლა სცხოვრობენ ბერძენთა ბერებიო, სახელდობრ **წმ. მამამთავარის აბრაამის და წმ. ჯვარის მონასტრებში; ხოლო მესამეში –წმ. იოანე ღვთისმეტყველის სავანეში**– აწ იმყოფებიან ფრანგთა მონაზონნი. აგრეთვე **ათონის მთაზედაც** ჰქონიათ ქართველებს დიდებული **ივერიის კარისა ღთისმშობლის მონასტერი**, რომელშიაც აწ იმყოფებიან ბერძენთა ბერები, რიცხვით 150 სულამდის.

–„როდის და რა სახით დაუკარგავთ ქართველებს ეს დიდებული სავანენი?“– გულმწუხარებით ეკითხება ბოლოს. შემდეგ განაგრძობს: „ათონის კელლიაში მოღვაწენი ქართველნი ძმანი ამ ჟამად დიდს შეწუხებაში არიან, სულგრძელებით ითმენენ ბერძენთა მონაზონთაგან სიყმილსა, მწყურვალებასა და ყოვლის მხრით დევნულებასაო.. ხოლო ამავე დროსა მახლობლად ქართველთა ძმათა კელლიისა ივერიის მონასტერში კი, ძველს ქართველთა სამკვიდრებელში ბერძენთა ბერები დიდს განცხრომაში იმყოფებიანო. ეს უსამართლოება ღმერთს ტირილით შეჰღაღადებსო და გამოითხოვს შურის-ძიებასაო“.

უცხო ტომის შვილს, მაგრამ ჩვენს ძმას მართლმადიდებლობით და ერთის სახელმწიფოს ჩვენთან ერთად ქვეშევრდომობით, საქართველოში უმსახურნია, შეუსწავლია **ჩვენი ეროვნული ხასიათი და ზნე-ჩვეულებანი და ღირსებანი** და ამისათვის გული სტკივა ჩვენს დიდებულ ნაშთთა დაკარგვისათვის; **ჩვენ კი ჯერ ღრმა ძილში ვართ** და ჩვენს სარწმუნოებრივს სამკვიდრებელსა, რომელიც ამასთანავე შეადგენს დიდებას **ქართველის ერისას**, არ ვეძიებთ გულმხურვალედ. თვითონ ამ ღვთისნიერს, სარწმუნოებით გაბრწყინებულს გენერალს, უკვირს **ეს ჩვენი გულგრილობა და დაუდევნელობა** ამ გვარს წმ. საქმეში.

– რას აკეთებენ?! კითხულობს იგი. საქართველოს დიდებულნი და დარბაისელნი შვილ-ნი? რატომ არ ეძიებენ ამისთანა ძვირფასს სამკვიდრებელსაო? ამასთანავე, ასახელებს ქართველთა წარჩინებულ გვარების დიდებულთა წარმომადგენელთა, რომელთა **ასხენ ყურნი სმენად**, ისმინენ!

ამ კეთილმსახურის გენერლის სარწმუნოებრივს გულ-მხურვალეობაზედ მოგვაგონდება სიტყვანი პეტრე მოციქულისა: **„ყოველთა შორის თესლთა, რომელსა ეშინის ღმრთისა და იქმს სიმართლესა, სათნო არს ღმრთისა და ღირს არს ქებისა** (საქმე მოციქ. 10, 35).

წერილი ათონის ქართველთა სავანის ძმათაგან

10-ს ივნისს 1900 წელსა.

უმაღლესი მთავრობის განკარგულებით ივერიის მონასტრის ბერძნის ბერებს დაუკავეს ბესარაბიის მეტოხის შემოსავალი უმეტეს 90,000 მ., რომელსაც აღარ აძლევენ, განმავლობს ეს მეათხუთმეტე წელიწადი; შესახებ ჩვენის საჩივრისა, ეს შემთხვევა ბერძნებს ძალიან აშინებს. კონსტანტინეპოლის პოსლანიკი (დესპანი) და თესალონიკის კონსული ეუბნებიან ივერიის მონასტრის ბერძნებს: – „როდესაც საქართველოს გაურიგდებით, მაშინ მიიღებთ ამ ფულებს, თორემ ისე არ შეიძლება“. ეს შემთხვევა და გამოცხადება ძალიან აშინებს ბერებს.

უწინდელმა პოსლანიკმა (დესპანმა) **ნელიდოვმა** თვით პირის-პირ გვითხრა: „თუმცა უმაღლესმა მთავრობამ მეტოქი რუსეთის და საქართველოსა დაუკავა და არ მისცა ბერძნებს, იმ შემთხვევაში სუბუქად გათავდა თქვენი საქმე და მშვიდობიანად. ამისთვის დაკავება მეტოქებისა ინოსტრანის სამინისტროში (პეტერბურგში) მე თითონ წარვადგინე, მაგრამ ჯერ-ჯერობით ცნობა არ მიმიღიაო“.

მოგვიტევეთ, პატიოსანო მამაო, მცირე ბარათისათვის, მაგრამ რადგანაც ცხადად ვხედავთ, რომ თითქო სრული საკუთარი საქმეაო, ისე მონაწილეობ ამ საქმეში, როგორც ჭეშმარიტი ქართველი, მისთვის გწერთ ასე მცირესაც, როგორც საქმის მასალას.

მმართველი **მღვდელმონაზონი იონა** ქრისტეს მიერ ძმებითურთ.

კარი მეექვსე
მემუარები სტამბულის ქართული სავანიდან

მოგონებანი ავთანდილ არსენის-ძე ურუშაძისა
დაბადებული 1890 წელს 10 აგვისტოს ქ. ლანჩხუთში

… ბავშები ვთამაშობთ და მოდის ერთი შავწვერა კარგათ ჩაცმული კაცი. გვეკითება, ვისი ხართ, ბავშებო, მას ახლავს ერთი პატარა მოწაფე **კვიროს წილოსანი.** იმან უთხრა, ეს არის **არსენა ურუშაძისო, ავთანდილ** ჰქვია სახელადო. ამ კაცმა ამოიღო ჯიბიდან კამპეტი და მომცა, მითხრა: - გინდა, ბიძი, სწავლა? მე ვერ უპასუხე რამდენი წლისა ვარ. **კვიროსიმ** უთხრა, - მეშვიდეში არისო. სწორეთ დროა, შემოდგომაზედ მივიღებთ სკოლაშიო. აბა ბიძი, მამა-შენს უთხარი, რომ მასწავლებელი იყო და სკოლაში წამოდი, მითხრა-თქვა.

ჩემს სიხარულს საზღვარი არ ქონდა. გავიქეცი ჩემ უმფროს დასთან და უთხარი, როგორც იყო საქმე. მე არ ვიცი, სკოლაში წასვლა უმფო მიხაროდა, თუ კამპეტი. 1897 წლის სეკტემბის 1-ს მიმიყვანა მამაჩემმა, სწორეთ იმ კაცთან, რომელიც უწინ თამაშობის დროს ვნახე.

მამა ჩემმა მითხრა, ეს არის ნასწავლი კაცი, უჩიტელი **არსენ წითლიძეო.** მეორე კაცი გამოვიდა, ეს არის კიდევ უჩიტელი **კირილე წილოსანიო.**

ესენმა მომეფერეს და მომცეს კამპეტი.–ხვალ გამოგზავნეთო, მამა-ჩემს უთხრეს. მეორე დღეს დავიწყეთ სწავლა, …(არ იკითხება) **არსენ** და **კირილე** გვასწავლის. ასთე განვლო ერთმა წელმა. მეორე წელს ე.ი. 1898 წელს **არსენი** გადაიყვანეს **სამეგრელოში, ძველ-სენაკში.** მისი ადგილი დაიკავა **კირილემ** ე.ი. ზედამხედველმა. ვინაიდგან სკოლის შენობა ცოტა იყო, ჩვენ გადაგვიყვანეს კერძო სახლში. აქ მოვიდა მასწავლებლად **ბარამიძე**. იმისთანა შენს მტერს, ჩვენ დღე დაგვადგა. ამ კაცმა ისთე მოგვეპყრა, რომ კინაღამ სული ამოგვართვა. გვცემა, გვქიჩა, რა არ გვიქნა, დაჩოქება ხომ სანატრელი იყო. იძახდა:– თქვენი სისხლი უნდა დავლიო. ასთე, რომ რაც სათუთად გამოვიარეთ წინა წელი, ამან ყველა წაგვამწარა. ორ თვეს გაგრძელდა ჩვენი წვალება, მერმეთ ის გადაიყვანეს სხვა განყოფილებაში. ჩვენთან მოვიდა **მიხეილ ჯიბლაძე.** ამან ცოტა საშვალება მოგვცა, დაწყნარებულიყავით. როგორც მასწავლებელი, არაფერი ბედაური იყო, მაგრამ როგორც ადამიანი, არა უშავდა. 1899 წლის გაზაფხულზედ **მიხეილი** გადაიყვანეს სხვა სოფელში და ჩვენთან მოვიდა **გრიგოლ ურატაძე** მასწავლებლად. **გრიშა** ძალიან კარგი იყო.

1899 წლის სეკტემბერში უკვე აშენდა **ლანჩხუთის** ორ-კლასიანი შენობა. იქ დავბინავდით ყველა ხუთივე განყოფილება. მე უკვე მესამე განყოფილებაში ვარ, **გრიშა** არის ჩვენი მასწავლე-ბელი. მეოთხე განყოფილებაში შეიქმნა ერთი აურ-ზაური. იქ იყო მასწავლებლად ის **ბარამიძე**. ერთმა მოწაფემ დაარტყა მასწავლებელ **ბარამიძეს**. ეს კაცი იყო მასწავლებელი თუ მაწვა-ლებელი, არ ვიცი. **ბარამიძე** გადაიყვანეს სადღაც. მის ადგილზედ მოვიდა **ვლადიმირ ქუთა-თელაძე.**

1900 წ. მეოთხე განყოფილებაში ვარ, კიდევ მასწავლებლად იგივე **გრიშაა.** სამღვთო სჯულში მოვიდა მღდელი **ეპიფანე ჩხაიძე,** კაცი კულტურული და განათლებული.

1901 წლის სეკტემბერში უკვე მეხუთე განყოფილებაში ვარ. მასწავლებლად არის **ვლა-დიმერ ქუთათელაძე,** სამღვთო სჯულში **–ეპიფანე.** ესთე ხშირათ მოდის **კირილე** და სხვა-სხვა საგნებს გვამაცადინებს. ხშირათ მოდის **გრიშა**. ის დაინტერესებულია. ჩვენ ვართ მისი ყოფილი მოწაფეები და ხშირათ ნასადილევს დაგვიბარებს, გვიკითხავს და გვიხსნის სხვადა-სხვა მოთხრობებს, როგორც **ილია ჭავჭავაძის:** „გლახის ნაამბობი“ და ისთე **ეგნატე ნინოშვილის**

მოთხრობებს: „მოსე მწერალი“, „სიმონა“, „ქრისტინა“ და სხვა. 1902 წელს მაისში გავათავე ორი კლასი. ამავე წელს, სეკტემბერში, **ლანჩხუთში** გაიხსნა სამოქალაქო სასწავლებელი, მოსამ-ზადებელ მასწავლებლად არის **ივანე კალანდაძე,** კაცი ძალიან ენერგიული. 1 სეკტემბერს გვიქმნეს გამოცდები; ჩავაბარეთ და მასწავლებლად დაინიშნა **გიორგი ჭუმბურიძე.** ინსპეკტორათ კი ვიღაც რუსი **„ერმახი“**, ნამდვილი პირ-წავარდნილი „რუსოფილი“. დაგვდევს მოწაფეებს და თუ ვინმემ დაილაპარაკა ქართულათ, იმას სჯის. უნდა გველაპარაკა რუსულად; მეორე წელმა ვერ ჩაიარა მშვიდობიანათ. 1904 წლის აპრილში ვიღაცამ დახია **ნიკოლოზ, მეორეს** სურათი. ამას მოყვა არალეგარული კრება გლეხების, სადაც დახვდა ხალხს უკან დაბრუნების დროს პრისტავი სტრაჟნიკებით და მოკლა ორი კაცი. 1**. კოსტა ჩაჩავა 2. ესეფი ებრალიძე.** მათ დამარხვაზედ დიდი ამბავი მოხდა; დიდმა ძალმა ხალხმა მოიყარა თავი და გაიმართა საპროტესტო დემონსტრაცია. ამ საქმეზედ ჩამოვიდა გუბერნატორი თავის ამალით.

ხალხი დასაჯა, ჩაუყენა ეგზეკუცია და მოგვადგა სკოლას. მოვიდა ჩვენთან; ორ უმფროს განყოფილებას მოუყარა თავი და მოგვთხოვა დამნაშავები. ჩვენ - ბავშებმა რა ვიცოდით. გაჯავრდა, აირჩია ხუთი უმფრო წროვანებით უმფროსები და დაატუსაღა. ესენი **იყვნენ: 1. ნიკიტა იმნაიშვილი 2. კვიროსი წილოსანი 3. იასონ ურუშაძე 4. დათა ზენაიშვილი და 5. აკაკი ჟღენტი.** ჩვენ სკოლა დაგვიკეტა. ესენი წაიყვანეს **ქუთაისის** ციხეში და ხუთმეტ დღეს მერმეთ გაუშვეს.

ამ დღიდან იწყება ჩემი ოჯახში მუშაობა. მამა ჩემი ღარიბი გლეხი იყო და ცოტა დახმარებამ შეუმსუბუქა მდგომარეობა.

იწყება 1905 წლის რევოლუცია; **გრიშა ურატაძე,** ჩემი ყოფილი მასწავლებელი, თამაშობს მთავარ როლს **ლანჩხუთის** რაიონში. მისი დამხმარე ამ მუშაობაში, ასთე ვთქვათ, არიან შემდეგი პირები: **1. პართენ ებრალიძე 2. ნიტიფო ებრალიძე 3. ზოსიმე ჯორბენაძე 4. ზოსიმე მენაღარიშვილი 5. სიმონ ორაგველიძე 6. ბიკტორ ჭედია 7. ქიშვარდი იმნაიშვილი** და სხვები ბევრი. **ზოსიმე ჯორბენაძე,** როგორც ნასალდათევი და იმ დროს უნტერ-ოფიცერი, დაინიშნა **ლანჩხუთის** რაიონის წითელი რაზმის უმფროსად. **გურიის** მაშტაბით მუშაობს **ბენია ჩხიკვი-შვილი, გიორგი მურვანიძე** და სხვები. **გურიის** წითელი რაზმის უმფროსად დაინიშნა პორუ-ჩიკი **დათიკო ქარცივაძე - „მეჩონგურე“.** 1924 წელს აგვისტოში დახვრიტა ბოლშევიკებმა.

ეს მოძრაობა ერთობის სახელწოდებით არის. ერთობის კაცი თუ არ ხარ, ძალიან ცუდი კაცი ხარ, აი, ასთეა საქმე. ებრძვიან როგორც მთავრობას, ესთე თავად-აზნაურობას და სამღვდელობასა, ამაზედ იყო ხალხური ლექსი.

გურიის აჯანყებულს აღარ მოსწონს ძველი წესი, არც თავადი, აზნაური, არც მღვდელი და არც ხუცესი. გაუკეთეს ყველა მთავრობის დაწესებულებებს ბოიკოტი. იქ ხალხი არ დადის; შემოვიდა სახალხო სამსჯავროები. უნდა ითქვას რომ მომჩივან - მოპასუხე ყველა ემორჩი-ლებოდა ამ წესს. შეებძოლენ თავად-აზნაურობას და სამღვდელოების აღვირ ახსნილ მდგო-მარეობას. თავად-აზნაურობას გადაუწყვიტეს მიწის ღალა მეშვიდედი, ნაცვლად მესამედ–მეოთხედისა. სამღვდელოებას ზედმეტი ხარჯები აუკრძალეს, როგორც დრამა ფული და სხვა.

მთავრობა შეშფოთდა და გამოსცა 17 ოკტომბრის მანიფესტი. მაგრამ ამან არ დააკმაყოფილა მოძრაობის ხელმძღვანელები. მოძრაობა გაფართოვდა. **არსენ წითლიძე** მუშაობს და თამაშობს მთავარ როლს სამეგრელოში.

1905 წლის დამლევს დამარცხდა რევოლუცია რუსეთში და ამან გამოიწვია საშინელი რეაქცია ყოველგან. კერძოთ, დასავლეთ საქართველოში დამსჯელ რაზმის უმფროსად დაინიშნა გენერალი **„ალიხანოვი“**. გურიის დამსჯელ რაზმის უმფროსად - პოლკოვნიკი **„კრილოვი“**. კრილოვმა გადასწვა ოზურგეთი და ნახევარი გურია. ოზურგეთის მაზრის უმფროსად დაინიშნა ვიღაც **„ერმალოვი“**. ლანჩხუთის რაიონის პრისტავათ - **„მიქიაშვილი“.** ყველგან ჩააყენეს ეგზეკუციები. კაზაკები საშინელ როლს თამაშობენ; რევოლუციის ხელმძღვანელები– ზოგი დაიჭირეს, ზოგი გაიქცენ. მაგალითად დაიჭირეს **ბენია ჩხიკვიშვილი. გრიშა ურატაძე** იმალება. **ბათომიდგან** ჩამოვიდა გურიაში **კარლო ჩხეიძე.** 17 ოკტომბრის მანიფესტით უნდა მომხდარიყო სახემწიფო დუმის არჩევნები. ეს არჩევნები მოხდა და საქართველოდან პირველ დუმაში გაიგზავნა თავისი წარმომადგენლები: **ნოე ჟორდანია, ისიდორე რამიშვილის** მეთაურობით 7 დეპუტატი.

პირველი სახელმწიფო დუმა აღმოჩნდა მთავრობისათის მიუღებელი და ეს დუმა მთავრობამ გარეკა. ..(არ იკითხება) კერძოთ, გურიაში დადის მთავრობის დამსჯელი რაზმები. 1906 წლის შემოდგომაზედ ე.ი. ოკტომბრის დამლევს, **სადგურ ჯუმათში** დაეცენ მატარებელს და გაძარცვეს. როგორც ამბობდენ, ეს პროვოკაცია მოაწყო პრისტავმა **მიქიაშვილმა.** გამცარცველები აღმოჩდენ ლანჩხუთლები–ვიღაც **ბოლქვაძე** და სხვები. ამაზედ ჩამოაყენეს ეგზეკუცია, როგორც კაზაკები, ისთე ჯარის ნაწილები. ატრიადის ნაჩალნიკად იყო ვიღაც პოლკოვნიკი **„ტალმაჩევი“.**

ჯარის ნაწილები შეუსიენ ხალხს; დადიოდენ სოფელ-სოფელ და ძვარცვიდენ ხალხს. კერძოთ, საწყალი მამა ჩემსა შეაჭრეს წელზედ ვერცხლის ქამარი. სცარცვით რომ გული იჯერეს, მერმეთ ნაჩალნიკმა თავი მოუყარა ხალხს და გამართა სოფლის ყრილობა, და მოსთხოვა ერთობის ხელმძღვანელები. ხალხმა უპასუხა, ჩვენ არავითარი ხელმძღვანელები არა გვყავს, ჩვენ ყველა ვართ ხელმძღვანელებიო. ამ სიტყვის გადაცემა მიენდო **კირილე მგელაძეს**, რომელმაც თავის დავალება პირნათლათ აასრულა.

ამაზედ გაჯავრდა ატრიადის უმფროსი და ხალხი დაატუსაღა ერთი მოსახლის ეზოში. შიგ ჩაუშვა თავის ხალხი და თვალით ათვალიერებდენ, ვინ იქნებოდა აქ ხელმძღვანელები. ამ რიგათ, ამოარჩიეს რამოდენიმე კაცი; უმფრო ახალგაზრდები გამოიყვანეს და სცემეს, დაატუსაღეს ცალკე სახლში. მაგრამ არაფერი გამოდგა. ერთ დღეს და ღამეს ყავდათ ხალხი დატუსაღებული. გამთენიეს გამოუცხადეს ხალხს, რომ თქვენ ხართ დაშტრაფული 10,000 მან. ათი ათას მანეთად. ეს ეხლავე უნდა შემოიტანოთ და გაძლევ 24 საათს ვადას. ჯარის შესანახი დღიური 200 მანეთი ერთი თვის. ე.ი. 6,000 მან. სულ 16,000 მან. თექვსმეტი ათასი მანეთი.

ეს არც ადვილი თანხა იყო, მაშვინ, ისთე მოკლე დროში, როგორც ბრძანა უმფროსმა.

მაგრამ აქ აღმოჩნდა **მამასახლისი ნიტიფო წილოსანი,** კაცი ძალიან ენერგიული და პატიოსანი. იმან სთქვა, თუ ეს ჯარი მოგვცილდება, ჩვენ ყოველივე ღონე ვიღონოთ, რომ რამენაირათ გავისტუმროთო. დღიური ხარკი, რომელიც ჯარს სჭირდებოდა, ეს საქონელი გამოჰქონდათ ადგილობრივ ვაჭრებიდან, და ეს ადვილი იყო, ამის გადმოტანა ხალხზედ. თუ გაიგებდენ, რომ არ გადიხადეს, კიდევ ჩამოაყენებდენ ეგზეკუციას. საქმე იყო, ის ათი ათასი მანეთი. სხვა და სხვა საშვალებით მოახერხა **მამასახლისმა წილოსანმა** სესხება და გაისტუმრა. ეგზეკუცია წავიდა; ხალხი დარჩა დარბეული. ამაზედ იყო ხალხური ლექსები:

„ათას ცხრაას ექვსა წელსა

ლანჩხუთს მოხდა საქმე დიდი;
ჯუმათს პოეზდი გასტეხეს,
ჩვენ ვყოფილვართ ამის ქურდი.
ატრიადის ნაჩანიკმა
წყრომით დაგვიქნია ქუდი;
ყველა ერთად დაგვატყვევა,
მართალი ვართ ახლა ბრუნდი.“
– – – – –– – – –– – – ––– –
ათასი თუმნით დაგშტრაფა,
ფეხიც არ მოგვაცვლია.
დღიური ხარჯი ოც დუმნის,
ჩქარა ზედ მიგვათვლია.
მეთაურები მოგვთხოვა,
უთხართ არ გაგვაჩნია,
ყურით არ გაგვიგონია.
– – ––– – –––– – –– –– –– – –
ტალმაჩევ ჯარით მოვიდა,
ყველას უქადის დახჩობას;
ბერიძე, ჩვენი მგელაძე,
უბოძა ამხანაგობას.
– – – – –– –––– –– – – – – –
და სხვა.

1907 წელს მოხდა მეორე დუმის არჩევნები. აქაც საქართველოდან წავიდენ შემდეგი პირე-ბი:

1.ირაკლი წერეთელი 2. არჩილ ჯაფარიძე 3. სევერიანე ჯუღელი 4. ჭოლა ლომთათიძე და სხვა.

ეს დუმაც არ აღმოჩნდა მთავრობისათვის მისაღები და გარეკა. ქართველი დეპუტატები კატორღაში გაგზავნა. ლანჩხუთში კი ბდღვინავს **პრისტავი მიქიაშვილი.** ივნისში 1907 წელს მას ესროლეს თოფი და დააცილენ; ამაზედ დაარბიეს ქალაქი და კერძო მოსახლენი. სტრაჟნიკებმა მოკლა გიმნაზიის მოწაფე 18 წლის ყმაწვილი **მაქსიმე კვირკველია.**

ხელ-მეორეთ ესროლეს თოფი აცანის გზაზედ. აქ მოკლეს ერთი სტრაჟნიკი „რუსი“. ამაზედ მოუყარეს ხალხს თავი და მოსთხოვეს დამნაშავენი. პრისტავმა არ დაინდო არც ქალი და არც კაცი:- იტირეთ გველის წიწილებოო, იძახდა გამწარებული პრისტავი.

ქალებმა იტირეს და დააყოლეს:

„ძმაო რუსო, ძმაო რუსო,
რა გიტირო, რომ არ მსურსო“!

ამოარჩია პრისტავმა უმფრო ახალ - გაზრდები და უბრძანა:- ეს მკვდარი უნდა გაასვენო-თო. ოზურგეთში გაგვაყოლა სტრაჟნიკები და უბრძანა:- თუ ვინმემ ფეხი გადადგას, იქვე მოკა-ლითო.

მკვდარი წავასვენეთ მაღალ ჯუმათში. რომ ჩავედით კანცელარიასან, იქ წინ იჟდა ორი კაცი, ერთი **მასწავლებელი ბილიხოძე** და მეორე **დარჩია**. სტრაჟნიკები ჩამორჩენ უკან და მოკლეს ეს ორი კაცი. ჩვენ მიგვატოვეს და გაიქცენ **ოზურგეთისაკენ**. ჩვენ რა ვქნათ, ძალიან ცუდი პირობები არის. მაგრამ აქ აღმოჩდენ ისეთი ვაჟკაცები, რომ სთქვეს:- ჩვენ გავასვენოთ მკვდარი და ჩავიდეთ ოზურგეთში, ვნახოთ; არც ერთმა ფეხი არ გადავდგათ, ვისაც ძალიან ეშინია, ისინმა უკან დაბრუნდესო. მეთაურობა გასწია **ოქრობილ სტორონჯაძემ.** ამ რიგათ, წავედით წინ. სტრაჟნიკები ასულან ოზურგეთში. აქ მაზრის უმფროსისათვის უთქვამთ, რომ გზაში დაგვხვდა ყაჩაღები და ჩვენ დიდი სროლის შემდეგ გამოვიქეცითო. მაზრის უმფროსად იყო ვიღაც **„ზაკუსოვი“** კაცი აუცილებლად უმფრო პატიოსანი, ვინემ სხვები. ის წამოვიდა თავის ამალით და შეგვხვდა **სუფსის** პირად. მის განცვიფრებას საზღვარი არ ქონდა, როდესაც ნახა, მკვდარს მოვასვენებდით. იკითხა, რაშია საქმეო. მაშვინ წინ წამოდგა იგივე **სტორონჯაძე** და უთხრა, რაშიც იყო საქმე. მან მაშინვე დაატუსაღა ის სტრაჟნიკები. ჩვენ მოგვეპყრა ზრდილობიანათ. ამ რიგათ ავედით **ოზურგეთში.** იქ კი ყველა გაგვანთავისუფლა და გვითხრა, წადით სახლშიო.

1908 წელს მოხდა მესამე დუმის არჩევნები. აქ მთავრობამ შეკვეცა ამომრჩეველთა სია. მაგრამ მაინც ჩვენებმა გაიმარჯვეს. ტბილისის გუბერნიიდან გავიდა **კარლო ჩხეიძე,** ქუთაისის გუბერნიიდან– **ევგენი გეგეჭკორი.** ამ დუმამ დაყო ოთხი წელი და დაასრულა თავის მოვალეობა. დუმას მუშაობამ და საერთოდ ჩვენების ენერგიულმა მუშაობამ ხალხს შეუმსუბუქა თავის გაჭირვებული მდგომარეობა. დღეს გამოდის ერთი გაზეთი, მას მთავრობა კეტავს და ხვალ მეორე გამოდის და ასთე დაუსრულებლივ. ასთე რომ მუშაობა არ შეწყვედილა; ხალხმა ეკონომიურათ წელში გაიმართა, მას დაურჩა უფასო დამცველი. პრესამ ცოტათ თუ ბევრათ დააშინა მოწინააღმდეგენი და ხალხი წელში გაიმართა. თუ ვინმე-ვინმეს გლახას უგდა, ის პრესაშია გამოჭიმული. ამან ძალიან იმოქმედა ყველა ფენებზედ. ამ რიგათ მიდის მუშაობა. **1910 წელს შევედი სოციალ-დემოკრატიულ პარტიაში.** როგორც სრულ-წლოვანი მიმიღეს. ამ დღიდან უკვე სხვა მდგომარეობა შემექმნა. ხშირათ მავალებენ პარტიულ საქმეებზედ მუშაობას.

1912 წელს მოხდა მეოთხე დუმის არჩევნები.

ტბილისიდან გავიდა **კარლო ჩხეიძე.** ქუთაისში დამარცხდა **ევგენი გეგეჭკორი.** მის ადგილას გავიდა ვიღაც **„გელოვანი“. ბათომის** და **სუხუმის** ოლქებიდან გავიდა **აკაკი ჩხენკელი**. ეს მუშაობა დიდხანს არ გაგრძელებულა, ვინაიდგან მოხდა ომი; 1914 წელს ივლისის ბოლო რიცხვებში ჰორიზონტზედ უკვე აღმოჩნდა ომის ხიშტები, რომელმაც კატასტროფიულათ წავიდა წინ და დაიწყო საერთაშორისო მობილიზაცია, მოხდა სათადარიგო ჯარის ნაწილების. გაიწვიეს ყველა, ვინც იყო ჯარში ნამსახური 25 წლ.-43 წლამდე. რუსეთი დარჩა მოკავშირეების მხარეზედ - ე.ი. ინგლის-საფრანგეთის. მოხდა ის, რაც არ უნდა მომხდარიყო. კაცობრიობა არ აღმოჩნდა თავის სიმაღლეზედ, თავის გაიტანა რამოდენიმე ჯგუფმა. ომმა შეარყია ყოველივე, რაც იყო. კერძოთ, ჩვენს პარტიაში შეიქმნენ, როგორც აბარონცები, ისთე პარაჟენცები. რუსეთი გაება ომში გერმანიასთან და ავსტრო-უნგრეთდან. მე პირადათ არ მიწევს ჯერ-ჯერობით ჯარში წასვლა, ვინაიდგან მამის ერთი შვილი ვარ. და თანახმათ მაშინდელი კანონისა, ვითვლები მეორე ხარისხოვან სათადარიგო ჯარის-კაცათ ე.ი. მწვანე ბილეთიანს ეძახდენ. **1914 წლის სეკტემბერში შევირთე ცოლი.**

ამ წლის დეკემბერში ოსმალეთი თავს დაესხა რუსეთს და გამოუცხადა ომი, კერძოთ, ჩვენ ქვეყანას. ეს საშიშროება არის, ვინაიდგან ყველა ქართველები მიყავთ რუსეთის ჯარში. ხდება კანტი-კუნტი მობილიზაციები. გაიწვიეს უმფრო ახალ-გაზრდები.

1915 წლის აგვისტოში მოხდა კიდევ დამატებითი მობილიზაცია ეგრეთ-წოდებული წი-თელ-ბილეთიანების, გაიწვიეს 40 წლამდი და ახალ-გაზრდები 18 წლამდი.

ომი ქუხს, მუშათ ხელი ჯარშია გაწვეული, ხალხში კრიზისი ჩამოვარდა; თითქმის სანახევროდ შიმშილობაა. დაარსდა სხვა და სხვა ორგანიზაციები ხალხის დამხმარე. **1916** წელ-ში აგვისტოში მოხდა კიდევ დამატებითი მობილიზაცია ყველა კლასის- როგორც ახალ-გაზრდებისა 18 წლიდან 43 წლამდე. არც მწვანე ბილეთი შველის და არც თეთრი. აქ მეც **ველირსე ჯარის-კაცის ფარაჯის** ჩაცმას. ჩავედი **ბათომში**. გამაწესეს 221 სათადარიგო პოლკში, აქვე ბათომში. აქ ბევრი ჩემი ამხანაგები მსახურობდენ. მოვედი შტაბში და გამაგზავნეს ქ. ფოთში. ფოთში იყო ერთი ბატალიონი მესამე. აქ ჩამრიცხეს 12 როტაში; ჩემი ნაცნობი არ აღ-მოჩდენ და დავრჩი მარტო. ესთე ქართველები ბევრი იყო. აქ როტის უფროსათ იყო ქართველი. (არ იკითხება) ..**ლბეცაშვილი**, ..ითი (არ იკითხება) „პარუჩიკი“. მაგრამ ქართულს არ ლაპარაკობს. გავიცანი მისი ცოლ-შვილი, ორი მშვენიერი ბავშვები ყავს და ქართველი ქალი. სახლშიდ მივედი მისას; ქალი ლაპარაკობს მშვენიერ ქართულს და ვკითხე: თქვენმა ქმარმა თუ იცის ქართული თქვა? როგორ არა, ჩვენ სახლში ქართულად ვლაპარაკობთო. ერთ დღეს მიბარებენ ბატალიონის კანცელარიაში, მივედი. იქ დამხვდა ბატალიონის უმფროსი **„ნაუმოვი“** და ოთხი როტის უმფროსები. ჩემი როტის უმფროსმა მითხრა:– თქვენ ოთხი კაცი, იქ კიდევ სამი ჯარის კაცი, მიდიხართ **ბელიკლუჩში** უნტერ-ოფიცრების სკოლაში, იქ არიან ჩვენები თვე-ნახევარია; დარჩა თვე-ნახევარი, რომ ჩააბარონ ეგზამენები. თქვენ ოთხი კაცი მიტომ აგირჩეთ და გაგზავნით იქ, ჩახვიდეთ უნდა და იგენს დაეწიოთ და კიდევაც გაასწრათ; აქ ჩამოხვალთ ნოემბრის პირველ რიცხვებში. უნდა ეცადო, რომ უმფროს-უნტერ-ოფიცრათ მოხვიდე, თორემ ჩემთან ვერ გამოცხადდები. მე უთხარი, რომ ჩემი ხელობა სამხედრო სამსახური არ არის და არ მინდა წავიდე. მაშვინ მან გაიცინა და მითხრა რუსულად, აქ არის სამხედრო დაწესებულება. ვინც მოვა, ის ამ წესს უნდა დაემორჩილოსო, აქ არ არის სოც.-დემ. პარტიაო. გაიცინა და სთქვა, რას იზამ?? დავმორჩილდი. მეორე დღეს წავედით. ოკტომბრის დამლევს მიქნეს ეგზამენი, ჩავაბარეთ. მომცეს უმფროს-უნტერ-ოფიცრის ხარისხი. მე არ ვიცი, ეს ჩემი ბიჭობით მოხდა, თუ რაიმე მოსწერა ჩემმა როტის-უმფროსმა. ამ რიგათ ჩამოუძეხი 24 კაცს, ზოგი უნცროსი უნტერ-ოფიცერი იყო და ზოგიც ეფრეიტორები. ჩამოვიყვანე ქ. **ფოთში** ბატალიონის შტაბში. იქ იყვნენ ოფიცრები, დამხვდა ჩემი როტის უმფროსი და დაიწყო ტრაბახი: – ხომ ვსთქვი, ურუშაძე ჩამოვა უმფროს-უნტერ-ოფიცრის ხარისხითო. მივედი როტაში; იქ დამხვდა ბევრი ახალ-მოყვანილი ჯარის-კაცები, ახალ-გაზრდები და ხნიერები. დამხვდა **ნიტიფო ღლონტი** და ბევრი ჩემი მეზობლები.

მეორე დღეს მივედი უმფროსთან და ვსთხოვე შვბეულება და მან მითხრა, ეხლა სამი დღით მოგცემ შვეულებასო და საახალწლოთ ერთი კვირითო. მადლობა უთხარი და წავედი სახლში. დავბრუნდი და ჩავიბარე პირველი „ვზვოდი“. ერთ დღეს ბაზარში ვარ, ქალაქში წასული. ჩემ მეგობარ **სიმონ ორაგველიძეს** „კიოსკა“ ქონდა და იქ ჩუმათ გაზეთებს ვკითხულობდი. ჯარის-კაცს არ ქონდა ნება გაზეთის კითხვის. ჩამოვედი როტაში და მომვარდა **ნიტიფო ღლონტი,** მითხრა:–**ალექსანდრე ჯორბენაძე** დაიჭირესო, ქუხნაში მუშობდა დღეს და იქ ხორცი

შეუჭამიაო. ამისათვის ასამართლებენ. როტის უმფროსი **ბათომშია** წასული, მივედი მის მოადგილესთან; იმან მითხრა, რომ დამნაშავეა და უნდა დაისაჯოსო. დაჟდა პრაპორჩიკები და გადაუწყვიტეს 6 როზგი ხორცის შეჭმისათვინ. გავიქეცი ბატალიონის უმფროსთან, უთხარი რაშიც იყო საქმე და დავძინე, რომ ეს რომ მოხდეს, ქართველები გაიქცევიან ამ ტყეში და მერმეთ უმფრო ვარესი იქნება-თქვა. იმან ხელათ წამოვიდა; მივედით იმ დროს, როდესაც მწკრივი დაწყობილია და **ჯორბენაძე** მოყვანილი. ბატალიონის უმფროსმა გასცა განკარგულება, რომ მოეხსნათ და შეუცვალა 6 დღით კაზარმაში მორიგეობა. ბატალიონის უმფროსი იყო **„ოჩამჩირეში**“ გაზრდილი, მეგრულათ ლაპარაკობდა, ბაღნობას ესწავლა.

1917 წლის იანვარში სამი დღით წავედი სახლში სადგურ-ლანჩხუთში შემხვდა **პართენ ებრალიძე** და მითხრა, რომ ნამდვილად ეხლა იყავი საჭირო და ქეც მოდიო. ჩვენ პარტიის კონფერენცია ხდება **ჯუნჯუათში**; რამენაირათ ამეღამ და ხვალ საღამოს ყარაულად გაგვიჩერ-დი სადგურშიო, რომ რაიმე ხიფათი არ მოგვივდესო, მეც დავთანხმვდი და დავრჩი. სახლში არც წავსულვარ. ამ დროს ჩამოდის **ბათომის** მატარებელი; მას ჩამოყვა **ნიკიტა იმნაიშვილი**, ისიც ჯარში იყო ბათომში. იმასაც უთხრა და ორთავე დავრჩით სადგურში. მერმეთ ნიკიტა ხში-რათ ამბობდა:- თქვენ იცით **ჯუნჯუათის** კონფერენცია, მე იქ ვიყავიო; რავაც მე არ ვყოფილვარ, არც ის ყოფილა.

20 თებერვალს მომცეს 15 დღის შვებულება და წავედი სახლში. 27 თებერვალს მოხდა რუსეთში „რევოლიუცია“. გადავარდა **ნიკოლოზ მეორე.** ოჰ, რა სიხარული, რა აღტკინება გამოიწვია ხალხში. მე მთხოვეს ცოტა ხანს დარჩენა ადგილობრივათ, რომ წესრიგი დაგვეცვა. მოვიდა **ზოსიმე ჯორბენაძე,** ჩამოვიდა დიდი-ხნის დევნილი **თეოფილე მუხაშავრია.** წავედით, განვიარაღეთ ადგილობრივი მთავრობა. მის მაგიერ დააყენეს ახალი. შედგა აღმასრულებელი კომიტეტი. რა სიხარული რა მშვენიერება იყო ეს დღეები. მე მივიღე დამატებითი შვეულება 20 დღის და ვეხმარებოდი ადგილობრივ. არც კი იყო საჭირო, ხალხი თვითონ იცავდა წესრიგს. მერმე წავედი ნაწილში მარტის დამლევს. აქ ხომ ყველა სიხარულში იყო, ცოტა მოწყენილობა ეტყობოდა ოფიცრებს; ესენი ვერ გამოერკვენ, რა მოხდა, რისთვის მოხდა, რისთვის უხარია ხალხს. ვნახე ჩემი როტის უმფროსი; ეხლა მან მშვენივრათ იცის ქართული. ჩემს შეკითხვაზედ, რატომ უწინ არ ლაპარაკობდი ქართულს-თქვა, მან მიპასუხა,– მაშვინ სხვა დრო იყოვო.

მაისის პირველ რიცხვებში მივიღე დეპეშა, ჩემი ერთად-ერთი ბავში ძლიერ ავათ არისო. წავედი, მაგრამ შენს მტერს, აღარ დამხვდა ცოცხალი ჩემი „კუკური“, ასე ვეძახდი. ამ ამბავმა ძრიელ იმოქმედა ჩემზედ; მომიწამვლა გული. გადამავიწყდა, რაც სიხარული და კარგი დრო გავატარე.

20 მაისს წავედით ფრონტზედ. ჩავედით **ტრაპიზონში;** ერთხელ ვიყავ ნამყოფი რამოდე-ნიმე დღით, 8 თვის ადრე. აქ შემხვდა ჩემი ძველი მეგობარი **ბიკტორ ჭედია.** ბევრი ვისაუბრეთ. ძალიან კარგათ არ . .(არ იკითხება). აქედან წავედით **ეზერჟანის** მიმართულებით. მივედით დანიშნულ ადგილას; 14 ტურკესტანის პოლკში გამაწესეს, 1 როტაში. ჩემთან არიან კიდევ ჩემი მეგობრები **ნიტიფო ღლონტი, ესეფი წილოსანი** და სხვები. პოლკში შემდგარია როგორც პოლკის, ისთე როტის კომიტეტები. აქ პოლკის კომიტეტის თავმჯდომარეთ არის ბოლშევიკი **ნიკოლოზ ოკუჯავა.** გავიცანი ოკუჯავა და მითხრა, გუშინ აქ იყო **სარდიონ მენაღარიშვილი.** ქუთაისიდან საჩუქრები მოგვიტანაო. მე ძალიან შევწუხდი, მინდოდა ნახვა, მაგრამ წასულიყო. ბევრი ვიდავეთო, ის მენშევიკი, მე ბოლშევიკი, მაგრამ მაინც ვნახეთ საერთო ენაო. ამ რიგათ

მიმდინარეობს ჩვენი საქმე. ჯარში არ არის არავითარი ექსცესები; ყველგან, სადაც გავიარე, წესრიგია, მაგრამ საიდგანაც გამოჩდა შავი ღრუბლები: რუსეთში ჩამოვიდენ **ლენინი** და მისი ამხანაგები. ესენმა დაანთო ცეცხლი, შეიტანა საშინელი არევ-დარევა. დაიძახა:- ძირს ომი, გლეხებს მიწა, მუშებს ქარხნებიო. შეუგნებელი მასსა წამოეგო ამ ანკესზედა; გუშინ რომ წესიერება იყო, დღეს არევ-დარევა არის. პოლკის კომიტეტში მითხრეს, აქ იყო ერთი ქართველი ოფიცერი კაპიტანი **გრიგოლ უჩაძე,** ენერგიული და პატიოსანი, პარტიულათ „ესერი". მაგრამ ეხლა წავიდა თბილისშიო, რადგანაც ბევრ-ხელ იყო დაჭრილი და გადარიცხეს რეზერვშიო. ეს უჩაძე იყო მერმეთ სოჩის რაიონში „ზელიონების" უმფროსად. მე გავიცანი შემდეგ საფრანგეთში ემიგრაციაში.

ოკუჯავასთან ხშირათ შეხლა-შემოხლა ვქონდა მე და **ღლონტს**, მაგრამ თავდებოდა უმფრო კეთილი მეგობრობით. ის განათლებული კაცი იყო, ჩვენ კი საწყალი მუშები. აქ იყვნენ კიდევ ქართველი ოფიცრები, რომლებმაც პოლიტიკის არაფერი იცოდენ: პორუჩიკები **პეტრე კასრაძე** და **იაკობ შელია,** პრაპორჩიკები **ბალანჩივაძე** და სხვები. ბალანჩივაძე მერმედ მოგვიკვდა **ტრაპიზონში** სნარიადების საწყობის აფეთქების დროს. ჩვენ რაც შგვეძლო ძალ-ღონეს არ ვშურავდით, რომ ჯარის-კაცები არ წამოგებულიყვნენ რაიმე ანკესზედ. სეკტემბრის პირველ რიცხვებში ოკუჯავამ მითხრა, შენ ერთი ამხანაგით წახვალ თბილისში, რუსეთის დამფუძნებელ კრების ადგილობრივ საარჩევნო კომისიის დავალებით, იქიდან წამოიღებ ბიულეტენებს. კი ხარ მენშევიკი, მაგრამ რას იზამო. სხვა არავინ არის, რომ რამე გაეგებაო. გამაყოლეს ერთი რუსი. ეს რუსი ესერობდა, რომ წავედით. თბილისში რომ ჩავედით, უკვე გაბალშევიკვდა და ოკუჯავას მიემატა ერთი წევრი. თბილისიდან დავბრუნდით პოლკში. მოხდა არჩევნები. ჩვენს პოლკში უმეტესობა მიიღო „ესერებმა", მეორე რიგში გავიდა „მენშევიკები". . . (ტექსტი არასრულადაა) ტრაპიზონისაკენ.

ერთ პატარა ქალაქს **არდასას** დაუახლოვდით; ბიჭები მომღერიან. ამ დროს მორბის ერთი ქართველი ჯარის-კაცი და გვითხრა:- არიქა გვიშველეთ, აქ რუსები **გენერალ ართმელაძეს** სამოსუდს უკეთებენო. ჩვენ არ დავაყოვნეთ, გავიქეცით, მივედით. შესულა გენერალი ართმელაძე ზემლიანკაში. შეუტანია კარაბადინი და იქიდან ესვრის. აქედან ბრძოლა დგას; ზემლიანკას უშენენ თოფს. ჩვენ ბრბო გავფატეთ და დაუძახეთ ქართულად:- ჩვენ ვართ ქართველები, გამობრძანდით. მან მიხვდა, ვიღაცა დამხმარე მოვიდენ; ართმელაძე გამოვიდა, ჩაგვეხვია ყველას, ტირილი წასდა და გვითხრა:- ამ უნიფხო-შვილებს თავს დავსტრიალებდი, როგორც კარგი მამა; ეხლა კი მკლავდენო. ის მოვიყვანეთ ჩვენთან; ნახა ყველა ჩვენები. ტიროდა უხაროდა, რომ ქართველებს აქვს უნარი წესიერებისო. ის მერმეთ არ მოგვცილებია.

ამ რიგათ ჩამოვედით **ტრაპიზონში.** ქალაქს რომ დაუახლოვდით, საიდანაც მოვარდა **ბიკტორ ჭედია;** მომაშურა და მითხრა:- ბიჭო, შენ ხომ ხარ ჭკუაზედო?- მე გამეცინა და უთხარი:– რაშია საქმე? მან მიპასუხა:- რამოდენიმე ათი-ათასი კაცი, აქ. ვინ იცის და ყველა გაგიჟებულია, არც ერთთან არ ილაპარაკება, ქართველებიც მათ შორის არიანო. ნახა გენ-ლი **ართმელაძე** და სხვა ოფიცრები. ჩვენ გადარიცხული ვართ მესამე ქართულ პოლკში. ჩვენთან დროებით პოლკის უმფროსად დაინიშნა კაპიტანი **კაპანაძე**. გზაში შეგვხდა, სხვა პოლკიდან მოდიოდა. ჩვენ ჩავედით ტრაპიზონში 1 იანვარს 1918 წლისა საღამოს, ვიშოვეთ ბინა.

ბიკტორმა წაგვიყვანა მასთან გენ-ლი ართმელაძე და მე. გვიამბო ყველაფერი, რაც იცოდა. ჩვენც ჩვენი მხრიდან უამბეთ, რაც ვიცოდით და მოგვიხდა. მეორე დღეს ბიკტორმა მოახერხა, გენ-ლი ართმელაძე გაეშვა ბათომში.

ბიკტორმა დაიწყო მუშაობა. შევადგინეთ ქართული სამხედრო საბჭო. რომლის თავმჯ. ავირჩიეთ ბიკტორი და თავმჯ. ამხანაგათ ახალ-გაზრდა პორუჩიკი **ცაგარელი**, რომელიც მოკ-ლულ - იქმნა გემ „კარლ-კარლოს“ აღების დროს. ტრაპიზონის მუშათა და ჯარისკაცთა საბჭოს თავმჯდომარეთ არის ბოლშევიკი **ბესარიონ კვირკველია,** წევრათ **მამია ორახელაშვილი,** კაცი ყოვლად პილწი. აქ კიდევ ჩამოვიდენ საქართველოში ნიადაგ დაკარგული ბოლშევიკები: **ბუდუ მდივანი** და **კოტე ცინცაძე.** ასტეხეს ერთი კორიანტელი; არ დაინდვენ არავინ. ამიერ-კავკასიის კომისარიატი ხომ არის რეაქციონური და მასთან ყველა, ვინც მას მხარს უჭერსო. და სთქვეს, ვინ არის ეს ქართული სამხედრო საბჭო, ალბათ, ესენიც კონტრ-რევოლუციონერები იქმნებიანო. წამოგვისიეს რუსის ბანდა, მოუწოდეს ქართველ ჯარის კაცებს, ჩამდგარიყავით მათ რიგებში. არც ჩვენ გვეძინა, ჩვენც შევარდგინეთ თავ-დაცვის რაზმი, რომლის ხელ-მძღვანელათ დავნიშნეთ ერთი ფელთვებელი **გამრეკელი**. ყოფილი დეპოს მუშა-ოფიცრის დანიშვნა არ შეიძლებოდა, ვინაიდგან გამოიწვევდა პრავაკაციას. და მეორეთ, რომ თვითონ ოფიცრები იყვნენ ძალიან დაშინებულნი. უნდა ითქვას, რომ გამრეკელმა თავის მოვალეობა პირნათლად შეასრულა. მერმეთ ის მოკლულ იქმნა სომხის ფრონტზედ. **კოტე ცინცაძე** დანიშნეს სამხრეთ-აღმოსავლეთის შავი-ზღვის კომისრად, მის ხელში დარჩა ყველა პარახოდე-ბი, რომლებიც იდგნენ **ტრაპიზონში** და არე-მარე პორტებში, ანდა ჩამოვიდოდა რუსეთიდან, სხვა პორტებიდან.

მატროსების უმრავლესობა მიემხრო ბოლშევიკებს. კოტემ შეადგინა მატროსების რაზმი, რომლებმაც დაიჭირა **პრისტანი**. ბოლშევიკებმა გამოგვაცხადეს კონტრ-რევოლიუციონერებათ. არც ერთი პარახოდი არ მივსცეთო. ისინი დარჩებიან აქ, ანდა ფეხით წავიდენო. **ტრაპიზო-ნიდგან-ბათომამდე** 300 კილომეტრზედ მეტია. არც გავლა არის ადვილი; ჩამოვიდენ თურქების ჯარის-ნაწილები და მასთან თურქების ხალხმაც იშოვა უპატრონოთ იარაღი. დაეცემოდენ ჩვენ ჯარის ნაწილებს და ანიარაღებდენ. ამ გზაზედ შეიქმნა ძალიან ცუდი მდგომარეობა; სამხედრო საბჭოში მოვიდა **პოლკოვნიკი ყარალაშვილი.** იმან შეადგინა 2 ქართული პოლკი და განაცხადა:– ვინაიდგან ბალშევიკები არ გვაძლევენ პარახოდს, მე ჩემი პოლკით წავალ ბათომშიო. ამაზედ ბიკტორმა უპასუხა:–ნუ აჩქარდები, ეგება რაიმე მოხერხდესო. ჩვენ ვაგზავნით კაცს ბათომში და თუ კი რაიმე მოხერხდება და საშვალება იქმნება, მოვაწყოთო. საბჭომ ამოირჩია ორი კაცი **ბათომში** წასასვლელათ, თვითონ ბიკტორი და მე. იქ გაგვეკეთებია რაიმე და დაგვხმარებოდენ შექმნილ მდგომარეობიდან თავის დასახსნელად. წავედით, ჩავედით ბათომში. იქ გვითხრეს:– ჩვენ არაფერი შეგვიძლია. ნეტავი თქვენ, რაიმეს დაგვეხმა-რებოდეთო. აქ ისეთი შექმნილი მდგომარეობაა, რომ აგერ წაგვლეკავენო, თბილისის ფრონტი-დან დაბრუნებული რუსის-ჯარიო, და ჩვენც ძალიან ომიანობაში ვართო, რომ ტრაპიზონის ნაწილები არ მოგვადგეს კარზედო. რას იზამთ. დავბრუნდით უკან და ჩავედით ტრაპიზონში. ეს ყველაფერი ბიკტორმა ჯერ უთხრა საბჭოს, ვინაიდგან არ შეშინდენო და მან სთქვა, ჩვენ ამ მოკლე დროში მივიღებთ დახმარებასო.

ტრაპიზონში, შვა ქალაქში, არის ერთი მოედანი; ერთ დღეს ბოლშევიკებს მოუწყვია მი-ტინგი. ამ მიტინგზედ საშინლად გაილაშქრეს როგორც ამიერ-კავკასიის კომისარიატის, ისეე

ბათომის საბჭოს წინააღმდეგ და კერძოთ, ჩვენი ქართული საბჭოც არ დატოვეს. ამ მიტინგზედ უყურებენ ქართველებიც. **გამრეკელი** მეკითხება, ვინ არიან ესენიო? მე ვუპასუხე, ესენი არიან ქართველი-ბოლშევიკები. საქართველოში რომ ვერაფერი გააწყვეს, ეხლა აქ ჩამოვიდენ, რომ რუსებმა დააქციონ ჩვენი ოჯახი-თქვა.

გათავდა მიტინგი, ჯარის-ნაწილები წავიდ-წამოვიდენ, თავ-თავის ხელობის გასაგრძელებლად ე.ი. ყოველ დღე და ღამე პაგრომს ახდენდენ. როგორც მშვიდობიან მცხოვრებლებზედ, თურქებზედ და ბერძნებზედაც. ძვარცავდენ ყველაფერს, რაც შეიძლებოდა და აიკლეს ყველაფერი. ერთ დღეს მივდივართ ჩვენ საქმეზედ; საწყობებიდან გამოგვაქვს საქონელი და ვაწყობთ პრისტანთან. ამ დროს იქიდან მოდიან ეს ქართველი ბოლშევიკები, შეგვხდენ; მე გამარჯობა უთხარი; ისინმა:– გაუმარჯოს კონტრ-რევოლუციონერსო,- დაცინვით. ამ დროს გამოვარდა ეს გამრეკელი და უთხრა:- ბედს აუყვანიხართ; არც ერთს ცოცხალს არ გაგიშვებთო. ჩვენ ხომ ყოველივე სისაძაგლეს გვიშობით, თუ კი რაიმე შეიძლება თქვენგან.

ცინცაძე გაცხარდა:- როგორ გვიბედავთ ამასო, შეიქმნა ერთი ალიაქოთი. **მამია ორახელაშვილმა** მიმართა თავის ბინძურ სიტყვებს. ის ხელად ჩააჩუმეს, აკანკალდა, შეშინდა; ჩამოდგა **ბესარიონ კვირკველია**, სცადა საქმის მოგვარება. ესენს ახლავს მატროსები. ისინმა ვერ გაერკვენ, რაში იყო საქმე. ჩვენებმა ისინი ხელათ გაანიარაღეს. ათი კაცი იყო. ისთე მოულოდნელი შეიქმნა ეს ჩემთვისაც, რომ არ ვიცოდი, რა მექნა. ბესარიონ მომვარდა და მეუბნება, რაშია საქმეო? მეც არ ვიცი, რომ ხედავ, ეს არის თქვა. კოტე იქაჩება და განიარაღეს, წაართვეს მაუზერი. გამრეკელი ეუბნება, ხომ ხედავთ, ეს თქვენი რუსები როგორ უყურებენ სეირსო. ამათი იმედი ნუ გაქვთო; მე და ბესარიონმა კიდევ ვცადეთ საქმის მოგვარება, დაშოშმინება, მაგრამ არაფერი გავიდა. ისთე შეშინდენ, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. ცინცაძეც ძალიან წახდა და მეუბნება, რა უნდათ მაგენსო. გამრეკელმა აღარ მაცადა და უთხრა:- რა გვინდა? ერთი, რომ პარახოდები გვინდა და მეორე, ქართველების გინებას თავი დაანებეთო, შეგვისრულებთ ამას, ხომ კარგი, არა და, დღეს თუ არა, ხვალ მაინც დაგხოცავთო.

მაშვინ **ცინცაძემ** სთქვა: - ეს გეთქვა, თქვენ კარგო-კაცებო, რაღა ჩხუბს ტეხავთო. **გამრეკელმა** უპასუხა:- თქვენთან უჩხუბრათ არაფერი გამოვავო. ცინცაძემ სთქვა:- პარახოდები დღეს მინდოდა თქვენთვის მომეცა, თქვენ კი ჩხუბი აგვიტეხეთო.- არა, ნუ სტყუი- უპასუხა გამრეკელმა, თქვენ ჩვენთვის არაფერი გინდოდათ, რომ მოგეცათ, მაგრამ ეხლა ძალას ხედავთ და ამას ემორჩილებითო. ამ დავაში შევთანმხდით, რომ ორ პარახოდს ჩვენ პრისტანთან მოიყვანდენ და შეგვეძლო ზედ დაჟდომა და ყოველივე ტვირთის დატვირთვა. მე წავედი საბჭოში და ბიკტორს უამბე, რაც მოგვიხდა; მან მითხრა:– არ მომხდარიყო კარგი იყო და რადგანაც მოხდა, ეხლა უკან დახევა აღარ შეიძლებაო. წამოვიდა თვითონ. მივედით. აქ კიდევ დავა არის. ეხლა არის დავა იმაზედ, რომ იარაღი დაუბრუნონ მატროსებს. ამაზედ ჩვენები ვარს ეუბნებიან: – ჩვენც კარგათ დაგვშენდება იარაღიო. მივედით. მოვიდენ ყველა ბიკტორთან, ეუბნებიან:–ეს შენი და ამის მოწყობილია, დამადვენ მე ხელი. ჩვენ უპასუხეთ, ეს არის თქვენი მოწყობილი, თქვენ გამოიყვანეთ მოთმინებიდან და ეს არის, რაც მოხდა. **ბუდუ** ენას არ იღებს, **ორახელაშვილი,** ეტყობა ძალიან შეშინებულია. მერმეთ, დიდი დავის შემდეგ, **ცინცაძეს** დაუბრუნეს მაუზერი. მან აიღო და გადატეხა შვაზედ და სთქვა:- მე თუ ვინმე იარაღს წამართმევდა, არ მეგონა- არ ვყოფილვარ მაგის ღირსიო. მატროსებს არა შემთხვევაში არ მისცენ

იარაღი და არც ჩვენ დავატანეთ ძალა. ამ რიგათ მოგვცეს ორი პარახოდი და ზედ ჩვენ მცველები დავაყენეთ.

დავიწყეთ ტვირთვა; დღე და ღამე ვმუშაობთ. ბევრი რაიმე კარგი საქონელი მედიკამენ-ტები-- თუ სხვა- არ დაგვიტოვებია. **ორახელაშვილმა** აქ გამოიჩინა გულუხვობა: სადაც რა იყო, ყოველგან მიგვითითა; ის ექიმი იყო; საერთოდ ფრონტის ლაზარეთების გამგის **თიკანაძის** მოადგილეთ ითვლებოდა. ბევრი რამ იცოდა და ამით მოვახერხეთ შეძენა, რომელიც მერმეთ გადაეგზავნა თბილისს და სხვა და სხვა ქალაქებს **ბათომიდგან.**

თითქოს ვათავებთ ტვირთვას უკანასკნელად, მივდივართ **პრისტინისაკენ** ერთი დროგით. წინ კუჩერი ზის და უკან მე და ოფიცერი **ბალანჩივაძე** ვზივართ; დილის 10 საათია, ძალიან კარგი დარია და უცაბედათ დაიქუხნა რაღაცამ, ამიღო მაღლა და მხეთქა მიწაზედ; ამავე დროს ჩემ გვერდით დაეცა ბალანჩივაძე; შევხედე, თავი მოღლეტილი აქვს. აგერ ყვირის ჩვენი კუჩერი. მივირბინე, ბღავა. არ ვიცი, რა მოხდა, მხოლოდ რაღაც უბედურება რომ მოხდა, ეს კი ვიცი. მოვკიდე ამ ბიჭს ხელი, წავიღე გზის პირისაკენ; გზა აქ ზღვის პირას იყო, აქედან მაღალზედ. ზღვის პირი კი დაბალი იყო და ქონდა თავშესაფარი; ამან მომცა საშვალება, რომ ამომეფარებია კოდმისათვის. ამ დროს გავიგონე:- ვაი, დედაო, ძახილი. მივირბინე, აღმოჩნდა დაჭრილი პარუჩიკი **პეტრე კასრაძე.** კიდევ გავიგონე ყვირილი; აღმოჩნდა ოფიცერი **ვალოდია ჩიგოგიძე,** ხელი წაეწყვეტა. იქით-აქეთ სირბილში მოუყარე თავი 15 კაც; მაგრამ სად, მიხვალ, ქუხს ყოველივე, თითო-თითოდ ვაჩოჩე ქალაქისაკენ, კოდმე-კოდმე.

დილა იყო, დაბნელდა ყოველივე. ამ რიგათ მივედი ახლოს ქალაქთან. აქ შემხვდენ **ნიტიფო ღლონტი** და **დათიკო რუხაძე.** ესენმა დამეხმარენ და გავედით სამშვიდობოს. არ ვიცით, რა მოხდა. მხოლოდ გავიგეთ, რომ აქ პრისტანთან დიდი საწყობი იყო არტილერიის, სნარიადების და ეს საწყობი აფეთქდა. ააფეთქა ვინმემ, თუ ესე მოხდა, ვერ გავიგეთ. ესთე კი უმფრო ნამდვილია. უწესრიგობას ქონდა ადგილი. უწინ აქ პაპიროსის მოწევა იყო აკრძა-ლული, ეხლა უპატრონოთ დარჩენილი, ვიღაცას დაუდევრობით აფეთქთდა. სამ დღე და ღამე ფეთქავდა და მერმეთ მივედით იმ ადგილას, სადაც **ბალანჩივაძე** დავტოვე მკვდარი, მაგრამ ვერაფერი კვალი ვერ ვნახეთ. ამ რიგათ დავკარგეთ 18 კაცი. ჩვენ დავიტვირთეთ და დავტოვეთ **ტრაპიზონი** და ჩავედით **ბათომში** ოსმალეთის ჯარმა დაიკავა ტრაპიზონი და მოდის წინ.

ბოლშევიკებმა შეკრეს **ბრესტ-ლიტოვსკის** ზავი გერმანიასთან და მის მოკავშირეებთან. კერძოთ, ოსმალეთს დაუბრუნეს მისი დაკარგული ტერიტორიები და ძღვნათ აჩუქეს **ბათომის, ართვინის, არდაგნის** და **ყარსის** ოლქები. შეიქმნა ახალი მდგომარეობა. ამიერ-კავკასიას დაუდგა ახალი საშიში მდგომარეობა, ერთი მხრით მოიცილეს რუსის გახულიგნებული ჯარი, მაგრამ ეხლა ოსმალეთი მოადგა კარზედ. კომისარიატს ჯარი არა ყავს. კერძოთ, ქართველები გაბნეული იყო რუსეთის სივრცეზედ. და ამის თავის მოყრა ისთე ადვილი საქმე არ იყო. ვინც მოვიდა, უმრავლესობა გახულიგანებული იყო. ჩავედი ლანჩხუთში. მეორე დღეს კრება მოეწ-ვიათ ყოფილ ჯარის-კაცებს; მეც დამიძახეს. მივედი, მაგრამ რას მიხვალ, არიან კბილებამდინ შეიარაღებული, ყვირიან. თეატრის შენობაში არის კრება მოწვეული. აქ მოიყარეს თავი; იმუქრებიან, მათ არ იციან, რა უნდა ქმნან. მოვიდა **ივანე კალანდაძე** და სთქვა, რამენაირათ ჩვენი თავმჯდომარე ევირჩიოთ. თავმჯდომარეთ ევირჩიეთ **ივანე კალანდაძე,** მდივნათ **ნიკიტა იმნაიშვილი.** ჩვენ ექვსი კაცი **ვართ. 1. ივანე კალანდაძე 2. არონ ჩხაიძე 3. კვიროსი წილოსანი 4. არონ იმნაძე 5. სანდრო ფირცხალაიშვილი** და **6. მე.** ისინი კი 300 კაცს გადას-ცილდება. თავმჯ.

ეკითხება:– რა გინდათ, ერთმა სთქვით. ისინმა სთქვა:– ჩვენ არ ვიცით, მოვა ეს და ეს კაცი, ის იტყვისო. ესენი თავისუფალ კაცს არ უშვებენ კრებაზედ, მხოლოდ ჯარში ნამყოფი უნდა იყოს, თუ არ აცვია ჯარის კაცის - ფარაჯა ეძახიან, „ვოლნი“ არისო. არა ის კაცი უნდა მოვიდეს. ჩვენ ვეწინააღმდეგეთ, ვინაიდგან ის კაცი „ვოლნი“ არის-თქვა. გავიტანეთ ჩვენი. და დიდი ვაი-ვაგლახის შემდეგ კრება დავშალეთ.

ოსმალეთის საშიშროება უკვე გამოჩდა. ოსმალეთმა მოითხოვა ზემო აღნიშნული ოლქების ჩაბარება. ამაზედ კომისარიატმა უარი განაცხადა. მაგრამ აღმოჩნდა შემდეგი: საჭირო იყო ამ ოლქების დაცვა. ყველა, მუსულმანი ქართველი იყო, თუ სხვა, აღმოჩნდა ოსმალეთის მხარეზედ. ლანჩხუთში ჩამოდის **რაფიელ ჩიხლაძე.** ის აკეთებს მოხსენებას საჯარო კრებაზედ და მოითხოვს რომ წავიდეს მოხალისენი. შედგა კომისია და შეუდგენ მოხალისენის შეკრებას; ყოფილი ჯარის-კაცები მოითხოვენ:- ჩვენ ვიბრძოლეთ, აწი კი სხვებმა იბრძოლონო. შედგა მოხალისენი, ჩაეწერენ მოხუცებულები. ამან ცოტა გავლენა მოახდინა ყოფილ ჯარის-კაცებზედ და წავედით **ბათომში**. იქ ჩამოვიდა **ევგენი გეგეჭკორი.** მან გააკეთა მოხსენება:– რაც უნ-და დაგვიჟდეს, უნდა დავიცვათ ბათომიო. ჩვენ ჩაგვწერეს მეორე პოლკის 1 ბატალიონში და გაგვაგზავნეს **ჩაქვის თავზედ**. ბატალიონის უმფროსად მოვიდა რუსი კაპიტანი **იუვკოვი**. ეს ოფიცერი ჩამოყვა რუსეთიდან **ირაკლი წერეთელს.** როტის უმფროსებათ იყვნენ ახალ-გაზრდა ქართველი ოფიცრები, მაგრამ ძალიან დაშინებულები გავლილ მდგომარეობით. რამოდენიმე დღის შემდეგ მოგვიხდა შეტაკება ოსმალეთის ჯარის-კაცებთან. ჩვენ მოგვიკლეს ერთი ჯარის კაცი-**კოდრათი ორაგველიძე** და დაიჭრა რამოდენიმე. მაგრამ ოსმალეთის ჯარი გადავრეკეთ. ამ რიგათ მიმდინარეობდა მდგომარეობა.

ყველა ფრონტებზედ ბრძოლაა. მაგრამ, ჩვენდა სამწუხაროდ, **ბათომში** შეკრებილი ჩვენი ჯარის კაცები არ აღმოჩდენ თავის სიმაღლეზედ. ისინმა ოსმალეთის ჯარის ერთი შემოტევით გაიქცენ და ნაწილი ჩავარდა ტყვეთ. **ამით დაეცა ბათომი ასთე სამაცხვინოთ. 2 აპრილს** ჩვენე-ბი მორბოდენ და გაიძახოდენ, გაგვყიდესო. ესენს გზაში შეხვდა **ნოე ჟორდანია** და **ირაკლი წერეთელი**; ესენსაც ასთე უთხრეს:– გაგვყიდესო. მიუბრუნდა **ირაკლი წერეთელი** და უთხრა მათ:-ვინ გიყიდის, თქვენ გლახებო, თქვენში ვინ დახარჯავს ფულსო.

3 აპრილს ჩვენ შემოგვიტიენ და მოვიგერიეთ. შემდეგ გამოგზავნეს პარლამენტიორები და მოგვთხოვეს ჩაბარება, ვინაიდგან გზა მოჭრილი გაქვენო. ჩვენდა საბედნიეროთ, დილას მოვიდა ჩვენი პოლკის უმფროსი **ყარალაშვილი.** რაც უნდა დაგვიჟდეს, უკან დავიხიოთ და გავიდეთო. მას **სამი ბატალიონი ბათომში ყავდა. ისინი გაიქცენ.** გასცა უკან დახევის ბრძანება და წამოვედით; ორ ადგილას შეგვიკრეს გზა. მაგრამ გავარღვიეთ. ამ რიგათ დაუახლოვდით სად. **ჩაქვს**. ამ დროს ჩამოდის ჩვენდა დასახმარებლად ჩვენი **„ბრონევიკი“ ვალოდა გოგუაძის** მეთაურობით. ის დაგვეხმარა, თორემ ჩვენი გამოსვლა ძნელი იქნებოდა. **ბათომიდგან** წამო-სულმა ოსმალეთის ჯარმა მოგვისწრო **ჩაქვის წყალთან.** გოგუაძემ გაუხსნა ცეცხლი, აქედან ჩვენ მივეხმარეთ, ოსმალეთის ჯარი გაიქცა. ბევრი მკვდრები და დაჭრილები დასტოვა. ოსმალეთის ჯარი არ იყო ჩვეული ბრონევიკის და რომ ნახეს, ცოტა დაფთხენ და დაათქვეს „შეითნ პოეზდი“. ჩავედით სად. **ჩაქვში**.

იქ ჩამოდგა მატარებელი დავიტვირთედ და ჩავედით **ქობულეთში**. აქ შეგვხდა **გენ-ლი მაზნიაშვილი** რამოდენიმე ჯარის-კაცებით, ესენი იყვნენ ხაშურლები. მეორე დილას **ჩოლოქის პირას** ჩავედით და იქ დაუწყეთ სანგრებს კეთება; ორ დღეს დავრჩით აქ. **ოზურგეთის** კედვრით

ისმის სროლა. ჩვენ მესამე დილას წამოგვიყვანეს **ნატანების** სადგურში და იქ ჩავსხედით მატარებელში და წავედით სად. **სუფსაში**. ჩავედით; იქ დავრჩით ერთი დღე; მეორე დღეს ჩავედით ლანჩხუთში; აქ კიდევ ერთი დღე გაგვაჩერეს. საღამოს სასწრაფოდ მოგვიყარეს თავი; წავედით **აკეთისაკენ**; იქიდან შევედით **ნაგომარში**. აქ შეგვხდენ 4 პოლკის ოფიცრები. ჩვენმა კითხა ამბავი და ისინმა სთქვეს:- დღეს ოსმალეთის ჯარმა დაიკავა **ოზურგეთი**, ამ საღამოს მოვიდენ **ნასაკირალზედო.**

ჩვენმა უმფროსმა ბრძანა, დაუყონებლივ ნასაკირალის დაკავება. – რაც უნდა მოხდეს, **ნასაკირალი** ავიღოთო. წავედით. მივდივარ, ერთი ოცეულით მზვერავათ, გავედი **ბახვის წყალზედ**. არაფერი ისმის. ასთე დილით მივედით ნასაკირალზედ, მაგრამ მტერი არ იყო. ისინმა შეგვიყვანა შეცთომაში. ძალიან შეშინებულები იყვნენ, ვინაიდგან არც-ერთი ჯარის ნაწილი არ იყო ამ მიმართულებით. ჩვენ დავიწყეთ თარეში **გომას** და **ნასაკირალს** შვაზედ, რომ მოგვეჩვენებია მტრისათვინ, აქ ყველგან ჯარი არისო. რამოდენიმე დღის შემდეგ ნატანების მხრიდან ჩვენებმა შემოუტიეს. ჩვენ მზვერავთ რაზმი წავედით ამბის გასაგებათ **ახალ-სოფელში**. შეგვხდა ფედარალისტების რაზმი **გედევანისშვილის** მეთაურობით. ჩვენ ერთად წავედით **ვაშნარისაკენ**. იქ იმ დროს მივედით, რომ მტერი უკან იხევდა და ჩვენებიც უკან წავიდენ. აქ მტერმა ზარალი ნახა; ჩვენი მხრითაც დიდი ზარალი იყო. უმეტესათ დაიხოცენ **ჩოჩხათლები** და **ნიგოითლები**. ჩვენ დავბრუნდით უკან. რამოდენიმე დღის შემდეგ მოდის ჩვენს ნაწილში **ისიდორე რამიშვილი** და **ანანია სალუქვაძე.** ისიდორე აკეთებს მოხსენებას. შემდეგ მოხსენებისა, **ზოსიმე ფირცხალაიშვილმა** ამოიღო ბოლშევიკების პროკლამაცია და გადასცა ისიდორეს.

პრაკლამაციაში ბოლშევიკები მოუწოდებდენ ჯარის-ნაწილებს, რომ დაეტოვებინათ ფრონტი და დახმარებოდენ **სამეგრელოს** და **ლეჩხუმის** აჯანყებულებს. ეს პირ-დაპირ პრავაკაცია იყო. ამით ბევრ ყოფილ ჯარის-კაცებს, რომლებიც მისდევდენ ბოლშევიკებს, პრო-ვოკატორს აუხილა თვალი. ჩვენებს მიეცა საშვალება, რომ ემხილათ ბოლშევიკების შავი ძრახ-ვები. ამის შემდეგ დიდი უმრავლესობა ჯარის - კაცებისა ჩადგენ ჩვენ რიგებში და პირნათლად მოიხადეს თავისი ვალი. როდესაც **ოსმალეთი** გვიტევდა, ბოლშევიკებმა მოაწყვეს აჯანყება **დუშეთში, ოსეთში, სამეგრელოში, ლეჩხუმში,** და შემოიჭრენ რუსეთიდან **სოხუმის ოლქში. ნასაკირალზედ** ყოფნის დროს მოგვიკლეს რამოდენიმე კაცი, **ებრალიძე, ორაგველიძე** და სხვები. რამოდენიმე ხანს შემდეგ ჩამოდის **ნოე ჟორდანია.** იმან დაათვალიერა ფრონტი და წავიდა უკან. უნდა ითქვას, რომ ყოფილი ჯარის-კაცები თან და თან ერკვეოდენ მდგომარეო-ბაში: ამით შეიქმნა ერთ-ხანი წესრიგი. ბოლშევიკების პროვოკაცია ადვილათ დამარცხდა და შეიქმნა ჯარი. ჩვენ გადავიარეთ ახალ-სოფელში. იქ ყოფნის დროს მოგვიკლეს ერთი ახალ-გაზრდა ჯარის-კაცი **კვიჭიძე.** ახალ- სოფლიდან წავედით **ჩოლოქის პირას**. **აქ ყოფნის დროს გამოცხადდა საქართველოს დამოუკიდებლობა 26 მაისს.**

ჩვენ მთავრობას მიეცა საშვალება, რომ ზავი შეეკრა ოსმალეთთან. ოსმალეთის ზავი შეიკრა თანახმად „ბრესტ-ლისტოვკის“ ზავისა. ჩვენ წაგვიყვანეს ლანჩხუთში. აქ გაანთავისუფლეს 32 წლის ზედაული, ვინც იყო. ჩვენ გაგვაგზავნეს **ბაღდადში**. იქ იდგა 12 პოლკი. პოლკი შედგებოდა ახალ-გაზრდებისაგან. პოლკის უმფროსი იყო ვინმე **სრესელი.** აქ შემოეღენ ძველი წესები; მეტი მათ არ იცოდენ. ახალი არ იყო. ისჯებოდა ჯარის კაცი, თანახმათ ძველი წესისა. აყენებდენ „პოდრუჟიოთ“ თავის დრანცით. ამაზეთ ზოგიერთებმა ჩვენებმა გაჯავრდენ და

შეიქმნა ერთი აყალ-მაყალი. ჩვენ ვიყავით მივლინებული 12 პოლკზედ, როგორც სურსათ-სანოვაგის, ესთე ტყვია წამალი მათ უნდა მოეცა.

12 პოლკის უმფროსმა გასცა ბრძანება ჩვენი გამგზავრების **აბასთუმანის** მიმართულებით. არც სურსათ-სანოვაგე, არც სამხედრო მოწყობილება ჩვენ არ ვქონდა. ეს მას უნდა მოეცა. ჩვენ წავედით **ზეკარის-ხეობით და რკინის ჯვართან** შევეჩეხეთ მტერს. აქ გაიმართა ბრძოლა. ერთი დღის შემდეგ მტერმა უკან დაიხია; ჩვენ გავედევნეთ. მაგრამ არ გვაქვს საჭმელი. რაც გვქონდა ხელზედ სახლიდან წამოღებული, ის არის. მეორე დღეს ჩვენმა უმფროსმა აცნობა პოლკის უმფროსს, მაგრამ მან იმის მაგიერ, რომ სურსათ-სანოვაგე მოეწოდებია, გამოგვიგზავნა ქუთაისის მილიციის უმფროსი თავისი რაზმით, ვითომ ჩვენ ვიყავით გაბალშევიკებული ჯარის ნაწილი, იარაღ ასაყრელათ. ქუთაისის მილიციის უმფროსად იყო **ვალოდია სულაქვე-ლიძე.** მან თავის რაზმით იმ დროს მოვიდა, რომ ჩვენ გამბული ვიყავით ბრძოლაში. მაშვინ მან სთქვა:–ეს ჯარია, იარაღი კი არ უნდა აყარო, არამედ ის, რაც აკლია, უნდა მიეცესო. მან და ჩვენმა უმფროსმა იუკოვმა ეს ამბავი აცნობეს გუბერნიის კომისარს **გრიგოლ გიორგაძეს.** გუბერნიის კომისარი **გრიშა ურატაძის** თანხლებით მოვიდენ ჩვენთან. გრიშა ურატაძე მიტომ წამოყვა, რომ ის ბევრს გვიცნობდა ამ ჯარში ხალხს და გაუკვირდა, რომ ესენი როგორ იქნებიან ბოლშევიკებიო. ბევრი ჩვენთაგანი იყო მისი პირადი მოწაფები. ისინი მოვიდენ ბატალიონის შტაბში. ჩვენ ცხარე ბრძოლა გვაქვს. მაგრამ ტყვია, რაც გვქონდა, თითქმის დაგველია ყველას. ბიჭებს აკერია პირზედ: - გვიშველეთ! ტყვია-ტყვიაო, – იძახდენ. საჭმელი დაგვავიწყდა, იმფერი მდგომარეობაა.

მტრის ჯარში ქართველი მუსულმანები იყვნენ. ისინმა გაიგონეს ეს და გადასცეს ოსმალებს ჩვენი გაჭივრება. ისინმაც დრო იშოვეს და შემოგვიტიენ. ჩვენ დავმარცხდით, სულ ვიყავით 300 კაცი; დავკარგეთ 90 კაცი. კერძოთ, ჩემ ოცეულში მყავდა 22 კაცი. მომიკლეს ორი-**კოწია ფირცხალაიშვილი** და **ჯორბენაძე.** დამეჭრა 8 კაცი: 8 კაცს 8 კაცი დასჭირდა წამოსაყვანათ. დამჩა 4 კაცი. ასევე მდგომარეობაა სხვა ოცეულებშიც. ჩვენ უკან დავიხიეთ იმ ადგილას, სადაც სამი დღის წინ დავიწყეთ ბრძოლა. მეოთხე დღეს გუბერნიის კომისარს მიეღო ზომები და მოგვივდა მჭადი. ძლივს ყლაპავდა ბიჭები, ისთე გამხმარი ქონდა ყორყი.

ჩვენ უკან წამოგვიყვანეს და გაგვანთავისუფლეს; **სრესელი** მისცეს პასუხისგებაში; მან განაცხადა: – მე მოვიქეცი თანახმად სამხედრო კანონისაო. აი, ასთე დამთავრდა ჩვენი საქმე.

ეხლა ორიოდე სიტყვა ჩვენს უმფროს ოფიცრებზედ; ესენი ეკუთვნოდენ ბრწყინვალე წოდებას და **ნიკოლოზ მეორეს** ტახტიდან გადავარდნამ აუბნია დავთარი. ვერ გამოერკვენ, რა მოხდა, რისთვის მოხდა, რისთვის წავიდა ნიკოლოზი. გურიაში ცნობილ რეაქციონერ **ნიკოკია თაყაიშვილის** თქმით, აბა, რა დაემართებოდა, რომ წაიყვანა ჩვენმა ხემწიფემ **ნოე ჟორდანია, კარლო ჩხეიძე** და სხვებიო. ასთე ეგონა, რომ ეს ნიკოლოზმა ქმნა მისი კეთილი გულით; ასთე ფიქრობდა ყველა ესენი. ჩვენი ოფიცრობა მიჩვეული ქეიფს და დროს ტარებას, მხოლოდ თუ მიიღებდა ბრძანებას ზევიდან, იმას ასრულებდენ; მორჩა და გათავდა. თავის ინიციატივაზედ არ ფიქრობდა; ასთე გაზრდილი ხალხი დაიბნა, კიდევ გამოსცადა ბოლშევიკების „სამოსუდე-ბი“; შეშინდენ და დაფრთხენ და აი ასეთი ხალხის ხელში დარჩა ჩვენი ახალი ჯარის მოწყობა.

ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია და ჩავედი სახლში ივლისის შუა რიცხვებში. 1918 წ. ეხლა სახლში დავიწყე მუშაობა. დრო გამოშვებით სხვა და სხვა ორგანიზაციებში მიხდებოდა მუშაობა. კერძოთ, ადგილობრივ სოც.-დემ. პარტიაში.

ნოემბრის პირველ რიცხვებში დაიწყო გურიაში სახალხო გვარდიის მოწყობა. აქ კომიტეტის დავალებით მივიღე მონაწილეობა. შევადგინეთ ადგილობრივი სახალხო გვარდია. თბილისში კი უკვე ერთი წელია, რაც არსებობს მუშებისაგან შემდგარი გვარდია. მათ ყავს მთავარი შტაბი **ვალიკო ჯუღელის** თავმჯდომარეობით. შტაბში შედიან მუშებში კარგათ ცნობილი მუშები: **ალექსანდრე დგებუაძე, ვლადიმირ ჯიბლაძე, სანდრო მაისურაძე, ანანია სალუქვაძე** და სხვები. და აი, ამათი მოწოდებით, ჩვენ შეუდექით გვარდიის მოწყობას ადგილობრივ. ოზურგეთში დაარსდა სამაზრო შტაბი 5 წევრით, ჩოხატაურში და ლანჩხუთში სამი წევრით. ოზურგეთის შტაბის თავმჯდომარეთ გავიდა ნიკოლოზის დროს დევნილი **სერგო მათითაიშვილი.** დეკემბრის პირველ რიცხვებში მოხდა ლანჩხუთის შტაბის არჩევნები. შტაბის თავმ-რეთ–**ექვთიმე ვადაჭკორია,** მოლარეთ–**მგელაძე** და მე კი მდივნათ.

1918 წლის ნოემბერში გერმანია დამარცხდა, გაიმარჯვა „ანტანტამ." კერძოდ, ინგლისმა დაიკავა ის ადგილები, რომელიც ქონდა ომალეთს დაკავებული **ყარსის, არდაგნის, ართვინის** და **ბათომის** ოლქები. შეიქმნა ახალი-მდგომარეობა. ჩვენ საქმე მოგვარებული არ გვქონდა კარგათ. ჩვენ სანაპირო რაზმს თავს დაესხა სომხები. მივიღეთ სასწრაფო მობილიზაციის ბრძანება. არ დავაყოვნეთ, მოვახდინეთ მობილიზაცია. ჩვენი რაიონიდგან წავედით 220 კაცი. გურიიდგან შედგა ერთი ბატალიონი კაპიტან **ვახო ცომაიას** მეთაურობით და წავედით ფრონტზედ. მივიღეთ მონაწილეობა ომში; სომხები დამარცხდა. ჩვენ გუნდში მოგვიკლეს ორი კაცი-**სულაბერიძე** და **მგელაძე**. სომხები გაიქცენ, ჩვენ გავედევნეთ, მაგრამ გადაგვიდგა ინგლისელები და არ მისცა ჩვენ ხელმძღვანელობას წინ წასვლის ნება. შეიკრა ზავი. ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია.

თებერვალში მოხდა საქართველოს დამფუძნებელი კრების არჩევნები. აქ სოც. დემ. პარტიამ გაიყვანა 102 დეპუტატი, 130 დეპუტატში, და მასთან მოხდა ყველგან საქართველოში ქალაქის ხმოსნების არჩევნები. სადაც ყველგან გაიმარჯვა საქ-სოც. დემ. პარტიამ. კერძოთ, ლანჩხუთშიც მოხდა არჩევნები ქალაქის ხმოსნების. სოც. დემ. პარტიამ 20 ხმოსანში 16 გაიყვანა. **მეც მოვხდი ქალაქის ხმოსნად.** ამავე დროს მოხდა **ახალ-ციხის მუსულმანების აჯანყება ჩვენ მთავრობის წინააღმდეგ.** ჩაიგდეს **ახალ-ციხე** ხელში და მიადგენ **აწყურს.** სასწრაფოდ მოხდა მობილიზაცია. ჩვენი ბატალიონი გაემგზავრა ახალ-ციხის ფრონტზედ. ლანჩხუთის რაიონიდგან წავიდა 180 კაცი. აქ მივიღეთ მონაწილეობა ომში. ისინი დამარცხდენ და გაიქცენ, ჩვენ გავედევნეთ; აქაც **ფოცხოვის** რაიონში გადადგა ინგლისელები და მოსთხოვა ჩვენებს, წინ წასვლა შეეჩერებიათ. რას იზამდენ, დათანმხდენ. ჩვენ გვიყვეს დემობილიზაცია.

სამხრეთ-რუსეთში დაარსდა მოხალისეთა არმია გენ-ლ **დენიკინის** მეთაურობით. დენიკინი კერძოთ, საქართველოსთან მტრულათ განწყობილებაში არის. მას არ სწამს რომელიმე რუსეთის ყოფილ ტერიტორიაზედ სახელმწიფოს არსებობა. ისინმა ჩვენს სანაპირო რაზმს თავს დაესხენ და წამოვიდენ წინ; აიღეს **გაგრა** და მოადგენ მდინარე **ბზიბს,** იქ ჩვენებმა გაუმართეს ბრძოლა; დაიბრუნეს **გაგრა** და მდინარე **მეხადორზედ** მიადგენ. აქაც ინგლისელები დახვთენ წინ; მოსთხოვეს ჩვენებს შეჩერება; აქაც დათანმხდენ.

ჩვენთან მოხდა მობილიზაცია და წავედით **გაგრის ფრონტზედ.** მე პირადათ დავრჩი **ლანჩხუთში** ადგილობრივ სამუშაოდ. ეს იყო აპრილში 1919 წლისა. სეკტემბერში მოახდინეს დემობილიზაცია და ჩვენებიც დაბრუნდა. სეკტემბერში მოხდა ყოველგან გვარდიის შტაბების არჩევნები. **ოზურგეთის** სამაზრო შტაბში აირჩიეს 5 წევრი: **1. სერგო მათითაიშვილი 2. მიხაკო**

ბაჯუნაიშვილი 3. რაფიელ ჩხაიძე და ორი სხვა. ლანჩხუთის შტაბის თავმჯდომარეთ ამირჩიეს მე, მდივნათ **ალფესი ბარამიძე** და მოლარეთ **ევგენი იმნაიშვილი.**

ნოემბერში 1919 წლის ბოლშევიკებმა მოახდინეს გურიაში შეიარაღებული გამოსვლები. დაეცენ **ჩოხატაურს, ლანჩხუთს** და **სუფსას**. მე საქმეების გამო წასული ვიყავ **ოზურგეთში**. ლანჩხუთში სარაიონო და საქალაქო მილიციამ იარაღი დაყარა. შტაბმა კი გაუწია წინააღმდეგობა. ისინი გარეკეს. ხელ-ახლა აიღეს როგორც სარაიონო, ისე საქალაქო მილიციის სამართველოები. ჩვენი მხრით მოკლეს ისინმა ერთი გვარდიელი–**კოლია რუსია.** გვარდიამ აღადგინა იმავე ღამეს წესრიგი და დილას გაემგზავრენ სუფსის ასაღებათ. **სუფსა** ბოლშევიკების ხელში იყო, გარდა სადგურისა, სადაც იყო ჩვენი 6 გვარდიელი. ისინმა სადგურში არ შემოუშვეს. ამ დროს ჩამოდის **გოგუაძის** ბრონევიკი- „ასთე უწოდებდენ მას სახელს“ და ესენთან ერთად გასწმინდეს **სუფსა**. მხოლოდ **ჩოხატაური** დარჩა ორ დღეს ბოლშევიკების ხელში. ჩვენ დავატუსაღეთ 60 კაცი ბოლშევიკები და მივეცით სასამართლოში. სასამართლო დანიშნა მთავრობამ. **პოლკოვნიკ ლექვინაძის** თავმჯდომარეობით, **კაპიტანი ბაქრაძე** და **სერგო მათითაიშვილი** წევრები. მე, როგორც შტაბის ადგილობრივი თავმჯდომარე, მივეცი პასუხისგებაში ეს ხალხი. სასამართლომ გამოიტანა თავის განაჩენი; 12 კაცს გადაუწყვიდა სიკვდილით დასჯა, 15 კაცს სხვა და სხვა წლების ციხე, 15 კაცს ადმინისტრაციულათ დაჟენა ციხეში. დანარჩენი გაანთავისუფლა.

და ბოლოს თავმჯდომარემ დასძინა, ვისაც აქვს სიკვდილის დასჯა მისჯილი, მაშვინ მოვა სისრულეში, როდესაც მას ხელს მოაწერს ვინც-პასუხისგებაში მისცა ე.ი. ლანჩხუთის გვარდიის შტაბის თავმჯდომარე **ავთანდილ ურუშაძეო.** ეს ჩემთვინ მოულოდნელი იყო. მე თუ ვიყავ მოსამართლე, მე უნდა გადამეწყვიდა ესენისათვინ სასჯელი და თუ სხვა იყო მოსამართლე, ისინს თავის-თავზედ აეღო პასუხისმგებლობა. ძალიან შევწუხდი: ერთი, რომ შედარებით ახალ-გაზრდა ვიყავ და ამხელა პასუხისმგებლობა ძალიან ძნელი იყო. მე ვაცნობე მთავრობას და ისინმა 9 კაცს შეუცვალა სასჯელი, 3 კაცი კი დახვრიტეს. ასთე დამთავრდა **გურიაში** ბოლშევიკების ცდა ძალაუფლების აღების.

1920 წელს იანვრის ბოლოს მოხდა მობილიზაცია, ჩვენს მთავრობას უნდოდა **ბათომის** ოლქის დაკავება. მაგრამ არ მოხერხდა და მოვახდინეთ დემობილიზაცია. მარტში უკვე აშკარა შეიქმნა დენიკინის დამარცხება. დენიკინი დამარცხდა; მათი ჯარი ზოგი საზღვარ-გარეთ წავიდა და ცოტა ნაწილმა საქართველოს შემოაფარეს თავი. ბოლშევიკები მოადგა **ადერბეიჯანს** და ჩვენს საძღვრებს. ჩვენში მოხდა სასწრაფო მობილიზაცია. ადერბეიჯანმა უსიტყვოდ ჩაბარდა ბოლშევიკებს და წითელი ჯარი მოადგა ჩვენ საძღვარს.

მაისის პირველ რიცხვებში მოხდა შეტაკება **წითელ-ხიდთან** ჩვენ ჯარს და წითლებს შორის, ადერბეიჯანის საძღვარზედ. ამავე დროს წითლების აგენტებმა **სამხრეთ ოსეთში** მოაწყვეს აჯანყება. ადერბეიჯანის საძღვარზედ დამარცხდა წითელი ჯარი. ჩვენებმა ეხლა მოუბრუნდენ **ოსეთს**; აჯანყებულები და მათი წითელი აგენტები გადარეკილ იქმნა ჩრდილო-კავკასიაში. ჩვენ მოგვიკლეს ერთი გვარდიელი **ტუღუში** და დაიჭრა რამოდენიმე. ჩვენს ბატალიონს ხელ-მძღვანელობს **ირადიონ ხომერიკი, ვანო ცომაია** კი გადაყვანილი არის თბილისის განსაკუთრებულ ბატალიონის უმფროსად. ამავე დროს აშკარა შეიქმნა ინგლისელების წასვლა ბათომის ოლქიდან. **ჩვენმა ჯარმა დაიკავა ბათომის ოლქი.**

ამ ხრით გამრთელდა საქართველო მთლიანათ. **სამუსულმანო საქართველო დაუბრუნდა თავის სამშობლოს.**

აგვისტო-სეკტემბერში გვესტუმრა სხვა და სხვა სოციალისტურ პარტიების წარმომადგენლები. მათ მოიარეს საქართველო და დაბრუნდენ უკან. მერმეთ გვესტუმრა **კარლ-კაუცკი** თავის მეუღლით. ისინმა დაყო კარგა ხანს საქართველოში. ოკტომბერში მოხდა საქართველოს სახალხო გვარდიის ყრილობა. ჩვენი რაიონიდგან ამ ყრილობაზედ იყო 6 დელეგატი. **1. რაფიელ ჩხაიძე 2. მიხაკო ბაჟუნაიშვილი 3. ზოსიმე ფირცხალაიშვილი 4. ნოე აბხაზავა 5. პანტელიმონ ჭანტურია და 6. გახლდი მე.** ამ ყრილობაზედ კაუტსკიმ გვიწინასწარმეტყველა და გვითხრა, თუ ამ გაისს ამ დროს თქვენ ასთე თავისუფალი იქნებით, მე მოხარული ვიქნებიო. თქვენ ხართ ორ იმპერიალისტურ ქვეყნების შვაზედ, ეს არის რუსეთი და ოსმალეთი.

ამ ყრილობაზედ აშკარა შეიქმნა ჩვენი მოუმზადებლობა. დაისვა კითხვა:-გვარდიელი, რომელიც იბრძვის იარაღით ხელში, მას უნდა მიეცეს ვაჟკაცობის ჯილდო თუ არაო. **ვალიკო ჯუღელი** იცავს და ამბობს, რომ გვარდიელი იმდენათ შეგნებული უნდა იყოს, რომ ის არავითარ ჯილდოს არ უნდა მოითხოვდესო. ამ აზრის წინააღმდეგ გამოდის **ალექსანდრე დგებუაძე.** ის ამბობს:-გვარდიელს უნდა მიეცეს ვაჟკაცობის ჯილდოო. ამ კითხვაზედ შეთანმხმდენ. ორ-ორ კაცს უნდა ელაპარაკა როგორც მომხრეებიდან, ისთე წინააღმდეგებიდან. მომხრეებიდან ილაპარაკა **ვალოდია გოგუაძემ** და **სარდიონ მენაღარიშვილმა.** სარდიონ ძალიან ახალ-გაზრდა იყო, მაგრამ მისმა მჭერმეტყველურმა სიტყვამ დიდი შთაბეჭდილება იქონია დელეგატებზედ. აშკარა შეიქმნა, რომ გავიდოდა ჯილდოს მომხრეების წინადადება. ამ დროს ვალიკომ დაიმუქრა გადადგომით. ამან ცოტა იმოქმედა დელეგატებზედ. ცოტა ხმის უმრავლესობით უარყვეს ჯილდო. აი ამ 25 წლის შემდეგ რომ ცოცხალი იყვეს **ვალიკო ჯუღელი,** მაშვინ მიხდებოდა: იყო ჯილდო საჭირო თუ არა.

ყრილობა დასრულდა. ჩვენ წავედით.

მოხდა სამაზრო შტაბის არჩევნები. თავმჯ. არჩეულ იქმნა **რაფიელ ჩხაიძე;** თავმჯ. ამხ. **თეოფილე მუხაშავრია** და მდივნათ **ზაქრო წულაძე,** ორი სხვაც. გაიმართა **ლანჩხუთის** შტაბის არჩევნები. მე ისევ თავმჯდომარეთ, მდივნათ **გაბრიელ ჯიჯიეშვილი,** მოლარეთ–**ევგენი იმნაიშვილი.**

მერმეთ მოხდა **სომხეთის** გაწითლება. ჩვენ გვიყვეს მობილიზაცია და წავედით **წითელ-ხიდეზედ.** ჩვენ ბატალიონს მეთაურობს **ხომერიკი**. ჩვენ რაიონიდგან წამოვიდა 240 კაცი. აქედან შეიქმნა ერთი გუნდი ფეხოსანი და მზვერავთ რაზმი. მზვერავთა რაზმის უმფროსად იყო ოფიცერი **ბიკტორ ურუშაძე.** ზედმდეგი **ალექსი ვასაძე-** დიდი გამოცდილი ჯარის-კაცი. იანვრის 11 (?) საქართველო იცვნეს მოკავშირეებმა იურიდიულათ. ამან გამოიწვია აღტაცება. **რუსეთს** უკვე ნაცნობი ვვყავდით ცნობილ 7 მაისის ხელ-შეკრულობით. ეხლა ყველა გულდადობილია, რომ ყოველივე ხიფათი აწი აცილებულია. ასთე ფიქრობდენ;

ეს შეცდომა გამოდგა. არ ეძინა წითლებს. ისინი ვერ ინელებდენ მათ გვერდში თავისუფალ საქართველოს. 11 თებერვალს ჩვენ სანაპირო რაზმს **სომხეთის** საძღვარზედ თავს დაესხენ და მოხდა ბრძოლა. ჩვენთან მშვიდობიანობაა. ჩვენც მოვემზადეთ და 13 თებერვალს ვფიქრობდით შეტევაზედ გადასვლას. მოდის ტელეფონოგრამმა: –შეაჩერეთო. საძღვარზედ გადმოიარა სომხების ბანდები. ისინს ამ დღეებში ვუზამთ ლიკვიდაციასო. ჩვენთან მოდის **გენ-ლი ჯიჯიხია**, ის ამბობს, რომ არავითარი საშიშროება არ არის აქედანო და **მოხდა ჯარების**

რეზერვში წასვლა. ხრამის მარცხენა ნაპირას იყო 3 ბატალიონი: I თბილისის ბატალიონი, მეორე თბილისის ბატალიონი და მესამე გურიის ბატალიონი. წინა ორი ბატალიონი წავიდა რეზერვში 15-20 კილომეტრის მანძილზედ.

ფრონტზედ დარჩა გურიის ბატალიონი. აქედან ერთი გუნდი ე.ი. მესამე გუნდი წავიდა სოფელში, ხუთი კილომეტრის მანძილზედ. ფრონტზედ დარჩა ორი გუნდი და მზვერავთა რაზმი. პირველი გუნდი და მზვერავთა რაზმი **წითელ-ხიდესთან** არის, ჩვენ კი ე.ი. მეორე გუნდი ხრამის ჩასართავთან. ჩვენ გუნდს მისცეს წინადადება, რომ აქ არის ძალიან საფრთხილო ადგილი და იყავით ფრთხილადო. 14 თებერვალს დილით **წითელ-ხიდს** დაესხენ რუსები და შეიქმნა ბრძოლა. ჩვენ ჩავჟედით სანგრებში, ვუცდით, მაგრამ მტერი არა სჩანს. ამავე დროს გაწყდა ტელეფონის კავშირი. გაიგზავნა ორი გვარდიელი ხიდთან კავშირის ასაღდგენათ, მაგრამ დააგვიანდათ. კიდევ ორგვარდიელი წავიდა, ისინიც არა სჩანს. გათენდა. ვხედავთ, რომ მტერი გამოსულია გამოღმა; ჩვენებს უკან დაუხევიათ; მე ეხლა წავედი ერთი გვარდიელის თანხლებით; მტერი მოიწევს მტკვრის პირისაკენ. ჩვენთან კიდევ არაფერი არის. მაშვინ გვარდიელს უთხარი, რომ გასწი ჩქარა და გუნდი წამოვიდეს, რომ შევძლოთ მტკვრის პირით გასვლა ჩვენებისკენ. მე დავათვალიერებ მტრის მოძრაობას-თქვა. გვარდიელი გაიქცა. ცოტა ხანს მერმეთ მორბის უკან და მეძახის:– გუნდის უმფროსმა **მგელაძემ** გასცა ბრძანება, რომ გუნდი გავიდეს მტკვარშიო. მე გავიქეცი, მივედი, მაგრამ რას მიხვალ; ჩადის მდინარეში კაცი და მიაქვს ასთე წყალს. ძალიან ცუდი მდგომარეობა არის; მაშვინ მეტი საშველი არ იყო; გავაბით ხელები ერთი-მეორეზედ. მაგრები ბოლოში მოიქცენ და ამ რიგათ წავიდა ერთი ჯგუფი. აქ ძალიან დახმარება გაგვიწია მცურავ **მჟავანაძემ.** მას სცოდნოდა კარგი ცურვა. აქ დაგვეხჩვა ერთი გვარდიელი **კობალავა**. აქ მდინარე ორათ იყო გაყოფილი და ამან გვიშველა. გავედით კუნძულზედ; აქ ბუჩქები იყო და მოგვეცა საშვალება თავის შეფარვის. ამ დროს ჩვენ სანგრებს რუსებმა უქნეს იერიში და იქ არავინ დახვდათ. გავედით მეორე შტოზედ. ეს უმფრო პატარა იყო და შევედით **ყარაიაზის** ტყეში, მაგრამ გვარდიელები შეაწუხა სიცივმა. წავედით წინ; შეგვხდა კარვები ტყეში, სადაც დავანთედ ცეცხლი. გვარდიელებმა გაიშვრენ, ცოტა გათბენ; გავგზავნეთ 3 კაცი კავშირის ასაღდგენათ. საღამოს დაბრუნდენ. კავშირი აღდგენილ იქმნა. ჩვენ გვიბრძანეს **ყარაიაზის** რაიონში სანავეების დაცვა. დავაყენეთ პატრულები და იმ ღამეს დავრჩით. დილით მოგვივდა კავშირი, რომ დაგვეხია სად.**ყარაიაზისკენ** და შევერთდებოდით სამტრედიის ბატალიონს. ჩვენ წავედით და შეუერთდით სამტრედიის ბატალიონს, სადაც ბატალიონის უმფროსად იყო მაიორი **აკაკი კვეტაიშვილი.** აქედან ჩავედით **ნავთლუღში**. იქ შეგვხდა ბატალიონის უმფროსი **ხომერიკი** და მზვერავთა რაზმის უმფროსი **ბიკტორ ურუშაძე.** ესენმა გვითხრეს: ჩვენები ბევრი დაიხოცენ და ბევრიც უნდა იყოს ტყვედო. მოეკლენ ზემდეგი **ალექსი ვასაძე** და ჩვენი ძველი გვარდიელი **ვალოდია გუჯაბიძე, ღლონტი** და სხვები.

ასთე, რომ ეს ჯარის დაწყობილება კაცს ეგონება ხელოვნურათ მტრის სასარგებლოდ.

აქვე უამბე გუნდის უმფროსის ამბავი. ეს მოიწონეს და სთქვეს: წამხდარ დროზედ ძალის შენარჩუნება კარგი საქმეაო. მე დღესაც არ მომწონს ჩვენი გუნდის უმფროსის მოქმედება, მაგრამ რას იზამ. ჩვენი ბატალიონი თითქმის ნახევარზედ ნაკლებია. გადარჩა მხოლოდ მეორე გუნდი ერთი კაცის გამოკლებით. ჩვენ გაგვაგზავნეს **დიდ-ლილოს** მიმართულებით. იქ ჩვენ შევეჩეხეთ მტერს. მტერი ყოველ მხრივ აწობა თბილისს, მაგრამ მოხდა სასწაული და ჩვენებმა მოასწრეს ჯარებით შეხვედრა. დიდი ბრძოლა გაჩღდა **კოჯორ-ტაბახმელას** რაიონში. იქ

იუნკრები და **ბათომის გვარდია** შეხვდენ მტერს. ბათომის ბატალიონს მეთაურობს ოფიცერი **გრიგოლ კვაშალი.** აქ ბევრი დაიხოცენ, როგორც იუნკრებიდან, ისთე ბათომის გვარდიელები და თვით ბატალიონის უმფროსიც **კვაშალიც** მოკლეს.

ბათომის ბატალიონში ძველი მუშები იყვნენ, რომლებმაც დადვეს თავი სამშობლოს დასაცავათ, მათ შორის ძველი მუშა **გობრონიძე**. **დიდი-ლილოს** მიმართულებით მტერმა უკან დაიხია. ჩვენ გავედევნეთ. ჩვენს მარჯვნით არის **თბილისის** განსაკუთრებული ბატალიონი **ვანო ცომაიას** მეთაურობით. მარცხნით ცხენოსნები **ცაგურიას** მეთაურობით. ამ რიგათ მოგ-ვიხდა ბრძოლა; მტერი დამარცხდა და გაიქცა. განსაკუთრებულ ბატალიონში მოკლეს ერთი ოფიცერი **ჭკადუა** და დაიჭრა რამოდენიმე კაცი. მტერმა დასტოვა დაჭრილები და მკვდრები. მეორე დღეს შევედით სად. **ვაზიანში**. წავედით მზვერავათ. ჩვენთან წამოვიდენ ცხენოსნები **ცაგურიას** მეთაურობით. მტერი ძალიან მოშორებით ვნახეთ. აქ დაგვეჭრა **ცაგურია**. საღამოს ჟამს დავბრუნდით **ვაზიანში**. ღამის 12 საათზედ მივიღეთ უკან დახევის ბრძანება და დავიხიეთ უკან, **დიდ-დიღომდის**. მეორე დღეს კიდევ წავედით მზვერავებათ, მაგრამ მტერი არა სჩანს; ჩვენ დატოვებულს ალაგას არ არის. ღამე კიდევ მივიღეთ ბრძანება უკან დახევის და დილით **25 თებერვალს დავტოვე საყვარელი თბილისი.** მერმეთ აღარ მინახავს იქ მტერი, გახდა პატრონი.

ამ რიგათ ფეხით მომიწია წითელ-ხიდიდან სამტრედიამდინ მოსვლა. სამტრედიაში ჩავჟედი მატარებელში და ჩავედი ლანჩხუთში.

აქ ყველა ჩემი მეგობრები ვნახე. გურიაში არის სასწრაფო მობილიზაცია. ყველას ვისაც თოფის ხმარება შეუძლია, ეწერება ჯარში. ლანჩხუთში არის გენ-ლები **მაზნიაშვილი** და **ანდრონიკაშვილი. იმერეთიდან** და **სამეგრელოდან** გამორბის ხალხი და ეწერება ჯარში. **მაზნიაშვილი** უცაბედათ გაიწვიეს **ბათომში. ანდრონიკაშვილი** დარჩა აღმოსავლეთის ფრონ-ტის უმფროსად. მან ჩვენ გთხოვა რამოდენიმე საიმედო გვარდიელი და გაემგზავრა ფრონტის დასათვალიერებლად. დაბრუნდა კმაყოფილი და რომ **საჭამიის სერიდან ფოთამდე** ჩვენი ჯარი არის, კარგ შთაბეჭდილებას ახდენსო. ბინა ჩვენთან ქონდა. ამ დროს მოდის ტელე-ფონოგრამა, რომ ბოლშევიკებთან არის დროებითი ზავიო. მას გული მოუვიდა, ამ ომში ასეთი წყობა ჯარის ჩვენ არ გვყოლიაო და ეხლა დროებითი ზავი რადროს არისო. მეორე დილას **ბათომიდგან** ჩამოდის **გრიგოლ ლორთქიფანიძე** და **ალექსანდრე დგებუაძე.** ისინი მიემგზავრებიენ **ქუთაისში.** იქ არი სპეციალურათ ჩამოსული **ენუქიძე-** ბოლშევიკი, მასთან მოსალაპარაკებლად. მათ გააკეთეს მოხსენება და სთქვეს, რამ აიძულა ჩვენი მთავრობა მოლაპარაკება ეწარმოებია ბოლშევიკებთან. მათ სთქვეს, რომ **ბათომში** გამოირკვა **ოსმალეთის** ვერაგული პოლიტიკა. **ოსმალეთმა** მოსთხოვა ჩვენ მთავრობას **ბათომის ოლქის** დაცლა. მათ უკვე **ბათო-მის ოლქის** დიდი ნაწილი უკვე დაეკავებიათ და შიგ **ბათომში** შემოსულიყვნენ. გენ-ლ **მაზნიაშვილს** უბრძანა ჩვენმა მთავრობამ, რომ გაედევნა ოსმალეთის ჯარი **ბათომიდგან. მაზნიაშვილმა ეს დავალება პირნათლად აასრულა**, მან გადევნა **ოსმალეთის** ჯარი **ბათომიდგან,** მაგრამ ძვირი დაუჟდა **საქართველოს.** მას შეეწირა რამოდენიმე ჩვენი საუკეთესო ახალგაზრდობა. მერმეთ უკვე გამოირკვა **რუსეთის** და **ოსმალეთის** საიდუმლო ხელ-შეკრულობა **საქართველოს** მიმართ, ცნობილ **ყარსის** ხელშეკრულობა.

რუსეთან მოხდა ზავი. **ოსმალეთმა** და **რუსეთმა** იქ დადვეს საძღვარი, სადაც მათი ჯარები ერთი-მეორეს შეხვდენ.

საქართველოში დაარსდა **შულავერის** გმირებისაგან საქართველოს რევკომი, მოღალატე **ფილიპე მახარაძის** თვმჯდომარეობით. **ამ რიგათ მათ ჩაიდინეს საქართველოს მიმართ საშინელი ღალატი.** ისინმა გაიმეორეს ჩვენ წინაპრების, ფეოდალების ამბავი. ფეოდალები თავის სამფლობოლოს ყიდდენ ხან **სპარსეთზედ** და ხან **ოსმალეთზედ** და ასევე მოიქცა ქართველი ბოლშევიკები. მათი პირადი ინტერესის და მიხედვით გაასაჩუქრეს საქართველოს მიწა-წყალი: ცოტა ნაწილი **სომხეთს** უძღვნეს, ასევე **ადერბეიჯანსაც.** სამუსულმანო საქართველოს დიდი ნაწილი, **ართვინით** და **არდაგნით,** ოსმალეთს უძღვნეს.

რუსეთან საზავო პირობების მთავარი მუხლი იყო „ამნისტია". ამ ამნისტიის ძალით ყველა, ვინც მსახურებდა მენშევიკურ მთავრობაში, თავისუფალი იყო და მხოლოდ აწი, ე.ი. გასაბჭოების შემდეგ თუ ჩაიდენდა რაიმეს, ის მაშვინ დაისჯებოდა. ჩვენი მთავრობის ერთი ნაწილი წავიდა საძღვარ-გარეთ **ნოე ჟორდანიას** მეთაურობით. მეორე ნაწილი, **გრიგოლ ლორთქიფანიძის** მეთაურობით, დარჩა საქართველოში. ყველა სამხედრო ნაწილებმა 25 მარტს ჩააბარეს იარაღი. შეიქმნა ახალი მდგომარეობა. ჩვენებს ყველას აკერია პირზედ, რომ ჩვენი მხრით არ იქმნას ამნისტია დარღვეულიო. მე პირადათ ძალიან დაღლილი ვარ და წავედი ერთ-შორეულ ნათესავისას დასასვენებლად. აქ ჩვენებმა ამხანაგებმა დაინახეს, რომ მე ვითომ გავიქეცი და ამიტეხეს ერთი ალიაქოთი, რომ შენ არღვევ ამნისტიასო. ნამეტარს ღელავდა ჩემი ძველი მეგობარი **ნიკიტა იმნაიშვილი.** მეც გამოვჩდი და დაკმაყოფილდენ. მაგრამ მაინც ვფრთხილობ, რომ რაიმე ხიფათში არ გავება. ერთხანს მერმეთ **ლანჩხუთში** ჩამოდის მოღალატე **ფილიპე მახარაძე**. ის საჯარო კრებაზედ მოხსენებას აკეთებს და სთქვა, რომ ეხლა არის თავისუფლება კრების, ბეჭვდის და სიტყვისო. ამ სიტყვაზედ მოითხოვა სიტყვა ძველმა ნაკარტოღალმა **ზოსიმე ფირცხალაიშვილმა. ფილიპეს** გული მოუვიდა, რომ როგორ ბედავს მენშევიკები სიტყვის მოთხოვნასო და დაიწყო მუქარა: თქვენ კიდევ არ მოგხდენიათ მუშურ-გლეხური სილაო. ამას ეუბნება იმ მუშებს და გლეხებს, რომლებმაც თავის სიცოცხლე გაატარეს ცარიზმთან ბრძოლაში, ვისი სახელით იმ რამოდენიმე ქურდების, რომლებიც მათ პარტიაში არიან. უნდა ითქვას, რომ კერძოთ, **გურიაში,** კომუნისტური პარტიაში, არც ერთი პატიოსანი კაცი არ იყო. ყველა ქურდები და სისხლის-სამართლის დამნაშავენი იყვნენ. **ფილიპე** გაჯავრდა და წავიდა.

აღდგომა 1 მაისს არის. წითელ-პარასკევს, 29 აპრილს გავედი ბაზარში. რაღაც არ დამიჟდა, დავბრუნდი უკან და წავედი ტყეში; ხარები დავათვალიერე. საღამოს ამოველ ტყიდან. შემხვდა ერთი მეგობარი და იმან მიმიპატიჟა თავის სახლში. მე იმ ღამეს იქ დავრჩი. დილას ჩემი მეგობარი ადრე ამდგარიყო და ბაზარში წასულა. მან იქ გაიგო, რომ ყველა ჩვენი ამხანაგები დაპატიმრებულია. მოვიდა და გადმომცა, რაც ნახა. წავიდა. ჩემსასაც ყოფილიყვნენ, მაგრამ შინ არ დავხდი. ბევრი ეყანყალენ, მაგრამ ვერ მნახეს. ამ დღიდან შევიქენი დევნილი. შემდეგ გამოირკვა, ბოლშევიკებმა მოინდომეს პროვოკაციის მოხდენა. ვერ მოახერხეს. **ქუთაისში** ესროლეს ბომბი, ვითომ მოღალატე ბოლშევიკ **გეგეჭკორს**. ეს ბომბი რომ გავარდა, ხალხი უკვე დატუსაღებული იყო. ეს ოინი ჩაეშალათ. ჩვენი ამხანაგები თითქმის ყველა დატუსაღებულია. **ლანჩხუთში** გადარჩა **სარდიონ მენაღარიშვილი.** ის უწინ მუშაობდა **ზეს-ტა-ფონის** სამაზრო ერობის თავმჯდომარეთ და აქ ნაკლები ყავდა მტერი. მასთან ერთად ანგარიშს უწევდენ მის ძმას **კოლიას;** ვაჟ-კაცი ბიჭი იყო და ფიქრობდენ, არ გავაჯავროთო. მერმეთ გავაბი კავშირი **თეოფილე მუხაშავრიასთან;** ვინახულეთ ერთი-მეორე. მერმეთ ვნახეთ **სერგო მათითაიშვილი**

და **ალფესი გოგუაძე.** დაჭერილები არ დაეტიათ **ოზურგეთის** ციხეში და ბევრი მათგანი გაგზავნეს **თბილისში** და **ქუთაისში**.

თითქმის მთელ **საქართველოში** მოხდა ეს რეპრესიები. არ გასულა რამოდენიმე დღე, რომ მოვიდა ამბავი: **ქუთაისში** დახვრიტეს რამოდენიმე კაცი, მათ შორის პოლკოვნიკი **ლექვინაძე**, რომელიც **გურიაში** სასამართლოს თავმჯდომარეთ იყო. კიდევ **მარკოზაშვილი, ჭანიშვილი გიგინიეიშვილი** და **ძნელაძე**. ეს კითხვა დავსვი ჩვენ ამხანაგებში, რომ ამაზედ აგვემაღლებია ხმა. ვინაიდგან ჩვენი ამხანაგების უმრავლესობა ციხეში ისხდენ, ეს კითხვა დაისვა **ოზურგეთის** ციხეში. აქ ისეთი შეხედულება გამოითქვა, რომ რა უყოთ, დახვრიტეს; ესენი მოსამსახურენი იყვნენ; თუ ბოლშევიკებმა ეს საქმე გააგრძელეს და დახვრიტენ, ან დამფუძნებელ კრების წევრი, ან მთავრობის ყოფილი წევრი, ანდა საზოგადო მოღვაწე, მაშვინ ავიმაღლებთ ხმასო. უნდა ვსთქვა, რომ ძალიან მეწყინა მიტომ, რომ ამ აზრს იზიარებდა ჩემი ყოფილი მასწავლებელი **გრიშა ურატაძე.** მე დღესაც ვფიქრობ, მაშვინ ჩვენ რომ რაიმე გვეთქვა და მიგვეღო ზომები, ეს უკეთესი იქნებოდა. მერმეთ ბოლშევიკებმა ყველა დაგვხრიტეს და ჩვენი ხმა დარჩა ჩახლეჩილი. შეიძლება ეს ზოგს გადაჭარბებული ეგონოს ჩემი აზრი, მაგრამ არა! ჩვენ მაშვინ ისეთი ძლიერი ვიყავით და ბოლშევიკები ისეთი სუსტი, რომ ჩვენ ჩვენსას გავიტანდით! და მერმეთ თითო-თითოდ დაგვლიჯეს. ამ ზაფხულზედ ბოლშევიკებმა შეამჩნიეს, რომ მათი საქმე მთლად კარგათ არ არის; რომ გაეთამამებია თავის წევრები, იშვილეს ოცდა ათი ათასი (30.000) კაცი რუსის ჯარის ნაწილი; ამით შექმნეს ისეთაც აუტანელი მდგომარეობა ჩვენში. მათ პარტიის წევრებს ეუბნებოდენ: –აწი ნუ გეშინიათ მენშევიკების, აქ გვყავს ეს ამოდენა ჯარიო, რომლებიც თქვენ გდარაჯობსო.

სეკტემბერში მოგვიკვდა **პარმენ ჭიჭინაძე**- ჩვენი სამხედრო მინისტრი. მის დამარხვაზედ **თბილისში** და ყველგან გადაუხადეს პანაშვიდები. **ლანჩხუთში** გადაუხადა პანაშვიდი ეკლესიაში მღვდელ **ეპიფანე ჩხაიძემ.** აქ ხალხი ბლომათ დაესწრო. ბოლშევიკებმა ნახეს, ხალხი ეკლესიიდან გამოდის; გაუკვირდათ მენშევიკებს, ეხლა წირვა-ლოცვა დაუწყიათო. ჩაზამთრებაზედ ყველგან ჩვენი ორგანიზაციები აწყობილია.

სვანეთში მოხდა სტიქიური აჯანყება, ბოლშევიკების ხეპრე პოლიტიკამ მოთმინებიდან გამოიყვანა ეს მთის ხალხი. 1922 წლის თებერვალში მოხდა ყოველგან მთელ **საქართველოში** ახალ-გაზრდობის საპროტესტო დემონსტრაცია, **საქართველოს** ერთი წლის დაპყრობის თავზედ, ბოლშევიკებმა მათ ტყვიით უპასუხეს. კერძოთ, **ლანჩხუთში** მოკლეს მოწაფე **კობალავა**, ჩვენ რომ გვარდიელი დაგვეხვრჩვა, იმის ძმა; დასჭრეს რამოდენიმე. აქ, ჩვენებში, დიდი აღელვება გამოიწვია. კერძოთ, ძალიანს ღელავს ჩვენი მუშა **პართენ ებრალიძე.** ის მოით-ხოვდა, ეს არ შეიძლება უპასუხოდო. პართენ ებრალიძე იყო ძველი პოლიტიკური მომუშავე, გურიაში რომ დაიწყო გლეხთა მოძრაობა, იქიდან. ძველი რეჟიმის დროს ორხელ იყო გადასახლებული რუსეთში. ის ითვლებოდა ჩვენში ძველ და პატიოსან მუშათ. მის სიტყვას გასავალი ქონდა გლეხებში. ჩვენ დამოუკიდებლობის დროს მან თითქმის ჩამოშორდა ყოველივეს. არ მოსწონდა ხან და ხან ჩვენ რომ რეპრესიებს მივმართავდით ბოლშევიკების წი-ნააღმდეგ. პირველ დღეებში ბოლშევიკების გამეფებისა, ის ისევ წყნარათ იყო. ზემო აღნიშნულ დემონსტრაციაზედ ჩვენებმა სთხოვეს მას, რომ თვალყური ედევნებია ამ დემონსტრაციისათვინ და ეს მან მიიღო. მაგრამ აქ, ბოლშევიკებმა მის თვალწინ მოკლეს მოწაფეები. ის ძალიან აღელვებული იყო ამ ველური საქციელით. ბოლშევიკებმა ის დაატუსაღეს. კინაღამ

გაგიჟდა კაცი, როდესაც ერთს მის ნაამხანაგარს ბოლშევიკს მან უთხრა, რას შვრებითო. ბოლშევიკმა უპასუხა:- ეს ჩვენ ვიცით, რასაც ვშვრებითო. ჩვენ მენშევიკები კი არ ვართ, რომ არ ვიცოდეთ, რას ვაკეთებთო და კერძოთ, **პართენ ებრალიძეო.** მახსოვს ამ სიტყვაზედ როგორ ღელავდა. ამ დღიდან გადაეშვა პარტიულ მუშობაში. 1927 წელს ცეკას წევრიც იყო და ცეკას დავალებით მოდიოდა საძღვარ-გარეთ **ნოე აბხაზავასთან** ერთად. ისინი შეიპყრეს საძღვართან და ამ პატიოსან ადამიანს სადღაც **რუსეთის** ციხეში ამოღთა სული. იქვე დავკარგეთ **აბხაზავაც**.

1922 წლის თებერვალში დავკარგეთ ჩვენი პარტიის სვინიდისი **სირბისტრო ჯიბლაძე**-ეს ჩვენი მამა-მთავარი, ჩვენი გამამხნევებელი და ბრძოლის სულის ჩამდგმელი, „სილკა“. განა დაიჯერება ასეთი ადამიანის სიკვდილი? იმან დევნილობაში დალია სული. ეს ჩვენთვინ დიდი დანაკლისი იყო. **სირბისტროს** სიკვდილმა დიდი მწუხარება გამოიწვია ჩვენში. უხაროდა მხოლოდ მტერს, რომ მოსცილდა ისეთი ადამიანი, ვისიც სიტყვა და საქმე ერთი იყო. მაისში მოხდა ყოველგან მთელ საქართველოში მშვიდობიანი დემონსტრაციები. ბოლშევიკებმა ამ უიარაღო ხალხზედ იხმარეს იარაღი. **ხიდის-თავში** ხალხში ჩააგდეს ბომბი და მოკლეს რამოდენიმე კაცი. **ჩიბათში** მოკლეს ერთი მოხუცი **ჩახვაძე, ჩოჩხათში** მოკლეს **გუჯაბიძე**. ჩვენ ვართ ერთ მაღლობ ადგილას **შუხუთში;** აქ არიან **თეოფილე მუხაშავრია** და **ქრისტიფორე იმნაიშვილი** და მე. **ქრისთიფორე** ახალ-გაქცეული არის ციხიდან. ჩვენ გავყურებთ დემონსტრაციას, როგორ შეერთდა **ლანჩხუთლები** და **შუხუთლები** ერთმანეთდან. შეიქმნა სროლა, აღელდენ **თეოფილე** და **ქრისტიფორე** და მოინდომეს წასვლა. ჩვენ წინადადება ვქონდა მოცემული, რომ არას გზით არ ჩავრეულიყავით, თორემ ბოლშევიკები ამას ისარგებლებენო. ისინი ძლივს გავაჩერე. მერმეთ მოგვივდა შიკრიკი; რაც მოხდა, ყველაფერი გვიამბო დაწვრილებით. ერთი ქალი დაეჭრენ, **ფეოდოსი იმნაიშვილი.** ბოლშევიკებს ისთე დაბნეული ქონდათ დავთარი, რომ ერთი თავისიც მოკლეს. შიკრიკმა გვითხრა, რომ ბევრი ხალხი დაატუსაღეს. **კოლია შარაბიძე** დაატუსაღეს და გაიქცაო. მივიღეთ ზომები **კოლიას** მოსაყვანათ. მეორე დღეს მოვიდა ჩვენთან და დარჩა ბოლომდის. ჩვენი ნაკატორღალი **ზოსიმე ფირცხალაიშვილი** ძლიერ ავათ იყო. ის ახალ-გამოშობილი იყო ციხიდან და მას ამხანაგებმა მოერიდენ, ესედაც ავათმყოფს და ახალგაშვებულს არ უთხრეს დემონსტრაციის დრო. მახსოვს როგორ ღელავდა ჩვენთან, რომ მოვიდა ჯოხით ხელში. როგორ გამიბედეს მე ამხანაგებმა, არ მითხრეს დემონსტრაციის დროო. ჩვენ უთხარით, მოგერიდენ როგორც ავათ-მყოფს. –კაცო! ვერ გაიგო ამ ხალხმა, რომ ჩემი ბინა ციხეა, –სთქვა ეს, ადგა და მიდის. მე უთხარი:- სად მიხვალ ზოსიმე-თქვა? მან მიპასუხა: –ჩემი ადგილი ეხლა იქ არის, ეხლა საჭიროა იქ კაციო და წავიდა. მივიდა, ერთი მაგრათ შეჰკივლა:-გაუმაჯოს 26 მაისსო; შეერია ამხანაგებში; შვიდი თვე იყო ციხეში და მერმეთ გაუშვეს და მოკლეს 1923 წლის იანვარში.

1922 წლის ზამხულში **ჩოლოყაშვილმა** მოაწყო აჯანყება **ფშავ-ხევსურეთში.**

ამ ზაფხულში **საქართველოს** რკინის გზაზედ შეიქმნა მატარებლების ძვარცვა. აქ მთავრობამ ეს ამბავი შესწამა თავის მოსამსახურეებს. ბოლშევიკებთან მსახურებდენ ყოფილი ყაჩაღები, რომლებიც ჩვენს დამოუკიდებლობის დროს ციხეში ისხდენ. ისინი მტრულად იყვნენ განწყობილი მენშევიკებთან და ბოლშევიკებმა ისინი ყველა სამსახურში დააყენა. ბოლშევიკურმა მთავრობამ მათ მოუნდომა დაჭერა. ისინი გაიქცენ. მთავრობამ მიიღო ზომები მათ შესარიგებლად. **ზესტაფონში** მსახურებდა ყოფილი ყაჩაღი **მანწკავა,** მენშევიკების დროს ციხეში ნაჟდომი. ის იყო **ზესტაფონის** სამხედრო კომისრად. მთავრობამ ეს **მანწკავა** ჩააყენა

შვაში ყაჩაღებს და მათ შორის შესარიგებლად. მან გახსნა თავის შტაბი სადგურ **ჯუმათში** და იქ დაიბარა ყაჩაღები.

გაჩაღდა მოლაპარაკება. ამ მოლაპარაკების დროს ყაჩაღი **ღლონტი** ეუბნება **მანწკავას,** რომ მთავრობა ჩვენ დაგვხოცავსო და შენ ჩავარდები გლახა მდგომარეობაშიო. მაშვინ **მანწკავამ** უთხრა, რომ მთავრობამ მე მომცა პატიოსანი სიტყვა, რომ თქვენ შეგირიგებენ და თუ რაიმე ხიფათი მოვა, მე თქვენთან ვარო. ამ რიგათ მოხდა შერიგება; დაესწრო მთავრობის წარმომადგენელი. ამ შეხვედრის დროს ყაჩაღმა **დოლიძემ** უთხრა მთავრობის წარმომადგენელს: ჩვენ საერთო მიზანი გვაქვს: „ლენინმა სთქვა ძვარცვეთ საძარცვიო. ჩვენ ხომ ვისაც აქვს, იმას ძვარცვავთ“. მენშევიკებთან მიტომ ვართ მტრულად, რომ ისინი ამას არ გვანებებდენო. ისინი შეირიგეს, რიცხვით 60 კაცამდე. ესენი ყველა ყაჩაღი როდი იყო; ზოგი ჩაეწერა იარაღის მოყვარული ხალხი. ესენი წაიყვანეს თბილისისაკენ.

ამ დროს საძღვარ-გარეთიდან ჩამოდის საქართველოში არალეგარულ სამუშაოდ **ნოე ხომერიკი.** გზაში მთავრობას უნდოდა მათი დახოცვა. **ზესტაფონში მანწკავამ** გაიგო მთავრობის გადაწყვეტილება. მას მიცემული ქონდა ყაჩაღებზედ წმინდა ყაჩაღური სიტყვა, რომ ის მათთან იქნებოდა ყოველ გასაჭირზედ. ეს მან აასრულა. უთხრა ყაჩაღებს მთავრობის გადაწყვეტილება და გაძარცვეს **ზესტაფონი** და **იმერეთის** მხრით ჩამოვიდენ **გურიაში.** მთავრობამ მიიღო თავის მხრით ზომები. დანიშნეს ყაჩაღების წინააღმდეგ მებრძოლ რაზმის უმფროსად ვინმე ნახევრად გიჟი **ობოლაძე. ობოლაძემ** მოაწყო თბილისში მიტინგი და სთქვა:- ეხლა დავბრუნდი **კახეთიდანო**, ის ხომ მოაოხრე; ეხლა **გურიაში** მივალ და იმასაც მოაოხრებო.

მან ჩამოვიდა პირველად **ლანჩხუთში** და დაიწყო ყვირილი:-სად არის ეხლა **მუხაშავრია** და მისი ამხანაგები, მოვიდენ და მომკლანო. **ლანჩხუთში** არ იყო არც ერთი ყაჩაღი; ეს მან კარგათ იცოდა. აქ იყვნენ პოლიტიკური დევნილები. ეხლა აშკარა შეიქმნა, თუ რისთვინ იყო ეს ვაჟბატონი მოსული. მან . . (არ იკითხება) დაარბვია ჩემი სახლი და წავიდა **ოზურგეთისაკენ.** გზაში გაიარა **ჯურუყვეთში**. აქ გაქცეული იყო რამოდენიმე ახალ-გაზრდები, იარაღის მოყვარულნი, გადასწვა მათი სახლები. ერთ-მათგანს, გვარათ ახალ-გაზრდა **მანწკავას** სახლის დაწვის დროს, ჩამოდის ეზოში პატარა მოწაფე. მან კითხა:- ვინ ხარ შენო; გაიგო, ეს ძმაა მისი, შეაგდო ცეცხლში, ბავშვი დაიწვა შიგ და აქედან წავიდა **ოზურგეთში.**

ობოლაძე ჩავიდა **ოზურგეთში,** შეუდგა საქმეს. ბევრი ხალხი დახვრიტა და დაისვა კითხვა: რა ვუქმნათ **ობოლაძეს**? ყაჩაღების ერთი ნაწილი **ღლონტის** მეთაურობით მოითხოვს, რომ მომეცით ნება, **ობოლაძე** მოვკლათო და მით გამოვიყიდოთ ჩვენი დანაშაულიო. მეორე ნაწილი, **მანწკავას** მეთაურობით, არაფერი სურს მენშევიკებთან კავშირის, ისინი უმფრო ბოლ-შევიკებთან ფიქრობენ კავშირის გამბვას. მანწკავა აწარმოებს მოლაპარაკებას ბოლშევიკებთან და სხვა.

ჩვენ პარტიაში დაისვა კითხვა:-რა ვქმნათ, როგორ მოვიქცეთ. **გურიის** კომიტეტმა მოინ-დომა საზოგადოებრივი აზრის დამუშავება. ამისათვის გამოყო ორი წევრი და ეს საქმე მიანდო მათ: კომიტეტის თავმჯდომარეა **გაბრიელ გოგუაძე** და წევრი **გიორგი სალუქვაძე.** ერთ დღეს თავი მოვიყარეთ: **ალფესი გოგუაძე, თეოფილე მუხაშავრია, კოლია შარაბიძე, ქრისტიფორე იმნაიშვილი** და მე. ეს საკითხი დავსვით და ვიმსჯელეთ. მსჯელობის შემდეგ მივიღეთ შემდეგი წინადადება: რომ ყაჩაღები იქმნას განდევნილი **გურიის** ტერიტორიიდან. ესენი ყოველთვის გვირღვევდენ წყალს ჩვენს დამოუკიდებლობის დროს და მერმეთ ბოლშევიკებთან

სამსახურშიც. ჩვენ დავდგეთ ძველ ტრადიციულ გზას, როგორც იყო ძველი რეჟიმის დროს. როდესაც **ვალოდია გოგუაძე, სერგო მათითაიშვილი, თეოფილე მუხაშავრია** სდევდენ მაშვინ ყაჩაღებს, მაშვინდელ კომიტეტის დავალებით, ეხლაც ესთე მოვიქცეთო. ეს მივიღეთ ერთხმად.

ამ რიგათ, გავემგზავრეთ **ქვედა-აკეთში** საიდუმლო **კრებაზედ. ხიდის-თავიდან** გამოვიდა **სერგო მათითაიშვილი, სიმონიკა გოგიბერიძე** და **გოგია ცინცაძე, ოზურგეთიდან** მოვიდენ **გაბრიელ გოგუაძე, გიორგი სალუქვაძე.** ჩვენც მივედით: **ალფესი გოგუაძე, თეოფილე მუხაშავრია** და მე. დაესწრო კიდევ **შიო ქურიძე.** მოხსენება გააკეთა კომიტეტის თავმჯდომარე **გაბრიელ გოგუაძემ.** მან დაიწყო ასთე: „აწ საქართველო ქართველებთან და საქართველო უქართველოთო“. აი, როგორ დგია კითხვაო. მოხსენებიდან უკვე ჩანდა, რომ ყაჩაღებს აძლევდენ ნებას **ობოლაძის** მოკვლის. ამ კითხვაზედ ბევრი დავა ქონდა. **ალფესიმ** გაილაშქრა ამის წინააღმდეგ და მეც მას მივემხარი. **თეოფილეს** ერთი ნაკლი ქონდა; რომ ნახვიდა უმფრო ავტორიტეტს, იცოდა იმის მიმხრობა. ეს ასთე ქმნა აქაც. ილაპარაკა **სერგო მათითაიშვილმა** და **სიმონიკა გოგიბერიძემ.** ისინმა ორთავემ სთქვეს:- ჩვენ რა გვენაღვლება, ბოლშევიკები და ყაჩაღები ერთი-მეორეს დახოცვენ, ჩვენ დავჟდეთ და ვიცინოთო. ამ სიტყვა-სიტყვით სთქვეს, ჩვენ გავამზადოთ ფურცლები და ხალხში გავავრცელოთ, რომ ყაჩაღები და ბოლშევიკები ერთი-მეორეს ებრძვიან და ხოცვენ, ჩვენ ამ კითვაზედ არავითარი პასუხის-მგებლობა არა გვაქვსო. მაშვინ მე უთხარი:- მართალია, ისინი ერთი-მეორეს დახოცვენ, მაგრამ ჩვენ ზედ წაგვაკვლავენ, ბოლშევიკებს ჩვენ ვერ მოვატყუებთ. ისინმა იციან ჩვენი ტრადიცია და ჩვენი დამოკიდებულება ყაჩაღებთან და სხვა. გავიდა ის, რომ არ ვმფარველობთ ყაჩაღებს. ესენი იყვნენ ბოლშევიკების კაცები. ჩვენ ესენის ერთი-მეორეს ბრძოლაში თავს ვიკავებთო.. და თუ ყაჩაღები მოკლავენ **ობოლაძეს**, ჩვენ მზათ ვქონდეს ფურცლებიო.

მე და **ალფესი** წამოვედით **ქვედა-აკეთიდან ზედა-აკეთში.** გზაში **ალფესი** სულ იმას მეუბ-ნებოდა:-დავიღუპეთ, დაიქცევა ქვეყანაო. გული მოსდიოდა, **თეოფილემ**, რომ რა გვიქნა, რო-გორ მოიქცა იქო. ჩვენ **აკეთის** და **ჭანჭათის** გადასახოვთან ერთ მაღალ გორაკზედ დავშორდით ერთი-მეორეს. ამ დღეს მერეთ არც კი მინახავს, ესთე მოკლეს.

მე ჩავედი **ლანჩხუთში;** ჯარი სდგას; არის საშინელი რეპრესიები. მე ამხანაგების რჩევით, გავედი **სამეგრელოში.** კავშირი მაქვს ჩემ ძველ მეგობართან **აპალონ ჯორბენაძესთან.** ჩემი ამხანაგები-**თეოფილე, კოლია** და **ქრისტიფორე** ჩამოსულიყვნენ **ლანჩხუთში**-მათ შეერთებოდა **სარდიონ მენაღარიშვილი** და ასთე გაჭივრებულ მდგომარეობაში შეაფარეს თავი ერთ პატარა ტყეს. **აპალონი** ჩამოდის ჩემთან; გადმომცა, რომ ბიჭები ძალიან გაჭივრებულია, ყველა სოფლებში ჯარის ნაწილებია ჩამდგარი.

რამოდენიმე ხნის შემდეგ მოკლეს **ობოლაძე** ბოლშევიკებმა. გასწიეს პროვოკაცია, რომ მენშევიკებმა ყაჩაღებს მოაკვლიეს **ობოლაძეო**. ამ მკვლელობაზედ დახვრიტეს **გურიიდან თბილისში** გაგზავნილი ტუსაღები. ისინი გზაში იყვნენ, რომ **ობოლაძე** მოკლეს, დიდი ხანს ნაჟდომი **ოზურგეთის** ციხეში. რიცხვით დახვრეტილ იქმნა 92 კაცი. მათ შორის ძველი მასწავ-ლებელი **გიორგი გძელიძე, სამსონ ხუხუნაიშვილი**-კოოპერატორი, ლანჩხუთის რაიონის კოოპერატიულ კავშირის გამგეობის თავმჯდომარე, ახალ-გაზრდა გიმნაზიის მასწავლებელი-**ილია თარგამაძე,** ჩემი ბავშობის ამხანაგი **ლადიკო შარაბიძე** ნიგოითიდან, მასწავლებელი **შალვა სამსონაძე**, სტუდენტი **დიომიდე იმნაიშვილი,** საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი წარმომადგენელი **უკრაინაში ბებურ ვაჩეიშვილი** და სხვები. **ობოლაძის** მაგიერ **ოზურგეთში**

მოვიდა ვიღაც უმფრო მოხუცი **„ტალახაძე“**. ოზურგეთში მან დააყენა სისხლის ღვარი; სამას კაცზედ მეტი დაიხვრიტა. ყველა სოფლებში შეაყენა შემარიგებელი კომისიები. ეს იყვნენ ყაჩაღები თუ პოლიტიკური დევნილები და მოსთხოვა ხალხს მათი მოყვანა. ამავე დროს **ალფესი გოგუაძე** ავათ გამხდარიყო. ის ძალიან მორიდებული კაცი იყო და მოსულიყო თავის სახლში, სხვა არ შევაწუხოო. **ნაგომრიდან** წამოვიდენ რამოდენიმე მილიციონერები და პარტიულები **გოგუაძნების** სახლის დასარღვევათ. მათ შემთხვევით შეხვდა ალფესი სახლში. გზაში დააპატიმრეს მისი ორი ძმები **ნოე** და **მელენტი**. არც ისინს სცოდნოდა, რომ ალფესი სახლში იყო. დაინახა ალფესიმ ეზოში ჩამოდიან, მან გავიდა გარეთ და წავიდა. უკინდამიდან ესროლეს და მოკლეს. სახლები დაშალეს, **ნოე** და **მელენტი** ციხეში გაგზავნეს. ნოე მერმეთ გადაასახლეს, იქ მოკვდა. მელენტი გაუშვეს. მათმა უმფროსმა ძმამ-**ალექსანდრემ** თავი ჩამოიღრჩო. ასთე განადგურდა ეს ძველი რევოლიუციონური ოჯახი. ამავე დროს **შუხუთში** მოკლეს ციხიდან ახალ დაბრუნებული ძველი კატორღელი **ზოსიმე ფირცხალაიშვილი.** იჯერეს რა ხვრეტით გული, მერმეთ შეუდგენ მენშევიკური პარტიის დაშლას. ცნობილია, რომ ყოველ რეაქციის დროს ჩნდებიან მხვდლები. ეს ეხლაც მოხდა. ბევრმა თავის ნებით გამოსცა დეკლარაციები, რომ გმობენ მენშევიკურ პარტიას. მთავრობამ თავის მხრით მიიღო ზომები და ყველას, ვისაც დაიჭერდენ, აწერიებდენ ხელს, რომ გადიან მენშევიკურ პარტიიდან. იყო თუ არა მენშევიკურ პარტიაში, ამას არავინ კითხულობს. შენ დაგიდობენ დეკლარაციას და გინდა არ გინდა, მოაწერო უნდა ხელი, რომ გავედი მენშევიკურ პარტიიდანო. აი, მაგალითად ლანჩხუთში იყო მასწავლებელი **ია ეკალაძე,** საქართველოში ცნობილი კაცი. ის დაიჭირეს და უთხრეს ხელი უნდა მოაწერო, რომ გადის მენშევიკურ პარტიიდან. იმან უპასუხა:– მე არც ერთ დროს ვყოფილვარ მენშევიკურ პარტიაში და როგორ გავიდეო. ეს ჩვენ არ გვაინტერესებს, შენ იყავ თუ არა პარტიაში, შენ გინდა არ გინდა ხელი უნდა მოაწეროო. მან ხელი მოაწერა და გაუშვეს. გამოდის ბაზარში და დაიწყო ყვირილი:- დღეს ბატონებო ქურდობა ვქენიო. უთხრეს რა მოიპარე, რა მოგივიდა. მან სთქვა:– დღეს მენშევიკური პარტია მოვიპარე, ბატონო. ეს გაიგო მთავრობამ და დაიბარეს: უთხრეს ენა გაკმინდე, თორემ შავდღეს დაგაყენებთო. მანც ენა გაკმინდა.

შედგა სალიკვიდაციო კომისიები, დღეს გამოაცხადებენ, რომ აღარ არსებობს მენშევიკური პარტიაო. ხვალ სადღაც გამოჩნდება და ასთე მიმდინარეობს დაუსროლებლივ. იჯერეს გული, გურიაში მოხსნეს ჯარები და წავიდა ეს სისხლის მსმელი **ტალახაძე** 1923 წლის აპრილში.

ამას მოყვა საქართველოს სამხედრო წრეების დაპატიმრება, რიცხვით 16 კაცი. ისინი დახვრიტეს და მერმეთ შექმნეს ბრალდებები. მათ შორის ცნობილი **გენერლები-კოტე აბხაზი, ვარდენ წულუკიძე, ანდრონიკაშვილი გოგი, ხიმშიაშვილი** და სხვები. **ხიმშიაშვილი** იყო ახალგაზრდა ოფიცერი, **ნამდვილი განსახიერება ქართველი რაინდის**. ამავე ზაფხულზედ დააპატიმრეს საჭამიას-სერზედ მცხოვრები **ჭკუასელი**; მას აღმოუჩინეს იარაღი, შვიდი ტყვიამფრქვეველი თავის მოწყობილობით კარგათაც შენახული. მას კითხეს რატომ ინახავდი ამ იარაღსო. მან უპასუხა:– მე ვარ ქართველი ჯარის-კაცი და როდესაც ეს იარაღი დასჭირდებოდა საქართველოს, მაშვინ მოვიხმარდიო. ამავე დროს ჩოჩხათში დააპატიმრეს ჩვენი ძველი გვარდიელი **შალვა ტუღუში.** მას უნახეს რამოდენიმე თოფი, თავის ვაზნებით. მანც ესევე უპასუხა. ეს ორთავე ერთად დახვრიტეს. ხალხი ინახავს იარაღს, მიდის ჩეკა და ეუბნება, რომ შენ გაქვს თოფი და მოიტანეო, ის უარს ეუბნება. მაშვინ ჩეკას გამზადებული აქვს ხელ-წერილი,

რომ თოფი თუ აღმოჩნდა, ის იხვრიტება. მას ხელს აწერინებენ ამ ხელ-წერილზედ; შეიქმნება ჩხრეკა და თუ ვერ ნახეს, ხომ კარგი და თუ ნახეს, იმას ხელათ ხვრეტენ. აი, ამ გვარ და ასეთ გაჭივრებულ მდგომარეობაში ხალხი ინახავს იარაღს. და უცდის დროს, რომ საჭიროების დროს მოიხმაროს.

რეპრესიები როგორც შენელდა, ჩვენები შეუდგენ დანგრეულ ორგანიზაციების აღდგენას; ეს მალე იქმნა აღდგენილი. ამავე დროს **სეით დევდარიანმა** დაიწყო „კომუნისტში" თავის წერილების წერა. სეითი სოც.-დემ. პარტიის ცეკას თავმჯდომარე იყო. ამან ჩვენ შეგვაწუხა და **სარდიონ მენაღარიშვილმა** მისწერა წერილი ცეკას, თუ რაშია საქმე, რომ სეითი ამ წერილებს სწერსო. მიიღო პასუხი სეითმა, დველში გამოიწვია კომუნისტის რედაქციაო. რას იზამ. ამ დღეებში სეითი ჩავარდა და მან უკვე ჩეკიდან იწყო წერილების წერა, ეხლა სხვა ჰანგზედ. **სარდიონი გადაიყვანეს ცეკაში.** პარტიული ორგანიზაციები ყოველგან მოწყვა. და მასთან მივიღეთ წინადადება დაგვეწყო სამხედრო . . . ..(არ არის სრული ტექსტი).

მას მიწერ-მოწერა ქონდა ცენტრთან და ხშირათ მე ვეხმარებოდი შიფრტის გახსნაში. ის არ იყო კმაყოფილი, რომ ცენტრი იგვიანებდა და არ ჩქაროდა აჯანყებას. ის ამბობდა:- ბოლოს მოსწყინდება ამ ხალხს ამდენი ლოდინი და ჩაიქნევს ხელსო. ბოლოს გადასწყვიტა, რომ უნდა წავიდე ცენტრშიო. დავაჩქარო აჯანყებაო და ივნისში წავიდა. ჩვენ გვინდოდა რომელიმე ჩვენი ამხანაგი გაყოლოდა პირადათ; მე უთხარი, წამოვალ-თქვა: მან სთქვა, თქვენ აქ ხართ საჭირო, იქაც იშოვნება ხალხიო. ამ დროს **ბენია** ჩავარდა; **ვალიკოს** აქ ყოფნის დროს გამოდიან ჩვენები **ხიდის-თავიდან** ამხ. **სერგო მათითაიშვილი, სიმონიკა გოგიბერიძე** და **ცინცაძე.** ვალიკოს ვეღარ მოუსწრო გურიის კომიტეტის თავმჯდომარემ **გიორგი სალუქვაძემ** და გურიის შეიარაღებული რაზმის უმფროსმა **ვანო ცომაიამ.** ვალიკო წასული დარჩა, როდესაც ესენი მოვიდენ, ჩვენ შეუდექით მუშაობას; დავაწყვეთ ყოველივე და ამხანაგები წავიდენ თავ-თავის რაიონში. გიორგი და ვანო ჩავიდენ თავის რაიონში და იქ ორთავე ერთად ჩავარდენ. გურიის კომიტეტის თავმჯდომარეთ მოწვეულ იქმნა **ბენია კვაჭაძე.** ამ დროს ვალიკოც ჩავარდა თბილისში. მას მოყვა მისი წერილები, რამაც აუცილებლად დიდათ იმოქმედა საქმეზედ. **ბენია კვაჭაძემ** ჩაიბარა საქმეები და შეუდგა მუშაობას. ამ დროს ჩამოდის ცეკას რწმუნებული გურიაში ამხ. **კალე ქავთარაძე.**

ჩვენ მოვიყარეთ თავი: თვითონ **კალე ქავთარაძე, ბენია კვაჭაძე, თეოფილე მუხაშავრია, ნიკიტა იმნაიშვილი, შიო ქურიძე, კოლია სარაბიძე, ქრისტიფორე იმნაიშვილი, სოლომონ ქანთარია** და მე.

კალემ გააკეთა მოხსენება ცეკას დავალებით. ჩვენ ჩვენი ვსთქვით. აზრთა გაცვლა გამოცვ-ლის შემდეგ დავადგინეთ, რომ გაიგზავნოს კაცი ცეკაში და ეთხოვოს ცეკას, რომ **აჯანყება იქმ-ნას გადადებული არა მოკლე ხნით, არამეთ კარგა მოშორებით**, ვინაიდგან ისეთი მდგომარეობა არის: ერთი, რომ ამხანაგები ჩავარდენ, საქმე გაიხსნა და აჯანყება განწირულია. ამ ამბის ჩატანა დაევალა **ნიკიტა იმნაიშვილს** ცეკაში სასწრაფოდ. ნიკიტა წავიდა, მან მოიტანა ამბავი:-თქვენ თქვენი მოვალეობა აასრულეთ, თორემ ჩვენ ჩამოვალთ იქ და გაგანთავისუფლებთო. ნეტავ ასთეც მომხდარიყო. 1924 წლის 26 აგვისტოს მე და ქრისტიფორე ვართ ერთ ადგილას. ძალიან ავათ გავხდი, ქეც გამაცივა და გამაცხელა. საღამოს წავედით და ვინახულეთ თეოფილე და კოლია მოვიდა კიდეც. აქ უკვე წერილი მიღებული იყო, რომ აჯანყება დანიშნულია 28-29 აგვისტოს დილით 3 საათზედ. ჩვენ სასწრაფოდ მოვილაპარაკეთ და მე მომიწია **სუფსაში**

წასვლა. ისინი ყველა დარჩა **ლანჩხუთში.** მე წავედი სუფსაში. სუფსის რაიონში შედიოდა შემდეგი თემები. 1. სუფსა 2. **ჩოჩხათი** 3. **მიქელ-გაბრიელი** 4. **მაღლა ჯუმათი** 5. **ნიგვზიანი** 6. **ჯურუყვეთი**. 7. **ნინოშვილის თემი.**

მე გავეცი ჩვენი რწმუნებულების საშვალებით ბრძანება, რომ გამოეყოთ რაიონისათვის ხალხი და 24 აგვისტოს გამთენიეს ყველა თემებში დაწყებულიყო კომუნისტების ჭერა. ეს ასეც მოხდა; ჩვენთან მოვიდენ ყველა თემებიდგან შეიარაღებული ბიჭები. მე გავაკეთე ცოტა მოხსენება და უთხარი, რაც ვიცოდი. და მასთან ერთად დაუმატე, რომ ცეკა გვთხოვს, რომ ვერიდოთ ზედმეტ სისხლის დაქცევას. ამაზედ **ბენია ტუღუშმა** ირონიით მითხრა: აბა, ჩვენ ბოლშევიკებს კამპეტი ვესროლოთ და ისინი ტყვიას დაგვიშენენო. ეს **ბენია** იყო ამ რაიონის შეიარაღებული ძალის უმფროსი. მერმეთ ჩვენი დამარცხებისა, ჩეკისტების მიერ იქნა მოკ-ლული.

ჩვენ დაუახლოვდით სუფსას. აქ ცოტა შევისვენეთ და სწორეთ დანიშნულ დროს დავეცით. **ნახევარ საათში ავიღეთ სუფსა; ამავე დროს აიღეს ჯუმათის სადგურიც** იქ დარჩენილმა ბიჭებმა. სადგურში ვარ ტელეფონთან; **ფოთიდან** დაილაპარაკა ვიღაცამ რუსულად და იკითხა ვინ არის სადგურშიო. მე უპასუხე, ვინც ვიყავი. ერთი რუსულად მაგრათ შემიკურთხა და დამექადნა კიდეც.

კავშირი გავაბი **ლანჩხუთთან** ტელეფონით. ლანჩხუთის სადგურში უკვე ჩვენებია. ეხლა მოვინდომე **ნატანებთან** კავშირი, მაგრამ აღარ შეიძლება. აქ აღმოჩდენ ჩეკისტები, ისინიც ძალიანს მექადნიან. ნატანებიდან ერთმა ვიღაცამ მოასწრო ტელეგრაფით ჩვენთვინ ეცნობებია ყოველივე და გვითხრა, რო აქ უკვე რუსის ჯარი თავის ბრონევიკით არისო. ერთხელ კიდევ მოასწრო-სუფსისკენ წამოვიდენო ბრონევიკი ჯარითო. ჩვენ მივიღეთ სასწრაფო ზომები. აგვე-ფეთქებია **სამწმინდას** ხიდი. გაიგზავნა ერთი რაზმი. ისინმა, რაც შეიძლება და რაც ხელსაწყო ქონდათ, გააფუჭეს ხიდი. აქედან ფოთი გვექადნის, აქაც საჭიროა ზომების მიღება. გაიგზავნა აქაც რაზმი. **გრიგოლეთს** იყო რამოდენიმე ცხენოსანი რუსები, ისინი გაიქცენ ფოთში. დღის 12 საათზედ ჩემთან არის ერთი ტელეგრაფისტი სუფსის სადგურის და იმის შემწეობით გავიგე, რომ **ბათომიდგან** თბილისამდე მხოლოდ აღებულია ოთხი სადგური. **1. სუფსა 2. ჯუმათი 3. ლანჩხუთი 4. ნიგოითი.** სხვა ყველა მტრის ხელში აღმოჩნდა. ჩემთვინ გარკვეული ამბავი იყო, რომ აჯანყება წაგებულია. მტერმა შამოუტია **სამ-წმინდას**; ჩვენებმა უკან დაიხია. მტერმა შეუდგა ხიდის გაკეთებას და საღამოს 7 საათზედ გამოვიდენ ხიდზედ. 8 საათზედ უკვე მოგვადგენ სუფსას. აქედან ფოთიდანაც გამოვიდა ფეხოსანი ჯარი. ჩვენ უკან დავიხიეთ; დავწვით გზაში ორი პატარა ხიდი. მეორე დილას **ჯუმათიდან** უძახი ლანჩხუთს ტელეფონით; იქიდან გამომეძახენ, რომ ჩვენები წავიდენ **აცანისაკენო.** მაგრამ მერმეთ გავიგე, რომ ვითომ თავს იყრიდენ **ნაგომარში** და აქედან აპირებდენ შეტევას. ჩვენ დავმარცხდით. დამარცხდდა ის დიდი საქმე, რომელსაც ქვია სიმართლე! **ქართველ ერს სურდა თავისუფლება და დამარცხდა. გაიმარჯვა უსამართლობამ.** განა ეს ახალია?! ეს ამბავი ძველია, რაც ქვეყანა გაჩენილა, მერმეთ ასთე მოდის. **მის ხელშია სამართალი, ვისაც მკლავი უჭრის**.

დამარცხდა საქართველო, აღზრდილი **სირბისტრო ჯიბლაძის, ისიდორე რამიშვილის, კარლო ჩხეიძის, ნოე ჟორდანიას** და სხვების, ათასების. სისხლის გუბე დადგა ყოველგან მთელ საქართველოში. რამოდენიმე ათასი კაცი გამოასალმეს წუთისოფელს. დამარცხდა კეთილი საქმე, გაიმარჯვა ბოროტებამ, სადაც დღესაც მძვინვარებს. ჩვენ ვერ ვქენით ის, რაც მტერმა

ჩაიდინა. **ჩვენ მორალზედ აღზრდილი ხალხი ვიყავით.** ჩემის აზრით, ჩვენ ბევრი შეცდომა ჩავიდინეთ. ბოლშევიკები ვერ დავაფასეთ ისთე, როგორც საჭირო იყო; ვერ მივიღეთ საჭირო ზომები მათ წინააღმდეგ. აი, ერთი ნიმუში ჩვენი შეცდომის. ხიდის-თავში მოკლეს რამოდენიმე ლანჩხუთლები. მათ შორის ჩემი ქოჩორა **აკაკი ჭეიშვილი.** ის იყო 8 კლასის გიმნაზიის მოწაფე, ობლად აღზრდილი, საწყალი დედა-მისის მიერ. მამა ადრე დაეკარგა. საწყალმა დედა-მისმა **ხიდისთავიდან** ჩამოასვენა და დანიშნა ტირილი. მე ლანჩხუთში ვარ; გაიგო და შემომითვალა: დღეს მაქვ ჩემი შვილის აკაკის ქორწილი და ტირილი, უნდა დაესწრო რამენაირათო. მე შევწუხდი, როგორ მივიდე, ერთი, რომ გაიგოს მთლად დაიღუპება ყველაფერი, მაგრამ არ ქმნა:- ერთ ოთახში დაგაწყვმტევ და იქიდან უყურე. მეც გამთენიეს მივედი და ჩავჟედი ოთახში. 8 საათი დილის რომ იწყო ხალხმა დენა. საიდან არ მოდის; კუბო გაიტანეს გარეთ. არა სჩანს ჩვენი ახალ-გაზრდობა. ესენი ზოგი დაჭერილია და ზოგიც სადღაც იმალებიან. არიან უმეტესობა ქალები, ყველა ისეთები, რომლის შვილები ან ძმები ანდა ქმრები დახოცეს. არიან მოხუცებული მამაკაცები, რომლის შეხედვა კაცს შეგაწუხებს. არიან დაფიქრებულნი, ენას არ იღებენ. შეიქმნა ტირილი; ვაი, იმისთანა დღეს, მე რომ დამადგა. აქ ყველა ჩემს წინ გადაიშალა ჩვენი ამხანაგები, ისინი იქ სტირიან, მე აქ მარტო ოთახში ვსტირი. ამ დროს ოთახში შემოდის **კოლია მენაღარიშვილი**. ვიტირეთ ორთავემ, მეტი იარაღი ჩვენ ხელთ არ იყო. ის გადარჩა შემთხვევით, ზესტაფონში იყო ურმით წასული ღვინიზა და ვერ მიიღო მონაწილეობა აჯანყებაში.

უკვე საღამოა, 7 საათი; მკვდრის გასვენება არ მოხერხდა; ძლივს მოხუცებლებმა ააგლიჯეს კუბო ქალებს და მიცვალებული გაასვენეს. ჩემს წინ დევს „კომუნისტი“ გაზეთი; ვათვალიერებ დახოცილთა სიას. ბევრი ნაცნობი ჩემი და მეგობრები, ვინც ციხეში იყო, დახოცილია. ვაი, ჩემ დღეს! ერთი ამოვიკვნესე? ჩვენში იყო ასეთი შეხედულობა იდეური და არა იდეური ბოლშევიკი. იდეურ ბოლშევიკათ თვლიდენ ყველა იმას, ვისაც ხელმძღვანელობა, შეეძლო არა იდეურათ იყო ისინი, ვინც ფეხის ხმას აყვა; ვინც წერა არ იცოდა და კითხვა, ისინი ისჯებოდა- ვისაც ცოდნა ქონდა, ის თავისუფალი იყო. ჩვენს დამოუკიდებლობის დროს არც ერთი ბოლშევიკი ხელძღვანელთაგანი არ დასჯილა. ყველა ცოტა ხანს რაღაც სიმბოლიურათ გააჩერებდენ ციხეში, და მერმეთ გაუშვებდენ.

ჩვენ ვერ ვქენით ის, რაც რაც უნდა გვექმნა, ყველა ის ვინც ხელმძღვანელობას წევდა, ისინი უნდა დაგვესაჯა. ტყვილა კი არ უთქვამს ლენინს- საქართველო დავიპყარითო,- მან იკითხა, რა იქმნა **ჟორდანიაო**. მას უთხრეს **ჟორდანია** წავიდა საძღვარ- გარეთ. მაშვინ მან სთქვა:- **თქვენ საქართველო არ დაგიპყრიათ, მხოლოდ კუდი შეგრჩენიათ ხელშიო.** მან იცოდა ჩვენი პარტიის ძველი ისტორია და ფიქრობდა, რომ ესენმა დაიწყოს ძველებურათ მუშაობა, მე აქაც დამიფრთხობენ ძილსო. **ომი და მორალი ერთად არ თავსდება. მგლის თავზედ სახარება არ იკითხება.** ჩვენს პარტიას ყავდა იმდენი არსენა ჯორჯიაშვილები, რომ ისინსთვის საშვალება მიგვეცა, თვით ბოლშევიკების პაპსაც აუტეხდა საღერღელს. **მაგრამ დაიხოცენ გულზედ ხელდაკრეფილები მხოლოდ იმის ძახილში:- გაუმარჯოს თავისუფალ საქართველოსო** და დაიხოცენ მგზავსათ ძველი დროის მოწამეებისა. ამ თემაზედ არ ვიტყოდი არაფერს, რომ დღესაც არ გრძელდებოდეს ეს პოლიტიკა ემიგრაციაში. აბა, შეხედეთ ჩვენს დამოკიდებულე- ბას ჩვენ ჩიტირეკია მემარჯვნეებთან. ამაზედ მერმეთ.

მოვიყარეთ თავი თეოფილემ, ნიკიტამ და მე და ვსთქვით, რა ვქნათ? ნიკიტას დავალებუ- ლი ქონდა კავშირის გამბა საქართველოს სოციალ-დემოკრატიულ ცენტრთან. მან ეს შესძლო

და ცენტრიდან მოვიდა წერილი, რომ ყველა შეიარაღებულ ჩვენ ამხანაგებს წინადადება ეძლევა დასტოვონ საქართველოს ტერიტორია და წავიდენ საძღვარ-გარეთო. ნიკიტას კი სთხოვდენ დარჩენას.

ნიკიტა დარჩა; თეოფილემ და მე გავაბით კავშირი **ჯამულეთ ღლონტთან** და გავედით ოზურგეთის რაიონში. აქ მოვიყარეთ თავი და წავედით **ქობულეთის** რაიონში. აქ გავიცანი **ისკანდერ მეგრელიძე.** მოვიყარეთ ყველამ თავი, ვისაც წასვლა უნდოდა საძღვარ-გარეთ: 1. **თეოფილე მუხაშავრია, 2. აკაკი ვადაჭკორია 3. ფილიპე შარაძე 4. ალფესი ხომერიკი. 5. ჯამულეთ ღლონტი 6. დიომიდე კვერღელიძე 7. ნახევრად გაგიჟებული ჭანუყვაძე** და 8. მე. ჭანუყვაძემ რამდენი ყანყლი ასტეხა გზაში, ვინ იცის. გავემგზავრეთ საძღვარ-გარეთ. გავედით ოსმალეთში. იქ კიდევ შეგვხდენ ქართველები ოთხი კაცი 1**. პავლე ვაშაძე 2. სიმონ ჩიკვილაძე 3. დარსაველიძე და 4. ჭიჭინაძე**. ოსმალეთში **ხოფაში** შეგვხდა **ბესარიონ ჟღენტი,** აქ კი **გოგი-ტაურათ** წოდებული. ბესარიონი მე გამაცნო **ბიკტორ ჭედიამ** 1919 წელს **ბათომში.**

ხოფიდან წავედით პარახოდით **სტამბოლში**. იქ დაბლა არ ჩამოგვიშვეს; პირ და პირ საფ-რანგეთის გემზედ დავსხედით. ჩვენთან მოვიდენ **კოწია გვარჯალაძე, დათიკო შარაშიძე** და **ვასო წულაძე.** აქედან გავემგზავრეთ საფრანგეთში. **მარსელში** მივედით 10 იანვარს 1925 წლისა. აქ იწყება

ემიგრაცია.

მარსელში დავათვალიერე ხალხი და ვერ დავრჩი კმაყოფილი. წამოსულან ისეთები, რომლებსაც უთხრეს და გაიგეს: საძღვარ-გარეთ ჩვენი მთავრობა ფლავს არიგებსო. ესენი უმფრო ღელავენ, ჯავრობენ, რისთვის არ არის აქ ჩვენი მთავრობის წარმომადგენელიო. რას იზამ ამ უცხო ქვეყანაში: ენა შენ არ იცი და გზა. ამ დროს ჩამოდის **ჭიჭიკო ასათიანი,** ჩვენ საელჩოს მდივანი. ამან წაგვიყვანა „დუს“ დეპარტამენტში, ერთ პატარა ქალაქ **ოდენკურში.** აქ იყო ავტომობილის ქარხანა „**პეჟო**“ და მოვეწყვეთ სამუშაოდ.

მე ძალიან ავათ ვარ, ციებ-ცხელება მაქვს. დამიწყო საქართველოში, აჯანყების წინ და აქაც მომყვა. ძალიან დასუსტებული ვარ. ძლივს მოვირჩინე თავი; აქ კიდევ 4 თვე ვწამლობდი. ჭიჭიკო წავიდა. ჩვენები მუშაობენ; მე ხან გამოშვებით ვმუშაობ, რადგან ყოველ მეორე დღეს; მაცივებს და არ მაძლევს საშვალებას.

ამავე დროს ჩამოდიან **ჩოლოყაშვილის** რაზმელები. უნდა ვთქვა, რომ ვერ დატოვა მაგენმა კარგი შთაბეჭდილება. სრულიად უვიცები, მხოლოდ ჩხუბი და აყალ-მაყალია მათი საქმე. ჩვენშიაც გამოვიდა სცენაზედ ზოგიერთი ენა მყრალები, მაგალითად, **ბოცვაძ**ე. შეიქმნა ერთი ალიაქოთი. ამავე დროს ჩამოდის თვითონ **ჩოლოყაშვილი** თავის ამქრებით, თანხლებით. აქ, საფრანგეთში, დიდი პროპაგანდა იყო გაწეული საქართველოს აჯანყების შესახებ პრესაში. ფრანგებმა მოაწყვეს ჩვენი დახოცილების პანაშვიდი კატოლიკურ ეკლესიაში. **ჩოლოყაშვილი გასაღებულია როგორც აჯანყების ხელმძღვანელი.** ჩამოვიდა და მივიდა თავის ბიჭებთან; გამართეს ქეიფი და ცეკვა. იცეკვა თვითონ ჩოლოყაშვილმა. ჩვენ არ დაგვისწრეს, ვინაიდგან მან ასთე ინება და არც გვინახავს, ესთე წავიდა. ამ დღიდან დავკარგეთ ფრანგებში ავტორიტეტი. **ჯერ სისხლი არ გამშრალიყო საქართველოში და მისი ხელმძღვანელი კაფე-კაფე ცეკვავდა.** აქ აშკარად გამოირკვა ჩოლოყაშვილის მტრული განწყობილება ჩვენდამი. **ეს მოცეკვარი კაცი საქართველოში ხომ ჩვენებმა გაზარდეს და გამოიყვანეს ეროვნულ გმირად.** ნათქვამია „შენს გამზდელსო,“ ასთეც ქმნა ჩოლოყაშვილმა.

გადის დრო; საქართველოდან გამოვიდა **სარდიონ მენაღარიშვილი.** მერმეთ ჩვენი **ნიკიტა იმნაიშვილი**-მას ახლავს **კოლია თაყაიშვილი** და **ისკანდერ მეგრელიძე.** საქართველოში უარესი მდგომარეობაა, ვინემ ჩვენ დავტოვეთ.

კარლო ჩხეიძემ თავი მოიკლა. ეს ამბავი ძლიერ სამწუხარო შეიქმნა. თავი მოიკლა იმ კაცმა, რომელმაც თავის სიცოცხლე შესწირა საქართველოს კეთილ-დღეობას. წავიდა ეს კეთილი ადამიანი. მან ვერ გაუძლო იმ მძიმე მდგომარეობას, რომელიც საქართველოში იყო. მისი აღზრდილი ბიჭები ბევრი დაიხვრიტა და ბევრიც გადასახლება-ციხეებშია გამოწყვდეული.

ჩვენ ვცხოვრობთ ერთ-ნაირათ; ხან და ხან იმართება კრებები და თავდება აყალ-მაყალით. აქ სცენაზედ გამოდის **პატარიძე**. ის იძახის, მე ვარ, რაც ვარ. მე ვარ ნაციონალურ-დემოკრა-ტიული პარტიის წარმომადგენელი და ყველა ჯგუფების-შეფიცულების, უპარტიოების და სხვაო. უნდა დაგიპყროთ მენშევიკებიო. აქ ამ მხეც ხალხს ეს ამბავი მართალი ეგონა., მათ მეტი არ იციან ასტეხენ ჩხუბს ყინყლს და არის ერთი ხლაფორთი.

ერთ დღეს დაარტყეს **სერგო მათითაიშვილს.** ეს ჩვენებმა ვერ მოითმინეს და ატყდა ერთი .უშვოლებელი ჩხუბი ეს ამბავი თითქმის სამ დღეს გაგრძელდა. ერთ კვირა დღეს მოცვინდენ ბარაკში. იქ ვცხოვრობდით. ისინი ბევრი კერძო ბინებზედ ცხოვრობდენ. ასტეხეს ჩხუბი. არ დაინდვეს საწყალი ცალ-ხელი **ლუკა ურუშაძე.** იმასაც სცემეს. ერთ თვეს იწვა საწყალი ლუკა ლოგინზედ, ისთე ძლიერ გალახული იყო. ბოლოს იხმარა იარაღი ვინმე სისხლისდამნაშავე **მაისურაძემ** და მოკლა ორი კაცი-მოხუცი 72 წლის **ეფრემ ქარცივაძე,** რომელიც დარბოდა და ყვიროდა:- რას შვრებით, რატომ არ გრცხვენიათ ამისო და მეორე-**გიორგი დოლიძე,** ესეც დარბოდა ჩვენებში და ყველას აჩერებდა. და აი, ასთე სამარცხვინოთ წავიდა ჩვენი საქმე. ჩაერია პოლიცია და მაისურაძე დააპატიმრეს, და შეფიცულები საფრანგეთის პოლიციამ გააძევა ადმინისტრატიულად აქედან. უნდა ითქვას რომ ესენი ხომ იყვნენ და იყვნენ გამხეცებული ხალხი, მაგრამ ვერც ჩვენ დავრჩით თავის სიმაღლეზედ. ვერ ავიცდინეთ ეს სამარცხვინო ამბავი. როგორც წინათ ვთქვი, ჩვენშიაც აღმოჩნდა ენა მყრალი ხალხი. საქმე კი არაფერი შეეძლოთ. მერმეთ გამოირკვა, რომ ერთი ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის ლიდერ-თაგანი **ვეშაპელი** თურმე ბოლშევიკებთან მუშაობდა. მან მერმეთ სააშკარაოზედ გამოვიდა და გამოსცა გაზეთი **„ახალი საქართველო“. ვეშაპელი** მოკლეს. მოგვწყინდა ოდენკურში და მოვილაპარაკეთ რამოდენიმე კაცმა, რომ წავიდეთ მამულში სამუშაოდ. წავედით, აქაც ვერ ვქენით ხეირი. წავედით ტყეში; ერთხან აქ ვიმუშავეთ. დავბრუნდი ესევ ოდენკურში. გზაში გავიარე **პარიზში**. ვინახულე ჩვენი ამხანაგები: პირველათ **ნიკიტა.** ნიკიტამ წამიყვანა და მანახვა **სარდიონ მენაღარიშვილი.** სარდიონს შეუმოკლებია თავის სახელ და გვარი უძახიან **სანდრო მენაღარს.**

სანდრო აურჩევიათ საძღვარ-გარეთელ ბიუროს პრეზიდიუმის წევრათ. ეს ძალიან კარგია. ეს ახალ-გაზრდა კაცი **ნოე ჟორდანიას** და **ნოე რამიშვილის** გვერდით უმფრო მეტს გამოცდილებას შეიძენს.

ჩავედი ოდენკურში. იგივე ამბავი, იგივე ყაყანი, უიმედობა სუფევს. ძნელია ასეთი აუტანელი ცხოვრება. მაგრამ რას იქ. მე პირადათ ძალიან ვწუხვარ. მთლად უიმედობას მივეცი თავი. ამან გამოიწვია სიზარმაცე, არც ენა ვისწავლე, არც რაიმე სხვა ხეირიანი. და ვცხოვრობ ასთე. ერთ დღეს ბიბლიოთეკის შენობაში ვართ. ბევრი ამხანაგები მახსოვს: **ლადო ბაქრაძემ** წამოაგდო ჯაყოს ხიზნებზედ ლაპარაკი, შეგვექმნა მსჯელობა. ლადო ძალიან ასურათებს

ჯაყოს: ის ამბობს, ეს ნამდვილი საამდროვო მხატვრული აღწერილობაო. მაგრამ როდესაც მიდგება თეიმურაზედ და მარგოზედ საქმე, აქ კი ის ვერ ინელებს, ეს როგორ ქმნა **ჯავახიშვილმა**, რომ ქართველი ინტელიგენცია და ქართველი ქალი ასთე გალანძღაო. ამ დროს შემოდის **ალფესი ხომერიკი** და კითხულობს:- რაა ჯაყოო. **მირიან ბარამიძემ** უთხრა, ჯაყო კაცის სახელიაო. იკითხა ვინ იყო ჯაყოო. მე უთხარი ნამდვილი ჯაყო შენ ხარ ალფეს-თქვა. მოუვიდა გული და წავიდა. საღამოს ცოტა დაელია და შამოვიდა კანტინის შენობაში და მომადგა გინებით: დედაც არ დამიტოვა საფლავში. წამომესარჩლა თეოფილე, იმასაც შეუ-კურთხა და წავიდა. 1929 წლის დამლევს ოდენკურში ჩამოდის **ჭანუყვაძე**. ის აქ თითქმის დიდ უმრავლესობას არ ელაპარაკება. ეს ქმნის ერთნაირ გაუგებრობას და უხერხულობას. მე ველაპარაკები და მივედი მასთან, ვკითხე ამბავი. მან მითხრა:- მე ვმუშაობდი პარიზში, მაგრამ აქ წამოვედი იმისათვის, რომ ამ ხალხის ჯინი მაქვსო. ჩემთან არიან **ზოსიმე ჯორბენაძე** და **ლევან ჩარკვიანი.** ჩვენ სამივე სოციალ-დემოკრატიული პარტიის კომიტეტის წევრები ვართ. შენ ხომ იცი, აქ ასეთი წესია, ვინც მოვა, ის ჯერ უნდა მივიდეს საზოგადოების გამგეობაში, მას უნდა სთხოვოს სამუშაოზედ მოწყობა. გამგეობის თავმჯდომარე **ბაქრაძე** წავა ქარხანაში და ის დაგიდგება თავდებათ და ქარხანა მერმეთ მიგიღებს. ესთე ქარხანა არავის არ ღებულობს ქართველს, იმის მერმეთ, რაც უბედურობა მოგვიხდა. მან გამგეობა და მისი თავმჯდომარე ფეხებზედ დაიკიდა, ადგა და წავიდა. ერთ დღეს შედის ბაქრაძე ქარხანაში, მას დირექტორი ეუბნება: დღეს ერთი ქართველი მივიღეთ, გვარათ **ჭანუყვაძე**, ხომ არ გაქვთ რაიმე საწინააღმდეგოო. ბაქრაძე ეუბნება: საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, მაგრამ თავდებათ ვერ ვიქნებიო. ეს უთხრა და გათავდა; დირეკტორისათვის გასაგები იყო ეს და მან ჭანუყვაძე დაითხოვა. ჭანუყვაძემ დაიწყო ქადნება, სადღაც გაქრა.

რამოდენიმე დღის შემდეგ, ჩამოდის სტუმრათ **ნოე რამიშვილი.** ის დარჩა რამოდენიმე დღე. საიდგანაც გაჩდა ჭანუყვაძე. გვიჩივლა რამიშვილთან, რომ ესენმა გამომაგდეს სამუ-შაოდანო. რამიშვილმა დაამშვიდა, ბევრი ელაპარაკა, მერმეთ ადგა ჭანუყვაძე და უთხრა: რა ვქნა ერთი კაპეიკი ჯიბეში არა მაქვს, სად წავიდეო. მოგვიბრუნდა რამიშვილი მე და **ზოსიმე ჯორბენაძეს** და გვითხრა მაგრათ:- წადით ეხლა თქვენ გამგეობაში და გამოართვით ფულიო. ჩვენ წავედით, უთხარით გამგეობას, რაშიც იყო საქმე და გამოვართვით ხუთასი ფრანკი და მივუტანე რამიშვილს. მან გამომართვა, დაითვალა ეს ფული, ეცოტავა და მითხრა: შენ გექნება შენი ფული და ამოიღე. სწორეთ სამას ფრანკი მქონდა. ის ამოვიღე და მივეცი რამიშვილს. ეიღო ეს რვაასი ფრანკი და მისცა ჭანუყვაძეს: წადი პარიზში, მოძებნე სამუშაო. იქ სამუშაო იშოვნებაო; მეც ჩამოვალ, დაგეხმარები სამუშაოს მონახვაში. ჭანუყვაძემ მადლობა გადაუხადა მას და წავიდა. ეხლა ჩვენ მოგვიბრუნდა რამიშვილი და ტყავი გაგვაძრო: ასთე კაცის მოძულება როგორ შეიძლებაო. კრებაზედ დასვა ეს საკითხი და იქ ყველა სათითაოდ გაგვლანძღა. აი, ამ კაცმა მერმეთ **მოკლა რამიშვილი** და სასამართლოში განაცხადა, რომ მისთვინ მოვკალი ოდენკურში, სამუშაოდან გამომაგდოო. ჭანუყვაძეს მე ვიცნობდი 1919 წლ. ის ძალიან გაუტანელი კაცი იყო და მერმეთ შეპყრობილი რაღაცა მანიით. იტყოდა: რაა ჩვენი სიცოცხლე, მოკვდებით უსახელოთ; კაცმა რაიმე სახელი უნდა დასტოვოსო. სწორეთ ამ მანიამ მოაკვლია მას რამიშვილი.

მოკლეს რამიშვილი; რომ იტყვიან **ხე, რომ წაიქცევა, ცულიანი და უცულო ყველა თავზედ დაადგებაო,** ისთე მოხდა. ატყდა ყველა შინაური და გარეული. იფიქრეს ეხლა დადგა დროო.

გაჩდა ჩვენ პარტიაში ეგრედ-წოდებული ოპოზიცია. რამიშვილის დასაფლავებაზედ თითქმის ოდენკურიდან ყველა იყო. დასაფლავების შემდეგ რამოდენიმე კაცი დაგვიბარა **ნოე ჟორდანიამ.** ვიყავით შემდეგი პირები. **1. სერგო მათითაიშვილი 2. თეოფილე მუხაშავრია 3. კოლია ორაგველიძე 4. შიო ქურიძე 5. მირიან ბარამიძე 6. კოლია შარაბიძე 7. ვიყავ მე.** იქ დაგვხდენ **სანდრო მენაღარი** და **პავლე სარჯველაძე.** ნოემ გვითხრა:- ხომ ხედავთ, მოკლეს რამიშვილი და როგორ ატყდა ეს ხალხიო. ჩვენი პარტია არის ჩვეული, რომ როდესაც ზევით რაიმე გაუგებრობა მოხდებოდა, მუშები მაშვინ ჩვენ მოგვიწოდებდენ წესიერებისაკენო. თქვენც ასთე მოიქეცით, აიმაღლე ხმა და ყველას მოუწოდეთ წესიერებისაკენო. ბევრი ვილაპარაკეთ და ჩვენ წავედით ოდენკურში. ოდენკურიდან ყველა გადავიარეთ ოთხი- კილომეტრის მანძილზედ **ქ. სოშოში,** ვინაიდგან ქარხანამ აქ გადაიტანა თავის სამუშაო.

ჩვენ ჩავედით ჩვენ ალაგას. ნათქვამია, თაგვებმა თავი მოიყარეს და სთქვეს კატას ეჟვანი შევაბათო, მაგრამ შემბელი არ აღმოჩნდა. ესევე დაგვემართა ჩვენ და ეჟვნის შემბელად მიიჩნიეს **რუბენ ყიფიანი.** ამის წინააღმდეგ გავილაშქრე მე და თეოფილემ. მაგრამ არაფერი გაგვივდა; მოიწვიეს რუბენი. რუბენმა ჰყარა „კრაკადილის ცრემლები“, დავიღუპეთ, მოგვიკლეს რამიშვილიო. აქ დიდი ვაივაგლახის შემდეგ გადაიტანეს ეს საკითხი ორგანიზაციაში. იქ გაკეთდა მოხსენება მდგომარეობაზედ და გადასწყვიტეს, რომ მოხდეს შერიგება ოპოზიციას და პოზიციის ხელმძღვანელებს შორის ე.ი. **წერეთელ** და **ჟორდანიას** შორის.

და აირჩიეს დელეგაცია პარიზში წასასვლელად. ხუთი კაცი იქმნა არჩეული. 1. **სერგო მათითაიშვილი 2. კოლია ორაგველიძე 3. რუბენ ყიფიანი. 4. მირიან ბარამიძე 5. მირიან მელუა.** წავიდა დელეგაცია პარიზში, დაბრუნდა და გააკეთა მოხსენება, რომ გაკეთდა საქმე, შერიგდენ ჟორდანია და წერეთელიო. ჩვენც გაგვეხარდა, არ გვწყენია, მაგრამ არ აღმოჩდა მართალი ეს. ჟორდანიამ და წერეთელმა ნახეს ერთი-მეორე, სთქვეს მოვილაპარაკოთო; როდესაც შეუდგენ მოლაპარაკებას, აღმოჩდა აზრთა სხვა და სხვაობა და დაიშალენ.

დელეგაცია კიდევ ორჯელ წავიდა, მაგრამ არაფერი გამოვიდა. მერმეთ მოწვეული იქმნა საძღვარ-გარეთელ ორგანიზაციების კონფერენცია. ამ კონფერენციაზედ ოდენკურიდან წავიდენ შემდეგი პირები: 3 კაცი ოპოზიციიდან **1. სერგო მათითაიშვილი 2. კოლია ორაგველიძე 3. რუბენ ყიფიანი;** ორი კაცი პოზიციიდან **1. ზაქრო წულაძე, 2. შიო ქურიძე.** ავიდენ პარიზში და მოიყარეს თავი. ჟორდანიამ ცოტა შესავალი სიტყვა სთქვა. მას უთხრეს: შენ სიტყვას ნუ ამბობ, აგვირჩიე თავმჯდომარე და წაბრძანდიო. ჟორდანიამ აარჩევია თავმჯდომარე და წავიდა. ეს რა ქმნა ამ კაცმა, სთქვეს. ჩვენებმა უთხრეს, თქვენ ასთე უთხარით და იმანაც ისთე მოიქცა, როგორც უთხარითო. ბევრი ეცადეს, მაგრამ ჟორდანია არ დაბრუნდა. კონფერენცია დაიშალა უშედეგოთ. აქ უკვე გამოირკვა, ჩვენი ერთად ყოფნა შეუძლებელი დარჩა; და ჟორდანიას მომხრეებმა შეადგინეს ცალკე ორგანიზაცია. ისინმაც ცალკე.

ჩვენს პარტიას 1925 წლიდან ქონდა თავის ორგანო **„ბრძოლა“**. შემდეგ ეს ორგანო გადაკეთდა **„ბრძოლის ხმა“**-დ. ჩვენ მთავრობას ქონდა თავისი ორგანო **„დამოუკიდებელი საქართველო“**. ეს ჟურნალები გამოდიოდა თვეში ერთხელ, სანამ გერმანიამ არ დაიპყრო საფრანგეთი. ე.ი. 1940 წ. ივნისამდე. ოპოზიციამ გამოსცა თავის ორგანო **„სოციალისტური აზრი“.** კიდევ გამოდიოდა სხვა ჟურნალები: ნაციონალურ-დემოკრატიული პარტიის **„საქართველოს გუშაგი“, „სამშობლო“, „მამულიშვილი“, „კლდე“;** გამოდიოდა **„თეთრი გიორგი“;** ეგრეთ წოდებული ფაშისტების ორგანო - **„მომავალი“ „ქართლოსი“ „ორნატი“ „მუზარადი“** და სხვა. ესენმა

ყველამ ერთ ხმათ დაწყებული, „სოციალისტური აზრიდან“-გათავებული „მუზარადით“, ებრძოდა ჟორდანიას და მის მთავრობას. შემთხვევით თუ გაახსენდებოდა ბოლშევიკები, თვარა, აჰა, მტერი-აგერ ჟორდანიაო, ამბობდენ. ოპოზიციამ გამოსცა იმ კონფერენციის ანგარიში, რომელზედაც გვქონდა ლაპარაკი, და ვაი, სირცხვილო, სად უწერია ხელი **წერეთელ-არსენიძეს** და მის ამხანაგებს, **ნოზაძე-საღირაშვილთან** ერთად, ჟორდანიას წინააღმდეგ, სადაც ჟორდანიას არა დემოკრატობაზედ და არა სოციალისტობაზედ ლაპარაკობენ.

1934 წელს საფრანგეთში გააუქმეს ჩვენი საელჩო. ზეიმობს ბოლშევიკები-გაჰკივის **არსენიძე-კედია**: მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყოო. საფრანგეთის მთავრობამ დაარსა ქართული „ოფისი“ და ესენმა ასტეხეს ყიჟინა, ჩვენ უნდა ვიყოთ პატრონი ამ „ოფისისო“, რა მოხელეა **ჩხენკელი** და **ჟორდანიაო**. მაგრამ აქაც არაფერი გამოუვიდათ.

მერმეთ გაჩდა საიდღანაც გაზეთი **„კავკასია**“. ეს ორგანო გამოდიოდა რამოდენიმე ენაზედ: ქართულად, რუსულად, ფრანგულათ, გერმანულათ, კიდევ სხვა. ეს ორგანო დააარსა ვიღაც მთიელმა **ბამანტმა**. აქაც გაჩნდენ ქართველი კალმოსნები: პროფ. **ავალიშვილი, ამირეჯიბი, გენლი კვინიტაძე** და სხვები; რას სწერდენ და რას; **სირცხვილია, კაცმა რომ ეს წაიკითოს.** გაჩნდენ ოს-თის უფასო ვექილებათ. ოს-თი არ იყო დაინტერესებული საკითხით, რომელზედაც ესენი სწერდენ. ამ საკითხზედ კითხვა წამომდგარიყო, **ოს-თს**[1] ერჩია ისიც გაჩუმებულიყო და სხვებიც. ვინაიდგან კარგი ლუკმა ქონდათ გადაყლაპული და იმის მონელება უნდოდათ. მაგრამ ესენმა ასტეხა კორიანტელი და ისიც არ იყაბულეს, რაც დღეს ქონდათ ოს-თს კიდევ საჭიროა მათვინ და მიეცეს **ბათუმიო.**

ყველა ეს ორგანოები, რომელიც მე ჩამოვთვალე, ნორმალურმა ადამიანმა რომ გადიკითხოს, იტყვის:– ეს ვინ ყოფილან! თავისუფალ საფრანგეთში კი არა, საგიჟეში ყოფილანო, იტყვის. ამ რიგათ მივედით 1939 წლის სეკტემბრამდე. დაიწყო ომი; რუსეთმა დასდო მეგობრობის პაკტი გერმანიასან; ამით გერმანიას ეძლეოდა საშვალება, რომ თავისი განძრახვები სისრულეში მოეყვანა. მან თავს დაესხა პოლონეთს. ინგლისმა და საფრანგეთმა ომი გამოუცხადეს გერმანიას პოლონეთის საკითხზედ და ატყდა ომი. საფრანგეთმა ამ ომს უწოდა ერთა-განმათავისუფლებელი ომი. სად უნდა ყოფილიყო ქართველები და ამაზედ **ნოე ჟორდანიამ** გამოსცა თავისი ცნობილი დეკლარაცია - **„ჩვენ იქ ვართ, სადაც არის თავისუფლებაო“** და სხვა. გერმანიამ სძლია პოლონეთი. უკინდამიდან პოლონეთს მოადგა რუსეთი. მოხდა პოლონეთის მესამე გაყოფა: ერთი ნაწილი გერმანიამ წაიღო, მეორე ნაწილი კი რუსეთმა. მერმეთ გერმანიამ თავს დაესხა დანიას და ნორვეგიას და აიღო ისინი. ამავე დროს რუსეთმა თავს დაესხა ფილიანდიას. ამ გმირმა ხალხმა ბრძოლაში სიკვდილი არჩია. შეიქმნა ომი უსწორო; უშველებელი რუსეთი და პატარა ფილიანდია. აქ გამეორდა ცნობილი კრილოვის არაკი, „მნე ხოჩეტსა კუშატ“; რუსეთმა მოინდომა ფილიანდის შეჭმა, მაგრამ ძვირი დაუჯდა. ყველა თავისუფალ მოაზროვნე ადამიანში როგორ იწვევდა ზიზღს რუსეთისადმი. 1940 წლ. დასაწყისში მოხდა ერთა ლიგის სხდომა ჟენევაში. როგორი გაკიცხვა გამოუტანეს რუსეთს და ერთა ლიგიდან გააგდეს.

ამავე დროს იტალიამ თავს დაესხა პატარა საბერძნეთს. ესენმა კინაღამ კისერი მოსტეხეს იტალიელებს, მაგრამ აქ მოუსწრო გერმანიამ. ჯერ ეიღო იუგოსლავია და მიადგა ბერძნებს და

[1] ოს-თს – ოსმალეთის (შ.ფ.).

სძლია ის. ფილანდიამ და საბერძნეთმა ამ ომში გამოიჩინეს დიდი გმირობა. **1940 წლის გაზამხულზედ გერმანიამ თავს დაესხა გოლანდიას და ბელგიას, ლუქსემბურგს**. ბელგიამ საფ-რანგეთს სთხოვა დახმარება. გერმანიამ სძლია ყველა ესენი და მოადგა **საფრანგეთს. საფრანგეთი ძლეულ იქმნა და გერმანიამ შამოვიდა შიგ.** ჩვენთან გერმანიის ჯარი მოვიდა 17 ივნისს. საშინელ **სამარცხვინოთ დამარცხდდა ფრანგების ჯარი.** მე მოწამე ვარ, როგორ გარბოდა ფრანგების ორი დივიზია. აქ იყო პოლონეთის ერთი დივიზია და ისინმა როგორ მისცეს ბრძოლა და გავიდენ შვეიცარიაში. როგორც ამბობდენ, ფრანგების ოფიცრობაში ბლო-მათ იყო ეგრეთ-წოდებული „კაგულიარები“, ჯარის კაცები კი, ნაწილი „კომუნისტები“. გერმა-ნიამ რომ პარიზს დაუახლოვდა, იტალიამ ომი გამოუცხადა საფრანგეთს.

კომუნისტები დიდ პროპაგანდას ეწეოდენ ომის წინააღმდეგ, აქებდენ სტალინის ბრძნულ პოლიტიკას, რომ მან შესძლო გერმანიასან საერთო ენის გამონახვა. ქარხანაში დილას რომ მიხვალ, დაგვხვდება კომუნისტების პროკლამაცია ხშირად, სადაც მოუწოდებდენ მუშებს არ ემუშავათ კაპიტალისტებისათვინ, ვინაიდგან ისინი იყვნენ ამ ომის დამნაშვენი და სხვა. ბოლოში ყველას ეწერა–გაუმარჯოს **სტალინს** და მის ბრძნულ პოლოტიკასო. და აი, ამან გამოიწვია საფრანგეთის დამარცხება. შემოვიდა გერმანია საფრანგეთში. უმუშევრობა არის და მუშებს უწოდებენ გერმანიაში წასვლას. პარიზიდან მოვიდა ცნობა, რომ გერმანელებმა დაატუსაღეს **სანდრო მენაღარიო** და იყვნენ ჟორდანიასანო. სანდრო იჟდა რამოდენიმე თვეს ციხეში.

საიდგანაც **მიშა კედიამ** ამოყო თავი და გერმანელებთან დაიჭირა კავშირი. ამუშავდა ყველა ბნელი ძალები. ამბობდენ ეხლა დადგა ჩვენი დროო. უნდა ითქვას, რომ მიშა კედიას სხვაზედ უკეთესად ეჭირა თავი. ეს ბოლომდის მიიყვანა. რამდენადაც შეეძლო, ეხმარება ყველას განურჩევლად. გერმანიამ სცადა „ლამანშზედ“ გადასვლა, მაგრამ ამაოდ. ქართველები ბევრი წავიდენ გერმანიაში სამუშაოდ, მაგრამ როგორც ემჩნევა ვერ არიან კმაყოფილი. მე ძალიან მძიმე სამუშევარზედ ვარ, მაგრამ არ მინდა წავიდე გერმანიაში. წავიდენ ბევრი ჩემი ამხანაგები; იქიდან იწერებიან წერილს.

მიდის დრო. ერთ საღამოს ვზივართ რამოდენიმე ამხანაგები და ვუსმენთ რადიოს. მოუსმინეთ **მოსკოვს**. მოსკოვი ამბობს, რომ ინგლისის პლუტოკრატიას სურს ჩვენს და გერმანელებს შორის ჩამოაგდოს კონფლიქტიო, მაგრამ ამაოდ; ჩვენ და გერმანელებს შორის სამუდამო შეთანხმება გვაქვსო. ღამის 11 საათზედ დავიშალეთ და წავედი დასაწოლად.

მეორე დღეს გათენდა, კვირა დილაა 22 ივნისი 1941 წ. 8 საათი იქნებოდა. მომადგა **ვალო-დია დოლიძე:** ადე, კაცო, ახალი ამბავია, **გერმანიამ ამ დილის 4 საათზე რუსეთს თავს დაესხა**. მე ტყვილი მეგონა; ერთი ქეც გავჯავრდი, მაგრამ ჩემი დიასახლისი გამოვიდა და იმანაც დამიდასტურა. წავედით, მოვიყარეთ თავი, შევქენით ერთი ყაყანი; რა მოხდა, როგორ მოხდა. ოთხშაბათს ჩამოდის ერთი მეგობარი პარიზიდან და ის მეუბნება ამბავს: მიშა კედიამ მოეწყო გერმანელებთან და ქართველები, ვისაც შუძლია, ყველა მიდისო და გადმომცა ერთი მეგობრის პატარა ბარათი. აქედან პარიზში წავიდე, საჭიროა ნებართვა; ესთე წასვლა არ შეიძლება და თუ გამომიგზავნიან, წამოვალ და ჩემ მეგობარს მივსწერე პატარა ბარათი. შაბათს, 28 ივნისს, ჩამოდის **შოთა ბერეჟანი.** იმან მომიტანა ნებართვა. ორშაბათს 30 ივნის ავიღე ანგარიში ქარხანაში. და საღამოს 8 საათზედ გავემგზავრე. 1 ივლისს 9 საათზედ უკვე პარიზში ვიყავ; ვინახულე ამხანაგები და წავედი უმფროს პასუხის-მგებელ პირთან. ისინის აზრი მინდოდა. იქ

მითხრეს, რომ თუ შეგიძლია და წახვალ, კარგს იზამო. ჩვენც მოვიყარეთ თავი და წავედით. პარიზში გვითხრეს, რომ ვენაში მოვლენ პოლკოვნიკი **ვალიკო თევზაძე** და **კოტე იმნაძეო,** რამოდენიმე პოლონეთის ქართველი ოფიცერით. ეს ძალიან გვესიამოვნა.

ჩავედით **ვენაში**. აქ ჩამოვიდენ ზემოხსენებული ოფიცრები. ვნახეთ ერთი-მეორე, ვისაუბ-რეთ. **კოტე იმნაძე** ჩემი ბავშობის ამხანაგია და არ მინახავს აგერ 11 წელია. აქ ჩვენ გამოგვიც-ვალეს ეროვნება, სახელ და გვარი. **მე ვიყავ ფრანგი ქ. „მეტციდან ალბერტ ურახი“.** აქ ჩვენმა მემარჯვნეებმა ასტეხეს ერთი აურ-ზაური, რომ დაინახეს თევზაძე და იმნაძე, რომ აქ კიდევ მენშევიკები იქმნებიან უმფროსებადო და გერმანელებთანაც გაანცხადეს. თევზაძემ აწარმოვა მოლაპარაკება გერმანელებთან და უთხრა, რომ აქ თუ ქართული ნაწილი დგება, მე უნდა ვიყო უმფროსი, ვინაიდგან კანონით მე მეკუთვნისო. თუ ეს ასთე არ არის, მაშვინ მე აქ არაფერი საქმე მაქვსო. ამ მოლაპარაკებით ჩავედით ბუხარესტში, რუმინიაში და **თევზაძემ** მიიღო პასუხი, რომ აქ არის გერმანული ნაწილი, მოხალისეებათ ქართველებიო. მან უპასუხა: მე აქ დარჩენა არ შემიძლია და ისინი გაუშვენ-**თევზაძე, იმნაძე** და **კვალიაშვილი**. დავრჩით ჩვენ. აქ არიან კიდევ ორი ოფიცერი-**ნამუაშვილი** და **ხუნდაძე.** ესენი არიან გერმ. შტაბთან. დაიწყო ჩვენი სამხედრო მეცადინეობა. ქართველი ოფიცრები ჩააყენეს რიგებში. თავს გვადგია გერმანელი ეფრეიტორები ანდა ფოლთვებელი „რიხტერი“.

ვალიკო ინწკირველმა სთქვა:- მე აქ არაფერი საქმე მაქვს, მეც უნდა წავიდეო. ის იყო ჩვენი საძღვარ-გარეთელ ბიუროს წარმომადგენელი აქ და იმან ავათმყოფობით და მასთან რამოდე-ნიმე კაცმა გაბრუნდენ უკან. ამავე დროს ჩამოდის მეორე ჯგუფი ქართველების. ამას ჩამოყვა **პავლე სარჯველაძე.** ცოტა ხანს შემდეგ წავედით სამაცადინოთ. ერთ პატარა ქალაქში ოდაპეტ-ში. აქ თავი მოვიყარეთ ორთავე ჯგუფმა ერთ კომპანიაში. კომპანია გაიყო სამ ჯგუფათ. მე გაკვირვებული დავრჩი, როდესაც გავეცანი ამ ხალხს და ესენი ვნახე. სად იყო და საიდან მოვი-დენ ესენი. ბევრს ვიცნობდი, ბევრი აქ გავიცანი. ვინ გინდა, აქ არ არის: „თეთრ გიორგელები“, ქართველი „მონარხისტები“, ყოფილი „თავად აზნაურობა“, რომლებიც ელიან გერმანიის გამარჯვებით თავის პრივილეგიების აღდგენას, ჟურნალ **„კავკასიელები“**

„ნაციონალ-დემოკრატები“, ყოფილი სოც. ფედერალისტები და ჩვენ სოც.-დემოკრატები, ყველა ესენი, გარდა ჩვენისა, ნაც.-სოციალისტობენ, მაგრამ ერთი-მეორეს არ ცნობენ, იძახიან მე ვარ, რაც ვარ, ისინი არაფერი არის. **მიდიან გერმანელებთან, ერთი-მეორეს ასმენენ.** ერთ დღეს გერმანელებმა დაურიგა ვითომ ჩვენ მეთაურებს რაღაცა ნიშნები თითო ძაფი, ფიქტიური ეფრეიტორობა. ამაზედ მე ვიხუმრე, რომ გერმანელები უმფრო სკუპოი ყოფილა, ვინემ რუსები. ჩვენს თავად-აზნაურობას ძველათ რუსები პრაპორჩიკობას მაინც აძლევდენ და გერმანელები ეფრეიტორობას ძლივს იმეტებენ. ეს ამბავი ხელათ მივიდა გერმანელებთან, მენშევიკები ასეთ პრავაკაციას ეწევიანო. ეს მე ვსთქვი, რა შვაში იყო მენშევიკები. ჩვენი ამხანაგები ერთ ჯგუფში ვართ **უმეტესობა-პავლე სარჯველაძე, აკაკი კვეტაიშვილი, ერასტო მაჭავარიანი, ვარდენ ჩიკაშუა** და სხვები. პავლეს უთხარი, რომ აქ არ არის ამდენი ჩვენი ამხანაგები საჭირო და ზოგიერთებმა წავიდეს უკან, უკეთესია. მე გადავწყვიდე დარჩენა. მხოლოდ პავლემ განაცხადა სურვილი უკან წასვლის. დანარჩენებმა ჩვენებმა აქ ქმნეს: – ეგება გერმანელები ქეც ჩავიდეს საქართველოში და ესენს მარტო გაშვება ყოვლად შეუძლებელიაო. პავლე წავიდა. ესენს რა ქმნას, თვარა ჩვენი აქ დარჩენა არ უნდათ. ერთ დღეს ვზივართ ერთ ცაცხვის ძირში ბლომად ხალხი. სიცხეა აქ. **სოლიკო ზალდასტანიშვილმა** წამოაგდო ამბავი. სოლიკო იყო ქართულ

ჯარში პოლკოვნიკი. ამდენი ხანია მე საძღვარ-გარეთ ვარ და არც ერთ სახელმწიფოს ასთე ნათლად არ დაუყენებია საქართველოს საკითხი, როგორც გერმანიასო. ამაზედ მე უთხარი, რომ თუ **შენ სადმე მანახვებ დაწერილს გერმანელების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენას, მე მადლობას გეტყვი-თქვა.** მან მიპასუხა: აი, მაგალითად, ჩვენ რომ ვართ, ეს არ არის ცნობაო. მე უთხარი, რომ ამ საქმეს არაფერი საერთო არ აქვს საქართველოსთან; ეს ნაწილი არის გერმანიის ჯარის; ჩვენ ვართ უცხო მოხალისენი. მაგალითად, შენ ხარ ისპანიელი, გვარათ **სალდარი** და ვინიცობაა მოკვდე, მოკვდები როგორც ისპანიელი. მე ენამ მიყივლა, საწყალი სოლიკო ქეც მოკვდა რამოდენიმე ხანს შემდეგ. უნდა ითქვას, რომ მთელ ამ ხალხში ერთად-ერთი კაცი იყო პატიოსანი ადამიანი. ეს ამბავი მიიტანეს გერმანელებთან. ჩვენი კომპანიიის უმფროსი იყო ობერ-ლეიტენანტი **კლამერი**. მან დამიბარა. თარჯიმნათ იყო ბორჩალოელი გერმანელი, რომელმაც იცოდა რუსული; მან მითხრა ეს ამბავი. აქ ვერ ვივარებ, რადგან საჯაროთ ვსთქვი და უთხარი, რომ კი ვსთქვი და მართლიც არის თქვა. იმან გაიცინა და მითხრა: – ეს ყველაფერი მართალია, რაც გითქვამს, მაგრამ თქვენს ქართველებს მოსდის გულიო. ამით გათავდა.

ერთ დღეს გვესტუმრენ **ნამუაშვილი** და **ხუნდაძე**. ნამუაშვილმა გააკეთა მოხსენება; მას ქონდა ერთნაირი შეხედულება და აზრი გერმანელებთან მუშაობის. ასთე არა უშავდა, რომ ეს გასულიყო და სთქვა მან, თქვენ უნდა დამიჭიროთ მხარიო. მე წავალ ბერლინში და იქ მოვე-ლაპარაკები შტაბსო. ამ მოლაპარაკებაზედ ყველა არ ყოფილა შერჩეული. იყო რამოდენიმე კაცი, როდესაც მან სთქვა წასვლაზედ. აქ სოლიკომ ხელი მოუწერა ჩვენ მაგიერ და უთხრა, ეს შენი დებულება თუ არ მიიღო გერმანელებმაო, მე პირადათ აქედან წავალო.

ნამუაშვილი და ხუნდაძე წავიდენ. ნამუაშვილი იყო **ბერლინში** და დაბრუნდა **ბუხარესტ-ში**. იქიდან მე და **აკაკი კვეტაიშვილმა** მივიღეთ ხუნდაძის წერილი, სადაც ის გვწერდა, რომ ნამუაშვილი დაბრუნდა ბერლინიდან და მოიტანა შემდეგი ამბავი. შენ ხომ არ გაგიჟდი, უთხრეს მას შტაბში, ჩვენ ლიტვა, ლატვა და ესტონია არ ვიცანით, ისინმა თავის ძალით შესძლეს ბოლშევიკების განდევნა თავის ტერიტორიიდანო და შექმნეს მთავრობაო. ეს მთავრო-ბა ჩვენ დავატუსაღეთ და თქვენ ვინ მოგცემს რამესო. აი, ასეთი აზრი მოიტანა ნამუაშვილმაო, გვწერდა ხუნდაძე. ნამუაშვილმა სოლიკოს მოსწერა წერილი ცოტა უმფრო დიპლომატიურიო. მე ვკითხე სოლიკოს: თუ მიიღე ნამუაშვილის წერილი-თქვა. მან მითხრა, მივიღეო. მაგრამ ეხლა სხვა წერილიც მივიღე და ვჩერდებიო.

ერთ დღეს მოდის ჩვენთან ჩვენი კომპანიის უმფროსი და სთქვა, რომ ბევრი ქართველი ტყვეებია და ჩვენ უნდა გავაგზავნოთ რამოდენიმე კაცი პრაპაგანდისტები. შეარჩიეს ისეთები, რომ ისინის მისვლა ტყვეებთან პირდაპირ პრავაკაცია იყო. მაგრამ რას იზამ. ისინი წავიდა ტყვეებთან, ჩვენ წავედით **ქ. ბრაზოვში.** მოვიდა ტყვეებიდან კაცი და მოიტანა ამბავი, რომ პირ და პირ ვერ წარმოიდგენ, ეს ტყვეები როგორი უვიცები არიანო. არც საქართველოს დამოუკი-დებლობა იციან, არც სხვა რამეო, ვინ იყო ნოე ჟორდანია, ან სხვები. არაფერი ამის არ იციანო. ჩვენ შევწუხდით, მაგრამ რას იზამ. თურმე ნუ იტყვით, ესენმა დაუწყეს ლაპარაკი სხვა და სხვა ამბები და ისინმაც ენა გაკმინდეს. ეს მერმეთ გამოირკვა, ეს რა ხალხი მოვიდა, ვინ არიან, შეშინდენ. მერმეთ მოვიდა უმფროსი და სთქვა:- ვინაიდგან მდგომარეობა ძალიან ცუდია, აქ ტყვეები მოვიყვანოთ და უმფრო ხნიერი ხალხი გავანთავისუფლოდ. ქართველმა უმფროსებმა შეიმუშავეს სია და გადასცეს გერმანელებს. გერმანელებმა დახედეს ამ სიას და გაუკვირდათ,

ისეთები არიან დასახელებული ამ სიაში, რომლებიც ახალ-გაზრდებიც არიან და მასთან ვარგებული ბიჭები, როგორც **ვარდენ ჩიკაშუა, აფრასიონ ხვედელიანი, გიგო ჟორდანია** და სხვები. გამოიყვანეს კომპანია და თითო-თითოდ ჰკითხეს ამ ახალ-გაზრდებს, თქვენ გინდათ წასვლაო. ესენს გაუკვირდა, რომ ჩვენ არ გვითხოვია წასვლა და ვინ შეგვიტანა სიაშიო. მაშვინ გერმანელებმა თვითონ შეარჩიეს, მაგრამ ზოგიერთი გავლენა მაინც მოხდა. ისინი კი ერთი-მეორეს აბრალებდენ, არა იმან ქმნა, არა მეო. მე წავედი პარიზში.

15 დეკემბერს უკვე პარიზში ვარ.

ვიკტორ ხომერიკმა და **ბაგრატ ჭანტურიამ** მოახერხეს ტყვეებთან წასვლა. გერმანიიდგან ბევრი იყვნენ ქართველები ტყვეებთან და ესევე ამბავი მოიტანეს, როგორც **რუმინიაში**. ამბობენ, რომ უვიცებია, არაფრის ცოდნა არ აქვთო. გავიდა ხანი და ჩამოვიდა **ვიკტორ ხომერიკი**, რომელმაც მომიტანა წერილი ერთი ჩემი ბავშობის ამხანაგის შვილის. ვნახე ვიკტორი, რომელსაც ვკითხე, როგორი შთაბეჭდილების ხარ-თქვა. მან პირ და პირ აქო ყველანი, დიდი უმრავლესობა საუკეთესო ბიჭებიაო. აი, მაგალითად, ეს ყმაწვილი რომ ნახო, ძალიან გაგიხარდებაო. მე გავხსენი წერილი და წავიკითხე: **დათიკო სანდროს-ძე ფირცხალაიშვილი.** მე პატარა დავტოვე 7-8 წლის, გაზრდილა, დავაჟკაცებულა. წერილის სტილი მოგეწონება; ვისაც წავაკითხე, ყველამ მოიწონა. მერმეთ მასთან იყვნენ **ვარდენი, გიგო** და სხვები ერთად ჯარში. ისინი რომ ვნახე, ძალიანს აქებენ. მერმეთ მეც ვნახე **სტავროპოლში,** მეც მომეწონა, კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. არ გამართლდა ჩვენი მემარჯვნეების დიაგნოზი საერთოდ.

ერთ დღეს **სანდრო მენაღარმა** მითხრა, რომ შესაძლებელია რამოდენიმე კაცი გავგზავნოთ ტყვეებთან სამუშაოდ, რას იზამო, მეც დავეთანხმე. **ვალიკო ინწკირველი, ტარასი წულაძე, ფილიპე შარაძე** და მე გავემგზავრეთ ბერლინში. იქ დაგვხდა **მიშა კედია.** იმან წაგვიყვანა ბინაზედ; 25 აპრილი იყო 1942 წ. თვენახევარი დავრჩით ბერლინში. ჩვენმა მემარჯვნეებმა დაიწყეს ჯავრობა: რა ხალხი ჩამოვიდა, აგენს რაუნდა აქო. ასთე ეგონათ, ბერლინი მათი იყო; ეხლა აღარც გერმანელების არის.

მერმეთ წავედით **კრიმში** 10 ივნისს და ჩავედით 15 ივნისს ღამის 12 საათზედ **„სიმფერეპოლში“**. აქ ვნახე ჩემი ბავშობის მეგობარი **აპალონ ორაგველიძე** და მასთან, ძველი ამხანაგი გორის შტაბის ყოფილი წევრი **სერგო ხუბულავა.** ესენი, პირველად რომ ეტაფი გაიგზავნა გადასახლებულების საქართველოდან რუსეთში, იქიდან არიან. ათი წელი დაყვეს სხვა და სხვა ლაგერებში და ბოლოს ნება მისცეს კრიმში ცხოვრების. აქ ჩარჩენ გერმანელები, რომ შემოვიდენ. აქ კიდევ ყოფილან რამოდენიმე ქართველები, მაგრამ ისინი დაატუსაღეს და წაიყვანეს. ესენი გადამალულან. ესენმა ბევრი იმუშავეს ტყვეებთან, მაგრამ არაფერი გამოვიდა საერთოდ. 16 ივნისს, დილით, ვინახულე ქართველი ტყვეები; ბევრი ვისაუბრეთ არა უშავს წამხდარ დროზედ. აქვენ საღი წარმოდგენა მდგომარეობაზედ. აპოლონი ხშირათ ღელავს; მასზედ უმოქმედია ბევრ ტანჯვა-წვალებას, სერგო კი ისევ მაგრათ არის. ბევრი ვიმუშავეთ, რაც შესაძლებელი იყო და ნებას გვაძლევდა გერმანიის სარდლობა. უნდა ითქვას, რომ ჩვენ შინაურ საქმეში არ ერეოდენ: რაც გინდა, ის სთქვი, მხოლოდ ნუ წაახდენ საქმეს შენ წინდაუხ-ვედოლობით. ასე რამოდენიმე კაცი, ასი კაცი-გაუშვით გერმანიაში. ესენი, რამდენადაც შესაძ-ლებელია, დაზღვეულია. მერმეთ აპალონს უთხრა ჩვენმა უმფროსმა გერმანელმა, რომ წადი ბერლინში, ინახულე ქართველები და იქიდან გააკეთეთ საქმე, რომ უკეთესად მოაწყოთ ტყვეე-

ბის საქმეო. მე მეტი არ შემიძლია და თუ ზევიდან მომივა ბრძანება, მაშვინ დიდი სიამოვ-ნებითო. ჩვენ ვიცოდით ბერლინის ამბები, მაგრამ აპალონმა ეს ჩვენი ემიგრანტული ამბები ხომ არ იცის. ჩვენ ფრთხილად უთხარით ის, რაც ხდება ემიგრაციაში. მან გადადვა თავი და წავიდა ბერლინში.

ჩვენ აქედან წავედით **ტაგანროგში**; იქ დავრჩით რამოდენიმე დღე და აქედან **სტავროპოლ-ში** ჩავედით. სტავროპოლიდან ვალიკო და ტარასი წავიდა „**ნოვოგიერვსკში**“. მე და ფილიპე რამოდენიმე დღის შემდეგ წავედით **პიატიგორსკში**. აქ ჩამოიარა ქართველმა ლეგიონერებმა და ისინი გაემგზავრენ ფრონტზედ.

ერთ ლეგიონში არიან ემიგრანტები ჩვენი ამხანაგები: **აკაკი კვიტაიშვილი, ვიკტორ ხომე-რიკი, ვარდენ ჩიკაშუა, გიგო ჟორდანია** და სხვები. ერთ დღეს შემთხვევით შევხდი **ირაკლი კალანდარიშვილს.** ისიც ჩვენებთან არის. ლეგიონში ავათ გამხდარიყო და მიდის **კისლა-ვოდკაში**. მან მელაპარაკა, როგორ არიან ბიჭები, რა ხდება ფრონტზედ და სხვა. მთხოვა, ეგება მოახერხო კისლავოდკაში ჩამოსვლა და მინახულეო. გავიდა რამოდენიმე დღე და ფილიპეს და მე გვითხრეს:– წადით რამოდენიმე დღე დასასვენებლად კისლავოდსკიდან დაშორებით 4-5 კილომეტრის მანძილზედო. ჩვენ დავბრუნდით პიატიგორსკში. აქ ბლომად იყრის თავს ყველა ქართველები–ეს თავისუფალი ხალხი, თუ ლეგიონერები, თუ ტყვეები. ერთ დღეს დამიძახეს, მიველ და ვნახე ორი კაცი გერმანულ ფორმაში. ესენი არ გავს გერმანელებს. ერთმა მომასწრო და მითხრა, თქვენ ბრძანდებით **ურუშაძეო**. ხო თქვა, მე უთხარი, თქვენ კი ვინ ბრძანდებით?- მე გახლავარ **გივი გაბლიანი;** ეს მეორე კაცი ბორჩალოელი გერმანელია, რუსული კარგათ იცის; ვისაუბრეთ; კარგი შთაბეჭდილება დასტოვა. მერმეთ ორ-სამჯერ შევხდი. სტავროპოლიდან მოვიდა ამბავი, რომ ჩამოვიდენ ემიგრანტები კავკასიელები და ქართველები: **გენ-ლი ჭავჭავაძე ალექსანდრე ასათიანი** და სხვებიო. რაშია საქმე, არ ვიცით. მერმე გამოგვიძახეს ფილიპეს და მე; წავედით. იქ დაგვხდენ საერთოდ კავკასიელები- **მთიულები, სომხები, ადერბეიჯანლები** და **ქართველები**. **მიშა კედია** ყოფილა და წასულა. ვიკითხეთ, რაშია საქმე. ისინმა სთქვა, უნდა შემდგარიყო კავკასიის დივიზია: ეს საქმე ბერლინში მოვაწყვეთო და აქ რომ ჩამოვედით ადგილზედ, ნება არ დაგვრთესო, მიშა გაბრუნდა უკანო.

აქ არის ქართველების ორი ჯგუფი; კეთდება მოხსენებები. ჩვენთან ესენი შეჩვეულია; ისინი რომ ჩამოვიდენ, მაშინვე იგრძვნეს, ესენი სულ სხვა ხალხი მოვიდაო.

აკეთებს ხშირათ მოხსენებას **ალექსანდრე ასათიანი.** ბიჭები კრინტს არ ძრავს. მე გამიკვირ-და ესენის საქციელი; ჩვენთან ყოველივეს ლაპარაკობენ, ეხლა გაჩუმებული არიან. ერთ დღეს მარტო ვიყავ ესენთან; მაშვინ ვიკითხე:– რაშია საქმე, რომ გაკმენდთ ხმას, არაფერს ამბობთ. აქ ერთი ახალგაზრდა **ლეჟავა** არის ინჟინერი და მასთან, განსხვავდება ყველასაგან. იმან მომიგო, ჩვენ ალექსანდრეს ვიცნობთ, ქ. **აუშტეკში** ვნახეთ, ის ვიცით, რა კაცია, ამიტომ გვირჩევნია გაჩუმებაო. რაც შეეხება თქვენ ოთხ კაცს, აგერ 6 თვეა გაგიცანით და ვიცით, ვინც ხართო. ესენი გვიან გავიცანით; ჯერ გავშინჯავთ, თუ მოგვეწონა, ხომ კარგი, თუ არა, სჯობს გაჩუმებაო.

ერთ დღეს ბიჭებთან ვზივარ ფეჩთან; სიცივეა; ჩემთან მოვიდა ერთი **მათგანი-იოსებ კობია-შვილი**, კახელი გლეხი, მეცხვარე, ესთე საწყალი კაცი; უსწავლელი, ქართული წერა-კითხვა ძლივს იცის. ჩუმათ მეუბნება:- ბ-ნო ავთანდილ, ერთი ეს მითხარი, რომ ამბობენ საქართველოში **მეფობა** უნდა შემოვიდესო, ეს კარგი იქნება, თუ არა? ბიჭებმა გაიგონეს და უკან შამოგვადგენ ჩუმათ. აქვე არის **ვალიკო ინწკირველი.** მე განუმარტე, რომ „მეფობა“ კარგია და

მოვიყვანე ინგლისის მაგალითი. ვხედავ, რომ ჩემს იოსებას არ მოსწონს, მაგრამ რა ქმნას. მერმეთ მკითხა: –შენ რომ ამბობ, ეს ყველაფერი კარგია, მაგრამ ერთი ის მითხარი, ვინ უნდა დარჩეს **მეფედო**. მე უპასუხე:– **მეფობა**“მე მინდა-თქვა. მაშვინ მიმიხდა და მეცა კისერში, ეხლა კი მივხდი, შენ რომ ხუმრობდიო. ეს ხალხი, ვინც ამას ამბობს, გიჟები უნდა იყვესო. რამდენი ბრძოლა და სისხლი იყო საჭირო, ეს ძველი ნაშთები, როგორც მეფობის და ისთე თავად-აზნაურობის, რომ ამოვარდნილიყო ჩვენში და ეხლა კიდევ ეს რომ დაბრუნდეს, მშვიდობით საქართველოო. იქ ხალხი ამას არ მიიღებს, ეს სთქვა და გაჩერდა. ამ დროს ატყდა უკანიდან სიცილი და ხარხარი:- ვაშა იოსებ!– უძახიან. ცოტა ხანს მერმეთ ჩამოდის აპალონი.

იანვარში 1943 წლისა უკვე მოხდა გერმანელების უკან დახევა. ჩვენ უკან წამოვედით. რაც მე იქ ვნახე, ეს აღარ შეიძლება, რომ კაცმა დაიჯეროს; მაგრამ ვიტყვი ცოტას. გერმანელების ჯარი, უკან დახეული, არაფრათ ვარგებულა. ისეთი დეზორგანიზაცია იყო, აღარ შეიძლება, კაცმა დაიჯეროს. მერმეთ მარადიორობა, რომელიც მინახავს რუსის ჯარში 1918 წელს. ვერაფერი ვერ უყვეს, იმდენი ნაცარცვი ქონდათ თითო ჯარის კაცს. **ქართული ლეგიონერები ჩავარდენ რკალში რუსების მიერ;** გაარღვიეს რკალი და გამოვიდენ. მოდიან ჯგუფ-ჯგუფათ, ძალიან ყინვებია. მე წავედი, ეგება ვინმე ნაცნობი ვნახო და ვნახე **ვიკტორ ხომერიკი**. მან მითხრა:– ძალიან ცუდი ამბავი მოგვივიდაო.

ემიგრანტები ყველა გამოვიდენ. ვიკტორი წავიყვანე ჩვენთან. აქ გავაცანი აპალონი. მეორე დღეს საღამოს ჩვენთან მოიყვანა **გივი გაბლიანი.** ის გაიცნეს ჩვენებმა. მესამე დღეს, საღამოს, ერთმა ჩვენმა ბიჭმა მოიყვანა ორი ახალგაზრდა; ერთი დარჩა **დათიკო ფირცხალაიშვილი**, რომელზედ წინათ მქონდა ლაპარაკი; ეხლა ვნახე, ძალიან მომეწონა, როგორც შეხედულობით, ისე თავაზიანობით. ყველა ამბობს, დიდი ვაჟკაციაო. ნაწილი ქართველების, ჩვენგან ადრე წამოვიდენ რამოდენიმე დღით. ჩვენ მერმეთ წამოვედით – აპოლონი, ვალიკო და მე. ჩვენი ჯგუფი ფეხით წამოვიდენ ემიგრანტებიდან. მათ გამოყვა **აფრასიონ ხვედელიანი** და **ფალიაშვილი**. ჩვენ ჩამოვედით **არმავირში**. აქედან მე და აპალონი კამიონით წავედით გერმანელებთან ერთად. ვის შეუძლია ამის აღწერა, რაც გზადაგზა ვნახეთ. 25 დღე დავსჭირდით **მელიტოპოლში** ჩამოსვლას; აქ ჩვენებს მოეყარა თავი და ჩვენც ბოლოს მოვედით. აპალონი წავიდა კრიმში, მე კი გამომიძახეს ბერლინიდგან და წავედი.

1 მარტს 1943 წლისა საღამოს ჩავედი ბერლინში. აქ ტელეფონით დაველაპარაკე **კოლია იმნაიშვილს** და შემპირდა, დილას მოვალო. ამ ღამეს მოხდა ბამბადიროვკა, ინგლისელებმა უქნეს ბერლინს; ეს პირველი იყო, რაც **ბერლინელებმა იგრძნეს, რომ ომი არსებობდა.** ისეთი სიძლიერით იყო ეს ამბავი, რომ მე გამიკვირდა; ბევრი მინახავს როგორც პარიზის დაბომბვა და სხვები, მაგრამ ასეთი სიძლიერე არაფერი მინახავს. გამოვყევი თავი და პირ და პირ სახლის თავებზედ გეგონებოდა კაცს, რომ დადიოდენ აეროპლანები. დილას მოვიდა კოლია და მითხრა:- აქ არიან **ევგენი გეგეჭკორი** და **სანდრო მენაღარი;** ეხლა მივდივარ შტაბში, უთხარი და საღამოს 5 საათზედ შევიპირე. ვნახეთ ერთი, მეორე და წავედით სანდროსან. სანდრო ამ საღამოს 10 საათზედ მიდის და მოკლეთ გამაცნო ის, რაც უნდა გაგვეკეთებია და მითხრა: ნახავ ევგენის და მიშას; ისინთან მოილაპარაკეო. მე ყოველივე ეს უთხარი ტარასისო. მეორე დღეს ვნახე ევგენი და მიშა, მოვილაპარაკეთ და შევთანხმდით, რომ 25 კაცამდის საიმედო ბიჭები, ვინც მე და ტარასი ვიტყვით, ისინს უნდა მოეყარა თავი ერთ ადგილას. მე რამოდენიმე დღის შემდეგ წავედი პარიზში. აქ ვინახულე ყველა ჩვენები, პასუხისმგებელი ამხანაგები; ტარასი და

მე დავბრუნდით ბერლინში. აქ კიდევ მოველაპარაკეთ მიშას, ევგენი არ დაგვხდა; წასულიყო **ფილიანდიაში** და რამოდენიმე დღის შემდეგ დაბრუნდა. შეუდექით საქმეს: ტყვეებიდან გამოვიწვიეთ **1. ბორის ლეჟავა 2. მიშა შათირიშვილი 3. გრიგოლ მეტრეველი 4. ირადიონ კაჭარავა 5. ვალერიან ნაცვლიშვილი 6. დათიკო კოსტავა** და სხვები. დათიკო კოსტავა იყო ძმა **შაბურა კოსტავასი**. შაბურას არ ყავდა 16 წელია ნახული, ბავში დატოვა და ეხლა დავაჟკაცებული არის.

ემიგრანტებიდან გამოვიწვიეთ შემდეგი პირები: **1. შაბურა კოსტავა 2. ალექსანდრე ტატიშვილი 3. სტეფანე კასრაძე 4. ისკანდერ მეგრელიძე 5. დიომიდე კვერღელიძე 6. გერმანე ბარამიძე 7. დათიკო ღუდუმიძე. 8. შოთა ბერეჟიანი**. ეს უნდა ითქვას, რომ შოთა ბერეჟიანი ჩვენ არ გამოგვიწვევია. ის მიშამ გამოგზავნა. შევწუხდით ამის მოსვლით, მაგრამ არაფერი გვითქვამს. მერმეთ გავიგეთ; წამოსვლის წინ შოთამ კითხა მიშას:–მე რავარ იქო? მიშამ უთხრა:- შენ ჩემი თვალი და ყური ხარო. ჩვენ წავედით **ბრესლავში**; აქ ძალიან თავისუფლებაა, არავინ გაწუხებს. ერთ დღეს დათვრა შოთა და სულ დედა გვაგინა:– თქვენ, მენშევიკებო, დაგვხრეტ ყველასო. ასთე ეგონა, რომ ეს ქვეყანა მისია. რამოდენიმე ყოფილი ტყვეები წაიყვანეს ბერლინში სამაცადინოთ და მათ გაყვა **გერმანე ბარამიძე.** საერთოდ ემიგრაციაში ისეთი გახშირებულია, რომ იტყვიან, განდიდების მანია. ის კაცი, რომელსაც სამი ბატი რომ მიაბარო საღამოს, ვერც ერთს მოიყვანს, დაებნევა, ამისთანა ხალხი ოცნებობს რაღაც დიქტატურაზედ. გაიხედა აქეთ **სტალინი** დიქტატორი, აგერ **გიტლერი, მუსოლინი, ფრანკო** და სხვები. ბევრს აეღერღა საღერღელი. რაა, ისინი თუ არიან, რატომ მე არ უნდა ვიყოვო. ასთე მსჯელობს ეს ხალხი. ერთი რომ შეუძახო მაგრათ, მაშვინ იკითხე მაგენის ამბავი. მე უძახი ამ ხალხს ჩიტირეკიას.

ეს ამბავი ჩვენს ზოგიერთ პარტიის წევრებსაც არ ასცილდა. აქაც არიან ზოგიერთები, რომლებიც აშკარათ თუ ვერა, გულში ფიქრობენ. ასთე დაემართა ჩვენ ტარასის.

ერთ დღეს აკეთებს მოხსენებას აჯანყებაზედ და სთქვა, რომ საქართველოს სოციალურ-დემოკრატიულ პარტიას აჯანყება სხვებმა მოახვიეს თავზედო. ერთმა სმენელთაგანმა მაშვინ მე მკითხა, რომ 1924 წელს შეეძლო რომელიმე სხვა პარტიას სოციალ - დემოკრატებისათვინ თავზედ მოეხვია ეს ამბავიო? ტარასიმ მე აღარ მაცალა და მან უპასუხა:– მე მაშვინ თბილისში ვიყავიო. მაშვინ შემკითხველმა უთხრა:- აგი ისთე გამოდის, რომ ქმარი ლაშქარს იყო და ცოლი ამბავს ეუბნებოდაო. მე ვკითხე ავთანდილს იმიტომ, რომ ის არის უშუალო მონაწილე ამ საქმეშიო და თბილისში ყოფნა ბევრს არაფერს ნიშნავსო. აქ ყველამ ვიგრძენით უხერხულობა და მერმეთ ზოგიერთებმა ჩვენებმა მითხრეს, რომ:– კაცო, რას შვრებით, სირცხვილია, უთხარი რაღაცა ტარასის, ნუ გამოვა ისეთ საკითხზედ, რომელიც არ იცისო. მივედით მე და გერმანემ; უთხარით ტარასის, რომ ასთე არ შეიძლება, წინასწარ დავამუშაოთ საკითხები და ვინ რა საკითხზედ ილაპარაკოს-თქვა. მან მიპასუხა:– მე არავის ვაძლევ პასუხს, რას ვილაპარაკებ და რას არაო. მე აქ ვარ **სანდრო მენაღარის** ადგილას და სხვას არ ვაძლევ ნებას, ჩემ საქმეში ჩაერიოსო. მე გამეცინა და უთხარი, რომ შენ გასულელებულხარ და მორჩა. ეს იმიტომ მოვიყვანე, რამდენეთად იყო ჩვენშიაც „განდიდების მანია“. იმას კი არ ფიქრობდა, შეეძლო თუ არა.

რამოდენიმე დღის შემდეგ მე და **ისკანდერი** გამოგვიძახეს ბერლინში და წავედით. აქ დაგვხდა **ვარდენ ჩიკაშუა.** ქე ვართ მერმე ბერლინში. აქ ჩამოდიან ბევრი ლეგიონერები, ვნახულობთ ისინს, ვსაუბრობთ. ერთ დღეს მოდის **გერმანე ბარამიძე** და მეუბნება, ვნახე ერთი

ჯგუფი ქართველების, რომლებთან საჭიროა მისვლა, თორემ პირ და პირ პრავაკაციას ეწევა **კერესელიძე** და **საღირაშვილიო.** ისინი ყოფილან, გაუკეთებიათ მოხსენება ფაშიზმზედ, მერმეთ ლეგიონერებს უკითხავთ:– სად არის **ნოე ჟორდანიაო;** ამაზედ **კერესელიძეს** უპასუ-ხია:– რას კითხულობთ, ის აგდია პარიზში. თქვენ ყველას კომუნისტებს გეძახით და ისინთან რა მაქვს საერთოო და რამდენი სხვა და სხვა ამბები. გერმანე პირდაპირ მისწრება იყო ხალხის აღმოჩენაში; არ ეზარებოდა, დღე და ღამე დარბოდა, სადაც კი მივიდოდა, დაანთებდა ცეცხლს. ამისთანა ათი კაცი რომ ყოფილიყო, იყო საჭირო. გერმანემ რომ ჯგუფი მითხრა, იქ წავედით. იყო ყველა ნაწილებიდან საპრაპაგანდო ჯგუფის მოსამზადებელი კურსები. ყოველ სამ თვეში იცვლებოდა შემადგენლობა, რჩებოდა კადრი. რომ მივედით, ის ამბავი რომელიც გერმანემ მითხრა, დადასტურდა. აქ იყო გამოყოფილი კადრი; ესენი მუდამ აქ რჩებოდა, რიცხვით 10 კაცი და სწავლობდენ ენას, უმაღლეს განათლებას; იყვნენ ყველა ეს ათი კაცი. ესენმა გვითხრეს:- ორი თვეა აქ ვართო, ჩვენ არ გვქონდაო დრო გავლა-გამოვლის ამ დენ-ხანს, ვინაიდგან დღე და ღამე ვმეცადინეობდით. აწი კი ცოტა გვექნება დროო. ამიტომ ვერ ვნახეთ ვერავინო. აქ გერმანელებმა მოიყვანეს **კერესელიძე** და **საღირაშვილიო**, რომლებზედაც ძალიან აგვიცრუვდა გულიო. მერმე-მე იქ ხშირათ ვიარებოდი და დრო გამოშვებით მიმყავდა ჩვენი ამხანაგები, **კოლია იმნაიშვილი** და სხვები. ერთ დღეს ბრესლავიდან ამოვიდა ტარასი და მეუბნება, რომ ბიჭებს მოსწყინდა იქ ყოფნა და ითხოვენ ადგილის გამოცვლასო. მე უთხარი, რომ რამ გადარიათ: ერთი, რომ ბრესლავი მშვენიერი სამყოფია, მეორე, რომ ბუდიდან ამოვარდები, მერმეთ ძნელია იქ ჩაჟდომათქვა. არ გაგიწყრეს ღმერთი, კედიას არ უთხრა ეს ამბავი მეთქი:– არაო, დამპირდა და წავიდა. მეორე დღეს უკან გაბრუნდა, ჩემთვინ არაფერი უთქვამს.

მოვიდა **გერმანე ბარამიძე** ჩემთან და მითხრა, რომ **ბრესლავში** უნდა დავბრუნდეთო. იქ შეუერთდებით ამხანაგებს და მერმეთ წავალთ რუსეთშიო; ეს გამოგვიცხადეს გერმანელებმაო. მე გავიქეცი კედიასან, ვნახე და ვკითხე, რომ რისთვის აგზავნით ამ ხალხს რუსეთში, რა საქმე აქვს იქ. ეს ხალხი სხვა დანიშნულების იყო და რაშია საქმეთქვა. მან მითხრა:– აქ იყო ტარასი, იმან დაჟინებით მოითხოვა ადგილის გამოცვლა; მე გერმანელებს ვსთხოვე და ისინმა სთქვეს გაისეირნონ რუსეთშიო. ტარასიმ კი მთხოვა პარიზში წასვლა. ტარასიმ აასრულა ძველი არაკი: „თქვენ წაბრძანდით რუსეთში და მე წავეთრევი პარიზშიო.“

მე ვიცოდი, რომ ეს ხალხი თუ აქედან დაიძროდა, კარგი არ მოელოდა და ეს ასეც მოხდა. ესენი წავიდენ **ბერდიანსკში**; იქ შეხვდენ გერმანელები და უთხრეს: –ვინ ხართ მსურველი აეროპლანით წახვიდეთ საქართველოშიო? აქ უკვე გამოირკვა, თუ რისთვის გამოგზავნეს ეს ხალხი აქ. ჩაეწერენ რამოდენიმემ. დანარჩენებმა უთხრეს, ჩვენ სხვა დანიშნულებაზედ ვართო. ამ რიგათ, ვინც უარი სთქვა, ისინი უკან გამოაბრუნეს, ვინც დათანმხდა, ისინი დაიტოვეს. ერთ დღეს მოდის ამბავი: იქ რომ ხალხი დარჩა, ისინში ხუთი კაცი დახვრიტესო. მათ შორის ორი ემიგრანტი 1. **სტეფანე კასრაძე 2. დათიკო ღუდუმიძე.** სამი ყოფილი ტყვე: **1. ერმილე ყრუაშვილი 2. ბენია კაიკაციშვილი 3. სანდრო ველიჯანაშვილი**. გამოირკვა, რომ ამ ორ უკანასკნელს-**კაიკაციშვილს** და **ველიჯანაშვილს** მოეხდინათ რაღაც დებოში, დამთვრა-ლიყვნენ. ამ სამმა იფიქრეს, ჩვენ მოვეხმარებით მაგენსო და წაასაკრეს თავი. გერმანელებმა თუ დასახვრეტი იშოვეს, იმას აღარ დაზოგვენ, არც კითხულობენ, მართალია, თუ დამნაშავეო. ასთე წაიყვანა ტარასიმ ჩვენი საქმე.

ჩვენგან წავიდა სანდროსან ორი კაცი- **ისკანდერ მეგრელიძე** და ერთი ახალ-გაზრდა **კერესელიძე.**

რამოდენიმე დღის მერმეთ წავიდენ **ვარდენ ჩიკაშუა** და მას ახლავს ახალ-გაზრდა **ესიავა.**

მე ყოველ დღე მპირდებიან წასვლას, მაგრამ არ მოწყვა და მერმეთ, ოკტომბრის დამლევს, წავედი პარიზში. ყველა დანარჩენებმა მოიყარეს თავი ერთ ქალაქში ჩვენმა ჯგუფმა. ამ ჯგუფს დაეპატრონა **ცომაია.** ტარასი დაითხოვეს, არც მე ვყოფილვარ წინააღმდეგი. მე გამაფრთხილეს, ტარასის ვითხოვთო. ამ ქალაქში ჩავიდა **ცომაია**. მან ბიჭებს გაუკეთა მოხსენება: – რის გეშინიათ, კაცო, ჩვენ ისთე გვაქვს მოწყობილი საქმე, ყოველგან შავი ზღვის პირად ჩვენი პატრულები სდგასო. ეხლა გამოვიდა კაცი და ისინმა მოაწყვესო, ამას ეუბნება იმ ხალხს, ვინც რამოდენიმე თვეა, რაც იქიდან წამოვიდა და იცის იქაური ყველაფერი. ეს კი ოცი წელია წამოსული არის. ასეთი სიბრიყვე პოლიტიკური მოღვაწის, რომელიც ჩემობს პოლიტიკურ მოღვაწეობას, მეტი აღარ შეიძლება. ვინ გენდობა ისეთ კაცს, რომელიც ასეთ სისულელეს იტყვის. იქიდან ამოვიდა ბიჭები პარიზში და ისინმა მითხრეს ეს ამბავი და დასძინეს, ეს ხალხი შინსახკომთან ხომ არ მუშაობენო. ესენი საეჭვოაო. საერთოდ დასკვნა: ამ ომში გერმანელებმა გამოიჩინეს დიდი პოლიტიკური სიბრიყვე. აქ მე არ შეუდგები იმის აღწერას, თუ რა ხდებოდა საერთოდ; ამის ცოდნა არ მაქვს და არც უნარი. ვიტყვი მხოლოდ, როდესაც ჩახვიდოდი ტყვეების ლაგერში, აქ საშინელი მდგომარეობა იყო.

მე ვფიქრობ, რომ ტყვეებს ასთე საშინლად არ ებყრობოდენ თვით საშვალო საუკუნის დესპოტები. ერთი ჩემი მეგობარი **კოდარა** ამბობდა: თქვენ არ იცით, გერმანელები რა ხალხია, **ესენი განათლებული მხეცებიაო** და ეს სწორი იყო. ეხლა სხვა და სხვა ხალხი, რომლებიც გერმანელებთან მუშაობდენ, ისინიც ისეთივე იყვნენ, როგორც გერმანელები. არც ერთს მათგანს არ ესმოდათ პოლიტიკური ეთიკა. კერძოთ, ქართველები უნდა ითქვას, მთლად ბრიყვები იყვნენ. საერთოდ სოც-დემოკრატების ხელმძღვანელები აქ უშობდენ შეცდომას, ამ ხალხს კაცებათ აგდებდენ. მოვიყვან მაგალითს. ერთ პატარა კრებაზედ, სადაც ვითომ სხვა და სხვა პარტიის წარმომადგენლები არიან, ესწრება **აკაკი ჩხენკელი.** ერთმა დამსწრეთაგანმა- **გაბაშვილმა** სთქვა, ამას რა უნდა აქო– რატომ–ეკითხება აკაკი. ის უპასუხებს: –თქვენ ყველა დასახვრეტი ხართ, მოვა დრო და ყველას დაგვხრეტთო. აკაკიმ უთხრა: ამას შენ არ იზამ, რეზო, მე შენ გენდობი. –თუ არ ვიზამ, განახვებო, –უპასუხებს **გაბაშვილი**. ვინ არის გაბაშვილი და მისი პოლიტიკა, ეს ასთე ვსთქვათ: „ციცი, ციცი, შენ პატარა მურია, შენი სარჩო ერთი ლუკმა პურია"; ეს იცის გაბაშვილმა. არ იქმნა და ვერ ისწავლა და ვერ მიხვდა **აკაკი ჩხენკელი.**

ქართველები დაწრთიან პარიზ-ბერლინში; მიაქვთ იქით საქონელი, აქეთ–ფული. არის საშინელი სპეკულიაცია; ეს არის ამ ხალხის პოლიტიკა. ამას გერმანელები არ უშლიან ალბათ. მათ აძლევენ მოწმებებს, რომ გზაში არავინ არაფერი უთხრას. ესენი ქმნიან ქართულ საქმეს. პარიზში რაც ქართული ჟურნალები გამოდიოდა, ეს ყველა დაიხურა გერმანელების შემოსვ-ლის შემდეგ. ბერლინში გამოდის ქართული ჟურნალი სახელწოდებით **„საქართველო."** ამის რედაქტორია ვიღაც ახალ-გაზრდა **მაღლაკელიძე.** რამდენი სისულელე არის შიგ, ამას კაცი ვერ ჩამოთვლის. მხოლოდ ერთ წერილზედ ვიტყვი: აქ სწერს **საღირაშვილი** წერილებს. მან სთქვა: –გერმანია რუსეთში ამოკლებს ფრონტსო, დახედეთ რუქას და გაიგებთო და მოკავშირეებს ერთ დღეს სეირს დააყენებსო. საღირაშვილი, ალბათ, კარგათ გაცნობილი იყო გერმანიის შტაბის პლანებს, მაგრამ მას აკლდა მოკავშირეების პლანი. ის რომ შეცდილიყო და მოკავშირეების

შტაბში შეერო, მაშვინ იქ ნახავდა მათ პლანს და შეიძლება ასეთი სისულელე არ დაეწერა. საღირაშვილს ხომ არ ქონდა წარმოდგენილი ჩვენი სახალხო გვარდიის შტაბი, ნეტავ?!..

ამით გავათავე გერმანელებზედ და ქართველებზედ ლაპარაკი. ეხლა ნეტავ სად არიან ეს ჩვენი „ჩიტირეკია“ მემარჯვნეები?! ვინც გადარჩა, როგორ იქნება საწყლები, სოროში შემძვრალი. მაგრამ ერთია, ეს ხალხი რა ხალხი იყო, **ეს ჩვენი წმინდა ქართული საქმე ამოსვარეს ტალახში**; ეს შეძლეს და ვინ იცის, რამდენი ჭაპან-წყვეტა იქნება საჭირო, ეს რომ გამოასწორონ.

ერთი საინტერესო ამბავი დამავიწყდა.

ეს მოხდა 1919 წლის მარტში.

ლანჩხუთი ქალაქათ დამტკიცდა 1917 წელს; 1919 წელს თებერვალში მოხდა მეორეთ ქალაქის ხმოსანთ არჩევნები. ეს წინათაც ვსთქვი; მეც მოვხდი ხმოსნად. ქალაქს ყავს თავისი გამგეობა. ქალაქის თავის ამხანაგათ არის **კოტე იმნაძე.** მთავრობის დეკრეტი გამოვიდა, რომ ქალაქს აქვს უფლება: ზედმეტი სახლი თუ ვინმეს აქვს, იმას, საბჭოს, შეუძლია ქალაქის საჭიროებისათვის ჩამორთმევა. ჩვენ ქალაქს არ ქონდა სახლი გამგეობისათვინ; ის ნაქირავებ სახლში იყო. ერთი გლეხი იყო **მიხეილ ურუშაძე**, რომელსაც ქონდა ორი პატარა სახლები. ქალაქის გამგეობამ უთხრა: ერთი მათგანი გვაქირავეო. იმან არ ქმნა, სამი შვილი მყავს, სამივე საცოლოა, ეხლა დაბრუნდენ ჯარიდან, სამთავე გადამირჩა; მინდა ისინი დავაცოლშვილოვო. ვერ შეთანმხდენ. მაშვინ გამგეობამ ეს საკითხი დააყენა საბჭოში და მოიყვანა მთავრობის დეკრეტი, რომ ქალაქს აქვს უფლება ზედ-მეტი სახლი, ვისაც აქვს, ჩამოერთვას ქალაქის საჭიროებისათვინ. საბჭომაც დაადგინა: მიხელ ურუშაძეს ჩამოერთვას 4 ოთახი და ჩამოართვეს. ამ დროს ჩამოდის **ნოე ჟორდანია** თავის სახლში. მიხელამ წაიყვანა მისი ცოლი და მივიდა ნოესან. უამბო ყველაფერი თავის გაჭივრება, რაც მოხდა და სხვა და როგორ ჩამოართვეს სახლი. ნოე მას იცნობდა და იცოდა, რომ მიხელას ეს სახლი ქონდა აშენებული ღორების წყესვით, დღე და ღამე ყანის მუშაობით. ნოემ ხელათ მოსწერა ქალაქის გამგეობას წერილი: სახლი დაუყონებლივ დაუბრუნეთ ურუშაძესო. ამ კითხვაზედ გამგეობამ მოუყარა თავი საბჭოს, დასვა საკითხათ ნოეს წერილი. ამ კითხვაზედ საბჭომ იმსჯელა და დაადგინა, გაიგზავნოს ნოესან დელეგაცია, ეთხოვოს, რომ გვადროვოს, ასთე უცბათ ნუ დაგვაცლიებს, ნუ დააყენებს გლეხის პრესტიჟს ჩვენ მაღლაო.

არჩეულ იქმნა სამი კაცი 1. **მღვდელი ეპიფანე ჩხაიძე 2. ათანასე ებრალიძე** და მესამედ გამაყოლეს მე. მივედით, საღამოა. ნოეს დიდი ხათრი ქონდა ეპიფანესი და ათანასესი. ესენმა ორთავემ უამბეს, რაც დავალება ქონდათ. ნოემ ესენს უთხრა:– თქვენგან მიკვირს, სად არის ლანჩხუთში ჩამოსართმევი სახლი? საწყალ გლეხს რაღაც ქოხი აუშენებია, ღორების წყესვით ფეხები დამპალი აქვსო. თუ ხვალ დილას სახლი არ დარჩა დაცლილი, მე ვუბრძანებ გვარდიის შტაბს, რომ მიიყვანოს გვარდიელები და ის ხიბაკი გამოყაროს გარეთო. ამაზედ ეპიფანემ უთხრა:– რაღას იწუხებ თავს, აგერ არის შტაბის თავმჯდომარეო– სწორეთ აქ რომ არის, მიტომ ვამბობ, რომ ამან მისი ხელით უნდა ქმნასო, თორემ უბრძანებდი რაიონის მილიციასო. ამით გათავდა ჩვენი საუბარი. იმ ღამეს ხიბაკი გადავიტანეთ სხვაგან. ეს ამბავი ეწყინა ქალაქის სოც. დემ. პარტიის ფრაქციას და დააყენა კითხვა: –უჩივლოთ ნოეს ცეკაშიო, რომ მან ჩვენი პრესტიჟი შელახაო. ამ კითხვაზედ მოწვეულ იქმნა ქალაქის კომიტეტი და ასთე გაფართოებულ კრებაზედ დაისვა ეს საკითხი. აქ გადაწყდა, რომ გაკეთდეს მოხსენება ყველა იაჩეიკებში და კვირას, ნაშვადღევს, მოწვეულ იქმნას ქალაქის სოც. დემ. პარტიის ყრილობა. ჩემ იაჩეკაში

ვიყავით სამი ხმოსანი: ორი კომიტეტის წევრი, მე კომიტეტშიც შევდიოდი. ეს იაჩეიკა ითვლებოდა ყველაზედ მრავალრიცხოვანათ, სულ 56 წევრი იყო. მე აქ მოვითხოვე ერთი კაცის დამატება. ისინმა დაგვიმატეს მასწავლებელი **ილია თარგამაძე.** შაბათს საღამოს ყველა იაჩეიკების კრება მოხდა და ჩვენც მივედით ჩვენს იაჩეიკაში. გავხსენი კრება და ილიას ვსთხოვე, რომ მოხსენება გაეკეთებია. მან გააკეთა მოხსენება. შემდეგ მე შემეკითხა ერთი გლეხი-**ამბაკო ფირცხალაიშვილი: -**როგორ? თქვენი პრესტიჟი დასცა ნოე ჟორდანიამო? -დიახ, –უპასუხე მე. მან სთქვა: –როგორ თქვენი პრესტიჟი უმფრო მაღლა სდგას, ვინემ ნოე ჟორდა-ნიასო, –მკითხა; ამაზედ ვერ უპასუხე.– როგორ, კაცო, თქვენ გინდათ ნოე ჟორდანიას პრესტიჟი დასცეთ? ვერ მოგართვით და ვერა! ნოეს ჩვენ ვიცნობთ, ვინ არის. იმან მისი ბრძოლით ჩვენ ადამიანის უფლება მოგვანიჭა და თქვენ ვინ ხართ? ნოე რომ არ ყოფილიყო, თქვენ ვინ მოგცემდა უფლებას დამჟდარიყავით იქ, ეხლა რომ ზიხართო და მან მოუწოდა იაჩეიკას:- ეს ბაღნები რაღაცას ხლაფორთობენ, ჩვენ მაგრათ აუწიოთ ყურიო, რომ მეორეთ არ გაიმეოროს ასეთი ამბავიო. ესენის პრესტიჟი **ლაშისღელეს** არ გასცილდება და ნოე ჟორდანის პრესტიჟი საძღვარ-გარეთ მიდისო. ხვალ მივიდეთ ყრილობაზედ, თუ ვინმე ისინსაც დაუძახოთო.

მე ხელათ მომხსნეს თავმჯდომარეობიდან და აირჩიეს **ლადიკო შარაბიძე.** კრება დაიშალა და ილიასთან ერთად წავედით ღამის 10 ს. გზაში ილია სულ იმას მელაპარაკებოდა, არა, ძმაო, მარტო უნივერსიტეტი არაფერი ყოფილა; მე დავამთავრე უმაღლესი სწავლა, ვერ მივხდი, რაც იმ გლეხმა სთქვაო. პრაქტიკაა საჭირო და სხვა. ის მერმეთ დადიოდა ყოველთვის გლეხებთან, საუბრობდა და ყოველივე ცოდნით დატვირთული მოგვიკლეს ბოლშევიკებმა 1923 წლის თებერვალში. მეორე დილას მოვიყარეთ თავი და შეიქმნა იაჩეიკებიდან მოხსენება: ამბობენ, ჩვენმა იაჩეიკამ გაიზიარა ჩვენი აზრიო და სხვა. ეხლა ჯერი მიდგა ჩვენზედ; მე უთხარი:– ილია იტყვის; ილიამ სთქვა:– ის იტყვისო. მაშინ მიხვდენ, რაღაცა ამბავია.– რაშია საქმეო, სთქვით, კაცოო. ჩვენ ვსთქვით იაჩეიკის გადაწყვეტილება. შეირყა მდგომარეობა. ეხლა აღარავის აქვს სურვილი ეს საქმე გახმაურდეს და დავადგინეთ. ყრილობა მოწვეულია; გამოვნახოთ ისეთი მოდუსი, რომ არ გახმაურდეს. ყრილობამ მოიყარა თავი; თავმჯდომარე აკეთებს მოხსენებას სხვა და სხვა საკითხზედ. ეს საკითხი მთლად გამოტია და მაშვინ მას უთხრეს, ეს ყრილობა სხვა საგანზედ იყო მოწვეულიო. მაშვინ ამან გააკეთა მკრთალი მოხსნება ამ საგანზედ. აქ წამოდგა ისევ ჩვენი ამბაკო; მან ვრცლათ შეეხო საქმეს; ეს სამალავი არ არისო. ჩვენ ყველამ ვიცითო. საბჭოს წევრებს მოგვცეს წინადადება, რომ ამფერი ამბავი მეტი არ გამეორდესო. ეს მიტომ მოვიყვანე, რომ რამდენი ნამუშევარი ქონდათ ნოე ჟორდანიას გლეხებში და რამდენი ნდობა მათში.

მე მივიღე ამბავი, რომ **უნდა წავიდე ბერლინში და იქიდან სანდროსან ოსმალეთში**. 19 იანვარს 1944 წლ. წამოველ ბერლინში. ბერლინი ის აღარ იყო, რაც სამი თვის უკან დავსტოვე. ამ სამ-თვეში გაუნადგურებიათ ის ჰაერით. დავრჩი 3 დღეს და წავედი სტამბოლში. 28 იანვარს დილით ჩავედით. სადგურში შეგვხდა **დათიკო ერქომაიშვილი** და **მიშა ესიავა.** მიმიყვანეს სანდროსან და აქ მოვიდა ჩემი ძველი ნაცნობი **ბესარიონ ჟღენტი,** კიდევ **გოგიტაურათ** წოდებული. უკვე მოხუცებულა; ოცი წელია არ მინახავს. ვინც გინდა საქ. სოც.-დემ. პარტიის ისტორია იცოდეს, მან უნდა ნახოს ბესარიონი. ის მოგითხრობს ძველ ამბებს: როგორ ცხოვრობდენ ჩვენი წინაპრები-გლეხები და მუშები. როგორ პირუტყვულ მდგომარეობაში

იმყოფობოდენ. როგორ დაიწყო ამ გლეხების და მუშების გამოსვლა ასპარეზედ, როგორ ანვითარებდა და ასწავლიდა წერა-კითხვას **კარლო ჩხეიძე** და **ისიდორე რამიშვილი,** როგორ წრთვნიდა და ზრდიდა **სირბისტრო ჯიბლაძე** და **ნოე ჟორდანია**; როგორ ჯოჯოხეთურ პირობებში მუშაობდენ ძველათ ჩვენი მუშები 14 საათზედ მეტს დღეში და გლეხები დღეანღამიანათ, რომ ერჩინათ თავის ცოლ-შვილი და მტერ-მოყვარისთვინ პასუხი გაეცათ. ამ ჯგუფის გამოჩენამ შეარყია ძველი ადათები, გაჩაღდა სწავლა. დაეწაფა მუშები თვით-განვითარებას. მას მოგიყობა ჩვენი ბესარიონ, როდესაც დაქანცული მუშაობით ჩვენი მუშები და გლეხები ცოტა თავისუფალ დროს როგორ ეწაფოდენ სწავლას. მათ შორის რამდენი დარჩენ, რომ მერმეთ საერთო ხელმძღვანელობას სწევდენ. აბა, ნახე ჩვენი მუშები: **ალექსანდრე დგებუაძე, ვლადიმირ ჯიბლაძე.** აბა გლეხებში გაიარე, იქ ნახავ **პართენ ებრალიძეს, სიმონ ორაგველიძეს** და სხვა ათასებს, რომლებიც თავისუფალ დროს გაზეთით ხელში დარბის, რომ გლეხებმა და მუშებმა რაიმე ისწავლოს და შეიძინოს. მოხდა სასწაული, ჩვენმა მუშებმა და გლეხებმა საჯაროთ დაიძახეს: „ჩვენ ხომ ადამიანი ვართ, გაჩენილი ხვთისაგანო.“ დასძლია მტერი, ის დაამარცხა და დაეპატრონა თავის თავს, ისთე მთელ საქართველოს. მაგრამ ამ ნაყოფის სარგებლობა დიდხანს არ გაგრძელებულა. მოვიდენ **წითელი ურდოები** მუშების და გლეხების სახელით, ფეხ-ქვეშ გათელეს ეს წმინდა საქმე, ეს წმინდანების ნამუშევარი. ამას ყველას ბესარიონ დალაგებით მოგითხრობს, ის ყველას დამსწრეა.

მერმეთ ვარ სტამბოლში. მე მინდოდა ჩემ მეგობრებთან **ისკანდერთან** და ვარდენთან წასვლა, მაგრამ არ მოხერხდა; მაგრამ რას იზამ.

სტამბოლში დავრჩი 18 სეკტემბრამდე და მერმეთ გადმოგვაგზავნეს ქ. **იოზში.** უნდა ვსთქვა, ვერ ვარ კმაყოფილი ჩემი მდგომარეობის. დრო გამოშვებით გვინახულებს ჩვენი ბესარიონი. ამით მეძლევა ცოტა შეღავათი. ეხლა შევაჩერე ჩემი მუზა.

ბევრი დამრჩა; ამდენიც არ მინდოდა, რომ დამეწერა. ვინმემ რომ ნახოს, იტყვის: ვინ ყოფილა ეს კაციო, გაეცინება რა აბდა-უბდა უწერიაო.

ტყვილა ხომ არ ჩაივლის

ეს განწირული სულის კვეთება?

იოზ.-ტი ორ-თი. 1945 წელი 12 ივლისი.

იოსებ შეშაბერიძის მოგონებანი

ფერი–ქვევს

იოსებ შეშაბერიძეს მიერ

ვარგავი ჯავახეთის სოფელია. ყველა მკვიდრნი ქართველთა მოდგმნისანი არიან. იქ სცხოვრობენ ცოტა ხალხნი, ე.ი. იქმნება ოცდაათი მოსახლე. თვითეულს ოჯახში მკვიდრობს, ათი, ოცი, შვიდ–რვა, ცხრა–ათი და სხვაც.

ვარგავი ძალიან შესანიშნავი ადგილია. თვითონ სძევს პატარა მინდორზე. მარჯვნით ერთი გორა, მარცხნით-მეორე და შუაში პატარა, რომელიც თავს წასდგომია პატარა ბუსავით.

მისი მინდორი სრულიად ვაკეა, არსად ნახავთ ხევ–ხუვსა, ანუ ფოსო–რაიმესა. ამის საუბედუროდ წყალი არა აქვსთ. ზამთარში სრულიად უწყდებათ, ესე იგი ჰყინავს ქვასავით. მასთანავე მინდორში ერთი პატარა ტბა აქვსთ, რომელიც ბაყაყებითა და გველებითაა სავსე, რომელიც შრება ზაფხულში. თუ წვიმა მოვიდა, არ დაშრება, რადგანაც წვიმის წყალი აქ გროვდება და არსად მიდის. იქაურს მინდორს სამკალი ძალიან კარგი მოყავს. ბრალი რომ ცოტა სახნავი აქვსთ. ოთხი კუთხივ სხვის მინდვრითაა შემოზღუდული: მარცხნივ ვარევნელებისა, მარჯვნივ საროულებისა, ზევით უკვე საროულებისა და ქვემოდ თოკელების (თოკელები–თათრები არიან).

ზაფხულში ბევრჯერ ჩხუბი მოუვათ ხოლმე საროულებთანა. წინედ პატარა კიდევ იოლად მიდიოდნენ ხოლმე სარულებთანა, მაგრამ მათშია ერთი ვიღაცა, რომე (სახელად **სიმეონ**) რომელმაც სწავლა დაამთავრა **თბილისში**, მან გადაბირა ყველა თვისი სოფლები **საროში**.

ვარგავს ტყე კარგი აქვს, არა თუ მათი საკუთარია, არამედ მათი, ვისაც ეკუთვნის. მაგალითად, **ხიზაბავრას, საროს, ვარგავს, თოკს, ხანდოს, ვარევანს, ალასტანს, გოკიას, ტურცხს** და **ლომატურცხს** და სხვა.

ძალიან მშვენიერი რამ არის, მთელი ტყე სულ ნორჩი კატარია, მუხას ძნელად იშოვის კაცი, ნაძვი ხომ სულ არაა, აგრეთვე, ჭნავი, თიბცხელა, ვერხვი და სხვაც, არ არის იმდენად.

ვარგავს ზევით, **საროულს** მინდორში და აქეთ, ე.ი. მარჯვნით, არის ძველანდელი დანგრეული სახლები, რომელიც **საროულშია**. იმდენად შესანიშნავი არა, როგორც მეორე. ეს არის აშენებული ქარაფის პირზე (ესე იგი კლდის განაპირას). იქაა დანგრეული ეკლესია, რომელიც ერთმა კაცმა (თოკელმა, სახელი **ხოშხუნა**) თხარა, ეგონა ფულს ვიპოვიო. მის ადგილას იპოვნა მშვენიერი ქვები ზედ ნახატით. ამაში ვის რა გვარი ხალხი მდგარა, არავინ იციან, მაგრამ ზოგი კი ამბობენ, კათოლიკენი ყოფილანო და ზოგი თათარნიო. სწორედ არ იციან. **ვარგავს** არიან ჩემი მშობლები. მოწყობილობით კარგად არიან. საქონელი ბევრი ყავთ: ხარი ექვსუღელა, ფური თუთხმეტიდან–ოცამდის, ცხვარი ას–ოცი, თვითონ სახში არიან ოცდაათამდე. აგერ მათი სახელები: დედა **სოფო,** მამა **იაკობი**, ბიძები: **ბასილი, პალე, იესეი, აბრაამი, კოსტოი** (ეხლა მღდელია **ხიზაბავრაში**), ძმები -**ზაქარა** და **გაბრიელა**, ბიძის შვილები: **სტებანე, სიმონა, იაკობა, ედვარდოი**, .. (არ იკითხება), **ფილოი, ლაზარეი,** ბიდედებ: **მაიკო, გარანე, სობო, შუშანა, ანა,** ქალისშვილები: **ელენეი, შუშანაი, ვერონაი, კატარინაი, სალომეი, ნინაი, მარგალიტაი, თერეზინაი, თამარაი, ელისოი, ანიკოი, ნენეი** და სხვაც.

მე მყავდა რვა–ძმა. ხუთი მომიკვდა, მამაც მათთან და სამნი დავრჩით დედით, ჩემი ძმები ჩემზედ უმფროსნი.

იქ არის პატარა ეკლესია, რომელიც არის აშენებული უბრალო ქვითა, ტალახითა და ზემომადან დაბურულია ხითა. ეხლა იმის კედლები ყოველს ზამთარს-ზაფხულს ინგრევა და შენდება. ერთხელა დიდი ზამთარი იყო, როცა მისი კედლის კუნჭული ჩამოინგრა. ოსტატი დაიჭირეს. როდესაც აშენებდა, იმ დროს უთხრეს:–„ილო, გამოიხედე არ გაგეცინებაო“. როდესაც იქაურობას მოშორდა, კედელმა დაიხრიალა და საშინლად დაინგრა. იმ ხელოსნისათვის ხიფათი იყო. ეს უკეთუ **ზაქარას** არ დაეძახა, უეჭველად თავზე დააწვებოდა და სულს ამოართმევდა, მირამ ხალხი მიეშველებოდნენ.

სწორედ იმ პატარა სოფელში დავიბადე. 1893 აგვისტოს 28 სა .. (არ იკითხება)

მოწოდება

მოწოდება არის ერთი ღვთიული ხმა, შთაგონება რომლითაც კაცი მიაღწევს იმ აღსასრულსა, რომლისათვისაც არის გაჩენილი.

თვითეულს პირს თვითეული აღსასრული აქვს: ზოგს ხელოსნობა, ზ. გლეხობა, ზ. მოქალაქობა, ზ. სალდათობა, ზ. მსჯელობა, ზ. მღვდელობა, ზ. ბერმონაზნობა.

მე სურვილი აღმეძრა ბერად და მღვდლად გამოსვლისათვის და ჩემს სურვილისამებრ მრავალნიც მირჩევდნენ. სხვათა შორის მარიგებდნენ ყველანი ერთხმად: „წადი გახდი კაცი და სული აცხონეო“ (ესენი არიან ბიძაჩემები, მათი სახელები მოვიხსენიეთ უკვე ზევით). უმეტესად დედის სიტყვებს და რჩევას ჰქონდა ჩემზედ აღმთუღიცველი ჩაჭედილება და გავლენა. მეც ძალიან სიყვარული მომეცა და უფრო და უფრო ცხოველდებოდა ჩემს გულში მონასტრის სიყვარული, დღითი დღე ვსთხოვდი ღმერთსა, რათა აღესრულებინა ჩემთვის სურვილი და იგი კიდეც ამისრულდა.

რაჟამს გავიგე ჩემი აქ წამოსვლა, მაშივე მშობელნი და ნათესავნი სამზადის შეუდგნენ რათა, რომ ყველა თავის დროზე მოწყობილი ყოფილიყო მგზავრობისათვის, (ესე იგი, საცვლები, წინდა, ტანისამოსი, ნამცხვარი და სხვაც).

მაგრამ ჩამწარდა მოლხენა. ხუთშაფათ საღამოს სახში ვსხედვართ და ვსაუბრობთ სახლის შესახებ საქმეზე. უეცრივ ხმა მოგვესმა. გარედ გამოდით, მღვდელისაგან (**ტერკოსტესაგან**) წერილი მოგივიდათო. მე ძალიან გამეხარდა-ეს არის და ხვალვე წავალთ მეთქი.

ვაი ჩემს ბედსა, შემოიტანეს წერილი, გახსნეს წაიკითხეს...შვილო, სოსიკო ბედი შეგკვრია, აღარ მიხვალო. მითხრეს...მე იქვე გავშრი და დავრჩი. მინდოდა მიზეზი შემეტყო, მაგრამ ხმა აღარ ამომდის პირიდან. მის შემდეგ სულ მოწყენილი ვიყავი, აღარც პურის მადა მქონდა და აღარც არაფრისა. ჩემი გული კიდევ რაღასაც მოელოდა, თითქო მეუბნეოდა: რას მოწყენილხარ, იცინე, შუბლი გაიშალე და ილხინეო. მე, მართლა, იმედი მომეცა და მაგრა დავდექი. დედასაც უთხარი:– დედა, მე კიდევ იქ წავალ.

ამის შემდეგ არ გასულა ერთი თვე, ბიძაჩემმა წერილი მოგვწერა, ბიჭი მოამზადეთ და ხვალვე აქ ჩამოიყვანეთო. მე მინდორში ვიყავი. გავიგე ეს ამბავი თუ არა, სიხარულით ფეხზე აღარ ვდგებოდი. მეორე დღესაც მომიმზადეს ყველაფერი თავის დროზე. წამოსვლის წინეთ დედამ რა არ გამიკეთა: ერბო–კვერცხი, ყათმაღაინა, ჭიმბური, ნაღები მომიტანა, მშვენივრად დაბრაწული ყათმრები და ქადები, ქათმები და სხვა. მაგრამ არაფერი მომდიოდა თვალში. იმათ ის არ იცოდნენ, რომ მე სიხარულისაგან გატაცული ვიყავი ჩემის წავსლისათვის, თუმც კი ერთნაირადაც ვღონდებოდი- სამშობლოს ვშორდებოდი.

ღმერთმა რომ მომი . . . ღმერთმავე მომცა გამძლეობაც. ამისთვის გული მაგრად მქონდა და ავიტანე გამოშორება მშობლებისა, სოფლის, სამშობლოსი, ნათესავებისა, მეზობლებისა, ნაჩვევ მინდვრებისა, ყანებისა და ჭალებისა.

წამოსვლის დროს გამოვეთხოვე სულყველასა დიდის სიყვარულითა და სიამოვნებითა. ყველანი კი გარს მეხვივნენ, მეტადრე ბოვშვები და ამხანაგები. ზოგი რას მეუბნებოდა, ზოგი რას მეხვეწებოდა, ზოგი მკოცნიდა, ზოგი მეხვეოდა. ვინ რას მთხოვდა და ვინ რას: ნაწილსა, ჯვარსა, ამენაშატსა და კრიონასალსა და სხვაც. მე ამათ სურვილს ჩემს პასუხს ვაძლევდი. მე ჩემი მიხაროდა და ვეჩქარებოდი მალე მოვშორებულიყავი, რათა გული არ შემწუხებოდა. ამისი სრულიადაც არ მეშინოდა, რადგანაც ღმერთის მადლი ჩემთან იყო და მამხნევებდა ყველასფერში.

გამოვემგზავრეთ 1909 წ. დეკემბრის 4, კვირა დღეს. გზაზე ჩემმა ძმამ **ზაქარიამ** რა არ მიყიდა: ყარფუზი, კიტრი, ნესვი, კომბოსტო, სტაფილო, კამფეთი და სხვანაირი ხილეული. მე ვეუბნებოდი: „რას ხარჯამ ფულსა, ხომ იცი მე ვერას ფერს ვერ ვსჭამ მეთქი?“

საღამოს ექვს საათზე ახალციხეს ჩავედით, იქ ბიძა ჩემთან (**ტერეოსტესონ**) მივედით. ორ–სამ დღის შემდეგ მოვემზადეთ წამოსასვლელათ. იმ დილით, რომელ დილაზეც ჩვენ წამოვ-სულიყავით უნდა, მე და **ფრანშისკე–ბეგოვი**, წავედით ეკლესიაში. გავენდეთ, ვეზიარეთ, მადლობა გარდაუხადეთ და სახში ჩამოვედით. გამოვეთხოვეთ ორნი ბიძაჩემს, სახლის–პატრონს (**სოფოს, ფანჩოს, ვასოს, ანიჭკას**) და წამოვედით. როდესაც ფაიტონში ვსხდებოდით, ჩემი მეგობარი **ბეგოვი** მოწყენილი იყო მისთვის, რომ შორდებოდა სამშობლოსა, ტოლ-ამხანაგებსა, მეზობლებსა და თავისუფლებასა. **პლანში** ჩავედით, იქ დაგვიხვდნენ ჩვენი მეგობ-რები, ესე იგი, **ლეონა, სიმონა, სტეფანე** და **პავლე.** მაშინ მართლა ვერ ვიცნობდი და ვერც მიცნობდნენ. ვიდრემდის მათ გავიცნობდი, მრავალჯერ უნდა გამომეკითხა დაწვრილებით.

იქედგან გამომგზავრების უმალვე ბევრმა გვნახა. ზოგი ფულს გვსაჩუქრობდა-მანეთს, ათ–შაურს და სხვა. შემდექში დავადექით გზასა დიდის სიხარულითა და დიდის კმაყოფილებითა, მაგრამ ერთი ჩვენთაგანი ძალიან სტიროდა, სანამ **ბორჯომს** ჩამოვიდოდით. ზოგი ჩვენგანთანი ძალიან გაითხუპნენ ტალახით თუ წვიმით, რადგანაც წვიმა აშხაპუნებდა და გზა ტალახით სავსე იყო. გოგორა თავისას ჩადიოდა და ლაფს გასხამდა. მარტო ჩვენი თავი კი არ გვქონდა სატირელი, სხვაც ბევრი რამ დაგვისველდა იმ დროს, მაგალითათ, ვაშლი, პური, ქადა, ყველი და სხვაც.

აწყვერამდის არსად შეგვისვენებია ცხენები. მაგრამ ამ დროსაც კიდევ სტიროდა თავისე-ბურად ჩვენი მეგობარი (**ფრანსუა ბეგოვი).** ესეც უნდა მოგახსენოთ, **აწყვერის** წინეთ ერთი პაწია დუქანი იყო, სადამდინაც გამოგვყნენ რამითიმე პირნი: ბიძაჩემი, **გაბრიელა ბეგოვის** მამა და სხვანი. იქ დავდექით, რათა გამოვმშვიდებოდით. ამ დროს ჩვენ, კაცების წინ ვსდგავართ და ვისმენდით მათს ლოცვას, ის კი ატუსული გოგორის გვერდით თავისებურად სლოკინებდა. მაგრამ ჩვენ მაინც შეგვეწყალა ის, რომ იტანჯებოდა. ჩვენ ვამხნევებდით და დროს ვატარებინებდით სიცილში. **ახალციხიდან ბორჯომამდის** ლუკმა პური არ ჩამიდვია პირში, რისთვისაც იტყვის მკითხველი–იმისთვის, რომ სიხარულისაგან ატაცებული ვიყავი. დღედა-ღამე სულ სიზმრად ვიყავი გადაქცეული: „წახე, როდის ჩავალთ **სტამბოლში** მეთქი“.

ბორჯომში, რასაკვირველია, თვალები სულ დაჭყერილი მქონდა მისთვის, რომ არ მენახა ჩემს დღეში ცეცხლის–მაქინა და სხვა რამებიც. თვალებგაშტერებული ვუცქეროდი მაქინის

დაძვრასა. მაინც მე გატაცული ვიყავი მშვენიერ სურათებისაგან, კოხტა **ბორჯომისაგან.** მშვენიერ მის მდებარეობას აქვს მშუენიერნი სახლნი, დათესილია მის გადაჭიმულს ტყეში, რომელიც ჰფენს მის ორივე გვერდობას. ტყე ერთიანათ ნაძვია, რომელ მშვენიერ ხეთა თავნი ამაყურად გადმოჰყურავენ **ბორჯომსა.**

ვნახე მშვენიერი მდებარეობა ქალაქისა, რომელსაც ჩამოუდის ჩვენი დიდებული და მშხუილა **მტკვარი**, რომელსაც თქვენ იცნობთ. ნეტაი იმ დღეებს, მტკვარო, რამდენჯერ მიფუჩ-ფუჩია შენში და მიბანებია ცხვრიები. იგი მომდინარეობს **ჯავახეთიდან.** ჩამოუდის **ახალქა-ლაქსა, ხანდოსა, ჩუნჩხასა, თოკსა, ხერთვისსა, ხიზაბავრასა, საროსა, ბლენასა, ოსკერიასა, ასპინძასა** და სხვათა.

ბორჯომში უცადეთ ცოტა ხანი ჭყიპინას (მაქინას). როცა მოვიდა სტანციის კარებთან, ერთი დაიჭყიპინა, ბუჰო, ჩვენც მაშივე გამოვეგებეთ, ჩავსხედით, რომელმაც ერთი თვალის დახამხამებაშიც მოგვაშორა ჩვენს ტურფა მხარესა, სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი.

მაქინაშიაც ბევრი რამ გადამხდა და მოგახსენებთ კიდეცა. საღამოს საათის შვიდზე ჩავსხედით და გამოუდექით გზასა. ჩვენთან მომგზაურობდა ერთი ვალელი, რომელიც ჩემს გვერდითვე იწვა. დაძინების წინეთ, ჩვენ მასთან ერთად ხილი ვსჭამეთ. ამ დროს მე ორჯერ სისხლი მიმივიდა ცხვირიდან და ასრედ მომაცდინა კუჭისათვის მუშაობაში.

იმ საღამოს ისე ვიყავი, როგორც მკვდარი; აღარაფრისთვის მიგდია ყური და ისევე მივწექი ჩემს ადგილას და გათენებამდის არ გამომღვიძებია. დილით მოვიდნენ, გამაღვიძეს: „ადექი ბილეთი მიეციო“. მეც მაშინათვე წამოვხტი, ამოვიღე ქესიდან ბილეთი და მივეცი, მაგრამ სადღაა ორი მანეთი ფული?..(არ იკითხება). მე იმ ვალელს დავაბრალე, რადგანაც იმის მეტი არავინ იყო ჩემს გვერდზე. იმ ღამესვე გადვიდა მაქინიდგან, მეც იმიტომ მას ვაბრალებ.

დილა იყო კიდეც და მაქინა გახარებული უახლოვდებოდა **ბათუმს**, რომელის სიმშვენიერე ჩვენ გვაკვირვებდა. მეტადრე ზღვის ტალღების ცემისა, რომელიც გაქან–გამოქანდებოდა და ეჯახებოდა მის ზღუდესა, გეგონებოდათ ეს არის და გამოგლიჯოს ყველაფერი და წალეკოს მთა და ბარიო. **ბათუმში** ჩავედით საათის თერთმეტზე (დეკემბერს). ვაგზალზე ყოფნის დროსაც ბევრი ვიცინეთ: „როდესაც, ჩვენი ბარგი ერთ ადგილას დავალაგეთ და რას ვხედავდით-აჯმები ადამიანები „მგლებისავით მოცუნცულებდნენ, მორბოდნენ ბარგის წასაღებად. ჩვენ კი გვეგონა მთავრობისაგან არიან, რათა წაიღონ, ესენიც და ჩვენც წაგვიყვანონ. ამასობაში გამოვარდა უცაბედად მედუქნე, რომელსაც ხელში ეჭირა მათრახი, დაუშინა ამათ ფეხებში და ყველა აქეთ–იქით გაძია. შემდგომ კაცმა წაგვიყვანა ქართველთ ეკლესიაში, სადაც პატრი **ბენედიკდე** დაგვიხვდა. მივედით თუ არა იქ, სადილს გეახელით.

სამ დღეს დავრჩით იქ გემის გამოისა, რომელიც აგვიანებდა. შემდეგ ერთი რუსის გემი მოვიდა, ჩავსხედით და გამოვემგზავრენით **სტამბოლისაკენ** საღამოს სათის შვიდზე.

ზღვაზე სიარულის დროს ძალიან შაშიშარ თევზებს ვხედავდით ხოლმე და ბევრსაცა სხვა ზღვის ცხოველებს, რომელნიც სიხარულით წამდაწუმ გამოეთამაშებოდნენ გემს; მათ ეგონათ, შეგვიბრალებენ ხალხნი და გვითავაზებენ რასმესო. მართლაც და წამდაწუმ ჭყაპუნი მიჰქონდა პურის ნატეხებს, ზოგჯერ მთელი პურიც. როცა დაინახამდნენ თევზები, იქ დაერჭობოდნენ. გენახათ რა სიხარულს მიეცემოდნენ ხოლმე ის საბრალონი. მაგრამ მათდა საუბედუროთ ზღვაზე დავრინავდნენ ბატასინებიც (ანუ თევზყლაპიები), მოკრებდნენ თვალს თუ არა, იქ

დაერჭებოდნენ და შავს დღეს აყენებდნენ თევზებსა, რომელთაც კი დაიჭერდნენ, გასწევ-გამოსწევდნენ და შეჰყლაპავდნენ. ისევე, **ბაფორშიაც** ბევრი რამ ვნახეთ, საცინელიც და სატირელიც. **ბაფორი** ბევრნაირი ხალხით იყო სავსე: ქართველებით, თათრებით, ბერძნებით, ქურთებით, ფრანცუზებით და ჩინგნის ხალხით. ჩინგნის კაცები სულ ქვეით იყვნენ. დღემუდამ მოსვენებას არ გვაძლევდნენ. სულ მღეროდნენ თავიანთ ენაზე. რომელ გალობის ზოგიერთი სიტყვები ძლივს აღმოვკრიფე: „ჰაილი, ჰაილი, კუროი ტაღე ვაილი“ და სხვა. რასაკვირველია, ჩვენც ჩავდიოდით და გაბეზრებამდის უსეირებდით ხოლმე.

ჭამის მხრით არასფერი გვაკლდა. უმფროსი მალ-მალ ხილეულობას გვიყიდდა ხოლმე. ლეღვით ხომ გაბეზრებულნი ვიყავით. ქეიფს და მოსვენებით ჯდომას ავათ- მყოფებაც მოჰყვა; ღელვის დროს ისე ავად გავხდით, რომ აღარაფის მადა გვქონდა. დიდი ხნის მგზავრობის შემდეგ დავინახეთ შორიდგან **კონსტანტინეპოლის** აღვსილნი და განუზომელნი სადგურნი. ძალიან მიკვირდა, როდესაც ვხედავდი, რომ თანდათან ვიწროვდებოდა ზღვა სიარულის დროს.

შორიდან მე მეგონა, იქ ზღვაში აშენებულნი არიან სახლები მეთქი. გაოცებული ერთ ადგილიდან აღარ ვინძრეოდი. როდესაც გამოვკითხე სხვასა, მაშინ მივხვდი, რომ გუნებითად ასრე ყოფილა ზღვა.

მზე კიდეც აღმოსული იყო; ხან გამოანათებდა, ხან ღრუბლებში იმალებოდა. როცა გამოანათებდა მზე ზღვაზე, საკვირველი სანახავი იყო; ათასფრად ბრწყინავდნენ ტალღები და თვითაც ზღვა. ტალღების ხტუნვის დროს რომ გაგეხედა მათთვის, გაკვირვება მოგივიდოდათ.

ქალაქს რა მიუახლოვდით, სანამ გამოვიდოდით **ბოსფორიდან** სულ ყურებად გადავიქეცით. ნაპირიდგან მოისმოდა დიდი ჟღურტმული: ზოგი პლატუკს იქნევს, ზოგი –ზონდიკს, ზოგი–ქუდს და ზოგიც წვრილი ფულიკებით (იგულისხმება ფელუგა) ეგებებიან თავიანთ მეგობრებსა და ნათესავებსა.

ზღვა სავსე იყო გემითა ანუ სხვანაირი ფულიკებითა. გაჩერდა რა **ბაფორში**, შემოვიდნენ ჩვენთან **პატრი დონ კირილე, პატრი ანდრია, პატრი მერაბი,** მოგვიკითხეს და დაიწყეს საუბარი, თუ როგორ გამოვეყვანეთ.

პატრი **ანდრიამ** უთხრა უმფროს:– „ მე გავასხამ ყველასო და პირველად მე გამომიყვანა და თან ასე მეუბნებოდა: –არ შეგეშინდეს, ისე მოიქეც, ვითომც აქაური იყო, მე მიგიყვან ერთ მედუქნესთან, ვითომ თუთუნი უნდა ვიყიდოთ და სამი ყურუშიც მომცა“.

მივედით ერთ მედუქნესთან. თათრულად გვითხრა: „ნე ისტიორ სიზ ფაფაზ“ (რა გინდა მღვდელო?) მღვდელმა უთხრა:–„უჩ კურუშუნ თუთუნ ვერო“ (სამი ყურუშის თამბაქო მომეციო). მოგვცა. მე იქ დამაჯდუნა ერთ შტოლზე და თვითონ მეორების გამოსაყვანად დაბრუნდა. ბოლოს ყველანი გამოვედით და მიველით იქ, სადაც ხელს აწერენ. იქიდან გამოგვიძღვა უმფროსი და წამოგვიყვანა პირდაპირ მონასტერში. ამ დროს ჩვენ არ ვიცოდით, თუ სად ვიყავით. ისე სიხარულისაგან გატაცულნი ვიყავით, რომ ღმერთმა აღგვისრულა და გვაღირსა მონასტერში მოსვლა და ამისი ნახვა.

გზაზე კონკაში ჩავსხედით, ვიდრე **შიშლიმდე** მოვსულიყავით, იმაში ვისხედით. როდესაც ჩვენ გამოვედით, პირდაპირ მონასტერში წამოვედით. იქ რომ მოვედით, სათისა იყო თერთმეტი. ჩვენ უმფროსმა ეკლესიაში შეგვიყვანა. ვილოცეთ, გამოვედით და მეოთხე ატეჟაში ამოვედით, სადაც ორი უცნაურნი დაგვიხვდნენ: **(გაბელია და ივანე ვოივოდიმ(შ)ოვი).** გავიარ-

გამოვიარეთ ბაღში, მოვახსენეთ საქართველოს ამბავი. შემდეგ კლასში შემოვედით და თან პ. **პიო ბალიევი** შემოგვყვა და ესეც გვითხრა სიცილით: „ვინც ისწავლის, რა კარგი და, ვინც არა, აი, ამ ჯოხს მივარტყამთო“.

15 დეკემბერი იყო 1909 წლის, საათის 14, როდესაც მოველით აქ, სადაც ვიზრდებით ღვთის სიყვარულში და განათლებაში. ჩემი ბედი კურთხეულია და ამისთვის მადლობას ვწირავ უფალსა კეთილისათვის.

ყოფილიყოს უფლის წყალობა თქვენთვისაც, მკითხველნო. იანვრის 25 წ. 1911. კონსტანტინეპოლი.

იოსებ (სოსიკო) იაკობის ძე შეშაბერიძე

ლეონ გიგოლაშვილის მიერ მოთხრობა 1911 თებერვლის 27 „მოგზაურობა უდიდან კონსტანტინეპოლში".

„ამოველით ვიდრე საგიჟემდინ, მის შემდეგ მიველით პირდაპირ მონასტერში. დილის 11 ½ იყო 15 დეკემბერს. 1909 წ. დასრულდა ჩვენი მგზავრობა, რომელმანც გასტანა 9 დღე. დაბოლოვდა."

ერთ დღეს, ჩვენ სოფლის სკოლაში სწავლის დროს ჩაფიქრებული ვიყავი, მეც არ ვიცოდი, თუ რაზედ ვფიქრობდი. ბოლოს ეს მომაგონდა, რომ **არალში** ერთი მონასტრის უმფროსი მოსულა, ბიჭები უნდა წაიყვანოსო. მეც ვსთხოვე ჩემ მშობლებს და იქმნება მეც წამიყვანოს მეთქი. გავათავეთ კლასები და გადაველი სახლში, კიდევ ისე დაღვრემილი.

მაშინ დედაჩემმა მკითხა:– „რათა ხარ შვილო აგრე დაღვრემილი?"– მე ვერაფერი მიუგე. ცოტა ხნის შემდეგ მამაჩემიც მოვიდა ბაღიდგან. იმანაც შემნიშნა, რომ დაღვრემილი ვიყავი. მაშინ დედაჩემს კითხა:-რათ არის ეს ბავშვი დღეს დაღვრემილიო? იმან მიუგო:-მეც ვკითხე, რათა ხარ, შვილო, დაღვრემილი? თუ მასწავლებელმა არ გცემა?" მე მიუგე:-არავისაც ხელი არ შეუხვია, მაგრამ ერთ რამეს გთხოვ, მამა, თუ ამისრულებ. მაშინ მითხრა:-რა გინდა, შვილო, რომ აგისრულოვო. მაშინ უთხარი: -**არალში** ერთი მონასტრის უმფროსი მოსულა, ბიჭები უნდა წაიყვანოს და თუ შეიძლება, მეც გამაყოლე იმ ბიჭებთან. მამაი დაფიქრდა და სთქვა:- „ვნახოთო". გავიდა რამდენიმე დღე. მამაჩემმა მითხრა: -„შვილო ღმერთმა ხელი მოგიმართა, უნდა წაგიყვანოს." ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა.

შაბათი დღე იყო. ბიძა ჩემი **სააკი** ქალაქდან ამოვიდა. მე ვჰკითხევი:- რა ამბავი მომიტანე, ძიავ? ბიძაჩემმაც ღიმილით მომიგო: -რა ამბავი გინდა, რომ მოგიტანოვო, ჩემო ლეონ? მე უთხარ:- მგზავრობისთვის ხომ არაფერი გაგიგია? -ამ ერთი თვის განმავლობაში წახვალო, უმფროსმა ბაშპორტები უნდა აიღოს ახლაო.

კვირა დღეს წირვაზედ ვიყავი. როდესაც გათავდა წირვა, ჩაველი სახლში პური საჭმელად. კიდევ არაფერი არ ვიცოდი, თუმც კი უმფროსისაგან ტელეგრამა მოსულიყო. მაშინ მითხრეს, რომ ხვალ უნდა წახვიდე სამგზავროდაო. მაშინ რომ გენახა, ჩემს სიხარულს საზღვარი არღარ ჰქონდა. სიხარულისაგან აღარ ვიცოდი, რა მექმნა. სახლში კი დაიწყეს მზადება ქადისა, ქათმისა, ფუნთუშისა, ტყლაპისა, ვაშლისა და ათასი სხვა რამისა, რომელნიც აღარ მაგონდებიან.

გათენდა დილა თუარა, წამოვხტი ფეხზედ, ჩავიცვი საჩქაროთ ტანისამოსი, დავიბანე პირი, წირვა მოვისმინე, ღმერთ შევსწირე ჩემი თავი და ბოლოს ჩამოველი სახლში.

დავემშვიდობე სახლში სულ ყველა ნათესავებს, მეზობლებს და ნაცნობებს. ვინამდის სოფლიდგან გავიდოდი, სულ-ყველანი „მშვიდობით"! „ნახვამდინა"! მეუბნებოდნენ. რასაკ-ვირველია, დედაჩემი, ძმები, დები და სხვანი მრავალნი გამომყვნენ სოფლის ბოლომდინ. შემ-დეგ ისინიც გამომესალმნენ საბოლოოდ და დავრჩით სამნი **ახალციხემდინ**. ჩემი ძმა **სტეფანე**, ჩემი სიძე **ანდრია** და მე. გზაზედ კამფეთებს მაძლევდნენ, ვაშლს და სხვა რამეებს, რათა არხია-ნად ვყოფილიყავი.

უდე არის ლამაზი სოფელი, სადაც ზევიდან მგელივით გადმოსდგომია დიდი სერი. იმის მეორე გვერდზე სახლებია, მაგრამ ეკლესია კი სოფლის შუაშია. ეს მეცხრე წელიწადი გახდა და

ძლივს დააბოლოვეს **უდის** ეკლესია. შიგნიდგან იმოდენი სვეტები აქვს, რომ თითო სვეტს ექმნება სიგანე ორი არშინი- მეტიც და არა ნაკლები. შუვაში არის ერთი დიდი ტრაპეზი, ერთიც სამხრეთით და ერთიც ჩრდილოეთით.

რავდენათაც ვშორდებოდი **უდეს**, ჩემ სოფელს, სადაც სიყრმიდანვე ჩემი ცხოვრება ტკბილად გავატარე, ცოტათი გული დამწყდა. **უდე** დიდი სოფელია და ყოველანი ქართველები არიან: ზოგი კათოლიკენი და ზოგნიც მაჰმადიანები, რომელნიც დევნულების დროს გამაჰმადიანებულან.

რასაკვირველია, **უდეში** მინდვრები საკმაოდ კარგნი არიან და წყალიც კარგი აქვთ. იქვე, სერების გვერდებზედ, წყალი გადის და ყველანი სირი-სირით რწყობენ ყანებსა და ბაღებსა. სოფელში კი მაინც თითო კვამლს თითო ძაღლი ჰყავს სახლის დასაცველად, რადგან ღამე მოდიან და იპარებენ, რაც ხვდებათ, თუ ძაღლმა მიუშვა. ჩვენმა სოფელმა პირობა შეკრა და წყალი მოისყიდა ხანუმისაგან. წყალი გადმოიყვანეს ჩვენ მთებიდგან ერთი დღის სავალზედ და ბოლოს, როგორც იყო, ეწვნიენ თავიან გულის წადილსა. ახლა ზამთარ- ზაფხულ მოუწყვეტრად ჩაუდის ჩვენ სოფელსა. გარდა ამისა, ჩვენ სოფლის მამულებს ჩაუდის ერთი დიდი მდინარე და რწყამს იმ მამულებს, რომელნიც მის ახლომახლო მდებარეობენ.

ჩემ სახლში მცხოვრებნი ვიყავით ოცნი: მამაჩემი **მელქინი**, დედაჩემი **რიტა**, ჩემი ძმა **სტეფან, სოლომონა,** მე და **პავლე**. ჩემი დები **კატო, ელენა, შუშანა** და **ნინა.** მამა ჩემს ორი ძმა ჰყავს – **ავეტისა** და **სააკა. ავეტისას** ქალი არის **შუშანა.** მისი ვაჟი შვილები არიან: **ანტონა** და **პეტიკო** ანუ **პეტრე**. მისი ქალიშვილი არის **მათიკო. სააკას** ქალს ჰქვია . . (არ იკითხება), მის ვაჟიშვილებს **ოსიკო, ვერდანე** და **სიმონა.** დიდიაჩემს სახელი ჰქვია **ნანა**. დედაჩემს ჰყავს ოთხი და: **მაგდა, შუშანა, ანნა** და **ჟუჟუნა.**

მე რომ დავიბადე, **ივანეს** მიძახოდნენ, მაგრამ ბიძაჩემმა **ავეტისამ** თქვა, რომ **ივანეს** მაგივრად **ლეონი** სჯობიაო და ბიძაჩემმა თორმეტი წლისა ვიყავი, ლეონი დამარქვა და დღეს თუთხმეტი წლის ვარ, ყველანი **ლეონს** მიძახიან. მამაჩემს აღრ უნდოდა, რომ ნათლიღების სახელი გამამცვლოდა.

შუადღე იქნებოდა, როდესაც ჩაველით **ახალციხეში**. მამაჩემიც წინა დღით წასული იყო სხვა საქმეზედ. ჩაველით თუ არა, ჩვენ ბედზედ ხიდის პირზედ დაგვიხვდა. მაშინ ბიძაჩემი **სააკიც აწყვერიდან** ამოვიდა. დააბა ცხენი, მისცა ცხენს თავისი საჭმელი და წაველით სულ-ყველანი ბაზრებში. შუადღიდან საღამომდინ ბაზრებში დავდიოდით და თან მეკითხებოდა:– „რა გინდა გიყიდოვო.“ რასაკვირველია, ცხრა-ათჯერ სხვადასხვა საჭმელები მიყიდა. დაღამდა. წაგვიყვანა ერთ თავის ნაცნობთან. იმ ღმეს შუაღამის ორი საათი გადავლილი იქმნებოდა და ჩვენ ისევ ლხინში ვიყავთ. ცოტა ხნის შემდეგ ბიძაჩემიც დამემშვიდობა, მომცა ორი მანეთი და წავიდა დასაძინათ. რადგან დილაზედ მაინც ავდექით, საჩქაროდ ჩავიცვით ტანი, დავიბანეთ პირი, მემრე ავიღეთ ქუდები და ჩაველით ერთ დუქანში, სადაც ბიჭები უნდა მონგროვილიყვნენ. იქ ჩვენ ცდაში მოვიდნენ ყოველა წამოსასვლელი ბიჭები; ფაიტონებიც მოვიდნენ; ბარგი მოვკოჭეთ, ჩავსხედით სულყველანი, მამაჩვენებმაც ერთი სხვა ფაიტონი დაიჭირეს და ცოტა გამოგვყვნენ. იმ დროს **ფრანცია** სულ ტიროდა. მეტადრე ამოუჯდა გული, როდესაც **სოსოს** ბიძას ხელში სტექანი ეჭირა და ამას ილოცებოდა:– ღმერთმა ხელი მოგიმართოს თქვენ სულ-ყველასაო და ძირა დააძახა სტექანსა. ჩაველით **აწყვერში**, საიდამაც დაბრუნდნენ მამაჩვენები და ჩვენ ცოტათი მოვისვენეთ. პური ვჭამეთ თუ არა, შეუდექით გზას, ცოტა თუ ბევრი სიარულის შემდეგ ჩაველით **ბორჯომში**. გადმოვსხდით, ბარგი გადმოვალაგეთ და დაუწყეთ

მანქანებს ცქერა. რასაკვირველია, იმ ღამეს სულ ცქერად გარდავიქეცით. ვინამდინ ჩვენი წასაყვანი მანქანა მოვიდოდა, გავიქცეოდით. ვისაც წყალი უნდოდა, იქვე იყო წყალი და ხანდახან პირზეც შევისხემდით, რომ ძილიერ მოგვსლოდა. იმ ღამეს აინთო ლამპები თუ არა, ქალაქი ლამაზათ გამოჩნდა ისე, რომ სულ აქა-იქიდან ლამპების სინათლე გამოდიოდა. **მტკვა-რიც** კარგა ამშვენებდა ქალაქს, სადაც მის გარშემო პალატები იყვნენ აშენებულნი. გახდა შუა-ღამე, მოვიდა გაშმაგებული მანქანა. დაკრეს ზარები, რომ გაეგოთ, ვინც წასასვლელი იყო **ბათუმში.**

შეველით შიგა, ჩვენი ბარგი კი სხვას მივაბარეთ, რომ **ბათუმში** ჩაგვბარებოდა. როცა შემოლაგდნენ ყველანი, დაკრეს მესამეთ ზარს და გაუძახეს მანქანა. დაიძრა თუარა მანქანა, მაშვინეთ ბილეთებისთვის შემოვიდნენ. ნახეს ყველა ბილეთები, რაღაცა ნიშანით გახვრიტეს და ისევ წავიდნენ. ნახევარ საათის ოდენას ივლიდნენ. მივიდნენ ქალაქში და გაჩერდნენ. შემდეგში დაღალული ვიყავი, დამეძინა და აღარაფერი მინახია გათენებამდინ. როდესაც გამო-მეღვიძა, კიდევაც გათენებული იყო და **ბათუმსაც** მიახლოვებული.

ბილეთებისთვის შემოვიდნენ. მეც ჩემი ბილეთი ჯეფეში მქონდა. მეკითხებიან, მოგვეცი ბილეთიო. მე ნამძინარევი ვერაფერს ვხვდებოდი. მაშინ მე შემეშინდა, რის ბილეთ მთხოვენ, როდის მომცეს მეთქი. ბოლოს უმფროსის ძმამ **პოღოსამ** მითხრა, წუხელი რომ ქისაში ჩაიტოვეო. მაშინ ამოვიღე და მივეცი.

დაუღალავად მიცურავდა, მიჰქროდა გიჟივით ცეცხლის მატარებელი, თითქოს უკან მტერი მოსდევს დასაჭერადო. მინდვრები ღელავდა, მთები თვალს სხვანაირად ეჩვენებოდა და მალე სხვანაირ მდგომარეობაში შევდიოდით. რის სურვილიც გვქონდა, აგვისრულდა და უეცრივ დავინახეთ **ბათუმი** -ზღვის პირად მიწოლილი. რა საკვირველია, ფრიად მესიამოვნე-ბოდა ქალაქის დანახა და ზღვის ტალღების ამპარტავნულად გუგუნი, რადგან ზღვაც არასოდეს არ მენახა. ზღვაში დადიოდნენ ბუზებივით პატარა ფელუკები და დევებივით დიდრონი გემები, რომელნიც იდგნენ და ხარებივით ზმუოდნენ. შეველით **ბათუმში** დილის ექვს საათ-ზედ. აყვავებული დუქნები, სხვადასხვანაირი ხილებით თვალს გვტაცემდა. ჩვენ გვეგო-ნებოდა, გვიწევდნენ და გვეუბნებოდნენ: რას გვიყურებთ, შორიდან ყურებას ჩამოხტი და გვჭამეთო! მაგრამ გაცხარებული მტაცავი მგელივით, წყეული მანქანა დროს არ გვაძლევდა და სისწრაფით მიგვარბენინებდა. ამისთვის ჩვენც მარტო ხედვით უნდა გავმძღარვიყავით, რად-გან ყიდვა არ შეგვეძლო. მიველით გადმოსასხდომ ადგილზედ. გაჩერდა მანქანა და შეუდექით ჩვენ ბარგის გადმოლაგებას. როცა მოვრჩით ჩვენ ბარგის გადმოლაგებას, იქვე წყარო იყო, სულყველამ პირები დავიბანეთ და იქვე დავიწყეთ სიარული. ცოტა ხნის შემდეგ მოვიდნენ ბარგის წამღებლები, დააწყეს ბარგი არაბაზედ და ჩაიტანეს იქვე ეკლესიაში, სადაც ჩვენი უმფროსი იმყოფებოდა. იმ დღეს, რასაკვირველია, ლხინის დღე იყო. შევაგრევდით ფულსა სულყველანი და გავგზავნიდით ორ ჩვენთაგანს რამის საყიდლად იქვე დუქანში. მაშინ ნება გვქონდა სულყველას, რაც გვინდოდა, გვეყიდა და გვეჭამა. მაშინ გავიქცეოდით, ვისაც რა უნ-დოდა, ვიყიდემდით და ვსჭამდით. კიდევაც დაგვაღამდა განცხრომაში.

შევიკრიბენით ყველანი, მოგვიტანეს ჩაი, ჩვენც ჩვენი ქადები, აპოხტები გვქონდა. გავაწყეთ და შევექეცით ვახშამს. შემდეგ ვახშმისა, ჩვენი ლოგინები შეკრულნი იყვნენ, გავსხენით, გავაწყეთ და დავიძინეთ. როცა გათენდა, უმფროსმა ნიშანი მოგვცა, ავდექით, ჩავიცვით ტანი საჩქაროდ, დავიბამეთ პირები და შემდეგ ორ-ოლმა ერთად შევკარით ლოგინები. როცა ყველა-ნი მოვრჩით, იქვე ეკლესიაში წირვა მოვისმინეთ. შემდეგ სადილის დროც მოვიდა. ყველანი

შევიკრიბენით სადილზედ. შემდეგ სადილისა თამაშობას შეუდექით, ვინამ შუადღე გადიწევდა. როდესაც შუადღემ გადიწია, უმფროსმა დაგვიძახა. მიველით, ბარგი კიდევაც გადაეგზავნათ. ავიღეთ ჩვენი ქუდები და ყაბალახები, ჩაველით გემში. როცა ნახშირის ზიდვას მორჩნენ, აუშვეს გემი და ნელ-ნელა ტონტმანით სცილდებოდა ქალაქსა. **ბათუმს** რამდენიც სცილდებოდა, იმდენი ჩქარა მიდიოდა. გათენებამდინ **ტრაპიზონში** ავიდა. იქ გაჩერდა ერთი დღე. იმ ერთ დღეს სულ ბარგს ზიდავდნენ და არ ილეოდა. საღამოზედ შეწყდა ბარგის ზიდვა. . . (არ იკითხება) ბარგის ასატანი მაშინები დაკეტეს, კიბეებიც აიღეს და შეუდგინეს მგზავრობა. შემდეგ **ტრაპიზონიდან** წასვლისა ოთხი დღე კიდევ ვიარე **სტამბულამდინ**. ისე მოგვბეზრდა გემში ყოფნა, რომ ვამბობდით:- როდის უნდა გადავრჩეთ და დავაბოლოვოთ ჩვენი მგზავრობაო.

ასე მობეზრებულნი რომ ვიყავით, სასიხარულო ამბავიც გვესმოდა. თათრები ავიდოდნენ ზევით სალაპარაკოში, დაიწყობდნენ ლაპარაკს. ბევრჯელ კი ეს სიტყვები გვესმოდა, როცა ვინმე შეეკითხებოდა-როდის მივალთ სტამბოლში? - „ჰარნ გედარუხასტამბოლა პარნ," სიცილით გვეტყოდნენ ხოლმე. ჩვენც იმედი მოგვეცემოდა და გამხიარულდებოდით ხოლმე. იმ დღეს რომ ამისთანა სასიხარულო ამბები გვესმოდა, ძლიერ გვიხაროდა. აგერ დაღამდა, დაგვიძახეს, რომ ჩამოდით, პური ჭამეთო. ჩაველით, დავჯექით პურის საჭმელათ. ნახევარ პურისჭამაში რომ შეველით, გვითხრეს, რომ დილაზედ ადრე ადექითო, რომ **სტამბოლის** გარშემო ქალაქები ნახეთო. შემდეგ მოვრჩით პურის ჭამას, წაველით დასაძინათ. იმ ღამეს ძილი არ მოგვსვლია, რადგან გაგებული გვქონდა, რომ დილაზედ **კონსტანტინეპოლში** უნდა მივსულიყავით. დილაზედ ნანათლი არ იქმნებოდა, რომ ავდექით, ჩავიცვით საჩქაროთ ტანი, პირდაუბანელი გავედით და დავიწყეთ ცქერა აქეთ-იქით. გასვლის უმალვე შეგვხვდა ერთი დიდი თევზი, რომელიც გემს ეთამაშებოდა. კარგა ხანს ამ თევზს დავსცქეროდით. ატრიალ-დებოდა და ჩატრიალდებოდა ისე, რომ ნახევარი საათი იმის ცქერაში გავატარეთ. შემდეგ ჩაიქნია ბოლო სამუდამოთ და აღარ დაგვინახია.

შორიდგან დავინახეთ დაუტევარი **სტამბოლის** გარშემო ქალაქები. რასაკვირველია, ჩვენ არ ვიცოდით **სტამბოლი** იყო, თუ სხვა რომელიმე ქალაქი. მაშინ ვკითხეთ: ნუთუ ეს არის **სტამბოლი?** გვითხრეს რომ კარგა უყურეთ აქაურობას, თორემ ვეღარ ნახამთ ამ ადგილებსაო. ჩვენც, რასაკვირველია, ბევრი ვუცქირეთ. როდესაც მოგვეწყინა, ჩაველით ოთახებში და დავჯექით. ბევრხანს არ გაუვლია, დაგვიძახეს:–გამოდით, მივახლოვდით, ახლა გადავალთო! ჩვენც ავდექით, სიხარულით, გაველით წინანდელ ადგილას, მაგრამ ახლანდელი გასვლა, გასვლათ ღირდა. ვნახეთ ბევრი მშვენიერი რამენი. მათ შორის ყველაზედ შესანიშნი იყო ნავების მოძრაობა, რომელნიც ბუზებივით ირეოდნენ ისე, რომ მათი მოძრაობა კაცს თვალებს აუბნევდა და კიდევაც დაავიწყებდა თავის თავსა, სად იყო და სად არა. ხალხი მოსულიყო გადასასვლელ ადგილას და უცდიდნენ, რომ გემი მოსულიყო. მიახლოვდა თუარა გემი, მაშვინეთ ზოგმა ცხვირსახოცებით აჩვენეს და ზოგმაც ყვირილით აცნობეს თავიანთი თავი მოყვარეებს. გაჩერდა გემი. ახსნეს კიბეები. ხალხი შემოცვინდა. კაც ეგონებოდა, რომ მგლები არიან და ცხვრები უნდა წარიტაცონო. მაშინ შემოვიდნენ ჩვენ კერძოთაც სამი ღვდელი: პატრი **ანდრია** ცხონებული, პატრი **კირილე** და პატრი **მერაბი.** ვაჩვენეთ ჩვენი ბარგი, რომ არ დაკარგულიყო. ჩვენკი გამოველით გემიდან, დავიჭირეთ კონკა, ჩავსხედით სულყველანი, ვინც საქართველოდან მოვდიოდით და . . (ტექსტი დაუსრულებელია).

პეტრე ტატალაშვილის მოგონებანი

მ ო თ ხ რ ო ბ ა „**ა რ ა ლ ი**“

(მგზავრობა საქართველოდან კონსტანტინე-პოლამდის 1911 ს თებერვლის 13)

დავიბადე 1896, ოქტომბრის 10. გავიზარდე სოფელში, და რა გავხდი რვა წლისა, გავიცანი: სოფელი, გავიცანი მამული, მეგობრები და სხვაც. . .(არ იკითხება).

გავხდი 9 წლისა, დამაწყობინეს სწავლა სომხურათ ჩემს მეგობარ **პავლესთან**. შევისწავლეთ ცოტა თუ არა სომხური ენა, მაშინ გამოგვიცვალეს ჩვენი ზედა-მხედველი. ჩვენ, ცოტა არ იყოს, დავღონდით. ახალმოსულმა ღვდელმა ტკბილად დაგვიწყო ლაპარაკი, გვითხრა, კარგად ისწავლეთ, გამოდით მალე ღვდლებიო. ჩვენც დავპირდით. ორი თვე ვსწავლობდით, მაგრამ კმაყოფილი კი არ ვიყავით. ჩემი მეგობარი პავლე გამოიყვანეს სომხური სწავლიდგან და რუსულს კლასში გაგზავნეს სასწავლებლად. ჩემს ამხანაგს არ უნდოდა, მაგრამ თავის დედ-მამას უთხრობინათ, სომეხი ხომ არა ხარო, რომ სომხური ისწავლოო, რუსული კი სალდათად რომ წახვალ, იქ გამოგადგებაო. **პავლემ** მეც მაგრე მითხრა, როგორც თავის დედ-მამას ეთქვა.

დაღამდა. მივედი სახლში დადარდიანებული, ავედი მაღლა სკამზე და დავწექი. დედაჩემი შემოვიდა და მკითხა, რატომ ხარ მაგრე ჩაფიქრიანებულიო. მე უთხარი, როგორ არ უნდა ვიყო მეთქი, **პავლეი** რუსულს სწავლაზე მიდის მეთქვი და მე კი ისევ სომხურს მასწავლით მეთქვი. ასე გონია, სომეხი ვიყო მეთქვი. დედაჩემმა მითხრა: მაგისთვის შენ ნუ დარდობო. იმისთნა ალაგს უნდა გაგზავნოთ, რომო შენი სული შენვე აცხონოო.

ავდექი კიდევ ჩაფიქრებული და ავედი **პავლესთან**. უთხარი, რაც დედაჩემმა მითხრა. ცოტა ხნის შემდეგ დაგვიძახეს, მოდით პური ჭამეთოყ **პავლეი** თავის სახლში წავიდა- მეც ჩვენ სახლში. ჩავედი თუ არა სახლში, ცალკე დავჯექი. მამამ დაკითხა დედას, თუ რათ არის მაგრე გაპუტულიო; დედამ უთხრა, **პავლეს** რუსულს კლასში გზავნიანო და იმიტომ არის დაღონებულიო. ბოლოს მამამ მითხრა, არ გინდა, რომ **სტამბულში** წახვიდეო. დიახ, დიახ, მინდა მეთქვი. როდესაც მეთქვი, მამაჩემმა მითხრა: ერთი ორი კვირის შემდეგაო.

გავიდა რამდენიმე დღე, ვნახოთ, ბატონი **ანოგან ტერ პოღოს** ბიძაი მოვიდა და გვითხრა: **ბენედიქტე** უნდა **ბათუმში** წავიდეს, იქ ბილეთები აიღოსო; მაშ, ჯერ ნუ მოემზადებითო.

ჩვენი თვი უნდა წამოეყვანა, მაგრამ იმას აღარ წამოაყვანინეს ჩვენი თავი. შური ჩაიტანა და გვითხრა, რადგანაც მე არ წამაყვანინეთ ბავშვებიო.

გავიდა რამდენიმე კვირა, აღარც წერილი მოგვივიდა უმფროსისგან, ბოლოს დაჰყარეს ხმა, რომ უმფროსი მოუკლიათო; რამდენიმე დღის შემდეგ წერილი მოგვივიდა, რომ ბიჭები დაამზადეთო და მომავალს კვირას წამოდითო. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. სუყველანი სიხარულში იყვნენ, ჩემი ძმები დედ- მამა ბიძაშვილები და სხვა. ჩვენ ვიყავით ხუთნი-ძმანი. სახელები: უმფროსი ძმა **იესე** . . (არ იკითხება), პირველ იყო **ლუკა,** მერე **იოვანე**, მერე **ელია**, მერე **ვაკულა** და მეხუთე–მე. ე.იგი **პავლე**, დები არა გვყავს. ბიძაშვილები, რომელ-ნიც არიან, მრავალნი, **ალექსი, ზაქარა, ტეხვიო და სვავა.**

იმ ღამეს გამოაცხეს, რაც რომ საჭირო იყო და შეუდგნენ ბარგის შეკვრასა. ვნახოთ, კარი ვინცღამ გააღო, შემოვიდა და გვითხრა:–ფურნე ამაღამ ჩვენ დაგვითმეთო. დედაჩემა უთხრა: კარგი, მათი ჩვენა მოვრჩითო, რამე გინდათ? ასე ღამეს რომ ანთემთო; იმათ უთხრეს **ბარივალაი** გადაცვლილა **ახალციხესო**, ბიძები წავიდნენ ამოსაყვანათაო.

მაშინ ჩვენი სიხარული ტირილათ გარდაიქცა. როგორც იყო, გათენდა. მიველით ეკლესია-ში, კვდართან ვილოცეთ, მადლობა გარდაუხადეთ; გამოველი ეკლესიიდან, ვნახოთ ფაიტონიც ამოვიდა, ფაიტონის წინ ბარგი დავაწყეთ და წამოველით. მირამდის სამი ვერსი გამოგვევლო, იმოტენა ხალხი მოგვდევდა, რომ გზაზე ვეღარ ეტეოდნენ და სულ ყანებში დადიოდნენ. ზოგი მემშვიდობებოდა, ზოგი მაბრიდა, კრიანოსელი, ნაწილი სურფნითანი გამომიგზავნეო. მხოლიოდ დედაჩემი მაბრიდა, ჭკვიან იყავიო, კარგა ისწავლეო, დაემორჩილეო სუყველას, ხელქვეთი იყავიო. ასე გამოვშორდი ჩემს პატარა სოფელს და გავუდექი სხვა კვალს: მირამდისინ ჩავიდოდით ქ. **ახალციხეში**, ხიდის ყურზე დაგვიხვდა **ლეონი, სტეფან.** მე და **ლეონი** ავედით ჩემ ძმის ოთახში, რათ რომ, ღამე იქ გაგვეტარებინა.

ცოტა ხნის შემდეგ **ლეონას** ბიძა მოვიდა წასაყვანად და წაიყვანა, დავრჩი მე მარტო, ამხანაგი არა მყავდა, თუ არ ჩემი ძმა და მამა.

გათენდა, ფაიტონები მოსულიყვნენ დუქნის წინ, ჩავჯექით ოროლ ფაიტონში, ერთი ფაიტონი რეზინიანი იყო, მეორე კი არ იყო: რეზინიან ფაიტონში ჩავჯექით: **ფრანცია, იოსება, სტეფანე** და მე. სტეფანე მეფაიტონის გვერდით იჯდა. წვიმ-ტალახი მას მოსდიოდა. მეორე ფაიტონში ისხდნენ: **პოღოს** ბიძა, **ქრისტინე,** ვალელი გოგო და **ფილო, ლეონი** და **სიმონა**. **ახალ-ციხიდგან** წამოველით და . . . 8 ს როგორც იყო ჩაველით **ბორჯომში.** ვნახევი. . .ვინები ჩაწყობილი იყო მიწაში და შიგ ღორივით იყო ამობერილი; მე ვსთქვი, რომ ღვარნამი რომ იქნება. იქ ჩავდებ, და წამოვა მეთქვი. ამ ფიქრებში რაღაც ხმაურობა შემომესმა, გადავხედე, მორბის თოვლში გადღვერილი და იმოტენა კვამლის უშვებს, რომ მეტი არ იყოს. ვხედამ არ ილევა, ნაწყვეტ-ნაწყვეტა მორბიოდნენ, მე ვამბობდი ჩემს ფიქრში:– ვინ იცის უკნიდგან ვინცაღა აწვება, მეთქვი. მაგრამ დაბოლოვდა, არავინაც არ აწვებოდა. გავიდა ნახევარ საათი, დარეკეს ზარები და ერთიც დაუყვირა და გაიქცა, როგორც ერთი ქარაფშუტა ცხვრისაებ. მეო-რები კი დადგნენ. როგორც იყო ჩავჯექით ჩვენც და წაველით. ასე ერთი დღე ვიჯექით მატა-რებელში. ჩავედით **ბათუმში**; სამი დღე იქ ვიყავით და სამი დღის მერმე ჩავსხედით გემში და წამოვედით. ექვსი დღე ვიყავით **ბაფორში**; მერმე მიველით **სტამბოლში**. ცხონებულმა პატრი **ანდრიამ** გამოგვიყვანა **ბაფორიდგან**. ჩავჯექით კონკაში და ამოველით. სახლში ე . . მონას-ტერში. მოველით, აქ ორნი დაგვხვდვნენ, მამა **პიომ** შემოგვიყვანა აქ. გვითხრა, აქ სწავლისთვის მოსულხართო. ეხლა კარგად ისწავლეთო, თუ არა - გაგადებენო.

პავლე ტატალაშვილისაგან.

სტეფანე იაკობისძე ველიჯალოვის (სააკიანის) მოგონებანი ხიზაბავრა მგზავრობა საქართველოდამ კონსტანტინეპოლში

1911წ-სა მარტის 23

ხიზაბავრა მდებარეობს ჯავახეთში, მტკვრის მარჯვენა გვერდით, ერეკლე მეფის დროის ციხეების **ასპინძისა** და **ხერთვისის** შუა, ერთ მაღალსა და მოთავკალთებულს ადგილს. წინ ლამაზათ ამწვანებული მინდორი უდგია. ამ დროის ქვეით დიდრონი კლდენი ამართულან, სადაც მიმდინარეობს მტკვარი. უკან ტყით არის შემოსილი და ამ ტყეში ბევრი შესანიშნავი ძველებური შენობები მოიპოვებიან, ე.ი. საყდრები, გამოქვაბულები და ნაოხრები. ეს გამოქვაბულები იმაზე არიან ყველაზე შესანიშნავი, რომ ესენი არიან ძალიან მაღალს კლდეებში. მათი პირი არის მიწრო, პატარა და ქვის კარებები აბიათ. ეს უთუოდ იმას ნიშნავს, რომ უწინ ლეკები შემოესიენ რა ჯავახეთს, მაშვიე ხალხმა აქ გაიხიზნა და გადირჩინა მტრისგან თავი. ამისთანა ადგილას მდებარეობს ხიზაბავრა და ამაზე ერთ ლექსსაც მოვიყვან:

ხიზაბავრავ, მშვენიერო,
წინ მინდორო, უკან ტყეო.
ქვევით მტკვარო მომდინარო,
ზევით ბაღო მომღიმარო.
თქვენა, კლდენო საკვირველნო,
გაღმა ბნელავ, საოცარო,
საზაფხულოთ საშინელო, სანახავად საცინელო.
საკვირიკოვ, ლერწამ ტანო,
შენ, ლამაზო, კოხტა ქალო.
წვიმას უძღვნი ჯავახეთსა,
ლამაზო, შენ ბროლის თვლებსა,
შენ აძღებ გლეხს და მდიდარსა,
წყალს უმატებ დიდსა მტკვარსა.

მე ვარ გვარით **ველიჯალათი**. ჩვენი ტომის მცხოვრები აღემატება თუთხმეტ მოსახლემდის. საზოგადოდ, ერთ სახლში არის ან ათი ან თუთხმეტი პირი. დარწმუნებით არ ვიცი, რამდენს კვამლამდე აღემატება ხიზაბავრა.

მაგრამ კი დიდი სოფელია. მამა-ჩემს ჰყავს ორი ძმა: პეტრე და პოღოს და ოთხი და: თერე, ანნა, მარიამ და მაგდა. დედას ჰყავდა ხუთი ძმა, მაგრამ ორი ჩემ წამოსვლის შემდეგ გარდაეცვალა - ანტონი და იოანე და დარჩა სამი: სტეფანე, ალიოზ და სოლო და ორი და: ბაბალე და სალომე. ჩვენ ვართ რვა ძმა: გაბრიელი, დავითი, მე (სტეფანე), სიმონ, ეფრემ, მახასი, პავლე და ლეონ. ერთი და გვყავს, სოფო. ორი ბიძა მყავს, რომლების სახელიც ზეით აღვნიშნეთ, ამათ მამას ერქვა სიმონ, ე.ი. ჩემს პაპას. ბებერის სახელი არ ვიცი.

მე დავიბადე 1895-სა ივლისის 2-სა. სრული 14 წელი და 40 დღე ვიყავ დედ-მამასთან. ჩვენ ვიყავით ორი ძმანი, რომელიმე ხელობაზე ერთად გასაგზავნი. ამ დროს ორ ჩვენებურა კაცს გაეგოთ ეს ამბავი და ახალციხეს უმფროსისათვის ჩაეწერებინათ თავიანთი შვილები. ეს მამამ რო გაიგო, ძლიერ აღელდა, მეორე დღესვე ახალციხეს წამოვიდა, იქნება ჩემი შვილიც მივაღებინოო. მეორე დღეს გავიგეთ, რომ მიეღოთ. ის დღე ჩვენ ორივე ბიჭს გვიხაროდა და

მოუთმენლად უცდიდით, თუ რომელი ვიყავით წასასვლელი. იმ დღესვე ორივე აგვიყვანა მღ. **ალიოზ ჩილინგაროვთან,** თუ რომელი უფრო ივარგებსო; იმან უთხრა ჩემი ძმისა, „ეს უფრო კარგიაო“, რადგან ის დიდი იყო ჩემზედ. ამის გაგონებაზედ მე მოვღვარე და კარებისკენ გამოვბრუნდი. ეს ასე წავიდა, მაგრამ ჩამოველი მაშვე სახლში, მოვრთე ტირილი. რა საკვირველია, ტირილი არ გავათავე, გავებუტე კიდევაც. ამის შემდეგ მამაჩემი კიდევ წავიდა ქალაქში, მაგრამ ახლა კი სულ სხვა ამბავ მომითხრეს ჩემმა ძმებმა მინდვრიდგან მომავალს; „მამაი ქალაქიდგან მოვიდაო და დავითოი აღარ უდომიათ და შენ უნდა წახვიდეო“. მე სიხარულისგან გავყარე, რაც რომ მქონდა და დავეშვი სახლში. ჩაველი, რომ ახლა ჩემი ძმა ვნახე სახლში მტირალი. მემრე ჩვენები შეუდგნენ გაკეთებას, რაც საჭირო იყო ჩემთვის, ერთ კვირათ გამიმზადეს ყველაფერი. ამ ერთ კვირას ცუდათ დავდიოდი და ვინც შემეყრებოდა, მირჩევდა აქ წამოსვლას. განსაკუთრებით: ბიძა, მამიდა, და ნათესავები, გარეული თუ შინაური.

წამოსვლის დილით ჩვენს სახლში ერთი გროვა ხალხი მოსულიყო. სანამ ბებერა ჩემს და მღ. ალიოზს დავემშვიდობე, ჩამოვედი რა, ყველანი გარს შემომეხვივნენ: ზოგი ვაშლს მაძლევს, ზოგი ფარას, ზოგი მემშვიდება და ზოგი მარიგამს. ერთი გროვა ხალხი წინ მიდიოდა და მე სახლებში მივდიოდი დასამშვიდობებლათ, ისე, რომ სოფლის ბოლოს ერთი ჯელგა ხალხი გადმომყვა. მე გამოველ სოფლიდამ ორშაფათ დილით შვიდ საათზე, წ. 1909 ივლისის 29-სა. იმავე დღეს ახალციხეში ჩამოვედით. ერთი ღამე ხანში ვიდექით და მემრე ჰაჯიათ სტეფანესთან მიველით. ოთხი ღამეც იქ დავრჩით. რა საკვირველია, ის ოთხი დღე მუდამ სახლში არ გავატარეთ. გათენდებოდა რა, წირვას მოვისმენდით, ჩაის დავლევდით და მაშვე რაბათიდგან პლანისკენ ვიზემდით თავს. მამაი რაღაც საქმეებს აკეთებდა: ფარჩას ყიდულობდა, შაქარს და სხვა. მე კი სასეირნოთ დავდიოდი მასთან ერთად და რაც მომეწონებოდა, ვყიდულობდი ან მას ვაყიდინემდი. ისე, რო ოთხი დღე სწორედ სტეფანეს სახლში არ შევსულვარ მოსასვენებლათ რამე საქმისათვის. შემდეგ გავბეზრდით რა, ს.ვალეს წავედით, იქ დასასვენებლათ ჩვენ ნათესავებთან. საათის 5-ს წასულნი 6-ს და ჩარექს იქ მიველით, დაბნელებისას. ჩვენ სამი ღამე იქ გავისვენეთ - 2 მეორე ძმასთან და 3 მესამესთან. ამ დროს მუდამ სახლში ვიყავი. ამხანაკი არავინ მყავდა სიმონას მეტი, რომ მეთამაშა და ხან საყდარში წავსულიყავ. ეს რვა დღეცა ასე გავატარე. მერმე წიგნიც მოეწერა უმფროსს წასვლისა. მაშვე არღიდგან ერთი კაცი გამოვიდა და წამოგვიყვანა აქედგან ახალციხეში, სადაც მამაჩემი დილაადრიანდ წამოვიდა. ს.ვალიდგან გამოველით ხუთნი: მე, სიმონა, ანიკო, ანიკოს ძმა და არლელი კაცი. ბარგის წამოსაღებადაც გვყავდა ერთი ვირი. დიდი ხნის სიარულისა, მივადექით წყალს, რომელზედაც რამდენიმე ხე გაუდვიათ და კაცის მეტს ვერაფერს შეუძლია საპანლიანი გასვლა. ვირი იქიდანვე წყალში შემოვაგდეთ და ჩვენ ხიდზე გამოვიარეთ, მაგრამ ამ წყეულმა ინადი იხმარა და შუა წყალში შეგვეტოპა. როგორც იყო გამოვიყვანეთ და შეუდექით ისევ გზას. ცოტა ხანი არ გავიდა, რომ ლეონი მოგვეწია თავის ძმით ერთათ, ერთ კაჭკაზე მჯდომი, რომელზედაც ერთი დიდი ხე ედვა. მე იმ წამსვე ვალელები გაუშვი უკან და ლევანესთან შევჯექი. ასე ერთათ მიველით ახალციხეში შუადღისას და მერმე შევყევით დიდ ბაზარზე. ზოგმა დანა იყიდა, ზოგმა პორტმანი, ზოგმა პლატუკი, ზოგმა ყაბალახი. ვისაც რაც ესიამოვნებოდა, ყიდულობდა.

მეორე დილას ავდექი. მზე კვლავ ცურდებოდა დიდსა და ლაჟვარდს ცაზე. ვარსკვლავებს მოსწყვეტოდათ თავიანთი სიბრჭყვნე და **მთვარეც გადალესილიყო და გადათეთრებულიყო**

რუსის შაურიანივით (ხუთ კაპიკიანი ფულია). გაეღვიძათ ყოველა სულ-დგმულთ და მოჰყოლოდა დიდებასა ღმრთისა. ქალაქში ყველა მუშას გაეღვიძა! თავის საქმეს ადგნენ და ლაზღანდარობენ. მეც იმ ყველა სურათისგან შეგულიანებით წამოვდექი, პირზე წყალი შევისხი და ჩამოველით ხიდის ყურზე. იქ კიდევაც დაეჭირათ ფაეტონნი და ყველა ბავშვნი იქ მოგროვილიყვნენ. ამ დროს ჩვენი ავეჯეულობაც დააკრეს, ჩავსხედით შემდეგ შიგ და გავუდექით აწყვერისკენ (ასპინძისკენ) გზას.

ახალციხიდგან გაშორებისას ჩვენი მამები (ვისაც რაც ჰყავდა იქ) გამოგვყვნენ სამი ვერსის სიშორეზე გზის დასალოცავათ. გამოველით რა ერთ პატარა დუქანთან, ფაეტონნი გაგვაჩერებინეს და ზოგიერთნი დუქანში შევიდნენ არყის გამოსატანათ. ჩვენ გვიწვიეს, არ მიველით, რადგან იმის დარდი არა გვქონდა. ერთი ჩვენთაგანი კიდევაც ძლიერ ჩაფიქრებული იყო. ყველას დალოცვის შემდეგ, მღ.კორტემ რომ დაილოცა: „ქებულ იყოს იესოს სახელი. ღმერთმა ხელი მოგიმართოთ, საერთიოთ, ბიჭებოო“ და ყლუპნი დააძახა სტაქანს. მეორედაც მოგვემშბიდობნენ, ჩვენ ისევ გზას დავადექით და ისინი უკან წავიდნენ ქალაქისკენ.

იქედან წამოსული, 12-ზე აწყურს მიველით. აქ მეფაეტონემ ცხენებს აჭამა და ერთი ცხენიც იყიდა. ამ დროს თითქმის საათნახევარი დავრჩით. ჩვენც ვისადილეთ, რაც რამ გვქონდა და თევზიც დუქნიდგან ვიყიდეთ. სადილის შემდეგ ლეონი და პავლე ფოშტაში ჩავიდნენ, ეგების სააკ-ბიძაი აქ იყოსო, მაგრამ არ დაუხვდა. მათი ამოსვლის შემდეგ 5 წუთი არ გასულა, რაც წამოველით იქიდგან. კარგი ტაროსი არ დაგვიდგა და, საუბედუროთ, მეც მეფაიტონეს გვერდით დამსვეს. ამ დროს გოგორას ლაფივით ტალახი ჯერ ერთი სომხის ქალის პარკს ესხმებოდა, მერმე-მე. აწყურიდამ ბორჯომამდი ისე გავიწუწე, რო ტალახში ნავალი გეგონებოდით. მიველით ბორჯომში. ამ ქალაქის სიმშვენიერემ ძალიან გამახარა: შუაში ჩამოუდის ჩვენი დიდებული მტკვარი, რომელიც, უკვე დავიბადე რა, იმის სახელი ვისწავლე და ბევრჯერაც მიცურამს თევზივით შიგ.

აქეთ იქითგან ქალაქი არის გადაჭიმული. ზოგი ტყეში გადაჭიმულან, თითქო **თათრების ქალთ ჯოგს მოუსხიათ ჩადრები და მოცუცქულანო.** ტყე არის გარდაჭიმული სერებზედ და გორაკებზედ. კაცი შიგ ყველა გვარ ხეს მოიპოვს. შევედით რა ქალაქში, ფაეტონნი სტანციაზედ დადგნენ. გამოვალაგეთ ავეჯეულობა და შეველით სახლში, სადაც ორი-სამი ხიზაბავრელი კაცი დამხვდა. დავემშვიდობე მათაც და მერე გამოველით მტკვრის ქალაქის და ტყის საყურებლათ.

პატარა ხნის შემდეგ, ნახოთ, მოვარდა ოფლში გადაღვრილი მანქანა (ცეცხლის მატარებელი). ჩვენ, ბავშვებს, არ გვენახა ეს მანქანა და ამისათვის დაუწყეთ ყურადღებით ცქერა. ამის შემდეგ ეს კარგა ხანს გაჩერდა აქ და ჩვენც გარშემოდან ვუცქირებოდით. საათის შემდეგ ჩავსხედით შიგ. ერთი დაიყვირა, თითქო ხარია და დაეჭიდოს ვინმესნაო. ერთი თვალის დახამხამებაში მოგვაშორა ჩვენს სამშობლოს, „სადაც ვშობილვარ, გავზრდილვარ და მისროლია ისარი, სად მამა-პაპა მეგულვის, იმათი კუბოს ფიცარი, სადაც სიყრმითვე ვჩვეულვარ, ჩემი სამშობლო ის არი“ და სხვ.

ამ გაბრაზიანებულმა დათვმა რამდენი მშვენიერი ქალაქი და ტყე ჩაგვარბევინა, რო თვალის მეტი არ მოგვიკრამს. მხოლოდ სამ-ოთხ სტანციაზე დაისვენა. ორ მათგანში გამოველით. ერთჯერ, პირველზე რო გამოველით, ბევრს ხანს არ დავრჩენილვართ, მაგრამ მეორეზე სამ საათზე მეტი დავრჩით. ჩვენდა საუბედუროთ, ღამე იყო. ქალაქის მდებარეობა და სხვა

რამები ვერ ვნახეთ. ქუჩები სრულიად სავსე იყო ხალხით და ამის მიზეზით ადვილათ არ გვიშვებდნენ სახლიდამ, რომ რაც საჭირო იყო, გვეყიდა ანუ გვენახა. ამისთვის ამ სახლში დაშაქრული ჩაისა და შაქარლამის მეტი არაფერი გვიყიდია.

დრო მოვიდა რა, მანქანამ ორჯელ დაიზმუვლა. ამ დროს ყველა ხალხს ფაცაფუცი შეუდგა მანქანაში მისაშურებლათ. ჩვენც მათთაებრ მოველით ჩვენ ოთახში.

შუა ღამემაც მოატანა და ჩვენ კიდევ არ წაგვეთვლიმა, რადგან ხალხი გარშემო ბევრი გვყავდა და ამის მიზეზისათვის ვფხიზლობდით. ბოლოს თავი ვეღარ შევიმაგრეთ და ყველას წაგვთვლიმა. მე, ფრანჩისკე და იოსება ერთ გვერდით ვიწექით. იოსებას უწვა ქვევიდან ერთი ვალელი კაცი, რომელიც სადღაც მიემგზავრებოდა. გაღვიძებისას კაცი წასულიყო და იოსებას ფული ჯიბეში გამქრალიყო. ეს, რა საკვირველია, დააბრალა, ვინც გვერდით ჰყავდა და იმედიც გარდაიწყვიტა ფულისაგან.

დიდი ხნის სიარულის შემდეგ გამოვიარეთ ორი უშველებელი ტუნელი. ამის შემდეგ გათენდა კიდევაც და დავინახეთ გადაჭიმული და განუსაზღვრებელი შავი ზღვა, რომელზე-დაც ჭივ-ჭვავივით ირეოდნენ პატარა გობები და მიცურავდნენ დედამიწისაკენ კაცების შემ-წეობით, რომლებიც ნიჩბებს იქნევდნენ წყალში, თითქო ჭიანჭველა ფეხს იქნევსო. ამ სიხა-რულს მეორე სიხარულიც დაგვერთო. ხუთ წუთის შემდეგ დავინახეთ **ბათუმი**, რომელსაც ერთ გვერდიდგან მინდორი ამშვენებდა და მეორედგან ზღვა, რომელზეც დადიოდნენ ათას ნაირნი გემნი, ფელაკანი და ნავები. მიველით ბათუმში. მანქანაც გაჩერდა, ჩვენ სასწრაფოდ გადმოვედით ერთს წყაროს გვერდით და დავსხედით დასასვენებლათ. ერთ წუთში ათი-თერთმეტი აჯამი დაგვხვდა ავეჯეულობის წასაღებად. მერმე იმდენი მოგროვდა, რომ ქუჩა და დუქნის კარები გაჭედეს (დაიპყრეს). ქუჩიდამ ერთს გარადაომ მოურბინა მათრახით და დუქ-ნიდამ მედუქნემ თავის ქუჩის საგველა ცოცხით. ერთმაც და მეორემაც მაინც თითო ცოცხ-მათრახი აჭამეს თავ-ყურმალში. ბოლოს ერთი სადღაც დამალულიყო, იმას წამოვკიდეთ და მთლათ მოალაგა **ბათუმის კათოლიკეთა ეკლესიაში.** ამ დროს უმფროსიც ეკლესიის გალავანში დაგვხვდა, ხელზე მოვიკითხეთ, ჩვენი სახელი-გვარი გამოგვკითხა და შემდეგ, პური გეშივნებათო, გვაჭამა და შემდეგ დავიწყეთ ბაღში თამაში, ლაპარაკი და სიცილი. მერმე კი ქუჩაში გასვლაც გავბედეთ და დუქნებში სიარული. იმ ღამეს ერთი კიდევ მოვიდა უმფროსი და გვითხრა: დრო არის, ლოგინები გაშალეთ და დაწექითო. ჩვენც მაშივე ჩვენ ჩვენსას მივესიენით, გავანწკრივეთ ერთი მეორის შემდეგ და დავავედრეთ ჩვენი თავი მფარველს ანგელოზს. დილაზე გავაჭყიტეთ დაკრუტული და დაბმული თვალები, იქვე წყაროზე მივე-ლით, შევისხით პირზე წყალი და მთლათ გავაფრთხეთ შავი ძილი.

მეორე დღეს, ჩვეულებრივ, მოვისმინეთ წირვა, ვიზაკუსკეთ და დავიწყეთ გალავანში ჩვენ ჩვენი ბაასი. ნაშუადღევისას კლასიდგან გამოვიდნენ ბოვშები და წავიდნენ თავ თავეთ სახლებში. ამ დროს, ერთმა ბიჭმა, რომელიც იყო საყდრის მსახურის შვილი, გამოიარა ჩვენს გვერდით და შემოვიდა გალავანში წიგნებ ხელშიპყრობილი. მიველით იმასთან და დაუწყეთ საუბარი. ამ დროს იოსებმა ჰკითხა, თუ რა წიგნი ეპყრა ხელში. იმანაც გაკვირვებით გვიპასუხა, კიდევ არ გინახავთ დედა ენაო?. ჩვენ სიცილი შევიკავეთ და უთხარით - არა! წაიკითხე, ნახო რა სწერია შიგაო. იმანაც გადააღო შუა წიგნი და აღარ მახსომს რა წაგვიკითხა. ამ დროს შევცქერით ბოვშები ერთმანეთს და წაგვსკდა სიცილი. საწყალს ბოვშვს შერცხვა, გაწითლდა და მოშპა გარეთ.

ორი ღამე და სამი დღე დავრჩით ამ ქალაქში. მეორე დღეს ბაშფორთებს ხელი მოვაწერეთ და მესამე დღეს, საღამოზე, ბარგი გადავალაგეთ ბაფორში. იქ გვნახეს ვანოს დედამ და ძმამ. მერმეც მოვიდა მღ. **მიხეილ ვარძელოვის** შვილმა, სადაც პატარა ხანს გველაპარაკა ჩვენს მოგზაურობაზე და ამის შემდეგ აუშვეს კიდევაც პარახოტი.

დედა მიწას გასცილდა თუ არა, ღამის ლამპარნი ბჟუტავდნენ ქუჩებში. შორიდგან ბათუმი ასრედ უფრო კარგი სანახავი იყო. ამ ღამის გამამავლობის მგზავრობაში მიველით კიდევაც **ტრაპიზონში**, სადაც ის დღე იქ დავრჩით გემის საპალნის აღებისა და დაცლის მიზეზით. ამ ხანშივე უმფროსმა მოინდომა გასვლა და წირვის თქმა, მაგრამ შუა ზღვიდამ გამობრუნდა, არ ვიცი რა მიზეზისათვის. იმ ღამესვე იქიდანაც ადგა გემი და წავიდა პირდაპირ ზღვაზე. მოგზაურობა ძალიან კარგი შეგვხვდა, ყველაგნით, გარდა იმისა, რომ აჯამები (მცირე აზიის თურქები) არ გვასვენემდნენ, რომლებიც პარახოტის ძირში ჩასულიყვნენ და დღე თუ ღამ მღერაში იყვნენ გართული. მათში მხოლოდ შეშანიშნავი იყო ერთი ჩვიდმეტი წლის ბოვში. როგორც გავიგეთ, დედ-მამა მოჰკვდომოდა და მუდამ ტირილის ხმით მღეროდა. მხოლოდ ყველა ფრაზის დაბოლოებაზედ ამ სიტყვებს ამბობდა: „ვაი, ლოლო კურო, ვალეი, ვალეი კურო, კურო“ ამ მღერაზე, ჩემის და სიმონას გარდა, ყველანი ჩადიოდნენ ამ ალაგას და სეირნობდნენ. ამათ მივბაძე და ჩავყევ ერთხელ. ჩაველი და რა, ჩასვლით რომ პირზევე სუნი დამეტოვა, ხუთი წუთი კიდევ ვიდექი და გამოველი დამთვრალი.

ზღვაზე ვნახეთ ბევრი სხვადასხვა ნაირი სანახავი. მეტადრე, თვალი მოგვტაცეს თევზებმა, რომელნიც გემს გამოეთამაშებოდნენ ხოლმე და ბოლოს აჭყაპუნებდნენ გემის გვერდით წყალსა. ვნახეთ კიდევ ერთი თევზი, რომელიც მიდიოდა ზღვაზედ და იმოდენა ქაფს ადენდა, რო გეგონებოდათ, გემი გადაბრუნებულა და ზღვა აუქაფებიაო. ასე სამი დღე ვიარეთ ტრაპიზონიდამ ზღვაზე. ამ სიარულშიდ ბევრი სასიამოვნო და ბევრიც საკვირველი რამები ვნახეთ. ჩვენ ჩაფიქრებულის გულის გაშაშლელათ გვყავდა იოსეფი, რომელსაც ხან თავსახურს დაუმალავდით, ხან ფეხთსაცმელს და ტიტველა ვაროვნემდით ხოლმე. ერთხელაც, როცა სასეირნოდ ვიყავით გამოსული პარახოტის გალავანზე, ერთმა ბიჭმა თვალი მოგვკრა, რომ ქართულს ვლაპარაკობდით, თურმე ესმოდა იმასაც, (რო) მოვდა რა ყურის საგდებლათ, ამ დროს იოსეფამ დაიწყო ლაპარაკი ჩვენთან ასრედ: „წარი წური მიწი კანა“. ჩვენც მივყვებოდით: „წირა წურა რაწი მანა“. ეს შენიშნა რა იმან, მოვიდა საკითხავათ, თუ რას ან რა ენაზედ ლაპარაკობთო. მაშინ ჩვენ უთხარით, **ჩინეთურ** ენაზეო. ამაზე გაჰკვირდა და თავის ამხანაკებს ყველას უთხრა, რომ ჩინეთური იციანო. ამაზე ჩვენ წაგვსკდა სიცილი. ამ სამი დღის განმავლობაში ასრედ გვიცინია და შემდეგ მიველით კიდევაც **ბოსფორში**.

როგორც მოგეხსენებათ, ბოსფორისთანა კარგი სანახავი არსად მინახია. ინათლა და შავი ზღვიდან შევყევით დამიწროებულს ბოსფორში თავი. დასაწყისშივე ჩვენ გემს ერთი გობი მოაბეს. ამ ნიშანზე ჩვენ ვსთქვით, რომ **სტამბოლს** მოვსულვართო. ამ დროს, რაც საცვალი გვქონდა, შევკარით, თეთრი პური და ნამცხვრის ნამუსრი აკოშკიდამ გადავყარეთ. ამ ძღვენზე მერცხლებსა და თევზებს ძალიან გაუხარდათ და ესტუმრენ კიდევაც. შუა ბოსფორში შეველით რა, გემთა, პატარა გემთა და ფელუკათა ხროვამ თვალები სრულათ აგვიბნიეს. ერთ წამს არ დავდგებოდით, სულ ყურებათ ვიყავით გარდაქცეული. განსაკუთრებით თვალი გვტაცემდა ცოფიანი (ერთგვარი პატარა პარახოტია), რომელიც შემოჰკივლებდა და გაშპებოდა. ამ ყველა ნახვის შემდეგ, გაშტერებულებმა მივიხედეთ, რომ გემი მიწას უახლოვდებოდა. გაღმა ერთი

ჯარი ხალხი იდგა და მოუთმენლათ უცდიდნენ პარახოტის მოსვლას. ჩვენც ჩამოგვგვე-ბულიყვნენ სამი ქართველი: **პ.კირილე, პ.მერაბი და პ.ანდრია,** რომლებიც ხუთი მინუტი ელეპარაკნენ ჩვენ მოგზაურობაზე, თუ როგორ მოგიხდათო. შემდეგ ლევანესი და ჩემ გარდა ყველანი გაიყვანეს, მერმე ჩვენც წაგვასხა პ.ანდრიამ და მეორე ბოვშებთან შეგვყარა. აქედგან ავდექით ყველანი და წავედით ქალაქში. ცოტა ხნის შემდეგ, კონკაში ჩაგვსხა და ამოველით სასაფლაოს პირდაპირ. იქ გამოველით კონკიდამ და **ფეხით მოველით მონასტრამდე.** დაუახლოვდით რა მონასტერს, უმფროსმა გვითხრა: „აი, **ეს არის ამას იქით თქვენი სამშობ-ლოო“.** მოველით კარებზე. **ტანისლამ** კარი გაგვიღო. შემდეგ **მ.პიოიც** მოვიდა. ხელზე მოვიკით-ხეთ და წაგვიყვანა მაღლა ბაკში.

წ.1909-სა 15 დეკემბერს, საათის 11 დასრულდა ჩვენი მგზავრობა. იმის აქეთია, სადაც ვართ ერთმანეთის სიყვარულში, წარმატებაში და მადლობას ვწირავ ღმერთსა ყველა ამ კეთი-ლისათვის და თქვენთვისაც, მსმენელნო.

აპრილის 3, წ.1911, ფერი ქოევს

სტეფანე იაკობის ძე ველიჯალოვი-სააკიანი

დასასრული.

სტეფანე ველიჯანოვის ნაწარმოების – „განწირული ოჯახი“ – გაშლილი ოჯახი

სტეფანე, პარასკები, 1913, 28.02

განწირული ოჯახი

შესავალი: ამ თხზულებაში რა არის მოთავსებული, რა მიზნით არის დაწერილი, რა მოთ-ხოვნილებამ გამოიწვია ამ გვარი თხზულება.

თავი I.

უძლეველი მეფე განრისხდება სხვა ხალხზედ, რომელნიც მის ნებას არ ასრულებენ. რისთვის არ ასრულებენ? რა ჰქმნეს რო ასრე განარისხეს.

მეფე ჯარს შეჰკრებს, თვით წინ წარუძღვება, განრისხებულია. მუქარ გზაზე ქვეყანაში შემოდის უშველებელი ჯარით. გზებს უკრავს, მცხოვრებლები არ გაიქცნენო. ქალაქთ სწვავს, ხალხს ჟლეტს, მონასტრებს, ბერებს, ყმაწვილებს, ქალ-კაცს, დიდ-პატარას არ ინდობს, ყველა უბედურებას ჩასდის. ნახევარ ქვეყნის მცხოვრებლები დაატყვევა და დაჟლიტა. სხვანი კი გაიქცნენ გასახიზნავათ.

თავი II.

შემოსულის წინააღმდეგ ჩხუბი. ერთი ჯარის კაცისგან გახიზვნის ამბვის მოტანა, ხალხის ალიაქოთი, წივილ-კივილი, არეულობა. იმ ღამესვე უპატრონო ხალხის გახიზვნა, ეს როგორ მოხდა, მერე უდაბნოში მიდიან. ზოგს სახლის უმფროსი მოუკვდა ბრძოლის ველზე, ზოგს–შვილი, ზოგს–მამა, ზოგს–ქმარი და სხვ. ამათი გლოვა. განსაკუთრებით აღწერა ერთი ოჯახისა, რომლის პატრონი ომში მტრის წინააღმდეგაა. სახლში მარტო დედაა. მას ოთხი ვაჟი ჰყავს, ოთხივ უსუსურნი. დედას ვერაფერი უქნია. სხვანი გარბიან, ჰყრიან სარჩო-საბადებელს. ამანაც ყველაფერი მიატოვა, გარდა თუ არ რამ ცოტა საგზალი, ჯვარცმის და წმინდა ხატისა, რომელნიც თავეთ მბარველათ წაიღო.

პირველი ღამე ტყეებში, სიცივე, სიმშილი, გზის უმეცრობა, ნადირთა შიში, მტრის თავზე დასხმა.

ერთი კვირის შემდეგ მამაც მოვა, ჩხუბის ყველაფერს მოუთხრობს. მერე უფრო ღრმა ტყეში წავლენ. მამა ტყეში მონადირობს. ბოვშები მოიზრდებიან. გმირობას ჩაიდენენ. პატარობისავე მამა ნადირობას ასწავლის. პირველი დიდ გმირობას მოიმოქმედებენ მამასთან ერთათ და დედ-მამა **მარწუხს** დაარქმევენ. მეორე, ცამეტი წლისა, ლომებს ეჩხუბება, სახლში მოუთხრობს და **ლომ-გულს** დაარქმევენ. მესამე სხვა გმირობას ჩაიდენს და დაარქმევენ **ტყის მეფეს.** მეოთხეს **იაკობ მშვენიერს** უწოდებენ, რადგან დედ-მამას უყვარდათ. მამის „სასუფეველში“ წასვლა: ესე იგი, მარტო დაბრუნება სამშობლოში, შესატყობელათ, თუ რა ხდებოდა. მგზავრობის დროს ბევრი რამ. რა შეემთხვა. მტრის ხელმწიფის დღეობაზე ეს ძველი სარდალი შვილდ-ისარში საჩუქარს მოიგებს. მეფე მის დასამარცხებლათ ყველაზე კარგ მეომრის წინააღმდეგ გაიყვანს. იქიდანაც გამარჯვებული გამოდის. კიდევ ბევრ რამეში გამოიჩენს თავს. საჩუქრის ასაღებათ არ მივა და ისევ ტყეში შემოვა. ამითი უნდა ეცნო მტრის სიმაგრეები. იქ თავის გვარ ერს ნუგეშს აძლევს და ისევ ღრმა ტყეში თავის ოჯახობაში მობრუნდება.

მამის განშორებაში შვილებს აზრათ მოუვათ, თუ მამის სიტყვები - „ქვეყნიურ სასუფე-ველში მივდივარ“ - რას ნიშნავდა. დედის მწუხარებას იკითხავენ, თუ რისთვის სტიროდა. ანუ

მამა სად წაუვიდათ. დედა ვერ გაუბედავს, ვერ ეტყვის. ეტყვის: „თუ ჩემი სიკვდილი გინდათ, ვიტყვი. თუ არა და ნუ მათქმევინებთო“. ბოლოს დედა ავათ გაუხდებათ. შვილები ეტყვიან: „დედა, აგერ ჰკვდებიო. გვითხარ, მამაჩვენი სად წავიდა, წავიდეთ, მოვძებნოთ, ქვა ქვაზე არ გაუშვათ მის საპოვნელათ“. დედა ავათ მყოფობისას ეტყვის ყველაფერს. დედის სურათის წარმოდგენა, როდესაც აგონდება სამშობლო, ის ვაი-ვაგლახი, რაც გამოეარა ამ შვილებისთვის. მოთხრობის დროს გული მისდის... ყველაფერ ეტყვის. შვილები წასასვლელათ ემზადებიან. ამ დროს მამაც მოვა. ისიც აწმყო სამშობლოს ამბავს მოუთხრობს, დაარიგებს, გასწრუთნავს, თავის მაგალიტებს მისცემს. შვილები მამულის სიყვარულით აღიძვრიან. მამას წასვლას სთხოვენ. არ გაუშვებს, სანამ 14-21 წლამდისან არ შეიქმნებიან. წასვლის წინ დააფიცებს დედისგან წამოღებულს წმინდა ჯვარზე და წმინდა ქალწულის ხატზე. ბოლოს მამა ეტყვის, რომ იგინი მამულისთვის შეუწირია. სულ პატარა შვილს სახლში დაიტოვებს, მამას და დედას სიბერისას მოუაროს.. ამ დროს დედაც გამოდგება.

ბოვშვების დამზადება წამოსასვლელათ. დედ-მამისგან გამომშვიდობება. ისინი აკურთხე-ბენ თავიანთ შვილებს. ცრემლები მოუვათ მწუხარებით, მაგრამ ბოლო შვილი დედ-მამას გაამხნევებს. მამა აქ თავის მეუღლეს და შვილს მოუთხრობს, რაც თავს გადახდა მათთან განშორების დროს. ეს ძალიან გრძელი იქმნება.

სამი ძმა. მარწუხი 21 წლისა, ღონიერი, დიდი ტანით, შეხედვით მტრის შემშინებელი. ლომ გული, 18 წლისა, ვაჟკაცი, შუათანა კაცზე მაღალი, თან ჩასხმული, მხარ-ბეჭიანი და უფრო შესანიშნავი თავისი გამბედაობით, თავგანწირულობით და ჩხუბში სიცქვიტით, მისი ხმის გრიალი ზეცის ქუხილს უფრო მიემსგავსებოდა, ვიდრე კაცის ხმას. ათასის წინ წავიდოდა, არ შეუშინდებოდა არც რიცხვს და არც ცეცხლს.

მესამე - ტყის მეფე, 16 წლისა. შესანიშნავი, როგორც თავის ძმები გულადობით და უფროსი ერთათ მოსაზრებით და ხერხით, რომლის გენიოსობა მხოლოდ იყო ქვეყანაზე.

პირველათ გაივლიან აქამდისინ უნახავ ტყეებს. რაც მოუხდათ, რა ესიამოვნათ. პირველი ღამე უცნობ ტყეში.

მეორე დღეს ნადირობს სამივე. ერთი მელას დააგდებინებს არწივის ბრჭყალებიდამ. მეორე შეეყრება დათვს, რომელიც ბელამს ერთ მონადირეს. დათვს შეეჭიდა. რაც მოუხდა. მესამე ლომს შეხვდა, რომელიც საწყალ შველს მისდევდა. რაც მოუხდა. ეს სამივე გადარჩენილები: **კაცი, მელა** და **შველი** თავითვე დამხსნელებს წამოჰყვებიან. იმავე დღეს დიდ მინდორს დაივ-ლიან და პირველად ნახავენ თვითვე გვარ ადამიანს. გამოელაპარაკებიან. ესენი არიან მათ გვარი ხალხი, გამოხიზნულები. ეს პატარა ჯგუფი სხვა ჯგუფს შეუერთდება, ესეც კიდევ სხვას და ასე ათი ათასობით მეომარი ხალხი დაიბანაკებს ტყის პირას. ეს სამი ძმანი მთავარ სარდლათ არიან ამორჩეულები. ჯერ თოფ-იარაღის მოშოვნას აპირებენ. მტრის ხაზინებს დაეცემიან, სტეხენ და მდიდრდებიან იარაღით. ტყეში ყველა კაცისთვის საფარს გამართავენ და ამ საფარს გარშემო დიდი ხეების ზღუდეა. მტერს ერთ ღამეს თავს დაესხმებიან ეს სამივე სარდალი. სასწაულებრივ ღონეს და გამბედაობას ჩაიდენენ. ომი ბევრს დროს გასტანს. მტერს არ ასვენებენ. გარეული მეფე ჯარს მოიშველიებს თავის ქვეყნიდან. ეს სამი სარდალიც ჯარს შეჰკრებს, რომელნიც სიხარულით მიდიან საომრად. ამ დრო ხალხის გამხნევება, აღელვება. ყველა თავს სწირავს, ყველა ბრძოლის ველზე გამოდიან, მაგრამ იძლევიან.

სამი სარდალი მტერს დაერევა, დიდ გმირობას ჩაიდენს, მტერს უკან მოაკურცხლინებს, გამოუდგებიან, დაჟლეტენ, დაატყვევებენ. მეფეც ტყვეთ იქმნება. სახელი გაითქვება. გახიზნულები ბარს ჩამოვლენ, დიდ დღესასწაულს გაუმართავენ. სწორე მეფეთა ჩამომავალს გაამეფებენ. ვეზირ-ვეზირნი არიან სამივე ძმანი. მეფე დააჯილდოებს. მაშინ ესენი დედ-მამას მოახსენებენ. ერი დამშვიდდება, ყველაფერი წინ წავა, მეტადრე სარწმუნოებაში. ბედნიერათ იცხოვრებენ.

რა მაგალითს გვაძლევს ეს გმირობა. მათი თავგანწირულობა. რისთვის ჩაიდინეს ამდენ**ი საქმე.** იმ წმინდა ჯვარის და ხატის გულისთვის, რომელიც მშობელმა წაიღო ტყეში. აი, რა აზრი უნდა ტრიალებდეს **ჩვენს აწმყო და მომავალ გმირთა გმირულ გულში** და რისთვის უნდა ჰქონდნენ **აღზნებული გმირული გული და სული**. განა, ჩვენ მათდაგვარ დროში არ ვართ ჩავარდნილი?

დასასრული.

მუშა ბოქულაძე

(ახსნა-განმარტება)

1913. 29.01

როგორც ისტორიულათ ვიცით, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში, გრიგოლ ორბელიანის დროს, მრავალ გვარი ხალხი ცხოვრობდა საქართველოში: ზოგი ლოთობაში იყო გართული, ზოგი სიზარმაცეს შესჩვეოდა და იგი ერთ პატარა ღმერთათ გარდაექცია, ზოგი ამაოებაზედ აჟღერდა სიმებს და ღვთისაგან მონიჭებულს ჭკუას კეთილ საქმისთვის არ ჰხმარობდა და კიდევ სხვანი. ბოლოს კი ამათ მოსდევდა მუშა ხალხი, ძალიან ღარიბი და შეწუხებული. იგი ჩამორჩენილიყო ყველა რამეში.

გრიგოლ ორბელიანს ჰქონდა მომავალზე გული გატეხილი, როგორც მის ბიოგრაფიაშია ნათქვამი და ამას მისი ნაწარმოები ამტკიცებს. ეს იმიტომ, რომ მაშინდელი ახალგაზრდები დაცემულნი იყვნენ. როგორც თვითონ ამბობს ხშირად, აღარ ჰქონდათ შეწყალება მუშისა და ღარიბი კაცისა. მხოლოდ თვისთვის ნიავდებოდა სიმდიდრე ფუქსავატათ. **არ ასტკივდებოდათ გაქვავებული გული** და მათი ხელები არაფერს არ გამოიმეტებდა გაჭირვებულისათვის.

პოეტი არა მხოლოთ საუბრობს საქართველოს მუშებზე, არამედ მთელი დედამიწის ზურგის მუშებზე და მდიდრებზე ლაპარაკობს. საბუთი ეს არის, რომ მარტო საქართველოს მუშები და მდიდრები არ გასწორდებიან საუკუნის განსასვენსა ალაგსა.

იმ დროის დახასიათებისათვის პოეტს წარმოდგენილი აქვს გაჭირვებული მუშა, დატვირ-თული, რომელსაც ზურგზე ბარგი ჰკიდია. მასვე წარმოდგენილი აქვს მდიდარი კაცი, მუშის მაცქერალი. ღარიბი მუშა ძალიან გულსაკლავად ელაპარაკება და თავის ცხოვრებას უამბობს მდიდარს.

ჩემზე რად ხარ ეგრე გაკვირვებული - ეუბნება მუშა. არ იცი, როგორიც არის მუშის სახე. მისი ლოყები არ არის ვაშლივით წითელი ან ..... თეთრნი, კისერს, მეტის ბანით ლაპლაპი არ გააქვს და მუშკის საპნის სუნი არ ასდის. მკერდი ოქრო-მკერდით არ არის დაფარული, სადაც არც ოფლი მოხვდება და არც მტერი. მუშა სიყრმიდანვე ფუფუნებაში არ არის აღზრდი-ლი, არამედ სიღარიბეს მისთვის თავი მოუხრევინებია. ბედისგან გახარებული არ არის, მდიდარსავით მას ყველაფერი უზრუნველყოფილი არ მოჰსდის, სასმელი თუ საჭმელი. მან ერთი ლუკმა პურისათვის რამდენი ჭირი და ვარამი უნდა გამოიაროს. აი, რისთვის არის ტანჯვა მუშისთვის ცხოვრება. ამაზე რას ჰკვირობ?

ძმაო, მგონია იფიქრებ, როგორ დაბერებულა ეს კაციო, მაგრამ ამას ნუ განისაზრავ, რომ ჩემს შუბლზე ამდენი ღარები, უდროოთ თოვლივით გათეთრებული წვერ-ულვაში სიბერის ნიშანი იყოს. ეს დიდათ შემცდარი აზრი იქნება. სიბერის ნიშანი კი არა, გულის ღრმა ტკივილ-თა, მძიმე შრომათა, ღრმა და მწარე ფიქრთა ნიშანია. **უიმედოთ და უნოგეშოთ ყოფამ გამათეთრა**.

შენ იმდენად მედიდურათ სცხოვრობ, რომ არც კი იცი, თუ ღარიბნი არიან ქვეყანაზე თუ არა. შენ შენი ცხოვრებისათვის არ სზრუნავ და სხვაზე როგორ იზრუნავ. ისიც არ იცი, თუ ამ ქვეყანაზე სიმწუხრით და სიღარიბით ცხოვრობენ თუ არა. აი, ამისთვის ვარ გათეთრებული. ეს შენთვის, დიახაც, განსაკვირვებელი იქმნება, რადგან არც შენთვის ზრუნავ და არც სხვისთვის. ლხინში, ცუდაობაში და მხიარულებაში ატარებ შენს დღეებს. აბა, რა დაგაბერებს?

მუშა თავის დარდს და ვარამს თავზე აყრის იქ მდგომს მდიდარსა და უდგენს კიდევ უფრო მკაცრათ.

ეს რა არის. ეს კიდევ არაფერია, ამაზე „ნუ გიკვირს“. რაც გითხარი, სულ გარე მწუხარებანი არიან. თუ გსურს ჩემი ცხოვრების კარგათ გამოკვლევა, გიჯობს, რომ „ჩემს გულში ჩაიხედო“.

იქ წაიკითხავ მას, რაზეც ეხლავ გაშტერებული სდგახარ. იქ წაიკითხავ ჩემს მწარე ცხოვ-რების ამბებს.

ი.მ.ი.

კონსტანტინეპოლი პეტრე ტატალათი

თავ-გადასავალი

დღესა ერთსა, გაზაფხულისა მგონებს, ხარები საძოვრად უნდა წავასხათ შორს ადგილას, **კორაშენში**. ბიძაშვილმა არ ინდომა თან წაყვანა კამბეჩისა, რომლისთვის მოგების დრო მოსულ იყო, რადგან „ხარებს არ მიჰყვება და დამაგვიანებსო“. მშობლებმა მაშინ მითხრეს, რომ მე გამეყვანა კამბეჩი საძოვრად მდინარისკენ. ავიღე პატარა ჯოხი და წაველი. ჯერ კიდევ დილა იყო. ახლად ამოსული მზე აქა-იქ ანათებდა არე მარეს თავისი ოქროს სხივებით და ბუნებას კიდევ მთლად არ გამოეღვიძა. ხის ფოთლები მყუდრო იყვნენ, მფრინველებს კიდევ არ დაეწყო მათი ჭიკჭიკი და მეტი ხმა არ ისმოდა, თუ არა კამბეჩის ჩლიქისა. ესრეთ დუმილში ვიარე, სინამდის მდინარეს მივაღწიე. ამ დროს მდინარე გადიდებული იყო თოვლის დადნობის გამო და მსოფლელები ყოველგნით ჩაყრილებს აკეთებდნენ, რათა წყალს ბაღჩები და ყანები არ წაეღო, როგორც მოხდა გზისათვის. დიდად საშიში იყო მაშინ მდინარის გასვლა, რადგან ვერ გაუძლებდა კაცი მის სიჩქარეს და უთუოდ დაიხრჩობოდა... მაგრამ მე როდი ვფიქრობდი ამაზე: უბედურმა არც კი მოვიგონე, რომ მდინარისკენ დამდგარ ვიყავ. ამასობაში მდინარეს მიველი ერთს ადგილას, რომელშიც ძეწნი იყო რამდენიმე: კამბეჩმა წყალი დაინახა თუ არა, პირდაპირ ჩაექანა ძეწნებს შუა და ჩაწვა; მაგრამ წყალმა მყისვე წარიტაცა პირუტყვი, რომელიც ამაოდ ეცდებოდა გაეძლო მის სისწრაფეს. ვეღარც კი შეეძლო ცურვა და წყალი რქებამდის ამოსდიოდა. ეს ვიხილე თუ არა, ღრიალი მოვრთე და გონება ისეთი გამებნია, რო არ დავინახე რამდენიმე მსოფლელები, რომელნიც თითქმის ჩემს გვერდით მუშაობდნენ ჩაყრილზე. ერთმა მათგანმა მხარზე ხელით დამკრა და დამამშვიდობა. ტირილით ვუთხარი მაშინ, რომ „კამბეჩი წაიღო წყალმა“-მეთქი და თან თითით ვუჩვენებდი მას. ნუ გეშინია, გამოვიყვანთო, მიპასუხა მან. საბედნიეროდ წყალმა საწყალი პირუტყვი ჩაყრილთან მიიყვანა. მაშინ რქებზე რკინის ჯინჯილი მოაბეს და უღელ ხარს გააწევინეს: ყვირილით და გამხნევებით ცოტა წყლიდგან ამოიყვანეს, მაგრამ უფრო და უფრო უძნელდებოდათ ხარებს გაწევა. რამდენიმეჯერაც მუხლზედ დაიჩოქეს და ესრედ გასწიეს. ბოლოს და ბოლოს რიყეს საკმაოდ მიუახლოვდა კამბეჩი, რომ კუდიდგანაც დაეჭირათ იგი. ხელ მეორეთ გასწიეს მაშინ: ერთი ხარებს ამხნევებდა, მეორე კამბეჩს კუდიდგან იწევდა, მესამე მზად იყო სხვა ასოსთვის წაევლო ხელი და ესრეთ დიდის ძალით სიკვდილს გადაარჩინეს საწყალი პირუტყვი. ცოტა კიდევ მეტი რომ ჩასულ იყო, უთუოდ დაიხრჩობოდა. წასვლამდე დამხსნელებმა მირჩიეს, რომ ყანებზე გადამეყვანა კამეჩი, რათა უბედურობა ხელმეორედ არ მომხდარიყო. დავემადლე და შუა ყანებზე გადავიარე, ამ ჯერობით მდინარისკენ დადგომით. კამბეჩი მივიყვანე ჭოჭნარე ადგილას და იქ ვაძოვდი, როცა ბიძაჩემი ჩამოვიდა: თურმე ჭალებიდან მითვალთვალებდა შესაწევნელად, თუ რამე მომხვედროდა. მითხრა, რომ ამ მდგომარეობაში მწვანე ბალახი ავნებსო და ღელეში ამაყვანინა, სადაც ჩემი ძმა მომეწია. კამბეჩის დანახვით არც კი იფიქრებდა კაცი, რომ ერთი ორი ჟამის წინეთ წყალში კინაღამ დამხრჩვალ იყო: ისე წყნარად სძოვდა თივას. ბოლოს სახლში დავბრუნდით და ქატო მისცეს საჭმელად. ეშინოდათ, რომ მკვდარი ზაქი არ

მოეგო, მაგრამ ამ შემთხვევამ არა რა შედეგი იქონია. ზაფხულში მთაზე წაიყვანეს და როცა შემოდგომაში დაბრუნდა, წინ ღონიერი ზაქი მოურბოდა.

ქრისტეშობის თვის 4-სა, 1905 წ.

უმანკო ჩასახების დღეზე.

გიხაროდენ, სამზრუნველო ჩემო დედავ, ღვთის მშობლის მიერ გამორჩეულო თვისი ძლიერების და კეთილობის გამოსაცხადებლად: შენმა დანახვამ სული გამიცოცხლა, გული გამიხურა, გონება გამიახლა. მშვენიერების გამო ყველანი შემოგნატრიან და შენის ნახვით გაშტერებული რჩებიან. ბევრი ხანია ძუძუ გამაგდებინეს, ბევრი ხანია შენს სიყვარულს მომაშორეს. მას აქეთ სევდა გულზედ მაწევს და ვერა რას შეუძლია განაქარვოს იგი... ოჰ! როდის მოვა დღე, საგულისხმო დღე, საიმედო დღე, რომელსაც შენს შუა კიდევ მშვიდობით დავიძინებ, ვითარცა ყმაწვილი დედის კალთაში?! როდის მოვა ჟამი, რომელსაც პატარა ყრმასავით ძუძუს მოგწოვ, ესე იგი, შენს სიცოცხლეს ჩემს სიცოცხლედ გარდავაქცევ! როდის მომეცემა, რომ ამბორი გიძღვნა და შენი და ჩემი ჭირი შევაერთო! ნუთუ, კიდევ ბევრს ხანს გასტანს შენგან მოშორება? ნუ თუ კიდევ ბევრ ხანს დავრჩები მწირი შენს გარეთ? პასუხი მომეც, ჩემო გამზრდელო, ჩემო დედავ!...

....მაგრამ რა?!... კიდევაც მაშორებენ დედას, რომელმაც თავისი ტკბილი რძით გამზარდა? კიდევაც მყრიან მას, რომლის სისხლი ძარღვებში მიდუღდა..... ღმერთო, ღმერთო, გადმომხედე ცოდვილსა. დედის ძუძუს მომაშორეს, გულს ლახვარი მეცა!....სული გამებნია....ჭლიკები ქვეშ მიმირბის... მშვიდობით დედა! დედა! დედა! როდის გნახავ!.... სევდა კიდევ შემეყარა, და-მეკარგა სიხარული;

ბედმა დედას მომაშორა, გამიშვა შავი ნაღველი!

ქრისტეშობის 13-ს 1905 წ.

აღდგომა

აღდგომა დღეა! მთელი სოფელი სიხარულს მიცემულია; წირვის შემდეგ ვაჟკაცები შეგ-როვდნენ და კვერცხებზე თამაშობენ; მიწა წითელი ხეჭუჭით არის მოფენილი. ზოგს მაგარი კვერცხი აქვს და აქეთ-იქით დარბის და კვერცხებს მუსრს ადენს; ზოგს მუხთლად გამოცლილ კვერცხის ხეჭუჭში დამდნარი ტყვია ჩაუსხია და ესრედ თამაშობს. აქეთ ერთს ბევრი მოუგია და სახლში მირბის ჯიბებ გატენილი; იქით მოთამაშენი ერთი მეორეს ეკიდებიან. ამ დროს მღვდელი ორ მომშველესთან, რომელთაც დიდი კალათი დააქვთ, ყველა სახლებში დადის მათ საკურთხებლად და რასაც სახლის პატრონები იძლევიან კალათში იტოვება: საზოგადოდ, რამდენიმე კვერცხია; არა ვითარცა ხარჯათ იღებს მღვდელი, არამედ, როგორც საჩუქრად და ძღვენად.

უეცრად ყველანი განზე გადიან და გზას აძლევენ ერთს მრისხანე ბუღას: ეს ჩვენი ასლანია, რომელიც იმ დღეებში ისრე გაბრაზებული იყო (არავინ იცოდა რა მიზეზისთვის), რომ თვით

ბიძაშვილსაც, რომელსაც კი განსაკუთრებით უყვარდა იგი, ახლოს არ უშვებდა. მის შეუკითხავად გამოიყვანეს იგი ბაგედგან საჭიდაოთ, რადგან მღვდელთან იყო სახლების კურთხევაშიდ. ჩვენს სოფელშიდ ჩვეულებაა, რომ აღდგომა დღეს იჭიდაონ ანუ ფალავნებმა ანუ პირუტყვებმა, კამბეჩებმა თუ სხვამ. ამისთვის გამოიყვანეს იმ წელს ჩვენი ასლანაი: მეორე მოჭიდავე კიდევაც უცდიდა მას შემთხვევაებრ მოედანზე, რომელიც თვით გზავე იყო. ეს მოჭიდავე გეახლებათ თქვენგან ცნობილ ახმახის ღონიერი ხარი, რომელსაც არ ვიცი, რომელ ხვედრში, თვისი ორი რქა მოსტეხოდა.

მთელმა სოფელმა თავი მოიყარა მოედანზე, რომელსაც ათიოდენ ადლი სიგანე ექნებოდა. მღვდლის სახლის და სასაფლაოს გალავნის შუა, სადაც უნდა წარმომდგარიყო დრამა. თუმც კი ჩვენი ასლანის მოშურნეთ უსამართლობა ჩაედინათ უნებურად სხვისი საქონლის გაყვანით. მაინც ბრძნულად განსაჯეს, რომ ბიძიშვილი დასწრებულ იყო ბრძოლას, ესე იგი, თავის ასლანის დაძლევას, ვითარცა ელოდნენ იგინი. ბევრ ხანს არ დაიცადეს: ბიძაშვილმა დაინახა თუა არა, რომ მისი საყვარელი ასლანა მის უნებურად გამოეყვანათ საჭიდაოთ, მღვდლის სახლიდგან სასჩქაროდ გამოიჭრა, კვერცხებთ კალათის ჩაბარების შემდეგ და დაინახა თუ არა, რომ ცუდ ადგილს დაეყენებინათ თავისი მოჭიდავე, ორ შემტაკებელ შუა შეექანა და სოფ-ლისკენ წამოიძახა, რომ არასოდეს დასთანხმდებოდა ჭიდაობას ასეთ ნაირ მოწყობილებაში! თურმე მოწინააღმდეგეებს ეღალატათ და ჩვენი ასლანა მარეს გალავნისკენ დაეყენებინათ მცირე სიშორეზე, ისეთი, რომ პირველ შეჯახებაზე კედელზე მიიკრებოდა და ესრეთ დაძ-ლეულ იქმნებოდა; მეორე ბუღას კი საკმაო ადგილი ჰქონდა, რომ დამარცხების შემთხვევაში მისგან დაეწია, რამდენიც სდომებოდა და ამნაირათ უფრო გაძნელდებოდა მისი გაქცევა. ხალხმა დაინახა თუ არა ეს ვაჟკაცი, რომელიც უშიშრად გაექანა ოთხ მრისხანე რქათა შუა, ცოტა შეჰკრთა მის სიცოცხლისთვის, რადან ბუღები კიდევაც ერთმანეთზე მიდიოდნენ და ის იყო რქა რქას უნდა შესტყორცნოდა, შუბლი შუბლსა. სიმართლემ და ამანირ სიმამაცემ სოფლის ნება ბიძაშვილისკენ დაიყოლია და ყველამ წამოიძახეს, რომ თანასწორი ზომა მიეცათ ორივე მოჭიდავესათვის. უცხო ბუღას უკან დააწევინეს, ასლანა წინ წაიყვანეს და კაცები განშორდნენ და გზა ფართო გაუშვეს მოჭიდავეთ. ყველანი ელოდნენ უძლიერესს შეტაკებას და უფრო მწარე ბრძოლას, მაგრამ იმ მხდალმა ახმახის ბუღამ შეტაკებაც არ სცადა, არამედ დაინახა თუ არა, რომ მტერი თავიდაბლა, გაბრაზებული მასზედ უნდა გაქანებულ იყო, შემოტრიალდა და ხალხის-კენ ფეხი მოუსვა. მაშვიე ხალხი შუაზედ გაიპო და გზა მისცა გაქცეულს; ასლანაც უკან გამოეკიდა და მაშინ ასტყდა არეულ-დარეულობა; შეშინებულნი, ვაჟკაცები უკან გამოეკიდნენ გამმარჯვებელს და დამარცხებულს მათ შესაჩერებლად... გაქცეული სოფლის ზევითკენ მირბოდა და კედევაც ახმახის სახლს გადაცილებულ იყო. ასლანაც უკან მისდევდა, მაგრამ კიდევაც რამდენიმე ვაჟკაცს მისთვის გაესწროთ, უფრო კი გაქცეულის პატრონებს. ერთმა ახმახის ძმამ დიდ ქვას ხელი მოავლო და თავისი დერეფნის წინ დაუცადა ასლანას. ეს მიუახლოვდა თუ არა, იმ მხეცმა დაუმიზნა ქვა და ჩავარდნილ ფერდებში სტყორცნა საწყალ ბუღას, რომელიც მყისვე შეჩერდა. მეორეც შედგა, როცა ნახა, რომ მტერი უკან აღარ სდევდა და ესრეთ გათავდა სეირნობა.

რა საკვირველია, იმ ნაირი მოქცევა ისეთი ეწყინა ბიძაშვილს, რომ დაიფიცა, მას იქით აღარ დავაჭიდევებინებ ასლანსა, მისთვის, რომ ესრე მუხთლად მომექცნენო.

მხოლოდ ერთ დღეს, რომ თვითონვე აძუებდა ხარებს, ახმახმა მოინდომა ჯავრის ამოყრა. თავისი ბუღა დააჭიდავა ასლანთან, როცა ჩემი ძმაც ბანაობდა. ეს რომ გაიგო ბიძაშვილმა, უფრო განრისხდა. ჩემი ძმაც ძლიერ გალანძღა: დაგაბარე, რომ ჭიდაობისთვის არ მიუშვა და კიდევ დააჭიდავებინეო!... მაგრამ მის აქეთ არ გამიგია, რომ ასლანას ეჭიდაოს კიდევ.

იანვრის 8-სა, 1906 წელსა.

სიცილს ტირილი მოჰყვება!

რაც ქვეყნის ზურგზე მოვსულვარ, ღამე დოშაკის და საბნის შუა გამეტარებინა მუდამ. ერთი პირი მხოლოდ, მშობლებმა სცადეს ჩემი ყანაში დაძინვა. აი, როგორ მოხდა:

ერთს შემოდგომის დღეს, თუ არ ვსტყუვდები, არ ვიტყვი სადილის შემდეგ, რადგან იმ ჟამს არ ვსადილობდით, შუა დღის შემდეგ. დედამ ჩამაგზავნა ძმასთან და ბიძაშვილთან მათ მოსახმარებლად (მაინც მე ესრედ მეუბნებოდნენ და ვიჯერებდი!) ყანის მოხვნაში. საკვირველია! არც მოვეხმარე და არც არაფერი, უღელზე ასვლაც კიდევ არ ვიცოდი. ნახევარი დღე უსაქმობაში გავატარე, მეტი არ შემეძლო. მხოლოდ, იმედი მქონდა, რომ საღამოზე სახლში არ დამაბრუნებდნენ, როგორც საზოგადოთ, არამედ ყანაში ბიძაშვილთან გამიშვებდნენ, რომელსაც ლაჟვარდიან ცის ქვეშ უნდა ეთენებინა.

ძლიერ მომწონდა ღამის გატარება სახლის გარეთ, თუმც კი არასოდეს მომხდარ იყო ესრედ. კიდევაც, ამ საგანზე საუბრისათვის ყური მომეკრა, მაგრამ დარწმუნებული არ ვიყავი და საღამოს მოუთმენლად ვიცდიდი საქმის გადაწყვეტის ნახვისათვის.

მზე თითქმის ჩასვენებულ იყო. ვნახოთ, რომ ვალედგან გამომსველელ სალდათთ რაზმამ ჩამოიარა ახალციხისაკენ მიმშურნებელი. ეს იმ დღეს მეორე ჯერობად ხდებოდა, მაგრამ პირველად ვესწრებოდი. თურმე დილაზეც ჩამოეარათ და როგორც მდინარე ჰქონდათ გასასვლელი და მდინარეზე ხიდი ჩვენში ცნობილიც არ არის, წყალში ჩაქმიანათ შეეტოპათ და ესრეთ იქითა ნაპირზე გასულიყვნენ წელამდის დასველებულნი. დავინახე თუ არა იგინი, მათ სანახავად გავიქეცი. როცა ყანას მიუახლოვდნენ, ერთმა მხედარმა რუსულად რაღაც სიტყვები უთხრა მთავარს და ყანაში შემოვიდა. ბიძაშვილი მის სურვილს მიუხვდა და დამიყვირა: „პური უნდა, ტავარჯოხში ორი ნაჭერი კიდევ არის. აიღე უპატარესი და მიეცი“. გავიქეცი ტავარჯოხისკენ, ავიღე დანიშნული ნაჭერი და ვაძლევდი, მაგრამ ჩემმა ბატონმა არ იკადრისა, ხელი მკრა, ტავარჯოხიც გამომართვა ხელიდგან, მიირთვა უდიდესი ნაჭერი და წაბრძანდა, როგორც მოსულ იყო. ბიძაშვილს რომ ეს ვუთხარი, არ მოეწონა, რა საკვირველია და კიდევაც იმ მყრალ რუსს რავდენიმე დასალოცველი სიტყვა მიაყარა ქართულად!

ვუყურებდი დანარჩენ პურის ნაჭერს და ვფიქრობდი, თუ ეხლა როგორ გვეყოფა სამს ეს პატარა ნაჭერი, როცა მოულოდნელად დედა გამოჩნდა გზაზე. სიხარულით მივეგებე: საუზმესთან კეთილი ამბავიც ჩამომიტანა, ესე იგი, რომ ღამეს აქვე დაიძინებო. მე სიხარულით ვხტუნავდი, მაგრამ არ ვფიქრობდი, რომ ამ სიხარულს მალე ბოლო უნდა მოეღოს! რადგან

დაბნელდა თუ არა, თითქმის კანკალი დავიწყე: მეშინოდა, რაც უნდა იყოს! ბიძაშვილმა ჩემ ძმას თვისნი დარიგებანი მისცა ღამისთვის და დილა ადრიანათ ადგომისთვის და ხარები საძინებლად წაასხა. ბიძაშვილი რომ წავიდა, თრთოლა მომემატა, ის რომ აქ აღარ არის, ვინღა დაგვიცვამს მეთქი! ძმამ, რამდენიც შეიძლო, დამაწყნარა, მაგრამ კიდევ მეშინოდა და ტირილი დავიწყე....

ყანაში რამდენიმე ზვინი იყო. ზვინის ძირში ვანომ რამდენიმე სორო გააკეთა, ერთი ჩემთვის, მეორეც თავის თავისთვის და შიგ შემაწვინა. თვითონაც შეწვა და მითხრა: „პეტერჯან, ნუღარ სტირიხარ, დაიძინე, არა საშიშია“, მაგრამ მე მუდამ ვსტიროდი.... ჩემ პირდაპირ გავიხედე და სერზე სამი მოძრავი ჩრდილი თვალებწინ გამელანდა. თითქმის გული გამისკდა: „მიშველეთ! ქურდები მოდიან, უნდა მოგვკლან! ვუი! ვაი!“ ვანომ მიპასუხა: „სტყუვდები, პეტრე, ხები არიან ,ხვალ კარგა ნახამ, ქარი არხევს და შენ გგონია, რომ ქურდები მოდიან!“. როგორც კიდევ ვსტიროდი, მითხრა: „თვალები დახუჭე და დაიძინე... ერთი პირი კიდევ, ნუ გეშინია!“ მის რჩევას მივჰყევი და რამდენიმე ხნის შემდეგ ღრმა ძილს ვიყავი მიცემული, როგორც თუ ლოგინში ვყოფილიყავ.....

როცა გამომეღვიძა, ვანოს დავუძახე, მაგრამ არა პასუხი რა მომიგო. გავიფიქრე, რომ ეგების არ გამოუღვიძია კიდევ და როგორც დანახვა არ შემეძლო კიდევ სიბნელის გამო, მკლავი მის გვერდითკენ გავიშვირე, მაგრამ ადგილი ცარიელი დამხვდა. ეს რომ ვნახე, წრიპინი მოვრთე: „ვანო, სად ხარ! რისთვის არ გამომაღვიძე და წამიყვანე შენთან?!“ შორი ახლო ცნობილი ხმა მომესმა: „ეჰ!“ და მერმე: „ნუ გეშინია, აქ ვართ“. თურმე ჩემი ბიძაშვილი იყო: ვარსკვლავები გამქრალიყვნენ თუ არა, ხარები მოეყვანა, ვანოს გამოეღვიძა და ყანის ხვნა მაშვიე დაეწყო, რადგან ის ყანა იმ დღესვე უნდა მორჩენილ იყო და კიდევ ბევრი რჩებოდა. როცა მოვიდა ჩვენ გასაღვიძებლდა, ენახა, რომ გულიანად მეძინა და ამისთვის არ ენდომა ჩემი გაღვიძება და (შეხედე, ძმურ სიყვარულსა!) ჩუმათ დაეწყო შრომა, რათა ძილი არ გაეფრთხო ჩემთვის...

დილა ადრიანათ დედა ჩამოვიდა ყანაში ჩემი ამბვის საცნობელად: როცა მოუთხრეს ჩემი წინანდელი დღის შიში და კანკალი, არ ინდომა, რომ მეტი დარჩენილი ვიყავ გარეთ და თავისთან სახლში წამიყვანა დილითვე. მეც მეტი არ მსურდა: ყანაში ღამის გატარება კიდევც შემძულოდა!

იანვრის 26-ს 1906.

პატარა დანაშაულს დიდი მოჰყვება

ახალციხის ერთს მედანეს ჩვეულებად ჰქონდა მამა ჩემისათვის მასპინძლობა ეთხოვა, როცა სოფელში ამოდიოდა საქონლის გასაყიდავად. უკანასკნელ ჯერობად რომ მოვიდა, მე მის მსახურად დამაყენეს, თუ ესრედ შემიძლია ვსთქვა, რადგან ეს მსახურება მხოლოდ წყლის მირთმევაში ჰგიებდა!....

ეერთ საღამოს რომ დაღალული დაბრუნდა სახლში (გარშემო სოფელში ევლო მთელი დღე), ოჯახის წინ დაბრძანდა, წინდები გაიხადა და ისვენებდა. მშობლებიც ცეცხლის წინ ჩამოსხდნენ და ლაპარაკი გამართეს მასთან. მეც, როგორც ჩემი ვალდებულება ითხოვდა, ცივი

და გამაგრილებელი წყალი მივართვი და მის შემდეგ ყურადღება აღარ ვაქციე მას: გავერთე და-ძმებში და ყოველდღიურ თამაშობას მივეცი. როდესაც ვახშმის დრო მოვიდა, დედის ბრძანებაზე ყველანი შევიკრიბენით და სირაზე დავიჩოქეთ სალოცავად, რადგან ჩვეულებაა ჩვენ სახლშიდ, რომ ვახშმის წინ თქვან საღამოს ლოცვა. ამ დროს მედანემ კიდევ შეუდგინა მშობლებთან საუბარი. ლაპარაკი ჩამოვარდა ჩვენზე. როცა ჩემი სირა მოვიდა, მედანეს მოა-გონდა, რომ მუდამ მე ვასმევდი წყალს, როცა ჰსწყურდებოდა და ინდომა საჩუქრის მიცემა. ამისთვის, ლოცვას მოვრჩით თუ არა, პატარა ლამაზი დანა გამოიღო და გადმომიგდო. მად-ლობა გადვუხადე სიხარულით აღვსებულმა და გაშინჯვა დავუწყე ჩემ პატარა საუნჯეს. ხან აქეთ ვაბრუნებდი, ხან იქით; ვახშმის დრო მის ცქერაში გავატარე, მისი დანახვით ვერ ვძღებოდი! ისეთი მიხაროდა, რომ არა მგონია, საჭმლისთვის ხელი შემეხოს....

მეორე დღეს მედანე ახალციხეში დაბრუნდა და მის წასვლის შემდეგ, დედამ დამიძახა და მითხრა: „შვილო, დანა მომეცი, ჯერ კიდევ პატარა ხარ, შეგიძლია მით რამე გაიჭრა; მომეცი, მე შეგინახამ და როცა გაიზრდები, უკან დაგიბრუნებ. თან, ეხლა რაში გჭირვია, ცოტა ხანში გასტეხამ, გააფუჭებ და შემდეგში ვეღარ გამოიყენებ. სჯობს, ეხლა მე მომცე, კარგათ შეგინახამ და ნუ გეშინია, უკან ჩაგაბარებ მერმე...“. საყვარელი დანა მივეცი, მაგრამ კმაყოფილი არ ვიყავი, რომ აეღოთ იგი და ამისათვის ვისარგებლე ცოტა ხნის შემდეგ ერთხელ, რომ დანის ხელში გატარება შემემთხვას: კვირა დღე იყო. წირვის შემდეგ მთელი ოჯახობა სახლში შეგროვილი იყო სადილისთვის, გარდა ძმისა, რომელსაც ხარები წაესხა. საჭმელი კიდევ მზათ არ იყო და მას უცდიდნენ. მე და ბიძაშვილს გვეჩქარებოდა, რადგან მაშვიე უნდა წავსულიყავით ძმის ადგილის დასაჭერათ ხარებთან. დედა ცეცხლის პირას იჯდა და ქაშის გაკეთებას აჩქარებდა. დანაზე არც კი ფიქრობდა. დედა რომ წამოდგა ქვაბში ჩასახედავათ, უცებ დანა ჯიბიდგან გავარდა. მე ამას თვალი მოვჰკარი და ინდაყვის კვრით გვერდში მდგომელს ვუჩვენე იგი; მერმე ჩუმათ მივცუნცულდი, სწრაფათ ავიღე დანა დედის ფეხების ქვეშ, ჯიბეში ჩავუძახე და ისე დავდექი, ვითომც თუ არასფერი მექმნა. არ ვიცი, თუ ვინმემ შენიშნა ჩემი ქურდობა; მხოლოდ ეს ვიცი, რომ დიდად მეჩქარებოდა სახლიდგან წასვლა და ამბავის გამოცნობას გადარჩენა. ამისთვის ორჯერ არ დავახელმეორებინე სუფრაზე დაჯდომა; ჭამის დროსვე თვალსაც არ ვახილებდი მაღლა: ფიქრი დანაზე იყო!... კიდევაც გავათავეთ მე და ბიძაშვილმა ჭამა და სახლს მოვშორდით: მაშინ ამოვისუნთქე თავისუფლად. მივდივართ, მივდივართ, მაგრამ ჭალებს და ყანებს თვალსაც არ ვადევნებ. თავდაღებული და ჩაფიქრებულსავით მივდივარ: ეჰ! რადგან ჭკუაში მარტო დანის გამოხატულობას ვუყურებ!... როდესაც კარგათ მოვშორდით სოფელსა და აღარ მეშინოდა, რომ დანის აღება მიეგნო დედას, სიფრთხილით ამოვიღე ჯიბიდგან ჩემი პატარა საუნჯე და ბიძაშვილს ვუჩვენე, მაგრამ მგონებს, რომ არაფერი ვუამბე მასზედ, თუ როგორ ჩამეგდო ხელში. როცა ნახა დანა, მითხრა, შეინახე, ეგების დაგვჭირდეს როდისმეო. თავის ალაგას ჩავიტოვე და გზა შევუდგინეთ თვინიერ სხვა ამბავისა. მისასვლელათ ვიტყვი, თუ როგორ დამსაჯა ღმერთმან ჩემი ქურდობა და რომელ დანაშაულობით გადავურჩი მას.

ძმასთან კიდევც მივედით. ხარები შორი ახლოს თავდარებულნი ბალახს სძოვდნენ, ანუ კისერ აღებულნი ხეების ფოთლებს ენით ჰგლიჯამდნენ და სჭამდნენ. მზე ცაში მაღლა ასული იყო და ჰაერს უმეტესად ახურებდა: თქმა მინდა, რომ დაგვცხა და სიცხის გამო წყალი მოგვწყურდა. მხოლოდ რაში დავლიოთ, ჭურჭელი არ აგვიღია სახლიდგან მის მოსატანად მდინარიდგან, რომელიც მცირე სიშორეზე **ვალის წყალს** უერთდებოდა. ამ შემთხვევაში ბუნებასვე ვსთხოვეთ თავის ნაყოფი და ჭურჭელი რამდენიმე წამში გავაკეთეთ. ბიძაშვილმა

შუათანა ხაპი მოსწყვიტა ყანაში, რომელშიაც ვიყავით და ჩვენვე გვეკუთვნოდა და თავისი დანით გამოცლა დაუწყო. როცა ძირს მივიდა, ჩემი პაწაწინა დანა მომთხოვა. თავისი დიდი იყო და უხეირო შიგნით ჩათლისთვის და გასუფთავებისთვის ხაპისა. ხელი ჩავიტოვე ჯიბეში, არამედ ვერ ვიპოვნე; მაშინ შემკრთალმა ყველა ჯიბეები და უბეც დავჩხრიკე, მაგრამ არაფერი; ზეზე წამოვდექი, ეგების მიწაზე დამვარდა მეთქი, ტყვილად: დანის მქონე კიდეც აღარ ვიყავი!!!.... ბიძაშვილს ჯერ უნდოდა უკან დავბრუნებულიყავ საძებნელად, მხოლოდ ფიქრი გამოიცვალა მყისვე და თქვა, თუ რომ გზაზე დაგვარდა, მეტი ფიქრი იმ დანაზედ ამაოა, რადგან უთუოთ ვინმე აიღებდაო.... თვითონ ნელ-ნელა კოში გამოსჭრა და ესრედ შევიძლეთ წყლის დალევა. მხოლოდ მე ისე ვიყავი, როგორც თუ გულზე ლოდი დამწოლოდა....

ნუ გეგონოსთ, რომ მთელი დღე და შემდეგი დღეებსაც მჭმუნვარე ვიქმნე: მწუხარებამ, რა მალეც მოსულიყო, ისე მალე გამიარა და აღარც კი ვფიქრობდი იმ უბედურ დაკარგულ დანაზე, როცა ერთ საღამოს, სახლში დაბრუნებისას, აღარ მახსოვს ვინ, წინ მომეგება და რა სიშორეზეც ვიყავი დამიყვირა: „პერტე, სახლში ნუ შეხვალ, რადგან დანა, რომელიც იმ დღეს დაკარგე, ამომავალმა იპოვნა, დედა იძულებულ იქმნა ამდენი გადაეხადა მისთვის და დაგექადა, რომ ჯოხს მოგარტყამ ამ დანაშაულობისთვისო!....ეს რომ გავიგონე, დავუახლოვდი სასჯელის მახარებელს და შევეკითხე, თუ ამომავალს სად და როგორ ეპოვნა დანა. თურმე იმ ადგილსავე, სადაც ბიძაშვილისთვის მეჩვენებინა, დამვარდნოდა იგი და იმ დღესვე გზაზედ გამვლელს ეპოვნა და თვისთვის შეენახა. დედას მის ხელში ენახა თუ იმ პირსვე ეჩვენებინა, აღარ მახსომს; რაც უნდა იყოს დანაშაულობა მემოქმედა და ამისთვის როზგი უნდა მიმეღო, ღირსი ვიყავი. მხოლოდ იმ წამას განვსაჯე, რომ ეს ამდენად ტკბილი არ არის მეთქი, მაშინვე მოვკურცხლე და დაღამებამდის სოფელში აქეთ-იქეთ ვეთრიე. როცა ვახშმის დრო მოახლოვდა, სახლისკენ დავბრუნდი: გადამეწყვიტა, როგორ ავიცდენდი ჯოხს, რადგან ზურგი არ მქავოდა, რომ მასთან ცნობა გამემართა.

------ მოსასვლელად ამ დრამის დასასრული ----------

როცა მიველი, კიდევაც ბნელავდა: სოფლელებს სახლის წინ თავი მოეყარათ და ისე გარ-თულნი იყვნენ ლაპარაკში, რომ ვერავინ შემნიშნა. დერეფნის გვერდში დიდი საჟენები იყვნენ დაწყობილნი და მათ შუა ერთს ალაგას ვიცნობდი, სადაც შემეძლო დამალულ ვიყავ. იქ ჩავეტენე და ბედს ვუცადე...

კიდევაც ორ ჯერობად გამოვიდნენ სახლიდგან მამის დასაძახავად ვახშმისათვის, რადგან მამა სოფლელებთან ლაპარაკობდა სახლის გარეთ, სინამდისინ ყოვლისფერი მოემზადებინათ შიგნით... ბოლოს გაისტუმრა მოლაპარაკენი და შევიდა. ყმაწვილებმა თავისი ცელქობა შეწყვი-ტეს, სიჩუმე ჩამოვარდა. მაშინ ვიფიქრე, ჩემი დრო მოვიდა, ლოცვა უნდა ვთქვათ, როცა შენიშნეს, რომ აწმყო არ ვიყავი, ყველამ წამოიძახეს:– პეტრე კიდევ არ დაბრუნებულა, პეტრე სად არისო?!... ერთი მეორეს ეკითხებოდნენ, თუ ვენახე სადმე... არავინ იცოდა, სად ვიყავი! ყველაფერი მესმოდა სამალავიდან და კიდევაც ვტკბარუნებდი გამარჯვებას...უეცრად კარი გაიღო და დედა გულ-შეწუხებული გამოვიდა ჩემ საძებნელად. მაგრამ ამ წყვდიადში რას დაინახემდა ანუ საითკენ წავიდოდა. ამ მიზეზისთვის სახლს არ მოშორდა, მხოლოდ დერე-ფანში გაჩერდა და დაიყვირა: –„პეტრე, შვილო, პეტრე, სად ხარ? აქეთკენ მოდი...“ იმ ფიქრით, რომ ეგების ახლოს არის და გზა დაკარგაო. დაიცადა, ვინიცობაა პასუხი მომიგოსო, მაგრამ არაფერი!... მისი თვალი სიბნელეს მეტს არ ხედავდა და მისი ყური მხოლოდ ქარის შრიალს, გარეთ და შიგნით ყველას შემაწუხებელს საუბარს იგონებდა. მრავალჯერ დაიყვირა ეგრედ,

მაგრამ უნაყოფოდ. ...საწყალო დედა გულ-შეხუთვილი შებრუნდა და შეწუხებით მოახსენა, რომ არაფერი გავიგონეო...ყველანი დაღონდნენ და დედის შიშს აჰყვნენ. ვახშამი მაინც დაიწყეს და ლაპარაკობდნენ, თუ სად გადაკარგული ვიქმნებოდი, ანუ რა განსაცდელში ჩავარდნილი?... ის კი არა და მე მოსვენებით ვიჯექი ჩემს დასამალავში და გულ-გაქვავებულსავეთ საქმის ბოლოს ვუცდიდი.

საწყალ დედამ ვერ გაძლო სახლში, არამედ ცოტა ხნის შემდეგ გარეთ გამოვიდა კიდევ. იძახა, იცადა, მაგრამ არ გამოვჩნდი და ისევ ისე ამოკვნესით შებრუნდა. საწყალი დედა, რას არ წარმოიდგენდა იმ წამებში თავის უბედურ შვილზედ: ქურდების ხელში ჩავარდნა, ანუ სიბნელეში დაკარგვა, ანუ მხეცებთ მიერ ლუკმა-ლუკმათ დახლეჩა: დედის სიყვარულმა რა წამები გაატარა მაშინ, ეგ ღმერთმა იცის... ამას ვფიქრობდი და გულიც მებნეოდა, მაინც დედის და ყველას ურვა შეიბრალეო; მხოლოდ როცა წამოვიდგენდი როზგის წკაპუნს გაშიშვლებულ ზურგზედ, გული მიმაგრდებოდა, შებრალება სიმხდალედ მიმაჩნდა და ალაგასვე ვდგებოდი. გულში თან ვამბობდი, მითხრას, რომ ჯოხს აღარ მოგარტყამო და მაშინ შევალ, თუ არა აქ დავდგები; რამდენიც უნდა მეძებოს, ეგრეთ რისთვის დამექადა!!!.... მაგრამ მგონებს, ბოლოს ვინც დედის დაქადება მომახსენა, აღვიარა რომ გამეგო სასჯელი... ...დანარჩენს ჩახვდებოდა დედა...მესამეჯერ კიდევ გამოვიდა დედა, უფრო და უფრო შეჭირვებული და კიდევ დაიძახა: „პეტრე, სად ხარ, შვილო, პეტრე, დაბრუნდი!“ და ჩემს გვერდით მოდიოდა. გულმა თახთახი დამიწყო: ვაი, თუ სამალავს მიაგნო მეთქი; სუნთქვა შევიჩერე და უფრო ღრმად ჩავიმალე სოროში. თან ვფიქრობდი, დამპირდი, რომ აღარ გაგბერტყამო და მაშინ დავბრუნდები!.... ცოტა ხანს დაიცადა აღელვებულმა დედამ, ეგების მოვიდეს საყვარელი შვილიო, მაგრამ არაფერი!... ბოლოს და ბოლოს სასოწარკვეთილ დედამ, ვითომც ჩემს ფიქრს მიხდენოდა, უკანასკნელად დამიყვირა: „პეტრე, შვილო, პეტრე, სად ხარ? დაბრუნდი სახლში, ჯოხს აღარ მოგარტყამ, გეფიცები, მხოლოდ ჩქარა დაბრუნდი!...“ ცოტა ხანს იცადა კიდევ და შევიდა. მე რომ ეს გა-ვიგონე, გამარჯვებულმა გავიღიმე და ვსთქვი: –„შემოვალ ეხლა კი, ჯოხი რომ ავიცილე!“.... და როცა დედამ კარი თვისი უკან შეიხურა, ამოველ სოროდგან და ნელ-ნე-ლა დაქანცულსავეთ შევედი სახლში, ვითომც თუ არაფერი მცოდნოდა. კარი შევაღე თუ არა, ყველანი მომცვივდნენ: –„პეტრე, სად იყავი? პეტრე, ამდენ ხანს რისთვის დაიგვიანე?“... და სხვაც. მე ყური არ ვადევნე, მხოლოდ ჩემს ადგილას ჩამოვჯექი და დედას ვუთხარი, რომ პური მშიოდა. იმ წამსვე ყოვლისფერი მომართვა სიყვარულით და მითხრა: „სჭამე, შვილო!“. მეტი საყვედური არა მითხრა რა. ეს არ გაგონებსთ ხშირად სახარების იგავს განმაპნეველ შვილზედ?! გაბედნიე-რებულ დედას ისეთი უხაროდა, რომ ყვედრების აზრიც დაავიწყდა და მის მაგიერ, რომელიც ღირსი ვიყავი, ალერსი მომცა. მის აქეთ ამ ამბის მოხსენებაც არ გაგონილა.

მარტის 22-სა, 1906 წელსა.

უნებლიეთ ბანება

ერთ მშვენიერ დილას, მზე კიდეც ამოსულ იყო და მცირე ღრუბელიც არ აბნელებდა ცასა, დედამ დიდი ნაჭერი პური და ყველი მომცა და მითხრა: –„პავლე და მარიამა შენთან წაიყვანე და ამ ბოსტანში წადი მის დასაცველად (აღარ მახსოვს ბოსტნის სახელი); საღამოზედ მე ჩამოვალ სახლში ჩამოსაყვანად“.... წარმოიდგინეთ სამნი ყმაწვილნი: ორი ვაჟი და ერთი ქალი, რომელთ უფროსი, შვიდი-რვა წლისა და უმცროსი ხუთი-ექვსისაც არ იქნებოდა, ბოსტნის მეველედ დასდგომილნი! და რანაირ ქურდებთ წინააღმდეგ? ღმერთო, აჭარლებისა! ეს სადმე გაგონილა?!.... მე ამაზე არც კი გავიფიქრე (ასრე გამიხარდა ამ ამბის შეტყობაზე), დავუძახე ძმას

და ბიძაშვილს, ხელი მოვკიდე ორივეს და კიდევაც გზაზე ვართ, ბოსტნისკენ! დედამ შემითვალა, რომ არაფერი მოსწყვიტო ბოსტანშიო და მეც შევპირდი, არაფერს ავიღებ მეთქი....

ბოსტანი მდინარის ნაპირზედ არის და ნახევარ ჟამის სავალ სიშორეზედ სოფლისა. ამ დროსვე **აჭარლები** ხეებს ჰკვეთმდენ ტყეში და ახალციხეშიდ ჩასატანად მდინარეს აძლევდნენ, რომელსაც ცოტა ხანში ჩაჰქონდა ქალაქში. ტყიდან დაბრუნებაზედ, ეს მაჰმადიანები, აქა იქ გაჰკრამდენ ხოლმე რამეს და ტკბანურებდენ. აროდისმე ხელს არ ჰყოფდნენ სხვის საქონელს, მაინც საწყალი ბოსტნები, რომელნიც მდინარის პირზედ იყვნენ, მათ გაქელვას ვერ ურჩებონენ. სოფლელებმა ეს კარგათ იცოდათ და იშვიათად არ იყო, რომ ამ ნაირ ზარალის გადასახდავათ, მდინარით წაღბული ხე ჩუმათ აეღოთ და თავიანთთვის მოეხმარებინათ. ამას ვამბობ, რადგან მე თვითონაც დავესწარი ამ ნაირ ვალის აღებას თანამდების შეუკითხავათ: წყალს პატარა ხე მოეგდო კიდურზედ იმ ბოსტანშივე, სადაც მივდიოდით სამნი დამცველნი; ბიძა ჩემმა ეს რომ შენიშნა, მიიხე-მოიხედა, ნუ თუ ვინმე მიყურებსო, ამოიღო ხე წყლიდგან და მაღალ ბალახებ შუა ჩამალა სინამდისინ სახლში წაეღო (ეს მოპარვა არ იყო, რადგან ჯერ ერთ ნაირი ვალის აღება იყო აჭარლების მიერ შეწუხებაებათა და მერმე ხომ საქართველოს საქონელი ჯერ ქართველებს უნდა მოხმარდეს და მემრე მის უსამართლო პატრონებს). როგორც ჩვენი ბოსტანი წყლის ნაპირზედ იყო, აჭარლების მიერ გაქურდვას არ ურჩებოდა და იმ დღეს, ვითომც, ჩვენს სამ თითისტოლა ბალღებს უნდა დაგევცვა იგი! ეხლავ ვიტყვი, რომ ვალდებულება სინდისიანათ აღვასრულეთ! ... ნახამთ შემდეგში.

ბოსტანს მიველით თუ არა, ორნივე მოახლენი დარაჯად დავაყენე ბოსტნის შესავალში. მე თვითონ , კი შეველი და დავიარე. თუ გინდათ მომყევით, ბოსტნის აგებულება ნახეთ. ჯერ ხედავთ ამ ღობეს, რომელი ბოსტანს შემოზღუდავს: აღმოსავლეთის ან დასავლეთისკენ ერთ ალაგას ჩანტროვილი და დამდაბლებულია: წყეულ აჭარლებს ისე ხშირად გაუვლიათ თურმე, რომ თვისი კვალის გაშვება ვერ აუცილიათ. სამხრეთისკენ არის შესავალი, რომელიც შესდგება ტოტიან დაწოლილი ხის ღეროთი. ჩრდილოეთისკენ, უეცრად ადგილი დაღმართად ჩადის მდინარისაკენ, რომელიც შეადგენს მის საზღვარს. ღობის შიგნით, დასავლეთით და სამხრეთით, ჭანჭურის ხეები სირაზე არიან დარგულნი. შუა ბოსტანში დათესილი სტაფილო, ჭარხალა, ანუ ლობიო და ამისთანა ნერგები. დანარჩენ ადგილას თავისუფლად ამოდის მწვანე და სხვილი ბალახი. მარტო აქა-იქ დარგულია მსხალი თუ სხვა ხეხილი. ერთი განსაკუთრებით მსხალია, რომელსაც **პარაღარმული** ეწოდების და ორ-სამ მუშტის ოდენა ხილს ისხამს.

აჰა, ბოსტნის აგებულება: ყოველა დავიარე და დიდი სიხარულით ვნახე, რომ არაფერი გაეოხრებინა კიდევ მტერს. გამოველი გარეთ და თანამოვალეთ ვამცნე, რომ ყოველა უკეთეს მდგომარეობაშია მეთქი. დავჯექით მაშინ და პური ყველი გავიყეთ სამშუა, ყოყო ბაბა, როგორც ამბობენ ყმაწვილები. ამ ორმა თავისი ნაწილი შეჭამეს მაშვიე, მეკი კვლავისთვის შევინახე. როცა გაძღნენ, შეველით ბოსტანში და ყმაწვილურ თამაშს მივეცით თავი. თამაშობაში დრომ გაიარა და, ვნახოთ, პატარა ძმას მოშივდა. „პეტრე, პური მომეციო!“, „როგორ, არა სჭამე ამ წამს?“. ტირილი მორთო და მითხრა: „შენთვის დიდი ნაჭერი აიღე და ჩვენ პატარა მოგვეციო“. ეს რომ ვნახე, ჩემი ნაწილიც მივეცი და იმ წამს ცრემლი შეიშრო. შესჭამა ისიც. საკვებარი აღარ გვქონდა დანარჩენ დღისთვის. მაინც შეუდგინეთ ცელქობა, მაგრამ უეცრად ცამ მოიღრუბლა და არც კი შეგვეშინა დარის გამოცვლა, რომ საშინელ წვიმამ დაუშვა. წვიმას მოჰყვა ხოშკაკალა და რამდენიმე წამში მიწა წყლით მოიფინა. ეს რომ ვნახე, ქალამნები გავიხადე და ვეცადე ჭანჭურზედ ავასულიყავ: მაგრამ წყალს კიდევც ქერქში ჩაევლო და ფეხი მოსიპიალდებოდა...

რა ვქმნათ?! ტანისამოსი კიდევაც დასველებული გვქონდა და ხოშკაკალა ტიტველა თავზე გვეცემოდა. მე ამა ფიქრსაც არ ვადევნებდი და ბოსტანში ვეძებდი რაიმე შესაფარს და ვერას ვპოულობდი. მხოლოდ პატარა ძმამ, იგრძნო თუ არა ქვებსავეთ, თავზე ხელები დაიფარა და ბღრიალი მორთო... დავრჩით ესრედ რამდენიმე ხანს. აქეთ-იქეთ დავრბოდით მცირე ღვრიტინას საპოვნელად და ამაოდ ვიღლებოდით....

უეცრად ფიქრი მომივიდა: რუს იქითა გვერდზე ბაღჩა ჰგიებს და ბაღჩის შესავლის გვერდშივე დიდი და მაგარი ქოხია აშენებული! იქ რომ შევეფაროთ!.... ხელო მოვჰკიდე ორივეს და იქითკენ წავათრიე. მეგონა ქვა, რომელიც რუს გასავლელად დატოვილია, დამხვდებოდა; მაგრამ ვაი, ჩემს ბედს! წყალი ისეთი ძალით მორბოდა, რომ ან ქვა თვითონვე ჩააგდო რუში, ან მიწა გამოჭამა და ქვა ესრეთ ჩავარდა!...რაღა მექმნა? იქითა გვერდზე გასვლა აღარ შემეძლო! რუში ჩავსულიყავი? კი მაგრამ ღრმა იყო და მეშინოდა!... მაინც ორივე ძმა-ბიძაშვილის ტირილს ვერ გავუძელ და ფეხი ჩავადგი. წყალი მუხლებზე ზევით ამოდიოდა. დავუძახე პავლეს:– მოდი, იქითკენ გადაგიყვანო, მაგრამ საწყალს შეეშინდა და ბოსტანში გაიქცა წრიპინით: –„არა, დამახრჩობ! არა, სჯობია აქ დავრჩეო!...“ სასოწარკვეთილი მივჰყევი მტირალებს, ბოსტანში შევედით და, მეტი გზა არ იყო, შუა სეტყვა-წვიმაში ტირილი მოვრთეთ სამივემ....

ბევრ ხანს ვიტირეთ, მაგრამ ტირილით უბედურობას ბოლოს არ მოვუღებდით. ამისთვის ორჯერობა კიდევ ვსცადე, რუ გაგვეარა: კიდევაც წყალში ჩავდექი, როგორც პირველათ და პავლეს ვეუბნეოდი: მოდი, იქითა ნაპირზე გადგიყვანო. ის კი, გულგახეთქილი, ბოსტანში შერბოდა: „არა, არა! უნდა დამახრჩოო!“ და ჩვენ იძულებულ ვიყავით მის აზრს ავჰყოლიყავით. წინააღმდეგ ჩვენზე მეტს ის დრტვინავდა და, საკვირველი უფრო ის არის, რომ თვითონვე თხოულობდა რუს იქით გასვლას!!!...

რაღა მექმნა? შევჰყე მტირალებს და ჭანჭურის ქვეშ შევიხიზნეთ: მაინც ცოტა დაგვიფარებსო, მაგრამ სეტყვა და წვიმა ისე გვეცემოდა რო, ვითომც თუ არაფერი ყოფილიყო... ავეფარეთ ღობეს და ფეხის კოჭებამდე წყალში დავდექით...

მხოლოდ მე მოსვენება არ მქონდა. თავს ვიტეხდი იმ ფიქრით. თუ სად ვიპოვნიდით რამე თავშესაფარს რუს აქეთ ნაპირზე, რადგან იქითისთვის ნაღვლაც აღარ მქონდა: პავლე სრულიად არ ეპუებოდა გასვლას. უეცრად მომაგონდა, რომ მცირე სიშორეზე, აღმოსავლეთისკენ ჩაყოლით ერთი ქოხი იყო, ძეწნის ტოტებით ქსოვილი და პალოებზე მაგრათ დაბმული თოკებით: იქ რომ შევეხიზნოთ!... ვუთხარ ძმა-ბიძაშვილს და მაშივ იქითკენ გავჰკარით. მივრბოდით, მარიამი ათოდენა ნაბიჯის სიშორეზე მომყევდა და პავლე თავისებურათ, როგორც შეეძლო, სულ უკან მოჩანჩალებდა. რამდენჯერ წავიქეცით ტალახში. ძალდატანებული ვიყავით, ყანების საზღვრებზე გვეარა, სადაც ბალახი ამოდიოდა და მიწაც ნაკლებად რბილი იყო, რადგან ყანები ისეთი დალბობული იყო, რომ თუ მათზე გაგვეარა, მუხლებამდის ტალახში ჩავიფლეობოდით. თვით სამოვრებიც ძლიერ დასველებული იყვნენ და ხშირის ხშირათ ფეხი გავისიპიალდებოდა და ბაყაყებსავეთ ხელებ და ჭლიკებ გაშლილნი გავიჭიმებოდით მიწაზედ. მაგრამ იმ წამს მარდად ზეზე წამოვდგებოდით და ტირილ-ქვითინით სირბილს შევუდგინებდით.... მიველით ადგილას, სადაც ქოხი დამდგარიყო, მაგრამ, ვაი, ჩემ თავს! სად ქოხი და სად შესაფარი?!... საშინელ ქარს თოკები დაეწყვიდა და უბედური ქოხი, მილეწილ-მოლეწილი, ეგდო წყალში და ტალახში!... ღმერთო, შენ შეგვიწყალე!...ეს რომ ვნახეთ, თითქმის სასოწარკვეთილებაში ჩავვარდით, მაგრამ ზეცა ზევითგან თავის ჭექა-ქუხილით გვექადებოდა: გამოვტრიალდით და იმავე სიჩქარით ბოსტნისკენ გამოვეშურეთ, პავლე თავში, რადგან

მოსვლამდე სულ უკან იყო და მე ბოლოში. ცა ჩვენ თავს ზევით გვრგვინავდა, თითქოს ჩვენი შიშით მოკვლას აშურებსო! ქუხილი და ელვა ერთი მეორეს შეუწყვეტლივ ჰყვებოდნენ: კაცს ეგონებოდა, ზეცა მიწას ეჩხუბებაო და როცა ქუხილი დაჰგრიალებდა და დედა მიწას შუაგულამდის შეარყევდა, თან უთვალავი რიცხვი თეთრი ტყვიისა მიწას ჰფინავდა და მაშივ წყლათ იქცეოდა. მაშივ ჩვენ წრიპინს მოვრთევდით და გულ გალაყებულნი გაქცევას ავუჩქა-რებდით, თითქოს გვეშინია, მეხი არ დაგვეცესო!... ამ საკუთრებრივ დამარცხებაში ხშირად გავგორდებოდით წუმპოში, მაგრამ წაქცევა, ადგომა და გაქცევა, ერთი იყო!!!

კიდეც მივაღწიეთ ბოსტანს და ვითარც ციხე-სიმაგრეში შევიხიზნეთ, მაგრამ რა გლახა ციხე-სიმაგრე! შიგ დადგომა შეუძლებელი იყო. იქ წახვიდე, აქ მოხვიდე, ერთი და იგივე მიგაჩნდებოდა და არც ერთ ალაგას წვიმას და ხოშკაკალს ვურჩებოდით. ამისთვის წინანდელ ადგილას გავჩერდით, მაგრამ უბედურნი ყმაწვილები, ძვლებამდის დასველებულნი, დაიმე-დებულნი და მეტის ტირილით დაუძლურებულნი, მიწაზე დავეცით, ესე იგი, რომ წყალში ჩავჯექით ერთი მეორეს გვერდით და ობოლ ლეკვებსავეთ წკმუტუნი დავიწყეთ!!! პავლეც სტიროდა, მარიამიც სტიროდა და მეც ვსტიროდი, სულ დასველებულნი და ტალახიანნი. ხელებ ტალახიანი, გაგლესილნი, წყალი თმებიდგან, ყურებიდამ, ცხვირიდამ, ერთი სიტყვით, ყველა ნაწილიდამ ღვარივით გაგვდიოდა. ამას დაუმატე მარტოდ ყოფნა ბუნების რისხვის წინაშე! რა უბედურ მდგომარეობაში ვიყავით. თითო თავისას სტიროდა და თავის გვერდით მჯდომარეს არც კი ხედავდა.... უცბათ პავლემ წამოიძახა ტირილით (საწყალს ეგების საჯდომი ნამეტრად გასციებოდა მეტი წყალში ჯდომით!) „პეტრე, შენ უკეთესი ალაგი აირჩიე და მე წყალში დამაგდეო!“ (მარიამი ჩვენ შუა იჯდა და ჩემს დანახვას უშლიდა). მაშინ წამოვდექი და თითქმის გაჯავრებით უთხარი: აჰა, ნახე, თუ შენზედ უკეთესი ადგილი ავირჩიე!... თუ გინდ, მოდი აქ დაჯექი და მე შენს ადგილას ავიღამ!... როცა ნახა, რომ მასზედ კარგა არ ვიყავი, უფრო ცხარე ცრემლები გადმოუშვა. მეც დავეგდე იმავ ადგილას და ტირილი შევუდგინეთ!!!...

არ ვიცი, რამდენ ხანს ვიტირეთ ესრედ! მაგრამ ეს მახსომს, რომ ჩვენს ქვეშ წყალი იმატებდა და მეტის მეტად გამსუბუქებდა. წამოვდექი და ჭანჭურზედ გასვლა ვსცადე კიდევ: ვითა ყინული, ისე სიპიალა იყო!

მხოლოდ სეტყვას კიდევაც გადაეღო ამასობაში... ცოტა ხნის შემდეგ წვიმამაც გადაიღო, ღრუბლები დაიფანტნენ და მზემ თავის ბრწყინვალე და თბილი სახე გვიჩვენა. მაშინ ამოვისუნთქეთ.

გამოველით ბოსტნის გარეთ, მზეში დავჯექით ხის ტოტიან ღეროზე, რომელიც ბოსტნის კარად ირაცხებოდა და იქ სიხარული და ლაღობა დაგვიბრუნდა... რა განსხვავებაა ეხლანდელ და ერთი ჟამის წინ მდგომარეობას შორის!!! მაგრამ ვიღა ფიქრობდა მასზედ?!...

როცა კარგათ გავთბით, პავლეს მუცელი უცხვებოდა კიდევ: - „პეტრე, პეტრე, პური მში-ვაო!“. - „რაღა მოგცე, ნაჭერი რომ რჩებოდა, ისაც სჭამე წინათ და ეხლა რაღას კითხულობ??“ – „თუ ყოყო-ბაბა აღარ არის, სტაფილო მაინც ბევრია დათესილიო!“ – „კი მაგრამ დედამ შემოსთვალა, ხელი არ მიჰყოვო“. – „რას გაიგებს დედა, თუ აიღე თუ არა?“ – „შენ ჩამაბეზღებ“. –„არა, არა, პეტრე, არაფერს ვეტყვი დედას, გპირდები, არაფერს ვეტყვი!“... – „კარგი, მაშ!... მომყევით“

შეველით ბოსტანში, მოვგლიჯე უდიდესი, რაც შემხვდა და მივეცი: რამდენიმე წამში ამ სტაფილოსგან მარტო ფოთლები რჩებოდა. მაშინ მარიამს და პავლეს ვუთხარი: თქვენ ბოსტნის

კარში დადექით, მე ბოსტანი უნდა დავიარო. ვნახოთ, თუ სეტყვამ რამე გააფუჭა და თუ ვინმე მოვიდა, მაშივე დამიძახეთ.

დავიარე ბოსტანი და ვნახე, რომ ზარალი ბევრი არ მოსვლოდა ხეხილს. ზევით ყველა რომ დავათვალიერე, მდინარისკენ ჩასვლას ვემზადებოდი, როცა პავლეს ხმა ჩამესმა: „პეტრე, პეტრე, დედა მოდის“ და დედისკენ გაიქცა, მარიამი კი მოვიდა ჩემს შესატყობინებლად. საჩქაროთ გამოველ ბოსტნიდგან: დედას კიდევაც გაეარა ის უბედური რუ, რომელმაც ქოხში შეფარება დაგვიშალა წვიმა-სეტყვაში. ეხლა კი კანონიერ ზომით მირბოდა, მხოლოდ ქვა კიდევ ჩაგდებულ იყო და ზედ უნდა გადამხტარიყო კაცი. მაშასადამე, როცა დედა მოგვიახლოვდა, ძმა-ბიძაშვილი დაჰკითხა, თუ როგორ გაგვეტარებინა დრო. ვუპასუხე, აღარ მახსოვს, რა და როგორც. მიკვირდა, რომ არ ჩამოსულიყო ამა ბუნების ღელვის წინეთვე წასაყვანად და გვითხრა, რომ სახლიდგან ჩქარა წამოველ წვიმის დაშვებაზეო, მაგრამ როცა ღელეში ჩამოველ, იმოდენა **ღვარნაში** დამხვდა, რომ ვერ გავბედე გასვლაო და იძულებულ ვიქმენ სახლში დავბრუნებულიყავიო! შემდეგში გავიგე, რომ მართლა ისეთი ღვარნაში ყოფილა, რომ წყალს ხბო მოუტაცია და მდინარეში დაუხჩვია! საწყალი დედა, თვითონ რა დროს გაატარებდა, სინამდისინ წვიმას და სეტყვას გადაეღოთ!!! იმდენად შეწუხებაში უნდა ყოფილიყო, რამდენად დიდი იყო მისი სიხარული ჩვენს უვნებლივ ნახვაზე. ცოტა ხანს დავდექით იმ ბოსტნის კარში ლაპარაკისთვის, თითოს თვისი სათქმელი ჰქონდა. გვანუგეშა დედამ და მერმე სახლისკენ გავეშურეთ, რადგან ტანისამოსი კიდევ დასველებული გვქონდა და დედას ეშინოდა, ავათ არ გამიხდნენო. დედამ პავლეს და მარიამს ხელი მოჰკიდა, მე კი უკან მივსდევდი. ჯერ ყურს არ ვუგდებდი დედის პავლესთან ლაპარაკს, მაგრამ როცა ღელე გავიარეთ, რამდენიმე სიტყვებს თვის დროზედ ყური მოვჰკარი. აი, რას ეუბნებოდა დედას ის პატარა გამცემი პავლე: „დედა, იცი პეტრემ რა ჰქმნა?“ – „რა ჰქმნა, შვილო?“, უპასუხა დედამ ალერსით. –„სტაფილო მოსწყვიტა ბოსტანში!!!“ ეს რომ გავიგე, ჩქარა დედას დავუახლოვდი და მოვუთხარი თუ რომელ შემთხვევაში და რა მიზეზისთვის მომეგლიჯა. ამისთვის დედა არ გაჯავრდა. წინააღმდეგ მითხრა, რომ ძლიერ კარგი ჰქენიო. მეც მეტს არ ვთხოულობდი და ისევ ისე უკან სვლა შევუდგინე. სახლში მიველით თუ არა, ცეცხლი აანთებინა დედამ, ტანისამოსი გავიშრეთ, კარგადაც ვსჭამეთ, რადგან მე კიდევ არაფერი ამეღო და ადვილათ წარმოიდგენთ, თუ რა მადა მექმნებოდა იმ დღეს! და ესრედ დაბოლოვდა ჩემი ამბავი. ბევრ ხანისთვის ტან-დაბანილი ვიყავით, მაგრამ ჩვენთვის რო შეეკითხათ, მგონებს არ დავთანხმდებოდით ამ უნებლიეთ ბანაობას!!!

მაისის 11-ს 1906 წელსა.

ვასო სადათიერაშვილის მოგონებანი

23. II. 18

ფრიად პატივცემულო ბატონო მამა უმფროსო,

მამა პეტრე და ბატონო მამა შალვა.

აგერ, საყვარელნო მამანო, გაიარა ერთმა წელმა, რაც ჩვენ მოვშორდით ჩვენს მეორე სამშობლო კერასა. ეჰ, გაიარა ერთმა წელმა, კარგად თუ ცუდათ; ხან მხიარულათ,ხან მოწყენილათ და ხანდისხანაც თავის მოსაბეზრებელმაცა; რაც გაიარა ერთმა წელმა და რაც რომ ამან ჩემს გონებას ნაყოფი მოუტანა, პირდაპირ გასაკვირველია, რაც ამას თავი მივანებეთ. ეხლა ვდგავართ მეორე წლის დასაწყისში და იმედია, ეს წელი წარსულზე ნაყოფიერი იქნება. აგერ ახლოვდება აღდგომაც, რომელსაც ისე მხიარულად ვატარებდი საქართველოში ჩემს ტოლ-ამხანაგებთან.

მოვიდა დრო, წამოვიდა ერთი დიდი ტალღა (არ ვიცი ის ტალღა ჩემთვის სასარგებლოა თუ არა), **მომგლიჯა დედის გულსა და სამშობლოს და გადამსტყორცნა შორს, შორს, სათათ-რეში;** მადლობა ღმერთს, ქართველებში მოვხვდი კიდევ. იქ გავაჩანჩალე ჩემი დრო, ხან მხიარულათ, ხან მოწყენილათ და ხანდისხან ტირილითაც. რამდენჯერაც თქვენ (მამა შალვას გარდა) მამწარებდით და ხანდისხან ცხარე ცრემლებს მაფრქვევინებდით, წარმოუდგენელია. მე თქვენს წინ, როგორც მტარვალის წინ, ისე ვკანკალებდი (ეს, მამა შალვა, შენ არ გეხება). როდესაც რომ გავიგებდი, მამა უმფროსი ან მამა პეტრე გიძახისო, კანკალს მაწყებინებდა და სიმართლე გითხრა, მიწაში ჩაძრომა მერჩივნა, ვიდრემც თქვენთან ამოსვლა. და მეტადრე შენ! მამა პეტრე, გახსოვს, რა მკურცხლებს მაყრევინებდი? პირში ვერ გიყურებდი და რომ მეტყოდი შემომხედე და სიმწრისგან არ შემოგხედავდი, სილა-სილაზე მოდიოდა (ნუ გავჯავრდებით, რომ ეხლა მინდა მთელი ჩემი ნაღველი აღმოვანთქო. სიმართლეს გეუბნები; როდესაც ამას ვწერავ, ტუჩები მიბაცბაცებენ და ჯავრისგან ლამის მინდა ვიტირო) რამდენჯერაც ყოფილა მამა პეტრე, არ შემრცხვება და გულახდილად გეუბნები, რამდენჯერ ყოფილა, რომ სხვის მიზეზისთვის მე გავლახულვარ. არ დამავიწყდება ჩემს სიცოხლეში, რაც ეგენიც გამოვიარე.

ახლა შენ, მამა შალვა. თავდაპირველათ და საბოლოოთაც გიძღვნი პიროვნულათ გული-თად მადლობას. მე შენგან ცუდი არაფერი მახსოვს, კარგი კი ბევრი, ისე რომ შენ გიმადლი, რა აზრსაც ეხლა ვადგივარ. პირახდილათ გეუბნები ყველას, რომ ისე გულახდილათ არავისთან მილაპარაკია, როგორც მამა შალვასთან, ამიტომ არავინა არ იცის იმდენათ ჩემი გულის ნაღველი, როგორც მამა შალვამ. მერე მამა პეტრესთან ვიყავი გულახდილი, მაგრამ რა! ისე მექცეოდა, ჩემი გული მაგისთვის ჩაიხურა და კარგათ იცის, რომ როდესაც სალაპარაკოთ შემიყვანდა, მე ხმასაც არ ვსცემდი. მამა უმფროსთან ასვლა ხომ ჩემთვის სიკვდილი იყო, და სიმართლე გითხრა, მაგას არასდროს ვეუბნებოდი ჩემი გულის დარდს. რა უნდა მეთქვა, როდესაც ვიცოდი, რომ დამტუქსავდა.

მახსოვს, ქუთაისში როგორ მეალერსებოდა და როდესაც „ძიას“ ვეუბნებოდი, მიღიმოდა. კონსტანტ-ში მოვედი და ერთხელ ლაპარაკის დროს „ძია“ ვუთხარი და ისე შემიყვირა: - „ძია აღარასდროს მითხრა“- რომ კინაღამ გული გამისკდა. მაშინ კი ტუჩებზე მწარეთ ვიკბინე, ჩავხვდი, თუ რა მდგომარეობაში ჩავარდნილიყავი და მომნატრდა დედა, ძმა, ბიძა და სხვა. ერთი სიტყვით „**ქუთაისი**“. მერე ჩავედი ქვევით და მწარეთ ვიტირე. ვნახოთ, გამოიარა მამა

პეტრემ (მაშინ მაგასთან კარგათ ვიყავი) და რა მტირალე დამინახა, ოთახში ამიყვანა და მიზეზი გამომკითხა. მე შემეშინდა, ვაი, თუ ყველაფერი ძიას უთხრასთქო, რადგან ძველებისგან (მგონი ჩახვდებით) გაგონილი მქონდა, რომ მამა პეტრე მკაცრი იყო და ყველაფერს უმფროსს ეუბნებოდა, რასაც რომ ეტყოდნენ; ამიტომ შემეშინდა, ჩემზეც არ უთხრას თქო და უთხარი: - დედა მომაგონდა და ვტირი თქო. ნუ თუ მართალი არ არის, მამა პეტრე, ეს?

მამა შალვასთან კი სიხარულით ავდიდოდი, ხანდახან კი მრცხვენოდა. ამას იმიტომ გწერავ, რომ I. გულიდან დარდი მოვიშორო და გაგიზიარო, თუ რა მდგომარეობაში ვიმყოფებოდი მანდ და II. მინდა გაგიზიარო, თუ რა ზიანი მომიტანა მაგან: I. სულით დამცა და გული ამაღებინა სამონასტრო...(ჩახვდით თქვენვე.), II. მანდ რომ სიკოს თავს ევლებოდით და უალერსებდით, გაამაყდა ვაჟბატონი და თუ როდისმე ვეტყვი: მაგას ნუ მიყვები შვილსა, კარგი არაა შენთვის თქო, მაყოლებს: შენ რომ კარგი ყოფილიყავი, მონასტერში ყოველდღე არ გიტყაპუნებდნენო. და ამას, მამა პეტრე, შენ გიმადლი. ამას ხომ ამდენი უალერსეთ და ვარდსავით გულზე იკრავდით, აქ კიდევ თქვენი მაგინებელია. - მამა უმფროსი ჩვენთან რომ იყოო, მეალერსებოდაო და მეუბნებოდა: - სი-ჯან, მონასტერში ძალიან კარგათ იქნები, იქ ყველაფერი კარგია, მშვენიერი ადგილიაო, მერე თურმე მარტო სწავლისთვის წამოსულა, ჰო. ეგ არაფერი, მამანო, ძალიან მადლობელი ვარ. აი, რამ გააბატონა ესა! და აი, რამ ამიძულა, ამისთანა უკმაყოფილო წერილი მომეწერა. იმედია არ გამიწყრებით, როგორც თავში გითხარი, მე ჩემი გულის გათავისუფლება მინდა. არ მინდა ვისმე პირ წინ მოულაქუცო, პირს უკან კი ვაგინო, ამიტომ პირადათ გეუბნევი ჩემი გულის დარდს და ახლა თქვენგან ნუგეშის ცემას ველი.

ნუ იფიქრებთ, რომ აქედან წავიდა და თავზე გავიდაო. ან რამდენი სიკეთე მოუტანეთ დახედავ, როგორ უმადურობით გვიხდისო. მაგაში მთლად სცდებით. მე ძალიან მადლობელი ვარ ყველა იმ შრომისა და ტანჯვისთვის, რომელნიც რომ ჩემი გულისათვის გამოიარეთ. მაგას არ დავივიწყებ მთელს ჩემს სიცოცხლეში და მუდამ თქვენი პატივის-მცემელი დავრჩები, მაგრამ როგორც ზევით გითხარი, ჩემი გული გადაბრუნებულია, ე.ი. იგივე არ არის, რაც უწინ იყო. ამას კი გეტყვი, რომ ვინ იცის, არავინ არ იყოს თქვენი მადლიერი ისე, როგორც მე.

რაც ძალიან შორს წამოვედი, ამიტომ გთხოვ, მაპატიოთ, რადგან კარგათ იცით, **თუ რომ გულმან მოუშვა, სანამ ჯავრს არ ამოიყრის, ვერ მოისვენებს.** მაშ იმედია, ბატონო მამანო, მაპატიებთ ჩემს წინდაუხედაობას. როგორც წინეთ გითხარი, ჩვენც დიდ ვირობა ჩავიდინეთ, აღდგომასაც და სხვა დროსაც. ამიტომ გთხოვ თქვენ ყველას პატიებას ყველა შეწყენისათვის. გთხოვ, მაპატიოთ, რაც რომ გაწყინე თქვენ და მომავლისთვის ღმერთი მოწყალეა. მამანო, გეგმას შორს გავცილდი. რაც, გაიარა მანდაც ჩვენმა კარგმა თუ ცუდმა ცხოვრებამ და ახლა ახალმა ტალღამ უფრო შორს გადაგვტყორცნა, უფრო დაგვაშორა ჩვენიანებს და სულ უცხოელებში ჩაგვაგდო, რომელთ ჩვეულება ჩვენსას არა ჰგავს და ჩვენი იმათსას. მაგრამ იმედია, მალე მოვა ის დღე, სადაც ერთხელ კიდევ შევხვდებით ერთმანეთს და გამარჯვების თქმით უამბობთ ურთიერთს თავთავიანთ თავგადასავალსა.

მგონი საკმარისათ ვიყბედე, ბატონო მამანო, და ქაღალდიც ვეღარ დაიტევს, კიდევ რომ შეუდგინო.

- მამა შალვა, ამ წერილის კითხვის დროს ხომ არ იცინი? მაშ, მშვიდობით! მომიკითხეთ ყველანი, ძმები თუ ამხანაგები, აგრეთვე, ბელაც.

დავრჩები მუდამ თქვენი პატივისმცემელი, მადლიერი და თქვენთვის თავდადებული, უცხოეთში მყოფი ქართველი მოსწავლე, ვასო. სადათერაიშვილი.

... დაღონებული კიბეზე რომ ვიჯექი, ზედ რომ გადმიარე და ყველას სიცილი დააწყებინე. რამდენჯერ გაგილახივარ, როდესაც ვინმე ნავთს დააქცევდა, ან არევდა ჩემს ტილოებს? მაშინ ჩემს ლაპარაკს ყურს აღარ უგდებდი და მეც რა უნდა მექნა? მშობლებს ვერ მივწერდი, არ გამაგზავნინებდით, რა უნდა მექნა სხვა, მოუშვებდი ცრემლებსა და დღეობით ვსტიროდი.

კარში გავიდოდით, დაიწყობდენ თამაშს, მე გული არ მიმდიოდა თამაშისთვის; ამიტომ მივჯდებოდი სადმე კუთხეში და გავერთებოდი მწარე ფიქრებში; ხანდისხანაც ცრემლებსაც კი გადმოვყრიდი.

ვნახოთ გამოდის მამა პეტრე, გაჯავრებულია. აიარა, ჩაიარა ერთხელ და მერე მოავლო თვალი ეზოს. დაინახა ვასო კუთხეში. მივიდა: - რაზე არ თამაშობ? - არ შემიძლია, ბატონო! (თუმც კი ეს „ბატონო“ უნებურად იყო წამოთქმული.) - ადექი ეხლავე თორემ, ვაი შენ. მე თამაშისთვის ბევრი არ მცხელოდა. მივიდოდი, ბავშვებში ჩავდგებოდი. - რისთვის არ თამაშობ, ვასო? - არ შემიძლია თქო, არ გესმის (ბოლო სიტყვებს ჩუმათ ვამბობდი.) : - ამაღამ დაჩოქითა სჭამ მარტო წვენს. - თქვენი პატრონი ქვეყანა დაიქცა, ოხერო, ჯავრი ვერ ამოიყარე; აქამდის ცარიელა წვენზე ვიყავი, რომ ზედაც დაჩოქა არ მოაყოლე! და ბევრი ამისთანები, მამა პეტრე, და იცოდე, რაც გინდა რომ ეხლა დამიყვავო, ერთხელ რომ გადაბრუნდა გული, ხომ იცი, ძალიან ძნელია იმისი წინანდებურათ წამოყენება.

ვინ იცის, შენ ამაზე სრულობით არ ჰფიქრობ, მაგრამ მე კი ჩემს სიცოცხლეში არ დამავიწყდება, რადგან შენ ხელებს აქნევდი და ჩემი ლოყები და ზურგი კი გრძნობდნენ. რასაკვირველია, მეც ბევრი ვირობა ჩავიდინე, მაგრამ მასე მკაცრად არ უნდა მომპყრობოდი. მაგალითად; იყო მიზეზი, რომ ხანდახან (გულახდილად გეუბნევი), ეშმაკსავით მძულდი. (კი ნუ გეწყინება, ხომ იცი იმ დროებამ გაიარა, მაგრამ ამ მოგონებებში რაღაც სიამოვნებას ვგრძნობ).

ახლა შენ, მამაო უმფროსო: თავდაპირველად, გმადლობ, ზედმეტსახელისთვის, რასაც რომ მე ხანდისხან უკანასკნელ წერტილამდი მივყავდი, რადგან მთელს მონასტერში ანდაზათ გადიქცა და ყველა მაგას მაყოლებდნენ და ეგ კი გახლავს დიდებული სახელი : „ ესპრი და გამენური“. ამას აქაც კი მეუბნევა შენი დიდებული სიკო და ხანდისხან, კარში რომ იყოს, კაი დღეს არ დავაყრიდი. ამას შენ გიმადლებ და მეტს არავის. მეორეთ, არ დამავიწყდება მთელს ჩემს სიცოცხლეში (ჩაბეჭდილი მაქვს გულში), რომ ერთხელ ჩემი ნახატი ზურგზე მომაკარი და მთელი დღე ისე მატარე. წარმოიდგინე ეკლესიაშიც კი მაგით შემიშვი.

1912-ში თუ 1913-ში კარგათ აღარ მახსოვს, სიმონი ჯარში გაიწვიეს და **მოსკოვში** გაგზავნეს სამსახურის გადასახდელად. ამ დროს სტამბოლოდან ჩამოვიდა ჩვენი სახლის ნათესავი **პიო ბალიძე,** მაშინ წინამძღვარი ქართველ კათალიკეთა მონასტრისა **სტამბოლში,** და იმდენი მშვენიერი ამბები გვიამბო მონასტერზე, რომ მე იქ წასვლა მომსურდა. ეს მას შევატყობინე და ორივენი შევუჩნდით დედაჩემს ისე, რომ ბოლოს დავიყაბულეთ. იმ დროებში ჩვენთან ჩამოვიდნენ **მახარა** და **ბაგრატა**, რომლებიც ეგრეთვე სტაბოლში მიდიოდნენ.

აი, ამათთან ერთად წასვლა გარდაწყდა და დედაჩემი მზადებას შეუდგა; შეაკვრინა ჩვენ სამივესთვის ჩერქესტკა და ერთის ქუთაისელ ვასოს თაოსნობით, რომელიც ძმად შედიოდა სტამბოლში; ბათუმისკენ გავემგზავრეთ, რომ იქიდან სტამბოლში გემით ჩავსულიყავით. მე

წასვლამდი ძალიან მიხაროდა, მაგრამ როდესაც მატარებელში ჩავჯექი და დედას გამოვეთხოვე, მაშინ ჭეშმარიტი წარმომიდგა წინ და მაშინ შევიგნე, თუ რა გზას დავადექი. ვშორდებოდი დედას, ჩემს ოჯახს და მივდიოდი ჩემთვის სრულიად უცხო და უცნობ ადგილას. ვინ იცის, რამდენ ხანს არ მეღირსება დედის ნახვა? მე, რომელსაც **დედის გარეთ ქვეყანაზე უძვირფასესი აღარ გამაჩნდარა, ამ ჩემთვის ერთადერთ ძვირფას არსებას;** ვშორდებოდი მას ჯერ კიდევ სრულიად ყმაწვილი და ჩვილი გულის მქონე. აი, ყველა ეს ცხოვლად წარმომიდგა თვალ წინ, ავიბარგე საწყობზე და განმარტოებულმა ცხარედ ტირილი დავიწყე. სხუმის მხიარული ბოვში, უცბათ დავღონდი და დაღვრემილი შევყურებდი სხვებს, რომლებიც ისე მხიარულობდნენ და ერთმანეთთან ლაზღანდარობდნენ. მე ტირილში ჩამძინებოდა, ბათუმში გამომაღვიძეს. არ მახსოვს, იქ რა გავაკეთეთ. მხოლოდ ეს კარგათ ვიცი, რომ გემ**„კავკასია“** ში ჩავჯექით და მეორე კლასით სტამბოლში გავემგზავრეთ.

ბუნებით მხიარული, მე მალე შევეჩვიე ჩემს ბედს. ახალმა სურათებმა მიიზიდეს ჩემი ყურადღება, მე გამოვცოცხლდი და დავიწყე ჩემს მეგობრებთან ერთად ცელქობა, საწყალ ვასოს სიცოცხლე გავუჭირვეთ, არ ვასვენებდით. ხან გემზე დავიმალებოდით და ისიც გულგახეთქილი დაგვეძებდა, ხან ჩვენს ოთახში ვბლანძულობდით, ან ლამპას ჩავაქრობით და სხვა. ვასოც თუ დაგვიჭერდა, წამოგვაწვენდა დოშაკებზე და მოგვარტყამდა უკანაზე, მაგრამ ჩვენ ეს არ გვტკენდა და ვასოს მასხრად ვიგდენდით. ამნაირათ გავატარეთ მგზავრობა სტამბულამდი. აქ თავდება ჩემი უმთავრესი მოგონებანი ქუთაისის ცხოვრებიდან. შემეძლო ბევრი სხვა წვრილმანი შემთხვევები მეამბნა, მაგრამ ესენი იმდენად უმნიშვნელონი არი, რომ საჭიროდ არ დავინახე მათის მოთხრობით მკითხველისთვის თავის მობეზრება. ნაამბობიდან კი თვითოეული ადვილად ჩახვდება ჩემს გამოვლილ სიყმაწვილის ცხოვრებას.

...ფურნეში ყოფნა მე უფრო სააღდგომოთ მიყვარდა, რადგან მაშინ ქადასა და სხვა ათასნაირ ნამცხვარს აცხობდნენ. მე ვშველოდი ტკბილეულობის ან რძის გადღვებაში. რასაკვირველია, რომ ჩემთვის ბევრი რამ მრჩებოდა.

არ ვიცი, რომელი წელიწადი იყო. ბიძა ჩემ ბაგრატას ერთი მეფურნე ჰყავდა მოჯამაგირეთ და აგრეთვე, ორი ახალგაზრდა მეგრელი ბიჭი ამისთვის მიჩენილი. ეს ძალიან კარგი გულის ადამიანი იყო და დედა ჩემს ძალიან პატივსა სცემდა. საწყალი კოჭლი იყო. ფურნეში ბიძა ჩემ ბაგრატას ერთი ოთახიცა ჰქონდა, სადაც ხანდისხან თავისი ცოლი მოვიდოდა თავისის შვილებით და დღისით იქ რჩებოდა ხოლმე. აქვე ჰქონდა თავიანთ პირმშო ვაჟისთვის ფულის ყუთი, რომელშიაც ნაჩუქარ ფულს უნახავდნენ. მე ფურნეში თავისუფლად შევდი-გავდიოდი, როგორც ოჯახობის წევრთაგანი და რასაკვირველია, იმ ოთახშიც ხშირად ვიყავი. მხოლოდ ეს უნდა ვსთქვა, რომ არ ვიცოდი, თუ იმათ აქ ბავშვის ფულის ყუთი ჰქონდათ. რამდენიმე ხნის შემდეგ ის მეგრელი ბიჭები ავათ გახდნენ და სამშობლოში დაბრუნება მოისურვეს. ბაგრატმა მისცა თავთავიანთ ჯამაგირი, დაასაჩუქრდა კიდევაც და ისე გაისტუმრა. იმათ წასვლის რამდენიმე დღის წინეთ ბაგრატას ბავშვის ფულის ყუთი გაეღო და სახტათ დარჩენილიყო. მთელი კასა ცარიელი დახვდენოდა. რასაკვირველია, ეჭვი მაშინათვე ჩემზე შემოიტანა, იმის მეტი ვინმე არ იზამდაო. ამაზე ერთი აურ-ზაური ასტეხა და ამტკიცებდა რომ ქურდი მე ვიქნებოდი და სხვა არავინ.

საბრალო დედაჩემს სიცოცხლე გაუმწარდა. მე ვეფიცებოდი, რომ არ ვიცოდი, თუ იმ ოთახში ბავშვის კასას ინახავდნენ და თუნდაც რომ მცოდნოდა, იმოდენა ფული სად უნდა

გადამემალა ან სად უნდა დამეხარჯა თქო. ბაგრატა ამტკიცებდა, რომ 30 მანეთამდი იყო შიგ. დედაჩემი ჩემს სიმართლეში დარწმუნებული იყო, მაგრამ რა უნდა ექნა. გამწარებულ გულზე კარქა გამლახა და ამიკრძალა ფურნეში სიარული. საქმე კი ვერ გამოერკვია და მე ქურდობის სახელი დამედო. გავიდა რამდენიმე ხანი და ერთ შუადღეს მოვიდა ჩვენი მოჯამაგირე და დედაჩემს უთხრა: -„ ლიზა, ტოტა რას მომცემ მაყარაჩს, რომ ერთი სასიხარულო ამბავი გითხრაო?“. – „რავიცი, შვილო, - მიუგო დედა ჩემმა, რა მაქვს, რომ რა მოგცე! სთქვი და ერთი არაყი შენთვის ალალი იყოსო“. –„კარგი, ლიზა, ტოტა, მე სიტყვაზე გიჭერო. კასის ქურდები ხომ დავიჭირეთო!“

დედა ჩემს ძალიან გაეხარდა და სთხოვა დაწვრილებით ეამბნა: თურმე ბავშვის კასა იმ ორ მეგრელებს გაეტეხათ, მერე ავადმყოფობა მოეგონებიათ, რომ იქაურობას მალე მოშორებოდნენ. გზაში თურმე რაღაცის ყიდვა მოსდომებიათ, შესულიყვნენ ერთ დუქანში და თუმნიანის გადახურდავება სდომებიათ. იმ დუქანში შემთხვევით ყოფილიყო ერთი პოლიციელი, რომელსაც, რო ამდენი ფული ამ ახალგაზრდების ხელში დაენახა, ეჭვი შეპარვოდა, გაეჩხრიკა და სხვა ორმოციოდე მანეთი ეშოვნა. გამოკითხა, თუ საიდან ჰქონდათ ამდენი ფული. იმათ ეპასუხნათ, რომ ეს ჩვენი ჯამაგირიაო და აქა და აქ ვმუშაობდითო. პოლიციელი ამით არ დაკმაყოფილებულა, უკითხნია ჩვენს ფურნეში და მომდგარა, რომ იმათ თითო თუმნის მეტი ზედმეტი არ უნდა ჰქონოდესთრა. ბიჭები ციხეში ჩაუმწყდევიათ და იქ გამომტყდარნენ, რომ ბავშვის კასა გაექურდათ, თითონ ავადმყოფობა მოუგონიათ, რომ იქაურობას მოშორებულიყვნენ და გზაზე კი პოლიციელს შეჰფეთებოდნენ. გახარებულმა დედაჩემმა მახარობელს ერთის მაგიერ სამი ჭიქა არაყი ასვა და მადლიერი გაისტუმრა. მე იმ დღიდან ფურნიდან ფეხი ამოვიკვეთე.

ერთხელ ბურვალზე მოვდიოდი. გზაში ერთი უბრალო დაფერილი საათის ძეწკვი ვიპოვნე. ძალიან გამეხარდა, რადგან ვერცხლისა მეგონა. მე ავიღე და თამაშით ბიცოლაჩემთან გავწიე (ბაგრატას მეუღლესთან). ქრისტინემ ფურნეში გამგზავნა პურის მოსატანად. მე წავედი და თან საათის ძეწკვს თითზე ვიხვევდი. დახლში ალექსანდრე იდგა. მე პური ვსთხოვე. იმან შემამჩნია ძეწკვი და მითხრა იმისთის მიმეცა. ბურვალში ვიპოვნე-თქო-ვუთხარი მე და საჩვენებლად მივეცი. იმან აიღო ძეწკვი და უჯრაში ჩაკეტა. მე შევეხვეწე უკანვე მოეცა, მაგრამ იმან არ მომცა. ბოლოს ტირილი დავიწყე და იმანაც კარში გამაგდო. მე იქაც არ მოვისვენე და ვტიროდი, ალექსანდრემ ვეღარ მოითმინა, გადმოხტა დახლზე და გამომეკიდა. მე გავიქეცი, მაგრამ ქვას ფეხი წამოვკარი, წავიქეცი და ცხვირიდამ სისხლი თქრიალით წამვარდა. ამის გარდა, მუხლი ძალზე ვიტკინე. ალექსანდრემ მაინც არ შემიბრალა, გამომიგდო ცემა-ცემით ფურნეში, შემაგდო ოთახში და ისე ძალზედ მცემა, რომ განძრევა აღარ შემეძლო. მერე მიმაგდო ჯვლებში და კარები გადმომიკეტა. მე ისე ვიყავი დაბეგვილი, რომ ვეღარ მომეხერხებინა ტირილი. მთელი ტანი საშინლად მტკიოდა და ყოველ განძრევაზე აღუწერელ ტკივილს განვიცდიდი. ასე ვეგდე იქ მობინდებამდის, უსადილოთ, მშიერ-მწყურვალი.

მობინდებისას შემოვიდა ალექსანდრე და მკითხა, თუ რომ კიდევ მინდოდა , რომ ვეცემე. მერე დამაძალა, მომეთხოვა კიდევაც ბოდიში მის საქციელისთვის და მერე სახლში გამისტუმრა. მე ლასლასით მიველ შინ. დედაჩემი გულისკანკალით მელოდა და არ იცოდა, თუ რა გადამხდენოდა. მე უთუოდ ძალიან ცუდი ფერი უნდა მდებოდა, რომ დედაჩემს ძალიან შეეშინდა. „ ვაი, შენს დედასაო, რა დაგმართია, შვილოო“ და გულში ჩამიკრა. აქანობამდის

შეყენებული ცრემლები, მე ღაპა-ღუპით გადმომედო და დედას ტირილით ვუამბე, რაც გადამხდენოდა. დედას გული დაეთუთქა და საბრალომ სხვა ვეღარა მოახერხა რა და ტირილს მოჰყვა. ვინ იცის, რასა გრძნობდა მაშინ მისი საბრალო გული? რა უნდა გამოევლო საბრალო მშობელს, როდესაც დახვდა, თუ როგორ უმოწყალოდ ეპყრობოდნენ თავის ნაშობს, უდროოდ დაობლებულს სულ უბრალო რამისთვის, თითონ კი ძალა არ შესწევდა, დაეცვა თავისი შვილი ამ უსამართლობისაგან. **საბრალო დედის გულო, რამდენი მწუხარება გამოიარე შენის შვილებისათვის? რამდენი მდუღარება გადმოგედინა, როდესაც მათს უბედურებას ხედავდი?**

საღამოზე მოვიდა ალექსანდრე სახლში და დედაჩემს ძეწკვი მიუგდო. ეს დედაჩემისთვის პირადად გაცინვა იყო. მისი საქციელი ადამიანურათ არ ჩაითვლება . რა მოიგო იმითი, რომ მე ძეწკვი წამართვა და ისე საშინლად მცემა. თუ რომ საღამოზე უკან დამიბრუნა, შუა დღისას რიღასთვის წამართვა? იტყვით, ეგების თავი შეაწუხა დალოცვილს-განა ენა არ ჰქონდა? ეთქვა, რომ ნუ თამაშობო, და მე ხომ ურჩობას ვერ გავბედავდი? განა ნუთუ არ იცის, თუ როგორ ჰკიდია ბოვშვი თავის საგანზე, მეტადრე იმისთანაზე, რომელიც მას უშოვნია? აქ თავი ადამიანმა ბოვშათ უნდა იგულისხმოს, რომ მისი გულის კვეთება შეიგნოს, სხვაფრივ ეს ყოვლად შეუძლებელია.

როგორც წინეთ მოვიხსენიე, ქუთაისში ჩასვლის შემდეგ სახლში კოჭებით თამაში შემასწავლეს. კოჭობანა ძალიან შემიყვარდა და კარგათაც შევისწავლე. შემდეგში კი ეს თამაში ამიკრძალეს. მე ვერ ვხვდებოდი, თუ ამას რისთვის მიკრძალავდნენ, რადგან სხვა რამის თამაში არ შეიძლებოდა ჩვენი ეზოს სივიწროვის გამო. ბავშვები **კოჭობანას** გარდა, ვთამაშობდით **ქვასალობიას** ან **პერობანას**. მე კარგი კოჭების მოთამაშე ვიყავი და ამიტომ ბევრ კოჭებს ვიგებდი. ბოლოს ყველაზე საუკეთესო კოჭები მე მქონდა, ბევრი მათგანი მშვენივრად შეღებილი და ტყვიაჩასხმული იყო.

ერთხელ ჩვენს მეზობლის ბავშვთან ეზოში კოჭობანას ვთამაშობდი. უცბათ გაჩნდა ალექსანდრე ეზოში და თვალი შემკრა. მე კოჭებს დავავლე ხელი და მინდოდა ჩუმათ გავპარულიყავი, მაგრამ გვიანღა იყო. ალექსანდრე ჩემთან გაჩნდა და ისეთი წამარტყა კისერში, რომ სიგრძეზე მიწაზე გავიშხლართე. მერე დაავლო ჩემს კოჭებს ხელი და დიდი ხნის მოვლილი და შენახული სათამაშო რიონში კიდეც არ გადამიყარა!

მე ამ კოჭების დაკარგვა უფრო მეტკინა, ვიდრე ცემა და ტირილი დავიწყე. ალექსანდრემ მუჯლუგუნის ცემით სახლში შემაგდო და მცემა. ყველა ეს ეპატიებოდა იმას, თუ რომ მე მართლა დანაშაული მიმიძღოდა ამაში.

მახსოვს: დედა ჩემი მომითხრობდა ხოლმე, რომ სწორეთ ალექსანდრე პატარაობისას დიდი ეშმაკი იყოვო. მთელი დღე კარში ეგდო და ან კოჭებს თამაშობდა ან სხვებთან სადმე დაეხეტებოდაო. საკვირველია, რომ თვითონ სიყმაწვილეში ისე ცელქად იქცეოდა და თითონაც კოჭობანას თამაშობდა;- ისიც ვინ იცის სად. ჩვენ ბავშვებს რაღად გვდევდა და ისე მკაც-რად გვეპყრობოდა? განა ამითი თავისი სიყმაწვილის დანაშაულის გამოკეთება უნდოდა? უშველა ღმერთმა, სხვის ხარჯზე თავის დანაშაულის დაზღვევა ადვილიცაა და თან ხელსაყრელიც. ყველა რომ ასე იქცეოდეს, მე მგონი ყველას შეეძლება დაკვეხა, თუ რომ სიყმაწვილეში ცელქი ვიყავი, სივაჟკაცეში გამოვაკეთეო. ეს მე მგონი არავის გაუჭირდება, არც ძნელია და არც თუ ისე თავს აატკივებს.

ბევრი ამისთანა მაგალითების მოყვანა შემიძლია, მაგრამ ამითი მკითხველს თავს შევაწყენ, მხოლოდ იმას ვიტყვი კიდევ, რომ დედაჩემი ამისთანა შემთხვეევბზე ძალიან სწუხდა და რა ხედავდა, რომ ვერ გამოგვესარჩლებოდა, გული ეთუთქებოდა და ხშირათ გამწარებულ გულზე ისიცა გვცემდა ხოლმე, მერე დაჯდებოდა და ტირილს მოჰყვებოდა საწყალი.

აქვე მინდა ჩემს ძმაზე რამდენიმე სიტყვა მოგახსენოთ. ჩემი ძმა, თუმცა კი ძალიან ცელქი იყო, მაგრამ კარგი გული ჰქონდა. ვინმე რომ მე გამლახავდა, იმას გული მოუვიდოდა. ის ხშირად ჩაუვარდებოდა დედას ხელში, როდესაც მე მლახავდა და შეეხვეწებოდა, თავს დამხსნოდა. ჩემდა გასაკიცხავად კი უნდა ვსთქვა, რომ მე იმას ამნაირათ არ ვეპყრობოდი და ხანდისხან მიხაროდა კიდეც, იმას რომ ლახავდნენ, რადგან იმის მიზეზით ხშირად ვილახებო-დი ხოლმე და მე იმაზე ჯავრი მქონდა.

ერთხელ ლოგინში ვიწექი. დედა და დიდია იქვე ახლოს იჯდნენ, ხელსაქმობდნენ და ჩვენზე ლაპარაკობდნენ. მე თავი ისე მოვაჩვენე, ვითომ მეძინა და ისინიც გადანდობილად ლაპარაკობდნენ. ისინი ჩემს ძმას ამტყუნებდნენ და მე კი ვებრალებოდით, რადგან საბრალო ბავშვიო იმ ლაწირაკის გულისთვის ბევრჯელ უბრალოდ ილახებაო. ამაზე მე ისე გული მომივიდა, რომ გადავწყვიტე, ჩემს ძმისთვის ეს უთუოდ გადამეხადა. არ ვიცი, თუ რომ ეს ჩემი გარდაწყვეტილება სისრულეში მოვიყვანე, ბევრჯელ კი მიგდია ხელში დრო იმის ან საცემლად ან გასაჯავრებლად.

ერთ ღამეს გამომეღვიძა, ავდექი და შმუშნა-შმუშნით კარში გავედი. მე ნახევარ ძილში ვიყავი, მხოლოდ მკაფიოდ გავარჩიე, დედა და დიდია ჩემი, რომელნიც ლამპასთან იჯდნენ და ხელსაქმობდნენ. იმათ ეგონათ, რომ მე შარდის დასაქცევად გავდიოდი კარში და ყურადღება არ მომაქციეს. მე გავაღე კარები და გავედი კარში. ეზოში გასასვლელად ერთი კიბე უნდა ჩაგვევლო. ამ კიბის კარები რომ გავაღე, დამიცდა თურმე ფეხი, დავგორდი კიბეზე და მარნის კარებში ჩავკოტრიალდი. კარში წვიმდა და მარნის კარების წინ წვიმის გუბე დამდგარიყო. აი, ამ გუბეში მოვადინე ტყაპანი. ამაზე მე გამომეღვიძა და ძალიან შემეშინდა. დედასაც გაეგო ხმაურობა და კარში გამოვარდა. შეშინებულმა სახლში შემიყვანა, გამომიცვალა პერანგი და ისევ დამაწვინა, მერე კი, რა მოაგონდა ჩემი მდგომარეობა, გულიანათ სიცილი დაიწყო. ეს რომ არ მომსვლოდა, ვინ იცის, სად წავიდოდი.

ერთხელ ჩვენი ოჯახობა ეზოში იყო. მე შემთხვევით შეველ მარანში და გავშტერდი. კედელზე ვირთხები დაცოცავდნენ. იქვე ერთი ტომრით სიმინდი გვეკიდა და შიგ ვირთხებს ერთი ამბავი ჰქონდათ. მე ბევრი აღარ ვიფიქრე, შევხტი მაგიდაზე, რომელიც იქვე კედელთან იდგა, ვტუცე ხელი დაუფიქრებლად ტომარაში და ერთი ვირთხა ამოვათრიე. ვირთხამ ჩამავ-ლო ნეკში კბილები და საშინლად მიკბინა. სისხლმა თქრიალით დენა დაიწყო. მე გავბრაზდი, დაუჭირე თავი, გამოვიტანე კარში, ჩვენი ძაღლს დავუძახე, რომელიც საზოგადოდ თაგვების დიდი მტერი იყო და ვირთხა დიდის ძალით წინ დაუზღართე. ძაღლი მივარდა და მოკლა. მე ამითი არ დავკმაყოფილდი, მივაბი კუდზე ბაწარი და იმდენი ურტყი ქვაზე, რომ თავი მთლად დაუნაყე; ნეკი კი დედამ შემიხვია.

მე ხილი ძალიან მიყვარდა და სადაც მოვახელებდი, ვიპარავდი. ჩვენს ეზოში ერთი ხურ-მის ხე იდგა. ამ ხეზე მე ხშირად მნახავდით. ერთხელაც ხურმაზე ვიჯექი და ვკრეფდი. ერთ ახალ ტოტს რომ დასაჭერად წავწვდი, ტოტი რომელზეც ვიდექი (თურმე გამხმარი იყო), ჩატყ-და და მე თავით დედამიწაზე წავედი. ქვეით ქვებში დავეცი. თავი გამიტყდა და სისხლმა დენა

დაიწყო. მე ფეხზე წამოდგომა ვეღარ მოვახერხე, მხოლოდ ოთხზე გამოვბოტყე ეზოში და იქვე უღონოდ დავეცი. დედაჩემი კარში იჯდა. მე რომ დამინახა, გამოიქცა შეშინებული, შემიყვანა სახლში, **მომბანა ჭრილობა და ცხენის ნეხვი დამაყარა ზედ.** თავი მომირჩა, მაგრამ ჩემი ცელქობის ნიშანი კი შემრჩა. ჩემგან მეზობლებს და ნაცნობებს სული ჰქონდათ გაჭირებული, რადგან გადავიპარებოდი ბაღში და ხილს ვიპარავდი ხოლმე.

ერთხელ სახლში ატამი გვქონდა, მე უბეები და ჯიბეები დავიტენე, გავიპარე კარში, იქიდან გავედი ჭიშკარში და მინდოდა შორს წავსულიყავი, რომ დამშვიდებით მეჭამა მონაპარი. ის იყო გავცდი ჭიშკარსა და სიმონს კი არ შევეფეთე გზაში! შემიყვანა სახლში, დამაყრევინა ატმები და მე კი ლაზათიანად მიმბრეგვა. ამან ჩემზე ბევრი არ გასჭრა და მე ჩემი არ დამიშლია.

ერთხელ საიდანღაც ფული ჩავიგდე ხელში. გავიპარე ბაზარში, ვიყიდე სამი პატარა საზამთრო და წარმოიდგინეთ, სამივე ბაზარშივე შევჭამე. ეს დღე რომ მომაგონდება, მე თითონვე მიკვირს ხოლმე.

არ ვიცი, რომელი დრო იყო. დიდია ჩემი ძალიან ავათ გახდა. თურმე კიბო გასჩენოდა და საავათმყოფოში გადავიყვანეთ, სადაც ოპერაცია უყვეს. რამდენიმე დღის შემდეგ სახლში გადმოვიყვანეთ, რადგან საავათმყოფოში არ ისვენებდა. არ გაიარა რამდენიმე დღემ და დიდია ჩემი გარდაიცვალა. აქ შემთხვევა მქონდა მეყურებინა, თუ ვინ მისტიროდა მიცვალებულს წრფელი გულით და უნდა გამოვტყდე, რომ ყველას ძალიან უყვარდა იგი და ამიტომ ყველანი ცხარე ცრემლით სტიროდნენ მის დაკარგვას. ბუნებით კეთილი და სამართლიანი, მუდამ ჩუმი და ამტანი ადამაინი, მშრომელი და დაუზარებელი, იგი ყველას პატივსაცემი იყო და ამიტომაც მას ყველა დიდის კდემითა და პატივისცემით ეპყრობოდა. თვით პაპა ჩემი, რომელიც ბუნებით მკაცრი და უხიაგი ადამიანი იყო, მასთან ჩხუბს ერიდებოდა. მის სიკვდილის შემდეგ პაპა ჩემი ბავშვსავით ღრიალებდა. ხშრად ჩავიდოდა რიონის პირს, დაჯდებოდა ქვაზე და მოჰყვებოდა მოთქმას. მე ამას ხშრად ვხედავდი და მეცოდებოდა. ბიძა ჩემი სიმონი ხომ მწუხარებამ წელში მოწყვიტა. მისი ყოველი მოქმედება ხანდისხან ისე უშინაარსო იყო, რომ ქვასაც კი აატირებდა მისი მდგომარეობა. ხშირათ პირში ჩატოვილი ლუკმა გავარდებოდა, მიაგდებდა სადილს და ვერაფრით ვეღარ აჭმევდით რამეს. დიდია ჩემი დიდის ზეიმით დავმარხეთ, რომ მისი ბადალი ქუთაისში არ ყოფილა. მისი საფლავი ამოცემენტებულ სახლს მიაგავდა, სადაც კუბო შევასვენეთ. ამ კეთილ ადამიანის ხსოვნა სამუდამოთ დარჩება ჩემს გულში.

აქვე მოგითხრობთ ჩემს მგზავრობის თავგადასავალს, რომელიც დონ დამიანესთან ერთად მომიხდა. არ ვიცი რომელი იყო. ჭიათურაში ერთი კათოლიკე გარდაცვლილიყო; დასამარხად ქუთაისიდან მღვდელი უნდა ჩასულიყო. დონ დამიანეს გამატანეს მოსახმარებლად. ჩვენთან წამოვიდა ერთი ეკლესიის მებაღეა იოსება. ძალიან კარგი კაცი იყო, ნამდვილი ქართველის ტიპი. საღამო იყო და მატარებელი ჭიათურაში აღარ მიდიოდა. ჩვენ შევიპარეთ ერთ ტვირთისმატარებელში და ამითი ვაპირებდით ჭიათურაში გასვლას. გზაში მე ძილი მომერია, მივწექი ერთს კუთხეში და დამეძინა. მე მალე სიზმრებმა გამიტაცეს და როგორც ეტყობა, ბოდვა დავიწყე. დონ დამიანე და იოსება ცდილობდნენ, თურმე ჩემს დამშვიდებას, რადგან საშიში იყო ხმამაღლა ლაპარაკი სტანციებზე გავლის დროს. ადვილად შეიძლებოდა ვისმე გაეგო და მაშინ დაგვიჭერდნენ, დრო დაგვეკარგებოდა. მე ნახევარ ძილში ვიყავი კიდევ და ამიტომ მე დონ დამიანესა და იოსებას, რომელსაც ჩემთვის ხელი ჩაევლო, ჩხუბი დავუწყე. დონ დამიანე სიცილით კვდებოდა და იოსება კი ჩემს დამშვიდებას ცდილობდა. ბოლოს მთლად

გამოვერკვიე, მივხვდი, რაში იყო საქმე და გავჩუმდი. გათენებისას მივედით ჭიათურაში. გარეთ რომ გამოვედით, ქვანახშირის ჰაერი დამხვდა და ძალზე გამიკვირდა. მთელი არე-მარე ქვანახშირის მტვრით იყო დაფენილი. ჩვენ მივედით მიცვალებულის სახლში, დავასაფლავეთ მიცვალებული და საღამოს შინ დავბრუნდით. ჭირის-უფლებმა მე მანეთიანი მაჩუქეს. ოჯახი შეძლებული იყო.

ბიძა ჩემი ალიოზი, როგორც წინეთ მოგახსენეთ, სტამბოლის მონასტერში იყო ბერათ. მგონი ბალკანეთის ომის შემდეგ ჩამოვიდა ჩვენს სანახავად. დედა ჩემი, მე და მგონი ერთი ბიძაჩემთაგანი რიონის სტანციაზე დაუხვდით. ალიოზს, ტანისამოსი ეცვა. მას თან ახლდა **ფრანჩისკე ბეგიშვილი**, რომელიც სამღვდელოდ ემზადებოდა. მე ბიძაჩემს ხელზე ვემთხვიე. ფრანჩისკეც მღვდელიც მეგონა და იმასაც ვემთხვიე, იმან გაიცინა და ამიხსნა, რომ ჯერ მღვდელი არ იყო.

ალიოზმა საქართველოში მგზავრობის დროს ახალციხეში თან გამიყოლა. წავედი, აგრეთვე, ხიზაბავრაში **ბალიძეებთან,** რომელნიც ჩვემ გვენათესავებოდნენ. ასპინძაში გავჩერ-დით და აბანოს გადავხედეთ, სადაც მამა ჩემს თავისი ოფლი დაეღვარა და დღეს კი სხვა ხარობდა იმის ნაამაგარს. უცბათ ერთი მოხუცი ასპინძელი მოუახლოვდა ჩვენს ეტლს, შემომხე-და და თათრულად მითხრა: „ შენ ნიკო ალიოზის ბოვში არა ხარო?“ მე გამიკვირდა ეს და თანხმობის ნიშნად თავი დაუკარი. წარმოიდგინეთ რამდენიმე წელიწადი იყო, რაც აბანოში არ ვიყავი, ბოვში წამოვიზარდე და ასპინძელებმა კი მაინც მაშინათვე მიცნეს. ბევრი საქებური ილაპარაკა ასპინძელმა მამა ჩემზე და სანამ ხიბაზავრისკენ არ გავემგზავრეთ, ის გვერდიდან არ მომშორებია.

შემდეგში სოფელ **უდეს** წავედი, სადაც მამიდაჩემი იყო გათხოვილი. მამიდაჩემი ძალიან კაი გულის ადამიანი აღმოჩნდა, რომელსაც მე ძალიან შევუყვარდი. მისი დედა-მამამთილი კი არ იყვნენ კარგის ხასიათისა, წუწუნებდნენ მუდამ ჩემზე და ეს კი საბრალო მამიდაჩემს გულს უკლავდა. იგი იმათ შიშით მე ვერას მაძლევდა და თუ მალვით რამეს ჩამიჩეჩებდა ხელში, მეტყოდა: - ვასოჯან, რა გიყო, რომ შემეძლოს ყველაფერს მოგცემდი, მაგრამ, აი, მათი მერიდება, შურით სკდებიანო. შენი ჭირიმე, ეს აქ შეჭამე, არ დაანახო იმათ, თორემ ჩხუბს ამიტეხებენო. მე შემდეგ უფრო მივხვდი, თუ რამდენად უნდა დატანჯულიყო საბრალო ადა-მიანი. ეს მე ძალიან შემიყვარდა, მაგრამ, საუბედუროთ, ვეღარ ვეღირსე მის ხელმეორედ ნახვას. სიკვდილს მოესწრაფა მისთვის სიცოცხლე. დედაჩემი მიამბობდა შემდეგში, რომ ჩემი ნახვა ძალიან სდომებია ერთხელ კიდევ, მაგრამ საბრალოს აღარ დასცალდა; მშვიდობა მის სულსა!

ერთი შემთხვევა არ დამავიწყდება, რომელიც ალიოზის ქუთაისში ყოფნის დროს გადამხ-და. ერთ დღეს მე და ჩემი ორი ამხანაგი- მახარა და ბაგრატა (ესენი სტამბოლში მიდიოდნენ) მარანში ვიყავით. ამ დროს იჭექა ჩვენი სახლის შუშამ და ქვამ სახლში ტყაპანი მოიღო. ჩვენ კარში გავვარდით, რომ გაგვეგო, თუ ვინ იყო, მაგრამ ვერავინ ვნახეთ. უთუოდ ერთი ურიის ბიჭი იქნებოდა (იქვე ურიების უბანი იყო). სადილობა იყო და ალიოზს გაეგო ეს ამბავი. ის გაჯავრდა, მე გადამაბრალა. მე ბევრი ვაჯერე, მაგრამ არ იქნა, გამოიარა და სადილზე დამაჩოქა. ბოლოს მახარამ და ბაგრატამ დაარწმუნეს ჩემს უდანაშაულობაში და მაპატია.

სახლის წინ ვიჯექი. ჩემი ტოლამხანაგებიც იქ მოსულიყვნენ და ვლაზღანდარობდით. ვნახოთ, ქუჩის მეორე პირს გამოჩდნენ ურიის ბოვშები. ჩემმა ამხანაგებმა დაცინვა დაუწყეს და ზოგიერთმა ქვები ესროლეს. ურიის ბოვშებმაც აიღეს ქვები და იმათაც ესროლეს და დახე

უბედურებას, ფურნის ფანჯრები კი არ ჩამიმტვრიეს! ჩემი ამხანაგები გაეკიდნენ, მაგრამ ისინი იქვე, ურიის ეზოში, შეცვივდნენ და გადაიკარგნენ. მე ძალიან შემეშინდა, რადგან ვიცოდი, რაც მომელოდა. ჩემი ამხანაგები მაგულიანებდნენ და მპირდებოდნენ, რომ ბიძაჩემთან გამომესარჩლებოდნენ. ნაშუადღევს მოვიდა ბიძაჩემი ალექსანდრე. მე დავიჯექი. ბავშვები მას გარს შემოეხვიენ და უამბეს, რაც მოხდა. იმან ისინი კარში გაყარა, წამწვდა მე და ერთი ლაზათიანად მიმტყეპა. მერე სახლში გამაგდო.

ერთელაც დახლის ქვეშ შეშას ვალაგებდი, ლაგების დროს ორი კაპიკიანი ვიშოვნე, რომელიც რომელიმე მუშტარს დაეკარგებოდა უთუოდ. მე ეს ავიღე და ბიძაჩემი რომ მოვიდა და სახლში გამისტუმრა, მე გზაში კამფეტი ვიყიდე. ბიძაჩემი ბაგრატა თურმე მითვალთვალებდა. დამიძახა და მკითხა - „ვინ მოგცა ფულიო“. მე სიმართლე ვუამბე. მითხრა: - „ფული მე ჩავაგდე განგებ დახლის ქვეშ, შენი გამოცდა მინდოდაო. მინდოდა მენახა მოიპარავდი თუ არაო. ქურდი ყოფილხარო“, -მითხრა, გამლახა და გამაგდო სახლში: - „ დაიკარგე, ფურნეში აღარ დაგინახოო“.

ვასო სადათიერაშვილის დღიური

ჩემი დღიური 1921 წელს აპრილის ოცს. 20 აპრილი.

I.ასპინძა (აბანო)

არც ერთი ადამიანი არ მოიპოება, რომ თავის სიცოცხლეში არა გადახდენოდეს რამ. თვითოეული ჩვენთაგანი თავის სიცოცხლეს რომ დაუკვირდეს, ბევრს ბედნიერ წამებს დაინახავს, უფრო ბევრს კი მწუხარებას, რადგან ასეა მსოფლიო კანონი, რომელსაც ვერა გაჩენილი ვერ ასცდება. თვით ქრისტე ღმერთი, გამჩენი ცისა და ქვეყნისა, დამფუძნებელი კანონისა - თვით ის ვერ ასცდა, თუ შეიძლება ასე ითქვას, ამ მსოფლიო კანონს. ჩემი სიცოცხლე წარმოადგენს ერთს მღელვარე ზღვას და ზედ პატარა ნავს, რომელსაც ზვირთები ბურთსავით ათამაშებენ.

მე ჯერ კიდევ ახალგაზრდა ვარ, ოცდა მეორეში ძლივს ვიქნები, მაგრამ ჩემი ეს მოკლე ცხოვრება, ისეა აღელვებული, ათასფეროვანი და მოუსვენარი, რომ ვერ წარმომიდგენია, თუ ვინმე კიდევ იქნება ჩემისთანა.

მე ჩემი ბავშობისა ბევრი არაფერი მახსოვს, მაგრამ რაც მახსოვს, ისე მტკიცედა მაქვს ჩაბეჭდილი გონებაში, რომ არასდროს არ დამავიწყდება. არავინ არ გამკიცხავს, თუ რომ არ ვიცი აკაკი წერეთლისავით, თუ რასა ვშვრებოდი ბალღობისას, და თუ იმასავით მცინარა და მხიარული არ ვყოფილვარ, არც ესაა წუნ დასადები, თუმც კი უნდა გამოგიტყდეთ, რომ არც ერთი მახსოვს და არც მეორე. მხოლოდ ეს მახსოვს, და ისიც იმიტომ რომ დედაჩემი მუდამ ამას ამბობდა: რაც მე ჩემს ვასოსთვის ამალ (წვალება) გამომივლია, ის მარტო ღმერთმა იცის. 7 წლამდისინ მოსვენება არ მქონია მაგის მშობელს. ღმერთმა აშოროს და ხელში რომ მყავდა ხოლმე, უცბათ გადამიბრუნდებოდა და ღუჟღუჟა ბავში, მთელი ტანი გაუშავდებოდა, როგორც შავი კუპრი და კრიჭა შეკვროდა. ჰაი ესა და ჰაი ისაო და ძლივს მივაბრუნდებდით ხოლმეო.

რასაკვირველია, არა მარტო ჩვენი ოჯახი იყო სუფთა ცრუმორწმუნეობისაგან. ეს არც მოსამსახურეების ბრალი იყო და არც მოახლეებისა, როგორც აკაკისაში. აქ იყო პირდაპირ ცრუ მორწმუნეობა. შემაბამდენ თურმე ათასნაირ გიშრებსა და რავიცი, კიდევ რას და შეოცვა შელოცვაზე მოდიოდა, ვითომ და: თვალის ნაცემია და გამოაბრუნებსო".

ერთი ამბავი არასდროს არ დამავიწყდება, რომელიც ისე ცხადათ ხატავს, თუ რა ძლიერაა გამჯდარი ჩვენს ხალხში ცრუმორწმუნეობა. ასე მოჰყვება ხოლმე ჩემი დედა ამ ამბავს: "ერთხელ ხელში მყავდა ჩემი ვასო. ადამიანო, უცბათ გადამიბრუნდა ხელში და მკვრდის ფერი დაედოვო. საწყალი ჩემი კოსტოი (მამაჩემის ძმა), ღმერთმა უშველოს, იმ დროს იქ იყო. - კოსტო, ჩქარა იფრინე რუსთავს და **შავი ვარია** მოიყვანეო, - მივაძახეთ. იმანაც შეკაზმა ცხენი, ადამიანო, და ისეთი გახადა ცხენი, ისეთი გახადა, რომ სულ წურწურით ოფლი სდიოდაო. ერთ საათში რუსთავს ჩავიდა და ამოვიდა. საჩქაროთ **დავკალით ვარია და ტყავი ჩამოვაცვით თავზეო.** გამობრუნდა ყმაწვილიო. - რაც მე ამაზე ამალ გამომივლია, - დაუმატებს ხოლმე დედაჩემი,- იმდენი არც ერთ დედას არ გამოუვლიაო".

მგონი ეს საკმაოა შესავალად და ეხლა მოთხრობა დავიწყოთ.

მე დავბადებულვარ ქ. ახალციხეს, რაბათში. მამაჩემი კაი შემლებული კაცი იყო; ასპინძის გადაღმა, სამი თბილი აბანოა, აი, ესენი ეკავა მამა ჩემს; აეშენებინა ერთ სართულიანი სახლი და იქ სცხოვრობდა თავის ცოლშვილით. ამ ადგილს თბილ აბანოების გამო, "აბანო" ერქვა.

აბანო ზედ მტკვარზე იდგა; ისე რომ მტკვარი რომ ადიდდებოდა, სამივე აბანო წყალ ქვეშ მოექცეოდენ. ჩვენი სახლი ცოტა მოშორებით იდგა, კლდის ძირას.

ეს კლდე საუცხოვო სანახავია. არც ციცაბოა და არც თუ ფერდობიანი, არც გადახრუკული და არც ძალიან მოშენებული. ეს კლდე დღესაც ცხოვლად მიდგია თვალწინ და თუმც კი 12-13 წელიწადია აღარ მინახავს, მაინც ისე მგონია, ვითომც ჩემს თვალწინ იდგეს. ეს კლდე საკმაოდ მაღალია. აი, ამ კლდის ძირას, ბუდივით იყო მოშენებული ჩვენი სახლი. ეს კლდე ჩვენ ყველაფრისაგან გვიცავდა, სიცივისა თუ სიცხისაგან, ქარისა თუ წყლისაგან, და თვით მტრისაგან, რადგან მასზე ვერავინ გაბედავდა ჩამოსვლას, თუ რომ სიცოცხლე მობეზრებული არ ჰქონდა; ისე კი, საიდანაც გინდა მოსულიყვნენ, ყველა დავინახავდით. მტკვრის ჩასწვრივ გადაჭიმული ჭანჭრობები და მინდვრებია. აი, ეს იყო მამა ჩემის ქონება , ამათ ამოშრობა, შემუშავებას შეალია თავისი სივაჟკაცის ძალ-ღონე. დიახ, თუ რომ აკაკი თავის საჩხერით ამაყობს, რამდენათ მეტად უნდა ვიამაყო მე? ვინ არ იცის სახელი **"ასპინძა"**? ვის არ წაუკითხავს **"ასპინძის ომი"**? და თუ რომ არ წაგიკითხიათ, წაიკითხეთ და მაშინ ჩახვდებით, რისთვის ვამაყობ.

ბედმა მე მარგუნა ამ ასპინძის ბრძოლის ველზე ცხოვრება, იმ მიწის ქელა, რომელსაც **შეუსვია ჩვენს წინაპართა სისხლი**, იმ მდინარის ჭვრეტა, რომელსაც ათასობით ჩაუხრჩვია მტრის ურდოები. დიახ, **თქვენ უნდა დაუგდოთ ყური მტკვარს, თუ როგორ მოსთხრობს იმ დიდებულ ომს.** ჯერ მოდის წყნარად, თითქმის სულგაკმენდილი, დინჯი, როგორც რომ ვინმე მოხუცი, რომელიც რამე გულისამგერს უამბობს ახალგაზდებს. **"იგი ხედავს ირაკლის, პატარა კახს, თუ როგორ აწყობს თავის ერთ მუჭა რაზმს, მტერთან სიკვდილ-სასიცოცხლოდ შესაბმე-ლად.** შეშფოთდა მტკვარი, აღელდა ამ უსამართლობაზე, რომ იმდენა ავაზაკთა ბრბო, ამ ერთ მუჭა ხალხს უნდა შეებას. მტკვარი მოუსვენრობს, უნდა მიეშველოს თავის მეფეს, მაგრამ ღონე არ შესძლევს, მოხუცებულია. აღელვებული, წვრილ-წვრილ ტალღებს კიდეებს ახეთქებს და სტირის, დუდუნებს, რომ მკვლავი ვერ უჭრის. მაგრამ ჩუ... ეს რა იყო!.. საიდან მოვიდა ეს ხმა!...

- **"გაუმარჯოს პატარა კახს! ან გავწყდეთ, ან და გავიმარვჯვოთ!"** - გრევინსავით მოედო მთად ბარს ეს თავზარდამცემი ხმა. მტკვარი შეჩერდა. მზემ გაოცებით თავი კარში გამოჰყო, რომ დაენახა, თუ რა ამბავი ხდებოდა. მისმა მშვენებამ სხივები მოჰფინა არემარეს. ხმლები მის ხსივებზე ალაპლაპდენ. აგერ, დაიძრა გმირი ჯარი და შავარდენსავით ჩაერია მტრედთა გუნდში. **მზეს შეეშინდა და შეიმალა.** მტკვარი უყურებს. - ჰაჰა!... ჰკა მაგას! ისმის ლომების ხმაურობა, ხმალი და ხანჯალი ერთმანეთში ბუზებსავით ირევიან. აგერ, ეს თეთრ რაშზე მჯდომი არწივი, ელვასავით რომ დაჰქრის მტრებს შუა, ვინ არის? ... - აბა, შვილებო! გამარჯვება ჩვენია! ჰკა მაგას!!! - გაისმა არწივის ხმა ბრძოლის ველზე. - გაუმარჯოს ჩვენს ირაკლის, გაუმარჯოს ჩვენს პატარა კახს!!! ჰკა მაგათ, ძმებო! არ გაუშვათ ცოცხლები! - შესძახა ჯარმა პასუხი.

გაორკეცებულის ძალით მივარდნენ მტერს. მტერი შეკრთა, უკან დაიხია, მაგრამ იქაც ლომის შვილები დახვდენ. მტერი შეძრწუნდა; ერთი გზაღა ჰქონდა, ეს იყო ხიდი. მტკვარი აღელდა, აბობოქრდა, მრისხანედ შემოტრიალდა თავის თავზე! გადაავიწყდა თავისი წლოვანება. - როგორ?! თავისი მეფე იმარჯვებს და ამან მტერს გასაქცევი გზა უნდა მისცეს?... არასოდეს!... არა და არა! **აღელდა მტკვარი, ამთაგორდა და მრისხანედ სტყორცნა კიდეებს ტალღები**. აბობოქრდა ზღვასავით, დააგორა ტალღები და გამხეცებულმა სტყორცნა ხიდს.

ხიდი შეინძრა, მაგრამ არ ჩატყდა. აგერ შემოესია ხიდს მტერი, ათასობით აწყდებიან ზედ; აჰა! გაივსო. მტკვარი შეშინდა; მოიკრიფა მთელი თავისი ძალღონე, წამოდგა და რაც ძალი და ღონე ჰქონდა, ეძგერა ხიდს. ხიდმა ამას ვეღარ გაუძლო და ჩაწვა. სიხარულის გრგვინვამ მოიცვა არემარე. **მტკვარი გამძვინვარდა, გააფთრდა, ეძგერა მტერს და ჩაიხვია, ჩასანსლა და როგორც გამაძღარი ლეშს ელის დუდუნით შეუდგა თავის გზას...**"

აბა, მითხარით, ვინ არ იქნება ამისთანა მოგონებაზე ამაყი? ვინ არ დაიკვეხებს, რომ მე ვარ ამ გმირთა შვილიო? აი, ეს ადგილია ჩემი ბავშობის, **ჩემი აკვნის სამშობლო.** აქ ავიდგი ფეხი, აქ ამოვიდგი ენა და **აქვე გამეხსნა ჩემი მეხსიერება.** აი, აქედან მსურს რამდენიმე თავგადასავალი მოგითხროთ. ვინ იცის, ბევრი არა იყოს რა, მაგრამ მე კი ბევრად მიმაჩნია, რადგან გადამხდა და საუბედუროთ, არ ვიცი, რა დროს რა მოხდა, ამიტომ უზდელობათ ნუ ჩამომართმევთ, თუ რომ უთარიღოთ და უთავდარიგოთ გიამბობთ.

მახსოვს აბანოს გადაჭიმული ჭალები, რომლებზედაც იმდენი მირბენია. მახსოვს მასზე მაძოვარი ნახირი; ხარი გინდა, კამეჩი თუ ძროხა ერთმანეთში ირეოდნენ. მწყემსები ჯერ კიდევ ყმაწვილები იყვნენ, ამიტომ მეც ხშირად იმათთან მნახავდით. ერთხელ ჩვეულებისამებრ თან წამიყვანეს. ჭალაში ნახირი გაიშალა, ჩვენ კი ერთ მტკვრის პატარა ტოტთან მოვიკალათეთ. ცოტა მუსაიფის შემდეგ მწყემსებმა რუს იქით რაღაცის მოკრეფა მოინდომეს. თითომ თითო კამეჩი დაიჭირა, მეორემ-ხარი, წამოახტნენ ზურგზე და გატოპეს. მეც მითხრეს გავყოლოდი, მაგრამ მწარე უარზე დავდექი, რადგან ნახირისა მეშინოდა. -მაშ, მანდ მოიცადე, და ჩვენ მალე მოვალთო, - მითხრეს მწყემსებმა. მე სიხარულით შევსქცეროდი, თუ როგორ ტოპავდენ რუს, რომელიც არც ისე ღრმა იყო, რადგან ერთ ნაპირიდან მეორემდი ერთი საჟენი ძლივს იქნებოდა და რუქვებზე მიჩუხჩუხობდა. მწყემსები მალე ბუჩქებს მიეფარნენ. დავრჩი მარტოკა. უკან მივიხედე და კანკალმა ამიტანა. იმოდენა ნახირი ჩემს ახლო მოძოვდა და ღმერთი რომ გასწყრომოდათ და ბუზებისგან შეწუხებულებს კუდები აებზიკათ და სირბილი დაეწყოთ, უსათუოთ შუაში გამიტანდნენ.

ამ დროს ჩემთან ახლოს ერთმა ხარმა თავი ასწია, შემომხედა და დაიბღავლა. იმისი ხახა რომ დავინახე, გული გამისკდა, ნელ-ნელა ავდექი, ჩუმათ გავიპარე ნახირიდან; თქმა არ უნდა, რომ ვკანკალობდი და ცოტა გავცდი თუ არა ბოლო ხარს, იცოცხლე, რომ მოვკურცხლე შინისკენ. შიშით უკან აღარ მიმიხედია, ვაი, თუ მომდევს ხარიო. შინ რომ მოვედი, ცოტა გული მოვიბრუნე და კარში გავჩერდი. ცოტა ხნის შემდეგ მწყემსებიც გამოჩნდენ. მგონი სოკოები დაეკრიფათ, და რომ დამინახეს, ხელი დაიქნიეს, მოდიო; მაგრამ მე ხელით ვანიშნე, თუ გინდათ, თქვენ მობრძანდით, მე მანდ მომსვლელი არა ვართქო.

ჯერ კიდევ პატარა ვიყავი, არ ვიცი 5 წლისა, თუ ვიქნებოდი. ჩვენში რაღაც არაჩვეულებრივი მოძრაობა იყო. ერთიც ვნახოთ, მოვიდნენ 15-მდე შეიარაღებული ცხენოსანი. სახლიდან რაღაც თეთრი ყუთი მოიტანეს. მე ეზოში ვიყავი და თვალებდაჭყეტილი ვათვალიერებდი მშვენივრათ მორთულ, იარაღშელესილ მხედრებს. დედა ჩემი ტიროდა, ვერ მივმხდარიყავი რათა. ერთმა ცხენოსანმა ეს თეთრი ყუთი წინ უნაგირზე დაიტოვა, სხვებიც ცხენებს წამოაჯდენ და უხმოთ, ქუდ-მოხდილები გავიდენ. დედა კი ისევ ტიროდა. მე ყველა ამას ვერა ვხდებოდი. შემდეგში, როდესაც წამოვიზარდე, გავიგე, რომ თურმე ჩემი ძმა მომკვდარიყო, თეთრი ყუთი კუბო იყო და დედაც თურმე იმიტომ ტიროდა.

ბავშვობისას მე ძლიერ ცელქი ვიყავი. ერთხელ მარტო მტკვრის პირას ვთამაშობდი. უშვე-ლებელი ლოდებით სავსე იყო ნაპირი. მეც ავდექი, ერთი ლოდიდან მეორეზე ხტომა დავიწყე. ძალიან მომეწონა ესა და განვაგრძე. ერთ ადგილას წვეტიანი ლოდი შემხვდა, იმაზე მოვინდომე გადახტომა, მაგრამ დამიცდა ფეხი და ზედ წვეტიან ქვაზე თავით წავედი. თქმა არ უნდა, რომ **თავი გამიტყდა, და სისხლმა თქრიალით დენა დაიწყო,** ტკივილით არა მიგრძვნია რა, მაგრამ სისხლისა კი შემეშინდა. ერთი თოვლსავით თეთრი ქეჩა მქონდა, წამოვიცვი თავზე და სახის ჭყანვით და ბღრიალით გავარდი შინისკენ; **დედაჩემმა საჩქაროთ ცხენის ნეხვი დამატოვა, შემიხვია მაგრათ და ცოტა ხანში სისხლი შესწყდა.** მაგრამ ჩემი გიჟობის ნიშანი კი შემრჩა და დღესაც შუბლს ზემოთ მატყვია გატეხილი ადგილი, და ამიტომ რცხვენია თმის ძირში გაკნაჭვა, გამცინებენ თქო.

ერთხელ სტუმრები გვყავდა და ჩაიზე ვიჯექით. მე დედაჩემს კალთაში უჯექი. დედაჩემმა რაღაცის აღება მოინდომა, დამსვა თავის გვერდით და უკან მიბრუნდა. მე დედა ჩემის ჭიქაში რომ ჩაი დავინახე, მომეწონა, წავაპოტინე ჩემი თათი და მოვდე ლამბაქს ხელი. სტექანი წამოიქცა და ცხელ-ცხელი ჩაი ჭლიკზე გადმომექცა. მოვრთე კივილი. დედას გული გაუსკდა; - "უი, შენს დედასაო", წამომიტაცა და გულში ჩამიკრა. ფეხი, თქმა არ უნდა, დავიფუფქე, და ეს ნიშანი დღესაც მატყვია მარჯვენაზე. ბალანი აღარ ამომდის დაფუფქულზე.

ერთხელ ბიძაჩემი (ჩვენ ჯერ კიდევ არ ვიყავით გაყრილნი) ყანასა ხნავდა, მეც იქ ვიყავი. ხვნას ცოტა ხანს მივდიე, მაგრამ ბოლოს მომწყინდა და ყანის პირას რუსთან დავიწყე თამაშობა. უცბათ რუს პირას რაღაც ნახვრეტი დავინახე. შიგ თურმე გარეული ფუტკრები ბუდობდნენ. მე ავდექი და ბუდეს ნგრევა დავუწყე. ასე არ გინდაო და მეტაცა სამი ფუტკარი, ჩემო ბატონო და კარგა დამასივეს. ჩემს ყვირილზე მოვარდა ბიძაჩემი და შინ გამაქცია; დედამ რაღაცა წამისვა, ისე რომ ტკივილები დამიცხრა. ცოტა ხნის შემდეგ ისევ ყანისკენ გაველი. რუს პირას რომ მიველი, დავინახე, რომ რუს ფუტკრები მოყავდა. თურმე გაჯავრებულიყო ბიძა ჩემი და ბუდეზე წყალი მიეშვა. ჩემს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რომ ისე ჯავრს იყრიდენ ჩემთვის და რათა, რომ მეც გული მომეფხანა; ერთი ორი ქვა მეც მივამატე. მე მაშინაც მიკვირდა, დღესაც მიკვირს და ვერ ჩავმხდარვარ, თუ რატომ ეშინიათ ხალხს კბილის ამოძრობისა. თუ რომ მართლა კბილის ამოძრობა ისე მწარეა, მე მაშინ გამორიცხვას შევადგენ. თუ გინდა მთელი კბილები დამაძვვერით, მე ბევრს არას ვიგრძნობ, ოღონდ სხვაგან ნურსად შემეხებით, უი, თითის გაჭრა რა არის, ისიც კი დამაყვირებს ხოლმე.

მახსოვს, მგონი ჯერ კიდევ აბანოში ვიყავით. ბიძა ჩემი თუ მამაჩემი, კარგათ აღარ მახსოვს, ყანას ხნავდა. მე კბილი მტკიოდა. ჯერ ვითმინე რამდენიმე დღე. მერე დედას უთხარი, და შევეხვეწე; ამოაძრობინეთ თქო, მაგრამ ყური არ მათხოვეს, გაუვლისო. გავიდა რამდენიმე ხანი, ყანაში ვიყავი. კბილმა ისეთი ტკივილი დამიწყო, რომ მეტი აღარ შეიძლებოდა. დავაღე პირი, მიუშვირე ქარს, მოვრთე ღრიალი. მთელი დღე ვტიროდი სიმწრისაგან, მამაჩემმა საჩქაროთ კბილის ექიმთან კაცი აფრინა. საღამოს პირას მოვიდა, გამიშინჯა კბილი და ნახა რომ დამპალიყო: -უნდა ამოვაძრო, მეტი გზა არ არისო, - სთქვა ექიმმა. დედაჩემს გული გადუქანდა (კბილის ამოძრობისა ძალიან ეშინია). ექიმმა ჩანგალი ჩამიდო პირში, მოსდო კბილსა და ერთის მოდებით ამოაძრო. ტკივილები მაშინვე დამიცხრა და აღარც ვიტირე. დედა ჩემი განცვიფრებას იყო. სხვებმაც შემაქეს. მამა ჩემმა მუხლზე დამისვა, ხელი გადამისვა და სთქვა; - აჰა, როგორ გეგონათ, განა ეს ჩემი ბიჭუნა არ არისო?" მე ამ სიტყვებმა ძალიან გამასივეს და ამპარტავნულად

გავხედე იქ მყოფებს, თითქოს ვეუბნები თქო: - შემომხედეთ, ბიჭი ჩემისთანა უნდა! დავსხედით ჩაიზე და ის საღამო სულ ჩემზე გაატარეს.

პირველი თამაში, რომელიც მე მახსოვს, არის **რიკ-ტათელა.** დედაჩემის მეგობარი ქალები ჩვენსას იყვნენ. შუადღის შემდეგ სახლში რომ არავინ არ იყო, გამართეს: **"ტანტრა-ჩილიკობია" ანუ "რიკ-ტაფელა".** დედაჩემიც იმათში ერია. მთის ძირში, ჩვენი სახლის უკან, ბაღი იყო და იქ თამაშობდნენ. ერთი ქვა იყო, ორი ჩემხელა იქნებოდა. ქალები ზედ **ჩილიკს** დასტოვდენ და მერე **ტანტრას** დაჰკრავდენ, გათლილ ჩილიკს თავი წინ წამოწეული ჰქონდა, და მოხვდებოდა **ტანტრა** თუ არა, თქმა არ უნდა, ერთს ლაზათიანად ისკუპეპდა. ყოველ გაკვრაზე ქალებს ერთი ჟრიამული შეუდგებოდათ, და ეს ისე მომწონდა, რომ ჩემს სიხარულს საზღვარი აღარ ჰქონდა. დღესაც ეს რომ მომაგონდება, რაც გინდა საქმეში გართული ვიყო, მაინც ოცნება გამიტაცებს და ფიქრით აბანოში ვჩნდები და ქალების **"ტანტრა-ჩილიკობიას"** და მათ მხიარულ ჟივილ-ხივილს ვუცქერი. და ყველაფერი ეს ისე ცოცხლად მიდგია თვალ წინ, თითქოს მართლა ვხედავდეო.

ჩვენ ერთად ერთი ქართული ოჯახობა ვიყავით მთელს ასპინძაში, სხვები ყველანი მაჰმადიანები იყვნენ. თქმა არ უნდა, რომ ჩემი ამხანაგებიც თათრები იყვნენ, და რა გასაკვირველია, თუ მეც თათრული ვიცოდი ქართულზე უკეთესად, თუმც კი დღეს აღარა მესმის რა. თუ ვინმე ქრისტიანი მოვიდოდა, ან ახალციხიდან ან ხიზარავრიდან, ამ უკანასკნელიდან დღე მუდამ ვინმე ნაცნობთაგანი ჩვენთან იყო, უფრო ერთად **ბალიძებიანთი**, რადგან ნათესავნი ვიყავით. მამა ჩემი მოიყვანდა ხოლმე სტუმრებს, დამიძახებდა და მეტყოდა: - აბა, ჩემო ბიჭუნავ, შენებურათ შემომსძახეო. მეც ორჯერ აღარ ვათქმევინებდი და მოვუყვებოდი ათასნაირ სიმღერებს. რო გავათავებდი, სტუმრები თავზე ხელს გადამისვამდნენ.... (ტექსტი ნაკლულია)

...იცის მაშინ ვერ აიტანა და მოკვდა! მაშინ, ვაი, უდროოთ დაღუპულო ქალწულობავ! იმ ვაჟბატონს კი სიკვდილის მეტს არაფერს უსურვებ. მაგისთანები ღირსნი არიან უკიდურეს უბედურებისა.

პურს დედა ჩემი აცხობდა. სახლში ფურნე გვქონდა და ამიტომ არ გვჭირდებოდა, კარში ყიდვა. ხანდისხან მამა ჩემი ახალციხიდან რომ დაბრუნდებოდა (მამა ჩემს ებარა ბორჯომიდან მიმავალი ახალციხის გზა, გზაში ორჯერ სამჯერ უნდა დაეხედნა, თუ რომ სადმე არ იყო გაფუჭებული გზა, და თუ სადმე დაზიანებული იყო, მუშები მიჰყავდა და აკეთებინებდა.) შინ მოიტანდა თეთრს პურს. სახლში წითელ პურს ვაცხობდით. ჩემთვის სასწაული დადგებოდა. დავინახავდი თუ არა მამაჩემს, გავექანებოდი მისკენ, ერთს მაკოცებდა, მერე გამოვართმევდი თეთრ პურს, რომელსაც ძლივს ვეზიდებოდი, და ჩინჩქრა-ჩინჩქრით მივიდოდი სახლში.

მამა ჩემი ძლიერ კეთილი გულის კაცი იყო და ძლიერ მხიარული. ყველაზე მეტათ მე უყვარდი. მე ვიყავი იმისი სათუთი, და, რა საკვირველია, კიდე მე ყველანაირათ მანებივრებდა. მეც იგი ძალიან მიყვარდა და სახლში კუდ და კუდ დავდევდი. არ მახსოვს მისგან როდისმე გავლახულიყავი. მის წინ ვერავინ ვერ გაბედავდა ჩემს ცემას. დამნაშავეც რომ ვყოფილიყავი, იტყოდა: - "დაანებეთ თავი, ეგ ჩემი ბიჭიაო". გაჯავრებული ძლიერ იშვიათად მინახია, და მაშინაც თუმც კი მე არას მიშვრებოდა, მე მაინც მეშინოდა იმისი და დედაჩემს ვუძვრებოდი ფეშტამლის ქვეშ, არ დამინახავს თქო. დედას ძალიან ერიდებოდა მისი, ამიტომ თუ რომ მის წინ რამეს არ ვაშავებდი, გალახვას ვერ გამიბედავდა, სახეს მოიღუშავდა; მამა წავიდოდა თუ არა და თუ ხელში მომიგებდა, ვაი, მაშინ ჩემი ტყავის ბრალი, ერთის მაგიერ ორს მომარტყავდა.

მაგრამ მეც ეშმაკის ერთი ვიყავი. მამა წავიდოდა თუ არა, მეც მოუსვამდი ფეხსა და მწყემსებში გავრბოდი, ვიცოდი, რომ იქ ვერ გამომიდგებოდა, და საღამომდი იქ ვრჩებოდი. საღამოს სახლში მოვიდოდი. თუ შევატყობდი რომ მამა ჩემი იქ იყო, მაშინ უშიშრად შევიდოდი სახლში, თუ არა და დედას დავინახავდი თუ არა, ღიჯინს დაუწყებდი: - "შენ გენაცვალე დედა, აღარ ვიზამთქო" და კალთაზე ჩამოვეპონწიალებოდი. დედაც გაიცინებდა, თან მომახლიდა ხოლმე: - აი, შე, ვირიშვილო," ერთ-ერთსაც მომიცაცუნებდა უკანაზე და ვრიგდებოდით.

პატარობისას მიყვარდა და ეხლაც ძლიერ მიყვარს თბილ წყალში ჭყუმპალაობა. ჩვენ, როგორც ზემოთ მოვიხსენიეთ, სამი აბანო გვქონდა. ერთი მოზდილი იყო, ოთხკუთხი, ამოშენებულივით და ღრმა. მეორე კი უფრო ბუნებრივი და თხელი. აი, ამათში უფრო ბავშვები ვბანაობდით. წამოვგორდებოდი აბანოს პირას, წამოვყუყდებოდი ხელ-ფეხზე, და დიდის მოცურავესავით ხელებს ვაჭყაპუნებდი, ვითომ ვცურავდი და თან ვყვიროდი "ჰოპ,! ჰოპ!". ცურვა რომ მომწყინდებოდა, კარში გამოვიდოდი, გავგორდებოდი სილაში და დავიწყებდი თამაშს. მერე ისევ წყალში შევჭყაპუნდებოდი. მე ძალიან მიყვარდა სხვებთან ერთად ბანაობა, ამიტომ როდესაც ქალები საბანაოთ წავიდოდენ, უსათუოდ მეც თანუნდა ვყოფილიყავი. ქალები დიდ აბანოში შედიოდენ და რადგანაც მე არ შემეძლო შიგ შესვლა, დედაჩემი დამიჭერდა და ზედაპირზე მაცურავებდა. მერე შემსვამდა ნაპირას. ერთ-ორს მომარტყამდა და მეტყოდა: - წადი ახლა, ესეც შენაო. მაგრამ ყურს ვინ უგდებდა. იქვე გვერდით წვრილი აბანოები იყვნენ, ჩავხტებოდი შიგა და ჩემთვის ვჭყუმპალაობდი, სანამ არ მომწყინდებოდა.

(ტექსტი ნაკლულია)...

... ჩვენს ძროხას შუბლზე თეთრი ნიშანი ჰქონდა. ისე შეთვისებული გვყავდა, რომ ვერ წარმოიდგენთ, საღამოზე შინ დაბრუნებისა, რო გადმოდგებოდა მთის წვერზე და ჩვენს სახლს დაინახავდა, ერთს დაიბღავლებდა, დაღუნავდა თავსა და გამოქანდებოდა სახლისკენ. დედა ჩემმაც დრო იცოდა და როდესაც უნდა დაბრუნებულიყო ნახირი, გამოვიდოდა კარზე და იცდიდა. ძროხას რომ დაინახავდა, დაუყვირებდა, და ისიც გამოიქცეოდა ზმუილით, მოვიდოდა დედაჩემთან, მიუშვერდა კისერს და თან ზმუილს დაიწყებდა. დედა ჩემიც ღაბაბს მოფხანდა. მერე მოდგებოდა ეს ძვირფასი პირუტყვი, და მადლობის ნიშნად ხელებს ულოკავდა დედაჩემს. მერე დედაჩემი რომ კასრს გამოიტანდა მოსაწველად, უნდა გენახათ რა მშვიდათ იდგა ჩვენი გიშერა და შესცქეროდა დედაჩემს გაშტერებულის თვალებით. მეც ყველაზე მეტად ეს გიშერა მიყვარდა და მარტო ამასთან ვბედავდი მიახლოებას და დაყვავებას. ჩვენ ერთი ძაღლიც გვყავდა, სახელი დამავიწყდა, რომელიც ჩვენი ძლიერ ერთგული იყო.

მე-7-ეში ვიყავი, როდესაც რუსებმა ჩამოგართვეს აბანო და სახლი. მამა ჩემს იქ აღარა გააჩნდა რა, ამიტომ ასპინძაში გადავედით. მახსოვს ჩვენს გადასაყვანად ერთი ტივი მოიყვანეს, რადგან იმ არე მარეს ხიდი არ მოიპოებოდა. ტივზე შევედით ჩვენ და ცოტაც ბარგი წავიღეთ. ამ დროს მოირბინა ძაღლმა და დაიწყო წკმუტუნი. მამა ჩემს იმის თვის არ ეცალა, ამიტომ საბრალო გააგდეს. ჩვენ რომ მოვდიოდით, საბრალო ძაღლი წყლის პირას დარბოდა, ყეფდა და საცოდავათ წკმუტუნებდა. მე ის ძალიან მიყვარდა, ამიტომ შემეცოდა და თვალებში ცრემლები მომერია, რამოდენიმე ხნის შემდეგ, ერთხელ რომ აბანოში შევედით, ჩვენი ძაღლი წინ მოგვეგება წკმუტუნით, ის იყო და ისა, იმას შემდეგ ის საბრალო აღარ მინახია, უთუოდ შიმშილით სადმე სული ამოხდებოდა. ჩვენი სახლი და მამული კი ერთმა თათრის ბეგმა ჩაიბარა და დღესაც იმასა აქვს.

აქ თავდება ჩემი აბანოში მოგონებანი. ასპინძაში ერთ წელიწადამდე დავყავდით, როგორც მე მახსოვს და მერე კი წავედით ქუთაისში დედაჩვენიანთან. მამა ჩემის აბანოდან გამოსვლას თან მოჰყვა ოჯახის გაყოფვა. მამა ჩემს ძალიან უყვარდა თავისი უნცროსი ძმა კოსტო. გაყრისას სთხოვა, მასთან დარჩენილიყო, მაგრამ ვიღაც ოსკარელ კეკელას ჩაგონებით , რომელიც მამა ჩემს მტერობდა, უარი უთხრა და გაჰყვა მეორე ძმას. ისედაც მამულის დაკარგვით დადარდიანებული კაცი, ამან უფრო წელი მოსწყვიტა და მოუსწრაფა სიცოცხლე. ყველაფერს ვაპატიებ ბიძაჩემს, მაგრამ იმას კი არასდროს, არ ვაპატიებ, რომ მამაჩემი, რომელმაც მას იმდენი სიკეთე უყო, როგორც ნამდვილი მამა თავის შვილს ვერ უზამდა, ამ უბედურობის დროს მიატოვა. და განა კი იხეირა რამითა? ვერა. შემდეგ ბევრი ინანა, მაგრამ გვიანღა იყო, მამაჩემი დარდს გადაეტანა.

ასპინძაში, როგორც აბანოში, მიყვარდა მწყემსებში სიარული. ხან ცხვრის ფარაში დავ-დიოდი, ხან ნახირში. ჩვენ ერთი ახალგაზდა ბუღა ხარი გვყავდა. მოკლე და სწორი რქები ჰქონ-და. ერთს წამს მოსვენებით ვერ ნახავდით. ხან ამას ეტაკებოდა და ხან იმას. თუ რომ არავინ ჰყავდა, მეტოქეთ, ღრიალობდა და გაბრაზებული მიწასა ბდღვნიდა. ვერა ხარი ვერ უძლებდა. თვით კამეჩებიც კი ვერ უძალიანდებოდენ. ეს პატარა რამ იმოდენა უზარმაზარ რამეს რომ ეძგერებოდა, პირდაპირ გასა (ტექსტი ნაკლულია)....

ვნახეთ, და გავერთეთ გარეულ ხილის კრეფაში ისე, რომ ვერც კი შევამჩნიეთ, თუ როგორ მოახლოვდა შუადღე. ხილის კრეფა რომ მოგვწყინდა, ახლა შეშის კრეფა დავიწყეთ, სახლში წასაღებათ. შევკარით თითომ თითო შეკვრა შეშა და დავიწყეთ ისევ ხილის კრეფა. მე განზე გაველი. ამ დროს დაიწყო უცბათ ჭექა-ქუხილი და დაუშვა შხაპუნა წვიმამ. მე ისე ავიბენი, რომ ქამარიც იქ დამრჩა; საჩქაროთ წამოვიკიდეთ ფიჩხი და მოვქუსლეთ შინისკენ. მაგრამ აღარ გინდა ბილიკზე გაიარო? წვიმა გამეტებით ასხავს, წყალი მთიდან ნიაღვარსავით მოსდის. - ზოგ ადგილას ბილიკს ვეღარ გაუძლია წვიმისათვის, მომსკდარა და ამით გზა გაფუჭებულა. მივდივართ ამ ბილიკზე ნელა-ნელა, და თან ცალი ხელით ხეებს ვეჭიდებით, რომ ფეხი არ დაგვიცდეს. შუა გზამდი რომ მოვედით, მე უფრო უნებლიეთ ხევში ჩავიხედე. თვალები ამიჭრიალდა და კანკალმა ამიტანა. პატარა რუ, რომელიც მშვიდათ მიჭუხჭუხობდა, უცბათ უშველებელ ღვარნაშათ გადაქცეულიყო, ღრიალებდა, გაბრაზებული, აქეთ-იქით ეხეთქებოდა, თითქოს უნდა გადაიტანოსო, მაგრამ რა ვერას ხდებოდა, მეტის ბრაზისაგან, ქაფებს ცაში ისვროდა. მე თავი საჩქაროთ მთისკენ მივიბრუნე, გავჩერდი და ტირილი დავიწყე.

-ნუ გეშინია, ნელა წამოდი, ეხლა საცაა გავალთ ასპინძაშიო, - მეუბნებოდა ჩემი ამხაგანი. ცოტა ხნის შემდეგ, მართლაც, გამოჩნდა გზა. ჩვენ მივედით ჩვენგან გაკეთებულ ქოხში, და რადგან კიდევ წვიმდა, თავი იქ შევაფარეთ. მე ძვლებამდი სველი ვიყავი, ფეხშიშველა, უქუდო, გაცრეცილი და კბილებს კბილებზე ვაცემინებდი. ამას ზედ დაერთო ქამრის დაკარგვის შიში! და მერე ჩემი განკითხვის დღე. თქმა არ უნდა, რომ ჩემი მშობლები მეძებდენ და ეს უფრო მაშინებდა. წვიმამ რომ გადაიღო, ყველამ წამოიკიდა თავისი ფიჩხი და გაუდგა გზას. მე სულ სხვა რამეში ვიყავი გართული, ამიტომ გული აღარ მქონდა ფიჩხისათვის, ამიტომ ისე კანკალით გავუყევი მეცა. მივედი სახლში გაყვითლებული, რომ მეტი არ შეიძლებოდა. დედამ დამიჭრა და იცოცხლე რომ მომარტყა. ეს პირველი ჯერობა იყო, რომ მან მამაჩემის წინ გაბედა ჩემი გალახვა, ისე იყო გაჯავრებული. მამას არაფერი უთქვია. აღარ მახსოვს, იმანაც თუ გამლახა, მაგრამ არამგონია, რადგან ძალიან ვუყვარდი და საცემლად აღარ გამომიმეტებდა იმ

ნაჭამ შიშისა და დედასაგან გალახვის შემდეგ. რამდენიმე დღის შემდეგ, ჩემი ფიჩხის კონა ჩაიბარა ერთმა კოჭლმა მეზობელმა, ქოხში ენახა და წამოეღო. მე რომ დავიწყე ჩემიათქო, მიპასუხა, შენი რო იყოს, ქოხში რა უნდოდაო და წაიღო.

ჩვენ, დერეფანში ტომრებით გვეწყო ხოლმე კარტოფილი. ერთს ხანს ეზოში რომ ვიყავი, გადმოდგა ყარას დედა, ხელში ბოვში ეჭირა და მითხრა: - შვილო, იმდენი კართოფილი გაქვთ, შეირბინე და უჩუმრათ გამომიტანე, დედას არაფერ უთხრაო. მეც შევიპარე, გამომქონდა კართოფილი და ერდოზე ვესროდი. დედაჩემმა დამინახა რომ დერეფანში შევდიოდი-გავდიოდი. გამოვიდა კარში და... ატყდა ჩხუბი ამ ორ შუა.... აღარ მახსოვს რიები უთხრეს ერთმანეთს. ბოლო კი ის იყო, რომ დედამ ერთი ლაზათიანათ მიმტყუპა და დამიშალა იმის შვილებთან თამაში. აქ თავდება ჩემი ბავშვობის მოგონება. მხოლოდ ეს ღა მახსოვს კიდევ, რომ ასპინძიდან ტროიკით წავედით. მაგრამ ქუთაისში ტროიკით ჩავედით თუ მატარებლით, აღარ მახსოვს.

II. ქუთაისი

ქუთაისში იწყება ჩემთვის სულ ახალი ცხოვრება, რომელმაც ჩემი სიყმაწვილე საკმაოდ დასჩაგრა. აქ იწყება ჩემთვის მეტად მწარე და აუტანელი ცხოვრება. დღესაც რომ გადავხედავ ჩემს ქუთაისში გადატარებულს ცხოვრებას, გული მისივდება და ვღონდები. ნუთუ არ შეიძ-ლებოდა, სხვა პირობებში გამეტარებინა ჩემი სიყმაწვილე?

ქუთაისში რომ ჩამოვედით, მახსოვს კარგათ, პირველად დიდია ვნახე. იმან სიყვარულია-ნად მიმიღო და მომიალერსა. მერე მომცა წითლად შეღებილი კოჭები და მითხრა მათით მეთა-მაშნა. მე კოჭობანა არ ვიცოდი და ამიტომ მაჩვენეს. დაასირავეს კოჭები, მერე გადენენ განზე და ერთის კოჭით დასირავებულებს დაუმიზნეს. რამდენჯერაც მიარტყამდენ, კოჭები სირიდან ტრიალით გახტოდენ და ეს მე ძალიან მიხაროდა. მალე შევისწავლე ეს თამაში, მაგრამ უმჯობესი იქნებოდა, არ შემესწავლა, რადგან შემდეგში მან ბევრი უსიამოვნება მომაყენა. ამას ჩემის მოთხრობიდან დაინახავთ.

სანამ ჩემს ამბავს გავაგრძელებდე, საჭიროა გაგაცნოთ დედაჩემის მშობლების სახლობა. ეს შესდგებოდა პაპა ჩემისა, დიდიასი და ხუთის ბიძით; პირველს ერქვა **ანტონა,** მის მიმდევნოს – **ბაგრატა,** მერე **ალექსანდრე**, ამას მისდევდა **ალიოზი** (შემდეგში **შიო**) და უნცროს ერქვა **სიმონი.** მთელი ოჯახობა ერთად სცხოვრობდა. ანტონა იყო ვაჭარი და შემდეგში ქუთაისის ყაფანი ეჭირა. ბაგრატა იყო მეფურნე და ფურნე ჰქონდა. ალექსანდრე სალდათობიდან იყო დაბრუნებული და ბაგრატას შველოდა. **ალიოზი სტამბოლში იყო ქართველი კათოლიკე მამათა მონასტერში და მღვდლად იყო ნაკურთხი.** (დღეს იგი ამ მონასტრის წინამძღვარია). სიმონი ამ დროს კეთოლიკების ეკლესიის კანდელაკი იყო და აგრეთვე, კოკოჩევის აფთიაქში მუშაობდა (შემდეგში ეს აფთიაქი შეისყიდა და დაერქვა სიმონ მათნაშვილის და ამხ. აფთიაქი. ბოლშევიკების შემოსევის დროს, 1921-წელს, ეს აფთიაქი რუსებმა ჩამოართვეს). ამ ოჯახობის ხასიათსაც მოკლედ გაცნობებთ.

პაპაჩემი იყო ძლიერ სასტიკი ადამიანი, ძალიან ადვილად ჯავრდებოდა და ვაი, იმას, ვინც ამისთანა დროს ხელში მოხვდებოდა; არ დაინდობდა და გამეტებით სცემდა. ამის გარდა, უყვარდა სმა და ჩხუბში არა იშვიათად ჩარეულა. დიდია ჩემი თუმცა მკაცრი იყო, მაგრამ სამართლიანი და გულკეთილი. ეს ბევრჯერ გამომესარჩლებოდა. ანტონა იყო ძალიან ამაყი,

თავისი ცოლის ყურმოჭრილი მონა, უყვარდა სმა. ამ მდგომარეობაში ჩემს მშობლებს ბევრ უსიამოვნებას აყენებდა. ჩვენთვის - თავის ცოლის წყალობით - ხელმოკუმული იყო, სხვებისთვის კი (თავის ცოლის ნათლულებისთვის) ხელგაშლილი და გულუხვი. ეს დედაჩემს გულს უკლავდა. ამ ძმისგან დედაჩემმა ბევრი უსამართლობა გამოიარა და ბევრი იტანჯა. დღესაც მისგან გასახარელი არა აქვს რა და ყველა ეს თავის ცოლის წყალობით, რომელიც განხორციელებული ჭინკაა. ამ პიროვნების დახასიათებას საჭიროდ არა ვრაცხ, რადგან არა მსურს ჩვენს გვარს ამითი ჩირქი შევცხო, მხოლოდ საკმარისია, თუ რომ ვიტყვი, რომ ეს ადამიანი ენად გაკრეფილი იყო; ამ მნიშვნელობის ახსნას კი მკითხველებს მივანდობ.

ბაგრატა იყო მხიარული ხასიათისა, დიდი ეშმაკი კაცი, გამხდარი ტანისა, უყვარდა ძალიან სმა და ქეიფი. ნასვამი ძალიან დაჯინებული იყო და გვაქცევდა, მაგრამ საკმაოდ ხელგაშლილი იყო. ლოთობამ გადაიტანა იგი, თორემ სხვაფრივ დასაწუნი არ იყო.

ალექსანდრე იყო ნამდვილი სურათი ყაზბეგისა და მასაც შეგვიძლია არხეინად დაუძახოთ "მოჩხუბარიძე". ეს იყო ჩასხმული და ახოვანი ტანისა, მეტისმეტად ღონიერი, კარგი მსმელი და მეტისმეტად გულუბრყვილო. ეს ნამდვილი მონა იყო ბაგრატასი, რომელიც მას ისე ათაშებდა, როგორც უნდოდა. საზოგადოთ, კარგი გულისა, უბრალო რამეზე გაცეცხლდებოდა და მაშინ თავის შეკავება აღარ იცოდა. ამას მოთხრობიდანაც გაიგებთ.

ალიოზი იყო მეტად მშვიდი და წყნარი, ნამდვილი სურათი ალექსანდრე ყაზბეგის "მოზღვარ ონოფრესი" მხოლოდ იმ განსვავებით, რომ ალიოზს სმა არ უყვარს.

სიმონი იყო თუმცა მკაცრი ხასიათისა, მაგრამ სამართლიერი, და მშობლების მოყვარე და მზრუნველი, მხიარული და მუყაითი ადამიანი, ყველგან მიღებული და პატივცემული და ყველას საყვარელი, სმა არ უყვარდა. ეს ზრუნავდა თავგამოდებით ჩვენთვის და ჩვენ ნამდვილი მამობა გაგვიწია. ამას ვერასდროს უსაქმოდ ვერ დაინახავდით. თუმც კი ჩვენ ხშირად მკაცრად გვეპყრობოდა, (ე.ი. მე და ჩემს ძმა პეტრეს), მაგრამ ეს მომეტებულად ჩვენვე ბრალი იყო. მართალია, შესაძლებელი იყო ჩვენ სხვანაირად მოგვქცეოდა, მაგრამ თითონ საშინლად მკაცრად აღზრდილი, სხვებსაც უნებლიედ ამნაირათვე ეპყრობოდა და ამის გარდა საქმე დროს არ აძლევდა, დამშვიდებით მოგვპყრობოდა. მისდა საქებურად კი უნდა ვსთქვა, რომ ჩვენთვის თავი არ დაუზოგია და თუ დღეს რამე ვარ, მიმეტებული წილი მის წყალობითა ვარ. ჩვენ მისგან იმდენად დავალებული ვართ, რომ არ ვიცი, თუ ოდესმე შევსძლებ სამაგიეროს გადახდას. ყველა შემთხვევაში ვუძღვნი მას ამ ადგილას ჩემს გულითადს მადლობასა.

ეხლა, რა ჩვენი ოჯახობა გაგაცანით, შეგვიძლია ჩემი ამბავი გავაგრძელოთ.

აბანოში სიმღერებს დაჩვეული, მე ქუთაისშიც ვმღეროდი. მეზობლები დამიძახებდენ და მამღერებდენ. ბოლოს სახლში ეს დამიშალეს, რადგან ხალხი მასხრად მიგდებდა.

არ იქნებოდა ერთი წელიწადი გასული, რაც ჩვენ ქუთაისში ჩამოვედით, როდესაც მამაჩემი ლოგინად ჩავარდა. მიზეზად ციება მოიყვანეს. ნამდვილი მიზეზი კი შემდეგში გავიგე. სანამ მამა ჩემი შეძლებულად იყო, ჩემ უმფროს ბიძებთან დაახლოება არ უნდოდა, რადგან მათს ხასიათს იცნობდა. ეხლა როდესაც გაღატაკებული იყო, იგი იძულებული იყო იმათსა შეეფარა თავი. ესენი კი, იმის მაგიერ, რომ ამ ბედისაგან მწარედ გამოცდილ ადამიანისათვის თანაეგრძნოთ, მას ჰლანძღავდნენ და ყველანაირ დამცირებას აყენებდნენ. მამაჩემი ამას მოთმინებით იტანდა. ერთხელ მამაჩემი ბაგრატასა და ალექსანდრესთან ერთად აბანოში წასულიყვნენ. ბანების შემდეგ ესვათ. მამა ჩემი აქაც ქირდათ აუგდიათ და ბაგრატა მთვრალობაში ისე

გათამამებულიყო, რომ მამაჩემისთვის სილა გაერტყა. ესღა აკლდა, რომ ვარამი გავსებოდა. მამაჩემს თავს გადასაყოლებლად ძალზე ესვა და ნაბანევისთვის სიცივეს დაეკრა. მოვიდა შინ და ჩაწვა ლოგინში, რომ აღარ ამდგარიყო. დარდმა და უკაცურმა მოპყრობამ სიცოცხლე მოუსწრაფა სიცოცხლით სავსე ადამიანს. 38 წლისა იგი მიწას მივაბარეთ.

კარგათ მახსოვს, მე მამაჩემს ავათმყოფობის დროს გვერდიდან არ ვცილდებოდი, თავთან ვუჯექი და ვტიტინებდი. ეს იყო იმისი ერთად ერთი თავის გართობა. ის ხშირათ მეტყოდა ხოლმე: - „შვილო, შენა ხარ ჩემი იმედიო“. მამაჩემი ისეთი დასუსტებული იყო, რომ კარში მარტო ვერ გავიდოდა. საჭირო იყო მიშველებოდა ვინმე, მაგრამ, საზოგადოთ, არავის აწუხებდა. თუ რომ კარში გასვლა მოუნდებოდა, მეტყოდა ხოლმე, შვილო, ჯოხი მომაწოდეო და მეც მივცემდი. ცალი ხელით ჯოხზე დაემდვალებოდა ხოლმე, მეორეთი კი მხარს დამემდვალებოდა და მეტყოდა: - „შეგიძლია მატაროო?“. მე, რასაკვირველია, „ჰოს“ ვეუბნებოდი და ისიც გაიღიმებდა. ამოუდგებოდი გვერდით და დამყავდა ცოტაოდენი. ეს მე ძალიან მიხაროდა და მაამაყებდა.

ქუთაისში ჩემს დროს რუსები ქუჩა-ქუჩა მაროჟნისა და კვასს ჰყიდდნენ. მამაჩემი ხშირად სჭამდა მაროჟნის, რადგან წყურვილს რაოდენათმე უკლავდა და პირს უსველებდა. ერთ დღესაც ჩამოატარეს მაროჟნი. მამა ჩემმა სთხოვა, დედას ეყიდნა. ეტყობა მამა ჩემი ძალიან ავათ იყო, რომ დედამ უთხრა: - „არ შემიძლია, ვერ გიყიდიო, ექიმისგან დაშლილიაო“. მამა ბევრს ეხვეწა, მაგრამ დედამ არა ჰქმნა, რადგან მართლა დაშლილი ჰქონდა. მამა რომ გარდაიცვალა, დედა ჩემი ხშირად იტყოდა ოხვრით: - „ნეტავი იმ დღეს მაროჟნი მეყიდა და მომაკვდავისთვის ბოლო ნატვრა მაინც შემესრულებინაო“.

რამდენიმე დღის შემდეგ მე მამაჩემის ლოგინიდან მომაშორეს და მეზობელთან გამგზავნეს. მე ვერ ვხვდებოდი, თუ ამას რისთვის შვრებოდნენ. პირველ ხანს მე დავმორჩილდი, მაგრამ ბოლოს ცდა მომწყინდა და მამასთან წასვლა მოვინდომე. ძალიან გამიკვირდა, რომ სახლში არ გამიშვეს. ბევრი ვეხვეწნე, მაგრამ ჩემმა ხვეწნამ არ გასჭრა. მე ტირილი დავიწყე და მეზობლები მეალერსებოდნენ და ცდილობდნენ ჩემს დამშვიდებას. მთხოვდნენ, კიდევ მემღერა, მაგრამ მე სიმღერისთვის არა მცალოდა. ვიჯექი მთელი საათობით და ფანჯრიდან კარში დაღონებით ვიცქეროდი. ღამეც მეზობლებთან გავატარე.

მოვიდა მამას დამარხვის დღე და მაშინ შემატყობინეს, რომ მამაჩემი გარდაცვლილიყო. მე მოვრთე ტირილი და სანამ არ დავიღალე, არ გავჩუმებულვარ. შუადღის შემდეგ მამაჩემი სახლიდან გამოასვენეს და სასაფლაოზე გაასვენეს. მე ერთს ეტლში ჩავჯექი და მიცვალებულის კუბოს ხალხის უკან გავყევი. შუა გზაში დავინახე დედაჩემი. საბრალო ადამიანი მთლად ცრემლად იღვრებოდა. მას მხრებში ამოსდგომოდნენ რამდენიმე მეგობარი ქალი და ძალით სახლში მიჰყავდათ, რადგან მეტის მწუხარებით ძალიან დასუსტებულიყო და სიარულის სახსარი აღარ ჰქონდა. რომ ჩამოატარეს, იმისთანა მწუხარე თვალებით შემომხედა, რომ ცრემლები ღაპაღუპით წამომაყრევინა თვალებიდან. ეს სურათი ცხოვლად ჩამებეჭდა გუნებაში და დღესაც მკაფიოდ მიდგია თვალწინ. ამის გახსენებაზე მე გული მეხუთება და ცრემლები მერევა თვალებში. საბრალო დედავ, რომ გცოდნოდა მაშინ, თუ რამდენი მწუხარება უნდა გაგევლო ჩვენთვის?... მე სასაფლაომდი გავყევი და სხვა ყმაწვილებთან ერთად უკან დავბრუნდი. სახლში რომ შევედი, გაშლილი სუფრა დამხვდა. ჩვენი ნათესაობა შეყრილიყო რამდენიმე სხვა სტუმრებთან ერთად და ქელეხი გაემართათ. მე რომ შევდიოდი შინ, პაპაჩემს ღვინის ფიალა

ეჭირა ხელში და მამა ჩემზე სიტყვას ამბობდა. ის იყო სიტყვა დაამთავრა და წარმოსთქვა „მისი სულის საცხონებლადაო“, რომ უცბათ ფიალა ხელიდან გავარდა, ღვინო დაიღვარა და ფიალა დაიმსხვრა. – „ეს იმის კერძი ყოფილაო“, - წარმოსთქვა პაპაჩემმა და სხვა ფიალა აიღო. შემდეგ რა მოხდა, მე აღარ მახსოვს.

აქ იწყება ჩემი ობლობა და თუ ობლობა რა მწარეა, ამას ჩემი მოთხრობა ნათლად გაჩვენებს.

ქუთაისში მე კათოლიკების სახალხო სასწავლებელში მიმაბარეს. კარგათ მახსოვს, ჩემს განყოფილებაში პირველი მოსწავლე ვიყავი და წლის ბოლოს ნიშნები რომ დაგვირიგეს, მე მთლად ხუთები მქონდა. მე, როგორც ზემოთ მოგახსენეთ, ბუნებით ძალიან ცელქი ვიყავი. ამასთანავე, ღონიერიც ვიყავი და მიყვარდა ჩემს ტოლებთან ჭიდაობა. ვაი, იმას, ვინც მე წამეჩხუბებოდა; შავს დღეს დავაყენამდი. ბევრჯერ გამილახია ჩემი მოწინააღმდეგები. ჩემი ამხანაგები, რასაკვირველია, მაქეზებდნენ ჭიდაობაში და ჩხუბში და მეც ამითი გაამაყებული ყველას ვეტაკებოდი და მიწაზე ვანარცხებდი.

როგორც ეტყობა, ქუთაისის ჰაერი არ შემეგუვა, რადგან ავათ გავხდი და ჩემმა მშობლებმა ჰავის გამოსაცვლელად ბიძაჩემ იოსებ სადათიერაშვილთან წაღვერში (?) გამგზავნა. წაღვერი ბორჯომისა და ბაკურიანის შუა მდებარეობს. მშვენიერი კოხტა სოფელია ქალაქურის სახლეზით. ბიძაჩემი იოსები აქა მსახურობდა რკინიგზაზე. ის აქ სცხოვრობდა თავისი ცოლითა და ერთის ქალიშვილით. ამისი ცოლი რუსი იყო და ბერწი. რადგან შვილი ძალიან უნდოდათ, ერთ ღარიბ რუსის ოეხობის ქალიშვილი (ჯერ კიდევ უსუსური) ეშვილათ და შვილივითა ზდიდნენ. ამას თამაროს უძახდნენ. მე რომ ამათსა მოვედი, მე თამაროს დაუმეგობრდი და დღემუდამ იმასთან ერთად ტყე-ღრეში დავეხეტებოდი. წაღვერში ერთი დიდი საქანელა იყო. შევსვამდი თამაროს ერთ თავზე, მეორეზე დავდგებოდი მე, ჩავბუქნავდი და ისე ვქანაობდით, რომ მე ხანდისხან თამაროს თავბრუ დაესხმებოდა და მორთავდა ყვირილს. მე ბუქნას მოუკლებდი და ისიც ჩაჩუმდებოდა. ჩვენ ხშირად დავიარებოდით მთაში მაყვლის საკრეფად. ერთ-ხელაც რომ მაყვალს ვკრიფავდით, თამარამ ყვირილი მორთო. მე მივირბინე მასთან და ერთ ბუჩქთან რაღაცა ვერცხლისფერი გრძელი ცხოველი დავინახე. მე არ ვიცოდი, რა იყო და დავავლე ხელი, ავიტაცე ჰაერში და შინჯვა დავიწყე. ის რაღაცა შეინძრა და დაიკლაკვნა. მე ეს ძალიან მომეწონა და თამარას საჩვენებლად წაუყვანე. იმან რომ ის დაინახა, მორთო ღრიალი, სახლში გავარდა და დამიყვირა: - „გადააგდე, გველია, გიკბენსო“. მე ამ სიტყვების გაგონებაზე შემეშინდა, გადავტყორცნე გველი და თამარას უკან გამოუდექი.

მე, როგორც ზემოთ მოვიხსენიე, ავათ ვიყავი. ავათმყოფობაში ფაღარათი დამჩემდა და როგორც ბოვშს ბევრჯერ მიხდებოდა ხოლმე, რომ საცვალს ვისვრიდი. ბიცოლა ჩემი პირველ ხანებში მირეცხავდა სარეცხს. ბოლოს კი გამიწყრა, თუ როდისმე მომიხდებოდა კიდევ, ჯერ კარგა მცემდა, მერე მომცემდა ჩემს სარეცხს, გამგზავნიდა წყაროზე და იქ მევე უნდა მერეცხა სარეცხი. მე ეს, რასაკვირველია, ჯანრთელობას უფრო მიკლებდა, რადგან სინოტიეს უნდა მოვრიდებულიყავი. ეხლა კი მთელი დღე გალუმპული დავრბოდი. ეს ბიცოლაჩემს ფეხებზე ეკიდა. საზოგადოთ, ის მე გულცივად მექცეოდა, ბევრს მლახავდა. ბევჯერ მიტირნია ხოლმე, მაგრამ რა გამეგებოდა? ბიძაჩემი სახლში არ იყო მთელი დღე და ბიცოლა ჩემი, მაშასადამე, როგორც უნდოდა, ისე მექცეოდა. ბიძაჩემი, ცოტა არ იყოს, სუსტი ხასიათის კაცი იყო და მის ცოლს იგი მთლად დაემონავებინა; ამიტომ მე ხეირიანად ვერ გამომესარჩლებოდა. - კარგათ მახსოვს, რომ ჩემს ჩამოსაყვანად დედა ჩემის ძმა ანტონა გამოეგზავნათ. წაღვერიდან ჩამსვეს

ნახირის ვაგონში და ისე გამაგზავნეს. მე მარტოთ მარტო ვიყავი ვაგონში და შიშით გული მისკდებოდა, რადგან არ ვიცოდი სად მივდიოდი. ვაგონის ჭუჭრუტანიდან რომ გავიხედე, მოპირდაპირე მხარეს ერთი სხვა მატარებელი მიდიოდა. – „ვაი თუ იმ მატარებელში უნდა გადავმჯდარიყავი თქო“, - გავიფიქრე და ტირილი დავიწყე, რადგან ეხლა ხომ გზას ავუქ-ციეთქო! როგორც იყო, რიონში ბიძაჩემმა ანტონამ ნამდვილი სამგზავრო მატარებელში ჩამსვა და ცოტა ხანში სახლში ვიყავით. დედამ რომ დამინახა, თავში ხელი შემოიკრა: „ვაი შენს დედასა, შვილო, სთქვა დედაჩემმა, რა ღუჟღუჟა ბოვში გაუგზავნე და რა მიბრუნდებაო“.

რადგანაც სასწავლებელზე ვლაპარაკობ, აქვე მოვიყვან ყველა ჩეს მოგონებებს სასწავლებ-ლიდან. ერთხელ დიდი დასვენება გვქონდა და ეზოში ვთამაშობდით. მთავარ განყოფილების მოსწავლეები ბღანძულობდნენ და მეც ვუყურებდი. ესენი ჩხუბში ისე გაერთნენ, რომ ზარების რეკა ვერც კი გაიგეს. უცბათ გამოჩნდა ბიძა ჩემი სიმონი, რომლისთვისაც ეს შემთხვევა შეეტყობინებინათ. დაგვკრიბა ყველა, ვინც გვნახა, შეგვიყვანა მონასტრის დარბაზში, ჩამოგ-ვასირავა და თვითეულს ჩვენგანს კაი კაი მათრახები გვითავაზა. ბიძა ჩემი სიმონი, როგორც უკვე ნათქვამი მაქვს, კანდელაკი იყოდა ეს მეხმარებოდა ეკლესიაში ბანკოების დასაწმენდათ, წირვის მოსახმარებლად და სხვა. ერთ დღეს ეკლესიაში ბანკოები უნდა დამეწმინდა. დიდი დასვენება რომ გვქონდა, ვსთხოვე ერთს ჩემს თანამოსწავლე სალაღოვს, მომხმარებოდა. შევედით ეკლესიაში და დავიწყეთ ბანკოების წმენდა. ეკლესია ცარიელი იყო. მე შარდის დაქცევა მომინდა, ამიტომ სალაღოვს ვუთხარი: - შენ დაწმინდე, მე კარში გასვლა მინდა და ეხლავე მოვალ. როცა დავბრუნდი, დაწმენდა გავათავეთ და სასწავლებელში დავბრუნდით.

გაიარა რამდენიმე ხანმა და უცბათ ხმა გავარდა, ეკლესიის ყუთი გაუძარცვიათ და 30 მანეთი მოუპარიათო. რასაკვირველია, ეჭვი ჩემზე შემოაგდეს. მე ვუამბე, როგორც ვიცოდი. სალაღოვიც უარზე იდგა. არ გასულა ბევრი ხანი და გავიგეთ, რომ სალაღოვს გაეტეხა ყუთი, მოეპარა ფული, ჩაეფლა ეზოში და დროს ქეიფსა და ლოთობაში ატარებდა. ეს შემდეგმა შემთხვევამ გამოაშკარავა. სალაღოვს თავისი თანამოსწავლე თუმანოვი მიეწვია თურმე: ჩამჯდარიყვნენ ეტლში და ქუთაისში დაქრიალებდნენ. მეეტლისთვის სალაღოვს მანეთიანი უჩუქნია. ერთ მათხოვარისთვის აბაზიანი გადუგდია და მერე ბოთლობით ღვინო ესვა. ეს თუ-მანოვს გაჰკვირვებია და მეორე დღეს სასწავლებელში უამბო. ეს დონ დამიანეს და ბიძა ჩემის ყურსაც მისწვდენოდა, მოეხდინათ გამოძიება და სალაღოვი გამომტყდარიყო. მოსთხარეს თურმე ნაჩვენები ადგილები და რამდენიმე მანეთიღა ეშოვნათ. სალაღოვი დონ დამიანეს საშინლად უცემია და სასწავლებლიდან გაუგდია. ამნაირად გადავრჩი ეჭვნეულობას.

მე ჩემის ცელქობისათვის ხშირად გაულახივართ, რაი მე ვუცემივართ, არა მგონი სხვა ვინმე ეცემოს. ხანდისხან ისე გავაბრაზებდი, რომ ჯაჭვებითაც კი დამაბამდნენ, უსადილოდ დამაგდებდნენ. არასდროს არ დამავიწყდება შემდეგი შემთხვევა. მე რაღაცა დიდი დანაშაული ჩამედინა, აღარ მახსოვს რა. მოვიდა ბიძაჩემი სიმონი სახლში, ჯერ ერთი ლაზათიანად მიმბეგვა, ფეხებით კარგა გამთელა, მერე ჯაჭვები დამადო და სალოგინეში ე.ი. ლოგინის საწყობ ოთახში ჩამკეტა და დედაჩემს სასტიკად აუკრძალა, ჩემთვის რამე მოეცა. ლოგინის საწყობი ოთახი ბალკონზე აკრია, ბალკონი კი რიონს გადაჰყურებს. სადილობამ გაიარა, სამხარმა გაიარა და კუჭმა მეტის შიმშილისაგან ტკივილი დამიწყო. დედა ვერაფერს მომცემდა, რადგან კარები დაკეტილი იყო და გასაღები კი სიმონს თან წაეღო. დედაჩემს შევცოდებოდი და ეთხოვნა ალიოზისთვის, ჩემთვის როგორმე საჭმელი მოეცა. დედამ ერთი პატარა ხონჩა გააკეთა, შიგ

ჩადო საჭმელი და ყველი-პური, ალიოზმა ერთი სარი გაუყარა ხონჩას და ბალკონიდან სარკმელში შემომაწოდა. ამნაირათ მომაწოდეს საჭმელი. როდესაც გავძეხი, რიონს დაუწყე ყურება. ამ დროს რიონმა უპატრონო შეშა ჩამოატარა ისე ახლოს, რომ ბოვშსაც კი შემეძლო მისი დაჭერა. მე შეშას ხშირად ვიჭერდი და ამიტომ ძალიან დამნანდა, რომ არ შემეძლო ჩარბენა და მათი დაჭერა.

მე ძალიან მიყვარდა თევზაობა, მაგრამ თევზს დავიჭერდი, მაშინათვე ტაშტით წყალს დავსდგამდი, შიგ ვუშვებდი და საათობით ვუყურებდი, თუ როგორ სცურავდნენ. ერთხელ ერთი საკმაოდ მოზდილი თევზი დავიჭირე და ტაშტში ჩავამწყრიე. დაღამდა და მე ტაშტს ნახევრად გადავაფარე შეშა, ნახევარი კი თავისუფალი დავტოვე, რადგან მეგონა, თუ უთუოდ ჰაერი უნდა მიუვიდეს, თორემ მოკვდებათქო. მეორე დილას ჩავირბინე სამზარეულოში და მინდოდა ჩემი თევზის ნახა, მაგრამ ცარიელი ტაშტი დამხვდა. თურმე ღამეს კატებს ეგრძნოთ თევზის სუნი, ამოეგდოთ ტაშტიდან და შეეჭამათ. ამის შედგემ მე კატების დიდი მტერი ვიყავი.

ერთხელ რიონი ადიდებულიყო და მღვრიე წყალი მოჰქონდა. მე ანკესი მქონდა გადაგ-დებული. გამოვწიე და რაღაც გამოჰყვა. მე დამპალი შეშა მეგონა და გულმოსულს მინდოდა რიონში გადამეგდო ისა. ის იყო ხელი უნდა დამევლო, როდესაც ის უცბათ შეიძრა და შეშის მაგივრად ვეება თევზი კი გამოდგა. დავეტაკე საჩქაროდ და მთელის ძალით ზედ დავაწექი, რადგან ძალიან მიიბრძოდა წყლისკენ. მოვრთე ყვირილი და დედას უყვიროდი, საჩქაროდ გამოეგზავნა ჩემი ძმა ტაშტით. ისიც მაშინვე ჩამოფრინდა, დავტოვეთ თევზი ტაშტში და დიდის სიამაყით გავსწიეთ სახლში. დედაჩემს თევზი ძალიან მოეწონა და სადილისთვს შეუწვა სიმონს და ალიოზს. მე კი თხის კუდიც კი არ მარგუნეს,

საზოგადოდ, მე ცხოველების დიდი მეგობარი ვიყავი. თუ როდესმე რომელიმე ფრინველს ან სხვა რამეს ხელში ჩავიგდებდი, მე მას დიდის სიყვარულით ვექცეოდი.

ერთ დროს მამიდაჩემთან წავედი სოფელ **უდეში**, ახალციხის მახლობლად. იქ კურდღლე-ბი ჰყვანდათ. იმდენი ვეჯიჯღინე, რომ ბოლოს ქუთაისში დაბრუნების დროს ორი დედალ-მამალი კურდღელი მაჩუქეს. სახლში ესენი ბოჩკაში ჩავამწყვრიე მარანში, და ზედ ფიცრები გადავაფარე. ერთ დღეს დილით კურდღლების სანახავად რომ ჩავედი, შუა მარანში ნახევრად შეჭმულები დამხვდნენ. კატებს მიეგნოთ, ამოეგდოთ ბოჩკიდან, დაეჭირათ და შეეჭამათ. ამ დღიდან მე კატების დიდი მტერი შევიქენი და სადაც მოვახელებდი, ქვას მივაზელდი.

ერთხელ ჩემს ძმასთან და მეზობლის ბოვშებთან ერთად რიონის ნაპირზე ვთამაშობდი. რიონს კლდეები ჩაჰყვებოდა და ამ კლდეებში ხშირად ხვრელებსაც შეხვდებოდით. ერთი ამისთანა ხვრელი ზედ რიონზე გადიოდა. ამ ხვრელის წინ იდგა ჩვენი მეზობლის ბოვში, იგი ცოტა ენაჩლიგი იყო და რაღაცას შვრებოდა. მე იქ მივედი. – „ვაშო, შიგ კვატაა,“ - მითხრა იმან. შევიხედე ხვრელში და მართლა ერთი კვატა დავინახე. თურმე რიონს ჩამოჰყოლოდა და თავი აქ შეეფარებინა. ჩენ მეზობლის ბოვშს შესვლისა ეშინოდა და კვატას გარედან ქვებს ესვროდა, რომ კარში გამოეგდო. მე რომ ეს დავინახე, ძალიან გამეხარდა. შევედი ხვრელში და კვატი მალე დავიჭირე. გახარებულმა სახლში გავაქანე. ჩვენმა მეზობელმა ჩხუბი აგვიტეხა: - „კვატი ჩვენ გვერგება, რადგან პირველი ჩვენმა შვილმა დაინახაო“; ჩვენ კი ვეუბნებოდით: - „თუ კი ნახა, რისთვის არ დაიჭირა, ჩვენ ხომ მოვალე არა ვართ, რასაც ნახავთ, იმის დაჭერაში მოგეშ-ველოთთქო“. კვატი რასაკვირველია ჩვენ დაგვრჩა. მე მას ძალიან ვუვლიდი და ვანებივრებდი. საუბედუროთ, რამდენიმე თვის შემდეგ ჭირმა მომიკლა. მე ამაზე ძალიან ვიტირე, მერე ავიღე

მკვდარი კვატი, ჩავიტანე რიონზე, ჩვენს ბალკონის გვერდით ხვრელში ამოუთხარე საფლავი და შიგ დავმარხე.

სახალხო სასწავლებლის დასრულების შემდეგ, მე ქუთაისის სათავად-აზნაურო გინაზია-ში მიმაბარეს. მე პირველ ხანებში კარგა ვბეჯითობდი, მერე კი მოუკლე თანდათანობით და უფრო გართობაზე ვფიქრობდი, ვიდრე სწავლაზე. მე დიდის გულდასმით ვთამაშობდი და ვცელქობდი, ეს კი სხვებს ე. ი. ჩემს მასწავლებლებს, არ მოსწონდათ და ჩემდა უნებურათ, ყველაზე ანცათ ვითვლებოდი. რაც არ უნდა მომხდარიყო, თუ გინდ მე შიგ არ ვრეულიყავი, უთუოდ მე დამსახავდნენ დამნაშავეთ. ეს სხვა ჩემ ამხამაგებმა მალე დაინახეს და თუ რამეს ჩაიდენდნენ, თავის გამოსახსნელად მე გადმომაბრალებდნენ და მე კი არავინ მიჯერიდა. ვინ მოსთვლის რამდენი ღილები უჭმევიათ ჩემთვის, რამდენჯერ ყურები აუწითლებიათ ჩემთვის.

ეს კი ხშირად სხვების გულისათვის. გამივარდა მთელს გინაზიაში ცუდი სახელი. ამ ამბავ-მა სახლამდისაც მიაღწია. რამდენჯერმე გიმნაზიიდანაც კი გამაგდეს, მაგრამ ბიძა ჩემი სიმონი ისევ მაღებინებდა. ეს, რასაკვირველია, გამოძებას ვერ შეუდგებოდა და რაც სასწავლებელში მაკლდა, იმას სახლში მისრულებდნენ. მე ბიძა ჩემს საყვედურს ვერ ვეტყვი, რადგან მან საქმის მდგომარეობა არ იცოდა და მე კი თავს მის წინაშე ვერ ვიმართლებდი. მე იმისი ისე მეშინოდა, რომ მას რომ დავინახამდი, ენა მუცელში ჩამიძვრებოდა და კანკალს დავიწყებდი. ეს კი ბიძაჩემს დანაშაულის ცნობას მიაწერდა და რასაკვირველია, რომ მაშინ მე გალახვა არ ამცილდებოდა.

ერთხელ, ის იყო, გაკვეთილი გათავდა. მე კლასიდან შურდულივით გამოვარდი და ეზოში გავარდი. გიმნაზიის კარები ძალზე გავაღე, მაგრამ ჩემს შემდეგ სხვებიც ბევრნი ფეხ და ფეხ მომდევდნენ. შუა ეზოში ვიქნებოდი, როდესაც მოისმა კარების ჯახუნი და შუშამ მიწაზე წკრიალი მოიღო. ეზოში 20-ოდე ყმაწვილამდი ვიქნებოდით, სადათიეროვი გავიდა პირველიო. ბევრი ვიფიცე, ბევრი ვეხვეწე, რომ მე ბრალი არ მქონდა. რომ მე შუა ეზოს გადაცილებული ვიყავი და ჩემს შემდეგ ბევრი სხვები გამოვიდნენ კარში, სხვა შუშა გატყდებოდა, მაგრამ ვინ დამიჯერავდა? მგონი შუშა ბიძა ჩემმა გადაიხადა. მე კი რაც დამემართა, იმას მკითხველი ადვილად წარმოიდგენს.

ერთი შემთხვევაც არ დამავიწყდება, თუმცა აქ ნამდვილი ბრალიერი მე ვიყავი. სწავლა ახლად გვქონდა დაწყობილი და მთლად ახალთახალი წიგნები მქონდა. ერთ დღეს დასვე-ნებიდნ რომ კლასში შევედით, მე შევამჩნიე, რომ ვიღაცას ჩემი გეოგრაფიის წიგნი მოეპარა, რადგან მთლად ახალი იყო და ალბათ მოსწონებოდა. მე იმის მაგიერ რომ მასწავლებლისთვის მეთქვა, ჩემს მეზობელს ავწაპნე თავისი წიგნი. მე ეს უფრო შიშით მომივიდა, ვიდრე განგებ, რადგან სახლში გალახვის მეშინოდა და კლასში კი არავინ არ დამიჯერებდა, უთუოდ სახლში დაგავიწყდებოდა ან დაკარგავდი სადმეო და აქ ბრალი კლასი და ცილისწამების შედეგი კი კლასიდან განძევება იყო. რომ რამდენიმე კვირის შემდეგ ჩემმა მეზობელმა იცნო თავისი წიგნი და დამაბეზღა. მე სახლში დამითხოვეს. მოვიდა ბიძაჩემი და ჩემი მშობლები და დიდის ვაივაგლახით დაარწმუნეს მასწავლებლები, რომ წიგნი ჩემი იყო და მე კი ის მელნითა და კარანდაშით დამეთხუპნა. მე ამას ვიფიცებოდი და მართლა კი არ დამიჯერეს? მე ეს შემთხვევა დღესაც მაკვირვებს. რასაკვირველია, მე არც ეხლა ამცდა გალახვა. ამნაირად მიდიოდა ჩემი

ცხოვრება გიმნაზიაში.ყველასაგან მოძულებული ვიყავი, ყველა მდევნიდა და სადაც მომახელ-და, თავში მირტყამდა. მე არავინ მექომაგებოდა, სახლშიც ნამდვილი არავინ იცოდა და ჩემი ყმაწვილობა კი ამ გარემოების ქვეშ იჩაგრებოდა.

ეხლა მსურს რამდენიმე თვალსაჩინო თავგადასავალი ჩემის ქუთაისის ცხოვრებდან გიამბოთ.

ქუთაისის კათოლიკების ეკლესიას თან ახლდა ხუცთა სამყოფიც; აქ მე ხშირათ ვიყავი ხოლმე და მეკარეს ადგილობას ვასრულებდი, როდესაც მეკარე შინ არ იყო. ერთხელაც მეკარე სადღაც გაეგზავნათ და მე იქ ვიყავი. მომწყინდა ჯდომა და უჯრებს დაუწყე ჩხრეკა. ქაღალ-დები დამხვდა შიგ. მთელი უჯრა გადავათვალიერე, მაგრამ ჩემი საკბილო ვერა ვნახე. ქაღალ-დები ისევ უჯრაში ჩავაწყე და იქვე გვერდით მყოფ სამწერლო ოთახში შეველი. იქ კედელზე კალენდარი ვნახე, მე ამისი ბევრი არა გამეგებოდა რა, კალენდარზე 17 ეწერა. გადავფურცლე და რამდენჯერმე 17 შემხვდა. მოდი ავაგლეჯ რამდენიმეს, 17 ხომ 17-ათქო; მერე ქაღალდებით ვითამაშებ, ამას კი ვერავინ გამიგებსთქო, ავაგლიჯე სამი ოთხი თვლა ერთბაშად და მეკარეს ოთახში თამაში დავიწყე. საღამოზე სახლში წავედი. გავიდა რამდენიმე ხანი. ერთხელაც ვნახე, შუადღისას მოვიდა ბიძაჩემი სიმონი, გაცეცხლებული. იმან დამიძახა მაშინათვე და მკითხა: „კანცელარიაში შენ ააგლიჯე კალენდარიო“. მე ენა გამიშრა და კანკალმა ამიტანა. ღმერთო ჩემო, ვიფიქრე ჩემთვის, ქაჯია თუ რა არის, ეს საიდან შეიტყოთქო.“ მე სიმართლე ვაღიარე. ამას ბიძაჩემი, როგორც ჩანს, არ მოელოდა და გაუკვირდა, მერე მკითხა, თუ რა მექნა ქარალდები მეკარის ოთახში. მე აქაც ისე ვუამბე, როგორც მომექმედა; ეს ბიძაჩემს არ სჯეროდა და ეგონა, რომ ქაღალდები დამეხია. მე ვფიცულობდი, რომ ქაღალდები როგორც იყო ისევე უკან ჩამელაგებინა. მაგრა, ის არ მიჯერიდა. ბოლოს იმდენი მცემა, რომ ტყვილი მათქმევინა და მაშინ დამეხსნა თავს.

ერთხელ კიდევ მონასტრის მეკარეობას ვასრულებდი. კარში საშინელი ქარი ჰბერავდა. უცფათ ეზოში რაღაცის წკრიალი მომესმა, ავედი იქ და დავინახე, რომ ეზოში გასასვლელი კარი ღია იყო და შუშა ჩამტვრეულიყო. მე კარი დავხურე და ჩემს ოთახში დავბრუნდი. მეორე თუ მესამე დღეს მოვიდა ბიძა ჩემი სახლში და მკითხა, თუ შუშა რისთვის გამეტეხა. მე ამაზე უარი ვუთხარი და ვუამბე, რაც ვიცოდი. იმან ფეხები დამიბაკუნა, გიცნობ, რაცა ხარო, შენ გასტეხავდიო, ჩქარა მითხარი, რითი გატეხეო. მე ვტიროდი და ვიფიცებოდი, მაგრამ ის არ ჩამომეშვა. იმდენი მცემა, რომ ბოლოს ტყვილი მათქმევინა, არ ვიცოდი რა მომემიზეზებინა და უთხარი: - „ნაცარი შევაყარე და გატყდა თქო“. მე დღესაც ვერ წარმომიდგენია, თუ ვისმეს შეუძლია ნაცრის შეყრით შუშის დამსხვრევა. დედა ჩემი და დიდიაჩემი ჩემს საქციელმა ჩემს სიმართლეში დააჯერა და მტკიცე იყვნენ, რომ თუ მართლა შუშა მე გამეტეხა, შიშით იმის წინ... (ნაკლულია)

პაპა ჩემი, როგორც წინეთ მაქვს მოხსენებული, ძალიან ცხარი ადამიანი იყო. იმას პატარა ბოვშები უყვარდა და დიდები კი არა. ჩემი ძმა ჩემზე ბევრით პატარა იყო. ეს იმის საყვარელი იყო და იმის გულისთვის მე ბევრჯელ გავლახულვარ. მე რომ **სტამბოლში წავედი,** ამას გადავრჩი. ბიძა ჩემ ბაგრატას ორი შვილი ჰყავდა, ერთი ვაჟი და ერთიც ქალიშვილი. პაპა ჩემს მთელი თავისი სიყვარული ჩემს ძმიდან ბაგრატას შვილ გრიშაზე გადაეტანა და როგორც საბრალო დედაჩემი მიამბობდა ხოლმე შემდეგში, ჩემს საწყალ ძმას მისგან ბევრი შავი დღე უნახია. იმდენს სცემდაო, რომ ცხვრპირიდან სისხლს ადენინებდაო. ყველა შემთხვევაში მე

მისგან ბევრი უბედურება მინახია და აქედან მინდა ჩემს მკითხველებს ერთი ეპიზოდი ვუამბო. ერთხელ მე და ჩემი ძმა ჩვენ სახლის წინ ვთამაშობდით. სახლის ქვეშ ქუჩის პირისკენ პაპა ჩემს ჰქონდა დუქანი. ჩვენ შევხურდით თამაშობაში და დავიწყეთ ხმაურობა და ერთმანეთთან კინკლაობა. უცფათ გამოჩნდა პაპაჩემი, ხელში ვეება გათლილი ჯოხი ეჭირა და გამომექანა. ის იყო უნდა დამწვდებოდა, როდესაც მე განზე გავხტი, დაუსხლტი ხელიდან და გავიქეცი. ჩემზედ გადმოქანებულმა ამ მოქმედებით თავი ვეღარ შეიმაგრა და იმოდენა კაცი სიგრძეზე მიწაზე გაიშხლართა. ვაი, ეს შენ ასე გინდაო და წამოხტა ფეხზე და გაბრაზებული გამომიდგა უკან. მე მოუსვი ფეხი და რიონზე ჩავირბინე. პაპაჩემმა არ მომისვენა და აქა ჩამომყვა. მე სხვა გზა აღარ მქონდა და დავყევი რიონს. ქვებზე ჭინკასავით დავხტოდი და პაპაჩემი მალე უკან დავიგდე. იმან რა დაინახა, რომ ვერას გააწყობდა, მუშტი დამიქნია და მამაყვირა: - "სად წამიხვალ, სახლში მოხვალ, სისხლს გარწყევინებო". მე საღამომდი სახლში არ შევბრუნებულ-ვარ. საღამოს კარებში ვიცდიდი. შინ ბიძაჩემი სიმონი, პაპა ჩემი, დიდია და დედა ჩემი იყვნენ და მუსაიფობდნენ. დედამ თვალი მიყო, შევსულიყავი; შველი კანკალით და პაპაჩემზე ბიძაჩემმა ბოდიში მომახდევინა და ამნაირათ ცემას გადავრჩი. მაგრამ, ვაი, ჩემი ბრალი, რომ პაპაჩემს სიბრაზის დროს სულში ჩავვარდნოდი, მგონი ცოცხალი ვეღარ გადურჩებოდი; ის მე არ დამინდობდა და უთუოდ ძვლებს დამინაყავდა იმოდენა კეტით.

მე საზოგადოთ ძალიან მიყვარდა ფურნეში ყოფნა. იქ ხშირად დახლში ვიჯექი და პურსა ვყიდდი. ხშირათ ჩემი ბიძა ბაგრატა ან ალექსანდრე წავიდოდენ სადმე და მე მარტო დამაგ-დებდენ ფურნეში. ერთს ამნაირ დღეს ფურნ... (ტექსტი ნაკლულია)...

1911 წელსა 22 ფევრალს

ახალციხე

მგზავრობა საქართველოდამ კონსტანტინეპოლში

ღვთის შთაგონებით დიდი სურვილი აღმეძრა, მომინდა სტამბოლში წამოსვლა და ბერ-მონაზონად ცხოვრება. ორი წლის ბოლოს ღმერთმან ეს ჩემი ნატვრა ამისრულა,თუმცკი ბევრი ვიცადე. სხვანი მეუბნებოდნენ: რად გინდა, ხომ არ გაგიჟდი რომ სტამბოლში მიდიხარ? მაგრამ მე ყურს არ უგდებდი; ზოგი ამბობდა მჭიდროა, რომელიმე ამბობდა პურს არ აჭმევენო, და სხვანი სახლიდან გარეთ არ გამოხვალო. საიდამ მომდინარეობდა ეს ლაპარაკნი? მათის უმეცრობიდამ და დაუფიქრებლობიდამ. ჩემთვის არავის არ უთხრობია, სტამბოლში წადი, ღვდელი ანუ სხვა რამე გამოდიო და ბოლოს შენი აცხონეო. მხოლოდ ღმერთმა მირჩია და მამაშორა ხორციელ და გარყვნილს ხალხისაგან და ახლა ამ ბედნიერებას მიმწია. დრო მოვიდა, დავიწყევით წინა დღით სამზადისის მზადება. მომიმზადეს ის, რაც სახლში მოეპოვებოდათ. მაგალითად, კუპატი, აპოხტი, ქადა და სხვა ამისთანა რამიები. და აგრეთვე, თავიდამ ფეხებამდის რაც საჭირო იყო შემიკერეს(შემოსეს). მე ის მახსობს, რომ 4 დეკემბერს 1909 წელს იყო, როცა დავემშვიდობე ჩემს ნათესავებს და აგრეთვე, მეზობლებს. წინა დღით გევენდე, ვეზიარე, მაგრამ შუაში ერთი- ორი დღე გავიდა.

დედაჩემმა მირჩია და მითხრა: –წადი შვილო, დღეს კიდევ გეენდე, ეზიარე და აქედამ უცვოდველად წადიო, ეს აზრი ფიქრში მეც მქონდა. წამოსვლის წინა ღამეს ძალიან გვიან დავწექით(დავიძინეთ). მიზეზი ამისა იყო სამზადისი. ღმერთმა შვიდობით გამათენებინა ის

ღამე; გამაღვიძეს საათის ოთხზე, მეც, რასაკვირველია, ავდექი, ტან ჩავიცვი, დავიბანე პირი და დავჯექი სკამზე. ნახოთ საათმა ხუთი დაჰკრა. ავდექი, ავიღე პარტეზი და გავეშურე საყდრისაკენ. ცოტა ხნის შემდეგ მღვდელი ტ.კ. შეშებერიძე ამობრძანდა, გავენდე, მოვისმინე წირვა და ვეზიარე. ბოლოს მადლობა გადაუხადე ღმერთსა და გამოვეშურე სახლისაკენ. ფაიტონი კიდეც ამოსულიყო და იცდიდა, დავემშვიდობე ჩემს საყვარელს პაპას, დიდიას, დებსა და ძმასა და სხვასა. ჩავჯექი ფიატონში და ჩამოველი ერთ ფაბრიკასთან, სადაც ყმაწვილნი შეგროვილ იყვნენ. მოვიდა ჟამი, ჩააწყვეს სუყველა ბარგი, გამოვემშვიდობე ჩემს საყვარელს და გულიდამ დაუვიწყარ დედას და გამოვეშურე. მამაჩემი გამომყვა ერთ პატარა სოფლამდის, რომელსაც ჰქვიან **წნოსი** და აქ ჩამოხდნენ, დაგვილოცეს გზა, გადაჰკრეს თითო არაყი და წავიდნენ. ჩვენც მივყევით ჩვენს გზას. მგონებს 6 დეკემბერს 1909 წელს წამოველით ახალციხიდამ. ამ ქალაქში გავატარე ჩემი სიყმაწვილე. დავიბადე 1895 იანვრის 25. აწყვერის ჩასლამდის ხან ვტიროდი და ხან ვიცინოდი, მაგრამ მე ის მახსობს და მგონიაც კიდევ მომეტებულად, უფრო ვტიროდი, ვირემც ვიცინოდი. აწყვერში რომ ჩამოველით, მეფაიტონემ ცხენები გამოუშვა და კორმაც დაუდგა. ჩვენც რასაკვირველია, ჩამოვსხედით.

პოღოსა ჩილინგაროვმა, ჩვენმა ჩამომყვანმა ახალციხიდამ ბათუმამდის, შეგვიყვანა ერთ დუქანში, სადაც მზადდებოდა საჭმლები, ჩაი, ყავა და სხვა ამგვარი საჭმლები. რასაკვირველია, ჩვენ არც ჩაი გვინდოდა და არც მათი საჭმლები, რადგან ჩვენ საკმარისად გვქონდა საჭმლებიცა და სხვა რამეებიც, რომელიც მათ არც ქონდათ. ამ დუქანშივე იდგა რამდენიმე შტოლი, სკამი,ზოგი ჩაის მიირთმევდა და რომელიმე საჭმელსა სჭამდა და სხვანი ყავასა ფეხიფეხ გადადებულნი მიირთმევდნენ. ჩვენ ერთ შტოლზედ დავაწყეთ საუზმე, მიუსხედით გარშემო შტოლს, ვილოცეთ და დავიწყეთ ჭამა, ის, რაც მოგვეპოვებოდა. ჩვენმა ზედამხედელმა სთქვა: წავიდე, ვნახო ჩვენი მეფაიტონე სად არისო, ცოტა რამე მივცე, რომ იმანაც პური სჭამოსო. გაათავა ეს ლაპარაკი და კიდე წავიდა(ანუ გავიდა). რასაკვირველია ჩვენ ჩვენი ზაკუსკის ჭამა არ გავაზიატეთ და გავათავეთ მალე, ავდექით, ღმერთ მადლობა გადაუხადეთ და გარეთ გამოვისეირნეთ. ჩვენს ერთად მოგზაურობდა მამა ბენედიქტე და ცოტა ხნის შემდეგ კარი შემოაღო პოღოსამ და მოგვახსენა: მზად იყავით, მეფაიტონე წავიდა ცხენების შესაბმელად და ამ წამსვე აქ დაიბადება, მაშინვე ჩავჯდებით და გავუდგებით ჩვენ გზასაო. მართლაც, რამდენიმე წუთის შემდეგ მოვიდა ფაიტონი, ჩავჯექით და გავეშურეთ ბორჯომისკენ. საღამოს 5 საათზეთ **ბორჯომში** ჩაველით, გადმოვსხედით, გადმოვალაგეთ ბარგი და შევიტანეთ ერთ სახში, როგორც ეწოდება სტანციად. ცოტა დავისვენეთ და მერე გარეთ გაველით.

ვნახეთ მაშინა, რომელსაც ამზადებდნენ. მგონია ღამის საათი თორმეტზედ ჩავჯექით მაქინაში და ზუზუნ-გრიალით გაგვაქანა. რასაკვირველია, პირველ შესვლაზედ გვაძაგძაგა და მემრე როცა შევეჩვიეთ, მაშინ რაღა გვიშავდა. მაშინაში მრავალი ხალხი ისხდნენ, ზოგი **ბათუმში** მიდიოდა, რომელიმე, **ფოთში**. წიგნის კაცებისავეთ წამდაუწუმ დაგვადგებოდნენ თავზე, ბილეტი გაქვს, რომელთაც ძალიან გაგვაბეზრეს და მალეც მოგვწყინდა მაშინაში ყოფნა. ბათუმში ჩაველით საათი თერთმეტზე (7 დეკემბერს). ერთი ისეთი ზარფით შეგვაქანა, რომ ვთქვით, ეს არი დავიღუპეთო, მაგრამ მალე გაჩერდა. რასაკვირველია, ჩვენც გადმოვსხედით და გადმოვალაგეთ ბარგი. ხახოლცკის ჩინგნებმა დაიწყეს ჩხრეკა, მაგრამ რას იპოვნიდნენ, მეც არ ვიცი. რამდენიმე წუთის განმავლობაში ბათუმის ეკლესიის მსახური იქ დაიხატა. რამდენიმე მუშები დაიჭირა, ზოგი მათ წაიღეს და მსუბუქი რამეები ჩვენ წავიღეთ. მივიტანეთ ბათუმის

ეკლესიის სახლთან და დავაწყეთ. ნახოთ, ამ დროს მამა ბენედიქტე თავისი ოთახიდამ გამოვიდა, ვემთხვიეთ ხელზე და გამოვბრუნდით, ცოტა ხანი დავისვენეთ და მერმე გამოველით გარეთ, ეკლესიის გალავანში. ამასობაში კიდევ პური მოგვშივდა, შეველით სახში, გავშალეთ სუფრა და ვჭამეთ ის, რაც კი მოგვეპოვებოდა. ბათუმში დავრჩით სამი დღე და მეოთხე დღეს წამოველით ვაფორით მჯდომარენი. გემში ვნახეთ მრავალნაირი თევზნი, რომელნიც ამოყოფდნენ თავს და ისევ ჩაყოფდნენ. რამდენიმე დღის შემდეგ დავინახეთ **კონსტანტინეპოლი**, რომელიც ძალიან მომეწონა. როგორც იყო მიუახლოვდით და ნელ-ნელა იწყო სიჩქარის მოკლობა ბასფორმა. რა მოველით ნავსაყუდელთან, დავინახე ურიცხვი ქალი თუ კაცი. ზოგი პლატოკს აფრიალებდა, რომელიმე ქუდს იქნევდა და რომელიმე სიხარულით ფეხზე ვეღარ დგებოდა.ხელათვე დაუტოვეს კიბეები, ზოგმა კარი გააღო, რომელიმემ თოკი ჩაჰკიდა. რამდენიმე წუთის შემდეგ ხალხი სრულობით გალაგდა. ნახოთ თავი შემოჰყო მამა **ანდრიამ**, ამას მოჰყვა პატრი **მერაბი** და სხვანი. რომელიმე ვითომ მამა ანდრიას შეგირდი ვიყავით და ზოგი -პატრი მერაბისა და ასე გაგვიყვანეს ბასფორიდამ. დილის საათი თერთ-მეტზე მონასტერში ფეხი შემოვადგით. მამა **პიო** გამოეგება მამა უმფროს და ერთმანეთს მხრებზე უამბორეს. ჩაგვაბარა მას, ამოველით კლასში, დავჯექით და საათი თორმეტზედ ვიახელით სადილი. აქ მოველით 15 დეკემბერს 1989 წელს და ასრეთ და მშვიდობიანათ დას-რულდა ჩვენი მგზავრობა საქართველოდამ **კონსტანტინეპოლს**.

ფრანჩისკე ბეგიძის მოგონებანი

ფრანჩისკე ბეგიძე.

ახალციხე

მგზავრობა საქართველოდამ კონსტანტინეპოლში 26 იანვარი, 1911.

ახალციხე მტკვრის პირას მისკუპებული ძველისგან ძველი ქალაქია და მესხეთის დედა-ქალაქად ითვლება. ახალციხე ორ- სამნაირად განიყოფება.ესენი არიან: **რაბათი, წყურთ- მალა** და **პლანი.** რაბათში და წყურთ- მალაში ქართველები სცხოვრობენ და მხოლოდ პლანში სომხე-ბი და ურიები. წყურთ- მალაში შვიდი- რვა მოსახლე არის და ამის გამო ჩვენც იქ ვმკვიდრობთ. საფლავები და ყანები ახლო გვაქვს. საქონელიც ბევრი გვყავს: ძროხა, ხარი, თხა და ცხვარი. მამაჩემის ხელობა ყასპობა არის. მშობლების სახელნი: იოსებ, ეზოფინე, ძმები: იოვანე და იაკობ. მამაჩემის ძმებისა: ანტონი და სანდრო. მათი მეუღლებისა: სოფიო და რისო. მათი შვილებისა: იაკობ, შაშა?, თამრო, ლიზა, გიორგი და მარუსა. მეზობლებისა: იაკობა, გიორგი, მიხაილ, პავლე,, გიორგი, ნენე, ემლო, ეზოფინე,ანიჩკა, ელიკო, მარუსა,ნატა,თამრო, ვერონიკა და მარუსა. მამიდები:მაიკო და მისი მქმარი ალექსი და სხვა... დედაჩემის დებისა: სოფიო და ლიზა. რასაკვირველია მეც ახალციხეში დავიბადე 1895წელსა 22 იანვარს.

უმფროსს მოუწერია მამა პავლესათვის ,რომ თუ შეგიძლიათ ბოვშვები გამოგზავნეთო. როდესაც მამა პავლეს წერილი წაუკითხია, ფრანციას მამისთვის უთქვია: მონასტრიდამ უმფ-როსმა მომწერა, რომ ბოვშვები გამოგზავნეთ მღვდლობისათვისაო. ფრანციას მამამ თავისი შვილი მ. პავლეს მიაბარა. როდესაც მამაჩემმა ფრანციას შენიშნა, რომ მამა პავლესთან დადიო-და, მაშინვე მიზეზი გამოიკითხა და მეც მიმაბარა. ჩემზე წინ სწავლობდნენ შემდეგნი: ორი ძმა **ხარისჭაროვები, იოსები და ფრანცია.** სულ ბოლოს მე მიველი. რასაკვირველია, ვინც ბოლოს მივა, იმას არფერი ეცოდინება. როდესაც მეორებმა კითხვა დაიწყეს, მე ერთს ასოსაც ვერ ვიცნობდი. როდესაც კლასი გათავდა, მამა პავლემ ფრანჩისკეს უთხრა: წადი გაბრიელას სახლში და კითხვა ასწავლეო. როდესაც კლასი გათავდებოდა, მე და ფრანჩისკე სახლში წავი-დოდით. რაჟამს საათი თორმეტი გახდებოდა, ჩვენები საჭმელს შემოგვიტანებდნენ და საჭმ-ლის შემდეგ ყავას მოგვართვამდნენ. თან ყავას ვსვამდი და თან ვსწავლობდი კითხვას. რამ-დენიმე თვის შემდეგ მე და ოსიკო გამოვემგზავრეთ ახალციხიდამ **სტამბოლს** 1908 წ. აგვისტოს ექვსს ოთხშაბათ დღეს. **პავლე ჩილინგარათი** ჩამოვიდა არლიდან ახალციხეს დილის 12 საათზე. ნახევარ საათში მე დავემშვიდობე მშობლებსა და ნათესავებსა და აგრეთვე, მეზობლებ-საც. საათის პირველზე მამამ ჩამაბარა პავლე ჩილინგაროვს. მამამ და ბიძაჩემმა დამაბარეს, რომ კარგათ ისწავლეო და მორჩილი იყავ შენი უმფროსებისაო. ჩემთან იყვნენ **ოსიკო თელიათი,** პავლესთან სამგზავროთ თან ჩამოიყვანა თვისი მეუღლე სალომე, ლიზა, მათი ასული და **ანიჭკა ვარდიძე,** პავლეს ძმისწული. ჩვენ ახალციხიდამ ერთიდგან **ბორჯომში** ბინდისას ჩაველით. ღამის სამ საათზე გახურებულმა მანქანამ მოგვაშორა ჩვენს ტკბილს მხარეს. რკინის მანქანამ ერთ დღეშივე **ბათუმში** ჩაგვიყვანა. სამი დღე ბათუმში დავრჩი ბიძაჩემის შვილთან. ზღვაზე ვიბანე. ძალიან მეშინოდა, რომ ზღვამ არ დამახრჩოს და არ გამოვსალმოდი ამ წუთ სოფელს, ამიტომ ზღვის პირას, ზღვის ტალღებით ვბანაობდი. როდესაც ახალციხეში ვიყავი, მუდამ ამ ფიქრებში ვიყავი გართული, ნეტავი როდის უნდა მეღირსოს ბათუმისა და

სტამბოლის ნახვა. როდესაც ბათუმში ჩამოველი, ძალიან მოეწონა ჩემს თვალებ მისი ნახვა. აგრეთვე, ბათუმში იყო **პარმახსიზიანთ გიორგი.** მუდამ დღე მას თათრების ბაზარში დავყავდი, მაგრამ სოსიკო კი ერთ კათოლიკე ქართველ მღვდელთან იყო, რომელიც სომხურ წირვას ამბობდა. სოსიკომაც სამი დღე იქ გაატარა. იმ ღვდლის სახელი არის მამა ფომილა, გვარი კი არ მახსოვს. მე კი ბიძაჩემის შვილთან ვიყავი. იმავე დღეს იაკობმა (ბიძაჩემის შვილმა) ბიცოლასთან მიმიყვანა. მე მიველი, მაშინათვე ხელი ჩამოვართვი და სკამზედ დავχექი. ბიცოლამ იაკობას ჰკითხა:– თუ ვინ არის ეგ ბავშვიო. იაკობამ უთხრა:ეს ბავშვი არის ბაძაჩემის შვილიო. მაშინ მომცვივდნენ და მეამბორნენ. ღამე ბიძაჩემის შვილის სახლში ვიწექი. როდესაც ძილის დრო მოვიდოდა, იაკობი სახლში წამიყვანდა დასაძინებლად. როდესაც კიბეებზე ამოვდიოდი, მაშინვე იაკობის მეუღლე კარს გამიღებდა და მეტყოდა: –მობრძანდიიით. მეც თავს დაუკრავდი და შევიდოდი. სადილობის დროს, ვახშმის და ყავის დროს, იაკობი დუქნიდან ყიდულიბდა ჩემთვის საჭმელს. საღამოზე საათის რვაზე ვწვებოდი და დილით რვაზე ვდგებოდი. ასე გავატარე ბათუმში სამი დღე.

მესამე დღეს **მამა ფომილა** და **პავლე ჩილინგაროვი** ბაშფორთის ასაღებად წავიდნენ, მეც თან წამიყვანეს. საათის ათამდინ ბაშფორთისათვის ვიცდიდით, მერე ფული მივეცით. შემდეგ რუსულათ მითხრეს: შენი სახელი და გვარი მოაწერეო. მეც რუსულად მოვაწერე. არ ვიცოდი თუ როგორ დაიწერებოდა კარაკოზოვი. ოსიკოს უთხარი: კარაკოზოვ სიტყვის ბოლოში რა უნდა, მიაკიზნაკი თუ ტვიორტიზნაკი- მეთქი?

შუადღისას, **პარმასხიზიანთ გიგლამ** ზღვაზე წამიყვანა, ზღვის ნაპირის ქვეშ ურიცხვი დაცურავდა. გიგლას უთხარი: ეს ნაპირის წყალი სადამდის მოადგება? გიგლამ მითხრა: ორი-სამი კაცის სიმაღლეაო, შიგ რომ ჩახვიდე, თავზედ გადაგასკდება და კიდევაც დაიხრჩობიო. მე ძალიან გამიკვირდა, რომ თვალით ახლოს ვხედავდი დედამიწას და ასე ღრმა ყოფილა. მერე იქიდამ წამიყვანა ერთს დუქანთან, სადაც მაროჟნს ჰყიდნენ. გიგლამ უთხრა: მაროჟნი დავაიო. მაშინვე მედუქნემ გვითხრა: იმ ოთახში შედით და მე შემოგიტანთო. ჩვენც, რასაკვირველია, შეველით და ჩამოვსკუპდით სკამებზე. მაშინ მედუქნემ შემოაღო კარი და მოგვიტანა მაროჟნი. მაროჟნი ძალიან ცივი იყო. გიგლას დავკითხე, ასე ცივი რად არის? მანცა მითხრა: თოვლში აქვანან შენახულიო და იმიტომაც ცივიაო.

ერთხელ ბიძაჩემის შვილმა სადღაც ნახევარ საათის სიშორეზე, ერთ ადგილზე მომიყვანა, როდესაც შიგ შეველი, ტყავები ვნახე. იაკობამ მითხრა: მოდი ტყავები გამაჭიმინეო. მეც გავა-ჭიმინე. როდესაც გავბეზრდი, უთხარი: –სახლში როდის უნდა წავიდეთ? იაკობამ მითხრა, ცოტა კიდევ მოიცადეო და შემდეგ წავალთო. მე გალავნის გარეთ გამოველი და ვუცდიდი. იაკობმა მითხრა, მაინც მაქ მომიცადეო. როდესაც იაკობი შევიდა, მე მაშინვე მოვკურცხლე სახლისკენ და იმის მეუღლესთან მიველი. იაკობის მეუღლემ მითხრა: იაკობი სად არისო? მეც უთხარი: სადაც ტყავებს აწყობენ. შენ რა იციო? უთხარი: თვით იაკობმა წამიყვანა, როცა გავბეზრდი, გამოვეპარე და მოველი. როდესაც იაკობი გარეთ გამოვიდა და მნახა, რომ იქ აღარ ვიყავი, თავისი მოსამსახურე გამოგზავნა ჩემს საძებნელად. მე მაშინ იაკობის დუქანში ვიყავი. მითხრა: ვინ მოგიყვანაო? მეც უთხარი: არავინ მეთქი. მაშინ გაჰკვირდა და მითხრა: შენს საპოვნელად ბოვშვი გამოვგზავნეო, წადი და ახლა ის შენ იპოვნეო. მეც წაველი და ერთ დუქანთან ვიპოვე. მესამე დღეს დავემშვიდობე ყველა ნათესავებს და ჩავსხედით ეტლში, მიველით ზღვის პირზე. მერმე პატარა ფულივით შეველით ბაფორში.

საათის ხუთ ნახევარზე მოვშორდით ტურფა **ბათუმსაცა**. ზღვაში იმდენი თევზი ვნახე, რომ უთვალავი ირეოდა. ზოგნი ბაფორს წინ უძღვნიდნენ, ზოგნიც შორიდგან მოსრიალებდ-ნენ. გათენებისას მივადექით **ტრაპიზონს** და შუადღემდის იქ ვიყავით. ტრაპიზონი სულ ქვითკირით იყო აშენებული. ბაფორის პატრონები(კაპიტანები) თევზის დასაჭერს ზღვაში ჩააგდებდა და ერთ წამს თევზს დაიჭერდა.

ერთხელ ერთი ტომრით ლობიო მოგვცეს დასარჩევად. მთელი ერთიან ტომარას გვერდში მიუჯექით და ერთს საათში დავარჩიეთ და სამაგიეროდ ერთი ჯამი შავი ყავა მოგვიტა-ნეს. როდესაც ყავა დავლიეთ, ჭურჭელი ისევ მიუტანეთ და მადლობა უთხარით.ამ დროს გამოჩნდა მშვენიერი ქალაქი **სტამბოლისა**. მზე კიდევაც ამოსული იყო, როდესაც ქალაქში შეველით. ზღვა თანდათან ვიწროვდებოდა, როდესაც ბაფორიდგან ჩამოველით. უმფროსმა სადღაც შეგვიყვანა და გაგვიშინჯეს ბარგი. მერე უმფროსმა ეტლი დაიჭირა, შიგ ჩავსხედით და აგრეთვე, ბარგიც ჩავაწყეთ. უმფროსმა მეეტლეს უთხრა: **ფერიქვევს** აგვიყვანეო. მეეტლემ გზა არ იცოდა და უმფროსი უჩვენებდა. ბოლოს როგორც იყო, მიველით დებთან. მე ოსიკოს უთხარი: ჩვენ აქ უნდა დავწვეთ. შემდეგ უმფროსმა გვითხრა: აიღეთ თქვენი ბარგი და მე წამამყევითო. ჩვენც ჩვენი ბარგი ავიღეთ და მოველით აქა. უმფროსმა სტანისლას უთხრა: ამ ბოვშვებს ერთი ოთახი მიეციო. ჩვენ სტანისლას ავყევით და მეორე ატაჟის ოთახი მოგვცა.

ერთ ღამეს საათის ოთხ ნახევარზე გამომეღვიძა და ხუთზე ზარი დაჰკრეს. მე ოსიკოს ვეუბ-ნებოდი, ოსიკო სადღაც ცეცხლი ეკიდება მეთქი. მაშინვე ორივენი ავდექით და სარკმელში აქეთ- იქით ცქერა დავიწყეთ. როდესაც ვერაფერი ვნახეთ, ისევ ლოგინში ჩავწექით და საათის ათამდე დავიძინეთ. საათის ათზე სტანისლა მოვიდა და გაგვაღვიძა. ადექით, ყავა მიირთვითო. ჩვენც საჩქაროდ ხელ-პირი დავიბანეთ და ჩაველით ყავის დასალევათ.

ეს მოთხრობა გავათავე 27 მარტს, 1911 წელსა.

გაბრიელ შავთვალათი

ჩემი მოწოდება სამღვდელოთ და შესვლა ყოვლად წმიდა ღვთისმშობლის ქართველ-მონათა მონასტერში 25 მარტს 1909 წელს

პაშტა მოთხრობა ჩემის გარდასვლისა ბათუმიდამ კონსტანტინეპოლს

თოთხმეტი წლისა ვიყავი, როდესაც დედა-ჩემმა ლაპარაკი დამიწყო ღვდლობაზედ. მე კი უარზე ვიყავ მარადის. დედა-ჩემი შედგინებითა თვალწინ მიხატავდა ყველა იმ ბედნიერებებს, რომელნიც ღვდლებს და საზოგადოდ მონაზონებს აქვანან. ბევრჯერ ასრედ მეუბნებოდა: „შვილო, შესწირე შენი თავი ღმერთს და გაუგონე დედა-შენს;ჩვენ გვარისაგან მაინც ერთი ღვდელი გამოვდეს.“ მე კიდევ მახსოვს და ან როგორ დამავიწყდება, რასაც დედა ნორჩს მეუბ-ნებოდა და განსაკუთრებით ამ სიტყვებს:“ ექვსი წლის მერე ღვდელი გახდები, განაგრძობდა დედა, მე ვსთხოვ იქაურ უმფროს, **ბათუმის** ბარობად გაგაწესოს, როდესაც ჩამოხვალ, ჩვენ ხელებზე გაკოცებთ, მუდამ ჩვენთან იქმნები, ჰო, რა ბედნიერება იქმნება ჩვენთვის“.მე კი გულცივად ვიყავ, არ ვიცი რა ეშმაკი ჩამჯდომოდა გულში.

დედა-ჩემს უკვე წერილი ქონდა მიწერილი ბატონ **ბენედიკტე ვარდიძესთან** (ქართველე-ბის მონასტრის უმფროსისადმი). უმფროს მოეწერა: “ყმაწვილი მშვიდი, ჭკვიანი და თავმდა-ბალი იყოსო, აგრეთვე, არავითარი ხორცის ნაკლულობა არ ჰქონდესო“. დედა-ჩემმაც შესაფე-რისი პასუხი მისწერა.უწინარეს ამ მიწერ-მოწერისა, უწინარეს ჩემთან უბნობისა მღვდლობა-ზედ, დედა-ჩემს აზრად განზრახული ქონდა სამღვდელოდ გაეგზავნა ყველაზედ პატარა ჩემ-ძმათაგანი, სახელად მიხაილ. რადგანაც ეს ავად გახდა, დედამ მე დამიწყო მღვდლობაზედ ლაპარაკი. ის კი უნდა ითქვას, რომ მიხაილს ძალიან სურდა ღვდლობა და რამდენჯერმე ცრემლებიც ღვარა:“ მე რისთვის არ მგზავნიო“.დედა-ჩემი ეუბნებოდა:“შენ ავათ ხარ და იქ ავათმყოფს არ შეიყვანებენო, როცა კარგად გახდები, მაშინ შენც წაგიყვანო“.

მე შვიდი ან რვა წლისა ვიქმნებოდი, როდესაც დამაწყებინეს ქართული ანბანის სწავლება და კიდევ მახსოვს ის მწარე (დღეს კი ტკბილი) სილები, რომელიც მაშინ მივღე დედა-ჩემის და მასწავლებელის მხრივ, რადგან არ მინდოდა სწავლა. ბევრი შეწუხება გამოვიარე ანბანის შესწავლაში: დასჯით, შეშინებით. ღვდლის მადლით რამდენიმე თვეში ქართული კითხვა შევისწავლე. ხუთი თუ ექვსი თვის შემდეგ გამგზავნეს ქართულ სასწავლებელში, სადაც პირ-ველ ორ წლებში ვსწავლობდი დედა-ენას, სამღვთო სჯულს, არითმეტიკას, სუფთა წერას და ხატვას, ამის გარდა „ русское словос“-ს, 1 წ. მეორე ორ წლებში: დედა-ენას ბუნების კართან ერთად, სამღვთო სჯულს (რუსულად), „русское словос“-ს მეორე წიგნს, არითმეტიკას რუსუ-ლად, მართლ-წერას რუსულად, ხატვას და რუსულს ლაპარაკს. ამის გარდა, საქართველოს ისტორია -გეოგრაფიას და განთქმულ პირებს საქართველოს ერისას. ადვილად წარმოსადგენია ,რომ ამ ოთხი წლის განმავლობაში, **კარგად უნდა მესწავლა ქართული ენა,** მაგრამ სწორედ რომ ითქვას, რაც იქ ვისწავლე, კარგად ვერ გამოვიყენე, როგორც სჩანს, ამ ჩემს „პაშტა მოთხრობის“ კილოდგან. რადგან ქართული სასწავლებელიდან უნდა შევსულიყავი სამოქალაქო სასწავლებელში, სადაც ქართულს არ ასწავლიდნენ(გარდა რამდენიმე კლასისა, ანუ უკეთ ვთქვათ ლექციისა). ამის გარდა, ჩემი ამხანაგები, მეზობლები, სულ სომეხნი, ბერძენნი, ურიანი და რუსები იყვნენ და რასაკვირველია, რუსულ ენაზე ვლაპარაკობდი მათთან, თუმც კი სახლში, ნათესავებთან და ქართველ ამხანაგებთან ქართულად.

სამოქალაქო სასწავლებელში დავრჩი თითქმის ორ წელ ნახევარი. პირველ ორ წლებში ვსწავლობდი: რუსების მწერლების პოეზიებს, მოთხრობებს, ზღაპრებს; რუსეთის ისტორიას, გეოგრაფიას; გეომეტრიას, არითმეტიკას, ხატვას, ხაზვას და წერას(ათჯერ გიმნასტიკაც გვქონ-და) და მესამე წელს: რუსების მწერლების ბიოგრაფია, გეოგრაფია: აზიისა, აფრიკისა და ავსტრალიისა თერმინოლოგ-გეოლოგიის მხრივ და ძველი ისტორია, არითმეტიკა და ხატვა. რადგან მესამე წელს ორი თუ სამი თვის მეტი არ დავრჩი სასწავლებელში, ამიტომ მესამე წლის ჩამოთვლილნი საგნები კარგად ვერ ვისწავლე და ჩქარაც გადამავიწყდა. იქ გვასწავლიდნენ, აგრეთვე ,გალობას და მუზიკას. ეს უკანასკნელი ძალიან მიყვარდა, რომლის გამო ბევრჯერ უსადილოთაც ვრჩებოდი. აი როგორ: კლასები თავდებოდნენ 2-ზე ნაშუადღისას და მუზიკას ვსწავლობდი. სახლში რო დავბრუნდებოდი, სადილი არ დამიხვდებოდა, რადგან დედა-ჩემს არ უნდოდა მუზიკა მესწავლა; სუსტი ხარო და ავათ გახდებიო. ამნაირი ჩემი დასჯა უფრო აუცილებელი იყო, როდესაც ციებ-ცხელება მჭირდა. მე მაინც მუზიკის სწავლას თავს არ ვანებებდი.

წამოსვლის წინ დედამ სასწავლებელიდამ გამომიყვანა და ორი-სამი თვე თავისუფალი ვიყავი. მე უნდა წამოვეყვანე ერთს ნათესავს, სახელად **პეტრე პოლოლიკოვი**, რომელიც შემდეგ ჩამოვიდა მონასტერში და მნახა. აქ უნდა ვყოფილიყავი ახალწელს 1908 წელს; მაგრამ ერთმა შემთხვევამ დაგვაგვიანეს. ორი თვის შემდეგ დედა-ჩემმა მოახერხა პასპორტების აღება და თვითანვე წამომიყვანა მონასტერში. მე არავითარი წინააღმდეგობა არ აღმოუჩინე დედა-ჩემს და დავემორჩილე. მონასტერში რო დავრჩი, რამდენიმე თვე და რო შევიგნე, რა მდგომარეობაში იმყოფებოდნენ მონაზონები, ძალიან შევინანე, დედა-ჩემს წინათ რისთვის ვუწინააღუდგე. ამის მიზეზათ ის გახლდათ,რომ ღვდელობის თანამდებობას არ ვიცნობდი კარგად და კატეხიზმოსიც არაფერი გამეგებოდა, თუმცა 14 წლისა ვიყავი, მაგრამ ღმერთმა მომხედა და ამ წმიდა ადგილს მომიყვანა, გამაგებინა ყველა ის, რაც არ მესმოდა და შემამკო თვისი მადლებით. აგრეთვე, პირველი წ. ზიარება მონასტერში მივიღე. ზიარების მიღების წინ მე ნახევარ კაცად ვითვლებოდი ანუ ურწმუნოდ და ხშირად მამა ივანე სხვა ღვდლის წინაშე ან თავის თავად ამბობდა: „ეს თათარი როდის უნდა გაქრისტიანდესო“ შეწევნითა ყოვლად მოწყალის პ. სტეფანეს მოვემზადე პირველ ზიარებას.“

ჩვენი მომზადება სამგზავროთ ძალიან მარტივი გახლავთ. მოვამზადეთ ყველაფერი, რაც საჭირო იყო გზაში. მე უნდა წამომეღო რუსული წიგნები, რომელიც მე მქონდა, მაგრამ შიშით, რომ თათრების ჩინოვნიკები წამართვამდნენ, იქვე დავსტოვე, რადგან ჩემი უმფროსი ძმა ალექ-სანდრე სასწავლებლათ **ტრაპიზონში** რო წავიდა, მამამ ბევრი წიგნი გაატანა(რუსული, ნემენცური და ფრანცული), მაგრამ იქ თათრის ჩინოვნიკებმა არ გაუშვეს და გავიგე ისე, რომ ძმებმა ფულით გამოისყიდეს. ჩემთვის ეს იყო მიზეზი წიგნების მოუტანელობისათვის. ბოლოს როგორც იქნა მოვემზადეთ დედა- ჩემი და მე. ჩემს უნებურად,გამოვემშვიდობეთ ყველა ნათესავებს. მე არ მინდოდა, რომ მაგრამ დედას ვემორჩილებოდი. პირველი მიზეზი ამისა ის იყო, რომ საზოგადოდ მრცხვენოდა და მეორედ ცხოვრების ყოველა საჭიროება არ მქონდა შეგნებული. მაშ! როგორც მოგახსენეთ, დავემშვიდობეთ ყველა ნათესავებს; მათ დაგვლოცეს, კარგი მგზავრობა გვისურვეს, დედა-ჩემს რაღაცაები დააბარეს მათთვის საყიდლად და მე მეხვეწეს, ჩვენთვისაც ილოცეო, ჩვენ ვილოცამთ შენთვის, რათა კარგი ღვდელი გამოხვიდეო. ნათესავებს რო გამოვემშვიდობეთ, დავბრუნდით სახლში. შემდეგ ჩვენ მეზობლებსაც

გამოვეთხოვეთ და ამის შემდეგ მოვაყვანინეთ ორი ფაიტონი, ჩავსხედით (ჩვენ წამოგვყვნენ 5-6 ნათესავი) და გავსწიეთ ნავთსადგურისაკენ. სადაც ხალხი ბუზივით ირეოდა, რადგან ორი-სამი გემი ერთი მეორეს შემდეგ უნდა წასულიყვნენ. ჩვენი გემი, რომლითაც უნდა წავსული-ყავით, მგზავრებით სავსე იყო. ხალხის და წამსვლელების შუა დიდი ბაასი ისმოდა. ჩვენი გემი ეკუთვნოდა **ავსტრის ლოიდის კომპანიას**. ამ გემში მარტო იტალიანები იყვნენ(კაპიტანები და მატროსები),რომელიც მგზავრებისთვის და იმავე დროს საგნებისთვის იყო; ამისთვის შიგ მარადის დიდი ხმაურობა იყო, გასატან-შემოტანის დროს. ჩვენ თითქმის მთელი საათი, ნათესავებთან უბნობდით და ამ უბნობის დროს უცებ დაჰკრეს პირველი ზარი წასვლისა. ათმა მინუტმაც არ გაიარა, რომ მეორეჯელ ჩამოჰკრეს. ამ დროსვე, უცხო პირებმა გემიდგან გამოსვლა დაიწყეს. მაშინ როგორ შემიწუხდა გული. რა სიმწუხრები ვიგრძენ მამა-ძმების მოშორებას. იმ ადგილებიდგან, სადაც ვიშობე, გავიზარდე და ბოლოს უნდა გამოვემშვიდობი-ლიყავ. ამისთანა მწუხარე ფიქრებში ვიყავ გართული, რომ დაჰკრეს ბოლო ზარი. აქაც ბოლო გამოსალმება გამოვიარე; ნათესავები, რომელნიც წამოგვყვნენ, დაგვლოცეს, კარგი მგზავრობა გვისურვეს და მთხოვეს მათთვის მელოცათ. ამ დროს კიბეს სწევდნენ და ზოგიერთ პირებმა ძლივს მოასწრეს გამოსვლა. გემი შორდება, შორდება ნავთსადგურს და მეც ვშორდები ჩემ სამშობლო მიწა-წყალს. ქვეიდან პლატოკებს მიქნევდენ და უხარიათ ჩვენი წასვლით. გავიდა ნახევარი საათი და გემი მოშორებოდა ბათუმის ნავთსადგურს; ამ დროს თავისი საშინელი დაბღავლით გემი გაუდგა გზას. აჰო, საყვარელო სამშობლოვ! უკანასკნელს სალამს გიძღვნი ამ პაშტა ლექსით:

ოჰ! საყვარელო სამშობლოვ,
გიძღვნი ამ ჩემს გულითადსა,
უკანასკნელსა სალამსა
ჩემთვის დაუვიწყარსა.

მართალია, საქართველოვ,
თქვენ გშორდები ცოტა ხნითა;
მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,
რომ არ მიყვარდე გულითა.

გშორდები, ჩემო, იმისთვის,
რათა შევიქმნა ღვდელიო,
ბევრი ვეცადო, ვიშრომო,
რომ გავხდე შენი მხსნელიო.

თავსა გავწირავ შენთვინა,
მოგეხმარო რაიმითა,
წინ წახვიდე ყველაფერში,
იხარო ბედნიერებითა.

რა ხანია ჩვენი მხარე
დაცემულა ყველაფერში,
უმეცრებით, სიღარიბით
სდგას იგი ხალხთ ბოლო წრეში.

რაღა ითქვას, საქართველოვ,
სარწმუნოების მხრისაგან,
მიტოვებულს, დაჩაგრულსა
ყოველა და ყოველთაგან.

მაშ! გიძღვნიჩემსა სალამსა
და გემშვიდები ცრემლთ ღვრითა,
გევედრები, თქვენც აგრეთვე
დამემშვიდეთ, თქვენის მხრითა.

თებერვალი, 1911.

გემი კიდევაც გავიდა ნავთსადგურიდამ; ჯერ ნელ-ნელა და ბოლოს და ბოლოს დიდი სისწრაფით, ვით არწივი, გაუდგა გზას. ამ დროს ძალიან მშვენიერი სანახავი იყო **ბათუმი** (ეს ქალაქი თითქმის სამ კუთხით ზღვითაა შემორტყმული, მეოთხე მხარეზე კი, სამხრეთისკენ მოიპოვებამთებიდა მრავალი სხვა გორაკები). მზე ჩადიოდა და მისი მკრთალი სხივები მარტო მთების წვეროებს ანათებდენ. ცაზე აქა-იქ ვარსკვლავების მაგივრად მთვარე კაშკაშებდა და ნაზი სიო აგრილებდა მთელ არე-მარეს. ორ თუ სამ ადგილას მოჩანდა რამდენიმე მაღალი კოშკი.

ბათუმის ბულვარი, რომელიც იქვე ზღვის ნაპირას მოიპოვებოდა, გატენილიყო ხალხით, რადგან სწორედ იმ დღეს, როდესაც წამოველი, ამ ბულვარში უნდა ყოფილიყო წარმოდგენები და ყოველნაირი თამაშობა. ხალხის ხმაურობას, რომელიც ბუზივით ირეოდა, ზურნის და სხვადასხვა საკრავების ხმას საზღვარი არ ჰქონდა. რაღა ვსთქვა მეტი. მშვენიერი იყო **ბათუმი**. საამური მისი ლხინი. რამდენათაც ვშორდებოდი, იმდენად სწყდებოდა ხმაურობა; ვითომც და მესალმებოდეს ჩემი საყვარელი ქალაქი, ვითომც და დაღლილი იყოს გამოსალმების ძახილით: „მშვიდობით, ნახვამდინ!“

სასიამოვნო ჩვენთვის ის იყო კიდევ, რომ ზღვა დაყუდებული დაგვხვდა და ერთ უშვე-ლებელ ვაკე-მინდორს წარმოადგენდა. ზღვაზე რო გადაგვეხედა, სხვა უცხო გემებს ვნახამდით, რომელნიც ან შემოდიოდნენ და ან გადიოდნენ ბათუმიდან. ჩვენს გემს ჩქარი - ჩქური გაჰქონდა. მე ვიდექი, გართული იმ ფიქრებში, თუ რა ძნელია სამშობლოსაგან და სახლისაგან მოშორება, მაგრამ მომავალი მაგულიანებდა, რომ ერთ დღეს უნდა შევიქმნა მისი მხსნელი იმ უმეცრებისა და გაჭირვებისაგან, რომელშიც ჩავარდნილა ჩვენი სამშობლო. რათა რომ უმეტესად არ შევწუხებულვიყავ, მინდოდა სხვა რამეზე მეფიქრა, მაგრამ ძნელი იყო ესა და სულ ბათუმს შევყურებდი. ვსტკბებოდი მისი მშვენიერი სანახავით და მისი მდებარეობით ზღვის ნაპირზე. იგი ირიცხება საქართველოს ქალაქთა შორის მეხუთე წრეში. რუსთა მიერ აღების წინეთ, ბათუმი თათრების ხელში იყო და წარმოადგენდა ერთ დიდ სოფელს; მაგრამ რაკი რუსეთმა შემოიერთა ქობულეთის მხარე და აჭარა, ყველაფერი წინ წავიდა. ბათუმი გადიდდა როგორც შენობებით, აგრეთვე ხალხით და ვაჭრობითაც. დღეს 60 ათას სულზე მეტი სცხოვრობს ქ. ბათუმში. აქ შეხვდებით ყოველა გვარ-ტომის ხალხს: ქართველებს(საქართ-ველოს ყველა კუთხიდან), რუსებს, თათრებს, სომხებს, ბერძნებს, სპარსელებს, ფრანცუზებს, გერმანელებს, ანგლიკანებს, სლავებს (ესეიგი ონგრიელებს, ბულგარელებს და სერბიელებს), იტალიანებს, არაბებს, ინდოელებს და აგრეთვე შეხვდებით რამდენიმე იაპონელს და ჩინელს. ამ გვარ ტომთა შორის მარტო პირველად მოხსენებულნი მოიპოებიან ბლომათ, სხვებისაგან კი, თითო გვარისაგან, ასე ორასი, ასი ან ორმოცდაათზე ნაკლები.

ბათუმი სწორეთერთ ევროპიელ ქალაქს მიაგავს. იგი მდებარეობს ზღვის პირად, კარგი ნავთ -საყუდელი აქვს და ეს არის სწორეთ იმის მიზეზი ,რომ ევროპიელები ბლომათ იპოებიან. ამ ევროპიელების საშვალითბევრი საქონელი და საქართველოს ნაწარმოები და მიწის ნაყოფი გადის ევროპაში. რადგან ბათუმი სათათრესთან ახლოს მოიპოება, ამისთვის იგი კარგათაა გამაგრებული. თუ სამხრეთისკენ აიხედო, მთებზედაც შენიშნამგამაგრებულ ადგილებს. ნაპი-რებზე ხუთი თუ ექვსი ომის გემი იპოება. განათლებითაც ბათუმი უკან არა დგას. აქ მოიპოება ორი გიმნაზია: სავაჟო და საქალო, ერთი სამოქალაქო სასწავლებელი, სახელოსნო და ქართვე-ლების, ბერძნების, სომხების და თათრების პატარა სასწავლებლები.

ახლა დაუბრუნდეთ ჩვენს მგზავრობას. როგორც ვსთქვი, ჩემი საყვარელი ქალაქი მემშვიდობება: მშვიდობით, ნახვამდინ! მე გემზე ვიდექი და გავიყურებოდი ყველა მხრისაკენ და ბოლო**სალამს ვუძღვნიდი ჩემ სამშობლოს და საყვარელ ბათუმს.** მზე კიდევაც ჩასულიყო. ბნელდებოდა. ერთი საათი კიდევ გავიდა და ძალზედ დაბნელდა. სიცივე ვიგრძენ, დედა იქვე ელაპარაკებოდა ორ- სამ ნაცნობ ქალთან, რომელნიც ტრაპიზონში მიდიოდნენ. დედა-ჩემმა რო გაათავა თავისი საუბარი ამ ქალებთან, წამიყვანა საწოლ ოთახში. იქ დაწყობილი დაგვხვდა ოთხი ლოგინი და ერთი პირის დასაბანელი, გრაფინკით. რაც რომ მოგვქონდა , შევაწყეთ ერთი ლოგინის ქვეშ და შემდეგ ჩაი მივირთვით. ზალა, სადაც სადილს მიირთმევენ მგზავრები, გატენილიყო ხალხით და მუსაიფობდნენ. დაწოლის წინათ ღმერთს ვსთხოვეთ კარგად გვემგზავრა და მშვიდობით ჩავსულიყავით **ტრაპიზონს** მომავალ დღეს. ღამე ისე მეძინა, რომ ვერაფერი გავიგე იმისი, თუ გემი ირწეოდა თუ არა.

გათენებისას მე წამოვხტი ლოგინიდან, ორი-სამი პატარა ლოცვა ვსთქვი, პირი დავიბანე და ზეით აველი. გარშემო ყველა ადგილები ნისლში იყვნენ მოსული და ამიტომ ვერაფერი გავარჩიე. ორჯერ-სამჯერ გავისეირნე და შემდეგ ქვეით ჩაველი. დედა კიდეც ამდგარიყო და მე მიცდიდა. იმას ეგონა რომ მე გარეთ გავსულვიყავი, მაგრამ როცა გაიგო, ზეით ავსულიყავი, გამიჯავრდა ცოტა, იმისთვის რომ არ შევატყობინე, სად წამოვდიოდი და ეშინოდა, არაფერი მომსვლოდა. 6 თუ 7 საათზედ ჩაი მოგვართვეს. ჩაის შემდეგ დედამ დამიწყო საუბარი და სხვათა შორის მაგულიანებდა მომავლისათვის; როცა მონასტერში შევიდოდი, კარგათ მესწავ-ლა, ჭკვიანათ მოვქცეულიყავი, კარგი ღვდელიგამოვსულიყავი და ღვთისთვის მემსახურნა და სხვა ამისთანები.

დილის რვა საათზე **ტრაპიზონს** უნდა მივსულიყავით, სადაც გვეგულებოდა ნაცნობები. ჩემზე უმფროსი ძმა **ალექსანდრე** ძმების შკოლაში სწავლობდა და იმიტომ დედამ ისურვა ჩავსულიყავით ქალაქში. გემი რო მიუახლოვდა ქალაქს, მაშინვე დაიძრენ ნაპირიდან ნავები და მგზავრების გასაყვანად წამოვიდნენ. ისინი, რომელნიც ტრაპიზონში უნდა წასულიყვნენ, ძალიან ცოტანი იყვნენ, მაგრამ რადგან გემი მთელ დღეს უნდა გაჩერებულიყო ტრაპიზონში, ამისთვის ბევრნი ქალაქის სანახავად გავიდნენ. ნაპირზე გასვლისთანავე გავეშურეთ ჩვენ ნაცნობების სახლთან. აქ ძალიან კარგად მიგვიღეს და გაეხარდათ, მათი ნახვისათვის რომ ჩამოველით. სადილის შემდეგ, მიველით სასწავლებელში, სადაც ჩემი ძმა სწავლობდა; ვნახეთ იგი, სწავლისაგან ცოტა დასუსტებულიყო, მაგრამ ისევ ცქვიტი და სწრაფი , როგორც სახლში იყო. ჩემი ძმით და ნაცნობების საშვალით დავიარეთ ქალაქი და ვიყიდეთ ჩემი ძმისათვის ყველაფერი, რასაც გვთხოვდა.

საზოგადოთ, ტრაპიზონის ქუჩები ვიწორები იყვნენ, თუმცა აქ-იქ შეხვდებოდი ხუთ-ექვს ეტაჟიან სახლს, უშნოთ ჩაამდგარნი დაბალ სახლებს შუა. ყველაზე მეტს კაცის ყურადღებას იზიდავდა ძაღლების გროვა, რომელნიც ყველა ქუჩაზე მოიპოებოდნენ. ჩემმა ძმამ ამ ძაღლებზე სასაცილო რაცხა მომითხრო:

–შენ გეცინება, არა, ვანო, ამ ძაღლებს რო ხედავ ზოგი წევს, ზოგი ატუზულა, ზოგი ბინ-ძურობას სჭამს და ზოგი რას შვრება. შეუჩვეველ კაცს ეგონება, რომ ეს ძაღლები ქუჩებს სვრიან, მაგრამ სულაც ამის წინაღმდეგია. თუ კარგათ დავაკვირდით, რასაც შვრებიან ეს ქუჩის ძაღ-ლები. ისე ფანჯრიდან რამეს არ გადმოყრიან, რომ ერთი ხროვა ძაღლთა არ მივარდეს და არ მოასუფთაოს. მაგრამ ყველაზე სასაცილო და საინტერესო ის არის, ჩემო ძმაო, რომლებიც

როგორც ქალაქის მართებლები, დაყოფილნი არიან წყობწყობად. ყველა ნაწილს თავისი ქუჩა უკავია და ისე ერთგულათ იცავენ მას, რომ სხვა ძაღლს არ შეუძლია იმათ ქუჩაზე გაიაროს, ანდა რამე აიღოს. თუ მოხდა, გაბედა და აიღო, ვაი იმას! მაშინ დაესევა იმ საწყალ კაცს იმ ქუჩის პატრონი-ხროვა ძაღლი და აკუწამენ მას. იმნაირათ არიან შევიწროებულნი ერთი მეორისაგან ეს ძაღლები, რომ ერთს ძალიან შიოდეს, თითქმის კვდებოდეს და უყურებდეს მეორე ქუჩაზე რაიმე საჭმელს, მაინც ვერ გაბედავს იქ მისვლას საჭმელის ასაღებად. მეცნიერების გამოკვლევით ეს ძაღლები (სათათრეში) მოსულან თათრებთან ერთად 1485 წელს. ერთის მხრით ეს ძაღლები სასარგებლონი არიან, რადგან აუქმებენ ყოველ ბინძურობას, რაც ქუჩებზე მოიპოება. საბედნიეროთ, ახლა სათათრეში ცივილიზაცია შემოდის და ჩუმ-ჩუმათ ხოცვენ ამ ქუჩის ძაღლებს.

ამ ქალაქში ერთმა რამემ კიდევ გამაკვირვა. ჩემმა ძმამ მითხრა, რომ სათათრის სხვა ქალაქებშიც ასე არისო. ქუჩაში ყიდნენ ყველაფერს, რაც კაცს სჭირვია საზოგადოთ. თუმც ბათუმშიც ჰყიდიან როგორც ხილეულობას, აგრეთვე წვრილმანს, მაგრამ აქ კი ზომის გარეთ იყო. აქ გაივლიდა ჯიგარის ან ხორცის გამყიდველი, იქ პურისა, ლახანისა, ხილისა, მწვანეულობისა, ტკბილეულობისა, ფარჩეულობისა და სხვა. თვით დუქნის რომელიმე ბიჭები დაიარებოდა თავის დუქნის ახლო-მახლო სახლებთან და ყვიროდა, რაც შეეძლო:-„მედუქნე მოდის“, რათა შეეტყობინებინათ,ვისაც რამე სურდა საყიდლად. გზაში, ჩვენი მასპინძლების სახლში რო ვბრუნდებოდით, შეხვდა ერთი თათრის კაზარმა. შიგ სალდათები ერთ ყოფაში იყვნენ: ზოგი დარბოდა,ზოგი დახტოდა, ზოგნი თოფს სროულობდენ და ზოგნიც სხვა რამეში იყვნენ გართულნი. მე მაკვირვებდა მათი ერთი სახის ტანისამოსი, რადგან **ბათუმში** გაგონილი მქონდა, რომ მათ ერთნაირად არ ეცვათ. ჩემმა ძმამ მითხრა: ამ ორი წლის წინათ რო მოსულიყავ, სიცილით მოკვდებოდი თათრის სალდათების ნახვითა. ერთს დაფლეტილი ძველი ტანისამოსი ეცვა, მეორეს ხუთ ადგილას გახვრეტილი აპიცრის ძველი პალტო, მესამეს თავზე ქუდი არ ეხურა, მეოთხეს თმები მხეცისავეთ გაგრძელებული ჰქონდა, მეხუთეს ჩექმების მაგიერ წუღები ეცვა, მეექვსეს რა აკლდა, კიდევ რა და სხვა...

საღამოს ექვს საათზე დიდი მადლობა გადაუხადეთ ჩვენ მასპინძლებს, ამათაც ჩვენ კარგი და მშვიდობიანი მგზავრობა დაგვილოცეს და გავეშურეთ გემისკენ, რომელსაც კიდევაც წასვლის პირველი ნიშანი დაეყვირა. ჩემი ძმა ალექსანდრე ჩვენთან იყო და ვსაუბრობდით. გემზე ხალხი აქეთ-იქით დადიოდა, კაპიტანი იჯდა თავის ოთახში და მწარედ გაჯავრებულიყო. ამის მიზეზი ის გახლდათ, რომ ნახევარი საათით უნდა დავგვიანებულიყავით წასვლისათვის, რადგან რამდენიმე მატროსი და მისი ერთი თანაშემწეთაგანიქალაქში იყვნენ ერთ საქმეზე და კიდევ არ დაბრუნებულიყვნენ. გავიდა ხუთი-ექვსი მინუტი, რაც ჩვენ გემში შეველით და ლაპარაკში გართული რომ ვიყავით, უცებ ერთმა საზარელმა ხმამ კინაღამ შეგვაშინა. ეს იყო მეორე ნიშანი წასვლისათვის. რამდენიმე წამის შემდეგ გემს მიუახლოვდენ სამი ნავი, სადაც ამ გემის მატროსები იყვნენ თავიანთ ზედამხედველით და რაც რომ ეყიდნათ. გემის გარშემო თითქმის თუთხმეტი ნავი მისცურავდა, ზოგი ცარიელი, ზოგი ხალხით სავსე, ზოგი მიდიოდა, ზოგიც მოდიოდა. გავიდა ერთი ჩარექი და ყველაფერი მზათ იყო წასვლისათვის. მეტი დრო არ გვქონდა, უნდა გამოვმშვიდობილიყავით ჩემ ძმასთან. მე მსთხოვა, მონასტერში შესვლისთანავე წერილი მიმეწერა მისთვის და მოკლედ აღმეწერა ჩვენი მგზავრობა. ამის შემდეგ ერთი კიდევ დაგვემშვიდობა და გავიდა გემიდგან. გაისმა მესამე ნიშანი

წასვლისა და ამ დროსვე ერთი ვაება ასტეხეს გემის ყოველა მაქინებმა: ზოგმა შრიალი მორთო და ზოგმაც კვნესა. აუშვეს ბაირაღი და გემი გაუდგა გზას. ორი საათის შემდეგ კიდევაც დაბნელებულიყო. ზღვა შრიალებდა, თუმცა დაწყნარებული იყო, ვარსკვლავები ჩუმ- ჩუმათ ამოდიოდნენ სამყაროზე, თოვლივით გასპეტაკებული მთვარე, ქურდივით გამოიყურებოდა და ანათებდა არემარეს. გემზე ზოგი დასეირნობდა, ზოგი ლაპარაკობდა და ზოგნიც ღრმა ფიქრებში გართულნი იჯდნენ წყნარად. როცა ჩვენ ჩაველით ჩვენ საწოლ ოთახში, მაშინვე ჩამოგვიტანეს ჩაი, რომელსაც შევატანეთ ქადა და სხვა ნამცხვარი, რომელიც დედას მოემზადებინა სამგზავროთ. ამ პატარა საუზმის გათავების შემდეგ შევექეცით ცოტა ლაპარაკით, ღმერთს ჩვენი თავი დავავედრეთ და დავიძინეთ.

არაფერი იყო უსიამოვნო. მხოლოთ გემის თითქმის მარტო ღამით სიარულმა შეგვაწუხა, როგორც ჩვენ ეგრეც სხვა მგზავრები, რადგან დღისით სულ ქალაქებში იდგა. გავიდა ამნაირად ოთხი დღე, რომლებშიაც შესამჩნევი არაფერი მომხდარა, გარდა იმისა რომ ზღვა აღელვებულიყო მესამე დღეს და აგრეთვე, მეოთხე და მეხუთე დღესაც. გემი ხან აქეთ და ხან იქით ქანაობდა. ბევრმა, რომელნიც პირველად მგზავრობდენ, ამოაღებინა. ჩვენთვის მეორე მგზავრობა იყო ზღვაზე და ამიტომ ზღვამ ვერაფერი გვიყო.

მეექვსე დღეს ჩვენი მგზავრობისას, **ბოსფორს** ვუახლოვდებოდით. გათენებისას დილაადრიან ზეით აველი. გარშემო ნისლი იდგა. ჯერ ძალიან ადრე იყო და ამისთვის გარეთ არავინ გამოსულიყო. მე მომწყინდა მარტოდ ყოფნა და დედასთან ჩაველი. ერთი საათ ნახევარს შემდეგ მზემ ამოყო თავი და გააცოცხლა ყოველი სულიერი ცხოველი. მგზავრები ზეით ადიოდნენ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპად. მეც დედა-ჩემითურთ ზეით აველით სასეირნოთ სუფთა ჰაერის ჩასაყლაპათ. გემს სულ ჩქარა-ჩქური გაჰქონდა და წინ მოდიოდა. უცებ შორს შევნიშნეთ ერთი განიერი ადგილი, ორ მთას შუა,სადაც წყალი იყო. მე მეგონა , რომ ეს მდინარე იყო, მაგრამ როცა უფრო ახლო მიუახლოვდით იმ ალაგს, გავიგე, რომ **ბოსფორი** იყო იგი. ბოსფორის ორივ მხრით სახლები იდგნენ. მთელი ჩვენი მოგზაურობის დროს, თითქმის ასე ექვსი დღე, ჩვენს გარშემო მარტო ზღვა მოიპოებოდა, გარდა იმ დღეებისა , როცა გემი იდგა რომელიმე ქალაქთან; მაგრამ ბოსფორში რო შეველით, ბუნება გამოიცვალა. მზე კიდევაც ამოსულიყო. ნაზი სიო ჰქროდა და ყველას პირის სახეს ვაშლივით აწითლებდა. აქა-იქ მოჩანდნენ უცხოელთა გემნი და თათრების დიდრონი ნავები. ზღვაში ღორ- თევზები ჩვენ გემის წინ დაცურავდენ. ჰაერში ფრინველების ჭიკჭიკს და სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა. ბოსფორის განაპირა ადგილებზე გამწკრივებულიყვნენ ყოველა ნაირი სახლები, დუქნები და აქა- იქ მოჩანდნენ რამდენიმე ძველი კოშკები. მთებზე ცხვრის და ძროხის ფარა გაშლილიყო და ბალახსა სძოვდა. მეცხვარე იქვე ხის ძირს ჩამომჯდარიყო და ჩიბუხს ეწეოდა და ერთი სიტყვით ყველა სულდგმული გაღვიძებულიყო. აი, რა მშვენიერი სანახავი იყო ბოსფორი.

რამდენიმე მინუტის შემდეგ შევნიშნეთ **სტამბოლი.** თუმცა შორს ვიყავით, მაგრამ კარგად გავარჩიეთ, რომ ამფითეატრსავით ადიოდა ანუ იყო აშენებული. რამდენიმე ხნის შემდეგ უფრო ახლო მიუახლოვდით სტამბოლს და ადვილათ გავარჩიეთ ყველაფერი. აქ სახლები უფრო მოზრდილები იყვნენ და კარგათ ნაგები. ბევრი მეჩეთიც მოიპოებოდა. რამდენიმე ხეზე ყვავები დასკუპებულიყვნენ და ყვაჰ, ყვაჰ-ს გაიძახოდნენ. ყველა შენობები, სახლები და კოშკები მზის შუქზე ბრწყინავდენ. ხიდს რო მიუახლოვდით, ჩვენი გემი გაჩერდა. აქამდის ნავები გემის უკან მომდევნი, უცებ გემის კიბესთან გაჩდნენ. ერთ წამში ერთი ალიაქოთი

ასტყდა. ხალხი ფაცი- ფუცში იყო. ყველას უნდოდა პირველი გასულიყო. ჩვენ ცოტა მოვიცა-დეთ, სანამდის დაწყნარდებოდა ყვირილი და როცა თითქმის დაცარიელდა გემი, მაშინ ჩვენც გაველით; მაგრამ იმისთანა მენავე შეგვხვდა, გზაში კინაღამ დაამსხვრია და ჩვენც კინაღამ დაგვღუპა. ერთი რამე გამაკვირვა გასვლის დროს, ის რომ ჩვენი ჩემოდანები არ გაუჩხრეკიათ და პასპორტებზე მარტო თვალი გადაავლეს.

ერთმა ნაცნობმა დაგვიჭირა მუშა და დააბარა **ბეჟანიძეებთან** წავეყვანეთ. ეს მუშა ჯერ იმ ჩვენი ნაცნობის ძმის დუქანში უნდა მისულიყო, მაგრამ არ ვიცი, რა მოუხდა, დავთარი დაეკარგა, თუ ვერ მიაგნო იქ.

კარი მეშვიდე
სტამბოლის ქართული სავანის საარქივო მასალები სხვადასხვა თემაზე

1914 წ. მუსლიმანი ქართველების თხოვნა წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისადმი

ვამტკიცებ . . . . . ის..... პროლეტარე. ..

...კაცობრიობის განვითარებაში ქვეყნის ხალხების თვითგამორკვევის, მათი შეხედულების დამღუპველი უვიცობის უარყოფით საზოგადო ასპარეზზედ სამოქმედოთ გამოსვლისა. აღარა იგეთი კუთხე ქვეყნისა, აღარა იგეთი არც ერთი პატარა ერები, რომლებიც ... პოლიტიკურად თავიანთ ისტორიაში დამჩაგვრელ დამონავებულ უსამართლობას არ შებრძოლებოდეს და მთელი შეშლილი კაცობრიობის პროგრეს არა ჩამორჩა, არც თვით მონობის უღელში შებმული. ოსმალეთის ახალი და ამ დასაბომიდანვე დამონავებულ, ერთგულ აღმოჩდენ ხალხის მხსნელი თავდადებული გმირნი, რომელნმაც თავის მრავალი მსხვერპლით მოსპო ხალხის უბედურობის მშობელი და მისდა სამაგიეროთ ხალხს მიანიჭა შემლებისდაგვარი თავისუფლება, რომლის ცხოვრებაში გატარება ძლიერ ძნელი შეიქნა გაუნათლებელ ქვეყანაზედ. მთავარი მაინც-თავისებური მნიშვნელობა აქვს როგორც ოსმალეთის ხალხებისა, ეგრეთვე თვით კაცობრიობის პროგრესის .. დან (არ იკითხება). ოსმალეთის კონსტიტუციამ საშუალება მისცა აქ მცხოვრებ თუ შემოსულ დიდი ხნის ფეხქვეშ გათელილ ეროვნულ კულტურის აღდგენას და ფრიად საგულისხმიერო ეროვნულ კულტურულ ქმედებას. არც ქართველი ერი ჩამორჩა. ეს მეხუთე წელიწადია რუსეთში მცხოვრებ მცირე მუსულმანმა ქართველებმა ... გადმოსულ ქართველთა ურთი ... სამოქმედო ნიადაგის შექმნას . . ამა ხნის განმავლობაში, მიუხედავათ უმცირესობის დიდი მეცადინეობისა, შრომის შესაფერ ნაყოფს ვერ იღებდა და ვერ იღებს, ვინაიდან თქვენ უკვე იცით, რომ ჩვენში, საუბედუროთ, ხშირათ არიან იგეთი პირნი, რომელნიც საზოგადო გარეგნულ ფორმით ერი და მისი კეთილდღეობისათვის მეცადინ ... სამოქმედო საფეხურამდე მივა, როდესაც საქმე პირადის სურვილების უარყოფით ყველა პატიოსან ქართველთაგან ერთ ხელოვნურათ საქმის განაწილებით თავდადებულ შრომას თხოულობს და მაშინ რომელიმე წარჩინებულთა თავმოყვარეობით პირადი ინტერესების თავმოყვარეობა და ქვეყნის დამღუპველიც რომ იყოს, მაინც თავისას ამტკიცებს, იმიტომ კი არა, რომ იგი თავისი მოსაზრებით ხალხის მიზნის მისაღწევათ. მთელი საქართველოს წასული თუ აწმყო სავსეა იგეთი სამწუხარო მოვლენებით, სადაც სამწუხაროთ სჩანს ათასნაირი თავდადებულ მუშაკთა ოფლით აშენებული შენობანი ერთი თავმოყვარისაგან იმა შრომით აშენებული შენობის ნანგრევები, რომელ ნანგრევზედაც აღარაფერი აღარა ხარობს და აღარა ცოცხლობს.

ეგეთივე უბედური ბედი ეწია აქ ოსმალეთში, ესე იგი სტამბოლის ქართველთა შორის, ქართულ კულტურული საქმის დაწყებას. ამ ორი წლის წინათ დიდი მეცადინეობის შემდეგ მოახერხეს აქაურმა ქართველებმა შეკრება, რომელ შეკრებაზედაც უმრავლესობისაგან დადგენილი იქნა **ქართული კლუბის და სამკითხველოს დაარსება,** რისთვისაც შესაფერისი სამოქმედო გეგმაც შეიმუშავეს და საქმის სისრულეში მოყვანას უნდა შესდგომოდენ, მაგრამ, აი, საუბედუროთ, სწორეთ იმდროს იჩინა თავი ზოგიერთ ქართველის თავმოყვარეობამ. შეიქნა ცილობა შენ ჩემობაზედ, რამაც იმსხვერპლა . . ერთი მეორეს ლანძღვამ. ჩვენს თვალში იგინი ყველა დაამცირა, მეორისაგან კი დიდი საქმის გაკეთებით შეუძლებელიაო და **ხალხის სულის-კვეთება ეროვნული კულტურისადმი თანდათან ღვივდება** და დღითი დღე ყველას საგო-

ნებელშიდ აგდებს. მით უფრო, რომ აქ - ოსმალეთში, როგორც ზემოურ ვთქვით, არამც თუ ბერძნებმა და სომხებმა, არამედ ყველა იგეთმა კრებაზეც კი, რომელიც თვით კაცობრიობის ისტორიაშიდაც ვერ შედიან თავიანთ ეროვნული წარსულით, დღეს აქ, აი, მაგალითით, **აქ ეროვნულ კულტურული კლუბები დააარსეს**: **ინგუშებმა, ლაზებმა** (რომელთა ჩამომავალთ თავიანთ თავს არაბებათ ან სულ უცხო ტომთა სთვლიან), **ჩერქეზებმა** და **ლეკებმა**. თუმც მათ აწმყოს არავითარი საიმედო არსებობის მხარე არ უჩანს, მაგრამ მას თან ახლავს ბუნებრივი სიმართლე, რომლის გარეშე ვერც ერთურთს ვერ შეუძლია არსებობა. **ესაა ეროვნული კულ-ტურა და მისი აღმადგენელი საშუალებანი.**

აქაური ქართველ მუსულმანნი ახალ თაობას ვღებულობთ . . (არ იკითხება), რომლის წინე წასულით, **აწმყო მომავალს ნათლით ვხედავთ.** თუ რა მწარე ხვედრი ექნება განათლებულს მომავალში, გაუნათლებელ ერს და, ამიტომ, **სტამბოლის ქართველ მუსულმანთა ახალ თაობას ბევრი მიმოთქმა-გამოძიების შემდეგ აქაურ ქართველთა მომქმედ თაობამდე, ყოვლათ შეუძ-ლებელი შეიქნა იმდენი ნივთიერი** ϫ ... შეგროება, რომლითაც... ანუ რაიმე მგზავსი **კლუბის დაარსება.** ყველამ კარგათ იცით, რომ **ოსმალეთში** მცხოვრებ ას ორმოცი ათასზე მეტი ქართვე-ლობისა, საშუალო ადგილის **სტამბოლი** ყველგნიდან **აქ აწყდებიან სამშობლოდან გადმოხვე-წილი შეგნებული და შეუგნებელი ქართველობა**. ყველას აქაურებს ეკითხება. აქაურებისაგან თხოულობენ **ეროვნულ სულის მოთხოვნილების დაკმაყოფილებას** . . . ჩვენდა სამწუხაროთ . . . კულტურული საგნების გარდა არავითარი ნივთიერი საშუალება არ არის, **ვინაიდან ახალი თაობა შესდგება უმაღლეს სასწავლებლების სხვადასხვა სტუდენტებისა და სამხედრო პირებისაგან** და სხვადასხვა.

ბევრი ცდის შემდეგ ვხედავთ, რომ აქაურ მომქმედ თაობას არავითარი, ანუ **საკმარისი ეკონომიური საშუალება არა გვაქვს კულტურული მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლათ,** იმიტომ . . . თანასწორი ეროვნული უფლებებიდან გამომდინარე, (არ იკითხება)ძმური წინადა-დებით მოგმართავთ, **ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას**. . . **გთხოვთ, საშუალება მოქვცეთ უცხო ქვეყანაში** ... **ქართველ ხალხს ქართული კულტურის მი-ღებისა** ...თქვენი ჩვენდამი კეთილის მქნელი იქნებ ... ϫერϫერობით ვიდრე საზოგადოება გა-დას. . . **თქვენივე საფასურით გაგვიხსენით სამკითხველო** . . . **სტამბოლის** რომელიმე მოხერხე-ბულ ადგილას . . . **მის დაარსებისთვის პატივცემულ წერა-კითხვის გამავრცელებელი საზო-გადოების წევრთ მოგმართავთ** . . . **შეგნებულ ქართველ ხალხს ყველამ შეძლებისდაგვარი წვლილის გამოღებით ოსმალეთში მცხოვრებ ქართველთასაც მოგვცეთ ძმური ხელი ეროვნულ განათლების აღდგენის მოქმედებაშიდ, რაზედაც ხელს ვაწერთ ესენი და ესენი.**

მუსულმანთ ქართველებისმინდობილობით

1914 წელი

ეს არის ტექსტის შავი ვარიანტი.

მოკლე მოხსენება კონსტანტინეპოლის ქართველთ ძმობის მონასტერზე ამხანაგს სანდრო სააკაშვილს

რუსეთის უხეშმა პოლიტიკამ, 1859 წ. სტყორცა საზღვარ გარეთ ერისათვის თავდადებული და გულშემატკივარი მოძღვარი მ. **პეტრე ხარისჭირათი**. მ. პეტრე იყო შვილი განთქმული მესხეთისა, რომლის ისტორიული ღრმა ჭრილობა ჯერეც არ არის გამრთელებული. იგი მუდამ მოიგონებდა მის ბრწყინვალე წარსულს. ხშირად გონებაში წარმოუდგებოდა ის ძველი და ძლიერი მესხეთი, რომელიც **იყო ფარხმალი და მოწინავე რაზმი საქართველოსი, კერა მწიგნობართა და პოეტთა და ტაძარი პოლიტიკური სიმწიფისა.**

ოსმალეთის მფლობელობამაც დასცა ეს განათლებული მხარე: დასცა ფიზიკურად, დასცა ეკონომიურად, დასცა ეროვნულად, დასცა პოლიტიკურად და დაამახინჯა სულიერად ენისა და სარწმუნოების წართმევით, რომელიც ჰქმნიდა მის სულიერს და ეროვნულს ძალას. უნდა ვაღვიაროთ, რომ **რუსეთის შემოსვლამ საქართველოში 1877 წელს იხსნა ქვეყანა, განსაკუთრებით სამცხე-საათაბაგო, რომელიც მალე დაეგვანებოდა: ერუშეთის, შავშეთის, კლარჯეთის და ჭანეთის პროვინციებს, რომელთაც შერჩათ მხოლოდ სახელი**.

საქართველოს ორი ძლიერი მტერი ჰყავდა, რომელნიც მოსვენებას არ აძლევდენ: სპარსეთი-აღმოსავლეთით და ოსმალეთი-სამხრეთ-დასავლეთით. ისტორია შურის მძიებელია, ვერ დაივიწყებს, რაც ამ ორმა ქვეყანამ საქართველოს მიაყენა. ნუთუ მეოცე საუკუნე ამის მომასწავებელია?!... **ნახევარი საქართველო ოსმალეთში და სპარსეთშია, სად არ შეხვდები ქართველს, რომელიც კიდევ ამტვრევს ქართულს,** ბევრს კიდევ ახსოვს მამაპაპათა სამშობლო და მწარეთ მოიგონებენ. ოსმალეთს დღესაც გულში უდევს ვერაგული განზრახვა საქართველოზე და სცდილობს პირველ შემთხვევაში სისრულეში მოიყვანოს თავისი ბოროტი განზრახვა.

მართალია, რუსეთმა დიდი ჭირი მოაშორა საქართველოს, როგორიც იყო ოსმალეთი. მაგრამ მისმა პოლიტიკამ, ისედაც დაბეჩავებულს და აოხრებულ ქვეყანასმიკრი??? გაუჩინა. პირიქით, რომ მისთვის პატრონობა გაეწია და თურქების შიშით, მთებში ხროკია ადგილებზე გახიზნული სოფელი, ბარათ, უკეთეს ადგილებზე, ჩამოეყვანა და შეექმნა მათთვის ასატანი პირობები ცხოვრებისა, თავიანთ მწარე ბედს მიატოვა და რუმ- **ყარსიდან მორეკილი ბრბოებით გაამსო ქვეყანა. „ვაის გავეყარე და ვუის შევეყარე“, ასე მოუვიდა ჩვენს საწყალ მესხეთსა და ჯავახეთს.**

ეს დაუპატიჟებელი სტუმრები, უფასოთ დასახლებულნი საუკეთესო მამულებზე და ეს უფასოთ ჩაყენებულნი მზამზა სახლებში, ახალ ბატონებათ მოევლინენ ქვეყანას. მთავრობის პოლიტიკა ამ ნაირათ ჰქმნიდა ხალხთა შორის შუღლს და გაუტანლობას. **სამწუხაროთ, სამღვდელოებაც ვერ აღმოჩნდა ღირსი თავისი მაღალი წოდებისა და დანიშნულებისა.** ისუსტა და ორათ გაიყო. უმეტესობა, რათქმა უნდა, მთავრობის ორიენტაციას მოემხრო. ამათ მეთაურობდა **შაჰყულიანი**, რომელსაც ხალხმა უწოდა ზედმეტ სახელად **შავგულიანი**. ამ ბნელ პიროვნებაზე **თამარაშვილს** ვრცელი მოხსენება აქვს დაწერილი. ნათლათ ჩანს მისი ღალატი ქართველი ერისადმი.

მეორე ნაწილი სამღვდელოებისა, რიცხვით მცირე, ნათლათ შეხვდა მოწინააღმდეგეთ და მათ დაგებულ მახეს. მათ სათავეში ჩაუდგა ჩვენი ფხიზელი მოძღვარი მ. პეტრე. არ დაუტო-

ვებია არც ქალაქი, არც სოფელი და არც დაბა. ყველგან ხვდებოდა, მისი ხმა ყველას აფრთხილებდა და აგულიანებდა და ერიც მას თანაუგრძნობდა. მდგომარეობა თანდათან მწვავდებოდა. ნელნელა ეს არასასიამოვნო ამბავი ქართულ საზოგადოებამდისაც მივიდა. ბრძოლა უთანასწორო იყო, მოწინააღმდეგემ ერთი დაკვრით ამ სკანდალის გათავება მოიწადინა.

უკაზის ძალით **აუკრძალეს ქართველ მორწმუნეებს ქართულ ენაზედ ლოცვა-ვედრება. ეს საზიზღრობა თურქებსაც კი არ ჩაუდენიათ.** მახსოვს, ჯერ კიდევ მცირე წლოვანი ვიყავი: კვირაძალი იყო, ეკლესიაში ტევა არ იყო, ლოცვის ჟამი იწყებოდა, მორწმუნე ერი წირვას და ქადაგებას ელოდა. დიაკონმა არა ჩვეულებისამებრ ერი დალოცა ქართულათ. შემდეგ მღვდელიც შემოვიდა, წირვა დააყენა და ხმის ამოუღებლად წავიდა. **ქართულ ენაზე ქადაგება და ლოცვა აეკრძალათ მისთვის.** მე ბავშვს არ მესმოდა მაშინ და და არც არაფერს გვეუბნებოდნენ. მაგრამ ხალხში დიდი მწუხარება ტრიალებდა. **საბრალო ქართველმა ესეც განიცადა მორწმუნე რუსეთის წყალობით და მისი მონების დახმარებთ.** აქ ოსმალეთის და რუსეთის პოლიტიკა ერთფეროვანი არიან: ორივენი ქართველი ერის გადაგვარებისაკენ მიილტოდენ.

ხალხის კეთილმა გამოძახილმა მეტად გაამხნევა ჩვენი მოძღვარი. მაგრამ მისი მომავალი ძალიან აფიქრებდა, დღეღამ მის გამორკვევაში იყო. ეს იშვიათი დიდი ბუნების პატრონი, მაღლიდან სჭვრეტდა საქმეს და სცდილობდა მიეცა მისთვის დიდი ხნის გამძლეობა. გადასწყვიტა დაეარსებინა ქართული ძმობა, რომელიც მოუმზადებდა ქვეყანას ახალ პარტიოტულ ძალებს და ფეხზე დააყენებდა მას. რაღა უჭირდა მ. პეტრეს, ეს გეგმა რო გაეხორციელებინა და საკუთარ სამშობლოს მიწა-წყალზე ეწარმოებინა ეს სიკეთე, ქვეყანაც ბუნებრივათ ხელს უწყობდა, მაგრამ მოწინააღმდეგე ბანაკმა კიჟინი დასცა და ამ დიად აზრს, შეჩვენებით შეხვდა. უმაღლესმა უფლებამ, სულიერმა და არა სულიერმა მუქარით უარი უთხრეს.

ამ სამწუხარო პირობებში, ჩვენს მოძღვარს სხვა სხვა გზა არ ჰქონდა: ან უნდა დამორჩილებოდა უმაღლეს ბრძანებას, ანდა სხვა გზა უნდა გამოეძებნა მიზნის მისაღწევათ, რომელიც ერის აუცილებელ მოთხოვნილებას შეადგენდა. ესედაც მოხდა. მ. პეტრეს დიდხანს აღარ უფიქრია. როგორც ზემოთ ვსთქვით, **1859 გადმოლახა არდაანის ქედი და გადმოვიდა ოსმალეთში მწარე წუთები იყო მოძღვრისათვის საყვარელი ქვეყნის და ერის მიტოვება, ცრემლის მოწმენდით გადმოსცილდა სანატრელ სამშობლოს.**

საოცარი ენერგიით სავსე მოძღვარს არაფერი აფერხებდა. მისი ძლიერი მესხის გონება არასფერს ეპუებოდა. სავსე იყო მომავლის იმედით: მალე, თვითონ თუ არა , მისი მოწაფენი გადივლიდენ წ. ნინოს და თორმეტთ მამათა გამოვლილ გზას. თვითონ კი პირადათ იმ ჟამიდან სამშობლოს და ერს მხოლოდ გულით, გონებით და სიყვარულით ეკუთნოდა. მალე **კონსტანტინეპოლს** მოაღწია, მაგრამ ჯერ კიდევ გამორკვეული არა ჰქონდა, სად მოკიდებდა ფეხს საბოლოოთ. ქართველ წმინდა მამათა მაგალითი თვალწინ უდგა. თავისი მხურვალე სულიც მიიზიდავდა წმინდა ადგილებისაკენ. მ. პეტრეს სულს ბუნებითად სწყუროდა მათი ნახვა და კიდეც სისრულეში მოიყვანა; **მხურვალე გულით ემთხვია უფლის წმინდა საფლავს.** მოილოცა წმინდა ადგილები, სასოებით შეავედრა ღმერთს თავისი კეთილი განზრახვა და მისი სისრულეში მოყვანა. თვალით ინახულა ძველი და დიდებული იერუსალიმის ქართული მონასტრები. ნაღვლიანი გულით და მწუხარე სულით უმზერდა იმ უკვდავ მონუმენტებს, რომელნიც აღმართა ქართველი ერის ძლიერმა სარწმუნოებამ, აწ უცხოთა ხელში. ქართველი ერის გონება გაძახოდა გულში, ოდესმე დაიბრუნებს?!

იერუსალიმიდან იტალიაში გადმოვიდა. აქ ორი წელიწადი დაჰყო. რავდენიმე სასარგებლო წიგნიც დაჰბეჭდა. მასთანვე სცდილობდა, როგორმე ფეხი მოეკიდა იმ ქვეყანაში, მაგრამ ბედმა არ გაუღიმა. **კვლავ დაუბრუნდა კონსტანტინეპოლს, ეს უფრო აახლოებდა საქართველოს**. ისტორიით ვიცით, რომ ძველადგანვე დიდი კავშირი ჰქონდა საქართველოს ბიზანტიასთან: ბიზანტიამ გაუგზავნა პირველი მღვდელთა დასი ახლად გაქრისტიანებულ საქართველოს. ხშირათ ჩვენი მეფეწულები ბიზანტიის სასახლეში იწურთნებოდენ, ხშირათ სამეფო ტახტის ნათესაობაც იყო, ეჭვის გარეშეა, საქართველოს სულიერი კავშირი ბიზანტიასთან განუწყვეტელი იყო.

ეს ყოვლისფერი ჩვენს მოძღვარს მეტ სიმხნეს უნერგავდა. მის მოსვლას კონსტანტინეპოლში ერი თუ სამღვდელოება მოწყალე გულით შეხვდა. მალე დიდი სიმპატია მოიპოვა მათში. მისი ღვთიური შეხედულება სიწმინდეს უნერგავდა მნახველს; მ. პეტრე იმდენად თავმდაბალი იყო, რომ არ თაკილობდა მათხოვრობას. ღმერთმაც აკურთხა მისი კეთილი განზრახვა. **მალე ნაჩუქარ მიწაზე პატარა ეკლესია გაიშენა, მას გვერდით მიადგა მცირე საცხოვრებელი ბინა. მოვისმინოთ მისი ნათქვამი:" _"დილით სათხოვრათ გავიდოდი, საღამოთი მუშებს გავუსწორდებოდი".** აი, რა წვალებით ჩვენმა მოძღვარმა მოახერხა საკუთარი ბინის შეძენა, რომელმანც წელში გაშალა. დღეიდან სამოწყალოთ სხვაგან აღარ იდგომებს, მისი პატარა ბინა სასახლეთ მიაჩნდა.

მაგრამ ეს ეკლესია და ბინა, მაინც მის მთავარ მიზანს არ შეადგენდა. ამიერიდან ჩვენი მოძღვარი უფრო ბეჯითად შეუდგა მთავარი გეგმის განხორციელებას. შორს მჭვრეტელ მოძღვარს ახალციხიდანვე თან წამოეყვანა მეტად ნიჭიერი ერთი ბოვშვი. გონიერმა და გულმახვილმა ყმაწვილმა **მალე შეისწავლა ლათინური, ფრანგული და იტალიანური.** ბრწყინვალე გამოცდის შემდეგ, ლათინურს ენაზე, მღვდლადაც აკურთხეს. ეს ახალგაზრდა მესხეთის შვილი, **ალფონს ხითაროვი,** შეიქმნა პირველი მოწაფე და **პირველი მღვდელი მ. პეტრეს ახალი ძმობისა.** ადვილი წარმოსადგენია მოძღვრის სიხარულის ცრემლები. მ. ალფონსმა, ძალღონით და აღტაცებით სავსემ გზა გაუხსნა ახალ მსურველებს, რომელთა რიცხვმა მალე იმატა.

მოხუცს მოძღვარს, რომლის გონება ყოვლისფერს სჭვრეტდა, არ ავიწყდებოდა სამშობლო, განსაკუთრებით წამებული სამცხე და ჯავახეთი. მისი სულიერი პირმშო შვილი მ. ალფონსი საქართველოს მიაშურა. სწორეთ მაშინ იწყებოდა ბათუმის ომი. წარმოსადეგი, ნიჭიერი და უცხო ენებზედ მოსაუბრე მღვდელი მთავრობამ ჯარის პელანათ??? დანიშნა. ეს ახალი თანამდებობა მამულიშვილურათ შეასრულა და მიიღო **ჯილდოთ უდიდესი ორდენი წმინდა ანასი.** აქ მოვიყვან მისი პირადი ნალაპარაკევიდან: „რუსეთიდან მოეყვანათ დრაგონის ტლანქი ცხენები, მთებზე და გორებზე ზარბაზნების ასატანად. იმ ვეებერთელა ცხენებმა ვერ ივარგეს, რადგან არ იყვენ მიჩვეული მთიან ადგილს. ომი გაჩაღებულია, გონება დაბნეულმა კამანდატმა აღარ იცის რა ჰქმნას, ცხენები არ სწევენ. მაშინვე გენერალს ვსთხოვე ადგილობრივი ცხენები გაებათ ზარბაზნებში. ჩვენმა პატარა ცხენებმა საქმეს უშველეს. **კვლავ შევატყე ჩვენს კამანდატს, რო ძალიან ეუცხოვებოდა ჩვენი მთიანი ქვეყანა, როგორც მათ ცხენებს. თურქები კი დიდი ხნით შეჩვეულნი იქაურობას, საშინელ დამარცხებას უმზადებდენ რუსის ჯარს.** მაშინვე მთავარ სარდალს ცნობა მივე, ჩემი ნაჩვენები გზით დეაცნენ თურქებს და ზურგში ტყავი ააძრეს, როგორც ითქმის დაბიურად. აი, რისთვის მომცეს ეს მენდლები."

ამავე ძმობას ეკუთვნოდა **ივანე გვარამაძე** -„**ვინმე მესხი**“, რომლის კალამი კარგად ცნობილია ქართულ პრესაში. დავასახელოთ კიდე **დომინიკე მუღაშევი,** გინა **პაწაძე**???, რედაკტორი **„ჯვარი ვაზისა“,** რომელიც გამოდიოდა თბილისში, პაწაძე ვერაგულად მოჰკლეს ახალშენ სოფელ **სკრაში**; ბათუმის კათოლიკეთა ეკლესიის ამშენებელი, **ანსელმო მღებრიშვილი,** დიდად მოღვაწე ისტორიკოსი **მიხა თამარაშვილი,** რომელსაც დიდი ამაგი მიუძღვის ლიტერატურაში. ამ დაუვიწყარი ადამიანის შრომას, დღეს დაუღალავათ განაგრძობს **მიხა თარხნიშვილი** რომში.

ნორჩი ძმობა დღიდან დღეზე იზრდებოდა ახალი ძალების შემატებით. ამაში ძალიან ხელს უწყობდა: ჯერ ოსმალეთის კაპიტულაცია და მერე **საფრანგეთის ძლიერი მფარველობა.** სიცოცხლით სავსე ძმობა მუშაობის ასპარეზის ძებნას შეუდგა. სამწუხაროთ, გაბატონებულმა რუსეთმა, საკუთარ საქართველოს შვილებს, საქართველოს კარები ჩაუკეტა. ისიც კარგი იყო თუ არა ლეგარული გზით როგორმე შეიპარებოდნენ თითოოროლა... ოსმალეთში, სხვა და სხვა ადგილას, სამუშაო პუნკტები გაიჩინა. **კესარიაში** და **თრაქიაში** ორი მისია მოაწყო: **უსკუდარში** ააგო სამრევლო ეკლესია და სადგური ბინა. **პერაზე, ფაფასკვეპრის უბანში ვაჟებისათვის დაწყებითი სასწავლებელი და მასთან ქართულ ტიპიკონზე მოწყობილი პატარა სალოცავი სტანბოლში მყოფ ქართველთათვის**. სამხრეთ საფრანგეთში **მონთობანში** შეიძინა **საკუთრივ სადგომი ბინა და ეკლესია, სადაც მოაწყო ახალგაზრდა სტუდენტებისათვის ფილოსოფიისა და ღვთისმეტყველების მაღალი კურსი**.

ჩვენი ქართული ძმობა შესამჩნევათ მუშაობდა 1914 წლამდის, ვიდრემდის დატრიალებულიყო თოთხმეტის დიდი ომის კორიანტელი. ამ საშინელს ომს მოჰყვა დიდი პოლიტიკური ცვლილება. ოსმალეთში კაპიტულაციების მოსპობამ თან გადაიყოლია ამდენი წლის ნაშრომ-ნაღვაწი. მეტი რა გაეწყობოდა, საბრალო ძმობა დაემორჩილა თავის მწუხარე ბედსა. მაგრამ ამ ჯერათ უფრო მეტი გაბედულება გამოიჩინა და ახალ ძალებს საქართველოსაკენ უკრა თავი. რუსეთს აღარ ეცალა მათთვის, მას სულ სხვა ახალი და მეტად მძიმე ჭირი აწუხებდა. რევოლუცია სჭექდა და ფაფარ აყრილი ზედ მიიწევდა.

ოქტომბრის რევოლუციამ ბოლო მოუღო ძველ რუსეთს და გაუხსნა გზა თავისუფლებისა დამონებულ ერებს. საქართველოს განთავისუფლებამ და მისმა რუსეთიდამ საქართველოს განთავისუფლებამ და მისმა რუსეთიდამ გამოყოფამ დიდი იმედი მისცა ამ ძმობას თავისუფლათ მუშაობისა. იმედიც ჰქონდა რო ქართული მენშევიკური მთავრობა გულ მხურვალეთ შეხვდებოდა მას და ამ დიდი ხნის მოწადინებული ძმობა თავის მიზანს მიაღწევდა. მთავრობა სიტყვით ყოველ გვარ დახმარებას ჰპირდებოდა, საქმით კი არაფერი ჩანდა. **დამარცხებული მენშევიკები მონასტრის კარებს რო მოადგენ, სინანულს მიეცნენ და გაიძახოდენ:–“რა დაგვიჯდებოდა ამ მონასტრისათვის რო ღირსეული დახმარება გაგვეწია“**-ო.

ლტოლვილობის პირველ ხანამ 1921 წელს ნათლად დაანახა გადმოხვეწილებს, რომ სამშობლოს მოშორება მძიმე რამ იყო. **ვეშაპელის** მეთაურობით, როგორც იცით, მრავალი შეურიგდა საქართველოს ახალ ხელისუფლებას და სამშობლოს დაუბრუნდენ. გემით მიმავლებს დაულოცე უკან დაბრუნება და ვსთხოვე, განსაკუთრებით **პეტრე რუშელის** და სხვა დროს **კოწია სულაქველიძეს** ეცნობებიათ თბილისში მონასტრის მდგომარეობა უცხოეთში, განსაკუთრებით ოსმალეთში, სადაც დიდ ძალი ქართველობაა გადმოსახლებული ძველიდანვე. პეტრე რუშელს არ დავავიწყდებოდით, მაგრამ სამწუხაროთ ყური ვერ მოვკარით მის ხმას.

ეს პირველი შემთხვევაა, ამხანაგო სანდრო, რო შეგხვდით მონასტერში, თქვენს ძვირფას ამხანაგთან, რომლის სახელი, სამწუხაროთ, მთლად გადამავიწყდა. შეგვპირდით რო **კვლა გვინახულებდით და ქართულ წიგნებსაც მოგვიტანდით.** ამის მოლოდინში გავიგეთ, რო საქართველოში წასულხართ. ამან უფრო გამახარა, რადგან ჩვენს ხმას უფრო ადვილათ გაიგებს თბილისი თქვენი უნარით.

გიგზავნი ამ მოკლე ცნობას, რომელიც მოგითხოვია და სრულ იმედს გამოვსთქვამ, რომ **თბილისი ჩვენს მდგომარეობაში შევა და ჯეროვან ყურადღებას მოგვაქცევთ ჩვენ, ვართ უცხო ქვეყანაში უპატრონოთ დარჩენილნი. ჩვენ ვართ განწირული ერისთვის და სამშობლოსთვის. ნიკოლოზმა სახლის კარი გადაგვირაზა, მენშევიკებმა ბამბით ყურები დაიცეს, ნუთუ საბჭოთა მთავრობაც დაგვივიწყებს!...** გაბედულათ მოვითხოვ იმ უფლების აღდგენას და პატრონობას, რომელიც მეკუთნის წესიერათ.

კონსტანტინეპოლის ქართული მონასტერი იყო, არის და იქნება ქართული სულის მატარებელი თავშესაფარი ყოველა ლტოლვილი და გაჭირვებული ქართველისა, მიუხედავად მისი რწმენისა და პოლიტიკური შეხედულებისა. იგი ფხიზელი დამცველი და დარაჯია ქართული ინტერესებისა. სასურველი იქნება ღირსეულად შეფასდეს მისი ღვაწლი და ეს პატარა საქართველო უცხოეთში დაცული და შენახული იქმნეს.

მიიღეთ, ამხანაგო სანდრო, ჩვენი უღრმესი პატივისცემა და წინასწარი დიდი მადლობა.
კონსტანტინეპოლი
28-4-1949.

ემიგრაციაში მყოფი საქართველოს მთავრობის ხელმძღვანელი პირების (ნოე ჟორდანიას, გენერალური კონსულის, ლტოლვილთა კომიტეტის თავმჯდომარის, ა. ალიხანოვის, ჰ. სურგულაძის, საქართვეოლოს მთავრობის წარმომადგენლის კ. გვარჯალაძის) მიმართვის ბარათები მონასტრის წინამძღვრის მამა პიო ბალიძისადმი; გენ. გ. კვინიტაძის ბრძანება

CONSULAT GENERAL
DE LA
REPUBLIQUE GEORGIENNE
A CONSTANTINOPOLE
Le 5 მაისი 1921 წ.
№2557

უმაკო ჩასახების ქართველ კათოლიკეთა ძმობის მონასტრის წინამძღვარს მამაპიო ბალიძეს.

პასუხათ თქვენი წერილისა, 4 მაისის თარიღით გაცნობებთ, რომ დღესვე გავუგზავნე ბ-ნ **მიხეილ არსენიძეს** განკარგულება, რათა ჩვენი მონასტერი სრულებით განთავისუფლებული იქნას ქართველ ლტოლვილთაგან.

სიტყვებით ვერ გამომითქვამს ის აღშფოთება, რომელსაც იწვევს ჩემში იმ ლტოლვილთა საზიზღარი საქციელი, რომელიც ჩირქსა სცხებს არა მარტო პირადად მათ, არამედ ყველას, ჩვენ, როგორც ქართველებს და აგრეთვე, მონასტერსაც. სრულებით არა მსურს, რომ ორიოდ გათახსირებულ ქართველთათვის, რომელთაც ვერ შეუგნიათ ვერც თავის და მით უმეტეს ვერც სამშობლოს მდგომარეობა, წაიბილწოს ის ადგილი-სავანე, რომელიც **თავიდანვე წმინდა-ადგილად ითვლებოდა საქართველოდან დევნილ პოლიტიკურ მოღვაწეთათვის, რადგანაც ის ადგილი იყო მათი თავშესაფარი და ის ადგილი იყო საქართველოს თავისუფლების იდეის მატარებელი მაშინაც კი, როდესაც დათვურ რუსეთით დაპყრობილ საქართველოში, ამის გახსენებაც არ შეიძლებოდა.**

თუ ჩემი განკარგულება მონასტრის დაცლის შესახებ შესრულებული არ იქნება კვირას 9 მაისამდე, მაშინ იძულებული გავხდები უკიდურესსა და არასასურველ ზომებს მივმართო და ამიტომ გთხოვთ თქვენც, ბატონო პიო, მაცნობოთ შედეგები.

უდიდეს ბოდიშს ვიხდი თქვენსა და ძმობის წინაშე, რომ ჩემ პატივისცემის სურვილი-სათვის ამოდენა უსიამოვნება და წვალება მოგევლინათ, უმორჩილესადა გთხოვთ, მაპატიოთ, ისეთივე გულკეთილობით, როგორც მუდამ გჩვევიათ და მიგულოთ ისევე მუდმივ თქვენს მეგობრად და ერთგულ მოსამსახურედ როგორც აქამდე.

უღრმესი გრძნობით და უდიდესი მეგობრული სალამით.

გენ. კონსული- ხელწერა არ იკითხება.

ლტოლვილთა დამხმარე კომიტეტი
22 ივნისი 1921 წ.
№ 239
ქ. კონსტანტინოპოლი.

მონსატერში მცხოვრებ ლტოლვილთა კომენდანტს ბ-ნ ალიხანიშვილს.

ქართველ მონასტრის გამგეობამ მიმართა ლტოლვილთა კომიტეტს, რომ იქნეს დაცლილი დიდი ოთახი და გადაცემული მათ საჭიროებისათვის, გაცნობებთ რა ამას, გთხოვთ მიიღოთ ზომები, რომ ორი დღის განმავლობაში იქნეს დაცლილი და გადაცემული მონასტრის გამგეობაზე. ამასთანავე, გიგზავნით სიას იმ პირთა, რომლებიც არიან მთავრობის ხარჯზე სახელმძღვანელოდ.

ლტოლვლთა კომიტეტის თავმჯდომარე: ხელწერა არ იკითხება.
ლტოლვილთა კომიტეტის წევრი: ხელწერა არ იკითხება.

მიმართვის ტექსტი დამოწმებულია ბეჭდით - „ საქართველოს რესპუბლიკის მისსია კონსტანტინოპოლში“.

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა.

ქართველი ლტოლვილები, რომელნიც ამა მონასტრის შენობაში და ეზო მიდამოს ფარგლებში სცხოვრობენ, ყველანი თანასწორად ვალდებულნი არიან, დაიცვან შემდეგი ადგილობრივი წესები:

პირველი მონასტერში თავისუფლად შემოსვლა-გასვლა სწარმოებსდილის ექვსი საათიდან საღამოს ათი საათის ნახევრამდე.

მეორე ღამის ათის ნახევრიდან დილის ექვს საათამდე მონასტერში შემოსვლა და გასვლა აკრძალულია.

მესამე დაამთავრეთ ყოველგვარი მუშაობა და სჯა-ბაასი, ვინაიდგან საღამოს ათი საათის ნახევრიდან დილის ექვს საათამდე კიბეებზე ასვლა-ჩასვლა, ერთი ოთახიდან მეორეში მიმოსვლა და ხმამაღლა ლაპარაკი სასტიკათ აკრძალულია.

მეოთხე სასტიკათ აკრძალულია მონასტერში და მის ფარგლებში დათრობა, ან გარედან მთვრალის შემოსვლა.

მეხუთე სასტიკათ აკრძალულია მონასტერში და მისი მიდამოს ფარგლებში ფულზედ ნარდისა და კარტის თამაში.

მეექვსე მონასტრის მაღლა სართულებში უცხო ადამიანთა აყვანა ანუ ღამის გათევინება მონასტრის გამგეობის ნება დაურთველად აკრძალულია.

შენიშვნა: უცხო პირთა მიღება სათათბიროდ შეიძლება მონატრის დაბლა სასტუმრო ოთახში.

მეშვიდე დაიცევით უმაღლესი სისუფთავე საწოლ ოთახებში, დერეფნებში, პირის საბანებში, კიბეებზედ და სხვა.

შენიშვნა: ზემო აღნიშნულ ადგილებში სასტიკათ აკრძალულია ქაღალდების, ასანთების, და პაპიროსების ნამწვავების დაყრა.

იმედია, ყველა მოქალაქე მტკიცეთ დაიცავთ ზნეობრივ დისციპლინას .

კონსულისა და მონასტრის გამგეობის მონდობილობით: ვ. ალიხანოვი.

თიბათვე, 1921 წ.

1921 წ. მკათათვის 21.

კათოლიკე ქართველთა სავანის

წ ი ნ ა მ ძ ღ ვ ა რ ს

ქ. კონსტანტინეპოლში

დიდად პატივცემულო მამაო.

საქართველოს პოლიტიკურმა უბედურებამ ბევრი ქართული ოჯახი აიძულა გადმოხვეწილიყო ოსმალეთში. თქვენ კარგად მოგეხსენებათ, თუ რა უმწეო მდგომარეობაში ჩაცვივდნენ გადმოსახლებულნი, განსაკუთრებით ოჯახის პატრონები. მათთვის ძნელ გახდა თავის თავის გამოკვება, ხოლო ბავშვთა სკოლაში აღზრდა, რომელიც საგრძნობელ ხარჯებს მოითხოვს, სრულიად შეუძლებელია მათთვის. ამისთვის, ყველა ქართულ დაწესებულებათა მოვალეობაა არ დასტოვოს უპატრონოდ გადმოხვეწილთა ოჯახები და განსაკუთრებით მოზარდი თაობა.

ჩვენ კარგად ვიცით **ქართველთა სავანის თავდადება სამშობლოსათვის,** ისიც ვიცით, რომ **ქართველთა სავანე მუდამ ზრუნავდა ახალგაზდობის აღზდისათვის** და თუ ეს სქმე დღემდის ფართოდ ვერ დააყენა, მხოლოდ უსახსრობის გამო. ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ დღესაც, რამდენადაც სავანეს ძალა შესწევს, გადმოხვეწილთა ბავშვებს ზრუნვას არ მოაკლებს და მათი წესიერი აღზრდისათვის შრომას არ დაზოგავს. რა საკვირველია, ყველა ქართული დაწესებულებანი და საზოგადოდ, ქართველები ამ საქმეს დახმარებას გაუწევენ თავიანთ მხრივ.

განსაკუთრებით ყურადღების ღირსია დღევანდელი გაჭირვება. თუ ვინიცობაა დღეს შევძელით და ქ. კონსტანტინეპოლში შევქმენით ქართული სკოლა, სრული ევროპიული აღზრდით სამშობლო ნიადაგზე, **ამით ჩვენ დავიმსახურებთ მთელი ქართველი ერის თანაგრძნობას და ყურადღებას**, საფუძველს ჩავუყრით ქართველთა ახალგაზრდობის წესიერ აღზრდას, სამერმისოდ საშუალებას მივცემთ ქართველობას თავიანთი შვილები ამ სკოლას მიაბარონ. დარწმუნებულნი, რომ ქართველთა სავანე წინანდებურად არ დაიზარებს ქართველთა დახმარებას, რომ ქართველი ახალთაობის აღზრდა შეადგენს ერთს უდიდესს მის დანიშნულებათაგანს,

პასუხის მოლოდინში დავშთებით თქვენი ღრმად პატივისმცემელნი
კონსტანტინეპოლში მცხოვრებ ქართველთა მონდობილობით

პეტრე სურგულაძე

LE REPRESENTANT DIPLOMATIQUE
DU GOUVERNEMENT
DE LA
REPUBLIQUE GEORGIENNE
A CONSTANTINOPLE
Le 12 აგვისტო 1921წ
№143.

კონსტანტინეპოლში არსებულ უმანკო ჩასახების მონასტრის ქართველ კათოლიკეთა ძმობის წინამძღვარს ბ-ნ პიო ბალიძეს.

საქართველოს რესპუბლიკის მთავრობა უდიდესათ აფასებს იმ ღვაწლსა, რომელიც თქვენ დასდევით ქართველ ლტოლვილთა მოვლა-პატრონობის საქმეში, ამიტომ ის უდიდეს მადლობას გიძღვნის თქვენ და თქვენთან ერთად მთელ ძმობას.

ამასთანავე, გაახლებთ ორას ოსმალურ ლირას, ამ მცირეოდენ წვლილს მონასტრისათვის შემოწირულობათ.

კ. გვარჯალაძე

საქართველოს რესპუბლიკის დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში.

პარიზი, 7-ოქტომბერი 1921 წელი.

დიდად პატივცემულო მამაო პიო,

მთავრობამ მოისმინა მოხსენება იმ უანგარო და ძმურ დახმარების გამო, რომელიც თქვენმა მონასტერმა აღმოუჩინა სამშობლოდან ლტოლვილ ჩვენს ემიგრანტებს ოსმალეთში, და დაარდგინა უღრმესი მადლობა გამოგეცხადოსთ თქვენ და თქვენს თანამშრომელთ, მთავრობის სახელით, კიდევ გადაიდოს დამატებით მცირე წვლილი 200-(ორასი) ოსმ. ლირა ჩვენი შევიწროებული კასიდან მონასტრის ძმათა საჭიროებისათვის.

ვუბრძანე რა ჩვენს წარმომადგენელს სტამბოლში აღნიშნული დადგენილების სისრულეში მოყვანა, ვიმედოვნებთ, რომ **განახლებული ჩვენი სამშობლო თქვენს სამსახურს არ დაივიწყებს**.

მიიღეთ ჩემი ღრმა პატივისცემა
ნ. ჟორდანია

მამა პიო ბალიძეს
წინამძღვარს სტამბოლის ფერიქოის უმანკო
ჩასახების მონასტრის ქართველ კათოლიკეთა ძმობისას
სტამბოლი.

მიმართვის ტექსტი დამოწმებულია ნოე ჟორდანიას მთავრობის ბეჭდით, რომელსაც აწერია ფრანგულად „ LEGATION de GEORGIE en FRANCE”.

კონსტანტინეპოლი, 1921 წლის, ოქტომბრის 20-ს.

მამა პიო ბალიძეს
უმანკო ჩასახების კათოლიკეთა ძმობის წინამძღვარი.

სიამოვნებით გაახლებთ საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის თავჯდომარის ნ. ჟორდანიას წერილს და დარწმუნებული ვარ, რომ ამ წერილში აღნიშნული დახმარება 200 ლირის სახით უკვე გადმოგცათ ბ-ნ **მომარაგების მინისტრმა გ. ერაძემ.**

პატივისცემით
საქართველოს მთავრობის წარმომადგენელი **კ. გვარჯალაძე.**

ბრძანება საქართველოს რესპუბლიკის ჯარების უფროსისა

ყველამ იცის, რომ ჩვენს სამშობლოს სჭირია ფული. ეხლა, როცა ჩვენ დავიწყეთ საკუთარი ცხოვრება, ეს საჭიროება მეტად გამწვავდა. ჩვენ უნდა დავეხმაროთ ჩვენს სამშობლოს და შევუმსუბუქოთ ფინანსთა სამინისტროს მუშაობა. მივმართავ სამხედრო სამსახურში მყოფ ყველა ოფიცრებს, მოხელეებს და ჯარის კაცებს, რომლებიც იმყოფებიან საქართველოს რესპუბ-ლიკის ჯარებში: ფინანსთა სამინისტროს სჭირია ოქრო. ჩვენ კი ის გვაქვს; **ეს – ჩვენი ორდე-ნებია, რომლბიც ჩვენ დავიმსახურეთ ომის დროს.**

ასეთ მძიმე სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ოფიცრებმა პირველად უნდა ამოიღონ ხმა ამის შესახებ. დეე, **თვითეულმა ჩვენგანმა გაიღოს თავისი ორდენები სახელმწიფო ფონდის შესაქმნელად. ჩვენ სამშობლოსათვის არ ვზოგავდით არც ჯანმრთელობას, არც სიცოცხლეს;** ბევრი სამუდამოდ დასახიჩრებული ვართ, ბევრმა შესწირა თავი სამშობლოს. ჩვენ, სამხედრო სამსახურში მყოფ ოფიცრებმა, მოხელეებმა და ჯარის კაცებმა პირველად დავდევით თავი სამ-შობლოს კეთილდღეობისათვის და ნუ თუ ეხლა, ასეთ მძიმე დროს არ გავიღებთ კიდევ მსხვერპლს ჩვენი სახელმწიფოს ასაყვავებლად.

დარწმუნებული ვარ, ჩემი მოწოდება იპოვის იმ პირთა გამონაძახს, რომელთაც უყვართ აღორძინების გზაზე დამდგარი საქართველო. რასაკვირველია, ყველასათვის ძვირფასია შრო-მით და სისხლით მოპოვებული ორდენები, მით უფრო, რომ ეს არის სამსახურის, ომიანობის სამახსოვრო ნიშნები, არის სამშობლოს სამსახურის კეთილსინდისიერათ ასრულებისა, მაგრამ **სამშობლოს სიყვარულმა უნდა ჩააქროს ყველა სხვა გრძნობები** და მე მწამს, რომ ჩემი მოწოდება არ დარჩება ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა.

დღეს მე უკვე ჩავაბარე ყველა ორდენები, მიღებული როგორც იაპონიის ომის დროს, ისე ამ ომში. დავიტოვე მხოლოდ წმ. გიორგის მე-4 ხარისხის ჯვარი.

გენ.-მაიორი კვინიტაძე.

ბრძანების ტექსტი დაიბეჭდა მონასტრის სტამბაში დაბეჭდილ „ქართულ გაზეთში“, იხ. N5, 1918 წელი. ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

კონსტანტინეპოლში, მონთოზანსა და ვენეციაში გამოქვეყნებული ქართული წიგნები

1. საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის ,კოსტანდინე-პოლს, **ანთუან გვიზალიანის** სტამბაში. 1877 წ. 2 ც.

2. წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თავს შორის სხვა და სხვა რჩეულთ და ფრიად სახმართა ლოცვათა. ქართული ერის მოუბართა რომის კათოლიკეთათვის, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში 1877 წ. 1169 ც.;

3. ახალი ჯვარის გზის ლოცვა გარდმოღებული იტალიანურიდგან ქართულს ენაზედ მ.ს.ი. მიერ. დიდ-მარხვაშიდ პარასკეობით ეკლესიებშიდ წასაკითხადა, კონსტანდინეპოლს, ანთუან გვიზალიანის სტამბაში. 1886 წ. 349 ც;

4. მოკლე ფრანციული გრამატიკა, კოსტანდინეპოლი, ანტუან გვიზალიანის სტამბა. 1881 წ. 126 ც;

5. დოღმატიკური ღვთის მეტყველება, შედგენილი **იაკობ პეროქი მაქსულიენსის** ეპისკო-პოზისაგან მოწაფეთათვის ჩინეთის სუნთქვენისის მაზრაში მყოფი სემენარიისა თვისისათვის. გამოძიებული ჰრომში 1822 და დასტამბული ლათინურად პარეჟში, 1861, რომლისაგან აწ ქართულად ითარგმნა და დაისტამბა კოსნტანდინეპოლს, ანტუან გვიზალიანის სტამბაში. 1883 წ. 88 ც’

6. ყვავილების კონა ანუ რჩეული ლექსები სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. დალექსილი სხვა და სხვა დროს უფალი მ.ი.იმ.გ. კოსტანდინე-პოლს ანთუან გვიზალიანის სტამბაში, 1878 წ. 153 ც;

7. თან-სატარებელი ლოცვის წიგნი რომელი იპყრობს თვს შორის საყოველდღივო და სხვა და სხვა მშვენიერს ლოცვებსა. საქართველოს რომის კათოლიკეთათვის კოსტანდინეპოლს, ანთუაზ გვზალიანის სტამბაში, 1877 წ. 284 ც;

8. განმარტება რომელთამე მთავართა ნაწილთა კათეხიზისათა, სასარგებლოდ ჰრომის კათოლიკე ჭაბუკთა, ამოღებული პელარმინეს კათეხიზისაგან, დაბეჭდილია კონსტანტინე-პოლში (მაგრამ სატიტულო ფურცელი დაკარგულია), 51 ც;

9. გზა ცხოვრებისა, შედგენილი ნედარედისა ალფონსო ლიგორისაგან, გინა განზრახვანი, საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა სახმარნი მღვდელთათვის საქადაგებლად და ერის კაცთათვს საკითხავადდა ფიქრის ლოცვის შესასრულებლად, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვიზალიანის სტამბაში, 1978 წ. 446 ც;

10. მოკლე ფილოსოფია გინა სიბრძნის მოყვარება რომელი შეიცამს თავისში ფსიხოლო-ღიას, ლოღიკას, ბუნებით ღვთის მეტყველებას (თეოდისე) და ზნეობას (მორალ) მაღალ სწავ-ლაში შესასვლელ ყმაწვილ კაცთათვის, კოსტანტინეპოლს, ანთუან გვიზალიანის სტამბაში, 1880 წ. 298 ც;

11. მოკლე ევხო-ლო-ჯიო-გინა პარვასიენი სახმარად სასულიერო სემინარიის მოწაფეთა და ლოცვის მოყვარე ერის კაცთა, გამოცემული კათოლიკე მონაზონთაგან უმანკო ჩასახებისა-თა, კოსტანტინეპოლსა, ანტუან გვიზალიანის სტამბა,1884 წ. 428 ც;

12. საქრისტიანო მოძღვრება საქართველოს რომის კათოლიკე ყრმათათვის კონსტანდინე-პოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1877 წ. 343 ც;

13. პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ანბანითურთ საქართველოს რომის კათოლიკე გლახაკთ ყრმათათვის მუქთათ დასარიგებლად, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1876 წ. 198 ც;

14. წმიდასა და დიდსა კვირიაკესა პასექისასა ლიტანიასა ზედა ცისკრად (დაბეჭდილია სტამბულის ქართველთა სავანეში, მაგრამ წელი მითითებული არაა) 136 ც;

15. საღმრთო მსახურება (დაბეჭდილია სტამბოლის ქართველთა სავანეში, მაგრამ წელი თითითებული არაა. 2 ც);

16. კარი ლათინური გრამატიკისა, კოსტანტინეპოლი, ანტუან გვიზალიანის სტამბა, 1882 წ. 356 ც;

17. მოკლე რეტორიკა გინა მჭევრ-მეტყველება სასარგებლოდ ახალგაზრდა ყმაწვილ კაცთა. კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1879 წ. 174 ც;

18. წინამძღვარი ზეცისა გინა ყოველი წოდების სახმარად სულიერი დარიგებანი კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1876 წ. 426 ც;

19. პატარა საქრისტიანო მოძღვრება ქართული ენის მცოდნე კათოლიკე ყრმათათვის შემოკრეფილი სხვა და სხვა საქრისტიანო მოძღვრების წიგნთაგან, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1886 წ. 1044 ც;

20. პეტრესა და პავლესა და ყოველთა წმინდათა და შენ მამაო რათა, ილოცო ჩემთვის უფლისა ღვთის მიმართ ჩემისა. ამინ! კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, (წელი მითითებული არ არის) 804 ც;

21. გზა ცხოვრებისაი ანუ განზრახვანი საუკუნო ჭეშმარიტებათა ზედა, სახმარნი მღვდელთათვის საქადაკებლად და ერის კაცთათვს საკითხავად და ფიქრის ლოცვის შესასრულებლად, შედგენილი წმინდისა ალფონსო ლიგუორისაგან, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში,1878 წ. 129 ც;

22. წალკოტი ლოცვათა, რომელი შეიცავს თვის შორის სხვა და სხვა რჩეულთა და ფრიად სახმართა ლოცვათა. ქართული ენის მოუბართა რომის კათოლიკეთათვის, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1877 წ. 989 ც;

23. ბრძენი კაცი ანუ რომელიმე ძველი ფილოსოფოზის მიერ გარდმოცემულნი მშვენიერნი სწავლანი სიბრძნესა ზნეობასა ზედა ბედნიერად გატარებისათვის ცხოვრებისა ქვეყანასა ზედა, კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის წიგნთ საბეჭდავსა შინა, 1878 წ. 605 ც;

24. მოკლე ფრანციული გრამატიკა კონსტანტინე პოლს, ანტუან გვიზალიანის სტამბა, 1881 წ. 111 ც;

25. გვირგვინი წამებულთა წმინდა ესტატი ანუ ლექსად ნათქვამი ცხოვრება წმინდისა ესტადისა; პოეზია, მზა მუხლი, დალექსილი უ.ი. მ.გ. კონსტანტინეპოლს, ანთუან გვაზალიანის სტამბაში, 1879 წ. 84 ც;

მონთობანში გამოქვეყნებული ქართული წიგნები:

1. ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის, მონთობანს ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877 წელი. 298 ცალი;

2. მოკლე საყოვლიერო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა, რომელი მოსთხრობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მრთელს კაცობრიობასა შინა დასაბამადგან სოფლისა,

ვიდრე დღევანდლამდე. განყოფილების ექვს ნაწილად, სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონთობანს ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877 წელი. 8 ცალი;

3. მოკლე ხელ-სამძღვანი ფრანგული ენის სწავლისთვის ანუ **ფრანგულ-ქართული მეტო-დური ლექსიკონი**, და სხვა საგნებზედ საჭირო უბნობანი. ენრიკო ფაბრის სტამბაში,1880 წელი,1054 ცალი;

4. მოკლე მსოფლიო ისტორია ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლითგან-ვიდრე დღევანდლადმდე. განყოფილი შვიდ ნაწილად და სიადვილისათვის სკოლის ყრმათა განწილული ხუთ წიგნად. პირველი წიგნი, რომელიც შეიცავს საღმრთო ისტორიას ძველისა და ახლის აღთქმისა;

5. მოკლე მსოფლიო ისტორია, ძველთა და ახალთა ნათესავთა დასაბამიდგან სოფლისა ვიდრე დღევანდლადმდე, განყოფილი შვიდ წიგნად. მეორე წიგნი, რომელიც შეიცავს ისტორიასა ძველთა ნათესავთა, ეგვიპტელთა, ასურთა, და სხ. მონთობანი, **ენრიკო ფაბრის სტამბა,** 1877 წ. 274 ცალი;

6. **სიბრძნე კაცობრივი**, რომელი ასწავლის კაცს ჭკუვას რიგიან ხმარებასა, სრულ კაცს გახ-დის და მისწევს სიმდიდრესა, შემკობილი ცხოველი მაგალითებით და ფილოსოფოსების სიტყვებითა, მონთობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში,1877 წ. 546 ცალი;

7. მოკლე საყოვლიერო ისტორია ძვ.(ძველთა) და ახალთა ნათესავთა. რომელი მოსთხ-რობს უმთავრესთა საქმეთა მოხდენილთა მრთელს კაცობრიობასა შინა დასაბამითგან სოფ-ლისა ვდრე დღევანდლამდე, განყოფილი ექვს ნაწილად. სასოფლო სკოლების ყრმათათვის, მონთობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877 წ. 817 ცალი;

8. მოკლე გეოგრაფია ფიზიკებრივი მოქალაქებრივი და ისტორიებრივი სასოფლო სკოლე-ბისათვის. მონთობანს ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877 წ. 280 ც;

9. მოკლე ქართული გრამატიკა სასოფლო სკოლებისათვის. მონთობანს ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1877 წ. 746 ცალი;

10. კანონი საქართველოს ყრმათათვის მ.უ.ჩ. მიერ. დიდად დაშლილია სახლიდგან გარეთ გატანა. ქ. მონთობანს, ენრიკო ფაბრის სტამბაში, 1898 წ. 112 ც.

ვენეციაში (ვენეტიკს) გამოქვეყნებული
ქართული წიგნები:

1. ისტორა გინა მოთხრობა სამღრთო წერილისა ძველისა და ახლის აღთქმათა, შემოკლებული უფლისა იოვანე არხიმანდრიტი ზუჰრაბიანისა მიერ, კონსტანდინეპოლელისა, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა, ვენეტიკს, წიგნთ საბეჭდავსა შინა წმინდისა ლაზარეს მონასტრისასა, 1858 წელი, 40 ცალი;

2. შემოკლებული შესხმა ყოვლად წმინდისა ღუთის მშობელი ქალწული მარიამისა, მხურვალე ლოცვებითა და გალობებითურთ. გამოცემული ქართულს ენასა ზედა ვენეტიკს, წიგნთ საბეჭდავსა წმინდისა ლაზარესი, 1860 წელი, 217 ცალი;

3. იგავნი იეზებოს ფილოსოფოზისანი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ენასა ზედა სასარგებლოდ ივერიისა, განყოფილი ორს ტომად, ტომი ა, ვენეტიკს წიგნთ საბეჭდავისა შინა წმინდისა ლაზარესი, 1959 წელი, 106 ცალი;

4. წმინდანების ცხოვრება, აღმორჩევით შემოკრებილი უფალი ლუკა არხიმანდრიტისაგან ინჯიჯიანისა, მონაზონებრივის რიგისაგანისგან მხითარიანთი, თარგმნილი და გამოცემული ქართულს ხმასა ზედა ვენეტიკს, წიგნთ საბეჭდავსა შინა წმიდისა ლაზარეს მონასტრისასა, 1859 წელი; 67 ცალი;

5. შემოკლებული სწავლა ყოვლად-საჭირო უწინარეს ყოველთა სწავლათა, აღბეჭდილი წარსაგებელითა კეთილშობილი იაკობ ივანიჩ უფალი **ზუბალოვის მეუღლისა ანნასი,** სასარგებლოდ ყრმათა, ვენეციასა წიგნთა საბეჭდავსა შინა წმიდისა ლაზარისა, 1860 წელი, 2 ცალი.

კონგრეგაციონის სტატისტიკა/სია

ნათლობის სახელი	მონაზონის სახელი	დაბადების წელი
1. ელისაბედ სიმონათი	სორ-სესილ	1841.3 მაისი
2. მარი სიმონათი	სორ-მექქილდ	12.XI, 1861
3. კატრინ გოზალოვ	სორ-ფილომენ	18.VI,1858
4. ჰელენ გოზალოვი	სორ-აგათ	——
5. მადლენ მაქანდაროვ	სორ-მადლენ	14 XI,1862
6. კატერინ ბალახოვ	სორ-მარი	20. XI, 1854
7. ნატალი ეგზანოვ	სორ-ანნა	12 IX,1860
8. ანნა ბეჟანოვ	სორ-ელისაბედ	23. X,1865
9. სალომე ბეჟანოვ	სორ-ტერეზ	28.IV, 1867
10. სოფი ქარიშარიანთი	სორ-სქოლასტიქ	1. I,1866
11. ელისაბედ პარმაქსიზოვ	სორ-ნინა	6. IV,1864
12. როზა მიქითარიან	სორ-მართა	5.VIII, 1839
13. ფილომენ ფასქალი	სორ-ჟოზეფინ	12. IV,1847
14. ბარბარე ოჰანიან	სორ-ვირაჟინიპ	12. IV,1847
15. ქატრინ მალვენოვი	სორ-ანჟელ	——
16. ანიეს ვაქუდიროვ	სორ-*ლუსი	——
17. ქრისტინ ჩილინგაროვ	სორ-როზ	24. VI.1674
18. ოჟენი პარმაქსიზოვ	სორ-არიეთ	16. V, 1876
19. აგათ მალვინოვ	სორ-ქატრინ	1.III,1871
20.ოჟენი გიორგოვ	სორ-ელენ	21. VI, 1874
21.ანასთასი ნასყიდოვ	სორ-ანჟელ	13. III,1877
22.მარი-ლუის ლიქარდი (მოსწავლე)	ორენჯი (მორჩილი-მოსწავლე)	4. II,1883
23. ანა პარმაქსიზოვ	სორ ლუის	2. X,1880
24.სიუზენ ოცხელი (ოცხელი)	სორ-ანთუანეთ	5. XI, 1881
25.ოჟენი ქუშიგაროვ	სორ-თეკლე	1. XI, 1880
26.ნინა ქუშიგაროვ	სორ-ანა	9. V,1882
27.ტერეზ მერაბ	სორ-ვიქტორიენ	1. I, 1881
28.აგათ გოზალოვ	სორ-ოგუსთინ	17. V,1881
29.რიფსიმე თელიათი	სორ-მარგარით	10. X,1880
30.ლიზა პარმაქსიზოვ	სორ-სქოლასტიქ	15. I, 1886
31.ნათალი პარმაქსიზოვ	ორენჯი (მორჩილი-მოსწავლე)	12. VI, 1887
32. როზა ტატალოვ		3. V, 1887
33.ნინა ტატალოვ		14. III, 1888

34.მარი ჩილინგაროვ	სორ ქრისტინ	5. III, 1883
35.ანნა თუმანოვ		27. VIII, 1891
36.ელის შუბერტ		17. V, 1879
37.ფილომენ გურგენოვ		2. VII, 1889
38.ელისაბედ სარიქონოვ	სორათ აგათ	8. VI,1833
39.ელის ფადენოვ		2. II, 1885
40.მადლენ მალვენოვ		16. VI, 1885
41.ფილომენ ჩილინგაროვ		18. VII, 1896

N37 პარისი, 2 ენკენისთვისა 1885

ყდ მოწყალეო ბატონო ღირსო აბბატო!

ჩვენ პარისში მყოფი ქართველი მასწავლებლები დიდს მადლობას გიძღვნით იმ მხურვალე მოწყალებისთვის, რომელიც თქვენ მიიღეთ ჩვენის ქართულის ბიბლიოთეკის დაარსებაში.

ამ დღეებში მივიღეთ მეორედ თქვენგან გამოგზავნილი წიგნების მაკეტი. დარწმუნებული ბრძანდებოდეთ, რომ თქვენი 21 წიგნი თვალსაჩინო ადგილს დაიჭერს ჩვენს ბიბლიოთეკაში.

იმ იმედით აღჭურვილნი, რომ კვლავაც არ დაგვივიწყებთ, დავშთებით თქვენხ ღრმად პატივისმცემელნი და მადლობელნი.

პარისელი ქართველი მასწავლებლები

QARTULI BIBLIOTEKA
2 ENKEN 1885 PARISS.

მივიღეთ ეს წერილი 11 სეკტემბერსა 1885.

გაუმარჯოს

ჩვენს მეგობარს პეტრეს!

გუშინ პატივით მიგვიღო კათოლიკე ქართველთა საბეჭდავმა. ამ ფრიად კეთილმა თავა-ზიანობამ დაგვავიწყა იმდენი ვაი-ვაგლახი, რაც თბილისიდან სტამბოლამდინ განვიცადეთ. ყველანი უსინდისოთ მოგვეპყრნენ. მაგრამ აქაურმა საბაჟომ კი გაგვიასკეცა ტანჯვა. ვიდრემდის დაგვისმენია, იმედია, ბატონო პეტრე, შენც შესაფერ მასალას მოგვაწოდებ და აქ უსაქმობით არ დავბერდებით. უსინდისობა იქნება ჩვენი მოცდენა. გვხედავ სამშობლო ქვეყნიდან რა თავ-განწირვით გადმოვიხვეწეთ! აწ მოუთმენლად ვუცდით შრომას. ძმური სალამი ჟენევის ქართულ ასოებს.

სტამბოლის ქართული ასოები.

9 აპრილს 1914

სტამბოლი.

ქართველ მამათა სავანე
უმანკო ჩასახებისა მ ო წ ო დ ე ბ ა
_____ ბ-ნ _____
ფერი-ქვევი
____
„____“ _____1922 წ.
სტამბოლი
N დამშვეულ საქართველოდან
თავშესაფრის მოსაწყობათ
ნიჭიერი მოწაფეები
ხელს გვიწვდიან!

დამანაღვლებელ ამბებს ვღებულობთ ქართველ მოწაფეების ცხოვრებიდან: შესამჩნევი ნაწილი მოზარდი თაობისა სიმშილის ბრჭყალებში იტანჯება!.. ზოგი სასწავლებელს თავს ანებებს, სხვები კი–სწავლის წყურვილით გატაცებულნი–კიდევ დაიარებიან, მაგრამ სიმშილით გამოფიტული მათი ტვინი ვეღარაფერს ითვისებს...

ესრეთ, ორგვარი სიმშილი იმუქრება, ერთი მეორეზე უსაშინელესი! უნებლიეთ გული აგიტირდება, როდესაც პატარა უმანკო არსება პურს თხოულობს და არავინ არის, ნატეხი მიაწოდოს... მაგრამ, თქვენ რას იგრძნობთ, როდესაც ხედავთ: **ნიჭიერი ბავშვი** უჭმელათ მიდის სასწავლებელში, სადაც ამაოთ ცდილობს, ახალი რამ ცნება შეითვისოს, და სახლში დაბრუნებულს დედა მისი ან ვერაფერს უხვედრებს ან მხოლოდ რავდენსამე ცალს მოხარშულ კარტოფილს?

ამის გამათვალისწინებელ რომელ ქართველს ჩაუვა ლუკმა ყელში? ეს ისეთი შემაძრწუნებელი ტრაგედიაა, რომ ვერც ერთი მამულიშვილი ვერ დადგება გულხელდაკრეფილი...

„რათაც უნდა დაგვიჯდეს, ვსცადოთ, დავიხსნათ ნიჭიერი ქართველი მოწაფე“, დაადგინა სტამბოლის ქართველ მამათა ძმობამ, დაადგინა და ზომებს ღებულობს დასახულ მიზნის მისაღწევად. ეს კი, თავდადებულ მუშაობის გარდა, დიდ ხარჯებსაც თხოულობს. რომელ საუნჯეს მივმართოთ? უცხოელები ყოველნაირ დახმარებას გვპირდებიან, თუ კი ჩვენთავათ დავიწყებთ საქმეს და კალაპოტში ჩაყენებულ დაწესებულებას დავანახებთ.

ამით დაიმედებულებმა, თამამათ გადავწყვიტეთ ქართული ფულით ჩაგვეყარა საფუძველი. როგორც ინიციატორი საქმისა, წვლილის გამოღებაშიც ჩვენი „ძმობა“ მისცემს მაგალითს: მთელი წლის განმავლობაში უფრო დამჭირნეობით იცხოვრებს რათა მოიჭარბოს 1000 თათრული ლირა, რომელიც ამ სამამულიშვილო საქმისთვის გადასდო.

მტკიცეთა გვწამს, ქართველური სიქველე თვალსაჩინო სიუხვეს გამოიჩენს ამ საქმეში და ერთხელ კიდევ ღირსეულათ აასრულებს უკვდავ რუსთაველის ანდერძს:

„უხვად გასცემდი...“
რადგან „რასაცა გასცემ შენია,
რაც არა დაკარგულია“ო.

ქველმოქმედთა სახელები და რაოდენობა მათი შემოწირულობისა აღიბეჭდება „ოქროს ფურცელზე“, რომელიც ქართული ხელოვნების ნიმუშებით დახატული, ჩამოიკიდება „ძმობის“ საკრებულო დარბაზში.

თავის მშობლიურ სარკმლებსა და წნულებში, „ოქროს ფურცელი“ სამი დარგის ქველმოქ-მედებს ჩაიწნავს:

შუაში, საპატიო ადგილი იმათ დაეთმობათ, ვინც ამ საქმეს უძღვნიან არა ნაკლებ 500 ლირისა.

მარჯვნივ ჩაიწერებიან შემომწირველნი არა ნაკლებ 100 ლირისა.

მარცხნივ-კი მოთავსდებიან გამომღებნი არა ნაკლებ 25 ლირისა.

ორნაირათ დამშვეული ქართველი ბავშვები იმედოვნებენ, რომ სამივე დარგი გაივსობა გულუხვი ქართველების სახელებითა.

სავანის გამგეობა.

შემოწირულობა

დამშეულ მოწაფეთა თავშესაფარისთვის

შემოწირულობის რაოდენობა .....

{ შემოიტანა მთლათ.....

ნაწილი.....

დანარჩენს შემოიტანს .....

სახელი და გვარი შემომწირველის

„_____ “_____1922 წ.

შემოწირულობა დამშეულ მოწაფეთა თავშესაფარისათვის 1922 წ.

1. ა. ხოშტარია – 500 ლირა
2. ალ.ჯაყელი – 500 ლირა.
3. კოტე ჯაყელი – 100 ლირა.
4. ან. გრიგოლია–25 ლირა.
5. ალ. მასხარაშვილი – 25 ლირა.
6. ივერიეთ მიქელაძე – 25 ლირა
7. გერმან მგალობლიშვილი – 50 ლირა.
8. გ. ბერიძე – 100 ლირა
9. ლ. მამულაიშვილი – 265 ლირა.
10. ვ. ალიბეგოვი – 10 ლირა.
11. შალვა ქარუმიძე–25 ლირა.
12. ნ. ჯაყელი – 25 ლირა.
13. დადიანი – 25 ლირა.

სტამბოლში საქართველოს დამოუკიდებლობის წლისთავის დღესასწაული

(საქართ. დეპ. სააგ.)

სტამბოლი, მაისის 27. (დაგვიანებითაა მიღებული) მაისის 26, საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადების დღეს, აქაურმა ქართველობამ „უმანკო ჩასახების“ სავანეს ძმობის მეთაურობით, ზეიმით იდღესასწაულა საქართველოს დამოუკიდებლობის წლის თავი. ახალშენი მთავრობას უსურვებს ხანგრძლივ და ნაყოფიერ მუშაობას და მზადაა თავი შესწიროს ამ დამოუკიდებლობის მტკიცედ დაცვას.

საქართველოს რესპუბლიკა, 1919 წ. N161.

წმინდა ნინოს დღესასწაული სტამბოლში

წმ. ნინოს დღესასწაულის დღეს ფერიქოიში ლურდის ღვთისმშობლის ეკლესიაში გადახდილ იქნა პარაკლისი. პარაკლისზე დაესწრნენ საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში **ბ-ნი რცხილაძე** და საქართველოს კონსული **გოგოლიშვილი.**

(მოკავშირეთა მისიების ცნობა)

საქართველო, N 17, 24 იანვარი, 1920 წ.

ბ) სტამბულის ქართველ კათოლიკეთა სავანეში შემონახული სასულიერო და საერო პოეზიის ნიმუშები

ანდრია სიმონათი (წინამძღვრიშვილი)
ვედრება მამულისათვის

დღეს შეგავედრებ ჩემსა სამშობლოს,
შენ გარდმოხედე, მამავ ძლიერო,
შენ დააფუძნე ძმათა მშვიდობა,
ნიჭი შთაბერე, გულის ხმიერო!
ცხოვრების წყარო გარდმოგვივლინე,
ძალი მხნეობის მოგვეც, ციურო,
ბნელს უფსკრულიდამ ამოგვიყვანე,
ბრმად სვლა გვაშორე, გულ-ლმობიერო!
სნეულებისგან შეწუხებულნი
შენვე განკურნე, ყოვლად ძლიერო,
წყლულებისაგან თავისუფალნი
რომ გიგალობდნენ შენ, სახიერო!
აღარ ვჰკნესოდეთ უღონოებით
ძალი მხნეობის მოგვეც, ძლიერო,
თავის უფალნი და მხიარულნი
გიღაღადებდეთ, მეფევ ციერო!
ოხ! დიდო ღმერთო! არა მხოლოდ მე
დაგვიწყებივარ ამა სოფელში;
განა ვერ ვხედავ: მრავალთ სიამე
არ შემთხვევიათ ამოებაში.
მაგრამ იმედი ტკბილათ მაცხოვრებს,
მეც მალე ვიყო საამო ლხინში;
როცა მეუფე ზეცას მიმიწევს
და კუთხეს მომცემს სასუფეველში.

ხალხური, წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობელი

მონასტრის არქივში დაცულ ხელნაწერებს შორის საყურადღებოა **წმიდა მარიამ ღვთისმშობლის საგალობლები.** ისინი შექმნილია მონასტერში მოღვაწე მღვდელ-მონაზონთა მიერ. მხატვრულობით გამოირჩევა **სტეფანე გიორგიძის, ანდრია წინამძღვრიშვილის** და **შალვა ვარდიძის** მიერ შეთხზული საგალობლები. ერთი მნიშვნელოვანი საგალობელი კი ახალციხიდანაა ჩატანილი. ეს საგალობელი XIX საუკუნის ბოლოს ქალაქ ახალციხეში 95 წლის **სფირიდონ ხმალაძისაგან** ჩაუწერია ახალციხელ **ანდრია გრილაძეს.** იგი მალე ახალციხიდან გა-და-სახლებულა სტამბოლში.

გრილაძეების ოჯახი სტამბოლელ ქართველთა შორის გამორჩეული იყო ეროვნული სულისკვეთებით. მათ ქართული გვარის შენარჩუნება დიდხანს შესძლეს. ამ გვარის მატარებელი იყო ცნობილი ექიმი გრილაძე, რომლის ბინას ამშვენებდა წარწერა: „Doktor Griladze“. 16 მილიონიან ქალაქ სტამბოლში ორი ქართული გვარი ცოცხლობდა მხოლოდ–„გრილაძე“ და „ზაზაძე“; ორი ახალციხელი ქართველის საცხოვრებელ სახლს ამშვენებდა მხოლოდ ქართული გვარსახელი – გრილაძე და ზაზაძე. თხუთმეტი წლის უკან გარდაიცვალა ექიმი გრილაძე და გაქრა ეს გვარსახელი სტამბოლში, რადგან ამ ექიმის შვილი ავსტრალიაში გადასახლდა საცხოვრებლად. დღემდე მხოლოდ ერთი ქართული გვარსახელი–**ზაზაძე** შერჩა სტამბოლის ერთ ცენტრალურ ქუჩაზე მდგარ სახლს. ღმერთმა ამრავლოს ზაზაძეების გვარი!

მე-19 საუკუნის ბოლოს ახალციხელ მოხუცს სფირიდონ ხმალაძეს მასთან საგალობლის ჩასაწერად მოსული ანდრია გრილაძისათვის უთქვამს: „ოსმალობის დროსაო ამ ლექსს ვხმარობდით ლოცვასავითაო; წარმოვსთქვამდით საერო სიმღერების ხმაზედაო; თავყრილობებზედ, ქორწილებშიდაც ვგალობდით, რადგან მართლმადიდებლებს საეკლესიო ლოცვების ცხადლივ წარმოთქმა გვეკრძალებოდაო. ამ საგალობელს მესხი ქრისტიანიცა და მუსულმანიც მხურვალე გულით ერთად ვგალობდით და ეს საგალობელი–დედა მარიამის სიყვარული გვაერთიანებდაო... ეს საგალობელი ჩვენი წინაპრებიდამ მოდის, 200-250 წლისა მაინც იქნებაო“.

ქართველ კათოლიკეთა სტამბოლის ეკლესია-მონასტრის მღვდელს შალვა ვარდიძეს ეს საგალობელი გადაუწერია ანდრია გრილაძისაგან და შეუნახავს მონასტრის არქივში. მკითხველს ვთავაზობთ წმ. მარია ღვთისმშობლის სრულ ტექსტს, რომელიც დაცულია სტამბოლის ქართული სავანის არქივში.

„ამოსული ხარ ყვავილად, წმიდაო ყოვლის სოფლისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...
გაბრიელის ხარებითა მოგევლინა ძალი ღვთისა,
იესო ქრისტეს დედა ხარ, ქალი ზეციურ მამისა;
ემანუელ შენგნით იშვა, მიზეზი ჩვენი დახსნისა,
ვარდი ხარ აყვავებული, მოსაწონარი უფლისა...
ზიხარ მუდამ შენს ძესთანა, მეოხე ცოდვილებისა;
ჰასრათი ვარ მე ცოდვილი, მუდამ შენი წყალობისა,
თვალი შენი ჩვენზედ იყოს, შიში არა გვქონდეს მტრისა,
ისიმ ძუძუ დაილოცოს, რომ აწუა ქრისტეს პირსა...
კურთხეული ხარ, მარიამ, დედოფალი ხარ ზეცისა,

ლამაზი ხარ, მშვენიერი, საკვირველო სამოთხისა.
მარიამ მიმადლებულო, სიტყვა გაქვს ანგელოზისა,
ნეტარი ხარ, მარიამ, მუდამ ყოვლისა გვარისა,
დედუფალი ხარ, დედაო, იმედო ჩვენის ხვალისა...
ისმინე ვედრება ჩვენი, ქალწულო ჩვენი გულისა...
მწარე ცრემლები იხილე სამშობლო დაკარგულისა...
ორნი გზანი მიგვაჩნია, ნუ გვარგუნებ მწარე დღესა,
ბილწსა ეშმაკსა ნუ მიგვცემ, შეგვავედრე მაცხოვარსა,
ჩვენაც გულით ვიგალობებთ დიდი დედის სახსოვარსა...
ჟამი ისიმ დაილოცვის, რომ შეიქმნენ დედა ღვთისა,
მოგვეც ძალი და შეწევნა ქართულ ენით ლექსის თქმისა...
რასა ღირს ვარ, რომ შენ გაქო, თუკი შენ არ მომცემ შნოსა,
შენი მადლით ამ ზამთარმა ვერ მოგვკლას, ვერ დაგვზაროსა...
სანთელი ხარ ანთებული, გამნათებელი ბნელისა,
ტურფა რამე ფრინველი ხარ, მიმგზავსებული მტრედისა.
უშენოდ არ შემიძლია ხილვა წმიდა სამოთხისა,
ბაღჩა ხარ აყვავებული, ელვარება ზურმუხთ ქვისა...
ქვეყნისა ანგელოზი ხარ, ვარსკვლავი ხარ ცისკარისა.
ღრუბელი ხარ უმძიმარი, წვიმა შვიდი მაისისა,
სილამაზე ხარ მზიანი აისის და დაისისა...
ისმინე ჩემი ვედრება, ერთგულ უფლისა მონისა,
სინათლის სხივი გვაჩუქე, ისმინე ქვეყნის გლოვისა...
ცამ, ქვეყანამ გაიხარა, იესო ქრისტეს შობისა,
ძე ღვთისა ქვეყნად მობრძანდა, დახსნად ადამის ტომისა;
დილ-დილით ლოცვებს გავედრებთ მესხეთის ფეხზე დგომისა,
მოგვეც ძალი და შეწევნა სურვილი ერთად ყოფნისა...
მიეც სინათლე, დედაო, მიწას გულგაუყოფელსა,
წყალობის კალთა გვაფინე, მშვიდობა მიეც სოფელსა,
დედის წყალობა სინათლეს დაჩაგრულ გულებს მოჰფენსა...
მარიამ, ტკბილო დედაო, სხივო ღვთიურ ნათელისა,
შენა ხარ ჩვენი ნუგეში მუსლიმანი ქართველისაც,
მესხეთის გულის ყვავილო, ტაოსი და კლარჯეთისაც,
თვალის ჩინი ხარ, დედაო, ფოცხოვის და ჩილდირისაც...
სილამაზე ხარ უჭკნობი ცისკრისა და ჩვილ დილისა.
უფლის დედა ხარ ნეტარი, ვინ არი შენი სადარი,
მარიამ, ჩვენი დედაც ხარ, მშობელი დედის ბადალი,
ჩვენი გალობაც ისმინე, მხურვალე ლოცვის სადარი...
სამოთხის ია შენა ხარ, არვინ არი შენი მსგავსი,
გულიდამ შემოგვაძარცვე ცოდვისა და ბოღმის ხავსი...
ხე ცხოვრებისა იწოდე, ხანი გაქვს უკვდავებისა,

მადლობას გწირავთ გულისა, შენზედ გალობა გვეღირსა...
მხურვალე გული მოგვეცი, მხურვალე ვიყოთ ლოცვისა;
გვაღირსე, დიდო დედაო, მადლი მეორედ მოსვლისა;
შენს სადიდებლად მოგვეცი, ნიჭი ჭეშმარიტ მგოსნისა...
ჰასრათობა ამისრულე, ქალწულო ჩვენი გულისა,
ისმინე ჩვენი ვედრება სამშობლო დაკარგულისა!
დედის უბეში გვამყოფე, ხელი გვაშორე მტერისა...
ისმინე, დიდო დედაო, ვედრება ჩვენი ერისა...
გვამყოფნე გამგრძელებელი მამა-პაპათა წესისა,
ჰოი, რა ტკბილი დედა ხარ, შენი დიდება გვეღირსა“...

სტამბოლის ქართული სავანე ას წელზე მეტი ხნის მანძილზე, მართლაც, იყო ქრისტიანი და მუსლიმანი ქართველების ძმობის კერა, მათი ერთიანობის საყდარი, ეროვნული სულისკვეთების სამშობლო. ვინ მოსთვლის, რამდენჯერ ერთად წარმოუთქვამთ ამ საგალობლის სტრიქონები **ქრისტიან და მაჰმადიან ქართველებს** და სამშობლოს სიყვარულით გაუთბიათ მონასტრის ცივი კედლები.

დაბეჭდილია წიგნში: შუშანა ფუტკარაძე, სტამბოლის ქართული სავანე, თბილისი, 2012, გვ. 3-32.

ხელნაწერის ტექსტი დაცულია სავანის არქივში.

პატრი სტეფანე გიორგიძე

8 დეკემბერს 1913 წ. უმანკო ჩასახებათ ქალწული მარიამისა: ლექსი ქებისა.

1. როგორ ვიღო, ხელთ კალამი,
და ვიძლო მით, ქება შენი;
სადაც ანგელოზთ, ცისათა,
ვერ ძალ-უძსთ, გამოთქმა მისი.

2. შენ ხარ ჭეშმარიტი ევა,
დაცემულისა, ამდგენი;
პირველმან, გველსა უსმინა,
ხოლო შენ, შემუსრე იგი.

3. შენ ხარ დედა, მარად წმიდა,
უბიწობითა, მოსილო;
ღირს იქმენ შენ, დედად ღვთისა,
განგვიღე ჩვენ, ზეცის კარი.

4. თუმც მოხველ ქვეყნად შემდეგშიდ,
იქმენ უპირველ, ყველასი;
გამჩენსა, სახეშიდ ჰყავდი,
მოსასვლელის, დროისათვის.

5. ჯერეთ არ იყო, ქვეყანა,
არცა ზეცას, ანგელოსნი;
მაგრამ შენ, მარად, იყავი,
საუკუნიდგან, რჩეული.

6. შენ შეგამკო, ყოვლად შემძლემ,
მადლითა სული-წმიდისა;
აღგავსო, სათნოებითა,
გულ უმეტეს, ანგელოზთა.

7. განკვირვებითა, გხედავენ,
გუნდნი, ზეციერთა დასნი;
რომ შენში, ცხადათ ჰხედავენ,
მყოფს, დედად ღვთისა სიტყვისა.

8. აძლევენ დიდებას, ღმერთსა,
შენს ესრედს, დიდებაზედა;
რომ ქვეყნიერთ, გაჩენილშიდ,
გყო დედად, თვისი სიტყვისა.

9. ვინა! რომ შენ ღირსად გაქოს,
ვერც ანგელოზთ, ძალ-უძსთ ესა;
ჩვენ ცოდვილნი, უსუსურნი,
როგორ ვიძლებთ შენს ქებასა.

10. შენ ხარ ნამდვილ დედათ-დედა.
შემწყალე შენს, შვილობილათ;
დედავ უბიწო, გვისმინე,
ეშმაკთაგან, განგვარინე.

11. შენის აწმყობით, განჰქრება,
მტერი ჩვენისა, სულისა;
ვეღარ იძლებს, ჩვენს შეცდომას,
ვერც ჩვენი, სულის დაკარგვას.

12. გაიხსენე, დედავ, წმიდავ,
რომ იქმენ შენ, დედად ჩვენდა;
მაცხოვარმან, შენ მოგანდო,
მორწმუნენი, ჯვარიდგანა.

13. შენ ზეცას ხარ, დიდებითა,
უმაღლეს ხარ, ანგელოზთანი;
ცხრა დასნი, ანგელოზიანი,
გაძლევენ შენ, დიდებასა.

14. რაც მადლი მოდის, ქვეყანათა,
წარმოვალს, შენის ხელითა;
ძემან შენმან, შენ მოგანდო,
საუნჯე ზეცის, მადლისა.

15. შენ ღირს-იჩინე, მოხედვად,
გამხნევად, მორწმუნეთასა;
ლურდშიდ, ყრმასა ბერნადეტსა,
ეჩვენე, ზეცის ნათლითა.

16. ყმაწვილმან, რომ ვერ გაგიცნო,
იძია, შენი სახელი;
მიიღო შენგან, პასუხად,
ვარ უმანკო ჩასახება.

17. ამ წყალობის, ღირს, ჩვენც გვყავი,
ჩვენ ქართველთა, ფერიქოვნი;
რომ, მრავალის, სასწაულით,
დაგვიმტკიცე, სიყვარული.

18. აწ დედაო, მოწყალეო,
იქმენ, მარად, ჩვენდა მწეთა;
შენს წილშიდ, მხვედრნი ქართველნი,
შეუერთე ტახტს პეტრესა.

19. რომ ყველამ ერთათ, ვადიდოთ,
მარად, ძე შენი, ღვთიული;
რომ, შენის, მეოხებითა,
გავხდეთ ღირსნი, ხილვად მისი. ამინ.

ყოვლად უმცირესი მონა: უმანკოდ ჩასახებული, დედის ღვთისა: პატრი სტეფანე გიორგიძე.

მ.ს. შალვა ვარდიძე

წმიდა ნინოს

I

ნინო წმიდაო, ამ შენს დღეობას
გაქებთ, გადიდებთ ივერის ძენი;
შენი ნაღვაწის საღვთო მოძღვრებას
მარად იგონებს გონება ჩვენი.

გიხმობთ ქართველნი, მოგვხედენ ზეცით,
კვალად მოგვაგე სწავლა დიადი;
როგოც წარსულში აწ გაგვიბრწყინე
გზა ცხოვრებისა გვიძს რა წყვდიადი.

ხანი დაგვიდგა შავი და ძნელი...
დავიქსაქსენით, ვართ დაყრდომილნი;
დავკარგეთ ბინა–ჩვენი მამული–,
თავისუფლების დრონიცა ტკბილნი.

მოსავთა შენთა ტანჯვა-ვაების
აწ რაკი გესმის ხანგრძლივი ზარი,
გვექმენ დამცველად, გვაშორე მტერი,
ჩვენი ცრემლ-სისხლით გაუმაძღარი.

ძველებრ კვლავ მოდი ქადაგად ჩვენში,
გარე-მოცული გაჰფანტე ბნელი;
დღეს სხვა არმაზის, კერპის ბოროტის.
შენგნით შემუსვრა არ არის ძნელი.

II

ნინო წმიდაო. ამ შენს დღეობას,
შენდა აღვავლენთ ლოცვას ცრემლოვანს;
იმედი სრული შენზედ დაგვიძის,
გვრწამს, განგვიახლებ ბედსა ნათლოვანს.

მარად რა შენი წმინდა ხსენება
სევდას გვიფანტავს, გვაძლევს სიხარულს;
აწ დღეს მოსავნი გაქებთ, გადიდებთ,
მოგიძღვნით ჩვენსა ხოტბას, სიყვარულს.

ნუ დაგვიშურე, რასაც გთხოვთ გრძნობით:
ქართველი ერი აღდგეს, განცხოვლდეს;
შენი მოძღვრების და განათლების
წარსული დიდი კვლავ განუახლდეს.

ვიდრე ივერი სოფლად ჰგიებდეს,
ვიდრე ცხოვრობდეს ერთი ქართველი,
შენი მადლითვე უვიწყარ იყოს
შენი დიდება, შენი სახელი!

ნინო წმინდაო, უცხოეთს მყოფნი
ვიდრე შეგვკრებდე შენს ტაძარს შინა,
მანამდის მწირნი, შენნი მოსავნი
ცრემლსა დავაფრქვევთ შენს ხატის წინა!

14 იანვარი 1951 წ. ლიბანის მთა.
გადაწერილია სავანეში დაცულ „წერილების წიგნში“.

სტეფანე გიორგიძე

შესხმა პირველ-მოწამე წმიდა სტეფანესი. 26 დეკემბერს 1913 წელს

1. წმიდაო ღვთის მოყვარეო,
ქრისტესთვის სისხლის დამღვრელო;
დიაკვანო ღირსეულო,
გვირგვინო წამებულთაო (როგორც პირველი წამებული, ეკლესია ქრისტესი).

2. არ შეიშინე სენადრთა (სანატი ისრაელთა, ძველის სჯულისა).
აღიარე ქრისტე ღმერთად;
არ იძევ აქ დიდებასა,
მიეშურვი ზეციერსა.

3. სავსევ სულითა წმიდისა,
ეჩვენე ხალხს ანგელოზათ;
სანედრენი შენ გიმზერდნენ,
რეცა ზეცის ანგელოზსა.

4. ვერვინ გიჭერიდა სიტყვებსა,
ზეციდან მონიჭებულსა;
გაბრაზებით ურიანი
იხრ ჭენდნენ შენზედ კბილებსა.

5. სთქვეს, ეს კაცი მოვიშოროთ,
შეურაცხ-ჰყოფს, სჯულსა ჩვენსა;
ქვებითაცა, ჩავაქვაოთ,
მოვსპოთ იგი ქვეყნიდგანა.

6. აქ სავლე ჯერეთ ურია,
მოსისხლე ქრისტიანეთა;
აქეზებს შენზედ ურიებს,
რომ ჩაგაქვაონ ქვებითა.

7. გაგიტაცეს ქალაქს გარეთ,
დახმარებითა სავლესა;
იქ შენზედ ქვები დაჰკრიფეს,
მიგიყვანეს სიკვდილს წამსა.

8. აქ შენ მათთვისა ილოცე,
მიტევებად ბრალთა მათთა;

სავლე, პავლეთა აქციე,
ჰყავ მოციქულად ქრისტესა.

9. ქვებსა შენ ტკბილათა ჰგრძნოდი,
როგორც თაიგულთ ვარდთასა;
სისხლსა შენსა, ნებით ჰღვრიდი,
სიყვარულისთვის ქრისტესა.

10. ამ დროს განგეხვნა შენ ცანი,
დაინახე ძე კაცისა;
ზეცის დიდებით მოსილი,
მჯდომარე მარჯვნივ მამისა.

11. წმიდაო პირველ-მოწამევ,
ილოცე ჩვენ ცოდვილთასა;
უფროს მეტათა მათთათვის,
ვინც ტვირთულობს, შენს სახელსა.

12. გაგვამხნევე წამებაშიდ;
დაგვამტკიცე, რწმუნებაშიდ;
რომ მარადის მზათა ვიყოთ,
დაღვრად სისხლისა, ქრისტესთვის.

13. შენ იშვენებ დიდებასა,
სამარადისო ნათლია;
თავსა გადგია გვირგვინი,
ხელთ პალმა, გამარჯვებისა...

14. გევედრებით, წმიდავ ღვთისა,
იმეოხო, ჩვენთვისაცა;
რომ ჩვენც ერთ დღეს, ღირსნი გავხდეთ,
შენთან ამხანაკობისა.

15. რომ ყველამ ერთათ, ვადიდოთ
მამა, ძე, და სული-წმიდა;
და მარიამ, ღვთის-მშობელი,
მარად და საუკუნეთა. ამინ.

უღირსი მონა უფლისა: პატრი სტეფანე გიორგიძე.
26 დეკემბერს, 1913 წ. ფერიქოვს

სიტყვა თქმული ლექსად კონსტანტინეპოლის კათოლიკე მონასტერში იასე რაჭველისაგან ახალ წელს 1889-ს

„შეიყვარე მოყვასი შენი,
ვითარცა თავი თვისი“

I.

დიდ-არს უფალი, დიდ-არს ეს სიტყვა
რის აღსრულებაც ვალად გვძევს ჩვენა;
კაცობრიობას აძევს ვალი,
რაც თვით უფალმა ცხადად გვაჩვენა.
თვითონვე ბრძანებს, ვერ გაცხონებსთო
მარტო იძახოთ, ღმერთი უფალი,
არამედ საქმე საჭიროებსო,
რომ აღასრულოთ თქვენი თქვენ ვალი,
–
მაგრამ ამ წმინდა მოვალეობას
კარგათ დავფიქრდეთ, რა აქვს საზღვარი,
თუ რომ სამშობლოს კეთილდღეობას
არ აღეგება წმინდა ტაძარი.
–
მისი გულისთვის მისმა შობილმან
არ უნდა ზოგოს თავის სიცოცხლე.
იმ რიგი შვილი ნუ ჰგშოს მშობელმან,
ვინც ეს სიწმინდე გულს არ იახლე.
–
თუმც რომ კაცს მისი დედა სამშობლო
პირველი დედად გულს არ დებია,
იმას ეს წმიდა უფლის ბრძანება,
ვფიცავ, სრულებით დავიწყებია.
–
დღეს ჩვენ გვეღირსა ახალი წელი
რამაც ჩვენ უნდა დაგვაიმედოს,
სამშობლოს, ცეცხლი იგი დამწველი,
ჩვენც გულში ალად უნდა მოგვედოს.
–მე ვთხოვ მეუფეს გულ-მოდგინებით,
მრავალს დაგასწროსთ ახალსა წელსა,
მისი წყალობით და განჩინებით,
რომ გამარჯვოდეს ჩვენს წინამძღოლსა.

II

უფალმა მისი უხვი წყალობა,
დღეს მოგვანიჭა ყველას ერთობით,
მთელი ეს ჩვენი პატარა კრება,
ვდღესასწაულობთ ურთიერთობით.

–

დღემდის ჩვენ ყველა ღმერთმა დაგვფარა,
აწცვე იმედად იგივე გვივის;
ყველასა გვმართებს ვევედროთ, თვარა
რომ გავარისხოთ, ვინღა მოგვივლის.

–

ღვთის ვედრებასთან საქმეც გვჭირია,
საქმესთან ხომ მის სიყვარულიცა.
მტკიცე მცნებაა, ყველას გვჭირია,
ამას გვიმტკიცებს ჯვარზე ცმულიცა.

–

თუ რომ ერთმანეთს ჩვენ შევიძულებთ,
ჩანს, რომ ღვთის მცნება დაგვირღვევია,
ძმას თუ ვერ ვჰყვარობთ, რჯულს არ ვასრულებთ,
მერწმუნე, ღმერთიც არ გვწამებია.

–

არ დაივიწყოთ, რომ ეს ყოველი,
ჩემს გულს წინ გიშლისთ ლმობიერებით.
გულის სიწმინდე ჩემი ცხოველი
სამშობლოს ტირის ცხარი ცრემლებით.

–

ვეცადოთ, ძმანო, რომ მივემსგავსოთ,
კაცსა, სახლისა ქვაზე დადმდგმელსა,
გთხოვთ, ძმანო, ყველას, რომ ლოცვა
უძღვანათ
მწირსა ობოლსა ამის დამწერსა.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში. დაბეჭდილია ჟურნალში „კვალი“ (იხ. N38–1894 წელი).

ერმილო ბერა

(რომელიღაც ლექსის ნაწყვეტი; ეხება ემიგრაციაში მყოფ საქართველოს მთავრობის ზოგიერთ წარმომადგენელს)

***

ხელში თოფით მოდარაჯეს ძალაცგვქონდა ერთობ დიდი,
კაცის სიკვდილს შევხაროდით მით დავიდგით გზა და ხიდი,
საგინებელ, სალანძღავად არსით გვქონდა არვის რიდი,
ტყვიისათვის სულ ერთია, ბრძენი იყოს, თუ გინდ ფლიდი.
ხალხი ერთობ გავანათლეთ, უწოდეთ მას პლორეტარი,
კერძო საკუთრების პატრონს, ვათქმევინეთ მყის უვარი,
მიუსიეთ ერთმანეთსა ცოტას მქონე და მდიდარი,
ცეცხლს და მახვილს მივენდევით, სვინდისს მივუშვირეთ ფარი.
გადვიყვანეთ ჩვენს მხარეზე ზოგი ძალით, ზოგი ნებით,
ხელთ ჩავიგდეთ ეს ქვეყანა, აზრზე ამცდარ ხალხის კრებით,
დავიპყარით არე მარე, თვით მპყრობელად შევიქენით,
ენა- პირი ვერ გამოთქვამს, უტაქტიკოდ რაც რომ ვქენით.
ნაცვლად ბაჟის და ხარკისა, დავაწესეთ წრისა ფული ,
არ მოგვცემდა, რა გზა ჰქონდათ, უქრებოდათ შიშით სული,
ურჩისათვის გამოვჭედეთ ქალაქ სოფლად ბორკილები,
ასის თავებს ჩავაბარეთ ჩვენ წინ მუხლ ქედ მოხრილები.
ხელთ ჩავიგდეთ რკინის გზები, ხაზინა და ნავთის მილი,
ყველგან ფეხი მოვიკიდეთ, ყველა იყო ჩვენი წილი,
სადაც იყო რკინის გზებში ვაგონები დატვირთული,
ჩვენს სიაში ჩავიწერეთ, ჩვენი იყო ღმერთი, რჯული.
მფლობელობა შევიტანეთ ხმელეთიდგან შუა ზღვაში,
სარგებლობა იქაც გვქონდა, ნეტარება ვპოვეთ მასში,
ქაღალდის ფულს არა ვკარით, ვეძიებდით ოქროს მეტად,
ბევრიც კი მოვიპოვეთ ჯიბეებში ჩასახვეტად.
ვაჭრებს ბედი ვაწყევლინეთ, მღვდლებსაც მიუსიეთ მრევლი,
გადავჩეხეთ მთა და ბარი, ტყე ვაქციეთ როგორც ველი,
თავადსა და აზნაურსა გაუჩინეთ ფილოქსერა,
ღმერთი, რჯული ვაწყევლინეთ, წაუხდინეთ პირჯვრის წერა.
სადაც წამოვეწეოდით , მიდიოდნენ ცოცხლად ვერა,
ზოგი ძალით შევიპყარით, აუტეხეთ გულის ძგერა;
მოხუცები დავადუმეთ, ბალღებს ამოუბით ენა,
თოფხანჯალი ჩავაბარეთ , შეულახეთ ნიჭი, რწმენა ,
სკოლის კარიმ დაუკეტეთ, იწყეს ქუჩა- ქუჩა მღერა.
მიდიოდნენ ქალაქ გარეთ, საქეიფოთ ყველა ვერა,

მიჰყვეს ყაჩაღობას ხელი,იკითხევით თუ არ გჯერა.
დაერივნენ პედაგოგებს, აუშალეს ზაფრის მღერა.
ბოლოს აღარც ეს ვიკმარეთ,ჩაგვივარდა ხელში ფული,
აოხრებულ ქართველთათვის **ხარბინელთა შეწირული.**
საით გაქრა,, ვინ წაიღო,, საკითხია ერთობ რთული.
და მე მართალს მოგახსენებთ, გინდ მაფიცოთ ღმერთი, რჯული,
დამიჯერეთ მას ჟამს შინა, მართალს ჯობდა ყველგან ტყვილი.
და **ესდევთა** მრავალ გმირმა მას შესწირა მსხვერპლად სული,
შეაყოლეს საზღვარ გარეთ, გაიჯერეს ამით გული.
ქართველთათვის შემოწირულს გაჰკრეს მაგრა კლანჭი, კბილი,
მოიარეს საფრანგეთი, ავსტრია და იტალია,
რაც დარბეულთ აქ დააკლეს, სადღეგრძელოთ იქ დალია.
ეხლა მესმის რომ ლაყბობენ, ვართ ყველანი მართალნიო,
მაგრამ სცდებით ამხანაკნო, სიყალბით ხართ დამთვრალნიო.
ტყვილის თქმისთვის არ ვწითლდებით, შუბლზე გვაკრავს რკინის რვალი,
ესრეთია **ესდევთ** რწმენა, ესრეთია **ესდევთ** გვარი.
ერთად ურევთ ტყვილს და მართალს, ესრეთი გვაქვს იდეალი,
და ჩვენ ყველას თვითოეულს სჯულად გვაძევს ესე ვალი.
არ დავზოგეთ ქვეყანაზე ჩვენი ქვეყნის მოღვაწენი,
და იმდენი ჩვენ ვიცოცხლოთ, რამდენს დაუბნელეთ დღენი.
ხელთ გვიპყრია ათ მცნებათა ყველა ჩვენგანს კაპიტალი,
და მის ძალით აღარ ვარჩევთ,ვინ მტყვანია, ვინ მართალი.
და ჩვენც მისთა მიმდევრებთა ხანჯალს გავიკარით ხელი,
რა თქმა უნდა გვიხაროდა, დრო რომ გვედგა სანატრელი.
ამ ნაირად გავათრიეთ სანეტარო ორი წელი,
მაგრამ ბოლოს უკუღმართათ ჟამი დადგა ერთობ ცხელი.
დაგვიარსდა სადღაც დუმა. გავაგზავნეთ დეპუტატი,
ისიდორე ივანიკა და **ბიკენტი ჭიჭი ფრანტი**.
ნოეც იქა ბრძანდებოდა და **სერგია** ადვოკატი,
აქ რომ ენას აბრტყელებდნენ , იქ გამოდგა ყველა ბატი.
მეორეჯერ ბედი ვსცადეთ, ავირჩიეთ დელიყანლი,
მაგრამ სამწუხაროდ ჩემდა, შეაგლიჯეს გულზე ბანტი.
მესამეჯერ ბედი ვსცადეთ, გადავჰკიდეთ მარქსის ხატი,
ჭკუას ძალა დაატანეს, ჩვენს მოძღვრებას გაჰკრეს კვანტი.
თურმე ტყვილა არა თქმულა- აღმართს ხნავსო მეტი ძალა,
რაც რომ გვსურდა კულაკისტებს, ვმალეთ და არ დაიმალა.

ეს ლექსი არის თქმული და დაწრილი ერმილო ბერას
1913 მაისსსტამბოლი.
ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართველთა სავანის არქივში.

გ) ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

ვლადიმერ ღამბაშიძე

მ. მიხეილ თამარაშვილი

2 ენკენისთვეს იტალიაში ზღვისპირად, საბანაო ადგილს, რომელსაც ეწოდება **სანტამარინელლა,** დამხრჩვალა ჩვენი ცნობილი მოღვაწე. მიხეილ თამარაშვილი. რომის გაზეთებში დაწვრილებით აღწერილია ეს ამბავი. მ. თამარაშვილი და ერთი მისი მეგობარი მღვდელი ზღვის პირად ყოფილან. ზღვაში ვიღაც მუშა იხრჩობოდა და შველას ითხოვდა. ჯერ კიდევ მამა მიხეილის მეგობარი შევარდნილა ზღვაში იმ კაცის მისაშველებლად, და მას კი თვითონ მ. მიხეილიც მიჰყოლია დასახსნელად. მენავეებს პირველი მსხვერპლი გადაურჩენიათ. მ. მიხეილი კი მკვდარი გამოუტანიათ, მესამე –უგზო-უკვლოდ დაკარგულა.

იტალიის გაზეთი დაწვრილებით აღწერს მის ვინაობას, ღვაწლს და მწუხარებით იხსენიებს დიდ-ბუნებოვან პირს, როგორც "გმირობის მსხვერპლს".

დაწვრილებით ბიოგრაფიას მ. თამარაშვილისას უთუოდ მერე გამოაცხადებენ მისი დაახლოვებულნი პირნი. ჯერ-ჯერობით კი მოვიხსენიებთ მოკლედ, რომ იგი რომში ცხოვრობდა კარგახანია და იქ მუშაობდა.

ქართველი საზოგადოება იცნობს მას მისი თხზულებებით, რომელსაც დიდძალი ისტორიული საბუთები დაედო საფუძვლად. ამ მასალას განსვენებული პოულობდა სხვადასხვა ქვეყნების და მეტად რეიტალიის არქივებში.

1902 წ. გამოიცა 1-ლი მისი თხზულება: **"ისტორია კათოლიკობისა საქართველთა შორის მე-13 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე";** 1904 წ. გამოსცა **"პასუხად სომხის მწერლებს,** რომელნიც უარსყოფენ ქართველ კათოლიკობას". 1910 წ. გამოსცა ფრანგულს ენაზე ვრცელი შრომა: **„ქართული ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდე".**

დაწვრილებით ამ თხზულებების გარჩევა ცალკე წერილის საგანს წარმოადგენს. ჩვენ აქ მოკლედ მოვიხსენიებთ, რომ ამ თხზულებებში დიდ-ძალი მასალაა მოქცეული, და ისეთი მასალა, რომელიც დღემდე მივიწყებული იყო და გამოუკვლეველი. ამიტომაც ასეთი შრომა უფრო საგულისხმოა და მნიშვნელოვანი. მ. თამარაშვილის აღმოჩენილი მასალა სხვა მკვლევარსაც შრომას გაუადვილებს.

საქართველოში ყოფნის დროს მ. მიხეილს მრავალი დაბრკოლება შეხვდა სომეხ-კათოლიკეთაგან, რომელნიც უარყოფდენ ქართველ-კათოლიკობას. იგი მიტომაც წავიდა რომს, რომ ისტორიულის, უტყუარის საბუთებით დაემტკიცებია თავისი აზრი და ამნაირად მოეხვეჭა უფლება მათთვის, ვინც მასავით უსამართლო დევნის მსხვერპლი გამხდარიყო. მისმა უხვმა შრომამ, მართლაც, თავისი გაიტანა და, წინად საეჭვოდ დასახული აზრი საბოლოოდ დაადასტურა. ამნაირად, ქართველ კათოლიკეთა ქართველობა უფრო დამტკიცდა და ამაზრს პაპმაც და მთავრობამაც ანგარიში გაუწია.

მ. მიხეილს სწყურდა თავის საქართველოში დაბრუნება და აქ მოღვაწეობა. ჯერ კი უნდა დაესრულებია დიდი თხზულება საქართველოს ისტორიის შესახებ, რისთვისაც კიდევ ათვალიერებდა ძველის-ძველ მასალებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მას არ დსცალდა.

დაასაფლავეს იგი 5 ენკენისთვეს სანტამარინელლაში, ამნაირად, შორეულ ზღვის ძვირთებში დაღუპული, შორეულმავე მიწამ მიიბარა ეს მხნე, სხვისი მოსარჩლეობით გატაცებული

მუშაკი. საჭიროა საზოგადოებამ ღისეული სამაგიერო მიაგოს ასეთ გულმხურვალე მის მსახურს. კარგი იქნება, თუ პატივისმცემლნი იკისრებენ მისი ნეშტის გადმოსვენებას და აქ დასაფლავებას. ეს საგულისხმო იქნება აქაურებისათვისაც და უცხოელთათვისაც, რომელთა შორის მრავალი პატივისმცემელნი ჰყოლი ამას.

არ უნდა მივივიწყოთ და არც უნდა დავსტოვოთ შორს ისეთი ვინმე, ვისი წყალობითაც შორეული უცხოელნი ჩვენს მივიწყებულ საქართველოს ეცნობოდნენ.

ვ. ღ

ნეკროლოგი დაბეჭდილია გაზეთში „თემი“ (იხ.№37, 1911 წ.). ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

პეტრე ტატალაშვილი

სტამბოლი, აპრილის 6-სსა 1920 წ-სა.

განსვენება საუკუნო მიანიჭე, უფალო, ლუკა ჩიტაშვილს, რომელიც გარდაიცვალა მარტის 26-ს, საღამოს 5 1/4 საათზედ.

ესე **ლუკა ჩიტაშვილი** სოფელ **ვალიდან** მივიდა მონასტერში, ამისავე დაფუძნების პირველ წლებში, და სიკვდილამდის მონასტერში დარჩა ვითა მორჩილი ძმა, თვინიერ აღთქმისა. გონებით და სწავლით ფრიად უვიცი იყო, საზოგადო ლოცვების თქმას ძლივს ახერხებდა; მხოლოდ ღვთისმშობელი მეტად უყვარდა და მონასტერისაც ერთგული იყო. უკანასკნელ წლებში მოხუცებულების გამო (თვითონ არც იცოდა, თუ რამდენი წლისა იყო, ან მონასტერში როდის მივიდა) საქმე აღარ შეეძლო და სიკვდილის მოლოდინში ცხოვრობდა. სულ მამა დამწყების და **პატრი იოსებ მამუკოვის** ხსენებაში იყო, და ჩიოდა განუწყვეტლივ, რომ იმათ დროს სიყვარული იყო მონასტერში ერთი- მეორისა, პური-საჭმელში ერთი-მეორეს ფეხებზე კოცნიდნენო, მაგრამ ეხლა გაქრა, ერთი ასე მიდის, მეორე– ისეო, და სხვა...

უკანასკნელ ზაფხულში, მისი მუდმივი უსუფთავობის და უნაღვლელობის გამო და აგრეთვე, სისუსტის გამოისობითაც ფეხში იარა ჩაუდგა, ფერშალთან დაიარებოდა ყოველ დღე საწამლავათ, მაგრამ ფეხი არ მოურჩა; ღვინოობის თვეში საავათმყოფოში მიაბარეს (ჟერემიაში), მაგრამ იქაურ მოლოზნებმა თქვეს, რომ ეს ისეთი სნეულებაა, რომ აღარ მორჩებაო, სიბერის გამო სისხლი ვეღარ მორევია შარავს და ტყვილათ ხარჯსა სწევთ მისთვისაო (დღეში 100 ყურუში ითხოვეს, მაგრამ მოწყალებით ნახევარს დაჯერდნენ).

მონასტერში მომვლელი არ იყო და სამი თვე საავადმყოფოში გაუშვეს, რომ მაინც მოვლა არ მიჰკლებოდა. ბოლოს იქიდან გამოიყვანეს, რადგან მოლოზნებს მისი შენახვა ეძნელებოდათ და მოხუცებულების თავ-შესაფარში ჩვენთან ახლოს მოაბარეს იანვრის პირველ დღეებში. რამდენიმე ხნის შემდეგ, ფეხზე დგომა აღარ შეეძლო და სულ იწვა, სისუსტის გამო ყველას შიგვე შვრებოდა; ფეხის დენამ იმატა მარტში და ძლიერ შეაწუხა. მარტის 19-ს (მე თვითონ იქ დავდივარ ყოველ დღე საწირავათ) ზიარება მივაღებინე: ბოლო იყო მარტის 24-ს, დამიძახეს: გავანდე ბოლო ზეთის ცხება. მივეცი, ვაზიარე კიდევ, ცოტა ვალოცე და გრძნობა დაჰკარგა; ესმოდა, მაგრამ ვერ ელაპარაკნა. ერთი დღე ასე დარჩა, მერე გრძნობამ იმატა, სიკვდილის ნიშნები უკვე ცხადათ ეტყობოდა; გვეგონა 25-ს ხარებათ ღვთისმშობელი წაიყვანდა; მაგრამ შემდეგი დღეც ნახა, პარასკევი, ღვთისმშობლის შვიდი-ლახვრის დღეობა, ბზობის უწინა ნაშუადღევს ჯვარის-გზას ვასრულებდი სალოცავში, მერე ავედი მის სანახავათ, მაგრამ წინ მომეგება მალიზანი და მითხრა – "მამაო, ერთი ჩარექია სული დალიაო“: ეს იმ წამს იყო, როცა ჩვენ ვლოცულობდით იესო-ქრისტეს სიკვდილის სადგურზე.

მეორე დღეს ნაშუადღევს მოვასვენეთ ეკლესიაში და მონასტრის მიცვალებულების გვერდ-ში მივაბარეთ მიწას მისი გვამი. განსვენება საუკუნო მიანიჭე მას, უფალო და ნათლითა სამარადისოითა გააანათლე იგი. წირვებს ლოცვებს ისე ვასრულებთ მისთვის, როგორც კანონში გვიწერია მონასტრის მიცვალებულ მწევრებისათვის.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში.

პეტრე ტატალაშვილი

სტამბოლი, აპრილის 6-სსა, 1920 წ-სა.

განსვენება საუკუნო მიანიჭე, უფალო, მონასა შენსა ძმა მიხელი (იობა) ხითაროვსა, რომელიც მიიცვალა მარტის 30-ს, 1920 წელსა, ნაშუადღევის 3 საათ და¾ -ზე.

ესე ძმა **მიხელი ხითაროვი,** ძმა მიცვალებულ **მამა ალფონს ხითაროვისა,** მოსულ იყო მონასტრის დაფუძნების პირველ წლებშივე, და მთელ თავის ცხოვრებაში ოცნებობდა მღვდლათ კურთხევას, რის გამოისათ მონასტერში ყველას სახუმაროთ იყო გამხდარი, რადგან გონებით ცოტა სუსტი იყო, თუმცა საყდარი, ლოცვა, ღმერთი ძლიერ უყვარდა. როგორც მოხუცებულები მოგვითხრობენ, ესეც მღვდლად უნდა ეკურთხებინათ და ნებაც ეთხოვათ რომში, მაგრამ სწორეთ არ იციან იქითგან უარი მოვიდა, თუ თანხმობა, მღვდლად-კი ვერ ეკურთხა. თვითონ მუდამ ჩიოდა, რომ ნება მოვიდა ჩემთვისაც კურთხევისაო, მაგრამ მომატ-ყუეს, მე საქართველოში გამაგზავნეს და ჩემს მაგივრად სხვა აკურთხესო. 1880 წლის შემდეგ დაბრუნდა კონსტანტინეპოლში, ერთი ხანი დაჰყო მონასტრის გარეთ, და ბოლოს ისევ შემოსულა, უსკუდარას გაუყვანიათ მღვდლის მოსახმარებლათ. მე რომ 1896-ში ჩამოველ მონასტერში, აქ იყო საქრისტიელათ და ბავშვების ზედა-მხედველათ ღამით. 1900 წლის შემდე-გაც არ სთმობდა მღვდლობის მოთხოვნას. მ. **ბენედიქტე ვარდიძემ** თავისი უფროსობის დროს მოიწადინა მისი სურვილის ასრულება, მაგრამ გარემოებამ ხელი არ შეუწყო საწყალ ძმა მიხელს, თუმცა მ. ანდრიასთან ფაფას-კვეპრის სასწავლებელში ჩავიდა, ვითომ ქართული ტიპიკონის შესასწავლათ. წირვებს დიდი სიყვარულით ეხმარებოდა მუდამ. მის აქეთ, რაც ქართულ ტიპიკონზე კურთხევის იმედი დაებადა, ქართულ ჟამნსაც ამბობდა, სანამ თვალები უჭრიდა; მაგრამ მერე და მერე დაუბნელდა სინათლე, სათვალები მისცეს რიგის გარეთი სისქე-სიმძლიერის, მაინც ვეღარ ახერხებდა კითხვას, მღვდლობას კი მუდამ თხოულობდა.

აგებულებით მეტად ტან მრთელი იყო; მისი კუჭი რაც გინდა მძიმე საჭმელს ადნობდა უკანასკნელ დღემდის. დიდი ომიანობის დროს ძლიერ დაეცა, ზამთრობით ხშირად ლოგინში რჩებოდა, მაგრამ ზაფხულობით დღე და ღამე უდრო-უდროოთ ოთახიდან გამოიჭრებოდა და ხან სად, ხან სად მიჩაქჩაქებდა და ხშირათ გაუგებარს ლაპარაკობდა, ყვიროდა. გულით მეტად კეთილი და მომთმინე იყო, ყველას სიყვარულით თავს უკრამდა, ხშირათ უმიზეზოთ გაჯავრ-დებოდა, მაგრამ წამში გაივლიდა...

ყოველი დღე ზიარობდა, და თვალი რომ ედევნებიათ, დღეში ორჯერ-სამჯერაც ეზიარე-ბოდა, იმდენათ ჭკუაზე დასუსტებული იყო. სახლის მოუწყობლობის გამო, ამ ზამთარს გან-საკუთრებით შეწუხდა. **გამთბარი ოთახი არა გვქონდა** და ამიტომ მართველობამ მოახერხა მისი მიბარება მოხუცებულების თავშესაფარში.სადაც იანვრის 22-23-ს მივიყვანეთ: მას ეგონა რომ სამღვდელოთ უნდა მომამზადონო და ადვილათ დანებდა მონასტრიდგან წასვლას. მოხუცებულები ამბობდნენ, რომ მას არავითარი აღთქმა არა აქვს მიცემულიო. მონაზნების მოვლამ მას ვეღარა უშველა-რა. 87 წლის ადამიანს რაღა ეცოცხლებოდა: ყოველ დღე ზიაროობ-და, სანამ ფეხზე იყო. ბოლოს მარტის დასაწყისში altague მოუვიდა და დაწვა; 19-ს ვაზიარე; ლუკას მიცვალების შემდეგ ძლიერ დაეცა; ერთ ნაშუადღევსაც, 26-ს, საჩქაროთ დამიძახეს: ძლივს მივასწარი მოკლე ახსნა და ზეთის ცხება და უეცრათ მიიცვალა. მარტის 27-ს მოვასვენეთ

და მონასტრის მიცვალებულებთან მივაბარეთ მიწას: ვნების წმინდა კვირა იყო. ნაშუადღევის 3 ½ საათზე დავასაფლავეთ და შევუდექით ვნების ლოცვებს. ამნაირათ გარდაიცვალენ ერთი კვირის განმავლობაშუ ორი 80 წლიანი მოხუცებული ძმები ჩვენი ერისა.

ხელნაწერი ინახება სტამბოლის სავანის არქივში.

სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი
† მღვდელი მიქელ თამარაშვილი

ენკენისთვის ორს, იტალიაში, ზღვის პირას მდებარე სოფელ სანტა-**მარინელლას**, ზღვის მსხვერპლი შეიქმნა ჩვენი ცნობილი ისტორიკოსი და უანგარო მამულიშვილი **მიქელ თამარა-შვილი**, ანუ **თამარატი**.

თურმე იმ დღეს განსვენებული დასეირნობდა ზღვის პირად, სხვებთან ერთად; დაუნახავს, რომ ზღვაში ირჩობოდა ვიღაც უცნობი მუშა; მუშის კივილზე მამა თამარაშვილი მიშველებია მუშას გადასარჩენად, შესცურებულან ზღვაში მენავეებიც, მუშა გადაურჩენიათ, მამა თამარაშვილი კი დაღუპულა. მისი გვამი მენავეებს უპოვნიათ და დაუსაფლავებიათ სოფ. მარინელლას.

განსვენებული მამა თამარაშვილი შესანიშნავი შრომის მოყვარე და მხნე კაცი იყო. მისი წიგნი „კათოლიკობის ისტორია ქართველთა შორის“, რომელშიაც მოყვანილია აუარებელი ისტორიული ფაქტები ქართველ კათოლიკეთა შესახებ საქართველოში, ძირფასი ნაშრომია სომეხთა იმ ჯგუფის ასალაგმავად, რომელიც ცდილობდა ჩვენში ქართველი კათოლიკები სომხის ტიბიკონზედ გადაეყვანათ. რასაკვირველია სომეხთა ხსენებულს ჯგუფს არაფრად ესიამოვნა ამ წიგნის დაბეჭდვა და ყოველ ღონისძიებას ხმარობდა იერიში მიეტანათ წიგნის ავტორზე, რამაც განსვენებული აიძულა მიეტოვებინა სამშობლო ქვეყანა და ყოველს შემო-სავალ მოკლებულს რომში ეცხოვრა. აქაც მოსვენება არ მისცეს და პაპთან დააბეზღეს, სომხების კათოლიკეთა შესახებ უსაფუძვლო ხმებს ავრცელებს და უნდა დაისაჯოსო. პაპის გულისწყ-რომა თამარაშვილს გადასცეს. ამან პაპისაგან აუდიენცია გამოითხოვა და ყოველივე საბუთებით აღჭურვილი წარუდგა პაპს, საქმის ვითარება სათითაოდ, დაწვრილებით მოახსენა, პაპი კმაყოფილი დარჩა, დალოცა აკურთხა და გამოისტუმრა.

ჩვენ ქართველებს დღემდის ევროპიელები სრულიად არ გვიცნობდნენ, და თუ გვიც-ნობდენ, ისიც ძლიერ ცუდის მხრით; ორი ათასი წლის ისტორიულ ცხოვრების პატრონ ხალხს ევროპაში **ბარბაროსებად** გვნათლავენ. არ მოგვეპოვება ევროპიულს ენაზედ არც ერთი წიგნი, რომ გაცნობოდნენ ჩვენს წარსულს და გაფანტულიყო ის ცრუ აზრები, რაც ევროპიელებს ჰქონდათ ჩვენს შესახებ. ამას მიაქცია ყურადღება განსვენებულმა მიქელ თამარაშვულმა და შარშან დაბეჭდა ქართულ ენაზე შესანიშნავი დიდი ტანის წიგნი: **„საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენს დრომდი“.** წიგნში აუარებელი ისტორიული, ეტნოგრაფიული, არქეოლო-გიური და სხვა ცნობებია მშვენივრად დასურათებული ჩვენი წარსული ცხოვრების შესახებ. ამ წიგნის საშუალებით ყველა ევროპიელს შეუძლიან საქართველოს წარსულის გაცნობა, ეს წიგნი დაუფასებელი ნაშრომია ყველასთვის, ვისაც ჩვენი გაცნობა უნდა. ცხონებულ მამა მიქელს რომ დაცლოდა ბევრს სხვასაც გვპირდებოდა; „ თუ ღმერთი შემეწია, ამის შემდეგ მინდა გამოვაქვეყნო უფრო მდიდარი საბუთები ჩვენის ქვეყნის წარსული დიდებისა, რომ ჩვენი მტრებიც კი გაკვირდნენო“. მაგრამ მუხთალმა ბედმა არ დააცალა და უდროოდ ხელიდან გამოგვაცალა ენერგით, ჯანღონითა და მეცნიერებით აღსავსე მოჭირნახულე მამულიშვილი.

განსვენებულს, როგორც ამბობენ, დარჩენია ხელნაწერები და მდიდარი ბიბლიოტეკა, რომელშიაც ბევრია თურმე ისეთი წიგნები, რომელიც საქართველოს შეეხება და ძნელი საშოვარიც არის.

იმედია განსვენებულის მემკვიდრენი შეასრულებენ ცხონებულის მიქელის სურვილს და მისს ბიბლიოტეკას შესწირავენ ქ. შ. წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებას.

ხელნაწერი ინახება სტამბოლის ქართულ სავანეში. ავტორი არ არის მითითებული. დაბეჭდილია ჟურნალ „განათლებაში“ (იხ.№IX, 1911 წ.) ჟურნალის ეს ნომერიც იქვეა დაცული, მ. თამარაშვილის სურათით.

მ. მიხ. თამარაშვილის გვამის საქართველოში გადმოსვენების გამო

მ. მიხეილ თამარაშვილის გვამი საქართველოში გადმოსვენების გამო არჩეულმა კომისიამ შემდეგი მოწოდება დაუგზავნა ცნობილ ქართველ საზოგადო მოღვაწეებს:

ორს ენკენისთვეს, იტალიის სოფელ **სანტა-მარინელლას,** ტრაღიკულად დაიღუპა ჩვენი თანამემამულე, ისტორიკოსი მღვდელი **მიქელ თამარაშვილი.** მთელი თავისი სიცოცხლე მამა თამარაშვილმა თავისს სამშობლო ქვეყანას შესწირა.

წვითა და დაგვით აღზდილმა, მამა მიქელმა უარჰყო პირადი ბედნიერება და მხოლოდ **მშობელ საქართველოს ბედითა და უბედობით ცოცხლობდა,** ილხენდა მისის ლხენითა და იტანჯებოდა მისის ტანჯვით. უცხო ქვეყანას გადახვეწილს ფიქრი და გონება, თვალი და პირი საქართველოსკენ ეჭირა და ოცნებობდა მოსწრებოდა იმ დროს, **ოდეს საქართველო ძველებურად ფრთას გაშლიდა,** წელში გასწორდებოდა და განათლებულ ერებთან ერთად, იღვაწებდა **საკაცობრიო კულტურულ სარბიელზე.**

საფუძვლიან საფილოსოფოსო და საფილოლოგო მომზადების შემდეგ საუკუნო ქ. რომის მაღალ სასწავლებელში, მამა მიქელი ხარბად **დაეწაფა ისტორიულ საბუთებს,** რომლითაც სავსეა **ვატიკანისა და იტალიის ქალაქთა არქივნი და ბიბლიოთეკანი.** სამაგალითო შრომამ და კვლევა-ძიებამ, ენერგიით სავსესა და დიდის იდეით გატაცებულ ისტორიკოსისამ მალე მშვენიერი ნაყოფი გამოიღო. ამ საუკუნის პირველსავე ათს წელს მამა მიქელმა გამოაქვეყნა სამი **დიდ-ტანიანი და ჯერ ჩვენთვის უცნობი** საბუთებით სავსე წიგნი. ორია დაწერილი ქართულად, ხოლო ერთი–ფრაგულად. ამ ისტორიულმა წიგნებმა დიდი სახელი მოუხვეჭა მამა თამარაშვილს და ნათლად დაგვანახა როგორც ჩვენ, აგრეთვე, ევროპიელებს, თუ რა ღვაწლი მიუძღვის პატარა საქართველოს ქრისტიანობის წინაშე და რა სამართლიანად ეკუთვნის ჩვენს **სამშობლოს ქრისტეს ჯვრის მტვირთველის ერის სახელი.**

და, დახეთ ბედის ცვალებადობას და სიმუხლთეს! ჩვენის სახელისა და დიდებისთვის თავდადებულის მოღვაწის, ჩვენის წარსულის მესაიდუმლის, მამა თამარაშვილის გვამი აბარია უცხო ქვეყანას, შორეულს იტალიას, ტურფა და სტუმართ მოყვარეს, მაგრამ მაინც უცხოს! ჩვენი ეროვნული თავმოყვარეობა ვერ მოისვენებს, **ვიდრე სამშობლო მიწა არ ჩაიკრავს გულში** თვით საუკეთესო შვილის გაცივებულს გვამს. ყოველი ქართველი ზნეობრივად ვალდებულია დააყაროს მამა მიქელს ის მიწა, რომელმაც დაჰბადა იგი, აღზარდა და დაავაჟკაცა სამოღვაწეოდ და სამოქმედოდ განსადიდებლად საქართველოს ერის სახელისა.

ამ აზრით გამსჭვალულმა ქართველმა ინტელიგენციამ განიზრახა გადმოასვენოს მამა მიქელ თამარაშვილის გვამი სამშობლო ქვეყანაში და მიაბაროს მიწას ქ. ტფილისში, **ქართველ კათოლიკეთა ძველ სასაფლაოზე** და აირჩა კომიტეტი, რომელსაც დაავალა განზრახული საქმის აღსრულება.

ცნობა დაბეჭდილია გაზეთში - „თემი“ (იხ. №46, 1911 წ). ცნობის ხელნაწერიცა და გაზეთის ნომერიც დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში.

ერთი პატივისმცემელთაგანი
†მღვდელი მიქაელ თამარაშვილი

ეს-ეს არის იტალიიდან მოვიდა სამწუხარო ამბავი. მღ. მ. თამარაშვილი, რომელსაც ქართველი საზოგადოება კარგად იცნობს, ზღვაში დამხრჩვალა. რომიდგან მოსულ გაზეთში დაწვრილებით არის აწერილი ეს ამბავი. საქმის გარემოება დაახლოვებით ასე ყოფილა:

მ. მიქაელი რომიდგან წასულა დასასვენებლად სანტა მარინელლას. 2-15 ენკენისთვეს ერთ თავის ნაცნობთან მ. augwso-სთან ზღვის პირად დასეირნობდა. ვიღაც მუშა, ზღვაში საბანაოდ შესული, დანიშნულ საზღვარს გადასცდენოდა, და რადგანაც ცოტა ღელვაც ყოფილა, იღრჩობოდა; მის მისაშველებლად მ. მიქაელის მეგობარი გადამხტარა და მას-კი თვითონ მიქაელი მიჰშველებია. ამ დროს ზღვა უფრო აღელვებულა, მოდარაჯე მენავეთ მუშის გადასარჩენად მიუშურებიათ. ეს უკანასკნელი გადაურჩენიათ, მაგრამ მ. მიქაელისათვის ვეღარ მოუსწრიათ. მხოლოდ ცხედარიღა ამოუღიათ ზვირთებიდგან, მისი ამხანაგი კი სრულებით ზღვას შთაუნთქავს...

ამ ამბავს მ. მიქაელის გმირულს აღსასრულს გაზეთი დიდის თანაგრძნობით იუწყება, და თანაც დასძენს, რომ დიდი მწუხარება გამოიწვია ამ ცნობილ მუშაკის დაკარგვამ მის აურაცხელ პატივისმცემელთა შორის რომშიო.

მარინის ოჯახი და რომის წმ. ჯაქსეპეს საქრისტიანო სასწავლებლის ძმანი იუწყებიან მათ უსაყვარლეს მ. მიქაელის ტრაღიკულ აღსასრულს. წირვა შეუსრულებიათ და დაუსაფლავებიათ 3 ენკენისთვეს სანტა მარინელლას ეკლესიაში, ხოლო 7 ენკენისთვეს გადაუხდიათ წირვა და პანაშვიდი თვით რომში.

მ. მიქაელ თამარაშვილი 48 წლისა იყო. დაიბადა ახალციხეს და დიდი ხანია, რაც რომში მუშაობდა. ვინც იცნობდა მას პირადად, მისთვის წარმოუდგენელია ასეთი მოულოდნელი სიკვდილი. ჯერ კიდევ ისე სიცოცხლითა და მხნეობით აღსავსე იყო, შრომის სურვილით გატაცებული და დაუღალავი, რომ ასეთი ადამიანის დაკარგვა საზოგადოებამ დიდ დანაკლისად უნდა ჩასთვალოს. სულ მცირე ხანში მან სამი დიდი თხზულება შეადგინა და დაჰბეჭდა.

1. ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის მე–19 საუკუნიდან ვიდრე მე-20 საუკუნემდე. 1902 წ.

2. პასუხად სომხის მწერლებს, რომელნიც უარჰყოფენ ქართველ კათოლიკობას. 1904 წ.

3. საქართველოს ეკლესია დასაბამიდან ჩვენ დრომდე (ფრანგულს ენაზე). 1910 წ.

ვისაც წაუკითხავს ეს თხზულებანი, იგი ადვილად წარმოიდგენს, რა დიდი შრომაა საჭირო იმ მასალების გამოკვლევისათვის, რომელნიც განსვენებულმა საფუძვლად დაიდო. მით უფრო დასაფასებელია ეს ღვაწლი, რომ იგი შეეხო ისეთ დარგს, რომელსაც არავინ მ. თამარაშვილამდე არ შეჰხებია. მან გარდა ვატიკანის და რომის სხვა წიგნთსაცავებისა, შეისწავლა მრავალი წყაროები ფლორენციის, პალერმოს, პარიზის, ლონდონის, მოსკოვის, ტრაპიზონის და სხვ. არქივებში. ყოველივე ეს მასალად გამოიყენა და კიდევ აპირებდა ეხლა დიდი საისტორიო წიგნის შედგენას. ბევრი ქართველი ყოფილა რომში, მაგრამ არც ერთს მათგანს ეს დიდ-ძალი მასალა არ უხელმძღვანელებია და იმ წყაროებისათვის არ მიუგნია...

ჩვენმა საზოგადოებამ, რომელმაც სიცოცხლეში საკმაო დახმარება ვერ გაუწია მ. მიქაელს, ეხლა მაინც უნდა დააფასოს მისი ღვაწლი, ღირსეული პატივი სცეს მის ხსოვნას და მოუაროს იმის ნაშრომს, რომელიც უსახსრობისა გამო ეხლაც გამომცემელთან ყოფილა დაგირავებული.

სახალხო გაზეთი, 1911 წ. N 403.

ხელნაწერი დაცულია სავანის არქივში. გაზეთის ნომერიც სავანის ბიბლიოთეკაშია.

†იასონ ივანეს ძე ნათაძე

(ნეკროლოგი)

კვირას, 11 ენკენისთვეს, მიწას მიაბარეს ერთი იმ მოღვაწეთაგანი რომელიც დავიწყებული ჰყავდა საზოგადოებას, თუმცა თავის დროს, როდესაც ჩვენი საზოგადოებრივი მაჯისცემა სუსტი იყო და საზოგადო მოღვაწენიც სათითაოდ ჩამოითვლებოდნენ, მას საპატიო ადგილი ეჭირა. ძნელია საზოგადოებრივ ასპარეზზე მუშაობა დღესაც კი, მაშინ კი ერთი ათად უფრო გაძნელებული იყო. მიუხედავად ამისა, მაინც ჩნდებოდნენ თითო-ოროლა თავგამოდებული მამულიშვილნი, რომელნიც ტვირთად იღებდნენ არა მყვირალა, მაგრამ აუცილებელ და სასარგებლო საზოგადოებრივ სამსახურს. ერთი მათგანი იყო **იასონ ნათაძეც.**

იასონ ივანეს ძე ნათაძე დაიბადა 1848 წელს. განათლება მიიღო ტფილისის სასულიერო სემინარიაში და ყოველთვის შესანიშნავ მოწაფედ ითვლებოდა. ჯერ ისევ სემინარიაში იყო, როდესაც ჟურნალ-გაზეთებში მონაწილეობას იღებდა. მოწაფეთვე იყო, როდესაც ეხმარებოდა ქართულ თეატრსა, რასაც აღნიშნავს თავის მოგონებებში ქართულ თეატრის მემატიანე ბ-ნი ნიკ. **ავალიშვილი**, სწავლის გათავების შემდეგ ხომ განსვენებული იასონი მხნედ შეუდგა საზოგადოებრივ სამსახურს: თანამშრომლობდა ჟურნალ „კრებულში“ „**ჭიაჭიაში**“-ს ფსევდონიმით; სწერდა როგორც პატარ-პატარა წერილებს საჭირბოროტო საკითხებზე, ისე დიდს წერილებსაც. განსაკუთრებული ყურადღება დაუმსახურებია თავის „მგზავრის წერილებით“. მონაწილეობას იღებდა, აგრედვე, სერ. მესხის „დროება“-ში, სადაც იასონი რედაქტორის მარჯვენა ხელად ითვლებოდა.

განსაკუთრებულის ყურადღებით კითხულობდნენ იასონის წერილებს ბათომის ქართველები. იასონ ნაძათეს ბათომის ოლქში მოუხდა მუშაობა. იმანაც ისარგებლა ამ შემთხვევით და დიდი პროპაგანდა გასწია **ქართველ მაჰმადიანთა ოსმალეთში გადასახლების წინააღმდეგ**. ქართველ მაჰმადიანთა საკითხი იმ დროსაც მწვავე, საჭირბოროტო საკითხად იყო გადაქცეული და იასონიც ყოველ ღონისძიებას იღებდა, რომ სხვებთან ერთად ხელი შეეშალა ქართველ ხალხის ეროვნულ მთლიანობის დამრღვევ მოვლენათა გაძლიერებისთვის. თუ რამდენ და სასარგებლო და ნაყოფიერი იყო იასონის მოღვაწეობა ამ ნიადაგზე, ამას ჰმოწმობს **სერგეი მესხის** წერილი, რომელიც განსვენებულ იასონის მეუღლისთვის, მარიამ დიმიტრის ასულისთვის, მიუწერია. აი, რასა სწერს სერგეი მესხი იასონ ნათაძის მეუღლეს: „ეს არის ეხლა იყვნენ რედაქციაში ბათუმის ოლქის დეპუტატები და ბევრი ვილაპარაკეთ ჩვენს ერთობაზედ, ჩვენს ისტორიაზედ; სადილიც გაუმართეთ, სადილზე ერთხმად, საჯაროთ აი, რა სთქვეს: „ართვინში მსახურობს ერთი ქართველი, **იასონ ნათაძე** თავის ოჯახობით; ისეთი კარგი ხალხია და სამაგალითო, რომ თუ ამისთანა ხალხი და ოჯახი ბევრია საქართველოშიც, მაშინ რაღა დაუშლის ჩვენს ერთობასაო“. ამ სიტყვებმა ისეთი შთაბეჭდილება იქონიეს,—სწერს სერგეი მესხი, – რომ აღტაცებით ვწერ ამ სტრიქონებს და მიხარიან, რომ იასონს თავისი პატიოსნებითა და სამშობლოსადმი სიყვარულით ასეთი დიდი სიყვარული დაუმსახურებიაო.

ართვინიდან იასონი გადმოიყვანეს ქალაქში იმ დროს, როდესაც **ივანე მაჩაბელმა** ჩაიბარა გაზეთ „დროები“-ს ხელმძღვანელობა. იასონმაც „დროება“-შიც დაიწყო მუშაობა **ყაზბეგთან ერთად,** და ყურადღებაც დაიმსახურა თავისი პოლიტიკური წერილებით. იასონი ყოველთვის

პროგრესულ ნიადაგზე იდგა და ებრძოდა ჩვენი ქვეყნის მრავალმხრივ უკუღმართობას. აღსანიშნავია, სხვათა შორის, ერთი– ფაქტი, რომელიც ცხადად ჰმოწმობს თუ ვისკენ იხრებოდა ხოლმე მისი სიმპატია. ერთი თავადიშვილთაგანი, სახელდობრ, **ამილახვარი**, ძალიან ავიწროვებდა გლეხებს. მის წინააღმდეგ წერილებსა სწერდა **მელიქიშვილი**, რომელსაც იასონიც უჭერდა მხარსა, ასეთმა აშკარა გალაშქრებამ მემამულის წინააღმდეგ ისე გაამწვავა მდგომარება, რომ საქმე კინაღამ ხელჩართულ ბრძოლამდე არ მივიდა.

კარგა ხანი მუშაობდა იასონი უანგაროდ საზოგადოებრივ ასპარეზზე, მაგრამ როდესაც შვილები წამოიზარდა, იძულებული გახდა შორეულ მხარეს გადახვეწილიყო, რომ ამით შვილების აღსაზრდელი საშუალება გამოეძებნა. შორს იყო გადახვეწილი იასონი, მაგრამ სულითა და გულით მუდამ დაკავშირებული იყო სამშობლო მხარესთან. სიკვდილამდე არ დაუკარგავს მას ინტერესი საზოგადოებრივ საკითხებისადმი, სიკვდილამდე ადევნებდა თვალ-ყურს ყველაფერს, რაც კი რუსეთში ჰხდებოდა, მაგრამ განსაკუთრებულის გულ-მტკივნეულობით ეკიდებოდა თავის საყვარელ საქართველოს საქმეებს.

ხელნაწერი ტექსტი დაცულია სტამბოლის ქართულ სავანეში. დაიბეჭდა გაზეთში „სახალხო გაზეთი“, 1911 წ. N 403. ავტორი არ ჩანს.

დ) „ამერიკის ხმის“ ქართული რედაქციის რადიო რეპორტიორის ოთარ კეთილაძის დღიური „ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში“.

ქართული რედაქცია
ავტორი, დიქტორი: ინასარიძე

რადიორეპორტიორის დღიური
ქართული კათოლიკური მონასტერი კონსტანტინეპოლში

რეპორტიორი (სტანდარტული დასაწყისი, გვ. 1 და 2)

წინა ხუთ გადაცემაში, პატივცემულო თანამემამულენო, ჩვენ ვისაუბრეთ იმის შესახებ, თუ როგორ ვინახულე **ჯვარის მონასტერი იერუსალიმში;** შემდეგ ვისაუბრეთ მონასტრის წინამძღვართან - ბერ იოაქიმთან ჯვარის მონასტრის ისტორიული წარსულის შესახებ. შემდეგ შევეხეთ ჯვარის მონასტრის ბიბლიოთეკის სვებედს, განსაკუთრებით ქართული მანუსკრიპტების ბედს. შემდეგ ავღწერეთ ჯვარის ხევის ადგილმამულის დღევანდელი მდგომარეობა და მოვისმინეთ, აგრეთვე, ჯვარის მონასტრის ზარების რეკვა, და ბოლოს ავღწერეთ ჯვარის მონასტრის მთავარი საყდარი, განსაკუთრებით **შოთა რუსთაველის ფრესკა**: შევეხეთ, აგრეთვე, საკითხს, თუ როგორ შეიძლება, რომ ჩვენ ქართველები, ისევ გავხვდეთ ამ ჩვენი ისტორიული კულტურის ცენტრის ბატონპატრონი და იმ რწმენით, რომ ჯვარის მონასტერი ისევ გადმოვა ქართველთა ხელში, დავტოვეთ **იერუსალიმი**.

დღეს მე მოგითხრობთ, თუ როგორ გავხედე თვითმფრინავიდან ანტიოხიასთან მდებარე **შავ მთებს,** სადაც **ერთ დროს თორმეტამდე ქართული მონასტერი იყო;** როგორ გადავხედე თვითმფრინავიდან თურქეთის ქალაქ **ბურსას**, რომლის სამხრეთ ნაწილში 26 ქართველთა სოფელია; იმ ქართველთა, რომლებიც, როგორც ერთმა იქაურმა ქართველმა მოგვითხრო, „93 წლის წინათ გადასახლებულ იქნა თურქეთის მმართველობის მიერ გურია-აჭარიდან ამ შორეულ მხარეში“ და ბოლოს ვისაუბრებთ ქართული კათოლიკური მონასტრის სვებედის შესახებ **კონსტანტინეპოლში-სტამბოლში.** მაშ, გაუდგეთ გზას:

(ფირი: კარლო...)-24

ხმა: „ლაპარაკობს **ოთარ კეთილაძე.** პატივცემულო მსმენელებო, დღეს დილის 12 საათზე და 50 წუთზე თვითმფრინავით-„ვისკოუნტის“ ტიპისა, -დავტოვეთ **ტელავივის** აეროდრომი და **ნიკოზიაზე** გადაფრენის შემდეგ, ვუახლოვდებით თურქეთის ტერიტორიის სწორედ იმ ადგილას, სადაც იმყოფება ისტორიული ქალაქი -**ანტიოხია**. როგორც იცით, პატივცემულო მსმენელებო, ანტიოხიის ახლოს, „შავ მთებში“, ჩვენ გაგვაჩნდა 12 მონასტერი, რომელთაგან, სამწუხაროთ, დღეს არც ერთი ქართველთა ხელში არ არის და არც მათი ბედი არავინ იცის. სხვათა შორის, ეხლა არის მეტად კარგი ამინდი, მზიანი ამინდი, და მიუხედავათ იმისა, რომ 8-ათასი მეტრის სიმაღლეზე მივფრინავთ, დაბლა ყველაფერი კარგად ჩანს და, ალბათ, მალე დავუახლოვდებით ანტიოხიას და შემდეგ შავ მთებს.

რეპორტიორი: სამწუხაროდ, იმედი არ გამიმართლდა: ჩვენმა თვითმფრინავმა გეზი აიღო **სტამბოლისაკენ** პირდაპირი ხაზით და ამიტომ ანტიოხია და მასთან მდებარე შავი მთები

მეტად შორს მოსჩანდა ჩვენი თვითმფრინავიდან. ამის შედეგი იყო ის, რომ შავ მთებში მონასტერთა თუ მონასტერთა ნანგრევების დანახვა, მიუხედავად იმისა, რომ მზიანი ამინდი იყო, მაინც ვერ შევძელი.

სამაგიეროთ, კარგათ მოსჩანდა სტამბოლიდან დაახლოებით ორასი კილომეტრით-სამხრეთით-მდებარე ქალაქი **ბურსა**, რომლის სამხრეთ რაიონებში 26 ქართული სოფელია. ყველაფერი ეს ჩვენ მოგვითხრო ერთმა ქართველმა, სოფელ **ჰაირიედან**, რომელიც, სწორედ, ამ რაიონში მდებარეობს. „**ჰაირი**“ იმიტომ უწოდებიათ ამ სოფლისათვის, რომ ამ სოფელში დასახლებულან ხეიროშვილები, რის შედეგად სოფლისათვისაც ჯერ „ხვირო“, ხოლო შემდეგ „ჰაირო“ დაურქმევიათ. საინტერესოა აგრეთვე ის ფაქტიც, რომ აქაურმა ქართველმა ზუსტად თქვა, რომ მისი წინაპრები თურქებს საქართველოდან გადაუსახლებიათ 93 წლის წინათ გურია-აჭარის სასაზღვრო რაიონებიდან. ქართულს ლაპარაკობდა საშუალოდ, რომლის დროს ისეთ სიტყვებსაც ხმარობდა, რომლებიც ჩვენში უკვე ხმარებაში არ არის . თვითმფრინავიდან მოსჩანდა, რომ ეს ტერიტორია მთაგორიანია, წააგავს საქართველოს ბუნებას. აქაური ქართველები, როგორც იმავე ქართველმა მოგვითხრო, ქართულს სწავლობენ კერძოთ, ვინაიდან სკოლებში ქართული ენა დაშვებული არ არის. თვით მან თქვა, რომ ის „**თურქი-ქართველია**“, ხოლო საქართველოში მცხოვრებ ქართველებს „**რუს-ქართველებს** უწოდებს. ყველაფერი ეს მომაგონდა ახლა, როცა 8000 მეტრის სიმაღლიდან გადავყურებ ბურსას და მის სამხრეთ რაიონებს, სადაც არსებობს ეს 26 სოფელი.

ამასობაში გამოჩნდა თვით კონსტანტინეპოლი-სტამბოლი...უშველებელი ქალაქი ბოსფორის სრუტის მარმარილოს ზღვაში გასასვლელთან. ცოტაოდენი დროც და უკვე დავეშვით **სტამბოლის** აეროდრომზე, რომელიც ქალაქიდან დაახლოებით 20 კილომეტრითაა დაშორებული და თურქეთის ევროპულ ტერიტორიაზე მდებარეობს. ევროპულ ტერიტორიაზე, ვამბობ, იმიტომ რომ სწორედ ბოსფორის სრუტე ჰყოფს ევროპას აზიისაგან და ყველაზე უმოკლესი მანძილი ამ ორ კონტინენტს შორის სწორედ **ბოსფორის სრუტეა.**

დავეშვით თუ არა აეროდრომზე, მაშინვე ავიღე ტაქსი, ავიღე ჰოტელი სტამბოლში, დავტოვე იქ ბარგი, ავიღე მაგნეტოფონი და ფოტოაპარატი და ისევ ტაქსით წავედი სტამბოლის ერთი უბნისაკენ, რომელსაც ეწოდება **შიშლი**, სადაც მდებარეობს **ქართული კათოლიკური მონასტერი.** მონასტერთან რომ მივედი, უკვე ნაშუადღევის 5 საათი და 30 წუთი იყო. მივადექი რა მონასტრის ეკლესიაში შესასვლელ კარებს, კარის მაღლა წავიკითხე წარწერა: ჯერ თურქულად, შემდეგ ქართულად და ბოლოს ლათინურად: **„ქართველ მამათა სავანე ქართული ტაძარი“.** კარი ღია იყო და თითო-ოროლა მლოცველი შედიოდ-გამოდიოდა. შევედი იმ კარიდან ეზოში, რომელიც გალავანითაა შემორტყმული და შიგ თითო-ოროლა წიწვოვანი ხეებია. ეზო მშვენივრად დაგვილი და მოვლილია; ეკლესიასთან მისასვლელი გზა კი მოპირკეთებულია. მივედი ეკლესიის კარებთან, გავაღე კარები, შემდეგ მეორე კარები და შევედი ეკლესიაში. აქაც სისუფთავე, წესრიგი, მშვენიერი მორთულობაა.

(ფირი კარლო...)-25

ხმა. ლაპარაკობს **ოთარ კეთილაძე** სტამბოლიდან. ე.ი. კონსტანტინეპოლიდან. ეხლა ვარ, პატივცემულო მსმენელებო, კონსტანტინეპოლის ქართულ კათოლიკურ ეკლესიაში, დღესაა 1967 წლის 22 იანვარი. უნდა აღინიშნოს, რომ როგორც კი მოვედი ამ მონასტერთან, მაშინათვე ეტყობა, რომ ეს მონასტერი, მართლაც, კარგადაა მოვლილი. შესასვლელთან აქვს წარწერა

ქართულად, ლათინურად და თურქულ ენაზე...ეზო საუკეთესოდაა მოვლილი და შემოვედი თუ არა ტაძარში, თვალში გეცემათ ალტარი, რომლის შუა ადგილას ნათლად მოსჩანს **წმინდა ნინო ჯვარით ხელში.** ეს ხატი, როგორც აქედან მოსჩანს, უნდა იყოს გაკეთებული მატერიაზე, ე.ი. მოქარგულ მატერიაზე. თვით ეს მთელი ალტარი მორთულია მეტად მშვენივრად მარჯვ-ნივ-მარცხნივ ყვავილებით, სანთლებით და წმინდანთა სურათებით".

რეპორტიორი. ამასობაში უფრო ახლოს მივედი მთავარ ალტართან და ახლა უფრო კარგად გამოჩნდა წმინდა ნინო.

(ფირი კარლო...)-25

ხმა. "მთავარი ალტარის შუა ადგილას, როგორც ავღნიშნე, ქსოვილზე არის მოქარგული წმინდა ნინო, რომელსაც ხელში უკავია ჯვარი, გაკეთებული, როგოც ცნობილია, **ვაზის ლერ-წებისაგან და შეკრული მისივე თმისაგან. ზემოთ აწერია:"წმინდა ნინო**", ქვემოთ კი ლათი-ნურად **„სანკტა ნინო".**

რეპორტიორი. მთავარი ალტარის დათვალიერების შემდეგ, ჩემი ყურადღება მიიპყრო მეორე ალტარმა.

(ფირი კარლო...)-25

ხმა. მეორე ალტარი, რომელივ მდებარეობს მთავარი ალტარის მაჯვნივ, მშვენივრადაა მორთული, მასზე არის ქართული წარწერა შემდეგი შინაარსის. **„მარიამ ღვთისმშობელო, იბერიის მოციქულო, მეოხ მეყავ ჩვენ ცოდვილთა ქართველთა!"** ამ ალტარის სიღრმეში კი მოთავსებულია **მარიამ ღვთისმშობელის ქანდაკება...**

რეპორტიორი. აქვე უნდა ავღნიშნოთ, რომ ამ ეკლესიას, ეზოს კარების მხრიდან მაღლა, ეკლესიის კედელზე აქვს წარწერა ფრანგულად: N(otre)D(ame)de Lourdes Eglise Georgiane. F.1861, R. 1901". ესე-იგი, „ღვთისმშობლის ქართული ეკლესია ლურდის სახელობისა. დაარსებულია 1861 წელს და შეკეთებულია 1901 წელს". ალბათ, იკითხავთ, რატომ უწოდეს ქართველმა კათოლიკე მამებმა ამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას ლურდის სახელი?

როგორც ცნობილია, **ლურდი** არის ერთი ყველაზე უფრო ცნობილი კათოლიკური სალო-ცავი ადგილი საფრანგეთში-**პირენეების მთებში. ქალწულს-ბერნადეტ ხუბირუსს 1858 წელს, 11 თებერვალს** მდინარე **გავის** ნაპირთან მდებარე ღვიმეში ღვთისმშობელი გამოეცხადა და ოთხი დღის შემდეგ ამ **ღვიმეში წყარო ამოჩუხჩუხდა, რომელსაც მკურნალობით ძალას აწერენ**. ამ ღვიმეზე შემდეგ აშენებული იქნა გოთური ბაზილიკა, სადაც ყოველწლიურათ მილიონზე მეტი მლოცველები მიდიან.მათ შორის 25-ათასზე მეტი ავადმყოფები, რომლებიც ლურდის წყალიდან მკურნაობას მოელიან. კათოლიკურმა ეკლესიამ ლურდის მღვიმეში ღვთისმშობლის გამოცხადება სასწაულად ცნო და ყოველწლიურად, 11 თებერვალს, იქ ტარდება დიდი რელიგიური პროცესია და სწორედ, ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბოლში ლურდის სახელს ატარებს და მლოცველთა უმრავლესობა შედის რა ეკლესიაში, სანთელს ანთებს ღვთისმშობლის ალტართან, რომლის სიღრმეში მოსჩანს ლურდის მღვიმე, რომელშიც ღვთის-მშობელია გამოცხადებული სწორედ ისე, როგორც აღწერა ქალწულმა **ბერნადეტმა** მისი გამოცხადების დროს მდინარე **გავის** ნაპირთან მდებარე მღვიმეში.

შევეხოთ ორიოდე სიტყვით ამ ქართული კათოლიკური მონასტრის ისტორიას სტამბოლ-ში:

ხმა: „როგორც ავღნიშნეთ, ქართული კათოლიკური მონასტერი სტამბოლში დაარსებულ იქნა 1861 წ. თუ მივიღებთ მხედველობაში, რომ **ჯვრის მონასტერი იერუსალიმში** დაარსებულია მე-5 ს. **ივერიონის მონასტერი ათონის მთაზე** მე-10 ს. 100 წლის შემდეგ კი დაარსებულ იქნა **პეტრიწონის მონასტერი ბულგარეთში,** მაშინ კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტერი, მართლაც, ახალი წამოწყებაა“.

რეპორტიორი: ჩვენ განსაკუთრებით იმიტომ მივაქციეთ ამ ჩვენი კათოლიკური მონასტრის დღევანდელ მდოგმარეობას ყურადღება, რომ მისმა ხელმძღვანელმა და გამგემ **პავლე აკობაშვილმა**-1960 წელს ასეთი მიმართვით წარსდგა ქართველთა წინაშე.

ხმა:თხოვნა ქართველ თანამემამულეებისადმი

მე, ქართული მონასტრის გამგე და მცველი ძმა პავლე აკობაშვილი-ანდღულაძე, ვალდებულად ვთვლი ჩემ თავს, ქართულ საზოგადოებას ლტოლვილობაში და ყოველ ქართველს ვაცნობო შემდეგი:

1861 წლიდან სტამბოლში(კონსტანტინეპოლში), როგორც ცნობილია, არსებობს ქართული კათოლიკური დედათა-მამათა მონასტერი, რომელიც **ქართული კულტურის ერთ-ერთ ცენტრად იქცა დროთა განმავლობაში** და რომელმაც წარმოშვა დიდი თავდადებული მოღვაწენი ჩვენს საყვარელ სამშობლოსათვის. ამათ შორის, რამდენიმე დასახელება მინდა:მაგალითად, **ფრიად პატივცემული მამა პეტრე ხარისჭირაშვილი** - დამფუძნებელი მონასტრისა და რომელიც მარხია აქ, ჩვენი ეკლესიის გულში, რომელზედაც არის წარწერა ქართულად და ლათინურად.

რეპორტიორი:მართლაც,შეხვალ თუარა ამ მშვენიერ ეკლესიაში, მისი იატაკის შუა ადგილას, ქვის ლოდზე არის შემდეგი წარწერა:

„საფლავსა ამასა მდებარეა ყდპ.მ.
პეტრე ხარისჭირაანთი
დამფუძნებელი ქართველთა
კათოლიკე სავანესა
მონათა და მხევალთა
უმანკო ჩასახებისათა
იშვა ჩყიცწყდ
მიიცვალა ოქთჩყუ''

ხმა:„ამ ჩვენს ეკლესიას- წერს თავის მიმართვაში ამ ქართული სავანეს გამგე და მცველი-დიდის პატივისცემით ეპყრობა აქაური უცხო **კათოლიკობა, მაჰმადიანებიც.** ჩვენი ეკლესია დიდად განთქმულია აქაურ კათოლიკეთა შორის და ასეთი ეკლესია, საუბედუროდ, უმღდვლოთ არის დარჩენილი. არავინ დაგვრჩა, სულ ყველანი გარდაიცვალენ... ასე რომ სულ მარტოდმარტო, ვიბრძვი და ვმუშაობ, რონ იგივე ბედი არ ეწვიონ ამ ჩვენს ეკლესიას, როგორც წილად ხვდა ჩვენს კულტურის ცენტრებს **პალესტინაში, ათონის მთაზე, სინაის მთაზე** და სხვაგან.

ბატონებო!

შველა გვჭირია მორალურად და,რაც მთავრია, სათნადო სასულიერო პირის ან პირების აღმოჩენა, რომლებიც თავის თავს მოწოდებულად გრძნობენ ხელი მოკიდონ ამ მეტად სათუთ

და საპასუხისმგებლო საქმეს. პიროვნულადაც ვთხოვთ ზოგიერთ ქართველს ამ სამამული-შვილო საქმეში დახმარებას... არ მინდა, რომ აქ შეკრებილი საუნჯე-წიგნსაცავი, მამულები, სახლები და სხვა-დაგვეკარგოს.

ჯერჯერობით აქ შევადგინე ერთი პატარა კომიტეტი **„ეფორია“**, რომელიც ხელმძღვანელობს სამლოცველოებს აქაურ მთავრობის მფარველობის ქვეშ. ამგვარად, ჯერჯერობით ჩვენი მონასტრის ძვირფასი ნივთები დაკარგვას გადავარჩინე. სანამ მე ცოცხალი ვარ, არ ვზოგავ ძალღონეს, რომ ყველაფერი ეს განძი შერჩეს ჩვენს ერს. ჩემს შემდეგ, არ ვიცი რა დაემართება. ღმერთმა იცის, ყველაფერი ჩვენი საყვარელი სამშობლოს და მის შვილებზეა დამოკიდებული. ყოველთვის აქ ქართული წირვა გვქონდა და საუბედუროთ, ახლა ლათინურათ ვაწირინებთ უცხოელ სასულიერო პირებს.

ვფიქრობ, მოკლედ გაგაცანით, **ქართველნო თანამემამულენო,** ქართული მონასტრის სვეტედი. ჩემი თხოვნაა, ზომები მიიღოთ, რომ აღმოაჩინოთ ისეთი პირი, ან პირები, რომლებიც მთელი თავისი ეროვნული შეგნებით განაგრძნობენ ამ **ქართული კულტურის ცენტრის მოვლასა და პატრონობას**. საჭიროა ამასთან ერთად მორალური დახმარება.

იმ ღრმა რწმენით, რომ ქართველობა, სადაც არ უნდა იყოს ისინი, ყოველ ძალღონეს იხმარენ ამ ჩვენი ეროვნული კულტურის ცენტრის შენარჩუნებისათვის

ვრჩები თქვენი პატივიმცემელი

პავლე აკობაშვილი(ადგულაძე)

მონასტრის გამგე და მცველი.

სტამბოლი(კონსტანტინეპოლი).

თებერვლის 3-მი, 1960 წელი.“

რეპორტიორი: ასეთი მიმართვით ამცნო ქართული კათოლიკური მონასტრის გამგემ და მცველმა კონსტანტინეპოლში ამ მონასტრის გასაჭირი ქართველებს 1960 წელს. მას შემდეგ გავიდა ექვ-წელზე მეტი. მაგრამ, როგორც გავიგე, ქართული კათოლიკური მონასტრის სვეტედი სტამბოლში არ შეცვლილა. ამიტომ იყო, რომ გადავწყვიტე იერუსალიმის ჯვრის მონასტრისა და ათონის ივერიონის მონასტრის დათვალიერება-შესწავლასთან ერთად, ადგილზე გავცნობოდი ამ ქართული კათოლიკური მონასტრის ბედს. რა თქმა უნდა, პირველად წერილი მივწერე ბატონ **პავლე აკობაშვილს** და მეტად გამანცვიფრა და დამაღონა მისი საპასუხო წერილის შინაარსმა.

მან ასეთი სტენოგრაფიული სტილის პასუხი მომწერა.

ხმა: „ბატონო კეთილაძევ!

მივიღე თქვენი წერილი. დიდი მადლობელი ვარ. წერილში ძალიან მაქებ, იმდენათ ღირსი არ ვარ, მარტო მოვალეობას ვასრულებ, ქართული მონასტრის გადასარჩენათ და დასაცავად. რაც შემიძლია მთელ ღონეს ვხმარობ. ბატონო კეთილაძე, რაც შეეხება თქვენს აქ, სტამბოლში ჩამოსვლას, საუბედუროთ, მე აქ ვერ მიგიღებ და ვერც შეგხვდები იმიტომ, რომ ძალიან ვერიდები და სულ არავის ვღებულობ, საიდანაც უნდა იყვნენ. თბილისის ბალეტი აქ ჩამოვიდა. არც ისინი მიმიღია. **ძალიან თვალყურადღებას გვაქცევენ და ამიტომ ძალიან მეშინია. აქ ბევრი აგვაწრიალეს და ძალიან გავიტანჯე.** ამიტომ ბოდიშს ვიხდი, სულ არავის არც ვნახულობ და არც არავის მივიღებ... ერთი სიტყვით, ათას გაიგებთ.

უკაცრავათ ვარ, თუ ჩამოხვიდეთ, ჩვენსკენ ნუ გამოივლით, თუ შეიძლება წერილსაც ნუ მოიწერთ.

გამარჯობით, კარგათ იყავით. პავლე.“

რეპორტიორი: აი, ასეთი წერილი მივიღე ბატონ პავლე აკობაშვილისაგან, ქართული კათოლიკური მონასტრის გამგისა და მცველისაგან კონსტანტინოპოლში. მე მისი თხოვნა, შეიძლება, იმდენათ ვერ შევასრულე, რომ მას საშობაო-საახალწლო ღია ბარათი გავუგზავნე და ვაცნობე, რომ მე, მის სურვილის თანახმად, მას არ ვინახულებ, მაგრამ ქართულ ეკელსიაში შესვლა ყველას შეუძლია და მეც შევალ შიგ და დავათვალიერებ მეთქი. და მართლაც, 1967 წლის 22 იანვარს ჩავედი კონსტანტინეპოლში, იმავე საღამოს ვინახულე და დავათვალიერე ქართული კათოლიკური მონასტერი, ვიყავი ეკლესიაში; მეორე დღეს, ესე იგი, 1967 წლის 23 იანვარს ისევ მივედი ქართულ მონასტერში“.

(ფირი:კარლო...) – 26

ხმა: „ლაპარაკობს **ოთარ კეთილაძე** კონსტანტინეპოლიდან. პატივცემულო მსმენელებო, დღეს არის 1967 წლის, 23 იანვარი, დილის 8 საათი. ეხლა მე ვდგევარ ქართული კათოლიკური ეკლესიის წინ კონსტანტინეპოლში, რომლის კარებს აქვს წარწერა **„ქართველ მამათა სავანე, ქართული ტაძარი“**. მე დილის 8 საათზე მოვედი აქ იმისათვის, რომ დავსწრებოდი დილის წირვა-ლოცვას, რომელიც უნდა ყოფიფლიყო, როგორც მე წავიკითხე წინა საღამოს დაფაზე გაკრული ცნობით... დილის 8 საათზე. მაგრამ შევედი რა ეკლესიაში, წირვა-ლოცვა არ იყო. მხოლოდ მოდიოდნენ მლოცველები და ჩვეულებრისამებ ანთებენ სანთლებს, ლოცულობენ და შემდეგ მიდიან. მე ისევ დავათვალიერე ეკლესიის შინა, მეტად მდიდრულად მოწყობილი, ალტარი, მეორე ალტარი, დამფუძნებელთა დაფა და შემდეგ გამოვედი გარეთ. ახლა ვდგევარ კარებთან და ვაკვირდები ამ ეკლესიის ბაზილიკურ ფორმას, რომელიც არც მაინდამაინც დიდია, მაგრამ მეტად კარგადაა მოვლილი და უთუოდ ამ ეკლესიას, ამ მონასტერს მოვლა-პატრონობა დღესდღეობით არ აკლია. მინდოდა მელაპარაკა ეკლესიის გამგესთან, მაგრამ მან, როგორც ავღნიშნე, არ მიმიღო.“

რეპორტიორი: ვინაიდან ზემოთ თქმული სიტყვები, ისე როგორც ყველა სხვა დოკუმენტუ-რი ჩანაწერი, იმპროვიზაციურ ფიცარნაგული წესითაა თქმული, მოითხოვს ზოგიერთ დაზუსტებას: მე ეკლესიაში ყოფნის დროს, ბატონ **პავლე აკობაშვილის** ნახვა არ მიცდია, **ვინაიდან მე არ მსურდა, ის უხერხულ მდგომარეობაში ჩამეყენებინა.** მაგრამ როცა დილით, 8 საათზე, ეკლესიის ეზოში შევედი და მთავარ კარებთან ერთი მეეზოვე დავინახე, რომელიც, ქართველს წააგავდა თავისი გარეგანი შეხედულებით, მე მას ჯერ ავხედ-დავხედე და შემდეგ მივედი მასთან და შევეკითხე. სხვათაშორის, მაგნიტოფონი ჩართული მქონდა. აი ეს ეპიზო-დური შეკითხვა:

(ფირი:კარლო-მეეზოვე...)-26

ხმა:„თქვენ ქართველი ხომ არ ხართ... ხომ არ ბრძანდებით? აა, აა, „გურჯი“?

„გურჯი“!:ქართველი ხართ? ქართველი...“

რეპორტიორი: მგონი, მეეზოვე ქართველი იყო, თუ არა ვცდები, ვინაიდან მან ჩემი შეკითხ-ვა გაიგო. მაგრამ მაინც გამშორდა და ბუჩქების ეზოს მეორე მხარეს დაიწყო ბუჩქების წესრიგში მოყვანა. მეც თავი დავანებე.

ამის შემდეგ, გამოვედი ეკლესიის ეზოდან და დავიწყე ამ მონასტრისა მთელი ადგილ-მამულის დათვალიერება, რამდენადაც ეს მე შევძელი, ვინაიდან მთელი ადგილ-მამული მაღალი გალავანითაა გარშემოვლებული და გარედან მხოლოდ რამდენიმე სართულიანი ორი დიდი სახლი მოსჩანს: პატარა შენობების კი-მხოლოდ სახურავი. ქართული კათოლიკური მონასტრის ადგილ-მამული ოთხივე მხრიდან ქუჩებითაა შემოვლებული, რომელიც სწორკუთ-ხოვანი ფორმისაა. სიგრძით იქნება ეს ადგილმამული დაახლოებით 300 მეტრი, სიგანით დაახლოებით 100 მეტრი; ასე რომ, მამული დიდია და რამდენადაც მე შევძელი დანახვა, მოვლილი. თუ ვინ და რამდენი კაცი ცხოვრობს ამ მონასტრის სახლებში-არ ვიცი. ვერ შევძელი, აგრეთვე, მენახა მონასტრის ბიბლიოთეკა. ვერ შევძელი მონასტრის ზარების რეკა გადამეღო მაგნეტოფონის ფირზე. ვერ შევძელი, საერთოდ,გამეგო ადგილზე ამ მონასტერის დღევანდელი სვებედი თვით ამ სავანის გამგის პავლე აკობაშვილისაგან. თვით ეკლესიაში კი, შესასვლელის მარჯვენა მხარეს, კედელზე არსებობს მარმარილოს დაფა, რომელზედაც შემდეგი მემორია-ლური წარწერაა:

ხმა: „1861-1961

დამფუძნებელი:

ფ.რ.პ.მ. პეტრე ხარისჭარანთი

მ.სტეფანე გიორგიძე

მ.ალფონსი ხითარაშვილი

მ.ბენედიქტე ვარდიძე

მ.პიო ბალიძე

მ.შიო ბათმანაშვილი

მ.პეტრე ტატალაშვილი

წელსა 1966, მაისს

პავლე ზაზაძე-თავმჯდომარე

პავლე აკობაშვილი-გამგე სავანისა“

რეპორტიორი: აი, ასეთი წარწერაა ეკლესიის შესასვლელის მარჯვენა მხარეს, კედელზე, მარმარილოს მემორიალურ დაფაზე. აქედან კი ცხადი ხდება, რომ ქართულ კათოლიკურ მონასტერს კონსტანტინეპოლში ჰყავს დღესდღეობით გამგე და თავმჯდომარე, ხოლო არ გააჩნია ქართველი ღვდელი და სხვა საჭირო პირები, რომლებიც, უთუოდ, სჭიროა ამ მონასტ-რის მოვლა-პატრონობისათვის.

ემიგრაციაში მყოფმა ქართველობამ, რა თქმა უნდა დიდი ყურადღებით მოეპყრო ამ ქართული სავანის გამგის-პავლე აკობაშვილის-1960 წლის მიმართვას, მაგრამ ჩვენ ემიგრა-ციაში, სამწუხაროდ, ისეთი ძალები არ გაგვაჩნია, რომელიც ამ მონასტერს ესაჭიროება. **პირველ ყოვლისა საჭიროა,** როგორც პატივცემული პავლე აკობაშვილი წერს, **ქართველი ღვდელის შოვნა,** რომელიც ისევ დაიწყებდა **ქართული წირვა-ლოცვის** ჩატარებას ამ ეკლესია-მონასტერში. მაგრამ ემიგრაციაში სად უნდა ვიშოვოთ ჩვენ ასეთი ადამიანი? ამიტომ ვფიქროთ, რომ ქართული კათოლიკური ეკლესია თბილისში, უდაოთ, დაუკავშირდებოდა ამ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას კონსტანტინეპოლში და შეეცდება დახმარება აღმოუჩინოს ამ ჩვენს მონასტერს სტამბოლში. ეს ჩვენ შესაძლებლად მიგვჩნია განსაკუთრებით იმიტომაც, რომ ქართულ კათოლიკურ ეკლესიას თბილისში, უთუოდ, კავშირი აქვს სხვადასხვა ქვეყნის

კათოლიკურ ეკლესიის მმართველობებთან და ამ გზით, უთუოდ, შესაძლებელია გამოინახოს საშუალებები და გზები, რომ ქართულ მამათა სავანე სტამბოლში ისევ ისე გაძლიერდეს, რომ ამ მონასტერმა თავისი ქართული სახე არ დაკარგოს, მიუხედავად იმისა, რომ ამ მონასტერ-ეკლესიის მრევლთა ნაწილი არაქრთველებია.

რა თქმა უნდა, ყველა ამ პრობლემის მოგვარება თავისუფლად შეუძლიათ იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ თურქეთში, ან იმ ქართველებს, რომლებიც ცხოვრობენ საქართველოს ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიის ფარგლებშია მოქცეული. მაგრამ ამ გზას წინ ეღობება-ჯერ ერთ ის ფაქტი, რომ თურქეთის ტერიტორიაზე მოქცეულ ქართველთა დიდი უმრავლესობა მაჰმადიანებია; და, რაც უფრო მთავარია, მათ არავითარი ავტონომიური უფლებები არ გააჩნიათ;

კიდევ მეტი: ქართველები თურქეთში არ ამბობენ, რომ ისინი ქართველებია, განსაკუთ-რებით ქალაქებში, რომ ამით მმართველი წრეების შევიწროების ობიექტი არ გახდენ. არც ის არ იციან თურქეთში მცოხვრებმა ქართველებმა, თუ, საერთოდ, რამდენი ქართველია დღეს თურქეთის ტერიტორიაზე. **ზოგი ამბობს-ორი მილიონი, ზოგი ერთი მილიონიო...** ფაქტი კი რჩება ფაქტად, რომ **ქართველთა რაოდენობა თურქეთის სახელმწიფო ტერიტორიაზე დიდია;** ზუსტი ცნობების მიღება კი შეუძლებელია, ვინაიდან თურქეთში აღწერა ხდება **არა ეროვ-ნებათა, არამედ რელიგიური რწმენის მიხედვით** და ამის შედეგია ის, რომ მაჰმადიანები მაჰმადიანებად ირიცხება და არა ქართველებად.

ამას ემატება კიდევ ერთი მეტად დიდი მნიშვნელობის ფაქტი: ქართულ სოფლებს, ქართველებს-არ აქვთ ქართული სკოლები და არც აქვთ უფლება ჰქონდეთ. ამის შედეგია ის , რომ ქართველების უმრავლესობა ქართულს სწავლობენ მალულად, თავისი პირადი ინიცია-ტივით და ხშირად, როგორც ერთმა ქართველმა მოგვითხრო ქალაქ ბურსას სამხრეთ რაიო-ნიდან, ერთი სოფლიდან მიდის ახალგაზრდები მეორე სოფელში, რომ იქ რომელიმე ქართული ენის მცოდნესაგან ქართული ისწავლონ. **ქართული სიმღერებისა** და ცეკვების სწავლაც კი ასეთივე სიძნელეებთანაა დაკავშირებული. ერთი სიტყვით, **ქართველებს თურქეთში არ გააჩ-ნიათ მინიმალური ავტონომიური უფლებები** და, წარმოიდგინეთ, მეტად ცოტა რამ იციან საქართველოს ისტორიის და საერთოდ საქართველოს შესახებ. ამიტომ იყო, რომ ერთმა ქართ-ველმა გვითხრა, რომ ის „ქართველია, მაგრამ თურქი პატრიოტია". საბჭოთა საქართველოში მცხოვრებ ქართველებს ისინი უწოდებენ **„რუს-ქართველებს**", ხოლო თურქეთში მცხოვრებ ქართველებს **„თურქ-ქართველებს**!" მათ ვერ წარმოუდგენიათ, რომ საქართველოს შეუძლია იყოს თავისითავის ბატონ-პატრონი და რომ ქართველებს არც „რუსისა" და არც „თურქის" ზეთ-სართავი სახელი არ ესაჭიროება; რომ **ქართველი-ქართველია, რომ საქართველო უძველესი ერია,თავისი სამიათასწლოვანი სახელმწიფოებრივი ისტორიით**. საინტერესოა ის ფაქტიც, რომ თურქეთში მცხოვრებ ქართველებმა, უკიდურეს შემთხვევაში მათ უმრავლესობამ, არც კი იციან, თუ ვინ იყო **თამარ მეფე, შოთა რუსთაველი**... აი, ასეთი სავალალო პირობებში ცხოვ-რობენ ქართველები თურქეთში, რამდენად მე ამის გაგება შევძელი.

უკანასკნელ დრომდე ქართველები უფრო შეკრულ ერთეულებს წარმოადგენენ, როგორც ეს გავიგე, ხოლო უკანასკნელ ხანებში მდიდარი თურქები ქორწინდებიან ქართველ ქალებზე და ამით მეტად შეარყიეს ქართველთა ოჯახები, ტრადიცია. ამის შესახებ კიდევ ბევრი რამეს თქმა შემეძლო, მაგრამ ჯერჯერობით ესეც საკმარისია, რომ გავიგოთ ჩვენი თანამემამულეების

მძიმე ხვედრი თურქეთში და საქართველოს იმ ისტორიულ ტერიტორიაზე, რომელიც დღეს თურქეთის სახელმწიფო ფარგლებშია მოქცეული.

ყველა ამას თუ მივიღებთ მხედველობაში, მაშინ გასაგებია ქართული კათოლიკური მონასტრის გამგის-**პავლე აკობაშვილის სიტყვები**, როცა ის ამბობს თავის ჩემდამი მომართულ წერილში:

ხმა: „ძალიან **თვალყურადღებას გვაქცევენ** და ამიტომ ძალიან მეშინია. აქ ბევრი **აგვაწრიალეს და ძალიან გავიტანჯეთ,** ამიტომ ბოდიშს ვიხდით, სულ არავის არც ვინახულებ და არც არავის მივიღებ... ერთ სიტყვით ათას გაიგებთ. უკაცრავად ვართ, თუ ჩამოხვედით, ჩვენსკენ ნუ გამოივლით, თუ შეიძლება წერილსაც ნუ მოიწერთ".

რეპორტიორი: მე მისი თხოვნა და მუდარა დავაკმაყოფილე. ვიყავი კონსტანტინეპოლში, ვინახულე ქართული კათოლიკური მონასტერი, მაგრამ არც კი მიცდია მენახა თვით **პავლე აკობაშვილი,** ამ სავანის გამგე, რომ მისთვის საშიში მდგომარეობა არ შემექმნა, როგორც ის იწერება. და განსაცვიფრებელია, რომ ყველაფერი ეს ხდება **ატომურ ეპოქაში, დემოკრატიულ სახელმწიფოში,** რომელიც დასავლეთის დემოკრატიული სახელმწიფოების მოკავშირეა! გასაკვირია, დღეს, როცა მთელს მსოფლიოში არა მარტო დიდი თუ პატარა ისტორიული ერების შვილები, არამედ ხალხები, რომლებსაც დღემდე არავითარი ისტორია, კულტურა, ენა არ გააჩნდათ, თავისუფლებას ღებულებენ - არა მარტო ავტონომიურ, არამედ სრულ თავისუფლებას, ესე-იგი, გახდენ და ხდებიან დამოუკიდებელნი, სუვერენული სახელმწიფოები და თურქეთთან ერთად ზიან გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში,- **რატომ ქართველებს თურქეთში არ უნდა გააჩნდეთ მინიმალური ავტონომია მაინც? რატომ არ უნდა ჰქონდეთ უფლება, გახსნან თავისი ქართული სკოლები და შეისწავლონ დედა ენა, ქართული ზნეჩვეულება, საქართველოს ისტორია?** მაგრამ, როგორც ჩანს, თურქეთი და საბჭოთა რუსეთი დღესაც ისევე ერთი აზრისაა საქართველოს შესახებ, როგორც ისინი იყვნენ საუკუნეთა განმავლობაში; ისინი ცდილობენ შეინარჩუნონ თავიანთი ბატონობა საქართველოზე და როგორც ბრესტლიტოვსკის ხელშეკრულება ცხადყოფს, თავიანთ სურვილისამებრ გაინაწილონ საქართველოს ტერიტორია- **ქართველი ერის დაუკითხავად.** მათ ამ საშუალო საუკუნოებრივ პოლიტიკაში, დღემდე ცვლილებას ვერ ვხედავ, მიუხედავად იმისა, რომ საქართველო რომ გამაგრდეს, აღადგინოს თავისი სახელმწიფოებრივი ტრადიცია, როგორც ეს მოხდა 1918-21 წლებში, ეს თვით ამ ორი სახელმწიფოს ინტერესებს იმით მაინც ემსახურება, რომ მათ შორის შეიქმნება ერთი დასაყრდენი ერთეული, რომელიც **თურქებისა და რუსების ისტორიულ ქიშპობას კავკასიის რაიონში შეამსუბუქებდა და ერთგვარ წონასწორობას დაამყარებდა მათ შორის.**

მაგრამ გვეყოფა ახლა ამაზე ლაპარაკი, მოდი, სანამ კონსტანტინეპოლს-სტამბოლს დავტოვებდეთ, ვინახულოთ ორიოდე ისტორიული ადგილები ამ შესანიშნავი ქალაქისა; ფრანგი მწერალი **ლამარტინი** (1790-1869) კონსტანტინეპოლის სილამაზეს თავის წიგნში -„Souvirs, impressiens, pensdes et paysages pendant ua veyage en orient" (lanartine, 1835), ასე აღწერს" „

ხმა: „აქ ღმერთმა და ადამიანმა, ბუნებამ და ხელოვნებამ ერთმანეთთან ითანამშრომლეს, რომ კაცობრიობისათვის სასწაულოებრივი მშვენიერება შეექმნათ".

რეპორტიორი: და მართლაც, ეს ქალაქი მშვენიერია და სრულიად იმსახურებს თავის სახელს: **„აღმოსავლეთის რომის" –დედაქალაქის სახელს!** მიუხედავად იმისა, რომ მე იმ ქართველ მეცნიერთა აზრი უფრო მომწონს, რომ **არსებობდა არა ორი რომი, არამედ სამი: ესენი იყვნენ-**

დასავლეთის რომის იმპერია, დედქალაქი რომით, შუა რომის იმპერია, დედაქალაქი კონსტან-ტინეპოლი და აღმოსავლეთის რომის იმპერია, დედაქალაქი თბილისი; და ამ აზრით განმტკიცდება იმ ფაქტით, რომ მე-12 საუკუნეში ბიზანტიამ დროებით შესწყვიტა თავისი ისტორიული გზა და ეს როლი მაშინ საქართველომ მიიღო მემკვიდრეობით მთელს კავკასიის ტერიტორიაზე, შექმნა კულტურის **„ოქროს ხანა“-** სრულიად ობიექტური შეფასებაა ისტორიუ-ლი ფაქტებისა. კონსტანტინეპოლში - სტამბოლში, ექსკურსანტთა მძღოლი, სამწუხაროთ, მხოლოდ სტამბოლის იმ პერიოდზე ლაპარაკობს, როცა ის დაიპყრო თურქებმა 1453 წელს და ამის შემდეგ იწყება მეჩეთების შენება... ერთმა თურქმა, რომელმაც წერა-კითხვა არ იცოდა, ვინაიდან ჩვენი ქაღალდზე დაწერილი მისამართი ვერ წაიკითხა, მიუხედავად იმისა, რომ ლათინური ასოებით იყო დაწერილი და ლათინური ანბანი დღეს ხომ თურქულ ენაშიც შემო-ღებულია, დიდი სიამაყით გვითხრა „დღეს სტამბოლში 507 მეჩეთი გვაქვსო“. მართლაც, ზოგი-ერთი მათგანი, მშვენიერია არქიტექტურულად, მაგრამ ვითომ უკეთესი არ იქნებოდა მეჩე-თების რიცხვი შემცირდეს და სკოლების გადიდდეს?- ვიმედოვნებთ, რომ დღეს, ალბათ, ბევრი თურქი ფიქრობს ასე; მაგრამ მათ სიტყვას, ალბათ, არავინ უჯერებს.

დავათვალიერეთ, აგრეთვე სულთანთა სასახლე, სამზარეულო და გიდმა დიდი ბოდიში მოიხადა, რომ ჰარემს ვერ დაგვათვალიერებიებდა, ვინაიდან შიგ რემონტი მიმდინარეობსო. სიმართლე გითხრა, მშვენიერია ნაწილი ამ ნაგებობათა, განსაცვიფრებელია აქ თავმოყრილი ფაიფურის ჭურჭლეულობა, ოქროულობა, ძვირფასეულობა, მაგრამ ჩემზე, როგორც ქართველ-ზე, ყველაფერი ეს ისტორიული ნივთები, სწორედ იმ დროს მაგონებდა, როდესაც თურქები თარეშობდენ ჩვენს ტერიტორიაზე, ანადგურებდენ, აწიოკებდენ ჩვენს ხალხს და განა ყველა ამ ჩვენი ისტორიული ტრაგედიის გახსენება ყოველ ქართველს გულს არ დაწვავს? რა საინტე-რესოა ჩემთვის ამა თუ იმ სულთანის ხმალი თუ მოსახამი, რომელიც მას ეცვა, თუ ატარებდა იმ დროს, როცა ის ქართველთა ლაშქარს ამარცხებდა და ქართველ მოსახლეობას აწიოკებდა?

ამგვარი დაკოდილი გულით მიგვიყვანა გიდმა **„აია სოფიას“** ტაძართან, რომელიც ბიზან-ტიის დიდების გამომხატველი ნაშთია დღეს კონსტანტინეპოლში; მიუხედავად იმისა, რომ მისი პირვანდელი არქიტექტურაც შეცვლილია. ვინახულე **ბოსფორი**, გადავედი გემით აზიის ნაპირზეც-**უსკუდარში**, რომელიც კონსტანტინეპოლის ერთი ნაწილია, მაგრამ ბოსფორის მეორე მხარეს- აზიაში მდებარეობს.

მშვენიერი ქალაქია, დიდი ქალაქია დღეს კონსტანტინეპოლი; მაგრამ მე დამრჩა შთაბეჭ-დილება, რომ ამ მშვენიერ ევროპულ ქალქში თითქოს მხოლოდ და მხოლოდ „უცხოელები“ ცხოვრობენ; თითქოს ამ ქალაქში მცხოვრებ ხალხს ალღო ვერ აუღია ამ ევროპული ქალაქის ცხოვრების სტილისათვის და ქალაქი ცხოვრობს თავისთვის, მასში მცხოვრები ხალხი კი თავისთვის, ამიტომ მე ვუწოდებ დღევანდელ სტამბოლს ერთდროულად: კონსტანტინეპოლს-სტამბოლს; კონსტანტინეპოლი ევროპული, მშვენიერი ქალაქია, ხოლო მასში ცხოვრობს სტამბოლის მოსახლეობა.

სანამ სტამბოლს-კონსტანტინეპოლს დავტოვებდი, კიდევ ერთხელ მივედი ქართულ კათოლიკურ მონასტერთან, გადავიღე სურათები და დავიმახსოვრე, რომ ეს ჩვენი მონასტერი მდებარეობს კონსტანტინეპოლის ერთ უბანში, რომელსაც ეწოდება **„შიშლი“**. გული დამწყდა , რომ ამ ერთადერთ ქართულ მონასტერში დღეს არის ქართველი და სწორედ მე მასთან საუბ-რის საშუალება არ მქონდა. აქაც უნდა ვთქვა- **„ნახვამდის!“** ვინ იცის, ერთ დროს, შეიძლება,

კიდევ შევძლო კონსტანტინეპოლში ჩასვლა და მაშინ შეიძლება, ვესაუბრო მის ქართველ თავ-მჯდომარეს თუ გამგეს. ამ იმედით დავტოვე კონსტანტინეპოლი და გაუდექი გზას ათონის მთისაკენ, რომ მენახა ჩვენი დიდი მონასტერი „**ივერიონი**“.

თუ როგორ მივედი ივერიონის მონასტერში და როგორ მიმიღეს იქ ბერძენმა ბერებმა, ამის შესახებ გესაუბრებით დღეისწორს, ამავე დროს და ვინაიდან აქ კონსტანტინეპოლის ქართული კათოლიკური მონასტრის ზარების რეკას ვერ მოგასმენინებთ, ისევ მოვისმინოთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...

(იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკა...)

თქვენ ისმენთ იერუსალიმის ჯვარის მონასტრის ზარების რეკას...

(ზარების რეკა...)

პირთა საძიებელი

ა

აბაშიძე ასლან–20,21,45
აბაშიძე გოჩა–21
აბაშიძე ზაზა–20
აბაშიძე ილიკო (მოკეთე)–438
აბაშიძე კიტა - 396,571
აბაშიძე მემედ–98,133,134,136,137, 139,142,144,145,147,149,151,153,155,157,159,161,162,165,166,168
აბაშიძე ჰაიდარ-45
აბდულ ჰამიდი–144
ავალიშვილი გიორგი–17
ათაბაგი ფუატ-ბეგი–153
ათაბაგი სერვერ-ბეგი–154
ათონელი ექვთიმე–16
აკობაშვილი პავლე–124,129
ალექსიძე ალ.–81
ალიშანი გევონდ-46,47
ამარტოლი არსენ-23
ამირეჯიბი ი.–61,323
ართვინლი (გოგლიძე) მევლუდ–19
ახვლედიანი აზიზ–19,20
ახვლედიანი ნარგიზ–21,116
აჯარი (ვაჭარიძე) ისმეთ–19
ავალიშვილი ნიკოლოზ–997
აკობაშვილი (ადგულაძე) პავლე–124, 1002,1003,1004, 1005, 1007
ამილახვარი–998
აგრამინი ტ.–649
ალფონსი ვ.–75,656, 658,659,663,667,668,671,703,705,708,717,755
ამირხანოვი ა.–675,676,677,678,753
ამირხანოვი კ.–657,706,707
აზარიანი გ.–661
არესტაკი ტ. –666
არისტავერსი ტ.–697
ანტონოვი დ. –665,698,699,700,701,702,704,705,707,708,709,710,713,714,716
ანტონოვი გ.–758
აკოფოვი ა.–759
აღიმოვი პ.–755
აფრამიათ ლ.–793
ანერხოვი მ.–731
აბულაძე იუსტინე - 296, 816
აბულაძე იაკობ პეტრეს ძე–296
ავალიანი ბორისი - 604
ათოშვილი გრიგოლი- 64, 641
ანტონოვი იოვანე - 665

არაყიშვილი დიმიტრი - 587
ასათიანი ალექსანდრე - 863
ასათიანი ჭიჭიკო - 582-583
ახმეტელიშვილი ვლ.- 577
აბდულლა სააფი–454
ავნი–ბეგი–347
ათაბაგი მზე-ჭაბუკი–410,412
ათაბეგიშვილი რიზა–ფაშა–346
ანდრონიკაშვილი ალექსანდრე–446
ალექსანდრე VI–რომის პაპი–422,423
აღა-მაჰმად-ხანი–342
არარატიანი ალექსანდრე (ყარაქილისელი)–219,220,225
ასლანიშვილი სიმონ–222
აბდულჰამიდ II (წითელი სულთანი)–293
ახობაძე ანდრია გაბრიელის ძე–296
აბდუშელი შალვა (დამსწრე)–302
არსენიძე რაჟდენ („რ“)–304
აზიზოვი ივანე–326
ანტონ კათალიკოსი–241,250, 257
არშაკიდები–245
ალექსანდრე დიდი–245
აბო ტფილელი–247
ათაბაგიშვილი შერიფ მოლა ბეი–332
ამბროსი კათოლიკოსი–251
ალექსანდრე მეფე (კახეთის)–270
ათანასე ათონელი–810
ანდრონიკაშვილი გიორგი–850
აფხაზი კოტე–850

ბ

ბაგრატიონი დავით-დაუთხანი (1569-1578)–17
ბაგრატიონი დომენტი–17
ბათმანიშვილი შიო–178,690,1005
ბაკურიძე ალიკო–20
ბალიძე პიო–44,300,302,655,788,790,791,801,1005
ბასილი მაკედონი (866-886)–15
ბაქრაძე დიმიტრი–36
ბეჟანიძე ასლან–45
ბეჟანიძე ელისაბედ (ანა)–111,123
ბერიძე მერაბ–20
ბლუაშვილი უ.–50
ბრაგანტინი გაბრიელე–20
ბროსე მარი–36
ბერა ერმილო–985
ბარიჩატოვი ა.–649
ბენედიქტე ა.–653,660

ბენუა პ.–665
ბაცევსკი–665
ბალახოვი მ.–668,755
ბეხლერი ვ.–695
ბალახოვი ს.–696, 697,791
ბეჟანოვი ე.–755
ბალოშვილი პ.–758
ბათმანიშვილი ალიოზ–512, 648, 651
ბატონიშვილი ირაკლი - 550-552
ბეგიაშვილი რ. –518
ბერიშვილი შალვა – 598
ბექიროღლი ბექირი – 624
ბექიროღლი სულეიმანი–622
ბულგანინი – 621
ბარუძე აბდულა–344
ბაქრაძე დიმიტრი–349,373
ბათომელი (უცნობი ფსევდონიმი)–483,485
ბაჰრი იუნუს–ოსმალელი ქართველი–448, 339
ბაჰრი ფაშა–346,371
ბეჟანიშვილი ივანე–350
ბერნარდო კოლეტი–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–422,423
ბერთრამო–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–423
ბონიფაციო IX–რომის პაპი–422
ბარკალაია ბენედიქტე–277,278,279
ბეჟანოვი პეტრე ივანეს ძე–296,297
ბეჟანოვი იოსებ ივანეს ძე–296
ბაკაკიშვილი პეტრე–297
ბაქრაძე შაქრო (შ.ბ.)–300
ბელიაშვილი აკაკი–181,186
ბელიაშვილი ლადო–186
ბათმანაშვილი გაიანე–192
ბეჟანიშვილი ივანე–326
ბეჟანიშვილი დანიელ–326
ბაკაკოვი იოსებ–326
ბეჟანოვი კატარინე–331
ბაკურიანი გრიგოლ–237,249
ბაკურ დიდი–237
ბაქარ ვახტანგის ძე–240,241
ბარდა სკლიაროსი–249
ბეგიძე ფრანჩისკე–934

გ

გაბაშვილი ტიმოთე–17
გამსახურდია კონსტანტინე–22,537,542
გამყრელიძე ამირან–127
გამყრელიძე გიორგი–619,180,188

გეგეჭკორი ევგენი–98,72,560
გედევანიშვილი ივანე–17
გედევანიშვილი ა.–102
გიორგი მთაწმინდელი–14,16,301,263
გიორგი ოლთისელი-16
გიორგიძე სტეფანე–41,61,227,296,298,303,323,324,444,636,640,973,976,981,1005
გოგიტიძე გიორგი–21
გოქიითი (გოგიტიძე) ნიჰაათ–19
გოცირიძე დ.–107
გრიშაშვილი ი.–91
გრძელიძე იოანე–16
გვაზალიანი ანთუან–959,960
გოგოლიშვილი (საქართველოს კონსული)–971
გრილაძე ანდრია–973
გალიცინი 679
გორგაძე ს.680,681,682,683
გოკიელი ლ.–649
გურგენოვი–698
გოდერძიშვილი–653
გვარამაძე–658,661,665,679,689
გოზალევი გ.–790
გაწერელია მიხეილი - 611
გვაზავა გიორგი - 560, 575
გვარამაძე ივანე - 519, 596, 658,225,226,227,412
გვარამაძე ქრისტესია - 517
გინზბურგი შ.- 583
გოგებაშვილი იაკობი - 529
გოგუაძე ვალოდია - 529
გოზალაშვილი გაბრიელი- 511-512,790
გურამიშვილი დავითი - 540
გაეტანო დ,ალექსანდრო–იტალიელი მისიონერი–432
გიბონი–406
გიორგი ბრწყინვალე–406,421
გიორგაძე სულეიმან–457,463,464
გუმპლოვიჩი–სოციოლოგი–356
გრანჯერიო ლოდოვიკე–418
გლახაშვილი დონ–ანტონი (მღვდელი)–222
გარაყანიძე ალექსანდრე ივანეს ძე–296
გოზალაშვილი პავლე–297,326
გურგენიძე პავლე (მესხი)–195
გაბაშვილი ბესიკ–186,540
გვათუა ავქსენტი–189,190
გვარამაძე კ.–191
გოზალიშვილი ლაზარე–192
გოზალიშვილი თომა–326
გაბრიელ ქუთაისის ეპისკოპოსი–250

გიგოლაშვილი ლეონ–877
გვარჯალაძე კ.–953

დ

დადიანი ნინო–68,560,567
დალეჯიო-დალესიო ევგენი–37
დარასი ოგუსტ–35,48
დელფუშე (ვატიკანის ვიზიტორი)–177
დეპუა დე მონპერი–47
დიასამიძე ბიჭიკო–110
დინდარი ისმეთ (მიქელაძე)–20
დინდარი (მიქელაძე) ულქერ–20
დელპეისში მ.–653
დადიანი უშანგი-539
დათეშიძე რაჟდენი - 581
დგებუაძე ნიკო - 570
დევდარიანი სეიდი - 606
დელფუში ანტონი - 522-524, 653
დემურია ბ.- 583
დერბესი ჟორჟ სიმონ - 618
დითერანი (კარდინალი)- 555
„დ“ (უცნობი ფსევდონიმი)–446
დადიანი ლიპარიტი–417
დარბაიძე მემედ ქიამილ–ოსმალელი ქართველი–310,451
დელავალე პეტრო–მოგზაური, ლიტერატორი–432
დეკასტელი ქრისტოფორე–იტალიელი მისიონერი–432
დიმიტრი მონაზონი–421
დეკანოზიშვილი გიორგი–202,204,396
დიდიმამიშვილი ზაქარია–205,207,209,511,518
დურგლიშვილი სიმონ სტეფანეს ძე–296
დავით აღმაშენებელი–186, 245,248
დიასამიძე გრიგოლ–192
დიდვანიძე ფერჰათ ეფენდი–307
დარეჯან დედოფალი–241
დიაკონი გრიგოლ–247
დიქტე იოანე–808

ე

ერეკლე მეორე (1720-1798)–23,342
ეფრემ მცირე–16,240
ემანუელ პ.–657
ერემიევი ს.–750
ელისანოვი ანნა- 635
ერისთავი თამარა- 570
ერქომაიშვილი დათიკო - 869
ერისთავი ბარძიმ–425

ენჯელი ალბერტ–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–422,423
ელიაშვილი ოსმან ეფენდი–487
ეშრეფი ომერ (ოსმალელი ქართველი)–451
ემილ-ეფენდი (უცნობი ფსევდონიმი)–487
ეპისკოპოსი ალექსანდრე–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–422
ეხსანიშვილი ეგნატე (ივანე)–228
ელისაბედ პეტრეს ასული–241
ეფრემ მცირე-240
ექვთიმე მთაწმინდელი–246
ერისთავი თორნიკე–249,804,805,810

ვ

ვალაშკერტელი ზაქარია–16
ვარაზვაჩე იოანე–810
ვარას–ვაჩეკ ივერიელი–270
ვარდიძე ა–737,739,742
ვარდიძე ბ.–657, 658,661,669,675,678,680
ვარდიძე ბენედიქტე (სილინგაროვი)–სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი–336,349, 643-644, 990,1005
ვარდიძე ელისაბედ (პავლე ზაზაძის დედა)–122
ვარდიძე ე.–648,649,651,652,653,654
ვარდიძე ემინი - 517, 525, 648-661
ვარდიძე ი.–777
ვარდიძე შალვა–11, 12, 33,44,68,110, 117,125,168, 216,219,224,228,307,308,316,, 526, 544-633, 973,979
ვარძელოვი მ.–661,665,696, 750
ვახტანგ მეექვსე–17,441
ვახუშტი - 540
ვეზირიშვილი გიორგი დიმიტრის ძე-192
ვერნერი–72
ვერძაძე ნური–20
ველიჯანოვი (სააკიანი) სტეფანე იაკობის ძე–883
ვოლსკი გრიგოლ–85,106,594
ვრანგელი - 612

ზ

ზაზაძე პავლე (უფროსი)–117,120,121,122,123
ზაზაძე ანიტა–111,123
ზაზაძე ალიოზი–123
ზაზაძე ლევანი–123
ზაზაძე ნატალი–112,127,130
ზაზაძე პაულა–32,112,127,130
ზაზაძე პავლე–14,37,44,45,111,112,116,120,130,973,1005
ზაზაძე სიმონ–14,19,21,37,110,11,117,120,121,122,123,125,129,543
ზაზაძე–ინჯეა ქლაუდეა–113,130
ზაზაშვილი შოთა–20

ზალდასტანიშვილი გივი–45,114
ზალდასტანიშვილი გიორგი–229
ზარიფ ბეი - 505
ზდანოვიჩი გიორგი–396
ზუბალაშვილი სტეფანე–319
ზუბალოვი იაკობ–222, 962
ზუბალოვი ანნა–962
ზუჰრაბიანი იოანე–არხიმანდრიტი–962

თ

თამარაშვილი მიხეილ (მიქაელ)–48,172,192,204,213,214, 301,317,320,423, 492-499, 630-634, 657,666,670,691,695,790, 987,992,994,995
თარხნიშვილი მიხეილ (მიქელ)–47,232,236,237,240,243,247,248,547
თამარ დედოფალი–333,248,1106
თათენაშვილი - 510, 515, 522
თარხნიშვილი მიქელი- 547
თავდგირიძე მაჰმუდ-ფაშა–314,326,346,347,370,371
თავდგირიძე ალი-ფაშა–346,371,488
თავდგირიძე აჰმედ ბეგი–349,368,369,370
თავდგირიძე ნიკო– 396
თაყაიშვილი ექვთიმე–111
თეთრუაშვილი შორენა–21
თეოდორე აჭარელი–13
თუალელი ილარიონ–16
თუხარელი საბა–16
თევრიზ ხანი (სავარაუდოდ თეიმურაზ მეფე)–417,418
თეოდოროსი პირველი (რომის იმპერატორი)–434
თეოდოროსი II–ბიზანტიის კეისარი, B 435
თოლეთინელი თომა–421
თულუქაშვილი დავით– 429
თუროკო–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–423
თურელი პეტრე–421
თათენოვი პავლე–210
თუმანოვი პეტრე–272
თავდგირიძე აჰმედ ფაშა (გურჯი)–293,326,332
თუმანიშვილი ლუკა სტეფანეს ძე–296
თუმანიშვილი იაკობ პეტრეს ძე–296
თუმანიშვილი პავლე–192
თამარაშვილი პეტრე–192
თავდგირიძე ბაჰრი-ფაშა–314
თუმანიშვილი დიმიტრი–321, 322
თუმანიშვილი მიხაილ–240,254,321
თმოგველი სარგის–323,799
თუმანოვი ლუკა–326
თუმანოვი ანტონ–240

ი

ილარიონ ქართველი–15,16
იოანე იყალთოელი–16
იოანე პეტრიწი–16
იოსელიანი პლატონ–15,536
ინასარიძე (დიქტორი, ამერიკის ხმა)–999
იაგულოვი – 665
ივანე სანკტე მიქაელელი–თბილისისი ეპისკოპოსი–422
ივანე იმაქი–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–423
ინნოკენტ XI–რომის პაპი– 425
ირ-დი (უცნობი ფსევდონიმი)–445
იმმა (უცნობი ფსევდონიმი–489
იოსელიანი სეიფოლა (ფერეიდნელი ქართველი)–445
იოანე XXII–რომის პაპი–421
ირემაძე–ხოჯა ზემო აჭარიდან–364
ირ ბახი ნიკიფორე–429
ივანე ნათლისმცემელი–209,210,214,269
ისმაილ ქემალ ბეგი–285, 289
იბრაჰიმ ფაშა–304
ინგოროყვა პავლე–184, 185,246
ისარლიშვილი იაკობ–192
ისარლიშვილი გიორგი–192
იოანე პეტრიწი–239,249
იბერიძე იოანე–239
იოანე ოქროპირი–241
იოანე დამასკელი–141
იყალთოელი არსენ–241, 249
იულიუს კეისარი–247
ივანე ბოლნისელი–250
ივერიელი იოანე–269
იზაშვილი–252,257,261

კ

კანდელაკი ბ.–81
კახიძე ნოდარი–110
კეკელიძე გიორგი–20
კეკელიძე კორნელი–36
კერესელიძე ივანე–36,246,247
კონსტანტინე IX მონომახი(1044–1047)–16
კოპლატაძე ირაკლი–21
კუდავა ბუბა–21
კეთილაძე ოთარ–23,999,1000,1003
კონსტანტინე პ.–651
კალატოზიშვილი მ.–653, 657
კიკნაძე–656
კრუშინსკი–706

კალაიჯოვი პ.–756,757,759,760
კალატოზოვი დ.–757, 731
კაჭკაჭიშვილი ი.–733
კაჭკაჭოვი ს.–731
კალატოზიშვილი დიონისი - 420, 523
კანკავა ალექსანდრე - 617
კარგარეთელი ია - 587
კესლერი (ეპისკოპოსი) - 512
კიზირია პეტრე - 578
კობახიძე გივი- 611
კორგუტა–416,417
კლიმენტი მეხუთე რომის პაპი–421, 423
კლაპროთი–425
კირიონ II-საქართველოს კათოლიკოსი–251, 433,628
კვალიაშვილი მიხეილი („კვალი“)–437
კონსტანიდი გიორგი–487
კონსტანტინე დუწი–238,239
კარდინალი ბარნაბო–264
კვინიტაძე გიორგი–953

ლ

ლაფაჩი ციური–20
ლომთათიძე თამილა–93,116
ლომსაძე შოთა–38
ლამარტინი (ფრანგი მწერალი)–1007
ლოგორი ალფონსო–959
ლაზარე პ.–653
ლასხიშვილი გიორგი–396
ლეონარდო ვილაკოლი–თბილისის კათოლიკე ეპისკოპოსი–422,423
ლორთქიფანიძე იუსუფ-ბეგი–346,484
ლეონტი მროველი–243, 244, 246
ლეონიდე კათოლიკოსი–251

მ

მაისურაძე ციალა–21
მალაყმაძე როინ–110,116,117
მამულაშვილი ივანე–34
მანველიშვილი ალექსანდრე–69,72
მარენგო (იტალიის ვიცე კონსული 1885 წ.)–37
მაჩაბელი გიორგი–96,592
მენაბდე ლევან–81
მენაღარიშვილი ირაკლი–111
მენაღარიშვილი სანდრო–71,94,97,111,124
მენელიქ მეორე (აბისინიის მეფე)–45
მერაბიშვილი პეტრე–35,45
მესხი კ.–90

მუსტაფა–ქემალ ათათურქი–140
მაჩაბელი ივანე–997
მამუკოვი იოსებ–989
მელიქიშვილი–998
მესხი სერგეი–391,597, 997
მარკო მ.–692
მარქანოვი გ.–654
მერაბოვი ვ.697
მერაბიშვილი ს.–731
მღებრიშვილი ა.–725
მანი თომასი - 539
მაღლაკელიძე შალვა - 547
მეთინოღლი ხასანი - 624
მეკელაინი მ.–537,542
მელაშვილი ახმედ (ოზქან) - 586
იოსებ მერაბიშვილი (მერაბი)–531
მეფისაშვილები ბაგრატ და ევგენია –521
მოლოტოვი - 560
მურადიშვილი (მურადოვი) ლევანი – 554, 619
მუსხელიშვილი ვ.- 576
მხეიძე ლუბა - 617
მაკარიოზი–კათოლიკე ეპისკოპოსი–417
მარტინ V-რომის პაპი–422
მამნიძე რაშიდ ეფენდი–466, 467,469,470,471
მარი ნიკო–246, 404,538
მემარნე ჯელალ-ეფენდი (მემარნიშვილი)–326,347, 352, 380
მერაბიშვილი იოსებ– მღვდელი–44,63,351,444,655,656
მერაბიშვილი მერაბ (დოქტორ მერაბი)–აბაშეთის იმპერატორის მენელიკს მეორის კარის ექიმი–351,444
მეფისოვი ბაღდასარ–420
მამინიძე რაშიდ ეფენდი–466, 467,469,470,471
მიდჰად-ფაშა–362
მეფისაშვილი გრიგოლ-222
მეჰმედ რეშად ეფენდი–288
მიცკევიჩი ადამ–304
მამნიძე ახმედ-ეფენდი–307
მუღაშვილი დომინიკე–323
მიქელ-ანჯელო–203
მამუკაშვილი იოსებ–228,264
მირაქოვი კონსტანტინე–326
მირიან მეფე–244, 246
მოსე ხონელი–247
მთაწმინდელი ექვთიმე–249
მთაწმინდელი გიორგი–249
მეფე ერეკლე II–250
მახარაძე ფილიპე–845

მდივანი ბუდუ–834

ნ

ნარაკიძე ციალა–21,116
ნაზაროვი დ.–84
ნიკოლეიშვილი ავთანდილ–20
ნიკოლოზ მეორე–147
ნათაძე იასონი–997
ნათაძე მარიამი–997
ნებიეროვი ნ.–678
ნადიროვი პ.–783
ნატროშვილი გიორგი - 580
ნატროშვილი ალექსანდრე - 580
ნაკაშიძე ილია–396
ნიკოლაძე ნიკო–391,800
ნიკოლოზ V–რომის პაპი–422
ნიჟარაძე გიორგი–440
ნიკოლაძე ბოგუმილა–274, 275
ნოზაძე ვიქტორ–186,547,548,549
ნიკოლოზ მისტიკოსი–236
ნადარეიშვილი შოთა–269

ო

ონიანი გიორგი – 20
ორბელიანი სულხან–საბა–14,250,427,450
ორბელიანი დეკანოზი–176
ორბელიანი პაპუნა - 536
ონიკაშვილი (ფერეიდნელი ქართველი)–369
ორახელაშვილი მამია–834,835

პ

პარმაქსიზიშვილი თენგიზ–2
პარმაქსიზიშვილი ქრისტინე-125
პეტრე იბერი–15
პავლე II-რომის პაპი- 422
პიო მეორე–რომის პაპი–422,423
პიზანელი ფრანცისკე–421
პაპი ჰონორიუსი–212
პაპი ურბანო VIII-212
პაპი პიო X-300
პაპი პიოსი–319
პატრიარქი ზაქარია–212

ჟ

ჟორდანია ნოე –45,102, 141,602,623,838,838,839,858,870,953,957
ჟღენტი ვიქტორ–296

რ

რალცევიჩი მ.–84
რატილი იოსებ–89
როლანდსტონი (ინგლისელი პოლკოვნიკი, დენიკინის მომხრე)–159
რობაქიძე გრიგოლ–72
რცხილაძე (საქართველოს დიპლომატიური წარმომადგენელი კონსტანტინეპოლში)–971
რეკლიუ ელიზე - 493
როკოსოვსკი - 613
რებიზადე (ერთ-ერთი სპარსული გაზეთის კორესპონდენტი)–340
რუსთაველი შოთა–457,999,1006
რუსუდან დედოფალი–212
რომანოზი (იმპერატორი)–235
რიზა ფაშა (ბაგრატიონი)–280,372,441
რაჭველი იასე (მეხუზლა)–294,296,297,329,279,280,282,286,289,291,302,594,983
რაფიელ ინგილო (ივანიცკი)–262, 263, 264,267
რამიშვილი ნოე–855,866,876
რატიანი ბასილ–809
რატიანი გიორგი (ოდიშვილი)–809

ს

სააკაძე გიორგი –1
საბახტარიშვილი კ.–98
სალია ნინო–22,114,129,546
სალია კალისტრატე–22,72,114,620,621
სარაჯიშვილი ვ.–91
საღირაშვილი დავით–72
სენ მარტენი–36
სვიმონ მეფე (1573-1611)–15
სოლომონ მეორე–61
სტოიანოვი ალექსანდრე –83
სურგულაძე ირაკლი–166
სურგულაძე პეტრე–93,580,953
სურგულაძე როსტომ–168
სპანდარო გასპარი - 595
სულხან ბეგი -596
სულხანაშვილი 596
სარდი–ლათინთა ეპისკოპოსი–335
საფარიანი ამაზასპ–420
სარუხანა–425
სენიელი პეტრე–421
სულთანი აბდულ-ჰამიდი–360,362
სურმანიძე იუსუფ აღა–487
სტრატოფილოსი (ბიჭვინთის ეპისკოპოსი)–232
საფარიშვილი კონსტანტინე–300,499
სოკოლოვი–304
სტალინი–305

სოკრატე–180
სერვანტესი–181
სარაჯიშვილი ალექსანდრე–192
სიდავა ივანე–326, 328,330
სააკოვი დამიანე–240
სადათიერაშვილი ვასო–788,789,790,916
სააკაშვილი სანდრო–948

ტ

ტატალიშვილი პეტრე–44,124,517,691,786,787,834,989,990,1005
ტისრერანი (კარდინალი)–72
ტლაშაძე იესე–17
ტატალაძე ს.–685
ტარტაროვი თ.–732
ტურაშვილი ს.–732
ტატიშვილი ფარსადანი - 553-558
ტურნეფორი–425
ტფილელი დიმიტრი–421

უ

უორდროპი ოლივერ–161,162
ურატაძე გ.–93,826,828
ურუშაძე ავთ.–93,305,603,606
უოდროპი უ.–230

ფ

ფანცულაია ილია–81,800,802
ფანჩულიძე სანდრო–72
ფენსტერი მ.–84
ფიალი ფაშა–15
ფირცხალაიშვილი ზ.–103
ფუტკარაძე ელზა–21,116,117
ფუტკარაძე თეონა–21
ფუტკარაძე ედუარდ–20
ფუტკარაძე იამზე–21
ფუტკარაძე რუსუდან–21
ფუტკარაძე ტარიელ–20
ფუტკარაძე შორენა–21, 116,122
ფუტკარაძე შუშანა–23,32,44,115,119,122,975
ფაბრი ენრიკო–960,961
ფეიზულა ბეგი–565, 695,738
ფირალიშვილი ლ.–731
ფალიაშვილი ზაქარია - 589
ფეიქრიშვილი სიმონი - 572-573
ფილოშვილი - 570
ფალიანი ი.–440

ფარსმან მაძევარი (უცნობი ფსევდონიმი)–448,454,462,469,476
ფილოშვილი სიმონ–337
ფლორენციელი იოანე–421,423
ფილოშვილი ალექსანდრე სვიმონის ძე–296
ფილოშვილი სიმონ–326,337
ფირალოვი გოდერძი–242

ქ

ქალანგოს ალექსანდრე–114
ქალანგოს აქსპენდიოს–113,117,127
ქალანგოს კონსტანტინე–114
ქასაბი მურათ–18
ქვათაძე ჟანია–20
ქუთათელაძე ს.–801
ქვლივიძე გ.–801
ქობალავა იპოლიტე - 574
ქოსოღლი ხუსეინი - 623-624
ქარცივაძე ჯემალ–488
ქემალ ჯაბალ ფაშა ზადე–488
ქართველიშვილი (რაჟდენ ხუნდაძე)–323,327,329
ქეთევან დედოფალი–250
ქიქოძე ბესარიონ (ვასილი)–809
ქიქოძე გაბრიელ ეპისკოპოსი–809
ქარცივაძე დათიკო–827
ქუთათელაძე ვლადიმერ–826

ღ

ღამბაშიძე ვლადიმერ–987
ღამბაშიძე საბრო-ბეგი–ქართველი ვექილი–337
ღამბაშიძე ვახტანგ–192,396
ღლონტი ოსმან ბეი–326

ყ

ყაზბეგი გიორგი–45
ყიფიანი დიმიტრი–68,70,565
ყრუაშვილი ნატო–20
ყაუხჩიშვილი მ.–801
ყიფიანი იოსები - 565
ყარალაშვილი შევქეთ-ეფენდი–342,347
ყაზბეგი ალექსანდრე–296
ყიფშიძე ალექსანდრე–192

შ

შარაძე გურამი–73
შერვაშიძე გიორგი–106
შერვაშიძე კადირ-ბეგ–165

შნეიდერი ი.695
შემბეკი ა.–71
შიხინაშვილი ს.–785
შაპნოვი ა.–750,754
შეშაბერიძე ვ.–753
შეშაბერიძე კ.–731
შავიშვილი ხარიტონი - 488, 597
შანიძე აკაკი - 537
შარდენი–425
შეპიროვი მიხაილი–273
შაქირ ფაშა–285, 289,314,329
შოპენჰაუერი–180, 181
შილლერი–180, 181
შექსპირი–181
შავარდნაძე საბით ბეგ–314
შეშაბერიძე იოსებ–871
შავთვალათი გაბრიელ–937

ჩ

ჩელებაძე ნაილა–116
ჩილინგარიშვილი (ვარდიძე) ალექსანდრე–123
ჩილინგარიშვილი (ვარდიძე) მარიამ–111,123
ჩხენკელი ავთანდილ–96,134
ჩხენკელი აკაკი–830, 867
ჩიტაშვილი ლუკა–889
ჩელებაძე ვასილი - 601
ჩუბინიშვილი - 540
ჩხენკელი კიტა–230
ჩერქეზი მურად ბეგი–285, 289,293
ჩიკლაძე სკენდერ ეფენდი–296
ჩიქოვანი დავით–306,309,310,313,315
ჩხეიძე კარლო–830

ც

ცივაძე ისკენდერ–45
ციციშვილი ვახტანგი - 570
ცხონდია დიმო- 611
ციცანგვი დიმიტრი–241
ცაგარელი ალექსანდრე–270

წ

წერეთელი აკაკი–19,22,106,333,391,806
წერეთელი ვლადიმერ–57,61,323,325,326,327,329,332,333,531,532,533,534
წითლიძე არსენ–93,826
წმინდა ნინო–1001
წერეთელი მიხეილ (მიხაკო) უნაღვლელი)–ცნობილი ემიგრანტი პუბლიცისტი,–169, 185, 243,

246, 328,335,340,346, 348, 350,353,359,363,367,372,377,380,384,388,390,395,457,574
წერეთელი ვასილ (ულმობელი)–434
წინამძღვრიშვილი ანდრია–სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტერში მოღვაწე სასულიერო პირი, ქართულ-ფრანგული ლექსიკონის შემდგენელი– 44,61,325,326,329, 352,444, 473, 689,972,973
წულუკიძე ვარდენ–446,850
წინამძღვრიშვილი ანტონ სვიმონის ძე–296, 297, 326
წერეთელი გიორგი–321,391
წმ. ათანასე ათონელი–269
წილოსანი კირილე–826
წერეთელი ირაკლი–829

ჭ

ჭავჭავაძე ილია–45,390,391,392
ჭედია ბიქტორ–99
ჭილიმუზაშვილი (შაყულიანი) პავლე–32
ჭიჭინაძე ზაქარია–36,38,292,406,413,419,423,661

ხ

ხალვაში მერაბი–20,110
ხანძთელი გრიგოლი–16
ხითარიშვილი ალფონს–44,225,227,572,674,990,1005
ხიმშიაშვილი თაჰსინ–156,170
ხიმშიაშვილი ჯემალ–45
ხოსიტაშვილი მირიან–20
ხოშტარია აკაკი–22,574,582
ხუცესმონაზონი თეოფილე–16
ხმალაძე სპირიდონ–973
ხუბურუსი ბერნადეტ–1001
ხალვაში ასლანი - 608
ხახანაშვილი ალექსანდრე - 316,425,428,528,529
ხინიკაძე ხუსეინი - 488, 603-626
ხოშტარია მინადორა- 583,585
ხარისჭირაშვილი პეტრე (ხარისჭაროვი)–სტამბოლისქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის დამფუძნებელი–14,32,34,35,37,172,262,298,335,337,338,443,490,499,1002,1005
ხიმშიაშვილი გიორგი–490
ხომერიკი ნოე–447
ხუციშვილი (ფერეიდნელი ქართველი)–369
ხარისჭირაშვილი ლუკა–216
ხიმშიაშვილი აჰმედ ბეგი–216
ხარისჭირაშვილი პავლე–220
ხუციშვილი იოსებ–222
ხითარიშვილი სიმონ თომას ძე–223
ხითარიშვილი მიხეილ–228,990
ხალილ-ბეი(სულთნის გვარდიის უფროსი)–304

ჯ

ჯავახიშვილი ივანე–22,234, 235,243,244,245,246,446,535,536,806
ჯანაშვილი მოსე–81,590
ჯაფარიძე ჰაიდარ - 488, 601-602
ჯაფარიძე იოსებ–342
ჯაჯანაშვილი არნ.–431,527
ჯიოვანდი დე ლუკა–იტალიელი მისიონერი მოგზაური–432
ჯორჯაძე არჩილ–396
ჯუზეპე დელ ჯიულირე–იტალიელი მისიონერი–432
ჯავახიშვილი მიხეილი–856
ჯაფარიძე არჩილ–829
ჯუღელი სევერიანე–829

ჰ

ჰუსეინ-რაუფ–ბეი-აფხაზი–101
ჰაინე - 527
ჰასან–ფეჰმი-ფაშა–სალონიკის გენერალ-გუბერნატორი, იუსტიციის მინისტრი, სენატორი, სახელმწიფო საბჭოს თავმჯდომარე–291,346,363,364,367
ჰუსეინ ჯაჰიდ-ბეი-ჟურნალ „ტანის“ რედაქტორი–359

პირთა ფოტომასალის სარჩევი

XXII.I – პეტრე ხარისჭირაშვილი–სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის (სტამბოლის ქართული სავანის) დამფუძნებელი;

XXII.II-პეტრე ხარისჭირაშვილი ახლობელთან ერთად (ვინაობა უცნობია);

XXII.III –ალფონსი ხითარაშვილი–სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი (1898-1905 წ.წ.);

XXII.IV–ელისაბედ (ანა) ბეჟანიძე–დედათა მონასტრის წინამძღვარი; მონასტერთან არსებული ქალთა ქართულ-ფრანგული სასწავლებლის უფროსი;

XXIII.I–მიხეილ თამარაშვილი, ცნობილი ისტორიკოსი, სასულიერო მოღვაწე;

XXIII.II – ბენედიქტე ვარდიძე–სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი (1905-1912; 1937-1942);

XXIII.III – ანდრია წინამძღვრიშვილი – სტამბოლის ქართული სავანის მღვდელი;

XXIII.IV– ვასილ წერეთელი (ზის), მიხეილ (მიხაკო) წერეთელი, მღვდელი იოსებ მერაბიშვილი (მერაბი)–აკაკი წერეთლის საიუბილეო ღონისძიებების ხელმძღვანელები სტამბოლის ქართულ სავანეში;

XXIV.I – პავლე ზაზაძე და მარი (მარიამ) ბეჟანიძე ქორწილის დღეს მონაზვნებთან ერთად;

XXIV.II -მღვდლები – პეტრე ტატალაშვილი და შალვა ვარდიძე მონასტრის სტუმრებთან, საქართველოდან ევროპაში სასწავლებლად მიმავალ ახალგაზრდებთან ერთად;

XXV.I-II- სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ხედები;

XXVI.I – სტამბოლის ქართული სავანის ქალთა სასწავლებლის მოსწავლეები;

XXVI.II – სტამბოლის ქართული სავანის ვაჟთა სასწავლებლის მოსწავლეები;

XXVII.I – 1921 წლის თებერვალ-მარტში საქართველოდან ლტოლვილი ქართველები, ქართული სავანის სტუმრები;

XXVII.II –საქართველოს დიპლომატიური მისიის წარმომადგენლები სტამბოლში სასულიერო პირთან ერთად;

XXVIII. I –საქართველოდან ლტოლვილი ქართველები; მონასტრის სტუმრები მღვდლებთან –შალვა ვარდიძესთან და პიო ბალიძესთან ერთად;

XXVIII.II –მღვდელი იოსებ მერაბიშვილი (მერაბი) მოსწავლეებთან;

XXIX.I – პავლე თომას ძე პარმაქსიზიშვილი (პეტრე ხარისჭირაშვილის სიძე, დის–ნენეს ქმარი), სავანის სტუმარი;

XXIX.II–ნენე ხარისჭირაშვილი სტუმრად დედათა მონასტერში მყოფ მონაზონ ქალიშვილებთან;

XXIX.III - მონაზონი ანა პარმაქსიზიშვილი (ანას წერილი დედას);

XXX.I – სტამბოლის ქართული სავანის სტუმრები–ათონის მთის ქართველი ბერები: სიმონ ჩიჩუა, დონორია და ბესარიონი (1885 წელი);

XXX.II – სტამბოლის ქართული სავანის ახალგაზრდა მღვდლები რომში;

XXX.III – საქართველოს კათოლიკოს პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია II-ის სტუმრობა სტამბოლის ქართულ სავანეში. 1979 წლის 4 მაისი.

XXXI.I –აკაკი წერეთლის საიუბილეო საღამო სტამბოლის ქართულ სავანეში. 1909 წლის 26 აპრილი;

XXXI.II–ვლადიმერ წერეთლის თაოსნობით 1909 წლის 26 აპრილს ქრისტიანმა და მაჰმადიანმა ქართველებმა ერთად გადაიხადეს აკაკის იუბილე;

XXXII.I –პიო ბალიძე, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის წინამძღვარი (1912-1921; 1942-1956 წ.წ.); ქართული ლეგიონის თამარ მეფის ორდენოსანი;

XXXII.II – შალვა ვარდიძე, სტამბოლის ქართული სავანის მღვდელი, ცნობილი ისტორიკოსი, ლიტერატურათმცოდნე, ქართული ლეგიონის თამარ მეფის ორდენოსანი;

XXXII.III –პეტრე მერაბიშვილი (დოქტორ მერაბი), ცნობილი ექიმი, აბისინიის (აბაშეთის) მეფის მენელიქ მეორის პირადი ექიმი, აბისინიის დედაქალაქ ადისაბებაში ქართული აფთიაქის („ჟორჟიას“) დამაარსებელი. სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა მონასტერში შექმნილ ქართველ ლტოლვილთა დამხმარე საზოგადოების დამფინანსებელი;

XXXII.IV – პეტრე მერაბიშვილის (დოქტორ მერაბის) ერთ-ერთი სამედიცინო ნაშრომი;

XXXIII.I – პეტრე ტატალაშვილი, სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესია-მონასტრის ბოლო წინამძღვარი (1956-1961 წ.);

XXXIII.II– პავლე სიმონის ძე ზაზაძე, თურქეთში ცნობილი ერთ-ერთი პირველი ბიზნესმენი; ქველმოქმედი; სტამბოლის ეკლესია-მონასტერთან შექმნილი ქართველ კათოლიკეთა ფონდის თავმჯდომარე (1966-1989); სტამბოლის ქართული სავანის ერთგული პატრონი;

XXXIII.III–სიმონ პავლეს ძე ზაზაძე, აზიისა და ევროპის ქვეყნებში ცნობილი ბიზნესმენი; ქველმოქმედი; თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის ვიცე-პრეზიდენტი (2000-2016 წ.წ.); საქართველოს საპატიო მოქალაქე, ღირსების ორდენით დაჯილდოებული; ბათუმის, თბილისის, ქუთაისის, ახალციხის სახელმწიფო უნივერსი-ტეტების საპატიო დოქტორი, პროფესორი; სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი (1989-2016 წ.წ.); სტამბოლის ქართული სავანის ერთგული პატრონი და ქომაგი;

XXXIII.IV – პავლე (უმცროსი) სიმონის ძე ზაზაძე, ახალგაზრდა ბიზნესმენი, ჰარვარდის (აშშ) უნივერსიტეტის დოქტორანტი, ქველმოქმედი; სტამბოლის ქართველ კათოლიკეთა ეკლესიასთან არსებული ფონდის პრეზიდენტი; სტამბოლის ქართული სავანის (ბიბლიოთეკისა და არქივის) ერთგული მზრუნველი და ქომაგი;

XXXIV.I– ქლაუდეა ინჯეა-ზაზაძე, სიმონ ზაზაძის მეუღლე; ხუთ ენაზე მოსაუბრე; ქველმოქმედი; ვატიკანის კომენდატორი; სტამბოლის ქართული სავანის ერთგული ქომაგი და გულისხმიერი მზრუნველი; ჰუმანური თვისებებით გამორჩეული;

XXXIV.II – სიმონ ზაზაძის ბავშვობის გახსენება;

XXXIV.III – პავლე ზაზაძე მეუღლესთან და ვაჟიშვილთან – ლუკა ზაზაძესთან ერთად;

XXXV.I – სიმონ ზაზაძე ოჯახის წევრებთან;

XXXV.II – სტამბოლის ქართული სავანის **მზრუნველთა სამი თაობა**: პავლე სიმონის ძე ზაზაძე (ბაბუა); სიმონ პავლეს ძე ზაზაძე და პავლე სიმონის ძე ზაზაძე (უმცროსი);

XXXV.III – პავლე ზაზაძე დისშვილთან–კონსტანტინ ქალანგოსთან ერთად;

XXXVIII.I – სიმონ ზაზაძე მეუღლესთან–ქლაუდეა ინჯეა-ზაზაძესთან ერთად;

XXXVI.II–პავლე ზაზაძე დედასთან–ქლაუდეა ინჯეა–ზაზაძესთან და დასთან – პაულა ზაზაძესთან ერთად;

XXXVII.I –ნატალია ზაზაძე-სიმონ ზაზაძის უფროსი ქალიშვილი, სტამბოლის ქართული სავანის პატივმცემელი და ერთგული მზრუნველი;

XXXVII.II–საქართველოს კონსული სტამბოლში, ზვიად კვაჭანტირაძე პავლე ზაზაძეს გადასცემს ღირსების ორდენს;

XXXVIII.I – სიმონ ზაზაძე, შუშანა ფუტკარაძე, გურამ შარაძე. სტამბოლი, 1991 წლის 25 მაისი;

XXXVIII.II – სტუმრად საქართველოს პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის რეზიდენციაში. 26 მაისის დღესასწაულზე ოჯახთან ერთად მოწვეულ სიმონ ზაზაძეს მიენიჭა საქართველოს საპატიო მოქალაქეობა. თბილისი, 1997 წლის 28 მაისი;

XXXIX.I-II –ბათუმის შოთა რუსთაველის უნივერსიტეტში 26 მაისის დღესასწაულზე მოწვეულ სიმონ ზაზაძეს მიენიჭა საპატიო დოქტორის წოდება (რექტორი პროფესორი ნური ვერძაძე). სიმონ ზაზაძე სტუდენტებთან და რექტორთან ერთად. 1998 წლის 28 მაისი;

XXXX.I – თურქეთ-საქართველოს განათლებისა და კულტურის ფონდის შექმნის დროს გამართული შეხვედრის მონაწილენი. სტამბოლი, 2000 წლის 7 ივნისი;

XXXX.II –შუშანა, შორენა და ბასრი ფუტკარაძეების პირველი სტუმრობა ზაზაძეების ოჯახში. სხედან: მარი ბეჟანიძე-ზაზაძე, პავლე (უფროსი) ზაზაძე, ბასრი ფუტკარაძე. დგანან: შუშანა და შორენა ფუტკარაძეები. 1989 წლის 25 მაისი, სტამბოლი (ამ დღიდან დაიწყო სტამბოლის ქართული სავანის შესწავლა);

XXXXI.I – სიმონ ზაზაძის სტუმრობა ახალციხის მუზეუმში, 2006 წლის 27 მაისი;

XXXXI.II –სიმონ ზაზაძის სტუმრობა ახალციხის უნივერსიტეტში; მარჯვნიდან სხედან: სიმონ ზაზაძე, შუშანა ფუტკარაძე, ქლაუდეა ინჯეა-ზაზაძე;

XXXXII.I – სიმონ ზაზაძე ესტუმრა მშობლიურ სოფელ უდეს. შეხვედრა უდელებთან;

XXXXII.II – სიმონ ზაზაძე სტუმრებითურთ საქართველოს რესპუბლიკის სტამბოლის საკონსულოში. მარცხნიდან: სიმონ ზაზაძე, კონსული–ზვიად კვაჭანტირაძე, შუშანა ფუტკარაძე, ტარიელ ფუტკარაძე, ავთანდილ ნიკოლეიშვილი;

XXXXIII.I– სიმონ და პავლე ზაზაძეების სტუმრობა საქართველოს საპატრიარქოში. მარცხნიდან: სიმონ ზაზაძე, პავლე ზაზაძე. საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, უწმინდესი და უნეტარესი ილია II, პროფესორები– ტარიელ, ჯემალ და შუშანა ფუტკარაძეები;

XXXXIII.II -სიმონ და პავლე ზაზაძეები სტუმრად ქუთაისის სახელმწიფო უნივერსიტეტში;

XXXXIV.I -სიმონ და პავლე ზაზაძეები სტუმრად საქართველოს ხელნაწერთა ეროვნულ ცენტრში;

XXXXIV.II -სიმონ ზაზაძე სტამბოლის ქართული სავანის არქივში მომუშავე მკვლევარებთან: მარჯვნიდან: სიმონ ზაზაძე, ექიმი ნოდარ ფუტკარაძე, შუშანა ფუტკარაძე, ციური ლაფაჩი, ნატო ყრუაშვილი;

XXXXV.I – საგრანტო პროექტის წევრები. მარჯვნიდან: პროექტის მენეჯერი როინ მალაყმაძე, თამილა ლომთათიძე, შუშანა ფუტკარაძე, ელზა ფუტკარაძე, ნაილა ჩელებაძე, შორენა ფუტკარაძე;

XXXXV.II –სიმონ და პავლე ზაზაძეები სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკის კატალოგის შედგენაზე მომუშავე პირებთან. მარცხნიდან: სიმონ ზაზაძე, შუშანა ფუტკარაძე, პავლე ზაზაძე, ციალა ნარაკიძე, ნეჯმეთტინ იუქსელი. დგანან: შორენა ფუტკარაძე და ნარგიზ ახვლედიანი;

XXXXVI.I -საგრანტო პროექტის მენეჯერი და სამეცნიერო ხელმძღვანელი, პროფესორები– როინ მალაყმაძე და შუშანა ფუტკარაძე;

XXXXVI.II –სტამბოლის ქართული სავანის არქივში;

XXXXVII.I – სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში ქლაუდეა ზაზაძე მეგობართან ერთად;

XXXXVII.II – საგრანტო პროექტის წევრები სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში;

XXXXVIII.I- სტამბოლის ქართული სავანის არქივში;

XXXXVIII.II. -როინ მალაყმაძე სტამბოლის ქართული სავანის ბიბლიოთეკაში;

XXXXVIII.III - სტუმრად ზაზაძეებთან.